მიტროპოლიტი
ანანია ჯაფარიძე

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია

ფასიერებლობა „ალდა“
თბილისი 2009

სამშობლოს დიდ მამასა და მოძღვარს უწმიდესსა და უნეტარესს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს მოკრძალებით ვუძღვნი ამ ნაშრომს

წიგნში გადმოცემულია საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია უძველესი ხანიდან ვიდრე XXI საუკუნემდე. ნაშრომი სრული სახით 1996-1999 წლებში გამოსცა გამომცემლობა „მერანმა“ ოთხ ტომად, იქამდე 1989 წელს წიგნის პირველი ტომი გამოიცა ახალციხეში.

წიგნში სრულფასოვნად არის აღწერილი ჩვენი ეკლესიის ცხოვრება, უამრავი წყაროსა და ლიტერატურის დართვით, წმიდა მოციქულების ეპოქიდანვე, ამასთან, მას წინ უძღვის ქართველთა წინაპრების სარწმუნოებრივი ცხოვრების მიმოხილვა და უფალი ღმერთის მიერ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მომზადება ქრისტიანობის მისაღებად.

მონოგრაფიას თან ერთვის საეკლესიო კრებათა დადგენილებების განხილვა.

წიგნი განკუთვნილია ფართო მკითხველი საზოგადოებისა და სასულიერო აკადემიის სტუდენტებისათვის, რომელთათვისაც 1995 წლიდან ეს წიგნი წარმოადგენს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის სახელმძღვანელოს.

მ ე ო რ ე გ ა მ ო ც ე მ ა

რედაქტორები: კახაბერ ჭაბაშვილი, თამარ რევაზიშვილი
კომპიუტერული მომსახურება: ვიქტორ დავითაშვილი
საძიებლები შეადგინა თამარ რევაზიშვილმა
ტექნიკური რედაქტორი: ალექსი შოშიაშვილი

- მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
- გამომცემლობა „ალილო“

მისამართი — თბილისი, ლესელიძის 27
E-mail: alilo@rambler.ru

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის წმიდა სინოდის მიერ
„უფლის კვართის ორდენით“ დაჯილდოვების
ტექსტს კითხულობს მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე,
სვეტიცხოველი, 14 ოქტომბერი, 2008 წელი.

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

საქართველოში ბოლოს და ბოლოს დადგა დრო, როცა ქართულ ეკლესიას შედარებით თავისუფალი მოღვაწეობის საშუალება მიეცა. ამავე დროს არნახულად გაიზარდა საზოგადოების ინტერესი ქართული ეკლესიის წარსულისადმი. მაგრამ საზოგადოებრივ ცნობიერებაში ეკლესიის სასარგებლოდ მომხდარ ასეთ გარდატეხას ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია მაინცდამაინც მომზადებული ვერ შეხვდა, არა გვაქვს ქართული ეკლესიის განმაზოგადებელი ისტორია. მრავალსაუკუნოვანი ქართული ეკლესიის ისტორიით დაინტერესებული მკითხველი ახალ, თანამედროვე მეცნიერების დონეზე შესრულებულ გამოკვლევას ვერ წაიკითხავს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ასეთი ჩამორჩენილობის მიზეზი, ძირითადად, 1921 წლიდან საქართველოში შექმნილი ვითარებაა. გარდა იმისა, რომ 1921 წლის შემდეგ ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევას საბჭოთა ხელისუფლების სათანადო პოლიტიკა მაინცდამაინც არ ახალისებდა (ასეთ პირობებშიც კი ივ. ჯავახიშვილმა, კ. კეკელიძემ, ბ. ლომანიძემ, ზ. ალექსიძემ და სხვებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული ეკლესიის ისტორიის ცალკეული საკითხების საქმეში), ამ მხრივ არც რევოლუციამდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში იყო კარგად საქმე. და აი, რატომ: ქართული ეკლესიის ისტორიის შესახებ პირველი მონოგრაფია ცნობილმა ისტორიკოსმა პ. იოსელიანმა 1845 წელს გამოაქვეყნა, ხოლო 1877 წელს გამოცემულ გ. საბინინის გამოკვლევაში ქართული ეკლესიის შესახებ თხრობა მხოლოდ VI ს-ის ბოლომდეა მოყვანილი. 1886 წელს თბილისში გამოვიდა მოსე ჯანაშვილის „საქართველოს საეკლესიო ისტორია“.

ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლა განსაკუთრებით აქტუალური გახდა რუსეთის 1904-1905 წლების რევოლუციის შემდეგ, როცა ქართველმა საზოგადოებამ რუსეთის საიმპერატორო კარისა და წმიდა სინოდის წინაშე კატეგორიულად დასვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. ამ დროს რამოდენიმე საგაზეთო და საჟურნალო წერილის (ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ს. გორგაძის წერილები) გარდა შეიქმნა თ. ჟორდანიას, კ. ცინცაძის, ნ. დურნოვის, მ. კელენჯერიძის, ნ. მარის მონოგრაფიები, რომლებშიც ძირითადად ქართული ეკლესიის ავტიკეფალიის აღდგენის კანონიერება იყო დასაბუთებული.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნა იმ ხანად მარცხით დამთავრდა. ისევ დაიწყო განმაზოგადებელი ნაშრომების შექმნა. XIX ს-ში ქართული ეკლესიის საკითხები განიხილა თავის მონოგრაფიაში ეპისკოპოსმა (შემდგომ კათალიკოს-პატრიარქმა) კირიონმა. 1910 წელს რომში ფრანგულ ენაზე გამოიცა მ. თამარაშვილის განმაზოგადებელი მონოგრაფია, 1918 წელს ქუთაისში - ევ. ნიკოლაძის გამოკვლევა „საქართველოს ეკლესიის ისტორია“. ამის შემდეგ, ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევა, ალბათ ახალ საფეხურზე ავიდოდა, მაგრამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და კვლევაც შეფერხდა.

ასე რომ, ქართული ეკლესიის ისტორიის შესახებ მხოლოდ რევოლუციამდე შექმნილი მონოგრაფიები გვაქვს, თანაც ისინი დღეისათვის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, რის გამოც ქართული ეკლესიის ისტორიით დაინტერე-

სებული ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არაა. დასახელებული ნაშრომებიდან მხოლოდ პ. იოსელიანის, მ. ჯანაშვილის, მ. თამარაშვილისა და ევ. ნიკოლაძის მონოგრაფიებში არის ქართული ეკლესიის ისტორიის განმაზოგადებელი თხრობა. აქ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ პ. იოსელიანის მონოგრაფია გარდა იმისა, რომ რუსულ ენაზეა და ძალზე მოძველებულია, ხოლო მ. თამარაშვილისა - ფრანგულ ენაზე, გამოდის, რომ საქართველოს ეკლესიის შესახებ ქართულად მხოლოდ ორი წიგნი გვაქვს. და ისინიც სიძველისა და სქემატურობის გამო სრულიად არ შეესაბამებიან მეცნიერების თანამედროვე დონის მოთხოვნებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან, ვფიქრობ, კარგად ჩანს, რაოდენ სავალალო მდგომარეობაშია დღეისთვის ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლის საქმე. ამიტომ მისასალმებელია, რომ ამ დიდი ლაქის შევსება, უკანასკნელ ხანებში საისტორიო წყაროებში ახლად გამოვლენილი მასალებისა და თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევების გათვალისწინებით, ისევ სასულიერო პირმა - მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ ითავა.

მიტროპოლიტ ანანიას უზარმაზარი გამოკვლევა მრავალწლიანი თავდაუზოგავი კვლევის ნაყოფია. იგი დიდი სიყვარულით და რუდუნებით არის შესრულებული. შეიძლება, გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ქართული ეკლესიის ისტორიის შესახებ ასეთი ყოვლისმომცველი გამოკვლევა რევოლუციამდელ საქართველოშიც კი არ შექმნილა.

ქართული ეკლესიის ისტორია, რა თქმა უნდა, ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის ნაწილია და ამ გრანდიოზულ ნაშრომშიც ქართული ეკლესიის ისტორია საქართველოს ისტორიასთან მჭიდრო კავშირში და მის ფონზეა გადმოცემული. აღნიშნული გარემოება, ვფიქრობ, ნაშრომის ერთ-ერთ დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს.

ფარნავაზის ხანიდან (ძვ.წ. III ს.) მოკიდებული XVIII ს-ის ჩათვლით, არ დარჩენილა როგორც საქართველოს ისტორიის, ისე ქართული ეკლესიის ისტორიის მეტად თუ ნაკლებად აქტუალური პრობლემა, რომლის შესახებაც ა. ჯაფარიძეს თავისი თვალსაზრისი არ ჰქონოდეს გამოთქმული. ყოველივე ეს ავტორის ფართო განათლებაზე მიუთითებს.

მისასალმებელია, რომ სასულიერო საქმეებით დაკავებული პირი წლების მანძილზე თვალს ადევნებდა ქართულ (და არა მარტო ქართულ) ისტორიოგრაფიაში შექმნილ ყველა იმ წერილს და მონოგრაფიას, რომელიც მას გამოკვლევაში განხილული ცალკეული საკითხების გაშუქებისას გამოადგებოდა. აღნიშნულის გამოა, რომ მის მონოგრაფიაში ახალი სამეცნიერო ლიტერატურა სათანადო სისრულითაა ასახული. ავტორი ახერხებს არა მარტო სრულყოფილად გადმოსცეს ქართული ეკლესიის იტორია, არამედ ქართული ეკლესიისთვის დღეს მეტად აქტუალური პრობლემა ახლებურად დასვას. ბევრი საკამათო საკითხი მონოგრაფიაში ახალი მასალითაა გამყარებული და სათანადო დასკვნებიცაა მიღებული.

ნაშრომის ერთ-ერთ სიახლედ უნდა ჩაითვალოს მოციქულთა დროინდელი საქართველოს ვრცელი და დეტალური ისტორიის გადმოცემა, რასაც აქამდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. I-II სს-ში საქართველოს ტერიტორიაზე მო-

ციქულთა მიმოსვლისა და ქადაგების შესახებ ძველ წყაროებში არსებული მასალა, მას შემდეგ, რაც 1900 წელს ივ. ჯავახიშვილმა ანდრია პირველწოდებულის ქართლში შემოსვლა უარყო (იმ ხანად ასეთი შეხედულება მხოლოდ პატრმა ავრელიო პარმიერიმ არ გაიზიარა), სპეციალურად აღარავის უკვლევია. ახ.წ.აღ-ის I-II სს-ის საქართველოს ისტორიისთვის ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი უყურადღებოდ იყო მიტოვებული. რა თქმა უნდა, ყოველივე იმაზე, რაც საქართველოს ისტორიისა და ქართული ეკლესიის ფესვების კვლევას ნათელს მოჰფენს, უარის თქმა არ შეიძლება. უმცირესი მასალაც კი, სათანადო გაანალიზების შემდეგ, ქართული კულტურის სამსახურში უნდა იქნეს ჩაყენებული. სწორედ ამ მხრივ მიუდგა ავტორი საქართველოში მოციქულთა შემოსვლის საკითხს.

როგორც მონოგრაფიიდან ჩანს, საქართველოში მოციქულთა მოსვლის შესახებ (გარდა იმისა, რომ დაბეჯითებით მიუთითებს ძველი ქართული წერილობითი საისტორიო ტრადიცია), მოგვითხრობენ ძველი ბერძენი და ლათინი ავტორები. ამიტომ, მისასალმებლია, რომ სარეცენზიო მონოგრაფიაში ეს საკითხი ფართოდ და ამომწურავადაა წარმოდგენილი, დეტალურადაა გაანალიზებული საქართველოში მოციქულთა შემოსვლის გზები და მათი ქადაგების გეოგრაფიული არეალი. დამაჯერებლადაა ნაჩვენები, რომ ძველ ავტორთა მიერ დასახელებული სკვითეთი, სადაც ანდრია პირველწოდებულმა ქრისტიანული რწმენა იქადაგა, ამავე ავტორთა (მაგ. დიონისე პერიეგიტი) ცნობებიდან გამომდინარე, საქართველოს ტერიტორიად უნდა ჩაითვალოს.

როგორც მოტანილი მასალიდან დასტურდება, ანდრია პირველწოდებულის გარდა საქართველოში რამდენიმე მოციქულს უქადაგია, რომელთაგან სიმონ კანანელი ანაკოფიაში გარდაიცვალა და იქ არსებული მისი საფლავი ავტორის მიერ სამართლიანადაა მიჩნეული საქართველოში მოციქულთა ყოფნის ერთ-ერთ დამადასტურებელ ფაქტად. ავტორის დასკვნით, ანდრია პირველწოდებულმა ახ.წ.აღ-ის I ს-ში არა მარტო გააქრისტიანა ქართველთა ერთი ნაწილი, არამედ აწყურში პირველი საეპისკოპოსო ეკლესიაც დააარსა. დამაჯერებელია ძველ ქართულ საისტორიო წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით გამოთქმული მოსაზრება, ანდრია პირველწოდებულის ქართლში პირველად ახ.წ.აღ-ის 30-35 წელს, მეფე ადერკის ზეობის დროს შემოსვლის შესახებ. ნაშრომში ასევე სათანადოდაა დასაბუთებული საქართველოში სხვა მოციქულთა (მატათა და სხვა) ყოფნა და მათ მიერ ახალი რწმენის ქადაგება. რა თქმა უნდა, როგორც ავტორიც მიუთითებს, ახ.წ.აღ-ის I-II სს-ის ქართლის სამეფოს სიძლიერესა და მის საერთაშორისო ავტორიტეტს თუ გავითვალისწინებთ, მაშინ მოციქულები საქართველოს მართლაც ვერ აუვლიდნენ გვერდს.

საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობის შესახებ ნაშრომში მოტანილი მასალით ავტორი მიზნად ისახავს უფრო დიდი პრობლემის გადაწყვეტას. კერძოდ, მოციქულთა მიერ (ახ.წ.) I-II სს-ების საქართველოში ქრისტიანობის დანერგვა ეპისკოპოს ანანიას საფუძველს აძლევს, მოციქულთა დროინდელი საქართველოს ეკლესია ავტოკეფალურად მიიჩნიოს. ნაშრომში დამაჯერებლადაა დასაბუთებული იმ დროისათვის ისეთი გზით წარმოქმნილი ყველა ავტოკეფალური ეკლესიის თანას-

წორუფლებიანობა. სათანადო მასალით შემაგრებულ ასეთ მოსაზრებას ავტორი ცნობილი ბიზანტიელი კანონისტის, თ. ბალსამონის (XII ს.) ცნობით ადასტურებს.

ნაშრომში საინტერესოდაა გადმოცემული ქართული სახელმწიფოს, ქართველი ერისა და ქართული ენის ჩამოყალიბების პროცესი. ნაჩვენებია, რომ ქართველებით განსახლებული ტერიტორიის საზღვრები იმ უძველეს დროში ქართული ეკლესიის სამწყსოს ემთხვეოდა. ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა ნაშრომებზე დაყრდნობით ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ფარნავაზის დროიდან მოკიდებული ქართლი და ეგრისი ერთიანი ქართული ქვეყანა - „ყოველი საქართველო“ იყო, რის გამოც მას განმანათლებელიც ერთი ჰყავდა. ასეთი მოსაზრების ერთ-ერთ დამადასტურებელ საბუთად მოტანილია ქართლის ცხოვრების ის ცნობა, რომლის თანახმად ქართლის განმანათლებელმა წმიდა ნინომ „ნათელი სცა ყოველთა ივერთა“. როგორც ცნობილია, ასეთი შეხედულება ადრე ნ. მარმა გამოთქვა და მარის მოსაზრება სათანადოდ მითითებულია კიდეც მონოგრაფიაში.

ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი იმის მტკიცებას, რომ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ტერიტორია ასევე იბერიად (ქართლად) იწოდებოდა. ეს საკითხი ჯერ კიდევ აკად. ს. ყაუხჩიშვილმა გაარკვია, მაგრამ მისგან განსხვავებით მიტროპოლიტი ანანია ზოგჯერ იბერიის ტერიტორიად მთელ დასავლეთ საქართველოს გულისხმობს და ასკვნის რომ, რადგან ამ ერთიან ქართულ ტერიტორიაზე ერთიანი ქართველი ხალხი ცხოვრობდა, ერთიანი შეგნებით, ერთიანი კულტურით, მთელ ამ ტერიტორიაზე IV ს-დან წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე იყო.

IV-V სს-ების საქართველოს ისტორიის ამსახველ ქართულ საისტორიო წყაროებში („მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ვახტანგ გორგასლის „ცხოვრება“), რადგან ქართული ეკლესიის მეთაურად თითო პირია დასახლებული, ქართული ეკლესიის ისტორიის ისეთი ცნობილი მკვლევარი, როგორც აკად. კ. კეკელიძე იყო, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ავტოკეფალიის მოპოვებამდე (კ. კეკელიძე ავტოკეფალიის მოპოვებას 468-472 წწ. განსაზღვრავდა) ქართლის სამეფო ერთ საეპისკოპოსოს წარმოადგენდა. კ. კეკლიძის მოსაზრებას იზიარებენ ბ. ლომანიძე და ა. ბოგვერაძე. მართალია, კ. კეკელიძის მოსაზრება თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული არაა, მაგრამ მაინც მისასალმებელია, რომ ქართული ეკლესიისთვის ასეთ პრესტიჟულ საკითხს მიტროპოლიტმა ანანიამაც მიაქცია ყურადღება. მისი დასკვნით, ქრისტიანობის შემოსვლიდან და გამარჯვებიდან მოყოლებული, საქართველოში რამდენი საერისთაოც იყო, იმდენი საეპისკოპოსო უნდა ყოფილიყო. ასეთი მტკიცების ერთ-ერთ დამადასტურებელ საბუთად მონოგრაფიაში სამართლიანადაა მიჩნეული „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში ქართლის ეკლესიის მეთაურის მთავარეპისკოპოსის ტიტულით მოხსენიება და ვახტანგ გორგასლისდროინდელ ქართლში ეპისკოპოსთა არსებობა.

მიუხედავად იმისა, რომ ძველ ქართულ წყაროებში მეცნიერთა არაერთმა თაობამ იმუშავა, ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ავტორის ჯუანშერის გამოთქმით, რომ ქართველებმა „კეთილად ვერ იპყრეს წესი იოანეს მცნებისა“, არავინ დაინტერესებულა. მიტროპოლიტმა ანანიამ მიაქცია ყურადღება და აზრი გამოთქვა, რომ ჯუანშერის სიტყვაში, ამ შემთხვევაში იოანე ნათლისმცემელი ან იოანე მოციქუ-

ლი კი არ იგულისხმება, არამედ ქართლის ეკლესიის პირველი მეთაური იოანე. იქვე დაასაბუთა, რადგან იოანე ეპისკოპოსის მიერ საქართველოში შემოტანილი ნიკეის რწმენისათვის ქართლის ეკლესიას შემდგომში აღარ უღალატია, მაშინ, როცა თვით რომის იმპერიაში მრავალი მწვალებლობა წარმოიშვა, ჯუანშერის გამოთქმაში იოანე ეპისკოპოსის მიერ ქართლში დანერგილი რწმენისადმი ერთგულება იგულისხმება და ქართული წყარო ზუსტად ასახავს იმ საეკლესიო პოლიტიკას, რომელიც 451 წლის ქალკედონის კრების შემდეგ ბიზანტიის იმპერიაში არსებობდა. ვფიქრობ, ჯუანშერის გამოთქმის ასეთი ინტერპრეტაცია V ს-ის ვითარების გათვალისწინებით სწორი ჩანს და სიახლეა როგორც ქართული ეკლესიის ისტორიისათვის, ისე თვით ჯუანშერის ცნობათა გაგების საქმეში.

ქართული ეკლესიის ისტორიის გადმოცემისას მკვლევარი, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ აუვლის ვახტანგ გორგასალსა და მიქაელ ეპისკოპოსს შორის მომხდარ კონფლიქტს. ამ საკითხს მიტროპოლიტმა ანანიამაც მიაქცია ყურადღება. და იქვე საინტერესო მოსაზრება გამოთქვა – თუ რატომ დაწყევლა მიქაელმა ვახტანგის სპა. ავტორის თანახმად,ვახტანგი სამეფო ლაშქარზე დაყრდნობით ებრძოდა სიმდიდრით აღზევებულ მიქაელს და ამ უკასასკნელმა ამიტომ დაუწყევლა სპა. კონფლიქტის მიზეზთა კვლევისას ამ დეტალისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ვფიქრობ, მიღებული დასკვნა საყურადღებოა.

როგორც ითქვა, სათანადო წყაროების მონაცემებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში (ი. ტროიცკი) გამოთქმულ მოსაზრებზე დაყრდნობით, მოციქულთა დროს საქართველოში შექმნილი ქრისტიანული თემები (აქედან გამომდინარე, ეკლესია) მონოგრაფიაში ავტოკეფალურად არის მიჩნეული. ავტორი თვლის, რომ ქართლის ტახტზე ვახტანგის ასვლისას (V ს-ის 40-იანი წ.) საქართველოს ეკლესია ავტოკეფალური იყო, თუმცა იმპერიის ეკლესიასთან ურთიერთობა ჰქონდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ იზიარებს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ მოსაზრებას ავტკეფალიის მოპოვებამდე ანტიოქიის საპატრიარქოსადმი ქართული ეკლესიის მორჩილების შესახებ. იმ ხანად ანტიოქიის საპატრიარქო, რადგან ბიზანტიის ეკლესიას წარმოადგენდა, ქართლში კი ირანი ბატონობდა, ავტორი თვლის, რომ ირანის ხელისუფლება არ დაუშვებდა ქართული ეკლესია იერარქიულ დამოკიდებულებაში ყოფილიყო მისი მოწინააღმდეგე იმპერიის ეკლესიისადმი.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი ამ კუთხით არ დასმულა, ამიტომ გამოთქმული მოსაზრება საყურადღებოა. როგორც მიტროპოლიტი ანანია მიუთითებს, მართალია, 381 წელს მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ ძლიერმა ეკლესიებმა დაიწყეს სუსტი ეკლესიების დამორჩილება (კონსტანტინეპოლის ეკლესიამ ამ დროს გააუქმა პონტოს და ასიის ავტოკეფალიები) და ანტიოქიის ეკლესიის მიერ ქართულ ეკლესიაზე პრეტენზიის განცხადება მას აღნიშნული მოვლენის გამოხატულებად მიაჩნია. მაგრამ ანტიოქიის საპატრიარქოსადმი ქართული ეკლესიის იერარქიული დამოკიდებულების შესახებ, რადგან ძველი ქართული წყაროებიც მიუთითებენ, უნდა დასაბუთდეს ქართულ წყაროთა ცნობების არარეალურობა, ან მათი უცხოენოვანი წყაროებიდან წარმომავლობა.

საინტერესოა ნაშრომის ის ნაწილი, რომელშიც მიცემულია ირანის მეშვეობით ქართულ ეკლესიაზე სომხური ეკლესიის ზემდგომობის დამყარების ცდა. როგორც

ითქვა, ქართული ეკლესია V ს-ში უკვე ავტოკეფალური იყო, მაგრამ VI ს-დან ირანის ზეწოლით შეიქმნა ქართულ-სომხურ ეკლესიათა ერთობა. ქალკედონიტური მრწამსის ქართლის სამეფოში მონოფიზიტობა მომძლავრდა. სწორედ ირანის ძალის საშუალებით სომხეთის ეკლესიამ შეძლო ძველი ალბანეთის ეკლესიის დამორჩილება და ღვთისმსახურების ენად სომხურის დამკვიდრება. სომხურმა ეკლესიამ გარკვეულ წარმატებას საქართველოშიც მიაღწია. მაგრამ მიტროპოლიტ ანანიას მოსაზრების თანახმად, VI ს-ის შუა ხანებში ქართლში შემოსულმა სირიელმა მამებმა გარკვეულწილად გაამყარეს ქალკედონიტების პოზიციები.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდეა კამათი, თუ რა რწმენისა უნდა ყოფილიყვნენ სირიელი მამები. მიტროპოლიტ ანანიას დასაბუთებული მსჯელობიდან გამომდინარე, ისინი მართლაც შეიძლება, ქალკედონიტები ყოფილიყვნენ.

ავტორი ფიქრობს, რომ VII ს-დან ქართულმა ეკლესიამ საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი სომხურ ეკლესიასთან და თავისი ასეთი სტატუსი 681 წელს I საეკლესიო კრების გადაწყვეტილებებით დადასტურდა.

განსაკუთრებით საინტერესოა ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც საქართველოს სამეფოს განაპირა მხარეების – ჰერეთის, ქვემო ქართლისა და ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის რელიგიურ რწმენასა და მათი „გაქართველების“ საკითხს ეხება. მონოგრაფიაში ნაჩვენებია მონოფიზიტური სომხეთის გავლენაში მოქცეული ამ მხარეების ქალკედონიტობაზე მოქცევა - „გაქართველება“. თუმცა, ისინი ეთნიკურად მანამდეც ქართველები იყვნენ, სომხური ენა ამ ძველი ქართული ტერიტორიების მოსახლეობისათვის მშობლიური კი არა, საეკლესიო იყო. როგორც ავტორი მიუთითებს, სწორედ აღნიშნულით იყო განპირობებული, რომ ქართველი ეროვნებისადმი კუთვნილების გამო, ჩვენს ეკლესიაში ეროვნულ-კულტურული ეკლესიის დამკვიდრებისათვის მებრძოლ კირიონს მონოფიზიტებიც ედგნენ მხარში.

თავის დროზე ნ. მარის მიერ გამოთქმული ანტიმეცნიერული მოსაზრება, თითქოს VIII-IX საუკუნეებამდე ტაო-კლარჯეთის მოსახლეობა არაქართული იყო და ამ მხარეების ქართული კულტურის ძეგლები სომხური ძეგლების ნანგრევებზე აშენდა, კ. კეკელიძემ და ი. აბულაძემ გაიზიარეს. მართალია, ნ. მარის თეორიის კრიტიკა ჯერ კიდევ პ. ინგოროყვამ მოგვცა, მაგრამ წინამდებარე ნაშრომში, რადგან საქართველოს განაპირა მხარეების მოსახლეობის მრწამსზეც არის საუბარი, მიტროპოლიტი ანანია ამ საკითხსაც შეეხო. აჩვენა ნ. მარის მოსაზრების უსაფუძვლობა, - რა მავნე შედეგები გამოიღო ნ. მარის თეორიამ, როგორ გამოიყენეს იგი. ნ. ტოკარსკიმ, ა. იაკობსონმა, ვ. მიხაკოვმა და სხვებმა ტაო-კლარჯეთის ძველი ქართული არქიტექტურის ძეგლების არაქართულად გამოსაცხადებლად.

ჯერ კიდევ ნაშრომის დასაწყისში არის გამოთქმული სურვილი, აღდგეს ქართული ეკლესიის ძველი სახელწოდება და მას „საქართველოს სამოციქულო ეკლესია“ ეწოდოს. ნაშრომის მეორე ტომში მოსაზრების დასადასტურებლად დიდძალი და საინტერესო მასალაა მოტანილი. ნაჩვენებია, თუ რატომაა სომხური და ალბანური ეკლესიების მსგავსად ქართული ეკლესიაც სამოციქულო, საქართველოს ეკლესიის მამამთავრები მოციქულთა ტახტზე რომ სხედან. აქვე ნაჩვენებია, რომ „წმიდა კათოლიკე სამოციქულო ეკლესია სვეტიცხოველი“, ან მცხეთის სამოციქულო ეკლესია ეწოდებოდა.

ვფიქრობ, ნაშრომში საკმაო დამაჯერებლობითაა დასაბუთებული, რომ მირონი საქართველოში ქალკედონის მეოთხე საეკლესიო კრების (451 წ.) დადგენილების საფუძველზე იკურთხებოდა. ბერძნულენოვანი საბუთები ქართული რეალობის საწინააღმდეგოდ რომ მეტყველებენ, ავტორი ამას სამართლიანად ხსნის უცხოელთა ბატონობისაგან გაღარიბებული ანტიოქიისა და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოების ფინანსური მდგომარეობის გაუარესებით. მათ ძველ საბუთებში შესწორებანი შეჰქონდათ, რათა სხვა ეკლესიები ეიძულებინათ მათთვის შესაწირი მიეცათ.

საინტერესო მასალაა მოტანილი მირონის კურთხევის წესის შესახებ. ნაჩვენებია, რომ იგი VI ს-ში უნდა შეედგინათ, ხოლო VI მსოფლიო საეკლესიო კრებას (681 წ.) დაედასტურებინა. უარყოფილია ბ. ლომინაძის მოსაზრება, თითქოს მირონის კურთხევა საქართველოში IX ს-ში დაწესდა.

მისაღები ჩანს, გიორგი მერჩულეს თხზულების ტექსტის იმ ადგილის, რომელშიც საქართველოში მირონის კურთხევის დაწესებაზეა საუბარი, ქარაგმა „ა-ს“ გახსნა აფხაზეთად (და არა აღმოსავლეთად, როგორც ეს დღესაა მიღებული). ქარაგმის ასეთი გახსნის შემდეგ ნათელი ხდება აფხაზეთის ეკლესიაში რატომ დაიწყეს იერუსალიმიდან მოტანილი მირონის მაგიერ მცხეთაში ნაკურთხი მირონის გამოყენება. იერუსალიმიდან მირონის მოტანა, როგორც მონოგრაფიაშია აღნიშნული, იმ ხანად მართლაც კონსტანტინეპოლში მიმდინარე ბრძოლებით იყო განპირობებული.

ნაშრომში სწორადაა მითითებული, რომ აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსება დამოუკიდებელი აფხაზეთის სამეფოს წარმოქმნის შედეგი იყო. იქვე სათანადო მასალის მოტანით, ნაჩვენებია აფხაზეთის საკათალიკოსო, ერთიან ქართულ ეკლესიაში რომ შედიოდა. XI საუკუნის საქართველოს ისტორიის გადმოცემისას მონოგრაფიაში კარგადაა ნაჩვენები ბიზანტიასა და საქართველოს შორის პოლიტიკური ვითარების გართულება როგორ მოქმედებდა ამ ქვეყნების საეკლესიო ურთიერთობაზე. როგორ და რა პირობებში მიიღო საქართველოს ეკლესიის მეთაურმა კათალიკოს-პატრიარქის წოდება. აქვე საინტერესოდაა გაანალიზებული XI საუკუნის საქართველოში შექმნილი ის ვითარება, რომელმაც განაპირობა ადრე სომხეთთან ეკლესიური სიახლოვის დროს შექმნილი საეკლესიო ლიტერატურის ხელახალი რედაქტირება, ამჯერად უკვე ბერძნულთან დასაახლოებლად. გიორგი და ექვთიმე მთაწმიდელების, ეფრემ მცირეს როლი ამ საქმეში. როგორც მიტროპოლიტი ანანია მიუთითებს, დასახელებულმა მოღვაწეებმა, როგორც ზოგი მკვლევარი ფიქრობს, ხელახლა კი არ თარგმნეს სასულიერო ლიტერატურა ბერძნულიდან, არამედ უკვე თარგმნილს უდარებდნენ ბერძნულს, რათა მათში სომხურ ეკლესიასთან სიახლოვის კვალი აღმოეფხვრათ. ამით ქართველმა მოღვაწეებმა ბერძნებს მოუსპეს საბაბი საქართველოს ეკლესია მწვალებლურ ეკლესიად გამოეცხადებინათ და უდიდესი როლი შეასრულეს ქართული ეკლესიის ძველთაგანვე არსებული ავტოკეფალიისა და საქართველოს საპატრიარქოს აღორძინების საქმეში.

საქრთველოს საპატრიარქოს საზღვრების განხილვისას ნაჩვენებია, რომ ჩრდილოაღმოსავლეთით ქართული ეკლესიის საზღვარი ხერსონისთან მდებარე კაფამდე აღწევდა. აქვე მითითებულია ქართული ეკლესიის სამხრეთი და აღმოსავლეთი საზღვრები.

საინტერესოა ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც მსოფლიო დიპტიხში საქართველოს ეკლესიის საკითხს შეეხება. სათანადო მასალაა მოტანილი იმის საჩვენე-

ბლად, რომ საეკლესიო განხეთქილებამდე (1054 წ.) საქართველოს ეკლესიას იერუსალიმის ეკლესიის შემდეგ VI ადგილი ეჭირა. ავტორი აქვე ასაბუთებს, რომ დიპტიხში ეს ადგილი 1054 წლის წინა დროინდელი საბუთებიდან მომდინარე ჩანს. მსოფლიო დიპტიხში ქართულ ეკლესიას მართლაც VI ადგილი რომ ეკავა, ნაშრომში ამის დამადასტურებელ საბუთად მოტანილია 1438 წლის ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე საქართველოს ეკლესიის წარმომადგელის VI ადგილზე ჯდომა. ამ მხრივ, მოტანილი მასალა, ვფიქრობ, იმდენად საინტერესო და დამაჯერებელია, რომ ნაშრომის ეს ნაწილი უცხო ენაზე უნდა გამოქვეყნდეს.

სათნადო დოკუმენტური მასალაა მოტანილი ქართული ეკლესიის შინაგანი დიპ-ტიხის – ეპისკოპოსთა სხდომის საჩვენებლად.

ნაშრომის ბოლოს გაანალიზებულია XVIII საუკუნის საქართველოში შექმნილი რელიგიური ვითარება, როცა არაერთი ქართველი იძულებული შეიქმნა „სომხურ სარწმუნოებაზე“ (გრიგორიანელობა) გადასულიყო. ნაჩვენებია ანტონ კათალიკო-სის დიდი როლი ქართველობის დაცვისათვის ბრძოლაში. უხვი მასალაა მოტანი-ლი იმის საჩვენებლად, რომ გრიგორიანობაზე გადასული ქართველები თავის ეროვნებად ქართველობას ასახელებდნენ.

საბოლოოდ უნდა დავძინო: მიტროპოლიტ ანანიას ნაშრომში იმდენი საინ-ტერესო საკითხია დასმული და გაანალიზებული, რომ ყველა მათგანის რეცენზია-ში შეფასება შეუძლებელია (რა თქმა უნდა, ამას უპირველეს ყოვლისა ნაშრომის დიდი მოცულობა და მასში წამოჭრილი საკითხების სიმრავლე ართულებს). ჩვენს წინაშეა მეტად საინტერესო, ტიტანური შრომის შედეგად შექმნილი „საქართვე-ლოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, რომელშიც ქართული ეკლესიის თვრამეტ-საუკუნოვანი ისტორიის ზოგიერთი საკითხი შეიძლება საკამათოდაც მოგვეჩვენოს, მაგრამ ეს რომელიმე კონკრეტული საკითხის შესახებ ან ქართულ ისტორიოგრა-ფიაში არსებული სხვადასხვა შეხედულებით არის გამოწვეული, ან საკითხის გარშემო არსებული საისტორიო წყაროთა სიმცირით. საერთოდ განხილული ნაშ-რომის შეფასებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ მიტრო-პოლიტ ანანიას წიგნით ქართული ეკლესიის მონოგრაფიული შესწავლის საქმეში მხოლოდ პირველი ნაბიჯი იდგმება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო, უმნიშვნელო ტირაჟით გამოცემული საქართვე-ლოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის (ახალციხე, რაბათი, 1983-88 წწ.) ხელმეო-რედ გამოქვეყნება სასურველ და გადაუდებელ საქმედ მიმაჩნია, რაც მყარ საფუძ-ველს შეუქმნის ქართული ეკლესიის ისტორიის შემდგომ კვლევას.

ეკატერინე თოლორაია

1996 წელი

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია

არქიმანდრიტ ანანიას ეპისკოპოსად კურთხევა
უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ,
სვეტიცხოველი, 15 მარტი, 1981 წელი.

პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო!

ჩვენი ძველი წმიდა მამები ამბობდნენ – „სატრფიალო სასმენელია პირველ წინაპართა ისტორია".

„ქართლის ცხოვრება" და „მოქცევაჲ ქართლისაჲ" ქართველი ხალხის თავგადასავალს უძველესი დროიდანვე გადმოგვცემენ, მათ ცნობებს გარკვეულნილად ეთანხმებიან და ავსებენ ახალი მეცნიერული გამოკვლევები.

ძველ მატიანეთა მონაცემების ურთიერთშეჯერებით გადავწყვიტეთ გადმოგვეცა ქართველი ერის საერთმუნოებრივი ისტორია საადიდებლად ყოვლადწმიდა სამებისა, ეროვნული თვითშემეცნებისა და ცნობიერების განსამტკიცებლად.

შესაძლოა, თემის უჩვეულობის და სხვა მიზეზთა გამო გაგვეპარა უზუსტობანი, შეცდომა-ლაფსუსები, მაგრამ იმედი გვაქვს თქვენი გულმონყალეებისა და ვითხოვთ შენდობას.

კურთხევა უფლისა თქვენზედა

თავი I

ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიდან იესოამდე

სამყაროს შექმნა

ჭეშმარიტებისა და სიცოცხლის გზაზე თანახმად „ქართლის ცხოვრებისა“, ქართველთა პირველწინაპრებს წინ წარუძღვა სიტყვა ღმრთისა, თვით ღმერთი მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე:

ორი ათასი წლის წინ, ამაღლების შემდგომ, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ეჩვენა უფალი და ქართველი ერის მომავალი ცხოვრების შესახებ ამცნო:

„ჰოი დედაო ჩემო, არა უგულებელ ვყო ერი იგი საზეპურო უფროის ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის“ (ქ.ც. I, გვ. 38), რაც თანამედროვე ქართულით ასე გამოითქმის – „ჰოი, დედაო ჩემო, მე არ უგულებელვყოფ ხალხთა შორის დიდებულ ქართველს ერს, მათთვის შენი მეოხებით“. ყოვლადწმიდა დედამ მის წილხვედრ საქართველოში, მისი ძისა და ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს დავალებით, გამოაგზავნა მოციქული ანდრია პირველწოდებული, რომელმაც დააფუძნა საქართველოს სამოციქულო ეკლესია.

და, აი, ორი ათასი წელია ჩვენი მამა-პაპანი ერთგულად მსახურებენ ღმერთს – „რომელმან ქმნა ცანი გულისხმისყოფით, რამეთუ უკუნისამდეა წყალობა მისი“ (ფს. 135,5), „რომელმან ქმნა ცანი და ქვეყანა, ზღვა და ყოველი რაი არს მას შინა“ (ფს. 145,6), „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მის მიერითა, ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა“ (რუსთვ.), „რომელმან გარდასულ თაობებში ნება უბოძა ყველა ხალხს, ევლოთ თავიანთი გზით“ (საქმე, 14,16).

იგი ისაა, რომელიც არ უგულებელყოფს მის გზაზე მყოფ ჩვენს ერს, რამეთუ მის მიერ შეიქმნა ყოველი ხალხი და ერი – „ყოველივე მის მიერ შეიქმნა და თვინიერ მისა არცა ერთი რა იქმნა, რაოდენი რა იქმნა“ (იოან. 1.3).

ჩვენი მამების ყოვლად კეთილმა, ყოვლად წმიდა, ყოვლისმცოდნე, ყოვლისშემძლებელმა, სახიერმა, სულგრძელმა და მრავალმოწყალე ღმერთმა ექვს დღეში შექმნა ხილული ქვეყანა უხილავის შემდგომ „რამეთუ მან თქვა და იქმნეს, ამცნო და დაებადნეს“ (ფს. 32,9).

„თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა. მიწა იყო უსახო და უდაბური. ბნელი იდო უფსკრულზე და სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ. თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი (დაბ. 1. 1-3).

მეორე დღეს ღმერთმა შექმნა სამყარო ცისა, მესამე დღეს მისი ბრძანებით ცისქვეშეთში ერთგან შეგროვდა წყალი, გამოჩნდა ხმელეთი, აღმოაცენა მიწამ მცენარეული, მეოთხე დღეს – მან შექმნა მნათობები, მეხუთე დღეს – წყლის სულდგმულები, ცის ფრინველები.

მეექვსე დღეს თავ თავის გვარისდა მიხედვით ცხოველთა შექმნის შემდგომ – „თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად. ეპატრონოს ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, პირუტყვს, მთელს დედამიწას და ყველა ქვემძრომს, რაც კი დედამიწაზე დახოხავს. შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი.

აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე დახოხავს“ (დაბ. 1.26-28).

მეშვიდე დღეს, სამყაროს შექმნის შემდეგ განისვენა მან, რომლის საქმენი „დიდად შვენიერ არიან, და სიმართლე მისი ჰგიეს უკუნითი უკუნისამდე“ (ფს. 110, 3).

შემოქმედმა დასაბამიდან კაცად და ქალად შექმნა ადამიანები (მათე, 19,4).

„აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში მის დასამუშავებლად და დასაცავად. გააფრთხილა უფალმა ღმერთმა ადამი და უთხრა: ყველა ხის ნაყოფი გეჭმევა ამ ბაღში, მხოლოდ კეთილის და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ შეჭამო, რადგან, როგორც კი შეჭამ, მოკვდებიო“ (დაბ. 2, 15-17), მაგრამ გველის მიერ შეცდენილმა ევამ აკრძალული ნაყოფი ჭამა და ქმარსაც აჭამა.

აეხილათ თვალი ორივეს (დაბ. 3,7).

„თქვა უფალმა ღმერთმა, აჰა, გახდა ადამი, როგორც ერთი ჩვენთაგანი, შემცნობელი კეთილისა და ბოროტისა. არ გაიწოდოს ახლა ხელი და არ მოწყვიტოს სიცოცხლის ხის ნაყოფიც, არ შეჭამოს და მარადიულად არ იცოცხლოს. გაუშვა იგი უფალმა ღმერთმა ედემის ბაღიდან, რომ დაემუშავებინა მიწა, საიდანაც იყო აღებული. განდევნა ადამი. ედემს კი აღმოსავლეთით ქერუბიმები და ცეცხლოვანი, მბრუნავი მახვილი დაუყენა, რათა სიცოცხლის ხესთან მისასვლელი დაეცვათ“ (დაბ. 3. 22-24).

მადლიერების ნაცვლად პირველმა ადამიანმა უფალი ღმერთისაგან მიცემული პირველი მცნება დაარღვია თავისი ურჩობით და პირველი ცოდვა ჩაიდინა.

„ერთი კაცის ურჩობით მრავალი გახდა ცოდვილი“ (რომ. 5, 19).

„ერთის შეცოდებისაგან ყველა კაცის თავზე მოიწია სასჯელი“ (რომ. 5, 18).

„ერთის შეცოდებით მრავალნი მოკვდებიან“ (5, 15).

თაობიდან თაობას გადაეცემა ადამის ცოდვა და ცოდვის გამო – სიკვდილი (რომ. 5, 12).

განიდევნა ადამი ედემის ბაღიდან, დაწყევლილი მიწა უნდა დაემუშავებინა, რომლისგანაც ტანჯვით მიიღებდა საზრდოს. ძეძვსა და ეკალს აღმოუცენებდა მიწა, პიროფლიანი ჭამდა პურს, სანამ მიწადვე გადაიქცეოდა, საიდანაც იყო აღებული, რადგან მტვერი იყო და მტვრად გადაიქცეოდა (დაბ. 3, 17-19).

ედემიდან განდევნის შემდეგ „შეიცნო ადამმა ევა, თავისი დედაკაცი, დაორსულდა ევა და შვა კაენი და თქვა: კაცი შემეძინა უფლისაგან. მერე შვა მისი ძმა აბელი. აბელი მეცხვარე იყო, კაენი მიწის მუშაკი. გამოხდა ხანი და მიართვა კაენმა უფალს ძღვენი – მიწის ნაყოფი“ (დაბ. 4,1-3). აბელმაც შესწირა უფალს მსხვერპლი – გამოარჩია თავისი ფარის რჩეული პირუტყვიდან პირველშობილნი, მისთვის ყველაზე ძვირფასნი. „მოჰხედა უფალმა აბელს და მის ძღვენს, ხოლო

კაენსა და მის ძღვენს არ მოჰხედა“ (დაბ. 4. 4-5), რამეთუ „რწმენით შესწირა აბელმა ღმერთს კაენისაზე უკეთესი მსხვერპლი, რომლითაც მიიღო მოწმობა, რომ მართალია იგი, როგორც ღმერთმა დაამოწმა მის ძღვენთა შესახებ“ (ებრ. 11,4). ძმის სიკეთით გამწარებულმა კაენმა თავი ჩაღუნა. ცოდვა გაბატონდა მასზე – გაიყვანა აბელი ველად და მოკლა.

„უთხრა ღმერთმა – ეს რა ჩაიდინე? შენი ძმის სისხლი მიწიდან შემომღაღადებს. დაიწყევლა კაენი, დევნილი და მიუსაფარი შეიქმნა ქვეყნად. ამუშავებდა მიწას. უფლის პირისაგან გადახვეწილი კაენი გამრავლდა და მისგან ბოროტი შთამომავლობა წარმოსდგა – დაივიწყეს შემოქმედი ღმერთი და კეთილი საქმენი, ეწოდათ მათ „კაცთა შვილები“.

მწუხარე ადამსა და ევას ღმერთმა მომადლა სხვა ნაშიერი ნაცვლად აბელისა – შეთი. „შეთსა შეეძინა ვაჟი და უწოდა სახელად ენოში, მაშინ დაიწყო უფლის სახელის ხსენება“ (დაბ. 4.26). ეწოდა მის შთამომავლებს „ღვთის შვილები“. მათგან წარმოსდგა ნოე – შვილი ლამექისა.

იწყეს გამრავლება ადამიანებმა დედამიწაზე. შეერივნენ „კაცთა შვილებს“ „ღვთის შვილები“ და შეიძინეს მათგან ყოველივე უკეთური ჩვეულება.

„დაინახა უფალმა ღმერთმა, რომ იმატა ადამიანთა უკეთურებამ ამ ქვეყნად, რომ უკეთური იყო მუდამჟამს მათი ყოველი გულისთქმა. ინანა უფალმა, რომ შექმნა ადამიანი ამქვეყნად და შეწუხდა. თქვა უფალმა – მიწის პირისაგან აღვგვი ადამიანს, რომელიც შევქმენი, ადამიანიდან დაწყებული პირუტყვამდე, ქვეწარმავლამდე, ცის ფრინველამდე, რადგან ვნანობ, რომ გავაჩინე. მხოლოდ ნოეს ეპოვა მადლი უფლის თვალში. ეს არის ამბავი ნოესი: მართალი, სრული კაცი იყო ნოე თავის თაობაში, ღმერთთან დადიოდა ნოე. შვა ნოემ სამი ვაჟი: სემი, ქამი და იაფეთი“ (დაბ. 6. 5-10).

უფალმა ღმერთმა ინება მიწის პირისაგან ადამიანისა და ყოველი ხორციელის აღგვა წყლის წარღვნით. ნოეს კი უბრძანა კიდობნის გაკეთება. ასწავლა მისი მომზადება. შეიყვანა ნოემ კიდობანში ყოველგვარი ცხოველი, ყოველგვარი ხორციელი, რასაც კი სიცოცხლის სული ედგა, ყველა წყვილ-წყვილად, წმიდა პირუტყვისაგან შვიდ-შვიდი წაიყვანა, უწმინდურისაგან ორ-ორი. შევიდნენ კიდობანში ნოე და მისი შვილები, ცოლები, რათა განრიდებოდნენ წარღვნას, მეშვიდე დღეს მოვიდა წარღვნა ქვეყნად (დაბ. 7. 7-10).

ას ორმოცდამეათე დღის ბოლოს დადგა წყალი და შეწყდა წვიმა. არარატის მთებს მიადგა კიდობანი. თანდათან იკლებდა წყალი და გამოჩნდა მთის მწვერვალები. ჯერ კიდევ იდგა წყალი მიწის პირზე და ვერ იპოვეს ბრჭყალის მოსაჭიდი ნოეს მიერ კიდობნიდან გაშვებულმა ფრინველებმა. მეშვიდე დღეს ხელახლა გაუშვა მტრედი კიდობნიდან, „დაბრუნდა მტრედი საღამოჟამს და აჰა, ზეთისხილის ნედლი რტო ეჭირა ნისკარტით. მიხვდა ნოე, რომ დამწდარიყო წყალი დედამიწაზე“ (დაბ. 8. 11).

გადმოვიდა ნოე თავისი ცოლ-შვილით და კიდობანს შეფარებული ყოველი არსება. აუგო ნოემ სამსხვერპლო უფალს და მიიყვანა ყოვლადდასაწველ შესაწირად თითო-თითო ყოველი წმიდა პირუტყვიდან და ფრინველიდან.

იყნოსა უფალმა კეთილსურნელება და თქვა თავის გულში: აღარ დავწყველი მიწას ადამიანის გამო, აღარ გავანადგურებ ცოცხალ არსებას.

„აკურთხა ღმერთმა ნოე და მისი შვილები და უთხრა: ინაყოფიერეთ, იმრავლეთ და აავსეთ ქვეყანა: (დაბ. 9, 1). თქვენი შიში ჰქონდეს ყოველ სულდგმულს, რაც კი იძვრის დედამიწაზე, თქვენს ხელთ არიან ისინი, საჭმელად გაძლევთ. მის სულთან – მის სისხლთან ერთად ნუ შეჭამთ, მე კი თქვენს სისხლს თქვენი სიცოცხლის წილ მოვიკითხავ. „ვინც ადამიანის სისხლს დაღვრის, ადამიანის მიერვე დაიღვრება მისი სისხლი, რადგან ღვთის ხატად შეიქმნა ადამი, ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, მოეფინეთ ქვეყანას და გამრავლდით მასზე“ (დაბ. 9. 6-7).

ბაბილონის გოდოლის დაცემა, ენათა და ტომთა წარმოქმნა

ნოეს შვილები გამრავლდნენ, „მათგან მთელი დედამიწა იქნა დასახლებული“, კაცობრიობა ამ დროისათვის ერთიანი იყო, ერთი ენის მქონე, ეთნიკურად ერთგვარი. ჯერ კიდევ არ იყვნენ ერები – „ერთპირი იყო მთელი დედამიწა და ერთ ენაზე მეტყველი. როცა დაიძრნენ აღმოსავლეთიდან, ჰპოვეს ველი შინყარის ქვეყანაში და იქ დამკვიდრდნენ. უთხრეს ერთმანეთს: მოდი, მოვზილოთ თიხა და გამოვწვათ, ქვის მაგივრად აგური ჰქონდათ, კირის მაგივრად ფისი. თქვეს: აბა, ავაშენოთ ქალაქი და გოდოლი და ცას მივუწვდინოთ მისი თხემი. აღვმართოთ ნიშან-სვეტი, რომ არ გავიფანტოთ დედამიწის ზურგზე, ჩამოვიდა უფალი, რომ ენახა ქალაქი და გოდოლი, რომელსაც ადამიანები აშენებდნენ, თქვა უფალმა: აჰა, ერთი ხალხია ეს და ერთი ენა აქვს ყველას. რაკი ეს საქმე წამოუწყიათ, ამიერიდან დაუბრკოლებლივ გააკეთებენ ყველაფერს, რასაც კი განიზრახავენ. აბა, ჩავალ და ენას ავურევ მათ, რომ ვერაფერი გააგებინონ ერთმანეთს. გაფანტა ისინი უფალმა იქიდან მთელს დედამიწის ზურგზე და მათაც შეწყვიტეს ქალაქისა და გოდოლის შენება. ამიტომაც ეწოდა სახელად ბაბილონი, რადგან სწორედ აქ აღრია უფალმა მთელი დედამიწის ენა და აქედან გაფანტა ისინი უფალმა დედამიწის ზურგზე“ (დაბ. 11. 1-9).

ნოეს ძე – „ქამი იყო ქანაანის მამამთავარი“, – წერია დაბადებაში. სემმა – ებრაულ და სხვა სემიტურ ტომებს დაუდო საფუძველი. იაფეტმა კი – ევროპასა და აზიაში გავრცელებულ მრავალ ხალხს. თვითონ სიტყვა „იაფეტი“ ნიშნავს „გავრცელებას“. სხვადასხვა ხალხის მამამთავართა შორის ბიბლიის ძველი, განსაკუთრებით კი ქრისტიანი კომენტატორები ქართველთა მამამთავარსაც ასახელებენ – ზოგიერთი ცნობით, ის ყოფილა იაფეტის ძე თუბალი. საერთოდ იაფეტის შთამომავლები, ნოეს დალოცვის შესაბამისად, რაოდენობითაც და ღირსებითაც უპირატესნი იყვნენ სხვა მამამთავართა შთამომავლებზე. ნოემ იაფეტი ასე დალოცა – განუფართოს ღმერთმა იაფეტს, სემის კარვებში დაემკვიდროს, დაემორჩილოს მას ქანაანი (დაბ. 9. 27).

იაფეტის შთამომავლობა ასეთია:

– „იაფეტის ძენი: გომერი, მაგოგი, მადაი, იავანი, თუბალი, მეშექი და თირასი.

გომერის ძენი: აშქენაზი, რიფათი და თოგარმა.

იავანის ძენი: ელიშა, თარშიში, ქითიმი და დოდანიმი. ამათგან განიფანტნენ ზღვისპირა ხალხები თავ-თავის ქვეყნებში, თითოეული თავისი ენის მიხედვით, თავისი ტომის მიხედვით, თავ-თავის ხალხში“ (დაბ. 10. 2-5).

ბიბლიის კომენტატორი ასე განმარტავს ამ სახელებს:

„გომერი“ – ...ამ ხალხის სახელს სხვაგანაც ვხვდებით ბიბლიაში – წინასწარმეტყველ ეზეკიელთან, რომელიც მათ აღწერს, როგორც მეზობელს თუბალისა და მოსოხისა (38, 6) და სხვა ხალხების რიგში, რომელნიც სახლობდნენ ჩრდილო სირიაში და მცირე აზიაში.

„მაგოგი“ ... ეზეკიელთან ეს ტომები გამოდიან, როგორც გამოცდილი და დახელოვნებული მოისარნი (38, 16. 39, 3). ისინი ცხოვრობენ ზემოთ დასახელებულებთან მეზობლად, ოდნავ მათ ჩრდილოეთით. ზოგიერთნი მათში ხედავენ სკვითებს, რომელნიც ცხოვრობენ აზოვის ზღვის პირას. მაგოგში ასევე სკვით-თურანელებს ხედავენ. სკვითების ბედისწერა ასრულდა ეზეკიელის წინასწარმეტყველების თანახმად, მათი განადგურების შესახებ სამონ-გოგის დაბლობზე, როცა ისინი დაბრუნდნენ პალესტინაში და დაავადდნენ, როგორც აღწერს ჰეროდოტე (1, 105-106).

„მადაი“... ამ სახელით იწოდებოდნენ არიელები, მცხოვრებნი დასავლეთ აზიაში – მიდიელები. მათი დიდი ნაწილი თანდათანობით გადასახლდა აღმოსავლეთში და მიიღო ინდუსების სახელი. მიდიელების სპარსელებთან და, საერთოდ, არიელებთან ნათესაობის თაობაზე წერდა წინასწარმეტყველი დანიელი (V, 28).

„იავანი“ – მიუთითებს ბერძნებზე, უპირველესად იონიელებზე.

„თუბალ მესეხი“... – როგორც დაბადებაში, ასევე წმიდა წერილის მრავალ ადგილას ეს ორი ხალხი, როგორც წესი, ერთიანდებიან და ერთად გამოისახებიან მაგოგის მოხარკეებად (ეზეკ. 38, 2. 39, 1). ერთხელ სხვათაშორის იავანთან ერთიანდებიან (ე. 37, 13). და კიდევ ორ ადგილას მათი საცხოვრისი განისაზღვრება პალესტინის ჩრდილოეთით. ასირიელი მეფეების ანალებში არცთუ იშვიათად მოიხსენიება Muski და Tabal, ვითარცა ორი მეზობელი ხალხი, მცხოვრები კილიკიაში. ხოლო ჰეროდოტე ამბობს ტიბარეკებსა და იბერიანელთა (იბერთა) და მოსოხთა შესახებ, კოლხიდის მეზობლად მცხოვრებთა შესახებ. მეცნიერები თვლიან, რომ თავდაპირველად ორივე ხალხი ცხოვრობდა ტიგროსისა და ევფრატის სათავეებში, მიდიასა და სკვითიას შორის, ე.ი. კოლხეთსა და იბერიაში (თუბალ – სავარაუდოა იბერები ანუ ქართველები).

„გომერის ძენი“: აშქეზანი... „– იმაზე დაყრდნობით, რომ თანამედროვე ებრაელები გერმანიას „ასკენაზს“ უწოდებენ, იუდეველ განმმარტებელთა უმრავლესობა აქ ხედავს მითითებას გერმანელებზე... ადვილად შესაძლებელია ასევე ის, რომ ეს ეროვნება თავის თავდაპირველ საცხოვრისად (იგულისხმება მცირე აზია) გასვლის შემდეგ, დროთა ვითარებაში დამკვიდრდა დასავლეთ ევროპაში და აქ დაუდო საფუძველი მომავალი გერმანიის ცხოვრებას.

„თოგარმა“ ... ეს სახელი კიდევ ორჯერ გვხვდება ეზეკიელთან, როგორც ცხენებისა და ვირების მომწოდებელი ტირელი ვაჭრებისათვის (ეზეკ. 27, 14. 38, 6).

ტრადიციის თანახმად, რომელიც შემონახულია მოსე ხორენაცისთან, სომხეთის მცხოვრებთა მამამთავრად ითვლებოდა თოგარმას შვილი“ (იხ. „[illegible]“, ტ. I, 1904. ს. 70).

მსოფლიო ენათა ოჯახები

რამდენად შეეფარდება მეცნიერულ თვალსაზრისს ბიბლიაში გადმოცემული თხრობა ენათა და ხალხთა წარმოქმნის შესახებ? ამასთან დაკავშირებით კომენტატორი წერს, რომ გენეალოგიური ცხრილები აღმოსავლეთის ძველი ხალხებისათვის წარმოადგენდნენ ყველაზე მნიშვნელოვან და ფართოდ გავრცელებულ მოვლენას, უმთავრეს და თითქმის ერთადერთ ისტორიას წარსულისას, ის საიმედოდ იყო დაცული და თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ბიბლიის გენეალოგიური ცხრილები, უეჭველად უძველესი, წარსულის ძეგლებია, წამოსული აბრამის ეპოქიდან, ჩანს, თვით ნოეს ოჯახიდან. ახალ აღმოჩენათა წყალობით, თანამედროვე მეცნიერები უფრო და უფრო რწმუნდებიან ხალხთა ბიბლიური ცხრილების სინამდვილესა და სიმართლეში, მაგალითად, მას „ძველ მსოფლიოში ხალხთა განსახლების განსაკუთრებით ძველი, განსაკუთრებით ძვირფასი და სრული ისტორიის“ დოკუმენტს უწოდებს ცნობილი ფრანგი ორიენტალისტი ლენორმანი და ამბობს, რომ „მის სინამდვილეს გასაოცრად ადასტურებს შედარებითი ენათმცოდნეობა და ფიზიოლოგიური გამოკვლევა სხვადასხვა ერისა“. ცხრილი ამტკიცებს კაცობრიობის ერთა ერთობის ჭეშმარიტებას, უჩვენებს, რომ მთელი კაცობრიობა წარმოიშვა მხოლოდ ამ სამი (სემი, ქამი, იაფეტი) შტოსაგან, რომელნიც თავის მხრივ გამოვიდნენ ერთი საერთო ძირიდან (იხ. „ტოლკოვაია ბიბლია“, პეტერბურგი, 1904, გვ. 68).

დაბადება მეათე თავში ჩამოთვლის სემიტურ, ქამიტურ და იაფეტურ ხალხებს, მათ ეთნარქებს და ბოლოს ამბობს: „ეს არის ნოეს ძეთა შთამომავლობა თავ-თავისი მოდგმის მიხედვით, თავ-თავის ხალხში. მათგან განშტოვდნენ ხალხები ქვეყანაზე წარღვნის შემდეგ“ (დაბ. 10, 32).

თანამედროვე ენათმეცნიერები სემიტურ ენათა ოჯახებს აკუთვნებენ ასურულ-ბაბილონურს, ანუ აქადურს, ძველ ებრაულს (ანუ ბიბლიის ენას), ფინიკურს, არამეულს, სირიულს, არაბულს, ეთიოპურს.

ქამიტურ ენათა ოჯახს აკუთვნებენ ბერბერულსა და კუშიტურ ენებს, ძველ ეგვიპტურს, კოპტურს (შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, 1982, გვ. 98).

მსოფლიოს ყველაზე ფართოდ განფენილი ენათა ოჯახია ინდოევროპული, როგორც ნაბრძანებია – „განუფართოს ღმერთმა იაფეთს“, მასში შედის ენათა ინდური, ირანული, სლავური, ბალტიკური, გერმანული, რომანული, კელტური, ბერძნული შტოები, ცალკეული ენები.

ინდოევროპულ ენათა ოჯახში შედის 86-ზე მეტი ენა, განფენილნი ატლანტის ოკეანიდან ინდოეთისა და წყნარ ოკეანემდე. ამ ოჯახის ენათა ცალკეულ შტოებშიც ათეულობით ენა შედის, მაგალითად, რომანულ (იტალიკურ) შტოში შედის 13

ენა, გერმანული შტოს სხვადასხვა ჯგუფში – 11 ენა, ინდურ შტოში – 12 ენა, ასევე ირანულსა და სხვა შტოებში, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ენები ამჟამად ძლიერ დაშორებულნი არიან ერთმანეთს, მეცნიერები გამოკვლევების შედეგად მივიდნენ დასკვნამდე, რომ აღნიშნული ენები წარმოშობილნი არიან ერთი ინდოევროპული ფუძე ენის დიფერენციაციის, დაშლა-დანაწევრების შედეგად. ისინი აღნიშნულ მონათესავე ენათა შეჯერებით და შედარებით რწმუნდებიან რომ, მიუხედავად დროთა ვითარებით გამოწვეული ცვლილებისა, მათ შეინარჩუნეს საერთო სტრუქტურული ნიშნები. მეცნიერთა დასკვნით, ფუძე ინდოევროპულ ენას თავდაპირველად გამოეყვნენ წინარეიტალიკების, წინარებალტიელების, წინარეგერმანელების, ინდოირანელების, ხეთებისა და სხვათა ენები, რომელნიც შემდგომ თავის მხრივ დაიშალნენ ცალკეულ ენებად. ხალხთა უზარმაზარი ინდოევროპული ჯგუფი თავდაპირველად წარმოადგენდა მთლიან, ჯერ კიდევ დაუშლელ გაერთიანებას, რომელიც საერთო ენაზე მეტყველებდა. საერთო ფუძე ინდოევროპული ენა მეცნიერთა თვალსაზრისით დაუნაწევრებელი სახით არსებობდა „ჩვენს ერამდე IV ათასწლეულში“, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ღვთისმეტყველის თანახმად, მსოფლიო წარღვნა მოხდა 3246 წელს ქრისტეშობამდე, ქრონოლოგია ფაქტობრივად თანმხვედრია.

„მსგავსადვე ყველა სემიტურ ენასა და ყველა ქამიტურ ენას ამჟამად ერთმანეთისაგან დაშორებულსა და განტოტვილს, წარსულში გააჩნდათ საერთო ფუძეენა, რომლისგანაც დიფერენცირების შედეგად წარმოდგნენ ისინი“. ასეთია აზრი ლინგვისტებისა. ამას მოწმობს ენათა და ხალხთა წარმოშობის შესახებ წმიდა წერილიც.

„დაბადება“ სხვა თავდაპირველ ხალხთა შორის ქართველთა წინაპრებს – თობელს, მოსოქსა და ასევე თორგამს, – პირველ რიგში ჩამოთვლის. თობელი და მოსოქი (მოსოხი) იყვნენ იაფეტის ძენი, ხოლო თორგამი იაფეტის ძის ძე იყო. შემთხვევით არ უწოდებდა ლენორმანი ბიბლიის გენეალოგიურ სიას მსოფლიოში ხალხთა განსახლების სრულ ისტორიას. არც ისაა შემთხვევითი, რომ კაენის – პირველი ადამიანის ძის ძეებსაც – იაბელი, იუბელი, თუბალ-კაენი ეწოდებოდათ. ყველა ამათ ქართველურ ტომთა წინაპრებად გულისხმობდნენ გამოჩენილი ისტორიკოსები. ბიბლიის გენეალოგიური ცხრილის საფუძველზე მკვლევარებს უფლება ეძლევათ განაცხადონ, რომ მსოფლიოს თავდაპირველ ხალხთა შორის ქართველთა წინაპრებს ეჭირათ მნიშვნელოვანი რაოდენობრივი წილი. თავის მხრივ, ამ მოსაზრებას განამტკიცებს ლინგვისტ მეცნიერთა თეორიები, რომლის თანახმადაც, ინდოევროპულ ფუძეენაზე გავლენა მოუხდენია პროტოქართველურ ენას. მართლაც, ათასწლეულთა წინ, კაცობრიობის გარიჟრაჟზე, ჯერ კიდევ დაუყოფელ პროტოინდოევროპულ ენაზე გავლენას ვერ მოახდენდა პროქართველური, ამ ენის მატარებელ ეთნოსს მნიშვნელოვანი ადგილი რომ არ სჭეროდა მესოპოტამიასა და მცირე აზიაში – კაცობრიობის თავდაპირველ სამშობლოში. პროტოქართველურ ენას, როგორც აღინიშნა, ურთიერთობა ჰქონია პროტოსემიტურთანაც, ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს ლენორმანისა და სხვა მეცნიერთა აზრს ბიბლიის გენეალოგიური ცხრილის ისტორიულობის შესახებ, აგრეთვე იმ აზრსაც, რომ თავდაპირველ

პროტოქართველებს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ ზემოაღნიშნულ რეგიონში.

წინარეინდოევროპულ, წინარესემიტურ და წინარექართველურ ენათა სისტემების ქრონოლოგიური და არეალური ურთიერთდამოკიდებულების შესახებ წერენ: „ინდოევროპულ წინარე ენის არეალური კონტაქტები სემიტურ და ქართველურ ენებთან გამოვლენილი ლექსიკურ ნასესხობათა მასალებით კარგად ჯდებიან სემიტურ და ქართველურ წინარე ენათა სისტემების ქრონოლოგიურ და არეალურ განაწილებათა ჩარჩოებში. საერთო სემიტური ენის არსებობა უნდა მივაკუთვნოთ პერიოდს არა უგვიანეს IV ათასწლეულისა... რაც ქრონოლოგიურად ემთხვევა საერთო ინდოევროპული ენის დათარიღებას. წინარესემიტურის არეალი უნდა ყოფილიყო ახლო აღმოსავლეთის განსაზღვრული ოლქი, სადაც შეიძლებოდა ჰქონოდათ კონტაქტები სემიტურ ენებს, როგორც ინდოევროპულ წინარე ენათა სისტემებთან, ასევე სამხრეთ კავკასიურ (ქართველურ) წინარე ენის სისტემასთან“ (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვ. „ინდოევროპეისკიი იაზიკ ი ინდოევროპეიცი“ ტ. II. 1984. ს. 380).

პროტოქართველური ენის მატარებელი ეთნოსის განსახლება

ბაბილონის გოდოლის დაცემის შემდეგ ენათა აღრევის შედეგად წარმოქმნილი თავდაპირველი ხალხები „გაფანტა უფალმა ღმერთმა დედამიწის ზურგზე“. თავდაპირველ ხალხთა შორის, როგორც ითქვა, დაბადება ასახელებს ქართველთა წინაპრებად მიჩნეულ თობელსა და მოსოხს. ისინი სხვა ხალხებთან ერთად, ცხადია, უნდა წასულიყვნენ ყველა ხალხის საერთო სამშობლოდან – მესოპოტამიიდან – ქვეყნიერების სხვადასხვა კიდეში, გაფანტულიყვნენ დედამიწაზე. შეძლეს თუ არა პროტოქართველებმა გაფანტვის შემდეგ თავიანთი ეთნიკური სახის შენარჩუნება, რომელ ქვეყანაში ჩანს მათი კვალი? ეს საკითხი ყოველთვის აინტერესებდათ ეკლესიის მამებს, ასევე ისტორიკოსებს, ლინგვისტებს, ბიბლიის კომენტატორებს. ძველ სამყაროში, ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე, ესპანელ და კავკასიელ იბერებს ერთი წარმოშობის ხალხად თვლიდნენ. ღირსი მამა იოანე მთაწმიდელი ესპანეთს ქართველებით დასახლებულად მიიჩნევდა.

XIII-XIV საუკუნეთა ისტორიკოსს ნიკიფორე ქსანტოპულოსს, რომელსაც აქვს 18 წიგნისაგან შემდგარი „საეკლესიო ისტორია“, მიაჩნდა, რომ საქართველოს იბერები „ისპანიის იბერთაგან არიან გადმოსახლებულნი“ (გეორგიკა, VII, 1966), კიდევ უფრო ადრე ქართველთა წარმოშობის შესახებ წერდნენ ეკლესიის მამები. იბერთა, ანუ ქართველთა საცხოვრისის შესახებ მოგვითხრობენ ეკლესიის ისტორიკოსები ევსევი კესარიელი (260-340), სოკრატი სქოლასტიკოსი, გელასი კესარიელი, რუფინუსი (IV-V სს.) და სხვები.

ამჟამად საბოლოოდ დამტკიცებულია, რომ ქართველები წინა აზიის ძველ მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნიან, ისინი ნათესაურად იყვნენ დაკავშირებულნი მსოფლიოს უძველეს კულტურულ მოსახლეობასთან, უფრო მეტიც, „ცნობილ მეცნიერებს ფრ.

ჰომელს, ედ. მაიერს, კიპერტს, ლემან-ჰაუპტს, ლენორმანს, აკად. ნ. მარს, აკად. ტურაევს და სხვებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ქართველი ტომები მემკვიდრენი არიან შუმერების, ხეთების, მიტანელების, ხალდებისა და სხვა, რომლებიც წინა აზიის უძველესი ხალხები იყვნენ და რომლებმაც შექმნეს საკაცობრიო კულტურის ყველაზე ადრინდელი კერები. ამგვარივე მოსაზრება განავითარა და მრავალმხრივი ფაქტიური მასალების მოშველიებით კიდევ უფრო დაასაბუთა თავის შრომებში აკად. ივ. ჯავახიშვილმა“ (შ. მესხია, სიმონ ჯანაშია, 1950, გვ. 39).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ენათმეცნიერებაში არსებობს თეორია, რომლის თანახმადაც, ინდოევროპული ფუძე ენის მატარებელი ეთნოსი ხმელთაშუაზღვისპირეთსა და წინა აზიაში შემოვიდა რომელიღაც მხრიდან. მანამდე ეს მხარეები (ე.ი. წინა აზიის, პირინეის, აპენინის, ბალკანეთის ნახევარკუნძულები) დასახლებულნი იყვნენ არაინდოევროპული ენის მატარებელი ტომებით. აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ, როგორც აღნიშნული იყო, წამოაყენა ახალი თეორია, რომლის თანახმადაც ინდოევროპელები ქრისტეშობამდე IV ათასწლეულში წინა აზიაში ცხოვრობდნენ, წარმოადგენდნენ ჯერ კიდევ არადიფერენცირებულ, მთლიან გაერთიანებას, რომელიც მეტყველებდა საერთო ენაზე. შემდგომ მათგან წარმოსდგნენ (დაყოფის შედეგად) წინარე იტალიკები, წინარე ბალტიელები, წინარე გერმანელები, ინდოირანელები, ხეთები, მომავალი სლავები და სხვები. განსაკუთრებით ისაა აღსანიშნავი, რომ ამ წინარე ინდოევროპულ ენას ურთიერთობა ჰქონია წინარე ქართველურ და წინარე სემიტურ ენებთან, ამიტომაც ქართველური და სემიტური წინარე ენებიდან უსესხებია ბევრი სიტყვა. თუ ამ თეორიას შევადარებთ ნ. მარის თეორიას, დავინახავთ გარკვეულ მსგავსებას. ნ. მარის მიხედვით, ქართველურ-კავკასიურ-მედიტერანული ენები წარმოადგენდნენ იმ სუბსტრატს, რომელზედაც აღმოცენდნენ და გაიშალნენ ინდოევროპელები – „...ინდოევროპელები არსაიდან არ მოსულან, არამედ ისინი... იგივე იაფეტელები არიან და ინდოევროპული ენები იაფეტური ენების შემდგომი საფეხური, მათი ტრანსფორმაციაა ახალ სტადიაზე“. თამაზ გამყრელიძის თანახმადაც, ინდოევროპელები „არსაიდან არ მოსულან“, მათი წინარე სამშობლო წინა აზიაა, სადაც მათ ურთიერთობა ჰქონიათ ქართველურთან, ანუ ნ. მარის მიხედვით „იაფეტურთან“.

ინდოევროპულ წინარეენას, თანახმად თ. გამყრელიძისა, ურთიერთობა ჰქონია არა მარტო წინარექართველურთან, არამედ წინარესემიტურთანაც. ნ. მარის თანახმადაც ქართველურს ურთიერთობა ჰქონია სემიტურთან. და რადგანაც ქართველურს, ანუ იაფეტურს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ინდოევროპულთან, სემიტურთან მისი დაკავშირებით გამომზეურდა ენათა „მსოფლიო კავშირის იდეა“. ნ. მარი „...ქართული და სემიტური ენების“ ნათესაობას ცხადყოფს და ამით კი მსოფლიო კავშირის იდეას ამზეურებს“ (დ. კარბელაშვილი, ნ. მარის საიუბილეო კრებული, 1934. გვ. XVIII).

ნ. მარი არ გამორიცხავდა კავკასიის იაფეტური ენების კავშირურთიერთობას ქამიტურ ენებთანაც, ის ამბობდა – „ჩვენთვის, რომლებიც იაფეტური ენათმეცნიერების თეორიის მთელი სისტემის აგებისას ამოვდივართ იაფეტური ენების სემიტურ-

თან ნათესაობის ფაქტობრივი მონაცემებიდან, გასაგებია, გამორიცხული არ არის კავკასიის ძირეული ენების, ე.ი. კავკასიის იაფეტური ენების, კავშირურთიერთობა ქამიტურ ენებთან...". აქედან ჩანს, რომ ბასკოლოგიაში ადრე გამოთქმული ჰიპოტეზა ქამიტურ ენებთან ბასკურის ნათესაობისა ნ. მარისათვის მისაღებია (გავიხსენოთ მაგალითად, ჰუგო შუხარდტის დებულება: ბასკური ენათესავება ერთსა და იმავე დროს ქართველურ-კავკასიურს და ქამიტური მოდგმის ენებს)... (შ. ძიძიგური, ბასკურ-კავკასიური პრობლემა, გვ. 65).

ნ. მარის „მსოფლიო კავშირის იდეა" ქართულის მეშვეობით ალბათ ასეთი სახით გამოისახება (იხ. სქემა):



იაფეტურ ენათა ოჯახი, ნ. მარის თანახმად, მოიცავდა დედამიწის ვრცელ რეგიონს, ხმელთაშუაზღვისპირეთს, კავკასიას, პამირს, აფრიკას (დ. კარბელაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. XXXVIII).

მართლაც, ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოწვლილვითი გამოკვლევების შედეგად არ გამორიცხავს ქართულის, ანდა ფუძე ქართველური ენის კავშირს წინა აზიის უძველეს ხალხებთან, შუმერებთან, პროტოხეთებთან, ხურიტებთან, ასევე პელასგურ-ეტრუსკულ-იბერიულ ენობრივ სამყაროსთან. ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ ბაბილონის გოდოლის დაცემის შემდგომ პროტოქართველური ენის

მატარებელი ეთნოსის ერთი ნაწილი დარჩა წინა აზიაში, ხოლო სხვები გაიფანტნენ დედამიწის ზურგზე, კერძოდ, დასახლდნენ კავკასიაში, ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში, ბალკანეთში, აპენინისა თუ პირინეის ნახევარკუნძულზე. მათ, როგორც ენათმეცნიერთა მონაცემებიდან ჩანს, შეუნარჩუნებიათ თავიანთი ეთნიკური სახე და გარკვეულ დრომდე ენაც.

სიმონ ჯანაშიამ პირველქართული ეთნოსის შესახებ ჩამოაყალიბა თავისი კონცეფცია – „უძველეს დროში, დაახლოებით ექვსი ათასი წლის წინათ, წინა აზიის უზარმაზარ მიწა-წყალზე და სამხრეთ ევროპაშიც (ბალკანეთი, აპენინისა და პირინეის ნახევარკუნძულები) ერთი მოდგმის ხალხები ცხოვრობდნენ. შემდეგ ამ მოდგმის ხალხთა ადგილსამყოფელი თანდათან იზღუდებოდა. ძვ.წ.აღ-ის II ათასწლეულის დამდეგისათვის წინა აზიის მკვიდრი ხალხებიდან ცნობილი იყვნენ ხეთები და სუბარები. ხეთი სუბარები ქართველ ტომთა წინაპრები არიან. ხეთები მცირე აზიაში მოსახლეობდნენ, სუბარებს კი ეჭირათ ტერიტორია ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან მოყოლებული კავკასიონამდე. ამ ხეთა-მითანის სამეფოების ხანაში კავკასიის მიწა-წყალი ხეთურ-სუბარული მოდგმის მოსახლეობას ეკავა. ...ხეთურ-სუბარული მოსახლეობა მრავალ წვრილ სამთავროდ დაიქსაქსა. ხეთურ-სუბარული ტომებიდან უფრო ძლიერნი ყოფილან მუსკები, მერმინდელი მესხები, IX საუკუნეში კი ყველაზე ენერგიულ ბრძოლებს ასურელებს თუბალები უმართავდნენ. ძვ.წ.აღ-ის IX-VII სს. ხეთურ-სუბარულმა ტომებმა ახალი ძლიერი სახელმწიფო შექმნეს – ურარტუ. აქვე, მეზობლად არსებობდა ხეთურ-სუბარული სამეფო მანა...“ ს. ჯანაშიას კონცეფციამ ძლიერი გავლენა იქონია... სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრება იწყო მის მიერ შემოტანილმა ტერმინებმა: „ხეთურ-იბერიული ხალხების ჯგუფი“ (პირენეის იბერები, ეტრუსკები აპენინის ნახევარკუნძულზე) ბალკანეთის პელაზგები, შუმერები, ხეთები და სუბარები (ხურიტები), ურარტუ, მუშქები და თაბალი, ქართველები და სხვა კავკასიელი ხალხები“ და ა.შ. (გ. მელიქიშვილი, „ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი“, საქ. ისტ. ნარკვ. I, გვ. 327).

სიმონ ჯანაშიას თეორია ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ ერთმანეთის მონათესავე „ხეთურ-იბერიული“ ხალხები წინა აზიიდან, თავიანთ თავდაპირველი სამშობლოდან გავრცელებულან დასავლეთისაკენ – აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე და სამხრეთ ევროპაში – „ევროპაში ამ გვარტომობის ხალხები წინ უსწრებდნენ შემდეგ მოსულ ინდოევროპელებს, რომელთაც დამხვდური მოსახლეობისა და მისი კულტურის ძლიერი გავლენა განიცადეს. ასე იყო პირინეის, ანუ იბერიის ნახევარკუნძულზე, სადაც ძველი იბერიული მოსახლეობის შთამომავალნი, ბასკებად წოდებულნი, დღემდე არიან შემორჩენილნი. ასევე მოხდა აპენინის ნახევარკუნძულზე, სადაც ეტრუსკებმა შექმნეს იტალიის უძველესი ცივილიზაცია, რომელმაც შემდგომ მძლავრი ზემოქმედება იქონია რომის კულტურაზე. დასასრულ, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გვიან მოსულ ინდოევროპელ ბერძნებსაც პელაზგების დაწინაურებული მოსახლეობა დახვდათ.

ამ ხალხთა მიერ შექმნილ მაღალი კულტურის კერათაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად წინააზიური კერები უნდა ჩაითვალოს. წინა აზიაში ...ადრე ჩაისახა

სახელმწიფოებრიობა. ევფრატისა და ტიგროსის აუზთა ქვემო ნაწილში შუმერებმა (შემებერებმა) ჯერ კიდევ ძვ.წ.აღ-ის IV ათასწლეულში განავითარეს საქალაქო ცხოვრება, საფუძველი ჩაუყარეს სახელმწიფოს და გამოიგონეს მსოფლიოში უძველესი დამწერლობა – ჯერ იეროგლიფური, ხოლო შემდგომ ლურსმული“ (ს. ჯანაშია, შრომები, ტ. V, 1987, გვ. 20).

დამოუკიდებლად იმისგან, ნამდვილად აქვს თუ არა ქართულ ენას გენეტიკური კავშირი წინა აზიის უძველეს ენებთან, მეცნიერთა მიერ დადასტურებულია, რომ ხურიტების, ხეთებისა და ურარტუელების გარკვეული ნაკადი შერწყმია ქართველ ერს – „ენობრივი მონაცემები ცხადყოფს, რომ ქართველ ტომებში უნდა გათქვეფილიყო და ქართველი ხალხის შემადგენლობაში უნდა შესულიყო ძველაღმოსავლური ცივილიზაციის შემქმნელი, სამხრეთში მცხოვრები ხალხების (ხურიტების, ხეთების, ურარტულების) გარკვეული ნაკადი. ამისი ნაკვალევი თავს იჩენს ქართველთა ენაში“ (გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 357). ამდენად ქართველებს უფლება აქვთ თავიანთი თავი მათ მემკვიდრეებად მიიჩნიონ.

ქრისტეშობამდე III ათასწლეულში საქართველოში არსებული თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის კულტურის ძლიერი კავშირი შუმერულ სამყაროსთან მკვლევარებს აფიქრებინებს, რომ წინააზიური წარმოშობის ზოგიერთმა ტომმა საქართველოში შემოაღწია (იქვე, გვ. 353). „თრიალეთის კულტურას მეტად მკაფიო პარალელები მოეპოვება არა მარტო ჩრდილო-დასავლეთ ირანის მატერიალურ კულტურაში, არამედ ხეთურ სამყაროშიც“ (იქვე, გვ. 354). საერთოდ თრიალეთის კულტურის გამოჩენას ამიერკავკასიაში უკავშირებენ ხურიტების ტომის ექსპანსიას (იქვე, გვ. 355). არქეოლოგიაც ემხრობა ზემომოტანილ აზრს.

დადასტურებული ფაქტია ქართულ-ინდოევროპული ენობრივი სიახლოვე, თუმცა კი ქართული ენათა დამოუკიდებელ ოჯახს განეკუთვნება, ეს იმითაა საინტერესო, რომ წინა აზიის უძველესი მოსახლეობა ინდოევროპელები აღმოჩნდნენ, ქართველებს მჭიდრო კონტაქტები ჰქონიათ მათთან, იმდენად, რომ უძველეს ქართველურ ენას ძლიერი ტრანსფორმაცია განუცდია ინდოევროპული სუბსტრატის გავლენით. ფიქრობენ, რომ ეს გარემოება შედეგია იმ ხანგრძლივი და მჭიდრო კონტაქტებისა, რომელთაც ადგილი უნდა ჰქონოდა უძველეს ხანებში ქართველურ ტომებსა და უძველეს ინდოევროპულ დიალექტებზე მოლაპარაკე ტომებს შორის (გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 345).

ყურადღებას იპყრობს გარკვეული მსგავსება ქართველ და ძველ ანატოლიურ ინდოევროპულ (ხეთურ, ლუვიურ, პალაურ) ენებს შორის (იხ. გ. გიორგაძე, ინდოევროპულ-ქართულ (ქართველურ) ენობრივი პარალელების ხასიათის შესახებ, საენათმეცნიერო კრებული 1979, გვ. 62).

საერთო ანატოლიური ინდოევროპული ფუძეენის დაშლის პროცესი დაწყებულა გვაროვნული წყობის დროს III ათასწლეულში ქრისტეშობამდე, ანატოლიაშივე (იქვე, გვ. 67). ნესიტები თანდათან გავრცელებულან ცენტრალურ და აღმოსავლეთ ანატოლიაში, რომელიც მანამდე დასახლებული იყო ხეთების (პროტოხეთების) ტომებით (ზოგიერთი მეცნიერის აზრით, სწორედ პროტოხეთებს ჰქონიათ კავშირი

ქართველებთან). ნესიტურ-ხატური ურთიერთობის დროს, რომელიც გაგრძელდა ასეულობით წლობით, პროტოხეთური ენა შთანთქა ნესიტურმა, რომელმაც თავის მხრივ განიცადა გარკვეული ცვლილება (ფონეტიკაში, ლექსიკაში, მორფოლოგიაში). შერევის და შეჯვარების შედეგად ინდოევროპელებისა და ხეთების ტომებს შორის ჩამოყალიბდა ხეთური ეთნოსი. დაახლოებით XVII საუკუნეში ქრისტემდე შექმნილმა ხეთურმა სამეფომ მთლიანად შეითვისა პროტოხეთების მდიდარი ტრადიციები (იქვე, გვ. 67).

თავის მხრივ, ხეთურ სახელმწიფოსთან ურთიერთობა უნდა ჰქონოდა პირველ ქართულ სახელმწიფოებს (პოლიტიკურ წარმონაქმნებს) – დიაუხის (დაიანის – ასირიული წყაროებით) და კულხას – ჭოროხისა და დასავლეთ ევფრატის ყარასუს რაიონებში, სადაც ძველთაგანვე ცხოვრობდნენ ქართული ტომები, ისინივე იყვნენ სამხრეთული პერიფერიები პირველქართული სახელმწიფოებისა. არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამ ოლქებში, შეიძლება სამხრეთით ან სამხრეთ-დასავლეთით, ძველთაგანვე იმყოფებოდა ძირითადი ტერიტორია საერთო ქართველური ფუძეენის მატარებელი ტომისა, რომლისგან თანდათან გამოიყვნენ სხვადასხვა დიალექტური ერთეულები (სვანური, მეგრული, ჭანური). ივარაუდება ასევე ურთიერთობა არა ხეთებსა და ქართველ ტომებს, არამედ უფრო ადრე საერთო ანატოლიურ ინდოევროპულ ენობრივ ერთეულსა და საერთოქართულს შორის.

სიმონ ჯანაშია პროტოხეთებს, ანუ ხატებს ქართველთა უშუალო წინაპრებად მიიჩნევდა წინა აზიის სხვა ძველ ტომებთან ერთად. ის წერდა – „მთელი წინა აზიის ტერიტორია უძველეს ხანაში დასახლებულია ისეთი ხალხებით, რომელთაც არა აქვთ არავითარი კავშირი არც ინდოევროპელებთან, არაც სემიტებთან, არც თურქულ-მონღოლურ ტომებთან. ყველაზე მნიშვნელოვანნი წინა აზიის ამ უძველეს ხალხთაგან არიან სუმერები, ხატები ანუ ხეტები, მიტანელები, ურარტუს (ვანის) ქალდეები და სხვები. სწორედ ამ ხალხებმა შექმნეს კაცობრიობის უძველესი კულტურული კერა... შემდეგ ეს ხალხები თითქოს ქრებიან, ნუთუ უკვალოდ? რა თქმა უნდა არა. სხვა ტომების მოწოლის გამო ისინი იცვლიან ტერიტორიას და ახალ-ახალ კერებს ქმნიდნენ. ყველაზე სამხრეთით მდებარე რაიონებიდან მათ ამოიწიეს მცირე აზიასა და მესოპოტამიაში, აქედან შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებსა და ვანის ტბის რაიონში, იქიდან კიდევ თანამედროვე ამიერკავკასიაში. სატომო სახელების ისტორია ამ მხრივ დიდ საყურადღებო მასალას შეიცავს“ (ს. ჯანაშია, ტ. III, 1959, გვ. 194).

როგორც ვხედავთ, ს. ჯანაშია ამიერკავკასიის მკვიდრ მოსახლეობას (უპირველესად, ცხადია, ქართველებს) მიიჩნევს ადგილმონაცვლებული შუმერების, ხატების, მიტანელებისა და ურარტუელების შთამომავლებად. ეს ხალხები, მისი აზრით, საერთო წარმოშობისა შეიძლებოდა ყოფილიყვნენ.

საფიქრებელია, რომ კავშირი არსებობს ხატების, ხალდების, ანუ ქალდების, ხალიბების სახელებს შორის. ძველი ბერძენი მწერლები პირდაპირ ამბობენ, რომ ხალდები წინათ ხალიბებად იწოდებოდნენო. შემდეგ საყურადღებოა, რომ ხალდები ცხოვრობდნენ, როგორც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, ისე ვანის ტბის გარშემო. ცხადია, ეს ერთი ხალხის ორი შტო უნდა იყოს.

ასევე საყურადღებოა ასურულ წარწერებში მოხსენებული მუსკებისა და კასკების სახელები. მუსკები არიან მერმინდელი მოსხები ან მესხები. კასკები კიდევ კოლხები, როგორც ეს აღნიშნულია უკვე პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ. მესხებისა და კოლხების ამბავი ყველასთვის ცნობილია. ფრიად სარწმუნოა იბერების კავშირი ტიბარენებთან და ტაბალ-თობალთან. ასევე საფიქრებელია, რომ ტერმინი „ქართველი“ დაკავშირებულია ქალდ-თან (იქვე, გვ. 195).

არნოლდ ჩიქობავას დასკვნით, რაც უფრო შორს ვიხედებით ქართველური და სხვა იბერიულ-კავკასიური ენების ისტორიულ წარსულში, მით უფრო ხელშესახები ხდება ამ ენათა წარმოშობითი კავშირი წინა აზიისა და შუამდინარეთის ძველი ცივილიზაციის ენებთან (ურარტულთან, ჰურიტულთან, ხეთურთან, ულამურთან, შუმერულთან). შ. ძიძიგურის აზრით, „მეცნიერებაში დგას საკითხი წინაელინური (პელასგურ-ანატოლიური) კულტურის შემქმნელ ხალხებთან იბერიულ-კავკასიური ენების კავშირის შესახებ. ჯერ კიდევ ადრე შეამჩნიეს, რომ ბერძნულ ენაში გამოიყოფა ფენა, რომელიც არ აიხსნება ინდოევროპული ენების საფუძველზე. მაშასადამე, ეს დანალექი უნდა განეკუთვნებოდეს ხმელთაშუა ზღვის უძველეს მკვიდრთა სამყაროს... წინაბერძნული ეგეოსური ენების ამოცნობის გზები მიიმართება იბერიულ-კავკასიური ენებისაკენ, კერძოდ ქართველური ენების სამყაროსაკენ“ (ბასკურ-კავკასიური პრობლემა, გვ. 51).

ეგეოსური მოსახლეობის ისტორიის საკითხების მკვლევარის, რ. გორდეზიანის აზრით, შეხვედრები იბერიულ-კავკასიურ და ეგეოსურ ენებს შორის ნამდვილად მნიშვნელოვანია, ასევე ეგეოსურ-ანატოლიურ გეოგრაფიულ სახელებს გარეგნულად თითქმის ზუსტი პარალელები აქვთ კავკასიურთან, კერძოდ კი ქართულ ტოპონიმიკასთან (იხ. რ. გორდეზიანი, „ილიადა“ და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები, 1970, გვ. 299-301).

ჩვენთვის საინტერესო საკითხს – უძველესი ქართული ეთნოსის მიგრაციას ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში ეხება მეცნიერი სხვა შრომაშიც – ეტრუსკულის კავკასიურთან და ბასკურთან მიმართებისას იგი ვარაუდობს, რომ ძვ.წ.აღ-ის III ათასწლეულის მიწურულში კავკასიიდან იტალიაში საბერძნეთის გავლით გადასახლებულა კავკასიურ ტომთა ერთი ნაწილი, რომელსაც შეუქმნია ე.წ. კავკასიური სუბსტრატი შემდგომ ფორმირებული ეტრუსკულისათვის (რ. გორდეზიანი, ეტრუსკული და ქართველური, 1980, გვ. 6).

ეტრუსკულ-ქართველურ მრავალრიცხოვან ენობრივ პარალელებს რ. გორდეზიანი აკავშირებს ხალხთა მიგრაციასთან, „განსაკუთრებით კი კავკასიურ ტომთა მძლავრ გადასახლებებთან ეგეიდასა და დასავლეთ ხმელთაშუაზღვის აუზში ადრე ბრინჯაოს ხანის დასაწყისში“ (იქვე, გვ. 6).

მისი აზრით, ე.წ. კავკასიურ-პელაზგური შრე იტალიაში ქრისტეშობამდე II ათასწლეულში დაწყებულ მიგრაციას უნდა შეეტანა, „ისინი დაკავშირებულნი უნდა ყოფილიყვნენ ე.წ. აპენინის კულტურის დამკვიდრებასთან იტალიაში... თავის მხრივ თვით შუა ჰელადური კულტურის წარმოქმნა ჩვენ მიგვაჩნია ეგეიდაში კავკასიური, უპირატესად ქართველური ტომების მიგრაციის შედეგად ძვ.წ.აღ-ის II ათასწლეულის დამდეგს. როგორც ირკვევა, მათ ეგეოსურ სამყაროში შემოიტანეს

აშკარად ქართველური კომპონენტი, რაც წინარე ბერძნულ ენობრივ სამყაროში ათობით წმინდა ქართველური სტრუქტურის სიტყვისა და ტერმინის არსებობით დასტურდება, როგორც ჩანს, ეს ტალღა ძვ.წ.აღ-ის II ათასწლეულის განმავლობაში გავრცელდა დასავლეთ ხმელთაშუა ზღვის აუზში, რისი შედეგიც უნდა იყოს აქ შუაჰელადური ტიპის კულტურების აღმოცენება და პელაზგურ-კავკასიური ენობრივი ელემენტების გავრცელება. სწორედ მიგრაციათა ამ ტალღამ მოუმზადა, ჩვენის აზრით, საფუძველი შემდგომ ფორმირებულ ეტრუსკულ ენას. როგორც ჩვენი გამოკვლევების შედეგები გვიჩვენებს, პელაზგურ-ქართველური ელემენტები ალბათ ყველაზე უფრო არსებითია ეტრუსკულში“ (რ. გორდეზიანი, ეტრუსკული და ქართველური, გვ. 60).

საბოლოოდ, ალბათ უნდა ითქვას, რომ ბაბილონის გოდოლის დაქცევის შემდგომ წარმოქმნილ ენათა და ხალხთა შორის არსებობდა პროტოქართველური ენაც, ეს ცნობილია ბიბლიის უძველესი კომენტატორებისთვისაც, რომელნიც იაფეტის ძეთა შორის ქართველთა წინაპრებსაც ასახელებენ. პროტოქართველური ეთნოსი, საკმაოდ მრავალრიცხოვანი ყოფილა, რაც იქიდან ჩანს, რომ თვით წარღვნამდეც კაენის ბოლო შთამომავალთა შორის ლამექის ძეებს ეწოდათ იაბელი (IV, 20), იუბალი და თუბალ-კაენი. მეცნიერთა ერთი ნაწილი, სახელებიდან გამომდინარე (აქ უნდა გავიხსენოთ, რომ იაფეტის ძე თუბალი – ქართველთა მამამთავრად ითვლებოდა) მათ მიიჩნევდნენ ქართული ტომების მოსახელეებად. იაბელს – კარავში მცხოვრებთა და მეჯოგეთა მამას, იუბალს – მეჩანგეთა და მესტვირეთა მამას, თუბალ-კაენს – რვალისა და რკინის საჭურველთა მჭედელს, მათი აზრით, სახელები შერქმევიათ ძველქართულ ტომთა საქმიანობასთან დაკავშირებით. წარღვნას ისინი ვერ გადაურჩნენ, მაგრამ მათი სახელებისა და თობელის სახელის მსგავსება მეცნიერებს აფიქრებინებთ, რომ პროტოქართველური ეთნოსი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო უძველეს ეპოქაში. გოდოლის დაშლის შემდეგ, ქართველთა წინაპრები, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გავრცელებულან ქვეყნიერების სხვადასხვა კიდეში, შუამდინარეთიდან – წინა აზიასა და კავკასიისაკენ, ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებში, ჩრდილო აფრიკაში. მათ ყველგან საფუძველი დაუდვიათ შესაბამისი კულტურებისათვის, რომელნიც შემდგომ აუთვისებიათ სხვებს.

ადთქმა ღმერთისა ერთან

დედამიწის ზურგზე გაფანტვის შემდგომ ადამიანებმა თანდათან დაივიწყეს თავიანთი წინაპრებისაგან გაგონილი და ნასწავლი გადმოცემები ღმერთზე, ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ სიშორისა თუ ურთიერთქიშპის გამო ხალხებს შორის მისვლა-მოსვლა და კავშირი შემცირებული, ანდა შეწყვეტილი იყო. ჭეშმარიტი ღმერთის დავიწყების შემდგომ გავრცელდა ცრუმორწმუნეობა, ზეციური და ქვეყნიური ქმნილებების თაყვანისცემა, ამიტომაც ერთი უხილავი ღმერთის მაგიერ თაყვანი სცეს მრავალ ცრუ „ღმერთს“, მათ გამოსახულებებს – კერპებს ემსახურებოდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ მათ.

თანდათან კერპთაყვანისმცემლად იქცა მსოფლიოს ყველა ხალხი, ამიტომაც უფალმა ინება დედამიწაზე ყოფილიყო ერთი ხალხი მაინც, რომელშიც დაცული იქნებოდა ჭეშმარიტი სარწმუნოება, რომელსაც ეცოდინებოდა იგი და თაყვანს სცემდა მას და მხოლოდ მას.

უფალმა ინება ასეთი ერი წარმოეშვა ერთი კაცის – აბრამის შთამომავლობისაგან. აბრამი ჭეშმარიტი ღმერთის მადიდებელი იყო, წარმოშობით შუამდინარელი, მისი მამის სამშობლო ქვეყანა იყო ქალდეა, ქალაქი ური. ამ დროისათვის ქალდეა ერქვა ქვეყანას ტიგროსსა და ევფრატს შორის თითქმის სპარსეთის ყურედან ბაბილონამდე. აქ, როგორც აღნიშნული იყო, ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეპოქაში ჯერ შუმერები, შემდგომ ხურიტები და პროტოქართველების მონათესავედ მიჩნეული სხვადასხვა ტომები სემიტებთან ერთად. ჩვენთვის საინტერესოა, რომ ქალდეა უფრო მოგვიანებით ეწოდებოდა დღევანდელი საქართველოს მეზობლად მდებარე ქვეყნებსაც – ურარტუდან პონტოს ჩათვლით გადაშლილ მხარეს. ურარტუელთა უზენაეს ღმერთს „ხალდ“ – ქალდ ეწოდებოდა და ისინი თავიანთ თავს ქალდეველებად მიიჩნევდნენ. „საფიქრებელია, რომ ტერმინი „ქართველი“ დაკავშირებულია ქალდ-თან და მისი მეშვეობით, სხვა ამავე ძირის წინააზიურ უძველეს სახელებთან“, – წერდა ს. ჯანაშია (ტ. III, 1959, გვ. 195). სახელ ქალდეას ივანე ჯავახიშვილიც აკავშირებდა ქართველებთან. „დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ქართმეგრული შტოს ტომების საკუთარ სახელებში (ქართუელი, კარდუხი) ერთი და იგივე ქვეყნის სახელი გვხვდება. იგი არის ქართუ ანუ კარდუ. რაკი ამ ქვეყნის სახელი ორივე შტოს ტომების სახელწოდებაში მოიპოვება, უეჭველია იგი ქართველების თავდაპირველი სამშობლო უნდა ყოფილიყო. ამ სამშობლოს ხსოვნა მესამე შტოს წარმომადგენელს, სვანებსაც აქვთ შერჩენილი – ეს კართუ ანუ ქართუ განთქმული ქვეყანა ქალდეა არის“ (ქართველი ერის ისტორია, I, 1951, გვ. 403-404).

ასე რომ, ქალდეა არა მარტო აბრაამის წინაპართა სამშობლოა, ის ქართველთა პირველსამშობლოდაც შეიძლება ჩაითვალოს. ასეთი ვერსიის არსებობა უნდა მიუთითებდეს, რომ ქალდეველთა ქვეყანა სემიტებთან ერთად ალბათ ქართველთა მონათესავე, ანდა პროტოქართველური ტომითაც იყო დასახლებული.

როგორც წინა თავიდანაც ჩანდა, შუამდინარეთში ქართველთა მონათესავე ტომებს ქრისტეშობამდე ათასეული წლებით ადრე დაცული ჰქონდათ მცირე მარცვალი ჭეშმარიტი სარწმუნოებისა. ქალდეველთა ურში მცხოვრებ აბრამს კი ჰქონდა შეურყეველი სარწმუნოება ღმერთზე.

„მოჰკიდა ხელი თერახმა თავის ძეს აბრამს, თავის შვილიშვილ ლოტს, ჰარანის ძეს, თავის რძალს სარაის, თავისი ძის აბრამის ცოლს და გავიდნენ ერთად ქალდეველთა ურიდან ქანაანის ქვეყანაში წასასვლელად. მიადგნენ ხარანს და იქ დამკვიდრნენ“ (დაბ. 11, 31).

ქალდეველთა ურს, სადაც ცხოვრობდა მამა აბრამისა თარრა ანუ თერახი, ჩვეულებრივ აიგივებენ სამხრეთ მესოპოტამიის ქალაქ ურთან, საიდანაც ის ოჯახთან ერთად გადასახლებულა ქალაქ ხარრანში მესოპოტამიის ჩრდილო ნაწილში. იგი იქვე გარდაიცვალა. როგორც აღინიშნა, მესოპოტამიაში საზოგადოდ საუკუნეთა

მანძილზე სხვადასხვა ხალხები ცხოვრობდნენ. ისტორიკოსთა თანახმად, ქრისტეშობამდე IV-III ათასწლეულში აქ მცხოვრებმა შუმერებმა შექმნეს პირველი ქალაქი-სახელმწიფოები (ერიდუ, ური, ურუკი, ლაგაში, ნიპური). შემდგომ აქ შემოდიან სემიტური ტომები, რომლებმაც აითვისეს შუმერთა კულტურა. ქრისტემდე III ათასწლეულში აქ სარგონ მეფემ შექმნა ერთიანი სემიტური მესოპოტამიის მომცველი სახელმწიფო – აქადი. ამავე III ათასწლეულში აქ შეიჭრნენ კვლავ სემიტური – ამორეველთა ტომები, მათ მიერ შექმნილი სახელმწიფოს დედაქალაქი იყო ბაბილონი. ძველბაბილონური სახელმწიფოს შემქმნელადაა მიჩნეული მეფე ხამურაბი – კანონმდებელი. ხამურაბიანთა დინასტია დაამხეს ხეთურმა ტომებმა 1530 წელს ქრისტეშობამდე. II ათასწლეულის შუა ხანებში მესოპოტამიაში გამოჩნდნენ ხურიტები, სახელმწიფო მითანის შემქმნელები. ხურიტები, ისტორიკოსთა ერთი ნაწილის თანახმად, ქართველთა წინაპრებადაა მიჩნეული, ისევე როგორც ზოგიერთი ხეთური ტომი და განსაკუთრებით პროტოხეთები. აბრაამის მამის – თარრას – ქალდეველთა ურიდან გამოსვლის დროისათვის ქალდეა, მართლაც ქართველთა წინაპარი ტომებით ყოფილა დასახლებული.

მსოფლიო წარღვნის შემდეგ უფალმა ღმერთმა აღთქმა დადო, ანუ კავშირი შეკრა მთელ კაცობრიობასთან – ნოეს საშუალებით. შემდგომ აბრაამის საშუალებით – ადამიანთა თანამონათესავე ჯგუფთან, ხოლო სინას მთაზე უფალი ღმერთი დაუკავშირდა მხოლოდ და მხოლოდ ერთ ხალხს, იაკობის შთამომავლებს – ისრაელთა შვილებს. მან მისცა მათ კანონი, გადააქცია ის თავის რჩეულ ერად.

ხარანში ყოფნისას, აბრაამი (მაშინ ჯერ კიდევ აბრამი ერქვა) იღებს ღვთისაგან ბრძანებას – „უთხრა უფალმა აბრაამს: წადი შენი ქვეყნიდან, შენი სამშობლოდან, მამაშენის სახლიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც მე გიჩვენებ. გაქცევ დიდ ხალხად, გაკურთხებ და განვადიდებ შენს სახელს და კურთხეული იქნები. ვაკურთხებ შენს მაკურთხებელს და დავწყევლი შენს მაწყევარს. კურთხეული იქნება შენში მიწიერთა მთელი მოდგმა“ (დაბ. 12.1-3). „უთხრა უფალმა აბრამს მას შემდეგ, რაც ლოტი გაეყარა: აახილე თვალი და გაიხედე ამ ადგილიდან, სადაც შენ დგახარ, ჩრდილოეთისაკენ, სამხრეთისაკენ, აღმოსავლეთისაკენ და დასავლეთისაკენ. მთელი ეს ქვეყანა, რასაც ხედავ, შენთვისა და შენი მოდგმისათვის მომიცია სამარადისოდ. ქვიშასავით ურიცხვს გავხდი შენს შთამომავლობას. თუ ვინმე შესძლებს ქვიშის დათვლას, შენი შთამომავლობაც დაითვლება“ (დაბ. 13. 14-16).

შემდგომი სიტყვა აღთქმისა აზუსტებს წინა აღთქმების მონაცემებს: „ამ დღეს დაუდო უფალმა აღთქმა აბრამს და უთხრა: შენი შთამომავლობისათვის მიმიცია ეს ქვეყანა ეგვიპტის მდინარიდან დიდ მდინარემდე – ევფრატის მდინარემდე...“ (დაბ. 15. 18).

შემდეგ კიდევ უფრო გამოწვლილვითაა ჩამოყალიბებული – „ოთხმოცდაცხრა წლის იყო აბრამი, რომ გამოეცხადა უფალი აბრამს და უთხრა: მე ვარ ღმერთი ძლიერი. იარე ჩემს წინაშე და სრული იყავი. დავდებ აღთქმას ჩემსა და შენს შორის და დიდად, დიდად გაგამრავლებ. პირქვე დაემხო აბრამი და ასე ელაპარაკა მას ღმერთი: „ეს მე ვარ, და აჰა, ჩემი აღთქმაც: „უამრავ ხალხთა მამა

შეიქმნები! აღარ გერქვას ამერიდან სახელად აბრამი, არამედ აბრაამი იყოს შენი სახელი, რადგანაც უამრავ ხალხთა მამად გაქცევ. დიდად, დიდად გაგამრავლებ, ხალხებად გაქცევ და მეფენი გამოვლენ შენგან. დავდებ აღთქმას ჩემსა და შენს შორის და შენს შთამომავალთა შორის თაობიდან თაობამდე, სამარადისო აღთქმას, რომ შენი და შენი შთამომავლობის ღმერთი ვიქნები. მოგცემ შენ და შენს შთამომავლობას შენი მდგმურობის ქვეყანას, ქანაანის მთელს ქვეყანას, სამარადისო საკუთრებად და თქვენი ღმერთი ვიქნები. უთხრა ღმერთმა აბრაამს: ოღონდ დაიცავით ჩემი აღთქმა შენ და შენმა შთამომავლობამ თაობიდან თაობამდე"... (დაბ. 17. 1-9). აღთქმის პირობა იყო წინადაცვეთა აბრაამისა და მისი შთამომავლობისა. წინადაცვეთილობა იყო ნიშანი ღვთის ხალხის კუთვნილებისა.

აბრაამი 100 წლისა იყო, როცა სარამ, ღვთის დაპირების თანახმად, შვა ძე, რომელსაც უწოდეს ისააკი. მანამდე აბრაამს სარას ნებით მხევალ აგართან ეყოლა ისმაილი – ისმაიტელთა მამამთავარი, ასევე ხეთურასთან ჰყავდა – მადიანი, მადიანელთა მამამთავარი. ისააკმა შეირთო რებეკა, რომელმაც შვა ტყუპი ვაჟები ესავი – ედომელთა მამამთავარი და იაკობი – ისრაელიანთა მამამთავარი. მართალია, ესავი პირმშო იყო, მაგრამ იაკობმა თავისი მოხერხებით მიიღო პირმშოება და მამის კურთხევაც. ამის შემდეგ გაექცა ესავის რისხვას. გაემართა მესოპოტამიაში, ხარანის სანახებში, დედის ნათესავებთან. გზაზე დაუღამდა, დაიდო ლოდი სასთუმლად და დაწვა ერთ ადგილს – „ესიზმრა: მიწაზე კიბე დგას და თავით ცას სწვდება, უფლის ანგელოზები ადი-ჩამოდიან კიბეზე. აჰა, უფალი დგას კიბეზე და ეუბნება: მე ვარ უფალი ღმერთი აბრაამისა, მამაშენისა და ღმერთი ისაკისა. ეს მიწა, რომელზედაც წევხარ, შენთვის და შენი შთამომავლობისათვის მომიცია. შენი შთამომავლობა ქვიშასავით მრავალრიცხოვანი იქნება და განივრცობი დასავლეთისაკენ, აღმოსავლეთისაკენ, ჩრდილოეთისაკენ და სამხრეთისაკენ, შენითა და შენი შთამომავლობით იკურთხება მიწიერთა მთელი მოდგმა. აჰა, შენთანა ვარ და ყველგან დაგიფარავ, სადაც კი წახვალ, კვლავ დაგაბრუნებ ამ მიწაზე. არ მიგატოვებ, ვიდრე არ აგისრულებ ყველაფერს რაც გითხარი" (დაბ. 28, 12-15). ხარრანში იაკობს შერთეს ლია და რახილი, მათთან და აგრეთვე მათ მხევლებთან იაკობს ეყოლა თორმეტი ვაჟი და ერთი ქალი, მათგან წარმოიშვა ისრაელის თორმეტი ტომი. თავისი ოჯახით უკან დაბრუნებისას იაკობს „უთხრა ღმერთმა: იაკობია შენი სახელი, აღარ გერქმევა ამიერიდან სახელად იაკობი, არამედ ისრაელი იქნება შენი სახელი. და უწოდა სახელად ისრაელი. უთხრა ღმერთმა: მე ვარ ღმერთი ყოვლადძლიერი, ინაყოფიერე და გამრავლდი. ხალხი და ხალხთა კრებული წარმოიშობა შენგან და მეფენი გამოვლენ შენი საზარდულიდან. ქვეყანა, რომელიც მივეცი აბრაამს და ისაკს, შენთვის მომიცია, შენი შთამომავლობისათვის მომიცია ეს ქვეყანა" (დაბ. 35, 10-12).

იაკობის ძემ – იოსებმა – ეგვიპტეში გადიდკაცების შემდგომ ქვეყნად ჩამოვარდნილი შიმშილობის გამო მამამისი ოჯახით მიიწვია მაღძარ ეგვიპტეში: „უთხრა ღმერთმა ისრაელს ღამეულ ხილვაში: იაკობ, იაკობ! მიუგო: აქა ვარ. უთხრა: მე ვარ

ღმერთი, ღმერთი მამაშენისა. ნუ გეშინია ეგვიპტეში ჩასვლის, რადგან იქ გაქცევ დიდ ხალხად. მე ჩაგყვები ეგვიპტეში, მევე ამოგიყვან იქიდან და იოსები დაგიხუჭავს თვალებს საკუთარი ხელით“ (დაბ. 46, 2-3).

ეგვიპტეში ჩასვლის შემდგომ იაკობის ოჯახი დასახლდა მდიდარ მხარეში, რამდენიმე ასეული წლის შემდგომ ის იქცა დიდ ხალხად, მაგრამ დროთა ვითარებაში ეგვიპტელთა მონები გახდნენ – „„გამოხდა მრავალი ხანი და მოკვდა ეგვიპტის მეფე. აკვნესდნენ მძიმე შრომისაგან ისრაელიანები, გაჰკიოდნენ და მისწვდა მათი ღაღადი ღმერთს. მოესმა ღმერთს მათი კვნესა და გაიხსენა ღმერთმა აბრაამთან, ისაკთან და იაკობთან დადებული აღთქმა. მოხედა ღმერთმა ისრაელიანებს და იცნო ღმერთმა ისინი“ (გამ. 1. 23-25).

გამოიყვანა უფალმა ისრაელიანები ეგვიპტიდან და მიიყვანა აღთქმულ ქვეყანაში. ხალხის წინამძღვრობა უფალმა დააკისრა წინასწარმეტყველსა და რჯულმდებელს.

მოსე ჩვილობიდანვე იზრდებოდა სასახლეში. ის ფარაონის ქალიშვილის მიერ იყო ნაშვილები, მაგრამ მოწიფულობისას გამოამჟღავნა ეგვიპტელთა მიერ დაჩაგრული თავისი ერისადმი სიყვარული და თავდადება. ამ დროს მოკლა ზედამხედველი ეგვიპტელი და იძულებული გახდა გაქცეულიყო ეგვიპტიდან.

ის გაემართა სინას ნახევარკუნძულისაკენ, მადიამელთა მიწაზე, იქ შეირთო ცოლი და მწყემსავდა ცხვრებს. ერთხელ ცხვარი წაასხა უდაბნოს იქით და მიადგა ღვთის მთას – ხორებს. „გამოეცხადა უფლის ანგელოზი ცეცხლის ალად შუაგულ მაყვლოვანში. ხედავს, ცეცხლი უკიდია მაყვლოვანს, მაგრამ არ იწვის მაყვლის ბუჩქი. თქვა მოსემ, მივალ და ვნახავ ამ დიდებულ სანახავს რატომ არ იწვის მაყვლოვანი. დაინახა უფალმა რომ მოდის მოსე სანახავად და დაუძახა შუაგულ მაყვლოვანიდან: მოსე, მოსე! მიუგო – აქა ვარ. უთხრა: ახლოს ნუ მოხვალ! გაიძრე ფეხსამოსი, რადგან ეს ადგილი, სადაც შენ დგახარ წმიდა მიწაა. უთხრა: მე ვარ მამაშენის ღმერთი. სახე დაიფარა მოსემ, რადგან ღვთის ხილვისა შეეშინდა. და თქვა უფალმა: ვიხილე ჩაგვრა ჩემი ერისა ეგვიპტეში და მომესმა ზედამხედველებისაგან გამწარებული ღაღადი. რაკი გავიგე მისი გასაჭირი. ჩამოვედი, რომ ვიხსნა იგი ეგვიპტელთაგან და წავიყვანო მაგ ქვეყნიდან მადლიანსა და ვრცელ ქვეყანაში, სადაც ღვარად მოედინება თაფლი და რძე, ქანაანელთა, ხეთელთა, ამორეველთა, ფერიზეველთა, ხივიელთა და იებუსეველთა ქვეყანაში. „აჰა, მოიწია ჩემამდე ისრაელიანთა ღაღადმა და ვიხილე მათი ჩაგვრა, როგორ ჩაგრავენ მათ ეგვიპტელები. ახლა გაგზავნი ფარაონთან, რომ გამოიყვანო ეგვიპტიდან ჩემი ერი, ისრაელიანები“ (გამ. 3. 2-10).

კვლავ უთხრა უფალმა მოსეს ისრაელიანთა შესახებ – „მიგიღეთ ჩემს ერად და ვიქნები თქვენი ღმერთი. გეცოდინებათ, რომ მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, ეგვიპტელთა კირთებისაგან თქვენი გამომხსნელი“ (გამ. 6.7).

ამის შემდგომ უფალი ღმერთი „ჩემს ერს“, „ჩემს ხალხს“ უწოდებს ისრაელიანებს. მოსემ იცოდა, რომ ფარაონი უარს იტყოდა ეგვიპტიდან ასეულათასობით მუშის, ანუ ებრაელთა გაშვებაზე. უფალი ამბობს – „არ მოგისმენთ ფარაონი. მაშინ ხელს მოვუჭერ ეგვიპტეს და დიდი სასჯელების ძალით გამოვიყვან ჩემს კრებულს, ჩემს ერს, ისრაელიანებს ეგვიპტის ქვეყნიდან“ (გამ. 7.4).

ყოველი წარდგომის დროს მოსე ფარაონს ეუბნებოდა: „ამბობს უფალი, ებრაელთა ღმერთი: გაუშვი ჩემი ხალხი, რათა მემსახურონ“.

ფარაონი არ უშვებდა ებრაელებს, რისთვისაც ათი სასწაულებრივი სასჯელით დაისაჯა ეგვიპტე, რომელთა დროსაც ებრაელები უვნებელნი რჩებოდნენ, თანახმად უფლის სიტყვისა – „გამოვარჩევ ჩემ ხალხს შენი ხალხისაგან...“ (გამ. 8. 23). ისჯებოდა ფარაონი, თუმცა უფალი აგებინებდა დასჯის მიზეზს: „აქამდე აბუჩად იგდებ ჩემს ერს და არ უშვებ“ (გამ. 9.17).

ებრაელთა გაუშვებლობისათვის ეგვიპტელები სასტიკად დაისაჯნენ. თავზარდაცემულმა ფარაონმა გაუშვა უფლის ერი. ექვსასი ათასი კაცი ქალებისა და ბავშვების გარდა გაემართა მეწამული ზღვისაკენ. წინ მიუძღოდათ მათ უფალი, დღისით ღრუბლის სვეტში გზის საჩვენებლად, ღამით ცეცხლის სვეტში გზის გასანათებლად. გონს მოსვლის შემდგომ ეგვიპტელები უკან გაეკიდნენ ებრაელებს, მოსემ ღვთის ბრძანებით ზღვა კვერთხით ორად გაჰყო, ებრაელები მშრალი ზღვის ფსკერის გავლით გავიდნენ მეორე ნაპირას, ფარაონი კი თავისი მხედრებითა და ეტლებით კვლავ კვერთხის დაკვრით შეერთებულმა ზღვამ დაახრჩო.

როგორც აღინიშნა, აღთქმა – კავშირი – უფალ ღმერთსა და მის ერს შორის ეგვიპტიდან გამოსვლის შემდგომ დაიდო.

ეგვიპტიდან გამოსვლის სამი თვის შემდგომ მოსე თავისი ხალხით მიადგა სინაის მთას.

„ავიდა ღმერთთან მოსე და მთიდან ჩამოსძახა მას უფალმა: ასე უთხარი იაკობის სახლს და ამცნე ისრაელიანებს: თქვენ ნახეთ, რა დავმართე ეგვიპტეს, როგორ აგიტაცეთ არწივის ფრთებით და ჩემთან მიგიყვანეთ, ამიერიდან თუ შეისმენთ ჩემს სიტყვას და დაიცავთ ჩემს აღთქმას, ჩემს საკუთრებათ გამოგარჩევთ ყველა ხალხისაგან, რადგან ჩემია მთელი ქვეყანა. მღვდელთა სამეფოდ და წმიდა ერად მეყოლებით. აი, სიტყვები, რაც უნდა უთხრა ისრაელიანებს“ (გამ. 19: 3-6).

ყველა ხალხისაგან გამორჩეულობისა და უფლის ერად ქცევისთვის ისრაელიანებს უნდა დაეცვათ აღთქმა უფლისა – შეესმინათ მისი სიტყვა. „მღვდელთა სამეფოდ და წმიდა ერად“ გამორჩევისათვის ისრაელიანებმა მზადყოფნა განაცხადეს – „ერთხმად მიუგო ერმა და უთხრა: ყველაფერს შევასრულებთ, რაც ბრძანა უფალმა. წაუღო მოსემ უფალს ხალხის ნათქვამი“ (გამ. 19.8).

უფალმა უბრძანა მოსეს მოემზადებინა ხალხი ღვთის გამოცხადებისათვის. ხალხი ორი დღის მანძილზე იწმენდდა თავს, თავის ტანსაცმელს, მოსემ მთის გარშემო ხაზი შემოავლო, როგორც ინება ღმერთმა, რათა მას არავინ მიახლოვებოდა სიკვდილის შიშით, რამეთუ ამ დროს ღმერთი მთაზე იყო. მესამე დღის დილით სინას მთა ღრუბლით დაიფარა, დაიწყო ელვა და ქუხილი.

„გამოიყვანა ბანაკიდან ხალხი მოსემ ღვთის შესახვედრად და დადგნენ მთის ძირას.

ბოლავდა მთელი სინაის მთა, რადგან უფალი იყო მასზე ჩამოსული ცეცხლის ალში, როგორც ქურას, ისე ასდიოდა კვამლი და ძლიერად ირყეოდა მთა. თანდათან ძლიერდებოდა საყვირის ხმა. ლაპარაკობდა მოსე და ეხმიანებოდა ღმერთი“ (გამ. 19. 18-20).

ღმერთმა წარმოსთქვა ხალხის გასაგონად მცნებები:

1. თქვა ღმერთმა ყველა ეს სიტყვა:

2. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, რომელმაც გამოგიყვანეთ ეგვიპტელთა ქვეყნიდან, მონობის სახლიდან.

3. არ გაიჩინოთ ჩემს გარდა სხვა ღმერთები.

4. არ გაიკეთო კერპები, არც რამე ხატი იმისა, რაც არის მაღლა ცაში, დაბლა მიწაზე და წყალში, მიწის ქვეშ.

5. არ სცე თაყვანი მათ, არც ემსახურო, რადგან მე ვარ უფალი თქვენი ღმერთი, შურისმგებელი ღმერთი, რომელიც მამის ცოდვას შვილებს მოვკითხავ, ჩემს მოძულეებს, მესამე და მეოთხე თაობაში.

6. ათასწლილ სიკეთის მზღველი ჩემს მოყვარულთათვის და ჩემი მცნებების დამმარხველთათვის.

7. არ დაიფიცო ფუჭად უფლის, შენი ღვთის სახელი, რადგან დაუსჯელი არ გადაურჩება უფალს მისი სახელის ფუჭად მაფიცარი.

8. გახსოვდეს შაბათი დღე, რომ წმიდა ჰყო იგი.

9. ექვს დღეს იმუშავე და აკეთე შენი საქმეები.

10. მეშვიდე დღე კი უფლის, შენი ღვთის შაბათია. არა საქმე არ გააკეთო, არც შენ, არც შენმა ვაჟმა, არც ასულმა, არც შენმა ყმამ, არც შენმა მხევალმა, არც შენმა პირუტყვმა, არც შენმა მდგმურებმა, სახლში რომ გყავს.

11. რადგან ექვს დღეში შექმნა უფალმა ცა და მიწა, ზღვა და ყველაფერი, რაც მასშია და მეშვიდე დღეს შეისვენა, ამიტომაც აკურთხა უფალმა შაბათი დღე და წმიდა ჰყო იგი.

12. პატივი ეცი მამას და დედას, რათა დღეგრძელი იყო მიწაზე, რომელიც უფალს, შენს ღმერთს მოუცია შენთვის.

13. არა კლა.

14. არ იმრუშო.

15. არ იქურდო.

16. არ გამოხვიდე ცრუ მოწმედ შენი თვისტომის წინააღმდეგ.

17. არ ინდომო შენი თვისტომის სახლი; არ ინდომო შენი თვისტომის ცოლი, არც მისი ყმა, არც მისი მხევალი, არც მისი ხარი, არც მისი სახედარი, არც არაფერი მისი ქონებიდან (გამ. 20. 1-17).

როგორც აღნიშნული იყო, უფალი ღმერთის მიერ დედამიწაზე მცხოვრებ მრავალ ხალხთა შორის ერთის გამორჩევა გამოიწვია კერპთაყვანისმცემლობის გავრცელებამ – ყველა ხალხს დავიწყებული ჰყავდა ჭეშმარიტი ღმერთი. სარწმუნოების დამცველად უფალმა ისრაელიანები ამოირჩია. მართლაც ამ ერმა საუკუნეთა მანძილზე შეძლო სიწმინდით გადაეცა სხვადასხვა ერებისა და კაცობრიობისათვის (თვით ამ ერში განხორციელებული ღვთის ძის – იესო ქრისტეს მიერ) – ჭეშმარიტი სარწმუნოება. საერთოდ ერის – ერთი წარმოშობისა თუ სხვა მხრივ გაერთიანებული ხალხის ამორჩევით უფალმა ღმერთმა აკურთხა კაცობრიობის ხალხებად, ერებად დაყოფა.

იესო ქრისტეს შემდგომ ყოველი ერი, მატარებელი მართალი სარწმუნოებისა, ღვთის ხალხად იქცა, მათ შორის ქართველი ერიც. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ეს მომხდარა სულიწმიდის მოფენის შემდეგ, როცა დედა ღვთისას წილად ხვდა ივერიელთა მოქცევა. ჩვენებით გამოცხადებისას მაცხოვარი მას ეუბნება – „ჰოი, დედაო ჩემო, მე არ უგულებელვყოფ ყველა ხალხზე უფრო საზეპურო ქართველ ერს მათზე შენი მეოხებით“ (ქ. ც. I, გვ. 37).

თუბალი და მოსოქი

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმიდა მამები, უცხოელ საეკლესიო მოღვაწეთა დარად ცნობისწადილით ეძიებდნენ წინაპრებს ღვთისმშობლის წილხვედრი ერისას. დასტური ამისა არის ლეონტი მროველ ეპისკოპოსის და არსენ ბერის შრომები ქართველთა ეთნოგენეზისის შესახებ.

არსენ ბერმა იცის, რომ მკითხველს აინტერესებს, – „ჩვენ, ქართველნი რომელთა ნათესავთა შვილნი ვართ“, იგი პასუხობს – „ჩვენ ქართველნი შვილნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსულთანი და ენაი მათი „ვუწყით“ (ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლ. 1971, III, გვ. 46). „არიან-ქართლით“ გამოსული ხალხი ქრისტეშობამდე დასახლებულა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ალექსანდრე მაკედონელის მიერ, რომელსაც ჩვენი ქვეყნის – ე.ი. საქართველოს – შენება დაუწყია – „იწყო შენებად ქვეყანასა ჩვენსა, ხოლო თანაჰყვა აზოვე, ძე არიან-ქართველთა მეფეთა და მისცა ქვეყანა ეს ჩვენი სამეუფოდ და სამკვიდრებლად და გაუჩინა საზღვარი ჰერეთი და ეგრისწყალი, სომხითი და მთაი ცროლისაი და თვით წავიდა“ (იქვე, გვ. 47).

ამ კონცეფციის თანახმად, მოსახლეობა, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოისა, შთამომავალია „არიან-ქართველებისა“. ისინი აზოვემ – „არიან-ქართლის“ მეფის ძემ, საქართველოში ჩამოასახლა. მაგრამ ვინ იყვნენ და სად ცხოვრობდნენ „არიან-ქართველები“, სად იყო „არიან-ქართლი“?

არსებობს მეორე კონცეფციაც, რომელიც მიეწერება ლეონტი მროველ ეპისკოპოსს. ლეონტის თანახმად, ქართველი ერი ჩამოყალიბდა საქართველოს მიწა-წყალზე; ქართველ ტომთა ეთნარქები იყვნენ ქართლოსი, ეგროსი, ჰეროსი და სხვები. მათი წინაპარი თარგამოსი კი სამხრეთის ქვეყნიდან ჩამოსახლდა ამიერკავკასიაში.

საერთოდ ჩვენი ერის, ანდა მისი წინაპრის სამხრეთიდან ჩამოსახლეობის თეორია ბუნებრივია, რამეთუ სამშობლო კაცობრიობისა, ძველი ხალხებისა და ერების მესოპოტამიაა, საიდანაც, ბიბლიის თანახმად, ისინი გავრცელდნენ მსოფლიოში. ყველა ძველი ერი თავის წინაპარს მესოპოტამიასა და წინა აზიაში ეძებდა, მათ შორის ქართველებიც, მით უმეტეს, რომ წმიდა წერილის ძველი კომენტატორები ქართველთა ანუ იბერთა წინაპრებს ასახელებდნენ ნოეს უახლოეს შთამომავალთა შორის.

„დაბადებაში“ ნოეს ძის იაფეტის შთამომავალთა შორის მოხსენიებული თუბალი და მოსოხი – ქართველთა წინაპრებადაა მიჩნეული როგორც ძველ ისე ახალ ისტორიკოსთა მიერ.

იოსებ ფლავიუსი იაფეტის შვიდ ძეთაგან ორის – თუბალისა და მოსოხის შესახებ წერს – „დაამკვიდრებს უკუე თოვილოსცა თოვილთასა, რომელ აწ ივი-

რად იწოდებიან. ხოლო მესქინნი, მესხოის მიერ აღშენებულნი კაჰპადუკად იწოდებიან...“ (იოსებ ფლავიუსი, მოთხრობანი იუდაებრივისა ძველისიტყვაობისანი, 1987, გვ. 103). ივერიელთა წინაპრებად ბიბლიის თუბალი მიიჩნევა. „ქართლის ცხოვრება“ კი, როგორც ცნობილია, ქართველთა წინაპრებად მიიჩნევს ბიბლიურ თარგამოსს. ის იოსებ ფლავიუსის თანახმად, „ღომაროჲს“ ძეა. მისგან წარმომავლობა ასეთია – „თორღამის უკუე – თორღამელნი, რომელნი თნებისაგან ელლინთაისა ფრიგვად იწოდეს“ (იქვე, გვ. 103).

ფლავიუსი თარგამოსს ფრიგიელთა წინაპრად მიიჩნევს, ლურსმულ და იეროგლიფურ ტექსტებზე დაყრდნობით, „ცნობილმა გერმანელმა მკვლევარმა ჰ. ვინკლერმა მეცნიერულად დაასაბუთა ძველბერძნული წყაროების „ფრიგიისა“ და სარგონ II-ის (ძვ. წ. 722-705 წწ.), დროინდელი ასურული ტექსტების – „მუშქების“ ქვეყნის იგივეობა (ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, 1988, გვ. 252).

მაშასადამე, „მუშქები“ – ქართველთა ერთი დიდი ტომი – თარგამოსს დაუკავშირდა [თარგამოს – ფრიგიელნი (ფლავიუსით) – მუშქები (ვინკლერით)].

ასურული ტექსტების „ტაბალ“ ბიბლიურ თუბალთან (სეპტანტა, Θοβελ; ზოგჯერ – Θοβερ; ვლუგატა – Thubal) გაიგივებულია ე. დრომეს მიერ (იხ. ს. ჯანაშია, ტ. III, 1959, გვ. 70).

მაშასადამე, ბიბლიური თუბალი წინაპარია – იბერებისა ანუ ქართველებისა, იოსებ ფლავიუსის ამ კომენტარს ეთანხმებიან და ავრცობენ ჩვენი მეცნიერები, რაც შეეხება ბიბლიურ მოსოქ-მოსოხს, ისიც ქართველთა (მესხური ტომის) წინაპრად იყო მიჩნეული, ამჟამად კი ჩვენ შეგვიძლია ის დავუკავშიროთ „ქართლის ცხოვრების“ თარგამოსს (თარგამოს-ფრიგიელნი-მესხნი) იმ გზით, როგორც ზემოთ იყო გადმოცემული, თარგამოსი კი, როგორც ცნობილია, აღნიშნული ქართული წყაროს თანახმად, არა მარტო ქართველთა, არამედ სომეხთა წინაპრადაც არის მიჩნეული (თარგამოს – ჰაოს, ქართლოს). აქ არ შეიძლება არ მოგვაგონდეს ჰეროდოტეს ცნობა – „ფრიგიელებს, როგორც მაკედონიელები ამბობენ, ეწოდებოდათ ბრიგები მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ ევროპელები იყვნენ და მაკედონიელების მეზობლად ცხოვრობდნენ, ხოლო აზიაში რომ გადავიდნენ, მიწა-წყალთან ერთად სახელიც გამოიცვალეს – ფრიგიელები დაირქვეს. არმენიელები, რომლებიც ფრიგიელებისაგან მომდინარეობენ...“ (ჰეროდოტე, ისტორია I, 1976, გვ. 434). „იბერ“ – „ბრიგ“ სახელების დაკავშირება მსგავსი ეტიმოლოგიით შესაძლებელია.

ფრიგიელებს, როგორც აღინიშნა, მუშქებთან, ხოლო ამ უკანასკნელს მესხებთან აიგივებენ.

აღსანიშნავია, რომ მესხებს ძველთაგანვე მთელ ქართულ მოსახლეობასთან აიგივებდნენ, მაგალითად, სტრაბონი დასავლეთ საქართველოს თითქმის ცენტრალურ ნაწილს – მოსხების ქვეყანას უწოდებს, ხოლო ჩრდილოკავკასიელი ტომები აღმოსავლეთ ქართულ ტომებს – მესხებს უწოდებენ. დაღესტნელები „ავარიელები – ფშავ-ხევსურებს „მოსოხის (ანუ „მოსოქის“) სახელით იცნობენ (იხ. ჰ. უსლარ „ავარსკიი იაზიკ“ 1889, II, გვ. 24, 26).

როგორც ითქვა, ფრიგიელებს (რომლისაგანაც წარმომდგარან მესხები) ასევე „ბრიგ“-ები ერქვათ. ამ სიტყვის ფუძე საგულისხმო იგივეობას ავლენს თუბალ-იბერის ფუძესთან – „თბლ“ – „ბრ“. ფუძე – „ბრგ“ (ბრიგ.) და „ბრ“ (იბრ) უთუოდ მსგავსნი არიან.

ს. ჯანაშია ბიბლიის თუბალებსა და მოსოქებს ერთი წარმოშობის ურთიერთმეზობლად მცხოვრებ ხალხად მიიჩნევს.

შემთხვევითი არაა, რომ თუბალი და მეშექი ბიბლიაში თითქმის მუდამ ერთად მოიხსენება. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ბიბლიის კომენტატორებს. ისინი ერთად მოიხსენებიან იაფეტის ძეთა ჩამოთვლის დროს („იაფეტის ძენი: გომერი, მაგოგი, მადაი, იავანი, თუბალი, მეშექი და თირასი“ (დაბ. 10.2), ასევე ეზეკიელის მიერ (32:26; 38:2; 39:1), ხშირად ეზეკიელი ჩრდილოეთის ხალხებს შორის აგრეთვე იხსენიებს „გომერს თავის ურდოთი, თოგარმას სახლს...“ (38:6), ასირიელ მეფეთა ანალებში, როგორც აღინიშნა, არც თუ იშვიათად იხსენიება Muski და Tabal, ვითარცა ორი მეზობელი ეროვნება, მცხოვრებნი კილიკიაში, ხოლო ჰეროდოტე ამბობს, ტიბარეკებს ანუ იბერიანელთა (იბერიელები) და მოსხების, კოლხეთის ახლოს მცხოვრებთა შესახებ. მეცნიერები თვლიან, რომ თავდაპირველად ორივე აღნიშნული ეროვნება ცხოვრობდა ტიგროსისა და ევფრატის სათავეებში, მიდიასა და სკვითიას შორის, ე.ი. კოლხეთსა და იბერიაში (იხ. „ტოლკოვაია ბიბლია“, პეტერბურგი, 1904-1907 I, გვ. 69. კომენტარი).

წინასწარმეტყველი ეზეკიელი თუბალსა და მუშექს ახსენებს სხვა ჩრდილოელ ხალხებთან ერთად, რომელნიც ცოდვათა გამო დაისჯებიან; ეზეკიელზე ადრე ისრაელის მეზობლად მცხოვრებ დიდ ხალხთა დასჯის შესახებ წერდა იერემია წინასწარმეტყველი. საქმე ის იყო, წინასწარმეტყველებანი უშუალოდ შეეხებოდა ისრაელს, უფლის ერს, რომელიც ეღირსა აღთქმულ მიწაზე დასახლებას, მაგრამ დაარღვია აღთქმა უფალთან სხვადასხვა ცოდვათა გამრავლებით, რის გამოც უნდა დასჯილიყო აღთქმული მიწიდან გადასახლებითა და სხვა ერის მონობაში ყოფნით. კერძოდ, ისრაელიანები ქალდეველთა მეფე ნაბუქოდონოსორს უნდა გადაესახლებინა ბაბილონში. რის შემდეგაც ქალდეველებიცა და სხვა ჩრდილოელი ხალხებიც დაისჯებოდნენ უფლის მიერ. იერემია ქადაგებდა – „ამას იტყვის უფალი ღმერთი: „აჰა, მე მოვუწოდებ და მოვავლენ ჩრდილოეთის ყოველ ერს და ბაბილონის მეფეს ნაბუქოდონოსორს, მონასა ჩემსა, და მათ მოვიყვან ამ ქვეყანას და ყოველთა გარემოს ერთა ზედა, დავაქცევ მათ და შევცვლი უდაბნოდ საუკუნოდ, და იქმნებიან ეს ერნი მონებად ბაბილონის მეფისა 70 წელ და მის შემდგომ მე დავსჯი ბაბილონის მეფეს და მის ერს მათი უსჯულოებისათვის და ქალდეველთ ქვეყანასაც გადავაქცევ უდაბნოდ“. მართლაც, ებრაელები გადაასახლეს ბაბილონში, სადაც ისინი ტყვეებად იყვნენ 70 წელს, ხოლო ქალდეველთა ბაბილონის სამეფო შემდგომ თანდათან უდაბნოდ იქცა და დავიწყებას მიეცა. წინასწარმეტყველების შესაბამისად დაეცა თითქმის ყველა იმდროინდელი ტომები და ცნობილი სახელმწიფოები (იგულისხმება ებრაელთა ბაბილონში ტყვეობის ხანა), დაეცა და სახელოვნება დაკარგა ათასწლეულების მანძილზე დიდებულმა ეგვიპტემ,

რაც იწინასწარმეტყველა ეზეკიელმა – „ადამის ძევ, მიმართე პირი ფარაონისაკენ, ეგვიპტის მეფისაკენ და უწინასწარმეტყველე მას და მთელ ეგვიპტეს ელაპარაკე და უთხარი, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი, აჰა, შენზე ვარ ფარაონო, ეგვიპტის მეფევ, დიდო გველეშაპო, რომ გაწოლილხარ შენს მდინარეებში და ამბობ ჩემია მდინარე, ჩემთვის შევქმენიო. ლაყუჩებში ჩანგლებს გაგიყრი, ...მოგისვრი უდაბნოში შენი მდინარეების თევზებთან ერთად... მიხვდება ეგვიპტის ყველა მცხოვრები, რომ უფალი ვარ, რადგან ლერწმის საყრდენი იყავი ისრაელის ხალხისათვის“ (ეზეკ. 29. 2-4). ანდა: „ადამის ძევ, გამართე გოდება ფარაონზე, ეგვიპტის მეფეზე და უთხარი: ჭაბუკ ლომს ჰგავდი ხალხთა შორის და გველეშაპივით იყავი-თქო ზღვებში! ირქინებოდი შენს მდინარეებში და ფეხებით ამღვრევდი წყლებს, თელავდი-თქო მათ მდინარეებში. ასე ამბობს უფალი ღმერთი: მოვისვრი შენზე ჩემ სათხეველს ხალხთა სიმრავლეში და ამოგათრევენ ჩემი ბადით...“ (32. 1-3).

მართლაც, ქრისტეშობამდე მეხუთე საუკუნიდან, ებრაელთა ბაბილონის ტყვეობის შემდგომ სახელოვანი ეგვიპტე დაეცა და ის უმნიშვნელო, სხვებზე დამოკიდებულ ქვეყნად იქცა. მსგავსადვე ასრულდა ეზეკიელის წინასწარმეტყველებანი სხვა ხალხებსა და სახელმწიფო წარმონაქმნებზე. დაეცნენ ისრაელთა მტრები – ყამონიანები (ამონიტები) თანდათან დაეცა ფინიკიელთა ცნობილი ტვიროსი, რამეთუ წინასწარმეტყველთა თქმით, „ვაგლახს ამბობს იერუსალიმზე, შეიმუსრება იგი – ხალხების კარიბჭე... გაუკაცრიელდება“ (იეზ. 26:2). ტვიროსი ცნობილი ქალაქი, სახელმწიფოს ცენტრი იყო, სადაც ხალხებთან ერთად ქართველთა წინაპრებიც ვაჭრობდნენ – „იავანი, თუბალი და მეშექი იყვნენ შენი გამსაღებლები, ტყვეებს და სპილენძის ჭურჭელს გიხდიდნენ საქონელში, თოგორმას სახლიდან ცხენებს, საბრძოლო რაშებს და ჯორებს გიგზავნიდნენ სანაცვლოდ“ (იეზ. 27:13-14).

აქ ქართველთა წინაპარი ტომები – თუბალი, მეშექი და თოგარმა ერთად იხსენიებიან, რადგანაც ისინი მეზობლები და მონათესავენი იყვნენ. საუკუნოდ დაეცა ასურეთი – ისრაელის მტერი. „იქ არის აშური და მთელი მისი კრებული, მის გარშემო მისი საფლავები ყველანი განგმირულნი არიან, მახვილით დაცემულნი“ (32:22).

დაეცა ცნობილი ელამი, ედომი, დაეცა მეშექი და თუბალი. მათ წინასწარმეტყველი სხვა დასჯილ ხალხთა შორის ასახელებს – „იქ არის მეშექი და თუბალი და მთელი მისი სიმრავლე“ (32:26). ისინი ისჯებიან მათი მეზობლის ისრაელის წინააღმდეგ მტრობის გამო, ისჯება თვით ისრაელიც, რომელიც შემდგომ იპოვის თავის თავში ძალას, აღადგენს სიყვარულს უფალთან, დაიცავს აღთქმას და კვლავ აღორძინდება, ასევე აღორძინდება ღვთის მცნებათა დამცველი ყოველი დაცემული ერი. მართლაც, მეშექის და თუბალის ძველი დიდებისაგან დაცემა და უმნიშვნელო ტომად ქცევა შეუმჩნეველი არც შემდეგდროინდელ ისტორიკოსებს დარჩენიათ. პირველქართველთა დიდებულება, მათი სახელმწიფოები, ქალაქები, კულტურის ბრწყინვალება აჩრდილად იქცა. ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ ქრისტეშობამდე 3-4 საუკუნით ადრე ქართველთა დაცემის შესახებ – „თუმცა ასურულ წყაროებში ჩვენი ერის მაშინდელი მდგომარეობა დაწვრილებით არ არის აღწერილი, მაგრამ

IV საუკუნის ქართველი ტომების ყოფა-ცხოვრებას თუ იმდროინდელ მდგომარეობას შევადარებთ, შეუძლებელია მაინც ვერ შევამჩნიოთ, რომ ჩრდილოეთისაკენ წაწეულ ქართველებს ცხადი დაქვეითება ეტყობათ. ვაზის მოვლას, ღვინის დაყენებას, საქონლის მოშენებას, მადნეულის დამუშავებასა და იარაღ-ჭურჭლის გაკეთებას, მართალია, წინანდებურად მისდევდნენ, მაგრამ სად იყო წინანდელი სიმდიდრე, სასახლეები, აუარებელი განძი და ქონება, რომლის ხელში ჩაგდებას თავის დროზე ასურეთის ბატონები კვეხულობდნენ ხოლმე. წინათ მათ ქალაქები ჰქონდათ, მეოთხე საუკუნეში კი სალაპარაკოდაც არ ღირდა, რაც იყო ისიც ციხეებს უფრო მიაგავდა, ვიდრე ქალაქს, წინათ ქართველები ძლიერ და მდიდარ ერად ითვლებოდნენ, აღებ-მიცემობისათვის შორეულ ქვეყნებში მიდიოდნენ და ყველგან სახელი გავარდნილი ჰქონდათ. IV საუკუნეში კი ისინი პატარა-პატარა ტომებად იყვნენ დანაწილებულნი, მამაცობის პატივი მეზობლებშიღა ჰქონდათ შერჩენილი, მსოფლიოში კი მათი სახელი აღარ ისმოდა...“ (ივ. ჯავახიშვილი, ტ. I, გვ. 70).

დიახ, ჩვენი ერი დაეცა, ეზეკიელის წინასწარმეტყველება თუბალსა, მეშექსა და თოგორმაზე აღსრულდა. ეზეკიელი ქრისტეშობამდე VI საუკუნეში ცხოვრობდა. IV საუკუნეში ქართველთა წინაპრების ძველი დიდება მეზობლებს თუ ახსოვდათ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მათი სახსენებელი უფალმა არ გააქრო, რამეთუ ისინი უფლის ერს ლაშქრავდნენ არა დამოუკიდებლად, არამედ სკვითების იძულებით, რომელთაც „გოგს“ უწოდებდნენ. ის მთავარი იყო მეშექისა და თუბალისა, ე.ი. კავკასიის იქით მცხოვრებ ჩრდილოეთის ხალხებს აუძულებია სამხრეთელი მეზობლები – ქართველთა წინაპრები, ელაშქრათ „ისრაელის მთებზე“. ეზეკიელი ამბობს ღვთის სიტყვას – „ადამიანის ძევ! იწინასწარმეტყველე გოგზე და თქვი, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი, აჰა, შენზე ვარ როშის, მეშექის და თუბალის მთავარო, მოგატრიალებ, გამოგათრევ და წაგიყვან ჩრდილოეთის კიდეებიდან და მოგიყვან ისრაელის მთებზე გაგაგდებინებ მშვილდს მარცხენა ხელიდან და ისრებს მარჯვენა ხელიდან დაგაყრევინებ. ისრაელის მთებზე დაეცემი მთელი შენი ურდოიანად და ხალხთან ერთად, შენ რომ გახლავს...“ (ეზეკ. 39: 1-3).

მრავალი ხალხი დაისაჯა, რომელთაც წინასწარმეტყველის პირით ამის მიზეზს ამცნობს უფალი – „რაკი საუკუნო მტრობა გქონდა და მახვილს მიუგდე ისრაელიანები მათი გასაჭირის ჟამს, საბოლოო სასჯელის ჟამს“ (ეზეკ. 35: 5).

ქართველთა წინაპრები დასჯილან იმის მიერ, ვისი ხელითაც დაისაჯნენ ისრაელიანები; მეფე ნაბუქოდონოსორის მიერ დატყვევებულ და გადასახლებულ იქნენ უცხო ქვეყნებში. აღსანიშნავია, რომ ნაბუქოდონოსორს, ზოგიერთი ძველი ისტორიკოსის აზრით, არა მარტო ებრაელთა გადასახლება მიეწერება, არამედ ქართველთა გადასახლებაც სამხრეთის ქვეყნებიდან უფრო ჩრდილოეთით.

ქრისტეშობამდე IV-III საუკუნის ბერძენი მწერალი, გეოგრაფი და ისტორიკოსი ნაბუქოდონოსორს ახსენებს ვითარცა იბერიელთა ძველი სახელმწიფოს დამპყრობელს.

„ნაბუქოდონოსორმა, რომელიც ჰერაკლეზე უფრო ძლიერი იყო, მას შემდეგ რაც საომარი ჯარი შეკრიბა, მიაღწია ლიბიელთა ქვეყანაში და იბერთა ქვეყანაში,

აჯობა მათ, გააცამტვერა და დაიმორჩილა, ერთი წილი მათგანი გადაადგილა მან პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეზე, იქ დაასახლა“ (გეორგიკა, 1961, გვ. 30). ევსევი კესარიელი წერს – „აგრეთვე მეგასთენე ამბობს თავის „ინდოეთის“ მეოთხე წიგნში, რომელშიც მოგვითხრობს ამის წინ მოხსენებული ბაბილონელთა მეფის შესახებ, რომ ის სიმამაცით და საგმირო საქმეებით ჰერაკლეს აღემატებოდა, იმდენად აღემატებოდა, რომ ლიბიის და იბერიის მეტი წილი, ამბობს იგი, დაიპყრო“ (იქვე, გვ. 30).

ამ ცნობით ნაბუქოდონოსორს დაუმორჩილებია და დაუპყრია მთელი იბერიის სახელმწიფო, რომელიც სამხრეთით ლიბიასთან მდებარეობდა, აუყრია ქართველები და გადმოუსახლებია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ანუ კოლხეთსა და შემდგომდროინდელ ლაზიკაში. ეს მომხდარა ქრისტეშობამდე VI საუკუნეში. მეგასთენის აღნიშნულ ცნობას იმეორებენ შემდეგი დროის ისტორიკოსები მარაბას-კატინა (I ს.), მოსე ხორენაცი (V ს.) და სხვები.

ნაბუქოდონოსორს ქალდეელთა მეფეც ერქვა.

ქვეყნის სახელწოდებამ „ქალდეამ“ ათასწლეულთა მანძილზე ადგილი წაინაცვლა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, შუმერებიდან – ქართველებამდე. ნაბუქოდონოსორი, ქალდეური ბაბილონის ყველაზე ცნობილი მეფე ასურელთაგან ახლად განთავისუფლებულ სამშობლოს სათავეში ჩაუდგა 604 წლისათვის და 562 წლამდე მართავდა მას.

ნაბუქოდონოსორს ჰქონია ღვთის სიყვარული (ბაბილონში 53 დიდი ტაძარი და ასობით სამლოცველო არსებობდა). მან ხელახლა ააშენა დაქცეული ბაბილონი, ტაძართა და სატაძრო ნაგებობათა აშენება მისი უმთავრესი საზრუნავი იყო. მათკენ იყო მიმართული სახელგანთქმული ბაბილონის საპროცესიო გზები, რომლებსაც მთელ სიგრძეზე ფერადი (ლურჯ-ცისფერი) ჭიქური მიყვებოდა, მათზე გამოყვანილი ყვითელფაფრიანი თეთრი ლომებით, ხარებითა თუ გველეშაპებით. ქალდეელთა მეფე დაუღალავი მშენებელი იყო. მისი ხელით ინება უფალმა იერუსალიმის დასჯა, სადაც 597 წელს გაილაშქრა, იუდეის მეფე იოაკიმი ოჯახითა და წარჩინებულებით ბაბილონში გადაასახლა, იერუსალიმის უმდიდრესი ტაძრის განძთან ერთად. მალე, ეზეკიელის წინასწარმეტყველების შესაბამისად, ნაბუქოდონოსორმა კვლავ აიღო აჯანყებული იერუსალიმი 587 წელს, გაძარცვა, დაწვა, ათასობით იუდეველი გადაასახლეს ბაბილონში, რისთვისაც ათწლეულთა შემდგომ თვით ბაბილონიც დაისაჯა. უფლისაგან განდგომა იყო მიზეზი ებრაელთა დატყვევებისა, როგორც იერემია წინასწარმეტყველი წერს – „იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: წადი და ყურში ჩასძახე იერუსალიმს: ასე ამბობს-თქო უფალი: მე მახსოვს შენი ყმაწვილური ერთგულება და პატარძლური სიყვარული, როცა მომყვებოდი უდაბნოში, უხნავ-უთეს მიწაზე. უფლის სიწმიდეა ისრაელი, მისი მოსავლის ნათავარი. ყოველი მისი მჭამელი დადანაშაულდება, უბედურება დაატყდება თავს, ამბობს უფალი. ისმინე უფლის სიტყვა იაკობის სახლო და ისრაელის სახლის ყოველო საგვარეულოვ! ასე ამბობს უფალი: რა ნახა ჩემში ცუდი თქვენმა მამა-პაპამ, რომ განმიდგა, ამაოებას რომ აჰყვა და თავადაც ამაოებაში ჩაეფლაო?.. არ უთქვამს მღვდლებს, სად არისო უფალი, რჯულის კაცებმა არ მიცნეს, მწყემსები

გამიდგნენ, წინასწარმეტყველნი ბაალის სახელით გიქადაგებენ და უსარგებლო კერპებს აკეთებენ, ამიტომაც კიდევ მექნება თქვენთან დავა... კარგად გამოიკვლიეთ, ნახეთ, თუ სადმე მომხდარა ამგვარი რამე. თუ შეუცვლია რომელიმე ხალხს თავისი ღმერთები, თუმცა არ ყოფილან ისინი ღმერთები. ჩემმა ერმა კი უსარგებლო კერპებზე გადაცვალა თავისი დიდება“ (იერ. 2, 1-11). ისრაელმა ორი დანაშაული ჩაიდინა, – ამბობს უფალი იერემიას აზრით: მიატოვეს ღმერთი – ცოცხალი წყაროსთვალი და ახალი წყლის ძებნა დაიწყეს – ე.ი. ცრუ ღმერთების ძიება (იერ. 2.13). ისრაელმა ამით მიატოვა უფლის სახლის შვილობა, რის გამოც იქცა ნადავლად მბრდღვინავი ლომებისათვის,რომლებიც უდაბნოდ უქცევენ ქვეყანას, გადაწვავენ და გააუკაცრიელებენ მის ქალაქებს (2,15).

„რადგან ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: გაჩეხეთ ხე და დაახვავეთ იერუსალიმის ირგვლივ. უნდა დაისაჯოს ეს ქალაქი! სავსეა ძალადობით. როგორც ჭაში გროვდება წყალი, ასე დაგროვდა მასში ბოროტება. ძალადობა და ძარცვა ისმის იქ. სნეულება და ჭრილობებია. ჩემს წინაშე მუდამ ფრთხილად იყავი იერუსალიმო, არ მიგატოვოს ჩემმა სულმა, არ გადაგაქციოთ უდაბნოდ, უკაცრიელ ქვეყნად... რადგან პატარიდან დიდამდე ყველა მომხვეჭელია, წინასწარმეტყველიდან მღვდელამდე ყველა ყალბისმქმნელი. ზერელედ მკურნალობენ ჩემი ერის ჭრილობებს. ამბობენ მშვიდობაა, მშვიდობა! თუმცა არ არის მშვიდობა. განა არ რცხვენიათ, სიბილწეს რომ ჩადიან? არა! სულაც არ რცხვენიათ, ამიტომაც დაეცემიან დაცემულთა შორის, წაიფორხილებენ, როცა დავსჯი მათ, – ამბობს უფალი“ (იერ. 6.6-15).

იერემიას ღვთის სიტყვის განცხადებისათვის სიმართლით შეურაცხყოფილი ბრბო ემუქრებოდა, ცილს სწამებდა და ესწრაფოდა მის დაღუპვას. უკეთური ქცევით დატანჯული წინასწარმეტყველი წყევლიდა თავის დაბადების დღეს, მაგრამ სიმართლის თქმას განაგრძობდა. მან პირდაპირ უთხრა მის დილეგში ჩამგდებ ერთ მღვდელს: „ასე ამბობს უფალი: აჰა, შიშის ზარს დაგცემ შენ და შენს მეგობრებს. დაეცემიან ისინი მტრების მახვილისაგან და შენი თვალით იხილავ ამას. ბაბილონელთა მეფის ხელში ჩავაგდებ მთელს იუდას. გადაასახლებს მათ ბაბილონში და მახვილით ამოსწყვეტს“ (იერ. 20,4).

წინასწარმეტყველის სიტყვისამებრ ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორი გარს შემოადგა იერუსალიმს. იერემიამ განუცხადა იუდეას მეფეს: „...ამბობს უფალი – ჩავაგდებ ციდკიას, იუდას მეფეს და მის მორჩილებს, ხალხს და ყველას... ნაბუქოდონოსორის, ბაბილონის მეფის ხელში...“ (21.7).

მართლაც, აღსრულდა წინასწარმეტყველება. ისრაელიანები ბაბილონში გადაასახლეს, იერემია გოდებდა: „როგორ მარტო დარჩა ქალაქი, ოდესღაც ხალხმრავალი, ზის ქვრივი ქალივით, ხალხთა ქალბატონი და მხარეთა დედოფალი მოხარკე შეიქმნა. ტირის ღამღამობით, ღაწვებზე ცრემლი სდის, არავინ ჰყავს ნუგეშინისმცემელი, ყველამ უღალატა, მტრად გადაეკიდნენ მეგობრები“ (გოდება, I: 1-2). „აღასრულა უფალმა განზრახული, აახდინა თავისი ნათქვამი, რაც ჰქონდა ნაბრძანები ძველთაგანვე, დააქცია და არ შეიბრალა. მტერი გაახარა შენზე, რქა აღუმაღლა შენს დუშმანებს... ყრიან ქუჩის მტვერში ყმაწვილი და მოხუცი, ჩემი ქალწულები

და მოყმეები მახვილით დაეცნენ; დახოცე შენი რისხვის დღეს, დაკალი, არ დაინდე“ (2.17,21).

ნაბუქოდონოსორმა დაატყვევა და გადაასახლა ებრაელი ხალხი, მასვე, როგორც უკვე აღინიშნა, ძველ ისტორიკოსთა ცნობებით, დაულაშქრავს ქართველთა სახელმწიფო, სადღაც სამხრეთში მდებარე, დაუტყვევებია ქართველობა და გადაუსახლებია ჩრდილოეთის ქვეყანაში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ისრაელ დედათა დარად ტიროდნენ ალბათ ქართველი დედებიც, მაგრამ მათი გოდების აღმწერი არავინ იყო, ჩანს, მათ შორის არ ჰყავდა უფალს გამორჩეული ერთგული. ისინი ამ დროისათვის კერპთმსახურნი იყვნენ, ჭეშმარიტი ღმერთი მხოლოდ ექვსასი წლის შემდეგ შეიცნეს ანდრია მოციქულის ქადაგების მეშვეობით.

აქ ორიოდე სიტყვით უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ რჩეულ ერთან, რომელიც აღთქმის დარღვევისათვის სამართლიანად დაისაჯა, უფალმა კვლავ განაახლა თავისი აღთქმა. ბაბილონის ტყვეობა დასრულდა. ებრაელები აღთქმულ მიწაზე დაბრუნდნენ. ქართველები კი, თუკი ვენდობით ძველ ისტორიკოსთა ცნობას მათი სამხრეთიდან ჩრდილოეთში გადასახლების შესახებ, დაფუძდნენ ახალ ქვეყანაში, უწოდეს მას თავისი სახელი საქართველო. თუმცა, სიმონ ჯანაშიას დაკვირვებით, კავკასია ძველთაგანვე სამშობლო იყო ქართველების, ისევე როგორც წინა აზიის ზოგიერთი რეგიონი. ამ დროისათვის მოხდა არა ქართველთა გადასახლება, არამედ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ გადაინაცვლეს მათმა პოლიტიკურმა ცენტრებმა. ესე იგი, სამხრეთიდან ჩრდილოეთით გადასახლდა მხოლოდ პოლიტიკური ელიტა. ყოველ შემთხვევაში თუბალისა და მეშექის ძველი დიდება საუკუნო წარსულად იქცა. მათი ადგილი „იბერმა“ დაიჭირა.

იბერი

ეზეკიელის პირით გამოთქმული წინასწარმეტყველების კითხვისას – „უთხარი, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: აჰა, შენზე ვარ გოგ, როშის, მუშექის და თუბალის მთავარო! გაგაბრუნებ და ყბაში ჩანგალს ამოგდებ... თოგორმას სახლს ჩრდილოეთს კიდეებიდან მთელი თავისი ურდოთი, ურიცხვი ხალხითურთ შენთან ერთად“ – გვახსენდება ს. ჯანაშიას სიტყვები – „უეჭველია, რომ VI-I საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ქართველობამ დიდი ზარალი განიცადა. ამ ხანაში შემცირდა ქართველი ტომების მოსახლეობა და მასთან ერთად ამ ტომებმა თავისი მსოფლიო-ისტორიული პოზიციები დაჰკარგეს“ (ს. ჯანაშია, ტ. V, 1987, გვ. 212).

რაღა დარჩა ერთ დროს პირინეიდან პამირამდე განფენილი (ნ. მარი) ქართველური ეთნოსიდან?

ქრისტეშობამდე რამდენიმე საუკუნით ადრე ქართველური წარმოშობის ხალხები იქცნენ მცირე ტომებად, დაემხო მათი ერთ დროს სახელოვანი სახელმწიფოები. თავიანთი უბედურებისა და გაჭირვების დროს რამდენიმე ნაკადად მოაშურეს კავკასიას, სადაც ეგულებოდათ სახელმწიფოებრივი გაერთიანება მათი მონათესავე ქართული ტომებისა – სახელგანთქმული კოლხეთი. მართალია, კოლხეთის ძლიერების

ხანა (ქრისტეშობამდე IX-VIII სს.) ამ დროისათვის განვლილი იყო, მაგრამ ის მაინც ფეხზე იდგა და ბუნებრივი საზღვრებისაგან დაცულს ძლიერი მტრებიც ნაკლებად ჰყავდა. მომავალი საქართველოსაკენ მოიწევდნენ ტიბარანებად ქცეული თუბალები, მესხებად ქცეული მუშქები, ახლა მცირე ტომებად ქცეული ქალდეველები ანუ ხალიბები, კარდუხები. ჰეროდოტეს თანახმად, წინა აზიაში ამიერკავკასიისკენ ცხოვრობდნენ შემდეგი ტომები – მოსხები, ტიბარანები, მაკრონები, მოსინიკები, კოლხები, ალაროდიელები, სასპეირები. ის ერთ მომენტთან დაკავშირებით წერს – „მოსხებს თავზე ხის მუზარადები ეხურათ. პატარა ფარები და შუბები ჰქონდათ... ლაშქრობდნენ ტიბარანები,მაკრონები და მოსინიკები,რომლებიც მოსხებივით იყვნენ აღჭურვილნი... კოლხებს თავზე ხის მუზარადები ჰქონდათ... ალაროდიელები და სასპეირები კოლხების მსგავსად შეიარაღებულნი ლაშქრობდნენ“ (ჰეროდოტე, ისტორია, II, 434). როგორც ჩანს, ქართული ტომები იმ დროისათვის კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი იყო.

„ვრცელ მიწა-წყალზე მცირე აზიასა, სამხრეთ ევროპასა და ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროზე მცხოვრები ქართული გვარტომობის ხალხები“ (ს. ჯანაშია) აღნიშნული დროისათვის კავკასიაში შეყუჟულ ტომებად იყვნენ ქცეულნი, მაგრამ უფალ ღმერთს ისინი არ დაუვიწყებია. მისცა ძალა, რათა ჩამოეყალიბებინათ ერთიანი „ქართლის სამეფოდ“ ცნობილი სახელმწიფო. შეჰკრა ისინი ერთიან ერად და იმის შემდეგ, რაც დედამიწაზე მოსული ძე ღვთისა, ჭეშმარიტი ღმერთი ამაღლდა, ეჩვენა დედა ღვთისას და უთხრა ქართველი ერის შესახებ: – „ჰოი, დედაო ჩემო, არა უგულებელ ვყო ერი იგი საზეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის („ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 38) უფლის რჩეულ ერად იქცა, ყველა ქრისტემოყვარე ერის მსგავსად.

ამ სიყვარულის ნიშნად პირველ საუკუნეშივე ჩვენმა ერმა მიიღო ზეცით ქსოვილი კვართი უფლისა, ერთიანი, მთლიანი და დაუნაწევრებელი, ნიშნად იმისა რომ „საზეპურო ერი“ მის წიაღში შენახულ კვართის მსგავსად სამარადჟამოდ, მის მეორედ მოსვლამდე, ერთიანი, მთლიანი და დაუნაწევრებელი უნდა დარჩენილიყო, თუკი ქრისტიანობას დაიცავდა. უფალმა ათეულ ტომებად ქცეული ქართული ეთნოსი ქრისტეშობამდე 3-4 საუკუნით ადრე ერთიან ერად აქცია ეროვნული სახელმწიფოს დაარსებით. ერთიან ქართულ სახელმწიფოს „ქართლის სამეფოს“, ხოლო უცხოელები იბერიას უწოდებდნენ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანახმად, მისი დასავლეთი საზღვარი ეგრისწყალზე გადიოდა, ასე რომ, ის მოიცავდა აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს. ამ სახელმწიფოს ხალხი ერთიან ერად შეკავშირდა და მას „ქართველნი“ ეწოდებოდათ. აქვე ისიც უნდა ითქვას, ერთიანი ქართული სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ, სამხრეთში აღმოჩნდნენ მრავალრიცხოვანი ქართული ტომები. ქართული ტომები აგრეთვე ცხოვრობდნენ ეგრისწყალთან გამავალი საზღვრის გადაღმაც და ასევე აღმოსავლეთით – ალბანეთის მიმართულებით.

როგორც ითქვა, განსაკუთრებით მრავალი ქართული ტომი აღმოჩნდა ქართული სახელმწიფოს გარეთ – შავი ზღვის სანაპირო მხარეში, რომელსაც ქალდეას, ანდა ჭანეთს უწოდებდნენ.

აღსანიშნავია, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაარსებამ მეფე ფარნავაზის ეპოქაში, ფაქტობრივად გამოიწვია ქართული ეთნოსის ორად გაყოფა, კერძოდ, ერთი ნაწილი აღმოჩნდა თავის ეროვნულ სახელმწიფოში, ხოლო მეორე ნაწილი სამხრეთ-დასავლეთით აღმოჩნდა სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში. ამ მდგომარეობამ ხელი შეუწყო საერთო ქართული ენის დიფერენციაცია-დანაწევრების გაღრმავებას. ამის მიზეზი იყო ის, რომ ჯერ კიდევ ფარნავაზის სახელმწიფოს შექმნამდე საუკუნეებით ადრე კოლხური კულტურა მოიცავდა არა მარტო დასავლეთ საქართველოს, არამედ აღმოსავლეთის უმეტეს ნაწილს. კოლხური კულტურის არეალზე კი, როგორც მიიჩნევა, გავრცელებული იყო ფუძე ქართული ენის დიფერენციაციის შედეგად მიღებული, ჯერ კიდევ გაუყოფელი ე.წ. ზან-ქართული ენა.

ძველი კოლხეთი მხოლოდ დასავლეთ საქართველოს არ მოიცავდა, მასში აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილი შედიოდა. კოლხეთი კავკასიაში ქართული ტომების გამართიანებელი იყო. ჰეროდოტეს აღწერიდანაც ჩანს, რომ სამხრეთ კავკასიურ სამყაროში ორ ქართულ ტომს აქვს ჰეგემონობა თავის თავზე აღებული, კოლხებსა და მოსხებს. კერძოდ, ლაშქრობისას (ანუ პოლიტიკური მოღვაწეობისას) მოსხებთან ერთად მოლაშქრე ტიბარანები, მაკრონები და მოსინიკები მოსხებივით არიან აღჭურვილნი, ხოლო კოლხებთან ერთად მყოფი ალაროდიელები და სასპეირები კოლხებივით შეიარაღებულნი. მოსხები და კოლხები კი წარმმართველებად ჩანან. მაგრამ მოსხებს ქრისტეშობამდე VI საუკუნეში მცხოვრები ბერძენი ავტორი ჰეკატოს მილეტელი „კოლხურ ტომად“ მიიჩნევს, ანუ მესხები და კოლხები ერთი ხალხია, ზოგადი სახელია კოლხი, მაშასადამე, კოლხეთი, კოლხური კულტურა და ყოველივე, რაც ძველ კოლხეთთანაა დაკავშირებული, არის არა დასავლეთ საქართველოს ლოკალური კულტურა, არამედ ზოგად-ქართული ეთნოსისა, ყველა ქართველური ტომისა, ეს შეეხება ენასაც. ძველ-კოლხური ენა უნდა იყოს იმ დროისათვის სუსტად დიფერენცირებული ფუძე ქართულიდან გამოყოფილი, ე.წ. ზან-ქართული (ჯერ კიდევ დაუშლელი) ენა.

გ. მელიქიშვილი წერს – „მოსხებს ძვ.წ.აღ-ის VI ს-ის ბერძენი ავტორი ჰეკატოს მილეტელი „კოლხურ ტომს“ ეძახის. თუ გავითვალისწინებთ, რომ მესხური ელემენტი მუდამ ქართების ელემენტს ემთხვევა, „კოლხურს“ აქ დასავლურქართულის მნიშვნელობას ვერ მივანიჭებთ, რადგან, როგორც ითქვა, ძველი ლეგენდარული კოლხეთის არსებობის ხანაში (ძვ.წ.აღ-ის I ათასწლეულის პირველი საუკუნეები) კოლხეთი ჯერ კიდევ სუსტად დიფერენცირებულ ქართველურ ეთნიკურ ჯგუფს მოიცავდა. ამ დროს მეგრელ-ჭანებსა და ქართებს შორის ენობრივი განსხვავება, ყოველ შემთხვევაში ჯერ არ უნდა ყოფილიყო. ამიტომაც „კოლხი“ სახელი ამ უძველეს ხანაში საერთო ქართველური, თუ ქართი-ზანური (მეგრულ-ჭანური) ელემენტის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. იონიელი ბერძნები ქართველ ტომებს ჯერ კიდევ ქართულ-ზანური ერთობის არსებობის „კოლხურ“ ხანაში გაეცნენ და „კოლხი“ სახელსაც, უნდა ვიფიქროთ, ამ ერთობის აღსანიშნავად ხმარობდნენ. ამიტომაც მოსხების „კოლხურ ტომად“ მოხსენიება ჰეკატოს მილეტელთან, საერთოდ, მათ ქართველობაზე მიუთითებს და მეგრულ-ჭანურ წარმომავლობაზე არაფერს ლაპარაკობს“ (საქ. ისტ. ნარკვ, I, გვ. 395).

ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირების ეპოქა, რომელიც, ცხადია, რამდენადმე წინ უსწრებდა ფარნავაზის ხანას (IV-III სს. ქრისტეშობამდე) ხასიათდებოდა დიდი ცვლილებებით... კერძოდ, ამ დროს VIII-VI საუკუნეებში კოლხური კულტურის არეალში სამხრეთიდან შემოვიდნენ სხვადასხვა ქართველური ტომები, რაც გამოიწვევდა ძვრებს, მნიშვნელოვან გადანაცვლებებს.

როგორც აღნიშნული იყო, ამ დროის ქართველური ჯგუფის ძირითადი კულტურა სწორედ „კოლხური კულტურა" უნდა ყოფილიყო (იხ. იქვე, გვ. 431). „აკად. ბ. კუფტინის აზრით, „კოლხური კულტურის" გავრცელების საზღვარი თავდაპირველად მცხეთამდე აღწევდა. დღევანდელი სამხრეთ ოსეთის მოსახლეობაც გვიანი ბრინჯაოს ხანაში მჭიდროდ უკავშირდებოდა „კოლხური კულტურის" ზონის მოსახლეობას... აკად. ს. ჯანაშია ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ქართლი, კერძოდ, ისტორიული შიდა ქართლი, ის ტერიტორია უნდა იყოს, სადაც გვიან ბრინჯაოს ხანაში ხდებოდა აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა გავრცელების საზღვრების ურთიერთკვეთა" (იქვე, გვ. 432).

კოლხური კულტურის არეალი ვრცელდებოდა არათუ თანამედროვე საქართველოს უმეტეს ნაწილზე, არამედ ჩრდილო კავკასიაშიც და ვრცლად სამხრეთის მიმართულებითაც – „ასეთია, მაგალითად, უპირველეს ყოვლისა ჩრდილო ოსეთი და ყაბარდო-ბალყარეთი მთავარი ქედის მიღმა, აღმოსავლეთ საქართველოს ვრცელი ზოლი მდინარე მტკვრის ჩრდილოეთით, მესხეთიდან ვიდრე არაგვის ხეობამდე. ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ჭოროხის აუზი და უფრო დასავლეთით შავი ზღვის სანაპირო, ყოველ შემთხვევაში ქალაქ ორდუმდე მაინც. აღარაფერს ვამბობთ ჩვენთვის საინტერესო ტიპის ცალკეულ ნივთებზე, რომლებიც აღმოჩენილია სომხეთის ტერიტორიაზე (ახტალა-ლალვარის მიდამოები, გოლოვინო, პარკარი, ლენინაკანი) და ურმიის ტბის რაიონში" (იქვე, გვ. 255).

თანამედროვე ჩრდილოეთ სომხეთი, ყოველ შემთხვევაში ბამბაკის მთის ჩრდილოეთით მტკვრის აუზში მოქცეული ტერიტორია, ისტორიულად, ათასწლეულთა მანძილზე საქართველოში შემავალ მიწა-წყლად, სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარედ მიიჩნეოდა, ამიტომაც აქ კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთების აღმოჩენა უნდა ჩავთვალოთ მტკვრის სამხრეთით კოლხური კულტურის გავლენის გავრცელებად. როგორც ჩანს, კოლხური კულტურა ვრცელდებოდა ჭოროხისა და საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ მტკვრის აუზებში, ასევე დასავლეთ საქართველოში. სად მდებარეობდა ცენტრი, ბუდე კოლხური კულტურისა? – მიჩნეულია, რომ ის მდებარეობდა დასავლეთ საქართველოში. „როგორც არაერთ მკვლევარს აღუნიშნავს, თვით დასავლეთ საქართველო ამ კულტურის ძირითადი ბუდე უნდა იყოს" (იქვე, გვ. 256), მაგრამ რატომ არ შეიძლება ეს ბუდე აღმოსავლეთ საქართველოში ყოფილიყო, ვთქვათ მტკვრის ხეობაში (ისტორიულ დიაოხთან, შემდეგდროინდელ ტაოსთან, კლარჯეთთან), ანდა ჭოროხის ხეობაში, სადაც ზოგიერთი მკვლევარი მეტალურგიის ცენტრების არსებობას ვარაუდობს? საფიქრელია, რომ ბუდე კოლხური კულტურისა მდებარეობდა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, ის ერთიანი კულტურაა და არა ლოკალური რომელიმე

კუთხისა. მართალია, ჯერჯერობით უცნობია, ვრცელდებოდა თუ არა კოლხური კულტურა მცხეთის აღმოსავლეთით, მაგრამ, ძველქართულ წყაროთა თანახმად, აღნიშნული მიმართულებით ტერიტორიები დასახლებული იყო ქართული ტომებით (ქართლის ცხოვრებაში ასახულია, რომ აქ სახლობდნენ ქართლოსის უშუალო შთამომავალნი). კოლხური კულტურის ამ არეალში გაუვრცელებლობის შესახებ კი უნდა გავიმეოროთ გ. მელიქიშვილის ნათქვამი: „რა თქმა უნდა, სავალდებულო არ არის, რომ მატერიალური კულტურის ესა თუ ის არე ზუსტად ემთხვეოდეს ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის გავრცელების საზღვრებს“, (იქვე, გვ. 432).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად უნდა დავეთანხმოთ გ. მელიქიშვილს – ქრისტეშობამდე პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში სახელი „კოლხი“ საერთო ქართველური, ანუ ზან-ქართული (ქართ-ზანური) ელემენტის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. სახელი „კოლხი“ სუსტად დიფერენცირებულ ქართულ ეთნიკურ ერთობას მოიცავდა (ამიტომაც უწოდებდნენ „მოსხებს“ – კოლხებს).

როგორც აღნიშნული იყო, ქრისტეშობამდე VIII საუკუნის შემდგომ კოლხური კულტურის არეალში დიდი ცვლილებები მოხდა, ჩრდილოეთიდან შემოიჭრნენ კიმერიელები, მათ დაარბიეს კოლხეთი, ხოლო სამხრეთიდან თანდათან შემოსულა სხვადასხვა ქართული ტომები. ეს ქართული ტომები ერთ დროს წარმოადგენდნენ ცნობილ ხალხებს თავიანთი სახელმწიფოებით, მათ გააჩნდათ დიდი პოლიტიკური კულტურა, ამიტომაც შემოსვლის შემდგომ საკმაოდ მალე მოახდინეს დამხვედრი ტომების კონსოლიდაცია და ჩამოაყალიბეს „ქართლის სამეფო“ – ახალი ქართული სახელმწიფო. ს. ჯანაშიას თანახმად, სამხრეთით მდებარე ქართული სახელმწიფოების გაქრობის შემდეგ პოლიტიკურმა ცენტრებმა ჩრდილოეთით, დღევანდელი საქართველოს მიწა-წყალზე გადმოინაცვლა. ამას, როგორც აღინიშნა, ხელი შეუწყო ძველი კოლხური სამეფოს განადგურებამ კიმერიელთა მიერ. ამ შემოსევის შემდგომ, როგორც ფიქრობენ, კოლხეთის (ამ შემთხვევაში დასავლეთ საქართველოს) მოსახლეობის ნაწილი მომხდურებთან ბრძოლაში გამწყდარა, გადარჩენილებს მეზობელ კუთხეებში შეუფარებიათ თავი.

სამხრეთიდან ჩრდილოეთით ქართული ტომების შემოსვლას, ანუ პოლიტიკური ცენტრების გადმონაცვლებას გარკვეულად გამოუცოცხლებია ძველი კოლხეთი. სამეფოც ჩამოყალიბდა, საქმე ის იყო, რომ კოლხები და შემოსული ტომები, როგორც აღინიშნა, ერთი ეთნოსი, ერთი წარმოშობის ხალხი იყო. ასე, მაგალითად, ს. ჯანაშია ფიქრობდა, რომ კოლხური ბრინჯაოს კულტურა შეიძლებოდა თუბალების (თობელის) კულტურა ყოფილიყო.

ს. ჯანაშია ბიბლიაში ნახსენებ იაფეტის ძე თუბალს და კაენის შთამომავლებს – თუბალ-კაენს, იაბელს, იუბალს ასე აკავშირებდა კოლხებთან (და იბერებთან): „ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ ბიბლიის ორი სხვადასხვაგვარი ცნობის შეთანხმება ძნელი არ უნდა იყოს. ის გარემოება, რომ ერთ შემთხვევაში თუბალი მარტოა დასახელებული, ხოლო მეორე შემთხვევაში მას ძმებიც ჰყავს – ᲘᲐᲑᲐᲚᲘ და ᲘᲣᲑᲐᲚᲘ, ჩვენი აზრით იმ გარემოებას მოწმობს, რომ პირველად ხალხი მთლიანი სახითაა წარმოდგენილი, მეორედ კი – თავისი მთავარი ტომების სახით. ადვილად

აიხსნება თუბალის ორი სახელიც – თუბალ-კაენი და თობელი: „კაინ“ „კენი“ აქ ეპითეტია, რომელიც, სათანადო სემიტური ძირის საშუალებით „მჭედელს“ აღნიშნავს, თუბალი ხომ უპირატესად მჭედელი და მეტალურგია, შესაძლებელია ისიც (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი), რომ აქ გვქონდეს სათანადო სატომო სახელის გააზრებაც („კაენებს“, როგორც ვნახეთ, იხსენიებს პლინიუსი და შემდეგში ცნობილნი არიან ჭანნი – ოკაენიტებიც). დაბადების მეოთხე თავის ცნობაში საყურადღებოა ფუძის ახალი ფორმები, რომლებიც ჩვენ წინათ არ შეგვხვედრია – თავკიდური თ//ტ-ს ნაცვლად – ჲ. ეს, უეჭველია, ახალი საფეხურია ამ სახელის განვითარებაში. ამ ცნობით მოცემული შესატყვისობანი: თ//ტ – ჰ//ჲ-0 საფუძველს აძლევენ ივ. ჯავახიშვილის და ი. ყიფშიძეს თუბალ-თაბალი და იბერი, შუალედი რგოლებით, ერთმანეთს დაუკავშირონ. პროფ. ივ. ჯავახიშვილი ამასთანავე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ტაბალ – ქართების გამოთქმაა, ტუბალ – ტობალ – მეგრულ-ჭანური, ხოლო ტიბარ სვანურ გამოთქმას უახლოვდებაო. საკმარისია მოვიგონოთ ასურული ცნობა ტაბალების 24 სამეფოს არსებობის შესახებ, რომ პარალელური ფორმების ასეთი სიმდიდრე სავსებით ბუნებრივად მივიჩნიოთ და სხვა დაკარგული ფორმებიც ვივარაუდოთ. დასასრულ, მოვიგონოთ, როგორ ახასიათებს ამ ქართველურ მოძმე ტომებს „შესაქმეთა წიგნის“ ავტორი. თობელის, ანუ თუბალ-კაენის შესახებ აქ ნათქვამია: „ესე იყო კვერით ხუროჲ, მჭედელი რვალისა და რკინისა“ (IV, 22). თუ ამას დავუკავშირებთ თანამედროვე არქეოლოგის მიერ დადგენილ ფაქტს, რომ ბრინჯაოს შესანიშნავი კულტურა, რომელსაც წინათ ყობანის კულტურას ეძახდნენ, ნამდვილად კოლხეთის კულტურაა, რომ ამ კულტურის აყვავების ხანა სწორედ თაბალ-თუბალის ეპოქაზე მოდის, რომ კოლხური ბრინჯაოს კულტურა, უახლესი აღმოჩენებით ვრცელდება შორს სამხრეთით მცირე აზიისაკენ (ვგულისხმობთ ართვინისა და ორდუს განძებს), მაშინ ბუნებრივად შეიძლება დავსვათ საკითხი: ხომ არ არის კოლხური ბრინჯაოს კულტურა ნამდვილად თუბალების, ანუ თუბალ-კაინების კულტურა?“ (ს. ჯანაშია, III, 1959, გვ. 71-73).

ასე აკავშირებდა ს. ჯანაშია თუბალს კოლხთან და იბერთან, ხოლო მესხებს კოლხებთან ქრისტეშობამდეც აკავშირებდნენ.

ანთროპოლოგიურად აღნიშნულ ხანაში მთელი კავკასიის მოსახლეობა ერთგვაროვანი ყოფილა. მ. აბდუშელიშვილი წერს – „ამრიგად, მთელი კავკასიის ბრინჯაოს ხანის მოსახლეობა ეკუთვნოდა ერთ ანთროპოლოგიურ ტიპს, რომელიც ზოგად რასობრივ სისტემატიკაში სამხრეთ-ევროპეიდული რასის ხმელთაშუაზღვისპირული ტიპის სახელით არის ცნობილი. საქართველოს გვიან ბრინჯაოს და შემდგომ რკინის ფართო ათვისების პერიოდის მოსახლეობა ანთროპოლოგიური თვალსაზრისით ტიპობრივად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. რაც გამორიცხავს რაიმე ახალი, ადგილობრივისაგან განსხვავებული ელემენტების შემოსვლას საკვლევ ტერიტორიაზე დროის აღნიშნულ მონაკვეთში“ („ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური ისტორია“).

ანთროპოლოგიური, კულტურული, ენობრივი და სხვა მსგავსი ერთობა უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ ქრისტეშობამდე VI საუკუნეში აღორძინებულ კოლხ-

ეთის სამეფოში, რომელიც ამჯერად მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა, განფენილი იყო სამხრეთიდან შემოსულად მიჩნეული ე.წ. მესხური ტომები. დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი პროვინციები და ასევე რიონის სამხრეთითაც მოქცეული მიწა-წყალი, ძველთაგანვე მსგავსი ელემენტებით ჩანს დასახლებული. „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე შემოღწეული მცირეაზიელი მუშქები (მესხები), ჩანს, აქტიურ როლს ასრულებდნენ ამ მხარის პოლიტიკურ ცხოვრებაში... შემდეგში აქედან კიდევ უფრო ჩრდილოეთით გავრცელდნენ. მესხური სამოსახლონი უნდა გაჩენილიყო როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში... დამახასიათებელია, რომ მცირეაზიული წარმოშობის სახელწოდებები უმკვიდრდება არა მარტო შიდა ქართლის მიწა-წყალზე აღმოცენებულ ციხე-ქალაქებს, არამედ დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში წარმოშობილ ზოგ ამგვარ ცენტრსაც... მცირეაზიული ელემენტის პოლიტიკური ჰეგემონობა ვრცელდება მესხეთს, შიდა ქართლსა და სხვათა შორის, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილზეც. ეს ის ტერიტორიებია, სადაც მიმდინარეობდა ადგილობრივი ქართის და მცირე აზიიდან შემოღწეული მესხური ელემენტის წიაღში აღმოსავლურ ქართული (ქართლის, იბერიის) სახელმწიფოს ჩამოყალიბება“ (საქ. ისტ. ნარკვ, I, გვ. 397).

უნდა ვიფიქროთ, რომ კოლხეთის სამეფოს (VI-IV სს.) წიაღშივე საფუძველი ეყრებოდა ახალ ერთიან ქართლის სახელმწიფოს, ფარნავაზის მიერ დაარსებულს. ამას უნდა მიუთითებდეს, წყაროთა ჩვენება იმის შესახებ, რომ ფარნავაზის წინამორბედი (სამეფო ტახტზე) აზონი არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ დასავლეთ საქართველოსაც მართავდა. ქრისტეშობამდე VI საუკუნეში სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (ისტორიული კოლხეთის სამხრეთ რაიონებში) მცხოვრები მოსახლეობა სპარსელებმა დაიმორჩილეს. ამ ადგილებში 401 წელს გაიარა ქსენოფონტემ. მისი აღწერით, ადგილობრივი ტომები უკვე განვითარებულნი იყვნენ. კარდუხები, ხალიბები, ხალდები, მაკრონები, კოლხები, მოსინიკები, კოიტები და ტიბარენები არ ემორჩილებოდნენ სპარსეთს. აღსანიშნავია, რომ ის „კოლხებს“ უწოდებს არა რიონის ხეობაში მცხოვრებ მოსახლეობას, არამედ ტრაპეზუნტის მიდამოებში მცხოვრებთ. დაახლოებით ამ დროს (რამდენადმე გვიანდელ პერიოდს) ეხება ქართული წყარო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომლის თანახმადაც, სამხრეთში – წინა აზიაში მცხოვრები ქართველების ელიტა „არიან-ქართლის“ მეფე აზოვემ გადმოასახლა და განასახლა სრულიად საქართველოში, მათ შორის რიონისა და ენგურის ხეობებშიც, ვიდრე ეგრის წყლამდე. თუ ეს წყარო სწორია, მაშინ როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ყოველ კუთხეში აქამდე კოლხური კულტურის არეალში მცხოვრებ ქართველობას შერევია სამხრეთიდან გადმოსახლებული ქართველობა და შემდეგდროინდელი ქართული ტომები თანაბარი ხარისხით მათი მემკვიდრენი არიან. თუმცა, როგორც აღნიშნული წყაროდან ჩანს, უნდა ვივარაუდოთ, რომ „არიან-ქართლის“ მეფემ სრულიად საქართველოში განასახლა არა რაიმე მნიშვნელოვანი რაოდენობით მოსახლეობა, ამ სიტყვის სრული გაგებით, არამედ მხოლოდ მმართველი ზედა ფენა, აზნაურ-

თავისუფალი მცირერიცხოვანი მმართველი ზედა ფენა. პავლე ინგოროყვას მიერ აღდგენილი თხზულების ტექსტში იკითხება ქართველთა გადმოსახლების შესახებ – „ხოლო ესე აზოდ წარვიდა „არიან-ქართლად“ მამისა თვისისა და წარმოიყვანა ათასი სახლი მდაბიოდ უფლისად და ათნი სახლი მამამძუძეთანი“ (პ. ინგოროყვა, ტ. 4, გვ. 515, 1978 წ.). აქ „მამამძუძე ნიშნავს მთავარს, ასევე უნდა ვიფიქროთ, რომ „მდაბიოდ უფლისად“ უფალთან, ანუ მეფესთან დაახლოებულ პირებს ეწოდებათ, არსენი ბერი შესაბამის ტექსტში გადმოსცემს, რომ აზომ არიან ქართლიდან მოიყვანა ათასი სახლი „მდაბიოდ უფლისად“ და ათი სახლი „მთავართაგან“. სულ მოყვანილია ათას ათი სახლი. „მოქცევად ქართლისადს“ მიაჩნია, რომ აღნიშნული მოსახლეობის შთამომავალნი არიან ქართველები, რომ მათ მალევე შექმნეს სახელმწიფო, მაგრამ შეუძლებელია ათას ათ ოჯახს შეექმნა უზარმაზარი, ზღვიდან ალბანეთამდე გადაჭიმული სახელმწიფო, ცხადია, ათას ათი სახლი წარმოადგენდა ზედა ფენას, ანუ სახელმწიფოს დვრიტას, მმართველ აპარატს, წყობილების ხერხემალს. ეს არის სწორედ ის, რაზედაც მიუთითებდა სიმონ ჯანაშია. მისი თეორიის თანახმად, მოხდა არა მოსახლეობის მასიური გადასახლება, არამედ ქართული პოლიტიკური ცენტრების გადანაცვლება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ანუ იქამდე კოლხური კულტურის არეალში მცხოვრები ქართველობა აახლებს თავის სახელმწიფოებრივ წყობილებას. უფრო მაღალი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციისა და კულტურის მქონე სამხრეთული ქართული ზედაფენის მეოხებით მათ ჩამოაყალიბეს „ქართლის სამეფო“ (ანუ იბერიისა), აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს გამაერთიანებელი სახელმწიფო. სწორედ ზედა ფენა რომ მოვიდა, ამის ანარეკლი ჩანს „ქართლის ცხოვრებაშიც“. ამ თხზულების მიხედვით აზო – დამპყრობელია, მაკედონელი, რომელსაც ჰყავს „ასი ათასი რომაელი“, რომლის ძალითაც ხელისუფლება აქვს დამყარებული ქართველობაზე. „მოქცევადს“ მიხედვით, როგორც ვიცით, აზოს თან მოჰყვა „ათასი სახლი მდაბიო“, – „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით კი „ასი ათასი“ რომაელი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ თავის მხრივ „სახლიც“ თავის ქვეშ გულისხმობს შეიარაღებული მებრძოლების (ანუ ბრძოლისუნარიანი მამაკაცების) – არამცირე რაოდენობას. თუ გვიან საუკუნეებშიც კი „კომლში“ 20-მდე მამაკაცს გულისხმობდნენ, ქრისტეშობამდე, როცა ოჯახები გაუყოფელნი იყვნენ, „სახლში“ უთუოდ დიდი რაოდენობის მამაკაცები უნდა იგულისხმებოდეს. თუ მოცემულ რიცხვებს „ასი ათასი“ და „ათას სახლს“ ერთმანეთს შევადარებთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ერთ „სახლს“ ასამდე შეიარაღებული მამაკაცის გამოყვანა შეეძლო. სად დაასახლა აზომ შემოყვანილი მოსახლეობა, ანუ რომელ ქვეყანას ჩაუყარა მან საფუძველი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით – „იგი იმორჩილებს ქართლთან ერთად ჰერეთს და, ამრიგად, ავრცელებს თავის ხელისუფლებას მდინარე ბერდუჯიდან (დღევანდელი დებედა) ვიდრე „სპერის ზღვამდე (ე.ი. შავ ზღვამდე), იპყრობს აგრეთვე დასავლეთ საქართველოს (ეგრისს), ხარკს ადებს ოსებს, ლეკებს და ხაზარებს“ (ნარკვ. გვ. 438). „მოქცევადს“ მიხედვით, აზო შემოიყვანა ალექსანდრე მაკედონელმა. აი, როგორ საზღვრებში მოაქცია მისი

ქვეყანა – „და თანა ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზო, ძეჲ არიან ქართლისა მეფისა და მას მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრის წყალი და სომხითი და მთა ცროლისა და წარვიდა“ (ძვ. ქართ. აგ. ლიტ. ძეგლ. ტ. I, 1964, გვ. 81).

ამ წყაროს თანახმადაც, აზო – დასავლეთ საქართველოს სრული მპყრობელია, ვიდრე ეგრისწყლამდე, მაშასადამე, მას თავისი „ათასი სახლი“ მდებიონი, ხოლო, ჩვენი აზრით, თავისი საყრდენი ხელისუფალნი, უნდა გაენაწილებინა მთელ სამართავ ტერიტორიაზე, როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში. ცხადია, მოხდებოდა დამხვდურებისა და მომსვლელების შერწყმა, ამიტომაც შემდგომი დროის მემატიანენი თავიანთ თავს (ე.ი.ქართველობას) თვლიდნენ – „არიან ქართლიდან“ მოსული ქართველობის მემკვიდრეებად.

სწრაფად ურთიერთშერწყმას ხელი ალბათ იმანაც შეუწყო, რომ მომსვლელნიც და დამხვდურნიც ერთი ეთნოსისანი, ერთი წარმოშობისანი იყვნენ. „წმიდა ნინოს ცხოვრების“ ზემოხსენებულ არსენ ბერისეულ ვარიანტში ნათქვამია, რომ ჩვენ, ქართველები ამ არიან-ქართლიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები ვართო. იგივეა ნათქვამი „მოქცევაჲს“ უფრო ძველ, შატბერდისეულ ხელნაწერში. არმაზის მთაზე მდგომი გაცისა და გას კერპების აღწერისას ნინო ამბობს, რომ ისინი იყვნენ თქვენი (ქართველთა) „არიან-ქართლელი“ მამების (ე.ი. წინაპრების) ღმერთები. მეფე მირიანი, მიმართავს რა ნინოს, ამავე გაცისა და გას ეძახის „ჩვენი მამების (წინაპრების) ძველ ღმერთებს“ (ნარკვ. გვ. 438).

ყოველივე ზემოაღნიშნულით ჩვენ იმის თქმა გვსურს, რომ ფარნავაზის მიერ შექმნილი სახელმწიფოს მდგრადობა გამოწვეული იყო მოსახლეობის ერთგვაროვნებით, თუმცა კი, ერთი შეხედვით, სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით ეგრისწყლიდან და შავი ზღვიდან სომხეთ-ალბანეთამდე არსებობდა ტომთა სიჭრელე, მაგრამ სახელმწიფომ ეს ტომები შეკრა, ერად აქცია, ამიტომაც, ჩვენი მატიანეები ათასწლეულთა მანძილზე ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ჩვენი სახელმწიფოს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრებ მოსახლეობას ქართველებს უწოდებდნენ, უცხოელები კი იბერებს. სხვადასხვა ქართული ტომების ერთიან ხალხად გადაქცევას ხელი უთუოდ იმანაც შეუწყო, რომ სახელმწიფოს ჩამოყალიბების დროს ქართული ფუძე-ენის დაშლის ხარისხი დიდი არ იყო. ტომების ენები ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, ე.წ. ქართებისა, ზანებისა და სვანების ენები, ცხადია, ამ ორიათას ხუთასი წლის წინ ერთმანეთის მიმართ დიალექტებს წარმოადგენდნენ. ისინი დამოუკიდებელ ენებად ჩამოყალიბდნენ შემდგომ, საფიქრებელია მას შემდეგ, რაც ფარნავაზის მიერ შექმნილი სახელმწიფო დაიშალა (იგულისხმება ვახტანგ გორგასლის შვილთა დროს). ქრისტეშობამდე IV საუკუნეში, ჯერ კიდევ ფარნავაზის სახელმწიფოს წარმოშობამდე, პირველად იქნა მოხსენებული იბერთა სახელი უცხოურ მწერლობაში. როგორც ჩანს, ქართველები იბერთა სახელწოდებით პირველად მოიხსენიეს პლატონმა და არისტოტელემ. ს.ჯანაშია წერს – „პლატონი თავის „კანონებში“, იხსენიებს „იბერებს“ იმ „მეომარ ხალხთა“ შორის, რომელნიც სვამენ უწყლო ღვინოს. არისტოტელე კი ამბობს – „იბერების“ მეომარი ხალხი

საფლავის გარშემო იმდენ სარს არჭობენ ხოლმე, რამდენი მტერიც მოკლული ჰყავს მიცვალებულსო“. საფიქრებელია, რომ აქ ქართველები იგულისხმებიან, მაგრამ გადაჭრით ამის თქმისათვის დამატებითი მასალაა საჭირო“ (ს.ჯანაშია, ტ. III, გვ. 48).

ორიოდე საუკუნით ადრე ჰეროდოტესთვის უცნობი იყო ეს სიტყვა – იბერი, როგორც ჩანს, ის სხვაგვარად გამოითქმოდა იმ დროს, – სასპერებად. ჰეროდოტე ერთი მოდგმის სასპერებსა და კოლხებს იხსენიებს ასევე ერთი მოდგმის სპარსელებსა და მიდიელებთან ერთად. ეს უკანასკნელნიც შემდგომ ერთ ხალხად იქცნენ. სწორედ აღნიშნული ორი მოდგმის ხალხი – სპარსული (სპარსელ-მიდიელნი) და ქართული (კოლხ-სასპერები) ცხოვრობდნენ უზარმაზარ ტერიტორიაზე – სპარსეთის ყურესა (წითელი ზღვა) და შავ ზღვას შორის. – „სპარსები ცხოვრობენ სამხრეთის ზღვამდე, რომელიც „წითლად“ იწოდებოდა. მათ ზემოთ ჩრდილოეთისაკენ ცხოვრობენ მიდიელები, მიდიელების ზემოთ – სასპერები, სასპერების ზემოთ – კოლხები, ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდინარე ფაზისი. ეს ოთხი ხალხი ცხოვრობს ზღვიდან ზღვამდე“.

სასპერებს, როგორც ჩანს, ფაქტობრივად ეჭირათ ადგილი ურარტუელებისა, რომელთა პოლიტიკური ცენტრები VI საუკუნისათვის უკვე განადგურებული იყო მიდიელთა და სკვითთა მიერ, თუმცა, როგორც ჩანს, სასპერები ჩრდილოეთის (მომავალი აღმოსავლეთ იბერიის) ტერიტორიასაც მოიცავდნენ. ჩრდილოეთის აღნიშნული ტერიტორიები, თავის დროზე ნაწილობრივ კოლხური კულტურის არეალში შედიოდნენ. აქ უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ შემდგომი დროის ავტორთა თანახმად, იბერიელები მდინარე არაქსამდე ცხოვრობდნენ. სასპერების შევიწროება არმენიელთა ტომების შემოსვლამ გამოიწვია ყოფილი ურარტუს ტერიტორიაზე.

ს. ჯანაშიას სახელი „იბერი“ გამოჰყავდა ტერმინებიდან – სუბარ-სასპერი-სპერ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მას უკავშირებდა ბიბლიის თუბალსა და თობელს.

„ჩვენთვის საინტერესო სატომო სახელის ფუძის, ზემოთ, დოკუმენტურად, დამოწმებული თუ კანონზომიერად აღდგენილი ვარიანტები – ტიბარ, ტაბერ, ტაბარ, ტიბერ, ჰიბერ, იბერ და ამ სახელწოდებათა მატარებელი ტომების გავრცელების არე, განსაკუთრებით მცირე აზიის შინაგანი ოლქები, აუცილებლობით და სავსებით დამარწმუნებლად უკავშირდება, ერთი მხრით, „დაბადების“ თუბალსა და თობელს, მეორე მხრივ, ასურული წარწერების ტაბალს (როგორც ჩვეულებრივ სწერენ) ანუ თაბალს. „დაბადების“ ფაქტები, უკვე დიდი ხანია, რაც სპეციალურ განმარტების საგნად იქცა. ჯერ კიდევ ცნობილი სწავლული ებრაელი იოსებ ფლაბიოსი (I ს., ახ.წ.აღ-ით) ამტკიცებდა, რომ იაფეტის შვილის თუბალ-თობელის შთამომავალნი მის დროს იბერებად იწოდებოდნენ... შემდგომში ფლაბიოსს ხშირად იმეორებდნენ ძველი მწერლები, განსაკუთრებით, ბიბლიურ გენეალოგიათა განმმარტებელნი, მაგრამ ახალმა მეცნიერებამაც ეს დებულება თითქმის უყოყმანოდ მიიღო“ (ს.ჯანაშია, III, გვ. 63).

დავამატებთ, რომ „თუბალს“ და მისგან ნაწარმოებ „ტიბარენის“ უკავშირებენ კოლხებსაც და ლაზებსაც. ამით კიდევ ერთხელ ხაზი ესმება კოლხებისა და

იბერების ერთ ეთნიკურ მთლიანობას – „სტრაბონით, ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში მთელი მხარე კოლხეთის დასავლეთით მდ. ღალისის შესართავამდე იწოდებოდა ტიბარანიად და დასახლებული იყო ტიბარანული ტომებით. ბიზანტიური, ძველქართული და ძველსომხური ცნობებით კი ვიცით, რომ ამ მიწა-წყალს შუა საუკუნეების მთელ მანძილზე ეწოდებოდა კოლხიდა, ლაზიკა (ლაზეთი), ხალდია და (დასავლეთ განაპირას) ჭანიკი...“ (ს. ჯანაშია, ტ. V, გვ. 49). ბიბლიური თუბალის შთამომავალნი არიან იბერები, როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოში. იბერები ეწოდათ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობასაც – კოლხებსაც, ერთიანი სახელმწიფოს შექმნის შემდგომ. ამ სახელმწიფოს მთელი მოსახლეობის სახელის ტიბარან თობელებთან დაკავშირება სწორედ ამის შესახებ მეტყველებს. ქართველნი, ანუ იბერნი იაფეტის ძის შთამომავალნი არიან, წილხვედრი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა, ნაკურთხნი უფლის მიერ.

ალალი და ანგაძი (ურარტუ და ანგქენია)

არსებობდა თეორია, რომლის თანახმადაც, საბერძნეთში, იტალიასა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ზოგი სხვა რეგიონის უძველესი მცხოვრებნი პელასგები, ეტრუსკები, იბერები და სხვები კავკასიელებთან, შუმერებთან, ელამელებთან, ხეთებთან, ურარტუელებთან ერთად განეკუთვნებოდნენ „ხალხთა ალაროდიულ ოჯახს“. მათ აკუთვნებდნენ ქართველებსაც. ფაქტობრივად, აღნიშნული თეორიის გაღრმავებას წარმოადგენს ამჟამად მიღებული თვალსაზრისი იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის შესაძლო ნათესაობის შესახებ ხურიტულთან (აქედან ურარტულთან), პროტოხეთურთან, ელამურთან. ეს ენები თურმე ავლენენ ზოგიერთ საერთო ნიშანს გრამატიკულ წყობაში. ს. ჯანაშია ურარტუელებს, რომელთაც ხალდებს (თავიანთ სახელს) უწოდებდა – ქართველთა უშუალო წინაპრებად მიიჩნევდა. „ხალდების ეთნიკური ვინაობა სრულიად უეჭველია, ისინი ქართველი ხალხის ერთ ნაწილს შეადგენდნენ“, – წერდა ის (ს. ჯანაშია, ტ. V, 1987, გვ. 35). ს.ჯანაშია ფაქტობრივად ავითარებს ჩვენი ეკლესიის წმინდანის ილია მართლის (ჭავჭავაძის) თვალსაზრისს ურარტუელთა შესახებ.

„დიახ, ბატონებო, ურარტელნი ქართველთა წინაპარნი ყოფილან, ქართველთა სისხლ-ხორცი ერი ყოფილა... ჩვენ უსაბუთოდ არ ვამბობთ ურარტელების ქართველობას“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. V, 1987, გვ. 84).

ურარტუელებს IX-VI საუკუნეებში სამხრეთ ამიერკავკასიასა და მის მომიჯნავე ტერიტორიებზე გააჩნდათ თავიანთი დამწერლობა, რელიგია, თავისთავადი კულტურა, ხელოვნება, უძლიერესი სახელმწიფო, რომელიც ქრისტეშობამდე VII-VI საუკუნეებში დასუსტდა და საბოლოოდ დაეცა მიდიელთა ხელით. ურარტუელი ხალხი უსახელმწიფოდ დარჩა, უძლიერესი მტრები სწორედ ეთნიკურ ურარტუელებს დევნიდნენ. ყველა გადამთიელი ბატონად იქცა მათ ქვეყანაში.

„ურარტუს სამეფოს დაცემის შემდეგ მის დასავლეთ პერიფერიაზე გააქტიურდნენ სომეხი ტომები. მათ თანდათანობით იწყეს აღმოსავლეთით წინსვლა და ძველი

ურარტუს მთელ რიგ რაიონს დაეუფლნენ. ძვ.წ.აღ-ის VI საუკუნის ბოლოს სპარსულ წარწერებში ძველი ურარტუ უკვე „არმინად“ იწოდება, ხოლო ეს სახელი თანდათან უცხოელთა წრეში სწორედ სომხებს უკავშირდება. ამაში გამოხატულება ჰპოვა ურარტუს ძირითად რაიონებში სომხების ჰეგემონობის დამყარების ფაქტმა. ურარტუს მოსახლეობის ერთი ნაწილი ამასობაში სომეხთა წრეში გაითქვიფა... რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ნელ-ნელა ხდებოდა, ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი პროცესი იყო. ურარტუელთ უცბად არ დაუკარგავთ თავისი საკუთარი ტომობრიობა, თავისი ენა, კულტურა, ეთნიკური ინდივიდუალობა. საინტერესოა, რომ სწორედ ძველი ურარტუს ტერიტორია იგულისხმება სპარსეთის XVIII სატრაპიაში (ოლქში), რომელშიც, ძვ.წ.აღ-ის V ს-ის ბერძენი ავტორის ჰეროდოტეს ცნობით, შედიოდნენ ალაროდიები, მატიენები და სასპერები. ამათგან ალაროდი, უეჭველია, ძველ ურარტელებს გულისხმობს – სახელი „ალაროდი“ (არაროდი) ოდნავ სახეცვლილი იგივე „ურარტუა“. ეს სახელი შემორჩა დღეს არარატის მთას, რომელსაც ადგილობრივი სომხური მოსახლეობა „მასისს“ უწოდებს (ძვ. აღმ. ხალხთა ისტორია, გვ. 359).

ურარტუელთა სახელი ქართველთა მეხსიერებას „ალალის“ სახით უნდა შემოენახა. ამის საფუძველი იქნებოდა ისიც, რომ ბერძნებიც ურარტუელებს – ალაროდებს, ალალოდებს უწოდებდნენ.

– მოვსეს ხორენაცი, მამა სომხური ისტორიოგრაფიისა, არამს სომხურ ტომებს უწოდებს, ის წერს – „როგორც ყველასათვის ცნობილია, გარშემო მობინადრე ხალხები ჩვენს ქვეყანას დღემდე არამის სახელის მიხედვით ეძახიან“ („სომხეთის ისტორია“, 1984 წ., გვ. 77).

„არამი“ – სომეხთა რამდენიმე ეთნარქის სახელია ხორენაცის მიხედვით. სომეხთა მამამთავრების გენეალოგია ასეთია – „იაფეტმა შვა გამერი, გამერმა შვა თირასი, თირასმა შვა თორგომი, თორგომმა შვა ამასია, ამასიამ შვა გელამი, გელამმა შვა ჰარმა, ჰარმამ შვა არამი, არამმა შვა არა მშვენიერი“ (იქვე, გვ. 62).

როგორც ვხედავთ, მათ შორის „არამი“ რამდენიმეს ჰქვია, მხოლოდ სხვადასხვა ვარიაციებით. ამიტომაც შეიძლება ძველ ცნობიერებაში სომხეთის სახელი – არამს დაუკავშირდა. ალალი და არამი ხალხები ჩვენი მეზობლები იყვნენ, მათ ერთმანეთთან არავითარი ნათესაური კავშირი არ ჰქონია ილია ჭავჭავაძისა და სხვა მეცნიერთა მოსაზრებით. ლენორმანიო,წერს ილია,ურარტუელებს ქართველებად და ქართველთა მონათესავეებად მიიჩნევს და არა სომხების „რომელთანაც ურარტუელებს არავითარი ნათესაობა არა აქვთ“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. V, გვ. 88).

ყოველივე ზემომოყვანილი საინტერესოა ჩვენი ეკლესიის იერარქისა და მემატიანის, ლეონტი მროველი ეპისკოპოსის ქართველ ეთნარქთა გენეალოგიის განხილვისათვის.

„ქართლის ცხოვრება“, შეიძლება ითქვას, სომეხთა ხსენებით იწყება, „პირველად ვახსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანელთა – ამათ თვისთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს. ესე თარგამოს იყო ძე თარშისი, ძისწული იაფეთისი, ძისა ნოესი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 3).

მროველის მიერ გადმოცემული გენეალოგიით, თარგამოსის შთამომავლობა ასეთია: „პირველსა ერქვა ჰაოს, მეორესა ქართლოს, მესამესა ბარდოს, მეოთხესა მოვაკან, მეხუთესა ლეკ, მეექვსესა ჰეროს, მეშვიდესა კავკას, მერვესა ეგროს“ (იქვე, გვ. 4).

თუ ერთმანეთს შევადარებთ ხორენაცისა და მროველის მიერ გადმოცემულ გენეალოგიურ სიებს, ასეთ სურათს მივიღებთ:

ხორენაცით:	მროველით:
იაფეტი – – – – – – – – – – – – – – – – –	იაფეტი
გამერი – – – – – – – – – – – – – – – – –	იაფეტის ძე
თარასი – – – – – – – – – – – – – – – – –	თარში
თორგომი – – – – – – – – – – – – – – – –	თარგამოს
ჰაიკი – – – – – – – – – – – – – – – – –	ჰაოს, ქართლოს და ა.შ.

ხორენაცის თორგომი, როგორც მროველის თარგამოსი, იაფეტის შთამომავალია, მროველს (ისევე, როგორც ხორენაცის) თარგამოსის ძედ მიაჩნია ჰაოს ანუ ჰაიკი. განსხვავება ისაა, რომ ქართველი ეპისკოპოსის აზრით, თარგამოსს რვა ძე ჰყავდა, ხოლო სომეხი ქეთხუდის (რჯულის მასწავლებლის) აზრით, – ერთი ძე.

ხორენაცით	მროველით
თორგომი – – – – – – – – – – – – – – – –	თარგამოსი
ჰაიკი	ჰაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვაკან, ლეკ, ჰეროს, კავკას, ეგროს

სრულიად აშკარაა – ლეონტი მროველი ან ხორენაცის გენეალოგიით სარგებლობს და უმატებს მას სახელებს ქართველი ეთნარქებისას, ანდა ხორენაცი იყენებს რომელიღაც ძველ გენეალოგიას, სადაც თარგამოსი კავკასიელების მამამთავრადაა გამოყვანილი, მაგრამ არ ასახელებს თარგამოსის სხვა ძეებს, გარდა ჰაოსისა. ამგვარი ქმედებების მიზეზს თვითონვე ასახელებს, ოღონდ „საღვთო რჯულის“ მაგალითის მოშველიებით – „საქმე ისაა, რომ საღვთო წერილი გამოჰყოფს თავისიანებს, თავის საკუთარ ერს. ხოლო სხვებს, ვითრაცა უღირსთ და შეურაცხთ, უგულებელყოფს, მათი შთამომავლობის შესახებ არაფერს ამბობს“ (მოვსეს ხორენაცი „სომხეთის ისტორია“, გვ. 63).

თუ საღმრთო წერილიც კი არ ასახელებდა ეთნარქებს, არამედ მხოლოდ „თავისიანებს“, თავის საკუთარი ერის ეთნარქებს გამოჰყოფდა და სხვებს უგულებელჰყოფდა, ე.ი. არ ასახელებდა, სრულებით არაა გასაკვირი, რომ ხორენაცს არ დაესახელებინა თარგამოსის სხვა შთამომავლები, გარდა ჰაოსისა – სომეხთა ეთნარქისა, მით უმეტეს რომ მას კავკასიის სხვა ერები შედარებით უმნიშვნელო ერებად მიაჩნდა.

უფრო სავარაუდოა, რომ ხორენაცმა დაასახელა თარგამოსის ერთი ძე – ჰაოსი, ხოლო მროველმა თარგამოსის ძეების რიცხვი გაზარდა. ლეონტი მროველი იმეორებს ხორენაცის გენეალოგიას, ოღონდ ავსებს მას საკუთარი ერის ეთნარქების

სახელებით. ისმის კითხვა – ლეონტი მროველმა რატომ მიიჩნია ქართველთა ეთნარქები და სომეხთა ეთნარქი ერთი მამის შვილებად, ჰქონდა თუ არა მას ამისთვის რაიმე საფუძველი? უნდა ვიფიქროთ, რომ ამის საფუძველი იყო ქართველ ხალხში დაცული ძველი გადმოცემა (ანდა ცნობა) იმის შესახებ, რომ უძველეს დროს საქართველოს სამხრეთით, რომელსაც შემდგომ სომხეთი ეწოდა, ერთ დროს ცხოვრობდა ქართველთა მონათესავე დიდი ერი.

ალალი ხალხის ხსოვნა მროველის დროს, ათეულობით საუკუნის წინ, უთუოდ მეტად იყო შემორჩენილი ძველ საქართველოში, ვიდრე შემდგომ. ვინ იცის, იქნებ ჰაოსში ჩვენი ძველი მემატიანენი ძველ ურარტუელებს გულისხმობდნენ, რომელთა შესახებაც ილიას ძველი თავადური სისხლი ათქმევინებდა – „დიახ, ბატონებო, ურარტელნი ქართველთა წინაპარნი ყოფილან“.

მართალია, ურარტუს ქართველთა მონათესავე ძველი ტომები მათ ქვეყანაში შემოსულ არმენიელებში ასიმილირდნენ, მაგრამ შეუძლებელია ქართულ აზროვნებაში არ დარჩენილიყო მოგონება ან გადმოცემა მათ შესახებ. ალბათ, მოგვიანებით ლეონტი მროველის ან მისი წყაროს ეპოქაში ქართულმა აზროვნებამ ძველი ურარტუს ქართველები და სომხები გაუთანაბრა ერთმანეთს და მემატიანემ მიიჩნია, რომ სწორედ სომხები იყვნენ „თვისნი“ ქართველებისა. უფრო მეტიც, თარგამოსის ძეთა შორის უდიდესნიცა და უპირატესნიც – „ხოლო ჰაოს უმეტეს გმირი იყო ყოველთასა, რამეთუ ეგევითარი არაოდეს ყოფილ იყო არცა წყლის-რღუნის წინათ და არცა შემდგომად ტანითა, ძალითა, სიმხნითა“ (ქ. ც. I, გვ. 4).

სომეხთა წინაპრის ასეთი ქება, ადამის შთამომავალთა შორის ყველაზე უკეთესად მიჩნევა, თვით სომეხ მემატიანეებსაც არა აქვთ გამოთქმული, მით უმეტეს, რომ არმენიელები არც კი მოიხსენიებოდნენ ურარტუს სახელმწიფოს დაქცევამდე (ქრისტეშობამდე VI საუკუნეში), მსგავსი ქება კი ნამდვილად შეშვენოდა ალაროდიელთ, ურარტუს ბრწყინვალე სახელმწიფოს მქონე ერს, რომლის დიდება, ძლიერება და ხელოვნება ძველ სამყაროში ერთ-ერთი უშესანიშნავესი იყო. ალბათ ამიტომაც მიჩნეულ იქნა ალალთა ადგილას მცხოვრები არმენიელების წარსული ასე სახელოვნად.

ლეონტი მროველი ქართველთა და კავკასიელთა ეთნარქებს ერთმანეთის „თვისებს“ უწოდებდა და ძმებად მიიჩნევდა, ანუ კავკასიელ ხალხებს ერთი ეთნიკური წარმოშობის მქონე მონათესავე ერებად თვლიდა. იბერიულ-კავკასიურმა მეცნიერებამ, რომელიც მეოცე საუკუნეში შეიქმნა, ხანგრძლივი ძიებით დაასაბუთა კავკასიის მკვიდრ ერთა მონათესავეობა. ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ ლეონტი მროველს, ანუ მისი ეპოქის მეცნიერებას გააჩნდა რაღაც საბუთი ანდა გადმოცემა კავკასიელთა მონათესავეობის შესახებ. ხოლო თუკი მის მიერ ნახსენებ „ჰაოსის“ ქვეშ ვიგულისხმებთ ურარტუელებს, მაშინ ჩვენს თვალწინ გაცოცხლდება თეორია ე.წ. ალაროდიელ ხალხთა ოჯახის (ე.ი. ძველ ურარტუელთა და სხვათა) მონათესავეობის შესახებ.

არმენიელი ხალხი, როგორც აღინიშნა, ქრისტეშობამდე VI საუკუნეში ჩამოყალიბდა,ხოლო ლეონტი მროველი ქრისტეშობამდე ათასწლეულების წინ დებს თარგა-

მოსისა და მისი ძეების კავკასიაში შემოსვლის თარიღს. ნიკო მარი მიიჩნევდა, რომ ამ ეპოქისათვის (ათასწლეულების წინ) იაფეტური (ქართველური) ენები მოიცავდა მსოფლიოს ვრცელ რეგიონს. ამ დროისათვის, მისი აზრით, ქართველური ენები გავლენას ახდენდნენ ფუძე ინდოევროპულზე, ურთიერთობა ჰქონდათ სემიტურთან, სომხურ ენას კი ნიკო მარი მიიჩნევდა „ნარევი ტიპის“ ენად, „ნ. მარი ინტენსიურად მუშაობდა სომხურ ფილოლოგიაშიც. მას, როგორც ქართულის კარგ მცოდნეს, უთუოდ უნდა შეენიშნა, რომ სომხურ ენაში ბევრი რამ, რაც ინდოევროპულ ენებთან შედარებით ვერ აიხსნება, შეიძლება აიხსნას ქართულთან შედარებით“ (ი. შილაკაძე, ძველი სომხური ენის გრამატიკა“, 1975 წ., გვ. 27). „ნ. მარის მიხედვით, როგორც ცნობილია, ამ მინარევმა სომხური ენა აქცია რაღაც საშუალოდ კავკასიურსა (შემდეგ იაფეტურსა) და ინდოევროპულ (შემდეგ პრომეთეიდულ) ენებს შორის მდგომ ენად“ (იქვე, გვ. 30). ი. შილაკაძე წერს – „სომხეთის ტერიტორიაზე ინდო-ევროპული მოდგმის ხალხს მერმინდელ მოსულებად ვივარაუდებთ თუ ადგილობრივ მკვიდრად (როგორც ზოგიერთი ფიქრობს), ერთი ცხადია: ამ ტერიტორიაზე წინათ არსებობდა სახელმწიფოები და ცხოვრობდნენ ხალხები (თუ ტომები), რომელთაც ქართველ ხალხთან (და საერთოდ კავკასიელ ხალხებთან) გარკვეული კავშირი ჰქონდათ, თუ ასეა, ცხადია, სომეხი ხალხი, როგორც ეთნიკური ერთეული, უთუოდ შეიცავს ამ ხალხების და ტომების მინარევს. ამ მინარევს კი თავისი წვლილი უნდა შეეტანა ახალ ოჯახში. ეს ეჭვს გარეშეა. მაშასადამე, სომხურში ინდოევროპულ ენებთან შედარებით აუხსნელთაგან ბევრი რამ შეიძლება აიხსნას ქართველურსა და კავკასიურ ენობრივ სამყაროსთან შედარებით (ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა საშუალო და ახალი სომხური ენები დიალექტითურთ, რომელთაც რამდენადაც უფრო ღრმად ვსწავლობთ, იმდენად მეტად ვრწმუნდებით, რომ სომხურ ენას ბევრი ისეთი თვისება შეუძენია, რაც ქართულ-ქართველური ენების თვისებას გვაგონებს და რასაც ძველ სომხურში ადგილი არ ჰქონდა. ამან ათქმევინა ი. კარსტეს – სომხური ენის დიალექტები ინდო-ევროპული წარმოშობისა არ არიანო“ (იქვე, გვ. 29).

ხორენაცი მუდამ ლაპარაკობს სომეხთა გადმოსახლეობის დროს სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები არასომხური ტომების შესახებ, რომლებიც ათქვეფილან შემოსულ მოსახლეობაში. ხორენაცის „ისტორიის“ ქართულად მთარგმნელი ა. აბდალაძე წერს: „ხორენაცის ამ და მსგავს ცნობებში ასახულია ისტორიული სინამდვილე იმის შესახებ, რომ ე.წ. „დიდი სომხეთის“ მიწა-წყალზე სომეხთა მოსვლამდე მკვიდრობდნენ სხვა ხალხები, მათ შორის ქართული მოდგმის ტომებიც“ („ისტორია“ გვ. 249).

ხორენაცი აღწერს ურარტუს ქვეყანაში სომეხთა წინაპარი ტომების გადასახლების სურათს, ის წერს, რომ ჰაიკი „...ბაბილონში ვაჟის არამენეაკის შემდეგ გაეშურა ჩრდილოეთის მხარეებში მდებარე არარადის ქვეყნისაკენ თავისი ვაჟებითა და ქალიშვილებით... იგი მივიდა და დამკვიდრდა ერთი მთის ძირას, ვაკეზე, სადაც უკვე დასახლებულიყო მცირეოდენი ხალხი ადრინდელი გაფანტვის დროს. ჰაიკმა დაიმორჩილა ისინი და ააგო იქ სამემკვიდრეო სახლი. ამას ძველი ზეპირგადმოცემებიც ადასტურებენ“ (მ. ხორენაცი, ისტორია, გვ. 70).

ჰარქის ზეგანზე, სადაც „თორგომის სახლის მამანი“ დამკვიდრებულან, ხორენაცის ცნობით, „ადრიდანვე ცხოვრობდნენ მცირეოდენი კაცნი, რომლებიც ნებით დაემორჩილნენ გმირს, ზეპირი გადმოცემები ამასაც ადასტურებენ“ (იქვე, გვ. 70).

ხორენაცი კვლავ წერს – „საკვირველია მემატიანეს ნათქვამი, რომ ჩვენს ქვეყანაში მრავალ ადგილას გაფანტულად მკვიდრობდა მცირეოდენი ხალხი, ჩვენი ძირეული წინაპრის ჰაიკის მოსვლამდე“ (იქვე, გვ. 73).

მოსულმა არმენიელებმა დამხვედრი ტომები შთანთქეს, მოახდინეს მათი ასიმილაცია, ეს პირდაპირ ჩანს ხორენაციდან. მაგალითად – „ამასთანავე (არამმა) უბრძანა იქაურ მკვიდრთ, შეეთვისებინათ სომხური ენა და ლაპარაკი“ (იქვე, გვ. 77).

ისიც უნდა ითქვას, რომ ურარტუს მიწა-წყალზე შესვლის შემდგომ მოხდა ჩამოყალიბება სომეხი ხალხისა, როგორც ეს აღინიშნება სომეხ ისტორიკოსთა მიერ. ამ დროს ჩანს, სომხურ ენაზე გავლენა იქონია, დამხვდურ, მკვიდრ ხალხთა ენამ.

შ. ძიძიგური წერს – „ნიკო მარის კონცეფციით, ქართულ ენობრივ სამყაროს დიდი გავლენა მოუხდენია სომხურ ენაზე წინაისტორიულ ხანაში, უძველეს პერიოდში, როდესაც ხდებოდა სომხური ეთნოსის ფორმირება, შესაბამისად – სომხური ენის ჩამოყალიბება. ნიკო მარის უდიდესი წვლილი არმენოლოგიაში, სწორედ ეს არის. კონცეფციის სქემა ასეთია: სომხური ნარევი ენაა, ორბუნებოვანია, ერთი ფენა, შენარევი და შეზრდილი სხვა ფენასთან, ქართულ-კავკასიურ სამყაროსთან სიახლოვით არის აღბეჭდილი“ (შ. ძიძიგური, „ნიკო მარი ქართული კულტურის მკვლევარი“, (1985, გვ. 104).

ყოველივე ზემოაღნიშნული უფლებას იძლევა გამოითქვას მოსაზრება, რომ ძველ საქართველოში არსებობდა მოგონება საქართველოს სამხრეთით მცხოვრები ძლიერი, ქართველთა მონათესავე ხალხის შესახებ, და ვინაიდან საქართველოს სამხრეთით იმ დროისთვის სომხები ცხოვრობდნენ, ქართველთა გენეალოგიის შემდგენელმა მემატიანემ სხვა ქართველურ მონათესავე ტომების ეთნარქთა შორის ჰაოსიც ჩართო, ვითარცა პიროვნული გამოხატულება ხსენებული მოგონებისა. ჩანს, მროველის ჰაოსი – ურარტუს ძლიერების ანარეკლია. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერც ერთი თავისუფალი ერი აიტანდა თავის ეროვნულ მატიანეში მტკიცებას იმისას, რომ მათი მეზობელი ერის წინაპარი თავიანთ წინაპარზე უპირატესი და უძლიერესი იყო. სწორედ ქართველ ხალხში დარჩენილ მოგონებას სამხრეთელი მონათესავე მეზობლის შესახებ უნდა გაეხადა ასატანი მროველის გენეალოგიის ეროვნულ მატიანეში ჩართვა.

როგორც აღინიშნა, მროველი თავისი გენეალოგიის შედგენის დროს იყენებდა ხორენაცის გენეალოგიას. მაშასადამე, ეს გენეალოგია V საუკუნეზე ადრე ვერ შედგებოდა. ძნელი საფიქრებელია, VIII-XI საუკუნეებში ქართველებისა და სომხებისათვის ეწოდებინათ ძმები და „თვისნი“, ქართულ-სომხური ეკლესიების დაშორებისას ატეხილი იდეოლოგიური ბრძოლის გამო. მანასკერტის 726 წლის კრების შემდგომ ქართული და სომხური ეკლესიები (და შესაბამისად იდეოლოგიაც) სრულებით განსხვავებული გზებით განვითარდნენ, სრულებით განცალკევდნენ,

უფრო მეტიც, საქართველოში სომხეთთან და სომხურ ეკლესიასთან კულტურული ან რაიმე ერთობის დამადასტურებელი ყოველგვარი თხზულება ისპობოდა ანდა რედაქტირდებოდა.

სულ სხვა ვითარება იყო VI-VII საუკუნეებში. ამ დროს ქართველი და სომეხი ერები, ეკლესიები განსაკუთრებით დაკავშირებულნი იყვნენ ერთმანეთთან. ყოველ შემთხვევაში, ქართული მხარე იძულებული იყო ქართული ეკლესია სომხური ეკლესიის მოკავშირედ წარედგინა სპარსი ხელისუფლებისათვის. საქართველოს დაპყრობის შემდგომ სპარსეთი განსაკუთრებით უჭერდა მხარს სომხურ ეკლესიას, აძლიერებდა მას და ამასთან ერთად აიძულებდა მის იმპერიაში მცხოვრებ ქრისტიანებს მიეღოთ ქრისტიანული სარწმუნოების ის ორიენტაცია, რომელსაც ადგა სომხური ეკლესია (ე.ი. ანტიბიზანტიური). ამ დროს ხდებოდა ქართული წმიდა წიგნების რედაქტირება და „გამართვა“ სომხურის მიხედვით (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

უნდა ვიფიქროთ, რომ მემატიანემ ქართველ ეთნარქთა გენეალოგია შეადგინა სომხურ-ქართული ეკლესიების „ერთობის“ დროს VI-VII საუკუნეებში. ჯერ კიდევ მ. თარხნიშვილმა გამოთქვა აზრი, რომ ლეონტი მროველის ლიტერატურული საქმიანობა VI-VII საუკუნეებს განეკუთვნება.

„მ. თარხნიშვილის აზრით, ლეონტი მროველის ლიტერატურული საქმიანობა მერვე საუკუნის მეორე ნახევარს ვერ გადასცილდება – უფრო ზუსტად ის უნდა დაიდოს VI-VII საუკ. სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილებამდე“ (კ. კეკელიძე, ლიტ. ისტ. გვ. 238).

ფარნავაზი

საქართველოს პირველი ერთიანი სახელმწიფოს დამაარსებლის, ანბანის გამავრცელებლის, ქართული მწიგნობრობის ფუძემდებლის, მეფე ფარნავაზის ცხოვრება აღწერილია ქართველთა უმთავრეს საისტორიო, ეროვნული სიწმინდის ხარისხამდე ამაღლებულ წიგნში, რომელსაც „ქართლის ცხოვრება“ ეწოდება. მიჩნეულია, რომ „ქართლის ცხოვრების“ შესავალი, თარგამოსიანთა გენეალოგია, თვით რედაქტორს შეუდგენია (კერძოდ, მას თავისი დროის მოთხოვნილების შესაბამისად დაუწერია ძველ წყაროთა გამოყენებით „ამბავი რვათა ძმათა“, „გამოსვლა ხაზართა“, „შემოსვლა ალექსანდრესი“), ხოლო „ცხოვრება ფარნავაზისი“ – უკვე არსებული ძველი ქართული საისტორიო მოთხრობა, თავისი გემოვნებით გაუმართავს და ჩაურთავს წიგნში.

ქვეყნის გამაერთიანებელი პირველი მეფის მამის სახელი მემატიანისათვის უცნობია, სამაგიეროდ მისთვის ცნობილია სახელი მამის ძმისა. ამასთან დაკავშირებით პავლე ინგოროყვა წერს – „ლეონტი მროველი აქ, ჩანს, იმეორებს რომელიღაც ძველი საისტორიო წყაროს ცნობას“ (ტ. IV, გვ. 523).

მემატიანე ფარნავაზის ამბის გადმოცემისას წერს, რომ ფარნავაზი „იყო მამულად ქართლელი, ნათესავი უფლოსი, მცხეთოსის ძისა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 20). მისი გენეალოგია, ცხადია, წყვეტილებით, ასეთია:



ფარნავაზამდე დიდი ხნით ადრე, ქართველთა ერთ მთავარ წინაპართაგანი – ქართლოსი, დასახლებულა მტკვრისა და არაგვის შესართავთან მდებარე არმაზის მთაზე. აქ აუშენებია სიმაგრეები (შემდგომში აქ არმაზის კერპი აღმართეს, იქამდე კი ამ მთის სახელი „ქართლი“ ყოფილა). ქართლოსს აუშენებია ორბის (შემდგომ სამშვილდედ წოდებული) და ხუნანის (ანუ მტუერის) ციხეები. უცოცხლია დიდხანს.

ქართლოსისა და თარგამოსის შთამომავალთ ერთმანეთში სიყვარულით უცხოვრიათ, შემდგომ კი აშლილან და დაკნინებულან. ამ მიზეზით მათ შორის აღარავინ ყოფილა უწარჩინებულესი და უსახელოვანესი. ადგილ-ადგილ თავადები (გამოჩენილი მეთაურები) ჩნდებოდნენ, მაგრამ მცხეთის თავადი ყველაზე წარჩინებულად ითვლებოდა სხვებთან შედარებით. მას მეფის, ან ერისთავის სახელი არ ეწოდებოდა, არამედ მამასახლისი. ის გამზავებელი და მოსამართლე იყო ქართლოსიანთა შორის.

სწორედ ამ დროისათვის დაუვიწყნიათ ჭეშმარიტი ღმერთი, რომელიც ქართველთა წინაპრებს სწამდათ, დაუწყიათ მსახურება მზისა, მთვარისა და ხუთი ვარსკვლავისა, „მტკიცე და უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისა“.

დიდი ხნის შემდგომ გამოჩენილა ალექსანდრე მაკედონელი. იგი სხვა ქვეყანათა დაპყრობის შემდგომ შემოსულა ქართლში, სადაც მას უხილავს მკვიდრნი ქვეყნისა; უნდა ითქვას, რომ აქ მემატიანეს მიერ გადმოცემული ამბავი აშკარად არეულია, ჩანს არა მარტო სხვადასხვა წყაროს, არამედ სხვადასხვა კონცეფციის გავლენაც. მაგალითად, როგორც ვიცით, სხვა წყაროს, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ – კონცეფციის თანახმად, ქართველები სამხრეთის „არიან-ქართლის“ ქვეყნიდან გადმოსახლებულან მაკედონელის დროს. მათ ამ ქვეყანაში დახვედრიათ უცხო ერი, „ქართლის ცხოვრების“ კონცეფციით კი ქართველობა ხალხად ყალიბდება საქართველოს მიწა-წყალზე, ე.ი. არ გადმოსახლებულა. ზემოაღნიშნული ამბის გადმოცემის

დროს, როგორც აღინიშნა, ეს ორი კონცეფცია ერთმანეთშია არეული. მაგალითად, მაკედონელს ქართლში ხვდება ქართველობა და... უცხო ერი – ბუნთურქები და ყივჩაღები. აქ, ცხადია, აღებულია „მოქცევაჲს“ ამბავი, რომელიც სათანადოდ არაა შეჯერებული „ქართლის ცხოვრების“ კონცეფციასთან.

ქართლში შემოსვლის შემდგომ ალექსანდრე მაკედონელი შეებრძოლა და დაამარცხა ზოგიერთ კუთხეში მცხოვრები არაქართული ტომები – „მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა და დაატყვევნა და დედანი და ყრმანი უცებნი, თხუთმეტისა წლისა უმცროსნი“ (ქ. ც. I, გვ. 18). არაქართველთა მოსპობის შემდეგ დარჩენილ ქართველ მოსახლეობას (ქართლოსიანებს) პატრიკად დაუტოვა მაკედონელი აზონი, იარედოსის ძე. მას ემორჩილებოდა 100000 რომაელი ქვეითი.

მათი სარწმუნოება, მემატიანეს გადმოცემით, ასეთი იყო: ებრძანა აზონს ალექსანდრეს მიერ ქართველთა ქვეყანაში დანერგილიყო თაყვანისცემა მზისა, მთვარისა, ხუთი ვარსკვლავისა, მსახურება უხილავი ღმერთისა, ყოვლის დამბადებლისა. ალექსანდრეს წასვლის შემდგომ აზონმა მიატოვა ეს სარწმუნოება – „იწყო კერპთმსახურებად და შექმნნა ორნი კერპნი ვერცხლისანი: „გაცი და გაიმ“. აზონი სასტიკი და სისხლიანი კაცი ყოფილა, მას ქართველთათვის იარაღის ტარების ნებაც კი არ დაურთავს – გაუცია ბრძანება: „ყოველმან ქართველთაგანმან, რომელმან პოვოს საჭურველი, მოკალით იგი“. – „და იყო ჭირი დიდი ნათესავსა ზედა ქართველთასა“. სწორედ ასეთ დროს გამოჩენილა ფარნავაზი – ქართველთა განმათავისუფლებელი. სიყრმიდანვე კავკასიის მთებში ლტოლვილი ფარნავაზი სახელოვან ვაჟკაცად აღზრდილა. ის „იყო კაცი გონიერი, მხედარი შემმართებელი და მონადირე ხელოვანი“. მცხეთაში დაბრუნების შემდგომ ის გაუცნიათ აზონისათვის, როგორც სახელგანთქმული მონადირე. „შეიყვარა იგი აზონმან მონადირეობისათვის“. აზონთან დაახლოებას დიდად შეუშინებია დედა ფარნავაზისი, ევედრებოდა შვილს დაეტოვებინა მცხეთა, ქართლი და წასულიყვნენ, რათა აზონის ხელს დასხლტომოდნენ. მართლაც ოჯახმა გადაწყვიტა სხვაგან, ფარნავაზის დედის ქვეყანაში გადასახლება. მემატიანე განაგრძობს:

მაშინ იხილა ფარნავაზმა სიზმარი, თითქოსდა იგი იყო ერთ უკაცურ სახლში, უნდოდა გასვლა და ვერ გადიოდა. მაშინ სარკმლიდან შემოვიდა მზის სხივი შემოერტყა წელზე, გაიზიდა და გაიყვანა სარკმელიდან. და როდესაც ველზე გავიდა მზე, ფარნავაზმა ის იხილა დადაბლებული, ხელით შეეხო მზის პირს, მოხოცა ცვარი და იცხო თავის პირზე. გაიღვიძა ფარნავაზმა, გაუკვირდა და თქვა – ეს სიზმარი ალბათ დედაჩემის სამშობლოში ჩასვლის შემდეგ ამიხდება, იქ სიკეთეში ვიქნებიო.

იმ დღეებში ფარნავაზი სანადიროდ გაემართა და დიღმის ველზე ირმებს გაეკიდა. ირმები თბილისის ხრიოკებისაკენ გაიქცნენ. მისდევდა ფარნავაზი, სტყორცნა ისარი, ჰკრა ირემს, მან ცოტა გაიარა და დაეცა კლდის ძირში. ამასობაში დაღამდა, ჩამოქვეითდა ფარნავაზი და ირემთან გადაწყვიტა ღამის გათენება. ამ დროს გაწვიმდა ძლიერ. კლდის ძირში ფარნავაზმა გამოქვაბული შეამჩნია, ამოქო-

ლილი. ამოიღო ჩუგლუგი და გამოარღვია კარი, რათა სიმშრალეში შესულიყო. შევიდა შიგნით და იხილა განძი მიუწვდომელი, ოქრო და ვერცხლი, უთვალავი ჭურჭელი ოქროვერცხლისა. ძლიერ გაუკვირდა, აღივსო სიხარულით და გაახსენდა სიზმარი. ისევ ამოქოლა გამოქვაბულის კარი. უთხრა ეს ამბავი დედასა და ორ დას. გამოიტანეს ეს განძი მალვით. ამის შემდგომ აზონის ქმედება მიუთითებს იმის შესახებ, თუ რა ძლიერი იყო იმ უძველეს დროსვე, ქრისტეშობამდე ასწლეულებით ადრე, ქართველთა შორის ეროვნული ერთიანობის გრძნობა და ქართველ ტომებს როგორ ჰქონდათ შენარჩუნებული ეთნიკური ერთიანობის სიმძაფრე. განძის პოვნით უცებ გამდიდრებულმა ფარნავაზმა, უპირველეს ყოვლისა, გაგზავნა თავისი წარმომადგენელი ეგრისის დასავლურ ქართული საერისთაოს მეთაურთან – ქუჯისთან და შეატყობინა მას მომხდარი ამბავი. ფარნავაზმა შეუთვალა სურვილი, თავისი განძით მისულიყო ქუჯისთან და ერთიანი ძალით შებრძოლებოდნენ აზონს – ქართველთა ქვეყნის დამპყრობელს.

მემატიანე წერს, რომ ამ ამბის მოსმენით „განიხარა ქუჯიმ სიხარულითა დიდითა და ჰრქუა: „აღსდეგ და მოვედ ჩემ თანა, ნუ შურობ ხვასტაგსა შენსა, და ხვასტაგითა შენითა, განგიმრავლნე სპანი შენნი, ვიდრე გამოვჩნდეთ მტრად აზონისა, მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა აწყვედილთა მისგან და მიწყვედულთა“ (ქც. გვ. 22).

პასუხის მიღების შემდეგ ფარნავაზი დედითა და დებით სიხარულით წავიდა ქუჯისთან. ქუჯი ასეთი სიტყვებით შეეგება მას: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლობა ჩემი... შენ ხარ უფალი ჩვენი და მე ვარ მონა შენი“ (გვ. 22). ფარნავაზი ამ დროისათვის, როგორც ვიცით, უბრალო, ყოველგვარი პატივისა და თანამდებობის უქონელ პირს წარმოადგენდა, ხოლო ქუჯი ეგრისის ვრცელი ქვეყნის მფლობელი იყო, ამიტომაც მისგან თავისი თავის „მონად“, ხოლო ფარნავაზის „უფლად“ გამოცხადება აიხსნება გენეალოგიური უფროს-უმცროსობითი ურთიერთდამოკიდებულებით, რაც ძველი დროისათვის იყო დამახასიათებელი და სავალდებულოდ შესასრულებელი. ფარნავაზი „ქართლის თავთა შვილია“, ამიტომაცო, ამბობს „ეგრისის თავთა შვილი“, – მე შენ უნდა დაგემორჩილო, შენ „ჩვენი უფალი ხარო“. ასეთი ურთიერთობა გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველ გენეალოგიურ ვარიანტში, რომელსაც შემდგომ ასახვა ვერ უპოვნია „ქართლის ცხოვრებაში“, გენეალოგიური შტო, ჩანს ასეთი სახით იყო გადმოცემული:



ქუჯიცა და ფარნავაზიც ერთი წინაპრის შთამომავალნი არიან, მაგრამ ფარნავაზი პირმშოებითი უფლების ძალით ოჯახში, გვარში, უფროსად ითვლება, ის „უფალია“, მისი ყველა ნათესავი მას უნდა დაემორჩილოს. ასეთია იმ ჟამის კანონი.

ფარნავაზმა და ქუჯიმ მოილაპარაკეს ოსებთან და ლეკებთან, ისინი სიხარულით დათანხმდნენ აზონის წინააღმდეგ აჯანყებას, რადგანაც არ სურდათ მისთვის ხარკის მიცემა. მათგან მიიღეს დამხმარე სამხედრო ძალა, ეგრისში შეიკრიბა უთვალავი სპა. შეუტიეს აზონს. აზონი დამარცხდა და თავი შეაფარა კლარჯეთს. ფარნავაზი შევიდა მცხეთაში, იმავე წელს დაიმორჩილა „ყოველი ქართლი“, კლარჯეთის გარდა – ასე წერს მემატიანე, – „დაიპყრა ყოველი ქართლი თვინიერ კლარჯეთისა“, აქ უთუოდ „ყოველი ქართლის“ ქვეშ იგულისხმება როგორც აღმოსავლეთი, ასევე დასავლეთი საქართველო – სწორედ დასავლეთ საქართველო წარმოადგენდა ფარნავაზის საყრდენ ბაზისს აზონის წინააღმდეგ აჯანყებისას.

აზონს ფარნავაზის წინააღმდეგ ომში დაეხმარა „საბერძნეთი“ – მისგან მიიღო დიდძალი დამხმარე ძალა, სამაგიეროდ ფარნავაზს – „ასურისტანის მეფე ანტიოქოზი“. კიდევ ერთხელ შეებრძოლნენ ერთმანეთს აზონისა და ფარნავაზის ჯარები – არტაანის ნაქალაქევში, რომელსაც ჰური ანუ „ქაჯთა ქალაქი“ ერქვა. ბერძენთა ჯარები დაამარცხეს ქართველებმა, მოკლეს აზონი, შეიჭრა ფარნავაზი საბერძნეთის საზღვრებში – შევიდა ანძიოძორში და უკან დაბრუნდა ეკელეცის გზით. კლარჯეთი შეუერთა თავის სამეფოს და დაბრუნდა მცხეთაში.

ქართლის სამეფოს საზღვარი ჩრდილო-დასავლეთით დაიდო მდინარე ეგრისწყალზე. ამ მდინარის მარჯვენა სანაპიროც (ისევე როგორც მარცხენა) წარმოადგენდა ეგროსის წილს, ე.ი. წარმოადგენდა ეგროსის შთამომავალთა საცხოვრისს (ვიდრე ხაზარეთის მდინარემდე „საცა წარსწუდების წუერი კავკასისა“), მაგრამ ეგრისწყალსა და ხაზარეთის მდინარეს (ე.ი. მდ. ეგრისწყალსა და მდ. ყუბანს) შორის მცხოვრებმა ეგრისელებმა არ ინებეს განდგომა „ბერძენთა“ სახელმწიფოსაგან და შესვლა ფარნავაზის სამეფოში. საზღვარი „ყოველი ქართლისა“ ამ მიმართულებით დაიდო მდინარე ეგრისწყალზე. მემატიანე წერს – „ხოლო ეგრისწყალს ქვემოთ დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკვიდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა“, ხოლო ეგრისის მეორე ნაწილი შევიდა ქართლის სამეფოში, თავისი სახელმწიფო ფარნავაზმა დაყო საერისთავოებად. პირველთა შორის მემატიანე ასახელებს ეგრისს და მის ერისთავს ქუჯის. ის გახდა სიძე ფარნავაზისა და მიიღო საერისთავოდ ყოველი ქართლის ქვეყანა ეგრისწყალსა და რიონს შუა. მან ააშენა ციხე-გოჯი. მარგვეთის საერისთავოში შედიოდა მიწები მდინარე რიონსა და ლიხის მთას შორის. შემდეგი საერისთავოები იყვნენ კახეთში, ხუნანში, სამშვილდეში, წუნდაში, ოძრხეში, კლარჯეთში. ერთი ერისთავი დაადგინა – სპასპეტად, მას შიდა ქართლიც მიეცა საგამგეოდ, ის წარმოადგენდა მეფის შემდეგ პირველ თანამდებობის პირს, ყველა ერისთვის განმგებელს. თავის მხრივ ერისთავებს ემორჩილებოდნენ სპასალარები და ათასისთავები, მათგან შემოდიოდა საერისთავო და სამეფო ხარკი.

ფარნავაზმა ააშენა ალექსანდრე მაკედონელის მიერ საქართველოში დანგრეული ქალაქები და ციხეები, დედაქალაქ მცხეთას კი შემოავლო გალავანი.

ფარნავაზს შეუქმნია თავის სახელზე – კერპი არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზი ერქვა. ეს არმაზის კერპი აღმართა ქართლის მთის თავზე. დიდი დღესასწაული გადაიხადა კერპის აღმართვისას.

გამეფებისას 27 წლის იყო. 65 წელი ნებიერად იმეფა. „აღაშენა და განავსო ქართლი“.

ფარნავაზმა ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოაცხადა, რის გამოც ქართულის გარდა სხვა ენა საქართველოში არ იხმარებოდა. მანვე შექმნა ქართული მწიგნობრობა.

სიკვდილის შემდეგ არმაზის კერპის წინ დაასაფლავეს.

ასე გადმოგვცემს ფარნავაზის ცხოვრებას ჩვენი მატიანე.

ქართლის, ანუ იბერიის ერთიანი დიდი სახელმწიფოს წარმოქმნას მეცნიერები ქრისტეშობამდე IV-III საუკუნეებით ათარიღებენ.

ფარნავაზისა და მისი მემკვიდრე მეფეების ანუ ფარნავაზიანების დროს მცხეთაში – სამეფოს დედაქალაქში, შენდებოდა ციხესიმაგრეები, სხვადასხვა ნაგებობანი, კიდევ სხვა კერპებიც აღუმართავთ. ფარნავაზის მიერ არმაზის აღმართვის შემდგომ მეფე საურმაგმა აღმართა კერპი აინინა, იწყო არმაზის ციხე-ქალაქის შენება. მეფე მირვანმა დანინას კერპი აღმართა, დაასრულა არმაზის მშენებლობა. მეფე ფარნაჯომმა კერპი ზადენ მთაზე აღმართა, ციხეც აუშენა. არსოკ მეფემ – ქალაქს სხვა ზღუდე შემოავლო. მეფე არტაგს კი არმაზში შიდა ციხე (აკროპოლისი) აუშენებია.

მათი შემდგომი მეფეები უკვე საკუთრივ მცხეთას აშენებდნენ, ანუ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ქალაქს.

დედაქალაქს იცავდნენ რთული თავდაცვითი სისტემის მეშვეობით. არმაზ-ციხე სომხეთიდან, ალბანეთიდან და დასავლეთ საქართველოდან მომავალი გზების თავშეყრის ადგილას იდგა, ზადენციხე კი ჩრდილოეთის მომთაბარეთა ქვეყნებიდან მომავალ გზას აკონტროლებდა. ქვეყანაში შედიოდა დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო გზა, როგორც ამას გვაცნობს სტრაბონი. საერთოდ იბერია სავაჭრო გზებით ყოფილა დასერილი. სტრაბონის ცნობით, იბერია კარგად ყოფილა დასახლებული, ქალაქები და დაბები მრავალრიცხოვანი იყო. სახლები და ნაგებობები კარგად ნაგები, ხუროთმოძღვრული ხელოვნებით, ჰქონდათ კრამიტის სახურავები. იბერიაში მდებარეობდა ქალაქები – უფლისციხე, წუნდა, ოძრხე, ციხეგოჯი (ამ ქვეყნის დასავლეთი საზღვარი, როგორც აღინიშნა, მდინარე ეგრისწყალზე იდო).

უთუოდ ყოველ საერისთავოს გააჩნდა თავისი ცენტრი. ჩრდილოეთის მიმართულებით იბერიის საზღვარს, ჩანს, კავკასიონის წყალმყოფი ქედი წარმოადგენდა, რომლის იქითაც მცხოვრებ ტომებზეც ვრცელდებოდა სამეფოს გავლენა.

სამხრეთის მიმართულებით იბერია ვრცლად იყო გადაჭიმული. არმენიასა და იბერიას, ქრისტეშობამდე II საუკუნის ავტორის – აპოლოდორის ცნობით, ერთ-

მანეთისგან ჰყოფდა მდინარე არაქსი. არაქსი ყოფილა გამყოფი იბერიელებისა და არმენიელებისა.

სამხრეთ-დასავლეთით იბერიის საზღვარი გადიოდა პირიადრის მთის კალთებზე, მას ეკუთვნოდა ხორზენე და გოგარენე, როგორც ბერძნები უწოდებდნენ სამხრეთ საქართველოს კუთხეებს. შემდეგ, სტრაბონის ცნობით, არმენიას იბერიისათვის წაურთმევია აღნიშნული კუთხეები, დაახლოებით 190 წელს ქრისტეშობამდე (იხ. საქ. ისტ. ნარკვ., ტ. I, გვ. 456).

ფარნავაზის რეზიდენციას და სამეფო ქალაქს წარმოადგენდა არმაზი. მისი სახელი მრავალ უცხოურ თანადროულ წყაროშიც არის ასახული, როგორც ჩანს, ის ცნობილი და სახელოვანი ქალაქი იყო. ამ ქალაქის სიდიადე დაადასტურა არქეოლოგიურმა გათხრებმა, ქართველ ერისმთავართა და წარჩინებულთა ბრწყინვალე ფუფუნება და დიდებულება ნათლად გამოაჩინა არქეოლოგიურმა ძეგლებმა. არმაზიდან სამეფო რეზიდენცია გადატანილ იქნა საკუთრივ მცხეთაში, ეს მომხდარა პირველი საუკუნის მეორე ნახევარში. პ. ინგოროყვას თანახმად, მეფე ფარნავაზი მეფობდა ქრისტეშობამდე 284-219 წლებში. 284 წელსვე დამყარებულა ქართული წელთაღრიცხვა.

„ძველქართული კალენდრის შესწავლიდან ირკვევა, რომ ქართული ნაციონალური წელთაღრიცხვა იწყება სწორედ იმ დროიდან, როდესაც, ლეონტი მროველის ცნობით, ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაყოფის შედეგად მოხდა ახალი იბერიის სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ფარნავაზიანთა დინასტიით ხელისუფლების სათავეში. სახელდობრ, დასაწყისი ქართული ნაციონალური წელთაღრიცხვისა არის 284 წელი ჩვენს ერამდე. ეს წელი არის გამოსავალი თარიღი, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო ქართული ქორონიკონის სისტემას, ...ეს თარიღი, 284 წელი, რომელიდანაც იწყება ქართული ნაციონალური ერა, არის თარიღი იბერიის სახელმწიფო დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და ფარნავაზიანთა დინასტიის დამკვიდრებისა იბერიის სახელმწიფოს ხელისუფლების სათავეში (პ. ინგოროყვა, ტ. IV, 1978, გვ. 558).

პავლე ინგოროყვამ სათანადო კვლევის შედეგად დაასკვნა, რომ ქართულ მატიანეთა ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია („მეფენი ქართლს შინა წარმართნი“) – წარმოადგენს ისტორიული სინამდვილის შემცველ დოკუმენტს, რომელიც მომდინარეობს წინაქრისტიანული ეპოქის ძველქართული საისტორიო წყაროებიდან (იქვე, გვ. 559).

ფარნავაზმა ერთ სახელმწიფოში გააერთიანა ქართული ტომები, შეჰკრა ისინი ერთ ხალხად, მან შესძლო ასევე ამ სახელმწიფოს გავლენის სფეროში მოექცია იბერიულ-კავკასიურად წოდებული, ქართველთა მონათესავე სხვადასხვა ტომები. კერძოდ, როგორც ითქვა, იბერიელთა და არმენიელთა შორის საზღვარი ერთ დროს მდინარე არაქსზე გადიოდა. ჩრდილოეთის მიმართულებით ქართველთა გავლენის სფეროში, მემატიანეს თანახმად, შედიოდნენ ოსთა, დურძუკთა და ლეკთა ტომები. დურძუკები და ლეკები – ქართველთა მონათესავეებად უძველეს დროსვე მიიჩნეოდა. ოსთა შესახებ უნდა ითქვას, რომ როგორც წყარო მიუთითებს, ოსები იმ

დროისათვის არ მიიჩნეოდნენ ირანულენოვან ტომებად, არამედ ითვლებოდნენ ქართველთა მონათესავე კავკასიურ (ადგილობრივ) ტომად. ჩვენი მატიანეს თანახმად, ოსები ყოფილან შთამომავალნი ხაზართა მეფის ძისა უობოსისა – „მროველის წარმოდგენით, უობოს ხაზართა მეფისშვილი ყოფილა, ხოლო ოსები თითქოს ამ უობოსის, ე.ი. ხაზართა და ქართველთა და სომეხთა ტყვეების „ნათესავები“, ანუ შთამომავალნი ყოფილან. ე.ი. ნარევი ეროვნება ყოფილა“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, ტ. I, 1950 წ. გვ. 277).

აქედან ჩანს, რომ ფარნავაზის ეპოქაში ოსები მართალია ნარევ, მაგრამ მაინც ქართველთა მონათესავე ტომად მიიჩნეოდა. ოსები – რომელთაც შემდგომ ალანები ეწოდათ – უცხოელთა მიერ იბერიელებად მიიჩნეოდნენ – „XI საუკუნის ბიზანტიელი მწერალი იოანე ცეცე ამტკიცებს: იბერები, აბაზგები და ალანები ერთ ხალხს შეადგენდნენო, ხოლო XV საუკუნის სომეხი მემატიანე თომა მეწოფელი განუმარტავს მკითხველებს, რომ ქართველთა სახლში, ე.ი. ქართულ ეროვნულ-კულტურულ გაერთიანებაში შედის რვა ტომი – ქართები („ვრაცები“), იმერლები, მეგრელები, სვანები, აფხაზები, მესხები, დვალები და ოსები“ (ს. ჯანაშია, ტ. V, გვ. 12). შემდგომი საუკუნის ევროპელი ავტორიც ასევე მიიჩნევს – „შტრიტერი თავისი შრომის ნაწილში, სადაც ლაპარაკია ზემო იბერიის მეზობლად ბინადარ ალანებზე, კატეგორიული და სრული ეჭვმიუტანლობის კილოთი აცხადებს, რომ ესენიც იბერიელები არიანო“ (შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, გვ. 174).

დვალებს, მართალია, რატომღაც დურძუკთა ტომს ათვლიდნენ ბოლო დრომდე, მაგრამ სინამდვილეში ქართველები იყვნენ. შემდგომ მოხდა დვალთა ტომის ირანიზაცია, გაოსება. შესაძლებელია, თავდაპირველად ოსებად სახელდებული ტომიც არ იყო ირანულენოვანი და შემდგომ, შუა საუკუნეების მანძილზე, ჩრდილო კავკასიაში მოხდა ოსების გაირანულენოვნება.

საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ალანები ირანულენოვანი ტომი იყო, მაგრამ არც ის უნდა დარჩეს უყურადღებოდ, რომ საკმაოდ დიდი ნაწილი ძველი ისტორიკოსებისა ალანებს, ქართველ ისტორიკოსთა მსგავსად, ხაზარულ (ე.ი. თურქულ) კავკასიურ წარმომავლობის ტომად მიიჩნევდა. მაგალითად, XIV საუკუნის არაბი გეოგრაფი ალანებს თურქულენოვან ხალხად თვლიდა, ის ერთ ალანურ ქალაქზე წერდა – „ის დასახლებულია ალანი ხალხით, და ისინი თურქები არიან – რომელნიც გაქრისტიანდნენ“. XV საუკუნეში ი. შილტბერგერი იყო ასებთან (ოსებთან) და ალანებთან. ისინი თურმე მაშინ ღმერთს თათრულ ენაზე ადიდებდნენ (იხ. ფ. ბურნ, „პუტეშესტვიე ივანა შილტბერგერა...“, წიგნი „ზაპირისკი იმპერატორსკოგო ნოვოროსიისკოგო უნივერსიტეტა“. ტ. I, ვიპ. 1 და 2. ოდესსა 1867, გვ. 31-33). პროფ. ნ. ბასკაკოვის თანახმად, ჩინურ წყაროებში მოხსენებული ტომი იაოშე (იასები, ოსები) თურქული წარმოშობისა ყოფილა. ასევე აღსანიშნავია, რომ ყარაჩაეველ და ბალყარელ ისტორიკოსებს თავიანთი ტომები ალანური წარმოშობისად, ალანები კი თურქულ-ხაზარულ წარმოშობისად მიაჩნიათ. ამ მხრივ, ჩანს არის რაღაც საერთო ძველ ქართულ და უცხოურ წყაროთა შორის.

ფარნავაზის დროისათვის სრულიად შესაძლებელია, ოსები ისევე ყოფილიყო იბერიულ-კავკასიური წარმომავლობის ტომი, როგორც სხვა მეზობელი ტომები.

ფარნავაზის სახელმწიფო ფაქტობრივად მთელ კავკასიას აერთიანებდა თავის გავლენის სფეროში, მაგრამ ყველაზე არსებითი ისაა, რომ ქართველ ტომთა გამაერთიანებელი სახელმწიფოს შექმნამ სახელმწიფოსავე მეშვეობით შესაძლებელი გახადა ქართველთა ეროვნების ფორმირება, ერთიანი ხალხის, ერის ჩამოყალიბება. საზოგადოდ ცნობილია, რომ სახელმწიფოს აქვს თვისება ერთიან ხალხად ჩამოაყალიბოს სახელმწიფოში მცხოვრები მოსახლეობა, ასეთივე თვისებების იყო, ცხადია, ქართული ერთიანი სახელმწიფოც. მით უმეტეს, რომ ქართულ წყაროთა თანახმად, ფარნავაზის მიერ ჩამოყალიბებულმა სახელმწიფომ იარსება თითქმის ათასი წელი. კერძოდ, ეს სახელმწიფო დაშლილა ვახტანგ გორგასალის შვილების შემდგომ VI საუკუნეში – ასე გადმოგვცემს „ქართლის ცხოვრებაც“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲც“. ქართველი ერის ჩამოყალიბების დროს შესახებ ლაპარაკია ქვემოთ, ხოლო აქ უნდა ითქვას, რომ ფარნავაზის ეპოქაში ქართველთა ერთიანობას მიუთითებს ძველქართული გვარების ფორმათა ერთიანობა უძველეს საქართველოში. გამოკვლევებით დადგენილია, რომ უძველესი გვარის აღმნიშვნელი სუფიქსი ეგრისში, ანუ სამეგრელოში იყო „იანი“ (მისგან იქნა შემდგომ მიღებული დაბოლოება „ია“, „ვა“ და სხვა). უძველესი საგვაროვანო სუფიქსი სვანეთში იყო და არის „იანი“. უძველესი საგვაროვანო სუფიქსი სრულიად საქართველოს მთიანეთში – ფშავ-ხევსურეთიდან სვანეთამდე იყო „იანი“ (საოჯახოდ, საშინაოდ ამჟამადაც „იან“ ფორმები იხმარება). უძველესი საგვაროვანო სუფიქსი საქართველოს ბარშიც იყო – „იანი“. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი: ძველ წყაროებში ერთადერთი დამაბოლოებელი სუფიქსი – „იანი“-ა – გვარებში – „ფარნავაზიანი“, „ხოსროიანი“, „არშაკუნიანი“, „ბაქარიანი“, „რევიანი“ (ქ. ც. გვ. 138). „მარუშიანი“, „ბაგრატონიანი“ (ქ. ც. გვ. 251). „არიშიანი“ (ქ. ც. გვ. 328). „ბარაბიანი“ (ქ. ც. 116). „ბივრიტიანი“ (ერისთავი ოძრხისა) ქ. ც. 185). „გოდერძიანი“ (ეს გვარია, რაც იქედან ჩანს, რომ მრავლობითის ფორმითაა წყაროში მოცემული – „გოდერძიანნი ტბელნი“), (ქ. ც. გვ. 248). იქვეა „მამეანნი“, „მამე-ი-ანი. „თარგამოსიანნი“ – ეთნარქები. შავლიანი (ივანე – აფხაზეთის მეფე. 258). „კავკასიანნი“ – სადაურობის აღსანიშნავად (130). „ნებროთიანნი“, „ნერსიანი“ (ნერსე – ქართლის ერისთავი, 241), „ქართლოსიანნი“ (ქართლოსის შთამომავალნი, 27), ჯუანშერიანი (ჯუანშერი-ისტორიკოსი, გვ. 248) და სხვა უამრავი.

მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში ჩამონათვალი ჯერ კიდევ არ არის ნამდვილი გვარ-სახელები და აღნიშნული ფორმა პირთა შთამომავლობას მიუთითებს, მაგრამ ისინი საგვარეულო სახელებად იქცნენ ძირითადად. „იან“ სუფიქსით, როგორც აღინიშნა, მთელ საქართველოს სახელმწიფოში არსებობდა გვარები (გვარ-სახელები). ამის დასტურია მეგრულ-სვანური და მთიულური უძველესი ფორმები. ს. ჯანაშია წერს – „გაბატონებული უნდა ყოფილიყო გვარ-სახელების ეს ფორმა სამეგრელოშიც... მეგრული „ია“ – „იანის“ ნაშთია. ეს ცხადი ხდება, კერძოდ, ცნობილ გვარ-სახელთა ისტორიულ და ცოცხალ ფორმათა შედარებით, ამრიგად, ისტორიულსა და ლიტერატურულ (დადიანს, ლიპარტიანს, რატიანს, ბედიანს მეგრულ ცოცხალ მეტყველებაში უდრის: დადია, ლიპარტია, რატია, ბედია... ბოლოკიდურ – ნ-ს დაკარგვა ნიშანდობლივია მეგრულისათვის (ს. ჯანაშია, ტ. III, 1959, გვ. 40-41).

იქვე ს. ჯანაშიას განხილული აქვს „იან“ ფორმის გამოყენება გვარ-სახელებისავის აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთიანეთში (მთიულეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი). – „გვარ-სახელების ეს დაბოლოება თავდაპირველად გავრცელებული იყო, ჩანს, ყველა ქართულ ტომში, და ქართველურს პატრონომისტიკულ მორფოლოგიაში იგი ერთი ყველაზე ადრინდელი მოვლენათაგანია. დროთა ვითარებაში ეს ფორმა ზოგს ქართველ ტომში დასუსტდა, ზოგან თითქმის მთლად დაიკარგა“ (იქვე, გვ. 35).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეთნიკური ერთიანობა ქართველი ტომებისა ფარნავაზიანთა სახელმწიფოში (ქრისტეშობამდე III საუკუნიდან VI-მდე) გაცილებით უფრო ღრმა იყო, ვიდრე ამ სახელმწიფოს დაშლის შემდეგ (VI ს.). როგორც ცნობილია, პირველი ერთიანი სახელმწიფოს დაშლიდან მხოლოდ ორიოდე საუკუნის შემდეგ, VIII-IX საუკუნეებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ჩამოყალიბდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რამაც, ცხადია, ქართული ტომები ერთმანეთს უფრო დააშორა (ზემოთ აღნიშნული ერთიანი ნიშნების „დასუსტება“ და „დაკარგვა“ ამის შედეგი უნდა იყოს), მართალია, შემდეგ არსებობდა ერთიანი სახელმწიფო (XI-XV სს), რამაც ხელი შეუწყო კონსოლიდაციას, მაგრამ შემდგომმა კვლავ დაშლამ გააღრმავა სვანურ, მეგრულ, გურულ, იმერულ, ქართლურ, კახურ და სხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფში ინდივიდუალური თვისებები. ფარნავაზის სახელმწიფოს დროს კი ერთიანი ეროვნული ნიშნები ღრმა იყო.

ქართული საღვთისმსახურო ანბანის ფუძისდება

საუკუნეთა და ათასწლეულთა მანძილზეც, ქართველი ხალხი სარგებლობს ეროვნული ანბანით. არსებობს მისი ორი სახეობა – ხუცური და მხედრული. თვით სიტყვა „ხუცური“ მიუთითებს, რომ ის ღვთის სადიდებლად ეკლესიაში, სამღვდელოების (ხუცების) მიერ იხმარებოდა. ხუცური ანბანითაა დაწერილი ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს პირველი ქართული სახარებანი, ძველი და ახალი აღთქმის წიგნები.

ხუცური – სრულყოფილი ანბანია იმით, რომ მას აქვს ე.წ. მთავრული და ნუსხური ასოები, როგორც სხვა ევროპულ ანბანებს, მაშინ როცა მხედრულს – მთავრული ასოები არ გააჩნია. მიღებულია, რომ მთავრული პირველსაფუძველია მისგან განვითარებული ნუსხური და მხედრული ასოებისა, ისინი ქართული შრიფტის სახეობებია. მხედრული შემოღებულია XI საუკუნის შემდეგ, მანამდე VIII-IX საუკუნეებში გამოიყენებოდა ნუსხა-ხუცური, V-VII საუკუნეებში ასომთავრულ-ხუცური. ასეთი პერიოდიზაცია პირობითია. როგორც აღინიშნა, მიღებულია, რომ ასომთავრულის განვითარების შედეგადაა მიღებული – ნუსხა-ხუცური, ამ უკანასკნელისაგან კი მხედრული, თუმცა ძველთაგანვე პარალელურად იხმარებოდა სამივე, განსაკუთრებით კი წინა ორი. საეკლესიო და საღვთისმსახურო საჭიროებისათვის საქართველოში ყოველთვის ხუცური ანბანი გამოიყენებოდა.

ივანე ჯავახიშვილი უძველეს, V საუკუნისად მიჩნეულ, ქართულ წარწერაზე დაკვირვებით წერდა: „ჯერ ხანად ცნობილი ქართული დამწერლობის ძეგლები ისეთი მაღალხარისხოვანი კალიგრაფიული განვითარების საფეხურს წარმოადგენენ, რომ ქართული ანბანის დასაწყისი ხანა სულ ცოტა 7-8 საუკუნის უწინარეს არის საგულისხმებელი“. მეცნიერებაში მიღებული იყო აზრი, რომ ჩვენამდე მოღწეული ქართული ალფაბეტი ქრისტეშობამდე VII-VI საუკუნეებში უნდა წარმოშობილიყო ფინიკურ-სემიტური საანბანო სისტემიდან.

საერთოდ ცნობილია, რომ ანბანი პირველად ფინიკიელებმა ჩამოაყალიბეს, მასში ყოველი ასო გამოხატავდა ერთ რომელიმე ბგერას და ყოველი ბგერა გადმოცემული იყო ერთი რომელიმე ასოთი. ამ ანბანმა უდიდესი გავრცელება ჰპოვა მსოფლიოში, პირველ რიგში ფინიკურ-სემიტური ანბანი თვით სემიტური მოდგმის ერთა შორის გავრცელდა, მისგან მრავალი ახალი დამწერლობა გაჩნდა. დასავლეთის მიმართულებით ყველაზე ადრე ფინიკიური ანბანი ბერძნებმა შეითვისეს, მისგანაც მრავალი ახალი ანბანი წარმოიქმნა. ბერძნული ანბანის თავდაპირველი სახეობა ზუსტი ასლი ყოფილა ფინიკიური ანბანისა. ფინიკიურ ანბანს გავრცელება დაუწყია ქრისტეშობამდე IX საუკუნიდან (შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, გვ. 124-125).

პავლე ინგოროყვას აზრით, ქართული ანბანი ფინიკიურისაგან მიღებული არამეულის ერთი განშტოება ყოფილა. სხვა თვალსაზრისით, ის ბერძნულის მიხედვით შემუშავებულა. უფრო კი, როგორც აღინიშნა, აღიარებულია თეორია, რომლის მიხედვითაც, ქართული უშუალოდ ფინიკიური ანბანისაგან არის გადმოღებული, ისევე როგორც ბერძნული ანბანი.

სხვაგან პავლე ინგოროყვა წერს: „ქართული ანბანი ეკუთვნის არქაული პერიოდის მცირე აზიის ალფაბეტების ჯგუფს. ქართული ანბანი არაა შექმნილი თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ იგი ჩამოყალიბებულია ჯერ კიდევ იმ ხანაში, როდესაც ხეთას ქართველი ხალხის ერთი ნაწილი – ჰიბერები (თობელები) და მესხები მცირე აზიის ტერიტორიაზე მკვიდრობდნენ, ჰიბერებს (თობელებს) და მესხებს, როგორც ირკვევა, თავდაპირველად იეროგლიფური დამწერლობა ჰქონდათ“ (პ. ინგოროყვა, ტ. IV. გვ. 247).

მეცნიერის აზრით, ხეთას ქართველები ქრისტეშობამდე VIII-VII საუკუნეებში გადასულან ალფაბეტურ დამწერლობაზე, რისი დამსახურებაც მიაწერეს მესხთა, ანუ ფრიგიელთა სახელგანთქმულ მეფეს მითას – „მითა მესხს“. პ. ინგოროყვას თანახმად, ფინიკიური ალფაბეტის ქართულ და ბერძნულ ენებთან მორგებისათვის შექმნილა საგანგებო კომისია, რომელსაც ეს საკითხი გადაუჭრია. კერძოდ, დელფოსის სამისნოში აღნიშნულ კომისიას მოუხდენია ფინიკიური უხმოვნებო ანბანის ვოკალიზაცია – შემოუღია ხმოვანი ასოები, დაუმატებია თანხმოვანი ბგერები ქართულისათვის, რომელნიც ფინიკიურს აკლდა (იქვე, გვ. 249).

ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ სულ სხვა აზრისაა თ. გამყრელიძე: ქართული ანბანი ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ საეკლესიო-სამწიგნობრო საჭიროებისათვის შექმნილაო (გულისხმობს V საუკუნის შემდგომ პერიოდს), მა-

გრამ თვით ქართული ეკლესიის იერარქია, ქრისტიანი სამღვდელოება თითქმის ათასი წლის წინაც კი ქართული ანბანის შექმნას არ აკავშირებდა ქრისტიანობის გავრცელებასთან, პირიქით, ძველქართული ღრმად მორწმუნე საზოგადოება დარწმუნებით ამტკიცებდა, რომ ქართული ალფაბეტი (ქართული მწიგნობრობა) წარმართი მეფის, ქრისტეშობამდე ასწლეულობით ადრე მცხოვრები ფარნავაზის მიერ იყო შემოღებული.

ცხადია, ქართული ანბანი ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ რომ წარმოშობილიყო, ხსოვნა ამ ყოვლადმნიშვნელოვანი ამბისა უთუოდ შემოინახებოდა ქართულ ეკლესიაში, საეკლესიო მწერლობაში. ბუნებრივია ისმება კითხვა, თუკი ანბანი შემოღებულ იქნა V საუკუნის შემდეგ და უკავშირდება ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებას, თვითონ ქრისტიანულმა ეკლესიამ (კერძოდ, ეკლესიის იერარქმა ეპისკოპოსმა ლეონტი მროველმა) ის რატომ დაუკავშირა წარმართულ ხანას, წარმართ მეფეს, მით უმეტეს რომ წარმართული ხანის ქართველობა ქრისტიანული ხანის სამღვდელოების მიერ საკმაოდ ველურად მიიჩნეოდა, როგორც ეს ძველი წყაროებიდან ჩანს?

როგორც აღინიშნა, დიდი ივანე ჯავახიშვილი ღრმა კვლევის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ქართული ანბანი წარმართული, ქრისტიანობამდელი ხანის პროდუქტია.

ლეონტი მროველი ეპისკოპოსი კი მეფე ფარნავაზის დამსახურებათა ჩამოთვლის დროს წერს – „ამანვე შექმნა მწიგნობრობა ქართული“. მეფე ფარნავაზს მიიჩნევენ ანბანის არა შემქმნელად, არამედ მანამდე არსებულის გამავრცელებლად, ე.ი. ფარნავაზამდე ანბანს რამდენიმე საუკუნის ისტორია ჰქონია.

ს. ჯანაშია წერს – „ქართული ანბანის მეცნიერულმა შესწავლამ გამოარკვია, რომ იგი შეთვისებული უნდა იყოს მცირე აზიაში არა უგვიანეს მეშვიდე საუკუნისა ქრისტეს წინ (იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. პალეოგრაფია). მსგავსი ალფაბეტური დამწერლობა შეიძლებოდა მხოლოდ განვითარების გარკვეულ საფეხურზე გაჩენილიყო. მანამდე მცირე აზიაში მცხოვრებ ქართველ ტომებსაც ხატოვანი და ლურსმული დამწერლობა უნდა ეხმარათ. ამ მხრით უაღრესად საყურადღებოა ქართული ტერმინი „წერა“, იგი თავდაპირველად „ჭრას“, „კვეთას“ ნიშნავდა, აქედანაა „წერაქვი“, ე.ი. ქვის საჭრელი, საკვეთი; ხვნის მნიშვნელობისაა მთაში „წერა“ და აქედან – „წერეული“ – „ყანის ნაკრეფი, შეკონვილი“, „საწერელი“, ე.ი. მჭამელი, მჭრელი... წერასთან დაკავშირებული მეორე მნიშვნელოვანი ტერმინის წარმოშობას გვიხსნის „წერტილი“ („წერტა“ ზმნისაგან ნაწარმოები). „წერტაც“ ხომ ჩხვლეტას, ამოკვეთას, ჩაჭრას ნიშნავს. მაშასადამე, ორივე ტერმინი იმ ხანისაა, როცა წერა რეალურად იყო რაიმე მაგარ მასალაზე (ქვაზე, თიხის დაფაზე, ლითონზე) ამოჭრის, ამოკვეთის პროცესი. ჩვენ გვგონია, რომ ქართველმა ტომებმა თავისი უძველესი სამშობლოდან ამიერკავკასიაში მოიტანეს არა მარტო ეს ტერმინები, არამედ თვით სათანადო დამწერლობანიც...“ (ს. ჯანაშია, ტ. III, გვ. 192).

ს. ჯანაშიამდე მსგავსი თვალსაზრისი ქართული დამწერლობის სიძველის შესახებ გამოთქმული ჰქონდა თეიმურაზ ბატონიშვილს, ჩანს ის ეყრდნობოდა საზოგადოებაში დაცულ ძველ გადმოცემას, ან რომელიმე წერილობით წყაროს: – „არა

უწიგნონი იყვნენ ქართველნი უწინარესთა ჟამთაცა შინა. ვიდრე ფარნავაზამდე სწერდნენ იგინი უხუცესთა წერილითა. ესე იგი, ქურუმთა მათ, რომელთაც უხუცესთა და ხევისბერთა უხმობენ. იგინი იყვნენ კერპთა მღვდელნი და მემსხვერპლენი ერისნი „ღმერთთა“ მიმართ და წერილი მათი არს წერილი ესე ხუცური ჩვენი. წერილნი ხუცესნი პირველსა ჟამსა ქმნილ არს წერილისაგან ებრაულისა და ქალდეურისა და მსგავსიცა არიან ასოთა მათთა ჩვენი ხუცურნი“ (თ. ბაგრატიონი, ცხოვრება, 1972, გვ. 126).

ძველ საქართველოში ხუცურ ანბანს აკავშირებდნენ არა ბერძნულ, არამედ სემიტურ ალფაბეტთან.

თეიმურაზ ბაგრატიონს მოჰყავს ასევე ძველი გადმოცემა, რომლის მიხედვითაც, მაშტოცის მიერ სომხური ანბანის შექმნამდე სომხები უკვე არსებული ქართული მწიგნობრობით სარგებლობდნენ, ხოლო მაშტოცს სომხური ანბანის ზოგიერთი ასო ქართულის მიმსგავსებით შეუქმნია. რაც შეეხება მწიგნობრობასო, – წერს თეიმურაზ ბაგრატიონი, „არა იყო მათ (სომეხთა) შორის ძველთა შინა საუკუნეთა... იგინი (სომხები) სარგებლობდეს პირველ ბერძნულითა წიგნითა და ქართულითა, ქრისტეს მოსვლითგან მრავალთა წელთა განვლეს, მერმე ქმნეს სომეხთა წერილი თვისი, რომელსაც იტყვიან იგინი მოძღვრისა მათისა მესროფისათვის, ვითარმედ მან განაწესა და ქმნა ასონი მათნი, მსგავსნი ქართულის ხუცურის წერილისა. წერილს ქართულსა სომხური რომელნიმე ასონი ჰგვანან და არა ყოველნი. სომეხნი ვიეთნიმე იტყვიან, რომ სომხური წიგნის ასოები და ქართულის წიგნის ასოები ხუცურიო მესროფმა გააკეთაო. მაგრამ ქართული ხუცური ასოები მესროფს არ გაუკეთია, დიდი ტყუილი არის“ (იქვე, გვ. 126). ეს ბოლო წინადადება თავისი გამოკვლევებით დაადასტურა ივ. ჯავახიშვილმა.

თეიმურაზი განაგრძობს: „სანამ მესროფ დაიბადებოდა და ამ სოფელში შემოვიდოდა, აგრეთვე ქართული ხუცური წიგნი იყო და მესროფზე უწინ, საღმრთოს წერილის მთარგმნელნი ჩვენთა წმიდათა მამათაგანი მრავალნი იყვნეს, რომელნიც ებრაულისაგან და ბერძნულისა და ასურულისაგან ქართულად სთარგმნიდნენ, და ოდეს სრულებით არა აქვნდათ ჯერ სომეხთა წერილნი თვისთა ზედა ენათა სარგებლობდეს და ხმარობდეს იგი ქართულითა წიგნითა და წერილითა“ (იქვე).

მეცნიერთა ერთი ნაწილის თვალსაზრისით, მეფე ფარნავაზმა ანბანი კი არ შექმნა, არამედ მან უკვე არსებული, მოსახლეობის მხოლოდ ერთი ნაწილისათვის ცნობილი დამწერლობა, სრულიად საქართველოს სახელმწიფოში გაავრცელა.

რამაზ პატარიძის თვალსაზრისით, რომელიც ეყრდნობა ქართული ასომთავრული ასო-ნიშნების გრაფიკულ ანალიზს, ქართული დამწერლობა შექმნილია ფინიკიური დამწერლობის საფუძველზე ქრისტეშობამდე მეხუთე საუკუნის დასასრულს (იხ. რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, 1980, გვ. 268). ანბანი ქართველ ქურუმთა წიაღში შექმნილა.

რ. პატარიძემ თავისი კვლევის შედეგად დაადასტურა სხვა მეცნიერთა მიერ გამოთქმული მოსაზრებანი, რომ ქრისტეშობამდე 284 წელი არის სრულიად ქართული სახელმწიფო დამწერლობის ოფიციალურად შემოღების თარიღი და აგრეთვე ქართული

ეროვნული წელთაღრიცხვის დასაბამი. ქრისტეშობამდე 284 წელს გასულა ფარნავაზ მეფის გამეფებიდან 19 წელი. ის ვახუშტის თანახმად, გამეფებულა 303 წელს.

284 წელთან დაკავშირებით ვახუშტი წერს: „ამ ფარნავაზის მეფობის ით (19) წელს ქართული ხუთიათასიანი ქორონიკონი ი-ჯერ (10-ჯერ) მობრუნებული განვიდა და მეთერთმეტე იწყების“ (იქვე, გვ. 305). აქ იგულისხმება 532-წლიანი დიდი ინდიქტიონი, რომლის საფუძველს მზის 28-წლიანი და მთვარის 19-წლიანი ციკლები წარმოადგენს, ის ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებამ დააკანონა. ასე რომ, ვახუშტის მიერ ნახსენები „ქართული ქორონიკონი“ ფარნავაზთან დაკავშირებით ანაქრონიზმია, რომლის შესახებაც რ. პატარიძე წერს – „იქნებ სახელოვანი მეცნიერი აქ ზოგადად ქართული წელთაღრიცხვის დასაბამს გულისხმობდეს, რომელიც გვიან ქართული ქორონიკონული წელთაღრიცხვის დასაბამიც გახდა“ (იქვე, გვ. 306). მეცნიერის დასკვნით, 284 წელი არის არა მარტო ქართული დამწერლობის შემოღების თარიღი, არამედ ქართული წარმართული წელთაღრიცხვის დასაბამიც.

როგორც აღინიშნა, 284 წელს ქრისტეშობამდე 10X532 წელი გასულა, ანუ 5332 წელი დასაბამიდან.

დასაბამიდან, ანუ ქვეყნის გაჩენიდან ქრისტეშობამდე ქართული ანგარიშით სულ გასულა 284+(10X532)=5604 წელი.

საერთოდ ქრისტიანულ ქვეყნებში მიღებული იყო წელთაღრიცხვის სამი სისტემა: „ქრისტესით“, „დასაბამიდან“ და „ქორონიკონით“. „ქრისტესით“ წელთაღრიცხვა – ამჟამად გამოიყენება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. წელთაღრიცხვა ქორონიკონით, როგორც აღინიშნა, 532-წლიანი ციკლით ხდებოდა. საერთოდ, ქართული ქორონიკონის დასაწყისის თარიღად მიჩნეული იყო 780 წელი. 781 წელი არის პირველი წელი ქართული ქორონიკონის მე-13 მოქცევისა, ხოლო ქრისტეშობამდე 284 წელი – მე-10 მოქცევისა. ამ წლიდან 2-ჯერ 532 წლის გავლის, ანუ ორი მოქცევის შემდეგ დადგა 780 წელი. ხოლო დასაბამი ამ მოქცევებისა ქართული წელთაღრიცხვით (ათვლის წერტილი) არის 5604 წელი ქრისტემდე, ანუ „დაბადებიდან“ – ქვეყნის გაჩენიდან ქრისტემდე ქართული წელთაღრიცხვა ითვლის აღნიშნულ (5604) წელს. ადამიდან ქრისტეს შობამდე, ანუ „დასაბამითგანის“ სახელით ცნობილი წელთაღრიცხვა სხვადასხვა სახის იყო ძველთაგანვე. ძირითადად ცნობილია „დასაბამითგანის“ შემდეგი ვარიაციები: 1. 5198 წელი – ევსევი კესარიელისა, 2. 5492 წელი – პანდორე ალექსანდრიელისა, 3. 5500 წელი – ანიანე ალექსანდრიელისა, 4. 5508 წელი – ბიზანტიელებისა ანუ ბიზანტიური ერა, 5. ქართული ერა – 5604 წელი – ქართული „დასაბამითგანი“ (იხ. იქვე, გვ. 75).

„უნდა დავასკვნათ: ქართული დასაბამითგანის გამოსავალი თარიღი ყოფილა ძვ.წ.აღ-ის 284 წელი. 5604-წლიან ქრისტიანულ ქართულ დასაბამითგანს საფუძვლად დასდებია დამწერლობის შემოღების ქართული წარმართული თარიღი – 284 წელი ძველი წელთაღრიცხვისა“ (იქვე, გვ. 75).

ქართულ ანბანში იყო 37 ასო-ნიშანი. ძველად რიცხვის აღსანიშნავად ანბანის ასოები იხმარებოდა.

ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობა და ანბანური სათვალავი ასეთია:

1. ა–1	10. ი–10	19. რ–100	28. ჩ–1000
2. ბ–2	11. კ–20	20. ს–200	29. ც–2000
3. გ–3	12. ლ–30	21. ტ–300	30. ძ–3000
4. დ–4	13. მ–40	22. უ–400	31. წ–4000
5. ე–5	14. ნ–50	23. ფ–500	32. ჭ–5000
6. ვ–6	15. ჲ–60	24. ქ–600	33. ხ–6000
7. ზ–7	16. ო–70	25. ღ–700	34. ჯ–7000
8. ჱ–8	17. პ–80	26. ყ–800	35. ჰ–8000
9. თ–9	18. ჟ–90	27. შ–900	36. ჵ–9000
			37. ჶ–10000

ხუცური ანბანის მოხაზულობა და სახელები ასეთია (პირველად ნაჩვენებია ასომთავრული ასო-ნიშანი, მის გვერდით ნუსხური და მისი სახელი):

1.	Ⴑ	—	ⰰ	—	ან	19.	Ⴓ	—	ⰻ	—	რაე
2.	Ⴒ	—	ⰱ	—	ბან	20.	Ⴔ	—	ⰼ	—	სან
3.	Ⴓ	—	ⰲ	—	გან	21.	Ⴕ	—	ⰽ	—	ტარ
4.	Ⴔ	—	ⰳ	—	დონ	22.	□	—	ⰾ	—	ჴიე
5.	Ⴕ	—	ⰴ	—	ენ	23.	Ⴖ	—	ⰿ	—	ფარ
6.	Ⴖ	—	ⰵ	—	ვინ	24.	Ⴗ	—	ⱀ	—	ქან
7.	Ⴗ	—	ⰶ	—	ზენ	25.	Ⴘ	—	ⱁ	—	ღან
8.	□	—	Ⴓ	—	ჰე	26.	Ⴙ	—	ⱂ	—	ყარ
9.	Ⴘ	—	ⰷ	—	თან	27.	Ⴚ	—	ⱃ	—	შინ
10.	Ⴙ	—	ⰸ	—	ინ	28.	Ⴛ	—	ⱄ	—	ჩინ
11.	Ⴚ	—	ⰹ	—	კან	29.	Ⴜ	—	ⱅ	—	ცან
12.	Ⴛ	—	ⰺ	—	ლას	30.	Ⴝ	—	ⱆ	—	ძილ
13.	Ⴜ	—	ⰻ	—	მან	31.	Ⴞ	—	ⱇ	—	წილ
14.	Ⴝ	—	ⰼ	—	ნარ	32.	Ⴟ	—	ⱈ	—	ჭარ
15.	□	—	□	—	ჲე	33.	Ⴠ	—	ⱉ	—	ხან
16.	Ⴞ	—	ⰽ	—	ონ	34.	□	—	Ⴣ	—	ხარ
17.	Ⴟ	—	ⰾ	—	პარ	35.	Ⴢ	—	ⱊ	—	ჯან
18.	Ⴠ	—	ⰿ	—	ჟან	36.	Ⴣ	—	ⱋ	—	ჰაე
						37.	Ⴤ	—	□	—	ჰოი

უ-ასო-ნიშანი შემოღებულ იქნა გვიან ორი ასოს კომბინაციით – ⵓⵏ და მიენიჭა რიცხვითი მნიშვნელობა 400, მან ჯ-ს ადგილი დაიჭირა. ასომთავრული მონუმენ-ტური (კაპიტალური) დამწერლობაა ბერძნულ-ლათინურის მსგავსად. მონუმენტურ-

ობა გულისხმობს ასოების გეომეტრიული სწორხაზოვნება-სიმეტრიულობას. ყველა ასო-ნიშანი თანაბარი სიმაღლისაა და ორ პარალელურ ხაზს შორის თავსდება. ნუსხური დამწერლობა კი ოთხხაზოვან ბადეზეა დამყარებული, მისი ასოები გრძელი, მოკლე და ტოლმეტია, რაც ადამიანს ძალიან უადვილებს კითხვას. მხედრული დამწერლობაც, ნუსხურის მსგავსად, ოთხხაზოვანი სისტემის დამწერლობაა.

თავდაპირველი ანბანი მთავრდებოდა „ჯან“ ასოთი (თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, 1988, გვ. 186.), ხოლო ჰ-ჰაე ფონემა ჩნდება შედარებით მოგვიანებით, VII საუკუნიდან მოყოლებული (იქვე, გვ. 128).

მაშასადამე, თავდაპირველ ანბანში არა 37, არამედ 35 ასო-ნიშანი იყო და ის მთავრდებოდა ჯანით. რ. პატარიძის აზრით, ცჰ-ს ეჭირა ანბანში მერვე ადგილი, სადაც შემდეგ გაჩნდა ე.წ. ე-მერვე.

რამაზ პატარიძემ, რომელიც ქართული დამწერლობის ყველაზე ნაყოფიერი მკვლევარია ჩვენში, დიდი ივანე ჯავახიშვილის შემდეგ, აღმოაჩინა, რომ ჩვენი ანბანი ამავე დროს ასრულებდა კალენდრის მოვალეობასაც.

ძველთაგანვე, ძველი ცივილიზაციის ქვეყნებში დროის კალენდარული აღრიცხვა პრობლემას წარმოადგენდა. „მიზეზი ამისა იყო ის, რომ დღე-ღამე და წელიწადი დროის სხვადასხვა ასტრონომიული სიდიდეებია. დღე-ღამეთა მთელი რიცხვით წელიწადის გამოხატვა შეუძლებელია, ე.ი. დღე-ღამე და წელიწადი არა ჯერადი, არამედ უთანაზომო სიდიდეებია. სწორედ აღნიშნული უთანაზომობის როგორმე დაძლევა, მისი შეძლებისამებრ ზუსტად ასახვის საშუალებით, წარმოადგენდა ნებისმიერი კალენდარული სისტემის მიზანს. ამ მხრივ, ქართული ანბანით განხორციელებული კალენდარი ბედნიერი გამონაკლისია. ქართული კალენდარი ეყრდნობა ანბანში ასო-ნიშნების ანბანური და რიგითი სათვალავის უნიკალურ წესრიგიანობას, ასევე ასო-ნიშნების მიზანდასახულ სახელდებასა და სხვა.

რ. პატარიძის გამოკვლევით, ქართული წარმართული კალენდარის მარტივი სქემა ასეთი სახით გადმოიცემა:

1. — ა	13. — მ	25. — ღ
2. — ბ	14. — ნ	26. — ყ
3. — გ	15. — ჲ	27. — შ
4. — დ	16. — ო	28. — ჩ
5. — ე	17. — პ	29. — ც
6. — ვ	18. — ჟ	30. — ძ
7. — ზ	19. — რ	31. — წ
8. — ჱ	20. — ს	31. — წ
9. — თ	21. — ტ	32. — ჭ
10. — ი	22. — უ	33. — ხ
11. — კ	23. — ფ	34. — ჴ
12. — ლ	24. — ქ	35. — ჯ

ამ სქემით: ანბანის 7 ასო-ნიშანი შვიდეული დღე-ღამე ანუ ერთი მსგეფსია, ანბანის 12 ასო-ნიშანი წელიწადის 12 თვეა. ანბანის 19 ასო-ნიშანი მზისა და მთვარის 19-წლიანი ციკლია. ანბანის 24 ასო-ნიშანი დღე-ღამის 24 საათია. ანბანის 31 ასო-ნიშანი ნაკიანი წელიწადის ოთხწლიანი და 128-წლიანი ციკლებია. ანბანის 5 უკანასკნელი ასო-ნიშანი (წილ-ჯან) წელიწადის 5 ეპაგომენი დღე-ღამეა (რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, 1980, გვ. 526).

ჩვენს ეკლესიაში ამჟამადაც გამოყენებულია რომაული, იულიუსის უძრავი წელიწადის კალენდარი, რომლითაც წელიწადის ხანგრძლივობა 365,25 დღე-ღამეა, სამ წელიწადს წელიწადის ხანგრძლივობა 365 დღე-ღამეა, ხოლო მეოთხე წელიწადს – 366 დღე-ღამე, ე.ი. მეოთხე წელიწადი ნაკიანია. იულიუსის კალენდარით, წლის ბოლოს ეპაგომენების 5 და 6 დღის დართვა მოშლილია. მანამდე გამოყენებულ უძველეს კალენდარულ სისტემებში წელიწადის ხანგრძლივობას 360 დღე-ღამით განსაზღვრავდნენ (ეგვიპტესა და სხვაგან). წელიწადში ეგვიპტელები 12 თვეს ანგარიშობდნენ, ყოველ თვეში 30 დღეს, წლის ბოლოს ზეიმობდნენ 5 სადღესასწაულო დღეს (5 ეპაგომენს),ამიტომაც ეგვიპტური მზის წელიწადის ხანგრძლივობა 365 დღე-ღამეს შეადგენდა, მაშინ, როცა რეალური, ანუ ტროპიკული წელიწადის ხანგრძლივობა 365, 2422 დღე-ღამეა, ე.ი. ეგვიპტური კალენდარი არაზუსტი იყო. ქრისტეშობამდე 46 წელს რომში იულიუს კეისრის მიერ განხორციელებული კალენდარი უფრო ზუსტი იყო, რომლითაც წელიწადის ხანგრძლივობა 365,25 დღე-ღამეა, ისიც არაზუსტია, რადგანაც ტროპიკულ წელიწადს აღემატება წუთებითა და წამებით, რაც 128 წელიწადში იძლევა 1 დღე-ღამის სხვაობას. ეს შეუსაბამობა გაასწორა გრიგორიანულმა კალენდარმა 1582 წელს. ქართულ წარმართულ კალენდარს საუკუნეებით ადრე შედარებით სწორად გამოუხატავს ტროპიკული წელიწადის ხანგრძლივობა. ეს რ. პატარიძის დაკვირვებით ასე განხორციელებულა: ქართული კალენდრით თვეში არის 30 დღე-ღამე, წელიწადში – 12 ასეთი თვე, ხოლო წლის ბოლოს ემატება 5 კალენდარული დღე-ღამე, ნაკიან წელს კი – 6 და ასევე 0,25 დღე-ღამე. კერძოდ, ეს ასე ხდება: ქართული ანბანის 30 ასო-ნიშანი (მათი სახელდების პრინციპის საფუძველზე დაყრდნობით) – გამოხატავს 30 კალენდარულ დღე-ღამეს, ქართული ანბანის უკანასკნელი 5 ასო-ნიშანი წლის ბოლოს დასართველი კალენდარული დღე-ღამეა. ანბანით გამოხატულია მზის წელიწადის ფორმულაც. კერძოდ, ანბანის მეთორმეტე ასოთი („ლასი“), რომლის რიცხვითი მნიშვნელობა არის 30. ამ ფორმულის ძირითადი ელემენტია: 12ლ30. „ასომთავრული „ლასი“ ქართული ასომთავრული ანბანის 30 კალენდარულ ასო-ნიშანს – 30 კალენდარულ დღე-ღამეს 12-ჯერ ანგარიშობს. ამიტომაც, ქართული ასომთავრული ანბანის 5 დარჩენილი ასო-ნიშანი ის 5 კალენდარული დღე-ღამეა, რომელიც წლის ბოლოს, ახალი წლის დადგომამდე 360 დღე-ღამეს ემატება ეპაგომენების სახით, რათა წელიწადის ხანგრძლივობის მზის ძველ-ეგვიპტური კალენდარული სისტემა განხორციელდეს“ (იქვე, გვ. 412). „ლასის“ ფორმულით, წელიწადში 365 დღეა. 12ლ30=12X30=360 და 5 ეპაგომენი, სულ 365 დღე-ღამე.

ყოველი სამი წლის შემდეგ კი წელიწადის ხანგრძლივობა ქართული წარმართული კალენდრით 366 დღე-ღამით განისაზღვრებოდა. ეს ხორციელდებოდა

ანბანის ასო-ნიშან „ѵილის“ ფორმულით. მისი ანბანური და რიგითი სათვალავი, ასეთია: 31 ѵილი 4000=31ѵ4000 ანუ 3+1ѵ4000.

„როგორც „ѵილი“ ცხადყოფს, ერთხელ ყოველ ოთხ ѵელიѵადში, ე.ი. ნაკიან ѵელიѵადს 365 დღე-ღამეს ერთი – 31-ე დღე-ღამე ემატება, ამის გამო, ყოველ ოთხ ѵელიѵადში ერთხელ ѵელიѵადის ხანგრძლივობა 365+1=366 დღე-ღამეა. ამგვარად ასო-ნიშანი „ѵილი“ ყოველ ოთხ ѵელიѵადში ერთხელ 30 დღე-ღამის ნაცვლად 31 დღე-ღამეს ანგარიშობს, ხოლო ეს საიდუმლო „ѵილი“-ს რიგითი სათვალავით არის განცხადებული“ (იქვე, გვ. 422).

ამას თურმე მიუთითებს აღნიშნული ასოს რიგითი სათვალავი – 31 (ეს არის 3+1 ე.ი. 3 სრული, 1 ნაკიანი), რიცხვითი მნიშვნელობა – 4000 („ათასი ѵელი ვითარცა ერთი დღე“ – 4000=4-ს, ე.ი. ოთხ ѵელიѵადში ერთხელ დამატება). მისი ანბანური სათვალავია, (რომლის მიხედვითაც რიცხვი 31 იѵერება) – „ლა“, რაც უდრის 30+1-ს, ანუ 30-დღიან თვეებს ერთით მეტი თვე ემატება საჭიროების შემთხვევაში, (ფორმულის შესაბამისად), ამასვე თურმე მიუთითებს ამ ასო-ნიშანის სახელი – სიტყვა „ѵილი“, რაც ნაѵილს, ѵილადს აღნიშნავს. მას ანბანში დაფარული მნიშვნელობაც ჰქონია, როგორც ამის შესახებ წერს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, რომელშიც ასევე აღნიშნულია: „ѵილი“ ასოჲ არს და იტყვის ყოვლად ოთხ ათასსა და ესე არს ოთხი „რამეთუ ათასი ვითარცა ერთი“, ე.ი. ѵ=4, რაც „დაფარულად უნდა აცხადებდეს, რომ 4 ѵილი ერთი დღე-ღამეა, ამიტომ „ѵილი“ ასო-ნიშანი კალენდარულად ѵელიѵადში დღე-ღამის ნაოთხალია, დღე-ღამის მეოთხედია, ოთხ ѵელიѵადში კი ერთი კალენდარული დღე-ღამეა“ (იქვე, გვ. 422).

საბოლოოდ ქართული კალენდრით ѵელიѵადის ხანგრძლივობა შეადგენს 365,25 დღე-ღამეს (3X365 და 1X366), მაგრამ თურმე ტროპიკულ ѵელიѵადს ანბანში განხორციელებული ქართული კალენდარი კიდევ სხვა სისტემებით უახლოვდება, რაც გადმოცემული აქვს თავის ѵიგნში რ. პატარიძეს.

ქართული ანბანის საშუალებით გადმოცემული ყოფილა ასევე მთვარის კალენდარიც.

ქართული ანბანით მთვარის კალენდარი შემდეგი სისტემითაა გადმოცემული: ანბანის ასო-ნიშანთა სახელѵოდებანი, მათი რიგითი და ანბანური სათვალავი კალენდრის გასაღებს ѵარმოადგენს. ქართული ანბანის კალენდარული მონაცემები გამოѵვლილვით აქვს მიმოხილული თავის ѵიგნში რ. პატარიძეს. მასვე სრულიად უეჭველად აქვს დასაბუთებული ქართული ანბანის გრაფიკული მოხაზულობის ფინიკიურიდან ѵარმომავლობა. პატარიძის აზრით, ქართული ანბანი შეუმუშავებიათ ქურუმებს ქრისტეშობამდე 412 ѵელს, რაც იმავდროულად კალენდრის შემოღებასაც ნიშნავდა. 128 ѵლის შემდეგ ქრისტეშობამდე 284 ѵელს დაѵყებულა ქართული სახელმწიფო ეროვნული ѵელთაღრიცხვა.

ქართული ანბან-კალენდრის შემოქმედ ქურუმებს ბაბილონელ, ქალდეველ და ბერძენ მათემატიკოსთა მიღწევებზე დაუფუძნებიათ თავიანთი შრომა. ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას და სხვა მეცნიერთა შრომებზე დაყრდნობით, ერთი მხრივ, ჩვენ თუ ვაღიარებთ, რომ ქრისტეშობამდე VII-V საუკუნეებში საქართველოს მოაშურეს ძველი დამსხვრეული ცივილიზაციის ნამსხვრევმა ტომებმა, შთამომავლებმა ხუ-

რიტებისა, ქალდეველებისა, თობალებისა თუ მუშქებისა, უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ, მათმა ინტელექტუალურმა ნაწილმა თან მოიტანა ძველი აღმოსავლეთის ასტრონომიული, მათემატიკური ცოდნა, სარწმუნოება და კულტურა.

ძველი ქალდეველების კულტურას უდიდესი გავლენა მოუხდენია სხვა ქვეყნების კულტურაზე. მათგან გავრცელებულა რიცხვითი მისტიკა, მათემატიკური ცოდნა, რომელიც განუყოფელი ნაწილი ყოფილა ქალდეური მეცნიერებისა და კულტურისა. რიცხვითი მისტიკის აკვნად და ასევე სხვა საიდუმლო მეცნიერების კერად ძველთაგანვე ითვლებოდა ქალდეა. საბერძნეთში ქალდეური სწავლება პითაგორეს განუვითარებია (იხ. იქვე. ი. ჩისტიაკოვის და სხვათა შრომებზე მითითება გვ. 487). რ. პატარიძის აზრით, სწორედ ქართული პითაგორელების მიერ უნდა შექმნილიყო ქართული ანბანი, რომელშიც დასტურდება ცოდნა, როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური ცივილიზაციისა. საქართველოში შემოსულ ოდესღაც დიდი ცივილიზაციის მემკვიდრე ქართულ ტომებს უნდა შემოეტანათ ეგვიპტური მზისა და ბაბილონური მთვარის კალენდრები, რომელნიც შემდგომ ქართულ ანბან-კალენდარში შენივთდა. ქართული ანბან-კალენდარი, მსგავსად პითაგორული მოძღვრებისა – საიდუმლო ყოფილა. ის მხოლოდ ქურუმთა ვიწრო წრეში ყოფილა ცნობილი, ფარნავაზის დროს მას რამდენადმე გავრცელება მიუღია სრულიად საქართველოს ქურუმთა შორის. ქრისტეშობის შემდეგ, ქრისტიან ქართველობას სწორედ ეს უკვე არსებული ანბანი გამოუყენებია საეკლესიო საჭიროებისათვის. უფრო მეტიც, ქართული ანბანი ნაწილობრივ, რ. პატარიძის გამოკვლევის თანახმად, საფუძვლად დასდებია სომხური ანბანის შექმნის პრინციპს (იხ. იქვე, გვ. 528-596), რასაც უფრო ადრეც მიუთითებდნენ ქართველი ისტორიკოსები.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ანბანი, რომლითაც დაიწერა ქართულ ენაზე ახალი აღთქმა, ბიბლიის წიგნები, ლოცვები, ქადაგებანი, რომელსაც ეფუძნებოდა ათასწლეულთა მანძილზე ნაწერით გადმოცემული საღმრთო დიდებისმეტყველება, შეუძლებელია შექმნილიყო სულიწმინდის მონაწილეობის გარეშე. უთუოდ ქართული ხუცური ანბანი სულიწმინდის ჩაგონების შედეგია. დიდება მას!

ახალი აღთქმა უფლისა

ისრაილის დიდმა წინასწარმეტყველებმა გამოაცხადეს, რომ არსი ჭეშმარიტი რელიგიისა – ღმერთისა და კაცის კავშირშია, სწორედ ამ კავშირს ანუ ერთობას ეწოდებოდა აღთქმა.

აღთქმა წმიდა წერილში გამოითქმოდა სიტყვით „ბერიტ“, რაც ნიშნავს პირობას, კანონს, დადგენილებას, რომელზეც თანხმდება ორი შემთანხმებელი მხარე. წმიდა წიგნები, რომლებშიც აღწერილია კავშირი ღმერთისა კაცთან, წარმოადგენდნენ ერთ-ერთ საშუალებას აღთქმის დამოწმებისას, ამიტომაც მათაც „აღთქმას“ უწოდებდნენ. ის არსებობდა უკვე მოსეს ეპოქაში. ძველ აღთქმას განეკუთვნება პირველი წინასწარმეტყველური მითითება „ახალი აღთქმისა“. კერძოდ, იერემიას ცნობილ წინასწარმეტყველებაში – „აი, დადგება დღეები, ამბობს უფალი, როცა მე დავდებ ისრაელისა და იუდას სახლთან ახალ აღთქმას“ (იერ; 31.30).

შემდგომ ტერმინი „ახალი აღთქმა“ მრავალგზის იხმარეს თვით იესო ქრისტემ და მისმა წმიდა მოციქულებმა (მათე 26.28,მარკ. 14.24; ლუკა 22.20; 1 კორ. 11.25; 2 კორ. 3.6 და სხვა).

როგორც ათი მცნება, ანუ კანონი იწოდებოდა „აღთქმად“, ზუსტად ასევე, გამოთქმა „ახალი აღთქმა“ ქრისტიანული ეკლესიის მიერ მიენიჭა წმიდა წიგნებს, რომლებშიც გადმოცემულია ქრისტესა და მოციქულების სწავლება (იხ. ტოლკოვაია ბიბლია, III, პეტერბ. 1911-1913, გვ. 2).

ჯერ კიდევ იერემიას პირით ბრძანებს უფალი „ახალი აღთქმის“ პირველად ხსენებისას (ქრისტეშობამდე 600 წლით ადრე) კაცობრიობის ცოდვათა დახსნის შესახებ – „...მე მათ ვაპატიებ უკანონობას და არ გავიხსენებ მათ ცოდვებს. ასე ამბობს უფალი, რომელმაც მოგვცა მზე დღის სინათლედ და მთვარე და ვარსკვლავები ღამის სინათლედ, რომელიც აღელვებს ზღვას, ისე, რომ ხმაურობენ მისი ტალღები, იაღვე საბაოთია – მისი სახელი“ (31.33-34).

ღვთისმეტყველთა თანახმად, ძველი აღთქმა წარმოადგენდა მომზადებასა და წინასწარმეტყველებას ქრისტეზე. ნაწინასწარმეტყველები იყო ზუსტი დრო და ადგილი მესიის შობისა, მოგვთა თაყვანისცემა, ყრმათა გაწყვეტა, ეგვიპტეში გაქცევა, წინამორბედ-წინასწარმეტყველის გამოჩენა, იუდეველ მწიგნობართა და ხელისუფალთა მტრობა, მაცხოვარის სასწაულები, მესიის უარყოფა იუდეველი ხალხის მიერ, ტანჯვა, სიკვდილი, ჯოჯოხეთში ჩასვლა, აღდგომა, ამაღლება და ა.შ. (პ. სვეტლოვ, ხრისტიანსკოე ვეროუჩენიე, კიევ, 1912, ტ. I, გვ. 125).

„სარწმუნოების სიმბოლო“, რომელსაც „მრწამსსაც“ უწოდებენ, ასე გადმოსცემს ქრისტეს განკაცებას – „რომელი ჩვენთვის კაცთათვის და ჩვენისა ცხოვრებისათვის გარდმოხდა ზეცით და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა განკაცნა, და ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტოელისა პილატეს ზე და ივნო და დაეფლა. და აღსდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა“.

ცხადია, „წერილში“ იგულისხმება ძველი აღთქმის წმიდა წიგნები, კერძოდ კი წინასწარმეტყველთა წიგნები. ჯერ კიდევ აბრაამის შესახებ იყო ნაბრძანები (დაბადება, 12), რომ მის მიერ წარმოშობილი ხალხის მიერ „იკურთხება ყველა ტომები და ხალხები დედამიწისა“. სწორედ ამ ერში განხორციელებული მაცხოვრის მიერ მოხდა გამოსყიდვა კაცობრიობისა. სინაის აღთქმაში საფუძველი ჩაეყარა ხალხს, რომელიც უნდა ქცეულიყო „წმიდა ხალხად და მღვდელთა სამეფოდ“ (გამოსვლ. 19). ამ ხალხიდან ქრისტიანობის მაცოცხლებელი სარწმუნოება მიიღეს მსოფლიოს სხვა ხალხებმა. ესაიაც ყველა ხალხთა მხსნელად წარმოადგენს მესიას – „...ყოველი ერი მისკენ დაიწყებს დენას. დაიძვრება უთვალავი ხალხი და იტყვის: მოდი, ავიდეთ უფლის მთაზე იაკობის სახლში. გვასწავლოს თავისი გზები და მისი ბილიკებით ვიაროთ, რადგან რჯული სიონიდან გამოვა და უფლის სიტყვა – იერუსალიმიდან. სამართალს განიკითხავს იგი ერებს შორის და ამხილებს უთვალავ ხალხს. მახვილებისგან სახნისებს გამოჭედავენ და შუბებისაგან – ნამგლებს, ერი ერზე აღარ აღმართავს მახვილს და აღარავინ ისწავლის ომს“ (ესაია, 2).

წინასწარმეტყველი ხედავს მომავალ ცხებულს, რომელიც მოიტანს მშვიდობასა და თავისუფლებას. მისი მეფობა შეცვლის ყოველ არსებას – „ხალხმა, ბნელში

მოარულმა, იხილა ნათელი დიდი, წყვდიადის ქვეყანაში მცხოვრებლებს ნათელი გამოუბრწყინდა. შენ გაამრავლე ხალხი, გაუზარდე მას სიხარული... რადგან შენ დალეწე მისი კირთების უღელი... რადგან შეგვეძინა შვილი, მოგვეცა ძე... ეწოდა სახელად საკვირველი მრჩეველი, ღმერთი ძლიერი, მარადისობის მამა, მშვიდობის მთავარი, ხელმწიფების განსადიდებლად და უბოლოო მშვიდობისათვის დავითის ტახტზე და მის სამეფოში...“ (ესაია, 9).

წინასწარმეტყველი განაგრძობს მესიის შესახებ – „ამოვა ყლორტი იესეს ღეროდან და მისი ფესვების ამონაყარი გაიხარებს. დაივანებს მასზე უფლის სული, სული სიბრძნისა და გონიერებისა, სული რჩევისა და სიმხნევისა, სული შეგნებისა და უფლის შიშისა... სიმართლით განსჯის ღარიბ-ღატაკთ, სისწორით განიკითხავს ქვეყნის ბედშავთ... სიმართლე იქნება სარტყელად მის წელზე... დადგება მგელი ცხვართან ერთად და ვეფხვი დაბინავდება ციკანთან ერთად, ხბო, ლომი და ნასუქალი პირუტყვი ერთად იქნებიან და ჩვილი ბავშვი წარუძღვება მათ... იმ დღეს ხალხთა დროშად დადგება იესეს ფესვი და მისკენ დაიწყებენ დენას ტომები, დიდება იქნება მისი საშვებელი“ (ესაია, 11).

ესაიას დარად მიქა წინასწარმეტყველიც მესიის ერას უკავშირებს ყველა ხალხების მოქცევასა და გადარჩენას – „უკანასკნელ დღეებში იქნება, რომ მთების თავში დამყარდება უფლის სახლის მთა, გორაკებზე მაღლა აღიმართება და მისკენ დაიწყებს დენას ხალხები. მოვლენ უამრავი ხალხები და იტყვიან: წამო, ავიდეთ უფლის მთაზე და იაკობის ღვთის ტაძარში, რომ გვასწავლოს თავისი გზები და ვიაროთ მისი ბილიკებით, რადგან სიონიდან გამოდის რჯული და იერუსალიმიდან – უფლის სიტყვა“ (მიქა, 4:1-2).

უფლის მოსვლის შემდგომ დამყარებულ დაუსრულებელ სამეფოს იერემია „ახალ აღთქმას“, ხოლო ეზეკიელი „საუკუნო აღთქმას“ უწოდებს – წინასწარმეტყველის პირი ღაღადებს – „დავუდებ მათ მშვიდობის აღთქმას და საუკუნო აღთქმა იქნება მათთვის. დავამკვიდრებ მათ და გავამრავლებ, მათ შორის დავდგამ ჩემს საწმინდარს საუკუნოდ. იქნება მათზე ჩემი მოვანება, ვეყოლები მათ ღმერთად, ისინი კი ჩემი ერი იქნებიან. მაშინ მიხვდებიან ხალხები, რომ უფალი ვარ, ისრაელის განწმენდელი, და ჩემი საწმიდარის საუკუნო მყოფობით მათ შორის“ (ეზეკ. 37:26-27).

ძველი აღთქმის გამოცხადების მწვერვალია ესაიას წინასწარმეტყველება, რომელმაც იწინასწარმეტყველა არა მარტო ჩვენი მხსნელის – ქრისტეს – დავითის საგვარეულოდან წარმოშობა, ქალწულის მიერ მისი მუცლადღება, შობა და ემანუელად სახელდება (ესაია 7:14), არამედ ჩვენი ცოდვების დახსნისათვის მისი ვნებაცა და სიკვდილი – „ნამდვილად კი, მან იკისრა ჩვენი სნეებები და იტვირთა ჩვენი სატანჯველი, ჩვენ კი გვეგონა, ღვთისაგან იყო ნაცემ-ნაგვემი და დამცირებული. მაგრამ ის ჩვენი ცოდვებისათვის იყო დაჭრილი, ჩვენი უკეთურობებისათვის დალეწილი. მასზე იყო სასჯელი ჩვენი სიმრთელისათვის და მისი წყლულებით ჩვენ განვიკურნეთ... ევნო და ეწამა, მაგრამ არ დაუძრავს ბაგე, კრავივით დასაკლავად მიიყვანეს და როგორც ცხვარი დუმს მპარსველთა წინაშე, მასაც არ დაუძრავს ბაგე“ (ესაია, 53:4-5, 7-8).

მან იწინასწარმეტყველა, რომ მაცხოვრის უწინარეს მოვა წინამორბედი და მოამზადებს ხალხს მის მისაღებად, იტყვის რომ ის იქნება ქრისტე, ესე იგი ცხებული ღვთისა, რომ ის იქნება ღმერთი და კაცი, რომ ის მოახდენს სასწაულებს; მისი სიტყვით, კოჭლები ივლიან, ბრმები აღიხილავენ, მკვდრები აღდგებიან, რომ ის ეწვალება, მოკვდება და ამით გამოიხსნის ყველა მის მორწმუნეს, ის აღსდგება და დააფუძნებს სიმართლის და მშვიდობის სასუფეველს და მის სუფევას არ ექნება დასასრული, რამეთუ მისი სამეფო, ახალი იერუსალიმი, იქნება ჭეშმარიტი სამეფო ღვთისა გარდამოსული ქვეყნად.

წინასწარმეტყველებანი აღსრულდა, მაგრამ ისე, რომ ის, ვისაც ელოდნენ, მოვიდა წყნარად და შეუმჩნევლად (ემანუილ სვეტლოვ, ვესტნიკი ცარსტვა ბოჟია, 1972, გვ. 488-492), რათა ახალი აღთქმა დაედო რჩეულ ერთან, როგორც ამბობდა იერემიას პირით უფალი – „ეს არის ის აღთქმა, რომელიც უნდა დავუდო ისრაელის სახლს იმ დროის შემდეგ, ამბობს უფალი. წიაღში ჩავუდებ მათ ჩემს რჯულს და გულზე დავაწერ. მათი ღმერთი ვიქნები მე და ისინი ჩემი ერი იქნებიან“ (იერ. 31:32).

მოვიდა ის, რომელიც იხილა დანიელმა ჩვენებით – „ჩემს ღამის ხილვაში ვნახე: აჰა, ცის ღრუბლებზე მოდიოდა კაცის ძის მსგავსი, იგი ძველ დღეთაგან მოვიდა და წარდგენილ იქნა მის წინაშე. მიეცა მას ხელმწიფობა, დიდება და მეფობა, რათა ყველა ხალხი, ტომნი და ენანი მას ემსახურონ. მისი ხელისუფლება საუკუნო ხელმწიფებაა, ბოლო არ ექნება მას და მისი სამეფო არ დაიქცევა“ (დან. 7:13-14).

ყველა ხალხი, ტომი და ენა იქცა იესო ქრისტეს თაყვანისმცემლად, რჩეული ერი ისრაილისა, ამის შემდგომ, სწორედ მათ, მის მორწმუნე ქრისტიანებს ეწოდათ, სწორედ მათ მიეცათ ახალი აღთქმა.

ყველა ქრისტიანმა ერმა თავისი სასულიერო მწერლობა „საღმრთო წერილის“, ანუ ბიბლიის თარგმნით დაიწყო. ახალი აღთქმის ბერძნულიდან თარგმნა მეორე საუკუნიდანვე დაუწყიათ. მათ შორის პირველი სირიული თარგმანები ყოფილა. სირიული ენა ახლოს ყოფილა არამეულ დიალექტთან, რომელზეც ლაპარაკობდნენ ქრისტე და მოციქულები.

ქართულად სახარება მეხუთე საუკუნეში უკვე თარგმნილი იყო. იაკობ ხუცესი, რომელმაც „წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისა“ 476-483 წლებში დაწერა, სხვა წიგნთა შორის მოიხსენიებს სახარებასაც – „ევანგელიეს“ სახელით. იაკობ ხუცესი წერს: როდესაც ცურტავში შუშანიკ დედოფალი განუდგა გამაზდეანებულ ქმარს – ვარსქენ პიტიახშს და კვლავ ტაძრად მივიდა, მან „თანა წარიტანნა ევანგელიე თვისი და წმიდანი იგი წიგნნი მოწამეთანი“, საპყრობილეში კი „...დიდითა გულის-მოდგინებითა ხელთა აღიხვნა დავითნი და მცირედთა დღეთა შემდგომად ასერგასისნი იგი ფსალმუნნი დაისწავლნა“. მაშასადამე, V საუკუნეში უკვე არსებულა ქართულად „სახარება“, წმიდა მოწამეთა ცხოვრების აღწერა და დავითნი (ივ. ლოლაშვილი, წიგნისა და მწერლობის საწყისებთან, 1978, გვ. 8).

სიტყვა „ევანგელიე“ კლასიკურ ბერძნულში აღნიშნავს კეთილი ამბის ცნობას – ხარებას. ახალ აღთქმაში აღნიშნავს ხარებას იმისას, რომ ქრისტემ შეარიგა ადამიანები ღმერთთაგან და ჩვენ მოგვიტანა სასუფევლის სიკეთე, ამიტომაც ეწოდა ქართულად ევანგელეს – სახარება.

ჩვენი მემატიანეს თანახმად, ვახტანგ მეფის დედისათვის სახარება გაუცვნიათ V საუკუნის შუა წლებში, ხოლო VI საუკუნის 30-იან წლებში საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული საბა განწმენდილის მონასტრის დამაარსებლის, წმიდა საბას „ანდერძი“ გვაუწყებს, რომ იბერიელებს „ნება ეძლევათ წართქვან ჟამნი და სამხრისაჲ, წარიკითხონ სამოციქულო და სახარება თავიანთ დედაენაზე“. მაშასადამე, საბაწმინდელ ქართველ ბერებს V საუკუნის მეორე ნახევარში ხელთ ჰქონიათ ქართული „სამოციქულო“ და ქართულივე „სახარება“ (იქვე, გვ. 9).

სახარების უძველეს ქართულ თარგმანებს „პირველითგანს“ უწოდებდნენ, გიორგი მთაწმიდელი ამ თარგმანებს „წმიდად თარგმნილებს“ უწოდებდა და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა: „ჩვენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნი არიან და კეთილად – ხანმეტნიცა და საბაწმინდურნიცა“. ი. ლოლაშვილის აზრით, „პირველითგანში“ იგულისხმება IV საუკუნეშივე, ჩვენში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებისას თარგმნილი სახარებანი (იქვე, გვ. 9).

საღმრთო წერილი ყველაზე ადრე თარგმნილა ქართულად. ამ თარგმანებით დაწყებულა ქართული საეკლესიო მწერლობა. ეფრემ მცირეს სიტყვით, ქართველებს მაშინ დაუწყიათ საღმრთო წერილის თარგმნა, როცა მსოფლიო ეკლესიას ჯერ კიდევ „არარაჲ აქუნდა სხვაჲ საგალობელად საეკლესიოჲ, თვინიერ ფსალმუნთა წიგნისა“. ე.ი. მაშინ, როცა ღვთისმსახურებაში ჰიმნოგრაფიული ელემენტი ჯერ განვითარებული არ იყო და არავითარი წესის შესრულება არ შეიძლებოდა „საღმრთო წერილის“ (ბიბლიის) წიგნების გარეშე (კ. კეკელიძე,ქართ. ლიტ. ისტორია I, გვ. 441). მართლაც, პეტრე იბერის ცხოვრების თანახმად, პეტრეს ჯერ კიდევ საქართველოში, კონსტანტინეპოლს გამგზავრებამდე (424 წლამდე) შეუსწავლია წმიდა წერილი, ხოლო, მატიანეს ცნობით, ვახტანგ გორგასალს მდიდრულად შეუმკია სახარება (იქვე, გვ. 412).

თუ ვერწმუნებით ცნობას ანდრია პირველწოდებულისა და სხვა მოციქულების საქართველოში ქადაგების შესახებ, მესუკაველ მოწამეთა (I-II სს) ცხოვრების ცნობებსა და აგრეთვე იოანე საბანისძის VIII საუკუნეში ნათქვამს, რომ მესამე საუკუნიდან საქართველოს მოსახლეობა უკვე გაქრისტიანებულია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ წმიდა წერილს ზეპირად თარგმნა – ქადაგების გზით ქართველები მეოთხე საუკუნემდე უნდა გაცნობოდნენ, ხოლო IV-V საუკუნეებში ჩვენში უკვე რომ არსებობდა „პირველითგანი“ თარგმანები, სანდოდ უნდა მივიჩნიოთ. მით უმეტეს, რომ მოღწეულია მრავალი ხელნაწერი, მეცნიერთა მიერ V-VI საუკუნეებით დათარიღებული. განსაკუთრებით კი პალიმფსესტები. არსებობს ძველი თარგმანების (პირველითგანის) რამდენიმე რედაქცია. ესენია ხანმეტი (ასო ხ-ანით მეტი) და ჰაემეტი. შემდგომია ე.წ. „საბაწმინდური“. რომელიც, კ. კეკელიძის თანახმად, ხანმეტისაგან ფონეტიკურად განსხვავდებოდა, იმით, რომ ხან-ები უკვე აღარ იხმარებოდა, თუმცა შესაძლებლად მიიჩნევა საბაწმინდურ რედაქციაში ხ-ანის მაგიერ ჰ-აეს ხმარება. ეს რედაქციები IV-IX საუკუნეებში თავსდება. ახალი რედაქცია წმიდა წერილისა, კერძოდ კი სახარებისა ეკუთვნის ექვთიმე ათონელს

(მესტიის სახარება 1033 წ. და მეტეხის სახარება 1049 წ.) – მას ტექსტი შეუჯერებია ახალ, იმჟამინდელ ბერძნულ რედაქციასთან. ეს შრომა გაუგრძელებია გიორგი მთაწმინდელს, მას სახარების ტექსტი სამჯერ შეუმოწმებია ბერძნულ ტექსტთან და მოუცია ახალი, დამოუკიდებელი რედაქცია, რომელმაც საქართველოში მოიპოვა კანონიკური ღირსება და მნიშვნელობა ქართული ვულგატისა (იქვე, გვ. 414).

საეკლესიო საჭიროებისათვის, ცხადია, ძველადვე „პირველითგან“ ითარგმნებოდა სამოციქულოც.

შუშანიკის მარტვილობიდან ჩანს, რომ პავლეს ეპისტოლენი V საუკუნეში არსებობდა, თუმცა სამოციქულოს ძველი ნუსხები (XI ს-მდე არსებულნი) ნაკლებად შემონახულა ჩვენში. ექვთიმე ათონელს, სამოციქულოს ზოგიერთი ტექსტის რედაქტირებაც უნდა ეკუთვნოდეს, კერძოდ კი აპოკალიფსისა, ანუ გამოცხადებისა. მას კ. კეკელიძე მიიჩნევს პირველ თარგმანად, მაგრამ შეუძლებელია ის მანამდეც არ ჰქონოდათ ქართველებს, მასვე უთარგმნია პავლეს ზოგიერთი ეპისტოლე, განმარტებებთან ერთად. სამოციქულო უფრო სრულად უთარგმნია (ე.ი. მოუცია ახალი რედაქცია ახალი აღთქმის ამ ნაწილისა) გიორგი მთაწმინდელს. მას უთარგმნია „პავლე სრული და საქმე მოციქულთა და კათოლიკენი მოციქულთანი“. ის ყოფილა ძველი ქართული ტექსტის რედაქტირება და არა ახალი თარგმანი ბერძნულიდან. რედაქტირება რომ ყოფილა, ამას ამოწმებს ეფრემ მცირეც – კერძოდ, აღნიშნავს, რომ გიორგიმ მთლიანად ვერ გაწყვიტა კავშირი ძველ ქართულ ტექსტთანო (იქვე, გვ. 416). ეს რედაქციაც სამოციქულოსი კანონიკური გამხდარა.

ძველი აღთქმის წიგნები ქართველებს, როგორც ჩანს, სეპტანტადან უთარგმნიათ (ცნობილია, რომ ძველი აღთქმის ებრაული დედანი ქრისტეშობამდე მესამე საუკუნეში ალექსანდრიაში ბერძნულ ენაზე გადაუთარგმნია 70 მთარგმნელს – მას უწოდეს სეპტანტა („სეპტუაგინტა“), თუმცა, ზოგიერთი ქართული თარგმანი შედარებულია II საუკუნეში ებრაულიდან ბერძნულ ენაზე შესრულებულ თარგმანებთანაც (ცნობილია II საუკუნის სამი თარგმანი: აკვილასი, სვიმახოსისა და თეოდოტიანესი).

დღეისათვის გადარჩენილია ძველი აღთქმის ზოგიერთი წიგნის ხელნაწერების ნაწილები, ზოგიერთი წიგნი კი მთლიანად. ბიბლიის სრული ქართული ნუსხა, რომელიც ჩვენამდეა მოღწეული, 978 წელსაა გადაწერილი მესხეთში, „ლავრასა შინა დიდსა უშკს“ (ოშკს) და დაცულია ათონზე, ივერთა მონასტერში.

არსებობს მოსაზრება, რომ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებს უთარგმნიათ მთელი ბიბლია, კ. კეკელიძე ამ აზრს არ ეთანხმება.

ბიბლიის მეორე რედაქცია არის 1743 წლისა, ესაა მოსკოვში ბაქარ ბატონიშვილის მიერ დაბეჭდილი ტექსტი.

მესამე რედაქცია მეთვრამეტე საუკუნისაა, მას მცხეთური ბიბლია ეწოდება. ის უძველესი ხელნაწერიდან გადაუწერიათ, რომელშიაც ბიბლიის ტექსტი დაყოფილი არ ყოფილა თავებად და მუხლებად. განსაკუთრებულ, ანუ მ. ჯანაშვილისეულს უწოდებს კ. კეკელიძე XV-XVI საუკუნეების ხელნაწერებს (იქვე, გვ. 418-419);

1884 წელს თბილისში მეორედ დაიბეჭდა მოსკოვის გამოცემა. 1989 წელს თბილისში გამოიცა ბიბლიის ახალი თარგმანი, მანამდე კი ახალი აღთქმის ტექსტი რამდენჯერმე დაიბეჭდა.

არმაზი, აბუჩარაზდა, მოლოდინი მესიისა

ჩვენ მამა-პაპათა რჯული, სარწმუნოება, უკვე ორი ათასი წელია ქრისტიანობაა, ყოვლადწმიდა სამების თაყვანისცემა. იქამდე კი, „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, „სჯული მამათა ჩვენთა“ იყო თაყვანისცემა კერპთა და მნათობთა.

მამათა რჯული ძველ ქართველობას მტკიცედ ეპყრა, იქამდე, რომ თვით მეფესაც კი, ქვეყნის თვითმპყრობელს ქვეყნიდან აძევებდნენ, თუკი ის გაბედავდა და წინაპართა სარწმუნოებისადმი ორგულობას გამოამჟღავნებდა. ფარნავაზის შვილთაშვილი, მეოთხე მეფე იბერიისა, ანუ ქართლის სამეფოსი – ფარნაჯომი – მაზდეანობისა და ცეცხლთაყვანისმცემლობისაკენ მიდრეკილა და კერპმსახურება უარუყვია, ამის გამო ქართლის ერისთავებმა განაცხადეს: – „მეფე ჩვენი გარდახდა სჯულსა მამათა ჩვენთასა, არღარა მსახურებს ღმერთთა მპყრობელთა ქართლისათა, აწ არღარა ღირს არს იგი მეფედ ჩვენდა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 29). მართლაც, მეფეს შეებრძოლნენ, მოკლეს და მის ნაცვლად ტახტზე სულ სხვა, ახალი დინასტიის ფუძემდებელი მეფე აიყვანეს.

ახალგაზრდობისას (და გამეფების შემდეგ) ფარნაჯომი ქართული რჯულის მოყვარე და მისი მორწმუნე ყოფილა, აღუმართავს ზადენის კერპი ზადენ ციხესთან, რაც იმ დროისათვის ტაძრის მოვალეობას ასრულებდა. „ამის შემდგომად შეიყვარა სჯული სპარსთა, ცეცხლის მსახურება, მოიყვანა სპარსეთით ცეცხლისმსახურნი და მოგვნი და დასხნა იგინი მცხეთას, ადგილსა მას, რომელსა ესე ჰქვიან მოგვთა და იწყო ცხადად გმობად კერპთა, ამისთვის მოიძულეს იგი მკვიდრთა ქართლისათა, რამეთუ დიდი სასოება აქუნდათ კერპთა მიმართ“ (იქვე, 29). ქართველ „მამათა რჯულის“ გმობა ძვირად დაუჯდა ქართველთა მეფეს.

ქართველთა წარმართული სარწმუნოების ამსახველი პირველწყაროები კერპების შესახებ ნაკლებად ლაპარაკობენ – ქართველნი თაყვანს სცემდნენო მზეს, მთვარესა და ხუთ ვარსკვლავს, თუმცა კი უფრო ადრე – წარმართობამდე, ქართველები ჭეშმარიტი ღმერთის მცნობნი და მისი მორწმუნენი იყვნენო.

ჭეშმარიტი ღმერთი ქართველებს დაუვიწყებიათ ერთიანი, პროტოქართველური ეთნოსის დაშლის შემდეგ ან უფრო მოგვიანებით: „შთავარდა შური შორის შვილთა ქართლოსისათა: იწყეს ბრძოლად და ხდომად ურთიერთას... და განაგრძელეს მათ შორის ბრძოლა, რომელ ჟამსამე აღდგიან ამათგანნი ორნი ნათესავნი ერთსა ზედა და სხვანი შეეწეოდიან... და რომელნიმმე კვალად სხვანი აღსდგეს ერთმანეთსა ზედა და სხვანი შეეწეოდიან“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 10).

ამ დროისათვის, როგორც აღინიშნა, მათში მოშლილა ჭეშმარიტი სარწმუნოების ცოდნა – „და მას ჟამსა დაივიწყეს ღმერთი, დამბადებელი მათი და იქმნეს მსახურ მზისა და მთვარისა და ვარსკვლავთა ხუთთა და მტკიცე და უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისა“ (იქვე, გვ. 11). როგორც ვხედავთ, ამ ეპოქაში ქართველებს ხელით ქმნილი კერპები, რაიმე ქანდაკებანი, „თავიანთი თავის მსგავსი კერპი“ არ შეუქმნიათ და არც თაყვანს სცემდნენ მათ, თუმცა კი დამბადებელის, ქვეყნის შემოქმედის ნაცვლად თაყვანი სცეს მის ქმნილებებს – ზეციურ სხ-

ეულებს. მზის, მთვარისა და ხუთი ვარსკვლავის თაყვანისცემის მოგონება ბოლო დრომდე შემორჩენილა ქართველთა შორის. XX საუკუნის დასაწყისში, ამბობს ივანე ჯავახიშვილი, სამეგრელოში დედა აკვნის ჩვილს ხელში აყვანილს მნათობთა სახელებს აგონებდაო:

– „თუთა, თახა, ჯუმა, ცა, ვობი, საბატენი, ბუა“, თუთა – მთვარეა, თახა – თარხონი ანუ მარსია (ივ. ჯავახიშვილი, I, 1979, გვ. 176), ჯუმა – ჰერმესი – მერკურია („ჯიმაღი“), ცა – ცისკრის ვარსკვლავი ანუ აფროდიტეა (იქვე, გვ. 178), ვები – ელვა-ქუხილის, ხეთურ-ხალდეურის მონათესავე ღვთაება, საბატენი – ნასესხები სიტყვა „შაბათია“, ამით აღინიშნებოდა მნათობი კრონოსი, რომელსაც ქართულად „მორიგე“ ჰქვია და მეშვიდე ცაზე მყოფად მიიჩნეოდა.

ხაზგასმითაა აღსანიშნავი: ქართული წარმართობა იმდენად სრულყოფილად დამუშავებული და დახვეწილი იყო, რომ „არამცთუ საზოგადო ქართული, ყველა ქართულ ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც, საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ ამ წარმართობას საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონია“ (იქვე, გვ. 156).

საქართველოში სარწმუნოების ენა ქართული იყო, ეს წესი მტკიცედ დამკვიდრებულა უძველეს დროს ყველა ქართულ ტომში. ეს მით უფრო დასაფასებელია, რომ სარწმუნოების ენა თვით გვიან საუკუნეებშიც კი, ხშირად არა მშობლიური ენა იყო ზოგიერთ ხალხში.

ქართული წარმართობა ქართველებისათვის გამშობლიურებულ-გაეროვნებული ყოფილა, ამიტომაც მას მტკიცე წინააღმდეგობა გაუწევია თვით ირანული რელიგიისათვის, რომელსაც ასახვა უპოვია „სპარსელთა წმინდა წიგნში“ – ავესტაში (ზოროასტრიზმი).

„ქართულ წარმართობას თავისი მტკიცედ ჩამოყალიბებული პანთეონიც ჰქონია, ამ პანთეონში ზოგი მთავარ ღვთაებად ითვლებოდა, ზოგი და უმეტესობა უმცროს ღვთაებათა ჯგუფს ეკუთვნოდა“ (იქვე, გვ. 156).

ივანე ჯავახიშვილის აზრით, წარმართობისდროინდელი ქართველების მთავარ „ღვთაებად“ მთვარე ითვლებოდა. ყველგან, სადაც კი ქართველებს უცხოვრიათ, მთვარის თაყვანისცემის კვალი შერჩენილია. არა მარტო საქართველოში, პონტოსა და ფრიგიაში, „სადაც ერთ დროს ქართველი ტომები ბინადრობდნენ სტრაბონის სიტყვით, მთვარის თაყვანისცემა გავრცელებული ყოფილა“ (იქვე, გვ. 99).

მთვარის, ვითარ მთავარ მეუფის და ღვთაების თაყვანისცემა, ყველა ქართველი ტომის რწმენად უნდა ჩაითვალოსო, – წერდა ის (იქვე, გვ. 99). პანთეონში უმაღლეს ღვთაებებად მიიჩნეოდა ასევე „ღმერთი შემოქმედი“ და „ცა – ღრუბელთა ბატონი“ (იქვე, გვ. 101). უზენაეს ღვთაებას „მორიგესაც“ უწოდებდნენ. ის კრონოსი უნდა ყოფილიყო. ქართული 7-დღიანი მსგეფსის ყოველი დღე მნათობთადმი იყო მიძღვნილი და მათ სადიდებლად იყო სახელდებული. კვირა მზის დღე იყო, ორშაბათი – მთვარისა, სამშაბათი – არიასი, ოთხშაბათი – ერმისა, ხუთშაბათი – აფროდიტისა, პარასკევი – დიოსისა, შაბათი – კრონოსისა. მთვარე მართლაც განსაკუთრებით პატივდებული ყოფილა. თვით ჩემს სიყმაწვილეშიც კი ზოგი მოხუცი ორშაბათს

უქმობდა (ორშაბათი კი მთვარისადმი, უზენაესისადმი ყოფილა მიძღვნილი), ხოლო ზოგან ჩვილ ბავშვს მთვარეს დაანახებდნენ და პირჯვარს ასახვინებდნენ. ამ დროს ეუბნებოდნენ – „აი, ფუფალა“ და გულისხმობდნენ უფალს (წარმართული ჩვევების აღორძინება ეკლესიის დაცემამ გამოიწვია XX ს-ში). რ. პატარიძემ ძველქართული ანბან-კალენდრის კვლევისას ფაქტობრივად დაადასტურა ივანე ჯავახიშვილის სიტყვები: „ეხლა როცა გამოირკვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი ქართველების სარწმუნოებაში მთვარეს და მის მდგომარეობას, მცხრალისა, გავსებულისა, და მთვარის აღვსების გამოცნობას, ცხადია, რომ ხატის მსახურებს კარგად უნდა სცოდნოდათ მთვარის ანგარიში, სწორედ ასე იყო კიდეც, ფშავსა და ხევსურეთს, ხევისბერსა და დეკანოზს რომ ჰკითხოთ, – ამბობდა ამ 55 წლის წინათ რ.ერისთავი, მთვარე რამდენი დღისაა, ერთ წამსვე მიიღებთ სწორ პასუხსო. ვინ არ იცის, რომ საქართველოში ამ ოცი წლის წინათ ყველამ ჩინებულად იცოდა, ზოგმა ეხლაც იცის მთვარის რაოდენობის გაანგარიშება“ (იქვე, გვ. 98).

ქართულ წარმართობასაც თავისი ისტორია ჰქონია, დროთა განმავლობაში განვითარებულა, შეუძენია ახალ-ახალი ელემენტები, მნათობთა თაყვანისცემის გვერდით კერპთა თაყვანისცემაც შემოუღია ქართველობას.

საისტორიო წყაროების მიხედვით ქართულ წარმართულ პანთეონში პირველობა ჰქონია არმაზს.

საფიქრებელია, კერპთა თაყვანისცემა ახლადშექმნილი ერთიანი წარმართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების საჭიროებისთვის შემოუღიათ ქვეყნის მმართველებს, მაგალითად, დასავლეთ-აღმოსავლეთ-სამხრეთ საქართველოს გაერთიანებისა და დამოუკიდებელი სამეფოს საზღვართა განმტკიცების შემდგომ „ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა; ეს არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქვა, ამართა კერპი იგი თავსა ზედა ქართლისასა და ამიერითგან ეწოდა არმაზი კერპისა მისთვის და ქმნა სატფურება დიდი კერპისა მისთვის აღმართებულისა“ („ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 25) არმაზი – გაერთიანებული და გათავისუფლებული პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფოს მფარველ „ღვთაებად“ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. წყაროს თანახმად, ფარნავაზამდეც აზონის ქვეყნის საზღვრებიც ფაქტობრივად სრულიად საქართველოს მოიცავდა, აზონს, ჩანს, თავისი სახელმწიფოს განმტკიცების მიზნით, პირველად შემოუღია კერპთაყვანისცემა. „ქართლის ცხოვრება“ წერს – „ამან აზონ დაუტევა სჯული ალექსანდრეს მოცემული, იწყო კერპთმსახურებად და შექმნნა ორნი კერპნი ვერცხლისანი: „გაცი და გაიმ“. ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართველთათვის დატოვებული სჯული კი ყოფილა მნათობთა და უხილავი ღმერთის თაყვანისცემა – „უბრძანა ალექსანდრე აზონს, რათა პატივს სცემდეს მზესა და მთვარეს და ვარსკვლავთა ხუთთა და ჰმსახურებდნენ ღმერთსა უხილავსა, დამბადებელსა ყოვლისასა, რამეთუ მას ჟამსა არა იყო წინასწარმეტყველი და მოძღვარი სჯულისა ჭეშმარიტისა, რომელმანცა ასწავა და ამხილა არამედ თვით მოიგონა სჯული ესე ალექსანდრე, მეფობასა შინა ყოველსა ქვეყანასა სჯული ესე დაუდვა და წავიდა ალექსანდრე“ (იქვე, გვ. 19).

ცნობილია, რომ ალექსანდრე მაკედონელი თაყვანს სცემდა „ღმერთთა“ ბერძნულ პანთეონს, მნათობთა და უხილავი ღმერთის თაყვანისცემა იყო არა ალექსანდრეს რჯული, არამედ ქართველთა პირველწინაპრებისა, როგორც ამას იქვე, რამდენიმე თავის წინ წერს ქართველი მემატიანე. უნდა ვიფიქროთ, რომ ალექსანდრემ ან მისმა რომელიმე სატრაპმა, თუკი ისინი საქართველოში იყვნენ, საჭიროდ ჩათვალეს ქართველთა ეროვნული სარწმუნოებისათვის პატივი მიეგოთ და დაეკანონებინათ.

სახელს არმაზისას მემატიანე სპარსულთან აკავშირებს, „ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქვა“-ო, მეცნიერთა ერთი ნაწილი მას აჰურამაზდასთან – სპარსულ უზენაეს ღვთაებასთან აკავშირებს, სხვები კი ხეთურ მთვარის ღვთაების სახელ „არმას“-თან. არმაზის სახელს აჰურამაზდასთან აკავშირებდა ივანე ჯავახიშვილი და წერდა: „არმაზის შესახებ ცნობებს რომ სპარსულ აჰურამაზდასთან სახელის მეტი საერთო არაფერი აქვს, ეს უცილობელია“ (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 145).

არმაზის თაყვანისცემასა და მაზდეანობას შორის საერთო ნიშნებს ვერ ხედავენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცეცხლთაყვანისმცემლობას საქართველოშიც შემოუღწევია და ნაწილობრივ გავრცელებულა კიდეც.

„მაზდეანობა რომ ერთ ხანს საქართველოშიც გავრცელებული იყო და მაშასადამე, აჰურამაზდა-არმაზის თაყვანისცემაც უნდა ყოფილიყო ჩვენს ქვეყანაში – ეს ცხადია“, – წერს ივ. ჯავახიშვილი.

„...წმიდა ნინო მაშინდელ ქართველებს ასე ახასიათებს: „ვხედევდით, ცეცხლის მსახურსა მას ერსა და მოგვებსა და ცთომასა მათსა ზედა ვტიროდიო“.

ზოროასტრიზმი – ირანიდან გავრცელდა სხვა ქვეყნებში, ისიც „უხილავ ღმერთსა“, და ციურ სხეულებს თაყვანსცემდა და ამიტომაც, ალბათ ქართველთა სარწმუნოებასთან მსგავსების გამო, საქართველოშიც ჰპოვა გავრცელება. თუმცა კი, ქართულ ეროვნულ სარწმუნოებას მისთვის მედგარი წინააღმდეგობა გაუწევია.

ზოროასტრი, ანუ ზარათუშტრა წინასწარმეტყველად მიიჩნევა. ამ რელიგიის წმიდა კანონია – ავესტა, ხოლო უზენაესი ღვთაება – აჰურამაზდა, რომლის სახელის მიხედვითაც ზოროასტრიზმს მაზდეანობაც ჰქვია. ის საქართველოში ქრისტიანობამდე იმდენად გავრცელებულა, რომ მისი მძლავრი გავლენის კვალი დღემდე შემორჩა ქართულ ენას (ტაძარი, კერპი, ზვარაკი, ეშმა, ჯოჯოხეთი, მართალი, წარმართი, ბაგინი, დროშა, ანდერძი, დასტური და სხვა). ჩანს განსაკუთრებითაც მოუკიდნია ფეხი ქართლის სამეფოს მმართველ ზედაფენაში, ამის მაჩვენებელია მათ შორის გავრცელებული ირანულ-ზოროასტრული თეოფორული სახელები – ფარნავაზი, ფარნაჯომი, არტავაზი, არშაკი, ბაგრატი, ბაკური, ბარტომი, მირდატი, ადარნასე, აზორკი და სხვა (მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან 1. 1966).

„პარსების წმინდა წიგნი – ავესტა, რომელსაც ზოგჯერ „ირანულ ბიბლიასაც“ კი უწოდებდნენ – ზოროასტრიზმის სულიერი ცოდნის შემცველია. ჩანს, სწორედ მას უწოდებდნენ ქართველები „ნებროთის წიგნს“, რომელიც ძველქართული წყაროების თანახმად, წინაქრისტიანულ ეპოქაში ქართველთათვის ცნობილი ყოფილა, პავლე ინგოროყვა მიიჩნევს, რომ ის ქართულ ენაზეც იყო თარგმნილი და მეფეთა სახლებში ინახებოდა.

მაზდეანობა პოპულარული გახდა ქრისტიანობამდელ მსოფლიოში, მას გავლენაც კი მოუხდენია გვიანდელ იუდაიზმზე, შეჭრილა რომაულ რელიგიაში, სული ჩაუბერია გნოსტიციზმისა და მანიქეველობისათვის (ე. სვეტლოვი, ვესტნიკ ცარსტვა ბოჟია, V, ბრიუსელი, 1972 გვ. 363).

უნდა ითქვას, რომ მსოფლიოში ერთადერთი რელიგია, რომელიც იცნობდა მესიანიზმს (იგულისხმება ბიბლიური სამყაროს გარეთ) ესაა მესიანიზმი ზარაშტუტრასი (იქვე, გვ. 493), სხვათა შორის, ეს ჩანს ქართული წყაროებიდანაც, რომელსაც ქვევით განვიხილავთ. ისრაელის წინასწარმეტყველთა გარდა მხოლოდ მაზდეანობას სწამდა მომავალი სუფევა უფლისა, მხოლოდ ის მოელოდა მსოფლიოს მხსნელის მოსვლას ამქვეყნად, სწორედ ზარატუშტრას ქურუმები – მოგვები – მივიდნენ პირველნი ჩვენი მაცხოვრის იესოს შობისას მის თაყვანისსაცემლად, სწორედ ისინი ელოდნენ მის მოსვლას ამ ქვეყნად და პირველებმა შეიტყვეს ეს. თანახმად მათე მახარებლისა – „ხოლო როცა იუდეის ბეთლემში დაიბადა იესო ქრისტე, ჰეროდეს მეფობის ჟამს, აჰა, აღმოსავლეთით მოვიდნენ მოგვნი იერუსალიმს და თქვეს: სად არის იუდეველთა ახალშობილი მეფე? ვინაიდან ვიხილეთ მისი ვარსკვლავი აღმოსავლეთში და მოვედით, რათა თაყვანი ვცეთ მას. ეს რომ გაიგო, შეძრწუნდა მეფე ჰეროდე და მთელი იერუსალიმი მასთან ერთად. და შეკრიბა ყველა მღვდელმთავარი და ერის მწიგნობარნი და გამოიკითხა მათგან, სად უნდა შობილიყო იესო ქრისტე. ხოლო მათ უთხრეს მას: იუდეის ბეთლემში, ვინაიდან ასე დაიწერა წინასწარმეტყველის მიერ... მაშინ ჰეროდემ ფარულად მოუწოდა მოგვებს და გამოიკითხა მათგან ვარსკვლავის გამოჩენის ჟამი და წარგზავნა ისინი ბეთლემს... ხოლო მათ უსმინეს მეფეს და წავიდნენ და აჰა ვარსკვლავი, რომელიც იხილეს აღმოსავლეთით, წინ მიუძღვოდა მათ, სანამ არ მივიდა და თავს არ დაადგა იმ ადგილს, სადაც ყრმა იყო... და როდესაც შევიდნენ სახლში, იხილეს ყრმა მარიამთან, თავის დედასთან ერთად, და დაემხნენ და თაყვანი სცეს მას და გახსნეს თავიანთი საუნჯე და მიართვეს მას ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და მური“ (მათე, 2:1-11).

ეს მოთხრობა, ე.სვეტლოვის აზრით, გვიჩვენებს, რომ ახალი აღთქმა რაღაცნაირად დაკავშირებულია ბიბლიისგარე რელიგიურ სამყაროსთან, რომ ისრაელის საზღვრებს გარეთაც ადამიანები ელოდნენ მხსნელის მოსვლას.

სახარების დედანში სიტყვა „მოგვი“ ჟღერს როგორც „მაგი“ (Μαγοι), რაც საერთოდ ეწოდება ჯადოქრობაში დახელოვნებულ ადამიანებს; ძველად კი ანტიკურ დროს სიტყვა „მაგს“ ირანული რელიგიის ქურუმებს უწოდებდნენ, როგორც ეს აღნიშნული იყო, და სწორედ მათ სცეს პირველებმა თაყვანი წარმართთაგან ღმერთკაცს ბაგაშივე.

ეს შემთხვევით არ ყოფილა: ე. სვეტლოვის აზრით, ნიშანდობლივია, რომ ძველი აღთქმა, მედგრად მებრძოლი ეგვიპტის, ბაბილონის, ფინიკიის, საბერძნეთის „ღმერთების“ წინააღმდეგ, არსად პირდაპირ არ გამოდის ირანის რელიგიის წინააღმდეგ (იქვე, გვ. 362). მაზდა აჰურა (აჰურამაზდა) ნიშნავდა ყოვლისმპყრობელ და ყოვლადბრძენ უფალს. ისაა „შემოქმედი“ სამყაროისა და სიმართლისა. სამყარო ღმთაებრივი შემოქმედის მიერაა შექმნილი, აჰურამაზდას გვერდით დგას ექვსი

ზეციური სული (ესენია) – „კეთილი ფიქრი“ (აზრი), „სიმართლე“, „სიწმინდე“, „სიკეთის სამეფო“, „ჯანმრთელობა“, „უკვდავება“ – ყველანი ესენი სულიწმინდის მიერ არიან შექმნილნი, რას ნიშნავს ეს? – ერთიან ღმერთს თუ ქრისტეს წარმართ წინამორბედს ირანის მიწაზე? არსებითად ეს სრულიად დასაშვებია, ვისა აქვს უფლება შეზღუდოს სული წმიდის მოქმედება ერთი ადგილით? მახარებლის სიტყვებით, განა ის არ სუნთქავს, იქ, სადაც ნებავს? თუ ეკლესიის მამები ანტიკურ აზროვნებაში ხედავდნენ ახალი აღთქმის პრელუდიას, რა უშლის ხელს იგივე ითქვას ზარასტუტრას სწავლებაზე? თვით ბიბლია არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ღმერთი იხსნება „წარმართთათვის“ (იქვე, გვ. 368).

მაზდეანობას სწამდა, რომ სიკეთის ღმერთი საბოლოოდ გაიმარჯვებდა და დიდებით მოევლინებოდა დედამიწას, ბოროტება კი დამარცხდებოდა, ხოლო ის ადამიანები, რომლებიც მაზდას ემსახურებოდნენ აზრით, სიტყვით და საქმით, დაჯილდოვდებოდნენ ღვთის ამ სასუფეველში (იქვე, გვ. 375). ღმერთის სასუფეველი (კხშატრა) წარმოადგენდა ჯამსა და გვირგვინს მსოფლიო ყოფისას, ზარასტუტრას სიკვდილის შემდეგ წარმოიშვა რწმენა იმისა, რომ მაზდა ადამიანებს გამოუგზავნიდა ახალ მხსნელს, ეს რწმენა საბოლოოდ იუდაურ მესიანიზმს დაემსგავსა. მაგები ასწავლიდნენ, რომ გარკვეული დროის შემდეგ მხსნელი დედამიწაზე მოვიდოდა, რათა ბოროტება დაემარცხებინა (იქვე, გვ. 377). ამ რწმენით ხომ არ გაჰყვნენ ირანელი მოგვები ბეთლემისაკენ ვარსკვლავს?

ყოველივე ზემომოყვანილი ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა „ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილის ამოხსნისათვის, რომელიც დაკავშირებულია მოციქულთა სწორ მეფე მირიანთან.

მემატიანე მოგვითხრობს, რომ წარმართობის ხანის ქართველმა მეფე მირიანმა წმიდა ნინოს ქადაგების მოსმენის შემდეგ „იწყო გამოძიება სჯულისა“ და გადაიკითხა წარმართული „ნებროთის წიგნი“ (მაზდეანური რჯულისა), გარდა ამისა ამან გამოწვლილვით გამოიკითხა მოხუც ებრაელთაგან სჯულის საკითხები, ის დაინტერესდა სწორედ „მხსნელით“. წმიდა ნინოს, ასევე მოხუც ებრაელთა და „ნებროთის წიგნის“ მითითებანი მხსნელსა და მესიაზე ერთმანეთს ემსგავსებოდნენ – „მაშინ მირიან მეფე განკვირდა და იწყო გამოძიებად სჯულისა ქრისტესსა და მრავალგზის ჰკითხავენ ჰურია-ყოფილსა მას აბიათარს ძველთა და ახალთა წიგნთასა და იგი აუწყებდა ყოველსა. და წიგნიცა რომელი ჰქონდა მირიან მეფესა ნებროთისი და მასცა წიგნსა შინა პოვა წერილი ესრეთი: ...“მე ვარ მიქაელ, რომელი დადგინებულ ვარ ღმერთისა მიერ მთავრობასა ზედა აღმოსავლისასა... ხოლო უკანასკნელთა ჟამთა მოვიდეს მეუფე იგი ცისა... მან გიხილოს ჭირსა შინა და გიხსენ შენ“. მაშინ გულისხმა ყო მეფემან მირიან რამეთუ ძველნი წიგნნი და ახალნი ეწამებოდეს და ნებროთის წიგნიცა დაამტკიცებდა და შეექმნა სურვილი ქრისტეს სჯულისა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 105).

აშკარაა, რომ ქართულ წყაროში დადასტურებულია ზემომოყვანილი აზრი, რომ ბიბლიურ წიგნებში გადმოცემული მესიანიზმის იდეა ზოროასტრიზმშიც არსებობდა. სწორედ ამან შესძრა მეფე მირიანი და უკვე მოვლინებულ მხსნელად აღიარა ჩვენი მაცხოვარი. აქ საინტერესოა ისიც, რომ „ნებროთის წიგნი“, როგორც ჩანს,

ნამდვილად არსებობდა ძველ საქართველოში, რადგანაც მისი ციტატა დამოწმებული მემატიანის მიერ, სწორედ ზოროასტრიზმის უმთავრესი იდეის შემცველია, მასში ნათქვამია „ცის მეუფის მოსვლისა“ და „ხსნის“ შესახებ.

მეფე მირიანი, რომელიც იქამდე ცეცხლთაყვანისმცემელი ყოფილა, ემსგავსება მოგვებს, რომელნიც უფლის აკვანთან მივიდნენ და თაყვანი სცეს მას თავიანთი სარწმუნოებრივი ცოდნის წყალობით, მაგრამ ამით მათ შორის მსგავსება მთავრდება, მეფე მირიანი უფრო ამაღლდა იმით, რომ მან არა მარტო თაყვანი სცა მხსნელს, არამედ გახდა მისი უპირველესი მოქადაგე და მისი რწმენის გამავრცელებელი საქართველოში, ამიტომაც ის მოციქულთა სწორად იწოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ მეფე მირიანი წარმართობის დროს, სხვა ქართველთა დარად, „ქართველ მამათა რჯულის“ მიმდევარიც იყო და თაყვანს სცემდა წინაპართა „ღმერთებს“, მისი აზრით, ისინი არიან „ღმერთნი დიდნი, სოფლის მპყრობელნი, მზისა მომფენელნი, წვიმის მომცემელნი და ქვეყნის ნაშობთა გამომზრდელნი ღმერთნი ქართლისანი არმაზ და ზადენ, ყოვლისა დაფარულისა გამომძიებელნი, ძველნი ღმერთნი მამათა ჩვენთანი გაცი და გაიმ“ (იქვე, გვ. 106).

აქვე უთუოდ უნდა ითქვას, რომ მსგავსება ძველი აღთქმის მხსნელ ღმერთსა და ცეცხლთაყვანისმცემელთა მაზდას შორის მხოლოდ ცალმხრივია. მაზდეანიზმი დუალისტური რელიგიაა, მაზდას მიეკუთვნება ყოველგვარი სიკეთე, ის შემოქმედია ყოველივე მშვენიერისა სამყაროში, ხოლო ყოველივე ბნელისა და ბოროტისა კი „აიაშმა“, სიცრუეა. ამ ბოროტ სულს ანგრა-მანიუ (აჰრიმანი ბერძნულად) – „მოწინააღმდეგე სული“ ჰქვია. ის მუდმივი მოწინააღმდეგეა ღმერთისა, მასთან მებრძოლია, მეორე „ბოროტი შემოქმედია“. მის შექმნილად ითვლებოდა – ჯადოქრები, მებრძოლი ტომები, დევები და სხვა. განსაკუთრებითი განსხვავება ისაა, რომ ზარასტუტრა არათუ იბრძოდა მათ წინააღმდეგ, ვინც არ იზიარებდა მაზდეანურ სარწმუნოებას, არამედ ავალდებულებდა მის ყველა მორწმუნეს, იარაღით ხელში, უკომპრომისოდ მოესპო ყველა რელიგიური მოწინააღმდგე, რელიგიური ომი წმინდა ომად მიაჩნდა. ყველა სარწმუნოებრივ მოწინააღმდეგეს აჰრიმანის, ანუ ბოროტი სულის მიერ შექმნილად მიიჩნევდა, რელიგიურ საკითხებს ცეცხლთაყვანისმცემლები ისევე ჭრიდნენ, როგორც შემდგომ მუჰამედი. ამით სპარსეთი როგორც მაზდეანური ისე მაჰმადიანური, ქართველთათვის აგრესიული იყო, მისი სარწმუნოებრივი პოლიტიკა არ შეცვლილა. ხოლო ირანელებთან ქართველების ზნეობრივ-მორალური დამოკიდებულების შესახებ უნდა ითქვას, რომ ანტიკურ ეპოქაში, ქართულ წყაროთა თანახმად, ქართველებს სპარსელებთან ურთიერთობა, მათთან ნათესაობა და სულიერი კავშირი სათაკილოდ არ მიაჩნდათ (სულ სხვა სურათია ქართულ-სპარსული ურთიერთობისას შუა საუკუნეებში). მიზეზი ამისა იყო ის, რომ ცეცხლთაყვანისმცემლობის დროს თავიანთი სარწმუნოებრივი მოთხოვნილებების გამო ირანელებს სიცრუე, ბოროტი, არაზნეობრივი საქმის ჩადენა ეჯავრებოდათ. „სიცრუეს ისინი სამარცხვინო ნაკლად თვლიანო“, – წერს ჰეროდოტე, შემდგომ, მონგოლების დროს, ჩვენი მემატიანეს სიტყვით, მონგოლები სპარსელებს ყველა ხალხთა შორის ყველაზე მატყუარად და ცრუდ მიიჩნევდნენ (ალბათ, ამ ეპოქაში

ქართველთა შორის მათ ზნეობასაც სახელი გაუტყდა). მაზდეანობისას კი მათ ევალებოდათ შესრულება ვალდებულებისა – „კეთილი აზრი, კეთილი სიტყვა, კეთილი საქმე“. ევალებოდათ ამოერჩიათ კეთილსა და ბოროტს შორის ერთი – კეთილი. რჯულის პირველი მასწავლებლის გარდაცვალების შემდგომ მაზდეანობაში შეიჭრა მრავალღმერთიანობა. აჰურამაზდა უკვე აღარ იყო ერთადერთი ღმერთი.

აჰურამაზდას ავესტაში ეწოდება „სიმართლის დამბადებელი“, რომელმაც გაკვალა გზა მზისა და ვარსკვლავებისაკენ; მას ადარებენ მთვარეს, რომელიც ივსება და ილევა. ამიტომაც შესაძლებელია არმაზს – აჰურამაზდას ქართულ სახეს – მთვარის ღმერთის ფუნქციაც მიეწერებოდა.

თუ არმაზს მთვარის ღმერთის ფუნქცია ენიჭებოდა, მაშინ ის მისაღები იქნებოდა წარმართულ საქართველოში არსებული ორი სარწმუნოებრივი მხარისათვის. ერთნი იყვნენ სახელმწიფო რელიგიის – „მამათა რჯულის“, ანუ ქართული ეროვნული პანთეონის თაყვანისმცემლები (ხალხის ფართო მასები და ერისთავები), მეორენი კი ზოროასტრიზმის მიმდევრები – ამ უკანასკნელთა რიცხვს, ჩანს დაფარულად თანაუგრძნობდა სამეფო ოჯახიც („ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ფარნავაზის შემდგომი ქართული სამეფო დინასტიები – ნებროთიანები და არშაკუნიანები ენათესავებოდნენ აღმოსავლურ ირანულ დინასტიებს). მათ ესაჭიროებოდათ მაზდეანობის დაფარვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც თავიდან იყო აღნიშნული, ტახტიდან ჩამოაგდებდნენ.

თავისი წმინდა სახით მაზდეანობა კერპთაყვანისმცემლობას უარყოფდა, მაგრამ შემდეგ მისი თავდაპირველი „სიწმინდე“ შეიმღვრა.

ქრისტიანობის გამარჯვების შემდეგ სამეფო ოჯახში დარჩენილა ნაშთი მაზდეანიზმისა, ის კვლავ დაფარული იყო, ამას მიუთითებს ვახტანგ გორგასლის მემატიანის სიტყვები, რომელიც „ნებროთის წიგნის“ შესახებ გვამცნობს „მამათა ჩვენთა ფარულად ეპყრათ წიგნი ესე“.

არმაზი – წარმართობის დროს, ხალხის თვალსაზრისით, ცეცხლთაყვანისმცემლობის მოწინააღმდეგე „ღმერთს“ წარმოადგენდა.

საქართველოში ქრისტიანობა უკვე პირველი საუკუნიდანვე თანდათან ვრცელდებოდა, ამავე დროს ჩვენში ცხოვრობდნენ იუდაისტური რელიგიის მიმდევრები და მზის (ცეცხლის) თაყვანისმცემლები.

ქართველი წარმართები ცდილობდნენ „მამათა ღმერთის“ – არმაზის – რისხვა არ გამოეწვიათ ქრისტიანობის, იუდაიზმის ანდა ცეცხლთაყვანისმცემლობის მიღებით. ისინი ეთაყვანებოდნენ არმაზს და ამბობდნენ – „ვაი თუ და-სადა-ვაკლო რაი დიდებასა დიდისა ღმრთისა არმაზისსა და შე-რასმე-ვცდე სიტყვასა ებრაელთა თანა, გინა მოგვთა სმენასა დახვდომილ ვიყო მზის მსახურთა და რომელიმე იტყვიან უცებნი დიდსა ვისმე ღმერთსა ცათასა“ (ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლ. I, გვ. 119).

არმაზი – მამათა ღმერთი – განსხვავდება ებრაელთა, მაზდეანთა და ქრისტიანთა ღმერთისაგან. უფრო მეტიც, – ის მტერია „ატროშანისა“ ანუ „ითრუჯანისა“ – ცეცხლის ღვთაებისა. „ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან და ჩვენი ესე ღმერთი არმაზ ყოვლადვე მტერ არიან. ამან რამე მას ზედა ზღვა მოაქცია...“ კ. კეკელიძის

კვლევის თანახმად, ითრუჯანი ატროშანია, ხოლო ქალდეველებს იმ დროისათვის სპარსელებს უწოდებდნენ.

არმაზი წყლით აქრობს ცეცხლის საგზნებელს (ისევე, როგორც შემდგომ ჩვენი წმიდა მამები – ცეცხლთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ მებრძოლნი).

საბოლოოდ ძველქართული სარწმუნოების შესახებ გავიმეოროთ სიდონიას სიტყვა:

„ეგრეთ იყო ცხოვრებაჲ ჩვენი ქართველნო, რამეთუ ვიქცეოდით ნათელსა და მკვიდრ ვიყვენით ბნელსა, ვიხარებდით შვებითა და ვიუნჯებდით გლოვასა, რომლისა ნუგეშინისმცემელი არა იყო. ვჰმსახურებდით სამე დაბადებულთა და არა დამბადებელსა, ქერობინთა ეტლთა ზედა მჯდომარისა წილ მთათა მაღალთა თავყუანის-სცემდეს მამანი ჩვენნი, გებალსა და გარიზინსა და მას ზედა არა იყო არცა ღმერთი, არცა მოსე, არცა ნიში მათი, არამედ კერპნი ქვისანი უსულონი. ხოლო ამას ქვეყანასა ქართლისასა იყვნეს ორნი მთანი და მათ ზედა ორნი კერპნი, არმაზ და ზადენ, რომელნი იყნოსდეს სულმყრალობით ათასსა სულსა ყრმისა პირმშოისასა არმაზ და ზადენ და შესაწირავად უჩნდეს მშობელთა მათთა მსხვერპლად, ვითარმცა უკუნისამდე არა იყოს სიკვდილი. და ესე იყო მოაქამდე, ხოლო იყვნეს კერპნი სხვანიცა სამეფონი: გაცი და გა. და შეიწირვოდა მათა ერთი სეფეწული ცეცხლითა დაწვად და მტვერი გარდაბნევად თავსა კერპისასა“ („მოქცევაი ქართლისაი“, იქვე, გვ. 125, ვარ. ა).

ყრმათა კერპთადმი შეწირვა, თუ მართლა არსებობდა ასეთი წესი, მატიანის თანახმად, ქრისტიანობის გავლენით აღუკვეთია მეფე რევ მართალს III საუკუნის დასაწყისში. სტრაბონის თანახმად, მთვარეს ალბანეთში მართლაც სწირავდნენ ადამიანს მსხვერპლად.

ისიც უნდა ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილს ეეჭვებოდა ჩვენში კერპთაყვანისმცემლობის არსებობა, მისი კვლევის თანახმად, წარმართობის ხანაში ქართველები თაყვანს სცემდნენ „შემოქმედ ღმერთს“, მნათობებს, სხვა ქმნილებებს და სწორედ ეს მიიჩნეოდა „მამათა რჯულად“.

პომპეუსის ლაშქრობა ისრაელსა და იბერიაში

ქრისტეშობამდე 65 წლის გაზაფხულზე რომაელთა ლაშქარი საქართველოს სამხრეთ საზღვარს მოადგა. მხედართმთავარმა, რომაელი ხალხის უსაზღვრო სიყვარულით მოსილმა პომპეუსმა, როცა ალბანეთთან ომისას შეიტყო იბერთა მეფე არტაგის საომრად მზადების შესახებ, დასწრება ამჯობინა და სწრაფი მარშით გაიარა მანძილი იბერიის დედაქალაქამდე. არმაზის კედლებთან მომდგარი რომაელი ლეგიონებისა და პოლკების ნიშნების მოულოდნელმა აელვარებამ დააბნია ქართველთა მეფე.

თუ არა ხერხიანობა რომაელთა სახელოვანი სარდლისა, მას დიდი უსიამოვნება და შეიძლება მარცხიც კი ელოდა იბერთა მხრიდან, მით უმეტეს, რომ სულ

რამდენიმე დღის წინ პომპეუსს ალბანელთა 40-ათასიანი ლაშქარი დაესხა თავს. მითრიდატეს, პონტოს მეფეს, რომაელთა წინააღმდეგ მებრძოლს, იბერთა დიდი იმედი ჰქონდა. პლუტარქე, ძველი ბერძნული მწერლობის საუკეთესო წარმომადგენელი, თავის „პარალელურ ბიოგრაფიებში“ წერდა: „იბერნი რიცხვით ალბანელებს არ ჩამოუვარდებოდნენ. გულადობითაც სხვებზე უფრო მამაცნი იყვნენ და ძალიან უნდოდათ მითრიდატესთვის ეამებინათ და პომპეუსი უკუექციათ: იბერნი არც მიდიელების მორჩილებაში ყოფილან, არც სპარსებს ექვემდებარებოდნენ და თავის დროზე მაკედონელთა მბრძანებლობაც აიცდინეს თავიდან იმის წყალობით, რომ ალექსანდრე ფრიად სწრაფად გაბრუნდა ჰირიკანიიდან, მაგრამ პომპეუსმა იბერებიც დაამარცხა დიდ ბრძოლაში ისე, რომ ცხრა ათასი კაცი მოკლეს, ხოლო ათი ათასზე მეტი რომაელებს ჩაუვარდათ ტყვედ“ (პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, 1975, გვ. 330).

პლუტარქეს მიერ ნახსენები იბერებთან გამართული „დიდი ბრძოლა“, ნამდვილად დიდი უნდა ყოფილიყო, რადგანაც მხედარმთავარ პომპეუსისათვის, რომელმაც მანამდე ორი ტრიუმფი მოაწყო რომში აფრიკისა და ევროპის დალაშქვრისათვის, ჩვეულებრივი ომის „დიდ ბრძოლად“ სახელდება დიდების მომტანი არ იქნებოდა.

იბერების დამარცხება სასახელო იყო პომპეუსისათვის, რომაელთა მიერ „დიდად“ სახელდებულისათვის, რადგანაც, როგორც პლუტარქე ამბობს, მანამდე იბერების დამორჩილება ვერც მიდიელებმა და ვერც სპარსელებმა შეძლეს და ალექსანდრე მაკედონელიც ჰირკანიიდან უკან გაბრუნებულა.

თუ რას ნიშავდა მიდიელთა, სპარსელთა და მაკედონელთა სახელმწიფოთა მორჩილებისაგან თავის არიდება, კარგად ჩანს დანიელის წინასწარმეტყველებიდან. ბაბილონში ებრაელთა ტყვეობის დროს მეფე ნაბუქოდონოსორის სიზმრის ახსნისას დანიელმა თქვა, რომ მრავალ ხალხზე გაბატონებული ბაბილონის სამეფოს შემდეგ მსოფლიოში წარმოიშობოდა სამი უდიდესი იმპერია: სპარსთა „მერე გამეფდეს, რომელი ეუფლოს ყოველსა ქვეყანასა (მეფობა მაკედონელთა, ბერძენთა), მეფობა მეოთხე (რომაელთა) იყოს ძლიერი როგორც რკინა“.

დამარცხება იბერიელებისა, რომლებმაც თავიდან აიცილეს მიდიელ-სპარსელთა და ბერძენთა ხელქვეშ ყოფნა, სასახელო იყო რომაელთა სარდლისათვის.

რომაელთა სომხეთში გამარჯვების შემდეგ იბერიის მეფეს ეჭვი გასჩენია, ვაითუ პომპეუსი საქართველოსაც მოადგეს და დაიპყროსო, და თვითონაც სასწრაფო საომარ მზადებას შესდგომია, პომპეუსისთვის კი დესპანები გაუგზავნია – მეგობრობის დასამყარებლად. პომპეუსი არ შემცდარა და, როგორც ითქვა, სასწრაფოდ იბერიაში შეჭრილა. იბერებს ვერც საზღვართან დადგომა მოუსწრიათ და ვერც ჩასაფრება, ომის სამზადისში მყოფი მეფე არმაზში იმყოფებოდა.

საქართველოს დედაქალაქის სახელი ბერძენ-რომაელი მწერლებისათვის I საუკუნიდანვე ცნობილია, მას „არმაზ ციხესაც“ უწოდებდნენ, მცხეთის შიდა ციხეაკროპოლისის სასახლეში შეუტყვია არტაგს, რომ პომპეუსს მისი სამყოფელიდან მხოლოდ კედლებიღა ჰყოფდა. მეფემ, რომელსაც უცხოელები არტოკს უწოდებდნენ, ვერ მოახერხა ციხის დაცვა და საჩქაროდ მიატოვა იგი. არმაზში პანიკა

შექმნილა, გარნიზონი დაბნეულა, ბრძოლაში დამარცხებულა და დანებებია პომპეუსს, მდინარის მეორე მხარეს გადასულ მეფეს კი რომაელთა ლაშქარი დადევნებია. მტერმა მოასწრო მტკვრის მთელი მარჯვენა სანაპიროს დაპყრობა. მიუხედავად იმისა, რომ რომაელები მტკვრის მეორე ნაპირზეც გადავიდნენ და ქართული ლაშქარიც რამდენიმე შებრძოლების შემდეგ ძირითადად დაამარცხეს, მეფის შეპყრობა ვერ მოახერხეს.

ქართლის მეფესა და პომპეუსს შორის მოლაპარაკება გამართულა, მშვიდობის სანაცვლოდ პომპეუსი მეფეს მძევლებს სთხოვდა – სეფეწულებს. მეფე ყოყმანობდა, ამასობაში ზაფხულმაც მოატანა და მდინარე პელორი დაპატარავდა, ამით ისარგებლა პომპეუსმა და ერთ ადგილას, სადაც ფონი იყო, გაღმა გადავიდა. მაშინ კი არტაგ მეფემ იკადრა და თავისი შვილები მძევლებად გამოიმეტა. ამის შემდეგ იბერიის მეფემ და რომაელების სარდალმა ხელშეკრულება დადვეს“.

პომპეუსმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში – კოლხეთშიც ილაშქრა, შემდეგ კვლავ აჯანყებულ ალბანელებს შეუტია და თითქმის მიადგა კასპიის ზღვას.

პომპეუსს იბერიისა და ალბანეთის დალაშქვრის შემდეგ გადაუწყვეტია სამყაროს მოპირდაპირე მხარეც დაელაშქრა. ამის შემდეგ ის სამყაროს ოთხივე კუთხის მპყრობელად ჩაითვლებოდა, იქამდე მის მიერ დალაშქრული იყო ევროპა და აფრიკა. „პომპეუსს მეტად მგზნებარე წადილი და მისწრაფება ჰქონდა სირია აეღო და არაბეთზე გავლით მეწამულ ზღვამდე მისულიყო, რათა გამარჯვებულს მიეღწია ოკეანემდე, სამყაროს რომ ყოველმხრივ გარს ევლება. მართლაც, იგი გამარჯვებული პირველი გავიდა ლიბიაში გარე ზღვის ნაპირებამდე,მერე ესპანეთში ატლანტის ოკეანეთი შემოსაზღვრა რომაელთა საბრძანებელი და მესამეჯერ სულ ახლახან, ალბანელების დევნის დროს, ცოტა დააკლდა, თორემ ჰირკანიის ზღვასაც მიადგებოდა, ამგვარად პომპეუსმა გადაწყვიტა ლაშქრობათა წრე მეწამული ზღვით შეეკრა და მხედრობა აქეთკენ დაძრა“ (პლუტარქე, იქვე, გვ. 333).

სწორედ სირიაში ომის დროს პომპეუსთან მივიდა იუდეველთა დეპუტაცია და მეფობის მაძიებელი ძმების სახელით ითხოვა დავის გადაჭრაში დახმარება.

ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ, რაც იმპერია ოთხად გაიყვეს მისმა მხედართმთავრებმა, იუდეა ხელთ იგდო პტოლემეელთა დინასტიის დამაარსებელმა, ეგვიპტის მეფე პტოლემე ლაგემ (ძვ.წ.აღ-ის 320-283), იგივე სოტერმა. ამის შემდეგ 120 წლის მანძილზე იუდეა პტოლემეთა დინასტიის ხელქვეშ იყო.

ეგვიპტური ხელისუფლება იუდეაში სელევკიდთა სირიულმა დინასტიამ შეცვალა. მეფე ანტიოქე III ლმობიერად ეპყრობოდა ებრაელებს, ხოლო მისი ტახტის მემკვიდრე სელევკ IV ფილიპატორი (ქრისტეშობამდე 187-175) პირიქით, მან ებრაელთა ტაძრების გაძარცვა მოიწადინა, ანტიოქე IV-მ (175-163 წლები) კი ებრაელებს სინაგოგაში სიარული, ლოცვა აუკრძალა. მოითხოვა თაყვანი ეცათ ზევსისათვის და მხოლოდ ბერძნული ენით ელაპარაკათ. დაიწყო რეპრესიები, მისი ბრძანებით დაწვეს წმიდა წიგნები, დაანგრიეს ტაძრები, ურჩები სიკვდილით დასაჯეს, სასტიკად აწამებდნენ და ჩვილებთან ერთად კლავდნენ ებრაელ მორწმუნე დედებსაც კი. ამ დროს ებრაელებს მოევლინათ სახალხო გმირი ოთხმოცი წლის მათა-

თია (ხასმონელთა შთამომავალი) თავისი ხუთი ვაჟით. ხალხი საყოველთაოდ აჯანყდა და გაჰყვა მათათიას (ძვ.წ.აღ-ის 167). მისი გარდაცვალების შემდეგ აჯანყებას სათავეში ჩაუდგა იუდა, რომელსაც მაკაბი (ურო) შეარქვეს. მან მართლაც გაათავისუფლა თავისი ქვეყანა, აღადგინა ტაძარი. მისი სიკვდილის შემდეგ სახელმწიფოს მეთაურობდა იონათან მაკაბელი, შემდეგ კი მისი უმცროსი ძმა სიმონი (ძვ.წ.აღ-ის 143-135). მის დროს იუდეა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარეს და სიმონს უწოდეს ნასი – თავადი. დადგინდა ქვეყანაში უმაღლესი სასულიერო წოდება მღვდელმთავრისა (ქურუმის) მემკვიდრეობით გადასულიყო მაკაბელთა გვარში.

რომმა ცნო იუდეის დამოუკიდებლობა და მასთან მეგობრული ურთიერთობაც დაამყარა. სიმონის ვაჟის იოან ჰირკანის დროს იუდეამ დიდებისა და ძლიერების უმაღლეს დონეს მიაღწია. დაიმორჩილა სამარიელები, გაანადგურა მათი მთავარი ტაძარი გერიზიმის მთაზე, დაიმორჩილა იდუმელები, მიაღებინა მათ იუდეველთა სარწმუნოება. მისი სიკვდილის შემდეგ დაეცა ძლიერება იუდეველთა სახელმწიფოსი, არისტობულის უზნეო ქმედებებმა სათავე დაუდო სისხლიან ომებს ტახტისათვის. მისი სიკვდილის შემდეგ სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა მეორე ვაჟი ალექსანდრე იანაი (ძვ.წ.აღ-ის 103-76) – უფრო უზნეო მმართველი. ტახტისთვის ძმათა შორის ომს ორმოცდაათი ათასი იუდეველი შეეწირა. ქმრის სიკვდილის შემდეგ დედოფალმა სალომემ ერთ ვაჟს – ჰირკან II-ს უზენაესი ქურუმს ხარისხი მიანიჭა, ხოლო მეორე ვაჟი არისტობულ II ჩამოაშორა სახელმწიფოს საქმეებს. დედის სიკვდილის შემდეგ ძმათა შორის ომი დაიწყო. ორივეს სურდა ტახტის დაჭერა. არისტობულმა თავი მეფედ გამოაცხადა. ძმათა შორის ომი წლების მანძილზე გრძელდებოდა. ბოლოს, ქრისტეშობამდე 63 წელს, ძმებმა დახმარებისათვის პომპეუსს მიმართეს, რომელიც, როგორც ითქვა, იბერიაში გამარჯვების შემდეგ სამხრეთისკენ გაემგზავრა. პომპეუსი იმჟამად სირიას ებრძოდა. რომაელი მხედართმთავარი ძმებს დაჰპირდა, რომ სირიაში გამარჯვების შემდეგ იუდეასაც ეწვეოდა და მათ საქმეებს გაარჩევდა.

ორი ათასი წელია, ახალი და ძველი აღთქმის ისტორიკოსები სიამოვნებით უთმობენ ადგილს თავიანთ შრომებში პომპეუსის ლაშქრობას იუდეაში, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ბერძენ-რომაელი ისტორიკოსებისათვის ეს თითქმის შეუმჩნეველი იყო.

პლუტარქე, რომელიც აღწერს იბერიაში პომპეუსის ლაშქრობას, იუდეაში მხედარმთავრის შესვლას გაკვრით იხსენიებს. ეს უთუოდ იმით იყო გამოწვეული, რომ იბერია იმ დროისათვის ძველადვე არსებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა, ხოლო იუდეის სახელმწიფოებრიობა რომაელთა მიერ სულ რამდენიმე წლის წინ იყო აღიარებული. ეგვიპტელთა და სირიელთა, ანუ პტოლემეთა და სელევკიდთა სახელმწიფოების უღელქვეშ მოქცეულმა იუდეამ რომაელთა თვალწინ აღიდგინა სახელმწიფოებრიობა, რომელიც რომაელთა მიერვე იქნა საუკუნოდ დასამარებული.

რატომ მიიწვიეს ტახტისათვის მოქიშპე ებრაელებმა პომპეუსი თავიანთი საქმის გადასაჭრელად? თითქოს ამ კითხვას პასუხობს პლუტარქე – „პომპეუსის ძლიერების

ხმა საკმაოდ შორის იყო გავარდნილი, მაგრამ ამაზე ნაკლებ როდი ქუხდა ხმა მის სამართლიანობაზე და კეთილმოწყალებაზე“ (იქვე, გვ. 334). სამართლიანმა და კეთილმოწყალე პომპეუსმა დაუდო საფუძველი ძლივს აღორძინებულ იუდეველთა სახელმწიფოს ნგრევას.

სამთვიანი ძნელი ალყის შემდეგ გაჭირვებით შევიდა რომაელი მხედართმთავარი იერუსალიმში გაბზარული კედლიდან. ომი გაგრძელდა ტაძრის შემოგარენში. ბრძოლებისას მღვდლები უწყვეტლივ აგრძელებდნენ ღვთისმსახურებას საკურთხევლის წინ, იქამდე, სანამ უკანასკნელი მათგანი მახვილით განგმირული არ დაეცა.

ასეთი მძიმე ბრძოლების მიუხედავად, პლუტარქე მხოლოდ ორიოდე სიტყვით გადმოგვცემს პომპეუსის იუდეაში შესვლას, სირიის რომის პროვინციად გამოცხადების შემდეგო, – წერს ის – მხედართმთავარმა „იუდეა დაიპყრო და მეფე არისტობულე დაატყვევა“ (პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, 1975, გვ. 334). თუკი იერუსალიმის კედლებთან ხანგრძლივი ომი პლუტარქეს აღწერის ღირსად არ ჩაუთვლია, უნდა ვიფიქროთ, რომ იბერიაში პომპეუსის ლაშქრობა უფრო მნიშვნელოვნად და სასახელოდ მიაჩნდა.

პომპეუსს იერუსალიმის აღების შემდეგ გადაუწყვეტია მსოფლიოში სახელგანთქმული ტაძრის დათვალიერება და წმიდათა წმიდაში შესვლაც კი, სადაც მხოლოდ მღვდელმთავარს შეეძლო შესვლა, ისიც წელიწადში ერთხელ, რომაელები იქ ცნობისმოყვარეობამ შეიყვანა. მთელ ქვეყანაზე სხვადასხვა ხმები დადიოდა წმიდათა წმიდას შესახებ. წარმართების ერთი ნაწილის მტკიცებით, იქ სასიკვდილოდ განწირული კაცი ჰყავდათ გამომწყვდეული, სხვები ამტკიცებდნენ, რომ იქ თავის გამოსახულება ინახებოდა. მაგრამ რა ინახებოდა იქ სინამდვილეში? რომაელები რაღაც არაბუნებრივს ელოდნენ, მაგრამ როგორი იყო მათი გაოცება, როცა ბისონის მძიმე ფარდის გადაწევის შემდეგ იქ სიცარიელე იხილეს. წმიდათა წმიდაში არაფერი არ იყო, მათ საკურთხევლის წინ მხოლოდ შვიდტოტა შანდალი იხილეს, ანთებული სანთლებით. გაოცებლებმა შიშით დატოვეს ტაძარი, „მაგრამ რომაელები კიდევ უფრო გაოცდებოდნენ, თუ გაიგებდნენ, რომ ისინი პირისპირ შეხვდნენ რელიგიას, აკვანს ახალი სარწმუნოებისა, რომელიც მალე დაიპყრობდა აღმოსავლეთსაც, დასავლეთსაც, თეთრმარმაროვან ელადასა და მათ მშობლიურ რომსაც“ (იხ. ა. ბოგოლიუბოვ, სინ ჩელოვეჩესკი, გვ. 12-16).

მითრიდატე პონტოელის დამარცხებისა და სიკვდილის შემდეგ გამარჯვებული პომპეუსი რომისკენ გაემგზავრა. მას ბრწყინვალე შეხვედრა მოუწყეს და ყოველმხრივ ალექსანდრე მაკედონელს ამსგავსებდნენ.

„ზეიმის დროს წინ მოჰქონდათ დაფები იმ ქვეყნებისა და ხალხების სახელთა აღნიშვნით, რომელნიც პომპეუსმა დაამარცხა და რომლებზედაც გამარჯვების ტრიუმფს იხდიდა. ეს იყო: პონტო, სომხეთი, კაპადოკია, პაფლაგონია, მიდია, კოლხეთი, იბერია, ალბანეთი, სირია, კილიკია, მესოპოტამია, ფინიკიისა და პალესტინის ტომები, იუდეა, არაბეთი...“ (პლუტარქე, გვ. 340). ტრიუმფში მიდიოდნენ სხვათა გვერდით იუდეველთა მეფე არისტობულე და იბერიელი სეფეწულები. პლუტარქეს ცნობით, პომპეუსს იბერთა მეფისაგან მიღებული ჰქონდა ოქროს საწოლი, ტახტი და მაგიდა, საფიქრებელია, რომ ამ ნივთებმა ტრიუმფს ბრწყინვალება შესძინეს.

ჩვენი ეპოქის არქეოლოგებმა, რომლებმაც მცხეთის მიდამოებში სამეფო სახლისათვის საჭირო მრავალი ზღაპრული სიდიადის ნივთი აღმოაჩინეს, აღტაცება ვერ დაფარეს საწოლის ნაშთის აღმოჩენისას – „ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას ტოვებსო, – წერს ისტორიკოსი – სარეცლის ჩუქურთმოვან ფეხთა ვერცხლის ოთხი ერთნაირი გარესაკრავი – კაკლის ხისგან გამოთლილი მრგვალი ქანდაკება ერთმანეთზე გადაბმული არწივ-სპილოს სტილიზებული გამოსახულებებით, არწივის თავის ქანდაკებებით ვერცხლის სქელი ფირფიტებით გარშემოჭედილი“ (საქ. ისტ. ნარკვ. I, გვ. 704). პლუტარქეს ცნობით, როგორც აღინიშნა, პომპეუსისთვის მირთმეული საწოლი, მაგიდა და ტახტი ვერცხლის კი არა, ოქროსი ყოფილა.

იბერია პომპეუსის ეპოქაში ოქრომრავალი, ელინური გემოვნებით აყვავებული ქვეყანა იყო, როგორც ამას არქეოლოგია ადასტურებს.

ტრიუმფის დროს ფორუმზე პომპეუსს მითრიდატე პონტოელის დამარცხებისადმი მიძღვნილი სიტყვა წარმოუთქვამს. სწორედ მითრიდატეს დასამარცხებლად მოაწყო მან აზიაში დიდი ლაშქრობა. პონტოს სამეფოს რომი თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ებრძოდა. პონტო ძველთაგანვე ქართველი ტომების საცხოვრისი ყოფილა და იქ სამეფო შექმნილა „–ქართველი (მეგრულ-ჭანური) და მისი მონათესავე ტომების მიწა-წყალზე“ (საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 58).

არა თუ პონტო, მისი სამხრეთით მომიჯნავე კაპადოკიაც ქართველი ტომებით ყოფილა დასახლებული. პონტო და კაპადოკია პოლიტიკურად ზოგჯერ ერთმანეთს ფარავდა. ძველქართული ტომი ტაბალები (თუბალები) – სწორედ შემდეგდროინდელ კაბადოკიაში სახლობდნენ (ივ.ჯავახ. ქართ. ერის ისტ. I, გვ. 404).

იოსებ ფლავიოსი, როგორც ითქვა, ტაბალებს – იბერთა წინაპრებად, ხოლო მესხებს კაბადოკიელებად მიიჩნევდა. IV საუკუნეშიც კაბადოკია მესხების საცხოვრისი ყოფილა, არქიეპისკოპოსი ევსტატე (+360) – ქართველთა წინაპრების შესახებ წერს: „ობელმა – თობელები, ახლანდელი იბერები; ოსოხმა – მესხები, ახლანდელი კაბადოკიელები“ წარმოშვესო (იხ. გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, გვ. 161).

განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის წინასწარმეტყველ ისაიას განმარტება IV საუკუნის კვირიელი ეპისკოპოსისა თეოდოტეს მიერ, ის ამბობს, რომ ისაია „...მოსოხებში – კაბადოკიელებს, თობელებში კი – იბერიელებს გულისხმობდაო“ (იქვე, გვ. 162).

პონტოს ქართველთა საცხოვრისად ასახელებდა V საუკუნეშიც რუფინუსი.

IV საუკუნის ეკლესიის სამი დიდი მამა – გრიგოლ ნაზიანზელი, ბასილი დიდი და გრიგოლ ნოსელი, ჩვეულებრივ ცნობილნი არიან სამი დიდი კაბადოკიელის სახელით. ჩვენი ისტორიული მატიანე, როგორც ეს ვახტანგ გორგასლის ცხოვრებიდან ჩანს, გრიგოლ ნაზიანზელს მიიჩნევდა საქართველოს საკათალიკოსოს დაარსების სულიერ მეთაურად. სწორედ მის საფლავზე მისულ ვახტანგ მეფეს ეჩვენა სული გრიგოლისა და მისი საფლავის ეკლესიის მღვდელი პირველი ქართველი კათალიკოსი გახდა. კაბადოკიელნი იყვნენ ჩვენთვის ეროვნულ წმინდანებად ქცეულნი – წმიდა გიორგი, ქართველთა განმანათლებელი წმიდა ნინო, ჩვენს ეკლესიაში ისტორიულად დიდად მიღებული ბასილი დიდი ეპისკოპოსი, მისი ძმა – ეპისკოპო-

სი გრიგოლ ნოსელი, მისი დები – წმინდანები: ემილია, მაკრინა და თეოზევია. 1877 წელს დაიბეჭდა დ. ჩუბინაშვილის ნაშრომი მიძღვნილი კაბადოკიის მოსახლეობისა და ქართველი ხალხის ნათესაობის შესახებ. მკითხველისათვის ეს მტკიცება გასაგები იყო, რადგანაც ისტორიულად კაბადოკიელი მოღვაწენი მშობლიურად იყვნენ მიჩნეულნი ქართველთათვის. ე.ხინთიბიძემ, თავისი კვლევის შედეგად დაასკვნა, რომ „ბასილი კესარიელი ეროვნებით იყო ქართველი, მცირე აზიის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველური ტომების ერთ-ერთი შტოთაგანის წარმომადგენელი, რომლებმაც ადრე იწამეს ქრისტიანული აღმსარებლობა, დაუახლოვდნენ მცირე აზიის კულტურულ ცენტრებს და ეზიარნენ ბერძნულ კულტურასა და განათლებას“ (გ. გოზალიშვილი, ორი ეტიუდი, 1965, გვ. 105).

კირიონ ეპისკოპოსი წერდა – „კაპადოკიელებს, დიდი ღვაწლი მიუძღვით ქრისტიანობის გავრცელების საქმეში. ოსტგუთებში ქრისტიანობა დანერგეს, როგორც ამას ბასილი ამტკიცებს, კაპადოკიელმა ტყვეებმა, ვესტგუთებში (IV ს.) გაავრცელა და განამტკიცა ქრისტიანობა ეპისკოპოსმა ულფილამ, ტყვე კაპადოკიელთა შთამომავალმა. სუგდელების განმანათლებელი... კაპადოკიელია“ (ეპისკოპოსი კირიონი, კულტურული როლი ივერიისა რუსეთის ისტორიაში, 1900, გვ. 9), კაპადოკიელი იყო წმიდა ნინო.

პონტოს სამყაროდან იყო მითრიდატე, მის ვაჟსაც ქართული სახელი – „მახარე“ ერქვა, მისი სამეფოს დედაქალაქი, რომელსაც შემდგომ კესარია დაერქვა – პომპეუსის ინიციატივით ხელახლა გაშენდა, მითრიდატეს ომების შემდეგ ეს ქალაქი ქრისტიანობის უდიდეს კერად იქცა.

ლასრულება გმირულისა და ლაწყება სულიერი ეპოქისა

გაქრისტიანების შემდგომ, როგორც მოსალოდნელი იყო, შეიცვალა და შეივსო ზნეობა ყოველი ქართველისა. ახალმა ეროვნულმა სარწმუნოებამ გარდაქმნა ეროვნული თვალთახედვა, შეიცვალა წარმოდგენები, წეს-ჩვეულებანი და მიდრეკილებანი. მით უფრო, რომ ქართველობა ქრისტეს ერთგული იყო არა ასი და ორასი წლის, არამედ ორი ათასი წლის მანძილზე და ასეთად რჩება ამჟამადაც.

წარმართობის დროს ქართველთა ხასიათი, ქცევები და ჩვეულებანი სხვაგვარი ყოფილა, უფრო ჰეროიკული და გმირული – ამ სიტყვების სწორედ იმდროინდელი, ძველებური გაგებით.

„გმირებს“ ქართველთა წინაპრები თავიანთ მამა-პაპებს და მათ მშობლებს უწოდებდნენ, რომელთაც წარმოშობით ნოეს ძეს იაფეტს უკავშირებდნენ, იაფეტის ძმისწული თარში მამა ყოფილა თარგამოსისა. ქართველთა წინაპრები თარგამოსის შთამომავლები იყვნენ, სწორედ თარგამოსს უწოდებდნენ „გმირს“. ის ბაბილონის გოდოლის დაქცევის შემდეგ წამოსულა შუამდინარეთიდან და დამკვიდრებულა კასპიისა და შავი ზღვის შუა, არარატისა და კავკასიის მთებს შორის. მას რვა

შვილი ჰყოლია – „გმირნი ძლიერნი და სახელოვანნი“. ეს ამბავი მომხდარა ქრისტეშობამდე რამდენიმე ათასი წლით ადრე.

თარგამოსის ძეთაგან პირველი, თანახმად მატიანისა, „უმეტეს გმირი იყო ყოველთასა, რამეთუ ეგევითარი არასოდეს ყოფილიყო არცა წყლის-რღვნის წინათ და არცა შემდგომად ტანითა, ძალითა სიმხნითა“ (ქ.ც. I, გვ. 4). მასში უნდა იგულისხმებოდეს ძველი ურარტუელნი – ხურიტები, რომელთა ქვეყანასაც „ხურლას უდნეს“ უწოდებდნენ, ხოლო თარგამოსის სხვა ძეების სახელებში ჟღერს ქართველთა და კავკასიელ ტომთა სახელები (ზოგი მათგანი მთავრდება ბერძნული ბოლოსართით – „ოს“, რომელიც, ჩანს, შემდეგ დაურთეს). ესენია: „ქართლოს, ბარდოს, მოვაკან, ლეკ, ჰეროს, კავკას, ეგროს“.

რვა გმირი, განუდგა ცნობილ, სახელოვან, დედამიწაზე პირველ გმირს – ნებროთს, რომლის შესახებაც დაბადებაში ნათქვამია – „ჭუშმა შვა ნებროთი, ამან დაიწყო ძალის გამოჩენა ქვეყანაზე. ძლიერი მონადირე იყო იგი უფლის წინაშე, ამიტომაც თქმულა, ნებროთივით ბუმბერაზი არისო უფლის წინაშე, მისი სამეფოს რჩეული ქალაქები იყო ბაბილონი, ერექი, აქადი, და ქალნე, შინაყარის ქვეყანაში. ამ ქვეყნიდან გამოვიდა აშური და ააშენა ნინევე, რეხობოთ-ქალაქი, ქალახი“ (დაბ. 10. 8-11).

თარგამოსიანთა განდგომის გაგებისთანავე ნებროთი თავის ძალებით გაემართა კავკასიისაკენ.

აქ ნებროთს „ჭურვილს რკინითა და რვალითა ტერფიდან ვიდრე თხემამდე“ ვერ უშველა ჯავშანმა, შემოგებებული რვა გმირთაგან უძლიერესმა „სტყორცნა ისარი და ჰკრა მკერდსა ნებროთისასა, ფიცარსა ზედა რვალისას. და განვლო ზურგით“ (ქ.ც. I, გვ. 7).

მამათა გმირულ სულსა და საგმირო საქმეებს კარგად აღწერს „ქართლის ცხოვრება“.

ასევე აღწერენ ჩვენი მემატიანეები გმირთა შთამომავალ ქართველ მეფეთა გარეგნობასა და ხასიათს: – „ტანითა სრული, შვენიერი, ძლიერი, მხნე და ქველი“. აი, როგორ ებრძვის უცხო შემოჭრილ ტომს მეფე მირვანი – „წარუძღვა წინა ქვეითთა, ზურგით შემოადგინნა მხედარნი და მოვიდა კართა მათ შინა, ვითარცა ჯიქი სიფიცხითა, ვითარცა ვეფხი სიმხნითა, ვითარცა ლომი ზახილითა. იქმნა მათ შორის ბრძოლა ძლიერი, ხოლო მირვანს ვერ ჰკვეთდა მახვილი დურძუკთა, ვითარცა კლდესა სიპსა და დგა უძრავად, ვითარცა კოშკი მტკიცე და გაგრძელდა მათ შორის ბრძოლა და მოსწყდა ორგნითვე ურიცხვი, ხოლო იძლივნეს დურძუკნი და ივლტოდეს. მიუდგეს უკან ქართველნი, მოსრეს და ტყვე ქმნეს და შევიდა მირვან დურძუკეთს... და შეაბნა კარნი ქვითკირითა და უწოდა სახელად დარუბალ და დაჯდა მირვან მცხეთასა მეფობდა ნებიერად და უშიშად. იყო კაცი მიმნიჭებელი კეთილისა უხვად და შეიყვარეს იგი ყოველთა მკვიდრთა ქართლისათა“ (ქ.ც. გვ. 28).

ადერკი, რომლის საქართველოში მეფობის დროსაც ბეთლემს ურიასტანისასა იშვა ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე, ასე ებრძოდა მეტოქეს ტახტისათვის – „აღიზახნეს ორთავე ხმითა სასტიკითა და მიეტევნეს ურთიერთას და იწყეს ორთავე გვემად ოროლისა და ვერა ჰკვეთეს საჭურველსა ერთმანეთისასა და ბრძოლისა სიგრძესა შინა განუტყდა ოროლები. აღმოიღეს ჩუგლუგები და იწყეს ბრძოლად ჩუგლუგებითა ოდეს უხეთქიან ჩუგლუგი იგი საჭურველსა ზედა მათსა, ჰგვანდის

ხმა იგი ხმასა მას უროს მჭედლისასა, რომელი ეცემის გრდემლსა და ხმა ზახილისა მათისა მსგავს იყო ქუხილისა. მაშინ ვერ სძლეს ურთიერთას, დაშვრეს და უკუაგდეს იმიერ და ამიერ. შეღამდა დღე იგი და განისვენეს ორთავე და დილეულ კვალად გამოვიდეს აიღეს მშვილდები და იწყეს რბევად და სვრად ერთმანეთისა, ჰკრა ადერკი მკერდსა არშაკისასა და ვეღარა უფარა სიმაგრემან საჭურველისამან. განვარდა ზურგით და ჩამოვარდა არშაკ ცხენისგან“ (ქ.ც. I, გვ. 34).

ასე ხედავდნენ საგმირო საქმეებს ქრისტიანობამდელი ქართველები. ქრისტიანობის მიღების შემდეგ კი მათი შეხედულება შეიცვალა. სულიერი გამარჯვება და არა ხორციელი, აი, რა მიიჩნევა ახლა გმირობად.

წარმართი გმირი ამირანი იქამდე უძლეველი და დაუმარცხებელი, ხალხური თქმულებით, მარცხდება ქრისტეს მიერ. გმირია ამირანის მამა. დედაც წარმართულ ღვთაებად ითვლება. ძმობილები ბადრი და უსუპი – ძლიერი გმირები, ზეშთაბუნებრივი თვისებების მქონენი არიან. „უსუპს ბეჭებ-შუა მზის მსგავსი ნიშანი აქვს და ბადრს მთვარის მსგავსი“. ამირანიც „ღვთაებრივი“ თვისებებითაა დაჯილდოებული; ოქროს კბილი და საცრისოდენა თვალები აქვს. ხასიათით კი „შავსა ღრუბელსა საავდროდ გამზადებულსა“ ჰგავს. უკვდავი არსებაა – სიკვდილი კიდეც რომ ინდომოს, არ შეუძლია. ამირანს ღონეც გმირული აქვს. სიჩქარე გაქანებული ხისა აქვს, სიმარდე ზვავისა, ღონე თორმეტ უღელა ხარ-კამეჩისა, მიწას უმძიმს მისი ტარება, დევებს ადვილად ხოცავს, მზის მყლაპველ და ცეცხლის მფრქვეველ გველეშაპს ამარცხებს. ძაღლიც არაჩვეულებრივი ჰყავს – ორბის ლეკვი, ფრთოსანი, „მას ბეჭებზე ორბის ფრთები აქვს“

ამირანი იტაცებს ქალს ყამარს. ივანე ჯავახიშვილის მიერ ელამიტურ „ღვთაება“ ლაგამარად ანუ აფროდიტად მიჩნეულს (ქართ. ერის ისტ. I, გვ. 194, 1979), ამ ქალს დედ-მამა ცაში ჰყოლოდა. მამა ამინდის შემცვლელი და წვიმის მომყვანია, როცა ამირანი შეება, მის მუზარადს ცეცხლის ნაპერწკლები სცვიოდა. მისი სულის შებერვით კი ამირანი „ჩოქზე დაეცა“. მამის ჯარის ადგილიდან დაძვრისას – ცა მოიღრუბლა, წამოწინწკლა, შემდეგ კი კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ღრუბელი ჯარის ჩრდილია. ამირანის მასთან ბრძოლა მოგვაგონებს თარგამოსიანებისა და ნებროთიანების შებრძოლებას –

– „იქმნა მათ შორის ბრძოლა სასტიკი –
რომელი ემსგავსა სასტიკებასა ჰაერისასა,
რამეთუ მტვერი ფერხისა მათისა –
ვითარცა ღრუბელი სქელი,
ხმა პირისა მათისა –
ვითარცა ხმა ქუხილისა
სიმძლავრე ისრისა მათისა –
ვითარცა ტეხა მეხისა
ტყორცნა ქვისა მათისა –
ვითარცა სეტყვა ხშირი
და დათხევა სისხლისა მათისა
ვითარცა წვიმისა ღვარი“

ამირანი არაჩვეულებრივი გმირია ძველ ქართველთა წარმოდგენით. იმდენად არაჩვეულებრივი, რომ გაბედა და თვით ღმერთს შეებრძოლა. ხალხური ფანტაზიით და სარწმუნოებრივ-სიმბოლური განხატებით, ამირანი თავის ნათლიას – იესო ქრისტეს გაუკადნიერდა და ღმერთი „საჭიდაოდ“ გამოიწვია, რომ გამოეცადა, ვინ უფრო ღონიერი იყო“ (ამ სახით წარმართული ქართული თეოლოგია ეჯიბრება ახალს, ქრისტიანულს). ავსულებთან და დევებთან უძლეველი, თავისთავად კეთილშობილი და კაცთმოყვარე გმირი, ღვთის მიმართ გაამაყებული, დაისაჯა. ხალხური თქმულებით, იესო ქრისტემ ის მიაჯაჭვა კავკასიონის მწვერვალზე.

უნდა ჩავთვალოთ, რომ ღმერთთან მებრძოლი ამირანის დამარცხება არის სიმბოლური სახე გმირულ-წარმართული ეპოქის დასრულებისა და დაწყება ახალი სულიერი ეპოქისა, ქრისტიანობისა, ანუ სულის ზეიმისა ხორცზე. დათრგუნვა ხორცის და აყვავება სულის – აი, რა მოეთხოვება ახალი სარწმუნოების მიმდევრებს. ქრისტეს მიერ ამირანის მიჯაჭვა სიმბოლური სახეა ასევე იმისა, რომ ეროვნული თვალთახედვა შეიცვალა, ახლა წარსული სხვაგვარად ანალიზდება, მომავალი სხვაგვარად განიჭვრიტება. გმირობა ახლა სულიერებაა, სულიერი ეპოქის ერთერთი მთავარი საკითხია რკვევა იმისა, თუ რა არის სიცოცხლე, ცხოვრება, რა არის სიკვდილი, შეიძლება თუ არა სიკვდილის დამარცხება, სიცოცხლის გამარადიულება. სამაგალითოა ერთი ამბავი: წარმართ უფლისწულს – იოდასაფს – უმალავენ, რომ არსებობს ავადმყოფობა, სიბერე, სიკვდილი, მაგრამ ის ახერხებს გამოვიდეს მის ირგვლივ ხელოვნურად შექმნილ ილუზიურ სამყოფლიდან და პირისპირ შეხვდეს ცხოვრებას. თავის სიცოცხლეში პირველად ნახავს ავადმყოფს, მიხრწნილ მოხუცს. იკითხავს მის შესახებ რა მოელის ამ კაცსო?“ – უპასუხეს – სიკვდილიო. „და რაი არს სიკვდილი“? კითხულობს გაოცებით. „განქარდების სახსენებელი ამისი ქვეყნით“. იოდასაფი როცა შეიტყობს, რომ იგივე სიკვდილი ელის ყოველ ადამიანს და თვით მასაც, შეძრწუნდება, აუდუღდება გული. ურვა-ტირილით კითხულობს, არის თუ არა სადმე ქვეყანა, სადაც ადამიანები არ კვდებიან. უფლისწულის უსასოობით შეწუხებული აღმზრდელები ტირილითვე პასუხობენ – „არ არის ცასა ქვეშე ეგევითარი ქვეყანა, ჰოი ძეო მეფისაო, რომელთა შინა განერენ კაცნი სალმობათაგან და სიკვდილისაგან“ (ძველი ქართ. ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, 1946, გვ. 280).

ყოველ ადამიანს, მდიდარს თუ ღარიბს, გმირს თუ ჯაბანს, ერთნაირი ბოლო აქვს – სიკვდილი, გაქრობა. ამის გაგებით შეძრწუნებულ და დამწუხრებულ უფლისწულს ავტორი ადარებს თვალაუხელელ ბრმას, ყრუს, უტყვს, უძლურსა და ნაკლულევანს. თუმცა კი, გარეგნულად ბრწყინვალეს, ხორციელად მშვენიერს, ახალგაზრდასა და ჯანსაღს. მის „განკურნებას“ ინებებს უდაბნოდან მოსული ქრისტიანი, გარეგნულად ღარიბი, ღატაკი და ხორციელად უძლური. მისი შემხედვარე უფლისწული ცდილობს უდაბნოში მცხოვრები ქრისტიანი მოღვაწეების დახმარებას. თხოვს წაიღოს „საფასე“ – ფული, რათა ის შეეწიოს თავის უდაბნოელ ძმებს. მეუდაბნოე მიუგებს – „ვითარ მისცემ საფასესა მოყვასთა ჩემთა, რამეთუ უკანასკნელი მათი უმდიდრეს არს შენსა?“

– და როგორ არის შენს ძმათაგან უგლახაკესი ჩემზე მდიდარი, მაშინ, როცა თვითონვე ამბობ, რომ არაფრის მქონენი ხართ?

– იმას მოგახსენებთ, რომ თქვენში მდიდარი კიდევ ზრუნავს თავის ქონების გაზრდისათვის, ამის გამო მუდამ შფოთავს, ხან იქით ეცემა, ხან აქეთ, რათა კიდევ უფრო მეტი შეკრიბოს, ხოლო ჩემი ძმები არაფრისათვის არ ზრუნავენ – არც საჭმლისათვის, არც შესამოსელისათვის, რადგან მდელოს ბალახისაგან ზომიერად იკვებებიან და მის გამო ადიდებენ ღმერთს. მათ დატოვებული აქვთ ქვეყნიური სიმდიდრე და სოფლის ამაოებანი, იხარებენ და იშვებენ სულით, რამეთუ მოელიან ცათა სასუფეველს.

იოდასაფი შეიტყობს, რომ არსებობს სული და არსებობს უკვდავება სულისა. მას აეხილება თვალი, დაინახავს, თუ სად და როგორ ეძებოს უკვდავება და მოიპოვოს იგი. ამის შემდეგ ეუბნება თავის მამას მეფეს – „დაინახე უმჯობესი და შეიტყე, რომ მოკვდავი ხარ და შენს ყოველ ამქვეყნიურ დიდებას სხვას დაუტოვებ, რადგანაც ყველა კვდება და მათი საცხოვრებელი, მონაგები სხვებისა ხდება, „ხოლო შემდგომად ჟამთა აღდგომად ვართ და მიეგების კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ“ (იქვე, გვ. 296).

ერთხელ იხილავს ჩვენებით სამოთხის დიდებულებასა და სიმშვენიერეს, ანგელოზები მის შესახებ აუწყებენ „ეს არის წმიდათა განსასვენებელი“. იხილავს ასევე ჯოჯოხეთის საშინელებას და სატანჯველს და მის შესახებ შეიტყობს, რომ ის არის „მისაგებელი ცოდვილთა“. სწორედ ჯოჯოხეთის საშინელებით შეძრწუნებული ითმენს და მის საცდუნებლად მიყვანილი ქალის სიყვარულს არ პასუხობს, უფრო მეტი, ანთებს სანთელს, ცეცხლის ალს უშვერს თითს, ხორცი ეწვის, ის კი ამბობს – „თუ ამ მცირე ცეცხლს ვერ გავუძლებ, ჯოჯოხეთის საუკუნოვან დაუშრეტელ ცეცხლს როგორღა გავუძლებ, თუ ამ ქალთან ცოდვას არ გავერიდები?“.

დათრგუნვა ხორცისა, გალაღება სულისა – საუკუნო სიცოცხლის მისაღებად – აი, ახალი სარწმუნოებრივი იდეალი. სწორედ ესაა ახლა გმირობა.

აღნიშნულ თემას ეხმაურება „მოთხრობა აბეკურაისი“, რომლის გმირი (უკვე არა ძველი, არამედ ახალი მნიშვნელობით) არის „ყვითელ პირითა, მძაფრითა მარხვითა, შრომითა და მღვიძარებითა“, რომელიც დედოფლის ხორციელ სიყვარულს უარყოფს, და ნაცვლად მიიღებს სატანჯველს, ის ამბობს: – „გვემაჲ ჩემი – განსვენებაა სულისა ჩემისაჲ, სატანჯველი ჩემი – საშვებელი სულისა ჩემისაჲ“ (პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშ. გვ. 281). ის ითმენს თავისი სულის უკვდავებისათვის, სულის გადარჩენისათვის. ესაა ახალი გმირობა.

ქართული საზოგადოებისათვის, რომელსაც ქრისტიანობის მიღებამდე ასეული წლების მანძილზე გმირობის სხვაგვარი იდეალი ჰქონდა, მისი ტრადიციებითა და მემკვიდრეობით, არ უნდა ყოფილიყო ადვილი ახლის მიღება და გათავისება. ხდებოდა მათი ურთიერთშერწყმა.

ძველგმირულ ჰეროიკულისა და ახალი სულიერის შერწყმის კარგი მაგალითია წმიდა მეფე ვახტანგის ცხოვრების მომენტები. ის ამარცხებს ბუმბერაზ გოლიათ ბაყათარს, რომლის მშვილდის სიგრძე თორმეტი მტკაველია, ისარი კი ექვსი მტ-

კაველი. მისი მოკვლის შემდეგ ის ამბობს – „არა ძალითა ჩემითა ვძლიე, არამედ დამბადებლისა ჩემისათა, რამეთუ ძალი ქრისტესი – ჩემთანა და ჯვარი მისი პატიოსანი საჭურველ ჩემდა“.

მსგავსი სულისკვეთება – მხნეობა ღვთის შეწევნით – საუკუნეთა მანძილზე გასდევდა ქართველობას, გრიგოლ ბაკურიანის ძე წერდა: „ქართველნი ვართ ნათესავით მხნენი და მხედრობით აღზრდილნი“ – და ამავე დროს – მისივე სიტყვით – „უმანკონი და გულ-მარტივნი“ (პეტრიწონის ქართული მონასტრის ტიპიკონი, ა. შანიძე, ტ. IX, გვ. 103). იმდენად, რომ „ჩვენი ნათესავის უმანკოებისა და გულ-მარტივობის“ გამო თვით დედა ღვთისმშობელი ეშველება ქართველებს შესაფერის მომენტში. მაგალითად, ქართველებს გარეკვას უპირებდნენ – საბერძნეთის ერთი მონასტრიდან, ამის გამო დედა ღვთისა ბრძანებს, ვინც ქართული ენით მეტყველ ადამიანებს არ შეიწყნარებს – ჩემი მტრები არიანო: „ანუ არა უწყია, ვითარმედ მრავალნი დამკუიდრებად არიან მთასა ამას მათისა ენის მეტყველნი და ცხოვნებად არიან და რომელნი მათ არა შეიწყნარებენ, მტერ ჩემდა არიან“ (ცხოვრება ილარიონ ქართველისა, ქრესტომათია, 1946, გვ. 172).

ერთი საუკუნის შემდეგ, კვლავ დედა ღვთისა გამოეცხადა უცხოეთში მცხოვრებ მომაკვდავ პატარა ექვთიმე მთაწმინდელს, მოხედა მის სნეულებას და უთხრა – „აღსდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად ხსნილად უბნობდი!“ (იქვე, გვ. 183). და ამის შემდეგ ქართული სიტყვა, მისგან ვითარც წყაროდ ამოდიოდა „უწმინდეს ყოველთა ქართველთასა“, გაამდიდრა წიგნთაგან დიდად ნაკლოვანი ქართლის ქვეყანა სულიერი საუნჯით.

ასურელი მამები, გრიგოლ ხანძთელი, ილარიონ ქართველი, იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელები და მრავალი სხვა სულიერი მოღვაწენი იქცნენ ქართველთა ზნეობრიობის მასწავლებლებად, მათ დაიჭირეს ის ადგილი, რომელიც ადრე ქართველთა ცნობიერებაში „გმირებს“ ეჭირათ.

თავი II

ქართული ეკლესია I-III საუკუნეში

„უეჭველია, რომ ჩვენს ხალხს ორი ათასი
წლიწადი უცხოერია თავისის ცხოვრებითა
და თვითმოქმედებითა“

ილია ჭავჭავაძე

სახელწოდება და მიმართულება ქართული ეკლესიისა

ქართულ ეკლესიას ამჟამად უწოდებენ „საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას“, მაგრამ ამასთანავე უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ჩათვლით მას „საქართველოს სამოციქულო ეკლესია“ ეწოდებოდა. ამის დამამტკიცებელი მაგალითების მოყვანამდე უნდა ითქვას, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესია თავისი არსებობის პირველი დღიდან მართლმადიდებელია და მართლმადიდებლობისათვის მედგარი მებრძოლი. წმიდა მეფის დავით აღმაშენებლის დროს მოწვეულმა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ, რომელმაც ერთგვარად შეაჯამა ჩვენი ეკლესიის ცხოვრება, აღნიშნა: „ამისთვის შემოკრბა კრებაჲ ... გარნა არა თუ უბიწოებასა ქართველთა სარწმუნოებისასა ბიწი რაჲმე შეჰხებოდა, ნუ იყოფინ ესე! არა გეცრუვნეთ შენ, სიწმიდით მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩუენო მარლთმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელ ქმნილ ვართ...“[1]

ბიზანტიის იმპერატორს სურდა შეეტყო გიორგი მთაწმინდელისგან, მსოფლიოს რომელი ეკლესია იყო ჭეშმარიტად მართლმადიდებლური: „აწ ვინაჲთგან კუერთხი მეფობისა მე მიპყრიეს, მნებავს, რაჲთა ყოველსა მეცნიერ ვიყო ბერძენთა და ჰრომთასა, რამეთუ პირველ ყოვლისა მართლმადიდებლობა იძიების მეფეთაგან, მაუწყე, ვითარ არს ესე...“[2]

მსოფლიო ეკლესიის მნათობმა გიორგი მთაწმინდელმა ერთმანეთს შეუდარა ქართული, ბერძნული, რომისა და სომხური ეკლესიები.

თუმცა ბერძნული ეკლესია გიორგი მთაწმინდელს იმჟამად მართლმადიდებლობის ბურჯად მიაჩნდა, მაგრამ მეფეს არ დაუმალა სიმართლე და განუცხადა: „ჰოჲ, მეფეო, ... ბერძენთა შორის წვალება შემოვიდა პირველ და მრავალგზის მიდრკეს...!“[3]

წმიდა გიორგი მთაწმინდელმა იმპერატორს რომის ეკლესიის ნაკლოვანების შესახებ განუცხადა: რომის ეკლესიაში „ხმეადითა და ურწყოჲთა“ სწირავენ, ხოლო ბერძნებმა და ქართველებმა დააწესეს, „რაჲთა მოვიღებდეთ ცომსა სახედ ჭორცთა ქრისტესთა, ხოლო პურის ცომსა სახედ სულისა გონიერისა, და მარილსა სახედ გონებისა წინააღდგომად წვალებასა უშჯულოჲსა აპოლინარისასა... ხოლო ღჳნოსა თანა წყალსა ურთავთ სახედ სისხლისა და წყლისა, რომელი გარდამოჴდა გუერდსა მჴსნელისასა, ვითარცა იტყჳს. იოვანე ოქროპირი“.

ესე იგი, ბერძნული ეკლესია ახლა მართლმადიდებლურია, მაგრამ წინათ მასში მრავალი მწვალებლობა არსებობდა, რომის ეკლესიაში კი წინათ მწვალებლობა არ ყოფილა, მაგრამ ამჟამად ნაკლი აქვსო – უსჯულო აპოლინარის წვალება.

იმპერატორი გიორგი მთაწმიდელს შეეკითხა სომხური სარწმუნოების შესახებაც, რაზედაც ღირსმა მამამ უპასუხა: „ბოროტსა სარწმუნოებასა სახელცა ნუ ედებინ“.[4]

გიორგი მთაწმიდელმა იმპერატორს უპასუხა, რომ მსოფლიოს ეკლესიათა შორის ქართული ეკლესია ყველაზე მართლმადიდებლურია, რადგანაც მან უბიწოდ დაიცვა მოციქულთა სწავლა, რაც არასოდეს შეუბღალავს წინათ და იცავს ამჟამადაცო:

„ხოლო ნეტარმან მან ესრეთ მაღლად და ღმრთივბრწყინვალედ წარმოთქუა სარწმუნოებაჲ მართალი ჩუენ ქართველთა ნათესავისა ... და ჰრქუა მეფესა: ესე არს სარწმუნოებაჲ მართალი ნათესავისა ჩუენისაჲ, და რაჟამს ერთგზის გჯცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხლ, გინა მარჯულ და არცა მივდრკებით, თუ ღმერთსა უნდესო“.[5]

გიორგი მთაწმიდელს, რომელიც კარგად იცნობდა მსოფლიო ქრისტიანობის ყველა მიმართულებას, ქართული ეკლესია მიაჩნდა ჭეშმარიტად მართლმადიდებლურ ეკლესიად, რომელმაც უბიწოდ და შეუცვლელად დაიცვა მოციქულთა სწავლა. ამას, საუკუნეთა მანძილზე, ხშირად მიუთითებდნენ ჩვენი ეკლესიის წმინდა მამები.

ბიზანტიის იმპერიის დაცემამ ბერძნული ეკლესია დაასუსტა. მიუხედავად ამისა, ამ ეკლესიამ თავისი სარწმუნოებრივი უპირატესობა „რომის კათოლიკე“ ეკლესიის წინაშე იმით გამოხატა, რომ XI ს-ის შემდეგ ოფიციალურად თავის თავს „ორთოდოქსული“ ანუ სწორი, მართლმადიდებლური ეკლესია უწოდა. ამის შემდეგ ბერძნული ორიენტაციის ყველა ახლადდაარსებული ადგილობრივი ავტოკეფალური ეკლესია თავის თავს ორთოდოქსულს, ანუ „მართლმადიდებლურს“ უწოდებდა. XX საუკუნეში ქართულ ეკლესიას „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია“ ეწოდა, მაგრამ ქართული ეკლესია არის არა ახალი ეკლესია, დაარსებული XI საუკუნის შემდეგ, არამედ უძველესი, მოციქულთა მიერ დაარსებული ეკლესია და მას ძველთაგანვე „სამოციქულო ეკლესია“ ეწოდებოდა, თუმცა თავისი შინაარსით ყოველთვის მართლმადიდებლური იყო XI საუკუნემდეც და შემდეგაც.

„ქართლის ცხოვრების“ ჩანართში, რომელშიც VII საუკუნეში მოწვეულ მსოფლიო საეკლესიო კრებაზეა საუბარი, ნათქვამია: „ამის კრებისა მიერ ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათჳს, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა ვითარცა წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი, საპატრიაქონი...“[6] საქართველოს სამოციქულო ეკლესიას მცხეთის საპატრიარქო ეკლესიაც ეწოდებოდა, ისევე როგორც ამჟამად დედაქალაქის მიხედვით ეწოდებათ სხვა ეკლესიებს (ალექსანდრიის, ანტიოქიის, კონსტანტინეპოლის, სოფიის და სხვ.).

ჩვენამდე მოღწეული საბუთების თანახმად, ქართულ ეკლესიას „საქართველოს კათოლიკე სამოციქულო ეკლესია“, „მცხეთის კათოლიკე სამოციქულო ეკლესია“, ანდა სიმარტივისთვის ზოგჯერ „სვეტიცხოვლის კათოლიკე სამოციქულო ეკლესია“ ეწოდებოდა. სიტყვა, რომელიც გვხვდება ამ სახელწოდებაში – „კათოლიკე“, ბერძნულია და ქართულად ნიშნავს საყოველთაოს. ქრისტიანული ღვთისმეტყველების თანახმად, ეკლესია მთელ დედამიწაზე არის საყოველთაო, ერთიანი ანუ „კათოლიკე“. ასევეა მოცემული მრწამსშიც. ქართველებს თარგმნის გარეშე მიუღიათ ეს სიტყვა და ამიტომაც მისი ქართული შესატყვისი ამჟამადაც არ იხმარება.

XI საუკუნემდე მსოფლიო ქრისტიანობის ორ ბანაკად „რომის კათოლიკებად“ და „ბერძენ მართლმადიდებლებად“ გაყოფამდე ერთიან მსოფლიო ეკლესიას, როგორც წესი, „კათოლიკე“ ეწოდებოდა. ქართული ეკლესია, როგორც უძველესი, მოციქულთა მოძღვრების ერთგული ეკლესია, თავის თავს ყოველთვის ერთიან მსოფლიო, „საყოველთაო“ ანუ „კათოლიკე“ ეკლესიის ნაწილად მიიჩნევდა.

1346-1360 წლების ერთ საბუთში ქართულ ეკლესიას ასე მიმართავენ – „ესე დაწერილი მოვაჴსენე წმიდასა დიდებულსა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიასა“.[7]

XVI საუკუნის საბუთში ჩვენი ეკლესია ასეა სახელდებული – „ქ. წმიდისა და ცათა მობაძავისა კათოლიკე სამოციქულოსა საპატრიაქოსა ეკლესიისა ძველითგანვე საქონებელნი და სამწყსონი“...[8] აქ ჩამოთვლილია ქართული სამოციქულო ეკლესიის ქონება.

1532 წლის შეწირულების საბუთში ნათქვამია: „ესე დაწერილი მოვაჴსენე... უდიდებულესსა წმიდასა კათოლიკე სამოციქულოსა საყდარსა“...[9] 1556 წლის საბუთშია – „ესე უკუნისამდის გასათავებელი წიგნი მოგაჴსენე მე, მტბევარმა საბა, თქუენ წმიდასა კათოლიკე სამოციქულოსა საყდარსა“.[10] XVI საუკუნის კახთ ეპისკოპოსების ერთგულების წიგნში ნიკოლოზ კათალიკოსისადმი ნათქვამია – „გკადრეთ და მოგახსენეთ თქუენ, კათოლიკე სამოციქულოსა ეკლესიას სუეტისაცხოველსა...“[11] ნიკოლოზ ალავერდელის ერთგულების წიგნში ნათქვამია – „ფიცი მოგართვით ჩვენ, თქვენდა კურთხევად მოსრულმან ამბა ალავერდელმან ჩოლოყაშვილმან თქვენ, კათოლიკე სამოციქულო საყდარსა და სვეტსა ცხოველსა და კვართსა საუფლოსა და მის საჭეთმპყრობელს კათალიკოზ დიასამიძეს იოანეს“.[12]

ესე იგი, ქართული ეკლესიის მეთაური ზის სამოციქულო საყდარზე სვეტიცხოველში.

1702 წლის საეკლესიო კრების განჩინებაში ნათქვამია: „ჩვენ, მეუფეებისა მიერ სამოციქულოსა კათოლიკე ეკლესიასა ზედან დადგინებულმან პატრონმან მთავარეფისკოპოსმან ქრისტეფორე, კათალიკოზმან ევდემოზ, ამბა ალავერდელმან, პატრონმან ნიკოლოზ ნინოწმიდელმან იოსებ, სულა ქართველთა და კახთ ეფისკოპოზთა... ფიცი დავდევით...“.[13] აქედან ჩანს, რომ საქართველოს კათალიკოსი დადგენილი იყო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მეთაურად და სწორედ ეს არის სახელწოდება ქართული ეკლესიისა. ძველთაგანვე ქართული ეკლესია მართლმადიდებლური მიმართულებისა იყო, და მას „საქართველოს სამოციქულო ეკლესია“ ეწოდებოდა.

სასურველია, აღდგეს ქართული ეკლესიის ძველი სახელწოდება და მას ოფიციალურად ეწოდოს „საქართველოს სამოციქულო ეკლესია“, მით უმეტეს, რომ საგანგებო აღნიშვნის გარეშეც ცნობილია ჩვენი ეკლესიის მართლმადიდებლური მიმართულება. ოფიციალურ საბუთებში, საენციკლოპედიო ცნობარებსა თუ პრესაში, ქართული ეკლესია თავისი უძველესი სახელით უნდა იხსენიებოდეს.

საქართველო მოციქულთა დროს

ძველ საქართველოში უეჭველ ჭეშმარიტებად იყო აღიარებული წმიდა ანდრიასა და სხვა მოციქულების ჩვენში მოღვაწეობა და ქადაგება.

ახალ დროში, განსაკუთრებით XX ს-ის დასაწყისში, წმიდა ანდრიას საქართველოში ქადაგება ლეგენდად გამოცხადდა. უარმყოფელებს ერთ თავის არგუმენტად ისიც მიაჩნდათ, რომ იბერია უმნიშვნელო ქვეყანა იყო, რომელსაც არ შეეძლო მოციქულთა ყურადღების მიპყრობაო.

სინამდვილეში, მოციქულთა მოღვაწეობის ეპოქაში, I ს-ის 30-იანი წლებიდან II ს-ის 60-იანი წლების ჩათვლით, იბერია იყო ძლიერი სახელმწიფო. ამიტომაც რომაელი ისტორიკოსები ტაციტუსი, დიონ კასიუსი და სხვები ხალისით უთმობდნენ თავიანთ თხზულებებში ადგილს მისი სისხლსავსე ცხოვრების აღწერას. შუა საუკუნეთა ევროპელები ანტიკური დროის იბერიას უკეთ იცნობდნენ, ვიდრე თავიანთი დროის საქართველოს.

I-II საუკუნეებში სამი სახელმწიფო – რომი, იბერია და პართია ერთმანეთს ეცილებოდნენ ვრცელ მიწებს ამიერკავკასიის სამხრეთით. იბერია იმდენად იყო გაძლიერებული, რომ მას შეეძლო რომაელთა დახმარების გარეშე დაემარცხებინა პართიის სახელმწიფო. იბერიამ რამდენჯერმე დაამარცხა კიდეც პართიის ჯარი. ამის გამო, რომს ეშინოდა იბერიის მეტისმეტი გაძლიერებისა.

იმპერატორმა ავგუსტუსმა, რომლის დროსაც, წმიდა სახარების თანახმად, დაიბადა ჩვენი უფალი და მაცხოვარი იესო ქრისტე (ლუკა, 2, 1), საფუძველი დაუდო მეგობრულ ურთიერთობას რომის იმპერიასა და იბერიის სახელმწიფოს შორის. ამ თვალსაზრისით „საყურადღებოა რომის იმპერატორის ავგუსტუსის ცნობა, როდესაც იგი თავისი მმართველობის ბოლოს, აჯამებს რა თავის მოღვაწეობას, მათ შორის, ვინც მის მეგობრობას ეძიებდა, ასახელებს, სხვათა შორის, ალბანელების, იბერიელების და მიდიელების მეფეებსაც.“[14]

მეგობრობამ რომსა და იბერიას შორის, რომელიც გრძელდებოდა I-II საუკუნეთა მანძილზე, გააძლიერა და განადიდა იბერია.

ძველ ისტორიკოსთა ცნობებს იბერიის შესახებ ადასტურებენ არქეოლოგებიც. მათ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით ჩანს, რომ „იმპორტული საქონელი ვრცელდება არა მარტო იბერიის დიდ საქალაქო და ადმინისტრაციულ ცენტრებში (მცხეთა, უფლისციხე, ურბნისი, ზღუდერი, გორი, კლდეეთი), არამედ დაბა-სოფლებშიც (ნიჩბისი, ზემო ხანდაკი, ატენი და სხვა). დაბა-სოფლებში მრავლად არის ნაპოვნი ამ დროის მონეტებიც“,[15] რაც ქვეყნის ეკონომიური აღმავლობის უტყუარი საბუთია. მცხეთაში (არმაზში) ნაპოვნი არქეოლოგიური განძის სიმდიდრემ ივანე ჯავახიშვილს ათქმევინა, რომ ხელახლა იყო დასაწერი საქართველოს ისტორიის ეს მონაკვეთი. I-II საუკუნეებში იბერიაში სიმდიდრის დაგროვების ერთ-ერთი წყარო იყო წარმატებული საგარეო ომები, საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმა და მეგობრული ურთიერთობა რომის იმპერიასთან. იმპერატორები იბერიის მეფეებს უგზავნიდნენ უხვ საჩუქრებს, რაზედაც იმდროინდელი ისტორიკოსები წერდნენ. „ქართლის ჩაბმას საერთაშორისო ვაჭრობაში მიუთითებს I-III საუკუნეთა ქართ-

ლის არქეოლოგიურ მასალაში იმპორტული საქონლის სიუხვე. მის უდიდეს ნაწილს შეადგენს ფუფუნების საგნები (ვერცხლისა და მინის ჭურჭელი, სამკაულები და სხვ.), ... ქართლთან სავაჭრო ურთიერთობა უჩანთ ეგვიპტის სახელოსნო ცენტრებს... აღმოსავლეთის ქვეყნებიდან (შუა აზია, ინდოეთი, არაბეთი) იმპორტირებულია ძვირფასი ქვები (ლალი, ძოწი, ფირუზი და სხვ.), რომელსაც ფართოდ იყენებდნენ ადგილობრივი ოქრომჭედლები, მრავლადაა იმპორტირებული რომაული გლიპტიკური ძეგლები, სირიული მინის ჭურჭელი. აღმოჩენილია იტალიური ბრინჯაოს ჭურჭელი, იტალიური ვერცხლის თასები – ფიალები, რომლებიც არმაზისხევის სამაროვანზეა აღმოჩენილი და შესანიშნავ მხატვრულ ნაკეთობებს წარმოადგენენ და შეიძლება დიპლომატიური გზით, ძღვენის სახით იყოს შემოსული“.[16]

I-II საუკუნეებში იბერიის საზღვრები იცვლებოდა, მაგრამ ძირითადად ამ დროს მისი საზღვარი დასავლეთით შავ ზღვამდე აღწევდა, აღმოსავლეთით მისი გავლენის სფეროში შედიოდა ალბანეთი, სამხრეთით – სომხეთი. ჩრდილოეთით ალანებსა და სარმატებზეც აღწევდა მისი გავლენა.

პლინიუსი (23-79 წწ.) აღწერს ჭოროხის შესართავთან მდებარე ქ. აფსარს (დღევანდელი გონიო) და დასძენს, რომ „ამ ადგილებში, „მთებს იქით“ არის იბერია, ხოლო სანაპიროზე სახლობენ ჰენიოხები, ამპრევეტები, ლაზები“.[17] ცხადია, ქ. აფსარი და მისი მიმდებარე სანაპირო არ შეიძლებოდა იბერიის მეფის ძალაუფლების ქვეშ ყოფილიყო, რადგანაც ეს ქალაქი რომაელებს ეჭირათ და იქ რომაული გარნიზონი იდგა, მაგრამ გონიოს ზღვისპირა ვიწრო ზოლის უშუალოდ მომიჯნავე მთებს იქით უკვე იბერიის სახელმწიფო იყო.

არიანეს, რომელმაც იმპერატორ ადრიანეს (131-137 წწ.) დროს იმოგზაურა შავი ზღვისპირეთში, ამ სანაპიროს ერთ-ერთ უბანზე დასახელებული ჰყავს ძიდრიტები, რომლებიც იბერიის მეფე ფარსმანს ემორჩილებიან... ამრიგად, ძიდრიტებს და მაშასადამე, იბერიას, ეჭირა შავი ზღვის პირას რამდენიმე ათეული კილომეტრი სიგრძის მონაკვეთი დღევანდელი ჭოროხის შესართავის სამხრეთით.[18]

„ქართული ტრადიცია სამცხესა და აჭარას ქართლის სამეფოს ერთ-ერთ საერისთავოდ თვლის. ფარსმან II-ის დროს იგი ისევე, როგორც მეზობელი კლარჯეთი, მტკიცედ შედიოდა ქართლის სამეფოში; მასში შედიოდა ასევე არგვეთი, სადაც ამავე ტრადიციის მიხედვით, ქართლის ცალკე ადმინისტრაციული ერთეული – საერისთავო უნდა ყოფილიყო.[19] ეს უკანასკნელი გარემოება, სხვათა შორის, დასტურდება არქეოლოგიური მონაცემებითაც.[20] სოფ. ბორში (შორაპნის სამხრეთ-აღმოსავლეთით 7-8 კმ-ზე) მდიდრულ სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის თასი, ე. წ. არმაზული დამწერლობით ამოკვეთილი წარწერით, რომელიც იხსენიებს „ბუზმიჰრს, კეთილ პიტიახშს“. ფიქრობენ, რომ აღნიშნული ბუზმიჰრი იბერიის მეფის მოხელე უნდა ყოფილიყო ლიხსიქითა მხარეში („პიტიახში“ — „მეფის ნაცვალი“). ზესტაფონიდან 7 კმ-ის მანძილზე სოფ. კლდეეთში გამოვლინდა მდიდარი სამარხები, რომლებიც ინვენტარით ახლო დგას არმაზისხევის სამარხების ინვენტართან.[21] მაშასადამე, მოციქულთა ეპოქაში იბერიის სამეფოს მტკიცედ აქვს ფეხი მოკიდებული დასავლეთ საქართველოში. ლაზიკის გარდა დასავლეთ საქართველოს ყვე-

ლა კუთხე იბერიაში შედის. ლაზეთი, ჩანს, რომმა ჩამოაცილა იბერიას, მაგრამ აქ რომაელთა ხელისუფლება ძლიერი არ ყოფილა, ამიტომაც რომაული დიპლომატია თავისი დევიზის „გათიშე და იბატონეს“ თანახმად ლაზებს უნიშნავს მეფეს, რითაც ხელოვნურად ცდილობს იბერია – ლაზიკის გაყოფას. სინამდვილეში კი, ლაზების ეს „მეფეები“ იბერიის მეფის ერისთავები უნდა ყოფილიყვნენ. ბუნებრივი არ იქნებოდა, თუ ვიფიქრებდით, რომ იბერია, რომელსაც მოციქულთა დროს ძალა შესწევდა რომაელთა დახმარების გარეშე პართია დაემარცხებინა, თავის ძალაუფლებას ვერ განახორციელებდა ლაზებსა და დასავლეთ საქართველოზე მთლიანად. ჩანს, რომაელთა გულის მოგების მიზნით იბერიამ სცნო ლაზიკის სამეფო, მაგრამ, ფაქტობრივად, ეს „მეფეები“ იბერიის მეფის ერისთავები იყვნენ, ყოველ შემთხვევაში ასეა „ქართლის ცხოვრებასა“ და სხვა წყაროებში დაცულ ცნობებში.

დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეების არქეოლოგიური შესწავლა დაბეჯითებით ადასტურებს ძველ ქართულ ტრადიციას იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს მოციქულთა ეპოქაში საერთო, ერთიანი კულტურა ჰქონდა და კულტურული მთლიანობა მთელ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, ეგრისის ჩათვლით, უეჭველია.

„მკვლევართა ყურადღება მიიქცია იმან, რომ იბერიის დედაქალაქ მცხეთაში ნაპოვნ ახ.წ.აღ-ის პირველი საუკუნეების მატერიალური კულტურის, კერძოდ, საიუველირო ხელოვნების შესანიშნავ ძეგლებს პარალელი მოეპოვება არა მარტო ბორისა და კლდეეთის, არამედ დასავლეთ საქართველოს არაერთ სხვა პუნქტში აღმოჩენილ მასალაშიც (სარგვეშში, კლდეეთის მახლობლად, ურეკი-ზღვის სანაპიროზე, მდ. სუფსის შესართავის ახლოს და სხვ.). ამ საფუძველზე ზოგიერთი მკვლევარი ლაპარაკობს ახ.წ.აღ-ის პირველ საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე ერთიანი ადგილობრივი კულტურის ბატონობის გავრცელებაზე... განსაკუთრებით ძლიერი უნდა ყოფილიყო აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოებრიობის გავლენა დასავლეთ საქართველოში ლაზთა სამეფოს ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესზე“.[22]

მოციქულთა ეპოქაში იბერია აქტიურ საგარეო პოლიტიკას ეწეოდა სამხრეთის მიმართულებით. „იბერიის მეფეები, უეჭველია, ცდილობდნენ მაქსიმალურად გამოეყენებინათ ხელსაყრელი საგარეო პოლიტიკური სიტუაცია თავისი სამეფოს საზღვრების გასაფართოებლად. ამ მხრივ, ისინი ისეთ წარმატებას აღწევენ, რომ I ს-ის 30-იან წლებში იბრძვიან არა მარტო სომხეთის სასარგებლოდ ადრე დაკარგული ცალკეული სამხრეთის ოლქების, არამედ საერთოდ მთელი სომხეთის შემოსაერთებლად“.[23] იბერია მთელი I-II საუკუნეების განმავლობაში განაგრძობდა ბრძოლას სომხეთის შემოსაერთებლად და ზოგჯერ იერთებდა კიდეც.

აღმოსავლეთით იბერია მიისწრაფოდა ალბანეთზე ბატონობისკენ და აღწევდა კიდეც ამას. ალბანეთსა და იბერიას ამ დროს, თითქმის მუდამ ერთი საგარეოპოლიტიკური ორიენტაცია ჰქონდათ. „აქამდე მას მუდამ იბერიასთან ერთად ერთ ბანაკში ვხედავთ... ეტყობა, ალბანეთი თუ მისდამი პოლიტიკურ დამოკიდებულებაში არა, იბერიის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მაინც იმყოფებოდა. მაგრამ ფარსმანის იბერია, რომელიც სომხეთის დაუფლებასაც კი ცდილობდა, ბუნებრივია, მიისწრაფოდა სრული ბატონობისაკენ აგრეთვე ალბანეთზე“.[24]

სტრაბონი (64 წ. ქრისტემდე — 18 წ. ქრისტეს შემდეგ) წერდა. „ხოლო ალბანთა და იბერთა ტომებს, რომელთაც უკავიათ უპირატესად მოხსენებული ყელი, და რომელსაც კავკასიური ეწოდებათ, აქვთ მდიდარი ქვეყანა და განსაკუთრებით ვარგისი კარგად დასასახლებლად. მართლაც, იბერია კარგად არის დასახლებული ქალაქებითაც და სოფლებითაც“.[25]

იბერიის საზოგადოება, სტრაბონის თანახმად, დაყოფილია 4 სოციალურ ჯგუფად, რომელთაც ის „გენოსს“ უწოდებს, ხოლო ქართულად გვარად თარგმნიან. სტრაბონი იმას კი არ წერდა, რომ იბერიაში ოთხი ხალხი ცხოვრობსო, არამედ ოთხი სოციალური ჯგუფიაო. ასევე სტრაბონის მიერ აღწერილი მთის იბერები და ბარის იბერები ერთი ხალხია, მაგრამ ცხოვრების სხვადასხვა წესები აქვთ გეოგრაფიული გარემოს, საქმიანობის და მეზობლად მცხოვრები ხალხების ურთიერთგავლენითაც.

თანახმად წმიდა სახარებისა, იესო ქრისტემ თავის მოწაფეებს მისცა მითითება წასულიყვნენ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში და გაევრცელებინათ ქრისტიანობა — „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით სახელითა მამისადთა და ძისადთა და სულისა წმიდისადთა“ (მათე, 28, 19), ანუ ახალი ქართულით — „წადით და ასწავლეთ ყველა ხალხს...“ დაახლოებით 33 წელს მოიქცა პავლე მოციქული და ქადაგებდა დამასკოში, 44-45 წლებში ის სირიასა და კილიკიაში მოღვაწეობდა, 45 წელს ბარნაბასთან ერთად მოგზაურობს, როგორც მისიონერი. 49 წლის გაზაფხულზე შედგა იერუსალიმის კრება. ამავე წელს პეტრე და პავლე ანტიოქიაში იმყოფებიან. ამის შემდეგ, შემოდგომით, მოციქული პავლე მეორე სამისიონერო მოგზაურობაში გაემგზავრა, იყო კორინთოში. 53 წელს მესამე სამისიონერო მოგზაურობაშია. 54 წლის შემოდგომით, ეფესოშია 57 წლის გაზაფხულამდე. 58 წელს იერუსალიმშია, სადაც დაიჭირეს. 60 წლის შემოდგომაზე გემით გაემგზავრა იტალიაში. 64-65 წლებში იყო პირველი დიდი დევნა ქრისტიანებისა, 67 წელს აწამეს წმ. პეტრე და პავლე. 66-67 წწ. ქრისტიანები განდევნეს იერუსალიმიდან. დაიწყო იუდეის აჯანყება (იუდეის ომი). 69 წელს ტიტემ ალყა შემოარტყა იერუსალიმს და დაწვა ტაძარი. მოციქული იოანე გადასახლდა ეფესოში. მან დაახლ. 99-100 წწ. შეადგინა სახარება, ხოლო 95 წელს – გამოცხადება (42-45 წწ. მათემ შეადგინა სახარება, 61-63 წწ. – ლუკამ, 62-63 წწ. – მარკოზმა).

ღვთისმეტყველები წერენ, რომ 12 მოციქულთაგან პეტრე რომამდე ქადაგებდა იუდეასა და ანტიოქიაში. იგი ჯვარს აცვეს რომში თავქვე დაკიდებით. ანდრია, გადმოცემის თანახმად, ქადაგებდა სკვითეთში, საბერძნეთსა და მცირე აზიაში, ჯვარს აცვეს X-ის ფორმის ჯვარზე; მოციქული იაკობი ქადაგებდა იერუსალიმსა და იუდეაში, მას იერუსალიმში 44 წელს თავი მოჰკვეთა ჰეროდემ. მოციქული იოანე ქადაგებდა მცირე აზიასა და ეფესოში, გადაასახლეს კუნძულ პატმოსზე 95 წ., გარდაიცვალა ბუნებრივი სიკვდილით. მოციქული იაკობი ქადაგებდა პალესტინასა და ეგვიპტეში, 63 წელს გადმოაგდეს იერუსალიმის ტაძრის სახურავიდან. იუდა – ლებეოსი (თადეოზი, ალფესი), გადმოცემის თანახმად, ქადაგებდა ასურეთსა და სპარსეთში. სპარსეთში აწამეს. მოციქული ფილიპე ფრიგიაში ქადაგებდა, გარდაიცვალა იქვე. მოციქულ ბართლომეს ქადაგების ადგილი უცნობია, გადმოცემით,

ტყავი გააძვრეს. მოციქული მათე მეზვერე ქადაგებდა იუდეველთა შორის და აფრიკაში, აწამეს ეთიოპიაში. მოციქული თომა ქადაგებდა სირიაში, სპარსეთსა და ინდოეთში, ლოცვისას ისრით განგმირეს. სვიმონ კანანელის ქადაგების ადგილი უცნობია, გადმოცემის თანახმად, ჯვარს აცვეს. იუდა ისკარიოტელის ნაცვლად არჩეული მატათა მოციქულის ქადაგების ადგილი უცნობია.[26]

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, მოციქულები იმდროინდელი მსოფლიოს იმ ქვეყნებში ქადაგებდნენ, რომელნიც იერუსალიმის გარშემო იყვნენ, კერძოდ, რომის იმპერიაში, სკვითეთში, ეგვიპტესა და ეთიოპიაში, სპარსეთსა და ასურეთში, ფრიგიაში, აფრიკაში, ინდოეთში. მოციქულთა უმეტესობა ქადაგებდა მცირე აზიაში, რომელიც ძირითადად იმპერიაში შედიოდა. კერძოდ, მოციქულები პეტრე, ანდრია, იოანე მცირე აზიაში ქადაგებდნენ.

ზემოთ მოყვანილიდან ისე ჩანს, თითქოსდა მოციქულებს კავკასიაში არ უქადაგიათ, ხოლო გარშემო ყველა ქვეყანაში სკვითეთში, მცირე აზიასა და სპარსეთში იქადაგეს.

ძველი ისტორიკოსები, რომლებიც აღწერდნენ მოციქულთა ქადაგებას, ხომ არ მიიჩნევდნენ ამიერკავკასიას სკვითეთის, მცირე აზიის, ანდა სპარსეთის ნაწილად?

მართლაც, სომეხი სამღვდელოება და სომეხი მეცნიერები სომხურ ეკლესიას სამოციქულოს უწოდებენ, სომხური ეკლესია დაუფუძნებია იქ მოქადაგე მოციქულ თადეოზს, რომელმაც ღვთისმეტყველთა ზემოთ მოყვანილი სიის თანახმად იქადაგა ასურეთსა და სპარსეთში. ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ ან სომხეთს მიიჩნევდნენ სპარსეთის ნაწილად, ანდა სპარსეთისაკენ მიმავალ გზაზე მან სომხეთზე გაიარა და დააფუძნა სომხური ეკლესია.

ასევე სავსებით შესაძლებელია სომხეთი მიეჩნიათ მცირე აზიის ნაწილად, სადაც ბევრი მოციქული ქადაგებდა.

ძველი ისტორიკოსები სკვითეთს უწოდებდნენ ვრცელ გეოგრაფიულ არეალს, რომელიც ზოგჯერ მოიცავდა ამიერკავკასიასაც, რის შესახებაც ქვემოთ ვწერთ. ამიტომაც, როცა წერენ, რომ ანდრიამ სკვითეთში იქადაგაო, შესაძლებელია, გულისხმობენ ამიერკავკასიას, კერძოდ, საქართველოს.

აღსანიშნავია, რომ გზები სპარსეთისა და ინდოეთისკენ, ასევე სკვითეთისკენ გადიოდა ამიერკავკასიაზე.

გზა მცირე აზიიდან და ანტიოქიიდან, საიდანაც მოციქულები საერთოდ მიემგზავრებოდნენ აღმოსავლეთში სამისიონეროდ, სომხეთზე გადიოდა. „სომხეთზე გადიოდა უმთავრესი სავაჭრო-სატრანზიტო გზები, რომლებიც ერთმანეთს უკავშირებდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს“.[27]

დასავლეთიდან სპარსეთისა და ინდოეთისკენ მიმავალ მოციქულებს სომხეთზე უნდა გაევლოთ. I-II საუკუნეებში საქართველოს მეზობელი სომხეთის ოდესღაც ძლიერი სახელმწიფო დასუსტებული იყო. ამით ისარგებლა იბერიამ და შეუდგა საზღვრების გაფართოებას სამხრეთის მიმართულებით, რისთვისაც ალანებთან მეგობრული ურთიერთობითაც სარგებლობდა. I ს-ის 30-იანი წლებიდან იბერია მთელი სომხეთის შემოსაერთებლად იბრძვის. 35 წელს იბერები მეფის ძის, ფარს-

მანის, მეთაურობით შეიჭრნენ სომხეთში და დაიკავეს მისი დედაქალაქი არტაშატი. ქართველთა მიზანს შეადგენდა სომხეთიდან პართიის ჯარის განდევნა. „იბერებმა, ტაციტუსის ცნობით, ალბანელები და სარმატები მოიხმეს“.[28] ქართველები, ცხენოსანი ჯარის გარდა, ძლიერ ქვეით ჯარსაც ფლობდნენ. ტაციტუსის ცნობით, პართელთა ლაშქარი იბერთა ჯარმა დაამარცხა,„სომხეთში გამეფდა იბერთა მეფის მითრიდატეს ძე და მისი მომდევნო მეფის ფარსმანის ძმა მითრიდატე“.[29] შემდგომ პართელთა მეფემ კვლავ შემოუტია ქართველებს, მაგრამ დამარცხდა. „ამრიგად, სომხეთში მეფობა იბერიელ უფლისწულს მითრიდატეს დარჩა“. „რომაელები კარგად ხედავდნენ იბერიის მმართველთა სწრაფვას დაემორჩილებინათ მთლიანად სომხეთი. სომხეთისათვის ბრძოლა ახლა, ფაქტობრივად, სამ სახელმწიფოს – რომს, პართიასა და იბერიას შორის მიმდინარეობდა. იბერიას, როგორც 35 წლის ამბებით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომის დახმარების გარეშეც უნარი შესწევდა გაემარჯვა პართიაზე“.[29] „რომში, უეჭველია, შიშობდნენ იბერიის მეტისმეტ გაძლიერებას...“[30]

იმპერატორმა კლავდიუსმა (41-54) მითრიდატე კვლავ სომხეთის ტახტის დასაკავებლად გამოგზავნა 47 წელს. „სულ რამოდენიმე წლის შემდეგ, 51 წელს, იბერიის მეფე ფარსმანი გადავიდა აშკარა ბრძოლაზე თავისი ძმის, სომხეთის მეფის მითრიდატეს წინააღმდეგ. საქმე ეხებოდა ფარსმანის ცდას, დაუფლებოდა სომხეთის სამეფოს... ფარსმანის იბერია, რომელიც სომხეთის დაუფლებასაც კი ცდილობდა, ბუნებრივია, მიისწრაფოდა სრული ბატონობისკენ, აგრეთვე ალბანეთზე“.[31]

ქართველთა მეფე ფარსმანმა გადაწყვიტა სომხეთში გაემეფებინა თავისი ვაჟი რადამისტი, ხოლო თავისი ძმა მითრიდატე სომხეთის ტახტიდან ჩამოეგდო. ამით ფარსმანი სომხეთს უშუალოდ უერთებდა თავის სამეფოს. მართლაც, ქართველმა უფლისწულმა რადამისტმა დიდძალი ლაშქრით შეძლო სომხეთის სამეფოს შემოერთება. სომხეთი, ფაქტობრივად, იბერიასთან აღმოჩნდა შეერთებული. „მეზობელ ქვეყნებში (სირიაში, კაპადოკიაში) მდგომი რომაული ლაშქრის სარდლები შეეცადნენ დაებრუნებინათ რომისათვის სომხეთი...“[32]

მალე ფარსმანმა მოაკვლევინა რადამისტი, რომელიც შეიძლება მამისთვის სამეფოს წართმევას ლამობდა. ტაციტუსი წერს, რომ „რადამისტი იყო შესანიშნავი ფიზიკური აღნაგობისა და ძალის ახალგაზრდა, რომელსაც დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი როგორც თავის ხალხში, ისე მეზობლებში“.[33] თუ იბერიელი უფლისწული მეზობლებში ასე სახელგანთქმული იყო, ცხადია, იბერიაში მიმდინარე ამბები მთელ რომის იმპერიაშიც ცხოველ ინტერესს აღძრავდა. „58 წელს, როდესაც რომში მმართველად უკვე ნერონი (54-66) იჯდა, აღმოსავლეთში საომარი მოქმედების ხელმძღვანელად გაიგზავნა გნეიუს დომიციუს კორბულონი. იბერები ამ დროს რომაელთა მოკავშირეებს შორის იყვნენ... მოკავშირეებმა მიიღეს „სომხეთის მათ სამფლობელოებთან მოსაზღვრე ნაწილები“. მაშასადამე,[34] 58 წელს იბერიას შეუერთდა სომხეთის ის ნაწილები, რომლებიც მას ესაზღვრებოდნენ.

63 წელს რომსა და პართიას შორის დაიდო ხელშეკრულება სომხეთთან დაკავშირებით. „შესაძლებელია, რომსა და პართიას შორის სომხეთის გამო შეთანხმების

ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა საფრთხე, რომელიც გამოუჩნდა სომხეთს იბერიისა და მათი მოკავშირე ალანების მხრივ“.[35] ამ ხელშეკრულებამ გაამწვავა იბერიასა და სომხეთს შორის ბრძოლა.

70-იან წლებში იბერები და მათი მოკავშირეები შევიდნენ სომხეთში და გაიმარჯვეს. ამ დროს მეფობდა ფარსმან I-ის ძე მითრიდატე.

1940 წელს არმაზისხევში აღმოჩნდა არამეული წარწერა. ამ წარწერაში ლაპარაკია იბერთა მიერ მოპოვებული გამარჯვების შესახებ და ამასთან დაკავშირებით არმენია იხსენიება. „ამ ლაშქრობებმა, რომლებიც უცილობლად, მიუხედავად მოსე ხორენელთან დაცული ხალხური ტრადიციისა, იბერთა გამარჯვებით დამთავრდა, უეჭველია, დიდად განამტკიცა იბერიის სამეფოს და მისი მმართველის — მითრიდატეს ავტორიტეტი“.[36]

75 წლისათვის რომაელები არმაზის ციხის გალავანს უმაგრებენ თავიანთ მეგობარ ქართველთა მეფეს. „ამას მოწმობს მცხეთაში ნაპოვნი 75 წლით დათარიღებული ბერძნული წარწერა, შედგენილი ვესპასიანეს, ტაციტუსისა და დომიციანეს სახელით, სადაც ლაპარაკია არმაზის ციხის გალავნის გამაგრებაზე, რომაელთა მიერ იბერთა მეფე მითრიდატესათვის – „კეისრისა და რომაელთა მეგობრისათვის“.[37]

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, სომხეთი, რომელზედაც გადიოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი გზები, I საუკუნეში, პოლიტიკურად, იბერიის ნაწილადაც კი შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო. სპარსეთსა და ინდოეთში მიმავალი მოციქულები ამ გზას გვერდს ვერ აუვლიდნენ.

ასევე სკვითეთში მიმავალი ანდრია მოციქული გზას ვერ აუქცევდა იბერიას, რადგანაც იბერია გადიოდა არა მარტო შავ ზღვაზე, არამედ „კასპიის ბჭეც“ მას ეჭირა. ამას მოწმობს რომში ნაპოვნი ქართველთა მეფის მითრიდატე III-ის ძმის ამაზასპის საფლავის ქვის ეპიტაფია, სადაც ნათქვამია: „მეფის სახელოვანი ძე ამაზასპი, მითრიდატე მეფის ძმა, რომლის მშობლიური მიწაც არის კასპიის ბჭესთან, იბერი იბერის ძე, აქ მარხია წმინდა ქალაქთან...“[38]

II საუკუნის დასაწყისში ქართველთა სამეფოს საზღვრები შავი ზღვისპირას რომ გადიოდა, მოწმობს არიანე, რომელიც 131 წელს მოგზაურობდა შავი ზღვის პირას. მისი ცნობით, ამ სანაპიროს ერთ-ერთ უბანზე სახლობდნენ ძიდრიტები. ისინი ქართველთა მეფე ფარსმანს ემორჩილებიან. II ს-ის 30-იან 50-იან წლებში ქართლში მეფობდა ფარსმან მეორე, რომელსაც ფარსმან ქველი ეწოდა.

„II ს-ის პირველ ნახევარში ქართლი, როგორც ჩანს, კიდევ უფრო ძლიერდება. თუ მისი საგარეო-პოლიტიკური წარმატებების მიხედვით ვიმსჯელებთ, სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ანტიკური ხანის ქართლის სამეფოს ყველაზე უფრო დიდი ძლიერების ხანა“.[39] „ფარსმან II-ის დროს ქართლი, ჩანს, უკვე ყოველგვარი შენიღბვის გარეშე ებრძვის რომს და ცდილობს მის განდევნას კოლხეთიდან და სხვა მეზობელი ადგილებიდან. ამასთანავე, იგი ამ საქმეში როდი ეძიებს პართიის მხარდაჭერას. ქართლის მმართველები, ეტყობა, თამამად უპირისპირდებიან რომსა და პართიას ერთდროულად. 134 წელს ფარსმან II-ს, როგორც დიონ კასიუსი გვატყობინებს, მოუწყვია ალანთა დიდი შესევა რომისა და პართიის სამფლობელოებზე. ალანები თავს დაესხნენ ალბანეთსა და მიდიას, აგრეთვე, არმენიასა და კაპადოკიას“.[40]

ფარსმანი ისე გაძლიერდა, რომ „თავი დამოუკიდებლად ეჭირა“. იმპერატორი ადრიანე ყოველმხრივ ცდილობდა გაეუმჯობესებინა ურთიერთობა ქართველთა მეფესთან, მაგრამ ფარსმანი არ მიდიოდა დათმობაზე. ფარსმანმა ქედმაღლურად უარი თქვა იმპერატორის მიწვევაზე და რომში არ ჩავიდა. თუმცა, საზოგადოდ იბერია და რომის სახელმწიფოები ამ დროს მეგობარ ქვეყნებად ითვლებოდნენ. იმპერატორის ბიოგრაფი ელიუს სპარტიანე წერს, რომ ადრიანემ ქართველთა მეფეს ყველაზე მეტი, ურიცხვი ძვირფასი საჩუქარი გაუგზავნა. „თუ გავითვალისწინებთ იბერიასა და რომს შორის ამ დროს არსებულ დაძაბულ ურთიერთობას, უნდა ვიფიქროთ, რომ არიანე იბერიაში შეიძლებოდა მოხვედრილიყო მხოლოდ დიპლომატიური მისიით, ე.ი. როგორც იმპერატორის ელჩი. ეგების ის საჩუქრები, რომელზედაც ლაპარაკობს ელიუს სპარტიანე, ფარსმანს სწორედ არიანემ ჩააბარა“.[41]

მომდევნო იმპერატორის, ანტონიუს პიუსის (133-161) დროს ფარსმან II საქართველოდან მეუღლითა და დიდი ამალით გაემგზავრა რომში, სადაც მას საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. დიონ კასიუსის თანახმად, იმპერატორს „გაუფართოებია მისი სამფლობელო“. ჩანს, არა მარტო სცნო იბერიის უკვე არსებული საზღვრები, არამედ დაუმატა კიდეც სხვა მიწები შავზღვისპირეთსა და სომხეთში.

საპატიო ქართველ სტუმარს ნება დართეს მსხვერპლი შეეწირა კაპიტოლიუმში. იმპერატორი დასწრებია ფარსმანის, მისი ძისა და სხვა ქართველი დიდებულების სამხედრო ვარჯიშს.

რომში დაიდგა ფარსმანის ცხენოსანი ქანდაკება. ფარსმანის ჩასვლა რომში მიღებულ იქნა როგორც იმპერატორისადმი პატივისცემა, თანახმად ანტონიუს პიუსის ბიოგრაფის – იულიუს კაპიტოლინისა.

ფარსმანის ვიზიტს ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია რომში, რომ იგი საქალაქო ქრონიკას პირველ ადგილზე აღუბეჭდავს, რასაც მოწმობს წარწერა მარმარილოს ფირფიტაზე, რომელიც რომის ძველ ნავსადგურში აღმოჩნდა“.[42]

როგორც ზემომოყვანილიდან ჩანს, საქართველო მოციქულთა ეპოქაში I-II საუკუნეებში, მტკიცე და ძლიერი ქვეყანა იყო, გაფართოებული საზღვრებით, სიმდიდრით სახელგანთქმული, ეკონომიური ცხოვრებით დაწინაურებული, მაღალგანვითარებული საზოგადოებრივი ურთიერთობით.

მოციქულთა ეპოქაში საერთაშორისო სავაჭრო გზები საქართველოზე გადიოდა. „ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეები საერთოდ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობათა განსაკუთრებული აღმავლობის ხანაა, იბერიაც, რა თქმა უნდა, ჩათრეული იყო ამ საერთაშორისო ვაჭრობის ორომტრიალში. ქართლის დედაქალაქი მცხეთა არა მარტო დიდი სტრატეგიული გზების, არამედ, სხვადასხვა მხრიდან სავაჭრო გზების გადაკვეთაზე მდებარეობდა. აქ იყრიდა თავს სომხეთიდან, ალბანეთიდან, კოლხეთიდან და „ჩრდილოეთის მომთაბარეთაგან“ მომდინარე გზები. ცნობილი რომაული რუკა ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე უჩვენებს არაერთ გზას, რომლებიც უეჭველია, ამავე დროს სავაჭრო მაგისტრალებს წარმოადგენდა. ერთი ასეთი გზა სომხეთის დედაქალაქ არტაშატიდან სებასტოპოლისში (სოხუმი) მიდიოდა. გადადიოდა იგი ჯავახეთსა და სამცხეზე, ქართლის უძველესი ცენტრე-

ბის, წუნდასა და ოძრხეს მახლობლად (სადაც, მატიანეთა თანახმად, გაიარა მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა, მოციქულებმა მატათიამ და სიმონ კანანელმა – ეპ. ა.ჯ.). წუნდაში ამ გზის ერთი ტოტი ქართლის შიდა რაიონებისკენ უხვევდა. მეორე მხრივ, დასავლეთ საქართველოში მიმავალი გზა როდოპოლისიდან (ვარდციხე) უხვევდა როგორც დასავლეთით (რიონის გაყოლებით ფაზისისკენ), ასევე აღმოსავლეთით (ისევე რიონის და შემდგომ ყვირილით სვირის, შორაპნის გავლით აღმ. საქართველოში). მეორე გზა არტაშატიდან ქართლში მოდიოდა... რა თქმა უნდა, საერთო ვაჭრობის ფერხულში ქართლი ჩაბმული იყო არა მარტო ამ გზებით. სამცხესა და ჯავახეთზე გადიოდა აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთით – ტაოსა და კლარჯეთს და კიდევ უფრო სამხრეთით, მცირე აზიისკენ მიმავალი გზები (რითაც, როგორც „ქართლის ცხოვრებიდან" ჩანს, ისარგებლა ანდრია მოციქულმა – ეპ. ა.ჯ.). II ს-ის ავტორი იბერიის სამოსახლოთა შორის ასახელებს არტანისას – გვიანდელ არტანუჯს"...[43]

რომაული საგზაო რუკა – „ტაბულა პეუტინგერიანა", რომელზედაც აღნიშნული გზებია დატანილი, IV საუკუნეშია შედგენილი, „მაგრამ მნიშვნელოვანწილად უფრო ძველ, I-II სს. მასალას ემყარება".[44]

ანდრია პირველწოდებული საქართველოში შემოსულა, როგორც ამ რუკისა და „ქართლის ცხოვრების" ცნობების შედარებით ჩანს, იმ გზით, რომელიც ოძრხედან გადადიოდა დასავლეთ საქართველოში და მთავრდებოდა სებასტოპოლისში (სოხუმში). ოძრხედან ეს გზა, ჩანს, მიდიოდა არა მარტო კლარჯეთსა და ტაოში, არამედ უერთდებოდა ტრაპეზუნტსაც, საიდანაც პირველი მოგზაურობის დროს შემოვიდა მოციქული ანდრია, ხოლო სხვა მოგზაურობის დროს მას ტაოს გზითაც უსარგებლია. ეს მხარეები, ასევე დასავლეთ საქართველო შორაპნამდე უშუალოდ იბერიის მეფის ხელქვეითი ქვეყნები იყო.

მცხეთაში შედიოდა გზა, რომელიც გამოდიოდა სომხეთის ქალაქ არტაშატიდან. ხოლო მცირე აზიიდან საქართველოში შემომავალი გზები ტაო-კლარჯეთისა და ოძრხის გავლით დასავლეთ საქართველოში გადადიოდა სებასტოპოლისამდე. ცნობილია, რომ ანდრია მოციქული მოღვაწეობდა მცირე აზიაში, საიდანაც სავაჭრო გზით შემოვიდა კიდეც საქართველოში — ოძრხესა და სებასტოპოლისში. ანდრია მოციქულს სომხეთში რომ ემოღვაწნა, მას სავაჭრო გზა მცხეთაში მიიყვანდა.

აღსანიშნავია, რომ I-III საუკუნეთა საქართველოს სიდიადე და ბრწყინვალება (რასაც ყოველწლიურად ადასტურებს ახალ-ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა მცხეთის მიდამოებში და სხვაგან), ნაკლებად იყო ცნობილი ჩვენში. ამ მდგომარეობას უთუოდ იმან შეუწყო ხელი, რომ „ქართლის ცხოვრება" არ ასახავს ამას, პირიქით, „ქართლის ცხოვრების" თანახმად, იმდროინდელი ქართლი სომხეთის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა. „ქართლის ცხოვრების" ანალიზი უფლებას იძლევა ითქვას, რომ მისი „მეფეთა ამბავის" ერთი ნაწილი დაწერილია, ხოლო დიდი ნაწილი რედაქტირებულია VI-VII საუკუნეებში. ამ დროს (VI ს.) საქართველო არ იყო თავისუფალი ქვეყანა, გაუქმებული იყო ქართული სახელმწიფო და ჩვენში სპარსეთი ბატონობდა. სპარსეთი კი მონოფიზიტებს უჭერდა მხარს და ამიტომ სომხურ

ეკლესიას აბატონებდა ამიერკავკასიის (და მათ შორის საქართველოს) ქრისტიანებზე, რაც სომხური ორიენტაციის წრეებს საშუალებას მისცემდა ესწორებინათ არა მარტო ქართული წმიდა წერილი სომხური რედაქციების მიხედვით, რაზედაც მიგვითითებს გიორგი მცირე თავის „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“, არამედ ქართული ისტორიული ქრონიკები და მატიანეებიც.

გიორგი მცირე წერს – „ეგრეთვე დაღაცათუ პირველითგანვე გუქონდეს წერილნიცა და სარწმუნოება ჭეშმარიტი და მართალი, გარნა... შორის ჩუენსა დათესულ იყვნეს ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი, გულარძილნი და მანქანანი, და ამის მიერ ფრიად გუევნებოდა, რამეთუ ნათესავი ჩუენი წრფელ იყო და უმანკო, ხოლო იგინი რეცა მიზეზითა წესიერებისაჲთა, რეცა ცთუნებად გუაზმნობდეს და რომელნიმე წიგნნიცა გუაქუნდეს მათგან თარგმნილნი“.[45] თარგმნილ ან რედაქტირებულ „რომელნიმე წიგნნში“, ჩანს, ქართული მატიანეებიც შედიოდა.

თანამედროვე გამოჩენილი ისტორიკოსი გ. მელიქიშვილი ამჩნევს „ქართლის ცხოვრებაში“ მოციქულთა ეპოქის შესაბამისი ამბების აღწერისას არმენოფილურ გავლენას, კერძოდ, წერს. „აშკარაა, რომ „ქართლის ცხოვრების“ მონათხრობს ამ ლაშქრობის შესახებ სომხური ტრადიცია უდევს საფუძვლად. ამაზე მიუთითებს აშკარა არმენოფილური ტენდენცია, რომელიც მონათხრობს წითელ ზოლად გასდევს“.[46]

„ქართლის ცხოვრებაც“ I ს. 70-80-იანი წლების ამბების გადმოცემისას, როგორც ვთქვით, აგრეთვე სომხურ ტრადიციას ეყრდნობა“.[47]

„ქართამის მეფობის აღწერისას ქართული წყაროები კვლავ ძველი სომხური ტრადიციიდან ამოდიან...“.[48]

„ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ ქართული წყაროს მოთხრობა დამოკიდებულია სომხურ ტრადიციაზე, რომელიც ყოველმხრივ არბილებს სომეხთა მიერ განცდილ მარცხს იბერიის მეფე ქართამთან ბრძოლაში“.[49]

VI-VII საუკუნეებში, როცა ხდებოდა ქართული წიგნების არმენოფილური რედაქტირება, ჩვენი ქვეყნის მპყრობელი ხოსრო I ანუშირვანი (551-579 წწ.) მფარველობდა სომხურ ეკლესიას და აძლიერებდა მას. ხოსრო II ფარვიზიც (591-628 წწ.) აძლიერებდა სომხურ ეკლესიას. ცნობილია, რომ ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლე კეისრის ირანში ლაშქრობის დროს „დიდებულების ნაწილმა, რომელიც უკმაყოფილო იყო მონოფიზიტებთან შაჰის დაახლოებით, ხოსრო II ტახტიდან ჩამოაგდო და მოკლა“.[50]

სრულიად მართალნი ჩანან გიორგი მცირე და სხვა ძველი ქართველი მოღვაწეები, როცა წერენ ქართული წიგნების არმენოფილური რედაქტირების შესახებ.

ამით არის გამოწვეული ის, რომ მოციქულთა ეპოქის საქართველოს ბრწყინვალება და სიდიადე არ ასახა „ქართლის ცხოვრებამ“ და უცნობი დარჩა შემდეგი თაობებისათვის. ასე რომ, მოციქულთა ეპოქაში, I-II საუკუნეებში საქართველო იყო მაშინდელ მსოფლიოში სახელგანთქმული, ძლიერი სახელმწიფო, რომელზედაც გადიოდა გზები რომის იმპერიიდან აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებისკენ. ასეთ ქვეყანას მოციქულები გვერდს ვერ აუვლიდნენ თავიანთი მოღვაწეობის დროს.

წმიდა ანდრიასა და სხვა მოციქულების ქადაგება საქართველოში

„პირველწოდებული ანდრია, ძმაჲ თავისა მოციქულთაჲსა პეტრესი, ვიდრე ჩვენდამდეცა მოიწია და ქადაგა საცხორებელი ქადაგებაჲ სახარებისჲ ყოველსა ქუეყანასა საქართველოჲსასა“,[51] – წერდა დავით აღმაშენებლის დროს მოწვეული რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, ყველაზე ავტორიტეტული კრება ქართული ეკლესიის ისტორიაში.

ამ კრების თანახმად, სამწყსო წმიდა ანდრია მოციქულისა იყო არა რომელიმე კუთხე, არამედ მთლიანი საქართველო – „ყოველი ქუეყანა საქართველოჲსა“.

გიორგი მთაწმიდელიც იმ თვალსაზრისისა იყო, რომ საქართველოს პატრიარქი განაგებდა ანდრია მოციქულის მიერ დაარსებულ ეკლესიას და ამიტომაც იჯდა სამოციქულო ტახტზე. მან ანტიოქიის პატრიარქს განუცხადა:

„წმიდაო მეუფეო, შენ იტყჳ, ვითარმედ თავისა მის მოციქულთაჲსა პეტრეს საყდარსა ვზიო, ხოლო ჩუენ პირველწოდებულისა და ძმისა თჳსისა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი. და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი – სიმონს ვიტყჳ კანანელსა – ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს, აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების. ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ“.[52]

ანდრია მოციქული მაცხოვრის უპირველესი მოწაფე იყო. იესო ქრისტემ პირველად მას მოუწოდა, შემდეგ ანდრიამ თავისი ძმა პეტრე დაუმოწაფა მოძღვარს.

ანტიოქიის ეკლესია წმიდა პეტრეს მიერ იყო დაარსებული და ამიტომაც მიიჩნეოდა, რომ ანტიოქიის პატრიარქი იჯდა პეტრეს საყდარზე. ანტიოქიის პატრიარქი ფიქრობდა, რომ ეს მაღალი ტახტი მას უფლებას აძლევდა განეცხადებინა პრეტენზია ქართული ეკლესიის დამორჩილებაზე. წმიდა გიორგი მთაწმიდელმა მას უპასუხა – „წმიდაო მეუფეო, შუენის ესრეთ, რჲთა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ არს, რაჲთა დაემორჩილოს მწოდებელსა თჳსსა და ძმასა ანდრეას, და რჲთა თქუენ ჩუენ დაგუემორჩილნეთ!“[53]

გიორგი მთაწმიდელის მსჯელობა სავსებით ლოგიკურია. თუკი დამორჩილებაზეა ლაპარაკი, მაშინ უფრო სამართლიანი იქნება, თუ უმცროსი ძმა უფროსს, წოდებული მწოდებელს დაემორჩილება, რადგანაც წმიდა ანდრიამ მოუწოდა თავის ძმას პეტრეს და პეტრე დაემორჩილა მას, ამიტომაც წმიდა პეტრეს ეკლესია, ანტიოქიის საპატრიარქო, უნდა დაემორჩილოს წმიდა ანდრიას ეკლესიას – საქართველოს საპატრიარქოსო.

გიორგი მცირე საქართველოს უწოდებს ანდრია მოციქულისა და სიმონ კანანელის სამწყსოს. „ესრეთ ყოველი აღმოსავლი განანათლა და ნაწილი იგი ანდრეა მოციქულისა და სიმონ კანანელისა კუალად განმტკიცა, რამეთუ ანდრეა მოციქულმან მოვლო ქვეყანა ჩუენი, ხოლო სიმონ კანანელმან სრულიად დაიმკჳდრა, რამეთუ ნიკოფსს არიან ნაწილნი მისნი წმიდანი“.[54]

ცნობილი მოღვაწე ეფრემ მცირე ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით წერდა, რომ ქრისტეს სახარება საქართველოში იქადაგა არა მარტო ანდრიამ, არამედ მოციქულმა ბართლომემაც – „ითქუმის ჩუენთჳსცა მიმოვსლასა შინა წმიდა მოციქულთასა – ანდრია პირველწოდებულისა მიერ ქადაგება შორის ავაზგიასა, რომელ არს აფხაზეთი, და მიერ წარვსლა ოსეთად, და კუალად ბართლომეს მიერ მიმოვლა ჩრდილოეთისა, რომელ არს ქართლი“.[55]

ჩანს, ქართულ ეკლესიაში დამკვიდრებული შეხედულება რამდენადმე განსხვავდებოდა ეფრემ მცირის ბერძნული წყაროების თვალსაზრისისაგან. ამ თვალსაზრისის თანახმად, ანდრია მოციქულმა იქადაგა მთლიან საქართველოში, ხოლო ბერძნული წყაროები, რომლითაც სარგებლობდა ეფრემ მცირე, მიუთითებდნენ, რომ ანდრიამ იქადაგა დასავლეთ საქართველოში ანუ „აფხაზეთში“.

საქართველოში ადერკის მეფობის პირველსავე წელს იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე. უფლის ჯვარცმას იერუსალიმში საქართველოდან ესწრებოდნენ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი.

„ამან ადერკი დაიპყრა ყოველი ქუეყანა ქართლი და ეგრისი... ხოლო პირველსავე წელსა მეფობისა მისისასა იშვა უფალი ჩუენი იესო ქრისტე, ბეთლემს ურიასტანისასა“. – „და წარვიდეს აქათ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. და მუნ დახუდეს ჯუარცმასა უფლისასა და მათ მოიღეს მუნით კუართი უფლისა, ვითარცა წერილ არს ესე განცხადებულად მოქცევასა ქართლისასა“.[56] ჩანს, მათ კვართი შეისყიდეს რომაელი ჯარისკაცებისაგან, რომელთაც ჯვარცმული იესოს ტანსაცმელი გაინაწილეს.

დეკანოზი მ. კელენჯერიძე წერს: „ქრისტეს სჯულის პირველ მქადაგებლებად საქართველოში ქრისტეს მოციქულები ითვლებიან: ანდრია, სვიმონ კანანელი, მატათე და კაპადოკიაშიც პეტრე... ისტორიკოსები ორ ბანაკად იყოფიან იმ საკითხის შესახებ, იყვნენ თუ არა მოციქულები საქართველოში: ზოგნი უარყოფენ ამ ფაქტს, სხვები არა... უარისმყოფელნი იმით ასაბუთებენ თავიანთ აზრს, რომ პავლე მოციქულის მეტი არც ერთი მოციქული არ ყოფილა საქადაგებლად წარმართთა შორის და ვერც იქნებოდნენ, რადგან მათ მარტო „წინადაცვეთილთა“ შორის (ე.ი. ებრაელთა) ჰქონდათ ნება ქადაგებისაო. ამ აზრის მიღება შეუძლებელია შემდეგი საბუთების ძალით: 1. ისეთი ავტორიტეტები ძველი ქრისტიანობის ისტორიაში, როგორებიც არიან პროფ. ვ. ბოლოტოვი და არქიეპ. სერგი, აგრეთვე ლეიპციგის პროფ. ვოოგი და ნატალისი, უარს არ ჰყოფენ მოციქულების წარმართთა შორის ქადაგებას. 2. მეორე საუკუნის ისეთი მსხვილი მეცნიერი, როგორიც იყო ორიგენი, ამბობს, ანდრია სკვითებში იყოო, მას ემხრობიან პროკოფი და ევსევიც. უკანასკნელს თავის ისტორიაში (IV ს.) მოჰყავს ორიგენის სიტყვები: „თომამ პართია მიიღო, ანდრიამ სკვითია, იოანემ ასია და პეტრემ პონტო, გალატია, ბითინია და კაპადუკიაო“. 3. წყაროებში მატათე მოციქულზე წერია, ეთიოპიაში ქადაგებდაო. საუკეთესო მეცნიერნი ამ ეთიოპიას აღიარებდნენ ახალ, შინა ეთიოპიად, სახელდობრ, კოლხიდად, სამეგრელოდ და სკვითების ქვეყნად, რაც საზღვრავდა სამეგრელო-აფხაზეთს. გადაჭრით ასახელებენ კიდევ პონტოდ, საცა მდინარე ფაზისი

(რიონი) ზღვას ერთვისო. 4. ქრისტე მარტო ებრაელთათვის არ მოსულა და არც მოციქულებისათვის უბრძანებია ებრაელებზე იზრუნეთ მხოლოდო: პირიქით, ასეთი მცნება დაუდვა მათ: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი ერნიო“... 5. თუკი მოციქულებს მარტო ებრაელთა შორის ქადაგება ევალებოდათ. რატომ გადმოვიდა მოციქულებზე სულიწმიდა და რიღასთვის ასწავლა უცხო ენები? თვითონ მოციქულები ებრაელები იყვნენ და ებრაელთა შორის უცხო ენები რად დასჭირდებოდათ? 6. ფილიპე დიაკონმა ეთიოპიელი საჭურისი მონათლა და პეტრემ — რომის ასისთავი კორნილიოსი – წარმართი მთელი ოჯახით და ამას როგორ გაბედავდნენ, თუ მართლა აკრძალული ჰქონდათ წარმართთა შორის ქადაგება?..“[57]

განსაკუთრებით საინტერესოა მოციქულთა თითქმის თანამედროვე, II საუკუნის მეცნიერის, ორიგენის აზრი, რომ ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა სკვითეთში. საქმე ის არის, რომ ძველი ავტორები „სკვითეთს“ ვრცელ ქვეყანას უწოდებდნენ, რომელშიც ზოგჯერ იბერიასა და კოლხეთსაც ათავსებდნენ, რის შესახებაც უფრო დაწვრილებით ვწერთ შემდგომ თავში. ორიგენის აზრი ანდრიას სკვითეთში ქადაგების შესახებ შეიძლება ისე გავიგოთ, რომ ანდრიამ საქართველოსა და მის მიმდებარე ქვეყნებში იქადაგა. მაშინ ორიგენისა და ჩვენი მატიანეების გადმოცემანი ერთმანეთს თანხვდებიან. ორიგენის გარდა მოციქულ ანდრიას ქადაგებას საქართველოსა და მოსაზღვრე ქვეყნებში იხსენიებდნენ იპოლიტე და დოროთე ტჯრელი ეპისკოპოსი, სოფრონი“.[58]

ადერკის მეფობის წლების შესახებ განსხვავებული შეხედულებები გამოთქვეს ს. კაკაბაძემ, ს. გორგაძემ, პ. ინგოროყვამ და სხვებმა. „როგორც ვიცით, 67 წელს აჯანყებული იუდეის წინააღმდეგ გაგზავნილ იქნა ვესპასიანე ფლავიოსი, 68 წელს, ნერონის სიკვდილის შემდეგ ვესპასიანეს იმპერატორად გამოცხადების შედეგად, რომაელთა ჯარს სათავეში ტიტე ფლავიოსი ჩაუდგა და 70 წელს იერუსალიმი დაანგრია. თუ ადერკი მართლა 57 წელს გარდაიცვალა, მაშინ არავითარ ქრონოლოგიურ შეუსაბამობას არ უნდა წარმოადგენდეს 70 წლის მახლობელ ხანაში მის მემკვიდრეთა მეფობა. მაგრამ ამ შემთხვევაში ნარატიულ წყაროს ჩვენებას წინ უდგას ისეთი ეპიგრაფიული ძეგლი, როგორიცაა მცხეთის ცნობილი ბერძნული წარწერა... რომელსაც ჩვეულებრივ ათარიღებენ 75 წლით. იგი გვამცნობს, რომ სამივე ფლავიოსმა კეისარმა (ვესპასიანემ, ტიტემ და დომიციანემ), „... იბერთა მეფეს მითრიდატეს, მეფე ფარსმანისა და იამასასპოის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარულს და ხალხს ეს კედლები განუმტკიცესო“... გ. მელიქიშვილის მიხედვით, დიონ კასიოსის მითრიდატეს მამა იგივე ადერკია, რომელსაც „ქართლის ცხოვრება“ მეათე მეფედ ასახელებს. გ. მელიქიშვილის მიერ აღდგენილი ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა ქრონოლოგიურ ნუსხაში მეათე მეფე კი ასე გამოიყურება: „10. მითრიდატე („ადეროკ, ადერნი) – ჩვენი ერის I საუკუნის დასაწყისი, 30-იანი წლების შუამდე“.[59]

მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე, ღვთისმეტყველთა თანახმად, ამაღლდა 30 წლის 18 მაისს, ხუთშაბათს. ამაღლების წინ მან აკურთხა მოციქულები, რათა მათ მთელ მსოფლიოში ექადაგნათ.[60] მეათე დღეს, სულიწმიდის მოფენის შემდეგ, მოციქულებმა იწყეს გამგზავრება მთელ მსოფლიოში. ანდრია კი გამოემართა საქართველოში,

სადაც ამ დროს მეფობდა ადერკი (გ. მელიქიშვილის თანახმად, დაახლოებით 35 წლის ჩათვლით). მაშასადამე, ანდრია მოციქული საქართველოში მოსულა 30-35 წლებში, ამავე დროს მას მოუქცევია სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი – მეგრელები და კლარჯნი, რითაც მეფე ადერკის მრისხანება გამოუწვევია. ანდრია მოციქული ამ პირველი მოგზაურობის გარდა სხვა დროსაც ჩამოსულა საქართველოში, ახლა უკვე სხვა მოციქულებთან ერთად. ამ დროს მეფე ადერკი ცოცხალი აღარ ყოფილა. მაშასადამე, ანდრია მოციქულის საქართველოში პირველი მოგზაურობა შეიძლება 30-35 წლებით დათარიღდეს.

როგორც „ქართლის ცხოვრების" ტექსტიდან ჩანს, საფიქრებელია, რომ პირველი მოგზაურობის დროს ანდრიამ მხოლოდ სამხრეთი საქართველო მოიარა, რომლის მცხოვრებლებსაც მემატიანე თითქოსდა „მეგრელებს" უწოდებს, ხოლო მათ ერისთავს – კლარჯეთის ერისთავს. ასეთი რამ უცნაურად არ მოგვეჩვენება, თუ გავიხსენებთ, რომ ტაო-კლარჯეთს I საუკუნისთვის ნ. მარი „მეგრულ-ლაზური ტომებით" დასახლებულ ქვეყნად მიიჩნევდა. თუ ეს ასეა, მაშინ წმიდა ანდრიას საქართველოში მიმოსვლის ტექსტი ძველად დაწერილი აღმოჩნდება.

საქართველოში მესამე მოგზაურობის დროს ანდრია მოციქულს თან ჩამოუყვანია სხვა მოციქულები – სიმონ კანანელი და მოციქული მატათია. ამის შესახებ წერს ეპიფანე კონსტანტინოპოლელი (VIII ს.), რომელიც იყენებდა ძველ წყაროებს. ეპიფანე კონსტანტინოპოლელის თანახმად, მოციქული სიმონ კანანელი დაკრძალულია ნიკოფსიაში, რაც ეთანხმება „ქართლის ცხოვრებასა" და ძველ ქართულ ტრადიციას.

ეპიფანე კვიპრელის (IV ს.) თანახმად კი, საქართველოში მეორე მოციქულიცაა დაკრძალული – მოციქული მატათა ანუ მატათია, რომელიც მოციქულად არჩეულ იქნა ნაცვლად გამცემელ იუდა ისკარიოტელისა. „მატათიამ... იქადაგა სახარება მეორე ეთიოპიაში (კოლხეთში), სადაც არის აფსარის ციხე-სიმაგრე და ჰვისის ნავსადგური. ... იქვე გარდაიცვალა და დამარხულია დღემდე".[61]

მაშასადამე, მოციქული მატათია დაკრძალულია ციხე-სიმაგრე აფსარში. სად მდებარეობდა და რას წარმოადგენდა აფსარი მოციქულთა დროს?

„აფსარში, როგორც ჩანს, რომაელთა ყველაზე დიდი გარნიზონი იდგა, ხუთი კოჰორტა. რომაელთა სამხედრო ძალის ასეთი კონცენტრაცია აქ, შეიძლება, გამოწვეული იყო იბერიასთან დაჭიმული ურთიერთობით. იბერიას ამ დროს ეკავა აფსარის სამხრეთით მდებარე სანაპირო. საერთოდ, აფსარი რომაულ ხანაში დიდი ცენტრი იყო. VI ს-ის ავტორის, პროკოფი ბიზანტიელის ცნობით, მის დროს იგი ნანგრევებად იყო ქცეული. მაგრამ ადრე ეს იყო ხალხმრავალი ქალაქი, დიდი გალავნით შემოვლებული, იყო აქ თეატრი, ჰიპოდრომი და მრავალი სხვა რამ. არიანემ აქ ჯამაგირი დაურიგა მებრძოლებს, დაათვალიერა თავდაცვითი ნაგებობები – გალავანი, თხრილი, გასინჯა იარაღი, მოინახულა ავადმყოფები და შეამოწმა სურსათის (პურის) მომარაგების მდგომარეობა. გონიოში ახლაც მიწის ზემოთ ჩანს ანტიკური ხანის სიმაგრის ნაშთები. ამას წინათ აქ ჩატარდა მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრებიც, რომელმაც ანტიკური ხანის დიდებულ ნაგებობათა ნაშთები და დიდძალი ანტიკური კერამიკა გამოავლინა".[62]

ვინ ცხოვრობდა აფსარში (გონიოში), სადაც ქადაგებდა მოციქული მატათია და სადაც დაიკრძალა ის? აფსარის მიმდებარე ზღვის სანაპირო დასახლებული ყოფილა ქართველებით, კერძოდ, ძიდრიტების ტომით. „სანაპიროზე ცხოვრობდნენ (იბერიის მეფის) ფარსმან II-ის ქვეშევრდომნი ძიდრიტები. ანონიმის მიხედვით, მათ ეკავათ ტერიტორია მდ. არხაბეს (არახვე-სუ) და აფსარის (ჭოროხის) შესართავებს შორის“.[63]

I საუკუნის დასაწყისში პლინიუსი „...ახსენებს რა ციხე აფსარს, იგი დასძენს, რომ ამ ადგილებში „მთებს იქით“ არის იბერია...“[64]

დღევანდელ საქართველოში დაკრძალული ორი მოციქულიდან სიმონ კანანელის საფლავი ამჟამადაც ახალ ათონშია, ხოლო მოციქული მატათია დაკრძალულია გონიოს ციხე-სიმაგრეში, ბათუმთან ახლოს. ამ მოციქულების საქართველოში დაკრძალვის შესახებ (ნიკოფსიასა და აფსარში) წერდნენ IV-VIII საუკუნეთა ისტორიკოსები, რომლებიც კიდევ უფრო ძველ წყაროებს იყენებდნენ.

ძველი ისტორიკოსები ზღვის სანაპიროზე ასახელებენ პუნქტებს, სადაც უქადაგნიათ მოციქულებს – კერძოდ, ფაზისს, სებასტოპოლისს და აფსარს. ამ ქალაქებში შემდგომ რომაული გარნიზონები ჩამდგარან – „რომაულ ციხე-სიმაგრედ გადაიქცა აგრეთვე ქალაქი ფაზისი, ფლავიუს არიანეს 131 წლის საინსპექციო მოგზაურობის დროს რომაული გარნიზონები იდგნენ დიოსკურიაში, ფაზისსა და აფსარში, რომელიც მდ. ჭოროხის შესართავთან, დღევანდელ გონიოს ადგილზე იმყოფებოდა.[65]

„კვიპრელი ეპისკოპოსის ეპიფანეს სიტყვით, მან იცოდა გადმოცემიდან, რომ ნეტარმა მოციქულმა ანდრიამ იქადაგა დიდ სებასტოპოლისში, სადაც არის აფსარის ციხე-სიმაგრე და ჰვისის ნავსადგური და მდინარე ფასისი, სადაც მოსახლეობდნენ იბერიელნი, სუსანელნი, ფუსტელნი და ალანნი“.[66]

მაშასადამე, IV საუკუნის ავტორი ეპიფანე კვიპრელი წერს, რომ დიდი სებასტოპოლისი, მდინარე ფაზისის ხეობა და აფსარის ტერიტორია დასახლებულია იბერებით, ანუ ქართველებით.

ეპიფანეს ცნობით, ანდრია მოციქული პირველი მოგზაურობის დროს „მივიდა ტრაპეზუნტში, ლაზიკის ქალაქში (ეფთვიმე მთაწმიდელის ქართული ვერსიით: „მიიწია... ქალაქად ტრაპეზუნტად, რომელი იგი შენ არს სოფელსა მეგრელთასა“), აქედან ის წავიდა იბერიაში. მას შემდეგ, რაც მან ზღვისპირის მცხოვრებნი მრავალნი განანათლნა, ის ჩავიდა იერუსალიმში“. მეორე მოგზაურობის დროს, ჰაგიოგრაფის ცნობით, ანდრია ისევ „მოიწია ქალაქსა ტრაპეზუნტს“. მესამე მოგზაურობის დროს – გადმოგვცემს ჰაგიოგრაფი, – ანდრია და მისნი თანამოღვაწენი მატათა და სიმონ კანანელი მოწაფეებითურთ „ჩავიდნენ იბერიაში და ფასისში“.[67]

მოციქულების მიმოსვლასთან დაკავშირებით ხშირად გვხვდება სამი პუნქტი – ტრაპეზუნტი, აფსარი და ნაფსაღის ნავსადგური.

პ. ინგოროყვა წერს: „დასახელებული სამი პუნქტი დასავლეთ საქართველოსი, – ტრაპეზუნტი – სამხრეთ მხარიდან, აფსარი – შუა მხარიდან და ნაფსაღის ნავთსადგური (ნიკოფსია) ჩრდილოეთი მხარიდან – ნიშანდობლივ ამორჩეული აქვს იოანე საბანის ძეს, კერძოდ, იმის გამო, რომ სწორედ ამ პუნქტებთან იყო დაკავშირებული გადმოცემები ქრისტიანობის გავრცელების შესახებ დასავლეთ საქართველოში თვით

მოციქულთა მიერ. სამხრეთით მდებარე ტრაპეზუნტი არის ის პუნქტი, სადაც გადმოცემით, იქადაგა ანდრია მოციქულმა და საიდანაც იგი შემოვიდა საქართველოში, შუა მხარეში მდებარე აფსარი არის ის პუნქტი, სადაც გადმოცემით, დასაფლავებული იყო ანდრიას თანამოღვაწე მოციქული მატათა, ჩრდილოეთ მხარეში მდებარე ნაფსაჲს ნავსადგური (ნიკოფსია) არის პუნქტი, სადაც გადმოცემით დასაფლავებული იყო ანდრიას მეორე თანამოღვაწე, მოციქული სიმონ კანანელი".[68]

გარდა ანდრია მოციქულისა, სიმონ კანანელისა და მატათია მოციქულისა, საქართველოში სხვა მოციქულებსაც უმოღვაწიათ. კერძოდ, ეფრემ მცირე, რომელმაც საგანგებოდ დაჩხრიკა მის დროს არსებული ყველა ბერძნული წყარო ქართული ეკლესიის ისტორიასთან დაკავშირებით, ამ წყაროებზე დაყრდნობით წერდა, რომ საქართველოში სახარება იქადაგა მოციქულმა ბართლომემ.

ცნობები მოციქულ ბართლომეს საქართველოში მოღვაწეობის შესახებ, ჩანს, ლათინურ წყაროებშიც ყოფილა მოცემული, რადგანაც ამის შესახებ არქანჯელო ლამბერტიც წერდა.

„არქანჯელო ლამბერტი იმ აზრს იცავს, რომ კოლხეთსა და იბერიაში ქრისტიანობა წმ. ანდრიამ და წმ. ბართლომემ გაავრცელეს. „დარწმუნებული უნდა ვიყოთ, – წერს არქანჯელო ლამბერტი – რომ ორი მოციქულის ქადაგებით დაინერგა სარწმუნოება ამ ქვეყანაში (ე.ი. საქართველოში), მაგრამ შემდგომში მღვდლების უყოლიობის თუ სხვა მიზეზის გამო ამ მხარეებს დიდი ხნის განმავლობაში მოაკლდათ სარწმუნოება".[69]

ა. ლამბერტი წერდა: „ქართლში, სამცხის პროვინციაში არის ერთი ეკლესია, რომელიც მიძღვნილია წმ. ბართლომესადმი. ამ უკანასკნელმა, ხალხური გადმოცემის თანახმად, თავისი ქადაგებით ამ მხარეში ქრისტიანობა გაავრცელა, ამ საეპისკოპოსო ეკლესიის ეპისკოპოსს იშხნელს უწოდებდნენ".[70]

ბართლომეს გარდა საქართველოში თომა მოციქულსაც უმოღვაწნია, რუსულ წყაროში დაცული ცნობის თანახმად. ეს არ მოგვეჩვენება გასაკვირად, თუ გავიხსენებთ, რომ მოციქულმა თომამ იქადაგა სირიაში, სპარსეთსა და ინდოეთში. მოციქულთა ეპოქაში იბერია იყო სპარსეთის (პართიის) უშუალო მოსაზღვრე ქვეყანა, რომელიც ებრძოდა პართიას და ზოგჯერ ამარცხებდა კიდეც. მოციქულთა დროს, 30-იან წლებში, პართიის მეფე ტახტზე იბერიელთა ჯარმა დასვა: „35 წელს პართიაში მეფის წინააღმდეგ აჯანყება მოხდა. აჯანყებულ პართელ დიდებულთა თხოვნით ტიბერიუსმა პართიაში გასამეფებლად გაგზავნა პართიის სამეფო საგვარეულოს წევრი ტირიდატი. მისი გამეფება უნდა მომხდარიყო იბერთა მეოხებით".[71]

XVI საუკუნის სლავური წყარო ქართულ ეკლესიას მიიჩნევს თომა მოციქულის მიერ დაარსებულად. აქ ჩამოთვლილია სამოციქულო საყდრები, კერძოდ, „ადგილი წმიდა მოციქულ თომასი არის ივერიის საყდარი".[72]

„მოციქულ პეტრეს კი კაპადოკიაში, ქართველთა შორის უმოღვაწნია".[73] მართლაც, არსებობს აზრი, რომლის თანახმადაც მცირე აზია საერთოდ და განსაკუთრებით კი კაპადოკია ქართველებით იყო დასახლებული. მათ მოციქულთა ეპოქაში ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდათ ვინაობა და ქართული ენა. მცირე აზიაში მრავალი

მოციქული ქადაგებდა, მათ შორის პეტრე, პავლე, იოანე. ცხადია, ისინი ბერძნებთან ერთად ქართველებსაც მოაქცევდნენ და მონათლავდნენ, რადგანაც სწორედ ქართველები და ქართველური ტომები იყო მათ დროს მცირე აზიის ძირითადი მოსახლეობა.

უნდა დავასკვნათ, რომ ქართველთა შორის ქრისტიანობა მოციქულებმა გაავრცელეს. როგორც უკვე ითქვა, საქართველოში რამდენიმე მოციქულმა იქადაგა. ორი მოციქული საქართველოშივე განისვენებს, კერძოდ, სიმონ კანანელი და მატათა. ქართული ეკლესია დაამყარა წმ. მოციქულმა ანდრიამ, რადგანაც მან ხელი დაასხა საქართველოს პირველ ეპისკოპოსს აწყურში და დაუარსა მას საეპისკოპოსო კათედრა,[74] რომელშიც მღვდლები და დიაკვნები ჰყავდა.

მოციქულ ანდრიას მიერ დაარსებული ქართული ქრისტიანული მრევლი, რომელსაც თავისი ეკლესია (საეპისკოპოსო) ჰქონდა, უცხოეთის რომელი ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა?

მოციქულების მიერ დაარსებული ყველა ეკლესია, სადაც არ უნდა ყოფილიყო ის, ავტოკეფალური იყო. ქართული ეკლესიაც I საუკუნეში, საერთო წესის თანახმად, ავტოკეფალური იქნებოდა. მართლაც, ვის უნდა დამორჩილებოდა ეს ეკლესია? იერუსალიმი, საიდანაც ქართულ მატიანეთა თანახმად, მოციქული ანდრია მოვიდა, 70 წლისათვის უკვე დანგრეული იყო და იქ ქრისტიანული თემიც კი აღარ არსებობდა. ქრისტიანობის ცენტრებშიც (რომსა და ანტიოქიაში) ქრისტიანობა იდევნებოდა.

თუმცა, ასეთ ძიებას აზრი არა აქვს, რადგანაც ყველა ეკლესია, ყველა ქრისტიანული თემი იმ ეპოქაში ერთმანეთის მიმართ დამოუკიდებელი, ავტოკეფალური იყო და ისინი მხოლოდ მოციქულების ავტორიტეტს აღიარებდნენ. ამიტომაც, ქართული ეკლესია დაარსების დროისთვის ავტოკეფალური იყო.

წმიდა ანდრიას მიმოსვლა საქართველოში

„ქართლის ცხოვრება“[75] გადმოგვცემს ანდრია მოციქულის შესახებ: „ამაღლების შემდგომ მოციქულებმა წილი იგდეს, თუ ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგნა, მაშინ წმიდა ღვთისმშობელს წილად ხვდა საქართველოს მოქცევა, მას ეჩვენა ძე მისი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე და უთხრა: „ჰოი, დედაო, ჩემო, მე არ უგულებელვყოფ ყველა ხალხზე უფრო საზეპურო ქართველ ერს შენი მეოხებით, ხოლო შენ შენს ხვედრებულ საქართველოში წარავლინე ანდრია პირველწოდებული, თან წარატანე შენი ხატი, რომელიც შენს პირზე დადებით გამოისახება. შენს წილად ის ხატი მკვიდრობდეს იქ, მათ მცველად უკუნისამდე.“

მაშინ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა უთხრა ანდრია მოციქულს: „შვილო ანდრია, დიდად უჩანს ჩემს სულს, რომ ჩემს წილ ქვეყანაში – საქართველოში არავის უქადაგნია ჩემი ძის სახელი. როცა მე საქადაგებლად გავემართე ჩემს წილხვედრ ქვეყანაში, მაშინ გამომეცხადა სახიერი ძე ჩემი და ღმერთი და მიბრძანა, რომ შენ წახვიდე და თან წარასვენო სახე ჩემი და ჩემი ძისა, რათა მე ვიყო ქართველთა ცხოვრების განმგებელი, ხელი აღვუპყრა და შევეწიო მათ, და არავინ მტერთაგან მძლე ექმნას მათ“.

ყოვლადწმიდამ მოითხოვა ფიცარი, დაიდო სახეზე და გამოისახა ხატი ღვთისმშობლისა, რომლის წიაღშიც გამოხატული იყო განხორციელებული ჩვილი — ყრმა იესო — სიტყვა ღვთისა. ეს ხატი ამჟამადაც აწყურის ტაძარშია. მისცა ის მოციქულ ანდრიას და უთხრა — „მადლი და შეწევნა ჩემგან შობილისა უფლისა თანაშემწე გეყავნ შენ, სადაცა ხჳდოდე, და მეცა თანაშემწე ვარ ქადაგებასა მაგას, და დიდად შევეწიო „ჩემდა ხუედრებულს“.

ანდრია მოციქული პირველად ქალაქ ტრაპიზონში მოვიდა, რომელიც მეგრელთა ქვეყანაშია, აქ მცირე ჟამი დაჰყო, აქედან შევიდა ქართლის ქვეყანაში, რომელსაც დიდაჭარა ეწოდება. დაიწყო სახარების ქადაგება. მრავალი ჭირი და განსაცდელი მოითმინა ურწმუნოებისგან. ღვთისა და წმიდა ხატის შეწევნით ყოველივე მადლობით მოითმინა, სანამ ყველა არ მოაქცია და მორწმუნედ გახადა. იმ ადგილას, სადაც ყოვლადწმიდას ხატი დაასვენა, გამოჩქეფა ფრიად დიდმა და მშვენიერმა წყარომ, რომელიც დღესაც შეუწყვეტლად ამოდის. შემოიკრიბნენ მის გარშემო იმ ქვეყნის მკვიდრნი და ნათელი სცა ყველას სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

დაუდგინა იქაურ ქართველებს მღვდლები და დიაკვნები. დაუდო წესი და საზღვარი სარწმუნოებისა. მათ ააშენეს ღვთისმშობლის სახელზე ეკლესია. ამ ეკლესიაში მოციქულმა დაასვენა ღვთისმშობლის ხატის პირი, რომელიც დღემდე იქვეა.

წამოვიდა ანდრია მოციქული, გადმოვლო მთა, რომელსაც რკინის ჯვარი ეწოდება. თქმულია, რომ ის ჯვარი თვით ნეტარ ანდრიას მიერ არის აღმართული. მოციქულმა ჩაიარა ოძრახის ხევი, მივიდა სამცხის საზღვართან და დაივანა სოფელ ზადენ-გორაში. აქ კერპთაყვანისმცემლები ცხოვრობდნენ. ილოცა ხატის მიმართ და კერპები დაემხნენ. წმიდა მოციქული გაემართა და მივიდა სოფელ აწყვერში, რომელსაც პირველად სოსანგეთი ეწოდებოდა, ხოლო მის პირდაპირ მდებარე ადგილს — საქრისი.

მაშინ მთავარი იყო ერთი ქვრივი დედაკაცი — სამძივარი, რომელსაც ერთადერთი ვაჟი, მისი იმედი, იმჟამად მოკვდომოდა. იდგა ტირილი, ვაება და გლოვა.

იმ ღამეს ციხიდან იხილეს დიდი ნათელი ღვთისმშობლის ხატისა. გამთენიის

ჟამს ანდრიას მიუგზავნეს კაცი ვინაობის გასაგებად. მისი პასუხი აუწყეს მთავარს — ქვრივ დედაკაცს: „არიან უცხო კაცები, ქადაგებენ ჩვენთვის უცნობ ღმერთს ქვეყნის შემოქმედად, დამბადებლად, ადამიანთათვის სიცოცხლის მიმნიჭებლად და მკვდართა აღმდგენელად. ჰყავთ მათ მშვენიერი ხატი, რომელსაც პატივს სცემენ“. როცა ქვრივს მოესმა სიტყვა მკვდართა აღდგომის შესახებ, გაუკვირდა და მცირედ ნუგეში მიეცა. მოუხმო მოციქულს და გამოჰკითხა. მიუგო წმიდა მოციქულმა — „მოვედი წმიდა ქალაქ იერუსალიმიდან, სადაც უფალს ფეხი დაუდგამს — გოლგოთასა და ცათა მსგავს ბეთლემიდან, ვარ მოციქული უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელიც წამისყოფით აღადგენს მკვდრებს. მას ვქადაგებ ღმერთად, უფლად და ყოველი დაბადებულის მპყრობელად, ვინც ირწმუნებს მას და ნათელს იღებს სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ყოველივე, რასაც ითხოვს სარწმუნოებით, მიეცემა მას და ყოველი სენისგან განიკურნება“.

ეს რომ მოესმა დედაკაცს, დავარდა მიწაზე და ცრემლით უთხრა მოციქულს. „შეიწყალე ჩემი სიქვრივე და უბედურება, რადგანაც ემსახურები მკვდრების აღმადგენელს, ილოცე შენი ღმერთის მიმართ და მიანიჭე ჩემს შვილს სიცოცხლე. ყოველივეს, რასაც მიბრძანებ, შეგისმენ და ურჩობას არ გაგიწევ, თუ ჩემს ვაჟს ცოცხალს ვიხილავ, რამეთუ მხოლოდ ეს მყავს და სხვა არა“.

წმიდა მოციქულმა მიუგო: „თუ ირწმუნებ იესო ქრისტეს, ძეს ღმრთისას, ჭეშმარიტ ღმერთს, რომელიც ჩვენს მიერ იქადაგება, რაც არ უნდა ითხოვო სარწმუნოებით, ყოველივე მოგეცემა მის მიერ“.

დედაკაცი ამის მოსმენამ სიხარულით აღავსო და ცრემლით უთხრა მოციქულს: „ჰოი, ჭეშმარიტო ღვთისმსახურო, ჭეშმარიტად მწამს და ვაღიარებ იესო ქრისტეს, რომელსაც შენ ქადაგებ, შეეწიე ურწმუნოებასა ჩემსა“.

მოციქულმა იქიდან გააყვანინა ხალხი და მგოსნები და არავინ დატოვა ქვრივისა და თავისი კაცების გარდა, აიღო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი, დაასვენა საწოლზე, სადაც ყრმა იდო. დაიწყო ლოცვა და ვედრება ღვთის მიმართ ხელაპყრობით. ლოცვის შემდეგ მოკიდა ხელი ყრმას, როგორც ძილისგან, ისე წამოაყენა და მისცა დედამისს. როცა სხვებმა ნახეს ეს სასწაული, ძალიან გაუკვირდათ.

როცა დედაკაცმა იხილა თავისი გაცოცხლებული ვაჟი, სიხარულით წამოდგა, დავარდა მოციქულის ფეხებთან, ცრემლით თაყვანი სცა და მადლი შესწირა. იწამა უფალი იესო ქრისტე, მოინათლა ეს დედაკაცი თავის ვაჟთან და თავის სახლეულთან ერთად. სასწრაფოდ მისწერა სამცხის მთავრებს: „მე, ქვრივი, გახარებთ თქვენ დიდ სიხარულს მთელი ხალხისა: მოვიდა ჩვენთან ერთი კაცი უცხო ქვეყნიდან, რომელიც უცხო ღმერთს ქადაგებს, და ჰყავს მას ხატი ზეცისა, რომელმაც ჩემი მკვდარი ვაჟი გააცოცხლა. სწრაფად მოდით, რათა წესი და რჯული ავირჩიოთ და ვცნოთ, თუ რომელია უმჯობესი“.

როცა მესხებმა ეს საკვირველი ამბავი ისმინეს, სწრაფად შეიკრიბნენ ყოველი კუთხიდან და შეიქმნა ფრიად დიდი სიმრავლე ხალხისა ისე, რომ აივსო საქრისის ველი, გაუკვირდა ყველას, როცა იხილეს ქვრივის მკვდრეთით აღდგომილი ძე.

ქალაქში იყო საკერპო ბომონი, რომელშიც ემსახურებოდნენ ბილწ კერპებს, არტემიდასა და აპოლონს. ამ საქმის მნახველი სიცრუის მღვდლები (ქურუმები კერპებისა) აღივსნენ შურით და წინააღმდეგობა გაუწიეს მოციქულს. ღვთისმშობლის ხატის სასწაულით, ღვთის ნებით, დაილეწა კერპები. კერპთა მღვდლები სირცხვილით აღივსნენ და შენდობა ითხოვეს მოციქულისგან. მთელმა ხალხმა მადლობის ხმა აღმოუტევა და თქვეს. „დიდია ქრისტიანთა ღმერთი, რომელსაც მოციქული ანდრია ქადაგებს“. და ყველამ ირწმუნა ჩვენი უფალი იესო ქრისტე და სიხარულით მოინათლნენ ყველანი სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა.

მოციქულმა ასწავლა მათ ყოველი წესი რჯულისა და სარწმუნოებისა. დაუდგინა ეპისკოპოსი, მღვდლები და დიაკვნები. დიდი თხოვნის შემდეგ დაუტოვა მესხებს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც დაასვენეს აწყვერის მცირე ეკვდერში, რომელსაც ახლა ძველი ეკლესია ეწოდება.

მოციქული ანდრია გაემართა საქართველოს სხვა კუთხეებში საქადაგებლად. ადერკი მეფემ როცა გაიგო მეგრელებისგან რჯულის დატოვება, გაუწყრა მათ, გაგზავნა იქ თავისი ერისთავები და იძულებით კვლავ წარმართობას დაუბრუნა მეგრელები. დამალეს ხატები და ჯვრები. შერისხა ადერკი მეფემ კლარჯეთის ერისთავი ანდრია მოციქულის მშვიდობით განტევებისათვის.

ანდრია მოციქულმა მოიარა საქართველოს სხვადასხვა კუთხე, ქადაგებით ჩავიდა ტაოში, მდინარე ჭოროხამდე, მოვლო ამ მხარის ყოველი კუთხე. აქედან ისინი გაემგზავრნენ შიდა საქართველოში და მიაღწიეს სვანეთს.

სვანეთში მთავრად იჯდა დედაკაცი, რომელმაც ირწმუნა მოციქულთა ქადაგება. მოციქული მატათა სხვა მოწაფეებთან ერთად დარჩა ამ მხარეში. ხოლო ანდრია მოციქული სიმონ კანანელთან ერთად გაემგზავრა ოსეთში, მივიდნენ ქალაქ ფოსტაფორში, სადაც სასწაული ჰქმნეს და მრავალი მოაქციეს და განანათლეს. აქედან ისინი შევიდნენ აფხაზეთში და სებასტოპოლში მივიდნენ, რომელსაც ცხუმი ეწოდება. იქადაგეს ღვთის სიტყვა და მრავალი მოაქციეს. აქ ნეტარმა ანდრიამ დატოვა სიმონ კანანელი სხვა მოწაფეებთან ერთად და თავად ჯიქეთში მივიდა, აქ მისი არ შეისმინეს, დატოვა ეს მხარე და წავიდა.

ხოლო სიმონ კანანელის საფლავი არის ნიკოფს ქალაქში, რომელიც არის აფხაზეთსა და ჯიქეთს შორის, რადგანაც იქ აღესრულა სიმონ კანანელი“.[76]

იბერიასა და კავკასიას სკვითეთის ნაწილადაც მიიჩნევდნენ

საყოველთაოდ მიღებულია გადმოცემა წმიდა ანდრია მოციქულის სკვითეთში ქადაგების შესახებ. ახალი აღთქმის ყველა მნიშვნელოვანი გადმოცემის სქოლიოებში ნაჩვენებია, რომ წმიდა ანდრიამ იქადაგა მცირე აზიაში, საბერძნეთსა და სკვითეთში. ეჭვმიუტანელი ფაქტია, რომ სწორედ იბერიასა და მის მომიჯნავე ქვეყნებს უწოდებდნენ ხშირად სკვითეთს პირველი ათასწლეულის ნახევარში. „სკვითები ეწოდებოდათ პონტოსპირეთის ტომებსაც (რომლებშიც შედიან: ბიძერე-

ბი, ბექირები, მაკრონები, ფილირები, მოსინიკები, ტიბარენები, ხალიბები, პაფლატონები, მარიანდინები, ბითვინები). ამის მიხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ „სკვითები“ კრებითი მცნებაა და არა კონკრეტული ტომის ან ტომების სახელი“.„[77] ამის შესახებ წერენ ძველი ავტორები, მაგალითად, პლუტარქოსი:[78] „ფასისი სკვითეთის მდინარეა, იგი ქალაქს (ე.ი. ქ. ფასისს) ჩამოუდის“ („ფასისი“ დასავლეთ საქართველოს მდინარე რიონია, ქალაქ ფოთთან გამდინარე). დიონისოს პერიეგეტი: „სკვითიის რჩეული ტომებია: ბიძერები, მაკრონები, მოსინიკები, ტიბარენები, ხალიბები“ (ეს ის ქართული ტომებია, რომელთა ქვეყნებშიც, „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, მოღვაწეობდა წმიდა ანდრია მოციქული).

სტეფანე ბიზანტიელი: „სკვითური ტომები არიან აფსილები, სანიგები, ლაზები“ (ეს ის ქართული ტომებია, რომლებთანაც ანდრია მოციქული, „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, მისულა მესხეთში ქადაგების შემდეგ — დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთსა და სვანეთში).

ცეცე: „კოლხებს, რომელთაც ლაზებს ეძახიან... აზიელი სკვითებიცა და ლევკოსირებიც ჰქვიათ, ისინი ცხოვრობენ აზიის იმ ნაწილში, რომელიც მდინარე ფასისთანაა... იოსიპიოს ებრაელი ამბობს, რომ ალანებიც სკვითური ტომიაო“ („ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ანდრია მოციქული დასავლეთ საქართველოდან გადავიდა ოსეთში, ანუ ალანთა ქვეყანაში).

მეცნიერები ასკვნიან: „სკვითია“ სქოლიასტებისათვის დიდ ტერიტორიას მოიცავდა შავი და კასპიის ზღვების მიდამოებში“.[79]

კავკასიონის მთებსაც სკვითეთის მთებს უწოდებდნენ. მაგალითად, ბერძენი პოეტის თეოკრიტეს (300-260) ერთ ნაწარმოებში ნახსენებ კავკასიის მთებს სქოლიასტი განმარტავს როგორც „სკვითიის მთებს“.[80] ასევე წერს ფსევდოპლუტარქოსი (II ს.) — „ფაზისი სკვითიის მდინარეა“.[81]

ლიბანიოსი (314-393) თავის „პროგიმნასმატაში“ კოლხთა ქვეყანას უწოდებს „სკვითთა ქვეყანას“, აიეტს „სკვითთა მეფეს“, ხოლო მედეას „სკვითთა მეფის ასულს“.[82]

„ამ დროისათვის შავი და კასპიის ზღვის მიდამოების მცხოვრები ტომები (სკვითური და არასკვითური) ზოგადად სკვითურად ცხადდება ხოლმე“.[83]

ასე რომ, ვრცელი ტერიტორია კავკასიის მთიანეთისა, კასპიისა და შავ ზღვას შორის მოქცეული საქართველო ანუ იბერია, მეზობელ ხალხებთან ერთად, სკვითეთად და სკვითებად არიან წოდებულნი, არა მარტო მოციქულთა მოღვაწეობის ეპოქაში, არამედ მოციქულთა შესახებ გადმოცემების ჩაწერის დროსაც, III-IV საუკუნეებში. როცა ძველი ისტორიკოსები წერენ ანდრია მოციქულის მიერ სკვითეთში ქადაგების შესახებ, აქ პირველ რიგში იგულისხმება იბერია და მისი უშუალო მეზობელი ტომები, ხოლო შემდეგ შეიძლება იგულისხმებოდეს ალანები და მის ჩრდილოეთით მცხოვრები სარმატები.

ამიტომაც, როცა ევსები კესარიელი (260-340) წერს, წმიდა ანდრიას სკვითეთი ხვდა წილადო, ის გულისხმობს იბერია-კავკასიასა და მის ხალხებს: „...თომას, როგორც გადმოცემა გვიამბობს, პართია ხვდა წილად, ანდრიას სკვითია, იოანეს ასია, ხოლო პეტრე, როგორც ჩანს, უქადაგებდა პონტოში...“[84]

„ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობები იბერიაში წმიდა ანდრიას მოღვაწეობის შესახებ ზუსტად ემთხვევა ძველ ისტორიკოსთა ცნობებს სკვითური ტომების შესახებ, ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ცნობები რაღაც უძველეს წყაროს ეყრდნობა.

„ქართლის ცხოვრების“ თანახმად, წმიდა ანდრია პირველად მოვიდა იბერიის საზღვართან ქალაქ ტრაპიზონში (პონტოს დიოცეზი). ტრაპიზონის მიმდებარე ქვეყანა დასახლებული ყოფილა ქართველი ტომით, „მეგრელებით“, რომელსაც ბერძენი ისტორიკოსები „მაკრონებს“ უწოდებდნენ და სკვითებად მიიჩნევდნენ. აქედან წმიდა ანდრია შევიდა იბერიაში. „ქუეყანასა ქართლისასა, რომელსაც დიდი აჭარა ეწოდების“. ბერძენ და ლათინ ისტორიკოსთა თანახმად, ეს ქვეყანა I საუკუნეში ფარსმან მეფის დროს იბერიის სახელმწიფოში შედიოდა და იბერთა ერთ-ერთი ტომით ძიდრიტებით იყო დასახლებული (ამათაც სკვითებს უწოდებდნენ). აქ ეკლესიური ქრისტიანული თემი დაუარსებია წმიდა ანდრიას: „დაადგინნა მღვდელნი და დიაკონნი“. ამის შემდეგ ანდრია მოციქული გადადის იბერიის სხვა კუთხეში – მესხეთში, რომელიც კოლხეთთან ახლოს არის და სომხეთს ესაზღვრება. აქ წმიდა ანდრიამ მოაქცია ამ მხარის მმართველი ქალი, რომელსაც გაუცოცხლა მკვდარი შვილი. მთავარმა ქალმა და მისმა ხალხმა აღიარა ქრისტიანობა. ეს ცნობა ყოველმხრივ ეთანხმება VIII საუკუნის ავტორის ეპიფანე კონსტანტინოპოლელის ცნობას, რომელიც, თავის მხრივ, იყენებდა ეპიფანე კვიპრელს (IV ს.). ეპიფანე კონსტანტინოპოლელი წერს: მოციქულები „ჩავიდნენ იბერიაში, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ სოსანიაში („ქართლის ცხოვრების“ თანახმად, „სოსანიგეთში“), ამ ტომის მამაკაცებს მბრძანებლობდნენ ქალები. ადვილად დამყოლია ქალის ბუნება, და ისინიც მალე დამორჩილდნენ“.[85] აქ იგულისხმება ამ კუთხის მთავარი ქალისა და მისი ქვეყნის გაქრისტიანება, რასაც „ქართლის ცხოვრება“ უფრო დალაგებით მოგვითხრობს. ამ ორი წყაროს მონაცემები ერთმანეთს ემთხვევა.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას უშუალოდ ეხება ცნობა, დაცული „ქართლის ცხოვრებაში“: ანდრია მოციქულმა სოსანიგეთში ანუ „სუსანიაში“, დღევანდელ აწყურში, დააარსა პირველი საეპისკოპოსო იბერიის სამეფოისა და დაადგინა სოსანიგეთის (აწყურის) პირველი ეპისკოპოსი – „დაუდგინა ეპისკოპოსი, მღვდელნი და დიაკონნი...“[86] ამის შემდეგ მოციქული გადადის დასავლეთ საქართველოში, შედის აფხაზეთსა და ოსეთში (ალანიაში). ყველა ამ ქვეყანას „სკვითეთს“ უწოდებდნენ ზოგადად.

ეპიფანე კონსტანტინოპოლელი, რომელიც იყენებდა ძველ წყაროებს (კლიმენტი რომაელის, ეპიფანე კვიპრელის და ევაგრე სიცილიელის ტექსტებს), თავის „ანდრია მოციქულის ცხოვრებაში“ წერს: „ხოლო ეპიფანე კვიპრელი ამბობს – გადმოცემის მიხედვით – რომ ნეტარმა მოციქულმა ანდრიამ დამოძღვრა სკვითები, სოგდიანები და მორსინები დიდ სებასტოპოლისში, სადაც არის აფსაროსის ბანაკი და ნავსადგური ისოსი და მდინარე ფასისი. იქ ცხოვრობენ იბერები და სუსები და ფუსტები და ალანები“; „ხოლო ანდრია წამოვიდა ასიისაგან და მოვიდა ტრაპეზუნტში, ლაზიკის ქალაქში... იქიდან წამოვიდა და შეჩერდა იბერიაში, მას შემდეგ, რაც მან ზღვის პირას მცხოვრებნი მრავალნი განანათლნა, ის ჩავიდა იერუსალიმ-

ში“; ხოლო დანარჩენმა მოციქულებმა მოიარეს ქალაქები, იქადაგეს და სასწაულები მოახდინეს და ჩავიდნენ იბერიაში და ფასისში...“[87]

მესამე მოგზაურობის დროს, გადმოგვცემს ისტორიკოსი, ანდრია და მისი თანამოღვაწენი – მატათია და სიმონ კანანელი მოწაფეებითურთ ჩავიდნენ იბერიაში და ფასისში: „არს ჯიქეთს ნიკოფსიაში საფლავი, რომელსაც აქვს წარწერა სიმონ კანანელისა“.[88] ხოლო IV საუკუნის ისტორიკოსი ეპიფანე კვიპრელი წერდა – „მატათიამ... იქადაგა სახარება მეორე ეთიოპიაში (კოლხეთში), სადაც არის აფსარის ციხე – და ჰჯსის ნავსადგური... იქვე გარდაიცვალა და დამარხულია დღემდე“.[89] ასე რომ, როგორც ზემოთაც ითქვა, IV-VIII საუკუნეთა ისტორიკოსების თანახმად, მოციქულებმა არათუ იქადაგეს საქართველოში, არამედ ორი მოციქული – სიმონ კანანელი და მატათია მოციქული იბერიაში, საქართველოშივე განისვენებენ.

ამათ გარდა, საქართველოში უქადაგნიათ მოციქულებს ბართლომეს, თომასა და თადეოზს. ამის შესახებ არსებობს სხვადასხვა დროის ისტორიკოსთა ცნობები.

მოციქულთა მიერ დაარსებული პირველი ავტოკეფალური ეკლესიები

წინა თავში აღნიშნული გვქონდა, რომ საქართველოში უქადაგნიათ მოციქულებს ანდრიას, სვიმონ კანანელს, მატათიას, თომას, ბართლომესა და თადეოზს. ქართული ევლესიის მღვდელმთავრები დიდი ჩამოლოცვის, პურის კურთხევისა ან სხვა ლოცვის დროს ვალდებულნი იყვნენ და არიან მოიხსენიონ ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი, ბართლომე და თადეოზი. ტექსტის ნაწილი ასეთი სახისაა: „...წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა მოციქულთა ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელისათა, თადეოზისა და ბართლომესითა“... ეს იმას ნიშნავს, რომ საუკუნეთა მანძილზე ქართული ოფიციალური ეკლესია აღიარებდა, რომ საქართველოს განმანათლებლები არიან ლოცვის დროს მოხსენიებული ეს მოციქულები.

საქართველო II-III საუკუნეებშიც სამისიონერო ასპარეზი ყოფილა (ლათინ ისტორიკოსთა ცნობებით) და მსოფლიო ქრისტიანული ცენტრები ყურადღებას არ აკლებდნენ მას. ერთი ცნობა ასეთია: „იბერიის იმ ნაწილმა, რომელიც პონტოს ზღვასთან მდებარეობს და კოლხიდად იწოდება, სახარება ჯერ კიდევ იმპერატორ ტრაიანეს დროს მქადაგებელი პაპის წმიდა კლიმენტის შემწეობით მიიღო. წმიდა კლიმენტი იმ მხარეში იყო გადასახლებული“.[90]

ირინეოსი კი თვლიდა, რომ ქართველებმა (იბერებმა), რომლებიც იწოდებიან კოლხებად (გეოგრაფიული ადგილის მიხედვით), ქრისტიანობა ჯერ კიდევ რომის იმპერატორ ტრაიანემდე (98-117) მიიღეს. იმავე ცნობით, იმ ქართველებმა, რომლებიც კასპიის ზღვისაკენ კავკასიის მთებთან ცხოვრობენ (იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა), ქრისტიანული სარწმუნოება უფრო გვიან მიიღეს. ეს ცნობა სავსებით ეთანხმება „ქართლის ცხოვრებას“, რომლის მონაცე-

მებითაც ქართველთაგან ქრისტიანობა პირველებმა მიიღეს მეგრელებმა (კოლხებმა) და კლარჯებმა (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა).

წმიდა იუსტინე 150 წლის მახლობლად ამტკიცებდა, რომ არ არსებობს დედამიწაზე ისეთი კუთხე, თვით ბარბაროს ხალხთა შორისაც კი, სადაც ხალხი ჯვარცმული იესოს სახელს არ ლოცულობდესო. ასეთივე აზრს გამოთქვამს ირინეოსიც.[91]

„ჯერ კიდევ III საუკუნეში ქრისტიანობის აღიარების შესახებ განკარგულება გამოსცა იმპერატორმა გალიენმა 261 წელს. მსგავსადვე მოიქცა გალიენამდე თითქმის ნახევარი საუკუნით ადრე იბერიის მეფე რევ მართალი (გარდ. 213 წელს). ამ მეფეს ჰქონია ქრისტეს სიყვარული და მოსმენილი ჰქონია სახარება. ამიტომაც ის ყოფილა მოწყალე და შემწე ყოველთა, თუმცა წარმართადვე დარჩენილა. რომში წარმართული ღვთაებისათვის სისხლიანი მსხვერპლის შეწირვა მხოლოდ მესამე საუკუნის იმპერატორებმა აკრძალეს. საქართველოში... შესაძლებელი გახდა მისი ოფიციალურად აკრძალვა სახელმწიფოს მასშტაბებით. ძველი საისტორიო წყარო ამ კეთილშობილურ საქციელს რევ მართალს მიაწერს“.[92]

ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, „ქრისტიანობის ისტორია აღმოსავლეთ საქართველოში III საუკუნის დამდეგიდან, ან არადა, შუა წლებიდან მაინც იწყება“.[93]

VIII საუკუნის წყარო – „აბო თბილელის წამება“ – წერს, რომ ქართველები ქრისტიანები ყოფილან II-III საუკუნეებიდან და მაშასადამე, VIII საუკუნის საქართველოში ქრისტიანობას უკვე 500 წლის ისტორია ჰქონია.

ზემოთ მოყვანილიდან ჩვენ უნდა დავასკვნათ, რომ პირველი ქართული ეკლესია დააარსეს თვით მოციქულებმა და ამის შემდეგ ის უწყვეტად არსებობდა. ქრისტიანობა I-II საუკუნეებში არ იქცა იბერიის სახელმწიფო სარწმუნოებად, ისევე როგორც რომის იმპერიაში, რადგანაც წარმართული სარწმუნოება კვლავ ძლიერი იყო.

ქართული ეკლესია სამოციქულოა, მოციქულთა მიერ დაარსებული, მაგრამ ეს არ აძლევს მას, როგორც სხვა სამოციქულო ეკლესიებს, რაიმე უპირატესობას სხვა ადგილობრივ ეკლესიებთან შედარებით, რადგანაც ყველა არსებული ავტოკეფალური ეკლესია, თუ არ წარმოადგენს პირდაპირ გაგრძელებას იმ ეკლესიებისა, რომლებიც მოციქულებმა დააარსეს, წარმოადგენს მოციქულთა მიერ დაარსებული ეკლესიების ტოტებს და ყველამ თავისი უფლება მემკვიდრეობით მიიღო მოციქულებისგან. ამიტომაც ყველა ავტოკეფალური ეკლესია თანასწორუფლებიანია ერთმანეთის მიმართ იმის მიუხედავად, მათ თავიანთი ავტოკეფალია მოციქულებისგან მიიღეს უშუალოდ, თუ მათ მიერ დაარსებული ეკლესიების მეშვეობით. მოციქულები არ ყოფდნენ დედამიწას ავტოკეფალური ეკლესიების მიხედვით. ავტოკეფალური ეკლესიები წარმოიშვნენ მოციქულთა შემდეგაც. მეორე მხრივ, მოციქულთა მიერ დაარსებული ეკლესიები კარგავდნენ ავტოკეფალიას ან დროებით (მაგალითად, იერუსალიმის, ათენის), ან სამუდამოდ. 18 ეკლესიიდან, რომელნიც ჩამოთვლილნი არიან, როგორც ავტოკეფალური ეკლესიები მოციქულთა დადგენილებებში, მხოლოდ 6-მა შეინარჩუნა თავისთავადობა, – წერს პროფესორი ტროიცკი.

მართლმადიდებელი ეკლესია, მიუხედავად იმისა, რომ ის დაყოფილია რამდენიმე თავისთავად ანუ ავტოკეფალურ ეკლესიად, შეადგენს ერთ წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიას. ერთიანი ეკლესიის მოწყობის ასეთი სახე ტრადიციულია.

I-II საუკუნეებში მოციქულთა მიერ დაარსებული ეკლესიები არ ექვემდებარებოდნენ მიწიერ საერთო ცენტრს და ყოველ ეკლესიას თავისი საეპისკოპოსო მმართველობა ჰქონდა. მთელ დედამიწაზე გაბნეულმა მოციქულებმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად (მაგრამ მოციქულთა ერთობის სახელით) დააარსეს ეკლესიები. მათი მმართველობა გადასცეს ეპისკოპოსებს, რომლებიც ისევე დამოუკიდებლად მოქმედებდნენ ერთიანი საყოველთაო (კრებით, ყოვლისმომცველი) ეკლესიის შიგნით, როგორც მოციქულები.

მოციქულებს ეკუთვნოდათ მიწიერი ეკლესიის მთელი ძალაუფლება და ამიტომაც მათ დააარსეს პირველი ავტოკეფალური ეკლესიები,[94] რომლებიც ეთნიკურ-ტერიტორიული პრინციპით ყოფილან მოწყობილნი, რასაც მოციქულთა 34-ე კანონი მოწმობს. ამ კანონში ეროვნულ თავისთავად ეკლესიებზე და „თითოეული ნათესავის“ ეპისკოპოსებზეა საუბარი. 34-ე კანონი ამ ეპისკოპოსის თანატომელებს ავალდებულებს „თავად შერაცხონ ეპისკოპოსი თჳსი“ და მისი ნებართვის გარეშე არაფერი გააკეთონ. თავის მხრივ, ეპისკოპოსიც ვალდებულია არაფერი მოიმოქმედოს მათთან (თავის თანატომელ მორწმუნეებთან) შეთანხმების გარეშე, „რამეთუ ესრეთ ერთნებობა აღესრულოს და იდიდოს ღმერთი უფლისა მიერ სულითა წმიდითა“. არსებობს ამ კანონის კომენტარი, რომლის მიხედვითაც აქ საუბარია არა ეროვნულ-ნაციონალურ ეკლესიებზე, არამედ იმ ეთნიკურ ოლქებზე, რომლებადაც იყო დაყოფილი რომის სახელმწიფო დიოკლეტიანეს მიერ ამ სახელმწიფოს პროვინციებად დაყოფამდე. მართალია, ქრისტეს ეკლესიაში არ არის არც ელინი, არც იუდეველი, არც ბარბაროსი, არც სკვითი, მაგრამ უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია ის, რომ მოციქულებმა ეკლესიის დამაარსებლის, უფალ იესო ქრისტეს ნებით შეისწავლეს სწორედ სხვადასხვა ნაციონალობათა — მათ შორის სკვითთა და ბარბაროსთა ენები და დააარსეს მათი პირველი ეკლესიები. ამ პირველ ეკლესიებს შეეხება მოციქულთა 34-ე კანონი.

მოციქულთა 34-ე კანონიდან ჩანს, რომ: 1. სანამ მთელი ეკლესია მოციქულთა სწავლების ერთგული რჩებოდა, საერთო მიწიერი ცენტრი, რომელსაც დაექვემდებარებოდნენ ადგილობრივი ეკლესიები, არ არსებობდა და არც შეიძლებოდა არსებულიყო. არც ახალ აღთქმაში და არც მოციქულთა კანონებში არ არსებობს მცირეოდენი მინიშნებაც კი ამის შესახებ. 34-ე კანონი ამბობს, რომ ადგილობრივი ეკლესიის ყოველი საქმე საბოლოოდ წყდება მის ეპისკოპოსთა მიერ, მათი პირველი ეპისკოპოსის მეთაურობით; 2. მოციქულებმა არა მარტო დააარსეს ავტოკეფალური ეკლესიები, არამედ მათი ავტოკეფალიის დაცვაზეც იზრუნეს. მითითებული კანონიდან ჩანს, რომ ყოველგვარი საქმე ადგილობრივი ეკლესიისა წყდება სხვა ეკლესიის მხრიდან ჩარევის გარეშე, თვით ადგილობრივი ეკლესიის მიერ პირველი ეპისკოპოსის მეთაურობით.

ამიტომაც III მსოფლიო კრებამ დაიცვა პატარა ადგილობრივი კვიპროსის ეკლესიის ავტოკეფალია, როცა ანტიოქიის დიდ ეკლესიას სურდა მისი დაქვემდებარება. ამ კრებამ მე-8 კანონში ეს მცდელობა დაახასიათა როგორც მოციქულთა კანონების საწინააღმდეგო, თავისუფლების შემლახველი ქმედება, როგორც სა-

ზოგადო ვნება, რომელსაც მკურნალობა ესაჭიროება, რათა სხვა ვნების მიზეზად არ გადაიქცეს. კრებამ განსაზღვრა,რომ კვიპროსის ეკლესიას ძველ ჩვეულებათა მიხედვით თვითვე დაედგინა თავისი ეპისკოპოსი. ამ მსოფლიო კრების მე-8 კანონი ეხებოდა არა მარტო კვიპროსის ეკლესიას,არამედ საერთოდ ყველა ადგილობრივ ეკლესიას. ამ კანონის დაცვა ყველგან საჭირო იყო. „იგივე იყოს დაცული სხვა ოლქებში (ძველქართულად — „სამთავროებში“) და ყველა ეპარქიაში (ე. ი. მიტროპოლიებში), რომ არავინ ღვთისმოშიშ ეპისკოპოსთაგან არ გაავრცელოს თავისი ხელისუფლება სხვა ეპარქიაზე, რომელიც მანამდე არ იყო მის ხელქვეით, ხოლო ვინც ძალადობით სხვა ეპარქია დაიქვემდებაროს, გაათავისუფლოს“.

არსებობდა აზრი, რომ ავტოკეფალიის უფლება აქვთ მხოლოდ იმ ეკლესიებს, რომელნიც მოციქულებმა დააარსეს, ხოლო ზოგიერთი ეკლესიის ავტოკეფალიას ეჭვის ქვეშ აყენებდნენ იმ მოსაზრებით, რომ ისინი არ იყვნენ მოციქულთა მიერ დაარსებულნი. მაგალითად, ს. ტროიცკი წერს, რომ პაპები ლეონ დიდი და ნიკოლოზ I ეჭვის ქვეშ აყენებდნენ კონსტანტინოპოლის ეკლესიის ავტოკეფალიას მტკიცებით, რომ ის არ იყო მოციქულების მიერ დაარსებული, ზუსტად ისევე, ანტიოქიის ეკლესია ამტკიცებდა, რომ ქართული ეკლესია არ შეიძლება იყოს ავტოკეფალური, რადგანაც „არავინ მოციქულთაგან არ იყო საქართველოში“. პაპი გრიგორი დიდი ამტკიცებდა, რომ მსოფლიო უნდა დაიყოს მოციქულ პეტრეს მიერ დაარსებულ სამ ეკლესიას შორის – რომის, ალექსანდრიის და ანტიოქიისა, ამიტომაც ზოგიერთი ეკლესია ცდილობდა დაეკავშირებინა თავისი წარმოშობა ერთ რომელიმე მოციქულთან. ქმნიდა ლეგენდებს: მაგალითად, კონსტანტინოპოლის... რუსეთისა და საქართველოს ეკლესიები თავიანთ წარმოშობას აკავშირებენ ანდრია მოციქულის სახელთან.[95]

ჩვენ კვლავ გავიმეორებთ წინა თავში აღნიშნულს: შეუძლებელია, რომ მოციქულებს თავიანთი მოღვაწეობისა და მთელ მსოფლიოში ქადაგების დროს გვერდი აევლოთ იმ დროის ისეთი ძლიერი სახელმწიფოსათვის, როგორიც იყო იბერია.

ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ ქართული ეკლესია დაარსებულია თვით მოციქულთა მიერ და ქართული ქრისტიანული თემები საქართველოში საკმაო გავლენითაც სარგებლობდნენ, როგორც ამას მეფე რევ მართალის რეფორმა უჩვენებს. ჩვენში ქრისტიანული ეკლესია და მრევლი (ქრისტიანული თემები) უწყვეტად არსებობდა I საუკუნიდან IV საუკუნემდე. ამას არქეოლოგიური მასალაც ამტკიცებს. მაგალითად, არქეოლოგების მიერ მიკვლეულია ჩვენში ჯერ კიდევ წმიდა ნინომდე ქრისტიანული მოსახლეობის არსებობის დამადასტურებელი კვალი, ქრისტიანული სამარხნი (მცხეთის სხვადასხვა კუთხეში) და II-III საუკუნეთა ქრისტიანული ეკლესია (ნასტაკისში). II-III საუკუნეთა ქრისტიანული ეკლესიის და აგრეთვე იმდროინდელი ქრისტიანული დაკრძალვის წესის არსებობა ადასტურებს იმ აზრს, რომ საქართველოში ქრისტიანული საეკლესიო ორგანიზაცია უწყვეტად არსებობდა I-II საუკუნეებიდან (მოციქულთა დროიდან) წმიდა ნინოს ქადაგებამდე (IV საუკუნემდე).

ა. ბოხოჩაძე ნასტაკისის ველზე ქრისტიანული ეკლესიის არსებობის შესახებ წერს: „ნასტაკისის ველზე უფრო ძლიერი დასახლებაც ყოფილა ადრეულ შუა

საუკუნეებში, რასაც ნაქალაქარის ტერიტორიაზე გათხრილ ნაგებობათა ნაშთები მოწმობს. საცხოვრებელი ნაგებობანი მრავალი ოთახისა და ერთი დიდი დარბაზისგან შედგებოდა. ამგვარ ნაგებობებში ერთი ოთახი მცირე ეკლესიას წარმოადგენდა — მკვეთრად გამოყვანილი აბსიდითა და ნართექსით. ამ პერიოდში ქრისტიანობა ჯერ კიდევ არ არის გამოცხადებული ოფიციალურ სახელმწიფო სარწმუნოებად, არალეგალურ მდგომარეობაშია და თავშეფარებული ჩანს საცხოვრებელ ნაგებობებში. ამ ფაქტს კი დიდი მნიშვნელობა აქვს ქართლის სამეფოში ქრისტიანული რელიგიის ისტორიის შესასწავლად".[96]

ქართული ეკლესიის სამწყსო

ქართული ეკლესია მსოფლიო საყოველთაო ეკლესიის ერთ-ერთი ადგილობრივი ეკლესიაა, ამასთანავე ის ეროვნული ეკლესიაც არის, რაც განპირობებულია იმით, რომ ისტორიულად თავის უფლებამოსილებას ქართველ ქრისტიანებზე ახორციელებს. ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევისათვის აუცილებელია განისაზღვროს მისი სამწყსოს რაობა. საეკლესიო ისტორიოგრაფიისათვის ცნობილია, რომ ჩვენში ქრისტიანობა გაავრცელეს ანუ ქართული ეროვნული ეკლესია დააფუძნეს თვით მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა, ბართლომემ, მატათიამ. ქრისტიანობის დაფუძნების ჟამს, ანუ თითქმის 20 საუკუნის წინ როგორი სახისა იყო ქართულ ეკლესიის სამწყსო, ის ერთმანეთისგან სრულიად დაშორებულ სხვადასხვაენოვანი კავკასიური ტომებისგან შედგებოდა, თუ ერთიან ხალხს წარმოადგენდა, რომელსაც ჰქონდა ერთობის რაიმე ნიშანთვისება.

„ქართლის ცხოვრება" და სხვა ისტორიული ქრონიკები ამტკიცებენ, რომ ქართული ეკლესიის სამწყსო I-II საუკუნეებში იყო ერთიანი ხალხი — ქართველი ერი. ამ საუკუნეებამდე რამდენიმე ასწლეულით ადრე უკვე დაწყებული იყო დიფერენციაცია ერთიანი, ანუ წინარე ქართული ენისა, მაგრამ ქრისტიანობის მიღებისას ერთიანი წინარე ქართული ენის დაშლის ხარისხი დიდი არ იყო. მართალია, არსებობდა ფუძე ქართული ენის დაშლის შედეგად მიღებული ტომობრივი ენები დიალექტები ე.წ. ქართებისა და მეგრელებისა, მაგრამ ეს დიალექტები ახლოს იდგნენ ერთმანეთთან, იმდენად ახლოს, რომ შეიძლებოდა ერთიან ენაზე ლაპარაკი. ხალხის ასეთი მდგომარეობა არ არის უმაგალითო. ამის მაგალითად შეიძლება სლავები მოვიყვანოთ. წინარე სლავური ენა არსებობდა VI-VII საუკუნეებამდე.[97] მალევე სლავებში გავრცელდა ქრისტიანობა, ამიტომაც სლავურ ენაზე ამის შემდეგ დაწერილი წმიდა წიგნები გასაგები იყო თითქმის ყველა კუთხის სლავებისათვის. —კიევის რუსეთს შეეძლო კირილესა და მეთოდეს მიერ ბულგარელთათვის IX საუკუნეში შექმნილი ძველსლავური ანბანის გამოყენება, ხოლო ბულგარული წიგნები ფორმალურად „უცხოენობრივად" მიჩნეულნი, სინამდვილეში არ მოითხოვდა გადათარგმნას.[98] ბულგარული ანუ ძველი სლავური ენა სავსებით გასაგები იყო კიევის რუსეთისათვის. აღმოსავლეთის სლავებში „XIV საუკუნეში ჩამოყალიბდა 3 დიდი ეთნ. ჯგუფი: რუსები, უკრაინელები და მოგვიანებით ბელორუსები".[99] ქრის-

ტიანობის მიღების დროს სლავებს ჰქონდათ ენობრივი ერთობა ან უფრო სწორად, ენობრივი ერთობის დაყოფა დიალექტებად და ენებად სულ რამდენიმე ასეული წლის წინ იყო დაწყებული. შემდგომ, მოგვიანებით, შუა საუკუნეებში ძველი სლავები ეროვნულ ჯგუფებად დაიშალა. ასეთსავე ვითარებაში იყვნენ ქართველები ქრისტიანობის მიღების დროს I-IV საუკუნეებში. ამ დროს ფუძე ქართული ენის დაშლა რამდენიმე საუკუნის წინათ იყო დაწყებული. ანუ, ჯერ კიდევ არსებობდა ქართული ენობრივი ერთობა, რომელიც მოიცავდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს. ამ ერთიან ქართულ ენაზე ითარგმნა წმიდა წერილი. ქრისტიანობის მოციქულთა მიერ გავრცელების ეპოქაში ქართული ეკლესიის სამოქმედო ასპარეზი — სამწყსო ჯერ კიდევ თითქმის ენობრივად დაუშლელი იყო.

მეორე მაგალითად შეიძლება გამოდგეს რომანულენოვანი ქვეყნები. ქრისტიანობის მიღების დროს ესპანელების, ფრანგების, იტალიელების და სხვა ხალხების წინაპრების საეკლესიო ენად მიღებული იქნა ლათინური ენა რადგანაც, მათი გაქრისტიანების ეპოქაში ის იყო საერთო სახალხო ენა. შემდგომ საუკუნეებში ლათინურენოვანი ხალხები სხვადასხვა ერებად ჩამოყალიბდნენ, რომელთაც მხოლოდ საეკლესიო ენობრივი ერთობა ჰქონდათ, ქართული ეკლესიის სამწყსო ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ერთიანი იყო როგორც ენობრივად, ისე ეთნიკურად, ისტორიით და ტერიტორიით. ასეთია ტრადიციული თვალსაზრისი გამოხატული „ქართლის ცხოვრებასა“, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, აგრეთვე სხვა ისტორიულ-საეკლესიო ქრონიკებში, რომლებშიც მოყვანილია ცნობები ქართული ეკლესიის ისტორიის შესახებ.

დიდი ილიას განსაზღვრით, ერი არის კრებული ისტორიით შედუღებულ ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა.[100]

„ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა-ში“, ცხადია, ილია გულისხმობდა ერთი ეთნიკური წარმოშობისა (ერთხორც) და ერთი სულიერი კულტურის (ერთსულ) მკვიდრ მოსახლეობას.

ე.ი. ერი არის ერთი ეთნიკური წარმოშობის მატერიალური და სულიერი კავშირის მქონე მკვიდრი მოსახლეობა, რომლის წევრებიც, გარდა ხორციელ-სულიერი ერთობისა, აგრეთვე ერთმანეთთან შედუღებულ-შეკავშირებულნი არიან ისტორიით (იგულისხმება ანტიკური და ფეოდალური ეპოქები).

არნოლდ ჩიქობავა წერს: „ერის რაობას როცა განსაზღვრავენ, ენის ერთობაზე მიუთითებენ. ერის რაობის ეს ნიშანი ყველაზე ძველია (ტერიტორიის ერთობა, ეკონომიკა, ფსიქიკური წყობა ამ მხრივ ენას ვერ შეედრებიან)“.[101]

ჩვენი მიზანია, განვსაზღვროთ, არსებობდა თუ არა ქართველი ხალხი, ქართული ეკლესიის მომავალი სამწყსო, ერთიანი ქართული სახელმწიფოს — ქართლის სამეფოს შექმნის ეპოქაში (ქრისტემდე IV-III საუკუნეებში). ამისათვის განვსაზღვრავთ, ჰქონდათ თუ არა იმდროინდელ ქართულ ტომებს ერისათვის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტები: საერთო ენა, საერთო ტერიტორია, საერთო კულტი — ერთმორწმუნეობა, რაც ფსიქიკური წყობის ერთობასა და სულიერი კულტურის ერთიანობაში შედის, საერთო კულტურა, საერთო ეთნიკური წარმოშობა, განუწყვეტელი ისტორიული კავშირი და საერთო ეკონომიური კავშირი.

ა) საერთო ენა

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისთვის ცნობილია, რომ უძველეს დროს არსებობდა ქართველ ტომთაშორისი საერთო ენა — ფუძე ენა. ქართებს, მეგრელ-ჭანებს და სვანებს ერთ დროს ჰქონიათ საერთო ფუძე ენა, რომელიც შემდეგში დაიყო.

ენობრივი ერთობის დაშლის დასაწყისად მიღებულია სხვადასხვა თარიღები. ყოველ შემთხვევაში, ეს ენობრივი ერთობა დაშლილა არა სხვაგან, არამედ კავკასია-ში. საერთო ენობრივი ერთობის მქონე" ქართველური ჯგუფის ადგილსამყოფელი ამ დროისათვის მაინც თამამად შეიძლება კავკასიის მიწა-წყალზე ვივარაუდოთ".[102]

„მკვლევართა აზრით, II ათასწლეულის დასაწყისისათვის, უნდა დაწყებულიყო საერთო-ქართველური ფუძე ენიდან სვანურის გამოცალკევების პროცესი, ხოლო ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის დაშლის დასაწყისი ძვ.წ.აღ-ის VIII საუკუნით უნდა დათარიღდეს..."[103]

„ადრეანტიკურ ხანაშივე (ძვ.წ. VI-IVსს.) უნდა ჩამოყალიბებულიყო განსხვავება (ენით და სხვ.) მეგრულ-ჭანურ (ზანურ) და ქართის ტომებს შორის".[104]

მეცნიერთა აზრით, ქრისტემდე VIII საუკუნეში ქართებსა და მეგრელ-ჭანებს ჰქონიათ საერთო ენა, ხოლო VI-IV საუკუნეებში უკვე არსებულა განსხვავება. როგორი სახის იყო ეს განსხვავება?

„რა თქმა უნდა, ენობრივი და სხვა სახის განსხვავება ამ დროს ბევრად ნაკლები უნდა ყოფილიყო, ვიდრე შემდეგში".[105] ენობრივი განსხვავება VI-IV საუკუ-ნეებში ქრისტემდე ქართების ენასა და მეგრულ-ჭანების ენას შორის „ბევრად ნაკლები", ანუ დიდი არ ყოფილა. ამის მიზეზი ის იქნებოდა, რომ ენობრივი ერთობის დაშლის პროცესი ახალი დაწყებული ყოფილა. დაწყებულა VIII საუკუ-ნეში (ქრისტემდე) და მალევე, დაახლოებით IV-III საუკუნეებში (ქრისტემდე) ყალ-იბდება ერთიანი ქართული სახელმწიფო.

„ქართლის (იბერიის) ერთიანი დიდი სამეფოს წარმოქმნა დედაქალაქით მცხ-ეთაში, როგორც ჩანს, მართებული იქნება, რომ ძვ.წ.აღ-ის IV-III სს. დავუკავ-შიროთ".[106]

ცნობილია, რომ ერთიანი საერთო ქართული სახელმწიფო „ქართლის სამეფოს" სახელწოდებით შეიქმნა ეგრისელთა უშუალო და აქტიური მონაწილეობით, კერძოდ, ფარნავაზი ვერ შექმნიდა „ქართლის სამეფოს", მას რომ არ მიეღო ეგრისის მმართვე-ლის, ქუჯის დახმარება. „ფარნავაზი... უკავშირდება ეგრისის მმართველ ქუჯის".[107]

საერთო ქართული სამეფოს შექმნის შემდეგ ამ სამეფოში შევიდა მთლიანი ეგრისი, ის „ქართლის სამეფოს" მკვიდრი ნაწილი გახდა. „შემოდგომით ფარნავაზი მცხეთაში ცხოვრობდა, ზამთარში – გაჩიანში, ხოლო ზაფხულს წუნდაში ატარებ-და. ზოგჯერ მოინახულებდა კლარჯეთს და ეგრისს".[108]

ფარნავაზამდე აზოც ჰერეთ-ეგრის-ქართლის მმართველი – „ქართლის მეფე" ყოფილა: „ქართლის ცხოვრების მიხედვით აზო... იმორჩილებს ქართლთან ერთად ჰერეთს... დას. საქართველოს (ეგრისს)".[109]

ცნობილია („ქართლის ცხოვრება“ და შემდეგდროინდელი ისტორიკოსები ამას ხაზგასმით აღნიშნავენ), რომ ქართული ენა ფარნავაზ მეფემ გამოაცხადა სახელმწიფო ენად. მას ეს ღონისძიება ცხოვრებაში მკაცრად გაუტარებია – ქართლის სამეფოში სხვა ენა ქართული ენის გარდა ოფიციალურად არ იხმარებოდა. ამ დროს სხვაობა ქართებისა და ეგრისელების მეტყველებაში თითქმის არ არსებობდა ან დიალექტურ დონეზე იყო. ასე რომ, ქართული ენა ეგრისელებისათვის მშობლიური ენა იყო. ქართული ენა იყო კულტის მსახურების, ქვეყნის კულტურული ფენების, არისტოკრატიის, სახელმწიფო მოხელეების, ზედაფენის ენა, ე.ი. სალიტერატურო ენა.

მართლაც, მეცნიერთა აზრით, „წარსულში იბერიულ-კავკასიურ ენებს მეტი სიახლოვე ახასიათებდათ, ვიდრე ახლა ვხედავთ. ზედაპირზე სხვაობა ჩანს, სიღრმისეულ ფენაში სხვაობა მცირდება, საერთო მატულობს. საერთო ძველია, განსხვავება – ახალი“.[110]

მეცნიერების მიერ გარკვეულია, რომ ქრისტიანობამდე ქართველების ყველა ტომს ჰქონია საერთო რწმენა, არსებულა საერთო ქართული წარმართობა. ივანე ჯავახიშვილმა გაარკვია, რომ სვანეთში წარმართული საწესჩვეულებო კულტი ქართულ ენაზე სრულდებოდა და არა სვანურ ენაზე. „ფერხულის სიტყვებს მეფერხულე სვანები ქართულად წარმოსთქვამდნენ.“[111] შემდეგმა კვლევამ აჩვენა, რომ „ამ წესების ძველქართულ სახელებთან ერთად ფერხულის ქართულად წარმოთქმის ჩვეულება, უეჭველია, თავდაპირველი საერთო ქართული წესის ნაშთი უნდა იყოს“.[112] წარმართულ წესებს, სვანეთში შემორჩენილს, ჰქონია ქართული ტერმინოლოგია, ხოლო თვით ეს წესები ქართულ ენაზე სრულდებოდა.

ასევე ყოფილა სამეგრელოშიც.

„ივ. ჯავახიშვილს სათანადოდ დამტკიცებული აქვს, რომ ახალწლის დღესასწაულის ჩვეულებების თანახმად, მეგრელი მეკვლეც თავის წარმოსათქმელ სიტყვებს მეგრულად კი არა, სწორედ ქართულად ამბობს ხოლმე“.[113]

მოყვანილი ფაქტები კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ აზრს, რომ არსებობდა საერთო ქართული ენა — კულტის მსახურებისა და სხვათა შესრულება ხდებოდა ამ ყველასათვის გასაგებ ენაზე, ხოლო შემდეგში (IV-III) ეს ენა იქცა სახელმწიფო ენად.

ივანე ჯავახიშვილი სრულიად სამართლიანად დაასკვნიდა მითითებული და სხვა მონაცემების საფუძველზე — „ცხადი გახდება, რომ არამცთუ საზოგადო ქართული, ყველა ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ რომ წარმართობის საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონდა“.[114]

ასე რომ, ერთიანი სახელმწიფოს — „ქართლის სამეფოს“ წარმოქმნამდე (ქრისტემდე IV-III საუკუნეებში) და, ცხადია, მის შემდეგაც, ყველა ქართულ ტომს — ქართებს — მეგრელებსა და სვანებს — ჰქონიათ საერთო მშობლიური ქართული ენა, ე.წ. სალიტერატურო ენა.

ენათმეცნიერები გამოწვლილვითი ანალიზის საფუძველზე მიდიან დასკვნამდე, რომ ქართული სალიტერატურო ენის ფორმირება დაწყებულა არა V საუკუნეში, არამედ ბევრად უფრო ადრე, შესაძლოა, მეხუთე საუკუნეში ქრისტეშობამდე.

ენათმეცნიერი ლ. ლეჟავა წერს „... სარწმუნოდ შეიძლება მივიჩნიოთ. რომ ძველი ქართული სალიტერატურო ენის ფორმირება დაწყებულია V ს-ზე გაცილებით უფრო (შესაძლებელია, ათი საუკუნით) ადრე“.[115]

ცნობილი მეცნიერი ივ. გიგინეიშვილი წერდა:

„ახალი სალიტერატურო ენის საბოლოოდ ჩამოყალიბებას შვიდასზე მეტი წელი დასჭირდა, მისი ჩამოყალიბება მხოლოდ მე-19 საუკუნეში გახდა შესაძლებელი და ეს ენაც კი არ იყო ისეთი სრულყოფილი ნორმების მქონე ლიტერატურული ენა, როგორიც ძველი ქართული იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ ენის ნორმალიზაციისა და სრულყოფისათვის მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული გაცილებით მეტად ხელსაყრელი გარემოება და პირობები არსებობდა, ვიდრე ძველ საქართველოში. თუ ახალი სალიტერატურო ენის საბოლოოდ ჩამოყალიბებას ამდენი დრო დასჭირდა, ცხადია, ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენი საუკუნე დასჭირდებოდა ძველი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და სრულქმნას, ვიდრე ის იმ დონეზე ავიდოდა, როგორც სალიტერატურო ენა, რა დონეზეც დგას „შუშანიკის წამების“, ან ოთხთავისა და ბიბლიის ქართული თარგმანების ენა“.[116]

V საუკუნემდე ქართულ სალიტერატურო ენას განვითარების გრძელი გზა უნდა გაევლო. „ასე განვითარებული და უნიფიცირებული სალიტერატურო ენა მხოლოდ საუკუნეთა განმავლობაში შეიძლებოდა შექმნილიყო.[117]

მეცნიერის შეხედულებით, მეხუთე საუკუნემდე ბევრად უფრო ადრე, ჯერ კიდევ მწერლობის წარმოშობამდე არსებობდა საერთო-სახალხო ენა. ცხადია, ეს საერთო სახალხო ენა იყო საერთო ქართული ფუძე ენა, რომელიც ფარნავაზ მეფემ სახელმწიფო ენად გამოაცხადა. ენობრივი ერთობის დროს ეს საერთო-სახალხო ენა გამოიყენებოდა ყველა ქართული ტომის მიერ კულტის მსახურებისა და სხვა მიზნებისთვის.

საერთო-სახალხო ენა, რომელიც ბატონობდა დიალექტებზე და იმორჩილებდა მათ, მწერლობის წარმოშობამდეც უნდა ყოფილიყო.

სამწერლო ენის არსებობა კი დამწერლობის წარმოშობიდან იწყება, ე.ი. V ს-ზე გაცილებით უფრო ადრე, ქრისტიანობამდელ ეპოქაში“.[118]

დავასკვნით, რომ ჯერ კიდევ IV-III საუკუნეებში ქართლის სამეფოში, ანუ აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ხალხს უკვე ჰქონია ერის რაობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი ელემენტი — კულტმსახურების საერთო ქართული ენა, რომელსაც ჰქონდა დიალექტები, როგორც ყველა ცოცხალ ენას.

ბ) საერთო ტერიტორია და საერთო სახელმწიფო

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფოს („ქართლის სამეფოს“) შექმნამდე ქართული ტომები ცხოვრობდნენ კავკასიაში. ისინი ცხოვრობდნენ მჭიდროდ ერთმანეთის გვერდით, ერთმანეთის მეზობლად. „ქართების“, „სვანების“, და „მეგრელ-ლაზების“ გარდა ამიერკავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ ტერიტორიებზე არც ერთი სხვა არაქართული ტომი არ ცხოვრობდა. ქართვე-

ლი ტომები ტერიტორიულად გაყოფილნი, ერთმანეთისგან დაშორებულ-დაცილებულნი არ ყოფილან, არც გეოგრაფიული დაბრკოლებით და არც უცხო არაქართული ტომებით. მათ საერთო წარმოშობისა და სისხლისმიერი ნათესაობის გარდა აერთიანებდათ საერთო ქართული ენა, საერთო სარწმუნოება. კავკასიაშივე და არა სხვაგან მომხდარა მათი საერთო ფუძე ენის დაშლა, რომელიც მიმდინარეობდა თანდათანობით მრავალი საუკუნის მანძილზე. საერთო ფუძე ენის დაშლამდე შექმნილა ერთიანი სახელმწიფო — „ქართლის სამეფო“. ამ სახელმწიფოში შედიოდნენ როგორც ქართები, ასევე მეგრელ-ლაზები და სვანები. თუმცა, ამ დროს ეს ტომები ახლად იწყებდნენ ერთმანეთისგან გათიშვას. ადრე მათ აერთიანებდათ საერთო ფუძე ენა, საერთო წარმოშობა, ხოლო სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგ მათ, საერთო ტერიტორიაზე მოსახლე ამ ტომებს, აერთიანებდათ საერთო სახელმწიფო.

ცნობილია, რომ ქართლის ანუ იბერიის სამეფო საკმაოდ მდგრადი პოლიტიკური ერთეული იყო და ის აერთიანებდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს როგორც ქრისტეს შობამდე, ასევე მის შემდეგაც. ამის შესახებ დაჟინებით მიგვითითებს როგორც „ქართლის ცხოვრება“ და ძველი ქართული წყაროები, ასევე უცხოური წყაროები და არქეოლოგიური მასალაც. რა თქმა უნდა, არსებობდა გამონაკლისი ზოგიერთ საუკუნესა თუ ათწლეულში, მაგრამ ყოველთვის იბერიის სამეფო კვლავ იერთებდა დაკარგულ ნაწილებს. არსებითი და ნიშნეული იყო ის, რომ იბერია თითქმის ყოველ საუკუნეში, ქრისტეშობამდე III საუკუნიდან, ვიდრე ქრისტეს შემდეგ VIII საუკუნემდე ახერხებდა როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის გაერთიანებას. ამიტომაც, დასავლეთ საქართველო, ისევე როგორც აღმოსავლეთი, პოლიტიკურად განიხილებოდა როგორც იბერია. უცხოელი ისტორიკოსები დასავლეთ საქართველოს (ისევე, როგორც აღმოსავლეთს) უწყვეტად VI-VIII საუკუნეებამდე უწოდებდნენ იბერიას. უცხოურ წყაროთა ჩვენების თანახმად, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას იბერებს უწოდებდნენ. ეს გამოწვეული იქნებოდა იმით, რომ ეს ტომები პოლიტიკურად იბერები იყვნენ, ეთნიკურადაც იბერებისაგან (აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობისგან) არ განსხვავდებოდნენ: საერთო ჰქონდათ ენა, კულტურა, სარწმუნოება, საერთო წარმოშობა — სისხლით ნათესაობა. ამიტომაც დასავლეთი საქართველოც იბერიაა, ხოლო მცხოვრებნი — იბერები. დასამტკიცებლად შეიძლება მოვიყვანოთ ძველი ცნობები:

ევსევი კესარიელი წერს — „მეგასთენე (III საუკ. ძვ. წ.) ამბობს, რომ ნაბუქოდონოსორმა... მიაღწია... იბერთა ქვეყანაში, აჯობა მათ... ერთი ნაწილი მათგანი გადააადგილა მან პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეზე, იქ დაასახლა“.[119] ბერძნები ანტიკურ პერიოდში შავი ზღვის სანაპიროების აქტიურ კოლონიზაციას ეწეოდნენ, ამიტომაც ძველმა სამყარომ ძალზე კარგად იცოდა, თუ რას ეწოდებოდა შავიზღვისპირეთი, კავკასიის სიღრმე, სომხეთის ჩრდილოეთი და კასპიის ზღვა, საერთოდ, ამიერკავკასიის გეოგრაფია. ევსევი კესარიელის ცნობით, ანტიკურ სამყაროში გავრცელებული ყოფილა თვალსაზრისი, რომ შავი ზღვის მარჯვენა მხარე, ე. ი. კოლხეთი ქრისტემდე III საუკუნეში დასახლებულია იბერებით. „ქართლის ცხოვრებითაც“ ამ დროს დასავლეთ საქართველო ქართლის სამეფოში შედის. ვანის

არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელი წერს: „ძვ.წ.აღ-ის IV-III საუკუნეები იყო სწორედ აღმოსავლური ქართული ტომების და პირველ რიგში მესხთა ფართოდ განსახლებისა და პოლიტიკური აქტივობის ხანა. ამრიგად, მესხური, ე.ი. ქართის ენოვანი (და დღევანდელი იმერლებისა და გურულების) წინაპარი ტომების დამკვიდრება დღევანდელ დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ძვ.წ.აღ-ის III-II საუკუნეებიდან მაინცაა სავარაუდებელი. ... ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ თითქოს საეჭვო აღარ უნდა იყოს სტრაბონის მიერ რიონის დაბლობის გარკვეული ნაწილის „მოსხთა ქვეყანად გამოცხადება...“[120]

„ძვ.წ.აღ-ის II საუკუნიდან, როდესაც ქართლის სამეფომ სამხრეთით ბევრი ოლქი დაკარგა, დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში, როგორც ჩანს, მისი ძალაუფლება კვლავ ძალაშია“.[121]

თუკი ქრისტემდე II საუკუნეში ძლიერ დასუსტებულ იბერიას დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი არ დაუკარგავს, ცხადია, წინა საუკუნეებში მისი სიძლიერის დროს მთელ დასავლეთ საქართველოზე ექნებოდა ძალაუფლება.

„მარ-აბას-კატინა (I საუკ. ქრისტემდე)... გადმოგვცემს აბიდენის სიტყვებს: ნაბუქოდონოსორი... შეესია იბერებს... და მათი ნაწილი დაასახლა პონტოს ზღვის მარჯვენა ნაპირებზე“.[122]

ე.ი. I საუკუნეში ქრისტემდე, ისევე როგორც ადრე, ანტიკურ სამყაროში კვლავ გავრცელებულია აზრი, რომ იბერები შავიზღვისპირეთში, ე.ი. კოლხეთში ცხოვრობენ.

„ახ.წ.აღ-ის I-II საუკუნეებში ქართლი გადაიქცა ძლიერ სახელმწიფოდ, რომელიც ამიერკავკასიასა და მეზობელ მხარეებში პოლიტიკურ ჰეგემონობას ლამობდა“.[123] „II ს. აქ ... შავი ზღვის სანაპიროზე იბერიას ჰქონდა ფეხი მოკიდებული“.[124]

მოყვანილი ამონაწერებიდან ჩანს, რომ ქრისტემდე IV საუკუნეში შექმნილ ქართველთა სამეფოში შედიოდა დასავლეთი საქართველო. ქრისტემდე III საუკუნეში ეს სამეფო კიდევ უფრო ძლიერდება, და მასში, ბუნებრივია, შედიოდა დასავლეთი საქართველო. II საუკუნეში ქრისტემდე ეს სამეფო სუსტდება და კარგავს თავის სამხრეთ პროვინციებს.

მიუხედავად ამისა, ამ სამეფოში კვლავ შედიოდა დასავლეთი საქართველო. I-II საუკუნეებში ქრისტეს შემდეგ ქართველთა სამეფო ისე ძლიერდება, რომ ჰეგემონობას ცდილობს მთელ ამიერკავკასიაში. ამ დროსაც, ბუნებრივია, მის შემადგენლობაში დარჩა დასავლეთი საქართველო.

III-IV საუკუნის ავტორი ევსევი კესარიელი (260-340 წწ.) იბერთა საცხოვრისს შავი ზღვისპირეთში განსაზღვრავს.

სოკრატე სქოლასტიკოსი (IV-Vს.) წერს: „...იბერები ცხოვრობენ ევქსინის პონტოსთან“.[125]

გელასი კესარიელი (IV საუკ.) ... მოგვითხრობს: „იმავე ხანებში ღმრთის მცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა...“[126]

რუფინუსის (გარდ. 410 წ.) თხზულებაში ნათქვამია: „ამავე ხანებში იბერთა ტომმაც, რომელიც ცხოვრობს პონტოს მხარეში, მიიღო ღვთის მცნების კანონები და ტყვე ქალი...“[127]

„სამივე ავტორის მიხედვით, იბერები შავი ზღვის სანაპირო არეალში არიან მოქცეულნი“.[128]

პროფესორი რობერტ ბლაიხშტაინერი წერს: „დასავლეთ საქართველოს რომაულ ხანაში ეწოდება იბერია“.[129]

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ცნობა ევაგრე პონტოელის შესახებ. „IV საუკუნის ცნობილი მოაზროვნისა და მწერლის ევაგრი პონტოელის ბიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ევაგრი წარმოშობით პონტოელია — იბერთა ქალაქის მცხოვრები, პალადის შემდგომ V საუკუნის ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ევაგრი ტომით იბერია“.[130]

იმ დროს პონტოში ცხოვრობდნენ მეგრულ-ლაზური ტომები. სწორედ ამ ლაზ-მეგრელების ზოგადი სახელია იბერები (ქართებთან ერთად). ქართები და მეგრელები ისეთ გასაოცარ იგივეობას, ერთგვაროვნებას, ეროვნულ ერთობას ამჟღავნებდნენ იმ დროს, რომ თანამედროვე ისტორიკოსები ვარდებიან გამოუვალ, უხერხულ მდგომარეობაში და ვარაუდობენ: „... ეგრები თავდაპირველად შეიძლება დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში, არგვეთსა და მიმდგომ მხარეებში დამკვიდრებულ ქართ-მესხური ტომები იყვნენ“. „... „ეგრისი“ და „მეგრელი“ („მარგალი“) სახელები... არამეგრულ ნაწილს უნდა რქმეოდა“.[131]

სინამდვილეში ეგრისელები და მეგრელები, ცხადია, თავიდანვე მეგრელებს ერქვა, მაგრამ ისინი ეთნიკურად ისე ახლოს იყვნენ ქართებთან, რომ ეთნიკურად ერთ მთლიანს წარმოადგენდნენ — ერთ ეროვნებას ქმნიდნენ.

დასკვნა: ყველა ქართულ ტომს — ქართველ ხალხს აქვს საერთო ტერიტორია და სახელმწიფოს შექმნის შემდეგ მათ ამ საერთო სამშობლოს ეწოდა ქართლი — იბერია. ქართლი ერქვა ქვეყნის როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ ნაწილს. იბერები არიან ამ ქვეყნის მცხოვრებნი, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში. იბერები კი ქართველები არიან.

გ) ფსიქიური წყობის ერთობა

I. საერთო კულტი ერთმოიწმუნეობა

მეცნიერების მიერ გარკვეულია, რომ უძველეს დროს ქრისტიანობის მიღებამდე დიდი ხნით ადრე ქართველებს (ქართებს, მეგრელებსა და სვანებს) ჰქონიათ საერთო სარწმუნოება — არსებულა საერთო წარმართობა — ერთი სარწმუნოება. ამასთანავე მათი სარწმუნოება ყოფილა ძალზე დახვეწილი და დამუშავებული. შემუშავებული ყოფილა საერთო საკულტო ტერმინოლოგია. კულტმსახურებისთვის არსებობდა საერთო ენა. კულტმსახურება ერთ ენაზე სრულდებოდა ქართველთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებსა და თემებში.

ქართული მითოლოგია დამუშავებული და დახვეწილი ყოფილა. ამის შესახებ წერს შ. ნუცუბიძე – წყლის „ღმერთი“ იგრისი „თავდაპირველად მხოლოდ ადგილობრივი კოლხიდელი ღმერთი იყო და მხოლოდ შემდეგ, ქართული მითოლოგიის მთლიანი დამუშავების შედეგად, საერთო-ქართულ პანთეონში შევიდა“.[132]

„ქართველი ტომების უძველეს რწმენათა მიმოხილვისას გაირკვა, რომ ... ქართველებშიაც სხვადასხვა ტომთათვის დამახასიათებელ სურათს ვხვდებით. როგორც ირკვევა, „თავისი წილი ღმერთები“ ჰყავდათ ცალკე თემებსა და საგვარეულოებს... ამასთანავე, ხალხური გადმოცემები და მდიდარი ეთნოგრაფიული მასალები გვიჩვენებენ, რომ ქართველებს ჰყავდათ საერთო, დიდი (უფროსი) ღმერთებიცა და სატომო ან სატომთაშორისი ღვთაებებიც... ახლა, შეიძლება ითქვას, კარგად არის გამორკვეული, რომ იმ დროს ქართულ ასტრალურ პანთეონს სამეული მეთაურობდა პირველი მათგანი უფროსად მიჩნეული უზენაესი ღმერთი იყო. მეორე – ქალღმერთი მზე ან მზექალი, ხოლო მესამე – კვირია“...[133]

გარკვეულია არა მარტო საერთო წარმართული პანთეონის „ღმერთები“ იერარქიის მაღალ საფეხურზე, არამედ მომდევნო საფეხურზე მდგომი „ღმერთები“.

„უკვე ამ დროისათვის ქართველთა ყველა ღვთაება ანთროპომორფულ არსებად არის წარმოდგენილი, ამასთანავე, ირკვევა, რომ უზენაესი ღმერთი – მთვარე ღმერთია, ე.ი. მამა ღმერთია. კარგად არის გამორკვეული, რომ ოდესღაც ქართულ ტომებს სათავისო სათემო ღვთაების გარდა ყველასათვის საერთო რწმენა ჰქონიათ და საერთო ქართული წარმართობაც ყოფილა. ... კვირიას თაყვანისცემასთან დაკავშირებულ სვანურ წესებს წმინდა ქართული წარმართული რწმენის ანარეკლი აქვთ დაცული და თვით სათანადო ფერხულის სიტყვებს მეფერხულე სვანები ქართულად წარმოთქვამდნენ ამ წესების ძველქართულ სახელებთან ერთად, ფერხულის ქართულად წარმოთქმის ჩვეულება, უეჭველია, თავდაპირველი, საერთო ქართული წესის ნაშთი უნდა იყოს ... მეგრელი მეკვლეც თავის წარმოსათქმელ სიტყვებს მეგრულად კი არა, სწორედ ქართულად ამბობს ხოლმე“. მითითებული და კიდევ ბევრი სხვა მონაცემი საფუძველს აძლევდა ავტორს დაესკვნა შემდეგი: „ცხადი ხდება, რომ არამც თუ საზოგადო ქართული, ყველა ქართველ ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ, რომ წარმართობას საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონდა“.[134]

ანტიკური ხანისთვის ქართველური ტომები კი არ დაშორებულან ერთმანეთისგან, პირიქით, ქართველთა კონსოლიდაცია გაძლიერებულა. ამის მიზეზი სხვებთან ერთად, იქნებოდა საერთო ქართული სახელმწიფოს არსებობა, საერთო სარწმუნოებისა და აგრეთვე საერთო სახელმწიფო და კულტმსახურების ენის არსებობა.

„ანტიკური ხანისათვის, როდესაც ქართველთა კონსოლიდაციის შემდგომი გაძლიერება შეინიშნებოდა, არ არსებობს საფუძველი რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება ვიგულისხმოთ ქართულ წარმართულ პანთეონში“.[135]

ცხადი ხდება, ქართველების მიერ ქრისტიანობის მიღებამდე ქართველებს ჰქონიათ საერთო – ყველა ქართულ ტომთათვის ერთი და იგივე სარწმუნოება – საერთო წარმართობა.

ქრისტიანობაც ერთდროულად მიიღეს, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში.

ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში.

წმიდა ნინოსაც მოუქცევია როგორც აღმოსავლეთი, ასევე დასავლეთი საქართველო, ამის შესახებ დაბეჯითებით მიუთითებენ ბერძენ-რომაელი ისტორიკოსები. გელასი კესარიელი წერს – „იმავე ხანებში ღმრთის მცნება მიიღეს იბერებმა და ლაზებმა... ამ უდიდესი სიკეთის მიზეზი გახდა ერთი დედაკაცი, რომელიც მათთან იყო ტყვედ“.[136]

რუფინუსის მიხედვით, დასავლეთ საქართველოს გამაქრისტიანებელი წმიდა ნინოა. ის წერს: „ამავე ხანებში იბერთა ტომმაც, რომელიც ცხოვრობს პონტოს მხარეში, მიიღო ღვთის მცნების კანონები და ტყვე ქალი“.[137]

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვითაც ასევეა – მირიან მეფე ქრისტიანობას სახელმწიფო სარწმუნოებად აცხადებს მთელ იბერიაში ანუ როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში: „გარდაიცვალა მირიან მეფე... რომელმან ნათელსცა ყოველთა ივერიელთა“.[138]

მართალია, დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა ისე საყოველთაო არ გამხდარა, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ბარში, მაგრამ მალევე როგორც დასავლეთ საქართველოში, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც ქრისტიანობა საყოველთაო სარწმუნოებად გადაიქცა. მთელი ქართველი ხალხი ქრისტიანი იყო.

დასკვნა: ქრისტემდე, IV-III საუკუნეებამდე, ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნამდე უკვე არსებულა ყველა ქართული ტომისთვის საერთო სარწმუნოება – საერთო ქართული წარმართობა (სხვათა შორის, ჩანს, ამან ასახვა ჰპოვა „მოქცევაჲ ქართლისაჲში“, რომელშიც აღწერილია, რომ ქართველთა ძველი სამშობლოდან „არიან-ქართლიდან“ ახალ სამშობლოში გადმოსახლებულმა ქართველებმა და ქართველთა მეფემ თან წამოიყვანეს თავიანთი „ღმერთები“).

II. ქართული ტომების საერთო კულტურა

ქართველ ტომთა საერთო კულტურის არსებობა ყოველთვის უეჭველი იყო. ეს იყო ერთიანი ეთნოსის, ერთი ხალხის კულტურა. ჯერ კიდევ საერთო ქართული სახელმწიფოს – იბერიის, ანუ ქართლის სამეფოს წარმოშობამდე დიდი ხნით ადრე არსებული ცნობილი კოლხური კულტურაც კი საერთო ქართული კულტურა იყო:

„კოლხური კულტურა „წარმოადგენდა ჯერ კიდევ სუსტად დიფერენცირებული ქართველი ტომების კულტურას“.[139] საერთო-ქართული (კოლხური) კულტურის მემკვიდრე იყო ანტიკური ხანის კულტურა. ამავე დროს ჩამოყალიბდა ერთიანი ქართული სახელმწიფო.

ანტიკურ ხანაში არა თუ შესუსტდა ქართული ეთნოსის ერთიანობა, პირიქით — „ანტიკური ხანისათვის... ქართველთა კონსოლიდაციის შემდგომი გაძლიერება შეინიშნება“.[140]

მართლაც, „ქართლის ცხოვრებისა“ და სხვა ძველქართული წყაროების მიხედვით, ამ დროს, ანტიკურობის პერიოდშივე საქართველოს მოსახლეობას ეწოდება „ნათესავით ქართველი“. ე.ი. ერით, გვარ-ტომობით ქართველი. „ქართლის სამეფოს“

ყველა მკვიდრი, ადგილობრივი მცხოვრები, იმ დროს „ქართველად“ ითვლებოდა, მიუხედავად იმისა, ქვეყნის აღმოსავლეთ თუ დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდა ის.

დასკვნა: ანტიკურ ხანაში „ქართველთა კონსოლიდაციის“ დროს, ცხადია, კულტურაც საერთოა, ამასვე უჩვენებს დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური შესწავლა.

დ) ეკონომიკური კავშირი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის

ანტიკურ ეპოქაში, როცა ერთიანი ქართული სახელმწიფო ჩამოყალიბდა, ბერძნები შავი ზღვის სანაპიროების აქტიურ კოლონიზაციას ეწეოდნენ. მათ მრავალი სავაჭრო ქალაქი — პოლისები ჰქონდათ. საქართველოს შავიზღვისპირეთის ანტიკური ქალაქები ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის ქალაქებია. ვანის და არქეოპოლისის გათხრები მიუთითებს, თუ როგორ ძლიერ განვითარებული სავაჭრო ქალაქები იყვნენ დასავლეთ საქართველოს ქალაქები. აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური შესწავლა უჩვენებს, რომ არა მარტო მცხეთა, არამედ სხვა ძველქართული ქალაქებიც მძლავრად განვითარებული ანტიკური ქალაქები იყო. ამის შესახებ სტრაბონიც მიუთითებდა. მცხეთა საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე სავაჭრო გზაჯვარედინზე მდებარეობდა. საერთაშორისო სავაჭრო გზა მცხეთასა და მტკვრის ხეობას უკავშირებდა რიონსა და შავ ზღვას. თუ რა დიდი მნიშვნელობისა იყო დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს დამაკავშირებელი საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური გზა, იქიდანაც ჩანს, რომ იმ დროს მდინარე ფაზისზე სტრაბონის თანახმად, 120 ხიდი ყოფილა გადებული. ხიდების ასეთი კოლოსალური რაოდენობა მიუთითებს გზების სიმრავლეზე, ე. ი. ვაჭრობისა და ეკონომიკის განვითარებაზე. მტკვარსა და რიონზე გამავალი საერთაშორისო გზა ეკონომიურად აკავშირებდა საქართველოს კუთხეებს ერთმანეთთან. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთკავშირი ჰქონდა (იმ დროის შესაბამისად).

ე) ქართველების საერთო წარმოშობა, სისხლით ნათესაობა

დაბადებაში მოხსენიებულია ქართველთა საერთო წინაპარი – „ესე შობანი ძეთა ნოესნი: სემ, ქამ და იაფეთ. და იყვნეს მათდა ძენი შემდგომად წყლით რღვნისა.

ძენი იაფეთისნი... თობალ და მოსოქ (დაბადება 10, 1-2).

I საუკუნის განთქმული ისტორიკოსი იოსებ ფლაბიოსი, ევსტათე ანტიოქიელი (IV ს.), თეოდორე კვირელი ეპისკოპოსი (IV ს.), ლეონ გრამატიკოსი (XI ს.) წერენ, რომ თუბალ-თობელებს მათ დროს იბერები ეწოდებოდათ. ფლაბიოსი მეშეხ-მოსოხს კაპადოკიელთა წინაპრად მიიჩნევდა. ძველი ქრისტიანი ავტორები ხშირად ასახელებენ იბერთა წინაპრებს, ხოლო ეგრისელთა წინაპარს არ ასახელებენ. ეს არ არის შემთხვევითი, საქმე ის არის, რომ ამ ქრისტიან ავტორთა დაბეჯითებული

მტკიცებით, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ცხოვრობენ იბერები, დასავლეთ საქართველოს რომაულ ხანაში იბერია ეწოდება, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ დასავლეთ საქართველო – ეგრისია, ხოლო მოსახლეობა მეგრელები. სწორედ მათ, მეგრელებს უწოდებენ ძველი ავტორები იბერებს, აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან ერთად და სწორედ ამიტომ არ ასახელებენ ეგრისელთა წინაპარს. მიაჩნიათ, რომ დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ხალხს ეწოდებათ იბერები და ამ ერთ ხალხს ერთი წინაპარი ჰყავს – ბიბლიაში მოხსენებული თობალი.

„იბერიის“ ხალხი ერთი ხალხი იყო და იბერებად იწოდებოდა – ამიტომაც მას ჰყავდა საერთო წინაპარი – თობელი.

თობელისაგან წარმოიშვნენ იბერები – „ქართები“, „ეგრისელები“ და „სვანები“ ანუ ქართველები. იმ დროის ეგრისელები ისევე იბერები არიან, როგორც „ქართები“. ლინგვისტების აზრითაც, „იბერ“ ფუძიდანაა ნაწარმოები „ეგრ“ ფუძე, აქედან „ეგრისი“.

„იბერ ფუძის ძველი სახეობა უნდა ყოფილიყო ჰბერ (შეადარე, რომაელი მწერლების თხზულებაში დადასტურებული ჰიბერ)... ჰბერ ფუძის დუბლიკატებია ჰვერ, ჰმერ (იბერ-ივერ-იმერ), ამათგან – ჰვერ – ნაირსახეობამ ერთ-ერთ დიალექტიკურ რეგიონში სხვა ფონეტიკური განვითარება განიცადა – ჰ გადავიდა გ-ში (მოხდა ე.წ. აწევა) და მივიღეთ გვერ... გერ... გურ... ერთი მხრივ, პრეფიქსის დართვით გამომუშავდა ეგერ/ეგრ-ის-ი, მ-ეგრ-ელი (მეორე მხრივ – გურია)“.[141]

XVIII საუკუნის ბოლოს, 1790 წელს, საქართველოს განსაკუთრებული დაშლილობის დროს შედგა დოკუმენტი „ივერიელთა ერთობის ტრაქტატი“, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: – „ვინაიდგან ყოველთავე ივერიელთა მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთმორწმუნეობა, არიან შვილნი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ გავასხელობითიცა სიყვარული ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა შორის. ამისათვის ჩვენ აღვსთქვამთ მტკიცესა ამას ერთობასა...“.[142] აქ საინტერესოა, რომ ქართული საუკუნოვანი ტრადიციული კონცეფციით, რომელმაც ასახვა ჰპოვა ამ დოკუმენტში – ივერია ეწოდება არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ, დასავლეთ საქართველოსაც. ერთიან საქართველოს – ყოველი ივერია ეწოდება, მოსახლეობას – ყოველნი ივერიელნი, სხვადასხვა პროვინციებს – ივერიის ქვეყნები. განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ ძველქართული თვალსაზრისით, ივერიელები ანუ სამეგრელოს, გურიის, იმერეთის, კახეთისა და ქართლის მოსახლეობა (მსახლობელნი) არიან სისხლით ნათესავნი, ე.ი. გენეტიკურად ერთიანი, ერთი ეთნიკური წარმოშობის ერი. სისხლით ნათესაობის გამო ივერიელები ანუ მეგრელები, გურულები, იმერლები, კახელები და ქართლელები „ურთიერთთან შეკრულშეკავშირებულნი არიან მოყვრობით“, ანუ „ნათესაური“, ეროვნული ერთობა აქვთ. გარდა ამისა, ივერიელებს ერთმანეთთან ამ დოკუმენტის ხელისმომწერთა თვალსაზრისით, აერთიანებთ საერთო ენა – ივერიელები არიან „ერთისა ენისა მქონებელნი“ – იგულისხმება ქართული ენა. ივერიელებს აქვთ საერთო ტერიტორია – „ყოველი ივერია“, ივერიელებს დოკუმენტის მიხედვით, აქვთ ფსიქიკური წყობის ერთობა – ერთმორწმუნეობა, ერთი ეკლესია.

ვინაიდან ამ დოკუმენტის ერთ-ერთი ხელისმომწერი იყო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ანტონ I, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეკლესიაში მიღებული თვალსაზრისით, ერი ეწოდებოდა (თანამედროვე სიტყვებით რომ ვთქვათ) ერთი ეთნიკური კავშირის მქონე, ანუ სისხლით მონათესავე მოსახლეობას, რომელსაც ჰქონდა აგრეთვე საერთო ენა – ენობრივი ერთობა, საერთო ტერიტორია, ფსიქიკური წყობის ერთობა – საერთო სარწმუნოება. ქართული ეკლესიის და საერო ხელისუფლების თვალსაზრისით, ივერიელებს ანუ ქართველებს ჰქონდათ ჩამოთვლილი ნიშან-თვისებები, ანუ ქმნიდნენ ეროვნულ ერთობას. ამიტომაც მათ უნდა ჰქონოდათ სახელმწიფოებრივი ერთობაც.

მეგრელები, გურულები, იმერლები, კახელები და ქართლელები სისხლით ნათესავებად მიიჩნეოდნენ და მიიჩნევიან.

ქართებს, ზანებსა და სვანებს ქართული ეკლესიის ჩამოყალიბების დროს (I-IV საუკუნეებში) უფრო მეტი ეროვნული ერთობა ჰქონდათ, ვიდრე გვიან შუა საუკუნეებში. ამიტომაც თავიდანვე ქართული ეკლესიის სამწყსოს წარმოადგენდა ერთიანი ქართველი ხალხი, რომლის ეთნიკური განსახლების საზღვრები მოქცეული იყო შავი ზღვიდან და მდინარე ეგრისწყლიდან (კლისურიდან) ვიდრე სომხეთალბანეთამდე (მერვე საუკუნემდე, ხოლო შემდეგ ეს საზღვრები კიდევ უფრო გავრცელდა).

ისმის მეორე საკითხი – რამდენად შესაძლებელია ქართველი ხალხი ჩამოყალიბებული ყოფილიყო I-IV საუკუნეებში წმიდა ანდრიასა და წმიდა ნინოს ქადაგებების დროს. ქართული წყაროების თანახმად, ქართველი ხალხი უკვე ჩამოყალიბებული იყო პირველი ქართული სახელმწიფოს დაარსების დროს, ქრისტეშობამდე IV-III საუკუნეებში.

ამ თვალსაზრისს ეთანხმება ისიც, რომ სწორედ ამ პერიოდისათვის სომეხი ხალხი უკვე ჩამოყალიბებული ყოფილა. ს. ერემიანის თანახმად, სომეხი ხალხის ჩამოყალიბება დამთავრდა ძვ.წ.აღ-ის IV ს-ის დამლევს.[143] „სომეხი ხალხის ჩამოყალიბების ბოლო ეტაპი თანხვდება ძვ.წ.აღ-ის VI ს-ში სომხეთის სახელმწიფოს შექმნას. მან ურარტუს სახელმწიფოს ადგილი დაიკავა.“[144]

ცნობილია, რომ ჩვენი ძველი ისტორიკოსები ჰაოსსა და ქართლოსს ძმებად მიიჩნევდნენ, ამიტომაც ისინი ქართველი და სომეხი ხალხების ჩამოყალიბების ხანას ერთ ეპოქაში ათავსებდნენ.

ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები

ადგილობრივი ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების განსაზღვრა ძნელი არ არის. IV მსოფლიო კრებამ დააკანონა: საეკლესიო საზღვრები უნდა დამთხვეოდა სახელმწიფოს საზღვრებს (იხ. ამონაწერი უწმიდესი სინოდის საჟურნალო განსაზღვრებიდან. რუსეთის საპატრიარქო, 1943 წ. 19 ნოემბერი, №12). ცნობილია, რომ მსოფლიო საეკლესიო კრებები იღებდნენ და აფუძნებდნენ არა ახალ წესებს, არამედ ამტკიცებდნენ იმ კანონებს, რომელნიც უკვე არსებობდნენ საეკლესიო პრაქტიკაში და წინა დროის მამათა მიერ იყვნენ დაკანონებულნი.

ბ. ლომინაძე წერს: „აღმოსავლეთის ეკლესია განსაკუთრებულად სავალდებულოდ ხდიდა სამოქალაქო-საერო დაყოფის გადაღებას საეკლესიოში, ასე რომ ყოველ ცვლილებას საეროში შესაბამისი ცვლილებები უნდა მოჰყოლოდა საეკლესიოში (ქალკედონის IV, 13, 17 და სხვ.)“.[145]

მამათა კანონების თანახმად, ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვარი ემთხვევა საქართველოს სახელმწიფოს საზღვარს. ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრის დადგენისთვის ჩვენ უნდა განვსაზღვროთ ქართული სახელმწიფოს საზღვრები, რომელთაც გასდევდა ეკლესიის საზღვარი.

„ქართლის“ საზღვრები და ქართველთა ვინაობა ლეონტი მროველის მიხედვით

ლეონტი მროველის მიხედვით, ქართლის სახელმწიფოში შედიოდა როგორც აღმოსავლეთი, ასევე დასავლეთ საქართველო.

ქართლის ცხოვრების მიხედვით, „დაიპყრა ალექსანდრე ყოველი ქართლი ... დაუტევა ქართლს ერისთავად აზონ“,[146] „აზონ... დაიპყრა ქართლსა ზედა ეგრისიცა“.[147]

განძის პოვნით დაიმედებულმა ფარნავაზმა, ეგრისის მთავარს ქუჯის მისწერა — „ვიყვნეთ ჩვენ ძმა და ვიხმაროთ ჩვენ ხუასტაგი იგი ორთავე. გამოვუჩნდეთ ჩუენ მტრად აზონ ერისთავს“.

აზონს დაპყრობილი ჰქონდა როგორც აღმოსავლეთი, ასევე დასავლეთ საქართველო. ამიტომაც, გახარებულმა ქუჯიმ მისწერა ფარნავაზს — „ხუასტაგითა შენითა განგიმრავლე სპანი შენნი, ვიდრე გამოვჩნდეთ მტრად აზონისა, მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა...“

აზონ იყო „კაცი ძნელი და მესისხლე“. ის დაპყრობილ სამეგრელოშიც „მოწყვედდა“ ადგილობრივ მოსახლეობას, ამიტომაც აზონის დამარცხებით მეგრელებიც გაიხარებდნენ. ამ მიზეზის გამო, ქუჯის ფარნავაზისთვის თითქოსდა ის კი არ უნდა მიეწერა, რომ „გამოვჩნდეთ მტრად აზონისა და განიხარონ ყოველთა ქართველთაო“, არამედ უნდა მიეწერა: გამოვჩნდეთ მტრად აზონისა, მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა და მეგრელთაო, მაგრამ ქუჯი მეგრელებს არ ახსენებს, თუმცა, მეგრელები დაპყრობილი ჰყავდა აზონს. რატომ?

ცხადია, ქუჯი მეგრელებს არ ახსენებს იმიტომ, რომ მათ გულისხმობს „ყოველთა ქართველთაში“.

ჩანს, ფარნავაზის დროს „ყოველთა ქართველთაში“ იგულისხმებოდა არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა, არამედ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაც.

ამის შემდეგ ფარნავაზი გადადის დასავლეთ საქართველოში, ქუჯისთან. ქუჯიმ მას უთხრა: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლობა ჩემი“.

„შენ ხარ უფალი ჩვენი და მე ვარ მონა შენი“.[148]

რატომ მართებს „ქართლის თავთა“ შვილს სამეგრელოს მეთაურზე უფროსობა? რატომ არის სამეგრელოს მეთაური მონა ქართლის მეთაურისა? ეს იმას ნიშნავს,

რომ ქართლის თავი, ანუ ქართლის მეთაური ისტორიულად განიხილებოდა არა მარტო აღმოსავლეთ, არამედ დასავლეთ საქართველოს მეთაურადაც. აქედან ჩანს, რომ დასავლეთ საქართველო პოლიტიკურად ქართლია, თუმცა მას ეგრისი ჰქვია.

ფარნავაზმა „...დაიპყრა ყოველი ქართლი თჳნიერ კლარჯეთისა“ „შემდგომ მოვიდა კლარჯეთს და დაიპყრა კლარჯეთი და წარმოვიდა მცხეთად“...[149]

ფარნავაზის მიერ დაპყრობილ „ყოველ ქართლში“ შედის დასავლეთ საქართველო, მდინარე ეგრისწყლამდე, რადგანაც ამ მდინარემდე დასავლეთ საქართველოს მთლიანი ტერიტორია ფარნავაზს დაპყრობილი ჰქონია, ხოლო ეგრისწყალს იქითა ქვეყანა ქართლში, ანუ ფარნავაზის სახელმწიფოში არ შესულა:

„ხოლო ეგრისწყალს ქვემოთ დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკჳდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა“.[150] ე.ი. ეგრისწყალს „ზემოთა“ ქვეყანა, ანუ ეგრისწყლის მარცხენა სანაპიროსთან მიმდებარე ქვეყანა არის ქართლი.

სად არის მდინარე ეგრისწყალი? უნდა ვიფიქროთ, რომ ის მიედინებოდა ეგროსის მიერ აშენებულ ქალაქ ეგრისთან ახლოს.

„ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თჳსი ეგრისი. აწ მას ადგილსა ჰქჳან ბედია“.[151]

ე.ი. ფარნავაზის სახელმწიფოში შედის ეგრისი – სამეგრელო და მთელი დასავლეთ საქართველო, გარდა ეგრისწყალს იქით მდებარე ქვეყნისა. ფარნავაზმა „დაიპყრა ყოველი ქართლი“ – ეგრისი შედის „ყოველ ქართლში“.

პოლიტიკურად ფარნავაზის მიერ შექმნილ სახელმწიფოს ეწოდებოდა „ქართლი“ ანუ „ყოველი ქართლი“, თუმცა, ამ ქართლში შედის „სხვადასხვა ქვეყნები“, მათ შორის „ეგრის-ეგური“ და კლარჯეთი, მაგრამ ერთიან სახელმწიფოს ქართლის სამეფო ეწოდება.

ფარნავაზმა „ყოველი ქართლის“ სამეფოს მხედრებად ანუ ჯარისკაცებად უცხოელები აღარ მიიღო, არამედ „ქართლოსიანნი“ – „განამრავლა ყოველნი მხედარნი ქართლოსიანნი“. ფარნავაზის ცხოვრების ავტორი იმიტომ აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას ამ ამბავს, რომ ფარნავაზის წინა ხელისუფლებას ძირითად სამხედრო ძალად მოწვეული ჰყავდა უცხოელები – არაქართველები.

აზონმა ამცნო სპათა მისთა, ვითარმედ: „ყოველმან ქართველთაგანმან, რომელმან პოვოს საჭურველი, მოკალთ იგი“, და ჰყოფდეს ჰრომნი იგი ესრეთ ქართველთა ზედა“.[152]

ე.ი. აზონის სპა რომაელთაგან, „ჰრომთაგან“ ყოფილა შედგენილი, შემდეგში „ათასი მჴედარი რჩეული ჰრომთა ამათგანი... განუდგეს აზონს.“[153] ასევე აზონს განუდგნენ ქართველნიც, გამოდის, რომ აზონის სპაში – ჯარში, ყოფილან უცხოელნიც და ქართველნიც, მაგრამ ძირითადი ძალა უცხოელთა იყო.

ფარნავაზის „ყოველი ქართლის“ სამეფოს შექმნაში მონაწილეობა მიიღეს როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ასევე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ.

ფარნავაზი თავისი განძით გადადის დასავლეთ საქართველოში და იქ ქუჯის შემწეობით დაიქირავებს ჯარისკაცებს, ცხადია, ადგილობრივ მცხოვრებლებს. ქუჯი ეუბნება ეგრისში ჩასულ ფარნავაზს – „ნუ შურობ ხუასტაგსა შენსა, რათა განვამ-

რავლნეთ სპანი“,[154] ე.ი. შენი განძით ჯარი დავიქირაოთო. მართლაც, ეგრისშივე „განიმრავლნეს სპანი. ეგრისით შეკრბეს ურიცხუნი სპანი“.[155]

ფარნავაზის პირველი ჯარი სწორედ დასავლეთ საქართველოში, ეგრისში შეკრებილი მხედრებისაგან შედგებოდა და ცხადია, ქართლის სამეფოს შექმნის შემდეგაც სამეფოს სპაში დიდი იქნებოდა ეგრისელ მხედართა რაოდენობა. მიუხედავად ამისა, ფარნავაზის ცხოვრების ავტორი წერს, რომ ფარნავაზმა „განამრავლნა ყოველნი მხედარნი ქართლოსიანნი“.

აქედან ცხადია, „ქართლოსიან“ მხედრებში ძირითადად იგულისხმება ეგრისელი მხედრები, ე.ი. ეგრისელიც ქართლოსიანად მიიჩნევა.

ფარნავაზ „მეფე იქმნა ყოვლისა ქართლისა და ეგურისა“.[156] „ყოველი ქართლის“ სამეფოს შექმნაში თანაბრად მიიღოს მონაწილეობა როგორც დასავლეთმა, ასევე აღმოსავლეთმა საქართველომ. ქართლის სამეფოს შექმნა დაიწყო დასავლეთ საქართველოში – ეგრისში. აზონისგან როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთ საქართველოს განთავისუფლების შემდეგ იქმნება ერთიანი აღმოსავლურ-დასავლური ქართული სამეფო ყოველგვარი შინაგანი წინააღმდეგობის გარეშე, პირიქით, შინაგანი მონდომებით. ქუჯი კვლავ რჩება თავისი ქვეყნის, ეგრისის მეთაურად, მაგრამ მისი მეფე უკვე არის ფარნავაზი – მეფემ „მისცა ქუჯის ქუეყანა ეგრისწყალსა და რიონს შუა... ეგრისი და სვანეთი და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ“.[157]

ფარნავაზმა დასავლეთ საქართველოში ეგრისის ერისთავის გარდა დასვა მარგვეთის ერისთავი. მას დასავლეთ საქართველოში სულ ორი ერისთავი ჰყავდა (ამ ერისთავების გარდა ერისთავები იყვნენ: კახეთისა, ხუნანისა, სამშვილდისა, წუნდისა, ოძრხისა და კლარჯეთისა. ყველა ამ ერისთავს ჰყავდა ზედამხედველი ერისთავი ანუ შიდა ქართლის სპასპეტი, რომელსაც ემორჩილებოდნენ).

„ფარნავაზმა აღაშენა და განავსო ქართლი“. ცხადია, ქართლში იგულისხმება დასავლეთ საქართველოს საერისთავოებიც – ეგრისისა და მარგვეთისა. ფარნავაზი დროდადრო გადადიოდა დასავლეთ საქართველოში, „ჟამითი ჟამად მივიდეს ეგრისს“, „მოიკითხის მეგრელნი და კლარჯნი, განაგის ყოველი საქმე დაშლილი“.[158]

ფარნავაზი მეგრელთა და კლარჯთა მეფეა.

„იყო განსუენება და სიხარული ყოველსა ქართლსა ზედა, მეფობისათჳს ფარნავაზისსა და იტყოდეს ამას ყოველნი. „ვჰმადლობთ სუესა ჩუენსა, რამეთუ მოგუეცა ჩუენ მეფე ნათესავთაგან მამათა ჩუენთა და აღგჳპადა ხარკი და ჭირი უცხოთა ნათესავთაგან“.[159]

როცა ავტორი წერს, რომ იყო სიხარული ყოველსა ქართლსა ზედა, იგულისხმება მთელი საქართველო, დასავლეთიცა და აღმოსავლეთიც.

მთელი სამეფოს მოსახლეობა ამბობს: „მოგუცა ჩუენ მეფე ნათესავთაგან მამათა ჩუენთა“. ავტორის აზრით, მეგრელთა, ისევე როგორც სამეფოს სხვა კუთხეთა მცხოვრებთა თვალსაზრისით, მეფე მათი ეროვნებისა არის, მათი მამათა შვილია, მათი ნათესავია, ანუ მათი ეროვნებისაა. „აღგჳპადა ხარკი და ჭირი უცხოთა ნათესავთაგან“ – უცხო ნათესავი ნიშნავს უცხო ერს, ე.ი. ქართლის მოსახლეობა ერთი ერისაა, ერთი ნათესავია, ერთი მამათა შვილებია, ხოლო სხვაა უცხო ნათესავი, უცხო ერი. ეროვნული იდენტობა გაცნობიერებულია.

ფარნავაზი ქართლოსის ნათესავია, ხოლო „ყოველი ქართლის“ მოსახლეობა – ქართლოსიანია, ნათესავით ქართველია – ქართლოსის ნათესავია.

„ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი“.[160] „განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა“.[161]

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელმა „დაიპყრა ყოველი ქართლი და მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა... და დაუტევნა ნათესავნი ქართლოსიანნი“.[162]

ფარნავაზის მიერ ეროვნული სახელმწიფოს შექმნის დროს უცხოელები აღარ ცხოვრობდნენ ქართლში. ისინი ალექსანდრეს გაუულეტია. ამის გამო ფარნავაზს გაუადვილდებოდა ერთიანი სახელმწიფო ენის შემოღება, მაგრამ როგორც აღნიშნული იყო, ფარნავაზის სახელმწიფოს შექმნაში თანაბრად მონაწილეობდა როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთ საქართველო. სახელმწიფოში ერთიანი სახელმწიფო ქართული ენის შემოღებას ეგრისში უკმაყოფილება არ გამოუწვევია. მემატიანე აღნიშნავს, რომ ეგრისელები ისევე, როგორც სხვა კუთხის მცხოვრებნი, კმაყოფილნი და ბედნიერნი იყვნენ ფარნავაზის მეფობით. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მეგრული ენა იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი ქართული ენისგან, ან მასთან ძლიერ ახლოს იდგა. მართლაც, იმ ექვს ენათა შორის, რომლებიც თითქოსდა ფარნავაზის რეფორმამდე მის სამეფოში იხმარებოდა, მეგრული ენა დასახელებული არ არის.

ფარნავაზის შემდგომი მეფის, საურმაგის, სამეფოში შედის დასავლეთი საქართველო. ის საქართველოს მთიანეთში, ასახლებს ჩრდილო კავკასიიდან გადმოყვანილ მოსახლეობას. „დასხნა მთიულეთს დიდოეთიდან, ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სვანეთი“.[163]

VII მეფე ქართლისა ბარტომი უშვილოა, ის იშვილებს ქართამს, ეგრისის ერისთავის, ქუჯის ძმისწულს. ეგრისელი ქართამი – ფარნავაზიანია. სწორედ ამ მიზეზის გამო იშვილა ის ბარტომმა. „ესე ქართველთა სათნოებისათვის ექმნა ბარტომს, რამეთუ ქართველთა დიდი სათნოება აქუნდა ფარნავაზიანთა მიმართ“.[164]

თვითონ ბარტომი იყო არშაკუნიანი, იშვილა ქართამ ფარნავაზიანი (დედის მხრიდან), რომელიც იყო ეგრისელი – მეგრელი.

X მეფე ადერკი. „ამან ადერკი დაიპყრა ყოველი ქვეყანა ქართლი და ეგრისი“.[165] მთლიან სამეფოს ეწოდება „ყოველი ქვეყანა“. შედგება ქართლისა და ეგრისისგან. ერთიან სამეფოს კი ქართლის სამეფო ეწოდება. მის მეფეს „ქართლის მეფე“.

ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა ზემო ქართლსა და ეგრისში. „ხოლო ვითარცა ესმა მეფესა ადერკის მეგრელთაგან სჯულისა დატევება, განუწყრა და წარავლინა ერისთავნი მისნი და იძულებით კუალადვე მოაქცივნა მეგრელნი“...[166]

ადერკის ეკუთვნის დასავლეთ საქართველო. მან თავისი სამეფო ორად გაუყო თავის შვილებს. ერთ შვილს – ბარტომს ერგო ეგრისი და მტკვრის ჩრდილოეთი ქართლი.

ქართლის სამეფოს საზღვრები მტკიცედ იყო დადგენილი და განსაზღვრული. ქართველ მეფეთა მთავარ მოვალეობას წარმოადგენდა ქართლის საზღვრების

მტკიცედ დაცვა, ხოლო საზღვრის დარღვევის შემთხვევაში – „საზღვრის ძიების“ აუცილებლობა. მაგალითად, XII მეფენი ფარსმან და კაოს. მათ დროს სომხეთის მეფემ „მოუღო საზღვარი ქართლისასა ქალაქი წუნდა“. „ვერ იძებნეს მეფეთა ქართლისათა საზღვარი და მოკუდეს მწუხარებასა შინა დიდსა“.[167]

მეფეების მიერ თავიანთი სამეფოს „საზღვრის ძიება“ აუცილებელია. ასევე იქცეოდნენ XIII მეფენი აზორკ და არმაზელ. ამათ „განიზრახეს ძიება საზღვართა ქართლისათა“.[168]

ასევე ქართველთა და ოსთა ლაშქარმა დაამარცხა სომეხთა ლაშქარი და ტყვედ შეიპყრეს სომეხთა მეფის ძე. ოსებს სურდათ ტყვე მეფისწულის მოკვლა, ხოლო „ქართველთა დაიცვეს ცოცხლებით ძიებისათვის საზღვართა მათთასა“. ამ დროს ქართველთა მუდმივი ბრძოლა სომხების წინააღმდეგ გამოწვეული იყო სომეხთაგან მიტაცებული „საზღვრის ძიებით“. მართლაც, საზავო მოლაპარაკების დროს სომხებს გადასცეს დატყვევებული სომეხი უფლისწული, ხოლო სამაგიეროდ, „ამისათჳს სომეხთა უკმოსცეს საზღვარი ქართლისა ქალაქი წუნდა და ციხე დემოთისა, ჯავახეთი და არტაანი“.[169]

„და აღესრულნეს არზოკ და არმაზელი ნუგეშინისცემულნი დიდად, რამეთუ სიმჴნითა მათითა უკუმოიხუნეს საზღვარნი ქართლისანი“.[170]

რადგანაც ქართლის სამეფოს სახელმწიფოს საზღვრები მტკიცედ იყო განსაზღვრული და დადგენილი, ამიტომაც საზღვრების შიგნით მოქცეულ ეგრისზე ქართლის სტატუსის განხორციელებას დიდი მნიშვნელობა მიეცემოდა.

XV მეფე ფარსმან ქველის სამეფოშიც შედის ეგრისი. ფარსმან ქველის მოკვლის შემდეგ მისი სამეფო მირდატმა დაიპყრო. „დაიპყრეს ქართლი მირდატ და ერისთავმან სპარსთამან, ხოლო მეგრელნი დადგეს ერთგულებასა ფარსმანის ძისასა“.

ე.ი. დასავლეთ საქართველო ფარსმანის ძეს ემხრობა. დასავლეთ საქართველოს დახმარებით მან აღადგინა მეფობა ქართლში. მისი შვილი უკვე მეფეა „ყოველი ქართლის“ – „მეფობდა ესე ფარსმან ყოველსა ქართლსა ზედა“.[171]

XVIII მეფის ამაზასპის დროს ჩრდილოეთიდან გადმოვიდნენ ოსები ქვეყნის დასაპყრობად. „მაშინ ამაზასპ მოუწოდა ყოველთა ერისთავთა ქართლისათა. და მოვიდეს ერისთავნი აღმოსავალისანი: ერისთავი კახეთისა, ერისთავი ხუნანისა, ერისთავი სამშჳლდისა და შემოკრბეს მხედარნი სპასპეტისანი და ვიდრე მოსლვადმდე დასავლეთისა ერისთავისა, მოვიდეს ოვსნი“...[172]

ქართლის სამეფოში შედის „დასავლეთის საერისთავოები“. მემატიანის მიხედვით, „დასავლეთის საერისთავოებში“ შედის დასავლეთ საქართველოსა და კლარჯეთის საერისთავოები. მეფე ამაზასპი თავისი მესისხლეობისათვის „მოიძულეს... ერმან ქართლისამან“. ამის გამო განდგეს ერისთავნი დასავლეთისანი ხუთნი: ორნი ერისთავნი ეგრისისანი, ერთი ოძრხისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა“. მართლაც, პირველმა მეფემ ფარსმანმა დასავლეთ საქართველოში, ანუ ეგრისში დასვა ორი ერისთავი — ერთი საკუთრივ ეგრისისა და მეორე მარგვეთისა. ანუ დასავლეთ საქართველო ორ საერისთავოდ იყო გაყოფილი. ამ საერისთავოების მეთაურებისა და აგრეთვე წუნდის, ოძრხისა და კლარჯეთის ერისთავებისათვის

შემდგომში დაურქმევიათ „ერისთავნი დასავლეთისანი“. ცხადია, მეფე ამაზასპის სამეფოში შედის ეგრისი. მეფე ამაზასპის წინააღმდეგ შეკრული კოალიციის ჯარები სწორედ დასავლეთ საქართველოდან გადმოვიდნენ შიდა ქართლში. „გარდამოვლეს გზა თაკუერისა და მოვიდეს ერისთავთა თანა ეგრისათა“.[173]

XXIV მეფე მირიანი. „მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთით გაღმართ ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს და ეგრს“.[174]

„და მეფობდა მირიან მუნ ქართლს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს და აქუნდა ეგრისიცა ვიდრე ეგრისწყლამდე“.[175]

XXVII მეფე ვარაზ-ბაქარი. „დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღვითგან არსიანამდე და დარჩა ვარაზ-ბაქარს ქართლი თჳნიერ კლარჯეთისა და ჰერეთი და ეგრისი“. „ქვეყანა მათი საზღვარი ქართლისა მოსცა ვარაზ-ბაქარსავე.“[176]

ჯუანშერის თანახმად ეგრისი „ქართლში“ შემავალი ქვეყანაა

ჯუანშერი ქართლის მეფე მირდატს უწოდებს ქართველთა მეფეს. ამ XXXII მეფის დევიზია: „მტკიცედ და შეურყეველად ვიპყრნეთ საზღვარნი ქართლისანი“.[177] ის არის მამა ვახტანგ გორგასლისა.

მირდატის სამეფოში შედის დასავლეთ საქართველოც – ეგრისი. ეს იქიდან ჩანს, რომ როცა დაობლებული მისი ძის, 10 წლის ვახტანგის სამეფოში შემოიჭრნენ ჩრდილო კავკასიიდან გადმოსული დამპყრობლები, მათ დაარბიეს ცენტრალური ქართლი, ხოლო განაპირა პროვინციები არ დაურბევიათ.

„ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა, გარდამოვიდეს ოვსნი სპანი ურიცხუნი და მოტყუენეს ქართლი... დაურჩეს წარუტყუენველად ჴევნი ქართლისანი: კახეთი, კლარჯეთი და ეგრისი...“[178]

ეგრისი შედის ვახტანგის სამეფოში – „მასვე ჟამსა გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყალს ქვემოთი კერძი ყოველი და დაიპყრეს ეგრისწყლითგან ვიდრე ციხე-გოჯადმდე. მაშინ იქმნა გლოვა და წუხილი ყოველთა ქართველთა და იტყოდეს. „...ღმერთმან... მიგუცნა ჩუენ წარტყუენვად უცხოთა ნათესავთა და მიგჳღო ჩუენ საზღვარი ბერძენთაგან, ვითარცა მიუღო ვარაზ-ბაქარს მეფესა კლარჯეთი... ვიძიოთ... ჩუენ შური პირველ ოვსთა ზედა და შემდგოადმცა ვძებნეთ საზღვარი ქართლისა ბერძენთაგან“. ამას იტყოდეს ყოველნი ქართველნი და იყვნეს მწუხარებასა შინა დიდსა“.

„ვახტანგ... მწუხარე იყო... საზღვართა მიხუმისაგან“.[179]

ოსეთში გამარჯვების შემდეგ ვახტანგი ჩრდილოეთის გზით ჩადის აფხაზეთში. იმ დროს აფხაზეთი, ვიდრე მდინარე ეგრისწყლამდე, შედიოდა ბერძნების სახელმწიფოს შემადგენლობაში, ხოლო ვახტანგის პატარაობის დროს ბერძნებს ქართლის სამეფოს ტერიტორიაც ჰქონდათ დაპყრობილი მდ. ეგრისწყლიდან ციხე-გოჯამდე. ასე რომ, ბერძნებს ამ ტერიტორიაზე (აფხაზეთში და დაპყრობილ ეგრისში) თავიანთი ციხეები ჰქონდათ. ოსეთში გამარჯვებულმა ვახტანგმა „სამ წელ წარტყუენნა

ყოველი ციხენი აფხაზეთისანი, ვიდრე ციხე-გოჯამდე."[180] ჩანს, ვახტანგს არა თუ ქართლის სახელმწიფო საზღვარი აღუდგენია, არამედ კიდეც შეტევაზე გადასულა და ბერძნების მიწები დაულაშქრავს საკუთრივ აფხაზეთში.

საკუთრივ საბერძნეთში (პონტოში) ლაშქრობისას ვახტანგ მეფეს სიზმარში პირდებიან, რომ ბერძენთა კეისარმა „ყოველი საზღვარი ქართლისა მისგან უკ-მოღებული მოგცეს",[181] მართლაც, მალე ქართლის მომავალი კათალიკოსი პეტრე მოელაპარაკა კეისარს, რომელმაც „ყოველი, რომელი ეხილვა ჩუენებასა შინა, მისცა მას ზედა ნება ვახტანგს",[182] ე.ი. კეისარმა ვახტანგს დაუბრუნა ქართლის სამხრეთით დაპყრობილი ტერიტორიები, „მისცა საზღვარი ქართლისა" – კლარჯეთი. სპარსელებთან ომის წინ კეისარი ეუბნება ვახტანგს: „...მიგცე ციხე თუხარისი და საზღვარნი ქართლისანი".[183]

ომის შემდეგ ვახტანგ მეფეს „უკუმოსცა კეისარმან საზღვარი ქართლისა, ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი".[184] ამ დროს ვახტანგს აფხაზეთში ბერძნების კუთვნილი ტერიტორია ეგრისწყლიდან ჩრდილოეთით დაპყრობილი აქვს, ამიტომაც კეისარი ურიგდება ვახტანგს. „ეგრისწყლითგან ვიდრე მდინარედმდე მცირისა ხაზ-არეთისა – ესე საზღვარი არს საბერძნეთისა ალექსანდრობითგან, რომელი აწ შენ მიგიღია მკლავითა ჩუენგან. აწ იგი უკუმოგუეც და ოდეს წარიყვანებდე ცოლსა შენსა, ასულსა ჩემსა, მაშინ მოგცე მისგან ქუეყანა და დაუწერა ეგრისწყალსა და კლისურასა შუა ქუეყანა ზითვად, და სხვა აფხაზეთი უკუსცა ვახტანგ ბერძენთა".[185]

ე.ი. ქართლისა და საბერძნეთის საზღვარი ალექსანდრე მაკედონელიდან და ფარნავაზიდან მოყოლებული გადიოდა მდინარე ეგრისწყალზე. მეფე ვახტანგ გორგასლის ცოლს მზითევში ერგო აფხაზეთის ტერიტორია მდინარე ეგრისწყლ-იდან ვიდრე მდინარე კლისურამდე (ე.ი. ახლანდელ მდინარე ღალიძგა-ეგრისწყლ-იდან მდ. კელასურამდე). ამის შემდეგ საუკუნეთა მანძილზე საზღვარი ქართლის სამეფოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის გადიოდა მდ. კლისურაზე, ხოლო კლი-სურას ზევით (მისი მარჯვენა სანაპირო კავკასიის მთებამდე) აფხაზეთი შედიოდა საბერძნეთის სახელმწიფოში.

აქედან ჩანს, რომ ეგრისი შედიოდა ქართლში, რომ ეგრისი იყო ქართლის ანუ იბერიის ერთ-ერთი პროვინცია, რომ იბერია მოიცავდა როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს.

მაგ: მეფეების მირისა და არჩილის დროს საბერძნეთის იმპერატორი სწერს თავის ერისთავს აფხაზეთში: „ყოვლადვე საზღვართა ქართლისათა ჩუენგან ქმნილ არს ვნება... არამედ კეთილად პატივსცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა, და ამიერითგან ნულარა ჭელ-გეწიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათთა ეგრისათა".[186]

ე.ი. კეისარი სწერს თავის ერისთავს აფხაზეთში, რომ ჩვენ ხშირად ვარღვევთ ქართლის საზღვრებს ეგრისში, ე.ი. გადავდივართ მდინარეებზე კლისურასა და ეგრისწყალზე და ვიპყრობთ ქართლის სამეფოს კუთვნილ ტერიტორიას. ამჟამად კი ქართლის სამეფოს დასუსტებისა და მაჰმადიანთა გაძლიერების გამო უმჯობე-

სია და გიბრძანებ, პატივი სცე ქართლის მეფეებსა და ერს, მათ არ მიაყენო ვნება. ასევე ნუ დაარღვევ ქართლის სამეფოს საზღვრებს ეგრისში. ქართლის სახელმწიფოს საზღვრები ხშირად იხსენება ვახტანგის ცხოვრების აღწერაში. მაგ., ვახტანგ მეფემ „...მოსრნა და განასხნა ყოველნი ცეცხლისმსახურნი საზღვართაგან ქართლისათა“.[187]

ისტორიკოსების განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ვახტანგ მეფის მემატიანე ეგრისს „ქართლის დასავლეთს“ უწოდებს: ვახტანგმა „რქუა ძესა თჳსსა დაჩის: „...შენდა მიმიცემია გჳრგჳნი მეფობისა ჩემისა... საზღვარი აფხაზეთისა, რომელი მოცემულ არს ეგრისწყალსა და კლისურას შუა. იგი თჳთ ძმათა შენთა დედისა არს, იგი აქუნდეს მათ და იყვნენ შენდა ერისთავად...“[188] ე.ი. პირველი „სპარსი“ ცოლისგან დარჩენილ შვილს მისცა მეფობა, ხოლო ბერძენისგან დარჩენილებს – ლეონსა და მირდატს მისცა ერისთავობა ტერიტორიისა, რომელიც მზითვად ერგო მათ დედას ბერძენთა კეისრისგან – მიწა-წყალი კლისურასა და ეგრისწყალს შორის. ეს ტერიტორია გეოგრაფიულად შედიოდა აფხაზეთში, ხოლო პოლიტიკურად შევიდა ქართლის სამეფოში ვახტანგის მეფობისას.

ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ „დაჯდა საყდარსა მისსა ძე მისი დაჩი, ხოლო ცოლი და ორნი ძენი ვახტანგისნი წარიყვანნეს სამთა მათ ერისთავთა და დაიპყრეს დასავლეთი ქართლისა, რომელი მისცა ვახტანგ“.[189]

აქედან აშკარად ჩანს, რომ „დასავლეთი ქართლისას“ მემატიანე უწოდებს ეგრისწყალსა და კლისურას შორის მოქცეულ ტერიტორიას. მემატიანის აზრით, ეგრისი, ისევე როგორც კახეთი და კლარჯეთი, ქართლის ერთ-ერთი ხევია, ანუ ერთ-ერთი პროვინციაა. „ხოლო ამან დაჩი მეფემან იწყო შენებად ქართლისა, რამეთუ მოოჴრებულ იყვნეს ყოველნი ჴევნი ქართლისანი, თჳნიერ კახეთისა და კლარჯეთისა და ეგრისისა“.[190] ისტორიკოსი გულისხმობს, რომ ქართლში შედის კახეთი, კლარჯეთი და ეგრისი.

ვახტანგის შვილის, ლეონის გარდაცვალების შემდეგ კლისურასა და ეგრისწყალს შორის მოქცეული ტერიტორიის ერისთავად დარჩა მირდატი. „ამას მირდატს დაევაჭრა ძმა მისი დაჩი: მეფემან გაუცვალა ქუეყანა და აღიღო მირდატისაგან ეგრისწყალსა და კლისურასა შუა, მირდატის დედული, საზღვარი საბერძნეთისა, და მისცა ნაცვლად ჯავახეთი“.[191]

ჰერაკლე ბიზანტიის იმპერატორის დროს VII ს-ის დასაწყისში კუალად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა: სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღჳსპირი“.[192]

ზღვის პირი ეწოდებოდა შავიზღვისპირეთს საერთოდ – სპერიდან აფხაზეთამდე, ბერძნებს მიუტაცნიათ მთელი შავიზღვისპირეთი, სპერი, კლარჯეთის ბოლო და კოლხეთის ზღვის პირი, ე.ი. ეგრისის დასავლეთი ნაწილი სპერიდან აფხაზეთამდე. მემატიანე ეგრისის ამ დაპყრობილ ტერიტორიას ქართლის ნაწილად მიიჩნევს.

ივანე ჯავახიშვილი წერს: „სიმართლეს უახლოვდება... ჯუანშერის... ქართლის საზღვრების აღწერილობა.“[193] თედო ჟორდანიას აზრით, ჯუანშერი „თანამედროვე უნდა იყოს და თვითმხილველი მოთხრობილისა“.

ქართული ეკლესიის იურისდიქციის დასავლეთის საზღვრები ვახუშტის მიხედვით

ვახუშტის მიხედვით, ქართლის სახელმწიფო მოიცავდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს არა მარტო ვახტანგის დროს, არამედ წინა საუკუნეებშიც. ვახუშტი, ისევე როგორც ვახტანგ გორგასლის სხვა ისტორიკოსები, წერს: ვახტანგის მცირეწლოვანების დროს მეზობელმა სახელმწიფოებმა და ტომებმა თავდასხმები დაიწყეს. ბიზანტიამაც მიიტაცა საქართველოს ტერიტორია. „...მოგზავნა ბერძენთა მეფემან მარკიანი სპანი და მიიხუნა ეგრისისა ციხეგოჯამდე ზღუს კიდენი. მაშინ იყო ურვა დიდი ივერიასა შინა, ვინაჲთგან მისტაცნეს საზღვარნი მათნი და არა ჰყვათ წინამძღუარი“...[194] ე.ი. ეგრისი განიხილებოდა როგორც ქართლში შემავალი ტერიტორია, ისე როგორც ჯუანშერთან და ლეონტი მროველთან.

ვახუშტის მიხედვით, სამეგრელო საქართველოში შედიოდა უკვე ფარნავაზ მეფის დროიდანვე. ფარნავაზმა „...ქუჯის მისცა ქუეყანა რიონის დასავლეთი ზღუამდე და ეგრისის წყლამდე სუანეთით... მეორე ერისთავი დასუა მარგუეთისა შორაპანს და მისცა მცირე ლიხიდამ ვიდრე ზღუამდე ღადოს მთისა და რიონს შუათი...“[195]

„ყოველ საქართველოში“ მემატიანე გულისხმობს, როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს, წმიდა ნინომ „...ნათელსცა ყოველთა ივერიელთა.“[196] ე.ი. წმიდა ნინოს მიერ ქრისტიანობა მიუღია როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას.

ოცდამეექვსე მეფის მირდატის დროს „...განეფინა ყოველსა საქართველოსა შინა ნაწილი სუეტისა მის ცხოველისა კურნებად მათდა“.[197]

ასე რომ, მოულოდნელი არ არის ქართველების წუხილი ივერიის ზღვისპირა ტერიტორიების ბიზანტიელთა მიერ ანექსიის გამო ვახტანგ გორგასლის დროს, რადგანაც დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ტერიტორიები უძველეს დროიდანვე შედიოდა ქართლის სახელმწიფოში.

„საქართველოს ერთიანი მონარქიის პერიოდში (ვიდრე XV საუკუნემდე) ქუთაისის „ვაკის“ ერთი ნაწილი, ვახუშტის ცნობით, „ქართლის მთავარეპისკოპოსს“ ეკუთვნოდა... როგორც ჩანს, ამაზე ადრე, საქართველოს ერთიანობის ხანაში ვახტანგ გორგასლის დროს „ვაკე, მარგუეთი და თაკუერი“ მცხეთის იურისდიქციაში შედიოდა, ჯერ მთავარეპისკოპოსის, შემდეგ კათალიკოსისა. მომდევნო ხანაში მთავარეპისკოპოსს მხოლოდ „ვაკე“ შერჩა ვიდრე XVI საუკუნემდე.“[198]

დასავლეთ საქართველოს „მარგუეთისა და თაკუერის“, „ეგრისისა და სუანთა“ საერისთავოებში, ქრისტიანული მრევლის სიმცირის გამო, მრევლი ექვემდებარებოდა მცხეთისა და ნიქოზის ეპისკოპოსებს, „ვაკე“ ტერიტორიის მოსახლეობა — ქართლის მთავარეპისკოპოსს მცხეთაში, ხოლო მთიანი ტერიტორიის მოსახლეობა ნიქოზის ეპისკოპოსს.

ვახტანგ გორგასლის ეპოქაში ქართლის საკათალიკოსოს იურისდიქცია ვრცელდებოდა მთელ ქართლის სამეფოზე, პოლიტიკურ ქართლზე, ე.ი. როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოზე.

VI საუკუნის დასაწყისში სპარსეთმა და ბიზანტიამ (რომმა) საქართველო ერთმანეთს შორის გაიყვეს 532 წელს დადებული საუკუნო ზავით. ორ დამპყრობელს შორის საქართველოსთვის (დასავლეთ საქართველოსთვის) დაიწყო ხანგრძლივი ომები. ამ დროს ქართული ეკლესიის მდგომარეობა ძალზე მძიმე იყო. პოლიტიკური ქართლი უკვე აღარ არსებობდა, საქართველოს სახელმწიფო გაუქმებული იყო. ამიტომაც, ქართული ეკლესია თავის იურისდიქციას უკვე ვეღარ განახორციელებდა ქართლზე, როგორც დამოუკიდებელ სუვერენულ ადმინისტრაციულ ერთეულზე. უკვე ყველაფერი დამოკიდებული იქნებოდა სპარსეთსა და ბიზანტიაზე.

VII საუკუნის დამდეგს საქართველოში ჰერაკლე კეისრის ლაშქრობამ საქართველოს ეკლესია დააკნინა. ჰერაკლე კეისარმა საქართველოს ჩამოართვა შავი ზღვისპირა ტერიტორიები და განახორციელა იქ თავისი ანექსია, შემდეგ მალევე არაბების შემოსევამ საერთოდ დაასუსტა ქრისტიანობა.

ამ მიზეზებმა, უპირველეს ყოვლისა, ქართლის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს გაუქმებამ, გამოიწვია ლაზიკის ქრისტიანების ნაწილის გადასვლა ბერძნულ საეპისკოპოსოებში. ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისთანავე (დასავლეთ საქართველოში) ქართულენოვანი ეკლესია, აფხაზეთის საკათალიკოსო დაარსდა.

ზოგიერთი ბერძენი და რომაელი ისტორიკოსის თანახმად, კოლხეთი იბერიაში შემავალი ქვეყანაა

ქსენოფონტი წერს: „აქედან ისინი მივიდნენ... მდინარე ფასისთან... ამის შემდეგ ჩავიდნენ დაბლობში, სადაც მათ წინააღმდეგ დარაზმულიყვნენ ხალიბები, ტაოხები და ფასიანები“.

„...ფასიანებისა და ჰესპერიტების სატრაპი იყო ტირიბაძე“.

„რადგან ჩვენ გვაქვს ხომალდები, ამიტომაც უმჯობესია გავცუროთ ფასისისაკენ და დავიპყროთ ფასიანთა ქვეყანა. იქ მაშინ აიეტის ჩამომავალი მეფობდა“.[199]

ქსენოფონტმა დაბეჯითებით იცის, რომ ფასისის ხეობაში ცხოვრობენ ფასიანები, ხალიბები და ტაოხები.

ხალიბები და ტაოხები „იბერთა“ ტომები არიან. მიჩნეულია, რომ მდინარე ფასისი, სადაც ქსენოფონტს შეხვდნენ ტაოხები და ხალიბები, არის მდინარე არაქსი. მართალია, ტაოხები და ხალიბები მდინარე არაქსზედაც ცხოვრობდნენ, მაგრამ, ჩანს, ისინი ქსენოფონტს მდინარე ჭოროხთან მცხოვრებნი უხილავს. ამის შესახებ დაბეჯითებით მიგვითითებს არიანე. არიანე, ისევე როგორც ქსენოფონტი, თვითვე იყო ნამყოფი კოლხეთში. გარდა ამისა, არიანე მიიჩნევდა ქსენოფონტს დიდ ავტორიტეტად. ამიტომაც კარგად იცნობდა ქსენოფონტის ისტორიას. არიანე წერს ამაზონი ტომების შესახებ — „ქსენოფონტი მათ არ ახსენებს, ხოლო ფასიანებს, კოლხებს და სხვებს ის ახსენებს, იმ ბარბაროს ტომებს, რომელთაც შეხვდნენ ელინები ან მაშინ, როდესაც ტრაპეზუნტიდან გამოვიდნენ, ან ვიდრე ტრაპეზუნტში შევიდოდნენ“.[200]

ე.ი. არიანეს მიხედვით, ფასიანებს, ტაოხებს და ხალიბებს, ანუ ბარბაროს ტომებს, ქსენოფონტი შეხვდა სადღაც ტრაპიზონის მიდამოებში, როგორც ჩანს, ტრაპიზონის ჩრდილოეთით, კერძოდ, მდინარე ფაზისსა, რიონსა და ტრაპიზონს შორის. ყოველ შემთხვევაში, ეს მოხდა ტრაპიზონის რაიონში. მდინარე არაქსი სრულიად დაშორებულია ტრაპიზონიდან, არაქსს ტრაპიზონამდე აშორებს დიდი მდინარის ხეობა – ჭოროხისა. არიანე დარწმუნებულია, რომ ქსენოფონტს სწორედ კოლხეთში მობინადრე ბარბაროსი ტომები შეხვდნენ. ის პირდაპირ წერს – „ფასიანები და კოლხები და სხვა ბარბაროსები“, ხოლო ქსენოფონტი ამ კოლხებს უწოდებს კერძო სახელს – „ფასიანები, ტაოხები და ხალიბები“. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ კოლხეთში ქსენოფონტის დროს ცხოვრობდნენ იბერთა ტომები – ტაოხები და ხალიბები. ჩანს, კოლხები ეთნიკურად იგივე იყო, რაც ქართები, უფრო სწორად, ეთნიკურად კოლხები და ქართები ერთი ხალხი იყო, ერთგვაროვანი ეთნიკური შემადგენლობისა. მათ შორის არ იყო დიდი დიფერენციაცია, თუმცა, შედგებოდნენ ათეულობით სხვადასხვა ტომისაგან, ზოგადად კი ერთი ხალხი იყო – ქართველი ხალხი.

ქსენოფონტის ჯარისკაცების მიზანია, ჩავიდნენ კოლხეთში, გასცურონ თავიანთი ხომალდებით ფასისისაკენ და დაიპყრონ ფასიანთა ქვეყანა, სადაც აიეტის ჩამომავალი მეფობს. ცხადია, მხედველობაშია არა არაქსი, არამედ ჭოროხი ან რიონი და ამიტომაც შეიძლება ჭოროხის ან რიონის ხეობაშიც ცხოვრობდნენ ხალიბები და ტაოხები. „ფასიანებისა და ჰესპერიტების სატრაპი იყო ტირიბაძე“, – წერს ისტორიკოსი. ვინ არიან ჰესპერიტები? ეს სიტყვა ჰგავს ჰეროდოტეს სასპეირებს. ჰეროდოტე წერს – „სპარსელები ცხოვრობენ აზიაში სამხრეთის ზღვამდე, რომელსაც ეწოდება მეწამული, მათ ჩრდილოეთით ცხოვრობენ მიდიელები, მიდიელთა ზემოთ – სასპეირები, სასპეირებს ზემოთ – კოლხები, რომლებიც ესაზღვრებიან ჩრდილოეთის ზღვას, რასაც ერთვის მდინარე ფაზისი, ეს ოთხი ხალხი ცხოვრობს ტერიტორიაზე, რომელიც გადაჭიმულია ზღვიდან ზღვამდე“.[201]

მიდიელები და სპარსელები ანტიკურ ეპოქაშივე ერთ ხალხად იქცნენ, რადგანაც ერთი ეთნიკური შემადგენლობისა იყვნენ.

ქსენოფონტის ჰესპერიტებისა და ჰეროდოტეს სასპეირების ფუძე არის სპერი. მიჩნეულია, რომ სასპეირები არიან შემდეგდროინდელი იბერები. ჰესპერიტები იგივე სასპეირები ან სასპეირების ერთ-ერთი ტომია, რომელიც კოლხეთში ფასიანთა ტომთან ერთად ცხოვრობს.

ფას (ფს) ძირი ქართულ მეტყველებაში გამოიყენებოდა მდინარის აღსანიშნავად – ფასისი, ფშა, ფსე და ა.შ.

არიანე წერს, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილი უშუალოდ შედიოდა იბერიის სამეფოში. ქსენოფონტის დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა იბერიის სახელმწიფო, მაგრამ ჩანს, ქართების ტომები დასავლეთ საქართველოშიც ცხოვრობენ, ხოლო არიანეს დროს უკვე არსებობს ქართლის სამეფო, რომლის სახელმწიფო საზღვრები დასავლეთ საქართველოში შავ ზღვამდე აღწევს.

„შემდეგი ტომები გავიარეთ: ტრაპეზუნტელების მოსაზღვრენი, როგორც ქსენოფონტიც ამბობს, არიან კოლხები და ტომს, რომელიც უგულადესია და ტრაპეზუნ-

ტელების მოსისხლე მტერი, ქსენოფონტი დრილებს უწოდებს, მე კი ვფიქრობ, რომ ისინი სანები არიან. ესენი მეტად კარგი მეომრები არიან... ამათ გვერდით არიან მაკრონები და ჰენიოხები, მათი მეფე ანქიალეა. მაკრონების და ჰენიოხების მეზობლები ძიდრიტები არიან, ესენი ფარსმანის ქვეშევრდომები არიან. ძიდრიტების გვერდით ლაზები არიან. ლაზების მეფე მალასაა, რომელსაც ტახტი შენგანა აქვს მიღებული. ლაზების მეზობლები აფსილები არიან, მათმა მეფემ იულიანემ მეფობა შენი მამისაგან მიიღო. აფსილების მეზობლები აბასკები არიან. აბასკთა მეფე რესმაგაა, ამასაც ტახტი შენგანა აქვს მიღებული. აბასკთა მეზობლები სანიგები არიან, მათ მიწაზე იმყოფება სებასტოპოლისი...“[202]

არიანეს მონათხრობიდან აშკარაა, რომ ქართლის სამეფოს საზღვრები შავ ზღვამდე ვრცელდება. გარდა ამისა, აუცილებლად საგულისხმოა, რომ რომის იმპერია სისხლხორცეულად დაინტერესებული იყო ხელთ ეგდო შავი ზღვის სანაპიროები. ის იპყრობდა შავიზღვისპირა ქვეყნებს და იმორჩილებდა ტომებს. რომის ასეთი სიძლიერის დროსაც კი რომის მიერ დასავლეთ საქართველოში დაპყრობილ ტერიტორიაში იბერიის სახელმწიფო სოლივით არის შეჭრილი. გარდა ამისა, რომს არ ემორჩილება დრილების, ანუ სანების ძლიერი ტომი, რომელიც განუწყვეტლივ თავს ესხმის რომის ტერიტორიას ტრაპეზუნტში. არიანე იმპერატორს პირდება, რომ ან დაიმორჩილებს ამ ტომს, ანდა გააძევებს თავისი ქვეყნიდან. თუ ეს ტომი არ ემორჩილება რომს, უნდა ვიფიქროთ, რომ ის კარგად არის განწყობილი იბერიის სამეფოს მიმართ, რომლისგანაც, ალბათ, ძლიერდება კიდეც. სანების ანუ დრილების მეზობლები არიან მაკრონები და ჰენიოხები. არიანე არ წერს, ამათი მეფე ემორჩილება თუ არა რომს, უნდა ვიფიქროთ, რომ არ ემორჩილება. წინააღმდეგ შემთხვევაში, არიანე აუცილებლად ასიამოვნებდა თავის იმპერატორს და მისწერდა, რომ მათმა მეფეებმა მეფობა თქვენგან ან თქვენი მამისგან მიიღესო. უნდა ვიფიქროთ, რომ მაკრონებისა და ჰენიოხების მეფეებს კავშირი აქვთ ფარსმანის იბერიის სახელმწიფოსთან. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქართლის სამეფოს საზღვარი დასავლეთ საქართველოში გადიოდა მდინარე ეგრისწყალზე. ამ მდინარემდე ტერიტორიები ქართლის სამეფოს ეკუთვნოდა. ეგრისწყალსზემოთა ქვეყნები, რომელთაც შემდგომ ეწოდა საკუთრივ აფხაზეთი, არ შედიოდა ქართლის სამეფოში. რომის იმპერიას მოუხერხებია ქართლის სამეფოსთვის მხოლოდ ერთი ტომის – ლაზების ქვეყნის ჩამოშორება – ლაზთა მეფეს, მალასას, არიანეს მიხედვით, სამეფო ტახტი მიუღია რომის იმპერატორისგან. რომის იმპერიას ქართლის სამეფოსგან მიუტაცნია მხოლოდ ეს ტერიტორია. აქედანაც ჩანს, თუ რა მტკიცე და ძლიერი პოლიტიკური ერთეული ყოფილა ქართლის სამეფო, რომელიც შექმნილა ფარნავაზის მიერ. თვით რომის იმპერიის დროსაც კი, ეს სამეფო ახერხებდა შავ ზღვაზე გასვლას. ცხადია, რომის იმპერიის მიერ კავკასიაში აგრესიის დაწყებამდე ქართლის სამეფო შეძლებდა დასავლეთ საქართველოს მთელი ტერიტორიის დაჭერას. აქედანაც ჩანს „ქართლის ცხოვრების“ სიმართლე. თუ ეგრისწყლის აღმოსავლეთით მცხოვრები ტომები აფსილები, აბასკები, სანიგები არ შედიოდნენ ძველი ქართლის სამეფოში, მაშინ არიანეს განცხადება, რომ ამ ტომთა მეფეები რომისგან

ღებენ ტახტს, გასაკვირი არ არის. თ. ყაუხჩიშვილი იბერიის სახელმწიფოს სიძლიერის შესახებ წერს (სხვა მომენტთან დაკავშირებით): ...„იოსებ ფლავიუსის ეს ცნობა მნიშვნელოვანია ქართველი მეფის განწყობილებისა და როლის გასარკვევად საერთაშორისო სიტუაციაში: რომის იმპერატორი ქრთამებით იბირებს, ვერ უბრძანებს იბერთა მეფეს პართელი მეფის წინააღმდეგ მოქმედებას, იბერთა მეფეს შეუძლია არ დაეთანხმოს რომაელ იმპერატორს...“[203]

იბერიის სამეფოში შემავალი ძიდრიტთა ტომი, არიანეს მიხედვით, I საუკუნეში ცხოვრობს შავი ზღვის სანაპიროზე, ტერიტორიაზე, რომელიც მოქცეულია ტრაპეზუნტის, რიზესა და მდინარე რიონს შორის, ანუ იქ, სადაც ამჟამად ცხოვრობენ აჭარლები და გურულები – ქართების ტომები. ქართების შავიზღვისპირეთში ცხოვრებას ჰქონდა დიდი ხნის ისტორია, ჩანს, აქვე უხილავს ქსენოფონტს ხალიბები და ტაოხები.

შესაძლებელია, ერთიანი ქართველი ხალხის დიფერენციაციის დროს შავიზღვისპირეთში მცხოვრები ის ტომები, რომლებიც შედიოდნენ უშუალოდ ქართლის მეფის ქვეშევრდომობის ქვეშ – ჩამოყალიბდნენ ქართებად, მანამდე კი როგორც ქართები, ასევე კოლხები (იგულისხმება ზანები) ერთიან ეთნიკურ ჯგუფს – ერთ ხალხს წარმოადგენდნენ. როგორც აღნიშნული გვქონდა, ამაზე მიგვითითებს ის, რომ თუმცა ეგრისელები (იგულისხმება ზანები) სახელგანთქმული და ცნობილი ხალხი იყო, მათ ბიბლიის თავდაპირველმა ქრისტიანმა კომენტატორებმა საკუთარი ეთნარქი არ გამოუძებნეს, ანუ უძველესი ქრისტიანი ისტორიკოსები როგორც იბერებს, ასევე ეგრისელებს მიიჩნევდნენ ერთი ეთნარქის შთამომავლად. უფრო სწორად, ეგრისელები ერთიანი იბერი ხალხის ერთ-ერთ ტომად მიაჩნდათ.

იოსებ ფლავიუსი წერს: „ნოეს შვილებს ეყოლათ ვაჟები, რომელთა პატივისცემით [ხალხმა] სახელები დაარქვა ტომებს, რომელთა მიწაც ამათ დაიჭირეს. იაფთას, ნოეს შვილს ჰყავდა შვიდი ვაჟი... იაფთას შვილები იყვნენ იავანესი და მადესი. მადესისაგან წარმოიშვა მადეების ტომი, რომელიც ელინთაგან მედებად იწოდებიან, ხოლო იავანესისგან – იონია და ყველა ელინები წარმოსდგებიან. თეობელოსმა დაასახლა თეობელები, რომელთაც ამჟამად იბერები ჰქვიათ. მესხოსმა დააფუძნა მესხენები, რომელთაც ახლა კაპადოკიელები ეწოდებათ... თეირესმა თეირები დაარქვა ხალხს, რომელსაც მართავდა, ხოლო ელინებმა მათ თრაკიელები გადაარქვეს“.[204]

ბერძნულ-რომაული სამყარო, როგორც მრავალჯერ აღინიშნა, დასავლეთ საქართველოს, ისევე როგორც აღმოსავლეთს, იბერიას უწოდებდა. იოსებ ფლავიუსიც ალბათ ისევე, როგორც სხვები, კოლხეთს ანუ დასავლეთ საქართველოს იბერიის ნაწილად მიიჩნევდა. ის წერს: „იავანესისაგან – იონია და ყველა ელინები წარმოსდგებიან“. ქვეყანა იონია ერთია, მაგრამ დასახლებულია ბერძენი ხალხის სხვადასხვა ტომებით, თუმცა, ბერძენი ანუ ელინი ხალხი ერთიანი ერია. ასევე იბერიაც ერთი ქვეყანაა, რომელიც ერთი ხალხის სხვადასხვა ტომითაა დასახლებული. იოსებ ფლავიუსი ბერძენი ხალხის სხვადასხვა ტომებს არ უძებნის სხვადასხვა ეთნარქებს, არამედ წერს, რომ იონიასა და ყველა ელინ ტომს ერთი ეთნარქი ჰყავთ. უნდა ვიფიქროთ, მიაჩნდათ, რომ იბერიასა და მისი ხალხის ყველა ტომს, მათ შორის ზანებს ერთი ეთნარქი ჰყავთ – თეობელოსი.

როგორც აღინიშნა, გელასი კესარიელი შავი ზღვის პირას მცხოვრებად აღწერს იბერიელებს: „პონტოს გასწვრივ მყოფ ქვეყანაში მცხოვრებნი იბერნი და ლაზნი“; რუფინუსი წერს: „იბერთა ნათესავი, რომელიც პონტოს არეში ბინადრობს“; ასევე სოკრატე წერს: „ეს იბერნი პონტოს ზღვასთან ბინადრობენ“, გელასი კვიზიკელი წერს: „პონტოს გასწვრივ მდებარე ქვეყნის მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა“...[205]

იბერიელი ხალხის ტომები ერთად ცხოვრობენ დასავლეთ საქართველოში. მათ ზოგჯერ მოიხსენიებენ პიროვნული სატომო სახელით, ხშირად კი მათ იბერებს უწოდებენ (არა მხოლოდ ლაზებს, არამედ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა მოსახლეობას).

აღსანიშნავია, რომ უცხოელები დასავლეთ საქართველოსა და შავიზღვისპირეთში მცხოვრებ იბერებს უწოდებენ „ქვემო იბერებს“, რათა ისინი განასხვაონ „ზემო იბერებისაგან“, რომელნიც აღმოსავლეთ საქართველოში, ანუ როგორც ისინი უწოდებენ, „კასპიის ზღვისკენ“ ცხოვრობდნენ, აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ პირიქითაც უწოდებდნენ – „ქვემო იბერებს“ – აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას, „ზემო იბერებს“ – დასავლეთისას. მე-4 საუკუნის დასაწყისში წმიდა ნინოს ქრისტიანობა გაუვრცელებია მთელ ქართველ ერში, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, ასეა არა მარტო „ქართლის ცხოვრების“, არამედ ბერძენ და რომაელ ისტორიკოსთა მიხედვითაც. ამ ისტორიკოსთა მონაცემები დაბეჯითებით უწოდებენ წმიდა ნინოს ლაზთა და იბერთა გამაქრისტიანებელს. ნიკო მარი წმიდა ნინოს პირდაპირ უწოდებს მეგრელთა გამაქრისტიანებელს. წმიდა ნინო მთელი ქართველი ერის გამაქრისტიანებელია.

„წმიდა ნინოს რჩევით, ელჩობა გაუგზავნიათ იმპერატორ კონსტანტინესთან და საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა და განმტკიცებისათვის მღვდლების გამოგზავნა უთხოვიათ. ამას აღნიშნავენ თავიანთ შრომებში სხვადასხვა ავტორები, მათ შორის: თეოდორიტე, სოკრატე, სოზომენი, რუფინუსი. „საეკლესიო ანალებში“ მოთხრობილია ადრინდელ პერიოდში საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ისტორია: „ზემოთ უკვე ითქვა იმის შესახებ, რომ იბერიის იმ ნაწილმა, რომელიც პონტოს ზღვასთან მდებარეობს და კოლხეთად იწოდება, სახარება ჯერ კიდევ იმპერატორ ტრაიანეს დროს მქადაგებელი პაპი წმ. კლემენტის შემწეობით მიიღო. ეს უკანასკნელი იმ მხარეში გადასახლებაში იყო, ხოლო ირენეოს მიხედვით ცხადი ხდება, რომ იბერებმა დიდი ხნით ადრე მიიღეს ქრისტიანული სარწმუნოება, რაც შეეხება ქვემო იბერიელებს, იმ იბერიელებს, რომლებიც კავკასიის მთებში, კასპიის ზღვის ახლო ცხოვრობენ, თვლიან, რომ მათ ქრისტიანობა იმპერატორ კონსტანტინეს დროს მიიღეს“.[206]

კოლხეთი – იბერიაში შემავალი ქვეყანაა. ისტორიკოსი წერს: – „...იბერიის იმ ნაწილმა, რომელიც პონტოს ზღვასთან მდებარეობს და კოლხეთად იწოდება...“ კოლხეთის ზოგადი სახელი იბერიაა, ხოლო კერძოობითი – კოლხეთი. კოლხეთის მცხოვრებთ იბერიელნი ეწოდებათ. როცა ი. ტაბაღუა წერს: „ცხადი ხდება, რომ იბერებმა დიდი ხნით ადრე მიიღეს ქრისტიანული სარწმუნოება, რაც შეეხება ქვემო იბერებს...“, „იბერებში“ გულისხმობს კოლხეთის მოსახლეობას, ხოლო აღმოსავლეთ

საქართველოს მოსახლეობას ის უწოდებს „ქვემო იბერებს“. ქვემო იბერები კასპიის ზღვისკენ ცხოვრობენ, კავკასიის მთებში, ხოლო იბერები (ე.ი. ზემო იბერები) შავ ზღვასთან ცხოვრობენ – კოლხეთში. ორივე იბერიის (კოლხეთისა და კასპიის იბერიის) მცხოვრებთ ეწოდებათ იბერიელები. კოლხები იბერიელი ხალხის ნაწილია. ევროპელი ისტორიკოსები არა მარტო I-IV საუკუნეებში ყოფდნენ იბერიას ორ ნაწილად – კოლხეთად და კერძო იბერიად – არამედ საშუალო საუკუნეებშიც – „მთელს იბერიაში ორი პატრიარქია, რომლებსაც კათალიკოსებს უწოდებენ. ერთი მათგანი ქართლის პროვინციაშია, ხოლო მეორე — კოლხეთში, იგივე სამეგრელოში“.[207]

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას რომ იბერიელებს უწოდებდნენ, კარგად ჩანს ევაგრე პონტოელის – იბერიელის (345-399) მაგალითზეც, „დაიბადა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ქალაქში“. მიუხედავად ამისა, მას იბერიელს უწოდებენ.

უცხოელი ავტორები ლაზებს მიიჩნევენ იბერიელი ხალხის ერთ-ერთ ტომად. „...კასპიის კარებთან საკმაოდ მჭიდროდ დასახლებულ იბერიელთაგანმა ლაზთა ტომმა ქრისტიანული სარწმუნოება მიიღო,“[208] – ლაზები იბერიელი ხალხის ერთ-ერთი ტომია, უფრო სწორად, ლაზები იბერიელთაგანნი, იბერები არიან. ავტორი ლაზებს უწოდებს არა კასპიის კარებთან დასახლებულ ტომს, არამედ საზოგადოდ იბერ ხალხს. ავტორმა იცის, რომ იბერი ხალხის ძირითადი მასა, უმეტესი რიცხობრივი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობს (ე.ი. კასპიის კარებთან ახლოს), ხოლო ლაზთა ტომი ამ იბერიელების ერთი ტომია.

შუა საუკუნეთა ისტორიკოსებიც, როცა არჩევენ ძველი დროის ისტორიკოსთა თხზულებებს, წერენ, რომ კოლხები იბერიელი ხალხის ერთი ნაწილია: „ასევე ბარონიუსიც ფიქრობს, რომ ევქსინის პონტოსთან უფრო ახლო მცხოვრები იბერები ანუ კოლხები სახარების შუქით ტრაიანეს დროს განათლდნენ“.[209]

დასავლეთ საქართველოში – სამეგრელოში (ანუ იბერიის ზღვისპირა მხარეში) სწორედ წმიდა ნინომ რომ გაავრცელა ქრისტიანობა, ადასტურებს ეს ამონაწერიც: „ამას ადასტურებს რომაული მარტიროლოგიის შემდეგი სიტყვები: „პონტოს ევქსინის გაღმა მცხოვრებ იბერებს აქვთ ხსენების დღე წმ. ქრისტიანი მონა ქალისა, რომელმაც სასწაულთა ძალით კონსტანტინეს დროს ეს ტომი ქრისტეს სარწმუნოებაზე მოაქცია“.[210]

არქანჯელო ლამბერტი, რომელიც ცხოვრობდა დასავლეთ საქართველოში და კარგად იცნობდა ძველ საქართველოსა და აგრეთვე ბერძენ რომაელ ისტორიკოსთა ცნობებს იბერიის შესახებ, იბერიაში შემავალ კუთხეებად მიიჩნევს იმერეთს. კოლხეთს, გურიას – მთელ დასავლეთ საქართველოს, არა მარტო შუასაუკუნეებში, არამედ წმიდა ნინოს დროს – IV საუკუნეში. მისი ეს ცოდნა ეფუძნება ბერძენ-რომაელ ისტორიკოსთა შესაბამისი მონაცემების ანალიზს:

„ვრცელდებოდა რა განუხრელად ღვთის ჭეშმარიტი კულტი იბერიაში, მან ყველა მხარეში შეაღწია, რომელიც საქართველოს მეფის გავლენის ქვეშ იყო. სახელდობრ, ქართლში, კახეთში, იმერეთში, კოლხეთში, გურიაში, სამცხეში, აფხაზეთში...“[211]

ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისით, სრულიად საქართველოს ერთსა და იმავე დროს მიუღია ქრისტიანობა IV ს-ში. ის წერს: „...ქართულმა საისტორიო მწერლო-

ბამ და საეკლესიო წრეებმა წმიდა ნინოს და ანდრია მოციქულის შესახებ ცნობები, როგორც დავრწმუნდით, მთელი, სრულიად საქართველოს გაქრისტიანების ამბად მიიჩნიეს“. მეცნიერი ეთანხმება ამ ქრონოლოგიას: „ქრონოლოგიურადაც ქრისტიანობის გავრცელების დასაწყისი აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოში, როგორც ეტყობა, ერთსა და იმავე ხანს უნდა ვიგულისხმოთ, ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადღების ღირსია გელასი კვიზიკელის მოთხრობა, მას იბერთა მოქცევის ამბავში ნათქვამი აქვს: „ამავე დროს პონტოს გასწვრივ მდებარე ქვეყნის მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა ღმრთის სიტყვა, რომელიც მანამდე მათ არ სწამდათ, შეიწყნარეს“-ო. გამოდის, რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოს ქრისტიანობა ერთსა და იმავე დროს მიუღია... „მაგრამ ამ მოსაზრებას თითქოს ეწინააღმდეგება ის, რომ სხვა ცნობილი ისტორიკოსები თავიანთ თხზულებებში იძლევიან იბერთა გაქრისტიანების ცნობებს, მაგრამ ლაზთა ამავე დროს გაქრისტიანების შესახებ ცნობებს არ გვაწვდიან. „...მაგრამ ან. გლასს გამორკვეული აქვს, რომ ლაზთა ამავე დროს მოქცევის შესახებ ცნობა არ მოეპოვება არც სოკრატეს, არც სოზომენს, არც თეოდორიტე კჳრელს, არც ნიკიფორე კალლისტოსს...“[212]

ეს ავტორები ლაზებს არ მოიხსენიებენ მათი პიროვნული სატომო სახელით, რადგანაც ლაზები იმავე იბერიელებად მიაჩნიათ, მათი თვალსაზრისით, ლაზები იბერიელი ხალხის ერთ-ერთი ტომია, ამიტომაც როცა წერენ – პონტოს სანაპიროზე მცხოვრებმა იბერებმა ქრისტიანობა მიიღესო, ეს ნიშნავს, რომ მთელმა იბერებმა ლაზების ჩათვლით მიიღეს ქრისტიანობა. ასე მაგალითად, სოკრატე წერს – „ეს იბერნი პონტოს ზღვასთან ბინადრობენ...“ პონტოს ზღვასთან კი სწორედ ლაზები ბინადრობდნენ, ამიტომ ეს ისტორიკოსი სწორედ ლაზებს უწოდებს იბერებს. რუფინუსი წერს – „იბერთა ნათესავი, რომელიც პონტოს არეში ბინადრობს“. ეს ისტორიკოსიც ლაზებს იბერიელი ხალხის ერთ-ერთ ტომად მიიჩნევს. ამიტომაც მათ არ ახსენებს სატომო სახელით და გულისხმობს იბერიელებში.

420 წელს ისტორიკოს პალადი ჰელენოპოლელს, რომელიც მოწაფე იყო ევაგრე პონტოელისა, მის შესახებ დაუწერია: „ის იყო პონტოელი, იბერთა ქალაქიდან“. მოწაფემ, ცხადია, კარგად იცოდა თავისი მასწავლებლის სადაურობა. ევაგრეს თანამედროვე ისტორიკოსი სოზომენეც ასევე წერს მის შესახებ: „იგი წარმოშობით იყო იბერთა ქალაქიდან, რომელიც მდებარეობს ეგრეთ წოდებული ევქსინის პონტოს სანაპიროზე“. მეხუთე საუკუნის ისტორიკოსი სოკრატეც ასევე წერს: „ევაგრე, მღვდლის შვილი, წარმოშობილი იბერთა ქალაქიდან, რომელიც ევქსინის პონტოსთან მდებარეობს“.[213]

მეხუთე საუკუნის ისტორიკოსები დაბეჯითებით დარწმუნებულნი არიან, რომ იბერია ეწოდება ქვეყანას, რომელიც შავიზღვისპირეთში მდებარეობს, ძველი ქართველი ისტორიკოსების მსგავსად, რომელნიც შავიზღვისპირეთს „ქართლში“ შემავალ ქვეყნად მიიჩნევდნენ. მხოლოდ XVI საუკუნის შემდგომ ისტორიკოსებს შეეპარათ ეჭვი ევაგრე პონტოელის შესახებ საბუთის სისწორეში, რადგანაც შუა საუკუნეების შემდგომ „ქართლი“ (ანუ იბერია) უკვე აღარ ეწოდებოდა ერთიან საქართველოს, არამედ მხოლოდ მის აღმოსავლეთ ნაწილს.

მკვლევართა ასეთი დასკვნები მსგავსია მოსე ხორენელის ცნობისა, რომ ქართველი ხალხის თავდაპირველი სამშობლო არის დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი, საიდანაც მათ გამრავლების გზით მიაღწიეს სომხეთისა და ალბანეთის საზღვრებამდე.

ივ. ჯავახიშვილი წერს: „ამგვარად, დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ქართ-მეგრული შტოს ტომების საკუთარ სახელებში (ქართუელი, კარდუხი) ერთი და იმავე ქვეყნის სახელი გვხვდება. იგი არის ქართუ ანუ კარდუ. რაკი ამ ქვეყნის სახელი ორივე შტოს ტომების სახელწოდებაში მოიპოვება, უეჭველია, იგი ქართველების თავდაპირველი სამშობლო უნდა ყოფილიყო. ამ სამშობლოს ხსოვნა მესამე შტოს წარმომადგენელს სვანებსაც აქვთ შერჩენილი“.

„კარდუხი, როგორც ვიცით, ერთ-ერთი მეგრულ-ჭანური შტოის სახელია... ეს კართუ ანუ ქართუ განთქმული ქვეყანა ქალდეა არს...“[214]

თუკი კარდუხი, რომლისგანაც წარმოდგა სიტყვა „ქართველი“, მეგრულ-ჭანური შტოს სახელია, მაშინ ქართველი ხალხის მოსახლეობა დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში საეჭვო არ უნდა იყოს.

დიდი ილია ჭავჭავაძე წერდა:

„ისტორიულ ჭეშმარიტებად ცნობილია, რომ ეგვიპტელთა „მუშენი“, დაბადების „მოსოხნი“ ანუ „მოსხნი“, ეხლანდელნი „მესხნი“, ჰეროდოტეს „ტიბარენნი“, სტრაბონის „ტიბერნი“ და „კოლხნი“ შეადგენენ ქართველ ნათესაობის ერსა. რადგანაც ისიც ჭეშმარიტად ცნობილია, რომ ძველისძველად ამ ქართველ ნათესაობას სჭერია მთელი სივრცე ღალისის მდინარითგან მცირე აზიაში შავი ზღვის პირამდე და მთელი აღმოსავლეთი მხარე ამ ზღვისა და აგრეთვე იგი ადგილები, რომელნიც მტკვარსა და არაქსს შუა მდებარეობენ. აშკარაა, რომ ვისაც ამ ადგილებში დაჩემება რამ უნდა ან ქართველის კუთვნილების გაუქმება მოუნდება, დაამტკიცოს, რომ ზემო დასახელებულნი ერნი ქართველთა ნათესაობისა არც იყვნენ და არც არიან. სწორედ ასე მოიქცა ჩვენი გულადი პროფესორი და გვეფიცება, რომ „მოსხები და კოლხები“ ქართველის ნათესაობისანი არ არიანო და არავითარს საბუთს ამისას არ იძლევა კი ეს საოცარი მოფიცარი„... „მე პატკანოვის შეგირდი ვარო, იძახის თავმოწონებით ბ-ნი მარი... ბ-ნი მარი, თუმცა პატკანოვისამებრ ოინებში ჯერ თავი არ უჩენია... სხვაფრივ კი იმის გზაზე დამდგარა“.[215]

ილიას მრისხანება გამოიწვია იმან, რომ ზოგიერთმა მეცნიერმა უსაბუთოდ განაცხადა: დასავლეთ საქართველოსა და მესხეთის მოსახლეობა თითქოსდა VIII-X საუკუნეებამდე არ შედიოდა ერთიან ქართველ ერში, არამედ თითქოსდა VIII-X საუკუნეებში ქართული ეკლესიის აქტიურობის წყალობით დასავლეთ საქართველოში ქართული ენა გავრცელებულა, ხოლო მესხეთში თითქოსდა ქალკედონიტური სომხური მოსახლეობა გაქართველებულა. ილია წერს:

„ყველგან ცნობილია, რომ ჭოროხის ხეობა ძველად-ძველიდამვე შეადგენს ნაწილს ზემოქართლისას... ემინი, ხუდაბაშოვი, ერიცოვი სწორედ ამ ადგილებს გვეცილებიან და ამტკიცებენ, რომ მტკვრის სათავის ადგილები, მთელი ჭოროხის ხეობა — დიდ სომხეთს ეკუთვნოდნენო“.[216] ევროპელი მეცნიერი სენ-მარტენი ამტკიცებს, რომ... „იგი სერი მთებისა, რომელიც ჭოროხისა, მტკვრისა, ეფრატისა და არაქსის

წყალგამყრელია, მუდამ საზღვარი იყო ქართველთა და სომეხთა შორის“.[217] „განა აშკარა არ არის, რომ ამ ცულლუტურ მეცნიერებით სწადიანთ ქვეყანა დააჯერონ, ვითომც ისტორიული უფლება მიუძღვით ამ ადგილებში ბინის დადებისა“.[218] პროფესორი პატკანოვი, ნიკო მარის მასწავლებელი, „ამგვარადვე ხელს იწვდის ტაოსკარზე, ეხლანდელ ჭოროხის ხეობაზე, იმისდა მიუხედავად, რომ უცხო ერის მემატიანენი, მაგალითებრ, კონსტანტინე პორფიროგენი (911-959 წწ.) იმოწმება, რომ მეათე საუკუნეზე წინათ ქართველთ ბაგრატიდთა ეჭირათ ჭოროხის ხეობა და აქედან დაიპყრეს თვით არზრუმი და სხვა ნაწილები სომხეთისაო“.[219]

ქართლი და ქართველი ერი სომეხი ისტორიკოსების მიხედვით

სომხური ისტორიოგრაფია მსოფლიო მნიშვნელობისაა. სომხები უშუალოდ ემეზობლებოდნენ საქართველოს, ამიტომაც კარგად იცოდნენ, თუ ვის ეწოდებოდა ქართველები და სად ცხოვრობდნენ ისინი. ზოგიერთმა სომეხ ისტორიკოსთაგან იცოდა ქართული ენა და უშუალოდ იცნობდა საქართველოს, ამიტომაც მათ აზრს ქართველების, ანუ „ვრაცების“ საცხოვრისის შესახებ დიდი მნიშვნელობა უნდა მიეცეს.

სომხურ ისტორიოგრაფიაში მიღებულია, რომ მოსე ხორენელი V საუკუნის ისტორიკოსია. როგორც „ფიქრობენ, მოვსეს ხორენაცი დაბადებული უნდა იყოს დაახლოებით 410 წელს“.[220] მას 482 წლამდე უნდა დაეწერა „სომხეთის ისტორია“. „ამჟამად სომხურ ისტორიოგრაფიაში უყოყმანოდაა მიღებული „სომხეთის ისტორიის“ V საუკუნით დათარიღება“.[221]

მკვლევარის დასკვნა ასეთია — ... ხორენაცი საკმაოდ კარგად იცნობდა მეზობელ საქართველოს...“[222] იცნობდა ქართულ წარმართულ პანთეონს. პ. ინგოროყვას აზრს, რომ „...მოსე ხორენელი ახლო იცნობდა ქართულ მსოფლიოს, მან იცოდა ქართული ენა...“, ნაწილობრივ ეთანხმება ა. აბდალაძე. ის წერს: — „ხორენაცემ ქართული სამყაროს შესახებ ბევრი რამ იცოდა, ეს ჩვენი აზრითაც, სადაო არ უნდა იყოს“.[223]

მოსე ხორენელმა, რომელმაც ბევრი რამ იცოდა ქართული სამყაროს შესახებ, რომელიც კარგად იცნობდა მეზობელ საქართველოს, ცხადია, ისიც კარგად იცოდა, თუ სად სახლობენ ქართველები, თუ საიდან სადამდეა გადაჭიმული მათი ეთნიკური განსახლების საზღვრები.

მოსე ხორენელი წერს, რომ ქართველი ხალხის თავდაპირველი საცხოვრისი კავკასიაში იყო დასავლეთი საქართველო, ხოლო შემდგომ ქართველების საცხოვრისი იყო და მის დროს არის როგორც დასავლეთი, ასევე აღმოსავლეთი საქართველო. მოსე ხორენელის თხზულებიდან კარგად ჩანს მისი ავტორის თვალსაზრისი, რომ ქართველები ცხოვრობენ არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოში, არამედ შავი ზღვისპირეთია (დასავლეთი საქართველო) მათი ეროვნული განსახლების ძირითადი ტერიტორია. ქართველები, მისი განსაზღვრით, ცხოვრობენ ჩრდილოეთის მთებისა და პონტოს (შავი) ზღვის მიდამოებში. ჩრდილოეთის მთები და პონტოს ზღვა ქართველთა ნათესავს უჭირავს. მოსე ხორენელი ჩრდილოეთის

მთებს უწოდებს კავკასიის მთებს. მოსე ხორენელის მიხედვით, სომხეთის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიები კავკასიის შავიზღვისპირეთიდან, ვიდრე გუგარქის ჩათვლით, ქართველებითაა დასახლებული და ქართველებს ეკუთვნის. ფაქტობრივად, ეს არის ის ტერიტორია, რომელსაც ძველი ქართველი ისტორიკოსების განსაზღვრით, მოიცავს ქართლის სახელმწიფო შავიზღვისპირეთიდან სომხეთ-ალბანეთამდე.

შავიზღვისპირეთში და აღმოსავლეთ საქართველოში ქართველების სახლობას მოსე ხორენელი შემდეგი მიზეზით განსაზღვრავს:

ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორმა დასავლეთით მდებარე ივერიელთა ქვეყნიდან ივერიელების ნაწილი გადმოასახლა და პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს დაასახლა კავკასიაში. შემდგომში ალექსანდრე მაკედონელმა დარიოს III-ის ერთ-ერთი ნახარარი მიჰრდატ I ამ ივერიელებს მთავრად დაუსვა. ქრისტემდე დაახლოებით II საუკუნეში პართიის მეფე არშაკმა თავისი ძმა ვალარშაკი სომხეთში გაამეფა. მას საბრძანებლად გარდა სომხეთისა, ჩრდილოეთითა და დასავლეთით მდებარე ქვეყნები (მხარეები) გადასცა. ჩრდილოეთის მხარეების გამგებლად ვალარშაკმა დაადგინა ქართველების მთავარ მიჰრდატ I-ის ერთ-ერთი შთამომავალი. ჩრდილოეთის მხარეების გამგებლებს გუგარელთა პიტიახშები დაერქვათ.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სომეხ მემატიანეებს, მათ შორის მოსე ხორენელსაც, გუგარქი, მიუხედავად იმისა, რომ მას სომხეთის სამეფოს საპიტიახშოდ მიიჩნევენ, ქართულ ქვეყნებად ესახებად, ხოლო გუგარელები – ქართველებად.[224]

მირდატიანები, ანუ მიჰრდატ I-ის შთამომავლები, მთავრობენ როგორც შავიზღვისპირეთის, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ქართველებს.

გუგარელთა და ჩრდილოეთის მთების პიტიახშ მიჰრდატ II-ის გარდა მოსე ხორენელი ახსენებს მიჰრდატ III-საც. ის პონტოს ზღვის განმგებელია. ქრისტემდე 189-160 წლებში არტაშეს I-მა მიჰრდატ III-ს, ქართველთა დიდ პიტიახშს მიანდო ჩრდილოეთის მთებისა და პონტოს ზღვის გამგებლობა.

ქართველთა დიდ პიტიახშს მიჰრდატ III-ს, რომელიც ჩრდილოეთის მთებისა და პონტოს ზღვის განმგებელი იყო, სომეხთა და პართელთა მეფე არტაშეს I-მა მიათხოვა თავისი ასული, ხოლო შემდგომმა მეფემ არტაშეს I-ის ძემ ტიგრანმა ბერძნებთან ომის დროს მიანდო მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქის მაჟაქის განმგებლობა, მისი განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობის გამო, და ჯარების მხედართმთავრობა.

რომაელთა მხედართმთავარმა პომპეუსმა დაამარცხა მიჰრდატ III და ტყვედ შეიპყრო მისი ძე მიჰრდატ IV. მიჰრდატ III გაიქცა პონტოს მთებში. ის პომპეუსმა მოაწამვლინა პონტოელი პილატეს მამას. ქალაქი მაჟაქი პომპეუსმა აიღო. რომში პომპეუსის დაბრუნების შემდეგ, მისმა ნაცვალმა ტიგრანს გაუგზავნა თავისი დისწული მიჰრდატ IV. ტიგრანი დაეჭვდა, რომ ის არ იყო მისი დისწული, ამიტომ არ მისცა არც კუთვნილი ქართველთა ქვეყანა და არც თავისი სამფლობელო – პონტოს მხარეში და ქალაქი მაჟაქი. „... აღარ მისცა მას არც თავისი სამფლობელოს ნაწილი და არც კუთვნილი ქართველთა ქვეყანა“.

მოსე ხორენელის მიხედვით, ასე დამთავრდა მიჰრდატიანების მთავრობა ქართველებზე და ქართველთა ქვეყანაზე, სამაგიეროდ, მიჰრდატ IV-ს რომმა დაუმტკიცა პონტოს მხარენი და ქალაქი მაჟაქი. აქ საინტერესოა ის, თუ რომელი ქვეყანა მიაჩნია მოსე ხორენელს .ქართველთა ქვეყნად და რომელი ქვეყანა მიაჩნია სომხეთში შემავალად. მოსე ხორენელი რაღაც საერთოს ხედავს ქართველთა ქვეყანასა და პონტო-კესარია-კაბადოკიას შორის, თითქოსდა პონტო-კესარიასაც ქართველთა ქვეყნად მიიჩნევს, მაგრამ ის მკაცრად საზღვრავს და წერს, რომ ქართველი მთავრების კუთვნილი ქვეყანა არის არა პონტოს მხარენი და პონტო-კესარია, არამედ ტერიტორია, რომელიც იწყება პონტოს ზღვიდან კავკასიის, ანუ ჩრდილოეთის მთების ჩათვლით გუგარქთან ერთად. სომხეთის ჩრდილოეთით მოთავსებული ეს ტერიტორია კავკასიის შავიზღვისპირეთიდან ვიდრე გუგარქის ჩათვლით მიჰრდატიანების „კუთვნილი“ ტერიტორიაა – რადგანაც ეს ქართველთა ქვეყანაა, ხოლო საკუთრივ პონტოს მხარენი და კესარია მოსე ხორენელს მიაჩნია სომეხთა მეფის სამფლობელოს ნაწილად, ამ მეფის „თავის სამფლობელოდ“, სადაც მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი მაჟაქი დროებით ომიანობის გამო საგანმგებლოდ გადასცა სომხეთის მხედართმთავარს, ქართველთა მთავარს მირდატ III-ს, ხოლო მირდატ IV-ს უკვე აღარ გადასცა. ჩანს, მოსე ხორენელმა იცის, რომ პონტოს მხარეები, კესარია-კაბადოკია ქართველებითაა დასახლებული, მაგრამ მაინც ეს მხარე ქართველთა მეფის „საკუთარ“ ქვეყნად არ მიაჩნია, არამედ სომხების ტერიტორიად, ხოლო ქართველების მკვიდრ საცხოვრისად მიაჩნია სომხეთის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია პონტოს ზღვიდან, ანუ კავკასიის შავიზღვისპირეთიდან ალბანეთ-სომხეთამდე.

მოსე ხორენელის მიჰრდატ III-ის და მითრიდატე პონტოს მეფის ცხოვრება მართლაც ჰგავს ერთმანეთს. ორივენი ტიგრანის მოკავშირენი არიან, ორივენი პონტოს ფლობენ, სიცოცხლეს მოწამვლით ასრულებენ, ამიტომაც შეიძლება მითრიდატეს ლეგენდა მოსე ხორენელმა ქართველთა მთავარზე გაავრცელა,მით უმეტეს, რომ როგორც პონტო-კაპადოკია, ისე სომხეთის ჩრდილოეთით მდებარე ქართლი – ქართველების ქვეყნები იყო. მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც აღვნიშნეთ, მოსე ხორენელმა დაბეჯითებით იცის, რომ ქართველების „საკუთარი“ საცხოვრისი ქვეყანა არის არა პონტოს მხარეები, ე.ი. სომხეთის დასავლეთით მდებარე ქვეყანა, არამედ სომხეთის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანა პონტოს ზღვიდან გუგარქის ჩათვლით. ამ ისტორიკოსის მიხედვით, სწორედ აქ, პონტოს ზღვისპირზე, კავკასიაში დაასახლა ნაბუქოდონოსორმა დატყვევებული ქართველი-ივერიელები, პონტოს ზღვის აღმოსავლეთით (ე.ი. ისტორიულ კოლხეთში) და არა პონტოს მხარეებში (ე.ი. პონტო-კესარია-კაპადოკიაში). მოსე ხორენელი პონტოს ზღვის აღმოსავლეთით, ჩრდილოეთის მთებთან მიმდებარე ქვეყანას (კოლხეთს) ქართველთა თავდაპირველ საცხოვრისს უწოდებს და განასხვავებს პონტოს მხარეებისგან.

მოსე ხორენელი წერს:

„...ხოლო კავკასიის მთის მოპირდაპირე მხარეს, ჩრდილოეთის განმგებლად დაადგინა დიდი და ძლევამოსილი გვარი, რომლის უფალთ გუგარელთა პიტიახშები დაერქვათ. ისინი იყვნენ შთამომავალნი დარეჰის ნახარარის მიჰრდატისა, რომელ-

იც წამოიყვანა ალექსანდრემ და მთავრად დაუსვა ნაბუქოდონოსორის მიერ ტყვედ მოყვანილ ივერიელთა მოდგმას, ამის შესახებ აბიდენოსი ამბობს: „ძლევამოსილმა ნაბუქოდონოსორმა, რომელიც ჰერაკლეზე უფრო ღონიერი იყო, შეჰყარა ჯარი და მიაღწია ლიბიელთა, აგრეთვე ივერიელთა ქვეყნებს, შემუსრა და დაიმორჩილა ისინი. მათი ერთი ნაწილი წამოასხა იქიდან და პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს დაასახლა. ივერია ქვეყნიერების დასავლეთ საზღვარზე მდებარეობს“.[225]

აქედან ჩანს, რომ მოსე ხორენელს ივერიელთა საცხოვრისად მიაჩნია ქვეყანა კავკასიის მთის წინა მხარეს, პონტოს ზღვიდან გუგარქის ჩათვლით, ჩრდილოეთის ტერიტორიები, ეს არის ისტორიული იბერია-ქართლი შავიზღვისპირეთიდან ალბანეთ-სომხეთამდე.

პონტოს ზღვის აღმოსავლეთი, კავკასიის შავიზღვისპირეთი ქართველთა ქვეყნად რომ მიაჩნია მოსე ხორენელს, ეს მისი ისტორიის სხვა ქვეთავიდანაც ჩანს: – „არტაშესმა თავისი ასული არტაშამა მიათხოვა ვინმე მიჰრდატს, ქართველთა დიდ პიტიახშს, რომელიც როგორც ზემოთ ითქვა, ალექსანდრემ ივერიელთა ქვეყნიდან მოყვანილ ტყვეების ხელისუფლად დაადგინა. სომეხთა მეფემ მიჰრდატს მიანდო ჩრდილოეთის მთებისა და პონტოს ზღვის განმგებლობა“.[226]

„ჩრდილოეთის მთები და პონტოს ზღვა“ – ეს არის ტერიტორია კავკასიის შავიზღვისპირეთიდან – კოლხეთიდან – ვიდრე გუგარქის ჩათვლით – ისტორიული იბერია-ქართლი. სულ სხვაა „პონტოს მხარეები“, სადაც გაიქცა დამარცხებული მირდატ III. ეს არის კესარია-კაბადოკია. პონტოს მხარეების მეთვალყურეობა ციხე-ქალაქ მაჟაქთან ერთად ჩრდილოეთის მთებისა და პონტოს ზღვის გამგებელ მირდატ III-ს მიანდო მისმა ცოლისძმამ, სომხეთის მეფე ტიგრანმა, დროებით, ომიანობის გამო.

ცნობა კავკასიის შავი ზღვის პირას იბერების დასახლების შესახებ მოსე ხორენელს აუღია ანტიკური ავტორებისგან – „მოვსესს ეს ცნობა ამოუღია ევსევი კესარიელის „ქრონიკის“ ძველი სომხური თარგმანიდან, ევსევი კესარიელს, თავის მხრივ, შემოუნახავს მეგასთენეს ცნობა. ანტიკურ სამყაროში ფართოდ ყოფილა გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთის (კავკასიის) იბერები დასავლეთის იბერიიდან (ესპანეთიდან) გადმოსახლდნენ“.[227] ამ შენიშვნიდანაც ჩანს, რომ პონტოს ზღვის პირას მცხოვრები იბერები ცხოვრობენ კავკასიაში – კოლხეთში, ანუ კავკასიის შავიზღვისპირეთში და არა პონტოს მხარეებში, ანუ სომხეთის დასავლეთით.

ქართველების საცხოვრისის საკითხში მოსე ხორენელს ეთანხმება მეორე სომეხი ისტორიკოსი – უხტანესი. ისიც შავი ზღვის პირას მცხოვრებ ხალხს ქართველებს (ვრაცებს) უწოდებს, ხოლო თვით ქვეყანას – აფხაზეთს.

როგორც ვთქვით, მოსე ხორენელი ქართველების თავდაპირველ სამშობლოდ ასახელებს კოლხეთს. და ქართველების საცხოვრისს განსაზღვრავს კავკასიის შავიზღვისპირეთიდან გუგარქის ჩათვლით. ისმის კითხვა, რატომ განსაზღვრა მან დასავლეთ საქართველო ვრაცების საცხოვრისად, იქ ხომ არა ვრაცები, არამედ მეგრელები სახლობენ (ჩვენი თანამედროვე ისტორიკოსების განსაზღვრით)? ამ

კითხვას ამჟამინდელი ისტორიკოსები უპასუხებენ, რომ მოსე ხორენელმა ასეთი ცნობა (დასავლეთ საქართველოში, ზღვის პირას ქართველების ცხოვრების შესახებ) აიღო სხვა ბერძენ-რომაელი ავტორებისგან, მაგრამ მოსე ხორენელი კარგად იცნობდა ქართულ სამყაროს, იცნობდა საქართველოს, იცოდა მისი მითოლოგია და რელიგია, და ნუთუ საქართველოს ასეთმა მცოდნე კაცმა არ იცოდა ქართველების სამშობლოს საზღვრები? ანდა მომთხოვნი და კრიტიკულად მოაზროვნე სხვა სომეხი ისტორიკოსები მისი დროისა და შემდგომი თაობისა, რომელნიც ასევე კარგად იცნობდნენ საქართველოს, ქართველ ხალხს, აპატიებდნენ ხორენელს ასეთ უცოდინარობას? მოსე ხორენელი ქართველებად მიიჩნევს როგორც მეგრელებს, ასევე გუგარქის მოსახლეობას – გუგარელებს, როგორც დასავლეთ საქართველოს, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილის მოსახლეობას.

უნდა დავასკვნათ, რომ მოსე ხორენელი, ძველი ქართველი და ანტიკური ეპოქის ბერძენ-რომაელი ისტორიკოსების მსგავსად, ქართველთა საცხოვრისს განსაზღვრავს ისტორიულ ქართლში – იბერიაში, რომლის პოლიტიკური საზღვრები გადიოდა შავ ზღვასა და ჰერეთზე. ის კოლხებს, მეგრელებს ეროვნებით ქართველებად მიიჩნევს, მსგავსად უხტანესისა.

უხტანესი პონტოს, ანუ შავიზღვისპირა ქვეყანას აფხაზეთს უწოდებს, ხოლო აფხაზეთის მცხოვრებთ – ქართველებს. უხტანესის მიხედვით, ვრაცები ანუ ქართველები თავდაპირველად დაუსახლებიათ შავი ზღვის სანაპიროზე, შემდგომ ქართველი ხალხი გამრავლებულა მთელს შავიზღვისპირეთში, მოდებია მთელ იმ მხარეს, აღორძინებულა, გავრცელებულა და დასახლებულა აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, სომეხთა და ალბანთა საზღვრამდე. ის წერს:

„ხოლო პონტოს ნაპირზე რომ დაბანაკდა, ის ტომი აღორძინდა, გამრავლდა ზღვის პირას აქეთ-იქით, მოედო იმ მხარეს და გავრცელდა სომეხთა და ალბანთა საზღვრამდე. შეიქმნა ფრიად მრავალი ხალხი და იმ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდება...“[228]

საყოველთაოდ ცნობილია, რომ აფხაზეთი უპირველეს ყოვლისა დასავლეთ საქართველოს ეწოდება, ე.ი. უხტანესი ქართველებს დასავლეთ საქართველოში მცხოვრებადაც მიიჩნევს, მაგრამ ისტორიკოსი „აფხაზეთს“ უწოდებს არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს, არამედ მთლიან საქართველოს, ისტორიულ „ქართლს“, იბერიას – პონტოს ზღვიდან ვიდრე ალბანეთ-სომხეთამდე. თბილისსაც აფხაზეთის ქალაქად მიიჩნევს და ჩამოთვლის კიდეც თბილისის გარშემო მდებარე პროვინციებს – „წანარეთი, ჯავახეთი, თრიალეთი“. ეს პროვინციებიც „აფხაზეთში“ შედიან. აფხაზეთის მოსახლეობას კი უხტანესი უწოდებს არა „აფხაზებს“ ანდა „მეგრელებს“, არამედ ვრაცებს – ქართველებს – „ითესლეს და გამრავლდნენ და გახდა ტომი, რომელსაც თავის პირველ ქვეყანაში ივერიას უწოდებდნენ, აქ კი ქართველნი ეწოდებათ“.

უხტანესის მიხედვით, მთლიანი საქართველოს მოსახლეობას შავი ზღვიდან ვიდრე ალბანეთ-სომხეთამდე შეადგენენ ქართველები. იგი მეგრელებსაც ქართველებად მიიჩნევს. ეროვნულად მეგრელები ქართველები არიან, თუმცა, შეიძლება მათ სატომო სახელიც ჰქონდეთ. უხტანესი წერს, რომ არა მარტო მის დროს ცხოვრობს

ქართველი ხალხი შავიზღვისპირეთიდან სომხეთ-ალბანეთის საზღვრამდე, არამედ ძველ დროსაც, ჯერ კიდევ ქრისტემდე, ასევე ყოფილა. ვრაცები ქრისტემდე VI საუკუნეში დაუსახლებიათ შავიზღვისპირეთში, შემდეგ გამრავლებულან და სომხეთ-ალბანეთამდე მიუღწევიათ. ქართველების ქვეყანას შავი ზღვიდან ალბანეთამდე აფხაზეთი ჰქვია.

მოსე ხორენელი, როგორც აღნიშნული გვქონდა, ასევე მიიჩნევს: „კავკასიის მთის წინ მდებარე ჩრდილოეთის მხარეთმპყრობელად აწესებს დიდსა და ძლიერ ტომს...“ მოსე ხორენელი გულისხმობს ქართველ ხალხს, რომელთა მთავარს აქვს წოდება „გუგარელთა პიტიახშისა“, ხოლო ეს ქართველები ანუ ივერიელები კავკასიის მთის წინ ჩრდილოეთში გაჩენილან იმის გამო, რომ ჯერ შავიზღვისპირეთში დასახლებულან, ხოლო შემდგომ გამრავლებულან „პონტოს ზღვის მარჯვენა ნაპირიდან“ აღმოსავლეთის მიმართულებით ალბანეთის საზღვრამდე.

უხტანესის თვალსაზრისით, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას არა მარტო მის ეპოქაში, ე.ი. X საუკუნეში, ეწოდებოდა ქართველები, არამედ კირიონის დროსაც, ე.ი. VI საუკუნის ბოლოსა და VII-ის დასაწყისში. ის წერს, რომ „მათი ქვეყანა გაყოფილი იყო სპარსელთა და ბერძენთა მხარედ“[229] და ამის გამო მათი საეკლესიო პოლიტიკა სპარსულიც იყო და იმავდროულად ბერძნულიც. მართლაც, კირიონის ეპოქაში დასავლეთ საქართველო ბერძნების, ხოლო აღმოსავლეთი სპარსელების გავლენის სფეროებს წარმოადგენდნენ. მიუხედავად ამისა, ამ პოლიტიკურად გაყოფილ მხარეებში ერთი ერი, ერთი ხალხი ცხოვრობს, რომელსაც ერთი ეკლესია აქვს და საეკლესიო და ეროვნული პოლიტიკაც შესაბამისი აქვსო. ქართველთა ქვეყანა ერთია, რომელიც ორ მხარედ იყო გაყოფილი დამპყრობელთა მიერ. უნდა დავასკვნათ, რომ ძველი სომეხი ისტორიკოსები, ისე როგორც ბერძენ-რომაელი და ქართველი ისტორიკოსები ქართველებს ანუ იბერებს უწოდებდნენ როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას X-XI საუკუნეებზე ბევრად უფრო ადრე.

„ქართლის ცხოვრების“ სიმართლე

„ქართლის ცხოვრების“ თვალსაზრისს, რომ ერთიანი ქართველი ხალხი („ქართველნი“, „ნათესავით ქართველნი“) არსებობდა ქრისტემდე III საუკუნეში, იბერიის სახელმწიფოს შექმნის დროს, არაპირდაპირ, მაგრამ მაინც ამტკიცებენ XIX-XX საუკუნის ისტორიკოსთა გამოკვლევები. მკვლევართა მტკიცებით, ქართველნი ანუ იბერნი ეწოდებოდა არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური ნაწილის მოსახლეობას, არამედ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას და აღმოსავლეთ საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთის მოსახლეობასაც, მაგალითად, ცნობილი მეცნიერი იოსებ ყიფშიძე ივერიულ ენას მეგრულ ენას, ხოლო მეგრელებს ივერიელებს უწოდებს. ასეთივე დასათაურება აქვს მის წიგნსაც — „გრამატიკა მეგრული (ივერიული) ენისა“. ნიკო მარსაც მიაჩნდა, რომ დასავლეთ საქართველოში იბერიელნი ცხოვრობდნენ და სწორედ მეგრელებს ეწოდებოდათ იბერნი. „...ნ.

მარი ამტკიცებდა, რომ იბერიად უნდა აღმოსავლეთი საქართველო კი არ ვიგულისხმოთ, როგორც ჩვეულებრივ მიღებული იყო, არამედ დასავლეთი საქართველო, სახელდობრ, სამეგრელო და მეგრელები...“[230] მას მიაჩნდა, რომ „ამ მეგრელთა ტომის სახელი ბერძნებმა აღმოსავლეთ საქართველოს ქართველებსაც უწოდეს“.[231]

სხვა აზრი აქვს გამოთქმული ს. კაკაბაძეს. მისი აზრით, „ის ტომი, რომელსაც ბერძნები და რომაელები უწოდებდნენ იბერიელებს, ქართული გამოთქმით იწოდება ჰერებად“.[232]

„ზემოთმოყვანილი ამონაწერებიდან ირკვევა, რომ თუ პროფ. ნ. მარმა იბერნი „მეგრელებად“... აქცია, ს. კაკაბაძემ იგივე იბერნი „ჰერებად“... გახადა“.[233]

კ. კეკელიძე, ჩანს, აერთიანებს ამ ორ თვალსაზრისს იბერიის საზღვრების შესახებ. სტრაბონის ცნობის მოყვანის შემდგომ, კ. კეკელიძე ს. კაკაბაძის აზრს იმეორებს, რომ შესაძლებელია იბერების აღმოსავლეთში გადმონაცვლება II ს-ის გასულს მომხდარიყო“, „შეუქმნიათ საკმაოდ ძლიერი სამეფო, რომელსაც კლასიკური მწერლები იბერიას უწოდებდნენ, სომხები კი ვირქს, რაც იგივე იბერიაა“, „ქართველური სახელი ამ სამეფოისა უნდა იყოს ჰერეთი“.[234] ჩანს, კ. კეკელიძე ეთანხმება ბერძენ-რომაელ ისტორიკოსთა ცნობებს, რომ იბერები დასავლეთ საქართველოში მოსახლეობენ, მაგრამ მიაჩნია, რომ დასავლეთ საქართველოდან ეს იბერები აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსახლებულან II საუკუნის შემდეგ. ივ. ჯავახიშვილი არ ამტკიცებს, რომ II საუკუნემდე დასავლეთ საქართველოს იბერია არ ეწოდებოდა, მაგრამ მიაჩნია, რომ სტრაბონის შემდგომ იბერია აღმოსავლეთ საქართველოს სახელია – „სტრაბონის დროიდან მოყოლებული მაინც ყველა ბერძენი და რომაელი მწერლების ცნობების წყალობით სრული უეჭველობით ირკვევა, რომ იბერია აღმოსავლეთ საქართველოს სახელი იყო...“[235]

ოთხ გამოჩენილ მეცნიერს იბერიისა და ქართველთა შესახებ ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული თვალსაზრისი აქვთ. ნ. მარი თვლიდა, რომ იბერია – სამეგრელოა, კაკაბაძის მიხედვით, იბერია – ჰერეთია, ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, იბერია – აღმოსავლეთი საქართველოა, კ. კეკელიძის მიხედვით კი, იბერია აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილო ნაწილია – ჰერეთთან ერთად, ხოლო „ქართლი“ კი თბილისის სამხრეთით მდებარე ნაწილს ეწოდებოდა.

ამ ოთხი მეცნიერის თვალსაზრისს აერთიანებს „ქართლის ცხოვრება“, რომლის მიხედვითაც, იბერია ანუ ქართლი ეწოდებოდა როგორც დასავლეთ საქართველოს, ისე აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო „ქართველნი“ ეწოდებათ როგორც მეგრელებს, ასევე ქართებს. ქართველი ერი ერთიანია, ქართველთა სამშობლოს ქართლი ანუ იბერია ჰქვია, რომელზედაც თავის იურისდიქციას ახორციელებს ქართული ეკლესია წარმოქმნის დროიდან. ქართლის სამეფოს სახელმწიფო საზღვარი დასავლეთში გადის მდინარე ეგრისწყალზე და შავ ზღვაზე, ხოლო აღმოსავლეთში ალბანეთთან. თანამედროვე მეცნიერთა გამოკვლევებმა თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ მაინც დაადასტურეს „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ცნობა, რომ ქართლი VIII საუკუნემდეც ეწოდებოდა საქართველოს დაახლოებით დღევანდელ საზღვრებში, ხოლო ქართველნი — ერთიან ქართველ ერს, უეჭველად მეგრელების ჩათვლით.

ამას ადასტურებს ბერძენ-რომაელ-სომეხ ისტორიკოსთა მონაცემები, რის მიხედვითაც იბერია დასავლეთ საქართველოს ეწოდებოდა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ იბერია ეწოდება აღმოსავლეთ საქართველოსაც. რჩება ერთი დასკვნა – იბერია ეწოდება არა მარტო აღმოსავლეთ, არამედ დასავლეთ საქართველოსაც, იბერიელნი ცხოვრობენ არა მარტო დასავლეთ საქართველოში, არამედ აღმოსავლეთ საქართველოშიც, რადგანაც ქართველი (იბერი) ერი ეთნიკურად ერთიანია. ქართველი ერი ქრისტიანობამდე კულტურულადაც რომ ერთიანი ყოფილა, ეს გამორკვეული აქვს ივანე ჯავახიშვილს. ის ქრისტიანობამდელ მეგრელებს, სვანებს, ჭანებს, აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან ერთად ქართველებს უწოდებდა. ივანე ჯავახიშვილი დარწმუნებული იყო, რომ ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე ქართველი ერი როგორც ეთნიკურად, ასევე კულტურულად ერთიანი ერი იყო. ის წერდა: „აკად. ნ. მარი მისაყვედურებს, რომ მეგრელებს, სვანებს და აფხაზებს მე ქართველებს ვუწოდებ და პონტოსა და ფრიგიის ერები თითქოს ქართველებადაც კი მიქცევია. აფხაზებს მე ქართველთა მონათესავედ ვთვლი, მაგრამ ქართველებს არ ვუწოდებ. რაც შეეხება მეგრელებსა და სვანებს და დავუმატებ ჭანებსაც, მათ მართლაც ქართველ ტომებად ვთვლი და ვუწოდებ...“[236]

„ქართველ ერს თავისი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და სამწერლო ენაც ჰქონდა და აბადია ეხლაც, რომელიც, როგორც ეს თვით აკად. ნ. მარსაც კარგად მოეხსენება და თვითონაც არა ერთხელ დაუდასტურებია, მეგრელებისა და სვანებისათვისაც ერთადერთი სამწერლობო და კულტურის ენა იყო და არის ეხლაც, რომლის შექმნა-შემუშავებაშიც მეგრელებსა და სვანებსაც თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი“.[237]

„ქართული ენა ქართლელ-კახელ-იმერელ-გურულებისა და მეგრელ-სვანებისთვის საერთო ენაა, მაგრამ იგი, როგორც წინათ ეგონათ, თითქოს ქრისტიანობის ხანისა და გარკვეული სახელმწიფოებრიობის შემოქმედების ნაყოფია. არსებობდა კი, ქრისტიანობის წინათ ასეთი საერთო ნიადაგი ქართველი ერის საერთო წარმართული სარწმუნოებრივი შემოქმედებისათვის, იყო თუ არა ასეთი საერთო შემოქმედება, ერთი სიტყვით, არსებობდა თუ არა ყველა ქართველ ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც საერთო ქართული წარმართობა?“[238]

ივ. ჯავახიშვილმა გამოიკვლია, რომ ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე ერთიან ქართველ ერს, მეგრელ-სვანების ჩათვლით, ჰქონია არა მარტო ეთნიკური ერთობა, არამედ ჰქონია საერთო ქართული წარმართული სარწმუნოება და, რაც მთავარია, საერთო სახელმწიფო ენა და კულტმსახურების ენაც საერთო ყოფილა — ქართული ენა. ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე ქართველი ერი კულტურულ სარწმუნოებრივადაც ერთიანი ყოფილა. ეს დასკვნაც სავსებით ეთანხმება „ქართლის ცხოვრების“ შესაბამის მონაცემებს და ადასტურებს „ქართლის ცხოვრების“ სიმართლეს.

ივ. ჯავახიშვილი წერს — „არამც თუ საზოგადო ქართული, ყველა ქართველ ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც, საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ რომ ამ წარმართობას საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონია“.[239]

ცხადია, თუკი წარმართობის დროს მეგრელებისა და სვანების კულტმსახურების ენა ქართული იყო, ქრისტიანობის მიღების შემდეგაც ქართული იქნებოდა წირვა-ლოცვის ენა. ივ. ჯავახიშვილს გამორკვეული აქვს, რომ დასავლეთ საქართველო IV საუკუნეში გაქრისტიანებულა აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად. აქედან ჩანს, რომ უკვე IV საუკუნედან ქრისტიანული წირვა-ლოცვის ენა სამეგრელოსა და სვანეთში არის ქართული ენა (ქრისტიანული მრევლისათვის). „გელასი კუზიკელის დანართი ცნობა, რომ იბერებმა და ლაზებმა ერთსა და იმავე დროს მიიღეს ქრისტიანობა, არსებითად სწორი გამოდის იმ მხრივ, რომ დასავლეთ საქართველოშიც IV საუკუნის დამდეგიდან ქრისტიანობას გზა გაკვლეული უნდა ჰქონოდა“,[240] ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევას, რომ დასავლეთ საქართველომ IV საუკუნეში მიიღო ქრისტიანობა, ამტკიცებს არქეოლოგიური კვლევა-ძიება, კერძოდ, ციხე-გოჯის გათხრები, სადაც აღმოჩენილ იქნა IV საუკუნის საეკლესიო ნაგებობანი, რამაც საშუალება მისცა მკვლევარებს გაეკეთებინათ დასკვნა, რომ დასავლეთი საქართველო გაქრისტიანდა არა VI საუკუნეში, არამედ ბევრად უფრო ადრე.[241]

ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი დასავლეთ საქართველოს გაქრისტიანების შესახებ ეთანხმება „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებს, რომ წმიდა ნინოს დროს მირიან მეფემ ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოაცხადა მთელ ქართლში და არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოში. ქართლი ამ დროს იწყებოდა მდინარე ეგრისწყლიდან და შავი ზღვიდან და ვრცელდებოდა ალბანეთამდე. ამიტომაც ეკლესია წმიდა ნინოს მიიჩნევს არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს განმანათლებლად, არამედ მთელი ქართველი ერის, ე. ი. მეგრელებისა და სვანების განმანათლებლადაც. როგორც ანდრია პირველწოდებული არა მარტო მეგრელებისა და მესხების განმანათლებელია, რომელთა შორისაც ის მოღვაწეობდა, არამედ მთელი ქართველი ერისა, რადგანაც როგორც ანდრია მოციქულის, ასევე წმიდა ნინოს დროს ერთიანი ქართველი ერი უკვე ჩამოყალიბებული იყო, ჰქონდა ერთიანი სახელმწიფო და კულტმსახურების ენა.

„ქართლის ცხოვრების“ სიმართლეს, რომ წმიდა ნინო მთელი ქართველი ერის განმანათლებელია, დაბეჯითებით ადასტურებს ბერძენ-რომაელ ისტორიკოსთა მტკიცებანი, რომ წმიდა ნინო განმანათლებელია პირველ ყოვლისა დასავლეთ საქართველოსი და მთელი იბერიისა, რომლის ნაწილიც იყო დასავლეთ საქართველო. ეს ისტორიკოსები თითქმის თანამედროვენი იყვნენ წმიდა ნინოსი, მისგან 50-100 წლით დაშორებულნი, რომელთაც წმიდა ნინოსა და იბერიის შესახებ სანდო წყაროები ჰქონდათ.

ბერძნულ-ლათინურ „იბერიას“ ძველ ქართულ ისტორიულ გეოგრაფიაში ფარნავაზიდან VIII საუკუნის შუა წლებამდე შეესაბამებოდა ტერმინი „ქართლი“ და ის აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს ერთობლიობას აღნიშნავდა. ამიტომაც „ქართლის ცხოვრება“ თუ „ქართლის მოქცევა“ გამოხატავდა არა საკუთრივ ქართლის მდგომარეობას, არამედ ერთიანი საქართველოსას, მათ შორის ეგრისისაც.

საერთო ქართული კოინე ენა

ამჟამად მიღებულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც არ არსებობდა საერთო ენა, რომელზედაც ლაპარაკობდნენ აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ საქართველოს ქართველები.

„...ძველ საქართველოში, თუ ავიღებთ ქვეყანას მთლიანად, ვერ შეიქმნა ვერც კოინე და ვერც ლინგვა ფრანკა — ერთიც და მეორეც ქართლში არსებობდა. დასავლურ ქართულმა ტომებმა ძველი ქართული სამწერლობო ენით სარგებლობა განვითარებული შუასაუკუნეებიდან დაიწყეს“.[242]

ივ. ჯავახიშვილი სრულიად განსხვავებული აზრისაა ამის შესახებ. მისი აზრით, როგორც ქართები, ასევე მეგრელები და სვანები ჯერ კიდევ ქრისტიანობის დამკვიდრებამდე საკულტო წესებსა და ჩვეულებებს აღასრულებდნენ საერთო ენაზე და ეს იყო ქართული ენა. ის წერდა: „ცხადი გახდება, რომ არამცთუ საზოგადო ქართული, ყველა ქართველ ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ რომ ამ წარმართობას საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონია“.

აქედან ჩანს, რომ თუ ყველა ქართველ ტომს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში საერთო ენა ჰქონდა, ეს ენა კოინე ენა იყო.

შეუძლებელია დასავლურ ქართველ ტომებს არ სცოდნოდათ ქართული ენა, იმ მიზეზის გამო, რომ როგორც ახალი არქეოლოგიური ძიება ადასტურებს, დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი უძველეს დროს სწორედ ქართულენოვანი ტომებით ყოფილა დასახლებული. ო. ლორთქიფანიძე წერს: „ამრიგად, მესხური, ე.ი. ქართის ენოვანი (და დღევანდელი იმერლებისა და გურულების) წინაპარი ტომების დამკვიდრება დღევანდელ დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ძვ.წ.აღ-ის III-II საუკუნეებიდან მაინცაა სავარაუდებელი“.[243] როგორც მრავალგზის აღინიშნა, სტრაბონი დასავლეთ საქართველოს უკიდურეს, თითქმის ზღვისპირა მხარეს — რიონის დაბლობის ნაწილს — „მოსხთა ქვეყანას“ უწოდებს. ძველი ისტორიკოსები ლაზებს (მეგრელებს) იბერებს უწოდებდნენ. სოკრატე წერს: „იბერნი პონტოს ზღვასთან ბინადრობენ“, რუფინუსი წერს: „იბერთა ნათესავი, რომელიც პონტოს არეში ბინადრობს“, ევაგრე პონტოელი, თუმცა, დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ქალაქში დაიბადა, მას მაინც იბერიელს უწოდებენ. ზღვისპირეთში მცხოვრებ ეგრისის მოსახლეობას (მეგრელებს) უწოდებდნენ იბერებს, ცხადია, აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ იბერებთან ერთად. მთელ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას იბერებს უწოდებდნენ, თუმცა მათ სატომო სახელებიც – „ლაზები“ ან „სვანები“ ჰქონდათ. სტრაბონმა იცის, რომ „სვანები“ არის კერძო სატომო სახელი. ზოგადად სვანები იბერები არიან, სტრაბონი სვანების შესახებ წერს: „ზოგიერთები მათ იბერებს უწოდებენ“.[244]

მთელ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას, მათ შორის ლაზებსა და სვანებსაც, იბერებს ანუ ქართველებს უწოდებდნენ ჯერ კიდევ ჩვენში ქრისტიანობის დამკვიდრებამდე. ბუნებრივია, ამ ერთიან ხალხს – იბერიელებს – საერთო ენაც ჰქონდათ, რისი ნიშნები აღმოაჩინა კიდეც ივანე ჯავახიშვილმა.

„ქართლის ცხოვრება“, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ყველა ძველქართული ქრონიკა თუ საბუთი დაბეჯითებით მიუთითებს, რომ ვრცელ ტერიტორიას შავიზღვისპირეთის მდინარე ეგრისწყლიდან ვიდრე ალბანეთის საზღვრამდე ეწოდებოდა ქართლი ანუ იბერია, ხოლო მის მოსახლეობას განურჩევლად ტომობრივი კუთვნილებისა, კახელი იქნებოდა ის თუ კლარჯი, მეგრელი თუ სვანი, ეწოდებოდა ქართველი, რომ ქართული ენა ამ ქვეყანაში ერთადერთ საერთო-კოინე ენად დააკანონა მეფე ფარნავაზ I-მა.

შემორჩენილია ხალხური გადმოცემებიც კი საერთო ქართული კოინე ენის არსებობის შესახებ. აი, კერძოდ, რა წერია ამის შესახებ წიგნში „ოსმალეთის ყოფ. საქართველოს და ქართველ მაჰმადიანთა ნაწილი ლაზისტანი“.

ლიგანის მურღულის ხეობაში და სხვაგანაც, ქართველ მაჰმადიანთა შორის ლაზებზე დაშთენილია ბევრნაირი გარდამოცემანი... ნაამბობია თვით ლაზელ მოხუცებულ ხოჯიებისაგან 1895 წელს... ლაზები, ჭანები და მეგრელები ერთნი ვყოფილვართ... სამივ ამ სახელწოდების ხალხის ენა ყოფილა ერთი – ლაზური, ანუ მეგრული, რომელი ენაც მაშინ გავრცელებული იყო მთელ შავი ზღვის ნაპირებზედ. ეს ენა ლაზებს გარდა თურმე ქართველებსაც კარგად ესმოდათ. ყოველი ლაზი თავისუფლად ელაპარაკებოდა იმერელს, ქართველს და სხვებსაც, რადგანაც ამათაც ესმოდათ თურმე მაშინ ჩვენი ენა, ამისთვის ძველი კაცები იტყოდნენ შემდეგს. „...ლაზური ენა ქართველებსაც კარგად ესმოდათ. ლაზებმაც იცოდნენ ქართული და ძველათ თურმე ამ ორივ ხალხში თითქმის ყველა სიტყვები ერთნაირად იხმარებოდა, იმიტომ ესმოდათ ყველაფერი ერთმანეთის...“[245] „ძველათ ყველამ იცოდა ზეპირ, რომ ლაზი, ჭანი, მეგრელი და ქართველი ერთი ძმები არიან, ერთი დედმამისშვილნი და ერთი ენის ხალხიო. დღეს ასე აღარ გახლავთ“.[246] „არის ასეთი ისტორიული გადმოცემაც: ლაზელ-ჭანელ-მეგრელები სცხოვრობდნენ შავი ზღვის ნაპირას მდებარე ქალაქებში და სოფლებში. ჟამთა ვითარების წყალობით ლაზებ-ჭანებ-მეგრელებს დაავიწყდათ ქართული ენის ხმარება და იგინი გადასხვაფერდნენ ქართულის ენისაგან“.[247]

რას მიუთითებს ასი წლის წინ ჩაწერილი თქმულებები, თუ არა იმას, რომ ხალხის ხსოვნაში დარჩენილა მოგონება ძველ დროს არსებული კოინე ენის შესახებ. ძალზე საყურადღებო აღსანიშნავი ფაქტია ის, რომ თანამედროვე მეცნიერული კვლევა-ძიება ამზეურებს საერთოქართული კოინე ენის არსებობის დამადასტურებელ ახალ მასალებს. ამ მხრივ საინტერესოა მკვლევარ ზ. თანდილავას აღმოჩენები ლაზურ ტექსტებზე მუშაობისას. ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილი წერდა, რომ არსებობდა საერთო ქართული წარმართული სარწმუნოება, რომლის კულტმსახურება აღესრულებოდა საერთო ქართულ ენაზე, ამჟამად კი აღმოჩნდა, რომ კულტმსახურებისათვის საერთო ტექსტის პოეტური საზომი იყო ცხრამარცვლიანობა. ეს მეტრული სისტემა საერთო იყო როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოსათვის. დავით გოგოჭური წერს: „...გაანალიზებული მასალების მიხედვით დგინდება, რომ მთიბლურებში... შენიშნული ცხრამარცვლიანობა... უძველესი ქართული მითოლოგიური ტექსტების საზომია და როგორც მეტრული სისტემა

მთელ წარმართულ-საკულტო ჟანრებს მოიცავს... ხელთა გვაქვს ქრისტიანობამდელი ქართული ლექსის უძველესი საზომი, რომელიც მოიცავს მთელ სასულიერო, წარმართულ-რიტუალურ ტექსტებს, საყურადღებოა, რომ ამ ბოლო ხანს ჩვენგან დამოუკიდებლად ეგევე საზომი ლაზურ სარიტუალო ტექსტებშიც დაადგინა მკვლევარმა ზ. თანდილავამ".[248]

ახლადაღმოჩენილი მასალები მკვლევარებს საშუალებას აძლევს ილაპარაკონ „საერთო კოინე ენის" შესახებ.

ხალხური პოეზიის კვლევისას აღმოჩნდა, რომ ეს პოეზია ეფუძნება არა დიალექტებს, როგორც აქამდე იყო აღიარებული, არამედ საერთო ქართულ კოინე ენაზე არის შექმნილი. ამის შესახებ მკვლევარი ავთანდილ არაბული წერს:

„საქმე ის არის, რომ ხალხურ პოეზიაში დიალექტების სხვაობა მკვეთრად არის ნიველირებული, ხალხური ლექსების ენობრივი საფუძველი დიალექტი არ არის ...ხალხური პოეზია უეჭველი საბუთია იმისა, რომ ისტორიულად ჩამოყალიბებულა საერთო ხალხური პოეტური ენა, რომელიც, მართალია, დეტალებს ადგილობრივი კუთხური მეტყველებიდან თამამად იღებს, როცა ამის აუცილებლობაა, მაგრამ პოეტური სათქმელის მთლიან არქიტექტურას ხსენებული საერთო კოინე-ენით ქმნის".[249]

ხალხურ პოეზიას ჩვენთვის შემოუნახავს საერთო ქართული კოინე ენის არსებობის დამადასტურებელი ნიშნები.

ამ მხრივ, საერთო ქართული კოინე ენის არსებობის მტკიცების უფლებას გვაძლევს მეგრული საწესო სიმღერა „მზე შინაო". ივანე ჯავახიშვილი ბრძანებდა, რომ ძველად სამეგრელოში ახალწლის შეხვედრის საწესო რიტუალი აღესრულებოდა ქართულ ენაზე, „მზეშინაოს" საწესო სიმღერა სამეგრელოში აღესრულებოდა არა მეგრულ, არამედ ქართულ ენაზე. ეს სიმღერა სამეგრელოში შესულია არა აღმოსავლეთ საქართველოდან, არამედ მას მეგრულ მუსიკალურ ფოლკლორშივე მოეძებნება განვითარებული ვარიანტები, ამიტომაც ეს უძველესი მეგრული სიმღერა, უფრო ზუსტად „საერთო-კოინე", საერთო ქართული, წარმართობისდროინდელი სიმღერაა. „მზე შინაოს" მეგრული მუსიკალური ვარიანტი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ იგი საერთოდ დღემდე ცნობილი „მზე შინაოს" მუსიკალური ტექსტების ყველაზე უძველესი ნიმუშია. რაც, თავის მხრივ, მეგრულ მუსიკალურ ფოლკლორში ამ სიმღერის ხნიერებაზე მიუთითებს. მეგრული „მზე შინაო" ქართული ხალხური სიმღერების ინტონაციურ-ჰარმონიული განვითარების ერთ-ერთი უძველესი საფეხურის ამსახველია".[250]

როგორც აღვნიშნეთ, მეგრული „მზე შინაო" ქართულ ენაზე სრულდება. სიმღერის ჩამწერი წერს – „მეგრული „მზე შინაო" ქართულ ენაზე სრულდება: „მზე შინაო, მზე შინაო, მზე შინ შემოდიო". მისი ვარიანტი, რომელიც სამეგრელოში ჩავწერეთ, შემდეგია, „მზე შინა და მზე შინაო, მზევ შინ შემოდიო, მზევში მამა შინ არ იყო, მზევ შინ შემოდიო, სანადიროდ წასულა და ირემს მოსჭრის თავსაო". მეგრულ ენაზე „მზე შინაოს" ტექსტს დღესდღეობით ვერ მივაკვლიეთ. მთხრობელთა მითითებით, „მზე შინაო" სამეგრელოში აღმოსავლეთ საქართველოდან არის გავრცელებული".[251] ეს რომ ასე არ არის და „მზე შინაო" სამეგრელოში აღმოსავ-

ლეთ საქართველოდან არ არის გავრცელებული, იმავე მთხრობლების აღნიშვნიდანაც ჩანს: „ამ სიმღერას უკანასკნელ ხანს ასრულებდნენ რელიგიურ დღესასწაულებში ფერხულის სახით“. ეს კი მკვლევარს აფიქრებინებს, რომ „მზე შინა და მზე გარეთას“ საგალობელი, რომელიც მზის კულტს უკავშირდება, თავდაპირველად ახალდაბადებულის მიმართ წრიული ფერხულის სახით სრულდებოდა“.[252]

თუკი ეს სიმღერა მზის კულტისადმი, ანუ წარმართული, ქრისტიანობამდელი ღვთაებისადმია მიძღვნილი, როგორღა შეუძლია თანამედროვე მთხრობელს განსაზღვროს, ქრისტიანობამდე ეს სიმღერა სამეგრელოში აღმოსავლეთ საქართველოდან შევიდა, თუ ადგილობრივი, საერთო ქართული სიმღერა იყო? ამიტომაც მთხრობელის აზრს, რომ ეს სიმღერა სამეგრელოში გარედან არის შესული, ყურადღება არ უნდა მიექცეს, მით უმეტეს, რომ მეგრული „მზეშინაო“ საფუძვლად დასდებია სხვა კუთხეთა ამავე სიმღერებს. მკვლევარი წერს: „მეგრული „მზე შინაოს“ მუსიკალური ტექსტი ძალზე ახლოს დგას გურულ „მზე შინა და მზე გარესთან“.[253] ეს უკანასკნელი მეგრულის განვითარებული ვარიანტია.

ეს სიმღერა წარმართობის დროს სამეგრელოში ქართულ ენაზე აღესრულებოდა. ივანე ჯავახიშვილის დასკვნით, წარმართობის დროს სამეგრელოსა და სვანეთში კულტმსახურება და საწესო რიტუალები საერთო ქართულ ენაზე აღესრულებოდა.

ქართული საერთო კოინე ენის არსებობის ფაქტი დღემდე შემოუნახავს ხალხურ პოეზიასა და უძველეს სიმღერებს.

თავი III

ქართული ეკლესია IV საუკუნეში

„ამ ჩვენს, ღვთისმშობლის წილადხდომილს ქვეყანას ღვთისმშობლისაგე ლოცვით და კურთხევით მოვლინა ზეგარდმო შთაგონებული წმიდა ქალწული... მოგვევლინა წმიდა ნინო, გვამცნო და გვასწავა ქრისტეს რწმული... ქართველმა ამ რწმულს, ამ ახალს ადოქმას შეუერთა ძველისაგან ყოველივე ის, რაც კი რამ ძვირფასია ადამიანისათვის... შეუერთა მამული და ერთვნება. ეს სამი ერთმანეთის ღირსი საგანი ისე ჩაიწნენ, ისე ჩაიქსოვნენ ერთმანეთში, რომ რწმულის დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად გარდიქმნა“.

ილია მართალი

საქართველო IV საუკუნეში

საქართველო I-II საუკუნეებში, როგორც ცნობილია, ძლიერი სახელმწიფო იყო, რომელიც ამიერკავკასიასა და მეზობელ მხარეებში პოლიტიკურ ჰეგემონობას ლამობდა. ქვეყნის გარეთ ომებში გამარჯვებებმა შესაძლებელი გახადა სიმდიდრის დაგროვება. საქართველო ეკონომიურად მოწინავე ქვეყანა გახდა, ხელოსნობამ, ვაჭრობამ და საქალაქო ცხოვრებამ მაღალ დონეს მიაღწია.

III საუკუნეში საქართველოს გარემოცვა მნიშვნელოვნად შეიცვალა. უმთავრესი იყო პართიის სუსტი სამეფოს ნანგრევებზე სასანიდების ძლიერი სახელმწიფოს წარმოქმნა. აქამდე ჩვენი ქვეყნის მეზობელი პართია შედარებით სუსტ, ფაქტობრივად, ნახევრადდამოუკიდებელი სახელმწიფოების გაერთიანებას წარმოადგენდა. აქ, 224-226 წლებში, დიდი ცვლილებები მოხდა. „ძველი არშაკიდების დინასტია დაემხო და მისი ადგილი ახალმა, სასანიდების სპარსულმა საგვარეულომ დაიჭირა. სასანიდებმა აღადგინეს ძველი სპარსული სარწმუნოება, მაზდეანობა და ყოველნაირად ცდილობდნენ ამ სარწმუნოების გავრცელებას“.[1] „...მოხდა ირანულ ენებზე მოლაპარაკე ხალხებისა და ტომების კონსოლიდაცია. დიდად გაიზარდა ირანის სამხედრო ძლიერება. ამის შედეგად ძალთა თანაფარდობა მახლობელ აღმოსავლეთში არსებითად შეიცვალა. სასანიდური ირანი შეტევაზე გადავიდა თავისი ძველისძველი მტრის, რომის წინააღმდეგ და დიდ წარმატებებსაც მიაღწია. პირველივე სასანიდმა, არდაშირმა (224-241) მიდიის, საკასტანისა და ხორასნის შემდეგ ატროპატენა დაიპყრო და სომხეთს შეუტია, ხელთ იგდო მესოპოტამია და ალყა შემოარტყა ნიზიბინს. კიდევ უფრო დიდი წარმატებები მოიპოვეს ირანელებმა შაბურ I-ის (241-272) დროს. 260 წელს მათ დაატყვევეს იმპერატორი პუბლიუს ლიცინიუს ვალერიანე. ირანელებმა აიღეს და ააოხრეს იმპერიის აღმოსავლეთის უმდიდრესი პროვინციები და ქალაქები – ანტიოქია, ტარსი, კესარია“.[2] შაბურ I-ის წარწერიდან ჩანს, რომ მისი თანამედროვე ქართველთა მეფე ამაზასპი სპარსულ ორიენტაციას დაადგა. ირანსა და იბერიას შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობაზე უნდა მიუთითებდეს მცხეთაში ნაპოვნი ვერცხლის თასის წარწერა.

„მოსაზრება ამაზასპის ირანული ორიენტაციის შესახებ ძველი ქართული წყაროებითაც დასტურდება. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ამაზასპმა „შეიყუარნა სპარსნი“.[3] თავისი მეფობის დასასრულს, ამავე წყაროს მიხედვით, ამაზასპი ქართველთა და მათ დასახმარებლად მოხმობილ სპარსელთა ლაშქრით ებრძვის ბერძნებს (ე. ი. რომაელთ) ... მომხდარ ბრძოლაში „სპარსელები და ქართველები“ დამარცხდნენ და თვით ამაზასპიც დაიღუპა“.[4]

მართლაც, ირანელთა შეტევა რომაელებმა შეაჩერეს 80-იან წლებში და იმპერატორმა კარმა (282-283) დალაშქრა ირანი. 283 წელს ირანსა და რომს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება, რომლის თანახმად სპარსეთმა დაკარგა სომხეთის დიდი ნაწილი.

287 წელს რომაელმა იმპერატორმა დიოკლეტიანემ სომხეთის ტახტზე აიყვანა თრდატი (287-330). ადრე ირანელებმა მოაკვლევინეს თრდატის მამა ხოსროვი და თრდატი რომში იყო ლტოლვილი.

„296 წელს შაჰი ნერსეჰი შეიჭრა რომის სამფლობელოებში, მათ შორის სომხეთშიც. თავდაპირველად ირანელებმა მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწიეს კეისარ გალერიუს მაქსიმიანეზე. ამ უკანასკნელის დასახმარებლად მესოპოტამიაში იმპერატორი დიოკლიტიანე მივიდა: თვით გალერიუსი 25 000-იანი ჯარით სომხეთში შევიდა და სასტიკად დაამარცხა ირანელები. დაჭრილი ნერსეჰი გაჭირვებით გადარჩა ტყვეობას“.[5]

298 წელს დაიდო ნიზიბინის 40-წლიანი ზავი. ნიზიბინში (მესოპოტამია) დადებული საზავო ხელშეკრულების თანახმად, საქართველო შევიდა რომის გავლენის სფეროში, რომის პროტექტორატის ქვეშ, ასევე სომხეთიც. სპარსეთმა 40 წლის ვადით სცნო რომის უპირატესობა საქართველოსა და სომხეთზე, მართლაც, 338 წლამდე რომსა და ირანს შორის ზავი არ დარღვეულა.

298-338 წლებში ზავის დროს, როცა საქართველო რომის გავლენის სფეროში იყო, ჩვენში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა. ქართველი ერის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა – ქრისტიანობის მიღება, უთუოდ ზავის დროს 298-338 წწ-ში მოხდა, რადგანაც 338 წ-ს შაჰმა შაბურ II-მ კვლავ შეუტია რომს, კერძოდ, დაიწყო საომარი მოქმედება რომაელთა წინააღმდეგ ჯერ შუამდინარეთში, შემდეგ კი სომხეთში.[6]

„მას შემდეგ, რაც რომის ხელისუფლება ქრისტიანობის დევნიდან მის მფარველობაზე გადავიდა, მისმა მეტოქე ირანმა მკვეთრად შეცვალა ქრისტიანებისადმი დამოკიდებულება, მფარველობის ნაცვლად მან სასტიკი დევნა-შევიწროება დაიწყო“.[7] იქამდე კი, როდესაც რომის იმპერიაში ქრისტიანობა სასტიკად იდევნებოდა, რომის მეტოქე ირანი, რომელიც თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარეობდა, მფარველობას უწევდა მას.

რომში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა 313-326 წლებში. 326 წლამდე ირანი ქრისტიანებს ასე თუ ისე მფარველობდა, ამის შემდეგ კი მან ქრისტიანობის სასტიკი დევნა დაიწყო, ამიტომაც 338 წლის შემდეგ ქართველთა მეფეს გაუჭირდებოდა ქრისტიანობის აღიარება სპარსელთა შიშით. აქედან გამომდინარე, იმ დროს, როცა სპარსეთი ქრისტიანობას მფარველობდა და იბერია ირანის გავლენის სფეროში შედიოდა (280 წლამდე), გაცილებით უფრო ადვილი იყო იბერიას მიეღო ქრისტიანობა, ვიდრე 338 წლის შემდეგ (მართლაც, დიუბუა დე მონპერე ქართლის მოქცევის თარიღად მიიჩნევს 276 წელს).[8]

298 წლის ზავის თანახმად, საქართველოს მეფეს სამეფო რეგალიები რომაელებისგან უნდა მიეღო, მაგრამ ამ დროისთვის რომაელებს ძველებური სიძლიერე აღარ გააჩნდათ. ამიტომ ნიზიბინის შეთანხმება მხოლოდ იმას გულისხმობდა, რომ ქართლი ძველებურად „კავშირში“ იმყოფებოდა რომთან.

საერთოდ, III საუკუნეში საქართველო ძირითადად დამოუკიდებელ და ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

„III საუკუნეშიც, კერძოდ, ამაზასპის დროს, ქართლი ფაქტობრივად დამოუკიდებელ და ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა. მოგონება ამაზასპზე, როგორც ძლიერ მმართველზე, მკაფიოდ შემოინახა ქართულმა საისტორიო ტრადიციამ. „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულია გადმოცემა ამაზასპზე, როგორც ფარსმან ქველის მსგავს გოლიათზე“.[9]

338 წელს, როდესაც ნიზიბინის ზავის ვადა ჯერ არ იყო ბოლომდე გასული, ირანმა შეუტია რომს. დაიწყო ომი, რომელიც 25 წელს გაგრძელდა ხანმოკლე შესვენებებით. „რამდენად შეეხო იგი ქართლს, ან რა მონაწილეობა მიიღო მასში ქართლმა, არ ვიცით. საფიქრებელია, რომ ქართლი რომაელთა მხარეზე იყო, თუმცა, მისი აქტიური მონაწილეობა ბრძოლაში არა ჩანს“.[10]

IV საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი ამიანე მარცელინე წერს, რომ იმის შემდეგ, რაც 360 წელს ირანელებმა წარმატებებს მიაღწიეს, რომაელების მიერ „ტიგრს გადაღმელ მეფეებთან და სატრაპებთან უხვი საჩუქრებითურთ ელჩები იქნენ გაგზავნილნი, რათა ყველასათვის მოეწოდებინათ და ჩაეგონებინათ, ჩვენთვის თანაეგრძნოთ და არაფერ მოტყუებას ანდა ღალატს ცდილიყვნენ. მაგრამ ყველაზე უფრო მეტად მოქრთამულ იქნენ არშაკი და მერიბანი, არმენიისა და იბერიის მეფეები, ბრწყინვალედ შემკული სამოსით და მრავალნაირი საჩუქრებით, რადგან, თუ მაშინდელ საეჭვო ვითარებაში სპარსელებს მიუდგებოდნენ, ავნებდნენ რომის საქმეებს“.[11] მარცელინეს ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ქართლი განაგრძობდა რომაელთა მოკავშირედ ყოფნას.

ამიანე მარცელინეს „მერიბანი“ ქართველთა მეფე მირიანი უნდა იყოს. „ქართლის ცხოვრების“ ცნობის თანახმად, მირიანი გარდაცვლილა ქრისტიანობის მიღებიდან ოცდამეხუთე წელს, ე.ი. ის შეიძლება ცოცხალი ყოფილიყო IV ს-ის 60-იან წლებშიც.

363 წელს რომსა და ირანს შორის დაიდო 30-წლიანი ზავი. სომხეთი ირანს გადაეცა. პირობის თანახმად, რომი არ უნდა ჩარეულიყო სომხეთის საქმეებში და დახმარება არ უნდა გაეწია მისთვის. რომმა პირობა შეასრულა და არ დაეხმარა სომხეთს, როდესაც მომდევნო 364 წელს ირანელთა ლაშქარი სომხეთში შეიჭრა. ირანის პირისპირ მარტოდმარტო დარჩენილი სომხეთის მეფე არშაკ II მეტისმეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ასეთ დროს საქართველო თავის თანამორწმუნე სომხეთს ყოველმხრივ მიეშველა, ჯერ ქართველების დახმარებით არშაკი განერიდა მისთვის ძალზე არახელსაყრელ სიტუაციას და თავი საქართველოს შეაფარა, ხოლო შემდეგ მოსე ხორენელის სიტყვით, „არშაკი დაბრუნდა ქართლის ჯარით“.[12]

ჩანს, განაწყენებული იმით, რომ ქართველებმა გაბედეს სომხეთის დახმარება თვით 363 წლის ზავის შემდეგაც კი, ირანი შემოესია საქართველოს.

„368 წელს სპარსეთის მეფე შაბური შემოესია ქართლს, ქართლის მეფე საურმაგი, რომელსაც რომაელების მხარე ეჭირა, განდევნა და ქართლის მეფედ საურმაგის ნათესავი, ვარაზბაკური დასვა. ბოლოს და ბოლოს საურმაგი და ვარაზბაკური

შეთანხმდნენ და ქართლი გაიყვეს: მტკვრის მარცხნივ მდებარე ნაწილში საურმაგი მეფობდა, მტკვრის მარჯვნივ მდებარე ნაწილში ვარაზბაკური".[13]

სპარსელების შემოჭრა ქართლში რომს შეურაცხყოფად მიუღია, ამიანე მარცელინეს სიტყვით.

იბერიაში სპარსთა შემოჭრის პასუხად რომაელები ჩაერივნენ ამიერკავკასიის საქმეებში. იმპერატორმა ვალენტმა სომხეთში გაამეფა არშაკის შვილი პაპი, რომელსაც ჯარი მიაშველა.

369 წელს პაპი სომხეთში გამეფდა. პასუხად ირანელებმა დალაშქრეს სომხეთი.

იმპერატორმა ჯარი მიაშველა საქართველოდან განდევნილ საურმაგს, როგორც აღნიშნული იყო, ამის შემდეგ იბერია ორად გაიყო. 371 წელს სპარსელები სომხეთში შეიჭრნენ, მაგრამ სომხებმა, რომაელებთან ერთად ისინი დაამარცხეს.

სრულებით იცვლება საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიის პოლიტიკური ვითარება 377 წლის შემდეგ. რომმა დატოვა ამიერკავკასია, რომელსაც ირანი დაეპატრონა.

„377 წელს ვალენტმა ირანთან ომისთვის მზადება დაიწყო, მაგრამ ამ დროს ევროპიდან მოვიდა ამბავი ვესტგუთების აჯანყების შესახებ და იმპერატორი იძულებული გახდა გაეყვანა ჯარი სომხეთიდან. საფიქრებელია, რომ რომაელები დატოვებდნენ ქართლსაც. ეჭვი არაა, შაბური შეეცდებოდა გამოეყენებინა ასეთი ხელსაყრელი ვითარება, რათა ქვემო ქართლიდან განედევნა რომაელთაგან დაყენებული საურმაგი. არაერთხელ გამოთქმულა აზრი, თითქოს ქართლის გაყოფა ორ სამეფოდ კარგა ხანს გაგრძელებულა, თვით V საუკუნის 40-იან წლებამდისაც კი. მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს აზრი სწორი არ უნდა იყოს. ირანელებმა, ჩანს, ქართლის ერთიანობა უკვე IV საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს აღადგინეს".[14]

საქართველოს იმდროინდელი მეფე ვარაზ-ბაქარი (ასფაგური) ქრისტიანობის მოძულე ყოფილა. ირანის ძლიერებით შეშინებულმა ვარაზ-ბაქარმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია ირანის ერისთავს, რომელიც „მეფეთა ამბავის" თანახმად, შაჰმა გამოგზავნა „ქართველთა ზედა ხარკის დადებად".

ქართლი ირანის მოხარკე გახდა IV საუკუნის 70-იანი წლების დასასრულს. „რამდენადაც დღესდღეობით ცნობილია, ეს უნდა ყოფილიყო ქართლის პირველი დახარკვა".

„ამრიგად, IV ს-ის 70-იან წლებში ირანელებმა ქართლის სამეფო მთლიანად დაიმორჩილეს. თავდაპირველად ქართლში მოსულა ირანელი სარდალი, რომელსაც „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მატიანე პიტიახშს, ხოლო „მეფეთა ამბავი" ერისთავს უწოდებს. ხარკსაც, ეტყობა, ის კრეფდა. შემდგომში, ირანელებს, როგორც ჩანს, ეს ფუნქცია ადგილობრივი მმართველობისათვის დაუკისრებიათ, თავისი მუდმივი მოხელე ქართლში ირანელებს არა ჰყოლიათ. მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში აგზავნიდნენ ისინი მხარის გამგებელს — მარზპანს (ასეთი იყო, მაგალითად, V ს-ის 30-იან წლებში სომეხი დიდებული ვასაკ სიუნი)".[15]

„ქართლის ცხოვრების" თანახმად, ვარაზ-ბაქარის დროს საქართველოს ირანმა ჩამოაცილა რანი და მოვაკანი, ხოლო რომის იმპერიაში („საბერძნეთში") შესულა კლარჯეთი. საქართველოში დარჩენილა ქართლი, ჰერეთი და ეგრისი.

ირანს ვარაზ-ბაქარმა „მისცა რანი და მოვაკვანი და განუკუეთა ხარკი, ხოლო ერისთავმან სპარსთამან მოსცა ციხე ტფილისისა და წარვიდა. და მიერითგან

იქმნეს სომეხნი და ქართველნი სპარსთა მოხარკენი. და ამისა შემდგომად განდგეს კლარჯნი ვარაზ-ბაქარისაგან და მიერთნეს ბერძენთა და დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღუთგან არსიანთამდე".[16]

სპარსეთის ერისთავის შემოსვლის დროს მეფე ვარაზ-ბაქარს კახეთში შეუფარებია თავი და შეშინებულს უბრძანებია ყველასთვის დაეფარათ თავიანთი ქრისტიანობა — „უბრძანა ყოველთა, რათა დამალნენ ჯუარნი".[17]

სპარსეთისთვის საქართველოში სრულიად მოუთმენელი იქნებოდა ქართული ეკლესიის კავშირი ბერძნულ ეკლესიასთან, რომელსაც საფუძველი დაედო წმიდა ნინოს დროს. ამით უნდა იყოს გამოწვეული ის, რომ სწორედ ამ პერიოდში ქართული ეკლესიის მეთაურად ინიშნება იობ სომეხი, ნერსე კათალიკოსის ყოფილი დიაკონი. საქმე ისაა, რომ ამ მომენტამდე ათიოდე წლით ადრე სომხურმა ეკლესიამ გაწყვიტა იერარქიული გავშირი ბერძნულ ეკლესიასთან. ბერძნულ ეკლესიასთან სომხურმა ეკლესიამ კავშირი გაწყვიტა მეფე პაპის დროს, სპარსეთის ნებით. ამით სომხური ეკლესია მისაღები გახდა სპარსეთისათვის. თუ როგორი მოუთმენლობით დევნიდა ბერძნულ ეკლესიას და ბერძნულენოვან ქრისტიანობას სპარსეთი IV ს-ის 80-90-იან წლებში, ამის შესახებ წერს მოსე ხორენელი. საქართველოში გაბატონების შემდეგ, ჩანს, ირანმა ქართულ ეკლესიაში დევნა დაუწყო ბერძნულ ქრისტიანობას და პრობერძნულ ორიენტაციას.

1972 წლის „საქართველოს ეკლესიის კალენდრის" ქართული ეკლესიის მამამთავართა სიის თანახმად, იობ, ნერსე კათალიკოსის ყოფილი დიაკონი, მამათმთავრობდა 375-390 წლებში. ამ დროს ქართულენოვანი წირვა-ლოცვა უნდა დამკვიდრებულიყო ბერძნულის ნაცვლად, რომელსაც (ბერძნულენოვან ღვთისმსახურებას) დევნიდა სპარსეთი.

„ვარაზ-ბაკურის შემდეგ V საუკუნის 80-90-იან წლებში ქართლის სამეფო ტახტზე იჯდა ბაკური, რომელიც პეტრე იბერის ასურულ ცხოვრებაში მოხსენიებულია, როგორც პეტრეს პაპა დედის მხრიდან. ბაკურის დროს გრძელდებოდა ირანელთა ბატონობა".[18]

387 წელს საზავო მოლაპარაკების თანახმად, სომხეთი ირანმა და რომმა გაიყვეს. ბიზანტიას (რომს) ერგო სომხეთის მცირე ნაწილი, ოთხი მეხუთედი სომხეთისა ირანს ერგო. ირანმა მტკიცედ და დიდი ხნით მოიკიდა ფეხი სომხეთში.

საქართველოს დაუბრუნდა თავისი სამხრეთი მიწები, კერძოდ, ე.წ. დიდი ნაწილი გუგარქის საპიტიახშოსი, რომელიც მიერთებული ჰქონდა სომხეთს. „ამ დროს დაიშალა სომხეთის ერთ-ერთი უდიდესი ოლქი, გუგარქის საპიტიახშო. მისი ჩრდილოეთი რაიონები ქართლში შევიდა, სამხრეთის სამი რაიონი კი – ტაშირი, კანგარქი და აშოცი, სომხეთის შემადგენლობაში დარჩა. რამდენიმე საუკუნის შემდეგ ისინიც შეუერთდნენ ქართლს. გუგარქის საპიტიახშო ის გოგარენეა, რომელიც ძველი ბერძნული ცნობების თანახმად (სტრაბონი), სომხეთმა ჩამოაჭრა ქართლს ძვ.წ.აღ-ის II საუკუნეში".[19]

„გუგარქი ჯერ კიდევ ძვ.წ.აღ-ის II ს-ში წაართვეს სომხებმა იბერიას (სტრაბონი). სომხეთის სამეფოში იგი ცალკე ერთეულად, საპიტიახშოდ ჩამოყალიბდა. ამას, ჩანს, ხელს უწყობდა ისიც, რომ იგი ეთნიკურად განსხვავდებოდა. გუგარქს ჰქონდა მიდრეკილება, ისევ იბერიას დაჰბრუნებოდა. ასე მოხდა კიდევაც".[20]

ეროვნული შემადგენლობის მხრივ გუგარეთი, ანუ ქვემო ქართლი, ყოველთვის ძირითადად ქართული იყო. სომხეთის შემადგენლობაში ყოფნის დროს მისი ეთნიკური სახე არსებითად არ შეცვლილა და კვლავ ქართული დარჩა. ამას, ჩანს, ხელი იმან შეუწყო, რომ გუგარქი სომხეთში ცალკე პოლიტიკურ ერთეულად არსებობდა საუკუნეთა მანძილზე და ის ერთ ფეოდალურ ერთეულს წარმოადგენდა.

სომეხი მწერლები საუკუნეთა მანძილზე ყოველთვის აღნიშნავდნენ გუგარქის ქართულობას. მაგალითად, „გუგარქი მოხსენიებულია VII ს-ის ანონიმურ სომხურ გეოგრაფიაში. იქ ნათქვამია: გუგარქი მდებარეობს უტის დასავლეთით და შედგება ცხრა გავარისაგან, რომელიც უჭირავთ ქართველებს: ძოროფორი, წობოფორი, კოლბიფორი, ტაშირი, თრიალეთი, კანგარქი, არტაჰანი, ჯავახქი, კლარჯქი...“[21]

VII ს-ის სომხურ გეოგრაფიაში გუგარქის მოსახლეობის „ქართველებად დასახელება, უფლებას იძლევა ითქვას, რომ არასწორია თეორია, რომლის მიხედვითაც თითქოსდა VII ს-ში გუგარქში ქართულენოვანი წირვა-ლოცვის დანერგვით კირიონ კათალიკოსმა საფუძველი დაუდო გუგარქის სომხური მოსახლეობის „გაქართველებას“. ცხადია, ქართველებს „გაქართველება“ არ ესაჭიროებოდათ. სინამდვილეში გუგარქში სრულიად საწინააღმდეგო პროცესები მიმდინარეობდა, კერძოდ, გუგარქის ადგილობრივი მოსახლეობის არმენიზაცია სომხურ პოლიტიკურ-კულტურულ-სარწმუნოებრივ არეალში მოხვედრის შედეგად, რის შეჩერებაც სცადა კირიონ კათალიკოსმა ეროვნული წირვა-ლოცვის დანერგვით გუგარქის ეკლესიებში.

არ უნდა იყოს სწორი თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, გუგარქი ქრისტემდე მეორე საუკუნის შემდეგ პირველად მხოლოდ IV ს-ში დაუბრუნდა საქართველოს. უთუოდ I-II საუკუნეებში საქართველოს ძლიერების დროს გუგარქი ქართლში შედიოდა, ქართლს ეკუთვნოდა. მირიან მეფის დროსაც ის ჩვენი მატიანის თანახმადაც ქართლშია. როგორც ვთქვით, 387 წელს ირანმა და ბიზანტიამ სომხეთი გაინაწილა. სომხეთის დასავლეთ ნაწილში, რომელიც ბიზანტიას ერგო, მეფობა გაუქმდა 391 წელს, ხოლო ირანის კუთვნილ აღმოსავლეთ სომხეთში — 428 წ.

„...ამ ფაქტს სომეხი ხალხის დაყოფა არ მოჰყოლია, რადგან ამ დროისათვის სომეხი ხალხი დიდი ხნის ჩამოყალიბებული იყო“.[22,23,24] ასევე, მსგავსადვე იყო ქართველი ერიც აღნიშნულ ეპოქაში.

გზა ქრისტიანობისა I საუკუნიდან წმიდა ნინოამდე

ქართველთა განმანათლებელი არის ღირსი დედა ნინო, რომელმაც ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოაქცია მთელი ერი. მის დროსვე, ქართული სახელმწიფოს მზრუნველობით და შემწეობით შეიქმნა ერთიანი ქართული ეკლესია. შეიძლება დაისვას კითხვა, თუ ქართველი ხალხი მოაქციეს და გააქრისტიანეს თვით წმიდა მოციქულებმა, რაღა საჭირო იყო წმიდა ნინოს ქადაგება? ამ კითხვაზე პასუხი, ჩანს, ძველთაგანვე არსებობდა, რამაც ასახვა ჰპოვა რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში, სადაც, კერძოდ, ნათქვამია: „პირველწოდებული ანდრია, ძმაჲ თავისა მოციქულთაჲსა პეტრესი, ვიდრე ჩუენდამდეცა მოიწია და ქადაგა საცხოვრებელი ქადაგე-

ბაჲ სახარებისაჲ ყოველსა ქუეყანასა საქართველოჲსასა და ურიცხუნი სიმრავლენი ერთანი განაშორნა საცთურისაგან მრჩობლ ეშმაკეულებისა და ერთისა ღმრთისა და ქრისტეს მისისა თანაარსით მათით სულითურთ რწმუნებით თაყუანისცემაჲ ასწავა, დაღათუ უმრავლესმან ერმან ქართლისამან სიმრავლესა შინა ჟამისასა დაივიწყა ქადაგებაჲ იგი მოციქულისაჲ და საცთურისავე მიმართ კერპთაჲსა მიაქცია. ამათისა ქადაგებისა ნაყოფად აღმოეცენნეს ყოვლით კერძო ყოვლისა სოფლიასაჲთ სიმრავლენი ღუაწლისა დამდებელისა ქრისტეს სიკუდილისა მიმსგავსებულთა მოწამეთანი, ვინაჲთგან სამასნი მცირედთა სხუათა თანა ვიდრე მეფედ ქადაგებადმდე დიდისა კოსტანტინესსა შორის გარდაჴდეს წელიწადნი, რომელი-იგი პირველად ქრისტიანე იქმნა მეფეთა შორის. და თჳთ მოციქულ და ქადაგ საცხორებელისა ქადაგებისა და ნათელსა თავისუფლებისასა მიმფენელ ქრისტეანეთა ღმრთივ შუენიერის მოქალაქეობისა. ამისთავე უკუე ჟამთა სრულად მომხედნა ჩუენცა, აღმოსავალმან მაღლით და დედაკაცისა ვისმე მიერ ტყუექმნილისა...“[25]

როგორც ამონაწერიდან ჩანს, წმინდა ნინოს მიერ მთელი საქართველოსა და მისი მეფის გაქრისტიანება ძალზე მჭიდროდაა დაკავშირებული რომის იმპერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებასთან. მართალიაო, წერენ ქართველი მამები, ჩვენში ქრისტიანობა იქადაგეს მოციქულებმა და ხალხის ურიცხვი სიმრავლე გააქრისტიანეს, მაგრამ დრომ და პირობებმა ხალხი კვლავ კერპთაყვანისმცემლობას დაუბრუნა, ხოლო დარჩენილ ქრისტიანებს შორის გამოჩნდებოდნენ ხოლმე მოწამენი, რომლებსაც ისეთივე ტანჯვით კლავდნენ როგორც ქრისტეს, ხოლო იმის შემდეგ, რაც რომის იმპერატორი კონსტანტინე გახდა მეფეთა შორის პირველი ქრისტიანი მქადაგებელი და მოციქულთა სწორი, ჩვენც მოგვხედა ღმერთმა და გამოაგზავნა ტყვე ქალი ნინოო.

აღსანიშნავია, რომ ეს წყარო არ უარყოფს წმიდა ნინომდე ქართველ ქრისტიანთა არსებობას. როგორც აღვნიშნეთ, მათ შორის გამორჩეულებს ქრისტეს მიმსგავსებული სიკვდილით ჰკლავდნენ, ისინი მოწამენი იყვნენო.

ეფრემ მცირის თანახმადაც, არა მარტო საქართველოში, არამედ თვით საბერძნეთში (იმპერიაში) მოციქულთა ქადაგების შემდეგ კვლავ კერპთაყვანისმცემლობა აღორძინებულა, მაგრამ ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმპერიაში ქრისტიანული თემები და საეპისკოპოსოები არ არსებობდა.

ეფრემი წერს: „ითქუმის ჩუენთჳსცა, მიმოსლვასა შინა წმიდათა მოციქულთასა, ანდრია პირველწოდებულისა მიერ ქადაგება ... გარნა ამათ წმიდათა სამოციქულონი მოძღვრებისა თესლთა ანეულნი მრავალჟამ დაიპყრნა ღუარძლმან მეკერპეთამან. არა ხოლო ჩუენ შორის, არამედ თჳთ მათ ბერძენთაცა შორის ვიდრე ჟამთადმდე მეორედ პავლედ ზეცით წოდებულისა დიდისა კოსტანტინესთა ამის კეთილადმსახურისა მეფისა ჟამთა ღმერთმან, რომელმან დიდთა და მრავალთესლთა ტომთათჳს იზრუნა, არცა ჩუენ მცირენი დაგჳტევნა უღუაწად“...[26]

ზემოთ მოყვანილის თანახმად, როგორც ჩვენში, ისე რომის იმპერიაში, ქრისტიანობა თვით მოციქულებმა იქადაგეს. მაგრამ „მეორე პავლეს“ — იმპერატორ კონსტანტინეს დრომდე ხალხის დიდი ნაწილი კერპთაყვანისმცემლობისაკენ იყო

მოქცეული, ამ დროს კი ღმერთმა იზრუნა „მრავალთესლთა ტომთათვის“, მათ შორის ქართველებისათვისაც. მოციქულთა სწორად „ბერძნებს“ გამოუჩინა კონსტანტინე, ხოლო ქართველებს წმიდა ნინო. ასეთია ძველქართული კონცეფცია, რომელიც წყაროებით დასტურდება.

რომის იმპერიასა და საქართველოში მოციქულთა შემდეგ ქრისტიანობა არა მარტო არსებობდა, არამედ დიდ გავლენას ახდენდა საზოგადოებაზე. III საუკუნის დასაწყისში ქართველთა მეფე რევ მართალი ქრისტეს სახარებას იცნობდა და მისი მცნებების შესაბამისად მოქმედებდა კიდეც.

„როგორც ცნობილია, თავდაპირველად ქრისტიანობა ვრცელდებოდა საზოგადოების დაბალ ფენებში“,[27] რევ მეფემდე ქართველთა დაბალ ფენებში ქრისტიანობას ფეხი მოკიდებული უნდა ჰქონოდა.

„ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ თუმცა ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად ქართლში IV ს-ის 30-იან წლებში გამოცხადდა, უეჭველია, იგი აქ ბევრად უფრო ადრიდან ვრცელდებოდა. საფიქრებელია, რომ ქრისტიანული თემები ქართლში არსებობდნენ უკვე მესამე საუკუნიდან. ასეთი თემები, ცხადია, ჯერ ქალაქებში ჩნდებოდნენ, განსაკუთრებით დიდ სავაჭრო გზებზე მდებარე ქალაქებში და პირველ რიგში თვით ქართლის დედაქალაქ მცხეთაში“.[28]

ზემოთ მოყვანილი კარგად ხსნის, თუ რატომ განხორციელდა და რატომ მიიღო ხალხმა მეფე რევის რეფორმა, რომელიც ქრისტეს სახარებას ეფუძნებოდა, (ჩვილი ბავშვების შეწირვის აკრძალვა). ქრისტიანობას ხალხი უკვე შემზადებული ჰყოლია ამ რეფორმისათვის. შეიძლება ხალხი მონათლული არ იყო, მაგრამ სახარებას მათ ზნეობასა და მორალზე გავლენა ჰქონია.

ოფიციალურ სარწმუნოებად აღიარებამდე რომის იმპერიაშიც უკვე დიდი მნიშვნელობა მიეცა ქრისტიანობას. ჯერ კიდევ III საუკუნეში ქრისტიანობის აღიარების შესახებ განკარგულება გამოსცა გალიენმა, ხოლო ჩვენი მეფე რევ მართალი (გარდ. 243 წ.) თითქმის ნახევარი საუკუნით ადრე მსგავსადვე მოიქცა. მას სმენილი ჰქონდა სახარება, ამიტომაც ის იყო „მოწყალე და ნუგეშინისმცემელი ჭირვეულთა“,[29] ე.ი. აღასრულებდა ქრისტეს მცნებებს.

„ქართული ისტორიული ტრადიცია ქართლში პირველი ქრისტიანული თემების ჩასახვას გულისხმობს ახალი წელთაღრიცხვის პირველივე საუკუნეებიდან და უკავშირებს მცხეთასა და მის მიდამოებში მცხოვრებ ებრაელებს. „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობების თანახმად, მცხეთელი ებრაელების ერთი ნაწილი ქრისტიანებად ჩანან. უკვე ახ.წ.აღ-ის პირველსავე საუკუნეში („და წარვიდა ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი და მუნით დახუდეს ჯუარცმასა უფლისა“; „...ხოლო კუართი იგი უფლისა წილით ხუდა მცხეთელთა“)[30] „როგორც ქართული წყაროები, ისევე სხვა ხალხთა ნაწარმოებნი გვაწვდიან ცნობებს იმ პირთა შესახებ, რომლებმაც ანდრია მოციქულის შემდეგ იქადაგეს ქართველთა შორის ქრისტიანული სარწმუნოება. ქართველ წმიდანთა ცხოვრებაში, რომელიც გამოცემული აქვს

მიხეილ საბინინს „საქართველოს სამოთხეში“, მოხსენიებულია ვინმე, სახელად ხრისო. მან მიიღო ქრისტიანობა მოციქულთაგან და თავის მხრივ მოაქცია და მონათლა ალბანიაში 19 კაცი, რომლებიც ალბანიის მეფის დატიანოსის ბრძანებით ქრისტეს მოძღვრების მიღების გამო ცეცხლში დაწვეს პირველი საუკუნის დამლევს.[31] „ამას გარდა, რომაელების მწერალი ბარონიუსი ამბობს, რომ ქრისტიანობა საქართველოში იქადაგა რომის ეპისკოპოსმა კლიმენტიმ, რომელიც რომის იმპერატორმა ტრაიანემ (98-117) გადაასახლა ყირიმში. ...მოუღწევია ჩვენამდის ცნობას, რომ II საუკუნეში საქართველოში ცხოვრობდა მწვალებელი მარკიონი“.[32]

„საინტერესოა, რომ VIII საუკუნის ცნობილი ქართველი მოღვაწე იოვანე საბანის ძე თხზულებაში – „წამება ჰაბოდსი, რომელი იწამა ქართლს შინა, ქალაქსა ტფილისს“ – წერს, რომ ქართველები „ხუთასის წლისა ჟამთა და უწინარწსღა შჯულდებულ ყოფილ არიან წმიდითა მადლითა ნათლისღებისაჲთა“.[33] ამრიგად, იოანე საბანის ძე, აკად. ივ. ჯავახიშვილის შეფასებით, „თავისი დროის მისაბაძი, სამაგალითო ისტორიკოსი“, ქართლში მესამე და უწინარეს საუკუნეებში ხედავს ქრისტიანული რელიგიის ფესვებს. „... ჩვენ გვაქვს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად ქცევამდის საქართველოშიც უნდა არსებულიყო (რა თქმა უნდა, უპირატესად ქალაქებში, მაგ. მცხეთაში) ადგილობრივი წვრილი ქრისტიანული თემური ერთობანი, დაახლოებით ისეთივე ხასიათის მქონენი, როგორიც ჰქონდათ მათ რომის იმპერიის სხვა პროვინციებში“.[34] „ქრისტიანთა „ჩანასახოვანი“ კომუნები პირველსავე საუკუნეში გვაქვს მცხეთას საგულისხმებელი, თუნდაც „უფლის კვართის“, ელიოზისა და სიდონიას ცნობილი გადმოცემის მიხედვით, სვეტიცხოვლის ისტორიას რომ ედება საფუძვლად“.[35]

იმავე აზრს ადგას პ. ინგოროყვა. „ქრისტიანობა, – წერს იგი, – საქართველოში ვრცელდება ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდანვე, რა დროიდანაც ქრისტიანობა მოეფინა საქართველოს მეზობელ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს და რომის იმპერიის პროვინციებს. საისტორიო წყაროების ჩვენებით ირკვევა, რომ ქრისტიანობა ფართო გავრცელებით სარგებლობდა საქართველოში უკვე მე-3 საუკუნეში“.[36] ბუნებრივია, დაისმის კითხვა: რამდენად ეთანხმება წერილობითი წყაროების მონაცემებს სამარხეული ძეგლები? ანუ ცნობილია, თუ არა დიდი მცხეთის ახ.წ.აღ-ის I-II სს. სამაროვნებზე სამარხები მიცვალებულთა გაპატიოსნება-დაკრძალვის ქრისტიანული წესით?

1978 წელს მცხეთაში, მიწის სამუშაოების დროს, დაზიანდა გვიანანტიკური ხანის კულტურული ფენები, რომელიც შეისწავლა მცხეთის მუდმივმოქმედმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძ. აკად. ა. აფაქიძე). არქეოლოგიური გათხრისას სხვა ძეგლებთან ერთად აღმოჩნდა ორი თიხის ფილასამარხი, მსგავსი ამ ტიპის უკვე ცნობილი სამარხი ნაგებობებისა. ერთ-ერთ მათგანში (№17) დაკრძალული იყო დედა-შვილი. ორივე მიცვალებული დაუსვენებიათ გულაღმა, გაშოტილი, თავით დასავლეთისაკენ (ე.ი. ქრისტიანული წესით, ეპ. ა. ჯ.). სამარხში აღმოჩნდა ერთადერთი სანეკე ბეჭედი ზრდასრული მიცვალებულისა. დაკრძალულთა პოზა, დამხრობა, ნივთიერი მასალის სიმცირე, სანეკე ბეჭედი, სარდიონის ბეჭდის თვალი

— ინტალიო, რომელზედაც ამოკვეთილია ერთ მხარეს მიმართული ორი — თევზისა და ღუზის გამოსახულება, მიგვანიშნებს, რომ სამარხი ქრისტიანთათვის გაუმართავთ. ღუზისა და თევზის გამოსახულება ხშირია ხელოვნების, პირველ რიგში კი, წინაქრისტიანული ხანის გლიპტიკის ძეგლებზე. „სწორედ წარმართული ხელოვნების ეს სიუჟეტები გამოიყენა ქრისტიანულმა რელიგიამ თავისი არსებობის საწყის ხანაში და სხვა ნიშნებთან ერთად აქცია იგი ადრეული ქრისტიანობის სიმბოლოებად. ახლად ჩასახული რელიგია ამითაც ცდილობდა თავი დაეღწია წარმართთა მხრივ ქრისტიანების დევნისაგან. ქრისტიანული რელიგიის ჩასახვა-განვითარების ეპოქაში, როდესაც ქრისტიანობას მრავლად ჰყავს როგორც აქტიური მომხრენი, ისე მოწინააღმდეგენი და იგი იქცევა იმდროინდელი საზოგადოების საგანგებო ყურადღების საგნად, ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ აქ განხილული სიუჟეტი ადრინდელი ქრისტიანობის სიმბოლოს წარმოადგენდა და არა მხოლოდ სამკაულის ჩვეულებრივ სახესხვაობას“.[37]

ქრისტიანული სამკვდრო წესის ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები, ნახსენები ფილა-ამარხის გარდა, მეტ-ნაკლებად შეინიშნება დიდი მცხეთის სამაროვნებზე მიკვლეულ-შესწავლილ სხვა საკრძალავებშიც. კერძოდ, ქრისტიანული სამკვდრო წესების მეტ-ნაკლები დაცვით გაუპატიოსნებიათ მიცვალებულები სამთავროს სამაროვანზე 1938-1940 და 1976-1983 წწ-ში გათხრილი სამარხების ერთ ნაწილზე,[38] მცხეთა-ქალაქში, სვეტიცხოვლის მიდამოებში შესწავლილი სამარხების ერთ ჯგუფში და სხვა.[39]

ყველა ეს საკრძალავი ზოგადად ახ.წ.აღ-ის II-III, უფრო მეტად კი, III საუკუნეს განეკუთვნება.

ამრიგად, არქეოლოგიური და წერილობითი წყაროების მონაცემების შეჯერებით ირკვევა, რომ ისტორიული დიდი მცხეთის მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი ქრისტიანულ რელიგიას ეზიარა მის (ქრისტიანობის) ოფიციალურ აღიარებამდე 100-150 წლით ადრე.[40]

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებენ ქართულ და უცხოურ წყაროთა ჩვენებებს, რომ მოციქულთა საქართველოში ქადაგებას უნაყოფოდ არ ჩაუვლია, თავისი შედეგი გამოუღია და ქვეყანაში ქრისტიანული თემები შექმნილა. უცხოური წყაროები მიუთითებენ, რომ ქრისტიანობას საქართველოს ზღვისპირეთში ავრცელებენ II-III საუკუნეებში, არქეოლოგიური მონაცემებით კი საქართველოს დედაქალაქი მცხეთაც ქრისტიანულ ორბიტაშია მოქცეული.

ცხადია, ქრისტიანებს, რომლებიც II-III საუკუნეებში საქართველოში ცხოვრობდნენ, ესაჭიროებოდათ სამღვდელოება, მონათვლა და ზიარება სამღვდელოების გარეშე არ შეიძლებოდა. როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, II-III საუკუნეების სვეტიცხოვლის, სამთავროსა და სხვა სამაროვნებში ქრისტიანები დაუკრძალავთ, მათ შორის ბავშვებიც. ცხადია, ყველა ისინი მონათლულნი იყვნენ, ამიტომაც, უეჭველია, II-III საუკუნეებში ჩვენში სამღვდელოება და ქრისტიანული მრევლი არსებობდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ II-III საუკუნეებში ჩვენში ეკლესია არსებობდა. საინტერესოა, როგორი პრინციპით იყო მოწყობილი ეს ეკლესია (ქრისტიანული თემები)? პირველ

რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ქალაქსა თუ ქალაქების უბნებში არსებული ქრისტიანული თემები არ იყვნენ ერთმანეთზე დაქვემდებარებული. ერთიანი მთელი ქვეყნის მომცველი ქრისტიანული ეკლესია ერთიანი ცენტრით და ერთიანი მმართველობით არ არსებობდა, თუმცა, რადგანაც იყო სამღვდელოება, ეპისკოპოსებიც იარსებებდნენ. „ქართლის ცხოვრება“ კიდევაც წერს, რომ თვით ანდრია მოციქულმა აწყურის ქრისტიანულ მრევლს თავისი ეპისკოპოსი გაუჩინაო.[41] ცხადია, ქრისტიანობა და მისი სამღვდელოება დევნილი იყო. ის ფარულად არსებობდა, ამიტომაც ძალზე სუსტი იყო. აღსანიშნავია, რომ მოციქულთა ეპოქაში და მის შემდგომაც მღვდელმოქმედებას ეპისკოპოსიც ასრულებდა და მღვდელს ეპისკოპოსს უწოდებდნენ. ქართული სახელმწიფოს მიერ ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარებამდე ჩვენში რომ არსებობდნენ საეპისკოპოსოები, ისიც მიუთითებს, რომ ბიჭვინთაში ქრისტიანულ თემს ჰყავდა ეპისკოპოსი და თანაც ძალიან გავლენიანი და სახელგანთქმული. I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე 325 წელს მონაწილეობდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე. 325 წლამდე, ცხადია, ეს საეპისკოპოსო იარსებებდა და დიდი ავტორიტეტიც ექნებოდა მაშინდელ მსოფლიო ქრისტიანობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მის ეპისკოპოსს არ მიიწვევდნენ ნიკეის მსოფლიო კრებაზე, სადაც ძალზე ავტორიტეტული მნიშვნელობისა და წონის მღვდელმთავრები იყვნენ მიწვეულები.

აგათანგელოზის ცნობის თანახმად, ეპისკოპოსები ადრევე იყვნენ არა მარტო დასავლეთ საქართველოში, არამედ აღმოსავლეთ საქართველოშიც. აგათანგელოზის ცნობით, ნიკეის კრების წინ სრულიად იბერიის მიტროპოლიტს იბრ-ზ-ხუა რქმევია, დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსს — სოფრონიუსი, ხოლო სამხრეთ საქართველოს (ბასიანის) ეპისკოპოსს — ევლათიუსი.

აღსანიშნავია, რომ მოციქულთა მიერ დაარსებული ეკლესიები (ქრისტიანული თემები, საეპისკოპოსოები) I-II საუკუნეებში ერთმანეთისგან დამოუკიდებელი იყო და მათ ერთიანი ადმინისტრაციული ცენტრი არ გააჩნდათ. ასევე იყო საქართველოშიც წმიდა ნინოს შემოსვლამდე. საქართველოში არსებული ქრისტიანული თემები, საეპისკოპოსოები (ბიჭვინთა და სხვა), ალბათ, ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი იყვნენ. ქრისტიანთა დევნის საუკუნეებში (I-III სს) ქრისტიანობის სიმტკიცის ერთერთი მიზეზი ის იყო, რომ მას არ გააჩნდა ადმინისტრაციული ცენტრი. არსებობდა ასობით და ათასობით ეკლესია და ქრისტიანული თემი (იგულისხმება რომის იმპერია), დამოუკიდებელნი ერთმანეთის მიმართ, მსგავსად ებრაული თემებისა. ეს ასახულია მოციქულთა 34-ე კანონში, რომლის მიხედვითაც ყოველ თემს, ყოველ ერს თავისი ეპისკოპოსი უნდა ჰყავდეს. ყოველი თემის (ერის, ნათესავის) ეპისკოპოსი ამ თემის წევრთათვის აღიარებულია პირველ კაცად და მეთაურად, მისი განზრახვის გარეშე არაფერი „ნამეტნავის“ გაკეთების ნება არა აქვთ, მაგრამ თავის მხრივ ეპისკოპოსიც ვალდებულია იმოქმედოს „ყოველთა განზრახვით“, რათა „ესრეთ ერთნებობა აღესრულოს და იდიდოს ღმერთი...“[42]

„მოციქულთა 34-ე კანონი, როცა ნათესავზე, ერზე ლაპარაკობს, მხედველობაში იღებს არა ეროვნებებს, არამედ ეთნიკურ ოლქებს, რომლებადაც იყო დაყოფილი

რომის სახელმწიფო, მის დაყოფამდე დიოკლეტიანეს მიერ პროვინციებად".[43] ალბათ, იმპერიის მსგავსად იყო მოწყობილი ქრისტიანული მრევლი საქართველოში.

სწორედ ქრისტიანული თემების არსებობამ და სიძლიერემ მიიყვანა იმპერატორი კონსტანტინე გადაწყვეტილებამდე, რომ სახელმწიფო სარწმუნოებად ეღიარებინა ქრისტიანული სარწმუნოება.

„იმპერატორ კონსტანტინეს სარწმუნოებრივი პოლიტიკა, კერძოდ, მისი ქრისტიანობისადმი დამოკიდებულება მოულოდნელი და განსაკუთრებული რამ არ ყოფილა. ქრისტიანობამ 312 წლამდე გრძელი გზა განვლო, რამაც იგი მილანის ედიქტამდე მიიყვანა. ქრისტიანობამ მოიპოვა ოფიციალური არსებობის უფლება, რომელსაც შეუპოვარი ხანგრძლივი ბრძოლით მიაღწია. ეს ბრძოლა გამოვლინდა რომის ხელისუფალთა ქრისტიანობისადმი დამოკიდებულების ისტორიაში, რომელიც გვამცნობს, რომ მარცხსა და დევნილობასთან ერთად, ქრისტიანობა დროდადრო დიდ წარმატებას აღწევდა... ამ მხრივ საინტერესოა რომის იმპერატორთა, განსაკუთრებით კი გალიენის პოლიტიკა. ამ უკანასკნელის მიერ 260 წელს ქრისტიანობის შესახებ გამოცემული განკარგულება 312 წლის მილანის ედიქტის შორეული წინაპარია... უშუალო წინამორბედად კი გალერიუსის 311 წლის ედიქტი უნდა ჩაითვალოს, რომელზეც კონსტანტინეც აწერს ხელს".[44]

საქართველოში IV საუკუნეში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადება ყოფილა არა მოულოდნელი, შემოტანილი, ანდა თავსმოხვეული აქტი, არამედ ეფუძნებოდა ქრისტიანობის ადგილობრივ საუკუნოვან ტრადიციას. „შეუძლებელია ლაპარაკი ამა თუ იმ ქვეყანაში ქრისტიანობის უბრალოდ შემოღებაზე. განსაკუთრებით უსაფუძვლოა აზრი რომელიმე სახელმწიფოში ქრისტიანობის შეტანასა და მის იქ გაბატონებაზე. ქრისტიანობის გავრცელება მხოლოდ მისი პროპაგანდის, ქადაგების შედეგი არ შეიძლება იყოს, რასაკვირველია, პროპაგანდის, ქადაგების როლის უარყოფა არ შეიძლება... ქრისტიანობის ქადაგება რომის იმპერიაში საუკუნეების მანძილზე წარმოებდა".[45]

ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, რომ წმიდა ნინო ვერ შეძლებდა მთელი ქართველი ხალხის გაქრისტიანებას, საქართველოში წმინდა მოციქულებსა და სხვა მქადაგებლებს ქართველი ხალხი შემზადებული რომ არ ჰყოლოდა ქრისტიანობის საჯარო აღიარებისათვის. ამ თვალსაზრისმა ასახვა ჰპოვა კიდეც წმიდა ნინოს ცხოვრებაში, სადაც უფალი უცხადებს წმიდა ნინოს, რომ საქართველოში „სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკი მცირე". ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში მოციქულთა მიერ დათესილ სახარების მარცვალს საუკუნეთა მანძილზე ხალხი შეუმზადებია საერთო სახალხო მონათვლისათვის.

„ქართლის სამეფოში ქრისტიანობის გავრცელება, არსებული მასალების (როგორიცაა არქეოლოგიური, ასევე ნარატიული და ეპიგრაფიკული) მიხედვით, გვესახება შემდეგნაირად: ახ.წ.აღ-ის პირველ საუკუნეებში, შესაძლოა, II საუკუნის დასაწყისში, ქართლის მსხვილ სავაჭრო ეკონომიურ ცენტრში, უპირველეს ყოვლისა კი მცხეთაში, ჩნდებიან პირველი ქრისტიანები, რომლებიც ფარულად იწყებენ ახალი რელიგიის ქადაგებას იბერიის სამეფოში. ახლა ძნელია დადგენა იმისა, თუ ვინ

იყვნენ ეს პირველი მისიონერები, სპეციალურად მოვლენილი თუ შემთხვევითი პირნი, ან იქნებ სულაც, გარკვეულ ნაწილს ქრისტეს სჯულის მქადაგებლებისა წარმოადგენდნენ ადგილობრივნი, რომლებიც ქრისტიანობას ეზიარნენ პალესტინაში, იუდეაში ან რომის იმპერიის სხვა პროვინციაში, სადაც სწორედ ამ დროისათვის ისახება, ყალიბდება, ებრძვის ერთმანეთს და წარმართულ რელიგიებს ათობით ქრისტიანული მიმდინარეობა. შესაძლოა, ქრისტიანული იდეების ერთ-ერთ პირველ გამავრცელებლებად გვევლინება იბერთა ის ლაშქარი, რომელიც ქართლის მეფის მითრიდატე III (გ. მელიქიშვილის მიხედვით) ძმის, ამაზასპის, მეთაურობით მიემართება რომაელთა დასახმარებლად პართელთა წინააღმდეგ ბრძოლაში... დღეს ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით ქრისტიანული რელიგია ჩვენში შემოვიდა სწორედ როგორც დაბალი ფენების რელიგია, საზოგადოების ფართო ფენების რელიგია... გავიხსენოთ ცნობილი ფაქტი წმიდა ნინოს მცხეთაში მოსვლისა და მის მიერ ქადაგების დაწყებისა. მისიონერი ქალი თავდაპირველად უარს ამბობს სამეფო კართან რაიმე კონტაქტზე და იწყებს მოღვაწეობას სწორედ მოსახლეობის ფართო ფენებში. სწორედ აქედან გამოდიან ისინი, ვინც „...მის თანა ქადაგებდეს...“, ესენი არიან „...შვიდნი დედანი ნათესავნი ურიათანი, ასული აბიათარისა და ექვსნი სხვანი და სამოთხისა მცველნი იგი დედანი და ცოლქმარნი, აბიათარ მღვდელი, ახალი პავლე. ვფიქრობ, მსგავსი სურათი უნდა ყოფილიყო წმიდა ნინოს მცხეთას მოსვლის წინა ხანაშიც“.[46]

რომელ წელს შემოვიდა წმიდა ნინო საქართველოში და გაქრისტიანდა მთელი ქართველი ხალხი? ეს ყოველთვის საინტერესო საკითხი ძალზე დამაჯერებლად გაარკვია ისტორიკოსმა ვახტანგ გოილაძემ. ვ. გოილაძის თანახმად, წმიდა ნინო საქართველოში შემოვიდა 303 წელს.

317-318 წელს ქართლის სამეფო კარმა სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარა ქრისტიანობა, ხოლო 324-326 წელს ხალხი მასიურად მოინათლა.

ვ. გოილაძე წერს: „უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო: ცნობიდან აშკარად ჩანს, რომ ნინო და მისი თანამგზავრები საბერძნეთიდან თავიანთი ნებით კი არ წამოვიდნენ, გამოიქცნენ, სომხეთში მოსული ნინოს თანამგზავრები ორდატმა სიკვდილით დასაჯა. რაც შეეხება ლტოლვილთა წამოსვლის დროდ მითითებული მერვე წლის რეალობას, ამის თაობაზე იმპერიაში არსებული პოლიტიკური ვითარება უნდა გავითვალისწინოთ.

305 წლის 1-ელ მაისს, დიოკლეტიანეს გადადგომის შემდეგ, იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილს გალერიუსი (გარდ. 311 წ. მაისში) განაგებდა. სწორედ მან 311 წლის 30 აპრილს ნიკომიდიაში გამოცემული ედიქტით ქრისტიანთა დევნა შეწყვიტა და მათი უფლებები აღადგინა. გალერიუსის შემდეგ იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილს მაქსიმიან დაზა და ლიცინიუსი განაგებდნენ. 313 წლის ივნისში სირიისა და ეგვიპტის გამგებლის დაზას დამარცხების შემდეგ ლიცინიუსი იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილის ერთპიროვნული გამგებელი გახდა და ამ წელს ქრისტიანთა შემწყნარებლობის ედიქტი გამოსცა, მაგრამ მისი პოლიტიკა ქრისტიანთა მიმართ თანმიმდევრული არ იყო.

კონსტანტინე დიდის გამგებლობაში მხოლოდ 324 წლის 18 სექტემბერს, ლიცინიუსის საბოლოო დამარცხების შემდეგ, გადავიდა რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილი. ასე რომ, 324 წლის 18 სექტემბრამდე კონსტანტინე აღმოსავლეთის საქმეებში ვერ ჩაერეოდა.

საეჭვოდაა მიჩნეული მაქსენსიუსზე გამარჯვების შემდეგ კონსტანტინესა და ლიცინიუსის მიერ 313 წელს მილანში გამოცემული ედიქტი ქრისტიანების უფლებრივად წარმართებთან გათანაბრების შესახებ. კონსტანტინემ მხოლოდ 324 წელს, ლიცინიუსზე გამარჯვების შემდეგ, გამოსცა ორი ედიქტი. ერთი ქრისტიანების უფლებების აღდგენას შეეხებოდა, მეორით კი წარმართებს უფლებათა დაცვას პირდებოდა. არაა სწორი ლტოლვილთა წამოსვლის თარიღად მითითებული მერვე — 326 წელიც, ამ წელს იმპერიაში ისეთი არაფერი მომხდარა, იმპერიის ტერიტორიიდან ქრისტიანები მასიურად რომ გამოქცეულიყვნენ. პირიქით, ძველი საეკლესიო ისტორიკოსის ზოსიმეს ცნობით, კონსტანტინე მხოლოდ 326 წლიდან დადგა საბოლოოდ ქრისტიანთა მხარეზე. მეორეც, ამ დროისათვის სომხეთში ქრისტიანობა უკვე სახელმწიფო რელიგიად იყო აღიარებული და 326 წელს აქ მოსულ ლტოლვილებს ქრისტიანი მეფე სიკვდილით არ დასჯიდა. აშკარაა, იმპერიიდან ლტოლვითა წამოსვლის დროდ „ცხოვრებაში“ მითითებული 326 წელი არასწორია თუ „ნინოს ცხოვრების“ ტექსტში არაფერია ნათქვამი, იმპერიიდან რომელი იმპერატორის დროს წამოვიდნენ ლტოლვილები, „რიფსიმიანთა წამებაში“ მათი გამოქცევა უშუალოდ დიოკლეტიანეს სახელთანაა დაკავშირებული. ამრიგად, იმპერიიდან ქრისტიანთა ლტოლვის მიზეზად 303 წელს დიოკლეტიანეს მიერ დაწყებული ქრისტიანთა დევნა უნდა იქნას მიჩნეული, რის საფუძველზეც ნინოს მცხეთაში (ასევე სომეხი ლტოლვილების ვაღარშაპატში) მოსვლა 303 წლით უნდა დათარიღდეს“.[47]

შემდეგ ვ. გოილაძე განაგრძობს: „ცხოვრების“ ვარიანტში არსებული ცნობით, მცხეთაში მოსული ნინო „სამ წელ ილოცვიდა ფარულად“. 303-306 წლებში მისიონერული მოღვაწეობა ნინოს მართლაც გაუძნელდებოდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქრისტიანთა დევნა იმპერიაში დიოკლეტიანეს გადადგომამდე (305 წ. 1-ლი მაისი) მძვინვარებდა და იგი გარკვეულწილად ქართლშიც ჰპოვებდა ასახვას. 306 წლიდან მისიონერული მოღვაწეობისათვის ნინოს მეტი თავისუფლება მიეცემოდა... ძველი ქართული წყაროების ერთობლივი მითითება ნინოს მცხეთაში მოსვლიდან 14-15 წლის შემდეგ გარდაცვალების შესახებ, ჩემი ვარაუდით, ნინოს მცხეთაში შემოსვლიდან ქართლის მოქცევამდე გასული დროის მონაკვეთს უნდა აღნიშნავდეს ... უეჭველია, როგორც სომხური 15, ისე ქართული წყაროების 14-15 წელი დროის იმ მონაკვეთზე მიგვითითებს, რომელიც გავიდა ნინოს ქართლში შემოსვლიდან – მის მიერ ქართლის მოქცევამდე ... რადგანაც ნინო ქართლში 303 წელს შემოვიდა, ქართლის სამეფო კარის მიერ (ასევე სომხეთის) ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება 318 წლით უნდა დათარიღდეს.

ქართლისა და სომხეთის სამეფო კარმა და ხალხმა 318 წელს კი აღიარა ახალი რწმენა, მაგრამ, როგორც კ. კეკელიძე წერს, „ერთი საქმეა მოქცევა, გაქრის-

ტიანება ხალხისა ... სხვა საქმეა მონათვლა უკვე მოქცეული ხალხისა, რიტუალის შესრულება". ასეთი აქტისათვის მხოლოდ 324 წელს, კონსტანტინეს მიერ გამოცემული ედიქტის შემდეგ შეიქმნა ხელსაყრელი პირობები. ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების წინა 324 წლის ბოლო თვეები ყველაზე ხელსაყრელი დრო იყო სომხეთისა და ქართლის ეკლესიათა მეთაურების ოფიციალური კურთხევისათვის. თეოფანე ჟამთააღმწერელი ქართლისა და სომხეთის მოქცევის შესახებ 324 წელს მომხდარ ამბებთან ერთად მოგვითხრობს... ამრიგად, ქართლისა (ასევე ეგრისის) და სომხეთის მოქცევა 318 წლით უნდა დათარიღდეს. ასეთ დათარიღებას მხარს უჭერს მოსე ხორენელის თხზულებაში, როგორც ჩანს, „ნინოს ცხოვრებიდან" და აგათანგელოზის „სომეხთა მოქცევიდან" მომდინარე ტრადიცია, რომლის თანახმადაც, მირიანი და თრდატი დაახლოებით ერთად გაქრისტიანდნენ. სომხური წყაროს ამ ცნობას ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიაქცია ყურადღება ივ. გვარამაძემ და მან ქართლის მოქცევა 317 წლით დაათარიღა".[48]

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ისტორიის უდიდესი მკვლევარი, ქართლის მოქცევას ათარიღებდა 317 წლით. დ. ბაქრაძე, ივ. გვარამაძე იზიარებდნენ ვახუშტისეულ წელს და ქართლის მოქცევას მსგავსადვე ათარიღებდნენ. „ქართლის მოქცევის თარიღად ასევე 318 წელი მიაჩნდა პ. იოსელიანს, მ. საბინინს და რ. ცამციევს. ქართლის მოქცევის ვახუშტისეული 317 წელი გაიზიარეს დ. ბაქრაძემ და ივ. გვარამაძემ".[49]

ქართული ეკლესიის მეთაურის ეპისკოპოს იოანეს ხელდასხმის წლად ვ. გოილაძეს მიაჩნია 324 წელი. ის ფიქრობს, რომ ქართული ეკლესია არის არა ანტიოქიური წარმოშობისა, არამედ კაპადოკიური (პონტოს დიოცეზი). ის წერს: „აღნიშნულთან ერთად ა. ჰარნაკი მცირე აზიის მთელ მოსახლეობას IV საუკუნისათვის თითქმის მთლიანად ქრისტიანად მიიჩნევს, მისი მტკიცებით, მცირე აზიაში ადრევე დაიწყო მოსახლეობის ეთნიკურ შედგენილობაზე შექმნილი ეკლესიების ჩამოყალიბება. იმ ეროვნულ ეკლესიათა შორის, რომლებმაც ანტიოქიის მეურვეობას დააღწიეს თავი და საკუთარი სამისიონერო მოღვაწეობა გააჩაღეს, იგი კაპადოკიის ეკლესიასაც ასახელებს. თუ გავითვალისწინებთ ძველ ავტორთა მტკიცებას კაპადოკიის მოსახლეობის ქართველური წარმომავლობის შესახებ, მაშინ „ცხოვრებაში" ნინოს კაპადოკიელად დასახელება მეტ საფუძველს გვაძლევს, ნინოს (ასევე სხვა ლტოლვილების) წამოსვლა კაპადოკიიდან ვივარაუდოთ ..."აგათანგელოზის თანახმად, სომეხთა განმანათლებელი გრიგოლი კაპადოკიაში „იზრდებოდა წესითა ქრისტიანესაჲთა", იქ ეზიარა ქრისტეს მცნებას და იქვე, კაპადოკიის კესარიის ეპისკოპოსის ლეონტის მიერ იქნა ხელდასხმული სომეხთა ეპისკოპოსად ...პ.გიდულიანოვი ლეონტის ეპისკოპოსობას 315/316-325 წლებით განსაზღვრავს (326-341 წწ. კესარიის ეპისკოპოსად გერონტი ჩანს). ასე რომ, როგორც სომეხი ხალხისა და სამეფო ოჯახის მოქცევისას (318 წ.), ისე სომეხთა პირველი ეპისკოპოსის გრიგოლის ხელდასხმისას (324წ.) კესარიის საეპისკოპოსო კათედრაზე ლეონტი იმყოფებოდა. კესარიიდან სომხეთში მომავალ გრიგოლის ლეონტის დავალებით კაპადოკიის ქალაქ სებასტიიდან თან გამოყვა ეპისკოპოსი პეტრე და სებასტიიდან

წამოყვანილ ღვთისმსახურთა მეშვეობით მოახდინა სომხური ეკლესიის ორგანიზაცია. თუ გავითვალისწინებთ კაპადოკიის მოსახლეობის ქართველურ წარმომავლობას და იმ გარემოებასაც, რომ კაპადოკიის კესარიის ეკლესიის ისეთი საჭეთმპყრობელი, როგორიც ბასილი დიდი კესარიელია (გარდ. 379 წ.), ქართველი იყო (ე. ხინთიბიძე, გ. გოზალიშვილი და სხვ.), მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ საეპისკოპოსო კათედრას ადგილობრივი, ქართული წარმოშობის სასულიერო პირები განაგებდნენ და ეპისკოპოსი ლეონტიც, რომლის მიერ იქნა ხელდასხმული სომეხთა განმანათლებელი გრიგოლი, ქართველი უნდა ყოფილიყო. გრიგოლ განმანათლებლის კესარიაში ხელდასხმის შემდეგ ძველ სომეხ ისტორიკოსთა მითითებით, სომხური ეკლესია კაპადოკიის ეკლესიაზე დამოკიდებული შეიქნა. სომხეთის ეკლესიის ისტორიის ავტორის ა. ანინსკის შენიშვნით, კესარიაში ხელდასხმის შემდეგ გრიგოლი სომხეთის ეკლესიის ორგანიზაციის დროს კესარიის დედა ეკლესიის მითითებით ხელმძღვანელობდა. ბუნებრივია, ამიტომ მოძღვრება და ყველა საეკლესიო წესი სომხეთში გადმოღებულ იქნა ისეთივე სახით, როგორც კაპადოკიის კესარიაში იყო, ე.ი. არიანული. ნიკეის კრებაზე ლეონტი გადაყენებულ იქნა. ახლა რაც შეეხება ქართლის პირველი ეპისკოპოსის – იოანეს ხელდასხმას, ისევე, როგორც სომხეთისა და ეგრისის, ქართლის მოსახლეობის მოქცევის საქმეშიც კაპადოკიელმა მისიონერმა შეასრულა მთავარი როლი, მაგრამ, როგორც ჩანს, კაპადოკიის ეკლესია ყოველთვის ვერ ახერხებდა ანტიოქიის ძლიერი ეკლესიისათვის ანგარიში არ გაეწია და თავისი მისიონერების მიერ მოქცეული ქვეყნის მეთაური თვითონვე ეკურთხებინა... ქართლის ეკლესიის მეთაურის ხელდასხმა 324 (უკიდურეს შემთხვევაში 325 წლის ივლისამდე) წელს რომ უნდა მომხდარიყო, ამის დამადასტურებლად ზემომოტანილი მასალის გარდა მიმაჩნია „ნინოს ცხოვრებაში“ არსებული ის ცნობა, რომლის თანახმადაც, ნინოს ღმერთის აღიარების შემდეგ მირიანმა ეკლესიის მშენებლობა დაიწყო და მხოლოდ მშენებლობის დამთავრების შემდეგ შეუთვალა კონსტანტინეს — „სრულიად მოწყვედა სპარსთა და მტკიცედ მიღება სიყვარულისა მათისა“, რის პასუხადაც კონსტანტინემ „წარმოგზავნა მღდელი ჭეშმარიტი იოვანე ეპისკოპოსად, მის თანა მღდელნი ორნი და დიაკონნი სამნი“.[50] როგორც „მირიანის ცხოვრებაშია“ ნათქვამი, ამ დროს მირიანს კონსტანტინემ იმპერიაში მძევლად მყოფი ძეც კი დაუბრუნა (სხვათა შორის, ძველი ქართული წყაროს ამ ცნობას მხარს უჭერს V საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის — სოზომენეს მითითება, ქართლის მოქცევის შემდეგ ბიზანტიასა და ქართლს შორის „სამხედრო კავშირის დადებისა და მეგობრობის დამყარების“ შესახებ). წიგნი II, 7“.[51]

ვ. გოილაძის მსჯელობა ძალზე დამაჯერებელია, ამიტომაც უნდა აღდგეს ვახუშტი ბაგრატიონის მიერ გამორკვეული თარიღი – ქართლის მოქცევა 317-318 წლით უნდა დათარიღდეს, ხოლო ქართული ეკლესიის ორგანიზაცია და ხალხის მონათვლა 324-326 წლებით. ერთიანი ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები მისი ორგანიზაციისა და ჩამოყალიბების დროს IV საუკუნეში უთუოდ მოიცავდა კლარჯეთს, ჰერეთს, და, საფიქრებელია, გუგარქსაც. კლარჯეთს რომ მოიცავდა

ქართული ეკლესია, ეს მოსე ხორენელის თხზულებიდანაც ჩანს, რომლის მიხედვითაც წმიდა ნინომ იქადაგა კლარჯეთიდან ვიდრე მასქუთებამდე. მასქუთების ქვეყანა იყო კასპიის ზღვის პირზე და ქართლსა და მასქუთებს შორის ჰერეთი მდებარეობდა. მოსე ხორენელის აზრით, წმიდა ნინოს მასქუთებამდე, ე.ი. ჰერეთშიც უქადაგნია. ხოლო გუგარქს რომ მოიცავდა ქართული ეკლესია, იქიდან ჩანს, რომ „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, მეფე მირიანსა და სომხეთის მეფე თრდატს შორის დაიდო საზღვარი, რომელიც გადიოდა მტკვრისა და არაქსის წყალმყოფ ქედზე. მდინარეთა ხეობანი, რომლებიც მტკვარს უერთდებოდნენ, ქართველების სამეფოში შედიოდა. ცნობილია, რომ გუგარქზე გამავალი ყველა მდინარე მტკვარს უერთდება, ამიტომაც ქართული ეკლესიის იურისდიქციაში მირიანის დროს გუგარქიც შედიოდა.

მ. ჩხარტიშვილი წერს: „აგათანგელოზის მიხედვით, გრიგოლმა იქადაგა კლარჯეთამდე ტერიტორიაზე, ხოლო ნუნეს (წმინდა ნინოს), ხორენელის მიხედვით, თავისი მოღვაწეობა სწორედ კლარჯებით დაუწყია. აგათანგელოზის მითითებით, გრიგოლს უმოღვაწია მთელ მასქუთეთში („მასქუთთა საზღვრების ბოლომდე“), ხოლო ხორენელით, ნუნეს მასქუთებამდე უქადაგია მხოლოდ („მასქუთთა საზღვრებამდე“). აგათანგელოზის მითითებით, გრიგოლის მოღვაწეობა ალანთა და კასპთა სამყოფელში არ გავრცელებულა, მას ალანთა კარებამდე და კასპთა საზღვრებამდე ტერიტორიები დაუმოძღვრავს („ალანთა კარამდე, კასპთა საზღვრებამდე“), ხოლო ნუნეს, ხორენელით, კლარჯეთიდან მასქუთებამდე არეალი მოუქცევია ალანთა და კასპთა კარის დამატებით („ალანთა და კასპთა კარით“) ...თუ დავუკვირდებით გრიგოლის მარშრუტს, დავინახავთ, რომ იგი ქმნის გარკვეულ მრუდს, რომელიც წარმოადგენს ქართული ტერიტორიების სასაზღვრო კონტურს. აგათანგელოზის ცნობის მიხედვით, გრიგოლს გვერდი აუვლია ზუსტად ქართული მიწებისათვის, ამიტომ ხორენელმა, რომელმაც რომელიღაც წყაროდან იცოდა, რომ ქართველთა განმანათლებელი ნუნე იყო, ჩათვალა, რომ გრიგოლის სამისიონერო გზის ამგვარი განსაზღვრით, აგათანგელოზი მიუთითებდა – ქართული მიწები მოაქცია ნუნემ“.[52]

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, სომხური წყაროებისათვის ცნობილი ყოფილა, რომ წმიდა ნინოს ქადაგების შემდეგ ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შევიდა ქართლის ის ტერიტორიებიც, რომლებსაც კლარჯეთი და ჰერეთი ეწოდებოდა. ამიტომ ქართულ ეკლესიაში სამხრეთ-დასავლეთის მხარეს შედიოდა კლარჯეთი, აღმოსავლეთით ჰერეთი, ხოლო სამხრეთის საზღვრის შესახებ გვაქვს მითითება „ქართლის ცხოვრებაში“. ცნობილია, რომ იბერია და სომხეთი რომის იმპერიის გავლენის სფეროებში შედიოდნენ იმპერატორ კონსტანტინეს დროს, რასაც აღიარებს „ქართლის ცხოვრება“, რომლის თანახმადაც, რომის ამ იმპერატორს განუწესებია საზღვარი ქართლის სამეფოსა და სომხეთს შორის: „განუჩინა საზღვარი მირიანს და თრდატს ესრეთ: რომელთა ქუეყანათა მდინარენი დიან სამხრეთით და მიერთვიან რაჰსსა, ესე ქუეყანანი თრდატის კერძად დაყარნა, და რომლისა ქუეყანისა მდინარენი ჩრდილოთ დიან და მიერთვიან მტკუარსა, ესე მირიანის კერძად დაყარნა“.[53]

შედიოდა თუ არა ეგრისი ქართული ეკლესიის იურისდიქციაში მეფე მირიანის დროს? ძველქართული ტრადიციით (როგორც წერილობითი, ისე ზეპირი), ეგრისის განმანათლებელი იყო წმიდა ნინო და ეგრისი ქართულ ეკლესიაში დაარსებისთანავე შედიოდა. მაგალითად, წმიდა ნინოს თითქმის თანამედროვე ეპოქაში მოღვაწე ბერძენ-ლათინი ისტორიკოსები, რომლებიც ქართლის მოქცევიდან 50-100 წლის შემდეგ წერდნენ თავიანთ შრომებს, ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ ქართველები, რომლებმაც მიიღეს ქრისტიანობა, ცხოვრობდნენ პონტოს, ანუ შავი ზღვის პირზე (სადაც მდებარეობდა ისტორიული ეგრისი). ამ ავტორებს დაბეჯითებული მტკიცებანი მიუთითებს იმას, რომ ეგრისიც იმ დროს გაქრისტიანდა, როცა გაქრისტიანდა აღმოსავლეთ საქართველო. ეს ავტორები ეგრისელებს ისევე მიიჩნევდნენ იბერებად (ქართველებად), როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ქართველებს. ცნობილი ევაგრე პონტოელი იბერი იყო, წარმოშობით შავიზღვისპირეთიდან-ეგრისიდან. ეგრისი რომ მირიან მეფის სახელმწიფოში შედიოდა, ამის შესახებ წერია „ქართლის ცხოვრებაში“ — „და მეფობდა მირიან მუნ ქართლს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს, და აქუნდა ეგრისიცა ვიდრე ეგრისწყლამდე“.[54] თვით გვიან საუკუნეებშიც კი, როცა ეგრისი და ლაზეთი უკვე აღარ შედიოდნენ ქართლის სამეფოში, მაინც უკიდურესი სამხრეთის თურქეთის საზღვრებში მოქცეული ოფის სამიტროპოლიტო ეკლესიის შესახებ არსებობდა გადმოცემა, რომ ეს ეკლესია წმიდა ნინოს მიერ იყო აგებული, ხოლო მთელი ლაზიის სამიტროპოლიტო „ქართულ მიწებზე“ მდებარეობდა.[55] „...1958 წ. გამოცემული საქართველოს ისტორიის პირველ ტომში ნათქვამია, რომ ეგრისისათვის ქრისტიანობას სახელმწიფო მნიშვნელობა მიეცა 523 წელს. ეს თარიღი რომ მცდარია და ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში გაცილებით ადრეა მიღებული, ამას სხვა მონაცემებთან ერთად ადრეული ეკლესიების არსებობაც ადასტურებს. ამ ბოლო დროს კი მიღებულია აზრი, რომ ეგრისის სამეფოში ქრისტიანობის გავრცელება IV საუკუნეში უკვე ფაქტს წარმოადგენს“.[56] „როგორც ირკვევა, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, მაშინდელ იბერიასა და ეგრისში, ქრისტიანობა ერთსა და იმავე დროს, IV საუკუნეში მიუღიათ, იგი სახელმწიფო რელიგია გამხდარა“.[57]

მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ ცხადი გახადა, რომ დასავლეთ საქართველოში (ეგრისში) ქრისტიანობა IV საუკუნეში ისევე აღიარებულ სარწმუნოებად იქცა, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ანუ მთელ საქართველოში ერთდროულად, წმიდა ნინოს ეპოქაში, ქრისტიანობას სახელმწიფო მნიშვნელობა მიეცა. ამასვე ადასტურებენ ქართული წყაროები.

ეგრისი მეფე მირიანის სახელმწიფოში შედიოდა და ცხადია იქ, ისევე როგორც სხვა კუთხეებში, წმიდა ნინოს ღვაწლით ქრისტიანობა გავრცელდა.

ქართული ეკლესია დაარსებისთანავე მოიცავდა როგორც საქართველოს შიდა მხარეებს, აგრეთვე ეგრისს, კლარჯეთს, გუგარქს და ჰერეთს.

მართალია, გუგარქი ხელიდან ხელში გადადიოდა და მკვიდრად დაუკავშირდა დედა-სამშობლოს IV საუკუნის 70-იანი წლებიდან, მაგრამ მირიან მეფის დროსაც, ჩანს, ის ქართლში შედიოდა.

საეკლესიო ენის შესახებ უნდა ითქვას, რომ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებამდე წარმართული კულტმსახურება აღესრულებოდა ქართულ ენაზე. როგორც ივანე ჯავახიშვილმა გაარკვია, წარმართული კულტმსახურება არა მარტო შიდა საქართველოში აღესრულებოდა ქართულ ენაზე, არამედ თვით სვანეთსა და სამეგრელოშიც კი. მთელ საქართველოში, რომელიც მეფე მირიანის დროს იწყებოდა მდინარე ეგრისწყალთან და გადაშლილი იყო მასქუთების (კასპიის პირას) ქვეყნამდე, წარმართული ღვთისმსახურება ქართულენოვანი იყო. ხოლო წარმართული პანთეონი ძალზე დამუშავებული და დახვეწილი ყოფილა.

ეს გარემოება უთუოდ ქრისტიანულ კულტმსახურებაზეც იმოქმედებდა. თუ ქართველი წარმართები თავიანთ „ღმერთს“ ადიდებდნენ ქართულ ენაზე, ქრისტიანი მღვდელმსახურებიც, ქრისტიანობის გავრცელების მიზნით, შეეცდებოდნენ ქართველებისათვის ქართულ ენაზევე მიეწოდებინათ სახარება, ასევე ელოცათ ხალხისათვის გასაგებ ენაზე.

მიუხედავად ამისა, თავდაპირველად შესაძლოა, ჩვენში ღვთისმსახურება აღესრულებოდა არა ქართულ, არამედ ბერძნულ ენაზე, რის შესახებაც თავის „ქართული ეკლესიის ისტორიაში“ აზრი ჰქონია გამოთქმული მიხეილ თამარაშვილს. ე. ნიკოლაძე წერს. „საქართველოს ეკლესიის პირველი სამღვდელოება ენერგიულად შეუდგა ქრისტიანობის გავრცელებას და განმტკიცებას ქართველთა შორის. პირველი ეპისკოპოსი, რომელსაც საისტორიო წყარონი ასახელებენ იოანედ, ამრავლებდა სამღვდელო პირებს და წარმართების საკერპოებზე ეკლესიებს აშენებდა. იოანემ საქართველოს ეკლესიაში ღვთისმსახურების შესასრულებლად შემოიტანა ბერძნული ენა, რომელიც შემდეგ განდევნილ იქნა და მის მაგიერ დაიწყეს ქართული ენის ხმარება“.[58]

უეჭველია, რადგანაც ქრისტიანობას ქართველთა შორის ფეხი მოკიდებული ჰქონდა უკვე I საუკუნიდანვე და I საუკუნიდან თითქმის 300 წლის განმავლობაში, ის, ასე თუ ისე, ჩვენში არსებობდა, უთუოდ როგორც ლოცვები, ისე სახარებისა და სხვა წმიდა წიგნების ნაწყვეტები ზეპირი თარგმნისას მაინც ქართულ ენაზე IV საუკუნისათვის უკვე გადმოღებული უნდა ყოფილიყო. ამიტომ შეიძლება კულტმსახურება ორ ენაზე – ბერძნულად და ქართულად აღესრულებოდა ჩვენში. ხოლო იმის შემდეგ, რაც 380-იან წლებში ქართლი დაიპყრო სპარსეთმა, ჩვენში ისევე, როგორც მთელ სპარსეთის იმპერიაში ბერძნული საეკლესიო ენა აიკრძალებოდა. მოსე ხორენელი წერს, რომ ამ დროს სპარსელები წვავდნენ ბერძნულ ენაზე დაწერილ ყოველგვარ საეკლესიო წიგნს, ბერძნულ ენაზე ლაპარაკიც კი აიკრძალა. უთუოდ ასეთ დროს სპარსელები ქართლში ბერძნულ ენას აკრძალავდნენ და წირვა-ლოცვის ენად აქ მხოლოდ ქართული დარჩებოდა, იმ შემთხვევაში, თუ ბერძნულის ნაცვლად სპარსელებმა რომელიმე სხვა ენა არ დანერგეს საეკლესიო მსახურებაში. ცნობილია, რომ IV საუკუნის ბოლოს, როცა ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი სომხური ანბანი, სომხეთში აკრძალული ბერძნულენოვანი წირვა-ლოცვის ნაცვლად, სპარსეთმა აიძულა სომეხი სამღვდელოება მიეღოთ სირიული წიგნები (წირვა-ლოცვა) ან შეექმნათ ეროვნული.

პოლიტიკური თვალსაზრისით ქრისტიანობაში ორი მიმართულება არსებობდა – ბერძნული ქრისტიანობა და სირო-სპარსული ქრისტიანობა. პირველი გავრცელებული იყო რომის იმპერიაში და მისი გავლენის არეებში, ხოლო მეორე სპარსეთის

იმპერიაში. IV საუკუნეში „...საკუთრივ ირანშიც საკმაოდ ბევრი ქრისტიანი იყო“.[59] სირო-სპარსული ეკლესია მეტოქეობას უწევდა ბერძნულს. სპარსეთის სახელმწიფო მხარს უჭერდა თავის ქრისტიანულ ეკლესიას. ამიტომაც IV საუკუნის 80-იან წლებში სპარსეთის სახელმწიფო ყოველმხრივ შეეცდებოდა ქართული ეკლესია ჩამოეცილებინა ბერძნული საეკლესიო სფეროსგან და შეეყვანა სირო-სპარსულ საეკლესიო სფეროში. ყოველ შემთხვევაში, ასე მოიქცა 380-იანი წლებიდან სომხური ეკლესიის მიმართ. თუ გავითვალისწინებთ არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, ასევე ქართული წყაროების ჩვენებას, რომ ქართულ ეკლესიაში არსებული სარწმუნოების მდგომარეობა ბერძნების მიერ დაწუნებული ყოფილა V საუკუნის შუა წლებში – „ვერ მოაწიეს საქმე ეგრე ჯერისაებრ სჯულისაო“,[60] რომ მირიან მეფიდან ვახტანგ გორგასლამდე 157 წლის მანძილზე მხოლოდ[61] 8 ჭეშმარიტი (ე. ი. ბერძნული ორიენტაციის) ეპისკოპოსი ყოფილა, „ხოლო სხუანი შემშლელნი წესისანი“, უნდა ვიფიქროთ, რომ სომხური ეკლესიის მსგავსად, ქართული ეკლესიაც სპარსეთმა გამოიყვანა ბერძნულ-რომაულ საეკლესიო სფეროდან და შეიყვანა სირო-სპარსულ საკლესიო სფეროში.

წმინდა ნინოს ცხოვრება [62]



პირველად ვახსენოთ ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩვენისა და ყოველი ქართლის განმანათლებლისა ნინო მოციქულისა, რომელიც თვით მანვე ნეტარმა მოგვითხრო აღსრულების ჟამს და აღწერა მორწმუნე დედოფალმა სალომე უჯარმელმა, მირიან მეფის ძის ცოლმა, ასულმა თრდატ სომეხთა მეფისა.

წმიდა გიორგი კაპადოკიელის ქრისტესთვის წამების ჟამს, კაპადუკიაში მცხოვრები დიდებული კაცი ზაბილონი წავიდა ქალაქ რომში იმპერატორის კარზე სამსახურისათვის. ამ დროს ბრანჯნი ებრძოდნენ რომაელებს. ზაბილონს, რომელიც რომაელთა ლაშქარში იყო, მისცა ღმერთმა უძლეველი ძალი. გააქცია ბრანჯნი და შეიპყრო მათი მეფე მთავრებთან ერთად. იმპერატორმა გადაწყვიტა მათი დახოცვა. მაშინ ბრანჯთა დაიწყეს ტირილი და შეევედრნენ ზაბილონს: „ჯერ მოგვეცი შენი რჯული, თქვენი ღმერთის ტაძარში შეგვიყვანე და მერე მოგვკალ, რამეთუ შენ შეგვიპყარ და შენვე დაგვეხმარე ამ საქმეში“. ზაბილონმა ეს სასწრაფოდ აუწყა იმპერატორს და პატრიარქს. ისინი მონათლეს ზაბილონის ხელთა ქვეშ, შეიყვანეს ღვთის ტაძარში, აზიარეს წმიდა საიდუმლოს – ქრისტეს სისხლსა და ხორცს.

დილით ადგნენ ბრანჯნი, ჩაიცვეს სამკვდრო სამოსელი, გავიდნენ კაცთა სასაკლაოზე, ლოცულობდნენ და მადლობდნენ ღმერთს ნათლისღებისათვის: „ჩვენ სი-

კვდილშიც უკვდავები ვართ, რამეთუ ღმერთმა ამ დიდების ღირსნი გაგვხადა“. ამის შემყურე ზაბილონი მწარედ ატირდა, რამეთუ როგორც ცხვრებმა, თავი თვისი წარსაკვეთად მოუდრიკნეს.

შევიდა ზაბილონი იმპერატორთან და გამოითხოვა სამკვდროდ შეკაზმულნი. კეისარმა უთხრა: „მომიძღვნია შენთვის და რაც გინდა, ის უყავი“.

ზაბილონმა ბრანჯი ტყვეები გაათავისუფლა. ისინი ევედრებოდნენ, რათა წაჰყოლოდა მათ ქვეყანაში და გაექრისტიანებინა მთელი მათი ერი. ისმინა და ითხოვა პატრიარქისგან მღვდელნი, ნებართვა მიიღო მეფისგან და გაჰყვა.

ბრანჯთა ათი საერისთავო სიხარულით შეეგება თავის მეფეს დიდი და ღრმა მდინარის პირას. გაჰყო მეფემ ხალხი და დააყენა მდინარის ორივე ნაპირზე. განიბანეს წყალში, ამოვიდნენ ერთ ადგილას და ზაბილონის ხელქვეშ მოინათლნენ. აზიარა ისინი ქრისტეს საიდუმლოს, დაუტოვა მღვდელი და განუწესა ქრისტიანობის ყოველი წესი.

ამის შემდეგ, გამოემშვიდობა და დიდი სიმდიდრით დაბრუნდა რომში. აქ განიზრახა და თქვა: „სჯობს, წავიდე იერუსალიმს და მოვახმარო ეს სიმდიდრე ღვთის ადგილს“. ჩავიდა იერუსალიმში და გაუყო თავისი მონაგები გლახაკებს. ამ დროს იქ პატრიარქი იყო იობენალი. ბავშვობაშივე დაობლებული და-ძმა იობენალი და სოსანა წარმოშობით ზაბილონის მხრისანი იყვნენ. ნიაფორმა სარა ბეთლემელმა, რომელსაც ემსახურებოდა სოსანა, უთხრა პატრიარქს: „ეს ზაბილონი არის მამა და განმანათლებელი ბრანჯთა, ღვთისმოშიში და ბრძენი კაცია. მიეცი შენი და სოსანა ცოლად“. პატრიარქი დათანხმდა და მისცა სოსანა ცოლად ზაბილონს. წავიდა ზაბილონი თავის სამშობლო კაპადოკიაში.

წმინდა ნინო, ქართლის მოძღვარი, მათგან იშვა. ის იყო დედისერთა, სხვა შვილი მის მშობლებს არ ჰყავდათ. როცა ნინო თორმეტი წლისა გახდა, მისმა მშობლებმა გაყიდეს ყოველივე, რაც ებადათ, წავიდნენ იერუსალიმს და გაუყვეს გლახაკებს. იერუსალიმში ზაბილონმა მიიღო კურთხევა პატრიარქისაგან და განშორდა თავის ცოლს. ცრემლით გამოეთხოვა თავის ასულს, ნინოს და უთხრა: „შენ, ჩემო ერთადერთო შვილო, გტოვებ ობლად ჩემგან და მიგანდობ ზეცათა მამას, რამეთუ ის არის ობოლთა მამა, ყოველთა მზრდელი და ქვრივთა განმკითხველი. ნუ გეშინია, შვილო ჩემო, შეიყვარე ქრისტე მარიამ მაგდალინელის მსგავსად და ლაზარეს დებივით. თუ შენც მათსავით შეიყვარებ, ასევე მოგცემს ყოველივეს, რასაც ითხოვ მისგან“. ეს რომ თქვა, საუკუნო ამბორის-ყოფით ეამბორა და წავიდა იორდანეს იქით მეუდაბნოე კაცებთან.

ხოლო დედა წმიდისა ნინოსი პატრიარქის ნებით დადგა გლახაკი და უძლური ქალების მსახურად.

წმიდა ნინო დვინელ სომეხ ნიაფორთან მსახურობდა ორი წელი და გამოჰკითხავდა ხოლმე ქრისტეს ჯვარცმას, დაფლვასა და აღდგომას, რამეთუ მისებრ რჯულის მცოდნე იერუსალიმში არავინ იყო, იცოდა ძველი და ახალი აღთქმა ზედმიწევნით. აუწყა და უთხრა: „ვხედავ, შვილო ჩემო, შენს ძალას, ვითარცა ძუ ლომისა,

მსგავსი ხარ დედალი ორბისა, რომელიც ჰაერში მამალზე უფრო მაღლა ადის და მის თვალში მთელი ხმელეთი ჩანს მცირე მარგალიტის თვალივით, საჭმელს იხილავს, დაუშვებს ფრთებს და მიეტევება მას. ასევე იყოს შენი ცხოვრება სულიწმიდის წინამძღვრობით.

მოგითხრობ ყოველივეს: მოკვდავმა ადამიანებმა იხილეს წარმართების მოსარჯულებლად მოსული უკვდავი ღმერთი, რომელსაც უნდოდა ქვეყნის ხსნა: კეთილს უყოფდა ებრაელებს, მკვდრებს აღადგენდა, ბრმებს თვალს უხელდა, სნეულებს კურნავდა. შეშურდათ მისი და შეითქვნენ, დაგზავნეს მაცნენი მთელ ქვეყანაზე ყოველი მხრიდან ებრაელების მოსაწვევად და აუწყეს მათ: „აჰა, საცაა წარვწყმდებით, მოდით, შემოკრბით ყოველნი“.

მაშინ მოვიდნენ ყველა მხრიდან ურიცხვი ადამიანები, მოსეს რჯულის სწავლულნი, წინ რომ აღუდგნენ სულიწმიდას, ჯვარს აცვეს ქრისტე და მის სამოსელზე წილი იყარეს. სამოსელი ჩრდილოეთის ქვეყნიდან მოსულ მოქალაქეებს შეხვდათ. დაფლეს ებრაელებმა ქრისტე და დაბეჭდეს მისი საფლავი, მაგრამ ის აღდგა, როგორც ადრევე თქვა. ტილონი საფლავში იპოვეს. დილით პონტოელი პილატეს ცოლმა აიღო ეს ტილონი, სასწრაფოდ წავიდა პონტოში და ქრისტეს მორწმუნე გახდა. ქრისტეს სუდარი კი ვერ იპოვეს, მაგრამ თქვეს, პეტრემ ინება მისი აღება და მასვე ჰქონდესო. ჯვარი კი აქვეა დამარხული, იერუსალიმში, მაგრამ მისი ადგილი არავინ იცის. ღმერთი ინებებს და ისიც გამოჩნდება“.

როცა სარა ნიაფორისგან ეს მოისმინა წმიდა ნინომ, მადლობა შესწირა ღმერთს და კვლავ ჰკითხა: „სად არის ჩრდილოეთის ქვეყანა, საიდანაც მოსულ ებრაელებს წილად ხვდათ და წაიღეს სამოსელი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი?“ მიუგო და უთხრა სარა ნიაფორმა, რომ აღმოსავლეთში არის ქალაქი მცხეთა, ქვეყანა ქართლისა, სომხეთთან, მთიელი წარმართებისა.

იმ დღეებში წმიდა აღდგომის თაყვანისსაცემად ეფესოდან მოვიდა ერთი დედაკაცი. ჰკითხა მას სარა ნიაფორმა: „ელენე დედოფალი კვლავ ცდომილებასა და ბნელში იმყოფება?“. ხოლო მან უპასუხა. „მე ვარ მათი მხევალი, მცოდნე ყოველი მათი განზრახვისა, ცხადისა და დაფარულისა, და ვიცი, რომ აქვს მას დიდი წადილი ქრისტეს რჯულისა და ნათლისღებისთვის“.

ეს როცა მოისმინა, წმიდა ნინომ უთხრა ნიაფორს: „წარმგზავნე ელენე დედოფალთან და იქნებ მივეახლო მას სასაუბროდ ქრისტეს შესახებ“.

ნიაფორმა ნინოს წადილი აუწყა პატრიარქს. პატრიარქმა, წმიდა ნინოს დედის ძმამ, მოუხმო თავის დისწულს, დააყენა ის საკურთხევლის აღსავლის კართან, დაადო ხელები მხრებზე და შესთხოვა ღმერთს: „უფალო ღმერთო საუკუნეთაო, ხელთა შენთა შევვედრებ ჩემს ობოლ დისშვილს, წარვავლენ შენს საქადაგებლად, რათა ახაროს მათ შენი აღდგომა. იქმენ, ქრისტე ღმერთო, ამის თანამგზავრი და მოძღვარი“.

გაემგზავრნენ წმიდა ნინო და ეფესელი ქალი ქალაქ რომში. იქ ნახეს მეფეების ნათესავი ერთი დედოფალი, სახელად რიფსიმე და მისი დედამძუძუ გაიანე, ქალწულთა მონასტერში. ელოდნენ და სურდათ იერუსალიმში ნათლისღება ქრისტეს აღსარებისათვის.

წმიდა ნინო რიფსიმესთან გადავიდა საცხოვრებლად. იმ წელიწადსვე მოინათლნენ რიფსიმე, გაიანე და მათი სახლეული ორმოცდაათი სული, უმრავლესმა მათთაგან წმიდა ნინოს ხელქვეშ მიიღო ნათლისღება და წავიდნენ თავიანთ მონასტერში. მათთან იყო წმიდა ნინო ორი წელი.

იმ დღეებში კეისარმა თავისთვის ლამაზი საცოლის მოსაძებნად გაგზავნა მძებნელნი. მათ ქალწულთა მონასტერში იხილეს რიფსიმე. გამოჰკითხეს გვაროვნება, რადგანაც არავინ იყო სახით მისი მსგავსი. დახატეს ფიცარზე და გაუგზავნეს. მოეწონა კეისარს, აღივსო სიხარულით და ბრძანა ქორწილი. წარავლინა მოციქულები მთელს თავის საბრძანებელში, რათა ყველანი ძღვენითა და დიდი სიხარულით შეკრებილიყვნენ სამეფო ქორწილში.

როცა ნეტარმა რიფსიმემ, გაიანემ და სხვა წმიდა და ყოვლადქებულმა ქალებმა იხილეს მათზე მოწეული განსაცდელი, გაიხსენეს უბიწოების აღსარება და ქების ღირსი მარტოობით ცხოვრება, იწყეს ტირილი, ევედრებოდნენ ღმერთს მოწყალებას და ერთობით, ურთიერთგანზრახვით, ფარულად დატოვეს ქვეყანა, ორმოცდაცამეტმა სულმა.

მივიდნენ ლტოლვილები სომხეთის არეებში, დვინში, სომეხ მეფეთა საყოფელში. იქ შევიდნენ მარანში, რომელიც აშენებული იყო ჩრდილო-აღმოსავლეთით. თავს ირჩენდნენ ხელსაქმით.

ხოლო კეისარი აღივსო მწუხარებით, ყველგან გაგზავნა კაცები მათ მოსაძებნად. კეისრის მოციქულები თრდატ სომეხთა მეფესთანაც მივიდნენ, მიართვეს მას კეისრის წიგნი, რომელშიც ეწერა: „თვითმპყრობელი კეისარი სიყვარულით მოგიკითხავ ჩემს ძმასა და თანამოსაყდრე თრდატს. გაუწყებ, რომ მრავალი ვნება გვაქვს ქრისტიანთაგან, სრულიად შეურაცხყოფილია ჩვენი სამეფო უფლება მათი კრებულის მიერ და დაწუნებულია ჩვენი ხელმწიფება მათგან, რამეთუ ისინი ვინმე ჯვარცმულ მკვდარს ემსახურებიან და ძელს თაყვანსცემენ, კაცთა ძვლებს პატივსცემენ, თავიანთი სიკვდილი უფლის დიდებად მიაჩნიათ. არ ეშინიათ ურიების, ურიებს კი ჯვარცმულის ეშინიათ. მეფეებს აგინებენ, ღმერთებს შეურაცხყოფენ, მზის, მთვარისა და ვარსკვლავების ნათლის ძალა არაფრად მიაჩნიათ, არამედ შექმნილად იტყვიან იმ ჯვარცმულის მიერ და ისე მოაქციეს ქვეყანა, რომ ცოლები ქმრებს და ქმრები ცოლებს შორდებიან. თუმცა მრავალი სატანჯველით ამოვწყვიტე, მაგრამ უფრო გამრავლდნენ. შემთხვევა მქონდა მენახა მათთაგან ერთი ახალგაზრდა ქალი და განვიზრახე მისი ცოლად მოყვანა, ხოლო მას მეფის გული სასურველად კი არ მიაჩნდა, არამედ საძაგლად. არაწმიდად შემრაცხეს, ფარულად გაიქცნენ და შენი ქვეყნის საზღვრებში შემოვიდნენ. იცოდე, ძმაო ჩემო, გამოიძიე ისინი, როცა იპოვნი, მოჰკალ, ხოლო მათგან შეცდენილ პირმშვენიერ რიფსიმეს როცა იპოვნი, წარმოავლინე. თუ შენ ინებებ, შენთვის იგულე, რამეთუ არავინაა მისი მსგავსი საბერძნეთში. იცოცხლე ღმერთების მსახურებით“.

როცა თრდატმა ეს ბრძანება წაიკითხა კეისრისა, მსწრაფლ იწყო მათი ძებნა და იპოვა ისინი საწნახლის სახლში.

რიფსიმეს ხილვისას გულისთქმით აღივსო და დიდი სიხარულით გაიხარა და განიზრახა მისი ცოლად მოყვანა, რაც არ ისურვა რიფსიმემ. მაშინ აწამა ის და დედამძუძე გაიანე და სხვა მრავალნი მათგან, ზოგიერთები დაიმალნენ და ილტვოდნენ.

მაშინ წმიდა ნინო დაიმალა ვარდის ეკალთა შორის, რომელიც ჯერ არ ჰყვაოდა იმ დროს, როცა აღმოვიდნენ სულნი წმიდათა მოწამეთანი. იხილა წმიდა ნინომ წმიდა სტეფანეს მსგავსი დიაკონი, ნათლის ოლარით ჩამომავალი, ხელში ეჭირა სასაკმევლე, რომელსაც ასდიოდა სურნელების კვამლი, ცის დამფარველი. მასთან იყო სიმრავლე ზეცის ერისა და მათ შეუერთდნენ წმიდა მოწამეთა სულები. როცა ეს იხილა წმინდა ნინომ, შეჰღაღადა ასე: „უფალო, უფალო, რად დამიტევებ მე ასპიტთა და იქედნეთა შორის“, მაშინ ხმა მოესმა ზევიდან, რომელიც იტყოდა: „ასევე წაგიყვანენ, როცა ეგ ეკალი, რომელიც შენს გარშემო არის, სურნელოვან ვარდის ფურცლად იქცევა, ადექ და ჩრდილოეთისკენ წადი, სადაც სამკალი ფრიად არის და მუშაკი კი არ არის“.

და წავიდა იქიდან წმიდა ნინო და მივიდა ორბანთაში, სომხეთის საზღვარზე, იქ დაიზამთრა მრავალი გასაჭირით, და მეოთხე თვეს, რომელიც არის ივნისი, წავიდა და მოიწია ჯავახეთის მთებთან, სადაც შეხვდა გამდინარე დიდ ტბას, რომელსაც ჰქვია ფარავნა, ხოლო როცა იქით გაიხედა და იხილა ჩრდილოეთის მთები, ზაფხულის ამ დღეებში სავსენი თოვლით და სასტიკი ჰაერით, შეძრწუნდა წმიდა ნინო და თქვა: „უფალო, უფალო, მიიღე სული ჩემი ჩემგან“.

დაჰყო იქ ორი დღე და ითხოვა საკვები მეთევზეთაგან, ამ ტბის მებადურთაგან. მწყემსებიც იქ იყვნენ და ღამის სამწყსოში ცეცხლი ენთოთ. შესთხოვდნენ თავიანთ ღმერთებს არმაზს და ზადენს, აღუთქვამდნენ მათ შესაწირს, „ოდეს მივიდეთ მშვიდობითო“.

წმიდა ნინომ მცირედ იცოდა სომხური ენა, რამეთუ ნიაფორისგან ისწავლა. მწყემსთა შორის სომხურად მოლაპარაკე იპოვა და ჰკითხა: „რომელი სოფლიდან ხართ?“ მან მიუგო და უთხრა: „დაბა ელარბინიდან და საფურცლიდან და ქინძარელნი, რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისა, სადაც ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“. და ჰკითხა, თუ „საით არის მცხეთა?“ ხოლო მწყემსმა ასე აუწყა, მდინარე, რომელიც ამ ტბიდან გაედინება, მცხეთაში მივაო.



დაიდო წმიდა ნინომ ლოდი სასთუმლად, დაწვა და დაიძინა ამ ტბის გარდასადინელში. ძილში ჩვენებით მოვიდა ერთი კაცი, ზომიერი სიმაღლისა და ნახევართმოსანი. მან მისცა წმიდა ნინოს ბეჭდით დალუქული წიგნი და უთხრა: „მიართვი ეს მცხეთაში წარმართთა მეფეს“. ხოლო წმიდა ნინომ დაიწყო ტირილი და ვედრება. „უფალო, დედაკაცი ვარ, უცხო და უმეცარი და არც ვიცი მათი ენა, როგორ მივიდე უცხო ქვეყანაში, უცხო ერში?“ მაშინ კაცმა გაუხსნა წიგნი და მისცა წასაკითხად,დაწერილი იყო ლათინურად და ბეჭედი იყო იესო ქრისტესი. ამ წიგნში ეწერა 10 სიტყვა: 1. სადაც იქადაგება ეს სახარება, იქ ითქმება ამ დედაკაცის შესახებ; 2. არც მამაკა-

ცება არის და არც დედაკაცება, არამედ თქვენ ყოველნი ერთი ხართ“ 3. წადით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელსცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა; 4. ნათელი გამობრწყინდა წარმართებზე დიდებად ერისა შენისა ისრაელისა; 5. სადაც სასუფევლის ეს სახარება იქადაგება, მუნცა ითქმოდეს ყოველსა სოფელსა; 6. ვინც თქვენ მოგისმენთ და შეგიწყნარებთ, მე შემიწყნარებს და ვინც მე შემიწყნარებს, ჩემს მომავლინებელს შეიწყნარებს, 7. ფრიად უყვარდა მარიამი უფალს, რამეთუ მარადის ისმენდა მის ჭეშმარიტ სიტყვას; 8. ნუ გეშინიათ მათი, რომელნიც თქვენს ხორცს მოკლავენ, მათ სულის მოკვლა არ შეუძლიათ; 9. უთხრა მარიამ მაგდალინელს იესომ. „წადი, დედაკაცო, და ახარე დათა და ძმათა ჩემთა“; 10. ქადაგებდეთ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა;

როცა ეს სიტყვები წაიკითხა წმიდა ნინომ, იწყო ვედრება ღვთის მიმართ და გულისხმა-ჰყო, რომ ზეციდან იყო ეს ჩვენება, თვალნი მიაპყრო ზეცას და მეორე დღისთვის ითხოვა შეწევნა.

ამის შემდეგ გაჰყვა ტბის მდინარეს და იწყო მისი დინება დასავლეთის მხარეს. შეუდგა ფიცხელ, ძნელ გზას, მრავალი ჭირი ნახა, მხეცების შიში, სანამ არ მიაღწია ადგილს, სადაც წყალმა აღმოსავლეთით იწყო დინება. ამის შემდეგ დაიწყო მისი ლხენა, რამეთუ იპოვა იქ მოგზაური, რომელთანაც ერთად მიაღწია ქართლის სანახებს, ქალაქს, რომელსაც ურბნისი ეწოდება, სადაც იხილა უცხო ხალხი, ღმერთთა მსახური. ცეცხლს, ქვებს, ხეებს ღმერთად თაყვანსცემდნენ, რისთვისაც სული დაუმწუხრდა, შევიდა ებრაელების ბაგინში ებრაული ენისათვის, დაჰყო იქ ერთი თვე და ქვეყანას ეცნობოდა.

ერთ დღეს დაიძრა დიდძალი ხალხი, ამ ქალაქიდან წარმავალნი დიდ სამეფო ქალაქში, მცხეთაში, სავაჭროდ და ღმერთ არმაზისთვის ზვარაკის შესაწირად. წაჰყვა წმიდა ნინო მათ. როცა ქალაქში მივიდნენ, დადგნენ მოგვთა ხიდთან. ცეცხლისმსახურ ამ ერის შეცდომის ხილვისას სტიროდა წმიდა ნინო მათ წარწყმედასა და თავის უცხოობას.

მეორე დღეს გაისმა საყვირთ ხმა, გამოვიდა ურიცხვი ხალხი ვითარცა ყვავილნი ველისანი და ხმაური ისმოდა საშინელი. მეფე ჯერ კიდევ არ იყო გამოსული. როცა მოვიდა დრო, დაიწეს სირბილი და იმალებოდა ყოველი კაცი, შიშისგან საფარველში შერბოდნენ და აჰა, მყისვე გამოვიდა ნანა დედოფალი და ნელ-ნელა მოსდევდა ერი. შეამკეს ყოველი ქუჩა სხვადასხვაფერი სამოსლით. იწყო მთელმა ერმა მეფის ქება. მაშინ გამოვიდა მეფე საზარელი და თვალშეუდგამი ხილვით, წმიდა ნინომ ჰკითხა ერთ ებრაელ ქალს: „რა არის ეს?“ მან უპასუხა: „ღმერთი ღმერთთა არმაზი უხმობს, რომლის გარეშეც სხვა კერპები არარანი არიან“. მყისვე წავიდა წმიდა ნინო არმაზის სახილველად და „აღივსნენ მთები დროშებით და ხალხით, ვითარცა ველნი ყვავილითა“.

ხოლო წმიდა ნინომ შეასწრო არმაზის ციხეში და დადგა კერპის მახლობლად, ზღუდის ნაპრალთან. ხედავდა მიუწვდომელ და ენით უთქმელ საკვირველებას, თუ როგორ ეშინოდათ მეფეს, მთავრებს და მთელ ერს მათ წინაშე აღმართული

კერპებისა. იხილა წმიდა ნინომ, რომ იდგა ერთი სპილენძის კაცი, ტანს ოქროს ჯაჭვი ემოსა, თავზე ოქროს ჩაფხუტი ეხურა, სამხრეებიც ოქროსივე ჰქონდა და მოჭედილი იყო ძვირფასი თვლებით. ხელთ ხმალი ეპყრა ვითარცა ელვა და იქნევდა. თუ ვინმე შეეხებოდა, სასიკვდილოდ გაიწირებოდა. ამბობდნენ: „ვაიმე, არ დავაკლო დიდება ამ დიდ ღმერთს არმაზს, ან არ შევცდე ებრაელებისა და მოგვების მოსმენით, რომელნიც იტყვიან რაღაც უცხო ღმერთის შესახებ, არ მიპოვოს რაიმე ბიწი არმაზმა და არ მცეს თავისი მახვილი, რომლისაც ყველას ეშინია“. და შიშით თაყვანისცემდნენ მას.

და ასევე იყო მის მარჯვნივ ოქროს კერპი, სახელი მისი გაცი და მას მარცხნივ ედგა ვერცხლის კერპი, სახელი მისი გაიმ, რომელნიც ღმერთებად მიაჩნდა ქართლის ერს.

მაშინ ტიროდა და ოხრავდა ნეტარი ნინო ღვთის მიმართ ამ ჩრდილოეთის ქვეყნის შეცდომისათვის, რომ ნათელი მათთვის დაფარული იყო და ბნელი უფლობდა მათ. მეფენი და მთავარნი ცოცხლად შთაენთქა ჯოჯოხეთს, დაეტოვებინათ დამბადებელი, ქვასა და ხეს, სპილენძსა და გამოჭედილ რვალს ღმერთად თაყვანს ცემდნენ.

აღიხილნა ზეცად და თქვა: „უფალო ერთი წმიდა სამებისაგანი კაცად იქმენ და აცხოვნე ყოველი სოფელი, ნუ უგულებელყოფ ამათ, რამეთუ კაცი-ადამიანი შენი ხატი არის, მოხედე წყალობით ამ ერს, შერისხე სოფლის მპყრობელი, ბნელეთის მთავარი უჩინო სულები. მიჩვენე მე, უფალო ღმერთო მამისა და დედისა ჩემისაო, მხევალსა შენსა, რათა იხილონ ყოველთა კიდეთა ქვეყნისათა მაცხოვარება შენი, რათა ჩრდილოეთი სამხრეთთან ერთად იხარებდეს და ყოველმა ენამ (ყველა ერმა) მხოლოდ შენ გცეს თაყვანი შენი ძის იესო ქრისტეს მიერ, რომელსაც შვენის მადლობა და დიდებისმეტყველება“.

როგორც კი დაასრულა ეს ლოცვა წმიდა ნინომ, თვალის ერთ წამისყოფაში ამოვარდა დასავლეთის ქარი, გაისმა საზარელი ქუხილის ხმა, გამოჩნდა სწრაფი ღრუბლები საშინელი ნიშნით, მოიტანა დასავლეთის ნიავმა მყრალი და ძლიერ ცუდი, მწარე სუნი. ეს რომ იხილა ერის სიმრავლემ, ილტვოდა ყოველი კაცი და ქალი ქალაქისა და სოფლებისაკენ, მიეცათ დრო, რომ ყოველ კაცს შეესწრო თავის საყოფელში და სწრაფად მოიწია ეს რისხვის ღრუბელი, მწარედ სასტიკი და მხოლოდ კერპების საყოფელ ადგილზე მოიღო ლიტრის[63] ტოლი სეტყვა. დაამსხვრია ეს კერპები და შემუსრა, დაარღვია ზღუდენი სასტიკმა ქარმა და კლდეთა ნაპრალებში ჩაამხო, ხოლო წმიდა ნინო დარჩა მშვიდობით იმ ადგილას, სადაც პირველად იყო შესული.

მეორე დღეს გამოვიდა მირიან მეფე და ყოველი ერი. ეძებდნენ მათ ღმერთებს და ვერ იპოვნეს, რის გამოც შეეშინდათ და შეძრწუნდნენ, იგლოვდნენ და ამბობდნენ: „ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან და ჩვენი ღმერთი არმაზი მტრები არიან, ამან ერთხელ მასზე ზღვა მიაქცია და ახლა მან შური იძია, მის მიერ მოხდა ეს“. ხოლო სხვები ამბობდნენ: „რომელი ღმერთის ძალითაც თრდატ მეფე გარეულ ღორად იქცა და იმავე ღმერთის ძალით კვლავ კაცადვე იქმნა, იმ ღმერთმა

მოახდინა ეს. რამეთუ სხვა ღმერთი უძლურია ასეთის ქმნად“. ამას ამბობდნენ იმიტომ, რომ თრდატ მეფის ღორად და მერე კაცად გადაქცევის შემდეგ, ქრისტეს ქება-დიდება ქართლში აღარ ითქმოდა ფარულად, რამეთუ ღვთის მადლმა აღმოსავლეთში მოფენა დაიწყო.

რისხვის დღეს, სასტიკი ქარის დაცხრომის შემდეგ, გამოვიდა წმიდა ნინო კლდის ნაპრალიდან, იპოვა ბივრილის თვალი, აიღო და წავიდა კლდის ქიმისაკენ, სადაც იდგა ძველი ციხე. იქ იდგა აკაკის ხე მშვენიერი, მაღალი და რტომრავალი, სადაც იყო ბარტამ მეფის საგრილი და განსასვენებელი. მივიდა ამ ხის ძირას, გააკეთა ქრისტეს ჯვრის ნიშანი და ექვს დღეს აქ ილოცა. მადლობდა ღმერთს და ევედრებოდა, რათა მოეხედა წყალობით შეცდომილი ერისთვის, ეხსნა ეშმაკისაგან. იყო მეექვსე დღე იმ თვისა, როცა ემანუილმა თაბორის მთაზე მამის ხატი უჩვენა მოციქულების და წინასწარმეტყველების მეთაურებს.

მაშინ მოვიდა ერთი სეფექალი, სახელად შროშანა და იხილა ის ხის ქვეშ, გაუკვირდა, მოიყვანა ბერძნულად მეტყველი ქალი, ჰკითხა მისი გზა, ხოლო წმინდა ნინომ აუწყა და უთხრა ყოველი გზა და საქმე თავისი, გარდა დედის ძმებისა, რამეთუ ტყვედ გააცნო თავი.

მაშინ შეეწყალა შროშანას უცხოებისთვის, აევსო ცრემლით თვალნი და დააძალა სამეფო სახლში წაჰყოლოდა, ხოლო წმინდა ნინომ არ ინება წასვლა მასთან და წავიდა შროშანა.

ამის შემდეგ მესამე დღეს ჩამოვიდა მტკვარზე და გაემართა მეფის ბაღში, სადაც ამჟამად არის სვეტი იგი ღვთით აღმართული და საკათალიკოსო ეკლესია. როცა მივიდა ბაღის კართან, იხილა მცირე სახლი ბაღის მცველია. შევიდა წმიდა ნინო. იჯდა იქ დედაკაცი, სახელად ანასტოს. როცა დედაკაცმა იხილა ნინო ადგა, მოეხვია და შეიტკბო, როგორც ნაცნობმა, დაბანა ხელები, სცხო ზეთი, მიართვა პური და ღვინო. დაჰყო მასთან წმიდა ნინომ ცხრა თვე.

ანასტოს და მისი ქმარი უშვილოები იყვნენ და წუხდნენ უშვილობისათვის. წმიდა ნინოს ეჩვენა: მოვიდა კაცი ნათლისფერი და თქვა: შედი ამ ბაღში, ხეზე აშვებული ვაზია – ბაბილო, ნაძვთა ქვეშ. აიღე მიწა ამ ადგილიდან, შეაჭამე მაგათ და ეყოლებათ შვილი“. ჰყო ასე წმიდა ნინომ და უთხრა: „დაუსაბამო ღვთის ძის, ქრისტეს ძალით, რომელიც თანამოსაყდრე არის მამისა და სულისა წმიდისა და რომელიც შენი ხსნისათვის განკაცდა, ჯვარს ეცვა, დაეფლა, აღდგა მესამე დღეს, ამაღლდა ზეცად, დაჯდა მამის გვერდით, კვლავ მოვა დიდებით განსასჯელად ცოცხლებისა და მკვდრებისა, მან მოგცეს შენ გულისხმის-ყოფა“. და აუწყა ყოველი გზა ჭეშმარიტი.

მაშინ ცოლ-ქმარმა აღიარა ქრისტე და დაემოწაფნენ ფარულად. წმიდა ნინომ ქალაქის ზღუდის გარეთ იპოვნა მაყვლის ბუჩქი,სადაც ახლა არის ზემო ეკლესიის საკურთხეველი, საეპისკოპოსო. და ის შექმნა თავის საყოფლად. შექმნა ნასხლევისაგან ჯვარი და აღმართა ამ ბუჩქის ქვეშ. მარად ლოცულობდა დღე და ღამე დაუცხრომლად. და ემსახურებოდა ეს ცოლ-ქმარი. უკვირდათ მისი ღვაწლი, ლოცვა და მღვიძარება.

და მრავალგზის მიდიოდნენ ურიათა უბანში ებრაული ენისა და უფლის კვართის გამოძიებისათვის, რომლის შესახებაც იერუსალიმში მოისმინა ნიაფორისგან, რომ „კვართი უფლისა მცხეთელ ებრაელებს წაუღიათო“. ამისათვის გამოეძიებდა ურიებთან, რომ გაეგო რაიმე კვართის შესახებ.

და იპოვა ერთი ებრაელი მღვდელი,სახელით აბიათარი და უქადაგა მას და მის ასულს სიდონიას ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახარება. ირწმუნეს და დაემოწაფნენ ისინი და სხვა ექვსი ებრაელი ქალი. და ნათლისღების გარეშე აიღეს წმიდა ნინოს სწავლის უღელი. რამეთუ არა იპოვებოდა მღვდელი, რომელიც ნათელსცემდა და ფარულად იყვნენ მისი მოწაფენი. კურნავდა და ქრისტეს ძალით საკვირველებებს ჰყოფდა: მრავალი განრღვეული განკურნა.

ასე იმყოფებოდა ქალაქ მცხეთაში სამ წელს. ამ დროს შეიჭრნენ მირიან მეფე და მისი ძმისწული, სპარსთა მეფე, საბერძნეთში, ხოლო კონსტანტინე ბერძენთა მეფემ ქრისტეს ძალით და ჯვრის წინამძღვრობით განდევნა ეს მეფეები და მათი მრავალი მოლაშქრე მოსრა.

თქმული აბიათარ მღვდელისა, რომელიცა დაემოწაფა წმიდასა და ნეტარ ნინოს

„მე, აბიათარ მღვდელი, წილისყრით ვმღვდელობდი იმ წელიწადს, როცა წმიდა და ნეტარი ნინო მოვიდა მცხეთაში. მაშინ მომივიდა წერილი ანტიოქიიდან, ებრაელი მღვდლებისგან, რომელშიც ეწერა: „სამად გაჰყო ღმერთმა ისრაელის სამეფო. ჩვენი წინასწარმეტყველები დაცხრნენ, აღსრულდა ყოველივე და განვიბნიენით ყველა ქვეყანაში. რომაელებმა დაიპყრეს ჩვენი ქვეყანა. ვტიროდით ერთურთს, რამეთუ განვარისხეთ შემოქმედი ღმერთი. ახლა კი განიხილე მოსეს წიგნი და ის სიტყვა, რომელიც დაგვიწერა ჩვენ: „რომელი იტყჳს ქუეყანასა ზედა ღმრთად თავსა თჳსსა, ძელსა დამოეკიდენ“. ან რომ ავცდენოდით იესო ნაზარეველის სიკვდილს! რამეთუ ვხედავთ, როცა ჩვენი წინაპარი მამები შესცოდებდნენ ხოლმე ღმერთს და დაივიწყებდნენ მას, მაშინ ტყვეობასა და განსაცდელში ხვდებოდნენ, ხოლო როცა მოიქცეოდნენ და შესთხოვდნენ, მაშინ სრულად განშორდებოდნენ ჭირს. ეს შვიდგზის ვიცით წერილიდან. ხოლო ახლა, რადგანაც ჩვენმა მამებმა ხელი შეახეს იმ მწირი დედაკაცის ძეს და მოკლეს ის, აიღო ღმერთმა ხელი წყალობისა ჩვენგან და გაჰყო ჩვენი სამეფო, განგვაშორა მის წმინდა ტაძარს და უგულებელყო ჩვენი ერი სრულიად, და იმის შემდეგ გავიდა 300 წელი და მეტიც, აღარ შეისმინა ჩვენი ვედრება და უნდა ვიფიქროთ, რომ ზეცით იყო ის კაცი“.

ამის შემდეგ ვიწყე გამოკითხვა ნინოსგან ქრისტეს შესახებ, თუ ვინ იყო ის და რა მიზეზით იქმნა ძე ღვთისა კაცად. მაშინ აღაღო პირი წმიდა ნინომ, როგორც აღმომდინარე წყარომ და იწყო სიტყვა საუკუნითგან. ჩვენს წიგნებს ზეპირ აღმოიტყოდა, გონებადაკარგულს გონიერ-გვყოფდა, ძმათა ჩვენთა შეგვაბრალებდა და რჯულის ცვალებას დაგვაჯერებდა, სანამ არ ვირწმუნე მისი სიტყვა. იესო ქრისტე-ძე ღვთისა, მისი ვნება და აღდგომა. მისი საშინელი მეორედ მოსვლა და წარმართ-

თა მოლოდინი. მე და ჩემი შვილი მისი განსაწმედელის საპკურებლის მიღების ღირსი შევიქმენით, იმ წყლის ემბაზისა, რომელსაც ნატრობდა დავით და ვერ ეღირსა. და მესმა მე ახლისა რჯულისა, საგალობლისა, რომელსაც ნატრობდა დავით. ღირს ვიქმენით ღვთის ძის-ქრისტეს სისხლისა და ხორცის ზიარებისა, ტკბილ არს გემოს-ხილვა ქვეყნის ცოდვათათვის შეწირული კრავისა. და ასე ინებე, უფალო, განსვლა ჩემი ხორციდან. და კვლავ მრავალი სასწაული იხილა ჩემმა თვალებმა წმიდა ნინოს მიერ აღსრულებული ჩვენს დღეებში.

თქმული მისივე, აბიათარ მღვდელისა, ქვარითისათვის უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

„მე, აბიათარ მღვდელი, მოგითხრობთ იმ ამბავს, რომელიც მეუწყა და ჩემი ყურით მოვისმინე მამისა და დედისაგან და წიგნიდანაც ვიცი, რამეთუ მათაც მშობლებისა და პაპებისაგან მოთხრობით და სმენით იცოდნენ, რომ როცა ჰეროდე მეფობდა იერუსალიმს, მაშინ გვესმა. „იერუსალიმი სპარსელებმა დაიპყრესო“, რის გამოც იქმნა გლოვა და წუხილი ქართველი ებრაელებისა, მცხეთის მკვიდრთა, ბოდელი მღვდლებისა, კოდისწყაროელი მწიგნობრებისა, სობის კანანელთა თარგმანთა — ესენი ყველანი მოემზადნენ სალტოლველად, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა ხმა ნუგეშისცემისა, რომ „სპარსელები დასაპყრობად კი არ მოვიდნენ იერუსალიმში, არამედ იარაღის ნაცვლად მოჰქონდათ სამეფო ოქრო, მური — ავადმყოფობის მსწრაფლ მკურნალი, და გუნდრუკი საამო სურნელებისა. და ეძებდნენ ვინმე ახალშობილ ყრმას, დავითის ძეს. იპოვეს ერთი, მწირი დედაკაცისაგან შობილი უდროოდ და უადგილო ადგილას. და ესენი ამ ყრმის თაყვანისცემისთვის მოვიდნენ და მას შესწირეს ძღვენი იგი“. ეს რომ გაიგეს, იქმნა დიდი სიხარული ყოველთა ზედა ჰურიათა ქართველთა.

ამის შემდეგ, როცა გავიდა 30 წელი, მაშინ მოწერა ანა მღვდელმა იერუსალიმიდან ჩვენს მამათამამას – ელიოზს, რომ ის, რომლისთვისაც სპარსთა მეფეები ძღვენით მოვიდნენ, გაიზარდა, უკვე ასაკშია და თავის თავს უწოდებს ღვთის ძეს. მოდით ყველანი მის სიკვდილზე, რათა აღესრულოს მოსეს მცნება“. და წავიდა აქედან ელიოზ მღვდელი, ჩემი მამათა მამა, მოხუცებული კაცი და ჰყავდა მას დედა ელია მღვდლის ტომისგან და ერთი და. ევედრებოდა ელიოზს დედამისი ასე: „წადი, შვილო, მეფის მოწოდებით და რჯულის წესის თანახმად, ხოლო რასაც ისინი განიზრახავენ, ნუ შეუერთდები ცნობიერად, რამეთუ იგი არის სიტყვა წინასწარმეტყველთა და იგავი ბრძენთა“. წავიდნენ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი და იქ დაესწრნენ უფლის ჯვარცმას.

ხოლო როცა დამსჭვალეს უფალი და კვერით დაჰკრეს სამსჭვალს, აქ ელიოზის დედას მოესმა, იკივლა და თქვა. „მშვიდობით, მეფობაო ჰურიათაო, რამეთუ მოჰკალით თქვენი მაცხოვარი და იქმენით შემოქმედის მკვლელი. ვაი, ჩემს თავს, ამაზე წინ რად არ მოვკვდი, რომ ჩემს ყურებს არ მოესმინათ“. და ასე შეისვენა (გარდაიცვალა).

ხოლო უფლის კვართი წილად ხვდათ მცხეთელებს. წამოიღო ელიოზმა და მოიტანა მცხეთას. და მოეგება მისი დაი ცრემლიანი. მოეხვია ყელზე თავის ძმას, გამოართვა იესოს სამოსელი, მიიკრა მკერდზე და სული განუტევა ამ სამი ტკივილით. ქრისტეს სიკვდილისათვის, დედისა და ძმისთვის, რომელიც ეზიარა უფლის სისხლს.

მაშინ ამ საკვირველებამ დიდად შეაშფოთა მცხეთა, გაუკვირდა თვით დიდ ადერკი მეფეს, ხალხის სიმრავლესა და მთავრებს. მოეწონა ადერკი მეფეს ეს სამოსელი, მაგრამ საკვირველებისგან ზარდაცემული და შეშინებული იყო. არ ინება გამოღება მკვდრის ხელიდან, რომელსაც მაგრად და სურვილით ჩაეკრა სამოსელი. ელიოზმა დამარხა თავისი და, მას ხელთ ჰქონდა სამოსელი უფლისა. ეს ადგილი სად არის, უფალმა იცის.

მრავალი წლის შემდეგ ადერკი მეფის ძმისწულმა არმაზაელმა მოიძია ეს სამოსელი ებრაელებთან და ვერ იპოვა, რამეთუ აუწყეს ყოველი, რაც იყო. არავინ იცის, სად არის ეს ადგილი, იციან მხოლოდ, რომ არის ლიბანიდან ჩამოტანილი და მცხეთას დარგული და გაზრდილი ნაძვის მახლობლად". მრავალგზის ბრძანა დედამან ჩვენმა წმიდა ნინომ, რომ მოგვეძია ეს სამოსელი, მაგრამ მასაც უთხრეს: „ეს ის ადგილია, სადაც კაცთა ენა არ დადუმდება ღვთის საგალობლად".

და ესეც მეუწყა მამაჩემისგან, რომ არის სხვაც: საღმრთო ძალით შემოსილი ორმაგი ხალენი ელიასი ამ ქალაქში". ელიოზის სახლი იყო ქალაქის დასავლეთით, მოგვთა ხიდს იქით.

იმ დღეებში მრავალგზის იხილა ჩვენება წმიდა ნინომ, თითქოსდა მოდიოდნენ ცის ფრინველები შავი ფერისანი, შევიდოდნენ მდინარეში, განიბანდნენ, განსპეტაკდებოდნენ და აღვიდოდნენ ბაღში, მაღლარი ვაზის (ბაბილო) ყურძენს შეჭამდნენ, ყვავილებს მოძოვდნენ და ასე სურვილით წმიდა ნინოსთან მივიდოდნენ, თითქოსდა მისი იყო ის ბაღი, შემოუდგებოდნენ მშვენიერი ჟივილით გარშემო. ეს უთხრა წმიდა ნინომ თავის მოწაფე სიდონიას, აბიათარის ასულს, ხოლო სიდონიამ უთხრა წმიდა ნინოს: „უცხოვ და ტყვეთა მხსნელო ტყვეო, იცი, რომ შენს მიერ მოვიდა ეს ახალი დრო, შენს მიერ ისმის ის ძველი ამბავი, მამათა ჩვენთა ნაქმარი: სისხლის დათხევა იმ ზეციური კაცისა, რაც საფუძვლად დაედო ებრაელების სირცხვილს, მთელ ქვეყანაზე კიდითკიდემდე განბნევა, მათი მეფობის დაცემა, წმიდა ტაძრის წართმევა, უცხო ერის მოწოდება მათი დიდების მათთვის მისაცემად". იერუსალიმ,

იერუსალიმ, იერუსალიმ, როგორ გაგიშლია ფრთები და შემოიკრებ შენი ფრთების ქვეშ ცისკიდურის ყველა ერს. აჰა, აქაც მოსულა ეს დედაკაცი, რომელიც შეცვლის ამ ქვეყნის ყოველ წესს“. და უთხრა წმიდა ნინოს – „ეს შენი ჩვენება ის არის, რომ ეს ადგილი შენს მიერ იქცევა სამოთხედ“.

საბერძნეთიდან მეფე კონსტანტინეს მიერ დამარცხებული მირიან მეფის მოსვლამდე წმიდა ნინომ განცხადებულად დაიწყო ქრისტეს რჯულის ქადაგება, გამოაჩინა ვაზის ნასხლევის ჯვარი და მით იქმოდა დიდ საკვირველებას: წამლის გარეშე განრღვეული განკურნა ჯვრის შეხებით. მასთან ერთად ქადაგებდნენ მისი მოწაფეები, რომლებიც თავდაპირველად ფარულად დაემოწაფნენ — შვიდი ებრაელი ქალი: სიდონია, აბიათარის ასული და სხვა ექვსი, ბაღის მცველი ცოლ-ქმარი და აბიათარ მღვდელი – ახალი პავლე, რომელიც უშიშრად და დაუცხრომლად ქადაგებდა ქრისტეს რჯულს. ის დიდი მცოდნე იყო ძველი რჯულისა. ახალი რჯული ისწავლა წმიდა ნინოსგან და ნინოზე უფრო მეტად უხსნიდა ყოველ კაცს ჭეშმარიტ რჯულს.

მაშინ აღიძრნენ ებრაელები და სურდათ ქვით ჩაექოლათ აბიათარი, ხოლო მან, მეფემ, მიავლინა მსახური და გადაარჩინა აბიათარი სიკვდილს, რამეთუ მირიან მეფეს ჰქონდა სურვილი ქრისტეს რჯულისა. მას ესმოდა ქრისტეს რჯულის სასწაული საბერძნეთსა და სომხეთში და არ აბრკოლებდა წმიდა ნინოს და მისი მოწაფეების ქადაგებას. მაგრამ ებრძოდა ეშმაკი, უჩინო მტერი, და არ აღიარებდა ქრისტეს აღმსარებლობას, ხოლო ნანა დედოფალი უფრო გულფიცხელი იყო და შეურაცხყოფდა მათ ქადაგებას.

წმიდა ნინო ლოცულობდა დაუცხრომლად თავის საყუდელში, მაყვლის ქვეშ. გაოცებულნი იყვნენ მისი ლოცვითა და მღვიძარებით. ეუცხოებოდათ ეს საქმე. დაიწყეს მისი გამოკითხვა, ის აუწყებდა ძველ და ახალ წიგნებს, განაბრძნობდა უგუნურებს და უგულისხმოებს და მათ გულში ნერგავდა ქრისტეს სიყვარულს.

და ასე იყო სამ წელს, განცხადებულად ქადაგებდა ქრისტეს და მრავალი დაიმოწაფა. მაშინ იყო ერთი ყმაწვილი, მძიმედ სნეული. მიმოჰქონდა იგი დედამისს კარდაკარ, რათა ეპოვნა ვინმე მცოდნე კურნებისა. მაგრამ ვერ იპოვა მკურნალი და უთხრეს: აღარაფერი ეშველება მაგ ყმას. ეს ქალი იყო წარმართი და გულფიცხი. სძაგდა ქრისტიანული სჯული, უშლიდა სხვებსაც წმიდა ნინოსთან მისვლას, მაგრამ როცა სასოწარკვეთილებას მიეცა სხვა მკურნალთაგან, მივიდა წმიდა ნინოსთან, დავარდა მის წინაშე და ევედრებოდა ყრმის განკურნებას. მაშინ უთხრა წმიდა ნინომ: „კურნებას, რომელიც ადამიანისგან არის, მე არ ვყოფ, ხოლო ღმერთმა ჩემმა – ქრისტემ განკურნოს ეს ყრმა, რომელიც ყველასგან განწირულია“.

კილიკზე ლოცულობდა ხოლმე წმიდა ნინო, მასზე დაადებინა ყრმა და დაიწყო ღმერთის მიმართ ვედრება. მაშინვე განიკურნა ის ყრმა, გამოჯანმრთელებული მისცა დედამისს. ხოლო ყრმის დედამ აღიარა ქრისტე და თქვა: „არ არის სხვა ღმერთი, გარდა ქრისტესი, რომელსაც ქადაგებს ნინო“, და დაემოწაფა წმიდა ნინოს, შეუდგა მის კვალს და ადიდებდა ღმერთს.

ნანა დედოფალიც ძლიერ დასნეულდა. ვერავინ განკურნა იგი, თუმცა, ყველა ხელოვანმა მკურნალმა სცადა თავისი წამლები. უღონონი და სასოწარკვეთილნი

იყვნენ. აუწყეს დედოფალს, რომ „რომაელი ტყვე დედაკაცის ლოცვით, რომელსაც ნინო ჰქვია, მრავალნი სნეულნი განიკურნენ“. მაშინ უბრძანა თავის მსახურებს, რათა მოეყვანათ ნინო. მივიდნენ დედოფლის მსახურები და იპოვეს ნინო მაყვლის ბუჩქის ქვეშ, მეექვსე ჟამს[64] ლოცულობდა. უთხრეს დედოფლის ბრძანება, ხოლო წმიდა ნინომ უთხრა: „არა მაქვს ბრძანება (ნება), რომ მივიდე იქ, სადაც ჩვენი შვება არ არის, თვითონ დედოფალი მოვიდეს ჩემს საყოფელში და ჭეშმარიტად განიკურნება ქრისტეს ძალით“. მსახურებმა უთხრეს წმიდა ნინოს ნათქვამი დედოფალს. მაშინ დედოფალმა ბრძანა: „შემიმზადეთ საწოლი და მიმიყვანეთ მასთან“. საწოლით წაიყვანეს მსახურებმა, მისმა ძემ რევიმ და ერის სიმრავლემ.

როცა მივიდნენ წმიდა ნინოს სამყოფელთან, დადეს დედოფალი საგებელ კილიკზე. დაიწყო წმიდა ნინომ ლოცვა და ვედრება ღვთის მიმართ.

მოიღო ჯვარი, რომელიც ჰქონდა, შეახო თავზე, ფეხებსა და მხრებზე ჯვრისსახედ და მაშინვე განიკურნა და ადგა გამოჯანმრთელებული, ირწმუნა ქრისტე და თქვა: „არ არის სხვა ღმერთი, ქრისტეს გარდა, რომელსაც ქადაგებს ეს ტყვე დედაკაცი“. და იმ დროიდან გაიხადა ის მეგობრად და თავის შინაურად. მარად ჰკითხავდა და გამოწვლილვით გამოეძიებდა ქრისტეს რჯულს. ასწავლიდნენ წმიდა ნინო, აბიათარი – ახალი პავლე და მისი ასული სიდონია. მორწმუნე გახდა დედოფალი და ცნო ჭეშმარიტი ღმერთი.

გამოჰკითხა მეფემ დედოფალს, თუ როგორ განიკურნა მეყსეულად. მოუთხრო დედოფალმა,რაც იქმნა მასზე, თუ როგორ განიკურნა წამლის გარეშე ლოცვით და ჯვრისშეხებით. ამ სასწაულის მხილველი ერის სიმრავლე ამოწმებდა დედოფლის სიტყვებს.

მაშინ განკვირდა მირიან მეფე, დაიწყო გამოძიება ქრისტეს რჯულისა, მრავალგზის ჰკითხა ურიაყოფილ აბიათარ მღვდელს ძველი და ახალი რჯული. ნებროთის წიგნშიც, რომელიც ჰქონდა მირიან მეფეს, იპოვა ერთი ადგილი: გოდოლის აშენების დროს ზეციდან გაისმა ხმა ნებროთის მიმართ: „მე ვარ მიქაელ, ღმერთის მიერ დადგენილი აღმოსავლეთის მთავრად. გადი მაგ ქალაქიდან, რამეთუ ღმერთი ფარავს მაგ ქალაქს. უკანასკნელ ჟამს მოვა მეუფე ცისა, რომლის ხილვაც შენ გნებავს. მისი შიში განაქარვებს ამქვეყნიურ სიტკბოს. მეფენი მეფობას დატოვებენ და სიგლახაკეს დაუწყებენ ძებნას. ის გიხილავს ჭირში და გიხსნის შენ“. მაშინ გულისხმა-ყო მირიანმა, რომ ძველი და ახალი წიგნები ემოწმებოდნენ და ნებროთის წიგნიც ამტკიცებდა. და მას გაუჩნდა სურვილი ქრისტეს რჯულისა, მაგრამ ებრძოდა უჩინო მტერი და აბრკოლებდა ქრისტეს აღიარებისგან, გულში იმედს იტოვებდა კერპებისას და ცეცხლისას.

მუდამ ევედრებოდა დედოფალი ქრისტეს აღსარებისათვის. დედოფლის მოქცევის შემდეგ მეფე ორი წელი ორგულობდა. ამ დროს წმიდა ნინო ერს ასწავლიდა დაუცხრომლად, მაგრამ არავის ეუბნებოდა: „ვინ ვარ და საიდან მოვედი“, არამედ ტყვეს უწოდებდა თავის თავს.

ამის შემდეგ სპარსელი მთავარი მოგვი სახელად ხუარა, დასნეულდა და სიკვდილის პირს იყო. ის იყო მირიან მეფის ნათესავი. შეევედრნენ წმიდა ნინოს ნანა დედოფალი და მეფე. მეფე მის საქმეს ცოტა ეჭვით უყურებდა, ამიტომაც უთხრა წმიდა ნინოს: „რომელი ძალით მკურნალობ შენ? ან არმაზის ასული ხარ, ან ზადენის

შვილი. უცხოეთიდან მოხვედი, ამათ შეევედრე და მოგცეს წყალობა, მოგანიჭეს კურნების ძალა, რათა გეარსება უცხო ქვეყანაში. დიდებულ არიან უკუნისამდე. ხოლო შენ იყავი ჩვენთან, როგორც ჩვენი შვილი, ამ ქალაქში პატივცემული. მაგრამ ნუ იქადაგებ რომაელთა შეცდომილ რჯულს და ნურც იტყვი, რამეთუ ეს დიდი და სოფლის მპყრობელი ღმერთები, მზის მომფენელი, წვიმის მომცემელი და ყოველი სულიერი არსების გამომზრდელი ქართლის ღმერთები არმაზი და ზადენი, ყოველივე დაფარულის გამომეძიებელნი, ჩვენი მამების ძველი ღმერთები გაცი და გაიმ — ისინი უნდა სწამდეთ ადამიანებს. თუ განკურნავ ამ მთავარს — გაგამდიდრებ და მცხეთის მკვიდრ-მოქალაქეობას მოგცემ, დაგაყენებ არმაზის მსახურად. მართალია, მაშინ ჰაერითა და სეტყვით შეიმუსრნენ, მაგრამ ის ადგილი უძლეველია. ეს ქართველთა არმაზი და ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან მარადი მტრები არიან. ამან მასზე ზღვა მიაქცია და მან კი ასეთი ურვა მოაწია, როგორადაც არის ქვეყნის მპყრობელთა ჩვეულება, და შენთვის საკმარისი იყოს ეს ბრძანება“. მიუგო ნეტარმა ნინომ: „ქრისტეს სახელით და მისი დედის ვედრებით მოავლინოს შენზე ღმერთმა — ცისა და ქვეყნის შემოქმედმა, ყოველი დაბადებულის დამბადებელმა, თავისი მრავალმოწყალებისგან მადლის ერთი ნაპერწკალი, რათა იცნო და გულისხმაჰყო ცის სიმაღლე და მზის ნათელი, ზღვის სიღრმე და ქვეყნის სივრცე. იცოდე, მეფევ, ვინ მოსავს ცას ღრუბლით და ქუხს ჰაერში, იძვრის ქვეყანა მისი სიმძაფრით. არის მეხთა ტეხა და მის კვალზე ცეცხლი აღეგზნება მისი გულისწყრომით. იცოდე, რომ ღმერთი არის ცაში. თავად ის უხილავია ყოველივე დაბადებულისგან, გარდა მისი ძისა, რომელიც მისგან გამოვიდა და ქვეყნად მოვიდა როგორც კაცი, რომელმაც აღასრულა ყოველივე, რისთვისაც იყო მოსული და აღვიდა ზეცაში მამასთან და იხილა დაუსაბამო, რომელიც მაღლაა და მდაბალთა ხედავს. მალე მოგხედავს ღმერთი, რამეთუ არის ამ ქალაქში ერთი სასწაული: სამოსელი ღმერთის ძისა და თქვეს, ელიას ხალენიც აქ არისო და მრავალი სასწაულია, რომელსაც ღმერთი გამოაჩენს. ახლა კი მე შენს მთავარს განვკურნავ ქრისტე ღმერთის ძალით და მისი ვნების ჯვრით, როგორც დედოფალი განვკურნე სენისგან“.

და მიჰგვარეს მას ის მთავარი, მოვიდა დედოფალიც ბაღში ნაძვის ქვეშ, დააყენა აღმოსავლეთით, ააწევინა ხელები და ათქმევინა სამგზის: „განვეშორები შენგან, ეშმაკო, და შევუდგები ქრისტესა ღმერთის ძესა“. ტიროდა ნინო და შესთხოვდა ღმერთს, შეწევნოდა ამ კაცს. მოწაფეები მასთან იყვნენ იქ ერთი დღე და ორი ღამე. და სწრაფად გავიდა მისგან სული ბოროტი და დაემოწაფნენ ნინოს თავიანთი სახლით და ერით და ადიდებდნენ ღმერთს.

თქმული სიზმნია ლეონაკაცისა, რომელმაც იხილა და აღწერა...

ერთ ზაფხულის დღეს, 20 ივლისს, შაბათს, გავიდა მეფე მუხრანისაკენ სანადიროდ. ამ დროს უჩინო მტერმა — ეშმაკმა, გულში ჩაუგდო კერპებისა და ცეცხლის სიყვარული. გაიხსენა მსახურება კერპებისა და ისურვა მახვილით ამოწყვეტა ყველა

ქრისტიანისა. უთხრა მეფემ თავის ოთხ თანამზრახველს: „ღირსნი ვართ, რომ ჩვენმა ღმერთმა ბოროტი გვიყოს, რადგანაც აღარ ვემსახურებით მას და მივუშვით თავის ნებაზე გრძნეული ქრისტიანი მქადაგებლები თავიანთი რჯულის საქადაგებლად ჩვენს ქვეყანაში. ისინი გრძნეულებით აკეთებენ საკვირველებას. ახლა ასეთია ჩემი განზრახვა, ბოროტად გავწყვიტოთ ყველა თაყვანისმცემელი ჯვარცმულისა, და უმეტესად ვემსახუროთ ქართლის მპყრობელ ღმერთებს, ვამხილოთ დედოფალი ნანა, ჩემი ცოლი. მოვანანიებინოთ და დავატოვებინოთ ჯვარცმულის რჯული. თუ არ დამემორჩილება, დავივიწყებ მის სიყვარულს და სხვებთან ერთად წავრწყმიდავ მასაც“. დაეთანხმნენ მისი თანამზრახველები, რადგანაც მათაც ამ საქმის შესრულება მხურვალედ უნდოდათ, ადრევე სურდათ, მაგრამ ვერ აცხადებდნენ.

ხოლო მეფემ მოვლო სანახები მუხრანისა, ავიდა თხოთის მაღალ მთაზე, რათა მოეხილა კასპი და უფლისციხე. განვიდა მთის თხემზე. შუა სამხრობისას დაბნელდა მზე მთაზე და იქმნა როგორც ღამე, ბნელი, უკუნი. დაიპყრო სიბნელემ არენი და ადგილნი. განშორდნენ ერთმანეთს ჭირისა და ურვის გამო. დარჩა მეფე მარტო, იარებოდა მთათა და მაღრანთა შეშინებული და შეძრწუნებული. დადგა ერთ ადგილას, გადაეწურა იმედი თავის სიცოცხლისა და როცა მოვიდა ცნობაზე, განიზრახა გულში: „აჰა, შევთხოვე ჩემს ღმერთებს და ვერ ვპოვე ლხინება. ახლა ჯუარცმულს, რომელსაც ქადაგებს წმიდა ნინო და კურნავს მისით, არ შეუძლია ჩემი ხსნა ამ ჭირისაგან? რამეთუ ცოცხლად ვარ ჯოჯოხეთში და არ ვიცი მთელი ქვეყანა დაიქცა, თუ მხოლოდ ჩემთვის იქმნა ეს. ახლა თუ მარტო ჩემთვის არის ეს ჭირი, ნინოს ღმერთო, განმინათლე ეს ბნელი და მიჩვენე ჩემი სამყოფელი და ვაღიარებ შენს სახელს, აღვმართავ ჯვრის ძელს და თაყვანს ვცემ მას. ავაშენებ ჩემთვის სალოცველ სახლს და ვიქნები მორჩილი ნინოსი რომაელთა რჯულზე“.

ყოველივე ეს რომ წარმოთქვა, განათდა და გამობრწყინდა მზე. ჩამოქვეითდა ცხენიდან მეფე, დადგა იმავე ადგილას, განიპყრნა ხელნი აღმოსავლეთით და თქვა: „შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა და უფალი ყოველთა ზედა უფალთა, ღმერთი, რომელსაც ნინო იტყვის. საქებელია შენი სახელი ყოველი დაბადებულისგან ცის ქვეშ და ქვეყანაზე, რამეთუ შენ მიხსენი ჭირისგან და განმინათლე ბნელი. აჰა, ვცნობ. რამეთუ გინდა ჩემი ხსნა, ლხენა და შენთან მიახლება. კურთხეულო უფალო, ამ ადგილას აღვმართავ ძელის ჯვარს, რომლითაც იდიდება შენი სახელი და მოიხსენიება ეს სასწაულებრივი საქმე უკუნისამდე“.

დაისწავლა ეს ადგილი და წამოვიდა. იხილეს ნათელი და შეუერთდა გაბნეული ხალხი. მეფე კი ღაღადებდა. „მიეცით ნინოს ღმერთს დიდება, რამეთუ ის არის საუკუნითგან ღმერთი და მხოლოდ მას შვენის დიდება უკუნისამდე“.

ნანა დედოფალი და ყოველი ერი გავიდა მეფის მისაგებებლად, რამეთუ ესმათ პირველად დაღუპვა, ხოლო შემდეგ მშვიდობით მოსვლა, მიეგებნენ ქინძარასა და ღართაში. ხოლო ნეტარი ნინო ლოცულობდა მწუხრს მაყვლოვანში მისი ჩვეულებისამებრ. ჩვენ მასთან ვიყავით ორმოცდაათი სული. როცა მოვიდა მეფე, იძვროდა ქალაქი და მაღალი ხმით ღაღადებდა მეფე: „სად არის ის უცხო დედაკაცი, რომელიც არის დედაჩემი და მისი ღმერთი ჩემი მხსნელია“. და როცა უთხრეს:

„აქ, მაყვლოვანშია და ლოცულობს“, მივიდა თვით მეფე და მთელი ლაშქარი, ჩამოხდა მეფე ცხენიდან და უთხრა ნინოს: „ახლა ღირსი ვარ შენი ღმერთის და ჩემი მხსნელის სახელის აღიარებისა“. წმიდა ნინომ ასწავლა, აღმოსავლეთით ეცა თაყვანი და ეღიარებინა ქრისტე ძე ღვთისა.

მაშინ გრგვინავდა და ტიროდა ყოველი კაცი, როცა ხედავდნენ მეფესა და დედოფალს ცრემლოვანთ. მეორე დღეს მირიან მეფემ წარავლინა მოციქული საბერძნეთში კონსტანტინე ბერძენთა მეფის წინაშე. მასვე გაატანა ნინოს წიგნი ელენე დედოფალთან. და აუწყეს ყოველივე სასწაული მირიანისა ქრისტესმიერი, რომელიც მცხეთაში მოხდა და ითხოვეს სასწრაფოდ მღვდელნი ნათლისღებისთვის. ხოლო წმიდა ნინო და მისი მოწაფეები უქადაგებდნენ ერს დღე და ღამე დაუცხრომლად და უჩვენებდნენ ჭეშმარიტ გზას.

თქმული მისივე ეკლესიის აღშენებისათვის

როცა მეფე და მთელი ერი ქრისტიანობას დაეწაფა მღვდლების მოსვლამდე, უთხრა მეფემ წმიდა ნინოს: „მსურს სასწრაფოდ ავაშენო ღვთის სახლი, სად ავაშენო?“ უთხრა წმიდა ნინომ: „სადაც მეფეთა გონება მტკიცეა“. უთხრა მას მეფემ: „მიყვარს მე შენი მაყვლოვანი, იქ მნებავს ჩემი გონებით, მაგრამ ასე არ ვყოფ და არ მოვერიდები სამეფო ბაღს, ამ ნაძვთა სიმაღლეს, ამ ბაბილოს ნაყოფიერებასა და ყვავილთა სურნელებას, რამეთუ ჩვენება, რომელიც იხილე შენ, შავფრთიანი ფრინველების განბანა წყლით, ბრწყინვალედ განსპეტაკება და დასხდომა მათი ამ ბაღის ხეებზე, მათი ტკბილხმოვანება, — ჭეშმარიტად, ეს ხორციელი წარმავალი ბაღი შეგვეცვლება საუკუნო სამოთხედ. აქ აღვაშენოთ ღვთის სახლი, ჩვენ სალოცველად, საბერძნეთიდან მღვდლების მოსვლამდეო“.

სასწრაფოდ მოიღო ძალი. ასწავლიდა ხუროებს, მოჰკვეთეს ის ნაძვი და ამ ნაძვისგან შეამზადა ეკლესიის შვიდი სვეტი. ძელებით ააშენეს კედელი და აღმართეს ექვსი სვეტი თავიანთ ადგილებზე, ხოლო უდიდესი სვეტის აღმართვა. რომელიც საკვირველი იყო სახილველად და გამზადებული იყო შუა ეკლესიის შესადგმელად, ვერ შეძლეს. აუწყეს მეფეს, რომ ადგილიდანაც ვერ დაძრეს ეს სვეტი. მაშინ მოვიდა მეფე ერის სიმრავლით, მოიტანეს მრავალღონე მანქანები. სიმარჯვითა და ხალხის სიმრავლის ძალით შეეცადნენ აღმართვას და ვერ შეძლეს. გაკვირვებული იყო მეფე და ხალხი და ამბობდნენ: „რა არის ეს?“ როცა მოსაღამოვდა: წავიდა მეფე თავის სახლში, ფრიად შეწუხებული, ხოლო წმიდა ნინო და თორმეტი მისი მოწაფე ქალი დადგნენ სვეტთან. ხოლო სანატრელი იგი გოდებდა ამ სვეტზე და ადენდა თავის ცრემლს.

შუაღამისას გადმოიქცა ორივე მთა — არმაზი და ზადენი, თითქოს ჩამოირღვნენ და დააყენეს ორივე წყალი: და მტკვარმა გადმოხეთქა და მიჰქონდა ქალაქი. გაისმა საზარელი ტყებისა და გოდების ხმა. და აგრეთვე არაგვი გარდამოხდა ციხეზე და შეიქმნა საზარელი გრგვინვა. შეეშინდათ ქალებს და ილტვოდნენ. ხოლო წმიდა ნინო ღაღადებდა: „ნუ გეშინიათ, დანო ჩემნო, მთანი აქვე არიან, წყალნი აქვე დიან, და ხალხს, ყველას სძინავს. ხოლო ეს თითქოსდა მთები რომ

დაიძრნენ, მართალი ჩვენებაა, რამეთუ ურწმუნოების მთანი დაირღვნენ ქართლში, ხოლო წყალი რომ დადგა, კერპებისადმი შეწირული ყრმების სისხლი შეწყდა. ხოლო ტყების ხმა ეშმაკთა სიმრავლე არის, რამეთუ იგლოვენ თავსა თვისსა, რომელნიც ამ ადგილებიდან გაიქცნენ ძალითა მაღლისა და ქრისტეს ჯვარით. ილოცეთ ღვთის მიმართ". და მაშინვე დაცხრა ის ხმა და იყო არარა.

და დადგა წმიდა ნინო, განიპყრო ხელნი და დაიწყო ლოცვა ღმრთის მიმართ და ამბობდა: „რათა არ დაბრკოლდეს ეს საქმე, რომლისთვისაც წარმართულია მეფე". და კვლავ, მამლის ყივილამდე ქალაქის სამივე კარს დასცა ზარი ძლიერმა ლაშქარმა. დალეწეს კარნი და აღივსო ქალაქი სპარსთა ლაშქრით, და გაისმა ხმა შიშისმომგვრელი, ყივილი და კვლა, და აღივსო ყოველი ადგილი სისხლით და მოვიდა სიმრავლე მახვილით და შეძახილებით. შიშისგან ხორცი დადნებოდა და განილია სული მათი. ტიროდნენ თავიანთ ნათესავებს. ისმოდა ძლიერი ხმა: „მეფე სპარსთა, მეფეთ-მეფე ხუარან-ხუარა ბრძანებს: ყოველი ებრაელი განარინეთ პირისაგან მახვილისა". ეს რომ მომესმა, შევორგულდით მე და ათნივე ჩემთან მყოფნი, და მოახლოებულნი იყვნენ მახვილოსანნი ჩვენს გარემოს, სცემდნენ და კლავდნენ.

და გაისმა ძლიერი ხმა – „მირიან მეფე მოკლესო". გაიხედა მხნე მოღვაწემ და თქვა: „ეს, რომელიც ყივის, ვიცი, ახლა დიდად გაჭირვებულია და ვმადლობ ღმერთს, რომ ეს ნიშანი არის მათი წარწყმედისა, ქართლისა ცხოვრებისა და ამ ადგილის დიდებისა", და გვანუგეშებდა, როგორც ხელოვანი მოძღვარი, ჭეშმარიტი მოძღვარი და მოციქული ქრისტესი.

მიუბრუნდა ამ მომავალ ხალხს და უთხრა: „სად არიან მეფენი სპარსთანი ხუარა და ხუარან-ხუარა? საბასტანით გუშინ გამოხვედით, ვითომ მალე მოხვედით და დიდი ლაშქარი ხართ, ძლიერად დალეწეთ ეს ქალაქი და მახვილი დაეცით. ქარსა და ნიავს გაჰყევით ბნელით ჩრდილოეთისკენ, მთათა და კედართა. აჰა, მოვიდა, რომლისგანაც თქვენ ილტვით". და განძრა ხელი ჯვრისსახედ და მეყსეულად უჩინო იქმნა ყოველი და დადუმდა გარემო. ქალები შეჰნატროდნენ მას და ადიდებდნენ ღმერთს.

ცისკრისჟამს მიერულა ყველა ქალს, ხოლო მე, სიდონია, მღვიძარე ვიყავ. ის იდგა ხელგანპყრობით და აჰა, ნეტარს, ზედ მოადგა ერთი ჭაბუკი სრულიად ნათლით შემკობილი, შებლარდნილი ცეცხლის ზეწრით და თქვა რაღაც სამი სიტყვა. ხოლო ის დაეცა მიწაზე. ჭაბუკმა ხელი მოჰკიდა სვეტს, აღმართა და წაიღო მაღლა. მე გაკვირვებული მივეახლე მას და ვუთხარი: „დედოფალო, რა არის ეს?" ხოლო მან მიპასუხა: „მოიდრიკე თავი ქვეყნად" და ტირილი დაიწყო. მცირე ხნის შემდეგ ადგა და ამაყენა, განვშორდით ამ ადგილს. და ქალებმაც იხილეს ეს სვეტი, ცეცხლის სახით ჩამოდიოდა. მიუახლოვდა თავის ხარისხს — მონაკვეთი ნაძვის ძირს.

რიჟრაჟისას ადგა მეფე, ურვისგან შეწუხებული. გახედა ბაღს და დაწყებულ ეკლესიას. იხილა ნათელი, როგორც ელვა აღწეული ცაში მისი ბაღიდან. სირბილით და მკვირცხლად მოდიოდა მისი სახლის სიმრავლე და ქალაქის ხალხი მასთან ერთად. მათ საკვირველება იხილეს — ნათელით გაბრწყინვებული სვეტი

ჩამოდიოდა თავის ადგილზე თითქოსდა ზეციდან. და დადგა თავის ხარისხზე და დაემყარა მას კაცთაგან ხელის შეუხებლად. ნეტარი იყო ის ჟამი, რამეთუ ამ დროს შიშითა და სიხარულით აღივსო ქალაქი მცხეთა. დიოდა ცრემლთა მდინარენი მეფეთა, მთავართა და მთელი ერისა. სულთქმით ადიდებდნენ ღმერთს და ნატრობდნენ ნეტარ ნინოს, და იმ დღეს დიდი სასწაულები ხდებოდა.

პირველად მოვიდა ერთი ებრაელი, შობიდან ბრმა, მიეახლა სვეტს, აეხილა მაშინვე თვალები. ადიდებდა ღმერთს. მეორედ ყრმა სეფეწული მოიყვანეს, ამაზასპანი, რვა წლისა. საწოლით მოიტანა დედამისმა. სარწმუნოებით დადო საწოლი ნათლის სვეტის წინ. ევედრებოდა ნინოს: „მოხედე, დედოფალო, სიკვდილს მიახლოებულ ამ ჩემს ძეს, რამეთუ ვიცი, ღმერთი ღმერთთა ის არის, რომელსაც შენ ემსახურები და ჩვენ გვიქადაგებ“. მაშინ წმიდა ნინომ შეახო ხელის სვეტს, დაადო ყრმას და თქვა: „გწამდეს იესო ქრისტე, ძე ღმრთისა, ყველა კაცის სიცოცხლისათვის ამ ქვეყნად ხორციელად მოსული, განიკურნე ამიერიდან და ადიდებდე მას, ვისმა ძალამაც განგკურნა“. და უცებ აღდგა ყრმა, როგორც უტკივნელი. დაეცა შიში მეფესა და ხალხს. სნეულები მოდიოდნენ და განიკურნებოდნენ, სანამ მეფემ არ შექმნა საბურველი ძელისა სვეტის გარშემო და დაფარა ხედვისგან. ასევე ეხებოდა ხალხი მის სართულს და იკურნებოდა. სწრაფად დაიწყო მეფემ და განასრულა ეკლესია ბაღში.

როცა მირიან მეფის მოციქულებმა მიაღწიეს ბერძენთა მეფის კონსტანტინეს წინაშე, მოუთხრეს ყოველივე რაც იქმნა. მაშინ აღივსო სიხარულით მეფე და დედამისი ელენე დედოფალი: პირველად იმისთვის, რამეთუ მადლი ღვთისა მოეფინებოდა ყველა ადგილს და მათ ხელქვეშ ნათელს-იღებდა ყოველი ქართლი. ხოლო შემდგომ უხაროდათ, რამეთუ დარწმუნდნენ, რომ მირიან მეფე სრულებით ჩამოშორდა სპარსელებს და მტკიცედ მიიღო მათი სიყვარული. ადიდებდნენ და ჰმადლობდნენ ღმერთს. გამოგზავნეს მღვდელი ჭეშმარიტი იოვანე ეპისკოპოსად და მასთან ორი მღვდელი და სამი დიაკონი. მისწერა მირიანს კონსტანტინე მეფემ წიგნი ლოცვისა და კურთხევისა, ღმერთის მადლობისა. გამოგზავნეს ჯვარი და მაცხოვრის ხატი და მასთან დიდი სიმდიდრე. ხოლო ელენე დედოფალმა მოწერა წიგნი ქებისა და ნუგეშინისცემისა.

მოვიდნენ იოვანე ეპისკოპოსი, მასთან ერთად მღვდლები, დიაკვნები და მოციქულები მცხეთაში. აღივსნენ სიხარულით მეფე, დედოფალი და მთელი მათი ხალხი, რამეთუ სურვილი ჰქონდა ყველას ნათლისღებისა. მაშინ სწრაფად გაუგზავნა მეფე მირიანმა ბრძანება ყველა ერისთავს, სპასალარებს და ყოველ სამეფო პირს მის წინაშე მისასვლელად. სწრაფადვე მოვიდნენ ყველანი ქალაქში. მაშინ ნათელიღო მეფემ წმიდა ნინოს ხელქვეშ, შემდეგ დედოფალმა, მათმა შვილებმა მღვდლებისა და დიაკვნების ხელქვეშ. შემდეგ აკურთხეს მდინარე მტკვარი. ეპისკოპოსმა შეამზადა ერთი ადგილი, მოგვთა ხიდთან, მოგვთა კარის სიახლოვეს, სადაც იყო ელიოზ მღვდლის სახლი, იქ ნათელს-ცემდა თითოეულ წარჩინებულს, და ეწოდა ამ ადგილს მთავართა სანათლო. ხოლო მის ქვემოთ მდინარისვე პირას ორგან, ორი მღვდელი და დიაკვნები ნათელსცემდნენ ხალხს. აწყდებოდა ხალხი ერთმანეთს და ევედრებოდნენ მღვდლებს, რათა პირველად ის მოენათლა. ასე ესწრაფოდა ნათლისღებას ყველა.

ასეთი სახით ნათელ-იღო მთელმა ხალხმა და ქართლის სიმრავლემ. არ მოინათლნენ მხოლოდ კავკასიელი მთიულები და არც მოვიდნენ ამ ნათლის მოფენაზე, არამედ დარჩნენ სიბნელეში რამდენიმე ხანს. და მცხეთელი ებრაელებიც არ მოინათლნენ, ბარნაბიანები (ბარნაბას სახლი) მოინათლნენ და ჭეშმარიტ ქრისტიანებად იქცნენ. ამისთვის მეფის წინაშე დიდნი გახდნენ, უბოძა მათ დაბა, რომელსაც ჰქვია ციხედიდი. ასევე არ მოინათლა ფეროზი, სიძე მირიან მეფისა, რომელსაც ჰქონდა მირიან მეფისგან მიცემული რანი ბარდავამდე. არც მისმა ერმა მიიღო ნათელი, არამედ მხოლოდ ხორციელად ემსახურებოდნენ მეფეს.

მაშინ გაგზავნა მირიან მეფემ ეპისკოპოსი იოვანე და მასთან ერთად ერთი წარჩინებული კონსტანტინე მეფესთან და ითხოვა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, რომელიც იმჟამად აღმოეჩინა ღვთისმოყვარე ელენე დედოფალს. ითხოვა მრავალი მღვდელი, რათა მიევლინებინა ყოველ ქალაქსა და ადგილზე და მოენათლათ ხალხი, რომ მონათლულიყო ქართლის ყოველი სული. ასევე ითხოვა ქვითხურონი ეკლესიების აშენებისთვის. როცა მივიდნენ კონსტანტინე მეფის წინაშე, სიხარულით უბოძა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა და ის ფიცარი, რომელზედაც იყო დამსჭვალული უფლის ფეხები, აგრეთვე სამსჭვალნი ხელებისა. წარმოგზავნა მღვდელნი და ხურონი ფრიად მრავალნი, რამეთუ კონსტანტინე მეფემ მისი მეფობისას ააშენა წმიდა ეკლესიები. მისცა განძი ეპისკოპოს იოვანეს და უბრძანა: „სადაც საჭიროდ მიიჩნევ ქართლში, იქ აღაშენე ეკლესიები ჩემს სახელზე და ეს სიმდიდრე დაამკვიდრე ქართლის ქალაქებში“.

და წამოვიდა ეპისკოპოსი და მასთან ერთად მირიანის მოციქული, მივიდნენ იმ ადგილას, რომელსაც ჰქვია ერუშეთი. დატოვა იქ ხუროები ეკლესიის ასაშენებლად, დატოვა განძი, უფლის სამსჭვალნი და წამოვიდა. და აგრეთვე წუნდაში დატოვა ხუროები და განძი, ეკლესიის დაწყებისას წამოვიდა, მოვიდა მანგლისში, აქაც დაიწყო ეკლესიის შენება და დატოვა უფლის ფიცარი.

მაშინ შეწუხდა იმისთვის მირიან მეფე, რომ პირველად სამეფო ქალაქში არ მოვიდნენ, არამედ სხვა ქალაქებსა და ადგილებში დაიწყეს ეკლესიის შენება და დატოვეს ნაწილები. მივიდა წმიდა ნინო მეფესთან და უთხრა: „ნუ სწუხარ, მეფეო, რამეთუ ასე სჯობია, სადაც მივიდნენ, დათესეს ღვთის სახელი. არის ამ ქალაქში სამოსელი უფლისა“.

მაშინ მოიყვანა მეფემ აბიათარ მღვდელი და მასთან ერთად მრავალი ებრაელი და გამოიკითხა მათგან უფლის კვართისათვის, ხოლო მათ მოუთხრეს ყოველივე, რომელიც ზემოთ წერია. მაშინ აღაპყრო ხელი მირიან მეფემ და თქვა: „კურთხეულ ხარ, შენ უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღვთისა ცხოველისაო, რამეთუ თავიდანვე გინდოდა ჩვენი ხსნა ეშმაკისაგან და მისი ბნელი ადგილისაგან, ამისთვის შენი წმინდა სამოსელი წარმოეც წმინდა ქალაქ იერუსალიმიდან, შენი ღვთაების არმცოდნე ებრაელებისგან და მოგვეც ჩვენ, უცხო ერს“.

მეფე და მთელი ქალაქი განმტკიცდებოდა ქრისტიანობაში. დაიწყეს ხუროებმა ზღუდის გარეთ ეკლესიის შენება, წმინდა ნინოს საყოფელ მაყვლოვანში, სადაც ახლა არის საეპისკოპოსო ეკლესია. მაშინ თქვა წმინდა ნინომ: „კურთხეულ არს

უფალი იესო ქრისტე და მამა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. რომელმაც მოავლინა წმინდა სიტყვა მისი ზეცის სიმაღლიდან, ძლიერი ტახტისგან გადმოსული ქვეყნად, მდაბლად შობილი დავითის თესლისგან, დედაკაცისგან მხოლოდშობილისა წმინდისა და უბიწოისა. ჩვენი ცხოვრების მიზეზი, რომელმაც ცის ქვეშ ყველაფერი გაანათლა და მორწმუნენი აცხოვნა, რომელიც იშვა როგორც კაცი, ნათელი ყოველთა, მამა ღმერთის ხატი და ვითარცა ვინმე სულის მსახურმა ნათელ იღო წყლისაგან და სულისაგან და ჯვარს ეცვა, დაეფლა და აღდგა მესამე დღეს, და აღხდა სიმაღლესა მამისა თანა, და კვლავ მოვა დიდებით, რომელსაც შვენის ყოველივე დიდება, პატივი და თაყვანისცემა მამით და სულით წმიდით“.

ალმაერთეგისათვის პატიოსნისა ჯვრისა

ქართლის მოქცევის დროს იდგა ერთი ხე კლდის ბორცვზე, შეუვალ ადგილას, ეს ხე იყო ფრიად მშვენიერი. და საკვირველება ამ ხისგან ის იყო, რომ ისარცემული ნადირი, რომელიც მივიდოდა და შეჭამდა ამ ხის ფოთოლს ან თესლს, აღარ მოკვდებოდა, თუნდაც სასიკვდილოდ დაჭრილი ყოფილიყო. ეს ძლიერ აკვირვებდა პირველ წარმართებს. აუწყეს ეპისკოპოს იოვანეს ამ ხის შესახებ. ხოლო ეპისკოპოსმა თქვა: „აჰა, ჭეშმარიტად, ეს ქვეყანა თავდაპირველადვეა შენახული ღვთისგან თავის მსახურად, რამეთუ ღმერთისგან აღმოცენდა ეს ხე, ამ დროისათვის შენახული, რამეთუ ახლა მოეფინა ღმერთის მადლი ქართლს, და ამ ხისგან ჯერ არს პატიოსანი ჯვრის შექმნა, რომელსაც თაყვანს სცემს ქართლის მთელი სიმრავლე“.

და წავიდნენ რევ, ძე მეფისა, ეპისკოპოსი და ხალხის სიმრავლე. მოჰკვეთეს ეს ხე და თავის რტოებიანად წამოიღეს და მოჰქონდა ათ ათეულ კაცს, ზეზე რტოებით და ფოთლებითურთ, შემოიტანეს ქალაქში, ზამთრის დროს, როცა სხვა ყოველი ხე ხმელი იყო, ხოლო ეს ფოთოლდაუცვენელი, სურნელოვანი და სახილველად მშვენიერი. და ძირზე დააყენეს ეკლესიის კარებთან, სამხრეთით, სადაც უბერავდა ნელი ნიავი და შლიდა მის ფოთლებს, ძრავდა მის რტოებს და მისი ხილვა მშვენიერი იყო, როგორც გვსმენია – ალვის ხისა.

ეს ხე მოჰკვეთეს 25 მარტს, პარასკევს, და იდგა ასე 37 დღე. და არ შეიცვალა ფერი მისმა ფოთლებმა, იდგა თავის ძირზე, წყაროს თავთან, ვიდრე არ შეიმოსა ყველა ხე ფოთლით, ხოლო ნაყოფის გამომღებელი ხეები – ყვავილით.

მაშინ, 1-ელ მაისს, შექმნეს ჯვარი, 7 მაისს აღმართა მეფის ხელის დადებით ქალაქის მთელმა ხალხმა, და აჰა, ზეციდან ჩამოვიდა ცეცხლის ჯვარი და როგორც ვარსკვლავთ-გვირგვინი დაადგა ეკლესიას განთიადამდე. გარიჟრაჟისას მისგან გამოვიდა ორი ვარსკვლავი, ერთი წავიდა აღმოსავლეთით და ერთი დასავლეთით. და ის თვითონ (ვარსკვლავგვირგვინი) ასევე ბრწყინვალედ ნელ-ნელა გადავიდა არაგვზე და დადგა კლდის ბორცვზე, ზემო მხარეს, იმ წყაროს სიახლოვეს, რომელიც წმიდა ნინოს ცრემლებმა აღმოაცენა და იქიდან ამაღლდა ზეცად. და ასე მრავალგზის იხილა მთელმა ხალხმა მაცხოვარება ღვთისა ჩვენისა. მაშინ გამოჰკითხეს წმიდა ნინოს, თუ რა არის, რომ ერთი ბრწყინვალე ვარსკვლავი აღმოსავ-

ლეთით მიდის, მეორე კი დასავლეთით, და თქვა მან. „განავლინეთ კაცი მაღალ მთებზე აღმოსავლეთით კახეთის მთამდე და დასავლეთით ამ ქალაქის სანახებამდე, როცა გამობრწყინდებიან ის მთიები, ნახონ, თუ სად დადგებიან და იქ აღემართოს ჯვრები იესო ქრისტესი“.

მაშინ ჰყო მეფემ ეგრე. ეს დღე იყო პარასკევი და შაბათი თენდებოდა. მოხდა იგივე სასწაული, როგორც პირველად. მეორე დღეს მოვიდნენ დასავლეთში გაგზავნილები, რომელნიც იდგნენ ქვაბთა თავზე და მოუთხრეს მეფეს, რომ „გამოვიდა ის ვარსკვლავი, ამაღლდა და მიიწია თხოთის მთაზე, კასპის გადასასვლელთან, დადგა ერთ ადგილს და სრულებით გაუჩინარდა“.

ასევე მოვიდნენ კახეთის მთიდან და თქვეს: „ვიხილეთ ვარსკვლავი ჩვენსკენ მომავალი და დაადგრა დაბა ბოდს კუხეთისას“. მაშინ უბრძანა ნეტარმა ნინომ: „წაიღეთ ორი ჯვარი, და აღმართეთ ერთი თხოთს, სადაც გაგიმხილა ღმერთმა თავისი ძალა და ერთი მიეც სალომეს ქრისტეს მხევალს, აღმართოს უჯარმის ქალაქში, რამეთუ ბოდში არის ერის სიმრავლე. ბოდის დაბა იქნება ღვთის სათნო ადგილი“. ჰყვეს ეგრე, როგორც ბრძანა დედოფალმა. ხოლო ზეციური სასწაულის ჩვენებით ეს პატიოსანი ჯვარი მცხეთაში დატოვეს.

მივიდნენ ბორცვის ქვეშ, წყაროსთან ათიეს ღამე, ილოცეს ღმერთის მიმართ, ნეტარი ნინო ცრემლით აზავებდა წყაროს, და იყო კურნებანი და დიდი სასწაულები. მეორე დღეს ავიდნენ კლდეზე, მოვიდა ნეტარი ნინო ბორცვზე, დავარდა ქვებზე, ტიროდა, და მასთან ერთად მეფეები, მთავრები და ყოველი სიმრავლე ერისა, ისე რომ მთები ექოს აძლევდნენ. და დაადო ხელი ქვას და უთხრა ეპისკოპოსს: „მოდი, რამეთუ შენდა ჯერ არს, და დასწერე ჯვარი ამ ქვას“. და მან ჰყო ეგრე და იქ აღიმართა ის ჯვარი დიდებით მეფეთაგან, დაიჩოქა ურიცხვმა ხალხმა და თაყვანისცეს ჯვარს და აღიარეს ჯვარცმული ჭეშმარიტად ძედ ღვთისა ცხოველისა, და ირწმუნეს სამებით დიდებული ღმერთი.

ხოლო დიდი მთავრები არ განშორდნენ წმიდა ეკლესიას, ნათლის სვეტს და ცოცხალ ჯვარს, რამეთუ ჰხედავდნენ უზომო სასწაულებს და მიუთხრობელ კურნებებს. აღდგომის დღესასწაულის კვირა დღეს მირიან მეფემ და მთელმა მცხეთამ შესწირეს შესაწირავი და ეს დღე განაწესა ჯვრის მსახურებად, აღდგომის დღესასწაული, ყოველმა ქართლმა დღევანდლამდე. რამდენიმე დღის შემდეგ სული წმიდის მოფენიდან იხილეს სასწაული დიდად საშინელი, ოთხშაბათ დღეს ნათლის სვეტი ჯვრის სახით დაადგა ამ ჯვარს და თორმეტი ვარსკვლავი მის გარშემო გვირგვინის სახით. ხოლო ის ბორცვი აკმევდა სურნელებას. ხედავდნენ ამ სასწაულს ყოველნი და მრავალი უღმერთოთაგანი მოიქცა და მოინათლა იმ დღეს. ხოლო ქრისტიანები კიდევ უფრო მორწმუნენი გახდნენ და ადიდებდნენ ღმერთს. მერე კვლავ იხილეს ჯვრის სხვა სასწაული – მზეზე შვიდჯერ უბრწყინვალესი ნათელი დაადგა ჯვარს თავზე და ღვთის ანგელოზები აღვიდოდნენ და გარდამოვიდოდნენ მასზე, ვითარცა ღუმელში ნაპერწკლები.

ხოლო ის ბორცვი ძლიერ იძროდა. ამ სასწაულის დაცხრომისას ძვრაც წყდებოდა. იხილეს ეს სასწაული, გაუკვირდა ყველას, უფრო და უმეტესად ადიდებდნენ

ღმერთს. ამ სასწაულს ხალხი ხედავდა შიშით და ძრწოლით. მოდიოდნენ გულმოდგინედ თაყვანისსაცემად.

ამ დროს მეფის ძეს, რევს, ჰყავდა სასიკვდილოდ სნეული პატარა შვილი. მარტო ის ჰყავდა. მოიყვანა და დადო ჯვრის წინაშე და ცრემლით თქვა: „თუ მიბოძებ ამ ყრმას ცოცხალს, ავაშენებ ლუსკუმას (ბუდეს) შენს საყოფელად“. მაშინვე განიკურნა ის ყრმა, გაცოცხლდა და განკურნებული წაიყვანა. მერე მოვიდა თავისი აღნათქვამის აღსასრულებლად და მისცა მადლი დიდი სიხარულით და გულმოდგინედ ააშენა მცხეთის ჯვრის ლუსკუმა რევმა, მეფის ძემ. ყოველწლიურად მოდიოდა და აღასრულებდა აღნათქვამ მსხვერპლს. მის შემდეგ უფრო მოდიოდნენ უძლურნი და სნეულნი და იკურნებოდნენ, სიხარულით ადიდებდნენ წმინდა ჯვარს. იყო ერთი, ორივე თვალით ბრმა, ჭაბუკი. იჯდა ის ქრისტეს ჯვრის წინ და მეშვიდე დღის შემდეგ აეხილა თვალები, ხედავდა და ადიდებდა ღმერთს. მერე იყო ვინმე დედაკაცი, უკეთური სულისგან მარად გვემული რვა წლის მანძილზე, ისე, რომ ძალი და გონება წართმეული ჰქონდა, თავის სამოსელს ხევდა. როცა მოიყვანეს და პატიოსან ჯვარს ამთხვიეს, მეთორმეტე დღის შემდეგ განიკურნა და თავისი ფეხით წავიდა, ადიდებდა ღმერთს და თაყვანსსცემდა პატიოსან ჯვარს. იყო ასევე ერთი მცირე ყრმა, უცებ დაეცა და მოკვდა. აიღო დედამისმა და დადო ჯვრის წინ მკვდარი, დილიდან საღამომდე დედამისი ტირილით ლოცულობდა ჯვრის წინ, სხვები ეუბნებოდნენ: „წაიღე, დედაკაცო, და დამარხე, რამეთუ მკვდარია, ნუღარ აჩერებ“. ხოლო მან არ წარიკვეთა სასოება, არამედ უფრო და უმეტესად საწყალობლად ტიროდა და ლოცულობდა. ხოლო საღამო ჟამს ყრმა მოსულიერდა, თვალი აახილა და მეშვიდე დღის შემდეგ განიკურნა. გაცოცხლებული წაიყვანა ყრმა დედამისმა და ადიდებდა ღმერთს. ხოლო როცა იხილეს სასწაულები და კურნებანი ყოვლად წმინდისა ჯვრისა, მრავალი უშვილო მიდიოდა, ითხოვდნენ შვილიერებას და მრავალშვილიანები ხდებოდნენ, შესაწირავებს და მადლს აძლევდნენ. არა მარტო მოსულები იღებდნენ კურნებას, არამედ ისინიც, რომელნიც შორიდან ლოცულობდნენ, მაშინვე მისი შეწევნით იღებდნენ მადლს და მადლობის შესაწირავად მოდიოდნენ.

მრავალნი უღმერთონიც კი, ჭირში ჩაცვენილნი, როგორც კი შესთხოვდნენ წმიდა ჯვარს, მაშინვე შორდებოდათ ჭირი და მოდიოდნენ ჯვრის სამთხვევად, სასწრაფოდ ინათლებოდნენ და ადიდებდნენ პატიოსან ჯვარს. პატიოსანი ჯვრის ძალით იკურნებოდნენ პირადი სატანჯველისგან, მოდიოდნენ სავედრებლად და იკურნებიან დღევანდელ დღემდე და ადიდებენ მამას, ძეს და სული წმინდას.

წიგნი, რომელიც მისწერა რომის პატრიარქმა და ბრანჯთა მეფემ ნინოს, მეფე მირიანს და ქართლის ერს

ამ დღეებში მოუვიდა წიგნი რომის პატრიარქისაგან წმიდა ნინოს, მეფეს და ქართლის მთელს ერს. მოავლინა ბრანჯი დიაკონი ქების შესასხმელად და კურთხევის მისაცემად, ნეტარი ნინოსგან ლოცვის წასაღებად და მისი მადლის საზიარებლად.

მას ჰქონდა ასევე ბრანჯთა მეფის წიგნი წმიდა ნინოსთან, რამეთუ მამამისისგან მიეღო ნათელი ბრანჯთა ქვეყანას. გაგებული ჰქონდათ იერუსალიმსა და კონსტანტინეპოლში ეს ყოველივე, რომ სიმართლის მზე მოეფინა ქართლის ქვეყანას. ამისთვის სანატრელი წიგნი მოეწერა, რათა ეუწყებინა მისთვის სასწაულები სვეტისა და მაყვლოვანის კურნების ძალა. ყოველივე მოისმინა და იხილა ბრანჯმა დიაკონმა, რაც მომხდარიყო მცხეთაში და გაკვირვებული ადიდებდა ღმერთს. წაიღო წიგნები და წავიდა.

მაშინ უთხრა მეფემ წმიდა ნინოს და ეპისკოპოსს: „მნებავს, რათა იძულებით, მახვილით მოვაქციოთ მთიულები და ჩემი სიძე ფეროზი, დავუმონოთ ისინი ღვთის ძეს და ვათაყვანოთ პატიოსან ჯვარს“. მაშინ უთხრეს: „არა ბრძანებულ არს უფლისგან მახვილის აღება, არამედ სახარებით და პატიოსანი ჯვრით ვუჩვენოთ ჭეშმარიტი გზა, მიმყვანი საუკუნო ცხოვრებასთან. ღვთის მადლმა განანათლოს სიბნელე მათ გულებში“. და წავიდნენ წმიდა ნინო, ეპისკოპოსი იოვანე და მათ გაატანა მეფემ ერთი ერისთავი. მოვიდნენ და დადგნენ წობენს, მოუხმეს მთიულებს, პირუტყვის სახის კაცებს, ჭართალელებს, ფხოველებს, წილკნელებს და გუდამაყრელებს. უქადაგეს მათ ქრისტიანთა ჭეშმარიტი რჯული, საუკუნო ცხოვრებასთან მიმყვანი, ხოლო მათ არ ინებეს ნათლისღება. მაშინ მეფის ერისთავმა მცირედ წარმართა მახვილი მათზე და ძლევით შემუსრა მათი კერპები.

იქიდან გადავიდნენ და ჟალეთს დადგნენ, უქადაგეს ერწო-თიანეთელებს. მათ შეიწყნარეს და ნათელ-იღეს, ხოლო ფხოველებმა დატოვეს თავიანთი ქვეყანა და გადავიდნენ თუშეთში. სხვა მთიულთა უმრავლესობა არ მოიქცა, დაუმძიმა მათ ხარკი მეფემ, როცა არ ინებეს ნათლისღება, ხოლო უკანასკნელ ჟამს, მათი ნაწილი მოაქცია აბიბოს ნეკრესელმა ეპისკოპოსმა და ზოგიერთნი მათგანნი დარჩნენ წარმათობაშივე დღემდე.

ხოლო წმიდა ნინო წავიდა რანისკენ ფეროზის მოსაქცევად. მივიდა კუხეთში, დაბა ბოდ'ში და დაჰყო იქ რამდენიმე დღე. მოდიოდნენ მასთან კახეთიდან. აღიარა მისი სწავლა ერის სიმრავლემ. დასნეულდა იქ. გაიგო ეს რევ, მეფის ძემ და მისმა ცოლმა სალომემ, რომელნიც ცხოვრობდნენ უჯარმაში, მივიდნენ ნინოსთან. აცნობეს მეფესა და დედოფალს, მათ გაგზავნეს ეპისკოპოსი იოვანე ნინოს წამოსაყვანად. მაგრამ წმიდა ნინო არ დაემორჩილა, მაშინ წავიდა თვით მეფე და ხალხის სიმრავლე.

ხედავდა ხალხი მის სახეს როგორც ზეცის ანგელოზის პირს. მის სამოსელს ბოლო ნაწილებს აცლიდნენ, იღებდნენ და სარწმუნოებით ემთხვეოდნენ. გარშემო მსხდომ ყველა დედოფალს თვალთაგან ცრემლი დიოდა მოღვაწე მოძღვრისა და სნეულთა ხელოვანი მკურნალის განშორების გამო.

სალომე უჯარმელი და პეროჟავრი სივნიელი, მათთან ერისთავები და მთავრები, ჰკითხავდნენ: „თუ ვინა ხარ ან საიდან მოხვედი ამ ქვეყანაში ჩვენს მაცხოვრად? სად აღიზარდე, დედოფალო, გვაუწყე ჩვენ შენი საქმე. რატომ ამბობ ტყვე ვარო, ტყვეთა მხსნელო და სანატრელო, რამეთუ შენგან გვისწავლია, რომ იყვნენ წინასწარმეტყველები ღვთის ძის უწინარეს, შემდგომ თორმეტი მოციქული, სხვა სამოცდაათ-

ნი. ჩვენში არავინ მოავლინა ღმერთმა შენს გარდა და როგორ იტყვი, ტყვე ვარო და როგორა ხარ უცხო“. მაშინ დაიწყო სიტყვის თქმა წმინდა ნინომ და თქვა: „სარწმუნოების ასულნო, ჩემო მახლობელო დედოფლებო, გხედავთ თქვენ როგორც იმ პირველ ქრისტიან ქალებს, გნებავთ ჩემი გზის ცნობა, გლახაკი მხევლისა. ახლა გაუწყებთ, რომ მისულია ჩემი სული ჩემს ხორცთან და მეძინება მე დედაჩემის ძილით საუკუნოდ, მაგრამ აიღეთ თქვენი საწერლები და დაწერეთ ჩემი გლახაკი და უდები ცხოვრება, რათა იცოდნენ თქვენმა შვილებმა თქვენი სარწმუნოება, ჩემი შეწყნარება, ღვთის სასწაულები, რომელნიც უხილავთ“.

მაშინ სწრაფად აიღეს საწერლები სალომე უჯარმელმა და პეროჟავრი სივნიელმა. დაიწყო სიტყვის თქმა წმინდა ნინომ და ისინი წერდნენ. მოუთხრო ყოველივე, რაც ჩვენ ზემოთ დავწერეთ, ცხოვრება ამ წმინდისა და ნეტარისა და შეჰვედრა მეფეს იაკობ მღვდელი, რათა იოვანეს შემდეგ იყოს ის ეპისკოპოსი. მაშინ იოვანე ეპისკოპოსმა სწირა და აზიარა წმიდა ნინო ქრისტეს სისხლით და ხორცით. შეავედრა თავისი სული ცის მეუფეს, მისი ქართლში მოსვლიდან მეთოთხმეტე წელს, ქრისტეს ამაღლებიდან სამას ოცდათვრამეტ წელს დასაბამიდან წელთა ხუთიათას რვაას ოცდათვრამეტს.

შეიძრა ორივე ქალაქი, მცხეთა და უჯარმა, და ყოველი ქართლი ნინოს მიცვალებისას. იქ მივიდნენ და დამარხეს ძლევით შემოსილი მისი გვამი იმავე ადგილას – კუხეთს, დაბა ბოდში, რამეთუ იქ ითხოვა თვით მეფისგან დაფლვა. სიმდაბლისათვის ქმნა ეს, რადგანაც ეს ადგილი სახელგანთქმული არ იყო. მწუხარე იყო მეფე და ყველა წარჩინებული იქ მისი დაფლვის გამო, მაგრამ მცნებისა და ანდერძის ასრულებისთვის დაფლეს იქ. როცა აღესრულა ეს ყოველივე, ღვთით განბრძნობილმა მირიან მეფემ განამტკიცა წმინდა სამების და ყოველივეს დამბადებელი ღვთის სარწმუნოებაზე ყოველი ქართლი და ჰერეთი. მაშინ კონსტანტინე მეფემ გამოგზავნა მძევალი – მირიანის ძე ბაქარი დიდი განძით და მოსწერა ასე: „მე, კონსტანტინე მეფე, თვითმპყრობელი, ცათა მეუფის ახალი მონა, პირველად ეშმაკისაგან დატყვევებული და მერე გამოხსნილი დამბადებლის მიერ, გწერ შენ, ღვთივ განბრძნობილს და ჩემსავით ახალნერგ მორწმუნე მეფე მირიანს. იყოს შენთან მშვიდობა და სიხარული, ვინაიდან იცან სამება ერთარსება, ღმერთი დაუსაბამო ყოვლისა დამბადებელი, აღარ მინდა მე შენგან მძევალი, არამედ საკმარისია ჩვენს შორის შუამდგომლად ქრისტე, ძე ღმრთისა, ჟამთა უპირველეს შობილი, რომელიც განკაცდა ჩვენი ხსნისათვის, და მისი პატიოსანი ჯვარი, რომელიც მოცემული გვაქვს საწინამძღვროდ მის გულით მოსავებს. დამბადებელი ღვთის შუამდგომლობით ვიყოთ ჩვენ ძმებივით, სიყვარულით. შენი შვილი შენთვისვე მომინიჭებია, იხილე და გაიხარე და ღმერთისგან მოვლინებული მშვიდობის ანგელოზი იყოს შენთან მარადის. დამბადებელმა ღმერთმა განდევნოს შენი საზღვრებიდან ეშმაკი“.

მოვიდნენ მირიან მეფის ძე ბაქარი და მეფე კონსტანტინეს მოციქული მცხეთაში. აღივსნენ სიხარულით მირიან მეფე და დედოფალი ნანა და ადიდებდნენ ღმერთს.

მაშინ მირიან მეფემ განასრულა საეპისკოპოსო ეკლესიაც, აღასრულა მისი წლისთავის დღესასწაული მრავალი დიდებით. მირიან მეფის მოქცევიდან ოცდ-

ამეხუთე წელს მოკვდა მისი ძე, რევი, სიძე ორდატ სომეხთა მეფისა, რომელსაც მამის სიცოცხლეშივე მიეცა მეფობა.

დაფლეს თავის მიერ აშენებულ აკლდამაში. იმავე წელს დასნეულდა მირიან მეფე და აღესრულა. მოიყვანა თავისი ძე ბაქარი და ცოლი ნანა და უთხრა ნანას: ...აჰა, მე წავალ, საიდანაც მოვედი, ვმადლობ მრავალმოწყალე ღმერთს, ცისა და ქვეყნის დამბადებელს, რომელმაც ეშმაკისგან დატყვევებული მიხსნა ჯოჯოხეთის პირისგან და ღირსმყო მარჯვენით მისსა.

„შენ, ნანა, თუ შეძლებ, ჩემი სიკვდილის შემდეგ გაყავი ჩვენი სამეფო განძი ორად და წარიღე ნინოს, ჩვენი განმანათლებლის სამარხს, დროთა ცვალებადობით რომ არ შეიცვალოს ის ადგილი უკუნისამდე, რადგან თუმცა მეფეთა საჯდომია, მაგრამ მწირია“.

ასევე შეევედრა ეპისკოპოსებს, რათა ადიდონ დიდება იმ ადგილისა, რამეთუ ღირს არს პატივისცემისა. მოაყვანინა წმინდა ნინოს ჯვარი, რომელიც თავდაპირველად ჰქონდა, ჩამოჰკიდა სამეფო გვირგვინი ჯვარზე, მოიყვანა ძე მისი ბაქარი, მის თავზე გამოსახა ჯვრის სახე, აიღო გვირგვინი ჯვრიდან და დაადგა ძეს თავზე. აღესრულა მირიან მეფე და დაეფლა ზემო ეკლესიაში საშუალო სვეტის სამხრეთით, ჩრდილოეთის მხრისაკენ. ამ სვეტშია ნაწილი ღვთივ აღმართული სვეტისა. მეორე წელს მოკვდა ნანა დედოფალი და დაეფლა იმავე სვეტის დასავლეთით, სადაც მირიან მეფე იყო დამარხული.

ქართლის მოქცევის წყაროები

უძველესი ქართული წყარო, რომელიც მოგვითხრობს ქართლის მოქცევის შესახებ, არის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. სპეციალისტებს არა აქვთ ერთიანი აზრი ამ თხზულების შედგენილობისა და დაწერის თარიღზე.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი არის ისტორიული ქრონიკების ნაკრები. ამ ნაწილში შესაძლებელია გამოიყოს ფენები, რაც ადასტურებს, რომ ის საუკუნეთა მანძილზე ივსებოდა. მასში შედარებით კარგად აღწერილია ამბები VII საუკუნის ბოლომდე, უფრო ზუსტად 681 წლამდე — VI მსოფლიო საეკლესიო კრებამდე, რადგანაც კათალიკოსები ორივე რედაქციის (ა, ბ, რედაქციები)[65] თანახმად, ცოლოსნები არიან, ხოლო VI კრებამ ეპისკოპოსთა ცოლოსნობა აკრძალა.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მეორე ნაწილი არის წმიდა ნინოს ცხოვრების საეკლესიო საკითხავი. ეს ცხოვრება იკითხებოდა ეკლესიაში და განკუთვნილი იყო მრევლისთვის (ან მონასტრის ბერებისთვის) ხმამაღლა საკითხავად. ამიტომაც მას წინ უძღვის წიგნის მკითხველის (მედავითნის) თხოვნა მღვდლისადმი: – „გვაკურთხენ მამაო“.

როგორც აღნიშნული იყო, „მოქცევაჲს“ პირველი ნაწილი — ისტორიული ქრონიკები, დაწერილია სხვადასხვა დროს და შეკრებილია ამ წიგნში ერთად. მის „მეფეთა სიაში“ მეფეთა საქმიანობა ქრისტემდე III-I საუკუნეებში და I-II საუკუნეებში შედარებით დაწვრილებით არის აღწერილი, იმ გაგებით, რომ ამ დროის

მეფეების საქმიანობაცა და ქვეყანაში მათ დროს მომხდარი ამბებიც არის ჩამოთვლილი, ხოლო II საუკუნის ნაწილისა და III საუკუნის მეფეთა მხოლოდ სახელებია ჩამოწერილი, უფრო სწორად, მიწერილია წინა ქრონიკაზე. ეს უჩვენებს, რომ მართალი იყო პავლე ინგოროყვა, როცა „მოქცევაჲს“ ამ ნაწილს ქართველთა გაქრისტიანებამდე შედგენილად თვლიდა.

წარმართ მეფეთა სიას მოსდევს პირველი ქრისტიანი მეფის ცხოვრების დაწვრილებითი აღწერა და წმიდა ნინოს მოღვაწეობა მის დროს. შემდეგ ერთვის IV-V საუკუნის მეფეთა ქრონიკები. VI საუკუნის ამბები და VII საუკუნის დასაწყისი (ჰერაკლე კეისრის მოქმედება სპარსეთსა და საქართველოში) შედარებით სრულია. ამის შემდეგ მხოლოდ ჩამოთვლილია სახელები კათალიკოსთა და ზოგიერთი ერისთავისა (VIII-IX საუკუნეები, აშოტ კურაპალატის ჩათვლით), მათი ცხოვრების მოვლენების ყოველგვარი აღნიშვნის გარეშე. ჩამოწერილია კათალიკოსების მხოლოდ სახელები. მწერალს სათქმელი მრავლად ექნებოდა, თუნდაც აშოტ კურაპალატის ცხოვრების შესახებ, მაგრამ „მოქცევაჲს“ ძირითადი ნაწილის ავტორი არ არის აშოტის თანამედროვე. „მოქცევაჲს“ ძირითადი ნაწილი დაწერილია VII საუკუნის 30-იან წლებამდე დროდადრო, „ჟამითი-ჟამად“. როგორც ვთქვით, ამ და წინა საუკუნეთა მთავარეპისკოპოსებისა და კათალიკოსების ცხოვრება შედარებით აღნუსხულია, ხოლო VIII-IX საუკუნეების კათალიკოსები კი მხოლოდ ჩამოთვლილია. საერთოდ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ქრონიკა რომ არის, ეს დასტურდება იმით, რომ იგი მთავრდება სიტყვებით: „ხოლო ამისა შემდგომად ვინცა შეიცვალებოდის კათალიკოზთაგანი, იწერებოდის“.[66]

„მოქცევაჲს“ II ნაწილი („თავი ბ“), როგორც ვთქვით, ეკლესიაში ხმამაღლა საკითხავი წმინდა ნინოს ცხოვრებაა. ის შეიძლება დაწერილი იყოს ნებისმიერ დროს, დამოუკიდებლად წინა ნაწილისაგან. IV საუკუნიდან IX საუკუნემდე. „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ამ ტექსტს ისტორიკოსი მ. ჩხარტიშვილი უწოდებს „ვრცელ რედაქციას“, ხოლო „მოქცევაჲს“ I ნაწილში (ქრონიკებში) მოთავსებულ წმინდა ნინოს ამბავს „მცირე რედაქციას“. მ. ჩხარტიშვილი წერს – „...ვრცელ „ნინოს ცხოვრებას“ მოგონებათა კრებულის სახე აქვს. ნინოს ბიოგრაფიის სხვადასხვა მომენტს იგონებენ თვით ნინო და მისი მოწაფეები თუ თანამოღვაწენი (ებრაელი ქალი სიდონია, მამამისი აბიათარი, საბერძნეთიდან ჩამოსული მღვდელი იაკობი, მეფე მირიანი)... ვრცელ „ნინოს ცხოვრებაში“, როგორც წესი, ყველა ფაქტს თავისი მხილველი და მთხრობელი ჰყავს. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს შესავალი, რომლითაც იხსნება კრებული. აქ აღწერილი მოვლენების გადმომცემი პიროვნება დასახელებული არ არის. კრებულის გაგებისათვის ეს ნაწილი უმნიშვნელოვანესია. სწორედ აქედან ვიცით, რომ ჩვენს ხელთ არსებული ძეგლი ქართველთა განმანათლებლის შესახებ თვითმხილველთა მოგონებების ჩანაწერების კრებულია. ქართლის ისტორიაში ნინოს როლის ლაკონურად განსაზღვრის შემდეგ აქ ყურადღება აქვს მიქცეული იმ ხალხმრავალ თავყრილობას, რომელიც სასიკვდილოდ დასნეულებულ ნინოსთან გამოსათხოვრად შემდგარა დაბა ბოდში. ამ დროს უთხოვიათ ნინოსთვის მოეთხრო თავისი ცხოვრების შესახებ. ნინოს ნაამბობი ჩაუწერიათ სალომესა და პეროჟავრს.

როგორც ვხედავთ, შესავალი კრებულის მასალებით იგი აშკარად სხვა არაფერია, თუ არა ავტორის მოგონება, შემდგენლის წინათქმა... მაგრამ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შექმნისას ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ ისტორიულ ქრონიკასთან მიერთებამ გამოიწვია ამ დასაწყისის მოკვეცა და ავტორის შესახებ პირდაპირი ცნობაც ამიტომ დაიკარგა... ავტორი ჯერ გვამცნობს, რომ ნინოს ნაამბობი ერთდროულად ორმა პირმა ჩაიწერა, ხოლო შემდეგ, თავების სათაურში მარტოოდენ სალომეს აღნიშვნით, გვიზუსტებს, თუ კონკრეტულად რომელია შემქმნელი წარმოდგენილი ორი ვარიანტიდან... მითითებული გარემოება სწორედ სალომეს ავტორობას მიგვანიშნებს... სალომეს ავტორობა არ ჩანს მოულოდნელ, კონტექსტიდან ამოვარდნილ ფაქტად... თუ ზემოთ მოხსენებულ გამოსათხოვარ თავყრილობაზე შევაჩერებთ ყურადღებას, არ შეიძლება თვალში არ მოგვხვდეს, რომ ნინოს პირველ რიგში ეკითხება ხოლმე, დანარჩენები კი მის ნათქვამს იმეორებენ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ კრება მას მიჰყავს, მისი ასეთი აქტიურობა კი ლოგიკურია: აღნიშნული ღონისძიება ხომ უჟარმელი დედოფლის სამფლობელოში — ბოდში მიმდინარეობს. აქ უფლისწულის მეუღლეა დიასახლისი, მას შეჰფერის უმასპინძლოს ქალ განმანათლებელს... ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის ძის ცოლი (სალომე) IV საუკუნის მოღვაწეა, ხოლო ძველი ქართული მწერლობის სამი დიდი სპეციალისტი – ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე „ნინოს ცხოვრების“ აღნიშნულ რედაქციას გვიანი ხანით ათარიღებდნენ... შესაძლებელია, „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია იყოს IV საუკუნის ძეგლი?

1897 წელს ნ. მარმა გამოთქვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია არ უნდა იყოს IX საუკუნეზე ადრინდელი ძეგლი. ნ. მარს ეს არგუმენტაცია აშკარად საკმარისად არ ეჩვენებოდა. ეს ჩანს არა მარტო იქიდან, რომ ზემოთ მოტანილ დასკვნას ვარაუდის ფორმა აქვს, არამედ იქიდანაც, რომ 1906 წელს გამოქვეყნებულ სხვა ნაშრომში „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის თარიღთან დაკავშირებით მან მიუთითა არა საკუთარი ზემოთ აღნიშნული შრომა, არამედ 1900 წელს გამოსული ივ. ჯავახიშვილის „ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“... რაც შეეხება ივ. ჯავახიშვილს, მას ზემოთ დასახელებულ წერილში არავითარი საგანგებო მსჯელობა იმის შესახებ, თუ რატომ მაინცდამაინც აღნიშნულ საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს ეს ძეგლი, მოცემული არა აქვს. თავის „ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში“ კი „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის თარიღზე საუბრისას ნ. მარის ნაშრომი და ის არგუმენტი აქვს მითითებული, რომელიც თავის დროზე ნ. მარმა საკმარისად არ მიიჩნია და არც მოიშველია ამის გამო. ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ გვიანი ხანით დამათარიღებელ ერთ-ერთ საბუთად კ. კეკელიძეს მიაჩნია ის გარემოება, რომ თხზულებაში ნახმარია მარტის წელიწადი, რომელიც მისი მითითებით, IX საუკუნის ნახევარში შემოვიდა ჩვენში... კ. კეკელიძის სხვა ნაშრომიდან კი ვიგებთ, რომ თურმე, იმის გარკვევას, თუ როდის შემოვიდა ჩვენში მარტის წელიწადი, მკვლევარი ახდენს თვით ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ საშუალებით, იმის დაშვებით, რომ იგი IX საუკუნის ძეგლია... ზემოთ თქმულიც აშკარას ხდის, რომ

ქართული წყაროების მიმართ ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულების პირობებში „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის გვიანი საუკუნეებით დათარიღება ხდებოდა ფაქტებზე ძალდატანებით. როგორც მსჯელობაში ლოგიკური წრის შემცვლელნი ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის მტკიცებანი არ შეიძლება მიღებულ იქნას არგუმენტებად განსახილველი ძეგლის თარიღის გარკვევისას. დღეს სპეციალისტთა ნაწილის მიერ ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ გვიან ხანაში შექმნის შესახებ თვალსაზრისის გაზიარება ემყარება მხოლოდ და მხოლოდ დასახელებულ მკვლევართა ავტორიტეტს და არა რაიმე გამტკიცებულ საბუთს.

ამგვარად, არა გვაქვს არავითარი საფუძველი არ დავუჯეროთ თხზულებისვე მითითებას იმის შესახებ, რომ იგი მეოთხე საუკუნის ძეგლია. აქედან გამომდინარე, სალომე უჟარმელის ავტორობასაც არაფერი ეღობება წინ. წყაროთმცოდნეობაში მიღებული წყაროს „უდანაშაულობის პრეზუმფციის“ პრინციპის თანახმად, ჩვენი ძიება აქ უნდა შეწყდეს. წყაროს „არ ევალება“ გვიმტკიცოს, რომ სწორია. თუ ვერ ვამჩნევთ, რომ მისი მონაცემი ყალბია, მაშასადამე, იგი მიღებულ უნდა იქნას, როგორც ჭეშმარიტი... თხზულების ავტორია ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის ძის მეუღლე სალომე უჟარმელი... IV ს-ის II ნახევარში ბიზანტიაში იმყოფებოდა სალომეს შვილიშვილი, მაშინ ჯერ კიდევ უფლისწული, შემდგომში ქართლის მეფე ბაკურ თრდატის ძე. მან ცნობილ ბიზანტიელ ისტორიკოსებს — გელასი კესარიელსა და რუფინუსს უამბო ქართველთა გაქრისტიანების ისტორია. ეს მონათხრობი „ნინოს ცხოვრების“ თავისებური მოდიფიკაციაა... ის გარემოება, რომ ბაკურის მიერ გადმოცემულ ისტორიას ლიტერატურულად დახვეწილი ფორმა აქვს და აგრეთვე ის, რომ ორივე ისტორიკოსთან საუბარში მან არსებითად ერთისა და იმავეს განმეორება შეძლო, მიგვანიშნებს, ბაკური სახელდახელოდ კი არ თხზავს იბერთა მოქცევის ისტორიას, არამედ წინასწარ მოფიქრებულ საგანგებოდ შემუშავებულ ამბავს ჰყვება... ქართლის გაქრისტიანება, როგორც ეს უკვე ნაჩვენებია სპეციალურ ლიტერატურაში, იყო არა სტიქიური მოვლენა, არამედ პოლიტიკური აქტი. წერილობითი ფიქსაციის გარეშე მას არ ჰქონდა არავითარი მნიშვნელობა, შეიძლება ითქვას, რომ არც არსებობდა, ამიტომ შეუძლებელია ვაღიარებდეთ იმას, რომ ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას IV საუკუნეში ჰქონდა ადგილი და ამავე დროს ვამტკიცებდეთ, რომ ცნობები ამ ფაქტის შესახებ მხოლოდ IX საუკუნეში ჩაიწერეს. ესეც რომ არა, როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ V საუკუნეში „რიგით“ წმინდანს შუშანიკს საქართველოში ეძღვნებოდა სპეციალური თხზულება, ქართველთა განმანათლებლის „მოციქულთა სწორის“ ნინოს ცხოვრება კი აღწერილი არ იყო!.. როცა ასეთი ნდობით ეკიდებიან გელასი და რუფინუსი ბაკურის ნაამბობს ქართველთა გაქრისტიანების შესახებ, ხომ არ ითვალისწინებენ იმას, რომ ქართველი უფლისწული ემყარება დიდედის ჩანაწერს, რომელიც ქართველთა მოქცევის ისტორიის საკითხებში მართლაც „მეცნიერ იყო ყოველსავე ჭეშმარიტად“, „ფრიადსარწმუნოც“ ამიტომ ხომ არ არის ბაკური?“[67]

„უძველესი წყარო, რომელშიც მოხსენებული ყოფილა ქართველთა მოქცევის ამბავი, არის IV ს-ის ბერძენი ისტორიკოსის (გარდაიცვალა 395 წ.) გელასი

კესარიელის „საეკლესიო ისტორია“, სამწუხაროდ, ეს თხზულება დღესდღეობით დაკარგულად ითვლება და ჩვენთვის ცნობილი არ არის. მაგრამ მერმინდელ ავტორებს შემოუნახავთ თავიანთ შრომებში მისი ცნობები. მათ შორის უძველესია რომაელი საეკლესიო ისტორიკოსი რუფინუსი. რუფინუსი გელასი კესარიელის უმცროსი თანამედროვე იყო (გარდაიცვალა 410 წ.). მას უთარგმნია და თავის თხზულებაში შეუტანია გელასი კესარიელის ცნობა ქართველთა მოქცევის შესახებ. რუფინუსზე დაყრდნობით მოთხრობილი აქვს იბერთა გაქრისტიანების ამბავი V საუკ. ბერძენ ისტორიკოსს სოკრატეს (დაბ. 380 წ.) თავის „საეკლესიო ისტორიაში“. იბერთა გაქრისტიანების ამბავი გადმოცემული აქვს V ს-ის მეორე ბერძენ ისტორიკოსს თეოდორიტე კვირელს (დაიბ. 390 წ.) „საეკლესიო ისტორიაში“, რომელიც მას დაუწერია დაახლოებით 449 წელს... ქართლის მოქცევის ამბავი ასევე აქვს გადმოცემული კიდევ ერთ ბერძენ საეკლესიო ისტორიკოსს სოზომენს. სოზომენს თავისი წიგნი დაუწერია 444 წლის მახლობლად... სოზომენს უშუალოდ რუფინუსით უსარგებლია.[68] V საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი გელასი კვიზიკელიც გელასი კესარიელით სარგებლობდა.

გელასი კესარიელის ისტორია, რომლითაც სარგებლობდნენ შემდეგში ბერძენ-რომაელი ისტორიკოსები, დაიწერა IV საუკუნის ბოლოს, სულ რაღაც ნახევარი საუკუნის შემდეგ ქართლის გაქრისტიანებიდან. უაღრესად საყურადღებოა გელასი კესარიელის ცნობა, რომ მას ქართველთა გაქრისტიანების ამბავი გაუგია იბერთა სამეფო სახლის ერთ-ერთი წარმომადგენლის, ბაკურისაგან.[69]

ბაკურ უფლისწულს გელასისათვის გადაუცია შემდეგი: „იბერებთან მოხვდა ვინმე ქრისტიანი ტყვე ქალი. იგი ქადაგებდა ქრისტიანობას და ქრისტეს ძალის დახმარებით კურნავდა ავადმყოფებს. ასე განუკურნავს მას მძიმედ დაავადებული იბერთა დედოფალიც. ამას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია იბერთა მეფეზე, მაგრამ მას ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია ქრისტიანობის მიღება. ცოტა ხნის შემდეგ მეფე სანადიროდ წასულა, უეცრად ისეთი ბურუსი ჩამოწოლილა, რომ მეფე თავის მხლებლებს დაშორებია და მარტოდ დარჩენილს გზა ვეღარ გაუგნია. შეშინებულ მეფეს დახმარებისათვის მიუმართავს ტყვე ქალის ღმერთისათვის. ბურუსი მაშინვე გაფანტულა და ისევ ნათელი დღე დამდგარა. შინ დაბრუნებულმა მეფემ თავისთან იხმო ტყვე ქალი და დაწვრილებით გამოჰკითხა ყოველივე მისი სარწმუნოების შესახებ. ამის შემდეგ დაუწყიათ ეკლესიის მშენებლობა. მშენებლობის დროს ხალხში რწმენის განსამტკიცებლად ღმერთმა სასწაული მოავლინა: ერთ-ერთი სვეტი მშენებლებმა ვერაფრით ვერ დააყენეს თავის ადგილას. ღამით ტყვე ქალის ვედრების შემდეგ ეს სვეტი შვეულად გაჩერდა ჰაერში თავისი ადგილის ზემოთ. როდესაც დილით ხალხი ისევ შეგროვდა, სვეტი თავისით დაეშვა საფუძველზე. ეკლესიის აშენების შემდეგ იმპერატორ კონსტანტინეს გაუგზავნეს ელჩობა თხოვნით: გამოეგზავნა მღვდელმსახურები ეკლესიის კურთხევისა და ხალხის მოსანათლავად. კონსტანტინეს ეს თხოვნა სიხარულით აუსრულებია“.[70]

როგორც ზემოთ მოყვანილი ტექსტიდან ჩანს, გელასი გადმოგვცემს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ შესული წმიდა ნინოს ცხოვრების რამდენადმე შემოკლებულ ში-

ნაარსს. ამიტომაც მ. ჩხარტიშვილი მართალია, როცა ფიქრობს, რომ ბაკურმა გელასის გადასცა სალომე უჯარმელის მიერ დაწერილი „ცხოვრების“ არსი.

აღსანიშნავია ისიც, რომ V საუკუნეში თითქმის ყველა ცნობილი ისტორიკოსი – რუფინუსი, სოკრატე, თეოდორიტე კვირელი, სოზომენი, გელასი კვიზიკელი და აგრეთვე მოსე ხორენელი წერენ წმიდა ნინოსა და ქართველთა გაქრისტიანების შესახებ, ხოლო ჩვენი თანამედროვე ქართველი ისტორიკოსები, რომლებიც „ქართული წყაროების მიმართ ჰიპერკრიტიკულად არიან განწყობილნი,“ ამტკიცებენ, რომ ქართველებმა წმიდა ნინოს შესახებ ცნობები მხოლოდ IX საუკუნეში შეაგროვეს, „ლეგენდაც წმიდა ნინოს შესახებ“ სწორედ მაშინ შეთხზეს. მართლაც, როგორც უკვე ითქვა ზემოთ, V საუკუნეში ქართველებმა წმიდა შუშანიკის ღვაწლი აღწერეს და ნუთუ წმიდა ნინოს ცხოვრებას არ აღწერდნენ იმ დროს, როცა ყველა მეზობელი ხალხის ისტორიკოსები წმიდა ნინოს ცხოვრებას აღწერდნენ?

უნდა დავასკვნათ, რომ უძველესი ქართული წყარო, რომელიც მოგვითხრობს ქართველთა გაქრისტიანებას, დაწერილია IV საუკუნეში სალომე უჯარმელის მიერ. ეს გაარკვია მ. ჩხარტიშვილმა.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკებში (I ნაწილში) არის ცნობები ქართული ეკლესიის მეთაურების შესახებ IV საუკუნიდან IX საუკუნემდე. ჩვენ მოვიყვანთ ამონაწერებს მათ შესახებ წიგნიდან: „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები,“ I, 1964, გვ. 81-97.

ქართული ეკლესიის მეთაურები

(„ეოქტევა ქართლისა“)

ვარიანტი ა და ვარიანტი ბ[71]

იოვანე ეპისკოპოსი — მთავარეპისკოპოსი	„და მოსცა მეფემან იოვანე ეპისკოპოსი და ორნი მღდელნი და ერთი დიაკონი“ (ა, გვ. 86). „ხოლო მეფემან (კონსტანტინე) წარავლინნა ეპისკოპოსი იოვანე და ორნი მღდელნი და ერთი დიაკონი“ (ბ, გვ. 86) „ითხოვეს ხე ებისკოპოსმან და ნინო, რაჲთა შექმნან ჯუარი“ (ბ, გვ.86) „აღივსო ურვითა (მეფე)... ვიდრე არა ისწავა მთავარებისკოპოსისაგან“ (ბ, გვ. 87)
იაკობ მღვდელი — მთავარეპისკოპოსი	„წარიყვანა იაკობ მღდელი, საბერძნეთით მოსული და ერისთავი ერთი...“ (ა. გვ. 88) „წარიყვანეს მათ თანა მთავარეპისკოპოსი და მღდელი და ერისთავი“ (ბ. გვ. 88)
I იოვანე ეპისკოპოსი მთავარეპისკოპოსი	„შეწირა ჟამი იოვანე და აზიარა ნინო...“ (ა. გვ. 90) „შეწირა ჟამი მთავარებისკოპოსმან და აზიარა...“ (ბ, გვ. 90)
II იაკობ მთავარეპისკოპოსი	„დაჯდა მეფედ ბაკურ, ძჱ რევისი და მოკუდა იოვანე ებისკოპოსი და დაჯდა იაკობ, მღდელი იგი მუნითვე მოსრული, მთავარეპისკოპოსად“ (ა, გვ. 91)

„დაჯდა მეფედ ბაკურ, ძე რევისი, და მოკუდა იოანეცა ეპისკოპოსი და მის წილ დაჯდა მღდელი, რომელი ენება ნინოს მთავარეპისკოპოსად“ (ბ, გვ. 91)

III იობ

„და დაჯდა მეფედ ძმაჲ მისი თრდატ და მთავარებ-ისკოპოსი იყო ნერსე სომეხთა კათალიკოზისა დია-კონი იობ“ (ა, გვ. 91)
დაჯდა ძმა მისი თრდატ. მაშინ მთავარეპისკოპოსი იყო ნერსე...“ (ბ, გვ. 91,)
„და შემდგომად მისა დადგა ვარაზ-ბაკურ მეფედ, და მისა ზევე სპარსთა მეფისა მარზაპანნი შემოვიდეს სივნიეთა და იგი ჴიდრად უკუჯდა და მთავარებისკოპოსი იყო იგივე იობ. და მაშინ მივიდა ქრამ ხუარ ბორზარდ სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისად ქალაქად, ციხედ, და ქართლი მისსა ხარკსა შედგა და სომხითი და სივნიეთი და გუასპურაგანი“.
(ა, გვ. 91-92)

IV ელია

„მეფობდა ბაკურ ძჱ თრდატისი, და მთავარებისკო-პოსი იყო ელია“ (ა, ბ, გვ. 92)

V სვიმეონ

„მეფობდა ფარსმან, დისწული თრდატისი და მთავარებისკოპოსი იყო სჳმეონ“ (ა, გვ. 92)

VI იონა და, აგრეთჳე მე-VII, მე-VIII, მე-IX და მე-X მთავარეპისკოპოსები

„მეფობდა არჩილ და მთავარეპისკობოსი იყო იონა... მისვე არჩილისზე ოთხნი მთავარეპისკოპოსნი გარდაიცვალნეს“ (ა, გვ. 92)
„მერვე — არჩილ და მთავარებისკოპოსი იყო იონა... მათ ჟამთა ოთხნი მთავარებისკოპოსნი გარდაიცვალნეს“ (ბ, გვ. 92)

XI გლონოქორ

„და მერმე მეფობდა მირდატ და მთავარებისკოპოსი იყო გლონოქორ. და ესე მთავარებისკოპოსი ერისთ-ვადცა იყო ბარაზბოდ პიტიახშისაგან ქართლს და

XII იოველ

ჰერეთს. და მისა შემდგომად მეფობდა დიდი ვახ-ტანგ გორგასალი, და მთავარებისკოპოსი იყო იოვ-ელ. მაშინ წარიყვანეს ვახტანგ სპარსთა და

XIII მიქაელ	შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოიქცა და მთავარებისკოპოსი იყო მიქაელ და მან მიამთხუა ფერეკი პირსა მეფისასა ვახტანგს (ა, გვ. 93), რომ-ლისათუს მიზეზისათუს, და განაძო ეკლესიისაგან. მაშინ მეფე აღივსო გულისწყრომითა მრავლითა და ექცა ფერი პირისა მისისაჲ და განიზრახვიდა მრავალთა ბოროტთა დამჴობად ქრისტეანობისა“... (ბ, გვ. 93)
XIV პეტრე I კათალიკოს-მამამთავარი	„და მსწრაფლ წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთად და ითხოვა მეფისაგან და პატრია-ქისა კათალიკოზი და მოსცეს კათალიკოზი პეტრე და თანა ჰყვანდა სამუელი... და დასუა მუნ შიგან პეტრე კათალიკოზი. და ესე იყო ქართლისა მოქცევითგან 170-ე წელსა. მაშინ გარდაცვალებულ იყვნეს მეფენი ათნი და კათალიკოზნი ცამეტნი. აქათგან იწყეს კათალიკოზ-თა მამადმთავრობად. პირველი კათალიკოზი იყო პეტრე ვახტანგის მეფისა ზე“ (ბ, გვ. 93) „აღაშენა ქუემო ეკლესია ვახტანგ მეფემან და დასუა პეტრე კათალიკოზი. და ესე იყო ქართლის მოქცევითგან რო წელსა. მეფენი გარდაცვალებულ იყვნეს ათნი და მთავარებისკოპო-სნი ათცამეტნი. ხოლო პირველი კათალიკოზი იყო პეტრე“ (ა, გვ. 93)
XV სამოელ II კათალიკოსი	„...მეფობდა დაჩი უჟარმელი და კათალიკოზი იყო სამოველ“ (ა, გვ. 93) „მეფობდა დაჩი და კათალიკოზი იყო სამოელ“ (ბ, გვ. 93) „და ამისა შემდგომად მეფობდა დაჩი უჟარმელი და კათალიკოზი იყო სამოველ და მისა ზე ტფილისს კაცნი დასხდებოდეს და მარიამ-წმიდაჲ ეკლესიაჲ აღაშენეს და კათალიკოზი იყო პეტრე და ამისა შემდგომად მეფობდა ბაკურ, ძჱ დაჩისი და კათალიკოზი იყო სამოველ“. (ა, გვ. 94).
XVI თავფაჩაგ XVII ჩიმაგა	„და მისა შემდგომად მეფობდა ფარსმან და კათალიკოზი იყო თავფაჩაგ და მისა ზევე ჩიმაგა“ (ა, გვ. 94)

XVIII დასაბიაჰ	„და მისა შემდგომად მეფობდა ფარსმან სხუაჲ
საბა	და კათალიკოზი იყო დასაბია, მკჳდრი მცხეთელი
	და აქაჲთგან ორთა სახლთა აღიღეს
	კათალიკოზობა მცხეთელთა. მკჳდრთა და მისვე
XIX ევლალე	მეფისა ზე კათალიკოზი იყო ევლალე“ (ა, გვ. 94).
	„სხვაჲ ფარსმან და კათალიკოზი იყო საბა,
	მკჳდრი მცხეთისა აქაითგან ორთა სხუათა
	დაიპყრეს კათალიკოზობა მკჳდრთა
	მცხეთისათა“ (ბ, გვ. 94)
XX მაკარი	„მეფობდა ბაკურ და კათალიკოზი იყო მაკარი
XXI სამოველ	და... შემდგომად კათალიკოზი იყო სამოველ და
XXII სიმონ-პეტრე	მერმე სიმონ-პეტრე და მის ბაკურის ზევე
	დაესრულა მეფობაჲ ქართლისაჲ“ (ა, გვ. 94)
	„მეფობდა ბაკურ და კათალიკოზი იყო მაკარი“ (ბ, გვ. 94)
XXIII სამოველ	მაშინ მცხეთაჲ ათხელდებოდა და ტფილისი
XXIV სამოველ სხვაჲ	ეშენებოდა... და კათალიკოზი იყო სამოველ
	და ნელად რე შეკრბა ქართლი. და განაჩინეს
	ერისთავად გურამ და მერმე კურაპალატადცა.
	ამან დადვა საფუძველი პატიოსნისა ჯუარისა და
	ამას ზევე იყო კათალიკოზი სამოელვე სხუაჲ და
	ტფილისისა მკჳდრთა დიდსა ეკლესიასა დაიწყეს...
XXV ბართლომე	და კათალიკოზი იყო ბართლომე“ (ა, გვ. 95)
	„მაშინ სპარსნი უფლებდეს ქალაქსა და სომხითსა
	და სივნიეთსა და გუასპურაგანსა და კათალიკოზი
	იყო სამუელ (მეათორმეტე) და ნელად-რე შეკრბა
	ქართლი... განაჩინეს გურამ დიდი... და კათალიკოზი
	იყო (მეათოთხმეტე) ბართლომე. (ბ, გვ. 95)
XXVI ბართლომე	„და ერისთავობდა იგივე დიდი სტეფანოზ და
მეორედ	კათალიკოზი იყო ბართლომე მეორედ“ (ა, გვ. 96)
	„ერისთავობდა სტეფანოზ და კათალიკოზი
	იყო ბართლომე: 15“ (ბ, გვ. 96)
XXVII იოვანე	„და შემდგომად ერისთავობდა ადარნერსე და
XXVIII ბაბილა	მისა ზე სამნი კათალიკოზნი იცვალნეს: იოვანე,
XXIX თაბორ	ბაბილა, თაბორ“. (ა, გვ. 96)

„შემდგომად ერისთავობდა ადარნერსე და მის ზე სამნი კათალიკოზნი იცვალნეს: იოვანე (16), (17) თაბორ და ბაბილა — (18); (ბ, გვ. 96)

XXX სამოველ
XXXI ევნონ

„...ტფილისს დაჯდა სტეფანოზ და კათალიკოზი იყო სამოველ და მისა ზევე ევნონ“ (ა, გვ. 97)

„ამის შემდგომად ერისთავობდა სტეფანოზვე, ძმაი მისი და კათალიკოზი იყო სამუელ და ევნონ“ (ბ, გვ. 97)

XXXII თავფაჩაგ
XXXIII ევლალე
XXXIV იოველ
XXXV სამოველ
XXXVI გეორგი
XXXVII კჳრიონ
XXXVIII იზიდ-ბოზიდ
XXXIX „თ - ე“
თეოდორე
XL პეტრე
XLI მამაᲲ
XLII იოვანე
XLIII გრიგოლ
XLIV კლემენტიოს
XLV სარმეან
XLVI თალალე
XLVII სამოველ
XLVIII კჳრილე
XLIX გრიგოლ

ხოლო კათალიკოზნი, რომელ ევნონისითგან მომართ იყვნეს: თავფაჩაგ 1; ევლალე 2; იოველ 3; სამოველ 4; გეორგი 5; კჳრიონ 6; იზიდ-ბოზიდ 7; თეოდორე 8; პეტრე 9; ესე ცხრანი ცოლოსანნი იყვნეს. მერმე მამა 1; იოვანე 2; გრიგოლ 3; კლემენტოს 4; სარმეან 5; თალალე 6; სამოველ 7; კჳრილე 8; გრიგოლ 9; სამოველ 10; გეორგი 11; გაბრიელ 12; ილარიონ 13; არსენი 14; ევსუქი 15; ბასილი 16; მიქაელ 17; დავით 18; არსენი 19; (ა, გვ. 97)

L სამოველ
LI გეორგი
LII გაბრიელ
LIII ილარიონ
LIV არსენი
LV ევსუქი
LVI ბასილი
LVII მიქაელ
LVIII დავით
LIX არსენი

ხოლო კათალიკოზნი, რომელნი
თვობითგან იყვნეს: თავფაჩაგ 21; ავლალი 22;
იოველ 23; სამოელ 24; გიორგი 25;
კვირიონ 26; იზიბოდ 27;
თეოდორე 28; პეტრე 29; ესე ცოლოსანნი
იყვნეს (ბ, გვ. 97)

ქართული ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ

ჩვენში აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, თუ ვის ექვემდებარებოდა ქართული ეკლესია შექმნის დროიდან. ერთი, უფრო გავრცელებული აზრით მიღებულია, რომ ქართული ეკლესია IV საუკუნის დასაწყისში ანტიოქიის იურისდიქციაში შევიდა, მეორე, ამჟამად მიღებული აზრით, ქართული ეკლესია კონსტანტინოპოლს დაექვემდებარა. მაგალითად, ჩვენი ენციკლოპედია წერს ქართული ეკლესიის შესახებ — „ეკლესია V საუკუნემდე იერარქიულად ექვემდებარებოდა ჯერ კონსტანტინოპოლს, შემდეგ ანტიოქიის საპატრიარქოებს“.[72]

ასეთი თვალსაზრისი არ ითვალისწინებს ეკლესიათა შორის არსებულ რეალურ ურთიერთდამოკიდებულებას, რომელიც არსებობდა განსახილველ დროს. აი, რას წერს ამის შესახებ გ. ნარსიძე:

„ზოგიერთ სამეცნიერო ნაშრომში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ საქართველოს ეკლესია თავდაპირველად კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს ემორჩილებოდა. ეს შეხედულება არ არის სწორი, რადგან არ ითვალისწინებს საეკლესიო იერარქიის განვითარების პერიოდებს. ნიკეის I საეკლესიო კრების დადგენილებით, იმდროინდელი მსოფლიო სამ კათედრას გაუნაწილდა (უკვე არსებული ტრადიცი-

ის შესაბამისად): რომს, ანტიოქიას და ალექსანდრიას. თითოეული ამ ქალაქის მთავარეპისკოპოსი თანაბრად იყო მიჩნეული. რომის მთავარეპისკოპოსი განაგებდა დასავლეთს, ალექსანდრიისა – აფრიკას, ხოლო ანტიოქიის – მთელ აღმოსავლეთს. ნიკეის კრებაზე (325 წ.) ბიზანტიის შესახებ არაფერი იყო ნათქვამი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კონსტანტინოპოლი ჯერ კიდევ არ იყო იმპერიის დედაქალაქი. ის დედაქალაქი გახდა მხოლოდ 5 წლის შემდეგ, მაგრამ ამის შემდეგაც კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი ექვემდებარებოდა ჰერაკლიის ეპისკოპოსს და შედიოდა თრაკიის დიოცეზში. მხოლოდ ახ.წ.აღ-ის 381 წლიდან – კონსტანტინოპოლის II მსოფლიო საეკლესიო კრებიდან – დაიწყეს კონსტანტინეპოლისათვის უფლებათა მინიჭება, ხოლო დიოცეზი და საპატრიარქო უფლებები მას მხოლოდ ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრების (451 წ.) დადგენილების 28-ე მუხლით დაუმტკიცდა. ე.ი. საქართველო IV საუკუნის 20-30-იან წლებში კონსტანტინეპოლს ვერ დაექვემდებარებოდა, რადგან ამგვარი დაქვემდებარება I საეკლესიო კრების დადგენილებით აკრძალული იყო. საქართველოს დაქვემდებარება მხოლოდ ანტიოქიის მთავარეპისკოპოსისადმი იყო შესაძლებელი. თვით კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის გამგებლობის ზონა არ სცილდებოდა საკუთარ ქალაქს, რომელიც ანტიოქიის დიოცეზში შედიოდა."[73]

სავსებით სამართლიანია გ. ნარსიძე, როდესაც წერს, რომ ქართული ეკლესია მისი დაარსების დროს კონსტანტინოპოლს ვერ დაექვემდებარებოდა, რადგანაც: 1. თვითონ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი სხვაზე იყო დაქვემდებარებული: ჰერაკლიის ეპისკოპოსზე თრაკიის დიოცეზში; 2. ასეთ დაქვემდებარებას მაშინ არსებული საეკლესიო კანონი კრძალავდა; 3. ქართული ეკლესიის დაარსების დროს, რაც უთუოდ 326 წლამდე მოხდა, კონსტანტინოპოლი ჯერ კიდევ არ არსებობდა. ის 330 წელს დაარსდა, მაგრამ გ. ნარსიძე არ არის სწორი, როცა წერს, რომ ნიკეის I საეკლესიო კრების დადგენილებით იმდროინდელი მსოფლიო სამ კათედრას გაუნაწილდაო". ეს საკითხი ღვთისმეტყველთა მიერ კარგადაა დამუშავებული. ამის შესახებ ცნობილი კანონისტის პროფესორ ტროიცკის აზრის მოყვანამდე უნდა ითქვას შემდეგი: შუა საუკუნეებში ეკლესიისა და სახელმწიფოს შერწყმამ ბიზანტიის მაგალითზე გამოიწვია ის, რომ ბიზანტიის იმპერია ეკლესიურად პრეტენზიას აცხადებდა მთელ მსოფლიოზე. ამ დროს წარმოიშვა თეორია ე.წ. „პენტარქიის" შესახებ, თითქოსდა მთელი მსოფლიო 5 საიმპერიო საპატრიარქოს შორის განაწილდა მსოფლიო კრებების მიერ. იმპერიაში არსებობდა 5 საპატრიარქო: რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის. თითქოსდა ამ საპატრიარქოებს მთელი მსოფლიო გაუნაწილდათ. აი, რას უპასუხებს ამის შესახებ „პენტარქიის" თეორიის დამცველს პროფესორი ს. ტროიცკი, აღიარებული და მართლმადიდებლურ სამყაროში სახელგანთქმული კანონისტი: – „ავტორი ცდილობს აღადგინოს შუა საუკუნეთა ბიზანტიური თეორია პენტარქიისა, რომლის მიხედვით თითქოსდა მსოფლიო კრებებმა ხუთ საპატრიარქოთა შორის გაჰყო მსოფლიო. მაგრამ როგორ შეიძლება ითქვას, რომ I-მა მსოფლიო კრებამ გაჰყო მსოფლიო 5 პატრიარქს შორის, მაშინ როცა საპატრიარქოები საერთოდ არ არსე-

ბობდა, არა მარტო I მსოფლიო კრების დროს, არამედ კიდევ დიდ ხანს მის შემდეგ, როცა კონსტანტინოპოლის ეკლესია დაქვემდებარებული იყო ჰერაკლიის მიტროპოლიტზე, ხოლო იერუსალიმისა შეადგენდა ერთ ეპარქიას კესარიის მიტროპოლიტისას, როცა ეკლესიები ყველა რომაული პროვინციისა (ისინი იყვნენ დაახლოებით 100), ბალსამონის ცნობით (II მსოფლიო კრების მეორე კანონის განმარტება, ათენ. ს. ინტ. 11. 171), ავტოკეფალურნი იყვნენ და მხოლოდ მნიშვნელოვანი ქალაქების ეკლესიებმა გააერთიანეს თავიანთი ძალაუფლების ქვეშ რამდენიმე პროვინცია, რასაც სანქცია მისცა I-მა მსოფლიო კრებამ. პენტარქიის გაგება არ ჰქონია არც II მსოფლიო კრებას, რომელმაც თავისი მე-2 კანონით დაამტკიცა ავტოკეფალია ყველა დიოცეზის ეკლესიებისა, ასეთი იყო ათზე მეტი... კერძოდ, დაადასტურა თავისთავადობა ასიის, პონტოსა და თრაკიის დიოცეზური ეკლესიებისა და გაუთანაბრა ისინი ალექსანდრიისა და ანტიოქიის ეკლესიებს, ხოლო კონსტანტინოპოლის ეკლესიას მისცა მხოლოდ პატივის უპირატესობა და არა ძალაუფლება. ძველ მსოფლიო კრებათა აქტების საუკეთესო თანამედროვე მცოდნე ედუარდ შვარცი ამბობს კონსტანტინოპოლის ეკლესიის შესახებ, რომ 380 წელს ის იყო „მხოლოდ მცირე მართლმადიდებლური თემი (πιπιπιπ) და რომ ოქროპირი მხოლოდ „ცდილობდა“ შეექმნა თავისი კათედრისთვის რაღაც მსგავსი საეკლესიო პროვინციისა“. უცხო იყო პენტარქიის ფიქრი IV მსოფლიო კრებისთვისაც, მის კანონებში ლაპარაკია მხოლოდ სამი დიოცეზის კონსტანტინოპოლის საყდარზე დაქვემდებარების შესახებ, ხოლო აქტებში — ტერიტორიების გაყოფის შესახებ ანტიოქიასა და იერუსალიმის ეკლესიათა შორის. მხოლოდ VI მსოფლიო კრების 36-ე კანონშია საუბარი „ხუთი საყდრის“ შესახებ, თუმცა კანონი მათ არ უწოდებს საპატრიარქოებს, მაგრამ იქ სიტყვაც კი არ არის დაძრული მთელი მსოფლიოს გაყოფის შესახებ ამ საყდრებს შორის, არამედ მხოლოდ დგინდება მათი რანგი, რადგანაც 36-ე კანონში ჩამოთვლილი ყველა ეკლესია იმყოფებოდა ერთ ბერძნულ-რომაულ იმპერიაში, რომლის გარეთაც არსებობდა სხვა ავტოკეფალური ეკლესიებიც – სირო-სპარსული, ქართული, სომხური. თვით ბერძნულ-რომაულ იმპერიაშიც იმყოფებოდა კვიპროსის ავტოკეფალური ეკლესია, რომლის კონსტანტინოპოლის ეკლესიისგან დამოუკიდებლობა დაამტკიცა ამავე VI მსოფლიო კრების 39-ე კანონმა. აგრეთვე არსებობდნენ ავტოკეფალური ეკლესიები კართაგენის და I იუსტინიანისა... სინამდვილეში კონსტანტინოპოლის ეკლესიამ ისე, როგორც ყველა ავტოკეფალურმა ეკლესიამ შეიძლება ავტოკეფალია მიანიჭოს მხოლოდ თავის საკუთარ ნაწილს. ვისგან მიიღო კონსტანტინოპოლის ეკლესიამ განსაკუთრებული უფლება, მიანიჭოს ავტოკეფალია (მსოფლიოს სხვა ეკლესიებს), ავტორი არ ამბობს, რადგანაც ასეთი უფლება მას არასოდეს მიუღია. მრავალი ავტოკეფალური ეკლესია არსებობდა მაშინ, როცა თვითონ კონსტანტინოპოლის ეკლესიას არ გააჩნდა ავტოკეფალია, არამედ დამოკიდებული იყო ჰერაკლიის მიტროპოლიტზე, არავითარი საერთო კონსტანტინოპოლის პატრიარქს არ გააჩნდა კვიპროსის, კართაგენის, I იუსტინიანის, ქართულ, სირო-სპარსულ, სომხურ ეკლესიების ავტოკეფალიებთან“.[74]

არასწორია აზრი, თითქოს ქართული ეკლესია V საუკუნემდე იერარქიულად ექვემდებარებოდა უცხოეთს, უცხოეთის საპატრიარქოებს. ჯერ კიდევ 451 წლამდე საპატრიარქოები საერთოდ არ არსებობდნენ, მით უმეტეს, IV საუკუნის დასაწყისში კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს პატრიარქი არ ეწოდებოდა. გარდა ამისა, როგორც ზემოთ დავინახეთ, I-მა მსოფლიო კრებამ 325 წელს „მსოფლიო სამ კათედრას“ კი არ გაუნაწილა, არამედ სანქცია მისცა არსებულ ფაქტს, რომ იმპერიის დიდი ქალაქების ეპისკოპოსებს თავისი ძალაუფლება უკვე გავრცელებული ჰქონდათ რამდენიმე თავის გარშემო არსებულ პროვინციაზე. კრებამ ამ ქალაქების ეპისკოპოსებს არ ჩამოართვა ეს პროვინციები, არამედ ცნო ეს უკვე არსებული იურიდიული ფაქტი. ლაპარაკია არა მთელ მსოფლიოს განაწილებაზე, არამედ დიდი ქალაქების ირგვლივ არსებულ პროვინციებზე.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ როგორც I, ისე II მსოფლიო კრების დროისთვის „მსოფლიოს განაწილების“ პრობლემა არ არსებობდა. ასეთი გაგება მხოლოდ იმის შემდეგ გაჩნდა, რაც იმპერიის დედაქალაქების ეკლესიები გადაიქცნენ საპატრიარქოებად და ამ საპატრიარქოებმა იმპერიის ტერიტორია ერთმანეთს შორის გაინაწილეს, ე.ი. უფრო გვიან, განსაკუთრებით კი იუსტინიანეს ეპოქაში (VI ს.) და მის შემდეგ.

ზემოთ მოყვანილიდან გამომდინარე აზრი, რომ ქართული ეკლესია ანტიოქიის ეპისკოპოსს დაექვემდებარა იმის გამო, რომ მსოფლიოს განაწილების დროს აღმოსავლეთი ანტიოქიას შეხვდაო, ასახავს არა IV ს-ში არსებულ ვითარებას, არამედ ჩამოყალიბებულია შემდგომ საუკუნეებში, „პენტარქიის“ თეორიის ჩამოყალიბების პერიოდში, განსაკუთრებით 451 წლის მსოფლიო კრების შემდეგ.

ანტიოქიის ძლიერ ეკლესიას IV საუკუნეში ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა პონტოს დიოცეზის ასევე ძლიერი ეკლესია, რომელიც უშუალოდ ემიჯნებოდა საქართველოს. 381 წელს II მსოფლიო კრებამ მე-2 კანონით დაამტკიცა ყველა დიოცეზის ეკლესიების ავტოკეფალია, მათ შორის პონტოსი, და გაუთანაბრა ის ანტიოქიის ეკლესიას.

პონტოს ძლიერი ეკლესია IV საუკუნეში არ დაუშვებდა, რომ ანტიოქიას, მის თანაბარ ეკლესიას, იურისდიქცია გაევრცელებინა პონტოს უშუალოდ მოსაზღვრე, მეზობელ საქართველოზე, იმის გამო, რომ ანტიოქიასა და საქართველოს შორის სწორედ პონტოს ვრცელი დიოცეზი (მცირე აზია) იყო გადაჭიმული (პონტოს დიოცეზი ფაქტობრივად მთელ მცირე აზიას მოიცავდა). ქართული წყაროები ერთხმად მიუთითებენ, რომ ქართული ეკლესიის დაფუძნებაში მონაწილეობა მიიღო ანტიოქიის ეპისკოპოსმა. ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას იმით, რომ 330 წელს, კონსტანტინოპოლის დაარსებამდე, ქალაქი ანტიოქია, ფაქტობრივად იყო დედაქალაქი რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილისა, ამიტომაც როდესაც ქალაქ რომში იმპერატორთან ჩავიდნენ წმიდა ნინოს მიერ გაგზავნილი ელჩები და სურვილი გამოთქვეს ქართული ეკლესიის დაარსებისა, იმპერატორმა ანტიოქიის ეპისკოპოსს დაავალა ამ მისიის შესრულება. საქმე ის იყო, რომ იმის შემდეგ, რაც იმპერატორმა დიოკლეტიანემ იმპერია რამდენიმე ნაწილად დაჰყო, იმპერიის აღმოსავლეთის ყოველგვარი საქმე, სამხედრო თუ სამოქალაქო, უნდა გადაჭრილიყო არა რომში, არამედ აღმოსავლეთშივე მისი საგანგებო მმართველის მიერ. აღმოსავლეთის

საეკლესიო საქმეებიც ასევე აღმოსავლეთის მმართველს დაეკისრა. ამიტომაც ეპისკოპოსს, რომელიც ანტიოქიაში იჯდა, დაევალა დახმარებოდა ქართველებს საეკლესიო საქმის მოწყობაში.

„დიოკლეტიანემ (284-305) დააწესა ე.წ. „ტეტრარქია“ – „ოთხის მმართველობა“, რის საფუძველზეც რომის იმპერიას მართავდა ორი იმპერატორი და ორი კეისარი. იმპერატორი დიოკლეტიანე და კეისარი გალერიუსი განაგებდნენ იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილს, მაქსიმიანე და კონსტანციუს ხლორი – დასავლეთს“.[75]

ქართული ეკლესიის საქმის გადაჭრა აღმოსავლეთში მჯდომ მთავარი ქალაქის ეპისკოპოსს დაეკისრა, IV ს-ის დასაწყისში. ამიტომაც სავსებით შესაძლებელია, იმპერატორის საგანგებო დავალებით ანტიოქიის ეპისკოპოსი საქართველოში ჩამოსულიყო IV ს-ის დასაწყისში, მაგრამ ეს სრულებით არ იძლევა უფლებას, გაკეთდეს დასკვნა, რომ ამის შემდეგ ქართული ეკლესია ანტიოქიის ეკლესიას დაექვემდებარა. ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული ეკლესიის დაფუძნების დროს იმპერიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი რომ ყოფილიყო, ქართული ეკლესიის ორგანიზაციის საქმეში დახმარების გაწევა დაევალებოდა არა ანტიოქიის ეპისკოპოსს, არამედ დედაქალაქისას (საუბარია არა იერარქიულ დაქვემდებარებაზე, არამედ ეკლესიის ორგანიზაციაში დახმარების გაწევაზე).

მაინც რომელი ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა ქართული ეკლესია IV საუკუნეში — ანტიოქიის, იერუსალიმის თუ კონსტანტინოპოლის?

ამჟამად და წინათაც, ეს საკითხი ყოველთვის სადავო იყო. მეცნიერების ერთი ნაწილი ასახელებს ანტიოქიას, მეორე კონსტანტინოპოლს, მესამე იერუსალიმს, იმის გამო, რომ არც ერთ ჩვენამდე მოღწეულ საბუთში მტკიცედ არ არის დადგენილი ეს საკითხი, უფრო მეტიც, საბუთები არ იძლევიან ამის დადგენის საშუალებას. ვფიქრობ, უნდა ვილაპარაკოთ არა საბუთების ნაკლოვანების შესახებ, არამედ საბუთების მიმართ მიდგომა უნდა შეიცვალოს.

თუ ჩვენ ამ საკითხს მივუდგებით იმ თვალსაზრისით, რომელიც ჯერ კიდევ XII საუკუნეში გამოთქვა ცნობილმა კანონისტმა ბალსამონმა, საბუთების ნაკლოვანების შესახებ აღარ ვიმსჯელებთ.

ბალსამონი წერს, რომ IV საუკუნეში რომის იმპერიაში ავტოკეფალური იყო ყველა პროვინციის ეკლესია. IV საუკუნეში იმპერია დაყოფილი იყო პროვინციებად, არსებობდა 100-ზე მეტი პროვინცია. ბალსამონის აზრით, იმ დროს 100-ზე მეტი ავტოკეფალური ეკლესია არსებობდა მხოლოდ რომის იმპერიაში, რადგანაც ყველა პროვინციის მიტროპოლია ავტოკეფალური იყო და მიტროპოლიტები ხელდასხმულნი იყვნენ თავისივე პროვინციის საეკლესიო კრების მიერ.

თ. ბალსამონი მე-2 მსოფლიო კრების მე-2 კანონის განმარტებისას რჩევას იძლევა: „მიაქციე ყურადღება, რომ ამ კანონის თანახმად, პროვინციების ყველა მიტროპოლიტი ავტოკეფალური იყო და ხელდასხმულნი იყო თავისი კრების მიერ“.[76]

ამრიგად, ბალსამონის თანახმად, IV საუკუნეში იმპერიაში არსებული ყველა პროვინციის ეკლესია ავტოკეფალური იყო. იგივე ითქმის დიოცეზთა ეკლესიებზეც. მსხვილი ადმინისტრაციული ერთეული — დიოცეზიც თავის მხრივ პროვინციებად

იყო დაყოფილი. IV საუკუნისათვის იმპერიაში 12 ადმინისტრაციული ერთეულ-დიოცეზი ყოფილა, ხოლო თითოეულ ამ დიოცეზში 16-მდე პროვინცია შედიოდა.[77]

ცნობილია, რომ დიოკლეტიანემ (284-305) ადმინისტრაციულ ნაწილებად დაყო იმპერია — „უზარმაზარი იმპერიის ერთპიროვნული მართვა ჭირდა, ამიტომ დიოკლეტიანემ სახელმწიფო ჯერ ორად გაყო, მეორე ნახევრის მმართველად აირჩია თავისი ახლობელი მაქსენციუსი და მას „ავგუსტუსის“ ტიტული მიანიჭა, ხოლო შემდეგ იმპერიის თითოეული ნახევარი ორად გაყო და ამ გამონაყოფ ოლქებს სათავეში ჩაუყენა ორი კეისარი. ამრიგად, იმპერია ოთხ ნაწილად გაიყო (ტეტრარქატის სისტემა). კონსტანტინე I-მა (306-337) აღადგინა იმპერიის ერთიანობა, მაგრამ შეინარჩუნა სახელმწიფოს ტერიტორიული დაყოფა 4 პროვინციად, რომელთაგან თითოეული 12 დიოცეზად იყოფოდა. კონსტანტინეს დროიდან იმპერატორის ხელისუფლების ძლიერ დასაყრდენად იქცა ქრისტიანობა“.[78]

ბ. ლომინაძემ აღნიშნა, რომ IV საუკუნისათვის პროვინციებში არსებული ეკლესიები ავტოკეფალურნი იყვნენ. პროვინციათა ეკლესიების (ანუ ეპარქიების) ავტოკეფალურობა იმით გამოიხატებოდა, რომ პროვინციის საეკლესიო კრება ირჩევდა და ადგენდა მეთაურ ეპისკოპოსს (მიტროპოლიტს), გარედან ჩაურევლად. იმპერიაში პროვინციათა დიდი რიცხვის გამო ავტოკეფალური ეკლესიების რიცხვიც დიდი იყო. უკვე IV საუკუნეშივე დაიწყო და V საუკუნეში, ფაქტობრივად, თითქმის დასრულდა ავტოკეფალური ეკლესიების გაერთიანება ჯერ დიოცეზების ეკლესიებში, ხოლო შემდეგ საპატრიარქოებში. ამიტომაც IV საუკუნეში არსებული 100 ავტოკეფალური ეკლესიის ნაცვლად V საუკუნის შუა წლებში იმპერიაში 6 ავტოკეფალური ეკლესიაღა დარჩა. ეს პროცესი —ავტოკეფალური ეკლესიების გაუქმება და მსხვილი საპატრიარქოების დაარსება თანდათან ხდებოდა.

„IV-V საუკუნეებში, პატრიარქატის ჩამოყალიბების პერიოდში, გაჩნდა მისწრაფება, მოესპოთ მიტროპოლიტების ავტოკეფალია და დიოცეზის მეთაურ „უპირველეს“, „უწარჩინებულეს“ მიტროპოლიტებს (მომავალ პატრიარქებს) მიეღოთ ეპარქიის „თავის“, „მიტროპოლიტის“ დადგენის უფლება. მაგრამ ვიდრე პატრიარქატის სისტემა საბოლოოდ გაიმარჯვებდა (ქალკედონის 451 წლის IV მსოფლიო კრების კან. 28) და ვიდრე ყველა მიტროპოლიის ავტოკეფალია გაუქმებული არ იყო, მსოფლიო საეკლესიო კრებები საკმაოდ იძლეოდნენ მიტროპოლიების ავტოკეფალიის შენარჩუნების გარანტიას (ნიკეის I, კან. 7; ეფესოს, კან. 8), ამიტომაც ჯერ კიდევ არ იყო ძნელი სადავოდ ქცეული ავტოკეფალია ისევ ძველი ავტოკეფალიის სასარგებლოდ გადაჭრილიყო (კვიპროსის მაგალითი 431 წელს ეფესოს კრებაზე).[79]

მანამდე კი, მიტროპოლიების ავტოკეფალიის მოსპობამდე, როგორც აღნიშნული იყო, „ბიზანტიაში საეკლესიო პროვინციის (იგივე ეპარქიის) მეთაურს (აერთიანებდა ეპარქიაში შემავალ ეპისკოპოსებს) ეწოდებოდა „თავი“, „პირველი“, ასევე „თავის“ მნიშვნელობით იხმარებოდა „მიტროპოლიტიც“ (მიღებული იყო, რომ საეპარქიო (პროვინციის) ეკლესიის „თავად“ აუცილებლივ ის ეპისკოპოსი უნდა დაესვათ, რომელიც სამოქალაქო ადმინისტრაციის (პროვინციის) დედაქალაქში (მეტროპოლის) იჯდა, მას დედაქალაქელი — ეწოდებოდა და ამას გარდა თავისი საკუთარი

განსაგებელი ჰქონდა, როგორც ერთ-ერთ ეპისკოპოსთაგანს (ანტიოქიის კრ., კან 9). ეპისკოპოსთა „თავს“ ბიზანტიაში ადგენდა თვით საეკლესიო ოლქის (ეპარქიის) ეპისკოპოსთა კრება, გარედან ჩაურევლად (მოციქულთა, კან.34; ნიკეის I, კან.6; ანტიოქიის, კან. 9; ეფესოს, კან.8).[80]

ამიტომ საეკლესიო მიტროპოლიები (ეპარქიები) წარმოადგენდნენ ავტოკეფალურ ეკლესიებს (ბალსამონის კომენტარი კონსტანტინოპოლის II მს. კრების მე-2 კანონის შესახებ:[81] მართლაც, IV საუკუნეში სახელმწიფოს ყველა ოლქის, ანუ პროვინციის ეკლესიების ავტოკეფალურობას ადასტურებენ არა მარტო IV საუკუნეში მოწვეული კრებების კანონები (მაგ. ნიკეისა და ეფესოსი), არამედ შემდეგ საუკუნეთა კანონისტებიც (მაგ. ბალსამონი). ამიტომაც ამასთან დაკავშირებით შეიძლება დაისვას ასეთი კითხვა: თუ IV საუკუნეში იმპერიაში ყველა ოლქის ეკლესია ავტოკეფალური იყო, რატომ არ უნდა ყოფილიყო IV საუკუნეშივე დაარსებული ქართული ეკლესია ავტოკეფალური და რატომ უნდა ყოფილიყო ქართული ეკლესია დაქვემდებარებული უცხოეთის სხვა ეკლესიაზე?

ჩვენში დაბეჯითებით მიღებულია, რომ ქართული ეკლესია იერარქიულად ექვემდებარებოდა კონსტანტინოპოლის ანდა ანტიოქიის ეკლესიებს. მაგრამ ასეთი დაქვემდებარება ხომ ეწინააღმდეგებოდა მამათა კანონებს? ნუთუ მსოფლიო ეკლესია დაუშვებდა კანონების დარღვევას ქართული ეკლესიის მიმართ? კანონი კი, როგორც ითქვა, ასეთი იყო: „ეპისკოპოსთა „თავს“ ბიზანტიაში ადგენდა თვით საეკლესიო ოლქის (ეპარქიის) ეპისკოპოსთა კრება, გარედან ჩაურევლად (მოციქულთა, კან. 34, ანტიოქიის, კან. 9, ნიკეის I, კან. 6, ეფესოს, კან. 8)“[82] შეუძლებელია ქართული ეკლესიის მიმართ IV საუკუნის თითქმის ყველა კრების კანონები დაერღვიათ.

IV საუკუნეში საქართველო იყო არა რომის იმპერიაში შემავალი პროვინცია, არამედ დამოუკიდებელი სახელმწიფო. საქართველო იმპერიის პროვინციაც რომ ყოფილიყო, მაშინაც კი ქართული ეკლესია ავტოკეფალური უნდა ყოფილიყო იმპერიის სხვა პროვინციათა ეკლესიების მსგავსად, მაგრამ, საქართველო როგორც ვთქვით, დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. ამიტომაც, მით უმეტეს, მისი ეკლესია ავტოკეფალური უნდა ყოფილიყო. მიუღებელი და მოუთმენელი იქნებოდა IV საუკუნეში არსებული საეკლესიო კანონების დარღვევით დამოუკიდებელი სახელმწიფოს – საქართველოს ეკლესია დაქვემდებარებოდა იმპერიის რომელიმე პროვინციის ეკლესიას.

რით გამოიხატებოდა IV საუკუნეში ეკლესიის ავტოკეფალია? იმით, რომ ამ ეკლესიის მეთაურს საეკლესიო ოლქშივე (პროვინციაში) ადგენდნენ გარედან ჩაურევლად. ქართული წყაროებიც ადასტურებენ IV საუკუნეშივე ქართული ეკლესიის მეთაურების საქართველოშივე დადგენის ფაქტს, ქართველ მეფეთა და გავლენიანი წრეების მიერ ჩვენში „ისმებოდნენ“ ეკლესიის მეთაურები, გარედან ჩაურევლად. წმიდა ნინო ევედრებოდა მეფე მირიანს, რომ ეპისკოპოსად „დაესვა იაკობი“.

ქართული ეკლესიის მეორე ეპისკოპოსი იაკობი მეფე მირიანის ნებით დაჯდა ეკლესიის მეთაურად. ამ ეპისკოპოს იაკობის სიკვდილის შემდეგ ქართველთა მეფემ ეპისკოპოსად „დასვა“ ელია. „...მოკუდა ეპისკოპოსი იაკობ, და დასუა მის წილ ელია“.[83] ელიას სიკვდილის შემდეგ აქვე, საქართველოშივე, ახალ ეპისკოპოსად

„დასვეს“ სვიმონი – „...მოკუდა ელია ეპისკოპოსი, და დასუეს სჯმონ“.[84] ასევე საქართველოშივე მღვდელი მიქაელი „დაადგინეს ეპისკოპოსად“. ეს მღვდელი საბერძნეთიდან ყოფილა ჩამოსული, მაგრამ ეპისკოპოსი კი არ ყოფილა, არამედ მღვდელი, ეპისკოპოსად ის საქართველოშივე „დაადგინეს“ – „მოიყვანა მღდელი ჭეშმარიტი საბერძნეთით, სახელით მიქაელ და დაადგინა იგი ეპისკოპოსად...“[85] და ასე შემდეგ. ეპისკოპოსებს აქვე, საქართველოშივე, „ადგენენ“ ან „სვამენ“ შესაბამისი წრეები.

ამ დროს, ჩანს, იმ საეკლესიო კანონს ეყრდნობიან, რომლის თანახმადაც ეკლესიის მეთაურ ეპისკოპოსს ირჩევს და ადგენს საეკლესიო კრება, რომელშიც ადგილობრივი ეპისკოპოსები მონაწილეობენ ხელისუფლების ნებართვით. ანტიოქიის 344 წელს მოწვეულმა კრებამ დააკანონა უკვე არსებული წესი, რომლის თანახმადაც ეკლესიის მეთაურად ეპისკოპოსთა შორის უნდა შეერჩიათ დედაქალაქის ეპისკოპოსი (ანტიოქიის კრების კან. 9); ამ მეთაურს ანუ „თავს“ ადგენდა თვით საეკლესიო ოლქის ეპისკოპოსების კრება.

ამ კანონის თანახმად, ქართული ეკლესიის „თავი“ IV საუკუნეშივე უნდა აერჩია ქართული ეკლესიის ეპისკოპოსების კრებას, მეფის ანდა შესაბამისი ადმინისტრაციის ნებართვით და ეს „თავი“ აუცილებლად უნდა ყოფილიყო დედაქალაქის — მცხეთის ეპისკოპოსი. მართლაც, ჩვენი წყაროები სწორედ ამას მიუთითებენ, რომ მეფე ყოველთვის ქართული ეკლესიის მეთაურად „სვამს“ მცხეთის ეპისკოპოსს. ამით იმდროინდელი საეკლესიო კანონები დაცული იყო.

იმისთვის, რომ საქართველოშივე აერჩიათ ეკლესიის მეთაური და დაესვათ ის თავის საყდარზე, საჭირო იყო ეპისკოპოსთა კრების გადაწყვეტილება, ანუ საჭირო იყო, რომ საქართველოშივე იმ დროს ორი ან მეტი ეპისკოპოსი მაინც ყოფილიყო.

იყო, თუ არა საქართველოში IV საუკუნეში რამდენიმე ეპისკოპოსი? დიახ, იყო. ჩვენ გვაქვს წყარო, რომლის თანახმადაც, უკვე მირიან მეფის სიკვდილის დროისთვის (IV საუკუნის 60-იან წლებში) საქართველოში იყო რამდენიმე ეპისკოპოსი, მაგრამ აგრეთვე არსებობს XX საუკუნის მეცნიერთა ვარაუდი, რომ იმ დროს საქართველოში ერთი ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო. ეს ვარაუდი არ ეფუძნება რაიმე წყაროს, ამიტომაც ჩვენ უნდა ვენდოთ იმ ძველ ქართულ წყაროს, რომელიც წერს, რომ მეფე მირიანმა სიკვდილის ჟამს „...დავედრა ეპისკოპოსთა, რათა ადიდონ დიდება მის ადგილისა“[86] – წმიდა ნინოს საფლავისა.

მირიანმა თავისი უკანასკნელი ნება განუცხადა რამდენიმე ეპისკოპოსს, იმჟამად მყოფ ეპისკოპოსებს, „ეპისკოპოსთაო“ – წერია წყაროში. სწორედ ეს „ეპისკოპოსნი“ თავიანთ კრებაზე ირჩევდნენ ქართული ეკლესიის მეთაურს, ხოლო მეფე „სვამდა“ მას.

კრების ჩატარება, არჩევა და დასმა არ იყო უცხო იმდროინდელი ქართული საზოგადოებისათვის. გარკვეული წრეები თვით მეფეს ირჩევდნენ და სვამდნენ ტახტზე. მაგალითად, მეფე მირიანის ძმისწული თრდატი მეფედ „დასვეს“ ქართველმა წარჩინებულებმა – „მაშინ წარჩინებულთა ქართლისათა ზრახვა ყვეს და დასუეს მეფედ სიმამრი ვარაზ-ბაქარისი, ძე რევისი, ძმისწული მირიანისი, კაცი მოხუცებული, სახელით თრდატი...“[87]

ასევე მეფე არჩილ I აზნაურთა კრებამ „დასვა“ მეფედ. „შეითქუნეს აზნაურნი ქართლისანი... დასუეს მეფედ არჩილ“[88]

უნდა ვიფიქროთ, რომ რადგანაც იმდროინდელი ქართული საზოგადოებისათვის შეკრება და მეთაურის გამორჩევა უჩვეულო არ ყოფილა, ქართველი ეპისკოპოსებიც თავიანთ კრებაზე გამოირჩევდნენ ეკლესიის მეთაურს, როგორც ამას მოითხოვდა ზემოთ მითითებული მსოფლიო საეკლესიო კანონები.

ქართულ ეკლესიაში რამდენიმე ეპისკოპოსი ყოფილა არა მარტო მეფე მირიანის დროს, რასაც მიუთითებს მატიანე, არამედ მის შემდეგაც, მაგალითად, ვახტანგ გორგასალს, როცა ის სპარსეთიდან დაბრუნდა, მიეგებნენ ქართველი ეპისკოპოსები, არა საეკლესიო რეფორმის შემდეგ, არამედ რეფორმამდე – „წარმოვიდა ვახტანგ ქართლად, და მიეგება ძე მისი დაჩი და მის თანა ყოველნი სპასალარნი და მათ თანა ეპისკოპოსნი“.[89]

ცნობილია, რომ საეკლესიო რეფორმის შემდეგ ვახტანგმა ეპისკოპოსთა რიცხვი გაადიდა, მაგრამ მატიანის ცნობა, რომ ამ რეფორმამდეც ქართულ ეკლესიაში იყო არაერთი ეპისკოპოსი, ძალზე მნიშვნელოვანია. თვით ვახტანგის სიჭაბუკის დროსაც ქართულ ეკლესიაში ორი გამორჩეული და დიდი ავტორიტეტის ეპისკოპოსი ყოფილა. მატიანე წერს: „და განმზადა მეფემან სახლი ერთი და დაჯდა საყდართა ზედა მაღალთა, ხოლო ჯუანშერ სპასპეტი და ორნივე ეპისკოპოსნი დასხდეს საყდართავე, და სხუანი ყოველნი ერისთავნი დასხდეს სელებითა...“[90] ვახტანგის საეკლესიო რეფორმამდეც (V საუკუნის I ნახევარში) ჩვენს ეკლესიაში მრავალი ეპისკოპოსი ყოფილა.[91]

თუმცა, ნახსენები „ორი ეპისკოპოსის“ შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული, მაგრამ როგორც თვით კონტექსტიდან ჩანს, ერთი ეპისკოპოსი იყო ბერძნული საეკლესიო ორიენტაციისა, ხოლო მეორე სირო-სპარსული საეკლესიო ორიენტაციისა, ამიტომაც ახლო მდგომი ქრისტიან მანიქეველთა მიმდინარეობასთან. თუ გავიხსენებთ, რომ მანიქეველიზმი წარმოადგენდა გარკვეულწილად ცეცხლთაყვანისმცემლობისა და ქრისტიანობის სინთეზს,[92] მაშინ გასაგები გახდება, როგორც აღნიშნავდა პ. ინგოროყვა, რატომ უწოდებდნენ ამ ქრისტიან ეპისკოპოსს მწვალებელს „სპარსელს“.

ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის რეფორმამდე ქართულ ეკლესიაში რომ მრავალი ეპისკოპოსი იყო, ამას მიუთითებს ისიც, რომ ქართული ეკლესიის მეთაურს იმ დროს ჰქონდა ტიტული „მთავარეპისკოპოსი“, ე.ი. უფროსი, მთავარი, პირველი ეპისკოპოსი, ეს იგივეა, რაც „ეპისკოპოსთა თავი“.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ჩვენი უძველესი მატიანე, რომელსაც VII საუკუნეს მიაწერენ, თუმცა მასში წინა საუკუნეთა ფენებიც არის, ქართული ეკლესიის ყველა მეთაურს, გარდა პირველისა, მთავარეპისკოპოსს უწოდებს. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ განასხვავებს ეპისკოპოსსა და მთავარეპისკოპოსს და, ჩანს, რეალურად ასახავს ეკლესიაში არსებულ ვითარებას. მაგალითად, ის პირველ მეთაურს ქართული ეკლესიისას „ეპისკოპოსს“ უწოდებს გარკვეულ დრომდე, მისი მოღვაწეობის პირველ ხანებში, ხოლო შემდგომ მას უკვე „მთავარეპისკოპოსს“ უწოდებს. ასევე მთავარეპისკოპოსს უწოდებს მის შემდეგ ყველა ეპისკოპოსს, რომელნიც მეთაურობდნენ ქართულ ეკლესიას, V საუკუნის 70-წლებამდე (კათალიკოსობის დაწესებამდე).

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ორივე რედაქცია (ა და ბ),[93] ქართული ეკლესიის პირველ მეთაურს, საბერძნეთიდან ჩამოსულ იოვანეს „ეპისკოპოსს“ უწოდებს – „და მოსცა მეფემან იოვანე ეპისკოპოსი და ორნი მღდელნი და ერთი დიაკონი“ (გვ. 86, ა), „ხოლო მეფემან (კონსტანტინემ) წარავლინნა ეპისკოპოსი იოვანე და ორნი მღდელნი და ერთი დიაკონი.. (გვ.86, ბ). მაგრამ იმის შემდეგ, რაც მეფე მირიანის წყალობით ქართული ეკლესია გაძლიერდა, ხალხი მასიურად გაქრისტიანდა და ქვეყანაში ეკლესიების შენება დაიწყეს, იოვანე უკვე მთავარეპიკოპოსის ხარისხშია მოხსენებული – „...აღივსო ურვითა (მეფე)..., ვიდრე არა ისწავა მთავარეპისკოპოსისგან“ (გვ. 87, ბ).

იოანეს შემდგომ მეთაურს ქართული ეკლესიისას, ასევე მთავარეპისკოპოსს უწოდებს მატიანის ორივე რედაქცია.

„დაჯდა მეფედ ბაკურ ძე რევისი, და მოკვდა იოანე ებისკოპოსი და დაჯდა იაკობ მღვდელი იგი მუნითვე მოსრული, მთავარეპისკოპოსად“ (გვ. 91, ა). „დაჯდა მეფედ ბაკურ, ძე რევისი და მოკუდა იოანეცა ეპისკოპოსი და მის წილ დაჯდა მღდელი, რომელი ენება ნინოს მთავარეპისკოპოსად“ (გვ. 91,ბ);

მოქცევაჲ ქართლისაჲ და „ქართლის ცხოვრების“ ცნობები ერთმანეთს ავსებენ. თუ „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, მეფე მირიანის გარდაცვალების დროს ჩვენს ეკლესიაში უკვე რამდენიმე ეპისკოპოსი იყო, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანახმად, ამ ეპისკოპოსების მეთაურს უკვე აქვს ტიტული „მთავარეპისკოპოსისა“.

„დაჯდა მეფედ ძმაჲ მისი თრდატ და მთავარებისკოპოსი იყო ნერსე სომეხთა კათალიკოზისა დიაკონი იობ“ (გვ. 91, ა); „დაჯდა ძმაჲ მისი თრდატ, მაშინ მთავარეპისკოპოსი იყო ნერსე“ (იქვე, ბ).

ვარაზ ბაქარის დროსაც, როდესაც სპარსელებმა დაიპყრეს საქართველო, მთავარეპისკოპოსი კვლავ იობი ყოფილა — „და მთავარებისკოპოსი იყო იგივე იობ, და მაშინ მოვიდა ქრამ ხუარ ბორზარდ სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისად ქალაქად — ციხედ და ქართლი მისსა ხარკსა შედგა...“ (გვ. 92, ა)

ბაკურის მეფობის დროს უკვე ელია მთავარეპისკოპოსობდა – „მეფობდა ბაკურ, ძჱ თრდატისი და მთავარებისკოპოსი იყო ელია“ (გვ. 92, ა,ბ), ხოლო ფარსმანის მეფობისას მთავარეპისკოპოსობდა სვიმონ — „მეფობდა ფარსმან დისწული თრდატისი და მთავარებისკოპოსი იყო სჳმონ“ (გვ. 92, ა,ბ).

არჩილის მეფობის დროს ოთხი მთავარეპისკოპოსი გარდაიცვალა — მეფობდა არჩილ და მთავარებისკოპოსი იყო იონა ... მისვე არჩილის ზე ოთხნი მთავარეპისკოპოსნი გარდაიცვალნეს“ (გვ. 92, ა).

მეფე მირდატის დროს მთავარეპისკოპოსი გლონოქორი მთავარეპისკოპოსიც ყოფილა და ერისთავიც. ხოლო ვახტანგ გორგასლის დროს კათალიკოსობის დაწესებამდე მთავარეპისკოპოსობდნენ იოველი და მიქაელი.

„და მერე მეფობდა მირდატ და მთავარეპისკოპოსი იყო გლონოქორ და ესე მთავარებისკოპოსი ერისთვადცა იყო ბარაზბოდ პიტიახშისაგან ქართლს და ჰერეთს. და მისა შემდგომად მეფობდა დიდი ვახტანგ გორგასალი და მთავარებისკოპოსი იყო იოველ. მაშინ წარიყვანეს ვახტანგ სპარსთა და შემდგომად რაოდენისამე

ჟამისა მოიქცა და მთავარებისკოპოსი იყო მიქაელ“ (გვ. 92-93, ა); მიქაელის შემდეგ ქართული ეკლესიის მეთაურის ტიტული იყო არა „მთავარეპისკოპოსი“, არამედ „კათალიკოსი“.

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, მატიანეთა თანახმად, კათალიკოსობის დაწესებამდე IV და V საუკუნეებში ქართულ ეკლესიაში იყო მრავალი ეპისკოპოსი, ამიტომაც, უპირველეს ეპისკოპოსს ეწოდებოდა „მთავარეპისკოპოსი“. მთავარეპისკოპოსის კათედრა მცხეთაში (დედაქალაქში) იყო და არსებული წესის თანახმად, ის სამოქალაქო მთავრობის ნებით უნდა „დამჯდარიყო“ საყდარზე, ქართული ეკლესიის მეთაური უცხოეთიდან კი არ ჩამოჰყავდათ, არამედ საქართველოშივე ირჩევდნენ თანამდებობაზე და აძლევდნენ შესაბამის წოდებას, თუმცა ის ეროვნებით შეიძლება არაქართველი ანდა დაბალ ხარისხში მყოფი ჩამოსულიყო საქართველოში. მაგალითად, მიქაელი უბრალო მღვდელი იყო, როცა საბერძნეთიდან ჩამოიყვანეს. ის საქართველოშივე აკურთხეს და დასვეს მთავარეპისკოპოსის ტახტზე, ხოლო იობი დიაკვნის ხარისხში მყოფი ჩამოვიდა საქართველოში. ის ასევე საქართველოში იღებს ახალ, მაღალ ტიტულს.

შეიძლება დაისვას კითხვა: თუ ქართული ეკლესია IV საუკუნეში ისევე ავტოკეფალური იყო, როგორც იმპერიის პროვინციათა ეკლესიები, მაშინ რატომ გამოგზავნა ქართული ეკლესიის პირველი ეპისკოპოსი რომის იმპერატორმა კონსტანტინემ? „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობების თანახმად, ქართული ეკლესიის ფორმირებისას, ხალხის მონათვლისა და დამოძღვრისათვის საჭირო იყო უცხოელი სამღვდელოების დახმარება, მაგრამ შემდეგში ქართული ეკლესია, ცხადია, ისევე უნდა მოწყობილიყო, როგორც მთელ მაშინდელ რომის იმპერიაში იყო მოწყობილი სხვა ეკლესიები, კერძოდ, ყოველი პროვინციის ეკლესია ავტოკეფალური იყო და მათი მეთაური პროვინციის სამღვდელოების მიერვე ირჩეოდა. აღსანიშნავია, რომ პროვინციას, ანუ ოლქს ძველქართულად ეწოდებოდა „სამთავრო“ და დიდ სჯულის კანონში IV საუკუნის კრებების კანონების გადმოცემის დროს სიტყვა „სამთავრო“ მრავალჯერ იხმარება.

II მსოფლიო კრება, რომელიც 381 წელს იქნა მოწვეული, იმპერიის აღმოსავლეთში ასახელებს რამდენიმე ავტოკეფალურ ეკლესიას, მათ შორის ანტიოქიისას, ასიისას, პონტოსას, თრაკიისას და წერს: „თითოეულსა სამთავროსა კრებაჲ მის სამთავროჲსაჲ განაგებს ნიკეას განსაზღვრებულისა კანონისაებრ“. (II მსოფლიო კრების მე-2 კანონი). როგორც აღვნიშნეთ, „სამთავრო“ ძველქართულად ეწოდებოდა რომაულ „პროვინციას“ და ამ პროვინციაში არსებულ ეკლესიასაც. ამ კანონის თანახმად, თითოეული ოლქის (პროვინციის, „სამთავროს“) ეკლესია (ანუ ეპარქია) იმართება ამ ოლქის საეკლესიო კრების მიერ. II მსოფლიო კრება მეორე კანონშივე ასახელებს იმპერიის გარეთ არსებულ ეკლესიებსაც, რომელნიც მამათა მიერ დამტკიცებული ჩვეულებისამებრ უნდა იმართებოდესო. აქ იგულისხმება, პირველ რიგში, ამავე კანონში მოხსენებული ნიკეის კრების კანონები, რომელნიც ცნობდნენ და იცავდნენ არსებული საეკლესიო სამთავროების, ანუ იმპერიის გარეთ მყოფი („ბარბაროზებრთა წარმართთა შორის მყოფთა“)[94] ეკლესიების ავტოკეფალიას.

სწორედ ასევე ესმოდა ეს კანონი უდიდეს კანონისტ ბალსამონსაც და ასევე წერს ცნობილი კანონისტი ს. ტროიცკი ამის შესახებ: „მეორე კანონი მეორე მსოფლიო კრებისა, სწორედ იმ კრებისა, რომელმაც განსაზღვრა სწავლა ერთიანი ეკლესიის შესახებ, საერთოდ უკრძალავს ყველა ადგილობრივ ეკლესიას, გაავრცელოს თავისი იურისდიქცია თავისი საზღვრების იქით... ისტორია მოწმობს, რომ იმ კრების დროს თავისთავადნი, ავტოკეფალურნი იყვნენ ეკლესიები, თუ რომის ყველა პროვინციაში არა (პროვინცია იყო 100-მდე), ყოველ შემთხვევაში ყველა თოთხმეტივე დიოცეზში რომის იმპერიისა... როცა ზოგიერთი დიდი ეკლესია შეეცადა დაექვემდებარებინა სხვა პატარა ადგილობრივი ეკლესიები, მაშინ მოციქულთა კანონების ერთგულებამ და ღვთის სულით განათლებულ მსოფლიო ეპისკოპოსთა კრებამ აღკვეთა ასეთი ცდები. როცა ანტიოქიის დიდი ეკლესია შეეცადა დაექვემდებარებინა კვიპროსის პატარა ეკლესია, III მსოფლიო კრებამ მერვე კანონით ასეთი ცდა დაახასიათა, როგორც „საქმე, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ეკლესიისა და მოციქულთა კანონებს (იგულისხმება მოციქულთა 35-ე კანონი)“.[95]

„ბალსამონი მეორე მსოფლიო კრების ეპოქაში ავტოკეფალურებს უწოდებს პროვინციათა ყველა მიტროპოლიტს.“[96]

„არსებობს მრავალი მაგალითი რამდენიმე ავტოკეფალური ეკლესიის ერთ ეკლესიად გაერთიანებისა, მაგალითად, IV საუკუნის პირველ ნახევარში ყველა პროვინციათა და მიტროპოლიათა ეკლესიები (ისინი იყვნენ დაახლოებით 100-მდე,) ბალსამონის მოწმობით (ათენის სინტ. II, 173) იყვნენ ავტოკეფალურები. ამასობაში მეორე მსოფლიო კრების დროისათვის მიტროპოლიები გაერთიანდნენ დიდ ეკლესიებში — ეგზარქატებში, სახელმწიფო დიოცეზების პარალელურად, რომელნიც იყვნენ თოთხმეტი, რაც დაადასტურა კრებამ თავისი მეორე კანონით, ხოლო შემდეგ დედაქალაქის ეკლესიებმა, თავიდან რომისამ, ხოლო მისი მაგალითისამებრ კონსტანტინეპოლისამ, გააერთიანეს თავიანთი ძალაუფლების ქვეშ რამდენიმე დიოცეზი, ასე რომ VI საუკუნეში ბერძენთა იმპერიაში აღმოჩნდა სულ ექვსი ავტოკეფალური ეკლესია, ასეთი გაერთიანებები ახალ დროშიც ხდებოდა. 1920 წელს გაერთიანდა სამი ავტოკეფალური ეკლესია...“[97]

როგორც ზემოთ მოყვანილი განმარტებიდან ჩანს, IV საუკუნის დასაწყისში რომის იმპერიაში ავტოკეფალური ეკლესიების რიცხვი 100-მდე აღწევდა, იმ მიზეზის გამო, რომ რომის ყველა პროვინციის ეკლესია ავტოკეფალური იყო. შემდგომ, ამავე საუკუნეში მიმდინარეობდა შერწყმა-შეერთება ავტოკეფალური ეკლესიებისა იმპერიაში არსებულ დიოცეზთა პარალელურად, რადგანაც იმპერიაში იყო 14 დიოცეზი, ასევე 381 წლისათვის იმპერიაში აღმოჩნდა 14 ავტოკეფალური ეკლესია. ავტოკეფალურ ეკლესიათა შერწყმა-გაერთიანების პროცესი შემდგომაც გრძელდებოდა, განსაკუთრებით V საუკუნის პირველ ნახევარში. ახლა უკვე იმპერიის მთავარი ქალაქების ეკლესიები თავის გარშემო აერთიანებდნენ რამდენიმე დიოცეზის ავტოკეფალურ ეკლესიას. ასე გაერთიანდა ქალაქ რომის ეკლესიაში რამდენიმე დიოცეზი, ხოლო 451 წელს კრებამ ქალაქ კონსტანტინოპოლის ეკლესიას დაუქვემდებარა სამი დიოცეზის — ასიის, პონტოს და თრაკიის დიოცეზთა ავტოკეფალური ეკლესიები. ამიტომაც, V საუკუნის ბოლოსათვის იმპერიაში ავტოკე-

ფალურ ეკლესიათა რიცხვი ძლიერ შემცირდა, და VI საუკუნეში, როგორც ითქვა, უკვე ექვსი ავტოკეფალური ეკლესია არსებობდა მთელ იმპერიაში.

VI საუკუნისათვის ავტოკეფალია დაკარგეს ისეთმა ძველმა ეკლესიებმაც, რომელთაგან ზოგიერთნი თვით მოციქულთა მიერ იყო დაარსებული. თვით იერუსალიმის ეკლესიამაც კი დაკარგა ავტოკეფალია და კესარია-პალესტინის ეპისკოპოსის ხელქვეით იმყოფებოდა. IV მსოფლიო კრებამ მისი ავტოკეფალია მთლიანად აღადგინა. ასევე, ს. ტროიცკის თანახმად, მოციქულთა მიერ დაარსებულმა ათენის ეკლესიამაც ავტოკეფალია დაკარგა და მხოლოდ მრავალი ასეული წლის შემდეგ აღიდგინა იგი.

რით გამოიხატება ეკლესიის ავტოკეფალია? ს. ტროიცკი კითხვას ასე უპასუხებს: „თვით ავტორიტეტული განმმარტებლები კანონებისა ავტოკეფალიის არსს ხედავენ სწორედ ხელდასხმაში, რომ მოცემული ეკლესიის ეპისკოპოსებს შეუძლიათ ხელი დაასხან, ანუ აკურთხონ თავიანთი ეკლესიის ახალი ეპისკოპოსები.

არ ექვემდებარებიან არც ერთ პატრიარქს ეკლესიები ბულგარეთისა, კვიპროსისა და იბერიისა (ე.ი. ქართული), რადგანაც მღვდელმთავრები ამ ეკლესიებისა ჩვეულებრივ იღებენ ხიროტონიას თავისივე ეპისკოპოსებისაგან“, – წერს თავის ალფაბეტურ სინტაგმაში მათეოს ბლასტარი.[98]

ყოველივე ზემოთ მოყვანილიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ 320-იან წლებში ორგანიზებული ქართული ეკლესია უსათუოდ ისევე უნდა მოწყობილიყო, როგორც იმპერიაში არსებული სხვა ეკლესიები. იმპერიაში კი ყველა პროვინციის ანუ ადმინისტრაციული ერთეულის ეკლესია ავტოკეფალური იყო. საქართველო რომის პროვინცია არ ყოფილა, ის იყო იმპერიის გარეთ არსებული სახელმწიფო. თუკი იმპერიაში ყოველ ადმინისტრაციულ ერთეულს ჰქონდა თავისი ავტოკეფალური ეკლესია, ბუნებრივია, საქართველოს სახელმწიფოს ეკლესიაც ავტოკეფალური უნდა ყოფილიყო.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას საფრთხე ემუქრებოდა არა IV საუკუნეში, არამედ V და VI საუკუნეებში, რადგანაც ჯერ კიდევ IV საუკუნეში დაწყებული პროვინციების ეკლესიების ავტოკეფალიის გაუქმება V საუკუნეში თითქმის დასრულდა, ხოლო VI საუკუნეში უკვე დაკანონებული იყო. როგორც ვთქვით, იმპერია დაყოფილი იყო 12-14 დიოცეზად, ძალზე მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულებად, ერთ დიოცეზში შედიოდა 16-მდე პროვინცია. II მსოფლიო კრების დროისთვის, პროვინციათა ეკლესიების შეერთების შემდეგ, იმპერიაში მხოლოდ დიოცეზთა ეკლესიები იყვნენ ავტოკეფალურნი. საქართველოს ეკლესია არ შეიძლებოდა რომელიმე დიოცეზის ეკლესიას შეეერთებინა, რადგანაც საქართველო იყო თავისთავადი და დამოუკიდებელი სახელმწიფო, ამიტომაც პროვინციათა ეკლესიების შერწყმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე არავითარ გავლენას არ მოახდენდა. V საუკუნის შუა წლებისათვის კი სავსებით შესაძლებელი იყო, იმპერიის რომელიმე დედაქალაქს პრეტენზია განეცხადებინა ქართულ ეკლესიაზე. საქმე ის იყო, რომ უკვე V საუკუნისათვის იმპერიის მთავარი ქალაქების ეკლესიებმა შეიერთეს თავიანთ გარშემო მყოფი დიოცეზები. ამ დროს დიდი ქალაქების (რომის, ანტიოქიის, კონსტანტინოპოლის. ალექსანდრიის, იერუსალიმის) ხელქვეით აღმოჩნდა მთე-

ლი იმპერია, მათ მოიპოვეს აგრეთვე გავლენა იმპერიის გარეთ არსებულ ტერიტორიებზე. მაგალითად, პონტოს დიოცეზი თავისი მისიონერული მოღვაწეობის წყალობით გავლენას ავრცელებდა იმპერიის გარეთ მცხოვრებ ხალხებზე, ახლადმოქცეულ ქრისტიანებზე. პონტოს დიოცეზი 451 წლის მსოფლიო კრებამ დაუქვემდებარა კონსტანტინოპოლს, ამიტომაც პონტოს დიოცეზის გავლენის ქვეშ მყოფი იმპერიის გარეთა ქრისტიანებიც კონსტანტინოპოლს დაექვემდებარნენ. ასევე ანტიოქიაც თავისი მისიონერული მოღვაწეობის გამო გავლენას ძველთაგანვე ავრცელებდა ახლადმოქცეულ ბარბაროსებზე (იმპერიაში ან იმპერიის გარეთ მცხოვრებ არაბერძნულ ხალხებზე): სწორედ V საუკუნიდან გაჩნდა მისწრაფება იმპერიის დედაქალაქისა და სხვა საპატრიარქოებისა, რომ თავიანთ იურისდიქციაში მოექციათ სხვა ეკლესიები. ამიტომაც, ქართული ეკლესია შეიძლებოდა ავტოკეფალური ყოფილიყო IV საუკუნეში, ხოლო V საუკუნეში მისი ავტოკეფალია სადავოდ გაეხადათ, ეცადათ მოესპოთ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა.

ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ IV საუკუნეში ქართული ეკლესია ისევე დამოუკიდებელი იყო, როგორც იმპერიაში არსებული პროვინციებისა და დიოცეზების ეკლესიები.

შეიძლება დაისვას კითხვა, თუ IV საუკუნეში არსებობდა ავტოკეფალურ ეკლესიათა დიდი რაოდენობა, რატომ გამოიწვია წინააღმდეგობა მეფე პაპის მიერ სომხური ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებამ 370-იან წლებში?

ცნობილია, რომ კანონიკური სამართლის კორიფემ ბასილი დიდმა გააპროტესტა და ანათემას გადასცა სომხური ეკლესიის ეს მოქმედება.

საქმე ის იყო, რომ ამ დროისათვის უკვე პროვინციათა ეკლესიები გაერთიანებული იყო დიოცეზებში. ბასილი დიდი იყო პონტოს დიოცეზის ეგზარქოსი. სომეხთა ის ნაწილი, რომელმაც ავტოკეფალია გამოაცხადა, ადმინისტრაციულად პონტოს დიოცეზში შედიოდა, ე.ი. ადმინისტრაციულად იყო არა დამოუკიდებელი სახელმწიფო, არამედ შედიოდა რომის იმპერიაში, კერძოდ კი, პონტოს დიოცეზში. მთელ პონტოს დიოცეზზე კი თავის იურისდიქციას ახორციელებდა ამ დიოცეზის ეკლესია და მისი ეგზარქოსი ბასილი დიდი. ამიტომაც იყო ის წინააღმდეგი, მის დიოცეზში მცხოვრებ ხალხს მიეღო ავტოკეფალია. ეს მას მიაჩნდა დიოცეზის საეკლესიო განხეთქილებად. ჯერ კიდევ ნიკეის I მსოფლიო კრების (325 წ.) მე-9 კანონის თანახმად, შეიზღუდა ავტოკეფალურ ეკლესიათა უფლებები საოლქო მიტროპოლიტის სასარგებლოდ, „თითოეული სამთავროს ეპისკოპოსები უნდა ემორჩილებოდნენ დედაქალაქის ეპისკოპოსს (მიტროპოლიტს)“. ამ კანონის თანახმადაც, პონტოს დიოცეზის ყველა ეპისკოპოსი დიოცეზის ეგზარქოს ბასილი დიდს უნდა დაქვემდებარებოდა და ავტოკეფალია, დამოუკიდებლობა არ უნდა გამოეცხადებინა. ეს სომეხ ეპისკოპოსებსაც შეეხება, რომელთაც მეფე პაპის დროს სომეხთა ეკლესიის ავტოკეფალია გამოაცხადეს.

ეს კანონი (I მსოფლიო კრების კან. 9) საქართველოს სახელმწიფოს დედაქალაქის, მცხეთის ეპისკოპოსს უქვემდებარებდა ამ სახელმწიფოს ყველა ქრისტიანს.

დედაქალაქის ეპისკოპოსს შეეხება აგრეთვე სარდიკის მე-6 კანონი, რომელიც ამბობს: „თუ არჩეულ უნდა იქნას დედაქალაქის ეპისკოპოსი (მიტროპოლიტი),

საჭიროა მახლობელი ეპისკოპოსების მოწვევა“. ჩვენი ეკლესიის მიმართ ეს იმას ნიშნავს, რომ მცხეთის არქიეპისკოპოსის კურთხევის დროს საჭირო იყო მახლობელი ეკლესიების ეპისკოპოსების მოწვევა ან მათი თანხმობა. ჩვენთვის მეზობელი ეკლესიები იყვნენ ანტიოქია, სომხეთი, პონტო, კონსტანტინოპოლი. ჩანს, მათაც ეკითხებოდნენ, ამ კანონის თანახმად, ახალი ეპისკოპოსის კურთხევის თანხმობას.

დედაქალაქის ეპისკოპოსს შეეხება, აგრეთვე, ქალკედონის კრების მე-12 კანონი, „რამდენი ქალაქიც სამეფო საბუთებით დედაქალაქის პატივითაა დამტკიცებული, ჰქონდეთ მათ ეს პატივი“. ეს, პირველ რიგში, შეეხებოდა იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილის მთავარ ქალაქებს, მაგრამ, ცხადია, განზოგადდებოდა საქართველოს დედაქალაქის, მცხეთის არქიეპისკოპოსზეც. ამ კანონით მიიჩნევა, რომ დედაქალაქის ეპისკოპოსი არის მიტროპოლიტი, ავტოკეფალური ეკლესიის მეთაური. ამიტომაც დამოუკიდებელია საქართველოს სახელმწიფოს დედაქალაქის მეთაურიც, რომელსაც მართლაც ჰქონდა „მთავარეპისკოპოსის“ მაღალი ტიტული. ს. ტროიცკი წერს, რომ მთავარეპისკოპოსის ტიტული, როგორც წესი, ჰქონდა ავტოკეფალური ეკლესიის მეთაურს. „IV-VIII საუკუნეებში ტიტული არქიეპისკოპოსისა ნიშნავდა იერარქს, რომელსაც ჰქონდა უფრო მეტი ძალაუფლება, ვიდრე მიტროპოლიტის ძალაუფლება იყო და, როგორც წესი, მიეკუთვნებოდა ავტოკეფალური ეკლესიის მეთაურს“.[99]

როგორც აღვნიშნეთ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანახმად, უკვე IV საუკუნის I ნახევრიდანვე ქართული ეკლესიის მეთაურს „მთავარეპისკოპოსის“ ტიტული ჰქონდა, ის ავტოკეფალურ ეკლესიას ედგა სათავეში.

თავი IV

ქართული ეკლესია V საუკუნეში

„დიდ-ბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა
მაგალითებით ისტორია სწერთნის ერსა,
ზრდის, და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს
უკეთებენ მოქმედებისათვის, აქეზებენ, ამხნევებენ,
თუ ნამეტნავად ის მაგალითები ერის
საკუთარის ისტორიისანი არიან.“

ილია ჭავჭავაძე

ქვეყნის ზოგადი მდგომარეობა V საუკუნეში

V საუკუნის დასაწყისში საქართველო უკვე დახარკული ქვეყანა იყო სპარსელთა მიერ. მართალია, სპარსელებმა ვერ შეძლეს ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება, მაგრამ დაუფარავად ცდილობდნენ ქართველების ასიმილაციას. პირველ რიგში, მათ სურდათ ქართველებს მიეღოთ სპარსული სარწმუნოება – ცეცხლთაყვანისმცემლობა. ისინი ებრძოდნენ და კრძალავდნენ ქართულ ეროვნულ წეს-ჩვეულებებს და ტრადიციებს. ქრისტიანობა იმ დროისათვის უკვე ქართულ ეროვნულ სარწმუნოებად იყო ქცეული და ქართველებს ქრისტიანული წეს-ჩვეულებები ჰქონდათ. მათი მოშლით სპარსელებს იმედი ჰქონდათ, რომ ქართველების ეროვნულ სახეს მოშლიდნენ და სპარსულს დაუახლოვებდნენ.

გარდა ამისა, სპარსელები ქართულ სახელმწიფოებრიობას, ანუ მეფობას ძირს უთხრიდნენ. მათ V საუკუნეში შეძლეს სომხეთსა და ალბანეთში მეფობის გაუქმება, მაგრამ საქართველოში ეს ვერ მოახერხეს, ცხადია, იმ მიზეზის გამო, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა ძლიერი იყო და მისი მოსპობა ადვილი არ იყო. სპარსელებს იმედი ჰქონდათ, რომ თვით საქართველოში მოძებნიდნენ იმ ძალებს, რომელნიც შეებრძოლებოდნენ ქართველ მეფეებს და მოსპობდნენ მეფობას. ქართველი მთავრები და დიდი აზნაურები სპარსელების დახმარებით საქართველოს მეფეს ებრძოდნენ.[1] მართლაც, VI საუკუნის დასაწყისში მეფობის გაუქმება მთავრებისა და დიდი აზნაურების მეოხებით მომხდარა. VI საუკუნეში მეფობის გაუქმების შემდეგ „ქართლის მთავრები და დიდი აზნაურები კი თავს კარგად გრძნობდნენ. მეფობის მოსპობა ქართლში ხომ უმთავრესად მათი საქმე იყო. ძველი ქართველი მემატიანე ამტკიცებს, რომ მას შემდეგ, რაც ვახტანგის შთამომავლობას მეფის უფლება წაართვეს, ქართლში უკვე აზნაურები გაბატონდნენო. მართლაც, დიდი აზნაურები ადვილად შეუხმატკბილდნენ სპარსელებს და ეხმარებოდნენ მათ ქვეყნის მართვა-გამგეობაში. სამაგიეროდ, სპარსელებიც მათ თავის წყალობას არ აკლებდნენ, მსხვილ თანამდებობებსა და ჯილდოებს ურიგებდნენ და ზოგჯერ მემკვიდრეობითაც უმტკიცებდნენ მიცემულ მოხელეობას.“[2]

თუკი სპარსელები ცბიერებითა და ვერაგობით ცდილობდნენ ქართველთა გატეხას, ბიზანტიის,[3] ანუ „ბერძნების“ დამოკიდებულება სრულიად სხვაგვარი იყო საქართველოს მიმართ. ბიზანტიამ IV საუკუნის ბოლოს ჩამოაჭრა ქართულ სახელმწიფოს სამხრეთის ტერიტორიების დიდი ნაწილი, უშუალოდ მიუერთა იმპერიას, ხოლო V საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი მიიტაცა. თუკი სპარსელები, ასე თუ ისე, ეროვნულ ინსტიტუტებს (მაგ.,

ქართულ სახელმწიფოს, ქართულ ეკლესიას) ხელს არ ახლებდნენ და მხოლოდ დახარკვით კმაყოფილდებოდნენ, ბიზანტია მიტაცებულ ქართულ მიწებზე საერთოდ აუქმებდა ყოველგვარ ქართულ ინსტიტუტს, ამიტომაც ქართველებისათვის არაქრისტიანი სპარსელების ბატონობა უფრო მოსათმენი იყო, ვიდრე ქრისტიანი ბერძნების მოქმედებაა. სწორედ ამან ჰპოვა ასახვა „ქართლის ცხოვრებაში“, სადაც ნათქვამია, რომ როცა ბიზანტიელებმა დასავლეთ საქართველოს მიწები მიიტაცეს, მთელ საქართველოში დიდი ურვა და წუხილი შეიქმნა და ყოველი ქართველი დიდად გლოვობდაო: „მასვე ჟამსა გამოვიდეს ბერძენნი... და დაიპყრეს ეგრისწყლითგან ვიდრე ციხე-გოჯადმდე, მაშინ იქმნა გლოვა და წუხილი ყოველთა ზედა ქართველთა და იტყოდეს... სამართლად მოაწია ღმერთმან ჩუენ ზედა ესე რისხვა, რამეთუ მიგუცნა ჩუენ წარტყუენვად უცხოთა ნათესავთა და მიგჯღო ჩუენ საზღვარი ბერძენთაგან, ვითარცა მიუღო ვარაზ-ბაქარს მეფესა კლარჯეთი...“[4]

ყოველი ქართველის გლოვა, მემატიანეების მიერ აღწერილი, შეიძლება ითქვას, ერთადერთი შემთხვევაა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე. ქართველების საერთო გლოვა იმით იყო გამოწვეული, რომ ბიზანტია მიტაცებულ ქართულ მიწებს სწრაფად რთავდა იმპერიის სისხლსავსე ცხოვრებაში და სწრაფადვე კულტურულად „აბერძნებდა“ ქართულ მოსახლეობას. თუკი ქართველებს სპარსელთა წინააღმდეგ ფარად ჰქონდათ ქრისტიანული სარწმუნოება, ბერძნული ასიმილაციისგან მათ არაფერი არ იფარავდა. მიუხედავად ამისა, რადგანაც საქართველოს დიდი და უმთავრესი ნაწილი სპარსთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მთავარი საფრთხე მაინც სპარსელებისგან მოდიოდა. ამ დროს კი, როგორც აღვნიშნეთ, ქართველთა დამცველი სწორედ ბერძნული ორიენტაცია და ქრისტიანობის ის სახე იყო, რომელსაც იმ დროს ბიზანტიაში აღიარებდნენ. ვახტანგ გორგასალი ბერძნული ორიენტაციისა იყო და სიკვდილის წინ ანდერძიც დატოვა, რომ ქართველებს „ბერძენთა სიყვარული“ არ მიეტოვებინათ, თუმცა „ბერძნებს“ შეებრძოლა კიდეც და საქართველოს დაუბრუნა მათგან მიტაცებული ტერიტორიები.

აღსანიშნავია, რომ იმ დროს, V საუკუნეში, არსებობდა ორი განსხვავებული მიმართულება ქრისტიანობაში. ერთ მიმართულებას ბიზანტია მფარველობდა და აღიარებდა, ხოლო მეორე მიმართულებას სპარსეთის სახელმწიფო მფარველობდა. ქრისტიანობის იმ მიმართულებას, რომელსაც სპარსეთი მფარველობდა, ს. ჯანაშია „სპარსულ“ ქრისტიანობას უწოდებს. ასე მაგალითად. ის წერს: „პირველ კათალიკოსად ვახტანგმა დიოფიზიტობის მომხრე პირი დანიშნა და ამით „სპარსულ“ ქრისტიანობას, მონოფიზიტობას, აშკარა ბრძოლა გამოუცხადა.“[5]

არ იქნებოდა სწორი, თუ წარმოვიდგენდით, რომ სპარსეთი ქრისტიანობის ყოველ მიმართულებას ებრძოდა. სპარსეთი მხოლოდ იმ მიმართულებას, ქრისტიანობის იმ ფრთას ებრძოდა, რომელიც იმ მომენტში რომის (ბიზანტიის) იმპერიაში იყო აღიარებული. თვითონ სპარსეთში მრავალი ქრისტიანი ცხოვრობდა და სპარსელების არცთუ მცირე ნაწილი ქრისტიანი იყო, მათ ჰქონდათ თავიანთი ეკლესია და თავიანთი საეკლესიო იერარქია, ხოლო სპარსეთის იმპერიაში მცხოვრები ხალხები, მაგალითად, სირიელები და სომხები ქრისტიანები იყვნენ, რომელთა ეკლესიებიც სპარსეთისათვის მისაღები იყო.

სპარსეთის სამეფო კარმა, როცა მიხვდა, რომ მაზდეანობის გავრცელება არცთუ ადვილი იყო და ქრისტიანი ხალხები არ დათმობდნენ თავიანთ სარწმუნოებას, შეცვალა სარწმუნოებრივი პოლიტიკა. იმ მიზნით, რათა მის იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანები ბიზანტიური გავლენის ქვეშ არ ყოფილიყვნენ, სპარსეთმა ინება, რომ ისინი მოქცეულიყვნენ ირანოფილურად განწყობილი ქრისტიანული ეკლესიების გავლენისა და კონტროლის სფეროში. ასეთები იყვნენ ანტიბიზანტიურად განწყობილი სირიული და სპარსული ეკლესიები. „მის შემდეგ, რაც დაეცა სომეხ მეფეთა ტახტი (428 წ.), სომხეთში სპარსთა ხელისუფლებამ ფეხი მტკიცედ მოიკიდა, ბიზანტიის იმპერიისადმი დაპირისპირებული ირანის შაჰის კარი იმ ხანებში მხარს უჭერდა სირიული კულტურის გავლენის გავრცელებას ბერძნულის საწინააღმდეგოდ, სირიულ კულტურას სომხეთში, ისედაც ღრმად ჰქონდა ფესვები გამდგარი და მთავრობის მფარველობის პირობებში მას კიდევ უფრო გაეშალა ფრთები“.[6] სპარსელნი სირიულ ქრისტიანობას მფარველობდნენ ბიზანტიელთა საპირისპიროდ. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის სირიული ქრისტიანობის ცენტრი ანტიოქია იყო. V საუკუნის შემდეგ, კი სირიული ეკლესია ორად გაიყო: დასავლეთი სირიული ეკლესია, რომელიც სირია ლიბანს მოიცავდა, და აღმოსავლეთი სირიული ეკლესია, რომელიც ჩრდილო მესოპოტამიას და ირანს მოიცავდა.[7]

სპარსეთის (ქალდეური) ქრისტიანები (მოგვიანებით ნესტორიანები) ოდესღაც თავის თავს ნესტორიანებს არ უწოდებდნენ. ეს სახელი მათ უწოდეს ბერძნებმა და მონოფიზიტებმა. მოხერხებული ეროვნული ბაზა ბერძნული ეკლესიისაგან განშორებისათვის სირიულენოვანი ერეტიკოსებისათვის იყო სპარსეთი. მათი განმანათლებელი იყო სასაზღვრო ედესის სკოლა.

სპარსეთის ქრისტიანებმა 410 წლის კრებაზე გამოაცხადეს თავიანთი ავტოკეფალია თავისი კათალიკოსის მეთაურობით. ადრე ისინი ცდილობდნენ ანტიოქიის გათავისუფლებას ბერძენი პატრიარქისაგან. 423 წლის კრებამ აუკრძალა ამ ეკლესიის წევრებს ყოველგვარი კავშირი ანტიოქიის პატრიარქთან“[8] (ისინი ანტიოქიის მართლმადიდებლურ ეკლესიას „მელქიტურს“ უწოდებდნენ, რაც ქართულად „სამეფოს“ ნიშნავს).

სირიული ეკლესიის (რომელიც შემდეგ იაკობიტებად და ნესტორიანებად გაიყო) ცენტრი ანტიოქია იყო. ანტიოქიაში უამრავი ქრისტიანული სარწმუნოებრივი მიმართულება არსებობდა. V საუკუნეში ანტიოქიის ეკლესია დაყოფილი იყო მრავალ იურისდიქციად. IV საუკუნის ბოლოს, ა. კარტაშევის თანახმად, კიდევ ახალი იურისდიქცია წარმოქმნილა: „ანტიოქია ამ დროს უკვე დაყოფილი იყო სამ იურისდიქციად, ახლა წარმოიქმნა მეოთხე. აქ არსებობდა: 1. მელეტის იურისდიქცია. 2. ევზოის იურისდიქცია (არიანულის მაგვარი). 3. პავლინის იურისდიქცია. 4. აპოლინარის (375 წლისათვის) იურისდიქცია“.[9]

ასე რომ, V საუკუნისათვის ქრისტიანობაში არსებობდა სპარსოფილური ფრთა, რომელიც მკვეთრად გამოხატული ანტიბერძნული მიმართულებისა იყო. თვით სპარსეთშიც კი ავტოკეფალური ეკლესია არსებობდა, რომელსაც კათალიკოსი მართავდა. თუ V საუკუნის დასაწყისში სპარსოფილური იყო სირიისა და სპარსეთის

ეკლესიები, ამ საუკუნის ბოლოსთვის სომხეთის ეკლესიაც ძირითადად სპარსოფილური და სპარსეთის სახელმწიფოსთვის მისაღები ეკლესია იყო.

ცხადია, ასეთი მდგომარეობა გავლენას მოახდენდა სპარსეთის გავლენის სფეროში არსებულ საქართველოს საზოგადოებაზე. საქართველოში V საუკუნისათვის უთუოდ არსებობდნენ როგორც ბერძნული (ელინოფილური), ასევე სპარსოფილური ქრისტიანული საეკლესიო დაჯგუფებანი. სწორედ ამიტომ საქართველოს მეფე საგანგებო და ძალზე დაძაბულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. როგორც აღვნიშნეთ, სპარსეთის სურვილი იყო საერთოდ მოესპო ქართული სახელმწიფოებრიობა, ამიტომაც მთავრებსა და დიდ აზნაურებს ხელს უწყობდა ამაში. გარდა ამისა, ქვეყანაში არსებული სპარსოფილური საეკლესიო წრეები, სპარსთაგან დახმარების მოიმედენი, ალბათ, სწორედ სპარსეთის პოლიტიკის განხორციელებისათვის ზრუნავდნენ. თავის მხრივ, ბიზანტიაც აქტიურად ერეოდა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და დაუსჯელად არ ტოვებდა სპარსოფილების გავლენის გაფართოებას. მაგალითად, როცა მეფე ვარაზ-ბაქარის დროს ბიზანტიამ მიიტაცა კლარჯეთი და ვახტანგის დროს ეგრისის ნაწილი, ქართველები ამბობდნენ: „...არა კეთილად ვიპყართ სჯული ქრისტესი და წესი იოვანეს მცნებისა, სამართლად მოაწია ღმერთმან ჩუენ ზედა ესე რისხვა, რამეთუ მიგუცნა ჩუენ წარტყუენვად უცხოთა ნათესავთა და მიგვეღო ჩუენ საზღვარი ბერძენთაგან, ვითარცა მიუღო ვარაზ-ბაქარს მეფესა კლარჯეთი და იგი ცოდვითა ვარაზ-ბაქარისითა მოიწია, რამეთუ ვერ კეთილად ეპყრა სჯული ქრისტესი“.[10]

ქართველი მეფეები, „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ერთდროულად ან ორივე დამპყრობელს – სპარსეთსა და საბერძნეთს – ებრძოდნენ, ანდა ბრძნულად იყენებდნენ წინააღმდეგობას ამ სახელმწიფოთა შორის და ხან ბერძნებს ებრძოდნენ სპარსელთა ძალით, ხან კი სპარსელებს ბერძენთა ძალით.

398-400 წლებში მეფობდა ფარსმანი. „მეფეთა ამბავის“ თანახმად, ფარსმანს ხარკის გადახდაც კი შეუწყვეტია ირანელებისათვის, მეორე მხრივ, თითქოსდა ბიზანტიელებსაც ებრძოდა.[11]

შემდგომი მეფე მირდატი „მტერ ექმნა ბერძენთა და სპარსთა. ბერძენთაგან ეძიებდა კლარჯეთს, საზღვარსა ქართლისასა, ხოლო სპარსთა არა მისცემდა ხარკსა“.[12] სპარსელებმა ის დაამარცხეს.

V საუკუნის 20-იან წლებში გამეფდა არჩილი. ჯუანშერის თანახმად, ამ არჩილმა „მოირთო ძალი საბერძნეთით და წარძღუანებითა ჯუარისათა იწყო ბრძოლად სპარსთა“. ცეცხლის მსახურნი განუდევნია, ეკლესიები მოუკაზმია, სინამდვილეში კი, ნ. ჯანაშიას აზრით, ქართლი ამ დროს ირანს ემორჩილებოდა.

V საუკუნის 40-იანი წლებიდან ირანმა დაიწყო ახალი, მეტად აქტიური და აგრესიული პოლიტიკის გატარება, რომლის მიზანი იყო მოესპო ქართლის შინაგანი დამოუკიდებლობა და გადაექცია ის (და ამიერკავკასია) ირანის პროვინციად.

ირანელებმა გადაწყვიტეს ქართლის (და ამიერკავკასიის) იზოლაცია არაირანული (ბერძნულ-რომაული) სამყაროსაგან.[13]

„საინტერესოა, რომ ირანელებს კავშირის გაბმა მოუხერხებიათ ქრისტიანულ ეკლესიასთანაც კი, რომელსაც ისინი საერთოდ ებრძოდნენ. ამას უადვილებდათ ის

გარემოება, რომ ამ დროს ქრისტიანულ ეკლესიაში უამრავი სხვადასხვა მიმდინარეობა არსებობდა, რომლებიც ერთმანეთის მიმართ უაღრესად მტრულად იყვნენ განწყობილნი. ორთოდოქსალურ ეკლესიას კონსტანტინოპოლი მფარველობდა, მაგრამ მას უძლიერესი ოპოზიცია ჰყავდა ძირითადად აღმოსავლეთში. ირანელები მხარს უჭერდნენ ოპოზიციონერებს, რომლებსაც ორთოდოქსებისა და მაშასადამე, მათ უკან მდგომი სახელმწიფოს წინააღმდეგ იყენებდნენ.[14]

„ამ პერიოდში ქართლსა და ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებში მიმდინარეობს ფეოდალიზაციის პროცესი, რომელიც გულისხმობს გააფთრებულ ბრძოლას ცენტრალურ ხელისუფლებასა (მეფეს) და ცენტრიდანულ ძალებს (ფეოდალებს) შორის. ფეოდალთა მიზანი იყო მემკვიდრეობით დაემტკიცებინათ ის მიწები და თანამდებობები, რომლებიც მათ ეჭირათ. ამასთან, ისინი ცდილობდნენ მაქსიმალურად შეეზღუდათ მეფის უფლებები მათ ხელქვეით არსებულ მიწებზე. მეფე კი იმისთვის იბრძოდა, რომ თავისი გამგებლობიდან არ გაეშვა ეს მიწები, სრული ძალაუფლება შეენარჩუნებინა მთელი სამეფოს მიწა-წყალზე და ყოველ თანამდებობაზე დანიშვნა მხოლოდ მისი სურვილით მომხდარიყო. ირანელები იყენებდნენ ამ წინააღმდეგობას და ფეოდალებს ჰპირდებოდნენ მათთვის სასურველი პრივილეგიების დამტკიცებას. ყოველივე ზემოაღნიშნული საშუალებას აძლევდა ირანელებს ამიერკავკასიის ქვეყნების საეკლესიო ცხოვრებაშიც ჩარეულიყვნენ. პირველწყაროებში კარგად არის ასახული, თუ როგორ ერეოდნენ ისინი სომხური ეკლესიის საქმეებში (მაგალითად, V საუკუნის 20-იანი წლებიდან სომხეთის ეკლესიის მეთაურს, კათალიკოსს შაჰი ნიშნავდა თავისი სურვილის მიხედვით). ჩანს, ირანელებს ქართლშიც დაუმყარებიათ კავშირი გარკვეულ საეკლესიო წრეებთან. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანის ცნობა,რომლის თანახმადაც,არჩილის ძის, მირდატის დროს ქართლის მთავარეპისკოპოსი გლონოქორი „ერისთვადცა“ იყო ბარაზბოდ პიტიახშისაგან ქართლს და ჰერეთს“.[15] ბუნებრივი იქნებოდა, რომ გლონოქორისთვის ირანელებს დაეკისრებინათ არა მარტო ერისთავობა, არამედ რომელიმე სხვა მნიშვნელოვანი საერო ფუნქცია. მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ სწორედ ამ პერიოდში ირანელების მიერ დანიშნული სომხეთის კათალიკოსები ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ ირანელებისათვის ხარკის აკრეფაში. ასეა, თუ ისე, როგორც ნ. ჯანაშია აღნიშნავს, „ირანელების მიერ ქართლის ეკლესიასთან კავშირის გაბმა არსებითად ნიშნავდა ადგილობრივი აზნაურების გარკვეულ ფენასთან კავშირის დამყარებას“.[16]

„როცა ზოგი აზნაური გამდიდრდა და გაძლიერდა, მას უკვე მეფის მორჩილება აღარ სურდა. გარდა ამისა, აზნაურებს მეფისგან მამულები ჰქონდათ მიღებული სამსახურის პირობით. მეფე ამ მამულებს თავის საკუთრებად თვლიდა. აზნაურებს კი მათი დათმობა ენანებოდათ და საბოლოოდ მიჩემება სურდათ. გაჩაღდა ბრძოლა მეფესა და დიდ აზნაურ-მთავრებს შორის. ამით ისარგებლეს სპარსელებმა, მეფის უკმაყოფილო აზნაურებთან კავშირი გააბეს და ისინი თავის მხარეზე გადაიბირეს“.[17] ქართული ეკლესია V საუკუნეში უდიდეს მიწისმფლობელად გადაიქცა და ისეთივე ინტერესები გაუჩნდა, როგორც სხვა მიწისმფლობელებს, ეს ჩანს როგორც „ქართლის ცხოვრებიდან“, ისე „მოქცევაჲ ქართლისაჲდან“.

„ეპისკოპოსებად ამ დროს უკვე წარჩინებულებს, აზნაურებს ვხედავთ. ამ ეპისკოპოსებს ახლა თავისი მეფე ისევე მოძულებული ჰყავდათ, როგორც მთავრებსა და სხვა დიდ აზნაურებს. ეკლესიას V საუკუნეში უკვე დიდი მამულები ჰქონდა. ამ მამულების გამო ქართლის მეფესა და სამღვდელოებას შორის ისეთივე ბრძოლა გაჩაღდა, როგორიც მეფესა და სხვა დიდ აზნაურებს შორის იყო. ამიტომ დაუახლოვდა ერთმანეთს სპარსელები და ქართლის სამღვდელოება. თანდათან ქართლის მთავარეპისკოპოსი და ეპისკოპოსების უმრავლესობა სპარსელების მხარეს გადავიდა ისევე, როგორც მეზობელ სომხეთში. სამაგიეროდ სპარსელები თავის მომხრე ეპისკოპოსებს უხვად აჯილდოებდნენ. იყო ისეთი შემთხვევაც, როცა ქართლის მთავარეპისკოპოსი ერისთავადაც კი იყო დანიშნული სპარსელების მიერ. ასე დაიწყო ქართლის მთავრებისა და ეპისკოპოსების ბრძოლა სპარსელებთან ხელიხელ ჩაკიდებით ქართლის მეფის წინააღმდეგ“.[18]

„ქართლის ცხოვრებისა“ და სხვა წყაროებში გადმოცემული მიქაელ მთავარეპისკოპოსისა და ვახტანგ მეფის ბრძოლა უთუოდ ადასტურებს ს. ჯანაშიასა და ნ. ჯანაშიას ზემოთ მოყვანილ თვალსაზრისს. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ვახტანგ გორგასალი პირდაპირ ეუბნება მიქაელს, რომ მას საეკლესიო სიმდიდრე აქვს დაგროვილი და ამ სიმდიდრის დაკარგვისა ეშინია, – „ვეცხლისმოყუარე ხარ შენ, რამეთუ შენცა მეგუადრუცე ხარ ქრისტესი“.[19]

„მეგუადრუცე“ ნიშნავს მოლარეს, სიმდიდრის დამგროვებელსა და შემნახველს. სწორედ ამ დაგროვილი სიმდიდრის დაკარგვის ეშინოდა მიქაელს. უმთავრეს სიმდიდრედ იმ დროს მიწა ითვლებოდა. მიწა აზნაურებსა და სხვა ფეოდალებს, როგორც აღნიშნული იყო, მეფისგან ჰქონდათ მიღებული. მიწის საბოლოოდ მისაკუთრების სურვილი იყო მიზეზი მეფესა და აზნაურთა შორის გაჩაღებული ომისა. სომხეთში 428 წელს ადგილობრივი ფეოდალების შემწეობით სპარსელებმა მეფობა გააუქმეს. ასევე მომხდარა ქართლშიც VI საუკუნის დასაწყისში. აქაც დიდმა აზნაურებმა სპარსელთა დახმარებით მეფობა გააუქმეს. ქართული მატიანე აღნიშნავს კიდეც ამას: „ხოლო ვინაჲთგან მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისათა, მით ჟამითგან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა ვიდრე ამათადმდე, არამედ დაესრულა უფლება ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათგან“.[20] სპარსმა ხელისუფალმა ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ. „...უწყო ზრახვად ერისთავთა ქართლისათა: აღუთქუა კეთილი დიდი და დაუწერა საერისთაოთა მათთა მამულობა შვილითი-შვილამდე, და ესრეთ წარიბირნა ლიქნითა და განდგეს ერისთავნი და თჳს-თჳსად ხარკსა მისცემდეს ქასრე ამბარვეზსა“.[21]

არა მარტო სპარსელები ემხრობოდნენ ქართველ დიდაზნაურ-ერისთავებს ქართველ მეფეთა წინააღმდეგ ომში, არამედ ბერძნებიც. ისინი ერისთავებს სახელოებს და მამულებს უტოვებდნენ მემკვიდრეობის უფლებით, მაშინ როცა ქართველ მეფეთა დროს მათ თანამდებობები და მიწები სამსახურის პირობით ჰქონდათ მიცემული და თანამდებობიდან გადაყენების დროს მიწებსაც კარგავდნენ. ახლა კი მათი თანამდებობა მემკვიდრეობით შვილებსა და შვილიშვილებს გადაეცემოდა:

„ესრეთ რა უცალო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქვემონი, და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა

მეფისა და ითხოვეს, რათა ...იყვნენ ერისთავნი იგი თჳს-თჳსსა საერისთაოსა შეუცვალებელად“.[22]

თუ აქამდე, ქართველ მეფეთა დროს, ქართული ეკლესიის მეთაური მეფის მიერ „ისმებოდა“ და კათალიკოსის სიკვდილის შემდეგ მის ადგილს სულ სხვა გვარის ადამიანი იჭერდა, ამის შემდეგ კათალიკოსის თანამდებობაც მემკვიდრეობითი გახდა. მცხეთაში VI საუკუნეში ორ ოჯახს კათალიკოსის თანამდებობა მემკვიდრეობით მიუღია და კათალიკოსობას ამ ოჯახის წევრები იღებდნენ. ამის შესახებ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ წერს: – შემდგომად მეფობდა ფარსმან სხუა და კათალიკოზი იყო დასაბია. მკჳდრი მცხეთელი. და აქაჲთგან ორთა სახლთა აღიღეს კათალიკოზობა მცხეთელთა მკჳდრთა“.[23]

როგორც ჩანს, ზემომოყვანილი გვაძლევს უფლებას ითქვას, რომ ეკლესია იყო მდიდარი მიწისმფლობელი, რომლის მეთაურებსაც ერისთავ-აზნაურთა მსგავსად სურდათ (და მიაღწიეს კიდეც) მიეღოთ მემკვიდრეობითი თანამდებობები. გააფთრებული ბრძოლები ცენტრალურ ხელისუფლებასა (მეფესა) და ცენტრიდანულ ძალებს (ფეოდალებს) შორის, რომელიც მიმდინარეობდა V საუკუნის მანძილზე, დამთავრდა ცენტრალური ხელისუფლების დამარცხებითა და მეფობის მოსპობით.

უთუოდ, ზემოაღნიშნული იყო მიზეზი ვახტანგ გორგასლისა და მიქაელ მთავარეპისკოპოსის შებრძოლებისა და არა სარწმუნოებრივი განსხვავება. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ ვახტანგ მეფე მონოფიზიტი იყო, ხოლო მიქაელი ქალკედონიტი, რის გამოც კონფლიქტურ ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. ეს სწორი არ უნდა იყოს, ვახტანგ გორგასალი მონოფიზიტი არ ყოფილა. ის იყო ქალკედონიტი მართლმადიდებელი, ისე როგორც მიქაელ მთავარეპისკოპოსი. არც საპირისპირო აზრია სწორი – მიქაელი მონოფიზიტი არ ყოფილა, არამედ სამაგალითო ქალკედონიტი იყო.[24] მეფესა და მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტი არსებობდა სწორედ ზემოაღწერილი წინააღმდეგობის გამო ცენტრალურ ხელისუფლებასა და აზნაურ ერისთავ-ფეოდალებს შორის.

იქამდე, ნახევარი საუკუნით ადრე, V საუკუნის ორმოციანი წლების დასაწყისში შაჰმა იეზდიგერდ II-მ (438-457) თავის ქვეშევრდომ ქვეყნებს, მათ შორის ქართლსაც, უბრძანა ცხენოსანი ჯარი გაეგზავნათ შუა აზიაში, სადაც ირანელები ქუშანებს ებრძოდნენ.

შაჰის ბრძანებით ამიერკავკასიაში ჩატარდა აღწერა: გადამხდელთა კატეგორიაში ირანელებმა ახლა ქრისტიანული ეკლესიაც შეიყვანეს. ამჯერად ირანელებმა გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადეს ქრისტიანულ ეკლესიასაც. ამიერკავკასიისა და ბიზანტიის რელიგიის ერთიანობა მიუღებელი იყო ირანისთვის. შაჰი შეეცადა მაზდეანობა გაევრცელებინა. მან სომხეთში გააგზავნა ბრძანება მაზდეანობის მიღების მოთხოვნით. სომხებმა უარი შეუთვალეს. მაშინ შაჰმა ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის თავკაცები სასწრაფოდ თავისთან დაიბარა. V ს-ის სომეხი ისტორიკოსის ლაზარ ფარპეცის სიტყვით, „ქართველთა ქვეყნიდან (წავიდნენ) ბდეშხი არშუშა და ქვეყნის სხვა ტანუტერები“.[25] ჩასულებს შაჰმა კატეგორიულად მოსთხოვა მაზდეანობის მიღება. სხვა გამოსავალი რომ არ ჩანდა, სამივე ქვეყნის

თავკაცებმა გადაწყვიტეს დათანხმებულიყვნენ შაჰის მოთხოვნას, მაგრამ სამშობლოში დაბრუნებისთანავე ისევ ქრისტიანობა მიეღოთ, რაზედაც ფიცი მისცეს ერთმანეთს... როგორც ეტყობა, შაჰს ეჭვი შეეპარვია მათ გულწრფელობაში. ქართლის პიტიახში არშუშა და სომხეთის მარზპანის ვასაკ სიუნის ორი ვაჟი მას თავისთან დაუტოვებია. ამიერკავკასიელ დიდებულებს ირანელებმა თან გამოაყოლეს მოგვები, რომელთაც უნდა დაეხურათ ეკლესიები, აღმოეფხვრათ ქრისტიანობა. მხოლოდ სომხებს 700-ზე მეტი მოგვი მიჰყვებოდა. სომხეთში მოგვების მოქმედებამ „გამოიწვია საერთო-სახალხო აჯანყება ირანელების წინააღმდეგ (450 წ.). მალე აჯანყება მოედო ალბანეთსაც. 451 წელს ირანელებმა შეძლეს მისი ჩახშობა... ირანელები მაინც იძულებული გახდნენ აჯანყებულთა წინაშე რიგ დათმობებზე წასულიყვნენ... ირანელებმა უარი თქვეს ამიერკავკასიის ხალხთა ასიმილაციის პოლიტიკაზე, აღადგინეს სარწმუნოებრივი თავისუფლება, შეამსუბუქეს სამხედრო ბეგარა და გადასახადები... მიუხედავად იმისა, რომ ქართლს აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია, აჯანყებას გავლენა უნდა მოეხდინა ირანის პოლიტიკაზე ქართლის მიმართაც“.[26]

უთუოდ ამის შედეგი იყო, რომ ქართველებმა ამის შემდეგ გაბედეს და ქართული ეკლესიის მეთაურად საბერძნეთიდან ჩამოიყვანეს მღვდელი და ის მთავარეპისკოპოსად დასვეს. ვახტანგ გორგასლის დედამ საგდუხტმა „მოიყვანა მღდელი ჭეშმარიტი საბერძნეთით, სახელით მიქაელ და დაადგინა იგი ეპისკოპოსად ზემოსა ეკლესიასა“.[27]

451 წლის აჯანყებამდე (რომლის შემდეგაც სპარსეთი ეკლესიებისა და ქრისტიანობის მიმართ დამთმობი გახდა) შეუძლებელი იყო საბერძნეთიდან მოწვეულ პრობერძნული ორიენტაციის პირს ეკლესია ემართა. მართლაც, 436-448 წლებში ქართულ ეკლესიას მართავდა პროირანელი, სპარსოფილი მობიდანი, რომელსაც ჩვენი მემატიანე „ნათესავით სპარსს“ უწოდებს. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანახმად კი, ვახტანგ გორგასლის მამის, მირდატის დროს, V საუკუნის 40-იან წლებში, ქართული ეკლესიის მეთაური იყო სპარსოფილი, სპარსთა მიერ ქართლ-ალბანეთის ერისთავად დანიშნული გლონოქორი.

სომხეთ-ალბანეთის აჯანყების შემდეგ სპარსეთმა ეკლესიის მიმართ პოლიტიკა შეარბილა. ამან კი შესაძლებელი გახადა პრობერძნული ორიენტაციის მიქაელი დაეყენებინათ ქართული ეკლესიის სათავეში.

463 წელს ირანელებმა დაამარცხეს ალბანელები და მეფობა გააუქმეს ალბანეთში. ირანის შაჰის პეროზის (459-484) დროს ირანს ომი ჰქონდა შუა აზიაში. აქ პეროზი დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა. გათავისუფლება მან შეძლო უზარმაზარი გამოსასყიდის გადახდით. 60-იანი წლების შუა ხანებში კავკასიონის ქედი გადმოლახეს ჰუნებმა, დაარბიეს ქართლი და სომხეთი. ჯუანშერი მათ ოსებს უწოდებს, რომელთაც მოაოხრეს ქართლი და მოიტაცეს ვახტანგ მეფის და მირანდუხტი. ვახტანგს მდგომარეობა გართულებული ჰქონდა ქვეყნის შიგნით, ირანელთა გამთიშველი პოლიტიკის წყალობით ზოგიერთი უმაღლესი დიდებული სრულებით არ ეპუებოდა მეფეს,[28] მაგალითად, ვარსქენ პიტიახში. ირანელები ხელს უწყობდნენ ბრძოლას თვით სამეფო სახლშიც. სამეფო სახლის ორი შტო – ბაქარისა და

რევის შთამომავლები ერთმანეთს ებრძოდნენ. ვახტანგი ბაქარ მირიანის ძის შტოს ეკუთვნოდა. ვახტანგს მნიშვნელოვანი ოპოზიცია ჰყოლია ეკლესიაში. „...ამ პერიოდში მრავლდება სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობა და სექტა. ბრძოლა მათ შორის შეურიგებელი იყო. გაბატონებული იყვნენ დიოფიზიტები, რომელთა მთავარ მოწინააღმდეგედ მონოფიზიტები გამოდიოდნენ. ქართლში გავრცელება მიუღია ნესტორიანობასაც, რომელსაც ამ პერიოდში მხარს უჭერდნენ ირანელები“.[29]

ს. ჯანაშია წერს: – „რაკი ქრისტიანობის მოსპობა და მაზდეანობის საყოველთაოდ გავრცელება სპარსელებმა ვერ მოახერხეს, მათ პოლიტიკა გამოცვალეს. ამ დროს ქრისტიანები სხვადასხვა მიმართულებად იყვნენ დაყოფილნი, რომელნიც ერთმანეთს ებრძოდნენ. ეს ბრძოლა საზოგადოებრივსა და ეროვნულ ნიადაგზე იყო წარმომდგარი, მაგრამ გარეგნულად იგი სარწმუნოებრივი საკითხების გარშემო წარმოებდა. საბოლოოდ რომის სახელმწიფოში დიოფიზიტობამ გაიმარჯვა. დიოფიზიტობას მხარს უჭერდა რომის მთავრობა.

ამ გარემოებას ჩაებღაუჭა ახლა სპარსეთის მთავრობა, რომელსაც უნდოდა ესარგებლა ქრისტიანების შინაური შფოთითა და ბრძოლით თავისი საკუთარი ინტერესებისათვის. ახლა სპარსეთის მთავრობა მხარს უჭერდა ისეთ ქრისტიანობას, რომელსაც ებრძოდა სპარსეთის მტერი – რომის მთავრობა. თუ ქრისტიანობის დათმობა არ გსურთ, მაშინ ისეთი ქრისტიანობა მაინც უნდა მიიღოთ, რომელიც რომის მეფის სარწმუნოებისაგან განსხვავდებაო – ასე მოითხოვდა ახლა სპარსეთის შაჰი თავისი ქრისტიანი ქვეშევრდომებისაგან... ამ ხერხით სპარსელებმა თავის მხარეზე გადაიყვანეს უმაღლესი სამღვდელოება და დიდი აზნაურები სომხეთში, ქართლსა და ალბანეთში. ეპისკოპოსებად ამ დროს უკვე წარჩინებულებს, აზნაურებს ვხედავთ. ამ ეპისკოპოსებს ახლა თავისი მეფე ისევე მოძულებული ჰყავდათ, როგორც მთავრებსა და სხვა დიდ აზნაურებს.[30] ჯუანშერის მიხედვით, ირანელებს ვახტანგი წაუყვანიათ საომრად შუა აზიაში და ინდოეთში, „ვახტანგის სპარსეთიდან დაბრუნება შეიძლება დაიდოს 60-იანი წლების ბოლოსათვის... ჩანს, სწორედ ამ დროიდან იწყება ვახტანგის ძირითადი საქმიანობა, რომლის მთავარი ხაზები იყო ბრძოლა სახელმწიფოს ცენტრალიზაციისა და ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. ეს ხაზები მჭიდროდ იყო გადახლართული ერთმანეთთან, რადგან ცენტრალური ძალები თავის ბრძოლაში მნიშვნელოვან წილად იყენებდნენ ირანელებს, რომელნიც თავის მხრივ ეყრდნობოდნენ ამ ძალებს. თავისი საქმიანობა ვახტანგმა, და სავსებით გონივრულადაც, დაიწყო ბრძოლით ქვეყნის შინაგანი სიმტკიცის შექმნისათვის. პირველი იერიში მან მიიტანა ეკლესიაზე, რომლის რეორგანიზაციაც დაუსახავს მიზნად“.[31]

ივ. ჯავახიშვილი წერს: „ის გარემოება, რომ დაკრულვა და ეკლესიიდან გაძევება ანუ, ალბათ, განკვეთა მეფის გარდა სპასაც ეწია, უეჭველია, იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ უთანხმოება მაშინ მარტო მეფის მოქმედების გამო კი არ უნდა იყოს ჩამოვარდნილი, არამედ სპას, ე. ი. მაღალ სამხედრო წრეს და რაინდობასაც ედებოდა ბრალი. მაშასადამე, ვახტანგ გორგასალის გეგმა და მოქმედება მარტო მისი პირადი განზრახვა არ უნდა ყოფილიყო, არამედ, როგორც ეტყობა, ამ მოწინავე სამხედრო წრისაც.

ამგვარად ირკვევა, რომ კათალიკოსების დაწესებასა და ახალ ეპისკოპოსთა დანიშვნასთან დაკავშირებულ უთანხმობაში ორ მოპირდაპირე ბანაკთან უნდა გვქონდეს საქმე. ერთი მხრით, ყოფილა ვახტანგი, „სპა“ და პეტრე და სამუელ ეპისკოპოზები დანარჩენი 12 საეპისკოპოზო პირითურთ, მეორე მხრით, მიქაელ მთავარეპისკოპოზი თავისი თანამოაზრეებითურთ.[32]

„ერთი კი ცხადია, ამდენი ეპისკოპოსის ერთად კურთხევა აშკარად მიგვითითებს იმაზე, რომ ვახტანგი ქართლის ეკლესიის რაღაც დიდ რეორგანიზაციას ისახავდა მიზნად. ამასთან, როგორც ირკვევა, ეს რეორგანიზაცია უფრო პოლიტიკური ხასიათისა უნდა ყოფილიყო, ვიდრე საეკლესიო.

კათალიკოსობის დაწესებით, სამეფო ხელისუფლება, უეჭველია, მეტ გავლენას იძენდა მღვდელმთავარზე, რომლის არჩევაში მეფეს მეტი ხმა ეძლეოდა. და ბოლოს, ვახტანგმა მოიცილა მთავარეპისკოპოსი, რომელიც, ეტყობა, მის მოწინააღმდეგეთა ბანაკს ეკუთვნოდა. ახლად დანიშნული ეპისკოპოსების სიმრავლე (თორმეტი ეპისკოპოსი) გვიჩვენებს, რომ ვახტანგმა, ერთი მხრივ, შეცვალა ზოგი ეპისკოპოსი, ცხადია, მიქაელის მომხრე და მეორე მხრივ, დააწესა ახალი საეპისკოპოსოები. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ახალხელდასხმულ ეპისკოპოსთაგან ხუთი კახეთ-ჰერეთ-კუხეთში უნდა მჯდარიყო. როგორც ირკვევა, ვახტანგი განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა თავისი დომენის, კახეთ-კუხეთ-ჰერეთის განმტკიცებას, რადგან სავსებით გასაგები მიზეზით, მას სურდა სრული ბატონ-პატრონი გამხდარიყო თავის ძირითად დასაყრდენ მიწა-წყალზე“.[33]

განსაკუთრებით საინტერესოა ნ. ჯანაშიას აზრი იმის შესახებ, რომ ქართულ ეკლესიაში კათალიკოსობის დაწესებამდე ყოფილა არა ერთადერთი საეპისკოპოსო, როგორც ამჟამად ფიქრობს ზოგიერთი ისტორიკოსი, არამედ მრავალი საეპისკოპოსო და უკვე არსებული საეპისკოპოსოს ზოგიერთი მეთაური ვახტანგს შეუცვლია კათალიკოსობის დაწესების დროს. ვახტანგმა შეცვალა მისი პოლიტიკის მოწინააღმდეგე ეპისკოპოსები. „ამავე მიზნით იქნებოდა ახალი ეპისკოპოსი დანიშნული რუსთავში. უნდა ვიფიქროთ, რომ მან შეცვალა ძველი, ვახტანგის მოწინააღმდეგე მღვდელმთავარი. მართლაც, აქ ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს სწორედ ეპისკოპოსის შეცვლასთან და არა საეპისკოპოსოს დაარსებასთან. შეუძლებელია, ასეთ დიდ საერისთავო ცენტრში, სამეფო საგვარეულოს ერთ-ერთი შტოს რეზიდენციაში, რუსთავში, მანამდე ეპისკოპოსი არ მჯდარიყო. ამ დროს ქართლში სულ ოცამდე საეპისკოპოსო ყოფილა: მცხეთის, სამთავისის, რუისის, ნიქოზის, წილკნის, თბილისის, მანგლისის, ბოლნისის, ცურტავის, ჭერემის, რუსთავის, ნინოწმინდის, ხორნაბუჯის, ბოდბის, ჩელთის, აწყვერის, წუნდის, ახიზის, ერუშეთის და სხვა“.[34]

მაშასადამე, ჯერ კიდევ კათალიკოსობის დაწესებამდე, ქართულ ეკლესიაში მრავალი საეპისკოპოსო ყოფილა. ამ თვალსაზრისის გამოთქმისას ნ. ჯანაშია ეყრდნობოდა ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ს. კაკაბაძის, კ. კეკელიძის, ზ. ალექსიძის შრომებს.[35]

„კათალიკოსობის დაწესების თარიღის შესახებ უნდა ითქვას, რომ 472 წელს „შუშანიკის წამებაში“ ჯერ კიდევ იხსენიება ეპისკოპოსთა თავი, მაგრამ უკვე 506

წლის საეკლესიო კრების საბუთებში ქართლის მღვდელმთავარს კათალიკოსი ეწოდება. წყაროების ერთმხრივი მოწმობით კათალიკოსობის დაწესება უშუალოდ მოჰყოლია ვახტანგის დაბრუნებას ირანიდან. ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს უნდა მომხდარიყო V საუკუნის 70-იან წლებში".[36] კათალიკოსობის დაწესებით ვახტანგმა ეკლესია დაუმორჩილა სახელმწიფოს. 482 წელს ვახტანგმა ომი დაიწყო სპარსელების წინააღმდეგ. 484 წელს ვახტანგმა ვარსქენი მოაკვლევინა და ამით თავიდან მოიშორა სპარსელების მომხრე აზნაურთა მეთაური. მანამდე კი ვახტანგმა ააშენა ახალი ქალაქები, ციხე-სიმაგრეები, გაამაგრა ისინი. ხელთ იგდო კავკასიონის გადასასვლელები და გაამაგრა. კავკასიის გადაღმა მცხოვრებ ჰუნებთან გამართა მოლაპარაკება და პირობაც მიიღო მათგან, რომ სპარსელებთან ომის დროს ჯარს მიაშველებდნენ. „ამ ამბავის გაგონებაზე სომხებს გაუხარდათ და იმედი მოეცათ, ქართველები და ჩვენ ერთად სპარსელებს როგორმე ვძლევთო. მაგრამ ერთმა სომეხმა ნახარარმა თავისი თანამოძმეები დააბეზღა და სპარსეთის მარზპანს მათი მოქმედების გეგმა შეატყობინა. ამის შემდეგ სპარსელები მზადებას შეუდგნენ".[37]

ირანელებმა ორი დიდი ლაშქარი გამოაგზავნეს. ქართველებს ჰუნების მაშველი ჯარი არ მოუვიდათ, ასევე სომხებიც. ვაჰან მამიკონიანის სიტყვით „...სომხებს შორის არ იყო ერთიანობა და მოსალოდნელი იყო ღალატი",[38] როგორც შემდგომში აღმოჩნდა, ვაჰანის შიში არ იყო მოკლებული რეალურ საფუძველს.[39]

„...მოღალატეებმა თავისი დანაპირები შეასრულეს, მიატოვეს ბრძოლის ველი, არევ-დარევა შეიტანეს მებრძოლთა რიგებში და ბოლოს, მთელი ლაშქარი შედრკა და გაიქცა. ირანელები დაედევნენ გაქცეულებს, ბევრი დახოცეს, ბევრიც ტყვედ ჩაიგდეს, მაგრამ თავისი გამარჯვება მაინც ვერ მიიყვანეს ბოლომდე..."[40]

ირანელთა სარდალს მოუვიდა ბრძანება, „ქართლის მეფე ვახტანგი ან შეეპყრა, ან მოეკლა, ანდა ქვეყნიდან განედევნა".[41] ირანელთა სარდალი შევიდა ქართლში, სადაც შეკრიბა ადგილობრივი დიდებულები, რომლებიც თავიდანვე მხარს არ უჭერდნენ ვახტანგს, მათ შეუერთდნენ ისინიც, ვინც გორგასალს შემდგომში განუდგნენ... ვახტანგმა თავი შეაფარა ეგრისს.

ამ დროს ირანიდან მოვიდა პეროზისა და ირანელთა ჯარის დაღუპვის ამბავი... ირანელები უაღრესად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ, ამან აიძულა ისინი მთელ რიგ მნიშვნელოვან დათმობაზე წასულიყვნენ... აჯანყებულ სომეხთა მოთხოვნით, ირანელებმა პირობა დადეს შეეწყვიტათ ქრისტიანობის დევნა, არ დაერღვიათ ადგილობრივი ტრადიციები... 485 წელს აჯანყებულთა მეთაური ვაჰან მამიკონიანი სომხეთის მარზპანად დანიშნეს. ირანელები ალბანელების მიმართაც წასულან დათმობაზე, კერძოდ, იქ მეფობა აღუდგენიათ".[42] სპარსეთმა შეწყვიტა ქრისტიანთა დევნა მთელ ამიერკავკასიაში. ქართველ მეფეთა ტახტი განმტკიცდა. თუნდაც ის, რომ ალბანეთშიც კი, სადაც მეფობა გაუქმებული იყო, მეფობა აღდგა, მიუთითებს ქართული სამეფო ტახტის განმტკიცებას.

ეს იყო ვახტანგ გორგასლის გამარჯვება. ვახტანგი, ცხადია, ამის შემდეგ შეებრძოლებოდა შინაურ მტრებს და გაიმარჯვებდა მათზეც. მას „სპა" ედგა მხარში.

ვახტანგმა შეძლო რეფორმების ჩატარება ეკლესიაში. შეცვალა და დანიშნა ახალი ეპისკოპოსები, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ ისაა, რომ ვახტანგმა შეძლო საქართველოს გაერთიანება.

დ. მუსხელიშვილი წერს:

„გორგასლის ეპოქის თანადროული ბიზანტიური და სომხური წყაროების ანალიზის საფუძველზე ჩვენ შევეცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ ლეონტი მროველის მოწმობა შეესაბამება სინამდვილეს და რომ ქართლის მეფემ ვახტანგ გორგასალმა ნამდვილად გააერთიანა დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო V საუკუნის 60-70-იან წლებში და ეგრისის ყოფილი მმართველი თავის ერისთავად გახადა... ჩვენ არ გამოვრიცხავთ შესაძლებლობას მსგავსი პოლიტიკური სიტუაციის არსებობისა ფარნავაზის დროს“.[43]

ვახტანგის დროს შესაძლებელი გახდა ქართველებს დაუბრკოლებლად ედიარებინათ ქრისტიანობა (სპარსელთაგან ამის გამო შიში აღარ ჰქონდათ) და საქართველოს დაუბრუნდა მტერთაგან მიტაცებული ნაწილები. ეს, ცხადია, ვახტანგს ხალხის უსაყვარლეს გმირად ხდიდა.

„საერთოდ, მერმინდელ ქართველ ისტორიკოსებს ვახტანგ გორგასლის მთელი ცხოვრება-მოღვაწეობა უმთავრესად ასეთი სარწმუნოებისა და ქრისტიანობისათვის წარმოებულ ბრძოლად აქვთ დასურათებული. თვით ვახტანგ გორგასლის სიკვდილსაც კი ჯუანშერი ქრისტიანობისათვის წამებად სთვლიდა. მისი სიტყვით, ქართველი „მორწმუნე ერი ჰნატრიდა მეფესა, რამეთუ ქრისტესთვის მოიკლაო“.[44] „არსენი კათალიკოზის სიტყვით, მეფე ვახტანგი მაღალი ტანის კაცი ყოფილა. მეფის სამხედრო იარაღი და სამოსელი, თურმე, არსენის დროსაც კი ინახებოდა. იგი ამბობს: ვახტანგ მეფე იყო „ჰასაკითა უმეტეს ყოველთა კაცთა, რამეთუ ათორმეტი ბრჭალი კაცისა იყო სიმაღლე მისი და აწცა რომელ არს აბჯარი და სამოსელი მისი, მისგან უფროს საცნაურ არს“ მეფის გოლიათური სიმაღლეო“.[45]

ვახტანგი გარდაიცვალა 502-506 წლებში. ს. გორგაძე ვახტანგის გარდაცვალებას 503 წელზე დებდა, მისივე თანახმად, ვახტანგი უნდა დაბადებულიყო 443 წელს. ივ. ჯავახიშვილი ვახტანგის გარდაცვალებას 502 წლის შემდგომით ათარიღებდა.[46]

ვახტანგ გორგასლის ცხოვრება [47]

მეფე მირდატის დატყვევების შემდეგ, სპარსელებმა დაიპყრეს საქართველო, შებილწეს ეკლესიები. ქართველებმა დამალეს ჯვრები და ყოველ ეკლესიაში ცეცხლისმსახურმა სპარსელებმა აღაგზნეს ცეცხლი.

ქართველ მეფეთა ოჯახი კახეთის ხევში დარჩა. სამი წლის შემდეგ აღმოსავლეთიდან მტრის შემოსევის გამო სპარსთა მეფემ საქართველოსათვის ვერ მოიცალა. მაშინ შეითქვნენ აზნაურები, დასვეს მცხეთაში მეფედ მეფე თრდატის ძე არჩილი, რომელიც მეფე მირდატის ძმისწული იყო. არჩილმა მოიყვანა ცოლი საბერძნეთიდან. მან განაცხადა სპარსთა მტრობა. გამოაჩინა ჯვრები და მოკაზმა ეკლესიები. მოსრეს და განასხეს ცეცხლმსახურნი საქართველოს საზღვრებიდან. მეფეს მოუვიდა მაშველი ძალა საბერძნეთიდან და ჯვრის წარძღვანებით დაიწყო

სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლა. სპარსთა მეფის ერისთავმა, რომელიც ერისთავობდა რანსა, მოვაკანსა და ქართლში არჩილის გამეფებამდე, შეკრიბა სპა რანისა, მოვაკანისა, ადარბადაგანისა და გაემართა არჩილის წინააღმდეგ. არჩილ მეფე დაუხვდა რანისა და ქართლის საზღვარზე – მდინარე ბერდრუჯზე. პატიოსანი ჯვრის ძალით დაამარცხა, დახოცა და დაატყვევა მტერი, შევიდა რანში და მოვიდა ქართლში გამარჯვებული. განავლინა ქადაგი სრულიად საქართველოში. აუწყა ყველას „არა ჩვენი ძალით, არც სიმხნით, არც სიბრძნით, არც სპის სიმრავლით ვძლიეთ მტერს, არამედ ჩვენი უფლის, ღვთის ძის, იესო ქრისტეს ძალით, რომელმაც მოგვცა წინამძღვრად და საჭურველად ჯვარი მისი პატიოსანი. ახლა ყოველმა ქართველმა ადიდეთ სამება ერთარსება, ღმერთი დაუსაბამო, ყოვლის დამბადებელი. შეწირეთ მადლობა და მტკიცე იყოს თქვენი გული წმიდა სამების სარწმუნოებაზე“. და ყოველთა ქართველთა შესწირეს მადლობა ღმრთის მიმართ და განაახლეს ეკლესიები. არჩილ მეფემ ააშენა მცხეთაში სტეფანწმიდის ეკლესია, არაგვის კარზე.

არჩილს ჰყავდა ძე, რომელსაც უწოდა მირდატი. მორწმუნე და ღვთისმსახური, მამის მსგავსად. უმეტესად ებრძოდა სპარსელებს, შედიოდა და აოხრებდა რანსა და მოვაკანს, რადგანაც იმ დროს სპარსთა მეფე ებრძოდა ინდოელებს, სინდებსა და აბაშებს და არ შეეძლო დიდი სპის საქართველოში გამოგზავნა, ხოლო რანის, მოვაკანისა და ადარბადაგანის სპას ქართველები ამარცხებდნენ, შედიოდნენ და იპყრობდნენ რანსა და მოვაკანს.

იმ დროს რანის ერისთავი იყო ბარზაბოდი, ის წინააღმდეგობას ვერ უწევდა ქართველებს და ამაგრებდა ციხე-ქალაქებს, ხოლო რანში შესული ქართველები შებრძოლებისას მის ლაშქარს მუდამ ამარცხებდნენ.

ბარზაბოდს ჰყავდა ასული ქმნულკეთილი და მშვენიერი, რომელსაც ერქვა საგდუხტი. ეს ქალი შეუყვარდა მირდატს და ქალის სიყვარულისთვის ინება მშვიდობის ჩამოგდება რანსა და ქართლს შორის. მირდატს შერთეს საგდუხტი, ისინი სამშვილდის საერისთავოში ცხოვრობდნენ არჩილის მეფობის დროს. ამ საგდუხტ დედოფალმა გამოიკითხა ქრისტეს რჯული. მისმა ქმარმა მოჰგვარა სჯულის მცოდნე კაცები, უთარგმნეს საგდუხტს ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს სახარება და აუწყეს მას, რომ ჭეშმარიტი ღმერთი არის ქრისტე, რომელიც ჩვენი ხსნისათვის განკაცდა.

საგდუხტ დედოფალმა გულისხმა-ჰყო და იცნო ჭეშმარიტი რჯული, დატოვა ცეცხლისმსახურება, მოინათლა და შეიქნა მორწმუნე და აღაშენა სამშვილდის სიონი.

არჩილის დროს გარდაიცვალა სამი ეპისკოპოსი: იონა, გრიგოლი და ბასილი. ბასილის შემდგომ არჩილმა დასვა ეპისკოპოსი, რომელსაც ერქვა მობიდანი. ის იყო „ნათესავით“ სპარსელი, აჩვენებდა მართლმადიდებლობას, სინამდვილეში კი იყო ურჯულო მოგვი და შემშლელი წესთა. ვერ იგრძნო არჩილ მეფემ მისი ურჯულოება. მობიდანიც არ აცხადებდა თავის რჯულს, არამედ ფარულად წერდა საცდურ წიგნებს, რომელნიც შემდგომ დაწვა ჭეშმარიტმა ეპისკოპოსმა მიქაელმა, რომელიც განიკვეთა ვახტანგ მეფის მიმართ კადნიერი ქცევისთვის.

არჩილის შემდეგ გამეფდა მისი ძე მირდატი. დედოფალმა საგდუხტმა შვა ასული, უწოდეს სახელი ხუარანძე. ოთხი წლის შემდეგ შვა ძე და უწოდა მას სახელი სპარსულად ვარან-ხუასრო-თანგ, ხოლო ქართულად ვახტანგ. ვახტანგი აღსაზრდელად მოითხოვა დიდი ვედრებით სპასპეტმა საურმაგმა, მისცა მას მეფემ, რამეთუ წესი იყო, რომ მეფეთა შვილები წარჩინებულთა ოჯახებში უნდა აღზრდილიყვნენ. მეექვსე წელს საგდუხტმა შვა ასული, რომელსაც მირანდუხტი უწოდეს. მას კასპის სპასალარი ზრდიდა ქალაქ კასპში. ამის შემდეგ მეორე წელს მოკვდა მირდატ მეფე და დარჩა ვახტანგ შვიდი წლის ყრმა.

საგდუხტ დედოფალს შეეშინდა, რომ მამამის ბარზაბოდს შური არ ეძია თავისი ქვეყნის მოოხრებისთვის, ქართლში არ შემოჭრილიყო და არ წარეწყმიდა ქრისტეს რჯული. წავიდა ბარდავში, შეევედრა მამამისს, მუხლმოდრეკილმა, თავმოხდილმა და ძუძუებამოყრილმა ცრემლით ითხოვა შეწყალება. ევედრებოდა არ ეხსენებინა ნამოქმედარი ქმრისა და მამამთილისა, შეენდო რჯულის დატოვება, არ აეძულებინა ქრისტეს რჯულის დატოვება, რამეთუ იგი არის ჭეშმარიტი ღმერთი, და ევედრებოდა, რათა მისი შვილი თავის მამულში დაეტოვებინა და მისი მოურავი ყოფილიყო სპარსთა მეფის წინაშე.

მაშინ ბარზაბოდმა, გამზადებულმა ქართველთა ბოროტის ყოფისთვის, შეიწყალა თავისი ასული, აღასრულა ყოველი მისი თხოვნა, ხოლო რჯულისთვის ასე თქვა: „იძულებით არც ერთ ქართველს ქრისტეს რჯულს არ დავაგდებინებ, მაგრამ გავაგზავნი თქვენს ქალაქებში ცეცხლის მსახურებს და იყვნენ იქ ჩვენი რჯულის ეპისკოპოსები, რომელი ქართველიც თავისი ნებით აირჩევს ჩვენს რჯულს, მას ნუ დააბრკოლებთ“.

საგდუხტ დედოფალი შიშის გამო დაეთანხმა. მაშინ ბარზაბოდმა მცხეთაში გამოგზავნა ცეცხლისმსახურები და მათი ეპისკოპოსი ბინქარანი. ისინი დასხდნენ მოგვთას. ბარზაბოდის სიკვდილის შემდეგ, მის ნაცვლად სპარსთა მეფემ დაადგინა ვარაზ-ბაკური, ძმა საგდუხტ დედოფლისა. მეფემ გარდაცვლილი სპასპეტის, საურმაგის ნაცვლად დაადგინა სხვა სპასპეტი, რომელსაც ერქვა ჯუანშერი.

ბინქარან, ცეცხლის მსახურთა ეპისკოპოსი, ქართველებს ასწავლიდა თავის რჯულს. მან წარჩინებულთაგანი ვერავინ შეაცდინა, მაგრამ წვრილი ერიდან მრავალი მიაქცია ცეცხლისმსახურებაზე. და შეერია ქართლის წვრილ ერს ცეცხლმსახურება. ამისათვის მწუხარე იყო საგდუხტ დედოფალი. მაგრამ სპარსთა მძლავრობის

გამო ვერაფერს ბედავდა. მაშინ მოიყვანა საბერძნეთიდან ჭეშმარიტი მღვდელი, სახელად მიქაელი და დაადგინა იგი ზემო ეკლესიის ეპისკოპოსად. რამეთუ მობიდან ეპისკოპოსი გარდაცვლილი იყო. ეს მიქაელ ეპისკოპოსი წინაღუდგა ბინქარან მაცდურს და ყოველ ქართველს ასწავლიდა ჭეშმარიტ რჯულს. ამან თავის რჯულზე დააყენა ყოველი წარჩინებული ქართველი და ერის უმრავლესობაც. მაგრამ წვრილი ერის მცირე ნაწილი ცეცხლმსახურებაზე მიიქცა. მაშინ, როცა ვახტანგი ათი წლის გახდა, გადმოვიდა ოსების ურიცხვი სპა.[48] მათ მოტყვევნეს ქართლი მტკვრის თავიდან ხუნანამდე, მაგრამ ციხე-ქალაქები ვერ აიღეს, კასპის გარდა. ქალაქი კასპი შემუსრეს და სამი წლის მირანდუხტი, ვახტანგის და წაიყვანეს. ამ დროს დარჩათ წარუტყვევნელად ხევნი ქართლისანი: კახეთი, კლარჯეთი და ეგრისი. ჩავლეს რანი და მოვაკანი, ისიც წარტყვევნეს და დარუბანდის კარით დაბრუნდნენ ოსეთში.

იმ დროს შემოვიდნენ ბერძნები აფხაზეთიდან, რამეთუ ბერძნებს ეჭირათ ეგრისწყლის ქვემო ქვეყანა და დაიპყრეს ბერძნებმა ეგრისწყლიდან ვიდრე ციხე-გოჯამდე.

მაშინ შეიქნა გლოვა და წუხილი ყოველთა ქართველთა და იტყოდნენ: „განვამრავლეთ ცოდვა ღვთის მიმართ და არა კეთილად ვიპყარით სჯული ქრისტესი და წესი იოვანეს მცნებისა. სამართლიანად მოაწია ღმერთმა ეს რისხვა ჩვენზე, რამეთუ მიგვცა ჩვენ წარსატყვევნელად უცხო ერს და ჩვენი საზღვარი მიიტაცეს ბერძნებმა, ისე, როგორც მეფე ვარაზ-ბაქარის დროს კლარჯეთი. ის ვარაზ-ბაქარის ცოდვით მოიწია, რამეთუ კეთილად ვერ იპყრა ქრისტეს რჯული. ხოლო ეს არა ჩვენი მეფეების ცოდვისაგან იქმნა, არამედ ერის ცოდვისაგან, ახლა ჩვენი მეფე ყრმა არის და არა გვყავს წინამძღვარი, რომელიც ქრისტეს სასოებით და ჯვრის წინამძღოლობით წარგვიძღვებოდა წინ. მაგრამ უნდა ვიძიოთ ჩვენ შური პირველად ოსებზე და შემდგომ უნდა მოვიძიოთ ბერძენთაგან მიტაცებული ქართლის საზღვარი“.[49] ამას ამბობდა ყოველი ქართველი და იყვნენ დიდ მწუხარებაში.

ვახტანგი იზრდებოდა და სწავლობდა მიქაელ ეპისკოპოსისგან უფლის ყოველ მცნებას. სიყრმიდანვე შეიყვარა ქრისტეს რჯული, ქართლის ყოველ მეფეზე უფრო მეტად. მაგრამ წუხდა იმის გამო, რომ ქართლი დატყვევებული იყო ცეცხლმსახურების მიერ, ხოლო ქართლის საზღვრები კი მიტაცებული. მაგრამ სპარსთა მძლავრობის გამო ვერ აცხადებდა.

როცა ვახტანგი თხუთმეტი წლის გახდა, მოუხმო ქართლის ყველა წარჩინებულს. ყველანი შემოიკრიბნენ ქალაქში. მეფემ გაამზადა ერთი სახლი და დაჯდა მაღალ საყდარზე (ე.ი. ტახტზე), სპასპეტი ჯუანშერი და ორივე ეპისკოპოსი აგრეთვე საყდრებზე დასხდნენ, ხოლო სხვა ყოველი ერისთავი სელებზე დასხდნენ. ათასისთავები, ასისთავები და ერი ფეხზე იდგა.

მეფემ, ვითარცა მოხუცებულმა და ბრძენმა, და როგორც ფილოსოფოსთა შორის აღზრდილმა, წარმოთქვა სიტყვა. მოუწოდა ოსებზე შურისძიებისკენ. ეს რომ სპარსთა და ბერძენთა მეფეთაგან მოგვსვლოდა, მოვითმენდით, მაგრამ იმის მოთმენა, რაც ჩვენ მოგვაწიეს ოსებმა, არ შეიძლება, სიკვდილი სჯობს ჩვენთვისაო.

ჯუანშერ სპასპეტმა გრძელი სიტყვით მიმართა მეფეს და უთხრა, თუმცა სიბრძნით, ძალით, სიმხნით და აგებულებით სრულყოფილი ხარ, მაგრამ მხედროებისთვის არასრულწლოვანი ხარ. გამოარჩიე ერთი ვინმე ჩვენთაგანი სპის წინამძღვრად, ხოლო შენ იყავ შინ და განაგე მეფობა, შენ რომ ომის დროს იძლიო, ქვეყანა წარწყმდება, რადგანაც ქვეყანაზე შენი ნაცვალი სხვა არავინ არისო.

ვახტანგ მეფე არ დაეთანხმა და თვითვე ინება ჯარის წინამძღვრობა. შემოიკრიბა საქართველოს სპა — ასი ათასი მხედარი და სამოცი ათასი ქვეითი. გამოგზავნა აგრეთვე ვარაზბაკურმა თავისი სპა — თორმეტი ათასი მხედარი. შეუერთდნენ მას კავკასიელი მეფეები ორმოცდაათი ათასი მხედრით, და წარემართა ღვთის სახელით, განვლო დარიალანის კარი და, როცა შევიდა ოსეთში, იყო თექვსმეტი წლის.

ოსეთის მეფეებმა შეკრიბეს თავიანთი სპა, მიიღეს აგრეთვე ხაზარეთიდან ძალები და დახვდნენ ვახტანგს მდინარეზე, რომელიც დარიალანს გაივლის და ჩადის ოსეთის ველზე. ამ მდინარესაც არაგვი (თერგი) ჰქვია, რამეთუ ერთი მთიდან გამოდის ორივე: ქართლის არაგვი და ოსეთის არაგვი. ორივე ჯარმა მდინარის აქეთ და იქით დაიბანაკა. პირველ შვიდ დღეს მდინარეზე ერთმანეთს ბუმბერაზები ებრძოდნენ. იბრძოდა ერთი ხაზარი გოლიათი, სახელად თარხანი. მან ქართველი სახელგანთქმული მებრძოლი დაამარცხა, რომლის მსგავსი ჯარში არავინ იყო. მეორე დღეს თვით ვახტანგი გავიდა მის წინააღმდეგ. თარხანმა უთხრა, მე გოლიათებს და გამოცდილ გმირებს ვებრძვი და არა ყმაწვილებს, მაგრამ შენთვის თავს დავიმდაბლებო. მოკლა ის ვახტანგმა ოროლით. მეორე დღეს გამოვიდა საბრძოლველად ბაყათარ ოსი. გამოვლო მან მდინარე და ისრებს ესროდა ვახტანგს. მაგრამ ვახტანგი თავისი გონების სიმახვილით, თვალის სიფიცხითა და ტაიჭის სიკისკასით ირიდებდა ისრებს, რამეთუ შორიდანვე ხედავდა მომავალ ისარს, ხლდებოდა და სიმარჯვით მიეახლებოდა. ამიერ და იმიერ სპათაგან იყო ცემა ბუკებისა და დაფდაფებისა. იძროდა ხმისაგან მთა და ბორცვი. მოჰკლა ხმლით ვახტანგმა ბაყათარი.

ქართველთა ჯარი გაემზადა საომრად: წინ დადგნენ ცხენ-თოროსანი და ჯაჭვ-ჩაბალახოსანი მეომრები. მათ უკან ქვეითნი, ხოლო ქვეითთა უკან მხედრები. ძლიერი ბრძოლის შემდეგ ოსები იძლივნენ და გაიქცნენ. მრავალი დაატყვევეს.

დაიმორჩილა ვახტანგმა ოსები და ყივჩაღები[50] და შექმნა კარნი ოსეთისანი, რომელსაც ჩვენ დარიალისად ვუწოდებთ, აღაშენა მასზე მაღალნი გოდოლნი. და მახლობელი მთიელები მცველებად დაუდგინა. ყივჩაღებს და ოსებს იქ გადმოსვლა აღარ შეუძლიათ ქართველთა მეფის ბრძანების გარეშე.

ვახტანგი შევიდა პაჭანიკეთში, რამეთუ მაშინ პაჭანიკეთი ოსეთს ესაზღვრებოდა და იქვე იყო ჯიქეთი. მრავალი დროის შემდეგ პაჭანიკები და ჯიქები თურქებმა ამ ადგილებიდან განდევნეს. პაჭანიკები დასავლეთით წავიდნენ, ხოლო ჯიქები დამკვიდრდნენ აფხაზეთის ბოლოს. ვახტანგმა გამოიხსნა თავისი და მირანდუხტი ტყვეობისაგან და გამოგზავნა ის საქართველოში დარიალის გზით, ხოლო თვითონ ქართველთა დიდი სპით წავიდა აფხაზეთში. იმ დროს ბერძენთა მეფე მოუცლელი იყო სპარსელებთან ბრძოლის გამო, ამიტომაც არ შეეძლო ვახტანგის წინააღმდეგ აფხაზეთში თავისი სპის გამოგზავნა. ვახტანგმა აიღო აფხაზეთის ყველა ციხე სამ წელიწადში, ვიდრე ციხე-გოჯამდე.[51]

ვახტანგი დაბრუნდა სამეუფო ქალაქ მცხეთაში. ქალაქის მოსახლეობა, ქალები და კაცები, ფეხქვეშ უფენდნენ ნაჭრებსა და სამოსელს, თავზე აყრიდნენ დრამასა და დრაჰკანს, აღუწევნელი ხმით შეასხამდნენ ქებას, რამეთუ არც ერთ მეფეს ასეთი ძლიერი წყობა-შებრძოლების ხელოვნება არ ჰქონია.

გაუგზავნა ვახტანგმა სპარსთა მეფეს ძვირფასი ძღვენი ბინქარან ეპისკოპოსის ხელით და ითხოვა სპარსთა მეფისაგან ასული ცოლად, რომელსაც ერქვა ბალენდუხტი. სპარსთა მეფემ მისცა თავისი ასული და მზითვად სომხეთი და ყოველი კავკასიელი მეფე. მისწერა წიგნი ვახტანგს და მოუხმო ბერძენთა კეისრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

შეკრიბა ვახტანგმა თავისი და კავკასიელი მეფეების სპა — ორასი ათასი კაცი. შეუერთდა მას რანის ერისთავი, მისი დედის ძმა ვარაზ-ბაკური არდაბადაგანის, რანისა და მოვაკანის ორასი ათასი მხედრით.

იმ დროს ვახტანგი იყო ოცდაორი წლის, ყველა კაცზე მაღალი, სახით უმშვენიერესი, ძალით ძლიერი, ისეთი, რომ აღჭურვილი, ფეხით ირემს ეწეოდა და რქით იჭერდა და აგრეთვე შეჭურვილ ცხენს მხრებით აიღებდა და მცხეთიდან არმაზის ციხეში ადიოდა.

ვახტანგი და მისი დები იყვნენ შთამომავლები ბაქარ მირიანის ძისა. ხოლო მირიანი და გრიგოლი იყვნენ რევ მირიანის ძის შთამომავლები. მათ კუხეთი ჰქონდათ და რუსთავ-ქალაქში ცხოვრობდნენ, მაგრამ შემცირებულნი იყვნენ ერთმანეთის კვლით.

მირიან მეფიდან ვახტანგ მეფემდე გარდასული იყო თაობა რვა, ხოლო მეფენი ათნი. გასული იყო 157 წელიწადი, ხოლო ეპისკოპოსი ჭეშმარიტ წესზე მდგომი გარდაცვლილი იყო რვა, ხოლო სხვები წესის შემშლელები იყვნენ.

ვახტანგი გაემართა საბერძნეთისკენ. შევიდა სომხეთში, მას აქ შეუერთდნენ სომხეთის ერისთავები. ციხე-ქალაქი, რომელსაც კარნუ ქალაქი ეწოდება, ვერ აიღეს, რადგანაც სამი მაღალი ზღუდე ჰქონდა. დატოვა იქ საბრძოლველად მხედრობა და თვითონ შევიდა პონტოში. გზაზე სამი ქალაქი მოაოხრა: ანძორეთი, ეკელეცი და სტერი. შემოადგა ლაშქარი პონტოს ზღვისპირეთის დიდ ქალაქს და ლაშქარმა თითქმის კონსტანტინეს ქალაქამდე მიაღწია. სპარსელები ეკლესიის მსახურებს ჰკლავდნენ. ვახტანგ მეფემ ამცნო სომხების სპას, აგრეთვე სპარსელებს, არ მოეკლათ სამღვდელოება, არამედ დაეტყვევებინათ. ვახტანგმა წარმოთქვა სიტყვა და უთხრა მათ: როცა მირიან მეფე სპარსთ მეფეს შემოჰყვა აქ ბერძენთა წინააღმდეგ საომრად, ასევე უყოფდნენ მოწესეებსა და ეკლესიის მსახურებს, ამიტომაც დამარცხდნენ. იმ დროიდან ბერძნებმა ჩვენ, ქართველებს, წაგვართვეს მიწები პონტოს (შავი) ზღვის აღმოსავლეთით, და ერთმანეთს შეებრძოლნენ ანძიანძორში, სადაც ამჟამად არის საფლავი დიდი მოძღვრისა გრიგოლისა და აქედან უკუიქცნენ ჩვენი მეფეებიო.

ვახტანგმა სომხეთის სპას შეახსენა თავიანთი ეკლესიის ისტორია და ყველას მოუთხრო შინაარსი ნებროთის იმ წიგნისა, რომელიც დაფარულად ჰქონდათ ქართველ მეფეებს. ყველას უბრძანა, არაფერი ევნოთ ეკლესიებისა და ღვთისმსახურებისათვის. ვახტანგმა ამცნო ყველა დამალულ მოწესეს (სამღვდელოებს), გამოსულიყვნენ

სამალავიდან. ტყვეები გაათავისუფლა. გამოვიდნენ მღვდლები, დიაკვნები და მოწესე მონაზვნები სამალავებიდან. მათთან იყო ორი კაცი: პეტრე მღვდელი, გრიგოლ ღვთისმეტყველის ერთ-ერთი მოწაფე, რომელიც მის საფლავზე მღვდელობდა და სამოელ მონაზონი. ისინი წარუდგნენ ვახტანგს ტყვეთა და ეკლესიების განთავისუფლებისათვის მადლობის შესაწირად. ვახტანგმა პეტრე მღვდელი და სამოელ მონაზონი თავისთან დაიტოვა. უთხრა მას პეტრემ: „ეკლესიანი ხორცთანი უფრო მეტია ღვთის წინაშე, ვიდრე ქვის ეკლესიები. ქვის ეკლესიები როდესმე დაირღვევიან და ამავე ქვებით კვლავ აღაშენებენ, ხოლო ეკლესიანი ხორცთანი როცა დაირღვევიან, ვერავინ შეძლებს მათ განკურნებას, ვერც მკურნალი და ვერც მეფე, და შენ რამდენი მართალი კაცი დაგიცია! მე მსურს შენი აღდგინება, რათა არ იყო იმ კაცთა მსგავსი, რომელნიც მარჯვენით აგებენ, ხოლო მარცხენით არღვევენ და არც ისეთი, რომელნიც პირით აკურთხებენ და გულით სწყევლიან და აგინებენ. არამედ იყო როგორც კეთილხსენებული მეფეები, რომლებმაც დაიპყრეს სოფელი და არც სასუფეველს განშორებიან. მე მნებავს, რათა შენს მიერ აღგზნებული ეს ცეცხლი შენვე დაშრიტო და იყო მეგობარი კეისრისა, როგორც დღემდე იყავი სპარსელებისა. ბერძნები არიან ნათესავნი ღმრთისანი“.

მიუგო მეფემ: „მნებავს, რომ ამ ღამეს თქვენი ლოცვის ძალით მეჩვენოს ჩემი და კეისრის შეკრება და რომ ჩვენს შორის სიყვარულის დამყარებაზე უნდა იყოს მსჯელობა, რათა ვცნა მე, რომ ქრისტეს სურს ჩემთან შენი ამგვარი ლაპარაკი“.

პეტრემ ითხოვა დრო ლოცვისთვის და წავიდა.

მეფემ ილოცა და დაწვა. თვალის მირულვისას წარმოუდგა მას წმიდა ნინო და უთხრა: „ადექ, მეფევ, და მოკრძალებით წინ მიეგებე შენთან მომავალ ორ მეფეს — ზეცისას და ქვეყნისას“. მივიდა ვახტანგი და იხილა ორი ტახტი: ერთზე იჯდა ჭაბუკი გვირგვინოსანი საჭურვლით, მეორეზე მოხუცებული მჯდომარე სპეტაკი ზეწრით, მას თავზე ედგა არა ოქროს, არამედ ნათლის გვირგვინი და მის ფეხთით იჯდა ნინო. და ვახტანგის მარჯვენა ხელი ეჭირა პეტრე მღვდელს, ხოლო მარცხენა სამოელს. უთხრა სამოელმა: თაყვანი ეცი პირველად ზეცის დიდ მთავარს გრიგოლს. მივიდა და თაყვანი სცა და უთხრა გრიგოლმა: „ეს რა ბოროტება ჩაიდინე, კაცო, რამეთუ მოაოხრე ჩემი ბანაკი და მხეცებს შეაჭამე ჩემი საცხოვარი. უკეთუ არა ეგ ორნი, რომელნიც გვერდით გიდგანან და ეს სათნო დედაკაცი, რომელიც მარად იღვწვის მარიამთან ერთად თქვენთვის – შურს ვიგებდი შენიანებისგან, რომელნიც ცეცხლს სასოებენ და არა ყოველთა განმანათლებელ ბრწყინვალებას“. და გაუწოდა ხელი და ეამბორა ხელზე ვახტანგი. მან მოკიდა ხელი ნათლის გვირგვინს და ისეთივე გვირგვინი მისცა ვახტანგს და უთხრა: „დაადგი ეგ პეტრეს“. და აიღო პეტრემ თავის გვირგვინზე უდარესი გვირგვინი და დაადგა სამოელ მონაზონს.

უთხრა ნინომ ვახტანგს: „ახლა მიდი მეფესთან და მიიღე შენი საბოძვარი“. მივიდა მეფესთან, ეამბორნენ ერთმანეთს და ადგილი მისცა ტახტზე თავის გვერდით. მისცა ბეჭედი თავისი ხელიდან, რომელსაც ჰქონდა ფრიად ნათელი თვალი და თქვა კეისარმა: „თუ გნებავს გვირგვინი, აღუთქვი მას, ვინც ჩვენს წინ დგას,

რომ შეებრძოლები მის მტრებს, და მიიღე მისგან გვირგვინი“. მოიხედა ვახტანგმა და იხილა ჯვარი, რომელსაც ფრთებზე ჰქონდა გვირგვინი, ჯვრის ხილვამ შეაძრწუნა და დადუმდა. აღდგა წმიდა ნინო, გაიხედა პეტრესა და სამოელისკენ და ერთხმად თქვეს: „ჩვენ ვართ თავსმდები, რომ ყველაზე უფრო მეტად შეასრულებს“, და მიჰყო ხელი კეისარმა, და აიღო გვირგვინი ჯვარისაგან და დაადგა ვახტანგს.

უკან გამოსვლისას შეეხმიანა ეპისკოპოსი სამგზის: „ვახტანგ, ვახტანგ, ვახტანგ! უმეტესად მორწმუნე იქნები შენ სპარსთა შორის“. მეორედ: „აშენდებიან შენგან ეკლესიები და განეწესებიან ეპისკოპოსები და ეპისკოპოსთა მთავარი“. და მესამედ: „წამების გვირგვინსაც მიიღებ“. გამოვიდა ვახტანგი და უხმო ძილშივე პეტრესა და სამოელს, და მოუთხრობდა ძილშივე ჩვენებას, ხოლო ისინი უხსნიდნენ: „ტახტზე, რომელიც იხილე, ნათლის გვირგვინოსანი, არის დიდი მოძღვარი გრიგოლი და რაც მომეცა მისი გვირგვინისგან, ის იყო, რომ მიმეცა ეპისკოპოსთა მთავრობა, ხოლო რაც მივეცი ჩვენი გვირგვინისგან ჩემს მოყვასს, ის არის, რომ ჩემგან მიეცემა ეპისკოპოსობა. ხოლო ოქროს გვირგვინოსანი იყო კეისარი. ბეჭედი, რომელიც მოგცა, ის არის, რომ თავის ასულს მოგცემს ცოლად და ყოველი საზღვარი ქართლისა, მისგან მიტაცებული, მოგცეს. ხოლო გვირგვინი, რომელიც ჯვარისგან მოგეცა, ის არის, რომ დიდ ღვაწლს გადაიხდი ჯვრის შეწევნით. ხოლო ჩვენი მოძღვარი სამგზის რომ შეგეხმიანა, სამი სიმდიდრე მოითხოვა შენთვის ღმერთისგან: რათა შენს მიერ ქართლის ჭეშმარიტება დაემტკიცოს კათალიკოსებისგან და ეპისკოპოსებისგან, სძლევ შენს მტრებს შენს აღსრულებამდე, ხოლო აღსრულებისას წამების გვირგვინს მიიღებ ბრძოლისას და მტრებს ხელში არ ჩაუვარდები. ყოველივე აღსრულდება შენს სიბერემდე და დაუძლურებამდე“.

გაღვიძებისას ვახტანგმა მადლობა შესწირა ღმერთს და მოუხმო პეტრესა და სამოელს. მათაც ღამით იგივე ჩვენება ნახეს. პეტრეს უთხრა: „არავინ არის ჩვენ შორის ჭეშმარიტი მორწმუნე, რომელიც დანერგა ჩვენმა მამამ მირიანმა ანდა თრდატმა, დედით ნათესავმა ჩემმა. ამათ ყოველთა სარწმუნოება ვიცი, რომელიც სავსე არის საცდურით“.[52] პეტრე მოციქულად გაგზავნა კეისართან. ვახტანგმა მეორე დღეს შეიტყო, რომ სპარსეთიდან დაბრუნებული ბერძენთა სპა კონსტანტინოპოლში შევიდა. მან მოუხმო მეთაურებს და უთხრა: „ბერძნებს მრავალრიცხოვანი სპა ჰყავთ, ბრძოლისას მარჯვენი არიან, ასევე ზღვაზედაც. მეშინია, არ მოვიდნენ ზღვით, გზა არ მოგვიჭრან და არ ამოგვხოცონ, როგორც ბაკში შემწყვდეული. ავყაროთ ლაშქარი და ზღვის სამხრეთით დავიბანაკოთ, რათა გვქონდეს გზა ჭირისა და ლხინისა“. მოხსნეს ქალაქის ალყა და დაიბანაკეს იქიდან ხუთი დღის სავალზე, სპერის სიახლოვეს. მადლობა შესწირეს ვახტანგს სიკვდილს მიწევნილმა ქალაქებმა. პეტრე მივიდა კეისართან და მოუთხრო ყოველივე. კეისარმა ფრიად გაიხარა და ყოველივე, რაც იხილა ვახტანგმა ჩვენებაში, მისცა. პეტრეს პირით შეუთვალა ვახტანგს, რომ მისი მეფობის თანასწორად ჩათვლიდა. ხოლო ორთავეს ლაშქარი სპარსელებს დაამარცხებდა, როცა ვახტანგი და იგი (კეისარი) გაერთიანდებოდნენ. კეისარმა ზღვით გამოაგზავნა 500 ხომალდი, 500-500 ჯარისკაცით. ისინი უნდა მისულიყვნენ ვახტანგთან და უბრძოლველად უნდა

დამდგარიყვნენ. თვითონ კეისარი გამოემართა პონტოს გზით 800 000 კაცით, და როცა მოვიდა ზღვით მოსული სპა, სპარსელებს უნდოდათ მათ წინააღმდეგ ბრძოლა, ხოლო ვახტანგ მეფე აჩერებდა სპარსელებს და არ მიუშვა საბრძოლველად.

კეისრის მოციქულებმა ვახტანგს საიდუმლოდ მოართვეს ჯვარი, გვირგვინი და შესამოსელი. აღუთქვა კეისარმა ვახტანგს, რომ უკანვე მისცემდა თუხარისს და ქართლის საზღვრებს. ვახტანგმა კეისარს ამცნო: „რაც არ შვენის შენს ღვთისმოყვარეობას, სხვას ნუ აიძულებ, რამეთუ ღალატი პატიოსანი კაცის ხელობა არ არის. თუ ახლა შენ მოგცემ დასამარცხებლად სპარსელებს, ჩემი სახელი ხომ გაცრუვდება? შემდგომ კი, როცა ჩვენი საქმე გადაწყდება, უფრო უმჯობესად მოგემხრობი სპარსელთა წინააღმდეგ“. ვახტანგმა კეისარს ურჩია, თავი შეეკავებინა შებრძოლებისგან. ბერძნების ლაშქარი მოიწევდა, ხოლო ვახტანგი აჩერებდა თავისიანებს და უშლიდა ბერძნებთან შებრძოლებას. მიიჭრა მასთან სპარსთა ერისთავი, დედის ძმა მისი და უთხრა ვახტანგს რისხვით: „მამაშენის დედა ბერძენი იყო, გძლია შენ მისმა ბუნებამ და სიყვარული გაქვს იმ ჯვარცმული მომკვდარი კაცისა. გნებავს, რომ ბერძენთა ხელში ჩაგვყარო“. ვახტანგმა მას უთხრა: „აჰა, შენ და აჰა, ბერძნები, იხილავ შენ იმ მომკვდარი კაცის ძალას“.

გავიდნენ სპარსელები, სომხები და დარუბანდის მეფე ბერძნებთან საბრძოლველად. მეფე ვახტანგი და ქართველები არ იბრძოდნენ, იდგნენ და უყურებდნენ. დამარცხდნენ აღმოსავლელები, მოკლეს ომში ვახტანგის დედის ძმა, სპარსთა ერისთავი. ამის შემდეგ, კეისრის ნების გარეშე, ბერძენთა სპასალარი შეებრძოლა ქართველებს. ვახტანგმა ის პირისპირ შებრძოლებისას მოკლა. ომში დაიღუპა 43 000 ქართველი, მათ გაიმარჯვეს.

ვახტანგმა ამის შემდეგ გაათავისუფლა დატყვევებული 780000 ქალი და კაცი. გაუგზავნა ისინი კეისარს და ამით ნუგეშინი-სცა ბერძენი სპასალარის მოკვლისათვის, რომელიც კეისრის ნათესავი იყო. კეისარმა ფრიად გაიხარა და შეხვდა ვახტანგს. ჰყვეს ურთიერთაღთქმა და ფიცი, ნიშნობის საქმე მოაგვარეს. უკუმისცა კეისარმა ვახტანგს ქართლის საზღვარი ციხე თუხარისი და მთლიანი კლარჯეთი,[53]

გამოიკითხა კეისარმა საბერძნეთის საზღვარი აფხაზეთში და თქვა ასე: „ეგრისწყლიდან ვიდრე მცირე ხაზარეთის მდინარემდე[54] — ეს არის საზღვარი საბერძნეთისა ალექსანდრე მაკედონელის დროიდან, რომელიც შენ ჩვენგან წაიღე შენი მკლავის ძალით. ახლა უკანვე მოგვეცი ეს ჩვენი ქვეყანა და, როცა წაიყვან ჩემს ასულს ცოლად, მაშინ მისგან მოგცემ ამავე ქვეყანას“. და მოსცა მზითვად თავის ქალიშვილს ქვეყანა, მოქცეული ეგრისწყალსა და კლისურას შორის, და სხვა აფხაზეთი უკანვე მისცა ვახტანგმა ბერძნებს.[55]

და წამოვიდა ვახტანგი კლარჯეთის გზით, გაიარა თუხარისი, მოეწონა და ეს სახელი დაარქვა, შუა კლარჯეთში, არტანუჯში დაადგინა ერისთავი და უბრძანა ციხის აშენება. აგრეთვე, უბრძანა, გამოენახა იქ სამონასტრო ადგილი და აეშენებინა ეკლესია. არტავაზ ერისთავმა ააშენა იქ არტანუჯის ციხე. და იქვე ააშენეს მონასტერი (არტანუჯის ხევში), მსგავსი მათ მიერ საბერძნეთში ნანახი მონასტრებისა. გარდა ამისა, ააშენა ოპიზის მონასტერი და სამი ეკლესია: დაბა მერისა, შინდობისა და ახიზისა, აგრეთვე განაახლა ახიზის ციხე.

მცხეთაში მისულ ვახტანგს ერი დიდი სიხარულით შეხვდა. როცა სპარსთა მეფემ ცნო, რომ ვახტანგი ბერძნებს მიემხრო, უკანვე გაბრუნდა სპარსეთში და იქ მოკვდა. მეფედ მისი ძე დაჯდა და მის მომწიფებამდე გავიდა სამი წელი.

ვახტანგის ცოლმა შვა ტყუპები, ძე და ასული. და მოკვდა მშობიარობის დროს ბალენდუხტ დედოფალი, სპარსთა მეფის ასული. ვახტანგმა უწოდა თავის ძეს დაჩი. მაშინ ვახტანგმა ვერ მოიცალა საბერძნეთიდან კეისრის ასულის ცოლად მოყვანისათვის და ვერც კათალიკოსის მოყვანისათვის, რადგანაც მოელოდა სპარსთა შემოჭრას, ამაგრებდა ციხეებსა და ქალაქებს. ჰკაზმავდა და ამზადებდა საბრძოლველად მხედრებს. მაშინ შეაგდო საპყრობილეში ბინქარან მაცდური, ცეცხლის მსახურთა ეპისკოპოსი, მოსპო და გაყარა ცეცხლისმსახურნი საზღვარგარეთ.

სამი წლის შემდეგ სპარსთა მეფე გამოემართა ვახტანგ მეფესთან საბრძოლველად. ვახტანგმა ამცნო ბერძენთა მეფეს: „აჰა, ის დღე, რომელიც აღგითქვი, რომ სპარსელებს შემოვამწყვდევდი შენს ხელში. მოვიყვანე ისინი ქართლის შუა საზღვარზე, მათთან არის 300 000 ჯარისკაცი. სპარსთა მეფე ფიქრობდა თავისი სპის გამრავლებას სომხეთისა და კავკასიის მეფეებისაგან, მაგრამ მათ ვერ გაბედეს მასთან შეერთება, რამეთუ ზოგიერთ მათგანს ჯვარცმულის სასოება ჰქონდა. ზოგიერთი კი ეშმაკმა შეაცდინა (დარუბანდელი მეფეები შეუერთდნენ). მე აღვასრულე ჩემი აღთქმა, რომელიც აღმითქვამს: რამეთუ, სადაც კი ვიპოვე ცეცხლის სახლი, დავავსე ფსლით, მათი მოგვები და მზირები სატანჯველს მივეცი. მაცდური ბინქარან შევაგდე საპყრობილეში და სიკვდილის შიშით გაიპარა და გაიქცა. სწორედ მან მოიყვანა სპარსელები ქართლში და დავსვი ეპისკოპოსად მიქაელი, სარწმუნო კაცი. ხოლო ბინქარანი, როცა მოუახლოვდა ქართლის საზღვარს, მოკვდა. ახლა სასწრაფოდ გამოემართოს ჩვენკენ შენი სპა, რათა აქ დასცეს ჯვრის ყველა მტერი, და შენ გათავისუფლდები ყველა მტრისაგან, ხოლო თუ ჩვენ გვძლევენ სპარსელები, შემოვლენ შენს საზღვრებში“.

კეისარი ხაზარეთში იყო წასული, ამიტომ ვერ შეძლო ქართლში მოსვლა. ვახტანგმა გააძლიერა ქალაქების ციხეები და ურჩეულესი მებრძოლები, 100 000 მხედარი და 100 000 ქვეითი თავისთან დაიტოვა. დაიბანაკა დიღმიდან „ქართლის კარამდე“ (არმაზამდე), და სპარსელებმა დაიბანაკეს „ცხენის ტერფის“ (დიდუბესთან) ქვემოთ. სპარსელები და ქართველები ერთმანეთს ებრძოდნენ არმაზსა და მცხეთაში თბილისის ფონამდე.

ვახტანგ მეფეს ეხურა ოქროს ჩაბალახი, რომლის წინა მხარეს გამოსახული იყო მგელი და უკან ლომი. რომელ მხარესაც ქართველები მარცხდებოდნენ, იქით მიემართებოდა და სპობდა სპარსელების სპას, როგორც ლომი კანჯარს. სპარსელები ვერ უძლებდნენ მის ბრძოლას, დაიმახსოვრეს ის, რომელსაც მგელი და ლომი ჰქონდა გამოხატული და როცა ვახტანგს იხილავდნენ, ამბობდნენ: „დურ აზ გორგასალ“, ანუ „მოერიდეთ მგლის თავსო“. ამის შემდეგ სახელად ეწოდა მეფეს გორგასალი. ოთხ თვეს გაგრძელდა ბრძოლა. მოვიდა კეისრისგან დასახმარებლად 80 000 მხედარი. კეისრის ბრძანებით, თუ ვახტანგს დასჭირდებოდა, უნდა დახმარებოდა ბერძენი მხედართმთავარი ლეონი თავისი ჯარით.

ბერძენთა ლაშქარი ჯავახეთში იყო შემოსული, როცა შეიტყო სპარსთა მეფემ მათი შემოსვლა. დაიწყო მოლაპარაკება ვახტანგთან: „რისთვის ვწყვეტთ ერთმანეთს? ძმები ვართ, დავდგეთ ჩვენი მამების სიყვარულზე და თითოეული ჩვენგანი თავის სათნო სულს ემსახუროს“. დათანხმდა ვახტანგი სპარსთა შემონათვალს და მოციქულის პირით უთხრა: „ჩემს ღმერთად იყოს ქრისტე, ხოლო შენ გიწოდებ მამას და უფალს“.

სპარსთა მეფემ შეიწყნარა ვახტანგის სიტყვა და გაუგზავნა ძღვნად ანთრაკის გვირგვინი. შეხვდა ერთმანეთს ორი მეფე. დადეს აღთქმა, რომ თავ-თავის რჯულზევე დარჩებოდნენ. უძღვნა ვახტანგმა სპარსთა მეფეს მრავალი საჩუქარი და თხოვა, რომ მშვიდობა ყოფილიყო მასსა და კეისარს შორის: „მნებავს, რათა იყოს მშვიდობა შენ შორის და კეისრისა“. სპარსელებმა მშვიდობის ნაცვლად მოითხოვეს იმ მიწების დაბრუნება, რომელნიც ბერძნებს სპარსელებისგან ჰქონდათ მიტაცებული. დათანხმდა ამ წინადადებას ბერძენთა მხარე.

ბერძნები და სპარსელები დაზავდნენ, განაჩინეს საზღვრები, მისცეს ბერძნებს ჯაზირი და ფილისტიმი იერუსალიმთან ერთად და სპარსთა მეფემ თქვა: „ქალაქი რჯულისა თქვენისა არის იერუსალიმი“.

სპარსთა მეფემ ჯაზირისა და ფილისტიმის გაცემის სანაცვლოდ, ვახტანგს სთხოვა, მიეთხოვებინა ცოლად თავისი და და, აგრეთვე, გაჰყოლოდა საომრად აბაშთა, ელაბელთა და ჰინდოთა წინააღმდეგ. მისცა ვახტანგმა სპარსთა მეფეს ცოლად თავისი და მირანდუხტი, რომელიც ოსებისგან იყო დატყვევებული და გამოიხსნა ვახტანგმა. მოიყვანა თავისი ძე დაჩი, რომელიც იყო ხუთი წლისა. დაადგა გვირგვინი და დატოვა მეფედ და დატოვა მასთან თავისი შვიდი წარჩინებული: პირველად ჯუანშერ სპასპეტი, შიდა ქართლის და ყოველთა ერისთავთა მპყრობელი და დემეტრე ერისთავი კახეთისა და კუხეთისა, გრიგოლ ჰერეთის ერისთავი, ნერსარანი, ხუნანის ერისთავი, ადარნასე სამშვილდის ერისთავი, სამნაღირი, შიგა ეგრისისა და სვანეთის ერისთავი, ბაკური, მარგვისა და თაკვერის ერისთავი. წაიყვანა თან არტავაზი, კლარჯეთის ერისთავი, ნასარ, წუნდის ერისთავი და ბივრიტიანი, ოძრხის ერისთავი და დიდი ეჯიბი საურმაგი. მათთან ათი ათასი რჩეული მხედარი. ვახტანგს შეევედრნენ დედა და მისი და ხუარანძე, რათა თან წაეყვანათ იერუსალიმში სალოცავად. წაიყვანა ისინი. შევიდნენ იერუსალიმში, ილოცეს წმიდა აღდგომის ტაძარში, მოილოცეს ყოველი წმიდა ადგილი, შეწირეს დიდი შესაწირავი და წავიდნენ ქალაქ ანტიოქიაში, სადაც მათ ელოდა ხოსრო. აქ სპარსთა მეფეს კეისრისგან მიართვეს მიუწვდომელი ძღვენი, ასევე ვახტანგს განძი. შეიკრიბა იქ ვახტანგის ბრძანების ქვეშ 50 000 მხედარი ქართველი, ბერძენი და სომეხი. აქედან წავიდნენ სპარსეთში. ბაღდადში გადაიხადეს სპარსთა მეფისა და ვახტანგის დის ქორწილი. ქორწილის შემდეგ დედა და და წავიდნენ ქალაქ ურჰაში, სადაც უნდა დალოდებოდნენ ვახტანგს.

პირველად ვახტანგმა და სპარსელთა ლაშქარმა წარტყვევნეს ჯორჯანეთი და იქ დაემკვიდრნენ სპარსელები. სამი წელი იბრძოლეს ინდოეთში. ინდოეთის ქვეყნების უმრავლესობა წარტყვევნეს. წამოიღეს ხარკი. აქედან შევიდნენ სინდეთში,

რომლის მეფე იყო მხნე და გოლიათი. მოკლეს აქ საურმაგი, ვახტანგმა შეუტია სინდელებს და მათ შეასწრეს ქალაქის კედლებში. მაშინ სინდთა მეფე გადმოდგა ქალაქის კარზე და ხმამაღლა უთხრა ვახტანგს: „ვახტანგ მეფეო, მსგავსი ხარ შენ იმ უგუნური ყვავისა,რომელმაც იპოვა არწივისაგან დაწყლულებული და დაგლეჯილი ქორი, რომელსაც აფრენა არ შეეძლო და სიკვდილს იყო მიახლოებული. ყვავმა არ ქმნა ისე, როგორც არის ყვავების წესი, რამეთუ ყვავი როცა იხილავს ქორს, იწყებს ხმამაღლა ყივილს, შეასმენს სხვებს და ყვავების სიმრავლე დაესხმება ქორს, რათა გააგდონ თავიანთ სამყოფელიდან და უშიშრად გაატარონ თავიანთი დღეები, რამეთუ პირუტყვებმაც იციან თავიანთი თავის სარგებელი.

არ ქმნა ყვავმა ასე, არამედ შეიწყალა ის ქორი. დატოვა გამოსაკვებად თავის ბუდეში, მარად აჭმევდა მკალსა და გველს, რამეთუ სხვისი შეპყრობა არ შეეძლო და მით აცოცხლებდა ქორს. როცა ქორს ფრთები გაეზარდა, თქვა თავის გონებაში: „აი, მრავალი დღის მანძილზე ვარსებობდი მკალისა და გველის ჭამით და არ მომეცა მე ჩემი დედისა და მამის ძალა, რამეთუ მკალით ვერ გავძლიერდები, რომ შევძლო ფრინველთა მიწევა და მათი ჭამით არსებობა. სჯობს,შევიპყრო ის ყვავი, ჩემი გამზრდელი, შევჭამო და ორი დღე დავისვენო: მომეცემა ძალა და დავიწყებ წესისამებრ ნადირობას, მსგავსად ჩემი წინაპრებისა“. აღასრულა ეს. შეიპყრო ყვავი და შეჭამა. ამის შემდეგ დაიწყო ნადირობა დიდ და სწრაფ ფრინველებზე. არ შეაქეს ყვავი თავისი მოწყალებისთვის, არამედ უგუნურად და თავისმკვლელად ჩათვალეს. არც ქორს დააყვედრეს უწყალოება და კეთილისუხსენებლობა, რამეთუ ეს არის გვარი და წესი ქორისა. განილეოდა და მოკვდებოდა მკალის ჭამით. ქმნა წესისამებრ და აიცილა სიკვდილი. ხოლო ყვავი წესისამებრ არ მოიქცა და მოკვდა.

სპარსელები, რომლებიც (დღემდე და დღეის შემდეგ უკუნისამდე) ჯვარისმსახურთა მტრები არიან, ამჟამად, უღონობის გამო, ლიქნით სიყვარულს გაჩვენებენ და როგორც კი დრო მიეცემათ, კეთილს აღარ გაიხსენებენ და უწყალონი იქმნებიან. ეს ბევრჯერ ვიცით წიგნებიდან. როცა იხილე სპარსელები, ჩემს მიერ დაკნინებული, არ გაიხარე, ღმერთს მადლობა არ შეწირე, არ აღაგზნე მტრები სპარსელების წინააღმდეგ და არ შეეწიე სპარსეთის მტრებს, ეს არ გააკეთე, არამედ დაგიტოვებია შენი მამათა საყოფელი, საქრისტიანოს დიდ სპას წინამძღვრობ, ორი წლის გზა გამოგივლია და სპარსელებს აძლიერებ, რათა გაძლიერდნენ, მოაღწიონ და წარგწყმიდონ შენ და შენი ქვეყანა, რომელსაც დაიპყრობს ჯვარისმსახურების წარსაწყმედელად. მეფე ხარ თვითმპყრობელი და ახოვანი, შენი ნებით მიგიცემია თავი შენი მტრების მონად და როგორ არ გიწოდო უგუნური?“

ვახტანგმა უთხრა: „შენ გეგონა სიბრძნით თქვი, მაგრამ შენი სიტყვები არიან ცრუ. თხუნელა, რომელსაც არ ასხია თვალები და მზის ბრწყინვალება და ველთა მშვენიერება არ იცის, თუ რა არის, თავდაჯერებული ცხოვრობს მიწის ქვეშ და ჰგონია, რომ ყოველი ცოცხალი არსების ცხოვრებაც ასევეა მოწყობილი. თხუნელას მსგავსად შენც ბრმა ხარ გონების თვალით და ყრუ გონების ყურით, არ ხედავ და არ გესმის სულიერი ცხოვრება და არც სურვილი გაქვს მიხვიდე საუკუნო ცხოვრებამდე და დაუსრულებელ ნათლამდე, მის გონებით მიუწვდომელ

დიდებამდე. და არც იცნობ შენ ყოველივეს შემოქმედ ღმერთს, რომლის მიერ შეიქმნა ყოველივე.

ამ ქვეყანაში მოვედი არა ამ სოფლის დიდებისთვის და არა სპარსთა მეფის მსახურებისთვის, არამედ დაუსაბამო ღმერთის მსახურებისთვის. რამეთუ ჩემი აქ მოსვლით პირველ რიგში გამოვიხსენი იერუსალიმი — წმიდა ქალაქი, სადაც დადგმულა ფეხი ჩვენი უფლისა იესო ქრისტესი, იქ აღასრულა ყოველივე ჩვენი სულების ხსნისთვის, და ამის შემდეგ ყოველი საქრისტიანო დავიხსენი მოოხრებისგან, რამეთუ სპარსთა მეფეს მინიჭებული ჰქონდა ჟამი მთელი საქრისტიანოს მოტყვევნისათვის. მე ჩემი ძალით და ქრისტეს შეწევნით დავიხსენი ქრისტიანები დიდი ჭირისგან ამ ჟამს და ამის შემდეგ ღმერთმა იცის.

შენ აქებ ქორს, რომელმაც თავისი გამზრდელი ყვავი შეჭამა, აქებ მის ნაქმნარს, ხოლო ჩვენი ბუნება ასეთია, რომ ჩვენი კეთილისმყოფელისათვის დავდვათ ჩვენი სული, რათა მოვიგოთ მადლი ღვთისაგან და ვპოვოთ ცხოვრება საუკუნო და თუ მოვკვდებით, უკვდავნივე ვიქნებით და სიკვდილის მიერ საუკუნო ცხოვრებაში გარდავიცვლებით“.

მაშინ თქვა სინდთა მეფემ: „გამოდი ჩემთან საბრძოლველად, რათა ჩემს მიერ გარდაიცვალო დღეს სიკვდილის შემდეგ საუკუნო ცხოვრებაში“.

თქვა ვახტანგმა. „ახლანდელი სიკვდილი არ მიჩნს სიხარულად, რამეთუ ცოდვილი ვარ და ღმერთის მცნება სრულად არ აღმისრულებია. ჩემი ცოდვები სრულად არ აღმიხოცია სინანულით, მაგრამ ქრისტეს ძალით არ მეშინია სიკვდილის, რამეთუ ის არის ჩემი მფარველი და დაცული ვარ სრულებით, მრავალმოწყალე ღმერთი, ჩემი ხელით მოგკლავს შენ, მის მგმობელს და შენი სული წავა გარესკნელის ბნელში და უშრეტ ცეცხლში“. შეებრძოლნენ ერთმანეთს. დაამარცხა ვახტანგმა და არ მოკლა, არამედ აიღო მისგან ხარკი და მძევლები.

ამის შემდეგ სპარსთა მეფემ და ვახტანგმა დაამარცხეს აბაშნი. სპარსთა მეფემ აბაშთა ნახევარი აჰყარა და სხვა ქვეყნებში ადგილ-ადგილ დაასახლა. ესენი არიან ქურთები, რომლებიც წარმოტყუენა ვახტან მეფემ აბაშთაგან.

მერვე წელს უკან დაბრუნდა ვახტანგი და მივიდა ქალაქ ურაჰში, სადაც მშვიდობით დახვდნენ დედა და დაჲ მისი. გაგზავნა ბერძენთა მეფესთან მოციქული ცოლის წამოსაყვანად და აგრეთვე პეტრე კათალიკოსისა და სამოელ ეპისკოპოსისათვის. შემოვიდა ვახტანგი ქართლში და მიეგებნენ მას მისი ძე დაჩი, ყველა სპასალარი და მათთან ერთად ეპისკოპოსები. როცა გაიგო ეპისკოპოსმა,[56] რომ ვახტანგმა გაგზავნა მოციქულნი კათალიკოსისა და ეპისკოპოსების მოსაყვანად, დაუმძიმდა ეს და იწყო ამბოხი და მიზეზობა. მიუგზავნა მეფეს კაცი და უთხრა: „შენ დაგიტოვებია ქრისტე და ცეცხლს ესავ“, ვახტანგმა შეუთვალა: „ქრისტეს ძალით შევედი და ქრისტეს ძალითვე გამოვედი სიმართლით, უბრალო ვარ, იცის ღმერთმა, მაგრამ გავაგზავნე მოციქული კათალიკოსისა და ეპისკოპოსის მოსაყვანად“. როცა ეს მოისმინა ეპისკოპოსმა და დაიდასტურა, იფიქრა, შფოთით დაებრკოლებინა ეს საქმე და მათი მოსვლა. დაწყევლა მეფე და ყოველი სპა მისი. მეფემ თქვა: „მართალია, ჩვენ უდანაშაულონი ვართ, მაგრამ სიმდაბლე ჯერ არს

ჩვენგან“. და მივიდა მეფე, ჩამოქვეითდა, რათა მთხვეოდა ეპისკოპოსის ფეხებს. გაძრა ფეხი, ქოშის ქუსლი პირში ჩაარტყა და მეფეს კბილი ჩაუმტვრია. ხოლო მეფემ თქვა: „ეს არის ამპარტავნობის სილაღე და ეშმაკის საცდური. თუ ჩვენი ცოდვების სიმრავლემ აღგძრა, ნება არა გაქვს ბოროტების გაკეთებისა, არამედ უნდა შეუნდო, როგორც იტყვის სახარება: „არა დაშრიტო პატრუქი მგზებარე, არცა განტეხო ლერწამი დაჩეჩქილი“. შენ გგონია, რომ შენი სივერაგით ჩვენ ქრისტეს სიყვარულს უარვყოფთ. შენი საქმე მაშინ გამოჩნდა ცხადად, როცა მოგესმა შენზე უმთავრესის საქართველოში მოყვანა და აღეგზნე ბოროტი შურით, როგორც იუდა პეტრეს მიმართ, რამეთუ შენ ხარ როგორც იუდა, ხოლო ეკლესია არის როგორც პეტრე. ვერცხლის მოყვარე ხარ შენ, რამეთუ შენც ქრისტეს მეგვადრუცე[57] ხარ. ახლა გაგგზავნი კონსტანტინოპოლის პატრიარქთან და როგორც წესია, განგიკითხავს“. გაგზავნა დესპანებთან ერთად და გაგზავნა თავისი კბილიც და შეუთვალა, რომ კათალიკოსი და თორმეტი ეპისკოპოსი სასწრაფოდ გამოეგზავნა. მათ შორის პეტრე კათალიკოსად და სამოელი ეპისკოპოსად, და სხვები, რომელნიც სურდა.

როცა მოიყვანეს მიქაელ ეპისკოპოსი კონსტანტინოპოლში, უთხრა მას პატრიარქმა: „რადგანაც შენს მიერ დაითხია სისხლი, აღარა ხარ ღირსი ეპისკოპოსობისა, ხოლო მეფის კადრებისათვის გეკუთვნის სიკვდილი. ნათქვამია: „დაემორჩილეთ თქვენს მეფეებს, რამეთუ ხმალი უბრალოდ არ აბიათ, ის ღმერთის მიერ მთავრობს, როგორც ლომი ცხვრებს შორის“. და ექსორიაში გაგზავნეს მიქაელ ეპისკოპოსი მღვიძართა მონასტერში.

გაგზავნა პეტრე მღვდელი და სამოელ მონაზონი ანტიოქიაში. და მისწერეს ანტიოქიის პატრიარქს მეფემ და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ასე: „თავდაპირველად, რომაელი ქალის ნინოს მიერ ქართლის მოქცევის დასაბამისას, აქედან იქ მივლენილ იქნა ეპისკოპოსი. მაგრამ შემდეგ, რადგანაც სპარსელებსა და ბერძნებს შორის შფოთი იყო, ვერ მოაწყეს ეს საქმე წესისამებრ. ამასთანავე, ჩვენ ვიცით, რომ ქართლი, აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი მაგ წმიდა საყდრისანი არიან, როგორც განაწესეს მოციქულებმა სახარებაში, რომელიც უწინარეს უნდა დავიცვათ“. და ანტიოქიელს მისწერეს ყოველი საქმე დიდი ვახტანგ მეფისა, რომ „ის ეპისკოპოსი, რომელიც მათ მიერ იყო დადგინებული, უკუვადგინეთ, და ჩათვალეთ ქართლი ახალნერგად.[58] ახლა ეს ორი, მათ მიერ მოთხოვილნი, აკურთხე და აგრეთვე სხვა თორმეტი, ვისაც ისურვებ, ისინი აკურთხე. შემდეგ კი ჩვენთან გამოგზავნე, რათა ჩვენ განძითა და სახმარი ნივთებით გავამგზავროთ“. და ანტიოქიელმა პატრიარქმა აკურთხა თორმეტი ეპისკოპოსი და პეტრე კათალიკოსად.

მივიდნენ კონსტანტინოპოლში, მისცა მეფემ დიდძალი განძი და თავისი ასული ელენე, ვახტანგის საცოლე. საზღვარზე მათ შეეგება მეფე.

მცხეთაში ვახტანგ მეფემ ააშენა მოციქულთა ეკლესია სვეტიცხოველი. ამ ტაძარში სამხრეთით იმ ადგილას, სადაც იყო სიონის დიდი ეკლესია, დასვა პეტრე კათალიკოსად. ხოლო სამუელი მცხეთაშივე დასვა ეპისკოპოსად „საეპისკოპოსოში“.[59] და დასვა სხვა ეპისკოპოსებიდან ერთი ეპისკოპოსი კლარჯეთს, ახიზის ეკლესიაში, ერთი ერუშეთს არტანში; ერთი ჯავახეთს – წუნდაში, ერთი მანგლისში,

ერთი ბოლნისში; ერთი რუსთავში; ერთი ნინოწმინდაში – უჯარმის კართან, რომელიც გორგასალმა ააშენა. ერთი მისსავე აშენებულ ჭერემში და იქ დააარსა ქალაქი მისგანვე აშენებულ ორ ეკლესიას შორის; ერთი ჩელეთში („შუა სოფელში“), ერთი ხორნაბუჯში და ერთი აგარაკში, რომელიც ხუნანის პირდაპირაა.

ამის შემდეგ ააშენა ერთი ეკლესია ნიქოზში ცეცხლის საგზებელთან და დასვა იქ ეპისკოპოსი, სადაც დაფლულია წმიდა რაჟდენის გვამი, რომელიც სპარსთა მიერ იწამა.

ეს რაჟდენი იყო მამამძუძე ვახტანგის პირველი ცოლისა (სპარსთა მეფის ასული), გაქრისტიანდა ის და შეიქნა დიდად მორწმუნე, ხოლო ბრძოლისას ძლიერი. შეიპყრეს სპარსელებმა და აიძულებდნენ,რომ უარეყო ქრისტე,ხოლო ამ წმინდანმა აღიარა წარუვალი დიდება და იწამა ქრისტესთვის.

ჰყავდა ვახტანგს ბერძენი ცოლისგან სამი ძე და ორი ასული. მან თავისი პირველი ცოლის ძეს, თავის პირმშო დაჩის მისცა ქალაქები ჭერემი, ნეკრესი და კამბეჩოვანი, რომელიც არის ხორნაბუჯი, და მთელი ქვეყანა მტკვრის აღმოსავლეთით. თვით ვახტანგი დაჯდა უჯარმაში და ააშენა ის უზომო ნაშენებით. და თავისი დაჲ ხუარანძე მისცა სომხეთის პიტიახშს ბაკურს და რამდენიმე ხნის შემდეგ მოკვდა სპარსთა მეფე ხოსრო და მის წილ დაჯდა ძე მისი ხოსრო. ამ დროს გაძლიერებულნი იყვნენ სპარსელები (ვახტანგის მეოხებით ყველა მტერი დამორჩილებული ჰყავდათ) და გამოემართა სპარსთა მეფე ბერძნების წინააღმდეგ საბრძოლველად. მოციქული გამოუგზავნა გორგასალს და შეუთვალა, გაეწია წინამძღოლობა ბერძენთა წინააღმდეგ ომში და მიეცა ასული ცოლად.

მაშინ ვახტანგი მიწეული იყო 60 წელს და თქვა: „უთხარით მეფე ხოსროს: პირველად განემზადოს ჩვენთან საბრძოლველად და შემდეგ შევიდეს საბერძნეთში“.

გაგზავნა ქადაგი, რათა დაეტოვებინათ ის სოფლები და ქალაქები, რომლებიც ძლიერნი არ იყვნენ და შესულიყვნენ კავკასიასა და კახეთში, რამეთუ კახეთი ტყე იყო და მტრის მიერ შეუვალი. მეფე დაჩი და მისი დისწული გადავიდნენ კახეთში და დადგნენ ლოპოტის ხევში, კლდით მოზღუდულ ქვეყანაში (და იყვნენ იმ ქვეყნის ადამიანები ცეცხლისა და წყლის მსახურები და ის ხევი, ვიდრე ნოსრამდე, ხალხით იყო სავსე). შევიდნენ გორგასლის ცოლი და შვილნი – უჯარმის ხევში. წინა ციხეში თვითონ დადგა, მასთან იყვნენ ჯუანშერი და ადარნასე. ხოლო მცხეთაში დემეტრე, ნერსე და ბივრიტიანი. გაუგზავნა მოციქული კეისარს.

მოვიდა ხოსრო მეფე და შემუსრა ქალაქი კამბეჩოვანი, ჭერმის ციხე და ველისციხე. მივიდნენ კახეთში და დაიბანაკეს იორზე. შეიბნენ, იბრძოდნენ სამი დღე. ორივე მხრიდან ურიცხვი სპა დაეცა. მაშინ ვახტანგმა უხმო პეტრე კათალიკოსს და უთხრა: „იცოდე, რომ გვებრძვიან არა ხარკის მიცემისათვის, არამედ ქრისტეს დატევებისთვის. მე განზრახული მაქვს ასე: საუკუნო ცხოვრებისათვის უმჯობესი არის ქრისტეს სახელზე სიკვდილი, რათა აღთქმული სასუფეველი გვქონდეს მათთან, რომელთაც უთხრა: „რომელიც წარიწყმედს თავის თავს ჩემთვის, ის იპოვის მას“.

უთხრა მას პეტრე კათალიკოსმა: „თუ არ იბრძოლებ სამკვდრო-სასიცოცხლოდ, მაშინ არა მარტო საქართველო გაირყვნება მტრის მიერ, არამედ იერუსალიმიც, რომელიც არის მშობელი ნათლის შვილებისა“.

უთხრა მას მეფემ: „დადექი წმიდა რაჟდენის ეკლესიაში, რომელიც არის უჯარმის რაბატში. ვეჭვობ, რომ უჯარმის გარშემო ყველა ქალაქი იძლიოს, რამეთუ მტკიცე და ძლიერი ზღუდეები აქ ავაგეთ“. ჰყო ასე კათალიკოსმა და ყველა წმინდა ეპისკოპოსი იქ შეიკრიბა.

ვახტანგის ლაშქარში იყო 240 000 მებრძოლი, ხოლო სპარსელებისაში — 740 000. გაჰყო ვახტანგმა ლაშქარი სამად. და კლდის მხრიდან მიაგზავნა ქვეითი. ერთ მხარეს მიავლინა პიტიახშები და სპასპეტი, და სადაც სპარსთა მეფე იყო, იქ თვით ვახტანგი მივიდა 100 000 მეომრით.

ცისკარზე ვახტანგი დაესხა სპარსელებს და უთხრა თავისიანებს: „ყოველი კაცი, რომელიც სიკვდილს გადაურჩება და მტრის თავს ან ხელს არ გამოიტანს ბრძოლიდან, ჩვენს მიერ მოკვდება“.

ცისკრის მიწურვისას დაესხა და მივიდა მეფის პალატამდე. შევიდა მეფის კარავში. მეფემ შეასწრო ცხენზე. ძე მისი ბარტამ მოკლა და მოჰკვეთა თავი. მაშინ იქ ერთმა სპარსელმა სცა ისარი ვახტანგს მკერდში. ბრძოლა გაგრძელდა შუადღემდე. სძლია ვახტანგმა სპარსელებს და მოკლა 120 000 მათგანი. ვახტანგის სპაში მოკვდა 28 000-მდე. აიყარა იქიდან სპარსთა მეფე და ჩადგა რუსთავში. დაუმძიმდა წყლული ვახტანგს, რამეთუ ფილტვამდე იყო ისარი მიწეული. და წავიდა უჯარმაში, ხოლო ქართლის სპასალარები ადგილსავე დარჩნენ.

ცნეს სპარსელებმა, რომ დაუმძიმდა ვახტანგს წყლული, მოაოხრეს ტფილისი და არმაზი (ქართლი), ხოლო მცხეთა ვერ დაიპყრეს, მაგრამ ზღუდის გარეთ მოაოხრეს.

ხოლო ბერძენთა მეფე, ვახტანგის სიმამრი, მოკვდა და დაჯდა მეფედ ზენონი, მისი ძე. ის მოვიდა სპერში, ქართლში რომ შესულიყო, და როცა გაიგო ვახტანგ მეფის დაჭრის შესახებ, დადგა კარნუ ქალაქში. იქ მოვიდა ხოსრო და შეიბნენ. ვერ სძლიეს ერთმანეთს, რადგან ორთავეს სპა დაეხოცა.

ვახტანგმა შეიტყო, რომ კვდებოდა, მიუხმო კათალიკოსს და თავის ცოლს, ძეებსა და ყველა წარჩინებულს და თქვა: „მე მივდივარ ჩემი ღმერთის წინაშე, და ვმადლობ მის სახელს, რომ არ დამაკლო მე მის სიწმინდეებს. ახლა მცნებას მოგცემთ თქვენ, რომ მტკიცედ დადგეთ სარწმუნოებაზე, ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილს მის სახელზე, რათა წარუვალი დიდება მოიგოთ“.

და უთხრა ყველა წარჩინებულს: „თქვენ, საქართველოს მკვიდრნო, მოიხსენეთ ჩემი სიკეთე, რამეთუ პირველად ჩემი სახლიდან მიიღეთ საუკუნო ნათელი და ჩვენ სახლს ნუ შეურაცხყოფთ და ბერძენთა სიყვარულს ნუ დაუტევებთ“. და უთხრა თავის ძეს დაჩის: „შენ ხარ ჩემი პირმშო შვილი, შენთვის მომიცია ჩემი მეფობის გვირგვინი. შენი ძმების ნაწილად მიმიცია ტაშისკარიდან და წუნდიდან, ვიდრე სომხეთამდე და საბერძნეთამდე, ხოლო აფხაზეთის საზღვარი, ეგრისწყალსა და კლისურას შუა, შენი ძმების დედის არის“.[60]

და მოუხმო წუნდის ერისთავს, კლარჯეთის ერისთავს არტავაზს და ოძრხის ერისთავს ბივრიტიანს და მათ ჩააბარა თავისი ცოლი ელენე და მისი შვილები, რომელთაც ერქვათ ლეონი და მირდატი. და სამივე ერისთავს შეავედრა ცრემლით.

მთელი ხალხისა და წარჩინებულებისთვის ეს იყო სასჯელის დღე. თავში იცემდნენ და იყრიდნენ ნაცარს, ყველანი ნატრობდნენ სიკვდილს. ხმამაღალი

ტირილისა და გოდებისგან ქვეყანა იძროდა. მორწმუნე ხალხი შენატროდა მეფეს, რამეთუ ქრისტესთვის მოიკლა. და მოკვდა ვახტანგ, დაფლეს მცხეთას, საკათალიკოსო ეკლესიაში, სვეტთან, რომელშიც არის ღვთივაღმართული სვეტისგან დაპყრობით. საფლავზე გამოსახულია მისი ხატი, მისი სიმაღლის თანასწორი. ხოლო ამჟამად შემონახული მისი აბჯარი და სამოსელი უფრო ნათლად წარმოგვიდგენს მას.

და დაჯდა მის ტახტზე მისი ძე დაჩი. ხოლო ცოლი და ვახტანგის ორი ძე წაიყვანა სამმა ერისთავმა, დაიჭირეს ქართლის დასავლეთი, რომელიც მისცა მათ ვახტანგმა. ზაფხულობით ქალაქ წუნდაში იყვნენ და ზამთრობით ოძრხეში. მათ ეწოდათ არა მეფეები, არამედ ერისთავთა მთავრები და იყვნენ მეფე დაჩის მორჩილების ქვეშ.

მეფე დაჩიმ დაიწყო ქართლის შენება, რამეთუ მოოხრებული იყო ხევი ქართლისა, გარდა კახეთის, კლარჯეთისა და ეგრისის ხევებისა. განასრულა თბილისის ზღუდეები, როგორც ბრძანა ვახტანგმა და ის შექმნა სამეფო სახლად.

მოკვდა პეტრე კათალიკოსი და დაჯდა სამოელ. და მეფემ მას მიათვალა მცხეთა, რამეთუ ასე ბრძანა ვახტანგმა. ამანვე მეფე დაჩიმ კახეთის მთიულებს შესთავაზა ქრისტეს აღიარება, ხოლო მათ არ ინებეს და განდგნენ ყოველნი ნაპატელნი.[61]

ვახტანგის ბერძენი ცოლის შვილებიდან მოკვდა ლეონი და დარჩა მხოლოდ მირდატი. ამ მირდატს დაევაჭრა მისი ძმა დაჩი: მეფემ გაუცვალა ქვეყანა. მეფემ აიღო ის ქვეყანა, რომელიც მოქცეული იყო ეგრისწყალსა და კლისურას შორის. ეს იყო მირდატის დედულეთი საზღვარი საბერძნეთის სამფლობელოებთან. მის ნაცვლად მისცა ჯავახეთი ფარავნიდან მტკვრამდე. დაიჭირა მირდატმა ქვეყანა ფარავნიდან და ტაშისკარიდან, ვიდრე სპერის ზღვამდე და იქ ერისთავობდა და მორჩილი იყო მეფე დაჩის. მან ააშენა წყაროსთავის ეკლესია. მოკვდა დაჩი. დაჩის შემდეგ, გამეფდა მისი ძე ბაკური. ბაკურის სიკვდილის შემდეგ, დაჯდა მისი ძე ფარსმანი. მოკვდა კათალიკოსი სამოელი და დაჯდა კათალიკოსად თავფეჩაგი. მისი სიკვდილის შემდეგ დაჯდა კათალიკოსად ჩერმაგ.

ვახტანგის შემდგომ აქამდე ეს მეფეები მშვიდობით იყვნენ. ამ ფარსმანის მეფობისას მოვიდნენ სპარსელები, მოაოხრეს ქართლი და რანი. ქართველთა მეფემ ითხოვა სპარსთა მეფისგან, არ მოეოხრებინა ეკლესიები და დაეჭირა ქართლი ქრისტეს რჯულზე.

იმ დროს ბერძნები მოუცლელები იყვნენ. თავიანთი ქვეყნის დასავლეთში მტრებს ებრძოდნენ. არ შეეძლოთ ქართველთა შეწევნა და სპარსთა წინააღმდეგ გამოსვლა. მაშინ სპარსთა მეფემ შეისმინა მისი ვედრება და დაიცვა ეკლესიები. ფარსმანმა სამაგიეროდ დაუწერა მორჩილებისა და მსახურების აღთქმა. და წავიდა სპარსთა მეფე.

ამის შემდეგ გაიყვნენ ვახტანგ მეფის ნათესავები. დაჩის შვილები სპარსელებს ემორჩილებოდნენ, ფარსმანის სიკვდილის შემდეგ, დაჯდა მეფედ მისი ძმისწული, რომელსაც ფარსმანივე ერქვა.

ის იყო მორწმუნე და შეამკო ეკლესიები.

ითხოვეს იუსტინიანესგან[62] ქართველებმა, რათა კათალიკოსებად თვით ქართველები დამსხდარიყვნენ, რამეთუ კათალიკოსები საბერძნეთიდან მოდიოდნენ. იუსტინიანემ დაწერა თანხმობის წიგნი და დაბეჭდა თავისი ბეჭდით, რათა კათალიკოსებად ქართველები დამსხდარიყვნენ და ჰქონოდათ მათ უფლება ყველა ეკლესიაზე და ყველა მღვდელმთავარზე.

„მოკვდა კათალიკოსი ჩერმაგ და ფარსმან მეფემ დასვა საბა. ამის შემდეგ აღარ მოყავდათ კათალიკოსი საბერძნეთიდან, არამედ ქართველები სხდებოდნენ, წარჩინებულთა ნათესავები“.

„ვერ მოანწიეს საქმე ესე ჯერისაებრ სჯულისა...“ (ბრძოლანული საეკლესიო დაჯგუფებანი ვახტანგ გორგასლის რეფორმამდე)

IV საუკუნის ბოლოდან V საუკუნის 70-იან წლებამდე, ვახტანგ გორგასლის რეფორმამდე, უცხოურ წყაროებში ქართული ეკლესიის შესახებ ცნობები დაცული არ არის. ქართული წყაროები კი ამდროინდელი ქართული ეკლესიის მდგომარეობას უარყოფითად და კრიტიკულად აფასებენ. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანახმად, ქართლის მოქცევიდან კათალიკოსობის დაწესებამდე, ანუ მირიან მეფიდან ვახტანგ გორგასლამდე გასული იყო 170 წელი.[63] ამ პერიოდში, რომელსაც კიდევ უფრო აზუსტებს „ქართლის ცხოვრება“, რვა ეპისკოპოსმა დაიცვა „ჭეშმარიტი წესი“, ხოლო სხვები იყვნენ „შემშლელნი წესისანი“. „მირიან მეფითგან ვიდრე ვახტანგ მეფისადმდე გარდაცვალებულ იყო ნათესავი რვა და მეფენი ათნი და წელიწადი 157, ხოლო ეპისკოპოსნი წესსა ზედა ჭეშმარიტსა გარდაცვალებულნი რვანი, ხოლო სხუანი შემშლელნი წესისანი“.[64]

თანახმად მატიანისა, ქართულ ეკლესიაში რაღაც საეკლესიო წესი ვერ დაუცავთ. ქართული ეკლესიის პირველი მეთაურის – ეპისკოპოს იოვანეს შემდეგ, ვიდრე პეტრე კათალიკოსამდე სულ 12 მეთაური შეიცვალა ეკლესიისა. აქედან მესამედი „წესისშემშლელი“ ყოფილა, რაც აღნიშნულია ვახტანგ გორგასლის მატიანეში. ეს იმას ნიშნავს, რომ სწორედ ვახტანგის დროს იყვნენ ქართული ეკლესიის წინა ისტორიის მიმართ კრიტიკულად განწყობილნი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ვახტანგის დროს არა მარტო საეკლესიო მოღვაწენი აფასებდნენ უარყოფითად ქართული ეკლესიის შინაგან მდგომარეობას, არამედ თვით ხალხიც კი.

აი, როგორ გლოვობს ხალხი თავის უბედურებას:

„არაკეთილად ვიპყართ სჯული ქრისტესი და წესი იოვანეს მცნებისა“. ვის გულისხმობდა ხალხი „იოვანეში“, რომლის „მცნებაც“ არ დაუცავთ? ერთი შეხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ სახარებისეული რომელიმე იოვანე იგულისხმება (იოანე ნათლისმცემელი ან მოციქული იოანე), მაგრამ კონტექსტიდან ჩანს, რომ ეს

ასე არაა (მართლაც, სხვაგვარად შეუძლებელია). „იოვანეში“, რომლის მცნების წესიც არ დაუცავთ, იგულისხმება მხოლოდ პირველი მეთაური ჩვენი ეკლესიისა, ეპისკოპოსი იოანე, რომელიც საბერძნეთიდან იყო ჩამოსული და რომლის დროსაც ქართული ეკლესია ბერძნული საეკლესიო ორიენტაციისა იყო. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ეს იოანე ნიკეის კრების ერთგული იყო.

„ნიკეის კრებაზე დამსწრე ანტიარიანული მრწამსის ეპისკოპოსთა შორის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა „ევსტათი დიდი“ (როგორც მას თეოდორიტე უწოდებს), ანტიოქიის კათედრას 324 ან 325-330 წლებში განაგებდა და მის მიერ ქართლის ეკლესიის მეთაურად იოანეს ხელდასხმა ამ წლებში უნდა მომხდარიყო... ცხადია, ევსტათის მიერ ხელდასხმული იოანე ეპისკოპოსი ქართლში ნიკეის რწმენას დანერგავდა“.[65]

ამიტომაც, დაარსებისთანავე ქართული ეკლესია სწორი სარწმუნოებრივი მიმა-რთულებისა ყოფილა, ანუ ქართული ეკლესია აღიარებდა ქრისტიანობის იმ მიმა-რთულებას, რომელიც მაშინდელ რომის იმპერიაში (საბერძნეთში) იყო აღიარებუ-ლი. ქართული ეკლესია ნიკეის რწმენის ერთგული იყო შემდეგ საუკუნეებშიც, არასოდეს არ შეუცვლია ეს რწმენა, რასაც ადასტურებენ როგორც გიორგი მთაწ-მინდელის ეპოქის, ისე სხვა ეპოქათა მოღვაწენი, მაგრამ, როგორც ჩანს, ნიკეის კრების ერთგული ქართული ეკლესია განსახილველ ეპოქაში, 380-იანი წლებიდან 470-იან წლებამდე, ბერძნული საეკლესიო ორიენტაციისა არ ყოფილა.

ცხადია, სხვაა სარწმუნოებრივი მიმართულება და სხვაა საეკლესიო (ადმინის-ტრაციული) ორიენტაცია. მაგალითად, თუმცა სომხური ეკლესია ამავე ეპოქაში (380-იანი წლების შემდეგ) ნიკეის კრების ერთგული იყო, მაგრამ იგი იხრებოდა სირიულსპარსული საეკლესიო წიაღისკენ, უფრო კი ეროვნულ დამოუკიდებელ საეკლესიო პოლიტიკას იცავდა. სომხეთის ეკლესია ჩამოსცილდა ბერძნულ საეკ-ლესიო წიაღს, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ნიკეის კრების ერთგული იყო (იგ-ულისხმება 380-450-იანი წლები).

ქართული ეკლესიის პირველი მეთაური იოვანე, როგორც ცნობილია, რომის იმპერიიდან (ანუ როგორც ქართველები უწოდებდნენ, „საბერძნეთიდან“) იყო გა-მოგზავნილი და ამ ეპისკოპოსმა დააარსა (ორგანიზაციული თვალსაზრისით) ერთიანი ქართული ეკლესია. მეორე მეთაურიც ქართული ეკლესიისა საბერძნეთიდან ჩამო-სული პირი იყო. მატიანეთა თანახმად, უკვე მესამე მეთაური, რომელიც სწორედ განსახილველ პერიოდში, კერძოდ, 375-390 წლებში მოღვაწეობდა,[66] არ იყო საბერ-ძნეთიდან ჩამოსული და არც რაიმე უშუალო კავშირი (იერარქიულ-ადმინისტრაცი-ული) ჰქონია საბერძნეთთან (იგულისხმება მთავარეპისკოპოსი იობი). ასევე, ვახ-ტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმამდე, კათალიკოსობის დაწესებამდე, ჩანს, ეპისკოპოსთა (ეკლესიის მეთაურთა) მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილი ყოფილა საბერძნეთიდან ჩამოსული. ეს გარემოება უთუოდ მიზეზი გახდებოდა იმისა, რომ ქართულ ეკლესიაში ვერ დაიცავდნენ პირველი ეპისკოპოსის, იოვანეს „მცნების წესს“, რაც, ალბათ, იმით გამოიხატებოდა, რომ იოვანეს დროს არსებული პრობ-ერძნული ორიენტაცია არ დაიცვებოდა.

მართლაც, 380-იანი წლების შემდეგ, პოლიტიკური მიზეზების გამო, შეუძლებელი იყო ქართულ ეკლესიას პრობერძნული ორიენტაცია დაეცვა. ამ დროს ქართლი, სომხეთი და ამიერკავკასიის ძირითადი ნაწილი სპარსეთის მოხარკე ქვეყნები იყვნენ, სადაც სპარსეთი სასტიკად დევნიდა პრობერძნულ, როგორც საეკლესიო, ისე პოლიტიკურ ორიენტაციას.

თავის მხრივ, საბერძნეთისათვის სრულებით მოუთმენელი იქნებოდა ქართული ეკლესიის არაბერძნული ორიენტაცია. საქართველოში არსებული მდგომარეობის გამო საბერძნეთი (ბიზანტია) სასტიკად სჯიდა საქართველოს. ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის ბავშვობაში ის შემოჭრილა ჩვენში და საქართველოსთვის ჩამოუშორებია დასავლეთ საქართველოს ნაწილი, ხოლო უფრო ადრე სამხრეთ საქართველოს ნაწილი. ეს ნაწილები საბერძნეთს უშუალოდ თავის იმპერიისათვის მიუერთებია. ბერძენთა ასეთ მოქმედებას ასე განმარტავდა ქართველი ხალხი: „მასვე ჟამსა გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყლის ქვემოთი კერძო ყოველი, და დაიპყრეს ეგრისის წყლითგან ვიდრე ციხე-გოჯამდე. მაშინ იქმნა გლოვა და წუხილი ყოველთა ზედა ქართველთა და იტყოდის: „განვამრავლეთ ცოდვა ღმრთისა მიმართ. და არაკეთილად ვიპყართ სჯული ქრისტესი და წესი იოვანეს მცნებისა. სამართლად მოაწია ღმერთმან ჩუენ ზედა ესე რისხვა. რამეთუ მიგუცა ჩუენ წარტყუენად უცხოთა ნათესავთა და მიგჯღო ჩუენ საზღვარი ბერძენთაგან, ვითარცა მიულო ვარაზ-ბაქარს მეფესა კლარჯეთი“.[67]

ჩვენი მატიანის თანახმად, ამ ეპოქაში ქართული ეკლესიის ორიენტაციით ძალზე უკმაყოფილო ყოფილა ბიზანტიის იმპერატორი. ბიზანტიის იმპერატორსა და კონსტანტინოპოლის პატრიარქს გაუგზავნიათ ასეთი წერილი ანტიოქიის პატრიარქისთვის: „პირველად, დასაბამსა ქართლის მოქცევისასა დედაკაცისა ჰრომაელისა ნინოს მიერ, განივლინა აქათ ეპისკოპოსი, რამეთუ შორის სპარსთა და ბერძენთა შფოთი იყო, და მით ვერ მოაწიეს საქმე ესე ჯერისაებრ სჯულისა“..[68] ამ წერილის აზრი ასე შეიძლება გავიგოთ: ქართული ეკლესიის ჩამოყალიბებისას, IV საუკუნეში, ქართული ეკლესიის ორიენტაცია პრობერძნული იყო, რადგანაც აქ ეპისკოპოსი იმპერიიდან ჩამოვიდა, ხოლო შემდეგ იმის გამო, რომ სპარსეთსა და ბიზანტიას შორის „შფოთი“, ომიანობა იყო, ქართულ ეკლესიაში მდგომარეობა „ვერ მოაწიეს ჯერისაებრ სჯულისა“. ასეთია აზრი ბიზანტიის სახელმწიფო და საეკლესიო მეთაურებისა ქართული ეკლესიის მიმართ (რეფორმების ჩატარებამდე).

ამ წერილის გაგრძელებიდან ჩანს, რომ „რჯულის წესის“ დარღვევად, ბიზანტიელ ხელისუფლებს მიაჩნდათ ის, რომ ქართული ეკლესია დამოუკიდებელი იყო ბიზანტიური ეკლესიისგან.

კონსტანტინოპოლიდან ანტიოქიის პატრიარქს ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის მიზეზად მოახსენეს ზემომოყვანილი პოლიტიკური მდგომარეობა – „შფოთი ბერძენთა და სპარსელთა შორის“, ხოლო შემდეგ აუწყებენ, რომ მოციქულთა განწესების თანახმად, რადგანაც აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნების ეკლესიები ანტიოქიის საპატრიარქო საყდარს უნდა ექვემდებარებოდეს, ამიტომაც ქართული ეკლესიაც შენი გავლენის სფეროში უნდა შედიოდესო.

„...რამეთუ ჩუენ უწყით, ვითარმედ ქართლი და აღმოსავლეთი და ჩრდილო მაგის წმიდისა საყდრისანი არიან, ვითარცა განაწესეს მოციქულთა სახარებასა შინა, რომელ არს უწინარესობა“.[69]

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ქართული წყარო ზუსტად ასახავს იმ საეკლესიო პოლიტიკას, რომელიც V საუკუნის ბიზანტიაში არსებობდა, განსაკუთრებით, 451 წლის ქალკედონის კრების შემდეგ, კერძოდ, გაძლიერებული ბიზანტიური საპატრიარქოები იერთებდნენ მეზობელ ეკლესიებსა და დიოცეზებს.

ჩანს, ბიზანტიაში ცდილან, არც ქართული ეკლესია ყოფილიყო გამონაკლისი.

განვიხილოთ საქართველოსა და ქართული ეკლესიის მდგომარეობა 370-იანი წლებიდან უფრო დაწვრილებით.

IV საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, ამიერკავკასია და მისი მიმდებარე ქვეყნები, რომლებიც აქამდე რომის გავლენის სფეროში შედიოდა, სპარსეთის გავლენის ქვეშ მოექცა. 377 წელს რომმა, ვესტგუთების აჯანყების გამო, გაიყვანა თავისი ჯარი სომხეთიდან, რაც, ფაქტობრივად, საფუძველი გახდა იმისა, რომ სომხეთი, იბერია და მისი მიმდებარე ქვეყნები სპარსეთმა დაიმორჩილა და დახარკა. ქართლის მეფე ვარაზ-ბაქარმა რომაელების დახმარების გარეშე ვერ გაბედა შებმოდა საქართველოში შემოჭრილ სპარსელთა ლაშქარს. მას უიმედოდ ჩაუთვლია ჩრდილოკავკასიელი ტომების გადმოყვანაც სპარსელებთან საომრად და თავი შეუფარებია კახეთში, ხოლო მოსახლეობისთვის რჩევა მიუცია, ქრისტიანული ნიშნების დაუფარავი ჩვენებით არ გაეღიზიანებინათ სპარსელები. აღსანიშნავია, რომ იმ დროისათვის საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენა, როგორც უბრალო ხალხი, ისე მმართველი ზედა ფენა, თავდადებული ქრისტიანი ყოფილა, და ისინი ითხოვდნენ ომს სპარსელებთან, მაგრამ მეფემ სხვაგვარად გადაწყვიტა: ვარაზ-ბაქარის დროს ქრისტიანობაზე „...მოქცეულ იყო ქართლი და დიდსა სარწმუნოებასა შინა იყვნეს აზნაურნი და ყოველი ერი ქართლისა... ამის ზე გამოგზავნა სპარსთა მეფემან ერისთავი სპითა დიდითა სომეხთა და ქართველთა ზედა ხარკის დადებად... უკუჯდა იგი ჭევსა კახეთისასა, და აღაშენა ციხე ხიდარს და განამაგრნა ციხე-ქალაქნი, და უბრძანა ყოველთა, რათა დამალნენ ჯუარნი. და მოვიდეს სპარსნი პირველად სომხითს და მოაოჭრეს სომხითი და შემოვიდეს ქართლს. და აღაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისის კართა შორის ციხედ მცხეთისად. მაშინ ვარაზ-ბაქარ ეზრახა შევრდომით და ითხოვა მშჯდობა... და განუკვეთა ხარკი, ხოლო ერისთავმან სპარსთამან მოსცა ციხე ტფილისისა და წარვიდა. და მიერითგან იქმნნეს სომეხნი და ქართველნი სპარსთა მოხარკენი“[70]

საქართველოს სამეფო სპარსელთა მოხარკე ქვეყნად იქცა.

„ამრიგად, IV საუკუნის 70-იან წლებში ირანელებმა ქართლის სამეფო მთლიანად დაიმორჩილეს. თავდაპირველად ქართლში მოსულა ირანელი სარდალი, რომელსაც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანე პიტიახშს, ხოლო „მეფეთა ამბავი“ ერისთავს უწოდებს. ხარკსაც, ეტყობა, იგივე კრეფდა. შემდგომ ირანელებს, როგორც ჩანს, ეს ფუნქცია ადგილობრივი მმართველობისათვის დაუკისრებიათ... ვარაზ-ბაკურის შემდეგ, IV საუკუნის 80-90-იან წლებში, ქართლის სამეფო ტახტზე იჯდა ბაკური...

ბაკურის დროს გრძელდებოდა ირანელთა ბატონობა... მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართლისათვის საზავო ხელშეკრულებას ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის, რომელიც დაიდო 387 წელს, რამდენიმე წლის მოლაპარაკების შემდეგ. ზავის პირობების თანახმად, სომხეთის რამდენიმე განაპირა ოლქი სომხეთს საერთოდ ჩამოსცილდა, დარჩენილი ნაწილი კი – შუა ქვეყანა, ბიზანტიელებმა და ირანელებმა გაიყვეს. ამ ქვეყნის ოთხი მეხუთედი ერგო ირანს, დანარჩენი – ბიზანტიას".[71] აღსანიშნავია, რომ სპარსელებს ქრისტიანული ეკლესიის მიმართ თავისებური მიდგომა ჰქონდათ. ქრისტიანობა თვით სპარსეთშიც გავრცელებული იყო და სპარსული ეკლესია თავისი საეპისკოპოსოებით წარმატებით მოქმედებდა სპარსეთის იმპერიაში, ისევე როგორც ამ იმპერიაში არსებული სირიული, სომხური და სხვა ეკლესიები (იგულისხმება IV-V საუკუნეები).

მართალია, სპარსეთისთვის პოლიტიკური თვალსაზრისით ქრისტიანობა მისაღები არ იყო, მაგრამ იგი ქრისტიანობაში ებრძოდა მხოლოდ პრობერძნულ მიმართულებასა და საეკლესიო ორიენტაციას. სპარსეთი თავის იმპერიაში ყველაფერს აკეთებდა, რათა მოესპო არა ეკლესიები, არამედ ეკლესიებში არსებული პრობერძნული ორიენტაცია. სპარსეთისათვის მიუღებელი იყო საბერძნეთიდან ჩამოსული სამღვდელოება, ბერძნული საეკლესიო წიგნები და ბერძნული ენაც კი.

მოსე ხორენელი აღნიშნავს სპარსელთა ანტიბერძნულ მოქმედებას სომხურ ეკლესიაში. უნდა ითქვას, რომ სპარსეთი ცდილობდა ბერძნული გავლენის აღმოფხვრას არა მარტო სომხურ ეკლესიაში, არამედ თავის იმპერიაში არსებულ ყველა ეკლესიაში. კერძოდ, სპარსეთს სურდა ბერძნულენოვანი წირვა-ლოცვისა და ღვთისმსახურების ნაცვლად სომხურ ეკლესიაში დაენერგა სირიულენოვანი ღვთისმსახურება, რადგანაც განსახილველ ეპოქაში ჯერ კიდევ არ არსებობდა სომხური ანბანი და სომხურენოვანი წიგნები. ბერძნული ენის ნაცვლად ასწავლიდნენ სპარსულ ენასა და წერა-კითხვას.

სპარსეთის ხელისუფალი სომხეთში „რა წიგნსაც კი წააწყდებოდა, იგი წვავდა, ბრძანა, რომ ესწავლათ სპარსული და არა ბერძნული წერა-კითხვა, არავის ჰქონდა უფლება ელაპარაკა ბერძნულად ანდა ეთარგმნა ამ ენიდან. ამას თითქოს იმიტომ შვრებოდა, რომ სომხებს ჯერ კიდევ არ გააჩნდათ ანბანი და ბერძნულად ასრულებდნენ ღვთისმსახურებას".[72]

ბიზანტიური გავლენის შემცირების მიზნით, სპარსეთი სასტიკად სდევნიდა არა მარტო პრობერძნულ საეკლესიო ორიენტაციას, არამედ ბერძნულ კულტურასაც. იმის გამო, რომ სომხურ ეკლესიაში სირიულ კულტურას ადრევე ჰქონდა გავლენა მოპოვებული, სპარსეთმა ინება, რომ სომხური ეკლესიიდან (და ასევე ამიერკავკასიის სხვა ეკლესიებიდან) განდევნილი ბერძნული კულტურის ნაცვლად დაენერგა სირიული კულტურა. „ებრძოდა რა ბიზანტიის გავლენის გავრცელებას სომხეთში, ირანის ხელისუფლება, ამავე დროს, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, მხარს უჭერდა სირიული კულტურის გაბატონებას სომეხთა ქვეყანაში", – წერს ა. აბდალაძე.[73]

სპარსეთისთვის სრულებით მოუთმენელი იყო ეკლესიათა რაიმე ადმინისტრაციულ-იერარქიული კავშირი ბერძნულ ეკლესიასთან.

ჯერ კიდევ სომხეთის მეფის პაპის (367-374) დროს სომხური ეკლესია იერარქიულად ჩამოშორდა ბერძნულს სპარსელების გულის მოგების მიზნით, რისთვისაც იმპერატორმა თეოდოსიმ სასტიკად დასაჯა პაპი. მოსე ხორენელი წერს, რომ პაპმა გამოძებნა საჰაკი და „დაადგინა ის ნერსესის მაგიერ კესარიის დიდ არქიეპისკოპოსთან შეუთანხმებლად“.[74] ამ დროს სომხური ეკლესია გათავისუფლდა ბერძნული ეკლესიის იერარქიული კავშირისაგან. 387 წლის შემდეგ, სპარსეთსა და ბიზანტიას შორის გაყოფილ სომხეთის ნაწილებში ეკლესიათა მდგომარეობა სხვადასხვაგვარად წარიმართა. როგორც ვთქვით, სპარსეთის სომხეთში განდევნილი ბერძნულენოვანი წირვა-ლოცვის მაგიერ დაინერგა ჯერ სირიული და მალევე სომხური წირვა-ლოცვა. საქმე ის იყო, რომ სომხებმა შეძლეს შეექმნათ სომხური ანბანი და უმალვე თარგმნეს სომხურ ენაზე საეკლესიო წიგნები. სპარსეთი ხელს უწყობდა ნებისმიერენოვან ღვთისმსახურების ჩატარებას ბერძნულის ნაცვლად, ამიტომაც აღმოსავლეთ სომხეთში სომხურენოვანი წირვა-ლოცვა და მაშტოცის სომხური ანბანი სწრაფად გავრცელდა. დასავლეთ სომხეთში კი, რომელიც ბიზანტიის იმპერიაში შედიოდა, ბიზანტიის ხელისუფლება ყოველმხრივ კრძალავდა და აფერხებდა სომხური ანბანისა და სომხურენოვანი წირვა-ლოცვის გავრცელებას. 391 წელს სომხეთის ბიზანტიურ ნაწილში მეფობა გაუქმდა, მაგრამ სომეხმა სამღვდელოებამ გამოიჩინა სიმტკიცე და კონსტანტინოპოლმა მალე ნება დართო სომხურ ეკლესიას დასავლეთ სომხეთშიც გავრცელებულიყო სომხურენოვანი ღვთისმსახურება. ბიზანტიას ძალზე აშფოთებდა, რომ სომხური ეკლესია პროსპარსულ და პროსირიულ ორიენტაციას დაადგა. ამიტომაც, მთლიანად რომ არ დაეკარგა გავლენა სომხურ ეკლესიაზე, ბიზანტიამ, ფაქტობრივად, ცნო ავტოკეფალია სომხური ეკლესიისა და დასავლეთ სომხეთის ეკლესიის მეთაურის ღირსება გაუთანაბრა კესარიის არქიეპისკოპოსის ღირსებას, გამოუყო მას თანხები, ნება დართო სომხური დამწერლობის გავრცელებისა ბიზანტიურ სომხეთში.[75] ასე მისწერა მან კიდეც სომხური ეკლესიის მეთაურს, რომლის რეზიდენციაც სპარსულ (აღმოსავლეთ) სომხეთში იმყოფებოდა: „ძალიან გამტყუნებდით თქვენ, რამეთუ მეტისმეტად გადაიხარეთ წარმართი მეფეებისკენ... განსაკუთრებით იმისათვის გადანაშაულებდით, რომ უგულებელყავით ჩვენი ქალაქის სწავლულნი და ვიღაც ასურელებთან ცდილობდით სიბრძნის პოვნას. ამის გამო მოვიწონეთ ჩვენი მსახურების მოქმედება მაგ მხარეში, რომელთაც აბუჩად აიგდეს თქვენი ამგვარი მოძღვრება...“[76] „წარმართ“ მეფეებს სპარსელ მეფეებს უწოდებდნენ.

თუ ზემომოყვანილს შევუსაბამებთ „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს, სავსებით დასაჯერებელი მოგვეჩვენება ჩვენი მატიანის მონათხრობი, რომ ქართლის მეფის ვარაზ-ბაქარის დროს ბერძნებმა დასაჯეს ეს პროსპარსული ორიენტაციის მეფე სწორედ სარწმუნოებრივი საკითხების გამო: მის სახელმწიფოს სამხრეთით მდებარე კლარჯეთის პროვინცია ჩამოაჭრეს. ხალხის აზრი ასეთი იყო: „მიგუცნა ჩუენ წარტყუევნად უცხოთა ნათესავთა და მიგჯღო ჩუენ საზღვარი ბერძენთაგან, ვითარცა მიუღო ვარაზ-ბაქარს მეფესა კლარჯეთი და იგი ცოდვითა ვარაზ-ბაქარისითა მოიწია, რამეთუ ვერ კეთილად ეპყრა სჯული ქრისტესი“.[77]

ასევე წერს ხორენელიც – პროსპარსული ორიენტაციის გამო ბიზანტია არა მარტო სჯიდა და დევნიდა, არამედ აბუჩად იგდებდა სომხურ ეკლესიას – „...მოვიწონეთ ჩვენი მსახურების მოქმედება მაგ მხარეში, რომელთაც აბუჩად აიგდეს თქვენი ამგვარი მოძღვრება“.

ბიზანტია სჯიდა პროსპარსულ ქრისტიანობას, ხოლო სპარსეთი სჯიდა პრობერძნულ ქრისტიანობას.

ცნობილია, რომ ქართული ეკლესია თავისი შინაგანი ბუნებით პრობერძნული ორიენტაციისა იყო, ამის გამო სპარსთაგან ისჯებოდა კიდეც, რის შესახებაც წმიდა რაჟდენის ცხოვრებაში ნათქვამია: „აღდგეს სპარსნი ქრისტეანეთა ზედა... რამეთუ დიდი იყო მაშინ ბრძოლაჲ და დაუცხრომელი მტრობაჲ ქრისტეანეთა ზედა და უფროჲსად ბერძენთა მიმართ, ხოლო ჩუენ ქართველთა მომართ ამისათჳს, რამეთუ ეძჳნებოდა ჩუენი ბერძენთა მიმართ სიყვარული და ერთობაჲ და ესე იყო ნებაჲ მათი, რაჲთა ჩუენცა მათთანა მტერ ვექმნეთ ბერძენთა“.[78] მართალია, ეს ეხება V საუკუნის შუა წლებს, მაგრამ სპარსეთი სწორედ ასეთ ანტიბერძნულ საეკლესიო ორიენტაციას ადგა IV-V და VI საუკუნეებში.

ასეთი პოლიტიკური სიტუაციის დროს, 380-იანი წლების შემდეგ, როცა ქართლი დახარკული იყო სპარსთა მიერ, ქართულ და ბერძნულ ეკლესიათა შორის რაიმე იერარქიულ ურთიერთდამოკიდებულებაზე და, მით უმეტეს, ბერძენი არქიეპისკოპოსის საქართველოში ჩამოსვლაზე მსჯელობა შეუძლებელია. სპარსეთი, რომელიც არა თუ პიროვნებას, არამედ ბერძნულ ენაზე ლაპარაკსაც კი კრძალავდა, ნებას არ დართავდა ბერძენ იერარქს საქართველოში ჩამოსულიყო და ემოღვაწა. ამ პერიოდის ზოგიერთი ქართველი მეფე ანტიბერძნულად იყო განწყობილი. მათი ასეთი განწყობა გამოიწვია იმან, რომ ბიზანტიამ მიიტაცა ქართული ქვეყნები. განსაკუთრებით ეს ითქმის მეფე მირდატზე, რომელიც ფარსმან მეფის (398-400წწ.) შემდეგ განაგებდა ქართულ სახელმწიფოს V საუკუნის დასაწყისში.

მირდატმა განაგრძო ფარსმანის პოლიტიკა და ის „მტერ ექმნა ბერძენთა და სპარსთა. ბერძენთაგან ეძიებდა კლარჯეთს, საზღვარსა ქართლისასა, ხოლო სპარსთა არა მისცემდა ხარკსა“.[79]

მირდატის დროს შეუძლებელია ქართულ ეკლესიას რაიმე კავშირი ჰქონოდა ბერძნულ ეკლესიასთან (იგულისხმება არა სარწმუნოებრივი ერთიანობა, არამედ იერარქიულ-ადმინისტრაციული კავშირი), რადგანაც არაბერძნული ორიენტაციის მეფე მირდატი მტრობდა და ებრძოდა ბერძნებს. ამ დროს ძალზე დაზარალებულა ქართული ეკლესია, ის ქვეყანაში შემოსულ სპარსელებს „გაურყვნიათ“. მეფე მირდატი „...შეიპყრეს სპარსთა, მოვიდეს ქართლად, დაიპყრეს ქართლი და განრყვნნეს ეკლესიანი“.[80]

შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს განმეორდა ოციოდე წლის წინ მომხდარი ამბავი, როცა ვარაზ-ბაკურის დროს ქართლში შემოვიდა სპარსელი პიტიახში, იობის მთავარეპისკოპოსობისას – „და მთავარეპისკოპოსი იყო იგივე იობ. და მაშინ მოვიდა ქრამ ხუარ ბორზარდ სპარსთა მეფისა პიტიახში...“[81] ეს იობი საბერძნეთიდან კი არ ყოფილა ჩამოსული, არამედ იყო „ნერსე კათალიკოსისა

დიაკონი“ (ასე უწოდებს იობს როგორც „ქართლის ცხოვრება“, ისე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“). სპარსთა ამ ლაშქრობის დროს ძნელია ქართულ ეკლესიასა და ბერძნულს შორის რაიმე ორგანიზაციულ-იერარქიულ კავშირზე ლაპარაკი. უთუოდ სპარსთა ნებით ქართული ეკლესია ისეთივე დამოუკიდებელ და ეროვნულ ორგანიზაციად გადაიქცა, როგორც გადაიქცა სომხური ეკლესია ამ პერიოდში. სპარსეთი, როგორც აღნიშნული იყო, ვერ ითმენდა თავის იმპერიაში არსებული ეკლესიების კავშირს ბერძნულ ეკლესიასთან.

მდგომარეობა არ შეცვლილა არც მეფე არჩილის დროს, თუმცა, „ქართლის ცხოვრება“ სხვაგვარად აღწერს მის ცხოვრებას. „მირდატის შემდეგ, IV საუკუნის ოციან წლებში, სამეფო ტახტზე დამჯდარა არჩილი... „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანის მიხედვით, არჩილის მეფობაში, საფიქრებელია, იგივე მდგომარეობაა, რაც წინა პერიოდში იყო. აქ ნახსენები არ არის ამ პერიოდში მომხდარი რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა... სამაგიეროდ, ჯუანშერთან „ქართლის ცხოვრებაში“ არჩილის მეფობა მაჟორული ტონალობითაა გადმოცემული, არჩილმაო „განაცხადა მტრობა სპარსთა, გამოაჩინა ჯუარნი და მოკაზმნა ეკლესიანი, მოსრნა და განასხნა ყოველნი ცეცხლისმსახურნი საზღვართაგან ქართლისათა, მოირთო ძალი საბერძნეთით და წარძღუანებითა ჯუარისათა იწყო ბრძოლად სპარსთა“... ჯუანშერის ეს ცნობები რეალურ ვითარებას არ ასახავს. სინამდვილეში, ქართლი ამ პერიოდშიც ირანს ემორჩილებოდა, და, ალბათ, ძირითადად ცდილობდა დაეცვა თავისი კულტურული თვითმყოფადობა. ასეთივე პოლიტიკას ატარებდა, როგორც ჩანს, არჩილის მემკვიდრე მირდატი, რომლის მეფობა 30-40-იან წლებზე უნდა მოდიოდეს. მაგრამ ქართლის ბრძოლას ირანული უღლისაგან გასათავისუფლებლად ამ პერიოდში რაიმე ხელშესახები შედეგი არ მოჰყოლია“.[82]

როგორც მეფე არჩილის, ისე მირდატის დროს სპარსეთი ძალზე გაძლიერებული იყო. 428 წელს სპარსელებმა სომხეთში მეფობა საერთოდ გააუქმეს და „სპარსულ სომხეთს განაგებდა სპარსი მმართველი – მარზაპანი, სომეხ ნახარარებს ჩამოართვეს სახელმწიფო თანამდებობანი“.[83]

ასეთ დროს, ცხადია, კიდევ უფრო დამთმობი და ლოიალური გახდებოდა ქართული სახელმწიფო სპარსეთის მიმართ, არ გააღიზიანებდა სპარსეთს და შეეცდებოდა ეკლესიიდან საერთოდ აღმოეფხვრა პრობერძნული ორიენტაციის ყოველგვარი ნიშანი.

V ს-ის 40-იან წლებში ირანის ახალი, მეტად აგრესიული პოლიტიკა გამორიცხავდა ქართული ეკლესიის იერარქიულ კავშირს ბერძნულთან.

სწორად აღინიშნება, რომ აქ გარდა სპარსეთის ხელისუფლების ნებისა, მოქმედებდა აგრეთვე ობიექტური ფაქტორი, ეს იყო ქვეყნის ფეოდალიზაციის პროცესი.

V საუკუნის შუა წლებისათვის ერთმანეთს დაუპირისპირდა სამეფო ხელისუფლება და ადგილობრივი აზნაურები, რომელნიც უკვე ფეოდალ მიწისმფლობელებად იყვნენ ქცეულნი. ეკლესიაც ასევე მსხვილი მიწისმფლობელი იყო. მეფე იბრძოდა იმისათვის, რომ თავისი გამგებლობიდან არ გაეშვა ეს მიწები, სამაგიეროდ ფეოდალები ცდილობდნენ მაქსიმალურად შეეზღუდათ მეფე. ამ პლანში სრულებით გასაგები ხდება კონფლიქტი ვახტანგ გორგასალსა და მთავარეპისკოპოს მიქაელს შორის.

ასეთი მდგომარეობის დროს ვახტანგ გორგასლის გასაოცარი სიბრძნე იმაში მდგომარეობდა, რომ მან შეძლო აზნაურებისათვის (ფეოდალებისათვის) ჩამოერთვა სახელმწიფო თანამდებობები და დაეყო ქვეყანა სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებად – საერისთავოებად. თითოეულ ამ ერთეულს მართავდა ერისთავი. ერისთავები, თავის მხრივ, უშუალოდ ექვემდებარებოდნენ მხედართმთავარს – სპასპეტს, ჯარების უფროსს. აზნაურ-ფეოდალთა ხელისუფლება ამით მაქსიმალურად შეიზღუდა, ისინი თავიანთი კუთხის მმართველობის საქმეშიც კი უშუალოდ ვეღარ ჩაერეოდნენ. ყოველ საქმეს ამ კუთხეში ერისთავი წყვეტდა. ერისთავი კი ინიშნებოდა სპასპეტის მიერ, სპასპეტი კი მეფის მიერ („სპასპეტი“ სწორედ იმ „სპას“ მეთაურობდა, რომელიც მეფესთან ერთად დაწყევლა მიქაელ მთავარეპისკოპოსმა).

ვახტანგ გორგასალმა ასეთივე პროცესი ჩაატარა ეკლესიაშიც, სახელმწიფოს კონტროლისაგან გასული ეკლესია დაუქვემდებარა სახელმწიფოს იმავე საშუალებით, რომლითაც აზნაურები დაიმორჩილა, კერძოდ, „სპით“. ამიტომაც დაიწყევლა „სპა“ მეფესთან ერთად.

უნდა ვიფიქროთ, რომ V საუკუნის შუა წლებისათვის საქართველოში მოქმედებდა არა მარტო პროირანულად, არამედ პრობერძნულადაც განწყობილი სამღვდელოება, მაგრამ სამღვდელოების ორივე დასისთვის მეფის ძლიერი, მაკონტროლებელი და მმართველი ხელისუფლება მიუღებელი იყო. ამიტომაც პრობერძნულად განწყობილი მთავარეპისკოპოსი მიქაელიც კი კონფლიქტურ დამოკიდებულებაშია მეფესთან.

ბ. მჭედლიშვილი წერს: „ვახტანგ გორგასალის მეფობის დროს, ჯუანშერისავე მიხედვით, შეინიშნება საეკლესიო დასთან უთანხმოება. ცნობილია, რომ უკვე IV საუკუნის დასაწყისიდან. ირანი ცდილობს ამიერკავკასიაში პოზიციების განმტკიცებას და ერთ-ერთ ქმედით იარაღად ქრისტიანულ რელიგიასაც იყენებს. მაგალითად, სომხეთში, დღიდან დაარსებისა, ქრისტიანულ ეკლესიას ხელმძღვანელობდნენ ირანის მეფეთა ხელდასხმული მთავარეპისკოპოსები ანუ კათალიკოსები. ქართლი, რომელსაც ბიზანტია მფარველობდა, უკეთეს პირობებში იყო და წინააღმდეგობასაც უწევდა ირანის მოძალებას, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, ირანი, როგორც ეს ვახტანგ გორგასლის ცხოვრებიდანაც ჩანს, მაინც აღწევდა მიზანს და ქართლს თავის პოლიტიკას ახვევდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ამბების თითქმის თანამედროვე პროკოპი კესარიელი აღნიშნავდა – „იბერები ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველა იმათზე უკეთ იცავენ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ“ (გეორგიკა, II, 1934 წ. გვ. 21), ქართლში მაინც შეინიშნება საეკლესიო დაჯგუფება, რომელიც სხვადასხვა ნიშნით შეიძლება სწორედ პროირანული ყოფილიყო“.[84] პროსპარსული ორიენტაციის მთავარეპისკოპოსთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან გლონოქორი და მობიდანი. ქართული ეკლესიის მეთაურები მჭიდრო კავშირში არიან სპარს ხელისუფლებასთან და მათ მიერვე არიან კიდეც დანიშნულნი. გლონოქორი გარდა იმისა, რომ ეკლესიას მეთაურობდა, აგრეთვე სპარსელთა საერო ხელისუფალი, ერისთავიც ყოფილა არა მარტო ქართლში, არამედ ჰერეთშიც, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანახმად: „და მერმე მეფობდა მირდატ და მთავარებისკოპოსი იყო გლონოქორ, და ესე მთავარებისკოპოსი ერისთავადცა იყო ბარზაბოდ პიტიახშისაგან ქართლს და ჰერეთს“.[85]

ქართული ეკლესიის მეთაური მობიდანი (436-448), თუმცა „აჩუენებდა იგი მართლმადიდებლობასა, ხოლო იყო ვინმე მოგჳ უსჯულო და შემშლელი წესთა“.[86]

ალბათ, შეუძლებელი იყო ქართულ ეკლესიას რაიმე იერარქიული კავშირი ჰქონოდა ბერძნულ ეკლესიასთან გლონოქორისა და მობიდანის დროს, რადგანაც ერთი სპარსელთა ერისთავი იყო, ხოლო მეორე აშკარად გამოხატული პროსპარსული ორიენტაციის მქონე, წესის შემშლელი. ამ დროს ქართული ეკლესია ავტოკეფალური, ანუ ბერძნული ეკლესიისაგან დამოუკიდებელია, რადგანაც მობიდანი საბერძნეთიდან კი არ გამოგზავნეს, არამედ თვით ქართველთა მეფე არჩილმა დასვა ეკლესიის მეთაურად: „ამის არჩილის ზე გარდაიცვალნეს სამნი ეპისკოპოსნი: იონა, გრიგოლი და ბასილი. და ბასილისა შემდგომად ამანვე არჩილ დასვა ეპისკოპოსი, რომელსა ერქუა მობიდან. ესე იყო ნათესავად სპარსი და აჩუენებდა იგი მართლმადიდებლობასა. ხოლო იყო ვინმე მოგჳ უსჯულო და შემშლელი წესთა. და ვერ უგრძნა არჩილ მეფემან და ძემან მისმან უსჯულოება მობიდანისი, არამედ ჰგონებდეს მორწმუნედ. და ვერცა განნაცხადებდა ქადაგებასა სჯულისა მისისასა შიშისაგან მეფისა და ერისა, არამედ ფარულად წერდა წიგნებსა ყოვლისა საცთურებისასა, რომელი შემდგომად მისსა დაწუა ყოველი წერილი მისი ჭეშმარიტმან ეპისკოპოსმან მიქაელ, რომელი განიკუეთა კადრებისათჳს ვახტანგ მეფისა“.[87]

აქ ყურადღება უნდა მიექცეს, რომ შემდეგდროინდელი მემატიანე „მოგუს“ ანუ ცეცხლთაყვანისმცემელს უწოდებს ქრისტიანული ეკლესიის მეთაურს. ხომ არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ შემდეგდროინდელი მოღვაწენი „მოგუებს“ ანუ ცეცხლთაყვანისმცემლებს უწოდებდნენ პროსპარსული ორიენტაციის, ანდა რომელიმე ქრისტიანული (ვთქვათ, მანიქეურ-ქრისტიანული) მიმდინარეობის საეკლესიო პირებს? თუ ჩავთვლით, რომ ასეთ შემთხვევაში მატიანეში აღნიშნული „მოგჳს“ ანდა ცეცხლთაყვანისმცემლის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ქრისტიანი ეპისკოპოსი, მაშინ, იქნებ, დაგვეშვა, რომ „ცეცხლისმსახურთა ეპისკოპოსი ბინქარანი“ იყო არა „ცეცხლთაყვანისმცემელი“ ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, არამედ პროსპარსული ორიენტაციის მქონე საეკლესიო პირი, ისეთივე „მოგჳ“, როგორც მობიდანი?

მატიანეში აღნიშნულია, რომ რანის სპარსელმა ერისთავმა „ბარზაბოდ წარმოგზავნა ცეცხლისმსახურნი მცხეთას და მათ ზედა ეპისკოპოსად ბინქარან, და დასხდეს მოგუთას“.[88] აქ თითქოსდა სრულებით აშკარაა, რომ ბინქარანი ცეცხლისმსახურთა ეპისკოპოსია, მაგრამ რატომ აქვს მას ქრისტიანული წოდება „ეპისკოპოსი“? გარდა ამისა, სხვა ქართულ მატიანეში, „მოქცევაჲ ქართლისაჲში“, აღნიშნულია, რომ რან-ქართლის პიტიახშმა ბარზაბოდმა ქართლ-რანის ერისთავად დანიშნა გლონოქორი. შეიძლება „ქართლის ცხოვრების“ „ბინქარან“ იგივეა, რაც, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ „გლონოქორი“, მართლაც, ორივეს რან-ქართლის ერისთავი ბარზაბოდი აგზავნის საქართველოში. ქარაგმები ბინქარან – „ბნქრნ“ და გლონოქორ – „გლნქრ“ ერთმანეთს ძალიან ჰგავს, ორივე ქარაგმაში მეორდება ერთი და იგივე თანხმოვნები – „ნქრ“, შეიძლება ქარაგმები მემატიანეებმა სხვადასხვაგვარად გახსნეს. ორივე ეს ეპისკოპოსი ვახტანგ გორგასლის ეპოქაში მოღვაწეობს — „და მერმე მეფობდა მირდატ და მთავარებისკოპოსი იყო გლონოქორ და ესე მთავარე-

ბისკოპოსი ერისთვადცა იყო ბარზაბოდ პიტიახშისაგან ქართლს და ჰერეთს. და მისა შემდგომად მეფობდა დიდი ვახტანგ გორგასალი...“[89]

„მაშინ ბარზაბოდ წარმოგზავნა... ეპისკოპოსად ბინქარან... და შეერია ქართლის წურილსა ერსა ცეცხლისმსახურება. ამისთჳს მწუხარე იყო საგდუხტ დედოფალი, არამედ მძლავრებისაგან სპარსთასა ვერას იკადრებდა. მაშინ მოიყვანა მღდელი ჭეშმარიტი საბერძნეთით, სახელით მიქაელ და დაადგინა იგი ეპისკოპოსად ზემოსა ეკლესიასა, რამეთუ მობიდან ეპისკოპოსი გარდაცვალებულ იყო. და ესე მიქაელ ეპისკოპოსი წინააღუდგა ბინქარან მაცთურსა, რამეთუ ასწავებდა ყოველთა ქართველთა სჯულსა ჭეშმარიტსა. ამან იპყრნა სარწმუნოებასა ზედა ყოველნი წარჩინებულნი და ერიცა უმრავლესი, არამედ მცირედნი ვინმე წურილისა ერისაგანნი მიიქცეს ცეცხლისმსახურებასა...“[90]

ორივე ეპისკოპოსს, როგორც მიქაელს, ისე ბინქარანს, საპატიო მდგომარეობა ეჭირათ მეფის კარზე. ამას მიუთითებს სამეფო დარბაზობის დროს ორივე ეპისკოპოსის ტახტზე, „საყდარზე“ ჯდომა. აღსანიშნავია, რომ ამ დარბაზობის დროს ტახტებზე მხოლოდ მეფე, სპასპეტი და ეს ორი ეპისკოპოსი ისხდნენ. – „განმზადა მეფემან სახლი ერთი და დაჯდა საყდართა ზედა მაღალთა, ხოლო ჯუანშერ სპასპეტი და ორნივე ეპისკოპოსი დასხდეს საყდართავე და სხუანი ყოველნი ერისთავნი დასხდეს სელებითა, და ათასისთავნი და ასისთავნი და ყოველი ერი წარმოდგეს ზე“. უთუოდ, V საუკუნის I ნახევარში ქართლში არსებობდა ორი საეკლესიო ფრთა – პრობერძნული და პროსპარსული ორიენტაციისა. ქართველი მეფეები ხან ერთ მიმდინარეობას უჭერდნენ მხარს, ხან კი მეორეს, მაგალითად, მეფეების ვარაზ-ბაქარის, მირდატის და სხვების დამოკიდებულება პრობერძნულად განწყობილი სამღვდელოების მიმართ, ცხადია, ისე კეთილგანწყობილი არ იქნებოდა, როგორც ბერძნების მოყვარული მეფეების არჩილისა, ვახტანგ გორგასლისა და მისი დედის საგდუხტისა.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ პრობერძნული ორიენტაციის სამღვდელოების ცენტრი იყო მცხეთის სამთავრო – „ზემო ეკლესია“, ხოლო პროსპარსულ სამღვდელოებას, ალბათ, მცხეთაშივე სხვაგან ჰქონდა ცენტრი (მოგვთას). საბერძნეთიდან ჩამოყვანილი „მღვდელი ჭეშმარიტი“ მიქაელი საგდუხტ დედოფალმა „დაადგინა ეპისკოპოსად ზემოსა ეკლესიასა“.

ამ მიქაელზე მატიანეში ნათქვამია, რომ ის „ასწავებდა ყოველთა ქართველთა სჯულსა ჭეშმარიტსა...“, ის იყო „ჭეშმარიტი მღვდელი“. ჩანს, პრობერძნული ორიენტაციის სამღვდელოებას უწოდებდა მემატიანე „ჭეშმარიტს“. ამიტომაც, როცა იგივე მემატიანე ამბობს, რომ მირიან მეფიდან ვახტანგ გორგასლამდე ეპისკოპოსები „წესსა ზედა ჭეშმარიტსა გარდაცვალებულნი“ იყვნენ რვანიო, ჩანს, „ჭეშმარიტის“ ქვეშ სწორედ პრობერძნული ორიენტაციის ეპისკოპოსებს თვლიდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ეკლესიაში პრობერძნული ორიენტაცია საკმაოდ ძლიერი იყო, ეს საკმარისად არ მიუჩნევია ბიზანტიას და ვახტანგ გორგასლის სიყმაწვილისას, როგორც აღნიშნული იყო, მიუტაცნია საქართველოს მიწაწყალი ეგრისწყლიდან ციხე-გოჯამდე – „არა კეთილად პყრობისათვის ქრისტიან-

ული სჯულისა და იოვანეს მცნებისა“. „იოვანეს მცნებაში“ სწორედ პრობერძნული ორიენტაცია იგულისხმება.

როგორც აღნიშნული იყო, ქართულ ეკლესიაში შექმნილი მდგომარეობის მიზეზად ბიზანტიის იმპერატორს და კონსტანტინოპოლის პატრიარქს მიუჩნევიათ სპარსთა და ბერძენთა შორის „შფოთი“, ომიანობა. ამ განუწყვეტელი ომის გამო „ვერ მოაწიეს საქმე ესე ჯერისაებრ სჯულისა“,[91] – წერენ ისინი.

უნდა დავასკვნათ: IV საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან V საუკუნის 60-70-იან წლებამდე, ქართლი ირანის მიერ დახარკული და ზოგჯერ დაპყრობილი ქვეყანა იყო. ამ დროს სპარსეთი ნებას არ მისცემდა ქართველ სამღვდელოებას იერარქიული კავშირი ჰქონოდა ბერძნულ ეკლესიასთან. ამიტომაც ამ ეპოქაში ქართული ეკლესია ბერძნული ეკლესიისაგან დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო.

საეკლესიო-სარწმუნოებრივი ვითარება საქართველოს საკათოლიკოსოს დაარსებისას

V საუკუნეში მოწვეულ იქნა ორი მსოფლიო საეკლესიო კრება. ორივე კრება, ასე თუ ისე, შეეხო ეკლესიათა ავტოკეფალიის (დამოუკიდებლობის) საკითხს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კრებათა გადაწყვეტილებები კარგად უჩვენებს, თუ როგორ იცვლებოდა შეხედულება ეკლესიათა ავტოკეფალიის შესახებ ამ საუკუნეში. მაგალითად, თუ ეფესოს 431 წლის კრებამ საგანგებო კანონი მიუძღვნა საერთოდ ეკლესიათა ავტოკეფალიის მტკიცედ და უპირობოდ დაცვის აუცილებლობას, კერძოდ კი, დაიცვა კვიპროსის პატარა ეკლესიის თავისუფლება, ქალკედონის 451 წლის კრებამ გაუქმებულად სცნო სამი ეკლესიის (ასიის, პონტოსა და თრაკიის) თავისთავადობა კონსტანტინოპოლის სასარგებლოდ.

იმპერატორ თეოდოსი მცირის (408-450) მოწვევით 431 წელს ეფესოში ჩატარდა მესამე მსოფლიო კრება, კირილე ალექსანდრიელის თავმჯდომარეობით. კრებამ განიხილა კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსის ნესტორის წვალება. ნესტორი, რომელიც კრებაზე არ გამოცხადდა, დაამხეს, ხოლო მისი მოძღვრება ერეტიკულად გამოცხადდა.

კრებაზე სხვა საკითხების გვერდით გაირჩა კვიპროსელი ეპისკოპოსის რიგინოსის საჩივარი იოანე ანტიოქიელ ეპისკოპოსზე. მიუხედავად იმისა, რომ კვიპროსის ეკლესია ძველთაგანვე ავტოკეფალური ეკლესია იყო, ანტიოქიის ეკლესია შეეცადა დაემორჩილებინა იგი. კვიპროსის ეკლესია მოციქულთა დროიდან თავისთავადი ეკლესია იყო და მას ძველთაგანვე დამოუკიდებელი ეპისკოპოსი მართავდა, რომელიც ამ კუნძულის ეპისკოპოსთა მიერ იყო არჩეული. ამგვარი ქმედება იყო კანონიკური აქტი, განმტკიცებული ნიკეის კრების იმ დადგენილებით, რომლის მიხედვითაც, ყველა ეკლესიას (საეკლესიო „სამთავროებს“ ანუ პროვინციათა და დიოცეზთა ეკლესიებს) შენარჩუნებული ჰქონდა საკუთარი უპირატესობა მართვა-გამგეობის მხრივ.

IV საუკუნეში, ნიკეის კრების გარდა, სხვა ადგილობრივმა კრებებმაც გამოსცეს საგანგებო კანონები ეკლესიათა (იგულისხმება პატარა ეკლესიები) ავტოკეფალიის

დაცვის მიზნით. 381 წლის II მსოფლიო კრებამაც გამოსცა ამგვარი კანონი – მე-2 კანონმა II მსოფლიო კრებისა, (სწორედ იმ კრებისა, რომელმაც ჩამოაყალიბა მართლმადიდებლური სწავლება ერთიანი ეკლესიის შესახებ), საერთოდ აუკრძალა ყველა ადგილობრივ ეკლესიას გაევრცელებინა თავისი იურისდიქცია თავისი საზღვრების გარეთ... ისტორია ცხადყოფს, რომ ამ კრების დროს თვითმყოფადი, ავტოკეფალურნი იყვნენ ეკლესიები, რომის იმპერიის ყველა პროვინციაში (დაახლოებით 100) თუ არა, ყოველ შემთხვევაში, იმპერიის 14-ვე დიოცეზში".[92]

II მსოფლიო კრებამ მე-2 კანონში დაასახელა კიდეც ზოგიერთი ავტოკეფალური ეკლესია – ალექსანდრიისა, ანტიოქიისა, ასიისა, პონტოსა და თრაკიისა მათი საზღვრებით.[93]

„მაგრამ ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში შემავალი ეროვნული ეკლესიების საეპისკოპოსოებიდან ყველა ვერ ახერხებდა დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. მათ არ შველოდა დასახელებულ კრებათა დადგენილებანი, თავი დამოუკიდებლად ეგრძნოთ. იმპერიის ფარგლებში მოქცეულ ეკლესიათა შორის ადრიდანვე დამყარდა ურთიერთობა, რომელიც დაფუძნებული იყო ამა თუ იმ ეკლესიის შედარებით სიძლიერეზე და ამ ქალაქთა პოლიტიკურ მნიშვნელობაზე, ამ ქალაქის[94] ქრისტიანული თემის საერთო საეკლესიო ავტორიტეტზე. ამ პირობების გამო პირველობდა იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში ანტიოქიის ეპისკოპოსი. თუმცა, ნიკეის კრების დადგენილებათა შემდეგ ეს პირველობა მხოლოდ პატივის გამომხატველი უნდა ყოფილიყო და არა რეალური ძალაუფლებისა".[95]

431 წელს მოწვეულმა III მსოფლიო კრებამ, ეკლესიათა ავტოკეფალიის დასაცავად, საგანგებო კანონი იმ მიზეზის გამო გამოსცა, რომ ამ დროისათვის (ისე, როგორც წინა საუკუნეში) ზოგიერთი დიდი ეკლესია ცდილობდა დაემორჩილებინა სხვა პატარა ადგილობრივი ეკლესიები. ს. ტროიცკი წერს, – „როცა ზოგიერთი დიდი ეკლესია შეეცადა დაემორჩილებინა სხვა პატარა ადგილობრივი ეკლესიები, მოციქულთა სწავლის ერთგულმა და ღვთის სულით განათლებულმა მსოფლიოს ეპისკოპოსთა კრებამ აღკვეთა ასეთი მცდელობანი. როცა დიდი ანტიოქიის ეკლესიას სურდა დაემორჩილებინა პატარა კვიპროსის ეკლესია, III მსოფლიო კრებამ, თავის მე-8 კანონში, დაახასიათა ასეთი მცდელობა, როგორც „საქმე გარეშე წესთა საეკლესიოთა და კანონისა წმიდათა მამათაჲსა (ჩანს, იგულისხმება მოციქულთა 35-ე კანონი), განახლებული (ე.ი. წარმოქმნილი) და თავისუფლებისა ყოველთაჲსა განმრყუნელი", როგორც საზოგადო ავადმყოფობა, რომელსაც ესაჭიროება ძლიერი მკურნალობა, რადგანაც შეუძლია დიდი ზიანის მოტანა, – „საზოგადო ვნება, უდიდესისა მოქენე კურნებისა, ვითარცა უდიდესთა სავნებელთა მიზეზი", დაადგინა: „ზედამდგომელებს კვიპროსის წმიდა ეკლესიებისას, დაე, ჰქონდეთ თავისუფლება იძულების გარეშე, წმიდა მამათა კანონებისა და ძველი ჩუეულების თანახმად, თვითონვე დაადგინონ თავისივე ღვთისმოშიში ეპისკოპოსები.[96]

მაგრამ კრება არ შემოიფარგლა კვიპროსის ეკლესიის საკითხის გადაწყვეტით, არამედ გამოიტანა საერთო კატეგორიული განსაზღვრება ყველა ეკლესიის ავტოკეფალიის ხელშეუხებლობის შესახებ: „რომელი-ესე სხუათაცა განსაგებელთა

(ე.ი. ოლქთა) და ყოვლით კერძოთა სამთავროთა (ე.ი. მიტროპოლია, ეპარქია) შინა დაცვულ იყავნ უცვალებლად. ვინაცა ნუმცა ვინ ღვთისმოყუარეთა ეპისკოპოსთაგანი მიიტაცებს სხუასა სამთავროსა, რომელი პირველითგანვე და ზემოთგან (ე.ი. თავიდანვე) არა მის ქუეშე და მისსა უწინარესთა საყდრის მპყრობელთა ქუეშე განწესებულ იყოს (ე.ი. მის ან მის წინ მყოფი ეპისკოპოსის ხელ ქვეშ არ იყო), არამედ უკუეთუ ვინმე მიიტაცა და ჴელმწიფებასა თჳსსა ქუეშე ყო იძულებით, კუალად განათავისუფლენინ იგი".

შემდეგ კრება იძლევა დასაბუთებას თავისი დადგენილებისა: „რაჲთა არცა კანონსა მამათასა გარდაჴდენ, არცა სახესა შინა მღვდელობისასა ზუაობაჲ სოფლიოჲსა მთავრობის მოყვარეობისაჲ იპოოს,არცა წარვწყმიდოთ თავისუფლებაჲ მცირედ-მცირედ დამვიწყებელთა მისთა, რომელი თჳსითა სისხლითა მოგუანიჭა ჩუენ უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან, განმანთავისუფლებელმან ყოველთა კაცთამან".[97]

ამის შემდეგ კრება აკეთებს საერთო დასკვნას, უჩვენებს პრაქტიკულ ზომას ყველა ეკლესიის ავტოკეფალიის უზრუნველყოფისათვის და დასასრულ, აცხადებს არაკანონიერად ყოველგვარ დადგენილებას მომავალში, რომელიც საწინააღმდეგო იქნება ამ დადგენილებისა: „სთნდა წმიდა და მსოფლიოსა კრებას, რომ ყველა სამთავრომ (ეპარქიამ) წმიდად უნდა დაიცვას მისადმი თავიდანვე მინიჭებული უფლება, ძველთაგანვე განმტკიცებული ჩვეულება. თითოეულმა მიტროპოლიტმა წაიღოს ამ დადგენილების ასლი. ხოლო თუ ვინმე ამ განსაზღერული კანონის საწინააღმდეგო წესს შემოიღებს, მას დაუმტკიცებლად თვლის წმიდა მსოფლიო კრება".[98]

ქალკედონის 451 წელს ჩატარებული IV მსოფლიო კრება გარკვეული თვალსაზრისით (იგულისხმება ეკლესიების ავტოკეფალიის დაცვა) განსხვავდებოდა 431 წელს ჩატარებული ეფესოს III მსოფლიო კრებისაგან. და ეს განსხვავება თვალში საცემი იყო. მართალია, 451 წლის კრებას რაიმე საგანგებო კანონი არ გამოუცია და ამით არ შეუზღუდავს ეკლესიათა ავტოკეფალია, მაგრამ მან უჩვენა მაგალითი იმით, რომ კონსტანტინოპოლის ეკლესიის იურისდიქციაში შეიყვანა სამი ეკლესია – ასიის, პონტოსა და თრაკიის და ამით ოფიციალურად სცნო ამ ეკლესიათა ავტოკეფალიის გაუქმება.

ასიის, პონტოსა და თრაკიის ეკლესიები უძველესი ავტოკეფალური ეკლესიები იყვნენ და ისინი დიდი ხნით ადრე არსებობდნენ კონსტანტინოპოლის ეკლესიის დაარსებამდე. ცნობილია, რომ II მსოფლიო კრებამ თავის II კანონში მოიხსენია საზღვრები ამ ავტოკეფალური ეკლესიებისა, IV მსოფლიო კრებამ კი, როგორც აღვნიშნეთ, ამ ეკლესიათა ავტოკეფალია საერთოდ გააუქმა.

თუ III მსოფლიო კრება თავის მე-8 კანონში მიიჩნევდა, რომ ყოველი მიტროპოლია (ეპარქია, სამთავრო) „ძველთაგანვე განმტკიცებული ჩვეულების თანახმად" ავტოკეფალური, სრულებით დამოუკიდებელი ეკლესია იყო, რაც მიიჩნეოდა „თავიდანვე მინიჭებულ უფლებად", VI მსოფლიო კრებამ (681) თავის 36-ე კანონით დაადგინა ხუთი მთავარი ავტოკეფალური ეკლესიის რანგი. ეს იმას ნიშნავს, რომ V-VII საუკუნეებში შეიცვალა შეხედულება ეკლესიათა ავტოკეფალიის შესახებ. საფუძველი ჩაეყარა შემდგომ საუკუნეებში გავრცელებულ თეორიას „პენტარქიის" შესახებ,

ანუ მსოფლიოს განაწილების შესახებ ხუთ ავტოკეფალურ ეკლესიას შორის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი თეორია IV მსოფლიო კრებას არ ჩამოუყალიბებია და არ გამოუცია რაიმე კანონი მსოფლიოს 5 ეკლესიას შორის განაწილების შესახებ. ასევე 36-ე კანონში VI მსოფლიო კრებამ უბრალოდ ჩამოთვალა იმ დროს რომ-ბიზანტიის იმპერიაში არსებული 5 მთავარი ეკლესია. ნიშნავდა თუ არა ეს იმას, რომ ამ კრებამ ჩამოთვლილ 5 მთავარ ეკლესიას მსოფლიო გაუნაწილა? არ ნიშნავდა, რადგანაც ამავე VI კრებამ თავის 39-ე კანონში დაადასტურა კვიპროსის ეკლესიის ავტოკეფალია. ე.ი. კრება თვლიდა, რომ სავალდებულო არ არის ავტოკეფალური ეკლესიების რიცხვი განისაზღვროს მხოლოდ ხუთი ეკლესიით, არამედ შეიძლება ამ რიცხვის გაზრდა.

ამ საკითხზე (მსოფლიოს 5 საპატრიარქოს შორის განაწილების თეორიაზე) იმიტომ შევჩერდით, რომ ძველადაც და ამჟამადაც თეოლოგთა ერთი ნაწილი იყენებს ამ თეორიას დიდი საპატრიარქოების სასარგებლოდ.

ანტიოქია აღმოსავლეთში უპირველესი ეკლესია იყო, რომელიც თავის გავლენას თითქმის მთელ აღმოსავლეთზე ავრცელებდა. ეს ფაქტი სრულებით მოუთმენელი იყო იმპერიის ახალი დედაქალაქის კონსტანტინოპოლის ეკლესიისათვის. თუ ანტიოქია უდიდესი ეკლესია იყო, კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი IV საუკუნისათვის, შეიძლება ითქვას, დიოცეზის გარეშე იყო.

კონსტანტინოპოლის დაარსებამდე ანტიოქია იმპერიის უმთავრესი ქალაქი იყო აღმოსავლეთში, ამიტომაც მისი ეკლესია გაძლიერდა.

იმის შემდეგ, როცა 330 წელს უმნიშვნელო ქალაქი ბიზანტიონი იმპერიის ახალ დედაქალაქად გამოცხადდა და კონსტანტინოპოლი ეწოდა, „დღის წესრიგში დადგა, „ახალი რომის“ ეპისკოპოსსაც ღირსეული ადგილი დაეკავებინა იმპერიის ეპისკოპოსთა შორის. მართლაც, 381 წელს კონსტანტინოპოლში გამართულმა II მსოფლიო კრებამ, იმპერიის აღმოსავლეთში მდებარე ეკლესიათა შორის კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს პირველი ადგილი მიაკუთვნა. შემდეგ ეს დაადასტურა IVკრების 28-ე კანონმა, იუსტინიანეს 131-ე ნოველამ და ტრულის კრების 36-ე კანონმა. II მსოფლიო კრების მე-3 კანონი, რომის ეპისკოპოსის შემდეგ, კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს ყველაზე მაღლა აყენებს, თუმცა, კანონმა კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის იურისდიქციას არც ერთი ოლქი არ დაუქვემდებარა.“[99]

რომის ეპისკოპოსის შემდეგ აქამდე ალექსანდრიისა და ანტიოქიის ეპისკოპოსებს აყენებდნენ, ამიტომაც II კრების განსაზღვრება — „კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს, დაე, ჰქონდეს უპირატესობა ღირსებისა რომის ეპისკოპოსის შემდეგ, რადგანაც კონსტანტინოპოლი ახალი რომია“, კონსტანტინოპოლს ამაღლებდა ალექსანდრიასთან შედარებით და მცირდებოდა აქამდე აღმოსავლეთში პირველობის მქონე ანტიოქიაც — „აქ აქცენტი არის არა რომთან ბრძოლაზე, არამედ ალექსანდრიასთან შედარებით ამაღლებაზე. მაგრამ ამით უსიტყვოდ მცირდებოდა აგრეთვე მთელ აღმოსავლეთში პირველობის მქონე ანტიოქია.“[100]

მიუხედავად ამისა, „კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი დიოცეზის გარეშე რჩებოდა, მხოლოდ 451 წელს ქალკედონის IV მსოფლიო კრებაზე მიიღო კონსტანტინოპ-

ოლის პატრიარქმა ანატოლიმ (449-458) ანტიოქიის პატრიარქ მაქსიმედან (451-455) აზიის ყველა ოლქი სკუტრიდან გალატიამდე".[101]

ა. კარტაშევი, ცნობილი კანონისტი, ვფიქრობ, მკაცრად წერს: კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს ჰქონდა უმცირესი ეპარქია ერთი დედაქალაქის საზღვრებში და ფორმალურად დამოკიდებული იყო ასევე მცირე ჰერაკლიის მიტროპოლიტზე... (მაშ, როგორღა შეეძლო გაევრცელებინა მას თავისი იურისდიქცია ქართულ ეკლესიაზე? მ.ა.ჯ) კონსტანტინოპოლს არ გააჩნდა არავითარი საეკლესიო წარსული, არავითარი დამსახურება ეკლესიისა და მართლმადიდებლობის წინაშე, გარდა ერთი გამაღიზიანებელი პრეტენზიისა, ყოფილიყო დაუპატიჟებელი მეთაური ეკლესიისა — სახელმწიფო ხელისუფლების იარაღი... თავიანთი ეპისკოპოსების სასამართლოთი უკმაყოფილო წვრილი ერი (სამღვდელონი და ბერები) მიედინებოდა იმპერიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლში (იმპერატორთან) და სადავო საქმეს ასაჩივრებდნენ მის კარზე, ამ ქალაქის (კონსტანტინოპოლის) იერარქის შუამდგომლობით... ამიტომაც ამ იერარქის მნიშვნელობა... ავტომატურად ამაღლდა მთელ ეკლესიაზე, როგორც ეკლესიის გასახელმწიფოებრიობის შედეგი... კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს ქალაქის გარდა არ ჰქონდა თავისი საეპარქიო ტერიტორიაც კი... გარკვეული ხნის შემდეგ კონსტანტინოპოლმა მიიერთა მთელი დიოცეზები: თრაკია (აღმოსავლეთის ილირიკია), ბითვინია, პონტო, ასია მოჰყვნენ მისი დაწოლის ორბიტაში და მისცეს მას ტერიტორია მთელი საპატრიარქოსათვის. ასეთი უნებური ავტომატური დაპყრობა, ასეთი არაეკლესიური „იმპერიალიზმი" კონსტანტინოპოლის ეკლესიის ხელისუფლებისა არ შეიძლებოდა დაუსჯელი დარჩენილიყო მის მიერ შთანთქმულთა და განაწყენებულთა მხრიდან".[102]

კონსტანტინოპოლის ეკლესიის საზღვრების გაზრდამ შეამცირა ანტიოქიის ეკლესიის საზღვრები. იერუსალიმის საპატრიარქოს წარმოქმნამ V საუკუნეში კიდევ უფრო შეამცირა ანტიოქიის ეკლესიის გავლენის სფერო. V საუკუნემდე იერუსალიმის ეპისკოპოსი განიხილებოდა ქალაქ კესარია-პალესტინის ეპისკოპოსის ხელქვეით.

„V საუკუნის დამდეგს, ქრისტიანთა თვალში, იერუსალიმისა და წმიდა მიწის დიდი მნიშვნელობის გამო, იერუსალიმის ეკლესია რომის, ალექსანდრიისა და ანტიოქიის ეკლესიათა მსგავსად, მოციქულთა თანასწორ ეკლესიად იქნა ცნობილი... მაგრამ სამწყსოს გარეშე და მხოლოდ 451 წელს ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მაქსიმე ანტიოქიელმა იერუსალიმის ეპისკოპოს იუბენალს (422-458) დაუთმო პალესტინა."[103]

451 წლის მსოფლიო კრების 26 ოქტომბრის სხდომაზე გადაჭრილ იქნა საკითხი ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოებს შორის საზღვრისა... იერუსალიმის საზღვრები გაფართოვდა ანტიოქიის ხარჯზე. ანტიოქიას დარჩა ე.წ. ორი ფინიკია (ლიბანი და სირია) და განუსაზღვრელი არაბეთი, ხოლო იერუსალიმმა მიიღო „სამი პალესტინა" სამი სამიტროპოლიტო ცენტრით: კესარია (ზღვასთან), სკვითოპოლისი (სამხრეთი პალესტინა) და პეტრა (იორდანიის გაღმა).

31 ოქტომბრის სხდომაზე იხილებოდა საკითხი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსი. „დაადგინეს, დაკანონდეს შექმნილი პრაქტიკა, როცა ეპისკოპოსები კონ-

სტანტინოპოლის მეზობელი დიოცეზები თრაკიისა (ევროპულ მხარეში), პონტოსა და ასიისა (მცირე აზიაში) თითქმის არ განისჯებოდნენ თავიანთი მიტროპოლიტის მიერ, არამედ უმჯობესად მიიჩნევდნენ, მიეღოთ იმპერატორის კარის სამართალი, ხოლო ის გადასცემდა დედაქალაქის არქიეპისკოპოსის სასამართლოს.[104] ამრიგად, ამ სამი დიოცეზის პრესტიჟი თითქოსდა ჩაყლაპა მთლიანად კონსტანტინოპოლმა. ე.ი. დედაქალაქის ეპისკოპოსი დასვა კონსტანტინე დიდმა ძველი ჰერაკლიის მიტროპოლიის იმ ტერიტორიაზე, რომელიც ახალ დედაქალაქს ეკუთვნოდა და რომელსაც ახლა უკვე სამი დიოცეზი მიეკუთვნა ისე, რომ არ შეხებია ანტიოქიის, იერუსალიმის და ალექსანდრიის გავლენის საზღვრებს.[105] ამის წინააღმდეგ არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა, რადგანაც უკვე იყო ფაქტიური მდგომარეობა, მე-9 და მე-17 კანონებში ეს ასახულია, ხოლო ახალმა მდგომარეობამ ასახვა ჰპოვა 28-კანონში (პონტოს დიოცეზში შედიოდნენ ანკირისა და კაპადოკიის კესარიის ეპისკოპოსები). 28-ე კანონი უარყო პაპმა და არასოდეს უცვნია რომის ეკლესიას, ამიტომაც იმპერიის აღმოსავლეთის 520-მა ეპისკოპოსმა წერილი გაუგზავნა პაპს, სადაც სთხოვენ: „ჩვენ დავამტკიცეთ ძველი ჩვეულება, რომლის ძალითაც კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი სვამდა მიტროპოლიტებს ასიის, პონტოსა და თრაკიის დიოცეზებში, ეს გავაკეთეთ არა კონსტანტინოპოლის კათედრის პრივილეგიისათვის, არამედ სამიტროპოლიტო ქალაქებში სიმშვიდისათვის. ჩვენ დავამტკიცეთ II მსოფლიო კრების კანონი, რომელიც გარანტიას აძლევს კონსტანტინოპოლს მე-2 ადგილისა, თქვენი სამოციქულო კათედრის შემდეგ“.[106]

„პონტოს დიდ დიოცეზში, რომელიც გადაჭიმული იყო ბოსფორიდან ევფრატამდე, არ იყო ერთი საერთოდ აღიარებული ადმინისტრაციული ცენტრი, ერთნი მიიჩნევდნენ კესარია-კაპადოკიას, მეორენი – ანკირას, მესამენი უქვემდებარებდნენ თავისთავს კონსტანტინოპოლს. ამიტომაც, მცირე აზიაში გამოჩნდნენ ოლქები და ქალაქები, რომელთაც თავიანთთვის მოხერხებულად და სასარგებლოდ მიიჩნიეს, მიემართათ პირდაპირ დედაქალაქისათვის, ასეთია ბითინია, როგორც ნაწილი პონტოს დიოცეზისა. ბითინიაში შემავალი ქალაქი ქალკედონი იქცა კონსტანტინოპოლის გარეუბნად. საერთოდ, მთელი მცირე აზიის ეპისკოპოსები ყოველთვის დედაქალაქში იყვნენ, მის არქიეპისკოპოსთან, კათედრასთან, თათბირობდნენ მის მიმდინარე ამბებზე, აქვე გადმოჰქონდათ თავიანთი კამათი და ადგილობრივი საქმეები. ამიტომ მან ასახვა ჰპოვა IV მსოფლიო კრების მე-9 და მე-17 კანონებში, რომლის თანახმადაც, აღმოსავლეთში თავიანთი დიოცეზების (ოლქების) კრებების გადაწყვეტილებით უკმაყოფილოთათვის უმაღლესი სააპელაციო ინსტანცია იყო კონსტანტინოპოლის საყდარი (კათედრა), მაგრამ ეს ეხებოდა აღმოსავლეთის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც არ შედიოდა სხვის საპატრიარქოებში. კრებას არ უფიქრია ასეთი სააპელაციო უფლება დედაქალაქისა სხვა საპატრიარქოებზედაც გაევრცელებინა არც ეგვიპტეზე, არც სირიაზე, არც ილირიკიაზე ევროპაში“.[107]

პაპმა ზემოთ მოყვანილ წერილზე უპასუხა: ა) კონსტანტინოპოლის აღზევების მოტივი საერია და არა ეკლესიური, ხომ შეიძლება დედაქალაქი სხვაგან ყოფილიყო? მაგალითად, სამეფო კარი ახლა რავენაშია, რავენა გავუთანაბროთ რომს? ბ)

ამით დაირღვა კანონიკური უფლება ანტიოქიისა და ალექსანდრიისა, როგორც სამოციქულო კათედრებისა. გ) დაირღვა მიტროპოლიების ღირსება ნიკეის კრების მე-6 კანონის თანახმად. დ) 381 წლის კრების მე-3 კანონზე მითითება მიუღებელია, რადგანაც ამ კრებას არ ცნობს რომი.

მიუხედავად იმისა, რომ პაპისგან IV კრების დადგენილების დამტკიცება (28-ე კანონის გამო) არ მიიღო, იმპერატორმა მარკიანემ მაინც დაამტკიცა ქალკედონის კრების ეს დადგენილება. შემდეგ ის პაპმაც დაამტკიცა. 28-ე კანონზე დადუმდა, თითქოსდა არც არსებულიყო. აღმოსავლეთში ეს კანონი ძალაში შევიდა.[108] კონსტანტინოპოლმა, მართალია, მიიღო სამი ეკლესია 451 წელს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ მან მოიპოვა მსოფლიოს სხვა საპატრიარქოებზე ზედგომის უფლება. კანონისტი იოანე ზონარა (XII ს-ის II ნახევარი) ქალკედონის მე-17 კანონის განმარტებაში წერს, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქს არ შეეძლო სირიის ან პალესტინის, ფინიკიის ან ეგვიპტის მიტროპოლიტთა საქმე გაერჩია მათი სურვილის გარეშე.[109]

„მე-12 საუკუნის კომენტატორი იოანე ზონარა ქალკედონის მე-17 კანონის განმარტებისას უარყოფს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მსახურის ალექსი არისტინეს განმარტებას. თითქოსდა ამ კრების მე-9 კანონი აძლევს კონსტანტინოპოლის პატრიარქს უფლებას გაასამართლოს ყველა სხვა საპატრიარქოების მიტროპოლიტები.“[110]

თვით კონსტანტინოპოლის ეკლესიის ოფიციალური კანონიკური კრებული — პილადიონი, კერძოდ, წერს. „კონსტანტინოპოლის პატრიარქს არა აქვს უფლება იმოქმედოს სხვა საპატრიარქოთა საზღვრებში და დიოცეზებში, არსებული კანონებით მას არა აქვს უფლება მთელი მსოფლიო ეკლესიის საბოლოო აპელაციური ინსტანციისა...“[111]

ცნობილია, რომ ვახტანგ გორგასალმა მთავარეპისკოპოსი მიქაელი, რომელმაც მეფეს შეურაცხყოფა მიაყენა, დასასჯელად გაგზავნა კონსტანტინოპოლში, იმპერიის დედაქალაქში. ვახტანგმა უთხრა მიქაელს – „მიგავლინო შენ პატრიარქისა კონსტანტინოპოლედ და ვითარცა ჯერ იყოს, განგიკითხოს.“[112] ამიტომაც ქალკედონის კრების მე-9 კანონთან დაკავშირებით შეიძლება დაისვას ასეთი კითხვა: – ხომ არ დაიცვა ვახტანგ გორგასალმა მე-9 კანონის მოთხოვნა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „თუ რომელიმე სასულიერო პირს სამართლებრივი საქმე ჰქონდეს სხვა სასულიერო პირთან, გვერდს ნუ აუვლის თავის ეპისკოპოსს და სამოქალაქო სამსჯავროს წინაშე ნუ წარდგება... თუ სამთავროს მიტროპოლიტთან ეპისკოპოსს ან სასულიერო პირს ჰქონდეს სამართლებრივი საქმე, იმ მხარის ეგზარქოსს (პატრიარქს), ან კონსტანტინოპოლის სამეუფო საყდარს მიმართონ და მის წინაშე განისაჯონ.“

როგორ უნდა მოქცეულიყო გორგასალი იმ სიტუაციაში, როდესაც საეკლესიო „სამთავროს“ მეთაურმა დაწყევლა იგი და კბილი ჩაუმტვრია? თუ ის ფიზიკურად დასჯიდა და გაუსწორდებოდა, ამით უკმაყოფილო დარჩებოდა ქრისტიანი მოსახლეობა, რომელიც ქვეყნის უმრავლესობას შეადგენდა. ქრისტიანთა მომდურება სპარსეთთან საომარი მდგომარეობის დროს არ ივარგებდა. შეიძლება ამიტომაც

ვახტანგმა გაიხსენა ქალკედონის კრების ის კანონი (მე-9), რომელიც მოუწოდებდა, რომ საეკლესიო პირის სამართლებრივი საქმე გაერჩია არა სამოქალაქო სამსჯავროს, არამედ იმ მხარის ეგზარხოსს (პატრიარქს), ანდა ეს სასულიერო პირი გაეგზავნათ კონსტანტინოპოლში, რათა იქაურ პატრიარქს განესაჯა.

რადგანაც მთავარეპისკოპოსი მიქაელი თვითონ იყო საქართველოს ეკლესიის მეთაური, ამიტომაც მისი განსჯა კონსტანტინოპოლის საყდარს მიანდეს. ვახტანგ გორგასალმა დაიცვა მოთხოვნა ქალკედონის კრების მე-9 კანონისა და ამით მოიგო ქრისტიანთა გული.

მართალია, ზონარა სავსებით სამართლიანად წერს, რომ „კონსტანტინოპოლის პატრიარქს არა აქვს ხელისუფლება იმოქმედოს სხვა საპატრიარქოთა საზღვრებში და დიოცეზებში“ და ამიტომაც ვახტანგი არ იყო ვალდებული მიქაელი კონსტანტინოპოლში გაეგზავნა, მაგრამ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია (საჭირო იყო ქრისტიანთა დარაზმვა სპარსელებთან საბრძოლველად, ვახტანგი აპირებდა სპარსელებთან ბრძოლისათვის მიეცა სარწმუნოებრივი ხასიათი) მოითხოვდა დიდ სიფრთხილეს ამგვარ საკითხებში. შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა ქალკედონის კრების ეს დადგენილება და გართულების გარეშე მოიშორა ურჩი მღვდელმთავარი.

გარდა ამისა, როგორც აღნიშნული იყო, საქართველოს უშუალო მოსაზღვრისა და მეზობლის პონტოს (კესარია-კაპადოკიის) ვრცელი დიოცეზის უმაღლესი სამღვდელოება თავის პრობლემებსა და საკითხებს ამ დროისათვის წყვეტდა არა თავის ეკლესიაში (დიოცეზში), არამედ კონსტანტინოპოლში. ესეც შეიძლებოდა ვახტანგისთვის მაგალითი და იმპულსის მიმცემი ყოფილიყო.

ამიტომაც, ვახტანგის მოქმედებიდან (მიქაელის კონსტანტინოპოლში გაგზავნის გამო) არ შეიძლება ისეთი დასკვნის გამოტანა, თითქოსდა იმ დროისათვის კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში შედიოდა ქართული ეკლესია.

პონტოს, ასიისა და თრაკიის დიოცეზების („განსაგებელთა“) ეპისკოპოსები ქალკედონის კრების დროისათვის, თითქმის მუდამ, თავის ჩვეულებრივ და ყოველდღიურ საკითხებსაც კი კონსტანტინოპოლელი ეპისკოპოსის კარზე წყვეტდნენ (ეს ეკლესიები უშუალოდ ემიჯნებოდნენ იმპერიის დედაქალაქს). ამიტომაც, წმიდა მსოფლიო კრებამ მიზანშეწონილად მიიჩნია იურიდიულად დაეკანონებინა უკვე არსებული ფაქტი. სამივე ეკლესია ოფიციალურად შეუერთდა კონსტანტინოპოლის საყდარს და დაარსდა ახალი კონსტანტინოპოლის საპატრიარქო. ამის შესახებ 28-ე კანონი წერს: „პონტოს, ასიის და თრაკიის განსაგებელთა მიტროპოლიტებმა და ამ მხარეებში მყოფმა არაბერძნული მოსახლეობის ეპისკოპოსებმაც ხელდასხმა მიიღონ კონსტანტინოპოლის დიდი ეკლესიისაგან... მიტროპოლიტი ზემოხსენებული მხარეებისა, როგორც ითქვა, ხელდასხმული უნდა იყოს კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსის მიერ, ოღონდ ჩვეულებისამებრ ერთხმად უნდა იყოს არჩეული წინასწარ და შემდეგ წარუდგეს ხელდასხმისათვის კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსს.“[113]

როგორც ზემომოყვანილიდან (III და IV მსოფლიო კრებების გადაწყვეტილებების შედარებიდან) ჩანს, V საუკუნეში არ იყო ხელსაყრელი პირობები ავტოკე-

ფალური ეკლესიის შექმნისთვის. ამ საუკუნის დასაწყისში, მართალია, იცავენ და საგანგებო კანონებს სცემენ უკვე არსებული ავტოკეფალური ეკლესიების თავისუფლების დაცვისათვის, მაგრამ V საუკუნის შუა წლებში უქმდება სამი ეკლესიის თავისუფლება, ძლიერდება და თითქმის მთავრდება პროცესი იმპერიის განაწილებისა 5 დიდ საპატრიარქოს შორის (ეს პროცესი VI საუკუნის დასაწყისში დამთავრდა), ამიტომაც, შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ კონსტანტინოპოლი, რომელმაც იმ პერიოდში მიუერთა თავის იურისდიქციას საქართველოს უშუალო მოსაზღვრე პონტო-კესარია-კაპადოკიის ეკლესია, ქართულ ეკლესიას მიანიჭებდა არა ავტოკეფალიას, არამედ პონტოს მსგავსად თავის საყდარს მიუერთებდა ქართულ ეკლესიას. და თუ იმ დროს კონსტანტინოპოლმა ქართული ეკლესია თავის იურისდიქციაში არ შეიყვანა, მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ მას ეს არ შეეძლო (მართლაც, როგორ შეეძლო სპარსეთის სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეული ქართული ეკლესია ბიზანტიას თავის იურისდიქციაში შეეყვანა? ეს პოლიტიკურად შეუძლებელი იყო).

ანტიოქიის იურისდიქციაში კი ქალკედონის კრებამდე ქართული ეკლესია არ ყოფილა (იხ. ქვემოთ).

ქართული ეკლესიის მდგომარეობის ახსნისათვის V საუკუნეში, ალბათ, გამოდგება სომხური ეკლესია, რომელიც ქართული ეკლესიის მსგავსად, სპარსეთის საზღვრებში იყო მოქცეული.

სომხეთი და საქართველო V საუკუნეში თითქმის თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ – ორივე სპარსთა ქვეშევრდომი ქვეყნები იყო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში კიდევ არსებობდა ეროვნული სახელმწიფოებრიობა, ხოლო სომხეთში სპარსელებმა მეფობა 428 წელს გააუქმეს. ამ მდგომარეობის გამო სპარსეთი აქტიურად ერეოდა საქართველოსა და სომხეთის საეკლესიო საქმეებში. ჯერ კიდევ სომხეთში მეფობის გაუქმებამდე, როგორც აღნიშნული იყო, 420-იანი წლებისთვის სომხეთის კათალიკოსებს ირანის შაჰი ნიშნავდა. იგივე ითქმის ქართული ეკლესიის შესახებაც – V საუკუნის დასაწყისში ქართული ეკლესიის მეთაური გლონოქორი („მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანახმად) სპარსელი ხელისუფლის მიერ ქართლ-ალბანეთის ერისთავადაც იყო დანიშნული, ხოლო მთავარეპისკოპოსი მობიდანი (436-448) აშკარად გამოხატული პროსპარსული ორიენტაციის მატარებელი იყო, მას „ნათესავით სპარსსაც“ კი უწოდებდნენ. ამიტომ შეუძლებელია და წარმოუდგენელიც კია, 451 წლამდე მაინც (სომხეთის ცნობილ აჯანყებამდე, რომლის შემდეგაც ირანი წავიდა დათმობაზე და აღადგინეს სარწმუნოებრივი თავისუფლება), ქართულ ეკლესიას ორგანიზაციული კავშირი ჰქონოდა ბიზანტიის იმპერიის ეკლესიებთან და რომელიმე ბიზანტიური ეკლესიის იურისდიქციაში ყოფილიყო. ასეთ კავშირს ირანი არ დაუშვებდა (იგულისხმება ორგანიზაციული და არა სარწმუნოებრივი კავშირი). ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენში იმ დროს არ იყო პრობერძნული საეკლესიო ფრთა, ისევე როგორც პროსპარსული ორიენტაციისა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართველი მეფეები აღნიშნულ დროს როგორც ბიზანტიის, ისე სპარსეთის მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილნი. მაგალითად, მეფე ფარსმანი, რომელმაც ირანს ხარკი შეუწყვიტა და ბიზანტიას ებრძოდა. ასევე

მეფე მირდატი, რომელიც ირანსაც ებრძოდა და ბიზანტიასაც. ირანელები ყოველთვის ამარცხებდნენ მათ წინააღმდეგ განწყობილ ქართველ მეფეებს და ქართლს კვლავ იმორჩილებდნენ. სწორედ ამ დროს ისინი ქართულ ეკლესიაშიც საკუთარ წესრიგს ამყარებდნენ. როგორც აღინიშნა, გლონოქორს, ქართული ეკლესიის მეთაურს, სპარსელებმა ქართლ-ჰერეთის ერისთავის ფუნქციაც მიანიჭეს. ე.ი. ქართული ეკლესიის მეთაურს მიანიჭეს ის ფუნქცია, რომელიც ქართველთა მეფეს ეკუთვნოდა. ეკლესია და სამეფო ხელისუფლება ერთმანეთს დაუპირისპირეს. V საუკუნის რეფორმამდელი იერარქები – გლონოქორი, მობიდანი და მიქაელი (452-467) — ქართველთა მეფის წინააღმდეგ არიან განწყობილნი და იბრძვიან კიდეც ყოველი საშუალებით მეფის წინააღმდეგ (მაგ. მიქაელი). არც ის არის დასავიწყებელი, რომ სპარსეთი ქართლის ერისთავებს აქეზებდა ქართველთა მეფის წინააღმდეგ. ერისთავები მეფეს ებრძოდნენ, მათ სურდათ საკარგავი თანამდებობა და მამული მემკვიდრეობით დაემტკიცებინათ, რასაც მართლაც მიაღწიეს VI საუკუნის დასაწყისში, მეფობის გაუქმების შემდეგ.

„ერისთავი“ გლონოქორიც, როგორც სპარსთაგან დანიშნული, ქართველი ერისთავების გვერდით უნდა მდგარიყო მეფის ხელისუფლებასთან ბრძოლისას.

სომეხი ეპისკოპოსი გ. სარქისიანი თავის წიგნში, რომელიც შეეხება V საუკუნეში სომხური ეკლესიის მდგომარეობას, გადმოსცემს: „რაც შეეხება ქვეყნის საშინაო მდგომარეობას, არც აქ იყო სიმშვიდე, მეფესა და მსხვილ ნახარარებს შორის პოლიტიკური ბრძოლა წარმოებდა. ნახარარები ქვეყნის დეცენტრალიზაციისათვის იბრძოდნენ. სპარსელები იმ მთავრებს ემხრობოდნენ, რომელნიც ქვეყნის ცენტრალიზაციის წინააღმდეგნი იყვნენ და სომხური ეკლესიის იმ ლიდერებს ემყარებოდნენ, რომელნიც სირიულ ტრადიციას უჭერდნენ მხარს... (387-90წ.) სომხეთის გაყოფის შემდეგ სპარსელები ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ სომხეთში სირიული კულტურის გავრცელებას... ბერძნული ენა და კულტურა სომხეთში სასტიკად იყო აკრძალული... სპარსელნი სირიულ ქრისტიანობას მფარველობდნენ ბიზანტიელთა საპირისპიროდ.“[114]

არსენი საფარელი კარგად აღწერს სომხური ეკლესიისა და სპარსელების ურთიერთობას V საუკუნეში — „სპარსეთმა სომხეთი დაიპყრო... მაშინ გამოძებნეს ღონე სომხებმა, შეუთანხმდნენ სპარსეთს, რომ მისი მოხარკე გახდებოდნენ. დაარწმუნეს სპარსთა მეფე დიდი ფიცით და თავისდებით, რომ კავშირს გაწყვეტდნენ ბერძნებთან და შეუერთდებოდნენ მათ. ძლიერ გაიხარა სპარსთა მეფემ და სომხებს სომხეთი დაუბრუნა საჩუქრებთან ერთად. რამდენიმე ხანს სომხები მშვიდობით ცხოვრობდნენ მართალი სარწმუნოებით ანუ ბერძნული რჯულით“.[115]

უთუოდ არსენი საფარელი აქ გულისხმობს სომხეთის კათალიკოს საჰაკის (397-448) დროს. საჰაკი 51 წელი კათალიკოსობდა, მის დროს ეკლესიასა და ერში სიმშვიდე იყო. ეს იყო სომხეთის „ოქროს საუკუნე“. არსენი საფარელის მიხედვით, ამ დროს სომხებს ბერძნებთან კავშირი გაწყვეტილი აქვთ, მაგრამ მათ, ამავე დროს, აქვთ „ბერძნული რჯული“. ე.ი. სომხეთსა და მის ეკლესიას ბიზანტიასთან გაწყვეტილი აქვს პოლიტიკურ-იერარქიული კავშირი, მაგრამ სარწმუნოებრივი ერთობა კი დაცული აქვს.

„ნესტორიანებმა დიდძალი ოქროსა და ქრთამის მიცემით სთხოვეს სპარსთა მეფეს, რათა მათთვის მიეცა ნება სომხეთი მოექციათ ნესტორიანულ რჯულზე. განდრიკეს მეფის გული და დაარწმუნეს იმაში, რომ „რაჟამს იპოვნიან სომხები საბერძნეთთან ერთობის საშუალებას, არ მოერიდებიან შენდამი მოცემულ ფიცსა და სიყვარულზე თავისდებას. ბერძნები და სომხები შეერთებული ძალით უსიამოვნებას მოგაყენებენ, ამიტომაც შეუცვალე სომხებს რჯული, ამით ბერძნებსა და სომხებს შორის საუკუნო სიყვარულს მოსპობო“. ამის შემდეგ პეროზ სპარსთა მეფემ (457-484) აიძულა სომხები მიეღოთ ნესტორიანობა, მაგრამ სომხებმა უარყვეს მეფის ეს განზრახვა, განუცხადეს მეფის მოციქულს – ჩვენ ჩვენი სარწმუნოება გვირჩევნია არა მარტო ჩვენს ქვეყანას, არამედ ჩვენ თავსა და შვილებსო“.[116] – თუ როგორი შინაგანი წინააღმდეგობა იყო ამ „მშვიდობიან“ დროსაც კი, კარგად ჩანს სომეხი კათალიკოსების მაგალითზე. ირანის შაჰმა გააფრთხილა კიდეც საჰაკი, რომ მისი პრობიზანტიური საეკლესიო პოლიტიკა სომეხი ერის განადგურების მიზეზი გახდებოდა.

„საჰაკს ორგზის მოუწია ქტესიფონის სამეფო კარზე მოსვლა პრობერძნულ ორიენტაციაში დადანაშაულების გამო და ორივეჯერ თავი გაიმართლა. მიუხედავად იმისა, რომ საჰაკი გარეგნულად ირანოფილი იყო, რაც უდავოდ არსებული პოლიტიკური ვითარებით იყო შეპირობებული, სინამდვილეში საჰაკი ელინოფილი იყო. ელინოფილობაც ისევე, როგორც ირანოფილობა, მას სომხეთის ინტერესებისათვის ესაჭიროებოდა.“[117]

423 წელს სომხეთის ირანოფილურმა დასმა გადაწყვიტა დაემხო და ტახტიდან ჩამოეგდო მეფე, რომელიც ელინოფილად მიიჩნეოდა (მას მხარს უჭერდა საჰაკი). ირანოფილმა ნახარარებმა შაჰს მიმართეს. შაჰის ბრძანებით დაემხო საჰაკიც და სომეხთა მეფე არტაშესიც.

საჰაკის შემდეგ კათალიკოსად იყო სირიული (ანუ პროსპარსული) ორიენტაციის სარმაკი. ის ანტიოქიური (ანუ სირიული) ეკლესიის ორიენტაციისა იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ კონსტანტინოპოლის ტრადიციას მხარს არ უჭერდა. მისი მომდევნო ორი კათალიკოსის დროს ბიზანტიასთან, ე.ი. კონსტანტინოპოლთან საეკლესიო კავშირი გაწყდა. მათ შემდეგ კათალიკოსად, შაჰის თანხმობითა და ნახარართა სურვილით, მეორედ დაჯდა საჰაკი. როგორც აღვნიშნეთ, „შაჰმა მკაცრად გააფრთხილა კათალიკოსი, რომ მისი პრობიზანტიური საეკლესიო პოლიტიკა სომეხთა განადგურების მიზეზი გახდებოდა.“ სომხეთში „კვლავ განახლდა ორი ქრისტიანული ტრადიციის ბრძოლა“[118] (ე.ი. კონსტანტინოპოლური და სირიული (ანტიოქიური) საეკლესიო ტრადიციებისა). პირველი პრობიზანტიურ, ხოლო მეორე პროსპარსულ ორიენტაციად მიიჩნეოდა. „საჰაკის ბრძნული პოლიტიკის წყალობით სირიულმა ტრადიციამ მარცხი განიცადა“.[119] პროირანული ორიენტაციის დასი სირიის ეკლესიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

მსგავსად სომხური ეკლესიისა, ქართულ ეკლესიასაც იმ დროს პროსპარსული ორიენტაციის მთავარეპისკოპოსები მართავდნენ – გლონოქორი და მობიდანი. საჰაკის შემდეგ კათალიკოსი იოსები (ჰოსეფ) ბიზანტიური ორიენტაციისა იყო.

მსგავსადვე ამ იოსების დროს, ქართული ეკლესიის მეთაური გახდა ბიზანტიური ორიენტაციისავე მთავარეპისკოპოსი მიქაელი (452-467).

აქედან ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ საქართველოში, ისევე, როგორც სომხეთში ორი საეკლესიო ტრადიცია – პროირანული და პრობიზანტიური ერთმანეთს ებრძვიან. ხელისუფლებას ხან ერთი ეუფლება და ხან მეორე...

იოსების პრობიზანტიური პოლიტიკის გამო „სომხეთის საეკლესიო ურთიერთობის გაღრმავება ბიზანტიასთან ირანისათვის საშიში ხდებოდა, სომეხთა შევიწროება უკვე 452 წლიდან დაიწყო."[120] მშვიდობა მხოლოდ 483 წლიდან დამყარდა, როდესაც სომეხთა მარზპანად ვაჰან მამიკონიანი განაჩინეს. სწორედ მისი მმართველობის დროს (485-505) სომხეთის ეკლესიაში შეუდგნენ ქალკედონის კრების გადაწყვეტილებების განხილვას".[121]

იოსების შემდეგ თითქმის ყველა კათალიკოსი სირიულ (პროსპარსულ) საეკლესიო პოლიტიკას ატარებდა. ხოლო ვაჰან მამიკონიანის შემდეგ, არსენი საფარელის თანახმად, სპარსთა სახელმწიფომ და სომხურმა ეკლესიამ კავშირიც კი შეჰკრეს.

იოსების შემდეგი კათალიკოსი სომხური ეკლესიისა მელიტე მანაზკერტელი (454-456) „სირიული ეკლესიის წარმომადგენელი და მისი ორიენტაციის გამტარებელი იყო",[122] კათალიკოსი მოვსეს მანაზკერტელი (456-461) „პროსპარსული საეკლესიო პოლიტიკის გამტარებლად გამოდიოდა"[123] „...სირიული ეკლესიის მომხრე ადამიანის სომეხთა საკათალიკოსო საყდარზე დასმა ირანის ხელისუფლების მეოხებით უნდა მომხდარიყო";[124] კათალიკოსი გიუტი — ბერძნული ეკლესიის მიმდევარი იყო, ხოლო კათალიკოსი მანდაკუნი მის საპირისპირო პოლიტიკას იცავდა: „მანდაკუნი გიუტის შემდგომ იყო კათალიკოსი და, ბუნებრივია, ცდილობდა, არ დაეშვა მისი შეცდომები. იმ დროს, როცა სომხეთში შედარებით მშვიდობა სუფევდა, მანდაკუნი არ აძლევდა საბაბს ირანელებს სომხეთის წინააღმდეგ საბრძოლველად".[125]

აღმოსავლეთის ქრისტიანულ ეკლესიაში (როგორც სირია-პალესტინაში, ასევე სომხეთში) ორი საეკლესიო ტრადიცია – კონსტანტინოპოლისა და სირია-ანტიოქიისა ებრძოდა ერთმანეთს. უნდა ვიფიქროთ, რომ ასევე იყო საქართველოშიც.

ანტიოქია სირიაში მდებარეობდა. კონსტანტინოპოლის დაარსებამდე ის იყო იმპერიის პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური ცენტრი. იქ იყო იმპერიის მთელი აღმოსავლეთის სამოქალაქო და სამხედრო მმართველობა. ის ქრისტიანობის უპირველესი ცენტრი იყო რომთან და ალექსანდრიასთან ერთად. რომი თუ დასავლეთის ქრისტიანულ ცენტრად ითვლებოდა, ალექსანდრია ეგვიპტის (აფრიკის), ანტიოქია აღმოსავლეთის ეკლესიების ცენტრად მიიჩნეოდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ იერარქიულად აღმოსავლეთის ყველა ეკლესია ანტიოქიას ემორჩილებოდა, აქ უფრო იგულისხმება სარწმუნოებრივ-ეკლესიური კავშირი. მართალია, IX საუკუნეში ბასილი სოფონელი წერდა, რომ „ანტიოქიის საპატრიარქო საყდარი იბერიამდე და აბასგიამდე, არმენიამდე და შიდა უდაბნოებამდე, ხორასანსა, სპარსელებამდე და მიდიელებამდე ვრცელდებოდაო,[126] მაგრამ IX საუკუნის ავტორი სწორად არ ასახავს იმ ვითარებას, რომელიც არსებობდა IV-V საუკუნეებში, რადგანაც პონტოსა და თრაკიის დიოცეზები, ქალკედონის 451 წლის

კრებამდეც არ ემორჩილებოდნენ ანტიოქიას, არამედ ავტოკეფალურნი იყვნენ და კონსტანტინოპოლთან ჰქონდათ კავშირი, ხოლო ამ კრებამ ეს დიოცეზები საერთოდ მიუერთა კონსტანტინოპოლის საყდარს.

ბასილი სოფონელის ცნობიდან ჩანს, რომ საქართველოს ეკლესიები (იბერიამდე, ანუ ქართლის საკათალიკოსომდე და აბასგიამდე, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსომდე) მის დროს და მასზე ადრე არ შედიოდნენ ანტიოქიაში. მისი ცნობიდანვე ჩანს, რომ ანტიოქიას არ ექვემდებარებიან არც სომხეთი და არც სპარსელი ქრისტიანები.

ამ ცნობით, პონტოსა და ასიის მრევლი ანტიოქიას ექვემდებარებოდა, მაგრამ ქალკედონის კრების შემდეგ დაიწყო ანტიოქიის ეპისკოპოსთა მრევლის შემცირება. საერთოდ, რაც უფრო ძლიერდებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო, მით უფრო მცირდებოდა ანტიოქიის მნიშვნელობა. კონსტანტინოპოლმა ანტიოქიას ჩამოაშორა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მნიშვნელობა. კონსტანტინოპოლის დაარსების შემდეგ ანტიოქიამ დაკარგა მნიშვნელობა, როგორც აღმოსავლეთის უმთავრესმა საეკლესიო ცენტრმა. მაგრამ ანტიოქია არ ურიგდებოდა კონსტანტინოპოლის აღზევებასა და თავის დამცრობას, ამიტომაც იბრძოდა კიდეც ამის წინააღმდეგ, რაც თავის გამოხატვას ჰპოვებდა საეკლესიო ცხოვრებაშიც.

ჯერ კიდევ ქალკედონის კრებამდე არსებული ანტიოქიის საღვთისმეტყველო სკოლა უპირისპირდებოდა იმპერიის სხვა საღვთისმეტყველო სკოლებს (მაგ. ალექსანდრიისას).

ნესტორი, რომელიც კონსტანტინოპოლის პატრიარქი გახდა 428 წელს, ანტიოქიის სკოლის წარმომადგენელი იყო, ისე, როგორც მისი მასწავლებელი თეოდორე მოფსუესტელი. ანტიოქიის სკოლის წარმომადგენელი იყო ბარსუმა – ნესტორიანობის დამცველი. „449 წელს ე. წ. „ყაჩაღურ“ მონოფიზიტურ კრებაზე იგი იცავდა ნესტორიანობას. როცა ბიზანტიის იმპერიაში ნესტორიანობის დამარცხების შემდეგ ნესტორიანული ეკლესიის ცენტრმა სპარსეთში გადაინაცვლა, ბარსუმა სპარსეთის მეფეთა აგენტი გახდა. პეროზის მეფობის დროს (459-484) ბარსუმამ შეძლო მისი მოწინააღმდეგე სპარსეთის ქრისტიანული ეკლესიის კათალიკოს ბაბოვაის დამხობა და ნესტორიანობის გამოცხადება სპარსეთის ეკლესიის ოფიციალურ სარწმუნოებად, რაც მიღებულ იქნა ბეთ-ლაპატის სპარსეთის ეკლესიის კრებაზე (484 წ.). კრებას თავად ბარსუმა წინამძღვრობდა. ბარსუმას მიერ დაარსებული ნიზიბინის თეოლოგიური სკოლა, ისევე, როგორც მთელი სპარსული ნესტორიანული ეკლესია, ფაქტიურად ანტიბიზანტიურად განწყობილ ემიგრანტთა ორგანიზაციად გადაიქცა“.[127]

ანტიოქიური სკოლის ცენტრმა სპარსეთში (ქ. ნიზიბინში) გადაინაცვლა (ქ. ედესიდან).

V საუკუნეში ანტიანტიოქიური ცენტრი იყო კონსტანტინოპოლი.[128] აღმოსავლეთის ქრისტიანები ორ ბანაკად იყვნენ დაყოფილი, სხვებთან ერთად არსებობდნენ ანტიოქიური (სირიული) ორიენტაციის ქრისტიანები და კონსტანტინოპოლური (ბიზანტიურ-ბერძნული) ორიენტაციის ქრისტიანები.

სირიასთან (ანტიოქია) კავშირი ირანოფილობას ნიშნავდა, რადგანაც სირიულ ეკლესიას მხარს ირანი უჭერდა, ხოლო კონსტანტინოპოლთან კავშირი ელინოფილობას, რადგანაც მას მხარს ბიზანტიის იმპერატორი უჭერდა.

ქალკედონის კრებამდეც ასე იყო და მის შემდეგაც.

მალხასიანცის შეხედულებით, სირიული ტრადიციის მომხრეთ ანტიქალკედონური პოზიცია ეკავათ, ხოლო ბერძნული ეკლესიის მიმდევრებს – ქალკედონური.[129]

ანტიოქიური სკოლა შედგებოდა როგორც ბერძნებისაგან, ასევე სირიელებისგან, მაგრამ საერთოდ პროირანული და ანტიკონსტანტინოპოლური იყო.

„III-IV საუკუნეებში სირიელი მისიონერები უდიდეს როლს ასრულებდნენ სომხური ეკლესიის ისტორიაში, სომეხ სწავლულთა დიდ ნაწილს ქრისტიანული განათლება ქ. ედესაში ჰქონდა მიღებული, რომელიც ანტიოქიის სკოლას ეკუთვნოდა“.[130] ანტიოქიურ სკოლასა და სომხურ თეოლოგებს ურთიერთობა ჰქონდათ. მართალია, ამის შესახებ წყაროები არაფერს ამბობენ 431 წლის ეფესოს კრებამდე, მაგრამ გ. სარქისიანი ამტკიცებს, რომ ნესტორის ანტიოქიელ მასწავლებელს თეოდორე მოფსუეტელს, მაშტოცისათვის მიუწერია სამი ეპისტოლე ზოროასტრიზმის წინააღმდეგ.[131]

საყურადღებოა ინოკენტი მარონიეს ცნობა, რომლის თანახმად, მას შემდეგ, რაც ნესტორის მოძღვრება აიკრძალა, მისმა მიმდევრებმა ხელი მოჰკიდეს ნესტორის მასწავლებლის თეოდორეს შრომების სირიულ, სპარსულ და სომხურ ენებზე თარგმნას. ინოკენტის ამ ცნობიდან ჩანს, რომ სომხეთში ყოფილან თეოდორეს მოძღვრების მიმდევრები, რომელნიც მის თხზულებებს თარგმნიდნენ და ავრცელებდნენ. თუმცა, ამ მოძრაობის ცენტრი ანტიოქიის სკოლა უნდა ყოფილიყო.“[132]

„სავარაუდოა, რომ თეოდორეს სომხეთში მხარს უჭერდა პროირანული ორიენტაციის დასი, რომელიც სირიის ეკლესიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა...“[133]

სომხეთში ნესტორიანობის გავრცელების მცდელობის შესახებ არსენი საფარელიც მიუთითებდა.

ანტიოქიასთან კავშირის შესახებ შეიძლება დაისვას ასეთი კითხვა, რატომ მიუთითებენ დაბეჯითებით ქართული წყაროები ქართული ეკლესიის ანტიოქიასთან კავშირის შესახებ? რომელ საეკლესიო დასთან ჰქონდა ქართულ ეკლესიას ანტიოქიაში კავშირი, ანტიკონსტანტინოპოლურ საეკლესიო მიმდინარეობასთან, რომელიც უმრავლესობას წარმოადგენდა, თუ ე.წ. „მელქიტებთან“, რომლებიც კონსტანტინოპოლს უჭერდნენ მხარს?

ქართველი ისტორიკოსები ბალსამონის ცნობაზე დაყრდნობით ფიქრობენ, რომ ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია მიიღო ანტიოქიის პატრიარქ პეტრეს დროს. პეტრე მკაწვრალი (კნაფეუსი) მეთაურობდა ანტიქალკედონურ ოპოზიციას. ის იყო მონოფიზიტობისთვის თავდადებული მებრძოლი. სამჯერ ავიდა ანტიოქიის საპატრიარქო ტახტზე და სამჯერვე ჩამოაგდეს. იმპერატორმა ლეონ I-მა (457-474) გაგზავნა გადასახლებაში, გზიდან გაიპარა, ჩავიდა კონსტანტინოპოლში და გამართლდა, მაგრამ გაგზავნეს „აკუმიტებთან“ (მონასტერში), 474 წელს იმპერატორ ლეონ I-ის სიკვდილის შემდეგ, ზენონმა ის არ გაათავისუფლა, მაგრამ როცა ვასილისკმა (475-476) განდევნა ზენონი, პეტრე მკაწვრალი 475 წელს ხელახლა ავიდა ანტიოქიის კათედრაზე, მეორე წელს ზენონმა ჩამოაგდო ტახტიდან ვასილისკი და პეტრე გადაასახლა. ახალი პატრიარქი ანტიოქიისა, სტეფანე, მონოფიზიტებმა მოკლეს წირვისას. კათედრა ერთხანს ვაკანტური იყო.

კონსტანტინოპოლის იმპერატორი ზენონი (474-491) და პატრიარქი აკაკი ქალკედონიზმის დროშით იბრძოდნენ და ხედავდნენ მონოფიზიტების რეაქციას ეგვიპტეში, სირიასა და პალესტინაში. ამიტომაც საჭიროდ მიიჩნიეს რელიგიური დათმობა – გამოსცეს „ჰენოტიკონი". პეტრე მკაწვრალი დააბრუნეს გადასახლებიდან და იგი მეოთხედ გახდა პატრიარქი. მან მიიღო „ჰენოტიკონი". მანვე შემოიღო მონოფიზიტური ფორმულა სამწმიდაობის გალობაში „ჯვარცმულო ჯვარზე".

კონსტანტინოპოლის პატრიარქი აკაკი თავის თავს თვლიდა მთელი იმპერიის ეკლესიის მეთაურად მას შემდეგ, რაც მიიღო უფლება პონტოს, თრაკიისა და ასიის ეკლესიებზე. ერეოდა ილირიისა (ევროპაში) და ანტიოქიის საქმეებშიც კი. ანტიოქიისა და ალექსანდრიის პატრიარქები მისი ნებით ინიშნებოდნენ.[134]

ასეთ ვითარებაში, როცა კონსტანტინოპოლის პატრიარქს თავისი თავი მიაჩნდა მთელი მსოფლიო ეკლესიის მეთაურად, როცა ის ცდილობდა ანტიოქიის საპატრიარქოს არა გაზრდას, არამედ მისი გავლენის სფეროების შემცირებას და ერეოდა ანტიოქიის საქმეებში, გაუგებარი ხდება ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში დაცული ცნობა, რომლის თანახმადაც, ქართული ეკლესიის მომავალი მეთაურები კონსტანტინოპოლის პატრიარქმა საკურთხებლად გაუგზავნა ანტიოქიის პატრიარქს, თუმცა აქედან იმ ვარაუდის გამოტანაც შეიძლება, რომ ასეთ ვითარებაში კონსტანტინოპოლელს შეეძლო კიდეც დაევალებინა ანტიოქიელისათვის ამ საქმის შესრულება.

ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში დაცულია წერილი, რომელიც თითქოსდა კონსტანტინოპოლის პატრიარქმა გაუგზავნა ანიტიოქიის პატრიარქს. ამ წერილის თანახმად, კონსტანტინოპოლი „აღმოსავლეთსა" და „ჩრდილოეთს" მიიჩნევს ანტიოქიის საპატრიარქოში შემავალ ტერიტორიებად.

მაგრამ აღმოსავლეთში კონსტანტინოპოლი იურისდიქციას ახორციელებდა მცირე აზიაზე (პონტოსა და ასიის მიწებზე), ასევე ჩრდილოეთის მიწები (იგულისხმება მომავალი რუსეთისა და სლავების ეკლესიების ტერიტორიები) შედიოდა და შევიდა კიდეც არა ანტიოქიის, არამედ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, ამიტომაც ეს წერილი სინამდვილეს არ ასახავს. ჩრდილოეთის მთელი ტერიტორიები კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში შედიოდა თითქმის XVI-XVII საუკუნეებამდე. „მიუწერეს ანტიოქიისა პატრიაქსა მეფემან და პატრიაქმან კოსტანტინეპოლელმან ესრეთ, ვითარმედ: „ქართლი და აღმოსავლეთი და ჩრდილო მაგის წმიდისა საყდრისანი არიან, ვითარცა განაწესეს მოციქულთა სახარებასა შინა, რომელ არს უწინარესობა."[135]

უნდა აღინიშნოს, რომ მოციქულებს მსოფლიო ეკლესია არ გაუყვიათ დიდ ეკლესიათა შორის, პირიქით, ისინი ყოველი საეკლესიო თემის ავტოკეფალიას იცავდნენ[136] ამიტომაც ქართლის ცხოვრებაში მოთავსებული ეს წერილი ასახავს არა რეალურ ვითარებას, არამედ გამართლებაა იმ მდგომარეობისა, რომელშიც, ალბათ, ეკლესია იმყოფებოდა ამ „ჩანართი" წერილის შედგენის დროს.

სხვათა შორის, ამავე წერილიდან ჩანს ისიც, რომ ქართული ეკლესია წინა ეპოქაში არ შედიოდა ანტიოქიის იურისდიქციაში, რასაც უძებნიან გამართლებას და წერენ, რომ „რამეთუ შორის სპარსთა და ბერძენთა შფოთი იყო და მით ვერ

მოაწიეს საქმე ესე ჯერისაებრ სჯულისა".[137] თითქოსდა „სჯული" მოითხოვდა, რომ ქართლი, ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ანტიოქიას დამორჩილებოდა.

ვ. გოილაძე მსჯელობს, რომ ქართლის პირველი კათალიკოსი პეტრე ვახტანგ გორგასალმა გაიცნო ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ სპარს-ქართველთა ლაშქრობისას 453-456 წელს. ამ დროს პეტრე მღვდელი იყო კაპადოკია-ქალკედონში. მალე ვახტანგი სპარსელებთან ერთად აღმოსავლეთში სალაშქროდ წავიდა. 468 წელს ირანიდან მომავალმა ვახტანგმა „...წარავლინა მოციქული წარმოყვანებად ცოლისა მისისა და პეტრესთჳს კათალიკოსისა და სამოელ ეპისკოპოსისა", თან იმპერატორს სთხოვა ქართლის კათალიკოსად პეტრე დაემტკიცებინათ. თავის მხრივ, იმპერატორმა პეტრე და სამოელი ანტიოქიის პატრიარქთან გაგზავნა კურთხევის მისაღებად, „რამეთუ... ქართლი და აღმოსავლეთი და ჩრდილო მაგის წმიდისა საყდრისანი არიან, ვითარცა განაწესეს მოციქულთა".[138] როცა ქართლში გამოსაგზავნი სასულიერო პირები ანტიოქიაში ჩავიდნენ, ქართლი დიოფიზიტური ქვეყანა იყო.[139] პეტრე-სამოელისა და დანარჩენი 12 სასულიერო პირის კურთხევა და ქართული ეკლესიისთვის დამოუკიდებლობის მიცემა ანტიოქიის პატრიარქს უბრძანა იმპერატორმა, მაგრამ ამ დროს ანტიოქიაში მიმდინარეობდა საეკლესიო ომი დიოფიზიტთა და მონოფიზიტთა შორის. V საუკუნის 70-იანი წლებისთვის სირიის დედაქალაქ ანტიოქიაში მონოფიზიტებმა თანდათან უპირატესობა მოიპოვეს. მათ მეთაურობდა პეტრე მკაწვრალი (ფულონი), რომელიც 470-71 წელს ანტიოქიის პატრიარქი გახდა. იმპერატორი ლეონ I (457-474) ქალკედონის რწმენის დამკვიდრებისათვის იბრძოდა. იგი ემუქრებოდა პეტრე ფულონს, თუ არ შეიცვლიდა შეხედულებას, ძალით დაატოვებინებდა კათედრას და გადაასახლებდა. ასეთ დროს პეტრეს არ შეეძლო არ შეესრულებინა იმპერატორის ბრძანება ქართველი კათალიკოსის კურთხევის შესახებ. იმპერატორის მუქარის გამო პეტრე ფულონი გაიქცა. შემდეგ ვ. გოილაძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ქართველი ქალკედონიტი სამღვდელოება, მომავალი კათალიკოსი და ეპისკოპოსები არ ეკურთხებოდნენ მონოფიზიტი პეტრეს ხელით, არამედ ეკურთხებოდნენ მისი ხელით იმ დროს, როცა პეტრე ფულონმა მიიღო „ჰენოტიკონი". ანტიოქიის მოსახლეობა საერთოდ მონოფიზიტობას ემხრობოდა, ამიტომ იმპერატორი და კონსტანტინოპოლის პატრიარქი აკაკი (472-489) იძულებულნი გახდნენ მონოფიზიტებთან შემრიგებლური პოზიცია დაეკავებინათ. 482 წელს მონოფიზიტებს „ჰენოტიკონი" („ერთობის ფორმულა") შესთავაზეს. მონოფიზიტებმა, მათ შორის პეტრე ფულონმაც, მიიღო ეს ჰენოტიკონი, რომელიც ძირითადად მიმართული იყო სირიის, ეგვიპტის, ლიბიისა და სხვა ეკლესიებისადმი.

ანტიოქიის კათედრა იმპერატორ ზენონის ნებართვით პეტრე ფულონმა დაიბრუნა და ვ. გოილაძის აზრით, ამის შემდეგ პეტრე ფულონმა აკურთხა პეტრე კათალიკოსი და ქართულ ეკლესიას მიანიჭა ავტოკეფალია – „ქართლის მოქცევიდან 170 წლის თავზე, როგორც ამას ქართული წყაროები ამტკიცებენ – 487-488 წელს ეს საქმე (ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭება) ანტიოქიის ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ პეტრე ფულონის თავმჯდომარეობით დადებითად გადაწყვიტა".[140]

როგორც ვ. გოილაძის ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან ჩანს, ქართული ეკლესია და ის ბერძენი სამღვდელოება, რომელნიც საქართველოში სამოღვაწეოდ ანტიოქიაში უნდა კურთხეულიყვნენ, აღნიშნულ დროს მტკიცე დიოფიზიტი ქალკედონიტები იყვნენ და ამიტომაც პატრიარქის ხელდასხმას არ მიიღებდნენო. სავსებით შესაძლებელია, ქართული ეკლესია აღნიშნულ დროს, V საუკუნის მეორე ნახევარში, მართლაც ქალკედონიტური ქვეყანა იყო, თვით კონსტანტინოპოლიც კი იმ დროს ძალზე ხშირად მონოფიზიტური გავლენის ქვეშ იყო. ზოგიერთი იმპერატორიც კი უარყოფდა ქალკედონის კრებას. იმპერატორმა ვასილისკმა უარყო ქალკედონის კრება. იმპერიის აღმოსავლეთიც მონოფიზიტების ხელში იყო. ალექსანდრიაში, სირიასა და პალესტინაში საერთოდ ხალხი მონოფიზიტობის მხარეზე იყო და ქალკედონიტებს დევნიდნენ. თვით იმპერიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლში მონოფიზიტების გავლენა იზრდებოდა. 488 წლისთვის გამოჩნდა მონოფიზიტთა შორის სახელგანთქმული მონაზონი (ბერი) სევერიუსი, რომელიც მაიუმში, ღაზის მახლობლად, აღიკვეცა, სადაც ერთგულებდნენ პეტრე იბერის ტრადიციებს. მან ჰენოტიკონი მიიღო, მაიუმის ბერები ჰენოტიკონს უჭერდნენ მხარს.[141]

512 წელს კონსტანტინოპოლში, თვით წმიდა სოფიას ტაძარში შეიტანეს მონოფიზიტური გალობა სამწმიდაობისა – „რომელიც ჩვენთვის ჯვარს ეცვი“.[142] ქალაქში დაიწყო ბრძოლები მორწმუნე ქალკედონიტთა და მონოფიზიტთა შორის. 513 წელს ქალაქში შევიდა დუნაის ჯარები 60 000 ჯარისკაცით წესრიგის დასამყარებლად (მოითხოვდნენ მონოფიზიტთა ლიდერების განდევნას). 518 წელს გარდაიცვალა იმპერატორი ანასტასი. სენატმა დაასახელა იუსტინე I. იუსტინე იმპერატორმა მონოფიზიტური გალობა აკრძალა. მოწვეულ იქნა კრება, კონსტანტინოპოლი კვლავ შეუერთდა რომს. იმპერატორ იუსტინიანე დიდის (527-565) ზეობის პირველ წლებში დედაქალაქში გაიზარდა მონოფიზიტური მიდრეკილება. მიწისძვრის შემდეგ ხალხი საჯაროდ ყვიროდა „ავგუსტუს, დაწვი ქალკედონის კრების ტომოსი“, იმპერატორმა გარკვეულწილად დაუთმო მონოფიზიტებს. იუსტინიანეს სურდა ერთიანი მსოფლიო ქრისტიანული იმპერიის შექმნა. მისი მეუღლის, თეოდორას გარდაცვალების შემდეგ, რომელიც მონოფიზიტებს მფარველობდა, იუსტინიანე სწორ გზას დაადგა.[143]

როგორც ზემომოყვანილიდან ჩანს, თვით იმპერიის დედაქალაქიც კი მტკიცე ქალკედონიტურ გეზს არ იცავდა და ზოგჯერ თვით დედაქალაქის ქუჩებშიც კი მონოფიზიტები და დიოფიზიტები ერთმანეთს ებრძოდნენ. მთავარ ტაძარში მონოფიზიტური გალობა იყო დაკანონებული. ასეთ სიტუაციაში ძნელია მტკიცება იმისა, რომ მონოფიზიტები საერთოდ არ არსებობდნენ საქართველოში. ქართული წყაროები ძალზე კარგად წერენ ამის შესახებ, ხაზს უსვამენ, რომ ქართულ ეკლესიაში იყო ისეთივე სარწმუნოებრივი მიმართულება, როგორიც იყო „საბერძნეთში“. ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ როცა „საბერძნეთის“ ეკლესია მტკიცედ იცავდა ქალკედონიტობას, ქართული ეკლესიაც ამ დროს მტკიცედ იცავდა ქალკედონიტობას, და პირიქით. ამ წყაროდან გამომდინარე, თუ „საბერძნეთში“ მონოფიზიტები და დიოფიზიტები V საუკუნის II ნახევარსა და VI საუკუნის დასაწყისში ერთად არიან და თანაარსებობენ, ქართულ ეკლესიაშიც მსგავსი ვითარებაა, საქართველოშიც

არსებობენ როგორც ქალკედონიტური, ისე მონოფიზიტური მიმართულებანი. თუმცა, შეიძლება საქართველოში ასეთ ერთმანეთთან დაუნდობელ ბრძოლას ადგილი არ ჰქონოდა, პირიქით, სავსებით შესაძლებელია, რომ ქალკედონიტები და მონოფიზიტები ერთიანი ძალით ებრძოდნენ საქართველოში არსებულ წარმართობასა და ცეცხლთაყვანისმცემლობას.

როგორც ითქვა, სომხურ ეკლესიაში არსებობდა სირიული (ანუ პროსპარსული) და კონსტანტინოპოლური (პრობერძნული) მიმართულება. მალე ერთი ფრთა მიემხრო მონოფიზიტებს, ხოლო მეორე ქალკედონიტებს. ცნობილია, რომ სომხეთში სირიულ-მონოფიზიტურმა მიმართულებამ გაიმარჯვა, ხოლო საქართველოში პირიქით, ბერძნულ-ქალკედონიტურმა.

თუ როგორი რწმენა და ქრისტოლოგია ჰქონდათ ქართველებს აღნიშნულ პერიოდში, ამის შესახებ მიუთითებს VI საუკუნის დასაწყისში სპარსელი ქრისტიანებისადმი სომხეთიდან გაგზავნილი ორი ეპისტოლე.[144] ჩვენში მიიჩნეოდა, რომ 506 წლის კრება იყო მონოფიზიტური, რომელმაც უარყო ქალკედონიტობა — „დვინის 506 წლის კრებასთან დაკავშირებით დღეს ჩვენს ისტორიოგრაფიაში ჩამოყალიბებულია სამი ძირითადი დებულება: 1. 506 წლის კრებაზე ქართლი ოფიციალურად მიემხრო მონოფიზიტობას და ასე დარჩა VII ს-ის დამდეგს ქართველებსა და სომხებს შორის მომხდარ საეკლესიო განხეთქილებამდე. 2. დვინის საეკლესიო კრებამ, შესაძლოა, დაადასტურა კავკასიის ეკლესიების ორგანიზაციული ცენტრის ჩამოყალიბება დვინის საკათალიკოსოს პრიმატობით. 3. აღნიშნული იდეოლოგიურ-ორგანიზაციული ცვლილებები ირანის სახელმწიფოს გავლენით მოხდა“.[145]

ზ. ალექსიძე აღნიშნულ ეპისტოლეთა, სხვა მასალებისა და წყაროების გამოწვლილვითი ანალიზის შემდეგ დაასკვნის: „კავკასიის ეკლესიებმა თავისი დამოკიდებულება მსოფლიო ეკლესიაში მიმდინარე დოგმატური კამათისადმი პირველად დვინის 506 წლის საერთო კრებაზე გამოთქვეს, როგორც ჩანს, კრებამ მიიღო ზენონის „ჰენოტიკონი“ და მხარი დაუჭირა ბიზანტიის კეისართა დიოფიზიტებისა და მონოფიზიტთა შერიგების პოლიტიკას, ამის შემდეგ, VI ს-ის შუა ხანებამდე ქართული და სომხური წყაროები გარკვეულს არაფერს ამბობენ მათი ეკლესიების მრწამსის შესახებ. წყაროების ასეთი სიჩუმე ირიბად უნდა მოწმობდეს, რომ კავკასიის ეკლესიების პოზიციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა, ან კიდევ რაც უფრო სავარაუდოა, მომხდარი ცვლილება საგანგებო საეკლესიო კრებას არ გაუფორმებია.“[146]

მაშასადამე, სინამდვილეში საქმე შეიძლება ასე იყოს: 506 წლის კრებამ მიიღო ჰენოტიკონი და ანტინესტორიანული გადაწყვეტილება. სპარსელი ნესტორიანები იმ დროისათვის აცხადებენ, რომ მათაც იგივე სარწმუნოება აქვთ, რაც სომხებს, ქართველებს და ბერძნებსო („...რა მრწამსს აღიარებდნენ ქართველები, სომხები და ალბანელები: სპარსეთში ნესტორიანებს ხმა გაევრცელებინათ, რომ ესენიც ნესტორის მიმდევრები არიანო“, „ნესტორიანები სამეფო ხელისუფლებას არწმუნებდნენ, რომ მეზობელ ქვეყნებშიც იგივე სარწმუნოების აღსარებაა გავრცელებული, რასაც ისინი ქადაგებენ“).[147] სპარსელ ნესტორიანთა ასეთ თვალსაზრისს სასტიკად უარყოფს

ბაბგენ სომეხთა კათალიკოსი. ისმის კითხვა, რატომ მიიჩნევდნენ ნესტორიანები ბერძნებს, სომხებს, ქართველებსა და ალბანელებს თანამორწმუნეებად? ნესტორიანთა აზრით, ქალკედონის კრება იყო ნესტორიანთა კრება. შეცდომით ნესტორიანები ქალკედონის კრების გადაწყვეტილებებს ნესტორიანებისადმი დათმობად თვლიდნენ, რადგანაც ქალკედონის კრება ქრისტეში ორ ბუნებას აღიარებდა (შეურევნელად და განუყოფელად), ასევე ნესტორიანებიც იესო ქრისტეში ორ ბუნებას აღიარებდნენ (ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, მათი აზრით, მამა ღმერთის ლოგოსი კაცში იმყოფებოდა, როგორც ტაძარში). ქალკედონის კრებამ ნესტორიანები გაახარა, ჩანს, იმის გამო, რომ როგორც არსენი საფარელი არაერთგზის აღნიშნავს, ქართული ეკლესია მუდამ ბერძნულ ეკლესიაში მიღებულ ქრისტოლოგიას აღიარებდა, ხოლო საბერძნეთი ამ დროისათვის, ასე თუ ისე, ქალკედონურ ქვეყანად მიიჩნეოდა. ნესტორიანები სომხეთ-ალბანეთის ქრისტიანებს თანამორწმუნეებად თვლიდნენ.

ბაბგენი თავის I ეპისტოლეში, კერძოდ, წერს: „მწვალებლები ამბობენ... რომ ბერძნებს, სომხებს, ქართველებსა და ალბანელებს იგივე სჯული და სარწმუნოება აქვთ, რაც ჩვენა გვაქვსო. ეს შევიტყვეთ მათგან იმის შესახებ, თუ რას ამბობენ ნესტორიანები.“[148] და იქვე განაგრძობს – „რადგან ისურვეთ, რომ ამ საქმეთა შესახებ ჩვენგან შეგეტყოთ, გაცნობებთ: ბერძნებს, ჩვენ, სომხებს, ქართველებსა და ალბანელებს ეს ღმერთის გმობა არ შეგვიწყნარებია და არც ვეზიარებით, არამედ შევაჩვენებთ, რადგან ასე ამბობენ და ასწავლიან.“[149]

მაშასადამე, როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, სპარსელი ნესტორიანები ბერძენთა, სომეხთა, ქართველთა და ალბანელთა ნესტორიანობას იმ მიზეზის გამო ამტკიცებდნენ, რომ ისინი ქალკედონიტებად, ანდა ქალკედონური ორიენტაციის მქონე ქრისტიანებად მიაჩნდათ. ისმის კითხვა, იცნობდნენ თუ არა საერთოდ ქალკედონის კრების გადაწყვეტილებებს სომხეთსა და საქართველოში, ანდა ეთანხმებოდნენ თუ არა მას?

ზაზა ალექსიძემ სავსებით დამაჯერებლად გაარკვია აღნიშნულ ეპისტოლეებზე დაყრდნობით, რომ „...პირველ ეპისტოლეში სომხური სარწმუნოების აღსარება ნიკეის სარწმუნოების სიმბოლოს ფარგლებიდან არ გამოდის და არიანელთა საწინააღმდეგო ფორმულით მთავრდება. მეორეში უკვე ჩანს ანტინესტორიანული მსჯელობა სამების „დამატების“ შესახებ და მომარჯვებულია ეფესოს კრების ავტორიტეტი. ძნელია თავი გაითავისუფლო ეჭვისგან, რომ დვინის 506 წლის კრების მონაწილეებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ნათელი წარმოდგენა V ს-ის მანძილზე მსოფლიო ეკლესიაში მიმდინარე ნესტორიანული და მონოფიზიტური ცილობის შესახებ, ისინი ჯერ კიდევ ნიკეა-კონსტანტინოპოლის დოგმატიკის დონეზე იმყოფებოდნენ. მეორე ეპისტოლეს შედგენისას მდგომარეობა არსებითად განსხვავდება. სომხეთის ეკლესიის მესვეურები უკეთ არიან გარკვეული თანადროულ რელიგიურ სიტუაციაში და მხარს, თუმცა ჯერ კიდევ შემრიგებლურ დონეზე, მაგრამ მაინც უფრო მონოფიზიტობას უჭერენ... ასეა, თუ ისე, ქართული და ალბანური ეკლესიები მეორე ეპისტოლესთან არ არიან დაკავშირებული და მათი მრწამსის შესახებ მხოლოდ პირველი ეპისტოლეთი შეიძლება მსჯელობა. ხოლო პირველი ეპისტოლეს მიხედვით დვინის 506 წლის კრება ქალკედონიანობის საკითხს არ იხილავდა.“[150]

რამდენადმე განსხვავებულია გ. სარქისიანის თვალსაზრისი:

„...სომხებმა მართლა არაფერი იცოდნენ ქალკედონის კრების შესახებ? გ. სარქისიანი უარყოფს ამ მოსაზრებას. სახელდობრ, მას მოჰყავს ორი ცნობა: ა) იოანე მანდაკუნის „დამტკიცება“ და ბ) მოვსეს ხორენაცის ტრაქტატი. უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა იოანე მანდაკუნის ტრაქტატის სახელწოდება: „დამტკიცება, რომ ვაღიაროთ უფალი ორი ბუნებისა თუ ერთი ბუნებისა“, რაც არაორაზროვნად მიუთითებს, რომ აღნიშნულ ტრაქტატში ის ძირითადი საკითხია დასმული, რომელსაც ცენტრალური ადგილი ეპყრა ქალკედონის კრებაზე. უფრო საყურადღებოა მოვსეს ხორენაცის ტრაქტატში შემონახული ცნობები, რომელშიაც ტიმოთე ელურის „ქალკედონის კრების გადაწყვეტილებათა უარყოფის“ სომხური თარგმანის გავლენა იგრძნობა... თარგმანი 480-484 წწ. შორის უნდა იყოს შესრულებული. გ. სარქისიანიც ამ თვალსაზრისისაკენ იხრება და თარგმანს V ს-ის II ნახევარში საბერძნეთის კულტურული ცენტრებიდან სომხეთს დაბრუნებულ სწავლულთა მეორე თაობას, ე.წ. „მთარგმნელთა“ მოღვაწეობას მიაწერს. შემოინახა ცნობები, რომელთა მიხედვითაც სომხებმა თავდაპირველად მიიღეს ქალკედონის კრების დოქტრინა, შემდეგ კი VI ს-ის შუა ხანებში სირიელ მონოფიზიტთა ზეგავლენით მონოფიზიტიზმს დაუბრუნდნენ. ლაზარ ფარპეცი ვარდან მამიკონიანისადმი წარგზავნილ ეპისტოლეში წერს, რომ სომხებმა იცოდნენ ქალკედონის საეკლესიო კრების შესახებ. აღნიშნულ ეპისტოლეში ფარპეცი ანათემას უგზავნის სხვა მწვალებელთა შორის ევტიქისაც, რადგან თავად ფარპეცი კირილეს ქრისტოლოგიის მიმდევარი იყო და ამ ნიშნით იგი ქალკედონის მოწინააღმდეგეთა ბანაკს მიეკუთვნება. გ. სარქისიანის აზრით, შეუძლებელია ქალკედონის კრების შესახებ არაფერი სცოდნოდა სომეხ მთარგმნელთა მეორე თაობას, რომელიც ბიზანტიასა და ალექსანდრიას იყო წასული, მაგრამ რატომ არ იხსენიება სომხურ წყაროებში ქალკედონის საეკლესიო კრება? გ. სარქისიანს ამის პირველ მიზეზად არსებული პოლიტიკური ვითარება მიაჩნია. იმპერატორ ზენონის „ჰენოტიკონი“ ქალკედონის კრების მიჩქმალვას ცდილობდა და ამ პირობებში ძნელი იყო სომხური ეკლესიის მესვეურთათვის ქალკედონის კრების ანათემა. ეს უნდა იყოს სომხურ წყაროთა დუმილის ერთი მიზეზი. მეორე მიზეზი უფრო მნიშვნელოვანია. რადგან ნესტორიანები „ჰენოტიკონს“ ებრძოდნენ, სომხები ნესტორიანობას ქალკედონიზმში ურევდნენ, რაც ნესტორიანობისა და ქალკედონიზმის ანტიმონოფიზიტობით იყო შეპირობებული“.[151]

როგორც ზ. ალექსიძემ გაარკვია, „...დვინის 506 წლის კრება ქალკედონიანობის საკითხს არ იხილავდა“, სწორედ ამ კრებას ესწრებოდა ქართული ეკლესიის წარმომადგენელი. ამ კრების მიერ გაცემულ ბაბგენ კათალიკოსის I ეპისტოლეში ქართული ეკლესიის ქრისტოლოგიაცაა გადმოცემული, ის კი ანტიქალკედონური არ ყოფილა. მაშასადამე, ქართულ ეკლესიას ისე, როგორც სომხურ და ალბანურ ეკლესიებს, 506-წლის კრებაზე ქალკედონიტობა არ დაუგმია (კრებას ქალკედონიანობის საკითხი არც განუხილავს).

ზ. ალექსიძე წერს: „თუ დვინში შეკრებილი ეპისკოპოსები არც ნესტორიანობის საკითხს განიხილავდნენ და არც ქალკედონიანობისა, მაშ რა უნდა ყოფილიყო კრების სამსჯელო საკითხი? როგორც ჩანს, მართალი უნდა იყვნენ ის სპეციალ-

ისტები, რომლებიც ვარაუდობენ, რომ 506 წლის კრებაზე ამიერკავკასიის ეკლესიებმა მიიღეს ზენონის შემრიგებლური „ჰენოტიკონი“ (482 წ.), რომელიც კრძალავდა ქრისტეს ბუნების შესახებ კამათს და ნიკეა-კონსტანტინოპოლის სარწმუნოების სიმბოლოს დონეზე რჩებოდა.“[152] აღსანიშნავია, რომ დვინის კრებას არ მიუღია მონოფიზიტური მრწამსი. 506 წლის კრება „მონოფიზიტობის სრული გამარჯვების“ კრება არ ყოფილა, როგორც მიაჩნდათ ადრე.[153] პირიქით, „დვინის 506 წლის კრება მთელს ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანულ ეკლესიაში დიოფიზიტთა და მონოფიზიტთა შემარიგებელი ღონისძიებების ერთ-ერთი გამოვლენა იყო...“[154]

„მსოფლიო ეკლესიაში მიმდინარე პოლემიკამ კავკასიაში შემოაღწია მხოლოდ VI ს-ის დამდეგს. მანამდე სომხები, ქართველები და ალბანელები არ იყვნენ არც მონოფიზიტები და არც ქალკედონიტები. დვინის 506 წლის კრება მოწვეულ იქნა ანასტასი კეისრის რელიგიური პოლიტიკის პირველ პერიოდში, როდესაც იგი ზენონის შემრიგებლური „ჰენოტიკონის“ პოზიციაზე იდგა და გარეგნულად მაინც კიდევ უფრო ლოიალურად იყო განწყობილი ქალკედონიანთა მიმართ, ვიდრე მისი წინაპარი კეისრის ტახტზე. ასევე „ჰენოტიკონის“ დონეზე განსაზღვრულად, ან კიდევ უფრო ლოიალურად უნდა მივიჩნიოთ დვინის 506 წლის კრების მიერ აღიარებული სარწმუნოების სიმბოლო. ყოველ შემთხვევაში, ბაბგენის პირველ ეპისტოლეში, რომელიც ერთადერთი სანდო წყაროა დვინის I კრების მონაწილეთა აღსარების წარმოსადგენად, მონოფიზიტური მრწამსის ნიშანწყალიც არ მოიპოვება. დვინის I კრების მონაწილე ეკლესიებს აშკარად ანტინესტორიანული პოზიცია უკავიათ... ბაბგენის მეორე ეპისტოლე დაწერილია კრების შემდეგ და მხოლოდ სომეხთა მხრიდან... მას უკვე ემჩნევა „ჰენოტიკონის“ მემარცხენე გააზრება და სირიელი მონოფიზიტების ძლიერი გავლენა... ქართულ ეკლესიას ბაბგენის მეორე ეპისტოლესთან არავითარი კავშირი არა აქვს და რა პოზიცია დაიკავა მან შედარებით გვიან ქრისტეს ბუნების საკითხში, ცალკე საკვლევია.“[155] როგორც აღინიშნა, თავის II ეპისტოლეში სომეხთა კათალიკოსმა დაგმო ქალკედონის კრება, რადგანაც ამ კრებას ნესტორიანები თავის სასარგებლოდ მიიჩნევდნენ (ამ ეპისტოლესთან ქართულ ეკლესიას კავშირი არ ჰქონია).

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ იმ მომენტში ქალკედონის კრების დაგმობა არ ნიშნავდა მონოფიზიტობის აღიარებას. 506 წელს კრებამ მიიღო ჰენოტიკონი, ეს იმას ნიშნავს, რომ სომხებმა და კრების სხვა მონაწილეებმა (ქართველებმა და ალბანელებმა) მონოფიზიტობა კი არ მიიღეს, არამედ მიიღეს რაღაც საშუალო შემრიგებლური პლატფორმა მონოფიზიტობასა და ქალკედონიტობას შორის, და ამავე დროს, დაგმეს ნესტორიანობა, რაც თავის მხრივ ნიშნავდა ქალკედონის ნესტორიანული გაგების გმობასაც.

ზემოთ მოყვანილი ეპისტოლეებიდან ჩანს, თუ რა დიდი ავტორიტეტით სარგებლობს სომხური ეკლესია სპარსეთის იმპერიაში. ის, შეიძლება ითქვას, სპარსეთის ქრისტიანთა შორის უმთავრესი ავტორიტეტის მქონე საეკლესიო ცენტრია, რომელსაც თვით სპარსელი ქრისტიანები უწევენ ანგარიშს. რამ გამოიწვია სომხური ეკლესიის ასეთი ამაღლება სპარსეთის სახელმწიფოში? ამის შესახებ არსენი საფარელი წერს:

„ამის შემდეგ გავიდა რამდენიმე ჟამი, მოკვდა ვაჰან მამკუენი (505 წ.) ...მის შემდეგ ეროვნებით სპარსელებმა მიიღეს მარზპანობა. მათ შეურაცხყვეს საქრისტიანო წესი და ეკლესიათა განგება მოისპო. სომეხ აზნაურთა ხელისუფლება დაეცა მარზპანის მიერ და კათალიკოსები და ეპისკოპოსები განიდრიკნენ სიმართლისაგან. მათ სპარსელებისგან მიიღეს უფლება წინ აღდგომოდნენ აზნაურთა ხელისუფლებას. უფლება მიეცათ მოსახლეობისგან თვითვე მოეკრიბათ ხარკი და გადაეხადათ სპარსელებისთვის, რადგანაც ეპისკოპოსებსა და ქორეპისკოპოსებს მიანდვეს სომხეთი, როგორც სპარსთა მეფობის მორჩილებს. ზოგიერთმა კათალიკოსმა და ეპისკოპოსმა სპარსეთის მეფეები იშვილეს და თავიანთი ძეები უწოდეს კავად (488-531) და ხოსრო (531-579) მეფეებს. ამით მიაღწიეს იმას, რომ სამთავრო მსაჯულება თვით მიიტაცეს და კანონის სამართლისამებრ არ იქცეოდნენ. ეკლესიის საკუთრება მიითვისეს და ფლანგავდნენ ერისკაცთა საჩვენებლად. სპარსთა უღმერთო მეფის სათნოებისათვის სომხეთის ეპისკოპოსები და მონასტერთა მამასახლისები ღვთის გასარისხებელ ამაო ფუფუნებაზე ფიქრობდნენ. და მერე აზნაურნი და ერისაგანნი მათი მიბაძვით განშორდნენ ყოველგვარ კანონებს, წმიდა ნერსესა და წმიდა საჰაკის მიერ განწესებულთ. დაირღვა ყოველი სულიერი სიკეთის ჩვეულება და წესი, და ბოროტებამ დაიმკვიდრა დღევანდელ დღემდე. სომხური საეპისკოპოსოები გადაიქცნენ ქედისმოსახრელ ადგილად. მივიდოდნენ ხოლმე აზნაურები საეპისკოპოსო კარზე და მათ ეპისკოპოსები არ იღებდნენ. შერცხვენილი უკანვე ბრუნდებოდნენ, როგორც მარზპანის კარიდან. ეს დიდი შეურაცხყოფა მოუთმენელი იყო.“[156]

როგორც არსენი საფარელი წერს, სომხური ეკლესია ყოველმხრივ მისაღები ეკლესია იყო სპარსეთის მეფეებისთვის. შაჰი კავადი, რომლის დროსაც დვინის კრება ჩატარდა 506 წელს, სომეხი კათალიკოსების „შვილობილი“ და „ძე“ იყო.

აღსანიშნავია, რომ არსენი საფარელის თანახმად, სომხურმა ეკლესიამ მონოფიზიტობა მიიღო არა 506 წლის კრებაზე, არამედ VI საუკუნის 50-იან წლებში ნერსე კათალიკოსის დროს. მანამდე, არსენი საფარელის თანახმად, სომხურ ეკლესიას იგივე რწმენა ჰქონდა, რაც ბერძნულ ეკლესიას და ქართულ ეკლესიასაც, ამის გამო „მშვიდად იყო“ (ე.ი. საეკლესიო კავშირი (სარწმუნოებრივი) გაწყვეტილი არ ჰქონდა სომხურ ეკლესიასთან).

არსენი საფარელის თვალსაზრისი, რომ VI საუკუნის დასაწყისში (შუა წლებამდე) სომხურ ეკლესიას ოფიციალურად არ ჰქონდა მიღებული მონოფიზიტური მრწამსი, ეთანხმება სხვა წყაროთა მონაცემებს. არსენი წერს: „სპარსთა მეფემ რაღაც მანქანებით შეიცვალა შეხედულება სომეხთა სარწმუნოების მიმართ (იგულისხმება ხოსრო I (531-579) და განუცხადა სომხებს, განყოფოდნენ და განშორებოდნენ ბერძნულ სარწმუნოებას (ე.ი. მართალია, სომეხი სამღვდელოება უზნეოდ იქცეოდა, მაგრამ მათი სარწმუნოება კვლავ ბერძნული იყო). მეფემ მიუვლინა მათ მოციქული და განუცხადა: „ერთი ორთაგან გამოარჩიეთ, ან მიიღეთ ასურელთა სარწმუნოება, მელქიტების გარდა, რომელთაც ბერძნული სარწმუნოება აქვთ, ანდა დატოვეთ თქვენი ქვეყანა და წადით. სომხები ძლიერ შეწუხდნენ, მათ არც სარწ-

მუნოების შეცვლა სურდათ და არც ქვეყნის დატოვება. შეიქმნა დიდი ფიქრი და ბჭობა მათ შორის საკმაო ხნის მანძილზე. მერე ამ საქმის გადაწყვეტა მიანდეს ნერსე კათალიკოსს (548-552), რომელსაც მიჯინი ერქვა... სომხებმა მწუხარებით ამცნეს სპარსთა მეფეს, რომ მიიღებდნენ იაკობის რჯულს (მონოფიზიტურ რწმენას, რომელიც უფრო ახლოს იდგა ბერძნულთან, ვიდრე სხვა სექტები)... მეფე დაკმაყოფილდა და მიუვლინა სომხებს ცხრა იაკობიტი ბოროტი მოძღვარი, ცბიერი მელების მსგავსნი. მათ გარყვნეს სომხეთი, ნამოღვაწარი წმიდა გრიგოლის ცრემლით და შრომით, და ჰყვეს კრება ქალაქ დვინში, მიიღეს ხაჩეცარი და განდგნენ მართალი (ბერძნული) და ჭეშმარიტი სარწმუნოებისაგან. ამის გამო ისინი მოწყვეტილ იქნენ დიდებულ კათოლიკე და სამოციქულო მსოფლიო ეკლესიისაგან, იქვე განაწესეს არაჯორი, დვინს, და თქვეს, ეს არის პირველი დღე ჩვენი სარწმუნოებისაო. სომხური წელთაღრიცხვა იწყება დვინის ამ კრებით (551 წელს). ბოროტი ბოროტს დაუმატეს და არ ეზიარნენ ქალკედონის კრებას და ღვთისპირისაგან გავარდნენ".[157]

არსენი საფარელის თანახმად, სომხებმა ქალკედონის კრება ოფიციალურად დაგმეს არა 506 წელს, არამედ 551 წელს. ამავე წელს მიიღეს მათ ხაჩეცარი, ე.ი. მონოფიზიტობა. ქართული და სომხური ეკლესიები ერთმანეთს დაშორდნენ (არსენი საფარელის თანახმად, სწორედ ამის გამო) 551 წელს და არა 607-608 წლებში. ამის გამო ყოველი ქართლი, მეოთხე სომხეთი განეყენენ სომეხთაგან მღვდელობის ხელდასხმას, ხოლო ჰერნი და სივნიელნი ერთ პერიოდში განშორდნენ და შემდეგ კვლავ შეერივნენ".[158]

არსენი საფარელის თვალსაზრისი, შეიძლება ითქვას, გაზიარებულია: „ბოლო ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ ქართულ ეკლესიას მონოფიზიტობა თავის ოფიციალურ იდეოლოგიად არასოდეს უცვნია, თუმცა, იგი VI ს-ის განმავლობაში შემრიგებლურ პლატფორმაზე იდგა და თავის სამწყსოში ჰყავდა მონოფიზიტი ეპისკოპოსები და მრევლიც".[159]

როგორც აღვნიშნეთ, ანტიოქიის პატრიარქი პეტრე ფულონი, რომლის მიერაც, ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსის თანახმად, – ქართულმა ეკლესიამ მიიღო ავტოკეფალია, მონოფიზიტთა ერთ-ერთი ერესიარქი იყო.

„მონოფიზიტობის ისტორიაში შემდეგი საფეხური შექმნა ანტიოქიის პატრიარქმა პეტრე მკაწვრელმა (ფულონმა), რომელმაც „სამწმინდაობის" გალობაში ძე ღმრთისას მიმართ შეიტანა გამოთქმა – „რომელიც ჩვენთვის ჯვარს ეცვი", ეს ფორმულა მოწინააღმდეგეებმა გაიგეს, როგორც ღვთის ჯვარცმულად გამოცხადება და ამიტომაც მის მიმდევრებს „თეოფაქსიტები" (სომხებს – „ხაჩეცარები") უწოდეს.

კვლავ დავუბრუნდეთ საკითხს V საუკუნეში ქართველთა სარწმუნოების, კერძოდ, მეფე ვახტანგ გორგასლისა და მიქაელ ქართლის კათალიკოსის აღმსარებლობის შესახებ. ზ. ალექსიძე ჯუანშერისა და სხვა წყაროების ანალიზის შემდგომ წერს: „აშკარაა, რომ ბერძნები და ქართველები ჯუანშერს ცალკე გამოუყვია და მათ მართლმადიდებლებად თვლის. ჯუანშერის თვალში კი მართლმადიდებლობა მხოლოდ ქალკედონიტობა შეიძლება იყოს. ამასთანავე, 472 წლამდე, როგორც ქართლში კათალიკოსობის დაწესებას ათარიღებენ, ბიზანტიის ოფიციალური კურ-

სი ქალკედონური იყო. მაშასადამე, არავითარი საყრდენი ჯუანშერთან ვახტანგ გორგასლის მონოფიზიტობის სამტკიცებლად არ მოიპოვება. არ არის აგრეთვე სავარაუდო, რომ ვახტანგი სპარსეთში სალაშქროდ ყოფნის დროს გადაიხრებოდა მონოფიზიტობისაკენ, ვინაიდან ამ ხანებში სპარსეთი მხარს უჭერდა ნესტორიანობას და არა მონოფიზიტობას. ასე, რომ, მიქაელ ეპისკოპოსის ბრალდება ვახტანგ გორგასლისადმი („დაგიტოვებიეს ქრისტე და ცეცხლსა ესავ“ უნდა პირდაპირი მნიშვნელობით (უკეთ — ცილისწამებად) გავიგოთ და მასში რომელიმე ქრისტიანული სექტის მიმდევრობას ვერ დავინახავთ.“[160]

ასევე ითქმის მიქაელ კათალიკოსის შესახებაც:

„...ლეგენდა ვინმე პეტრეს ქართლში ჩაქოლვის შესახებ უკავშირდება პეტრე ანტიოქიელსა და მიქაელ ქართლის მთავარეპისკოპოსს... პეტრე მკაწვრალის მკვლელი მიქაელი კი, ლეგენდის მიხედვით, აქტიური ანტიმონოფიზიტი და ქალკედონიტი მოღვაწეა. ამგვარად, არა გვაქვს არავითარი საფუძველი მის მონოფიზიტად ჩასათვლელად“.[161]

„ტრადიცია კი ვახტანგ გორგასალსა და მიქაელს მართლმადიდებლებად მიიჩნევს“.[162] სრული უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ რა სარწმუნოებრივი აღმსარებლობისაც იყო საქართველოს მეფე და კათალიკოსი, იმასვე აღიარებდა სრულიად საქართველოც. მაგრამ იყო თუ არა ვახტანგ გორგასალი სრულიად საქართველოს მეფე? ზ. ალექსიძე შესაბამისი წყაროების ანალიზის შედეგად ადასტურებს, რომ ვახტანგ გორგასალი გამაერთიანებელი იყო სრულიად საქართველოსი:

„V საუკუნის ბოლო ოთხი ათწლეული ქართლის სამეფოსათვის იყო დიდ პოლიტიკურ წარმატებათა წლები: ვახტანგ გორგასლის მეთაურობით ქართლმა გააერთიანა აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო, თითქმის იმავე საზღვრებში, რომელიც შემდგომ უფრო მყარად გაკეთდა მხოლოდ XI-XII საუკუნეებში“.[163]

თუკი ვახტანგის დროს გაერთიანდა სრულიად საქართველო და ის ქართლის სამეფოს ფარგლებში მოექცა, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართულმა ეკლესიამ თავისი იურისდიქციის სფეროში მოაქცია დასავლეთი საქართველოც, რადგანაც ქალკედონის კრების თანახმად, ეკლესიის იურისდიქციის საზღვარი უნდა დამთხვეოდა სახელმწიფო-ადმინისტრაციულ საზღვრებს. ქართლის ეკლესია ერთიან ქართულ ეკლესიად უნდა ქცეულიყო ვახტანგის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის (საქართველოს გაერთიანების) შედეგად და რადგანაც მეფე და კათალიკოსი ქალკედონიტები იყვნენ, ერთიანი ქართული ეკლესიაც ამავე მრწამსის მატარებელი უნდა ყოფილიყო. ქართული ეკლესია, ჩვენი ძველი ისტორიკოსების შეხედულებით, მუდამ იმ სარწმუნოებრივ მიმართულებას აღიარებდა, რომელიც იმავდროულად ბერძნულ ეკლესიაში იყო მიღებული.

„475 წელს ბიზანტიის იმპერატორის ტახტი, მცირე ხნით ხელში ჩაიგდო უზურპატორმა ბასილისკმა, რომლის ანტიქალკედონურ ღონისძიებებში პირველი ადგილი ეკავა გადაყენებული მონოფიზიტი იერარქების უფლებებში აღდგენას. ასე ავიდა პეტრე ფულონი ანტიოქიის საყდარზე ხელმეორედ, თუმცა, მისი ზეობა ხანმოკლე გამოდგა. 476 წელს ზენონ კეისარმა ბასილისკი ჩამოაგდო ტახტიდან

და ბიზანტიის იმპერატორის გვირგვინი დაიბრუნა. ზენონის მოღვაწეობის პირველი პერიოდის დამახასიათებელია აქტიური პროქალკედონური პოლიტიკა. მან დაუყოვნებლივ აღადგინა ეკლესიებში ბასილისკამდელი მდგომარეობა, რასაც ცხადია, ანტიოქიაში ქალკედონიტების გამარჯვება და პეტრეს დამხობა მოჰყვა შედეგად. მესამედ და საბოლოოდ პეტრეს ანტიოქიის საყდარი ეკავა 485-488 წლებში."[164] „472-489 წლებში კონსტანტინოპოლის პატრიარქია აკაკიუსი, რომელმაც სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია უზურპატორ ბასილისკის პრომონოფიზიტურ პოლიტიკას და მისი ჩამოგდების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი გახდა."[165]

როგორც ზემოაღწერილიდან ჩანს, არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ ქართული ეკლესია V საუკუნეში, საკათალიკოსოს დაარსების ეპოქაში, მივიჩნიოთ მონოფიზიტური ქრისტოლოგიის მქონედ, უფრო მეტიც, არც 506 წლის დვინის ქართველ-სომეხ-ალბანელთა გაერთიანებულ კრებას უღიარებია მონოფიზიტობა. მიჩნეულია, რომ თვით სომხური ეკლესიაც კი მხოლოდ 551 წლიდან უნდა ჩაითვალოს მონოფიზიტურად.

„კავკასიოლოგიაში გავრცელებულია შეხედულება, რომ 451 წლიდან VII საუკუნის დამდეგამდე ქართული ეკლესიის ოფიციალური მრწამსი მონოფიზიტობა იყო და სომხურ ეკლესიასთან იდეოლოგიური ერთიანობა ამ ბაზაზე ხორციელდებოდა. შუშანიკის კულტის ორივე ეკლესიაში არსებობა თითქოს ამ თეზისის დამადასტურებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ იგივე ფაქტი ამ თეზისს უარყოფს კიდეც. რატომ არ წაშალა ქართულმა ქალკედონურმა ეკლესიამ თავისი ძველი მონოფიზიტობის კვალი და რატომ არ აიღო ხელი სომხურ ეკლესიასთან საერთო წმიდანებზე? საქმე ის არის, რომ ქალკედონური ისტორიოგრაფიის შეხედულებით, დვინის საკათალიკოსომ მონოფიზიტობა მიიღო მხოლოდ 551 წლის დვინის ადგილობრივ II საეკლესიო კრებაზე. მანამდე იგი დასაბამიდან მართლმადიდებლური იყო ქართლის ეკლესიასთან ერთად, ამიტომ არის, რომ ქართული და საერთოდ ქალკედონური ეკლესია სცნობს ყველა იმ საეკლესიო მოღვაწესა და წმინდანს, რომლებიც სომხეთში 551 წლამდე მოღვაწეობდნენ."[166]

დვინის 506 წლის საერთო კრების შემრიგებლური განსაზღვრებანი ქართულმა და სომხურმა ეკლესიებმა სხვადასხვაგვარად გაიგეს: ჩანს, პირველმა მასში მემარჯვენე ქალკედონიტობა დაინახა, ხოლო მეორემ — მემარჯვენე მონოფიზიტობა. შემდეგი პერიოდი ამ ეკლესიების ისტორიაში იყო პოზიციების სულ უკეთ განსაზღვრის ხანა, რაც VI ს-ის II ნახევრის დასაწყისში სომეხთა მხრიდან საგანგებო საეკლესიო კრებით და უკიდურესად მემარცხენე მონოფიზიტობის (ივლიანიტობის) აღიარებით დამთავრდა. ქართლს, როგორც ჩანს, ასეთი კრება არ მოუწყვია, რადგან თავის მრწამსსა და საწესო რიტუალში მას რადიკალური ცვლილება არ მოუხდენია... ამრიგად, VI ს-ის II ნახევრის მანძილზე ქართლი, ალბანეთი და სივნიეთი მხარს ქალკედონიტობას უჭერდნენ, თუმცა, აქტიურ ანტიმონოფიზიტურ განწყობილებასაც არ ამჟღავნებდნენ. მონოფიზიტობა „ნარაციოს" მიხედვით, სცნეს მხოლოდ ტაშირის, ძორაფორის, გარდმანისა და არცახის ხევების სომხურენოვანმა თემებმა".[167]

საქართველოს საკათოლიკოსოს დაარსება

ცნობილია, რომის იმპერატორ კონსტანტინემდე ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია არ ყოფილა. ამიტომაც, შეიძლება ითქვას, ქრისტიანული თემები თავისუფლებით სარგებლობდნენ, იმ თვალსაზრისით, რომ სახელმწიფო არ კარნახობდა ქრისტიანულ ეკლესიას, თუ რა სახის უნდა ყოფილიყო მისი ადმინისტრაციული სტრუქტურა. ამის გამო IV საუკუნემდე ქრისტიანული თემი, მოციქულთა 34-ე კანონის თანახმად, უნდა დაქვემდებარებოდა ამ თემის მთავარეპისკოპოსს, თემების მთავარეპისკოპოსები კი ერთმანეთის მიმართ დამოუკიდებელნი იყვნენ.

მთავარეპისკოპოსს ირჩევდა თემის („ნათესავის“) სამღვდელოების კრება, ამიტომაც ყოველი საეკლესიო თემი და საეპისკოპოსო თავისუფალი, თავისთავადი და ავტოკეფალური იყო.

სრულებით შეიცვალა მდგომარეობა სახელმწიფოს მიერ ქრისტიანობის აღიარებისა და ამ რელიგიის გასახელმწიფოებრიობის შემდეგ. ამ დროისათვის, IV საუკუნის დასაწყისში, როგორც ცნობილია, რომის იმპერიაში დაწესდა „ტეტრარქია“, „ოთხის მმართველობა“. ადმინისტრაციული მმართველობის თვალსაზრისით, იმპერია ცალკეულ ნაწილებად დაიყო. იმპერიას მართავდა ორი იმპერატორი და ორი კეისარი. იმპერიაში არსებობდა უდიდესი ქალაქები: რომი, ანტიოქია, ალექსანდრია, აგრეთვე სხვა დიდი ქალაქები, რომლებშიც კუთხეთა და პროვინციათა მმართველები ისხდნენ. ამ მდგომარეობამ გამოიწვია დიდ ქალაქებში მსხდომი ეპისკოპოსების გაძლიერება, გამდიდრება, მათი ავტორიტეტისა და გავლენის გაზრდა. დედაქალაქების ეპისკოპოსები მოქმედებდნენ ამ ქალაქის საერო მმართველთან თანხმობით. საერო მმართველი დაინტერესებული იყო მის ქალაქში მჯდომი ეპისკოპოსის ავტორიტეტისა და გავლენის გაზრდით. ამის გამო, უკვე IV საუკუნის დასაწყისიდანვე მიმდინარეობს პროცესი, რომელსაც შეიძლება დავარქვათ მცირე თვითმყოფად ეკლესიათა გაუქმებისა და დიდი ეკლესიების გავლენის სფეროების გაზრდის პროცესი. უკვე IV საუკუნეში მოწვეული მსოფლიო კრებები, მართალია, ადასტურებენ პატარა ეკლესიების ავტოკეფალიას, მაგრამ ასევე ადასტურებენ მთავარი ქალაქების ეპისკოპოსების გავლენის სფეროების გაფართოებას. ამ მიზეზის გამო იმპერიის აღმოსავლეთის მთავარმა ქალაქმა ანტიოქიამ თავისი გავლენის სფეროში შეიყვანა მის მეზობლად მდებარე ავტოკეფალური ეკლესიები,ალექსანდრიამ კი ეგვიპტის ეპისკოპოსები. ეს პროცესი გრძელდებოდა მთელი IV საუკუნის განმავლობაში და საბოლოოდ დასრულდა 451 წლის IV მსოფლიო კრების დროისათვის.

IV საუკუნისათვის, როგორც მრავალგზის აღინიშნა აღმოჩნდა, რომ 330 წელს დაარსებულ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს ნორმალური სიდიდის ეპარქიაც კი არ გააჩნდა, ხოლო ანტიოქიისა და ალექსანდრიის ეპისკოპოსები გავლენას ავრცელებდნენ მათ გარშემო მდებარე ტერიტორიებზე. ამ მდგომარეობას დედაქალაქის (კონსტანტინოპოლის) ეპისკოპოსები ვერ ურიგდებოდნენ. ა. კარტაშევი წერს, რომ კონსტანტინე დიდის მიერ დასმული კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი თავის იურისდიქციას მხოლოდ ამ ქალაქის ტერიტორიაზე ავრცელებდა, ხოლო, თავის მხრივ, ეს ტერიტორიაც ჰერაკლიის სამიტროპოლიტოში შედიოდა.[168]

კონსტანტინოპოლის გარშემო არსებობდა ძლიერი ავტოკეფალური ეკლესიები: პონტოს დიოცეზისა, ასიის დიოცეზისა და თრაკიის დიოცეზისა. მათი ავტოკეფალია ჯერ კიდევ II მსოფლიო კრებამ დაადასტურა.

იმპერიაში იყო 100-ზე მეტი პროვინცია.

ს. ტროიცკი ბალსამონზე დაყრდნობით წერდა, რომ IV საუკუნისათვის იმპერიაში ავტოკეფალური იყო ყველა პროვინციის ეკლესია, ანუ იმპერიაში 100-ზე მეტი ავტოკეფალური ეკლესია არსებობდა, მაგრამ ამავე დროს მიმდინარეობდა პროვინციების ავტოკეფალური ეკლესიების შერწყმა-შეერთების პროცესი დიოცეზის ეკლესიებში. სწორედ ერთი ასეთი იყო ჩვენი მეზობელი პონტოს დიოცეზი, იქ არსებობდა რამდენიმე პროვინცია და ამ პროვინციათა ეკლესიები.

საქართველოს უშუალოდ მოსაზღვრე პონტოს დიოცეზში, რომელიც ქრისტიანობის ერთ-ერთი ძლიერი ბურჯი იყო მთელ მაშინდელ მსოფლიოში, ეპისკოპოსები ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი იყვნენ და თვითმმართველობა ჰქონდათ საეკლესიო საკითხში (იგულისხმება IV საუკუნე). მართალია, აქ ლიდერობდა პონტოკესარიის ეპისკოპოსი, მაგრამ მან ვერ შეძლო გადაქცეულიყო საყოველთაო, უფროს ეპისკოპოსად თავის დიოცეზში. როგორც ზემოთ აღინიშნა, ა. კარტაშევი ამის შესახებ წერს: „პონტოს დიდ დიოცეზში, რომელიც გადაჭიმული იყო ბოსფორიდან ევფრატამდე, არ იყო ერთი საერთოდ აღიარებული ადმინისტრაციული ცენტრი. ერთნი მიიჩნევდნენ კესარია-კაპადოკიას, მეორენი – ანკვირიას, მესამენი უქვემდებარებდნენ თავის თავს კონსტანტინოპოლს. ამიტომაც, მცირე აზიაში გამოჩნდნენ ოლქები და ქალაქები, რომელთაც მიიჩნიეს თავიანთთვის მოხერხებულად და სასარგებლოდ, მიემართათ პირდაპირ დედაქალაქისთვის. ასეთია ბითინია, როგორც ნაწილი პონტოს დიოცეზისა. ბითინიაში შემავალი ქალაქი ქალკედონი კონსტანტინოპოლის გარეუბანი გახდა. საერთოდ მთელი მცირე აზიის ეპისკოპოსები, როგორც აღინიშნა, ყოველთვის დედაქალაქში იყვნენ, მის არქიეპისკოპოსთან, კათედრასთან თათბირობდნენ იქ მიმდინარე ამბებზე, აქვე გადმოჰქონდათ თავიანთი კამათი და ადგილობრივი საქმეები. ამიტომაც, მან ასახვა ჰპოვა IV მსოფლიო კრების მე-9 და მე-17 კანონებში, რომელთა თანახმადაც აღმოსავლეთში თავიანთი დიოცეზების (ოლქების) კრებების გადაწყვეტილებით უკმაყოფილოთათვის უმაღლესი სააპელაციო ინსტანცია იყო კონსტანტინოპოლის საყდარი, მაგრამ ეს ეხებოდა აღმოსავლეთის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც არ შედიოდა სხვა საპატრიარქოებში“.[169]

ზემოთ მოყვანილი მაგალითით გვინდოდა გვეჩვენებინა, თუ როგორ გაერთიანდნენ ჩვენი მეზობელი პონტოს ეკლესიის მანამდე თავისთავადი საეპისკოპოსოები ერთი ქალაქის ეპისკოპოსის ხელქვეით. კონსტანტინოპოლის პატრიარქის ხელქვეით პონტოს გარდა, სხვა დიოცეზთა ეპისკოპოსებიც გაერთიანდნენ. ეს მიმდინარეობდა V საუკუნის პირველ ნახევარში, 451 წლამდე, ქალკედონის კრებამდე. ამ კრებამ ეს ფაქტი დააკანონა 28-ე კანონით.

საერთოდ, V საუკუნე იყო თავისთავადი საეპისკოპოსოების დიდ საპატრიარქოებსა და საკათალიკოსოებში გაერთიანების საუკუნე. 451 წლის კრებამ დააარსა იერუსალიმის ახალი საპატრიარქო, რომელშიც შევიდა საეპისკოპოსოები პალესტინისა (კესარია პალესტინისა და სხვ.).

ქალკედონის კრების შემდეგ, თავისთავადი დამოუკიდებელი მრავალი ეკლესიის (ეპარქიები, დიოცეზთა ეკლესიები) ერთი საყოველთაო ეპისკოპოსის ხელქვეით გაერთიანების შედეგად, ბიზანტიაში სულ რამდენიმე დიდი ეკლესია აღმოჩნდა. კონსტანტინოპოლის საყდარს დაექვემდებარა ჩვენი მეზობელი მცირე აზიის საეპისკოპოსოები (ასევე ევროპაში თრაკიისა), იერუსალიმის საყდარს – პალესტინისა, ალექსანდრიის საყდარს – ეგვიპტისა, ხოლო ანტიოქიას კი ის საეპისკოპოსოები, რომლებიც იმპერიის აღმოსავლეთში იმყოფებოდნენ და არ შედიოდნენ არც ერთ ზემოთ ხსენებულ სხვა საპატრიარქოში (კვიპროსის გამოკლებით).

მსგავსი გაერთიანების პროცესი მიმდინარეობდა იმპერიის გარეთაც. სპარსეთის ქრისტიანული საეპისკოპოსოები გაერთიანდნენ სპარსეთის კათალიკოსის ხელქვეით. სომეხი საეპისკოპოსოების ცენტრალიზაცია ერთიან საკათალიკოსოში ცოტა უფრო ადრე დაიწყო და ამ დროისთვის (V ს.) დასრულებული იყო.

საქართველოს საკათალიკოსოს ჩამოყალიბებაც, ამავე დროს, V საუკუნეში მოხდა და მსგავსი ხერხით. საქართველოში, ისევე როგორც ჩვენს მეზობელ პონტოს დიოცეზში, მრავალი საეპისკოპოსო არსებობდა საკათალიკოსოს დაარსებამდე. საეკლესიო კანონების თანახმად (მოციქულთა 34-ე და სხვა), ეს საეპისკოპოსოები თავისთავადნი იყვნენ. საქართველოს ყოველ ადმინისტრაციულ ერთეულში (საერისთავოებში თუ საპიტიახშოში) არსებობდა საეპისკოპოსოები. ს. ჯანაშია ქართველთა გაქრისტიანების აღწერის შემდეგ წერს, თუ როგორ მოეწყო ქართული ეკლესია (იგულისხმება ვახტანგ გორგასლამდე, IV ს. და V ს-ის დასაწყისი). „ქრისტიანულ ორგანიზაციას, ქრისტიანების კრებულს, ბერძნული სიტყვით „ეკლესიით“ აღნიშნავდნენ. შემდეგში ქართულად „ეკლესია“ დაერქვა იმ შენობასაც, სადაც ქრისტიანების კრებული თავს იყრიდა ლოცვისათვის. რაკი ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად გადაიქცა, ქართლის ეკლესიამაც ისეთივე წყობილება მიიღო, როგორიც ჰქონდა თვით ქართლის სამეფოს. ასე ხდებოდა სხვა ქვეყნებშიც. ცალკე საერისთავოების საეკლესიო საქმეებს განაგებდნენ ეპისკოპოსები, რომელნიც ემორჩილებოდნენ ქართლის, ანუ მცხეთის მთავარეპისკოპოსს. ეპისკოპოსებს ექვემდებარებოდნენ ხუცები ანუ მღვდლები. მალე ქრისტიანული სამღვდელოება ქართლში მრავალრიცხოვანი გახდა...“[170]

ს. ჯანაშიას თანახმად, ჩვენში ვახტანგ გორგასლამდე იმდენივე საეპისკოპოსო ყოფილა, რამდენი საერისთავოც იყო ქართლის სამეფოში, თუმცა, ბ. მჭედლიშვილის მიხედვით, ეპისკოპოსების რიცხვი გაცილებით მეტი შეიძლებოდა ყოფილიყო: „გაქრისტიანებულ სახელმწიფოში ყველა ქალაქსა თუ მნიშვნელოვან დაბას თავისი ეპისკოპოსი უნდა ჰყოლოდა, ზოგან ორიც. სხვაგვარად ქრისტიანული ქვეყნის სტატუსი და ეკლესიის სტრუქტურა წარმოუდგენელია. ამასთან, ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ საქართველოში V ს-ის ბოლოს 30-ზე მეტი ეპისკოპოსი მოღვაწეობდა. ჯუანშერი ჩამოთვლის, სად დასვა ვახტანგმა ეპისკოპოსები... ამ სიის მიხედვით, საკუთრივ ქართლში მხოლოდ ორი ეპისკოპოსი ჩანს, მცხეთისა და ნიქოზის. თბილისიც კი, რომელიც თითქოსდა ვახტანგმა დააარსა, ეკლესიის მესვეურის გარეშე აღმოჩნდა. გარდა ამისა, რა ვუყოთ სხვა ძველ ქალაქებს: უფლისციხეს, არმაზციხეს, კასპს,

ნეკრესს, ტყეტბა-გულგულას, უჯარმა-კაწარეთს, გაჩიან-ცურტავს, სამშვილდესა და სხვა ჩვენთვის უცნობ ქალაქებსა და დაბებს.

ამდენად, ჯუანშერის ეპისკოპოსთა სია ასახავს მხოლოდ ვახტანგის მიერ დასმულ ეპისკოპოსთა რაოდენობას და არა ეპარქიების რიცხვს.

თავის დროზე ივ. ჯავახიშვილმაც მიაქცია ჯუანშერის ცნობების შეუსაბამისობას ყურადღება და აღნიშნა: ჯუანშერის სიტყვებიდან ისეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, თითქოს მას მხოლოდ იმათი დასახელება სდომებოდეს, რომელნიც ანტიოქიის პატრიარქმა აკურთხა. მაგრამ მაშინ მარტო ჯუანშერის ამ ცნობაზე დამყარება შეუძლებელია...

მაშასადამე, ივ. ჯავახიშვილი გამოჰყოფდა „უძველეს ხანას“, რომელიც ვახტანგ გორგასლამდელს გულისხმობს. ამ „უძველეს ხანაში“ მთავარეპისკოპოსები ხელმძღვანელობდნენ ქართულ ეკლესიას. „მთავარ“ ან „თავი ეპისკოპოსთაჲს“, თავისთავად იგულისხმება, ჰყავდათ ხელქვეითი, რანგით დაბალი ეპარქიის ეპისკოპოსები, ე.ი. გორგასლამდეც ყოფილან ეპისკოპოსები... საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში ვკითხულობთ, რომ IV საუკუნეში „საპიტიახშო და საერისთავო ცენტრებში ეპისკოპოსებიც ისხდნენ“. ასე რომ, „ასეთი ცენტრების რიცხვს ემთხვეოდა საეპისკოპოსო საყდართა სათვალავიც. უკვე V ს-ის შუა წლებში ქართლში ირიცხებოდა 30-იოდე საეპისკოპოსო ოლქი“ (საქ. ისტორია, I, 1958). ავტორები ამ წიგნისა არიან: ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი.

ანალოგიური შეხედულებისაა მ. ლორთქიფანიძე, რომელიც თვლის: „როგორც აღნიშნულია, ამ ეპისკოპოსების დადგინება არ უნდა ნიშნავდეს ყველგან ახალი საეპისკოპოსოების დაარსებას. ამათგან ნაწილი მართლაც ახლად დაარსებულია. ასეთი უნდა იყოს: ნინოწმინდის კათედრა, ჭერემის, ნიქოზის, ხოლო რიგ შემთხვევებში ძველი ეპისკოპოსები, რომელნიც, ალბათ, მიქაელის დასისანი იყვნენ, ახლებითაა შეცვლილი. უდავოა, რომ ამათ გარდა სხვა საეპისკოპოსოებიც არსებობდა ქართლის სამეფოში, მაგრამ ჯუანშერის სიაში ისინი ვერ მოხვდნენ, რადგან ჩანს, ვახტანგს აქ ცვლილება არ მოუხდენია.“[171]

საკითხისათვის საინტერესოა აგრეთვე ჯუანშერის თხრობის ის ნაწილიც, რომელიც უდავოდ წინ უსწრებს გორგასლის რეფორმებს. ინდოეთში ლაშქრობიდან დაბრუნებულ ვახტანგს „მოეგება ძე მისი დაჩი და მის თანა ეპისკოპოსნი. და ვითარცა ცნა ეპისკოპოსმან (მიქაელ), ვითარმედ წარავლინა მეფემან მოციქული მოყვანებად კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა, დაუმძიმდა მას ზედა“. მაშასადამე, ვახტანგ გორგასალს ეს-ესაა დაუპირებია კათალიკოსისა და ეპისკოპოსების ახალი ჯგუფის მოწვევა, ხოლო მასთან შესახვედრად მოსული არიან ძველი ეპისკოპოსები... ლეონტი მროველის მიხედვით, IV საუკუნის დასაწყისში, მეფე მირიანმა სიკვდილის წინ „დავედრა ეპისკოპოსთა“ ედიდებინათ წმიდა ნინოს საფლავზე აშენებული ეკლესია.

წმიდა ნინოს „ცხოვრების“ თანახმად, იგი დამარხეს დაბა ბოდს და ეკლესია აღუშენეს და ეპისკოპოსი განაჩინეს მას ზედა“.

შეიძლებოდა ამ საკითხის გარჩევა ამითაც დაგვემთავრებინა, მაგრამ მოვიშველიოთ ქრისტიანული სამყაროსათვის დამახასიათებელი სურათიც. ცნობილია, რომ

იქ, სადაც ქრისტიანობამ ფეხი მოიკიდა, თითოეულ ქალაქს განაგებდა ეპისკოპოსი. იმის მიუხედავად, რომ სირიაში ეკლესიის იერარქიული და კანონიკური განვითარება სუსტად მიმდინარეობდა და მწყობრი ორგანიზაციაც არ არსებობდა, მაინც უკვე III-IV სს-ში, თითოეული ორგანიზაცია ექვემდებარებოდა ეკლესიას და მაშასადამე, ეპისკოპოსს.[172]

ირანის მეზობელ ოლქებში და თვითონ ირანშიც (მესენაში, სუზაში, რევ-არტაშირში, ბახრეინში) 225 წ. (!) უკვე დაფუძნებული იყო ქრისტიანული საეპისკოპოსოები".[173]

V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ლაზარ ფარპეცი აღნიშნავს, რომ ირანის მეფის იეზდიგერდის დროს (399-421) „სომხეთის ყველა გავარიდან შეიკრიბნენ წმინდა ეპისკოპოსნი".[174]

აღარაფერს ვამბობთ თვით ბიზანტიის ქრისტიანული ცენტრების შესახებ, რადგან სურათი თავისთავად ნათელია. პროკოფი კესარიელის ზემოთ მოტანილი დახასიათებაც[175] „ხომ გაუმართლებელი იქნებოდა, თუ ქართველები საეკლესიო იერარქიის ჩამოყალიბებას მხოლოდ V საუკუნის II ნახევარში მოიფიქრებდნენ".[176]

ნ. ჯანაშია, ბ. მჭედლიშვილი და, ჩანს, მ. ლორთქიფანიძეც ფიქრობენ, რომ ვახტანგ გორგასლის მიერ კათალიკოსობის დაწესებამდე ჩვენში არსებობდა ეპისკოპოსთა დასები, რომელთაგან ერთი დასი მეფეს ემხრობოდა, მეორე დასი კი მეფის მოწინააღმდეგე იყო.

ნ. ჯანაშია წერს: „ახლად დანიშნული ეპისკოპოსების სიმრავლე (თორმეტი ეპისკოპოსი) გვიჩვენებს, რომ ვახტანგმა, ერთი მხრივ, დააწესა ახალი საეპისკოპოსოები... ამავე მიზნით იქნებოდა ახალი ეპისკოპოსი დანიშნული რუსთავში. უნდა ვიფიქროთ, რომ მან შეცვალა ძველი, ვახტანგის მოწინააღმდეგე მღვდელმთავარი, მართლაც, აქ ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს სწორედ ეპისკოპოსის შეცვლასთან და არა საეპისკოპოსოს დაარსებასთან. შეუძლებელია ასეთ დიდ საერისთავო ცენტრში, სამეფო საგვარეულოს ერთ-ერთი შტოს რეზიდენციაში, რუსთავში, მანამდე ეპისკოპოსი არ მჯდარიყო".[177] როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, სრულიად აშკარაა, რომ ჩვენში კათალიკოსობის დაწესებამდე არსებობდნენ საეპისკოპოსოები და მათი საზღვრები ემთხვეოდა საერო-ადმინისტრაციული ოლქების საზღვრებს, ანუ საეპისკოპოსოს საზღვარი საერისთავოს საზღვარს ემთხვეოდა. რომელი საერისთავოებიც ემორჩილებოდნენ საქართველოს მეფეს, იმ საერისთავოთა საეპისკოპოსოები დაემორჩილნენ სატახტო ქალაქის, მცხეთის, საყოველთაო ეპისკოპოსს.

ეკლესია ჩვენში ისევე იყო მოწყობილი, როგორც სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, როგორც ამას ითვალისწინებდა მსოფლიო კრებათა კანონები.

ქრისტიანობის სახელმწიფოს მიერ აღიარებამდე საეკლესიო თემში (ერი, „ნათესავი") არსებობდა რამდენიმე ეპისკოპოსი. ეს ეპისკოპოსები, მოციქულთა 34-ე კანონის თანახმად, ვალდებულნი იყვნენ დამორჩილებოდნენ მათ მიერვე გამორჩეულ, პირველობის მქონე „თავ" ეპისკოპოსს: „თითოეულისა ნათესავისა ეპისკოპოსთა უჴმს... რაჲთა პირველად და თავად მათდა შეერაცხოს ეპისკოპოსი თჳსი და არარას იქმოდინ ნამეტნავსა თჳნიერ განზრახვისა მისისა"...[178]

სახელმწიფოს მიერ ქრისტიანობის აღიარების შემდეგ, რომის იმპერიაში საეპისკოპოსოს საზღვარი თანდათან დაემთხვა ადმინისტრაციული ერთეულის (პროვინცი-

ის) საზღვარს. როგორც დიდი სჯულისკანონიდან ჩანს, რომის ადმინისტრაციულ ერთეულს (პროვინციას) ქართულად ეწოდებოდა სამთავრო. 325 წლის ნიკეის კრებიდან ჩანს, რომ სამთავროში (ანუ პროვინციაში) იყო არა ერთი ეპისკოპოსი, არამედ რამდენიმე. ამ კრების მე-4 კანონის თანახმად, სამთავროს ჰყავს ეპისკოპოსთა თავი ანუ მიტროპოლიტი. სამთავროს მიტროპოლიტის თანხმობით ახალ ეპისკოპოსს დაადგენდა ამ სამთავროს ყველა ეპისკოპოსი, ანდა უკიდურეს შემთხვევაში, სამი მაინც. ამ კანონიდანაც ჩანს, რომ საეკლესიო სამთავრო, ანუ რომის პროვინციის ეკლესია, ავტოკეფალური და დამოუკიდებელი იყო სხვა, მის გარეთ არსებული ეკლესიებისაგან.

ქართულ სინამდვილეში — საქართველოს სამეფოში საერისთავო იყო დაახლოებით ისეთივე ადმინისტრაციული ერთეული, როგორიც იყო რომის იმპერიაში პროვინცია (ძველი ქართულით „სამთავრო“). ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, ქართულ საერისთავოებში იყო არა ერთი, არამედ რამდენიმე ეპისკოპოსი და მათ შორის ერთ-ერთი იყო „თავი ეპისკოპოსთა“, მაგალითად გუგარქში, შეიძლება ჩვენში საერისთავოს საეპისკოპოსოსაც ისეთივე თავისთავადობა ჰქონდა, როგორც რომის პროვინციისას.

რომის იმპერიაში პროვინციათა ეკლესიების ავტოკეფალია თანდათან შეიზღუდა, დიდმა ქალაქებმა (რომმა, ალექსანდრიამ, ანტიოქიამ) შეძლეს მათ გარშემო მყოფი საეპისკოპოსოების დაქვემდებარება. ეს უკვე არსებული ფაქტი ნიკეის მსოფლიო კრებამაც დაადასტურა თავისი მე-6 კანონით. 344 წელს მოწვეული ანტიოქიის ადგილობრივი კრება მე-9 კანონით ავალდებულებს სამთავროს ეპისკოპოსებს, დაემორჩილონ თავისი დედაქალაქის ეპისკოპოსს.

„...ვინაჲთგან დედაქალაქად მიისწრაფიან ყოველნი მქონებელნი რომელთავე საქმეთანი, რომლისთჳს გუთნდა, რაჲთა პატივითაცა უაღრეს იყოს იგი...“[179]

დედაქალაქის ეპისკოპოსი ზრუნავს მთელ სამთავროზე, რადგანაც დედაქალაქში ყველა მიისწრაფის, ვისაც საქმე აქვს. ამიტომაც ის პატივითაც უპირატესი იყოსო და მის გარეშე სხვა ეპისკოპოსებმა არაფერი მოიმოქმედონო, – ამბობს ეს კანონი.

ამ მდგომარეობამ გაზარდა არა მარტო სამთავროთა დედაქალაქების ეპისკოპოსების ავტორიტეტი, არამედ იმპერიის მთავარი ქალაქების (ანტიოქია და სხვა) ეპისკოპოსთა ავტორიტეტიც, რადგანაც ამ ქალაქებში ისხდნენ ან იმპერატორი, ანდა ქვეყნის ვრცელი მხარეების მმართველები.

ამავე კანონის თანახმად, საქართველოშიც უნდა გაზრდილიყო არა მარტო ავტორიტეტი დედაქალაქის, მცხეთის ეპისკოპოსისა, არამედ მას პატივით უპირატესობაც უნდა მინიჭებოდა. მის გარეშე სხვა ეპისკოპოსებს რაიმე ქმედების ნება არა ჰქონდათ.

მართლაც, ქართული ეკლესიის მეთაურს კათალიკოსობის დაწესებამდე ჰქონდა ტიტული „მთავარეპისკოპოსისა“ და, ჩანს, ითვლებოდა კიდეც ეპისკოპოსთა თავად იმ ტერიტორიაზე, რომელიც შედიოდა ქართველი მეფის გამგებლობაში, მაგრამ ცნობილია, რომ მთელი სამხრეთ დასავლეთი საქართველო – კლარჯეთი IV ს-ის 80-იან წლებში მიიტაცა ბიზანტიამ და ის ჩამოშორებული იყო საქართველოს. ცხადია, კლარჯეთში მცხეთის მთავარეპისკოპოსის გავლენა ამ დროს არ ხორცი-

ელდებოდა, ასევე ზღვისპირეთის ვრცელი ტერიტორია ეგრისწყლიდან ციხეგოჯამდე ბერძნებმა მიიტაცეს. აქაც მცხეთის მთავარეპისკოპოსი თავის გავლენას ვერ ახორციელებდა.

გარდა ამისა, ქართულ ეკლესიაში არსებობდა პროსპარსული და ელინოფილური დასები. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იწვევდა იერარქიულ განხეთქილებას. სპარსეთის მომიჯნავე გუგარქისა და კახეთ-ჰერეთის ეპისკოპოსები, ალბათ, პროსპარსული ორიენტაციისანი იყვნენ, ხოლო იმ დროს საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი კლარჯეთის ეპისკოპოსები, ალბათ, უშუალოდ ექვემდებარებოდნენ კესარიაკაპადოკიის (პონტოს) მღვდელმთავარს. ამ კუთხეთა საეპისკოპოსოებში საჭირო გახდებოდა მეფის ერთგული, ანუ პროქართული ორიენტაციის ეპისკოპოსების დასმა და ძველების შეცვლა ვახტანგ გორგასლის მიერ საქართველოს გაერთიანების შემდეგ.

მართლაც, თითქმის ყველა (უმეტესი) ეპისკოპოსი ვახტანგმა დასვა სწორედ კლარჯეთში, გუგარქში, კახეთსა და ჰერეთში, კერძოდ, „დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა ახიზისასა“, „ერთი არტანს, ერუშეთს“ – უეჭველად ერუშეთი – არტაანი, ისტორიული კლარჯეთის ნაწილი, მიტაცებული იყო ბერძენთა მიერ, „ერთი კი ჯავახეთს-წუნდას“ – შეიძლება ეს არ იყო მიტაცებული ბერძენთა მიერ, მაგრამ საზღვარზე მდებარეობდა და ბერძნული გავლენა აქ დიდი იქნებოდა. „ერთი მანგლისს, ერთი აგარაკს, ერთი ბოლნისს“ – ბოლნისი, აგარაკი და მანგლისიც გუგარქში ან გუგარქთან მდებარეობდნენ და სპარსეთთან სიახლოვის გამო პროსპარსული ორიენტაცია აქ უფრო მეტად არის სავარაუდო. არც ის არის დასავიწყებელი, რომ ეს მხარე არცთუ დიდი ხნის დაბრუნებული იყო საქართველოს მეფის მფლობელობაში. „ერთი ჭერემს, ერთი ჩელეთს, ერთი ხორნაბუჯს“ – კახეთის ეს ქალაქები სპარსეთის სიახლოვეს მდებარეობდა, იმ მხრივ, რომ კახეთს აღმოსავლეთიდან რანის სპარსთა პიტიახშის ტერიტორია საზღვრავდა.

ცნობილია, რომ მთავარეპისკოპოსი მიქაელი საბერძნეთიდან ჩამოიყვანეს მღვდლის ხარისხში. ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ ის იყო პრობერძნული საეკლესიო ორიენტაციის მქონე. თუ ეს ასე იყო, მაშინ მიუხედავად მისი მთავარეპისკოსობისა, პროსპარსული ორიენტაციის ეპისკოპოსები შეეცდებოდნენ, მას არ დამორჩილებოდნენ და ეკლესიაში განხეთქილება იქნებოდა.

ცნობილია, რომ ვახტანგ გორგასლამდე ქართული სახელმწიფო ძალზე დასუსტებული იყო. ეს, უთუოდ, გავლენას იქონიებდა ეკლესიაზე, გააძლიერებდა ცენტრიდანულ ძალებს, მით უმეტეს, რომ სწორედ ამ დროს ქვეყნის ფეოდალიზაცია მიმდინარეობდა, რაც გულისხმობდა მიწისმფლობელი ფეოდალების ბრძოლას ცენტრისგან დამოუკიდებლობისათვის.

იმის შემდეგ, რაც ვახტანგმა გააერთიანა საქართველო, შემოუერთა მას უზარმაზარი ტერიტორიები – კლარჯეთი და ზღვისპირეთი, რომლებიც მოიცავდნენ მთელ სამხრეთ საქართველოსა და მიწებს ციხე-გოჯიდან კლისურამდე, ვახტანგს აღარ დააკმაყოფილებდა ეკლესიაში ცენტრიდანული ძალების არსებობა, ის შეცვლიდა არა მარტო პროსპარსული ორიენტაციის ეპისკოპოსებს, არამედ იმ ეპისკოპოსებსაც,

რომელნიც მეფისგან დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ, დაგროვილი სიმდიდრის (მიწების) და ხელისუფლების (თანამდებობის) შენარჩუნებისათვის.

ვახტანგმა ინება ჩაეტარებინა რეფორმა ეკლესიაში, ქვეყნის გაერთიანებამ და სახელმწიფოს გაძლიერებამ მოითხოვა ეკლესიის ცენტრალიზაცია. ვახტანგისთვის საეკლესიო რეფორმის დროს მაგალითს წარმოადგენდა არა მარტო ბიზანტიის ეკლესიები, სადაც სწორედ ამ ეპოქაში ვახტანგის თვალწინ სხვადასხვა საეპისკოპოსოთა და სამიტროპოლიტოთა (დიოცეზთა) გაერთიანების გზით შეიქმნა კონსტანტინოპოლისა და იერუსალიმის საპატრიარქოები, არამედ აღმოსავლეთის ეკლესიებიც. აღმოსავლეთშიც ამ დროს საკათალიკოსოების ჩამოყალიბების პროცესი ახალი დამთავრებული იყო (სპარსეთში, სომხეთში).

როგორი დამოკიდებულება არსებობდა ბიზანტიაში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის? ბიზანტიაში ეკლესია არსებობდა სახელმწიფოს მკაცრი კონტროლის ქვეშ სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე. ასევე იყო სპარსეთის სახელმწიფოშიც. სპარსეთს დაქვემდებარებული სხვადასხვა ქვეყნის ქრისტიანული ეკლესიების მეთაურებს თვით შაჰი ნიშნავდა (მაგალითად, სომხეთისას V საუკუნეში). საქართველოში კი, თუმცა ვახტანგ გორგასალმა გააერთიანა სახელმწიფო და მას ახალი ტერიტორიები შეუერთა, ეკლესიის მეთაური მიქაელი არ აპირებდა დამორჩილებოდა მას, მეფის რეფორმები მისთვის მიუღებელი იყო (V ს-ის დასაწყისში კი, მთავარეპისკოპოსი გლონოქორი სპარსთა მიერ ერისთავადაც იყო დანიშნული).

ბიზანტიასა და სპარსეთში იმ დროს სხვა სურათი იყო: თუ როგორ იმართებოდა რომ-ბერძენთა იმპერიაში სახელმწიფოს მიერ არა თუ რომელიმე ადგილობრივი ეკლესია, არამედ მსოფლიო საეკლესიო კრებაც (ე.ი. კანონმდებელი ორგანო) კი, ამის შესახებ წერს არქიეპისკოპოსი ლოლიი (იურევსკი):

„1. მსოფლიო ეკუმენური (და არა კათოლიკე-საყოველთაო) კრება იმპერატორისა და სახელმწიფოს კრებაა, მას ამა თუ იმ ოლქის მიტროპოლიტი კი არ იწვევს, არამედ იმპერატორი (თუნდაც მოუნათლავი, როგორიც იყო, მაგალითად, კონსტანტინე დიდი, რომელმაც სათავე დაუდო მსოფლიო კრებებს); 2. კრებას ესწრებიან არა თავიანთ სამიტროპოლიტოებში არჩეული ეპისკოპოსები, არამედ იმპერატორის ხელისუფლების შეხედულებისამებრ დანიშნულნი და გამოძახებულნი, რის გამოც 3. ყველა ადგილობრივი ეკლესიის ეპისკოპოსის დასწრება არ იყო სავალდებულო (მე-3 მსოფლიო კრებაზე არ იყო კართაგენის 500-ზე მეტი ეპისკოპოსიდან არც ერთი); 4. კრების ყველა განსაზღვრება (აქტი), კანონი და სარწმუნოების დოგმატი ძალაში შედიოდა, ავტორიტეტსა და ქმედითობას იძენდა იმპერატორის მიერ მათი დამტკიცების შემდეგ; 5. ამიტომ მსოფლიო ეკუმენური კრების დადგენილებათა ყველა მოწინააღმდეგე განიხილებოდა იმპერატორის განკარგულების მოწინააღმდეგედ და ამის შესაბამისად, სახელმწიფო კანონების თანახმად ისჯებოდა; 6. სახელმწიფო სახსრებით კმაყოფილდებოდა (იმპერატორის განკარგულების შესაბამისად) კრების მონაწილეთა სამგზავრო და სხვა შესანახი ხარჯები. 7. ადგილი (ქალაქი) კრებისათვის მითითებული იყო იმპერატორის მიერ და ეპისკოპოსებისათვის საჭირო შენობასაც მთავრობა გამოყოფდა“.[180]

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, თვით საეკლესიო კანონმდებელი ორგანო მსოფლიო კრებებიც კი იმპერატორის მიერ იმართებოდა ბიზანტიის იმპერიაში, ასევე სომხეთშიც. მართალია, V საუკუნეში აქ სპარსელებმა მეფობა გააუქმეს, მაგრამ მისი არსებობის დროს კათალიკოსი საჰაკი მეფის მომხრე და ერთგული იყო.

საქართველოში კი ვახტანგს ეკლესიაში მძიმე მდგომარეობა დახვდა. ეკლესია არა თუ ექვემდებარებოდა ქართველ ხელმწიფეს, არამედ როგორც აღინიშნა, ქართული ეკლესიის მეთაურმა მიქაელმა ფეხზე სამთხვევად მისულ მეფეს ფეხის კვრით კბილი ჩაამტვრია.

„ვეცხლისმოყუარე ხარ შენ“, – უთხრა ამის შემდეგ ვახტანგმა მიქაელს, „და მეგუადრუცე ქრისტესი“[181] (ე.ი. ეკლესია გამდიდრებისა და პირადი გამორჩენისათვის გნებავსო).

ჩანს, მიქაელის თავხედობის ერთ-ერთი მიზეზი არის შიში იმისა, რომ სიმდიდრე არ დაკარგოს (ამიტომაც არის „ვეცხლისმოყვარე, მეგუადრუცე მოლარე). „ქართლის ცხოვრების“ ამ ცნობას ეხმიანება ნ. ჯანაშია. ის წერს: „მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ამ დროისათვის, სხვა ქრისტიანული ქვეყნების მსგავსად, ქართული ეკლესიაც უდიდეს მიწათმფლობელად გადაიქცა და ისეთივე ინტერესები გაუჩნდა, როგორც სხვა მიწათმფლობელებს... მეფე კი იმისათვის იბრძოდა, რომ თავისი გამგებლობიდან არ გაეშვა ეს მიწები, სრული ძალაუფლება შეენარჩუნებინა მთელი სამეფოს მიწა-წყალზე და ყოველ თანამდებობაზე დანიშვნა მხოლოდ მისი სურვილით მომხდარიყო. ირანელები იყენებდნენ ამ წინააღმდეგობას...“[182]

სიმდიდრისა და მიწების დაგროვება მეფის ნების საწინააღმდეგოდ უნდა ყოფილიყო ერთი მიზეზთაგანი წინააღმდეგობისა მეფესა და ეკლესიის მეთაურთა შორის. თავისთავად ეს მიზეზი სრულიად საკმარისი იყო იმისთვის, რომ მეფეს ეზრუნა ეკლესიაში რეორგანიზაციისათვის, რათა მას ეკლესია დამორჩილებოდა ისევე, როგორც ბიზანტიის საპატრიარქოები ემორჩილებოდა იმპერატორს, ხოლო სპარსეთში კი სპარსთა, სომეხთა კათალიკოსები და სირიული ეკლესიების მეთაურები ემორჩილებოდნენ შაჰს. მაგრამ ყოფილა მეორე, კიდევ უფრო დიდი და თითქმის მიუტევებელი მიზეზი იმისა, რომ მეფეს ეფიქრა ეკლესიაში კარდინალური რეფორმის ჩატარების საჭიროების შესახებ: „ირანელებს კავშირის გაბმა მოუხერხებიათ ქრისტიანულ ეკლესიასთანაც კი“, როგორც წერს ნ. ჯანაშია. „ორთოდოქსალურ ეკლესიას კონსტანტინოპოლი მფარველობდა, მაგრამ მას უძლიერესი ოპოზიცია ჰყავდა ძირითადად აღმოსავლეთში. ირანელები მხარს უჭერდნენ ოპოზიციონერებს, რომლებსაც ორთოდოქსებისა და მათ უკან მდგომი სახელმწიფოს წინააღმდეგ იყენებდნენ“.[183]

ქართველ ორთოდოქსებს ვახტანგ გორგასალი მფარველობდა. ცნობილია, რომ ის პრობერძნული საეკლესიო ორიენტაციისა იყო, ჩანს, სწორედ იმიტომ, რომ ირანი ეკლესიას იყენებდა ორთოდოქსებისა და მათ უკან მდგომი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ე.ი. ირანი ქართული ეკლესიის მეთაურებს (პროსპარსული ორიენტაციის ეპისკოპოსებს) ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ იყენებდა. აღსანიშნავია, რომ ასევე იყო სომხეთშიც.

ასეთი მდგომარეობის დროს, გასაკვირი აღარ მოგვეჩვენება ქართული ეკლესიის მეთაურის მიქაელის თავხედობა. მართალია, შეიძლება მიქაელი პრობერძნული

ორიენტაციისა იყო, მაგრამ მან იცოდა, რომ ვახტანგის საწინააღმდეგო მოქმედებისთვის სპარსეთი კმაყოფილი დარჩებოდა და პროსპარსული ორიენტაციის ეპისკოპოსებსაც მიიმხრობდა. „ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს, ჯუანშერისვე მიხედვით, შეინიშნება საეკლესიო დასთან უთანხმოება. ცნობილია, რომ უკვე IV საუკუნის დასაწყისიდან ირანი ცდილობს ამიერკავკასიაში პოზიციების განმტკიცებას და ერთ-ერთ ქმედით იარაღად ქრისტიანულ რელიგიასაც იყენებს. მაგალითად, სომხეთში, დღიდან დაარსებისა ქრისტიანულ ეკლესიას ხელმძღვანელობდნენ ირანის მეფეთა ხელთდასხმული მთავარეპისკოპოსები, ანუ კათალიკოსები. ქართლი, რომელსაც ბიზანტია მფარველობდა, უკეთეს პირობებში იყო და წინააღმდეგობასაც უწევდა ირანის მოძალებას, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, ირანი, როგორც ეს ვახტანგ გორგასლის ცხოვრებიდანაც ჩანს, მაინც აღწევდა მიზანს და ქართლს თავის პოლიტიკას ახვევდა“.[184]

ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ თუ პირდაპირ არა, არაპირდაპირ მაინც მიქაელის თავხედობას სპარსეთი აქეზებდა, ხოლო მიქაელის თავდაჯერება (ფეხზე სამთხვევად მისულ მეფეს უშიშრად კბილი ჩაამტვრია ქოშის კვრით!) იმით იყო გამოწვეული, რომ მის ხელში სიმდიდრე და ქვეყნის მიწების დიდი ნაწილი იყო თავმოყრილი (რაც ქვეყნის ფეოდალიზაციის პროცესით იყო გამოწვეული).

მისი ხელისუფლება მეფის ხელისუფლებას არ ჩამოუვარდებოდა. აქ შეიძლება გავიხსენოთ არსენი საფარელის ნათქვამი, რომ სპარსელებმა ხელისუფლება ჩამოართვეს ერისთავებს (აზნაურებს) და გადასცეს სამღვდელოებას.

მართლაც, სამღვდელოება და ეკლესია ისე ძლიერია, რომ ვახტანგმა ვერ გაბედა თავხედი მთავარეპისკოპოსის ფიზიკური დასჯა, თუმცა, უძველესი ქართული წყაროს თანახმად, მისი მრისხანება განუზომელი იყო: – „შემდგომად მისსა მეფობდა ვახტანგ გორგასალი, და მთავარეპისკოპოსი იყო იოველ. მაშინ წარიყვანეს ვახტანგ სპარსთა. და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოიქცა და მთავარეპისკოპოსი იყო მიქაელ. ამან მიამთხჳა ფერჩი გორგასალსა, რომლისამე მიზეზისათჳს და განაძო ეკლესიისაგან. მაშინ მეფე აღივსო გულისწყრომითა მრავლითა და ექცა ფერი პირისა მისისაჲ და განიზრახვიდა მრავალთა ბოროტთა დამჴობად ქრისტეანობისა. არამედ ღმერთმან, რომელსა არავისი ჰნებავს წარწყმედაჲ, მიუვლინა გულსა მისსა კეთილი განზრახვაჲ“.[185]

„ქართლის ცხოვრების“ თანახმად, მიქაელმა მეფის ფიზიკური შეურაცხყოფის შემდეგ მეფე და მისი სპა ეკლესიიდან მოკვეთა.

ჩანს, თუ მეფე მიქაელს შეურაცხყოფისთვის სამაგიერო სასჯელს დაადებდა, ამით აიმხედრებდა ქრისტიანულ მოსახლეობასა და მიქაელის მომხრე ეპისკოპოსებს. ასეთ სიტუაციაში მეფე ქრისტიანობის მტრად გამოცხადდებოდა, ამიტომ წერს მატიანე „ქრისტიანობის დამხობა განიზრახაო“. მატიანედან თითქოსდა ისიც ჩანს, რომ მეფე ეკლესიაში რეფორმის ჩატარებას აპირებს არა სამღვდელოებაზე და ეპისკოპოსებზე დაყრდნობით, არამედ სპის (ლაშქრის) დახმარებით. ამიტომ ლაშქარიც დაიწყევლა მიქაელის მიერ.

როგორც აღინიშნა, საეკლესიო კანონებზე[186] დაყრდნობით და შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობის გამოყენებით ვახტანგმა უმტკივნეულოდ მოიშორა მიქაე-

ლი, ისე, რომ არ გაუღიზიანებია ქრისტიანული მოსახლეობა. განსასჯელად გაგზავნა კონსტანტინოპოლში.

ამის გამო კონსტანტინოპოლიდან იმპერატორს წერილი მიუწერია ანტიოქიის პატრიარქისათვის: „...და მიუწერეს ყოველი საქმე დიდისა ვახტანგ მეფისა, ვითარმედ: „ეპისკოპოსი იგი, რომელი მათ მიერ დადგინებულ იყო, უკუვადგინეთ, და დღეს იცოდეთ ახალნერგად ჭეშმარიტად ქართლი“.[187] ე.ი. ამჟამადო, წერია იქ, ჩვენ ქართველების მიერ დადგენილი ეპისკოპოსი უკუვადგინეთ და ამის შემდეგ ახლადმოქცეულად უნდა ჩავთვალოთ ქართლიო, ე.ი. პრობერძნული ორიენტაციის მქონედო. საინტერესოა, რომ ამ წერილის თანახმად, მიქაელი ეპისკოპოსად ეკურთხა საქართველოში და ქართველების მიერ იქნა დადგენილი თავის კათედრაზე – „მათ მიერ დადგინებული უკუვადგინეთო“. ანტიოქიის პატრიარქმა თორმეტი ეპისკოპოსი გამოაგზავნა ქართლში. ჩანს, ვახტანგმა შეცვალა პროსპარსული ორიენტაციის ეპისკოპოსები და მათ ადგილას დასვა პრობერძნული ორიენტაციის ეპისკოპოსები, ასევე შეცვალა ეპისკოპოსები, რომელნიც თავისი სიმდიდრისა და გავლენის გამო მეფის ხელისუფლებას არ ცნობდნენ და მეფეს არ ექვემდებარებოდნენ.

„და ანტიოქიელმან პატრიარქმან აკურთხნა თორმეტი ეპისკოპოსნი და პეტრე კათალიკოსად... ხოლო მცხეთას მეფემან ვახტანგ აღაშენა ეკლესია მოციქულთა სუეტი ცხოველი, და უპყრა სუეტსა შინა სამხრით ადგილსა მას, სადა-იგი დაცემულ იყო ეკლესია, რომელ არს სიონი დიდი, და მუნ შინა დასუეს პეტრე კათალიკოსად და სამოელ ეპისკოპოსად მცხეთასავე საეპისკოპოსოსა. და დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა ახიზისასა, ერთი არტანს ერუშეთს, ერთი ჯავახეთს, წუნდას, ერთი მანგლისს, ერთი ბოლნისს, ერთი რუსთავს, ერთი ნინოწმინდას, ერთი უჯარმის კარსა, რომელი გორგასალსა აღეშენა, ერთი ჭერემს, მისსავე აღშენებულსა და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელი-იგი მანვე აღაშენა, ერთი ჩელეთს, რომელი სოფელსა შუა აღაშენა, ერთი ხორნაბუჯს და ერთი აგარაკს, რომელ არს ხუნანს გამართებით. შემდგომად მისსა აღაშენა ეკლესია ნიქოზისა საგზებელსა თანა ცეცხლისასა და დასვა ეპისკოპოსი“.[188]

ვახტანგ გორგასლის მიერ საქართველოს საკათალიკოსოს დაარსებასთან დაკავშირებით უნდა დავასკვნათ:

V საუკუნეში ქართული ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ მყოფი ტერიტორიები გაიზარდა, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ვახტანგ გორგასლის დროს ბიზანტიამ საქართველოს დაუბრუნა მიტაცებული კლარჯეთი (სამხრეთ საქართველო) და ზღვისპირეთი (ციხე-გოჯიდან კლისურამდე).

ცნობილია, რომ V საუკუნეში ქალკედონის კრების დროისათვის გამსხვილდა ზოგიერთი ეკლესია, მაგალითად, შეიქმნა იერუსალიმის საპატრიარქო, პონტოს, ასიისა და თრაკიის დიოცეზები შევიდა კონსტანტინოპოლის პატრიარქის იურისდიქციაში. მსგავსადვე, სწორედ ამ ეპოქაში, საქართველოს გაერთიანებისა და ვრცელი ეროვნული ტერიტორიების დაბრუნების შემდეგ ვახტანგ გორგასალმა ინება, რომ ქართული ეკლესია მოწყობილიყო როგორც ერთიანი ცენტრალიზებული სამამამთავრო ეკლესია. ე.ი. დედაქალაქის (მცხეთის) ეპისკოპოსი საქართველოს

ეკლესიისათვის გახდა საყოველთაო ეპისკოპოსი, ანუ კათალიკოსი (ბერძნული სიტყვიდან – „კათოლოს“ – საყოველთაო). ამ ეპოქის თითქმის თანადროულ საისტორიო ქრონიკა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ პირველ კათალიკოს პეტრეს მამამთავარი ეწოდება. „აქათგან იწყეს კათალიკოსთა მამადმთავრობად. პირველი კათალიკოზი იყო პეტრე, ვახტანგ მეფისა ზე“.[189]

ბ. ლომინაძე წერს: „უფლებრივი მდგომარეობით ქართლის კათალიკოსი მიაჩნდათ ბიზანტიაში იმ დროს მოქმედი პატრიარქების ტოლად“.[190]

ისმის კითხვა, რამდენად შეესაბამება სიმართლეს ქართულ მატიანეებში გადმოცემული ცნობები ვახტანგ გორგასლის მიერ საქართველოს გაერთიანების შესახებ, შევიდა თუ არა ვახტანგის სახელმწიფოში დასავლეთი და სამხრეთი საქართველო? ვახტანგ გორგასალი მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მეფე იყო, თუ ერთიანი საქართველოსი?

დ. მუსხელიშვილი, როგორც აღინიშნა, წერს: „ლეონტი მროველის ისტორიული კონცეფციის თანახმად, როგორც ცნობილია, V საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე ვახტანგ გორგასალი იყო გამაერთიანებელი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოსი. ისტორიკოსის ამ ცნობას, რომელიც ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევების შემდეგ ჩათვლილი იყო ლეგენდარულად, ზოგიერთი ისტორიკოსი მიიჩნევს სავსებით რეალურად. ეპოქის თანადროული ბიზანტიური და სომხური წყაროების ანალიზის საფუძველზე ჩვენ შევეცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ ლეონტი მროველის მოწმობა შეესაბამება სინამდვილეს და რომ ქართლის მეფემ ვახტანგ გორგასალმა ნამდვილად გააერთიანა დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო V ს-ის 60-70-იან წლებში და ეგრისის ყოფილი მმართველი თავის ერისთავად გახადა... ჩვენ არ გამოვრიცხავთ შესაძლებლობას მსგავსი პოლიტიკური სიტუაციის არსებობისა ფარნავაზის დროს“.[191]

ვახტანგის მიერ დაარსებული საქართველოს საკათალიკოსოს საზღვრები, ცხადია, ემთხვეოდა სახელმწიფოს საზღვრებს და ქართული ეკლესია თავის იურისდიქციას შავიზღვისპირეთშიც ახორციელებდა.

ცნობილია, რომ ძველი ქართული მატიანეები, ისტორიული ქრონიკები და ისტორიკოსები მუდამ დაბეჯითებით მიიჩნევდნენ, რომ იბერია, ანუ ქართლი ეწოდებოდა ვრცელ ტერიტორიას, რომელიც გადაჭიმული იყო შავი ზღვიდან ალბანეთამდე და სომხეთამდე, რომ ქართლი ეწოდებოდა არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ დასავლეთ საქართველოსაც და მისი დასავლეთი საზღვარი იწყებოდა შავიზღვისპირეთში ჯერ მდინარე ეგრისწყლიდან, ხოლო შემდგომ მდინარე კლისურიდან. ეს ისტორიული კონცეფცია ჩვენი თანამედროვე ისტორიკოსების მიერ რატომღაც მიჩნეულ იქნა XI ს-ში ჩამოყალიბებულად, თითქოსდა აღმოსავლეთ საქართველოს, „ქართლის“, სხვა კუთხეებზე ჰეგემონობის დროს. მაგრამ იყო თუ არა XI ს-ში „ქართლი“ საქართველოს ჰეგემონი?

დ. მუსხელიშვილი ამასთან დაკავშირებით წერს: „X ს-ის დასაწყისიდან (904 წ.), თუ IX ს-ის 70-იან წლებიდან არა, სწორედ ქართლი წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს ე.წ. აფხაზეთის სამეფოს ერთ-ერთ საერისთავოს. პოლიტიკური

ჰეგემონია არა მხოლოდ X ს-ში, არამედ მთელი XI ს-ის განმავლობაშიც (უფრო ზუსტად 1122 წლამდე) ეკუთვნოდა დასავლეთ საქართველოს. შესაბამისად, არც XI ს-სათვის... და არც IX-X სს-ზე ადრე... არავითარი „ისტორიული კონცეფცია“, ან „პოლიტიკური იდეოლოგია“, ან „თეორია“, რომლის თანახმადაც, „საქართველო განიხილებოდა ძველთაგანვე ერთიანად“ და „ქართლი მის სათავეში მდგომად“, შეუძლებელია ჩამოყალიბებულიყო. სწორედ ამიტომ ჩვენ უარვყოფდით იმის შესაძლებლობას,რომ ლეონტი მროველის პოლიტიკური კონცეფცია შეიძლებოდა შემუშავებულიყო მისი თანადროული პოლიტიკური სიტუაციის გავლენით... მართლაც, მეცხრე საუკუნეში გამორიცხულია ისეთი პოლიტიკური სიტუაციის წარმოქმნა, რომელსაც შეეძლო განეპირობებინა ქართლის მეთაურობით აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთიანობის პოლიტიკური კონცეფციის წარმოქმნა. ქართლში ჯერ კიდევ არაბები ბატონობდნენ და ეს პროვინცია წარმოადგენდა არაბთა, კახეთის მფლობელთა, ქართველ და სომეხ ბაგრატიდებს შორის გაუთავებელი სამხედრო შეტაკებების სარბიელს. დასავლეთ საქართველოს შესახებ თითქმის არაფერი ისმოდა, მაგრამ ძალზე ნიშანდობლივია, რომ სწორედ IX ს-ში იწყება დასავლეთ საქართველოს („აფხაზთა“) მეფეების სამხედრო რეიდები ქართლში... არავინ უარყოფს, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ქრონიკალური ნაწილის, საბოლოო რედაქცია შეიქმნა IX ს-ში. მ. ჩხარტიშვილი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ეს ნაწილი, VII ს-ის შუა წლებსაც კი თვლის ამ ქრონიკის არა შექმნის, არამედ მორიგი რედაქტირების დროდ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესო ცნობა ქართლის სამეფოს უძველეს საზღვართა შესახებ უეჭველად უნდა მივაკუთვნოთ ამ ქრონიკის ყველაზე ადრეულ რედაქციას და ყველაზე ძველ წყაროებს. ამაში ეჭვი არ ეპარებოდა ს. ჯანაშიას, ის თვლიდა, რომ „ყველაზე ბუნებრივია“, წარმოქმნა ცნება „ქართლისა“, რომელიც თავის თავში შეიცავდა დასავლეთ საქართველოსაც (ეგრისსაც), ვივარაუდოთ არა IX ს-ში, არამედ სწორედ VII ს-ის I ნახევარში. ს. ჯანაშია ვარაუდობდა, რომ ეს იყო სრულიად საქართველოს საეკლესიო-საკულტო, ან საეკლესიო-ორგანიზაციული ერთობა. ასეთი ვარაუდი ჩვენ ხელოვნურად გვეჩვენება, რადგან „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობა უეჭველად ითვალისწინებს სრულიად განსაზღვრულ (ჩამოყალიბებულ) პოლიტიკურ კონცეფციას...

ეპოქის თანადროული ბიზანტიური და სომხური წყაროების ანალიზის საფუძველზე ჩვენ შევეცადეთ დაგვემტკიცებინა, რომ ლეონტი მროველის ცნობა შეესაბამება სინამდვილეს და რომ ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალმა ნამდვილად გააერთიანა დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო V საუკუნის 60-70-იან წლებში და ეგრისის ყოფილი მმართველი თავის ერისთავად გაიხადა. ამგვარად, ჩვენ შევეცადეთ მოგვესინჯა ის რეალურ-ისტორიული ნიადაგი, რომელზედაც შეიძლებოდა დაფუძნებულიყო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ძირძველი ერთიანობის პოლიტიკური კონცეფცია, რომელიც XI საუკუნის ისტორიკოსს ლეონტი მროველს ეკუთვნის. როცა ვახტანგ გორგასლის ეპოქას ვვარაუდობდით ლეონტი მროველის პოლიტიკური კონცეფციის შექმნის საფუძვლად, ჩვენ არ გამოვრიცხავდით მსგავსი პოლიტიკური სიტუაციის არსებობას ფარნავაზის დროს.“[192]

ფარნავაზის თანამედროვე ისტორიკოსი მეგასთენე III საუკუნეში ქრისტეშობამდე წერდა, რომ იბერები ცხოვრობენ შავი ზღვის სანაპიროზე. ეს არის მოწმობა იმისა, რომ ფარნავაზისდროინდელი ბერძნული სამყარო შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ეგრისელებს და სხვა ქართულ ტომებს იბერებად მიიჩნევდა, სწორედ ისევე, როგორც ქართველი ძველი ისტორიკოსები მიიჩნევდნენ მეგრელებს, კლარჯებსა და სხვა კუთხის მცხოვრებლებს ქართველებად.

„III საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მოსხების მთელი ქვეყანა (ე.ი. აჭარაც) მიეკუთვნებოდა ქართლს (იბერიას). სხვათა შორის, ამის დასადასტურებლად გამოდგება ფარნავაზის თანამედროვის, ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნის დასაწყისის ისტორიკოს მეგასთენის ცნობა იმის შესახებ, რომ იბერები ცხოვრობენ „პონტოს მარჯვენა ნაპირზეო“. ეს პირდაპირი მოწმობა ერთმნიშვნელოვნად გულისხმობს, რომ სწორედ III საუკუნის დასაწყისში ჩვ.წ.აღ-მდე ქართლის სამეფო სამხრეთ-დასავლეთით გადიოდა ზღვაზე და შესაბამისად, უნდა ვიფიქროთ, მასში შედიოდა აჭარა და კლარჯეთი“.[193]

ჩვენი აზრით, მეგასთენეს ცნობაში, რომ იბერები შავი ზღვის ნაპირზე ცხოვრობენ, უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო აჭარა და კლარჯეთი, არამედ ეგრისიც. შავი ზღვის პირას მცხოვრებ იბერებში უთუოდ ეგრისელებიც იგულისხმება. ჩანს, სწორედ ამის შესახებ უნდა მიუთითებდეს სხვა ბერძენი ისტორიკოსი დიონისიოს პერიეგეტი, რომელიც იბერებს ასევე შავიზღვისპირეთში მცხოვრებად მიიჩნევს, ოღონდ ჯიქებისა და ჰენიოხების მეზობლად. მიიჩნევენ, რომ დიონისიოს პერიეგეტი ცხოვრობდა იმპერატორების ავგუსტოსის და ნერონის დროს (შეიძლება საუკუნით ადრე ან გვიან).

დიონისიოს პერიეგეტი თავის „დედამიწის აღწერილობაში“ პირდაპირ წერს, რომ იბერები ცხოვრობენ შავიზღვისპირეთში, გულისხმობს არა სამხრეთში, მდინარე ჭოროხთან, არამედ ჩრდილოეთში.

„...აი, ამდენნი ცხოვრობენ მდინარე ისტროსის ირგვლივ. ახლა კი მიხედე ევროპის დანარჩენ საზღვარს, რომელიც სამმაგი ნაპირით არის გადაჭიმული აღმოსავლეთისაკენ, აქედან ერთია იბერთა, მეორე პანელინთა და მესამე ვაჟკაც ავსონთა. მაგრამ ეს არის საოცარ იბერთა უკანასკნელი მეზობელი ოკეანისკენ, დასავლეთისაკენ“.[194]

აქედან ჩანს, რომ იბერების საცხოვრისი არის შავ ზღვასთან, „ისტროსთან“. ჩანს, იგულისხმება შავიზღვისპირეთის ჩრდილო აღმოსავლეთი. ამ ცნობას ეხმიანება იმავე ისტორიკოსის სხვა ცნობა, რომ იბერები არიან მეზობლები „კამარიტებისა“. რუსი კომენტატორის თანახმად, კამარიტების „სახელწოდება წარმოქმნილია თავისებური ზღვის ნავების, „კამარებისაგან“. სტრაბონის აღწერით ამ ნავების მფლობელები იყვნენ აქეელები, ზიგები და ჰენიოხები, რომლებიც, როგორც ჩანს, უნდა გავაიგივეოთ დიონისესთან ხსენებულ „კამარიტებთან“.[195]

დიონისე პერიეგეტი, ისევე როგორც სხვა ძველი ავტორები (მათ შორის ძველი ქართველი ისტორიკოსები), მიიჩნევს, რომ როცა იბერები (ქართველები) მოვიდნენ საქართველოში, მათ აქ სხვა ხალხი დახვდათ, რომელთაც სძლიეს ქართველებმა. ფასისის შემდეგო, – წერს ის – „მისგან ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ მდებარეობს

ყელი კასპიის და ევქსინის ზღვას შორის. მასზე ცხოვრობს იბერთა აღმოსავლური ტომი, რომელიც ოდესღაც პირენედან მოვიდა აღმოსავლეთში და ჰირკანიელებთან სასტიკი ბრძოლა ჰქონდა“.[196]

ახალი არქეოლოგიური მონაცემები მიუთითებს, რომ კოლხეთი ქართველების საცხოვრისია ადრეანტიკურ ეპოქაშივე.

„უკანასკნელ დროს ძალზე საინტერესო ფაქტები გამოვლინდა არქეოლოგიური გამოკვლევებით ადრეანტიკურ კოლხეთში (დასავლეთ საქართველოში). ახლახან გამოქვეყნდა სტატია არქეოლოგ გ. გამყრელიძისა, რომელშიც შეკრებილია, შეიძლება ითქვას, მთელი არქეოლოგიური მასალა ჩვენთვის საინტერესო ეპოქისა ამ რეგიონში... როგორც ცნობილი ხდება, არქეოლოგიური შესწავლა დასავლეთ საქართველოსი აჩვენებს, რომ IV საუკუნის მეორე ნახევრიდან (ჩვენ წელთაღრიცხვამდე) თვალსაჩინო ხდება მატერიალური კულტურის განსხვავება ზღვისპირა ზოლისა და შიდა კოლხეთისა. ეს აიხსნება ახალი ძლიერი ტალღით, რომელიც ქართლიდან (იბერიიდან) მოდიოდა და რომელიც გამოიხატება დამარხვის ახალი წესით, ახალი, აღმოსავლეთ ქართული ფორმით და ტექნიკით, კერამიკის გაფორმებისა და არქიტექტურის ახალი ფორმებით. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ამასთან კავშირში ვანის ქალაქის გათხრებში აღმოჩენილ „არმაზული“ დამწერლობის ფრაგმენტებს ძვ.წ.აღ-ით II-I სს. ფენებში, რომელიც შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს ახასიათებდა“.[197]

დასავლეთ საქართველო რომ ფარნავაზის სამეფოში შედიოდა, ამის შესახებ წერს უძველესი ქართული წყარო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. იბერიაში შედიოდა არა მარტო ეგრისი, არამედ სვანეთიც.

„როგორი წინააღმდეგობაც არ უნდა გამოიწვიოს გ. გამყრელიძის ზემოთმოყვანილმა მოსაზრებამ, არქეოლოგიური მასალა IV-III სს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე დასავლეთ საქართველოდან უეჭველად მხარს უჭერს ძველქართულ მემატიანეთა მოწმობას და, ყოველ შემთხვევაში, არაფრით არ გამორიცხავს დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილის კუთვნილებას იბერიის სამეფოსადმი.

სხვათა შორის, ამ კონტექსტში, ჩვენ ძალზე საინტერესოდ გვეჩვენება სტრაბონის მოწმობა, რომელიც ძველქართულ ტომ სვანებზე მოთხრობისას, გვაცნობებს, რომ „ზოგიერთები მათ იბერიელებს უწოდებენ“ (XI, – 18). ეს მოწმობა დაუმსახურებლად არის იგნორირებული ისტორიკოსების მიერ. შეიძლება, შეიცავს ინფორმაციას იბერების (ქართები) გარდასული ხანგრძლივი ბატონობის შესახებ სვანეთში. ამასთან დაკავშირებით არ მეჩვენება ზედმეტად გავიხსენოთ, რომ შემდგომ, ადრე ბიზანტიურ ეპოქაში, ჩვენ გვაქვს უეჭველი ფაქტი, როცა „სვანები ლაზებთან კონფლიქტის დროს დასახმარებლად იწვევენ იბერებს (და სპარსელებს).“[198]

ყოველივე ზემოთ მოყვანილით მხოლოდ იმის დასკვნა შეიძლება, რომ ქართველთა სამეფოში ვახტანგ გორგასლამდე და მის დროსაც შედიოდა მთელი დასავლეთი საქართველო (აჭარა, ეგრისი, სვანეთი და, ცხადია, არგვეთი). ამიტომაც IV საუკუნეშივე ერთიანი ქართული ეკლესიის ჩამოყალიბების დროს მთელ დასავლეთ საქართველოში საეკლესიო ენა იყო ქართული ენა, ბერძნულ ენასთან ერთად,

ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოში. განსაკუთრებით ეს ითქმის გორგასლის ეპოქაზე. ვახტანგმა გააერთიანა საქართველო და შექმნა საქართველოს საკათალიკოსო. და თუ ეს ნამდვილად ასე იყო, მაშინ უეჭველია, წირვა-ლოცვისა და მღვდელმსახურების ენა დასავლეთ საქართველოში (ეგრისში, სვანეთში და სხვაგან) იყო ქართული ენა, ბერძნულთან ერთად.

ჩვენ მატიანეში თვალნათლივ ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოს ერთ ნაწილში ბერძნული ენა, როგორც ერთადერთი საეკლესიო ენა, შეიძლება დანერგილიყო VII საუკუნის დასაწყისში, იმის შემდეგ, რაც ზღვისპირა ვრცელი ტერიტორიები ჰერაკლე კეისარმა საქართველოს სამეფოს ჩამოაჭრა. არგვეთი და მისი მომიჯნავე ტერიტორიები არ შედიოდა ბიზანტიის იმპერიაში, ამიტომაც აქ ძველებურადვე ქართულენოვანი წირვა-ლოცვა ტარდებოდა. დ. მუსხელიშვილი წერს: „ჩვენ, ჩვენი მხრიდან, ასევე ვთვლიდით, რომ დასავლეთ საქართველოს განსაზღვრული ნაწილი (ისტორიული პროვინცია იმერეთის მარჯვენა სანაპირო) VII-IX საუკუნეებში შეიძლება ემორჩილებოდა ქართლის კათალიკოსის იურისდიქციას და, შესაბამისად, საეკლესიო მსახურება აქ სრულდებოდა ქართულ ენაზე“.[199]

ცხადია, ვახტანგ გორგასლის დროს, როცა მან მთელი საქართველო გააერთიანა მის სახელმწიფოში, საეკლესიო ენა იყო ქართული ენა, რადგანაც საეკლესიო კანონთა თანახმად, საქართველოს საკათალიკოსოს თავისი იურისდიქცია მთელ სახელმწიფოში უნდა განეხორციელებინა.

არა მარტო დასავლეთ საქართველოში, არამედ სამხრეთ საქართველოში, კლარჯეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს უკიდურეს კუთხეებში – ჰერეთსა და გუგარეთში ვახტანგ გორგასლის დროს საეკლესიო ენა იყო ქართული ენა, რადგანაც წესის თანახმად, ყველა ამ მხარეზე საქართველოს საკათალიკოსოს უნდა განეხორციელებინა თავისი იურისდიქცია.

ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ გუგარქი ვახტანგის სამეფოში შედიოდა:

„მეხუთე საუკუნეშიაც, მაგალითად, ვახტანგ გორგასალის მეფობაში გუგარეთი წინანდებურად იბერიის სამეფოს საზღვრებში შედიოდა, მაგრამ მარტო პოლიტიკურად კი არა, არამედ საეკლესიო წესწყობილების მხრივაც იგი საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა: როგორც მე-6 საუკუნის დამდეგს მომხდარ საეკლესიო კრების მონაწილე მღვდელმთავართა სიიდან ჩანს, ბოლნისის, ცურტავის და რუსთავის საეპისკოპოსოები მცხეთის კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ.

გუგარეთის საქართველოსთან დაკავშირების სიმტკიცე და მისი განუყრელი კუთვნილება შემდეგში მომხდარმა უბედურებამაც გამოააშკარავა, როდესაც სპარსთა მიერ დაახლოებით 537 წელს აღმოსავლეთ საქართველოში მეფობა ძალმომრეობით მოსპობილ იქნა და ქვეყანას თვით სპარსთა შაჰები დაეპატრონენ, ასეთ უკიდურეს გაჭირვებისა და პოლიტიკური ბედის უკუღმართობის დროსაც გუგარეთი საქართველოს საზღვრებში შედიოდა. მეშვიდე საუკუნის დამდეგსაც, როცა ქართველთა და სომეხთა შორის სარწმუნოებრივი უთანხმოება და მტრობა ჩამოვარდა, რომელიც ამ ორი ეკლესიის სრული განხეთქილებით და განშორებით დამთავრდა, იგი კვლავინდებურად ქართულ ეკლესიას ეკუთვნოდა. საქართველოს

ამ პოლიტიკური დაკნინებისა და განსაცდელის ხანაშიც რომ გუგარეთი მართლაც კვლავ საქართველოს ეკუთვნოდა, სულიერად და პოლიტიკურად მასთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული, ამას თვით სომხურივე მეშვიდე საუკუნეში შედგენილი საისტორიო გეოგრაფიაც ცხადად ამტკიცებს. აქ პირდაპირ ნათქვამია, რომ ეს ქვეყანა ამ დროს ქართველების ხელში იყო".[200]

მართლაც, VII საუკუნის სომხური გეოგრაფია წერს, რომ გუგარქი მთლიანად და მისი ყოველი გავარი დასახლებული იყო მხოლოდ ქართველებით, აქ არავითარი მინიშნება არ არის გუგარქში რომელიმე სხვა ერის ცხოვრების შესახებ.

„VII საუკუნის ანონიმურ სომხურ გეოგრაფიაში ნათქვამია: „გუგარქი მდებარეობს უტის დასავლეთით და შედგება ცხრა გავარისაგან, რომლებიც უჭირავთ ქართველებს: ძოროფორი, წობოფორი, კოლბოფორი, ტაშირი, თრიალეთი, კანგარქი, არტაჰანი, ჯავახქი, კლარჯქი..."[201]

ვახტანგ გორგასლის დროსაც გუგარქი დასახლებულია ქართველებით, გუგარქი ქართველთა ქვეყანაა V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ლაზარ ფარპეცის ცნობით. ის, წერს: „ქართველთა ქვეყნიდან წავიდნენ ბდეშხი არშუშა და ქვეყნის სხვა ტანუტერები".[202] „ქართველთა ქვეყანაში სწორედ გუგარეთის საპიტიახშო იგულისხმება.

გუგარქი ქართველებით დასახლებული ქვეყანა იყო იქამდეც, მაგრამ ხშირად სომხეთის სახელმწიფოს საზღვრების შიგნით ექცეოდა, ამიტომაც თავისი მეზობელი ალბანეთის „უტის" პროვინციის მსგავსად განიცდიდა არმენიზაციას. გუგარქის ქართველები ითვისებდნენ სომხურ კულტურასა და სომხურ ენას.

„გუგარქი ჯერ კიდევ II საუკუნეში ძვ.წ.აღ-ით წაართვეს სომხებმა იბერიას (სტრაბონი). სომხეთის სამეფოში იგი ცალკე ერთეულად, საპიტიახშოდ ჩამოყალიბდა. ამას, ჩანს, ხელს უწყობდა ისიც, რომ იგი ეთნიკურად განსხვავდებოდა. გუგარქს ჰქონდა მიდრეკილება ისევ იბერიას დაბრუნებოდა. ასეც მოხდა კიდევაც 387 წელს".[203]

ივ. ჯავახიშვილი წერს: „სტრაბონის დროსაც I საუკუნის დასასრულს ქრისტეს წელთაღრიცხვამდე და I საუკუნის დამდეგს ქრისტეს შემდეგ ეს კუთხე ჯერ კიდევ სომეხთა ხელში ყოფილა. მაგრამ 35 წლიდან ქრისტეს შემდეგ მოყოლებული, როდესაც ტაციტის სიტყვით, იბერიის მეფეები იმდენად ძლიერნი იყვნენ, რომ სომხეთში შემოჭრილ სპარსელებს ებრძოდნენ, და როცა თვით სომხეთშიც კი ქართველი უფლისწული გამეფდა, ცხადია, მდგომარეობა თვალსაჩინოდ უნდა შეცვლილიყო. შესაძლებელია, ამავე დროს ქართველებს სომეხთა მიერ მითვისებული გუგარეთიც უკან დაებრუნებინათ. ამას ის მეგობრული განწყობილებაც გვაფიქრებინებს, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მეფეებს რომის კეისრებთან ჰქონდათ".[204]

საუკუნეთა მანძილზე ქართველებით დასახლებული გუგარქი სომხეთის სახელმწიფოს ხელთ იყო. ამიტომაც ეს კუთხე, ალბანეთის მსგავსად, არმენიზაციის პროცესს ვერ აიცილებდა. როგორც VI, ისე VII საუკუნეებში გუგარქი ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, რასაც ვერ ურიგდებოდა აქაური თემის ეპისკოპოსი მონოფიზიტი მოსე, რომელიც ცდილობდა თავისი სამწყსო გამოეყვანა ქართული ეკლესიის იურისდიქციიდან და შეეყვანა სომხური ეკლესიის იურის-

დიქციაში. ხელსაყრელი პოლიტიკური სიტუაციის დადგომისთანავე, კირიონ ქართლის კათალიკოსმა გუგარქში აღადგინა ქართულენოვანი ღვთისმსახურება. კირიონის ამ მოქმედებამ საფუძველი დაუდო არა სომხების „გაქართველებას“, როგორც მიიჩნევს ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი,[205] არამედ „სომხურენოვანი“ ქართული მოსახლეობისათვის აღდგა ვახტანგ გორგასლის დროს არსებული ქართულენოვანი წირვა-ლოცვა.

ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებული საქართველოს საკათალიკოსოს აღმოსავლეთი საზღვარი ჰერეთსაც მოიცავდა. ჯერ კიდევ წმიდა ნინომ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანახმად, იქადაგა ალბანეთის ზოგიერთ კუთხეში: „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ნათქვამია: „და ნინო შთავიდა კხოეთა და დადგა კაწარეთს და მონათლნა კხოელნი და სოჯნი ერითურთ მათით და გარდავიდა კახეთა და დადგა ქცელ დაბას და მოიყვანნა კახნი მთავარნი და მონათლნა“.[206]

მოსე ხორენელის თანახმად, წმიდა ნინომ იქადაგა ალბანეთში ვიდრე მასქუთებამდე, რომელიც კასპიის ზღვისპირეთში მდებარეობდა.

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთში ამ მოგზაურობის დროს წმიდა ნინო დასნეულდა და ამის გამო ის უკანვე გამოემგზავრა მცხეთაში, მაგრამ მცხეთაში მისვლა ვერ შეძლო და გზაში, დაბა ბოდში გარდაიცვალა. სწორედ ასეა აღწერილი უძველეს ქრონიკაში – „მოქცევაჲ ქართლისაჲ“: „და დასნეულდა და წარმოემართა მცხეთად და ვითარცა მოიწია კხოეთს და დაბასა, რომელსა ჰქრჳან ბოდინი, ველარა ეძლო სლვად...“[207]

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობები წმიდა ნინოს შესახებ სანდო უნდა იყოს, რადგანაც ეს ცნობები, ე.ი. ზემოთ მოყვანილი ამბავი, ჩაწერილი ჩანს IV საუკუნის ბოლოს, ქართველთა მეფის თრდატის დროს, რადგანაც ამ ქრონიკისათვის (წმიდა ნინოს შესახებ ჩანაწერისათვის) უკანასკნელი ქართველი მეფე არის თრდატი. აქ წმიდა ნინოს შესახებ ნათქვამია: „გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს, დაბასა, ედემს, და ნათელ-სცა ერწუ-თიანელთა. და ყუარელთა ესმა ესე და გარდაკრბეს თოშეთა, რომელნი უკანაჲსკნელ იპოვნეს; თრდატ მეფემან მოიყვანნა და მონათლნა“.[208]

აქედან აშკარაა, ქრონიკის ამ ადგილის ჩანაწერისათვის უკანასკნელი, მისი თანამედროვე, მეფე არის თრდატი (393-405 წწ.).

საქართველოს საკათალიკოსოს საზღვრები ვახტანგ გორგასლის დროს ვრცლად ყოფილა გადაჭიმული და ის, ქალკედონის მე-17 და სხვა კანონების შესაბამისად, ემთხვეოდა საერო-სამოქალაქო, ანუ სახელმწიფოს საზღვრებს. ამიტომაც ის თავის იურისდიქციას ახორციელებდა დასავლეთ საქართველოს მთელ მიწა-წყალზე (მათ შორის ეგრისზე), რომლის საზღვარი მდინარე კლისურზე გადიოდა. აღმოსავლეთში კი საკათალიკოსოს იურისდიქციაში ქართლ-კახეთთან ერთად შედიოდა კლარჯეთი, გუგარეთი და ჰერეთი. ამ დროს მთელი საკათალიკოსოს საზღვრებში წირვა-ლოცვისა და ღვთისმსახურების ენა იყო ქართული.

ვახტანგ გორგასალმა თავისი საეკლესიო რეფორმის შემდეგ შეძლო ეკლესია სახელმწიფოს კონტროლისათვის დაექვემდებარებინა, მსგავსად ბიზანტიისა და სპარსეთისა. ამის შემდეგ ეკლესიის იერარქთა დიდი ავტორიტეტი და ძალაუფლება აღარ უპირისპირდებოდა ხელმწიფის ინტერესებს.

ვახტანგ გორგასალმა საქართველოს დაუბრუნა ბერძენთა მიერ მიტაცებული ტერიტორიები სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში. მან არათუ აღადგინა ქართლის სამეფოს ძველი საზღვრები, არამედ შეჰმატა მას ახალი ტერიტორია, მოქცეული მდინარეებს ეგრისწყალსა და კლისურას შორის. გაზარდა და გააფართოვა ეკლესიის საზღვრები, მოაწყო ის, როგორც „სამამამთავრო“ ეკლესია-საკათალიკოსო.

თეორიები ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ საუკუნეთა მანძილზე გამოთქმული იყო ორი განსხვავებული თვალსაზრისი. პირველის მიხედვით, ქართული ეკლესია დააფუძნა იერუსალიმიდან ჩამოსულმა წმიდა მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა და ამიტომაც ის ავტოკეფალური იყო დაფუძნებისთანავე, I-II საუკუნეებიდანვე, ისევე, როგორც ყველა სხვა მოციქულის მიერ იმ დროისათვის დაარსებული ეკლესიები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

აღნიშნული თვალსაზრისი, რომ ქართული ეკლესია დაარსებისთანავე ავტოკეფალური იყო, საქართველოში გაბატონებული იყო შუა საუკუნეებში და თავისი განსაკუთრებული გამოხატულება ჰპოვა წმიდა გიორგი მთაწმიდელის პასუხში ანტიოქიის პატრიარქთან კამათის დროს, 1054-1056 წლებში. თვალსაზრისს ანდრია პირველწოდებულისა და სხვა მოციქულების, აგრეთვე II-III საუკუნეებში რომის იმპერიიდან ჩამოსული ქრისტიანი მისიონერების მიერ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა და მათ მიერ ეკლესიის დაფუძნების შესახებ მხარს უჭერს ქართული, ბერძნული, ლათინური და სხვა წყაროები. II-III საუკუნეებში კი, თითქმის IV საუკუნის მიწურულამდე, იმ დროის მსოფლიო ეკლესიაში არსებული კანონების თანახმად, ყოველი საეპისკოპოსო და საეკლესიო „სამთავრო“ ავტოკეფალური იყო, განსაკუთრებით კი იმპერიის საზღვრებს გარეთ „ბარბაროსთა“ ქვეყნებში არსებული საეკლესიო „სამთავროები“ და საეპისკოპოსოები.

მეორე თვალსაზრისს – V-XI საუკუნეებში ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ – ძალზე სუსტი საბუთები აქვს. ბ. ლომინაძე წერს: „ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დასაბუთებისას ისტორიულ ცნობათა სიმცირის გამო ძველი და თანამედროვე მკვლევარები უმთავრესად ამოდიან ვახტანგ გორგასლის დროინდელი საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკური ვითარებიდან, რომელიც ქვეყნის მესაჭეს შესაძლებლობას აძლევდა ეძია ეკლესიური დამოუკიდებლობა და მიეღწია მისთვის“.[209]

თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია მიენიჭა V-XI სს-ში, ძირითადად ეფუძნება ქართველი მოღვაწის, ეფრემ მცირის თხზულებას, ასევე ბალსამონის ერთი ცნობის თავისებურ გაგებას. ივანე ჯავახიშვილმა საგანგებოდ გამოიკვლია ქართული ეკლესიის უფლებრივი დამოკიდებულებისა და თვითმწყსობის და წესების შესახებ არსებული თეორიები და გამოთქვა ასეთი აზრი:

„პროფ. ნ. მარი, უეჭველია, მართალია აგრეთვე, როდესაც ამტკიცებს, რომ ქართული ეკლესიის ანტიოქიის პატრიარქისაგან უფლებრივი დამოკიდებულების შესახებ არავითარი ძველი სანდო ცნობები არ მოიპოვება. მაგრამ ამის თქმა გადაჭრით

მხოლოდ IX-XI სს-ის შესახებ შეიძლება, უძველეს ხანისათვის კი ჯერ მეტად მცირე წყაროებია მკვლევარის ხელთ, რომ ამ საკითხის ასე თუ ისე გადაჭრის უფლება ჰქონდეს“.[210]

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, ივანე ჯავახიშვილის აზრით, უძველეს დროს (IX საუკუნემდე მაინც) ქართული ეკლესიის ანტიოქიის პატრიარქზე უფლებრივი დამოკიდებულების შესახებ ძველი სანდო ცნობები არ მოიპოვება და ამიტომაც ძნელია დაბეჯითებით მტკიცება იმისა, რომ ქართული ეკლესია ანტიოქიის ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა (მაგრამ აქტიური ურთიერთობა ჰქონდა ამ ეკლესიასთან).

ივ. ჯავახიშვილის თანახმად, ქართული ეკლესია არც იერუსალიმისა და არც სომხური ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ არ ყოფილა.

„ამასთანავე ნ. მარისაგან წამოყენებული დებულებისათვისაც, რომ ქართული ეკლესია უფლებრივად იერუსალიმის საპატრიარქოსაგან უნდა ყოფილიყო დამოკიდებული, VII საუკუნის დამდეგის კჳრიონ კათალიკოსის ეპისტოლის გარდა, რომელშიაც მხოლოდ იერუსალიმის მამამთავრის ავტორიტეტია გამოყენებული დოგმატური უთანხმოების გადასაწყვეტად და თანაც აღნიშნულია, რომ გრიგოლ განმანათლებელმა იერუსალიმის აღსარება მოიტანა, სხვა არავითარი საბუთი არ არსებობს. წმიდა ნინოს შატბერდული ცხოვრების ცნობა, როგორც ცნობილია, მერმინდელსა და ტენდენციურ ჩანართსა და ნატყუარ შენათხზსაც წარმოადგენს. ამიტომ მისი დამოწმება არ შეიძლება. ამნაირად, არც იერუსალიმის პატრიარქისგან დამოკიდებულების დამადასტურებელი, უეჭველი დასაყრდენი ცნობა არ მოიპოვება. მაშასადამე, გვრჩება მხოლოდ დებულება ქართული ეკლესიის უძველეს ხანაში დვინის კათალიკოსისგან დამოკიდებულების შესახებ, რომელიც ასურული VI ს-ის ძეგლის ცნობაზეა დამყარებული. ვითარცა ძველი ცნობა, იგი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია... ასურული ჩანართი ცნობის საზღვრები უნდა უფრო მჭიდროდ შემოიზღუდოს: იგი არ შეიძლება 450 წლის უწინარესი იყოს, არამედ V ს-ის მე-2 ნახევრისა. მაშასადამე, ასურული ჩანართი ნაწყვეტი სრულებით სომხურ-ქართულ-ალბანური ეკლესიების უძველეს ხანას არ ეკუთვნის და აქ არავითარი ცნობა არ მოიპოვება კავკასიის ხუთი ქრისტიანი ერისათვის საერთო კათალიკოსის შესახებ. ამ ცნობით, არც ქართული ეკლესიის დვინის კათალიკოსისაგან დამოკიდებულების დებულება მართლდება.“[211]

ივ. ჯავახიშვილის ზემოთ მოყვანილი აზრებიდან ჩანს, რომ I-IV საუკუნეებში და V საუკუნის შუა წლებამდე (ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმამდე) არ არსებობს დამადასტურებული საბუთები ქართული ეკლესიის იერარქიული დაქვემდებარებისა ანტიოქიის, იერუსალიმის ან სომხური ეკლესიებისადმი.

ივ. ჯავახიშვილი წერს: „ქართული ეკლესიის სომეხთა კათალიკოსისაგან უფლებრივი დამოკიდებულების დამცველებს საბუთად, როგორც გამოირკვა, მხოლოდ ორი ცნობა მოეპოვებათ: უძველესი ხანისათვის აგათანგელოს-ფაუსტოსისა და VI ს-ის დამლევისათვის იოანე კათალიკოსისა და უხტანესისა. ფაუსტოსის ცნობა დამოუკიდებელ მოწმობას არ წარმოადგენს, არამედ იმავე აგათანგელოსის თხზუ-

ლებაზეა დამყარებული და გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების არაბულის მსგავსი რედაქცია უნდა ჰქონდეს მას საფუძვლად, რომელშიაც გრიგოლი სომხების გარდა ქართველთა, ალბანელთა, აფხაზთა, თვით დურძუკთა და მასქუთთა გამაქრისტიანებლადაც არის გამოყვანილი. სწორედ ამ ორსავე ცნობაში მოხსენებული „მასქუთნი“ საუკეთესოდ ამჟღავნებენ ფაუსტოსის მოწმობის ამ წყაროსა და სადაურობას. აგათანგელოსის სახელით ცნობილი ნაწარმოები კი, როგორც აღნიშნული გვქონდა, სახელნატყუარ VI საუკუნის ტენდენციურ თხზულებას წარმოადგენს, რომელშიაც ისტორიული სინამდვილის ნიშანწყალიც კი არ არის. ამ ცნობას ისეთივე ღირებულება აქვს, რა ღირებულებისაცაა ამავე აგათანგელოსის ცნობა გრიგოლის მთელი კავკასიის განმანათლებლობის შესახებ. ცხადია, ასეთ მოწმობაზე დამყარება არ შეიძლება.

ახლა განსახილველია იოანე კათალიკოსისა და უხტანესის ცნობები კჳრიონის შესახებ... საბედნიეროდ, თანამედროვე მკვლევარს სრული საშუალება აქვს იოანე კათალიკოსისა და უხტანესის ამ ცნობათა სისწორე შეამოწმოს იმ მიწერ-მოწერის წყალობით, რომელიც „ეპისტოლეთა წიგნშია“ დაცული. სწორედ ამ წერილიდან ჩანს, რომ სომეხთა ეკლესიის მესაჭე პატრიარქის წოდებულების მქონებელი არ ყოფილა... სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან თვით მსოფლიო ეკლესიის პატრიარქებიც კი VII საუკუნემდე თავიანთ თავს იშვიათად თუ უწოდებდნენ პატრიარქს, არამედ მხოლოდ VIII-IX საუკუნეებში ხდება ეს სახელი ჩვეულებრივ წოდებულებად... კჳრიონ კათალიკოსი რომ მართლაც სომეხთა კათალიკოსისაგან ყოფილიყო ხელდასხმული და ნაკურთხი, როგორც იოანე კათალიკოსი და უხტანესი ამბობენ, წარმოუდგენელია, რომ ეს გარემოება მაინც სომეხთა ეკლესიის მმართველი წრეების წარმომადგენლებს ან მხოლოდ თვით აბრაამს გამწვავებული კამათისა და მიწერ-მოწერის დროს მაინც არ წამოეყვედრებინოთ, ჩვენი ნაკურთხი ხარ და ასეთი უმადურობა კი გამოიჩინეო. ამასთანავე კჳრიონი რომ სომეხთა კათალიკოსისგან იერარქიულ-უფლებრივად დამოკიდებული ყოფილიყო, აბრაამ კათალიკოსის მოქმედებაც ქართველთა კათალიკოსის წინააღმდეგ სხვანაირი იქნებოდა. აბრაამს შეეძლო კჳრიონი გადაყენებულად გამოეცხადებინა. არაფერი ამის მსგავსი კი აბრაამის უკანასკნელ მრგვლივმოსავლელ ეპისტოლეში არ არის და ეგ გარემოებაც კათალიკოსის უფლებრივად დამოკიდებულების დებულებას მეტად სათუოდა ხდის“.[212]

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ვახტანგ გორგასლის მიერ კათალიკოსობის დაწესებამდე ქართული ეკლესია იერარქიულად მსოფლიოს არც ერთ სხვა ეკლესიაზე დამოკიდებული არ ყოფილა. შემდგომ საუკუნეებში კი, კერძოდ, VI-X საუკუნეებში რამდენიმე მეზობელმა ეკლესიამ მოიწადინა და მოინდომა ქართული ეკლესია თავისი იერარქიული დაქვემდებარების ქვეშ მყოფად წარმოედგინა. კერძოდ, როგორც ბერძნები, ისე სომხები ზოგადად წერდნენ დაახლოებით ასე: მართალია, ქართული ეკლესია ამჟამად ავტოკეფალურია, მაგრამ წინათ ის ჩვენი ეკლესიის იერარქიული დაქვემდებარების ქვეშ იმყოფებოდაო. ასეა ეს როგორც სომხურ („ეპისტოლეთა წიგნი“), ისევე ბერძნულ-ბიზანტიურ ზოგიერთ წყაროში (მაგ. „ანტი-

ოქიურ ხრონოღრაფში“). მსოფლიო ეკლესია იმ დროისათვის ორ იდეოლოგიურ ბანაკად – აღმოსავლურ-სომხურ-მონოფიზიტურ და ბერძნულ-ქალკედონიტურ ბანაკად იყო გაყოფილი, ორივე ერთმანეთის მოქიშპე ბანაკი ცდილობდა პრეტენზია განეცხადებინა ქართულ ეკლესიაზე.

ქართული ეკლესია სომხურზე იერარქიულად დამოკიდებული რომ არ ყოფილა არც I-V და არც VI-X საუკუნეებში, ეს გამოარკვია ივ. ჯავახიშვილმა. ბერძნული საპატრიარქოები VI-X საუკუნეებში შეეცადნენ ქართული ეკლესია იერარქიულად მათზე დამოკიდებულად წარმოესახათ, რასაც, კერძოდ, ასახვა უპოვია ანტიოქიაში შედგენილ „ხრონოღრაფში“, რომელიც თავის წყაროდ გამოიყენა ეფრემ მცირემ და ამით საფუძველი დაუდო შემდეგ საუკუნეებში მრავალ მცდარ შეხედულებას.

ეფრემ მცირემ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ გამოთქვა თვალსაზრისი, რომელიც იმეორებდა ბერძნული წყაროებისას. „XI საუკუნის შუა წლებსა და მეორე ნახევარში ქართული ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის საკითხი ბერძნული წყაროების მიხედვით იქნა შესწავლილი. ეფრემ მცირე თავის ცნობილ გამოკვლევაში, „უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიჴსენების“, სხვა საკითხთა შორის იმ პრობლემასაც შეეხო, „თუ ოდეს იწყეს თჳთ ჴელთდასხმად, ვითარმედ არა თჳნიერ წესისა და ბრძანებისა“. ცნობა ამ საკითხის შესახებ მას უპოვია „ხრონოღრაფსა შინა ანტიოქიას აღწერილსა“... ამ ცნობის მიხედვით, ასე გამოდის, რომ VII საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული VIII საუკუნის შუა წლებამდის ქართულ ეკლესიასა და ანტიოქიის ეკლესიას შორის კავშირი შეწყვეტილი ყოფილა. ამ განცხადების თანახმად, საფიქრებელი ხდება, რომ მანამდე, VII საუკუნის დამდეგამდე, ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი ხელდასხმისათვის ანტიოქიაში მიდიოდა იქაურ პატრიარქთან“.[213]

ამ „ანტიოქიურ ხრონოღრაფში“ შემდეგი ყოფილა მოთხრობილი: VIII საუკუნის შუა წლებში ანტიოქიის პატრიარქ თეოფილაკტესა (745-751) და იმპერატორ კონსტანტინე სკორის (741-775) დროს იბერიიდან ანტიოქიაში ჩასულმა ორმა მონაზონმა განაცხადა, რომ ანასტას პატრიარქის შემდეგ (ალბათ, მოწამე ანასტასი II (602-610) მათ აღარ უკურთხებიათ იბერიის საყოველთაო ეპისკოპოსი (კათალიკოსი). თეოფილაკტემ მოიწვია ეპისკოპოსთა კრება, რომელმაც გამოსცა წერილობითი ნებართვა იმისა, რომ ამის შემდეგ იბერთა ეკლესიის ეპისკოპოსების მიერვე ხელი დასხმოდა იბერთა კათალიკოსს. იქვე აკურთხეს იბერთა ახალი კათალიკოსი.

ეს ცნობა მრავალ გაუგებრობას იწვევს მკვლევართა შორის. თუ ამ წყაროს ვენდობით, თვით VIII საუკუნის შუა წლებშიც კი ქართული ეკლესია ავტოკეფალური არ ყოფილა.

სინამდვილეში კი ამ „ანტიოქიური ხრონოღრაფის“ ცნობა შეეხება არა მცხეთის საკათალიკოსო ეკლესიას, არამედ დასავლეთ საქართველოს ეკლესიას.

როგორც XVII საუკუნის ბერძენი პატრიარქების, იერუსალიმელი დოსითეოსისა და ხრისანფის აზრით, ისე ჩვენი თანამედროვე ქართველი მეცნიერის ვ. გოილაძის[213] აზრით, ეფრემ მცირეს მიერ მოძიებული „ანტიოქიური ხრონოღრაფის“ ცნობა

შეეხება აფხაზეთის, ანუ როგორც ძველად დასავლეთ საქართველოს უწოდებდნენ, „ქვემო ივერიის“ ეკლესიის ავტოკეფალიას.

მრავალ ბერძნულ წყაროში არის ასეთი ცნობა: „ივერიაში ორი ავტოკეფალური ეკლესიაა, ქვემო ივერიისა და ზემო ივერიისა“. „ზემო ივერიას“ ბერძნები უწოდებდნენ აღმოსავლეთს, ხოლო „ქვემო ივერიას“ „დასავლეთ საქართველოს“. და წყაროები გულისხმობენ ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებს.

„ანტიოქიურ ხრონოღრაფშიც“ ეწერა არა „ქართლი“, არამედ „ივერია“, როგორც ეფრემ მცირის თანამედროვე ნიკონ შავმთელის სლავური თარგმანიდან ჩანს. ეფრემ მცირეს კი უთარგმნია სიტყვა „იბერია“ და „ქართლი“ დაუწერია.

მაშასადამე, „ანტიოქიურ ხრონოღრაფში“ ეწერა: VIII საუკუნეში ივერიის ეკლესიას მიანიჭეს (ან ცნეს) ავტოკეფალია ანტიოქიაშიო. მართლაც, სწორედ VIII საუკუნეში დაარსდა, ქართული წყაროების თანახმადაც, აფხაზეთის ავტოკეფალური ეკლესია. სწორედ ამ ეკლესიას უწოდებდნენ ბერძნები „ქვემო ივერიის“, ან უბრალოდ ივერიის ეკლესიას.[214]

საქმე შეეხება შავიზღვისპირა იმ ტერიტორიებს, რომლებიც VII საუკუნის დასაწყისში ჰერაკლე კეისარმა მოსტაცა საქართველოს. ეს ტერიტორიები თანდათან დაიბრუნა ერთ-ერთმა ქართულმა (აფხაზეთის) სახელმწიფომ მასზე საეკლესიო ავტოკეფალიის უფლებით (ეფრემ მცირის წყაროების უფრო დაწვრილებითი გამოკვლევა იხილეთ აქვე, პარაგრაფში „არასრული ავტოკეფალია“.) და მის ბაზაზე VIII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში დაარსდა აფხაზეთის საკათალიკოსო, რომელსაც ბერძნები „ქვემო ივერიის“ ეკლესიას უწოდებდნენ.

მეორე საბუთი, რომლის მიხედვითაც ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მიღებას ვარაუდობენ V-XI საუკუნეებში, ეს არის თეოდორე ბალსამონის ცნობა ქართული ეკლესიის მეთაურისთვის „არქიეპისკოპოსის“ პატივის მინიჭების შესახებ. სინამდვილეში ის ცნობა, რომლიდანაც მოჰყავთ ზემოთ მოყვანილი აზრი, ფაქტიურად ასახავს ბალსამონის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ IV საუკუნეში ქართული ეკლესია უკვე ავტოკეფალური იყო, რადგანაც ეს ცნობა არის კომენტარი 381 წელს შემდგარი II მსოფლიო კრების II კანონისა, იმ კანონისა, რომელიც აღიარებდა იმპერიაში არსებული ზოგიერთი ეკლესიისა და იმპერიის გარეთ „ბარბაროსების“ ქვეყნებში არსებული ეკლესიების ავტოკეფალიას. ბალსამონმა იმიტომ დაურთო ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ მოხსენება II კრების II კანონის კომენტარს, რომ ეს კანონი მას როგორც ქართული, ისე სხვა პატარა ეკლესიების ავტოკეფალიის საფუძვლად მიაჩნდა. უნდა აიხსნას ისიც, თუ რატომ აყენებდნენ ეჭვის ქვეშ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას შემდეგი საუკუნეების ბერძენი ისტორიკოსები: მაკარიოსი, დოსითეოსი და სხვები.

ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ (XV ს.), ყოველი ქართული სამეფოსა თუ სამთავროს მეთაური ცდილობდა თავის სამეფოში (სამთავროში) დამოუკიდებელი ეკლესია ჰქონოდა. ამ მიზნით იწვევდნენ იერუსალიმელ ან ანტიოქიელ ბერებსა და იერარქებს (ხანდახან პატრიარქებსაც კი), დიდი გასამრჯელოს ფასად მათ სთხოვდნენ დახმარებას თავიანთ სამთავროში მცხეთისგან დამოუკიდებელი ეკლესიის დასაარსებლად.

პირველ რიგში მოწვეული იერარქები შეეცადნენ, ამ მიზნით მოეპოვებინათ კანონიკურ-ისტორიული საბუთები. ვერც ანტიოქიასა და ვერც იერუსალიმში მათ ასეთი საბუთების მოძიება ვერ შეძლეს. ქართული წყაროების თანახმად, ამ მოქრთამულმა იერარქებმა საქართველოშივე დაიწყეს მათთვის გამოსადეგი საბუთების მოძიება. ისინი წინა საუკუნეთა ქართულ სიგელ-გუჯრებიდან და მატიანეებიდან კრეფდნენ ცნობებს. მათ მოუძიებიათ და მიუგნიათ მხოლოდ ეფრემ მცირის ზემოთ აღნიშნული თხზულებიდან ჩვენს მატიანეებსა და ხელნაწერებში გადასული ცნობებისათვის, ამიტომაც დაბეჯითებით უნდა ითქვას, მაკარიოსის, დოსითეოსისა და სხვათა ცნობები ქართული ეკლესიის უფლებრივი დამოკიდებულების შესახებ არის ეფრემ მცირის თხზულების თავისებური ინტერპრეტაცია. ხოლო როგორც აღვნიშნეთ, თვით ეფრემმა ცნობა აფხაზეთის (ქვემო ივერიის) შესახებ შეცდომით მცხეთის ეკლესიის ცნობად მიიჩნია.

ქართული ეკლესიის I-II საუკუნეებიდანვე ავტოკეფალიის შესახებ უნდა ითქვას: მართალია, იმ ქართველ ისტორიკოსებს, რომელნიც XX საუკუნის დასაწყისში იკვლევდნენ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებს, არ სწამდათ ანდრია პირველწოდებულის საქართველოში ქადაგება (ამიტომაც წარმოუდგენლად მიაჩნდათ ქართული ეკლესიის არსებობა პირველ საუკუნეებში), მაგრამ რუსულ საეკლესიო წრეებში იმ დროს უკვე არსებობდა აზრი იმის შესახებ, რომ ქართული ეკლესია თავისი დაარსების დღიდანვე ავტოკეფალური იყო.[215]

იმის გამო, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაწესების შესახებ, შეიძლება ითქვას, წყაროები თითქმის არ არსებობდა, მკვლევარებმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია დაუკავშირეს ეკლესიის მეთაურისთვის კათალიკოსის ტიტულის მინიჭებას. სინამდვილეში კი ეკლესიის ავტოკეფალია და მისი მეთაურის ტიტული განსხვავებული ცნებებია. მათ ერთმანეთთან არ აკავშირებდა ეფრემ მცირე. მაგალითად, ეფრემის თვალსაზრისით, IV საუკუნეში, დაარსებისთანავე, ქართული ეკლესიის მეთაურს უკვე ჰქონდა ტიტული კათალიკოსისა, თუმცა, ქართული ეკლესია იმ დროს, მისი აზრით, არა ავტოკეფალური, არამედ ანტიოქიის „საყდრის მომდგომი“ იყო. ეფრემი წერს. „ეგრეთვე სახელიცა მივლინებულისა მის ეპისკოპოსისა ესრეთ პოვნილ არს, ვითარმედ თჳთ ევსტათი იყო ანტიოქელ პატრიაქი, რომელმან დაამყარა ეკლესიაჲ იგი მირიანის მიერ მცხეთას აღშენებული. და უკურთხა მათ კათალიკოსი მთავარეპისკოპოსი... ამიერ იცნობების ჟამი მოქცევისაჲ და ვითარმედ ანტიოქისა საყდრისა მომდგომ იყვნეს და მიერ ჴელთდასხმულ იქმნებოდეს ქართლისა კათალიკოზნი“.[216]

ეფრემის ეს განცხადება საფუძველს მოკლებულია იმ მიზეზის გამო, რომ იგი არ ასახელებს თავის წყაროს, გარდა ამისა, ამჟამად ცნობილია, რომ ქართული ეკლესიის მეთაურს „კათალიკოსი“ ეწოდა არა IV, არამედ V საუკუნეში. გარდა ამისა, IV საუკუნეში არც ანტიოქიის ეკლესიის მეთაურს ჰქონდა „პატრიარქის“ წოდება. თხზულებაში სხვა ამბების აღწერის დროს ეფრემი თავის წყაროებს ასახელებს, ხოლო ამ შემთხვევაში ამბობს „პოვნილ არს... თჳთ ევსტათი იყო ანტიოქელ პატრიარქი“ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეფრემმა ძებნა და ბერძნულ

წყაროებში მოიძია მხოლოდ სახელი ანტიოქიის ეკლესიის მეთაურისა IV საუკუნის 20-იან წლებში. ამ წყაროში, ჩანს, არ ეწერა ევსტათისა და ქართული ეკლესიის ურთიერთკავშირის შესახებ, ამიტომაც ეფრემმა წყარო არ დაასახელა.

როგორც აღვნიშნეთ, ეფრემი არ უკავშირებდა ტიტულ „კათალიკოსსა“ და ავტოკეფალიას ერთმანეთს. ესენი ერთმანეთს მეცნიერებმა დაუკავშირეს XX საუკუნეში და ივარაუდეს, რომ ქართული ეკლესია მაშინ გახდა ავტოკეფალური, როცა მის მეთაურს ეწოდა „კათალიკოსი“, ე.ი. V საუკუნეში.

მართლაც, V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის დროს, ქართულ ეკლესიაში მომხდარა დიდი ცვლილება, რეფორმა, რომელიც ცნობილი გამხდარა ანტიოქიის საპატრიარქოში და იქ მსჯელობის საგანი ყოფილა. შეიძლება, სწორედ ამის გამოძახილია თეოდორე ბალსამონის ცნობა, რომელიც წყაროში კი არ ამოუკითხავს ბალსამონს, არამედ სხვისგან მოუსმენია: „ამბობენ, რომ პეტრე თეოპოლისის (ე.ი. დიდი ანტიოქიის) პატრიარქის დღეებში იყო საკრებულო განსაზღვრება იმის შესახებ, რომ ივერიის ეკლესიები, რომლებიც მაშინ ანტიოქიის პატრიარქს ემორჩილებოდნენ, იყვნენ თავისუფალი და დამოუკიდებელი“.[217]

როგორც აღვნიშნეთ, ეს ცნობა ბალსამონს წყაროში კი არ უნახავს, არამედ გადმოცემა გაუგონია. ამიტომაც ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობდა, რომ აქ ლაპარაკი იყო XI საუკუნის ანტიოქიის პატრიარქ პეტრეზე, მაგრამ სხვების თვალსაზრისით, აქ ლაპარაკია ანტიოქიის V საუკუნის პატრიარქ პეტრე ფულონზე.

ვახტანგ გორგასლის ღვაწლი ქართველი ერის წინაშე საუკუნეთა მანძილზე მოიხსენებოდა და დაუვიწყარი იყო. ვახტანგს ჩაუტარებია ძალზე დიდი რეფორმა ქართულ ეკლესიაში, რომელსაც ქართული ეკლესიისთვის მიუცია ის სახე და ის მიმართულება, რომელიც მას ამჟამად აქვს (კათალიკოსობა და პრობერძნული ორიენტაცია). ვახტანგ გორგასლის დროს სპარსეთი გაძლიერებული იყო და ის თანმიმდევრობით აუქმებდა ამიერკავკასიის ქვეყნების სახელმწიფოებრიობას, ასე მაგალითად, 428 წელს ირანელებმა სომხეთში მეფობა გააუქმეს, 463 წელს კი მეფობა გააუქმეს ალბანეთში.

ასეთ დროს მეფე ვახტანგ გორგასალმა, ქართული წყაროების თანახმად, შეძლო გაეთავისუფლებინა საქართველო სპარსელების ბატონობისგან. გარდა ამისა, გაათავისუფლა ბერძნების მიერ დაპყრობილი დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მიწები.

ვახტანგმა გაათავისუფლა სრულიად საქართველო. ის მეცნიერები, რომელთაც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანება შეუძლებლად მიაჩნიათ, არ ერწმუნებიან ქართული წყაროების ცნობებს, ამიტომაც ისინი ვახტანგ გორგასალს მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ მიიჩნევენ.

დ. მუსხელიშვილმა ანალიზი გაუკეთა ბიზანტიურ და სომხურ წყაროებს და დაადასტურა „ქართლის ცხოვრების“ მონაცემები, რომ ვახტანგი ერთიანი საქართველოს მეფე იყო.[218]

ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებული საკათალიკოსო მრავალი საეპისკოპოსოსაგან შედგებოდა. „ქართულ საეპისკოპოსოთა სისტემა ტერიტორიული განლაგების პრინციპით სრულიად ანალოგიური იყო ბიზანტიური წესისა. აქაც და იქაც

საეკლესიო საზღვრები ემთხვეოდა სამოქალაქო-ადმინისტრაციულ საზღვრებს და ტერმინებიც საერო-ადმინისტრაციიდან გადავიდა საეკლესიოში. აღმოსავლეთის ეკლესია განსაკუთრებულად სავალდებულოდ ხდიდა სამოქალაქო-საერო დაყოფის გადაღებას საეკლესიოში, ასე რომ, ყოველ ცვლილებას საეროში შესაბამისი ცვლილებები უნდა მოჰყოლოდა საეკლესიოში" (ქალკედონის IV მს. კრ. კან. 13, 17 და სხვა).[219]

„როგორც ჩანს, საქართველოს ერთიანობის ხანაში ვახტანგ გორგასლის დროს ვაკე,[220] მარგვეთი[221] და თაკვერი[222] „მცხეთის იურისდიქციაში შედიოდა", ჯერ მთავარეპისკოპოსის, შემდეგ კათალიკოსისა. მომდევნო ხანაში მთავარეპისკოპოსს მხოლოდ „ვაკე" შერჩა, ვიდრე XVI საუკუნემდე."[223] ბ. ლომინაძემ გაარკვია, რომ ვახტანგის დროს კათალიკოსი იყო პატრიარქის რანგისა და მას „მამამთავარი" ეწოდებოდა.

„...ვახტანგ მეფის დროის პირველი კათალიკოსი პეტრე იერარქიულად ისეთივე რანგისაა, როგორც კონსტანტინოპოლის პატრიარქი, ე.ი. მასზე მაღლა არავინ დგას, ის ისეთივე ავტოკეფალი არის, როგორც კონსტანტინოპოლის პატრიარქი... მაგ, „ქართლის მოქცევის" ქრონიკაში, პირველი კათალიკოსის, პეტრეს დადგენასთან დაკავშირებით იკითხება: „აქადგან იწყეს კათალიკოსთა მამამთავრობად, პირველი კათალიკოსი იყო პეტრე, ვახტანგ მეფისა ზე" (ქართული „მამამთავარი" პირდაპირი თარგმანია „პატრიარქის"). უფლებრივი მდგომარეობით ქართლის კათალიკოსი მიაჩნდათ ბიზანტიაში იმ დროს მოქმედი პატრიარქების ტოლად (აგრეთვე მაგ., მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები, წ.II, გამოსცა გ. გვახარიამ, გვ. 518-530, წ.III, გვ. 245; დიდი სჯულის კანონი, გვ. 372, 538; შატბერდის კრებული, გვ. 434 და სხვ.)[224]

თავი V

ქართული ეკლესია VI საუკუნეში

„ქრისტეს რწმენა ქართველებისათვის
მარტო საწმუნოებითი აღსარება კი არ იყო,
იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვიტკირიც
იყო საქართველოს მრავალ ნაწილების
გასაერთებლად და შემოსაკრებად...
ქართველი ერი ამისთვის უფრთხილდებოდა
თავის რწმენას, რომელიც თავის შინაგან
ღირსების გარდა, დუღაბობას უწევდა ერთობასა.“

ილია მართალი

ქვეყნის ზოგადი მდგომარეობა VI საუკუნეში

VI საუკუნის დასაწყისში სპარსეთმა საქართველო დაიმორჩილა, რის შედეგადაც ქართლში მეფობა გაუქმდა. როგორც ქართულ, ასევე ზოგიერთ ბერძნულ წყაროს მეფობის გაუქმების საკითხი სხვადასხვაგვარად აქვთ გადმოცემული. კერძოდ, ერთი ქართული უძველესი წყარო მიიჩნევს, რომ VI საუკუნის დასაწყისში მეფობა გაუქმდა და ქართველებს მეფე აღარ ჰყავდათ[1], სხვა წყაროები კი, მაგალითად, „ქართლის ცხოვრება“, მეფობის გაუქმებას არ ცნობს VI საუკუნის პირველ ნახევარში. ჩანს, ასეთივე მდგომარეობაა ბერძნულ წყაროებშიც, კერძოდ, პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს, რომ გურგენ მეფის აჯანყების შემდეგ ქართველებს ნება აღარ მისცეს საკუთარი მეფე ჰყოლოდათ და მეფობა გააუქმეს. ლაზიკიდან გურგენი თავის სახლობითა და ამალით 523 წელს ბიზანტიაში წავიდა. 532 წელს სპარსეთსა და ბიზანტიას შორის დაიდო „საუკუნო ზავი“. თითქოსდა ამის შემდეგ ქართველებს საკუთარი მეფე აღარა ჰყავთ, მაგრამ ბიზანტიელი მემატიანეები მალალა და თეოფანე ახსენებენ ქართველთა მეფეს, დედოფალსა და დიდებულებს, რომელნიც 535 წელს კონსტანტინოპოლში ჩასულან იუსტინიანე კეისართან მოლაპარაკებისათვის, – „თუ რომ ბიზანტიელი მემატიანენი მალალა და თეოფანე არა სცდებიან, ალბათ, გაქცეული მეფე გურგენის მოადგილედ იბერიაში ძამანარძე (ძამანარზოს) დამჯდარა, რომელიც 535 წელს კონსტანტინოპოლში წასულა თანამეცხედრითა და დარბაისლებითურთ („სუნკლეტიკონ“) და იუსტინიანე კეისრისათვის აღუთქვამს რომაელების მოკავშირეები და მეგობრები ვიქმნებითო. გახარებულ კეისარს დიდი პატივი უცია მეფისა, დედოფლისა და დარბაისლებისათვის, უხვადაც დაუსაჩუქრებია და შინ გაუსტუმრებია“.[2]

ბიზანტიელი ისტორიკოსების, მალალასა და თეოფანეს და აგრეთვე „ქართლის ცხოვრებისა“ და ასურელ მამათა „ცხოვრების“ ცნობები იმის შესახებ, რომ VI საუკუნის პირველი ნახევრის მანძილზე (სპარსთა მიერ საქართველოს დაპყრობის დროს) ქართველებს მეფე ჰყავდათ, ერთმანეთის მსგავსია. შესაძლებელია, დამპყრობლებმა ქვეყანას მისცეს შეზღუდული ავტონომიის მაგვარი რაღაც სტატუსი, რომლის მეთაურადაც გორგასლიან-ფარნავაზიანთა ძველი დინასტია ყოფილა. ალბათ, ქართველთა გარკვეული პოლიტიკური წრეები მეფობის გაუქმებას არ ცნობდნენ და დაპყრობილი ქვეყნის მეთაურს კვლავ მეფეს უწოდებდნენ. ყოველ შემთხვევაში, უდავოა, რომ ქვეყანა VI საუკუნის 70-90-იან წლებამდე სპარსთა მიერ იყო დაპყრობილი და ქართული ეროვნული ინსტიტუტები, მათ შორის ქართული ქალკედონური ეკლესია, დიდ დევნას განიცდიდნენ. ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისით, მეფობის გაუქმება 532 წლის საზავო ხელშეკრულებამ დააკანონა. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მემატიანე წერს, რომ „ამის ბაკურის ზევე დაესრულა მეფობაჲ ქართლისაჲ“.

„ჩვენი მატიანე მოგვითხრობს, რომ როდესაც სპარსელებმა... მეფობა მოსპეს და „დაესრულა მეფობა ქართლისაჲ“, სპარსნი „განძლიერდეს“ და „ქართლი უმეტესად დაიპყრეს და კავკასიანთა შევიდეს და კარნი ოვსეთისანი აიგნეს... სხუაჲ ვინმე კაცი დაიდგინეს მთავრად წანარეთისა ჭევსა და მორჩილებაჲ დასდვეს

მისი“.[3] შესაძლოა, როგორც წანარეთის ხევის მთავრად სპარსელებმა „ვინმე კაცი“ დაადგინეს, ასევე ქართველთა ერთიანი ქვეყნის მთავრად დაადგინეს გორგასლიანთა დინასტიის მემკვიდრე, რომელსაც ქართველები მეფეს უწოდებდნენ.

აღმოსავლეთ საქართველოს სრული დაპყრობის შემდეგ სპარსელები ბერძენთა განდევნას ცდილობდნენ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთიდან. 542 წელს ხოსრო მეფე დიდძალი ლაშქრით აღმოსავლეთ საქართველოდან გადასულა დასავლეთ საქართველოში და ბიზანტიელების ციხე-ქალაქი პეტრა აუღია. დასავლეთ საქართველოს სრული დაპყრობის შემდეგ გადაუწყვეტია აქედან ქართული მოსახლეობა სპარსეთში გადაესახლებინა, ხოლო ლაზიკაში სხვა ტომის ხალხი ჩაესახლებინა. ქართველები აჯანყდნენ და 549 წელს სპარსელები ლაზიკიდან განდევნეს. 550 წელს სპარსელები კვლავ შევიდნენ ლაზიკაში და მუხურისის ხეობაში გამართულ ომში სასტიკად დამარცხდნენ. სპარსეთსა და ბიზანტიას შორის ლაზიკისთვის ომი დასრულდა 563 წლის ზავით. ლაზიკა ბიზანტიელებს დარჩათ. „...კოლხეთი და ივერია ურთიერთშესახებ ბევრს საყურადღებო რასმე გვამცნობენ. მოვიგონოთ, რომ უძველესი დროიდან მოყოლებული მთელი ზემო იმერეთი, შორაპან-სკანდიდან მოყოლებული, ყოველთვის IX საუკუნის დამდეგამდის ივერიის ფარგლებში შემოდიოდა. აქ დიდი ასპარეზი იყო ურთიერთმოქმედებისათვის.“[4]

როგორც ცნობილია, ლაზიკა ეწოდებოდა არა დასავლეთ საქართველოს მთლიანად, არამედ მის ერთ ნაწილს. დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილს იმ დროს იბერიას უწოდებდნენ და ის სპარსეთს ჰქონდა დაპყრობილი. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ლაზიკისა და იბერიის საზღვარზე მდებარეობდნენ სკანდისა და შორაპნის ციხეები.[5] უეჭველად იბერიაში შედიოდა იმ დროს დღევანდელი ზემო იმერეთი და რაჭაც და ამიტომაც იბერიას სვანეთთან საზღვარი ჰქონია. დღევანდელი ზემო იმერეთი და სვანეთის მოსაზღვრე რაჭა იბერიაში შემავალი რომ არ ყოფილიყო, სპარსელები სვანეთს არ მოითხოვდნენ ბიზანტიელებისაგან. (აქ უნდა გავიხსენოთ სტრაბონის მოწმობა სვანების შესახებ – „ზოგიერთები მათ იბერიელებს უწოდებენ“ (დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 64) ამ ზავით დასავლეთ საქართველო გაიყვეს ბიზანტიელებმა და სპარსელებმა, ბიზანტიელებს დარჩათ ლაზიკა, ხოლო სპარსელებს იბერია. სვანეთიც ამ ზავით ბიზანტიას უნდა დარჩენოდა, რადგანაც სვანეთი ლაზიკის ქვეშევრდომი ქვეყანა იყო. „ბიზანტიელები გაიძახოდნენ: სვანეთიც, ვითარცა ლაზიკის ქვეშევრდომი ქვეყანა, ხელშეკრულების ძალით ლაზიკასავით ჩვენ უნდა დაგვრჩესო. სპარსელები კი ამტკიცებდნენ, სვანები სხვა ხალხია და ვითარცა ჩვენკენ ნებაყოფლობით გადმოსული, ჩვენვე უნდა დაგვრჩესო“.[6] დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ტერიტორია, რომელსაც იბერია ეწოდებოდა, შორაპნისა და სკანდას ციხეების ჩათვლით, სპარსელების ხელში იყო. ჩანს, ომი ლაზიკისთვის მიმდინარეობდა ციხე-ქალაქ პეტრასა და რიონს შორის მდებარე ტერიტორიაზე, აგრეთვე მუხურისის ველზე — ქუთაისსა და ცხენისწყალს შორის. ლაზიკის დედაქალაქს, ივანე ჯავახიშვილის თანახმად, „ძველქალაქი“ (არქაიოპოლისი) ეწოდებოდა. ლაზიკის სამხრეთით ქალაქი პეტრა მდებარეობდა, ხოლო ჩრდილოეთით – აფშილების ქვეყანა, რომელ-

იც ლაზებს ემორჩილებოდა. აფშილების ჩრდილოეთით მისიმიელნი ბინადრობდნენ და ისინიც ლაზიკის მეფის მოყმენი იყვნენ. მისიმიელებს საკუთარი ენა ჰქონიათ. ჩანს, ლაზებსა და აფშილებს ერთი ენა ჰქონდათ. მისიმიელები, აფშილები და ლაზები ქრისტიანები იყვნენ, ამიტომაც უფრო ბიზანტიელებს ემხრობოდნენ და ბერძნები, ბუნებრივია, მეგობრებად მიაჩნდათ, სპარსელები კი მტრებად. აფხაზები უფრო ჩრდილოეთით ბინადრობდნენ. აღმოსავლეთით ლაზიკის საზღვარი იბერიასთან გადიოდა სკანდასა და შორაპნის ციხეებთან. ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ 551 წელს პეტრას აღების შემდეგ ბიზანტიელთა სარდალს ეს ციხეებიც უნდა დაეჭირა, მაგრამ მას ეს არ გაუკეთებია, – „უეჭველია, სიფრთხილე მოითხოვდა, რომ იგი თავისი ლაშქრითურთ ლაზიკის და იბერიის საზღვარზე დამდგარიყო, რომ იქ მდებარე ციხეები სკანდა და შორაპანი დაეჭირა და სპარსელებისათვის გზა შეეკრა“.[7]

590-იანი წლებისთვის სპარსელებს იბერიის მნიშვნელოვანი ნაწილიც დაუკარგავთ: თუ 563 წლის ზავით ბიზანტიელებმა და სპარსელებმა ერთმანეთს შორის გაიყვეს დასავლეთ საქართველო, 591 წელს გაუყვიათ აღმოსავლეთ საქართველო. „...ხოსრო II-მ, სომეხი ისტორიკოსის სებეოსის სიტყვით, იბერიის მომეტებული ნაწილი ქ. თბილისამდე მავრიკი კეისარს გადასცა. ეს უნდა მომხდარიყო, მაშასადამე, 591 წელს და ამ დათმობის წყალობით იბერია კვლავ ორად გაიყო, ამასთანავე იბერიის დასავლეთი ნაწილი ქ. თბილისამდე ბიზანტიის კეისრის ხელში გადასულა, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი ისევ სპარსთა ბატონებს შერჩენიათ. მეფე ხოსრომ ამის გარდა თავის სამეფოში ქრისტიანობის თავისუფლება გამოაცხადა“.[8]

VI საუკუნეში სპარსელებისათვის მისაღები სარწმუნოება იყო მონოფიზიტობა – „სპარსელები მხარს უჭერდნენ მონოფიზიტობას... ახლა სპარსეთის მთავრობა მხარს უჭერდა ისეთ ქრისტიანობას, რომელსაც ებრძოდა სპარსეთის მტერი რომის მთავრობა. თუ ქრისტიანობის დათმობა არ გსურთ, მაშინ ისეთი ქრისტიანობა მაინც უნდა მიიღოთ, რომელიც რომის მეფის სარწმუნოებისგან განსხვავდებაო, – ასე მოითხოვდა ახლა სპარსეთის შაჰი თავისი ქრისტიანი ქვეშევრდომებისაგან“.[9] სპარსეთი სომხურ ეკლესიას მფარველობდა. „როცა სპარსელები იძულებული გახდნენ, უარი ეთქვათ მაზდეანობის გავრცელებაზე ამიერკავკასიაში და სამაგიეროდ, მონოფიზიტური ქრისტიანობის მფარველებად იქცნენ, მათ საეკლესიო მწერლობას დაავალეს, მონოფიზიტური იდეები და სპარსეთთან განუყრელი კავშირის აუცილებლობა ექადაგა. ამ მიზნით სპარსეთის მეფის აგენტებმა შეთხზეს ლეგენდები, ვითომც ქრისტიანობა სომხეთში, ქართლსა და ალბანიაში ერთი პირის მიერ არის დანერგილი, ვითომც ქართული, სომხური და ალბანური ანბანები აგრეთვე ერთი პირის მიერ არის გამოგონებული და რომ ეს „განმანათლებელნი“ იმავე დროს ვითომც სპარსეთთან იყვნენ დაკავშირებულნი“.[10]

ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები VI საუკუნეში

ივ. ჯავახიშვილი წერს: – „ქართული ეკლესიის საზღვრები ვრცლად ყოფილა გადაჭიმული: დასავლეთ-სამხრეთით იგი კლარჯეთსაც შეიცავდა და საზღვრად აქ ტაოს საეპისკოპოზო ყოფილა, რომელიც ამ დროს სომხეთის ეკლესიას კუთვნებია. 506 წელს ბაბგენ სომეხთა კათალიკოსის პირველსავე ეპისტოლეში სომხეთის საკათალიკოსოს ხელქვეშეთ მღვდელთმთავრად დასახელებულია ატატე ტაოს ეპისკოპოზი. ხოლო ჰოჰანეს სომეხთა კათალიკოსის VI ს-ის შუა წლების ეპისტოლეში სტეფანოს ტაოს ეპისკოპოზი იხსენიება“.[11]

თუ სამხრეთ-დასავლეთით ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრებში შედის კლარჯეთი, ვიდრე ტაომდე, დასავლეთით ქართული ეკლესიის საზღვრები მიდის შავ ზღვამდე. „სომეხთა ისტორიკოსის იოანე კათალიკოსის ცნობით, კირიონი წინანდელი წესის თანახმად, ქართველთა, გუგარელთა და მეგრელთა არქიეპისკოპოზად იქმნა ხელდასხმული. გუგარელთა შესახებ ცნობა გასაკვირველი არ არის, რადგან დიდი ხანია, რაც გუგარეთი საქართველოს დაუბრუნდა და ქართლის კათალიკოსის სამწყსოს ეკუთვნოდა, მაგრამ მისი მეგრელთა კათალიკოსადაც აღნიშვნა პირველი ცნობაა. ეს ცნობა იმის მომასწავებელია, რომ ქართლის, ანუ მცხეთის კათალიკოსის სამწყსოს უკვე დასავლეთ საქართველოშიც ჰქონდა ასპარეზი მოპოვებული და საკათალიკოსოს საზღვარი ლიხთ იმერეთშიც იყო გადაწეული. ცხადია, იოანე კათალიკოსს ეს ცნობა რომელიმე წერილობითი წყაროდან ექმნება ამოღებული, მაგრამ საიდან მომდინარეობს ეს ცნობა, ამჟამად ამის გამორკვევა შეუძლებელია. თუ მომავალში მისი უთუობა დამტკიცდა, მაშინ ცხადი გახდება, რომ იმიერ-ამიერ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას წინ უსწრებდა და ნიადაგს გაცილებით უფრო ადრე მომხდარი საეკლესიო ერთობისა და მთლიანობის პროცესი უმზადებდა“.[12]

ამჟამად იოანე კათალიკოსის ცნობის ჭეშმარიტება დამტკიცებულია იმით, რომ ატენის სიონის ფრესკულ წარწერებში აღმოჩნდა იდენტური ცნობა. კერძოდ, მოხსენიებულია სტეფანოზი „ქართველთა და მეგრელთა ერისთავთა უფალი“. ის, ამ ძალზე მნიშვნელოვანი წარწერის მკვლევრის აზრით, ქართლისა და ეგრისის მმართველია. ორივე ეს ცნობა ერთსა და იმავე მოვლენაზე მიუთითებს, რომ საქართველოს პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ ორბიტაში მოქცეულია არა მხოლოდ აღმოსავლეთი საქართველო, არამედ დასავლეთი საქართველოც, როგორც ამას „ქართლის ცხოვრება“ გვიდასტურებს.

იოანე კათალიკოსის ცნობით, კირიონი VI საუკუნის ბოლოს დაუსვამთ ქართველთა, გუგარელთა და მეგრელთა კათალიკოსად, ისევე როგორც წინანდელი წესი მოითხოვდაო. აქედან ჩანს, რომ ქართული ეკლესიის იურისდიქცია, ვრცელდებოდა დასავლეთ საქართველოზე, არა მხოლოდ VI საუკუნეში, არამედ ადრეც, ე.ი. V საუკუნეში – „წინანდელი წესის თანახმად“.



ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, V საუკუნის შუა წლებისა და მეორე ნახევრისათვის საქართველოში 21 საეპისკოპოსო ყოფილა. „ჯუანშერი ქართლის კათალიკოსის სამწყსოში ვახტანგ გორგასლის დროს, სახელდობრ, შემდეგ საეპისკოპოზოებს იხსენიებს: მცხეთის საეპისკოპოზოს, კლარჯეთში ახიზისას, არტაანში ერუშეთისას, ჯავახეთში – წუნდისას, ქართლში ნიქოზისას, მანგლისისას, ბოლნისისას, კახეთ-ჰერეთში – რუსთავისას. ნინოწმინდისას, უჯარმოისას, კარისას, ჭერემისას, ჩელთისას, ხორნაბუჯისას, აგარაკისას, ანუ ხუნანისას. ამგვარად, სულ თექვსმეტი საეპისკოპოზო გამოდის, მაგრამ ეს სია, ცხადია, სრული არ არის“.[13] ივ. ჯავახიშვილი ამ სიას უმატებს ცურტავისა და სამეფო სახლის ეპისკოპოსებს, აგრეთვე რუისის ან ურბნისის, წილკნისა და სამთავისის საეპისკოპოსოებს. „...მაშინ 21 სამწყსო იქმნება და V ს-ის შუა წლებისა და მეორე ნახევრისათვის ეს რიცხვი დაახლოვებით სწორი უნდა იყოს. უეჭველია V ს-ის დამლევისათვის მეტიც უნდა ყოფილიყო. 506 წელს ალბანელთა, სომეხთა და ქართველთა გაერთიანებულ საეკლესიო კრებას საქართველოდან კათალიკოსიანად სულ 24 ეპისკოპოზი დასწრებია... რადგან შესაძლებელია, ამ კრებას ყველა ვერ დაესწრო, ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ VI ს-ის დამდეგს ქართული ეკლესია სულ ცოტა 24 საეპისკოპოზოს შეიცავდა. მართლაც, ცნობილი ასურელი მონოფიზიტი მოღვაწის სიმეონ ბეთ-არშამელის (VI ს-ის დამდეგს) სიტყვით, მის დროს ჰენოტიკონი შეიწყნარეს და მის აღსარებას მისდევდნენ ქართლის ეკლესიის 33 ეპისკოპოზი მეფითა და აზნაურებითურთ და სპარსეთის სომხეთის 32 ეპისკოპოზი და მარზპანი. მაშასადამე, VI ს-ის დამდეგს აღმ. საქართველოში 33 ეპისკოპოზი ყოფილა“.[14]

ტაოს საეპისკოპოსო, რომელიც თურმე სომხეთის საკათალიკოსოში შედიოდა, ზ. ალექსიძის მიხედვით, VI ს-ის მიწურულს ჩამოსცილდა სომხეთს და შეუერთდა ქართულ ეკლესიას, „...ამავე საუკუნის მიწურულს სომხეთის ეკლესიას დროებით ჩამოსცილდა ტაოს საეპისკოპოსო“.[15] შესაძლებელია, ტაო ორ ნაწილად იყო გაყოფილი, ერთი ნაწილი შედიოდა ქართულ ეკლესიაში, ხოლო მეორე ნაწილი სომხურში, ყოველ შემთხვევაში, ტაო VII ს-ის დამდეგს ქალკედონური ქვეყანა ყოფილა და იქ სომხეთიდან ლტოლვილ ქალკედონიტებს თავი შეუფარებიათ.

„ქართული ეკლესიის შედგენილობის შემდეგი ცნობა VII ს-ის დამდეგისაა, სახელდობრ, 607 წელს დაწერილ თავის მეორე საპასუხო ეპისტოლეში კჳრიონ ქართლის კათალიკოსი აბრაამ სომეხთა კათალიკოსს სწერდა, ქართლის საკათალიკოსოში სულ 35 ეპისკოპოზი არისო. ერთი საუკუნის განმავლობაში ქართულ ეკლესიას მოჰმატებია 2 საეპისკოპოზო. ეს გარემოება ქრისტიანობის წარმატებული წინსვლით უნდა აიხსნებოდეს...“[16]

ივ. ჯავახიშვილი ქართული ეკლესიის უკიდურესი დასავლეთი საზღვრის გარკვევისათვის წერს: „650 წ. ბერძნული ტაქტიკონიდან ჩანს მხოლოდ, რომ ამ დროს ფასისი, ანუ ფოთი ლაზიკაში სამიტროპოლიტოდ ითვლებოდა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქო სამწყსოს ეკუთვნოდა, მასვე ჰკუთვნებია აფხაზეთის ავტოკეფალური ეკლესიაც. არა ჩანს, მუდამ ასე იყო, თუ ეს მხოლოდ მეშვიდე საუკუნის დამდეგს მოხდა, ჰერაკლე კეისრის აღმოსავლეთში ძლევამოსილი ლაშქრობის შემდგომ“[17] ფოთის სამიტროპოლიტო, თუ ფოთი და „ფაზისი“ ერთია, ჰერაკლე კეისრის საქართველოში ლაშქრობის შემდეგ რომ შესულა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სამწყსოში, იქიდან ჩანს, რომ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით შავი ზღვისპირეთი – ზღვისკიდეთი – ჰერაკლე კეისარს საქართველოსათვის ჩამოუცილებია და თავის იმპერიაში შეუყვანია უშუალოდ. სწორედ ამ დროს ფოთის სამიტროპოლიტო ჩამოსცილდებოდა ქართულ ეკლესიას, რადგანაც ტერიტორიულად უკვე ბიზანტიაში იყო მოქცეული. უფრო ადრე ფოთის ქართული ეკლესიის სამწყსოში არსებობა იქიდან ჩანს, რომ კირიონი ეგრისის მიტროპოლიტი ყოფილა. იოანე სომეხთა კათალიკოსი წერდა კიდეც, რომ კირიონი ქართველთა, მეგრელთა და გუგარელთა არქიეპისკოპოსად დაინიშნა ძველი წესის თანახმადო.

საეკლესიო წინასწარმეტყველებანი ქართული სახელმწიფოს გაუქმების შემდეგ

VI საუკუნე განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქართული ეკლესიის ისტორიაში, რადგანაც ამ საუკუნეში გაუქმდა ქართული სახელმწიფო, რამაც იმდენად უარყოფითი გავლენა იქონია ქართულ ეროვნულ ინსტიტუტებზე და საზოგადოებაზე საერთოდ, რომ მისი შედეგების აღმოფხვრას დასჭირდა საუკუნეები. საერო და სასულიერო ხელისუფლების უმთავრესი მიზანი VI-IX საუკუნეებში იყო ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა-რესტავრაცია იმ სახით, როგორიც იყო გაუქმებამდე. ადრინდელი საქართველო გაიდეალებული იყო. იგულისხმებოდა, რომ სახელმწიფოებრიობა შესუსტდა და დაეცა ვახტანგ გორგასლის მემკვიდრეთა ხანაში, ხოლო გორგასლის სახელმწიფო თავისი პოლიტიკური სიძლიერით, კულტურით სანატრელი და სამაგალითო იყო შემდგომი თაობებისათვის. ქართული საზოგადოებრივი წრეების თვალსაზრისით, ქართული სახელმწიფო გაუქმების დროს იყო ერთიანი, მის შემადგენლობაში შედიოდა როგორც აღმოსავლეთი, ასევე დასავლეთი საქართველო. სწორედ ამ მთლიანობის აღდგენა და გაერთიანებული სამეფოს რესტავრაცია იყო მიზანი პოლიტიკური წრეებისა, ასევე ეკლესიისა. ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებრიობა VI ს-ის ბოლოსვე აღდგა და შემდგომ კი შეიქმნა რამდენიმე ქართული სახელმწიფო – ტაო-კლარჯეთის, აფხაზეთის, კახეთ-ჰერეთის სამეფოები, ამ დროსაც კი ქართველთა უმთავრესი მიზანი იყო შექმნილიყო ერთიანი სახელმწიფო, აღდგენილიყო „ქართლის სამეფო“, ანუ გორგასლის დროინდელი აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს გამაერთიანებელი სახელმწიფო. ვახტანგ გორგასლის პიროვნება განსაკუთრებით განადიდეს. ეკ-

ლესიის მამები ამხნევებდნენ ქართველ ერს – ისინი წინასწარმეტყველებდნენ, რომ აღდგებოდა ერთიანი ქართული სახელმწიფო, რომ ქართული ენა კვლავ დაიჭერდა თავის კუთვნილ ადგილს.

ჩვენ განვიხილავთ, ჩვენი შეხედულებისამებრ, VI საუკუნის ორ წინასწარმეტყველებას, ერთი ეხება ქართული სახელმწიფოს აღდგენას, მეორე კი ქართული ენის აღდგენას კუთვნილ უფლებებში. პირველი წინასწარმეტყველება გადმოცემულია აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებაში, მეორე კი ერთ მცირე თხზულებაში, რომელსაც განუზომელი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურისათვის, ეს არის – „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“. აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ივანე ჯავახიშვილმა. ის წერს: „...აბიბოს ნეკრესელის წამების თავდაპირველი წიგნი უნდა ან VI ს-ის დამლევის, ანდა VII ს-ის დამდეგის, თუ პირველი ნახევრის ძეგლად ვიგულისხმოთ“.[18]

„არსენ კათალიკოსს ხაზგასმით აღნიშნული აქვს, რომ აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის პირვანდელ ტექსტში გაცილებით მეტი ცნობები ჰქონია, ვიდრე მას მოუყვანია თავის განახლებულ ცხორებაში: „ამას რა გითხრობ თქუენ ნეტარისა ეპისკოპოზისა აბიბოსსა... ანუ ვითარ დედაკაცსა მას უწინასწარმეტყველა შემდეგ მისსა მოსვლა ბერძენთა და დაპყრობა ქუეყანისა ამის ჩუენისა, რომელიცა-იგი იქმნა მსწრაფლ მისვე დედაკაცსა ზედა, მოვიდეს ბერძენნი და განასხნეს უსჯულონი იგი სპარსნი და დაიპყრეს ქუეყანა ესე ჩუენი და იყო ყოველი ივერია ერთ სამეფოდვე და დაიპყრეს ქუეყანა ესე ჩვენი მიერითგან მეფეთა ჩუენთა და იქმნეს მპყრობელ სრულიად საქართველოსა და დაიპყრეს მათ მტკიცედ და სხუანიცა მრავალნი, ვითარცა წერილ არს წიგნსა მას წამებისა მისისა“-ო.[19]

ერის უბედურების ჟამს, როცა მან VI საუკუნეში დაკარგა სახელმწიფოებრიობა, ქართული ეკლესიის მამები მთელ ერს აიმედებდნენ, რომ ქვეყნის დაპყრობა დიდხანს არ გაგრძელდებოდა.

არსენი კათალიკოსი, რომელიც სარგებლობდა VI საუკუნის დამლევის, ანდა VII საუკუნის დამდეგის წყაროთი, თავის „აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებაში“ წერს: წმიდა აბიბოსმა სპარსთა მიერ ქვეყნის დაპყრობის დროს იწინასწარმეტყველა, რომ მალე საქართველოს ბერძნები გაათავისუფლებდნენ სპარსთა ბატონობისგან და სპარსთა ბატონობა დიდხანს არ გასტანდა. ეს წინასწარმეტყველება მართლაც ამხდარა VI საუკუნის ბოლოს. ივ. ჯავახიშვილი წერს: „...აბიბოს ნეკრესელის წინასწარმეტყველება და მისი ახდომა VI საუკუნის დამლევის აღმ. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის სრულიად კონკრეტულ შემთხვევას ჰგულისხმობს...“[20] მეცნიერი ამ წინასწარმეტყველებას უწოდებს „ამხდარ პოლიტიკურ წინასწარმეტყველებას“.[21] სპარსელებს VI საუკუნეში დამორჩილებული ჰქონდათ არა მარტო აღმოსავლეთი საქართველო, არამედ დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილიც. მათ ხელში თითქმის მუდამ იყო შორაპნისა და სკანდას ციხეები, გარდა ამისა, ისინი ძალზე ხშირად ზღვისპირეთის ისეთ გამაგრებულ ციხეს უტევდნენ, როგორიც პეტრას ციხე იყო, ამიტომაც აბიბოს ნეკრესელის წინასწარმეტყველება ქვეყნის გათავისუფლების შესახებ თანაბრად ეხებოდა ქვეყნის ორივე ნაწილს. მართლაც, არსენი კათალიკოსი წერს, რომ თავდაპირველ წყაროში მრავლად ყოფილა ცნობები „ივერიის“, ანუ „საქართველოს“ პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ VI ს-ის ბოლოსა და VII ს-ის დამდეგისა. ის თავის წყაროზე დაყრდნობით წერს: „...იყო ყოველი ივერია ერთ სამეფოდვე და დაიპყრეს ქუეყანა ესე ჩუენი მიერითგან მეფეთა ჩუენთა და იქმნეს მპყრობელ სრულიად საქართველოსა და დაიპყრეს მათ მტკიცედ და სხუანიცა მრავალნი, ვითარცა წერილ არს წიგნსა მას წამებისა მისისა“-ო.[22]

ს. ყუბანეიშვილის მიერ გამოცემულ „ცხოვრებაში“ წერია: „...ვითარ დედაკაცსა უწინასწარმეტყუელა შემდგომად მისა მოსლვა ბერძენთა და დაპყრობა ქუეყანისა ამის ჩუენისაჲ, რომელიცა იგი იქმნა მსწრაფლ მისვე დედაკაცისა ზე. მოვიდეს ბერძენნი და განასხნეს უსჯულონი იგი სპარსნი და დაიპყრეს ქვეყანა ესე ჩუენი, მიერითგან ერისთავნი იქმნნეს მპყრობელად ქართლისა“.[23]

ს. კაკაბაძე და ივ. ჯავახიშვილი წერდნენ, რომ ამ ძეგლში ნახმარია შერეული ტერმინოლოგია. ეს, ივ. ჯავახიშვილის აზრით, იმით არის გამოწვეული, რომ „...მწერალს თავის ნაშრომში თავის უძველესი წყაროს მოთხრობა, როგორც ჩანს, თითქმის ისევე, რანაირადაც იგი თავდაპირველ ავტორს დაუწერია, ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოუყვანია...“[24] ამით უნდა იყოს გამოწვეული ის, რომ ამ ძეგლში ნახმარია სინონიმური პოლიტიკური ტერმინები – „ყოველი ივერია“ და „სრულიად საქართველო“ ერთი და იმავე მნიშვნელობით. ჩანს, უძველეს წყაროში ეწერა „ყოველი ქართლი“, ხოლო გადამკეთებელმა ამ ძველი ტერმინის გვერდით ადვილად გაგების მიზნით დაწერა „სრულიად საქართველო“ – „...იყო ყოველი ივერია ერთ სამეფოდვე და დაიპყრეს ქუეყანა ესე ჩუენი მიერითგან მეფეთა ჩუენთა და იქმნეს მპყრობელ სრულიად საქართველოსა...“

აქედანაც ჩანს ძველი ავტორების თვალსაზრისი, რომ ივერია ანუ ქართლი ეწოდებოდა არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ „სრულიად საქართველოს“ დასავლეთ საქართველოს ჩათვლით. მართლაც, VI საუკუნის დასასრულსა

და VII საუკუნეში სპარსელთაგან გათავისუფლების შემდგომ ქართველთა მეფე-ერისთავები თავიანთ ძალაუფლებას ახორციელებდნენ არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოზე, არამედ დასავლეთ საქართველოზეც. ატენის სიონის წარწერებში ისინი მეგრელთა ერისთავთა უფლებითაც არიან მოხსენიებულნი. დასავლეთ საქართველოზე ქართველ მეფე-ერისთავთა უფლებას აგრეთვე აღიარებს „ქართლის ცხოვრება“ და ზოგიერთი სომხური წყარო, სადაც კირიონს პირდაპირ ეწოდება გუგარელთა, ქართველთა და მეგრელთა კათალიკოსი.

VI საუკუნის ბოლოს, რესტავრირებულ საქართველოს სახელმწიფოში რომ არ შესულიყო დასავლეთი საქართველო, ქართული ეკლესია თავის იურისდიქციას ვერ განახორციელებდა სამეგრელოზე და სომხური თანადროული წყაროები კირიონს არ უწოდებდნენ მეგრელთა არქიეპისკოპოსს, შემდგომ კი ქართლის მეფე-ერისთავებს – მეგრელთა ერისთავთა უფალს.

აბიბოს ნეკრესელის წინასწარმეტყველების აღსრულება იმით გამოიხატა, რომ „ყოველი ივერია“, ანუ „სრულიად საქართველო“ აღდგა და მას მართავდნენ ქართველი ერისთავ-მეფეები. აღდგენა, ანუ რესტავრაცია შესაძლებელია წარსულში უკვე არსებულისა, აბიბოს ნეკრესელი წინასწარმეტყველებდა V საუკუნესა და VI ს-ის დასაწყისში არსებული გორგასლის ერთიანი „ყოველი ივერიის“, ანუ „სრულიად საქართველოს“ აღდგენას, რაც აღსრულდა VI საუკუნის ბოლოსვე.

VI საუკუნის ბოლოს აღდგენილ სრულიად საქართველოს სახელმწიფოს დიდხანს არ უარსებია, მას VII საუკუნის დასაწყისში ბიზანტიის კეისარმა ჰერაკლემ ჩამოაშორა მნიშვნელოვანი ტერიტორიები შავიზღვისპირეთში და დასავლეთ საქართველოს ამ ჩამორთმეულ მიწებზე განახორციელა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქცია, ხოლო ყოველი ივერიის დარჩენილი ტერიტორია არაბებმა დაიპყრეს.

ასეთია წმიდა აბიბოს ნეკრესელის წინასწარმეტყველება სახელმწიფოს აღდგენის შესახებ. განსაკუთრებით საინტერესოა წინასწარმეტყველება ქართული ენის თავის კუთვნილ უფლებებში აღდგენის შესახებ. VIII-IX საუკუნეებამდე (აფხაზეთის, ტაო-კლარჯეთის, კახეთ-ჰერეთის სამეფოების შექმნამდე) VI-VII საუკუნეებში ქართული ენა ფაქტობრივად აღარ იყო სახელმწიფო ენა, გარდა ამისა, შეზღუდულა ქართული ენის უფლებები ეკლესიაშიც კი. ამის შესახებ განსაკუთრებით საინტერესოა ცნობა, რომელიც დაცულია წმიდა რაჟდენის წამებაში – „...აღდგეს სპარსნი ქრისტიანეთა ზედა და აღიძრნეს ურიცხჳთა მჴედრებითა, რამეთუ დიდი იყო მაშინ ბრძოლაჲ და დაუცხრომელი მტერობა ქრისტიანეთა ზედა და უფროჲსად ბერძენთა მიმართ, ხოლო ჩუენ ქართველთა მომართ ამისათჳს, რამეთუ ეძჳნებოდა ჩუენი ბერძენთა მიმართ სიყუარული და ერთობაჲ. და ესე იყო ნებაჲ მათი, რათაჲ ჩუენცა მათ თანა მტერ ვექმნეთ ბერძენთა“.[25]

„წმიდა რაჟდენის წამების“ ეს ცნობა არის პირდაპირი მითითება იმისა, თუ ქრისტიანთაგან ვის დევნიდნენ სპარსელები. ამ ცნობაში, რომელიც ეთანხმება არსენი საფარელის ცნობებს, ნათქვამია, რომ სპარსელები საერთოდ არ უყურებდნენ ქრისტიანებს კარგი თვალით, მაგრამ დევნიდნენ არა ყველა ქრისტიანს, არამედ

ბერძნებსა და ქართველებს. ბერძნებს დევნიდნენ იმის გამო, რომ ბერძნული ქრისტიანობა იყო რომ-საბერძნეთის იმპერიის სახელმწიფო სარწმუნოება, ხოლო რომ-საბერძნეთის იმპერია და სპარსეთი ერთმანეთთან მებრძოლი სახელმწიფოები იყვნენ. მოსე ხორენელს აღწერილი აქვს, თუ როგორ დევნიდნენ სპარსელები ყოველივე ბერძნულს განსაკუთრებული სისასტიკით, კერძოდ, წვავდნენ ბერძნულ წიგნებს, არავის აძლევდნენ ბერძნულის შესწავლის ნებას და, რაც გასაოცარია, ბერძნულად ლაპარაკის უფლებაც კი აღარავის ჰქონდა, აიკრძალა ბერძნული ენიდან თარგმნა.

„წმიდა რაჟდენის წამებაში“ ჩანს, რომ სპარსელები დევნიდნენ არა მარტო ბერძნებს, არამედ ქართველებსაც. ამ წამების ავტორი წერს, რომ ჩვენ, ქართველებს, იმიტომ გვდევნიან, რომ ჩვენ გვაქვს ბერძენთა მიმართ სიყვარული, რაც თურმე „ეძჯნებოდა“, ანუ ძალზე აღიზიანებდა სპარსეთს. ფრიად საყურადღებოა, რომ ეს ორი წყარო ერთმანეთს ეთანხმება იმ საკითხში, თუ რა ურთიერთობას მოითხოვდნენ სპარსელები ბერძნების მიმართ დამონებული ხალხებისგან, კერძოდ, „...აღარ ჰქონოდათ ბერძნებთან მეგობრული ურთიერთობა... ...ეძჯნებოდა ჩუენი ბერძენთა მიმართ სიყუარული და ერთობა“.[26]

სპარსელებს ამძვინვარებს ქართველთა „სიყვარული და ერთობა“ ბერძენთა მიმართ, ასევე „მეგობრული ურთიერთობა“. თუ ამ ორი წყაროს მონაცემს შევადარებთ მესამე დაუდგენელი თარიღის წყაროს – „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲს“, დავინახავთ, რომ სამივეში თითქმის ერთი და იმავე სიტყვებით ბერძნებთან მეგობრობა-სიყვარულსა და ერთობაზეა საუბარი. „ქებაჲში“ ნათქვამია – „მეგობრობაჲ ამისთჳს თქუა“, „...ნინო... და ჰელენე... ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართა“.[27]

როგორც ორ დას აქვს ერთმანეთის მიმართ სიყვარული და ერთობა, ასევე აქვთ ბერძნებსა და ქართველებს „ქებაჲს“ ავტორის თანახმად. ის თითქოს იმეორებს „რაჟდენის წამების“ ავტორის აზრს ქართველებისა და ბერძნების სიყვარულისა და ერთობის შესახებ. „ქებაჲში“ პირდაპირ არის ნათქვამი ამ ორი ერის მეგობრობის შესახებ, რაც მოსე ხორენელის თანახმად, აშინებდა სპარსეთის ხელისუფლებას. „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ არის წინასწარმეტყველება ქართული ენის თავის უფლებებში აღდგენის შესახებ. აქ ნაწინასწარმეტყველებია, რომ დამდაბლებული და დაწუნებული ქართული ენა აღდგება. აქვე დასახელებულია თარიღი, თუმცა არაპირდაპირ – სხვადასხვა ხელნაწერში სხვადასხვა – 94 წელი, 104, 92. შეიძლება ამ წინასწარმეტყველებასაც ვუწოდოთ ამხდარი წინასწარმეტყველება, რადგანაც ტაო-კლარჯეთის, აფხაზეთისა და კახეთ-ჰერეთის სამეფოების წარმოქმნის შემდეგ ქართული ენა ძველებურადვე სახელმწიფო ენად იქცა. ეს იყო სრულიად შეუზღუდველი, აყვავებული, ამიერიდან ძლევამოსილი ენა მეფეთა და კათალიკოსთა, მწიგნობრობისა და წირვა-ლოცვის ენა, მოსილი მზრუნველობითა და სიყვარულით. საქართველოს ერთიანი სამეფოს შექმნის შემდგომაც ქართული ენა ერთადერთი სახელმწიფო და კულტურის ენაა. ვერც ტაო-კლარჯეთის, აფხაზეთის, კახეთ-ჰერეთის სამეფოების არსებობისას და ვერც შემდგომ ქართულ ენას ვერავინ უწოდებდა – „დაფარულს“, „დამარხულს“, ქართული ენა სრულიადაც არ

იყო ამ ეპოქაში დაფარული, არასაზოგადოებრივი, მხოლოდ ოჯახებსა და შინაურობაში სახმარი ენა. მით უმეტეს, მას ვერავინ უწოდებდა – „მძინარეს... მდაბალსა და დაწუნებულს... მკუდარს“ – როგორც უწოდებს „ქებაჲს“ ავტორი. ამიტომაც, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს თხზულება დაწერილია იმ დროს, როცა ქართული და ბერძნული ენები ერთნაირად იდევნებოდა საქართველოში. ავტორი ამხნევებს ხალხს, რომ ასეთი დევნა ქართული ენისა დიდხანს არ გაგრძელდება და დაახლოებით ერთ საუკუნეში მდგომარეობა მოწესრიგდებაო. წინასწარმეტყველება მართლაც აღსრულდა: ჯერ VI ს-ის დასასრულს ქართულმა ენამ მცირე ხნით აღიდგინა თავისი უფლებები, შემდგომ კი VII ს-ში ნაწილობრივ და VIII ს-დან ის სრულ უფლებებშია. არაბები, მართალია, ქართველ ქრისტიანებს დევნიდნენ, მაგრამ მათ მიერ ქართული ენის დევნა ცნობილი არ არის.

ბერძნულ და ქართულ ენებს დევნიდნენ სპარსელები VI ს-სა და VII ს-ის დასაწყისში. სპარსელებს არ შეეძლოთ ქართული ენის დევნა V ს-ში, რადგანაც მაშინ ქართველ ერს ეროვნული სახელმწიფო ჰქონდა, ხოლო VII ს-ის დასაწყისში სპარსეთის სახელმწიფო განადგურდა, ის 629 წელს ჰერაკლე კეისარმა დაამარცხა, ხოლო ამავე საუკუნის 40-იან წლებში არაბებმა საბოლოოდ გაანადგურეს.

თუ როგორ აიძულებდნენ სპარსელები VI ს-ში ქართველებს არ შეესწავლათ ბერძნული ენა და არ გადმოეღოთ თხზულებები ამ ენიდან, არამედ კავშირურთიერთობა ჰქონოდათ სომხურთან და ასურულთან, წერს კ. კეკელიძე: „...ისინი მათ ნებას არ აძლევდნენ ბერძნული ენა შეესწავლათ და ამ ენიდან თხზულებები გადმოეღოთ თავიანთ ენაზე. თავისთავად ცხადია, რომ ამასვე მოითხოვდნენ ისინი ქართველებისგანაც. ასეთ პირობებში მაშინდელ იბერიაში კიდევაც რომ ძლიერი ყოფილიყო ბერძნული საეკლესიო-ლიტერატურული ორიენტაცია, ის ხორცს ვერ შეისხამდა, ამიტომ ქართველები იძულებულნი იქნებოდნენ ლიტერატურული კავშირი და ურთიერთობა დაეჭირათ უმთავრესად მეზობელ სომხებთან და აღმოსავლეთის ქრისტიანებთან, კერძოდ ასურელებთან“.[28]

V ს-ში ქართულ ეკლესიაში წირვა-ლოცვისა და მსახურების ენები იქნებოდა ქართული და ბერძნული, რაც ბუნებრივია, სხვა ეროვნულ ეკლესიებშიც ასე იყო. გარდა ამისა, კათალიკოსებიც კი VI ს-ის დასაწყისში საბერძნეთიდან ყოფილან ჩამოსულნი. VI ს-ის დასაწყისიდან საქართველოს დაპყრობის შემდეგ სპარსელები ეკლესიებში ბერძნული ენის ხმარებას აკრძალავდნენ (სხვაგანაც ასე მოიქცნენ) და ბერძნულის მაგიერ საეკლესიო მსახურებისათვის ქართულ ენასთან ერთად სომხურს ან სირიულს დანერგავდნენ, რადგანაც სომხურ ეკლესიას განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებდნენ და ბერძნულს უპირისპირებდნენ. VI ს-ში ქართული ენა მართლაც დაფარული (დამარხული) ენა გახდა პოლიტიკური მდგომარეობის გამო, მტერი ქალკედონიტობას კრძალავდა. ქართული ენა ქალკედონიტობის ელემენტად აღიქვეს. როგორც წერს „ქებაჲს“ ავტორი, იმ დროს ბერძნული ენა და ეკლესია ქართულის მეგობრად არის მიღებული, მაგრამ აკრძალულია, ქართული ენა კი ნამდვილად იყო დამდაბლებული და დაწუნებული. ამ დრომდე, თითქმის ათასი წლის მანძილზე კი ის სახელმწიფო ენა იყო – ფარნა-

ვაზიდან გორგასლის ჩათვლით. „ქებაჲში“ ბერძნული და ქართული ენებისა და ეკლესიების შესახებ ნათქვამია – „და ახალმან ნინო მოაქცია (ქართული ეკლესია) და ჰელენე დედოფალმან (ბერძნული ეკლესია), ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართა. და მეგობრობა ამისთჳს თქუა...“[29]

მარიამი და მართა ერთად იმყოფებოდნენ მწუხარების დროს, როცა მათი ძმა ლაზარე გარდაიცვალა, ასევე მარიამი და მართა ერთად იყვნენ იმ დიდი სიხარულის დროს, როცა უფალმა იესო ქრისტემ მათი ძმა, ოთხი დღის მკვდარი ლაზარე მკვდრეთით აღადგინა. წმიდა ნინოსა და წმიდა ელენე დედოფლის ეკლესიები და ენები ერთნაირად დევნილნი იყვნენ სპარსეთის იმპერიაში, კერძოდ, VI საუკუნის საქართველოში.

ისინი ისე, როგორც დები მარიამ და მართა ერთ ბედქვეშ არიან მწუხარებისას, მაგრამ ამჟამად დამდაბლებული და დაწუნებული ქართული ენა მკვდრეთით აღდგება უფლის მიერ, როგორც ლაზარეო. ავტორი არაფერს წერს ბერძნული ენის აღდგენის შესახებ, რაც ბუნებრივია. ეს ენა თავის ქვეყანაში საეკლესიო ენა იყო, ხოლო ქართული ენა თავის ქვეყანაში დამალულად მოსახმარი („დამარხული“), დაწუნებული და დამდაბლებული იყო.

ავტორი წინასწარმეტყველებს, რომ საღვთო ქართული ენა უფლის სახელით შემკული და კურთხეული, დიდხანს არ იქნება ოთხი დღის მკვდრის მდგომარეობაში, ის აღდგება როგორც ლაზარე და მის აღდგომას ნიშნად, ანუ „სასწაულად ესე აქუს – ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი...“

თუ როგორ იდევნებოდა ბერძნული ენა სპარსთა მიერ, კარგად აქვს აღწერილი მოსე ხორენელს:

„...მეჰრუჟანმა დაწვა ბერძნული წიგნები მთელს ჩვენს ქვეყანაში; ამასთანავე, სომხეთის დანაწილებისას, სპარსთა წილ სომხეთში, სპარსელი მოხელეები არავის რთავდნენ ბერძნული მწიგნობრობის შეთვისების ნებას, მხოლოდ ასურულის შესწავლა შეიძლებოდა“.[30] ანდა – „...რა წიგნსაც კი წააწყდებოდა, იგი წვავდა, ბრძანა, რომ ესწავლათ სპარსული და არა ბერძნული წერა-კითხვა. არავის ჰქონდა უფლება ელაპარაკა ბერძნულად, ანდა ეთარგმნა ამ ენიდან. ამას თითქოს იმიტომ შვრებოდა, რომ სომხებს სრულიად აღარ ჰქონოდათ ბერძნებთან მეგობრული ურთიერთობა და ნაცნობობა. სინამდვილეში კი ქრისტიანული მოძღვრების აღმოფხვრა ეწადათ, რამეთუ მაშინ სომხებს ჯერ კიდევ არ გააჩნდათ ანბანი და ბერძნულად ასრულებდნენ ღვთისმსახურებას“.[31]

ბერძნულ ენაზე ლაპარაკი აკრძალული ყოფილა. აქედან კარგად ჩანს სპარსელების დამოკიდებულება ბერძნული ენისადმი IV-V საუკუნეთა სომხეთში. წმიდა რაჟდენის წამებიდან და სხვა წყაროებიდან ჩანს, რომ სპარსელები ბერძნებსა და ქართველებს ერთნაირად დევნიდნენ VI საუკუნის 70-იან წლებამდე. ქართული ეკლესია დააშორეს ბერძნულს და დაუახლოვეს აღმოსავლურ-სომხურს. საქართველოში დაიწყო ბერძნული ენიდან თარგმნილი წიგნების სომხურის მიხედვით რედაქტირება, რის შესახებაც აღუნიშნავს გიორგი მცირეს.

მსგავსი მაგალითი მოხდა სომხეთში. მოსე ხორენელი წერს, რომ სპარსელები სომხებს ღვთისმსახურებას უშლიდნენ მაშინ, როცა სომხურ ეკლესიას კავშირი ჰქონდა ბერძნულთან IV ს-ის ბოლოსა და V ს-ის დასაწყისში. ამის შემდეგ სომხურმა ეკლესიამ სპარსეთის სახელმწიფოს ზემოაღნიშნული სასტიკი ზემოქმედებით იმას მიაღწია, რომ სომხური ეკლესია უპირატესად დაუახლოვდა სპარსულ-სირიულ ეკლესიებს.

ა. აბდალაძე შენიშნავს: – „ებრძოდა რა ბიზანტიის გავლენის გავრცელებას სომხეთში, ირანის ხელისუფლება, ამავე დროს, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, მხარს უჭერდა სირიული კულტურის გაბატონებას სომეხთა ქვეყანაში“,[32] ანდა „...ირანის შაჰის კარი იმ ხანაში სომხეთში მხარს უჭერდა სირიული კულტურის გავლენის გავრცელებას ბერძნულის საწინააღმდეგოდ. სირიულ კულტურას სომხეთში ისედაც ღრმად ჰქონდა ფესვები გამდგარი და მთავრობის მფარველობის პირობებში მას კიდევ უფრო გაეშალა ფრთები. ამგვარ ვითარებაში ბერძნულ ცივილიზაციას ნაზიარები, მისი თაყვანისმცემელი მოაზროვნენი არამცთუ აღარავის უნდოდა, მათ დევნიდნენ, ავიწროებდნენ კიდეც“.[33]

სპარსეთმა მიაღწია სომხეთში სირიული კულტურის გაბატონებას და აღმოფხვრა ბერძნული. დაახლოებით 90-100 წლის შემდეგ იგივე პროცესი დაიწყო საქართველოში. აღმოიფხვრა ბერძნული და ბერძნულის სანაცვლოდ შეეცადნენ არა სირიული, არამედ სომხური კულტურის გავრცელებას. მიზეზი ის იყო, რომ სომხური ეკლესიის საგანგებო პოლიტიკის წყალობით, VI-VII საუკუნეებში სომხური ეკლესია ისევე სამაგალითო გახდა სპარსეთისათვის, როგორც ადრე სირიული კულტურა, ენა და ეკლესია იყო. ხოლო ქართული ეკლესიის მიერ VI საუკუნის შუა წლებში ქალკედონიტური მიდრეკილების გამომჟღავნებამ საბოლოო ჯამში ქართული ენის ხმარების შეზღუდვა გამოიწვია. საქართველოში VI საუკუნის 20-იანი წლებიდან VI საუკუნის 70-იან წლებამდე ქართული და ბერძნული ენები თანაბრად შეზღუდულ პირობებში იმყოფებოდნენ, როგორც დები, მოსიყვარულე დები მარიამ და მართა, ლაზარეს მიცვალებისას.

VI საუკუნის 70-90-იან წლებში საქართველოს მიერ ქალკედონიტობის დაუფარავმა აღიარებამ და ქვეყნის გათავისუფლებამ ქართულ და ბერძნულ ენებს კვლავ დაუბრუნა თავისი ადგილი კულტურულ ცხოვრებაში. წინასწარმეტყველება ქართული ენის აღდგომის შესახებ აღსრულდა, ისე როგორც აბიბოს ნეკრესელის წინასწარმეტყველება. შემდგომ საუკუნეში კვლავ შეიზღუდა ქართული ენა. ის თავის უფლებებში სრულად აღდგა ტაო-კლარჯეთის, აფხაზეთისა და კახეთ-ჰერეთის სამეფოების შექმნის შემდგომ. ეს მართლაც ჰგავდა ლაზარეს აღდგინებას VI-VII საუკუნეების დევნასთან შედარებით.

კ. კეკელიძე წერს, რომ VI საუკუნის ბოლოს წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე გაჩაღებული იყო: „VI საუკუნის გასულს, როგორც „ეპისტოლეთა წიგნიდან“ ჩანს, ქართლში გაჩაღებული ყოფილა წირვა-ლოცვა და ღვთისმსახურება ქართულ ენაზე“,[34] ასევე ყოფილა V საუკუნეშიც.

„ქებაჲს“ ავტორის მიერ აღწერილ მდგომარეობაში ქართული ენა მხოლოდ VI საუკუნის ერთ დიდ პერიოდში იმყოფებოდა.

საეკლესიო ენა ალბანეთში, ჰერეთში, მუღალრქსა და დასავლეთ საქართველოში VI-VII საუკუნეებში

ა) საეკლესიო ენა ალბანეთში

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ალბანეთის საეკლესიო ენა სომხური იყო და არა მშობლიური ალბანური ენა. ალბანეთი იყო ამიერკავკასიის უდიდესი ქვეყანა, გადაჭიმული სევანის ტბის მიმდებარე ტერიტორიებიდან ვიდრე კასპიის ზღვამდე. ალბანელები იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხი იყო, ამიტომაც ალბანური ენა ახლოს იდგა ქართველურ ენებთან და სრულიად განსხვავდებოდა სომხური ენისგან. გარდა ამისა, ალბანეთის ეკლესია იყო სამოციქულო, თავისთავადი ეკლესია, რომელსაც ჰყავდა კათალიკოსი, ჰქონდა საეკლესიო იერარქია და მრავალი საეპისკოპოსო.

არსებობს სხვადასხვა მოსაზრება იმის შესახებ, თუ რატომ იყენებდა ალბანეთის ხალხი საეკლესიო საჭიროებისათვის არა ალბანურ, არამედ სომხურ ენას. ერთ-ერთი მოსაზრება გამოთქმულია „ძველი მსოფლიოს ისტორიის“ III ტომში (მოსკოვი, 1982), რომლის თანახმადაც, ალბანეთი მრავალეროვანი ქვეყანა ყოფილა, რის გამოც შეუთვისებია სამხრეთელი მეზობლების ყველა მიღწევა:

„სამხრეთელი მეზობლებიდან ათვისებულ მიღწევათა შორის რედკოლეგია ქრისტიანობასაც (მონოფიზიტური ფორმით) ასახელებს, თანაც თუ ქრისტიანობის პირველ წლებში თვით სომხეთში ღვთისმსახურება სირიულ ენაზე სრულდებოდა, „ალბანეთში მწერლობისა და ღვთისმსახურების ენად“ სომხურია დასახელებული. დაპყრობილ ქვეყანაში გაბატონებული ხალხი, როგორც ცნობილია, ყოველთვის ცდილობდა ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაციას. ამ მხრივ, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, გამონაკლისი არც სომხეთის სახელმწიფო იყო, მაგრამ ალბანეთის არმენიზაციის პროცესი თურმე ძალდატანებითი არ ყოფილა. ხშირად თვლიან, რომ როცა სომხეთის მეფეები ალბანეთის პროვინციების ხარჯზე თავიანთ ტერიტორიებს აფართოებდნენ, ძალით ახდენდნენ ადგილობრივი მოსახლეობის არმენიზაციას. ეს შეხედულება სრულიად მცდარია. არც ერთი ძველი სახელმწიფო არ ცდილობდა ძალდატანებით დაენერგა თავისი ენა უცხოენოვან მოსახლეობაში. საერთოდ კი ალბანეთის იმ პროვინციების მოსახლეობას, სადაც სომხები ბატონობდნენ, „არავინ უშლიდა სახლში მშობლიურ ენაზე ესაუბრათ“.[35]

ალბანეთი ჯერ კიდევ IV-V საუკუნეებში ყოფილა ნაწილობრივ არმენიზებული – გასომხებული. ვ. გოილაძე წერს – „...აკად. ს. ერემიანის თანახმად, მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე ალბანური ოლქებიდან IV-V საუკუნეებში არცახი მთლიანად, ხოლო უტიკი ნაწილობრივ იყო არმენიზებული.“[36] მიუხედავად ამისა, ალბანეთში V საუკუნეში შეიქმნა ეროვნული ანბანი, მწერლობა და ალბანური ისტორიოგრაფიაც კი – „როგორც ჩანს, ალბანელებს მოკლე დროის განმავლობაში ჰყავდათ თავიანთი ძველი ისტორიკოსები“, – ნათქვამია „ძველი მსოფლიოს ისტორიის“ III ტომში. მაგრამ „ალბანეთში ლიტერატურული ენა არ შექმნილა“.[37]

არსებობს სხვა თვალსაზრისიც. როგორც აღვნიშნეთ, ალბანელმა ხალხმა V საუკუნეში შექმნა საკუთარი ეროვნული დამწერლობა, და შექმნილა კიდეც ალბანური ლიტერატურის ორიგინალური ძეგლები, რომელთაც ჩვენამდე არ მოულწევიათ. დამწერლობა, ცხადია, გამოიყენებოდა საეკლესიო ალბანურენოვანი წიგნების საჭიროებისათვის. აქედან ჩანს, რომ V საუკუნეში ალბანეთის ეკლესიებში საეკლესიო ენად ალბანური ენა გამოიყენებოდა, თუ მთელ ალბანეთში არა, მის ზოგიერთ კუთხეში მაინც. ამასთანავე ვარაუდობენ, რომ უკვე VII საუკუნის ალბანელი ისტორიკოსი მოსე კალანკატუელი თავის თხზულებას წერს არა ალბანურ, არამედ სომხურ ენაზე.

თუ V საუკუნეში შემოღებული ალბანური დამწერლობა და ალბანურენოვანი წიგნები VII საუკუნეში უკვე აღარ გამოიყენებოდა ალბანელთა მიერ, ჩანს, ამ ორი საუკუნის შუა – VI საუკუნეში, ალბანურ ეკლესიაში მოხდა რაღაც ცვლილება, კერძოდ, ალბანურენოვანი წირვა-ლოცვა შეიცვალა სომხურენოვანი წირვა-ლოცვით.

მართლაც, VI საუკუნეში ძალზე დიდი ძვრები ხდება ამიერკავკასიის ეკლესიებში. სპარსეთის მიერ დაპყრობილ ამიერკავკასიის ქვეყნებში ეკლესიებზე ზედამხედველობა მოიპოვა სომხეთის ეკლესიამ. სპარსეთმა სომხურ ეკლესიას მისცა ნება, ლიდერობა მოეპოვებინა ამიერკავკასიაში (სპარსულ ნაწილში). ამის გამო ამიერკავკასიის სომხეთთან მოსაზღვრე კუთხეთა ეკლესიებში მეტ-ნაკლებად დაინერგა სომხურენოვანი ღვთისმსახურება. ალბანეთი ადრევე, IV-V საუკუნეებში მეტ-ნაკლებად არმენიზებული ქვეყანა იყო, ამიტომაც აქ VI საუკუნეში სომხურენოვანი ღვთისმსახურების საყოველთაოდ გავრცელება ძნელი არ იქნებოდა, ამიტომაც სომხურმა საეკლესიო ენამ შეცვალა ალბანური საეკლესიო ენა. ამის შემდეგ ალბანეთი სომხურენოვანია საეკლესიო თვალსაზრისით. ალბანური წიგნები და დამწერლობა მათ შემდეგ აღარასოდეს გამოუყენებიათ – არც ერთ საუკუნეში. ალბანელი ხალხიც თანდათან გადაგვარდა.

VIII ს-ის შემდეგ სომეხი მონოფიზიტების მიერ დევნილმა ალბანელმა ქალკედონიტმა ბერებმა თავი ქართულ მონასტრებს შეაფარეს, მათ ალბანეთიდან თან წამოიღეს ალბანურენოვანი საეკლესიო წიგნები, – ალბანური ანბანით დაწერილნი, მაგრამ შემდგომ მათი რიგები აღარ შეივსო და წიგნები ქართველებმა გამოიყენეს, ისინი პალიმსესტებად გადაიქცნენ, კერძოდ, შემდეგში ალბანურ წიგნებს ქართული წიგნებისთვის იყენებდნენ.

ბ) საეკლესიო ენა ჰერეთში

განსახილველ პერიოდში, VI-VII საუკუნეებში, ჰერეთი ალბანეთის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო, მოქცეული მის დასავლეთით, ამიტომაც ის საეკლესიო რეფორმა, თუ ცვლილება, რომელიც ალბანეთში მიმდინარეობდა ამ დროს (საეკლესიო ენად სომხური ენის დანერგვა), ჰერეთშიც ტარდებოდა ძველ ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული თვალსაზრისით.

ჰერეთი თვით IX-X საუკუნეებამდე მონოფიზიტური იყო, ის ქალკედონიტობაზე მოაქცია დედოფალმა დინარამ. იქ „მეფობამდე იშხანიკისსა პირველნი ყოველნი იყვნეს მწვალებელნი“.[38]

ამიტომაც, მონოფიზიტური ჰერეთის საეკლესიო ენა VI-IX საუკუნეებში იყო სომხური ენა, ისე როგორც მთელ ალბანეთში საერთოდ.

V საუკუნეში ჰერეთი შედიოდა არა ალბანეთის შემადგენლობაში, არამედ ქართლის (იბერიის) სამეფოში. ჩვენ ამის დამადასტურებლად გვაქვს უეჭველი საისტორიო წყარო „შუშანიკის წამება“, სადაც ჰერეთს პირდაპირ ეწოდება ქართლი. სპარსთაგან წამოსული ვარსქენ პიტიახშიო – წერია იქ, შემოვიდა ქართლში, კერძოდ კი, ჰერეთის ქვეყანაშიო – „...მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა.“[39] ხოლო ჰერეთში წამებული შუშანიკის საქმე „ყოველ ქართლში“ განითქვაო, რადგანაც ჰერეთი „ყოველი ქართლის“ ნაწილი იყო – „განითქუა ყოველსა ქართლსა საქმჱ მისი.“ შუშანიკის სანახავად „...აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს“[40] – თვით ჰერეთს ეწოდება ქართლი, ამიტომაც ავტორი აქ სიტყვა ჰერეთს არ ხმარობს და ქართლს ხმარობს მის მაგიერ.

„ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ჰერეთი, არა მარტო V საუკუნეში წარმოადგენდა ქართლის სამეფოს, არამედ ქართული ეროვნული სახელმწიფოს შექმნისთანავე, ქრისტემდე IV-III საუკუნეებში, ფარნავაზის დროს, ის სამეფოს შემადგენლობაში იყო. ჰერეთი ისტორიულად ქართლის შემადგენელ ნაწილად განიხილებოდა. ეთნიკურად, „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ჰერები არიან ქართველების „თვისნი“.

წმიდა ნინოს მიერ ქართული ეროვნული ეკლესიის დაარსების დროს, IV საუკუნეში ჰერეთი ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. წმიდა ნინომ თვით მოაქცია ჰერეთი ქრისტიანულ რჯულზე. ამის შესახებ ცნობები გვაქვს არა მარტო ქართულ წყაროებში, არამედ სომხურშიც, კერძოდ, მოსე ხორენელი წერს წმიდა ნინოს შესახებ, რომ მან მოაქცია ქართველი ერი კლარჯეთიდან ვიდრე კასპიის კარამდე და მასქუთების ქვეყნამდეო. მასქუთები კასპიის ზღვასთან ცხოვრობდნენ – „მან იქადაგა კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე, მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ“.[41]

აღსანიშნავია, რომ მოსე ხორენელი წმიდა ნინოს „ქართველთა მომაქცეველს“ უწოდებს, ამიტომაც წმიდა ნინოს მიერ მოქცეული მოსახლეობა „კლარჯეთიდან ვიდრე კასპიის კარამდე“, ჩანს, მოსე ხორენელს ქართველებად მიაჩნია.

ახლა უნდა ითქვას V საუკუნეში ჰერეთის საეკლესიო ენის შესახებ – V საუკუნეში ჰერეთის საეკლესიო ენა ქართული იყო, იმის გამო, რომ აქ IV საუკუნიდანვე ვრცელდებოდა ქართული ეკლესიის იურისდიქცია. ქართული ენა წმიდა ნინოს მიერ დაარსებული ეკლესიის ენა იყო, ჰერეთი კი წმიდა ნინოს (ე.ი. ქართულ) ეკლესიაში შედიოდა. ის ფაქტი, რომ პირველი ქართული ქრისტიანული მოთხრობა შუშანიკის წამების შესახებ ჰერეთს ეძღვნება (და როგორც თვით მოთხრობიდან ჩანს, აქვეა დაწერილი ჯერ კიდევ გაუნელებელი შთაბეჭდილებით), გვისაბუთებს იმ აზრს, რომ V საუკუნეში ჰერეთის საეკლესიო ენა ქართული ენა იყო.

რა ენაზე ლაპარაკობდნენ ჰერები, რომელი იყო მათი მშობლიური ენა?

ალბანელი ხალხის ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნებოდა და ენათესავებოდა დაღესტნურ ენებს.

ალბანეთის მნიშვნელოვანი ნაწილი მტკვრის მარჯვენა მხარეს და მისი ცენტრალური ოლქი უტიქი არმენიზებული ყოფილა.

ალბანეთში იბერიულ-კავკასიურ (დაღესტნურ) ენათა ჯგუფის გარდა გავრცელებული ყოფილა ირანული და თურქული ენები, აგრეთვე ადგილობრივ მოსახლეობას მიუღია სომხური ენა, ანუ ნაწილობრივ არმენიზებული – გასომხებული ყოფილა.

ალბანეთში ენათა ასეთი მრავალფეროვნების ფონზე სრულებით არ მოგვეჩვენება გასაკვირი აქ ქართველური ენების არსებობაც. მართლაც, ალბანეთის დასავლეთ პროვინციაში – ჰერეთში – მცხოვრები მოსახლეობა (ჰერები) ქართულენოვანი ყოფილა. მკვლევარი ზაზა სხირტლაძე წერს: „...უკანასკნელი წლების გამოკვლევებში, ვრცელი ფაქტობრივი მასალის მოხმობისა და გაანალიზების საფუძველზე დამაჯერებლადაა დასაბუთებული, რომ VII-X სს. ჰერეთის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობის (ჰერების, სუჯების) კულტურა აღმოსავლურ-ქართულ წრეს განეკუთვნებოდა, ენა კი უცილობლად ქართული იყო“.[42]

მაგრამ სომხურ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია სხვა მოსაზრება, კერძოდ, თითქოსდა ჰერეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდა სომხური მოსახლეობა – ამგვარი ვარაუდი დღეისათვის უცხო აღარ არის – იგი, როგორც ცნობილია, ჰერეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის თაობაზე მსჯელობისას ადრეც რამდენჯერმე ყოფილა გამოთქმული“, კერძოდ, მეცნიერებს ა. მნაცაკანიანს წიგნში „კავკასიის ალბანეთის ლიტერატურის შესახებ“ და გ. მკრტუმიანს წიგნში – „კახეთ-ჰერეთის სამეფო და სომხურ-ქართული ურთიერთდამოკიდებულება“ გამოთქმული ჰქონიათ მოსაზრება – „...ჰერეთის ტერიტორიაზე სომხური მოსახლეობის არსებობაზე...“

ამიტომ – ჰერეთში ან სომხური მოსახლეობა ცხოვრობდა და XI საუკუნის შემდეგ ეს ხალხი გაქართველდა, ანდა პირიქით ჰერები ქართულენოვანი ხალხი იყო, რომელმაც VI-X საუკუნეებში განიცადა ნაწილობრივი არმენიზაცია ალბანეთის სხვა კუთხეთა მსგავსად, XI საუკუნიდან ჰერეთი კვლავ ქალკედონიტური ქვეყანა გახდა და ამიტომაც აქ ეკლესიებში წირვა-ლოცვის ენად კვლავ აღდგა ჰერთათვის მშობლიური ქართულენოვანი ღვთისმსახურება. როგორც აღნიშნული გვქონდა, X საუკუნეში მონოფიზიტური ჰერეთი ქალკედონიტობაზე მოაქცია დინარა დედოფალმა. იქამდე VI-IX საუკუნეებში ჰერეთი მონოფიზიტური იყო. მონოფიზიტების საეკლესიო ენა ამ პერიოდში სომხური ენა იყო. შესაბამისად მაშინ, როცა ჰერეთი მონოფიზიტური იყო, აქ წირვა-ლოცვის ენა სომხური ენა იყო, ხოლო როცა ჰერეთი კვლავ დაუბრუნდა ქალკედონიტობას, მისი საეკლესიო ენა კვლავ ქართული ენა გახდა.

ჰერეთის არმენიზაცია ისე ღრმა არ ყოფილა, როგორც შუა და სამხრეთ ალბანეთისა იყო. თუ ალბანეთის მტკვრის მარჯვენა სანაპირო და ცენტრალური პროვინცია – უტიქი მთლიანად იქნა არმენიზებული, ჰერეთის არმენიზაცია შე-

დარებით უმნიშვნელო იყო, იმის გამო, რომ ჰერები ქართულენოვანი ხალხი იყო, მის მეზობლად კახეთსა და ქართლში ასევე ქართულენოვანი ხალხი ცხოვრობდა, რაც ხელს უწყობდა ჰერეთში ქართულენოვნების შენარჩუნებას. ჰერების სასაუბრო, საოჯახო ენა ქართული ენა იყო, მხოლოდ ეკლესიაში იხმარებოდა სომხური ენა საეკლესიო საჭიროებისათვის – მონოფიზიტობის დროს. ჰერეთის სამეფოს შექმნის შემდეგ, IX საუკუნეში, სახელმწიფო (!) ენა იყო ქართული ენა – მოსახლეობის დედა ენა. მიუხედავად ამისა, საეკლესიო ენა ამ დროს მაინც სომხური იყო მონოფიზიტობის გამო. სომხური ენის ცოდნა განათლებისა და მწიგნობრობის მისაღებად აუცილებლად საჭირო იყო, თუ რომელიმე ახალგაზრდა სომხეთში ამისათვის გაემგზავრებოდა. არსებობს ლალაიანის მიერ ჩაწერილი ლეგენდა, რომლის მიხედვითაც, ცნობილი მეცნიერი – ფილოსოფოსი VI საუკუნისა დავით უძლეველი, წარმოშობით ჰერეთიდან ყოფილა, ჰერეთი კი V საუკუნეში ქართლში შემავალი ქვეყანა იყო. დავითი განათლების მისაღებად სომხეთში გამგზავრებულა, შემდეგ კი კვლავ დაბრუნებულა ქართლში.

ჰერეთის ისტორიული გეოგრაფია საუკუნეთა განმავლობაში იცვლებოდა. ქართველები ჰერეთს ზოგჯერ მთელ ალბანეთს უწოდებდნენ, როგორც მაგალითად, არსენი საფარელი თავის თხზულებაში. ჰერეთი და გუგარქი, ანუ ქვემო ქართლი ერთმანეთის მეზობლები იყვნენ და ზოგჯერ ერთმანეთის ტერიტორიებს ნაწილობრივ ფარავდნენ, მაგალითად, ცურტავი ხან ჰერეთშია (იაკობ ცურტაველის თანახმად), ხან კიდევ გუგარქშია („ეპისტოლეთა წიგნისა“ და უხტანესის თანახმად).

ახალი გამოკვლევების მიხედვით, ჰერეთში შედიოდა შაქიც. ცნობილია, რომ ძველი ქართველი საეკლესიო ისტორიკოსები შუშანიკს უწოდებდნენ „რანის დედოფალს“, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ შუშანიკი ჰერეთის დედოფალი იყო. ჩანს, „რანი“ შუა საუკუნეებში ეწოდა ჰერეთის ერთ ნაწილს. აქედან ჩანს, რომ ჰერეთი დიდ ტერიტორიაზე ყოფილა გადაჭიმული. და თუ „რანი“ ჰერეთის ნაწილს ეწოდა, მაშინ ჰერეთი ალბანეთის ცენტრალური „უტიქის“ პროვინციის მეზობელი ყოფილა. ალბანეთის ეს პროვინცია კი არმენიზებული, ანუ გასომხებული იყო. დასავლეთით ჰერეთი უშუალოდ ქალკედონურ ცენტრებს – მცხეთა-თბილისს ემეზობლებოდა. იგი მონოფიზიტურ და ქალკედონიტურ ქვეყნებს შორის ყოფილა მოთავსებული, ამიტომაც შესაბამისად მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ჰერეთის აღმოსავლეთში ცხოვრობდა, მონოფიზიტური იქნებოდა (ისე, როგორც მთელი ალბანეთი), ხოლო ჰერეთის დასავლეთით ქალკედონიტურ ქართლთან მცხოვრები მოსახლეობა ნაკლებად იქნებოდა გამონოფიზიტებული და, ალბათ, ნაწილობრივ მაინც ქალკედონიტური იყო (იგულისხმება VI-IX საუკუნეები).

X საუკუნეში ჰერეთის მთლიანად ქალკედონიტობაზე მოქცევა დინარა დედოფლის მიერ წარმოადგენდა ჰერეთის სრულ გამოყოფას მონოფიზიტური ალბანეთიდან, უფრო ზუსტად IX საუკუნეში ჰერეთი პოლიტიკურად გამოეყო ალბანეთს, ხოლო X საუკუნეში – სარწმუნოებრივად.

ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას, თუ ჰერების დედაენა ალბანური იყო, როგორ მოხდა ჰერების „გაქართველება“?[43] საერთოდ, ამჟამად მიღებულია ასეთი

თეორია: როცა რომელიმე არაქართულენოვანი მხარე ქართული (მცხეთის) ეკლესიის გავლენის სფეროში ექცეოდა, ხდებოდა ამ მხარის „გაქართველება“. ეს თეორია სრულებით ვერ ხსნის ჰერეთის გაქართველების საკითხს. საქმე ისაა, რომ VI-IX სს-ში ჰერეთი შედიოდა არა ქართული, არამედ სომხური ეკლესიის გავლენის სფეროში. ამიტომაც ის მონოფიზიტური იყო და არა ქალკედონიტური. ამის გამო ჰერეთში წირვა-ლოცვის ენა სომხური იყო. მიუხედავად ამისა, ჰერეთის სამეფოს შექმნისთანავე, ჰერეთის სახელმწიფო ენა ქართული გახდა და არა სომხური, ეს იმ დროს, როცა არც ქართულ (მცხეთის) ეკლესიასა და არც ქართულ სახელმწიფოს ჰერეთზე ხელი არ მიუწვდებოდათ. თუ ჰერები ალბანურენოვანი ხალხი იყო ამ დროს, იქ უნდა დანერგილიყო საერთო-სახელმწიფო სომხური ენა, რადგანაც მთელ ალბანეთში სწორედ სომხური ენა იყო საერთო-სახელმწიფო-საეკლესიო ენა. და რადგანაც ამ პირობებში ჰერეთში საერთო-სახელმწიფო ენად დაინერგა სწორედ ქართული და არა სომხური ენა (იგულისხმება IX საუკუნე, ჰერეთის გაქალკედონიტებამდე), მიუთითებს, რომ ჰერები იყვნენ არა თუ ქართულენოვანი ხალხი, არამედ ქართველები.

ხშირად ძველი დროის არაქართველი ისტორიკოსები ალბანეთს ივერიას-იბერიას უწოდებდნენ და შესაბამისად ალბანეთს ივერებით დასახლებულად მიიჩნევდნენ. ასეთი თვალსაზრისი ნაწილობრივ აისახა ქართულ წყაროებში. როგორც აღნიშნული გვქონდა, „ქართლის ცხოვრებასა“ და სხვა ქრონიკებს ალბანეთის მნიშვნელოვანი ნაწილი – ჰერეთი „ქართლის სამეფოს“ ნაწილად მიაჩნდათ, მოსახლეობას კი, ჰერებს, ქართველებად მიიჩნევდნენ, ასე რომ, ჰერეთს ქართლს ანუ ივერიას უწოდებდნენ არა მარტო უცხოელი, არამედ ქართველი ავტორებიც. ამიტომაც, ჩანს, ჰერეთის ცნობილი დედოფალი დინარა უცხოელ ავტორთა მიერ ივერიის დედოფალ დინარად იქნა წოდებული, რაც აისახა კიდეც რუსულ თქმულებაში „ივერიის დედოფალ დინარას“ შესახებ. დინარას დედოფლობის დროს ჰერეთი დიდი სახელმწიფო იყო, რომელიც მოიცავდა ტერიტორიებს, რომელთაც შემდგომ ეწოდა შაქი, რანი, მოვაკანი და სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩრდილოკავკასიელ ტომებსა და მის ჩრდილოეთით მცხოვრებ სავრომატულ ტომებს აქტიური ურთიერთობა ჰქონდათ ალბანეთთან (და ჰერეთთან) „ჩორის“, დერბენდის, კასპიის კარით. ჩრდილოეთში მცხოვრები ხალხები ალბანეთსა და ჰერეთს უკეთ იცნობდნენ, ვიდრე, ვთქვათ, საქართველოს სხვა კუთხეებს. ალბანეთთან მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ ხაზარებსაც, ხოლო მათ შემდეგ სლავურ და რუსულ ტომებსაც.[44] ამიტომაც, დედოფალი დინარა, რომელმაც ალბანეთის მნიშვნელოვანი ნაწილი – ჰერეთი ქალკედონიტობაზე მოაქცია, ჩრდილოეთის ხალხებისათვის ლეგენდარულ პიროვნებად იქცა, ხოლო თვით ჰერეთი ჩრდილოელი ხალხებისათვის იბერიის შესასვლელი, მთავარი ქვეყანა იყო (ჩრდილოეთის ტომები ალბანეთში შედიოდნენ კასპიის გზით, დერბენდიდან, „ჩორის“ კარით).

ჰერეთის დასავლეთით (ქართლის უშუალო საზღვართან) მდებარეობდა განთქმული დავით გარეჯის ლავრა. ისმის კითხვა: თუ ჰერეთი VI-IX სს-ში მონოფიზიტური იყო ალბანეთის მსგავსად, რა სარწმუნოებრივი მიმართულებისა იყო ეს ლავრა?

დავით გარეჯელის ცხოვრებაში გვაქვს ასეთი მომენტი – წმიდა მამა დავითი ჩადის გარეჯის სანახებში, სადაც მას შეხვდება მის მიმართ მტრულად განწყობილი აზნაური, რომელიც სომხურად მეტყველებს. დავით გარეჯელი იძულებული ხდება მის მოსაკლავად შემართულ კაცს სომხური ენითვე უპასუხოს. „მას ჟამსა შინა მოვიდა ბარბაროზი ვინმე ნათესავი ადგილთაგან რუსთავისათა... დაუკჳრდა ბარბაროზსა მას და ჰრქუა: „ვინაჲ ხარ შენ?“ მიუგო მან სომხურითა ენითა...“[45]

დავით გარეჯელის ცხოვრების ზემოთ მოყვანილი ცნობიდან ჩანს, რომ ჰერეთს არა მარტო აღმოსავლეთიდან ემეზობლებოდა სომხურენოვანი ალბანური თემი უტიქი, არამედ დასავლეთითაც (ქვემო ქართლ-გუგარქშიც) მოსახლეობაში ნაწილობრივად მაინც სომხურენოვნება დანერგილა.

ასურელ მამათა ცხოვრებიდან ჩანს, რომ ისინი ქართულ ენაზე ლაპარაკს განსაკუთრებულ, პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. „ქართლის ცხოვრებაში“ გვაქვს მომენტი, როცა მათ მისაგებებლად გამოსულ კათალიკოსს ასურელი მამები ქართულ ენაზე უპასუხებენ. ქართულ ენაზე ლაპარაკს მაშინ პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც VI საუკუნის I ნახევარში ამიერკავკასიის ეკლესიებზე ზედადგომის, ზედამხედველობის უფლება სპარსეთმა მიანიჭა სომხურ-მონოფიზიტურ ეკლესიას და ამიტომაც ყველგან ინერგებოდა სომხურენოვანი ღვთისმსახურება. ქართულ ენაზე საუბარს და ქართულენოვან ღვთისმსახურებას, ჩანს, ანტიმონოფიზიტურ ანუ ანტისპარსულ მოვლენად მიიჩნევდნენ. ასეთ დროს ასურელ მამათა მიერ ქართული ენის გამოყენებას პროქალკედონიტური და ანტიმონოფიზიტური მნიშვნელობა ენიჭებოდა.

სრულიად უეჭველია, და ყველასთვის ცნობილია, რომ დავით გარეჯის ლავრა VI-X საუკუნეებში ქართულენოვანი მონასტრებისგან შედგებოდა. ეს ფაქტი თავისთავად წარმოადგენს პასუხს ამ ლავრის სარწმუნოებრივი მიმართულების შესახებ. ეს ლავრა მონოფიზიტური მიმართულებისა რომ ყოფილიყო, იქ დანერგილი იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ სომხურენოვანი წირვა-ლოცვა და არავითარ შემთხვევაში ქართულენოვანი, მაგრამ აქ სომხურენოვანი წირვა-ლოცვა არ ყოფილა, ცხადია, ეს ლავრა ქალკედონიტური იყო.

აშკარაა, დავით გარეჯის მონასტრები აფერხებდნენ ჰერეთის დასავლეთი ნაწილის არმენიზაციას და ხელს უწყობდნენ ჰერეთში ქალკედონური მრწამსის აღდგენას.

მართალია, ჰერეთის მცირე ნაწილი, რომელზედაც დავით-გარეჯის მონასტრებს გავლენა ჰქონდათ, ქალკედონიტური იყო, ძირითადი ნაწილი დინარა დედოფლამდე მონოფიზიტური ყოფილა, რასაც თავისებური გავლენა ექნებოდა მოსახლეობაზე. უთუოდ ამის ასახვაა საბერეების ერთ-ერთ ეკლესიაში სომხურენოვანი წარწერების არსებობა.

საბერეებად წოდებულ სამონასტრო კომპლექსში რამდენიმე ეკლესია ყოფილა. ერთ-ერთ ეკლესიაში აღმოჩნდა სომხური განმარტებითი წარწერები. სომხური წარწერების აღმოჩენამ მაშინვე წარმოშვა აზრი ჰერეთში სომხური ადგილობრივი მოსახლეობის არსებობის შესახებ – „...სომხური განმარტებითი წარწერების არსებობის ფაქტი, ბუნებრივია, ბადებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ეს ეპიგრაფიკული მასალა ადგილობრივ, ჰერეთის (ამ შემთხვევაში კამბეჩანის) ტერიტორიაზე სომხური მოსახლეობის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს... მონასტერში ქართველებთან ერთად მოღვაწე სომხებიც ამ ეთნიკური ჯგუფიდან უნდა ყოფილიყვნენ გამოსულნი. ამგვარი ვარაუდი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის თაობაზე მსჯელობისას ადრეც რამდენჯერმე ყოფილა გამოთქმული“.[46]

ზ. სხირტლაძე არ იზიარებს გამოთქმულ ვარაუდს ჰერეთში სომხური მოსახლეობის არსებობის შესახებ, თუმცა უშვებს, რომ – „სომხური მოსახლეობის წილი ჰერეთისა საზოგადოდ და, კერძოდ, კამბეჩანის ტერიტორიაზე ერთობ მცირე უნდა ყოფილიყო“.[47]

მისი აზრით, ამ მონასტერში მოსულან ქალკედონიტი სომხები, რომლებიც გაქართველებულან. თურმე აქ მიმდინარეობდა ქალკედონიტ სომეხთა დენაციონალიზაციის პროცესი.[48]

სინამდვილეში კი როგორც მასალებიდან ჩანს, ჰერეთსა და კამბეჩანში ცხოვრობდა არა სომხური მოსახლეობა, არამედ ქართველები, ნაწილობრივ არმენიზებული, რაც შეეხება ქალკედონიტი სომხების „დენაციონალიზაციას“, სომეხი ქალკედონიტები სომხებადვე დარჩნენ, რადგანაც მათში ეროვნული თვითშეგნებისა და ეროვნული სიამაყის, ერისა და მამულის სიყვარულის გრძნობა სარწმუნოებრივ გრძნობაზე ნაკლები არა ყოფილა. სომხეთის მდიდარი ისტორიოგრაფია ნათლად გადმოსცემს, რომ სომეხ ერს თავისი ეროვნება ისევე ამაღლებული ჰქონდა, როგორც სარწმუნოება და არასოდეს ერთს მეორეს არ ანაცვალებდა.

ხოლო ჰერეთში არსებული სინამდვილე სრულად არის გადმოცემული ქართულ წყაროებში – X საუკუნეში ჰერეთი ქალკედონიტური ქვეყანა გახდა, აქამდე კი ის მონოფიზიტური იყო, თითქმის 200-300 წლის მანძილზე VI–IX საუკუნეებში, რაც იმას ნიშნავს, რომ აქ მწიგნობრობის, მეცნიერების, დამწერლობის, აზრის ჩაწერის ენა იყო სომხური ენა, სომხური ანბანი.

X საუკუნეში, როცა მთელი ჰერეთი გაქალკედონიტდა, დავით-გარეჯის მონასტრებში და მათ შორის საბერეებშიც ჰერეთის სხვა კუთხეებიდან მივიდნენ უკვე ქალკედონიტი, ყოფილი მონოფიზიტი ბერები, მათ წირვა-ლოცვის ენა კი გაეგებოდათ, რადგანაც ქართული მათი დედაენა იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, წერა-კითხვა ქართულად არ იცოდნენ, იცოდნენ მხოლოდ სომხურად (რომელიც მათ ადრე, სიყმაწვილეშივე შეისწავლეს), შესაძლოა, ამიტომაც მონასტრის წინამძღვრებმა ქართული წერა-კითხვის უცოდინარი ამ ქართველი ბერებისთვის კედლებზე საგანგებოდ გააკეთებინეს სომხურენოვანი განმარტებითი წარწერები, რათა მათ თავისუფლად შეძლებოდათ გაგება, თუ ვინ იყვნენ გამოხატულნი ეკლესიის კედლებზე. მომდევნო ახალმა ნაკადმა, ალბათ უკვე იცოდა ქართული წერა-კითხვა (შეისწავლეს), ამიტომაც შემდგომ საუკუნეებში საჭირო აღარ გახდა ამ და სხვა ეკლესიებში სომხური განმარტებითი წარწერების გაკეთება.

ასე რომ, ჰერეთში მიმდინარეობდა არა „დენაციონალიზაცია“, არამედ პირიქით, მოსახლეობა დაუბრუნდა მშობლიურენოვან ღვთისმსახურებას.

უნდა დავასკვნათ, რომ ჰერეთი ქრისტიანობის ჩასახვის პერიოდში, IV-V საუკუნეებში, ქართული ეკლესიის ნაწილი იყო. VI-X საუკუნეებში ჰერეთის დიდი ნაწილი მონოფიზიტურ-სომხურ ეკლესიაში შედიოდა. X საუკუნეში ჰერეთი დაუბრუნდა დედაქართულ ეკლესიას, შესაბამისად, IV-V საუკუნეებში ჰერეთის საეკლესიო ენა ქართული ენაა, VI-IX საუკუნეებში – სომხური ენა, X საუკუნიდან კვლავ ქართული ენა.

გ) საეკლესიო ენა გუგარქში, ანუ ქვემო ქართლში

სომხური ისტორიოგრაფიის თანახმად, სომხეთის ჩრდილოეთით მოქცეული ვრცელი ქვეყნის – გუგარქის ცენტრი არის ქალაქი ცურტავი. გუგარქი ქართლის ქვეყანაა. ცურტავი დღევანდელ რუსთავთან ახლოს მდებარეობდა, ესაა ქვემო ქართლი. აქაურ ეკლესიებსა და მათ ნაშთებზე V საუკუნით დათარიღებული მრავალი ქართული წარწერა არსებობს, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ გუგარქში საეკლესიო ენა, ანუ წირვა-ლოცვის ენა IV-V საუკუნეებში იყო ქართული ენა. ამავე დროს ჩვენამდე მოღწეულია პირველხარისხოვანი საისტორიო წყარო – „ეპისტოლეთა წიგნი“ VI-VII საუკუნეებისა, საიდანაც სრულიად აშკარად ჩანს, რომ საერთოდ გუგარქში და კერძოდ ცურტავში (ე. ი. ქვემო ქართლში) არსებობდა „სომხურენოვანი“ მოსახლეობის საკმაო რაოდენობა.

ამჟამად ქართულ ისტორიოგრაფიაში არის მცდელობა, ეს სომხურენოვანი მოსახლეობა გამოაცხადონ ძალზე მცირერიცხოვან თემად, რომელიც ცურტავში სახლობდა, მაგრამ ასეთ მოსაზრებას ეწინააღმდეგება „ეპისტოლეთა წიგნი“, სადაც გარკვევით წერია, რომ სომხურენოვანი მოსახლეობა ძალზე მრავალრიცხოვანია, მათ გუგარქში აქვთ „ქვეყნები“, სოფლები, დაბები, ჰყავთ აზნაურები და გლეხები, ახალგაზრდები და მოხუცები, ასევე მიმართავენ კიდეც მათ სომეხი იერარქები – „სავანეთა ხუცესებს და სოფლის მღვდლებს, აზნაურებსა და გლეხებს, მოხუცებსა და ყრმებს სომხურენოვანი ქვეყნების სრულიად ყოველ მსოფლიონს, რომელნიც ხართ ცურტავის ეკლესიის სამწყსოში...“[49]

აქედან აშკარაა, რომ მხოლოდ ერთი ქალაქის (დაბის) ცურტავის მცირერიცხოვან სომხურენოვან თემს კი არ ეგზავნება ეს ეპისტოლე, არამედ ცურტავის ეკლესიის სამწყსოში (ანუ ეპარქიაში) მოქცეული „ქვეყნების“ სომხურენოვან მოსახლეობას, თორემ რამდენი „სავანე“ უნდა ჰქონოდა ერთი დაბის მცირერიცხოვან თემს, რომ ეს სიტყვა მრავლობით რიცხვში არ დაეწერათ?

ცურტავის სომხურენოვანი თემი მრავალრიცხოვანი ყოფილა და მთელ მის სამწყსოში, ანუ გუგარქ-ქვემო ქართლში ყოფილან გაბნეულნი. რას ნიშნავს „სომხურენოვნება“? ფიქრობენ, რომ სომხური ენა ამ მოსახლეობის დედაენა, მშობლიური ენა იყო, რაც არასწორია. სომხური ენა ამ მოსახლეობის საეკლესიო ენა იყო, ანუ მათ ეკლესიებში სომხურ ენაზე ტარდებოდა წირვა-ლოცვა (მონოფიზიტური სარწმუ-

ნოების გამო). ეთნიკურად ეს „სომხურენოვანი“ ხალხი ქართველები იყვნენ და მათი დედაენა იყო ქართული ენა. ასეთი მტკიცების უფლებას იძლევა თვით „ეპისტოლეთა წიგნი“, სადაც სრულიად გარკვევით, აშკარად წერია, რომ ცურტაველი ეპისკოპოსი მოსე იყო „ქართველთა“ ეპისკოპოსი.

„ეპისტოლეთა წიგნის“ ერთ-ერთი თავის დასათაურება ასეთია – „მიზეზი ორბუნებიანთა მეოთხე კრებისა, მოსე ქართველთა მართლმადიდებელი ეპისკოპოსისა“.[50]

სომხები მართლმადიდებელს უწოდებდნენ მონოფიზიტს, მოსე ქართველთა მონოფიზიტი ეპისკოპოსი იყო. ცნობილია, რომ ეს მოსე ცურტავის ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი იყო, ცურტავის ეპარქია კი მთელ გუგარქს – ქვემო ქართლს მოიცავდა, მოსეს საეპისკოპოსოში მთელი გუგარქი შედიოდა.

გუგარქის მოსახლეობა (გუგარელები) რომ ეთნიკურად ქართველები იყვნენ, ეს კარგად იცოდნენ ძველმა სომეხმა ისტორიკოსებმა. ამის შესახებ პირდაპირ წერს უხტანესი.

ცურტავი, – წერს უხტანესი, – დიდი სახელოვანი დედაქალაქი იყო, სამკვიდრებელი გუგარელთა დიდი პიტიახშისა, ახლა კი ცურტავი დაბა-ქალაქია და გაჩიანი ჰქვია. ამ მხარეს კი „ვრაც დაშტი“, ქართველთა ველი ეწოდებაო. უხტანესი აღწერს გუგარელთა დიდი პიტიახშების გენეალოგიას. ის ეყრდნობა მოსე ხორენელს. გუგარელთა დიდი პიტიახშებიო, – წერს ის, – ივერიელთა ანუ ქართველთა ტომებზე გააბატონა ალექსანდრე მაკედონელმაო. უხტანესის მიხედვით, ეს ივერიელები, ანუ ქართველები ცხოვრობენ ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც გადაჭიმულია შავი ზღვიდან ვიდრე სომხეთისა და ალბანეთის საზღვრამდე. გუგარქი კი სწორედ სომხეთ-ალბანეთის საზღვართან მდებარეობდა, ამიტომაც ის, უხტანესის მიხედვით, ქართველებით იყო დასახლებული. უხტანესი იმეორებს ძველ ისტორიკოსთა თვალსაზრისს, რომელიც „მოქცევაჲ ქართლისაჲშიცაა“ გადმოცემული – ქართველი ხალხის კავკასიაში ცხოვრების შესახებ. თავდაპირველადო, – წერს ის, – ივერიელები, ანუ ქართველები სხვა, შორეულ ქვეყანაში ცხოვრობდნენ. ნაბუქოდონოსორმა ეს ქართველები, ანუ ივერიელები ძველი ქვეყნიდან გადმოასახლა კავკასიაში, კერძოდ, დაასახლა შავი ზღვის პირას. „...პონტოს ნაპირზე რომ დაბანაკდა, ის ტომი აღორძინდა, გამრავლდა ზღვის პირას აქეთ-იქით, მოედო იმ მხარეს და გავრცელდა სომეხთა და ალბანთა საზღვრამდე, შეიქმნა ფრიად მრავალი ხალხი... ითესლეს და გამრავლდნენ და გახდა ტომი, რომელსაც თავის პირველ ქვეყანაში ივერიას უწოდებდნენ, აქ კი ქართველნი ეწოდებათ... მსურდა რამოდენიმე სიტყვით ცურტავის მრავალი მოსახსენებელი მეცნობებინა შენთვის“.[51]

უხტანესი თავის თხზულებაში ქართველთა შესახებ ზემოთ მოყვანილ თხრობას იმიტომ რთავს, რომ საუბარი აქვს ცურტავზე, ხოლო ცურტავზე საუბრისას კი აუცილებლად საჭირო ა ქართველთა შესახებ ითქვას, რადგანაცო, – წერს ის, – ცურტავ-გუგარქი ქართველებით არის დასახლებული, რადგანაც მთელი ტერიტორია შავი ზღვიდან სომხეთ-ალბანეთამდე ქართველებით არის დასახლებული და ისინი ჩვენგან კირიონმა განაშორაო: – „...გამოაცალკევა და განაშორა ჩვენგან კირიონ სკუტრელმა, დააქცია და წარწყმიდა ესოდენი სიმრავლის ტომი“.[52]

უხტანესი აქ პირდაპირ, აშკარად და დაუფარავად წერს, რომ ცურტავსა და გუგარქში მცხოვრები ქართველები სომხური ეკლესიისა და სომხური ქრისტიანობის ზეგავლენისა და ზემოქმედების ქვეშ იყვნენ. ასე რომ არ ყოფილიყო, კირიონი როგორღა „გამოყოფდა, გამოაცალკავებდა, განაშორებდა“ სომხური ეკლესიისა და სომხებისგან ცურტავ-გუგარქის ქართველებს? განა ასე არ წერს უხტანესი – „განაშორა ჩვენგან... ესოდენი სიმრავლის ტომი“, ე.ი. ქართველებიო? თვით უხტანესის თხზულებიდან კი ჩანს, რომ გუგარქში მცხოვრები ქართველობა საეკლესიო ენად სომხურს ხმარობდა, ქართულს კი შინაობაში იყენებდა. კირიონის რეფორმის შედეგად ქართულენოვანი ღვთისმსახურება აღდგა გუგარქ-ცურტავში, რასაც დიდი წინააღმდეგობა გაუწია სომხეთის ეკლესიამ დვინში.

ჩვენში არის მცდელობა, ქართული ეკლესიის, ანდა რომელიმე კუთხის სომხური ეკლესიის გავლენის ქვეშ ყოფნა უარყონ და შესაბამისი ცნობები ტენდენციურად გამოაცხადონ, მაგრამ ამის შესახებ ცნობილია მსოფლიო სპეციალურ ლიტერატურაში, აი, კერძოდ, რას წერს ბერძენი მიტროპოლიტი მაქსიმე ათენში 1966 წელს დაბეჭდილ თავის შრომაში „ქართული ეკლესიის ავტოკეფალია“: – „ზემოთმოყვანილი ანალიზის საფუძველზე შეუძლებლად მიგვაჩნია სომეხთა მტკიცება, რომ მათ ეკუთვნით საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების დამსახურება. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ საერთოდ არ იყო ურთიერთდამოკიდებულება ორ ეკლესიას შორის, და რომ საქართველო მთლიანად, ან უკიდურეს შემთხვევაში, მისი რომელიმე ნაწილი არ იმყოფებოდა რაღაც დამოკიდებულებაში სომხეთის ეკლესიის კათალიკოსთან. რადგანაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველო თავიდან წარმოადგენდა არა ერთიან სამეფოს, არამედ იყო ასე თუ ისე თავისთავადი სათავადოების ერთობლიობა. ასე რომ, არ გამოირიცხება შესაძლებლობა ამ ქვეყნის რომელიმე ეპარქიის დაქვემდებარებისა სომხეთის კათალიკოსის იურისდიქციისთვის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითქოსდა მთელი ქართველი ხალხი როდესმე, თუნდაც დროებით, იყო ასეთ დაქვემდებარებაში... სპარსეთის შაჰები ჩაგრავდნენ ქართველებს, ცდილობდნენ დაექვემდებარებინათ ისინი სომხური ეკლესიის იურისდიქციისთვის... თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ფაქტს, რომ ჭეშმარიტება ყოველთვის იმყოფება ორ უკიდურესობათა შორის, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ თუ არსებობდა რაიმე გავლენა, ანდა საქართველოს თუნდაც დროებითი დაქვემდებარება სომხურ ეკლესიაზე, ამ ჰიპოთეზას შეიძლება დავეთანხმოთ არა მთელ საქართველოსთან მიმართებით, არამედ მხოლოდ მისი აღმოსავლეთი ნაწილის რამდენიმე ეპარქიასთან დაკავშირებით“.[53]

ის, რაც ცნობილი და მეცნიერულ ბრუნვაშია მთელ მსოფლიოში, უარყოფილი არ უნდა იქნას ჩვენშიც, კერძოდ, ძლიერ სომხურ ეკლესიას თავისი ანტიქალკედონური, ანუ ანტიბიზანტიური მიმართულების გამო ბიზანტიასთან მებრძოლი სპარსეთი V-VI საუკუნეებში და არაბობა VII-IX საუკუნეებში აძლიერებდა და კარგად ეპყრობოდა. თავის მხრივ, ბიზანტიის სახელმწიფოც ცდილობდა თავის მხარეზე გადაებირებინა ძლიერი სომხური ეკლესია დაყვავებით, მოფერებით, დათმობით და ყოველმხრივი ხელშეწყობით (სპარსეთისა და ბიზანტიის სომხურ ეკლესიასთან დამოკიდებულების

შესახებ წერს მსოფლიო ეკლესიის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ა. კარტაშევი თავის წიგნში „– მსოფლიო კრებები“, პარიზი, 1963, რუს. ენაზე).

ზემოაღნიშნულის გამო სომხურმა ეკლესიამ შეძლო თავისი გავლენის სფეროში მოექცია სომხეთის უშუალოდ მეზობლად მდებარე არასომხური პროვინციები როგორც ალბანეთისა, ისე საქართველოსი. სომხეთის მომიჯნავე გუგარქის, მესხეთის, ტაოს პროვინციებზე სომხურმა ეკლესიამ როგორც სპარს-არაბთა, ისე ბიზანტიელთა ხელშეწყობით შეძლო თავისი გავლენის გავრცელება. ეს გულისხმობდა ამ ქართულ პროვინციებში საეკლესიო სომხურენოვანი წირვა-ლოცვის დანერგვას, ან ქართული ღვთისმსახურების გვერდით, ანდა ქართული ღვთისმსახურების შეცვლით. ამის შედეგად მკვიდრი ქართული მოსახლეობა საეკლესიო თვალსაზრისით „სომხურენოვანი“ ხდებოდა, ხოლო ქართულ ეკლესიებსა თუ წმიდა წიგნებში ჩნდებოდა სომხური მინაწერები.

საინტერესოა გუგარქის შემდგომი ბედი ეკლესიური თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, გუგარქში ჩვენმა დიდმა კათალიკოსმა კირიონმა ღვთისმსახურებისას შეძლო სომხურენოვანი წირვა-ლოცვის გვერდით ქართულენოვანი წირვა-ლოცვის დანერგვა. ეს სრულებით მიუღებელი გახდა სომხური ეკლესიისთვის და გადაწყდა კირიონის სასტიკად დასჯა. ეს იმ დროს სომხეთის პროსპარსულმა მმართველმა სმბატმა ვერ შეძლო, მაგრამ მალე სპარსთა მეფემ ხოსრომ შეუტია ბიზანტიას, დაამარცხა და აიღო იერუსალიმი, 614 წლისათვის მოიწვია საეკლესიო კრება, რომელზედაც სპარსეთის იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანები დაავალდებულა „მიეღოთ სომხური ქრისტიანობა“. ამის გამო კირიონი იძულებულია ამ დროისთვის სხვაგან გადავიდეს (ლაზიკაში). მალე სპარსეთი ჰერაკლე კეისარმა დაამარცხა და მან სომხურ ეკლესიასთან მეგობრული კავშირი, „უნია“ შეკრა. აღნიშნულის გამო, გუგარქი შესაძლოა კვლავ მოექცა სომხური ეკლესიის გავლენის სფეროში. ადგილობრივი მკვიდრი ქართველები თუმცა ქართულ ენას არ ივიწყებენ, მაგრამ შემდგომში მალევე სახელმწიფო ენადაც სომხური ენა მკვიდრდება, რადგანაც X საუკუნის ბოლოსთვის აქ არსდება ტაშირ-ძორაგეტის სამეფო – „სომეხ მმართველთა ფეოდალური სახელმწიფო ქვემო ქართლის ტერიტორიაზე“[54] – კვირიკიანების სამეფო. ამ შემთხვევაში გუგარქი თითქოსდა იმეორებს მეზობელი ალბანური პროვინციების ისტორიას, ალბანეთის ზოგიერთ პროვინციაში უფრო ადრე სომეხმა აზნაურებმა შეძლეს სომხურენოვანი თავისთავადი სახელმწიფოებრივი ერთეულების შექმნა. კვირიკიანების სამეფო განსაკუთრებით გაძლიერდა 989-1048 წლებში – „როცა სამეფოს ტერიტორია მნიშვნელოვნად გაფართოვდა თბილისისა და განჯის საამიროთა ხარჯზე“.[55] ეს სამეფო შემდეგ ანისის სამეფომ შეიერთა, შემდეგ კი ბაგრატ IV-მ, 1185 წლიდან კი ქართლის ეს ნაწილი სამართავად მხარგრძელებს გადაეცათ. მიუხედავად ამისა, ამ მხარის ქართველობამ მაინც შეძლო თავისი ეროვნების შენარჩუნება, XV საუკუნის შემდეგ, რაც ერთიანი ქართული სახელმწიფო დაიშალა, ყოფილ გუგარქ-ქვემო ქართლში განსაკუთრებით გაძლიერდა მონოფიზიტური პროპაგანდა. შედეგმაც არ დააყოვნა და ამ მხარეს იმჟამად „სომხითი“ ეწოდა. უფრო ადრე კი მას „ქართველთა ველი“ ერქვა. ადგილობრივმა ქართველმა

თავად-აზნაურებმა გვიან შუა საუკუნეებში სცადეს გაბატონებული მონოფიზიტობისათვის (სპარსთა მიერ მართლმადიდებლობის აკრძალვის გამო) კათოლიკობა დაეპირისპირებინათ, მაგრამ საბოლოოდ მაინც ქვემო ქართლი სარწმუნოებრივი თვალსაზრისით რთულ ქვეყნად დარჩა. მასში თბილისის ქვემო მხარეებიც შედიოდა. XVI-XVIII საუკუნეებში ამას ხელს სპარსეთი უწყობდა, ასევე თბილისის მაჰმადიანი მმართველები, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ გავლენა მხოლოდ თბილისსა და ქვემო ქართლზე ჰქონდათ, ხოლო დარჩენილ ქართლს ქალკედონიტი მმართველები ჰყავდა.[56]

დ) საეკლესიო ენა დასავლეთ საქართველოში

დასავლეთ საქართველოში IV-VI და აგრეთვე VII საუკუნის დასაწყისში საეკლესიო ენა იყო ქართული და არა ბერძნული ენა, როგორადაც არის მიჩნეული. ბერძნული ენა დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილში საეკლესიო ენად ოფიციალურად იქცა მხოლოდ VII საუკუნის 30-იანი წლებიდან. ამის მიზეზი ის იყო, რომ VII საუკუნის 20-30-იან წლებში ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლე კეისარმა დასავლეთ საქართველოს ერთი ნაწილი, „ზღვისპირეთი“, უშუალოდ შეუერთა ბიზანტიის სახელმწიფოს, რის გამოც დასავლეთ საქართველოს ამ დაპყრობილ ნაწილზე საეკლესიო იურისდიქცია განახორციელა კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ. აქ დაარსდა ლაზიკის ბერძნულენოვანი სამიტროპოლიტო, რომელშიც შედიოდა რამდენიმე ბერძნულენოვანი საეპისკოპოსო. ყველა საეპისკოპოსო ზღვის სიახლოვეს მდებარეობდა.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქცია არ მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს, არამედ ვრცელდებოდა ე. წ. სკანდა-შორაპნის ხაზამდე. „არგვეთის“ პროვინციაზე იურისდიქციას მცხეთის საკათალიკოსო ახორციელებდა. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ VI საუკუნეში დასავლეთ საქართველოსთვის სპარსეთ-ბიზანტიის ომის დროს ამ ორ სახელმწიფოს შორის საზღვრად სწორედ „სკანდა-შორაპნის“ ხაზი ითვლებოდა. ამ ხაზის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანა „იბერიად“ მიიჩნეოდა და ამიტომაც სპარსეთი თავისად თვლიდა, ხოლო ამ ხაზის დასავლეთით მდებარე ქვეყანა ლაზიკას ბიზანტია თავისად თვლიდა.

დასავლეთ საქართველო ხშირად დავის ობიექტი იყო რომ-სპარსეთისა და სხვა სახელმწიფოთა შორისაც, მაგრამ მიუხედავად ამისა, დასავლეთ საქართველო ზოგადად პოლიტიკურად განიხილებოდა როგორც ნაწილი იბერიის – ქართლის სამეფოსი, არა მარტო ქართულ წყაროთა, არამედ უცხოურ წყაროთა და არქეოლოგიური მონაცემებითაც.

ერთიანი ქართული ეკლესია დაარსების დროს, IV საუკუნის დასაწყისში, მოიცავდა არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ დასავლეთსაც. წმიდა ნინოს მიერ დაარსებული ეკლესიის ენა იყო ქართული ენა. ლათინურ წყაროთა თანახმად, წმიდა ნინო სწორედ პონტოს ზღვისპირეთის განმანათლებელი იყო (ისე, როგორც მთელი საქართველოსი), ხოლო მოსე ხორენელის თანახმად, წმიდა ნინომ კლარ-

ჯეთიდან კასპიის ზღვისპირამდე – მასქუთთა ქვეყნამდე იქადაგა. ეს წყაროები ერთმანეთს ავსებენ, ამიტომაც ვფიქრობთ, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში IV საუკუნეში საეკლესიო ენა იყო ქართული ენა. V საუკუნეში დასავლეთ საქართველო ვახტანგ გორგასლის სამეფოში შედიოდა. ცხადია, ამ დროსაც დასავლეთ საქართველოში საეკლესიო ენა იყო ქართული ენა. მიუხედავად იმისა, რომ VI საუკუნეში დამპყრობელთა შორის ცხარე ბრძოლები იმართებოდა დასავლეთ საქართველოს ხელში ჩასაგდებად, მაინც ეს ტერიტორია ქართული სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად მიიჩნევა, რადგანაც როცა დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ჰერაკლე კეისარმა უშუალოდ შეიყვანა ბიზანტიის იმპერიაში, იმდროინდელმა ქართლის მმართველმა მეფემ გამოთქვა უკმაყოფილება და ჰერაკლე კეისარს გაუგზავნა თხოვნა ეროვნული ტერიტორიების უკან დაბრუნებისა.

VII საუკუნეში დაპყრობილ დასავლეთ საქართველოს მიწებზე, როგორც აღნიშნული გვქონდა, კონსტანტინოპოლმა განახორციელა საეკლესიო იურისდიქცია და დააარსა ბერძნულენოვანი საეპისკოპოსოები.

VII საუკუნემდე არც ერთ ბერძნულ წყაროსა, ცნობასა თუ ნოტიციაში არ მოიძებნება მინიშნებაც კი იმისა, რომ VI ან IV-V საუკუნეებში აღნიშნულ მიწებზე ბერძნული საეპისკოპოსოები არსებობდა.[57] პირიქით, გვაქვს როგორც ქართული, ისე სომხური წყაროები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დასავლეთ საქართველოსა და მის ზღვისპირეთზე V-VI საუკუნეებში და VII საუკუნის დასაწყისშიც თავის იურისდიქციას ახორციელებდა არა ბერძნული, არამედ ქართული ეკლესია, კერძოდ, მცხეთის საკათალიკოსო. მაგალითად, სომხურ წყაროთა თანახმად, VI საუკუნის ბოლოს კირიონი, ქართლის კათალიკოსი, იმავე დროს არქიეპისკოპოსი იყო ეგრისისა. ამ სომხური წყაროს თანახმად, კირიონის, ქართლის კათალიკოსის იურისდიქციაში ეგრისი (დასავლეთი საქართველო) შედიოდა ძველი წესისამებრ. მაშასადამე, ქართლის კათალიკოსი წინა საუკუნეშიც მართავდა დასავლეთ საქართველოს. ვახუშტის თანახმად კი, დასავლეთ საქართველოს ვაკეზე (ანუ ფოთსა და ქუთაისს შორის არსებულ ტერიტორიაზე) იურისდიქციას მცხეთის მთავარეპისკოპოსი ახორციელებდა დაახლოებით ამ დროს, ხოლო რაჭა და თაკვერი (მთიანეთი) ნიქოზის საეპისკოპოსოში შედიოდა. აქედან ჩანს, რომ მართალია, V-VI საუკუნეებში შეიძლება დასავლეთ საქართველოში არ არსებობდა ადგილობრივი ქართული საეპისკოპოსოები, მაგრამ ადგილობრივი ქრისტიანები შედიოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს სხვა საეპისკოპოსოებში, ანუ დასავლეთ საქართველო IV-V საუკუნეებში შედიოდა მცხეთის იურისდიქციაში და აქ საეკლესიო ენა იყო ქართული ენა.

ისმის კითხვა – თუ IV-VI საუკუნეებში დასავლეთ საქართველო შედიოდა მცხეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში, ბიჭვინთის საეპისკოპოსო, რომელიც უკვე არსებობდა IV საუკუნის დასაწყისში, შედიოდა თუ არა მცხეთის ეკლესიის იურისდიქციაში ამ დროს?

მართალია, IV საუკუნეშივე არსებობდა ბიჭვინთის საეპისკოპოსო, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ წყაროთა ჩვენება, თუ იმ დროს რომელ ქვეყანას ეწოდებოდა ქართლი, ანუ იბერია და სად გადიოდა მისი საზღვარი.

ძველთაგანვე, ქართულ წყაროთა თანახმად, ქართლის სამეფო მოიცავდა შავიზღვისპირეთს და მისი საზღვარი გადიოდა მდინარე ეგრისწყალზე. ბიჭვინთა კი მდინარე ეგრისწყლის ჩრდილოეთით მდებარეობდა. ეგრისწყლის მარჯვნივ მიმდებარე ქვეყანა აფხაზეთის სამეფოს შექმნამდე შედიოდა არა ქართლის სამეფოში, არამედ ბიზანტიის იმპერიაში.

ძველთაგანვე არსებული ბერძნული საარქიეპისკოპოსო მდებარეობდა არა ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე, არამედ ეგრისწყლის ჩრდილოეთით – ბიზანტიის ტერიტორიაზე.

ბიზანტიისა (რომის) და ქართლის საზღვარი ფარნავაზ მეფიდან ვიდრე ვახტანგ გორგასლამდე გადიოდა მდინარე ეგრისწყალზე, როგორც ეს მრავალგზის აღინიშნა, ხოლო ვახტანგ გორგასალმა კიდევ უფრო ჩრდილოეთით გადასწია თავისი სამეფოს სახელმწიფო საზღვარი და მის დროს ბიზანტიასა და ქართლს შორის საზღვარი დაიდო მდინარე კლისურაზე (სოხუმთან). ამ დროს ბიჭვინთა ქართლის სამეფოში არ შედიოდა.

ფასისის სამიტროპოლოტო შეიქმნა მხოლოდ VII საუკუნის დასაწყისში, იმის შემდეგ, რაც ჰერაკლე კეისარმა ზღვისპირა მიწები ჩამოაჭრა ქართლის სამეფოს. აღსანიშნავია, რომ XIX და XX საუკუნის მეცნიერების გავლენიანი ნაწილი ეჭვითა და უნდობლობით უყურებდა „ქართლის ცხოვრების“, სხვა ისტორიული ქრონიკებისა და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობებს იმის თაობაზე, რომ დასავლეთ საქართველო შედიოდა „ქართლის სამეფოს“ შემადგენლობაში ფარნავაზ მეფის დროიდანვე. უკანასკნელ დროს ჩატარებულმა როგორც არქეოლოგიურმა, ისე სხვა ძიებებმა დამაჯერებლად დაადასტურა ქართულ წყაროთა სისწორე.

ისტორიული გეოგრაფიის დარგში მომუშავე მეცნიერი დ. მუსხელიშვილი ასე მსჯელობს – ლეონტი მროველის, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ (VII-IX სს.) და ჯუანშერის თანახმად, („ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 177). დასავლეთი საქართველო საერთოდ და კერძოდ, ეგრისი ქართლის სამეფოს დაარსებისთანავე, ფარნავაზის დროს, შედიოდა ამ სამეფოში. ეს მოწმობს, რომ არსებობდა ძველი ეროვნული მტკიცე ტრადიცია ეგრისის ფარნავაზის სამეფოში შესვლის შესახებ.“[58]

„III საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მოსხების მთელი ქვეყანა (ე.ი. მათ შორის აჭარაც) ეკუთვნოდა სწორედ ქართლს (იბერიას). სხვათაშორის, ამის დამამტკიცებლად გამოდგება ფარნავაზის თანამედროვის, ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნის ისტორიკოსის მეგასთენეს ცნობა იმის შესახებ, რომ იბერები ცხოვრობენ „პონტოს მარჯვენა მხარეს“... ამ კონტექსტში ძალზე საინტერესოდ წარმოჩნდება სტრაბონის მოწმობა, რომელიც ძველქართულ ტომ სვანებზე საუბრისას იტყობინება, რომ „ზოგიერთები მათ იბერიელებს უწოდებენ“ (XI, 2, 18,). ეს მოწმობა, როგორც ჩანს, დაუმსახურებლად არის იგნორირებული ისტორიკოსთა მიერ...“[59]

ძველი ისტორიკოსები (იგულისხმება უცხოელი – ბერძენი, რომაელი და სომეხი ისტორიკოსები) დაბეჯითებით წერდნენ, რომ იბერები, ანუ ქართველი ხალხი ცხოვრობდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. მოგვიანო ხანის უცხოელი ისტორიკოსები წერდნენ, რომ ლაზები არიან იბერიელთა ერთ-ერთი ტომი. ძველი

დროის ქართველი ისტორიკოსები წერდნენ, რომ ფარნავაზის მიერ შექმნილი სახელმწიფო იყო მხოლოდ და მხოლოდ ქართველთა სახელმწიფო, რადგანაც არაქართული ტომები ალექსანდრე მაკედონელმა ამ ქვეყნიდან გადაასახლაო. ფარნავაზის რეფორმის შემდგომ მთელ სახელმწიფოში მხოლოდ ქართულ ენაზე შეიძლებოდა ლაპარაკი. ეს იმას ნიშნავს, რომ არაქართველთა გადასახლება (თუ ისინი არსებობდნენ) ფარნავაზის დროსაც გრძელდებოდა. ფარნავაზის სამეფო სწორედ ეგრისის დახმარებითა და მეშვეობით შეიქმნა. ეგრისში შეგროვდა ფარნავაზისთვის საჭირო ჯარი აზონთან ომის დროს. ეგრისი ფარნავაზისთვის ამ დროს იყო მორალური და მატერიალური საყრდენი. ეგრისის გარეშე, ძველ ავტორთა თანახმად, ფარნავაზის სამეფო წარმოუდგენელია. ისინი ეგრისის მოსახლეობას ქართველებად მიიჩნევდნენ. უძველეს დროს ქართველებად (იბერებად) ითვლებოდნენ არა მარტო ეგრისელები, არამედ დასავლეთ საქართველოს მთელი მოსახლეობა, რომელიც ქართლის სამეფოში შედიოდა (ანუ ტერიტორია, რომელიც მოიცავდა სამხრეთით აჭარას, ჩრდილოეთით ვიდრე მდინარე ეგრისწყლამდე, დასავლეთით შავ ზღვამდე, აღმოსავლეთით ლიხის ქედამდე) ქართველები იყვნენ – ასეთია საერთოდ ძველქართული კონცეფცია.

დასავლეთ საქართველოს მთელი მოსახლეობა რომ ქართველებისგან შედგებოდა, ამას სტრაბონის ცნობაც ადასტურებს. თუ ზოგიერთი სხვა ავტორი ლაზებს იბერთა ტომად თვლიდა, სტრაბონის მოწმობით, სვანებიც იბერები არიან (იხ. ზემოთ, მუსხელიშვილის აზრი).

ზოგიერთებიო, – წერს სტრაბონი, – სვანებს ქართველებს უწოდებენო. სტრაბონის ეს ცნობა, მისივე სხვა ცნობებთან ერთად ადასტურებს ძველ ქართულ წყაროთა ცნობებს, რომ ქართველი ეროვნება უკვე ჩამოყალიბებული იყო ქრისტემდე III საუკუნეში. ამ წყაროთა თანახმად, ქართველი ხალხის ჩამოყალიბების დროა ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის ეპოქა ე.ი. VI საუკუნე ქრისტემდე, როცა ამ მეფემ ქართველთა ერთი ნაწილი გადმოასახლა ძველი სამშობლოდან. ამ დროისთვის, წყაროთა თანახმად, ქართველი ხალხი არსებობს და ის ერთიანია.

ქართულ წყაროთა მტკიცება ერთიანი ქართველი ხალხის ქრისტემდე III საუკუნეში არსებობის შესახებ არ მოგვეჩვენება მიუღებელ მტკიცებად, თუ გავიხსენებთ, რომ „...სომეხი ხალხის ჩამოყალიბების ბოლო ეტაპი თანხვდება ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში სომხეთის სახელმწიფოს შექმნას, მან ურარტუს სახელმწიფოს ადგილი დაიკავა“.[60] „საბჭოთა ენციკლოპედიური ლექსიკონის“ თანახმად, „პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში ძირითადად ჩამოყალიბდა სომეხი ეროვნება“.[61]

„ქართლის ცხოვრება“ ქართლოსსა და ჰაოსს ძმებს უწოდებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ძველ ქართველ ისტორიკოსთა თანახმად, ქართველი და სომეხი ხალხების ჩამოყალიბების დრო თანხვდება ერთმანეთს, ანუ ქართველი და სომეხი ხალხების ჩამოყალიბება თანაჟამიერია. სომეხი ხალხის ჩამოყალიბების საბოლოო ეტაპს უკავშირებენ პირველი სომხური სახელმწიფოს შექმნას ქრისტემდე VI საუკუნეში. ასევე ქართველი ხალხის ჩამოყალიბების ხანა უნდა დაემთხვეს ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის ხანას (ქრისტემდე IV-III საუკუნეებში).

ქრისტემდე III საუკუნეში როგორც ქართებს, ასევე მეგრელებსა და სვანებს ეწოდებოდათ ქართველები, ანუ იბერები. ქართები, ეგრები (ლაზები) და სვანები ქართველები იყვნენ, იბერია კი მოიცავდა ეგრისსაც და სვანეთსაც. ქართების, ეგრებისა და სვანების ენა იყო ქართული, თუმცა ეგრებსა და სვანებს, ასევე ქართებსაც ჰქონდათ თავიანთი დიალექტები.

უნდა ითქვას ისიც, რომ როგორც ქართული წყაროებიდან ჩანს, ერთიანი ქართველი ხალხი თავიდანვე არ იყო დაშლილი ტომებად, არამედ ქართველი ხალხის ჩვენი თანამედროვე ტომები, თავისი ენებითა და დიალექტებით, შესაძლოა ჩამოყალიბდა შუა საუკუნეებში. ჩანს, ამას ხელი შეუწყო ფარნავაზის მიერ შექმნილი სახელმწიფოს დაშლამ და გაუქმებამ ვახტანგ გორგასლის შემდეგ. VIII საუკუნეში დასავლეთ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამ ქართველი ხალხის დიფერენციაცია კიდევ უფრო გააღრმავა, მაგრამ XI საუკუნეში საქართველოს გაერთიანებამ ქართველი ხალხის კონსოლიდაცია გამოიწვია.

როგორც მრავალგზის აღვნიშნეთ, უკანასკნელი დროის ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, თითქოსდა კონცეფცია „...ფარნავაზის მიერ აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველოს გაერთიანების შესახებ წარმოადგენს ლეონტი მროველის საკუთარ ისტორიულ კონცეფციას“.[62]

დ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, – საქართველოს ძველთაგანვე ერთიანობის შესახებ ცნობა აქვს არა მარტო ლეონტი მროველს, არამედ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორს და ჯუანშერს.[63]

„განვიხილოთ საკითხის არსი: რას ეყრდნობა პოლიტიკური კონცეფცია, რომელიც მოიცავს „ქართლის ცხოვრების“ მთელ უძველეს ნაწილს და გამოხატავს შუა საუკუნეებში მიღებულ პოლიტიკურ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ დასავლეთი საქართველო (ეგრისი) თავიდანვე წარმოადგენდა ქართლის სამეფოს ნაწილს?.. ეს არსებითი საკითხია და პასუხის გაცემა არც თუ ისე ადვილია, როგორც შეიძლება მოგვეჩვენოს, მაშინ, როცა ვიცით, რომ XI საუკუნეში საქართველო მართლაც გაერთიანდა ერთიან მონარქიად. საქმე ის არის, რომ VIII საუკუნის დასაწყისიდან და IX საუკუნის დასაწყისში საქართველოს გაერთიანების იმპულსები მოდიოდა ყველა მხრიდან – აღმოსავლეთიდან, სამხრეთ-დასავლეთიდან, დასავლეთიდან, სამხრეთიდანაც კი, მაგრამ ეს მოძრაობა არასოდეს არ გამოდიოდა ცენტრიდან, ქართლის ეთნოგრაფიული პროვინციიდან, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა.

უფრო მეტიც, თვით X საუკუნის დასაწყისიდან (904 წ.) და შესაძლებელია, IX საუკუნის 70-იანი წლებიდანაც კი, სწორედ ქართლი წარმოადგენდა დასავლურ-ქართულ ე.წ. „აფხაზეთის სამეფოს“ ერთ-ერთ საერისთავოს. პოლიტიკური ჰეგემონობა არა მარტო X, არამედ მთელი XI საუკუნის განმავლობაში, უფრო სწორად 1122 წლამდე, ეკუთვნოდა დასავლეთ საქართველოს, ამიტომაც არც XI საუკუნეში, როგორც არაერთხელ იმეორებს ნ. ი. ლომოური, არც ადრე IX-X საუკუნეებში და არც მოგვიანებით XI საუკუნეში, არავითარი „ისტორიული კონცეპცია“ ან „პოლიტიკური იდეოლოგია“ ან „თეორია“, რომლის მიხედვითაც „საქართველო განიხილებოდა როგორც ერთიანი და ამ ერთიანობას ყოველთვის მეთაურობდა სწორედ ქართლი“, არ შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო...“[64]

„გ. ა. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ უკვე ადრევე აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოებრივი ხელისუფლება ქართლის მმართველებისა, დასაწყისშივე ვრცელდება დასავლეთ საქართველოზედაც. დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი ნაწილები (აჭარა, არგვეთი) გახდნენ ქართლის სამეფოს პროვინციები... ამავდროულად ქართლის სამეფოს პოლიტიკური ჰეგემონია ვრცელდებოდა დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ზღვისპირა ზოლზე – ეგრისზე...“[65]

„ძალზე საინტერესო ფაქტები აღმოჩნდა არქეოლოგიური ძიებების შედეგად ადრეანტიკურ კოლხეთში (დას. საქართველო). ახლახან გამოქვეყნდა არქეოლოგ გ. ა. გამყრელიძის სტატია, რომელშიც შეკრებილია, შეიძლება ითქვას, მთელი არქეოლოგიური მასალა ჩვენთვის საინტერესო ეპოქისა ამ რეგიონიდან... დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური შესწავლა გვიჩვენებს, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნის მეორე ნახევარში ზღვისპირა ზოლისა და შიდა კოლხიდის მატერიალური კულტურა განსხვავებულია. ეს აიხსნება ახალი კულტურული ნაკადით, რომელიც იბერიიდან (ქართლიდან) მოდიოდა... არანაკლები მნიშვნელობა აქვს ვანის ნაქალაქარის გათხრისას ნაპოვნ (ჩვენს წელთაღრიცხვამდე II-I სს. ფენაში) ე.წ. „არმაზული“ დამწერლობის ფრაგმენტებს, რომელიც დამახასიათებელი იყო მოგვიანებით აღმოსავლეთ საქართველოსათვის... IV-III სს. (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) არქეოლოგიური მასალა უეჭველად მხარს უჭერს ძველქართველ მემატიანეთა მოწმობებს, ყოველ შემთხვევაში, არ გამორიცხავს დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილის იბერიის სამეფოსადმი მიკუთვნებას.[66]

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რომ დ. მუსხელიშვილის აზრით, დასავლეთი არა მარტო ფარნავაზის დროს შედიოდა ქართლის სამეფოში, არამედ ვახტანგ გორგასლის დროსაც. აქედან ცხადია, რომ საეკლესიო კანონთა თანახმად, დასავლეთი საქართველო უნდა შესულიყო კიდეც მცხეთის (ქართლის) იურისდიქციაში და თუ დასავლეთი აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად საეკლესიო ერთობას ქმნიდა, დასავლეთ საქართველოშიც საეკლესიო ენა იყო ქართული ენა. საეკლესიო კანონთა თანახმად, ეკლესიის იურისდიქციის საზღვარი უნდა ემთხვეოდეს სახელმწიფო-ადმინისტრაციულ საზღვრებს. ამიტომაც V საუკუნეში ქართული ეკლესიის საზღვარი აუცილებლად უნდა დამთხვეოდა ქართლის სამეფოს საზღვრებს. მემატიანეთა თანახმად, ვახტანგ გორგასლის სამეფოს დასავლეთი საზღვარი გადიოდა შავ ზღვაზე და მდინარე კლისურაზე (სოხუმთან). ამიტომაც ამ დროს ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვარი დასავლეთში მიუყვებოდა მდინარე კლისურას. ცნობილია, რომ ამ დროისთვის მდინარე კლისურას ჩრდილოეთით მდებარე მიწებზე თავის იურისდიქციას ახორციელებდა ბერძნული საარქიეპისკოპოსო, რომელიც იმ დროს არ ემორჩილებოდა მცხეთას, არამედ ბერძნული ეკლესიის ნაწილს წარმოადგენდა, იმ მიზეზის გამო, რომ მდინარე კლისურას ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია ეკუთვნოდა ბიზანტიის იმპერიას. საზღვარი ბიზანტიასა და საქართველოს შორის მდინარე კლისურაზე იყო გავლებული, ამიტომაც ამ მდინარიდან, მთელ დასავლეთ საქართველოში და აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში ქართლის სამეფოს მთელ ტერიტორიაზე საეკლესიო ენა იყო

ქართული ენა – იგულისხმება ვახტანგ გორგასლის დრო. არა მარტო დასავლეთ საქართველოში, არამედ ვახტანგ გორგასლის სამეფოში შემავალ ჰერეთში, გუგარეთსა და მესხეთში საეკლესიო ენა იყო ქართული ენა. როგორც აღნიშნული გვქონდა, დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ნაწილში მხოლოდ VII საუკუნის დასაწყისში დაარსდა ბერძნული საეპისკოპოსოები და ამიტომაც იქ დაწესდა ბერძნული საეკლესიო ენა.

ქართლის სამეფოს დამარცხებისა და მეფობის გაუქმების შემდეგ VI საუკუნეში ამ ყოფილი სამეფოს პერიფერიებში სომხეთთან სიახლოვის გამო სპარსეთმა ჰერეთი, გუგარეთი და ნაწილობრივ მესხეთი მოაქცია მონოფიზიტური (და ამის გამო პროსპარსული) სომხური ეკლესიის გავლენის სფეროში. ამიტომაც VI საუკუნის დასაწყისიდანვე ჰერეთში, გუგარეთსა და ნაწილობრივ მესხეთში დაინერგა სომხური საეკლესიო ენა, ანუ როგორც იმ დროის წყაროები უწოდებენ – „სომხურენოვნება“.

არა მარტო V საუკუნეში, არამედ IV საუკუნეში ერთიანი ქართული ეკლესიის ორგანიზაციისა და დაარსებისთანავე დასავლეთ საქართველო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იყო, რადგანაც შედიოდა ქართლის სამეფოში და ამიტომაც IV საუკუნეშივე დასავლეთ საქართველოს საკლესიო ენა ქართული იყო. თუ ჩვენ ვერწმუნებით ქართულ წყაროებს გორგასლის ეპოქის აღწერისას, უნდა ვერწმუნოთ მას წინა ეპოქათა აღწერის დროსაც. დავით მუსხელიშვილი წერს – „...ქართლის მეფემ ვახტანგ გორგასალმა ნამდვილად გააერთიანა დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო V საუკუნის 60-70-იან წლებში და ეგრისის ყოფილი მმართველი თავის ერისთავად აქცია.[67] აღსანიშნავია, რომ დაახლოებით ამ ეპოქის უცხოელები ეგრისის მმართველებს „მეფეებს“ ეწოდებდნენ, მაგრამ თუ ერთმანეთს შევადარებთ უცხოურ და ქართულ წყაროებს, მივალთ დასკვნამდე, რომ უცხოელები მეფეებს უწოდებდნენ ეგრისის ერისთავებს, რომელნიც იბერიის მეფეს ემორჩილებოდნენ, მაგრამ დიდი უფლებები ჰქონდათ თავიანთი ქვეყნის მართვისას, ხოლო იმის შემდეგ, რაც VI საუკუნის დასაწყისიდანვე ქართლის მეფობა გაუქმდა, ეგრისის მმართველების ძალაუფლება შეუზღუდველი დარჩა და ისინი ნამდვილ „მეფეებად“ იქცნენ დროის მცირე პერიოდში VI საუკუნის 70-იან წლებამდე. ამ დროს ქართლზე კვლავ გავლენა მოიპოვა ბიზანტიამ სპარსეთის ნაცვლად. სამაგიეროდ, ქართლის მმართველმა ერისმთავრებმა, რომლებიც ქართლის მეფეთა ადგილზე ისხდნენ, კვლავ მოიპოვეს გავლენა დასავლეთ საქართველოზე. ამის გამო VII საუკუნეში დასავლეთი საქართველო კვლავ ქართლის ერთ-ერთი პროვინციაა და, ცხადია, მთელი დასავლეთი საქართველო აქ ბერძნული საეპისკოპოსოების შექმნამდე ქართული ეკლესიის იურისდიქციაშია, ამიტომაც ის ქართულენოვანია. ჰერაკლე კეისრის დაპყრობათა შედეგად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ვიდრე შეიერთა ბიზანტიის იმპერიამ და აქ ბერძნული საეპისკოპოსოები დაარსდა, ამიტომაც აქედან ქართული ენა განიდევნა. დასავლეთ საქართველოში ქართული ენა საეკლესიო თვალსაზრისით VII საუკუნის შემდგომ კარგა ხანს იხმარებოდა „არგვეთში“ და დას. საქართველოს იმ მიწებზე, რომლებიც ბერძნულ საეპისკოპოსოებში არ შედიოდა. ამის შესახებ პ. ინგოროყვა და დ. მუსხელიშ-

ვილი წერდნენ, რომ დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, რომელსაც არგვეთი ეწოდებოდა, საეკლესიო ენა იყო ქართული, რადგანაც ის მეშვიდე-მეცხრე საუკუნეებში მცხეთის იურისდიქციაში შედიოდა"[68] და ...აშოტ I-ის დროს შექმნილს ქართველთა სამეფოში გაერთიანებულია შემდეგი ტერიტორიები... ლიხის იმიერი ქართლი (ვიდრე სკანდეს ხაზამდე)...[69]

უნდა დავასკვნათ, რომ დასავლეთ საქართველოში საეკლესიო ენა IV საუკუნიდანვე იყო ქართული ენა, VII საუკუნეში ამ ქვეყნის ერთ ნაწილში საეკლესიო ქართული ენის მაგივრად დაინერგა ბერძნული ენა, მაგრამ მეორე ნაწილში არ მომხდარა ცვლილებები და იქ კვლავინდებურად ქართული იყო საეკლესიო ენა. VIII საუკუნეშივე დაიწყო (აფხაზეთის სამეფოს დაარსების შემდეგ) და თითქმის IX-X საუკუნეებამდე გაგრძელდა პროცესი დასავლეთ საქართველოს ბერძნული საეპისკოპოსოების შეცვლისა ქართული საეპისკოპოსოებით, ამის შემდეგ მთლიან დასავლეთ საქართველოში ერთადერთ საეკლესიო ენად კვლავინდებურად აღდგა ქართული ენა.

არსენ საფარელის თხზულება „განყოფისათჳს ქართველთა და სომეხთა"

ქართული ეკლესიის VI და VII საუკუნეების ისტორია გადმოცემულია თხზულებაში, რომელსაც ეწოდება „განყოფისათჳს ქართველთა და სომეხთა". ავტორობა მიეწერება არსენი მცხეთელ კათალიკოზს. ტექსტი კრიტიკულად დაადგინა ზ. ალექსიძემ, რომლის გამოკვლევითა და კომენტარებით ვისარგებლებთ ამ თხზულების ახალი ქართულით გადმოცემის დროს. ტექსტი მუხლებად დაყო გამომცემელმა.

ჩანს, ტექსტის I და II მუხლი შემდეგი დროის დანამატია, ანდა ეკუთვნის თვით არსენი საფარელს, რომელმაც, თავის მხრივ, გამოიყენა ანონიმი VII საუკუნის ისტორიკოსის თხზულება. ასეთი ვარაუდის გამოთქმის უფლებას იძლევა ტექსტის ანალიზი. ეს თხზულება ფურცლებაშლილი ჩავარდნია ხელთ გვიანი შუა საუკუნეების რედაქტორს, რომელსაც არასწორად დაუწყვია ფურცლები.

ტექსტი უნდა იწყებოდეს III მუხლის წინადადებით – „განყოფა სომეხთა ქართლისაგან უეჭველად აღვწერე წიგნსა ამას შინა".[70] აქ ყურადღება უნდა მიექცეს ავტორის იდეოლოგიურ პოზიციას – არა ქართლი და ქართველები განშორდნენ სომხებს, არამედ პირიქით, სომხები განშორდნენ ქართლს – მართლმადიდებლობას. ქართლი მართლმადიდებელი იყო და ისეთივე დარჩა, რწმენა არ შეუცვლია, ხოლო სომხები განშორდნენ მას, ესე იგი არამართლმადიდებლები გახდნენ.

თხზულების შინაარსი ასეთია:

III მუხლი – ავტორი იძლევა სათაურს და იწყებს: საბერძნეთის იმპერატორის არკადი კეისრის (395-408) დროს სომხეთი ამ იმპერიაში შედიოდა, რჯულიც ბერძნული ჰქონდა. სომხები სპარსთა თავდასხმის მუდმივ მუქარას განიცდიდნენ, მათ ბერძნები ეშველებოდნენ ლაშქრით და საერთოდ იცავდნენ სომხეთს. შემდგომ სპარსეთმა სომხეთი დაიპყრო. სომხები აიყარნენ სამშობლოდან და ლტოლვილები მახლობლად ცხოვრობდნენ. ევედრებოდნენ არკადი კეისარს, რათა მიეცა მათთვის

სამხედრო ძალა თავიანთი ქვეყნის სპარსთაგან გასათავისუფლებლად. კეისარმა არ შეისმინა მათი ვედრება. მაშინ გამოძებნეს ღონე სომხებმა, შეუთანხმდნენ სპარსეთს, რომ მისი მოხარკე გახდებოდნენ. დაარწმუნეს სპარსთა მეფე დიდი ფიცით და თავგამოდებით, რომ კავშირს გაწყვეტდნენ ბერძნებთან და შეუერთდებოდნენ მათ. ძლიერ გაიხარა სპარსთა მეფემ და სომხებს სომხეთი დაუბრუნა საჩუქრებთან ერთად. რამდენიმე ხანს სომხები მშვიდობით ცხოვრობდნენ მართალი სარწმუნოებით, ანუ ბერძნული რჯულით.

IV მუხლის I აბზაცი – ამის შემდეგ ნესტორიანებმა დიდძალი ოქროსა და ქრთამის მიცემით სთხოვეს სპარსთა მეფეს, რათა მათთვის მიეცა ნება სომხეთი მოექციათ ნესტორიანულ რჯულზე. განდრიკეს მეფის გული და დაარწმუნეს, რომ რაჟამს იპოვნიან სომხები საბერძნეთთან ერთობის საშუალებას, არ მოერიდებიან შენდამი მიცემულ ფიცს, არც თავგამოდებას სიყვარულისათვის და ბერძნები და სომხები შეერთებული ძალით უსიამოვნებას მოგაყენებენ. ამიტომაც შეუცვალე სომხებს რჯული, ამით ბერძნებსა და სომხებს შორის საუკუნოდ სიყვარულს მოსპობ. ამის შემდეგ პეროზ სპარსთა მეფემ (457-484) აიძულა სომხები მიეღოთ ნესტორიანობა, მაგრამ სომხებმა უარყვეს მეფის ეს განზრახვა, განუცხადეს მეფის მოციქულს – ჩვენ ჩვენი სარწმუნოება გვირჩევნია არა მარტო ჩვენს ქვეყანას, არამედ ჩვენს თავსა და შვილებს.

XI მუხლი – ამის შემდეგ გავიდა ხანი. მოკვდა ვაჰან მამკუენი (505 წ.), რომელიც თავისი მხნეობის გამო სპარსელებს მარზპანად ჰყავდათ დანიშნული. ის ეძიებდა ქრისტიანულ სამართალს. მის შემდეგ ეროვნებით სპარსელებმა მიიღეს მარზპანობა. მათ შეურაცხჰყვეს საქრისტიანო წესი და ეკლესიათა განგება მოისპო. სომეხ აზნაურთა ხელისუფლება დაეცა მარზპანის მიერ და კათალიკოსები და ეპისკოპოსები განიდრიკნენ სიმართლისაგან. მათ სპარსელებისგან მიიღეს უფლება წინაღდგომოდნენ აზნაურთა ხელისუფლებას. უფლება მიეცათ მოსახლეობისგან თვითვე მოეკრიბათ ხარკი და გადაეხადათ სპარსელებისთვის, რადგანაც ეპისკოპოსებსა და ქორეპისკოპოსებს მიანდვეს სომხეთი, როგორც სპარსთა მეფობის მორჩილებს. ზოგიერთმა კათალიკოსმა და ეპისკოპოსმა სპარსეთის მეფეები იშვილეს და თავიანთი ძეები უწოდეს კავად (488-531) და ხოსრო (531-579) მეფეებს. ამით იმას მიაღწიეს, რომ სამთავრო მსაჯულება თვით მიიტაცეს და კანონის სამართლისამებრ არ იქცეოდნენ. ეკლესიის საკუთრება მიითვისეს და ფლანგავდნენ ერისკაცთა საჩვენებლად. სპარსთა უმმერთო მეფის სათნოებისათვის სომეხი ეპისკოპოსები და მონასტერთა მამასახლისები ღვთის განსარისხებელ ამაო ფუფუნებაზე ფიქრობდნენ. და მერე აზნაურნი და ერისაგანნი მათი მიბაძვით განშორდნენ ყოველგვარ კანონებს, წმიდა ნერსესა და წმიდა საჰაკის მიერ განწესებულთ. დაირღვა ყოველი სულიერი სიკეთის ჩვეულება და წესი. ბოროტებამ დაიმკვიდრა დღევანდელ დღემდე. სომხური საეპისკოპოსოები გადაიქცნენ ქედისმოსახრელ ადგილად. მივიდოდნენ ხოლმე აზნაურები საეპისკოპოსო კარზე და მათ ეპისკოპოსები არ იღებდნენ. შერცხვენილნი უკანვე ბრუნდებოდნენ, როგორადაც მარზპანის კარიდან. ეს დიდი შეურაცხყოფა მოუთმენელი იყო.

IV მუხლის დარჩენილი აბზაცები – სპარსთა მეფემ რაღაც მანქანებით შეიცვალა თავისი შეხედულება სომეხთა სარწმუნოების მიმართ (იგულისხმება ხოსრო I) და განუცხადა სომხებს, განყოფოდნენ, განშორებოდნენ ბერძნულ სარწმუნოებას (ე. ი. მართალია, სომეხი სამღვდელოება არასწორად იქცეოდა, მაგრამ სომხების სარწმუნოება კვლავ ბერძნული იყო). მეფემ მიუვლინა მათ მოციქული და განუცხადა: „ერთი ორთაგან გამოირჩიეთ – ან მიიღეთ ასურელთა სარწმუნოება, მელქიტების გარდა – რომელთაც ბერძნული სარწმუნოება აქვთ, ანდა დატოვეთ თქვენი ქვეყანა და დატოვეთ სპარსეთის იმპერიის საზღვრებიო. სომხები ძლიერ შეწუხდნენ, მათ არც სარწმუნოების შეცვლა სურდათ და არც ქვეყნის დატოვება. შეიქმნა დიდი ფიქრი და ბჭობა მათ შორის საკმაო ხნის მანძილზე. მერე ამ საქმის გადაწყვეტა მიანდეს ნერსე კათალიკოსს (548-557), რომელსაც მიჯინი ერქვა.

ნერსე II-მ დაამონა სული ხორცს, არ შეისმინა სახარების ხმა – თუ მთელ ქვეყანას შეიძენ და სულს მოიკლავ, რას მიიღებ მის სანაცვლოდ? არამედ პირუტყვულად იზრახა და თქვა – უმჯობესია ჩვენი სიკვდილი, ვიდრე ამჟამად ბერძენთადმი მიბრუნება, ქვეყნიდან მეორედ აყრა-გადასახლება და ჩვენი ამოწყვეტა სიღარიბეშიო.

სომხებმა მწუხარებით ამცნეს სპარსთა მეფეს, რომ მიიღებდნენ იაკობიტთა სჯულს (მონოფიზიტურ რწმენას, რომელიც უფრო ახლოს იდგა ბერძნულთან, ვიდრე სხვა სექტები). დაწერილია: მცირე ცოდვა აღორძინდება და დიდად იქცევა. მეფე დაკმაყოფილდა და მიუვლინა სომხებს ცხრა იაკობიტი ბოროტი მოძღვარი, ცბიერი მელების მსგავსნი. მათ განრყვნეს სომხეთი, ნამოღვაწევი წმიდა გრიგოლის ცრემლით და შრომით.

და ყვეს კრება ქალაქ დვინში, მიიღეს ხაჩეცარი და განდგნენ მართალი (ბერძნული) და ჭეშმარიტი სარწმუნოებისგან. ამის გამო ისინი მოწყვეტილ იქნენ წმიდა დიდებულ კათოლიკე და სამოციქულო მსოფლიო ეკლესიისგან. იქვე დვინს განაწესეს არაჯორი, და თქვეს – ეს არის პირველი დღე ჩვენი სარწმუნოებისაო (სომხური წელთაღრიცხვა იწყება დვინის ამ კრებით 551 წელს). ბოროტი ბოროტს დაუმატეს, არ ეზიარნენ ქალკედონის კრებას და ღვთის პირისგან გავარდნენ.

VII მუხლის ბოლო აბზაცი – მრავალი სიკეთე აღუთქვა ხოსრო II-მ ნერსე II კათალიკოსს, რომელსაც შუა (სომხურად მიჯინი) ეწოდა. ამით მისი გული შეარყია, მოიწვია დვინის პირველი კრება და სომხეთი განშორდა ბერძნულ სჯულსა და იერუსალიმს. ამის გამო ყოველი ქართლი და სომხეთის მეოთხედი განეყენენ სომეხთაგან მღვდლობის ხელდასხმას, ხოლო ჰერნი და სივნიელნი ერთ პერიოდში განშორდნენ და შემდეგ კვლავ შეერივნენ.

IX მუხლი – სომხეთში მრავალი მწვალებლობა გავრცელდა: საბელიანოსთა, იაკობიტთა და ტიმოთე კვერნისა, რომელიც მანიქეველთა სენით იყო შეპყრობილი. ამათ მკვდარი ივლიანე ჰალიკარნასელი ეპისკოპოსის ხელი დაიდვეს და ამ გზით ახალი ეპისკოპოსი აკურთხეს, რადგანაც ორი ეპისკოპოსი ჰყავდათ, ხოლო მამებს ნათქვამი აქვთ – სამი ეპისკოპოსის მიერ არის საჭირო ახალი ეპისკოპოსის კურთხევა და სანამ ივლიანეს დამარხავდნენ, აიღეს მისი ხელი, დაადეს ერთ

მათგანს, რომლის კურთხევასაც აპირებდნენ, რის გამოც დღემდე „ხელ-ნამკვდრევნი“ ეწოდებათ. ასე დღითიდღე შეურაცხ-იქმნებოდნენ და არ ჰქონდათ ადგილი, სადაც შეეძლოთ ეპისკოპოსის კურთხევა. გაისმა მთელ სომხეთში, რომ განდგნენ წმიდა გრიგოლის სარწმუნოებისგან, რომ სომეხი იერარქების ხელდასხმა აღარ ხდებოდა კესარიაში, როგორც მისგან ჰქონდათ ნასწავლი. მიუვლინეს ... სპარსთა მიერ დადგენილ ტარონის ეპისკოპოს ნერშაპს და მის ორ მოყვასს და განუცხადეს: მთელი ქვეყანა შეიცვალა და ერთბაშად მიიღეს ნესტორიანობა და ქალკედონიტობა, ჩვენც აღარ ვეკურთხებით მათთან, ამიტომაც აღარა გვაქვს საყდარი, სადაც ხელდასხმა შეგვეძლება. მოგმართეთ, რათა შენ დაგვიდგინო ეპისკოპოსები. სინამდვილეში კი მწვალებლები იყვნენ, რამეთუ სპარსთა მეფენი აიძულებდნენ სომხებს, ბერძნულ სარწმუნოებას განშორებოდნენ, როგორც უკვე ვახსენეთ, რათა სჯულის განშორებით მათ შორის სიძულვილი ჩამოვარდნილიყო და ამით უმეტესად დამორჩილებოდნენ სპარსეთის სამეფოს, და აგრეთვე დიდძალი ქრთამი აღუთქვეს სომეხთა წინამძღვრებს, რათა ასე ექმნათ. ტარონის ეპისკოპოსმა ნერშაპომ აუწყა ნერსე II კათალიკოზს, პეტრე ქერდოლს, სხვა ეპისკოპოსებსა და აზნაურებს და ბრძანეს მეორე დიდი კრების ჩატარება დვინში – მეორე წელს (553-54 წლებში). ამ კრებაზე შეაჩვენეს ქალკედონის კრება, უწოდეს ნესტორიანული, მიიღეს ერთბუნებიანობა და ხორცითა და უკვდავი ბუნებით ქრისტე ჯვარცმულად იქადაგეს. განსაზღვრეს შეჩვენებით განდგომა მართალი სარწმუნოებისგან. ზემოხსენებული მოძღვრები ასურეთში გაგზავნეს ამ ამბის სახარებლად, რომ მათ უკვე ერთობით ეპყრათ ერთნაირი წვალება და თავის მიტროპოლიტად დაიდგინეს ხელნამკვდრევი ჰალიკარნასელი მიტროპოლიტი, ზოგი კი აბდიშო ასურს ეკერძოებოდა.

მუხლი VIII – ამის შემდგომ სხვა კრება მოიწვია მანასკერტში სომეხთა კათალიკოსმა იოანემ (გაბელენელი 557-574), მან წმიდა საიდუმლოს განაშორა წყლის დართვა და პურის აფუება. დაამტკიცა ბალარჯი და ურწყოჲ, რაც არ უსწავლებია წმიდა მამათა I კრებას, წინ აღუდგა საღრმთო წერილს, რომელსაც იტყვის წმიდა მოციქული: სამნი არიან, რომელნიც წამებენ: სული, სისხლი და წყალი. რამეთუ წყლით ნათელვიღებთ ერთგზის საუკუნო ცხოვრებისათვის. წყლის შერევა მოასწავებს ქრისტეს ორ ბუნებას – ღვთაებრივს და კაცობრივს. ამიტომაც საჭიროა განზავება ღვინისა, ასე განმარტავს ათანასე ფსალმუნს. ათანასე კვიპრელი ასევე გვასწავლის და იტყვის – შენ ხარ მღვდელ უკუნისამდე წესსა მას ზედა მელქიზედეკისასა, რამეთუ მელქიზედეკ პურსა და ღვინოსა შესწირვიდა და არა აუფუებელ ნამცხვარს და წყალგაურეველ ღვინოს, ამით ვიცნობთ მღვდლობის სახეს. წმიდა ბასილი იტყვის – აღიღო პური და ამაღლებული მოგიყპრო შენ, ღმერთსა მამასა, აკურთხა, განტეხა და მისცა მოწაფეთა. აგრეთვე სასმელი, ღვინო ვენახისა აიღო, განაზავა და მისცა კურთხეული თავის მოწაფეებს.

მუხლი XII – ვარდან მამკუენმა, რომელსაც ეწოდა ჩოქხი (ურჩი) და მისმა ნათესავებმა მოკლეს სპარსი მარზპანი სურენი და მისი სახლები ცეცხლით დაწვეს (დაახლოებით 572 წ.). სახლეულით ლტოლვილნი გაიქცნენ კონსტანტინოპოლს. კარგად მიიღო იუსტინიანე მეფემ, ხოლო ეს სომხები მასთან ერთად არ

ეზიარნენ. ძლიერ გაუკვირდა მეფეს და იკითხა მიზეზი. მათ უთხრეს: ჩვენმა მოძღვრებმა არ შეიწყნარეს ქალკედონის კრება. ამის გამგონე მეფემ ბრძანა მოწვევა სომხეთის მოძღვრებისა და ეპისკოპოსებისა, რათა გამოიკითხონ და მართალი ცნონ. ჩატარდა დიდი კრება კონსტანტინოპოლში, გამოწვლილვით გამოიძიეს და გამართლდა მართალი სარწმუნოება. ყველამ აღიარა ქალკედონის კრება. მთელმა სომხეთმა დაწყევლა და შეაჩვენა მისი დამგმობელი და შეუერთდნენ ბერძნებს. ითხოვეს მეფისგან სოფიის ტაძრის დასავლეთის კარების აშენება. მისცა მეფემ ნება. ააშენეს და სომხეთის კარი უწოდეს. დაბრუნდნენ სომხეთში. ზოგიერთმა გულმოდგინედ შეიწყნარა ქალკედონიტობა, სხვებმა კი, როგორც გველებმა, უფრო მეტად აღძრეს ერი, აღაშფოთეს მაირაგომელის გადაბირებით. ეს იქმნა იოანე კათალიკოსის დროს (ან იოანე გაბელენელი, ან იოანე კოგოვიტელი (590-611).

XIII მუხლი – ამის შემდეგ მავრიკე კეისარმა (582-602) გაგზავნა მუშელ მამკუენი, სომხეთის დიდი ზორავარი, და მისცა სომხეთი ხოსროს. ხოლო ხოსრომ დვინის ჩათვლით ყოველივე კეისარს დაუმორჩილა და იქმნა მათ შორის მშვიდობა. მისცა მუშელს დიდძალი საბოძვარი და გაგზავნა კონსტანტინოპოლში. კონსტანტინოპოლში მისვლისას დაემთხვა ჯვრის აპყრობის დღესასწაული და მუშელი არ ეზიარა ბერძნებთან ერთად. და არც სხვა სომხები. გამოიკითხა მეფემ და აუწყეს მიზეზი – ქალკედონის კრებასა და ქრისტეს ორ ბუნებას არ ვცნობთო. მეფემ თქვა: შენზე წინ ვარდანმა და მისმა აზნაურებმა შეიწყნარეს ქალკედონის კრება თქვენი მოძღვრების ხელით. ხოლო მუშელმა უპასუხა: ნუ ინებებთ, რომ ჩვენ ქალკედონიტობა შევიწყნაროთ ჩვენი უმეცრებით ანდა თქვენდამი შიშის გამო, უმჯობესია, ბრძანოთ და ჭეშმარიტება ჩვენი მოძღვრებისგან მოისმინოთ. უბრძანა ბერძენთა მეფემ სომხეთის კათალიკოს მოსეს ელივარდელს (574-604) და მის ეპისკოპოსებს, რათა მისულიყვნენ კონსტანტინოპოლში და კვლავ გამოწვლილვით გამოეძიათ სარწმუნოებრივი სიმართლე, მართალი კი დაემტკიცებინათ. ხოლო მოსე კათალიკოსი არ დაემორჩილა და არ წავიდა, არამედ უთხრა ბერძენთა მოციქულებს: არ გადავალ მდინარე აზატზე, რომელიც საზღვარია სპარსთა და ბერძენთა შორის, არ შევჭამ ბერძენთა ფურნიდს და არ შევსვამ ბერძენთა თერმონს (ფურნიდს აფუებულ პურს ეწოდებდა, თერმონს წყლით გაზავებულ ღვინოს), ასევე უპასუხეს ვასპურაგანის ეპისკოპოსებმაც, რომელნიც სპარსთა სახელმწიფოს ემორჩილებოდნენ. არც მათ ინებეს წასვლა. ხოლო ტაროს ეპისკოპოსი და სხვა ბერძენთა მორჩილი სომეხი ეპისკოპოსები სასწრაფოდ ჩავიდნენ კონსტანტინოპოლში. კვლავ გამოიძიეს და მეორედ დაამტკიცეს ქალკედონის კრების სისწორე მავრიკ მეფის წინაშე. ყველამ ერთობით აღიარა ქრისტეს ჭეშმარიტი ორი ბუნება. დაწერეს ფიცი ბერძნებთან ერთობის შესახებ და წამოვიდნენ. როცა სომხეთში მოვიდნენ, მათი სარწმუნოება არ შეიწყნარა მოსე კათალიკოსმა და მისმა სხვა ეპისკოპოსებმა, რომელნიც სპარსთა მიერ დაპყრობილ ნაწილში ცხოვრობდნენ და გაიყო სომხეთი სარწმუნოებრივად. ქალკედონიტებმა დაიდგინეს კათალიკოსად იოანე კოგოვიტელი (590-611).

V მუხლი – ქართველმა კათალიკოსმა კირიონ მცხეთელმა და ჰერთა კათალიკოსმა აბაზმა იხილეს, რომ სომხური ეკლესია კვლავ დვინის იმ კრების ერთგულია, რომელიც აბდიშო ასურის ხელით ჩაატარეს და რომელმაც წმიდა მსოფლიო საყოველთაო კათოლიკე ეკლესიას ჩამოაცილა სომხური ეკლესია. ამ კრებამ სომხური ეკლესია ჩამოაცილა ოთხ მსოფლიო საპატრიარქოს, ამით კი დაირღვა წმიდა გრიგოლ განმანათლებლის ანდერძი კესარიის ეკლესიისადმი, რომ სომხური ეკლესია უკუნისამდე არ განშორდებოდა კესარიის ეკლესიაში სომეხი ეპისკოპოსების ხელდასხმას (სომხეთი კი კესარიის ეკლესიაში ხელდასხმას განშორდა იმის გამო, რომ სპარსთა მეფისგან მიიღო ბრძანება, თვით სომხეთშივე ხელი დაესხათ ეპისკოპოსებისათვის). როცა ასეთი პრაქტიკა კვლავ აღორძინებული იხილეს კირიონ კათალიკოსმა (591-615), ჰერთა კათალიკოსმა აბაზმა (552-596) და სივნიეთის ეპისკოპოსმა გრიგორმა, შეიქნა დიდი დავა სომხეთსა და ქართლს შორის. ქართველნი ამბობდნენ, რომ წმიდა გრიგოლმა საბერძნეთიდან მოგვცა ჩვენ სარწმუნოება, რომელიც თქვენ დაუტევეთ, მისი წმიდა ანდერძი უარყავით და აბდიშო ასურს და სხვა ბოროტ მწვალებლებს დაემორჩილენით. ამ მხილების შემდეგ სომხებმა ქართლი დააბეზღეს სპარსთა მეფესთან, რომ ქართველებს რომ-საბერძნეთის სარწმუნოება აქვთო. ასეთივე დავა იყო ქართველთა და სომეხთა შორის ნერსე II-ის დროსაც. ასევე იყო მის საკათალიკოსო ტახტზე მჯდომ აბრაამის დროსაც. ამ დროს განდევნა ქართლის კათალიკოსმა კირიონმა მოსე ცურტავის ეპისკოპოსი თავისი ეპარქიიდან, რომელიც წმიდა შუშანიკის საფლავზე იყო. თხოვა აბრაამმა კირიონს ეს ეპარქია, ხოლო მან არ მისცა. და გადიდდა მათ შორის ცილობა. მოუხმო აბრაამმა არარატის პროვინციის სამღვდელოებას და უთხრა მათ: ან შეაჩვენეთ ქალკედონის კრება, ან გადით ჩვენი სამკვიდრებელიდან. ზოგიერთი დაემორჩილა და შეაჩვენეს წმიდა კრება, ზოგიერთი კი არ დაემორჩილა და განიდევნენ.

VI მუხლი – აბრაამის შემდგომ დაჯდა კათალიკოსად კომიტასი (607-629), რომელიც ძალზე მდიდარი იყო, შესამოსლის მოყვარე, ბივრილის პატიოსანი თვლებით ამკობდა კვერთხის თავებს. ეს უფრო მეტად მოძულე იყო ქალკედონის კრებისა. მისცა შვიდი საეპისკოპოსო ჰერთა კათალიკოსს და შეიერთა ის. მისცა ჯვრის ტარების პატივი სივნიეთის ეპისკოპოსს. ასეთი ხერხით მთელი სომხეთი გააერთიანა ქალკედონის კრების საწინააღმდეგოდ. გამოძებნა ვინმე დაწყევლილი იოანე მაირაგომელი, აღჭურვა ქალკედონიანობის საწინააღმდეგო წიგნებით და აღუთქვა მის შემდეგ საკათალიკოსო ტახტი. ათარგმნინა მონოფიზიტ და სხვა მწვალებელ ერესიარქთა წიგნები, გაავრცელა და ამ ტყუილით მთელი სომხეთის ქვეყანა დააჯერა. შეცვალა თავდაპირველი საეკლესიო წესები და კანონები, თვითონ კი ახალი მრუდენი შემოიღო. ამ დროს აიშალა ძველი და ახალი კი ვერ დაამტკიცეს (არ დაინერგა). ამის გამო დღემდე ყოველი კაცი სომხეთში თავის მიერ შექმნილ-გამოგონებულ საეკლესიო კანონებს იყენებს. ყველაფერი ეს კომიტას კათალიკოსმა განცოფებული იოანე მაირაგომელის ხელით გააკეთა. შემდეგ საკათალიკოსო ტახტზე ქრისტეფორე დაჯდა (628-630), რომელიც მაირაგომელის

მტერი იყო. გამწარდა სულით იოანე, შემდეგ კი გაიხარა, რადგანაც კათალიკოსი გადააყენეს, მაგრამ მას მაინც არ მისცეს საკათალიკოსო ტახტი. კათალიკოსად ეზრა (630-641) დაჯდა. უფრო შეწუხდა მაირაგომელის მზაკვარი სული. ასეთი მზაკვარება პირველად მოხსენებული კომიტასის გამო მოხდა, შედეგად მაირაგომელის წვალების სწავლებით აივსო მთელი სომხეთი.

VII მუხლი – ამ დროს უკვე აღსრულდა წმიდა გრიგორის ჩვენება, რომელიც მას სულიწმიდამ აუწყა, რომ ცხვრები მგლებად იქცევიან და სხვა ცხვრებს შეუტევენ, უწყალოდ დაკბენენ. ასევე აღსრულდა წმიდა საჰაკის ჩვენება, რომელმაც იხილა ოქროს ბირთვი და ინაფორი წმიდა საკურთხეველზე, რადგანაც არშაკიანთა მეფობის გაუქმებისას წმიდა გრიგორის ნათესაობის მღვდელმთავრობაც შეწყდა. შეწყდა ქარტაში ოქროწერილი ხელნაწერი, შემდეგ კი ოქროწერილის ადგილი სიცარიელემ დაიჭირა. (ეს იმას ნიშნავს, რომ მაირაგომელის მოძღვრებას გაჰყვნენ ზოგიერთნი).

XIV მუხლი – როცა პირველმოხსენებულმა აბრაამ კათალიკოსმა არარატიდან განდევნა სამღვდელოება. იოანე კათოლიკე წმიდის მამასახლისი, ასევე ოშაკნის, ელივარდის, არამუნთას, გარნისის, ყოველი მონასტრისა და მთელი არარატისა მძლავრობით, ზოგიერთნი კი აიძულა შეეჩვენებინათ წმიდა კრება ქალკედონისა. სამი წლის შემდეგ ბასიანში ომი მოხდა, რომელშიც ბერძნები სპარსელებთან დამარცხდნენ, დაიჭირეს ქალაქი კრთიჯი ჰაშტენისა და მეოთხე წელს კარნუ ქალაქი ფოკა უღმერთო კეისრისა, რომელმაც მოკლა მავრიკე მეფის ძენი, მახვილით ააჩეხინა ასპარეზზე. ამავე წელს აჰმადმა აიღო კარნუ ქალაქი, დაატყვევა იოანე ქალკედონიტი კათალიკოსი ბერძნული სომხეთისა. ამავე წელს განდევნა მოსე კათალიკოსმა იოანე კათალიკოსის ქალკედონიტი სამღვდელოება, ზოგიერთი ტაოში წავიდა, ზოგი კი საბერძნეთში.

XV მუხლი – გავიდა ხანი. მოვიდა ჰერაკლე კეისარი (610-640) სომხეთში და იხილა სომეხთა წვალება, ფრიად შეწუხდა მათი წარწყმედის გამო. ბრძანა დიდი კრების მოწვევა მთელი სომხეთის ეპისკოპოსებისა და მოძღვრებისა. მისწერა წიგნი ეზრა კათალიკოსს და აზნაურებს, რათა კარნუ ქალაქში შეიკრიბონ და გამოიძიონ ქალკედონის კრება, რათა ცნონ სომხებმა ქრისტეს ორი ბუნება. მივიდნენ ერთობით მეფესთან. გამოწვლილვით გამოიძიეს მრავალი ძიებით და მართალი დაამტკიცეს. აღიარეს ამ კრებაზე ქალკედონიტობა უკვე მესამედ (632 წ.). დაემორჩილნენ სომხები ფიცითა და ხელწერილით, და როგორც კი უკან დაბრუნდნენ დვინში, მაშინვე იმავე წარსაწყმედელი ვნებისკენ მიიქცნენ, რამეთუ მათი მოძღვრების ადგილი იქ იყო, იქ კვლავ გარყვნეს მართალი. ხოლო იგივე მაირაგომელი აღძრავდა მწვალებელ ბერებსა და გარდმანის ეპისკოპოსს სტეფანეს, ასევე სივნიელ ქერდოლ მათუსალას და სხვა სამღვდელოებას, რომელიც ამ კრებას არ ესწრებოდნენ, რათა ისინი არ ზიარებულიყვნენ ეზრა კათალიკოსისგან. აგულიანებდა მასთან შეერთებულებსაც. რამდენიმე ხნის შემდეგ მივიდნენ სტეფანე ეპისკოპოსი და მათუსალა ეზრა კათალიკოსთან და ეზიარნენ მასთან. როგორც კი გაიგო ბოროტმა მაირაგომელმა ბერმა, რომ ისინი შეუერთდნენ ეზრას და მათუსალა

იკურთხა სივნის ეპისკოპოსად, მაშინვე დიდი შეურაცხყოფით დაუწყო გინება სტეფანეს და მათუსალა ქერდოლს სივნიელს. ეს რომ გაიგო ეზრამ, მოუხმო ამ ბოროტ ბერს და ყველას წინაშე უთხრა: „სამჯერ გიხმე შენ, ასევე სამჯერ ვუხმე სტეფანესა და მათუსალას, რადგანაც ქვეყნის მოძღვრები და მცოდნენი თქვენ ხართ, რომ მოსულიყავით მეფის წინაშე და მასთან გეთქვათ სიტყვა, თქვენ კი არ მოხვედით. ახლა კი ჩვენ გადაწყვეტილებას კადნიერად წინ აღუდგები. ჩვენ ჭეშმარიტებით გამოვიძიეთ წიგნებისა და მოძღვართაგან, მართალი შევიწყნარეთ: ორი ბუნება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი – სრული ღმრთეებითა და სრული კაცებითა, ერთი გვამი და ერთი ხატი განუყოფელი განგებულებითა. ამასვე ემოწმებოდნენ პირველ მამათა წიგნები, რომლებიც ამოვიკითხეთ, ჩვენ მათ ბრძანებას დავემორჩილეთ. კეთილი შევიწყნარეთ. ეს წიგნები აქვე გვაქვს, გადავშალოთ და ჭეშმარიტი ვისწავლოთ“. და როგორც კი პირი დაუხშო წიგნების დამოწმებით, აღმოიბოყინა სიმყრალე, ბოროტი წვალების მსგავსი, და თქვა – არ შევიწყნარებ ამ წიგნებს, რადგანაც ესენი ნესტორიანელებმა დაუმატეს წმიდა წიგნებს. მაირაგომელმა აღძრა მრავალი ადამიანი თავისი წვალების სწავლით, გაიჩინა მრავალი მიმდევარი და მოწაფე. ესენი ერთმანეთს ასწავლიდნენ. მიმდევრები მაირევნელს უწოდებდნენ მას, თავისი სოფლის სახელის მიხედვით. შემდეგ ის წავიდა საბერძნეთს, ისწავლა ცოტაოდენი ენა, რომ ამ ცოდნით კიდევ უფრო მრავალი სომეხი დაერწმუნებინა, დაბრუნდა სომხეთშივე. კიდევ უფრო უარესი მწვალებელი გახდა. ელტვოდა, რომ ეზრას შემდეგ ის ასულიყო საკათალიკოსო ტახტზე დიდ-დიდი კაცების შეწევნითა და მწვალებელთა ნებით, იქადოდა მათთან, რომ ამ ტახტზე ასვლისას წინ აღუდგებოდა ქალკედონის კრებას.

XVI მუხლი – ეზრას შემდგომ საკათალიკოსო ტახტზე ღვთის ნებით ავიდა ნერსე იშხნელი, კაცი ღირსი და მართლმორწმუნე. ამით სრულებით სასოწარიკვეთა ბერმა იოანე მზაკვარმა მაირაგომელმა, უფრო კი იმიტომ, რომ იხილა ნერსე (641-661) კონსტანტინე მცირესთან ერთად მაზიარებელი საბერძნეთში. არ დაცხრა წინააღდგომისგან, ეზრას მსგავსად შეცდა. ნერსემ მოუხმო ეპისკოპოსებს, მოძღვრებსა და აზნაურებს, გამოიძიეს და დაადგინეს მაირაგომელის გაძევება, როგორც მაცდურისა. გააძევა ის წმიდა ნერსე კათალიკოსმა რისხვით, ასევე თეოდორე რშტუნთა უფალმა, სომხეთის ერისთავმა. დადაღეს შუბლზე გახურებული მელიის გამოსახულებიანი სპილენძით, ნიშნად მისი წვალებისა, ორ ბერთან ერთად. წავიდა დევნილი კავკასიის მთიანეთში, იქიდან სასწრაფოდ უკანვე დაბრუნდა, რამეთუ მთიელმა კაცებმა არ მიიღეს, რადგანაც ისინი კერპთმსახურები იყვნენ. გადმოვიდა კამბეჩანში და დაემკვიდრა მცირე ხევში, რომელსაც სომხითის ხევი ჰქვია. მრავალნი დაიმოწაფა, არა მარტო იქ, არამედ მტკვრის აქეთაც, არარატში, გარდმანში, ძორფორსა და სომხეთში. მრავალი აღკვეცა ბერად თავის უწესო მოძღვრებით და აავსო ქვეყანა მწვალებლობის ღვარძლით.

XVII მუხლი – ნერსე კათალიკოსის სიკვდილის შემდეგ მივიდა არარატში იოანე მაირაგომელი დამოწაფებული ბერებით ანასტას კათალიკოსის (661-667) დროს. ანასტასის სიკვდილის შემდეგ მხეცის მსგავსად შევიდა სომხეთში, თავის

თავდაპირველ სამყოფელში, ბიჯნის და მაირევანს, მწვალებლებითა და წინააღმდეგობით აღსავსე და იქ მოკვდა დაუძლურებული ბოროტი ძაღლი 133 წლისა, სომხეთის გამხრწნელი. მისი მოწაფეები სიბერით მოკვდნენ მაირევანს, ელივარდსა და თეოდორე-წმიდას ერთდროულად. და მერე ისრაელ კათალიკოსის (667-677) და გრიგოლ ერისთავის მიერ (მათი მიმდევრები) გაიფანტნენ მთელ სომხეთში აქა-იქ, ქალაქებსა და სოფლებში, ყოველი კაცის საცდუნებლად დღემდე და აქამდე. ასეთია შინაარსი არსენი საფარელის თხზულებისა, უფრო სწორად, ეს არის თითქმის სიტყვა-სიტყვით გადმოღებული მთელი ტექსტი. თავდაპირველ ავტორს ტექსტი ქრონოლოგიურად უნდა ჰქონოდა დაწყობილი. შემდეგ ხელნაწერის ფურცლები აშლილა და არასწორად დაუწყვიათ. ამიტომაც, ვფიქრობთ, ტექსტი ისე უნდა იყოს გადმოცემული, როგორც მოყვანილია ზემოთ. ეს თხზულება უნდა დაიწყოს ასე: – III მუხლი, – IV მუხლის ბოლო აბზაცი, X მუხლი, – XI მუხლი, – IV მუხლის დარჩენილი აბზაცები, – VII მუხლის ბოლო აბზაცი, – IX მუხლი, – VIII მუხლი, – XII მუხლი, – XIII მუხლი, – V მუხლი, – VI მუხლი, – VII მუხლი, – XIV მუხლი, – XV მუხლი, – XVI მუხლი, – XVII მუხლი.

მონოფიზიტობის ხანგრძლივობის შესახებ საქართველოში

რამდენ ხანს გაგრძელდა მონოფიზიტობა აღმოსავლეთ საქართველოში, ანდა იყო თუ არა ქართული ეკლესია ოდესმე მონოფიზიტური? ამ საკითხის შესახებ არსებობს რამდენიმე თვალსაზრისი: ძველ ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა მტკიცებით ქართული ეკლესია არასოდეს მონოფიზიტური არ ყოფილა, თუმცა, ამ მიმართულებას მასზე უარყოფითი ზემოქმედება მოუხდენია (პირველთარგმნილი წმიდა წერილი შერყვნილა). თანამედროვე ისტორიოგრაფიის მონაცემებით, 506 წლიდან კარგა ხანს ქართული ეკლესია მონოფიზიტური ყოფილა. სომეხ საეკლესიო მოღვაწეთა მტკიცებით კი, ქართლი მონოფიზიტური ყოფილა 607/9 წლამდე, კირიონამდე.

„506 წლის დვინის საეკლესიო კრების შემდეგ, ქართლის ოფიციალური საეკლესიო სარწმუნოება სხვა ქვეყნების მსგავსად, კარგა ხანს მონოფიზიტური იყო... 571 წლის აჯანყებამ, უეჭველია, იმავე დროს ანტიმონოფიზიტური სახეც მიიღო. ამის მოწმობაა ის ცნობა, რომ უკვე 574 წელს ქართველებსა და ალბანელებს უარი უთქვამთ ქალკედონიტების წინააღმდეგ ბრძოლაზე... VI ს-ის 90-იან წლებში კი მონოფიზიტები აქ საბოლოოდ დამარცხებულან“.[71]

„...როგორც კი სპარსელების გავლენამ შესუსტება იწყო, მაშინვე თავი წამოყვეს ქალკედონიტებმა. მათ უკვე 574 წელს, გურგენის აჯანყებისთანავე, ძალა ჰქონიათ მოპოვებული ქართლში. მე-6 საუკუნის დამლევისათვის კი მონოფიზიტები აქ საბოლოოდ დამარცხებულნი იყვნენ“.[72] ზემომოყვანილი ამონაწერებიდან ჩანს, რომ თანამედროვე ისტორიკოსების თვალსაზრისით, ქართული საეკლესიო სარწმუნოება 506 წლიდან ვიდრე 574 წლამდე, დაახლოებით 68 წლის მანძილზე, მონოფიზიტური ყოფილა.

მონოფიზიტობა შეიძლება პირობითად ორ პერიოდად გავყოთ: პერიოდი, როცა მონოფიზიტობა ასე თუ ისე მიღებული და ზოგჯერ გაბატონებულიც იყო საბერძნეთში, მეორე პერიოდში მონოფიზიტობა იდევნებოდა საბერძნეთში, სამაგიეროდ სომხეთსა და აღმოსავლეთში ის გაბატონებულ სარწმუნოებად იქცა.

დიოფიზიტური სარწმუნოების სიმბოლო შეიმუშავა IV მსოფლიო კრებამ ქალკედონში, 451 წელს. ამ კრებამდე მონოფიზიტები და დიოფიზიტები ერთ ეკლესიას წარმოადგენდნენ, საეკლესიო ერთობას ქმნიდნენ, ხოლო ამის შემდეგ „საბოლოოდ გაემიჯნენ ერთმანეთს“.

451 წლის კრებას საბერძნეთში („რომ-იონთა“ იმპერიაში) გაუმწვავებია სარწმუნოებრივი ურთიერთობა, ამიტომაც იმპერატორი ზენონი იძულებული გამხდარა გამოეცა მონოფიზიტთა და დიოფიზიტთა ერთიანობის აქტი და ამით მოერიგებინა ისინი. „ბიზანტიის კეისარმა ზენონმა (474-491) 482 წელს გამოსცა ერთიანობის აქტი, რომელსაც ჰენოტიკონს უწოდებდნენ. ჰენოტიკონი ცდილობდა მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების მორიგებას და გაურბოდა ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა „ერთი ბუნება“ ან „ორი ბუნება“.[73]

ქართული ისტორიოგრაფიის თანახმად, როგორც ზემოთ ნაჩვენები იყო, „506 წ-ს დვინის საეკლესიო კრების შემდეგ, ქართლის ოფიციალური საეკლესიო სარწმუნოება... მონოფიზიტური იყო...“, მაგრამ 506 წელს მოწვეულ კრებას მიუღია ზენონის ჰენოტიკონი. ზენონის ჰენოტიკონი კი, როგორც აღნიშნული იყო, ქალკედონის კრებას კი არ უარყოფდა, პირიქით, ის მიმართული იყო ქალკედონიტთა და მონოფიზიტთა მორიგებისკენ.

„...დვინის 506 წლის საერთო კავკასიურ კრებაზე ქართლისა და ალბანეთის ეკლესიებთან ერთად სომხურმა ეკლესიამ მიიღო ზენონის ჰენოტიკონი და გადაჭრით დაგმო ნესტორიანელობა“.[74] ასე რომ, 506 წლის კრება მიმართული ყოფილა არა ქალკედონიტთა წინააღმდეგ, არამედ ნესტორიანთა წინააღმდეგ, უფრო მეტიც, ამ კრებას ჰენოტიკონის მიღებით ქალკედონიტები და მონოფიზიტები ერთმანეთთან მოურიგებია, ამიტომაც 506 წელი არ არის ქართული ეკლესიის მიერ მონოფიზიტობის მიღების წელი (სხვა საკითხია ის, რომ თვით ჰენოტიკონი მონოფიზიტობის ელფერს ატარებდა).

ქართული ეკლესიის მონაწილეობა დვინის 506 წლის კრებაზე ნიშნავდა არა ქართული ეკლესიის მიერ მონოფიზიტობის აღიარებას, არამედ კავკასიური (სომხეთ-ქართლ-ალბანეთის ეკლესიების) საეკლესიო ორგანიზაციული კავშირის შეკვრას.

„არსენი საფარელი „ამ კრებას არსად არ ახსენებს, თუმცა, „ეპისტოლეთა წიგნიდან“ მისი არსებობა უნდა სცოდნოდა. იგი მას, როგორც ჩანს, არცა თვლის სომხურ ადგილობრივ კრებათა სათვალავში და სამართლიანადაც. დვინის 506 წლის კრება საერთო კავკასიური საეკლესიო კრება იყო“.[75]

სომხური ეკლესიის მიერ მართლმადიდებლური სარწმუნოების უარყოფა და მონოფიზიტობის დამკვიდრება მსოფლიოს გაუგია არა 506 წლის შემდეგ, არამედ 551/4 წლის კრების შემდეგ – „სომეხთა მონოფიზიტობა ქალკედონური სამყაროსთვის აშკარა გახდა ნერსე მიჯინის მიერ მოწვეული დვინის ადგილობრივი საეკლესიო კრების შემდეგ“.[76]

506 წლის კრება მონოფიზიტური რომ ყოფილიყო, ის ადრევე გახდებოდა ცნობილი და არა 551/4 წლის შემდეგ.

ასოღიკი წერს თავის „მსოფლიო ისტორიაში“ – „სომხები იმ წელსა და იმ დროს განდგნენ ბერძნებთან ზიარებისაგან... მაცხოვრის დაბადებიდან ... გავიდა ჯუმლად 553 წელი“. იოანე ოძუნელი „სომხეთში შემდგარ კრებათა შესახებ“-ში წერს – „ეს კრება უფალმა ნერსემ ქალკედონის კრების საწინააღმდეგოდ მოიწვია“.[77] ვარდან დიდი „მსოფლიო ისტორიაში“ წერს, რომ ერთმა ბერძენმა მოღვაწემ“... წერილი მოსწერა სომხებს და უთხრა, რომ ჩვენს შორის წინააღმდეგობა არ იყო იმ უკანასკნელ ნერსემდე, რომელმაც კრება მოიწვია დვინში...“[78] ე.ი. 551-554 წლებამდე.

ზოგიერთი ძველი ისტორიკოსის თვალსაზრისით, „ბერძნული“ ეკლესიისგან სომხური ეკლესია გამოყოფილა არა 506 წელს, არამედ 551/4 წლებში. ამ დრომდე ამ ეკლესიებს ზიარებაც კი საერთო ჰქონიათ. 551/4 წლის „დვინის კრებიდან გახდა ქალკედონური სამყაროსათვის სომეხთა მონოფიზიტობა აშკარა“.[79]

მაშ, რა საჭიროებისთვის იქნა მოწვეული 506 წლის კრება დვინში? ეს კრება „საერთო კავკასიური საეკლესიო კრება“ ყოფილა, მოწვეული სპარსეთის მიერ ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების უმალვე. ამ კრებამ საფუძველი დაუდო „საერთო კავკასიურ საეკლესიო ერთობას“. საეკლესიო ურთიერთობა, რომლის შესახებაც ასე ხშირად მიუთითებენ ძველი ისტორიკოსები, ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის იწყება სწორედ 506 წლიდან.

სპარსეთს მიზნად ჰქონდა დასახული ამიერკავკასიის ყველა ქვეყანაში სახელმწიფოებრიობა მოესპო, სახელმწიფო სამხედრო-ადმინისტრაციული აპარატი გაენადგურებინა, ხოლო დაპყრობილი ქვეყნები ემართა ეკლესიისა და სამღვდელოების საშუალებით. ასე მოქცეულა სპარსეთი სომხეთში, გაანადგურა ეროვნული სახელმწიფო, ხოლო სომხეთს სამღვდელოების ხელით მართავდა, როგორც არსენი საფარელი წერს. ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შემდეგ სპარსეთს ასევე სურდა მოქცეულიყო საქართველოშიც.

სომხეთში 505 წელს მარზპანის, ვაჰან მამიკონიანის (მამკუენის) გარდაცვალების შემდეგ სპარსელებმა სომხეთს მმართველად – მარზპანად ეროვნებით სომეხი კი აღარ დაუნიშნეს, არამედ სპარსელი, ხოლო სომეხ აზნაურებს აღარ მისცეს საერო მმართველობის უფლება. სპარსელებმა სომეხი აზნაურების ფუნქციები მიანიჭეს სომეხ სამღვდელოებას, ამის შემდეგ სამღვდელოება აზნაურების წინააღმდეგ ყოფილა გამოყენებული. ხარკსაც კი სამღვდელოება ჰკრეფდა, როგორც არსენი საფარელი წერს: „მოკუდა ვაჰან მამკუენი... აქაჲთგან სპარსთა მარზაპანთა დაიპყრეს სომხითი... აზნაურთა ჴელმწიფებაჲ დაეცა სპარსთა მარზაპანთაგან, და კათალიკოზნი და ეპისკოპოზნი განდრკეს სიმართლისაგან და კადნიერება მოიღეს სპარსთაგან წინააღდგომად აზნაურთა და ჴარკსა სოფელთასა თჳთ გარდაიჴდიდეს, რამეთუ ეპისკოპოსთა და ქორეპისკოპოსთა მიანდვეს ქუეყანაჲ, ვითარცა მორჩილთა მეფობისა სპარსთაჲსა... მსაჯულებაჲ მთავრობისა თჳთ მიიტაცეს... იქმნნეს საეპისკოპოსონი, ვითარცა საკერპონი და მივიდიან აზნაურნი კარად საეპისკოპოსოდ და არა ჰპოვიან ჟამი შესლვად, და შეიქციან სირცხჳლეულნი ვითარცა კარისაგან მარზაპანთაჲსა“.[80]

სპარსეთს სურდა, რომ როგორც „სპარსთა მეფობის მორჩილი“ სომეხი სამღვდელოების ხელით დაიმორჩილეს სომხეთი, ასევე დაემორჩილებინათ საქართველო და ალბანეთი. ალბათ ამით იყო გამოწვეული 506 წელს დვინში საეკლესიო კრების მოწვევა. ამ კრებაზე ანტიქალკედონური გადაწყვეტილებების მიღება კი არ ყოფილა მთავარი, არამედ სამღვდელოებისადმი ადმინისტრაციული, ქვეყნის სამმართველო უფლებების გადაცემა. სპარსელებმა პატივი აჰყარეს აზნაურებს და მიანიჭეს ეპისკოპოსებს (თუმცა, ასეთი მოქმედება ქართლში რამდენადმე გაუძნელდებოდათ, რადგანაც აქ სამხედრო-ადმინისტრაციული აპარატი ძლიერი იყო).

სპარსელები ერთნაირი თვალით უყურებდნენ როგორც მონოფიზიტობას, ისე დიოფიზიტობას ამ პერიოდში. მათთვის რელიგიური მიმართულებანი მხოლოდ და მხოლოდ „რომ-საბერძნეთის“ იმპერიასთან პოლიტიკური დაპირისპირების იარაღს წარმოადგენდა. სპარსელები მხარს უჭერდნენ მონოფიზიტობას იმ დროს, როცა ბიზანტია დიოფიზიტობას უჭერდა მხარს და მონოფიზიტებს დევნიდა. 506 წლისათვის ბიზანტია მონოფიზიტებს არ დევნიდა, ამიტომ სპარსეთიც მონოფიზიტობას არ მფარველობდა. განცხადება, რომ „506 წლის კრების შემდეგ ქართლის ოფიციალური საეკლესიო სარწმუნოება მონოფიზიტური იყო“, ალბათ, გადახედვას მოითხოვს.

ერთობას ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის საფუძველი დასდებია არა 506 წელს, არამედ როგორც „ეპისტოლეთა წიგნიდან“ შეიძლება გავიგოთ, 520-22 წლებში. სხვაა 506 წლის საეკლესიო ერთობა, სხვაა 520-იანი წლების ერთობა.

„ეპისტოლეთა წიგნიდან“ ჩანს, რომ კავად I-ის (488-531) დროს ქართლისა და სომხეთის მთავრები და ეკლესიათა იერარქები შეკრებილან და დაუდევთ „ერთობის წიგნი“. ეს არის აღთქმა (ხელშეკრულება), წერილობითი დოკუმენტი, რომელიც დაცული იყო კირიონის დროსაც. ეს ხელშეკრულება მაშინ დაუდვიათ, როცა ბერძენთა იმპერიას ქალკედონიტობა უღიარებია, ესე იგი არა 506 წელს, არამედ შემდგომ. 506 წელს თვით კამათში მონაწილე სომეხი იერარქების მტკიცებით, ბიზანტია ქალკედონური არ ყოფილა, უფრო მეტიც, მათი მტკიცებით, იმპერატორ ანასტასის (491-518) დროს, რომლის დროსაც 506 წელს დვინის კრება ჩატარდა, ბიზანტია მონოფიზიტური ყოფილა. მათი მტკიცებით, ბიზანტია მონოფიზიტური ყოფილა იმპერატორ ზენონის (474-491) დროსაც. ასე რომ, იმპერატორების ზენონისა და ანასტასის დროს, 474 წლიდან 518 წლამდე, ქართულ-სომხური სარწმუნოებრივი ერთობის კრება არ ჩატარებულა. სარწმუნოებრივი ერთობის კრება ჩატარებულა იმ დროს, როცა ბიზანტიას ქალკედონიტობა უღიარებია. სომეხი პოლემისტების აზრით, ბიზანტია ქალკედონიტური გახდა იმპერატორ იუსტინეს დროს (518-527). სწორედ ამ დროს, როცა ბიზანტიამ „ქალკედონის კრება შეიწყნარა“, სპარსეთის მეფე კავადის დროს, შემდგარა სომეხ-ქართველთა ერთობის კრება, ე. ი. 518 წლიდან 531 წლამდე (იუსტინეს მეფობის დასაწყისიდან კავადის მეფობის დასასრულამდე).

518-531 წლებში ჩატარებული კრება და არა 506 წლის კრება არის სომეხ-ქართველთა ერთობის კრება. ამ კრების ჩატარების გასვლიდან 87 წლის შემდეგ, კირიონის დროს, „ერთობა“ დარღვეულა. კრება ჩატარებულა 520-522 წლებში.

520-522 წლები და არა 506 წელი უნდა ჩაითვალოს ქართლის მიერ სომხებთან ერთობის აღიარების წლად.

520-522 წლის კრება ანტიბიზანტიური სარწმუნოებრივი ერთობის კრება ყოფილა, რომლის აქტებსაც ხელი ქართულმა დელეგაციამაც მოაწერა, მაგრამ ქართლის მეფე წინააღმდეგი ყოფილა და ქართველები აჯანყებულან.

ქართველთა აჯანყების მიზეზად პროკოპი კესარიელს სწორედ სარწმუნოებრივი უთანხმოება მიაჩნია. მისი სიტყვით, სპარსელებს კვლავინდებურად ცეცხლთაყვანისმცემლობის გავრცელება მოუწადინებიათ, მაგრამ ჩანს, მიზეზი ისიც იყო, რომ ბიზანტიასა და მის იმპერატორს იუსტინეს (518-527) ქალკედონიტობა უღიარებია, ხოლო სპარსეთი ქართველებს აიძულებდა ბიზანტიელთა საწინააღმდეგო სარწმუნოება, მონოფიზიტობა მიეღოთ.

„მეფე გურგენმა იუსტინე კეისარს (518-527) მოციქულები გაუგზავნა და შეუთვალა: მოგემხრობით და თქვენსკენ გადმოვალთ, თუკი პირობას მოგვცემთ, რომ თქვენ ჩვენ, ქართველებს, არასოდეს სპარსელებს აღარ გადაგვცემთო“.[81] „სპარსეთმა ქართველების განდგომის ამბავი შეიტყო თუ არა, მაშინვე იბერიაში დიდი ჯარი გამოგზავნა. სამწუხაროდ, ბიზანტიელების მაშველი რაზმი იმდენად რიცხვმცირე იყო, რომ სპარსეთის ახალმოსულ ლაშქარს გურგენი ვერ გასცემდა პასუხს. ამის გამო მეფე გურგენი ოჯახით... და ქართველი დიდებულები ლაზიკაში გაიქცნენ... ლაზიკიდან თავისი სახლობითა და ამალით 523 წელს ბიზანტიაში წავიდა“.[82] ბიზანტიამ და სპარსეთმა 532 წელს „საუკუნო ზავის“ ხელშეკრულება დადეს. „...სპარსელებმა, როგორც პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს, ქართველებს ნება აღარ მისცეს საკუთარი მეფე ჰყოლოდათ და მეფობა გააუქმეს“.[83]

„საუკუნო ზავის“ დადების და საქართველოში მეფობის გაუქმების შემდეგ სპარსეთს აღარ გაუჭირდებოდა ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის 520-522 წელს დადებული ერთობის ხელშეკრულება ცხოვრებაში გაეტარებინა. ქართველთა ნების საწინააღმდეგოდ ქართლში ანტიბიზანტიური მონოფიზიტობა გავრცელებულა. 532 წლის საუკუნო ზავის დადების შემდეგ მონოფიზიტობას ქართლში ძლიერი მოწინააღმდეგე ძალები აღარ ეყოლებოდა და მის გავრცელებას ქართლში ხელს ვერავინ შეუშლიდა.

ქართველ ქრისტიანთა რელიგიური გამოფხიზლებისა და მონოფიზიტობის საწინააღმდეგო პროპაგანდისათვის 540-იან წლებში საქართველოში ჩამოდიან ასურელი მამები. ამ წმიდა ბერების თავდაუზოგავი მოღვაწეობის შედეგად ქართლში ქალკედონიტური მიდრეკილება გაღვივებულა და 551/4 წლის კრების შემდეგ ქართლი, არსენი საფარელის თანახმად, ჩამოსცილებია სომხურ ეკლესიას და, მაშასადამე, უარი უთქვამს მონოფიზიტობისთვისაც.

551/4 წლამდე სომხური ეკლესია კათოლიკე – „ბერძნული“ მსოფლიო ეკლესიის ნაწილად ითვლებოდა. ამიტომაც, სომხურ ეკლესიასთან სარწმუნოებრივ-საეკლესიო ერთობა ქართულ ეკლესიას ბუნებრივად მიაჩნდა და სრულებით არ თვლიდა თავის თავს „ბერძნულ“ ეკლესიისგან მოწყვეტილად.

„ბერძნულ“ ეკლესიასთან სომხური ეკლესიის კავშირი სრულიად მიუღებელი გამხდარა სპარსეთისთვის. სპარსეთმა აიძულა სომხური ეკლესია იერარქიულად, ანუ ეკლესიურად ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტა ბერძნულ ეკლესიასთან, ეპისკო-

პოსები ეკურთხებინა „თავით თვისით“, გარდა ამისა, სპარსეთი სომხეთს დამუქრებია, რომ თუ ბერძნულ ეკლესიასთან კავშირს არ გაწყვეტდა, სომხებს გადაასახლებდა სხვა ქვეყანაში.

არსენი საფარელის თანახმად, ამ საქმის გადაწყვეტა სომხებს ნერსე კათალიკოსისთვის დაუვალებიათ – „...მიუგდეს საქმე ესე ნერსე კათალიკოზსა“.[84]

ნერსეს გადაუწყვეტია – „უმჯობეს არს ჩვენდა სიკუდილი, ვიდრეღა... დაგდებაჲ ქუეყნისა და მოწყვედაჲ ჩუენი მწირობით“,[85] ე.ი. სამშობლოს დატოვებასა და უცხოეთში მწირობით გაწყვეტას ყველაფერი სჯობს, სიკვდილიც კიო.

ნერსეს 551/4 წლებში ჩაუტარებია კრება, რომელსაც მიუღია გადაწყვეტილება — სომხური ეკლესია ჩამოსცილებოდა ბერძნულ ეკლესიას. ამ კრების შემდეგ სომხები „განდგეს... და განისხნეს წმიდისაგან და დიდებულისა სამოციქულო კათოლიკე ეკლესიისა...“[86]

551/4 წელსვე ქართული და სომხური ეკლესიები ერთმანეთს დაშორდნენ. ამ წელს დაიწყო „განყოფა სომეხთა ქართლისაგან“, რაც დასრულდა კირიონის დროს.

„ქართველთა დაპირისპირებას აღნიშნული კრების დადგენილებისადმი მოწმობს სამუელ ანუელის „უამთააღწერილობა“.[87]

ქართლი 520/2 წლიდან ვიდრე 551/4 წლებამდე (სულ 30 წელი, უფრო ზუსტად, 532-551 წლებში) ქალკედონურ-მონოფიზიტური მიდრეკილებისა ყოფილა, მაგრამ ის მსოფლიო კათოლიკე ეკლესიის წევრია, რადგანაც თვით საბერძნეთში იმ დროს მონოფიზიტობა გავრცელებული ყოფილა, მის აღმოსავლეთ პროვინციებში კი გაბატონებულიც. არასოდეს ქართული ეკლესია მსოფლიო კათოლიკე ეკლესიას არ დასცილებია, არც ერთი წლით. ის მუდამ მისი ნაწილი იყო, როგორი სარწმუნოებრივი მიმდინარეობისაც მსოფლიო ეკლესია იყო, ქართული ეკლესიაც მასვე იღებდა და იცავდა. ეს მომენტი მუდამ იწვევდა ქართველი საეკლესიო მოღვაწეების ბუნებრივ სიამაყეს. როცა მსოფლიო ეკლესიამ კატეგორიულად და საბოლოოდ უარყო მონოფიზიტობა, ქართულმა ეკლესიამაც უარყო ის.

570-იანი წლების აჯანყების შემდეგ ქართლი საბოლოოდ ქალკედონიტობის გზაზეა, 590-იან წლებში აქ მონოფიზიტები საბოლოოდ მარცხდებიან. 604 წელს სპარსეთი კვლავ იპყრობს ქართლს და აიძულებს ქართულ ეკლესიას განაახლოს სარწმუნოებრივ-საეკლესიო „ერთობა“ სომხურ ეკლესიასთან, რომლის ხელშეკრულებაც ქართველთათვის გაუქმებულად ითვლებოდა 551-554 წლიდან. კირიონი უარყოფს სომხეთთან „ერთობის“ კავშირის აღდგენას, ის გადაჭრით გმობს მონოფიზიტობას და იცავს ქართლში უკვე გამარჯვებულ დიოფიზიტობას 607/9 წელს. ეს თარიღი ძველ სომეხ ისტორიკოსებს ქართულ-სომხური ეკლესიების განყოფის წლად მიუჩნევიათ, არსენი საფარელს კი განყოფის თარიღად 551/4 წელი მიაჩნია.

მართალია, მონოფიზიტობა ქართული ოფიციალური სარწმუნოება არ ყოფილა მაგრამ მონოფიზიტების ზოგიერთ ჯგუფს საკმაოდ მტკიცე პოზიციები ეჭირათ და გავლენას ახდენდნენ მთელ ეკლესიაზე, რადგან მათ დამპყრობელი სპარსეთი და არაბები ხელოვნურად აძლიერებდნენ. ქვემო ქართლსა და ჰერეთში, სომხეთთან სიახლოვის გამო, სომხურ ეკლესიას გაუძლიერებია სომხური ეკლესიისათვის

მისაღები იდეოლოგია. მონოფიზიტობას თითქმის X საუკუნემდე უარსებია მორწმუნეთა ერთ ნაწილში.

ასურელი მამები მონოფიზიტობის წინააღმდეგ

V საუკუნეში ქართული სახელმწიფო და ეკლესია პრობერძნული აღმსარებლობისა ყოფილა, როგორც წმიდა რაჟდენის წამებიდან ჩანს.

VI საუკუნის შუა წლებში საქართველოში ჩამოდიან ასურელი მამები, იწყებენ აქტიურ მოღვაწეობას და საქართველოშივე აღესრულებიან VI საუკუნის ბოლოსა და VII საუკუნის დასაწყისში. თუ შევადარებთ ერთმანეთს იმ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფებოდა ქართული ეკლესია ასურელი მამების ჩამოსვლის დროს, იმ მდგომარეობასთან, რომელშიც იმყოფებოდა მათი მოღვაწეობის დასასრულს, დავრწმუნდებით, რომ ისინი ებრძოდნენ მონოფიზიტურ მიმდინარეობას და გაიმარჯვეს მასზე. მართლაც, VI საუკუნის 30-40-იან წლებში, როგორც მეცნიერები ამბობენ, ჩვენში მძვინვარებდა მონოფიზიტობა, ამავე საუკუნის 70-90-იან წლებში და VII საუკუნის დასაწყისში საქართველო სრულიად ქალკედონიტური მიმართულებისაა, რაც ასურელი მამების ღვაწლის შედეგია, პოლიტიკურ მიზეზებთან ერთად.

რომელ წლებში ჩამოვიდნენ ასურელი მამები საქართველოში, როგორი სარწმუნოებრივი მიმართულებისა იყო ქართული ეკლესია ამ დროს და როგორი მდგომარეობა შეიქმნა მათი მოღვაწეობის დასასრულს – საგანია ჩვენი განხილვისა.



ასურელი მამები საქართველოში ჩამოვიდნენ ფარსმან მეფის და კათალიკოს ევლავის დროს. წმიდათა ცხოვრება წერს, რომ ღირსი მამა იოანე ზედაზნელი და მისი თორმეტი მოწაფე „სიხარულით იქნენ მიღებული ქართველი ხალხის, ფარსმან მეფისა (542-557) და ქართლის კათალიკოს მთავარეპისკოპოსის ევლავის (533-544) მიერ. მატიანე გვაუწყებს, რომ წმიდა კაპადოკიელმა მამებმა ქართულ ენაზე მიმართეს დამხვდურთ „...იოანე ზედაზნელი აღესრულა დაახლოებით 557-60 წლებს შორის, ქართლის კათალიკოს მაკარის (553-559) დროს“.[88]

რუსული საეკლესიო ისტორიოგრაფია, რომელიც ეყრდნობა ქართულ მატიანეებს, მიიჩნევს, რომ ასურელი მამები საქართველოში ჩამოსულან 540-იან წლებში. ეს ის დროა, როცა სპარსეთის ბატონობა ქართლში სრულ სიძლიერეს აღწევს. „542 წელს ხოსრო უზარმაზარი ჯარით მოვიდა ქართლს და აქედან უეცრად გადავიდა ეგრისში, რითაც დაარღვია „საუკუნო ზავი“.[89]

ეს არის ხანა – „როცა სპარსელები იძულებულნი გახდნენ, უარი ეთქვათ მაზდეანობის გავრცელებაზე ამიერკავკასიაში და სამაგიეროდ, მონოფიზიტური ქრისტიანობის მფარველებად იქცნენ, მათ საეკლესიო მწერლობას დაავალეს, მონოფიზ-

იტური იდეები და სპარსეთთან განუყოფელი კავშირის აუცილებლობა ექადაგა. ამ მიზნით სპარსეთის მეფის აგენტებმა შეთხზეს ლეგენდები, ვითომც ქრისტიანობა სომხეთსა, ქართლსა და ალბანეთში ერთი პირის მიერ არის დანერგილი, რომელიც ვითომც სპარსეთთან იყო დაკავშირებული. მონოფიზიტები შეუბრალებლად სპობდნენ დიოფიზიტების, ანუ ქალკედონიტების მწერლობას... სპარსეთის მთავრობა აგრეთვე სხვა საშუალებებსაც მიმართავდა ამ იდეოლოგიური კავშირის განსამტკიცებლად. მას სურდა, მაგალითად, სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის ეკლესიების გაერთიანება, რომ უფრო ადვილი ყოფილიყო მათი მართვა სპარსელი მოხელეებისათვის".[90]



540-იანი წლები მიაჩნია ივანე ჯავახიშვილს ასურელი მამების საქართველოში შემოსვლის თარიღად. „...ასურელი მამები ყველანი ერთად და ერთ დროს არ უნდა იყვნენ მოსული, არამედ პირველად დავით გარეჯელია გამომგზავრებული, რომელიც ეგების V ს-ის დამლევსაც კი იყოს მოსული, შემდეგ იოანე ზედაზნელი თავისი მოწაფეებითურთ – VI ს-ის შუა წლებში. დაახლოებით ამავე დროს, მაგრამ, ეტყობა, დამოუკიდებლივ მოსულად ჩანს ანტონ მარტყოფელი..."[91]

„იოანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების მოსვლის თარიღად ბროსეს 540 წ. აქვს მიღებული. ეს თარიღი სვიმონ მესვეტის ზეობის 521-596 წლებზე აქვს დამყარებული და ფარსმანის ზეობაზე".[92] ბროსეს ეთანხმება ივ. ჯავახიშვილი. „თ. ჟორდანიას აზრით, „იოანე ზედაზნელის მოწაფითურთ წარმოსვლა და დამკვიდრება საქართველოში მოხდა 541-557 წლებში, როდესაც საქართველოში მძვინვარებდნენ სომხების მონოფიზიტები. ეკლესია ქართველთა საშიშ მდგომარეობაში

იყო და ამ გარემოებამ, ჩემის ფიქრით, გამოიწვია ასურელ მამათა თავგანწირვა და წამოსვლა დასაცველად ჩვენის სჯულისა მწვალებელთაგან..."[93]

„ქართლის ცხოვრების" თანახმად: ...შემდგომად ოთხას ოცისა წლისა გამოიკითხა და გამოიძია წმიდამან მამამან ჩუენმან არსენი ქართლისა კათალიკოსმან..."[94] ის, კ. კეკელიძის თანახმად, კათალიკოსობდა – 955-980 წლებში. მისი ზეობის თარიღს თუ გამოვაკლებთ 420 წელს, მართლაც მივიღებთ 540-იან წლებს. კ. კეკელიძე წერს, რომ „როგორც დღეს გამოანგარიშებულია, ორმოციან წლებში მოვიდა ჩვენში..."[95] იოანე ზედაზნელიო.

„ქართლის ცხოვრება" წერს, – „მოკუდა კათალიკოსი ჩერმაგ, და ამანვე ფარსმან მეფემან და-

სუა საბა. აქათგან არღარა მოიყვანებდეს კათალიკოსსა საბერძნეთით. არამედ ქართველნი დასხდებოდეს, წარჩინებულთა ნათესავნი. და მოკუდა კათალიკოსი საბა, და მანვე მეფემან დასუა კათალიკოსად ევლათი. მისვე ფარსმანის-ზე მოვიდა იოვანე შუამდინარით, რომელსა ეწოდა ზედაზადენელი, განმანათლებელი ქართლისა და განმწმედელი სჯულისა, მაშენებელი ეკლესიათა, რომელმან ქმნა სასწაულები და ნიშები მრავალი, მან და მოწაფეთა მისთა, რომელთა განაკჳრნეს ყოველნი ქართველნი... სახელები წმიდათა მოწაფეთა: იოვანე ზედაზადენელი, დავით გარესჯელი, სტეფანე ხირსელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, ანტონი მარტყოფელი, ისე წილკნელი, თათე სტეფანწმიდელი, შიო მღვიმელი, ისიდორე სამთავნელი, აბიბოს ნეკრესელი, მიქელ ულუმბოელი, პიროს ბრეთელი და ელია დიაკონი“.[96]

„ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ასურელი მამების საქართველოში ჩამოსვლა თითქმის ემთხვევა ქართულ ეკლესიაში დანერგილ ახალ წესს, კათალიკოსი აღარ მოჰყავდათ საბერძნეთიდან, არამედ ადგილზევე ირჩევდნენ ეროვნებით ქართველს. ამ ახალი წესის დანერგვის ნებართვა თითქოსდა იმპერატორ იუსტინიანეს გაუცია (527-565),[97] მაგრამ იუსტინიანეს უფლება არ ჰქონდა ქართლზე, რადგან აქ სპარსელები ბატონობდნენ. ჩანს, სპარსეთის ხელისუფლებამ აკრძალა ქართლში ბერძენი ეპისკოპოსის ჩამოსვლა, ქართველი კათალიკოსის ადგილზე არჩევას კი ხელი არ შეუშალეს. ასეთი პრაქტიკა მიუღია და უღიარებია ბიზანტიის სამეფო კარს, რადგანაც მისთვის გაცილებით უფრო მისაღები იყო ავტოკეფალური ქართული ეკლესია, ვიდრე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება ან ძალზე შეზღუდვა და მისი დამორჩილება პროსპარსული ორიენტაციის (აღმოსავლურ-სომხური) ეკლესიისადმი. საბერძნეთიდან კათალიკოსის ჩამოყვანის აკრძალვა მაინც ნიშნავდა იმას, რომ ქართული ეკლესია ჩამოაშორეს ბერძნულ-რომაულ ეკლესიას. 506-532 წლებში მრავალგზის ჩატარებული ამიერკავკასიის ეკლესიების გაერთიანებული კრებების მიზანი იქნებოდა, ქართული ეკლესია სარწმუნოებრივად და იერარქიულად დაექვემდებარებინათ პროსპარსული დვინის საკათალიკოსოსადმი. მონოფიზიტობის გაძლიერებას მოჰყვა დიოფიზიტობის დევნა ქართლში. სწორედ ამის შემდგომ, მალე, 540-იან წლებში ჩამოდიან ასურელი მამები.

ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისით, ძველ ქართველ ავტორთა თხზულებების მიხედვით, ასურელი მამების „...მოღვაწეობის მიზანს აღმოსავლეთ საქართველოს განმტკიცება შეადგენდა „სარწმუნოებითა მართლითა“, ე.ი. ისინი მართლმადიდებლობის გასამაგრებლად მოსულან“.[98] „ისტორიკოს ჯუანშერს ნათქვამი აქვს: „მოვიდა იოანე შუამდინარეთიდან, რომელსა ეწოდა ზედა-ზნელი, განმანათლებელი ქართლისა და განმწმედელი სჯულისა-ო“.[99]

„IX-XII სს. ქართველი მწერლებისათვის ერთადერთი „მართალი სარწმუნოება“ ქალკედონიანობა იყო და როცა ისინი ამბობენ, რომ ასურელი მამები „მართალი სარწმუნოების“ განმტკიცებისათვის იღვწოდნენო, ეს იმას ნიშნავს, რომ ქალკედონიანობის გამარჯვებისათვის იბრძოდნენ, ამისდა გვარად მათი „განმწმედელობა სჯულისა“-ც უნდა მონოფიზიტობის საწინააღმდეგო ბრძოლას ჰგულისხმობდეს“.[100] ივანე ჯავახიშვილი დაასკვნის – „...იოანე ზედაზნელის მეთაურობით მოსული

ასურელი მამები არამცთუ მონოფიზიტები არ ყოფილან, არამედ სწორედ მონოფიზიტობის დაუძინებელი მტრები იყვნენ“.[101] თითქმის ყველა მკვლევარი აღიარებს, რომ VI საუკუნის I ნახევარში ქართლში გაიმარჯვა მონოფიზიტობამ. ნიშნავს ეს იმას თუ არა, რომ საქართველოში ქალკედონიანობა მთლიანად მოისპო იმ დროს? არა, არათუ მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა ყოფილა ქალკედონიტური, არამედ თვით ეპისკოპოსები და საეპისკოპოსოების საკმაო რაოდენობა ქალკედონიტური ყოფილა. „...მონოფიზიტობის საქართველოში გამარჯვებით ქალკედონიანნი არ მოსპობილან, როგორც დავრწმუნდით, 9 ეპისკოპოსი ამ კრებას არ დასწრებია, ოქმებზე ხელი არ მოუწერიათ. მათი მოქმედება და ბრძოლა, უეჭველია, შემდეგშიც არ შეწყდებოდა. VII ს-ის დამლევს უსახელო თხზულებაში... აღნიშნულია, რომ 574 წელს ბიზანტიიდან სომხეთში დაბრუნებულმა მონოფიზიტებმა ქართველებსა და ალბანელებს სთხოვეს მათთან ერთად ქალკედონიანობას წინააღდგომოდნენ, მაგრამ ალბანელებსაც და ქართველებსაც უარი უთქვამთ. უკვე ეს გარემოება საქართველოში მომხდარი ცვლილებების მაუწყებელია“.[102]

„...574 წლისათვის საქართველოში მონოფიზიტობას სიმტკიცე უკვე შერყეული უჩანს და ქალკედონიანობას ქართული საეკლესიო წრეებში თანაგრძნობა უკვე მოპოვებული ჰქონია. ასურელ მამათა მოღვაწეობის ფაქტი სწორედ ქალკედონიანობის საქართველოში ამ გამარჯვების გაგებას გვიადვილებს. როგორც ასურელ ბერებს ქალკედონიანობის თავიანთი რწმენის გაბატონებისათვის სამშობლო მიუტოვებიათ და ალბანეთში მისულან საქადაგოდ, ისევე მომხდარა საქართველოშიც და ასურელი მამები მოსულან. შინაგანმა სარწმუნოებრივმა ბრძოლამ, ასურელ მამათა ენერგიულმა მოღვაწეობამ, ბიზანტიისაკენ ცხადად გადახრილი პოლიტიკური ორიენტაციის მძლავრმა გავლენამაც ქალკედონიანობას საქართველოში მონოფიზიტობაზე გამარჯვება შეაძლებინა“.[103]

არა თუ 574 წელს, არამედ მანამდეც, ასურელი მამების საქართველოში ჩამოსვლისთანავე, კერძოდ, VI საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში, ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის უთანხმოება წარმოშობილა, სომხური ეკლესია ირანის მოთხოვნით ამიერკავკასიის მასშტაბით ლიდერი ეკლესია გახდა, რომელსაც გარკვეული თვალსაზრისით ქართულ და ალბანურ ეკლესიებზე გავლენა ჰქონდა, ამიტომაც უთანხმოება სომხურ ეკლესიასთან ირანის წინააღმდეგობასაც ნიშნავდა. „...უთანხმოების პირველი ნიშნები მე-6 საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში გაჩნდა, როდესაც სომხურმა ეკლესიამ ირანის უზენაესობა აღიარა და დვინის ადგილობრივ კრებაზე მონოფიზიტობის მემარცხენე მიმდინარეობა ივლიტიანობა გამოაცხადა თავის ოფიციალურ მრწამსად. ქართლისა და ალბანეთის ეკლესიებმა დვინის კრების განსაზღვრებებს მხარი არ დაუჭირეს, არ დაგმეს ქალკედონის კრება, მაგრამ არც ანტიმონოფიზიტობას დაადგნენ აქტიურად. ირანის იმპერიამ მე-6 საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს კიდევ სცადა, ბიზანტიის საწინააღმდეგო ერთიანი მონოფიზიტური ბანაკი შეეკრა ამიერკავკასიაში...“[104] არსენი საფარელის მიხედვით, სომხური ეკლესიის კრება, რომელმაც აშკარად და გადაჭრით მიიღო მონოფიზიტობა VI საუკუნეში, შემდგარა 551 წელს დვინში, კათალიკოს

ნერსე მიჯინის დროს. ამის გამო, სომხურ ეკლესიას ჩამოსცილებია ქართული და ალბანური ეკლესიები. ქართულ ეკლესიას არ დაუგმია ქალკედონის კრება, რასაც მისგან მოითხოვდნენ, მაგრამ არც მტკიცე ანტიმონოფიზიტურ პოზიციაზე დამდგარა, სამაგიეროდ, არსენი საფარელის სიტყვით, ქართულ ეკლესიას სრულებით გაუწყვეტია იერარქიული კავშირი 551 წელს სომხურ ეკლესიასთან, რადგანაც, თავის მხრივ, სომხურ ეკლესიას იერარქიული კავშირი გაუწყვეტია ბერძნულ ეკლესიასთან.

თუ ქართულ ეკლესიაში შექმნილ მდგომარეობას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ 540-იან წლებში ასურელი მამების საქართველოში ჩამოსვლის დროს ჩვენში მონოფიზიტობას გარკვეული პოზიციები აქვს, ათი წლის შემდეგ, ასურელი მამების მოღვაწეობის წყალობით, ჩვენში ქალკედონიტობის პოზიციები უფრო ძლიერია, ვიდრე მონოფიზიტობისა, რაც 551 წლის კრებაზე გამოჩნდა, ოცი წლის შემდეგ კი – 574 წელს ქართულ ეკლესიაში ქალკედონიტობა გამარჯვებულია. ასურელმა მამებმა 30 წელიწადში გაწეული ღვაწლის წყალობით შეძლეს არა მარტო ქალკედონიზმის სრული გამარჯვებისათვის მიეღწიათ, არამედ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ქალკედონიზმის გამარჯვებამ შექმნა თეორიული საფუძველი ქართული და სომხური ეკლესიების ურთიერთდაშორებისათვის, სომხური ეკლესია კი თავისი ენისა და კულტურის გავრცელებას ცდილობდა მთელ ირანულ ამიერკავკასიაში, ასე რომ, ასურელი მამების მოღვაწეობამ განამტკიცა ქართული კულტურის ეროვნული საფუძველი და თავიდან იქნა აცილებული ეროვნულ-კულტურული გადაგვარების აშკარა საფრთხე.

„ასურელ მამათა ეროვნების შესახებ დ. ბაქრაძეს ნათქვამი აქვს: „ახლა ჩვენს მწერლობაში ვრცელდება აზრი, ვითომც ათ-ცამეტნი მამანი ყოფილიყვნენ ქართველნი ნათესაობით. ეს აზრი ჩვენი წარმოდგენითაც უსაფუძვლო არ არის“. ამის საბუთად მას ერთი მხრივ ის მოსაზრება მოჰყავს, რომ „სულ ძველად ქართველნი მოღვაწენი და მთარგმნელნი ანტიოქიაში და მის გარშემო შრომობდნენ თავიანთი მამულის სასარგებლოდ“ – მეორე მხრივ ისიც, რომ ასურელი მამები „შემოდიან თუ არა საქართველოში, ქართულად საუბრობენ, ქართულადვე ასრულებდნენ წირვა-ლოცვასა და ჰმოძღვრობდნენ თვით ქართველ ერსა...“[105]

შეიძლება ასურელი მამები ქართველები არ იყვნენ, მათ მიერ ქართულად საუბარი, წირვა-ლოცვა, ქართული ენის წინა პლანზე წამოწევა და მისთვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა გამოწვეული უნდა ყოფილიყო არა ეროვნული, არამედ სარწმუნოებრივი მოსაზრებით. საქმე ის არის, რომ უკვე იმ დროს, ე.ი. VI საუკუნის შუა წლებში სპარსეთის იმპერიაში ბერძნული ენა აკრძალული იყო, მისი გამოყენება წირვა-ლოცვისა და მღვდელმსახურების დროს არ შეიძლებოდა, როგორც ქალკედონიტობის ენისა. V საუკუნეშიც ბერძნული ენა სასტიკად იყო აკრძალული – როგორც მოსე ხორენელი წერს. ცნობილია, რომ VI საუკუნეში სპარსეთის იმპერიაში ქრისტიანებისთვის ნებადართული ენა ღვთისმსახურებისთვის იყო სომხური და ასურული ენები. ერთი საუკუნით ადრე სპარსეთმა მოსთხოვა სომხებს ბერძნულენოვანი ღვთისმსახურების ნაცვლად შემოეღოთ ასურულენოვანი ღვთისმსახურება. ბერძნულენოვანი წიგნები დაწვეს, ბერძნულად საუბარი აკრძალეს. ეს იყო

ჯერ კიდევ სომხური ანბანის შემოღებამდე – 405 წლამდე. სომხური ანბანის შემოღების შემდეგ, სპარსეთმა აკრძალა თარგმნა ბერძნული ენიდან და ბერძნული წიგნების გამოყენება. ამ დროს უკვე ნებადართული იყო სომხური და ასურული ენებით ღვთისმსახურება, ხოლო ბერძნული კი აკრძალული. VI საუკუნეში, საქართველოს სპარსთა მიერ დაპყრობის დროს, ბერძნულენოვანი ღვთისმსახურება, ბერძნული ენიდან თარგმნა აიკრძალებოდა, ისე როგორც იმპერიის სხვა კუთხეებში. თავდაპირველად ქართულენოვანი ღვთისმსახურება არ აიკრძალებოდა, მაგრამ იმის შემდეგ, რაც ქართველების უმრავლესობა ქალკედონიტური აღმსარებლობის მაღიარებელი გახდა, დაიწყებოდა ქართული ენის დევნაც, რადგანაც ქართული და ბერძნული ენები მიჩნეული იქნებოდა ქალკედონიტობის ენებად, ხოლო სომხური და ასურული ენები მონოფიზიტობის ენებად. სპარსელებისთვის უცნობი არ ყოფილა ქართველებისა და ბერძნების ურთიერთმეგობრობა და სიყვარული იმ საუკუნეებში. წმიდა რაჟდენის წამებიდანაც ჩანს, რომ ქართველები იდევნებოდნენ როგორც ბერძენთა მეგობრები. იდევნებოდა ქართული ენა, როგორც ქალკედონიტობის მატარებელი ენა ბერძნულის მსგავსად. სწორედ ამიტომ ასურელი მამები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ქართულ ენას. ქართული ენა მათთვის ქალკედონიტობის იარაღია. ეს იარაღი განსაკუთრებით გამოსადეგი იყო იმ დროს, რადგანაც ქართული ენა მოსახლეობის დედაენა იყო, ამიტომაც მისი აკრძალვა სპარსეთს მხოლოდ ზოგადად შეეძლო ეკლესიებში და არა ქვეყანაში, ხოლო ბერძნული ენა მკაცრად იკრძალებოდა არა მარტო ეკლესიებში, არამედ მთელ ქვეყანაში, ისე როგორც V საუკუნის სომხეთში, რაც მოსე ხორენელს კარგადა აქვს აღწერილი.

რატომ მიიჩნეოდა ქართული ენა ქალკედონიტობის ენად? იმიტომ რომ ქალკედონიტობა ეროვნულ სარწმუნოებად ქცეულა უკვე VI საუკუნის საქართველოში, ამიტომაც, ეროვნებით ქართველისა და სარწმუნოებით ქალკედონიტის როგორც საეკლესიო, ისე დედაენა ქართული ენა იყო. ეროვნებით ქართველი, მაგრამ სარწმუნოებით მონოფიზიტი მოსახლეობის არსებობა საქართველოში უეჭველია როგორც VI, ისე VII საუკუნეში. მათი დედაენა იყო ქართული ენა, მაგრამ სარწმუნოების, ანუ საეკლესიო ენა იყო სომხური, ისე როგორც ალბანელი მონოფიზიტებისა. მიზეზი ამისა იყო ის, რომ მონოფიზიტობის ენად სომხური ენა დაფიქსირდა. ივ. ჯავახიშვილი წერს: „მაგრამ სპარსეთის სომხეთში მონოფიზიტობა მაინც დიოფიზიტობასა ანუ ქალკედონიანობაზე უფრო ძლიერი იყო. ამ დროისათვის სომეხთა გავლენიან წრეებში ამ მოძღვრებას ისე მაგრად ჰქონდა უკვე ფესვები გამდგარი, რომ თითქმის ეროვნულ სარწმუნოებად იყო უკვე ქცეული“.[106]

სომხეთში საკმაოდ ძლიერი და გავლენიანი იყო დიოფიზიტობა, მაგრამ მონოფიზიტობა უფრო ძლიერი ყოფილა და ამიტომაც ეროვნულ სარწმუნოებად ქცეულა. საქართველოში კი პირიქითა მდგომარეობა იყო VI საუკუნის შუა წლებიდან. ჩვენში, თუმცა ძლიერი იყო მონოფიზიტობა და მას მხარს თვით სპარსეთი უჭერდა, მაგრამ დიოფიზიტობა უფრო გაძლიერებულა და ეროვნულ სარწმუნოებად ქცეულა. ამ მიზეზის გამო საქართველოში მცხოვრები სარწმუნოებით მონოფიზიტი, მაგრამ ეროვნებით ქართველი მოსახლეობა თავის თავს აკუთვნებდა არა ქართულ,

ე.ი. ქალკედონიტურ ეკლესიას, არამედ სომხურ, ანუ მონოფიზიტურ ეკლესიას. ეროვნებით ქართველი, მაგრამ სარწმუნოებით მონოფიზიტი მოსახლეობა იმის შემდეგ, რაც სპარსეთის გავლენა შემცირდა ქართლზე, თავისი სარწმუნოების დაცვის მიზნით სწავლობდა სომხურ ენას, ეზიარებოდა სომხურ საეკლესიო კულტურას, იცავდა სომხური ენის პოზიციებს თავის ეკლესიაში, წირვა-ლოცვის ენად აღიარებდა სომხურს. ამით იყო გამოწვეული ცურტავის სომხურენოვანი ქართული მოსახლეობის მიერ კირიონის ენობრივი რეფორმის წინააღმდეგ გამოსვლა. ცურტავის, ანუ საპიტიახშოს მოსახლეობამ არცთუ სიხარულით მიიღო ერთი სირიელი მამათაგანი – დავით გარეჯელი. ადგილობრივმა მთავარმა ბუბაქარ დიდებულმა მისი მოკვლაც კი დააპირა. ადგილობრივი მოსახლეობის საეკლესიო სომხურენოვნების შესახებ არის ნაკვალევი დარჩენილი დავით გარეჯელის ცხოვრებაში. დავითის მიზანი იყო, გაექალკედონიტებინა ადგილობრივი ქართველობა, რისთვისაც ზოგადად მიუღწევია. ამაზე მიუთითებს ქართული საეკლესიო ენის დანერგვა კირიონის მიერ ამ მხარეებში VII საუკუნის დასაწყისში. 614 წლის ე. წ. სპარსული კრების შემდეგ, სპარსეთის იმპერიის ქრისტიანებს მიეცათ ბრძანება დამორჩილებოდნენ სომხურ ეკლესიას, ანუ რაც იგივეა, მიეღოთ მონოფიზიტობა. საქართველო და მისი სამეფო კარი, ცხადია, იძულებული იქნებოდა დამორჩილებოდა იმპერიის ამ ბრძანებას, ეღიარებინა სომხური სარწმუნოება – მონოფიზიტობა. ამ მიზეზის გამო ქართლის მეფე, ანუ მთავარი სტეფანოზი მონოფიზიტი უნდა ყოფილიყო, რისი მინიშნებაც თითქოსდა გვაქვს შიო მღვიმელის ცხოვრებაში. სტეფანოზი „განუდგა ბერძენთა და მიექცა სპარსთა“.[107] ის „იყო ურწმუნო და უშიში ღმრთისა“, „არა ინება განდგომა სპარსთაგან“, მას ჰერაკლე ბერძენთა კეისარმა მეფობა ჩამოართვა. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ ასეთ ურწმუნო მეფეს არ უშინდებიან შიომღვიმის ბერები და კონფლიქტი აქვთ მასთან. ჩანს, თვით სპარსთა უდიდესი გაძლიერების დროსაც კი, როცა VII საუკუნის დასაწყისში სპარსეთმა წარმატებით შეუტია ბიზანტიას, დაიპყრო მისი მიწები და იერუსალიმიც კი აიღო, ასურელ მამათა მიერ დაარსებული მონასტრები კვლავ ქალკედონიტობის კერები არიან და თვით არაქალკედონიტ მეფე-მთავარსაც თავის ძალას აგრძნობინებენ.

კ. კეკელიძეს მიაჩნია, რომ ასურელ მამებს თავიანთი მოღვაწეობა მონასტრების საშუალებით განუხორციელებიათ – „არავითარი საბუთი იმისა, რომ ჩვენში ეგრეთ წოდებული ათცამეტ მამათა მოსვლამდე მონასტრები ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით ყოფილიყო, არ არსებობს. პირველად მონასტრები ჩვენში დააარსეს აღნიშნულმა მამებმა...“[108] ძველი მწერლის, ბასილი ვაჩესძეს აზრითო, წერს კ. კეკელიძე, „ათცამეტ ასურელ მამებმა იმდენი ნიში და საკვირველებანი აჩვენესო, იმათ რომ ბერძენთა შორის ჰქონოდა ადგილი, „ძლითმცა აღსარიცხველ წერილებს შექმნიდნენ“, ესე იგი დასწერდნენ ამის შესახებ, ჩვენში კი არავინ იზრუნა ამისათვის, ვინაიდან „ნათესავნი ქართველთა არის მარტივ და ამასთან ლიტონიცაო“.[109]

სარწმუნოების განმტკიცება ყოფილა ასურელი მამების უმთავრესი დამსახურება. მონაზონი მაკრინე, რომელიც ზოგადად გამოხატავს ეკლესიის თვალსაზრისს, წერს, ასურელმა მამებმა „განამტკიცეს და განაახლეს ნინოს მიერ ქადაგებული სარწმუნოება“.[110]

ნინოს მიერ ქადაგებული სარწმუნოების აღდგენა მთავარი დამსახურება ყოფილა სირიელი მამებისა. „ამიტომ უფრო დამაჯერებელი ჩანს ტრადიციულ თვალსაზრისს თანხვედრილი მოსაზრება ივ. ჯავახიშვილისა, რომლის თანახმადაც, ასურელი მამები სწორედ დიოფიზიტები უნდა ყოფილიყვნენ და სწორედ ქალკედონელთა (დიოფიზიტთა) პოზიციების განსამტკიცებლად უნდა გამომგზავრებულიყვნენ მძაფრი რელიგიური წინააღმდეგობების ასპარეზად ქცეულ საქართველოში. ამ შემთხვევაში მათი მოღვაწეობის სავსებით ლოგიკურ შედეგად წარმოისახება VII საუკუნის დამდეგს ქართული ეკლესიის მკვეთრი შებრუნება დიოფიზიტობისაკენ“.[111]

მართალია, მონოფიზიტობის ბატონობას რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში VI საუკუნის მანძილზე და VII საუკუნის დასაწყისში ქართულ ეკლესიაზე თავისი კვალი დაუტოვებია, მაგრამ საზოგადოდ ქართველი ერის სიმტკიცისა და მდგრადობის გამო საქართველოში მწვალებლობას ვერ გაუმარჯვნია, რასაც სიამაყით აღნიშნავდნენ კიდეც ქართველი მოღვაწენი.

„უნდა ითქვას, რომ ქართველი ერის სარწმუნოებრივი ისტორიის განვითარების შესახებ VIII ს-დან მოყოლებული, მეტადრე კი X-XI საუკუნეებში რომ საბოლოო ჩამოყალიბებული მკაცრი ე.წ. მართლმადიდებლობა გაბატონდა. ამ ხანაში ამ საკითხის წარსულზედაც გარკვეული უცილობელ ჭეშმარიტებად მიჩნეული მოძღვრება ჩამოინაკვთა და დაკანონდა. ამ დებულებით სხვაგან თუ ქრისტიანობა მრავალგზის შელახულა მწვალებლობისაგან და არაერთხელ და არა ერთგან ესა თუ ის მწვალებლობა გაბატონებულა კიდეც, საქართველოში ხალხმა პირველითგან მიღებული ქადაგება და მოძღვრება ვითომც უცვლელად და შეუბღალავად დაიცვა, მწვალებლობა საქართველოში მას არასდროს არ შეუშვია და მართლმადიდებლობისათვის არ უღალატია“,[112] – წერს მეცნიერი. ძველი ქართველი მოღვაწენი არ მალავდნენ და არ აფერადებდნენ ეკლესიის მდგომარეობას აღნიშნულ პერიოდში, მაგალითად, გიორგი მცირე, რომელსაც თავის თხზულებაში მოჰყავს გიორგი მთაწმინდელის სიტყვები – „რაჟამს ერთგზის გჯცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხულ გინა მარჯულ“. არც იმას მალავს და აღიარებს, რომ „ქუეყანაჲ ჩუენი შორს იყო ქუეყანისაგან საბერძნეთისა და ვითარცა თესლნი არაწმიდანი შორის ჩუენსა დათესულ იყვნეს ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი“, „ამის მიერ ფრიად გუევნებოდა, რამეთუ ნათესავი ჩუენი წრფელ იყო და უმანკოჲ, ხოლო იგინი (ე. ი. სომეხნი) რეცა მიზეზითა წესიერებისაჲთა, ცთუნებად გუაზმნობდეს და რომელნიმე წიგნნიცა გუაქუნდეს მათგან (ე.ი. სომხურიდან) თარგმნილნი“.[113] გიორგი მცირე გულისხმობს VI საუკუნისა და VII საუკუნის გარკვეულ პერიოდებში მონოფიზიტური მწვალებლობის, ანუ სომხური ეკლესიის მომძლავრებას ქართულ ეკლესიაზე. მისი აზრით, „პირველითგანვე გუაქუნდეს წერილნიცა და სარწმუნოება ჭეშმარიტი და მართალი“, რომელნიც შემდგომ ამღვრეულა მონოფიზიტობის მწვალებლობის მომძლავრებით ქართლში და IV-V საუკუნეებში ბერძნული ენიდან მართლად თარგმნილნი წმიდა წიგნები მონოფიზიტთა გამო VI-VII საუკუნეებში სომხურიდან უთარგმნიათ ანდა შეუსწორებიათ.

ასურელი მამების ღვაწლიც ის ყოფილა, რომ ქართული ეკლესიისთვის თავიდან აუცილებიათ დიდი საფრთხე მონოფიზიტობის ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, სომხური სარწმუნოების აღიარებისა.

„ეპისტოლეთა წიგნის“[114] მოკლე შინაარსი

1. „ეპისტოლეთა წიგნი“ იწყება ცურტავის ეპისკოპოს მოსეს ეპისტოლეთი ვრთანეს ქერდოლისადმი, რომელიც სომხეთის კათალიკოსის ადგილის მცველი იყო. მოსე აცნობებს ვრთანესს, რომ ის სიყრმისას მისულა ცურტავის საეპისკოპოსოში, რომლის მოწაფედაც ითვლებოდა. იქ ისწავლა ქართული და სომხური მწიგნობრობა, შემდეგ პიტიახშის კარის საყდრის მოძღვარი გახდა. შემდეგ მოსე აცნობებს – ახლაღა მივხვდი, რომ სარწმუნოებრივი თვალსაზრისით „...ქართველთ მხოლოდ მწვანით შეფერილი ფოთლები ჰქონიათ“ (გვ.2). ქართველებიო, წერს ის, იმ უნაყოფო და ხშირფოთლიან ლეღვის ხეს ჰგვანან, რომელზედაც უფალმა ნაყოფი ვერ ჰპოვა ფოთლების გარდაო. „ასევე ესენი კაცთა მოსაწონებლად ცდილობდნენ მთელი მსახურება სრულად და სავსებით წარმოედგინათ. ხოლო როცა შევიტყვეთ ქალკედონის კრების ურიული განსაზღვრების განდიდება... ხმა ავიმაღლეთ და მტერი გავხდით კათალიკოსად წოდებულისა, ყველა მთავრისა და იმ ქვეყნისა და ბოლოს ვიდევნე...“ (გვ.2). ახლა, რადგანაც სომხეთის საკათალიკოსო ტახტი თავისუფალია, თქვენ გაცნობებთ იმ (ე.ი. ქართველთა) ქვეყნის დაღუპვას. ამჟამად დევნილი, არაგაწის მთის ძირას ერთ-ერთ მონასტერში ვიმყოფები. მე მივწერე ცურტავის ეკლესიის სომხურენოვან სამწყსოს, თქვენც ინებეთ და მისწერეთო.

მოსე ეპისკოპოსის ეპისტოლედან ნათლად ჩანს, რომ ის ცურტავს ქართველთა ქვეყნად მიიჩნევს, ცურტაველებს არ აცალკევებს ქართველებისგან, რომელთაც უნაყოფო ლეღვის ხეს ადარებს. ცურტავის ეკლესიას წარმოადგენს მთლიანობაში ქართულ ეკლესიასთან, რომლის გარეგანი მხარე, მისი აზრით, მშვენიერია, ხოლო შინაგანად უნაყოფოა. გარდა ამისა, ქართველები ყოველგვარ საეკლესიო წესს მთელი სისავსით აღასრულებენ, მაგრამ ესეც კაცთა მოსაჩვენებლად არისო. მოსე სთხოვს ვრთანესს, როგორც აღვნიშნეთ, რომ მან წერილი მისწეროს ცურტავის სომხურენოვან სამწყსოს. ცურტავის სომხურენოვანი სამწყსო ეროვნებით სომხური რომ ყოფილიყო, მაშინ სრულებით არ იქნებოდა საჭირო აღნიშვნა მათი სომხურენოვნებისა, პირდაპირ სთხოვდა, წერილი მისწერე ცურტაველ სომხებსო, მაგრამ წერილს სწერენ არა სომხებს, არამედ სომხურენოვან ქართველებს, ე.ი. სომხური საეკლესიო ენისა და ქართული დედაენის მქონე ქართველებს. თარგმანი „სომხურენოვანი“ მთლად ზუსტი არ არის. ძალზე ძნელია მისი ქართულად გადმოღება, აქ იგულისხმება სომხური მწიგნობრობის მქონე და ასევე სომხური მღვდელმსახურების მქონე ადგილობრივი ქართველობა. პირობითად შეიძლება „სომხურენოვანად“ ითარგმნოს შესაბამისი სომხური ტერმინი, თუმცა, შეიძლებოდა „სომხური წიგნის მქონედაც“ თარგმნილიყო. ეს „სომხური წიგნის მქონე“ ან „სომხურენოვანი“ ქართველები წმიდა გრიგოლის ტახტის ერთგულ მრევლად მიაჩნიათ. მოუ-

ლოდნელი არ არის და ასე იყო თითქმის მთელი შუასაუკუნეების მანძილზე, როცა ერთ რომელიმე ხალხს მღვდელმსახურება ჰქონდა არა დედაენაზე, არამედ უცხო ენაზე. ცხადია, მათი წიგნებიც უცხოენოვანი იყო. მაგალითად, გერმანელებს მღვდელმსახურება ჰქონდათ არა მშობლიურ გერმანულ, არამედ უცხო ლათინურ ენაზე, მათი წიგნებიც ლათინურენოვანი იყო. ამიტომაც მათთვის შეიძლებოდა „ლათინურენოვანნი“ ეწოდებინათ.

2. ვრთანეს ქერდოლი პასუხად მოსეს აქებს, ამხნევებს და აცნობებს, რომ მან წერილი მისწერა „სომხურენოვან“ მრევლს (იგულისხმება ან ცურტავში, ან მთელ საქართველოში).

3. „ეპისტოლეთა წიგნში“ მოტანილია მოსე ეპისკოპოსის საყოველთაო ეპისტოლე ცურტავის ეკლესიის „სომხურენოვანი“ თემისადმი, რომელშიც ის გმობს ქალკედონიტობას. როდესაც ის „დაემორჩილა“ იმათ, რომელთაც მისი ეპისკოპოსად კურთხევა უნდოდათ და „ისმინა მათი მოწოდება“, როცა ეპისკოპოსი გახდა, უეცრად „შეეყარა გმობას“ – „...დავემორჩილეთ და გულმოდგინედ ვისმინეთ მოწოდება, რისთვისაც უეცრად შევეყარეთ გმობას რასმე...“ (გვ.7), ანუ ქალკედონიტობას. მეო, – წერს ის, – ვერ შევძელი დუმილით დამეფარა სნება – „...რის გამო აღვიძარით კიდეც, ამის გამო მტრად ვიქეცით ყოველთა. რამდენადაც ვამხილეთ, იმდენად უფრო დაგვემუქრნენ მღვდელმთავარნი და მთავარნი, ვიდრე არ გამაძევეს“ (გვ. 8). ძალზე საყურადღებოა, რომ მოსე ცურტავის ერთ კუთხეში ამხელს ქალკედონიტობას და მას მაშინვე მყისიერად დაემუქრნენ სრულიად ქართლის მთავრები და ეპისკოპოსები, მთელი ქვეყანა მტრად გადაეკიდა. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ცურტავი ქართლის განუყოფელი ნაწილია. „...ხმა ავიმაღლეთ და მტერი გავხდით კათალიკოსად წოდებულისა, ყველა მთავრისა და იმ ქვეყნისა და ბოლოს ვიდევნე“ (გვ.2).

მოსე აფრთხილებს თავის „სომხურენოვან“ მრევლს, ფრთხილად იყოს. „ქურდულად შემოაცოცეს და შემოიღეს მწვალებლობა...“ (გვ. 11). „აწ ესე ყოველი ვიცით რა, საყვარელნო, ვიაროთ სამეუფეო გზით, ნურც მარჯვნივ გადავუხვევთ და ნურც მარცხნივ“ (გვ. 12).

4. „ეპისტოლეთა წიგნში“ მოტანილია ეპისტოლე, რომელსაც სათაურად აქვს „მიზეზი ორბუნებიანთა მეოთხე კრებისა, მოსე ქართველთა მართლმადიდებელი ეპისკოპოსისა“ (გვ. 15). ამ სათაურიდანაც ჩანს, რომ მოსე ცურტაველი ეპისკოპოსი არის მონოფიზიტი, ანუ „მართლმადიდებელი“, რადგან სომხები ასე უწოდებდნენ მონოფიზიტებს. ამასთანავე, რაც აღსანიშნავია, მოსე არის ეროვნებით ქართველთა ეპისკოპოსი. მას უწოდებენ „მოსე ქართველთა მართლმადიდებელ ეპისკოპოსს“. აქედანაც ჩანს, რომ ცურტავის „სომხურენოვანი“ თემი ქართველების თემია, ოღონდ ამ ქართველებს სომხური ტიპიკონი აქვთ მიღებული, ისინი საეკლესიო დანიშნულებისთვის სომხურ წიგნებს ხმარობენ, ამიტომაც „სომხურენოვანნი“ არიან. თვით სომხური ეკლესია მათ ქართველებად მიიჩნევს და არა სომხებად, ამიტომაც მათი ეპისკოპოსი მოსე „ქართველთა“ ეპისკოპოსია. ეს არის უეჭველი ფაქტი, დადასტურებული პირველხარისხოვან წყაროში – „ეპისტოლეთა წიგნში“, ამიტომაც ამ ფაქტის იგნორირება არ შეიძლება.

5. მოსე ეპისკოპოსმა მიიღო საპასუხო ეპისტოლე „სომხურენოვანთაგან“, ანუ როგორც თავიანთ თავს უწოდებენ, „ძმობისაგან“, ისინი, კერძოდ, შესჩივიან მას,“ – ... ხოლო თუ არა, ჩვენთვის სხვა ღონე არ არის: ან უნდა დავრჩეთ ამ ქვეყანაში და ამის სურვილისამებრ მოვიქცეთ, ან დავტოვოთ და განვეცალოთ“ (გვ. 31). ე.ი. ან კირიონის სურვილისამებრ უნდა მოვიქცეთ, ან გავეცალოთ ამ მხარეებსო. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს „ძმები“ სომხურენოვანი თემის სასულიერო მეთაურები არიან და სწორედ ეს „ძმები“. რამდენიმე კაცი აპირებს საქართველოს დატოვებას და არა მთელი სომხურენოვანი თემი.

6. ვრთანეს ქერდოლმაც მისწერა წერილი სომხურენოვან თემს. ის სწერს „...სავანეთა ხუცესებს, სოფლის მღვდლებს, აზნაურებსა და გლეხებს, მოხუცებსა და ყრმებს. ყველა და ყოველ ერისკაცს მაგ სომხურენოვანი ქვეყნებისას, რომელნიც ხართ ცურტავის ეკლესიის განმგებლობაში“ (გვ. 32). აქედან ჩანს, რომ ცურტავის ეკლესიაში უნდა ვიგულისხმოთ არა დაბა ცურტავის ერთი რომელიღაც ეკლესიის მცირერიცხოვანი სამწყსო, არამედ ცურტავის ეკლესია ყოფილა ცენტრი მრავალრიცხოვანი „სომხურენოვანი“ თემისა, რომელშიც შედიან „ქვეყნები“ (და არა ერთი ქვეყანა), სავანეები, სოფლები, აზნაურები, გლეხები და ა.შ. ეს არის სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს სომხური ტიპიკონის მქონე ქართული მოსახლეობა, ხოლო როცა მოსე ეპისკოპოსს „ძმობამ“ მისწერა, ან კირიონის სურვილებს უნდა დავემორჩილოთ, ან ქვეყანა უნდა დავტოვოთო, აქ იგულისხმება. რომ ქვეყნის დატოვებას აპირებს არა მთელი „სომხურენოვანი“ თემი, არამედ სწორედ „ძმობა“, ანუ ამ თემის სასულიერო მეთაურები. მთელ „სომხურენოვან“ თემს, ცხადია, ქვეყნის დატოვება არ შეეძლო, მაშინ მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველო მკვიდრი მოსახლეობისგან, ანუ ქართველებისგან დაიცლებოდა.

ვრთანესი წერს, რომ სომეხ-ქართველ-ალბანელ ეპისკოპოსთა გაერთიანებულ კრებას თავის დროზე საშინელი წყევლით აღმოუფხვრია ქალკედონიტობა, ახლა კი კირიონი თავის ეპისკოპოსებთან და მთავრებთან ერთად ქალკედონიტობას იწყნარებს და განადიდებსო. გვესმა თქვენს შესახებაც, რომ თქვენ თავდადებული ხართ მართლმადიდებელი სარწმუნოებისათვის (ანუ მონოფიზიტობისათვის), რომელიც თქვენს ქვეყანას დასაბამითვე შეუწყნარებიაო.

7. ვრთანეს ქერდოლს უპასუხებენ „სომხურენოვანნი“. ისინი, სხვათა შორის. სიტყვა „ქართლს“ არ ხმარობენ, ხოლო თითქოსდა კავკასიის იმ მხარეში, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, სწორი სარწმუნოება წმიდა გრიგოლის მიერ ყოფილა დანერგილი. ჩანს, ეს პასუხი დაწერილია არა მთელი თემის, არამედ მისი სასულიერო ხელმძღვანელების, „ძმების“ მიერ. ისინი ნატრობენ, რომ სომხური ეკლესიის მეთაურმა „...მოჰკითხოს ცთუნებულ ჩვენს ქვეყანას..., რადგან მანდედან დახმარებისა და ზურგის გარეშე შეუძლებელია ყოფნა – ისეთ მძლავრ ამაყს, რომელიც მამამთავრად იწოდება, შევყრილვართ, თუ არა, უნდა დავტოვოთ ეს ქვეყანა და წავიდეთ“. ქვეყნის დატოვებასა და წასვლას აპირებს არა „სომხურენოვანი“ თემი, არამედ რამდენიმე კაცი, მსგავსნი მოსე ეპისკოპოსისა, რომელნიც თავიანთ თავს მთელი თემის მეთაურებად აცხადებენ და ასეთი სახის ეპისტოლეებს აგზავნიან (გვ. 34).

8. მოსე ეპისკოპოსი მეორე ეპისტოლეს უგზავნის ვრთანეს ქერდოლს, სადაც ითხოვს, რომ ვრთანესმა შესაბამისი წერილები მისწეროს კირიონს, ქართლის მთავრებს – ატრნერსესა, ვაჰანსა და ბუზმიჰრს – „ქალკედონის კრების მხილებით და ერთი დავალების წიგნი – პეტრეს“. პეტრე – ქართველი მონოფიზიტი ეპისკოპოსია, ამიტომაც მას ქალკედონის კრების „მხილების“ წიგნი არ უნდა მიეწეროს – არამედ „დავალების წიგნი“. პეტრე ქართველი ეპისკოპოსი ვალდებულია დავალება შეასრულოს. კირიონის შესახებ წერს, რომ „...იგიც მაგ წმიდა საყდრის მოწაფეა“ – ე.ი. სომხური ეკლესიისა. ასევე წერს: „...ალბანეთიდან ქართლის ქვეყნამდე ჩვენ გვხვდა წილად შეგვესრულებინა სახარება ქრისტესი...“, ვითომდა მთელი ამიერკავკასია სომხური ეკლესიის კერძია.

9. ვრთანესი უპასუხებს მოსეს, რომ მან წერილები დაწერა ქართლის კათალიკოსისა და მთავრებისადმი. ზოგიერთი წერილის გაგზავნა თავისი კაცის ხელით ვერ გაბედა ან ვერ შეძლო, ამიტომაც სთხოვს მოსეს, წერილები წაიღოს მისმა კაცმა. თუ უარყოფითი პასუხები მოგვივაო, წერს, მაშინ „...უბრძანე თქვენს ნაცნობ და საყვარელ მთავრებს, მოსწერონ ჩვენი ქვეყნის დიდებულ მთავრებს, რომ ჩვენ თვითონ წავიდეთ ამათი ბრძანებით და ქრისტე ღმერთის შეწევნით ვამხილოთ, რათა გამოსწორდნენ“. თუ არ გამოსწორდებიან, ჩვენ ფეხთა მტვერს მივაყრით, მოვალეობა მოხდილი გვექნებაო. აქედან ჩანს, რომ ვრთანესსა და სომეხ იერარქებს უფლება არა აქვთ ქართლში ჩასვლისა, გულითაც რომ მოიწადინონ, ალბათ, პოლიტიკური სიტუაციის გამო. ის ასეთი ხერხით აპირებს ქართლში ჩასვლას და ქართველთა „მხილებას“: – მოსეს ნაცნობმა და მეგობარმა ქართველმა მთავრებმა უნდა მისწერონ სომეხ მთავრებს, რომ სომეხ იერარქებს ქართლში ჩასვლის უფლებას აძლევენ. ჩანს, ქართლში ისეთი მთავრებიც არიან, რომელნიც მეგობრობენ მოსესთან, ანუ უთანაგრძნობენ მონოფიზიტებს (გვ. 38).

10. ქართველ მონოფიზიტ ეპისკოპოს პეტრეს სწერს ვრთანეს ქერდოლი, უწოდებს „ღვთივმომადლებულ პატივით გაბრწყინვებულ დიდებულ უფალ პეტრეს“ (გვ. 38). — „...თქვენს ქვეყანაში განადიდებენ ამ კრებას, რის გამოც მაგ ქვეყნის ერთი ეპისკოპოსი ლტოლვილი წავიდა... ხოლო თქვენ როგორც მიიღეთ ღმერთის ქომაგობა თქვენს თავზე, ასევე მტკიცედ იდექით მაგ საქმის აღსრულებამდე...“ (გვ. 39). აქედან ჩანს, რომ ქართველი ეპისკოპოსი პეტრე მონოფიზიტობის ქომაგია ქართველთა ქვეყანასა და ეკლესიაში. ვრთანესი ავალებს პეტრეს, რათა პეტრემ მისწეროს სომეხ მთავრებს, რომ მათ სომეხ იერარქებს ქართლში ჩასვლის ნება დართონ.

11. კირიონ კათალიკოსს, ქართველ ეპისკოპოსებსა და მთავრებს სწერს ვრთანეს ქერდოლი, – „...ეხლა შევიტყვეთ, რომ თქვენ ქალკედონის უსჯულო კრებასა და ლეონის ტომარს მართლმადიდებლურად და დიდების ღირსად თვლით“ (გვ. 41).

„თქვენმა ღვთისმოყვარებამ არ უნდა მიიღოს მეტი ვისიმე მოძღვრება, თუ არა სამი წმიდა და წრფელი კრებისა... ამაზე მეტი სარწმუნოების საზღვარი ჩვენსა და თქვენს მამებსა და მოძღვრებს არ შეუწყნარებიათ“ (გვ. 41) და ა. შ. „უკეთუ რაიმე ეჭვი გაქვთ გულში და მის შესახებ გსურთ გამოიკვლიოთ, მოსწერეთ ჩვენი ქვეყნის დიდებულ მთავრებს, რათა მოვიდეთ მანდ“ (გვ. 43).

12. მოსე ეპისკოპოსი მესამე ეპისტოლეს უგზავნის ვრთანეს ქერდოლს. აუწყებს, რომ კირიონთან თქვენი ეპისტოლეს მიტანა ჯერ ვერავინ გაბედა, შემდეგ, როცა მიუტანეს და წაიკითხა, ადივსო რისხვით, ფერი ეცვალა, „წყევლიდა, აგინებდა და ათრევდა სომხეთს და წერილის პასუხი არც თვით დაწერა და არც სხვებს დააწერინაო“ (გვ. 43). იმუქრებოდა, ამ წერილს „იერუსალიმის ქალაქის მამამთავართან წავაღებინებ, რომ პასუხი გასცესო“. კირიონს იმიტომ სურდა იერუსალიმში სომეხთა წერილის გაგზავნა, რომ ეკლესია საზოგადოდ იერუსალიმის სჯულიერი დაქვემდებარების ქვეშ მიაჩნდა, თუმცა, მართალია, 554 წლის შემდეგ სომხურმა ეკლესიამ ოფიციალურად გაწყვიტა კავშირი დედა-ბერძნულ ეკლესიასთან.

ჩანს, 506-520-იანი წლების სომხურ-ქართულ-ალბანური გაერთიანებული კრებების შემდეგ სომხეთი ამ კრებების გადაწყვეტილებების შესრულებას დაჟინებით მოითხოვს სარწმუნოებრივი თვალსაზრისით, სამაგიეროდ იმავე კრებების გადაწყვეტილების შესრულებას კირიონი მოითხოვს იერარქიულ-სულიერი დაქვემდებარების თვალსაზრისით, ანუ თუ სომხეთი ითხოვს ამ კრებების სარწმუნოებრივი კურსი დაიცვას, კირიონი მოითხოვს, ამ კრებების მიერ გამოტანილი დადგენილება მსოფლიო ეკლესიასთან კავშირის შესახებ დაიცვას სომხურმა ეკლესიამ.

13. ვრთანესი უპასუხებს მოსეს: შენი წერილიდან შევიტყვე, თუ რატომ არ გამცა კირიონმა პასუხი. ქართველ აზნაურთაგან კი ზოგიერთებმა პასუხი მომწერეს. მაგრამ მათი პასუხი სნეული, მბოდავი ავადმყოფის ლაპარაკს გავს, რომელმაც არ იცის, რას ამბობს. ისინი მწერენ, – „...ჩვენ ეს სარწმუნოებაცა გვაქვს და ეგეცო, სჯულს აქაც ვეზიარებით და მანდაცო, მოსეს თუ სურს, მოვიდეს, ჩვენს კათალიკოსს დაემორჩილოს, რადგან ჩვენ ასე მოგვწონს, და თავისი ადგილი დაიკავოსო“ (გვ. 45).

ქართველი აზნაურების პასუხიდან ნათლად ჩანს, რომ შეიძლება ქართველი მმართველი ზედაფენისთვის სარწმუნოებრივი მიმართულების საკითხი მნიშვნელოვანი არ არის, მაგრამ ისინი სისხლხორცეულად დაინტერესებულნი არიან ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობით. ქართველ აზნაურებს მონოფიზიტობა იმდენად აინტერესებთ, რამდენადაც ის პოლიტიკასთან არის დაკავშირებული, კერძოდ, მონოფიზიტობა სომხური ეკლესიის ხელში იქცა იარაღად, რომლის საშუალებითაც ის აპირებს ქართული ეკლესიის, ან მისი რომელიმე ნაწილის დაქვემდებარებას სომხურისადმი. ასეთი პოლიტიკის მკვეთრი მოწინააღმდეგენი არიან ქართველი აზნაურები. ისინი სარწმუნოებრივი, ასე ვთქვათ, განურჩევლობის თუ ზომიერების გამო მზად არიან უკანვე მიიღონ მოსე ცურტავის ეპისკოპოსი, არ შეეხონ მის მონოფიზიტობას და დაუბრუნონ მას საეპისკოპოსო ტახტი, ოღონდ ერთი პირობით – მონოფიზიტი მოსე განუხრელად უნდა დაექვემდებაროს ქართული ეკლესიის მეთაურს. მის სარწმუნოებრივ შეხედულებას არავინ შეეხება, ქართული ეკლესიის ერთიანობის დარღვევის და დეცენტრალიზაციის უფლებას კი არ მისცემენ.

პასუხიდან შეიძლება გავიგოთ, რომ ცურტავი და მისი სამწყსო ქართლშია და მის სამწყსოს ქართველები შეადგენენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სპარსთა მიერ ქვეყნის დაპყრობის დროს, ცურტავსა და მის სამწყსოზე უფლება არ ექნებოდათ ქართველ აზნაურებს, და აგრეთვე ის, რომ ქართლში მართლაც ფეხი აქვს მოკ-

იდებული ჰენოტიკონის მიმდევარ, ანდა მონოთელიტობის მაგვარ სარწმუნოებრივ შეხედულებას, ეს არის ქალკედონიტებისა და მონოფიზიტების შემრიგებლური პოლიტიკა – „ჩვენ ეს სარწმუნოებაცა გვაქვს და ეგეც, სჯულს აქაც ვეზიარებით და მანდაც“, ე.ი. ჩვენ ქალკედონიტებიც ვართ და მონოფიზიტებიც ერთდროულადო. ერთი წამით შეიძლება ვიფიქროთ, მონოთელიტობის სამშობლო ფაზისის ქვეყანა საქართველოა, ხოლო მისი ლიდერი კირიონია. თუმცა, კირიონი ძირითადად მაინც მებრძოლი ქალკედონიტია, რაც მისი შემდგომი ეპისტოლეებიდან ჩანს, ის მხოლოდ უთმობს მონოფიზიტებს, რადგანაც, ჩანს, ქართლში მრავალი ქართველი მონოფიზიტი ცხოვრობს, განსაკუთრებით სამხრეთ მხარეებში. ქართველი ერისა და ეკლესიის ერთიანობისათვის უმჯობესად მიაჩნიათ დათმობა.

შემდგომ ვრთანესის ეპისტოლე ეძღვნება სარწმუნოებრივ საკითხებს, კერძოდ, ის წერს. „...იმ მიზეზების შესახებ, რის გამოც ხელახლა დაამტკიცეს... ქალკედონის კრება, რომელიც აღმოფხვრა კეთილმსახურმა ზენონმა შემაერთებელი წერილით და ამის შემდეგ... ანასტასიმ“ (გვ. 46).

ანასტასის შემდეგ ბიზანტიის იმპერატორი გამხდარა იუსტინე. მან ბრძანება გასცა, „...დაემტკიცებინათ მათგან დარღვეული ლეონის ტომარი და ქალკედონის კრება. თუ ვინმე გაბედავდა მეფის ბრძანებას წინააღდგომოდა, მახვილითა და სხვადასხვა ტანჯვით ამოეწყვიტათ, მაშინვე ყველა ეკლესია სისხლით შეიღება...“ (გვ. 47).

ვრთანესის, ანუ სომხური ეკლესიის თვალსაზრისით, თითქოსდა ქალკედონის კრება ბიზანტიამ ოფიციალურად მიიღო VI საუკუნეში იუსტინე იმპერატორის დროს (518-527). „მცირე ჟამსა ეპყრა მეფობა იუსტინეს ... გამეფდა იუსტინიანე“ (გვ. 47). იუსტინიანე (527-565) თავისი მეფობის პირველ წლებში ქალკედონიტი ყოფილა, მერე თითქოსდა მონოფიზიტობა მიუღია, მაგრამ მოუკლავთ. „ეთათბირა მეფე თავის დიდებულებს, რომ აღმოფხვრან ქალკედონის კრების ახალსახიობის განსაზღვრება... მაშინვე ეწია მას მზაკვრული სიკვდილი“. ამიტომაც გავრცელდა ქალკედონიტობაო, – წერს ის.

იუსტინიანეს დროს ქართლი სპარსეთს აქვს დაპყრობილი. ჩანს, სპარსელები ბერძენ კათალიკოსს ქართლში ჩასვლის ნებას არ აძლევენ. ბიზანტიას ქართულ ეკლესიაზე ხელი აღარ მიუწვდება, ამის გამო იუსტინიანე ნებას აძლევს ქართულ ეკლესიას ქართლშივე აირჩიონ ქართველი კათალიკოსი.

14. ამ ეპისტოლეში გადმოცემულია „კანონები, რომლებიც დაიდო დვინს, როცა განზრახვა იყო ...სომეხთა კათალიკოსი განეწესებინათ მოსე კათალიკოსის სიკვდილის შემდეგ და იმჯერად დაბრკოლდა“, რომლიდანაც ჩანს, რომ სომხეთში მრავლად ყოფილან ქალკედონიტები – „ეხლა ჩვენი ქვეყნიდან ქალკედონის კრების... მაღიარებლებთან და შემწყნარებლებთან ერთად მრავალნი ეზიარნენ, ზოგი ნებაყოფილებით ამაო დიდებისმოყვარეობის და მლიქვნელობის გამო, ხოლო ზოგი უნებურად...“ (გვ. 53).

კანონები ეხება იმას, თუ როგორ უნდა მიიღონ თავიანთ წრეში ის სამღვდელო პირი, რომელიც დაგმობს და უარყოფს ქალკედონიტობას.

15. ამ „ეპისტოლეში“ გადმოცემულია „ხელწერილი, რომელიც სთხოვა სმბატ ვრკანის მარზპანმა იმ ეპისკოპოსებს, რომლებიც კვლავ შეიკრიბნენ მისი ბრძანებით დვინს, რათა განეწესებინათ სომეხთა კათალიკოსი...“ (გვ. 57).

ხელწერილში სომეხი ეპისკოპოსები გმობენ ქალკედონის კრებას და სმბატ მარზპანთან ერთად წყევლიან მას.

16. ამ „ეპისტოლეში“ მოყვანილია „ხელწერილი, რომელიც მისცეს აბრაამ სომეხთა კათალიკოსს სომეხთა ქვეყნის კრებაზე მათ, რომლებიც იყვნენ რომაელთა ხელისუფლების ქვეშ მავრიკეს კეისრობის დროს“ (გვ. 59).

სომხური ეკლესია ორად იყო გაყოფილი, ერთი მონოფიზიტური ნაწილი სპარსეთის სომხეთში იყო, ხოლო ბიზანტიურ სომხეთში ქალკედონიტური სომხური ეკლესია არსებობდა. ხოსრო II-ის ბიზანტიაზე შეტევის შემდგომ ქალკედონური სომხეთი სპარსეთმა დაიპყრო, ამიტომაც ტახტზე ასულმა აბრაამ კათალიკოსმა (607-615) მოითხოვა ქალკედონიტი სომეხი იერარქებისგან, დაედოთ ხელწერილი მის წინაშე. ამათ თითქოსდა „ვედრებით მოგვმართეს, რომ შევუერთოთ ისინიც ქრისტეს ჭეშმარიტ სამწყსოს ეკლესიის ძმობას და თქვეს ერთპირად, რომ უცვლელად დავიცავთ... შევიწყნარეთ ისინი...“ (გვ. 60).

17. ტახტზე ასვლისთანავე აბრაამ კათალიკოსს ეპისტოლეს უგზავნის მოსე ცურტაველი ეპისკოპოსი. ულოცავს საკათალიკოსო ტახტზე ასვლას და სომხური ეკლესიის გაერთიანებას. მას ახარებს ქალკედონიტური სომხური და მონოფიზიტური სომხური ეკლესიების გაერთიანება – „...სულიერი და ხორციელი განყოფის კვლავ შეერთება“ (გვ. 62). სომხური ეკლესიის შეერთების შემდეგ დროაო, — წერს მოსე, – „შეეწიოთ ქრისტეს ეკლესიას, რომელიც თანამორწმუნე და მოწაფე იყო თქვენი და ახლა დასნეულებული გაჭირვებაშია“ (გვ. 63), – ქართულ ეკლესიას გულისხმობს.

სომხური ეკლესიის „თანამორწმუნესა და მოწაფეს“ მოსე ეპისკოპოსი უწოდებს არა ცურტავის ეკლესიას, არამედ მთელ ქართულ ეკლესიას, რადგანაც იქვე, ქვემოთ წერს: „იყოს თქვენ სასიქადულოდ ქრისტეს მიმართ, თუ მე მომეცემა მადლი, რომ ვიქადაგო ქართლიდან ალბანთა ქვეყნამდის... და ესოდენი ხალხი შეგძინო თქვენ“ (გვ. 64). მას და აბრაამ კათალიკოსსაც მიაჩნიათ, რომ სომხური, ქართული და ალბანური ეკლესიები ერთიან – ერთ ეკლესიას შეადგენენ, ცხადია, სომხების მეთაურობით. ამას საეკლესიო „ერთობას“ უწოდებენ, სხვა ეპისტოლეებიდან ეს კარგად ჩანს. მოსე ქართული ეკლესიისადმი „შეწევნის“ შემდეგ ღონისძიებებს ჩამოთვლის: – „ლოცვით... თქვენი გამრჯე მოძღვრებით და მაგ დიდებულ მთავართა შემწეობით“ (გვ. 63). ქართული ეკლესიის დამორჩილებას აპირებენ სპარსეთის მოხელე სომეხი მთავრების შემწეობით – „...ვეცადოთ მოვაქციოთ ის უარმყოფელი და განდგომილი ხალხი სიმართლეზე და მივაწიოთ იმავე ბაკს ერთი მწყემსისა“ (გვ. 63). მოსეს მიაჩნია და შეახსენებს აბრაამს, რომ ქართული ეკლესია, თურმე, სომხურ ეკლესიასთან ერთად ერთ „ბაკში“ ყოფილა გაერთიანებული და ერთი „მწყემსი“ ჰყოლია. ცხადია, აქ იგულისხმება არა ერთი მსოფლიო ქრისტიანული სამწყსო და ერთი მწყემსი – უფალი იესო ქრისტე, არამედ სომხურქრისტიანული „ბაკი“ და სომეხი „მწყემსი“, სომხური ეკლესია და მისი კათალიკოსი.

18. აბრაამ კათალიკოსი მოსეს სწერს პასუხს, რომლიდანაც ჩანს, რომ აბრაამი მარტო სომხეთის ეკლესიით არ კმაყოფილდება. თავისი თავი ქართლსა და ალბანეთზე ღვთის განგების აღმსრულებლად მიაჩნია. ის სთხოვს მოსეს, ილოცოს მისთვის, რათა მისცეს ღმერთმა ძალა, „...რათა სისრულით ვაჩვენოთ მისი განგება ჩვენი ქვეყნის მიმართ. ასევე ქართლისა და ალბანეთის ქვეყნისაც“ (გვ. 65). აჩქარებს მოსეს, რომ მივიდეს აბრაამთან – „სანამ უფალი სმბატი აქაა, ვისწრაფოთ...“ (გვ. 66).

სმბატ მარზპანი სპარსეთის დიდმოხელეა, მეფესთან დაახლოებული, საგანგებოდ გამოგზავნილი სომხეთსა და ამიერკავკასიაში საეკლესიო საკითხების გადასაჭრელად, დავალებული აქვს, ყველა ეკლესია სპარსული ორიენტაციისა გახდეს, ანუ მონოფიზიტური. ეს არის ეპოქა სპარსეთის ბიზანტიაზე გამარჯვებისა, ბიზანტიელები განიდევნენ ბიზანტიური სომხეთიდან და აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან, ამის გამო სმბატმა მიაღწია სომხურ-ქალკედონური ეკლესიის განადგურებას და წარმატებით გააერთიანა ეკლესია პროსპარსულ-მონოფიზიტურ ნიადაგზე. ამის შემდეგ კი სომეხ იერარქებს იმედი აქვთ, სპარსეთის ძალით, ანუ სმბატის შემწეობით ასევე მოსპობენ ქალკედონიტობას ქართლსა და ალბანეთში და ისევე აღადგენენ ამიერკავკასიის საეკლესიო ერთობას, რომელიც არსებობდა VI საუკუნის I ნახევარში 70-იან წლებამდე.

19. სომეხთა კათალიკოსი აბრაამი პირველ ეპისტოლეს უგზავნის კირიონს – ქართლის კათალიკოსს, მიმართავს პატივისცემით – „სიწმიდის მოყვარე უფალს, კირიონ ქართლის კათალიკოსს“. შემდეგ პირდაპირ წერს, „წინათ ჩვენმა მამამთავარმა მოსემ მოგწერა თქვენ ბრალდება თქვენი ზიარების გამო მათთან, რომლებთანაც არა ჯერ იყო, თქვენც წერილით და მცნებით იკისრეთ, რომ არ განშორდებოდით ზიარებას ჩვენი ქვეყნის საერთო სარწმუნოებასთან“ (გვ. 66). აღსანიშნავია აბრაამის ტონი, ის დამოუკიდებელი ეკლესიის მეთაურს წერს ბრალდებას, ადანაშაულებს, ავალდებულებს, რომ არ უნდა განშორდეს მათ. კირიონსაც თითქოსდა თავი დაუცავს, „წერილითაც და მცნებით“ დაუდასტურებია, რომ ერთგული იქნება და არ განშორდება იმ სარწმუნოებას, რომელიც სომხურ ეკლესიას აქვს. ასეთი მდგომარეობა არ არის გასაკვირი სპარსთა ზეგავლენის გამო.

შემდეგ აბრაამი წერს, – „ახლა კი უბოროტესმა და უმძიმესმა ამბავმა მოაწია. სარწმუნოების ერთობასა და ორთავე ჩვენი ქვეყნის მასპინძლობას ცურტავის ეკლესია ურყევი შუამავლობით იცავდა... ამჟამად ცურტავის ეპისკოპოსი დევნილია“ (გვ. 67).

აბრაამს სიკვდილზე უარესად მიაჩნია სომხურენოვანი საეკლესიო მსახურების ნაცვლად მშობლიური ქართულენოვანი მსახურების დანერგვა ქვემო ქართლის ცენტრ ცურტავში. „...სომხური მსახურება წმიდა შუშანიკისგან დადგენილი, მესმის, რომ შეგიცვლიათ, ჩვენ სიკვდილზე უფრო უბოროტესად მივიჩნიეთ ეგ საქმე“ (გვ. 67). აქედანაც ჩანს, რომ ცურტავში სომხურენოვანი მსახურება ქრისტიანობის მიღების შემდეგ, ე. ი. IV საუკუნიდან კი არ იყო დანერგილი, არამედ V საუკუნის ბოლოდან, ან VI საუკუნის დასაწყისიდან, წმიდა შუშანიკის საფლავზე ეკლესიის აშენების შემდგომ. ყოველ შემთხვევაში ცურტავის ეკლესიაში სომხურენოვანი მსახურება წმიდა შუშანიკის დადგენილად ითვლებოდა. მაგრამ აბრაამის ეპის-

ტოლე შეეხება არა მხოლოდ ცურტავის ეკლესიას, არამედ მთლიან ქართულ ეკლესიას. ქართულ ეკლესიას ის სომხურ ეკლესიაზე ხელშეკრულებით დაკავშირებულად მიიჩნევს. კირიონს ბრალად სდებს სპარსეთის მეფის კავადის დროს ამ ეკლესიათა შორის დადებული ხელშეკრულების დარღვევას. – „თუმცაღა მეფეთა მეფის კავადის წლებში კვლევა-ძიება იქმნა ჩვენს ქვეყანასა და რომაელთა შორის, რომელთაც ქალკედონის კრება... შეიწყნარეს, ჩვენი და თქვენი ქვეყნების მოძღვარნი და მთავარნი განეშორნენ მათთან ზიარებას, რაც ერთობის წიგნითაც არის დაცული ჩვენ შორის აქამომდე“ (გვ. 67).

კავად I-ის დროს (488-531) ქართლისა და სომხეთის ქვეყნების მთავრები და ეკლესიების იერარქები შეკრებილან, მათ დაუდვიათ „ერთობის წიგნი“ – ეს არის აღთქმა ან ხელშეკრულება, წერილობითი დოკუმენტი, რომელიც დაცულია აბრაამის დროსაც. ეს ხელშეკრულება დაუდვიათ მაშინ, როცა საბერძნეთის იმპერიას ქალკედონიტობა უღიარებია. აქ არ იგულისხმება 506 წლის დვინის კრების ხელშეკრულება, რადგანაც ამ დროისათვის თვით ამ პოლემიკაში მონაწილე სომეხი იერარქების მტკიცებით, ბიზანტია იყო არა ქალკედონიტური, არამედ მონოფიზიტური, აქებენ ამ დროის იმპერატორ ანასტასის (491-518), რომლის დროსაც ჩატარდა 506 წელს დვინის კრება. არა მარტო ანასტასი, არამედ მისი წინაპარი ზენონიც (474-491) დიდად საქებია სომხური ეკლესიისთვის, რადგანაც ზენონსა და ანასტასის მონოფიზიტებად აცხადებენ.

სომეხი პოლემისტების აზრით, ბიზანტია ქალკედონური გახდა იმპერატორ იუსტინეს დროს (518-527). სწორედ ამ დროს, ე.ი. როცა ბიზანტიამ „ქალკედონის კრება შეიწყნარა“, სპარსეთის მეფე კავად I-ის ეპოქაში შემდგარა სომეხ-ქართველთა ანტიქალკედონური ერთობის კრება 518 წლიდან 531 წლამდე, ე.ი. ანასტას კეისრის შემდგომ კავადის სიცოცხლეშივე – იუსტინეს დროს.

518-531 წლებში ჩატარებული კრება და არა 506 წლის კრება არის სომხურ-ქართული ეკლესიების სარწმუნოებრივი ერთობის კრება. 506 წლის კრება ორგანიზაციული საკითხების მოსაგვარებლად უნდა მოწვეულიყო.

აბრაამი მოუწოდებს კირიონს, არ ინებოს, რომ „...უცხოობა ჩამოაგდოს ორ ქვეყანას შორის...“ (გვ. 67). „ორ ქვეყანას შორის“, ცხადია, ქართლი და სომხეთი იგულისხმება და არა სომხეთი და ცურტავი. ის წერს: „აქედან მცხეთაში მიდიოდნენ და მანდედან წმიდა კათოლიკეს მოდიოდნენ“, ე. ი. სარწმუნოებრივი ერთობა არსებობდა. ეს ერთობა წერილობით დოკუმენტს – მამათა მიერ დადებულ შეთანხმებას ეფუძნებოდა, სომხურენოვანი მსახურების შეცვლით ერთობა ირღვევა.

აბრაამი კირიონს სწერს, რომ აპირებს ქართლში გაგზავნოს სომეხი ეპისკოპოსები, რათა მათ კირიონს გააცნონ ქალკედონის კრების „ვნება“.

შემდეგ პოლიტიკურ დანაშაულში სდებს ბრალს, – „...არის რაღაც, რომელიც დაუჯერებლად გვეჩვენა: უცხო სამეფოსთან რომ შექმნა მეფეთა მეფის შინათაგანმა სიყვარულის ერთობა და ბუნებით თანამოზიარეს გაშორდე, მართლაც რომ ძლიერ მძიმეა“ (გვ. 68).

ქართლი ამ დროს სპარსთაგან დაპყრობილია, კირიონს ადანაშაულებენ იმაში, რომ სპარსეთის მტერ ბიზანტიასთან „სიყვარულის ერთობა აქვს“, ანუ ქალკედო-

ნიზმის გზას ადგას, ხოლო „ბუნებით თანამოზიარე“ სპარსული ორიენტაციის სომხურ ეკლესიას სცილდება.

20. კირიონი საპასუხო ეპისტოლეს უგზავნის აბრაამს. პატივისცემით მოკითხვისა და მოსე სომეხთა კათალიკოსთან ურთიერთობის აღწერის შემდეგ ეხება ცურტავის ეკლესიაში სომხურენოვანი მსახურების საკითხს, წერს, – „და რომ ეწერა... სომხური მსახურება შეცვლილიაო, ჩვენ მსახურება არ შეგვიცვლია, ვინც ეპისკოპოსი გახდა, ქართული მოძღვრებაც იცის და სომხურიც, აგრეთვე, მსახურება ორივე მწიგნობრობით სრულდება...“ (გვ. 70). კირიონი წერს, რომ მას მოსე ცურტავის ეპისკოპოსი არ უდევნია სარწმუნოებრივი აღმსარებლობის გამო, – „მე ის არ მიდევნია, არამედ იყო რაღაც, რაც შევიტყვე მის ულირს საქმეთა შესახებ, მოვუწოდე ჩემთან...“. მაგრამ ამის მაგიერ მოსე სომხეთში გაქცეულა.

შემდეგ კირიონი წერს სარწმუნოების შესახებ. საერთოდ აღსანიშნავია, რომ კირიონი ერიდება აშკარად და დაუფარავად გამოაცხადოს ქართული ეკლესიის ქალკედონიტობის შესახებ, ის უფრო დუმს, ანდა მსოფლიო ავტორიტეტული ეკლესიების სარწმუნოებრივი მიმართულების შესახებ მსჯელობით პოლემიკა გადაატანს საერთაშორისო საეკლესიო მდგომარეობაზე, „ჩვენი და თქვენი მამებიც მეფის მონები იყვნენ და იერუსალიმის სარწმუნოება ჰქონდათ, ჩვენც და თქვენც აგრეთვე, თუმცაღა მეფეთა მეფის მონები ვართ, სარწმუნოება იერუსალიმის გვაქვს და გვექნება...“ (გვ. 7.).

იერუსალიმის ავტორიტეტის დამოწმების შემდეგ კირიონი აქებს სპარსეთის მეფეს – „...ნეტარნი ვართ, რომლებიც მეფეთა მეფის სამსახურს ვეწევით, რადგან რაც ცა და დედამიწა არსებობს, არ ყოფილა არც ერთი უფალი, რომელსაც ყოველი ტომისათვის თავისი კანონები მიენდო, როგორც ამ უფალმა მიანდო... ჩვენ თავისუფალ ქვეყანას უფრო მეტად მიანდო, ვიდრე ყველა სხვა ქვეყანას და ჩემ კეთილ თავს უმეტესად, ვიდრე ყველა ჩემ მოყვასთ“ (გვ. 71). კირიონი იძულებულია აქოს სპარსეთის მეფე, რადგანაც სწორედ სპარსეთის მეფის ღალატი, ორგულობა დასწამა აბრაამმა მას I ეპისტოლეში. ხოსრო II-ს მართლაც ამ პერიოდისთვის ქრისტიანული სარწმუნოებრივი აღმსარებლობის თავისუფლება ჰქონია გამოცხადებული 614 წლამდე.

„ეპისტოლეთა წიგნის“ გამომცემლის თანახმად, კირიონი ძალზე დიდი დიპლომატია, მართლაც, კირიონი გასაოცარ დიპლომატიურ ნიჭს ავლენს, როცა წერს, – „მეფეთა-მეფე ისევე უფალია რომაელთა, როგორც არიელთა ქვეყნის და ასე არ არის, როგორც თქვენ მოიწერეთ, რომ სხვადასხვა არიან სამეფონიო“ (გვ. 72). ასეთი პასუხი სრულებით აყრევინებს ფარ-ხმალს აბრაამს და ამის შემდეგ იგი ველარ ბედავს სპარსეთის მოღალატედ წარმოადგინოს კირიონი. სხვათა შორის, კირიონი მაინცადამაინც არ აჭარბებდა – ამ პერიოდში ხოსრო მეორეს სრული უფლება ჰქონდა, პრეტენზია განეცხადებინა ბიზანტიის სამეფო ტახტზე. საქმე ის არის, რომ მავრიკე კეისარი და მისი ვაჟები დახოცა აჯანყებულმა ბიზანტიელმა მხედართუფროსმა, რომელსაც ამ ეპისტოლეს დაწერისას ეომებოდა ხოსრო, რომელიც იყო მავრიკე კეისრის სიძე, ქალიშვილის ქმარი.

21. ვრკანის მარზპანი სმბატი ეპისტოლეს სწერს კირიონ კათალიკოსს. სმბატი სპარსეთის მეფის დიდმოხელე იყო, ეროვნებით სომეხი, მონოფიზიტი. ის სპარსთაგან საგანგებოდ იქნა გამოგზავნილი თავის სამშობლოში, სომხეთსა და საერთოდ ამიერკავკასიაში საეკლესიო საკითხების გადასაჭრელად, რათა ეკლესიებს მიეღოთ პროსპარსული ორიენტაცია ანუ მონოფიზიტობა. „...მეფეთა-მეფემ ქველმოქმედებით სამშობლოში დაგვაბრუნა, სარწმუნოებისა და ეკლესიათა უკეთესად წესრიგში მოყვანა გვიბრძანა..., რადგან იყო რაღაც, რაც გახმაურდა". სმბატი გულისხმობს ორად გაყოფილი სომხური ეკლესიის გაერთიანებას, ანუ სომხეთის ერთ დიდ ნაწილში ქალკედონიტობის აღმოფხვრას. სპარსეთმა მიაღწია ქალკედონური სომხური ეკლესიის გარდაქმნას და შეუერთა ის მონოფიზიტურ ნაწილს. ამ წარმატების შემდეგ, სმბატის გეგმაა, მოსპოს ქალკედონიტობა ქართულ ეკლესიაში და აღადგინოს ამიერკავკასიის საეკლესიო ერთობა სომხეთის მეთაურობით. გაერთიანება სმბატის მთავარი მიზანია, რის შესახებ ის წერს კიდეც: – „იგივე საჭიროდ მივიჩნიეთ, რომ მოგვეწერა თქვენი სიწმიდისმოყვარეობისათვისაც, მოგვეთხრო ჩვენი თქვენთვის, რომ თქვენ ჩვენთან შეგვეერთებინე, როგორც ჩვენი მამები იყვნენ, რადგან ერთი მოძღვრის მოწაფე და ხვედრი ვართ..." (გვ. 74). აქ სარწმუნოებრივი გაერთიანება არ იგულისხმება, რადგან ამ დროს აბრაამსაც და სმბატსაც თავი ისე უჭირავთ, თითქოსდა კირიონი მონოფიზიტია, ყოველ შემთხვევაში, ამ ეპისტოლეს მიწერის დროს კირიონს ჯერ არ გაუმხელია თავისი ქალკედონიტობა. სმბატი გულისხმობს არა სარწმუნოებრივ, არამედ საეკლესიო გაერთიანებას. სმბატის მიზანია, გააერთიანოს ქართულ-სომხური ეკლესიები ისე, როგორც გააერთიანა ორად გაყოფილი სომხური ეკლესია, უფრო მეტიც, ქართული ეკლესია სომხურს შეუერთოს, – „თქვენ ჩვენთან შეგვეერთებინე", ამას იმით ამართლებს, რომ თითქოსდა ორივე ეკლესიას ერთი განმანათლებელი გრიგოლი ჰყავს – „ერთი მოძღვრის მოწაფე და ხვედრი ვართ". გარდა ამისა, საეკლესიო ერთობას თურმე ტრადიციაც ჰქონია, თურმე ეს ერთობა ქართველ და სომეხ საეკლესიო მამებს დაუფუძნებიათ და მამები გაერთიანებულნი ყოფილან, – „როგორც ჩვენი მამები იყვნენ", ქართული და სომხური ეკლესიების ერთიანობა თითქოსდა წინა დროებში ამ ეკლესიის მამების მიერ ყოფილა დადგენილი, ხოლო კირიონის დროს ერთობა დარღვეული ყოფილა. სმბატი მოუწოდებს აღადგინონ ერთობა, რომელიც „მამების" პირობითა და მცნებით ყოფილა დადგენილი – იგივე პირობა ჩვენი და თქვენი მამებისა და მათი... მცნებით" (გვ. 73).

ქართველი და სომეხი „მამების" რაღაც „პირობის" დამოწმება სომეხი იერარქებისა და სმბატ მარზპანის მუდმივი მსჯელობის საგანია.

ამის შემდეგ სმბატი იწყებს საყვედურებს – პირველ რიგში, მისი საყვედური სომხურ მსახურებასა და წესს შეეხება ქართლში დანერგილს, რომელიც კირიონმა მოშალა, წერს, – „...სომხური მსახურება და წესი იყო თქვენში, ხოლო შეცვლით მტრობას აგდებთ ჩვენ შორის" (გვ. 75). მართლაც, კირიონმა ცურტავში სომხურენოვან მსახურებასთან ერთად ქართულენოვანი მსახურებაც შემოიღო, მაგრამ როცა სმბატი წერს – „სომხური მსახურება და წესი იყო თქვენში", აქ თითქოს მთელი

ქართლი, ქართული ეკლესია იგულისხმება და არა მარტო ცურტავი. პირველ რიგში სმბატი სწორედ ცურტავის შესახებ წერს, მაგრამ „თქვენში“ უფრო დიდ ერთეულს უნდა გულისხმობდეს, რადგანაც ადრესატი კირიონი არა მარტო ცურტავის მამამთავარია, არამედ მთელი ქართლისა. სპარსეთის დიდმოხელე აფრთხილებს კირიონს, უცვლელად დატოვოს ცურტავში (ქართლში) სომხურენოვანი მსახურება და საეკლესიო წესი. ეს გაფრთხილება ბრძანებაცაა.

სმბატს, ისე როგორც ადრე ვრთანეს ქერდოლსა და შემდეგ აბრაამს, სურს, ქართული ეკლესია უფრო დაბლა მდგომ ეკლესიად წარმოადგინოს, სადაც შეიძლება სომეხი ეპისკოპოსების გაგზავნა, რომელნიც ჯერ შეამოწმებენ ქართული ეკლესიის სისწორეს. შემდეგ კი მის მეთაურს სწორ სარწმუნოებას შეასწავლიან. სმბატი წერს, – „გვსურდა ეპისკოპოსები ქერდოლებითურთ გამოგვეგზავნა, რომ შეეტყოთ მწვალებელთა მოძღვრება და უკეთურება, რათა თქვენთვის შეეგნებინებინათ...“ (გვ. 75). ქერდოლი მეცნიერს, რჯულის მასწავლებელს ნიშნავს.

22. კირიონ კათალიკოსი საპასუხო ეპისტოლეს უგზავნის სმბატ ვრკანის მარზპანს. კირიონისადმი სმბატის წინა ეპისტოლე მიმართული იყო აგრეთვე ქართველი ეპისკოპოსებისა და მთავრებისადმი, პასუხსაც კირიონი ქართველი ეპისკოპოსებისა და მთავრების სახელით უგზავნის. კირიონის პასუხი გამოხატავს როგორც ქართველი აზნაურების, ასევე ქართველი ეპისკოპოსების ერთობლივ აზრს. კირიონი ლოცავს სმბატს სომხური ეკლესიის გაერთიანებისთვის და ულოცავს სპარსეთის მეფის ამ დავალების წარმატებით შესრულებას. შემდეგ ატყობინებს, რომ წარჩინება სპარსთა მეფემ მისცა არა მარტო სმბატს, არამედ კირიონსაც. ის წერს, – „...ისეთ წარჩინებულობას ვეწიე უფალთაგან მათი სიკეთის გამო, რომ ყველა ქრისტიანე აღაპყრობდა ხელებს და ითხოვდა მათ უკვდავებას...“ (გე. 77).

შემდეგ სარწმუნოების შესახებ წერს. კირიონი ეთანხმება სმბატს ქართველი და სომეხი მამების ერთობის შესახებ. ეს ერთობა, მისი აზრით, ეფუძნებოდა იერუსალიმის სარწმუნოებას. „...ჩვენსა და თქვენს მამებს საერთო ჰქონდათ მას შემდეგ, რაც წმიდა გრიგოლმა მართლმადიდებლური სარწმუნოება დააწესა, რომელიც იერუსალიმში ისწავლა...“ (გვ. 77). აქ კირიონი უმატებს, რომ გრიგოლმა სარწმუნოება ისწავლა იერუსალიმში და იერუსალიმური სარწმუნოება „დაამტკიცა“. სმბატს მისთვის იერუსალიმური სარწმუნოების შესახებ არ მიუწერია. კირიონი აქაც დიპლომატიურად უპასუხებს – ის იძულებულია სპარსეთის შიშით ფორმალურად აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც „მამებმა (ქართველ და სომეხ მამათა გაერთიანებულმა კრებამ) მიიღეს სპარსეთის ნებით წინა ეპოქაში, მაგრამ დასძენს, რომ „მამების“ მიერ მიღებული სარწმუნოება იერუსალიმური იყო. ჩვენცო, ბრძანებს ის, იგივე სარწმუნოება უცვლელად გვაქვსო დაცული, „ხოლო თუ ეგ მოსე სხვანაირად იწყნარებს, როგორც ჩვენ არ შეგვიწყნარებია, და თქვენ გსურთ ირწმუნოთ, ჩვენ მაგას არ დავემორჩილებით, რადგან რაც კი გვისწავლია, არ დავტოვებთ, ვინაიდან ჩვენი ეკლესიები ასე არიან დამტკიცებულნი“.

ცურტავის ეკლესიაში სომხურენოვანი მსახურების შესახებ წერს – „ეკლესიის მსახურება არა რიგად შეგვიცვლია, ხოლო ეპისკოპოსმა, რომელიც დავადგინეთ,

ქართული და სომხური მწიგნობრობა თანაბრად იცის, სამსახურს ორივე მწიგნობრობით ასრულებს“ (გვ. 78).

ეპისტოლეს შემდეგი ნაწილიდან ჩანს, რომ სმბატ მარზპანი ქართლში ჩადიოდა ხოლმე და თაყვანს სცემდა მცხეთის ჯვარს, რომლის მადლითაც მისი მშობლების ვედრებით ის გაჩენილა. ის ქართლშივე გაზრდილა და წარმატების გზაზე დამდგარა. მოსე ცურტავის ეპისკოპოსის ჩაგონებით სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ მცხეთის ჯვრის თაყვანისსაცემად აღარ მისულა, რაც სწყინს კირიონს. კირიონი ლოცავს მეფეთა მეფესა და მას.

23. სმბატ მარზპანს ეპისტოლეს უგზავნის მოსე ცურტავის ეპისკოპოსი. ეს არის ძირითადად თავის მართლება და საყვედური სმბატისადმი. წინა ეპისტოლეში კირიონმა სმბატს აცნობა, რომ მას მოსე სარწმუნოების გამო არ უდევნია, არამედ თავისი ცოდვების გამო დაიბარა საკათალიკოსო კარზე, მოსე კი იმის მაგიერ, რომ დამორჩილებოდა, ღამით მალულად სომხეთში გაიქცა, გარდა ამისა, მზაკვარი ენითა და ბოროტმოქმედებით ბევრი მავნე საქმე გააკეთაო, – აცნობებს კირიონი. საპასუხოდ მოსე სწერს სმბატს, – გამოძიება იმისა, თუ რისთვის ვიდევნე ქართლიდან, იოლია, ეს თქვენ ადვილად შეგეძლოთ შეგემოწმებინათ, რადგანაც „სომხეთი და ქართლი ერთმანეთის მოსაზღვრენი არიან, აზნაურთაგან მრავალნი და ბევრნი გლეხთაგან აქედან იქ მიდიან და იქიდან აქ, რომელთაგანაც უნდა შეგეტყოთ“ (გვ. 80). შემდეგ აცნობებს, რომ ის კირიონის კარზე მივიდა თბილისში, კირიონმა ცხრა დღე ალოდინა და არ მიიღო, შემდეგ მცხეთაში წავიდა, მოსე კი სომხეთში წავიდა დღისით და არა ღამითო.

შემდეგ აცნობებს სომხურენოვანი მსახურების შესახებ, – „მსახურებაც რომ შეცვალეს, ცხადია, არაეპისკოპოსი ნესტორიანი რომ დასვეს, ქართული მწიგნობრობაც არ იცის რიგიანად, არამცთუ სომხური, ისიც ცხადია“ (გვ. 82). აქედან ჩანს, რომ ცურტავის ეპისკოპოსის მიერ ქართული მწიგნობრობის ცოდნა, ბუნებრივია, პირველი რიგის ცოდნაა, ხოლო სომხურის ცოდნა უფრო მაღალ ცოდნად მიაჩნდათ. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის დაბალმა ფენებმა ქართული ენა ბევრად უკეთ იცის, ვიდრე სომხური, რადგანაც ქართული ენა დედაენაა, ხოლო სომხური ენა საეკლესიო სამსახურის ენა.

24. სმბატ მარზპანი პასუხს წერს მოსე ცურტავის ეპისკოპოსს – სმბატს არ მოსწონებია კირიონ კათალიკოსის პასუხი, – „...მოგვწერა ცრუდ ასეთი მომაკვდინებელი სიტყვები“ (გვ. 83). აცნობებს, რომ აპირებს სასწრაფოდ სპარსეთის მეფესთან გამგზავრებას, სადაც ეცდება, რომ სპარსეთის მეფემ მოსე თავის საეპისკოპოსოში დააბრუნოს, კირიონის ნების წინააღმდეგ. აქედანაც ჩანს, თუ როგორ არის ქართული ეკლესია დამორჩილებული სპარსეთის ნება-სურვილს. სმბატი წერს – „ეხლა მე ფრიად საჩქაროდ კარზე მიწვევენ, შენ ადრეც გითხარი, რომ მივწერ-მეთქი მეფეთა მეფეს, რათა კეთილად ბრძანოს, რომ წახვიდე შენს ეკლესიაში, დაჯდე და შენი სარწმუნოებით იპყრა შენი ხალხი“ (გვ. 83). სპარსეთი მოსეს სარწმუნოებას არ შეეხება, ის სპარსეთის ბრძანებით ქართული ეკლესიის მონოფიზიტი ეპისკოპოსი გახდება.

მოსეს მოწოდება სმბატისადმი ყოფილა, – აეღო მახვილი და შერკინებოდა ყოველ ქართლს. სმბატი წერს, რომ ამჟამად არ შემიძლია „...ავიღო მახვილი და

ყოველ ქართლს შევერკინო“ (გვ. 83). სმბატს ამის ძალა არ შესწევს იმჟამად. მაგრამ თუ თავის პოზიციას არ დათმობენ ქართველები, მაშინ მომავალში დაისჯებიანო. ქართველებიო, წერს ის, „...თუ იმავე სიხელეს იქნებიან და ჩვენთან ერთობისაგან განეშორებიან, მაშინ მათი სისხლი უფალმა ღმერთმა მათი თავისაგან მოიძიოს... თუ დაუმორჩილებლობის შესახებ შევიტყობთ და უფალი ღმერთი მარჯვე დროს მოგვცემს, ვინ იცის, იქნებ აქვე მიიღებს საზღაურს ღმრთისაგან, ხორციელ უფალთა ხელით“ (გვ. 84). მართლაც, მართალია, სმბატმა და სპარსეთმა ვერ შეძლეს ქართული ეკლესიის დასჯა და ქართველობის „სისხლის“ დაღვრა დაუმორჩილებლობის გამო, ანუ სომხურ ეკლესიასთან „ერთობის“ დარღვევისათვის 607-609 წლებში, მაგრამ 613-614 წლებში, იერუსალიმის აღების შემდეგ, ხოსრო II-მ მოიწვია ე.წ. „სპარსული კრება“, რომელსაც სმბატ ბაგრატუნი თავმჯდომარეობდა. ამ კრებამ გასცა უმკაცრესი ბრძანება – სპარსეთის იმპერიაში მცხოვრებ ყველა ქრისტიან ერს ან „სომხური სარწმუნოება“ უნდა მიეღო, ანდა დაეტოვებინა იმპერიის საზღვრები და სხვაგან გადასახლებულიყო.

25. სომეხთა კათალიკოსი აბრაამი მეორე ეპისტოლეს უგზავნის კირიონ ქართლის კათალიკოსს. აბრაამი წერს, რომ მისი მიზანია არა წინააღმდეგობის გაღვივება ორ ეკლესიას შორის, არამედ „...მამათა სარწმუნოების ერთობა“ (გვ. 85). აბრაამს არ მოსწონებია კირიონის მიერ იერუსალიმის სარწმუნოების დამოწმება, – „...ნუ ვიქადით მხოლოდ წმიდა ქალაქის იერუსალიმის დიდებული და საპატიო სახელით...“ (გვ. 85). მართლაც, კირიონის სრულიად ლოგიკური მსჯელობის თანახმად, მართალი, ჭეშმარიტი სარწმუნოებისგან გადაუხვევია სწორედ სომხურ ეკლესიას, რადგანაც წმიდა გრიგოლმა თავისი სარწმუნოება ისწავლა იერუსალიმში, შემოიტანა და დანერგა სომხეთში, შემდეგ ქართველ და სომეხ „მამათა“ ერთობამ სწორედ ეს იერუსალიმური სარწმუნოება აღიარა სწორ სარწმუნოებად. კირიონის დროს კი ქართული ეკლესია კვლავ ერთგულია იერუსალიმისა და იგივე სარწმუნოება აქვს, რაც იმჟამად იერუსალიმშია დანერგილი. სომხური ეკლესია კი, პირიქით, უარყოფს იერუსალიმის სარწმუნოებას. აქედან შეიძლება დასკვნა, რომ წმიდა გრიგოლისგან დანერგილ იერუსალიმურ, „მამათა“ მიერ დამტკიცებულ სარწმუნოებას გადაუხვია არა ქართულმა, არამედ სომხურმა ეკლესიამ.

აბრაამი გაღიზიანებული სწერს კირიონს იერუსალიმის შესახებ, თითქოსდა იერუსალიმს „...მოსძარცვეს ღვთიური დიდება, გააშიშვლეს, სამოციქულო სარწმუნოება აღმოფხვრეს და მრავალი სხვადასხვა წვალება იქადაგეს“ (გვ. 85). აბრაამი უპასუხოდ არ ტოვებს კირიონის მსჯელობის უმთავრეს აზრს, რომ „მამათა“ მიერ აღებულ გეზს გადაუხვია არა ქართულმა ეკლესიამ, არამედ სომხურმა: – „თქვენ ეხლა რომ ქადილით მოგვწერეთ ჩვენ – ჩვენსა და თქვენ მამებს წმიდა გრიგოლმა იერუსალიმის სარწმუნოება მისცა და ჩვენ იგივე გვაქვსო, აბა, კარგად გამოიძიეთ და ნახეთ, რომ თქვენც და სხვებიც მრავალნი, წმიდა ქალაქის მკვიდრებთან ერთად, შეიცვალეთ მისგან, არა თუ იგივე გაქვთ, ხოლო ჩვენ ეხლაც იერუსალიმის სარწმუნოება გვაქვს“ (გვ. 85-86). ამის შემდეგ აბრაამი მსჯელობს ზეციური იერუსალიმის შესახებ, რადგანაც თითქოსდა ამქვეყნიურ იერუსალიმში ქალკედონური სარწმუნოება გავრცელდა.

ქალკედონური სარწმუნოება, ანუ „ცდუნება“, როგორც მას უწოდებს აბრაამი, „...ჩვენ ქვეყანაშიც შემოვიდა ბაბგენ სომეხთა კათალიკოსისა და გაბრიელ ქართველთა კათალიკოსის დროს. ერთობით ეპისკოპოსებმა და აზნაურებმა დაწყევლეს და გასცილდნენ... ეხლაც წერილით არის დაცული ჩვენთან“ (გვ. 87).

ქალკედონიტობა ქართლსა და სომხეთში შემოსულა გაბრიელ ქართველთა და ბაბგენ სომეხთა კათალიკოსის დროს. გაბრიელის კათალიკოსობის თარიღი უცნობია, ბაბგენი ზოგიერთის აზრით, კათალიკოსობდა 490-516, ანდა 502/3-507/8 წლებში (გვ. 157). ს. კაკაბაძის აზრით, ის კათალიკოსობდა 522-527 წლებში, ხოლო გაბრიელი 522 წელს კათალიკოსია. აზრთა სხვადასხვაობაა იმ „ერთობის“ კრების შესახებ, რომელზედაც აბრაამი მიუთითებს. ზოგ მეცნიერთა აზრით, შემდგარა ორი კრება – 506 წელსა და 513 წლებში (გვ. 157); ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ აბრაამი არ წერს, „ერთობის“ კრება, რომელმაც ქალკედონიტობა უარყო, ბაბგენისა და გაბრიელის დროს ჩატარდაო. ის წერს, რომ ქალკედონიტობა ამ კათალიკოსების დროს შემოვიდაო, ხოლო შემდეგ, როცა ეს ცნობილი გახდა, „ეპისკოპოსებმა და აზნაურებმა“ ჩაატარეს ქართლ-სომხეთის საეკლესიო ანტიქალკედონური კრება. მართლაც, 506 წლის კრება ანტიქალკედონური კრება არ ყოფილა, არამედ ის უფრო „შემრიგებლური“ კრება ყოფილა.[115] „დვინის 506 წლის საერთო კავკასიურ კრებაზე ქართლისა და ალბანეთის ეკლესიებთან ერთად სომხურმა ეკლესიამ მიიღო ზენონის ჰენოტიკონი და გადაჭრით დაგმო ნესტორიანელობა. ამის შემდეგ სომხურმა ეკლესიამ იწყო გადახრა მონოფიზიტობისაკენ, რომლის მემარცხენე ფრთა (ივლიანიტობა) თავის ოფიციალურ სარწმუნოებად გამოაცხადა დვინის II ადგილობრივ კრებაზე (551-554).“ დვინის 506 წლის კრებას დაუგმია არა ქალკედონიტობა, არამედ ნესტორიანელობა, ამიტომაც, ს. კაკაბაძის თვალსაზრისი, რომ ანტიქალკედონური „ერთობის“ კრება ჩატარდა 522 წელს,[116] სწორი ჩანს, მით უმეტეს, რომ ემყარება თვით „ეპისტოლეთა წიგნის“ მონაცემებს. მართლაც, ქართულ-სომხურ-ალბანური გაერთიანებული ანტიქალკედონური კრება 520-იან წლებში უნდა ჩატარებულიყო. ამ დროს ახალი იმპერატორი იუსტინე 518 წლიდან, წინა იმპერატორისგან განსხვავებით, მკვეთრ ანტიმონოფიზიტურ პოლიტიკას ატარებს, რომელსაც სპარსეთმა მაშინვე დაუპირისპირა ანტიქალკედონიტობა.

შემდეგ, თავის ეპისტოლეში აბრაამი იწყებს კირიონის დარიგებასა და სწავლებას, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ის, – „ნუ დაავადდებით უარმყოფელთა სნეულებით... არ დავისაჯოთ და არ ვიყოთ მამათა წყევლის ქვეშ, რათა არ დავიმკვიდროთ გეენა“. ასე „არიგებს“ აბრაამი კირიონს და წერს, – „ნუ მივიჩნევთ დამრიგებლებს მტრად და ნუ ვიამაყებთ ჩვენდა თავად. ნუ გამოვჩნდებით უგონოდ და უწვრთნელად“. კირიონი ვითომდა „უგონოა“, რომელსაც „წვრთნა“ სჭირდება, და სხვა მრავალი დარიგებანი. როცა კირიონმა გაბედა და თავის III ეპისტოლეში სარწმუნოების სიმბოლოები გაუგზავნა აბრაამს, მან ძლიერ იუკადრისა და პასუხიც კი აღარ გაუგზავნა კირიონს. პასუხად მრგვლივმოსავლელი ეპისტოლე გამოსცა, რომელშიც, კერძოდ, წერდა, – „მათი უღმერთოება მესამე ეპისტოლეთი შევიტყეთ.

სიქადულით გაამაყებულებმა არ დატოვეს წვალება, არამედ ჩვენც თავისაკენ მიგვდრიკეს და უფსკრულის სწავლება გაბედეს“ (გვ. 121).

სომხური და ქართული ეკლესიები, მართლაც, არათანაბარ, უთანასწორო მდგომარეობაში რომ ყოფილან, ამ ეპისტოლეებიდანაც ჩანს – სომეხი კათალიკოსი უფლებას აძლევს თავის თავს „გაწვრთნას“ ქართლის კათალიკოსი, ამ უკანასკნელისგან „სწავლებას“ კი ძალზე უხეშად უკადრისობენ (ცხადია, ეს სპარსთა მიერ ერთი ეკლესიის დროებითი აღზევების გამო ხდებოდა). გარდა ამისა, ქართული ეკლესიის შინაურ საქმეში უხეშად ერევა – უკარნახებს, თუ რომელი ენით უნდა ხდებოდეს ღვთისმსახურება და როგორი სარწმუნოებრივი მიმართულებისა უნდა იყოს. თუ წინააღმდეგობას წააწყდებიან, მზად არიან აიღონ სპარსული მახვილი და შეუტიონ მთლიან ქართლს.

აბრაამი თავის მეორე ეპისტოლეში მოსე ცურტავის ეპისკოპოსის შესახებაც წერს. კერძოდ, მას „ღვთისმოსავს“ უწოდებს. შემდეგ, წინადადებას აძლევს კირიონს, ერთმანეთი ნახონ „შენს საზღვარში, გინდა ჩვენსაში“.

ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები კირიონის დროს მტკიცედ არის განსაზღვრული.

26. კირიონი უპასუხებს აბრაამს. პასუხი ცივი, სხარტი, ლაკონური და გასაოცრად ლოგიკურია.

კირიონი სწერს, რომ ქართველ და სომეხ იერარქებს შორის „...მშვიდობა და სიყვარული სუფევდა. ერთი წესი და სარწმუნოება ჰქონდათ, მით უფრო ჩემ დროს“ (გვ. 88). ძნელი სათქმელია, რა იგულისხმება საერთო „წესის“ ქვეშ. ადრე სმბატი კირიონს წერდა, – „სომხური მსახურება და წესი იყო თქვენში“ (გე. 75), შემდეგ აბრაამ კათალიკოსმა მისწერა კირიონს, – „საერთო ღვთისმსახურება დაგვითესეს ჩვენ ჯერ ნეტარმა წმიდა გრიგოლმა და შემდეგ მაშტოცმა“ (გვ. 93). რას გულისხმობდა კირიონი, როცა წერდა „ერთი წესი და სარწმუნოება“ ჰქონდათ ჩვენს წინაპრებსო, გულისხმობდა თუ არა ის „საერთო ღვთისმსახურებას“, ანდა „სომხურ მსახურებასა და წესს“?

უნდა ითქვას, რომ ისტორიული ფაქტებისადმი თვალის არიდება და მიჩქმალვა იძლევა არა დადებით, არამედ უარყოფით შედეგებს. მომხდარი ფაქტი თუ გამოწვლილვით არ იქნება გამოკვლეული, მრავალ უსიამოვნებას გამოიწვევს. ზემომოყვანილი მიჩქმალული ფაქტები ჯერაც რომ მტკივნეულია, იქიდანაც ჩანს, რომ თვით XX საუკუნის მიწურულს ეროვნებით სომხებად აცხადებენ პეტრიწონის მონასტრის აღმშენებელ ძმებ ბაკურიანებს, ივერონის მონასტრის ბერებსაც არ ასცდათ ეჭვის თვალი, მთელი მესხეთიც ვითომდა ქართული არ ყოფილა, აქ გავრცელებული სომხურენოვნების გამო.

ამ სატკივარს იმით მოევლება, რომ ჩვენმა მეცნიერებმაც ისევე, როგორც კირიონმა, პირდაპირ უნდა განაცხადონ „ერთი წესი და სარწმუნოება“ იყო სომხეთსა და ქართლში, როგორც სმბატი წერს, – „სომხური მსახურება და წესი იყო თქვენში“. ეს სრულებით არ არის სათაკილო, დასაფარი და დასამალი, სპარსეთის ნებით ქართულ ეკლესიაში ნაწილობრივ, დროებით, 50-70 წლის მანძილზე ქართუ-

ლენოვან მსახურებასთან ერთად სომხურენოვანი მსახურებაც იყო დანერგილი: ქვემო ქართლი და მესხეთი სომხეთთან მეზობლობის გამო დიდი ხნის მანძილზე სომხურენოვანი დარჩა (საეკლესიო თვალსაზრისით) – ორი საუკუნე მაინც, ე.ი. მოსახლეობის დედაენა ქართული ენა იყო, რადგანაც ამ კუთხეთა მოსახლეობა ეროვნებით ქართველი იყო, სარწმუნოების ენა კი სომხური იყო – „წესი და სარწმუნოება“ სომხურ ენაზე აღესრულებოდა. თუ ამ ფაქტს ვაღიარებთ, მაშინ საფუძველი გამოეცლება ნ. მარისა და სხვათა მიერ წამოყენებულ თეორიას სამხრეთ საქართველოში ქალკედონიტი სომხების გაქართველების შესახებ. ამ თეორიამ ლამის არის ქართული ეკლესიის იურისდიქციის ძველი საზღვარი მესხეთში აწყურამდე მიიყვანოს და ქართული საეკლესიო კულტურა – ოშკი, ბანა, ხახული, სხვა მატერიალური და სულიერი საეკლესიო სიმდიდრენი უცხო ერის კუთვნილებად აქციოს.

დაუფარავად უნდა ვაღიაროთ, რომ მესხეთში ცხოვრობდნენ არა ქალკედონიტი სომხები, რომელნიც ვითომდა შემდეგ გაქართველდნენ, არამედ „სომხურენოვანი“ ქართველები, ხოლო ქვემო ქართლში ცხოვრობდნენ ეროვნებით ქართველი მონოფიზიტები, ისინიც „სომხურენოვანნი“ საეკლესიო თვალსაზრისით, ანუ ქართული დედაენისა და სომხური საეკლესიო ენის მქონენი.

კირიონის ამავე ეპისტოლედან აბრაამისადმი ჩანს, რომ ქართლის მამამთავარი სომხეთის მამამთავრის შენიშვნას „ბრძანებას“ უწოდებს, ლაპარაკია მოსე კათალიკოსის შესახებ. კირიონი წერს, – „მისი ბრძანებისამებრ განვიშორეთ იგი ჩვენგან“ (გვ. 88).

ცურტავის ეპისკოპოს მოსეს შესახებ წერს, – სანამ მას ეპისკოპოსად ვაკურთხებდით, უნდა ეთქვა – მე თქვენგან არ მივიღებ კურთხევას, რადგან მართლმორწმუნე არა ხარო, – „მაგაზე ადრე, რომლებიც ცურტავს იყვნენ წმიდა შუშანიკიდან მოყოლებული... სომეხთაგან და ზოგნი ქართველთაგან, სომხეთში განსწავლულნი მეცნიერნი და მოძღვარნი იყვნენ“. „ერთობის“ დროს, VI საუკუნის პირველ ნახევარსა და შემდგომ, ქართველები, თურმე, სომხეთში იღებდნენ სწავლა-განათლებას. ეს არ არის გასაკვირი, ამ ეპოქაში სპარსთა მიერ ყოველივე ბიზანტიური აკრძალული იყო (ისევე როგორც V საუკუნეში სომხეთში აკრძალული იყო ბერძნული სწავლა-განათლება და წიგნები), ამის გამო ქართველები იძულებულნი იქნებოდნენ სომხეთში მიეღოთ ქრისტიანული განათლება, რადგან სომხეთი იმ დროს ქრისტიანული განათლებისა და კულტურის ერთი მძლავრი კერათაგანი იყო, საკმარისია იმდროინდელი სომხური ფილოსოფიის დასახელება. გუგარქი, ანუ ქვემო ქართლი სომხეთს უშუალოდ ემეზობლებოდა, გუგარქელებმა სომხური ენაც იცოდნენ, ამიტომაც სომხეთში განათლების მისაღებად მათ გამგზავრებას არაფერი დააბრკოლებდა.

კირიონი შემდგომ წერს – „ერთობა იყო ქართველთა და სომეხთა შორის და წმიდა უფლის გრიგოლის მთელ სამწყსოში ერთობა იყო იერუსალიმის სარწმუნოებასთან, რომლითაც რომაელნი ცხოვრობენ“ (გვ. 90). კირიონი როცა წერს, „ერთობა იყო ქართველთა და სომეხთა შორისო“, გულისხმობს არა იმას, რომ ქრისტიანობის შემოღების დროიდან IV საუკუნიდან იყო „ერთობა“ სომეხთა და

ქართველთა შორის, არამედ იმას, რომ სარწმუნოებრივი და „წესებით“ ერთობა დამყარდა გაბრიელ და ბაბგენ კათალიკოსების შემდეგ – „მამათა“ კრების გადაწყვეტილებით 506-520-იანი წლებიდან. ეს „ერთიანი“, სარწმუნოებრივად რაღაც „უნიტარულის“ მაგვარი, ეკლესია ამ დროისათვის წმიდა გრიგოლის ეკლესიად მიუჩნევიათ, სარწმუნოებრივად ის თავისთავადი და დამოუკიდებელი კი არ ყოფილა, არამედ იერუსალიმზე ყოფილა დამოკიდებული, იერუსალიმის სარწმუნოება ჰქონია.

ეს ის მსჯელობაა იერუსალიმის სარწმუნოების შესახებ, რომლის მოსმენაც კი არ სურს აბრაამს.

„რომის მამამთავარი წმიდა პეტრეს საყდარზე ზის, ალექსანდრიელი – წმიდა მარკოზ მახარებლის, კონსტანტინოპოლელი – წმიდა იოანე ნათლისმცემლისა[117] და იერუსალიმელი – უფლის ძმის წმიდა იაკობისაზე. რა სარწმუნოებაც მათ ეპყრათ, ჩვენც ის მოგვცეს, ჩვენ და ჩვენი მამები აქამდე ვიცავდით, ეხლა რისთვის დავტოვოთ იგი და თქვენ გერწმუნოთ? სხვა მართლმადიდებელი ეპისკოპოსებიც, რომელნიც ურიცხვნი არიან, მეფენი და მთავარნი და მთელი მართლმადიდებელი ქვეყნები, ყველა ესენი როგორ უნდა მივატოვოთ და თქვენ შემოგიერთდეთ?“ (გვ. 90). – კირიონის ამ პასუხიდან აშკარად ჩანს, რომ სომხეთი მოითხოვს, ქართლი მას შეუერთდეს სარწმუნოებრივად. ეს კი თავისთავად გამოიწვევდა ქართული ეკლესიის მოწყვეტასა და იზოლაციას მსოფლიო ქრისტიანობისაგან, რადგანაც სომხეთი ფაქტობრივად იზოლირებული აღმოჩნდა მსოფლიოს ქრისტიანობისაგან. კირიონს რომ არ დაეგვირგვინებინა ქართულ ეკლესიაში უკვე ასურელი მამების დროიდან ჩასახული მოძრაობა მსოფლიო ეკლესიასთან მჭიდრო კავშირის არსებობისთვის, ქართული ეკლესია მტკიცე ერთობას შექმნიდა სომხურ ეკლესიასთან და მასაც ალბანური ეკლესიის ბედი მოელოდა. ცნობილია, ალბანურმა ეკლესიამ მჭიდრო კავშირი შეკრა სომხურ ეკლესიასთან, ამის გამო იგი მოწყდა მსოფლიო ეკლესიას, შედეგად ალბანეთში საუკუნეთა მანძილზე დაინერგა სომხურენოვანი ღვთისმსახურება, სომხური კულტურა ალბანელებისთვის სრულიად მისაღები, თითქმის მშობლიური იყო, შედეგად ალბანური ეკლესია სომხური ეკლესიის ნაწილად იქცა, რის გამოც ალბანური ეკლესია გაუქმდა, მისი ადგილი სომხურმა ეკლესიამ დაიჭირა. იგივე მოელოდა ქართულ ეკლესიას, თუ არა კირიონის დიდად დასაფასებელი მოძრაობა, რომელიც ეფუძნებოდა „ასურელი მამების“ ღვაწლს.

კირიონის პასუხიდან ჩანს, რომ მის დროს, ე.ი. VII საუკუნის დასაწყისში ქართულ ეკლესიას 35 ეპისკოპოსი ჰყავდა. „ქართლში სულ 35 ეპისკოპოსია. ეგ მოსე საიდან აღმოჩნდა მხოლოდ ერთი მეცნიერი და მართლმადიდებელი და სხვა ყველა მწვალებელი?“ (გვ. 90).

კირიონს სრულიად დამოუკიდებლად უჭირავს თავი, ის არავითარ დაქვემდებარებას არ გრძნობს სომეხი იერარქის მიმართ. კირიონი აქებს სპარსეთის შაჰს. ღმერთმაო, წერს ის, „...მეფეთა-მეფის დიდებისაგან უფრო განმადიდა და წარმატებულ მყო, ვიდრე ჩემი მამები, მით უმეტეს კი, ვიდრე ჩემი ამხანაგები“ (გვ. 90).

კირიონი სთავაზობს აბრაამს, იცხოვრონ ისევე მშვიდობით, როგორც ქართველი და სომეხი მამები აბრაამამდე, – „ხოლო თუ სხვაგვარად გნებავთ იფიქროთ, მეტს

ნუ გაირჯებით და ამისათვის მეტად ნუღარ მოგვწერთ. შემდეგ მე სომხეთზე გზით გავლა მომიწევს ოდესმე – ღმერთი თუ მაღირსებს, რომ იერუსალიმს წავიდე წმიდა ადგილთა თაყვანისსაცემად, თორემ სხვა რამ საქმე არა მაქვს“ (გვ. 91).

კირიონი უარზეა აბრაამთან შეხვედრაზე „...დროის გამო მოუცლელი ვარ, ბრალს ნუ დამდებთ“ (გვ. 91).

27. აბრაამ კათალიკოსი III ეპისტოლეს უგზავნის კირიონს. მისი კილო სავსებით შერბილებულია: – „...განვაახლოთ სულიერი სიყვარული, რომელიც ორივე ხალხს შორის იყო, ის მოძღვრება. რომელიც ერთი წყაროდან მიგვიღია... საერთო ღვთისმსახურება დაგვითესეს ჩვენ და თქვენ ჯერ ნეტარმა წმიდა გრიგოლმა და შემდეგ მაშტოცმა“ (გვ. 93). საერთო ღვთისმსახურების შესახებ ხშირად ლაპარაკობენ სომეხი იერარქები და სმბატ მარზპანი. კირიონიც წერს საერთო წესსა და სარწმუნოებაზე. ეს საერთო წესი (ალბათ ტიპიკონი), საერთო სომხურენოვანი ღვთისმსახურება და საერთო სარწმუნოება ქართლის იერარქებს მიუღიათ ქართლის სამეფოს გაუქმების დროს, დაახლოებით VI საუკუნის 20-იან წლებში, სომეხ-ქართველთა საეკლესიო კრებაზე, ცხადია, სპარსთა იძულებით.

როცა აბრაამი წერს, საერთო ღვთისმსახურება დაგვითესეს ჯერ წმიდა გრიგოლმა და შემდეგ მაშტოცმაო, აქ იგულისხმება არა მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნა, არამედ სომხურენოვანი საერთო ღვთისმსახურებისათვის საჭირო სომხური წმიდა წიგნების გამოყენება ქართულ ეკლესიაში (ცხადია, ქართულ ეკლესიაში ქართულენოვანი ღვთისმსახურება უპირველესი, უმთავრესი იყო, მაგრამ ქართულთან ერთად ზოგჯერ (ანდა ზოგიერთ ადგილას) სომხურენოვანიც დაინერგა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ სრულდებოდა არა სომხურენოვანი წირვა-ლოცვა, არამედ შერეული ქართულ-სომხური წირვა-ლოცვა, ისე, როგორც ამჟამად ჩვენში ზოგიერთ რეგიონში არსებობს შერეული ქართულ-ბერძნული, უფრო კი ქართულ-რუსული წირვა-ლოცვა. ანდა ქართული წირვა-ლოცვის დროს ზოგიერთი ასამაღლებელი ითქმოდა სომხურ ენაზე, ისე როგორც ამჟამად ითქმის ქართული ღვთისმსახურებისას რუსულ ანდა ბერძნულ ენებზე (უფრო სწორად, სლავურად). შეიძლება ზოგიერთი კვერექსი ანდა მცირე ლოცვა, მრწამსი, სამოციქულოს ან სახარების კითხვა წირვისას ზოგჯერ სომხურად აღესრულებოდა. ასეთი პრაქტიკა – შერეული წირვა-ლოცვა არსებობს და დადასტურებულია მსოფლიო ქრისტიანულ ეკლესიაში. ამჟამადაც კი, თვით კათოლიკური წირვის დროს კათოლიკურ ქვეყნებში, ერთ მომენტში ლოცვა „უფალო შეგვიწყალენ“ ითქმის ბერძნულ ენაზე – „კირიე ელეისონ“. ბერძნულ ენაზე და არა რომელიმე სხვა ენაზე ამ სიტყვების თქმა ტრადიციაა, თუმცა ამ წირვას შეიძლება ბერძენი საერთოდ არ ესწრებოდეს.

მაშტოცის მიერ შექმნილი სომხური ანბანით დაწერილი სომხური წიგნები საჭირო იქნებოდა ქართულ ეკლესიაში, რადგანაც ქართულ წირვა-ლოცვასთან ერთად სომხურადაც მიდიოდა „საერთო ღვთისმსახურება“.

წმიდა გრიგოლიც ამ „საერთო ღვთისმსახურების“ გამო მოიხსენიება ქართულ ეკლესიასთან კავშირში, რადგანაც „საერთო სარწმუნოებას“ ეფუძნებოდა ეს ქართულ-სომხურ-ალბანური უნიტარულის მაგვარი ეკლესია, რომლის ზემდგომი სომხური ეკლესია იყო, დაარსებული წმიდა გრიგოლის მიერ.

ჩანს, აბრაამს სურდა ეთქვა, – „საერთო ღვთისმსახურება გრიგოლისა და მაშტოცისა დაითესა ჩვენში და თქვენშიო“. მართლაც, „საერთო ღვთისმსახურება“ აბრაამს წმიდა გრიგოლისა (IV ს-ში) და მაშტოცის (V ს-ში) დანერგილად რომ არ მიაჩნია, იმავე ეპისტოლედან ჩანს, სადაც აბრაამი „საერთო სარწმუნოებისა და ღვთისმსახურების“ შემოღების თარიღად მიიჩნევს VI საუკუნის დასაწყისს და არა IV-V საუკუნეებს. „ერთობა“ ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის იწყება გაბრიელ კათალიკოსიდან (VI ს-ის დამდეგი) და არა მანამდე. VI საუკუნემდე აბრაამი არ ასახელებს არც ერთ ქართველ იერარქსა თუ მოღვაწეს, არ ასახელებს რაიმე საეკლესიო მოვლენასა თუ მომენტს საეკლესიო ცხოვრებაში, რომელიც დაადასტურებდა ქართული და სომხური ეკლესიების „ერთობას“ VI საუკუნემდე. ასეთი ძველი „ერთობის“ დამადასტურებელი რაიმე ფაქტი ან წყარო რომ ჰქონოდათ სომეხ იერარქებს და სმბატ მარზპანს, ისინი აუცილებლად მოიხსენიებდნენ, როგორც უპირველესი მნიშვნელობის საბუთს. მაგრამ ისინი მხოლოდ გაბრიელ და ბაბგენ კათალიკოსების ეპოქას დებენ „ერთობის“ დასაწყის თარიღად. ასევე სომხურენოვანი ღვთისმსახურების დანერგვის თარიღად ცურტავში მათ მიაჩნიათ არა IV-V საუკუნეები, არამედ წმიდა შუშანიკის შემდგომი ეპოქა, ეს არის VI საუკუნის დასაწყისი. მის საფლავზე აგებულ ეკლესიაში და მერე გუგარქში ამ ახალი საეკლესიო ენის გავრცელებას VI საუკუნის დასაწყისამდე ვერ შეძლებდნენ. ასე რომ, აბრაამისავე თანახმად, საერთო ღვთისმსახურება ქართლსა და სომხეთში გავრცელდა არა გრიგოლისა და მაშტოცის დროს, არამედ VI საუკუნის დასაწყისში, ბაბგენის და გაბრიელის დროს. თუმცა, საერთო ღვთისმსახურება გრიგოლის მიერ შემოქმედებად, ღვაწლად ითვლებოდა, ხოლო მაშტოცის სომხური ანბანით დაწერილი წიგნები ორივე ეკლესიაში გამოიყენებოდა.

ქართული სახელმწიფოს გაუქმების დროს სპარსეთი სომხურ ეკლესიას უპირატესობას ანიჭებდა მთელ იმპერიაში. ეს საყოველთაოდ არის ცნობილი, ამიტომაც არ არის გასაკვირი ეკლესიათა შორის ასეთი სახის „ერთობის“ დაარსება. აბრაამი ასახელებს „ერთობის“ დანერგვის მონაწილე ქართველ იერარქებს, რომელთაც ქალკედონის კრება დაუგმიათ, – „...შენმა წინაპარმა ნეტარმა გაბრიელ ქართლის კათალიკოსმა დაწყევლა ჩვენ ნეტარ მამებთან ერთად თავისი თანამოსაყდრეებითურთ, რომელთა სახელებია ესენი: თვითონ გაბრიელ ეპისკოპოსი მცხეთისა სახელოვანი, პალგენ ეპისკოპოსი სეფესახლისა, ელიფას ეპისკოპოსი სამურიალი, სამუელ ეპისკოპოსი ტუმასუელი, დავით ეპისკოპოსი ბოლნისისა, იაკობ ეპისკოპოსი ორტავისა, სტეფანის ეპისკოპოსი უსთავისა, საჰაკ ეპისკოპოსი ტფილისისა, ელაგეს ეპისკოპოსი მანგლისისა, ენეს ეპისკოპოსი მარუელი, ევგენეს ეპისკოპოსი, სამთაველი იოსებ, ეპისკოპოსი ადსუელი, იოვან ეპისკოპოსი სარუსთიელი, იოსებ ეპისკოპოსი კუხორდოსი, ეზრას ეპისკოპოსი კისდადისა, ენოვქ ეპისკოპოსი წილკნისა, იოსებ ეპისკოპოსი მიდამილი, ლაზარ ეპისკოპოსი ბოლდბილი, თეოდოროს ეპისკოპოსი ფორთის, ზაქარია ეპისკოპოსი კასდრელი, ფოკას ეპისკოპოსი ტსერმილი, ისააკ ეპისკოპოსი ქუნანაკერტისა, თომა ეპისკოპოსი ტარსისა, ესტგენ ეპისკოპოსი ქორზონისა“ (გვ. 97-98).

საინტერესოა, რომ აბრაამი გაბრიელ კათალიკოსთან ერთად ასახელებს სეფესახლის ეპისკოპოს პალგენს. ასეთი ცნობა ეთანხმება ქართულ წყაროებს, რომელთა მიხედვითაც მცხეთაში იჯდა ორი ეპისკოპოსი, ერთი იწოდებოდა კათალიკოს მთავარეპისკოპოსად და ის მეთაურობდა ეკლესიას, ხოლო მეორე, ძველი ეპისკოპოსი სამთავროში იჯდა. ეს ეპისკოპოსი კათალიკოსობის დაწესებამდე მეთაურობდა ქართულ ეკლესიას. კათალიკოსობის დაწესების შემდეგ მისი ტახტი არ გაუქმებულა და მცხეთაში ორი ეპისკოპოსი აღმოჩნდა. სამთავროში, როგორც თვით სიტყვიდანაც ჩანს, მთავართა სასახლე იყო ანუ სეფესახლი. შეიძლება ამიტომაც უწოდებს მას „სეფესახლის ეპისკოპოსს“ აბრაამი. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, სამთავროში მჯდომი მცხეთელი მთავარეპისკოპოსის სამწყსოში შედიოდა დასავლეთ საქართველოს ვაკე – კერძოდ, ხონი. დასავლეთ საქართველოს მთიანეთი, კერძოდ, რაჭა-თაკვერი ნიქოზის საეპისკოპოსოში შედიოდა. ეს, ცხადია, დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოების წარმოშობამდე. თვით გვიან შუა საუკუნეებშიც კი დასავლეთ საქართველოს ერთ ტერიტორიაზე კვლავ ახორციელებდა თავის უფლებამოსილებას მცხეთელ-სამთავროელი მთავარეპისკოპოსი. დასავლეთი საქართველო ხოსროიანთა სამეფო მამულად ითვლებოდა, კერძოდ, როცა მეფეებმა მირმა და არჩილმა საქართველოს სამეფო გაიყვეს, მთელი დასავლეთი საქართველო, როგორც „საუხუცესო“ ტერიტორია, გაუყოფელი დარჩა მთლიანად მეფე არჩილს. ასევე სამეფო ტერიტორია იყო კახეთიც. ამიტომაც, ჩანს, ამ სამეფო მიწებზე სეფესახლის ეპისკოპოსი თავის უფლებას ახორციელებდა.

28. კირიონი საპასუხო ეპისტოლეს უგზავნის აბრაამს: – „თქვენ ისე გვწერთ ჩვენ, როგორც ახალნერგსა და ახალმორწმუნეს და ისე არ გვწერთ, როგორც შეჰფერის პატიოსანს და მარად მართლმადიდებელს, რადგან დღეს ღვთის მოწყალებით მთელ ქვეყანაზე უფრო მოწინავე ვართ და მართლმადიდებელი, ვიდრე ცოტა ვინმე...“ (გვ. 100).

შემდეგ: „...ჩვენი და თქვენი სარწმუნოება ერთი იყო და მთელი სარწმუნოება იერუსალიმიდან გვქონდა და გვაქვს, როგორც ეწერა“. კირიონი არ უარყოფს საერთო სარწმუნოების არსებობას და უმატებს – როგორც შენს ეპისტოლეში ეწერაო, აბრაამმა კი მისწერა ის, რომ საერთო ღვთისმსახურება იყო ჩვენთან და თქვენთანო. კირიონი ამას არ უარყოფს.

აღსანიშნავია, რომ კირიონი ასე მსჯელობს: ქართული ეკლესია მართლმადიდებელი იყო და არის, აბრაამამდე სომხეთის კათალიკოსიც მართლმადიდებელი იყო და სწორი სარწმუნოების მქონე, ახლა კი, აბრაამის დროს, სომხეთის სარწმუნოება შეიცვალა იმით, რომ გადაუხვია იერუსალიმის სარწმუნოებიდან, – „თქვენზე ადრე, რომ მაგ საყდარზე ნეტარი მოსე იჯდა, ჩემსა და მას შორის დიდი სიყვარული იყო... ვიდრე თქვენამდე მოაღწევდა მაგ საყდრის დაკავების ჟამი, ჩვენი და თქვენი სარწმუნოება ერთი იყო...“ (გვ. 101).

შემდეგ წერს, – „ხოლო უკეთუ გსურს გამოიძიო ჩვენი სარწმუნოება და გაიცნო, ვათარგმნინე და მოვატანინე ოთხ კრებათა წიგნები, რომლებითაც რომაელნი ხელმძღვანელობენ წმიდა ანასტასსა და წმიდა სიონშიც იგი იქადაგება. უნდა თუ არა

ვისმეს, ჩვენი სარწმუნოება ეს არის“ (გვ. 102). სომხური ეკლესია აღიარებდა სამ მსოფლიო კრებას, ხოლო მეოთხეს, ქალკედონისას, წყევლიდა, კირიონი კი ოთხივე კრების წიგნებს უგზავნის – „...ეს არის ჭეშმარიტი სარწმუნოება“, – წერს კირიონი.

29. აბრაამი საყოველთაო მრგვლივმოსავლელ ეპისტოლეს აგზავნის მთელ სომხეთში, რომელშიაც გადმოსცემს სარწმუნოების მონოფიზიტურ მრწამსს და გმობს ქალკედონიტობას.

ქალკედონიტობა მთელ ქვეყანაზე გავრცელდაო, წერს ის, – „...ვიდრემდის თითქმის ამ მოსაზღვრე და ერთი სარწმუნოებით განათლებულ ქვეყნებს არ მიაწია, ქართლს და ალბანეთს ვიტყვი, რომელთაც მყრალი თესლი ზემოთქმულთა დიდებით შეიწყნარეს, თვის შორის დაამტკიცეს“ (გვ. 120). ჩემზე ადრე მყოფმა კათალიკოსმა ამის შესახებ მისწერა ალბანეთს, მე ქართლს მივწერეო, კირიონმა ცურტავის ეპისკოპოსი განდევნა მართლმადიდებლური სარწმუნოების გამო, „...წმიდა შუშანიკისგან დადგენილი სომხური მსახურება, ჩვენს საწინააღმდეგოდ რომ ამხედრდა, შეცვალა, ამისათვის მივწერეთ...“

შემდეგ „...ჩვენც იგივე ვბრძანეთ ქართველთა შესახებ: სრულიად არ ეზიაროთ მათ არც ლოცვაში,არც ჭამასა და სმაში. არც მეგობრობაში,არც დედამძუძეობაში, არც სალოცავად წასვლით ჯვარში, რომლითაც განთქმულია მცხეთის მიდამოები, არც მანგლისის ჯვარში, ნურც ჩვენს ეკლესიაში მიიღებთ მათ, არამედ მათთან ქორწინებითაც სრულიად განეშორეთ, მხოლოდ იყიდეთ და მიჰყიდეთ ვითარცა ურიებს, იგივე ბრძანება უცვლელად რჩება ალბანელთათვისაც...“ (გვ. 122).

ასეთია მიახლოებითი შინაარსი „ეპისტოლეთა წიგნისა“.

„ერთობა“ ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის უსტანესის მიხედვით

არსენ საფარელის თანახმად, პოლემიკა ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის დაწყებულა VI საუკუნის II ნახევარში და განსაკუთრებით გამწვავებულა VII საუკუნის დასაწყისში. პოლემიკა ძირითადად წერილობით მიმდინარეობდა, ზოგჯერ მღვდელმთავრები უშუალოდ კამათობდნენ (მაგ. ცურტაველი ეპისკოპოსი მოსე ქართულ საკათალიკოსოში, ქართველი ეპისკოპოსი პეტრე).

ეპისტოლარულ კამათში მონაწილეობდნენ არა მარტო საეკლესიო იერარქები, ეპისკოპოსები, არამედ ქართველი მთავრები და სომხეთის მარზპანიც კი. ყველა ეპისტოლეში, რომელსაც კირიონს, სხვა ქართველ ეპისკოპოსებს და ქართველ მთავრებს უგზავნიან სომეხი იერარქები და მარზპანი, ძირითადად ქართულ ეკლესიას უსაყვედურებენ და ადანაშაულებენ ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის დადებული შეთანხმება-ხელშეკრულების დარღვევაში, თითქოსდა ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის კირიონამდე რამდენიმე ათეული წლით ადრე დადებული ყოფილა შეთანხმება-ხელშეკრულება ურთიერთკავშირის შესახებ, ხოლო კირიონს ეს კავშირი დაურღვევია.

კირიონ ქართლის კათალიკოსის, მოსე და აბრაამ სომეხთა კათალიკოსების, ვრთანეს ქერდოლის, მოსე ეპისკოპოსის, ვრკანის მარზპან სმბატის, ასევე არსენ საფარელისა და უხტანესის მსჯელობის საგანია ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის VI საუკუნის I ნახევარში დადებული შეთანხმება-ხელშეკრულება ურთიერთკავშირისა და „ერთობის“ შესახებ.

მოსე ცურტავის ეპისკოპოსის მსჯელობით, ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის არსებობდა იერარქიული კავშირი, იმის შემდეგ, რაც ქართველ და სომეხ იერარქებს დაუდვიათ „აღთქმა“. გარდა იერარქიული კავშირისა, მათ შორის სარწმუნოებრივი ერთიანობაც ყოფილა. „ერთობის აღთქმა“ წერილობითი სახისა ყოფილა.

უხტანესის მიხედვით, სომხეთის კათალიკოს მოსეს (574-604) ქართველმა მთავრებმა, ერისთავებმა და ეპისკოპოსებმა დაახლოებით 570-იან წლებში გაუგზავნეს მოციქული და სთხოვეს ქართული ეკლესიისთვის წინამძღვარი (კათალიკოსი), ამიტომაც მოსემ განიზრახა, რომ თავისი სახლიდან მისცეს მათ წინამძღვარი ერთგულებისა“, „...ორივე მხარის სარწმუნოების ერთობისა და, აგრეთვე, პირველ მამათა, რომლებიც მასზე ადრე იყვნენ, აღთქმის განსამტკიცებლად ხელი დაასხა კირიონს...“.[118]

ნამდვილად მოხდა თუ არა ასეთი ხელდასხმა, ეს საკამათოა, მაგრამ უხტანესის თანახმად, მოსე სომეხთა კათალიკოსის მიერ ქართველთა კათალიკოსის „ხელდასხმა“ გამოწვეული ყოფილა „პირველ მამათა აღთქმის განსამტკიცებლად“. ქართველ და სომეხ „პირველ მამებს“ – იერარქებს დაუდვიათ აღთქმა-ხელშეკრულება-გადაწყვეტილება „ორივე მხარის“, ანუ ქართლისა და სომხეთის საეკლესიო ერთობის შესახებ. ეს აღთქმა მიუღიათ არა ოდესღაც, წინა საუკუნეში, არამედ ეკლესიის იმ მამებს, რომლებიც მოსე კათალიკოსზე ადრე მოღვაწეობდნენ, „რომლებიც მასზე ადრე იყვნენ“.

შემდგომში, როცა მოსე კათალიკოსმა გაიგო კირიონის „განდგომა“, მან დაუყოვნებლივ მოუწოდა კირიონს, რათა დაეცვა ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის დადებული წერილობითი ხელშეკრულება. მოსე წერს: „ჯერაც წერილით არის დაცული ჩვენი და თქვენი სარწმუნოების ერთიანობა“; ე. ი. მოსე კათალიკოსის დროს ჯერ კიდევ არსებობდა წერილობითი დოკუმენტი „ერთობის“ შესახებ. კათალიკოსი მოსე კიდეც აღწერს, თუ როგორ და რა პირობებში დაიდო „ერთობის“ ხელშეკრულება. მოსეს მიხედვით, კავად მეფეთა-მეფის დროს მომხდარა სარწმუნოებრივი მიმართულების განსაზღვრა ქართული და სომხური ეკლესიების მიერ, რომაელებს ანუ რომ-ბერძენთა იმპერიას მიუღია ქალკედონიტობა, ხოლო ქართველ-სომეხნი რომაელებს განდგომიან და განშორებიან. სწორედ ეს ფაქტი ყოფილა წერილობით დადასტურებული. უხტანესის მიერ გადმოცემული ეს ტექსტი მოსეს ეპისტოლედან ასეთია: – „სცან იგი, რაც კავად მეფეთა-მეფის დროს იქმნა – გამოძიება სარწმუნოებათა გამოკვლევისა: რომაელებმა ქალკედონის სარწმუნოება მიიღეს, ხოლო ჩვენი და თქვენი ქვეყნები განდგნენ და გაშორდნენ. ჯერაც წერილით არის დაცული ჩვენი და თქვენი სარწმუნოების ერთიანობა. ნუ ეცრუები ჩვენს მამათა აღთქმას, რომელიც ჩვენ ორთა შორის დადეს, ნუ განეშორები ჩვენი ერთობისაგან“[119]

ძალზე საინტერესოა, რომ კათალიკოს მოსეს მიხედვით, ამ „აღთქმის“ დადებამდე ქართული ეკლესია დაკავშირებული ყოფილა რომ-საბერძნეთის ეკლესიასთან. და ქართული ეკლესია ამ დროს ისევე განშორებია რომაულ-ბერძნულ ეკლესიას, როგორც ებრაელები განშორდნენ ეგვიპტეს. საბერძნეთს მოსე უწოდებს ახალ ეგვიპტეს და შეახსენებს კირიონს, რომ ქართული ეკლესია დაშორდა რომ-ბერძენთა ეკლესიას, ანუ ახალ ეგვიპტეს, სადაც ქართული ეკლესია თურმე დევნილი იყო ახალი ეგვიპტის ფარაონის მიერ. მოსე წერს: „ნუ იქნები თანახმა რომაელთა; ნუ მიიქცევი გულით ეგვიპტისაკენ, არამედ გაიხსენე, როგორ გამოხვედი ახალი ეგვიპტიდან და შენი მდევნელი ფარაონის მწარე სახლიდან, ბოროტ ზედამხედველთაგან და მწარე მონობისაგან.“[120]

მართლაც, ცნობილია VI საუკუნემდე კათალიკოსები საბერძნეთიდან იგზავნებოდნენ. მოსე კათალიკოსის მიხედვით, ამ დროს ქართული ეკლესია, თურმე, ბერძნული ეკლესიის მწარე მონობისა და ბოროტი ზედამხედველობის ქვეშ იყო, ხოლო კავად მეფის დროს ქართული ეკლესია გამოყოფია ბერძნულ-რომაულ ეკლესიას. ამავე დროს, ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის დადებულა წერილობითი „აღთქმა“ ერთობის შესახებ. VI საუკუნეში ქართული ეკლესია მართლაც სრულებით დამოუკიდებელი რომ ყოფილა ბერძნული ეკლესიისგან, ამას ქართული წყაროებიც აღნიშნავენ. ამის შემდეგ ქართლის კათალიკოსებად უკვე ქართლშივე ეკურთხებიან ქართველები.

კათალიკოს მოსეს თქმით, ქართველ-სომეხთა საეკლესიო კრებას დაუმტკიცებია „სამი წმიდა კრების აღსარება“ და ურთიერთშორის ერთობლივი წერილობითი დოკუმენტი დაუდვიათ (იგულისხმება I-II-III მსოფლიო კრებები).

„...სამი წმიდა კრების აღსარება, რომელიც ჩვენმა და თქვენმა მამებმა ერთობლივი წერილით დაამტკიცეს ურთიერთშორის, რომელიც ჯერაც გვაქვს“.[121]

ძალზე საინტერესოა და ყურადღება უნდა მიექცეს, რომ კირიონი არ უარყოფს ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის ერთობის შესახებ წერილობითი დოკუმენტის, ანუ „აღთქმის“ არსებობას. უფრო მეტიც, ის აღიარებს ასეთი დოკუმენტის არსებობას: – „ჩვენი და თქვენი მამების ერთობის, აღთქმისა და სარწმუნოების დამტკიცების შესახებაც რომ მოგიწერიათ, ჩვენ იგივე გვაქვს უცვლელად. ჩვენი და თქვენი ქვეყნების შესახებ რომ მოგიწერიათ და გითქვამთ „ერთობის“ გამო, რომელიც ჩვენ დროს არის, ჩვენ იგივე ერთობა გვაქვს და არ ვცვლით“.[122]

კირიონი აღიარებს ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის „ერთობის“ არსებობას.

მოვლენების შემდგომ განვითარებას უხტანესი ასე გადმოგვცემს – მოსე ცურტავის ეპისკოპოსი ჩასულა კირიონ კათალიკოსის კარზე თბილისში, რათა მას კირიონისთვის შეეხსენებინა ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის დადებული ხელშეკრულება, ანუ აღთქმა-პირობა. მოსე თბილისში კირიონთან ჩასულა იმის გამო, რომ „...ჩემი ნახვით ეგების შერცხვესო აღთქმისა და პირობის, რომელიც დადეს სომეხთა და ქართველთა მამამთავრებმა...“[123]

შემდგომში, მოსე ცურტაველი ეპისკოპოსი უთვლის კირიონს: „...ნეტარმა მამამთავარმა მოსემ... იმიტომ შეგარჩია, რომ მამათა აღთქმა და გარდამოცემა მტკიცედ გეპყრას“. „ორივე ამ ქვეყანას, ჩვენსას, სომეხთა და თქვენსას, ქართველთა იგივე

გვქონია და გვაქვს...“ ვრთანეს ქერდოლის თქმით, ანტიქალკედონური ერთობის პირობა დაუდევთ არა მარტო ქართულ და სომხურ ეკლესიებს, არამედ ალბანურ ეკლესიასაც. „...ნესტორისა და ქალკედონის კრების წვალებას, რაც სომეხთა, ქართველთა და ალბანელთა ეპისკოპოსებმა და მთავრებმა ერთად საშინელი წყევლით მოუხსენებლად აღმოფხვრეს, ეხლა ეგ... იწყნარებს“.[124]

აბრაამ სომეხთა კათალიკოსი, ისე როგორც მოსე კათალიკოსი მიიჩნევს, რომ ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის ხელშეკრულება ერთობის შესახებ დადებულა კავად მეფის დროს.

„მეფეთა-მეფის კავადის დროს იქმნა კვლევა-ძიება ჩვენ ქვეყანასა და რომაელთა შორის, რომელთაც მიიღეს ქალკედონის კრება და ლეონის ტომარი, ჩვენი და თქვენი ქვეყნის მოძღვარნი და მთავარნი გაშორდნენ მათთან ზიარებას და ორივე ერთობით იცავს წერილობითაც ჩვენს შორის დღემდე“.[125]

აბრაამ კათალიკოსის თანახმად, ქალკედონიტობას სომხეთსა და ქართლში შემოუღწევია ბაბგენ სომეხთა კათალიკოსისა და გაბრიელ ქართველთა კათალიკოსის დროს. ამის შემდეგ ქართველ და სომეხ აზნაურებს და ეპისკოპოსებს მოუწვევიათ ანტიქალკედონური კრება და დაუდვიათ წერილობითი აღთქმა. ეს წერილობითი აღთქმა დაცული ყოფილა აბრაამის დროსაც: „...ეს ცთუნება, როგორც ადრე მოგწერეთ, შემოვიდა ჩვენ ქვეყანაშიც ბაბგენ სომეხთა კათალიკოსისა და გაბრიელ ქართველთა კათალიკოსის დროს. ეპისკოპოსებმა და აზნაურებმა ერთხმად შეაჩვენეს და გაეცალნენ კრებას და ლეონის ტომარის მადიდებლებთან ერთობას. ეხლაც წერილობით არის დაცული ჩვენთან“.[126] აბრაამი თავის მესამე ეპისტოლეში კირიონის მიმართ წერს, რომ ქართველ-სომეხთა სარწმუნოებრივი შეთანხმება მომხდარა გაბრიელ კათალიკოსის დროს.

„...თუ არ შეიცვალეთ ჩვენი სარწმუნოებისაგან, როგორც მრავალჯერ მოგვწერე, წყეულ ქალკედონის კრებასა და ლეონის ბილწ ტომარს რომ იწყნარებ, შეაჩვენე შენც, როგორც შენმა წინაპარმა ნეტარმა გაბრიელ ქართველთა კათალიკოსმა შეაჩვენა ჩვენ ნეტარ მამებთან ერთად თავისი ეპისკოპოსებითურთ, რომელთა სახელებია: თვითონ გაბრიელ მცხეთის სახელოვანი ეპისკოპოსი, პალდენ სეფესახლის ეპისკოპოსი, ელიფას ასურიელი ეპისკოპოსი, სამუელ ტიმუელი ეპისკოპოსი, დავით ბოლნელი ეპისკოპოსი, იაკობ სრტავის ეპისკოპოსი, სტეფანოს რუზთავის ეპისკოპოსი, საჰაკ თბილისის ეპისკოპოსი, ელადეს მანგლელი ეპისკოპოსი, ენეს მარუელი ეპისკოპოსი, ევგინის სამთავის ეპისკოპოსი, იოსებ ადსუნელი ეპისკოპოსი, იოანე სარუსთის ეპისკოპოსი, მეორე იოსებ კუმურდოს ეპისკოპოსი, ლაზარ ფოლკდნელი ეპისკოპოსი, თეოდოროს ფორთის ეპისკოპოსი, ზაქარია კასტელი ეპისკოპოსი, ფოკას ასტერმიულის ეპისკოპოსი, ისააკ ჰნარაკერტის ეპისკოპოსი, მოსე ტარსის ეპისკოპოსი, სტნგენე ქორზანას ეპისკოპოსი. ეს ნეტარი ეპისკოპოსები, რომლებიც თქვენი ქვეყნიდან იყვნენ, ალაბანელებთან და სივნიელებთან ერთად სომხეთში შეიკრიბნენ ბაბგენ სომეხთა კათალიკოსის დროს, იმ კრებაზე რომელზეც დაიწყევლა მათგან ერთხმად ქალკედონის კრება...“[127]

აღსანიშნავია, რომ უხტანესის თვალსაზრისი განსხვავდება მოსე და აბრაამ კათალიკოსის თვალსაზრისისგან. კერძოდ, თუ ეს კათალიკოსები თითქოსდა 506-

531 წლებში ჩატარებულ რამდენიმე კრებას აერთებენ და ერთ კრებად მიიჩნევენ, უხტანესი ამ კრებას გამოწვლილვით იკვლევს და სხვაგვარად მიიჩნევს.

თუ კათალიკოსები იერარქიული ერთობის მტკიცებით არიან დაინტერესებულნი, უხტანესი სარწმუნოებრივი ერთობის კრების თარიღს იძლევა.

სომხურ ეკლესიასთან ურთიერთობის მიზეზი და მისი შედეგი

ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შემდეგ ქართლი სპარსელებმა დაიმორჩილეს. სპარსელები იმ დროს სომხურ ეკლესიას განადიდებდნენ და უპირისპირებდნენ ბერძნულ-რომაულ ეკლესიას. ამის შესახებ კარგად წერს არსენი საფარელი. V საუკუნეში ქართული ეკლესია ბერძნული ორიენტაციისა იყო და მისი გავლენის სფეროში შედიოდა. ვახტანგ გორგასალმა ანდერძიც კი დატოვა, რომ ქართული ეკლესია არ დაშორებოდა ბერძნულს და ქართლს ბერძნული ორიენტაცია არ უარეყო. ქართლზე ბერძნული ზეგავლენა სრულიად მოუთმენელი იყო სპარსეთის სახელმწიფოსთვის. სპარსეთი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ქართული ეკლესია დაშორებოდა ბერძნულს, მისთვის სასურველი იყო, ბერძნული ეკლესიის მაგიერ ქართულ ეკლესიას ორიენტაცია აეღო აღმოსავლურ-სირიულ-სპარსულ ეკლესიაზე. VI საუკუნის პირველ ათეულ წლებში, ამ პოლიტიკური მიზეზების გამო, ქართული და სომხური ეკლესიები რამდენჯერმე იწვევენ საეკლესიო კრებას. უხტანესის მიხედვით, ბოლო ასეთი კრება, რომელზედაც დადებული ყოფილა წერილობითი სახის „აღთქმა“ ერთობის შესახებ, მოუწვევიათ 520-იან წლებში. შეიძლება ამ ხელშეკრულებით უკმაყოფილო ქართლმა მოაწყო ცნობილი აჯანყება 523 წელს, რომლის შემდეგაც, ზოგიერთი წყაროს მიხედვით, სპარსელებს სრულებით გაუუქმებიათ ქართული სახელმწიფოებრიობა.

„სპარსეთის მთავრობა აგრეთვე სხვა საშუალებებსაც მიმართავდა ამ იდეოლოგიური კავშირის განსამტკიცებლად. მას სურდა, მაგალითად, სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის ეკლესიების გაერთიანება, რომ უფრო ადვილი ყოფილიყო მისი მართვა. ამიტომ მოკლეს თუ არა ვახტანგ გორგასალი, სპარსელების მთავარი მტერი და მოწინააღმდეგე ამიერკავკასიაში, მაშინვე, 506 წელს, სპარსელებმა სომხეთის დედაქალაქ დვინში მოიწვიეს სომხეთის, ქართლისა და ალბანიის ეკლესიების საერთო კრება“.[128]

506-523 წლებში დამპყრობელი სპარსელების იძულებით ქართული ეკლესია დაშორდა ბერძნულ-რომაულს. ქართულ ეკლესიას ამ დროს თავისი ავტოკეფალია არ დაუკარგავს, პირიქით, მისი დამოუკიდებლობა, ანუ ავტოკეფალია კიდევ უფრო განმტკიცდა, რადგანაც უკვე ქართლშივე ირჩევდნენ ამ დროს ქართველ კათალიკოსებს. ქართულ ეკლესიას ამ დროისათვის ჰქონდა თავისი იურისდიქციის საზღვრები და თავისი იერარქიული სტრუქტურა, მაგრამ ოფიციალურად ქართულ ეკლესიას ურთიერთკავშირი ჰქონდა აღმოსავლურ-სომხურ-სპარსულ ეკლესიასთან. არსენი საფარელის მიხედვით, სომხური ეკლესიის უზენაესობა გაგრძელებულა 551 წლამ-

დე, ხოლო საეკლესიო „ერთობა“ დაირღვა კირიონ კათალიკოსის დროს, 607-09 წლებში. კ. კეკელიძის თანახმად, ამ დროს კავშირი ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის მხოლოდ ფორმალურად გაწყვეტილა, ხოლო ფაქტობრივად კვლავ არსებულა. ეს კავშირი ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის მთლიანად გაწყდა VIII საუკუნის დასაწყისში.

ჩანს, ქართულ-სომხური ეკლესიების ურთიერთობა VI-VII საუკუნეებში ისეთივე სახის იყო, როგორც ქართულ-ბერძნული ეკლესიების ურთიერთობა X-XI საუკუნეებში. X-XI საუკუნეებში, თუმცა ქართული ეკლესია სრულიად ავტოკეფალური, დამოუკიდებელი ეკლესია იყო, მაინც აღიარებდა ბერძნული ეკლესიის უპირატესობას.

სომხურ ეკლესიასთან აქტიურ ურთიერთობას, გიორგი მცირის ცნობით, შედეგად მოჰყოლია ქართული წმიდა წერილის რედაქტირება სომხურის მიხედვით. გიორგი მცირის ცნობით, თავდაპირველად ქართული წმიდა წიგნები ითარგმნა ბერძნული ენიდან (ე.ი. IV-V სს-ში), ხოლო შემდეგ სომხური რედაქციის მიხედვით იქნა შესწორებული (ე.ი. VI ს-ში). სომხური რედაქციის მიხედვით შესწორების გამო, ქართული წმიდა წიგნები დამახინჯდა, რასაც ბერძნები გვაყვედრიდნენ. ამიტომაც, მათ ხელახლა დასჭირდა რედაქტირება, ახლა უკვე ბერძნული რედაქციების მიხედვით (XI ს-ში).

ქართული წმიდა წიგნები თავდაპირველად მართლაც რომ ბერძნულიდან არის ნათარგმნი, ხოლო შემდეგ რედაქტირებული სომხურის მიხედვით, დადგენილია ძველი ტექსტების გამოწვლილვითი ანალიზის შედეგად კ. დანელიას მიერ. იგი წერს: „თუ კრიტიკულად შევაფასებთ გიორგი მცირის ცნობას... პოზიტიურ ფაქტად რჩება შემდეგი: 1. ქართველებს ქრისტიანობის მიღებისთანავე ჰქონიათ ძველ მთარგმნელთა მიერ გადმოღებული ბიბლიური წიგნები. 2. შემდგომ, რადგან საბერძნეთი ტერიტორიულად შორს იყო საქართველოსაგან, საქართველოში (თუ საქართველოს მეზობლად) მცხოვრებ სომხებს ქართველებისათვის „მიზეზითა წესიერებისაჲთა“, ე. ი. თარგმანის სისწორის დაცვის მოტივით შეუთავაზებიათ ბიბლიური წიგნების სომხური თარგმანით სარგებლობა. 3. ამის შედეგად ქართულ ენაზე სომხურიდან გადმოუღიათ ზოგიერთი ბიბლიური წიგნი. გიორგი მცირე თვითონ კი არ თხზავს ამ ფაქტს, არამედ არსებითად ტრადიციულ აზრს იმეორებს, მასზე ადრე გიორგი მთაწმიდელი არაერთგზის აღნიშნავს ბიბლიური წიგნების პირვანდელ თარგმანთა მაღალ ღირსებას, რაც, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა ბერძნულ წყაროსთან სიახლოვე-შესატყვისობას გულისხმობს“[129]

კ. დანელია ეთანხმება (ძირითადად) ამ ძველ, ქართულ ტრადიციულ აზრს: „პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული რედაქციის წყარო ბერძნული ორიგინალი უნდა ყოფილიყო. მაგრამ რით ავხსნათ სომხურ-სირიული ელემენტების არსებობა ქართულ თარგმანში? უნდა ვიფიქროთ, რომ ბერძნულიდან მომდინარე ძველი ქართული თარგმანი V-VI საუკუნეებში შეჯერებულ იქნა სირიულიდან მომდინარე სომხურ თარგმანთან...“[130] ისმის კითხვა – რატომ? რა საჭირო იყო ბერძნულიდან უკვე „წმიდად თარგმნილი“ წიგნების შეჯერება სომხურ თარგმანთან შემდგომ საუკუნეებში? მკვლევარი უპასუხებს ამ კითხვას „გარკვეული (სომხური წარმოშობის) წრის სურვილების დასაკმაყოფილებლად“ (იქვე), „ძველი ქართული თარგ-

მანის სომხურ წყაროსთან შეჯერება, თუ სომხურიდან ხელახლა თარგმნა V-VI საუკუნეებისათვის უფრო საფიქრებელია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტაოს თემში, სადაც სომხური წარმოშობის მოსახლეობის ხვედრითი წონა დიდი იყო. პოლიტიკური მოსაზრებით, ტაო IV-VI საუკუნეებში სომხური პროვინცია იყო, დიდი ფეოდალური საგვარეულოს – მამიკონიანთა საგანმგებლო".[131]

სრულიად გაუგებარია, თუკი ტაო პოლიტიკურად IV-VI საუკუნეებში სომხური პროვინცია იყო და აქ სომხური წარმოშობის მოსახლეობის ხვედრითი წონა დიდი იყო, რისთვის სჭირდებოდათ მათ V-VI სს-ში ქართული წიგნები და თანაც სომხურის მიხედვით რედაქტირებული? უფრო მეტიც, თუკი მათთვის სომხური რედაქცია ამ წიგნებისა ავტორიტეტული და მისაღები იყო, შეეძლოთ თვით სომხური წიგნებით ესარგებლათ! სინამდვილეში აქ უფრო გლობალურ საერთო-საეკლესიო მასშტაბის მოვლენასთან გვაქვს საქმე – ქართული ეკლესია არა მარტო ტაოში, არამედ საერთოდ, იძულებული იყო სომხურისათვის შეეჯერებინა ქართულად უკვე თარგმნილი წიგნები. არავითარი სომხური წარმოშობის ქართული მოსახლეობა V-VI სს-ში არ არსებობდა, პირიქით, ეროვნებით ქართული მოსახლეობა სომხურენოვანი ხდებოდა (საეკლესიო თვალსაზრისით), ალბანელთა მსგავსად, მით უმეტეს, რომ როგორც მეცნიერი აღნიშნავს, ტაო და საერთოდ საქართველოს სამხრეთი პროვინციები პოლიტიკურად სომხეთში შედიოდნენ VI საუკუნეში.

არსენი საფარელი წერს, რომ სომხური ეკლესია VI საუკუნეში სპარსეთის იმპერიაში ძალზე დაფასებული ყოფილა, განსაკუთრებით კავადისა და ხოსროს მეფობის დროს. არსენის მიხედვით, სპარსელებმა დაპყრობილ სომხეთში დასცეს აზნაურთა ხელისუფლება და გააბატონეს სამღვდელოება. საერო ხელისუფლება გადაეცა სომეხ სამღვდელოებას. ხარკსაც კი თვით სამღვდელოება კრეფდა მოსახლეობიდან, რადგანაც ქვეყნის მმართველობა მათ ხელში იყო. სპარსეთის სამეფო კარისა და სომხეთის სამღვდელოების კავშირი ისე ღრმა ყოფილა, რომ მეფეები, კავადი და ხოსრო, თავიანთ „შვილობილებად" გამოუცხადებიათ სომეხ კათალიკოსებსა და ეპისკოპოსებს – „აქაჲთგან სპარსთა მარზაპანთა დაიპყრეს სომხითი და შეურაცხ-იქმნა წესი საქრისტიანოჲ, და ეკლესიათა განგებაჲ აღიჴოცა, და აზნაურთა ჴელმწიფებაჲ დაეცა სპარსთა მარზაპანთაგან, და კათალიკოზნი და ეპისკოპოზნი განდრკეს სიმართლისაგან და კადნიერებაჲ მოიღეს სპარსთაგან წინა-აღდგომად აზნაურთა და ჴარკსა სოფელთასა თჳთ გარდაიჴდიდეს, რამეთუ ეპისკოპოსთა და ქორეპისკოპოსთა მიანდვეს ქუეყანაჲ, ვითარცა მორჩილთა მეფობისა სპარსთაჲსა და რომელთამე კათალიკოზთა და ეპისკოპოსთა მეფენი სპარსთანი დაიშვილნეს და ძეობილად უწოდდეს კავადს და ხუასროს..."[132]

კავად მეფის დროს სომხეთის ეკლესია მართლაც რომ გაბატონებული და გაძლიერებული ყოფილა, ეს ჩანს არა მარტო არსენი საფარელის მიხედვით, არამედ სომეხთა კათალიკოსის, მოსეს ეპისტოლედანაც. კირიონისადმი მიწერილ ამ ეპისტოლეში მოსე შეახსენებს კირიონს, რომ კავად მეფის დროს ქართველი და სომეხი ეკლესიის მამების გაერთიანებულ კრებას მიუღია წერილობითი დადგენილება, რომლის ძალითაც სპარსეთის იმპერიის საზღვრებში მოქცეული ამიერკავკასი-

ისა და სხვა ერების ეკლესიებს უარუყვიათ ქალკედონის კრების დადგენილება, გარდა ამისა, მიულიათ რაღაც აღთქმა თუ ფიცი საეკლესიო ერთობის შესახებ. მოსე წერს, – „სცან იგი, რაც კავად მეფეთა-მეფის დროს იქმნა... ჯერაც წერილით არის დაცული ჩვენი და თქვენი სარწმუნოების ერთიანობა. ნუ ეცრუები ჩვენს მამათა აღთქმას, რომელიც ჩვენ ორთა შორის დადეს, ნუ განეშორები ჩვენი ერთობისაგან...“[133]

კავად მეფეს სომეხ-ქართველთა საეკლესიო ერთობის აღნიშვნის დროს ახსენებენ არა მარტო არსენი საფარელი და მოსე კათალიკოსი, არამედ ძველი დროის სხვა საკლესიო მოღვაწენიც.

არსენი საფარელი, რომელიც თავგამოდებით იბრძვის ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის, არ უარყოფს სომხურ და ქართულ ეკლესიებს შორის „ერთობის“ არსებობას. მის მიხედვით, ამ ეკლესიათა შორის არსებულა იერარქიული ერთობა, რომელიც გაგრძელებულა 551 წლამდე – ნერსე მიჯინის I კრებამდე.

„ხოლო არამცირედი აღთქუმაჲ იყო ხუასრო მეფემან ნერსე კათალიკოზისა მიმართ... ქმნა კრებაჲ პირველი დვინს და განეშორნეს სჯულითა ბერძენთა და იერუსალემსა. ხოლო ქართლი ყოველი და მეოთხედი სომხითისა განეყენნეს - ჭელთდასხმასა მღდელობისასა სომეხთაგან, არამედ ჰერნი და სივნიელნი ჟამ ერთ განეყენნეს და კუალად შეერინნეს...“[134]

სომხეთის კათალიკოსები, მოსე და აბრაამი, ასევე სხვა მოღვაწენი მიიჩნევენ, რომ ქართულ-სომხურ-ალბანური ეკლესიების ერთობამ უარყო ქალკედონის კრება, ხოლო არსენის მიხედვით, სომხური ეკლესია „ბერძნულ სჯულს“ გაშორებია ხოსროს დროს, რასაც აღუშფოთებია ქართული ეკლესია, ამის გამო ქართულ ეკლესიას კავშირი შეუწყვეტია სომხურ ეკლესიასთან.

ზ. ალექსიძის მიხედვით, „...არსენი პირდაპირ იწერს ტექსტს თავისი სომხური წყაროდან, რომელიც თავის მხრივ ტენდენციურად არის გადაკეთებული გვიან. პირველ წყაროში ლაპარაკი იყო რელიგიურ ერთიანობაზე (ბერძენთა მსგავსად) და არა იერარქიულზე“.[135]

ძველ დროს იერარქიულ ურთიერთდამოკიდებულებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. თვით ისეთი ძლიერი და ძველი ეკლესიაც კი, როგორიც სომხური ეკლესია იყო, იერარქიულად საბერძნეთის, კერძოდ, კაპადოკია-კესარიის ეკლესიაზე იყო დამოკიდებული. სომხურ ისტორიოგრაფიაში გარკვეულია, რომ ბერძნულ (კაპადოკიის) ეკლესიას სომხური ეკლესია საბოლოოდ დაშორდა დვინის 554 წლის კრების გადაწყვეტილებით. – „... დვინის კრების ნებით (554 წ.) სომხური ეკლესია საბოლოოდ დაშორდა ბერძნულს“.[136]

520-იანი წლებიდან 560-იან წლებამდე ქართული ეკლესიის მდგომარეობა ძლიერ საგანგაშო ყოფილა, რასაც შედეგად მოჰყოლია ასურელი მამების ჩამოსვლა საქართველოში 530-40-იან წლებში, რომელთა მოღვაწეობითაც ქალკედონიტობა განმტკიცებულა, მონოფიზიტობა დასუსტებულა. 70-90-იან წლებში ქართლი უკვე ქალკედონიტურია, რაც ნაყოფი იყო ასურელ მამათა ღვაწლისა და 551 წელს სომხურ ეკლესიასთან კავშირის გაწყვეტისა, მაგრამ ეს სომხურ-ქართულ ეკლესიათა დაშორება სრული არ ყოფილა, „ერთობა“ კვლავ გრძელდებოდა.

შინაგანად ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ორი ეკლესია, გარეგნულად კვლავ ერთიანობის წარმოსახვას ცდილობდა, ეს გამოწვეული იყო იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაციით; საქართველოში სპარსელების ძლიერების დროს ქართულ ეკლესიას ურთიერთობა ჰქონდა სომხურ ეკლესიასთან, ხოლო ბიზანტიელთა ძლიერების დროს „ერთობა“ ირღვეოდა. VII საუკუნის დასაწყისში, 604 წლიდან, ხოსრო II-მ ბიზანტიელნი მრავალჯერ დაამარცხა და, ცხადია, საქართველოშიც გაძლიერდა. ამ დროიდან, სომხეთი დაბეჯითებით მოითხოვს „ერთობის“ კიდევ უფრო განმტკიცებას. „ერთობის“ შესუსტება გამოიწვია იმანაც, რომ 592 წლიდან იბერიის მომეტებული ნაწილი თბილისამდე ბიზანტიას გადასცა სპარსეთმა. კირიონს განსაკუთრებულ პოლიტიკურ სიტუაციაში უხდებოდა მოღვაწეობა: მისი სამწყსოს ერთი ნაწილი ბიზანტიელთა ხელში იყო, ხოლო მეორე ნაწილი სპარსელებისა. კირიონსაც შესაბამისი პოლიტიკა აქვს: „კირიონმა თავისი ნება ორად გაყო, გადაიხარა ბერძენთა მხარეს, თაყვანს სცემდა და აამებდა მავრიკე კეისარს. ამით იქადის და ამბობს: „ჩვენ მივიღეთ და გვაქვს კეისრის სარწმუნოებაო“... შემდეგ ამბობდა: „კონსტანტინოპოლი წმიდა იოანეს საყდარი და კეისრის სახლია, რა სარწმუნოებაც იქ იქადაგება, ჩვენც მას ვემსახურებითო.“ შემდეგ: „ვათარგმნინე და გამოვაგზავნე ოთხი კრების წიგნი, რომლითაც ბერძნები ხელმძღვანელობენ და ჩვენც იგივე სარწმუნოება გვაქვსო, და ღმერთმა კეისარი აცოცხლოსო“. ხოლო შემდეგ მოიქცევა სპარსელთა მხარეს, რადგანაც მათი ქვეყანა გაყოფილი იყო სპარსელთა და ბერძენთა მხარედ და ეჭვობდა მეფეთა-მეფის გამო...“[137]

მავრიკე კეისარი, რომელსაც კირიონი „თაყვანს სცემდა და აამებდა“, დაეხმარა ხოსრო II-ს. „ამ დახმარების სამადლობლად ხოსრო II-მ, ...იბერიის მომეტებული ნაწილი ქ. თბილისამდე მავრიკი კეისარს გადასცა. ეს უნდა მომხდარიყო, მაშასადამე, 591 წელს“; „როცა კეისარს მავრიკის ფოკა აუჯანყდა და მავრიკი მოკლა, ხოსრო II 604 წ. ...ბერძნებს ომი აუტეხა. სპარსთა მეფემ ბიზანტიელნი მრავალგზის დაამარცხა და 606-607 წ-ს კეისრის ჯარი კარინიდანაც კი განდევნა...“[138]

უხტანესის მიხედვით, კირიონს ქალკედონური სარწმუნოება ჰქონია, მაგრამ ამის გამომჟღავნებისა ეშინოდა სპარსელებთან. „კირიონი იმ მხარით იქადიდა, რადგან სარწმუნოება იქიდან მიეღო და ამ მხარეს ეშინოდა, რომ მეფისაგან სარწმუნოების გამოძიება იქნება სომეხ აზნაურთა გავლენითო“. „ვაი, თუ გამოიძიოს ჩემი საქმეები სმბატ ვრკანის მარზპანის ჩაგონებითო...“ „ლიქნით კეისრის დღეგრძელობას ეძიებდა და მეფის დიდებას ევედრებოდა“.[139]

ივანე ჯავახიშვილს გამორკვეული აქვს, რომ „...სომხეთის მმართველი წრეების ერთი ძირითადი მოსაზრებათაგანი ის ყოფილა, რომ ქართველები სპარსეთის ქრისტიანებსა და სომხებს არ უნდა ჩამოშორებოდნენ და მათთან უეჭველად ერთობა დაეცვათ... საფიქრებელია, რომ მონოფიზიტობის ასეთი თავგამოდებული მომხრეობა სომეხთა მხრივ სწორედ იმ მჭიდრო სულიერი კავშირით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომელიც სომხურ ეკლესიას აღმოსავლეთისა და, კერძოდ, სპარსეთის ეკლესიასა და ქრისტიანობასთან ამ ხანაში ჰქონდა... ქართველთა და სომეხთა სარწმუნოებრივი ერთობისა, თუ განხეთქილების საკითხი არსებითად

იმაზე იყო დამოკიდებული, აღმოსავლეთის, სპარსეთის საეკლესიო ტრადიციასა და მოძღვრებას მიემხრობოდა საქართველო, თუ დასავლეთისას, ბერძნულ-რომაულ ქრისტიანობას... ქართველთა და სომეხთა სარწმუნოებრივ სიმპათიებს პოლიტიკური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და, უეჭველია, სპარსეთის მთავრობა ამ გარემოებას ფხიზლად სდარაჯობდა".[140]

ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ სომეხთა კათალიკოსს „...ჭეშმარიტი სარწმუნოების დამცველად მხოლოდ სომხური ეკლესია მიაჩნდა".[141] „კჳრიონი სწერდა აბრაამს: „ქართველებს და სომხებს ერთმანეთში თანხმობა ჰქონდათ, წმიდისა უფლისა გრიგოლის მთელსავე სამწყსოს თანხმობა ჰქონდა იერუსალიმის სარწმუნოებასთან, რომელსაც ჰრომაელნი მისდევენ, და სხვა რამე სიტყვა-საუბარი იქ არ შეჭრილა. ეხლა კი საიდან-ღა გაჩნდა? რომის მამამთავარი წმ. პეტრეს საყდარზე ზის, ალექსანდრიისა – წმ. მარკოზ მახარებლისაზე, ანტიოქიისა – წმ. ლუკა მახარებლისაზე, კონსტანტინოპოლისა – წმ. იოანე მახარებლისაზე და იერუსალიმისა – ძმისა უფლისა წმ. იაკობისაზე. რა სარწმუნოებაც მათ ჰქონდათ და ჩვენ და ჩვენ მამებს გადმოგვცეს და რასაც ჩვენ აქამომდე ვიცავდით, ამას ეხლა როგორ მივატოვებთ და თქვენ როგორ დაგიჯერებთ? და თუნდაც სხვა უამრავ მართლმადიდებელ ეპისკოპოზებს, მეფეებს, მთავრებსა და მთელ მართლმადიდებელ ქვეყნიერებას როგორ შეიძლება, რომ თავი დავანებოთ და მარტო თქვენთან გვქონდეს ერთობა"-ო?[142]

„რაკი ქალკედონიანობა მაშინდელ ხუთსავე საპატრიარქო ეკლესიას მართლმადიდებელ სარწმუნოებად ჰქონდა აღიარებული, ამიტომ კჳრიონ კათალიკოსის აზრით, სომხური ეკლესიის პრეტენზიები, ვითომც ჭეშმარიტი სარწმუნოება მხოლოდ მას ჰქონდეს დაცული, სრულებით უსაფუძვლო იყო".[143]

სომხეთის კათალიკოსს უნებებია სრული და საბოლოო განხეთქილების ჩამოგდება და ამით ქართული ეკლესიის თითქოსდა დასჯა: „...607-608 წელს მრგვლივმოსავლელი ეპისტოლე გამოსცა, რომლის ბოლოშიაც ნათქვამი იყო: „ჩვენ ბერძნების შესახებ პირველ მოძღვართა გამოტანილი დადგენილების... ქართველებზეც გავრცელებას ვბრძანებთ, – რომ მათთან სრულებით არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდეთ არც ლოცვაში, არც ჭამა-სმაში, არც მეგობრობაში, არც შვილების აღზრდაში, რომ მცხეთისა და მანგლისის ჯვრების კარზე სალოცავად აღარ გაემგზავრნენ ხოლმე და ჩვენ ეკლესიებში არ შემოუშვან... ამ განკარგულებას ძალა ალბანელების შესახებაც ჰქონდეს"-ო.[144]

ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ ამ ორ ეკლესიას შორის „ერთობა" არსებობდა და ამ ერთობის დაცვით განსაკუთრებით სომხური მხარე იყო დაინტერესებული, „რომ ქართველები სპარსეთის ქრისტიანებსა და სომხებს არ უნდა ჩამოჰშორებოდნენ და მათთან უეჭველად ერთობა დაეცვათ".[145]

ურთიერთობა ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის რამდენჯერმე დაირღვა VI-VII საუკუნეებში და კვლავ აღდგა. 551-54 წლებში ურთიერთობა დაირღვა, არსენი საფარელის მიხედვით, მაგრამ, ჩანს, საეკლესიო ერთობა კვლავ არსებობდა („ერთობის" არსებობა საქართველოში სპარსეთის ძლიერებაზე იყო დამოკიდებუ-

ლი). კირიონმა VII საუკუნის დასაწყისში „ერთობა“ დაარღვია. 607-9 წლებში დარღვეული ერთობა კვლავ აღდგენილა სპარსეთის იმპერიის ნებით 614 წელს, რომელიც იმ ხანებში ისე გაძლიერდა, რომ ბიზანტიის ტერიტორიებიც კი დაიპყრო. სპარსეთის ამ ძლიერების ჟამს 614 წლის კრების გადაწყვეტილებით სპარსეთმა აიძულა სპარსეთის სახელმწიფოში მცხოვრები ქრისტიანები, ეცნოთ სომხური ეკლესიის უპირატესობა – მიეღოთ სომხური სარწმუნოება, რაც დიდხანს არ გაგრძელებულა. ჰერაკლე კეისრის ლაშქრობამ სპარსეთსა და სომხეთში მონოფიზიტობა დაამხო. მისივე ინიციატივით 632 წელს სომხეთში მოიწვიეს საეკლესიო კრება, რომელზედაც სომხურმა ეკლესიამ ქალკედონიტობა მიიღო.

ქალკედონიტური სომხური ეკლესია ახლა უკვე ბიზანტიისთვის გახდა მისაღები და სასურველი, განსაკუთრებით არაბობის დროს.

სომხურ ეკლესიასთან კავშირი საბოლოოდ წყდება 726 წელს, მანასკერტის კრების შემდეგ. ამ კრებაზე სომხურმა ეკლესიამ უარყო ქალკედონიტობა და საბოლოოდ მიიღო მონოფიზიტობა. ამის შემდგომ, ქართულ ეკლესიას უკვე სრული უფლება (კანონიკური) და საშუალება ჰქონდა, სარწმუნოებრივი განხეთქილების გამო უარეყო ყოველგვარი კავშირი სომხურ ეკლსიასთან. VII საუკუნეში კი ამის საშუალება არ ჰქონდა, რადგანაც VII საუკუნეში სომხური ეკლესია ოფიციალურად ქალკედონიტობას აღიარებდა.

მე-8 საუკუნის შუა წლებიდან სომხური ეკლესიის ზეგავლენისგან გათავისუფლების შემდეგ იწყება ქართული ლიტერატურის – თარგმანებისა და ორიგინალური ძეგლების, მასიური „გაწმენდა“ სომხური ნიშნებისაგან. VI-VII საუკუნეებში ქართულ საეკლესიო ლიტერატურას, ნებსით თუ უნებლიეთ, სომხურ ლიტერატურასთან კავშირის გამო დაემჩნა სომხური ძეგლების მიხედვით რედაქტირების კვალი, რის გამოც VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებულა ინტენსიური მუშაობა ამ კვალის აღმოსაფხვრელად. ეს მუშაობა, ჩანს, მიმდინარეობდა არა მარტო საქართველოში, არამედ ბიზანტიის იმპერიის ქალკედონიტურ გარემოში მოქცეულ ქართულ სავანეებშიც.

საფიქრებელია, რომ იმ წიგნებს, რომელთა ხელახალი რედაქტირება მოხდა მათგან სომხური ნიშნების აღმოფხვრის მიზნით, ეწოდათ ტერმინი – „ქართული“, ასე წარმოიშვა „ქართული სახარება“, „ქართული დავითნი“, „ქართული კანონი“.[146] ჩანს, „ხანმეტი“ და „ჰაემეტი“ ძეგლების ერთი ნაწილი მისაღები ყოფილა და მათ „პირველთაგანს“ უწოდებდნენ, რადგანაც ისინი იყვნენ ბერძნულიდან თარგმნილნი ქრისტიანობის მიღებისთანავე, მეორე ნაწილი კი მიუღებელი ყოფილა, რადგანაც ნასწორები ყოფილა სომხური რედაქციების მიხედვით, ანდა სომხურიდან თარგმნილნი, პირობითად მას „სომხური“ ვუწოდოთ, და ალბათ ასევე უწოდებდნენ კიდეც, რაზედაც მიგვითითებს ტერმინ „ქართულის“ წარმოშობა. „სომხური“ ნიშან-თვისების (ანუ რედაქტირების ნაკვალევის) ასე თუ ისე აღმოფხვრის შემდეგ „გაწმენდილ“ ძეგლებს ეწოდათ „ქართული“. ამ შემთხვევაში „ქართული“ აღნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ „ქართული ეკლესიისას“, „ქართული ეკლესიისათვის გამოსადეგ წიგნს“, მისგან გამოირიცხება ეთნიკური მომენტი, ისე როგორც სარწმუნოე-

ბრივი მომენტი. „ქართველი წმიდანი“ და „ქართული წიგნი“ ალბათ საეკლესიო კუთვნილებას აღნიშნავს. ე.ი. ამ ნიშნის მქონე წიგნი ეკუთვნის არა სომხურ-ქართული საეკლესიო ერთობის ეპოქას, არამედ მის შემდგომ პერიოდს და მისაღებია ქართული ეკლესიისათვის ამჟამადო.

შემდგომი ხანა, VIII საუკუნის შუა წლებიდან მეათე საუკუნემდე, კ. კეკელიძეს მიაჩნია ჩვენი მწერლობის ეროვნულ ხანად – „ეს ხანა არის ეროვნული ხანა ჩვენი მწერლობისა. ამ ხანაში დამუშავებული ლიტერატურული ძეგლები იმდენად არიან გამსჭვალული ეროვნული სულით და ხასიათით, რომ შემდეგი დროის, XI-XII საუკუნეთა, მწერლები მათ აღსანიშნავად ხშირად ხმარობენ ტექნიკურ ტერმინს – ქართული, მაგალითად, ქართული სახარება, ქართული დავითნი, ქართული კანონი და სხვა. ეს ხანა გრძელდება მერვე საუკუნის ნახევრიდან მეათე საუკუნის ოთხმოციან წლებამდე, ესე იგი, შეიცავს თითქმის ორნახევარ საუკუნეს. აღნიშნულ ხანაში მძლავრად იფეთქა ქართველებში ეროვნულმა სულისკვეთებამ, ფრთები შეისხა ეროვნულმა თვითშეგნებამ, სომხებისაგან ეკლესიურად ჩამოშორება მოხდა, როგორც ცნობილია, სხვათა შორის, ეროვნულ-კულტურული იდეოლოგიის საფუძველზედაც. ქართველები ამიერიდან მიზნად ისახავენ თანდათანობით გათავისუფლებას აღმოსავლური საეკლესიო ტრადიციებისაგან. ამ ნიადაგზე წარმოიშვა გამწვავებული პოლემიკა სომხებთან, რომელიც იქამდე მივიდა, რომ ქართველებმა წარსულშიაც კი უარყვეს ყოველგვარი კულტურულ-ეკლესიური ურთიერთობა სომხებთან...“[147]

ქართველებში ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას ხელი შეუწყო „ეროვნული გადაგვარების, დენაციონალიზაციის საშინელი კატასტროფის წინაშე“ დგომამ „ერთობის“ დროს. თუ სპარსთა ბატონობის დროს ქართველების ერთი ნაწილი სპარსულ რჯულს იღებდა, კიდევ უფრო მომეტებული ნაწილი ქართველებისა იძულებული იყო, აღმოსავლურ-სომხური ქრისტიანობა მიეღო და გასომხებულიყო. ე. ი. მონოფიზიტობა თავის თავში „გასომხების“ ელემენტს შეიცავდა. ასევე არაბების ბატონობის დროს ქართველების ერთი ნაწილი თუ მაჰმადიანდებოდა, კიდევ უფრო მომეტებული ნაწილი კვლავ იძულებული იყო სომხური ეკლესიის წევრად ეღიარებინა თავისი თავი, რომელიც VII საუკუნეში ქალკედონიტური იყო, რაც ერის ერთ ნაწილს დენაციონალიზაციის გზაზე აყენებდა. ქართველები მიმხვდარან, რომ „ერთადერთი საშუალება ამ უბედურებისაგან თავის დაღწევისა არის საკუთარი ეკლესიის ფრთეთა ქვეშე ნაციონალურ-ქრისტიანული კულტურის გაღვივება“.[148]

ქართველი მონოფიზიტები და სომხური ეკლესიის წევრი ქართველი ქალკედონიტები

სომხური ეკლესია დაარსებისთანავე აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს ეკლესიად იქცა. ის განსაკუთრებით გაძლიერდა V-VI საუკუნეებში, როცა მან ეროვნული ანბანის შექმნით მიიღო სულიერი დამოუკიდებლობა და ძალა. ამ დროს ის უპირისპირდება ბერძნულ-რომაულ (ანუ რომ-საბერძნეთის იმპერიის) ეკლესიას

და აცხადებს პრეტენზიას, რომ ის მთელ მსოფლიოში ერთადერთი მართლმადიდებელი ეკლესიაა. სპარსეთის იმპერია განსაკუთრებით აძლიერებს სომხურ ეკლესიას და სცემს კანონებს, რომლის ძალითაც ამ იმპერიაში მცხოვრები (და განსაკუთრებით ამიერკავკასიის) ქრისტიანები უნდა დაექვემდებარონ სომხურ ეკლესიას. ამის გამო საქართველოში მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული სომხურ ეკლესიას. საქართველოში სომხური ეკლესიის წევრად ქართული მოსახლეობა შეიძლებოდა გამხდარიყო სხვადასხვა გზით. ქვეყანაში ქალკედონიტები VI საუკუნის დასაწყისში იდევნებოდნენ, მონოფიზიტობას კი სპარსეთი მხარს უჭერდა და აღიარებდა. მონოფიზიტობის ცენტრი სომხური ეკლესია იყო, ხოლო ქართული ეკლესია ძირითადად ქალკედონიტურია. გარდა ამისა, სომხურ ეკლესიას მინიჭებული ჰქონდა მოსახლეობაზე ზემოქმედების ეკონომიური ბერკეტები. სომხეთის დაპყრობის შემდეგ ქვეყნის მმართველობა გადაეცა სომეხ სამღვდელოებას. სპარსეთის საიმპერატორო კარი და სომხეთის სამღვდელოების ზედა ფენები შეკავშირდნენ. დაპყრობილ ქვეყანაში ხარკს სომეხი სამღვდელოება კრეფდა, ამასთანავე VI საუკუნის I ნახევარში „ერთობის“ გამო სომხურ ეკლესიას შეეძლო ქართველების ქვეყანაშიც გამოეყენებინა ეკონომიური, პოლიტიკური და ადმინისტრაციული ზემოქმედების სხვადასხვა საშუალებანი ქართული მოსახლეობის სომხური ეკლესიის მრევლად გადაქცევისათვის.

საქართველოს მოსახლეობის მიერ მონოფიზიტობის აღიარება უკვე სომხური ეკლესიის წევრად გახდომას გულისხმობდა.

ქართველი მონოფიზიტები განსაკუთრებით მრავლად უნდა ყოფილიყვნენ სომხეთის მეზობელ ქართულ პროვინციებში: – ჰერეთსა და ქვემო ქართლში.[149] ეს ქართული პროვინციები ჯერ IV საუკუნემდე რამდენჯერმე სომხეთის სამეფოს შემადგენლობაში მოხვედრილან, V-VI საუკუნეებში ქართლს ეკუთვნიან, მაგრამ მათზე ძლიერია სომხური სარწმუნოებრივ-კულტურული ზეგავლენა, რადგანაც VI საუკუნეში თვით ქართლის სამეფო კარგავს დამოუკიდებლობას, ხოლო ქვემო ქართლისა და ტაო-კლარჯეთის მოსახლეობამ, ჩანს, ამ პროვინციებზე სომხეთის ბატონობის დროსვე შეითვისა როგორც სომხური ენა, ასევე კულტურა, თუმცა მათ ეროვნული ქართული თვითშეგნება არ დაუკარგავთ, და ეროვნულად თავიანთ თავს ქართველ ერს მიაკუთვნებდნენ. ამ პროვინციებზე სომხურმა ენობრივ-კულტურულ-სარწმუნოებრივმა ზემოქმედებამ გაადვიძა ადგილობრივ მოსახლეობაში ეროვნული თვითშეგნება, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია აქ ეროვნული ქართული კულტურის არნახული გაფურჩქვნა და ქართული სახელმწიფოს – ტაო-კლარჯეთის, ე. წ. „ქართველთა სამეფოს“ წარმოქმნა შემდგომ საუკუნეებში.

VI-VII საუკუნეებში კი ქართველი გლეხებისა და დაბალი ფენების სომხური ეკლესიის წევრად გადაქცევას, განსაკუთრებით სომხეთის მოსაზღვრე ქართულ პროვინციებში, უთუოდ ხელს შეუწყობდა ის დიდი სოციალური მოძრაობანი, რომელთაც ადგილი ჰქონდა სომხეთში V-დან X საუკუნის ჩათვლით.

VI საუკუნის შუა წლებში სომხეთში ჩაისახა პავლიკიანური მოძრაობა, რომელმაც მოიცვა მოსახლეობის ფართო ფენები და ქვეყნის თითქმის ყველა ძირითადი

რაიონი. ეს იყო კლასობრივი ბრძოლა, რელიგიურ სამოსელში გახვეული. საქართველო, ისევე როგორც სომხეთი, ამ დროს სპარსეთის საზღვრებშია მოქცეული, ამიტომაც მათ შორის მკვეთრი პოლიტიკური საზღვარი არ არსებობდა და პავლიკიანურ (დაბალი ფენებისათვის „სამართლიან“) მოძრაობას ეს საზღვარი ვერ შეაფერხებდა.

ქართველებში მონოფიზიტობის მიმდევართა შესახებ გამოკვლევები აქვთ ივ. ჯავახიშვილს, კ.კეკელიძეს და სხვ. მათი მტკიცებით, მონოფიზიტობა ძირითადი რელიგიური მიმდინარეობა ყოფილა (რა თქმა უნდა, ქალკედონიტობასთან ერთად) VI საუკუნის პირველ ნახევარსა და შუა წლებში. თუ ასე იყო, მაშინ VI საუკუნის II ნახევარში, როცა ქართულმა ეკლესიამ და საზოგადოებამ აშკარად უარყო მონოფიზიტობა და აღიარა ქალკედონიტობა, მას არ აჰყვებოდა ერთდროულად მოსახლეობის ყველა ფენა, მთელი ერი, რადგანაც სარწმუნოებრივი მიმართულების შეცვლა საერთოდ ძალზე რთული პროცესია, რომელსაც არ შეიძლება ერთდროულად აჰყვეს მთელი ერი.

ისიც შეიძლება, რომ VI საუკუნის I ნახევარში მონოფიზიტობა არ იყო ძირითადი მიმდინარეობა და ის ქალკედონიტობის გვერდიგვერდ არსებობდა, მაგრამ, უეჭველია, მონოფიზიტების ეკლესია და მონოფიზიტობა საერთოდ ძლიერდებოდა სპარსთა მიერ, დიოფიზიტები კი იდევნებოდნენ. ამიტომაც VI საუკუნის 70-იან წლებში, როცა საქართველომ აშკარად აღიარა ქალკედონიტობა, უეჭველია, ქართველთა შორის უამრავი მონოფიზიტი იქნებოდა.

ივ. ჯავახიშვილი წერს: „...მთელი აღმოსავლეთი, ეგვიპტე, პალესტინა, ასურეთი და სპარსეთის ქრისტიანობა მონოფიზიტობას მიემხრო და თვით ბიზანტიაშიაც, სამეფო კარზეც კი ამ მოძღვრებას მიმდევარნი ჰყავდა, ამიტომ ამ საკითხის შესახებ ქართულ წყაროების დუმილი უეჭველია ხელოვნური უნდა იყოს“.[150]

კ. კეკელიძის თანახმად, „...თავდაპირველად ქართლის ეკლესია, სომხებთან ერთად, მონოფიზიტურ ან ანტიქალკედონურ ქრისტოლოგიას იზიარებდა...“[151] ხოლო შემდგომ, VI საუკუნის ბოლოდან თვით მეათე საუკუნემდე, ებრძოდა მას – „პირველი პერიოდის განმავლობაში მეათე საუკუნემდე, როდესაც ქართულ ქრისტიანობას კავშირი ჰქონდა უმთავრესად აღმოსავლურ ქრისტიანობასთან, მას ბრძოლა უხდებოდა ისეთ მწვალებლობასთან, რომელმაც ბუდედ გაიხადა აღმოსავლეთი – ნესტორიანობასა და მონოფიზიტობასთან“.[152]

ქართველი მონოფიზიტების რაოდენობა არამცირე ყოფილა თვით კირიონის დროსაც კი. მონოფიზიტები ყოფილან არა მარტო ქართველთა დაბალ ფენებში, არამედ ქართული ეკლესიის იერარქთა შორისაც. კირიონის დროის ქართული ეკლესიის სახელგანთქმული ეპისკოპოსი პეტრე არის მონოფიზიტი. მონოფიზიტები ქართული ეკლესიის უმაღლეს სამღვდელოთა შორის თუ იყვნენ, მით უმეტეს, მრავლად იქნებოდნენ საზოგადოების სხვადასხვა ფენებში.

კირიონის დროის ეპისკოპოსი პეტრე ისტორიული პირია, ის ეროვნებით ქართველია და მოიხსენიება არა მარტო უხტანესის მიერ, არამედ „ეპისტოლეთა წიგნშიც“. ზ. ალექსიძის თანახმად, „პეტრე ეპისკოპოსი ქართლის კათალიკოსის კარზე იყო და მის პოლიტიკას უჭერდა მხარს, მიუხედავად იმისა, რომ მონოფიზიტები

თავის თანამოზიარედ თვლიდნენ“.[153] ვრთანეს ქერდოლი, სომხეთის კათალიკოსის ადგილის მცველი, ქართველ ეპისკოპოს პეტრეს უწოდებს მართლმადიდებელს, მართლმადიდებლებად კი სომხური ეკლესია მონოფიზიტებს მიიჩნევდა. გარდა ამისა, ეპისტოლედან ჩანს, რომ პეტრე ქართველ ეპისკოპოსს თავის თავზე მიუღია მონოფიზიტობის ქომაგობა საქართველოში, იმისთვის, რათა ქართული ეკლესია ძველებურადვე კავშირში დარჩენილიყო სომხურ ეკლესიასთან. ვრთანესი წერს პეტრეს: – „ხოლო როგორც მიიღეთ ღმერთის ქომაგობა თქვენს თავზე, ასევე მტკიცედ იდექით მაგ საქმის აღსრულებამდე, რათა ღირსი შეიქმნეთ ზეციურ ნიჭთა...“[154]

ეპისტოლეთა წიგნიდან მოტანილი ამ ტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ ვრთანესი ამხნევებს და აგულიანებს ქართველ პეტრეს, რათა ის კვლავ მტკიცედ იდგეს იმ საქმის აღსასრულებლად, რომლის ქომაგობაც იკისრა. რა თქმა უნდა, ეს საქმე არის სომხურ-ქართული ეკლესიების „ერთობა“, ძველებურადვე სომხური ეკლესიის უპირატესობით. ვრთანესი პეტრეს მართლმადიდებელი სარწმუნოების მასპინძელს (ე. ი. ჭეშმარიტ მონოფიზიტს) უწოდებს: „...როგორც მასპინძელი იყავ მართლმადიდებელი სარწმუნოებისა, რომელიც დაამტკიცა ამ ქვეყანაზე უფალმა ღმერთმა...“[155] ვრთანეს ქერდოლს იმედი აქვს, რომ ქართველი ეპისკოპოსი პეტრე ყოველი ღონისძიებით შეეცდება, მოისპოს ქალკედონიტობა ანუ სარწმუნოების „...ის ახალსახეობა, რომელიც შემკულია სიცრუით“. ის სწერს პეტრეს, – „შეიქენ მშვიდობის მიზეზი, რათა ის ახალსახეობა, რომელიც შემკულია სიცრუით, მოისპოს, ჭეშმარიტება დამყარდეს“.[156]

ვრთანესი არ იშურებს ეპითეტებს ქართველი მონოფიზიტი ეპისკოპოსის შესამკობად, – „გვესმა შენი პატიოსნების შესახებ, რომ ჭეშმარიტი სარწმუნოების მოშურნე და მოყვარული ხარ“.[157] პეტრე ეპისტოლეს გაგზავნის მომენტში საქართველოში რომ იმყოფება, იქიდან ჩანს, რომ მასთან საუბრის დროს საქართველოს უწოდებენ „თქვენს ქვეყანას“. ასე, მაგალითად: „...თქვენს ქვეყანაში განადიდებენ ულირს ქალკედონის კრებას... „საუკუნო მტერი დავრჩებით მაგ ქვეყნისა“. ვრთანესი ავალებს პეტრეს, მისწეროს სპარსეთის ხელისუფლების წარმომადგენელს სომხეთში – მარზპანს – ანუ, რაც იგივეა, სომხეთის მთავრებს, რათა პეტრეს თხოვნით ამ „სომეხმა მთავრებმა“ საქართველოში „საქმის გამოსასწორებლად“ გაგზავნონ სომეხი სამღვდელოება.

უხტანესისა და სომეხი ისტორიკოსების თვალსაზრისით, ეპისკოპოსი პეტრე სომეხ-ქართველთა საეკლესიო ერთობისათვის აქტიურად იღვწოდა, რისთვისაც ის ქართველ მთავრებს მოუკლავთ. ძველი ქართველი ისტორიკოსები პეტრეს საერთოდ არ ახსენებენ, ისევე როგორც კირიონს. ზ. ალექსიძეს მიაჩნია, რომ ეპისკოპოსი პეტრე კირიონის კარზე იყო და მის პოლიტიკას უჭერდა მხარს, რაც სწორი უნდა იყოს. ისმის კითხვა, რატომ უნდა დაეჭირა მონოფიზიტ ეპისკოპოსს დიოფიზიტი პატრიარქისთვის მხარი? ქართველ მკვლევართა შორის გამოითქვა მოსაზრება, რომ კირიონი იყო არა ორთოდოქსი ქალკედონიტი, არამედ მონოთელიტი, ე.ი. კირიონი ცდილობდა ქალკედონიტთა და მონოფიზიტთა შერიგებას. თუ ეს ასე იყო, მაშინ კირიონის მონოთელიტობა გამოწვეული იქნებოდა საქართველოში არსებული სარწმუნოებრივი მდგომარეობით, ე.ი. საქართველოში როგორც ქალკედონიტთა, ისე მონოფიზიტთა სიმრავლით.

იმისდა მიუხედავად, კირიონი მონოთელიტი იყო, თუ შეურიგებელი ქალკედონიტი, მაინც საქართველოში კირიონის დროს ქართველი მონოფიზიტების საკმაო რაოდენობა იქნებოდა, რადგანაც აღმოსავლეთი საქართველო სპარსეთის მიერ იყო დაპყრობილი თითქმის 70 წლის განმავლობაში წინა საუკუნისა და კირიონის დროსაც. თუ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მონოფიზიტური იყო, ეს ასახვას ჰპოვებდა სამღვდელოებაშიც და სამღვდელოების ერთი ნაწილი მონოფიზიტური იქნებოდა. ამით უნდა იყოს გამოწვეული მონოფიზიტი პეტრე ეპისკოპოსის ყოფნა კირიონის კარზე. ცნობილია, ქართლი და ქართული ეკლესია საერთოდ ქალკედონიტურია, მაგრამ შეუძლებელია კირიონის დროს მოსახლეობის ყველა ფენა, მთელი ერი ერთბაშად, ერთი ხელის დაკვრით ქალკედონიტური გამხდარიყო. სავარაუდოა, რომ არა თუ კირიონის დროს, არამედ მის შემდგომ (საუკუნენახევარი ან ორი საუკუნე მაინც) საქართველოში მიმდინარეობდა შიდა საეკლესიო ბრძოლა მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის, რაც დიოფიზიტთა სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა X-XI საუკუნეებში, ხოლო 726 წლის მანასკერტის კრების შემდგომ ქართული ეკლესია სრულებით განშორდა სომხურ ეკლესიას, რამაც ძალზე განამტკიცა ქალკედონიტთა პოზიციები ქართლში. თუ სწორია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეპისკოპოსი პეტრე კირიონის პოლიტიკას უჭერდა მხარს, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ქართველი მონოფიზიტები პატრიოტული და ეროვნული მოსაზრებით მხარს უჭერდნენ არა ერთმორწმუნე სომხურ ეკლესიას, არამედ კირიონის ბრძოლას ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის. სპარსეთის სახელმწიფო ხელს უწყობდა სომხური ეკლესიის უპირატესობას, როგორც ქართულ, ასევე ალბანეთის ეკლესიებზე. ქართული ეკლესიის იურისდიქცია კი ვრცელდებოდა როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოზე. კირიონი მარტო აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსი კი არ იყო, არამედ მას მეგრელთა არქიეპისკოპოსი ეწოდებოდა. დასავლეთი საქართველო კი ბიზანტიის სახელმწიფოს გავლენის სფეროში შედიოდა. ერთიანი ქართული ეკლესიის დაყოფა ბიზანტიისა და სომხეთის გავლენის სფეროებად ხელს უწყობდა საერთოდ ქართული ეკლესიის ერთიანობისა და მთლიანობის დარღვევას, ეს კი ყოველი ქართველი ადამიანისათვის, მათ შორის ქართველი მონოფიზიტებისთვისაც მოუთმენელი იქნებოდა. ანალოგიურადვე იქცეოდნენ საეკლესიო დამოუკიდებლობის საკითხებში ალბანელი მონოფიზიტებიც, ეს წყაროებით დადასტურებული ფაქტია (იხ. აქვე, ქვეთავი კალანკატუელის „ისტორიის“ შესახებ).

შემდგომ ეპოქაში მონოფიზიტი ქართველი ეპისკოპოსი პეტრე გაუიგივებიათ პეტრე ანტიოქიელთან, რომელიც კეისრების, მარკიანეს (450-457) თუ ზენონის (474-492), დროს მოღვაწეობდა. ეს გაიგივება მომხდარა ქართლში დაახლოებით უხტანესის ეპოქაში. შესაძლოა, ეს მოხდა განგებ. IX-X-XI საუკუნეებში ქართველი ისტორიკოსები საგულდაგულოდ ფარავენ საქართველოში მონოფიზიტობის არსებობის დამამტკიცებელ ყოველგვარ ფაქტს. ამ წრეებს, რომელნიც საერთოდ უარყოფდნენ საქართველოში ქალკედონიტობის გარდა სხვა რომელიმე რელიგიური მიმდინარეობის არსებობის რაიმე კვალს, ხელს არ აძლევდათ ისტორიულად არსებული ქართველი მონოფიზიტი ეპისკოპოსის პეტრეს გახსენება, ამიტომაც შესაძლოა,

საგანგებოდ გაწეული მუშაობის წყალობით, პეტრე მონოფიზიტი ეპისკოპოსი გააიგივეს პეტრე ანტიოქიელთან, რომელიც ამ ქართველ ეპისკოპოსზე საუკუნენახევრით ადრე ცხოვრობდა და ასევე მონოფიზიტობის საქადაგებლად ქართლში ჩამოსულა.

ქართლში რომ მრავლად ყოფილან ქართველი მონოფიზიტები, ეს ჩანს იმ პასუხიდან, რომელიც ზოგიერთმა ქართველმა აზნაურმა მისწერა სომხეთის კათალიკოსის ადგილის მცველს ვრთანეს ქერდოლს, – „ჩვენ ეს სარწმუნოებაცა გვაქვს და ეგეც, სჯულს აქაც ვეზიარებით და მანდაც...“ აქედან აშკარად ჩანს, რომ ქართველი აზნაურები ისევე არიან ქალკედონიტები, როგორც მონოფიზიტები. მათთვის მთავარი მნიშვნელობა აქვს არა სარწმუნოებრივ-დოგმატიკურ კამათს (მიმართულებას), არამედ საეკლესიო და ეროვნულ დამოუკიდებლობას (ეს მონოთელიტობის ის პირველიდეაა, რომელიც ასე მოეწონა ჰერაკლე კეისარს საქართველოში (ლაზიკაში) ყოფნის დროს).

კირიონის მოძრაობას მხარი დაუჭირა მთელმა ერმა, – „...ყველა მისი ახლომდგომი ეპისკოპოსი, მღვდელი, მთავარი, მდაბიორი, ერისთავი“, კირიონის მხარეზე იყო, მათ შორის, ქართველი მონოფიზიტებიც, რადგანაც ვრთანესისადმი გაგზავნილი პასუხიდან ჩანს, რომ ქართლის ერს კირიონის მოძრაობა ესმოდა არა მხოლოდ როგორც სარწმუნოებრივ-დოგმატიკური მოძრაობა, არამედ ეროვნული, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალიის დაცვას და ქართული ეკლესიის გათავისუფლებას სომხურ-სპარსული ეკლესიის გავლენა-ზემოქმედების სფეროდან, ქართული საეკლესიო ენის აღდგენას მთელ ეთნიკურ-ისტორიულ ქართლში, მათ შორის, ცურტავშიც. ქართველ აზნაურთათვის სარწმუნოებრივ-დოგმატიკური საკითხი გადამწყვეტი არ იყო, აზნაურები ასევე წერენ ვრთანესს: „...მოსეს თუ უნდა, მოვიდეს, ჩვენ კათალიკოსს დაემორჩილოს, რადგან ეგ უფრო სასიამოვნოა, და თავისი ადგილი დაიკავოსო.“ მოსე ცურტავის ეპისკოპოსი აშკარა მონოფიზიტი ეპისკოპოსი იყო, ქართველი აზნაურები კი მას ქართლში კათედრას აძლევენ, თუკი ქართველ ეკლესიის მეთაურს დაემორჩილება. აქედან ჩანს, რომ ქართლს მთავარ საქმედ მიაჩნია სომხეთთან საეკლესიო კავშირის გაწყვეტა. ქართველი აზნაურები სიხარულით და სიამოვნებითაც მიიღებენ მონოფიზიტ ეპისკოპოსს იმ პირობით, თუ ის აღიარებს ქართული ეკლესიის ადმინისტრაციას. თვით ბიზანტიის იმპერიაში მონოფიზიტთა ძლიერების დროს კირიონი და ქართლი იმდენად უარყოფენ მონოფიზიტობას, რამდენადაც ამ მონოფიზიტობას სომხური ეკლესია იყენებს ქართულ ეკლესიაზე თავისი ზედამხედველობისა და უფლებამოსილებისთვის. სავარაუდოა, მონოფიზიტობა მიუღებელი ყოფილა არა მხოლოდ დოგმატიკური თვალსაზრისით, არამედ იმიტომ, რომ მონოფიზიტობა ხელს უწყობდა ქართული ეკლესიის დაქვემდებარებას უცხო ეკლესიაზე. ქართველები იბრძვიან საეკლესიო და აქედან გამომდინარე, ეროვნულ-კულტურული დამოუკიდებლობისათვის. ქართლში მრავლად არიან მონოფიზიტები, ამ დიდი იდეის მომხრენი. ამიტომაც წერენ ქართველი აზნაურები, – „ჩვენ ეს სარწმუნოებაცა გვაქვს და ეგეც“, ე. ი. ქართველთა შორის ქალკედონიტებიც არიან და მონოფიზიტებიცო. ქართველები, როგორც ქალკედონიტები, ასევე მონოფიზიტები იბრძვიან იმისთვის, რომ სომხურ ეკლესიას არ ჰქონდეს ქართულ ეკლესიაზე უპირატესობა და ქართული

ეკლესია დამოუკიდებელი იყოს. ეს შემთხვევა სრულიად ანალოგიურია ალბანეთის ეკლესიაში შექმნილი მდგომარეობისა. ალბანელი მონოფიზიტებიც იბრძვიან თანამორწმუნე სომხური ეკლესიისგან განთავისუფლებისთვის, – „...სომხები ითხოვდნენ ალბანელებზე საკადრის უპირატესობას, რასაც ალბანელები არ დაემორჩილნენ, არამედ გამოაჩინეს ვინმე პირველი მოციქული, ალბანეთში მოსული..., რომელსაც იქ ადრე უქადაგია ... ალბანელები სომხებისაგან თავის თავს მიუბრუნდნენ, რომ არ ყოფილიყვნენ ვისმეს ხელმწიფების ქვეშ".[158] ეს ცნობა ამოღებულია მოსე კალანკატუელის „ალვანთა ქვეყნის ისტორიიდან". ალბანეთის ისტორიკოსთა შორის მიღებული ყოფილა აზრის იმის შესახებ. რომ მონოფიზიტურმა ალბანეთის ეკლესიამ მოისურვა მონოფიზიტური სომხური ეკლესიისგან დამოუკიდებლობა: „...ალბანეთის ეკლესიამ სომხურისაგან დამოუკიდებლობა მოისურვა როგორც კავკასიაში ყველაზე უფრო ძველმა და მოიპოვა კიდეც".[159]

როგორც ალბანელები იბრძვიან საეკლესიო დამოუკიდებლობისთვის, ასევე იბრძვიან ქართველებიც, ამიტომაც უდგანან კირიონს მხარში. „ერთობის" დარღვევა ალბანელთა და ქართველთა საერთო მიზანი ყოფილა.

თავი VI

ქართული ეკლესია VII საუკუნეში

...ძამული და ერთგულება მიაშვილა
სამღვდელოებამ წკულს, წკული – ძამულსა
და ერთგულებასა და ეგრეთ მოძღვრებულმა
ერმა ეს საქება წაიძღვაროა წინ...

ილია ჭავჭავაძე

ქვეყნის ზოგადი მდგომარეობა VII საუკუნეში

VI საუკუნის II ნახევარში გარდაიცვალა ქართლის მეფე ბაკური. „მოკუდა ბაკურ და დარჩეს შვილნი მისნი წურილნი, რომელნი ვერ იპყრობდეს მეფობასა“.[1] ქართლში გაუქმდა მეფობა. საუკუნის ბოლოს სპარსეთის მეფემ ჰორმიზდმა თავისი ძე, ქასრე (ხოსრო) ამბარვეზი გამოგზავნა საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიების მმართველად. ბარდავში მჯდომმა ქასრემ ქართლის ერისთავები გადაიბირა, აღუთქვა მათ დიდი სიკეთე, რის გამოც ისინი განუდგნენ ქართველ მეფეთა ტახტს და სათითაოდ უხდიდნენ ხარკს ქასრეს, რაც სახელმწიფოს დაშლას ნიშნავდა. ამის შემდეგ მალე სპარსეთში შეიჭრნენ თურქები და ბერძნები. ქასრე იძულებული გახდა მიეტოვებინა ბარდავი და სპარსეთში წასულიყო. შექმნილი მდომარეობა ქართველებმა თავისი სახელმწიფოს აღდგენისათვის გამოიყენეს.

„ესრეთ რა უცალო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქუემონი, და წაგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა და რათა იყვნენ ერისთავნი იგი თჳსთჳსსა საერისთაოსა შეუცვალებელად“.[2]

კეისარს აღუსრულებია ქართველი ერისთავების თხოვნა – „მაშინ კეისარმან აღასრულა თხოვნა მათი, და მოსცა მეფედ დისწული მირდატისი, ვახტანგის ძისა, ბერძნის ცოლისაგან, რომელსა ერქვა გუარამ, რომელი მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს“.[3]

გუარამ კურაპალატი დედის მხრიდან ფარნავაზიან-ხოსროიანი ყოფილა, ხოლო მამის მხრიდან ბაგრატოვანი. კეისარმა გუარამ კურაპალატს დააქირავებინა ჩრდილოკავკასიელები და შეაგზავნინა სპარსეთში. სპარსეთში შეჭრილი მებრძოლები დაამარცხა მხედართმთავარმა ბაჰრამ ჩუბინმა. ბერძენთა ჯარმა და მისმა მოკავშირეებმა სპარსეთი დატოვეს. ამის შემდეგ გამარჯვებული ბაჰრამ ჩუბინი აუჯანყდა სპარსეთის მეფეს, დაამარცხა ის და ჩამოაგდო ტახტიდან. მეფის ძე ბიზანტიაში გაიქცა. კეისარმა მას თავისი ასული მიათხოვა, მისცა ჯარი და შეგზავნა სპარსეთში. ქასრემ, ანუ ხოსრო II-მ (591-628) დაამარცხა აჯანყებულები და გამეფდა.

„ამ დახმარების სამადლობლად ხოსრო II-მ, სომეხი ისტორიკოსის სებეოსის სიტყვით, იბერიის მომეტებული ნაწილი ქ. თბილისამდე მავრიკე კეისარს გადასცა. ეს უნდა მომხდარიყო 591 წელს. ამ დათმობის შედეგად იბერია კვლავ ორად გაიყო. ამასთანავე იბერიის დასავლეთი ნაწილი ქ. თბილისამდე ბიზანტიის ხელში

გადასულა, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი ისევ სპარსთა ბატონებს შერჩენია. მეფე ხოსრომ ამას გარდა თავის სამეფოში ქრისტიანობის თავისუფლება გამოაცხადა".[4]

„ქართლის ცხოვრების" თანახმად, სიძესა და სიმამრს, ანუ ხოსროსა და მავრიკე კეისარს შორის საზავო შეთანხმებისას, განსაკუთრებული ყურადღება მიქცევია ქართული ეკლესიის საქმეს. კერძოდ, ბიზანტია ამტკიცებდა, რომ სპარსთა ბატონობის დროს საქართველოში ქრისტიანობა შეირყვნა – „მძლავრებისაგან... იქმნის გარყუნილ ქართლი". ამიტომაც ბერძენთა მხარემ ხოსროს მოთხოვნა წაუყენა: „...ვინაჲთგან სრულსა სიყუარულსა ზედა ვართ მე და შენ და ქართლი ჩუენ შორის იყავნ თავისუფალ მშჳდობით: მე ვარ მწე და მოურავი ყოველთა ქართველთა და ყოველთა ქრისტიანეთა".[5] ამის შემდეგ, 591 წლიდან დაახლოებით 604 წლამდე, საქართველო განთავისუფლებულა სპარსთა ბატონობისაგან – „განთავისუფლდეს ქართველნი და ესე გუარამ კურაპალატი დადგა მორჩილებასა ზედა ბერძენთასა".[6]

„ქართლის ცხოვრების" ამ ცნობას ეხმიანება უხტანესი, რომელიც ამტკიცებს, რომ კირიონმა თავისი ცნობილი მოძრაობა დაიწყო მავრიკე კეისრის უშუალო მხარდაჭერით, ე.ი. ქართლის სპარსთაგან თავისუფლების დროს. მართლაც, კირიონი სომეხთაგან „განყოფისათვის" მოძრაობის დაწყებას ვერ გაბედავდა სპარსთა საქართველოზე ბატონობის დროს. მან ისარგებლა იმ მომენტით, როცა ბიზანტიელებმა საქართველო თითქმის თბილისამდე გაათავისუფლეს. მართალია, 604 წლიდან 607-609 წლების ჩათვლით საქართველო კვლავ სპარსეთის ზეგავლენას განიცდის, მაგრამ ამ წლებში – იერუსალიმის დაპყრობამდე – ხოსრო II-ს გამოცხადებული ჰქონდა ქრისტიანთა თავისუფლება. უხტანესის თანახმად, „სუმბატმა... კეისრის ნებაც შეიტყო, რომ თანახმაა კირიონის და მისი ბრძანებით არისო ეს ამბავი". ზ. ალექსიძე დაასკვნის: „სპარსეთის მეფეს ახლად დაპყრობილ ქვეყნებში რელიგიის თავისუფლება უცვნია... კირიონის რელიგიურ პოლიტიკაში ჩართულია ბიზანტიის კეისარი და ყველაფერი მისი ბრძანებით ხდება".[7]

გუარამ კურაპალატის ძემ, სტეფანოზმა, „მეფობისა სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან, არამედ ერისთავთა მთავრად ხადოდეს".[8] იგი „ატარებდა პატრიკიოზის ბიზანტიურ ტიტულს, შემდეგ განუდგა ბიზანტიას და სპარსეთის ორიენტაციის გზას დაადგა".[9] სტეფანოზის ორიენტაციის შეცვლა გამოიწვია პოლიტიკურმა ვითარებამ – მავრიკე კეისარი და მისი მემკვიდრეები დახოცა აჯანყებულმა მხედართმთავარმა ფოკამ. სპარსთა მეფე ხოსრო II აღაშფოთა სიმამრისა და ცოლისძმების დახოცვამ, შეიჭრა საბერძნეთში და ფოკა დაამარცხა. ამ დროს „სტეფანოზ, მთავარი ქართლისა, შეუშინდა მეფესა სპარსთასა, განუდგა ბერძენთა და მიექცა სპარსთა".[10]

604 წლიდან ხოსრომ გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა ბიზანტიასთან ბრძოლაში ამიერკავკასიის ტერიტორიაზე. სპარსეთის ეს უპირატესობა 620-იან წლებამდე გრძელდება.[11]

607 წლისათვის „ქართლიდან ბიზანტიელები უკვე განდევნეს სპარსელებმა, მაგრამ აქ მათ თავისი ხელისუფლება ჯერ კიდევ მტკიცედ არ დაუმყარებიათ".[12]

სწორედ ამ მიზეზით უნდა აიხსნას ამ წლებში სპარსეთის მიერ რელიგიური თავისუფლების გამოცხადების ფაქტიც.

ზ. ალექსიძის აზრით „VII საუკუნის პირველ ათეულში ქართლი ძლიერი სახელმწიფოა...“[13] მართლაც, ქართლის ძლიერების საფუძველს ქმნიდა აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს ფაქტიური გაერთიანება, რის შედეგადაც დასავლეთ საქართველოსაც „ქართლი“ ეწოდებოდა. ქართლის ძლიერება იმაშიც გამოვლინდა, რომ მან თამამად მიიღო ის სარწმუნოებრივი ორიენტაცია, რომელიც თავისი ეროვნული არსებობის საფუძვლად მიაჩნდა. კირიონის გაბედული მოქმედება, ცხადია, ქართლის სიძლიერეს ემყარება. „ჯუანშერის მონათხრობიდან ასეთი ვითარება წარმოგვიდგება: ბიზანტიის პოლიტიკური უფლების ქვეშ გუარამ კურაპალატის მთავრობით (თუ მეფობით) ერთიანდება ქართლი და აღდგება ლეონტი მროველისაგან აღწერილი „ყოველი ქართლის“ ფარგლებში (დაახლოებით იმ რვა საერისთავოს ფარგლებში, რომელიც ფარნავაზმა „განაჩინა“)“.[14]

სრულიად იცვლება ქართული ეკლესიის მდგომარეობა 613-614 წლებიდან – ხოსრო II-ის მიერ იერუსალიმის აღების შემდგომ. ამ დრომდე ის ყველა ქრისტიანულ ადგილობრივ ეკლესიას მეტ-ნაკლებ სარწმუნოებრივ თავისუფლებას ანიჭებდა, იერუსალიმის აღების შემდგომ მან გასცა მკაცრი ბრძანება: „ყველა ჩემმა ქვეშევრდომმა ქრისტიანმა უნდა მიიღოს სომხური სარწმუნოება“. ეს ბრძანება სრულიადაც არ იყო ლმობიერი. ძალაში შედიოდა ქართლისათვისაც...“[15]

იერუსალიმის აღების შემდეგ, დაახლოებით 614 წელს ხოსრო II-მ მოიწვია საეკლესიო, ე.წ. „სპარსული კრება“, რომელსაც ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მისი გადაწყვეტილების აღსრულება სავალდებულო იყო სპარსეთის იმპერიაში მოქცეული ყველა ეკლესიისათვის, მათ შორის ქართული ეკლესიისთვისაც.

„ბიზანტიაზე გამარჯვების პირველ ეტაპზე, სებეოსის მიხედვით, ხოსროს დაპყრობილი ქვეყნებისათვის მართლაც მიუცია რელიგიის თავისუფლება და „ხორციელი სამსახურით“ დაკმაყოფილებულა, მაგრამ იერუსალიმის „წარტყვევის“ შემდეგ ხოსრომ რადიკალურად შეიცვალა პოზიცია და ე.წ. „სპარსული კრებაც“ სწორედ ამიტომ მოიწვია“.[16]

ეს კრება მოუწვევიათ სპარსეთის სამეფო კარზე. ძველი წყაროები აღნიშნავენ, რომ VI საუკუნის პირველ ნახევარში კავად მეფისა და მისი ძის, ხოსრო I-ის დროს ყველა ქრისტიანს უფლება ეძლეოდა სომეხთა, ანუ სომხური სარწმუნოების შევიწროების გარეშე ჰქონოდა თავისი აღმსარებლობა. VII საუკუნის I ნახევარში კი, ხოსრო II-ს გაუცია ბრძანება, რომ მის ყველა ქვეშევრდომ ქრისტიანს მიეღო სომხური სარწმუნოება. ადრე „კავად მეფემ და მისმა ძემ ხოსრომ გასცეს ბრძანება: „თითოეულმა თავის სარწმუნოება იპყრას და ნურავის ექნება სომეხთა შევიწროების უფლება...“.[17] 614 წლის კრების დადგენილების საფუძველზე კი ხოსრომ დაადგინა: „ყველა ჩემმა ქვეშევრდომმა ქრისტიანმა უნდა მიიღოს სომხური სარწმუნოება“.[18] ხოსრო II-ის ეს ბრძანება მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი წინამორბედის, ხოსრო I-ის განკარგულებისაგან. თუ ხოსრო I არავის აძლევდა თავის იმპერიაში სომხური სარწმუნოების შევიწროების უფლებას, ხოსრო II იმპერიაში მცხოვრებ ყველა ქრისტიანს ავალდებულებდა მიეღო სომხური სარწმუნოება.

უთუოდ ხოსრო II-ის ბრძანების შედეგს უნდა წარმოადგენდეს, რომ ქართლის კათალიკოსიც და ერისმთავარი სტეფანოზიც მონოფიზიტები გამხდარან: „სპარსულ-სომხური ორიენტაციის მქონე მონოფიზიტ სტეფანოზსა და კათალიკოს ბართლომეს უპირისპირდებიან ბიზანტიურ-ქალკედონური (უკეთ, შემრიგებლური) პარტიის წარმომადგენლები – კირიონი, ადარნასე და სხვები“.[19]

„616–622 წლები სპარსელთა განუყოფელი წარმატების ხანაა“,[20] ამიტომაც „ჰერაკლეს ლაშქრობამდე ქართლის სახელმწიფო რელიგია მონოფიზიტურია“.[21]

მემატიანის ცნობით, სტეფანოზ ერისმთავარი „იყო ურწმუნო და უშიში ღმერთისა, არა ჰმსახურა ღმერთსა, არცა ჰმატა სჯულსა და ეკლესიათა“.[22] სტეფანოზი მცხეთის ჯვრის დიდებული ტაძრის ერთ-ერთი მაშენებელია. მემატიანის განსაზღვრა, თითქოსდა სტეფანოზმა „არა ჰმატა ეკლესიათა“, იმითაა გამოწვეული, რომ ერისმთავარი არ არის ქალკედონიტი.

„სტეფანოზ მთავრობდა ყოველსა ქართლსა ზედა, და დაჯდა იგი ტფილისს, და ჰმორჩილებდა იგი სპარსთა“.[23] „ყოველი ქართლი“ მაშინ ეწოდებოდა ერთიან საქართველოს – შავი ზღვიდან და ეგრისწყლიდან, ვიდრე ალბანეთამდე.

მონოფიზიტთა ბატონობა ქართლში დიდხანს არ გაგრძელებულა. მათ აღზევებას ბოლო მოუღო ჰერაკლე კეისრის ლაშქრობამ სპარსეთში, რომელიც საქართველოდან დაიწყო. ჰერაკლემ „...შეკრიბნა სპანი ურიცხუნი და წარმოემართა სპარსეთად ძებნად ძელისა ცხოვრებისასა და მოვიდა პირველად ქართლს“.[24] ზოგიერთი წყაროს თანახმად, ჰერაკლე პირველად ტრაპეზუნდის სანახებში მივიდა, რომელსაც „სოფელი მეგრელთა“ ეწოდებოდა.

„ამან სტეფანოზ არა ინება განდგომა სპარსთაგან, და განამაგრნა ციხე-ქალაქნი, და დადგა ტფილისსა შინა. მივიდა ჰერაკლე მეფე და მოადგა ტფილისსა... ჩამოაგდეს სტეფანოზ და მოკლეს. და დაიპყრა კეისარმან ტფილისი“.[25] ხოლო თბილისის ციხე ვერ აიღო, რომლის მეციხოვნეებმაც მას მწარედ დასცინეს.

სპარსთა წინააღმდეგ ლაშქრობისას, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, ჰერაკლეს მიემხრო ქართლის ერთი ნაწილი და განსაკუთრებით კი, დასავლეთი საქართველო. ორივე ეს მხარე ქალკედონიტური იყო. ჰერაკლეს ლაშქრობას კი ქალკედონიტთა გამარჯვება და მონოფიზიტთა დამხობა უნდა გამოეწვია.

საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარის ქართველობა გარკვეული ხნის მანძილზე სომხური ეკლესიის გავლენის ქვეშ მოექცა. აქ მონოფიზიტური, ანუ სპარსული ორიენტაცია სჭარბობდა, რის გამოც გუგარქ-ქვემო ქართლი თბილისითურთ სპარსეთის ერთგული დარჩა. საქართველოს ქალკედონურმა ნაწილმა კი ჰერაკლეს ქვეშევრდომობა მანამდე შეინარჩუნა, ვიდრე ამ უკანასკნელმა თავისი დამპყრობლური ბუნება არ გამოამჟღავნა. „ჰერაკლეს ერთი წლის შემდეგ უნდოდა... ხოსროს შეჰბმოდა, მაგრამ ჯარმა, მეტადრე კი ლაზებმა, აფხაზებმა და იბერებმა მოკავშირეობა არ მოინდომეს, ხოლო როდესაც ჰერაკლეს სპარსთა ლაშქარი მოეწია, ლაზებმა და აფხაზებმა მოკავშირეობაზე კეისარს უარი უთხრეს და შინისაკენ გაემგზავრნენ“.[26]

ჰერაკლემ სპარსეთზე ორჯერ გაილაშქრა 623-624 და 626 წლებში, როდესაც იგი ლაზიკაში ჩავიდა.[27]

„სომეხ ისტორიკოს მოსე კალანკატუელს ქ. თბილისის აღება დაწვრილებით აქვს აღწერილი და მისი ცნობები ბევრად განსხვავდება ქართველი მემატიანის მოთხრობისაგან. სომეხი მემატიანის სიტყვით, ჰერაკლე მეფეს 626 წელს მეშველად იმიერ-კავკასიიდან გადმოუყვანია ჯიბღუ ხაკანი... 627 წ. გადმოვიდა თურმე იმიერ-კავკასიაში, იმავე წელს ჰერაკლე კეისარი და ჯიბღუ ხაკანი შეერთებული მხედრობით... თბილისს მიადგა“.[28] ჰერაკლე კეისარმა სასტიკად დაამარცხა ხოსრო II და სპარსეთის სახელმწიფო განადგურებამდე მიიყვანა, მანამდე კი მან საქართველოს მმართველი ერისმთავრების დინასტია დასაჯა, ჩამოართვა ქვეყნის მეთაურობა ბაგრატიონებს და მისცა ხოსროიანებს, კერძოდ, მოკლული სტეფანოზის მაგიერ მან დანიშნა ადარნასე: „მაშინ კეისარმან მოუწოდა ძესა ბაკურისსა, ქართველთა მეფისასა, ნათესავსა დაჩისასა, ვახტანგის ძისასა, რომელი ერისთაობდა კახეთს, რომელსა ერქუა ადარნასე, და მისცა მას ტფილისი და მთავრობა ქართლისა“.[29]

მემატიანე სტეფანოზის დასჯისა და მისი შთამომავლობის ერისმთავრობიდან ჩამოშორების მიზეზსაც ასახელებს: „ამისთჳს უყო ესე ღმერთმან მთავარსა მას სტეფანოზს, რამეთუ არა მინდობითა ღმერთისათა ცხოვნდებოდა და მორწმუნეთა ემტერებოდა და ურწმუნოთა მოყურობდა“.[30] ქალკედონიტი მემატიანე, ურწმუნოებაში გულისხმობს არა ცეცხლთაყვანისმცემლებს, არამედ მონოფიზიტებს, ხოლო მორწმუნეებს უწოდებს ქალკედონიტებს. სტეფანოზი, მცხეთის ჯვრის მაშენებელი, ცხადია, ქრისტიანი იყო, როგორც ჩანს, მონოფიზიტი.

მეფის ოჯახის გარდა, ჰერაკლეს სასტიკად დაუსჯია რიგითი ქართველი ქრისტიანები (შესაძლოა მონოფიზიტები). მას ქვეყნის მთავარი ქალაქების, თბილისისა და უჯარმის ეკლესიებში შეურეკია ქართველი ქრისტიანები და იქ ამოუხოცავს. თურმე ეკლესიებიდან სისხლის მდინარეები დიოდა. ჰერაკლეს ახსოვდა, რომ სპარსეთზე ლაშქრობის დროს ქართველმა მონოფიზიტებმა, „სტეფანოზმა და მსახურთა მისთა“, დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, „ჰერაკლე განწმიდა შჯული ქრისტეჲსი და წავიდა“.[31] ქრისტეს შჯულის განწმენდაში, ალბათ, იგულისხმება, სპარსეთის მომხრე მონოფიზიტების დასჯა და ქალკედონიტების გამარჯვება.

ჰერაკლემ ეს სასჯელი არ იკმარა. ქართულ ეკლესიას წაართვა უდიდესი სიწმიდენი – „ფერხთა ფიცარნი და სამსჭუალნი უფლისა ჩუენისა იესოს ქრისტესნი... შეწუხნა ადარნასე, ქართლისა მთავარი, და ევედრებოდა კეისარსა, რათა არა წარიხუნეს ნიჭნი იგი ღმრთისამიერნი. არა ისმინა კეისარმან ვედრება მისი და წარიხუნა“.[32]

ჰერაკლე კეისარმა მკაცრად დასაჯა ქართული სახელმწიფოც: „მაშინ კუალად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა: სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღჳს პირი“.[33] ეს, ალბათ, ლაზების ღალატისა და სპარსეთთან ომის დროს ურჩობისათვის სასჯელი იყო.

შავიზღვისპირეთი კლარჯეთის ბოლოდან დაწყებული, კვლავ ბერძენთა ხელში გადავიდა ისევე, როგორც ვახტანგ გორგასლის სიჭაბუკის დროს. ამის შემდგომ ქართლის ამ მიტაცებულ ტერიტორიებზე, ანუ ფაზისსა და ლაზიკაზე, დაახლოე-

ბით 630-იანი წლებიდან IX საუკუნემდე და შემდგომაც, საეკლესიო იურისდიქციას ახორციელებს კონსტანტინოპოლის საპატრიარქო. ქალკედონის კრების თანახმად, ეკლესიის საზღვარი უნდა ემთხვეოდეს სახელმწიფოს საზღვარს. ბერძენთა პოლიტიკური ძალაუფლება დასავლეთ საქართველოს შუაგულამდე გავრცელდა, ამიტომ ამ საზღვრებში მოქცეული ქართული ეკლესია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შევიდოდა. დაახლოებით ამ დროს (631 წელს) ფაზისის მიტროპოლიტი კიროსი, რომელიც, ზ. ალექსიძის აზრით, მცხეთიდან გაძევებული კირონი იყო, გადაიყვანეს ალექსანდრიის პატრიარქად, რომელსაც ბერძნები არ ჰყვარებია და არაბთა შემოსევის დროს გაუძევებია ისინი ეგვიპტის ქალაქებიდან. ასეთ მოპყრობას იმსახურებდა ჰერაკლე კეისარი ქართული ეკლესიის განსაკუთრებული სისასტიკით დასჯისათვის.

განსხვავებულია ჰერაკლეს დამოკიდებულება სომხური ეკლესიისადმი. „წყაროები მას სომხური წარმოშობისად თვლიან...“[34] ჰერაკლე კეისარს იმპერიის სიძლიერის საფუძვლად სარწმუნოებრივი ერთობა მიაჩნდა, ამიტომაც ამ მიზნის განხორციელებისთვის იგი ყველა ღონეს ხმარობდა. იმპერიის ცენტრალური ნაწილი ქალკედონიტური იყო, ხოლო აღმოსავლეთის სხვადასხვა ხალხებით დასახლებული პროვინციები, ძირითადად, მონოფიზიტური. აღმოსავლეთის ამ მონოფიზიტების ავტორიტეტული ლიდერი იმ დროისათვის იყო სომხური ეკლესია, რომელიც, ფაქტობრივად, მონოფიზიტური არაბიზანტიური მიმდინარეობის ცენტრად აქცია სპარსეთის იმპერიამ. ჰერაკლემ გადაწყვიტა მიეღწია მონოფიზიტთა და ქალკედონიტთა ერთიანობისათვის. მან დაიწყო მოლაპარაკება სომხური ეკლესიის მეთაურებთან. „ჰერაკლე კეისარი ფრიად დაინტერესებულია სომხებთან რელიგიური უნიის შეკვრით“.[35] „მონოფიზიტებთან უნია მისი სასიცოცხლო პროგრამა გახდა“.[36] მართლაც, ჰერაკლემ წარმატებას მიაღწია სომხებთან მოლაპარკების დროს და „...630 წელს მიაღწია უნიას სომეხთა კათალიკოს ეზრასთან“.[37] სომხეთი დაემორჩილა უნიას“.[38]

ამის შემდეგ, მთელი VII საუკუნის მანძილზე, სომხურ ეკლესიას უფრო ქალკედონიტური ეთქმის, ვიდრე 726 წლის მანასკერტის კრებამდე.

სომხური ეკლესია VII საუკუნეში კვლავ ლიდერია ამიერკავკასიის მასშტაბით ისე, როგორც VI საუკუნეში. თუ VI საუკუნეში ის სპარსეთისათვის მისაღები და აღიარებული ეკლესია იყო, ახლა უკვე VII საუკუნეში, თავისი მოქნილი პოლიტიკის წყალობით, ბიზანტიისათვის მისაღები და ნებადართული ეკლესია გახდა. თვით სპარსეთზე გამარჯვებული ბიზანტიის იმპერატორი ჰერაკლე მასთან მოლაპარაკებას აწარმოებს და ერთობის ხელშეკრულებას დებს, ამავე დროს კი, ჰერაკლემ სასტიკად დასაჯა ქართული ეკლესია. სომხური ეკლესიის სიძლიერემ და ავტორიტეტმა აღმოსავლეთის ქრისტიანებში იძულებული გახადა ჰერაკლე კეისარი მასთან მოლაპარაკება ეწარმოებინა.

ჰერაკლეს ლაშქრობის შემდეგ, სომხური ეკლესია ისევე არის ქალკედონიტური, როგორც ქართული ეკლესია. ისინი კვლავ ერთმორწმუნენი არიან, ერთმორწმუნეობის გამო კი, სომხურ ეკლესიას საშუალება მიეცა კვლავ განეცხადებინა თავისი პრეტენზიები ქართულ ეკლესიაზე უფლებამოსილების შესახებ. შეიძლება ეს იყო

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ქართული ეკლესიის მესვეურები იძულებულნი გამხდარან, ანტიოქიის საპატრიარქოსათვის ეთხოვათ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დასტური, რათა არც ერთ მეზობელ ეკლესიას მასზე უფლება არ ჰქონოდა.[39]

ანტიოქიის ამ კრების გადაწყვეტილება ოდნავ მაინც შეანელებდა სომხური ეკლესიის პრეტენზიებს ქართულ ეკლესიაზე.

634-644 წლებისათვის არაბებს უკვე დამორჩილებული ჰქონდათ სირია, პალესტინა და ირანის დიდი ნაწილი.

„ბიზანტიის კეისრის, ჰერაკლეს, სიმკაცრითა და სარწმუნოებრივი მძულვარებით მობეზრებული და უკმაყოფილო აღმოსავლეთის ერები არაბებს თავდაპირველად სიხარულით ეგებებოდნენ და ბერძენთა მონობისაგან განმათავისუფლებლად სთვლიდნენ. ამგვარი შეხედულების დამყარებას ხელს უწყობდა და ამტკიცებდა, რასაკვირველია, ის უტყუარი გარემოება, რომ თავდაპირველად, არაბები სხვა სარწმუნოებას (კერპთაყვანისმცემლობის გარდა), მეტადრე კი ქრისტიანობას, თავისუფლებას ანიჭებდნენ და ლმობიერად ეპყრობოდნენ,ოღონდ კი დაწესებული გადასახადი სინდისიერად გადაეხადათ“.[40]

„აღმოსავლეთ საქართველოში არაბები ბატონობდნენ 657 წლამდე, როდესაც არაბთა შორის დაიწყო შინაური არეულობა და ბრძოლა, რომელიც გათავდა 661 წელს“.[41]

არაბთა მბრძანებელი იძულებული გამხდარა დაზავებოდა კეისარ კონსტანტინე III-ს და მისთვის ხარკიც კი ეძლია. 678 წელს დაიდო ხელშეკრულება ბიზანტიასა და არაბებს შორის. ეს ხელშეკრულება შეიცავდა პირობას, რომ საბერძნეთსა და არაბებს საქართველო თანაბრად ექნებოდათ გაყოფილი, ან თანასწორად იბატონებდნენ მასზე: ...კვიპრი, სომხითი და იბერია მათ საერთოდ თანასწორად ექმნებოდათ. ეს ხელშეკრულება ცხადად გვიჩვენებს, რომ არაბების ბატონობა აღმოსავლეთ საქართველოში ამ დროს შერყეული ყოფილა და ბიზანტია მათ ისევ შესცილებია“.[42]

680 წელს კონსტანტინოპოლში მოწვეული იქნა მსოფლიო საეკლესიო კრება. „ქართლის ცხოვრების“ ჩანართის თანახმად, VI მსოფლიო კრება მოიწვია იმპერატორმა კონსტანტინე IV პოღონატმა (668-685). ამ კრებას განუხილავს ქართული ეკლესიის სრული დამოუკიდებლობის საკითხი. მიუცია ამ დამოუკიდებლობისათვის მსოფლიო აღიარება. კრებას ქართული ეკლესიის მეთაურისათვის მიუნიჭებია უფლება ეტარებინა პატრიარქის ტიტული.

აქამდე ამ სასულიერო პირს ქართლის კათალიკოსი ერქვა. კრებას განუხილავს ქართული ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალიის საზღვრები.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამ დროს იმავე ჩანართის მიხედვით, ანტიოქიის საპატრიარქომაც ქართული ეკლესიის მეთაურს დაუდგინა პატრიარქის, მოციქულთა ტახტზე მჯდომისა და მოციქულთა მაგიერის წოდება. ანტიოქიის საპატრიარქოს ეს დადგენილება შემდგომ მალევე დაუმტკიცებია VI მსოფლიო კრებას.[43] ანტიოქიამ ქართული ეკლესიის საზღვრად დასავლეთით დაადგინა შავი ზღვა – „პონტოს ზღვიდამ დარუბანდის ზღვამდე“.[44] VI მსოფლიო კრებას იურისდიქციის საზღვრად დაუდგენია: – კახეთი, შაქი, შირვანი, კავკასიის მთიანეთი, სვანეთისა და

ჩერქეზეთის საზღვრამდე, ოსეთი.[45] კონსტანტინოპოლის საპატრიარქო იმ დროს შავიზღვისპირეთს ეპატრონებოდა, რაც აისახა კიდეც კრების დადგენილებაში, ვინაიდან VI მსოფლიო კრებას (680-681 წლებში) კანონები არ გამოუცია, ამ საკითხზე მსჯელობისას უნდა დავეყრდნოთ „ქართლის ცხოვრების“ ჩანართს.

„ამის კრებისა მიერ ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათჳს, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა, ვითარცა წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი, საპატრიაქონი, და იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიაქთა თანა“.[47] ამ მსოფლიო კრებამ დაადასტურა ქართული ეკლესიის მიერ მირონის ადგილზე კურთხევის უფლება.

692 წელს კონსტანტინოპოლში კვლავ შედგა საეკლესიო კრება, რომელსაც „გუმბადის“, ანუ ტრულის კრება ეწოდება. ეს იყო არა VI მსოფლიო საეკლესიო კრება, არამედ მან, კანონიკური თვალსაზრისით, შეავსო V-VI მსოფლიო კრებების ნაღვაწი და გამოსცა კანონები. ტრულის კრების კანონებში ასახვა ვერ უპოვია 680-81 წლების მსოფლიო კრების განსაზღვრებებს ქართული ეკლესიის შესახებ, რაც, შესაძლოა, შეცვლილი პოლიტიკური ვითარების შედეგი იყო.

ქართული ეკლესია V საუკუნიდანვე ავტოკეფალური იყო, მაგრამ VII საუკუნეში ამ საკითხის კვლავ წამოჭრა და დადასტურება განაპირობა სომხური ეკლესიისაგან განყოფის ფაქტმა. ქართულ ეკლესიას აღარ სურს სომხურთან „ერთობის“ აღდგენა. ესაა შესაძლო შემოტევისაგან თავდაცვა.

688-689 წლებში იუსტინიანე II-ს სარდალს მოუწყვია ლაშქრობა ამიერკავკასიაში, „...დაუხოცინებია იქ მყოფი არაბები, ხოლო სომხეთი, იბერია და ალბანია, აგრეთვე სხვა ქვეყნებიც, კეისრისათვის დაუმორჩილებია“.[48]

ნერსე ქართლის ერისთავს არაბთა სარდალიც დაუმარცხებია და ქართლიდან განუდევნია, ხოლო დასავლეთ საქართველო, პირიქით, აუჯანყდება ბიზანტიელებს და არაბების ძალის იმედი აქვს.[49]

საქართველო VII საუკუნის ბოლოსათვის იბრძვის არა მარტო საეკლესიო, არამედ პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვისაც.

იურისდიქციის საზღვრების ცვლილება VII საუკუნეში

ქალკედონის კრების დადგენილების თანახმად, ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები უნდა ემთხვეოდეს სახელმწიფო საზღვრებს, ანუ სამოქალაქო-ადმინისტრაციულს. ამიტომაც, საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დროს ქართული ეკლესია თავის უფლებამოსილებას დასავლეთ საქართველოზედაც ავრცელებდა, რადგანაც ეს ტერიტორია მირიანის სახელმწიფოში შედიოდა ისევე, როგორც წინა საუკუნეებში, ფარნავაზის შემდგომ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, VII საუკუნის ძეგლი, მიიჩნევს, რომ ქართველთა განსახლებისა და ქართული სახელმწიფოს დასავლეთი საზღვარი ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე რამდენიმე საუკუნით ადრე გადიოდა შავ ზღვასა და მდინარე ეგრისწყალზე. ვახტანგ გორგასლის

მიერ დაარსებული საქართველოს საკათალიკოსოს დასავლეთი საზღვარი, წესის თანახმად, უნდა დამთხვეოდა სახელმწიფოს საზღვარს, რომელიც გადიოდა შავ ზღვასა და ეგრისწყალზე გორგასლის სიჭაბუკის დროს, ხოლო შემდეგ საზღვარმა უკვე შავ ზღვას და მდინარე კლისურაზე გადაინაცვლა.

VI საუკუნე უმძიმესი საუკუნე იყო ქართული ეკლესიისა და სახელმწიფოსათვის, მაგრამ საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ქართული საზოგადოებრივი ინსტიტუტები არ ცნობდნენ ქართული სახელმწიფოს გაუქმებას VI საუკუნეში. ამ საუკუნის კატასტროფა დროებით მოვლენად მიაჩნდათ, რომელიც მალე გამოსწორდებოდა. ამ იდეიდან გამომდინარე, ქართული ეკლესია VI საუკუნეში დასავლეთ საქართველოს თავის კანონიერ იურისდიქციაში შემავალ ტერიტორიად მიიჩნევდა, ცდილობდა მასზე თავისი იურისდიქციის გავრცელებას და ახორციელებდა კიდეც VII საუკუნის 30-იან წლებამდე, ჰერაკლე კეისრის მიერ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ტერიტორიების მიტაცებამდე.

VI საუკუნის ბოლოსა და VII საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოზე ქართული ეკლესიის იურისდიქციას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ სომეხი ისტორიკოსები კირიონს არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს მამამთავრად, არამედ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსადაც მიიჩნევენ.

მეცნიერთა უმრავლესობის მიერ აღიარებულია, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ არის VII საუკუნის ძეგლი, ყოველ შემთხვევაში, ის საქართველოს გაერთიანებაზე ადრეა შედგენილი. მისი ავტორი ეყრდნობა „პირველი ქართველი ისტორიკოსის“ – გრიგოლ დიაკონისა და ჩვენ დრომდე მოუღწეველ წერილობით წყაროებს.[50]

გრიგოლ დიაკონს, კ. კაკაბაძის აზრით, 380-400 წლებში დაუწერია „მცირე მოქცევაჲ ქართლისაჲ“. მ. თარხნიშვილი კი მიიჩნევს, რომ „გრიგოლის შრომა შედგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს VII საუკუნის მეორე ნახევრისა, შეიძლება V საუკუნეშიც“.[51]

ამას ყურადღება მიაქცია ნ. ბერძენიშვილმა. ის წერს – „მოქცევაჲ“ უეჭველია, ძველ გადმოცემებს ემყარება, იბერიის ერთიანობის ხანას და „ყოველი ქართლი“... აქ ნიშნავს იბერიას, რომელშიაც კახეთიც შედის, კუხეთიც, ერწო-თიანეთიც და საკუთრივ ქართლიც“.[52]

მეცნიერი არ იზიარებს მიღებულ თვალსაზრისს ძეგლის IX საუკუნით დათარიღების შესახებ და წერს, რომ შეუძლებელია ამ თხზულების ავტორს IX საუკუნეში ეცხოვრა. ეს წყარო მას „იბერიის ერთიანობის ხანაში“ დაწერილად მიაჩნია. იბერია ერთიანი იყო VI საუკუნემდე, სპარსთა მიერ მეფობის გაუქმებამდე და შეიძლება გუარამ კურაპალატის დროსაც. ნ. ბერძენიშვილს სჯერა ამ წყაროსი და ქართლის აღმოსავლეთი საზღვრების აღნიშვნისას, რომელშიც შედის კახეთი და კუხეთი, მის მონაცემებს ეყრდნობა. მაგრამ რატომ არ უნდა დავეთანხმოთ ამ წყაროს ქართლის დასავლეთის საზღვრების გადმოცემისას? წყაროს თანახმად, ქართლში შედიოდა არა მარტო კახეთი და კუხეთი, არამედ ეგრისიც. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიმართება ეგრისთან დაკავშირებით საგანგებოდ შეისწავლა ს. ჯანაშიამ. მკვლევარი აანალიზებს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობას – „თანა

ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოდ ძჩ არიან ქართლისა მეფეისად და მას მიუბოძა მცხეთად საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრისწყალი და სომხითი და მთად ცროლისა“ – და ამბობს: „ამრიგად, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ავტორისათვის „ქართლის“ პოლიტიკურ ცნებაში შედის არა მარტო კახეთი, არამედ ეგრისიც. რაც არ უნდა გვიან გადმოიტანონ მატიანის საბოლოო რედაქციის დრო, IX საუკუნეს იგი მაინც ვერ გადმოსცილდება, ე.ი. ეს ლიტერატურული ძეგლი ბევრად ადრინდელია საქართველოს გაერთიანების ხანაზე“.[53]

„მატიანე ქართლისადს“ ცნობა, რომ ეგრისი ქართლში უძველესი დროიდან შედის, როგორც ერთ-ერთი პროვინცია, სრულ თანხმობაშია „ქართლის ცხოვრებასა“, სხვა ქართულ და უცხოურ წყაროებთან, რომელთა თანახმადაც, სამხრეთიდან გადმოსახლებული ქართველი ხალხი დაესახლა ვრცელ ტერიტორიაზე ეგრისწყლიდან, ვიდრე ჰერეთის ჩათვლით.

დ. მუსხელიშვილის აზრით, V საუკუნეში დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო გაერთიანებულია. ქართლში შედის ეგრისი – „ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდი (V ს-ის მეორე ნახევარი) საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნა: გაერთიანდა აღმოსავლეთი (ივერია) და დასავლეთი (ეგრისი, აფხაზეთის გარდა); ამ ერთიანი სამეფოს ფარგლებში შემოვიდა ალბანეთის მომიჯნავე მხარეებიც (ჰერეთი, კამბეჩანი)“.[54]

თუ V საუკუნეში ქართული სახელმწიფოს საზღვრებში შედიოდა დასავლეთ საქართველო შავ ზღვასა და აფხაზეთამდე, საეკლესიო კანონების თანახმად, ქართულ ეკლესიას თავისი იურისდიქცია კიდევაც უნდა განეხორციელებინა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეც, სადაც ამ დროს (V ს-ში) წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე აღესრულებოდა.

ზემოთ მოყვანილ წყაროებსა და მეცნიერთა დასკვნებს ეფუძნება ჩვენი აზრი იმის შესახებ, რომ ქართული ეკლესია გაერთიანდა არა VII და, მით უმეტეს, არა IX-X, არამედ IV-V საუკუნეებში. ამ დროს აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოში არსებობდა ერთი ეკლესია მცხეთის მეთაურობით.

მოსაზრება, რომ V საუკუნეში ეგრისის დასავლეთ ნაწილში ღვთისმსახურება აღესრულებოდა არა ქართულ, არამედ ბერძნულ ენაზე, დაუსაბუთებელია, რადგანაც არ არსებობს რომელიმე წყარო, რომელიც ამ შეხედულებას დაადასტურებდა.

დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს დ. მუსხელიშვილის მოსაზრებას, რომ ეგრისის დასავლეთ ნაწილში V-VI საუკუნეებში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე აღესრულებოდა (და არა IX-X სს-დან, როგორც აქამდე იყო მიღებული): „ამგვარად, გამოდის, რომ უძველესი დროიდანვე (V ს-დან?) ეგრისის აღმოსავლეთ ნაწილში ოფიციალური ქრისტიანული კულტი ქართულ ენაზე სრულდებოდა, განსხვავებით მისი დასავლეთი ნაწილისაგან, სადაც ღვთისმსახურება ბერძნულად იყო. საამისოდ არც ის არის უმნიშვნელო, რომ VII-IX სს. ბიზანტიურ ნოტიციებში, სადაც ჩამოთვლილია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებული ლაზიკის ეპარქიის ფასიდის სამიტროპოლიტოს ოთხი საეპისკოპოსო კათედრა, მხოლოდ ერთი – როდოპოლისის (ვარციხის) კათედრაა, რომელიც ქვეყნის შიგნი-

თაა, დანარჩენი სამი კი სამიტროპოლიტოსთან ერთად ან ზღვისპირასაა – ფასიდი (ფოთი), პეტრა (ციხისძირი), ზიგანევი (გუდაყვა), ანდა არცთუ ისე მოშორებით ზღვისაგან – საისინი, საისი (ცაიში)".[55]

არსებობდა თუ არა დასავლეთ საქართველოში V-VI საუკუნეებში ბერძნული საეპისკოპოსოები? ამ ფაქტის დამამტკიცებელი არავითარი საბუთი არ არსებობს. წყაროებში მხოლოდ VII საუკუნიდან მოიხსენიება ბერძნული საეპისკოპოსოების არსებობა. ამიტომაც უნდა დავასკვნათ, რომ V-VI საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში არ ჩანს ბერძნული საეპისკოპოსოები. მათი არსებობის მტკიცება უსაფუძვლოა.

ცნობილია, რომ VI საუკუნეში ბერძნები თავიანთ გარნიზონებს აყენებდნენ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში (ზოგჯერ სკანდა-შორაპნამდე), ააგეს ციხე-ქალაქი პეტრა. ბერძნები თავიანთი ჯარისკაცებისათვის დააარსებდნენ არა საეპისკოპოსოებს, არამედ ეკლესიებს ააშენებდნენ. საფიქრებელია, რომ ბიზანტიელთა ჯარს მოძრავი ეკლესიები ემსახურებოდა. ეს მდგომარეობა, გარკვეულწილად, შეზღუდავდა ქართულ ეკლესიას დასავლეთ საქართველოში, მაგრამ VI საუკუნეშიც ქართული ეკლესია კვლავ ახორციელებს თავის უფლებამოსილებას ამ ქვეყანაზე. ამის დამადასტურებელია როგორც წერილობითი წყაროები, ასევე არქეოლოგიური მონაპოვარი. წერილობითი წყაროებიდან – სომეხი ისტორიკოსებისა და ვახუშტის ცნობები, არქეოლოგიური მონაპოვრიდან განსაკუთრებით საინტერესოა ფოთში აღმოჩენილი მასალები, კერძოდ, ფოთის გარეუბან ყულევში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს თიხის საბეჭდავი, რომელზედაც ამოჭრილია ქართული ასო, აგრეთვე სამშენებლო მასალა, რომელზედაც ამოტვიფრულია ქართული ასოები.[56]

თუ დასავლეთ საქართველოში V საუკუნეში ქრისტიანობა არცთუ ისე ფართოდ იყო გავრცელებული, VI საუკუნეში აქ მისი გავრცელებისათვის სტიმული მიუცია აღმოსავლეთ საქართველოს ქრისტიანული ცენტრებიდან მოსახლეობის ლტოლვას. 523 წელს ქართველთა მეფე ოჯახითა და დიდი ამალით, აგრეთვე დიდებულებით, გადავიდა დასავლეთ საქართველოში, მეფეს ქრისტიანობისა და, განსაკუთრებით, ქალკედონიტობის მიმდევარი მოსახლეობაც თან გაჰყვებოდა, რადგანაც აღმოსავლეთში ქალკედონიტობას დევნიდნენ. ქალკედონიტი ქართველი საეკლესიო მოღვაწენიც გადავიდოდნენ დასავლეთ საქართველოში. ასეთი ლტოლვა არა მარტო VI საუკუნეში, არამედ VII საუკუნის დასაწყისშიც ყოფილა. მაგალითად, ზ. ალექსიძე წერს კირიონ ქართლის კათალიკოსზე: „ეს კირიონი უნდა იყოს კიროს ფაზისის მიტროპოლიტი, რომელიც 623 წლიდან ჩნდება ბერძნულ წყაროებში".[57] მკვლევარი მიიჩნევს, რომ კირიონიც გადასულა დასავლეთ საქართველოში. ლტოლვილი ქართველი ქალკედონიტი საეკლესიო პირების გადასვლა დასავლეთ საქართველოში VI საუკუნეში გამოიწვევდა ახალი ქართული საეკლესიო ცენტრების, ეკლესია-მონასტრების დაარსებასა და ადგილობრივი ქართველების უფრო აქტიურ ჩაბმას საეკლესიო ცხოვრებაში. ქართული ქალკედონური მონასტერი უნდა ყოფილიყო ვაშნარის ნაგებობა დას. საქართველოში (გურიის წინა ქედებში): „ვაშნარის ნაშენობა საკმაოდ მოგვაგონებს უჯარმისას, რომელსაც კიდევაც უტოლდება ვაშნარი, რაღაც შუალედებში მაინც".[58]

ვაშნარი შეიძლება სწორედ V საუკუნის გორგასლისდროინდელი შენობაა, ან VI საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოდან ლტოლვილ ქალკედონიტებს ეგრისში გადაუტანიათ მშენებლობის წესი – წყობა.

ვაშნარის „ზღუდისა და შენობათა პერანგის თანაბარკვადრატოვანი, ჰორიზონტალურად წესიერი წყობა იმეორებს ქართლის აღმოსავლეთ განაპირას მდგარი უჯარმის ციხე-დარბაზისა და რამდენიმე შორიახლო ძეგლის წყობას, რომელსაც ჩვენ პირობითად „უჯარმულს“, ან „გორგასლურს“ ვუწოდებთ და რომელთაც არ მოეპოვებათ ანალოგი არც საკუთრივ ბიზანტიურსა და არც ეგრისში, იქაური გავლენით ნაშენ ძეგლებში. ეს კი ეგრისისა და ქართლის მჭიდრო კულტურული ურთიერთობის ერთ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ“.[59]

ქართული ეკლესიის არსებობა დასტურდება არა მარტო ფოთსა და ვაშნარში, არამედ თვით ბიზანტიელთა მიერ აშენებულ ქალაქ პეტრაშიც (ციხისძირი). პეტრაში ეკლესიათა შენობებიც ქართული სტილით უშენებიათ. ამაზე მიუთითებს ციხისძირში სამნავიანი ბაზილიკის თხრისას აღმოჩენილი „ბოლნურ-ჯვრიანი“ ქვა.[60]

დასავლეთ საქართველოში ქართული ეკლესიის გავლენა სრულიად ბუნებრივად აღიქმება, თუ გავიხსენებთ, რომ არათუ დასავლეთ საქართველოში, არამედ თვით სირია-პალესტინასა და ეგვიპტეშიც კი (თებეში) ქართველებს VI საუკუნესა და VII ს-ის დასაწყისში მონასტრები უშენებიათ. აქ ქართველებში მეგრელებიც (ლაზები) იგულისხმება. ამის დამადასტურებელი ისაა, რომ პეტრე იბერს თავისი ცნობილი მონასტერი პალესტინაში მარტოს კი არ აუშენებია, არამედ მთავარი ქტიტორი პეტრეს შემდეგ ყოფილა იოანე ლაზი. პალესტინის ამ მონასტრის წარწერები, წირვა-ლოცვის ენა აქ ქართულია; მისი მაშენებელი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი – წინამძღვარი ეგრისელია. აქედანაც ჩანს, რომ ეგრისელთათვის წირვა-ლოცვის ენა ქართული ყოფილა.

VI საუკუნეში, ვახუშტის თანახმად, ეგრისის ვაკეზე, ქუთაისიდან ფოთის მიმართულებით, მცხეთის მთავარეპისკოპოსის იურისდიქცია ვრცელდებოდა, ხოლო ეგრისის მთიანეთზე (რაჭა-ლეჩხუმზე) – ნიქოზის საეპისკოპოსოსი.

სომხური წყაროების მიხედვით, VI საუკუნის ბოლოს კირიონი, „წინანდელი წესის თანახმად“, ეგრისის, გუგარქისა და ქართლის არქიეპისკოპოსად, ანუ კათალიკოსად იქნა ნაკურთხი. რას გულისხმობენ „წინანდელ წესში“ სომხური წყაროები? ცხადია იმას, რომ V საუკუნეში და VI საუკუნის დასაწყისშიც, კირიონამდეც, ქართლის კათალიკოსის იურისდიქციაში ეგრისიც შედიოდა.

ვახუშტის თანახმად, V-VII საუკუნეებში ქართული ეკლესია ერთიანი იყო, აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოში არსებობდა საეკლესიო ერთობა. ამდროინდელ საეკლესიო ერთობას ეწოდება „ერთობა ქართლის მთავარეპისკოპოსის დროს“. VII საუკუნის შემდგომ, „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, 720 წელს, დასავლეთ საქართველოში დაარსდა ადგილობრივი საკათალიკოსო, ე.ი. გაიყო ერთიანი ეკლესია. ამ პროცესს ვახუშტი „განყოფას“ უწოდებს. ის წერს: „არს ხონს ეკლესია დიდი, გუმბათიანი, მშვენიერ-ნაგები, ზის ეპისკოპოზი მწყემსი ვაკისა, ეს იყო ერთობასა შინა ქართლის მთავარეპისკოპოზისა: შემდგომად განყოფისა დასვეს აქა ეპისკოპოზი“.[61]

ქართული წყაროების თანახმად, ქართული ეკლესიის ისტორიაში საეკლესიო ერთობა არსებობდა ორჯერ: პირველად VIII საუკუნის დასაწყისამდე, ხოლო მეორედ – X-XIV საუკუნეებში. ამიტომაც, ვახუშტი განმარტავს, რომ ხონის „ვაკე“ ქართლის სამწყსოში შედიოდა „მთავარეპისკოპოზობის“, ანუ კათალიკოზ-მთავარეპისკოპოსობის დროს და არა კათალიკოს-პატრიარქობის დროს – XI საუკუნის შემდეგ.

„ვახუშტის ამ ცნობიდან, რომელიც, ეჭვი არ არის, მას რომელიღაც ძველი წყაროდან უნდა ჰქონდეს, გამოდის, რომ ერთიანი სამეფოს არსებობის პირობებში ვაკე იმერეთი, ანუ „სამოქალაქო“, ქართლის მთავარეპისკოპოსის იურისდიქციას ემორჩილებოდა. ერთიანი საქართველოს მონარქიის არსებობის დროს ასეთი მოვლენის წარმოქმნა გაუგებარია. საფიქრებელია, რომ იგი გაცილებით უფრო ძველი დროის ნაყოფია და მაინცდამაინც იმ დროისა, როდესაც ეგრისი ძლიერი ქართლის კულტურულ ექსპანსიას განიცდიდა. შესაძლებელია, ეს ფრიად საინტერესო ფაქტი დაკავშირებული იყოს იმ მოვლენასთან, რომელიც ფიქსირებულია სომხურ წყაროში და რომლის მიხედვით, „წინანდელ წესთა მაგალითისამებრ“, VII ს-ის დასაწყისში ქართლის კათალიკოსის იურისდიქცია ეგრისის გარკვეულ ნაწილზე ვრცელდებოდა“.[62]

„წინანდელ წესთა მაგალითისამებრ“, ქართლის კათალიკოსის იურისდიქცია უნდა გავრცელებულიყო არა ეგრისის ერთ ნაწილზე, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოზე, რადგანაც კანონიკურად ეკლესიის საზღვარი სახელმწიფო საზღვარს უნდა დამთხვეოდა, სახელმწიფო საზღვარი კი შავ ზღვასა და ეგრისწყალზე (იმჟამად უკვე კლისურაზე) გადიოდა. ასეა V საუკუნეში მაინც. ამიტომაც წირვა-ლოცვის ენა – ქართული – ჯერ კიდევ VII საუკუნემდე მთელ დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული. სწორედ VII საუკუნეში იცვლება ეს მდგომარეობა. 630-იანი წლებიდან ჰერაკლე კეისარი შავიზღვისპირეთს უერთებს ბიზანტიას, რის შემდგომაც, დასავლეთ ეგრისში აღიკვეთა ქართული ენა. ქართულის მაგიერ აქ დაწესდა ბერძნული ღვთისმსახურება, დაარსდა ბერძნული საეპისკოპოსოები.

VII საუკუნის დასაწყისში, ერეკლეს ლაშქრობამდე, დასავლეთ საქართველოში კვლავ გრძელდება ქართული ტიპის საეკლესიო ნაგებობების შენება, რაც ამ მხარეში ქართული ეკლესიის უფლებამოსილებაზე მიუთითებს. ამის მაგალითია, ჭყონდიდში ჯვრის ტიპის ტაძრის აგება. გ. ჩუბინაშვილის დასკვნით, ის 630-იან წლებამდე აშენდა. ჭყონდიდის ქართული ეკლესია მარტოდ არ გამოიყურება, მანამდე დასავლეთ საქართველოში მსგავსი ნაგებობები იყო, რასაც ადასტურებს პეტრას ქართული ეკლესია, ვაშნარის ნაშენობა, ფოთის ადრეფეოდალური ხანის შენობათა ნაშთები, რომელზედაც ქართული ასოებია გამოყვანილი.

VI საუკუნის მეორე ნახევარში ქვეყნის საერთო ეკონომიკური აღმავლობისა და სპარსთაგან გათავისუფლების შედეგად, „ნელადრტ შეკრბა ქართლი“, „ფაქტიურად, ეს იყო ქვეყნის კონსოლიდაციის, „ქართლის შეკრების“ და „ყოველი ქართლის“ შექმნის იმ მნიშვნელოვანი პროცესის ხელახალი წამოწყება, რომელსაც V ს-ის მეორე ნახევარში საფუძველი ჩაუყარა ვახტანგ გორგასალმა, მაგრამ საგარეო ძალის, სასანური ირანის ძალმომრეობის გამო, დაახლოებით ნახევარი საუკუნით შეფერხდა. VI ს-ის მეორე ნახევრიდან ახალგაზრდა ფეოდალური ქართლი ახა-

ლი ენერგიით კვლავ იწყებს ამ დიდი ეროვნული საქმის განხორციელებას. ისევე როგორც ვახტანგ გორგასალი, ახლაც ქვეყნის მესვეურები თავისი მიზნებისათვის იყენებენ ქრისტიანულ ეკლესიას. ეროვნულ-იდეოლოგიური კონსოლიდაციის პროცესი ახალი ძალით იშლება ქართლის და ეგრისის ტერიტორიაზეც. ამის შესანიშნავი მოწმობაა ჯვრის ტიპის ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა ქართლსა, კახეთსა და ეგრისში; კირიონის ხელდასხმა გუგარქის, ქართლის და ეგრისის კათალიკოსად".[63]

ქართული ეკლესია არა მარტო V-VI საუკუნეებში იყო ერთიანი, არამედ VII საუკუნეშიც, კერძოდ, VII საუკუნის 30-იან წლებამდე, ჰერაკლე კეისრის მიერ ზღვისპირა ტერიტორიების მიტაცებამდე. VII საუკუნეში ქართული ეკლესიის ერთობის საკითხს ეხება ზ. ალექსიძის კირიონისადმი მიძღვნილი ნაშრომი, ერთერთ ქვეთავში – „ქართული და სომხური წყაროები VII საუკუნის დამდეგს ქართლისა და ეგრისის საეკლესიო ერთიანობის შესახებ".[64]

მკვლევარი საინტერესო აზრს ავითარებს VI საუკუნის მოვლენების შესახებ: „აშკარაა, სპარსელთა შეხედულებით ლაზიკა, სვანეთი და იბერია ერთმანეთს ჩამოცილებულია გარკვეული პოლიტიკური ვითარების გამო და სათანადო პირობები თუ შეიქმნა, მათი ერთიანობის დასაბუთება შეიძლება. სპარსელებმა, ჩანს, იციან ის, რაც დღეს ჩვენ უკვე გვიჭირს წარმოვიდგინოთ: აღმოსავლური და დასავლური გაერთიანებების პოლიტიკური მთლიანობა..."[65] ამასვე მიუთითებს ბალაზორის ცნობა, რომ ქართლი, ანუ ჯურზანი მოიცავს არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ დასავლეთ საქართველოსაც და გადის შავ ზღვაზე. „...ბალაზორის ცნობით... ერანის შაჰმა ხოსრო ანუშირვანმა (VIს.) ჯურზანში ააგო შემდეგი ციხესიმაგრეები: ფირუზკობადი, ლაზიკის კარი, ბარიკას კარი – ტრაპეზუნტის ზღვასთან, დარიალანი, სამცხის კარი, ჯარდამანი (ქართ. – გარდაბანი) და სამშვილდე".[66]

აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მთლიანობაზე მუდმივად და დაბეჯითებით წერენ: „ქართლის ცხოვრება", „მოქცევაჲ ქართლისაჲ" და VIII საუკუნემდელი სხვა წყაროები. ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობა მისი ხალხის ეთნიკურ ერთობას ემყარებოდა. აღნიშნული წყაროების თანახმად, მთელ საქართველოში, ანუ „ქართლში", როგორც ისინი უწოდებდნენ, ეგრისწყლიდან და შავიზღვისპირეთიდან, ჰერეთის ჩათვლით, ერთი, ქართველი ხალხი ცხოვრობდა.

VII საუკუნის დასაწყისის შესახებ ს. ჯანაშია აღნიშნავს: „ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ საკმაოდ გრძელი პერიოდის განმავლობაში (დაახლოებით VI ს-ის 70-იანი წლებიდან VII ს-ის 60-იან წლებამდის) თითქმის მიმდემად (ან მცირე წყვეტილებით) ეგრისი და ქართლი ერთ საერთო საეკლესიო-რელიგიური ფარვატერსა და ბიზანტიის ერთიანი პოლიტიკური ეგიდის ქვეშ ექცევიან. ისე, როგორც ადრე ირანი, ახლა ბიზანტიის მთავრობაც ეცდებოდა გარკვეული ორგანიზაციული თანხმობა დაემყარებინა ადგილობრივ ეკლესიებს შორის. რა კონკრეტული სახით ხორციელდებოდა იგი, ამჟამად გადაჭრით ძნელი სათქმელია, მაგრამ სწორედ ამ დროს რაღაც საეკლესიო-კულტურული გავლენა კი უნდა გავრცელებულიყო ქართლიდან ეგრისში... ამ მხრივ, ძალიან საინტერესოა

ერთი ძველი სომეხი ისტორიკოსის ცნობა, რომ კირიონი... ქართველთა, გუგარელთა (გუგარეთი – ქართველთა საპიტიახშო) და მეგრელთა არქიეპიკოპოსად ყოფილა ხელდასხმული „პირვანდელ წესთა“ თანახმად...“[67] ს. ჯანაშია „...ჯერ აღნიშნული ერთიანობის თარიღად დაახლოებით 610-650 წლებს თვლიდა, შემდეგ 630-650 წლებზე შეჩერდა...“.[68] „ქართლისა და ეგრისის ეკლესიები VII საუკუნის დამდეგს ერთ ორგანიზმად თუ არა, მჭიდროდ ერთმანეთთან დაკავშირებულად მაინც წარმოუდგენია სომეხ ისტორიკოს ჩამჩიანს“[68]. „...ანალოგიურია ქართულ მატიანეებში წარმოდგენილი სურათიც... ჯუანშერით VIII ს-ის დამდეგს ეგრისში ადგილობრივი დინასტია სულ არ ჩანს და მთელი ქვეყანა აფხაზეთის სამთავროს საზღვრამდის ქართლის ერისმთავრებს ეკუთვნის“.[69] „აშკარაა, ჯუანშერს VII ს-ის მეორე ნახევარში ეგრისი ქართლის შემადგენელ ნაწილად მიაჩნია. იმის თქმა, რომ ჯუანშერს მექანიკურად გადააქვს გვიანდელი ვითარება ადრე ხანაში, არ იქნებოდა გამართლებული... ამრიგად, ჯუანშერის მონათხრობიდან ასეთი ვითარება წარმოგვიდგება: ბიზანტიის პოლიტიკური უფლების ქვეშ გუარამ კურაპალატის მთავრობით (თუ მეფობით) ერთიანდება ქართლი და აღდგება ლეონტი მროველისაგან აღწერილი „ყოველი ქართლის“ ფარგლებში (დაახლოებით იმ რვა საერისთავოს ფარგლებში), რომელიც ფარნავაზმა „განაჩინა“.[70]

აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს ერთიანობის პერიოდი, ზ. ალექსიძის გამოკვლევით, მოდის არა 630-650 წლებზე, როგორც ფიქრობდა ს. ჯანაშია, არამედ დაახლოებით 570-630/40 წლებზე.

აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს ერთიანობა დაარღვია ჰერაკლე კეისრის ლაშქრობამ. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ჰერაკლემ საქართველოს (ქართლის) სახელმწიფოს მნიშვნელოვანი შავიზღვისპირა ტერიტორიები ჩამოაჭრა.

ზ. ალექსიძე წერს: „ქართულ-სასანური დრამები დაახლოებით VI საუკუნის უკანასკნელ 30 წელზე და VII საუკუნის პირველ 30-40 წელზე მოდის, ე.ი. სწორედ იმ ხანაზე, რომელშიც თავსდება ქართულ-სომხური ტრადიციით აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს ერთიანობის პერიოდი...“[71]

ზ. ალექსიძემ გაარკვია, რომ გაერთიანებულ აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს VI-VII საუკუნეებში ეწოდებოდა „ყოველი ქართლი“. ასე რომ, „ქართლი“ დასავლეთ საქართველოს პირველად უწოდეს არა გიორგი მერჩულის ეპოქაში, არამედ გაცილებით ადრე, წინა საუკუნეებში. ქართული მატიანეების თანახმად, დასავლეთი საქართველო ქართლის სახელმწიფოში შედიოდა ფარნავაზ მეფიდან, ვიდრე ვახტანგ გორგასლის ჩათვლით და შემდგომ.[72]

„ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, „ამისთანა შემთხვევაში, როდესაც სიტყვას „ქართლი“ ფართო და საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა, უმატებდნენ ხოლმე „ყოველი“, ან „ერთობილი“ და ამბობდნენ ხოლმე „ყოველი ქართლი“, „ერთობილი ქართლი“.[73]

ქართული ტიპის საეკლესიო ნაგებობების მშენებლობა დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა პროვინციებში გრძელდება ჰერაკლე კეისრის შემოსევებამდე, უფრო ზუსტად, ამ მიწების ანექსიამდე ბიზანტიის მიერ, 630-იან წლებამდე.

მარტვილის ჯვრის ტიპის ტაძარი სწორედ 630 წლამდე, ჰერაკლეს მიერ ქართული ზღვისპირეთის მიტაცებამდე აშენდა. ამის შემდეგ მარტვილი და ჭყონდი-

დის სანახები (ისე, როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა მიწები) კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციას გადაეცა და დაახლოებით 200 წლის შემდეგ დაიბრუნა ქართულმა ეკლესიამ. ცხადია, ბერძნული საეპისკოპოსოები მათ დაქვემდებარებაში მყოფ მიწაზე ქართული ტიპის საეკლესიო შენობის აგების ნებას არავის დართავდნენ. ამიტომაც, მარტვილის ტაძარი ბერძნების იურისდიქციამდე, 630 წლამდე, უნდა აშენებულიყო. ეს თარიღი ზუსტად დაადგინა გ. ჩუბინაშვილმა:

„მარტო ჯვრის ტიპის ნაგებობების გათვალისწინება კმარა, რომ თვალწინ დაგვიდგეს საეკლესიო-იდეოლოგიური ერთიანობა „ყოველი ქართლისა“, თანაც იმავე ფარგლებში, როგორც ფარნავაზის დროს, გვამცნობს ლეონტი მროველი. მცხეთის ჯვარი შენდება კახეთისა და ქართლის საზღვარზე; აშენებდნენ კახეთის, შიდა ქართლისა და კლარჯეთ-ჯავახეთის პატრონები. შიდა ქართლში – ატენი, კახეთში – შუამთა, ეგრისში – მარტვილი. ყველა ეს ძეგლი სულ ოცდაათიოდე წლის პროდუქტია და დაახლოებით 600-630-იან წლებში ეტევა. აღნიშნული წლები კი სტეფანოზ I და ადარნასე ქართლის ერისმთავრების ზეობაზე მოდის... აღნიშნული 30 წელიწადი ზუსტად კირიონ კათალიკოსის მოღვაწეობის ხანაა, სწორედ იმ კირიონის, რომელიც იოანე დრასხანაკერტელის ცნობით, იყო ქართლის, გუგარქისა და ეგრისის არქიეპისკოპოსი“.[74]

VI საუკუნის ბოლო და VII საუკუნის დასაწყისი იყო ეპოქა გორგასლისდროინდელი ქართული სახელმწიფოს აღორძინებისა. ეს იყო აღდგენა, აყვავება-რესტავრაცია ქართული საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და ამ ახლადაღორძინებულ „ყოველ ქართლს“ ფეხზე დადგომის საშუალება არ მისცა არა არაბობამ, არამედ ჰერაკლე კეისრის ლაშქრობამ.

არაბების შემოსევის დროს ქართული სახელმწიფო, ფაქტობრივად, განადგურებული იყო ჰერაკლე კეისრის მიერ, რამაც არაბებს გაუადვილა დაშლილი ქართლის დამორჩილება. ფაქტობრივად, არაბებს „ქართლი“, როგორც ერთიანი პოლიტიკური ერთეული, არც დახვედრიათ. ჰერაკლემ დაამხო არა მარტო სპარსთა სახელმწიფო, არამედ მისი ნაწილობრივ მოკავშირე ქართლის სახელმწიფოც, ძალზე დაასუსტა და დასაჯა იგი.

ჰერაკლეს მიერ ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის დასჯას თითქმის არ მოეპოვება ანალოგიები ქართველი ერის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე. სწორედ ამ დროს მოხდა ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების დამცრობა.

საერთოდ ძნელი გასაგებია, თუ რა მიზეზის გამო დასაჯა ჰერაკლემ ქართული სახელმწიფო და ეკლესია. თუ ეს განაპირობა მეფე-ერისმთავარ სტეფანოზისა და

ქართლის ერთი კუთხის (თბილის-გუგარქის) სპარსელებთან თანამშრომლობამ, მაშინ კეისრის რისხვა არ უნდა დასტეხოდა ქართლის უდიდეს ქალკედონიტურ ნაწილს. მაგრამ ჰერაკლემ ქართლი, მისი მრწამსის მიუხედავად, მთლიანად, ერთიანად დასაჯა. საერთოდ, ჰერაკლე ძალზე სასტიკი კაცი იყო, აღმოსავლეთის ქრისტიანებს ისე სძულდათ ის, რომ სიხარულითა და აღტაცებითაც კი შეხვდნენ არაბებს და, ფაქტობრივად, მათ, მუსლიმან დამპყრობლებს გადასცეს აღმოსავლეთი.

ჭეშმარიტებასთან, ალბათ, ახლოს ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ჰერაკლემ ქართლი დასაჯა არა სარწმუნოებრივი აღმსარებლობისათვის, არამედ კეისარს აფრთხობდა ქართლის სახელმწიფოს აღორძინება ზღვიდან ალბანეთამდე. I-IV საუკუნეებში და ადრეც ქართლის სახელმწიფო, ფაქტობრივად, ერთადერთი ტრადიციული მეტოქე იყო კავკასიაში ჯერ რომის, შემდეგ კი რომ-ბერძენთა იმპერიისა. ჰერაკლეს აფრთხობდა იბერიის ძველი სახელმწიფოს აღორძინება და მისი მეზობლობა. იბერია ჩრდილოეთის კარების გასაღების მფლობელი იყო და ამ გასაღებს თავის სახელმწიფო ინტერესებისათვის ხშირად გადასცემდა ხოლმე ხან რომაელებს, ხან სპარსელებს. სპარსეთის სახელმწიფოს დამხობის შემდეგ ჰერაკლემ მისი პოტენციური მომხრე ქართლი ძალზე დაასუსტა. მან, „ქართლის ცხოვრებისა“ და სუმბატის ქრონიკის თანახმად, ქართლის სამეფო დინასტიის – ბაგრატიონების ხოსროიანებით შეცვლის შემდეგ, ქართულ სახელმწიფოს ჩამოაჭრა მნიშვნელოვანი ტერიტორიები ზღვისპირეთში. ეს იყო ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტი ქართული ეკლესიის ისტორიაში – შეიცვალა ეკლესიის იურისდიქციის საზღვარი. მატიანე წერს: – „მაშინ კუალად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა: სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღჳს პირი“.[75] ჰერაკლემ მთელი შავიზღვისპირეთი მიუერთა თავის იმპერიას. ბუნებრივია, ეს ტერიტორიები საეკლესიო (ქალკედონის) კანონთა თანახმად, გამოვიდა ქართული ეკლესიის იურისდიქციიდან და შევიდა ბიზანტიის (კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს) იურისდიქციაში, რადგანაც ეკლესიის საზღვრები სახელმწიფო საზღვრებს უნდა დამთხვეოდა.

ბერძნული საეპისკოპოსოების ტერიტორიული განლაგებიდან კარგად ჩანს, ქართული ეკლესიის რომელი ტერიტორიები შევიდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში. ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოში განლაგებული ბერძნული საეპისკოპოსოები ბიზანტიურ ნოტიციებში ჩნდება ჰერაკლეს ლაშქრობის შემდეგ, VII საუკუნის პირველი მესამედიდან. VII საუკუნემდე არც ერთი ბერძნული საეპისკოპოსო არ მოიხსენება ბინაზტიურ ნოტიციებში, აქ იგულისხმება მდინარე ეგრისწყლიდან პეტრას ჩათვლით მოქცეული ტერიტორია.

დასავლეთ საქართველოს ანექსირებული ტერიტორიები კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ შეიყვანა ლაზიკის ეპარქიაში. ამ ეპარქიის ფოთის (ფაზისის) სამიტროპოლიტოში შედიოდა ოთხი საეპისკოპოსო, ადრე ქართული ეკლესიის იურისდიქციაში მყოფ ტერიტორიაზე კი შემდეგი ბერძნული საეპისკოპოსოები დაარსდა:

1. თვით ფოთის (ფასიი) სამიტროპოლიტო კათედრა;
2. პეტრას (პეტრონის, ციხისძირის) საეპისკოპოსო კათედრა;
3. ზიგინევის (გუდაყვა) საეპისკოპოსო კათედრა;

4. საისინის (ცაიში) საეპისკოპოსო კათედრა;

5. როდოპოლისის (ვარდციხის) საეპისკოპოსო კათედრა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველა ეს ბერძნული საეპისკოპოსო VII საუკუნეში ერთდროულად კი არ დაარსებულა, არამედ თანდათან. თუ როდოპოლისი ნამდვილად ბაღდათის რაიონის ვარციხეა, მაშინ ბერძნული საეპისკოპოსოების ტერიტორიული განლაგებიდან გამომდინარეობს, რომ „ქართლის ცხოვრების“ ტერმინში „ზღვისპირი“, იგულისხმებოდა მთელი ისტორიული ეგრისი, ანუ ტერიტორია შავი ზღვიდან და ეგრისწყლიდან სკანდა-შორაპნის ხაზამდე, რომელიც ისტორიულად იბერია-ეგრისის საზღვრად ითვლებოდა. ვიწრო მნიშვნელობით იბერიის (ქართლის) საზღვარი ეგრისთან გადიოდა სკანდა-შორაპნის ხაზზე, ხოლო ფართო გაგებით – ეგრისი იბერიაში შედიოდა.

დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი პროვინციის – არგვეთის დიდი ნაწილი კვლავ ქართლის სამეფოში დარჩა. იგი არ შესულა ბიზანტიის იმპერიაში, ამიტომაც მასზე იურისდიქციას კვლავინდებურად ახორციელებდა ქართული და არა ბერძნული ეკლესია. აქ წირვა-ლოცვის ენა ბერძნული არასდროს ყოფილა.

თუ აღმოსავლეთ საქართველოში ჰერაკლე კეისარმა ეკლესიებში ქართველი ქრისტიანები დაახოცინა („ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლთანი დიოდეს“ – სუმბატის ქრონიკიდან), დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოაცილა ქართულ ეკლესიას.

VII საუკუნის 30-იან წლებში ქართული ეკლესიის იურისდიქციის დასავლეთი საზღვარი შეიცვალა და ამის შემდეგ ეგრისწყალსა და შავი ზღვის ნაცვლად გადიოდა სკანდა-შორაპნის ხაზზე – არგვეთში. ისტორიულ ეგრისზე კონსტანტინოპოლმა განახორციელა თავისი იურისდიქცია, რაც კარგად ჩანს ტრულის 692 წლის საეკლესიო კრების ხელისმომწერთა სიიდანაც, რომელშიც ბიზანტიელ ეპისკოპოსთა შორის მოხსენებულნი არიან ფოთისა და პეტრონის (ციხისძირის) ეპისკოპოსები.

„განყოფა“ ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის

კ. კეკელიძე წერს: „სომხებისაგან ეკლესიურად ჩამოშორება, რომელსაც ადგილი ჰქონდა VII საუკუნის დასაწყისს, მოხდა, როგორც ცნობილია, სხვათა შორის, ეროვნულ-კულტურული იდეოლოგიის საფუძველზედაც. ქართველები ამიერიდან მიზნად ისახავენ თანდათანობით განთავისუფლებას აღმოსავლური საეკლესიო ტრადიციებისაგან. ამ ნიადაგზე წარმოიშვა გამწვავებული პოლემიკა სომხებთან, რომელიც იქამდე მივიდა, რომ ქართველებმა წარსულშიც კი უარყვეს ყოველგვარი კულტურულ-ეკლესიური ურთიერთობა სომხებთან...“[76]

განხეთქილება, რომელსაც ქართველი და სომეხი ისტორიკოსების თანახმად, შედეგად მოჰყოლია „განყოფა“ ამ ეკლესიათა შორის, შედეგი ყოფილა იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაციისა.

3. ინგოროყვა კარგად გადმოსცემს ქვეყნის მდგომარეობას: „იბერიაში მე-6 საუკუნის 70-იან წლებში მოხდა აჯანყება ირანელთა ბატონობის წინააღმდეგ, რაც დასრულდა ეროვნული ხელისუფლების აღდგენით იბერიაში, მაგრამ მდგომარეობა იბერიის ამ ახალი ხელისუფლებისა არ იყო მტკიცე; ამის გამოხატულებაა, კერძოდ, ის ფაქტიც, რომ იბერიის ხელისუფლების მეთაური ატარებს არა „მეფის“, არამედ „ერისმთავრის“, ანდა „დიდი ერისთავის“ ტიტულს. იმ დროს არსებულ საერთაშორისო ვითარებაში იბერიის ძველი „სამეფოს“ აღდგენა ვერ მოხერხდა.

იბერიის ამ ახალ ხელისუფლებას უხდება მერყეობა ორ გარეშე ძალას – ირანსა და ბიზანტიას შორის. 590-604 წლებში იბერია ბიზანტიის გავლენის სფეროში მოექცევა; შემდეგ 605 წლიდან, ვიდრე 620-იან წლებამდე, იბერიაში ისევ ირანის ბატონობა დამყარდა; ხოლო 620-იანი წლებიდან ირაკლი კეისრის აღმოსავლეთში ლაშქრობის დროიდან, იბერია კვლავ ბიზანტიის გავლენის სფეროშია მოქცეული“.[77]

570-იანი წლებიდან 604 წლამდე, როცა საქართველო მოქცეული იყო ბიზანტიის გავლენის სფეროში, ქართული ეკლესია სრულიად ქალკედონიტურია და აღარ იმყოფება სომხური ეკლესიის ზეგავლენის ქვეშ. მიუხედავად ამისა, ამ ორ მოძმე ეკლესიას მაინც აქვს ურთიერთკავშირი, ალბათ, კულტურულ-სულიერი. მაგალითად, მომავალი ქართლის კათალიკოსი კირიონი დაახლოებით ამ პერიოდში ჯერ სომხეთში მოღვაწეობს, სადაც ის ეპისკოპოსია, შემდგომ კი გადმოდის ქართლში. მდგომარეობა სრულიად იცვლება 604 წლიდან, ბიზანტიაზე სპარსეთის წარმატებით გამარჯვებებისა და ამიერკავკასიის სპარსეთისადმი დაქვემდებარების შემდგომ. თუკი 570-იანი წლებიდან, ვიდრე 604-605 წლებამდე ქართული ეკლესია სომხური ეკლესიისაგან სრულიად დამოუკიდებელი იყო, 604/5 წლებიდან სომხეთს უცდია ქართული ეკლესია კვლავ მოექცია თავისი ზეგავლენის ქვეშ ისევე, როგორც იყო VI საუკუნის 50-70-იან წლებამდე. 604/5 წლებიდან სომხური ეკლესიის ცდას – დაემორჩილებინა ქართული ეკლესია, საქართველოში გამოუწვევია საპირისპირო რეაქცია, რასაც 607-609 წლებში შედეგად მოჰყვა „განყოფა“ ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის. სომეხთა კათალიკოსმა აბრაამმა აუკრძალა სომხებს რაიმე კავშირი ჰქონოდათ ქართველებთან. თვით სომხური წყაროების თანახმად, სომხური ეკლესიისაგან სრული დამოუკიდებლობა ქართველი ერის ყველა ფენის სურვილი ყოფილა. მათ საერთო მისწრაფებას ახორციელებდა ქართლის დიდი კათალიკოსი კირიონი. როგორც სმბატ მარზპანის ეპისტოლედან ჩანს, სომხური მხარე ქართველებს აფრთხილებდა, რომ თუ ქართული ეკლესია კვლავ გააგრძელებდა სომხეთისაგან დამოუკიდებლობის კურსს, იგი ამას შეატყობინებდა სპარსეთის მეფეს და დასჯიდა არა მარტო ეკლესიას, არამედ საერთოდ ქვეყანას. მართლაც, 614 წელს სპარსეთის სახელმწიფომ გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც ყველა ქრისტიანი არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ მის მთელ იმპერიაში, უნდა დამორჩილებოდა სომხურ ეკლესიას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ გაასახლებდნენ. ჩანს, 614 წლის ე.წ. „სპარსული კრების“ შემდეგ, საქართველოში მრავალი მონოფიზიტი გაჩენილა. ამას ხელს ისიც შეუწყობდა, რომ თვით ერისმთავარი სტეფანოზი სპარსული ორიენტაციისა იყო და მტრულად დახვდა ბერძნებს.

ბუნებრივია, ანტიბიზანტიური პოლიტიკის გატარებისას, საქართველოს მეფე-მთავრები ანტიქალკედონიტები იქნებოდნენ. ანტიქალკედონიტობა ძირითადი პირობა იყო ანტიბიზანტიურობისა. სპარსეთის თვალსაზრისით, ანტიბიზანტიურობის გამოხატვა დაპყრობილ ქრისტიანებს მხოლოდ და მხოლოდ ანტიქალკედონური მრწამსის აღიარებით შეეძლოთ. სპარსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში ანტიქალკედონიტობა აუცილებელი იყო, მაგრამ ეს იმავე დროს სომხური ეკლესიისადმი დაქვემდებარებას ნიშნავდა – ესეც სპარსეთის მიერ მოთხოვნილი ანტიბიზანტიურობის გამოხატვის აუცილებელი პირობა იყო. თუ მოსახლეობის, ან ქვეყნის რომელიმე თემი იმ დროს სომხური ეკლესიის მიმართ ლოიალურ პოლიტიკას დაიჭერდა, თავის თავს სომხური სარწმუნოების მატარებლად, ან სომხური ეკლესიისადმი დაქვემდებარებულად გამოაცხადებდა, მას გარანტირებული ჰქონდა სპარსეთის იმპერიისაგან გარკვეული შეღავათები და უშიშროება. ასეთი მდგომარეობა მოსახლეობაში პოპულარულს ხდიდა „სომხურ სარწმუნოებას“ – „სომხობას“.

სომეხი ისტორიკოსის, იოანე მამიკონიანის მატიანიდან ირკვევა, რომ ანტიბიზანტიურ პოლიტიკას, არა მარტო საქართველოს ერისმთავარი ატარებდა, არამედ ანტიბიზანტიური ორიენტაციისა ყოფილა VII საუკუნის პირველი ნახევრის პერიოდებში მესხეთი (ქვემო ქართლის, ანუ გუგარქის ანტიბიზანტიურობა ცნობილია). იოანე მამიკონიანის მატიანიდან ირკვევა, რომ „ვაშდენ ქართველთა (ივერთა) მთავარი, მფლობელი მესხეთის მხარეთა, ირანის პოლიტიკური ორიენტაციისა ყოფილა, ხოლო მისი დისწული ჰამამი (მფლობელი ზღვისპირა მხარისა – ლაზეთისა) ბიზანტიის ორიენტაციის მოღვაწედ ჩანს. რაც შეეხება, ვაშდენის უშუალო სამფლობელოს, ე.ი. მესხეთის მხარეებს (ჭოროხიდან – ვანანდამდე, ე.ი. საკუთრივ კლარჯეთის ჩათვლით), აქ ვაშდენის სიკვდილის შემდეგ, მთავრად დამჯდარა ვაშდენის ძე ჯოჯიკი. ირანის შაჰს ხოსრო-ფარვიზს ქართველთა (ივერიელთა) მთავრის ჯოჯიკისათვის უბოძებია ტიტული მარზპანისა... ჯოჯიკი მესხეთის მხარეთა მთავარი ყოფილა VII საუკუნის პირველი ნახევარის მანძილზე. მემატიანის სიტყვით, „ვაშდენის-ძე ჯოჯიკ, ქართველთა (ივერიელთა) მთავარი“ ცოცხალი ყოფილა VII საუკუნის შუა წლებშიაც, როდესაც კავკასიაში პირველად შემოვიდნენ არაბთა რაზმები“.[78]

არაბებმა, ისევე როგორც სპარსელებმა, დაპყრობილ ამიერკავკასიაში შექმნეს ერთიანი ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც უწოდეს „არმინია“. დაპყრობილი ქართლი „არმინიაში“ შედიოდა, ისე როგორც ალბანეთი და თვით სომხეთი. ასე რომ, ადმინისტრაციული ცენტრი კვლავ სომხეთში იყო, როგორც სპარსთა ბატონობისას. განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ სპარსელებმა ამიერკავკასიაში ქართული, ალბანური და სომხური ეკლესიებისაგან ერთი სარწმუნოებრივ-საეკლესიო ერთეული შექმნეს, ხოლო არაბებმა – ერთი ადმინისტრაციულ-სამოქალაქო ერთეული. მოგვიანებით (IX საუკუნეში) არაბებმა ამ ადმინისტრაციული ერთეულის მეთაურად, ანუ ვოსტიკანად (ამირად) ეროვნებით სომხები დანიშნეს, რომელთაც სომეხთა, ქართველთა და არაბთა ხელისუფალი – უფალთუფალიც ეწოდებოდა. საფიქრებელია, რომ ქართველთა ქვეყნის სომეხი ხელისუფალი ქართლში სომხური ეკლესიის პოზიციებს განამტკიცებდა და არ შეასუსტებდა.

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, „განყოფა“ ასურელი მამების მიერ დაწყებული ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის დააგვირგვინა კირიონ კათალიკოსმა 607-609 წლებში, მაგრამ 613-614 წლიდან სომხურ სარწმუნოებას კვლავ აქტიური ზემოქმედება აქვს ქართლზე, ასე გრძელდება VII საუკუნის მანძილზე და შემდგომ, თითქმის X-XI საუკუნეებამდე. ამის ერთი მაგალითი მოცემულია წყაროში, რომელსაც მოკლედ „სიტყვისგება ეფთვიმე გრძელისა სოსთენის მიმართ“ ჰქვია. აქ გადმოცემულია, რომ თვით მეფე ბაგრატის ისეთი უპირველესი სახელმწიფო მოხელე, როგორიცაა მწიგნობართუხუცესი, სარწმუნოებით იყო არა ქალკედონიტი, როგორც მოსალოდნელია, არამედ მონოფიზიტი. ეს მონოფიზიტი მწიგნობართუხუცესი ეროვნებით ქართველია და არა სომეხი. ეს იქიდან ჩანს, რომ ავტორს ქალკედონიტობა ქართველთა ეროვნულ სარწმუნოებად მიაჩნია, ამიტომაც ამ მონოფოზიტს, რომელიც არ მისდევს თავისი ერის სარწმუნოებას, „შინაგამცემს“ უწოდებს. ის ეროვნებით სომეხი რომ ყოფილიყო, სრულებით არ ეთქმოდა „შინაგამცემი“. შესაბამისი ტექსტი ასეთია: „მაშინ უკუე იყო მწიგნობართუხუცესი მეფისა სახელად ეფთვიმე. იგიცა თანა-ზიარი იყო ბოროტისა მის წვალებისა მათისა და შინაგამცემი სარწმუნოებისა ჩუენისა. ამან აზრახა სოსთენსა ესრეთ, ვითარმედ...“[79] თუ ამ საუკუნეშიც კი მწიგნობართუხუცესი მონოფიზიტი იყო, მაშინ ხალხშიც მრავლად იქნებოდნენ მონოფიზიტი ქართველები. კ. კეკელიძის დასკვნები, ამ მხრივ, სამართლიანია.

„ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის „განხეთქილება მზადდებოდა VI საუკუნეში და დამთავრდა VII საუკუნის დამდეგს – 608 წელს“.[80] იმ დროს, როცა ქართულმა ეკლესიამ თავი დაიხსნა მეზობელი ეკლესიის ზეგავლენისაგან, მას სჭირდებოდა ავტორიტეტული ეკლესიებისა და საეკლესიო მოღვაწეების დადასტურება სარწმუნოებრივ-კანონიკური თვალსაზრისით მისი მოქმედების სისწორის შესახებ. თავისი მოქმედების სისწორის დასადასტურებლად კირიონმა სარწმუნოებრივ საკითხებზე მიწერ-მოწერა გამართა რომის პაპ გრიგოლ დიდთან (590-604), იერუსალიმის პატრიარქთანაც. „ქრონოგრაფის“ ცნობით, ქართლის კათალიკოსს ურთიერთობა ჰქონდა ანტიოქიის პატრიარქ ანასტასი მღვდელმოწამესთან, რომელიც კირიონის თანამედროვე იყო.[81] კირიონს მჭიდრო ურთიერთობა დაუმყარებია ბიზანტიის იმპერიის საპატრიარქოებთან. ამის გამო მას ბრალი დასდეს სახელმწიფო ღალატში. პირველსავე ეპისტოლეში აბრაამ სომეხთა კათალიკოსი კირიონს ბრალად სდებს ბუნებით თანაზიარისაგან, ანუ სომხური ეკლესიისაგან განშორებას და უცხო სამეფოსთან (ალბათ, ბიზანტიის საპატრიარქოებთან) „სიყვარულის ერთობას“: „არის რაღაც, რომელიც დაუჯერებლად გვეჩვენა: უცხო სამეფოსთან რომ შექმნა მეფეთა-მეფის მონათაგანმა სიყვარულის ერთობა და ბუნებით თანამოზიარეს გაშორდე“.[82]

მეფეთა-მეფის მონებაში იგულისხმებიან თვით სომეხთა და ქართველთა კათალიკოსები, და საერთოდ სპარსეთის იმპერიაში მოქცეული ქვეყნების მოსახლეობა. კირიონი სპარსეთის მიერ დაპყრობილი ქვეყნის კათალიკოსია, ამიტომაც ის მეფეთა-მეფის მონაა. ამ „მონის“ სიყვარულის ერთობა „უცხო სამეფოსთან“ იმაში

გამოიხატებოდა, რომ ქართველი საეკლესიო მოღვაწე კავშირს დაამყარებდა „უცხო სამეფოში“ შემავალ საეკლესიო მოღვაწეებთან, ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოებთან. მართლაც, თავის პასუხში კირიონი დაუფარავად წერს, რომ მას სარწმუნოებრივი ერთობა აქვს იერუსალიმთან: „...თუმცაღა მეფეთა-მეფის მონები ვართ, სარწმუნოება იერუსალიმისა გვაქვს და გვექნება“.[83] „იერუსალიმის“ ქვეშ, შესაძლოა, არა მარტო იერუსალიმის, ანტიოქიის საპატრიარქოც იგულისხმება, რადგანაც იერუსალიმი ქრისტიანობის სამშობლოა. მართლაც, ბერძნული „ქრონოგრაფი“, რომელიც თავის ნაშრომში გამოიყენა ეფრემ მცირემ („უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“) წერს, რომ ქართლის საკათალიკოსოს კავშირი აქვს ანტიოქიის პატრიარქ ანასტასი მღვდელმოწამესთან. ეს ცნობა კარგად შეეფარდება VI-VII საუკუნეთა მიჯნაზე ქართლის საკათალიკოსოში შექმნილ ვითარებას.

არსენი საფარელი „ერთობისღროინდელი“ სომეხი კათალიკოსების შესახებ

VI-VII საუკუნეებში ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის „ერთობის“ ხასიათის გამორკვევისათვის მოვიყვანთ არსენი საფარელის მიერ მოხსენიებულ სომეხ კათალიკოსთა რიგს, რომელთაც, ასე თუ ისე, გავლენა ჰქონიათ ქართულ ეკლესიაზე.

ქართულ და სომხურ ეკლესიათა „განყოფა“ არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოსდა კავკასიურ ადგილობრივ ეკლესიათა შორის მოხდა ლოკალური სახის განხეთქილება: სინამდვილეში აქ გლობალურ საეკლესიო მოვლენასთან გვაქვს საქმე. არსენი საფარელიცა და ქართველი მემატიანეებიც აღნიშნავენ, რომ ერთიან მსოფლიო, ანუ კათოლიკე-საყოველთაო ეკლესიაში მოხდა განხეთქილება, რამაც თავისი გავლენა იქონია ქართულ ეკლესიაზე. ბერძნული (ანუ რომ-ბერძენთა იმპერიის), სომხური, ქართული და სხვა ეკლესიები ერთიან მსოფლიო კათოლიკე, ანუ საყოველთაო ეკლესიას წარმოადგენდა. ამ ერთიან მსოფლიო ეკლესიას გარკვეული მიზეზის გამო ჩამოსცილდა სომხური ეკლესია. როცა ქართული ეკლესიისათვის ცნობილი გახდა, რომ ერთიან მსოფლიო ეკლესიას ჩამოსცილდა სომხური ეკლესია, ქართულმა ეკლესიამ მაშინვე გაწყვიტა საეკლესიო-კანონიკური ურთიერთობა სომხურ ეკლესიასთან.

საყოველთაო მსოფლიო ეკლესიას ქართველი მემატიანეები ხშირად „ბერძნულ“ ეკლესიას უწოდებდნენ, რადგანაც მსოფლიო საეკლესიო ცენტრი, მართლაც, ბერძენთა იმპერიას მოიცავდა.

არსენი საფარელი წერს: „სპარსთა მეფენი აიძულებდეს სომეხთა, რაჲთა განეშორნენ ბერძენთა სარწმუნოებასა“.[84] უფრო ადრე სპარსთა მეფე ავალდებულებს სომხებს „განყოფისათჳს ბერძენთაგან“[85]. ჯერ ხდება „ბერძენთაგან“ სომხების „განყოფა“, ხოლო შემდეგ „ქართლისაგან“ სომხების დაშორება. „ხოლო ქართლი ყოველი და მეოთხედი სომხითისა განეყენნეს ჴელთ-დასხმასა მღდელობისასა სომეხთაგან“.[86]

განყოფისდროინდელი სომეხი კათალიკოსები არიან:

1. **ნერსე მიჯინი** – ნერსე II, კათალიკოსი სომეხთა (548-557). მოიწვია ორი საეკლესიო კრება დვინში, ეკლესია მიმართა მონოფიზიტობისაკენ. თანამედროვეა ხოსრო I, ანუშირვანისა (531-579), სპარსეთის შაჰისა, რომლის მმართველობა სასანიდების სახელმწიფოს დიდი სიძლიერის პერიოდი იყო. არსენის მიხედვით, დვინის კრების შემდეგ იქმნა „ცილობაჲ დიდი შორის სომხითისა და ქართლისა“.[87] ეს ცილობა ნახევარი საუკუნე მაინც გაგრძელებულა, ვიდრე კირიონამდე. ცილობის მიზეზი შემდეგი ყოფილა: „...კრებაჲ ყვეს სომეხთა ქალაქსა დვინსა და შეჩუენებით განდგეს აღსარებისაგან წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა და განეყენნეს ოთხთა საპატრიარქოთაგან და გარდააქციეს აღთქუმაი, იგი, რომელი დაუდვა წმიდამან გრიგოლი კესარია ეკლესიისა, უკუნისამდე არა განშორებად მისგან ჴელთ-დასხმაჲ ეპისკოპოსებისა სომხითისაჲ და რამეთუ სომხითმან ბრძანებაჲ მოიღო სპარსთა მეფისაგან ჴელთ-დასხმაჲ ეპისკოპოსებისა თავით თჳსით... იქმნა ცილობა დიდი შორის სომხითისა და ქართლისა“. ესე ცილობაჲ იყო შორის სომეხთა და ქართველთა დღეთა ნერსე კათალიკოზისა სომეხთასა...“[88]

წმიდა გრიგოლის მიერ დაარსებული სომხური ეკლესია კესარიის ეკლესიას ექვემდებარებოდა. არსენის თანახმად, წმიდა გრიგოლს აღთქმა ჰქონია დადებული, რომ სომხური ეკლესია უკუნისამდე არ განშორდებოდა მსოფლიო ერთიან კათოლიკე, ანუ საყოველთაო ეკლესიას, კერძოდ, არ განშორდებოდა ოთხ საპატრიარქოს, რომელთა ერთობაც მსოფლიო ეკლესიას წარმოადგენდა. სომხური ეკლესია მსოფლიო ეკლესიასთან დაკავშირებული ყოფილა კესარიის ეკლესიის საშუალებით, რომელიც, თავის მხრივ, ერთ-ერთ საპატრიარქოში შედიოდა. სომხური ეკლესია ისეთი ხარისხითაა დაკავშირებული კესარიის ეკლესიასთან, რომ მას უფლება არა აქვს „თავით თჳსით“ აკურთხოს ეპისკოპოსები. ეს კესარიაში უნდა მოხდეს, ანდა კესარიის ნებით უნდა აღსრულდეს.

ნერსეს დროს მოწვეულ კრებას სომხური ეკლესია, ფაქტობრივად, განუშორებია მსოფლიო ეკლესიისგან, რადგანაც სპარსთა მეფის ნებით ამ კრებას მიუღია გადაწყვეტილება კესარიის ნებართვის გარეშე თვით სომხურ ეკლესიასვე ეკურთხებინა ეპისკოპოსები – მოეხდინა „...ჴელთ-დასხმა ეპისკოპოსებისა თავით თჳსით“.

იმ ეპოქაში, მსოფლიო ეკლესიის ერთიანობის იდეიდან გამომდინარე, სომხურ ეკლესიას (და ალბათ, სხვა ადგილობრივ ეკლესიებსაც, მათ შორის, ქართულსაც) არა ჰქონია უფლება, თავისი ეპისკოპოსები, ან კათოლიკოსი დაესვა ისე, რომ ამის შესახებ არ მიემართა მეზობელი ეკლესიებისათვის. „ფაუსტოს ბუზანდის ერთი ცნობის ანალიზის შემდეგ ნ. ადონცი წერს: „სომხებს საშუალება არ ჰქონდათ დაედგინათ თავისი ეპისკოპოსები, ან კათოლიკოსი, მეზობელ ეკლესიებთან მიმართვის გარეშე“.[89]

არსენი საფარელის მიხედვითაც, იმის შემდეგ, რაც სომხურმა ეკლესიამ კესარიასთან კავშირი გაწყვიტა, სომხეთში აღარ იცოდნენ, სად ეკურთხებინათ, ანდა როგორ ეკურთხებინათ თავიანთი ეპისკოპოსები. ასეთი დაბნეულობის დროს მათ სხვა ვერაფერი მოიფიქრეს – განმოარჩიეს სომეხი ეპისკოპოსი, რომლის სამწყსო

ყველაზე ახლოს იყო კესარიის ეკლესიასთან და მას დაავალეს ახალი სომეხი ეპისკოპოსების კურთხევისათვის თანხმობის გაცემა. ამ სომხურმა საეპისკოპოსომ შეცვალა კესარიის ეკლესია. ტარონის საეპისკოპოსო, მისი კესარიასთან ტერიტორიული სიახლოვის გამო, არსენის თანახმად, კესარიის ეკლესიის შემცვლელი გახდა. ფორმალურად თითქოსდა ყველაფერი ძველებურადვე იყო – ეპისკოპოსის ახალი კანდიდატის კურთხევის ნება კვლავ კესარიის მხრიდან მოდიოდა: „... არა აქუნდა ადგილ, სადამცა იკურთხეს ეპისკოპოსი, და განისმა სომხითსა, ვითარმედ განდგეს... ჴელ-დასხმისაგან კესარიისა... და მოუვლინეს ნერშაპუს, ტარონისა ეპისკოპოსსა... ორთა თანა მოყუასთა მისთა, და ჰრქუეს... ჩუენ არა გუაქუს საყდარი, სადა ჴელნი დავისხნეთ და მივჰმართეთ შენსა კეთილად მსახურებასა, რაჲთა დაგჳდგინნე ჩუენ ეპისკოპოსნი“.[90]

არსენის თანახმად, ეპისკოპოსთა კურთხევისათვის აუცილებელი იყო მეზობელი ეკლესიის თანხმობა, უფრო მეტიც, თითქოსდა მეზობელი ეკლესია ადგენდა ეპისკოპოსებს. ამიტომაც, სრულებით გასაგებია არსენის განცხადება იმის შესახებ, რომ „ქართლი ყოველი და მეოთხედი სომხითისა განეყენეს ხელთდასხმასა მღდელობისასა სომეხთაგან“. არსენის თანახმად, მსოფლიო საყოველთაო ეკლესიასთან სომხეთი კესარიის საშუალებითაა დაკავშირებული, ქართული ეკლესია კი – სომხური ეკლესიის საშუალებით. „ქართველნი ეტყოდეს, ვითარმედ: „ᲬᲛიდამან გრიგოლი საბერძნეთით მოგუცა ჩუენ სარწმუნოებაᲐ“.[91] რადგანაც სომხეთის ეპისკოპოსები კესარიაში აღარ იღებენ ხელდასხმას, ამიტომაც აღარც ქართველი სამღვდელოება მიიღებს ხელდასხმას სომხეთში.

ნერსე კათალიკოსს დვინში მეორეჯერაც მოუწვევია კრება იუსტინიანესა (527-565) და ხოსროს დროს: „და კუალად შეაჩუენეს ᲬᲛიდაᲐ იგი კრება ქალკიდონისაᲐ“.[92]

არსენი საფარელის მიხედვით, „ქართლისაგან სომხითის“ განყოფა ხდება ამ ნერსე II-ს დროს, VI საუკუნის მეორე ნახევარში. ქართლ-სომხეთს ერთობა ჰქონია VI საუკუნის პირველ ნახევარში, კერძოდ 506-520-იანი წლებიდან 550-იან წლებში მოწვეულ დვინის I კრებამდე.

არსენი საფარელის თხზულებაში ნერსე II და კირიონი (595-610) თითქოსდა თანამედროვენი არიან, მაგრამ არსენი გულისხმობს იმას, რომ კირიონის დროს უკიდურესად ოფიციალურად გამწვავდა ის წინააღმდეგობა, რაც ნერსეს დროს დაიწყო ორ ეკლესიას შორის.

2. იოანე II გაბელენელი (557-574) სომხეთის კათალიკოსი აგრძელებდა ნერსეს კურსს. მან შემოიღო სომხურ ეკლესიაში ჯერ კიდევ VI საუკუნეში დადასტურებული პრაქტიკა ზიარებისას აუფუებელი პურისა და წყალგაურეველი ღვინის ხმარებისა. არსენი აღწერს ნერსე II-ის მიერ მოწვეულ დვინის კრებას და შემდეგ იქვე ურთავს ცნობას ნერსეს შემდგომი კათალიკოსის იოანე გაბელენელის მიერ მანასკერტში მოწვეული კრების შესახებ. „ს. კაკაბაძე თვლიდა, რომ არსენის მიერ დასახელებული მანაზკერტის კრება და მისი მეთაური იოანე კათალიკოსი – არიან არა 726 წლის კრება და იოანე ოძუნელი (718-729), არამედ კათალიკოსი იოანე გაბელენელი (557-574) და მის მიერ VI საუკუნის 60–იან წლებში მოწვეუ-

ლი სომხური ადგილობრივი საეკლესიო კრება“.[93] ამ კრებას დაუდგენია ზიარებისას წყალგარეული ღვინისა და საფუარიანი პურის მიღების აკრძალვა. მართალია, ამ კრების შემდგომ VII საუკუნის გარკვეულ პერიოდებში სომხური ეკლესიის ქალკედონიტური აღმსარებლობის გამო ეს დადგენილება ირღვეოდა, ამიტომაც საჭირო გახდა 726 წელს მანასკერტის კრებაზე ამ დადგენილების კვლავ გამოტანა და დამტკიცება. სომხური ეკლესიის პრაქტიკაში ზიარებისას წყალგაურეველი ღვინის ხმარებას ადასტურებს VI მსოფლიო კრება. „VI მსოფლიო საეკლესიო კრების კანონების 32-ე მუხლი უკვე ამ პრაქტიკის წინააღმდეგ არის მიმართული“.[94] არსენი საფარელის მიხედვით, ზიარებისას წყალგაურეველი ღვინისა და აუფუებელი პურის ხმარება შემოღია ნერსე II-ის შემდგომ კათალიკოს იოანეს, IV საუკუნის მეორე ნახევარში. ამ ცნობას იქვე ადასტურებს და ამტკიცებს არსენი იმით, რომ იოანე გაბელენელის შემდგომი კათალიკოსი მოსე ელივარდელი (574-604) ძალზე მტკიცედ იცავს ზიარებისას წყალგაურეველი ღვინისა და აუფუებელი პურის მიღების წესს. უფრო მეტიც, ის დასცინის ზიარებისათვის საჭირო ღვინოში წყლის გარევასა და პურის აფუებას. უწოდებს ამ წესს ბერძნების მიერ შემოღებულს. აფუებულ პურს დაცინვით „ფურნიდს“ უწოდებს, წყალგარეულ ღვინოს კი – „თერმონს“. აქედანაც ჩანს, რომ არა 726 წლის მანასკერტის კრებას გულისხმობს არსენი „იოანეს მიერ მოწვეულ კრებაში“, არამედ VI საუკუნის მეორე ნახევრის სომხური ეკლესიის კრებას, რომელსაც ზიარების ზემოთ მოყვანილი წესი დაუდგენია, და რომელსაც მტკიცედ იცავს VI საუკუნის მომდევნო კათალიკოსი მოსე.

3. **მოსე ელივარდელი** (574-604), სომხეთის კათალიკოსი, ანტიბერძნული ორიენტაციისაა. ის არ მიდის კონსტანტინოპოლში, სადაც მიწვეული იყო მოლაპარაკებისათვის, ამაყად აცხადებს: „არა წიაღვჴდე მდინარესა აზატსა, რომელ არს საზღვარი სპარსთაჲ, არა ვჴამო ფურნიდი ბერძენთა და არცა ვსუა თერმონი მათი“.[95] მოსე არ აპირებს სპარსთა სახელმწიფოს დატოვებას, რომელშიც სომხეთიც შედიოდა, და არათუ მოლაპარაკება, არამედ ბერძნებთან ზიარებაც კი არ სურს. ბერძნული ზიარების წესი მისთვის სრულიად მიუღებელია.

მოსე ელივარდელის დროს სომხური ეკლესია ორად გაიყო. ერთი, მონოფიზიტური ნაწილის კათალიკოსი თვით მოსეა, მეორე, ქალკედონიტური ნაწილისა კი – იოანე კოგოვიტელი. „591 წელს მავრიკესა და ხოსროს შორის დადებული ზავით აირარატის უმეტესი ნაწილის სომხეთის ბიზანტიურ ნაწილში მოექცა, მალე გაქალკედონიტდა და კათალიკოსადაც ქალკედონიტი იოანე კოგოვიტელი დაუდგა“.[96] მალე სრულებით იცვლება საერთაშორისო მდგომარეობა, ინიციატივას იღებს სპარსეთი, გადადის შეტევაზე და იპყრობს ქალკედონიტურ სომხეთს. სებეოსის ცნობით, „სპარსელები ბასიანში ჩასულან ხოსროს მეფობის მე-18 წელს. (591+18=609), დაუმარცხებიათ ბერძნები, ალყა შემოურტყამთ კარნუ ქალქისათვის და აუღიათ...“[97] არსენი წერს: „იქმნა ჰომი იგი ბასიანისა, რომელსა იძლივნეს იონნი სპარსთაგან... ამას წელსა წარ-იტყუენა კარნუ-ქალაქი აჰმადისაგან და იოჰანე კათალიკოსი, რომელი იყო ნაწილსა ბერძენთასა და ამავე წელსა გადასხნა მოსე კათალიკოზმან მღდელნი თჳსისა ჴელისაგან. იოჰანეს კერძნი, და წარვიდეს რომელნ-

იმე ტაოს რომელნიმე იონთა თანა“.[98] უეჭველია, ამ წინადადებაში გადამწერს შემთხვევით ერთმანეთისათვის გადაუბამს ორი, სულ სხვადასხვა წინადადება. სპარსთა მიერ ქალკედონიტური სომხეთის დაპყრობის დროს კათალიკოსი იყო არა მოსე, არამედ აბრაამი, ამიტომაც წინადადება – „...ამასვე წელსა განასხნა მოსე...“[99] არ ზის თავის ადგილზე. თუ ეს ასე არ არის და გადამწერს შეცდომა არ დაუშვია, მაშინ გამოდის, რომ არსენს ტაო არ მიაჩნია სომხური ეკლესიის ნაწილად, რადგანაც სპარსელებმა დაიპყრეს არა მარტო აირარატი, არამედ ტაოც და სამხრეთი საქართველოც – მესხეთი. ცხადია, ტაო სომხეთის ნაწილი რომ ყოფილიყო, ან სომხურ ეკლესიაში შემავალი პროვინცია, მასზე თავის უფლებას განახორციელებდა სომხეთის მონოფიზიტი კათალიკოსი ტაოს სპარსთაგან დაპყრობის დროს (ისე, როგორც აირარატზე) და სომეხი სამღვდელოება ტაოში არ გადავიდოდა. შეიძლება ტაო – ქართლის ერთ-ერთი პროვინცია – სომხური ეკლესიის ზეგავლენის ქვეშ, მის შემადგენლობაში შემავალი მაშინ იყო, როცა საერთოდ ქართული ეკლესია იყო სომხური ეკლესიის ზეგავლენის ქვეშ 506-20-იანი წლებიდან 551-570-იან წლებამდე, 590-იან წლებში ის ქალკედონიტურ სომხურ ეკლესიაში შედიოდა. ქალკედონიტური სომხური ეკლესიის გაქრობა-განადგურების კვალობაზე ტაო თავის დედა ქართულ ეკლესიას უბრუნდება და ნელ-ნელა იშორებს არამშობლიურ სომხურ ენობრივ კვალს.

4. **აბრაჰამ ალმათანელი** (607-615), კათალიკოსი სომხეთისა. აბრაამის დროს „განდევნა კჳრიონ ქართლისა კათალიკოზმან მოსე ეპისკოპოსი ცურტავისაჲ საყდრისაგან თჳსისა... ითხოვა აბრაჰამ კჳრიონისაგან საყდარი მისი, ხოლო იგი არა ერჩდა მას და განზჳნდა ცილობაჲ იგი შორის მათსა“.[100] აქედან ჩანს, რომ არსენის თანახმად, კირიონმა ქართულ ეკლესიაში შემავალი ცურტავის ეპარქიიდან განდევნა ეპისკოპოსი: „განდევნა... საყდრისაგან თვისისა“. აქ იგულისხმება არა კირიონის „საყდარი“, არამედ ცურტაველის საეპისკოპოსო „საყდარი“. აბრაამი სთხოვს კირიონს, გადასცეს სომხურ ეკლესიას მთლიანი ეპარქია ცურტავისა: „ითხოვა აბრაჰამ კჳრიონისაგან საყდარი მისი“. კირიონმა არ გადასცა ცურტავის ეპარქია („საყდარი“) სომხურ ეკლესიას, რამაც გამოიწვია ურთიერთშეცილება – „განზჳნდა ცილობა“.

5. **ჯომიცასი** (დაახლ. 614-630), სომხეთის კათალიკოსი, მონაწილეობდა „სპარსულ კრებაში“ 614 წელს. იყო მდიდარი, ანტიქალკედონიტი. მან გამოაჩინა იოანე მაირავანელი, ანუ მაირაგომელი. მის დროს შეიცვალა „კანონი და წესნი პირველნი“, თვით გამოსცა ახალი კანონები, რომლის გამოც „აიშალა ძუელი და ვერ დაამტკიცეს ახალი, არამედ ყოველი კაცი თჳს-თჳს სახეობს ვიდრე მოაქამომდე“.[101] ე.ი. კომიტასის დროიდან არსენი საფარელის დრომდე სომხეთის საეკლესიო ცხოვრება აშლილია. არსენის აზრით, „ესე ყოველი ქმნა ჴელითა განცოფებულისა იოანე მაჲრეგუემელისაჲთა.[102]

6. **ქრისტეფორე აპაჰუნელი** (628-630), სომხეთის კათალიკოსი, მტერი იყო იოანე მაირაგომელისა. იგი ტახტიდან ჩამოაგდეს.

7. **ეზრა თარაზნაკერტელი** (628-642), სომხეთის კათალიკოსი. მის დროს „სომხური ეკლესია კვლავ დაუახლოვდა დიოფიზიტურს, თუმცა, მონოთელიტობის ნიადაგზე,

რაც წყვეტილებით 726 წლამდე გაგრძელდა“.[103] მის დროს კვლავ აღორძინებულა კომიტას-მაირაგომელის წვალება. აღივსოო, – წერს არსენი, „ქუეყანაჲ სომხითისაჲ სიკუდილისა მომტყუებელითა სწავლითა“.[104] მისთვის ჰერაკლე კეისარს სპარსეთის დამარცხების შემდეგ უბრძანებია საეკლესიო კრების მოწვევა კარნუ-ქალაქს. სომხურმა ეკლესიამ, არსენის თანახმად, ამ კრებაზე აღიარა „მართალი“ სარწმუნოება, ანუ ქალკედონიტობა. კარნუ-ქალაქის, ანუ თეოდოსიოპოლის კრება, რომელზედაც სომეხთა საპატრიარქომ ქალკედონიტობა აღიარა, თარიღდება 632 წლით. არსენი წერს: „მოვიდა ჰერაკლე მეფე სომხითს და იხილა წვალებაჲ სომეხთაჲ და ფრიად შეწუხნა წარწყმედისა მათისათჳს... ბრძანა კრებაჲ დიდი ყოფად ეპისკოპოსთა და მოძღუართა სომხითისათა და მიწერა წიგნი ეზრა კათოლიკოზისა და აზნაურთა, რაჲთა შემოკრბენ კარნუ-ქალაქს და გამოიძიონ სარწმუნოებაჲ კრებისათჳს. ქალკიდონისა და ცნან ჭეშმარიტად ორი ბუნებაჲ ქრისტჱსი სომეხთა და მოიწივნეს ყოველნი ერთობით წინაშე მეფისა და გამოიწულილეს მესამედ მრავლითა ძიებითა და დაამტკიცეს მართალი. და დაემორჩილნეს სომეხნი ფიცით ჴელითწერილითა... და ვითარ უკ-მოიქცეს დვინს, მიიქცეს მასვე ნებასა წყმედულსა...“[105] კათალიკოს ეზრას ებრძვის იოანე მაირაგომელი.

8. **ნერსე იშხნელი** (641-661), სომხეთის კათალიკოსი, კაცი ღირსი და მართლმორწმუნე. განდევნა და დასაჯა იოანე მაირაგომელი. მას იხსენებს გიორგი მერჩულე IX საუკუნეშიო, – წერს ის, – „ნებითა ღვთისათა იქმნა საბა ეპისკოპოს იშხანს ზედა, ნეტარსა ნერსე კათალიკოზისა აღშენებულსა კათოლიკე ეკლესიასა და საყდარსა მისსა, რომელი წელიწადთა მრავალთა დაქვრივებულ იყო“.[106] მართალია, ნერსე სომხეთის კათალიკოსი იყო, მაგრამ ქალკედონიტი, ამიტომ მას მერჩულე ნეტარს უწოდებს, არსენი კი – მართლმორწმუნეს. შეიძლება ნერსე ტაოელი ქართველი იყო, სომხური ეკლესიის წევრი ისე, როგორც ტაოს ქართველობა. შეიძლება მისი ქართველობის გამო, სომეხ კათალიკოსთა შორის განსაკუთრებული სიმპათიით თითქმის მას ერთადერთს მოიხსენიებენ ქართველი ისტორიკოსები.

9. **ანასტასი** (661-667) სომხეთის კათალიკოსი, თითქმის ქალკედონიტი.

10. **ისრაელი** (667-677) სომხეთის კათალიკოსი. მან იოანე მაირავანელის სიკვდილის შემდეგ განდევნა მისი მოწაფეები. არსენი ამ კათალიკოსის შემდეგ არც ერთ სხვა სომეხ კათალიკოსს არ ახსენებს (თარიღებისათვის იხ. იქვე, ზ. ალექსიძის კომენტარები).

ქართული ეკლესიის საპატრიარქო ეკლესიად მოგოსხაღება VII საუკუნეში

ქართულ ეკლესიას საპატრიარქო ეკლესიად წოდების ღირსება მიუღია VII საუკუნეში. ამ საუკუნის მეორე ნახევარში ჯერ ანტიოქიის საპატრიარქოს უღიარებია ეს, განუსაზღვრავს მისი იურისდიქციის საზღვრები, ხოლო შემდეგ VI მსოფლიო საეკლესიო კრებას დაუდასტურებია. მასაც ასევე განუსაზღვრავს ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო კრების მიერ

განსაზღვრული იურისდიქციის საზღვრები ქართული ეკლესიისა განსხვავდება ანტიოქიის საპატრიარქოს მიერ აღიარებული იურისდიქციის საზღვრებისაგან. „ქართლის ცხოვრების“ ჩანართი, რომელშიც მოყვანილია ეს ცნობები, გადმოგვცემს, რომ ქართული ეკლესიის მეთაურს პატრიარქის ტიტულის ტარების უფლება მიეცა, სწორედ ამ დროს, ჯერ ანტიოქიის საპატრიარქოს, ხოლო შემდეგ VI მსოფლიო კრების მიერ.

„ქართლის ცხოვრების“ ჩანართის ცნობებს, ჩანს, ადასტურებს უცხოეთში აღმოჩენილი ეპიგრაფიკული მასალაც.

საქართველოს ფარგლებს გარეთ გუთეთში აღმოჩენილა VIII საუკუნის დასაწყისის ბერძნული წარწერა, რომელშიც ქართული ეკლესიის მეთაურს „პატრიარქი“ ეწოდება. ხერსონის არქეოლოგიური გათხრის დროს აღმოჩენილა მარმარილოს ფილა ბერძნული წარწერით: „გოთიის მართლმადიდებელი მოსახლეობა 750 წელს ირჩევს თავის მოძღვრად (წინამძღვრად) ღირს (წმიდა) იოანეს და გზავნის მას იბერიის საპატრიარქო ტახტზე, სადაც იგი ეპისკოპოსად ეკურთხა და სადაც შეუცვლელად იცავენ საეკლესიო ჭეშმარიტი სარწმუნოების დოგმებს.[107]

გუთეთის სამწყსო, როგორც ამ წარწერიდანაც ჩანს, ძველი საეკლესიო ტრადიციებისა და წესების ერთგული ყოფილა. აქ ქართულ ეკლესიას „საპატრიარქო საყდარს“ არ უწოდებდნენ, მას ეს ღირსება კარგა ხნის მიღებული რომ არ ჰქონოდა. ამ წარწერის თანახმად, 750 წელს ქართული ეკლესია უკვე საპატრიარქო ეკლესიაა.

არსებობს სხვა წყაროებიც, რომელთა ანალიზითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული ეკლესიის მეთაური ისევე ატარებდა პატრიარქის ტიტულს VII საუკუნეში, როგორც მეზობელ ეკლესიათა მეთაურები ამიერკავკასიაში.

ცნობილია, რომ ამიერკავკასიის სამ – ქართლის, ალბანეთის და სომხეთის ეკლესიებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ ძველ სომხურ და ალბანურ წყაროთა თანახმად, ქართული ეკლესია ტოლს არ უდებდა არც სომხურ და, მით უმეტეს, არც ალბანურ ეკლესიას. ქართული ეკლესია თავის პატივსა და ღირსებას ალბანურზე უფრო მაღლა აყენებდა. უხტანესისა და სხვა ისტორიკოსთა თანახმად, განხეთქილება ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის იმას გამოუწვევია, რომ რაღაც მიზეზით სომხური ეკლესიის მეთაურს ალბანეთის ეკლესიის მამამთავარი უფრო მაღლა დაუყენებია, ვიდრე ქართული ეკლესიისა. ქართველი მამამთავარი ძალზე განაწყენებულა, რადგანაც მას თავისი პატივი უფრო მეტად მიაჩნდა, ვიდრე ალბანეთის მამამთავრის პატივი. აქედან ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ თუ VII საუკუნეში სომხეთის ეკლესიისა და განსაკუთრებით კი, ალბანეთის ეკლესიის მეთაურს ჰქონდა ტიტული პატრიარქისა, აუცილებლად ამავე ტიტულს ქართული ეკლესიის მეთაურიც ატარებდა.

ადრეული შუა საუკუნეების ქართული ეკლესიის ისტორიის საკითხების რკვევისას, აუცილებლად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ალბანეთისა და სომხეთის ეკლესიათა ისტორიის მასალები. ამ ეკლესიებს ჰქონდათ მსგავსი სტრუქტურა და ერთნაირად იყვნენ მოწყობილნი. ამ ეკლესიათა ერთმანეთთან შედარება და ერთი ეკლესიის მაგალითზე მეორე ეკლესიისათვის დასკვნის გამოტანა შეიძლება

თითქმის IX-X საუკუნეებამდე. ეს ითქმის განსაკუთრებით ქართლისა და ალბანეთის ეკლესიებზე, რადგანაც, თუ სომხეთის ეკლესიას ლიდერ ეკლესიად მიაჩნდა თავისი თავი, ქართლისა და ალბანეთის ეკლესიები თანაბარ უფლებრივ მდგომარეობაში იყვნენ, თუმცა, ქართლის ეკლესიის მეთაურს უფრო მეტი პატივი ჰქონია, ვიდრე ალბანეთის ეკლესიისას (ქართველ იერარქთა მტკიცებით).

ბუნებრივია, თუ ქართული ეკლესიის პატივი აღემატებოდა ალბანეთის ეკლესიისას, მაშინ ქართული ეკლესია მეტი უფლებებით ისარგებლებდა; თუ ალბანეთის ეკლესია V-VII საუკუნეებში ალბანეთშივე აკურთხებდა მირონს, ასეთი უფლება ქართულ ეკლესიასაც ექნებოდა; თუ ალბანეთის კათალიკოსი ატარებდა პატრიარქის ტიტულს, ასეთივე უფლებით ისარგებლებდა ქართული ეკლესიის მეთაურიც და ა.შ.

თუ შეიძლება ბიზანტიის იმპერიის გარეთ მყოფი ამიერკავკასიის ეკლესიათა უფლებრივ მდგომარეობათა შორის პარალელის გავლება, შეუძლებელია ამ დროს ერთმანეთს შევადაროთ ბიზანტიის იმპერიაში შემავალი ეკლესიებისა და ქართული ეკლესიის უფლებები. იმის შემდეგ, რაც ქართული ეკლესია ჩამოსცილდა ამიერკავკასიის ეკლესიებს და უმჭიდროესი კავშირი დაამყარა ბიზანტიის ეკლესიასთან, განსაკუთრებით XI საუკუნის შემდეგ, ქართული ეკლესიის ყველა ძველი უფლება თითქმის ხელახალი მსჯელობისა და აღიარების საგნად იქცა.

მოსე კალანკატუელის „ალვანთა ქვეყნის ისტორია“ ძალზე მნიშვნელოვანი წყაროა ალბანეთის და აგრეთვე საქართველოს ისტორიისათვისაც. ის შეიცავს მასალებს X საუკუნის ნახევრამდე. ზოგიერთ მკვლევართა თვალსაზრისით, ამ წიგნის I და III თავის ერთი ნაწილი დაწერილია VII საუკუნის თვითმხილველი ავტორის მიერ. „... VII საუკუნის ავტორს მოვსეს კალანკატუაცის გაუთვალისწინებია ხალხური თქმულებები და გადმოცემები... სამოქალაქო თუ სასულიერო პირთა ოფიციალური მიმოწერა, რაც დაცული უნდა ყოფილიყო მონასტრებსა და სასახლეებში“.[108]

მოსე კალანკატუელის „ალვანთა ქვეყნის ისტორიის“ თანახმად, ალბანური ეკლესიის მამამთავრები პატრიარქის ტიტულს ატარებენ წინა საუკუნეებიდან VI საუკუნემდე, ასევე VI-VII და IX-X საუკუნეებში. საერთოდ, ამ წიგნის თანახმად, ალბანეთის მამამთავარი ატარებს როგორც კათალიკოსის, ასევე პატრიარქის ტიტულს. პატრიარქის ტიტული არა თუ უცხოა, არამედ ბუნებრივიცაა ალბანეთის კათალიკოსისათვის.

მოსე კალანკატუელის თანახმად, ალბანეთის ეკლესია გარკვეულად სომხურ ეკლესიაზეა დაქვემდებარებული; სომხური ეკლესია უპირატესი ეკლესიაა. მიუხედავად ამისა, სომხური ეკლესიის მამამთავარი ალბანეთის მამამთავარს უწოდებს პატრიარქს და ასე მიმართავს: „ჩვენს თანამოსაყდრე ალვანეთის პატრიარქს“.[109] ასეა VII საუკუნის მიწურულისათვის.

მოსე კალანკატუელი გადმოგვცემს ასეთ ამბავს: ალბანთა ქვეყნის ერთი ეპისკოპოსი გაიგზავნა ჰონთა ქვეყანაში მათ გასაქრისტიანებლად. ეპისკოპოსმა მოაქცია ჰონები. ჰონთა მთავრებმა რამდენჯერმე დაბეჯითებით სთხოვეს ეპისკოპოსს, დარჩენილიყო მათი ქვეყნის მწყემსად. ეპისკოპოსმა უპასუხა: „მე არ შემიძლია დაგ-

ეთანხმოთ ალვანეთის დიდი პატრიარქის წმიდა ელიაზარის გარეშე... საჭიროა თქვენი გონივრული აზრი წერილობით გააცნოთ მთელს ალვანეთის ქვეყანას და პატრიარქ ელიაზარს, რომელმაც წმიდა ელიშას დროიდან დღემდე დაამკვიდრა ჩრდილო-აღმოსავლეთით ერთი სამოციქულო ტახტი".[110] ჰონთა მთავარმა რატომღაც წერილი გაუგზავნა სომხური ეკლესიის მამამთავარს და სთხოვა ამ ეპისკოპოსის ჰონთა ქვეყანაში დატოვება. სომეხმა მამამთავარმა უპასუხა: „...ამის უფლება მხოლოდ ჩვენს თანამოსაყდრე ალვანეთის პატრიარქს, ელიაზარს, აქვს..."[111]

ზემოთ მოყვანილი ამბავი მომხდარა VII საკუნის დამლევს, ანდა VIII საუკუნის პირველ წლებში. არა მარტო ამ დროს, არამედ სხვა საუკუნეებშიც, ალბანთა ქვეყნის კათალიკოსს პატრიარქს უწოდებენ. „ალვანთა ქვეყნის ისტორიის" ერთ თავში, რომელსაც „ალვანეთის მამამთავართა სახელები, წლები და მათი მოღვაწეობა" ეწოდება, ნათქვამია: „... უწინდელ პატრიარქთა საქმენი, [მოღვაწეობის] დრო და სახელები დაკარგულან..."[112] ჩანს, იგულისხმება ძველი დროიდან ვიდრე VI საუკუნემდე. VI საუკუნეში მოღვაწე კათალიკოს აბასს პატრიარქის ტიტული აქვს. მასზე ნათქვამია: „შემდეგ იყო უფალი აბასი, რომელმაც სომხური წელთაღრიცხვის დასაწყისში საპატრიარქო ტახტი ჩორიდან პარტავში გადაიტანა..."[113] ე.ი. 551 წლისათვის ალბანურ ეკლესიას გააჩნია „საპატრიარქო ტახტის" ღირსება.

851 წლისათვის ალბანთა კათალიკოსს ჰოვსეფის დროს, „მისი პატრიარქობის მესამე წელს შესრულდა სამასი წელი სომხური წელთაღრიცხვიდან".[114] IX საუკუნის ამ კათალიკოსს პატრიარქი ეწოდება ისევე, როგორც X საუკუნის კათალიკოსს, გაგიკს „მისი პატრიარქობის მეოთხე წელს შესრულდა 400 წელი სომხური წელთაღრიცხვიდან".[114]

VII საუკუნეში პატრიარქის ტიტული აქვთ არა მარტო ალბანეთის, არამედ სომეხთა კათალიკოსებსაც.

მოსე კალანკატუელი პატრიარქს უწოდებს VI საუკუნის სომეხთა კათალიკოსს – მოსეს და VII საუკუნის სომეხთა კათალიკოსს – აბრაამს.

„მოვსეს პატრიარქის გარდაცვალების შემდეგ... პატრიარქად დასვეს ჭეშმარიტი და რჩეული კაცი აბრაამი".[115]

როგორც ზემოთ მოყვანილიდან კარგად ჩანს, ქართული ეკლესიის მეზობელი ალბანეთისა და სომხეთის კათალიკოსები ატარებდნენ აგრეთვე პატრიარქის ტიტულს. პატრიარქის წოდება ალბანეთისა და განსაკუთრებით სომხეთის მამამთავრებისათვის ბუნებრივი იყო და არავითარ უხერხულობას არ იწვევდა VII საუკუნისათვის. ალბანეთის, ქართლისა და სომხეთის მამამთავრები და ეკლესიები თითქმის თანაბარი უფლებისა და ღირსებისა იყვნენ. ისინი ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ მაშინ, როცა საქმე ეკლესიის ღირსებასა და პატივს შეეხებოდა, სამივე ეკლესია თავს სამოციქულო ეკლესიად თვლიდა; სამივე ეკლესიის მეთაურს კათალიკოსი ეწოდებოდა, ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ მათ პატრიარქის ტიტულიც ჰქონოდათ, ამიტომ VII საუკუნეში ქართული ეკლესიის მეთაურს ისევე აქვს პატრიარქის ტიტული, როგორც მისი მეზობელი ამიერკავკასიის ეკლესიათა მეთაურებს.

ზემოთ ჩვენ მოყვანილი გვქონდა ერთი ძველი მემატიანის ცნობა იმის შესახებ, რომ იუსტინიანეს საეკლესიო რეფორმის შემდეგ, VI საუკუნეში, რაც მან მო-

ციქულთა ნაწილები კონსტანტინოპოლსა და იერუსალიმში გადაიტანა და ამით საპატრიარქოთა რიცხვი გაზარდა, ყველა ქვეყნის ეკლესია, სადაც მოციქული იყო აღსრულებული, შეეცადა საპატრიარქო საყდრის ღირსება მიეღო. ამან საპატრიარქოთა რიცხვი გაზარდა. გარდა ამისა, თვით სიტყვა „მამამთავარი", რომელიც ეწოდებოდა დამოუკიდებელ ეკლესიათა მეთაურებს, თარგმანია სიტყვისა „პატრიარქი"; უძველეს დროს ყველა მამამთავარს – ეკლესიათა მეთაურს, პატრიარქი ეწოდებოდა, მხოლოდ შუა ბიზანტიურ ეპოქაში მიენიჭა ამ სიტყვას განსაკუთრებული ფასი – იმპერიის ინტერესებიდან გამომდინარე.

სომხური და ალბანური ეკლესიები განსახილველ VII საუკუნეში თავიანთ თავს „კათოლიკე სამოციქულო" ეკლესიებს უწოდებდნენ. სომხური ეკლესია სამოციქულო იყო, რადგანაც მოციქულ თადეოზის მიერ იყო დაარსებული; ალბანური ეკლესია სამოციქულო იყო, რადგანაც მისი მეთაური დამკვიდრებულია სამოციქულო ტახტზე მოციქულ ელიშას შემდეგ და კურთხევა უფლის ძმის იაკობისაგან აქვს მიღებული.[116]

ცხადია, თუ ალბანურ და სომხურ ეკლესიებს სამოციქულო ეკლესიები ეწოდებოდათ, ქართულ ეკლესიასაც სამოციქულო ეწოდებოდა. მართლაც, ჩვენი ეკლესიის ისტორიისათვის განსაკუთრებულად საინტერესო „ქართლის ცხოვრების" თეიმურაზისეულ ნუსხაში VII საუკუნის დასაწყისის ამბავთა შორის მოცემულია ცნობა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ ქართულ ეკლესიას ეწოდება სვეტიცხოვლის (ანუ რაც იგივეა, მცხეთის) წმიდა კათოლიკე სამოციქულო ეკლესია, საპატრიარქო ეკლესია. მისი მეთაური ზის მოციქულთა ტახტზე, მოციქულთა მაგიერია და აქვს წოდება პატრიარქისა. ქართულ ეკლესიას მცხეთის, ანუ სვეტიცხოვლის საპატრიარქო ეწოდება.

აღსანიშნავია, რომ სხვა უცხოურ ეკლესიებსაც მთავარი ქალაქების მიხედვით აქვთ სახელი, მაგალითად რომის, ალექსანდრიის, კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის, მოსკოვის საპატრიარქოები. ქართულსაც ასევე ჰქვია – „წმიდა კათოლიკე სამოციქულო ეკლესია სვეტი-ცხოველი", ანუ „მცხეთის".[117]

ქართული ეკლესია სამოციქულო ეკლესიაა, მისი მეთაური მოციქულთა ტახტზე ზის და მოციქულთა მაგიერია – ეს უცვლელ ჭეშმარიტებად ჰქონდა მიჩნეული ქართველობას.

ქართული ეკლესია VII საუკუნის პირველ ნახევარში „ქართლის ცხოვრების" თანახმად, სრულებით დამოუკიდებელი ეკლესიაა, რომელმაც მიიღო საპატრიარქო ეკლესიად წოდების ღირსება. მალე VII საუკუნის მეორე ნახევარში მოწვეულ მსოფლიო საეკლესიო კრებას დაუდასტურებია ქართული ეკლესიის საპატრიარქო ღირსება. ამის შესახებ „ბროსესეული", „ბარათაშვილისეული", „ფალავანდიშვილისეული" ნუსხები წერენ:

„ქრისტეს აქეთ... იქნა კრება მეექვსე, 170 წმიდათა მამათა კონსტანტინოპოლის შინა მეათსამეტესა წელსა პოღონატი კონსტანტინეს მეფობასა ... ამის კრებისა მიერ ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათვის, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა, ვითარცა წმიდანი სამოციქულო კათოლიკე

ეკლესიანი, საპატრიარქონი. და იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა და აკურთხევდეს, მწყსიდეს და განაგებდეს სიმართლით მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა და საწმყსოსა თვისსა ქართლსა, გამოღმა-გაღმა კახეთსა, შაქსა, შირვანსა და მიდგმით-წამოსვლით მთისა ადგილისათა, სვანეთისა და ჩერქეზის საზღვრამდის, სრულიად ოვსეთსა და ყოველსა ზემო-ქართლსა, სამცხე-საათაბაგოსა. მისთვის მიგვითვლია საქართველოს ეკლესიანი – პირველითგან ანტიოქიის კრებისა მიერ განპატიოსნებულ იყო, და ამ კრებისა მიერ დაგვიმტკიცებია პატრიარქად, რამეთუ ნუ იქნებიან მიტროპოლიტი, ნუცა ეპისკოპოსი კათალიკოსისა შეუნდობლად ... ოდესცა ენებოს შემზადება და კურთხევა მირონისა, აკურთხოს თვისსა ეკლესიასა...."[118]

680-681 წლებში შესდგა VI მსოფლიო კრება, რომელიც მონოთელიტთა წინააღმდეგ იყო მიმართული. „ქართლის ცხოვრების" თანახმად, ეს კრება შემდგარა კონსტანტინე პოღონატის (კონსტანტინე IV – 668-685) მეფობის მეცამეტე წელს. კონსტანტინე IV ზეობის მეცამეტე წელი არის 681 წელი, როდესაც მართლაც ჩატარდა VI მსოფლიო კრება.

ეს კრება მონოთელიტთა წინააღმდეგ იყო მიმართული, მონოთელიტთა ერესიარქი სხვებთან ერთად იყო ლაზიკის (ფაზისის) მიტროპოლიტი კირონი, რომელიც ქართველი ისტორიკოსების მსჯელობით, იგივე ეგრისის არქიეპისკოპოსი, ქართლის კათალიკოსი კირიონია. აქედან გამომდინარე, VI მსოფლიო კრებას, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, შეხება ჰქონია ქართულ ეკლესიასთან, მსჯელობა ჰქონია მის ერთერთ – ლაზიკის ქვეყანაზე, ქართული ეკლესიის იერარქზე. ამიტომაც, სრულებით არაა მოულოდნელი, ამ კრებას განესაზღვრა ქართულ ეკლესიასთან დაკავშირებული საკითხი. კერძოდ, განესაზღვრა ქართულ ეკლესიასთან მსოფლიო (ბერძნული) ეკლესიის მიმართება, ფაქტობრივად ეღიარებინა იურიდიულად უკვე არსებული ქართული ეკლესიის საპატრიარქო ღირსება, რომელიც მანამდე ანტიოქიის საპატრიარქოსაც უცვნია – „პირველითგან ანტიოქიის კრებისა მიერ განპატიოსნებულ იყო" – იგულისხმება (630-660-იან წლებში) ანტიოქიის მიერ ქართული ეკლესიის საპატრიარქო ღირსების აღიარება.

აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ VII საუკუნეში (ისე, როგორც მიმდინარე საუკუნეებში) ქართული ეკლესიის მიმხრობისათვის, ქართული ეკლესიის თავის მხარეზე გადაყვანისათვის აქტიურად იბრძოდა ორი მსოფლიო ქრისტიანული ბანაკი, რომლებიც სიძლიერით ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს აღმოსავლეთის რეგიონში. ბერძნულ-ბიზანტიური ბანაკი თავისი დიდი სამხედრო ძალით სხვადასხვა ხერხებით ცდილობდა ქართული ეკლესია ყოველმხრივ მოეწყვიტა აღმოსავლურ-სომხურ-ალბანური ეკლესიისაგან. ქართული ეკლესიის შინაგანი სურვილი იყო ჩამოშორებოდა აღმოსავლეთის ეკლესიას, რომელშიც ქართველობა თავისი ეროვნული გადაგვარების საფრთხეს ხედავდა და დაახლოებოდა ბიზანტიის ეკლესიას. მაგრამ ეს პროცესი ძალზე რთული შინაგანი წინააღმდეგობებით იყო აღსავსე, გარდა ამისა, არაბი დამპყრობლები, მოსე კალანკატუელის თანახმად, ყოველმხრივ აძლიერებდნენ სომხურ ეკლესიას, რათა იგი წინ აღდგომოდა ბიზან-

ტიური ეკლესიის გავლენას ამიერკავკასიაში. მოსე კალანკატუელი გადმოგვცემს ასეთ ამბავს – დამპყრობელ არაბთა უმაღლეს ხელისუფალთან ჩივის სომხეთის კათალიკოსი, რომ ალბანეთის ეკლესია აპირებს თავი დააღწიოს აღმოსავლურ-სომხურ ეკლესიას და შეუერთდეს ბიზანტიურ-ბერძნულ ეკლესიას. კათალიკოსი წერს არაბ ხელისუფალს – „ჩვენ და ალვანებიც ერთ რწმენას ვემსახურებით – ქრისტეს ღვთაებრიობას, ხოლო ალვანეთის ახლანდელი კათალიკოსი, რომელიც პარტავში ზის, შეუთანხმდა ბერძენთა კეისარს, იხსენიებს მას ლოცვებში და ქვეყანას აიძულებს მის რწმენას დაეთანხმოს. იცოდეთ თქვენ ეს და გულგრილად ნუ შეხედავთ – უბრძანეთ, დასაჯონ ისინი თანახმად თავიანთი მოქმედებისა...“[119] ალბანური ეკლესიის ლტოლვა ბერძნული ეკლესიისაკენ არაბთა მიერ შეფასებულ იქნა როგორც არაბთა ხელისუფლებისაგან განდგომა. ამიტომაც, ალვანელთა დასასჯელად გაიგზავნა არაბთა დიდი ჯარი. ამ ჯარის მეთაურს დავალებული ჰქონდა ალბანელები მოექცია სომხურ რჯულზე. არაბი ხელისუფალი წერს სომეხ კათალიკოსს: – „... გავგზავნე იქ ჩემი სარწმუნო მსახური დიდი ჯარით და ვუბრძანე: ჩვენი ხელისუფლებისაგან განმდგარი ალვანელები თქვენი რჯულის მიხედვით სიმართლეზე მოაქციონ“.[120] არაბთა დიდი ჯარით ალბანეთში ჩავიდა სომეხთა კათალიკოსი, სომხური სჯულისაგან განმდგარი ალბანელთა კათალიკოსი დააპატიმრა და ერთ ქალთან ჯაჭვებით „ფეხით-ფეხზე“ გადააბმევინა. ბერძნული ორიენტაციის მომხრე ალბანთა კათალიკოსმა ეს ტანჯვა ვერ აიტანა და რვა დღის შემდეგ გარდაიცვალა. ხოლო სომეხთა კათალიკოსის წინ შეიკრიბა ალბანეთის უმაღლესი სამღვდელოება, რომელთაც დასდეს მტკიცე ფიცი, რომ არასოდეს სომხურ სარწმუნოებას არ გადაუხვევდნენ და მარადის იერარქიულ დაქვემდებარებაში იქნებოდნენ სომხურ ეკლესიასთან.[121] ეს მომხდარა სომხური წელთაღრიცხვის 148, ანუ 699 წელს.

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, VII საუკუნის ბოლოს, როცა VI მსოფლიო კრება ჩატარდა, ამიერკავკასიაში ძალზე რთული საეკლესიო ვითარება იყო. ბიზანტიური ორიენტაციის მომხრე ეკლესიებს არაბები სასტიკად სჯიდნენ, არსებობდა რეალური საფრთხე იმისა, რომ ქართული ეკლესიაც ჩამოეშორებინათ ბიზანტიის საეკლესიო გავლენისაგან, ამგვარ სიტუაციაში სრულიად ბუნებრივი იქნებოდა მსოფლიო კრებას დაეკმაყოფილებინა ქართული ეკლესიის მისწრაფება სრული დამოუკიდებლობისაკენ, აღიარება იმისა, რომ ქართული ეკლესია არც ერთი სხვა რომელიმე ეკლესიის იერარქიულ დამოკიდებულებაში არ იმყოფება, არავის არ ექვემდებარება, არამედ თვითვე არის სამოციქულო, თანასწორი სხვა სამოციქულო ეკლესიებისა, საპატრიარქო ღირსების მქონე, რომ საქართველოს ეკლესიის კათალიკოსი (ანუ საყოველთაო მთავარეპისკოპოსი) მსოფლიოს სხვა ეკლესიების პატრიარქთა თანასწორია და თვითვე არის პატრიარქი. უნდა შევნიშნოთ, რომ ალბანეთის ეკლესიას თავისი დამოუკიდებლობის ასეთი გარანტიული დოკუმენტი რომ ჰქონოდა VII საუკუნეში, სომხეთის კათალიკოსი, ალბათ, ნაკლებად გაბედავდა ალბანეთის კათალიკოსის დასჯას და მისი ეკლესიის კიდევ უფრო დაქვემდებარებას, როგორც სარწმუნოებრივი, ისე იერარქიული თვალსაზრისით.

VII საუკუნეში ქართული ეკლესიის ორივე მეზობელი ქვეყნის – სომხეთისა და ალბანეთის კათალიკოსებს პატრიარქებს უწოდებდნენ, როგორც ზემოთ ვწერდით, ორივე ეკლესია სამოციქულოდ იყო მიჩნეული, ორივე ეკლესიას (სომხეთისა და ალბანეთისა) გააჩნდა ზეთის – მირონის – ადგილზე კურთხევის საუკუნოვანი პრაქტიკა. ამიტომაც, იგივე უფლებები და იგივე პრაქტიკა გააჩნდა ქართულ ეკლესიასაც, ანუ ქართული ეკლესია ისევე იყო სამოციქულო-საპატრიარქო ეკლესია, როგორც სომხეთისა და ალბანეთის ეკლესიები და ადგილზევე, ქართლში, აკურთხებდა მირონს, რაც VI მსოფლიო კრებამ აღიარა და დაამტკიცა.

VII საუკუნის იდეოლოგიით, საპატრიარქო ეკლესიას უნდა ჰქონოდა სამღვდელოების ცხრა ხარისხი: – „ბერძნებმა... თქვეს, ღმერთმა დააწესა ცხრა ხარისხი ეკლესიაში, როგორც ზევით ზეცაში, ასევე აქაც დედამიწაზე და საყდრის შიგნითო: პატრიარქი, რომელიც იგივე მამამთავარია, არქიეპისკოპოსი, რომელსაც ეპისკოპოსთა თავს უწოდებენ, მიტროპოლიტები, ეპისკოპოსები, მღვდლები, არქიდიაკვნები, დიაკვნები, წიგნის მკითხველები, მეფსალმუნენი...“[122] უთუოდ ამ იდეოლოგიის გავლენა აქვს „ქართლის ცხოვრების“ ჩანართს ქართული საპატრიარქოს დაარსების შესახებ, რომელშიც ჩამოთვლილია პატრიარქის ხელქვეით მყოფ იერარქთა იგივე ხარისხები, რომელიც კალანკატუელს აქვს გადმოცემული. აქ ნათქვამია – „იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა და აკურთხევდეს, მწყსიდეს და განაგებდეს სიმართლით მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა..“, კალანკატუელისა და „ქართლის ცხოვრების“ მონაცემების ერთგვაროვნება VII საუკუნის საეკლესიო იერარქიის შესახებ არ არის უბრალო დამთხვევა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, არამედ ასახავს იმ დროს ეკლესიაში არსებულ თვალსაზრისს.

კალანკატუელი აღწერს, რომ ბერძნული ეკლესია ეკამათებოდა სომხურ ეკლესიას იერარქიული დაქვემდებარების შესახებ. ბერძნები ამტკიცებდნენ, რომ მსოფლიოში არსებობს მხოლოდ ოთხი საპატრიარქო – ალექსანდრიის, ანტიოქიის, რომისა და ეფესოსი. სომხური ეკლესია იმ დროს არც ერთს არ ექვემდებარებოდა. ბერძნები მოუწოდებდნენ სომხებს, დამორჩილებოდნენ რომელიმე პატრიარქს, ისე, როგორც პირველი მთავარეპისკოპოსი სომხეთისა გრიგოლი ემორჩლებოდა. „...გვიჩვენეთ პატრიარქი, რომელსაც ემორჩილება თქვენი არქიეპისკოპოსი, ის, რომელიც დღემდე ჩვენს ხელქვეით იყო, ხოლო თუ თქვენ პატრიარქი და სხვა სამღვდელონი არა გყავთ ეკლესიებში, მაშინ არიოზივით გზასაცდენილი მწვალებლები ყოფილხართ... ამაზე სომხებმა ვერაფერი უპასუხეს, რადგანაც მათი ეკლესია მართლაცდა ამგვარ ვითარებაში იმყოფებოდა“.[123] ეს იყო დაახლოებით VI საუკუნის შუა წლებში. მალე თვით სომხეთშივე შეიქმნა საპატრიარქო ეკლესია. ამის უფლება სომხურ ეკლესიას მისცა იმან, რომ იუსტინიანემ თვითნებურად გაზარდა საპატრიარქოთა რიცხვი. შეიქმნა ახალი საპატრიარქოები: ამან კი სტიმული მისცა კიდევ ახალი საპატრიარქოების შექმნას – „მაშინ დაიძრნენ ერთიანად გულზვიადნი და სადაც კი აღსრულებულნი იყვნენ მოციქულნი, ყველა ტახტი საპატრიარქოდ აღიარეს“.[124] ეს ხდება VI საუკუნის ბოლოდან.

სომხური ეკლესია ამ დროს თავის თავს აცხადებს საპატრიარქო ეკლესიად. მაგრამ საპატრიარქო ეკლესიის იერარქია ცხრა ხარისხიანი უნდა ყოფილიყო.

პატრიარქს თავის ხელქვეით უნდა ჰყოლოდა არქიეპისკოპოსი და მიტროპოლიტი. ასეთი ხარისხები კი იმდროინდელ სომხურ ეკლესიაში არ იყო. თუ როგორ მოიქცნენ ამ საქმის გადასაწყვეტად, მოვსეს კალანკატუაცი წერს: „რაც შეეხება ცხრა ხარისხს, ეკლესიათა მესვეურებმა თვითნებურად, სომეხთა ამპარტავანი ხასიათის გამო, პატრიარქად აბრაამი დაადგინეს, არქიეპისკოპოსად – ალვანელი, ხოლო მიტროპოლიტად – ქართველი. განაწყენდა ქართველი, რომელსაც კირიონი ერქვა და განხეთქილებისათვის მიზეზს ეძებდა“.[125]

სომხეთის საპატრიარქო მისი შემქმნელების სურვილით მოიცავდა მთელ ამიერკავკასიას, მასში შედიოდა საქართველო, სომხეთი და ალბანეთი. პატრიარქი იყო სომხეთის კათალიკოსი, მთავარეპისკოპოსი – ალბანეთის კათალიკოსი, მიტროპოლიტი კი ქართლის კათალიკოსი. ქართლის კათალიკოსი ალბანეთის კათალიკოსზე უფრო დაბალ ხარისხზე იქნა დაყენებული. ასეთი საპატრიარქო მხოლოდ თეორიულად არსებობდა. ეს კარგად მიუთითებს, თუ რატომ იყო აუცილებელი ქართული ეკლესია საპატრიარქო ეკლესიად აღიარებულიყო VII საუკუნეში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართული ეკლესია რომელიმე უცხოურ საპატრიარქოს უნდა დაქვემდებარებოდა. არსებობდა ორი გზა. იმდროინდელი შეხედულებით, ადგილობრივი ეკლესია ან თვითვე უნდა ყოფილიყო საპატრიარქო ეკლესია, ანდა რომელიმე სხვა საპატრიარქოს უნდა დაქვემდებარებოდა. თუ საპატრიარქო ეკლესია იყო, მას პატრიარქის გარდა, არქიეპისკოპოსი და მიტროპოლიტიც უნდა ჰყოლოდა. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, VII საუკუნეში დაარსებულ საქართველოს საპატრიარქოს ჰყავდა არა მარტო პატრიარქი, არამედ მთავარეპისკოპოსნი და მიტროპოლიტნი. იმ დროს დაწესდა, რომ ქართლის კათალიკოსი პატრიარქთა თანასწორია და ის განაგებს „მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა...“[126]

უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოს საპატრიარქო დაარსდა არა XI საუკუნეში, როგორც დღევანდელ მეცნიერებაშია მიღებული, არამედ VII საუკუნეში. ტრადიციული ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფია დაბეჯითებით მიუთითებს საქართველოს საპატრიარქოს VII საუკუნეში დაარსების შესახებ. საუკუნეთა მანძილზე მიღებული ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო მტკიცდება ახალი მასალებით, კერძოდ, როგორც აღნიშნული იყო, ამაზე მიუთითებს VIII საუკუნის ბერძნული წარწერა.

მსოფლიო ეკლესიის მიერ VII საუკუნეში აღიარებულ იქნა, რომ საქართველოს (ანუ მცხეთის) ეკლესია არის სხვა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიების თანასწორი სამოციქულო ეკლესია, ის არის საპატრიარქო, მისი მეთაური კი პატრიარქია.

როგორც „ქართლის ცხოვრების“ ზემოთ მოყვანილი ამონაწერებიდან ჩანს, VII საუკუნეში საქართველოსა და სომხეთის ახალფორმირებული საპატრიარქოები აქტიურად იბრძვიან ალბანეთის ეკლესიის ტერიტორიის თავიანთ საზღვრებში მოქცევისათვის. ეს ბუნებრივად მოგვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ალბანეთის ეკლესია ამ დროიდან დენაციონალიზაციას განიცდიდა, რასაც შედეგად ალბანელი ხალხის სხვა ხალხებში გათქვეფა და გაქრობა მოჰყვა. ალბანეთის ეკლესიის მაგალითი კარგად გვიჩვენებს ქართული ეკლესიის მიერ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროულობას.

VII საუკუნეში ფორმირებული საქართველოს საპატრიარქო არსებობდა VIII საუკუნის შუა წლებამდე. ამ დროს ერთიანი ქართული ნომინალური „ქართლის სამეფოს“ დაშლას შედეგად მოჰყვა ქართული საპატრიარქოს დაშლა, რამაც იმ საუკუნეშივე ორი – „აფხაზეთისა“ და „ქართლის“ საკათალიკოსოების წარმოშობა გამოიწვია.

მოვსეს კალანკატუაცის მიერ აღწერილი VII საუკუნის ამბები

მოვსეს კალანკატუაცის „ალვანთა ქვეყნის ისტორია“ (ძველი სომხურიდან თარგმნილი ლ. დავლიანიძე-ტატიშვილის მიერ) გამოიცა 1985 წელს. გადმოვცემთ ამ წიგნის VII საუკუნის ზოგიერთ ამბავს, დაკავშირებულს ქართული ეკლესიის ისტორიასთან.

თავი XI. ჰერაკლე ხაზარებს იხმობს სპარსეთზე სალაშქრად

ჰერაკლეს ბრძანებით ხაზარების ძლიერი ურდო დაიძრა ამიერკავკასიისაკენ. სპარსთა მეფე მათ დაემუქრა, ამიტომ იმ წელიწადს დაცხრნენ და უკან დაბრუნდნენ. შემდეგ წელს ჯებუ ხაქანმა შეკრიბა თავისი ხელქვეითი ყველა ტომი და ხალხი და თავის შვილთან ერთად ალბანეთში შევიდა უთვალავი ჯარით. ალბანეთის მთავარი და მოსახლეობა პარტავის ციხეში ჩაიკეტა. სპარსთა მიერ ალბანეთის ჩრდილო საზღვარზე კავკასიის მთიდან ზღვამდე გავლებული იყო დიდი კედელი, რომლის აშენების ხარჯებმაც ალბანეთი დააუძლურა. ხაზართა ჯარმა ეს კედელი დაამხო. ალბანელები შეაშინა ბოროტი, უტიფარი, ფართოსახიანი, უწამწამო, ქალივით თმაგაშლილი ბრბოს საშინელმა რისხვამ, რომელმაც შეუბრალებლად დახოცა ხალხი ქალაქის ქუჩებში. არ ინდობდნენ ახალგაზრდებსა და მოხუცებს, არ ებრალებოდათ ბავშვები, რომელნიც დახოცილი დედის მკერდიდან რძის ნაცვლად სისხლს წოვდნენ. დიდი ქალაქი პარტავი უბრძოლველად აიღეს, ლტოლვილი მოსახლეობა ამოწყვიტეს. ქვეყანა მხეცების ნამოქმედარს დაემსგავსა.

ბერძენთა და ხაზართა ლაშქარი „ქართველთა ქვეყნის წინააღმდეგ“

„ყოველივე ამის შემდეგ, დაიძრა აზვირთებული ნიაღვარი და აბობოქრებული მდინარე ქართველთა ქვეყნის წინააღმდეგ, გარემოიცვეს ნებიერი, სავაჭრო და სახელოვანი დიდი ქალაქი ტფილისი“ (გვ.70) როდესაც ჰერაკლე კეისარმა შეიტყო, რომ ხაზართა (ჩრდილოკავკასიელ ტომთა) ჯარმა ალყა შემოარტყა თბილისს, სწრაფად წავიდა თავისი ჯარით... შეხვდა ხაზართა მეთაურს. „მეფური საჩუქრებისა და საბოძვრების მირთმევასთან ერთად, მეტად გაიხარეს ერთმანეთის ხილვით“. თბილისის ციხესიმაგრეში ჩაკეტილი მოსახლეობა ცუდ დღეში ჩავარდა. სპარსეთის მეფე ხოსრომ, როცა შეიტყო ბერძენთა და ხაზართა მეფეების თბილისთან შეხვედრის ამბავი, თბილისის გარემოცვის დაწყებამდე ქალაქის დასაცავად და დასახმარებლად სასწრაფოდ გაგზავნა მარჯვე და მამაცი მხედარმთავარი, 1000-მდე რჩეული მხედრითა და მხლებლებით.

ბერძნები და ხაზარები თბილისს ვერ იღებენ

თბილისელებმა, როცა იხილეს სპარსთა მაშველი ძალა ძლიერი და გამოცდილი მეომრებით, მეტად გამხნევდნენ და ორივე მეფის დაცინვა დაიწყეს. თუმცა, ხედავდნენ, ჩრდილოეთის (ხაზართა) და დასავლეთის (ბერძენთა) ჯარების დიდ სიმრავლეს. ისინი მთებივით შემორტყმოდნენ ქალაქს გარშემო. ჰქონდათ ბიზანტიელ ოსტატთა მიერ გაკეთებული ოთხთვლიანი მანქანები და ნაირ-ნაირი საშუალებები, რომლებიც ზუსტად ისროდნენ და უზარმაზარი ქვებით კედელს ანგრევდნენ, სხვა საშუალებით მდინარე მტკვარს უკან, ქალაქის კედლისაკენ აბრუნებდნენ.

თბილისელებს არ შეშინებიათ, მამაცურად იბრძოდნენ, ერთმანეთს ამხნევებდნენ, დანგრეულს იქვე აშენებდნენ და ამიტომაც მტერმა თბილისი ვერ აიღო.

ბერძენთა და ხაზართა მეფის ჯარები დასუსტდნენ, დაძაბუნდნენ თბილისის კართან და გადაიქცნენ. მათი ქვეითი ლაშქრის ნაწილი ომში დაეცა. ერეკლე კეისარმა ბჭობა გამართა ხაზართა მეფესთან. მათ თქვეს: „რისთვის დავღუპოთ ჩვენი ჯარები თბილისის კართან. უმჯობესია სპარსთა მეფეს შევებრძოლოთ“. ერეკლე კეისარმა უთხრა ხაზართა მეფეს: „უმჯობესია ამ წელიწადს შენს ქვეყანაში დაბრუნდე, რადგანაც შენი ჯარები დაქანცულია. ახლა ზაფხულის სიცხეში ვეღარ შევძლებთ სპარსეთის დედაქალაქში შესვლას. მომავალ წელს კი შემოდგომით სასწრაფოდ გამოეშურე აქეთ, რათა ჩვენი სურვილი შევისრულოთ. მე კი არ დავცხრები, შევერკინები სპარსეთის მეფეს, შევავიწროვებ მის ქვეშევრდომებს“.

უკანდახევულ ბერძენ-ხაზართა მეფეებს თბილისელები დასცინიან

როდესაც მტრის უკანდახევა გაიგეს, თბილისელები გაამაყდნენ და გაითამაშეს ოინი – მოიტანეს ერთი უზარმაზარი გოგრა, ზედ დაახატეს ჰონთა (ხაზართა) მეფის სახე, თვალ-წამწამის ადგილას დახაზეს მოტეხილი ტოტი, რომლის შემჩნევა არც კი შეიძლებოდა, წვერების ადგილი უტიფრად მოაშიშვლეს, ცხვირის ნესტოები მტკაველის სიგანეზე გამოსახეს, ხოლო ულვაშებად მეჩხერი თმები (მონგოლოიდური სახე გამოხატეს). ეს გოგრა დადგეს კედელზე, უყვიროდნენ მიბრუნებულ ხაზარების ჯარს – „აი თქვენი მეფე, უკან დაბრუნდით, თაყვანი ეცით მას, ეს ჯებუ ხაქანიაო“. აიღეს შუბები და ხვრეტდნენ გოგრას.

უარესად დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ ჰერაკლე კეისარს. შეურაცხმყოფელი ბილწი სიტყვებით აგინებდნენ მას.

ბიზანტიელთა და ხაზართა მეფეებმა ფიცი დასდეს, რომ არც ერთ სულიერს არ დატოვებდნენ ქართველთა საქეფოში

დაცინვის „... მნახველი და გამგონე მეფეები მძვინვარებდნენ, იფხორებოდნენ, გულში სიძულვილს იგროვებდნენ, თავებს აქნევდნენ, უდიდესი წყევლით იფიცებოდნენ, რომ არც ერთ სულიერს არ დატოვებდნენ მათ სამეფოში, ვიდრე შურს არ იძიებდნენ ამ შეურაცხყოფისათვის, რომელიც მათგან მიიღეს. შემდეგ კი პირი იბრუნეს და იმავე მუქარით წავიდნენ“. (გვ.72)

თავი XII. ჰერაკლე ეძებს საშუალებებს თბილისთან მიყენებული შეურაცხყოფის აუტანელი სენისგან განსაკურნებლად

თბილისთან მიყენებული შეურაცხყოფის შემდეგ „... კეისარი თავის გონებაში საშუალებებს ეძებდა, თუ როგორ განკურნებულიყო შეურაცხყოფის აუტანელი სენისაგან“ (გვ.72) ამ ხნის განმავლობაში დაიბრუნა სპარსთა მიერ დაპყრობილი ბიზანტიური მიწები. ის ეძებდა გზებს, რომ ჩრდილო კავკასიიდან „... წამოეყვანა ბარბაროსთა სხვადასხვა ტომები და მათი საშუალებით გაეძევებინა სპარსეთის ამაყი მეფე ხოსროვი“ (გვ. 72). გაგზავნა ჩრდილოეთით ჰონებთან ერთი თავისი დიდებულთაგანი, რომელიც ჰონებს (ხაზარებს) ჰპირდებოდა ურიცხვ და უთვალავ განძეულობას თუ დაეხმარებოდნენ.

ჩრდილოეთის მეფის ნაცვალი ჯებუ ხაკანი დათანხმდა კეისარს. ხაკანმა კეისარს თავისი თანხმობა გაუგზავნა 1000-მდე მხედრის ხელით, რომელნიც იყვნენ რჩულნი სიმამაცით და ძლიერნი მშვილდოსნობით. მათ ადვილად აიღეს ჩორის კარი, არწივებივით გაფრინდნენ მტკვრისაკენ – „არავის ინდობდნენ, ვინც მათ წინააღმდეგ გამოვიდოდა. გეზი აიღეს ქართველთა და ეგერთა ქვეყნებისაკენ“ (გვ. 72). გადალახეს შავი ზღვა და წარუდგნენ ჰერაკლე კეისარს. ამ მხედრებმა მას გადასცეს ხაკანის თანხმობა სპარსელებთან ომში მონაწილეობაზე.

ჩრდილოეთის მეფემ შეპირების თანახმად გაგზავნა ჯარი შათის მეთაურობით ჰერაკლეს დასახმარებლად. ეს ჯარი სპარსეთის მხარეებს ეკვეთა. ხოსრო გაიქცა და თავის ნამდვილ დედაქალაქში, დიდ ტიბზანში ჩავიდა. სპარსი მხედართმთავრისათვის უკვე ცნობილი იყო, რომ ხოსროვის მიერ ნაჩქარევად შეკრებილი სუსტი ჯარი კეისრის წინაშე დამარცხდებოდა. ის აფრთხილებდა თავის მეფეს, რომ მოისპობოდა სპარსელთა ჯარი ამ უთანასწორო ომში. სპარსთა ჯარი დამარცხდა. როდესაც სპარსეთის დიდებულებმა დაინახეს ის დიდი მარცხი, რაც მათმა ლაშქარმა განიცადა, დაიწყეს ფიქრი ამბოხებისათვის. ხოსროვის შვილი კავატი აუჯანყდა თავის მამას, ჩამოაგდო ტახტიდან და გამეფდა.

თავი XIV. თბილისის ალება და დასჯა დაცინვისათვის

ახალგამეფებული კავატისგან ყველამ მოიპოვა თავისი დანაშაულის მიტევება. გაათავისუფლეს პატიმრები, მათ შორის ალვანეთის კათალიკოსი ვირო.

ამიერკავკასიაში შემოჭრილი ჩრდილოეთის ჯარები გამანადგურებელი ძალით ეკვეთნენ სპარსელებს. ეს ჯარები პირველ რიგში ეკვეთნენ ქართველთა ქვეყანას – ქალაქ თბილისს. ახლა მათ საშუალება მიეცათ, გაეფანტათ წინანდელი შეურაცხყოფის გამო დაგროვილი შურისძიება. თბილისს ალყა შემოარტყეს, დაიწყო ბრძოლა. თბილისელები ორი თვის მანძილზე მხნედ იცავდნენ თავს, შემდეგ კი დასუსტდნენ. უკანასკნელი თავდაუზოგავი ბრძოლის შემდეგ თბილისელებმა უკან დაიხიეს გალავნისაკენ. მებრძოლები იმალებოდნენ სახლების სახურავებზე, წყალსადენ მილებში, ეკლესიებში. მათი გოდება ემსგავსებოდა ცხვრის დიდი ფარის ბღავილს კრავებისადმი, ანდა დედის მწუხარე კვნესას თავისი ყრმის მიმართ (გვ.

77). მთელი მოსახლეობა ამოწყვიტეს. შემდეგ გამოიყვანეს ორი მთავარი, ერთი სპარსელი მმართველი ამ მხარისა, და მეორე კი ქართველი, ქვეყნის ადგილობრივი მცხოვრები. ჩრდილოელთა მეფემ მათ დათხარა თვალები, იმის სამაგიეროდ, რომ შეურაცხყოფის მიზნით მისი სახე სურათზე ბრმა დახატეს. შემდეგ კი დაახრჩო ისინი, ტყავი გააძრო და თივით გატენილი ფიტულები გალავანს ზემოთ ჩამოჰკიდა. ჯარისკაცებმა ნაძარცვი ქალაქის ქონება ზვინებად დააწყვეს მბრძანებლის წინაშე – „მის წინ იმდენად ხშრად მოჰქონდათ, რომ დამქანცველი გახდა უთვალავი ოქროსა და ვერცხლის ტალანტების ყურება, ხოლო ვის შეუძლია ზედმიწევნით აღწეროს მარგალიტებით მოოჭვილი საეკლესიო ჭურჭელი“ (გვ. 77).

ალვანეთის კათალიკოსი ვირო გაემართა მტერთან მოსალაპარაკებლად. ალვანელებმა იხილეს ღრეობა მტრის უთვალავი ჯარისკაცისა. მათ „ოქროთი მოვარაყებული ვერცხლის ჭიქები და სასმისები წამოღებული ჰქონდათ ტფილისის აოხრებისას“ (გვ. 81).

თავი XIX. ქართველები ეხმარებიან ალვანელებს

ალვანელთა მთავარ ჯუანშერს ებრძვიან სპარსელები, რომელთაც დაატყვევეს მისი მამა და ძმები. ჯუანშერი თავისი ჯარით – „სწრაფად გავიდა თავისი სამშობლოს საზღვრებიდან და გადავიდა მტკვრის იქითა მხარეს კაპიჭანის გავარში“ (გვ. 91). („კაპიჭანი ანუ კამბეჩანი ალვანეთში კი არ მდებარეობს, არამედ მის გარეთ, ალვანეთის მთავარი „კაპიჭანში“ შედის „თავის სამშობლო საზღვრებიდან“ გასვლის შემდეგ).

ქართველთა საზღვრებთან ჯუანშერს შეხვდა ქართველთა მთავარი ადარნასე – „... ქართველთა საზღვრებთან იქ ქვეყნის დიდად პატივცემული იშხანი ატრნერსე, რომელსაც ჰრომაელთა სამეფოსაგან სამმაგი პატივი ჰქონდა მიღებული, მოვიდა მასთან და თვითონ უხვევდა ჭრილობებს, რადგანაც უხაროდა მისი დიდი გულადობით მოპოვებული გამარჯვება. იმ დროს მათ მშვიდობის ურღვევი კავშირი შეკრეს ერთმანეთთან. ჯუანშერმა თან წაიყვანა საშველად ქართველთა ჯარი...“ (გვ. 92), ქართველთა ჯარის დახმარებით მრავალგზის დაამარცხა სპარსელები, რაც დაინახეს „... სომეხთა და ქართველთა ქვეყნების ნახარარებმა...“ (გვ. 92).

თავი XLII. ჰონთა ქვეყანაში „საპატრიარქო ტახტის“ დაარსების სურვილი

ჰონთა დიდი მთავარი ეთათბირება თავის მთავრებს იმის შესახებ, რომ ისრაელმა ეპისკოპოსმა ჰონთა ქვეყანაში დააწესოს „საპატრიარქო ტახტი“ (გვ. 121). ჰონები სთხოვენ ალბანელ ეპისკოპოსს, დარჩეს მათ ქვეყანაში. ეპისკოპოსი პასუხობს – „მე არ შემიძლია დაგეთანხმოთ ალვანეთის დიდი პატრიარქის წმიდა ელიაზარის გარეშე, რადგანაც მხოლოს მას აქვს ამის უფლება... საჭიროა თქვენი გონივრული აზრი წერილობით გააცნოთ მთელ ალვანეთის ქვეყანას და პატრიარქ ელიაზარს, რომელმაც წმიდა ელიშას დროიდან დღემდე დაამკვიდრა ჩრდილო-

აღმოსავლეთით ერთი სამოციქულო ტახტი ღვთის სამყოფელ ქალაქ იერუსალიმიდან და კურთხევა მიიღო უფლის ძმის წმიდა იაკობისაგან“ (გვ. 123).

თავი XLIV. ჰონთა მთავარი იმავე საქმეზე წერილს უგზავნის სომეხთა მამამთავარს, სომეხთა მთავარსა და ზორაპეტს. ის მათ სთხოვს ალბანელი ეპისკოპოსი ისრაელი გაგზავნონ ჰონების სულიერ მწყემსად.

თავი XLV. სომეხთა კათალისკოსი და მთავარი პასუხობენ – „ისრაელი ეკუთვნის არა ჩვენს სამწყსოს, არამედ – ალვანეთისას, თუმცა ჩვენი სურვილია, რომ ის სამუდამოდ თქვენთან იყოს, მაგრამ ამის უფლება მხოლოდ ჩვენს თანამოსაყდრე ალვანეთის პატრიარქს ელიაზარს აქვს. ეს მისი საქმეა“ (გვ. 125).

თავი XLVI. სომხეთის საპატრიარქო ტახტის გაყოფა VI საუკუნის ბოლოს

„სომხეთის საპატრიარქო ტახტის გაყოფის დროს (იგულისხმება VI ს-ის ბოლო) დიდი ბრძოლა მოხდა მოვსესსა და კარინის ეპისკოპოსს თეოდოსს შორის... მართლმადიდებლები ლანძავდნენ ბერძენთა ყოველგვარ წესს. მოვსესმა (იგულისხმება სომხეთის კათალიკოსი მოსე ელივარდელი (590-607) შეკრიბა თავისი მხარეების ვარდაპეტები და უბრძანა ამიერიდან ურთიერთობა გაეწყვიტათ ბერძნებთან, რომლებიც ქალკედონის კრებას ემორჩილებოდნენ, არც წიგნები, არც ხატები, არც ნაწილები არ მიეღოთ მათგან. მაშინ თეოდოსმა ბრძანა შეკრებილიყვნენ მის ხელისუფლებაში არსებული მხარის სომეხი ეპისკოპოსები ქალაქ კარინში და უთხრა: საჭიროა კათალიკოსი ავირჩიოთ, მოიყვანეს ვინმე იოანე სივნიელი (იგულისხმება იოანე გოგოვიტელი), აკურთხეს და ქალკედონურ სარწმუნოებას დაემორჩილნენ“ (გვ. 126).

„მოვსეს პატრიარქის გარდაცვალების შემდეგ და სომხეთში ხოსროვის გამეფებისას ქვეყანა გაერთიანდა. პატრიარქად დასვეს ჭეშმარიტი და რჩეული კაცი აბრაამი (იგულსხმება აბრაამ ალბათანელი, 607-615), რომელმაც ჯერ წყევლა-კრულვით აღმოფხვრა ქალკედონის კრება, ხოლო შემდეგ ეკურთხა. ხატმებრძოლები კი წამოვიდნენ ალვანეთში და აღაშფოთეს თქვენი ქვეყანა, მაშინ გადმანის მთავარმა შეიპყრო ის სამი კაცი, რომელთა სახელები ზემოთ ვახსენეთ და ბორკილდადებული სომხეთში მიიყვანა“... (გვ. 127). (ალბანეთში შეპყრობილ ხატმებრძოლებს დასასჯელად სომხეთს უგზავნიან).

თავი XLVII. ქართველთა და სომეხთა „ტანყოფა“

„...ჰრომაელთა კეთილმსახური მეფეების ზენონისა და ანსტასის ბრძანებით ერთსულოვნად შეაჩვენეს ქალკედონის კრება და ლეონის ტომარი. 47 წლის შემდეგ (ზ. ალექსიძის თარგმანით, 87 წლის შემდეგ), სომეხთა კათალიკოსის – აბრაამის დროს ქართველები სომხებს გამოეყვნენ კირიონის მიერ. მათთანვე იყვნენ

ბერძნები და იტალიელები. ალვანელებს კი არ უარუყვიათ მართლმადიდებლობა, მაგრამ სომხებთან ერთობა შეინარჩუნეს. აბრაამმა ყველას გაუგზავნა კირიონის განდგომილობის ცირკულარული სიგელი და განაძევა ის სულიერი ხმლით...“ (გვ. 128).

თავი XLVIII. ცხრა საეკლესიო ხარისხის შესახებ

„ბერძნებმა ხომ თქვეს, ღმერთმა დააწესა ცხრა ხარისხი ეკლესიაში, როგორც ზევით ზეცაშიო, ასევე უნდა იყოს აქაც, დედამიწაზე და საყდარში. პატრიარქი, რომელიც იგივე მამამთავარია, არქიეპისკოპოსი, რომელსაც ეპისკოპოსთა თავს უწოდებენ, მიტროპოლიტები, ეპისკოპოსები, მღვდლები, არქიდიაკვნები, დიაკვნები, წიგნის მკითხველები, მეფსალმუნენი, – ყველა ამათ შეერთებულად შეუძლიათ ხელი დაასხან მამამთავარს, ხოლო მამამთავარს შეუძლია – ყველას. თუ გულწრფელად გწამთ (მიმართავენ ბერძნები სომხებს), აღიარეთ ვინ არის თქვენი პატრიარქი? ისინი მხოლოდ ოთხნი იყვნენ ქვეყანაზე: ალექსანდრიისა – მარკოზის საყდარი,ანტიოქიისა – მათესი,რომისა – ლუკასი, ეფესოსი – იოანესი. – ქვეყნის ოთხი კუთხის მიხედვით, ედემის ოთხნაკადიანი მდინარის მიხედვით, ოთხი მახარებლის მიხედვით, მოსეს ოთხი კანონის მიხედვით...“ ჩვენ ყოველივე ამას ვემორჩილებით. დაემორჩილეთ თქვენც ერთ ამათგანს, ანდა ყველას ერთად, რათა ერთი სარწმუნოება გვქონდეს. თქვენმა წმიდა გრიგორმა მთავარეპისკოპოსად ხელდასხმა კესარიაში მიიღო და მას შემდეგ ასევე ხდება დღემდე. თუ თქვენ მისგან განსხვავებული სხვა ეკლესიის მართლმადიდებლები ხართ, მაშინ გვიჩვენეთ პატრიარქი, რომელსაც ემორჩილება თქვენი არქიეპისკოპოსი, ის, რომელიც დღემდე ჩვენს ხელქვეით იყო. ხოლო თუ თქვენ პატრიარქი და სხვა სამღვდელონი არა გყავთ ეკლესიაში, მაშინ არიოზივით გზასაცდენილი მწვალებლები ყოფილხართ... ამაზე სომხებმა ვერაფერი უპასუხეს, რადგანაც მათი ეკლესია მართლაცდა ამგვარ ვითარებაში იმყოფებოდა. იუსტინიანემ თავის გამეფებისთანავე წმიდა იოანე მახარებლის ნაწილები კონსტანტინოპოლში გადაიტანა და იქ სამამამთავრო ტახტი დააწესა, ძირითადი ტახტი კი ეფესოში დარჩა. აგრეთვე მათეს ნაწილები ანტიოქიიდან იერუსალიმში იქნა გადატანილი. თან ამბობდა: „ეს ქალაქი დიდი მეფის ქალაქიაო“, ძირითადი ტახტი კი ისევ ანტიოქიაში დატოვა. მაშინ დაიძრნენ ერთიანად გულზვიადნი და სადაც კი აღსრულებულნი იყვნენ მოციქულნი, ყველა ტახტი საპატრიარქოდ აღიარეს... რაც შეეხება ცხრა ხარისხს სომხეთში, ეკლესიათა მესვეურებმა თვითნებურად სომეხთა ამპარტავანი ხასიათის გამო პატრიარქად აბრაამი დაადგინეს, არქიეპისკოპოსად – ალბანელი, ხოლო მიტროპოლიტად – ქართველი. განაწყენდა ქართველი, რომელსაც კირიონი ერქვა და განხეთქილებისათვის მიზეზს ეძებდა. მაშინ წმინდა მღვდელმთავარმა აბრაამმა თქვა: „ალვანელებმა ქართველებზე ადრე მიიღეს ქრისტიანობა და ამიტომაც უფრო შეეფერება მთავარეპისკოპოსობაო“. ამ მართლმადიდებლური რწმენის ძიებაში კამათის დროს ქართველებმა დატოვეს მართლმადიდებლობა და ქალკედონიტები გახდნენ. ბერძენი მხედართმთავრები აქეზებდნენ სომხებს, მოეთხოვათ სასულიერო პირველობა ალვანელებზე, რასაც ალვანელები არ ემორჩილებოდნენ, ისინი უთითებდნენ

ერთ პირვანდელ მოციქულზე, რომელიც ალვანეთში მოვიდა. მას ელიშა ერქვა, უფლის მოწაფეთაგანი იყო და ხელდასხმული უფლის ძმის – იაკობისაგან. ელიშას იქ უქადაგია და აღუშენებია ეკლესია სომხებზე უფრო ადრე. ეს არის აღმოსავლეთში პირველი დედა-ეკლესიაო. ამ გისის ეკლესიას ერწმუნენ ალვანელები და სომხებისაგან გაითიშნენ, რათა არ დარჩენილიყვნენ სხვისი ხელისუფლების ქვეშ (ასევე აქვს არსენი საფარელსაც – ჰერთა კათალიკოსი აბაზი (552-596) კირიონთან ერთად განშორებია სომხურ ეკლესიას). მაშინ სომხებმა, ამპარტავნების გამო ბერძენთა, რომელნიც ცდილობდნენ დაემცირებინათ თადეოზ მოციქულის განსასვენებელი და ამბობდნენ, არა გყავთ მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტიო, გადაწყვიტეს სავარდაპეტოს ეპისკოპოსი მიტროპოლიტად ექციათ. მისცეს მას ჯვარი და პატივი...“ (გვ. 131).

წიგნი III

თავი III. ალბანელთა ქალკედონიტი კათალიკოსის შესახებ

ალბანეთის საკათალიკოსო ტახტზე ადის ნერსესი, რომელიც ქალკედონიტია, მაგრამ მალავს. ერისკაცობისას ბაკური ერქვა, შემდეგ გარდმანის ეპისკოპოსი იყო. მას მხარს უჭერს ალბანეთის დედოფალი, ქალკედონიტი სპარამი, ვარაზ თრდატის მეუღლე. როცა შესაფერისი დრო დადგა, ნერსესმა გაამჟღავნა თავისი ქალკედონიტობა, მას დედოფალი აქეზებდა. სხვა ქალკედონიტ მთავართა დახმარებით მან მრავალი ეკლესია ქალკედონიტურად აქცია, განდევნა ზოგი მონოფიზიტი ეპისკოპოსი, მათ შორის ხაზართა მომაქცეველი ისრაელი, სხვები კი თვითონვე განშორდნენ. მონოფიზიტებს ემხრობოდა ალვანეთის დიდი მთავარი შერო. ამათ მოიწვიეს კრება და შეაჩვენეს ნერსესი სხვა ქალკედონიტებთან ერთად. კრებამ წერილი მისწერა სომხეთის კათალიკოსს – ელიას.

თავი IV. ალბანელ მონოფიზიტთა წერილი სომეხთა კათალიკოსს

ალბანელ მონოფიზიტთა კრება თაყვანისცემას უცხადებს სომეხთა კათალიკოსს და სწერს: „ჩვენს მამებს თქვენს მამებთან ერთად საერთო მართალი რწმენა ჰქონდათ – იმძლავრა ქალკედონურმა რწმენამ და აავსო ქვეყანა... ნერსესი მგლად იქცა და დაიწყო ქრისტეს გონიერი სამწყსოს გადაბირება. ამის გამო მოვიწადინეთ შეგვეტყობინებინა ეს... რათა მოხვიდეთ ჩვენთან, როგორც თქვენს ნაწილთან და განკურნოთ ჩვენი ჭრილობები...“ (გვ. 138).

(ალბანელ მონოფიზიტებს მიაჩნიათ, რომ ალბანური ეკლესია სომხური ეკლესიის ნაწილია, რომ ალბანელთა და სომეხთა „მამებს“ საერთო რწმენა ჰქონიათ. მოუწოდებენ სომეხთა კათალიკოსს, რათა ის მივიდეს ალბანეთში, როგორც „მის ნაწილში“ და იმოქმედოს. ეს ხდება VII საუკუნის მიწურულს, ამ საუკუნის დასაწყისში კი სრულებით იდენტური ამბავი ხდება ქვემო ქართლში – გუგარქში. „ეპისტოლეთა წიგნის“ თანახმად გუგარქელი, ანუ ქართველი მონოფიზიტები თავიანთ ეკლესიას მიიჩნევდნენ სომხური ეკლესიის ნაწილად და მოუწოდებდნენ სომხეთის

საკათალიკოსოს „ემოქმედა“ გუგარქელთა დასახმარებლად. (გუგარქელ ქართველთა, ისევე როგორც ალბანელთა, საეკლესიო ენა სომხური იყო).

თავი V. სომეხთა კათალიკოსი არაბ ამირასთან უჩივის ალბანელ ქალკედონიტებს

არაბ ხელისუფალს სომეხთა კათალიკოსი სწერს, რომ სომხეთი არაბებს ემორჩილება და ემსახურება ღმერთის ნებით, ალბანელები და სომხები ქრისტიანები არიან, მაგრამ ალბანელთა კათალიკოსი, რომელიც პარტავში ზის, შეუთანხმდა ბერძენთა იმპერატორს, იხსენიებს მას ლოცვებში და ალბანელთა ქვეყანას აიძულებს, მიიღოს ბიზანტიური სარწმუნოება. სომეხთა კათალიკოსი შემდეგ მოუწოდებს ამირას, რომ ის ალბანელთა ქალკედონიტობას გულგრილად ნუ შეხედავს, დასაჯოს ისინი თავიანთი მოქმედების შესაბამისად (მსგავსად ასევე სომეხთა საკათალიკოსომ და მარზპანმა ქართული ეკლესიის ქალკედონიტობის, ანუ „ბერძნული სარწმუნოების“ შესახებ შეატყობინეს სპარსთა მეფეს კირიონის დროს და მოუწოდეს, დაესაჯა ქართული ეკლესია ბიზანტიური რჯულისათვის).

თავი VI. არაბი ამირა პასუხობს სომეხთა კათალიკოსს

არაბი ამირა სომეხთა კათალიკოსს „ღვთის კაცს“ უწოდებს და ატყობინებს, რომ მან ალბანეთში გაგზავნა დიდი ჯარი ერთგული მსახურის მეთაურობით. ამ ჯარს ნაბრძანები აქვს არაბთა ხელისუფლებისაგან გამდგარი ალვანელები მოაქციოს სომხურ სარწმუნოებაზე. „...ჩვენი ხელისუფლებისაგან გამდგარი ალვანელები თქვენი სჯულის მიხედვით სიმართლეზე მოაქციონ“ (გვ. 139).

(აქედან ჩანს, რომ არაბებს ქალკედონიტები მიაჩნიათ არაბთა ხელისუფლებისაგან განდგომილებად, ხოლო „სომხური სარწმუნოების“ მქონენი ერთგულ ღვთის კაცებად).

შემდეგ ატყობინებს, რომ „ჩვენი მსახური შენს წინაშე პარტავში სისრულეში მოიყვანს სასჯელს, ნერსესსა და მის თანამოაზრე ქალს რკინის ჯაჭვით გადააბამენ და შერცხვენილებს სამეფო კარზე მოიყვანენ, რათა ყველამ იხილოს მეამბოხეთა შეურაცხყოფა“ (გვ. 139).

(ყველა ქალკედონიტი არაბთათვის მეამბოხეა. ასევე უწოდებენ ქალკედონიტებს – „ჩვენი ხელისუფლებიასაგან განდგომილებს“, ამიტომაც ისინი სასტიკად უნდა დაისაჯონ. ალბანელთა კათალიკოსი ნერსესიც „მეამბოხეა“ თავისი ქალკედონიტობის გამო, ის უნდა დაისაჯოს სომეხი კათალიკოსის წინაშე, ხოლო სომხებს უფლება აქვთ ალბანელები „თავიანთ სარწმუნოებაზე“, ანუ სომხურ სარწმუნოებაზე მოაქციონ).

თავი VII. სომეხთა კათალიკოსი ალბანეთში სჯის ალბანთა კათალიკოსს

სომეხთა კათალიკოსი საგანგებოდ ჩავიდა ალბანეთში, დაჯდა მთავარ ტაძარში და ბრძანა მისთვის დასასჯელად მიეგვარათ ალბანთა კათალიკოსი ნერსესი. შეშინებ-

ული ალბანელთა კათალიკოსი დაიმალა, შემდეგ შეიპყრეს და მიიყვანეს სომეხთა კათალიკოსის წინაშე. „მრავალრიცხოვან შეკრებილთა შორის ელიას წინაშე უპასუხოდ იდგა უბედური. მეფის ბრძანებით მას მძიმე სასჯელი გამოუტანეს: გადააბეს ფეხით ფეხზე იმ ქალთან და შორეულ ქვეყანაში გასაგზავნად მოამზადეს, მაგრამ ვერ აიტანა ეს ტანჯვა და რვა დღის შემდეგ გარდაიცვალა“ (გვ. 140). (აქედან ჩანს, რომ არაბებმა სასტიკად დასაჯეს არა მარტო ქალკედონიტი სამღვდელოება, ნერსესი და მასთან დაახლოებულნი, არამედ საერო ქალკედონიტი ხელისუფლებაც, მაგალითად, ალბანეთის ქალკედონიტი დედოფალი სპარამი, რომელიც დასამცირებლად ალბანთა კათალიკოსის ფეხზე გამოაბეს და გადაასახლეს).

ქალკედონიტური ლიტერატურა გაანადგურეს. არაბებმა და ალბანეთში საგანგებოდ ჩასულმა სომხებმა ალბანთა კათალიკოს ნერსესის ქალკედონიტური წიგნები, რომლითაც სავსე იყო ზანდუკი, წყალში ჩაყარეს.

„... ნერსესის „წვალებით“ სავსე წიგნები, რომლითაც ავსებული იყო ზანდუკი, წაიღეს და მთლიანად მდინარე ტრტუტში ჩაყარეს...“ (გვ. 140)

თავი VIII. სომეხთა კათალიკოსი ერთგულების ხელწერილს, ანუ „შემომტკიცების წიგნს“, აწთქვეს ალბანელებს

ღმერთმაო, – წერენ ალბანელები „შემომტკიცების წიგნში“, – „შეგვიბრალა ჩვენ უძლურნი, შეიწყალა ჩვენი ხალხი და გამოგვიგზავნა ღვთის მადლით ღირსეული მამა ელია – სომეხთა კათალიკოსი, კაცი წმიდა და მართალი, წმიდა გრიგორის ტაძრის მფლობელი, ეპისკოპოსებთან და ვარდაპეტებთან ერთად“. სომეხთა კათალიკოსი ალბანეთში ჩასულა სამი სომეხი ეპისკოპოსისა, ვარდაპეტისა და მრავალ მოწაფეთა თანხლებით (გვ. 141). (შეიძლება შედარება – სომხეთის ეკლესია კირიონის დროსაც აპირებდა ქართლში სომეხი ეპისკოპოსების გაგზავნას, რათა მათ კირიონისათვის „ესწავლებინათ სწორი სარწმუნოება“).

ალბანელები შემდეგ წერენ სომხეთიდან ჩასული სამღვდელოების შესახებ – „მოხვედით თქვენ ჩვენს დედაქალაქ პარტავში და ტკბილი მოძღვრებით აღკვეთეთ ბოროტი ჩვენს შორის. გაგვახსენეთ ჩვენი წინაპრის ანდერძი...“ (გვ. 141).

შემდეგ – „როდესაც განსაცდელმა მოაღწია ჩვენამდე, ღმერთმა აღმოგვიჩინა შემწეობა წმიდა გრიგორის მონაცვლის მეშვეობით, რომლის მართლმორწმუნეობის მოწაფენი ვართ და ვიქნებით. ელია სომეხთა კათალიკოსი გახდა სიმართლის მტერზე შურისმაძიებელი და ახლა ჩვენ ყველანი ვწყევლით „მწვალებლებს“ ... ქალკედონის კრებასა და ლეონის ტომარს... შევაჩვენეთ ჩვენი საცოდავი ნერსესიც, რომელიც სათნოეყო ორბუნებიანთა „წვალებას“ და მისი მიმდევარნი. ჩვენ შევადგინეთ ეს საბუთი ღმრთისა... რათა ამის შემდეგ აღარვინ გაბედოს გადაუხვიოს ჩვენი მამების ნაანდერძევს. ხოლო თუ გამოჩნდება ვინმე უტიფარი... ასევე შეჩვენებული იქნება... თუ ეპისკოპოსთაგანი იქნება ვინმე – ღირსება ჩამოერთვას და ტახტიდან ჩამოგდებულ იქნას. თუ მღვდელი – ასევე მოუვიდეს, თუ ვინმე ბერთაგანი, – შეჩვენდეს და განიდევნოს, ხოლო თუ აზატთაგანი იყოს – ეკლესი-

იდან მოიკვეთოს და ამხანაგებში გარევა აეკრძალოს, ვიდრე მართლმადიდებლურ რწმენაზე არ შემობრუნდეს“. (აქედან ჩანს, რომ არაბთა ზემოქმედებით ალბანელები (და არა მარტო ალბანელები, არამედ კავკასიის ქალკედონიტები) იძულებულნი არიან თავიანთი თავი სომხური ეკლესიის წევრებად გამოაცხადონ და დაგმონ ქალკედონიტობა. ქალკედონიტი სამღვდელოება განიკვეთება და განიდევნება, ქალკედონიტი ერისკაცები მოიკვეთება საზოგადოებიდან – „ამხანაგებიდან“ და ეკლესიიდან, მას ეკრძალება საზოგადოებასთან რაიმე კავშირი მანამ, სანამ არ მიიღებს „სომხურ სარწმუნოებას“. უნდა ვიფიქროთ, რომ ალბანეთის მეზობელ ქვემო ქართლში, სადაც არაბობას განსაკუთრებით ჰქონდა ფეხი მოკიდებული, მრავალმა ქართველმა ქალკედონიტმა იძულებით მიიღო „სომხური სარწმუნოება“).

ალბანეთის კათალიკოსი სომხეთში უნდა ეკურთხოს

ამის შემდეგ ალბანელ მონოფიზიტთა კრების მონაწილენი – სამღვდელოება, მთავრები და აზნაურები დებენ შეთანხმებას სომხეთის კათალიკოსთან ალბანეთის კათალიკოსის კურთხევის წესის შესახებ. ამ შეთანხმების თანახმად, ალბანეთის კათალიკოსის კურთხევა ხდება სომეხთა კათალიკოსის მიერ. ალბანთა კათალიკოსის კურთხევა უნდა მოხდეს სომხეთში „წმიდა გრიგორის ტახტზე“. თუ რომელიმე ალბანეთის კათალიკოსი გაბედავს და არ ეკურთხება სომხეთში – ის კათალიკოსად არ ჩაითვლება. კრების მონაწილეთა აზრით, ალბანეთის კათალიკოსი სომხეთში უნდა ეკურთხოს, იმიტომ რომ ალბანეთი სომხეთის მეშვეობით განათლდა და წმიდა გრიგორის დროიდან მისი კურთხევა სომხეთში ხდებოდა, ბოლო დროს კი ასეთი წესი დარღვეულა. კრება აღადგენს „ძველ წესს“.

„ჩვენ თავიდან დავაწესეთ აგრეთვე ალვანეთის კათალიკოსის ხელდასხმა, რადგან ბოლო ხანებში ჩვენმა კათალიკოსებმა დაარღვიეს ეპისკოპოსთა დადგენის წესი. გამოუცდელობით და უცოდინარობით ჩვენს ქვეყანაში განხეთქილებამ იჩინა თავი. ამიტომ შევთანხმდით ღვთისა და თქვენი მამამთავრობის წინაშე, რომ ალბანეთის მღვდელმთავრის კურთხევა წმიდა გრიგორის ტახტზე მოხდეს, ჩვენი ქვეყნის თანხმობით, როგორც ეს ხდებოდა წმიდა გრიგორის დროს. რადგანაც ჩვენ თქვენიდან გავნათლდით, ჭეშმარიტად გვწამს, რომ ვისაც თქვენ აირჩევთ, ის სასურველი იქნება ღვთისთვისაც და ჩვენთვისაც, ნურავინ გაბედავს ამ შეთანხმების დარღვევას და სხვანაირ მოქმედებას, ხოლო თუ ვინმე დაარღვევს – მისი ხელდასხმა გაუქმებულად ჩაითვლება... რწმენა იყოს მტკიცე და შეურყეველი ჩვენ ორივე ხალხს შორის“... (გვ. 143).

შეთანხმება დაიდო სომხური წელთაღრიცხვით 148, ანუ 699 წელს. კრებას სომეხთა კათალიკოსი ელია თავმჯდომარეობდა.

აქედან ჩანს, VII საუკუნის ბოლოს როგორ შეძლო სომხურმა ეკლესიამ მთლიანად გაბატონებულიყო ალბანურ ეკლესიაზე. ამის შემდეგ ალბანურ ეკლესიაში არაბთა ძალდატანებით აიკრძალა ქალკედონიტობა და ალბანელებმა „სომხური სარწმუნოება“ მიიღეს, რასაც შედეგად მოჰყვა ალბანურ ეკლესიაში უკვე დანერ-

გილი სომხურენოვანი წირვა-ლოცვის სრული გაბატონება. ალბანური ეკლესია მთლიანად გაითქვიფა სომხურ ეკლესიაში. ეროვნული ეკლესიის გარეშე დარჩენილი ალბანელთა დიდი ნაწილი მაჰმადიანდება და ასიმილირდება სხვა ხალხებში, მორწმუნე ქრისტიანი ალბანელები კი მონოფიზიტები არიან და სომხური ეკლესიის ნაწილი ხდებიან.

არაბებმა, ისე როგორც ადრე სპარსელებმა, „სომხური სარწმუნოება“ სავალდებულოდ აქციეს კავკასიელი ხალხებისათვის. თუ VII საუკუნის დასაწყისში ალბანურმა ეკლესიამ გაბედა და სომხურ ეკლესიას გამოეყო, მსგავსად კირიონისა, VII საუკუნის ბოლოს არაბები ალბანელებს საბოლოოდ უქვემდებარებენ სომხურ ეკლესიას. არსენი საფარელი და მოსე კალანკატუელი ერთხმად წერენ ალბანეთის სომეხთაგან გამოყოფის შესახებ VI-VII საუკუნეთა მიჯნაზე. ისინი ამ დროს უთითებდნენ პირველ მოციქულ ელიშაზე, რომელმაც ალბანური ეკლესია დააფუძნა – „...მხედარმთავრები აქეზებდნენ სომხებს, მოეთხოვათ სასულიერო პირველობა ალვანელებზე, რასაც ალვანელები არ ემორჩილებოდნენ. ისინი უთითებდნენ ერთ პირვანდელ მოციქულზე, რომელიც ალვანეთში მივიდა, მას ელიშა ერქვა. იქ უქადაგია და აღუშენებია ეკლესია სომხებზე უფრო ადრე. ეს არის აღმოსავლეთში პირველი დედა ეკლესიაო. ამ გისის ეკლესიას ერწმუნენ ალვანელები და სომხებისგან გაითიშნენ, რათა არ ყოფილიყვნენ სხვისი ხელისუფლების ქვეშ“. ახლა კი VII საუკუნის ბოლოს ალბანელებმა აღარ წამოაყენეს იდეა იერუსალიმიდან, უფლის ძმა იაკობისაგან ქრისტიანობის ალბანეთში შემოტანის შესახებ, ახლა ისინი უკვე აცხადებენ, რომ მათ სომხეთისაგან მიიღეს ქრისტიანობა. პირდაპირ წერენ კიდეც – „... ჩვენ თქვენგან გავნათლდით...“ (გვ. 143). ამიტომაც ალბანური ეკლესია უნდა დაექვემდებაროს სომხურს.

თავი IX. სომეხთა კათალიკოსი შეთანხმების წერილს აძლევს ალვანელებს

„უთანხმოებანი, რომლებიც ალვანეთში მოხდა რწმენის გამო ურჯულო ნერსესისაგან, მრავალთა სულებში ქალკედონიტურ რწმენას აღვივებს და თავისი ცბიერი ბოროტებით საშიშროებას უქმნის ეპისკოპოსებს, მღვდლებსა და ბერებს. როდესაც გავიგე მე, სომეხთა კათალიკოსმა ელიამ, ჩემს ეპისკოპოსებთან ერთად მივედი ალვანეთში, დიდებულ ქალაქ პარტავში. ჩემთან შეიკრიბნენ სასულიერონი და საერონი... ეპისკოპოსებმა და ეკლესიის მთელმა დასმა ხელწერილითა და ბეჭდით... დაადგინეს: თავისი ნებით მტკიცედ დაიცვან რწმენა და არ შეერიონ ქალკედონიტური რწმენისა და ბაკურის მოძღვრების მიმდევრებს... თუ ვინმე კათალიკოსი ან ეპისკოპოსი გადაუხვევს ამ შეთანხმებას, მაშინ მას აღარ უნდა ჰქონდეს უფლება მრევლზე... მე ელია, სომეხთა კათალიკოსმა ჩემს ეპისკოპოსებთან ერთად მივიღე შემომტკიცების წიგნი ალვანელთა კრებისაგან და მომეცით თქვენ ეს შეთანხმების წერილი...“ (გვ. 144).

თავი X. არაბთა ამირას დივანში ათავსებენ სიას ალბანელი მთავრებისა, იმისათვის: თუ რომელიმე მათგანი ქალკედონიტობას მიიღებს, სიკვდილით დასაჯონ

არაბი ამირას სამდივნოში მოათავსეს სია ალბანელი ნახარარებისა, მათ შორის ერთი მთავრისა, ერთი სპასპეტისა, პატრიკებისა, იშხნების მფლობელებისა – ისინი მონოფიზიტები იყვნენ, ერთი კი იაკობიტია. – „ყველა ესენი ჩაწერილი იყვნენ აბდალ მელიქ ამირ მუმნის დივანში, იმისათვის, რომ თუ ვინმე მათგანი აღიარებდა ორბუნებიანობას, სიკვდილით დაესაჯათ“ (გვ. 144).

(აქედან ჩანს, თუ რა სასტიკად დევნიდნენ არაბები ქალკედონიტებს და აძლიერებდნენ „სომხურ სარწმუნოებას“. თვით ქვეყნის მფობელი მთავრებიც კი სიკვდილით ისჯებოდნენ ქალკედონიტობისათვის. დაბალი ფენები კიდევ უფრო სასტიკად დაისჯებოდნენ, თუ ისინი გაბედავდნენ და „სომხურ სარწმუნოებას“ არ აღიარებდნენ. სასტიკად იდევნებოდა ქალკედონიტი სამღვდელოებაც. ქართლშიც ასეთივე ვითარება იყო. ქართლის მფლობელი ხოსროიანი მეფეები თავიანთი ქალკედონური სარწმუნოებისათვის სასტიკად დაისაჯნენ VIII საუკუნის დასაწყისში. იდევნებოდა ქართული ქალკედონიტური ეკლესიაც. მხოლოდ დასავლეთ საქართველო და მესხეთი – ბიზანტიის მფარველობის წყალობით გადარჩა „სომხური სარწმუნოების“ იძულებას).

თავი XXI. არაბულ ადმინისტრაციულ ერთეულ – „არმენიაში“ შედის ქართველთა და ალბანელთა ქვეყნები, მისი ამირა ერთვნებით სომეხია

სომეხ მთავარს საჰლ სმბატიანს 837 წელს „...სამეფოდან დიდი ჯილდო ერგო. მას უწყალობეს სომხეთის, იბერიისა და ალვანეთის მთლიანი გამგებლობა მთავრის უფლებით“. (გვ. 161)

838 წელს – „... უფალთუფალმა იუნესმა, რომელიც სომეხთა, იბერთა და ალვანელთა ხელისუფალი იყო, სამეფოსაგან კიდევ ითხოვა სამი ქვეყანა...“ (გვ. 161)

(იბერია ანუ ქართლი, ან მისი ერთი ნაწილი) შედის არაბთა მიერ შექმნილ ადმინიტრაციულ ერთეულში – „არმენიაში“, რომელშიც ქართლის გარდა, სომხეთი და ალბანეთი შედიოდა. ამ ადმინისტრაციული ერთეულის ამირები (ანუ ვოსტიკანი) IX საუკუნის შუა წლებში სომხები არიან. მათთვის მეფური უფლება მიუნიჭებიათ. ისინი, ცხადია, ხელს შეუწყობდნენ ქართლში „სომხური სარწმუნოების“ გავრცელებას).

თავი XXII. ალვანეთის კათალიკოსი საძუელი სომეხთა გარეშე ეკურთხა, რის გამოც შეაჩვენეს

ალბანელთა კათოლიკოსმა სამუელმა ხელდასხმა მიიღო არა სომხეთში, არამედ თავისი ალბანელი ეპისკოპოსების ხელით. ამ ამბავმა „...მეტად ააღელვა ალვანეთის იშხანები. მათ ერთხმად აცნობეს ეს სომეხთა კათალიკოსს, უფალ გევორგს,

ხოლო მან კანონიერი განჩინებით მისწერა სომეხთა იშხანებს და სთხოვა დახმარება ... ამასობაში კათალიკოსი სამუელი ბრძნულად მოურიგდა ალვანეთის თავკაცებსა და იშხანებს და მათ შორის მშვიდობა დამყარდა. ამის გამო სომხებმა შეაჩვენეს ალვანელები. სომეხთა იშხანი აშოტი მოითხოვდა წმიდა გრიგორის მიერ განწესებას და სომეხთაგან ხელდასხმას... სომეხთა დიდმა მთავარმა მისწერა გევორგ მღვდელმთავარს ამის შესახებ, ამასთანავე დაარწმუნა სამუელი დათანხმებოდა მთელი ალვანეთის სურვილს და თუნდაც თავისი ნების გარეშე წასულიყო დვინს და... ხელმეორედ მიეღო ხელდასხმა სომეხთა კათალიკოს გევორგისაგან". ეს მოხდა 877 წელს.

დაახლოებით 893 წელს არაბი მხედართმთავარი „...თავს დაესხა ქართველთა ქვეყანას. მის წინააღმდეგ გამოვიდა ორი მამაცი ქართველი მხედართმთავარი გიორგი და მისი ძმა არავესი. ორივე წამებით დახოცა" (გვ. 164).

თავი XXIV. ალბანელთა მამამთავრები

ალბანეთის „...უწინდელ პატრიარქთა საქმენი, დრო და სახელები დაკარგულან..." (გვ. 168). ალბანთა განათლების წყარო ყოფილა წმიდა ელიშა, წმიდა თადეოზის მოწაფე (მიაქციეთ ყურადღება ამ თხზულების VI საუკუნის დასასრულისა და VII საუკუნის დამდეგის ავტორის იდეით, ალბანთა განმანათლებელი წმიდა ელიშა უფლის ძმის, იაკობის მოწაფეა, დაკავშირებულია იერუსალიმთან და არავითარი კავშირი არა აქვს სომხეთთან, უფრო მეტიც, ის სომხებზე უფრო ადრე აარსებს სამოციქულო ტახტს ალბანეთში. ეს იდეა იცვლება VII საუკუნის დასასრულს. ამ დროს ალბანეთში ჩასული სომეხთა კათალიკოსი ელია მთლიანად უცვლის ამ იდეას სახეს და გადმოგვცემს, რომ მოციქული ელიშა მოწაფე იყო თადეოზ მოციქულისა. ეს იდეა მეორდება X საუკუნემდე. თადეოზი სომხური ეკლესიის დამაარსებლად იყო აღიარებული. თუ ელიშა თადეოზის მოწაფე იყო, მაშინ ალბანთა განმანათლებელი მოწაფე ყოფილა სომეხთა განმანათლებლისა. ამიტომაც ალბანური ეკლესია სომხურს უნდა დაემორჩილოს).

„შემდეგ იყო ყრმა გრიგორისი, სომეხთა განმანათლებლის გრიგორის შვილიშვილი"... (ე.ი. ალბანთა კათალიკოსი იყო); „...შექმნა ნეტარმა მესროპმა ალვანური დამწერლობა. მანვე დიდი შრომის შედეგად ანბანი მისცა სომხებსა და ქართველებს. შემდეგ იყო უფალი აბასი, რომელმაც სომხური წელთაღრიცხვის დასაწყისში საპატრიარქო ტახტი ჩორიდან პარტავში გადაიტანა... მისი დროიდან ჩვეულებად იქცა დაეწერათ ასეთი პატივი: „ალვანთა, ლფინთა და ჩორის კათალიკოსი". დვინის კრებდან მას მიუთითეს, რათა ეღიარებინა მხოლოდ ერთბუნებიანობა ქრისტესი..." (გვ. 168).

„უფალი ვირო... მან ხაზარი შათის ტყვეობიდან გაათავისუფლა სომხები, ქართველები და ალვანელები... უფალი ზაქარია... (მან) სიუნქის ეპისკოპოსად აკურთხა ვინმე ვრთანესი, რაც მოხდა სომეხთა ნების გარეშე" (გვ. 168). „უფალი ნერსესი... მას გონება აერია, მოინდომა ალვანელთა კეთილშობილი სახლი ჩამოეშორებინა და ქალკედონიტური რწმენისათვის დაემორჩილებინა".

„უფალმა მიქაელმა დასწყევლა აგრეთვე ქართველთა მწყემსი თალალე, რადგანაც მან ნება დართო უკანონო ქორწინებას“.

„უფალი სამუელი... მან თვითონ, ხელდასხმის გარეშე მიიღო სამამამთავრო პატივი, რის გამოც განთავისუფლებულ იქნა. ხელმეორედ ხელდასხმა მიიღო სომეხთა კათალიკოს გეორგისაგან დვინში. უფალი იუნანი... კათალიკოს გეორგის დაუკითხავად მივიდა ალვანეთში და ხელდასხმაც მის გარეშე მიიღო, შემდეგ თვითონ გეორგმა ხელმეორედ აკურთხა ის“ (გვ. 170).

თავი VII

ქართული ეკლესია VIII-X საუკუნეებში

„ჩვენმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა,
რომ მამული და ერთოვნება რწმულთან ერთად
შეერთებული, რწმულთან შეხორცებ-თვისებული,
უძლეველი ხმალია და შეულეწელი ფარი
მტრისა წინაშე“.

ილია მართალი

„ქართლის“ ისტორიული გეოგრაფია VIII საუკუნისათვის

ქართლის წყაროთა თანახმად, V საუკუნესა და წინა საუკუნეებში სიტყვა „ქართლის“ ქვეშ იგულისხმებოდა მთელი საქართველო.

აღმოსავლეთ საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთი პროვინციებიც – კახეთი და ჰერეთი – ქართლის ნაწილი იყო. V საუკუნის ავტორს ასე აქვს გადმოცემული: „ვითარცა მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა ქვეყანასა მას ჰერეთისასა... წინა მიეგებნენ მას აზნაურნი“.[1]

ჰერეთი ქართლის ერთ-ერთი შემადგენელი ქვეყანაა, ხოლო ქართლის საზღვრები მტკიცედ არის განსაზღვრული. იაკობ ხუცესმა კარგად იცის, თუ სად გადის ქართლის სახელმწიფოს საზღვარი და ისევე, როგორც ლეონტი მროველი, ჯუანშერი და სხვა ძველი ქართველი მემატიანეები, ხმარობს ტერმინს „საზღვარი ქართლისაჲ“. ჰერეთი, მისი სიტყვით, ქართლის საზღვრებს შიგნით მოქცეული ქვეყანაა. ჰერეთში წამებული წმიდა შუშანიკის ამბავი მთელ ქართლს მოეფინა, „განითქვა ყოველსა ქართლსა საქმე მისი“, წმიდანის სანახავად „აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს“.[2]

ქართლი სხვაგან კი არ არის, არამედ თვითვე ჰერეთია ქართლი, ასევე დასავლეთ საქართველო, კერძოდ, ეგრისის ზღვის სანაპირო კლისურამდე ქართლის ერთ-ერთი ქვეყანა იყო. სწორედ ამიტომ ამ ტერიტორიების ბერძნების მიერ დაპყრობის დროს, მთელ ივერიაში – ქართლში ურვა და წუხილი დაიწყო.

ქართლსა და საბერძნეთს შორის თავიდანვე იყო საზღვარი დადებული, ქართლის სამეფოს შექმნისთანავე, ფარნავაზის დროს. ფარნაოზმა „ქუჯის მისცა ქვეყანა... ეგრისის წყლამდე...“, ხოლო გორგასალს – „...უკუსცა კეისარმან საზღვარი ქართლისა ციხე თუხარისი და კლარჯეთი... გამოიკითხა კეისარმან საზღვარი საბერძნეთისა და ქვეყანა ზღვისპირისა, რომელ არს აფხაზეთი და ჭრქუა: ეგრისის წყლითგან ვიდრე მდინარემდე მცირისა ხაზარეთისა ესე საზღვარი არს საბერძნეთისა ალექსანდრობითგან“.[3]

კეისარმა ვახტანგ გორგასლის სახელმწიფოს დაუბრუნა ის ტერიტორიები, რომელნიც ისტორიულად შედიოდნენ ქართლში.

ეგრისწყალს იქით მდებარე ქვეყანა ქართლს ეკუთვნოდა. მართლაც, არსებობს „ეგრისწყალსაქეთის“ შესაბამისი ძველქართული ტერმინი – „ეგრისწყალქვემო ქვეყანა“, ვახტანგ გორგასლის ძემ დაჩიმ „უკუმოიხვნა ეგრისწყალსქუემოთი ქუეყანა“.[4]

ვახტანგ გორგასალის მეოხებით ქართლის საზღვარი გადაწეული იქნა ჩრდილოეთით და ქართლსა და საბერძნეთს შორის სახელმწიფო საზღვარი მდინარე ეგრისწყლის ნაცვლად დაიდო მდ. კლისურაზე – „კლისურა რომელი მასა ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოჲსა“, „ზღუდე იგი საზღვარი კლისურისა“.[5]

ასე რომ, ქართლი ვახტანგ გორგასლის დროს, ისევე როგორც მანამდე და მის შემდეგ, ვიდრე VIII საუკუნის შუა წლებამდე, ერთიანი ქვეყანაა, რომელსაც აქვს მტკიცედ განსაზღვრული საზღვრები მეზობელ სახელმწიფოებთან. დასავლეთით ქართლის ცნებაში შედის ეგრისი, აღმოსავლეთში კი – ჰერეთი, ხოლო სამხრეთით ციხე-თუხარისი და კლარჯეთი. ასეთია მტკიცებანი ქართული წყაროებისა.

„ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდი – უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენებით აღივსო: გაერთიანდა აღმოსავლეთი „ივერია“ და დასავლეთი „ეგრისი“. ქართლ-კახეთის გარდა; ამ ერთიან სამეფოს ფარგლებში შემოვიდა ალვანეთის მომიჯნავე მხარეებიც (ჰერეთი, კამბეჩანი)“[6].

ვახტანგ გორგასლის შემდეგ მალევე, მიუხედავად იმისა, რომ მისი ქვეყანა სპარსელებმა და ბიზანტიელებმა დაიპყრეს, ქართლი მაინც ერთიანია, მას ერთი კანონიერი მმართველი ჰყავს (ნომინალური) სამეფო გვარიდან.

ქართლის ცხოვრების მიხედვით, ვახტანგის ძე დაჩიც მთელ ქართლს მართავს. მან ქართლს დაუბრუნა „ეგრისწყალსქვემოთი ქვეყანა“.

XXXVI მეფე ფარსმანმაც „დაიპყრო ყოველი გიორგია“ – ანუ მთელი ქართლი – საქართველო. მის დროსვე ქვეყნის შიგნით სხვადასხვა პოლიტიკური დაჯგუფების წარმოქმნა, ურთიერთგამიჯვნა მიმდინარეობდა (528-542 წლებში).

მეფე ფარსმანი სპარსელების მომხრეა, ხოლო ძენი მირდატისანი – ბერძნებისა.

XXXVII მეფის ფარსმან VI-ის დროს (542-557) „არღარა მოიყვანდიან კათალიკოსსა საბერძნეთიდან“. მის დროს შემოსულა 12 სირიელი მამა.

XXXVIII მეფის ბაკურის შემდეგ ქართლი, ანუ საქართველო დაიშალა საერისთავოებად.

გუარამ კურაპალატმა (575-600), რომელსაც „მოსცა მეფობა საქართველოსი კეისარმან“...[7] – „ერისთავნი ვერ სცვალნა, ვინაიდგან გუჯრით აქვნდათ მფლობელობა კეისრისა და სპარსთა მეფისაგან, გარნა მორჩილებასა შინა გუარამისა იყვნენ“.[8]

აქედან ჩანს, რომ ქვეყანა, ფაქტობრივად, გაყოფილია სპარსეთსა და საბერძნეთს შორის. ეს ქვეყნები თვითონ ამტკიცებენ ერისთავებს საქართველოში, მაგრამ საქართველო, ანუ ქართლი მაინც ერთიანი ქვეყანაა და ერისთავები ერთ ქართველ მეფეს – ქართლის მეფეს ემორჩილებიან.

რა იყო ამის მიზეზი, რამ შეუნარჩუნა ასეთ პირობებში ქართლს ერთიანობა?



„ფაქტია ისიც, რომ მიუხედავად პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვისა, ქართლი VI საუკუნის განმავლობაში... ეკონომიკურ აღმავლობას განიცდის...“[9] ამ დროს გაცხოველებულა-გაღრმავებულა საქართველოს სხვადასხვა პროვინციებს შორის ეკონომიკური კავშირი, გაფართოვებულა შინაგანი ბაზარი. „ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა და აპირობებდა ამ ცალკეული პროვინციების შერწყმა-გაერთიანების პროცესს. ამდროინდელი ქართლის ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის მაჩვენებელია მნიშვნელოვანი არქიტექტურული ნაგებობანი, რომლებიც ამ პერიოდში იქმნება და რომელთა დაგვირგვინებასაც წარმოადგენს ქართული ხელოვნების ბრწყინვალე ძეგლი – მცხეთის ჯვარი“.[10]

ასე რომ, ვახტანგ გორგასლის შემდეგ ქართლი კი არ დაშლილა, პირიქით, მიმდინარეობდა „ცალკეული პროვინციების შერწყმა-გაერთიანების პროცესი“ და „ეკონომიკური კულტურული აღმავლობა“. სწორედ ამით იყო გამოწვეული ის, რომ სხვა სახელმწიფოების მიერ „მფლობელობა“ მინიჭებული ერისთავები ერთ ქართლის მეფეს, ანდა მთავარს ემორჩილებიან.

ადარნასე მთავარსაც, მცხეთის ჯვრის ერთ-ერთ აღმშენებელს, ყველა ერისთავი ემორჩილება. მაგრამ ერისთავების შეცვლა მას არ შეუძლია. ადარნასეს ძე სტეფანოზ მთავარი და მისი ძენი – არჩილი და მირი გადადიან დასავლეთ საქართველოში, ეგრისში და იქიდან მართავენ სახელმწიფოს: ეგრისი რომ ქართლის სამეფოში შემავალი ქვეყანა არ ყოფილიყო, ქართლის მეფე-მთავრები იქ ვერ დადგებოდნენ.

არჩილ მეფის ერთ-ერთი ძე, იოვანე, ეგრისის მმართველი მთავარი იყო. მას მემატიანე „იოვანე ერისთავს“ უწოდებს.

ეგრისი ქართლის ერთ-ერთი ქვეყანა იყო იმითაც, რომ ქართლის კათალიკოსი კირიონი ხელდასხმულია „...გუგარქის, ქართლის და ეგრისის კათალიკოსად“.[11] ამასვე მიუთითებს ატენის სიონში ახლადაღმოჩენილი წარწერები, სადაც ქართლის ერისთავი ამავე დროს ეგრისის ერისთავიცაა.

წმიდა მეფე არჩილის მემატიანეს ერთ-ერთ წყაროდ გამოუყენებია ანონიმის თხზულება, რომელიც ასახავს სწორედ იმ ეპოქას, რომელსაც იგი გულისხმობს, ე.ი. არჩილის მოღვაწეობის ხანას. არჩილი კი, ჩვენი აზრით, VIII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეა.[12]

ამ ანონიმის კონცეფციით „...დასავლეთი საქართველო, ანუ ეგრისი, აფხაზეთის გამოკლებით, ქართლს წარმოადგენს, ანუ უკეთ, დასავლეთ საქართველოს შემადგენელი მხარეები არიან იგივე „ქვეყანანი ქართლისანი“. როგორც ვიცით, ასეთი კონცეფცია საერთოდ ახასიათებს „ქართლის ცხოვრებას“ და მას გარკვეული საფუძველიც უნდა ჰქონდეს. ანონიმის მიხედვით, „ქართლის მეფეებს“ მირს და არჩილს, რომლებიც მურვან ყრუს შემოსევისას დასავლეთ საქართველოს აფარებენ თავს, ამ უკანასკნელზე სუვერენული უფლებები აქვთ“.[13]

„სიკვდილის წინ მირი ეუბნება არჩილს: „მამაცა ჩვენი მოკვდა შფოთსა ამას შინა და ვერ წარვეცით იგი მცხეთას. წარსცენ ძვალნი მისი და დაფლენ საყდარსა ქუთაისსა, რათა იპოვოს იგი საწამებლად სამკვიდროსა ჩვენისა“. ე.ი. ქუთაისის საყდარი, სადაც სტეფანოზ ქართლის ერისთავის საფლავია, იქნება სიმბოლო ქართლის მმართველთა ახალი რეზიდენციისა. ეს ტენდენცია სახელმწიფოს კულტურულ-პოლიტიკური ცენტრის დასავლეთში, კერძოდ კი ქუთაისში გადატანისა, მართლაც, შესაძლებელია უკვე მაშინ არსებულიყო, რამდენადაც VIII საუკუნის 40-იანი წლებიდან, როგორც ვიცით, თბილისი არაბი ამირას ადგილ-სამყოფელი ხდება“.[14]

როგორც აღნიშნული გვქონდა, საზღვარი ქართლსა და „საბერძნეთს“ შორის გადიოდა მდინარე კლისურაზე. არაბობის დროს მეფე არჩილი გადასული იყო „საბერძნეთში“, მდინარე კლისურას იქით. ქვეყნის დაწყნარების შემდეგ მეფე არჩილმა ადგილობრივ ერისთავს – აფხაზეთის მმართველს, რომელიც „კეისრის-

გან“ იყო დადგინებული („ერისთავი კეისრისა ლეონ“), უთხრა – „...აწ უწყიეს შენება ადგილთა ჩვენთა კლისურითგან აღმართ. წარვალ და დავეშენები ციხე გოჯს და ქუთაისს“.[15]

კლისურითგან „აღმართი“ ქვეყანა ქართლის მეფეთა საკუთარი „ადგილია“ – ქართლია.

არჩილი არაბებთან ომის წინ აგონებს მირს, რომ ქართლიდან წამოღებულ საგანძურთა შორის „ორნი იგი გვირგვინნი ოქროისა და ანთრაკისანი: ერთი მირიან მეფისა და ერთი ვახტანგისი. შენ და მამამან ჩვენმან დასდევით იგი ქუთათის და ციხე გოჯის“.[16]

სამეფო ნიშნების, ძველი ქართლის მეფეთა სამეფო გვირგვინების ქუთაისსა და ციხე გოჯში „დადებით“, ეს ქალაქები ქართლის პოლიტიკურ ცენტრებად უნდა ქცეულიყვნენ.

ასე რომ, VIII საუკუნის 50-იან წლებამდე სიტყვა „ქართლის“ ქვეშ იგულისხმებოდა მთელი საქართველო, როგორც მისი აღმოსავლეთი, ასევე დასავლეთი ნაწილი. ამიტომაც, ქართლის საკათალიკოსო თავის იურისდიქციას ახორციელებდა არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოზე, არამედ დასავლეთ საქართველოზეც, საკათალიკოსოს დაარსების დროიდან – V საუკუნიდან, ხოლო ქართული ეკლესია თავის უფლებამოსილებას ახორციელებდა დასავლეთ საქართველოზე ქართული ეკლესიის წარმოქმნის დროიდანვე.

VIII საუკუნის მეორე ნახევარში (80-90-იან წლებში) არჩილის ძის, იოვანე ეგრისის ერისთავის გარდაცვალების შემდეგ, იშლება ქართული სამეფო. ერთიანი ქართლის სამეფო გაიყო სამ ნაწილად: წარმოიქმნა „აფხაზეთი“, „ქართლი“ და „კახეთი“. ამ დრომდე, ე.ი. VIII საუკუნის 80-90-იან წლებამდე – ფარნავაზ პირველი მეფიდან არჩილ მეფის შვილებამდე, ყოველთვის სიტყვა-ტერმინი „ქართლი“ აღნიშნავდა მთელ საქართველოს, ხოლო ამის შემდეგ დასავლეთ საქართველოს უკვე აღარ ეწოდებოდა ქართლი, არამედ ეწოდებოდა აფხაზეთი.

ქართლის სამეფო თითქმის უწყვეტად არსებობდა ფარნავაზ მეფის შემდეგ VIII საუკუნემდე, თითქმის 1000 წლის განმავლობაში, ხოლო VIII საუკუნეში ქართლის სახელმწიფოს დაშლის შედეგად, როგორც აღვნიშნეთ, წარმოიშვა აფხაზეთის, ტაოკლარჯეთის (ქართლის), კახეთისა და ჰერეთის სამეფოები.

„ხოლო ამიერიდგან იწყო შემცირებად მეფობამან დიდთა მეფეთა ხუასროანთამან. პირველად უფლება სარკინოზთა განდიდნა და მიერიდგან მიეცა ყოველი ესე ქვეყანა ჟამითი ჟამად რბევასა და ოხრობასა“.

„განირყვნა ქვეყანა, რამეთუ რომელი გამოჩნდის ღირსი მეფედ ხოსროვანი აგარიანთაგან შემცირდიან, ვინაჲთგან განდიდნა ძალი სარკინოზთა და დაიპყრეს ქართლი და ტფილისი და განმრავლდნენ მთავარნი“.[17]

არაბების შემოსევის გამო „კლისურის იქითა ქვეყანა“ – აფხაზეთი ბერძენთა ბატონობისაგან გათავისუფლდა, „რამეთუ მოუძლურებულ იყვნენ ბერძენნიცა აგარიანთაგან, ვინაითგან მიუღიეს ზღვის გარეთი“.[18]

ე.ი. საბერძნეთის „ზღვისგარეთი“ ქვეყანა – მცირე აზია, არაბებს დაუპყრიათ. ამის გამო, საბერძნეთი მოუძლურებულა. ამით უსარგებლია აფხაზეთის ერისთავს, ლეონ II-ს და თავისი ქვეყანა გაუთავისუფლებია.

ეს ქვეყანა „ისტორიულად“ „ბერძნებს“ ეკუთვნოდა და მდებარეობდა ქართლის მდინარე კლისურას გადაღმა. ამ ქვეყანაში – აფხაზეთში, ერისთავებს ნიშნავდა კეისარი. ამ აფხაზეთს შეაფარეს თავი მურვან ყრუსაგან დევნილმა მეფე მირმა და არჩილმა. აქვე მათ დაამარცხეს მტერი – „სარკინოზნი უკუნ იქცნენ მეოტნი“. აფხაზეთში ბიზანტიის მტრებზე ქართველ მეფეთა გამარჯვებით კმაყოფილ კეისარს „ლეონისათვის მიეცა მკვიდრად ერისთაობა აფხაზთა მსახურებისათვის მეფეთასა, რამეთუ ესე ლეონ I ერისთავი იყო მუნ კეისრისაგან“.[19] აქვე გარდაიცვალა მეფე მირი,ხოლო მისი ქალიშვილი მიათხოვეს ლეონ აფხაზთა ერისთავს. ლეონი აფხაზეთის ერისთავია, ხოლო არჩილის შვილი იოვანე – ეგრისის ერისთავი, იოვანე ერისთავის სიკვდილის შემდეგ,აფხაზეთის ერისთავი ლეონ II ხდება ეგრისის, ანუ მთელი დასავლეთ საქართველოს მმართველი – „...ლეონ დაიპყრა სრულიად ეგრისი და იწოდა მეფე აფხაზთა. „მემატიანე ქართლის სამეფოს კუთვნილ ტერიტორიაზე „აფხაზთა სამეფოს“ წარმოშობის მიზეზად იოვანე ერისთავის სიკვდილის გარდა, ასახელებს მეფე არჩილის ძის, ქართლის მთავრის, ჯუანშერის სიბერესაც – „ჯუანშერიცა დაბერებულ იყო“. ნამდვილი მიზეზი, ცხადია, არაბების მიერ ქართლის სამეფო სახლისა და სამეფოს ცენტრალური ნაწილის განადგურება იყო“.

ქართლის სამეფოს VIII საუკუნეშივე გამოეყო კახეთის დამოუკიდებელი სამთავრო – „კახეთის სამთავრო ქართლს აგრეთვე VII საუკუნის მეორე ნახევარში უნდა გამოყოფოდა, ყოველ შემთხვევაში 764 წლის შემდეგ“.[20]

ქართველი მემატიანის თანახმად, „აფხაზთა სამეფოს“ წარმოქმნისთანავე წარმოიქმნა კახეთის სამთავრო – „...ჯუანშერიცა დაბერებულიყო და მოკუდა იგიცა... კუალად განდგა გრიგოლი მთავარი. ამან დაიპყრა კახეთი“.[21]

ეს იყო ქართული სამეფოს საბოლოო დაშლა; თუმცა, ეს სამეფო მაინც განაგრძობდა არსებობას შიდა ქართლსა და ტაო-კლარჯეთში.

ერთიანი ქართლის, ერთი პოლიტიკური ერთეულის, ადგილზე წარმოიქმნა სამი პოლიტიკური ერთეული – „აფხაზეთი“, „ქართლი“, „კახეთი“. აფხაზეთის სამეფოს წარმოშობის, ანუ დასავლეთ საქართველოს ქართლის სახელმწიფოსაგან ჩამოცილების შემდეგ, ჩანს, მოხდა ეკლესიის ადმინისტრაციული გაყოფაც – ქართლის საკათალიკოსოს შიგნით ჩამოყალიბდა დასავლეთ საქართველოს ეკლესია და წარმოიქმნა აფხაზეთის საკათალიკოსო.

როგორც აღნიშნული გვქონდა, VIII საუკუნის 20-იან წლებამდე დასავლეთ საქართველოს ქრისტიანები ექვემდებარებოდნენ ქართლის კათალიკოსს, ისევე როგორც კახეთისა. „ამის შესანიშნავი მოწმობაა ჯვრის ტიპის ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა ქართლსა, კახეთსა და ეგრისში; კირიონის ხელდასხმა გუგარქის, ქართლისა და ეგრისის კათალიკოსად“.[22]

„...ამ თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვნად გვეჩვენება ვახუშტი ბატონიშვილის ერთი ჩვენება: „არს ხონს ეკლესია დიდი გუმბათიანი, მშვენიერი ნაგები, ზის

ეპისკოპოსი, მწყემსი ვაკისა. ეს იყო ერთობასა შინა ქართლისა მთავარეპისკოპოზისა შემდგომად განყოფილსა დასვეს აქა ეპისკოპოზი“.

ვახუშტის ეს ცნობა ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ აზრს, რომ საქართველოში ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, ქართული ეკლესიის ერთობის დროს, დასავლეთ საქართველოს მრევლი ემორჩილებოდა ქართლის მთავარეპისკოპოსს, ქართლის კათალიკოსობის წარმოქმნის შემდეგაც, ეს მრევლი მცხეთის (სამთავროს) ეპისკოპოსის მრევლია. როგორც აღვნიშნეთ, ეს იყო ქართული ეკლესიის ერთობის დროს (V-VII საუკუნეებში, VIII საუკუნის შუა წლამდე), ვახუშტი წერს, – „...ეს იყო ერთობასა შინა ქართლისა მთავარეპისკოპოზისა“, ხოლო ერთიანი ქართული ეკლესიის გაყოფის შემდეგ, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს წარმოქმნის შემდეგ, ხონში, ანუ დასავლეთ საქართველოს ცენტრში – ვაკე სამოქალაქოში დაუსვამთ ეპისკოპოსი – „... შემდგომად განყოფისა დასვეს აქა ეპისკოპოზი“.

„ვახუშტის ამ ცნობიდან, რომელიც, ეჭვი არ არის, მას რომელიღაც ძველი წყაროდან უნდა ჰქონდეს, გამოდის, რომ ერთიანი საქართველოს სამეფოს არსებობის პირობებში ვაკე იმერეთი, ანუ სამოქალაქო, ქართლის მთავარეპისკოპოსის იურისდიქციას ემორჩილება...“[23]

ვახუშტი „ერთობასა შინა“-ში გულისხმობს არა ქართული სახელმწიფოს ერთობას, არამედ ქართული ეკლესიის ძველ ერთობას VIII საუკუნემდე, მაგრამ ქართული ეკლესია XI საუკუნის შემდეგ კვლავ გაერთიანდა, ამიტომ მკითხველი რომ არ დაიბნეს, თუ ეკლესიის რომელ ერთობაზეა საუბარი, ვახუშტი ბრძანებს: „... ერთობასა შინა ქართლის მთავარეპისკოპოზისა...“ ვახუშტის დროს მკითხველმა კარგად იცის, რომ მთავარეპისკოპოსობა, ანუ მთავარეპისკოპოზ-კათალიკოსობა არსებობდა V-VIII საუკუნეებში, ხოლო კათალიკოს-პატრიარქობა XI საუკუნის შემდგომ. ვახუშტი მთავარეპისკოპოზისდროინდელი ერთობის ქვეშ გულისხმობს V-VIII საუკუნეებს. „მართლაც, შეუძლებელია XI საუკუნის ერთიანი საქართველოს მონარქიის ჩამოყალიბების შემდეგ, როცა ქრისტიანობა აყვავებული იყო და საეპისკოპოსო უამრავი, დასავლეთ საქართველოს ერთი ნაწილის საეპისკოპოსო დამორჩილებოდა მცხეთის მთავარეპისკოპოსს და არა საქართველოს „მცხეთის“ პატრიარქს“.[24]

„ერთიანი საქართველოს მონარქიის არსებობის დროს, ასეთი მოვლენის წარმოქმნა გაუგებარია. საფიქრებელია, რომ იგი გაცილებით უფრო ძველი დროის ნაყოფია და მაინცდამაინც იმ დროისა, როდესაც ეგრისი ძლიერი ქართლის კულტურულ ექსპანსიას განიცდიდა. შესაძლებელია, ეს ფრიად საინტერესო ფაქტი დაკავშირებული იყოს იმ მოვლენასთან, რომელიც ფიქსირებულია სომხურ წყაროში და რომლის მიხედვით „წინანდელ წესთა მაგალითისამებრ“ VII საუკუნის დასაწყისში ქართლის კათალიკოსის იურისდიქცია ეგრისის გარკვეულ ნაწილზე ვრცელდება.[25]

„ამგვარად გამოდის, რომ უძველესი დროიდანვე (V ს-დან) ეგრისის აღმოსავლეთ ნაწილში ოფიციალური ქრისტიანული კულტი ქართულ ენაზე სრულდებოდა... მთელ იმ ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს სწორედ ვაკე იმერეთს – არგვეთის უდიდეს ნაწილს, რაჭა-ლეჩხუმიანად, არც ერთი ბიზანტიური საეპიკოპოსო კათედრა არ მოიხსენიება. ეს გარემოება არ უნდა იყოს უმიზეზო და ამდენად, ყვე-

ლაფერი ზემოთ თქმული გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ამ ტერიტორიაზე უკვე მაშინ მცხეთის კათალიკოსის იურისდიქცია მოქმედებდა ქართული ენით, ქართული მწიგნობრობით და, აქედან გამომდინარე, ყველა ღრმა შედეგებით. ამ კონტექსტში საამისო მყარ არგუმენტად მოჩანს VII საუკუნის მცხეთის ჯვრის ტიპის ტაძრის აგება ჭყონდიდში".[26]

თუ ქართლის კათალიკოსის იურისდიქცია ვრცელდებოდა მთელ საქართველოზე, როგორც აღმოსავლეთზე, ისე დასავლეთზე, მაშინ უნდა აიხსნას დასავლეთ საქართველოში ბერძნული საეპისკოპოსოების წარმოქმნის მიზეზები. ჩანს, ბერძნული ქრისტიანული ცენტრები საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე თანდათან გაქრისტიანებული ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებისათვის კი არ წარმოიქმნა, არამედ ეს ცენტრები შეიქმნა ერთდროულად „ბერძნულ-რომაული ჯარისკაცებისა და გარნიზონისათვის", აგრეთვე, ზღვისპირა პოლისების სავაჭრო არაქართული ქალაქებისათვის.

საქართველოს ზღვისპირეთის ყველა ბერძნული საეპისკოპოსო ბიჭვინთის გარდა, შეიქმნა VII საუკუნის შემდგომ. ამ დროს საქართველოში შემოჭრილმა იმპერატორმა ჰერაკლემ გარკვეული მიზეზების გამო, მცხეთის საკათალიკოსოს ჩამოაჭრა დასავლეთის ზღვისპირა ტერიტორიები, სადაც კონსტანტინოპოლმა თავისი იურისდიქცია განახორციელა.

საქართველოს შავიზღვისპირა ბერძნული საეპისკოპოსოები, ეროვნული საეპისკოპოსოები რომ არ იყვნენ, ეს იქიდანაც ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოდან ბიზანტიელების გარნიზონების გაყვანისა და ქვეყნის გათავისუფლების შემდეგ, VIII-IX საუკუნეებში, ეს საეპისკოპოსოები გაუქმდნენ, ხოლო ტერიტორია აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შევიდა. სულიერი თვალთახედვით, თავის მხრივ, აფხაზეთის საკათალიკოსო იყო მცხეთის საკათალიკოსოზე დამორჩილებული, ქართული საეკლესიო ენით, ქართული მწიგნობრობით. ის იყო ერთიანი ქართული ეკლესიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. მისი მეთაური მცხეთის კათალიკოსს ექვემდებარებოდა სულიერად, ხოლო მირონს აფხაზეთის საკათალიკოსო მცხეთის საკათალიკოსოდან იღებდა. აფხაზეთის საკათალიკოსო, „ქართლის ცხოვრებისა" და უცხოურ წყაროთა მოწმობით, დაარსებულა ბიზანტიელი იმპერატორის, ლევ ისავროსის დროს, 720 წელს, ხოლო იურიდიული გაფორმება მიუღია, ანუ ქართველ მეფეებს აფხაზეთის საკათალიკოსოს არსებობა უცვნიათ 830 წელს.

გიორგი მერჩულისათვის ძალზე კარგად არის ცნობილი, რომ ისტორიულად ქართლი ეწოდებოდა, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს უძველესი დროიდან VIII საუკუნის შუა წლებამდე. მართალია, მის დროს დასავლეთ საქართველოს ეწოდება არა ქართლი, არამედ აფხაზეთი, მაგრამ მან იცის, რომ ეს არის პოლიტიკური მდგომარეობის შედეგი, ხოლო სულიერად და კულტურულად, აფხაზეთი, ე.ი. დასავლეთ საქართველო, IX-X საუკუნეებშიც ქართლია, აფხაზეთის სამეფოს უდიდესი ძლიერების დროსაც კი. ეს, როგორც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ჩანს, ცნობილია არა მარტო ქართული და საეკლესიო პოლიტიკური წრეებისათვის, არამედ იერუსალიმის საპატრიარქოსთვისაც, რომელიც ავალდე-

ბულებს აფხაზეთის საკათალიკოსოს, მირონი მიიღოს ქართლის საკათალიკოსოდან. ეს საკითხი განხილულია ქვემოთ.

ქვეყნის ზომაღი მდგომარეობა VIII-X საუკუნეებში

ჯუანშერი გადმოგვცემს, რომ არაბთა შემოსევებით შეწუხებულმა მეფე სტეფანოზმა თავისი სამეფო საგანძური შუაზე გაჰყო. ერთი ნახევარი გადაიტანა თავისი სამეფოს დასავლეთ ნაწილში – ეგრისში, ეგრისშივე თან წაიყვანა თავისი პირმშო – ტახტის მემკვიდრე მიჰრი. საგანძურის მეორე ნახევარი მისცა უმცროს ვაჟს არჩილს, რომელმაც ეს განძი გადაიტანა ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში და იქ დაფლა (შეინახა). განძის ნაწილი გორშიც შეინახა, ხოლო საეკლესიო საგანძური მთლიანი საქართველოსი (ყოვლისა ქართლისა) დაფლეს მცხეთაში. მალე არჩილიც ეგრისში გადავიდა.

736-38 წლებში საქართველოში მურვან ყრუ შემოიჭრა. საქართველოს მთავრები და ერისთავებიც კი კავკასიის მთების ტყეებში და ღრეებში იმალებოდნენ.

„და ყოველნი მთავარნი და პიტიახშნი ნათესავნი ერისთავთა და წარჩინებულთანი შეიმეოტნეს კავკასიად და დაიმალნეს ტყეთა და ღრეთა და მოვლო ყრუმან ყოველი კავკასია... შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი საზღვართა ქართლისათა“.[27]

როგორც აღინიშნა, ამ დროს საზღვარი ქართლისა (ანუ საქართველოსი) გადიოდა კლისურაზე და ეგრისი ქართლის მეფეთა სამეფოში შედიოდა.

მურვან ყრუმ, როცა გაიგო, რომ ქართლის მეფეები ეგრისიდან აფხაზეთში გადავიდნენ, გაჰყვა მათ კვალს და ბიზანტიის საზღვრებში (რომელიც იმ დროს კლისურას მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა) გადავიდა. „შევლო ყრუმან კლისურა, რომელ მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოჲსა“.[28]

ღვთის შეწევნით, მურვან ყრუს ლაშქარი შეიმუსრა ქართველ მეფეთა ხელით. წყალდიდობისაგან ძალადაკარგულმა არაბებმა დატოვეს საქართველო. არაბთა უკუქცევით გახარებული ბიზანტიის იმპერატორი სწერს თავის მოხელეს, აფხაზეთის მმართველს, ერისთავ ლეონს შემდეგი სახის ბრძანება-მითითებას – ჩვენ ხშირად ვარღვევდით და ვარღვევთ ქართლის სამეფოს საზღვრებს (რომელიც იმ დროს გადიოდა მდინარე კლისურაზე). ამჟამად მაჰმადიანთა შემოსევების გამო, უნდა გავიხსენოთ, თუ როგორ გვარგეს და თანაგვიდგნენ ქართლის ახლანდელი მეფეები, უნდა გავიხსენოთ ის ძველი საქმენი, რაც მათ მეფეებს გაუკეთებიათ ბიზანტიის იმპერიის სასარგებლოდ, ამიტომაც გიბრძანებ, არ დაარღვიო ქართლისა და ბიზანტიის საზღვარი, რომელიც გადის ეგრისში – „ყოვლადვე საზღვართა ქართლისასთა ჩვენგან ქმნილ ასე ვნება და მეფეთა მათთაგან ჩვენდა მომართ თანადგომა და რგება. აწ ესე მესამე მსახურება და რგება დადვეს ჩვენთანა... კეთილად პატივსცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა, და ამიერითგან ნუღარამცა ხელგეწიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათთა ეგრისათა“.[29]

იმპერატორი თავის ერისთავს უბრძანებს: „კეთილად პატივსცემდი... ერთა მაგათ ქართლისათა“. ჩანს, „ქართლის ერში“ კეისარი გულისხმობს მდინარე კლისურას

აქეთ მცხოვრებ მოსახლეობას, რადგან სწორედ ამ მდინარეზე გადიოდა ეგრისში ის საზღვარი ბიზანტიისა, რომლის გადალახვაც მან აუკრძალა აფხაზეთის ერისთავს.

მცხეთა ისეა დანგრეული არაბების შემოსევის გამო და ქართლი მოოხრებული, რომ ეგრისში გადასული „მეფე“ სტეფანოზის გვამი მცხეთაში, საგვარეულო საფლავზე ვერ დაკრძალეს. იგი ქუთაისში დაკრძალეს – ქვეყნის ახალ პოლიტიკურ ცენტრში. ის გამხდარა სამეფო დინასტიის ახალი სამკვიდრო და იმის დასამტკიცებლად, ანუ „საწამებლად“, რომ ის მცხეთის მაგიერი „სამკვიდრო“ იყო, მეფე-მთავარი სტეფანოზი ამ ცენტრში, ქუთაისში დაკრძალეს. „საყდარსა ქუთაისსა, რათა იპოვოს იგი საწამებლად სამკვიდროსა ჩვენისა“.[30]

ქუთაისი ქართლის სამეფოს ახალ დედაქალაქად იქცა. შეუძლებელია, ამ დროს ქუთაისის საყდარი, სადაც მეფე დაკრძალეს, არ ყოფილიყო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში.

არჩილ ქართლის მეფეს საუხუცესოდ (ანუ სამეფო დომენად – საუფლისწულოდ) მეფე მირის ანდერძით, ერგო დასავლეთ საქართველო.

ამავე ანდერძით, ახალ მეფე არჩილს „ქვეყანანი ქართლისანი“ ორად უნდა გაეყო. ერთ-ერთი ნაწილი უნდა მიეცა მირის ქალიშვილებისათვის, მეორე თვითონვე უნდა დაეტოვებინა. არჩილს შეხვდა დასავლეთ საქართველოს კუთხეები.

სიკვდილის წინ მირი ეუბნება არჩილს: „...განუყავი მათ ქვეყანანი ქართლისანი, ნახევარი შენ და ნახევარი მათ... გქონდეს საუხუცესოდ: ეგრისი, სვანეთი, თავკვერი, არგვეთი და გურია“, აქედან აშკარაა, რომ დასავლეთ საქართველო ქართლის სამეფოს ნაწილია.

არაბთაგან დაპყრობილი თბილისის ნაცვლად, ქართლის მეფეებს ქუთაისი დედაქალაქად მიაჩნიათ. არჩილი ეუბნება საკუთრივ აფხაზეთის ერისთავ ლეონს: „...აწ უწყიეს შენება ადგილთა ჩვენთა კლისურითგან აღმართ. წარვალ და დავეშენები ციხე-გოჯს და ქუთაისს...“[31]

არჩილის განცხადება „აწ უწყიეს შენება ადგილთა ჩვენთა კლისურთაგან აღმართ“ ნიშნავდა იმას, რომ არაბთა მიერ დარბეული ქართლის სამეფოში შენელებულა დამპყრობთა გამანადგურებელი მოქმედება, რის შედეგადაც, სამეფოში დაწყებულა აღმშენებლობითი პროცესი. ქართლის სამეფო სწორედ „კლისურითგან აღმართ“ იწყებოდა. მდინარე კლისურის მარცხენა ნაპირიდან იწყებოდა ქართლის ქვეყანანი – ეგრისი, გურია, არგვეთი, სვანეთი, თავკვერი.

არჩილ მეფე თავის სამეფოში შემავალ ქვეყნად მიიჩნევს დასავლეთ საქართველოს და უცხადებს საკუთრივ აფხაზეთის ერისთავს – „წარვალ და დავეშენები ციხე-გოჯს და ქუთაისს“. საკუთრივ აფხაზეთი კი, მდინარე კლისურას მარჯვენა სანაპიროდან იწყებოდა.

არჩილის გარდაცვალების შემდეგ, უმალვე, დასავლეთი საქართველო, ანუ ქართლის სამეფოს ის ნაწილი, რომელიც მდინარე კლისურას მარცხენა სანაპიროდან იწყებოდა, თავის სამთავროს შეუერთა საკუთრივ აფხაზეთის ერისთავმა და დასავლეთ საქართველოს ეწოდა აფხაზეთი. იმიტომ, რომ ამ ქვეყანას მართავდა დინასტია, რომლის ტიტული იყო „აფხაზთა ერისთავი“, ე.ი. დასავლეთი საქართველო პოლიტიკურად იქცა

„აფხაზეთად“, ხოლო მანამდე საქართველოს ამ ნაწილს პოლიტიკურად ეწოდებოდა „ქართლი“. მისი მპყრობელი იყო ქართლის სამეფო სახლი. დასავლეთ საქართველოს მანამდე მართავდა – „ქართლის მეფე“, ანუ „ქართველთა მეფე“.

რა მიზეზითაც დასავლეთ საქართველოს აფხაზთა ერისთავის მიერ „დაპყრობის“ შემდეგ ეწოდა „აფხაზეთი“, იმ მიზეზით მას იქ ქართლის მეფეთა ბატონობის დროს ეწოდებოდა „ქართლი“. შეცდომაა ამჟამად საყოველთაოდ მიღებული აზრი, თითქოსდა ამ მხარეს ქართლი ეწოდა IX-X საუკუნეებში. სინამდვილეში, პირიქით იყო. უძველესი დროიდან სწორედ VIII საუკუნის ბოლომდე ეწოდებოდა ამ ქვეყანას ქართლი, IX-X საუკუნეებში კი მას აფხაზეთი ეწოდებოდა. ამის მიუხედავადო, წერს გიორგი მერჩულე, თუმცა, დასავლეთ საქართველოს ამჟამად აფხაზეთი ეწოდება, ის თავისი არსით ქართლია, ქართველთა ქვეყანაა, რადგანაც ძველებურადვე აქ ღვთისმსახურება ქართულ ენაზე აღესრულებაო.

„აფხაზთა სამეფო“ შეიქმნა ქართლის სამეფოს ტერიტორიის ნაწილზე. ამის შემდეგ დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურად აღარასოდეს ეწოდებოდა „ქართლი“, პოლიტიკურად ის „აფხაზეთი“ იყო. ერთიანი ქართული სამეფოს შექმნის შემდეგ კი – დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს უკვე ეწოდებოდა არა „ქართლი“, არამედ „საქართველო“. წინა საუკუნეებისაგან განსხვავებით, X-XI საუკუნეებში „ქართლი“ გეოგრაფიული ტერმინი გახდა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ, მართალია, VIII საუკუნის შემდეგ დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურად „ქართლი“ არ ეწოდებოდა, მაგრამ კულტურულად მას ზოგჯერ ძველებურადვე „ქართლს“ უწოდებდნენ. სწორედ ამ კულტურულ „ქართლზეა“ გიორგი მერჩულის თხზულებაში ნათქვამი – „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის, და ლოცვანი აღესრულების“. აქ „ქართლში“ იგულისხმება „დასავლეთ საქართველო“, მაგრამ არა პოლიტიკური, არამედ კულტურული მნიშვნელობით. პოლიტიკურად, ამ თხზულების დაწერის დროს, დასავლეთი საქართველო აფხაზეთია. საკულტო მსახურებამ, ეკლესიამ თავისი ტრადიციებისადმი ერთგულების გამო, არ შეცვალა „ქართლის“ VIII საუკუნემდელი გაგება და X საუკუნეშიც კი დასავლეთ საქართველოს „ქართლს“ უწოდებდა.

ცნობილია, რომ ტერიტორია, რომელსაც საკუთრივ „აფხაზეთი“ ეწოდება, ადრე შედიოდა ბიზანტიის იმპერიაში. მას ქართველები საბერძნეთს უწოდებდნენ. საზღვარი „საქართველოსა და საბერძნეთს“ შორის მდინარე კლისურაზე გადიოდა. იმის შემდეგ, რაც არჩილის დროს ბიზანტია დასუსტდა, მდინარე კლისურა გადაიქცა საზღვრად ქართლის სამეფოსა და საკუთრივ აფხაზეთის საერისთავოს, ე.ი. საბერძნეთს შორის.

აფხაზეთის ერისთავი არჩილს უცხადებს – „ამიერითგან არს ესე მამულობით სამკვიდრებელ ჩემდა კლისურითგან, ვიდრე მდინარემდე დიდ ხაზარეთად“, ე.ი. აფხაზეთის საერისთავოს საზღვრები გადის: სამხრეთით – მდინარე კლისურა, ხოლო ჩრდილოეთით მდინარე ყუბანი, ანუ „მცირისა ხაზარეთისა“ წყალი.

აფხაზეთის ამ საერისთავოს შემქნელი ლეონი მალე დანათესავების გზით ხდება მემკვიდრე დასავლეთ საქართველოს „საუხუცესოსი“ – „ქართლის სამე-

ფოს“ ნაწილისა, რაც ასე მომხდარა: ქართლის მეფე მირმა თავისი სამეფოს ორად გაყოფის შემდეგ, სამეფოს ერთი ნახევარი – დასავლეთ საქართველო „საუხუცესოდ“ გადასცა თავის ძმა არჩილს, ხოლო მეორე ნახევარი გაუნაწილა ქართლისავე ერისთავებს – გუარამ კურაპალატის ერთ-ერთ შთამომავალს, ფერეზის ნათესავ პიტიახშს, ნერსეს ნერსესიანს, ადარნასე ადარნასიანს, ვარაზმანს, ჯუანშერს ჯუანშერიანს, რომელთაც თავისი ქალიშვილები მიათხოვა.

მეფე მირის ანდერძის თანახმად, მისი ქალიშვილები მხოლოდ ქართლის ერისთავებს უნდა შეერთოთ. უცხო ქვეყნელს უფლება არ ჰქონდა სიძეობისა. აფხაზეთის ერისთავს სურდა მეფე მირის ქალიშვილის შერთვა, მაგრამ აფხაზეთი საზღვრის გადაღმა მდებარეობდა, ამიტომაც ლეონი არ ითვლებოდა ქართლის ერისთავად და მას უფლება არ ჰქონდა სიძეობისა.

მეფე მირის ანდერძი არჩილისადმი ასეთია: – „არა მივის ძე წული შვილად მკვიდრად, არამედ მისხენ შვიდნი ქალნი. აწ შენ ხარ მკვიდრი სახლისაგან მეფობისა ჩვენისა... და ჩვენ შემცირებულ ვართ, რამეთუ შენ ხარ უცოლო და მე ვარ უძეო. აწ რადგან მოყვანიან მამათა ჩვენთა ცოლნი ასულნი ერისთავთა ჩვენთანი, მისცენ მათ ასულნი ჩემნი და განუყვენ ქვეყანანი ქართლისანი: ნახევარი შენ და ნახევარი მათ. ხოლო საუხუცესოდ რომელ მქონდა, მომიცემია შენდა და გქონდეს საუხუცესოდ: ეგრისი, სვანეთი, თაკვერი, არგვეთი და გურია. ხოლო კლარჯეთი და შუამთიულეთი მიეც ასულთა ჩემთა“.[32]

ე.ი. ანდერძი ასეთი შინაარსისაა: მართალია, ჩვენი სამეფო სახლის სიძლიერის დროს ჩვენი წინაპრები ირთავდნენ უცხო მეფეთა ასულებს, მაგრამ დაუძლურების შემდეგ წინამორბედი მეფეები ჩვენივე (ქართლის) ერისთავების ასულებს ირთავდნენ, ამიტომაც ამჟამადაც ასე მოიქეც – შერთე ჩემი ასულები ჩვენსავე (ქართლისავე) ერისთავებს და განუყავი მათ ჩემი სამეფოო. დასავლეთი საქართველო, რომელიც ადრე მეფე მირის საუხუცესო იყო, არჩილს გადაეცა.

მეფე არჩილმა განახორციელა ანდერძი. მეფე მირის ქალიშვილები შერთო ქართლისავე ერისთავებს და „განუყო მათ ქვეყანანი ქართლისანი“.

ამ პროცედურის დამთავრებისთანავე არჩილ მეფესთან თხოვნით მიდის საკუთრივ აფხაზეთის ერისთავი ლეონი. თხოვს, რათა არჩილ მეფემ მიიღოს როგორც თავისი „მონა“. კონტექსტიდან ჩანს, რომ ითხოვს ჩართოს ქართლის ერისთავთა სიაში და მიათხოვონ მას მეფე მირის ერთ-ერთი ქალიშვილი.

ჯუანშერი წერს – როგორც კი არჩილმა მირის ქალიშვილები შერთო ქართლის ერისთავებს და ამით ეს ერისთავები თავის „შვილებად და ძმებად ჰყო“, მაშინვე აფხაზთა ერისთავი ლეონი მეფეს უცხადებს: – „...არს ესე მამულობით სამკვიდრებელ ჩემდა: – კლისურითგან, ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთად, სადა დასწვდების წვერი კავკასიისა. შემრთე მეცა მონათა შენთა თანა, რომელნი ესე დღეს ღირს ყვენ შვილად და ძმად შენდა. არა მინდა ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენადვე იყოს, მაშინ მისცა ლეონს ცოლად ძმისწული მისი გურანდუხტ...“.[33]

ჯუანშერი იყო ერთ-ერთი სიძე არჩილისა, რომელიც თვითმხილველი და მსმენელი ყოფილა თავისმიერვე მატიანეში მოთხრობილი ამბისა. ჯუანშერის თანახმად,

მოხდა ასეთი სახის პოლიტიკური გარიგება – ერისთავმა ლეონმა თავისი სამთავრო შეიყვანა არჩილის სამეფოში – „ჩემიცა ესე კლისურითგან მდინარემდე მცირისა ხაზარეთისა შენადვე იყოს“, სამაგიეროდ, არჩილმა მას მიათხოვა მეფის ქალიშვილი, აქცია ის თავის „შვილად და ძმად“, მისცა მას ძველი სამეფო გვირგვინი. ამ გზით აფხაზეთის ერისთავი ქართლის სამეფო ტახტის ერთ-ერთ მემკვიდრედ, სამეფო სახლის შვილად იქცა.

ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ ჯუანშერსო „...VII-VIII ს.ს. შესახებ უფრო საყურადღებო ცნობები მოეპოვება“.[34] მართალია, ივ. ჯავახიშვილს არ სჯერა, რომ ჯუანშერმა აღწერა ვახტანგ გორგასლის ცხოვრება, რაც სრულიად შესაძლებელია, რადგანაც „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ჯუანშერმა ვახტანგის ცხოვრება კი არ აღწერა, არამედ „...ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმაო“.[35]

ე.ი. ჯუანშერის მატიანე შეიცავდა არა გორგასლის ცხოვრებას, არამედ მის შემდეგ, VII-VIII საუკუნეთა აღწერას.

უნდა ითქვას, რომ „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, „ქართველთა ცხოვრება ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად“, ხოლო ვახტანგ გორგასლის ცხოვრების ავტორი ცნობილი არ ყოფილა.

ლეონტი მროველი კი მხოლოდ რედაქტორ-აღმწერელი ყოფილა და არა ავტორი „მეფეთა ცხოვრებისა“ და „ნინოს მიერ ქართლის მოქცევისა“. ამ თხზულებათა ავტორთა ვინაობა არ სცოდნიათ, მაგრამ სცოდნიათ, რომ ისინი დროდადრო, ჟამითი ჟამად იწერებოდა ქრონიკების სახით. ლეონტი მროველი მხოლოდ არჩილ მეფის წამების მომთხრობელი ორფურცლიანი თხზულების ავტორია და რედაქტორი მთელი წიგნისა.

ჯუანშერის თანახმად, თითოეულ ქართლის ერისთავ-სიძეს შეხვდა ქართლის სამეფოს რომელიმე ნაწილი სამემკვიდრეოდ. ყოველ სიძეს ამის შემდეგ პოტენციურად შეეძლო თავისი თავი ქართლის სამეფო ტახტის მემკვიდრედ გამოეცხადებინა. ერთ ასეთ მემკვიდრედ იქცა ლეონ აფხაზთა ერისთავი. ტერიტორია მდინარე კლისურითგან მდინარე ყუბანამდე ლეონ ერისთავის სურვილით შევიდა „ქართლის სამეფოში“. აღსანიშნავია, რომ ლეონ ერისთავამდე ეს ტერიტორია „ბიზანტიის იმპერიაში“ შედიოდა. ამ აქტის შემდეგ, რაც ლეონმა მეფის ასული გურანდუხტი შეირთო, აფხაზთა ერისთავი იქცა არჩილის საუხუცესო დასავლეთ საქართველოს ერთადერთ კანონიერ მემკვიდრედ, რადგანაც არჩილს იმ დროს შვილები არ ჰყავდა. ყველა სხვა მემკვიდრე სიძე-ერისთავი აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობდა, მით უმეტეს, რომ არჩილმა ლეონს უბოძა სამეფო ნიშანი – „გვირგვინი რომელი ბერძენთა მეფესა წარმოეცა მირისათვის“. ქართლის მეფის, მირის, სამეფო გვირგვინი მეფის ასულის, გურანდუხტის მეუღლის, ლეონის, საკუთრება გახდა. აფხაზთა ერისთავები ქართლის მეფეთა ოჯახის წევრები და ტახტის მემკვიდრენი გახდნენ, ისევე როგორც სხვა სიძე-ერისთავები.

მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ქართლის ცხოვრებაში გადმოცემული მეფე მირის და არჩილის მიერ საქართველოს სამეფოს დაყოფა წარმოადგენს არა რეალურ

აღწერას, არამედ ლეგენდას, რომელიც შეიქმნა საქართველოს ერისთავთა წრეში მათი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით. ცნობილი მკვლევარი წერს – „მკვლევარები უსაფუძვლოდ არ თვლიან, რომ ეს ლეგენდა აღმოცენდა ქართველ ერისთავთა წრეში და მიმართული იყო იმ მძაფრი ბრძოლის საწინააღმდეგოდ, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლება ეწეოდა სეპარატისტ ფეოდალთა საწინააღმდეგოდ X-XI საუკუნეებში ერთიანი მონარქიის შექმნისათვის“.[36] „ამ პირობებში შეიქმნა კიდეც ლეგენდა მეფე არჩილის „რეფორმების“ შესახებ, არსი რომლისა იმაში იყო, რომ თითქოსდა არჩილმა ჯერ კიდევ VIII საუკუნეში, თავის ძმის, მირის ანდერძის თანახმად, მიათხოვა მისი ქალიშვილები ერისთავებს და მზითვის სახით მისცა მათ საქართველოს ნახევარი“.[37]

დავუშვათ, არჩილისა და მირის მიერ ქართლის სამეფოს დაყოფა და გადაცემა შვიდ სიძე-ერისთავზე, მართლაც ლეგენდაა და ის წარმოიშვა ერთიანი მონარქიის საწინააღმდეგოდ, სეპარატისტ ერისთავთა მოძრაობის გასამართლებლად. ამ შემთხვევაში აუხსნელი რჩება ყველაზე არსებითი და მთავარი, კერძოდ, ლეგენდის მიხედვით, მირის ექვსი ქალიშვილი მიათხოვეს აღმოსავლეთ საქართველოს ერისთავებს, ხოლო ერთი – აფხაზეთის ერისთავს, ამიტომაც ლეგენდის თანახმად, როგორი უფლებაც აქვთ აღმოსავლეთ საქართველოს ერისთავებს ქართლის სამეფო ტახტზე, იგივე უფლება აქვს აფხაზეთის ერისთავს. აქედან გამოდინარე, აფხაზთა მეფეებს უფლება ჰქონდათ ელაშქრათ ტაო-კლარჯეთში, შიდა ქართლსა თუ კახეთში – ქართლის სამეფო ტახტზე თავისი მემკვიდრეობითი უფლების განხორციელების მიზნით, რასაც მართლაც ჰქონდა ადგილი.

აფხაზთა მეფეები მუდმივად ლაშქრობდნენ შიდა ქართლში, საქართველოს სხვა კუთხეებში, „ლეგენდის შემთხზველ“ ერისთავების მამულში, იტაცებდნენ მათ სამკვიდრებელს და უერთებდნენ თავიანთ სამეფოს. აშკარად ჩანს, რომ თუ „ლეგენდა შეთხზულია“ ქართლის ერისთავთა წრეში, იგი ვერ ასრულებდა თავის დანიშნულებას.

თუ დავუშვებთ, რომ ლეგენდა მართლაც შეითხზა, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი აფხაზთა მეფეების კარზე, მათი აღმოსავლური ლაშქრობების გამართლების მიზნით შეითხზა, მაგრამ ჩვენთვის ამ შემთხვევაში მთავარია ის, რომ ძველი წყაროების თანახმად, აფხაზეთის მეფეებს ჰქონდათ ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტზე პრეტენდენტობის კანონიერი, მემკვიდრეობით მიღებული უფლება.

როგორც აღვნიშნეთ, ლეონ I-მა პოლიტიკური მოსაზრებით თავისი სამთავრო აფხაზეთი იურიდიულად შეუერთა ქართლის სამეფოს, რათა ამით მიეღო უფლება ქართლის ერისთავის ტიტულის ტარებისა და მეფის მემკვიდრე ასულის შერთვისა. გურანდუხტის შერთვის შემდეგ, მართლაც, მთელ დასავლეთ საქართველოში სამეფო ტახტის ორი კანონიერი მემკვიდრე აღმოჩნდა – მეფის ძმა არჩილი და მეფის ქალიშვილი გურანდუხტი, აღმოსავლეთში კი უფრო მეტი. არჩილი უშვილო იყო იმ დროს, ამიტომაც გურანდუხტს (ლეონის მეუღლეს) არჩილის აღმოსავლეთ საქართველოში (კახეთში) გადასვლის შემდეგ შეეძლო კანონიერად ემართა მთელი საქართველო. გურანდუხტის მეუღლეს, ლეონ I-ს, დავალებულიც ექნებოდა არჩილისაგან ეს. არჩილმა მას ხელისუფლების ნიშანი – სამეფო გვირგვინი უბოძა.

აღმოსავლეთ საქართველოში არჩილს შეეძინა ორი ვაჟი. აქედან ერთ-ერთი, იოანე, გადადის დასავლეთ საქართველოში. იოანე არჩილის ძე, ცხადია, ამის შემდეგ არის „მპყრობელი“ მმართველი ამ მხარისა, მაგრამ საქართველოს ვერც ერთ კუთხეში არაბთა ძალები ვერ ითმენენ ქართლის სამეფო ტახტის პირდაპირი მემკვიდრეების გაძლიერებას. ამის შესახებ მემატიანე წერს: – „უკეთუ ვინმე გამოჩნდის შვილთა შორის ვახტანგისათა, რომელიცა ღირს იყო მეფედ, იქმნის შემცრობილ სარკინოზთაგან“, ამიტომაც, უნდა ვიფიქროთ, რომ მტერთაგან ძალადაკარგული იოანე არჩილის ძე ხოსროიან-გორგასლიანი – დასავლეთ საქართველოს კანონიერი „მპყრობელი“, უფრო თანამმართველი, ანუ უფრო სწორად, ფორმალური მმართველი იქნებოდა, ხოლო ლეონ I – ფაქტობრივი მმართველი. ლეონს არაბები არ სდევნიან, და რაც მთავარია, მას ხაზართა სამხედრო და პოლიტიკური მხარდაჭერა აქვს, ხაზარები კი არაბთა ტოლფარდი და არაბთა მოწინააღმდეგე ძალა იყო ამიერკავკასიის არენაზე. ამიტომაც, იოანეს გარდაცვალებისთანავე გაერთიანებული ეგრის-აფხაზეთის „მპყრობელი“ ხდება არა იოანეს შთამომავალი, არამედ ლეონ I-ის შთამომავალი – ლეონ II. ლეონ II-ის შესახებ წერს მემატიანე – „დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე“. აქ „დაიპყრა“ ნიშნავს არა ძალით დაპყრობას, არამედ იმას, რომ აფხაზეთ-ეგრისის თვითმპყრობელი მმართველი გახდა ლეონ II, ნაცვლად იოანეს შთამომავლებისა. იოანეს შთამომავლებს ამ პოლიტიკურ ერთეულზე იგივე უფლება ჰქონდათ, რაც ლეონს, რადგანაც ორივენი ქართლის მეფე მირის კანონიერი პოლიტიკური მემკვიდრეები იყვნენ. სწორედ ამ „კანონიერების“ გამო, აფხაზეთ-ეგრისის სამეფოს შექმნას, ანუ ლეონის მიერ დასავლეთ საქართველოს „დაპყრობას“ არ გამოუწვევია არავითარი წინააღმდეგობა ქვეყნის შიგნით, რადგანც მოხდა „დაპყრობა“ არა ძალით, არამედ მოხდა ერთი მმართველი დინასტიის შეცვლა მეორე კანონიერი მმართველი დინასტიით. დაპყრობას, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, ადგილი არ ჰქონია.

გ. წულაია წერს: „ასეთ დაპყრობას ადგილი რომ ჰქონოდა, მაშინ ბუნებრივია, მას არ შეეძლო არ გამოეწვია საპასუხო რეაქცია ეგრისის მხრიდან – ამიტომაც „მატიანე ქართლისაჲში“ აღწერილი ამბავი კვალიფიცირებულ უნდა იქნას, როგორც მშვიდობიანი შეერთება ეგრისისა და აფხაზეთისა. და მოხდა ეს, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ VIII საუკუნის 80-იან წლებში, საკუთრივ აფხაზეთის სამეფოს შექმნამდე“.[38] მართლაც, აფხაზეთ-ქართლის შეერთება მოხდა ჯერ კიდევ აფხაზეთის სამეფოს წარმოქმნამდე, რის შესახებაც მოგვითხრობს „მატიანე ქართლისაჲ“, უფრო დაწვრილებით კი ჯუანშერი. ქართლში იმ დროს ეგრისიც შედიოდა, ამიტომაც ქართლისა და აფხაზეთის შეერთება, იმავდროულად აფხაზეთ-ეგრისის შეერთებასაც გულისხმობდა და ეს აფხაზეთის სამეფოს შექმნამდე მოხდა. ლეონ II-მ მიიღო აფხაზეთის მეფის ტიტული, დასავლეთ საქართველოს ეწოდა აფხაზეთი, მმართველი დინასტიის წარმომავლობის მიხედვით.

„აფხაზთა სამეფოს“ დაარსების შესახებ ივანე ჯავახიშვილი წერს: „VIII საუკუნეში ბიზანტია დასუსტებული იყო არაბებთან ბრძოლისა და შინაური საეკლესიო უთანხმოებისა და გამწვავებული ბრძოლის გამო ხატების თაყვანისმცემლებსა და უარმყ-

ოფელთა შორის. ამით უსარგებლია აფხაზეთის იმდროინდელ ერისთავს ... ლეონ I გამეფებულა 746 წელს და უმეფია 791 წლამდე... ამ დროის განმავლობაში ქართლში არაბთა მკაცრი ბატონობის ქვეშ ერისთავობდნენ ჯერ ნერსე, ხოლო მის შემდგომ სტეფანოზი, ძე გურგენისა. VIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში კი ერისთავად ქართლში აშოტ დიდი ყოფილა, მაგრამ რაკი ქართლში არაბები ხანგრძლივ მშვიდობიანად არავის აბოგინებდნენ, ვერც ქართლის ერისთავმა აშოტ კურაპალატმა (786-826) გაუძლო... იგი დაესახლა არტანუჯში და „მისცა ღმერთმა გამარჯვება და ახელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა ზედა“... „ბერძენთა მეფემან მიუბოძა კურაპალატობა აშოტს“.[39]

„...სწორედ ამ დროს, როგორც ეტყობა, კახეთის მთავარი გრიგოლი დაძრულა და ქართლის ერთი ნაწილი, ქსნის ხეობა და ქსნის დასავლეთით მდებარე შიდა ქართლი დაუპყრია... ამიტომ „გამოილაშქრა აშოტ კურაპალატმან და უშველა თეოდოსი აფხაზთა მეფემან, ძემან მეორის ლეონისამან, რომელი იგი იყო სიძე აშოტ კურაპალატისა“.[40] ეს ამბავი 791-818 წ. შუა უნდა მომხდარიყო.

მაგრამ არც აშოტ კურაპალატის გამარჯვება და ბატონობა ყოფილა ქართლში ხანგრძლივი: „მოვიდა ხალიდ იაზიდის ძე არაბი და დაიპყრა სომხითი, ქართლი და ჰერეთი... გაქცეულს კურაპალატს არაბები კვალდაკვალ დაედევნენ, მოეწივნენ და 29 იანვარს 826 წელს ეკლესიაში ზედ საკურთხეველზე მახვლით მოჰკლეს“.[41]

853 წელს შემოიჭრა ბუღა თურქი და თბილისი გადაწვა. „...ბაგრატ კურაპალატი მოხერხებულად იქცეოდა და არაბების ურთიერთშორის მტრობითა და უთანხმოებით თავისთვის სარგებლობდა. მაგრამ თუ არაბების ძალის დახმარებითა და მფარველობით ბაგრატ კურაპალატი კარგად აფართოებდა თავის სამფლობელოს და ამავე დროს, აფხაზთა მეფის მოძრაობას აღმოსავლეთისაკენ გზაზე ეღობებოდა, ცალკე თვითონ შავშეთ-კლარჯეთის ბატონს მისი წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო. აკი ამიტომაც იყო, რომ „მას ჟამსა შინა გამოვიდა იგი აფხაზთა მეფე გიორგი ძმა თეოდორესი და დიმიტრისი, ძე ლეონისა, დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხა ძე დიმიტრისი“ და ბაგრატი იძლებული იყო გაჩუმებულიყო“.[43]

IX საუკუნის მეორე ნახევარსა და X საუკუნის დასაწყისში არა მარტო ქვემო ქართლი – თბილისის სამხრეთით მყოფი ტერიტორია, არამედ ქართლის ცენტრალური ნაწილი, შიდა ქართლი, ხშირად სომხეთის „სამეფოში“ შეჰყავდათ და მას სომეხი მმართველები მართავდნენ. საკითხავია, ქართველ ქალკედონიტთა და ქართული ეკლესიის მდგომარეობა, ქართლზე სომეხ მონოფიზიტთა და არაბ მუსულმანთა ბატონობის დროს, მით უმეტეს, რომ ამ დროისათვის ამიერკავკასიის არაბთა მიერ დაპყრობილ ნაწილში შექმნილი იყო ადმინისტრაციული ერთეული „არმენიის“ სახელწოდებით. ამ ერთეულში ქართლიც შედიოდა და მას ზოგჯერ არაბთა ნაცვლად, ეროვნებით სომხები მართავდნენ.

891 წელს ადარნასე კურაპალატი, ქართველთა მეფე, სომეხთა მეფის ბიძამ აბასმა გზად მიმავალი შეიპყრო.

„904 წელს „გამოვიდა კონსტანტინე აფხაზთა მეფე“ და „დაიპყრა ქართლი“, რომელიც ამ დროს ქართლის აზნაურების ხელთ იყო. ამის გამო „დაემტერა

სომეხთ მეფე სუმბატ ტიეზერაკალი და მოილაშქრა სპითა დიდითა და მოადგა უფლისციხესა... და წარიღეს ციხე ხერხითა".

სომხებს უფლისციხე აუღიათ.

„კონსტანტინე აფხაზთა მეფე... მიუვალ ადგილებში შეიხიზნა, მაგრამ რაკი მოკავშირენი მის საბრძანებელს აოხრებდნენ, ისევ დაზავება აირჩია და სუმბატს მოციქულები მიუგზავნა. სომეხთა მეფემ თავის მხრივ წარმომადგენლად ზავის პირობაზე მოსალაპარაკებლად სომეხი დიდებულები გაგზავნა. როცა აფხაზთა მეფე კონსტანტინე მათთან საუბრით გართული იყო, სომეხთა დიდებულები ადარნასე ქართველთა მეფის ბრძანებისამებრ მოულოდნელად მისცვივდნენ კონსტანტინეს და დაატყვევეს. უეჭველია, ამ ვერაგი განზრახვის მონაწილე სომეხთა მეფე უნდა ყოფილიყო. სომეხთა მეფემ იგი ანისში გაგზავნა".[44]

სომეხ მონოფიზიტთა შიდა და ქვემო ქართლზე ზეგავლენის გაძლიერების დროს, არაბთა მხარდაჭერით, ქართული ეკლესიის ქალკედონურმა ცენტრებმა IX-X საუკუნეებში გადაინაცვლა მესხეთსა და დასავლეთ საქართველოში. დასავლეთ საქართველოში მაინც ქართული ეკლესიის პოზიცია ისე ძლიერი არ იყო, როგორც მესხეთში, რადგანაც დასავლეთ საქართველოში ბიზანტიას თავისი ბერძნულენოვანი საეპისკოპოსოები ჰქონდა დაარსებული. აფხაზთა მეფეებმა თავის უპირველეს საქმედ აქციეს თავიანთ სამეფოში ბერძნული საეპისკოპოსოების გაუქმება და მათ ნაცვლად ქართული საეპისკოპოსოების დაარსება. მესხეთში კი იმის შემდეგ, რაც იქ ტაო-კლარჯეთის „ქართველთა სამეფო" დაარსდა, ქართულმა ქალკედონურმა ეკლესიამ ფრთები გაშალა. ამის შემდეგ IX-X საუკუნეებში აქ სარწმუნეობით „სომეხი", მაგრამ ეროვნებით ქართველი მოსახლეობა უბრუნდებოდა თავის დედა-ქართულენოვან ეკლესიას. ასეთი „სარწმუნოებით სომეხთა" (გრიგოლ ბაკურიანის მიერ გამოყენებული ტერმინია – „სარწმუნოებით სომეხი") რაოდენობა მკვიდრ ქართულ მოსახლეობაში არც თუ ისე მცირე იქნებოდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ტაოსა და კლარჯეთზე VI-VII საუკუნეებში როგორც სომხური მონოფიზიტური, ისე სომხური ქალკედონიტური ეკლესიები ჰეგემონობდნენ, ქართული ეკლესიის მნათობის, წმიდა მამა გრიგოლ ხანძთელის და მისი მოწაფეების დროს უფალმა ღმერთმა ააყვავა და გააძლიერა ქართული ეკლესია ტაო-კლარჯეთში.

დასავლეთ საქართველოში დამოუკიდებელი „აფხაზთა სამეფოს" დაარსებას, საეკლესიო კანონების თანმახმად, უნდა გამოეწვია და გამოიწვია კიდეც ამ სახელმწიფოში თავისთავადი ეკლესიის დაარსება. აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსების პოლიტიკური საფუძველი იყო აფხაზეთის სამეფო. VIII საუკუნიდან აფხაზე-

თის ქართული საკათალიკოსო უკვე არსებობს. IX საუკუნეში მისი არსებობა აღიარა „ქართველთა მეფემ“.

ქართლის ყოფილი სამეფოს ტერიტორიის ნაწილზე, აფხაზეთის სამეფოს წარმოქმნის შემდეგ, იქ თავისთავადი ეკლესიის დაარსებას არავითარი გართულება და წინააღმდეგობა არ უნდა გამოეწვია აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო მოღვაწეთა მხრიდან, რადგანაც ქალკედონისა და სხვა მსოფლიო კრებათა თანახმად, ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები უნდა ემთხვეოდეს სახელმწიფო – ადმინისტრაციულ საზღვრებს. ამიტომაც, თუ საეკლესიო მოღვაწენი ცნობდნენ აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობას, კიდევაც უნდა ეცნოთ ამ სახელმწიფოში თავისთავადი აფხაზეთის ქართული საკათალიკოსოს არსებობა.

VIII-X საუკუნეებში ქართლის საკათალიკოსოს შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: როგორც აღვნიშნეთ, თავისთავადი და ავტოკეფალური ეკლესიის პოლიტიკური საფუძველი იყო სახელმწიფო, რომლის საზღვრებს შიგნითაც ეკლესია თავის იურისდიქციას ახორციელებდა. ამ თეორიიდან გამომდინარე, ტაო-კლარჯეთის „ქართველთა სამეფოს“ შექმნას თითქოსდა ტაო-კლარჯეთში ავტოკეფალური ეკლესიის შექმნა უნდა გამოეწვია. მკვლევართა ერთი ნაწილი ავითარებდა კიდეც ამ თეორიას და ამტკიცებდნენ, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილი ავტოკეფალიის დადასტურებანი VIII საუკუნეში, ქართული ეკლესიისადმი ანტიოქიის საპატრიარქოს მიერ, შეეხებოდა არა მცხეთის საკათალიკოსოს, არამედ ტაო-კლარჯეთის ავტოკეფალურ ეკლესიას. ჩანს, ასეთი მოსაზრებანი არასწორია.

„ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, რომ ტაო-კლარჯეთის „ქართველთა სამეფო“ ახალწარმოქმნილი, ახალდაარსებული სახელმწიფო კი არ იყო, შექმნილი VIII-IX საუკუნეებში, არამედ წარმოადგენდა იმ „ქართლის სამეფოს“ მემკვიდრეს, რომელიც დააარსა ფარნავაზ მეფემ. ძველ ისტორიკოსთა თანახმად, „ქართველთა სამეფო“, რომელიც რეალურად იმ დროს სამხრეთ საქართველოში, ტაოსა და კლარჯეთში არსებობდა, იგივე ძველი სამეფო იყო ხოსროიან-ფარნავაზიან-გორგასლიანთა, მხოლოდ ამ სამეფოს მმართველი ძველი დინასტიები ახალმა, ბაგრატიონთა დინასტიამ შეცვალა.

„ქართველთა მეფეები“ არა მარტო ტაო-კლარჯეთის მეფეებს ეწოდებოდათ, არამედ ძველი „ქართლის სამეფოს“ ფარნავაზიან-ხოსროიან-გორგასლიან მეფეებს, მათ შორის, უკანასკნელ ხოსროიან მეფეს, არჩილ II-საც. ასე რომ, ბაგრატიონების „ქართველთა სამეფო“ არა ახალი, არამედ ძველი სამეფოს პოლიტიკური მემკვიდრე იყო.

ზემოთ მოყვანილის გამო, რადგანაც „ქართველთა სამეფო“ VIII-X საუკუნეებში წარმოადგენდა იგივე ძველი „ქართლის სამეფოს“, ამიტომაც იქ ახალი ავტოკეფალური ეკლესია კი არ დაარსდა, არამედ ძველი ქართლის საკათალიკოსო კვლავინდებურად, ძველებურადვე ახორციელებდა თავის იურისდიქციას ტაო-კლარჯეთზე და საერთოდ თავის ძველ იურისდიქციისქვეშა ტერიტორიებზე. აღსანიშნავია, რომ ყველა ხელისუფალი დინასტია VIII-X საუკუნეებში არსებული ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულებისა – აფხაზეთის, ტაო-კლარჯეთისა, თუ კახეთ-

ჰერეთისა, თავიანთ დინასტიებს წარმოსახავდნენ ძველი, ერთიანი ქართლის სამეფოს მმართველი ფარნავაზიან-გორგასლიანების მემკვიდრეებად. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი ხელისუფალნი არ ცნობდნენ ერთიანი ქართლის სამეფოს დაშლას და პრეტენზია ჰქონდათ გაეერთიანებინათ მთელი საქართველო ძველი ქართლის სამეფოს საზღვრებში, შავი ზღვიდან ალვანეთამდე, თავიანთი დინასტიის მეთაურობით.

VIII საუკუნის შემდეგ ქართულ ეკლესიაში არსებობს ორი ქართული საკათალიკოსო – აფხაზეთის და ქართლის. ამათგან მცხეთის, ანუ ქართლის კათალიკოსი უფროს „უხუცეს“ კათალიკოსად ითვლებოდა, ხოლო აფხაზეთისა – უმცროს, ანუ „უმრწმეს“ კათალიკოსად. ასეთი ურთიერთდამოკიდებულება იმით იყო გამოწვეული, რომ მცხეთის, ანუ ქართლის კათალიკოსი (იგულისხმება VIII-X საუკუნეები) ზის (იჯდა) მცხეთის კათალიკოსის ძველ ტახტზე (იგულისხმება IV-V-VI-VII სს) რომელიც იურისდიქციას მთელს ქართლზე – აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოზე ახორციელებდა, ამიტომაც VIII-X საუკუნეებში მცხეთელი კათალიკოსი ძველებურადვე უფლების მქონეა მთელ ქართულ ეკლესიაზე, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. თუმცა, ამ დროს დასავლეთ საქართველოში უკვე არსებობდა აფხაზეთის საკათალიკოსო. როგორც აფხაზთა კათალიკოსი, ისე დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წრეები ცნობდნენ მცხეთის კათალიკოსის უზენაესობას.

ორ ქართველ კათალიკოსს შორის უფროს-უმცროსობითი ურთიერთდამოკიდებულება ისეთივეა, როგორც „ქართველთა“ მეფესა და აფხაზთა მეფეს შორის. როგორც „ქართველთა მეფეა“ უფროსი, ხოლო აფხაზთა მეფე უმრწმესი[45] (ასეა წყაროთა თანახმად), ასევე „ქართლის“, ანუ მცხეთის კათალიკოსი უფროსია, ხოლო აფხაზთა კათალიკოსი – უმრწმესი, ამას ნათლად მიუთითებს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. აქ, კერძოდ, აღწერილია ასეთი ამბავი – იმის შემდეგ, რაც „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, 830 წელს „მეფე“ ბაგრატ კურაპალატმა ცნო (აღიარა) – „გააჩინა და განაწესა კათალიკოსი აფხაზეთს“, საჭირო გახდა გარკვეულიყო მირონის კურთხევის საკითხი. არსებობდა ორი გზა, – მირონი ახალი აფხაზეთის საკათალიკოსოს ან თვითვე უნდა ეკურთხებინა, ანდა მიეღო სხვა უზენაესი ეკლესიიდან.

საკითხით დაინტერესებულ იერუსალიმის საპატრიარქოს გადაუწყვეტია ასე: რადგანაც დასავლეთი საქართველო ძველთაგანვე იგივე ქართლია, ამიტომაც აქ მირონი არ უნდა ეკურთხოს, არამედ აფხაზეთის საკათალიკოსომ მირონი ქართლის საკათალიკოსოდან მიიღოსო. ასე რომ, ქართლის კათალიკოსის უზენაესობა უცხოელებმაც აღიარეს; – „არამედ დიდი ეფრემ მრავლისა კეთილისა მომატყვებელ იქმნა ქვეყანასა ჩვენსა, რამეთუ პირველად აფხაზეთისა (და არა „აღმოსავალისა“, როგორც ჩანს, შეცდომით დაუწერია გადამწერს ქარაგმა „ა-სა“-ს გახსნის დროს) კათალიკოსთა მიჰრონი იერუსალემით მიჰყვანდა. ხოლო ეფრემ ქრისტესმიერითა ბრძანებითა მიჰრონისა კურთხევა ქართლს განაწესა იერუსალიმისა პატრიარქისა განწესებითა და წამებითა სიხარულით. არამედ ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის, ლოცვა ყოველი აღესრულების“, – წერს გიორგი მერჩულე.

აქაც გადმოცემულია იგივე ფორმულა, რომელზედაც ჩვენ ვილაპარაკეთ, რომ ძველ ქართულ წყაროთა თანახმად, ქართლი მუდამ ძველთაგანვე ეწოდებოდა აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს. გიორგი მერჩულე წერს, რომ მართალია, დასავლეთ საქართველოში დაარსდა აფხაზეთის საკათალიკოსო, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც დასავლეთი საქართველო – ქართლია, რადგანაც აქ ქართველები ცხოვრობენ და წირვა-ლოცვის ენა ქართული ენაა. ამის გამო, მცხეთის ძველ საკათალიკოსოს უზენაესობა აქვს აფხაზეთის ახალ საკათალიკოსოზე, აფხაზეთის კათალიკოსი უმრწმესია, ქართლისა – უხუცესი, ამიტომ აფხაზეთმა მირონი ქართლიდან უნდა მიიღოსო.

აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსება

ქალკედონის IV მსოფლიო კრების მე-17 და სხვა კანონების თანახმად, ეკლესიის იურისდიქციის საზღვარი უნდა ემთხვეოდეს სახელმწიფო-ადმინისტრაციულს, ანუ ყოველი სახელმწიფოს შიგნით შეიძლება არსებობდეს თავისუფალი ეკლესია თავისი იურისდიქციის საზღვრებით.

აფხაზეთის სამეფოს – დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაარსებამ საფუძველი დაუდო აფხაზეთის სამეფოში თავისუფალი ქართული საეკლესიო ერთეულის – აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებას. VII ს-დან შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, დასავლეთ საქართველოს მრევლი სხვადასხვა საეკლესიო ცენტრებს ექვემდებარებოდა, ზღვის პირას არსებობდა ლაზიკის – ფოთის სამიტროპოლიტო. მისი იურისდიქციის საზღვრები აღმოსავლეთით იყო სკანდა-შორაპნის ხაზი, ჩრდილოეთით კი – მდინარე კლისურა. ამ მდინარის მარჯვენა სანაპირო, ვიდრე ჯიქეთამდე, აბაზგიის საარქიეპისკოპოსოში შედიოდა, სკანდა-შორაპნის ხაზის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია შედიოდა მცხეთის საკათალიკოსოში, ფოთის სამიტროპოლიტოსა და აბაზგიის ეკლესიები შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში. აფხაზეთის სამეფომ ამ ეკლესიების ტერიტორიები მოიცვა, ამიტომ, საჭირო გახდა ამ სამეფოში ერთიანი ეკლესიის დაარსება და დაარსდა კიდეც აფხაზეთის ქართული საკათალიკოსო. ის დაარსებისთანავე 750-იან წლებში ცნო ანტიოქიის საპატრიარქომ და კონსტანტინოპოლზე მისი დამოკიდებულება გააუქმა, ავტოკეფალია მიანიჭა მას. მცხეთის საკათალიკოსომ ის მოგვიანებით, IX საუკუნეში ცნო, რადგანაც მცხეთას მთელი დასავლეთი საქართველო თავის სამწყსოდ მიაჩნდა. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოც, ალბათ, იძულებული გახდა ეცნო ახალი ეკლესია X საუკუნის ბოლოს.[46]

VIII საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილ „აფხაზთა სამეფოში“ შევიდა და მისი ძირითადი ნაწილი გახდა იბერიის სამეფოს ყოფილი ტერიტორიები დასავლეთ საქართველოში – ეგრისი, გურია, თაკვერი, არგვეთი, სვანეთი, ამიტომაც აფხაზთა სამეფოს VIII-X საუკუნეებში „ქვემო იბერიას“ უწოდებდნენ. არსებობდა ორი იბერია: ზემო იბერია – ანუ აღმოსავლეთი საქართველო და „ქვემო იბერია“ – ანუ დასავლეთი საქართველო.

XVII საუკუნის იერუსალიმელი პატრიარქი დოსითეოსი წერს – „იბერიაში ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსია, რომელთაც ქართველები უწოდებენ კათალიკოსებს. ქვემო იბერია, რომელსაც ძველად კოლხეთს და ლაზიკას უწოდებდნენ, აქვს ეპარქიები იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთსა და მესხეთის ნაწილში. ეს ეპარქიები ექვემდებარებოდნენ კონსტანტინოპოლის საყდარს ფასიდის მიტროპოლიტის საშუალებით... ასე რომ, ერეკლეს შემდეგ – ლევ ისავროსამდე ქვემო იბერია უკვე იყო ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რომელი იმპერატორის დროს და რომელ კრებაზე მიანიჭეს მას ავტოკეფალია... ზემო და ქვემო იბერიას შორის საზღვარი არის ქედი, რომელიც კავკასიის მთებში იწყება, ქართულად ქულფარგი ეწოდება, ქვემო იბერიის კათალიკოსი პატივით უფრო მეტია ზემო იბერიის კათალიკოსზე, რადგანაც ის უკვე ისავროსის დროს, 720 წელს, კათალიკოსი იყო ქვემო იბერიისა ... იბერები ქვემო იბერიის კათალიკოსს მიიჩნევენ უფროს კათალიკოსად, რადგანაც მეფე, ე.ი. იმერეთის თავი, მათთან იწოდება მთელი იბერიის მეფეთა-მეფედ“.[47]

მეორე იერუსალიმელი პატრიარქი ხრისანფი ამბობს: „...საქართველოში, რომელსაც ადრე იბერია ერქვა, იყო ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსი, რომელთაც ჩვეულების თანახმად უწოდებენ კათალიკოსებს და არა არქიეპისკოპოსებს. ასე მათ მარტო ქართველები უწოდებენ. ამათგან ერთი, ე.ი. არქიეპისკოპოსი ქვემო იბერიისა, იწოდება იმერეთის, ოსეთის, გურიის და სრულიად ქვემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, ანუ მარტივად, სრულიად იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, როგორც უფროსი ზემო იბერიის კათალიკოსზე. ხოლო მეორე, ე.ი. ზემო იმერეთისა, იწოდება ქართლის, კახეთის, ალვანეთის და სრულიად ზემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად... რომელი იმპერატორის დროს, ან რომელ კრებაზე გახდა ის საარქიეპისკოპოსო, ჩვენ ზუსტად ვერ დავადგინეთ, მაგრამ 26 ივნისის სვინაქსარში ვპოულობთ, რომ იოანე, გოთეთის ეპისკოპოსი, ხელდასხმული იქნა იბერიის კათალიკოსის მიერ (გულისხმობს არა მცხეთის, არამედ „ქვემო იბერიის“ კათალიკოსს, ე.პ. ან.), რადგანაც რომაულ ქვეყნებში ბატონობდა ხატმებრძოლთა ერესი, ასე რომ, როგორც ჩანს, ერეკლეს შემდეგ ისავრამდე ქვემო იბერია საარქიეპისკოპოსო გახდა...“.[48]

ეს იერუსალიმელი პატრიარქები XVII საუკუნეში ცხოვრობდნენ. ფასისის სამიტროპოლიტო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში შევიდა VII საუკუნის 30-იანი წლებიდან ჰერაკლე კეისრის შემდეგ. მანამდე ის შედიოდა იბერიის ეკლესიის იურისდიქციაში.[49] ჰერაკლე კეისარმა რაღაც მიზეზის გამო დასაჯა იბერიის სამეფო და მას მატიანეთა თანახმად, ჩამოაჭრა ზღვისპირა მიწები. ეს ჩამორთმეული ტერიტორიები უშუალოდ იმპერიაში შეიყვანა. ამის გამო, ამ ტერიტორიებზე იურისდიქცია VII საუკუნიდან განახორციელა კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ. ფასისის სამიტროპოლიტოში შედიოდა ოთხი საეპისკოპოსო.

ამ მიტაცებულ მიწებზე, რომელიც იმპერიაში შევიდა, თავისი იურისდიქცია განახორციელა კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ VII საუკუნის 30-იანი წლებიდან. კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ ამ დროს თავისი იურისდიქცია განახორციელა არა მთელ დასავლეთ საქართველოზე, არამედ „ზღვის პირზე“, ანუ საკუთრივ

ეგრისზე, რომელიც ჯერ კიდევ ძველ დროს ვრცელდებოდა „სკანდა-შორაპნის ხაზამდე“, მართალია, იბერია ეწოდებოდა მთელ დასავლეთ საქართველოს (კლისურამდე) აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად, მაგრამ „საკუთრივ იბერია“ ეწოდებოდა მიწებს სკანდა-შორაპნის აღმოსავლეთით, სადაც ეს ციხეები იდგა. ასევე ეგრისი ვრცელდებოდა ლიხის ქედამდე, მაგრამ საკუთრივ ეგრისი სკანდა-შორაპნის ხაზის დასავლეთით მდებარეობდა. იბერიის იმ ტერიტორიაზე, რომელიც დასავლეთ საქართველოში სკანდა-შორაპნის ხაზის აღმოსავლეთით მდებარეობდა, თავის იურისდიქციას VII საუკუნის შემდეგაც ძველებურადვე ახორციელებდა იბერიის (მცხეთის) საკათალიკოსო. აქ წირვა-ლოცვის ენა ძველთაგანვე, V საუკუნიდან ქართული იყო.[50]

ასე რომ, აფხაზეთის სამეფოს შექმნის დროისათვის მის ტერიტორიაზე აღმოჩნდა სამი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ეკლესია – აფხაზეთის (აბაზგიის) საარქიეპისკოპოსო, მდინარე კლისურას ჩრდილოეთით, ფასისის სამიტროპოლიტო, სკანდა-შორაპნის ხაზამდე და არგვეთ-ეგრისის ეკლესია (ამ ხაზიდან ლიხის ქედამდე), აქედან ორი ბიზანტიის ეკლესიაში შედიოდა, მესამე კი, არგვეთის საეპისკოპოსო – იბერიის საკათალიკოსოში.

ვახუშტი აფხაზეთის საკათალიკოსოს შესახებ წერს: „.... არა საჩინოდ უწყებული ცხოვრებიდამ თუ როდის განთავისუფლდა, არამედ მწერალი იტყვის ცხოვრებისაგანვე: ოდეს განდგა ლეონ და იწოდა აფხაზთა მეფედ, მაშინ მოუძლურებულ იყვნენ ბერძენნიცა და ამ ლევანის მიერ, ანუ შემდგომთა მისთაგან, განთავისუფლდა თხოვნითა ბერძენთაგანვე“.[51]

ვახუშტის თანახმად, აფხაზეთის ავტოკეფალური ეკლესია შეიქმნა არა არაკანონიკურად, არამედ ამ ეკლესიას ავტოკეფალია მიანიჭა „ბერძნულმა“ საპატრიარქომ. ისმის კითხვა: რომელმა საპატრიარქომ მიანიჭა აფხაზეთის, ანუ „ქვემო იბერიის“ ეკლესიას ავტოკეფალია – ანტიოქიის თუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ?

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ 720 წლისათვის (ამ თარიღს უთითებს, როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროები) აფხაზეთის მთავარ ლეონ I-ის დროს, როცა ის თანამმართველი იყო დასავლეთ საქართველოში არჩილ მეფისა, კონსტანტინოპოლში ლევ ისავროსის ზეობისას (717-741) მძვინვარებდა ხატმებრძოლობა. ჯერ კიდევ 713 წელს თავისი ჩამოგდების წინ იმპერატორი ფილიპიკე ვარდანე აპირებდა გამოეცა კანონი ხატების თაყვანისცემის აკრძალვისა, 726 წელს იმპერატორმა ლევმა აშკარად გამოთქვა თავისი უარყოფითი აზრი ხატების შესახებ.[52] ხოლო იბერიაში (ეგრის-აფხაზეთში) ხატების თაყვანისცემა ძალზე იყო მიღებული. გარდა კონსტანტინოპოლთან სარწმუნოებრივი უთანხმოებისა, აფხაზეთის მთავარი საერთოდ მტრულად იყო განწყობილი ბიზანტიის (კონსტანტინოპოლის) მიმართ.

750-იან წლებში გაერთიანებული ქვემო იბერიის, ანუ ეგრის-აბაზგიის ეკლესიიდან ანტიოქიის საპატრიარქოში გაგზავნილ იქნა სამღვდელოება. ანტიოქიის საპატრიარქომ, როგორც მთელი აღმოსავლეთის დედაეკლესიამ, ცნო ახალშექმნილი ეკლესია, მიანიჭა მას ავტოკეფალია და აკურთხა მისი პირველი კათალიკოსი. ეს ეკლესია თავის იურისდიქციას ჯერ კიდევ არ ახორციელებდა სკანდა-შორაპ-

ნის ხაზს იქით – არგვეთში, მაგრამ 830 წელს, მატიანის თანახმად, აღმოსავლეთ (ზემო) იბერიის სამეფომ ცნო ეგრის-აფხაზეთის საკათალიკოსო და მის იურისდიქციაში გადასცა არგვეთის ეკლესია. ამის შემდეგ 830 წლიდან აფხაზეთის საკათალიკოსო თავის იურისდიქციას მთელ დასავლეთ საქართველოზე ახორციელებდა. როგორც აღინიშნა, 720-იანი წლებიდანვე ახალშექმნილ ეკლესიას უცხოელები უწოდებდნენ „ქვემო იბერიის“, ანდა უბრალოდ „იბერიის“ ეკლესიას. სწორედ ამითაა გამოწვეული ის, რომ ცნობები ამ ორი ეკლესიის (ე.ი. ქვემო და ზემო იბერიის) შესახებ ერთმანეთშია არეული და ხშირად ის ცნობა, რაც შეეხება ქვემო იბერიის ეკლესიას, მიიჩნევა როგორც ზემო იბერიის (მცხეთის) ეკლესიის შესახებ ცნობად. ამგვარ შეცდომას ვერ ასცდა ცნობილი მოღვაწე ეფრემ მცირე. მან ქვემო იბერიის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ ცნობა მიიჩნია ზემო იბერიის (მცხეთის) ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების ცნობად.

ცნობები ეფრემ მცირეს XI საუკუნის 50-იან წლებში ამოუღია „ხრონოგრაფსა შინა ანტიოქიას აღწერილსა“.

„ანტიოქიურ ქრონოგრაფს“ ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ რადგანაც ეფრემის თანამედროვესა და თანამოღვაწეს ნიკონ შავმთელს თავის „პანდექტებში“ ქართული ეკლესიის შესახებ იგივე მასალა აქვს გადმოცემული, რაც ეფრემს, ფიქრობენ, რომ ორივე ავტორს შავ მთაზე არსებული ერთი და იმავე წყაროთი უნდა ესარგებლა. მკვლევართა თანახმად, „ანტიოქიური ქრონოგრაფის“ უძველესი ვარიანტის არსებობაზე „ისიც მიუთითებს, რომ მისით ჯერ კიდევ VI საუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოსს იოანე მალალას უსარგებლია“, – წერს ვ. გოილაძე.

ჩანს, „ანტიოქიურ ქრონოგრაფში“ ეწერა „იბერიის“ ეკლესიამ როგორ მიიღო ავტოკეფალია VIII საუკუნეში, მაგრამ არ იყო მითითებული, რომ ეს იყო „ქვემო“, და არა „ზემო“ იბერიის ეკლესია.

ეფრემ მცირეს პირდაპირ აქვს გადმოწერილი ქრონოგრაფიიდან: – „დღეთა კონსტანტინე სკორის (741-775) მოსახელისათა, ანტიოქიას პატრიარქობასა ნეტარისა თეოფილაქტესსა (744-751) მოვიდნენ ქართლით (იბერიიდან) მოციქულად მონაზონნი ორნი და მოუთხრეს ნეტარსა თეოფილაქტეს, ვითარმედ დიდსა ჭირსა არიან ქრისტიანენი მკვიდრნი ქართველთა (იბერიელთა) სოფლებისანი, რამეთუ დღითგან ნეტარისა ანასტასი მღვდელ-მოწამისა ანტიოქიელ პატრიარქისა (561-599) არა კურთხეულ არს მათდა კათალიკოსი – მთავარეპისკოპოსი სიძნელისათვის გზისა, რამეთუ აგარიანთაგან ვერავინ იკადრებს სვლად. ხოლო მან ბჭობითა კრებისათა – მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა თვისთა მისცა ქართველთა პროტრეპტიკონი, რომელ არს განხსნითი, რაჲთა თვით მათისა საზღვრისა ეპისკოპოსთაგან ხელნი დაესხმოდინ ჟამად-ჟამადსა კათალიკოსსა ქართლისასა, რაჲცა საღმრთომან მადლმან უჩვენოს მათ და რომელი გამოირჩიონ მოყვასთა მის ეკლესიისათა თანადგომითა და წამებითა ეპისკოპოსთაჲთა წესთაებრ საეკლესიოთა. და შეუქმნა მათ აღწერით მოსახსენებელი თავისა თვისისათვის და მუნ შემოკრებულისა კრებისათვის და ხელთ-დასხმულ ყო ერთი ორთა მათ მისსა მოვლინებულთა. მონაზონთაგანი სახელით იოანე მის ჟამისა კათალიკოსად მათდა“.[53]

ამ ცნობის თანახმად, იბერიიდან (დას. საქართველოდან) ანტიოქიაში ჩასული იოანე იბერიის (იგულისხმება ქვემო იბერია) კათალიკოსად ხატმებრძოლი იმპერატორის, კონსტანტინე კოპრონიმის თანამედროვე თეოფილაქტე ანტიოქელმა აკურთხა. ამ ცნობიდან გამომდინარე, იოანეს კათალიკოსობის დასაწყისი 744 წლის შემდეგ ივარაუდება. ეს კი ის დროა, როცა ბიზანტიის ვასალი ლეონ აფხაზთა ერისთავი ჯერ აერთიანებს ეგრის-აფხაზეთს, შემდეგ კი თავს ითავისუფლებს ბიზანტიის ვასალობისაგან და „სამეფოდ ყალიბდება“.[54] უძველესი დროიდან ანტიოქიის საპატრიარქოს კუთვნილი დასავლეთ საქართველოს ეკლესია... და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ლეონ I, რა თქმა უნდა, შეეცდებოდა პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების პარალელურად თავისი ქვეყნისთვის საეკლესიო თავისუფლებაც მოეპოვებინა“.[55]

„აფხაზთა ერისთავის ლეონ I-ის ზეობას 720/30-740-იანი წლებით, ხოლო მისი მემკვიდრის (ძმისწულის) ლეონ II-ის (753/58-798) წლებით ვარაუდობენ. როგორც ვხედავთ, ლეონ I-ს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად ქვეყნისათვის ეკლესიური დამოუკიდებლობის მოპოვებაც უცდია. როგორც ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, ასეთი ნაბიჯისათვის მას დროც შესაფერისი შეურჩევია. საქმე ის იყო, რომ იმპერატორი ლევ III (719-740) 726 წელს ხატთაყვანისმცემელთა წინააღმდეგ გამოვიდა, ხოლო 730 წლის ედიქტით ხატთაყვანისმცემლობა აკრძალა მთელი იმპერიის მასშტაბით. დაიწყო მონასტრების დახურვა, საეკლესიო მიწების გაყიდვა და ეკლესიის საგანძურის კონფისკაცია. ხატთაყვანისმცემელთა წინააღმდეგ განსაკუთრებით კონსტანტინოპოლში იბრძოდნენ, ამიტომ იმ დროისათვის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შემავალ დასავლურ-ქართულ ეკლესიას მართლაც შეიძლებოდა თავისი ეკლესიის უმაღლესი საჭეთმპყრობლის ხელდასასხმელად ძველი სიუზერენის – ანტიოქიის საპატრიარქო კათედრისათვის მიემართა. გარდა იმისა, რომ ანტიოქიის ეკლესია დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ძველ სიუზერენად ითვლებოდა. ამ დროისათვის ანტიოქიიდან გაისმოდა დამასკელი მოძღვრის, იოანე დამასკელის (გარდ. 753) ხმა ხატთაყვანისმცემელთა დასაცავად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ იმხანად დასავლეთ საქართველოს ეკლესია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეკლესიის ეპარქიას წარმოადგენდა, დასაშვებია, თეოფილაქტეს ამ ქვეყანაზე ანტიოქიის საპატრიარქოს ძველი ძალაუფლების და რაც მთავარია, კონსტანტინოპოლში არსებული ხატმებრძოლობის გამო, მართლაც, ეკურთხებინა იოანე აფხაზეთის დამოუკიდებელ კათალიკოსად. ასე რომ, 744 წლის შემდგომ ხანაში ქართლის კათალიკოსთა შორის, რადგანაც იოანეს სახელის მქონე პიროვნება არ ჩანს, თეოფილქატე ანტიოქელის მიერ 744-750 წლებში საქარათველოს (იბერიის) კათალიკოსად ხელდასხმული იოანე დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) პირველ ავტოკეფალურ კათალიკოსად უნდა იქნას მიჩნეული. მისი მოღვაწეობა 744 წლის შემდგომ ხანაზე მოვა“.[56]

ვ. გოილაძის მოსაზრებას, ანტიოქიის ეკლესიის მიერ ქვემო იბერიის კათალიკოსის კურთხევის შესახებ, ადასტურებს XVII საუკუნის ანტიოქელი პატრიარქი მაკარიოსი და ამავე საუკუნის იერუსალიმელი პატრიარქები დოსითეოსი და ხრისანფი.

მაკარიოსი წერს, რომ ანტიოქელ პატრიარქ თეოფილაქტეს დროს აფხაზეთის მეფემ დავითმა ანტიოქიაში ეპისკოპოსად ხელდასასხმელად გაგზავნა მრავალი პიროვნება – „აფხაზეთიდან ანტიოქიაში გაგზავნილებს, გზაზე ყაჩაღები დახვდნენ და დახოცეს. ორი მათგანი გადარჩა... თეოფილაქტემ მოიწვია კრება, რომელზედაც გადაწყდა აფხაზეთისთვის დაენიშნათ დამოუკიდებელი კათალიკოსი, რომელიც აფხაზეთისათვის აკურთხებდა მღვდელმთავრებს, მაგრამ იმ პირობით, რომ იგი მოიხსენიებდა ანტიოქიის პატრიარქებს... ერთი მათგანი, იოანე, პატრიარქმა კათალიკოსად აკურთხა. მას მუდმივად უნდა ეცხოვრა აფხაზეთში. მეორე აფხაზი პატრიარქმა ეპისკოპოსად აკურთხა და ორივე სახლში, აფხაზეთში გამოისტუმრა“. გოილაძე წერს: – ეს ამბავი ქართლის (ზემო იბერიის, მცხეთის) ეკლესიას რომ შეეხებოდეს, მაშინ იოანე ქართლისათვის, რა თქმა უნდა, პირველი კათალიკოსი არ იქნებოდა.[57] მაკარიოსი იოანეს შესახებ წერდა, რომ იოანე იყო პირველი კათალიკოსი თავისი ეკლესიისო.

ეფრემ მცირე, მაკარიოსი, ნიკონ შავმთელი ერთსა და იმავე ამბავს მოგვითხრობენ. გოილაძის აზრით, მაკარიოსის ცნობები დასავლეთ საქართველოს რომ ეხება, იქიდანაც ჩანს, რომ მაკარიოსს იქვე მოჰყავს VI საუკუნის ისტორიკოსის, ევაგრე სქოლასტიკოსის ცნობა იმპერატორ იუსტინიანეს მიერ აფხაზეთში ტაძრის აშენებისა და აფხაზეთიდან კონსტანტინოპოლში ბავშვების ჩამოყვანის შესახებ იუსტინიანეს დროს.

„მაკარეოსის ცნობებს იოანეს დასავლეთ საქართველოს პირველ კათალიკოსად კურთხევის შესახებ მხარს უჭერს: 1. IX საუკუნის ბოლოს შედგენილი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებულ კათედრათა ნუსხებში „აფხაზეთის ავტოკეფალური არქიეპისკოპოსის“ მოხსენიება. 2. იოანე გუთელის საქართველოში ხელდასხმის ცნობა“.[58]

744-750 წლებში თეოფილაქტე ანტიოქელის მიერ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსად იოანეს ხელდასხმის შესახებ ცნობა, ჩანს, „ანტიოქიურ ქრონოგრაფიაში“ შევიდა და, როცა XI საუკუნეში მას ეფრემ მცირემ მიაკვლია, მთელი საქართველოს ეკლესიაზე გავრცელდა. ნამდვილად კი, როგორც მაკარიოსის თხზულებიდან ჩანს, ეს ცნობა ქვემო იბერიის ეკლესიას ეხებოდა და არა ზემო იბერიის ან მთლიანი იბერიის ეკლესიას. ეს კარგად გაუგიათ იერუსალიმელ პატრიარქებს დოსითეოსსა და ხრისანფს, რომელთა ცნობებიც ზემოთაა ციტირებული.

დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს უცვნია და ულიარებია X საუკუნის დამდეგს.[59]

მატიანე წერს – „ხოლო ამან ბაგრატ გააჩინა და განაწესა კათალიკოსი აფხაზეთს ქრისტეს აქეთ 830 წელს“.[60]

ბაგრატ კურაპალატი მმართველი იყო ზემო იბერიისა და იჯდა ხოსროიანთა (ერთიანი იბერიის მმართველი დინასტია, გორგასალი ამ დინასტიას ეკუთვნოდა) ტახტზე. ამდენად, შესაბამის წრეებში მიაჩნდათ, რომ მას უფლებები გააჩნდა მთელს იბერიაზე, მათ შორის „ქვემო იბერიაზე“, ანუ აფხაზეთზე.

ბაგრატ კურაპალატის დროს საქართველოს ეკლესიის მნათობმა გრიგოლ ხანძთელმა ინება აფხაზეთის ეკლესიის მოხილვა. აფხაზეთის მეფემ, დემეტრემ, დიდი

პატივით მიიღო ის. გრიგოლი დარწმუნდა, რომ აფხაზეთში წირვა-ლოცვის ენა, კვლავ, ძველებურადვე ქართულია, ხოლო „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“. იმის შემდეგ, რაც „აქა გამოჩნდა კათალიკოზი აფხაზეთისა, ჟამსა მას ლეონ ისავროსისასა, ქრისტეს აქეთ 720 წელს“,[61] აღმოჩნდა, რომ ქართველ ერს თავისი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში ჰქონდა ორი ავტოკეფალური ეკლესია, ერთმანეთზე ადმინისტრაციულად დამოუკიდებელი, მაგრამ სულიერად ერთიანი, ამაში გასაკვირი არაფერია. ბერძნებს ოთხი საპატრიარქო და რამდენიმე დამოუკიდებელი საარქიეპისკოპოსო ჰქონდათ, ასევე სხვა ერებს.

ბაგრატ კურაპალატის მიერ 830 წელს აფხაზეთის კათალიკოსის „გაჩენა“ უნდა გავიგოთ იმ მნიშვნელობით, რომ ფაქტობრივად, 720 წლიდან აფხაზეთის საკათალიკოსოს არსებობა 830 წელს აღიარა და ცნო ქართლის საკათალიკოსომ. ჩანს, ამ ფაქტში გარკვეული ღვაწლი მიუძღოდა გრიგოლ ხანძთელს, ხოლო მისი მოწაფის ეფრემ მაწყვერელის ღვაწლით განწესდა, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო მირონს მიიღებდა ქართლის (მცხეთის) საკათალიკოსოდან, როგორც „უმრწმესი“ – „უხუცესისაგან“. აფხაზეთის საკათალიკოსოს წარმოქმნით, ფაქტობრივად, აღსდგა ქართული ეკლესიის მთლიანობა, რადგან დასავლეთ საქართველოს ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი გათავისუფლდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციისაგან და იქ აღდგენილი იქნა ქართულენოვანი ღვთისმსახურება.

მირონის კურთხევის შესახებ

თანამედროვე ქართულ მეცნიერებაში დამკვიდრდა აზრი, რომ ქართულმა ეკლესიამ მირონის კურთხევის უფლება მიიღო IX საუკუნეში. მართლაც, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში წერია, რომ მირონის კურთხევის ნება იერუსალიმის პატრიარქს გამოსთხოვა ეფრემმა.

ძველ ქართულ მწერლობაში დამკვიდრებული აზრით, მირონის კურთხევის ნება ქართულმა ეკლესიამ მიიღო ქალკედონის კრების – 451 წლის შემდეგ.

ეკურთხებოდა თუ არა ქართულ ეკლესიაში მირონი V საუკუნიდან, ამ საკითხის გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ მეზობელ სომხეთსა და ალბანეთში არსებულ მდგომარეობას.

სომხურ ისტორიოგრაფიაში შემონახული ცნობების თანახმად, ქართველი ხალხი და სამღვდელოება ქართული ეკლესიის ღირსებას უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე ალბანურისას. ამიტომაც, როდესაც სომხეთის პატრიარქმა ალბანეთის ეკლესიას ქართულ ეკლესიასთან შედარებით მიანიჭა უპირატესობა და იგი ქართულ ეკლესიაზე წინ დააყენა, ეს ქართველმა მამამთავარმა იუკადრისა და უხტანესის მიერ შეგროვილი ცნობების თანახმად, გაწყვიტა კავშირი სომხურ ეკლესიასთან. ალბანელი ისტორიკოსი მოსე კალანკატუაცი წერს, რომ სომხეთის „...მთავარმა საეკლესიო მოღვაწეებმა, სომხეთის ამპარტავანი ხასიათის მიხედვით, თვითნებური სურვილით განაწესეს აბრაამი – პატრიარქად, ალბანელი – არქიეპისკოპოსად,

ქართველი – მიტროპოლიტად: აღშფოთდა ქართველი, რომელსაც კირიონი ერქვა და საწინააღმდეგო კამათი დაიწყო. ხოლო წმიდა მამამთავარი აბრაამი ამბობდა, რომ ალბანელები ქართველებზე ადრე იყვნენ ქრისტიანები და მთავარეპისკოპოსობა მათ შეეფერება“.[62]

ალბანეთის ეკლესიაზე უფრო დაბალ საფეხურზე დაყენება ქართულმა ეკლესიამ პატივისა და ღირსების დამცირებად მიიჩნია. ასეთი თვალსაზრისი არა მარტო მოსე კალანკატუელს, არამედ ძველ სომეხ ისტორიკოსებსაც ჰქონდათ. ამას მიიჩნევდნენ ზოგიერთ წრეებში საეკლესიო განხეთქილების მიზეზად. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულ ეკლესიას თავისი ღირსება და პატივი არც ალბანურ და არც სომხურ ეკლესიაზე ნაკლებად არ მიაჩნდა. ამიტომ, თუკი სომხურ, ანდა ალბანურ ეკლესიაში აკურთხებდნენ მირონს, მაშინ აუცილებლად ქართული ეკლესია იმავე უფლებით ისარგებლებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა სრული არ იქნებოდა და იგი ვეღარც შეედრებოდა თავისი პატივით და ღირსებით იმ ეკლესიებს (ამ შემთხვევაში ალბანეთისა და სომხეთისას), რომელთაც მირონის კურთხევის უფლება ჰქონდათ მოპოვებული.

ალბანეთის ეკლესიას, მოსე კალანკატუელის თანახმად, მირონის კურთხევის უფლება ჰქონდა არათუ IX საუკუნემდე, არამედ VI საუკუნეში. უფრო მეტიც, ამ დროს ალბანეთის ეკლესია სივნიეთის ეკლესიასაც კი აძლევდა მირონს. მოსე კალანკატუელი თავისი „ალბანეთის ისტორიის“ 48-ე თავს ასათაურებს ასე: – „... სივნიეთელთა მოქცევა სომეხთაგან ალბანელებისაკენ და ხელდასხმისა და ზეთის (მათგან) მიღება“.[63]

უხტანესი ამ მდგომარეობას ასე ხსნის: „...სომხეთი სპარსელებსა და ბერძნებს ჰქონდათ ერთმანეთში გაყოფილი... გაყოფილი საპატრიარქო საყდარი უარყვეს სივნიეთის უფლებმა და წინააღმდეგობის გამო არ დაეთანხმნენ რომელიმეს დამორჩილებოდნენ პეტრე ეპისკოპოსის ბრძანებით, რომელმაც ... უბრძანა თავის სამწყსოს, ხელდასხმა და მირონის კურთხევა ალბანელთაგან მიეღოთ, სანამ წმიდა გრიგორის საპატრიარქო საყდარი გაერთიანდებოდა. ამ დროიდან აქამდე ხელდასხმასა და მირონს სივნიელები ალბანელთაგან იღებდნენ“...[64]

აქედან ჩანს, რომ როგორც ალბანელი მოსე კალანკატუელის, ისე სომეხი უხტანესის მიხედვით, ალბანეთის ეკლესია თვითვე აკურთხებდა მირონს ჯერ კიდევ სომხეთის საკათალიკოსოს ორად გაყოფამდე, VI საუკუნის დასასრულამდე. იოანე კოგოვიტელი, გაყოფის დროინდელი სომეხი ქალკედონიტი კათალიკოსი, 590-611 წლებში ზეობდა.

ალბანეთის ეკლესია VI საკუნეში მირონს აკურთხებდა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სხვა ეკლესიასაც კი აწოდებდა მირონს.

ზ. ალექსიძე წერს: „მოსე კალანკატუელის გადმოცემით, როცა სომხეთის საკათალიკოსო ორად გაიყო VI-VII საუკუნეების მიჯნაზე იოანესა (ქალკედონიტი) და მოსეს (მონოფიზიტი) შორის, სივნიეთის მმართველებმა არც ერთი აღარა სცნეს და ხელდასხმისათვის ალბანელთა კათალიკოსებს მიმართავდნენ ხოლმე. ალბან-

ეთიდანვე იღებდნენ მირონს, სანამ აბრაამ ალბათანელმა არ გააერთიანა ორივე საყდარი“.[65] აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ ალბანეთის ეკლესიას მირონის კურთხევა შეეძლო VI საუკუნეში, ქართულ ეკლესიასაც ასეთივე უფლება ექნებოდა, რადგანაც ქართულ ეკლესიას ალბანურ ეკლესიაზე ღირსეულად და მეტი პატივის მქონედ მიაჩნდა თავი.

სომხეთის კათალიკოსისადმი კირიონ ქართველთა კათალიკოსის მიერ გაგზავნილი წერილებიდან ჩანს, რომ ქართულ ეკლესიას თავისი თავი სომხური ეკლესიის თანასწორ და თანატოლ ეკლესიად მიაჩნდა.

ჰქონდა თუ არა სომხურ ეკლესიას მირონის კურთხევის უფლება?

ჰქონდა, რადგანაც VII საუკუნის დასაწყისში, საპატრიარქო ტახტზე ასვლისთანავე კათალიკოსმა აბრაამმა მირონი აკურთხა. უხტანესი აღწერს კიდეც, თუ რა არის მირონი და როგორი წესით აკურთხებენ მას.

სომეხმა იერარქებმაო, – წერს უხტანესი, – კრების დამთავრების შემდეგ „...ისიც კანონიერად მიიჩნეს, რომ შევედრებოდენ თავიანთ მამამთავარს, ეკურთხა და მათთვის მიეცა საცხებელი ზეთი, ე.ი. მირონი, რომლითაც სცხებენ და ნათლავენ... რადგანაც მოსეს სიკვდილის შემდეგ არავის უკურთხებია საცხებელი ზეთი... შეუდგა მწუხრის მსახურებას ფსალმუნებით, კურთხევითა და სულიერი გალობით დღის საიდუმლოს მსგავსად. საიდუმლოს შესაფერისად კითხვით გაათიეს ღამე და მთელი დღე მღვიძარედ ღმრთისა მიმართ ლოცვაში, ვიდრე აღსრულდებოდა ყველა საიდუმლო ღმრთის სადიდებლად, ხოლო მეორე დღეს გაუნაწილა მამამთავარმა კურთხევის ზეთი...“.[66]

უხტანესი წერს, რომ VI საუკუნის ბოლოს მირონი აკურთხა კათალიკოსმა მოსემ (574-604), ხოლო VII საკუნის დასაწყისში – აბრაამმა.

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, საქართველოს მეზობელი ეკლესიები VI-VIII, შესაძლოა V საუკუნეებში აკურთხებდნენ მირონს და ამიტომაც, მათი თანატოლ-თანაფარდი, მათთან საეკლესიო კავშირში მყოფი ქართული ეკლესიაც VI-VII საუკუნეებში ამავე უფლებით ისარგებლებდა.

ქართული წყაროების მიხედვით, ქართული ეკლესია V საუკუნეშივე აკურთხებდა მირონს. მოღწეულია კიდევაც მირონის კურთხევის ტექსტი, რომელიც შევსებულია შემდგომ საუკუნეებში. მასში ჩამატებულია ახალ საუკუნეთა ატრიბუტები, ამიტომაც ახალი დროის დოკუმენტად მიიჩნევა. ასევე ეფრემ მცირე თავის შრომაში წერს, რომ მირონის კურთხევის უფლება ქართულ ეკლესიას მიენიჭა V საუკუნეში.

ეფრემ მცირე ასე აღწერს ამ პროცესს: წმიდა ნინოს დროს ევსტათი ანტიოქელმა პატრიარქმა დაამყარა ქართული ეკლესია. გადაწყდა, რომ მირონი ქართულ ეკლესიას მიეღო ანტიოქიის საპატრიარქოდან. იმ დროს, IV საუკუნეში, მირონს მხოლოდ ანტიოქიის საპატრიარქო ამზადებდა და აკურთხებდა. მირონის შესასყიდად ქართველებს ანტიოქიისათვის უნდა ეძლიათ ათასი კვამლის გადასახადი. მცირე ხნის შემდეგ ანტიოქიამ ათასი კვამლის გადასახადის ნაცვლად ითხოვა ათასი დრაჰკანი ყოველწლიურად. მალევე ანტიოქიამ ბერძენთა მეფის შუამავლობით, ქართველთა ათასი დრაჰკანი გადასცა იერუსალიმის საპატრიარქოს. ახლა უკვე მირონის შესასყიდი თანხა ქართველებს იერუსალიმისათვის უნდა ეძლიათ.

შემდეგ ეფრემ მცირე წერს: „აქა დაგჳშთა საძიებელი მრავალთაჲ, თუ ოდეს მიიღეს ქართველთა კურთხევაჲ მირონისაჲ და ამისდა ცნობად... ვპოე საზოგადოდ ყოველთათჳს, ვითარმედ ქალკიდონისა კრებასა ესმა, რომ სიძვირისათჳს ფასით ჰყიდდეს მიჰრონსა, ამისთჳს ბრძანეს წმიდათა მამათა, რაჲთა არა ხოლო ანტიოქიას, არამედ სხუათაცა ეკლესიათა შინა წმიდა იქმნებოდეს მიჰრონი. ხოლო თჳისაგან ქართველთაჲ საგონებელ არს, ვითარმედ სიშორისათვის გზისა და რომელ ფრიად საშიშ არს უცხო თესლთა შორის ჴმელით ანტიოქიით ქართლს წარღებაჲ წმიდისა მიჰრონისაჲ, ამისთჳს თჳთ ადგილსა და დაწესებულ არს მათდა კურთხევაჲ მიჰრონისაჲ“.[67]

ეფრემ მცირეს აზრით, V საუკუნეში 451 წლის ქალკედონის კრების შემდეგ, ყველა ეკლესიას და მათ შორის ქართულსაც, ნება დაერთო ადგილზე მირონის კურთხევისა. ასეც რომ არ ყოფილიყო, სიშორისა და გზის სიძნელის გამო მირონის ტრანსპორტირება ძალზე ძნელი იყო. ასე რომ, ეფრემის თანახმად, V საუკუნიდანვე მირონი საქართველოშივე ეკურთხება.

სხვა საკითხია ის ანაქრონიზმები და უხეში ქრონოლოგიური შეცდომები, რომლებმაც ეფრემის ნაშრომი თითქმის გაუგებარი გახადა და ამასთანავე, სათავე დაუდო სხვა შეცდომებს საუკუნეთა მანძილზე.

მართალია, ეფრემ მცირე თავისი დროის უდიდესი და უბრწყინვალესი ფილოლოგოსი და მთარგმნელ-კომენტატორი იყო, მაგრამ ეს მას არ ავალდებულებდა ასეთივე მასშტაბის ისტორიკოსი ყოფილიყო, რაც ჩანს მის მიერ დაწერილ ნაშრომში ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის შესახებ.

ეფრემ მცირე IV-V საუკუნეთა შორის მომხდარი ამბების აღწერისას დაეყრდნო ანტიოქიური „ხრონოგრაფის“ ცნობას, რომელიც მან ჩართო თავის შრომაში. სწორედ ამაში მდგომარეობდა ეფრემის შეცდომა. ქრონოგრაფში ნათქვამი იყო იმპერატორ კონსტანტინე სკორის, ანტიოქიის პატრიარქ თეოფილაქტეს, იერუსალიმის პატრიარქ ორესტის, ბასილი მეფის დროს ბიზანტიურ და დასავლურ ქართულ ეკლესიათა შორის დამოკიდებულების შესახებ. თანამედროვე ისტორიოგრაფიის განვითარების წყალობით ცნობილია, რომ ეს მეფე–პატრიარქები მოღვაწეობდნენ VIII-X საუკუნეებში, მაგრამ ეფრემი ფიქრობდა, რომ ისინი იყვნენ IV-V საუკუნეთა მოღვაწენი. ამიტომაც ეფრემმა ანტიოქიური „ხრონოგრაფის“[68] ცნობა ჩართო თავისი ისტორიის იმ ნაწილში, რომელიც IV-V საუკუნეთა შორის მომხდარ ამბებს შეეხებოდა.

ბასილი მეფე, რომელსაც ეხება ეფრემის მიერ გამოყენებული ცნობა, თითქმის ეფრემის თანამედროვე იყო, მისგან დაახლოებით ნახევარი საუკუნით დაშორებული. მაგრამ ეფრემის შრომიდან აშკარად ჩანს, რომ იგი საუბრობს არა თავის თანამედროვე პირზე, არამედ ძველი დროის ბასილზე.

როგორც ჩანს, X საუკუნის ბოლოს და XI საუკუნის დასაწყისში სწორედ „არასრული ავტოკეფალიის“ მომხრე ანტიოქიელმა თეორეტიკოსებმა „შეასწორეს“ და დამატებებით შეავსეს ანტიოქიური ქრონოგრაფი. ეფრემ მცირემ XI საუკუნის

შუა წლებში მოიძია ეს მატიანე, მიიჩნია IV-V საუკუნეთა ქრონიკად და ჩართო თავის ნაშრომში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ძველთაგანვე დამკვიდრებული იყო ტრადიციული გადმოცემა, რომლის თანახმადაც მირონი გადმოედინებოდა სვეტიცხოვლიდან, ანუ ცხოველმყოფელი ხის გადანაჭრიდან მცხეთაში. ამიტომაც, როცა არსენ იყალთოელი იმეორებს ეფრემის ცნობას „...სასყიდლად ნივთთა წმიდისა მიჰრონისათა ეკლესიასა ანტიოქიისასა... დრაჰკანი ათასი“,[69] იგი, ჩანს, დარწმუნებულია, რომ ქართველები ყიდულობდნენ არა თვით მირონს, არამედ მისი შემზადებისათვის საჭირო სურნელოვან არომატულ ნივთიერებას; ხოლო თვით მირონის შეზავება-კურთხევა და დამზადება საქართველოშივე ხდებოდა. „ანტიოქიური „ხრონოგრაფის“ ძველ სლავურ თარგმანშიც წერია: „წმიდა მირონის არომატის შესაძენად“ და არა წმიდა მირონის შესაძენად.[70]

მირონის კურთხევის წესი ასეთი ყოფილა:

ოდეს მეფე, ათაბაგი, ქართლისა ერისთავი, სპასალარი და ყოველნი ერისთავნი და ყოველნი მღდელთმოძღუარნი შემოკრბენ მცხეთას, დიდსა ხუთშაბათსა, დიდისა სომხითისა მიტრაპოლიტსა, ჰმართებს ნივთთა ზედა დგომად და ქუაბნი საკურთხეველთად გამოიხუნენ და მიტრაპოლიტსა და ქადაგსა ეტჯრთნეს კეტნი ქუაბთანი. წინათა კეტთა მიტრაპოლიტი შეუდგეს და უკანათა ქადაგი. თუ მწირველი იყოს, თეთრითა შესამოსლითა შემოსილ იყოს, თუ მწირველი არა იყოს, თეთრისა ატლასისა ჩაჩი თავსა ებუროს მოყუნტუზვილი; და მეორეთა ქუაბთა მთავარეფისკოპოსი ქუეშე უდგეს და წინა მივიდოდეს და უკანათა კეტთა მაწყუერელი და უკანა მთავარეფისკოპოსი მიჰყვებოდეს. და რაჟამს განაზავებდენ ტაკუკსა, ტაკუკი მაწყუერელსა ეტჯრთოს კი მაწყუერელსა ეტვირთოს და რაჟამს განაზაონ, ტაკუკი ქადაგისა ჭელითა დაიბეჭდვოდეს. და ყოველთა ეფისკოპოსთა თითოჲ კოკაჲ მირონისა ეტჯრთოს...“.[71]

ამავე დოკუმენტში მოხსენებულია მეფე არჩილი და კათალიკოსი მიქაელი. პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის მიერ გამოცემული სიის თანახმად,[72] საქართველოს XV საუკუნემდე სულ ორი არჩილი ჰყავდა მეფედ – არჩილ I (410-434), პაპა ვახტანგ გორგასალისა და არჩილ II (668-718 წწ.). ამ პერიოდში ჩნდება ორი კათალიკოსი მიქაელიც: მიქაელ I (459-467 წწ.), რომელმაც ვახტანგ გორგასალს კბილები ჩაუმტვრია და მიქაელ II (774-780წწ.). მართალია, აღნიშნულ სიაში დადასტურებული მეფობის თარიღები მიახლოებითია, მაგრამ სავსებით ნათელია, რომ ჯერ არჩილ I მეფობს, შემდეგ კათალიკოსობს მიქაელ I, ასევე არჩილ II-ის მოღვაწეობის წლები უსწრებს მიქაელ II-ის კათალიკოსობის თარიღს. დოკუმენტში, რომელსაც ეწოდება „მირონის კურთხევის წესი“, მეფე არჩილი დავალებას აძლევს საეკლესიო პირს მიქაელს, შეადგინოს მირონის კურთხევის განგება, რასაც მიქაელი გარკვეული დროის შემდეგ ასრულებს. ის იძიებს, ირკვევს მირონის კურთხევის წესს და ადგენს განგებას მირონის კურთხევის ძველი „ნიშნის“ შესაბამისად, ხოლო დოკუმენტის გამოცემის დროს ის უკვე კათალიკოსია.

„დიდნი შფოთნი და ამბოხნი იქმნებოდეს ეფისკოპოსთა ცილობისაგან და ღმრთივ-გჯრგჯნოსანმა მეფემან არჩილ არა სათნო იჩინა ამათ შფოთთა ქმნად. და

გჯბრძანა გაჩენად, ვითა ნიშანთა შეეტყუებოდა, და ჴელ-ვყავით მე, გლახაკმან მიქაელ ქართლისა კათალიკოზმან და ვაკურთხეთ წმიდაჲ მირონი...“[73]

უეჭველია, რომ მირონის კურთხევის ეს დოკუმენტი შედგენილია IX საუკუნემდე, ამიტომაც იგი სრულიად აბათილებს აზრს, რომ ქართულმა ეკლესიამ მირონის კურთხევის ნება მიიღო IX საუკუნეში. არსებობს მოსაზრება, რომ ეს დოკუმენტი არის ნატყუარი. უნდა ითქვას, რომ ნატყუარი სიგელი, ანდა დოკუმენტი შეიძლებოდა შეედგინათ რაიმე კერძო, მცირე ადგილ-მამულის და მსგავსი საკითხის თაობაზე, რომლის შემოწმება საერთო-სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ინტერესს არ წარმოადგენდა. მირონის კურთხევის საერთო სახალხო – სახელმწიფო მნიშვნელობის ცერემონიალში კი მონაწილეობდნენ სახელმწიფოს მეთაური – მეფე, ქვეყნის ყველა პროვინციათა მმართველი ერისთავები, კათალიკოს-ეპისკოპოსები. მუშაობდა მთელი სახელმწიფო და საეკლესიო აპარატი, იმართებოდა საგანგებო დარბაზობა, რომელზეც ერისთავები და ეპისკოპოსები სხდებოდნენ მტკიცედ განსაზღვრული წესითა და რიგით. ნუთუ ისინი „ნატყუარ“ დოკუმენტს იჭერდნენ ხელში და იმის მიხედვით აკურთხებდნენ მირონს? „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ სრულებით აშკარად ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ასეთი სახელმწიფოებრივი ცერემონიის დროს საგანგებო წესების დაცვას. ასეთივე სახის დოკუმენტია „კურთხევა მირონისა“.

„მირონის კურთხევის“ აღნიშნული დოკუმენტი ხელთ ჰქონიათ ერეკლე II-სა და ანტონ კათალიკოსს, რის მიხედვითაც განუსაზღვრავთ მათ ნინოწმინდელის პატივი და ადგილი დარბაზობის დროს. ეს დოკუმენტი ერეკლეს II-სა და ანტონ I-ს მიაჩნიათ იმ დროს შედგენილად, როცა სამეფო ანუ სატახტო ქალაქი იყო არა თბილისი, არამედ ნისანი და ქუთათისი. ამის გამო, წერენ ისინი, თბილელი ეპისკოპოსის პატივი და ღირსება შედარებით მცირეა და ის დგას ეპისკოპოსთა რიგის ბოლოშიო.

„ტფილელი უკუე განჩინებასა მას შინა სამეფოსა ფრიად ქვემორე დგებოდის, ანუ ჯდებოდის კრებასა შინა, ამისთვის რომელ სამეფო ქალაქი არა იყო ტფილისი დროთა მას შინა, არამედ ნისანი და ქუთათისი“.[74]

ანტონ I-ისა და ერეკლეს II-ის მიხედვით, მირონის კურთხევის დოკუმენტი შედგენილი ყოფილა VII-XI საუკუნეებში, რადგანაც მცხეთა დედაქალაქად არაა მოხსენებული, ხოლო XII საუკუნის შემდეგ თბილისი დედაქალაქია (საქართველოს დედაქალაქად თბილისი ითვლებოდა V საუკუნიდან არაბების მიერ დაპყრობამდე, არაბთა განდევნის შემდეგ თბილისი კვლავ დედაქალაქია).

„საბუთი პირველად თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა (ქრონიკები, I, 1892, გვ. 45-46). იგი ფიქრობდა, რომ საბუთში მოხსენიებული „მეფე არჩილი“ უნდა იყოს პირველი (გარდ. 434 წ.) და არა მეორე (გარდ. 718 წ.), რადგან უკანასკნელის დროს მიქაელ კათალიკოზი არა სჩანს და არც დასაჯერებელია, რომ VII-VIII საუკუნეების არევ-დარევის დროს ამისთანა კითხვაზე მოცლა შესაძლებელი ყოფილიყოს; არც დიდი „სომხითის მიტროპოლიტი“ ყოფილა VIII საუკუნეში, მაგრამ რადგანაც ათაბაგი არის მოხსენიებული დარბაზობაში და სხვაცა რამდენიმე არჩილ I დროს წინააღმდეგნი წეს-წყობილებანი, ამით საფუძველი გვეძლევა ვიფიქროთ, რომ „დარბაზობაში“ დროთა მიხედვით, სხვადასხვა ცვლილება უნდა შემოეღოთ.[75]

მირონის კურთხევის უფლება ქართულ ეკლესიას IX საუკუნემდე რომ ჰქონია, ამის შესახებ წერს „ქართლის ცხოვრებაც“, საიდანაც ჩანს, რომ ქართული ეკლესიის ძველთაგანვე (V საუკუნიდან) არსებული მირონის კურთხევის უფლება VII საუკუნეში, 681 წელს, დაუდასტურებია მსოფლიო საეკლესიო კრებას:

„...იქმნა კრება მეექუსე... ამის კრებისა მიერ ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსთვის, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა ვითარცა წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი, საპატრიაქონი, და იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა... ამ კრებისა მიერ დაგვიმტკიცებია პატრიარქად... ხოლო ოდესცა ენებოს შემზადება და კურთხევა მირონისა, აკურთხოს თვისსა ეკლესიასა“.[76]

მართლაც, ამიერკავკასიის ყველა ავტოკეფალურ ეკლესიას (იგულისხმება სომხეთისა და ალბანეთის ეკლესიები) VI-VII საუკუნეებში მირონის კურთხევის უფლება ჰქონდა მინიჭებული. ქართული ეკლესია არ შეიძლებოდა გამონაკლისი ყოფილიყო, რადგანაც სწორედ სომხური წყაროებიდან ჩანს, რომ იმ დროისათვის იგი ისეთივე რანგის ავტოკეფალური ეკლესიაა, როგორიც სომხური და ალბანური.

ამიტომაცაა, რომ ეფრემ მცირეს თანახმად, რომელსაც ყველა ქართული წყარო ეთანხმება, ქართველები მირონს უკვე V საუკუნიდანვე აკურთხებდნენ.

ჩვენს მეცნიერებაში დამკვიდრებულია თვალსაზრისი, თითქოსდა ქართულმა ეკლესიამ „...მხოლოდ IX საუკუნის 40-იანი წლებიდან მიიღო მისი დამზადების უფლება იერუსალიმის პატრიარქისგან, რისი ინიციატორი და საქმის მომგვარებელი იყო აწყურის ეპისკოპოსი ეფრემი...“.[77]

ასეთი თვალსაზრისი არ არის მისაღები, რადგანაც გიორგი მერჩულის ცნობის არასწორ გაშიფრვაზეა დამოკიდებული. გიორგი მერჩულე, ჩანს, წერდა – „რამეთუ პირველად ა-სა კათალიკოსთა მიჰრონი იერუსალიმთ მოჰყვანდა, ხოლო ეფრემ ქრისტესმიერითა ბრძანებითა მიჰრონის კურთხევა ქართლს განაწესა იერუსალიმის პატრიარქისა განწესებით და წამებითა სიხარულით. არამედ ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“...[78] ამ ცნობაში შემდეგდროინდელ გადამწერს სწორად ვერ გაუხსნია ქარაგმა „ა-სა“. ქარაგმა „ა-სა“ კონტექსტის მიხედვით, უნდა გაიხსნას „აფხაზეთისა“, მაშინ აზრი ნათელი და სრულიად გასაგები გახდება. მწერალი წერს – თავიდან აფხაზეთის კათალიკოსებს მირონი იერუსალიმიდან მოჰქონდათ, ეფრემის შემწეობით კი აფხაზეთისათვის საჭირო მირონის კურთხევა გადაწყდა ქართლში. რადგანაც, აფხაზეთი, ანუ დასავლეთი საქართველო ქართლია, ქართული ეკლესიის ნაწილია, რადგანაც წირვა-ლოცვა აქ ქართულ ენაზე წარმოებს. აზრი სრულიად ნათელი და გასაგებია.

ამჟამად კი, როცა ნაცვლად აფხაზეთისა იკითხება „აღმოსავლისა“, ქარაგმის არასწორი გახსნის გამო, აზრი დაბნელებული, უშინაარსო და არასწორია – თითქოსდა აღმოსავლეთის ქვეყნების საკათალიკოსოებს თავდაპირველად მირონი იერუსალიმიდან მიჰქონდათ. ეს სრულიად მრუდე აზრი არ შეიძლება იყოს გიორგი მერჩულის

დედნისა, რადგანაც გიორგი მერჩულე არის სრულიად სანდო, განათლებული, მოაზროვნე მოღვაწე. საქმე ისაა, რომ I საუკუნის 70-იან წლებში იერუსალიმი მთლიანად დაანგრიეს და მის ადგილზე ერთი მცირე სოფელიღა აღმოცენდა საუკუნის შემდეგ. IV საუკუნეში ელენემ და კონსტანტინე რომის იმპერატორმა ეს ქალაქი აღადგინეს, მაგრამ მისი ეპისკოპოსი იმ დროს ექვემდებარებოდა ხან ანტიოქიის ეპისკოპოსს, ხან კი კესარია-პალესტინის ეპისკოპოსს. მხოლოდ V საუკუნეში ქალკედონის კრების შემდეგ გამოვიდა იერუსალიმის ეპისკოპოსი კესარია-პალესტინის ეპისკოპოსის დაქვემდებარებისგან და გადაიქცა საპატრიარქო ეკლესიად.

ამიტომაც I-V საუკუნეებში აღმოსავლეთის ქვეყნების საკათალიკოსოები მირონს იერუსალიმიდან ვერ წაიღებდნენ. I საუკუნის 70-იან წლებამდე, როცა ქალაქი იერუსალიმი არსებობდა, მაშინ აღმოსავლეთის საკათალიკოსოები არ არსებობდნენ. ხოლო შემდეგ საუკუნეებში იერუსალიმი არ იყო არც საეკლესიო და არც საერთაშორისო მნიშვნელობის ქრისტიანული ცენტრი. ასეთი იყო მთელი აღმოსავლეთისათვის მხოლოდ ანტიოქია, ამიტომაც შეიძლება მართალია ეფრემ მცირე, როცა წერს, რომ ანტიოქიის საპატრიარქოში ეკურთხებოდა მირონი და სხვაგან არსადო.

თუ „აღმოსავალისას“ ქვეშ ვიგულისხმებთ ქართლის კათალიკოსებს, მაშინ სწორედ „ქართლისა“ უნდა დაეწერა კიდეც ავტორს, მით უმეტეს, რომ რამდენიმე სიტყვის შემდეგ ნახსენებია სიტყვა „ქართლი“.

მაგრამ კონტექსტიდან ჩანს, რომ ამ ცნობაში ლაპარაკია ახლადშექმნილი აფხაზეთის საკათალიკოსოს მიერ მირონის მიღების შესახებ, კერძოდ, თავიდან აფხაზეთის კათალიკოსს მირონი იერუსალიმიდან მიჰქონდა, ხოლო შემდეგ განეწესა, რომ აფხაზეთის საკათალიკოსოს მირონი მიეღო არა იერუსალიმიდან, არამედ ქართლის საკათალიკოსოდან, რადგანაც აფხაზეთის ქვეყანა (ე.ი. დას. საქართველო) ქართლის ქვეყნის ნაწილია, ხოლო აფხაზეთის საკათალიკოსო ქართლის საკათალიკოსოს, ანუ ერთიანი ქართული ეკლესიის ნაწილია, რადგანაც „...ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“.

გიორგი მერჩულეს ახალი არაფერი უთქვამს, რადგანაც დასავლეთ საქართველოს უკვე მეფე ფარნავაზის დროიდანვე უწოდებდნენ ქართლს – მდინარე ეგრისწყლის აღმოსავლეთით მიმდებარე ქვეყანას, ვიდრე ალბანეთის საზღვრამდე.

გიორგი მერჩულეს ცნობიდან ისეთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო დაარსების შემდეგ, ე.ი. 720-იანი წლებიდან, მირონს იღებდა იერუსალიმის საპატრიარქოდან, ხოლო 840-იან წლებში ის მირონს იღებდა უკვე მცხეთიდან – მსოფლიო მართლმადიდებლობის დასტურით.

მართლაც, აფხაზეთის საკათალიკოსო 830 წელს ცნო ქართლის (ტაო-კლარჯეთის) სამეფო კარმა და ალბათ ქართლის (მცხეთის) საპატრიარქომაც, მალევე ამ ცნობის შემდეგ ის მირონს მცხეთიდან იღებს – ე.ი. აფხაზეთის საკათალიკოსოში მირონი არ ეკურთხებოდა, დასავლეთ საქართველოში მირონი მცხეთიდან მიჰქონდათ, ქართული ეკლესიის ერთიანობის ნიშნად.

ხოლო რაც შეეხება მცხეთას – აქ მირონი V საუკუნიდანვე ეკურთხებოდა.

ისმის ასეთი კითხვა – რატომ მიჰქონდათ აფხაზეთში მირონი იერუსალიმიდან IX საუკუნის 40-იან წლებამდე? როცა დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის, აბაზგიის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსოს და ფოთის სამიტროპოლიტოს გაერთიანების შემდეგ წარმოქმნილმა ეკლესიამ ხატმებრძოლური ერესის გამო გაწყვიტა კავშირი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან, ახალმა ეკლესიამ კონსტანტინოპოლთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ, ჩანს კავშირი დაამყარა იერუსალიმის საპატრიარქოსთან.

არსებობს მსგავსი მაგალითიც: როცა გოთეთის ეკლესიამ VIII საუკუნის პირველ ნახევარში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში წარმოქმნილი ხატმებრძოლური ერესის გამო კავშირი გაწყვიტა კონსტანტინოპოლთან, გოთეთის მთავარი ეპისკოპოსი იერუსალიმში ჩავიდა კურთხევისათვის და იქ სამი წელი ელოდა კურთხევას (იხ. „ცხოვრება იოანე გუთელისა“).

იოანე გუთელი ანტიოქიის საპატრიარქოში არ მივიდა იმ მიზეზის გამო, რომ ანტიოქიელი პატრიარქები არაბთა შემოსევების გამო არა ანტიოქიაში, არამედ კონსტანტინოპოლში იმყოფებოდნენ იმ დროს.

ასევე, აბაზგიის საარქიეპისკოპოსოსა და ფაზისის სამიტროპოლიტოს გაერთიანებით შექმნილმა ახალმა ეკლესიამ, რომელსაც შემდგომ აფხაზეთის საკათალიკოსო ეწოდა, VIII საუკუნის პირველ ნახევარში ხატმებრძოლობის გამო კავშირი გაწყვიტა კონსტანტინოპოლთან და დაამყარა იერუსალიმის საპატრიარქოსთან.

აღსანიშნავი და ყურადსაღებია, რომ იერუსალიმის საპატრიარქოში გოთეთის ეპისკოპოსი არ აკურთხეს და ის ქართლში (იბერიაში, მცხეთაში) ეკურთხა ქართლის კათალიკოსის ხელით. იოანე გოთელის მცხეთაში კურთხევის შესახებ ბერძნული წყაროებიც მიუთითებენ. ასევე სრულებით მსგავსია და ეთანხმება აღნიშნულ ფაქტს ის, რომ აფხაზეთის ეკლესიის მიმართაც ასევე მოქცეულა იერუსალიმის საპატრიარქო.

მსგავსად გოთეთის დამოუკიდებელი ეკლესიისა, აფხაზეთის ეკლესიაც იბერიის – ქართლის ეკლესიისათვის დაუქვემდებარებია იერუსალიმის საპატრიარქოს.

ჩანს, იერუსალიმსა და ქართულ ეკლესიას შორის იმ დროს კარგი ურთიერთობა არსებობდა.

ცნობა იოანე გუთელისა და აფხაზეთის მცხეთაზე დამოკიდებულების შესახებ ერთმანეთის მსგავსია. იერუსალიმის საპატრიარქოს ნებით, აფხაზეთისათვის საჭირო მირონი მცხეთას (ქართლში) ეკურთხება, ასევე იერუსალიმის საპატრიარქოდან მოსული იოანე გუთელიც მცხეთაში ეკურთხება.

უნდა დავასკვნათ, რომ მირონი მცხეთაში V საუკუნიდანვე ეკურთხება, ხოლო დაახლოებით 720-830 წლებში დასავლეთ საქართველოს ის ნაწილი, რომელიც უფრო ადრე კონსტანტინოპოლზე იყო დამოკიდებული, მირონს იერუსალიმიდან იღებდა, ხოლო ამის შემდეგ მცხეთიდან.

აფხაზეთი და ტაო-კლარჯეთი ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის კერები

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში მიღებული თვალსაზრისით, ქართული ეროვნების ფორმირება დასრულებულა XI საუკუნეში.[79] განსხვავებით ძველი ქართული ისტორიოგრაფიისაგან, რომელსაც მიაჩნია, რომ ქართული ეროვნული ერთობა ფარნავაზის სახელმწიფოს შექმნის დროს უკვე არსებობდა.

IX-X საუკუნეში, და საერთოდ არაბთა ბატონობის შემდეგ მკვლევართა თვალსაზრისით, ქართული ეროვნების ფორმირებისა და ქართველური ტომების კონსოლიდაციის კერები ყოფილა ტაო-კლარჯეთი და აფხაზეთი.[80]

გ. წულაიას აზრით, აფხაზეთის სამეფოს შექმნა ყოფილა ქართველური ტომების კონსოლიდაციის ერთ-ერთი ეტაპი: [illegible].[81]

საინტერესოა, როგორი ეთნიკური შემადგენლობისა იყო ქართველური ტომების კონსოლიდაციის კერები – ტაო-კლარჯეთი და აფხაზეთი.

ტაო-კლარჯეთის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ თანამედროვე მკვლევართა შორის ნ. მარის შემდეგ, აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. „ქართლის ცხოვრებისა“ და სხვა წყაროთა მიხედვით, ტაო-კლარჯეთი და საერთოდ სამხრეთ საქართველო მუდამ ქართველების ქვეყანაა. თანამედროვე მკვლევარები მიდიან დასკვნამდე, რომ ტაო-კლარჯეთის აბორიგენი მოსახლეობა იყო ჭანურ-მეგრული, რაც სრულებით არ ეწინააღმდეგება ძველ ქართულ წყაროებს. თავის დროზე ნიკო მარმა, თავისი ცნობილი დასკვნებიდან გამომდინარე, განაცხადა, რომ ტაო-კლარჯეთი თითქოსდა სომხური ქვეყანა იყო, ხოლო ამ მხარეში ქალკედონიტთა გამარჯვების წყალობით ამ მხარის მოსახლეობა გაქართველდა – თითქოსდა საქართველო გამდიდრდა ტაო-კლარჯეთის მოსახლოებით.

ტაო-კლარჯეთი მუდამ ქართველებით იყო დასახლებული, ის ქართლის სამეფოში შემავალი ქვეყანა იყო. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქართლოსს მიეცა ქვეყანა, რომლის სამხრეთი საზღვარი გადის მთაზე, რომელიც „მიჰყვების დასავლით, კერძო, რომლისა წყალი გარდმოდის ჩრდილოთ კერძო და მიერთვის მტკუარსა, რომელ მიჰყვების მთაშორის კლარჯეთსა და ტაოს ვიდრე ზღუამდის“,[82] „ოძრჴოსს მისცა ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა, ქვეყანა კლდოვანი. ამან ოძრჴოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქი; ოზძრჴე და თუხარისი“,[83] „ჯავახოსს მისცა ფანავრითგან ვიდრე თავადმდე მტკუარისა და ამან ჯავახოს აღაშენა... ქალაქი არტანისა, რომალსაც... ჰქჳან ჰური,[84] ფარნავაზ „მოვიდა კლარჯეთს და დაიპყრა კლარჯეთი“.[85] ფარნავაზ „ჟამითი-ჟამად მივიდის ეგრისს და კლარჯეთს, მოიკითხნის მეგრელნი და კლარჯნი“.[86] „ანდრია მოაქცივნა მეგრელნი და წარვიდა გზასა კლარჯეთისასა“.[87]

მეთორმეტე მეფე ფარსმანის დროს სომხეთის სამეფომ შემოიერთა ქართლის სასაზღვრო ქვეყნები. მეფის ძემ არზოკმა განიზრახა „ძიება საზღვართა ქართლისათა“. „და იყო კლარჯეთის ერისთავი არზუკ მეფისა, ... და იგი ავნებდის საზღვართა სომხითისათა, ქუეყანასა პარხლისასა, რომელ არს ტაო, და ვერვინ შევიდოდა მავნე კლარჯეთს...“.[88] იმპერატორი კონსტანტინე უბრძანებს ეპისკოპოს იოანეს: „სადაცა ჯერ იჩინო ადგილთა ქართლისათა, აღაშენენ ეკლესიანი“. „და წარმოვიდა ეპისკოპოსი... და ვითარ მოიწივნეს ადგილსა, რომელსა ჰქჳან ერუშეთი და დაუტევნა ხურონი საქმეთ ეკლესიისა“.[89] ვახტანგ გორგასლის ყმაწვილობის დროს ოსებს „დაურჩეს წარუტყუენველად ჭევნი ქართლსანი: კახეთი და კლარჯეთი და ეგრისი“.[90] გორგასალმა დანიშნა „არტავაზ, ერისთავი კლარჯეთისა“.[91] ვახტანგმა „დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს ეკლესიასა ახიზისასა, ერთი არტანს ერუშეთს“.[92] ჰერაკლე კეისრის დროს „კუალად წარიღს ბერძენთა საზღვარი ქართლისა; სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვისპირი. და შვილნი სტეფანოზისნი დარჩეს „კლდეთა შინა კლარჯეთისათა“.[93] არჩილ მეფემ ქალი „ერთი მისცა მამის ძმისწულსა მისსა, შვილსა გუარამ კურაპალატისასა, რომელსაც ჰქონდა კლარჯეთი და ჯავახეთი“.[94]

მოყვანილი ამონაწერიდან ჩანს, რომ „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, მეფე ფარნავაზიდან ვიდრე მეფე არჩილამდე, სამხრეთი საქართველო და ტაო-კლარჯეთი მუდამ ქართლის სამეფოში შემავალი ქვეყანაა, თუმცა, ზოგჯერ საბერძნეთი და სომხეთი თავიანთ სამეფოებს უერთებენ ქართლის ამ ქვეყანას. მაგრამ ამ დროს როგორც ქართლის სამეფო ხელისუფლების, ასევე ადგილობრივი ქართველების მიზანია, გაათავისუფლონ ეს ქვეყნები და დაუბრუნონ ქართლს. სარწმუნოებრივადაც ქართლის „ხევთაგან“ პირველი სწორედ კლარჯეთი (და ეგრისი) იღებს ქრისტიანობას. ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა არა მარტო კლარჯეთში, არამედ ტაოშიც.[95] ბერძენი ეპისკოპოსი, რომელსაც ნაბრძანები აქვს ქართლის სხვადასხვა კუთხეებში ააშენოს ეკლესიები, პირველ ეკლესიას აშენებს ტაო-კლარჯეთში. ვახტანგ გორგასალი კი უკვე კლარჯეთში ნიშნავს ეპისკოპოსს. კლარჯეთის მოსახლეობას, „კლარჯებს“, მოიკითხავს ხოლმე მეფე ფარნავაზი. კლარჯები ქართლის, ანუ თავის მამულის მოყვარული პატრიოტები, კარგი მეომრები არიან: „მკჳდრნი კლარჯეთისანი იყვნეს კაცნი მკჳრცხნი და მჭედარნიცა“.[96] როცა ქართლის სამეფოს მოსაზღვრე სომხეთის სახელმწიფომ სასაზღვრო ტერიტორიები ჩამოაჭრა, ვერ შეძლო კლარჯეთის დაპყრობა – კლარჯების მამაცობისა და მამულიშვილობის გამო, პირიქით, კლარჯეთის ერისთავი თავისი მეომრებით ამ მეზობელი სახელმწიფოს საზღვრებში იჭრება, მიტაცებული ტერიტორიების ქართლის სამეფოსათვის დაბრუნების მიზნით.[97] აქედან ჩანს, რომ „კლარჯნი“ ქართველი ერის ნაწილია, ცხოვრობენ ქართველთა სამეფოში და ერთგულად იცავენ მას.

ასეთივე მდგომარეობა იყო დასავლეთ საქართველოში – „აფხაზეთში“. დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული სახე „მსგავსი“ იყო ტაო-კლარჯეთის ეთნოგრაფიული სახისა.

ხაზგასმით აღსანიშნავია და ფრიად მნიშვნელოვანი ქართველი ერის ჩამოყალიბების ისტორიისათვის, რომ სწორედ ტაო-კლარჯეთი და აფხაზეთი, ეთნოგრაფიუ-

ლი სახით თითქოსდა არაერთგვაროვანნი, იქცნენ „ქართველთა ეროვნების ფორმირებისა“ და ქართველური ტომების „კონსოლიდაციის“ კერებად. თითქოსდა „ქართული ეროვნების“ ჩამოყალიბებისა და შექმნის კერა უნდა ყოფილიყო შიდა ქართლი, რომელიც ეთნოგრაფიული სახით ერთგვაროვანი იყო და შედგებოდა მხოლოდ ქართებისაგან, მაგრამ IX-X საუკუნეებში, ქართული ეროვნების ფორმირების პროცესში ყველაზე ნაკლებად სწორედ შიდა ქართლი მონაწილეობს (არაბთაგან დაპყრობის გამო). ამ საქმეში აქტიური როლი აკისრია ტაო-კლარჯეთს და აფხაზეთს. იმ გასაოცარ ფაქტს, რომ ქართული ეროვნების ერთობის იდეა და ქართველური ტომების კონსოლიდაცია მოხდა იმ კუთხეებში, რომელნიც ეთნოგრაფიულად თითქოსდა არაერთგვაროვანნი იყვნენ, შეიძლება მოვუძებნოთ ერთადერთი მიზეზი: უკვე IX საუკუნეში და მანამდეც ჩამოყალიბებული იყო ერთიანი ქართველი ერი, რომლის საცხოვრისსაც წარმოადგენდა როგორც დასავლეთ საქართველო, ასევე ტაო-კლარჯეთი. სინამდვილეში ეს მხარეები ეთნიკურად ერთგვაროვანნი იყვნენ.

IX-XI საუკუნეებში ტაო-კლარჯეთისა და აფხაზეთის ქართულ-ეროვნული აქტიურობა, ამ მხარეებში ქართულ-კულტურული აღორძინება გამოწვეული იყო არა იმით, რომ იქ ახლად ჩამოყალიბდა ეროვნული ერთობის გრძნობა, არამედ იმით, რომ ქართველი ერის ეროვნული ცენტრები – მცხეთა და თბილისი, ასევე შიდა ქართლი, არაბთაგან იყო დაპყრობილი და იქ შეუძლებელი იყო ეროვნული კერების არსებობა. ამიტომაც, ეროვნულ ცენტრებად იქცა ქართველებით დასახლებული ის კუთხეები, რომლებზედაც მტერს ნაკლებად მიუწვდებოდა ხელი. ეს იყო, სწორედ, ტაო-კლარჯეთი და აფხაზეთი, მით უმეტეს, რომ ამ მხარეებში გადაინაცვლა ქართველი ერის პოლიტიკურმა ცენტრებმა. არაბთაგან ქვეყნის დაპყრობასა და ქართლის სამეფოს განადგურებას უნდა გამოეწვია არა „ქართული ეროვნების ფორმირების დასრულება“, არამედ, პირიქით, ქართველების დენაციონალიზაცია, რადგანაც არაბთა ბატონობას ისეთი დიდი ხალხის „დენაციონალიზაციაც“ კი გამოუწვევია, როგორიც იყვნენ ირანელები.[98] გ. წულაიას გამოკვლევის თანახმად, ქართველ ეროვნებას სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაციისა (VI ს.) და არაბთაგან დაპყრობის შემდეგ (VII ს.) „ძალზე მაღალი დონე ჰქონია ეთნიკური კონსოლიდაციისა“,[99] ადვილი მისახვედრია, თუკი ქართველობას ეროვნული სახელმწიფოს გაუქმების შემდეგაც კი ეროვნული კონსოლიდაციის დონე ძალზე მაღალი ჰქონდა, კიდევ უფრო მაღალი იქნებოდა ქართველთა ეთნიკური კონსოლიდაციის დონე ეროვნული საერთო ქართული სახელმწიფოს არსებობის დროს. სწორედ ამას მიუთითებს დაჟინებით „ქართლის ცხოვრება“. მეფე ფარნავაზიდან (III ს. ქრისტეს წინ) ვიდრე ვახტანგ გორგასლის შვილებამდე (VI) ქართველ ერს უწყვეტად ჰქონდა ეროვნული სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაშიც უცილობლად შედიოდა როგორც დასავლეთი (შემდგომდროინდელი „აფხაზეთი“), ისე სამხრეთ საქართველო (ტაო-კლარჯეთი).

ცხადია, ქართული ეთნიკური კონსოლიდაციის დონე ეროვნული სახელმწიფოს განადგურების შემდეგ შემცირდებოდა, და თუ იგი მაინც ინარჩუნებდა პირვანდელ სახეს, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ქართული ეროვნული ერთობა ეროვნული სახელმწიფოს არსებობის დროს კიდევ უფრო მაღალი იქნებოდა, რაც ქართველი ერის არსებობის საფუძველს ქმნიდა.[100]

ქართული ტომების ინტეგრაციის ერთ-ერთი მაჩვენებელი ქართული დამწერლობის შექმნაც ყოფილა.[101] „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ქართული მწიგნობრობა შეიქმნა ერთიანი საქართველოს მეფის, ფარნავაზის დროს. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართული დამწერლობა სათავეს იღებს VII-VI საუკუნეებში ქრისტეს წინ, ხოლო რ. პატარიძის განმოკვლევის თანახმად, ქართული დამწერლობა შექმნილა V საუკუნეში ქრისტეს წინ.

ფუძექართული ენობრივი ერთობის დაშლა სწორედ ქრისტემდე, VIII-IV საუკუნეებშია მოსალოდნელი. ასე რომ, იმ დროს, როდესაც ქართველებმა შექმნეს ქართული ანბანი (ანდა შემოიღეს ფინიკიური ანბანი თავიანთი ენობრივი საჭიროებისათვის), ჯერ კიდევ არ ყოფილან ფორმირებულნი ქართები და მეგრელები, ჯერ კიდევ არსებობდა მათი ენობრივი ერთობა. დამწერლობის შემოღება კიდევ უფრო შეუწყობდა ხელს როგორც ფუძე-ქართულენოვანი ტომების ინტეგრაციას, აგრეთვე ფარნავაზის მიერ ერთიანი სახელმწიფოს შექმნასაც, რომლის შემადგენლობაში შედიოდა როგორც დასავლეთი, ასევე სამხრეთ საქართველო, შემდეგ აფხაზეთად და ტაო-კლარჯეთად წოდებული მიწები.

ამ საუკუნეებში (IV-III საუკუნე ქრისტეს წინ) მეგრული ენა ნაკლებად იქნებოდა ფორმირებული როგორც დამოუკიდებელი ენა; შესაძლოა, ის ყოფილიყო დიალექტი ფუძექართული ენისა; ფუძექართული კი ჯერ კიდევ მის საბოლოო დაშლამდე იქცა სახელმწიფო და კულტის მსახურების ენად. ფუძექართული ენა და ძველი ქართული სალიტერატურო ენა ერთი და იგივე უნდა იყოს.

სამეგრელოში საშუალო და მაღალი ფენები (სამღვდელოება და არისტოკრატია) სახელმწიფოებრივი, საკულტო და ხშირად საოჯახო საჭიროებისათვის იყენებდნენ არა მეგრულ, არამედ ქართულ სახელმწიფო და კულტის მსახურების ენას – ძველ ქართულ სალიტერატურო ენას. ჩანს, მეგრული, როგორც დამოუკიდებელი ენა, მხოლოდ შემდეგში, საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბდა. ეს უნდა მომხდარიყო პირველ ათასწლეულში ქრისტეს შობის შემდეგ. სწორედ ეგრისისათვის სპარსეთ-ბიზანტიის ომები, ერთიანი ქართული სახელმწიფოს გაუქმება (VI საუკუნეში), რომლის შემადგენლობაში ყოველთვის შედიოდა ეგრისი, არაბთა შემოსევა VII საუკუნეში, VII საუკუნის დასაწყისში საქართველოს შავიზღვისპირეთის ანექსია ბიზანტიის მიერ და იქ ბერძნული ეკლესიის გაბატონება ხელს შეუწყობდა მეგრული დიალექტის გადაქცევას დამოუკიდებელ ენად. ეს პროცესი შემდგომშიც, ქართული სახელმწიფოს საბოლოო დაშლის მერეც გაღრმავდებოდა. ასე რომ, არაბთა მიერ ქართული ეროვნული (არჩილის) სახელმწიფოს დანგრევა ხელს კი არ შეუწყობდა ქართველი ეროვნების ფორმირების საქმეს, პირიქით, სახელმწიფოს დაშლა ერის დაშლას და ეროვნულ გადაგვარებას განაპირობებდა. ამას ადასტურებს იოანე საბანისძე, რომელიც „აბო თბილელის წამებაში“ აღნიშნავს, რომ ქართველნი ამ მძიმე დროს ისევე მერყევნი არიან, როგორც ლერწამნი ქარიშხლის დროსო. მაგრამ ფაქტია, რომ არაბთა ბატონობის ოდნავი შესუსტებისთანავე ყოფილი ქართლის სამეფოს პერიფერიებში (რადგანაც ცენტრი დაპყრობილი იყო) – დასავლეთ საქართველოსა და ტაო-კლარჯეთში – განვითარდა და სწრაფად

აყვავდა ქართული ეროვნული კულტურა, ეროვნული თვითშეგნების გრძნობა, ეროვნული სახელმწიფოებრიობა. ამის მიზეზი იყო ის, რომ არაბთა შემოსევამდე გაცილებით ადრე როგორც დასავლეთ, ისე სამხრეთ საქართველოს მცხოვრებნი ეროვნულად ქართველები იყვნენ და მათ ამის შეგნება ჰქონდათ. სწორედ ამ მიზეზის გამო ქართული ეროვნული ცენტრები არაბთა მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის დროს გადავიდა დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში. სწორედ აფხაზეთი და ტაო-კლარჯეთი ქართველი ერის პოლიტიკურ ცენტრებად იქცა, ეროვნული სახელმწიფოებრიობა აღდგა, ქართული კულტურა აყვავდა. იმ დროს, როცა აღმოსავლეთ საქართველო (ქართული ეროვნების „ბირთვი“), არაბთა მიერ იყო დაპყრობილი და იქაური ქართველები ეროვნულ გადაგვარებას განიცდიდნენ, ქართული ეროვნული ერთობის, ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის კერად აფხაზეთი იმიტომ იქცა, რომ არაბთა შემოსევამდე დიდი ხნით ადრე დასავლეთი საქართველო უკვე ქართული ქვეყანაა, რომლის მცხოვრებთ ქართველები ეწოდებათ. გ. წულაიას აზრით, ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ქართველური ტომების ინტეგრაცია ითვლიდა არაერთ ასწლეულს.[102] ამავე თვალსაზრისს ადასტურებს „ქართლის ცხოვრებაც“.

ძველქართული ეროვნების კონსოლიდაციის ახალი ეტაპი დაწყებულა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გადაქცევის შემდეგ.[103] ქართულ ენაზე წერილობითი ლიტერატურის შექმნა ქართველთა ეთნიკური კონსოლიდაციის მაღალი დონის ნიშანი ყოფილა.[104] თვით საკუთრივ აფხაზეთშიც კი, ე.ი. ეგრისწყლისა და კლისურას იქით მდებარე ტერიტორიაზე, ქართულ წერილობით კულტურას ხანგრძლივი ისტორია ჰქონია ჯერ კიდევ ქართული მიწების გაერთიანებისათვის მოძრაობის დაწყების ადრეულ ეტაპზე, მით უმეტეს ქართულ წერილობით კულტურას გაცილებით უფრო ხანგრძლივი ისტორია ექნებოდა ეგრისში, ანუ დასავლეთ საქართველოში, საიდანაც ეს კულტურა გავრცელდებოდა საკუთრივ აფხაზეთში. საუკუნეთა მანძილზე, არაბთა შემოსევამდე, ეგრისი პოლიტიკურად „ქართლის სამეფოს“ შემადგენელ ნაწილად მიიჩნეოდა.

[illegible]...[illegible].[105]

ქართული ისტორიული ტრადიცია ჯერ კიდევ აფხაზთა სამეფოს შექმნამდე დასავლეთ საქართველოს – ეგრისის მცხოვრებთ მიიჩნევდა ქართლის სამეფოს მცხოვრებლებად – „ნათესავით ქართველებად“. მემატიანეებმა იციან, რომ აფხაზეთის სამეფოს შექმნით დასავლეთ საქართველოს ეროვნული შემადგენლობა არ შეცვლილა – შეიცვალა მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის სახელწოდება. დასავლეთი საქართველო, ანუ აფხაზეთი და სამხრეთი საქართველო, ანუ ტაო-კლარჯეთი, არა მარტო პოლიტიკურად და კულტურულად, არამედ ეთნიკურადაც ქართული ქვეყნები იყვნენ.

სწორედ ამ მიზეზის გამო იქცნენ ეთნოგრაფიულად „არაერთგვაროვანი“ აფხაზეთი და ტაო-კლარჯეთი ქართული ეროვნული ფორმირება – კონსოლიდაციის კერებად. სინამდვილეში ეს ქვეყნები ეთნიკურად ერთგვაროვანნი იყვნენ და მათი მცხოვრებნი ეროვნულად ქართველებს მიაკუთვნებდნენ თავიანთ თავს ძველთაგანვე – ძველქართული სახელმწიფოს არსებობის დროს.

IX-X საუკუნეებამდე გაცილებით ადრე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას ქართველებად მიიჩნევდნენ არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი ისტორიკოსებიც. V-VI საუკუნეთა უცხოელი ისტორიკოსები ხშირად უწოდებდნენ დასავლეთ საქართველოს იბერიას.[106]

ქართული ეკლესიის თავდადებული ღვაწლი პირველი მაჰმადიანური შემოტევის წინააღმდეგ

(წმიდა აბო თბილელი, წმიდა ევთიმე და კონსტანტინე, წმიდა არზილ მეფე, წმიდა მიქაელ გობრონი, წმიდა კონსტანტინე ქართველი)

საქართველოს, როგორც მთლიან ეთნოკულტურულ ერთეულს, მაჰმადიანობამ შემოუტია ორჯერ. პირველი შემოტევა დაიწყო VII საუკუნეში, მაჰმადიანური სარწმუნოების წარმოშობისთანავე და გაგრძელდა თითქმის XII საუკუნემდე, ხოლო მეორედ – მაჰმადიანობამ საქართველოს შემოუტია XV-XVIII საუკუნეებში. ამ ორ შემოტევათა შუა, XI-XIV საუკუნეებში, ქართველმა ხალხმა შეძლო თავისი ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება, საქართველოს ძლიერ სახელმწიფოდ დაარსება, რომელიც აგრესორთაგან იცავდა საკუთარ და საქართველოს მფარველობის ქვეშ მყოფ ხალხებს. VII-VIII საუკუნეებში „განეფინა ქადაგება მაჰმად უსჯულოსა და მრავალი ერი შეუდგა მას“,[107] საქართველოს მეზობლად მცხოვრები მრავალი ქრისტიანი ხალხი გამაჰმადიანდა, რის გამოც დაკარგა თავისი ეთნიკური სახე და გადაგვარდა. სირიელ ხალხს გააჩნდა დიდი წარსული, კულტურა და თავისთავადი სახე. გამაჰმადიანების შემდეგ კი თანდათანობით გაარაბდა. სირიული ქრისტიანული ლიტერატურა განსახილველ ეპოქაში ისეთივე ღრმა და მდიდარი იყო, როგორც ბერძნული ქრისტიანული ლიტერატურა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დანაკარგი იყო ქრისტიანობისათვის საქართველოს მეზობლად მცხოვრები ალბანელი ხალხის გადაგვარება გამაჰმადიანების შემდეგ. იგივე ბედი ეწეოდა ჩვენს ერსაც, თუკი მედგარ წინააღმდეგობას არ გაუწევდა მახვილით მოსულ მტერს და მის სარწმუნოებას. აღსანიშნავია, რომ მაჰმადიანობის ზემოაღნიშნულმა პირველმა შემოტევამ მნიშვნელოვნად დააზიანა ჩვენი ეროვნულ-კულტურული სხეული, საქართველომ დაკარგა თავისი ზოგიერთი ისტორიული პროვინცია სამხრეთ-აღმოსავლეთით ამ კუთხეთა ეროვნული გადაგვარების გამო.

ქარიშხლის სისწრაფით შეიჭრნენ მუსლიმები ბიზანტიურ მიწა-წყალზე. 634 წლის შემდეგ სულ რამდენიმე წელიწადში დაიპყრეს სირია, პალესტინა და ეგვიპტე. ეს ქვეყნები მანამდე ბიზანტიას ეკუთვნოდა, 640-იან წლებში დაეცა ირანი. ჩვენი მემატიანის თვალსაზრისით, დაცემა დააჩქარა იმან, რომ იქამდე ჰერაკლე კეისარს სასტიკად მოუოხრებია ირანი. „რამეთუ ვინაითგან შესრულ იყო ერაკლე მეფე სპარსეთს და განერყუნა სპარსეთი, და არღარავინ იყო წინააღმდგომი სპარსეთს, აგარიანმან დაიპყრა სპარსეთი“.[108]

ბიზანტიის აღმოსავლური ქვეყნების მოსახლეობა, რომელთაც ტრადიციული სიძულვილი გააჩნდათ ბიზანტიელთა მიმართ ეთნიკური და სარწმუნოებრივი განსხვავებულობის გამო, არ უწევდა წინააღმდეგობას არაბებს. წყაროებში აღნიშნულია, რომ სირია-პალესტინის ფანატიკოსი მონოფიზიტი ბერებიც კი მასობრივად ტოვებდნენ მონასტრებს და არაბულ ლაშქარს უერთდებოდნენ. ამის შემდეგ გასაკვირი არ არის, თუ ამ ქვეყნების ბევრი ქალაქის კარი უბრძოლველად იხსნებოდა არაბების წინაშე.[109] ჰერაკლე კეისარმა მიატოვა აღმოსავლეთის ქვეყნები. ვინმე ერთ მონაზონს მისთვის უთქვამს: „ივლტოდეთ, რამეთუ უფალმან მისცა აღმოსავლეთი და სამხრეთი სარკინოზთა“.[110]

საყოველთაო შიშის დროს, როცა თვით ქრისტიანი მონოფიზიტი ბერებიც კი სასოებით შეჰყურებდნენ არაბებს, ვითარცა უფლის ნების აღმსრულებლებს, ქართული ეკლესია, მისი მოწესეთა დასი, ბერ-მონაზვნობა მხნეობას ანიჭებდა ქართველ ერს, სიტყვით და საქმით აძლევდა მაჰმადიანებთან ბრძოლის საოცარ მაგალითებს.

ყველა ქრისტიანი და არაქრისტიანი მორწმუნისათვის ცნობილი იყო, თუ რას ნიშნავდა აბრაამის მემკვიდრეობა, ღვთისაგან რჩეული ერის შვილობა. მსოფლიო არენაზე არაბთა წარმატებული გამოსვლა ჩაითვალა იმის ნიშნად, რომ ღვთისაგან არჩეულ აბრაამის ძეს, ისმაილსაც, დაუბრუნა უფალმა რჩეულობა, რომ ისმაილიტებიც აბრაამის შთამომავალნი, ღვთისაგან რჩეულები არიან. აქედან გამომდინარე, მათი სარწმუნეობაც ღვთისმიერია და ღვთის ნებით იმარჯვებენ მთელს ქვეყანაზე. მიიღეს კიდეც მუჰამედის მიერ ქადაგებული სარწმუნოება სირიისა და პალესტინის ქრისტიანმა ხალხებმა, ირანისა და მახლობელი აღმოსავლეთის ცეცხლთაყვანისმცემლებმა.

არაბთა ასეთი სარწმუნოებრივი ძლევამოსილების ფონზე ცის ქუხილივით გაისმა აბრაამის შთამომავალი არაბი აბოს მიერ ქრისტეს სარწმუნოებისათვის თავის გაწირვა. წმიდა მამა გრიგოლ ხანძთელი წერდა:

„მკვიდრად აღთქმისა გამობრწყინდი
და ძედ ზეცისა ჩინებულად იწოდე
ნაშობად აბრაჰამისა
იქმენ სანატრელთ ისაკ მეორე
ნებსით მოგვრიღი დაკლად
შესაწირავად უფლისა“.[111]

წმიდა აბო თბილელის ღვაწლი ჭეშმარიტად სამაგალითო იყო აბოს არაბული წარმოშობის გამო. როგორც აბრაამმა შესწირა უფალს ისაკი და დასაკლავად

მიიყვანა უფლის საკურთხეველთან, ასევე აბო თბილელმა, მეორე ისააკმა, აბრაამის ძემ, თავისი შთამომავლობის გამო, თავი თვისი ნებით შეწირა უფალს. სტეფანე სანანოის ძე – ჭყონდიდელი ეპისკოპოსი მოუწოდებდა მსოფლიოს ყველა ერს ქართველებთან ერთად მისულიყვნენ და ეხილათ აბო თბილელის ქრისტესთვის მოღვაწეობა – „ყოველნი თესლნი მოვედით მკვიდრთა თანა ქართლისათა დღეს, და იხილეთ ღვაწლისა მძლე ჰაბო განშუენებული ბრწყინვალედ სისხლითა წამებისაჲთა“.[112] წმიდა აბომ თავისი სისხლით განწმიდა ერი და ქვეყანა. „განსწმიდე ქართლი სისხლითა შენითა დათხევითა, მოწამეო“.[113] აბოს გალობაში ნათქვამია – „აღავსო მან ეკლესიაჲ ნელსაცხებელითა სურნელებითა და წმიდა ყო ერი მადლითა საღმთოჲთა“.[114]

ქართულმა ეკლესიამ, და საერთოდ ქართველობამ, შეძლო შეურყეველი დაცვა ქრისტიანული სარწმუნოებისა, თუმც კი – „მრავალნი შეაცთუნნეს და გარდადრიკნეს გზისაგან სიმართლისა... ნაშობნი ქრისტიანეთანი გარდაგულარძნნეს, რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკვრებით და სხვანი, რომელნი ესე ვართ მორწმუნენი მძლავრებასა ქუეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი ძვირ-ძვირად ზღვეულნი შიშითა განილევიან და ირყევიან ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა, არამედ ქრისტეს სიყვარულითა და შიშითა, ჩვეულებისაებრ მამულისა სვლისა ჭირთა მოთმინებითა არა განეშორებიან – მხოლოდ შობილსა ძესა ღმრთისასა“.[115]

ამ დროს (ე.ი VIII ს-ში) ქართველები – „ხუთასის წლისა ჟამთა და უწინარესღა სჯულდებულ ყოფილ არიან წმიდითა მადლითა ნათლისღებისაჲთა“. სწორედ ასეთ დროს – „ჟამსა ამას ოდენ მეფობისა ისმაიტელთა დიდებისა – შენ ნებსით სიმდაბლე ქრისტესთვის აღირჩიე და მახვილითა პყრობილი იგი სჯული განაგდე და ჭეშმარიტი იგი აღიარე“, – მიმართავს აბო თბილელს იოანე საბანისძე. „განა ეს ქრისტიანობის ზნეობრივი ძლიერების საუცხოვო დამამტკიცებელი საბუთი არ იყო, თუ რომ თვით არაბმა თავისით, ძალდაუტანებლივ, მაჰმადიანობა ქრისტიანობაზე გასცვალა? მაჰმადიანობას კი არაბები ძალით ავრცელებდნენ, ამიტომაც იგი „მახვილითა პყრობილი შჯული იყო“... ამ გარემოებამ „სწავლულნი უფროის გულისხმიერ“ ჰყო და ჩააფიქრა, „შერყეულნი უფროის განამტკიცა“ და გაამხნევა, ხოლო „განმტკიცებულნი „გაამხიარულა და გაახარა“.[116] აბოს ხსენება იყო 7 იანვარს. უწამებიათ 786-790 წლებში. წმიდა გრიგოლ ხანძთელი თავის ლოცვაში, რომელიც მან „ცრემლით წართქვა“ ხანძთის სახელოვანი ტაძრის შენებისას, მოწამეებს უწოდებს ეკლესიის ბურჯსა და ზღუდეს. წინასწარმეტყველნი, მოციქულნი, მოწამენი და ღირსი მამები – „ესე ოთხ-კერძო კრებული... სიმტკიცე ექმნნეს წმიდათა შენთა ეკლესიათა“[117] – ლოცულობდა იგი მაცხოვრის წინაშე.

ეკლესიის სიქადულსა და ერისათვის მისაბაძ მაგალითს წარმოადგენდა ქრისტესთვის თავდადებულ ქართველ მეფეთა მოწამებრივი ღვაწლი არაბთა შემოსევის დროს. ძველი ქართული წყაროებით ბიზანტიის ხატმებრძოლ იმპერატორ ლევ III ისავრისის (დაახ. 675-741), „ქართველთა ზედა ვახტანგ გორგასლისისა შვილთ-

ასა“[118] (იგულისხმება მირი და არჩილი) მეფობის დროს დასავლეთ საქართველოში, არგვეთში, უწამებიათ მთავრები მხეიძეთა საგვარეულოდან – დავითი და კონსტანტინე (ხსენება „თთუესა ოკდონბერსა 31“).

„ვითარცა გვისწავიეს ძველთა უწყებათაგან, იყვნეს წმიდანი ესე მოწამენი დავით და კონსტანტინე ქართველნი, სანახებისაგან არგუეთისა, დიდნი და დიდებულნი ტომობით, მთავარნი ამის ქუეყნისანი, და თვის ეყვოდეს ურთიერთას და იყვნეს განათლებულ ემბაზითა ქადაგებულისა ანდრია და სიმონ კანანელისათა, რამეთუ მათ უქადაგეს ქრისტე ქართველთა შორის, პირველად ნინოის მოსვლისა“.[119] ისინი იყვნენ უცოლონი, სრულიად ჭაბუკნი „ქალწულ ხორცითა და მეცნიერ ძუელისა და ახლისა სჯულისა, ჭეშმარიტი მორწმუნენი და გამოცდილნი და ახოვანნი წყობასა შინა“. არგვეთში, ქართულმა ლაშქარმა დავითისა და კონსტანტინეს მეთაურობით დაამარცხა არაბთა ლაშქრის წინმავალი რჩეული ნაწილი, „ურიცხვი მოსრეს და აღუდგინეს ძლევაჲ დიდი ქრისტიანეთა“.[120] ამის შემდეგ მურვან-ყრუ თავისი ლაშქრით სამცხიდან გადასულა დასავლეთ საქართველოში. „წარმოემართნეს ვითარცა ქვიშაჲ სიმრავლითა და მოვიდეს ქუეყნად არგუეთისა და შეიცვეს ტყე და ველი და მთანი და ბორცუნი“. დავით და კონსტანტინე შეიპყრეს. მემატიანის სიტყვით, ქართველთა წინააღმდეგობით გაკვირვებულმა მურვან-ყრუმ მიმართა მოწამეებს – „ვინანი ხართ თქვენ ქვათა და ძელთა მსახურნო, რომელთა იკადრეთ წინაგანწყობაჲ ჩემი? ანუ არა იცითა, ვითარმედ დიდისა მოციქულისა მუჰამედისა დისწული ვარ, რომლისა სჯულსა ჰმონობს ყოველი არაბეთი და სპარსეთი და დამიმორჩილებია ყოველი ქვეყანაჲ დასავლეთითგან ვიდრე აღმოსავლეთამდე?“[121]

მურვანი მათგან ითხოვდა ქრისტიანობის უარყოფას და მაჰმადიანობის აღიარებას, რის სანაცვლოდაც ჰპირდებოდა ქვეყნიურ დიდებას, რაზედაც პასუხად მიიღეს წმიდანებისაგან: „ვითარცა იგი პირველ აღვიარეთ სარწმუნოება ჩვენი ჭეშმარიტი და ვწამეთ, მას ზედა მტკიცედ და ურქცეველ ვართ და ვერარამან ჭირმან და არცა დიდებამან ამის საწუთოჲსაგან ვერ განმაშორნეს ჩუენ სიყვარულსა და სარწმუნოებასა იესუ ქრისტესსა“.[122]

სასტიკი ტანჯვის შემდეგ წმიდა მოწამენი მდინარე რიონში დაახრჩვეს. მურვან-ყრუმ ამის შემდეგ „შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისის ქუეყანისანი და ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი, შემუსრა და შევლო ზღუდე „იგი საზღვარი კლისურისა... და ვითარცა შევლო ყრუმან კლისურა, რომელ იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა, და შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი და მოადგა ციხესა ანაკოფიისასა, რომელსა არს ხატი ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა... მუნ შინა იყვნეს მაშინ მეფენი ქართლისანი მირი და არჩილ“.[123]

ლტოლვილმა ქართველმა მეფეებმა გაბედეს იქამდე უძლეველი ლაშქრის წინააღმდეგ გაბრძოლება. „ეჩუენა მას ღამესა არჩილს ანგელოზი უფლისა, რომელმან ჰრქუა მას: „წარვედით და ეწყუენით აგარიანთა, რამეთუ მიმივლინებია მათზედა გუემა სასტიკად მომსვრელი, კაცითგან პირუტყვთამდე“.[124] მართლაც, ღამით სასტიკმა მუცლის ტიფმა დახოცა 35 ათასი სარკინოზი, ხოლო მეფეებმა შებრძოლებისას დახოცეს 3 ათასი. მტერი უკუიქცა, დაბანაკდა მდინარეებს, აბაშასა და

ცხენისწყალს შუა. აქ უეცარმა წყალდიდობამ დახოცა ათეულ ათასი მოლაშქრე და მათი ცხენები. საქართველოში არაბთა ამ საკვირველ დამარცხებას დიდად გაუხარებია ბიზანტიის იმპერატორი, როგორც ამას გვაუწყებს მემატიანე.

არაბთა ბატონობა კავკასიაში კიდევ დიდხანს გაგრძელდა. „ამიერითგან იწყო შემცირებად მეფობამან დიდთა მეფეთა ხუასროანთამან“.[125] ხოსროიან მეფეთა, ანუ ქართველთა განმანათლებელ მირიანისა და ვახტანგ გორგასლის შთამომავალი არჩილ მეფე დევნილი გადასულა კახეთში, მაგრამ შემდგომ მისულა არაბებთან, რათა ქვეყნისათვის მშვიდობა გამოეთხოვა. „წმიდამან არჩილ განიზრახა გონებასა თვისსა... რათა მივიდეს და ნახოს და ითხოვოს მშვიდობა ქუეყანისა და დაცვა შეურყევლად ეკლესიათა და არა დაპატიჟება დატევებისათვის სჯულისა“.[126] არჩილი შეიპყრეს, მოთხოვეს ქრიატიანობის უარყოფა, ნაცვლად შეპირდნენ ყოველგვარ ქვეყნიურ სიკეთეს. წმიდა არჩილი აწამეს და თავი მოჰკვეთეს „თვესა მირკანისსა, რომელ არს მარტი, ოცსა მის თვისასა“. ეს მომხდარა 744 წელს.

ქართული ეკლესია 17 ნოემბერს აღნიშნავდა წმიდა მოწამე გობრონისა და მასთან ერთად 133 მხედრის ხსენებას. ისინი არაბებს 914 წელს უწამებიათ. „გობრონი“ არაბულად თურმე უშიშარ ვაჟკაცს ეწოდება. გობრონის ნათლობის სახელი მიქაელი ყოფილა. წმიდა მიქაელ – გობრონის მარტვილობის აღმწერი სტეფანე მტბევარი (ტბეთის) ეპისკოპოსი წერს არაბთა შესახებ – „კაცნი მხეცისა ბუნებისანი, მტაცებელნი, რომელთა სახლი არს და ცხორებაჲ აქლემისა ზურგი, ნათესავნი ურიცხვნი, რომელთათვის ვითარცა ძაღლნი მბრძოლნი არიან მხეცთა მათ ველურთა“.[127]

ეკლესიას სწყუროდა ხალხის სიმშვიდით ცხოვრება, რათა „სამწყსონი იგი ქრისტესნი მყუდროებით ისწავებოდნენ ღმრთის მსახურებასა და არა ბრძოლასა „ვითარცა წინასწარმეტყველი იტყვის „დასჭრიდნენ მახვილებსა მათსა მანგლად და ლახვრებსა მათსა სახნისად“,[128] მაგრამ მაჰმადიანთა შემოსევამ შეცვალა ქრისტიანთა მშვიდი ცხოვრება, წერს მემატიანე.

სარკინოზთა ჩვეულება ასეთიაო, წერს ისტორიკოსი, როცა ქვეყნის დაპყრობის შემდეგ გასცემდნენ ქრისტიანის სიკვდილით დასჯის ბრძანებას, აღიჭურვებოდნენ, როგორც ბრძოლის დღეს, ალესავდნენ მახვილს, ერთმანეთს უსწრებდნენ, თითქოსდა ქრისტიანის მოკვლით რაღაც დიდი საფასური უნდა მიიღონო. ასევე, როცა ყველისციხიდან გამოჰყავდათ მისი 133 დამცველი და მათთან ერთად წმიდა მოწამე გობრონი, მაშინ არაბები „ვითარცა მხეცნი ბოროტნი გამძვინებულნი შეერინეს აღრეულად და ურთიერთსა უსწრებდეს, რომელნიმე მახვილითა სცემდეს, რომელიმე ჰოროლითა და ისრითა შესჩხუებდეს და დასჭრიდეს ხორცთა მათთა, დანებითა განაპებდეს და ღვიძლები იგი მათი, ვითარცა ძაღლთა

პირითა განეტაცა. და ესრეთ დასთხინეს სისხლნი მათნი, და ესრეთ სრულ იქმნა წამებაჲ მათი ქრისტეს მიერ, ხოლო ნეტარი გობრონ წარადგინეს წინაშე ამირისა მის".[129]

არაბებს სურდათ, წმიდა გობრონი, ვითარცა სახელოვანი კაცი, გაემაჰმადიანებინათ. მტკიცე უარის შემდეგ გობრონს ჯერ აჩვენეს დაჭრილ-დასახიჩრებული და ნაწამები ქართველი ქრისტიანები, მერე კი აჩვენეს სიმდიდრე და ქონება, რომლის მიცემასაც დაჰპირდნენ ქრისტიანობის უარყოფის შემდეგ. ამ ხერხმა არ გასჭრა, ამიტომაც გადაწყვიტეს გობრონის შეშინება, მის თვალწინ დაკლეს ცოცხლად გადარჩენილი ქრისტიანები. „სისხლი მათი ეპკურებოდა მას, და რომელნიმე გუამი დავარდის მის წინაშე და რომელსამე გუამი შეგორდის ქუეშე ფერხთა მისთა",[130] მაგრამ „ვერ შეაძრწუნეს გული მისი".

ამირას წინაშე წმიდა გობრონმა განაცხადა: „იქმოდე რაჲცა გნებავს, მე ქრისტიანი ვარ და არასადა უვარვყო სახელი მისი". წმიდა გობრონს თავი წარკვეთეს. მისი წამებით „შეიმოსა ეკლესიამან სამკაული სიხარულისა და ბრწყინვალებისაჲ სისხლითა მისითა, დაიდგა გვირგვინი შუენიერებისა და დიდებისაჲ სიმხნითა მისითა".[131]

ავტორი სტეფანე მტბევარი ეპისკოპოსი მოუწოდებს ქრისტიანებს – „აწ უკუე მოაკვდინენით ხორცნი თქუენნი და ჯუარს აცუთ იგი შრომითა და მარხვითა, გვირგვინითა მოწამეთაჲთა... შენ ნებსით თავი თვისი მოსწყვიდე და ესე არს მსხვერპლი უბიწოჲ, რომელსა არა უხმს მღდელი შემწირველი, რამეთუ რომელი ამას ქვეყანასა ზედა დამდაბლდეს, იგი ცათა შინა ამაღლდების ქრისტეის იესუის მიერ უფლისა ჩვენისა, რომლისა არას დიდებაჲ მამისა თანა სული წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე".[132]

853 წლის 10 ნოემბერს უწამებიათ კონსტანტი ქართველი. „მას ჟამსა ოდენ იყო ვინმე ქუეყანასა ქართლისასა, სანახებსა ზენა სოფლისასა, კაცი, რომელსა სახელი ერქუა კონსტანტი, რომელსა ეწოდა კახაჲ, სახელად მამულისა მის ქუეყანისა".[133] ივანე ჯავახიშვილის აზრით, კონსტანტი ქართველის მარტვილობის აღმწერი, შესაძლოა, იყო საბერძნეთში მყოფი რომელიმე ბერი,[134] რადგან ავტორს დრო ქართველ მთავართა მეფობისდა მიხედვით კი არა აქვს განსაზღვრული, არამედ ბიზანტიის დედოფლის მეფობისდა გვარად.[135] კონსტანტი დიდად წარჩინებული კაცი ყოფილა მთელ საქართველოში („ყოველსა ქუეყანასა ქართლისასა"), მდიდარი, საქართველოს ფარგლებს გარეთაც კი განთქმული იყო მისი სახელი, ბიზანტიის იმპერატორებსაც სმენოდათ მის შესახებ. იგი შემკული იყო „ორკერძოითავე მათ საქმითა", პირველად ჰქონდა სარწმუნოება ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიმართ „და კუალად აქუნდა ნეტარსა მას სარწმუნოებაჲ მღდელთა მოძღვართა მიმართ და ყოველთა მოწესეთა ელესიისათა".[136] იყო სტუმართმოყვარე, გლახაკთმოყვარე, ჰქონდა სიმდაბლე, თავის თავს

ყველაზე უფრო მეტ ცოდვილად თვლიდა, მოილოცა იერუსალიმი და სიმდიდრით გაავსო იქაური გლახაკები „და ვითარ მოხუცებული იყო, იქმნა ნეტარი იგი ოთხმეოც და ხუთისა წლისა ჟამთა ოდენ ჰასაკისა მისისათა აღდგა დევნულებაჲ დიდი ქრისტიანეთა ზედა ყოველსა ქუეყანას ქართლისასა“. კონსტანტი-კახა 26 აგვისტოს შეიპყრეს „ვითარცა წინამძღვარი და წარჩინებული ყოველსა ქუეყანასა ქართლისა“. შეიყვანეს თბილისის საპყრობილეში, წარუდგინეს ბუღა-თურქს, რომელმაც იმავე წლის (853წ.) 5 აგვისტოს თბილისი დაწვა. ატენის სიონის წარწერაზე დაყრდნობით, ივანე ჯავახიშვილის აზრით, კონსტანტისთან ერთად შეუპყრიათ მისი ძე თარხუჯიც. კონსტანტის მოსთხოვეს ქრისტიანობის უარყოფა. უარის შედეგ დაადეს ბორკილი და გაგზავნეს შუამდინარეთის ქალაქ სამარაში ხალიფა ჯაფარის წინაშე. ცემის, ტანჯვის, შეურაცხყოფა-დამცირების მიუხედავად, წმიდანმა არ უარყო ქრისტიანობა, რისთვისაც სიკვდილით დასაჯეს. თავის მოკვეთის წინ ლოცულობდა: „გიგალობ შენ, უფალო, ღმერთო ძალთაო, ღმერთო საუკუნეთაო, რომელმან მომეც მე ძალი წინააღმდგომად უკეთურისა ამის მსაჯულისა, ვითარცა იგი წინაისწარ სთქვი, ვითარმედ: „თქუენ მომცენითა გულნი თქუენნი და მე მიგეც ძალი ჩემი...“ კონსტანტის სიკვდილის შემდეგ ბიზანტიის დედოფალს წერილი მიუწერია წმიდანის ოჯახისა და საერთოდ ქართველთათვის, სადაც, კერძოდ, ნათქვამი იყო: „ამას არა თუ თქვენ ოდენ გიბრძანებთ, არამედ ყოველთა, რომელნი ჩუენ, კერძო და ხელთა ქუეშე ჩუენსა არიან ქართველნი.... კუალად აღდეგით და განძლიერდით უფლისა მიერ“. უცხოელები, კერძოდ კი, ბიზანტიელები, როგორც ქვემოთაც არაერთგზის იქნება აღნიშნული, აღმოსავლეთ საქართველოს „ზემო იბერიას“, ხოლო დასავლეთ საქართველოს „ქვემო იბერიას“, ანუ ივერიას უწოდებდნენ. კონსტანტი, როგორც მისი მარტვილობის აღმწერი წერს, ცხოვრობდა „ქუეყანასა ქართლისასა, სანახებსა ზენა სოფლისასა“. „ზენა სოფელი“ იგივე „ზემო ივერია“, ანუ აღმოსავლეთ საქართველოა. კონსტანტი, კერძოდ, კახეთის მცხოვრები უნდა ყოფილიყო, რადგანაც მას ეწოდა „კახაჲ, სახელად მამულისა მის ქუეყნისა“. მაშასადამე, მისი მამული ქვეყნის სახელიც „კახ“ ყოფილა, ანუ კახეთი. კახეთი მაშინ ერქვა მტკვრის გადაღმა გადაშლილ ვრცელ ქვეყანას. თბილისის საამირო უშუალოდ მას ემეზობლებოდა, უფრო სწორად, ეს საამირო კახეთის ერთ ნაწილსაც მოიცავდა. როგორც აღინიშნა, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ამ თხზულების დამწერი საბერძნეთში მცხოვრები რომელიმე ბერი უნდა ყოფილიყო. ამიტომაც მას, როგორც „უცხოელს“, ქართველთა ქვეყნის მიმართ უხმარია ის გეოგრაფიული ტერმინოლოგია, როგორიც იყო მიღებული უცხოეთში. ქართლის საკათალიკოსოსაც უცხოელები „ზემო იბერიის საარქიეპისკოპოსოს“ უწოდებდნენ, აფხაზეთის საკათალიკოსოს კი – „ქვემო იბერიის საარქიეპისკოპოსოს“. ამიტომაც, საეკლესიო ტერმინოლოგიის დადგენისათვის „კონსტანტინეს მარტვილობაში“ მოხმობილი გეოგრაფიული ტერმინოლოგია ჩვენთვის საინტერესოა. უცხოელთათვის, მიუხედავად იმისა, რომ დაქუცმაცებული იყო პოლიტიკურ ერთეულებად, საქართველო წარმოადგენდა მთლიან ქვეყანას. მას ივერიას უწოდებდნენ, რომლის ქართული შესატყვისი იყო „ყოველი ქვეყანა ქართლისა“. ეს ტერმინი სამჯერ გვხვდება წმიდა კონსტანტინეს მარ-

ტვილობაში. ეს „ყოველი ქვეყანა ქართლი“ შედგებოდა, როგორც ითქვა, „ზემო“ და „ქვემო“ მხარეებისაგან, ანუ დღევანდელი ტერმინოლოგიით, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსაგან. ბაგრატ IV (1020-1074 წ.წ.) თავის სიგელში, რომელიც გასცა მიჯნაძორისა და ოპიზის მონასტერთა დავის გადაჭრისას, ახსენებს ამ ტერმინებს. „შეკრიბენ კარსა დარბაზისა ჩუენისასა ყოველთა ხევთა ზემოთა და ქუემოთა აზნაურნი“.[137] ბაგრატ IV-ს ქუთაისში სამეფო კარზე შეუკრებია „ზემო ხევთა“ ე.ი. აღმოსავლეთ საქართველოსა და „ქვემო ხევთა“, ე.ი. დასავლეთ საქართველოს აზნაურები. ბაგრატ III-მ (1014 წ.) აკურთხა „ეკლესია ქუთათისისა, რამეთუ შემოკრიბნა ... ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი“.[138] აქ „ზემო მამული“ ანუ „ზემო სამეფო“ – აღმოსავლეთს, ხოლო ქვემო – დასავლეთს ეწოდება. აღმოსავლეთ საქართველოს ზოგჯერ „ზემოსა კერძი“ ქვეყანა ეწოდებოდა, „ლიპარიტ მოირჭუნა ზემოსა კერძსა დაუფლებულად... ხოლო ბაგრატს აქუნდა ლიხსა ქუემოთი დაწყობით“.[139] მართლაც, ლიპარიტს ეკუთვნოდა აღმოსავლეთ საქართველოში შემავალი საქართველოს იმჟამინდელი სახელმწიფოს თითქმის ყველა ციხე – კლდეკარი, ბირთვისი, უფლისციხე, ყუელისციხე, არტანუჯი. შემდგომში ბაგრატ IV „ეუფლა ზემოსა და ქუემოსა თავის მამულსა“.

დედაქალაქის ქუთაისიდან თბილისში გადმოტანის შემდეგ „ქვემოს“ იმერი, ხოლო „ზემოს“ – ამერი ეწოდა. გიორგი III-ის დროს (1117 წელს) – „შეკრბეს ყოველნი სამეფოისა ჩუენისა მონაზონნი და ებისკოპოსნი იმერნი და ამერნი“.[140]

საქართველოს ეკლესიაც ორ ადმინისტრაციულ ერთეულად, ანუ „საეკლესიო სამთავროდ“ იყო გაყოფილი. ქართლის (აღმოსავლეთის) და აფხაზეთის (დასავლეთის) საკათალიკოსოებად. ბასილი ეზოსმოძღვარი წერს, რომ თამარის წინაშე „შემო-რაკრბეს ორსავე სამთავროსა ეპისკოპოსნი“.[141] ერთ საეკლესიო სამთავროდ, როგორც ითქვა, ითვლებოდა „ზემო“, ანუ აღმოსავლეთ საქართველოს საკათალიკოსო, მეორეს კი „ქვემო“, დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო წარმოადგენდა.

მუსულმანთა პირველი შემოტევის დროს ერთიანი ქართული ეკლესია გაბრწყინდა და განმტკიცდა მოწამეთა სისხლით.

წმიდა მრიგოლ ხანძთელის სამოღვაწეო არე

უდიდესი მოღვაწე ქართული ეკლესიისა, „ნეტართა შორის ბრწყინვალე, მადლით სავსე, განსრულებული სიბრძნითა, დიდი მღვდელი, კეთილად განმგებელი მოღვაწე, უდაბნოთა ქალაქმყოფელი, ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი“ გრიგოლ ხანძთელი დაბადებულა 759-60 წლებში, „საშოჲთგან დედისაჲთ შეწირულ იყო ღმრთისა დედისაგან თვისისა“, მას წარჩინებული და დიდებული მშობლები ჰყოლია. სიყრმიდანვე იზრდებოდა დიდი ნერსე ერისთავის სახლში. ზრდიდა თვითონ ნერსეს მეუღლე, რომელიც გრიგოლის მამიდა იყო. „მარხვათა შინა იზარდებოდა მსგავსად წინამორბედისა“. შეასწავლეს დავითის ფსალმუნები და „ხმითა სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიო, სამოძღვროჲ ქართულსა ენასა შინა ყოველი დაასწავლა“. შეუსწავლია სხვადასხვა ენები, „საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწუართნა“.

შეუსწავლია აგრეთვე, ფილოსოფია, ქართლის ერისმთავარი ნერსე II, ძე ადარნასე კურაპალატისა, ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთ ბურჯს წარმოადგენდა ქვეყნის არაბთაგან დაპყრობის ჟამს. მის კარზე მიუღია ქრისტიანობის სიყვარული და ქრისტიანული აღზრდა წმიდა მოწამე აბო თბილელს. არაბთა საწინააღმდეგო საქმიანობისათვის ნერსე ბაღდადის საპყრობილეში ჩასვეს 772 წელს რამდენიმე წლით, გათავისუფლების შედეგ 5 წელი სამშობლოში მოღვაწეობდა, შემდეგ კი ხაზარეთში გაიქცა, საიდანაც დასავლეთ საქართველოში გადავიდა. პავლე ინგოროყვას თვალსაზრისით, წმიდა გრიგოლი ნერსეს ხაზარეთში წასვლის დროს უნდა გადასულიყო ქართლიდან კლარჯეთში, რომელიც შედარებით დაცული იყო მტრისგან და სამონასტრო ცხოვრებისათვის გარკვეული პირობები არსებობდა. ამ დროს იგი მღვდელი ყოფილა. მღვდლობა „უფროჲს არს ყოველთა დიდებათა სულიერთა და ხორციელთა, რამეთუ ქრისტეს ნაცვლობაჲ არს“, – ამბობდა იგი მღვდლად კურთხევამდე და ამიტომაც უარს აცხადებდა ამ უდიდეს პატივზე. შემდეგ კი დაემორჩილა მოწოდებას: „მორჩილ ექმენ ბრძანებასა ქრისტესა“. ხოლო, როცა მისი ეპისკოპოსად კურთხევა გადაწყვიტეს, წმიდა გრიგოლმა მიატოვა ქართლი და, როგორც ითქვა, კლარჯეთს მიაშურა. „ხოლო ესე მორწმუნისა და კეთილად მსახურისა ქუეყანისაგან გამოიყვანა ამის მიზეზისათვის ღმერთმან, რათა უქმთა მათ უდაბნოთა შინა გამობრწყინდეს სანთელი ესე დაუფსებელი“, – წერს მისი ბიოგრაფი გიორგი მერჩულე. წმიდა გრიგოლი ტაო-კლარჯეთში გადასულა სხვა მოწესეებთან (ბერებთან) ერთად – „იპოვნა მოყვასნი კეთილნი შეწევნითა ქრისტეის მადლითა – საბა, რომელსა ეწოდა საბან, დედის დისწული მისი, იშხნისა მეორედ მაშენებელი და ეპისკოპოსი მისი, და თეოდორე ნეძვისა მაშენებელი და მამაჲ, და ქრისტეფორე, კვირიკეთისა მაშენებელი და მამაჲ ესე ოთხნი შეანაწევრნა სარწმუნოებამან“. პირველად ისინი მივიდნენ ოპიზის მონასტერში – „იყვნეს ოპიზას ძმანი მცირედნი შეკრებულ ქრისტეს სიყვარულისათვის, ვინაჲთგან პოვნილი იყო წმიდაჲ იგი მცირე ეკლესია წმიდისა ნათლისმცემელისანი, და იყო წინამძღვრისა მათისა სახელი ამბა გიორგი, რამეთუ მესამე მამაჲ იყო ოპიზისაჲ, რაჲთგან სამოელ და ანდრე გარდაცვალებულ იყვნეს“.[142] თუ ვიგულისხმებთ, რომ წმიდა - გრიგოლი ოპიზაში პირველად მივიდა 780 წელს (ამ წელს უნდა წასულიყო ხაზარეთში ნერსე ერისთავი), სამოელისა და ანდრეს წინამძღვრობა ოპიზის მონასტერში შეიძლებოდა გაგრძელებულიყო, ვთქვათ, 50 წელიწადს, აქედან გამომდინარე, ოპიზის მონასტრის პირველი წინამძღვარი 730-იან წლებში დანიშნულა. სწორედ ამ წლებში კლარჯეთი და მთელი სამხრეთი საქართველო გადაწვა მურვან ყრუმ. ეს მომხდარა 735 წელს. საფიქრებელია, რომ მან კლარჯეთში იქამდე არსებული მონასტრები იავარყო, ხოლო მურვანის წასვლის შემდეგ კლარჯეთში აღდგენილა ერთადერთი ოპიზის მონასტერი 730-იან წლებშივე. სამონასტრო ცხოვრების აღორძინება სამხრეთ საქართველოში VIII საუკუნეში, ჯერ კიდევ გრიგოლ ხანძთელამდე დაწყებულა. ჩანს, ქართლიდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდან, იმ დროისათვის არაბთაგან შედარებით დაცულ მხარეში ბერები უკვე VIII საუკუნის პირველ ნახევარშივე გადადიოდნენ. ამას მიუთითებს ის, რომ

ოპიზასთან ახლოს, ხანძთაშიც, მარტომყოფელი ბერი სახელით – ხუედიოსი გრიგოლამდეც ცხოვრობდა, მაგრამ ხანძთის მონასტრისათვის საბოლოო სახე და საერთოდ, მონასტრის შენება გრიგოლს დაუწყია. ამ საქმეში მას ოპიზელი ბერებიც შეწივნენ, „რამეთუ მას ჟამსა შინა სხუაჲ მონასტერი არა შენ იყო მათ ქუეყანათა თვინიერ ოპიზისა“. მოსახლეობაც ვერ ეხმარებოდა მშენებლობას, რადგანაც „ერისკაცნი მსოფლიონი“ კლარჯეთს და ტაოთა შინა შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქვეყანათა მცირედნი იპოვებოდეს, დაშენებულ ტყეთა შინა ადგილ-ადგილ“.[143]

წმიდა გრიგოლმა მთელი ეპოქა შექმნა ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცხოვრებაში, გააჩაღა ფართო სამონასტრო მშენებლობა. ხანძთასა და შატბერდში მამათა, ხოლო მერესა და გუნათლეში – დედათა მონასტრები დააფუძნა. წმიდა გრიგოლის მოწაფეებმა მრავალი მონასტრები დააარსეს. აქედან განსაკუთრებით აღსანიშნავია იშხნის მონასტრისა და საეპიკოპოსოს დაარსება. სამონასტრო მშენებლობა დაიწყო ბარეთელთაში, წყაროსთავში, ნეძვში. პირადად წმიდა გრიგოლმა დააფუძნა დასავლეთ საქართველოში უბეის მონასტერი. კლარჯეთში ჩასვლიდან დაახლოებით 50 წლის შემდეგ წმიდა გრიგოლი იქურ მონასტერთა არქიმანდრიტად დაადგინეს. მას თავისი მონასტრებისათვის იერუსალიმის საბაწმიდის მონასტრის ტიპიკონი აუღია. შეუდგენია ჰიმნოგრაფიული კრებული „საწელიწადო იადგარი“ – „სიბრძნისა მისისა მდინარეთაგან ირწყვოდეს ყოველნი უდაბნონი კლარჯეთისანი“.

ჩვენი განსჯის საგანს შეადგენს წმიდა გრიგოლის სამოღვაწეო არე. თანამედროვე მეცნიერებაში მიღებულია მტკიცება იმისა, რომ მოსახლეობა წმიდა გრიგოლის სამოღვაწეო არეში, (ე.ი. მესხეთში), თავისი ეთნიკური წარმომავლობით არ იყო ქართული, თითქოსდა წმიდა გრიგოლის შემდეგ ქართული ეკლესია გაბატონებულა ამ მხარეში, მოსახლეობა გამხდარა ქალკედონიტური აღმსარებლობისა. ქართული ეკლესიის მეშვეობით იქ გავრცელებულა ქართული ენა და შემდგომში მოსახლეობა „გაქართველებულა“. ასეთ თვალსაზრისს პასუხი გასცა პავლე ინგოროყვამ. დაამტკიცა, რომ მესხეთის მოსახლეობა უძველეს დროსვე იყო ქართული. ასეთად დარჩენილა მაშინაც კი, როცა ტაოს უმეტესი ნაწილი სომხეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა VI-VII საუკუნეებში. სომხები კი არ „ქართველდებოდნენ“, არამედ პირიქით, სომხური სახელმწიფოს შემადგენლობაში ყოფნისას ტაოს და მიმდებარე მხარეების ქართული მოსახლეობა სომხური ეკლესიის იურისდიქციის სფეროში მოექცა და ეკლესიებში მათთვის სომხურენოვანი მსახურება დაინერგა.

სომხების „გაქართველების“ მომხრეებს, მამტკიცებლებს იმისა, რომ თითქოსდა VIII-IX საუკუნეებში ქართული ეკლესია შეიჭრა სომხური ეკლესიის იურისდიქციის საზღვრებში, ერთ-ერთ თავის არგუმენტად მოყავთ იშხნის ცნობილი კათედრალის ნანგრევებზე ქართული საეპისკოპოსოს დაარსება წმიდა გრიგოლის დროს. პ. ინგოროყვას მოჰყავს ჩვენი ცნობილი მეცნიერების თვალსაზრისი, რომ არა თუ ტაო, – არამედ კლარჯეთიც თითქოსდა სომხური ქვეყნები იყო. მართლაც, ცნობილია, რომ იშხნის დიდებული ეკლესია ააშენა სომეხთა კათალიკოსმა ნერსესმა VII საუკუნის 30-იან წლებში. წმიდა გრიგოლის მოწაფის, არსენი საფარელის ცნობის

თანახმად, ნერსეს იშხნელი (641-661) იყო კაცი ღირსი და მართლმორწმუნე (ე.ი. ქალკედონიტი). მან სომხეთიდან განდევნა პავლიკიანობის ერთ-ერთი ერესიარქი იოანე მაირაგომელი.[144] გიორგი მერჩულე ნერსე სომეხთა კათალიკოსს „ნეტარს“ უწოდებს. IX საუკუნის დასაწყისში „ნებითა ღმრთისათა იქმნა საბა ეპისკოპოს იშხანს ზედა, ნეტარისა ნერსე კათალიკოზისა აღშენებულსა კათოლიკე ეკლესიასა და საყდარსა მისსა, რომელი წელიწადთა მრავალთა დაქვრივებულ იყო“.[145]

„დავით და ტარიჭანის მარტვილობის“ ავტორი, რომელიც VII საუკუნის ამბებს აღწერს, ნერსეს „წმიდას“ უწოდებს. დავით და ტარიჭანი არიან ქართული ეკლესიის წმიდანები. ე.ი. ქალკედონიტი მართლმადიდებლები. მათ მოიხსენიებს არა მარტო ქართული ეკლესია, არამედ საერთოდ მართლმადიდებლური სამყარო. მაგალითად, რუსული ეკლესია მათ ხსენებას, ვითარცა ქართველი წმიდანებისას, აღნიშნავს 18 მაისს.[146] ქართული და სხვა მართლმადიდებელი ეკლესიები ამ წმიდანებს არ მოიხსენიებდნენ, ისინი ქალკედონიტები რომ არ ყოფილიყვნენ. „დავით და ტარიჭანის“ ცხოვრების (ავტორის და სხვა წყაროების) თანახმად, სომხურმა ეკლესიამ VII საუკუნეში აღიარა ქალკედონიტობა (სხვა საკითხია ის, თუ რამდენად იცავდნენ ამ ხელშეკრულებას), სომხეთი, თანახმად არსენი საფარელისა, ქალკედონიტური ქვეყანა იყო VII საუკუნეში. ასეთად დარჩენილა იგი 726 წლის მანასკერტის კრებამდე, ე.ი. VIII საუკუნის თითქმის 30-იან წლებამდე. ამიტომაც წერს ხსენებული მარტვილობის ავტორი – „იყო სანახებთა მათ სოფლისა სომხითისასა, ჟამთა ნეტარისა დიდისა ნერსე კათალიკოზისათა და ადამ არეგაწოთელისათა, ხევსა ბასიანისასა, დაბასა, რომელსა ჰრქვიან ონკომ, იყო ვინმე კაცი წარჩინებული ერისთავი, სახელი ერქუა ვარდან, სახელი ცოლისა მისისა თაგინე. იყვნეს ორნივე იგი ნათესავთაგან სამეუფოთა. და ამათ აქუნდა სარწმუნოებაჲ ჭეშმარიტი და მართალი წმიდისა სამებისაჲ. ცხოვნდებოდეს იგინი ღმრთის მსახურებითა, ყოვლითა ღირსებითა და ღმრთის მოშიშებითა“.[147]

აქედან ჩანს, რომ ავტორის აზრით, სომხეთში VII საუკუნეში დამკვიდრებული იყო ჭეშმარიტი და მართალი სარწმუნოება, ე.ი. ქალკედონიტობა. თაგინეს შეეძინა ორი ვაჟი – დავით და ტარიჭანი. იძულების გამო დედა და შვილები შეეფარნენ ტაოს – „წარმოივლტოდა ჩრდილოით კერძო ქუეყანად ტავოჲსა“.[148] აქ ბიჭები მოწამეობრივად დახოცეს, რის შემდეგაც მათ გვამებს დაადგა ნათელი. „ეუწყა საქმე ესე წმიდასა მამასა ჩუენსა ნერსეს კათალიკოზსა სომხეთისასა, რამეთუ თვით ჰხედვიდა იგი იშხნით საკვირველებასა და ბრწყინვალებასა მიუწდომელისა ნათლისასა... სრბით მიიწია დივრის... ხოლო თევდოსი შეუვარდა ფერთა ნერსე კათალიკოზისათა... წმიდამან ნერსე თვისითა ხელითა წარგრაგნა გუამნი იგი“.[149]

ცხადია, როგორც ითქვა, ქალკედონიტები რომ არ ყოფილიყვნენ, კათალიკოსი ნერსე და აღნიშნული წმიდანები, მათ არ მოიხსენიებდნენ ქალკედონიტურ ეკლესიაში, მსგავსად – წმიდა გრიგოლის მოწაფე არსენი საფარელი არ განაახლებდა და არ განავრცობდა ასურელ მამათა ცხოვრებას, ასურელი მამები ქალკედონიტებად რომ არ ყოფილიყვნენ მიჩნეულნი. წმიდა გრიგოლსა და მის მოწაფეებს ნერსე კათალიკოსიდან თუ ასურელი მამებიდან არ ჰყოფდა დიდი დრო. ნერსეს ხსოვნა ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა მათ დროს.

ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, რომ VII საუკუნეში, ვიდრე VIII საუკუნის 30-იან წლებამდე, სომხური ეკლესია ქალკედონური აღმსარებლობისად მიიჩნეოდა. სწორედ ამიტომ, ტაოსა და მისი მიმდებარე კუთხეების ქართველობა, რომელიც ტრადიციულად ქალკედონიტობის ერთგული იყო, შედიოდა სომხური ეკლესიის იურისდიქციის ფარგლებში. მაშასადამე, ტაო, მისი სასულიერო ცენტრი იშხანი, მიმდებარე ქვეყნები, ქალკედონიტური იყო, დასახლებული ეთნიკური ქართველებით, რომლებიც წარმოადგენდნენ სამწყსოს სომხური ეკლესიისა. პ. ინგოროყვა წერს – „იმიერი ტაო და ზემო სპერი ერთ პერიოდში სომხეთთან იყო პოლიტიკურად დაკავშირებული. ზოგ მკვლევარს ისე ესმის, თითქოს ამ პერიოდის მანძილზე მოხდა ამ მხარეთა ეთნიკური მხარის შეცვლა, მაგრამ ეს შეცდომაა... პოლიტიკური საზღვრების გადაწევას არ მოჰყოლია ცვლილებები მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში, ტაოსა და სპერის მოხსენებული ნაწილები, იმიერი ტაო და ზემო სპერი, მოსახლეობის შემადგენლობით და აქ გავრცელებული ენის მიხედვით თავიდანვე იყო ქართული მხარე და ასეთად დარჩა იგი თავისი ისტორიის შემდგომ პერიოდებში“.[150]

ტაოს აღნიშნული ნაწილი სომხეთის შემადგენლობაში მოქცეულა IV ს-ის დასასრულიდან, „V ს-ის პირველი ნახევრიდან, მეფობის მოსპობის შემდეგ, ტაოს ეს მხარე, აღმოსავლეთ სომხეთის სხვა მხარეებთან ერთად, ირანის პროვინციად იქცა“.[151] VII ს-ის 20-იანი წლებიდან ტაოს ეს მხარე ბიზანტიას დაუქვემდებარებია, მაგრამ ამავე საუკუნეში სადავოდ იქცა ეს მხარე არაბებსა და ბიზანტიელებს შორის, საბოლოოდ VII ს-ის დასასრულისათვის ის არაბებს დარჩათ. VIII ს-ის 30-იან წლებში მურვან ყრუს შემოსევამ მხარე გაანადგურა“.[152]

„ტაოს ეს მხარე, რომელიც სომხეთთან იყო დაკავშირებული, საქართველომ დაიბრუნა VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე“[153] ნანგრევების სახით და დაიწყო იქ დიდი მშენებლობა. მართლია, სომხეთის შემადგენლობაში შედიოდა ეს მხარე, მაგრამ „სალაპარაკო ენის მიხედვით ქართულ მხარედ დარჩენილა, ამის შესახებ მოიპოვება პირდაპირი ჩვენებები“.[154]

აქედან გამომდინარე, წმიდა გრიგოლი სომხური ეკლესიის მრევლში კი არ შეიჭრა, სომხები კი არ გააქალკედონიტა, როგორც მიაჩნია ზოგიერთ სპეციალისტს, არამედ ტაო-კლარჯეთში ქართული ეკლესიის ძველ სამწყსოში განამტკიცა ქართული ეკლესიის უფლებამოსილება. რაც შეეხება თითქოსდა „ტაო-კლარჯეთის სომეხთა გაქალკედონიტებას“, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ტაო-კლარჯეთის მოსახლეობა წმიდა გრიგოლ ხანძთელის ტაო-კლარჯეთში მოსვლამდე – ქალკედონიტური იყო. ამ ქალკედონიტურ მხარეში წმიდა გრიგოლმა და მისმა მოწაფეებმა მთელი ხალხის ერთსულოვანი მხარდაჭერით მიაღწიეს უდიდეს წარმატებას.

მაშასადამე, იშხანის სამწყსო ტაოში – ეთნიკურ ქართველებს წარმოადგენდნენ. ცხადია, სომხური ეკლესიის წიაღში ყოფნისას ქართველები ითვისებდნენ სომხურ ენას, სომხური კულტურის ელემენტებს, მაგრამ საბედნიეროდ, მათ ქართული ეთნიკური სახე არ დაუკარგავთ.

ტაოსა და მისი მიმდებარე მხარეების მრევლმა, რომელიც ქალკედონიტობას უჭერდა მხარს თავიდანვე, სომხურ ეკლესიასთან კავშირი გაწყვიტა VIII ს-ის 30-

იანი წლებიდან, რაც სომხურმა ეკლესიამ 726 წელს მოწვეული კრების შემდეგ საბოლოოდ მიიღო მონოფიზიტური მრწამსი. სომხური ეკლსიის ქართულმა მრევლმა ამის შემდეგ საბოლოოდ მიატოვა ამ ეკლესიის წიაღი და დაუბრუნდა თავის დედა ქართულ ეკლესიას. მაშასადამე, ეს მრევლი ტაო-კლარჯეთისა VIII-IX საუკუნეებში პროზელიტებად კი არ იქცნენ, არამედ მშობლიურ წიაღს დაუბრუნდნენ. ე.ი. წმიდა გრიგოლი სხვის ეკლესიაში კი არ შეიჭრა, არამედ მშობლიური აღადგინა. იშხანი, რომელიც ნანგრევებად იყო ქცეული, აღადგენინა და იქ საეპისკოპოსო დააარსებინა. იშხანი – ქართველთა საეკლესიო ცენტრი იყო ოდითგანვე, მაგრამ არამშობლიური ეკლესიისა. სომხური ეკლესია, როგორც შემდგომ იქნება აღნიშნული, როგორც სპარსთა, ისე არაბთა და ბიზანტიელთა ხელშეწყობითაც კი თავის საეკლესიო იურისდიქციას ავრცელებდა არასომხურ მეზობელ მხარეებზე. ერთ-ერთ ასეთ მხარეს წარმოადგენდა ტაო და სხვა ქართული თემები სამხრეთ საქართველოში.

სომხური ეკლესიის ამ მტაცებლობას აღნიშნულ პერიოდში კარგად ამჩნევდნენ ქართველი მოღვაწეები, მაგრამ მათ საშუალება არ ჰქონდათ მიეღოთ რაიმე ღონისძიება ქართული მრევლის სომხური ეკლესიის წიაღიდან გამოსახსნელად. წმიდა გრიგოლის მოწაფე, ეპისკოპოსი სტეფანე, აღნიშნულის გამო სომხეთს ამსგავსებდა ნინევიას. შუამდინარეთის ნინევია, როგორც ცნობილია, სხვადასხვა ერების სასტიკი დამპყრობი და მჩაგვრელი იყო. როცა სომხეთში მტრის ჯარი „შევიდა ქალაქსა დვინისასა და ოხრაჲ გულისწყრომისა მისისასა მოასწავებდა ოხრებასა სომხითისასა, ვითარცა ნინეველთა დაქცევასა“. ცხადია, ავტორი, ეპისკოპოსი ტბეთისა, მოხარული არ იყო ქვეყნის აოხრებისა, მაგრამ ახსოვდა, რომ თავისი სამწყსოს მრევლი სწორედ სომხეთის ეკლესიის იურისდიქციაში იყო მოქცეული, პოლიტიკურ ვითარებათა გამო. ამ დროის პროცესები მას ათქმევინებდა – „რამეთუ მიწაჲ იგი სომხითისაჲ ამპარტავან და მკვიდრნი მისნი ცუდად მზუაობარ, ანგაჰარ, ლაღ, და ცოდუის მოყუარე, ამპარტავან, უწყალო, უყუარელ და ყოვლითა უკეთურებითა სავსე, რომელსა შინა არა იპოვა თავისი მისადრეკელი ქრისტეისი, რომელთათვის ქრისტე ცუდად მოკვდა...“[155]

წმიდა გრიგოლ ხანძთელის მეორე მოწაფე არსენ საფარელს მოუპოვებია VII საუკუნის წყარო სომხური ეკლესიის ისტორიის შესახებ. ამ წყაროს თანახმად მიიჩნევა, რომ VII საუკუნეში სომხური ეკლესიის უმაღლესი იერარქია არის ქალკედონიტური და ეკლესიაც საერთო ჯამში ქალკედონიტურია. მაგრამ ეკლესიის შიგნით არსებობს ბუდეები მწვალებლობისა, რომ სომხური ეკლესია მწვალებლობისკენაა შინაგანად მიდრეკილი. ამის მაგალითად მოყვანილია ცნობილი ერესიარქის იოანე მაირეგომელის ცხოვრება. არსენმა ამ წყაროზე დაყრდნობით შექმნა, ფაქტობრივად იდეოლოგიური ნაშრომი სომხური ეკლესიის ავტორიტეტის შესარყევად.[156] ცხადია, სომხური ქალკედონიტური ეკლესია მის წიაღში მყოფ ქართველი ქალკედონიტებისათვის ავტორიტეტული და სარწმუნოებრივად მისაღები ეკლესია იყო. VII საუკუნეში ოპოზიციონერ ქართველებს შეუქმნიათ თხზულება (წყარო არსენი საფარელის აღნიშნული თხზულებისა) სომხური ეკლესიის

ჭეშმარიტი ისტორიის შესახებ იმ ქართველთათვის, რომელთათვისაც სომხური ეკლესია ავტორიტეტული ეკლესია იყო. VII საუკუნეში, როცა სომხური ეკლესია ქალკედონიტობას ასე თუ ისე აღიარებდა, ქართველ სამღვდელოებას უცდია სომხური ეკლესიის შინაგანი წინააღმდეგობის წარმოჩენით ქართველი მრევლისათვის დაენახვებინა სომხური ეკლესიის წიაღში არსებული მწვალებლობის საფრთხე. იოანე მაირეგომელი მწვალებლობის ერესიარქი, ალბათ, ცნობილი პირი იყო საქართველოშიც. ამიტომაც თხზულებაში ყოველგვარი გაცნობითი კომენტარების გარეშე საუბარია მასზე: „ვითარც გველთა უფროისღა შესძინეს აღძვრაჲ ერისაჲ და შფოთი ბირებითა მაირეგუემელისათა“,[157] „ესმა ესე ბერსა ბოროტსა მაირეგუემელსა“; „მოეწოდა მას ბერსა ბოროტსა“; „მაირეგუემელი აღსძვრიდა ვითმე მონაზონთა ბოროტთა მწვალებელთა“, მაირეგომელმა „...აღმოიბოყინა სიმყრალე, მსგავსი ბოროტისა მწვალებლისა“ და სხვა მსგავსი.

საერთოდ, არსენის წყაროს დიდი ნაწილი ეძღვნება მაირეგომელის ცხოვრებასა და ზემოქმედებას სომხურ ეკლესიაზე. ამ წყაროს თანახმად, სომხეთის კათალიკოს ეზრას დროს VII ს. მოწვეული კრების მიერ „დაამტკიცეს მართალი“, ანუ ქალკედონიტობა. ეზრა ეუბნება მაირეგომელს: „შევიწყნარეთ ორი ბუნება უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი სრული ღმრთეებითა და სრული კაცებითა“, მაგრამ ამ ქალკედონიტ კათალიკოსს მაირეგომელი არ ემორჩილება. ამ წყაროს თანახმად, სომხეთის „ნეტარი“ კათალიკოსი ნერსე იშხნელიც ქალკედონიტია, ამიტომაც აძევებს სომხეთიდან მაირეგომელს, ასევე ქალკედონიტები არიან VII ს-ის სხვა სომეხი კათალიკოსებიც – ანასტასი და ისრაელი. მიუხედავად ამისა, წყაროს თვალსაზრისით, სომხური ეკლესიის წიაღში არსებული მწვალებლური ბუდეების გამო სომხურ ეკლესიას აქვს მიდრეკილება მწვალებლობისაკენ. წყაროს ავტორს სურს, VII საუკუნეშივე დაემტკიცებინათ სომხური ეკლესიის მრევლად გადაქცეული ქართველებისათვის სომხური ეკლესიიდან გამოყოფის სარგებლიანობა, საჭიროება და აუცილებლობა. ასე, თუკი აღმოსავლეთ საქართველოში VII საუკუნის დასაწყისში კირიონის მოძრაობის შედეგად ქართულმა ეკლესიამ სომხური ეკლესიიდან „გამოყოფა“ შეძლო, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ტაოსა და მის მიმდებარე კუთხეებში) VII საუკუნეში ეს პროცესი არ იყო დასრულებული და ქართული ეკლესია განაგრძობდა სომხური ეკლესიის არტახებიდან ამ კუთხის მოსახლეობის დახსნისათვის მოღვაწეობას. მართლაც, VIII-IX საუკუნეებში ეს მხარეები გათავისუფლდნენ სომხური ეკლესიის ბატონობისაგან.

6. მარი თავის თეორიას სომეხთა „გაქართველების“ შესახებ აფუძნებდა არა რაიმე უძველეს წყაროს, არამედ იმას, რომ ამ ეპოქაში მესხეთში აშკარად აღინიშნებოდა სომხურენოვანი ელემენტის არსებობა. სომხურენოვანი მოსახლეობა XX საუკუნის მეცნიერებამ მიიჩნია ეროვნულად სომხურ მოსახლეობად, რომელიც თითქოსდა შემდგომ გაქართველდა ქართული ეკლესიის ძალადობრივი პოლიტიკის წყალობით. მეცნიერებას ვერ წარმოედგინა, რომ სომხურენოვანი მოსახლეობა შეიძლებოდა ეროვნებით ქართული ყოფილიყო, ქართული საოჯახო და სომხური საეკლესიო ენით. მეცნიერებამ ყურადღების გარეშე დატოვა მსგავსი მაგალი-

თი, რომელიც უკვე არსებობდა ამიერკავკასიაში. კერძოდ, რომ ალბანელებს ღვთისმსახურებაში მიღებული ჰქონდათ სომხური ენა, ე.ი. ალბანური საღვთისმსახურო წიგნები – წმიდა წერილი, წმიდანთა ცხოვრება და სხვა, იყო სომხურენოვანი. ასევე იყო საქართველოს იმ პროვინციებშიც, რომლებიც უშუალოდ ემეზობლებოდნენ სომხეთს. საქართველოს ამ პროვინციებში ცხოვრობდნენ არა სომხები, არამედ სომხურენოვანი ქართველები, ე.ი. მრევლი სომხური ეკლესიისა, სომხური საეკლესიო და ქართული საოჯახო ენით.

სამწუხაროდ, ნ. მარის თეორია გაზიარებული იქნა, რადგანაც ამ თეორიას თითქოსდა ადასტურებდნენ ახალ-ახალი მიკვლეული მასალები – სომხურენოვანი ელემენტი ნამდვილად არსებობდა სამხრეთ საქართველოს მოსახლეობაში, რომელიც შემდგომ გაქრა – გადაფარა ქართულმა ენამ.

ზოგიერთ ქართულ ხელნაწერში სომხურენოვანი წარწერების არსებობასთან დაკავშირებით რ. შმერლინგი წერს, რომ ასეთი რამ „...უპასუხებდა სომხური ფენის არსებობას ტაო-კლარჯეთის პროვინციის ქართულ მოსახლეობაში, ასევე სამონასტრო ძმობის შემადგენლობაში, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ ტაო-კლარჯეთის სომხები განეკუთვნებოდნენ ბერძნულ-აღმოსავლურ მართლმადიდებლობას, რომელსაც აღიარებდა ქვეყნის ძირითადი ქართული მოსახლეობა“. ამავე დროს, მკვლევარი აღნიშნავს, რომ მხატვარი, რომელიც ამ სომხურენოვან წარწერებს აკეთებდა, იყო არა სომეხი, არამედ ქართველი – „...მხატვრის მშობლიური ენა ... ქართულია“.[158]

ე.ი. სომხურენოვანი ფენა ტაო-კლარჯეთის მოსახლეობისა IX-X საუკუნეებში იყო ქალკედონიტური, რაც სამართლიანია, მაგრამ ეროვნულად ეს ფენა სომხური არასოდეს არ ყოფილა, ეს იყო ქართული მოსახლეობა სომხური საეკლესიო ენით, რომელთა წინაპრებიც VI-VII სს-ში იყო წევრი სომხური დიოფიზიტური ეკლესიისა, ამიტომ სომხურ ენაზე საეკლესიო მსახურება კიდევ შეინარჩუნა რამდენიმე ხნით, რადგანაც სომხურენოვანი მსახურება მათთვის ტრადიციული იყო, ტრადიციის უკუგდებას კი საუკუნეები სჭირდება. ამ სომხურენოვანი მოსახლეობის წინაპრები იყვნენ ქართველი ქალკედონიტები, ოღონდ სომხური საეკლესიო ენით, რადგანაც მათი უშუალო მოსაზღვრე სომხური ქალკედონიტური საკათალიკოსო VI-VII სს. სომხურენოვანი იყო. ყოველ შემთხვევაში, ტაო-კლარჯეთის სომხურენოვანი ფენა იყო ეროვნებით ქართული, რომელთა წინაპრებსაც სომხურ ეკლსიასთან ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდათ.

ი. აბულაძის აზრით, რომელიც საგანგებოდ იკვლევდა ამ საკითხებს და რომლის გამოკვლევასაც ხშირად იყენებენ, ტაო-კლარჯეთში მცხოვრებნი ეთნიკურად სომხური ფენა ენობრივი გადაგვარების გზაზე დამდგარა, ე.ი. სომხური დავიწყებია და ქართული შეუთვისებია, ამას კი სომეხი მოსახლეობის სრული „დენაციონალიზაცია“ მოჰყოლია: – „აღსარებით ტაო-კლარჯეთის ქართულ ელემენტთან მონათესავე ეს წრე ქართულ კულტურულ და პოლიტიკურ სფეროში ექცევა... და ენობრივად გადაგვარების გზაზე დგება, რასაც საბოლოოდ სრული დენაციონალიზაცია მოჰყვა“.[159]

კ. კეკელიძეც მიიჩნევს, რომ „...ტაო-კლარჯეთში... მოსახლეობდნენ ქალკედონიტი სომხებიც. აი, სწორედ ამ წრეში, სადაც ქართველები და სომხები ერთმანეთს

პირდაპირ ხვდებოდნენ, განაგრძობდა არსებობას სომეხ-ქართველთა ლიტერატურული ერთობა და კავშირი არა მარტო VIII–IX საუკუნეებში, არამედ X-შიც“.[160]

სინამდვილეში არავითარ დენაციონალიზაციასა და გადაგვარებას სომეხი მოსახლეობა მესხეთში არ განიცდიდა, სომხურენოვანი ქართველები მამა-პაპათა ეროვნულ ქართულ ენას ამკვიდრებდნენ თავიანთ ეკლესიებში უცხოენოვანი მსახურების ნაცვლად. სომხურენოვანი მოსახლეობა მესხეთისა და საქართველოს სასაზღვრო პროვინციებისა ეროვნულად ქართული იყო, სარწმუნოებით კი ეს სომხურენოვანი ქართული მოსახლეობა მესხეთში ქალკედონიტური იყო, ხოლო ჰერეთსა და ნაწილობრივ ქვემო ქართლში – მონოფიზიტური. საქმე ისაა, რომ სომხური ეკლესიის დასავლეთი ნაწილი ტრადიციულად ბიზანტიის სიახლოვის გამო ქალკედონიტური იყო თვით VIII საუკუნის დასაწყისამდეც კი, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი სომხური ეკლესიისა, ქვემო ქართლისა და ჰერეთ-სუჯეთის მოსაზღვრე ნაწილი უფრო მონოფიზიტური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ცხადია, ქალკედონიტურ სომხურ ეკლესიაში VIII საუკუნის 20-იან წლებამდე დანერგილი იყო არა ქართულენოვანი მსახურება, არამედ სომხურენოვანი. ამ ქალკედონიტური სომხური ეკლესიის გავლენის ქვეშ მყოფი მესხეთის მოსახლეობა ეკლესიურად VIII საუკუნემდე სომხური ტიპიკონის მქონე იყო. ამ დროს ერთმორწმუნე სომხურ და ქართულ ეკლესიებს მჭიდრო კავშირი აქვთ. VIII საუკუნის 20-იან წლებში კავშირი წყდება. მესხეთის სომხურენოვანი ქართველები ამის შემდეგ კვლავ სომხურენოვან მსახურებას აღასრულებენ, შემდგომ კი თანდათანობით უბრუნდებიან მამა-პაპათა ქართულენოვან მსახურებას. აქ პროცესი ჰქონდა არა დენაციონალიზაციას, არამედ პირიქით, ამ მოსახლეობაში გაიღვიძა ქართულმა ეროვნულმა გრძნობებმა, ეროვნულმა ქართულმა სიამაყემ და ისინი ყოველ შესაბამის მომენტში საგანგებოდ აცხადებდნენ, რომ ისინი „ნათესავით“, ანუ ეროვნულად ქართველნი არიან.

მით უმეტეს, ალბათ, არასწორია ასეთი განცხადება, თითქოსდა „...ერთი ეკლესია იჭრება მეორეში და მათ გვერდით თუ მათ ნაამაგარზე თავისას აფუძნებს. ესეც არაა უცხო ამბავი იმ დროისათვის. სომხეთის მიწა-წყალზე არა ერთი და ორი „ქართველთა“ სავანე იხსნება ამ დროს“.[161] რა გამოდის, ქართული ეკლესია თითქოსდა შეჭრილა სომხურ ეკლესიაში და მის ნაამაგარსა და ნაფუძარზე თავისი დაუმკვიდრებია. ქართული ეკლესიის მიმართ ასეთი განცხადება ნამდვილი გაუგებრობაა. ქართული ეკლესია ყოველთვის შემწყნარებელი იყო სხვა სარწმუნოების მიმართ, მისთვის უცხოა ფანატიზმი. ის ყოველთვის პატივს სცემდა სხვა ერებს და ამიტომაც სხვის ნაამაგარსა და ნაფუძარზე თავისას არ ამკვიდრებდა, რაც უცხოა საერთოდ ქრიატიანობისათვის და, კერძოდ, ქართული ეკლესიისათვის. სინამდვილეში, როგორც მესხეთში, ასევე ჰერეთსა და ქვემო ქართლში და თვით სომხეთში მრავლად ცხოვრობდნენ ეროვნებით ქართველები, სარწმუნოებით ქალკედონიტები ან მონოფიზიტები, ტიპიკონით VI-VIII სს-ში სომხურენოვანნი, ხოლო IX-X სს-ში ქართულენოვანნი. სწორედ ეს ქართველები, ყოფილი სომხურენოვანი ტიპიკონის მქონენი, აარსებენ თავიანთ სავანეებსა და ცენტრებს საქართველოს სხვა კუთხის მცხოვრებლებთან ერთად. სომხეთში რომ მრავალი ქართველი ცხ-

ოვრობდა, ეს ჩანს სხვადასხვა არაპირდაპირი მასალებიდან. კირიონიც კი სომხეთში მოღვაწეობდა და შემთხვევის გამო მოიწვიეს ქართლში, სომხეთში შედიოდა საქართველოს მთელი პროვინციები, მთელი ქართული ქვეყნები. ცხადია, ამ პროვინციებიდანაც სომხეთის პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრებშიც მრავალი ქართველი ჩავიდოდა საცხოვრებლად. ე.ი. ადგილი ექნებოდა მიგრაციის პროცესს განაპირა კუთხეებიდან ქვეყნის სავაჭრო, ეკონომიკურ, ადმინისტრაციულ, პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრებში. ეს გამოიწვევდა ქართული მოსახლეობის გარკვეული ფენის შექმნას სომხეთში. მით უმეტეს, რომ VIII საუკუნის 20-იან წლებამდე სომხეთში ისევე ცხოვრობდნენ ქალკედონიტები, როგორც მონოფიზიტები. ასევეა შემდგომ ეპოქაშიც. არსებობს ლეგენდა, რომ ცნობილი სომეხი ფილოსოფოსი დავით უძლეველი წარმოშობით ჰერეთიდან იყო.

ალბანეთი და მისი ნაწილი ჰერეთ-სუჯეთი სომხური ეკლესიის „ბატონობის“ სფეროში შედიოდა. ჰერეთის ტერიტორიაზე მოსახლეობის ენა ქართული იყო – ოჯახსა და შინაურობაში, ეკლესიურად კი – სომხურენოვანი. ამ ქართული მოსახლეობის ტიპიკონის ენა მანამდე იყო სომხური, სანამდეც ეს ქვეყნები მონოფიზიტური იყო. X საუკუნეში ჰერეთის ცნობილი დედოფლის, წმიდა დინარას მეოხებით, ჰერეთის ეკლესია დაუბრუნდა თავის დედა-ქართულ, წმიდა ნინოს ეკლესიას. ამის შემდეგ ჰერეთის მოსახლეობას უკვე მშობლიური ქართულენოვანი ტიპიკონი აქვს.

„უკანასკნელი წლების გამოკვლევებში, ვრცელი ფაქტობრივი მასალის მოხმობისა და გაანალიზების საფუძველზე დამაჯერებლადაა დასაბუთებული, რომ VII-X სს. ჰერეთის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობის (ჰერების, სუჯების) კულტურა აღმოსავლურ-ქართულ წრეს განეკუთვნებოდა, ენა კი უცილობლად ქართული იყო; ეს მით უფრო დაბეჯითებით ითქმის გარეჯის მრავალმთის ადგილობრივი მოსახლეობის შესახებ – ეჭვგარეშეა, რომ იგი მთლიანად ქართული იყო“.[162] მაგრამ ფაქტია, რომ ჰერეთში და კერძოდ, გარეჯში არსებულ საბერეების მონასტრის ერთ ეკლესიაში სომხური წარწერებიც არსებობს ქართულთან ერთად. ცხადია, მონასტრებში მყოფი იმ ქართველი ძმებისათვის, რომლებმაც არ იცოდნენ ქართული წერა-კითხვა, მაგრამ იცოდნენ სომხური. ამ მოვლენის ახსნაც ამ პერიოდში ჰერეთის პოლიტიკურ-კულტურული მდგომარეობით შეიძლება. X საუკუნეში ჰერეთი ქალკედონიტური გახდა, მაგრამ ცხადია, შეუძლებელი იყო იმ დროს ჰერეთში ერთბაშად დამკვიდრებულიყო მათთვის მშობლიური ქართული ენა ღვთისმსახურებაში, სომხური ენის ნაცვლად, იმ მიზეზის გამო, რომ წერა-კითხვის მცოდნე ჰერების უმრავლესობას წერა-კითხვა ბავშვობიდანვე სომხურ ენაზე ჰქონდა შესწავლილი. მათ, უბრალოდ, წერა-კითხვა ქართულად არ იცოდნენ, თუმცა, ქართველები იყვნენ და ქართული ენა იცოდნენ. მაგრამ ლიტერატურულ საქმიანობასაც სომხურად მისდევდნენ, როგორც მთელ ალბანეთში. სწორედ ამის გამო ჰერეთში, საბერეების მონასტერში, ქართულ წარწერებთან ერთად სომხური განმარტებითი წარწერები გააკეთეს, როგორც ჰერეთელი, ასევე ალბანეთიდან, ან ტაო-კლარჯეთიდან მოსული სომხურენოვანი ქართველი ბერებისათვის. ამ ქართველებისათვის სომხურ ენაზე გააკეთა წარწერები ქართველმა მხატვარმა. სომხური წარწერების მხატვარი რომ ქართველია, დამაჯერებლად აქვს გამოკვლეული ზ. სხირტლაძეს.

აღიარებდა თუ არა ოფიციალური ქართული ეკლესია ქართველი მონოფიზიტების არსებობის ფაქტს? მართალია, ოფიციალური ქართული ეკლესია ყოველთვის უარყოფდა ქართული ეკლესიის, როგორც მთლიანი ერთეულის მწვალებლობის რაიმე გზაზე დგომას, მაგრამ აღიარებდა ცალკეული კუთხის გარკვეულ პერიოდში მონოფიზიტობას. მაგალითად, მიღებულია, რომ X საუკუნემდე ჰერეთი მონოფიზიტური იყო და ამ საუკუნეში ჰერეთის დედოფალმა დინარამ ეს კუთხე თავისი შვილის, იშხანიკის შემწეობით ქალკედონიტობაზე მოაქცია. იოანე ხელაშვილის ხელნაწერებში არსებობს მოსახსენებელი, რომელშიც მოწიწებით მოიხსენება დედოფალი დინარა და მისი თანამოღვაწენი, მონოფიზიტობიდან ჰერეთის ათასობით მცხოვრების მომაქცეველნი, ე.ი. XIX საუკუნის ქართული ეკლესიისათვის არ არის უცხო ის, რომ X საუკუნემდე ქართველი მონოფიზიტების არამცირედი რიცხვი არსებობდა. ჰერეთსა და კერძოდ გარეჯში, რომელიც ცურტავიდან არ იყო დიდი მანძილით დაცილებული, ქართველი მონოფიზიტების საეკლესიო და ოფიციალური მიმართვის ენა სომხური იყო. ამის შესახებ უნდა მიგვითითებდეს დავით გარეჯელის ცხოვრებაში აღწერილი ერთი ცნობა. დავითი სამოღვაწეოდ ჩადის გარეჯში, ადგილობრივი მოსახლეობის ქალკედონიტობაზე მოსაქცევად. მოსახლეობის ერთი ნაწილი, რომელიც თავისი სარწმუნოების, მონოფიზიტობის ერთგული იყო, ცუდად იღებს ახალ მოღვაწეს. ქართველი მონოფიზიტების სარწმუნოების ენა, ცხადია, სომხურია, ამიტომაც დავითი, იმისათვის, რათა კიდევ უფრო არ გააღიზიანოს ადგილობრივი მონადირე, სომხურ ენაზე პასუხობს.

„მას ჟამსა შინა მოვიდა ბარბაროზი ვინმე ნათესავი ადგილითგან რუისთავისათა... და ჰრქუა: „ვინაჲ ხარ შენ?“ მიუგო მან სომხურითა ენითა...“[163] სომხური ენით პასუხი, თუ ეს სიმართლეა, კიდევ ერთხელ მიუთითებს ადგილობრივი ქართული მოსახლეობის სარწმუნოების ენად სომხურის გამოყენებას.

ასე რომ, ჰერეთში, ტაო-კლარჯეთში, ქვემო ქართლში ცხოვრობდნენ არა სომეხი ქალკედონიტები, არამედ ეკლესიურად სომხურენოვანი ქართველები.

მათ უნდა ემოღვაწათ კიდეც სომხურ ეკლესიაში, რომელსაც თავის თავს მიაკუთვნებდნენ. „ლალიანს XIX საუკუნის ბოლოს ჩაუწერია ძველი სომხური გადმოცემა, რომლის მიხედვით დავით ანჰაღთა ჰერეთელი კეთილშობილი გვარისა იყო... ცხადია, დავით უძლეველის სომხური წარმოშობის უარყოფა დაუსაბუთებელი და მიუღებელია, მაგრამ მისი (დავითის) ქართულ აზროვნებასთან კავშირის კატეგორიული უარყოფაც გაუმართლებელია. დავით უძლეველის ქართული აზროვნებისაგან მოწყვეტით სრულიად გაუგებარი და აუხსნელი გახდება მისი საქართველოში გადმოსახლების ფაქტი“.[164] შეიძლება ასეთივე წარმოშობისა იყო სომხეთის კათალიკოსი ნერსე იშხნელი, კაცი ღირსი და მართლმორწმუნე, როგორც არსენი საფარელი უწოდებს.[165] ასეთივე სიმპათიით მოიხსენიებს სომხეთის ამ ქალკედონიტ კათალიკოსს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაც“. იშხნის მშენებელი ნეტარი ნერსე კათალიკოსი, ჩანს, ადგილობრივი წარმოშობისა იყო, სომხურენოვანი, სომხური ეკლესიის წევრი, როგორც მთლიანად ეს კუთხე. ქართულ-სომხური ეკლესიების საბოლოო განყოფის შემდეგ (VIII ს-ის პირველი ნახევრიდან) მესხეთის ეს მიწა

ქართულენოვანი ხდება და იშხნის კათედრას აღორძინებს ქართველი ეპისკოპოსი – „ნებითა ღმრთისადთა იქმნა საბა ებისკოპოს იშხანსა ზედა, ნეტარისა ნერსე კათალიკოზისა აღმშენებულსა კათოლიკე ეკლესიასა და საყდარსა მისსა, რომელი წელიწადთა მრავალთა დაქვრივებულ იყო“.[166]

მოსაზრებაა, თითქოსდა „...პეტრიწონის ქართულ მონასტერში... ყოფილა სომეხი ქალკედონიტი ბერი, სახელად გვირპელი. მას აქ მცირე ხნით შეუფარებია თავი, აქვე მონათლულა, რამეთუ სომეხი იყო და არსენი უწოდებს“.[167] საფიქრებელია, რომ არა ეროვნებით სომეხი გვირპელი მოინათლა, არამედ სარწმუნოებით „სომეხი“ და ეროვნებით ქართველი. „...რადგან მაშინ სომეხი სახელი, ეს მარტო ერის აღმნიშვნელი სახელწოდება კი არ იყო, არამედ იგი კონფენსიონალური გაგებითაც იხმარებოდა“.[168] გვირპელი კონფენსიით, ანუ აღმსარებლობა-სარწმუნოებით იყო სომეხი, ხოლო ეროვნებით – ქართველი.

ქართულ ეკლესიაში მიღებული იყო კანონი, რომლის თანახმადაც ხელახლა უნდა მონათლულიყო მონოფიზიტი, თუკი ის ქალკედონიტური ეკლესიის წევრად გახდომას ისურვებდა. ამ კანონის ძალით სარწმუნოებით სომეხი, ხოლო გვარტომით ქართველი გვირპელი ხელახლა მოინათლა. ასე რომ, გვირპელი კი არ „გაქართველდა“, არამედ სომხური სარწმუნოება უარყო.

იმის შემდეგ, რაც VI საუკუნეში სპარსეთმა მოსპო ქართული სახელმწიფოებრიობა, ქართულ ეკლესიას უცდია თავის ხელში აეღო არა მხოლოდ სასულიერო ზედამხედველობა ქვეყნისა, არამედ საეროც. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა VII-VIII საუკუნეებში, როცა არაბები დევნიდნენ ვახტან გორგასლის – „ხოსროიან“ მეფეთა შთამომავლებს, ხოლო ბაგრატიონების ხელისუფლება ჯერ კიდევ არ იყო განმტკიცებული. ამ რთულ დროს, როცა მტერმა მოსპო ქვეყნის ადგილობრივი ადმინისტრაციული სამმართველო აპარატი, საეკლესიო მმართველობა (კათალიკოსი და ეპისკოპოსები) იქცნენ კანონიერებისა და წესრიგის წარმომადგენლებად. ეს კარგად ჩანს სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში, როცა სამცხის თემში დიდი მთავრები ერთმანეთს წაეკიდნენ, მაწყვერელმა ეპისკოპოსმა შეძლო მათი დამორჩილება და საერო ხელისუფლების ხელში აღება. „სამცხის უმაღლეს საეკლესიო იერარქს ამ ქვეყნის მთელი „განგება“ უგდია ხელთ და ის თავის „საბრძანებლად“ გადაუქცევია. მაწყვერელმა, შფოთის ამტეხთა („პირველ მეშფოთეთა“) ე.ი. მოკლული ფეოდალის ადგილ-მამულიც – როგორც პატრონმა, ამოწყვეტილი ყმის მამული – თავისთვის დაიტოვა“.[169]

როგორც ჩანს, ქართული ეკლესია მართავდა კახეთს „ქორეპისკოპოსის“ ინსტიტუტის მეშვეობით, რადგანაც იქ არც სამეფო და არც სხვა მთელი ქვეყნის მომცველი ხელისუფლება არ არსებობდა. „ქორეპისკოპოსი თავისი თავდაპირველი შინაარსით, სოფლური დასახლების მხარეში ეპისკოპოსის ხელისუფლების გამტარებლად გამოდის, მაგრამ წანართა ქორეპისკოპოსმა ჩანს, თანდათან, ფეოდალიზაციის პროცესის შესაბამისად, მიიტაცა საერო ხელისუფლება, საერო და სასულიერო ხელისუფლების ერთი პირის ხელში გაერთიანების ასეთი ტრადიცია უცხო არ

არის საქართველოს მთიანეთის მოსახლეობისათვის".[170] IX საუკუნეში ამ ხელისუფალს თავისი სასულიერო ფუნქცია დაუკარგავს და საერო შინაარსი მიუღია.[171]

ქართულ ეკლესიას ძალა და გავლენა უნდა ჰქონოდა თბილისშიც. წმიდა კონსტანტი-კახი „ვიდრე პყრობილ-და იყო მოწამე ქრისტესი ტფილისს შინა, მიწერა წიგნები ყოველთა მიმართ მეუდაბნოეთა ქალაქისათა და მამასახლისთა მონასტრისათა".[172] თხზულებიდან ჩანს, რომ კონსტანტი-კახმა წერილები მისწერა თბილისში არსებული მონასტრების ბერებს. აქედან ჩანს, რომ არაბთა მფლობელობის დროსაც კი თბილისში ქართულ ეკლესიას გავლენა არ დაუკარგავს. ჩანს, არაბთა ამირა გრძნობდა ქართული ეკლესიის ძალას და გადაუწყვეტია ტაოკლარჯეთში ქართული ეკლესიის დახმარებით ამ მხარეებზე კონტროლის დაწესება. ამიტომაც უჭერდა მხარს ანჩის საეპისკოპოსო საყდარზე თავის წარმომადგენელს, ეპისკოპოს ცქირს. როდესაც სამცხეში მოწვეულმა საეკლესიო კრებამ იგი განაშორა საეპისკოპოსო საყდარს, ცქირი „ტფილისს წარვიდა საჰაკ ამირისა, პატრონისა თავისისავე".[173] იგი საყდრიდან მოუშორებიათ აშოტ კურაპალატის, ქართლის კათალიკოსის და მისგან გამოგზავნილი „ღირსი ეპისკოპოსების" და მეუდაბნოე მამების ნებით.[174] ეკლესია ისეთი დიდი ძალაა, რომ მოიცავს მთელ საქართველოს, თუმცა კი პოლიტიკურად დაქუცმაცებულს. ამ ძალის გამოყენება სურთ როგორც თბილისის ამირას, ისე სხვა კუთხეთა მმართველებს.

თ. პაპუაშვილის თვალსაზრისით, IX-X საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე ერთიანი ხელისუფლების არარსებობის დროს ეკლესია ცდილობდა, დაპირისპირებოდა საერო ხელისუფლებას და უპირატესობა მოეპოვებინა მასზე – „ასეთი განწყობილების გამომხატველია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება". გიორგი მერჩულე ცდილობს, დაგვანახოს ეკლესიის უფლება ბატონობაზე, გვიჩვენოს მისი ავტორიტეტი და გავლენა საერო ცხოვრებაზე. საამისო ცნობები საკმაოდ მრავლად მოიპოვება მის თხზულებაში".[175] VI-VIII საუკუნეებში, მაშინ, როცა საქართველოში არა თუ საერთო ხელისუფლება, კუთხეებში ფეოდალური სამთავროებიც კი არ არსებობდა. მეფის ადგილზე მჯდომი სტეფანოზიც დიდ მორიდებასა და მოწიწებას ამჟღავნებს მონასტერთა და სასულიერო ხელისუფალთა მიმართ, როგორც ეს „წმიდა შიოსა და ევაგრეს ცხოვრებიდან" ჩანს. ასურელ მამათა მოწაფეები ჯერ კიდევ VI-VII საუკუნეებში გადასულან ტაო-კლარჯეთში და იქ დაუწყიათ სამონასტრო ღვაწლი. პ. ინგოროყვას თანახმად, ასეთი ყოფილა წმიდა შიო მღვიმელის მოწაფე მიქაელი. საერთოდ კი, სამონასტრო ცხოვრებას ტაო-კლარჯეთში საფუძველი ჩაყრია ვახტანგ გორგასლის დროს, როდესაც მან აქ ოპიზის მონასტერი დააარსა. ვახტანგმა „აღაშენა ციხე არტანუჯისა და მონასტერი, რომელ არს ოპიზისა, და სამნი ეკლესიანი: დაბისა, მერისა და შინდობისა, და განაახლა ციხე ახიზისა და ქმნა იგი ქვაბად". ოპიზის მონასტერი – თავიდანვე ქართული იყო. თუ იგი შემდგომ, როგორც კ. კეკელიძე ფიქრობს სომხური გახდა, სწორედ აღნიშნული საეკლესიო მტაცებლობის გამო. საერთოდ, ტაოს მხარეების ქართულობას ისიც ამტკიცებს, რომ მათ ბიზანტიელებმა „იბერიის თემი" უწოდეს.

ავტოკეფალიის არსი – „ეპისკოპოსთა კურთხევა თავისივე ეპისკოპოსების მიერ“

„როცა III მსოფლიო კრება იცავდა კვიპროსის ეკლესიის ავტოკეფალიას, არ გაუხსენებია ამ ეკლესიის არც ერთი უფლება, გარდა მისივე ეპისკოპოსთა უფლებისა თავისი ეპისკოპოსებისგანვე მიეღოთ ქიროტონია და ამაში ხედავს სხვა ეკლესიათა ავტოკეფალიის არსს – „კვიპროსის ეკლესიის ზედამდგომთ ჰქონდეთ თავისუფლება... ხელი თვითვე დაასხან დადგენილ ღვთისმოშიშ ეპისკოპოსებს. იგივე, დაე, დაცულ იქნას სხვა ოლქებში (დიოცეზებში) და ყველა ეპარქიებში (მიტროპოლიტებში), – ნათქვამია მე-8 კანონში... ავტორიტეტული კანონისტები ავტოკეფალიის არსს ხედავენ სწორედ მოცემული ეკელესიის ეპისკოპოსთა ხელდასხმაში თავისივე ეპისკოპოსების მიერ: „მიაქციე ყურადღება – რჩევას იძლევა თეოდორე ბალსამონი, II მსოფლიო კრების მე-2 კანონის განმარტებისას – რომ ამ კანონის თანახმად, პროვინციების ყველა მიტროპოლიტი ავტოკეფალურია და ხელდასხმული იყო თავისივე კრების მიერ (ათენი. სინტ. II, 171)... არ ემორჩილებიან არც ერთ პატრიარქს ბულგარეთის, კვიპროსის, იბერიის ეკლესიები, რადგანაც ამ ეკლესიების მღვდელმთავრები, როგორც წესი, ქიროტონიას თავისივე ეპისკოპოსთა მიერ იღებენ“, – წერს თავის ალფაბეტურ სინტაგმაში მათე ბლასტარესი (ათენ. სინტ. VI, 258)... ავტოკეფალიის ასეთივე წესით განისაზღვრება ყველა ავტოკეფალური ეკლესიის მოწყობის საფუძვლები.[176]

ჩვენამდე მოღწეულია, შეიძლება ითქვას, ოქმი საეკლესიო კრებისა, რომელიც შედგა IX საუკუნეში და რომელმაც აირჩია იბერიის კათალიკოსი. იგი შემონახულია 951 წელს დაწერილ გიორგი მერჩულეს ნაშრომში: „შრომაჲ და მოღუაწეობაჲ გრიგოლ არქიმანდრიტისა ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებლისა“, რომელიც ასახავს VIII-IX საკუნეების საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ, სარწმუნოებრივ და კულტურულ ცხოვრებას. ამ ნაშრომში გადმოცემულ მოვლენათა მიმდინარეობა ასეთია: აშოტ კურაპალატის (გარდ. 826 წ.) ძის ხელმწიფე გუარამ მამფალის ინიციატივით ჯავახეთში მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, რომელსაც უნდა გამოერჩია კათალოკოსი – მეთაური ქართული ეკლესიისა. ამ კრებამდე ცოტა ხნით ადრე ერთ-ერთი პროვინციის „სამცხის ერს“ გავლენიანი ეპისკოპოსების „მძლავრობით“ უკურთხებია და დაუდგენია „თანადგომითა და კურთხევითა მცირედთა ეპისკოპოსთა... დიდი არსენი კათოლიკე ეკლესიასა, ქრისტჱს კუართისა სამკჳდრებელსა მცხეთას, ქართლისა კათალიკოზად“.[177]

ვინაიდან არსენ დიდის კათოლიკოსად კურთხევა მომხდარა კანონიკური წესების დარღვევით, ამიტომ გუარამ მამფალმა გადაწყვიტა გაეუქმებინა წინა კრების დადგენილება და „ბრძანა შეკრებაჲ ეპისკოპოსთაჲ და უდაბნოჲსა მამათაჲ“.[178]

კრება ასეა აღწერილი: ჯერ დაბრძანდება მეფე და ბრძანებს საეკლესიო პირთა, „მოწესეთა“, „შემოკრებას“. პირველ სიტყვას წარმოთქვამს მეფე: თავის სიტყვაში ეხება „შჯულისკანონს“, ე.ი. მსოფლიო კრებათა კანონებსა და მამათა კანონებს: „...იცით ყოველთა კანონი შჯულისაჲ, რამეთუ არა ბრძანებს ეპისკოპოსისა და

კათალიკოზისა მძლავრობით დაჯდომასა“.[179] ეს წინადადება მოტანილია მოციქულთა კანონებიდან და მსოფლიო კრებათა დადგენილებებიდან. გუარამ მამფალი ყოფილა სჯულისკანონის კარგი მცოდნე, და ამიტომაც ის ამ კრებაზე კანონთა „შჯულისაცა მრავალთა სიტყუათა იტყოდა“.[180]

გრიგოლ ხანძთელს, რომელიც ესწრებოდა ამ საეკლესიო კრებას, არ მოეწონა მეფე გუარამ მამფალის აქტიურობა და განუცხადა მას, რომ – „...წმიდათა მოციქულთა და ღირსთა მათ მღდელთ-მოძღუართა განსაზღვრებულსა კანონსა შინა არავე ბრძანებულ არს ერისკაცისაჲ, ვითარმცა ეპისკოპოსთა და წესისა წინამძღუართა მამათა განსაგებელისა მოძღურებისა იკადრებდა...“[181] ე.ი. მოციქულთა და მღვდელმთავართა (წმიდა მამათა) კანონებში არ წერია, რომ ერისკაცმა იკადროს და განაგოს სჯულისმოძღვრება ეპისკოპოსთა და საეკლესიო წესების მცოდნე მამათა მაგიერ. ამით გრიგოლ ხანძთელმა სიტყვა მოუჭრა გუარამ მამფალს. მეფე არსენ დიდის კათალიკოსად დადგენას მიიჩნევდა სამოციქულო კანონებისა და კრებათა კანონების დარღვევად, რომელთა თანახმადაც, არ შეიძლებოდა მძლავრობით საეპისკოპოსო და საკათალიკოსო ტახტის დაჭერა. არსენი კი სწორედ ძლიერი და გავლენიანი აზნაურის, მირიანის (მამამისისა) და სამცხის ერის მძლავრობით გამხდარა კათალიკოსი (რაც მეფის გარეშე დაუდასტურებია წინა საეკლესიო კრებას).

გუარამ მამფალი საეკლესიო კანონებით – „შჯულისმოძღვრებით“ – უმტკიცებდა კრებას ამგვარი მოქმედების უკანონობას.

გრიგოლ ხანძთელმა მეფეს მიუგო, რომ იმავე კანონებში, რომელსაც შენ იყენებ, არც ის წერია, ერისკაცმა (ამ შემთხვევაში გუარამმა) ეპისკოპოსებს სჯულისკანონი ასწავლოსო. გრიგოლმა განაცხადა, რომ მსოფლიო საეკლესიო კრებებს ესწრებოდნენ მეფენი, მაგრამ ისინი წმიდა მამებს კი არ ასწავლიდნენ სჯულს და სჯულისმოძღვრებას კი არ კადრულობდნენ, პირიქით, წმიდა მამებისაგან ეძიებდნენ სჯულს, მათგან ითხოვდნენ ღვთის სიტყვათა ახსნას, რადგან მათგან ღვთის მცნებები ისწავლება და არა პირიქითო: „...უწყოდი, რამეთუ პირველთა წმიდათა მათ მამათა შეკრებასა ეპისკოპოსთა... თანა იყვნეს პირველნი მორწმუნენი მეფენი. არა თუ მათ თანა შჯულის-მოძღურებასა იკადრებდეს, არამედ რჯულის გამოძიებასა მათსა იკითხიან და ითხოიან სიტყჳსა გამოცხადებაჲ, რამეთუ მათ მიერ ისწავებდეს მცნებათა ღმრთისათა“...[182] ამიტომ, გრიგოლის სიტყვით, საეკლესიო კრებაზე ერისკაცის (თუნდაც მეფის) სიტყვა გონიერი და სამართლიანიც რომ იყოს, მაინც რჯულისა და ეპისკოპოსთა შეურაცხყოფა არისო. ერისკაცის სიტყვა „...დაღაცათუ სამართლად საგონებელ იყოს, არამედ შჯულისა და მღდელთ-მოძღუართა შეურაცხებაჲ არს...“[183]

ჯავახეთში შეკრებილმა ქართული ეკლესიის ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ დაიყოლია გუარამ მამფალი და კათალიკოსად დაადგინა ის პირი, რომელმაც ეპისკოპოსთა უმრავლესობის ხმა მიიღო.

აქედან ჩანს, რომ სწორია „ქართლის ცხოვრება“, როდესაც წერს: ქართული ეკლესიის მეთაური, ანუ „...კათალიკოზი ქართლისა ხელქვეით არა არს პატრიარქთა და არა იკურთხევიან პატრიარქთაგან... რამეთუ თავისუფალ არს და მოციქულთა მაგიერი, მოციქულთა ტახტსა ზედა მჯდომი და პატრიარქი“.[184]

„ქართლის ცხოვრების თანახმად, VII საუკუნეში ქართულ ეკლესიას VI მსოფლიო კრებისაგან არათუ ავტოკეფალია, არამედ საპატრიარქო ეკლესიად წოდების ღირსებაც კი მიუღია. ეს გასაოცრად არ მოგვეჩვენება, თუ გავიხსენებთ, რომ VII საუკუნის ბოლოს, სომხურ წყაროთა თანახმად, იბერიის მეზობელ სომხეთისა და ალბანეთის ეკლესიების მეთაურებსაც ჰქონიათ პატრიარქის ტიტული.

ჯავახეთის საეკლესიო კრებამ კათალიკოსად დაადგინა არსენი, კრების შემდეგ მას ახარეს (ის კრებას არ ესწრებოდა): „...მოძღუარმან შენმან, გრიგოლ მამამან, დაამტკიცა კათალიკოზობაჲ შენი“.[185]

მოყვანილი საეკლესიო კრების ოქმი ნათლად უჩვენებს, რომ ქართლის კათალიკოსის კურთხევაში არ მონაწილეობს უცხო ეკლესიების არც ერთი პატრიარქი. ქართული ეკლესია IX საუკუნეში სრულებით დამოუკიდებელი და თავისუფალი იყო.

ასეთივე მდგომარეობაა VIII საუკუნეშიც: ქართველი კათალიკოსი ხელს ასხამს უცხოელ გუთეთის ეპისკოპოსს. ბერძნული წყაროებით დადასტურებულია, რომ გუთეთის ეპისკოპოსის კურთხევა მოხდა იბერიაში.

გუთეთის ეკლესია ექვემდებარებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, რადგანაც ქალკედონის კრების 28-ე კანონის თანახმად, პონტოს დიოცეზი თავისი საეკლესიო გავლენის სფერო ალანია-გუთეთით და სხვა ბარბაროსთა ჩრდილო მხარეებით კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში შევიდა.

VIII საუკუნეში, მას შემდეგ, რაც კონსტანტინოპოლი ხატმებრძოლების ხელში აღმოჩნდა, გუთეთმა გაწყვიტა კავშირი კონსტანტინოპოლთან, როგორც არამართლმადიდებელ ეკლესიასთან და ეძებდა სხვა საპატრიარქოს, სადაც ეპისკოპოსს აკურთხებდა. გუთეთის ეკლესია იყო მიტროპოლია. არსებობს მოსაზრება, რომ ეს ეკლესია 8 საეპისკოპოსოსგან შედგებოდა, თუმცა ეს საეჭვოა.[186]

ლევ III-ის მემკვიდრის, კონსტანტინე V კოპრონიმის (743-775), მიერ 754 წელს კონსტანტინოპოლში მოწვეულმა საეკლესიო კრებამ ხატთაყვანისცემის აკრძალვა დაადასტურა. კრებაზე დამსწრე გუთთა ეპისკოპოსი, რადგანაც მან კრების გადაწყვეტილებას ხელი მოაწერა, თრაკიის ჰერაკლიის მიტროპოლიტად დანიშნეს. ამ მიზეზით 754 წლიდან გუთეთის საეპისკოპოსო კათედრა თავისუფალი დარჩა. გუთეთის მართლმადიდებელმა მოსახლეობამ ეპისკოპოსად იოანე აირჩია, მაგრამ მისი კურთხევა გაჭირდა, რადგანაც კონსტანტინოპოლი მწვალებლებს ეჭირათ.

„იოანე გუთელის ცხოვრებაში“ არსებული ცნობით, – წერს ვ. გოილაძე, – იგი ჯერ წმიდა მიწაზე, იერუსალიმში გაემგზავრა. აქ სამი წელი იცხოვრა, მაგრამ ხელდასხმული არ იქნა. უკანვე გუთეთში დაბრუნებული იოანე ადგილობრივმა მოსახლეობამ იბერიაში გამოაგზავნა ხელდასასხმელად, სადაც იგი გუთეთის ეპისკოპოსად დაადგინეს. სხვა ცნობით იბერიაში ჩამოსვლამდე იოანე ანტიოქიაში ცდილობდა ხელდასხმას, მაგრამ ამაოდ.

VIII საუკუნის 50-იან წლებში იბერიაში გუთეთის ეპისკოპოსის ხელდასხმა ნათლად მიუთითებს, რომ ქართული ეკლესია ავტოკეფალურია VIII საუკუნეში. უფრო მეტიც, კათალიკოს-პატრიარქ კირიონ II-ს გამოუთქვამს მოსაზრება, რომ იოანე გუთელის ქართლში (იბერიაში) კურთხევის შემდეგ გუთეთის ეპარქია იბერიის ეკლესიას დაემოჩილა.[187]

ამას თითქოსდა ისიც ადასტურებს, რომ აფხაზეთის (ქვემო იბერიის) საკათალიკოსოს იურისდიქციის ჩრდილო საზღვარი იყო კაფა, რომელიც ხერსონესთან ახლო გუთეთში მდებარეობდა.

იბერიის ეკლესია დაარსებისთანავე დიდი ეკლესია იყო. 506 წელს სომხეთის დედაქალაქში ამიერკავკასიის ხალხთა საეკლესიო კრებაზე იბერიიდან კათალიკოსის მეთაურობით ჩასული იყო 24 ეპისკოპოსი. შეუძლებელია იბერიიდან სომხეთში ყველა ეპისკოპოსი ჩასულიყო. ერთი წყაროს თანახმად, ამ საუკუნეში იბერიის ეკლესიაში 35 ეპისკოპოსი იყო. ეპისკოპოსთა დიდი რაოდენობის გამო იბერიაში ორი საკათალიკოსო შეიქმნა, სადაც ეპისკოპოსები და საკათალიკოსოთა მეთაურები თვით იბერიელ ეპისკოპოსთა მიერ იყვნენ ხელდასხმულნი. ამას ზემოთ მოყვანილი წყაროებიც ადასტურებენ.

აბო თბილელის „ქართველობისა“ და „ქართველთა სისხლით მონათესაობის ეთნიკური მომენტის“ შესახებ

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ გადამწერის მიერ, ერთი ქარაგმის არასწორად გახსნამ XX საუკუნის ზოგიერთ დიდ ისტორიკოსს საფუძველი მისცა ისე გაეგო მერჩულის ცნობა, თითქოსდა ქართლის საკათალიკოსოს IX საუკუნემდე მირონის კურთხევის უფლება არ ჰქონდა და დასავლეთ საქართველოს პირველად IX-X საუკუნეში ეწოდა ქართლი, აქ ქართულ ენაზე ღვთისმსახურების გავრცელების გამო გამოითქვა აზრი, რომ გიორგი მერჩულემ პირველმა უწოდა აფხაზეთს – ე.ი დასავლეთ საქართველოს „ქართლი“, იქ ქართული საეკლესიო ენის გავრცელების გამო, და დაასკვნეს, რომ ქართველი ხალხი ჩამოყალიბდა X-XI საუკუნეებში, რადგანაც სწორედ ამ დროს ეწოდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას „ქართველები“, ხოლო ქვეყანას „ქართლი“, რაზედაც მერჩულე წერსო.

მკვლევარი წერს – „გიორგი მერჩულის თვალსაზრისით, ეროვნულ ერთიანობას საფუძვლად უდევს საერთო ქრისტიანული კულტურის მიჩნევა, სერთო ქართული ენით“. მკვლევარის აზრით, რომელიც იმეორებს აღიარებულ თვალსაზრისს – „კულტურული ერთობა წინ უსწრებს პოლიტიკურს“ და ეს „კულტურული ერთობა“, ანუ „ქრისტიანული იდეოლოგია იყო „ქართველთა მაშინდელი ეთნიკური ერთიანობის (ფეოდალური ერის) ერთ-ერთი ნიშან-პირობა“.[188]

ქართული ქრისტიანული კულტურა მიიჩნევა ბაზად, რომელზედაც დაემყარა ქართული ეროვნული ერთობა. აქედან გამომდინარეობს, რომ დასავლეთ საქართველოში X საუკუნეში ქართული ქრისტიანული კულტურის გავრცელების გამო, ამ კულტურის მიმღები ხალხი იქცა ქართველებად“. ქართული ქრისტიანული კულტურის გავრცელება თურმე „...ხდის შესაძლებლად ქართული კულტურის არეალში სხვა ეროვნებისა და რჯულის წარმომადგენელთა მოქცევას... „ქართველის“ ცნება მაინც უშუალოდ ქრისტიანობას უკავშირდება“.[189] თურმე, თუ არაქართველი და არაქრისტიანი მიიღებდა ქართულ ქრისტიანულ კულტურას, ე.ი. ქართულ ენას, ის უკვე „ეთნიკურად „ქართველი“ ხდებოდა. უფრო მეტიც, თურმე „ქართველი“

(„ქართველთა ნათესავი“)... ნიშნავს ქართული ფეოდალური კულტურის თანაზიარს. მისგან სავსებით გამოირიცხება სისხლით ნათესაობის ეთნიკური მომენტი“.[190] „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ სრულიად არ ჩანს მისი ავტორის გიორგი მერჩულის თვალსაზრისი, თითქოსდა მას ქართული ეროვნული ერთიანობის საფუძვლად ქრისტიანული კულტურა მიაჩნდა საერთო ქართული ენით. სინამდვილეში ის უხსნის მკითხველს, თუ რატომ არ მიეცა მის დროს ახლად შექმნილ აფხაზეთის საკათალიკოსოს მირონის კურთხევის უფლება აფხაზეთშივე, ე.ი. დასავლეთ საქართველოში. თუ რატომ განეწესა აფხაზეთისათვის საჭირო მირონის კურთხევა ქართლის საკათალიკოსოში, თუ რატომ უნდა მიეღო თავისი ეკლესიისათვის საჭირო მირონი აფხაზეთის საკათალიკოსოს ქართლის საკათალიკოსოსგან. ამის მიზეზად გიორგი მერჩულე ასახელებს იმას, რომ აფხაზეთის ქვეყანა, ე.ი. დასავლეთი საქართველო, ქართლის ქვეყნის ნაწილია. მერჩულე არ გულისხმობს და არ წერს, რომ მის დროს, მის საუკუნეში გახდა დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) ქართლის ქვეყნის ნაწილი, პირიქით, ის ამ საკითხში გარკვეულ პირებს მხოლოდ შეახსენებს, რომ ახალ საკათალიკოსოში წირვა-ლოცვის ენა ქართული ენაა, და რადგანაც აფხაზეთის ეკლესია ქართული ეკლესიის ნაწილია, ამიტომაც მან მცხეთიდან – ქართლის საკათალიკოსოდან უნდა მიიღოს მირონი და არა აქვს უფლება თვითვე აკურთხოს იგი. დაახლოებით ასეთი აზრი უნდა ჩაედო მერჩულეს თავის ცნობაში. ის მსჯელობს წმინდა საეკლესიო საკითხებზე და არა იმაზე, თუ ქართულ ეროვნულ ერთიანობას რა ედო საფუძვლად.

გიორგი მერჩულის სრულიად პატიოსანი ცნობის შეუსაბამო გაგების გამო XX საუკუნეში დაასკვნეს, თითქოსდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას „ქართველნი“ ეწოდა მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ მათ თურმე X საუკუნეში მიუღიათ „ქართული ფეოდალური კულტურა“ – ანუ ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა. ასეთი დასკვნა საერთოდ ნიკო მარიდან მომდინარეობს, სწორედ ამიტომ აკრიტიკებდა ნ. მარი ივ. ჯავახიშვილს, მაშინ როცა, ივ. ჯავახიშვილი მეგრელებს, სვანებს და ჭანებს „ქართველებს“ უწოდებდა ჯერ კიდევ მათ მიერ ქრისტიანობის მიღებამდე და ასუბუთებდა კიდეც ამას.

არა მარტო ნიკო მარი, არამედ XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისში გარკვეული წრეები ამტკიცებდნენ, თითქოსდა ქართული ენა და ქართული კულტურა ქრისტიანობის პროდუქტი იყო (ე.ი. თითქოსდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ქართული კულტურის შემოქმედი კი არ იყო, არამედ ამთვისებელი და თითქოსდა დასავლეთ საქართველოში ქართული ენა ქრისტიანობის შემდეგ გავრცელდა). ივანე ჯავახიშვილმა მიზნად დაისახა ეჩვენებინა, რომ ეს წრეები ცდებოდნენ. ის წერს: წინათ ეგონათ, რომ ქართული ენა და კულტურა ქრისტიანობის ხანისა და გარკვეული სახელმწიფოებრიობის შემოქმედების ნაყოფიაო.

მეცნიერმა გამოიკვლია, რომ ქართული ენა ქრისტიანობის მიღების შემდეგ კი არ გავრცელდა სამეგრელოსა და სვანეთში, არამედ ქრისტიანობამდე დიდი ხნით ადრე იგი ყველა ქართველისათვის, მათ შორის მეგრელ-სვანთათვისაც, საერთო ენა იყო; უფრო მეტიც, მათ ქრისტიანობის მიღებამდე საერთო წარმართული სარწმუ-

ნოება გააჩნდათ და კულტმსახურება ამ სარწმუნოებისა ერთ – ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.

ივ. ჯავახიშვილი წერს: „ქართული ენა ქართლელ-კახელ-იმერელ-გურულებისა და მეგრელ-სვანებისათვის საერთო ენაა, მაგრამ იგი, როგორც წინათ ეგონათ, თითქოსდა ქრისტიანობის ხანისა და გარკვეული სახელმწიფოებრიობის შემოქმედების ნაყოფია. არსებობდა კი თუ არა ქრისტიანობამდე ასეთი საერთო ნიადაგი ქართველი ერის საერთო წარმართული სარწმუნოებრივი შემოქმედებისათვის, იყო თუ არა ასეთი საერთო შემოქმედება, ერთი სიტყვით, არსებობდა თუ არა ყველა ქართველი ტომისათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვის, საერთო ქართული წარმართობა?“[191]

მეცნიერმა დასმულ კითხვას ასე უპასუხა: „არამცთუ საზოგადო ქართული, ყველა ქართველ ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც, საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ ამ წარმართობას საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონია“.[192]

ივანე ჯავახიშვილს ასეთი მტკიცე პოზიციისათვის უსაყვედურა ნ. მარმა: „უნდა აღვნიშნო, რომ აკად. ნ. მარი მისაყვედურებს, რომ მეგრელებს, სვანებს... მე ქართველებს ვუწოდებ...“[193]

ქართული ენა „...ეს თვით აკად. ნ. მარსაც კარგად მოეხსენება და თვითონაც არაერთხელ დაუდასტურებია, მეგრელებისა და სვანებისთვისაც ერთადერთი სამწერლობო და კულტურის ენა იყო და არის ეხლაც, რომლის შექმნა-შემუშავებაშიც მეგრელებსა და სვანებს თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი“.[194]

ნ. მარის მიერ ტენდენციურად გაგებული გიორგი მერჩულის აღნიშნული ცნობიდან შემდეგი დასკვნები გამომდინარეობს: – „...მაგრამ „ქართველის“ ცნება მაინც უშუალოდ ქრისტიანობას უკავშირდება“.[195] თითქოსდა ცნება „ქართველისაგან“ „...სავსებით გამოირიცხება სისხლით ნათესაობის ეთნიკური მომენტი“.[196]

„ნათესავით ქართველი“ სწორედ ერთი სისხლის, ერთი ეთნიკური წარმოშობის „ნათესავს“ – ე.ი. ერთი თესლიდან, ერთი გენისაგან „ნათეს“ – წარმოშობილ ხალხს ჰქვია და როგორღა გამოირიცხება მისგან „სისხლით ნათესაობის ეთნიკური მომენტი“? თუ ცნება „ქართველისაგან“ „სისხლით ნათესაობის ეთნიკური მომენტი“ გამოვრიცხეთ, ვინღა დარჩება? დარჩება სულ „სხვადასხვა“ ეთნიკური წარმოშობის ტომების კონგლომერატი, რომელნიც, თურმე, თავის თავს „ქართველებს“ უწოდებდნენ ქრისტიანული სარწმუნოების გამო. თურმე „ქრისტიანი“ და „ქართველი“ ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე სინონიმები ყოფილან. აქედან დასკვნა: ქართველები „გაჩნდნენ“ IV-V საუკუნის შემდგომ, თანაც ეს „ქართველები“ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობდნენ, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას კი ქართველები ეწოდათ X საუკუნის შემდგომ, იქ „ქართული ფეოდალური კულტურის“ – ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის შემოღების გამოო.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ქართველი სარწმუნოებით შეიძლებოდა ყოფილიყო არა მხოლოდ ქრისტიანი, არამედ ცეცხლთაყვანისმცემელი და წარმართი: „...ირანის ადმინისტრაციას ქართლის მთავრობისაგან მოუთხოვია: „ვინცა ქართველი ნებითა თვისითა აღირჩევდეს სჯულსა ჩვენსა ნუ აყენებთო“.[197]

განა ის „ქართველი“, რომელიც ირანის ადმინისტრაციის მოთხოვნით თავის სარწმუნოებად ცეცხლთაყვანისმცემლობას აირჩევდა, კვლავ ქართველი არ იქნებოდა? აქ არჩევაზეა ლაპარაკი, ე.ი. თუკი მოუნათლავი, არაქრისტიანი ქართველი „აირჩევდა“ თავის სარწმუნოებად არა ქრისტიანობას, არამედ ცეცხლთაყვანისმცემლობას, ადგილობრივ ხელისუფლებას უფლება არ ჰქონდა ჩარეულიყო მისი პირადი სინდისის საქმეში, სწორედ ამაზეა ლაპარაკი. მოუნათლავი, ე.ი. ჯერ კიდევ არაქრისტიანი ქართველი ისევე არის ეროვნებით ქართველი, როგორც სარწმუნოებით ცეცხლთაყვანისმცემელი, წარმართი ანდა ქრისტიანი ქართველი. განა ქართლის „წვრილი ერი“ სარწმუნოებით ცეცხლთაყვანისმცემელი არ იყო, რაზედაც წერს მემატიანე? განა წარმართული ქრისტიანობამდელი ქართველობა არ უნდა ჩაითვალოს ქართველობად მათი მოუნათლაობის გამო? სწორედ ამიტომაც ცნება „ქართველში“ სისხლით ნათესაობის ეთნიკური მომენტია არსებითი და მთავარი, რადგანაც იმ ეპოქაში „ქართველი“ არა სარწმუნოებრივი შინაარსის მქონე ტერმინი, არამედ ეთნიკური შინაარსის მატარებელი ტერმინი იყო, რომელიც მიანიშნებდა ეროვნულ კუთვნილებას და არა სარწმუნოებრივს.

ისეთი დასკვნები, როგორიცაა „ქართველი, ნიშნავს ქართული ფეოდალური კულტურის თანაზიარს, მისგან სავსებით გამოირიცხება სისხლით ნათესაობის ეთნიკური მომენტი... „ქართველის“ ცნება მაინც უშუალოდ ქრისტიანობას უკავშირდება“ და ა.შ. – თურმე გამომდინარეობს იქიდან, რომ საგალობლებში აბო თბილელს „ქართველს“ უწოდებენ. მართლაც, ცნობილია, რომ აბო თბილელი ეროვნებით არაბია, მაგრამ მას რამდენიმე კრებულში „ქართველს“ უწოდებენ; ეს იმ დროს, როცა თვით ავტორებმა და რედაქტორებმა კარგად იციან, რომ აბო ეროვნებით არ არის ქართველი. ამის გამო, მკვლევარი მსჯელობს: თუკი აბო თბილელს ქრისტიანობის მიღების შემდეგ უწოდეს „ქართველი“, ცხადია, „ქართველი“ ნიშნავს არა ეროვნებით ქართველს, არამედ „ქართული ფეოდალური კულტურის თანაზიარს“ და მისგან „სავსებით გამოირიცხება სისხლით ნათესაობის ეთნიკური მომენტი“.

„სწორედ ამას ადასტურებს აბო თბილელის მისამართით თქმული „გალობანი ნათელთანი და ჰაბო ისმაიტელ-ყოფილისა ქართველისა“ (სტეფანე ჭყონდიდელი); „ხსენებაჲ ღუაწლით შემოსილისა უძლეველისა მოწამისა ჰაბო ისმაიტელ-ყოფილისა ქართველისაჲ (მიქაელ მოდრეკილი). აბო ქართველია, ის ჰიმნოგრაფებს აღარ მიაჩნიათ სარკინოზად მას შემდეგ, რაც მან აღიარა ქართული ფეოდალური კულტურა, ქართული ქალკედონიტური ქრისტიანობა და თავიც შესწირა, ე.ი. გაქართველდა“.[198]

სინამდვილეში აბო თბილელს, თავის დროზე, „ქართველი“ უწოდეს არა იმის გამო, რომ მან მაჰმადიანობა უარყო და ქრისტიანობა მიიღო, აქ უფრო ფაქიზ მომენტთან გვაქვს საქმე: ესაა VII-

VIII საუკუნეებში საქართველოში გაჩაღებული რელიგიური ომი. ამ პერიოდში, ისევე როგორც VI საუკუნეში, საქართველო მონოფიზიტთა და ქალკედონიტთა ომის არეალს წარმოადგენს.

IX-X საუკუნეები არის როგორც ქართველ მონოფიზიტთა დევნისა და განადგურების, ასევე ქართველ ქალკედონიტთა ზეობისა და გამარჯვების საუკუნეები. VIII და წინა საუკუნეებში ქართულ ეკლესიაში მონოფიზიტური მიმდინარეობა საკმაოდ ძლიერ ფრთას ქმნიდა. ქართველ მონოფიზიტებს გააჩნდათ სომხურიდან ნათარგმნი ან რედაქტირებული მდიდარი ქართულენოვანი საეკლესიო ლიტერატურა: მონოფიზიტური თხზულებები, წმიდანთა ცხოვრებები, საგალობლები, ჰიმნები და სხვა. IX-X საუკუნეებში გამარჯვებულმა ქალკედონიტებმა დაიწყეს ქართულენოვანი მონოფიზიტური საეკლესიო ლიტერატურის ტოტალური განადგურება. ამდროინდელ ქართულ ეკლესიაში ბერძნულის მიხედვით დაიწყო ხელახალი რედაქტირება ან თარგმნა იმ წმიდა წიგნებისა, რომელნიც ნარედაქტირევი ანდა ნათარგმნი იყო სომხური ენიდან. ისპობოდა წინა საუკუნეთა ისეთი ძეგლები, რომელნიც ეჭვს იწვევდნენ სარწმუნოებრივი თვალსაზრისით. ნადგურდებოდა არა მარტო საეჭვო საეკლესიო ლიტერატურა, არამედ ისეთი თხზულებებიც კი, რომელნიც მკითხველს დააეჭვებდნენ სომხურ და ქართულ ეკლესიებს შორის ძველი ურთიერთკავშირის შესახებ. ასეთი თხზულებანი ქართველ მონოფიზიტებს მრავლად უნდა ჰქონოდათ. ქართველ მონოფიზიტებს ორიენტაცია სომხურ ეკლესიაზე ჰქონდათ აღებული, რომლის თვალსაზრისით, ქართული ეკლესია წარმოადგენდა სომხური ეკლესიის შემადგენელ ნაწილს, თითქოსდა მას უფლებამოსილება გააჩნდა ალბანურ და ქართულ ეკლესიებზე. სომხური ეკლესია ქართულს მასში შემავალ ავტონომიურ ერთეულად მიიჩნევდა და არ ცნობდა მის სრულ დამოუკიდებლობას. ასეთი სახის ურთიერთობის კანონიერების დამადასტურებელი თხზულებანი სომხურ ეკლესიას მრავლად გააჩნდა. ისინი ქართველ მონოფიზიტებს ნათარგმნი უნდა ჰქონოდათ. სწორედ ასეთ თხზულებებს ანადგურებდა ქართული ეკლესია თავისი დამოუკიდებლობის დაცვის მიზნით.[199]

VIII საუკუნეში საქართველოს სახელმწიფო და საერთოდ ქვეყანა, ძალზე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა არაბების შემოსევის გამო (რამაც გამოიწვია კიდეც ქართლის სახელმწიფოს დამხობა). ასეთ პირობებში ქართულ ეკლესიას ძალა არ შესწევდა, შეესუსტებინა საქართველოში არსებულ მონოფიზიტთა ძლიერება (VIII საუკუნის პირველ ნახევარში). მათ საეჭვოდ გაუხდიათ ქართული ეკლესიის სომხური ეკლესიისაგან დამოუკიდებელი არსებობა და პოლიტიკა. წინა წლებში ქართული ეკლესია იძულებული შეიქნა, მიემართა ანტიოქიის საპატრიარქოსათვის და მიეღო მისგან დადასტურება, რომ ქართული ეკლესია სრულებით თავისუფალი, ავტოკეფალური ეკლესიაა, მაგრამ ჩანს, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი და მაინც სომხურ-ქართული ტრადიციული „ერთობის“ აღდგენის მომხრეთა რიცხვი მრავლად ყოფილა. მათ სურდათ სომხურ-ქართული ეკლესიების „ერთობა“ სომხური ეკლესიის მეთაურობით.

IX-X საუკუნეში, მას შემდეგ, რაც შეიქმნა და განმტკიცდა ქართული ეროვნული სახელმწიფოებრივი ერთეულები ტაო-კლარჯეთში, აფხაზეთში, კახეთში, ქართული

ეკლესია განსაკუთრებით გაძლიერდა და შეუტია ქართველ მონოფიზიტებს. ამ დროს, როგორც აღინიშნა, დაიწყო ქართული მონოფიზიტური ლიტერატურის მასობრივი განადგურება. სავარაუდოა, ამ დროს მისაღები და მიუღებელი თხზულებების გარჩევის მიზნით, ქართულ ეკლესიაში მისაღებ თხზულებებს აწერდნენ პირობით სიმბოლურ ნიშანს – „ქართული“, „ქართველი“ ე.ი. ქართული ეროვნული ეკლესიისათვის მისაღები, ქართული ეროვნული ეკლესიის წმიდანი, ხოლო, ალბათ, ამგვარი წარწერის გარეშე ტოვებდნენ, ანდა ანადგურებდნენ ქართულენოვან მონოფიზიტურ თხზულებებს.

საფიქრებელია, რომ სწორედ ამ მიზეზთა გამო მიუწერეს აბო თბილელის საგალობელს თავდაპირველად სიმბოლური ნიშანი „ქართველი“, რაც ნიშნავდა, რომ აბო თბილელი ქართული ეროვნული ეკლესიის წმიდანი იყო. ეს ნიშანი იმ არეულ დროს იცავდა ამ თხზულებას განადგურებისაგან, თორემ ყველამ კარგად იცოდა, რომ აბო ქართველი კი არ იყო, არამედ არაბი, და არა უბრალოდ არაბი, არამედ წმინდა სისხლის არაბი (ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელი მსოფლიოს არაბთა მიერ დაპყრობის დროს): „ესე ნაშობი იყო აბრამეანი, ძეთაგან ისმაელისთა, ტომისაგან სარკინოზთაჲსა, და არა თუ უცხოჲსაგან თესლისა, არცა ხარჭისგან შობილი, არამედ ყოვლადვე არაბიელთა თესლი, მამულად და დედულად, რომლისაჲ მამაჲ მისი და დედაჲ მისი ძმანი და დანი მისნი იყვნეს მუნვე ქალაქსა მას შინა ბაღდადს ბაბილოვნისასა“.[200]

IX-X საუკუნეთა ავტორი და რედაქტორი (სტეფანე ჭყონდიდელი და მიქაელ მოდრეკილი) აბოსადმი საგანგებოდ მიძღვნილ საგალობლებს სათაურად აწერენ: „აბო ისმაიტელყოფილი ქართველი“, ორივე მწერლის მიერ აბოს ერთნაირად მოხსენება აჩვენებს, რომ უკვე IX–X საუკუნეებში ქართული ჰიმნოგრაფია ტრადიციულად ამ წმიდანს ასე მოიხსენიებს.

როგორც აღინიშნა, წარწერა „ქართველი“ აქ აღნიშნავს არა სარწმუნოებრივ, არამედ საეკლესიო კუთვნილებას; აბო ქართული ეროვნული ეკლესიის წმიდანია და არა სხვა რომელიმე, ვთქვათ, ქართულ-მონოფიზიტური ეკლესიისა, რომელიც იმ დროს სომხური ეკლესიის ნაწილად გადაიქცა და ამიტომაც ქართველ მონოფიზიტებს IX-X საუკუნეებში „სარწმუნოებით სომხებს“ უწოდებდნენ, „სომეხი“ ნიშნავდა არა ეთნიკურად სომეხს, არამედ სომხური ეკლესიის წევრს. შეიძლებოდა, რომ ერით და გვარტომობით ქართველი, ანუ „ნათესავით ქართველი“ სომხური ეკლესიის წევრი ყოფილიყო, თუნდაც საქართველოში ეცხოვრა. მათ „სარწმუნოებით სომხებს“ უწოდებდნენ, მსგავსად იმ ალბანელებისა, რომლებიც ალბანეთში ცხოვრობდნენ, მაგრამ სომხური ეკლესიის წევრები იყვნენ (ალბანური ეკლესია სომხური ეკლესიის ნაწილი იყო). ეს ალბანელები კულტურულად და ეთნიკურად, მართლაც გასომხდნენ. მესხეთში, და ალბათ სხვაგანაც, გრიგოლ ხანძთელის ეპიქაში მრავლად ყოფილან ეროვნებით ქართველი, მაგრამ სომხური ეკლესიის წევრი მცხოვრებნი. ასეთი „სომხები“ ქართული ეკლესიის წყალობით კვლავ დაუბრუნდნენ დედა ეკლესიას. მათ განსაკუთრებით უყვარდათ ხაზგასმით მოხსენიება იმისა, რომ ისინი ეთნიკურად, გვარტომობით, წარმოშობით – „ნათესავით“ ქართველები იყვნენ.

სიტყვა „ქართველი“ არც ქალკედონობის აღმნიშვნელი ტერმინი ყოფილა. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ის, რომ მიქაელ მოდრეკილის კრებულში არის ჰიმნები, რომელთაც აქვთ წარწერა „ბერძნული“. ჩანს, VI-VII-VIII საუკუნეებში ქართულ ეკლესიაში ყოფილა საგალობლები სირიულ-სომხურ-აღმოსავლური წარმოშობისა, შემდეგ ეს საგალობლები ქართული ეკლესიის პრაქტიკიდან ამოუღიათ და მოუსპიათ. ქართულ ეროვნულ ეკლესიაში ძველთაგანვე მიღებული სხვა საგალობლებიც რომ არ მოესპოთ, მათ გაუკეთეს წარწერა, ნიშანი – „ქართუელი“. ეს უფლებას აძლევდათ, შეესრულებინათ საგალობელი. სწორედ ამგვარად ქართული ეროვნული ეკლესიისათვის მისაღები აბო თბილელისადმი მიძღვნილ საგალობელს თავიდანვე გაუკეთეს წარწერა – „ქართუელი“. იმის გამო, რომ საგალობელთა მელოდია საუკუნეთა მანძილზე ერთი და იგივე რჩებოდა, ხოლო ტექსტი იცვლებოდა და ხელახლა იწერებოდა, აბო თბილელის საგალობელს სხვადასხვა ავტორები ერთსა და იმავე სახელს აწერდნენ. „ქართველი“ – ქართული ეროვნული ეკლესიისადმი კუთვნილს, ქართული ეკლესიის წმიდანს ნიშნავდა.

ნიკო მარის მიერ გიორგი მერჩულის ცნობის მცდარად გაგებამ გამოიწვია ისეთი დასკვნები, თითქოსდა ქართული X საუკუნის შემდგომ გახდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურის ენა, ამიტომაც „ნათესავით ქართველი“ თითქოსდა ნიშნავს არა ეროვნებით, ეთნიკურად, გენით ქართველს, არამედ კულტურით ქართველს, უფრო მეტიც, თვით აღმოსავლეთ საქართველოშიც კი ყოფილა რაღაც „სახლები“, რომლებიც თითქოს დავით აღმაშენებელმა „დაიპყრო და გაქართველდნენ“.

ივ. ჯავახიშვილს გამოწვლილვით აქვს გამორკვეული, რომ ქართული ენა ჯერ კიდევ ქრისტიანობის მიღებამდე მეგრელებისა და სვანებისათვის იყო კულტმსახურების ენა, უფრო მეტიც, ქართული ენა მეგრელებისა და სვანებისათვის ერთადერთი სამწერლობო და კულტურის ენა იყო, რომლის შექმნა-შემუშავებაშიაც მეგრელებსა და სვანებს თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი. ქართული დამწერლობისა და ლიტერატურის არსებობა IV-V საუკუნეებიდანაა დადასტურებული. ამ საუკუნეებში სამწერლო ენა მხოლოდ საეკლესიო საჭიროებისათვის – წირვა-ლოცვისა და სამღვდლმსახურო წიგნებისათვის გამოიყენებოდა. ცხადია, თუკი მეგრელები და სვანები შემოქმედნი არიან ქართული სამწერლო ენისა, ამ ენას გამოიყენებდნენ კიდეც თავიანთი საჭიროებისათვის, წირვა-ლოცვის დროს IV-V საუკუნეებშივე. დასავლეთ საქართველო აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად გაქრისტიანებულა. ივ. ჯავახიშვილი წერს: „...დასავლეთ საქართველოშიც IV საუკუნის დამდეგიდან ქრისტიანობას გზა გაკვლეული უნდა ჰქონოდა“.[201]

ქართული ენა დასავლეთ საქართველოში კულტმსახურების ენა ყოფილა არა მარტო წარმართობის, არამედ ქრისტიანობის მიღების დროსაც – IV-V საუკუნეებში. დასავლეთ საქართველოში ერთი სარწმუნოება მეორეს შეუცვლია, მაგრამ კულტმსახურების ენა იგივე დარჩენილა, ბუნებრივია, შეიცვალა არა ეთნოსი, არამედ სარწმუნოება. სწორედ ამის გამო უწოდებს დასავლეთ საქართველოს „ქართლს“ (ანუ იბერიას) გიორგი მერჩულე. მან იცის, რომ დასავლეთ საქართველო პოლი-

ტიკურად ქართლის ნაწილი იყო VIII საუკუნემდე, ხოლო ქართული ენა აქ წირვა-ლოცვის ენა იყო IV საუკუნიდან. მართალია, VII საუკუნის შემდეგ, რაც დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილზე თავისი იურისდიქცია განახორციელა კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ, წირვა-ლოცვის ენად ბერძნული შემოიღო, მაგრამ ეს მდგომარეობა IX-X საუკუნეებში გამოსწორებულა. მერჩულეს აფხაზეთი, ანუ დასავლეთი საქართველო ქართლის ნაწილად მიაჩნია.[202]

წმიდა ნინო და მოციქული ელიშა

ალბანეთის ავტოკეფალური ეკლესია მიიჩნევდა და განსაკუთრებით უსვამდა ხაზს, რომ ალბანეთის ეკლესია დააარსა მოციქულმა ელიშამ პირველ ან მეორე საუკუნეში, ელიშამ კურთხევა უფლის ძმა იაკობისაგან მიიღოო,[203] ამიტომაც ალბანური ეკლესია სამოციქულოა და მისი კათალიკოსი (პატრიარქი) სამოციქულო ტახტზე ზისო – ასეთი იყო ალბანეთის ეკლესიის უმთავრესი იდეოლოგია მისი ავტოკეფალიის არსებობისას. ალბანეთის ეკლესიას ეს დამოუკიდებლობის დაცვაში ეხმარებოდა, მაგრამ ასეთი მტკიცება მხოლოდ VII საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა.

დაახლოებით 699 წელს ალბანეთის ქალკედონიტი კათალიკოსის დასასჯელად ალბანეთში არაბთა ჯარით ჩავიდა სომხეთის კათალიკოსი. ის სიკვდილით სჯის ალბანეთის კათალიკოსს ქალკედონიტური მრწამსის გამო. არაბთა ჯარით დაშინებული ალბანეთის საეკლესიო კრება სომხეთის ეკლესიას აღუთქვამს სამუდამო მორჩილებას. ამით დასრულდა ალბანეთის ეკლესიის ისედაც მერყევი ავტოკეფალია. ალბანეთის ეკლესია სომხეთის ეკლესიის ნაწილად იქცა.

ავტოკეფალიის დაკარგვას თან მოჰყვა ალბანეთის ეკლესიაში საუკუნეთა მანძილზე არსებული იდეოლოგიის – მოციქულ ელიშას შესახებ – გადმოცემის შეცვლაც. ალბანეთის განმანათლებელ მოციქულ ელიშას შესახებ გადმოცემის ახალ სახეს თვით სომხეთის კათალიკოსი აყალიბებს.

სომხეთის კათალიკოსის ვერსია ასეთია: მართალია, ალბანეთის ეკლესია დააფუძნა მოციქულმა ელიშამ, მაგრამ ელიშა იყო თადეოზ მოციქულის მოწაფე. ეს არის სრულიად ახალი ფორმულა. თადეოზ მოციქული სომხური ეკლესიის დამაარსებლად იყო აღიარებული.

იმის გამო, რომ მოციქული თადეოზი სომხეთის ეკლესიის დამაარსებელი იყო, ხოლო ალბანეთის ეკლესიის დამფუძნებელი მოციქული ელიშა, თადეოზის მოწაფე, ამიტომაც ალბანეთის ეკლესია ისევე უნდა დამორჩილებოდა სომხურ ეკლესიას, როგორც თადეოზს ემორჩილებოდა მისი მოწაფე ელიშა.

მოსე კალანკატუელი ამ ამბის აღწერის შემდეგ აღარაფერს ამბობს ელიშა მოციქულისა და იაკობ მოციქულის იერუსალიმური კავშირის შესახებ. VII საუკუნიდან დადგინდა, რომ ელიშა, უპირველეს ყოვლისა, მოწაფეა თადეოზისა. იერუსალიმი სომხეთით შეიცვალა.

მსგავსი ამბავი განმეორდა წმიდა ნინოს მიმართაც. ფაქტია, რომ წმიდა ნინოს მოიხსენებენ IV-VI საუკუნისა (ქართული და უცხოური) და IX-X საუკუნეთა

ქართული წყაროები. VI-VII საუკუნეებში ქართული წყაროები თითქმის ერიდებიან, ან მცირედ იხსენიებენ წმიდა ნინოს.

ბერძენ-ლათინი ისტორიკოსები, თითქმის თანამედროვენი წმიდა ნინოსი, სულ 50-100 წლით დაშორებულნი მისგან, დაწვრილებით აღწერენ წმიდა ნინოს მოღვაწეობას, მაგრამ არასდროს ახსენებენ მას წმიდა გრიგოლთან, სომხეთის განმანათლებელთან კავშირში, ასევე IV-V საუკუნის წმიდა ნინოს ქართული ცხოვრება ნინოს არ უწოდებს წმიდა გრიგოლის მოწაფეს. ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ წმიდა ნინო არ ყოფილა წმიდა გრიგოლის მოწაფე. წმიდა ნინო იყო ქართლის დამოუკიდებელი განმანათლებელი, მოსული იერუსალიმიდან, ასეთი იყო საზოგადო აზრი IV და V საუკუნის I ნახევრისა.

V საუკუნიდანვე სომხურ ეკლესიაში მკვიდრდება თვალსაზრისი, რომ წმიდა ნინო წმიდა გრიგოლის მოწაფე იყო და მან გრიგოლის დავალებით გაანათლა ქართლი.

ამ იდეამ პრაქტიკული განხორციელება ჰპოვა VI საუკუნის შემდეგ. VI საუკუნეში, სპარსთაგან ქართლის დაპყრობამ და აქ სომხური ეკლესიის გავლენის ზრდამ საშუალება მისცა სომხურ ეკლესიას, თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა ამ ორი წმიდანის კავშირის თეორია ისევე, როგორც მოციქულ ელიშასა და მოციქულ თადეოზის კავშირი.

თუ სომხური ეკლესიის განმანათლებელი, წმიდა გრიგოლი, იყო მასწავლებელი და ხელმძღვანელი ქართული ეკლესიის განმანათლებელ წმიდა ნინოსი, სომხურ ეკლესიას გარკვეული ზედამხედველობის უფლებაც ექნებოდა ქართულ ეკლესიაზე.

ამ თეორიით ქართული ეკლესია სომხურს ექვემდებარებოდა, ამ მიზეზის გამო VI-VII საუკუნეებში ქართველები (ქალკედონიტები) ერიდებოდნენ წმიდა ნინოს ხსენებას. თუ აუცილებელი იყო, ისევ წმიდა გრიგოლს ახსენებდნენ, რადგანაც წმიდა ნინო ქართულ-სომხური ეკლესიების დამაკავშირებელი გამოდიოდა ისე, როგორც ელიშა – სომხურ-ალბანური ეკლესიებისა VII საუკუნის ბოლოს.

მას შემდეგ, რაც ქართულმა ეკლესიამ VIII საუკუნის დასაწყისში, 726 წელს მოწვეული სომხური ეკლესიის კრების შემდეგ საბოლოოდ, სრულებით და აბსოლუტურად გაწყვიტა კავშირი სომხურ ეკლესიასთან, წმიდა ნინომ ქართულ ეკლესიაში დაიჭირა თავისი კუთვნილი ადგილი.

ვ. გურგენიძე სიმონ ჯანაშიაზე დაყრდნობით წერდა, რომ VI-VII საუკუნეებში სპარსელთა ნებით ქართულ წერილობით წყაროებში მოისპო, ანდა სრულებით გადაკეთდა ისტორიული ფაქტები. ამ დროს სრულიად შესაძლებელი იყო წმიდა ნინოს შესახებ არსებული ისტორიული ფაქტების დამახინჯება.

„საქართველოში სპარსეთის იდეოლოგიური პოლიტიკა მიზნად ისახავდა „სომხეთის რელიგიაზე“ – მონოფიზიტობაზე დაყრდნობით, ქართველ ხალხში მოესპო ძველი მართლმადიდებლური (დიოფიზიტური) სარწმუნოება და იქ მაცხოვრებლები თანდათანობით გადაეყვანა თავიანთ მხარეზე“.[204] ასეთი მდგომარეობა იყო VI საუკუნეში.

VII საუკუნის დასწყისში კი „სპარსელებმა ისე, როგორც 506 წელს ქ. დვინში ჩატარებულ საეკლესიო კრებაზე, კვლავ უფრო მკაცრად დააკანონეს თავის გამგებლობაში შემავალ ყველა ხალხისთვის ერთიანი იდეოლოგია – სომხური (მონოფიზ-

იტური) რელიგია. მათი მტკიცებით, ეს ერთიანი რელიგია ყველგან განავრცო სპარსელების ნათესავმა განმანათლებელმა გრიგორიმ. ამ აუცილებელი იდეოლოგიის მიღების მიზნით, ყველგან, მათ შორის ქართლშიც, „განწმედილ იქნა“ და ახალი მასალებით შეივსო ქართველთა, ალბანელთა და სომეხთა საისტორიო მწერლობა. სწორედ ამიტომ, როგორც სამართლიანად მიუთითებდა ს. ჯანაშია, წერილობით წყაროებში შეუბრალებლად მოსპეს ან ძირეულად გადააკეთეს სხვადასხვა ისტორიული ფაქტები, მათთვის მისაღები ენებიდან – სომხურიდან და ასურულიდან ხელახლა ათარგმნინეს ბერძნულიდან გადმოთარგმნილი წიგნები, „შეუდარეს“, „შეასწორეს“, ზოგი რამ კი ახლად დააწერინეს. ყველაზე სამწუხაროდ ს. ჯანაშიას მიაჩნია ის ფაქტი, რომ ამ „გასუფთავების“ დროს, ფაქტობრივად „განადგურდა“ ძველი ქართული საისტორიო მწერლობა და „ქართლის მოქცევის“, „ჯუანშერის“ და სხვა მატიანეებში ამ მწერლობიდან შემორჩენილია მხოლოდ დამახინჯებული ფრაგმენტები“.[205] აი, საიდან იღებს სათავეს ირანოფილური და სომხოფილური ტენდენციები როგორც ქართულ, ისე სომხურ ისტორიულ წყაროებში. „...რომ დაეპირისპირებინა ერთმანეთისათვის სომხეთი და საქართველო, სპარსეთი დროებით დაპყრობილ, თუ რომაელ-ბიზანტიელთაგან ხელშეკრულებით „მიღებულ“ საქართველოს ტერიტორიებს ცალკე ადმინისტრაციულ ქართულ ერთეულებად კი არ აცხადებდა, არამედ მიაწერდა მას მის მიერ დაპყრობილ სომხეთს, რომლებიც თავიანთ მხრივ თვლიდნენ, როგორც სომხურ ტერიტორიებს და ყველაფერს აკეთებდნენ აქ მცხოვრები ქართველების ასიმილაციისათვის...“[206]

ამ დროს მიმდინარეობდა გუგარქის, მესხეთისა და ჰერეთის ქართველების ასიმილაცია. ქართული და ბერძნული ენები იდევნებოდა ღვთისმსახურებიდან, ეკლესიებიდან და ინერგებოდა სომხურენოვნება. სწორედ ასეთ დროს შეიძლებოდა ქართული ენა მიჩნეულიყო „მდაბალ და დაწუნებულ ენად“. ქართული, როგორც დიოფიზიტთა ენა, განდევნეს ეკლესიებიდან, ის აღარ იხმარებოდა სამხრეთ პროვინციებში. ამიტომაც წერდა მწერალი: „დამარხულ არს ენაჲ ქართული“, რაც სინამდვილეს შეეფერებოდა. ქართული ენა დაფარული, გადამალული იქნა მხოლოდ ჩრდილო პროვინციებში, მთიანეთში შეიძლებოდა ქართულ ენაზე თავისუფალი მსახურება, ამიტომაც „ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდეო“ – წერდა, ჩანს, VI ან VII ს.ს. დასაწყისის ავტორი. ის წუხს – „ესე ენა შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა“ არის „მდაბალი და დაწუნებულიო“ (ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ).[207]

სწორედ ამ დევნის გამო ჩვენ, ფაქტობრივად, არა გვაქვს VII საუკუნეში შექმნილი არც ერთი ქართული ნაწარმოები (ზოგიერთი გამონაკლისის, პოლემიკური თხზულების გარდა). მაშინ, როცა VIII საუკუნიდან მდგომარეობა მკვეთრად იცვლება, დიდი რაოდენობით ჩნდება ქართული თხზულებები.

726 წელს მანასკერტის კრებაზე სომხურმა ეკლესიამ, საბოლოოდ და გადაჭრით, ერთადერთ სწორ სარწმუნოებად აღიარა მონოფიზიტობა და უარყო როგორც მონოთელიტობა, ისე ქალკედონიტობა, დაგმო კავშირი ბიზანტიურ ეკლესიასთან (და ჰერაკლე კეისრის შემდეგ არსებული „უნია“). ქართულმა ეკლესიამ, როგორც ქალკედონიტიზმის ერთგულმა დამცველმა, ამის შემდეგ ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა სომხურთან.

ძველ ქართულ ლიტერატურაზე თვალის გადავლებითაც ჩანს, VIII საუკუნის შუა წლებიდან ქართული საეკლესიო ლიტერატურა მოედინება როგორც წყაროსთვალი. უკვე VIII საუკუნიდან გრიგოლ ხანძთელის (758-860) შემდეგ ჩნდებიან სხვა მწერლებიც. ქართული ლიტერატურა იღვიძებს და ჰყვავის. იწერება იოვანე საბანისძის „წამებაჲ ჰაბოჲსი“ (786-790), კონსტანტი კახის წამება, დავით და კონსტანტინეს მარტვილობა, ჯუანშერის თხზულება, ლეონტი მროველის თხზულების ნაწილი და სხვა. VIII საუკუნე კულტურულად გათავისუფლების საუკუნეა, თუმცა, პოლიტიკურად საქართველო კვლავ გასაჭირშია, მაგრამ იმდენად მნიშვნელოვანი იყო ერის სულიერი ცხოვრებისათვის სომხური ეკლესიის გავლენისაგან თავის დაღწევა, რომ მას შემდგომ მოჰყვა კულტურული აღორძინება, სულიერი აღფრთოვანება. ამის შემდეგ საუკუნეებში შეუფერხებლად ვითარდება ქართული ეკლესიის სულიერი საგანძური, ჩნდებიან მწერლები, ეკლესიის საჭიროებისათვის საგალობლებს წერენ ეპიფანე მოძღვარი (ხანძთელი, VIII-IX); მაკარი ლეთეთელი, ხანძთელ-საბაწმიდელი (IX); ბასილი (ხანძთელი, IX); გიორგი მერჩულე (IX-X); მიქაელ მოდრეკილი (X); იოვანე მტბევარი (X); ეზრა (X); იოვანე ქონქოზის-ძე (X); კურდანაჲ-კჳრიკე (X). ამ საუკუნეში იქმნება ავტორწაუწერელი ჰიმნოგრაფიული ძეგლები-კრებულები (ერუშენული კრებული, ოპიზური კრებული); იქმნება საგალობლები, ძლისპირები. ამ საუკუნეებში მოღვაწეობდნენ – „ნინოს I ჰიმნოგრაფი“ (VIII-IX); „ნინოს II ჰიმნოგრაფი“ (IX-X); „კონსტანტი კახაჲს ჰიმნოგრაფი“ (IX-X); სამოელ მგალობელი, მწერალი იოანე ბოლნელი (IX); „ნინოჲს III ჰიმნოგრაფი“ (IX-X); მსხემი ზედაზნელი (X); დავით გარეჯელის ჰიმნოგრაფები (IX-X); იოვანე მინჩხი (X); სტეფანე ჭყონდიდელი (X); „აბაკურაის მლექსავი“ (IX); გიორგი საბაწმიდელ-სინელი, იოანე ზოსიმე; ფილიპე ბეთლემელი (X); ამ საუკუნეებში პალესტინაში იქმნება ჰიმნოგრაფიული კრებულები: „საგალობელნი იადგარნი“, „საწელიწადო იადგარი“ და სხვა.[208]

ქართული ენა IX-X საუკუნეებში სრულიად ჰყვავის და ვითარდება, ასეთ დროს ქართულ ენას „მდაბალსა და დაწუნებულს“ არავინ უწოდებდა, პირიქით, IX-X საუკუნის ავტორი „ნინოს II ჰიმნოგრაფი“ წერს: „დღეს დიდებისმეტყველებს ენა ქართველთა“, მართლაცდა, რატომ უნდა ყოფილიყო ქართული ენა IX-X საუკუნეებში „დამარხული, მძინარე, მდაბალი და დაწუნებული“, როგორც წერს „ქებაჲს“ ავტორი? ამ დროს საქართველო ძირითადად გათავისუფლდა არაბ და ყოველგვარ დამპყრობთაგან, რამაც საშუალება მისცა ქართველ ერს, შეექმნა თავისი სახელმწიფო ერთეულები – აფხაზეთის, ტაო-კლარჯეთისა და კახეთ-ჰერეთის სამეფოები. ამ სახელმწიფოთა ენა ქართული იყო, ამიტომაც „ქებაჲს“ დაწერა უფრო VI-VII საუკუნეებშია სავარაუდო, იმ დროს, როცა ქართველები გაბედულად თავიანთი განმანათლებლის წმიდა ნინოს სახელსაც ვერ ახსენებდნენ.

VIII საუკუნიდან, ეკლესიური ვითარების შეცვლის შემდეგ გაბედვით წერენ: „ადიდე შენ ქრისტე, ქართლი... ნინოჲს განახლებული“, „ნეტარმან ნინო მოაქცივნა ქართველნი“, წმიდაო ნინო „იქმენ შენ ქართლისა მქადაგებლად“, „ნინო, მოწაფეო მაცხოვრისაო და მოციქულო ჩრდილოჲსა სოფლისაო, შენ ხარ მოძღუარ ქართლისა“.[209] ნინო არის „მოძღუარი მსგავს მოციქულთა... სანატრელი მოციქული“, წერს ნინოს II ჰიმნოგრაფი (IX-X); „ნინომ ქართველნი წარუდგინნა ქრისტესა“;

„მოვედინ „ჰოი მკვიდრნო ქართლისანო ყოველთასა ვაქებდეთ ღმერთს“, რამეთუ ნინოჲს მიერ კერპთა საცდურისაგან გუჯსნა“.[210] „ნინოს III ჰიმნოგრაფი“ საქართველოსა და ჩრდილოეთს უწოდებს მოციქულ ბართლომეს ნაწილს, სადაც ღირს იქმნა „მოქცევად წარმართთა“ – „მი-რაჲხუედ ღირსო ნინო საზღვრად ქართლისა... მოციქულებრ ჰქადაგე“.[211]

VIII საუკუნის შემდეგ წმიდა ნინომ დაიჭირა თავისი ღირსეული ადგილი, ისე როგორც ასურელმა მამებმა.

ერთი თანამედროვე მკვლევარი წერდა: „IX საუკუნეში ქართველებმა წამოაყენეს თავიანთი განმანათლებელი წმიდა ნინოს სახით“, ასეთ განცხადებას უნდა ვუპასუხოთ, რომ ქართველებმა IX საუკუნეში კი არ „წამოაყენეს“ ანუ, როგორც ეს მკვლევარი ფიქრობს,„შეთხზეს ლეგენდა“ წმიდა ნინოს შესახებ,არამედ ყოველ საუკუნეში, IV საუკუნის შემდეგ, ქართველთათვის ცნობილი იყო, რომ წმიდა ნინო მათი განმანათლებელია, მაგრამ VI საუკუნესა და VII საუკუნის გარკვეულ მონაკვეთში მის ხსენებას ერიდებოდნენ პოლიტიკური და საეკლესიო ვითარების გამო.

რაც შეეხება ასურელ მამებს, ისინი მონოფიზიტები რომ ყოფილიყვნენ, VIII საუკუნის შემდეგ, როცა ქართულ ეკლესიაში ნადგურდებოდა ყველაფერი, რაც კი მონოფიზიტობის სახელთან იყო დაკავშირებული, ასურელ მამებსაც არავინ მოიხსენებდა და მათ სახელსაც სრულებით აღხოცავდნენ ლიტერატურიდან, მაგრამ, პირიქით, სწორედ VIII საუკუნის შემდეგ მათი სახელი ხშირად იხსენიება.

საქართველოში ასურელი მამების შემოსვლისთანავე ქართულმა ეკლესიამ, არსენი საფარელის თანახმად, დვინის 551 წლის კრების შემდეგ, პოლემიკა დაიწყო სომხურ ეკლესიასთან, რასაც მალევე, 570-580-იან წლებში, მოჰყვა ქართლის ანტიმონოფიზიტური აჯანყება. ამ აჯანყებას დიდი წარმატება ჰქონდა – ქვეყანა ქალკედონიტობისაკენ გადაიხარა. სავარაუდოა, რომ აჯანყების სულისჩამდგმელნი ასურელი მამები იყვნენ. მონოფიზიტობის მომხრე სპარსეთ-არაბთა ბატონობისას და აგრეთვე ბიზანტიასთან სომხური ეკლესიის „უნიის“ დროს სომხურ ეკლესიას გავლენა და ზემოქმედება ჰქონდა ქართულზე და ამიტომ VI-VII საუკუნეებში ასურელი მამების ღვაწლი წარმოჩენილი არ იყო, ხოლო VIII საუკუნის შემდგომ ქართული ეკლესიის გათავისუფლებამ ასურელი მამები იხსნა ყოველგვარი ზეგავლენისაგან.

ამიტომაც, IX-X საუკუნის ერთი ჰიმნოგრაფი დავით გარეჯელისადმი მიძღვნილ საგალობელში მოუწოდებს საეკლესიო მოღვაწეებს – „ძმებს“, რომლებიც არ იცნობენ დავით გარეჯელის მოღვაწეობას, აუცილებლად შეისწავლონ იგი. კერძოდ, ის წერს: „...ესრეჲთვე დავით ჩუენდა იქმნა, კაცნო ძმანო! უმეცარ ნუ ხართ, შეისწავეთ დიდი ესე...“[212] აქედან სრულიად აშკარად ჩანს, დავითის (და ასურელ მამათა) ღვაწლი უცნობი ყოფილა. მწერალი – მსხემი ზედაზნელი იოვანე ზედაზნელისადმი ამ დროისათვის დაწერილ გალობაში წერს: „მამაჲ მამათაჲ, ღირსი ქებისაჲ, იოვანე იდიდებოდენ, ათორმეტთა მათ თანა მოწაფეთა, რომელთა მიერ განათლდა დღეს ქუეყანაჲ ესე ქართლისაჲ“; „სამკაულ იქმენ კათოლიკე ეკლესიისა და მცხეთა ქალაქი წმიდა იქმნა სწავლითა შენითა, მამაო“.[213]

VIII საუკუნეში ქართული ეკლესია „უმეცარი“ იყო იმით, რომ სრულიად არ იცოდა ათორმეტთა მამათა ღვაწლი, VI-VII საუკუნეებში ქართულ ეკლესიაზე

მონოფიზიტებისა და მონოთელიტების ბატონობის დროს, ცხადია, ისინი შეეცდებოდნენ მიეჩქმალათ ქალკედონიზმისათვის მებრძოლ ასურელ მამათა ღვაწლი, აეკრძალათ მათი ხსენება. ამიტომაც VIII-IX საუკუნეების ავტორები საეკლესიო პირებს აცნობენ ასურელ მამათა ღვაწლს და მოუწოდებენ: „ნუ უმეცარ ხართ“, „შეისწავეთო“. მართლაც, VI-VII საუკუნეებში ქალკედონიტური აღმსარებლობისა და ქართული ეკლესიის თავისთავადობისათვის ბრძოლის გამო ასურელი მამების დამსახურება მიჩქმალული იქნებოდა.

უნდა ითქვას, რომ ჩვენში რატომღაც შეურაცხყოფად მიიღება ქართულ ეკლესიაზე მონოფიზიტთა ზეგავლენის შესახებ საუბარიც კი. ამიტომაც ასეთთათვის ცნობილი უნდა იქნას, რომ საუკუნეთა მანძილზე, მათ შორის V, VI და VII საუკუნეებშიც კი, მონოფიზიტობა ბიზანტიის იმპერიასა და მის დედაქალაქ კონსტანტინოპოლში თითქმის ისევე იყო მიღებული, როგორც ქალკედონიტობა. ბიზანტიაში ამ საუკუნეებში მონოფიზიტთა და ქალკედონიტთა შორის დაუცხრომელი ბრძოლა და დაპირისპირება იყო. აღსანიშნავია, რომ ამ ბრძოლაში არც მონოფიზიტები დამარცხებულან და არც ქალკედონიტებს გაუმარჯვიათ. ამიტომაც, იმპერიის დამშვიდების მიზნით, ბიზანტიის იმპერატორები იძულებულნი გახდნენ, V საუკუნის ბოლოს წასულიყვნენ კომპრომისზე და გამოეცათ „ჰენოტიკონი“, რომელიც ერთმანეთთან ათანხმებდა მონოფიზიტებსა და ქალკედონიტებს. ასე რომ, აღიარებდნენ ორივე სარწმუნოებრივ მიმართულებას. თვით იმპერატორი იუსტინიანე ერთ პერიოდში მონოფიზიტობისაკენ იხრებოდა და მას უჭერდა მხარს. მონოფიზიტთა სიძლიერის გამო VII საუკუნის დასაწყისისათვის იმპერატორმა ჰერაკლემ მონოფიზიტთა და დიოფიზიტთა თანაარსებობის თეორიაც კი მოიფიქრა. ჩამოყალიბდა „მონოთელიტობა“, რომელმაც საუკუნის ბოლომდე იარსება. მხოლოდ 681 წლის მსოფლიო კრების შემდეგ ბიზანტიის იმპერიაში საბოლოოდ დამარცხდნენ მონოფიზიტები და მონოთელიტები, გაიმარჯვა ქალკედონიტობამ. ამას გადმოგვცემს ცნობილი ისტორიკოსი კარტაშევი თავის წიგნში „მსოფლიო კრებები“. მართალია, ბიზანტიაში თანაარსებობდნენ მონოფიზიტები და ქალკედონიტები და ხანდახან ეკლესიისა და სახელმწიფოს მართვის სადავეები ხელთ ეპყრათ, მაგრამ მაინც, ცხადია, ბიზანტია ერთგული იყო, ზოგადი თვალსაზრისით, ქალკედონის კრების ანუ დიოფიზიტობისა.

აღნიშნულის გამო, ჩვენში არსებული მტკიცება, რომ არასოდეს, მათ შორის არც VI და არც VII საუკუნეებში, ჩვენს ეკლესიაზე გავლენა არ ჰქონია მონოფიზიტობასა და მონოთელიტობას, რომ საქართველოში არ ცხოვრობდნენ ქართველი მონოფიზიტები და მონოთელიტები, სერიოზულდ არ უნდა ჩაითვალოს. ჩვენში, ისე როგორც ბიზანტიაში, თანაარსებობდნენ მონოფიზიტები და ქალკედონიტები, მაგრამ მათ სხვადასხვა მრწამსი ჰქონდათ. ამის გამო ისინი მუდამ ებრძოდნენ ერთმანეთს. მხოლოდ VIII საუკუნის შემდეგ დამარცხდნენ საქართველოში მონოფიზიტები და მონოთელიტები, რასაც ხელი შეუწყო იმან, რომ მსგავსი ამბავი უფრო ადრე, VI (681 წლის) მსოფლიო კრების შემდეგ დაიწყო ბიზანტიაში. ამ კრების საპასუხოდ 726 წელს სომხეთში მოწვეულმა კრებამ დაგმო ქალკედონიტობა და მიიღო მონოფიზიტობა. ქართულმა ეკლესიამ ისარგებლა ამით და საბოლოოდ მიემხრო ქალკედონიტობას. VIII საუკუნის შემდეგ ქართულ ეკლესიაში დაიწყო ქალკედონიტობის ზეიმი და მონოფიზიტობის დამარცხება.

VIII საუკუნის შემდეგ თავისი ღირსეული ადგილი დაიჭირეს წმიდა ნინომ და წინა საუკუნეებში მოღვაწე ქართველმა ქალკედონიტმა წმინდანებმა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ორთოდოქს ქალკედონიტთა მიერ წმიდა ნინოს ღვაწლი არც VI-VII საუკუნეებში ყოფილა მთლიანად დავიწყებული. ამის მაგალითია ამ საუკუნეებში შექმნილი „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, სადაც წმიდა ნინო და წმიდა ელენე, ქართველთა და „რომ-საბერძნეთის“ განმანათლებელნი, ერთად მოიხსენებიან ხაზგასმით მაშინ, როცა მონოფიზიტები ერთად მოიხსენიებდნენ წმიდა ნინოსა და წმიდა გრიგოლს.

ტერმინ „ნათესავით ქართველის“ შესახებ

ცნებების „ნათესავით ქართველისა“ (ე.ი. ეროვნებით ქართველის, გვარტომობით ქართველის) და „ქართველის“ გაგებისათვის მოვიშველიოთ ძველი ქართველი მოღვაწეების, მწერლებისა და ისტორიკოსების განსაზღვრებანი.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ქართველი და „ნათესავით ქართველი“ ეწოდება საქართველოს ნებისმიერი კუთხის შვილს.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ეგრისელი, ისევე როგორც ჰერეთისა და კახეთის მკვიდრი, ნათესავით ქართველია. ქართველთა საერთო ეროვნული ერთობა, საერთო ქართველობა ყოველთვის ნათლად არის გადმოცემული ნებისმიერ ძველ თხზულებაში. მაგ. ილარიონ ქართველის ცხოვრებაში ნათქვამია: „ილარიონ იყო ნათესავით ქართველი, ქუეყანით კახეთით“, „აღმოსცენდა უკუე ნეტარი ესე ქუეყანით ქართლით, საზღვართაგან და კერძოთა კახეთისათა“.[214] წმიდა ილარიონ ქართველი მოღვაწეობდა 822-875 წლებში; აქედან ჩანს, რომ ილარიონი კახეთის მცხოვრებია ანუ, დღევანდელი ტერმინოლოგიით, კახელია. მიუხედავად ამისა, ის „ნათესავით“ კახელი კი არ არის (იმ დროს არ იყო ასეთი განსაზღვრა), არამედ ეროვნებით, ანუ „ნათესავით“ ქართველია.

ასევე VIII საუკუნის დასაწყისში ეგრისის ქვეყნის ერთ-ერთ „სანახებში“, არგვეთში, მთავრები არიან დავითი და კონსტანტინე (ეს მთავრები 730 წელს წმიდა მოწამის გვირგვინით შეიმკნენ). თუმცა, ისინი ეგრისელები არიან, მათ მემატიანე არ უწოდებს „ნათესავით მეგრელს“, არამედ უწოდებს ქართველს.

„იყვნეს წმიდანი ესე მოწამენი დავით და კონსტანტინე ქართველნი სანახებისაგან არგვეთისა დიდნი და დიდებულნი ტომებითა და მთავარნი ქვეყნისანნი“.[215]

ეს რომ კერძო გამონაკლისი არ არის, ჩანს შემდეგიდან: „...IV საუკუნის ცნობილი მოაზროვნისა და მწერლის ევაგრი პონტოელის ბიოგრაფ-

იაში აღნიშნულია, რომ ევაგრი წარმოშობით იყო პონტოელი, იბერთა ქალაქის მცხოვრები. პალადის შემდგომ V საუკუნის ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ევაგრი ტომით იბერია“.[216]

ტომით იბერი იგივე „ნათესავით ქართველია“, ძველი ქართული ტერმინოლოგიის მიხედვით. პონტოში მცხოვრები ლაზები და მეგრელები ეროვნებით, ანუ გვარტომობით „ნათესავით“ ქართველებად – „იბერებად“ ითვლებოდნენ.

იოანე მთაწმიდელი მესხი იყო, მაგრამ გიორგი მთაწმიდელს მისი კუთხური წარმომავლობა საერთოდ არ აღუნიშნავს, ის წერს: „იოანე იყო ნათესავით ქართველი“. რატომ არ აღნიშნავენ მის მესხობას? ანდა ილარიონ ქართველის კახელობას? მიზეზი ისაა, რომ „მესხი“, როგორც ტომობრივი ერთეული ანდა ეროვნება იმ დროს არ არსებობდა. არსებობდა „მესხეთი“, „კახეთი“, მაგრამ ამ კუთხეების მკვიდრნი ისევე როგორც სხვა კუთხეებისა, „ნათესავით ქართველნი“ იყვნენ.

მაგალითად, ექვთიმე ათონელის შესახებ ნათქვამია, რომ ივერთა მონასტერში „განითქვა სახელი მისი და პატივსა უყოფდეს ბერძენნი და ქართველნი“. აქ „ქართველში“ იგულისხმება ყველა კუთხის შვილი საქართველოსი. ექვთიმე „გამოჩნდა სამკაულად „ნათესავისა ჩვენისა“.

„ნათესავით ქართველი“ – ეს ტერმინი ძველად ქართველი ერის ტომებად დაყოფამდე (XV საუკუნემდე) აღნიშნავდა ქართველ ერს.

„ნათესავით ქართველი“ ქართული ეკლესიის სამწყსოა. ქართლის კათალიკოსი „ნათესავით ქართველთა“ კათალიკოსია, ე.ი. ქართლის კათალიკოსი კათალიკოსია არა მარტო აღმოსავლეთ, არამედ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისაც, რადგანაც დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაც „ნათესავით ქართველია“.

ქართლის კათალიკოსს იურიდიულად ძველთაგანვე აღიარებული კანონიერი უფლება აქვს მთელ ქართველ ერზე, ამიტომაც აფხაზეთის კათალიკოსი მასზე დაბლა მდგომი მამამთავარია, რადგანაც დასავლეთ საქართველოს სამწყსო „ნათესავით ქართველთას“ შემადგენელი ნაწილია და მასზე თავის იურისდიქციას ქართლის კათალიკოსი აფხაზეთის საკათალიკოსოს წარმოქმნამდე ახორციელებდა, ხოლო მისი წარმოქმნის შემდგომ იურიდიულად ის „უმრწემეს“ კათალიკოსად გაფორმდა.

„ნათესავით ქართველი“ – საქართველოს ნებისმიერი კუთხის შვილს ერქვა თვით ვიდრე მონგოლობამდე, ანუ საქართველოს ერთიანი სახელმწიფოებრიობის მოშლამდე (აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო მთლიანობის დარღვევის შედეგად თემობრიობა-ტომობრიობის აღმოცენების შემდგომ წმ. ილარიონს უკვე „კახელს“ – „კახს“ უწოდებდნენ).[217]

„იბერია“ – ეთნიკური შინაარსის მატარებელი ტერმინი

აფხაზეთის სამეფოს წარმოქმნამდე და ზოგჯერ მის შემდეგაც, ევროპელები და უცხოელები როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს უწოდებდნენ იბერიას, ხოლო მის ხალხს – იბერებს.

ცნობილი ისტორიკოსი, მღვდელი მიქელ თამარაშვილი, რომელიც ბრწყინვალედ იცნობდა უცხოურ წყაროებს საქართველოს შესახებ, წერს: „უწინ ევროპელები „იბე-

რია“ და „გეორგია-“ს სახელით ხშირად გულისხმობდნენ მის დასავლეთ ნაწილს – იმერეთ-სამეგრელოსაც“.[218] ძველი ქართული მწერლობა და წყაროები სიტყვებს „იბერიასა“ და „იბერს“ არ იყენებდნენ. ეს სიტყვები არაქართულ ტერმინებად იყო მიჩნეული. ამიტომაც ქართველი მთარგმნელები ამ სიტყვებს თარგმნიდნენ ასე (ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს): „იბერი“ – „ქართველია“ „იბერია“ – „ქართველნი“.

ძველ ქართველ მთარგმნელებს, სადაც კი შეხვედრიათ სიტყვები „იბერი“ და „იბერია“, ყველგან უთარგმნიათ „ქართველად“, მიუხედავად იმისა, შეესაბამებოდა თუ არა რეალურ ვითარებას ასეთი თარგმნა. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ესპანეთის იბერიის შესახებ ევროპული თხზულებების ძველქართული თარგმანები. აქ ყველგან „იბერი“ თარგმნილია „ქართველად“.

ასე: „...ცნობა დასავლეთის იბერების შესახებ მოიპოვება ბასილი კესარიელის (329-379) ...უძველეს ქართულ თარგმანში. იგი თარგმნილია VIII-IX საუკუნეებში“.[219]

ქართველ მთარგმნელებს ქვემოთ მოყვანილი წინადადება – „თავდაპირველად ზღვა არ არსებობდა, არც ის შემაძრწუნებელი უფსკრული იყო, რომელიც ეკვრის ბრიტანეთის კუნძულსა და დასავლეთის იბერიას (ესპანეთს)“, უთარგმნიათ ასეთი სახით: „არა იყო ზღუაჲ... არცა შესაძრწუნებელი იგი სიღრმე,.. რომელი იგი გარე მოადგეს ჭალაკსა მას ბრიტანიაჲსასა და ქართველთა მათ დასავალისათა“.[220]

როგორც ვხედავთ, აქ „დასავლეთის იბერია“ თარგმნილია – „ქართველთა მათ დასავალისათად“, ანუ უცხო სიტყვა „იბერია“ ითარგმნა ასე – „ქართველნი“.

იგივე წინადადებას გიორგი მთაწმიდელი თარგმნის შემდეგი სახით: „არა იყო... უფსკრული, რომელი გარეშეიცავს ჭალაკსა და ქართველთა მათ დასავალისათა“.[221]

ექვთიმე მთაწმინდელიც „კელტ-იბერებს“ თარგმნის – „კელტ-ქართველნი დასავალისანნი“.

„ძველი ქართველი მთარგმნელების მიერ ესპანეთის იბერიის აღსანიშნავად შემოთავაზებულია ტერმინი – „ქართველნი დასავალისანი... პირინეის ნახევარკუნძულის იბერიელები მოხსენებულნი არიან ტერმინით „ქართველნი დასავალისანი“ „ლიბერ გენერატიონის“-ის ქართულ ვერსიაშიც“.[222]

თუ VIII-IX საუკუნეებში და XI საუკუნის დასაწყისშიც „იბერია“ ითარგმნება როგორც „ქართველნი“, XI საუკუნის შემდგომ უკვე „იბერიის“ აღსანიშნავად სხვა ტერმინია გამოძებნილი.

ამჟამად მიღებულია, რომ „ბერძნებთან „იბერიად“ ცნობილ ქვეყანას ადგილობრივ – „ქართლი“ სახელი დაუმკვიდრდა“.[223]

ისმის კითხვა და ამ კითხვის პასუხი არსებითია – VIII-X საუკუნეებში „იბერია“ რატომ ითარგმნება როგორც „ქართველნი“ და არა „ქართლი“?

პასუხი ასეთია – VIII საუკუნეში „ქართლი“ დაიშალა და წარმოიქმნა „აფხაზეთი“, „ქართლი“ (ე.ი. ტაო-კლარჯეთი შიდა ქართლთან ერთად) და „კახეთ-ჰერეთი“. მაგრამ სამივე ამ პროვინციის მცხოვრებნი იყვნენ „ნათესავით ქართველნი“. ერთად აღებულ ამ პროვინციებს (ე.ი. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთად) VIII საუკუნის შუა წლებამდე შეესაბამებოდა ტერმინი „ქართლი“, ანუ „იბერია“, VIII საუკუნიდან კი საერთო ერთიან ქვეყანას „ქართლი“ უკვე აღარ

ეწოდება – ძველი ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე სამი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის წარმოქმნის გამო, რომელთაგან ერთ-ერთ პროვინციას შერჩა ძველი სახელი, ყოფილი ერთიანი სამეფოსა – „ქართლი“.

VIII-X საუკუნეთა ქართველმა მთარგმნელებმა კარგად იცოდნენ, რომ უცხოური ტერმინი „იბერია“ შეესაბამებოდა არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს ერთად აღებულს – ძველ ქართლის სამეფოს. ამიტომაც, VIII-X საუკუნეთა მთარგმნელები ტერმინ „იბერიის“ თარგმნისას ვარდებიან ძალზე უხერხულ მდგომარეობაში. თუ ისინი „იბერიას“ თარგმნიან როგორც „ქართლს“, მათი თარგმანი არაზუსტი და არასწორი იქნება, რადგანაც VIII-X საუკუნეებში „იბერია“ და „ქართლი“ უკვე აღარ უდრის ერთმანეთს, ეკვივალენტური აღარ არის, რადგანაც უცხოური ტერმინი „იბერია“ კვლავ ძველებურადვე ეწოდება აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს ერთად, ხოლო „ქართლი“ ამ საუკუნეებში უკვე მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ერთ ნაწილს ეწოდება. ამიტომაც მთარგმნელები ტერმინ „იბერიას“ არ თარგმნიან როგორც „ქართლს“, მათ ტერმინ „იბერიას“ სხვა ეკვივალენტი გამოუძებნეს. მართლაცდა რა სახელი უნდა დარქმეოდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთად აღებულს? მეცნიერები აღნიშნავენ, რომ „საქართველო“ ამ ერთობის აღსანიშნავად ჯერ კიდევ არ იყო გამოძებნილი (იგი იხმარება XI ს-დან). ამ ტერმინის გამოძებნამდე კი აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს მთლიანობის აღმნიშვნელი ძველი ტერმინის, „ქართლის“ გაცვეთის გამო, ამ კრებითობის, ერთიანობის აღმნიშვნელი სიტყვის მაგიერ VIII-XI საუკუნეთა მწერლები ხმარობენ სიტყვებს – „აღმოსავლეთი“ და „ჩრდილოეთი“.

თუკი VIII-X საუკუნეთა მთარგმნელები „დასავლეთის იბერიის“ თარგმნისას სიტყვა „იბერიის“ ნაცვლად გამოიყენებდნენ ახლადმოძებნილ ტერმინს „აღმოსავლეთს“, ეს მხოლოდ გაუგებრობას გამოიწვევდა. მთარგმნელებმა აირჩიეს სხვა გზა. მათ გეოგრაფიული შინაარსის ტერმინ „იბერიას“ გამოუძებნეს ეთნიკური შინაარსის მატარებელი ეკვივალენტი – „ქართველნი“. ეს ხერხი მთარგმნელებმა გამოიყენეს შეგნებულად და დაამკვიდრეს კიდეც საუკუნეთა მანძილზე, რადგანაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ტერმინი „იბერია“ მატარებელი იყო როგორც გეოგრაფიული, ისე ეთნიკური შინაარსისაც. სვიდას ლექსიკონში აღნიშნულია: „იბერები – ტომის სახელია და იბერია – ქვეყანაა. არის სხვა იბერიაც, დასავლეთისა...“

უცხო სიტყვა „იბერია“ VIII-X საუკუნეებში გადაითარგმნა როგორც „ქართველნი“. „იბერია“ ეწოდებოდა აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს ერთად, ასევე „ქართველნი“ მოსახლეობდნენ იმ დროს როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში. უძველესი დროიდანვე, ძველი ქართლის სამეფოს (ფარნავაზის სამეფოს) შექმნის შემდგომ, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას ისევე ეწოდება ქართველნი, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას. VIII საუკუნის შუა წლებიდან ვიდრე X საუკუნის დასასრულამდე, ე.ი ძველი ქართლის სამეფოს ოფიციალური გაუქმებიდან ვიდრე საქართველოს გაერთიანებამდე, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულები არსებობდა, აღმოსავ-

ლეთ და დასავლეთ საქართველოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრებ მკვიდრ მოსახლეობას ქართველი ხალხი წარმოადგენდა. ამ მიზეზის გამო ტერმინი „იბერია“ გადაითარგმნა, როგორც „ქართველნი“. ცხადია, VIII-X საუკუნეებში აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს ერთად „ქართლი“ რომ რქმეოდა, „იბერიას“ თარგმნიდნენ როგორც „ქართლს“, მაგრამ იმ დროს „ქართლი“ ეწოდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ერთ ნაწილს, ამიტომ „იბერია“ ითარგმნა როგორც „ქართველნი“, რადგანაც ქართველებით დასახლებული იყო როგორც აღმოსავლეთი, ასევე დასავლეთი საქართველო და „ქართველნი“ უფრო ზუსტი ეკვივალენტი იყო „იბერიისა“, ვიდრე „ქართლი“ (VIII-X საუკუნეებში).

ძველ საქართველოში ტერმინებს „იბერიასა“ და „იბერს“ ანიჭებდნენ ეთნიკურ შინაარსს და მიიჩნევდნენ „ნათესავით ქართვლის“ ფარდ სიტყვად. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ექვთიმე მთაწმიდელის ამბავი. მან მიიღო გადაწყვეტილება, გამგზავრებულიყო ესპანეთში, იმის გამო, რომ თითქოსდა ესპანეთი დასახლებული იყო ქართველი ხალხით. ამ შეცდომის მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ის ტერმინ „იბერიაში“ ეთნიკურ შინაარსს სდებდა. ამიტომ პირინეის ნახევარკუნძულის იბერებს მან, ისე როგორც სხვა ძველმა მთარგმნელებმა, უწოდა „ქართველნი დასავალისანი“.

აქედანაც ჩანს, რომ „იბერიას“ ჰქონდა ეთნიკური შინაარსი როგორც ამ ეპოქაში, ასევე ანტიკურ ხანაში. ანტიკურ ხანაში „იბერიას“ შეესაბამებოდა ტერმინი „ქართლი“, ხოლო VIII-X საუკუნეებში (შესაძლოა VI-X საუკუნეებში) შეესაბამებოდა ტერმინი „ქართველნი“.

თავი VIII

ქართული ეკლესია XI საუკუნეში

„თუ ვისმე სამართლიანად ეთქმის, რომ
თვით დაიწვნენ და სხვას კი ზნა ჯაუნათესთ,
ეს ჩვენს მამა-პაპას ეთქმის და მადლობელნი
შვილნი ლმობიერებით პირ-ქვე უნდა დავემხოთ
მათ საფლავთა წინაშე და ვუგალობთ
დიდება დიდებულთა და ქება ქებულთა“.

ილია მართალი

საქართველოს საპატრიარქოს დაარსების პოლიტიკური საფუძველი XI საუკუნეში

978 წელს მეფე ბაგრატ III-ის დროს აღსდგა იბერიის, ანუ „ქართლის სამეფო“. საქართველო გაერთიანდა.[1] ამჯერადაც, ისევე როგორც ვახტანგ გორგასლის დროს, საქართველოს სახელმწიფოში შედის აღმოსავლეთი, დასავლეთი და სამხრეთი საქართველო.[2] 1010 წელს ბაგრატ III-მ თავის სამეფოს კახეთ-ჰერეთიც შემოუერთა,[3] ამით რესტავრირებულ იქნა ფარნავაზ მეფის მიერ დაარსებული ფარნავაზიან-ხოსროიანთა იბერიის სახელმწიფო. საქართველოს ერთიან სახელმწიფოდ აღდგენა განაპირობა ქართველი ერის შინაგანმა მონდომებამ, არაბთა დასუსტების შემდეგ, IX-X საუკუნეებში, განსაკუთრებულად გაზრდილმა ეროვნულმა თვითშეგნებამ. თუმცა უნდა ითქვას, რომ ვახტანგ გორგასლის შემდეგ, VI-X საუკუნეებში, იმდენად დიდი იყო „ქართლის სამეფოს“ აღდგენა-რესტავრაციის სურვილი, რომ VIII საუკუნემდე ქართული საზოგადოებრივი აზრი არ ცნობდა ერთიანი „ქართული სამეფოს“ დაშლას და „ქართლი“ კვლავ ერთიან ქვეყნად ესახებოდა შავი ზღვიდან ბარდავამდე. VIII საუკუნის შემდგომ, მართალია, შეიქმნა „აფხაზთა“, „ტაო-კლარჯეთის“, „კახეთ-ჰერეთის“ სამეფოები, მაგრამ თითოეული ეს ქართული სახელმწიფოებრივი ერთეული ცდილობდა გაეერთიანებინა საქართველო და აღედგინა იბერიის ძველი სამეფო.

„VIII საუკუნიდან საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა რამდენიმე პოლიტიკური ერთეული: ეგრის-აფხაზეთის სამეფო, ქართველთა საკურაპალატო, კახეთის საეპისკოპოსო, ჰერეთის სამთავრო და თბილისის საამირო... ეგრის-აფხაზეთის სამეფოს უკიდურესი ზღვარი ჩრდილო-დასავლეთით იყო მდინარე და ქალაქი ნიკოფსია. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, აფხაზეთსა და ჯიქეთს შორის საზღვარი მდ. ნიკოფსიაზე გადიოდა. მდინარე ნიკოფსია თანამედროვე ნიჩეპსუხოა, რომელიც ქ. ტუაფსეს მიდამოებში ერთვის შავ ზღვას. ქალაქი ნიკოფსია კი აფხაზეთში მდებარეობდა. XI საუკუნის მწერლის, გიორგი მცირის თქმით, „ერთი... მოციქულთაგანი – სიმონს ვიტყვი კანანელსა – ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს, აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების“. აღმოსავლეთი საზღვარი აფხაზთა სამეფოსი მდ. კლისურა (თანამედროვე კელასური) იყო... თანდათანობით ხდება აფხაზეთის პოლიტიკური საზღვრების გაფართოება აღმოსავლეთით: ლეონ აფხაზთა მეფემან „დაიპყრო აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე“.[4]

აფხაზეთის სამეფოს წარმოქმნას შედეგად მოჰყვა ამ სამეფოში ავტოკეფალური ეკლესიის დაარსება „აფხაზეთის საკათალიკოსოს“ სახელწოდებით. მას ავტოკეფალია 750-იან წლებში მიანიჭა ანტიოქიის საპატრიარქომ, ეფრემ მცირის მიერ გამოყენებული „ანტიოქიური ქრონოგრაფის“ და აგრეთვე უცხოურ წყაროთა თანახმად. ამ ეკლესიას „ქვემო იბერიის“ ეკლესია ერქვა, რადგანაც იბერიის ერთიანი სამეფოს არსებობის დროს დასავლეთ საქართველო ამ სამეფოს ნაწილს შეადგენდა. ამ ეკლესიის დამოუკიდებლობა, ქართულ წყაროთა თანახმად, 830 წელს ცნო „ზემო იბერიის“, ანუ „ტაო-კლარჯეთის“ სამეფომ.

„X საუკუნეში ტაო-კლარჯეთი ერთ-ერთი უძლიერესი იყო საქართველოს სამეფო-სამთავროთა შორის. ამ საუკუნის პირველ ნახევარში მისი საზღვარი მდ. არაქსის ზემო ხეობამდე აღწევდა. ტაო-კლარჯეთი კიდევ უფრო გაძლიერდა და უფრო შორს გადაიჭიმა მისი საზღვრები X საუკუნის მეორე ნახევარში დავით დიდი კურაპალატის დროს... 80-იან წლებში დავითმა დაიპყრო ქალაქი მანაზკერტი – ვანის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით. 997 წელს მან ალყა შემოარტყა ცნობილ სავაჭრო ქალაქ ხლათს – ვანის ტბის ნაპირზე... ამრიგად, X საუკუნის მეორე ნახევარში ტაო-კლარჯეთის სამეფო მოიცავდა ვრცელ მიწა-წყალს, რომლის სამხრეთი საზღვარი აღწევდა ვანის ტბასა და ქალაქ ერზინკანამდე (ახლანდელი ერზინჯანი). ამავე დროს დავითი თავის გავლენას ავრცელებდა ჩრდილოეთითაც, საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებზე. დავით დიდმა კურაპალატმა ისარგებლა აფხაზეთის შინაგანი აშლილობით და თავისი შვილობილი ბაგრატი, საქართველოს ისტორიაში ბაგრატ III-ის სახელით ცნობილი, პირველად ქართლში 975 წელს, ხოლო 3 წლის შემდეგ აფხაზეთში მეფედ დასვა. ამ საქმეში დავითს ენერგიულად თანამშრომლობდა ქართლის ერისთავი იოანე მარუშის ძე“.[5]

იაჰია ანტიოქიელის ცნობით, ზემო იბერის კათალიკოსს გავლენა და ნდობა ჰქონდა ბიზანტიის სამეფო კარზე. ეს იქიდან ჩანს, რომ დავით კურაპალატს ბასილი II-სთან „ქართველთა კათალიკოსი“ გაუგზავნია მოლაპარაკებისათვის, ხოლო მეფე გიორგი I-ის დროს ბასილი II-სთან საზავო მოლაპარაკებისათვის მიდიან სასულიერო მეთაურები – კათალიკოსი და ეპისკოპოსები.[6]

დავით მეფემო, – წერს იაჰია ანტიოქიელი, – „ქართველთა კათალიკოსი სახელმწიფოს სხვა მრავალ დიდებულთან ერთად მეფის კარზე გაგზავნა. მეფემ (ბასილი II-მ) მათ ტიტულები ჩამოურიგა, მოწყალება უყო და ისინი დავითთან დაბრუნდნენ“.[7]

„საქართველოს ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში ორი პოლიტიკური ერთეული ჩამოყალიბდა: კახეთის საქორეპისკოპოსო და ჰერეთის სამეფო... X საუკუნის მეორე ნახევარში კახეთი და ჰერეთი გაერთიანდნენ. ეს გაერთიანება ვრცელდებოდა არაგვიდან მდინარე ახსუმდე (ახსუ მტკვრის მარჯვენა შენაკადია და ერთვის მტკვარს დაახლოებით იქ, სადაც მარჯვენა მხრიდან არაქსი უერთდება, ქ. საბირაბადის მიდამოებში). კახეთ-ჰერეთი 1010 წლის ახლო ხანებში ბაგრატ III-მ შეუერთა საქართველოს“.[8]

ბაგრატ III-ის სახელმწიფო გადაჭიმული იყო ნიკოფსიიდან მტკვარ-არაქსის შესართავამდე აღმოსავლეთით, ხოლო სამხრეთით ვანის ტბამდე. მართალია, დავით კურაპალატის სიკვდილის შემდეგ მისი სამეფოს ვანისტბისპირა მიწები ბასილი II-მ მიუერთა ბიზანტიას, მაგრამ ეს მიწები მაინც სადავო ტერიტორიები იყო ბიზანტია-საქართველოს შორის, რამაც გიორგი I-ის დროს განსაკუთრებით იჩინა თავი.

„ქართლის ცხოვრებისა“ და ბაგრატიონთა XI საუკუნის მემატიანის, სუმბატ დავითის ძის თანახმად, ბაგრატ III-ის სამეფოში შედიოდა მთლიანი კავკასია შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. ბიზანტიის იმპერატორებს ახლადშექმნილი უზარმაზარი ქართული სახელმწიფოსი ეშინოდათო, – წერს ის.

ბაგრატ III-მ „...დაიპყრა ყოველი კავკასია თჳთმპყრობელობითა ჯიქეთითგან ვიდრე გურგენადმდე. ხოლო ადარბადაგანი და შარვანი მოხარკე ყო, სომხითსა

ხელმწიფებითა ნებიერად განაგებდა. მეფე სპარსთა თჳს მეგობრად და ერთგულ ყო სიბრძნითა და ძლიერებითა თჳსითა უფროს სახლეულთა თჳსთასა და ბერძენთ მეფესაცა შიში აქუნდა ამისი ყოველადვე".[9]

ვახტანგ გორგასლის მსგავსად, ბაგრატ III-მ სავსებით გააერთიანა ზემო და ქვემო იბერია, ამიტომაც ის, მემატიანეთა თანახმად, თავისი დიდებით, ძალით და გონებით ქართველ მეფეთა შორის ერთადერთი იყო მსგავსი ვახტანგ გორგასლისა (იგულისხმება VI საუკუნიდან XI საუკუნემდე): „...შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლისა არავინ გამოჩენილ არს სხუა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა, და ყოვლითა გონებითა..."[10]

ქუთაისის ტაძრის კურთხევის დროსო, – წერს მემატიანე, – ბაგრატ III-მ შეკრიბა „ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნიო".[11]

მკვლევარ-ისტორიკოსების ვ. დონდუასა და გ. წულაიას თანახმად, „ქვემო მამულში" და „ზემო მამულში" იგულისხმება ცალ-ცალკე დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო. „დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) სამეფო თავისი გეოგრაფიული პირობებით წარმოადგენდა „ქვემოს" „ზემოსთან" – აღმოსავლეთ ქართულ ქვეყანასთან „შეფარდებით".[12]

„ქვემო" და „ზემო" იბერიის გაერთიანებას ერთიანი „საქართველოს სამეფოს" საზღვრებში, საეკლესიო კანონების თანახმად, თან უნდა მოჰყოლოდა „ქვემო იბერიის" (ანუ აფხაზეთის) საკათალიკოსოსა და „ზემო იბერიის" (ანუ მცხეთის) საკათალიკოსოს გაერთიანება საქართველოს ერთიან ეკლესიად, რადგანაც ძველთაგანვე არსებულა და მსოფლიო კრებათა დადგენილი კანონებით ეკლესიის საზღვარი თან უნდა ემთხვეოდეს სახელმწიფო-ადმინისტრაციულ საზღვარს.

მართლაც, ერთიან საქართველოს სამეფოში შეიქმნა ერთიანი საქართველოს საპატრიარქო. საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით არსებული ორი საკათალიკოსოსაგან შეიქმნა ერთი საპატრიარქო. ქართველი ერის ორი ავტოკეფალური ეკლესიისაგან და აგრეთვე ჩრდილო კავკასიის, კასპიისზღვისპირეთისა და სომხეთის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიების გაერთიანების შედეგად შეიქმნა საქართველოს საპატრიარქო. შექმნისთანავე მის პირველ პატრიარქს მელქისედეკ I-ს „აღმოსავლეთის პატრიარქი" უწოდეს მის იურისდიქციისქვეშა ტერიტორიის სიდიდის გამო. ასე მოიხსენიებს მას ტყობა-იერდის წარწერა.[13]

„პატრიარქის ტიტული მცხეთის საკათალიკოსომ მას შემდეგ დაიმკვიდრა, რაც საქართველოს ეკლესია გაფართოვდა და შეიძინა ბერძნული საპატრიარქოს გარეგნული ნიშნები და, როგორც ჩანს, ეს არ იყო უცხო და საპრეტენზიო არც ბიზანტიის იმპერატორებისა და პატრიარქებისათვის. მელქისედეკ I, რომელმაც პირველმა ისარგებლა ამ წოდებით, ბიზანტიაში იმპერატორების კარზე: ბასილთან (970-1025), კონსტანტინესთან (1025-28) და რომანოზთან (1028-34) მიღებული და დაფასებული პიროვნება იყო, მათგანვე მელქისედეკმა მიიღო მატერიალური დახმარება და შეწირულებანი მცხეთის სვეტიცხოვლის მშენებლობისათვის, მიიღო სოფლები ბიზანტიის ტერიტორიაზე და სხვა".[14]

ამჟამად მიჩნეულია, რომ საქართველოს პირველი კათალიკოს-პატრიარქი გამოჩნდა მეფე გიორგი I-ის დროს, წყაროთა თანახმად, პირველი პატრიარქი ერთიანი ქართუ-

ლი ეკლესიისა, მელქისედეკ I, იყო ბაგრატ III-ის ნათესავი და მისივე გაზრდილი. ის იყო დიდებულთა შვილი. კათალიკოს სვიმეონის გარდაცვალების შემდეგ ბაგრატ III-მ მელქისედეკი დასვა საქართველოს პატრიარქად. საქართველოს პატრიარქად დადგომისთანავე მელქისედეკი მაშინვე გაემგზავრა კონსტანტინოპოლში საიმპერატორო კარზე ბასილი II-სთან, ჩანს, იმისათვის, რომ კონსტანტინოპოლს ეცნო ქართული ეკლესიის საპატრიარქო ღირსება.

მემატიანე წერს: „მოკუდა კათალიკოზი სჳმონ და დასუა ამან მეფემან დიდებულთა კაცთა შვილი მეყვისი და გაზრდილი თჳსი მელქისედეკ კათალიკოზ-პატრიარქად. ხოლო ესე წმიდაჲ მეფეცჱ წარვიდა ბერძენთა მეფისა ბასილის წინაშე კონსტანტინოპოლედ, რათა შეეწიოს; რამეთუ იყო დიდი ესე კათოლიკე სამოციქულო ეკლესია სვეტი-ცხოველი, რომელი ვახტანგ გორგასალს აღეშენა...“[15]

ამ წყაროს მითითებით, კონსტანტინოპოლში მოლაპარაკებისათვის თვით საქართველოს პირველი მეფე (VIII საუკუნის შემდეგ) ბაგრატ III ჩავიდა.[16] ბასილი II და ბაგრატ III (ან მისი წარმომადგენელი), ცხადია, პირველ რიგში პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ საკითხებზე მოილაპარაკებდნენ, მაგრამ მემატიანე აღნიშნავს, რომ მოლაპარაკების თემა ეხებოდა ქართული ეკლესიის საკითხებს. კერძოდ, საკითხი ეხებოდა „კათოლიკე სამოციქულო ეკლესია სვეტიცხოველს“. ქართული წყაროების თანახმად, „კათოლიკე სამოციქულო ეკლესია სვეტიცხოველი“ ეწოდებოდა არა საეკლესიო შენობას მცხეთაში (ცხადია, ამ შენობასაც ეწოდებოდა), არამედ ეწოდებოდა საქართველოს მთლიან ეკლესიას, რომლის იურისდიქცია ვრცელდებოდა პონტოს ზღვიდან დარუბანდის ზღვამდე. სწორედ ასეა გადმოცემული წყაროში: „კათალიკოსი ქართლისა ჴელქვეით არა არს პატრიარქთა და არა იკურთხვიან პატრიარქთაგან, რამეთუ თავისუფალი არს და მოციქულთა მაგიერი და მოციქულთა ტახტსა ზედა მჯდომი და პატრიარქი, თავი ყოველთა ეკლესიათა: – წმიდა კათოლიკე სამოციქულო ეკლესია სვეტიცხოველი... და ამას სამწყსო და ჴელქვეით ქართლი, რანი და კახეთი, ოვსეთი... პონტოს ზღჳდამ დარუბანდის ზღვამდე“.[17]

ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, რომ „წმიდა კათოლიკე სამოციქულო ეკლესია სვეტი-ცხოველი“ ეწოდება ერთიანი საქართველოს ეკლესიას, ერთიან ქართულ ეკლესიას ასევე ეწოდებოდა „წმიდა მცხეთა“, ისევე როგორც ამჟამად ერთიანი ბულგარეთის ეკლესიას ეწოდება „სოფიის საპატრიარქო“, ან „სოფიის ეკლესია“, რუსეთისას – „მოსკოვის საპატრიარქო“, სერბეთისას – „ბელგრადის“ და ა.შ. ასევე საქართველოს ეკლესიას ეწოდებოდა „სვეტიცხოველის სამოციქულო ეკლესია“ ანდა უფრო ხშირად „მცხეთის სამოციქულო ეკლესია“. ხანდახან ქართულ ეკლესიას სიმარტივისათვის, უბრალოდ, უწოდებდნენ „მცხეთას“, ხოლო საეკლესიო პირებს და ეკლესიისათვის მოღვაწე, ეკლესიაზე დამოკიდებულ ადამიანებს – „მცხეთის შვილებს“. მაგალითად, მემატიანე „მცხეთას“ უწოდებს ერთიან ქართულ ეკლესიას VII საუკუნეში: „ამის კრებისა მიერ ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათჳს, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა ვითარცა წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი, საპატრიარქონი და იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა...“[18]

ამიტომაც, როცა მემატიანე წერს ბაგრატ III (ან მისი წარმომადგენელი მელქისედეკი) კონსტანტინოპოლში გაემგზავრა „სვეტიცხოველის კათოლიკე სამოციქულო ეკლესიის საკითხების გადასაჭრელადო“, გულისხმობს, რომ საკითხი მთლიან საქართველოს საპატრიარქოს შეეხებოდა.[19]

იმ დროს სამოციქულო ეკლესია ეწოდებოდა არა ყველა ეკლესიას, არამედ ავტოკეფალურ, დამოუკიდებელ ეკლესიას. ქართველი საეკლესიო მოღვაწენი მუდამ ამტკიცებდნენ, რომ ქართული ეკლესია სამოციქულო ეკლესიაა, რადგანაც აქ იქადაგეს ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და სხვა მოციქულებმა. და რადგანაც ქართული ეკლესია სამოციქულოა, აქედან გამომდინარე, ავტოკეფალურიც არის. ეს ავტოკეფალია ადრევე იყო აღიარებული სხვა ეკლესიების მიერ.

ბაგრატ III ბიზანტიის სამეფო კარზე „ავტოკეფალურობის“ დასამტკიცებლად კი არ წავიდა (ეს ავტოკეფალია უკვე ჰქონდა ქართულ ეკლესიას), არამედ, რათა საიმპერატორო კარს ეღიარებინა ქართული ეკლესიის ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად – საპატრიარქოდ გაერთიანება და ეღიარებინა პირველი პატრიარქი ქართული ეკლესიისა – მელქისედეკ I.

ბაგრატ III-მ ჯერ „პატრიარქად დასვა“ მელქისედეკ I, ხოლო შემდეგ მიმართა კონსტანტინოპოლს, ეღიარებინა ქართული ეკლესიის საპატრიარქო ღირსება, რადგანაც ასეთ დიდმნიშვნელოვან მოვლენას – ახალი საპატრიარქოს დაარსებას – არ შეიძლებოდა არ მოჰყოლოდა საერთაშორისო საეკლესიო რეზონანსი, ბაგრატმა იზრუნა, რომ რეზონანსი დადებითი ყოფილიყო.

ბაგრატ III ბიზანტიის სამეფო კარზე მოლაპარაკებას საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციის ფარგლების განსაზღვრისათვისაც აწარმოებდა, რაც იქიდან ჩანს, რომ ამ დრომდე საქართველოს შავიზღვისპირეთის მცირე ნაწილზე ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქცია, ხოლო X-XI საუკუნეთა მიჯნაზე კონსტანტინოპოლის საპატრიარქო კარგავს თავის იურისდიქციას საბოლოოდ საქართველოს შავიზღვისპირეთზე (ცნობილია, რომ შავიზღვისპირეთის ეს ტერიტორიები, რომელზედაც იურისდიქცია ქართლის საკათალიკოსოს ჰქონდა, VII საუკუნის დასაწყისში დაიპყრო და ბიზანტიას შეუერთა ჰერაკლე კეისარმა, ამიტომაც აქ თავისი იურისდიქცია კონსტანტინოპოლმა განახორციელა. VIII საუკუნის შემდეგ ქვემო იბერიის საკათალიკოსო იბრუნებდა ამ მიწებს თავის იურისდიქციაში, მაგრამ X საუკუნისათვის ეს პროცესი დასრულებული არ იყო – ბაგრატ III-ის ეპოქამდე).

ბაგრატ III-ის პაპამ (დედის მამამ), აფხაზთა მეფე გიორგიმ, „აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეპისკოპოსოდ“,[20] ხოლო დედის ძმამ „ლეონ აფხაზთა მეფემ, „აღაშენა ეკლესია მოქჯსა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ“.[21] თვით ბაგრატ III-მ „აღაშენა საყდარი ბედიისა, და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, მოცვალა მუნ გუდაყჯისა საეპისკოპოსო“.[22] აფხაზთა მეფეები დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში აარსებდნენ ქართულ საეპისკოპოსოებს კონსტანტინოპოლის ბერძნული საეპისკოპოსოების ნაცვლად. მაგრამ ასეთი შეცვლა არ შეიძლება მომხდარიყო ეკლესიათა შეთანხმების გარეშე. კონსტანტინოპოლის ნაცვლად ქართული ეკ-

ლესიის იურისდიქციის გავრცელებისას უნდა არსებულიყო შეთანხმება ამ ეკლესიათა შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართული საეპისკოპოსოების დაარსება კონსტანტინოპოლის იურისდიქციისქვეშა ტერიტორიაზე ჩაითვლებოდა ქართული ეკლესიის მტაცებლობად, რასაც შედეგად მოჰყვებოდა ქართული ეკლესიის მხრივ საერთაშორისო საეკლესიო იზოლაცია და მისი მწვალებლურ ეკლესიად გამოცხადება (ასეთი რამ, მართლაც, მოხდა, მაგრამ არა ბაგრატ III-ის, არამედ გიორგი I-სა და ბაგრატ IV-ის დროს. ერთ-ერთი საბაბი ამისი იყო ქართული ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ სომხეთის ვრცელ ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებელი ეპარქიების შესვლა, რომელზედაც კონსტანტინოპოლი აცხადებდა თავის პრეტენზიას).

ბაგრატ III-ის დროს საიმპერატორო კარს უცვნია, როგორც ქართული ეკლესიის საპატრიარქო ღირსება, ასევე მისი იურისდიქცია შავიზღვისპირეთში, ამიტომ ამის შემდეგ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არასოდეს გაუხდია სადავოდ საქართველოს შავიზღვისპირეთი და არ ჩაუთვლია თავის იურისდიქციისქვეშა ტერიტორიად, უფრო მეტიც, კონსტანტინოპოლს საქართველოს საპატრიარქოს ცენტრის – სვეტიცხოველის ტაძრის რესტავრაციისათვის შეუწირავს მდიდარი მონასტერი და 105 სოფელი.

უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოს საპატრიარქოს შექმნისთანავე ბიზანტიის სამეფო კარზე ირკვევდნენ საქართველოს საპატრიარქოს საკითხს და ეს საკითხი კონსტანტინოპოლში დადებითად გადაუჭრიათ. ბიზანტიას რომ არ ეცნო საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ღირსება, საპატრიარქოს ცენტრს – სვეტიცხოველს და საქართველოს პატრიარქ მელქისედეკს საჩუქრად არ გადასცემდნენ მონასტერ კესტორიას, რომელსაც 105 სოფელი ჰქონდა, და სხვა შესაწირს.[23]

1031-1033 წწ. საქართველოს პირველ კათალიკოს-პატრიარქს მელქისედეკს დაუწერია „მოხსენებული მცხეთის საყდრისადმი“ (იხ. ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს. 1984 წ., გვ. 22).

ამ საბუთიდან ჩანს, რომ იგი არ მიიჩნევს თავს სვეტიცხოვლის დიდებული ტაძრის მაშენებლად, არამედ ამ ტაძრისთვის მიუშენებია გარეთა ბჭენი, გარშემო შემოუვლია (შემოუშენებია) „სტოანი“ და გადაუხურავს ისინი. გარდა ამისა, მას მთელი ტაძარი შეუმკია ყოველივე საეკლესიო ნივთითა და სამკაულით: „შევამკევ ყოვლითავე სამკაულობითა, გარეთითა ბჭითა და გარშემო სტოათა მოქმნითა და ზედდაბურვითა“ (იქვე, გვ. 22). მელქისედეკს რომ აეშენებინა ეს ტაძარი, ამას უთუოდ აღნიშნავდა, რამეთი იგი ჩამოთვლის წიგნებსა და ზოგიერთ წვრილმანს, რაც მას ამ ტაძრისათვის შეუწირავს ან გაუკეთებია. მართალია, ამჟამად მიჩნეულია, რომ მელქისედეკის დროს თითქოსდა სვეტიცხოვლის ძველი, მცირე ტაძრის ადგილზე აშენდა ახალი და დიდებული, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს მელქისედეკის საბუთით არ დასტურდება. უფრო მეტიც, ყველა ძველი საბუთი, რომელიც ეხება მცხეთის ტაძარს, მიიჩნევს, რომ იგი აშენებულია ვახტანგ გორგასლის მიერ, მხოლოდ XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ში შეიტანეს ამაში ეჭვი და ტაძარი მელქისედეკის აშენებულად მიიჩნიეს.

მელქისედეკს სვეტიცხოველი მართლაც რომ ბრწყინვალედ და დიდის დიდებულებით შეუმკია „წარსამართლებლად ქრისტიანეთა“, კერძოდ, ოქროსა და ვერცხლის ფურცლებით მოუჭედია ტაძარში მყოფი „სვეტიცხოველი“, ანუ სასწაულმოქმედი გადაჭრილი ხის ადგილზე აშენებული ოთხკუთხა სვეტი. გარდა ამისა, ოქრო-ვერცხლითა და თვალ-მარგალიტით შეუჭედია „საკურთხეველი“, ანუ საღმრთო ტრაპეზი, კანკელი და სამეუფო კარები საკურთხევლისა ასევე ოქრო-ვერცხლით შეუჭედია.

იერუსალიმიდან მთელს მსოფლიოში განაწილდა იმ ცხოველმყოფელი ძელის ნაწილები, რომელზეც ჯვარს აცვეს ჩვენი უფალი და მაცხოვარი იესო ქრისტე. მათგან აკეთებდნენ შედარებით მცირე ზომის ჯვრებს, რომელნიც ითვლებოდნენ უდიდეს სიწმინდეებად. მათი ქონება დიდ განძად ითვლებოდა. მელქისედეკს სვეტიცხოვლისათვის „შეუქმნია“ ასეთი ჯვრები, შეუჭედავს ისინი ოქროთი და თვალ-მარგალიტით.

ასევე, ეკლესიის უდიდეს განძად ითვლებოდა ქრისტესთვის წამებული და თავდადებული წმიდანების ნაწილები. მათ დიდი მაკურნებელი და სასწაულმოქმედი ძალა გააჩნდათ. როგორც წესი, რომელიმე წმიდანის რომელიმე ნაწილს უდიდესი ოსტატობით მოჭედავდნენ და ეკლესიაში დაასვენებდნენ ხოლმე. მელქისედეკსაც სვეტიცხოვლისათვის „შეუქმნია“ სამარტვილო, ანუ წმიდა ნაწილების დასასვენებელი ადგილი (მეც მინახავს მსგავსი სამარტვილო ათონზე ივერთა მონასტრის მთავარ ეკლესიაში). მელქისედეკს „სამარტვილო“ ოქრო-ვერცხლითა და თვალ-მარგალიტით შეუჭედავს, მასში დაუსვენებია თითქმის ყველა წმიდანის ნაწილები და ზემოაღწერილი „ძელი ცხოვრებისაჲ“, ე.ი. იერუსალიმიდან ჩამოსვენებული ჯვრის ნაწილი.

როგორც აღინიშნა, მელქისედეკ კათალიკოს-პატრიარქი ათეულობით წლების განმავლობაში მრავალჯერ ჩავიდა საიმპერატორო კარზე კონსტანტინოპოლში, სადაც მას დიდის დიდებითა და პატივისცემით იღებდნენ ბასილი II ბულგართმმუსვრელი, კონსტანტინე და რომანოზი ჩუქნიდნენ მას მრავალ საეკლესიო სიწმინდეს. მაგალითად, იმპერატორ კონსტანტინეს მისთვის უბოძებია „ოქროს ხატი“, რომელიც პატრიარქმა სვეტიცხოველს შესწირა. ბასილი II-ს ოქრო-ვერცხლითა და თვალ-მარგალიტით შემკული ღვთისმშობლის ხატი, ხოლო რომანოზ „ბერძენთა მეფეს“ მისთვის ოქროქსოვილი შესამოსელი უბოძებია, ისინიც შესწირა სვეტიცხოველს. თავის მხრივ, ცხადია, ჩვენი ეკლესიის პირველ პატრიარქს გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III მრავალ შესაწირს სწირავდა, ათავისუფლებდა ქართულ ეკლესიას გადასახადებისაგან. „მოვახსენე გამზრდელსა ჩემსა ბაგრატ კურაპალატს და შეუვალად გამიხადნეს“ (იქვე, გვ. 27), – აცხადებს მელქისედეკი.

აღნიშნული საბუთის თანახმად, სვეტიცხოვლისათვის მელქისედეკს შეუწირავს მოოქროული და ძვირფასი თვლებით შემკობილი მაცხოვრის დიდი ზომის ხატი, ასევე ვერცხლის, ოქროცურვილი მაცხოვრის ხატი, ნათლისმცემლისა და წმ. თევ-

დორეს ხატები, ოქრო-ვერცხლით შეჭედილნი, სხვა ხატები, სულ 55 ცალი. ოქროსაგან დამზადებული ბარძიმ-ფეშხუმი შემკობილი თვალ-მარგალიტითა და მინანქრის ხატებით, ოქროსავე კოვზითა და ვარსკვლავით („ხუირნი“), ისინიც თვალ-მარგალიტით შემკულნი, ოქროსავე სამწერობლები, ანუ რიპიდები, ისინიც თვალ-მარგალიტით შემკულნი, ოქროსავე საცეცხლურები და სასაკმევლეები და სხვა მრავალი ნივთი. წიგნები: ოთხივე მახარებლის წიგნები ცალ-ცალკე, მათ გარდა, წმ. ოთხთავი, სამი ცალი „სათანაო“, ანუ სატარებელი „ოთხთავი სახარებაᲘ“, თვალ-მარგალიტით შემკობილი. ვერცხლით „შეკაზმული“ ვერცხლისავე „ღილკილოიანი“, მოწამეთა წიგნები „ზამთარი და ზაფხული“, ანუ ზოგში ზაფხულის დღეებში ეკლესიაში მოხსენიებული წმიდანის ცხოვრება იქნებოდა, სხვებში კი ზამთარში მოსახსენებელთა ცხოვრება. ისინიც ვერცხლით „შეკაზმულნი“ და მრავალი სხვა წიგნი, სულ 25 ცალი. შეუწირავს აგრეთვე მოოქროულ-მოვერცხლილი „საწიგნენი“, ე.ი. წიგნების ჩასაწყობი კოლოფები. მათ გარდა, მრავალი საკელაპტრე, სამღვდელო და სამღვდელმთავრო შესამოსელი, სანაწილე და სხვა მრავალი ნივთი. საქართველოს საპატრიარქოს, ანუ ქართულ ეკლესიას მრავალი სოფელი ეკუთვნოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მათ გარდა, თვითონ კათალიკოს-პატრიარქს, თავის მხრივ, „მოუგია“ მრავალი სოფელი, რომელიც შეუწირავს მთავარი საპატრიარქო ტაძრისათვის, კერძოდ, როგორც აღვნიშნეთ, მისთვის ბერძენთა მეფე ბასილი II-ს უბოძებია დიდი მონასტერი „კესტორი“. ამ მონასტერს ეკუთვნოდა 105 სოფელი, რომელიც გადაუცია სვეტიცხოვლისათვის. მან იყიდა და აღაშენა სოფლები საქართველოს ყველა კუთხეში – ტაოში, კლარჯეთში, შავშეთში, ჯავახეთში, კოლაში, ფარავანს, შიდა ქართლში, კახეთში, ჰერეთში, კაკში, ქვემო ქართლში, რომელნიც ეკლესიას შესწირა, სულ 155. თბილისში ქართულ ეკლესიას დიდძალი სიმდიდრე და შემოსავალი ჰქონდა. თბილისის არაბმა ამირა ალიმ მელქისედეკის თხოვნით ეკლესია გადასახადებისაგან გაათავისუფლა.

მელქისედეკს აუგია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მრავალი ეკლესია და დაუდგამს საეკლესიო სახლი (შეწირულ სოფლებში). საბუთის აღნიშნული ჩამონათვალის ქვემოთ მიწერილია „ქორონიკონი იყო სმ (ე.ი. 781+240=1021 წ.).

ამ დროს მელქისედეკი ჯერ კიდევ მხნედ ყოფილა, მოხუცებულობის ჟამს კი მას შეუმზადებია თავისთვის საფლავი, აუგია მასზე საკურთხეველი და დაუდგენია საფლავზე მლოცველი მღვდელი, რომელიც ყოველმხრივ უზრუნველუყვია, რათა მასა და მის შვილებს თაობიდან თაობამდე ელოცათ პირველი პატრიარქის საფლავზე მისი სულის საოხად. კერძოდ, ამავე საბუთიდან ჩანს, რომ მელქისედეკს თავისი საფლავი შეუმზადებია სვეტიცხოვლის ტაძრის სადიაკვნეში. აქვე მან უფრო ადრე მოაწყო ზემოაღწერილი სამარტვილე. როგორც წესი, ტაძრის ნაწილი, რომელსაც ამჟამად საკურთხეველი ეწოდება, სამ ნაწილად განიყოფა. ცენტრალურ, მთავარ ნაწილში მოწყობილია წმიდა ტრაპეზი, მარჯვენა ნაწილში სადიაკვნეა, მარცხენაში – სამკვეთლო. სვეტიცხოვლის ამ ნაწილში (ე.წ. სამკვეთლოში) ამჟამად მცირე ეკლესიაა გამართული, მარჯვენაში (სადიაკვნეში) მოუწყვია მელქისედეკს მცირე ეკლესია, გაუთხრია თავისთვის საფლავი, ზედ დაუდგამს „საკურთხეველი“, ანუ

სამწირველო ტრაპეზი. ამ საკურთხეველზე წირვა-ლოცვა დაავალა თავის გაზრდილს მღვდელს იოვანეს, რომელსაც გასამრჯელოდ, სახსრად და ცოლ-შვილის გამოსაკვებად საუკუნოდ დაუმკვიდრა მდიდარი საეკლესიო შესაწირი – 5 გლეხი სრული ფუძით, ე.ი. თავისი სახლ-კარით, მიწით, ვენახით, ჭალით და წისქვილით, სხვა მამულებიც გადასცა. ამასთან დაკავშირებით ანდერძში ჩაწერა: „არავის აქვს ამას ზედა ხელი თვინიერ ხუცისა, რომელი საკურთხეველსა ამას ჩემსა ზედა ჟამსა წირავდეს“ (იქვე, გვ. 28.). თავისი საფლავის ეკლესიისათვისაც მელქისედეკს შეუწირავს შესამოსელი, ბარძიმ-ფეშხუმი და ვერცხლით ნამზადი სხვა ნივთები.

მელქისედეკს თავის მოსახსენებლად აღაპი (სულის საოხი წირვა-ლოცვა ზედ მობმული პურობით) დაუდგენია 24 იანვარს.

ქართული ეკლესიის დევნა 1021-1054 წლებში ბიზანტია-საქართველოს ომის დროს

ბაგრატ III-ის გარდაცვალების შემდეგ იწყება ომი ბიზანტიის იმპერიასა და საქართველოს შორის. ეს იყო არა უბრალო და ეპიზოდური შებრძოლებები, არამედ დიდი ომი, რომელიც გაგრძელდა ათწლეულობით და რომელშიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ბიზანტიის იმპერატორები და საქართველოს მეფეები. ომი დაიწყო ბასილი II-ის დროს, 1021 წელს და მიმდინარეობდა იმპერატორების კონსტანტინე VIII-ის, რომანოზ III-ის, მიქაელ IV-ის, მიქაელ V-ის, ზოიასა და თეოდორას და დამთავრდა კონსტანტინე მონომაქოსის დროს, 1054 წელს. იმხანად საქართველოში მეფობდნენ გიორგი I და ბაგრატ IV. სწორედ ბაგრატ IV-ის დროს შეწყდა ბიზანტია-საქართველოს ომი და დაიდო სამშვიდობო ზავი.

ამ ომს ზოგადად ასეთი სახე ჰქონდა: იმპერატორები ბასილი და კონსტანტინე თვითონვე რამდენჯერმე შემოუძღვნენ თავიანთ მრავალრიცხოვან არმიებს საქართველოში ქართველი მეფეების დასამარცხებლად. რომანოზის დროს რამდენიმე წლით სამშვიდობო ზავი დაიდო ბიზანტია-საქართველოს შორის, რომელიც მალე დაირღვა. ამის შემდეგ ბიზანტია თავისი ლაშქრით, ფულით და სხვა საშუალებებით ეხმარებოდა და მხარს უჭერდა საქართველოშივე არსებულ სეპარატისტულ ძალებს, საქართველოსა და ქართველი მეფის დასამარცხებლად. ბაგრატ IV-ის დროს, 1054-1057 წლებში, სამწლიანი მოლაპარაკება ზავით დამთავრდა.

ბაგრატ III-ის მემატიანე აღნიშნავდა, რომ ბიზანტიის მეზობლად საქართველოს დიდი სახელმწიფოს წარმოქმნამ, რომელიც მთელ კავკასიას ეუფლებოდა, შეაშფოთა ბიზანტიის სამეფო კარი. საქართველოს მეფემ, წერს ის, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე,,,ჯიქეთიდან ვიდრე გურგანამდე... დაიპყრა ყოველი კავკასია თვითმპყრობელობით“, „მეფე სპარსთა თჳს მეგობრად და ერთგულ ყო სიბრძნითა და ძლიერებითა თჳსითა“. ბიზანტიის მმართველი წრეებისათვის საშიში გამხდარა საქართველოს გაერთიანება: „ბერძენთა მეფეთაცა შიში აქუნდა ამისი ყოვლადვეო“.

ამით იყო გამოწვეული ის, რომ დავით კურაპალატის გარდაცვალებისთანავე, 1001 წელს, „გამოვიდა ბასილი, ბერძენთა მეფე, და მისცნეს მას ციხენი აზნაურთა ამა დავითისთა და დაიპყრა ბასილი მეფემან მამული დავით კურაპალატისა“.[24] ბასილი ამ დროს შეეცადა ჩამოეგდო მტრობა და შუღლი ბაგრატ III-სა და მამამისს გურგენ მეფეთ-მეფეს შორის, მაგრამ ეს ვერ შეძლო. ბაგრატ III-ის გარდაცვალების (1014წ.) შემდეგ საქართველოს სამეფოს ერთიანობა არ დარღვეულა, პირიქით, საქართველო კიდევ უფრო ძლიერდებოდა. ამიტომაც, 1021 წელს ბასილმა ახალგაზრდა გიორგი I-ის დროს წამოიწყო ძალზე დიდი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ. ომს თვით ბასილი მთავარსარდლობდა. ბასილი კეისარს იმედი ჰქონდა, რომ მის შეტევას საქართველოს სამეფო ვერ გაუძლებდა და დაიშლებოდა, როგორც იყო ბაგრატ III-მდე. მაგრამ ქართველი ერი და ქართული ეკლესია გვერდში ამოუდგა სახელმწიფოს. ეკლესია ბიზანტიის მიერ დაპყრობილ კუთხეებში სათავეში ჩაუდგა სამამულო ომს დამპყრობთა წინააღმდეგ.

„ყოვლითა სპითა საბერძნეთისათა და უცხოთესლითა ურიცხჳთა“[25] შემოჭრილ ბასილი II-ეს ქართულმა მხედრობამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია გიორგი I-ის მეთაურობით: „ეგზომ გაგრძელდა მათ შორის ბრძოლა, რომელ სივლტოლად განემზადა ბასილი მეფე“.[26] გიორგი მეფემ უკანდახევის შემდეგ გააძლიერა თავისი არმია, ამიტომაც ბასილი იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველოს საზღვრები და ტრაპიზონის მახლობლად დაეზამთრებინა. მეორე წელს ის კვლავ შემოიჭრა საქართველოში. გიორგი I-მა შეუტია მტერს და გააქცია: „იწყეს ბრძოლად და აოტეს ზოგი ბასილის ლაშქრისა“.[27] დამარცხებით გაოგნებულმა იმპერატორმა მოითხოვა: „..ძელი ცხოვრებისა მანდილითა წმიდითა, და დასცა იგი ქვეყანასა ზედა და თქუა ესრეთ, ვითარმედ: „უკეთუ მიმეც მე ჴელთა მტერსათა, არღარა თაყუანის-გცე უკუნისამდე“ და ვითარ ესე ყო და თქუა, მყის მასვე ჟამსა იძლივნეს და მეოტ იქმნეს სპანი გიორგისანი“.[28]

ბასილი II მზად ყოფილა ღმერთი დაეგმო, თუ ომში ქართველები გაიმარჯვებდნენ. მემატიანის ზემომოყვანილი აზრით, რომელიც გამოხატავს იმდროინდელ საზოგადოებრივ აზრს, ქართველი მეფისა და არმიის დამარცხება და ბიზანტიელთა გამარჯვება ღვთის ნებით მომხდარა. იმდროინდელი შეხედულებით, ბიზანტია და მისი იმპერატორები იყვნენ ბურჯნი მსოფლიო ქრისტიანობისა. იმპერატორებს თაყვანს სცემდნენ, როგორც ღვთის ნების აღმსრულებელთ. ალბათ, ამით იყო გამოწვეული ის, რომ ბიზანტიელთა მხარეზე გადავიდა ქართული მოსახლეობის ერთი ნაწილი დაპყრობილ სამხრეთ საქართველოში: „...მიექცეს ერნი, სოფელნი უგუნურ-უსუსურნი ცნობითა და გონებითა...“[29] ასეთ დროს, როცა ქრისტიანულ სარწმუნოებას ქართველი ერის მტერი იყენებდა ქრისტიანი ქართველი ერის დასაპყრობად, ქართული საპატრიარქო და სამღვდელოება სათავეში უდგება სამამულო ომს ბიზანტიელთა წინააღმდეგ დაპყრობილ სამხრეთ საქართველოში. სამღვდელოება „ვითარცა ერთგულნი და ჭეშმარიტნი მარტჳლნი, საღმრთონი თავთა თჳსთა სიკუდილად განსწირვიდეს, და ჴორციელთა უფალთათჳს თავთა თჳსთა განსწირვიდეს და სისხლთა დასთხევდეს...“[30] ქართველ სამღვდელოებას ბიზანტი-

ასთან ომში ქართველი „წვრილი ერი“ რომ არ გამოეფხიზლებინა, მტერი გამოიყენებდა მათ გულუბრყვილობას, „ცნობით უგუნურ-უსუსურობას“ და მათ გულწრფელ ქრისტიანობას თავის სასარგებლოდ. ქართველი სამღვდელოება, ეკლესია და საპატრიარქო „უქრისტიანეს“ ბიზანტიის იმპერიასთან საქართველოს ბრძოლის ჟამს დადგა ქართული სახელმწიფოს მხარეზე. ქართული ეკლესიის აქტიურმა პოზიციამ ამ ომში გამოიწვია ბიზანტიის სამეფო კარისა და კონსტანტინოპოლის საპატრიაქროს რისხვა ქართული ეკლესიის მიმართ. ბიზანტიის ეკლესია ქართული ეკლესიის წინააღმდეგ განეწყო. ქართული ეკლესია მწვალებელთა არამართლმადიდებლურ ეკლესიად გამოცხადდა. დაიწყო ქართული მონასტრებისა და ქართველი ბერების დევნა იმპერიაში.

33-წლიანი ომი ბიზანტიასა და საქართველოს შორის იყო ომი ორ ქრისტიანულ სახელმწიფოს შორის, ამიტომაც ამ ორ ქვეყანას შორის მშვიდობისა და ზავისათვის იღვწიან საეკლესიო პირები. კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკი, წყაროთა თანახმად, ხშირად ჩადიოდა კონსტანტინოპოლში. ამ დროს ხშირად მიმოდიოდნენ საეკლესიო პირები ბიზანტიასა და საქართველოს შორის, მშვიდობისა და შეწევნისათვის. ამის შესახებ მოღწეულია ათონის მთაწმიდის დევნილი ქართველი ბერების მიერ დაწერილი ცნობა: „...არცა თუ ეგების, რავდენნი ღუაწლნი მოითმინნეს, ყოველთავე თითოეულად აღრიცხუვაჲ: მიმოსლვაჲ ჩუენი ზღჳთ და ჴმელით და აფხაზეთს და ქართლს სავედრებელთა წიგნთათჳს ბერძენთა მეფეთა წინაშე, და რავდენგზის მოვიღით წიგნი თჳთმპყრობელთაჲ და ჩამოვიდით, და კუალად გინებითა და შეურაცხებითა წარგუდევნნიან უსაგზლონი და უპამურნი ჟამსა ღელვათატეხისა და ზამთრისასა ესრეთ ანუ თხოვით აღვიდით კუალად სამეუფოდ ანუ ღმრთის-მოყუარეთა კაცთა წყალობითა და კუალად შევსტირიდით და ვესამართლებოდით მეფეთა“.[31]

ამ ცნობით, ქართველ ბერებს იმდენჯერ უმოგზავრიათ ამ ომის დროს ბიზანტიასა და საქართველოს შორის, რომ ამის აღრიცხვა შეუძლებელი ყოფილა. მათი მგზავრობის მიზანი იყო მიეღოთ თავისი მდგომარეობის შემსუბუქებისათვის „სავედრებელი წიგნები“ საქართველოს თვითმპყრობელ მეფეთაგან და ჩაეტანათ ეს წიგნები „ბერძენთა მეფეთა წინაშე“. ორივე შემთხვევაში მეფეები ნახსენები არიან მრავლობით რიცხვში, ასე რომ, ბერები კონსტანტინოპოლსა და საქართველოს შორის სხვადასხვა იმპერატორების დროს მოგზაურობდნენ. საქართველოს მეფის მიერ გაგზავნილ წიგნს კონსტანტინოპოლში არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ, პირიქით, ბერებს გინებითა და შეურაცხყოფით აბრუნებდნენ, ისინი კი უსაგზლოდ, ფეხშიშველნი, მკაცრ ზამთარში კვლავ ჩამოდიოდნენ საქართველოში და „კუალავ შევსტირიდით და ვესამართლებოდით მეფეთა“.

ივერთა მონასტერი დაარსდა 980-983 წლებში ბასილი II-ის მნიშვნელოვანი შესაწირითა და დახმარებით. ბასილი II ამ დროს კარგად იყო განწყობილი ქართველების მიმართ, რადგანაც ქართველებმა მას ტახტი შეუნარჩუნეს ბარდა სკლიაროსის აჯანყების დროს (976-979). სკლიაროსის დამარცხების მეორე წელსვე იწყება ივერონის მშენებლობა: „მეფე ბასილის, რომანოზის ძის მეფური წყალობით,

იოანემ აღმართა საკუთარი ლავრა, რომელსაც ძველად კლიმენტიოსს ეძახდნენ, მოგვიანებით კი ივირონი ეწოდა“.[32]

ბასილი II ბარდა ფოკას აჯანყების (987-989) დამარცხების შემდეგ ქართველების მიმართ უკვე აღარ იყო კარგად განწყობილი აჯანყებაში მათი მონაწილეობის გამო. ეს მალე დაეტყო იბერთა მონასტერს. 1008 წელს, გურგენ მეფეთ-მეფის გარდაცვალების შემდეგ ტაოს ქართველთა სამეფო შეიერთა ბაგრატ III-მ, რამაც ბიზანტიის უკმაყოფილება გამოიწვია. მალევე, 1012 წლიდან ივერთა მონასტერში დაიწყო არეულობა – „სულმოკლეობა და სიგრილე“, რასაც, ჩანს, კონსტანტინოპოლი აქეზებდა. 1021 წლის ომის დაწყების შემდეგ, 1025 წლიდან იმპერატორ კონსტანტინეს დროს ივერთა მონასტერში ნამდვილი ამბოხება დაწყებულა. ივერონის მონასტრის მაშინდელი მდგომარეობა სარკესავით ასახავდა ბიზანტია-საქართველოს ურთიერთდამოკიდებულებას. მაგალითად, ბიზანტია-საქართველოს ზავის დროს, 1030-იან წლებში, იმპერატორი რომანოზი კარგად განეწყო ივერონის წინამძღვარ გიორგი I-ის მიმართ, მაგრამ ზავის დარღვევისთანავე მონასტრის ბერები „ღელვასა და მიმოტაცებაში“ „ჩაცვივდნენ“.

ომის დროს ბიზანტიაში არა მარტო ქართული მონასტრები და საეკლესიო პირები იდევნებოდნენ, არამედ საერო პირებიც – საქართველოს მოქალაქეებიც – საქართველოს მოქალაქეს „ქვეყნის ჩუენის ერის კაცი“ ერქვა.[33] ეს იქიდანაც ჩანს, რომ გრიგოლ ბაკურიანის ძესაც კი, რომელიც ეროვნებით ქართველი იყო, მაგრამ საქართველოს მოქალაქე არ ყოფილა, არამედ იმპერიის მთავარსარდალი იყო, მძაფრად განუცდია ქართველი მოქალაქეებისა და ბერების დევნით გამოწვეული ტანჯვა. ის წერს: „ბერძენნი... არიან ბუნებით მძლავრნი და ანგაჰარნი და ხელოვანნი, მეშინის, თუ ნუთუ სავნებელი და დასაკლებელი რაიმე შეამთხვიონ მონასტერსა... რომელი ესე მრავალგზის გვიხილავს მათგან ქმნილად ჩუენისა ნათესავისა უმანკოებისაგან და გულმარტიობისაგან“.[34]

ქართველი ბერები ანტიოქიაშიც იდევნებოდნენ.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკ I საეკლესიო საკითხების გადასაჭრელად მრავალჯერ შეხვედრია იმპერატორებს, ბასილს, კონსტანტინეს, რომანოზს. ბიზანტიასთან ომის დროს საეჭვოდ გამოაცხადეს ქართველი ერის მართლმადიდებლობა, ქართული ავტოკეფალური ეკლესიის თავიდანვე არსებული მრავალი უფლება, ამიტომაც, შეუძლებელია, ქართული ეკლესიის მეთაური მრავალჯერ არ ჩასულიყო კონსტანტინოპოლში საეკლესიო საკითხებისათვის, რის შესახებაც მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული ნუსხა. მელქისედეკი იყო მეთაური უზარმაზარი ავტოკეფალური ეკლესიისა, რომლის იურისდიქცია ვრცელდებოდა შავსა და კასპიის ზღვებს შორის, ამიტომაც არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ბიზანტიის იმპერატორები ანგარიშს უწევდნენ ამას და საჩუქრად შესაწირის სახით მელქისედეკს აძლევდნენ ხატებს, ჯვრებსა და საეკლესიო ნივთებს.

თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ გამოვხატოთ, ბიზანტია-საქართველოს ომის დროს ამ ორი ქვეყნის ეკლესიები აქტიურ იდეოლოგიურ ბრძოლას ეწეოდნენ. ბიზანტიური იდეოლოგია ქართველი ერისა და ეკლესიის მიმართ აგრესიული იყო.

მათი პროპაგანდისტული მანქანა ავრცელებდა სიცრუეს ქართველების არამართლმადიდებლობისა, ეკლესიის არაკანონიერების შესახებ. შესაბამისად, ქართული ეკლესიის იდეოლოგია იყო თავდაცვითი. ის ამტკიცებდა, რომ ქართული ეკლესია მუდამ მართლმადიდებლური იყო, იმ დროსაც კი, როცა ბიზანტიური ეკლესია მწვალებლური იყო, მაგალითად, ხატმებრძოლობის დროს. ასევე ქართული ეკლესია მუდამ თავისუფალი და ავტოკეფალური იყო, რადგანაც მოციქულთა მიერ იქნა დაარსებულიო.[35]

ბიზანტიას განზრახული ჰქონდა, სამაგალითოდ დაესაჯა ქართული ეკლესია ომში დაკავებული ანტიბიზანტიური პოზიციისათვის. ამისათვის საჭირო იყო მოეძიათ რაიმე საეკლესიო-დოგმატიკურ-კანონიკური საბაბი. საბაბად გამოიყენეს ის, რომ ქართულმა ეკლესიამ თავისი თავი გამოაცხადა საპატრიარქო ეკლესიად, რაც ეწინააღმდეგებოდა პენტარხიის ბიზანტიურ „კანონიკურ“ თეორიას (მსოფლიოში მხოლოდ ხუთი საპატრიარქოს არსებობა), ამიტომაც არამართლმადიდებლურად გამოაცხადეს ქართული ეკლესია და ეჭვი შეიტანეს მის ავტოკეფალიაშიც კი.

ბიზანტიელებმა ქართული ეკლესიის მართლმადიდებლობაში ეჭვის მისატან საბაბად გამოიყენეს ქართული და სომხური ეკლესიების ცნობილი საეკლესიო კავშირი VI-VII საუკუნეებში. თავის დროზე, VI საუკუნის დასაწყისში, ქართველ-სომეხ-ალბანელთა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელმა ავტოკეფალურმა საკათალიკოსოებმა დვინის გაერთიანებულ საეკლესიო კრებაზე 506 წელს დაგმეს ნესტორიანობა და მიიღეს „ჰენოტიკონი“. იმპერატორების, ზენონისა და ანასტასის დროს არსებული ბიზანტიური თეორია „ჰენოტიკონი“ იცავდა იმპერიის ეკლესიის ერთიანობას იმით, რომ აერთიანებდა მონოფიზიტებსა და ქალკედონიტებს. ეს თეორია აღიარეს ქართულმა და სომხურმა ეკლესიებმაც და საფუძვლად დაედო მათ რელიგიურ-სარწმუნოებრივ ერთობას. 518 წლის შემდეგ, რაც ბიზანტიამ დაგმო ჰენოტიკონი, ქართული ეკლესიაც ცდილობდა დაეგმო იგი, მაგრამ ამ დროს, VI საუკუნეში, საქართველო დაპყრობილი იყო სპარსთა მიერ, სპარსეთი კი მხარს უჭერდა და აძლიერებდა ყოველგვარ ანტიბიზანტიურ მრწამსს – ამ შემთხვევაში მონოფიზიტობას, რომელიც ამ საუკუნეში თანდათან სომხური ეკლესიის ეროვნულ სარწმუნოებად გადაიქცა. სომეხი იერარქები მუდამჟამ უკიჟინებდნენ ქართველ იერარქებს, რომელთაც ქალკედონური პოზიცია ეჭირათ, რომ ქართველთა წინაპრებმა სომხებთან ერთად დაგმეს ქალკედონიტობა და მიიღეს საერთო სარწმუნოება, ისინი გულისხმობდნენ ჰენოტიკონს, ამიტომაც ქართველთა მიერ ქალკედონიტობის აღიარება თითქოსდა იყო „მამათა სარწმუნოების ღალატი“.[36]

ჯერ სპარსეთი, ხოლო შემდეგ არაბობა სასტიკად დევნიდა ქართულ ქალკედონიტურ ეკლესიას, ამის მიზეზი იყო ის, რომ ეს ქვეყნები მუდამ ეომებოდნენ ბიზანტიის იმპერიას და ამიტომაც ამ იმპერიაში არსებული საეკლესიო იდეოლოგია – ქალკედონიტობა მიუღებელი იყო როგორც სპარსეთის, ისე არაბობისათვის. ორივე ეს ქვეყანა ხელს უწყობდა და აძლიერებდა მონოფიზიტობას – ანტიქალკედონიტურ მრწამსს. როგორც სპარსეთი, ისე არაბობა ყოველმხრივ ხელს უწყობდა და ხელოვნურად აძლიერებდა სომხური მონოფიზიტური ეკლესიის გავლენას

ალბანეთსა და ქართლში.[37] მოსე კალანკატუელის თანახმად, არაბებმა სასტიკად დასაჯეს ალბანური ეკლესია თავისი ქალკედონიტური მრწამსისათვის და დაუქვემდებარეს ის სომხურ ეკლესიას VI საუკუნის მიწურულს,[38] ამის გამო ალბანეთის ვრცელ ქვეყანაში საეკლესიო ენა იყო არა ალბანური, არამედ სომხური. ალბანეთის უძველესი სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესია დამპყრობელმა სპარსარაბებმა სომხური ეკლესიის ნაწილად აქციეს. ალბანურ ენაზე არსებული წმიდა წერილი აღარ გამოიყენებოდა ალბანელი ხალხისათვის, ის სომხურენოვანმა საეკლესიო ლიტერატურამ შეცვალა. ალბანური ანბანის მაგიერ ალბანელ ხალხს სომხური ანბანის გამოყენება დააძალეს როგორც სპარსელებმა, ისე არაბებმა. კავკასიის ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხი სომხურენოვანი გახდა საეკლესიო თვალსაზრისით.

საქართველოს დიდ ნაწილზე, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოზე, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს მტკვრის ჩრდილოეთით მოქცეულ ნაწილზე სპარსეთი და არაბობა თავის გავლენას ნაკლებად ავრცელებდა, სამხრეთ საქართველოზე კი, მტრის მიერ დაპყრობილ მესხეთსა და ქვემო ქართლში, სომხურ ეკლესიას ყოველგვარი ნება მიეცა თავისი გავლენის გავრცელებისა. არაბობის შესუსტებამდე ეს მხარეები სომხური ეკლესიის გავლენის ქვეშ იყო, რამაც თავისი კვალი დააჩნია ქართულ ქრისტიანობას – ქართველი მოსახლეობის არამცირე ნაწილი სომხურმა ეკლესიამ თავის მრევლად აქცია. ქართველ მონოფიზიტებს, ანუ „სარწმუნოებით სომხებს“ მოიხსენიებს გრიგოლ ბაკურიანი: „ვინაიცა მენებოს, ნათესავთა ჩემთა და მსახურთა ჩემთა, დაღაცათუ სომეხნი იყვნენ სარწმუნოებითა“.[39] მონოფიზიტი ქართველები, ანუ „სარწმუნოებით სომხები“ X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისში „ინათლებოდნენ“ კიდეც, მაგრამ მათი რაოდენობა მაინც არამცირედი იყო. მაგალითად, „მოვიდა გვირპელი... და მოინათლა, რამეთუ სომეხი იყო“.[40]

სომხური ეკლესია XI საუკუნის დასაწყისში მწვალებლურ ეკლესიად ითვლებოდა ბიზანტიაში, ხოლო ქართულ ეკლესიას ამ დროისათვის ჯერ კიდევ ღრმად ეტყობოდა სომხური ეკლესიის გავლენის კვალი, სწორედ ეს გამოიყენეს ბიზანტიელმა იდეოლოგებმა ქართული ეკლესიის მართლმადიდებლობაში ეჭვის შესატანად.

ამის შესახებ ქართველი ბერი წერდა კიდეც: „...ქუეყანაჲ ჩუენი შორს იყო ქუეყანისაგან საბერძნეთისა და ვითარცა თესლნი არა წმიდანი შორის ჩუენსა დათესულ იყვნეს ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი – გულარძნილნი და მანქანანი და ამის მიერ ფრიად გუეკვნებოდა“.[41]

ქართულ ეკლესიას, არსენ საფარელის თანახმად, ჯერ კიდევ 551 წელს (სომხური წელთაღრიცხვის პირველ წელს) მოწვეული კრების შემდეგ გაუწყვეტია სომხურ ეკლესიასთან კავშირი, შემდგომ 607 წელს, კირიონის დროს, კვლავ საჭირო გახდა მსგავსი ქმედება, მაგრამ სპარსეთის მეფე ხოსროს მიერ 614 წელს იერუსალიმის აღების შემდეგ სპარსეთმა „სომხური სარწმუნოება“ სპარსეთის იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანებისათვის სავალდებულო სარწმუნოებად გამოაცხადა. ამის გამო, სპარსთაგან დაპყრობილ აღმოსავლეთ საქართველოში სომხეთის გავ-

ლენა კვლავინდებურად გრძელდებოდა. 632 წელს კი ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლე კეისარმა „უნია“ შეკრა სომხურ ეკლესიასთან, რამაც მონოთელიტობის აღორძინებას შეუწყო ხელი ბიზანტიის იმპერიაში. სომხური ეკლესია ბიზანტიური „მონოთელიტობის“ ერთ-ერთი ბურჯი გახდა, რამაც საშუალება მისცა მას, კვლავინდებური გავლენა ჰქონოდა ამიერკავკასიაზე. სომხური ეკლესია, როგორც თავის ანტიქალკედონიტობას, ისე „მონოთელიტობის“ მაგვარ სარწმუნოებას თავის სასარგებლოდ იყენებდა.

მხოლოდ 726 წელს მოწვეული კრების შემდეგ, რაც სომხურმა ეკლესიამ საბოლოოდ დაგმო ქალკედონიტობა და აშკარად აღიარა მონოფიზიტობა, ქართულმა ეკლესიამ ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა მასთან. მაგრამ ძველ კავშირს უკვალოდ არ ჩაუვლია. „წრფელი და უმანკო“[42] ქართველი ხალხისათვის სომეხი საეკლესიო მოღვაწენი გამხდარან ავტორიტეტული პირები და „...იგინი რეცა მიზეზითა წესიერებისაჲთა, რეცა ცდუნებად გუაზმნობდეს...“[43] ე.ი. ავტორი ამტკიცებს, რომ სომეხი საეკლესიო მოღვაწეები ხან განგებ აცდენდნენ, აბრკოლებდნენ ქართველებს, ხან კიდევ საეკლესიო წესების სისწორის მომიზეზებით ნერგავდნენ არასწორ წესებს. გარდა ამისა, სომხური ენიდან თარგმნილი საეკლესიო წიგნებიც ყოფილა ქართულ ეკლესიაში, რაც სხვა შეცდომათა წყარო ხდებოდა. მთლიანი წინადადება ასეთია: „...დაღაცათუ პირველითგანვე გუქონდეს წერილნიცა და სარწმუნოებაჲ ჭეშმარიტი და მართალი, გარნა ქუეყანაჲ ჩუენი შორს იყო ქუეყანისგან საბერძნეთისა და ვითარცა თესლნი არაწმიდანი შორის ჩუენსა დათესულ იყვნეს ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი, გულარძნილნი და მანქანანი, და ამის მიერ ფრიად გუევნებოდა, რამეთუ ნათესავი ჩუენი წრფელი იყო და უმანკოჲ. ხოლო იგინი რეცა მიზეზითა წესიერებისაჲთა რეცა ცდუნებითა გუაზმნოდეს და რომელნიმე წიგნნიცა გუქონდეს მათგან თარგმნილნი“.[44]

IV-V საუკუნეების „პირველთაგან თარგმნილი წმიდა წერილი“ VI-VII საუკუნეებში „წესიერების“ მომიზეზებით სომხური რედაქციების მიხედვით ყოფილა რედაქტირებული, ანდა ხელახლა თარგმნილი; ამის გამო XI საუკუნეში ბიზანტიამ განგაში ატეხა.

აქამდე არც ერთ ქართველს ოდნავი ეჭვიც კი არ შეჰქონდა თავის მართლმადიდებლობაში. ქართველობა გაოცებული დარჩა ბიზანტიელთა შემოტევით, რადგანაც, მისი აზრით, ქართული ეკლესია მუდამ მართლმადიდებლური იყო, მაშინაც კი, როცა ბიზანტიაში მწვალებლობა ბატონობდა. ხოლო სომხური ენიდან წიგნების თარგმნა-რედაქტირებას ხსნიდნენ ქართველების უბიწობა-უმანკოებით და მიმნდობლობით. ამით ისარგებლეს სომეხმა მონოფიზიტებმა და ზოგიერთი მცირე ცდუნება შემოიტანეს ჩვენში, რისი აღმოფხვრაც მაინც შეიძლებაო.

ქართულ ეკლესიაში შემოტანილი სომხური „ღვარძლისაგან სრულად განწმედის“ დიდი საქმე, მემატიანის თანახმად, ითავა ექვთიმე მთაწმიდელმა. ეს საქმე კი დაასრულა გიორგი მთაწმიდელმა. „ღვარძლი“ სრულებით „განიწმინდა“ რამდენიმე ათეულ წელიწადში. სინამდვილეში არავითარი „ღვარძლით“ არ ყოფილა შებილწული ქართული მართლმადიდებლური ეკლესია. ბერძნებმა ღვარძლად მი-

იჩნიეს ზოგიერთი წმიდა წიგნის თარგმნა-რედაქტირება სომხური ენიდან, ამ აზრს ვერ დავეთანხმებით. არ შეიძლება არამართლმადიდებლურად ჩაითვალოს ეკლესია იმ მიზეზით, რომ ის საეკლესიო საჭიროებისათვის წიგნებს სომხური ენიდან თარგმნიდა.

მემატიანე წერს: „ამათ ესევითართა მიზეზთათჳს მოხედნა მოწყალებამან ღმრთისამან ნათესავსა ჩუენსა და აღგჳდგინა ახალი ოქროპირი წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ეფთჳმე, და ვითარცა მეათცამეტემან მოციქულმან ქუეყანაჲ ჩუენი ამათ ზემოჴსენებულთა ღუარძლთაგან სრულიად განწმიდა მრავლად თარგმანებითა წმიდათა წერილთაჲთა...“[45]

ექვთიმე მთაწმიდელმა დიდი რაოდენობით წიგნი თარგმნა 1012 წლიდან 1028 წლამდე. თარგმნასთან ერთად იგი იღებდა უკვე არსებულ ტექსტს და უდარებდა მათ ბერძნულ რედაქციას. იმ შემთხვევაში, თუ ძველი ქართული თარგმანი ემთხვეოდა ბერძნულს, ექვთიმე უცვლელად ტოვებდა ძველ ტექსტს, თუ მცირედ სხვაობდა, ასწორებდა მას ბერძნულის მიხედვით და თუ განსხვავება დიდი იყო, ექვთიმე უკვე ნამდვილად იწყებდა თარგმნას.

ბერძნულის მიხედვით ძველი ქართული ტექსტების რედაქტირება, ანუ „თარგმნა“, როგორც მაშინ უწოდებდნენ, ჯერ კიდევ VIII საუკუნეში დაიწყო საბაწმიდის ლავრაში. მიუხედავად ინტენსიური მუშაობისა, ძველ ტექსტებში სომხურიდან ნათარგმნობისა და რედაქტირების კვალი ვერ აღმოფხვრეს, თუმცა ეს არც იყო საბოლოო მიზანი. ახალი რედაქტირების მიზანი იყო არა ძველი თარგმანების ლინგვისტურ-ფილოლოგიური კვლევა, არამედ არსებული ტექსტის გამართვა ბერძნული რედაქციების მსგავსად. შემდგომ კი, XI საუკუნეში, ქართული თარგმანები დიდი სიზუსტით დაუახლოვეს ბერძნულს. მიუხედავად ამისა, როგორც ქართველთა, ისე ბერძენთა შორის ყოფილან – „მაბრალობელნი“ და „მაყვედრებელნი“, რომლებიც სწუნობდნენ ქართულ თარგმანებს იმ მხრივ, რომ ისინი არ მიჰყვებოდნენ იმ დროს გავრცელებულ ბერძნულ რედაქციებს: „...მეცნიერნი ბერძნულისანი მაბრალობელ გუექმნებოდეს გამოუძიებლად დაწერისათვის სიტყუაჲსა“.[46] აქ იგულისხმებიან ბერძნული ენის მცოდნე ქართველები, მაგრამ ყოფილან აგრეთვე ქართულის მცოდნე ბერძნები – „მაყვედრებელნი“ – „...ამას გუაყუედრებდეს ბერძენნიო“. მაგალითად, ორი სხვადასხვა სიტყვა გრიგოლ ღვთისმეტყველისა, რომელიც ექვთიმე მთაწმიდელს, თავის დროს, ალბათ, ცალ-ცალკე უთარგმნია, ვიღაცას მერე შეუერთებია – მექანიკურად გადაუბამს. ეს ბერძნებს შეუნიშნავთ და ქართველები გაუკიცხავთ ასეთი აღრევისათვის.

„მაბრალობლებისა“ და „მაყვედრებლების“ გამრავლება XI საუკუნის დასაწყისში გამოიწვია ბიზანტია-საქართველოს ომმა.

აღსანიშნავია, რომ ქართული ეკლესია, მიუხედავად იმისა, რომ ის ქალკედონიტობის უერთგულესი დამცველი იყო, მაინც განსხვავდებოდა ბიზანტიურ-ბერძნული ეკლესიისაგან თავისი ნაციონალური ქრისტიანული კულტურით. მას შემდეგ, რაც ქართულმა ეკლესიამ კავშირი გაწყვიტა სომხურ ეკლესიასთან, „...რომელთანაც მას აკავშირებდა ერთი და იგივე საეკლესიო წესები, ზნე-ჩვეულებები და ტრადიციე-

ბი“,[47] ქართველ ერს მიუჩნევია, რომ დენაციონალიზაციის საშინელი კატასტროფისაგან თავის დაღწევის გზა არის „...საკუთარი ეკლესიის ფრთეთა ქვეშე ნაციონალურ-ქრისტიანული კულტურის გაღვივება“.[48] ამას შედეგად მოჰყოლია VIII-X საუკუნეებში ორიგინალური საეკლესიო წესების მძლავრი ზრდა-განვითარება. შემუშავებულა ნაციონალური აგიოგრაფია, „დაწესებულ იქნა წმიდა ქართული დღესასწაულები ეროვნული წმიდანებისა“.[49]

ქართველებს ბიზანტიაში დამკვიდრებული მსოფლიო საეკლესიო დღესასწაულებისათვის „თავისი ეროვნული სული ჩაუბერია, რის გამოც შემდგომი დროის (XI საუკუნიდან) მწერლებს, რომელთაც მათი წარმოშობა უკვე ნათლად აღარ გაეგებოდათ, ქართულ დღესასწაულებად მოუნათლავთ. ასეთია მაგალითად, ჯვარის დღესასწაული აღდგომის მეორე დღეს... დღესასწაული წმიდა გიორგისა 10 ნოემბერს... სატფურება იერუსალიმის ტაძრისა 13 სექტემბერს“.[50]

სწორედ ამ მხრივ ქართული ლიტურგიკული კალენდარი განსხვავდებოდა ბერძნულისაგან. არსებობდა ბერძნულისაგან განსხვავებული წელთაღრიცხვის ქართული სისტემა და ქართული „წესი და განგება სახარების საკითხავებისა“, „მაგრამ ყველაზე მეტი თავისებურება და „ქართველობა“ ჩვენს წინაპრებს ამ ხანაში ლიტურგიკულ მწერლობაში გამოუჩენიათ... შეუთხზავთ საკუთარი ქართული ოკტიოხოსი, იადგარი, მარხუანი და ზატიკი. ამ არაჩვეულებრივს, ისტორიაში ერთადერთ მაგალითს განსაკუთრებით თავი უჩენია X საუკუნეში...“[51]

სწორედ ქართული ეკლესიის ნაციონალურ-ქრისტიანულმა ხასიათმა მისცა საბაბი ბერძნებს მწვალებლებად მოენათლათ ქართველები, რადგან ქართული ეკლესიის ლიტურგიკა განსხვავებული ყოფილა ბერძნულისაგან. „ქართველები დადგომიან ღვთისმსახურების სრული გაეროვნულების გზას, არა მარტო ენის მხრივ, არამედ შინაარსითაც, მაგრამ შემდეგმა პერიოდმა ეს მიმართულება შეაყენა“.[52]

ქართული ღვთისმსახურების სრულ გაეროვნებას XI საუკუნის პირველ ნახევარში წინ აღუდგა ბიზანტიის ეკლესია, რომელმაც ეროვნული ნიშან-თვისებები მწვალებლობად ჩაუთვალა ქართულ ეკლესიას და მონოფიზიტურ სომხურ ეკლესიასთან ძველი კავშირის დამადასტურებელ საბუთად მიიჩნია. ქართული ეკლესიის მართლმადიდებლობის დამტკიცებას თავისი შრომა შეალიეს VIII-XI საუკუნის მოღვაწეებმა. ისინი „...ბერძნულის მიხედვით ასწორებენ ძველ თარგმანებს, რომელნიც სომხური ენიდან მომდინარეობდნენ. ასეთი შედარება-შესწორების გზით წარმოიშვა „ახალი თარგმანი“...[53]

იმისათვის, რათა მოესპოთ ბერძნებისათვის ქართველთა მწვალებლებად გამოცხადების საბაბი, ექვთიმე, გიორგი მთაწმიდელები და მათი სკოლა შემდეგი სახის სამუშაოს ასრულებდა: „...ბიბლიის მანამდე არსებულ ქართულ თარგმანებს მაქსიმალურად უახლოებენ ბერძნულ წყაროს, რომ „ბიწი რამე“ არ დასწამონ მათ. სულ რაღაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ბიბლიური წიგნების ძველმა ქართულმა თარგმანმა სამჯერ განიცადა საფუძვლიანი გადამუშავება... ასეთ მუშაობას თავიდან მხოლოდ წმინდა ლიტერატურული ინტერესები კი არ განსაზღვრავდა, არამედ უფრო მწვავე პოლიტიკურ-კულტურული გარემოც... ეს იყო იძულებითი ღონისძიება

ქართული კულტურის კერების თვითმყოფობის შესანარჩუნებლად დიდმპყრობელური ბერძნების მომძლავრების ჟამს... V-XI საუკუნეებში ქართულ ენაში არ მომხდარა ისეთი დიდი მასშტაბის ცვლილება, რომ ამის გამო XI საუკუნეში აუცილებელი ყოფილიყო ძველ ქართულ თარგმანთა რედაქციული გადამუშავება და ენობრივი მოდერნიზაცია... მიზანი იყო არა ძველი ტექსტების ენობრივი მოდერნიზაცია, არამედ მაქსიმალური დაახლოება ბერძნულ წყაროსთან".[54]

აღმოჩნდა, რომ გიორგი მთაწმიდელი არის ბიბლიური წიგნების არა მთარგმნელი, ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით, არამედ რედაქტორი – „გიორგი რომ ბიბლიურ წიგნებს ხელახლა არ თარგმნის, ეს ფაქტია, რომელსაც მხოლოდ დანახვა უნდა და არა მტკიცება... გიორგის რედაქციული კალამი არსებითად შეეხო ძველი რედაქციის არა გრამატიკულ, არამედ შინაარსობრივ-სტილისტურ მხარეს".[55] „გიორგის რედაქტორული მუშაობის მიზანია, რომ ძველი ქართული რედაქციის ტექსტი უფრო დაუახლოვოს ბერძნულ წყაროს"... „...ეფრემ მცირე კი გიორგის ნარედაქციევ ქართულ თარგმანს კიდევ უფრო აახლოებს ბერძნულ წყაროსთან არა მარტო შინაარსის, არამედ სტრუქტურის, სტილის თვალსაზრისითაც. ...რათა ქართული თარგმანი მაქსიმალურად შეესიტყვებოდეს ბერძნულ წყაროს აზრობრივადაც და ენობრივადაც... მაგრამ ეს ხდება... ქართული ენის ბუნების საწინააღმდეგოდ".[56]

ასეთ უკიდურესობამდე ქართველი მთარგმნელ-რედაქტორების მიყვანა გამოიწვია „მაბრალობელთა" და „მაყვედრებელთა" ცილისწამებამ, თითქოსდა ქართულ თარგმანებს რაღაც მონოფიზიტური „ბიწი" გააჩნდა.

ქართველმა მთარგმნელ-რედაქტორებმა მოსპეს ქართული ეკლესიის მწვალებელთა ეკლესიად გამოცხადების საბაბი და ამით უდიდესი საქმე შეასრულეს ქართული ეკლესიის ძველთაგანვე არსებული ავტოკეფალიისა (თავისთავადობისა) და საქართველოს საპატრიარქოს აღიარების საქმეში.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ქართული ქალკედონიტური ეკლესიების ძლიერებისა, X-XI საუკუნეებში ქართველი მონოფიზიტები არსებობდნენ არა მარტო ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, არამედ მათ სამეფო კარზეც კი მაღალი თანამდებობები ეკავათ. მაგალითად, ბაგრატ III-ის მწიგნობართუხუცესი ექვთიმე (ეფთვიმე) ეროვნებით ქართველი, მაგრამ სარწმუნოებით „სომეხია". ეს მემატიანეს მიაჩნია ეროვნულ ღალატად, „შინაგამცემობად". ის ეფთვიმეს შესახებ წერს: „იგიცა თანა-ზიარი იყო ბოროტის მის წვალებისა მათისა და შინა-განმცემი სარწმუნოებისა ჩუენისა", ღრტილას საეკლესიო კრებაზე ქალკედონიტთა და მონოფიზიტთა კამათისას ეს „შინაგამცემი" მიემხრო სომეხ მონოფიზიტ სომეხთ-მოძღვარს სოსთენს.[57]

დინარა დედოფლამდე აღმოსავლეთ საქართველოში, ჰერეთში, მოსახლეობის ერთი ნაწილი მონოფიზიტური ყოფილა, მაგრამ ქართველი მონოფიზიტების რიცხვი ქვეყანაში X ს-ის ბოლოსა და XI ს-ის დასაწყისისათვის მცირდებოდა.

მიუხედავად ამისა, ბერძნები ამ დროისათვის სარწმუნოებრივი მოტივით დევნიან ქართველებს, რომელნიც ასეთ სიტუაციაში იძულებულნი იყვნენ ემტკიცებინათ, რომ ისინი „ნათესავით", გვარ-ტომობითა და წარმოშობით ქართველნი არიან. გრიგოლ ბაკურიანისძე და, საერთოდ, XI საუკუნის მოღვაწენი კარგად განასხვავებდნენ

ერთმანეთისაგან ეროვნებასა და სარწმუნოებას, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ეროვნებით, „ნათესავით“ ქართველები არიან, ამავე დროს არ უარყოფდნენ ეროვნებით ქართველი, ხოლო სარწმუნოებით „სომხების“ არსებობასაც.

ბასილი II-ის გარდაცვალების შემდეგ ახალმა იმპერატორმა კონსტანტინემ საქართველოს მიმართ ძველი პოლიტიკა განაგრძო. იმის მიუხედავად, რომ ბასილი რამდენჯერმე შემოესია საქართველოს, ის მაინც პატივისცემით სარგებლობდა ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა შორის, რადგანაც გარკვეული წვლილი მიუძღოდა ქართული ეკლესიის წინაშე. იმპერატორი კონსტანტინე კი ძალზე მტრულად და აგრესიულად იყო განწყობილი ქართული ეკლესიისადმი. ამიტომაც მისმა სიკვდილმა ქართულ საზოგადოებრიობაში თანაგრძნობა კი არ გამოიწვია, არამედ სიხარული. მისი სიკვდილი იმპერატორისათვის მოვლენილ ღვთის რისხვად მიუჩნევიათ: „ეწია რისხვა უმსჯავროსა მას მეფესა კონსტანტინეს, მსგავსადვე ივლიანეს უსჯულოსა, უწყალოებისათჳს ბაგრატ მეფისა ჩუენისა – მოოჴრებისათვის მამულისა მისისა“.[58]

იმპერატორ კონსტანტინეს მიერ „ღელვად აღტეხილად იგვემებოდა“ საქართველო. ბიზანტიის განმგებელი ქართული ეკლესიის მიმართ შურისძიებით აღავსო იმ გარემოებამ, რომ ბიზანტია-საქართველოს ომის დროს, კერძოდ, საქართველოში მისი შემოჭრისას, ქართული სამღვდელოება და ეკლესია სათავეში ჩაუდგა სახალხო ომს მის წინააღმდეგ.

კონსანტინემ გამეფებისთანავე 1026-1027 წლებში გაილაშქრა საქართველოზე. მისი არმია ძალით ბევრად აღემატებოდა ბასილი II-ისას. ის შემოიჭრა „მიუწდომელისა ძალითა ლაშქრითა თჳსისათა და განძითა ურიცხჳთა ყოვლად უძლიერესად ბასილი მეფისაცა. მოვლო და მოაოჴრა ქუეყანანი იგი, რომელნი პირველ მოეოჴრნენ ქუეყანანი ბასილი მეფესა, და უმეტესცა“.[59]

მეფე ბაგრატ IV-მ, რომელიც იმ დროს ბავშვი იყო, წინააღმდეგობა ვერ გაუწია ბერძნებს, ხოლო ზოგიერთი აზნაური განდგა მისგან და ციხეები დამპყრობელს გადასცა. მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ინიციატივა და მეთაურობა თავის ხელში აიღო ეკლესიამ. „აღაშენა სიმაგრე საბა მტბევარ ეპისკოპოსმან, მახლობელად ტბეთის ეკლესიასა და სახელ-სდვა მას სუეტიდ. და შეკრიბა მაშინ მან ერი თჳსი და შევიდეს მას შინა თჳთ საბა მტბევარ ეპისკოპოსი, და ეზრა ანჩელ ეპისკოპოსი“. მალე მტრის წინააღმდეგ მეომარ ეპისკოპოსებს გვერდში ამოუდგა მოსახლეობა – „და შავშეთისა აზნაურნი და განძლიერდა მას შინა“.[60]

საბა მტბევარ ეპისკოპოსს, რომელმაც „დაიჭირა ქუეყანა შავშეთისა, ქმნა დიდი ერთგულობა ბაგრატ აფხაზთა მეფისათჳს, პატივსცა ღმერთმან და ვერ წარუღეს ქუეყანა მტერთა“.[61]

ბერძნებმა „გამოადგინეს ლაშქარი სუეტსა მას ტბეთისასა, რომელი აღეგო საბა მტბევარ ეპისკოპოზსა ციხედ. და ჰბრძოდეს ძლიერად მრავალღონედ და ღმერთმან განაძლიერნა მყოფნი იგი სუეტსა მას შინა მადლითა და მეოხებითა წმიდათა მოციქულთათა და ლოცვითა წმიდათა ამათ მღვდელთ-მოძღუართათა და ვითარცა ერთგულნი და ჭეშმარიტნი მარტჳილნი თავთა თჳსთა სიკუდილად განსწი-

რვიდეს, ეგრეთვე იგინიცა ჭორციელთა უფალთა თჳისთათჳს თავთა თჳსთა სიკუდილად განსწირვიდეს, და სისხლთა დასთხევდეს სიტყჳსაებრ მოციქულთასა და ყოველნივე ეტყოდეს ურთიერთსა ციხესა მას შინა მყოფნი, რომელთა თანა ერთო ეზრა ანჩელი, ვითარმედ: „ნუმცა შეგვიტყუებენ ჩუენ ლიქნანი და ესე და საფასენი მსწრაფლ წარმავალნი, არამედ მოვიგოთ მადლი ერთგულობისა და გჳრგჳნი ახოვნებისა“, რამეთუ მბრძოლნი იგი გარემოდგომილნი მათდა ჰლიქნიდეს აღთქმითა და ქადაგებითა კეთილთა და საფასეთათა“.[62]

საქართველოში ბრძოლების დროს იმპერატორმა კონსტანტინემ თავისთან დაიბარა ივერთა მონასტრიდან ექვთიმე მთაწმიდელი, იმის მომიზეზებით, რომ მონასტერში არეულობა დაიწყო. არეულობას თვით კონსტანტინოპოლი აქეზებდა. ივერონელებმა, – წერს მემატიანე, – „უკანასკნელ იწყეს თავხედობად და ამბოხებად... და უმეტეს და უმეტეს აღორძინდებოდა ამბოხება მათი, ვიდრემდის სამეუფოდ აღვიდეს და აუწყეს კონსტანტი მეფესა შფოთისა მათისათვის“.

მოსალოდნელი იყო მონასტრის არეულობის გამო ექვთიმეს კონსტანტინოპოლში უპატივისცემოდ მიიღებდნენ, მაგრამ ის სახელგანთქმული მოღვაწე იყო მთელ ბიზანტიაში, ათანასე ათონელის თანამოსაგრე. ექვთიმე კვიპროსის ავტოკეფალური ეკლესიის მეთაურად უნდოდა თავის დროზე დაენიშნა ბასილი II-ს.[63] ექვთიმე ცუდად არ მიუღია კონსტანტინეს. ჩანს, იმპერატორს გადაწყვეტილი ჰქონდა, გადაებირებინა წმიდა ექვთიმე ისე, როგორც გადაიბირა „ბანელი ეპისკოპოსი იოანე“.[64]

საქართველოშივე კონსტანტინეს სურდა თავის მხარეზე გადაებირებინა საბა მტბევარ ეპისკოპოსი და ეზრა ანჩელ ეპისკოპოსი „ლიქნითა“ და დიდი თანხის მიცემით. მან ეს ვერ შეძლო, სამაგიეროდ მოახერხა თავის მხარეზე გადაებირებინა ქართველ აზნაურთა, „წვრილი ერისა“ და სამღვდელოების ნაწილი. კონსტანტინესათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა ქართული ეკლესიის მიმხრობა. მაშინ ის ადვილად შეძლებდა ბაგრატ IV-ის დამარცხებას. შესაძლოა, სწორედ ამ მიზნით ის კონსტანტინოპოლში კარგად იღებს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ მელქისედეკ I-ს: „შეიწყნარა მეფემან ბერძენთამან კონსტანტინემ და მოსცა შესამკობელნი ეკლესიათა, ხატნი და ჯუარნი...“[65]

კონსტანტინემ ექვთიმე მთაწმიდელი დაიბარა მის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, ე.ი. 1027-1028 წლებში, მაშინ, როდესაც ის უზარმაზარი არმიით აოხრებდა საქართველოს, ხოლო ქართული ეკლესია, მისი მესვეურნი სათავეში ედგნენ ომს ბიზანტიელთა წინააღმდეგ, რადგანაც ქართული ეკლესიის ვარსკვლავი ექვთიმე მხარში ედგა ბიზანტიელთა მოწინააღმდეგე სამღვდელოებას, ამიტომაც ის განარიდეს ივერთა მონასტერს, სადაც ამ დროს წინამძღვრობდა ბერძენთ მომხრე მამა, გიორგი I. მემატიანე წერს, რომ მამა გიორგი I – „ბერძენთა მიექცა“-ო, „ბერძენნი ფრიად რაიმე შეიყვარნა და განამრავლნა და სრულიად მათდა მიმართ მიდრკა“.[66] ისევე როგორც ბანელი ეპისკოპოსი იოვანე.

იმპერატორ რომანოზ III-ის გამეფებისთანავე, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკ I „წარვიდა... წინაშე რომანოზ ბერძენთა მეფისა კოსტანტინეპოლედ“.[67] ვიზიტის მიზანი, ცხადია, იქნებოდა ზავისა და მშვიდობის ჩამოგდება. რომანოზმა ის „შეიწყნარა და მოსცა შესამკობელი ეკლესიათანი“.[68]

დაახლოებით 1030 წელს სახელოვანი და ცნობილი დიპლომატი – მარიამ დედოფალი, დედა ბაგრატ IV-ისა საგანგებო მისიით გაემგზავრა „...საბერძნეთად ძიებად მშჳდობისა და ერთობისა“.[69] სუმბატ დავითის ძე წერს: „შეიმოსა სიმჴნე და ახოვნება... და წარვიდა კონსტანტინეპოლედ წინაშე რომანოზ მეფისა, ვედრებად მისა, რათა მშჳდობა ყოს აღმოსავლეთისათჳს და რათა არღარა იყოს ბრძოლა ბერძენთა და ქართველთა...“[70]

იმპერატორმა რომანოზმა ინება დაზავება საქართველოსთან. ქართველი მეფე იმპერატორის ვასალად აღიარებდა თავის თავს, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ მზად იყო მიეღო საკარისკაცო ტიტული. ბერძენთა და ქართველთა სამეფო დინასტიები დამოყვრდნენ. მეფე ბაგრატ IV-ს ცოლად მისცეს „კეისრის ქალი“ – დედოფალი ელენე.

სახელოვანი დიპლომატის, მარიამ დედოფლის ვიზიტი წარმატებით დასრულდა. მას იმპერატორმა „აღუსრულა ყოველი სათხოველი სიხარულითა: „მოსცა ფიცნი და სიმტკიცენი ერთობისა და სიყუარულისათჳს. დაუწერნა ოქრო-ბეჭედნი, მოსცა პატივი კურაპალატობისა, და მოსცა ცოლად ბაგრატისათჳს ელენე დედოფალი“.[71]

ბიზანტია-საქართველოს შორის დადებულმა ზავმა შეამსუბუქა ქართული ეკლესიის მდგომარეობა. ზავის დადებამდე ივერონის ბერები უკიდურესად შევიწროებულნი იყვნენ. ზავის შემდეგ იმპერატორი რომანოზი ივერონის წინამძღვარ გიორგი I-ის (1012-1030) მიმართ მეგობრულად განეწყო, მაგრამ ეს მეგობრობა დიდხანს არ გაგრძელებულა, ანუ გაგრძელდა მანამდე, სანამდეც ბიზანტიასა და საქართველოს შორის მეგობრულ-მოყვრული დამოკიდებულება იყო. ბიზანტიელი „კეისრის ქალი“, ბაგრატ IV-ის მეუღლე, მალე გარდაიცვალა – ქორწილის შემდეგვე: „...შემდგომად მცირედისა ჟამისა მიიცვალა ელენე დედოფალი ქუთათისს შინა და შეირთო ცოლად ბაგრატ მეფემან ბორენა დედოფალი – ოვსთ მეფისა ასული“.[72] ბიზანტიის დამოკიდებულება საქართველოსადმი კვლავ დაიძაბა. გიორგი მთაწმიდელი ივერთა მონასტრის წინამძღვრის შესახებ წერს: „ჟამთა რომანოზ მეფისათა დიდად წარჩინებულ იქნა გიორგი წინაშე რომანოზ მეფისა და დიდად საკუთარ და პატივცემულ მერმე... განდგომილებაჲ და ორგულობა დასწამეს... ამის მიზეზისათჳს ექსორია-იქმნა“.[73] ამ დროს, დაახლოებით 1031–33 წლებში „...დიდსა ღელვასა და მიმოტაცებასა შთავცჳვენით, რამეთუ სამგზის დაიტყუენა მონასტერი და, რაჲცა დრისტი ტურფაჲ იყო მამათა ჩუენთა მოგებული, ყოველი იავარ-იქმნა, და ეგრეთვე განძი და კუმაში“[74] ივერთა მონასტრის წინამძღვრად იმ დროს აირჩიეს ბერი გრიგოლი, ბერძნებმა ისიც დააპატიმრეს და გადაასახლეს, რის შემდეგაც ქართველთა მდგომარეობა მონასტერში სავალალო გახდა: „...ჟამი პოვეს ბერძენთა, და ვითარცა ცეცხლნი აღეგზნნეს ჩუენ ზედა და სრულიად აღმოფხურაჲ ჩუენი ენება და დაპყრობა სამკჳდრებელისა ჩუენისაჲ“.[75] ამის შემდეგ ივერონის წინამძღვარი გახდა გიორგი II. 1035 წელს წინამძღვარი გიორგი II ხელს აწერს თეოკტისტ პროტოსის აქტზე – ათონის მთის ერთ-ერთ საქმიან ქაღალდზე.[76]

ამ დროს დამოკიდებულება ბიზანტია-საქართველოს შორის კვლავ დაძაბულია. „მალე ბიზანტიამ ისევ დაიწყო მტრული მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ,

1032 წელს, ბიზანტიელები შეუჩნდნენ ბაგრატის ნახევარძმა დემეტრეს, ისიც კეისართან გაიქცა და ანაკოფიის ციხე აფხაზეთში ბერძნებს გადასცა“.[77] წინამძღვარ გიორგი II-ს ქართველი ბერები „უკეთურს“ უწოდებდნენ, რადგანაც ის ისევე იქცეოდა, როგორც წინამძღვარი გიორგი I. „...გიორგი უკეთური, არაჲთ უმოლხინესი პირველისა მის გიორგისი“.[78]

ამ დროს, დაახლოებით 1035-1036 წლებში, ქართველებისათვის უკვე მწვალებლობა-ერეტიკოსობა დაუწამებიათ და ფიზიკურად სცემდნენ კიდეც. მემატიანე წერს: „...დიდსა ჭირსა შინა ჯყვენით და საწუნელ და საძულელ მათდა. და თჳთოეულად არცა თუ შესაძლებელ არს ყოვლისავე წარმოთქუმაჲ, რავდენნი გინებანი, რავდენნი შეურაცხებანი და ყუედრებანი მოიწეოდეს მათ მიერ ჩუენ ზედა დღითი-დღე; და ცემითა და გუემითა და მწვალებელად ხადითა შეიწრებულნი დისა ურვასა შინა ვიყვენით. და ესეცა ენება, რაჲთამცა სახელიცა მაშენებელთაჲ აღმოჰფოცეს“.[79]

დაახლოებით 1036-1040 წლებში ივერონის ბერებზე მზრუნველი წინამძღვრები არიან „ნეტარი მამა გრიგოლი“ და „ნეტარი არსენი“. ამ წლებში ივერონიდან საქართველოში მრავალგზის აგზავნიან ბერებს მეფე-მთავრებთან შეწევნისათვის. ერთ-ერთი გავლენიანი დიდი მთავარი საქართველოსი, რომელიც კარგ დამოკიდებულებაში იყო ბიზანტიელებთან, იყო ლიპარიტი. ის ეხმარებოდა ივერონის ბერებს და თვითონაც ბერად აღიკვეცა. გიორგი მთაწმიდელს, მემატიანის აზრით, წიგნის გადაწერის საქმეში, 1055-56 წლებში, ყველაზე მეტად ხელი სწორედ ამ პირმა შეუწყო: „უფროჲს ყოველთაჲსა დიდად იღვაწა სულითა კურთხეულმან ანტონი – ლიპარიტ-ყოფილმან... წმიდასა ამას ბერსა დიდად პატივ-უპყრა და ნუგეშინის-სცა და მშვენიერი ქება-გალობა დაწერა...“.[80] მანამდე კი, 1030-40 წლებში ძალზე გავლენიან ლიპარიტს კარგი დამოკიდებულება ჰქონდა როგორც ბიზანტიის იმპერატორებთან, ასევე ბაგრატ IV-სთან. ჩანს, ლიპარიტის გავლენით იმპერატორ მიქაელ IV-ის (1034-41) დროს ივერონის ბერების მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესებულა, მაგრამ მცირე ხნით: „...ღმერთმან ყოვლად ძლიერმან, სახიერებითა თვისითა ლმობიერ-ყო გული მიქაელ ქრისტეს-მოყვარისა მეფისა და წყალობად ჩუენდა მოაქცია...“[81]

1039-40 წლებში ბაგრატ IV-მ ზავი დადო ამირასთან. ამ ამბავმა ლიპარიტი დიდად აღაშფოთა. „შეიქმნა ლიპარიტ ქვეგამხედვარად თავის პატრონისაგან“.[82] ბიზანტიამ მყისვე გამოიყენა თავისი ერთგული ლიპარიტის უკმაყოფილება. მდგომარეობა კვლავ დაიძაბა, რის გამოც 1040-41 წლებში მიქაელ V-ის დროს (1041-42) „კვალად აღეტყნეს ჩვენ ზედა ბერძენნი და მთა ყოველი აღძრეს, დიდებულნი ყოველნი განდრიკნეს“,[83] მაგრამ მიქაელ მეფეს ქართველთა მხარე დაუჭერია, შესაძლოა, ლიპარიტის გავლენით.

მემატიანის მიერ თქმული „მთა ყოველი აღძრეს“ გულისხმობს იმას, რომ მთელი მთაწმიდის ბერები ქართველთა წინააღმდეგ აღძრულან. ეს გვაფიქრებინებს, რომ ქართველებს, მართლაც, მწვალებლობას, ანუ მართლმადიდებლობისაგან განდრეკას აბრალებდნენ, სხვა შემთხვევაში მთელი მთაწმიდა ერთი მონასტრის საწინააღმდეგოდ არ აღიძვროდა.

1041-42 წლებში ივერთა მონასტრის წინამძღვარია მამა სვიმეონი.[84] მის დროს ივერონი შედარებით დამშვიდებული იყო, მაგრამ გადატანილით შეჭირვებულ ქართველ ბერებს „ჟამთა სვიმეონ მამისადთასა“,[85] დაუწერიათ მოსახსენებელი, სადაც წყევლიან ყველა შინაგამცემ ქართველს. მათ ეს საბუთი შუდგენიათ არა მარტო თავისი, არამედ ბიზანტიის იმპერიაში მცხოვრები ყველა ქართველი ბერის სახელითაც. ჩანს, ბიზანტიაში მცხოვრები ყველა ქართველი ბერი ერთ დღეში იყო, ქართველები ყველგან იდევნებოდნენ: „...ერთითა ერთობითა ამას ვიტყჳ ვითარცა ერთისა პირითა ყოველთა ქართველთა თანა, რომელნი სადაცა არიან აღმოსავლეთისა და შავისა მთისა და იერუსალემისათა და სადაცა არიან ძმანი ჩუენნი“.

მთელ იმპერიაში ქართული ეკლესია დევნილია; იგი ბიზანტიის იმპერიასთან მებრძოლი ხალხის ეკლესიაა, ამიტომაც მიიჩნევა „მწვალებელთა“ ეკლესიად; მისი ავტოკეფალია საეჭვოა, საპატრიარქო ღირსება – მიუღებელი, ხოლო ამ ეკლესიის წევრები – დევნილი.

ქართული ეკლესიის საპატრიარქო ღირსების აღიარება 1054-1057 წლებში

X საუკუნის შუა წლებიდან ბიზანტიის იმპერია, განიცდიდა რა აღმავლობას, საქართველოსა და მისი ეკლესიის მიმართ ამჟღავნებდა აგრესიულ ზრახვებს. სწორედ ამ პერიოდში მან არაბებს წაართვა ზემო მესოპოტამია, მცირე აზიის ნაწილი, სირია, კრეტა და კვიპროსი; 1018 წელს დაიპყრო დასავლეთ ბულგარეთის სამეფო; მას ემოჩილებოდა, აგრეთვე, ბალკანეთის ნახევარკუნძული დუნაიმდე. ასეთი ძლიერების დროს იმპერიამ თავის გვერდით ვერ იგუა საქართველოს გაერთიანებული სამეფო და მისი საპატრიარქო.

XI საუკუნის მეორე ნახევარში სრულიად შეიცვალა ბიზანტიის როგორც საგარეო, ისე საშინაო მდგომარეობა. ამ დროს იმპერია კრიზისს განიცდიდა. გამწვავდა ბრძოლა ქვეყნის შიგნით პროვინციელ დიდებულებსა და დედაქალაქის წარჩინებულებს შორის. გაუარესდა იმპერიის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა. მთავრობას ერთდროულად უხდებოდა პაჭანიკებისა და თურქ-სელჯუკების მოგერიება. 1071 წელს მანციკერტის ბრძოლაში ბიზანტიის დამარცხების შემდეგ თურქ-სელჯუკებმა მცირე აზიის დიდი ნაწილი მიიტაცეს, დიდი დანაკლისი განიცადა ბიზანტიამ დასავლეთშიც.[86]

სწორედ ამით იყო გამოწვეული, რომ XI საუკუნის 50-იან წლებში ბიზანტიის იმპერიამ გადასინჯა თავისი დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოსადმი, რადგანაც მსოფლიო პოლიტიკის არენაზე გამოსულმა ახალმა ძალამ – თურქულმა ტომებმა, მკვეთრად შეცვალა საერთაშორისო ვითარება. ამ ტომებმა გადალეკეს ბიზანტიის აღმოსავლეთი ქვეყნები, დაიპყრეს ირანი, ხელში ჩაიგდეს სომხეთის უდიდესი ნაწილი, შეესივნენ და დაიპყრეს ბიზანტიის ქალაქები და დასახლდნენ იქ. ყველაფერი ეს ხდებოდა სულ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, XI საუკუნის დასაწყისიდან, რის გამოც 1074 წლის ხელშეკრულებით ბიზა-

ტიელებმა აღმოსავლეთის ქვეყნების უდიდესი ნაწილი, რომელიც მათ მფლობელობაში იმყოფებოდა, თურქ-სელჯუკებს დაუთმეს.

თურქ-სელჯუკები ბიზანტიის იმპერიას წალეკვით ემუქრებოდნენ. XI საუკუნის 50-იან წლებში ეს უკვე ნათლად გამოიკვეთა, ამიტომაც, თუ ამ დრომდე ბიზანტია ვარაუდობდა, რომ თურქებს თვითვე გაუმკლავდებოდა და მოიგერიებდა მის შემოტევას, ახლა უკვე ნათელი გახდა, რომ ბიზანტიას სჭირდებოდა თავის მეზობლად ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფო, რომელიც იმპერიას დაიცავდა ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან არაქრისტიან თურქთა შემოტევისაგან. ეს იყო მიზეზი საქართველოს მიმართ ბიზანტიის დამოკიდებულების შეცვლისა. თუ XI საუკუნის დასაწყისში ბიზანტია ეომებოდა და ასუსტებდა საქართველოს, 50-იანი წლებიდან ის მომხრეა საქართველოს გაძლიერებისა. ამან გადაწყვიტა მთავარ ლიპარიტ ერისთავის ბედი, როგორც პოლიტიკური მოღვაწისა, რომელსაც თავის დროზე იმპერია აძლიერებდა საქართველოს სამეფოს დაძაბუნების მიზნით.

ბრძოლა ბაგრატ IV-სა და ერისთავ ლიპარიტს შორის 10 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. ლიპარიტმა ბერძნების დახმარებით ძალზე დაასუსტა საქართველოს მეფე, მიუხედავად ამისა, საქართველოს სახელმწიფო ძლიერდებოდა და ფართოვდებოდა. 1045 წელს მას ანისი შეუერთდა. „...განძლიერდა ბაგრატ მეფე ... ანისი მოსცეს დედასა ბაგრატისასა“,[87] 1046 წელს სახელმწიფოს დროებით თბილისიც შეუერთდა.

ლიპარიტთან ომში დაუძლურებულმა ბაგრატ IV-მ გადაწყვიტა ბიზანტიასთან შერიგებისა და სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის თვითვე ჩასულიყო კონსტანტინოპოლში. მას თან ახლდა დედამისი მარიამი – სახელოვანი დიპლომატი. ამ დროს იმპერატორი იყო კონსტანტინე მონომახი (1042-1055).

კონსტანტინე მონომახს ქართველი მეფე და დედოფალი დიდებითა და პატივით მიუღია, მაგრამ ბაგრატ IV 3 წლის მანძილზე უკან არ გამოუშვეს. „...დაყო მუნ სამი წელიწადი დიდსა დიდებასა და პატივსა შინა“.[88]

გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებიდან ჩანს, რომ კონსტანტინე მონომახთან ბაგრატ IV-სა და მარიამ დედოფალს ძალზე ახლო, თითქმის ოჯახური ურთიერთობა აქვთ. იმპერატორი ამ დროს კონსტანტინოპოლში მყოფ გიორგი მთაწმიდელის მიმართაც კარგად იყო განწყობილი. მეფემ მისი თხოვნით ივერონის მთავარი ტაძარი ტყვიით გადაახურვინა.

ახალ ეპოქაში ბიზანტიას სჭირდებოდა ერთგული, მასზე დამოკიდებული, მისი გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყანა. თურქების გამოჩენის გამო ბიზანტიასთან დაზავება საქართველოს ინტერესებსაც შეადგენდა.

სამწლიანი მოლაპარაკება 1054-1057 წლებში დამთავრდა სამშვიდობო ზავით, რომელიც აღარასოდეს დარღვეულა შემდგომ საუკუნეთა მანძილზე. ამის შემდეგ საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთდამოკიდებულება მეგობრულია და განსხვავდება XI საუკუნის I ნახევრისაგან, როდესაც 1021 წელს დაწყებული ომი, 1030-1031 წლებამდე მიმდინარეობდა და გახსნილი იყო ფრონტი სამხრეთ საქართველოში. მაშინ ბიზანტია ეხმარებოდა საქართველოს ერთიანობის მტრებს.

ლიპარიტს ყოველი შებრძოლებისას მეფის, ბაგრატ IV-ის, წინააღმდეგ იმპერია უჭერდა მხარს: „...ბერძენთა მეფისა განძი და ლაშქარი შემწე იყო“, [89] ანდა ლიპარიტმა „...ნახა ბერძენთა მეფე, და მოირთო ბერძენთა მეფისაგან ძალი...“[90] მაგრამ ზავის დადებისა და ბაგრატის საქართველოში დაბრუნებისთანავე, ლიპარიტი შეიპყრეს და დასაჯეს. მოლაპარაკების შემდეგ ბერძნები მას აღარ ეხმარებოდნენ. თვითონ ბაგრატ IV კი კონსტანტინოპოლმა „...წამოავლინა დიდითა დიდებითა და ნიჭითა“.

მოლაპარაკებას, რომელსაც აწარმოებდა ბაგრატ IV კონსტანტინოპოლში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს საპატრიარქოსათვის. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთა მიზანი მოლაპარაკების დროს ბიზანტიასა და საქართველოს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის გარდა იყო საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო უფლებების ცნობა, როგორც ბიზანტიის სახელმწიფოს, ასევე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ.

საქართველოს დელეგაცია მოლაპარაკებისას ფრიად წარმომადგენლობითი იყო. კონსტანტინოპოლში „ბაგრატ აფხაზთა მეფე და დედა მისი მარიამ“ ჩაბრძანდნენ „მთავრებისა და წარჩინებულების“ თანხლებით. დელეგაციას საეკლესიო საქმეებიც უნდა მოეგვარებინა, ამიტომაც ათონის მთიდან ჩამოვიდა იმ დროის ყველაზე დიდი ავტორიტეტი ეკლესიისა – გიორგი მთაწმიდელი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო დელეგაციის მუშაობაში: „მას ჟამსა ოდეს ღვთისმსახური ბაგრატ აფხაზთა მეფე და დედა მისი მარიამ დედოფალი სამეფოდ ქალაქად მოვიდეს, აღვიდა წმიდაცა ესე მამა ჩუენი წინაშე ღვთისმსახურთა მათ მეფეთადა“.[91]

პირველი წარმატება, რასაც დელეგაციამ მიაღწია, იყო ის, რომ შეწყდა ქართველი ბერების სასტიკი დევნა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში, კერძოდ კი, ივერონში. ამ დროს გიორგი მთაწმიდელმა „ყოველივე საქმე მონასტრისა, რაოდცა უნდოდა, ყოველი კეთილად იურვა...“[92]

ბიზანტიის საიმპერატორო კარი, განსხვავებით კონსტანტინოპოლისა და სხვა საპატრიარქოთაგან, პრინციპულად არასოდეს ყოფილა წინააღმდეგი ქართული ეკლესიის საპატრიარქო ეკლესიად გამოცხადებისა.

წინა წლებში, ბიზანტიისა და საქართველოს, როგორც მშვიდობიან, ისე დაძაბულ პერიოდებშიც, იმპერატორები იღებდნენ და ღირსეულ პატივს სცემდნენ საქართველოს პირველ კათალიკოს-პატრიარქ მელქისედეკ I-ს. 1054-57 წლების მოლაპარაკების დროს საქართველოს საპატრიარქო უკვე თითქმის ნახევარი საუკუნის ისტორიას ითვლიდა; საუკუნის დასაწყისიდან ქართულ ეკლესიას პატრიარქები მართავდნენ. ამიტომაც, იმ დროს ქართული ეკლესიის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღიარება თავისთავად ნიშნავდა ფაქტობრივად უკვე არსებული საპატრიარქო ღირსების იურიდიულ ცნობას. საქართველოს ეს მოთხოვნა ბიზანტიის მხარეს გაუთვალისწინებია და დაუკმაყოფილებია.

კონსტანტინე მონომახის დროს, 1054 წელს, ანტიოქიაში პეტრეს პატრიარქობისას, დელეგაციის ორი წევრი, მარიამ დედოფალი და გიორგი მთაწმიდელი, საეკლესიო საკითხებზე მოლაპარაკებისათვის კონსტანტინოპოლიდან გაემგზავრნენ ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოებში.

კონსტანტინე მონომახი დაინტერესებული იყო დადებითად გადაჭრილიყო ყოველი სადავო და მათ შორის საეკლესიო საკითხი ორ ქვეყანას შორის. ამიტომაც მან „სამეუფო ბრძანება“ გაგზავნა ანტიოქიაში.

მარიამ დედოფალმა ანტიოქიის საპატრიარქო კარზე წინასწარ წარადგინა გიორგი მთაწმიდელი, რომელსაც უნდა შეემზადებინა საპატრიარქო კარი დელეგაციის მისაღებად.

იმპერატორის მითითებით ანტიოქიის საპატრიარქოში მარიამ დედოფალი სამეფო დიდებით მიიღეს. პატრიარქ პეტრე III-ს დედოფალმა წარუგდგინა იმპერატორის საგანგებო მითითება. ანტიოქიის პატრიარქ პეტრე III-თან მოლაპარაკების შემდეგ დედოფალი იერუსალიმის საპატრიარქოში უნდა გამგზავრებულიყო. ამის შესახებ იცოდა იმპერატორმა და დედოფლის უსაფრთხო მგზავრობისათვის ზრუნვა დაავალა ანტიოქიის პატრიარქ პეტრე III-ს. „...მარიამ დედოფალი, დედა ბაგრატის მეფისა სამეუფოჲთ ქალაქად ანტიოქიად მოვიდა... აქუნდა ბრძანება სამეუფო თავადსა თანა და პატრიარქსა ანტიოქიისა...“, ხოლო ამის შემდეგ „...ეგულებოდა წარსვლა წმიდად ქალაქად იერუსალიმად...“ ნაბრძანები იყო, რომ ანტიოქიის საპატრიარქოდან ის „...ყოვლითა დიდებითა და პატივითა წარგზავნონ“.[93]

ქართული დელეგაციის წევრები ანტიოქია-იერუსალიმში რომ ჩავიდნენ მოლაპარაკებისათვის, იქიდანაც ჩანს, რომ ანტიოქიის პატრიარქ პეტრე III-ს გიორგი მთაწმიდელთან საგანგებო საუბრები ჰქონდა „კანონთათჳს საეკლესიოთა“ და აგრეთვე „სარწმუნოებისათჳს მართლისა“. თუ გავითვალისწინებთ ქართული ეკლესიის იმდროინდელ დევნას, საუბარი სწორედ მის სხვადასხვა უფლებებს შეეხებოდა.

სწორედ ანტიოქიის პატრიარქ პეტრე III-ის დროს ქართული ეკლესიის სხვადასხვა უფლების აღიარება ცნობილი იყო მრავალი უცხოელი მკვლევარისთვის. მაგალითად, XVII საუკუნის იერუსალიმელი პატრიარქების თანახმად, ანტიოქიის საპატრიარქომ ავტოკეფალია მიანიჭა ქართულ ეკლესიას. მაგრამ მათი მსჯელობა ქართული ეკლესიის ისტორიის მცოდნეთათვის სრულიად მიუღებელია, რადგანაც, როგორც დოსითეოსი, ისე ხრისანფი ფიქრობენ, რომ პეტრე III-ის დროს ავტოკეფალია მიიღო აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიამ, ხოლო დასავლეთ საქართველოს ეკლესიას იგივე უფლებები განუმტკიცდა გაცილებით ადრე, VIII საუკუნეშიო.[94]

სინამდვილეში არათუ აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ მთლიანი საქართველოს (მცხეთის) ეკლესია, ანტიოქიის საპატრიარქოსთან მოკამათე გიორგი მთაწმიდელის თანახმად, ავტოკეფალური იყო მოციქულთა მიერ დაარსებისთანავე, I-II საუკუნეებიდან. გიორგი მთაწმიდელის აზრით, ქართულ ეკლესიას არ ესაჭიროება არავისაგან ავტოკეფალიის დასტური, პირიქით, სამოციქულო ქართული ეკლესია თავად იყო უცხოეთის ეკლესიათა ეპისკოპოსების მაკურთხებელი, მაგალითად, გუთეთის ეპისკოპოსისა იოანესი VIII საუკუნეში.

XI საუკუნეს, მრავალი მკვლევარი ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების საუკუნედ თვლის, რადგანაც იციან, რომ ამ დროს ანტიოქიაში პეტრე III-ის პატრიარქობისას ჩატარდა კრება, რომელმაც აღიარა ქართული ეკლესიის უფლება, მაგრამ ამ დროს ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია კი არ მიანიჭეს,

არამედ აღიარეს მისი საპატრიარქო ღირსება. ასეთი აზრი ჯერ კიდევ ადრევე გამოუთქვამთ, მაგალითად, კოროლევსკის, რომელთან დაკავშირებითაც სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმე წერს: „ანტიოქიის ეკლესიის მიერ ქართული ეკლესიის მიმართ ავტოკეფალიის განსაზღვრა წარმოიშვა იმ მიზეზით, რომ ერთ-ერთმა კათალიკოსმა თვითნებურად მიიკუთვნა პატრიარქის პატივი“.[95]

ცხადია, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება თავისთავად ნიშნავდა უკვე არსებული საპატრიარქო ღირსების ცნობას, მაგრამ 1054-1057 წლებში ბიზანტიის საპატრიარქოებში ჩატარებული კრებები შეეხებოდა არა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას, არამედ ამ კრებებზე გადაწყდა, შეწყვეტილიყო ქართული ეკლესიის უკანონო დევნა, ქართველი ბერების არამართლმადიდებლებად და მწვალებლებად გამოცხადება. კრებებმა აღიარეს ქართული ეკლესიის ყველა უფლება, რომელიც კი მას გააჩნდა წინათ, ამ დევნის დაწყებამდე, მათ შორის საპატრიარქო ღირსებაც.

ანტიოქიაში მოლაპარაკების შედეგებმა ქართველ დიპლომატებს უჩვენა, რომ აღარ იყო საჭირო იერუსალიმში უმაღლესი ხელისუფლის – დედოფალ მარიამის გამგზავრება. იერუსალიმის საპატრიარქოში გიორგი მთაწმიდელის ჩასვლაც საკმარისი აღმოჩენილა. პატრიარქმა პეტრე III-მ სთხოვა დედოფალ მარიამს, არ გამგზავრებულიყო მაჰმადიანების მიერ დაპყრობილ ქალაქში: „...პატრიარქმან და მთავარმან განიზრახეს და გაიგონეს თანაზრახვითა მამისა გიორგისათა, ვითარმედ – „არა კეთილ არს, აღმოსავლეთისა მეფეთა დედა რაადთამცა სასარკინოზეთს წარვიდა – ვინაადგან ცოდვათა ჩუენთაგან იგინი უფლებენ ქუეყანასა მას“.[96]

პატრიარქმა პეტრე III-მ და ანტიოქიის მთავარმა თავიანთი თხოვნა „...მოახსენეს დედოფალსა და წასვლისაგან დააცხვრეს...“[97]

იერუსალიმში საეკლესიო საკითხებზე მოლაპარაკებისათვის გაემგზავრა გიორგი მთაწმიდელი, მარიამ დედოფალმა ამასთანავე გიორგი მთაწმიდელის ხელით დიდძალი თანხა-შეწირულებანი გაგზავნა – დააფინანსა ჯვრის ქართული მონასტრის მშენებლობაც.

გიორგი მთაწმიდელი იერუსალიმში „მშვიდობითა და უვნებლად მიიწია“, შეხვდა ეკლესიის მამებს, „წმიდათა მამათა ლოცვა მიიღო“.

გიორგი მთაწმიდელის დაბრუნების შემდეგ ანტიოქიასა და იერუსალიმში მოლაპარაკებების შედეგებით მარიამ დედოფალი ღრმად კმაყოფილი ყოფილა, დელეგაციის წარმატებებმა „ღვთისმსახური იგი დედოფალი განამხიარულა“.

ანტიოქიის საპატრიარქოში ვიზიტის შემდეგ მარიამ დედოფალი საქართველოში დაბრუნდა – „...მამულად თჳსად სამეუფოდ ძისა თჳსისა თანა ბაგრატ მეფისა წარვიდა“.[98]

გიორგი მთაწმიდელი დარჩა ანტიოქიაში და გააგრძელა მოლაპარაკება პატრიარქ პეტრე III-სთან. ამ წმიდა მამის ანტიოქიაში დარჩენა მიზნად ისახავდა ქართული ეკლესიის საკითხების საფუძვლიან და საბოლოო მოგვარებას ანტიოქიის საპატრიარქოში. გიორგი ათონელმა ეს შეძლო 1056-57 წლებში.

შექმნილი რთული ვითარების გამო მსოფლიო ქრისტიანობა დასუსტებული იყო, რამაც 1054 წელს გამოიწვია რომისა და კონსტანტინოპოლის მიმდგომ ბერძნულ

ეკლესიებს შორის განხეთქილება. ამას თან დაერთო მუსლიმანთა შემოსევები აღმოსავლეთიდან. განხეთქილება და დაბნეულობა სუფევდა ბერძნულ საპატრიარქოთა შორისაც, ასევე ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ ბიზანტიის იმპერატორთა კარი და კონსტანტინოპოლის პატრიარქი. ასეთ დროს საპატრიარქოებში ხშირად იღებდნენ ურთიერთგამომრიცხავ დადგენილებებს, ამიტომაც მოსალოდნელი იყო მარიამ დედოფალთან შეხვედრისას მიღებული დადგენილება ანტიოქიის საპატრიარქოში შეცვლილიყო. ასეთ ვითარებაში გიორგი მთაწმიდელი ხშირად ხვდება ანტიოქიის პატრიარქ პეტრეს. „...ეუწყა მოქალაქობა მისი ნეტარსა პატრეარქსა ანტიოქიისასა, მოუწოდა და ეზრახა საღმთოთა წერილთაგან მრავალ-სახედ: პირველად სარწმუნოებისათჳს მართლისასა და კანონთათჳს საეკლესიოთა...“[99]

გიორგი მთაწმიდელსა და პეტრე III-ს ჰქონდათ მსჯელობა „საეკლესიო კანონთა“ შესახებ. საეკლესიო კანონებში შედის მრავალი საეკლესიო საკითხი, მათ შორის საკითხი რომელიმე ეკლესიის საპატრიარქო ეკლესიად წოდების ღირსების შესახებ. იმ დროს ქართული საპატრიარქო თავისი არსებობის თითქმის ნახევარ საუკუნეს ითვლიდა. ამიტომაც შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით უნდა ვიგულისხმოთ, რომ „საეკლესიო საკითხებზე“ მსჯელობისას საუბარი ეხებოდა არა რომელიმე განყენებულ, არამედ აქტუალურ თემას. უთუოდ წმიდა მამა გიორგი იცავდა საქართველოს საპატრიარქოს ღირსებას. მოღწეულ წყაროთა გაანალიზების შედეგად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საუბრები არ შეეხებოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს, რადგანაც გიორგი მთაწმიდელის თანახმად, ქართული ეკლესია ავტოკეფალური იყო მოციქულთა მიერ მისი დაარსებისთანავე I-II საუკუნეებიდან. ის ავტოკეფალიის საკითხზე მსჯელობისას ძალზე ლაკონურ, მოკლე და ამომწურავ პასუხებს აძლევდა და ამ თემაზე არ საუბრობდა ხანგრძლივად. ამიტომაც, პეტრე III-სთან მისი ხანგრძლივი საუბრები სწორედ ქართული ეკლესიის საპატრიარქო ღირსებას შეხებოდა. გარდა ამისა, მათ მსჯელობა ჰქონიათ „მართალი სარწმუნოების“ შესახებ. იმ დროისათვის, თითქმის 30 წლის მანძილზე, ბერძნებს ეჭვი შეჰქონდათ ქართველების მართლმადიდებლობაში.

გიორგი მთაწმიდელს, მას შემდეგ, რაც პეტრე III დაურწმუნებია, რომ ქართული საპატრიარქოს შექმნა არ ეწინააღმდეგებოდა „საეკლესიო კანონებს“ და რომ ამ ახალი საპატრიარქოს შექმნით არ დარღვეულა „მართალი სარწმუნოება“, ანტიოქიის პატრიარქი თავისთან იახლოებს. პატრიარქი მოხიბლულა გიორგი მთაწმიდელის სულიერი სიმაღლითა და ცოდნით, ამიტომაც ის ანტიოქიის საპატრიარქოს საქმეების მოგვარებასაც კი ქართველ ბერს ანდობდა, თავის პირად ცხოვრებასაც მას უზიარებდა: „...ყოველი ცხოვრება თვისი მას შეჰვედრა და მას ჰკითხავნ გულისიტყუათა და ყოველსავე საეკლესიოთა საქმეთა“.[100] პეტრე III ძლიერი „სიყვარულითა და სარწმუნოებითა აღსავსე“ ყოფილა გიორგი მთაწმიდელის მიმართ.

ანტიოქიის მთავარი ტაძრის დაწვის შემდეგ, ძლიერ დამწუხრებულ პატრიარქ პეტრე III-ისთვის ერთადერთი უახლოესი მეგობარი და ნუგეშინისმცემელი გიორგი მთაწმიდელი ყოფილა. „...სწავლითა სულიერითა ყოველი მწუხარება და გლოვა მისი განაქარვა“. მადლიერ პატრიარქს ბერისთვის უთქვამს: „უკუეთუმცა სიწმიდე

შენი არა მომაშურალ იყო, ჰოი წმიდაო მამაო კნინღამცა და მწუხარებათა მიერ ჯოჯოხეთად შთასულ სული ჩემი“.[101]

ანტიოქიის პატრიარქ პეტრე III-სა და გიორგი მთაწმიდელის ასეთ დამოკიდებულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული ეკლესიის საპატრიარქო ღირსების აღიარების დროის განსაზღვრისათვის. სწორედ ანტიოქიის პატრიარქის პეტრე III-ის დროს ანტიოქიის საპატრიარქომ იურიდიულად ცნო ქართული საპატრიარქოს ფაქტობრივი არსებობა. ამის შესახებ არსებობს არაპირდაპირი მონაცემები, ცნობილმა კანონისტმა ბალსამონმა იცის ის, რაც მას მოუსმენია: „ამბობენ, რომ მაშინ, როდესაც ღვთაებრივი ქალაქის, დიდი ანტიოქიის უწმიდეს პატრიარქად იყო უფალი პეტრე, გამოტანილი იქნა კრების დადგენილება, რომ იქნეს თავისუფალი და ავტოკეფალური ეკლესია იბერიისა, რომელიც მაშინ ექვემდებარებოდა ანტიოქიის პატრიარქს“.[102]

მკვლევარები ვარაუდობენ, რომ რადგანაც ბალსამონს ეს ამბავი მოუსმენია, ამიტომაც ეს კრება ბალსამონამდე არცთუ დიდი ხნის წინათ ჩატარებულა, რადგანაც ამ მოღვაწის უახლოესი პატრიარქი პეტრეს სახელით იყო პეტრე III. ამიტომაც მიიჩნევენ, რომ ბალსამონის მიერ აღწერილი კრება გულისხმობს 1056 წლის კრებას. 381 წლის მსოფლიო კრების მე-2 კანონის კომენტარის დროს ბალსამონი წერს რამდენიმე ეკლესიის და მათ შორის იბერიის ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. ბალსამონის თანახმად, რომის იმპერიაში IV საუკუნისათვის ავტოკეფალური იყო ყველა პროვინციისა და დიოცეზის ეკლესია, ე.ი. ბალსამონის თანახმად, რომის იმპერიაში 100-მდე ავტოკეფალური ეკლესია იყო, რადგანაც ასეთივე იყო პროვინციათა რიცხვი.[103] „ისტორია ნათელყოფს, რომ II მსოფლიო კრების დროს თავისთავადნი, ავტოკეფალურნი იყვნენ ეკლესიები რომის ყველა პროვინციაში თუ არა (ასეთი პროვინცია იყო 100), ყოველ შემთხვევაში, იმპერიის 14 დიოცეზში მაინც (იმპერიაში 14 დიოცეზი იყო).[104]

ბალსამონის თანახმად, იბერიის ეკლესია ავტოკეფალური იყო IV საუკუნეშივე, რადგანაც მისი აზრით, ყველა სახელმწიფოებრივი ერთეულის ეკლესია ამ დროისათვის ავტოკეფალური იყო. თვით იმპერიაშიც კი, პროვინციათა ეკლესიები ავტოკეფალურნი იყვნენ, მით უმეტეს, იმპერიის გარეთ მყოფი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ეკლესია ავტოკეფალურია. II მსოფლიო კრების მე-2 კანონიც იმპერიის გარეთ მყოფ „ბარბაროსული“ ქვეყნების ეკლესიებს ავტოკეფალიას ანიჭებდა: „...ხოლო ბარბაროზებრთა წარმართთა შორის მყოფთა ეკლესიათა ღმრთისათა განგებაჲ ჯერ არს მამათა მიერ დამტკიცებულისაებრ ჩვეულებისა“,[105] ეს კანონი საერთოდ ეკლესიათა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობასა და ავტოკეფალიას იცავდა.

ჩანს, ბალსამონს იბერიის ეკლესია ავტოკეფალურ ეკლესიად მიაჩნდა II მსოფლიო კრების დროისათვის, ამიტომაც ამ კრების მე-2 კანონის კომენტირებისას ის წერს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. მიუხედავად ამისა, მან იცის, რომ ანტიოქიის პატრიარქ პეტრეს დროს ამ საპატრიარქოს კრებამ იმსჯელა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. მას არ შეეძლო ეფიქრა, რომ ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია მიანიჭა პეტრე III-მ, რადგანაც მისი აზრით, XI საუკუნეში

ქართული ეკლესიის ავტოკეფალია უკვე ითვლიდა რამდენიმე საუკუნეს. მაგრამ ბალსამონს გაუგონია, რომ XI საუკუნეში ანტიოქიის საპატრიარქოში ჩატარებულა რაღაც კრება, რომელსაც ქართული ეკლესიის ერთი რაღაც უფლება იურიდიულად უცვნია. მართლაც, 1056 წელს პეტრე III-ის დროს ჩატარებულმა ანტიოქიის საეკლესიო კრებამ აღიარა ქართული ეკლესია ჭეშმარიტად მართლმადიდებელთა ეკლესიად, ამიტომაც შეწყვიტა ქართული ეკლესიისა და მისი ბერების დევნა. გარდა ამისა, ამ დროს აღიარებულ იქნა ქართული ეკლესიის ყველა უფლება, მათ შორის საპატრიარქო ღირსებაც.

პეტრე III-ის დროს ჩატარებული საეკლესიო კრების შესახებ მრავალი ისტორიკოსი მიუთითებს. მრავალს ეს კრება მიაჩნია ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების კრებად, რაც არასწორია. ამ კრებამ შეწყვიტა ქართული ეკლესიის 30-წლიანი უკანონო დევნა და აღიარა მისი უფლებები.

ამ კრების შემდეგ პეტრე III-ს დიდხანს არ უცოცხლია. ის 1057 წელს გარდაიცვალა. გიორგი მთაწმიდელი შეხვდა ახალ პატრიარქ თეოდორეს (თეოდოსი) (1057-1076). ამ დროს ბიზანტია-საქართველოს შორის სამწლიანი საზავო მოლაპარაკება (1054-57 წლებისა) ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო და ქართველი მეფე ბაგრატ IV ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა, თუმცა ბიზანტიის სამეფო კარმა 1054 წელსვე ინება შეწყვეტილიყო ქართული ეკლესიის საზოგადო დევნა, რაც დაადასტურა 1056 წლის ანტიოქიის კრებამ. მაგრამ ამ დევნის რეციდივები 1057 წლისათვის მაინც არსებობდა, რადგანაც ქართველებს მწვალებლობას, კერძოდ კი, მონოფიზიტურ მწვალებლობას სწამებდნენ და თითქმის 30 წლის მანძილზე დევნიდნენ. ამიტომაც ზავის დადებისას ბიზანტია-საქართველოს შორის მოლაპარაკების პერიოდში ზოგჯერ ინერციით კვლავ მეორდებოდა ეს მოვლენები. ასე მომხდარა 1057 წელს ანტიოქიაში მდებარე სვიმონწმიდის მონასტერში, სადაც ბერძნებთან ერთად ქართველებიც მოღვაწეობდნენ. ქართველების დევნა იმ დროს, კერძოდ 1056 წლის ანტიოქიის კრების შემდეგ აკრძალული იყო, ამიტომაც თავიანთ მოქმედებას ბერძნები ასე ასაბუთებდნენ: „არ ვუწყით, თუ ქართველნი არიან ანუ სომეხნი“,[106] ე.ი არ ვიცით დიოფიზიტები არიან თუ მონოფიზიტებიო. აქ „ქართველნში“ და „სომეხნში“ იგულისხმებიან არა ეროვნებით ქართველები და სომხები, არამედ სარწმუნოებრივად „ქართველები“ და სარწმუნოებრივად „სომხები“ ანუ დიოფიზიტები (მართლმადიდებლები) და მონოფიზიტები (მწვალებლები). მართალიაო, ამბობდნენ სვიმონწმიდელი ბერძნები, უცხო ბერები „...ქართველებად სახელ-იდებდნენ თავთა თჳსთა, და არა უწყით თუ რასა ზრახვენ, ანუ რაჲ არს სარწმუნოება მათი...“[107] ე.ი. უცხოელი ბერები ეროვნებით, მართალია, ქართველებად აცხადებდნენ თავიან თავს, მაგრამ სარწმუნობით შეიძლება „სომეხნი“ არიანო. ეროვნებით ქართველი, მაგრამ სარწმუნოებით „სომეხი“, ანუ მონოფიზიტი ქართველების მონასტერში საეჭვო ყოფნის შესახებ მოახსენეს ანტიოქიის ახალ პატრიარქს, თეოდორეს. ის დარწმუნებული ყოფილა ქართველების მართმადიდებლობა-დიოფიზიტობაში, ამიტომაც ამ ბრალდების მოსმენას ძლიერ გაუოცებია და უკითხავს: „და ვითარ ეგების ესე, რათამცა ქართველნი არა მართლმადიდებელნი იყვნეს?“[108]

მაგრამ სვიმონწმიდელები არწმუნებდნენ მას და მაგალითიც მოუყვანეს: „...ვერცა ხუცესი მათი ჟამსა წირავს მონასტერსა შინა ჩუენსა“, მართლაც, თურმე იმ დრომდე მცირე ხნით ადრე, ავტორის ცნობით, ქართული წირვის წესი განსხვავებული ყოფილა ბერძნული წირვის წესისაგან. კერძოდ, ქართველები წირავდნენ ქალამნითა და საბეჭურით, სამღვდელო შესამოსლის გარეშე.[109] მაგრამ არა მონოფიზიტობის გამო, არამედ ქართული ეკლესიის გაეროვნულებისა და ეკლესიაში უძველესი წესების შემორჩენის გამო. ასეთი ყოფილა წირვის ძველი წესი, რომელიც ბერძნული თარგის შესაბამისად, შეუსწორებიათ XI საუკუნის დასაწყისში, მაგრამ საქართველოს „სოფლურ ადგილებში“ კვლავ ძველებური წესი დარჩენილა. როცა პატრიარქს გაუგია, რომ ქართული წირვის წესი განსხვავდებოდა ბერძნულისაგან ანუ „მართლმადიდებლურისაგან“, ძლიერ განცვიფრებულა. განცვიფრებული პატრიარქისათვის კვლავ მრავალი არასწორი ცნობა მიუწვდიათ და დაუჭვებიათ კიდეც ქართველთა არამართლმადიდებლობაში. ამის მიზეზი ისიც ყოფილა, რომ „ახალ-შემოსული“ პატრიარქი „...წუთ უმეცარ იყო ნათესავისა ჩუენისა...“. სწორედ ამ მიზეზით საპატრიარქო კარზე მიიწვიეს გიორგი მთაწმიდელი.

პატრიარქმა თეოდორემ იცოდა, რომ გიორგი მთაწმიდელი ანტიოქიაში ქართული ეკლესიისა და მეფის წარგზავნილი დიპლომატი იყო. იცის, რომ ის მეფეს წერილებს სწერს და მეფე მისი რჩევის შესაბამისად იქცევა. პატრიარქი ეუბნება მას: „...გისმენს მეფე თქუენი, უკეთუ მიუწერო და აუწყო უმჯობესი...“.[110] პატრიარქი გაესაუბრა მას და დარწმუნდა მის ღრმა განსწავლულობაში, რის გამოც თქვა: „დაღაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, სხვითა კულა ყოვლითა სწავლულებითა სრულიად ბერძენი ხარ“.[111] მართალია, აქ „ბერძენი“ ეროვნებით ბერძენს ნიშნავს, მაგრამ ხშირად „ბერძენი“ მართლმადიდებლის იდენტური იყო. პატრიარქის აზრით, გიორგი მთაწმიდელს სრული მართლმადიდებლური („ბერძნული“) სწავლა აქვს.

როცა ანტიოქიის პატრიარქი დარწმუნდა გიორგი მთაწმიდელის მართლმადიდებლობაში, მისცა ასეთი შეკითხვა: „...მითხარ ნათესავისა შენისათჳს: არსა რაჲ ნაკლულევანებაჲ მართლისა სარწმუნოებისა მათ თანა, გინა ურთიერთას განყოფილებაჲ მართლისა სარწმუნოებისა მათ შორის და ჩუენ შორის?“[112]

კითხვიდან ჩანს, რომ პატრიარქი ქართველებს მიიჩნევს „მართალი სარწმუნოების“ მქონე ერად, მაგრამ ჰგონია, რომ ქართველთა მართლმადიდებლობას გააჩნია რაღაც ნაკლი და ცდილობს გაერკვეს ამაში, კერძოდ, ხომ არ არის თვით ქართველთა შორისვე („ურთიერთას“) სარწმუნოებრივი განსხვავება, ანდა ხომ არ განსხვავდება ქართველთა და ბერძენთა აღმსარებლობა.

გიორგი მთაწმინდელმა წარმოთქვა მრწამსი, რომელსაც იმ დროს აღიარებდა ქართული ეკლესია: „...იწყო წარმოთქუმად მართლისა სარწმუნოებისა ესრეთ, რომელ განაკჳრვა მსმენელნი...“

პატრიარქი და მასთან მყოფი ეპისკოპოსები დარწმუნდნენ, რომ ქართველთა სარწმუნოება უნაკლოა. პატრიარქმა განაცხადა: „...ვიეთნიმე ნაკლულევანებასა სწამებდეს ქართველთა და აჰა ესერა მრავალთა სახითა უზეშთაეს იპოვნეს ჩუენსა და უფროჲს ხოლო ქალწულებითა, რომელი იგი მაღლად უპყრიეს მათ“..[113]

ქართველთა მართლმადიდებლობაში დარწმუნებულმა პატრიარქმა ცილისწამებად გამოაცხადა სვიმონწმიდელი ბერძენი ბერების მოქმედება. მათ 1056 წლის კრების შემდეგ აკრძალული ჰქონდათ ქართველი ბერების დევნა, ამიტომაც 1057 წელს მათ მიერ ხელახლა აღორძინებული დევნისათვის ისინი პატრიარქმა დასაჯა: „ხოლო პატრეარქმან ცუდის-მზრახთა მათ და ამაოთა კაცთა სუმეონწმიდელთა ფრიად შეჰრისხნა და კანონსა ქუეშე საეკლესიოსა შეყარნა და სხუასაცა მრავალსა ძჳრსა უთქუმიდა“.[114]

თუ, 1054 წლამდე, მთელი ბიზანტიის იმპერიაში ქართველი ბერების დევნა ბუნებრივად ითვლებოდა, 1057 წელს იგივე ქმედება მკაცრად ისჯება.

მცირე ხნის შემდეგ ანტიოქიის პატრიარქი კვლავ აღიძრა ქართული ეკლესიის საწინააღმდეგოდ. ახლა უკვე საქმე შეეხო არა სარწმუნოებრივ აღმსარებლობას, არამედ ქართული ეკლესიის თავისუფლება-ავტოკეფალიას. პატრიარქს სურს, გაერკვეს ქართული ეკლესიის სხვადასხვა უფლებებში.

ამ საკითხის გასარკვევად კვლავ მიიწვიეს გიორგი მთაწმიდელი. აქედან ჩანს, რომ გიორგი მთაწმიდელის დიპლომატიური მისია ანტიოქიაში კვლავ გრძელდებოდა. ქართული ეკლესიის მოწინააღმდეგეებმა პატრიარქ თეოდოსის მოახსენეს: „ვითარ ესე მეუფეო, რომელ ეკლესიანი და მღვდელთმოძღვარნი ქართლისანი არა რომლისა პატრეაქისა ხელმწიფებასა ქუეშე არიან და ყოველნი საეკლესიონი წესნი მათ მიერ განეგებიან და თჳთ დაისმენ კათალიკოზთა ებისკოპოზთა და არა სამართალ არს ესე, რამეთუ ათორმეტთა მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქუეყანასა მათსა და ჯერ არს... რაჲთა ხელმწიფებასა ქუეშე ანტიოქიელი პატრეარქისას იმწყსოდინ და აქა იკურთხეოდის კათალიკოსი მათი და ვიყვნეთ ჩუენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“.[115]

აქედან აშკარად ჩანს, რომ ცდებიან ის მკვლევარები, რომლებიც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას ათარიღებენ XI საუკუნის 50-იანი წლებით. ამ დროისათვის ქართული ეკლესია არ ექვემდებარება არც ერთ უცხოეთის პატრიარქს და არ არის რომელიმე საპატრიარქოს ხელმწიფების ქვეშ. ქართული ეკლესია სრულიად დამოუკიდებელია და ავტოკეფალური, რაც იმით გამოიხატება, რომ ნებისმიერი საეკლესიო წესი თვით ქართული ეკლესიის მიერვე განეგება, თვით ქართველი ეპისკოპოსები საქართველოშივე ირჩევენ და სვამენ ქართველ მამამთავარს, რაც პატრიარქისადმი მოხსენებული ცნობიდან ჩანს.

ქართულ ეკლესიას 1056 წელს, პეტრე III-ის დროს რომ მიეღო ავტოკეფალია, 1057 წელს პატრიარქ თეოდოსის სრულებით სხვაგვარად წარუდგენდნენ ამ საკითხს, კერძოდ, მოახსენებდნენ, რომ ქართულმა ეკლესიამ ერთი წლის წინ, პეტრე III-ის დროს მიიღო ავტოკეფალია, რაც შეცდომა იყოო. თეოდოსის დროს კი ქართული ეკლესიის ავტოკეფალია ჩამოყალიბებულია, რაც ჩანს ავტორის მონათხრობიდან. გარდა ამისა, ავტორი, მართალია, საკმაოდ დაწვრილებით საუბრობს პეტრე III-ის შესახებ, მაგრამ არაფერს ამბობს მის მიერ ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭებაზე.

ის, რაც პატრიარქ თეოდოსის მოახსენეს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, მთლიანად ემთხვევა „ქართლის ცხოვრებაში“ მოთავსებულ, ქართული

ეკლესიის მდგომარეობის VII საუკუნით დათარიღებულ აღწერას. VII საუკუნის ბოლოს ქართული ეკლესიის ავტოკეფალია ყოფილა ასეთი სახისა: „...კათალიკოზი ქართლისა ხელქვეით არა არს პატრიაქთა და არა იკურთხევიან პატრიაქთაგან, არამედ თჳსისა სამწყსოსა მიტრაპოლიტთა და მთავარეფისკოპოზთა და ეფისკოპოზთაგან იკურთხევიან, რამეთუ თავისუფალი არს და მოციქულთა მაგიერი და მოციქულთა ტახტსა ზედა მჯდომი და პატრიაქი“.[116]

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ეს განსაზღვრება ძალზე მსგავსია იმისა, რაც პატრიარქ თეოდოსის მოახსენეს.

XI საუკუნეში ბერძნებს შეუთხზავთ თეორია, რომლის მიხედვითაც ავტოკეფალური მხოლოდ ის ეკლესია შეიძლებოდა ყოფილიყო, სადაც მოციქულმა იქადაგა. ანტიოქიელთა აზრით, საქართველოში არ უქადაგნია არც ერთ მოციქულს, ამიტომაც ქართული ეკლესია რომელიმე საპატრიარქოს უნდა დაექვემდებაროს, უმჯობესია ანტიოქიის საპატრიარქოს, რადგანაც ტერიტორიულად ახლოსაა საქართველოსთან. აღსანიშნავია, რომ არ ამბობენ წინათაც ანტიოქიას ექვემდებარებოდა ქართული ეკლესია და ახლაც დაექვემდებაროსო, არამედ ტერიტორიული სიახლოვე მიაჩნიათ მიზეზად.

პატრიარქმა თეოდოსიმ გიორგი მთაწმიდელს განუცხადა: „...ჯერ არს რომელ ეკლესიანი და მღვდელთ-მოძღუარნი თქუენნი ჴელსა ქუეშე სამოციქულოსა ამის საყდრისასა იმწყსოდინ...“,[117] ე.ი. უპრიანი და სამართლიანი იქნება ქართული ეკლესია რომ ანტიოქიის სამოციქულო ეკლესიის მიერ იმწყსებოდესო: „...და ჰმართებსცა ესრეთ მიზეზითა მახლობელობისაჲთა და ესე შენგან შესაძლებელ არს, რამეთუ უწყი, ვითარმედ გისმენს მეფე თქუენი, უკუეთუ მიუწერო და აუწყო უმჯობესი...“[118]

ამის შემდეგ პატრიარქი ემუქრება, რომ კვლავ გააგრძელებს მთელ ბიზანტიის იმპერიაში ქართული ეკლესიის დევნას: „...ხოლო უკუეთუ არა ისმინოს, მიუწერო ოთხთავე პატრიაქთა საყდრის მოდგამთა ჩუენთა და ვაუწყო თჳთ-რჩულობა და ქედფიცხლობა ნათესავისა თქუენისა და ვითარმედ თჳნიერ სამოციქულოჲსა კანონისა თჳთ იმწყსიან და მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქუეყანასა მათსა და ესრეთ მრავალსა ღუაწლსა შეგთხინე ვიდრე არა თჳთ მეფე თქუენი წინაშე ჩუენსა მოვიდეს და ხელმწიფებასა ჩუენსა დაემორჩილოს“.[119]

ე.ი. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მეფე არ განახორციელებს შენგან მიწოდებულ აზრს ქართული ეკლესიის ანტიოქიაზე დაქვემდებარების შესახებ, მე ამას მსოფლიოს ოთხივე პატრარქს (მათ შორის რომის პაპსაც გულისხმობს) ვაუწყებ და მივწერ, რომ ქართველი ერი ურჩია, რადგანაც სამოციქულო კანონების ნებადაურთველად ავტოკეფალურად აცხადებს თავის ეკლესიას. ეს კი დაუშვებელია, რადგანაც არც სამოციქულო კანონებით და არც მოციქულთა მიერ ეს ეკლესია არ დაარსებულა და ისეთ საერთაშორისო იზოლაციაში მოვაქცევ საქართველოს და ისეთ დევნას დავიწყებ ქართული ეკლესიისას, რომ თვით თქვენი მეფე მოვა ჩემს წინაშე და არა მარტო ეკლესიას დამიქვემდებარებს, თვითონაც დამემორჩილებაო.

გიორგი მთაწმიდელს თავის პასუხში უგუნურებად გამოუცხადებია ანტიოქიის სურვილი ქართული ეკლესიის დამორჩილებისა და უკითხავს: „...ვინ-მე არიან

უგუნურნი იგი განმზრახნი შენნი... რაჲსათჳს-მე ესრეთ ადვილად ჴელ-ჰყავ დიდ-ისა ამის და მაღლისა საქმისა მოგონებად და აღსრულებად?"[120]

„დიდი და მაღალი საქმე" ქართული ეკლესიის საუკუნოვანი ავტოკეფალიისა ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსს „ადვილად ხელუყვია", რითაც არა მარტო თავისი „უგუნურება", არამედ თავისი მრჩევლების „უგუნურებაც" გაუმჟღავნებია.

ძალზე დიდმნიშვნელოვანია აზრი, რომელიც ქართული ეკლესიის ავტოკეფალი-ის შესახებ გამოთქვა გიორგი მთაწმიდელმა ანტიოქიის პატრიარქის წინაშე. გიორგი მთაწმიდელის თანახმად, ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია არც V საუკუ-ნეში მიუღია, არც VIII-ში და მითუმეტეს, არც XI-ში, არამედ ქართული ეკლესია დაარსებისთანავე ავტოკეფალური ყოფილა, რადგანაც იგი მოციქულთა მიერ დაარსე-ბული და ამიტომაც სამოციქულო ყოფილა.[121] I-II საუკუნეებში მოციქულთა მიერ დაარსებული ქართული სამოციქულო ეკლესია დაარსებისთანავე ავტოკეფალურია, ამიტომაც მის ავტოკეფალიას არც ვინმეს დასტური ესაჭიროება და არც სხვა რომელიმე ეკლესიას აქვს ქართულ ეკლესიაზე ბატონობის უფლება.

გიორგი მთაწმიდელის პასუხი სრულიად უარყოფს იმ თანამედროვე მეცნიერთა მოსაზრებებს, რომელნიც ფიქრობენ, რომ ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია XI საუკუნეში მიიღო. გიორგი მთაწმიდელი პატრიარქის წინაშე იმას კი არ ამბობს, რომ ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია პეტრე III-მ მიანიჭა 1056 წელს, ერთი წლის წინო, არამედ მედგრად და სიამაყით აცხადებს – ქართული ეკლესია ავტოკეფალური არის I საუკუნის ბოლოდან და II საუკუნის დასაწყისიდან, რად-განაც ჩვენი ეკლესია ანდრია პირველწოდებულმა დააარსა, ხოლო სიმონ კანანე-ლი ჩვენს ქვეყანაში არის დაკრძალულიო.

თავისი მტკიცების დასასაბუთებლად გიორგი მთაწმიდელმა მოითხოვა წიგნი – „მიმოსვლა ანდრეა მოციქულისა". წიგნის წაკითხვის შემდეგ პატრიარქი და მას-თან მყოფი ეპისკოპოსები დარწმუნდნენ, რომ ქართული ეკლესია დაუარსებია ანდრია პირველწოდებულს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქართული ეკლესია სამოცი-ქულოა. ამის შემდეგ გიორგი მთაწმიდელმა პატრიარქს უთხრა: „წმიდაო მეუფეო, შენ იტყჳ, ვითარმედ თავისა მის მოციქულთასა პეტრეს საყდარსა ვზიო, ხოლო ჩუენ პირველწოდებულისა და ძმისა თვისისა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი; და ერთი წმიდა ათორმეტთა მოციქულათაგანი – სიმონს ვიტყვი კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების. ამათ წმიდათა მოციქულთა განათლე-ბულნი ვართ. და ვინაჲთგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არღარა უარ-გჳყოფიეს და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩუენი და ყოველთა უარისმყოფელთა და მწვალებელთა შევაჩუენებთ და დავსწყევთ. ამას საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისასა და მცნებათა და ქადაგებათა ზედა წმიდათა მათ მოციქულთასა მტკიცე ვართ. წმიდაო მეუფეო, შუენის ესრეთ, რაჲთა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ-არს, რაჲთა დაემორჩილოს მწოდებელსა თჳსსა და ძმასა ანდრეას და რაჲთა თქუენ ჩუენ დაგუემორჩილნეთ".[122]

გიორგი მთაწმიდელის პასუხი იმავე ლოგიკით იყო აგებული,როგორითაც პატ-რიარქის მოთხოვნა. პატრიარქმა განაცხადა, სახარების თანახმად, უნდა იყოს

ერთი მწყემსი და ერთი სამწყსო, რადგანაც ანტიოქიის პატრიარქი ზის მოციქულთა თავის, წმიდა პეტრეს ტახტზე. ამიტომაც მისი მწყემსმთავრობის ქვეშ უნდა იყოს სხვა ეკლესიებიც, კერძოდ კი, ქართული ეკლესიაო. მთაწმიდელმა უპასუხა, რადგანაც ერთი მწყემსი და ერთი სამწყსო უნდა არსებობდეს, უმჯობესია, თქვენ დაემორჩილოთ წმიდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულის საყდარს, რადგანაც წმიდა ანდრიამ მოუწოდა წმიდა პეტრეს, რასაც პეტრე დაემორჩილა და უფალ იესო ქრისტეს ამ მოწოდებით დაემოწაფა, ამიტომაც ახლაც წმიდა პეტრეს ტახტი წმიდა ანდრიას ტახტს უნდა დაემორჩილოსო, ანუ ანტიოქიის საპატრიარქო საქართველოს საპატრიარქოს უნდა დაემორჩილოსო.

ასეთი პასუხით გიორგი მთაწმიდელმა აგრძნობინა ანტიოქიის პატრიარქს, თუ რა არასერიოზული და არაეკლესიური იყო ანტიოქიელთა მოთხოვნა. ანტიოქიის საპატრიარქოში ჯერ კიდევ XI საუკუნეში ყოფილა თეორია, რომელსაც ამჟამად ეწოდება „აღმოსავლური პაპიზმი“.

ამის შემდეგ გიორგი მთაწმიდელმა განაცხადა: „წმიდაო მეუფეო, რომელნი-ეგე ჩუენ უმეცარად და სუბუქად გუხედავთ და თავნი თქუენნი ბრძენ და მძიმე გიყოფიან, იყო ჟამი, რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობა არა იპოებოდა და იოანე გუთელ ეპისკოპოსი მცხეთას იკურთხა ებისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სვინაქსარსა“.[123]

VIII საუკუნეში ქართული ეკლესია, ამ პასუხის თანახმად, არა მარტო ავტოკეფალურია, არამედ სხვა ქვეყნის ეკლესიის მეთაურსაც კი აკურთხებს. ასეთი უფლება მხოლოდ საპატრიარქო ეკლესიებს ჰქონდათ.

პატრიარქი სავსებით დაუკმაყოფილებია გიორგი მთაწმიდელის პასუხს და მასში კეთილგანწყობა აღუძრავს. პატრიარქს ხუმრობით დაუმთავრებია ეს შეხვედრა ქართველ წმიდა ბერთან: „...განიღიმა პატრიარქმან და ჰრქუა მღდელ-მოძღუართა მათ და ერსა: „ხედავთა ბერსა ამას ვითარ მარტო ესოდენსა სიმრავლესა გუერევის? ეკრძალენით... არა ხოლო თუ სიტყჳთ, არამედ საქმით გუამხილოს ძლეულება ჩუენი და დაგჳმრწემნეს და დაგუმრმელნეს“.[124]

აღსანიშნავია, რომ ამ შეკრების შემდეგ არავითარი წერილობითი დოკუმენტი არ შეუდგენიათ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის შესახებ, კრება დამთავრდა ხუმრობით, ამიტომაც ის მეცნიერებიც ცდებიან, რომელნიც ვარაუდობენ, რომ ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია მიანიჭა 1057 წელს პატრიარქ თეოდოსის დროს ზემოთ აღწერილმა კრებამ. ამ შეკრებაზე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე იყო საუბარი. ეს იყო არა დიპლომატიური მოლაპარაკება, არამედ პატრიარქის მიერ ქართული ეკლესიის ზოგადი საკითხების გარკვევა. ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული 1054-57 წლების საზავო მოლაპარაკება ბიზანტია-საქართველოს შორის. ამიტომაც, როგორც პეტრე III-ის, ისე თეოდოსის მიერ ქართული ეკლესიის შესახებ სიმართლის რკვევა საზავო მოლაპარაკების დროს, ბუნებრივია.

1056 წელს პეტრე III-ის დროს ანტიოქიის საპატრიარქომ აღიარა ქართული ეკლესიის ყველა უფლება, მათ შორის საპატრიარქო ღირსების უფლება, რის შემდეგაც შეწყდა ქართული ეკლესიის დევნა.

1054-57 წლების სამშვიდობო მოლაპარაკება ბიზანტია-საქართველოს შორის ძალზე სასარგებლო იყო ქართული ეკლესიისთვისაც.

ქართული ეკლესიის საქმეების სრული მოგვარების შემდეგ გიორგი მთაწმიდელმა თავისი დიპლომატიური მისია ამოწურა ანტიოქიაში. ბაგრატ IV-სა და დედოფალ მარიამს სურდათ მოესმინათ ანტიოქიაში ამ წმიდა მამის შრომის ანგარიში: „...რაჲთა ნამუშაკევი იგი მისი ღმრთივმონიჭებული იხილონ და აღივსნენ სიხარულითა“, ამიტომაც მათ მისწერეს ანტიოქიის პატრიარქს თეოდოსის ეზრუნა გიორგი მთაწმიდელის უკან დაბრუნებაზე. „...დაწერნა წიგნნი პატრეაქსა თანა და დუკსა ანტიოქიისასა წარგზავნისა ჩუენისათჳს...“[125] აქედან ჩანს, რომ გიორგი მთაწმიდელი სახელმწიფოს წარგზავნილია, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს ანტიოქიაში, რადგანაც მის უფლებამოსილებაზე თვით იმპერატორი და მეფე ზრუნავს, ანტიოქიის დუკასთან – „მთავართან“ ერთად (ანტიოქიაში ჩასვლის დროს ქართულ დელეგაციას იმპერატორის წერილი ჰქონდა: „...აქუნდა ბრძანებაჲ სამეუფოჲ თავადსა თანა და პატრეაქსა ანტიოქიისასა“).[126]

აღსანიშნავია, რომ გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფი გიორგი მცირე მთლიანად არ არის ინფორმირებული ქართული დელეგაციის ვიზიტის მიზეზების შესახებ ანტიოქიის საპატრიარქოში. შეიძლება მას არ უმხელდნენ მეფესა და იმპერატორს შორის მოლაპარაკების წვრილმანებს. მაგალითად, გიორგი მთაწმიდელი 1055 წელს გათავისუფლდა ივერთა მონასტრის წინამძღვრობისაგან და 1056 წელს ის უკვე ანტიოქიაში მოლაპარაკებაზეა პატრიარქთან. ბიოგრაფის აზრით, წმიდა გიორგი წინამძღვრობისაგან გათავისუფლდა, რათა თავისუფლად ეთარგმნა წმიდა წერილი – „თარგმანებად წმიდა წერილთა“, მაგრამ ანტიოქიაში გიორგი მთაწმიდელი არ ჩერდება და 1057-58 წლებში საქართველოში ჩამოდის, საიდანაც ის მალევე ბრუნდება ივერონში. თუ მთაწმიდელის მიზანი იყო წიგნების თარგმნის გამო გათავისუფლება წინამძღვრობისაგან, ის უნდა დარჩენილიყო ანტიოქიის ქართველთა სავანეში და დაეწყო ეს საქმიანობა, მაგრამ ის იქ არ რჩება და საქართველოში მიემგზავრება, სადაც მთარგმნელობითი მოღვაწეობისათვის გაცილებით მძიმე პირობები იყო, ვიდრე ივერონსა და შავ მთაზე. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ გიორგი მთაწმიდელი წინამძღვრობისაგან გათავისუფლდა არა მარტო მთარგმნელობითი მოღვაწეობისათვის, არამედ ამის ძირითადი მიზეზი იყო მოეგვარებინა ქართული ეკლესიის საერთაშორისო მდგომარეობა, რაც მან შესძლო 1054-57 წლებში. ასევე მარიამ დედოფალი არა მარტო სალოცავად გაემგზავრა იერუსალიმისაკენ, არამედ სქემ-მონაზონს ქართული ეკლესიის საკითხების საბოლოო მოგვარება სურდა,[127] რისთვისაც შეხვდა კიდეც ანტიოქიის პატრიარქ პეტრე III-ს. კონსტანტინოპოლში კი პატრიარქს მრავალჯერ შეხვდებოდნენ ეს წმიდანები ბაგრატ IV-სთან ერთად, მოლაპარაკებისას კონსტანტინე მონომახთან და დედოფალ თეოდორასთან.

1054-57 წლებში ბიზანტიურმა საპატრიარქოებმა აღიარეს ქართული ეკლესიის სრული მართლმადიდებლობა. ზავის დადების შემდეგ შეწყდა ქართული ეკლესიის უკანონო დევნა, საპატრიარქოებმა ცნეს ქართული ეკლესიის ყველა უკვე ფაქტო-

ბრივად არსებული უფლება და მათ შორის უფლება – ქართული ეკლესია წოდებულიყო საპატრიარქო ეკლესიად.

საქართველოს საპატრიარქოს სტრუქტურა და იურისდიქციის საზღვრები

საქართველოს საპატრიარქოში შედიოდა რამდენიმე საკათალიკოსო. „საქართველოს პატრიარქის იურისდიქციაში შედიოდა მართლმადიდებელი სომხური ეპარქიები, „სომხეთის მიტროპოლიტის“ მეთაურობით, „აფხაზეთის“ (დასავლეთ საქართველოს) ანუ „ბიჭვინტის კათალიკოსი“, რომელიც თავის მხრივ დასავლეთ საქართველოს ცალკეულ საეპისკოპოსოებს იქვემდებარებდა“.[128] საქართველოს საპატრიარქოს შექმნის შემდეგ საკათალიკოსოები არ გაუქმებულან, ისინი არსებობას განაგრძობდნენ ისევე, როგორც სომხურ ეკლესიაში რამდენიმე საკათალიკოსო არსებობს. საკათალიკოსოები ერთიანი საქართველოს საპატრიარქოს არსებობის დროს ისეთივე ფუნქციას ასრულებდნენ, როგორსაც ასრულებდნენ სამიტროპოლიტოები ბერძნულ საპატრიარქოებში.

საქართველოს საპატრიარქოში, წყაროთა თანახმად, შედიოდა: 1. ქართლის საკათალიკოსო; 2. აფხაზეთის საკათალიკოსო; 3. სომხეთის სამიტროპოლიტო; 4. ჩრდილო კავკასიის ქრისტიანები.

თავის მხრივ, ყოველ საკათალიკოსოში შედიოდა საეპისკოპოსოები. დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოები უშუალოდ ექვემდებარებოდა აფხაზეთის კათალიკოსს, აღმოსავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოები კი – ქართლის კათალიკოსს. ქართლის კათალიკოსსა და აფხაზეთის კათალიკოსს შორის უმცროს-უფროსობითი დამოკიდებულება არსებობდა.

საქართველოს საპატრიარქოს მეთაურად – პატრიარქად ყოველთვის ქართლის კათალიკოსს სვამდნენ, ანუ ქართლის კათალიკოსი იმავე დროს საქართველოს პატრიარქი იყო. საქართველოს საპატრიარქოს მეთაურს ოფიციალურად ეწოდებოდა – „ყოვლისა საქართველოჲსა პატრიარქი და ქართლისა კათალიკოსი“.[129] ქართლის კათალიკოსი რომ იმავე დროს საქართველოს პატრიარქი იყო, ამის დასამტკიცებლად შეიძლება მოვიყვანოთ ამონაწერები ძველი დოკუმენტებიდან, რომელთაც ხელს აწერენ ქართული ეკლესიის მეთაურები თავიანთი სრული ტიტულატურით. ამ ამონაწერების მოყვანამდე უნდა ითქვას, რომ სიტყვა „პატრიარქი“ – შუა საუკუნეთა საქართველოში ითარგმნებოდა და იხმარებოდა მისი ქართული თარგმანი „მამამთავარი“. ძველი აღთქმის პატრიარქებსაც კი საქართველოში უწოდებდნენ არა პატრიარქებს, არამედ „მამამთავრებს“. მაგალითად, „...მამათ-მთავარი იაკობ ეგვიპტეს აღსრულებული“; „მამათ-მთავარიცა დიდი იოსებ მონა იყო“.[130] საქართველოს საპატრიარქოს მეთაურსაც ზოგჯერ ტრადიციის შესაბამისად უწოდებდნენ „მამათ-მთავარს“ – ქართულ თარგმანს ბერძნული სიტყვა – „პატრიარქისა“.

1103 წლის დოკუმენტში პატრიარქს ასე მოიხსენიებენ – „იოვანე წმიდისა კათალიკოსისა და ყოვლისა საქართველოჲსა ყოვლად ღირსისა მამათ-მთავრისა მრავალნი არიან წელნი“.[131]

VIII საუკუნის დოკუმენტშია – „...წმიდისა მამათმთავარსა ჩუენსა არსენის ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზსა...“[132]

1610 წლის – „ყოვლისა საქართველოჲსა მამათმთავართმთავარმან კათალიკოზმან პატრონმან ზებედეემ“.[133]

„ყოვლისა აღმოსავლისა და ჩრდილოჲსა დიდმან მამამთავარმან, კათალიკოზმან პატრონმან ზებედეემ“.[134].

1616 წლის – „ყოვლისა საქართველოსა დიდმან მამათმთავართმთავარმან, ქართლისა კათალიკოზმან პატრონმან იოვანემ“.[135]

აქ ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ქართული ეკლესიის მეთაურს ეწოდება საქართველოს მამამთავარი, ანუ პატრიარქი და ქართლის კათალიკოსი. საქართველო და ქართლი XI საუკუნის შემდეგ ერთი და იგივე ცნებები არ არის, საქართველო ეწოდება ქვეყანას „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“, ხოლო ქართლი – ლიხის მთის აღმოსავლეთით მდებარე პროვინციებს ეწოდებოდა, ამიტომაც როცა ქართული ეკლესიის მეთაურს უწოდებენ საქართველოს პატრიარქსა და ქართლის კათალიკოსს, ჩვენ ისევე უნდა გავიგოთ, როგორც წერენ – ის მთელი, სრულიადი, „ყოველი“ საქართველოს პატრიარქია და ამავე დროს არის კათალიკოსი ქართლისა.

1629 წლის დოკუმენტშია – „ყოვლისა საქართველოსა მაკურთხეველმან დიდმან მამათ-მთავარმან ქართლისა კათალიკოზმან ზაქარია“.[136] – ეს არის სრულიად საქართველოს პატრიარქი და ამავე დროს ქართლის კათალიკოსი.

1634 წლის – „დიდმან მამათმთავარმან ქართლისა კათალიკოზმან პატრონმან ევდემოზ“.[137]

„ყოვლისა საქართველოჲსა დიდმან მამათმთავარმან ქართლისა კათალიკოზმან ევდემოზ“.[138]

1638 წლის – „საქართველოჲსა დიდმან მამამთმთავარმან, ქართლისა კათალიკოზმან პატრონმან ევდემონ“.[139]

1660 წლის – „ყოვლის საქართველოჲს დიდმან მამათმთავარმან, კათალიკოზმან დომენტიმ“.[140]

1670 წლის – „ყოვლისა საქართველოჲსა მაკურთხეველმან მამათმთავარმან, ქართლისა კათალიკოზმან ამილახორის ძემან ნიკოლაოზ...“[141]

„ყოვლისა საქართველოჲსა დიდმან მამათმთავარმან, ქართლისა კათალიკოზმან ბატონიშვილმან პატრონმან დომენტი...“ (1672 წელი),[142]

1678 წ – „ყოვლისა საქართველოჲსა დიდმან მამათმთავარმან, ქართლისა კათალიკოზმან ამილახორისშვილმან პატრონმან ნიკოლოზ...“,[143]

1689 წელი – „ყოვლისა საქართველოჲსა დიდმან მამათმთავარმან, ქართლისა კათალიკოზმან დიასამიძემ პატრონმან იოვანემ...“[144]

1694 წელი – „„ყოვლისა საქართველოჲსა დიდმან მამათ-მთავარმან ქართლისა კათალიკოზმან, ამილახორისძემან პატრონმან ნიკოლოზ...“[145]

ზემოთ მოყვანილი ამონაწერებიდან აშკარად ჩანს, რომ სრულიად საქართველოს პატრიარქი იმავე დროს არის ქართლის კათალიკოსი, ანუ საქართველოს მამამთავარი აერთიანებს ორ ტახტს – ქართლის კათალიკოსისას და საქართველოს პატრიარქისას. ის ორი ტახტის მპყრობელია. აფხაზეთის კათალიკოსსა და ქართლის კათალიკოსს შორის დამოკიდებულება თუ როგორი სახის იყო, გარკვეულია მეცნიერთა მიერ – „მცხეთის პატრიარქი, აფხაზეთის კათალიკოსისათვის გახდა „მამა“, თვით აფხაზეთის კათალიკოსი „უმრწმესი“ (უმცროსი) კათალიკოსი“.[146]

როგორც ვთქვით, საქართველოს პატრიარქი იმავე დროს ქართლის კათალიკოსია და ის „უხუცესი“, „მამა“, ანუ უფროსია აფხაზეთის კათალიკოსზე. საპატრიარქოში, როგორც ადრე აღვნიშნეთ, შედიოდა აგრეთვე სომხეთის სამიტროპოლიტო. სომხეთის მიტროპოლიტი უშუალოდ ექვემდებარებოდა ქართლის კათალიკოსს. ხოლო საპატრიარქოში ასევე შემავალი ჩრდილო კავკასიის ქრისტიანები და ჩრდილო კავკასიაშივე მდებარე ხუნძეთის კათალიკოსი უშუალოდ საქართველოს პატრიარქს ექვემდებარებოდა.[147] აღნიშნულთა გამო საქართველოს საპატრიარქოს სტრუქტურას გრაფიკულად ასეთი სახე ექნება:



საქართველოს პატრიარქს უშუალოდ ექვემდებარებოდნენ აგრეთვე ისტორიული ალბანეთის ჩრდილოეთის მხარეების ქრისტიანები, რომლებიც წინა საუკუნეებში ალბანთა კათალიკოსის სამწყსოს წარმოადგენდა. ამის შესახებ ვისაუბრებთ საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციის აღმოსავლეთის საზღვრების განსაზღვრის დროს, ხოლო რაც შეეხება ხუნძეთის საკათალიკოსოს, უნდა აღინიშნოს, რომ „ხუნძელი კათალიკოსი ოქროპირი“ მოხსენებულია სინას მთის XV საუკუნით დათარიღებულ ხელნაწერში, მაგრამ ჩრდილო კავკასიელი ქრისტიანები გაცილებით ადრე ექვემდებარებოდნენ საქართველოს პატრიარქს, ამაზე მიუთითებს ტყობაიერდის XI საუკუნის წარწერა.

აფხაზეთის საკათალიკოსოს შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ ის არც XV საუკუნის საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ დაარსებულა, როგორც ჰგონია სარდელ (ბერძენ) მიტროპოლიტ მაქსიმეს თავის გამოკვლევაში ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ[148] და არც XIII საუკუნეში, როგორც ადრე ფიქრობდნენ. ახალი მონაცემებით დადგენილია: „აფხაზეთის საკათალიკოსო – დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოა. მის დაარსებას ზოგი მკვლევარი VIII საუკუნეს, ზოგი კი X საუკუნის მეორე ნახევარს მიაკუთვნებს. აფხაზეთის საკათალიკოსომ შეცვალა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებული ლაზიკის სამიტროპოლიტო და აბაზგიის საარქიეპისკოპოსო ეპარქიები. აფხაზეთის კათალიკოსის საკათედრო ტაძარი, რომელიც ანდრია მოციქულის საყდრად იწოდებოდა, ბიჭვინთაში იყო. აფხაზეთის კათალიკოსს „ბიჭვინთის კათალიკოსსაც“ უწოდებდნენ. იერარქიულად იგი საქართველოს კათალიკოსს ექვემდებარებოდა“.[149]

აფხაზეთის საკათალიკოსო საქართველოს საპატრიარქოს (XI საუკუნეში) დაარსებამდე არსებობდა და შევიდა საპატრიარქოში. ამის გამო XI საუკუნეში, საპატრიარქოს დაარსების შემდეგაც, საქართველოში რამდენიმე კათალიკოსი იყო ერთდროულად, აფხაზეთის კათალიკოსი და ქართლის კათალიკოსი, ამიტომაც ეს სიტყვა იხმარებოდა თითქმის ყოველთვის მრავლობით რიცხვში. წერდნენ ხოლმე – „კათალიკოსთა“, „კათალიკოსნი“ და არა „კათალიკოსი“. შეიძლება ასეთი მაგალითის მოყვანა. XI საუკუნის 50-იან წლებში – „...იწყო ღვთისმსახურმან მეფემან ბაგრატ და ძემან მისმან, დედოფალთა და კათალიკოსთა წვევად“...[150] გიორგი მთაწმიდელისა საქართველოშიო, წერს ბიოგრაფი. ფორმა „დედოფალთა“ გასაგებია, გიორგი მთაწმიდელს იწვევდნენ მეფის დედა – მარიამი, მეფის მეუღლე და რძალი – ძის ცოლი, ასევე „კათალიკოზთაში“ იგულისხმება, რომ გიორგი მთაწმიდელს იწვევდნენ აფხაზეთისა და ქართლის კათალიკოსები (უცხოეთიდან საქართველოში). საქართველოში მოსვლის შემდეგ კი, როცა გიორგი მთაწმიდელი გადავიდა აღმოსავლეთ საქართველოში, ანუ საკუთრივ ქართლში, მასთან კავშირი აქვს ერთ კათალიკოსს, დასავლეთ საქართველოდან „ქართლში“ გადასულ გიორგი მთაწმიდელის წინაშე „...იწყეს აღსარებად და სინანულად თვით მეფემან, კათალიკოზმან... მღვდელთა, დიაკონთა, მონაზონთა...“.[151]

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ეკლესია იმ დროს შედგებოდა ორი მთავარი საკათალიკოსოსაგან, ეს ეკლესია ერთი ქვეყნის ეკლესიაა. გიორგი მცირე დაბეჯითებით ამტკიცებს იმას, რაც თავის დროზე გიორგი მთაწმიდელმა ანტიოქიის პატრიარქს მოახსენა – მთლიანი საქართველო მოციქულებმა ანდრიამ და სიმონ კანანელმა მოაქციეს და დააფუძნეს აქ ერთი ეკლესია. ამიტომაც საქართველო, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ „აღმოსავლეთი“ – ნაწილია ამ მოციქულებისა. ანდრიამ მთელი საქართველო „მოვლო“. ხოლო სვიმონ კანანელმა სრულიად დაიმკვიდრა ეს ქვეყანა. გიორგი მთაწმიდელმაო, წერს ბიოგრაფი – „...ყოველი აღმოსავლეთი განანათლა და ნაწილი იგი ანდრია მოციქულისა და სიმონ კანანელისა კუალად განამტკიცა, რამეთუ ანდრია მოციქულმან მოვლო ქვეყანა ჩვენი, ხოლო სვიმონ კანანელმან სრულიად დაიმკვიდრა, რამეთუ ნიკოფსს არიან ნაწილნი მისნი წმიდანი“.[152]

სწორედ ამ იდეოლოგიურ საფუძველზეა დამყარებული საქართველოს საპატრიარქოს შექმნა – საქართველო ერთი ქვეყანაა, ერთი სახელმწიფოა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს სხვადასხვა განმანათლებლები კი არ ჰყავდათ, არამედ ერთიანი, მთლიანი საქართველოს განმანათლებლები არიან აქ ჩამოსული მოციქულები – ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი, ამიტომაც ეკლესია ერთი უნდა ჰქონდეს და არა რამდენიმე. ერთიან საქართველოს სახელმწიფოში შეიქმნა ერთი დიდი ეკლესია-საპატრიარქო, ხოლო ამ საპატრიარქოში XI საუკუნეშივე შედიოდა ორი საკათალიკოსო – ორი ადმინისტრაციული ერთეული, ანუ საეკლესიო სამთავრო – საეკლესიო პროვინცია. ეს შეესაბამებოდა სახელმწიფოს პოლიტიკურ დაყოფას ერთიანი სახელმწიფოს შექმნის შემდეგ ოფიციალურად ცალკეული „სამეფოები“ არ გაუქმებულან, ისინი კვლავინდებურად არსებობდნენ, ამიტომაც, ერთიანი სახელმწიფოს მეფეს ეწოდებოდა – მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შაჰანშა და შარვანშა. „სანამ კახეთ-ჰერეთი გაერთიანებული საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფება, საქართველოს მეფეები იწოდებიან „აფხაზთა და ქართველთა“ მეფეებად, სადაც „აფხაზთა“ დასავლეთ საქართველოს გულისხმობს, ხოლო „ქართველთა“ ისტორიულ აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-მესხეთს კახეთ-ჰერეთის გარეშე)... აფხაზთა და ქართველთა მეფეს ემატება რანთა (ე.ი. ჰერეთის) და კახთა მეფის ტიტული, რაც ამ პროვინციების შემოერთებას ასახავს. დავით (აღმაშენებლის) მეფის ტიტულებში ჩნდება „სომეხთა“ მეფის წოდება... (რაც ლორეს სამეფოს შემოერთებას უკავშირდება და არა ანისის შემოერთებას, რომლის მეფენი შაჰანშას ტიტულს ატარებდნენ... ქართველ მეფეთა ტიტულებში როგორც „შაჰანშა“, ასევე „შარვანშა“ დავითის დროს უნდა იყოს შესული, რადგან ანისის სამეფოც და შარვანიც დავით აღმაშენებლის დროს შემოუერთდა საქართველოს.[153]

საპატრიარქო ორი საეკლესიო სამთავროსაგან, „საეკლესიო მიტროპოლიისაგან“ – ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებისაგან შედგებოდა. თანდათან საქართველოს სახელმწიფოს გაფართოებასთან ერთად საპატრიარქოში შევიდა სხვა „საეკლესიო სამთავროებიც“.

მართალია, საპატრიარქოში საკათალიკოსოები არსებობდნენ, მაგრამ XI-XIII საუკუნეებში საკათალიკოსოების თვითმმართველობა და უფლებები შეზღუდული იყო, ამიტომაც აფხაზეთის კათალიკოსს ამ დროის წყაროები თითქმის აღარც ახსენებდნენ თავისი ტიტულით. XIII საუკუნეში მონღოლთა მიერ ერთიანი სახელმწიფოს ორად გაყოფამ აფხაზეთის საკათალიკოსოს იმერეთის სამეფოში ავტორიტეტი მოუპოვა. ივ. ჯავახიშვილის თანახმად, XIII საუკუნის შემდგომ ახლო ხანებში „...აფხაზეთის კათალიკოსობა წინანდებურად აღსდგა“.[154]

იმის გამო, რომ ქართლის კათალიკოსი ავტომატურად ითვლებოდა საქართველოს პატრიარქადაც, ქართლის კათალიკოსის სახელი უფრო ხშირად მოიხსენიება აფხაზეთის კათალიკოსთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ XV საუკუნეში ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ ყველა პროვინციის მეფე თავის თავს მიიჩნევდა ერთიანი, სრულიად საქართველოს ერთადერთ კანონიერ მეფედ. ერთიანი სახელმწიფოს დაშლას თან

მოჰყვა ერთიანი საქართველოს საპატრიარქოს დაშლა, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც ქართლის, ისე აფხაზეთის კათალიკოსები არ ცნობდნენ ერთიანი ეკლესიის დაშლას და თავიანთ თავს უწოდებდნენ „სრულიად საქართველოს კათალიკოსს“, ან მამამთავარს. მაგალითად, აფხაზეთის კათალიკოსი გრიგოლი XVIII საუკუნის დასაწყისშიც კი თავის თავს უწოდებდა არა აფხაზეთის, ანუ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსს, არამედ სრულიად საქართველოს კათალიკოსს. ამითაა გამოწვეული, რომ შეწირულობის წიგნს ბიჭვინთისადმი აფხაზეთის კათალიკოსი 1712 წელს არტყამს ბეჭედს წარწერა-ზედწერილით: „გრიგოლ მწყემსი ქრისტესმიერ ყოვლისა საქართველოს კათალიკოზი“.[155]

უფრო ხშირად კი დასავლეთ საქართველოს კათალიკოსები თავიანთ თავს „ქვემო ივერიის“, ანუ აფხაზეთის კათალიკოსს უწოდებდნენ,[156] ხოლო აღმოსავლეთ საქართველოსი – „ზემო ივერიის“ ანუ „ზემო საქართველოს“ კათალიკოსებს.[157]

„ქართლის ცხოვრება“ ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებს „სამთავროებს“ უწოდებს. სიტყვა „სამთავრო“ უამრავჯერ გვხვდება „დიდ სჯულისკანონში“. საეკლესიო ოლქის, საეკლესიო პროვინციის, ეპარქიის, მიტროპოლიის მნიშვნელობით, რომელსაც აქვს თავისი საეპისკოპოსოები. საეკლესიო „სამთავროს“ დიდი სჯულისკანონის თანახმად, ჰყავს თავისი პირველიერარქი, რომელსაც ამ სამთავროს ეპისკოპოსები ემორჩილებიან. „ქართლის ცხოვრებაშია“ – „შემოკრბეს ორისავე სამთავროსა ეპისკოპოსნი...“[158] აქ სიტყვა სამთავროს ქვეშ სწორედ საეკლესიო და არა საერო-სახელმწიფო-ადმინისტრაციული სამთავრო იგულისხმება. ეს იქიდან ჩანს, რომ საქართველოს სახელმწიფოში შედიოდა არა „ორი სამთავრო“, არამედ „შვიდი სამეფო“ – პროვინცია: „აფხაზეთის, ქართლის, რანის, კახეთის, სომხეთის, ანისის და შირვანის სამეფოები“ და ორი საეკლესიო „სამთავრო“ – აფხაზეთისა და ქართლის საკათალიკოსოები. ჩრდილო კავკასიის ქრისტიანებს საქართველოს საპატრიარქოს ცხოვრებაში უმნიშვნელო როლი ენიჭებოდა, ხოლო სომხეთის სამიტროპოლიტო ქართლის საკათალიკოსოში შედიოდა.

3. საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი

XI საუკუნეშივე საქართველოს საპატრიარქოში შედიოდა „ნიკოფსია“, დღევანდელი ტუაფსე, სადაც ქართველთა განმანათლებელი სიმონ კანანელი იყო დაკრძალული და რომელიც გიორგი მთაწმიდელის თანახმად, „ქუეყანასა ჩუენსა – აფხაზეთს“ მდებარეობდა. ეს იყო პროვინცია ჯიქეთის ცენტრში, ეს პროვინცია კი ქერჩამდე აღწევდა. როგორც წყაროები უჩვენებენ, საქართველოს საპატრიარქოს ჩრდილო-დასავლეთის საზღვარი აღწევდა ხერსონესამდე. ასე მაგალითად, 1525-1550 წლების ბიჭვინთის იადგარში აფხაზეთის საკათალიკოსოს ჩრდილო-დასავლეთის საზღვრად დასახელებულია პუნქტი „კაფა“, ჩრდილოეთის საზღვრად კი – „რუსეთის სამზღვარი“. პუნქტი „კაფა“ მდებარეობდა ხერსონესთან – „კათალიკოზის საკურთხი არის, სამწყსო – ლიხსა და კაფას შუა და რუსეთის სამზღუარსა და ჭანეთს შუა“.[159]

საერთოდ ხერსონესი და კაფას ნახევარკუნძული პირველ საუკუნეებშივე დაკავშირებული იყო საქართველოსთან, მაგალითად – „კარდინალ ბარონიუსის აზრით, ახ.წ.აღ-ის 100 წელს იმპერატორ ტრაიანეს მიერ ხერსონესში განდევნილი პაპი წმ. კლიმენტის მეცადინეობის შედეგად კოლხეთსა და იბერიაში ქრისტიანობა გავრცელდა. არქანჯელო ლამბერტი კარდინალ ბარონიუსის ამ მოსაზრების შესახებ იქვე მიუთითებს, რომ „... კოლხეთი ხუთასი მილითაა დაშორებული ხერსონესიდან“, ...არქანჯელო ლამბერტი იმ აზრს იცავს, რომ კოლხეთსა და იბერიაში ქრისტიანობა წმ. ანდრეამ და წმ. ბართლომეომ გაავრცელეს“.[160]

„ქალაქი კაფფა მდებარეობს 17 ვერსტის დაშორებით კარაგოზიდან... ემხრობა კაფის ყურის დასავლეთ ნაწილს... ამ ქალაქმა ყირიმის აღების შემდეგ მიიღო თავისი ძველი სახელი – „თეოდოსია“, ამჟამად კი ისევ ეწოდება თავისი წინანდელი სახელი კაფფა“, მაგრამ ადრე თათრები ეძახდნენ ასევე – ქუჩუკ – სტამბულს. ქალაქს უჭირავს ძალზე მოხერხებული და ხელსაყრელი მდგომარეობა ვაჭრობაში. ის იყო ძალზე მნიშვნელოვანი ყველა პუნქტს შორის, რომლებიც გენუელებმა დაიჭირეს ყირიმში“.[161]

აფხაზეთის საკათალიკოსოს ჩრდილო-დასავლეთის საზღვარი არის პუნქტი კაფფა, ყირიმში, ხერსონესთან. აფხაზეთის საკათალიკოსოს საქართველოს საპატრიარქოში შესვლის გამო საქართველოს საპატრიარქოს საზღვარი კაფფამდე აღწევდა. ხერსონესის გათხრების დროს აღმოჩნდა ქართული ტაძარი, როგორც ეს გამოიკვლია კათალიკოს-პატრიარქმა კირიონმა. მანვე გამოთქვა აზრი, რომ VIII საუკუნეში გოთეთის უპირველესი ეპისკოპოსის იბერიაში ხელდასხმის შემდეგ გოთეთის ეკლესია ქართულ ეკლესიას დაექვემდებარა.[162] კაფფა გოთეთთან მდებარეობდა.

ბ. საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციის ჩრდილოეთის საზღვარი

V საუკუნეშივე ვახტანგ გორგასალის მიერ დაარსებული ნიქოზის საეპისკოპოსოს სამწყსოში შედიოდნენ ჩრდილო კავკასიელები, დვალ-ოსები, ასევე დასავლეთ საქართველოში გლოლა-ღების სანახები – „არს ნიქოზს ეკლესია... გორგასალ ჰყო საეპისკოპოზოდ და დასუა ეპისკოპოზი, ზის დღესაც, მწყემსი კავკასიანთა, დუალთა და აწ ოსეთად წოდებულისა, გლოლა ღებითურთ“.[163] „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, VIII საუკუნეში ქართული ეკლესიის საზღვარი აღწევდა „...ჩერქეზის საზღვრამდის სრულიად ოვსეთისა...“[164] „...პონტოს ზღვიდამ დარუბანდის ზღვამდე“.[165] XVI საუკუნეში აფხაზეთის საკათალიკოსოს ჩრდილოეთის საზღვარი ემთხვეოდა რუსეთის სახელმწიფოს სამხრეთის საზღვარს, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო მოახლოებული კავკასიას – „რუსეთის სამზღვარსა და ჭანეთს შუა“-ო, – წერს „ბიჭვინთის იადგარი“. XVIII საუკუნეშიც კი აფხაზეთის საკათალიკოსოს თავის სამწყსოდ მიაჩნდა „პონტოს“, ანუ შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე მიწები – „პონტო ჩრდილოით“.[166]

XI საუკუნეში, საქართველოს საპატრიარქოს შექმნის დროს ქართულ ეკლესიაში რომ შედიოდა ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ოსეთი, ავარეთი – მთიანი დაღესტანი, ამის

შესახებ მიუთითებს ახალი გამოკვლევები.[167] ჩრდ. კავკასიაში ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის სივრცესა და სიღრმეში გავრცელება-შეღწევა X საუკუნეში იწყება. ფეოდალური საქართველოს სრულ გაერთიანებამდე ჩრდილო-დასავლეთ იმიერკავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელი ბიზანტიასთან ერთად დასავლეთ ქართული სამეფო – აფხაზეთია, ცენტრალურ იმიერკავკასიაში (დვალეთი, ჩეჩნეთ-ინგუშეთი) – ქართლ-კახეთის სამთავრო, ხოლო გაერთიანების შემდეგ – საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება. ცალკე აღინიშნება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის როლი. როგორც ჩანს, საქართველოს საკათალიკოსო-საპატრიარქოს სტატუს კვოს და ჩრდილო კავკასიის ქვეყნებში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის იურისდიქციას გამოხატავს XI საუკუნის დამდეგს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მელქისედეკ I-ის მოხსენიება „აღმოსავლეთის პატრიარქად“ იმიერკავკასიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული ძეგლის ტყობა-იერდას (ინგუშეთის) ტაძარზე... ავარეთში ქრისტიანული კულტურისა და საქართველო-დაღესტნის კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა გასაშუქებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უმთავრესად ხუნძახსა და მის შემოგარენში ძველქართული დამწერლობის ძეგლთა არსებობა... ეს უნიკალური ძეგლები ნათლად და უტყუარად მიგვითითებენ შუა საუკუნეთა ავარეთში ქართული დამწერლობისა და ენის გავრცელებაზე, იქაურ ეკლესია-ტაძრებში ქართული ღვთისმსახურებისა და ქართულ გრაფიკულ სისტემაზე აგებულ ადგილობრივ დამწერლობაზე... X-XIV საუკუნეთა ავარეთში ქრისტიანობის ინტენსიფიკაცია კარგად ჩანს წერილობითი მონაცემებითაც – ...1310 წლის მაღალაშვილისეული სახარების მინაწერში (გიორგი ბრწყინვალეს დროს) დადასტურებულია დაღესტანში რამდენიმე ეპარქიის არსებობა (ხუნძახის, ანწუხისა და წახურისა) და ბოლოს აღვნიშნავთ, მეცნიერული თვალსაზრისით უძვირფასეს ცნობას სინას ერთ-ერთი ქართული მონასტრის XV საუკუნის სააღაპე წიგნიდან – „ხუნძელი კათალიკოსი ოქროპირის“ შესახებ, რომელსაც კორნელი კეკელიძე მიტროპოლიტთან აიგივებდა და რითაც დაღესტანში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის სამიტროპოლიტოს არსებობაა დადასტურებული“.[168]

ჩრდილო კავკასიაში საქართველოს საპატრიარქოს ერთ-ერთი სამიტროპოლიტოს არსებობა ხუნძეთის საკათალიკოსოს სახელწოდებით, წერილობითაა დადასტურებული.

3. საქართველოს საპატრიარქოს აღმოსავლეთის საზღვარი

ჯერ კიდევ V საუკუნეში მოსე ხორენელი წერდა, ქართველთა განმანათლებელმა წმიდა ნინომ იქადაგა „კლარჯეთიდან – მასქუთთა ქვეყნამდეო“.

მასქუთთა ქვეყანა მდებარეობდა კასპიის ზღვის პირას, ახლანდელი დერბენდის სიახლოვეს, თვით მოსე ხორენელი თვლიდა, რომ მის დროს V საუკუნეში ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა ვრცელი მიწები კლარჯეთიდან კასპიის ზღვამდე, რასაც ეთანხმება ქართლის ცხოვრება – ქართული ეკლესიის იურისდიქციაში აღმოსავლეთით შედიოდა – კახეთი, შაქი, შირვანი და მიდგმით – წარმოვლით მთისა ადგილნი,[169] „პონტოს ზღვიდან დარუბანდის ზღვამდე“.

1310 წლის წერილობით ცნობაშია – „ოდეს სანატრელმან მან პატრიარქმან ჩუენმან ექვთიმე მოიხილა კახეთს ანწუხისა საეპისკოპოსო და მიერითგან გარდამოვიდა წახურს, კაკ-ელისენს და მოვლო საყდარნი: კასრი სამებისა, ყუმი ღვთისმშობლისა, ლექართს წმ. მოციქულთასწორისა ნინოსი, ზარს წმ. მთავარმოწამისა გიორგისა, ვარდიანს წმ. ჰაბოსი, განუხს არჩილისი, ქიშ-ნუხს ღვთისმშობლისა, ბარდაშენს ელიასი... კვალად საყდარნი ხუნძთა,ნახჩთა,თოშეთისა,ნეკრესისა, ლაგუთისა,ბელქანისა, მაჯ-ფიფინეთისა, ფერიჯან-მუხახ-მამრეთისა და ყოვლისა ვაკისა, ე.ი. არს ძველისა მოვაკანისა და ელისენისა, ვერხვიანთ ზეგანით გამო ივრის მდინარის ჩასართავამდე, ალაზანსა და სანატრელმან ექვთიმე მიბრძანა ქურმუხისა მთავარ ეპისკოპოსსა და ყოვლისა მთეულისა წინამძღვარსა კირილე დონაურსა...“[170]

ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ უშუალოდ საქართველოს პატრიარქს ექვემდებარება ალბანეთის საკათალიკოსოს ის სამწყსო, რომელიც არ შეუერთდა სომხურ ეკლესიას.

აღსანიშნავია, რომ ჰერეთის ქრისტიანები ქართულენოვანნი იყვნენ. მათი დედაენა იყო ქართული ენა. ისინი V საუკუნეში მცხეთის ეკლესიას ექვემდებარებოდნენ. როგორც „შუშანიკის წამებიდან“ ჩანს, შემდგომ, რაღაც მიზეზის გამო, ჰერეთის ქრისტიანები იერარქიულად დაექვემდებარნენ ალბანეთის საკათალიკოსოს. VI საუკუნიდან როგორც ალბანეთის, ისე ქართლის საკათალიკოსოები სომხური ეკლესიის მძლავრ ზეგავლენას განიცდიდნენ სპარსთა სახელმწიფოს ნებით. უთუოდ ამის გამო, ალბანეთის საკათალიკოსოში, მიუხედავად მცდელობისა, საეკლესიო ენად დაინერგა არა მშობლიური ქართული და ალბანური ენები, არამედ ეკლესიებში წირვა-ლოცვისათვის გამოიყენებოდა სომხური ენა. ამის მიზეზი სპარსთა ზემოქმედების გარდა, ალბანეთის ხალხთა მრავალეროვნება იყო. ალბანეთში გავრცელებული იყო როგორც სპარსული, ასევე თურქული და კავკასიური ენები, ამ ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით კი ჰერეთის მოსახლეობის დედაენა იყო ქართული ენა.

VII საუკუნის ბოლოს, მოვსეს კალანკატუაცის თანახმად, ალბანეთის ეკლესიამ საბოლოოდ დაკარგა ავტოკეფალია და ის შეუერთდა სომხურ ეკლესიას.[171] ამის გამო ალბანეთის ნაწილ ჰერეთშიც სომხური ეკლესიის მეცადინეობით გავრცელდა მონოფიზიტობა. ეს მწვალებლობა ჰერეთში აღმოუფხვრია დინარა დედოფალს X საუკუნეში. ამის შემდეგ ჰერეთი და აღმოსავლეთის მხარეები კვლავ თავის დედა ქართულ ეკლესიას დაუბრუნდა. XI საუკუნეში საპატრიარქოს შექმნის შემდეგ, ჰერეთსა და მის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებზე იურისდიქციას საქართველოს პატრიარქი ახორციელებდა, როგორც ზემოთ მოყვანილი ამონაწერებიდანაც ჩანს.

Ე. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝᲡ ᲘᲣᲠᲘᲡᲓᲘᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲗ

იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენეტის თანახმად, საქართველოს სამხრეთის საზღვარი მდინარე არეზამდე ჩადიოდა, მდინარე არაქსის „...მარცხენა მხარეო, – წერს ის, – იბერიისაკენ მიმართული ეპყრათ იბერებს, ხოლო მარჯვენა, რაც თეოდოსიოპოლისაკენ არის, როგორც ციხეები, ისე სოფლები იყვეს ჩვენი მეუფების

ქვეშ ისე, რომ მაშასადამე ორივე საზღვრად მდინარე იქნება“-ო.[172] „მესხეთის ძირეულ ნაწილს შეადგენდა მცირე მოცულობის სექტორები მეზობელი არაქსისა და დასავლეთ ევფრატის ხეობებისა“.[173]

არაქსისა და ევფრატის სათავეებში ქართველები X საუკუნეში კონსტანტინე პორფიროგენეტის დროს კი არ დასახლებულან, არამედ საერთოდ ეს მხარეები უძველეს დროს იყო ქართველი ხალხის თავდაპირველი სამშობლო, ამიტომაც ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე ათასი წლით ადრე აქ, ამ მხარეებში წარმოიქმნა ქართველი ხალხის პირველი სახელმწიფოები – დიაოხი და კოლხა. დიაოხისა და კოლხასაგან მომდინარეობენ ამ მხარეებში გავრცელებული ტოპონიმები – „ტაო“ და „კოლა“. მოსეს ხორენაცის თანახმად, ამ მხარეებში არმენიელების შემოსვლის დროს ქრისტემდე VI-V საუკუნეებში, არმენიელებს აქ ადგილობრივი მოსახლეობა დახვედრია, რომელთა ასიმილაციაც მაშინვე დაწყებულა. ხორენელის თანახმად, არმენიელთა ერთ მეფეს აუკრძალავს ადგილობრივი მოსახლეობისათვის მშობლიურ ენაზე ლაპარაკი და ნება დაურთავს არმენიელთა ენაზე ლაპარაკისა. – „ამასთანავე არამმა უბრძანა იქაურ მკვიდრთ, შეეთვისებინათ სომხური ენა და ლაპარაკი“.[174] ხორენელი მრავალგზის აღნიშნავს – „საკვირველია მემატიანის ნათქვამი, რომ ჩვენს ქვეყანაში მრავალ ადგილას გაფანტულად მკვიდრობდა მცირერიცხოვანი ხალხი, ჩვენი ძირეული წინაპრის, ჰაიკის მოსვლამდე“,[175] ანდა „მატიანეში აქაც აღნიშნულია, რომ ველის სამხრეთ ნაწილში, ერთ წაგრძელებულ მთასთან ადრიდანვე ცხოვრობდნენ მცირეოდენი კაცნი, რომლებიც ნებით დამორჩილდნენ გმირს“,[176] ანდა „...არ შემიძლია ვთქვა დაბეჯითებით, შთამომავალია იგი ჰაიკისა თუ ჰაიკის (მოსვლამდე) ამ ქვეყანაში მცხოვრები ხალხისა, რომელთა არსებობაზე მიუთითებენ ძველი თქმულებები“.[177] ხორენელის მთარგმნელი და კომენტატორი ალ. აბდალაძე ამის შესახებ წერს – „ხორენაცის ამ და მსგავს ცნობებში ასახულია ისტორიული სინამდვილე იმის შესახებ, რომ ე.წ. „დიდი სომხეთის“ მიწა-წყალზე სომეხთა მოსვლამდე მკვიდრობდნენ სხვა ხალხები, მათ შორის ქართული მოდგმის ტომებიც“.[178]

ქართველთა ასიმილაცია არმენიელთა მიერ „დიდი სომხეთის“ მიწა-წყალზე წარმატებული იყო სომხეთის აღმოსავლეთ ნაწილში, მაგრამ დასავლეთ სომხეთში არეზისა და ევფრატის სიახლოვეს მცხოვრებმა ქართველებმა დიდხანს შეინარჩუნეს ენა იმის გამო, რომ მათ მეზობლად მდებარე კაპადოკია და პონტო ქართულენოვანი იყო (იგულისხმება, რომ ამ ელინიზებული ქართველების საოჯახო, საშინაო ენა იყო ქართული ენა). აგრეთვე, ქრისტემდე IV-III საუკუნეებში შექმნილი იბერიის სახელმწიფო ამ მიმართულებით საზღვრებს იფართოებდა ხოლმე, განსაკუთრებით I-II საუკუნეებში. შემდგომ საუკუნეებში სომხეთის გაძლიერებამ დააჩქარა სომხეთში მცხოვრები ქართველების ნაწილობრივი ასიმილაცია. ნ. მარის აზრით, მესხეთის აბორიგენული მოსახლეობა ყოფილა ლაზური ან მეგრული – „ამ რაიონის აბორიგენები... რომელიმე ლაზური ან მეგრული ტომია“.[179]

საქართველოს საპატრიარქოს წარმოქმნის დროს ე.წ. „დიდი სომხეთის“ ტერიტორიაზე ცხოვრობდა უამრავი ქართველი, ადგილობრივი მცხოვრები, მათთვის დაარსებული იქნა საეპისკოპოსოები, რომელთა საზღვრები აღწევდა რახსისა და ევფრატ-

ის ხეობებამდე. „XIII საუკუნეში მონღოლთა ბატონობის დროსაც კი მესხეთის მთავრის კუთვნილი ქვეყანა იწყებოდა ტაშისკარიდან და გრძელდებოდა, „აღმართ, ვიდრე კარნუ ქალაქამდე“. XIV საუკუნეშიც ტაშისკარიდან ვიდრე ბასიანამდე „მესხთა ქვეშე დაწესებული ქვეყანა იყო“... XVII საუკუნის ანტიოქიელი პატრიარქი მაკარი ადასტურებს, რომ ადრე საქართველოს სამხრეთი საზღვარი იყო მდინარე ევფრატი და ევფრატის აქეთა ტერიტორიები სულ საქართველოდ ითვლებოდა. საქართველოს საზღვარი რომ ევფრატამდე ჩადიოდა, ამას ამოწმებს ჩელებიც. მდინარე არეზის აქეთა მხარესა და არზრუმის მიდამოებს დიდხანს შემორჩა ქართული მოსახლეობა. XVII საუკუნეში არზრუმის მიდამოებში გამოვლილმა არქანჯელო ლამბერტიმ რამდენიმე ქართული სოფელი ნახა,რომელთაც არზრუმელად წოდებული ქართველი მწყემსმთავარი ეჯდათ არზრუმში“.[180]

ამის გამო იყო, რომ საქართველოს საპატრიარქოში შედიოდა – ანისის, ყარსის, ვალაშკერტისა და სხვა საეპისკოპოსოები.

ცნობილია, რომ ოსმალეთის მთავრობამ თავის ქვეყანაში მცხოვრები ქრისტიანები დაუქვემდებარა კონსტანტინოპოლის ბერძენ პატრიარქს, ანდა კონსტანტინოპოლის გრიგორიან პატრიარქს. ამის გამო ოსმალეთში მცხოვრები მართლმადიდებლები განიხილებოდნენ როგორც „ბერძნები“, ის ქრისტიანები, რომელნიც გრიგორიან პატრიარქს დაუმორჩილეს, ითვლებოდნენ – „სომხებად“. ამ ქვეყანაში ცხოვრობდნენ აგრეთვე „ფრანგები“, ანუ კათოლიკე ქრისტიანები.

ამის შესახებ რუმინელი პროფესორი წერს – „როგორც ვიცით, რაღაც დროის შემდეგ და თითქმის ჩვენს საუკუნემდე მართლმადიდებელი ქრისტიანის წოდება ხშირად გაიგივებული იყო ბერძნულ ეროვნებასთან, ასე რომ, ის, ვინც თავის თავს თვლიდა მართლმადიდებლად, ამავე დროს თავის თავს ბერძენს უწოდებდა... კონსტანტინოპოლის პატრიარქი იყო ამავე დროს ეთნარქიც, ე.ი. ეროვნულ-პოლიტიკური მეთაური „ყველა ბერძენისა“ თურქეთის იმპერიაში“.[181]

აღნიშნულის გამო, სამხრეთ საქართველოს მრევლის ძირითადი ნაწილი, რომელიც თურქეთის იმპერიაში მოექცა, ან „გათათრდა“, ან „გაბერძნდა“ ან „გასომხდა“, ან „გაფრანგდა“.[182]

საქართველოს საპატრიარქოს არსებობის დროს კი მისი სამხრეთის საზღვარი გადიოდა მდინარე არაქსსა და ევფრატზე.

ქართულ ეკლესიაში მიღებული თვალსაზრისი საქართველოს საპატრიარქოს დაარსების კანონიკური უფლების შესახებ

საუკუნეთა მანძილზე ქართულ ეკლესიაში გაბატონებული იყო თეორია, რომლის თანახმადაც, ქართულმა ეკლესიამ საპატრიარქო ეკლესიად წოდების ღირსება მიიღო VII საუკუნეში, 681 წელს ჩატარებულ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე.

„ქართლის ცხოვრება“ წერს – „...იქმნა კრება მეექვსე, 170 (რ~ო) წმიდათა მამათა კონსტანტინოპოლის შინა, მეათასამმეტესა წელსა პოღონატი კონსტანტი-

ნეს მეფობისასა, რომელი იყო მამა იუსტინიანესი, რომლისა წინამძღუარ იყვნეს თეოდორე და გიორგი ხუცესნი და იოანე დიაკონი, ადგილის-მცველნი აღათონ რომთა პაპისანი და გიორგი კონსტანტინოპოლელი, თეოფანე ანტიოქელი. ამის კრებისა მიერ ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათჳს, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა ვითარცა წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი საპატრიარქონი. და იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა, და აკურთხევდეს, მწყსიდეს და განაგებდეს სიმართლით მთავარეპისკოპოსთა, .მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა, და სამწყსოსა თჳსსა... „მისთჳს მიგჳთვლია საქართველოს ეკლესიანი, მას ჰმონებდენ და მის ჴელ ქუეშე იყვნენ, და სჯულსა მისსა ერჩდენ, და მისგან იმწყსებოდენ. მოგჳცემია ჴელმწიფება შეკვრისა და განჴსნისა: ...ხოლო პირველითგან ანტიოქიის კრებისა მიერ განპატიოსნებულ იყო, და ამ კრებისა მიერ დაგჳმტკიცებია პატრიაქად... ხოლო უკეთუ ვინმე იკადროს კათალიკოსისა წინააღდგომა, მთავარეპისკოპოსმან გინა მიტროპოლიტმან, ანუ ეპისკოპოსმან, ანუ დაიპყრას ხარისხი და ეკლესია ძალითა, კათალიკოსისა უკითხავად და შეუნდობელად, ანუ იკურთხოს მეფე გინა მთავარი, ანუ მთავარეპისკოპოსნი და მიტროპოლიტ-ეპისკოპოსნი, – განიკუეთენ. ხოლო ოდესცა ენებოს შემზადება და კურთხევა მირონისა, აკურთხოს თჳსსა ეკლესიასა“.[183]

ეს ცნობა, ერთი „მარტვილური ხელნაწერის“ თანახმად, მოთავსებული ყოფილა კონსტანტინოპოლურ „ტაქტიკონში“. „ქართლის ცხოვრების“ ზემოთ მოყვანილ ცნობაში ნათქვამია, რომ VI მსოფლიო კრებამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ქართული ეკლესია „...პირველითგან ანტიოქიის კრებისა მიერ განპატიოსნებული იყო...“ ამის შესახებ დაცულია უფრო სრულფასოვანი და ამომწურავი ცნობა „ქართლის ცხოვრებაში“ – ანტიოქიის საეკლესიო კრებამო, წერს ის, აღიარა ქართული ეკლესიის სრული ავტოკეფალია, ამიტომაცო, წერია იქ – „ამიერითგან განთავისუფლდა, რამეთუ კათალიკოზი ქარლისა ჴელქვეით არა არს პატრიაქთა და არა იკურთხვიან პატრიაქთაგან, არამედ თჳსისა სამწყსოსა მიტრაპოლიტთა და მთავარეფისკოპოზთა და ეფისკოპოზთაგან იკურთხვიან, რამეთუ თავისუფალი არს და მოციქულთა მაგიერი და მოციქულთა ტახტსა ზედა მჯდომი და პატრიაქი, თავი ყოველთა ეკლესიათა, წმიდა კათოლიკე სამოციქულო ეკლესია სვეტი ცხოველი, და აქვს უაღრესობა და ჴელმწიფება კათალიკოზსა ყოველთა ზედა, და მის მიერვე მიეცემის ყოველთა მადლი და კურთხევა შეკვრისა და განჴსნისა და იკურთხეოდენ მეფენი და მთავარნი, მთავარეფისკოპოზნი და მიტრაპოლიტნი, ეპისკოპოზნი და ამას სამწყსო... პონტოს ზღჳდან დარუბანდის ზღვამდე“.[184]

ეს უფლება საპატრიარქო ეკლესიად წოდებისა ქართულ ეკლესიას მიუღია VII საუკუნის 30-40-იან წლებში ანტიოქიის საპატრიარქო კრების მიერ, ხოლო 681 წელს VI მსოფლიო კრებას დაუდასტურებია ქართული ეკლესიის საპატრიარქო ღირსება.

ქართულ ენაზე შემონახული ცნობა ქართული ეკლესიისათვის საპატრიარქო ღირსების მინიჭებას მიაწერს VI მსოფლიო კრებას. ცნობაში ნათქვამია, რომ ეს მოხდა იმპერატორ კონსტანტინე პოგონატის (668-685 წწ.) დროს.

VI კრებას კანონები არ შეუმუშავებია, ამიტომ კრების დადგენილება მხოლოდ დაინტერესებულმა მხარემ – ქართულმა ეკლესიამ შემოინახა. ამ ცნობაში ნათქვამია, რომ კრება ჩატარდა კონსტანტინეს მეფობის მე-13 წელს, რაც სავსებით სწორია. კონსტანტინე 668 წელს ავიდა ტახტზე და მისი მეფობის მე-13 წელი არის 681 წ.

680-681 წლებში ჩატარებულ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ქართველთა დასწრება, ვახტანგ გოილაძის აზრით, რომელმაც თავის ნაშრომში ეს საკითხი გამოიკვლია, ივარაუდება 681 წლიდან.

„ქართული წყაროების (ზემოთ მოყვანილ) ცნობაში ყველა მონაცემი სწორია, კერძოდ ის, რომ კონსტანტინე პოგონატი იყო იუსტინიანეს (685-695) მამა. იუსტინიანეზე მითითება იმის მანიშნებელია, რომ ეს ცნობა დაიწერა იუსტინიანე II-ის დროს და იმ დროის მკითხველისათვის ცნობილი იყო სწორედ იუსტინიანე, რომლის მამის დროსაც ეს კრება ჩატარდა.

ამ ცნობაში ძალზე ზუსტადაა დასახელებული კრებაზე დამსწრე პირებიც. VI კრების I სხდომა 680 წლის 7 ნოემბერს შედგა. კრებაზე დამსწრე 153 ეპისკოპოსსა და პრესვიტერს შორის იყვნენ კონსტანტინოპოლის პატრიარქი გიორგი, ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი, ალექსანდრიის პატრიარქის წარმომადგენელი პრესვიტერი პეტრე, იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი პრესვიტერი თეოდორე და აგათონ რომის პაპის წარმომადგენლები: თეოდორე, გიორგი და იოანე დიაკონი.

ქართული ცნობა მსოფლიო კრებაზე დამსწრე ანტიოქიის პატრიარქად ასახელებს არა მაკარიოსს, არამედ ანტიოქიის პატრიარქ თეოდორეს, მართლაც, ამ კრებამ მაკარიოსი გადააყენა და თეოდორე აირჩია, ამიტომაც ქართული წყარო არ ასახელებს მაკარიოსს. ვ. გოილაძის აზრით – „სწორედ ეს განსხვავება სძენს ქართულ ცნობას სანდოობას და გვარწმუნებს, რომ იგი კრებაზე მიღებული დადგენილების ზუსტი ასახვაა“.[185]

წმიდა კრებამ 18 სხდომა გამართა და თითქმის ერთ წელს გააგრძელა მუშაობა. ძირითადად, მონოთელიტების საკითხი იხილებოდა. მაკარიოს ანტიოქიელი კრების მონოთელიტთა ჯგუფს მეთაურობდა. კრების დასაწყისში მას გიორგი კონსტანტინოპოლელიც თანაუგრძნობდა, რითაც აგათონ რომის პაპის მართლმადიდებლობას ეწინააღმდეგებოდა, შემდეგ გიორგი კონსტანტინოპოლელი მართლმადიდებელთა მხარეზე გადავიდა, რამაც გამოიწვია მაკარიოს ანტიოქიელის დამარცხება. კრებამ მაკარიოსი მწვალებლად გამოაცხადა, პატრიარქობიდან გადააყენა და ანათემას გადასცა. მაკარიოსის ნაცვლად ანტიოქიის პატრიარქად ქართულ ცნობაში მოხსენებული თეოფანე იქნა არჩეული და კრების შემდგომ მუშაობაშიც ის მონაწილეობდა.

დაახლოებით 681 წლის 5 აპრილიდან გამოდიოდა თეოფანე ანტიოქიის პატრიარქის ტიტულით და ქართული ეკლესიის საპატრიარქო ღირსების საკითხი – „...კონსტანტინოპოლის VI მსოფლიო კრებამ, ჩანს, 681 წლის 5 აპრილიდან 16 სექტემბრამდე გამართულ სხდომებზე განიხილა“.[186] კრებაზე მაკარიოსის გადაყენების შემდეგ მართლმადიდებლებმა ბრძოლა გააგრძელეს სხვა მწვალებლებთან. ბოლოს ჩამოაყალიბეს მართლმადიდებლური დოგმატი, რომელიც იმპერატორმა დაამტკიცა 681 წლის 16 სექტემბერს და დასაცავად გადაეცა საიმპერატორო

კარს. რაც შეეხება კანონებს, იგი 680-681 წლების კრებას არ შეუმუშავებია. მაგრამ ქართული ეკლესიის შესახებ ამ კრების დადგენილება შესულა დოკუმენტში, რომელსაც ეწოდება „კონსტანტინოპოლური ტახტიკონი“.

VI მსოფლიო კრების გადაწყვეტილების დედანი დღეისათვის უცნობია. კრების დადგენილებით, ქართველები იყვნენ დაინტერესებულნი და მათ შემოინახეს არა მხოლოდ ზემოთ მოყვანილი ვარიანტით. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა თხზულება „სიტყვის გებად ლათინთა მიმართ ჩვენ მართლმადიდებელთა მიერ“, რომელიც ე. თაყაიშვილმა „მარტვილის ხელნაწერებში“ აღწერა. ამ თხზულების ბოლო ნაწილში იკითხება: „რამეთუ ესრეთ შესასწავებელ არს ტახტიკონსა შინა კონსტანტინოპოლისსასა, ვითარმედ მას ჟამსა შინა წმიდა მეექუსე კრებასა კონსტანტინე პოღონატისასა და აღათონ რომთა პაპისა, გიორგი კონსტანტინეპოლელისა და თეოფანე ანტიოქიელისასა და მათ თანა ასორმოცდაათთა მამათაგან გაპატიოსნდა კათალიკოზი ქართლისა და ყვეს მამამთავრად და თავისუფალ და უფლად ყოვლისა ზედა საქართველოჲსა... აღარავისაგან ხელ ქვეშ არს, არამედ თავისუფალ და მამამთავარი (ე.ი. „პატრიარქი“) არს“.

ვ. გოილაძე წერს – „თუ თ. ბალსამონი ქართულ ეკლესიაზე საუბრისას წყაროს არ ასახელებს, სამაგიეროდ, „მარტვილური ხელნაწერი“ წყაროდ „კონსტანტინოპოლურ ტაქტიკონს“ ასახელებს, რომელშიც უეჭველია ის დოკუმენტი უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც 681 წლის 16 სექტემბერს საიმპერატორო კარს გადაეცა შესანახად“.[187]

ამ „ტაქტიკონში“ ნათქვამი ყოფილა, რომ 681 წლის კრების შემდეგ ქართული ეკლესია ითვლება სამამამთავრო ეკლესიად, ანუ საპატრიარქო ეკლესიად, რომ ის სრულებით თავისუფალია და არც ერთ პატრიარქს არ ექვემდებარება – „რამეთუ აღარავისაგან ხელ ქვეშ არს, არამედ თავისუფალ არს“, იმავე ცნობას იმეორებს ბერძენი კანონისტი მათეოს ბლასტარი – კერძოდ, რომ „... იბერიის ეკლესია არც ერთ პატრიარქს არ ექვემდებარება, რომ იბერიელთა ეკლესიის მღვდელმთავრები ჩვეულებრივ ხელთ ისხმებოდნენ საკუთარ ეპისკოპოსთაგან“ – უეჭველია მათეოს ბლასტარი „კონსტანტინოპოლის ტაქტიკონის“ მსგავსი წყაროდან სარგებლობს. მართალია, ბლასტარი ქართულ ეკლესიასთან კავშირში არ ახსენებს VI მსოფლიო კრებას, რადგანაც ის ავტოკეფალიის შესახებ საუბრობს და არა საპატრიარქო ღირსების შესახებ, ავტოკეფალია კი, მისი აზრით, ქართულ ეკლესიას ანტიოქიის კრებისაგან მიუღია, ცხადია, ამ დრომდე ადრე.

იუსტინიანე II რინოტმატის მეფობის დროს, 692 წელს, კონსტანტინოპოლის ტრულის დარბაზში კვლავ შესდგა საეკლესიო კრება. ამ კრებამ გაითვალისწინა წმიდა მოციქულთა კანონები. ასევე I, II, III, IV მსოფლიო კრებათა და ადგილობრივი კრებების კანონები, ზოგიც ახალი დაუმატა და ისინი ერთიანი სახით გამოსცა. თუმცა, ამ კანონებში წინა კრებების ზოგი კანონი და დადგენილება არ იქნა შეტანილი. ასეთები, თეოდორე ბალსამონის სიტყვით, მის დროს, ე.ი. XII საუკუნეში ჯერ კიდევ ბევრი იყო. 692 წლის მე-2 კანონისადმი დართულ კომენტარში იგი წერს, რომ ასეთი წიგნები მან არაერთხელ ნახა დიდი თანამდებობის

მოხელეთა ხელში და აფრთხილებდა მათ, რომ ძველი კანონები არ გამოეყენებინათ. როგორც ჩანს, შემდეგში ასეთი კანონები და დადგენილებები თანდათან ხმარებიდან გამოდიოდა და რადგან ხმარებაში არ იყო, ცხადია, აღარც გადაიწერებოდა. გამორიცხული არაა, ასეთ წიგნებში მოხვედრილიყო VI კრების დადგენილება ქართული ეკლესიის საპატრიარქო ღირსების შესახებ.

VII საუკუნის 80-იან წლებში ქართველები აქტიურად ებრძოდნენ ბიზანტიის მტრებს.

„686 წელს ქართლის ერისმთავარმა ნერსე I-მა დიდ სომხეთში მდგარი არაბთა სარდალი ბარაბა დაამარცხა და არაბები განდევნა. ამ ხანებში ბიზანტიას ძლიერ ესაჭიროებოდა ქართველთა სამხედრო მხარდაჭერა, ამიტომ VI მსოფლიო კრებაზე ქართული ეკლესიისათვის საპატრიარქო ღირსების მინიჭებას საიმპერატორო კარიც დაუჭერდა მხარს“.[188]

„ქართლის ცხოვრებისა“ და სხვა ცნობით, 681 წელს ქართულ ეკლესიას მიენიჭა საპატრიარქო ღირსება. საქართველოს საპატრიარქოში იმ დროს დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი პროვინციაც შედიოდა. 720-იან წლებში საქართველოს საპატრიარქო ორად გაიყო – ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებად. X საუკუნეში საქართველოს სახელმწიფოს გაერთიანების შემდეგ გაერთიანდა აფხაზეთისა და ქართლის საკათალიკოსოები – კვლავ შეიქმნა ერთიანი საქართველოს საპატრიარქო. XI საუკუნეში საქართველოს საპატრიარქოს არსებობა უეჭველია.

როგორც აღინიშნა, XI საუკუნეში ქართულმა ეკლესიამ საპატრიარქო ღირსება თვითნებურად კი არ მიიკუთვნა, არამედ მას ჰქონდა კანონიკური საფუძველი საპატრიარქო ეწოდებინა ქართული ეკლესიისათვის – საფუძველი VI მსოფლიო კრების დადგენილება იყო.

ᲓᲘᲞᲢᲘᲮᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

დიპტიხი არის მართლმადიდებელთა ღვთისმსახურების დროს ადგილობრივ ეკლესიათა მეთაურების მოხსენების რიგითობა, ანუ მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურების მოხსენების რიგი. ის წარმოადგენს გამოხატვას სულიერი და კანონიკური ერთობისა ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის. მართალია, მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიას არ გააჩნია ერთიანი ადმინისტრაციული ცენტრი, მაგრამ ყოველი დამოუკიდებელი, ავტოკეფალური ადგილობრივი ეკლესიის მეთაური და მისი დიაკონი ღვთისმსახურების დროს მოიხსენებს სხვა ადგილობრივი ეკლესიების მეთაურებს, ამით ის გამოხატავს, რომ ყველა მართლმადიდებელი ეკლესია, ეროვნებისაგან დამოუკიდებლად, შეადგენს ერთ, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიას. ყველა ადგილობრივი ეკლესია ერთმანეთის მიმართ თანაბარია და თანასწორი. არ არსებობს პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი, უპირატესი და უმცირესი ეკლესია. მრავალრიცხოვნება, ან ტერიტორიის სიდიდე არ ანიჭებს უპირატესობას რომელიმე ეკლესიას მეორე მცირე ეკლესიის წინაშე. მამათა კანონების თანახმად, ყოველი ეკლესიის თავისუფლე-

ბა მოპოვებულია უფალ იესო ქრისტეს სისხლით. III მსოფლიო კრება მე-8 კანონში წერდა, რომ ყოველი ეკლესიის დამოუკიდებლობა და თავისუფლება „...თჳსითა სისხლითა მოგუანიჭა ჩუენ უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან, განმათავისუფლებელმან ყოველთა კაცთამან“.[189] ღვთის სიტყვის თანახმად, ქრისტეს ეკლესიაში არ არის არც ელინი, არც იუდეველი, არც ბარბაროსი, არც სკვითი. მოციქულთა 34-ე კანონი ყველა ეთნიკური ოლქის ეკლესიას თავისთავადობას ანიჭებს. ის არ აძლევს რომელიმე ეკლესიას უპირატესობას, ამიტომაც თანამედროვე დიპტიხში ეკლესიათა მეთაურების მოხსენიების დროს, ერთი ეკლესიის მეთაურის სხვა ეკლესიის მეთაურის წინ თუ უკან დაყენება, გარკვეული თვალსაზრისით ერთისათვის „უპირატესობის“ მინიჭება მეორესთან შედარებით, არ შეესაბამება ქრისტიანობის არსს, თუმცა თავისი ტრადიცია აქვს. ისტორია ნათელყოფს და მოციქულთა 34-ე კანონი უჩვენებს, რომ იმ დიპტიხის წინასახე, რომელსაც ჩვენ დღესდღეობით ვიყენებთ, ჩამოყალიბდა ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარების შემდეგ და არ არსებობდა ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში (იმპერატორთა გაქრისტიანებამდე). დიპტიხი არსებობდა მხოლოდ აღმოსავლეთ რომის იმპერიის შიგნით მყოფი ეკლესიების საჭიროებისათვის. დიპტიხი ბიზანტიურ ეკლესიაში იხმარებოდა. დასავლეთ რომის იმპერიის ეკლესიაში კი ღვთისმსახურების დროს არასოდეს არ იხმარებოდა დიპტიხი. ასევე, რადგანაც იბერიის სახელმწიფო არსებობდა ბიზანტიისაგან დამოუკიდებლად, ქართული ავტოკეფალური ეკლესიის მეთაური ბიზანტიურ დიპტიხებში შეტანილი არ ყოფილა. დიპტიხი სჭირდებოდათ იმპერიის შიგნით, იმპერიაში შემავალ ეკლესიებს თავიანთი საჭიროებისათვის. დიპტიხი იყო განსაზღვრული წესრიგი კათედრების მეთაურების რანგების მიხედვით განაწილებისას. დიპტიხი საზღვრავდა ეკლესიათა შორის დამოკიდებულებას. დიპტიხის შექმნა მოითხოვა იმპერიის ერთიანობისა და დაუშლელობის საჭიროებამ, რათა იმპერიის ფარგლებში მყოფ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ეკლესიათა შორის, ასევე ეპისკოპოსთა შორის არ დაწყებულიყო დაუსრულებელი კამათი, წინააღმდეგობა ეკლესიათა და კათედრათა ღირსებისა და პატივის ხარისხის განსაზღვრისას. დიპტიხის შექმნის შემდეგაც კი ერთი ეკლესიის, ან კათედრის მეთაურის მიერ მეორის დაწყევლის ან ანათემაზე გადაცემის დროს ერთი ეკლესია მეორე ეკლესიას ამოშლიდა ხოლმე თავისი დიპტიხიდან. იმპერიაში მოთავსებულ ავტოკეფალურ ეკლესიათა და კათედრათა მეთაურებს სახელმწიფოში ეჭირათ დიდი ადმინისტრაციული თანამდებობები. დიპტიხის შექმნა უპირველესად ამ ეკლესიათა სურვილით იყო გამოწვეული, რათა განესაზღვრათ პატივის ხარისხი ეკლესიათა მეთაურ მღვდელმთავართა შორის, თუ რომელი ეკლესიის მეთაური, ანუ სახელმწიფოს მოხელე იდგა პატივით სხვა მღვდელმთავარ-მოხელეზე მაღლა. რადგანაც იბერიის ეკლესიის მეთაური არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ბიზანტიის სახელმწიფოს მოხელე, ცხადია, იბერიის ეკლესიის მეთაურის იმპერიაში შემავალ სხვა მღვდელმთავრებთან პატივის განსაზღვრის არავითარი საჭიროება არ არსებობდა. ამიტომაც იბერიის ეკლესია ბიზანტიურ დიპტიხში არ შედიოდა.

უძველეს დროს სხვადასხვა ეკლესიებს სხვადასხვა დიპტიხები ჰქონდათ. დიპტიხის შედგენას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა IV საუკუნის შემდეგ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის ადგილის განსაზღვრისას. ტრულის კრებაზე განისაზღვრა უკვე V-VI საუკუნეებში არსებული ურთიერთდამოკიდებულება იმპერიის ეკლესიათა შორის – პირველი იყო რომის საყდარი, მეორე – კოსტანტინოპოლისა, მესამე – ალექსანდრიისა, მეოთხე – ანტიოქიისა, მეხუთე – იერუსალიმისა.[190] ამ ხუთი პატრიარქისაგან დამოუკიდებელი იყო კვიპროსის ეკლესია.

საეკლესიო წესების თანახმად, რომის პაპი ყოველთვის პირველი იყო ყველა მღვდელმთავართა შორის (იგულისხმება VI ს-დან). ქალკედონის კრების 28-ე კანონის თანახმად, კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს მეორე ადგილი მიენიჭა რომის პაპის შემდეგ, რაც გაიმეორა ტრულის კრებამ 36-ე კანონში.[191] ქართული ეკლესიის დიპტიხი ეყრდნობოდა მსოფლიო კრებათა კანონებს, ამიტომაც პირველ ადგილზე რომის საყდარს აყენებდა XIII საუკუნეშიც კი, თუმცა მართლმადიდებლობის ცენტრად „ბერძნულ“ ეკლესიას თვლიდა.[192]

VI-VII საუკუნეებში დიპტიხები იქცნენ ოფიციალურ დოკუმენტებად რომის იმპერიის მთავარი ქალაქების ეპისკოპოსთა შორის უპირატესობის განსაზღვრისას. იბერიის ავტოკეფალური ეკლესიის იურისდიქციაში შემავალი ქალაქები არ შედიოდნენ იმპერიაში, ამიტომაც იბერიის ქალაქთა ეპისკოპოსები არ იყვნენ დიპტიხში შეყვანილნი VII საუკუნემდე. VII საუკუნის დასაწყისში ჰერაკლე კეისარმა ქვემო იბერიის, ანუ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა მიწები ჩამოართვა იბერიის სახელმწიფოს და შეუერთა ბიზანტიის იმპერიას. ამის შემდეგ VII საუკუნეში საქართველოს დაპყრობილი შავიზღვისპირა ქალაქების ფასისისა (ფოთი) და პეტრონის (ციხისძირი) ეპისკოპოსები შეყვანილ იქნენ ბიზანტიურ დიპტიხში. V ტრულის კრების კანონებს ხელს აწერენ ფასისისა და პეტრონის ეპისკოპოსები – „თეოდორე უღირსმან ეპისკოპოსმან ფასოჲსამან სოფელსა შინა მეგრელთასა განვასაზღვრენ და წარვწერენ...“[193] („ფასოჲ-ფოთსა იტყვის“ – ნათქვამია ქართველი მთარგმნელის შენიშვნაში). ასევე ხელს აწერს – „იოანე უღირსმან ეპისკოპოსმან ქალაქისა პეტრონისამან ქუეყანასაგან მეგრელთაჲსა განვასაზღვრე და წარვწერე“.[194]

აღსანიშნავია, რომ ტრულის კრების კანონებს ხელს არ აწერს იბერიის დედაქალაქის ეპისკოპოსი და არც იბერიის ეკლესიის წარმომადგენელი, ხოლო იბერიის იმ ქალაქების ეპისკოპოსები კი, რომელნიც ბიზანტიის იმპერიაში შედიოდნენ, შეყვანილნი არიან ბიზანტიურ დიპტიხში და ამ კრების კანონებსაც ხელს აწერენ.

იერუსალიმელი პატრიარქები დოსითეოსი და ხრისანფი წერენ – ლაზიკის ეპარქიაში შემავალი ფასისისა სამიტროპოლიტოს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დიპტიხში ეჭირა 27-ე ადგილი, ხოლო ტრულის კრებას ლაზების ქვეყნიდან (ე.ი. ქვემო იბერიიდან) ესწრებოდნენ თეოდორე ფაზისელი და იოანე პეტრონის ეპისკოპოსი.[195]

აქედან აშკარად ჩანს, რომ დიპტიხში შეტანილი იყო ბიზანტიის ქართული ქალაქების ეპისკოპოსები, ხოლო ბიზანტიის გარეთ მყოფი ქართული ქალაქების ეპისკოპოსები კი – არა. ე.ი. დიპტიხი ბიზანტიური სახელმწიფოს საჭიროები-

სთვისაა შედგენილი, ამიტომაც იბერიის ავტოკეფალური ეკლესიის წარმომადგენელთა მოუხსენებლობა ძველ დიპტიხში იმის ნიშანი კი არაა, რომ ასეთი ავტოკეფალური ეკლესია არ არსებობდა, არამედ პირიქით, არსებობდა და არ ექვემდებარებოდა იმპერიაში შემავალ საპატრიარქოებს – ჭეშმარიტად ავტოკეფალური იყო.

აღმოსავლური (ბიზანტიური) დიპტიხის ახალი გახსენებაა პარიზის კოდექსი XV საუკუნისა, სადაც იხსენიება მსოფლიო (კონსტანტინოპოლის) პატრიარქი, ალექსანდრიელი, ანტიოქიელი და იერუსალიმელი პატრიარქები, მაგრამ ამ კოდექსზე უფრო მნიშვნელოვანია XV საუკუნის 30-იან წლებში შემდგარი „მსოფლიო“ საეკლესიო (ფერარა-ფლორენციის) კრებაზე დაცული დიპტიხი, რადგანაც ამ კრებას ესწრებოდნენ მსოფლიოს ხუთივე საპატრიარქოსა და იმ დროს არსებული ყველა ავტოკეფალური ეკლესიის წარმომადგენლები. ამ კრების ოქმებს პატრიარქებმა და მათმა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს. მართალია, ეს კრება „ყაჩაღური“ კრება იყო და მის ოქმებს იბერიის ეკლესიის წარმომადგენელმა ხელი არ მოაწერა, მაგრამ კრება „ყაჩაღური“ იყო სარწმუნოების საკითხებში და არა დიპტიხის საკითხში. ამ „მსოფლიო“ კრებაზე დაცული იყო წინა მსოფლიო კრებათა კანონები ეკლესიათა განლაგების შესახებ. XV საუკუნის ამ კრების დიპტიხი ასეთი იყო: – რომის ეკლესია, კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის საპატრიარქოები, იერუსალიმის შემდეგ VI ადგილზე დგას იბერიის ეკლესია. აქედან ჩანს, რომ ძველ დიპტიხში იბერიის ეკლესიას ეჭირა VI ადგილი, მაგრამ ასეთი სახის დიპტიხი მხოლოდ მთელი მსოფლიოს ეკლესიას შეეხებოდა. კონსტანტინოპოლის და ბიზანტიურ დიპტიხებში XVI საუკუნემდე შეტანის უფლება მხოლოდ ოთხი აღმოსავლელი პატრიარქის პრივილეგია იყო.[196] მართალია, XVI საუკუნეში რუსეთის საპატრიარქოს დაარსების შემდეგ მოსკოვის პატრიარქს ნება მიეცა დიპტიხში და თათბირებზე მდგარიყო იერუსალიმის საპატრიარქოს შემდეგ, მაგრამ მალევე, როცა რუსეთში დაარსდა წმიდა სინოდის მმართველობა, ყველა აღმოსავლეთის საპატრიარქოს დიპტიხებში მხოლოდ ოთხი აღმოსავლეთის პატრიარქი მოიხსენებოდა.[197]

ბიზანტიურ (აღმოსავლეთის საპატრიარქოების) დიპტიხებში შეტანილი არ იყო ბულგარეთის არქიეპისკოპოსი, როცა მას 1234 წელს კონსტანტინოპოლმა პატრიარქის ტიტული მიანიჭა, დიპტიხში არ იყვნენ შეტანილნი, აგრეთვე, ავტეკეფალური არქიეპისკოპოსები არქიდისა, კვიპროსისა, იბერიისა (ორი – იბერიაში „ზემო“ და „ქვემო“) და პეკიისა.[198]

XIX საუკუნის შუა წლებამდე წმიდა დიპტიხში იხსენიებოდა მხოლოდ აღმოსავლეთის ოთხი პატრიარქი, მხოლოდ ამ საუკუნეში და შემდგომ ახალი ავტოკეფალური ეკლესიების (ელადის, სერბეთის, რუმინეთის, პოლონეთის და ალბანეთის) დაარსების შემდეგ მსოფლიო კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ისინი დაავალდებულა, დიპტიხში მოეხსენიებინათ ოთხი პატრიარქის გარდა სხვა ეპისკოპოსები და ეკლესიები.

საქართველოს საპატრიარქოს აღგილი მართლმადიდებლურ ღიპტიხში

X და XI საუკუნეთა მიჯნაზე საქართველო გაერთიანდა, რისთვისაც საუკუნეთა მანძილზე იღწვოდა იბერიის ეკლესია. სხვადასხვა ქართული პოლიტიკური ერთეულების გაერთიანებამ ერთიან მძლავრ სახელმწიფოდ გამოიწვია საქართველოს ჰეგემონობა მთელ კავკასიაში. აღმოსავლეთის ეკლესია განსაკუთრებით სავალდებულოდ ხდიდა სამოქალაქო-საერო დაყოფის გადადებას საეკლესიოში, ასე რომ, ყოველ ცვლილებას საეროში შესაბამისი ცვლილებები უნდა მოჰყოლოდა საეკლესიოში. ამიტომაც, სახელმწიფოს გაერთიანებას თან მოჰყვა ქართული ეკლესიის გაერთიანება. აქამდე აფხაზეთის სამეფოში არსებობდა „აფხაზეთის საკათალიკოსო“. ქართლის სამეფოში კი – „ქართლის საკათალიკოსო“. სამეფოთა გაერთიანების შემდეგ გაერთიანდა ეკლესიებიც და ერთიან ქართულ სახელმწიფოში წარმოიქმნა ერთიანი ეკლესია საქართველოს საპატრიარქოს სახელწოდებით. საქართველოს საპატრიარქო, გარდა აფხაზეთისა და ქართლის საკათალიკოსოებისა, შეიცავდა აგრეთვე საქართველოს სახელმწიფოს გავლენის სფეროში შემავალ ჩრდილო კავკასიის ქრისტიანებს, აგრეთვე სომხეთისა და ყოფილი ალბანეთის მართლმადიდებელ მოსახლეობას. ჩრდილო კავკასიის ქრისტიანები უშუალოდ საქართველოს პატრიარქს ექვემდებარებოდნენ, რასაც მოწმობს ეპიგრაფიკული მასალა, ხოლო XV საუკუნისათვის ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთით შექმნილი იყო ხუნძეთის საკათალიკოსო, რომელიც იბერიის საპატრიარქოში შედიოდა. საქართველოს საპატრიარქოში შევიდა სომხეთის სამიტროპოლიტო, რომელიც ისტორიული საქართველოს საზღვრებს გარეთ მდებარეობდა – სომხეთის (ანისის) ყოფილ სამეფოში. საქართველოს საპატრიარქოს შექმნის შემდეგ საკათალიკოსოები არ გაუქმებულან, ისინი არსებობას განაგრძობდნენ ისე, როგორც ბიზანტიურ საპატრიარქოში არსებობდნენ სამიტროპოლიტოები. როგორც წესი, პატრიარქი იმავე დროს მცხეთის, ანუ ქართლის კათალიკოსიც იყო, მას სვეტიცხოვლის პატრიარქიც ეწოდებოდა სასაყდრო ტაძრის მიხედვით.

საქართველოს საპატრიარქო კავკასიის მასშტაბით ძალზე დიდი ეკლესია იყო. ის მოიცავდა არა მარტო კავკასიის მართლმადიდებლობას, არამედ ძალზე სცილდებოდა კავკასიის საზღვრებს ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართულებით. სამხრეთით საქართველოს საპატრიარქოს ესაზღვრებოდა ვანის ტბა და ტერიტორიები, რომელიც დავით კურაპალატმა შეიყვანა ქართველთა სამეფოში.

საქართველოს საპატრიარქოს წარმოშობამდე არ არსებობდა ქართული ეკლესიის მეთაურის ღირსების ბიზანტიელ იერარქების ღირსებასთან შედარების საჭიროება, ამიტომაც, ალბათ, ქართულ ეკლესიაში დიპტიხი არ გამოიყენებოდა. ვითარება შეიცვალა საპატრიარქოს შექმნის შემდეგ. ახალმა მდგომარეობამ წარმოშვა საკითხი, თუ პატრიარქთა რიგში რომელ ადგილზე უნდა დაეყენებინათ, ანდა რომელი პატრიარქის შემდეგ უნდა ეხსენებინათ ახალი პატრიარქი – ქართული ეკლესიის მეთაური. მართალია, იმ დროს ზოგიერთ არამართლმადიდებლური ეკლ-

ესიის მეთაურს ჰქონდა პატრიარქის ტიტული, მაგრამ მსოფლიო მართლმადიდებლურ ეკლესიაში მხოლოდ ხუთი პატრიარქი არსებობდა, რასაც მსოფლიო საეკლესიო კრებებიც ადასტურებდა. იმ დროს გადახედეს არსებულ პატრიარქების რიგს და დაადგინეს, რომ ახალი ქართველი პატრიარქი იყო მეექვსე პატრიარქი – რომის პაპის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის პატრიარქების შემდეგ. ასე შედგა ქართული ეკლესიის დიპტიხი. ქართული ეკლესიის დიპტიხი უკვე არსებობდა საეკლესიო გამოყოფამდე რომსა და კონსტანტინოპოლს შორის, და ამიტომაც ამ განყოფამდე უკვე არსებული დიპტიხი საუკუნეების მანძილზე უცვლელად გადადიოდა საბუთიდან საბუთში. XVIII საუკუნის დოკუმენტშიც ასეთი დიპტიხია დაცული: „...ჩუენცა, გლახაკი, ქრისტეს მიერ, შემდგომად ხუთთა პატრიარქთა და უპირველეს მათსა... სუეტისცხოვლის მეექუსისა პატრიარქის და ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოს კათალიკოზი ნიკოლოზ ვამტკიცებ და წარვსწერ...“[199]

აქედან ჩანს, რომ ქართული ეკლესიის მეთაურს დიპტიხის პატრიარქთა რიგში VI ადგილი უჭირავს, მაგრამ მას თავისი ღირსება არც ერთი პატრიარქის ღირსებაზე ნაკლებად არ მიაჩნია.

დიპტიხში ქართველ პატრიარქს VI ადგილზე XI საუკუნის დასაწყისშივე რომ აყენებდნენ, ეს შემდეგიდან ჩანს: საქართველოს საპატრიარქო შეიქმნა მსოფლიო ქრისტიანობის კათოლიკებად და მართლმადიდებლებად გაყოფამდე, რაც 1054 წელს მოხდა. ამის შემდეგ ქართული ეკლესია მარად მართლმადიდებელთა დიდი ოჯახის წევრი იყო, ამიტომაც გაყოფის შემდგომ შედგენილ ქართულ საბუთებში რომის პაპი აღარ იხსენიებოდა მართლმადიდებლობასთან და მართლმადიდებელ პატრიარქებთან კავშირში. გამონაკლისია ქართული ეკლესიის დიპტიხი, მასში რომის პაპის სხვა აღმოსავლელი პატრიარქების გვერდით დაყენება მიუთითებს იმაზე, რომ ქართული ეკლესიის დიპტიხი შედგენილია საეკლესიო განხეთქილებამდე, ხოლო შემდგომი საუკუნეების საბუთებში დიპტიხის შეუცვლელად გადატანა მიუთითებს საეკლესიო ტრადიციულობაზე, რომელიც განსაკუთრებით იყო დაცული ქართულ ეკლესიაში. გარდა ამისა, ქართული ეკლესია მუდამჟამს ერთგული იყო საეკლესიო კრებათა კანონებისა, განსაკუთრებით კი ქალკედონის კრებისა, ქალკედონის კრებამ კი თავის 28-ე კანონში დაადგინა, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქი უნდა მდგარიყო არა პირველ ადგილზე, არამედ მეორეზე. პირველი ადგილი რომის პატრიარქს უნდა დაეკავებინა. კონსტანტინოპოლი „...მეორე იყო შემდგომად მისსა...“[200] იგივე დაადასტურა იუსტინიანემ თავის 131-ე ნოველაში, კერძოდ, „საეკლესიო კანონების განსაზღვრების თანახმად, უწმიდესი პაპი ძველი რომისა იყო პირველი ყველა მღვდელმთავართა შორის. ახალი რომისას კი ექნება მეორე ადგილი ძველი რომის წმიდა სამოციქულო საყდრის შემდეგ, მაგრამ ადგილს დაიჭერს სხვა საყდრების მაღლა“.[201] ტრულის საეკლესიო კრების 36-ე კანონმაც გაიმეორა ძველი კანონები და საპატრიარქოთა ადგილები ასე განსაზღვრა – „...განვასაზღვრებთ, რაჲთა საყდარსა კონსტანტინეპოლისასა სწორი პატივი აქუნდეს ჰრომისა საყდრისაჲ და ვითარცა იგი განდიდნების საეკლესიოთა შინა საქმეთა,

მეორე იყოს ესე შემდგომად მისსა, რომლისა შემდგომად იყავნ ალექსანდრიელთა დიდისა ქალაქისაჲ და შემდგომად მისსა იერუსალემელთა ქალაქისაჲ“.[202] ტრულის კრებამ, გაიმეორა რა კონსტანტინოპოლის საყდართან დაკავშირებით II მსოფლიო კრების მე-3 კანონი და 28-ე კანონი IV მსოფლიო კრებისა, განსაზღვრა, რომ პირველი ყოფილიყო რომის საყდარი, მეორე – კონსტანტინოპოლისა, მესამე – ალექსანდრიისა, მეოთხე – ანტიოქიისა და მეხუთე – იერუსალიმისა.

მცხეთელის (საქართველოს) საპატრიარქო საყდარი დადგა იერუსალიმის საყდრის შემდეგ. ქართული დიპტიხის შედგენისას გათვალისწინებული იქნა II მსოფლიო კრების მე-3, ქალკედონის 28-ე, ტრულის 36-ე კანონები და მიიღო ასეთი სახე:

1. რომის საყდარი;
2. კონსტანტინოპოლის საყდარი;
3. ალექსანდრიის საყდარი;
4. ანტიოქიის საყდარი;
5. იერუსალიმის საყდარი;
6. მცხეთის (სვეტიცხოვლის) საყდარი.

ქართული დიპტიხის მიხედვით, საქართველოს ეკლესიის მეთაურს სხვა ავტოკეფალური ეკლესიების მეთაურთა რიგში ეჭირა მე-6 ადგილი.

ქართული ეკლესიის მეთაურის მე-6 ადგილზე მოხსენიებას ქართულ ეკლესიაში საუკუნეების მანძილზე ჰქონდა ისტორიულ-ტრადიციული მნიშვნელობა და ისევე შეუცვლელად ითვლებოდა, როგორც საეკლესიო კრებათა და მამათა კანონები.

დიპტიხის ზემოთ მოყვანილი სახე მიუთითებს იმაზე, რომ ის შედგენილია საეკლესიო განყოფამდე.

ბიზანტიის იმპერიაში გაბატონებული იყო „პენტარხიის თეორია“, მსოფლიოში ხუთი ავტოკეფალური ეკლესიის არსებობის შესახებ. ეს თეორია იყო გამონაგონი ბიზანტიის საიმპერატორო და საპატრიარქო კარისა. თვით იმპერიაშივე არსებობდა მეექვსე ავტოკეფალური ეკლესია კვიპროსისა, ხოლო იუსტინიანემ დააარსა ახალი ავტოკეფალური ეკლესია „პირველი იუსტინიანეს“ სახელწოდებით, იმპერიის გარეთ ძველთაგანვე იბერიის (საქართველოს) ავტოკეფალური ეკლესია არსებობდა, მიუხედავად ამისა, აღმოსავლეთის ეკლესიებში და მათ შორის საქართველოშიც, იცნობდნენ პენტარხიის თეორიას და მასში კორექტივებიც შეჰქონდათ.

საქართველოში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ხუთი მსოფლიო პატრიარქის შემდგომ იდგა საქართველოს, ანუ მცხეთის კათალიკოს-პატრიარქი. საქართველოს საპატრიარქოს დაარსებიდან მცირე ხნის შემდეგ, 1057 წელს მეფე ბაგრატ IV-ის შეწირულების სიგელს შიომღვიმისადმი აქვს ქართული ეკლესიის მეთაურის მინაწერი, რომლის თანახმადაც ის დგას მეექვსე ადგილზე მსოფლიოს ხუთი პატრიარქის შემდეგ. ვინც ეს სიგელი დაარღვიოსო, წერს ის – „...კრულმცა არს... ხუთთა პატრიარქთა ჯუარითა... და ჩემ გლახაკისაცა ჯუარითა“.[203]

1245-1250 წლების დაწერილს შიომღვიმისადმი აქვს მინაწერი: „...ხუთთა პატრიარქთა ჯუარითა, წმიდისა სამოციქულოჲსა კათოლიკე ეკლესიისა მადლითა და რაოდენნი მას შინა წმიდანი ქართლისა კათალიკოზნი სხდომილ არიან და

დასხდებიან მათ ყოველთა ჯუარითა“.[204] წმიდა კათოლიკე სამოციქულო ეკლესია იყო ქართული ეკლესიის სახელწოდება და ყოველთვის ამ ფორმულით მოიხსენიებოდა ის. ეს სიგელიც ხუთი მსოფლიო საპატრიარქო საყდრის შემდეგ ქართულ ეკლესიას ასახელებს.[205]

1259 წლის შეწირულების დაწერილს რკონის მონასტრისადმი ამტკიცებს საქართველოს ეკლესიის მეთაური – „...ჩუენცა, შემდგომად ხუთთა პატრიარქთა... მეექუსისა პატრიარქის... ვამტკიცებ...“[206]

ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, რომ უკვე XI საუკუნეშივე, საქართველოს საპატრიარქოს ჩამოყალიბებისთანავე, საქართველოს პატრიარქს მართლმადიდებლურ დიპტიხში ეჭირა მეექვსე ადგილი ხუთი პატრიარქის შემდეგ.

მართალია, ქართული ეკლესიის დიპტიხში ქართველ პატრიარქს ეჭირა მე-6 ადგილი, მაგრამ ცნობდნენ თუ არა ამას მსოფლიოს სხვა საპატრიარქოები, აღიარებდნენ თუ არა ისინი ქართველი მამამთავრის საყდარს მეექვსე ადგილზე? ჩვენ დაბეჯითებით უნდა ვთქვათ, რომ როგორც რომის პაპები, ისე აღმოსავლეთის ოთხი პატრიარქი ცნობდა იბერიის ეკლესიას მეექვსე ადგილზე იერუსალიმის საპატრიარქოს შემდეგ. ამას მიუთითებს ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების დიპტიხი. ამ კრებაზე ქართულ ეკლესიას ეჭირა VI ადგილი რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის საყდრების შემდეგ. ეს რომ შემთხვევით არ იყო და ეკლესიათა ადგილების განაწილებას ამ კრებაზე, ისე როგორც „XII მსოფლიო“ კრებაზე, საგანგებო ყურადღება ექცეოდა, იქიდანაც ჩანს, რომ ფლორენციის კრებამ 1438 წელს უნიის შესახებ დეკრეტში დაადგინა: „კონსტანტინოპოლის პატრიარქი იქნება მეორე წმიდა რომის პაპის შემდეგ ალექსანდრიელი მესამე, შემდეგ მეოთხე ანტიოქიელი და მეხუთე – იერუსალიმელი...“[207] მართალია, ამ კრებას არ გამოუცია დოკუმენტი, თუ როგორ უნდა განაწილებულიყო შემდეგი ადგილები, რადგანაც კრება ეხებოდა არა დიპტიხის საკითხს, არამედ სარწმუნოების საკითხს, მაგრამ საერთოდ ეკლესიათა (კათედრათა) ადგილების განაწილებას ძალზე დიდი ყურადღება რომ ექცეოდა, ზემოთ მოყვანილი დადგენილებიდანაც ჩანს.

ქართული, ანუ იბერიის ეკლესიის წარმომადგენელს ამ კრებაზე ეჭირა VI ადგილი. 1438 წლის 5 თებერვალს ფერარაში გახსნილ და ფლორენციაში გაგრძელებულ „მსოფლიო“ საეკლესიო კრებას, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის წარმომადგენლები და რომლის აქტებსაც აღმოსავლეთის საპატრიარქოებმა ხელი მოაწერეს, – „თანაბარი უფლებით ესწრებოდა იბერიის მიტროპოლიტი“.[208]

„იბერიის მიტროპოლიტი იჯდა მართლმადიდებელთა მხარეს მეხუთე ადგილზე კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის წარმომადგენლების შემდეგ. – „პირველი კარდინალის პირდაპირ იდგა პატრიარქის სავარძელი... პატრიარქის შემდეგ ოთხ სკამზე განლაგებულნი იყვნენ... იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი მენზიის არქიეპისკოპოსი და იბერიის მეფის წარმომადგენელი იბერიის მიტროპოლიტი“.[209]

კრების მონაწილენი ისხდნენ შემდეგი რიგის მიხედვით: ცენტრიდან თანაბარ მანძილზე იდგა ორი ტახტი – რომის იმპერატორისა და ბერძენთა იმპერატორისა. სასულიერო პირები განლაგებულნი იყვნენ შემდეგი რიგის მიხედვით: ერთ მხარეს ისხდნენ ლათინთა წარმომადგენლები, მეორე მხარეს ისხდნენ მართლმადიდებელთა წარმომადგენლები. ჩვენთვის საინტერესო მართლმადიდებელთა რიგი იყო შემდეგი სახისაა: მართლმადიდებელთა რიგში პირველად იდგა – 1. კონსტანტინოპოლის პატრიარქის სავარძელი (პატრიარქი ამ სხდომას არ ესწრებოდა); პატრიარქის შემდეგ ოთხ სკამზე განლაგებულნი იყვნენ – 2. ალექსანდრიის პატრიარქის წარმომადგენელი – არქიეპისკოპოსი; 3. ანტიოქიის პატრიარქის წარმომადგენელი – არქიეპისკოპოსი; 4. იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი – არქიეპისკოპოსი; 5. იბერიის პატრიარქის (დოკუმენტშია – „მეფის“) წარმომადგენელი მიტროპოლიტი. ამის შემდეგ დიპტიხის მიხედვით ისხდნენ სხვა მართლმადიდებელი ეპისკოპოსები.

„ნაწყვეტი ფლორენციის წმიდა მსოფლიო საეკლესიო კრების ოქმიდან... სასულიერო პირების განლაგების შესახებ... პირველი კარდინალის პირდაპირ იდგა პატრიარქის სავარძელი (პატრიარქი, შეუძლოდ ყოფნის გამო, იმ დღეს კრებას ვერ ესწრებოდა)... პატრიარქის შემდეგ ოთხ სკამზე განლაგებულნი იყვნენ – ჰერაკლიის არქიეპისკოპოსი, რომელსაც ალექსანდრიის პატრიარქის კანონიერი მანდატი ჰქონდა და მისი ადგილი ეკავა; ანტიოქიის პატრიარქის მიერ გამოგზავნილი – ეფესიის არქიეპისკოპოსი; იერუსალიმის პატრიარქის წარმოგზავნილი – მენეზიის არქიეპისკოპოსი და იბერიის მეფის წარმომადგენელი – იბერიის მიტროპოლიტი; ამათ შემდეგ ისხდნენ ტრაპეზუნტის, რიზეს, ნიკეის... არქიეპისკოპოსები... მიტროპოლიტები... ბერები, თავიანთი წესის მიხედვით“.[210]

ფლორენციის კრებაზე არა მარტო ეკლესიათა წარმომადგენელი სასულიერო პირები ისხდნენ „წესის“, ანუ დიპტიხის მიხედვით, არამედ საერო პირებიც ასევე (წესის მიხედვით) ისხდნენ.

ფერარა-ფლორენციის „მსოფლიო“ საეკლესიო კრებიდან ჩანს, რომ ქართული ეკლესიის მეექვსე ადგილი მსოფლიო ეკლესიათა რიგში, ხოლო V ადგილი მართლმადიდებელთა რიგში აღიარებული და ცნობილი იყო როგორც რომის პაპის, ასევე მსოფლიო (კონსტანტინოპოლის) პატრიარქის და სხვა აღმოსავლეთის პატრიარქების მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთ, თავისი დროისათვის ძალზე მნიშვნელოვან კრებაზე, რომელიც მსოფლიო ეკლესიის გაერთიანებას ისახავდა მიზნად, რომისა და აღმოსავლეთის ქრისტიანები ერთმანეთთან უთანხმოებაში არ შევიდოდნენ იბერიის ეკლესიის ადგილის ძიებისათვის. იბერიის ეკლესიის ადგილი დიპტიხში ძველთაგანვე ცნობილი იყო, ამიტომაც მან ამ „მსოფლიო“ კრებაზე ყოველგვარი დავის გარეშე თავისი ადგილი დაიკავა.

XV საუკუნის პირველი ნახევრის დიპტიხი, დაცული ფერარა-ფლორენციის კრებაზე, ასეთია: 1. რომის პაპი; 2. მსოფლიო (კონსტანტინოპოლის) პატრიარქი; 3. ალექსანდრიის; 4. ანტიოქიის; 5. იერუსალიმის; 6. იბერიის; 7. ტრაპეზუნტის; 8. რიზეს; 9. ნიკეის; 10. ლაკედემონიის; 11. ნიკომედიის; 12. ტრივონიის; 13. ამასიის;

14. მიტილენის; 15. ტოლოზინოს; 16. სტავროპოლის; 17. ტუსტრიცის; 18. გარინის; 19. მელენტინის; 20. აქილის; 21. მულდულის პატრიარქები და არქიეპისკოპოსები.[211]

მართალია, ამ კრებაზე ასე ისხდნენ ეკლესიის იერარქები, მაგრამ მათგან ავტოკეფალურ ეკლესიად მიიჩნეოდა მხოლოდ ხუთი ეკლესია: კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმისა და იბერიისა, ამიტომაც ამ ავტოკეფალურ ეკლესიათა წარმომადგენლებს ამ კრებაზე ეჭირათ განსაკუთრებული, სხვებისაგან განსხვავებული სკამები კრების მონაწილეთა პირველ რიგში, ხოლო იბერიის მეფის ელჩი, რომელსაც აგრეთვე ტრაპეზუნტის იმპერატორის მანდატი ჰქონდა, პაპის თანმხლები პირის პირდაპირ იჯდა.[212]

ასეთი სახის იყო „მსოფლიო“ ეკლესიის დიპტიხი. მართლმადიდებლური დიპტიხიდან კი ამოიღეს რომის პაპის მოხსენიება, მაგრამ ამას არავითარი გავლენა არ მოუხდენია ქართული ეკლესიისათვის კანონიკურად მიჩნეულ მეექვსე ადგილზე. კერძოდ, მართალია, მართლმადიდებლური დიპტიხიდან გავიდა რომის პაპის მოხსენიება, რამაც ვაკანტური ადგილი წარმოშვა ადგილობრივი ეკლესიების მეთაურთა ექვსეულში, მაგრამ მალე ვაკანტური ადგილი დაიჭირა რუსეთის ეკლესიამ მსოფლიო საპატრიარქოსა და სხვა საპატრიარქოთა გადაწყვეტილებით, რაც ცნო ქართულმა ეკლესიამ.

„კონსტანტინოპოლის პატრიარქმა გენადი სხოლარიმ (1453-1460) სხვა აღმოსავლელ პატრიარქებთან ერთად ცნო რუსული ეკლესიის დამოუკიდებელი არსებობა და განსაზღვრა ჩათვლილიყო ავტოკეფალური რუსული მიტროპოლია თავისი ღირსებით იერუსალიმის საპატრიარქოს შემდეგ, ე.ი. მეხუთე ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიხში“.[213]

აქამდე ქართულ ეკლესიას დიპტიხში ადგილი იერუსალიმის პატრიარქის შემდეგ ეჭირა, ამის შემდეგ კი მან თავისი ტრადიციული მეექვსე ადგილი დაიჭირა (რუსეთის ეკლესიის შემდეგ).

1589 წელს რუსეთის საპატრიარქოს დაარსების შემდეგ მისმა პატრიარქმა დიპტიხში მაღალი ადგილი დაიკავა. „როცა დიდმა კრებამ 1593 წელს განსაზღვრა მოსკოვის საპატრიარქოს მდგომარეობა, მას გამოეყო უფრო მაღალი ადგილი, ვიდრე მაშინ არსებულ არქიეპისკოპოსებს ავტოკეფალურ და თვითმმართველ ეკლესიებისა – არხიდიისას, კვიპროსისას, ივერიისას და პეკიისას, მაგრამ არა ალექსანდრიის პატრიარქის შემდეგ, როგორც სურდა რუსეთის მეფეს, არამედ მხოლოდ იერუსალიმის პატრიარქის შემდეგ, იმასთან დაკავშირებით, რომ კრების მამებმა შესაბამის მიმართვაში განაცხადეს წმიდა მამათა კანონების შეუცვლელობა“.[214]

რუსეთის მეფეს სურდა და აღმოსავლეთის საპატრიარქოებიც არ იყვნენ წინააღმდეგნი რუსეთის პატრიარქს დიპტიხში დაეჭირა ადგილი ალექსანდრიის პატრიარქის შემდეგ, მაგრამ რადგანაც წინა საუკუნეებში წმიდა მამათა მიერ დადგენილი იყო დიპტიხში ალექსანდრიის საპატრიარქოს შემდეგ ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქთა ხსენება, რაც დადასტურებული იყო ტრულის კრების კანონით, ამიტომაც აღმოსავლეთის პატრიარქებმა გადაწყვიტეს რუსეთის პატრიარქის

ადგილი მართლმადიდებლურ დიპტიხში ყოფილიყო იერუსალიმის პატრიარქის შემდეგ. ეს ადგილი რუსეთის საპატრიარქომ მიიღო თავისი არა მარტო სიდიდისა და ეკონომიკური სიძლიერის გამო, არამედ იმიტომაც, რომ იმ დროს მაჰმადიანურ ქვეყნებში არსებული აღმოსავლეთის ყველა პატრიარქი რუსეთის ქრისტიანულ სახელმწიფოს იმედის თვალით შესცქეროდა. ასევე იყო საქართველოშიც. ამიტომაც ქართულმა ეკლესიამ ცნო და აღიარა რუსეთის საპატრიარქოს ადგილი იერუსალიმის საპატრიარქოს შემდეგ, მაგრამ დიპტიხში VI ადგილზე კვლავ ქართული ეკლესია უნდა ყოფილიყო.

ქართულმა ეკლესიამ რუსეთის პატრიარქის ადგილი იერუსალიმის პატრიარქის შემდეგ რომ აღიარა, ამას მიუთითებს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ანტონის მიმართვა რუსეთის იმპერატრიცა ელისაბედისადმი. 1757 წელს ანტონ I, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი წერდა: – „...ყოველსა, რასაცა აღიარებს და დაამტკიცებს, შეიწყნარებს და მიიღებს დღეს წმ. ეკლესია აღმოსავლეთისა, რომელ არს კონსტანტინეპოლისა, ალექსანდრიისა, ანტიოქიისა და იერუსალიმისა და ყოვლისა რუსეთისა – მეცა აღვიარებ...“[215] აქედან ჩანს, რომ უკვე XVII საუკუნის შემდგომ, ქართული ეკლესიის დიპტიხი ასეთი იყო: 1. კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო; 2. ალექსანდრიის; 3. ანტიოქიის; 4. იერუსალიმის; 5. რუსეთის საპატრიარქოები; 6. საქართველოს საპატრიარქო.

ამჟამადაც, მართლმადიდებლურ დიპტიხში ქართულ ეკლესიას უჭირავს ისტორიულ-ტრადიციული მეექვსე ადგილი, რაც სავსებით კანონიერია.

ქართული ეკლესიის VI ადგილი ფერარა-ფლორენციის „მსოფლიო“ საეკლესიო კრებაზე

„მსოფლიო“ საეკლესიო კრებებმა XV საუკუნის პირველ ნახევარში თავისი განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწიეს. ისინი საერთაშორისო კანონმდებლობის ორგანოებს წარმოადგენდნენ და განიხილავდნენ არა მხოლოდ სასულიერო, არამედ საერო და პოლიტიკურ საკითხებსაც. მაგალითად, საეკლესიო კრების კომპეტენციაში შედიოდა საიმპერატორო ტახტზე კანდიდატურების შერჩევა, იმპერატორების გადაყენება, გერმანელ მთავართა ურთიერთობის მოწესრიგება, სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების თურქეთის აგრესიისაგან დაცვა და ა.შ.

XV საუკუნის საეკლესიო კრებები არ წარმოადგენდნენ უბრალო იარაღს პაპების ხელში, როგორც ეს XII-XIII საუკუნეებში იყო. ეს საეკლესიო კრებები დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდნენ და აცხადებდნენ პრეტენზიებს უმაღლეს ავტორიტეტზე საეკლესიო და საერო საქმეების გადაწყვეტის დროს. ისინი ითვისებდნენ აგრეთვე პაპების კონტროლისა და გასამართლების უფლებას“.[216]

1389 წელს თურქებმა კოსოვოს ველზე ევროპული ქვეყნების კოალიცია დაამარცხეს და სერბეთი დაიპყრეს, ხოლო 1393 წელს – ბულგარეთი. 1430 წელს სულთანმა მურად II-მ თესალონიკე დაიკავა, ამიერიდან ბიზანტია შედგებოდა თვით კონსტანტინოპოლისაგან. იმპერიის დღეები დათვლილი იყო. ბიზანტიის იმ-

პერატორები აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების გაერთიანების ფასად რომისაგან ელოდნენ დახმარების მიღებას. მძიმე მდგომარეობამ აიძულა ბიზანტიის იმპერატორები მანუილ II და იოანე VIII მიემართათ რომის პაპისადმი წინადადებით, კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების შეერთების თაობაზე. ასეთი ძალზე მნიშვნელოვანი საქმის გადაწყვეტა მიანდეს მსოფლიო საეკლესიო კრებას. ეს კრება უნდა ყოფილიყო ძალზე წარმომადგენლობითი და მოეცვა მსოფლიოს ყველა ქრისტიანული ეკლესია. 1436 წელს იმპერატორმა დაგზავნა თავისი ელჩები მართლმადიდებელ ქვეყნებში და მოიწვია მათი ეკლესიების მეთაურები საეკლესიო კრებაზე ბაზელში. ბიზანტიის იმპერატორთან და პატრიარქთან ერთად იტალიაში აღმოსავლეთის ეკლესიის 22 წარმომადგენელი გაემგზავრა, მათ შორის ორი ქართველი. 1436 წელს იმპერატორმა იოანემ საქართველოსა და ტრაპიზონში საეკლესიო კრებაზე ელჩების ჩამოსაყვანად გაგზავნა ანდრონიკე იაგრინი. სიროპულოსი წერს, რომ „მან იბერიიდან წაიყვანა ორი ეპისკოპოსი, ერთი ელჩი და იბერიის მეფეთა განსაკუთრებული სენატორები". ისინი კონსტანტინოპოლში ჩავიდნენ და აქედან პატრიარქის ამალასთან ერთად იტალიაში გაემგზავრნენ.[217]

„ლათინურ ენაზე შექმნილ ერთ თხზულებაში, რომელიც ამ ეპოქას შეეხება, სხვა ქვეყნებს შორის მოხსენებულია იბერიაც. იგი აქ დახასიათებულია, როგორც უზარმაზარი ქვეყანა, რომელსაც თავისი ენა და მწერლობა გააჩნია, მიმდევარია ბერძნული ეკლესიისა, მაგრამ ამავე დროს აღმასრულებელია საკუთარი ჩვეულებისა და ჰყავს ეროვნული სამღვდელოება. 1438 წლის 10 თებერვლით დათარიღებული ერთ-ერთი საისტორიო წყაროდან ირკვევა, რომ ვენეციის ნავსადგურში შემოსულან რომის პაპის გალერები. ერთ მათგანს ჩამოუყვანია საბერძნეთის იმპერატორი თავისი ამალით, მეორეს კი – ამავე ქვეყნის პატრიარქი და მრავალი წარჩინებული პირი... სომხეთიდან, საქართველოდან და რუსეთიდან".[218]

წყაროებიდან ჩანს, რომ საქართველოს ეკლესია სხვა წარმომადგენლებს შორის ამ საეკლესიო კრებაზე პატივისცემით სარგებლობდა. ეს გამოწვეული იყო, როგორც ეკონომიკური ძლიერებით, ასევე მის მიერ მართლმადიდებლობის მტკიცე დაცვით.

1437-1439 წლების ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების აქტები მოღწეულია ორი რედაქციით. პირველი მათგანი წარმოადგენს საეკლესიო კრების კათოლიკურ ვერსიას. პირობითად მას უწოდებენ „აქტა ლატინას". აქტების მეორე რედაქცია გადმოგვცემს ბერძენთა დელეგაციის პროლათინურად განწყობილი ნაწილის თვალსაზრისს. მას უწოდებენ „აკტა გრაეკას". მესამე და ძირითად წყაროს წარმოადგენს დიაკვნისა და დიდი ეკლესიარხის სილვესტეროს სიროპულოსის მემუარები. ჩვენთვის საინტერესოა კონსტანტინოპოლის დიდი ეკლესიის ეკლესიარხის სიროპულოსის ცნობა იბერიის ეკლესიის მეთაურის შესახებ. ის მას აღმოსავლეთის პატრიარქს უწოდებს. სიროპულოსი გადმოგვცემს ასეთ ამბავს: კრებისათვის საჭირო იყო თანხების გამოძებნა, იმპერატორმა იბერიის ეკლესიის მეთაურს მოსთხოვა 30 000 – „იბერიის არქიეპისკოპოსმა გულმოდგინედ იზრუნა და იმპერატორს შეაცვლევინა 30 ათასი ფული 20 ათასზე. მას უხვად აქვს სიმდიდრე. მასთან არქიელი მივიდა და მისგან მხოლოდ ოცი მიიღო, რადგან იგი მთელი აღმოსავლე-

თის პატრიარქია და მაჰმადიანთა მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდა. ის სულთანს აძლევს ათას ფლორინს იმისათვის, რომ პატრიარქად ეკურთხოს. მისთვის ფულის გადახდა მძიმე არ არის".[219]

სიროპულოსის შრომა გამოხატავს მართლმადიდებლური მიმართულების თვალსაზრისს. სიროპულოსი იტალიაში ჩავიდა პატრიარქ იოსებ II-ის ანტურაჟში. ის იყო თვითმხილველი და მრავალი ამბის მონაწილე, რომელიც კრებაზე ხდებოდა. მან თვითვე მოაწერა კრების აქტებს ხელი. ამიტომაც, მისი თვალსაზრისი ქართული ეკლესიის საპატრიარქო წოდების (ღირსების) შესახებ არის კონსტანტინოპოლის ეკლესიის თვალსაზრისი, რადგანაც სიროპულოსი პატრიარქთან დაახლოებული პირი იყო, კონსტანტინოპოლის მთავარი ეკლესიის ეკლესიარხი. ის ქართული ეკლესიის მეთაურს „აღმოსავლეთის პატრიარქს" უწოდებს ისე, როგორც საქართველოს საზღვრებს გარეთ ტყობა-იერდში აღმოჩენილი წარწერა XI საუკუნისა. სიროპულოსის მიხედვით, იბერიის ეკლესია სულთანს გარკვეულ თანხას აძლევდა, რომ მისი მამათმთავარი პატრიარქად კურთხეულიყო.

ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, რომ ქართული ეკლესია ფერარა-ფლორენციის კრებაზე მონაწილეობდა როგორც საპატრიარქო ეკლესია. სწორედ ამითაა გამოწვეული ის, რომ იბერიის ეკლესიის წარმომადგენელი დიპტიხში დააყენეს საპატრიარქოთა რიგში იერუსალიმის საპატრიარქოს შემდეგ.

კრებაზე კონსტანტინოპოლის პატრიარქის სავარძლის შემდეგ ოთხ სკამზე ისხდნენ საპატრიარქოთა წარმომადგენლები, ხოლო მათ შემდეგ რაიმე განსაკუთრებული გამოყოფის გარეშე ისხდნენ სხვა არქიეპისკოპოსები. კონსტანტინოპოლის პატრიარქის შემდეგ ოთხ განსაკუთრებულ სკამზე ისხდნენ ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმისა და იბერიის საპატრიარქოთა წარმომადგენლები – ჰერაკლიის არქიეპისკოპოსი, რომელსაც ალექსანდრიის პატრიარქის კანონიერი მანდატი ჰქონდა და მისი ადგილი ეკავა, ანტიოქიის პატრიარქის მიერ გამოზავნილი ეფესიის არქიეპიკოპოსი, იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი – მენზიის არქიეპისკოპოსი და იბერიის მეფის წარმომადგენელი – იბერიის მიტროპოლიტი.[220]

პაპის პროტონოტარიუსი ანდრეა დი სანტა კროჩე თავის შრომაში ფლორენციის კრების შესახებ (რომელიც შემდეგ ვატიკანის ბიბილიოთეკარმა ჰორაციო ჯუსტინიანომ შეავსო) მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქების ჩამოთვლის დროს საქართველოს წარმომადგენელს V საფეხურზე აყენებდა.[221] („აქტა ლატინა", გვ. 72) კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის პატრიარქების შემდეგ, რომლებიც მსოფლიო პატრიარქებად ითვლებოდნენ. ეს მაღალი ადგილი საეკლესიო იერარქიაში მაჩვენებელია იმისა, რომ საქართველოს ეკლესია ამ დროს ერთ-ერთ ძლიერ და გავლენიან ორგანიზაციას წარმოადგენდა, ამასვე მიუთითებს მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურებისადმი გაგზავნილი პაპი ევგენის წერილი, რომელშიც 4 მსოფლიო პატრიარქის შემდეგ მოხსენებულია საქართველოს მეფე და ტრაპიზონის მიტროპოლიტი და მხოლოდ შემდეგაა დასახელებული რუსეთის, მოლდო-ვლახეთისა და სხვა მიტროპოლიტები. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ელჩებს ჩაბარებული ჰქონდათ ტრაპიზონის იმპერატორის მანდატი და მათი სახელით მოქმედების უფლება ჰქონდათ.[222]

სხვა ბულაში, აღმოსავლეთის ეკლესიებისადმი მიმართვის დროს, პაპი უწოდებს „აღმოსავლეთის რჩეულ ხალხებს – ბერძნებს, რუსებს, ქართველებს და ვალახებს“.[223]

უფრო მეტიც, ამ კრების ლათინი მწერლები საქართველოს არათუ მე-6 ადგილზე, არამედ ხანდახან მე-3 ადგილზე მოიხსენიებენ, მე-5 ადგილზე კი ამ კრების დიპტიხში ლათინი ისტორიკოსები მუდამ იხსენიებენ ქართულ ეკლესიას.

ამ კრების პროლათინურად განწყობილი ბერძენი სამღვდელოება თავიანთ „აქტა გრაეკაში“ საქართველოს ყველა წარმომადგენლის ჩამოთვლის შემდეგ მოიხსენიებენ და დასძენენ – „იყვნენ აგრეთვე იბერიიდანაც მიტროპოლიტი და ერთი ეპისკოპოსი“. საქმე ისაა, რომ ამ პროლათინ ბერძენ ავტორებს არ მოსწონდათ იბერიის ეკლესიის მიერ მართლმადიდებლობის მტკიცე დაცვა. 1439 წლის ივლისს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა უმრავლესობამ ხელი მოაწერა ეკლესიების გაერთიანების აქტს, ქართულმა ეკლესიამ ხელი არ მოაწერა კრების დადგენილებას ეკლესიათა გაერთიანების შესახებ. ამით მან პროლათინურად განწყობილი ბერძენი სამღვდელოების უკმაყოფილება გამოიწვია, რაც აისახა კიდეც „აქტა გრაეკაში“.

უნიის მოწინააღმდეგე საქართველოს ელჩი თავისთან მიიწვია მოლაპარაკებისათვის რომის პაპმა. პაპი მის მიმართ იჩენდა პატივისცემას, რადგანაც ის განათლებული ყოფილა და მართლმადიდებლური სარწმუნოების საკითხებში შეურყეველი. იბერიის ელჩმა პაპს უპასუხა: „ჩვენი ეკლესია მოსაწონია და ჩვენს დოგმებს ვემორჩილებით, ჩვენი ეკლესია ძალიან მტკიცედ იცავს თითოეულ ცნებას ჩვენი უფლის იესო ქრისტესი, ასევე წმიდა მოციქულთა ტრადიციებს... ეკლესიის სახელგანთქმული მასწავლებლების სწავლას მაშინვე გადმოვიღებთ ხოლმე ჩვენს ენაზე. ამისგან არასოდეს არ გადაგვიხვევია, არაფერი არ დაგვიმატებია. რომის ეკლესიამ კი მრავალი რამ დაუმატა და საბოლოოდ წმიდა მამების სწავლების საზღვრები გადალახა. ამის გამო თქვენს ეკლესიას ჩვენ ჩამოვშორდით და ორივე გაყრის გზით წავედით“... ამის შემდეგ იბერმა პაპს ურჩია ხელი არ ეხლო ბარბაროსულ ენებზე არსებული დოგმებისათვის, რომელთა ძალით წართმევა და მათ ნაცვლად თავისის დანერგვა სურს. პაპმა პასუხი ფარული სიმწარით მოისმინა და განცვიფრებული გაჩუმდა“.[224] სწორედ ამიტომ ქართულმა დელეგაციამ უარყო უნიის მიღება.

იბერიიდან კრებაზე გაგზავნილი ყოფილა სამი წარმომადგენელი: ორი სასულიერო პირი – თბილელი ეპისკოპოსები გრიგოლი და იოანე, აგრეთვე გამოჩენილი სამოქალაქო პირი.[225]

აღსანიშნავია, რომ კრებაზე წარმოდგენილი მართლმადიდებელი ეკლესიების უმრავლესობამ ცნო უნია და ხელი მოაწერა კრების აქტებს გაერთიანების შესახებ. დეკრეტს გაერთიანების შესახებ ხელი მოაწერეს ბერძენთა იმპერატორმა, პატრიარქმა და ბერძნული ეკლესიის წევრებმა.[226]

ევროპელი მეცნიერები, მაგ. დ. ჯილა, ამ კრებას მსოფლიო კრებას უწოდებენ. ჯილა, კერძოდ, წერდა – „რაც არ უნდა ითქვას, ეს იყო მსოფლიო კრება, რომელმაც შეაფასა და გადაწყვიტა დოქტრინის საკითხები“.[227]

მართალია, რუსული თანადროული წყაროები უარყოფითად აფასებენ ამ კრებას, მაგრამ მაინც მას „მერვე კრებას“ უწოდებენ. აგრეთვე „მსოფლიო კრების“ სახელითაც მოიხსენიებენ (ერთი რუსული წყარო „ყაჩაღურს“ უწოდებს).[228]

ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დიპტიხის საკითხს. კრებამ უნიის შესახებ დეკრეტში, რომელსაც ხელი მოაწერეს ბერძენთა იმპერატორმა და აღმოსავლეთის საპატრიარქოებმა, დაადგინა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო რიგითობა მსოფლიო პატრიარქებისა საეკლესიო დიპტიხში.[229]

როგორც ვთქვით, ფერარა-ფლორენციის „მსოფლიო“ საეკლესიო კრებაზე ქართულ ეკლესიას დიპტიხში მუდამ VI ადგილი ეჭირა, რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის საპატრიარქოების შემდეგ, ამიტომაც დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ XV საუკუნისათვის ბიზანტიის იმპერატორი, რომის პაპი, კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი, ალექსანდრიისა, ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოები აღიარებდნენ და ცნობდნენ ქართული ეკლესიის VI ადგილს დიპტიხში.

ქართული ეკლესიის შინაგანი ღიპტიხი (ჯდომისა და დგომის წესი)[230]

ქართულ ეკლესიაში ეპისკოპოსები წირვა-ლოცვის თუ დარბაზობის დროს ისხდნენ საეპისკოპოსოების ღირსების მიხედვით. ამის შესახებ დაცულია ცნობები უძველესი დროიდან ვიდრე XVIII საუკუნის ჩათვლით.

დარბაზობის თუ რომელიმე ცერემონიალის დროს მღვდელმთავრები – „არიან მდგომარენი: ...თჳსთა ხარისხთა შინა... ვითარცა-იგი განწესებულ არს სამღვდელოთა დასთათჳს“.

სამღვდელო დასს ჰქონია თავისი „განწესება“, რომლის თანახმად, თავისი ხარისხის შესაბამისად უნდა დადგეს მღვდელმთავარი, და არა მარტო მღვდელმთავარი, არამედ თავიანთი განწესება აქვთ სამღვდელოებას – „დეკანოზებს, კანდელაკებს და კრებულს“.

დიპტიხს ძველქართულად ეწოდებოდა – „სამღვდელოთა დასთა წყობილება“,ან „წესდება და გარიგება“ და ასევე „ზევით და ქვევით დგომის წესი“.

„სამღვდელოთა დასთა წყობილება“ ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს არსებობის დროს სხვაგვარი ყოფილა, ხოლო სამეფოს დაშლის შემდეგ „სამღვდელოთა დასთა წესდება და გარიგება“ შეცვლილა. დიპტიხში ძველი წესების შეცვლა გამოუწვევია იმასაც, რომ ახალი საეპისკოპოსოები გაჩენილა, ხოლო ზოგიერთი ძველი გამქრალა. ამ მდგომარეობას გამოუწვევია დიპტიხის აშლა და ამის გამო – „ზევით და ქვემოთ დგომაზე მრავალი ცილება და განხეთქილება არს მღვდელმთავართა, არხიმანდრიტთა, პროტოპაპთა და სამღუდელოთა დასთა შორის“.[231]

ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს არსებობის დროს დიპტიხის რიგი მტკიცედ ყოფილა განსაზღვრული და აღწერილია როგორც სამეფო მატიანეებში, ასევე საეკლესიო საბუთებში – „...ოდეს საქართუელო იყო სრულიად ერთსამეფო, მაშინ სამღუდელოთა დასთა წყობილება და ხარისხნი იყუნენ სრულიად მის-მისსა ხარისხსა შინა წესდგომით, ვითა იხილვების ქართლის აღწერისა მატიანესა შინა და ეგრეთვე მცხეთისა წერილსა შინა ხუცურსა“.[232]

საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდგომ დიპტიხის, ანუ წესდგომის რიგიც შეიცვალა – „ხოლო ოდეს საქართველო განიყო და სამ სამეუფოდ განსქდა: ქართლად, კახეთად და იმერეთად და აგრეთვე ხუთ სამთავროდ, ე.ი. საათაბაგოდ, სადადიანოდ, საგურიელოდ, სააფხაზოდ და სასვანეთოდ, მაშინ ყოველთავე მეფეთაცა და მთავართაცა თჳს თჳსად სარდრები განიწესეს... ეგრეთვე დიდებისმოყუარებისათჳს რომელთამე ახალნი ეპისკოპოსნი დასხეს, რომელიმე საეპისკოპოსო ავის დროსაგან მოიშალა, რომელიმე დამდაბლდა, რომელიმე ამაღლდა და არღარა არს ადრინდელი წესდება და გარიგება...“[233]

სამღვდელოთა დასთა ძველი წესდებისა და გარიგების მოშლის გამო, როგორც აღვნიშნეთ, ეკლესიაში არევ-დარევა შექმნილა.

ქართლ-კახეთის სამეფოში ერთ-ერთი სამგლოვიარო ცერემონიის დროს, XVIII საუკუნეში, „სამღვდელო დასთათჳს განწესება და დაწყობილება“ ასე ყოფილა განსაზღვრული ცერემონმაისტრის მიერ – „უწმიდესი კათალიკოს-პატრიარხი, პირველნი მიტროპოლიტნი, არხიეპისკოპოსნი, ეპისკოპოსნი, პირველნი არხიმანდრიტნი... ხოლო შემდგომად სხვანი მღუდელნი, ვითა მათნი მღუდელმთავარნი იყუნენ მდგომარენი, ეგრეთ მათნი დეკანოსნი, კანდელაკნი და კრებულნი იყუნენ მდგომნი თჳსთა ხარისხთა შინა. ეგრეთ ჰსდგენ ვითა იგი განწესებულ არს წერილთა შინა სამღუდელოთა დასთათჳს“.[234]

დოკუმენტში, რომელსაც ეწოდება „კურთხევა მირონისა“ და რომელსაც XIII საუკუნით ათარიღებენ, საქართველოს (ჩანს აღმოსავლეთ საქართველოს) მღვდელმთავრები დარბაზობის დროს სხდებოდნენ შემდეგი სახით – „განგება დარბაზობისა – რაჟამს იკურთხოს მეფე და დაჯდეს ტახტსა ზედა, ეფისკოპოსნი ამ წესითა დასხდენ: 1. ბრძანოს ქართლისა კათალიკოზმან და დაჯდეს მარჯუენით მეფისა, ტახტსა ზედა მოკიდებით, ნატითა და ბალიშითა; 2. შემოვიდეს ჭყონდიდელი და დაჯდეს მარცხენით მეფისა, ნატითა და ბალიშითა; 3. შემოვიდეს დიდისა სომხეთისა მიტროპოლიტი და დაჯდეს კათალიკოზისა ქუემოთ, ნატითა და ბალიშითა; 4. შემოვიდეს მთავარეფისკოპოზი და დაჯდეს მიტროპოლიტსა ქუემოთ, ნატითა, უბალიშოდ; 5. შემოვიდეს მაწყუერელი და დაჯდეს მთავარეფისკოპოზსა ქუემოთ, ნატითა, უბალიშოდ; 6. შემოვიდეს ამბა ალავერდელი და დაჯდეს ჭყონდიდელსა ქუემოთ ნატითა, უბალიშოდ; 7. შემოვიდეს ქისიყელი და დაჯდეს ამბა ალავერდელსა ქუემოთ უნატოდ; 8. შემოვიდეს კუმურდოელი და დაჯდეს ქისიყელსა ქუემოთ; 9. შემოვიდეს ნინოწმიდელი არქიმანდრიტი და დაჯდეს ქისიყელსა ქუემოთ; 10. შემოვიდეს იშხნელი და დაჯდეს კუმურდოელსა ქუემოთ; 11. შემოვიდეს ანჩელი არქიმანდრიტი და დაჯდეს ნინოწმიდელსა ქუემოთ; 12. შემოვიდეს მტბევარი და დაჯდეს ანჩელსა ქუემოთ; 13. შემოვიდეს წურწყაბელი და დაჯდეს მტბევარსა ქუემოთ; 14. შემოვიდეს წყაროჲსთველი და დაჯდეს წურწყაბელსა ქუემოთ; 15. შემოვიდეს ერუშნელი და დაჯდეს წყაროჲსთველსა ქუემოთ; 16. შემოვიდეს მანგლელი და დაჯდეს ერუშნელსა ქუემოთ; 17. შემოვიდეს წინწყაროელი და დაჯდეს მანგლელსა ქუემოთ; 18. შემოვიდეს რუსთველი და დაჯდეს წინწყაროელსა ქუემოთ; 19. შემოვიდეს წილკნელი და დაჯდეს რუსთველსა ქუე-

მოთ; 20. შემოვიდეს კაწარელი და დაჯდეს წილკნელსა ქუემოთ; 21. შემოვიდეს ურბნელი და დაჯდეს კაწარელსა ქუემოთ; 22. შემოვიდეს მრუელი და დაჯდეს ურბნელსა ქუემიოთ; 23. შემოვიდეს სამთავნელი და დაჯდეს მრუელსა ქუემოთ; 24. შემოვიდეს ნიქოზელი და დაჯდეს სამთავნელსა ქუემოთ; 25. შემოვიდეს ვალაშკერტელი და დაჯდეს ნიქოზელსა ქუემოთ; 26. შემოვიდეს ბოლნელი მამათ-მთავარი და დაჯდეს ვალაშკერტელსა ქუემოთ; 27. შემოვიდეს კარელი მამამთა-ვარი და დაჯდეს ბოლნელსა ქუემოთ; 28. შემოვიდეს ხარჭაშნელი და დაჯდეს კარელსა ქუემოთ; 29. შემოვიდეს ტფილელი და დაჯდეს ხარჭაშნელსა ქუემოთ; 30. შემოვიდეს წალკელი და დაჯდეს ტფილილსა ქუემოთ; 31. შემოვიდეს ბანელი და დაჯდეს წალკელსა ქუემოთ; 32. შემოვიდეს ჭერემ-ქალაქელი და დაჯდეს ბანელსა ქუემოთ; 33. შემოვიდეს დმანელი და დაჯდეს ჭერემ-ქალაქელსა ქუემოთ; 34. შემოვიდეს დადაშნელი და დაჯდეს დმანელსა ქუემოთ; 35. შემოვიდეს გიშე-ლი და დაჯდეს დადაშნელსა ქუემოთ. მოდგნენ ყოველთა მონასტერთა მოძღუარნი და წინამძღუარნი და მათითა წესითა წინამოისხდნენ ეფისკოპოსთა“.[235]

აქედან ჩანს, რომ დარბაზობისა და სხვა ოფიციალური შეკრების დროს ეპისკო-პოსები სხდებოდნენ საგანგებო წესით, მათი კათედრების ღირსების მიხედვით. იმავე შეკრების დროს სამღვდელოებაც საგანგებო წესის მიხედვით სხდებოდა თავ-თავისი ეპისკოპოსების წინ – თავიანთი წოდებისა და ღირსების მიხედვით.

ეს დოკუმენტი, როგორც სხვაგან გვქონდა აღნიშნული, ხელთ ჰქონიათ ერეკლე II-სა და კათალიკოს ანტონს და ამის მიხედვით განუსაზღვრავთ ნინოწმიდელის პატივი და ადგილი. ეს დოკუმენტი ერეკლესა და ანტონს მიაჩნდათ იმ ძველ დროს შედგენილად, როცა ქალაქი ტფილისი არ იყო სამეფო, ანუ სატახტო ქალაქი, არამედ – ნისანი და ქუთათისი, ამის გამოო, – წერენ ისინი, – თბილელი ეპისკოპოსის პატივი და ღირსება შედარებით მცირეა და ის დგას ეპისკოპოსთა რიგის ბოლოშიო“.[236]

ამ დოკუმენტის გადამწერს ერთ-ერთ მთავარ ნუსხაში ამბა ალავერდელის გასწვრივ მარცხენა კიდეზე მიუწერია – „შემოვიდეს ციხე-გოჯელი და დაჯდეს ბედიელს ქუემოთ“.[237] ბოლნელი მამამთავრის გასწვრივ მარჯვენა კიდეზე გადამ-წერს მიუწერია – „შემოვიდეს ანელი და დაჯდეს ბოლნელსა ქუემოთ“.[238]

მინაწერიდან – „შემოვიდეს ციხე-გოჯელი და დაჯდეს ბედიელს ქუემოთ,“ ჩანს, რომ არსებულა არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსთა პატივისა და ღირსების ადგილის განწესება, არამედ დასავლეთ საქართველოს, ანუ აფხაზე-თის საკათალიკოსოს „წესდგომა“.

მოტანილი ნაწყვეტიდან ჩანს, რომ პატივით ციხე-გოჯელი უფრო ქვემოთ დგას ბედიელზე.

საერთოდ, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს არსებობი-სას დარბაზობის დროს მეფის მარჯვნივ ისხდნენ, ანდა იდგნენ ქართლის საკათა-ლიკოსოს ეპისკოპოსები, ხოლო მეფის მარცხნივ აფხაზეთის საკათალიკოსოს ეპისკო-პოსები. ამაზე მიგვითითებს საბუთი – „წესი და განგება მეფედ კურთხევისა“, რომელსაც XIII საუკუნით ათარიღებენ. აქ აღნიშნულია – „მარჯუენე ჴელი კათალიკოზთა ეჭიროს, ხოლო მარცხენე ჴელი აფხაზეთისა კათალიკოზსა...“[239] ე.ი.

მეფის მარჯვნივ ქართლის კათალიკოსი დგას, ხოლო მარცხნივ – აფხაზეთის კათალიკოსი. იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთის კათალიკოსი არ ესწრებოდა მეფის კურთხევას, მისი ადგილი მეფის მარცხნივ შეეძლო დაეჭირა ჭყონდიდელს მთავარეპისკოპოსს ანდა იშხნელს, ცერემონიის მოთხოვნილებათა მიხედვით. მეფის დაბურვის ღირსება მეფის კურთხვის დროს ჰქონია აფხაზეთის კათალიკოსს, ან მთავარეპისკოპოსს. ხოლო ქართლ-კახეთის სამეფოს ბოლო წლებში სამღვდელოება ცერემონიის დროს ორად იყოფოდა – მარჯვნივ მცხეთის სამღვდელოება დგებოდა, ხოლო მარცხნივ ალავერდის სამღვდელოება. ე.ი. ქართლისა და კახეთისა. – „...მარჯუენით მცხეთისა, ხოლო მარცხენით ალავერდისა...“[240]

მეფის მარცხნივ ადგილი ძველი ერთიანობის დროს აფხაზეთის საკათალიკოსოს ეპისკოპოსებს უნდა დაეჭირათ, მაგრამ სამეფოს დაშლის შემდეგ მარცხენა ადგილი ალავერდელმა ეპისკოპოსმა დაიჭირა.

1745 წელს თეიმურაზის მეფედ კურთხევის დროს, დარბაზობისას, მეფის მარჯვნივ დაჯდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი – „ხოლო ვინაჲთგან არცა სამეგრელოჲსა და იმერითისა ეპისკოპოზნი არცაღა მესხნი იყუნეს მუნ, სხვადასხვათა მიერ მიზეზთა, და საყდარიცა სომხითისა მიტროპოლიტისა მოშლილ იყო ძველადვე, და განეჩინათ ყოველი პატივი სომხითის მიტროპოლიტისა ამბა-ალავერდელისად, დაჯდა მარცხენით მეფისა ამბა ალავერდელი... სომხითისა მიტროპოლიტისა პატივისა ღირსქმნილი მეფისა ლეონ I-ის მიერ, ადგილსა ჭყონდიდელისასა, მარცხენით მეფისა“.[241]

ე.ი. ლეონ I-ის დროს ამბა ალავერდელმა მიიღო სომხეთის მიტროპოლიტის პატივი, ხოლო დარბაზობის დროს მიენიჭა ღირსება ჭყონდიდელის ადგილზე ჯდომისა – მეფის მარცხნივ.

სანამ განვიხილავდეთ მეფის მარცხნივ „აფხაზეთის საკათალიკოსოს“ ეპისკოპოსების „წესდგომას“, მანამდე უნდა ითქვას, რომ ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს შექმნის შემდგომ, XI საუკუნიდან, საქართველოს პატრიარქი (ანუ რაც იგივეა – ქართლის კათალიკოსი), აფხაზეთის კათალიკოსი, ჭყონდიდელი და მოძღვართ-მოძღვარი ხდებიან სახელმწიფოს მოხელეები, ისინი შედიან უმაღლეს საკანონმდებლო საბჭოში, რომელშიც მეფესთან ერთად შედიოდა აგრეთვე სამი ვეზირი.

„დარბაზის კარი“ შედგებოდა „ოთხი ბერისაგან“ და „სამი ვეზირისაგან“. „ოთხი ბერი“ არიან – 1. მოძღვართ-მოძღვარი; 2. პატრიარქი; 3. აფხაზეთის კათალიკოსი; 4. ჭყონდიდელი. „სამი ვეზირი“ არიან – 1. ათაბაგი (მოგვიანებით, მანამდე, ალბათ, სხვა სახელი იყო); 2. ამირსპასალარი; 3. მანდატურთ-უხუცესი.

„...დარბაზით ათქს ოთხთავე: მოძღვართ-მოძღვარსა, კათალიკოზთა, ჭყონდიდელსა და სამთავე ვეზირთა: ათაბაგსა, ამირ-სპასალარსა და მანდატურთ-უხუცესსა“.[242]

„ამირეჯიბი – კათალიკოზთა, მოძღვართ-მოძღვარსა, ჭყონდიდელსა – ამათ წინ ტაბლას დასდგამენ... ეს ოთხივე ადგებიან... ათაბაგსა, ამირ-სპასალარსა და მანდატურთ-უხუცესსა ტაბაკს ეჯიბი დაუდგამს, ადგებიან. გამგეთ-უხუცესი მონაზონთ ოთხთავე სამ-სამის ჯამით, ეგრეთვე სამთა ვეზირთა ითვალავს...“[243]

დარბაზის კარი – უმაღლესი სახელმწიფო ორგანო – შედგება ოთხი მონაზონისაგან, ანუ ოთხი ბერისაგან და სამი ვეზირისაგან.

„ოთხი ბერისაგან“ შექმნილი საბჭო, რომელიც არსებობდა მეფესთან, ჩანს, წარმოადგენდა ქართული ეკლესიის სინოდს, რადგანაც დარბაზის კარს უფლება ჰქონდა მიეცა კანონი ეკლესიებისათვის – „კანონს დარბაზის კარით მიიღებდნენ“ ეკლესია-მონასტრებიო, – წერია ერთ დოკუმენტში. შემდეგ საუკუნეთა დოკუმენტებშიც ეს ოთხი ბერი, ანუ ოთხი მონაზონი მოჩანს.

დარბაზობის დროს მოძღვართ-მოძღვარი მეფის მარჯვნივ დგებოდა, ან ჯდებოდა. მოძღვართ-მოძღვარი ძალზე საპატიო მონაზონია. მას მეფე დარბაზობის დროს უფრო მეტი პატივით ხვდებოდა, ვიდრე კათალიკოსებსა და ჭყონდიდელს. მეფე ნოხისპირზე მიეგებებოდა მოძღვართ-მოძღვარს, ე.ი. მის წინ დაფენილ ნოხს მეფე მთლიანად გაივლიდა, ხოლო კათალიკოსებისა და ჭყონდიდელის მისალმების დროს მეფეს სურვილისამებრ შეეძლო გაევლო ნოხის მესამედი, ანდა საერთოდ არ გაევლო, ადგილზევე დარჩენილიყო. ასეთივე წესით ეგებებოდა მეფე სამივე ვეზირსაც, ე.ი. მოძღვართ-მოძღვრის პატივი აღემატებოდა, როგორც დარჩენილი მონაზვნების, ასევე სამივე ვეზირის პატივსაც.

„მოძღვართ-მოძღვარი შევიდეს და ეთაყვანოს მეფესა და მერმე მეფეცა ეთაყვანოს... მეფე ნოხთა პირსა მოეგებეის და მოესალმოს: „მოახსნე“, ბრძანოსო. წავიდეს [მოძღვართ-მოძღვარი] და მარჯვენით გარდადგეს ახლო... კათალიკოზი, რომელიც მოვიდეს ეგრეთვე ეთაყვანოს... გინა ნოხსა ზედა მესამედი წარმოიაროს და მითვე წესითა ჭყონდიდელსა და სამთა ვეზირთა აწვიოს“.[244]

მეფესთან დარბაზის კარის შეკრების დროს მეფის მარჯვნივ ადგილს იჭერენ მწიგნობართუხუცესი და ქართლის კათალიკოსი, ხოლო მეფის მარცხნივ – ჭყონდიდელი და აფხაზეთის კათალიკოსი. ხოლო დარბაზობის დროს მეფის მარჯვნივ ქართლის კათალიკოსის ქვემოთ სხდებიან აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები თავისი წესის მიხედვით, ხოლო მეფის მარცხნივ აფხაზეთის კათალიკოსის ქვემოთ სხდებიან დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები.

მოძღვართ-მოძღვრის პატივის გადიდებით ოდნავ შემცირებულია საქართველოს პატრიარქის (ქართლის კათალიკოსის) პატივი, ხოლო ჭყონდიდელის პატივის გადიდებით შემცირებულია აფხაზეთის კათალიკოსის პატივი, ანუ ეკლესიის თვითმმართველობა შეზღუდულია სახელმწიფოს მიერ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საეკლესიო კანონმდებელია არა პატრიარქი, არამედ ოთხი ბერისაგან შექმნილი საბჭო, რომელიც დარბაზის კარზე არსებობს.

დასავლეთ საქართველოს კათედრათა შორის ერთ-ერთი საპატიო ყოფილა ქუთათელის კათედრა. ქუთათელის პატივი ისეთივე ყოფილა, როგორიც იშხნელისა. თუ რა დიდი იყო იშხნელის პატივი, იქიდანაც ჩანს, რომ დარბაზობის დროს იშხნელის მისალმებისას მეფე ორ-სამ ნაბიჯს გადადგამდა, ხოლო სხვა ეპისკოპოსთა მისალმებისას ადგილიდანაც არ დაიძვროდა – „რა სწორად ეპისკოპოსნი მივიდნენ იმიერით: იშხნელი, მაწყვერელი, ანჩელი, მტბევარი და გოლგოთელი, მათ რაჲ ეთაყვანენ... იშხნელისათჳს უფრო მდაბლად და ორი ანუ სამი ბიჯი წარმოიაროს და მიესალმოს; და ამ სხუათათჳს სწორად ნუ დაიძვრის“.[245]

იშხნელისა და ქუთათელის პატივი თანაბარი ყოფილა – „და მით ერთობ საბატიო არის [ქუთათელი} და იშხნელის სწორი პატივი მართებს“,[246] ე.ი. ქუთათელის მისალმების დროსაც მეფე ორ-სამ ნაბიჯს წარმოდგამდა.

დიდი პატივი ჰქონია აგრეთვე ბედიის ეპისკოპოსსაც, რადგანაც „...ბედიელი მოსაფლავეა [მეფისა] და ქუთათელი [მაკურთხეველიცა] და მესაფლავეც არის“.[247]

აქედან ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსების „წესდგომა“ იქნებოდა ასეთი სახისა: 1. მეფის მარცხნივ დგებოდა აფხაზეთის, ანუ ბიჭვინთის კათალიკოსი; 2. მეფის მარცხნითვე იყო ადგილი ჭყონდიდელისა, მაგრამ არა აფხაზეთის კათალიკოსის ქვემოთ, არამედ მის გვერდით. მათი პატივი თანაბარი იქნებოდა, რადგანაც ჭყონდიდელი მეფის მოხელეა – „ჭყონდიდელი მამა არს მეფისა“;[248] 3. აფხაზეთის კათალიკოსის ქვემოთ ადგილი ეკუთვნოდა ქუთათელ ეპისკოპოსს, რადგანაც დასავლეთ საქართველოს კათედრათა შორის მხოლოდ ქუთაისის ტაძარში აკურთხებდნენ მეფეს. ქუთაისის ტაძარში ინახებოდა მეფის სკიპტრა და გვირგვინი. „...[ქუთათელის საყდარსა შინა] მეფენი დაილოცვიან... ქუთათელმან ასე თქუა, თუ: „აწ, ორჯერ-სამჯერ ჩემს საყდარსა შიგან ორნი მეფენი დალოცვილან და არ მემართლები, გჯრგჯნი ანუ სკიპტრა ჩემს საყდარსა შიგან არ დასდვა“. და მერმე ვეზირთ და ერთობილთ ლაშქართა თქვეს თუ „ქუთათელი უმართლეა“ და სკიპტრა ქუთათელს გაუჩინეს...“[249] 4. ქუთათელი ეპისკოპოსის ქვემოთ ადგილი ეკუთვნოდა ბედიელ ეპისკოპოსს, რადგანაც „...ბედიელი მოსაფლავეა [მეფისა]... დიდი გიორგი, რომელმან ბასილი ბერძენთა მეფე გააქცია მისისა [ბედიელის] საყდარსა შიგან არს...“[250] 5. ჩანს, ერთ დროს ბედიელის ქვემოთ ადგილი ეჭირა ციხე-გოჯელ ეპისკოპოსს, ამაზე გვაქვს პირდაპირი მითითება – „შემოვიდეს ციხე-გოჯელი და დაჯდეს ბედიელს ქუემოთ“.[251] დანარჩენი დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსების ადგილის განსაზღვრა დარბაზობის დროს ძნელია.

მაშასადამე, აფხაზეთის საკათალიკოსოში „წესდგომა“ ასეთი უნდა ყოფილიყო:

1. აფხაზეთის კათალიკოსი;
2. ჭყონდიდელი;
3. ქუთათელი;
4. ბედიელი;
5. ციხე-გოჯელი...

ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდგომ დიდი პატივი მიეცა ალავერდის საეპისკოპოსო კათედრას, განსაკუთრებით ერეკლე II-ის დროს.

„ქ. ჩუენ, სრულიად საქართველოს მეფემან ირაკლიმ ესე განაჩენი დავდევით ამ რიგათ: ძველადგანვე ჩვენთა ჩამომავლობათა მიერ მათი ყოვლად სამღვდელოობა არხიეპიზკოპოზი ალავერდისა დიდად გაპატიოსნებული არის სხვათა საქართველოთა ყოვლად სამღვდელოთა ზედა და უმეტესი პატივი მისცემიეს“.[252]

ერეკლე II-მ გაზარდა ასევე ნინოწმიდელი ეპისკოპოსის ადგილი და პატივი.

ერეკლე II-ის დროს საქართველოს ეკლესიის შინა დიპტიხი ასეთი იყო (აღმოსავლეთ საქართველოში):

1. „ზემოჲსა საქართველოჲსა მამათმთავარი კათალიკოს-პატრიარხი“;
2. არქიეპისკოპოსი ამბა-ალავერდელი – სომხითისა მიტროპოლიტი;
3. მიტროპოლიტი ქისიყელი;
4. მიტროპოლიტი თბილელი;
5. მიტროპოლიტი ნინოწმიდელი;
6. მანგლელი;
7. რუსთველი;
8. წილკნელი;
9. კაწარელი, ურბნელი, მროველი, ნეკრესელი, სამთავნელი, ნიქოზელი, ბოლნელი, ხარჭაშნელი, წალკელი, დმანელი, გიშელი – მოშლილი საეპისკოპოსოები.

ერეკლე II ნინოწმიდელის ადგილს 1749 წლის დოკუმენტით საზღვრავს თბილელის ქვემოთ – „ამისათვის, შემდგომად ქისიყელისა და ტფილელისა მიტროპოლიტთა აქვნდეს ადგილი მიტროპოლიტობით მიერითაგან ყოველთა ყოვლად-სამღუდელოთა ნინოწმიდელთა...“[253]

„...მივეცით ნინოწმიდელსა მღუდელმთავარსა ადგილი კრებასა შინა დგომისა ანუ ჯდომისა, უზემოეს მანგლელისა, რუსთველისა და წალკელისა და თუ სამე იქმნეს განახლება კაწარელისა... ურბნელისა და მროველისა, ნეკრესელისა, სამთავნელისა, ნიქოზელისა... ბოლნელისა... ხარჭაშნელისაცა... წალკელისაცა და დმანელისა... გიშელისაცა... თჳთ თბილელისაცა უზემოეს აქუნდა ადგილი კრებასა შინა ყოვლად-სამღუდელოსა ნინოწმიდელსა, ვითარ იგი წერილ არს განჩინებასა შინა მეფეთა გვირგვინოსან-ყოფითა და დარბაზობისათა... სამეფო ქალაქი არა იყო თბილისი დროთა მას შინა, არამედ ნისანი და ქუთათისი... პაპამან ჩუენმან ირაკლი პირველმან... ტფილელი ეპისკოპოზი... მიტროპოლიტ ჰყო... ესევე საყდარი სამიტროპოლიტო ტფილელისა ღირსად... ქვემო ქისიყელის მიტროპოლიტისა საყდრისა, ვქმენით არა უგანგებოდ. ამისთვის, შემდგომად ქისიყელისა და ტფილელისა მიტროპოლიტთა აქვნდეს ადგილი მიტროპოლიტობით... ნინოწმიდელთა...“[254]

აქედან ჩანს, რომ ერეკლესა და ანტონის განჩინებით, ერთ დროს ნინოწმიდელის ადგილი თვით თბილელის მაღლა ყოფილა, რაც იმით ყოფილა გამოწვეული, რომ თბილისი ძველი დარბაზობის განჩინების დროს სამეფო ქალაქი არ ყოფილა. შემდგომ, როცა ტფილისი დედაქალაქი გამხდარა, თეიმურაზ II-ს თბილელისათვის მიუნიჭებია მიტროპოლიტობის პატივი და დარბაზობის დროს თბილელისათვის განუჩენიათ ადგილი – „ქვემო ქისიყელისა“, ე.ი. ქისიყელის ქვემოთ დაჯდებოდა თბილელი, ხოლო ნინოწმიდელს ადგილი განუსაზღვრეს ქისიყელისა და თბილელის ქვემოთ.

თავი IX

„გაქართველების“ მოძველებული თეორია

„ქართველმა თავისი საწმუნოებისათვის
გვარცხვენელმა, იცის ბატიები სხვის საწმუნოებისაც.
ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ
არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს
ოდესმე სხვისა საწმუნოების დაჩაგვრა და
დევნა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანნიცა,
ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ
ვერაფერს ვერ წაგვაყენებენ“.

ილია ჭავჭავაძე

თეორია ქართული ეკლესიის მიერ საქართველოს კუთხეთა „გაქართველების“ შესახებ

..... საქართველო აწის ის ქვეყანა, სადაც
მეცნიერული აზრი აწ ძველდება, მით უმეტეს,
თუ მას პატრონი ჰყავს. ჩვენი მეცნიერები ერთხელ,
ოდესღაც გამოთქმულ აზრს ხშირად ვერ
ელევიან; აწადა, წესით ყველა მეცნიერული აზრი
აწ შეიძლება იყოს მაწადიული, ზოგი უნდა
ძველდებოდეს. რადგან აზრი თუ აწ მოძველდა,
აწც პროგრესი იქნება, ოღონ შემთხვევაში,
განსხვავებულ აზრს მაინც უნდა მიეცეთ
აწსებობის უფლება“.

ანჩილო სულაკაური

VIII-X საუკუნეები ქართული ეკლესიის ისტორიაში მნიშვნელოვანი ყოფილა იმით, რომ ამ დროს თურმე მიმდინარეობდა ქალკედონური სარწმუნოების მქონე სომხების გაქართველება. გაქართველებულა სომეხთა დიდი რაოდენობა, იმდენად დიდი, რომ ამას უზარმაზარი დანაკლისი მიუცია სომეხი ხალხისათვის და ამ პროცესის შედეგად სომხეთს დაუკარგავს ეროვნული ტერიტორიების ნაწილი, საქართველო კი გამდიდრებულა მიწებით, რომელზედაც მოსახლე გაქართველებული სომხები საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ბრწყინავდნენ თავიანთი უმაღლესი ხარისხის მწარმოებლურობის შედეგად (ნ. მარი).

ქართული ეკლესია უშუალო კავშირში აღმოჩენილა სომხეთის ამ ტრაგედიასთან, რადგანაც გაქართველებულან ქალკედონიტი სომხები, ქართული ეკლესია კი საზოგადოდ ამ მიმართულებისაა. უფრო მეტიც, ქართული ეკლესია თურმე იჭრებოდა სომხეთის მიწა-წყალზე და სომეხი სამღვდელოების ნამოღვაწ და ნამუშაკევ ადგილებზე ქართულ ეკლესია-მონასტრებს აწესებდა (ი. აბულაძე).

მაინც სომხეთის რომელ ტერიტორიებზეა საუბარი, სად იყო იმ სომხების მიწა-წყალი, რომლებიც კარგავდნენ ეროვნებას და ქართველდებოდნენ?

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მესხეთი (ტაო, კლარჯეთი) და საერთოდ საქართველოს სამხრეთი ნაწილი ისტორიული სომხეთია, რომელიც საქართველოს შემოუერთდა აქ მოსახლე „სომხების გაქართველების“ შედეგად, გარდა ამისა, ქვემო ქართლიც სომხეთის ნაწილი ყოფილა, რომელიც ასევე გაქართველებულა“.

უფრო მეტიც, მათი აზრით, X საუკუნემდე „არაქართული“ ქვეყნები ყოფილან ჰერეთი და დასავლეთ საქართველოც. მესხეთის მსგავსად, X საუკუნეში ჰერეთი გაქალკედონებულა და ამით ჰერები გაქართველებულან, ხოლო ამავე დროისათვის დასავლეთ საქართველოში ქართულენოვანი წირვა-ლოცვის შემოღების შედეგად ეს მხარეც გაქართველებულა.

ასეთია დასკვნები ზოგიერთი მეცნიერისა.

მაშ სადღა იყო საქართველო, სად ცხოვრობდა ქართველი ხალხი? ალექსანდრე აბდალაძეც ამ კითხვას სვამს სომხურ ენციკლოპედიაში დაბეჭდილ რ. ხონელიას სტატიის განხილვის შემდგომ: – „...რ. ხონელიას რომ კაცმა ყური უგდოს (ვაი, რომ ჰყავს მას საკმაოდ მრავალრიცხოვანი აუდიტორია!) ქართლის ელემენტი X საუკუნეში არამცთუ დასავლეთ, აღმოსავლეთ საქართველოშიც არ ყოფილა. ძალიან მაინტერესებს რ. ხონელიას აზრით, როდის და საიდან გაჩნდნენ ქართველები?!“[1]

„...გამოვიდა კიდევ ერთი წიგნი „აზერბაიჯანის ისტორიული გეოგრაფია“, რომელსაც 1987 წლის თარიღი უზის... ამ წიგნში გატარებულია აზრი, რომ ალბანელები აზერბაიჯანელთა უშუალო წინაპრები არიან, ხოლო ინგილოები – გაქართველებული ალბანელები... ასევე „გაქართველებულია“ კახეთის დიდი ნაწილი, ჰერეთი და ა.შ. ხომ ხედავთ, სანამდის მიდის საქმე?“ – წერს რ. მიმინოშვილი (იხ. ლიტ. საქ. 24 ივნისი, 1988 წ. „დღეს ან არასოდეს“). რამდენადაც ცნობილია, ნ. მარის გავლენით ისტორიკოსების მიერ შემუშავებული თეორიის თანახმად, ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბება დასრულდა XI საუკუნისათვის.[2]

ნ. მარის თეორიებზე დაფუძნებული შრომების თანახმად, „ქართების“ ტომს დიდძალი მოსახლეობა შეემატა სხვადასხვა ტომების გაქალკედონიტებისა და მათთვის ქართულენოვანი წირვა-ლოცვის დანერგვის შედეგად, რითაც თითქოსდა საფუძველი დაედო ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბებას.

„ქრისტიანობის გავრცელება აღმ. საქართველოს მთიანეთში მათ ქართიზაციას განაპირობებდა. რაც შეეხება დას. საქართველოს... დას. საქართველოში გაბატონდა ქართული ეკლესია და მღვდელმსახურებაც ქართულ ენაზე სრულდებოდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი დას. საქართველოს ქართიზაციის პროცესს“ (ქ.ს.ე. ტ „საქ. სსრ“, გვ. 61).

საერთოდ, ტერმინი „ქართი“ ნიკო მარის შემოღებულია. ცხადია, მისგანვე მომდინარეობს იდეა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის და დას. საქართველოს მოსახლეობის „ქართიზაციის“ შესახებ. ხელოვნურია ტერმინი და იდეა. სინამდვილეში, ძველქართულ წყაროთა თანახმად, არც მთიანეთისა და არც დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას „ქართიზაცია“ არ ესაჭიროებოდა, რადგანაც ძველთაგანვე და ფარნავაზ მეფის დროსაც, როგორც მთიელები, ისე ეგრისელები ქართველი ხალხის ძირითად ნაწილად განიხილებოდნენ. ისე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეთა მცხოვრებნი.

ნიკო მარის მიერ შემოღებული თეორიის თანახმად, ერთიანი ქართველი ხალხი ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ჩამოყალიბდა იმით, რომ „ქართის“ ტომმა ქრისტიანობის მეოხებით მოახერხა სხვადასხვა ტომების „ქართიზაცია“, რამაც განაპირობა ქართველი ხალხის შექმნა. სინამდვილეში კი, ერთიანი ქართველი ხალხი ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე არსებობდა ერთიანი სახელმწიფოთი.

ძველი ქართველი ისტორიკოსები კი თვლიდნენ, რომ ქართველი ხალხი უკვე არსებობდა პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის დროს ქრისტემდე IV-III საუკუნეებში. ასეთივე შეხედულების იყო დიდი ილია ჭავჭავაძე და მისი

დროის ქართველი ისტორიკოსები (დ. ბაქრაძე, მ. თამარაშვილი, ი. გვარამაძე, თ. ჟორდანია, მ. ჯანაშვილი და სხვები), მხოლოდ ნ. მარის შემდგომ იქნა უარყოფილი ეს თვალსაზრისი.

აღსანიშნავია, რომ ნ. მარი აღზრდილი იყო პროფესორ პატკანოვის მიერ, ამიტომაც ნ. მარი ავითარებდა პატკანოვის საისტორიო შეხედულებებს.

პატკანოვის საისტორიო სკოლას კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა დიდი ილია. პატკანოვიო, – წერდა ილია მართალი, „... ხელს იწვდის ტაოსკარზე, ეხლანდელ ჭოროხის ხეობაზე“.[3]

„მე პატკანოვის შეგირდი ვარო, იძახის თავმოწონებით ბ-ნი მარი... თუმცა პატკანოვისამებრ ოინებში ჯერ თავი არ უჩენია... სხვაფრივ კი იმის გზაზე დამდგარა“.[4]

მართალია, ილიას ამ წერილის დაწერის დროს, ნ. მარს პატკანოვისამებრ ოინებში ჯერ თავი არ ეჩინა, მაგრამ XX საუკუნის დამდეგს ჭოროხის ხეობაზე (ტაოსა და კლარჯეთზე) მანაც „ხელი გაიწოდა“ და თავი გამოიჩინა: – „ნ. მარის დასკვნით, თუმცა კლარჯეთი, ტაოსთან ერთად შემოერთებული იქნაო საქართველოსთან VIII-IX საუკუნეებში, მაგრამ მოსახლეობის შემადგენლობით იგი, ვითომც ამის შემდეგაც სომხური დარჩა.

კლარჯეთი, ისე როგორც ტაო, დასახლებული იყოო სომხებით, რომლებიც სარწმუნოებით ქალკედონიტები (ე.ი. მართლმადიდებლები) იყვნენო. კლარჯეთისა და ტაოს მოსახლეობას ვითომც აერთებდა საქართველოსთან მხოლოდ ეს სარწმუნოებრივი ერთობა (მართლმადიდებლობა-ქალკედონიტობა). ამ სარწმუნოებრივი ერთობის ნიადაგზე მოხდაო თანდათან დაახლოება კლარჯეთის და ტაოს სომხობისა ქართველობასთან და შემდეგ თანდათან მათი გაქართველებაო...

ამრიგად, ნ. მარის მტკიცებით, კლარჯეთისა და ტაოს მოსახლეობა თვით შემდგომ ხანაშიც, იყვნენ არაქართველები, არამედ ძირითადში გაქართველებული სომხები“.[5]

ნ. მარი სასტიკად საყვედურობდა დიდ ივანე ჯავახიშვილს, როცა ის დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას, მათ შორის სვანებს, ჭანებსა და მეგრელებს X ს-მდე ქართველებს უწოდებდა. ივანე ჯავახიშვილმა საფუძველი ჩაუყარა თეორიას ქართველი ხალხის ქრისტიანობამდე ჩამოყალიბების შესახებ, კერძოდ, დაამტკიცა, რომ არსებობდა საერთო (ყველა ქართულ ტომთათვის) სარწმუნოება და არსებობდა კულტმსახურებისათვის საჭირო ყველა ქართულ ტომთათვის საერთო ენა, მაგრამ მის დროს არსებული განსაკუთრებული საზოგადოებრივი ვითარების გამო მას არ გაუღრმავებია ეს თეორია, ხოლო ნ. მარის თეორია ქართველი ხალხის ეთნიკური არაერთგვაროვნებისა და ამ ხალხის გვიან ხანაში ჩამოყალიბების შესახებ წახალისებული იყო იმდროინდელ ხელისუფალთა მიერ.

„... მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა საგანგებოდ ითვალისწინებდა რუსეთის განაპირა მხარეების ეროვნულ-უფლებრივი ინტერესების შელახვას, ათანაბრებდა ეთნოგრაფიულ და ეროვნულ ნიშნებს და ამ გზით ცდილობდა დაენაწევრებინა ერთიანი ეროვნული სხეული, წინ აღდგომოდა ჩაგრული ხალხების თვითშეგნების გამოღვიძებას, ყოველმხრივ შეეფერხებინა ერის კონსოლიდაცია. ამ პოლიტიკის უშუალო ანარეკლი იყო ის ფაქტი, რომ 1886 წლის

მოსახლეობის ოჯახობრივი სიების შედგენისას ცალკე ეროვნებებად აღნუსხეს ქართლელები, ხევსურები, იმერლები, გურულები, მეგრელები, სამურზაყანოელები და ქართველი ხალხის სხვა ეთნოგრაფიული ჯგუფები... ეროვნულ კუთვნილებას ხშირად აიგივებდნენ სარწმუნოებრივ და ეთნოგრაფიულ ნიშნებთან".[6]

ასეთი მოთხოვნის დროს მაშინდელი ხელისუფლებისთვის სრულებით მიუღებელი იქნებოდა ძველქართული ისტორიოგრაფიული შეხედულება ერთიანი ქართველი ხალხის ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე არსებობის შესახებ. ნ. მარის თეორიაც სწორედ ცარიზმის შესაბამის პოლიტიკას უჭერდა მხარს. ნ. მარი ცარიზმისათვის თავისი ერთგულების დამტკიცებას რომ ცდილობდა, გამოჩნდა ივ. ჯავახიშვილისადმი დამოკიდებულებაში 1905 წლის რევოლუციის დროს. ამ დროს ცნობილმა რუსმა აკადემიკოსებმა, პროფესორებმა და ივანე ჯავახიშვილმა გამოაქვეყნეს წერილი, სადაც ამხელდნენ მთავრობის უხეშ პოლიტიკას განათლების სისტემაში. ამის გამო, 1905 წლის 25 იანვარს ნ. მარი წყენით სწერს ივ. ჯავახიშვილს: „...თქვენი განცხადება გაზეთში – „ნაში დნი" საბოლოოდ ჩემთვის სავსებით ნათელს ხდის, რომ ჩვენ არ შეგვიძლია გულწრფელად ვიაროთ ერთი და იმავე მეცნიერული გზით, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ხელიხელჩაკიდებული და ადრინდელი ახლო თანამშრომლობით ვიაროთ... ჩემი ღრმა რწმენაა, რომ მეცნიერი პროფესორის მონაწილეობა პარტიულ-პოლიტიკურ ბრძოლაში საფრთხეს უქმნის მეცნიერების აკადემიურ თავისუფლებას..."[7]

ცარიზმის დამხობის შემდეგ კი ნ. მარი დროებით მთავრობაში ყველაფერს აკეთებს თავისი უზარმაზარი ავტორიტეტის მოშველიებით, რათა ჩაშალოს თბილისში ქართული უნივერსიტეტის გახსნის საქმე – „ის, რაც ნიკო მარმა 1917 წლის სექტემბერ-ოქტომბერში დაწერა და წარმოთქვა დროებითი მთავრობის სახალხო განათლების უაღრესად რეაქციულ კომისიაში, მან საჭიროდ ჩათვალა გამოექვეყნებინა 1918 წელს".[8] ამ წერილს კინაღამ საბედისწერო როლი შეუსრულებია ქართული უნივერსიტეტის გახსნის საქმეში (იქვე).

დროებითი მთავრობის დამხობის შემდეგ ნ. მარი სრულიად ახალ მიმართულებას იწყებს ენათმეცნიერებაში. ამ დროისათვის იგი ერთ-ერთი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკია და ნიკო მარის თეორიების კრიტიკა სრულებით შეუძლებელი გახდა.[9]

ამ სტატიაში ნათქვამია, რომ მრავალი ჭეშმარიტად დიდი მეცნიერის სიცოცხლე შეიწირა „მარიზმმა", – ასე უწოდებს ავტორი ნ. მარის სამეცნიერო მიმდინარეობასა და მის სკოლას.

იმ ხანებში შეიძლებოდა ამ თეორიის გაღრმავება... მაგალითად, 1937 წელს ი. აბულაძემ საჯარო სხდომაზე წაიკითხა მოხსენება, რომელშიც განავითარა და გააღრმავა ნ. მარის ადრინდელი შეხედულებები, კერძოდ, ქართული ეკლესია ანგრევდა სომხურ ეკლესიებს, წვავდა ჯვრებს და ა.შ. „ეკლესიათა ნგრევა და ჯვართა წვა კიდევ იმას უნდა მოასწავებდეს, რომ ერთი ეკლესია იჭრება მეორეში და მათ გვერდით, თუ მათ ნაამაგარზე თავისას აფუძნებს. ესეც არაა უცხო ამბავი იმ დროისათვის. სომხეთის მიწა-წყალზე არა ერთი და ორი „ქართველთა" სავანე იხსნება ამ დროს. ტერმინი „ქართველი", როგორც აკადემიკოსმა ნ. მარმა დაამტ-

კიცა, დიოფიზიტურს ნიშნავს ამ დროისათვის და იქნება იგი მარტოოდენ ქართველთა და სომეხთა ელემენტებისაგან შედგენილი“.[10]

ეს ი. აბულაძემ საჯაროდ წარმოთქვა 1937 წლის მიწურულს, 17 დეკემბერს, მან ამ წლის მწარე გაკვეთილით იცოდა, რისი თქმა შეიძლებოდა ამ დროს და რისი – არა. ითქვა ის, რაც მოსაწონი იყო იმ დროისათვის. მართლაც, ესაა გაღრმავება ნ. მარის ადრინდელი გამონათქვამისა ამ თემაზე. ნ. მარი წერდა:

„სომხური ანტიქალკედონური ეკლესიის ნაციონალიზაციასთან დაკავშირებით (სომეხ) ქალკედონურ გარემოში მიმდინარეობს საპირისპირო პროცესი, სახელდობრ, „დენაციონალიზაცია“, რომელმაც სომეხ ხალხს მიაყენა უზარმაზარი დანაკარგი რიცხობრივად და მორალურად... ამ პროცესის წყალობით სომეხ ქალკედონიტების დენაციონალიზაციით, საქართველო გამდიდრდა ორი უმაღლესი ხარისხის მწარმოებლური ოლქით, საქართველოში პირდაპირ ბრწყინვალე კულტურული ცხოვრების მქონენი, სიტყვა ეხება ტაოს და კლარჯეთს... IX საუკუნის დასაწყისში სომეხი ქალკედონიტების მდგომარეობა სომხეთში... იყო ჯერ კიდევ მტკიცე, რომ ისინი ბატონობისაკენ მიისწრაფოდნენ. ჩრდილო-დასავლეთი სომხეთი ოლქებით კლარჯქით (კლარჯეთი) და ტაიქით (ტაო), ამ დროს იყო მათ ხელში. ქალკედონიტობა აქ პოულობდა მხურვალე მხარდაჭერას არა მარტო ბერძნებში, არამედ ქართველებშიც. არტანუჯელი ბაგრატიდები, მხარის მფლობელები, უკვე ქალკედონიტები იყვნენ და ეს ხელს უწყობდა ქალკედონიზმის ზეიმს ამ კუთხეში... აქ (კლარჯეთსა და ტაოში) ეფუძნებიან ქართველი ბერ-მონაზვნები ყველანი დაქვრივებულ სომხურ ნაგებობებზე... ამ ეპოქაში IX-X საუკუნეებშიც კი, ქართველი ბერები იყვნენ გარემოცულნი. მართალია, ერთმორწმუნე, მაგრამ მაინც უცხო სომხური მოსახლეობით და მიუხედავად ქართველთა პოლიტიკური ბატონობისა, უფლებას ამ მხარის ქართულად წოდებისა ისინი აფუძნებდნენ მასზე, რომ ეკლესიებში წირვა-ლოცვა ტარდებოდა ქართულ ენაზე“.[11]

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, ი. აბულაძის აზრით, ტერმინი „ქართველი“ თურმე ეთნიკურად ქართველს არ აღნიშნავდა, რადგანაც ეს „ქართველები“ შედგებიან „ქართველთა და სომეხთა ელემენტებისაგან“, ე.ი. ქართველი ქართველი არ არის, ხოლო ნ. მარის აზრით, სამხრეთი საქართველო საერთოდ სომხეთის მიწა-წყალია.

პავლე ინგროყვამ დამაჯერებლად უარყო ასეთი თეორიები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამჟამად თითქმის ყველა ქართველი მეცნიერი (ისტორიკოსებიც და სხვა დარგის სპეციალისტებიც), როგორც წესი, VI-XI საუკუნეების მიმოხილვის დროს ხმარობს ტერმინს „გაქართველება“ ან „გაქართება“ ე.ი. აღიარებენ და ემხრობიან ნ. მარის თეორიას სომეხთა, ჰერთა და დასავლეთ საქართველოს „გაქართველების“ შესახებ.

ეყრდნობა თუ არა ასეთი დიდმნიშვნელოვანი თეორია ფაქტებს, რომელთა ჭეშმარიტება უეჭველია?

არა, ასეთი ფაქტები არ არსებობენ. მაგალითად:

1. IX-X საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს „გაქართველების“ დამადასტურებელ ფაქტად მიაჩნიათ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ არსებული წინადადება, რომ ქართლად ის ქვეყანა ითვლება, სადაც წირვა-ლოცვა ქართულ

ენაზე მიმდინარეობსო. სინამდვილეში ეს წინადადება არ შეიძლება ამის დამამტკიცებელ ფაქტად ჩაითვალოს, რადგანაც სრულებით განსხვავებული ვითარების გადმოსაცემად მოჰყავს ის მის ავტორს. ამ ფაქტის გარდა სხვა რაიმე დამაჯერებელი ფაქტი არ გააჩნიათ (თუ არ ჩავთვლით აბო თბილელის ვითომდა „გაქართველებას“).

2. ჰერეთის „გაქართველების“ დამამტკიცებელ ფაქტად მიაჩნიათ „ქართლის ცხოვრებაში“ გადმოცემული ცნობა, რომ ჰერეთი ქალკედონიტური გახდა დინარა დედოფლის წყალობით. ეს ცნობა არაა გაქართველების ფაქტი, რადგანაც ის გადმოგვცემს, რომ ჰერები, ანუ რაც იგივეა ჰერეთში მცხოვრები ქართველები, დინარა დედოფლამდე იყვნენ ქართველებივე, მაგრამ არა ქალკედონიტები, არამედ მონოფიზიტები. ისინი დინარა დედოფლის დროს კი არ გაქართველდნენ, არამედ გაქალკედონიტდნენ. ჰერებმა, ანუ ქართველებმა ქრისტიანობის ერთი მიმართულება მეორით შეცვალეს.

3. ფაქტად ითვლება, ქვემო ქართლში, ანუ გუგარქში მცხოვრები სომხების „გაქართველება“ კირიონ კათალიკოსის მიერ მათთვის ეკლესიაში ქართულენოვანი წირვა-ლოცვის დანერგვის შედეგად. სინამდვილეში კი ქვემო ქართლი ერთ პერიოდში კირიონამდეც, და ძირითადად, კირიონის შემდეგაც XI საუკუნემდე სომხეთისა და სომხური ეკლესიის გავლენის სფეროში შედიოდა და აქ სწორედ ის პროცესი მიმდინარეობდა, რაც ალბანეთში, კერძოდ, ადგილობრივი მცხოვრებლების (ე.ი. აქ ქართველების) არმენიზაცია. კირიონმა ისარგებლა ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარებით და ამ არმენიზებული ქართველებისთვის ეკლესიაში სომხურენოვანი წირვა-ლოცვის გვერდით ქართულენოვანი წირვა-ლოცვა დააწესა, ამიტომაც სომხები კი არ გაქართველდნენ, არამედ ქართველები არმენიზაციის გავლენისაგან გათავისუფლდნენ. ქართველებს დედაენაზე წირვა-ლოცვის საშუალება მიეცათ, მაგრამ სამწუხაროდ, სულ რამდენიმე წლის (კერძოდ, ე.წ. „სპარსული“ კრებისა (614 წ.) და განსაკუთრებით კი, ბიზანტიურ-სომხური ეკლესიების „უნიის“) შემდეგ, ეს მხარე კვლავ სომხური ეკლესიის გავლენის ქვეშ მოექცა. სწორედ ეს იყო საფუძველი ამ მხარეში ტაშირის კვირიკიანთა სომხური სამეფოს დაარსებისა და მისი არსებობისა თითქმის XII საუკუნემდე. ამიტომაც, სომხები კი არ „ქართველდებოდნენ“, არამედ მიმდინარეობდა საპირისპირო პროცესი – ქართველები სომხდებოდნენ. არავითარი ფაქტი ქვემო ქართლში სომხების „გაქართველებისა“ არ არსებობს. ამ მხარის მოსახლეობა ქართული იყო უხსოვარი დროიდან თვით ტაშირის კვირიკიანთა სამეფოს არსებობის დროსაც.

4. მესხეთის მხარეები, თვით ნიკო მარის აზრითაც კი, უძველესი დროიდან დასახლებული იყო ქართველებით („თუბალ-კაინური ტომებით“), მაგრამ ხშირად VIII საუკუნემდე ეს მხარეები სომხეთისა და სომხური ეკლესიის გავლენის სფეროში შედიოდა. ამიტომაც, ადგილობრივი მოსახლეობა, ნიკო მარის აზრით, გასომხებულა, ხოლო VIII-X საუკუნეებში ეს „სომხები გაქართველდნენ“.

მართალია, სამხრეთ საქართველოს ზოგიერთი მხარე VIII საუკუნემდე სომხეთისა და სომხური ეკლესიის გავლენის სფეროებში შედიოდა, მაგრამ მოხდა მისი მოსახლეობის კულტურული და არა ეთნიკური არმენიზაცია. ეთნიკურად ქართველები

ქართველებადვე დარჩნენ, ხოლო კულტურული არმენიზაცია იმით გამოიხატა, რომ მსგავსად ალბანელებისა, მათთვის საეკლესიო და კულტურის ენად გახდა სომხური ენა. ამას ხელს უწყობდა ის, რომ VIII საუკუნემდე სომხური ეკლესია არ იყო ნაციონალიზებული, არამედ ეს ეკლესია თავის მშობლიურ (არაეთნიკური არამედ სარწმუნოებრივი თვალსაზრისით) ეკლესიად მიაჩნდათ სხვადასხვა ერებს: ალბანელებს, ქართველებს, სირიელებსა და სპარსელებსაც კი (არსებობს სპარსელი ქრისტიანების მიმართვები სომხეთის კათალიკოსისადმი).

როგორც კი 726 წლის შემდეგ დაიწყო სომხური ეკლესიის ნაციონალიზაცია, ეს ეკლესია მიატოვეს მესხეთის ქართველებმა. ამ დროს არსებითი იყო არა სარწმუნოებრივი, არამედ ეთნიკური მომენტი (კარტაშევს მსგავსი სარწმუნოებრივი განხეთქილების წარმომშობ მიზეზად მიაჩნია არა დოგმატიკური უთანხმოება, არამედ ეთნიკური მომენტი).

VIII საუკუნემდე „უნიის“ დროს, სომხური ეკლესიის გავლენის სფეროში ყოფნისას, მესხეთის ზოგიერთ რეგიონში დაინერგა სომხური წირვა-ლოცვა, აქაურმა ქართველმა სამღვდელოებამ შეითვისა სომხური ენა და დამწერლობა (ისე, როგორც ალბანელებმა). VIII საუკუნის შემდგომ საჭირო გახდა ქართულენოვანი წიგნები, ამიტომაც კულტურულად არმენიზებულ ქართველთა მიერ ქართული წიგნების თარგმნის ან რედაქტირებისას შეიმჩნევა არმენიზმების კვალი. ეს ბუნებრივია, კულტურულად არმენიზებული მწერალ-რედაქტორების მიერ რედაქტირებული წიგნები ვერ აცდა არმენიზმებს.

ამ ფაქტის (არმენიზმების არსებობა) გარდა სხვა რაიმე დამაჯერებელი ფაქტი არ გააჩნიათ.

ნ. მარამდეც სომხურ (და აქედან ევროპულ) მეცნიერებაში იყო აზრი, რომ ტაო და ქვემო ქართლი ისტორიული სომხეთის მიწებია.[12]

ნ. მარი, აღზრდილი პატკანოვისა, ავითარებდა სომხური საისტორიო სკოლის თვალსაზრისს, რომელსაც სრულებით ეწინააღმდეგებოდა მესხეთში VIII საუკუნის შემდგომ არსებული კულტურულ-ეთნიკური ვითარება, ამიტომაც ნ. მარმა შეუთანხმა ერთმანეთს სომხური სამეცნიერო თვალსაზრისი და მესხეთში VIII საუკუნის შემდგომი რეალური ვითარება, კერძოდ, ტაო-კლარჯეთის კულტურა (ე.ი. VIII საუკუნის შემდეგ) მართალია, ქართულია, მაგრამ ქვეყანა მაინც სომხურია, რადგანაც ამ კულტურის შემოქმედი არის გაქართველებული ადგილობრივი სომხური მოსახლეობა და არა ქართველებიო.

„...ამ შემცდარმა და ტენდენციურმა კონცეფციამ ფართო გავრცელება მიიღო. ეს შეხედულება განმტკიცდა რუსულ და ევროპულ სპეციალურ ლიტერატურაში.

ამ შეხედულებების მიმდევრები და დამცველები გამოჩნდნენ ქართველ მკვლევართა შორისაც... კორნელი კეკელიძე იმეორებს ამ აზრს, რომ კლარჯეთი (ტაოსთან ერთად) ვითომც უკავშირდება საქართველოს მხოლოდ VIII საუკუნის შემდეგ, რომ ეს მხარე, კლარჯეთი, ეთნიკურად ვითომც არ იყო ქართული ქვეყანა“.[13]

ამ კონცეფციაზე დაყრდნობით ნ. ტოკარსკის თავის წიგნში „ძველი სომხეთის არქიტექტურა“, ტაოში მდებარე ოშკი, ხახული, იშხანი, კლარჯეთის ოპიზა, ფორთახანძთა, შავშეთის, ტბეთის ტაძრები სომხური არქიტექტურის ძეგლებად გამოუცხ-



ადებია.[14] მიხანკოვა თვლის, რომ ჭოროხის ხეობის ეს პროვინციები (ტაო, შავშეთი, კლარჯეთი...) არ იყო ქართული ქვეყანა, ქართული ენითა და კულტურით, არამედ მხარე, რომელიც პოლიტიკურად და აგრეთვე ეთნიკურადაც, ძირითადში დაკავშირებული იყო სომხეთთან. მიხანკოვა თვლის, რომ ნ. მარის კონცეფცია ტაო-კლარჯეთის ისტორიისა, ეს არის ურყევი ისტორიული ჭეშმარიტება.[15]

„თვით ასეთი კარგად ორიენტირებული და მიუდგომელი ავტორი, როგორიც არის ა. იაკობსონი, დაჯერებულია, რომ მესხეთის ტერიტორიები ჭოროხის ხეობისა გახდა ქართული მხოლოდ ამ გვიან ხანაში. ასეთია გავლენა ნ. მარის კონცეფციისა მესხეთის მხარეთა ისტორიის შესახებ, რომელიც დღემდე ერთგვარ დოგმად იყო მიჩნეული“.[16]

მართალი იყო დიდი ილია ჭავჭავაძე, როცა პატკანოვის შესახებ წერდა. ის „... ხელს იწვდის ტაოსკარზე, ეხლანდელ ჭოროხის ხეობაზე“, ასევე მოიქცა მისი შეგირდი ნ. მარიც.

საქართველოში კარგად იცოდნენ, რომ ნ. მარი ანტიქართულ პოზიციებზე იდგა და ისტორიულ-ფილოლოგიურ მეცნიერებაში ავითარებდა ყოველივე ქართულის საწინააღმდეგო მიმართულებას. ამიტომაც ჯერ კიდევ III კურსზე სტუდენტობისას ივანე ჯავახიშვილი გააფრთხილა მამამისმა ალექსანდრემ, რომ ყველაფრისათვის შეეხედა საკუთარი თვალით და არა ნ. მარის თვალით: „1898 წლის 22 ოქტომბერს აფორიაქებული მამა სწერდა: „შვილო, როგორც მამა, გირჩევ, შენი საკუთარი და ჭეშმარიტი კრიტიკულის თვალით შეხედო ყველაფერს და არა მიეპყრო მარის ქართულის საწინააღმდეგო მიმართულებას“.[17]

როცა ივ. ჯავახიშვილი „არ მიეპყრო მარის ქართულის საწინააღმდეგო მიმართულებას“ და საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილებს – ქართლელებს, კახელებს თუ მეგრელებს საზოგადოდ ქართველი უწოდა და ქართველი ერის შემადგენელ ჯგუფებად მიიჩნია, მას წინააღმდეგობა გაუწია ნ. მარმა.

ნ. მარი „მეცნიერულად ასაბუთებდა“ ერთიანი ქართველი ერის არარსებობას. მან ქართველი ერის სხვადასხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს „იაფეტური“ ხალხები დაარქვა, ხოლო ქართველურ და მის მონათესავე ენებს „იაფეტური“ თუ „თუბალკაინური“. მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა „დაესაბუთებინა“, რომ თითქოსდა მეგრელები არ იყვნენ ქართველები. ერთი წყაროს არასწორი კომენტირებით მან ქართველ მეცნიერებს მიაღებინა დოგმა, თითქოსდა „ქართების“ ტომმა კულტურულ-ეკლესიური ზემოქმედების საშუალებით მეგრელი „ხალხი“ „გააქართველა“ IX-X საუკუნეებში. ივანე ჯავახიშვილმა პასუხი გასცა ამ ყალბ თეორიას და

დაასაბუთა, რომ ქართული ენა არათუ IX-X საუკუნეებში იქნა დასავლეთ საქართველოში კულტმსახურების ენად, არამედ თვით წარმართობის დროსაც კი დასავლეთ საქართველოში – სამეგრელოსა და სვანეთში, წარმართული კულტმსახურება ქართულ ენაზე აღესრულებოდა.

პავლე ინგოროყვამ კი დაასაბუთა, რომ სამხრეთ საქართველოში ქართული მოსახლეობა უწყვეტად არსებობდა და ეს მხარეები ყოველთვის ქართული იყო ეთნიკური შემადგენლობით.

ივანე ჯავახიშვილმა გამოარკვია, რომ საქართველოში ადგილი არასოდეს ჰქონია უცხო მოსახლეობის არც სარწმუნოებრივ, არც რასობრივ-ეთნიკურ დევნას.

ქართველი ხალხი რჯულით და ტომით შემწყნარებელია.

ნ. მარის აზრით კი, პირიქით, ქართველებს არათუ შეუვიწროებიათ სხვა ტომები, არამედ მათთვის დედა ენა და ვინაობაც კი დაუვიწყებიათ. სომხები, ჰერები და სხვები გაუქართველებიათ ქართული ეკლესიის მეოხებით.

ქართული ეკლესია თურმე „წვავდა“ სხვათა ეკლესიებს, „იჭრებოდა“ სხვა უცხო ერთა ეკლესიებში, მათ „ნამოღვაწევ ნამონასტრალებზე“ თავისას აფუძნებდა, ქართულენოვანი წირვა-ლოცვის დანერგვით სხვა ხალხებს „აქართველებდა“. ეს ყოველივე ცილისწამებაა. ქართული ეკლესია ყოველთვის სათნო და შემწყნარებელი იყო სხვათა მიმართ.

სინამდვილეში როგორი პოლიტიკური ვითარება იყო VIII-X საუკუნეებში საქართველოში? საქართველოს გული – შიდა და ქვემო ქართლი არაბთა და მათ მიერ წახალისებულ სომეხი ნახარარებისა და სამღვდელოების გავლენის ქვეშაა. ეს კი პირობას ქმნიდა არათუ უცხოთა გაქართველებისათვის, არამედ ქართველების ეროვნულ მდგრადობასაც კი საფუძველი შეერყა, როგორც ეს „აბო თბილელის წამებიდან“ ჩანს.

სომხური ეკლესიის ისტორია, მონოთელიტობა და ხატმებრძოლობა მასთან კავშირში ა. კარტაშევის მიხედვით

ა. კარტაშევის წიგნში „მსოფლიო კრებები“ (პარიზი, 1963, რუს. ენაზე) გადმოცემულია მიზეზები, რომლის გამოც სომხური ეკლესია ჩამოსცილდა მსოფლიო საყოველთაო (კათოლიკე) ეკლესიას.

ამ ავტორის აზრით, სომხური ეკლესია მსოფლიო ეკლესიას განშორდა არა სარწმუნოებრივი, არამედ ეროვნული მოტივის გამო: რომ ბერძენთა იმპერიაში მცხოვრები პატარა ერები, იმისათვის, რომ აეცილებინათ დიდ ერში ასიმილაცია, იღებდნენ არა ცენტრში აღიარებულ, არამედ განსხვავებულ სარწმუნოებას.

იმპერიის პატარა ერებმა – კოპტებმა, ასირიელებმა, სომხებმა და სხვებმა მიიღეს მონოფიზიტობა და სხვა სარწმუნოებრივი მიმართულებები გაბერძნებისა და „გარომაელების“ თავიდან აცილებისათვის. ჩანს, ამასთან ერთად სხვა მიზეზებიც არსებობდა.

ქვეთავი ამ წიგნისა – „განყოფა მართლმადიდებლობისაგან ეროვნული მოტივის გამო“ განიხილავს, პატარა ერების ეკლესიებთან ერთად, სომხური ეკლესიის განყოფას მსოფლიო ეკლესიისაგან.

ქალკედონის კრების დროისათვის (451 წ.), როცა მეზობელმა იმპერიებმა განსაკუთრებით მოინდომეს სომეხთა ასიმილაცია, სომეხი ხალხი თითქმის ათასწლოვანი ისტორიული წარსულის მქონე ერი იყო, ეროვნული მობილიზება მისთვის ძნელი არ იყო, ამიტომაც მეზობელი სახელმწიფოების მხრიდან მრავალი ცდის მიუხედავად, მათ ვერ შეძლეს სომხების ვერც გასპარსელება და ვერც „გარომაელება“, ანუ გაბერძნება, რაც იმით მოხერხდა, რომ სომხებმა არ მიიღეს სპარსელთა სარწმუნოება – ცეცხლთაყვანისმცემლობა, ხოლო ქრისტიანობაში ის მიმდინარეობა მიიღეს, რომელიც განსხვავდებოდა კონსტანტინოპოლის სარწმუნოებისაგან. რა თქმა უნდა, სარწმუნოების არჩევაზე ლაპარაკი ძნელია, მაგრამ კარტაშევისა და სხვათა დაკვირვების თანახმად, ბიზანტიის იმპერიაში მცხოვრებ პატარა ერებს სწორედ ის სარწმუნოებრივი მიმართულება მიაჩნდათ სწორ, ჭეშმარიტ და ერთადერთ მართალ სარწმუნოებად, რომელიც განსხვავებული იყო კონსტანტინოპოლში აღიარებულისაგან.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ საუკუნეთა მანძილზე (აქ იგულისხმება IV-X საუკუნეები) სომხური ეკლესია იყო ძალზე ძლიერი ორგანიზაცია, რომელსაც ანგარიშს უწევდნენ როგორც სპარსეთის შაჰები, ისე ბიზანტიის საიმპერატორო კარი. ბიზანტიაში მონოფიზიტთა და მონოთელიტთა გავლენის გავრცელების დროს მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სომხური ეკლესია და სომხური ელემენტი. საიმპერატორო კარზე მყოფმა სომხებმა, კარტაშევის თანახმად, დიდი გავლენა იქონიეს ბიზანტიაში ხატმებრძოლობის ერესის როგორც გავრცელების, ისე მისი განადგურების დროს. აღსანიშნავია, რომ არა მარტო სპარსეთის და ბიზანტიის სამეფო კარი, არამედ არაბებიც ანგარიშს უწევდნენ სომხურ ეკლესიას, აძლიერებდნენ და მ. კალანკატუაცის თანახმად, სხვა (ალბანეთის) ქალკედონიტურ ეკლესიაზეც აბატონებდნენ მას. ამგვარი ვითარების გამო, სწორი არ უნდა იყოს ქართულ მეცნიერებაში მიღებული თეორია „ქალკედონიტი სომხების გაქართველების შესახებ“, იმ მიზეზის გამო, რომ ეს თეორია ამ საკითხს არ იხილავს გლობალური თვალსაზრისით.

ა. კარტაშევი თავისი წიგნის ქვეთავში – „განყოფა მართლმადიდებლობისაგან ეროვნული მოტივების გამო“, წერს:

კამათმა ქალკედონის კრებაზე მოამზადა საეკლესიო განყოფა სომხებისა. ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა იმ ტერიტორიებს, რომელნიც ბიზანტიის იმპერიაში შედიოდნენ (ბიზანტიასა და სპარსეთს სომხეთის მიწა-წყალი გაყოფილი ჰქონდათ). ბიზანტიის იმპერატორთა მხრიდან უფრო ყურადღებიან პოლიტიკას უცხო ერის მიმართ შეეძლო შეენელებინა ეს განყოფა.

სომხეთს უხდებოდა პოლიტიკურად ორ ორიენტაციაზე თამაში – ბიზანტიურსა და სპარსულზე. მომენტის შესაფერისად, ან ერთ ან მეორე ძლიერ მეზობელს უნდა მიმხრობოდნენ.

თავისი პირველი არქიეპისკოპოსის მიღებისას კესარია-კაპადოკიისგან სომხეთს თავისი წარმომადგენელი ჰყავდა I მსოფლიო კრებაზე – გრიგორ განმანათლებლის შვილი – არქიეპისკოპოსი არისტაკესი, მაგრამ არქიეპისკოპოს ნერსე I-ის (374) შემდეგ, რომელსაც კათალიკოსი ეწოდა, წამოყენებული იქნა აზრი ავტოკეფალიის შესახებ. კათალიკოსი უწოდა თავის თავს, რადგანაც მიიჩნევდა, რომ სომხური ეკლესია მოციქულ თომასაგან არის წარმოშობილი. სომეხთა მეფის სასახლეში წამოყენებულ იქნა აზრი ავტოკეფალიის შესახებ. ნერსესის მემკვიდრე იუსიკი სომხეთის მეფე-პაპმა უკვე აღარ გააგზავნა ხელდასასხმელად კესარიაში, არამედ უწოდა არქიეპისკოპოსი თავისსავე ქვეყანაში. ამგვარად, სომხეთის ეკლესიის ავტოკეფალია დამკვიდრდა არაკანონიკური გზით, წერს კარტაშევი. კესარია აპროტესტებდა სომხეთის ასეთ მოქმედებას. II მსოფლიო კრებაზე ბერძნებმა სომხები არ მიიწვიეს, ხოლო ცნობებმა ამ დადგენილებათა შესახებ სომხეთამდე მიაღწია მოგვიანებით.

სომხური ეკლესია იზრდებოდა და ძლიერდებოდა. ამ ეკლესიას 397 წლიდან 448 წლამდე მართავდა გრიგორის შთამომავალი დიდი საჰაკი (ისააკი), რეფორმატორი სომხური ეკლესიისა და მთარგმნელი წმიდა წერილისა სომხურ ენაზე. ამ დროს ბერძნები ფლობდნენ სომხეთის ერთ ნახევარს, სპარსელები კი – მეორეს. შემდეგ ბერძნებმა გადასცეს მთელი სომხეთი სპარსელებს. იმპერატორმა თეოდოსი II-მ ხელახლა დაიბრუნა ბერძნული ნახევარი სომხეთისა, მაგრამ მთელი ამ დროის მანძილზე ბერძნები აღიზიანებდნენ სომხებს (იგულისხმება ნაციონალური თვალსაზრისით) და სომეხთა სიმპათიები სპარსელების მხარეს იყო. მალე სომხები გათავისუფლდნენ სპარსელებისაგან და ოცნებობდნენ ბერძნებისაგან გათავისუფლებას. ისააკი (საჰაკი) დროებით სომხეთის საერო მმართველი გახდა (აღსანიშნავია, რომ დაახლოებით ამ დროს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანახმად, ქართული ეკლესიის მეთაური არქიეპისკოპოსი გლონოქორი საქართველოს (ქართლ-ჰერეთის) საერო მმართველად (ერისთავად) იყო დანიშნული). ისააკი ბერძნებს ისე უყურებდა, როგორც ეროვნულ მტრებს. მას არ უნდოდა კურთხეულიყო კესარია-კაპადოკიაში და როცა მცირე აზია კანონიკურად დაექვემდებარა კონსტანტინოპოლის პატრიარქს (ე.ი. 451 წელს), სომხებმა კონსტანტინოპოლსაც ზურგი შეაქციეს ისე, როგორც კესარია-კაპადოკიას.

400 წელს წმიდა იოანე ოქროპირმა სომხეთში გაგზავნა კონსტანტინოპოლის კრების დადგენილება ქრისტეშობისა და ღვთისგანცხადების ცალ-ცალკე დღესასწაულის შესახებ – რომაული წესის თანახმად. ისააკმა არც კი უპასუხა. სომხეთის ეკლესია დარჩა ძველ ჩვევაზე – დღემდე. სპარსელები მტრულად ექცეოდნენ ბერძნულ კულტურას სომხეთში და იქ ანადგურებდნენ სომხებისათვის გახსნილ ბერძნულ სკოლებს. იმ დროს სომხებს წირვა-ლოცვა და ღვთისმსახურება ჰქონდათ არა სომხურ, არამედ ბერძნულ ენაზე, სომხური ანბანის არარსებობის გამო.

სპარსული ორიენტაციის დროს სომხებმა გადაწყვიტეს გათავისუფლებულიყვნენ ბერძნული გავლენისაგან საეკლესიო სფეროში. ამაში მდგომარეობდა პათოსი დიდი ნაციონალური რეფორმისა სომხურ ეკლესიაში ისააკ დიდის დროს – სომხური ანბანის გამოგონება და წმიდა წერილის თარგმნა. აქამდე კი ინერციით ღვთისმსახურება სრულდებოდა ბერძნულად.

კესარია-კაპადოკიის მიტროპოლიტები სომხებს მწვალებლებად მიიჩნევდნენ ეკლესიური დამოუკიდებლობისათვის.

III მსოფლიო კრებაზე სომხებს, ჩანს, არ გაუგზავნეს მიწვევა და ეფესოში სომხური ეკლესიიდან არავინ იყო. 435 წელს სომხურმა ეკლესიამ დაგმო ნესტორიანობა და ამით ბერძნებთან ერთად წავიდა წინ. ამის შედეგად სომხურმა ეკლესიამ აღიარა და მიიღო სამივე მსოფლიო კრება (I, II, III). ამ დროისათვის სომხეთი მთლიანად სპარსთა ქვეშ იყო. სომეხ არისტოკრატიაში მიდიოდა პროპაგანდა ცეცხლთაყვანისმცემლობის სასარგებლოდ. შემდეგ მოვიდა ბრძანება ქრისტიანობის უარყოფის შესახებ. სომეხ ეპისკოპოსთან კრებამ სპარსთა მეფეს საკადრისი პასუხი გაუგზავნა და დაადგინეს – იარაღით ხელში დაეცვათ სარწმუნოება. კრების დადგენილება ჟღერს გადამწყვეტად:

„დაე აღიმართოს ძმის ხელი ძმაზე, თუ ის უარყოფს უფლის მცნებას, და მამა შებრალების გარეშე წავიდეს შვილზე და შვილი მამაზე, ნუღარ ეშინია ცოლს ხელის აღმართვისა ურჯულო ქმარზე და აღდგეს მსახური ბატონზე“.

სომხებმა შველა თხოვეს ბერძნებს, მაგრამ არც თეოდოსი II-ს და არც მარკიანეს (იმპერატორებს) არ გააჩნდათ ძალები სპარსთა საწინააღმდეგოდ. სომხეთი აჯანყდა. 451 წელს აჯანყება დამარცხდა. ის სპარსელებმა ჩაახშეს. ამ წელს ჩატარდა ქალკედონის მსოფლიო კრება. აჯანყების ბელადი ვართან I და სხვები კანონიზებულ იქნენ. ქალკედონის კრებისას ბერძნებს დიდად არ შეუწუხებიათ თავი სომეხთა მიმხრობისათვის. ფორმალურად ბერძნებს ის ამართლებდა, რომ სომეხი ეპისკოპოსები უცხოეთის და არა იმპერიის ეპისკოპოსები იყვნენ, ხოლო კრებები იყო „იმპერიისა“ და იმპერია კი მსოფლიო ეკლესია არ არის (იგულისხმება, რომ „მსოფლიო კრებები“ იყო ეკუმენური, ანუ ბერძნულ-რომაული სამყაროს კრებები, რომელშიც, ფაქტობრივად, იმპერიის[18] შიგნით არსებულ კათედრათა ეპისკოპოსები მონაწილეობდნენ). გარდა ამისა, სომხებს მიანიშნეს, რომ ისინი ბერძნული თვალსაზრისით შედიან კესარია-კაპადოკიის მიტროპოლიაში, ამიტომაც არაა საჭირო მათი განსაკუთრებული მიწვევა მსოფლიო კრებაზე.

სომხეთი სირიის გზით წინ აღუდგა „ქალკედონიტებს“.

ამ დროს თვით საიმპერატორო კარზეც მიმდინარეობდა სარწმუნოებრივი ჭეშმარიტების ძიება (ბიზანტიაში).

491 წელს სომხეთის კრებამ დედაქალაქ ვაღარშაპატში მიიღო ჰენოტიკონი ზენონისა და თანაბრად დაგმო ნესტორიც და ევტიხიც. უარყო აგრეთვე ქალკედონის კრება, რომელმაც თითქოსდა დაამტკიცა „ორი სახე“. 491 წლის ვაღარშაპატის დადგენილება ასე ჟღერს: „ჩვენ, სომხები და ბერძნები, ქართველები და ალბანელები, რომლებიც ვაღიარებთ ერთ ჭეშმარიტ სარწმუნოებას, გადმოცემულთ წმიდა მამების მიერ სამ მსოფლიო კრებაზე, უარვყოფთ ისეთ ღვთისსაგმობ სიტყვას (ე.ი. რომ ქრისტეში ორი განსხვავებული სახეა) და ერთსულოვნად გადავცემთ ანათემას ყოველივე მსგავსს“. ესაა ის სარწმუნოება, რომელიც იმ დროს ბიზანტიაში იყო გავრცელებული საიმპერატორო კარის მიერ (ზენონის ჰენოტიკონი) და ის აღიარეს ბერძნებმა, სომხებმა, ქართველებმა და ალბანელებმა.

„კრება გახდა ისტორიული გამყოფი ბერძნულ მართლმადიდებლობასა და სომხურ გრიგორიანულ აღმსარებლობას შორის. დროებით განშორდა ბერძნულ მარ-

თლმადიდებლობას ქართული ეკლესიაც. ვაღარშაპატის კრებაზე მონაწილეობა მიიღეს მეზობელმა კათალიკოსებმა საქართველოსა და ალვანეთისა“, – წერს კარტაშევი, მაგრამ ამ კრების დოკუმენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმ დროს ქართველებსა და ბერძნებს ერთიანი სარწმუნოება ჰქონდათ, სხვა ხალხებსაც ასევე. „527 წლის დვინის ახალმა კრებამ კიდევ უფრო გააღრმავა განსხვავება-განყოფა ბერძნულ მართლმადიდებლობასა და სომხურ გრიგორიანულ აღმსარებლობას შორის. კრებამ მოითხოვა ეღიარებინათ ქრისტეში ერთი ბუნება(!). იმისათვის, რომ ეს ერთბუნებიანობა უფრო კარგად წარმოეჩინათ, დაადგინეს, ერთ დღეს ედღესასწაულათ შობა და ღვთის განცხადება 6 იანვარს. დადგინდა რომ ევქარისტიის (ზიარების) საიდუმლო შეესრულებინათ აუფუებელი პურით და მხოლოდ წყალგაურეველი ღვინით. აქვე „სამწმიდაოს“ გალობას თან დაურთეს მონოფიზიტური სიტყვა-დამატება: „რომელიც ჩვენთვის ჯვარს ეცვი“. ამ დროს აეკრძალათ სომხებს იერუსალიმში სალოცავად გამგზავრება და ბერძნებთან ურთიერთობა. ეს კრება, 527 წელს, ნაკარნახევი იყო ანტიბერძნული განწყობილებით, რაც გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებით:

518 წელს, იუსტინე I-ის გამეფების შემდეგ, კონსტანტინოპოლში დაიწყო ზეიმი (აღორძინება) ქალკედონიტობისა. მანამდე მონოფიზიტებს იმპერიაში მტკიცე პოზიციები ეკავათ. იმპერატორმა ვასილისკომ უარყო ქალკედონიის კრება. ალექსანდრიაში, სირიასა და პალესტინაში მონოფიზიტები ძლიერდებოდნენ და დევნიდნენ ქალკედონიტებს... თვით იმპერიის მთავარ ტაძარში კონსტანტინოპოლის აია-სოფიაში 512 წელს შეიტანეს მონოფიზიტური სამწმიდაო გალობა – „ჯვარს ეცვი“. ქალაქში დაიწყო ბრძოლები მორწმუნეთა შორის. 518 წელს ახალმა იმპერატორმა მონოფიზიტური გალობა აკრძალა, მოიწვია კრება. „რომის სარწმუნოება“, ანუ ქალკედონიტიზმი აღსდგა.

იმ მიზეზის გამო, რომ კონსტანტინოპოლის იმპერიამ 518 წლიდან სრულიად აღადგინა ქალკედონიტობა, სომხებმა სპარსთა გავლენით, თავის სარწმუნოებად ანტიკონსტანტინოპოლური სარწმუნოება – მონოფიზიტობა მიიღეს 527 წელს. ამ დროისათვის სპარსელები შინაგანი აშლილობის გამო ძალიან აამებდნენ და უფრთხილდებოდნენ სომხებს, გააფართოვეს მათი თვითმმართველობის ფორმები. 518 წელს ეროვნული მთავრობაც კი დაუნიშნეს, მისცეს ეროვნებით სომეხი მთავარი (აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ დროს სპარსელებმა ქართლში მეფობა გააუქმეს).

„თითქოსდა ქალკედონის კრების პარალელურად (451 წ.) დვინის კრებამ (იგულისხმება 527 წ.) სომეხ კათალიკოსებს მიანიჭა პატრიარქის ტიტული, რადგანაც ქალკედონის კრებაზე პატრიარქები უწოდეს – რომაელ, კონსტანტინოპოლელ, ალექსანდრიელ, ანტიოქიელ და იერუსალიმელ მღვდელმთავრებს“.[19]

ბ. სომხეთი იუსტინიანედან ეგეკლეძე

ა. კარტაშევი განაგრძობს: – „იუსტინიანეს ჰქონდა გამაერთიანებელი – შემრიგებლურ-კომპრომისული პოლიტიკა (იგულისხმება ქალკედონიტთა და მონოფიზიტთა

შორის). ამან აღძრა იმედი სომხების შემოერთებისა. სომხურ ეკლესიაში გაძლიერდა მოძრაობა ბერძნულ ეკლესიასთან შესაერთებლად. იუსტინიანე ხაზგასმით ეფერებოდა და პატივს სცემდა სომხეთის ბერძნულ ნაწილს. აშენებდა სომხეთის ბერძნულ ნაწილში ეკლესიებსა და მონასტრებს, სჯიდა ბერძენ ჩინოვნიკებს ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისათვის, ამყარებდა წესრიგს, 553 წელს მართალია, V მსოფლიო კრებას სომხური ეკლესია არ ესწრებოდა, მაგრამ იგულისხმებოდა იგი იყო ბერძნებთან კავშირში. 571 წელს სომხეთის აჯანყებამ სპარსთა წინააღმდეგ ვარდან II-ის მეთაურობით გააძლიერა სიმპათიები ბერძნების მიმართ. მართალია, აჯანყება სპარსელებმა ჩაახშეს, მაგრამ 589 წელს ის გადაიზარდა სომხებისა და ბერძნების სამხედრო კავშირში, რადგანაც იმპერატორი მავრიკე ერეოდა სპარსთა შინაურ საქმეებში და ტახტზე დასვა შაჰი ხოსრო. ხოსრომ ბერძენთა იმპერატორ მავრიკეს დაუთმო სომხეთის ნაწილი და ნახევარი საქართველო. ამ დროს აღიძრა მოძრაობა ბერძნებთან შესაერთებლად. დაიწყო კამათი, კრებები. შედეგად ბერძნებისადმი დაქვემდებარებულ სომხეთის ნაწილში გაიმარჯვა მართლმადიდებლობამ. სომხეთის ბერძნულ ნაწილში სომხებმა აირჩიეს მართლმადიდებელი კათალიკოსი იოანე III, რომელიც მართავდა ქალკედონიტურ სომხურ ეკლესიას 616 წლამდე. ამ წელს ის ტყვედ ჩაიგდო ხოსრომ და წაიყვანა, მაშინ ხოსრომ მთელი მცირე აზია დაიპყრო.

„ქართველი კათალიკოსი კირიონი, ანუ კირონი ასევე გადავიდა ბერძნული მართლმადიდებლობის მხარეს და ამით მოსპო თითქმის 70-წლიანი ყოფნა თავისი ეკლესიისა მონოფიზიტობაში მეზობელი სომხების გავლენის ქვეშ“.[20]

მაგრამ სპარსეთის სომხეთის კათალიკოსებმა მოიწვიეს კრება და დაწყევლეს ქალკედონის კრება და აკურთხეს თავისი ვაღარშაპატის 491 წლის და დვინის 527 წლის კრებები. ქართული ეკლესიის ბერძნების მხარეზე გადასვლის გამო, სომხებმა 596 წელს მოიწვიეს კრება დვინში და დაადგინეს, განშორებოდნენ ქართველებს საშინელი წყევლით. ეს კამათი სომხებთან დაეხმარა ქართველებს განმტკიცებულიყვნენ ბერძნულ მართლმადიდებლობაში.

611-617 წლებში ხოსრომ დიდი წარმატებით შეუტია ბიზანტიას, დაიწყო მისი გამარჯვებული სვლა ბიზანტიის მიწებზე, დაიპყრო სომხეთის ბერძნული ნაწილი. ხოსრო სომეხთა კათალიკოსებმა აღიარეს მეგობრად, რადგანაც სომეხი კათალიკოსების მსგავსად, ხოსრო ქალკედონიტობის მტერი იყო.

სპარსელებმა აიძულეს ყველა სომეხი (ყოფილ ბერძნულ სომხეთში მცხოვრებნი) მიეღოთ მონოფიზიტობა და უარეყოთ ქალკედონიტობა, ამისათვის ხოსრომ თავის სასახლეში მოიწვია საგანგებო კრება, რის შედეგადაც აიძულა და დაავალდებულა ყველა სომეხი მიეღოთ მონოფიზიტი კათალიკოსების რწმენა.

მაგრამ ერეკლე კეისარმა მალე დაამარცხა ხოსრო და ამით გაათავისუფლა ქალკედონიტთა სინდისი. ერეკლემ ჩაატარა საწინააღმდეგო პოლიტიკა და დროებით შეიერთა სომხები.[21]

6. ერეკლეს რელიგიური პოლიტიკა და სომხური ეკლესიის ნაწილის შეერთება

ბიზანტიის იმპერატორ ერეკლეს თვალსაზრისით იმპერიის ერთიანობა მიიღწეოდა რწმენის ერთიანობის საშუალებით. კონსტანტინოპოლის პატრიარქი სერგეი ერეკლეს კორონაციის (610 წ.) შემდეგ დაუმეგობრდა ერეკლეს.[22] ის იყო მისი მრჩეველი. 626 წელს ერეკლე იყო ლაზიკაში, ქალაქ ფაზისში (ფოთში). აქ მან მოლაპარაკება დაიწყო ფაზისის მიტროპოლიტთან – კირთან. „კირი აქ იყო მეზობლად ქართული ეკლესიისა და მეთაურობდა ბერძნულენოვან მართლმადიდებლებს. თვით კირმა იცოდა სირიული ენა და შეიძლება სირიიდანაც იყო. კირი დაინტერესდა მართლმადიდებლების მონოფიზიტებთან კომპრომისით. პატრიარქმა სერგიმ კირს გაუგზავნა საღვთისმეტყველო გასაღები. კირს უხაროდა ქართველთა დაბრუნება მართლმადიდებლობაში და იმედი ჰქონდა სომხებზე იმოქმედებდა კომპრომისით (მონოენერგიზმით). ირაკლი კმაყოფილი იყო და გადაწყვიტა კირი ალექსანდრიის კათედრაზე აეყვანა.[23]

სომხური ეკლესიის ნაწილის შეერთება ბერძნებთან (სარწმუნოებრივად) მოხდა კათალიკოს ეზრას ერთპიროვნული გადაწყვეტილებით. ეზრა თავის ბანაკში გამოიძახა იმპერატორმა ერეკლემ. აქ ეზრა ეზიარა და სწირა, აქვე სომეხთა კათალიკოსმა გადაწყვიტა შეერთებოდა ბერძნულ იერარქიას. ეზრა ცხოვრობდა სომხეთის ბერძნულ ნაწილში და ებრძოდა მის მოწინააღმდეგე კათალიკოს ქრისტეფორეს. ირაკლის მიერ რწმენის აღმსარებლობა მიწოდებული იყო სომხებისათვის მისაღები სახით.

ამის შემდეგ სომხების ამ ტერიტორიაზე (ე.ი. ბერძნულ სომხეთში) სომხური ეკლესიისა და ბერძნულ-მართლმადიდებლური ეკლესიის ერთობა გაგრძელდა 85 წელს – 6 კათალიკოსის დროს. ამ დროს სომხურ ეკლესიაში შემოიღეს აფუებული პური და თბილწყალდამატებული ღვინო (ზიარებისას) და აგრეთვე 25 დეკემბერს აღნიშნავდნენ შობას. მაგრამ სხვაობის გარკვეული ოდენობა არსებობდა და დარჩენილი იყვნენ დისიდენტები.

ბერძნებმა სირიელი იაკობიტები შეიერთეს 630 წელს და ალექსანდრიელი მონოფიზიტები – 632 წელს.

634 წლიდან პალესტინაში შევიდნენ მუსლიმანი არაბები. მეორე ხალიფ ომარის (634-644) დროს აიღეს დამასკო და იერუსალიმი (638 წ.). სირიის ქალაქები ადვილად ბარდებოდნენ არაბებს და სიამოვნებით დებდნენ მათთან ხელშეკრულებას. დისიდენტები (იგულისხმება ბერძნული სარწმუნოების მოწინააღმდეგენი) სიხარულით ხვდებოდნენ მუსულმანებს, ბერძენთა ზიზღის გამო. ერეკლე გარდაიცვალა 641 წლის 11 თებერვალს.[24]

ლ. VI მსოფლიო კრება

VI მსოფლიო კრებამ დაგმო მონოთელიტობა (681 წ.).

„მონოთელიტობა-მონოენერგიზმი, VII საუკუნეში აღმოსავლეთის ქრისტიანულ ეკლესიაში გაბატონებული მოძღვრებაა. მონოთელიტობის მიხედვით, ქრისტეში ორი ბუნებაა მოცემული, მაგრამ მისი ნება და ქმედება ერთია – ღმერთკაცური. ამ დოგმატური ფორმულის მიზანი იყო დიოფიზიტებისა და მონოფიზიტების გაერთიანება ორივე მიმდინარეობისათვის გარკვეული დათმობით და ბიზანტიის იმპერიისათვის აღმოსავლეთის მონოფიზიტური პროვინციების შემომტკიცება. მონოთელიტური დოგმატი ჩამოყალიბდა 620-იანი წლების კავკასიაში ჰერაკლე კეისრის, სერგი კონსტანტინოპოლელისა და კიროს ფასისელის თათბირისა და მიმოწერის შედეგად. ხოლო 633 წელს გამოაქვეყნა ალექსანდრიის პატრიაქრის საყდარზე გამოსულმა კიროს ფასისელმა. მონოფიზიტებმა მონოთელიტური უნია თავის გამარჯვებად მიიჩნიეს, ხოლო ქალკედონელები მას სოფრონ პალესტინელის მეთაურობით წინ აღუდგნენ. ბიზანტიის სამეფო კარმა და ეკლესიამ უკან დაიხია. 638 წელს გამოქვეყნდა „სარწმუნოების გარდამოცემა“, რომლითაც აიკრძალა კამათი ქრისტეს „ქმედებათა“ შესახებ, ხოლო ძალაში დარჩა დოგმატი ქრისტეს „ერთი ნების“ შესახებ. სავარაუდოა, რომ VII საუკუნეში კავკასიის ეკლესიების ოფიციალური მრწამსი მონოთელიტური იყო. 680-681 წლებში VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ მონოთელიტობა მწვალებლობად გამოაცხადა, დაწყევლა და ყველა მონოთელიტური თხზულება დაწვა“.[25]

მონოთელიტობა კვლავ აღადგინა იმპერატორმა ვარდან ფილიპიკმა, რომელიც ეროვნებით სომეხი იყო, მონოთელიტი.

კარტაშევი განაგრძობს – VI კრების დროს, „680 წლის 7 ნოემბრიდან 681 წლის 16 სექტემბრამდე შესდგა სულ 18 სხდომა. კრების მონაწილეთა რაოდენობა იზრდებოდა და ბოლოს მიაღწია 174-ს. მაკარი ანტიოქიელის დაკითხვის შემდეგ კრებაზე აღარ დარჩნენ მონოთელიტები. მაკარის ბედი გადაწყდა. ის ჯიუტობდა, მაგრამ გადააყენეს. მაკარის ნაცვლად ანტიოქიელმა სამღვდელოებამ აირჩია თეოფანი.

მაკართან კამათის შემდეგ წაიკითხეს წარსულის წერილები – სოფრონის ეპისტოლე, „თავები“ კირისა, სერგის წერილები, გონორის პასუხი. სოფრონის ეპისტოლეს გარდა ყველა გადასცეს ანათემას. ეს იყო მე-13 სხდომაზე – 28.03.681 წ.

დაიწერა – „უნდა აღიხოცოს ეკლესიიდან სახელები: სერგისა, რომელმაც პირველად დაწერა ამ უპატიოსნო სწავლების შესახებ, კირ ალექსანდრიელისა, პიროსისა, პავლესი და პეტრე კონსტანტინეპოლელისა და თეოდორე ფარანელისა – ყველას გადავცემთ ანათემას. მათთან ერთად პაპი გონორია...“

მე-14 სხდომა 5 აპრილს მთლიანად მიეძღვნა მსჯელობას ჯერ კიდევ ადრე აღმოჩენილი ფალსიფიკატის შესახებ V მსოფლიო კრების აქტებში. საარქივო ძიებამ აჩვენა, რომ V კრების აქტებში პატრიარქ მაკარის მწერლის, გიორგი ბერის ხელით დამატებული იყო ფალსიფიკატი, ასევე სხვა ფალსიფიკატი – კრებამ ანათემას გადასცა ჩამმატებლები. ბოლო მე-18 კრებას დაესწრო 174 ეპისკოპოსი.

კონსტანტინე პოღონატის შვილი, იუსტინიანე II (რინოტმიტი – 685-695 და 705-711 წწ.) სიმკაცრით ყველას აჭარბებდა. მისი იმპერატორობის პირველი პერიოდის შემდეგ ტახტზე ავიდნენ ლეონტი (695-698) და ტიბერი (609-705). ტიბერი ჩამოაგდო იუსტინიანე რინოტმიტმა, რომელიც ხერსონესში იყო გადასახლებული. ხერსონესი ხალხმრავალი სავაჭრო ფორპოსტი იყო ბიზანტიისა, რომელიც მას აკავშირებდა სარმატებთან და სკვითებთან. ხერსონესის მცხოვრებნი იყვნენ ხელისუფლებისმოყვარენი და ავტონომიური მმართველობა გააჩნდათ. ბიზანტია ძალზე აფასებდა ხერსონესს – ეგვიპტის დაკარგვის შემდეგ პურს სკვითებიდან იღებდა. გადასახლების დროს ხერსონესელები იუსტინიანეს მოეპყრნენ არასტუმართმოყვრულად, ამიტომაც ტახტის დაბრუნების შემდეგ იუსტინიანემ გადაწყვიტა მკაცრად დაესაჯა ხერსონესელები. მან 100 ათასი ჯარისკაცი დასხა ფლოტზე და გაგზავნა თავრიდაში ბრძანებით, მოესპოთ ყველა მცხოვრები ხერსონესისა. დამპყრობლებმა მთელი მაღალი ფენა გაანადგურეს, ბავშვებს არ კლავდნენ, დანარჩენებმა თავს გაქცევით უშველეს... იუსტინიანემ როცა გაიგო, რომ ყველას არ კლავდნენ, მოითხოვა ხერსონესელი ტყვეები მასთან მიეყვანათ. ქარიშხალში დაიღუპა 73 ათასი ტყვე. მომდევნო 711 წელს იუსტინიანემ ხერსონესში გაგზავნა ახალი ფლოტი ბრძანებით – მოესპოთ ყველა ცოცხალი ადამიანი და გაენადგურებინათ ქალაქი. ფლოტი აჯანყდა. მას სხვა ბიზანტიელებიც მიემხრნენ. ამოირჩიეს ბიზანტიიდან ხერსონესში გადასახლებული ვარდანი და გამოაცხადეს იმპერატორად – სახელით ფილიპიკე. იუსტინიანე და მისი ვაჟი მოკლეს. სომეხმა იმპერატორმა ვარდანე ფილიპიკემ ფუძე დაუდო ისავრისთა – ბიზანტიელ იმპერატორთა დინასტიას.

ეროვნებით სომეხმა იმპერატორმა ფილიპიკე-ვარდანემ უარყო VI მსოფლიო კრება და ტრულის კრება. მან გამოაცხადა მონოთელიტობა. ფილიპიკე-ვარდანე იყო აღზრდილი სტეფანესი, რომელიც იყო მოწაფე მაკარი ანტიოქიელისა, მონოთელიტთა ბურჯისა VI კრებაზე. 712 წელს ფილიპიკემ მოიწვია კონსტანტინოპოლში კრება, რომელმაც VI მსოფლიო კრება ანათემას გადასცა და აღადგინა მონოთელიტობა.

713 წელს ფილიპიკე ჩამოაგდეს. ახალმა იმპერატორმა ანასტასი II-მ მართლმადიდებლობის მხარე დაიჭირა.[26]

ე. სომხური ეკლესია მონოთელიტობის დროს

632 წელს ეზრა კათალიკოსის მიერ ერეკლესთან დადებული უნია არ იყო სახალხო, ამიტომაც მუდამ წყვეტილი სახისა იყო. ბერძნები თვითონ იყვნენ დამნაშავენი და სომხებს აშინებდნენ თავიანთი მონოთელიტობით, – წერს კარტაშევი.[27] ერეკლე, რომელმაც 638 წელს გამოსცა თავისი ეკტეზისი, არ იყო თანხმობაში ქალკედონის კრებასთან. სომხეთში თავი წამოყო ანტიქალკედონიტთა პარტიამ, რომელიც პოპულარული იყო, ხოლო ტიპოსის გამოცემის (648 წ.) შემდეგ სომხები საბოლოოდ ალაპარაკდნენ, რომ საკითხი ქალკედონის შესახებ საკამათოა თვით ბერძნებთან, რომ სომხებს არა აქვთ მიზეზი, შეცვალონ გრიგორის სარწმუნოება „ლევის“ სარწმუნოებაზე. კათალიკოსი იყო ნერსეს III, აღზრდილი საბერძნეთში

და ქალკედონის მომხრე, მაგრამ ის იძულებული გახდა 648 წელს მოეწვია კრება დვინში, მან გამოსცა ეპისტოლე მონოფიზიტური სწავლებით. იმპერატორმა კონსტა II-მ (641-668 წწ.) დაარწმუნა სომხები, არ დაეტოვებინათ ბერძნები. იმპერატორი ჯარით შევიდა კარინში (სომხეთში), მივიდა დვინში ნერსესთან, დანიშნა მშვიდობის ლიტურგია. წირვის დროს ნერსესმა აღიარა ქალკედონის კრება.

663 წელს სომხეთი მოექცა არაბთა ძალაუფლების ქვეშ და დაიწყო კვლავ თავისი განცალკევებული საეკლესიო ცხოვრება, მაგრამ უნიას ფორმალურად კვლავ არ უარყოფდა. სომხებმა ყურადღება არ მიაქციეს ტრულის კრების იმ კანონებს, რომელნიც საგანგებოდ სომხური ჩვეულებების საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. ამ დადგენილებებს მხედველობაში ჰყავდათ სომხეთის მართლმადიდებლური ნაწილი ალვანეთის კათალიკოსის მეთაურობით, ეს იყო (700 წელს) ნერსეს-ბაკური. ის ლოცვებში მოიხსენიებდა ბერძენთა მეფეს. ამის გამო მისმა კონკურენტმა, მთავარმა კათალიკოსმა, ისააკ (საჰაკ) III ეგიამ (ილიამ) (713-717) დააბეზღა ის არაბთა წინაშე, როგორც არაბთა მოღალატე. ხალიფამ გაგზავნა ჯარი და მოითხოვა, ნერსესს უარეყო ბერძნული რწმენა: საჰაკ-ილია ალვანეთში ჩავიდა ხალიფას მოთხოვნით, ნერსესის კათედრალურ ქალაქ ბარდავში. ნერსესი არ დაემორჩილა, ის შეიპყრეს, დაადეს ბორკილები და ბორკილებში გარდაიცვალა.

მაშინ შეადგინეს საგანგებო აქტი, რომელშიც უარყოფდნენ მართლმადიდებლობას და აღიარებდნენ მონოფიზიტობას (707 წ.), ყველამ ხელი მოაწერა, ხოლო სომხური ერთიანი მონოფიზიტური ეკლესია აღდგა.[28]

ე. VII მსოფლიო კრება – ხატმებრძოლობა. 787 წ.

ა. კარტაშევი განაგრძობს – ჯერ კიდევ 713 წელს ბიზანტიის სომეხი იმპერატორი ფილიპიკე-ვარდანე აპირებდა გამოეცა კანონი ხატების თაყვანისცემის წინააღმდეგ. ის ასე იყო განწყობილი თავისი მონოთელიტური იდეოლოგიითაც და თავისი ადგილობრივი სომხურ-პავლიკიანური (ერეტიკული) აღზრდითაც, რომელიც მტრობდა საეკლესიო კულტს, მაგრამ ხატმებრძოლობა დაიწყო იმპერატორ ლევ ისავროსის (717-741 წწ.) დროს. იგი იყო ფრიგიის სამხედრო გუბერნატორი (წარმოშობით სირიელი – სემიტი). იქ აღიზარდა და მიეჩვია ხატმებრძოლობას, რომელიც საერთოდ მიღებული იყო როგორც სომხეთში წარმოშობილ პავლიკიანობაში, ისე ფრიგიულ მონტანისტებსა და ნოვატიანებში. 717 წელს არაბებმა ალყა შემოავლეს კონსტანტინოპოლს. იმპერია მხოლოდ დედაქალაქისაგან შესდგებოდა. ერთი წლის შემდეგ, 718 წელს არაბებმა ალყა მოხსნეს, დაკარგეს 150 ათასი კაცი და მალე ბერძნებს არაბებმა წაართვეს სომხეთი, კაპადოკია, ბითვინია. ლევმა დაამარცხა არაბები ფრიგიაში 740 წელს. ამას ლევმა მიაღწია ძველი არმიის რეორგანიზაციით. თავისი მმართველობის მე-10 წელს ის ხატთა წინააღმდეგ გამოვიდა – 754 წელი. ბიზანტიის თითქმის ყველა ეპისკოპოსი (რიცხვით 338) გამოვიდა ხატების წინააღმდეგ (ისავრია-სირიაში ჰყვაოდა ხატმებრძოლური პავლიკიანობა და მასსალიანობა).

ლევი მტრულად იყო განწყობილი პაპის მიმართ... აქამდე ძველი „დიდი საბერძნეთი“, ე.ი. იტალიის სამხრეთი (აპულია, კალაბრია, სიცილია), სადაც ცხოვრობდნენ ბერძნები და ამ დროისათვის თავიანთ ბერძნულ ენაზე ლაპარაკობდნენ, და აგრეთვე მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძული (ახაია, ეპირი, თესალია, ილირია, მაკედონია, დაკია, მეზია, დარდანია) იმპერიის ძველ იმპერატორთა მიერ დაყოფის შესაბამისად, ითვლებოდა დასავლეთ რომის იმპერიის პროვინციებად და ამიტომ რომის პატრიარქის საეკლესიო კუთვნილებად, მაგრამ იქ საეკლესიო ცხოვრება, საეკლესიო ენა,წესი და ჩვეულება მიმდინარეობდა არა ლათინურ,არამედ ბერძნულ ენაზე (ე.ი. მართალია, ბალკანეთის ნახევარკუნძული სამხრეთ იტალიასთან ერთად პაპის იურისდიქციაში შედიოდა, მაგრამ აქ საეკლესიო ენა იყო არა ლათინური, არამედ ბერძნული). ლათინური ჩვეულება და ენა ის-ის იყო იწყებდა ბერძნული ენის შევიწროებას იტალიის სამხრეთსა და უკიდურეს დასავლეთში (ახაიესა და მაკედონიაში). იმპერატორმა ლევმა, პაპის სიძულვილის გამო, კრებების გარეშე, შეცვალა საპატრიარქოთა საზღვრები რომისა და კონსტანტინოპოლისა. მან ძალით წაართვა იურისდიქცია ამ ვრცელ ტერიტორიაზე და ასეულობით ეპარქია და საეპისკოპოსო დაუქვემდებარა კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსს (ე.ი. ბალკანეთის ნახევარკუნძული სხვა ტერიტორიებთან ერთად ჩამოართვა პაპის იურისდიქციას და გადასცა კონსტანტინოპოლს), რამაც გააღიზიანა რომი. სწორედ ეს გაღიზიანება რომსა და კონსტანტინოპოლს შორის საფუძვლად დაედო პატრიარქ ფოტის (IX ს.) დროს ეკლესიათა მომავალ განხეთქილებას.[29] (აღსანიშნავია, რომ ბიზანტიის სახელმწიფო ენა VII საუკუნის დასაწყისამდე იყო არა ბერძნული, არამედ ლათინური). ბერძნული ენა აქ საეკლესიო ენა იყო... კარტაშევი ასე აღწერს ბიზანტიაში ლათინური სახელმწიფო ენის შეცვლას ბერძნული ენით – იმპერატორი მავრიკი (582-602) კაპადოკიელი იყო და ცუდად ესმოდა ლათინური ენა. მან საბოლოოდ ოფიციალურ სახელმწიფო ენად შემოიღო ბერძნული ენა ლათინური ენის ნაცვლად (ე.ი. უკვე დაწყებული პროცესი საბოლოოდ დაასრულა). „ეს დეტალი ასიმბოლიზირებდა აღმოსავლეთ რომის იმპერიის (ბიზანტიის) წასვლას დასავლეთ რომის იმპერიის ბატონობისაგან“.[30]

იმპერატორ ლევის პოლიტიკის გამგრძელებელი იყო მისი შვილი კონსტანტინე V (741-775), რომელმაც ხატმებრძოლობა დევნამდე მიიყვანა. მას უწოდებდნენ „კოპრონიმს“ (ნეხვიანს). ქართულად კი, როგორც ეს მატიანედან ჩანს, „სკორე“ ერქვა (ამჟამადაც „სკორე“ – ფრინველის განავალს ქვია). მას აუჯანყდა მისი დის ქმარი, სომეხი არდავაზდი (რომელიც მხედართმთავარი იყო სომხეთში არაბთა წინააღმდეგ). არდავაზდი ჩავიდა კონსტანტინოპოლში, ხელში აიღო ხელისუფლება და გამოაცხადა ხატთაყვანისცემა. ერთი წლის შემდეგ იმპერატორმა კონსტანტინემ ხელისუფლება დაიბრუნა. 754 წელს ჩატარდა ხატმებრძოლთა კრება. დაიწყო ეკლესიებიდან ხატების გამოტანა. ხატთაყვანისმცემელი ბერები მიდიოდნენ ემიგრაციაში – შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე, ყირიმში, ხერსონესში, არაბთა მიერ დაპყრობილ ანტიოქიასა და ალექსანდრიის საპატრიარქოებში, სადაც არ იყო დევნა. ბერ-მონაზვნობა გამოცხადდა დანაშაულად, მათ აწამებდნენ და კლავდნენ.

გარდა კონსტანტინოპოლისა, სხვა საპატრიარქოებში, რომელნიც იმ დროს იმპერიის გარეთ მდებარეობდნენ, სრულებით წყნარად უყურებდნენ ბიზანტიურ კამათს.

ირინეს მეფობისას (თავის შვილ კონსტანტინე VI-სთან ერთად (780-790) ხატთაყვანისცემა აღსდგა. ბერები უკან ბრუნდებოდნენ, მაგრამ ეს პოლიტიკა ფრთხილად ტარდებოდა.

VII მსოფლიო კრება (787 წ.) ჩატარდა ნიკეაში, რომელიც ახლოს იყო დედაქალაქთან – ირინესა და კონსტანტინეს დროს. ჩატარდა 8 სხდომა. I ნიკეაში 24.09. ბოლო 787 წელს 24.10. კონსტანტინოპოლში. მას ესწრებოდა 350-368 წევრი. ხატთაყვანისცემა აღსდგა. დადგინდა: „საფუძველი ხატთაყვანისცემისა – ესაა ეკლესიის გადმოცემა; უკამათო სახე (ნიმუში) – ჯვრის თაყვანისცემა...“

788 წელს ირინემ გადაწყვიტა განეშორებინა 18 წლის კონსტანტინე საცოლისაგან და მისთვის მისი ნების საწინააღმდეგოდ შეერთო სომეხი მარია. კონსტანტინეს სიმკაცრემ შეთქმულთა მიმართ თვით სომხეთში აჯანყება გამოიწვია (793). კონსტანტინე გაშორდა სომეხ მარიას.

ირინე 797-802 წწ-ში ერთმმართველი გახდა. მისი ჩამოგდების შემდეგ 802 წლიდან 860 წლამდე ბასილი I მაკედონელის (860) გამეფებამდე საიმპერატორო ტახტზე ავიდა ორი არაბი, ერთი არაბცოლიანი ბერძენი, ერთი სომეხი და სამი ფრიგიელი; მათთვის ხატების თაყვანისცემა უცხო იყო. ხატთაყვანისცემა უფრო „ელინურ“ დასავლეთის პროვინციებში (სიცილია, სამხრეთ იტალია, აქაია-ათენში) იყო გავრცელებული. ჯარი, ძირითადად, სომხური პროვინციებიდან იყო და სომხურ პროვინციებში დაქირავებული ჯარისკაცებისაგან შედგებოდა, რომლებიც ხატთაყვანისცემას კერპთაყვანისმცემლობასთან აიგივებდნენ.

იმპერატორების ნიკოფორესა (802-811) და მიხაილ I რანგავეს (811-813) (რომელიც ყოფილი მინისტრი – კურაპალატი იყო სასახლეში), შემდეგ იმპერატორი გახდა ლევ V სომეხი (813-820) – ხატმებრძოლი. 815 წელს ჩატარდა მეორე ხატმებრძოლური კრება. ამ კრებამ ძალა დაუბრუნა 754 წლის ხატმებრძოლურ კრებას, ხოლო 787 წელს ხატთაყვანისმცემლური კრება ძალადაკარგულად გამოცხადდა.

იმპერატორი მიხეილ II ტრავლი (820-829) პავლიკიანი იყო, რომელსაც ეწოდებოდა ათიგანი. ზოგიერთი ბიზანტისტი აიგივებს მათ „ციგნებთან“. ის რელიგიური სინდისის დამცველი იყო, ამიტომაც ხატთაყვანისმცემლებს არ დევნიდა. 822-823 წწ. აჯანყდა თომა სლავი, მან მიიმხრო სპარს-სომეხ-ქართველ-კავკასიელები.

იმპერატორი თეოფილე (829-842) ხატმებრძოლი იყო. მან შეირთო ნახევრადსომეხი თეოდორა. ქმრის სიკვდილის შემდეგ თეოდორა გამეფდა. მას ჰყავდა ძე – 38 წლის მიხაილ III. სახელმწიფოს მართავდა მცირე ჯგუფი სომხებისა – თეოდორას ნათესავები. მმართველები ეროვნებით სომხები ლოგოთეტი თეოკრიტე, ბარდა, თეოდორას ძმა და მაგისტროსი მანუილი – გვარდიული კორპუსის მეთაური – თეოდორას ბიძა. სახელმწიფოში ისეთი ატმოსფერო იყო, რომ ყველა რეგენტმა გადაწყვიტა აღედგინათ ხატების თაყვანისცემა და შეეწყვიტათ დევნა. გადასახლებულები გაათავისუფლეს. 843 წლის 11 მარტს, დიდმარხვის პირველ კვირას ერისა და სამღვდელოების საერთო წირვაზე აღსდგა ხატების თაყვანისცემა თეოდორასა და მისი რეგენტების მიერ. ეს არის საეკლესიო დღესასწაულის – „მართლმადიდებლობის ზეიმის“ დღე.[31]

ზ. სომხური ეკლესია VIII-X საუკუნეებში

707 წელს ხალიფას გულის მოსაგებად სომხურმა ეკლესიამ კავშირი გაწყვიტა (ფორმალურად) ბერძნულ ეკლესიასთან და გააგრძელა თავისი ეროვნულ-მონოფიზიტური ცხოვრება. კათალიკოსმა იოანე ოძუნელმა (717-729) მოიწვია კრება სირიელ იაკობიტებთან ერთად მანასკერტში და ანათემას გადასცა ერეტიკოსები (ე.ი მართლმადიდებლები), აიკრძალა ბერძნული ჩვევების დარჩენილი საეკლესიო ნაშთები, აიკრძალა აფუებული პური(!), აიკრძალა შობის დღესასწაული 25 დეკემბერს, განცალკევებით განცხადებისაგან (6 იანვრისაგან) აიკრძალა დიდმარხვის ყველა დღეებში თევზის, ღვინისა და ზეთის გამოყენება. მალე სომხური ეკლესია მივიდა თავის ხატმებრძოლობამდე. ხატები იმ დროს სომხებს არ ჰქონდათ, მაგრამ თაყვანს სცემდნენ ჯვრებსა და ნაწილებს. ხატებს ეკლესიებში დეკორაციული მიზნით კიდებდნენ, ამიტომაც ეკლესიებს თითქმის არ ხატავდნენ. მოხატავდნენ ხოლმე არაბესკებითა და ჩიტებით, ხანაც სრულებით არ ხატავდნენ. როცა X საუკუნის ბოლოს კათალიკოსმა ვაგანმა გამოიჩინა სიყვარული ბერძნული იკონოსტასების მიმართ, ის ტახტიდან ჩამოაგდეს.[32]

ზემოთ მოყვანილიდან ნათლად ჩანს, რომ V-X საუკუნეებში სომხური ეკლესია იყო მძლავრი ორგანიზაცია, რომელიც თავისი გავლენის სფეროში მოიცავდა ისტორიული სომხეთის გარეთ მყოფ ტერიტორიებსაც (ალვანეთს VII-X საუკუნეებში, ტაოსა და სამხრეთ საქართველოს VI-VII საუკუნეებში და ქვემო ქართლს IX-X საუკუნეებში). თვით სომხურ ეკლესიას ანგარიშს უწევდნენ ბიზანტიის იმპერიაში. საიმპერატორო კარზე დიდი გავლენა ჰქონდათ სომხებს. სპარსეთის შაჰებისათვის სომხური ეკლესია სრულებით მისაღები იყო და პატივცემული. არაბებიც ასევე აძლიერებდნენ სომხურ ეკლესიას, ამიტომაც ამგვარ სიტუაციაში გაცილებით უფრო შესაძლებელი იყო ქართველებს მიეღოთ იმპერიების მიერ პატივცემული სომხური სარწმუნოება და გადაქცეულიყვნენ სომხური ეკლესიის სამწყსოდ, ვიდრე ის, რომ სომხებს მიეღოთ ქალკედონიტობა და ამის გამო ისინი „გაქართველებულიყვნენ“. მით უმეტეს, რომ თვით სომხურ ეკლესიაში ქალკედონიტური ფრთა ძლიერი იყო IX-X საუკუნეებშიც კი.

სომხური ეკლესიის პრეტენზიები ქართული ეკლესიის დაუფლებისათვის

სომხური ეკლესია სპარსთა და არაბთა იმპერიებმა უსაზღვროდ განადიდეს,[33] გააძლიერეს, სომხებს დაუმორჩილეს სხვა არასომეხი ხალხები, სხვა ქრისტიანული ეკლესიები, კერძოდ, ისტორიკოს სებეოსის თანახმად, სპარსელებმა VII საუკუნის 10-იან წლებში სომხურ ეკლესიას დაუმორჩილეს სხვა არასომეხი ქრისტიანული ეკლესიები იმით, რომ სპარსეთის იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანები აიძულეს მიეღოთ „სომხური სარწმუნოება“, ამასვე აღნიშნავს მოსე კალანკატუელიც, არაბთა ხალიფამ სომხებს იერარქიულად დაუქვემდებარა ალბანეთის ეკლესია,

რითაც ამ ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა. ამის შემდეგ სრულებით მოისპო ალბანთა ეკლესიის ნაციონალური სახე და ის გასომხდა. ამ ეკლესიის გასომხება, კერძოდ, იმით გამოიხატა, რომ ხმარებიდან განიდევნა ალბანური დამწერლობა, რომლის ადგილი აქ დაიჭირა სომხურმა ანბანმა (ანუ, რაც იგივეა, მესროპ მაშტოცის ანბანმა). აქ დაინერგა სომხური წირვა-ლოცვის წესი და ალვანთა ეკლესია დაემორჩილა „წმიდა გრიგორის ტახტს", ანუ დვინის საკათალიკოსოს სომხეთში. სრული უფლება გვაქვს, იმდროინდელი საერთაშორისო სიტუაციიდან გამომდინარე, ვიფიქროთ, რომ ამ დროს (VI-VII სს.) დამპყრობელმა იმპერიებმა (სპარსელებისა და არაბებისამ) საქართველოს იმ მიწა-წყალზეც გაავრცელა სომხური ეკლესიის გავლენა, რომელიც სომხეთის მეზობლად მდებარეობდა.

ცნობილია, რომ ბერძნულ-ბიზანტიური და სომხური ეკლესიები ერთმანეთს შეუკავშირდნენ ერეკლე კეისრის დროს, უფრო მეტიც, სომხური ეკლესიის ერთი ნაწილი საერთოდ შეუერთდა ბერძნულ ეკლესიას. კერძოდ, სომხეთის ის ნაწილი, რომელიც ბიზანტიის იმპერიის საზღვრებში არსებობდა. ბერძნულ-სომხური ეკლესიების ერთობა გაგრძელებულა 85 წელს, ვიდრე VIII საუკუნის დასაწყისამდე, როგორც ა. კარტაშევი წერს: – „სომხური ეკლესიის ნაწილის შეერთება ბერძნებთან (სარწმუნოებრივად) მოხდა კათალიკოს ეზრას ერთპიროვნული გადაწყვეტილებით. ეზრა თავის ბანაკში გამოიძახა იმპერატორმა ირაკლიმ. აქ ეზრა ეზიარა და სწირა, აქვე სომეხთა კათალიკოსმა გადაწყვიტა შეერთებოდა ბერძნულ იერარქიას. ეზრა ცხოვრობდა სომხეთის ბერძნულ ნაწილში და ებრძოდა მის მოწინააღმდეგე კათალიკოს ქრისტეფორეს. ირაკლის მიერ რწმენის აღმსარებლობა მოწოდებული იყო სომხებისათვის მისაღები სახით.

მაშასადამე, VII საუკუნის დასაწყისამდე ბერძნულ სომხეთში შეიძლება ითქვას, არსებობდა მართლმადიდებლური ქალკედონური ეკლესია. ზიარებისას გამოიყენებოდა აფუებული პური და წყალგარეული ღვინო (როგორც ქართულ ეკლესიაში). ცნობილია, რომ ტაო (და მესხეთის ზოგიერთი ნაწილი) პოლიტიკური თვალსაზრისით VII საუკუნეში სომხეთის შემადგენლობაშია. ტაოს (და მესხეთის სხვა ნაწილებს) მიიჩნევენ ბიზანტიურ სომხეთში შემავალ ტერიტორიად, ამიტომაც ტაოს და მესხეთის ზოგიერთ ნაწილში ბიზანტიურ-სომხური ეკლესიების „ერთობის" დროს ბატონობდა მართლმადიდებლური სარწმუნოება, ოღონდ აქ ეკლესიებში წირვა-ლოცვის დროს გამოიყენებოდა სომხური ენა. შეიძლება ითქვას, რომ არა მარტო ბერძნულ სომხეთში, არამედ საერთოდ სომხეთში, სომეხთა კათალიკოს ელიამდე ასე თუ ისე ქალკედონური სარწმუნოება არსებობდა.

სომხეთში 663 წლის შემდეგ არაბთა ძალაუფლება დამყარდა. სომხებმა არ უარყვეს „უნია" ბერძნებთან. მაგრამ იმის შემდეგ, რაც არაბთა ხელისუფლებასთან სომეხმა სამღვდელოებამ დაამყარა მეგობრული ურთიერთობა, ხოლო 681 წელს VI მსოფლიო კრებამ დაგმო მონოთელიტობა, სომხეთმა თანდათანობით გაწყვიტა საეკლესიო ურთიერთობა ბიზანტიასთან, არაბთა ხელისუფლებაც ამის მსურველი იყო.

არაბებთან ახლო ურთიერთობა დაამყარეს სომეხთა კათალიკოსებმა საჰაკ III ძორაფორეცმა (677-703); ილია (ელია) I-მა (703-717); ჰოვჰანეს ოძნეცმა (717-728).

სწორედ მათ დროს სომხურმა ეკლესიამ უარყო ერთობა ბერძნულ ეკლესიასთან და საბოლოოდ დაუბრუნდა მონოფიზიტობას.

კათალიკოს საჰაკ III-ს არაბთა სარდალი შეჰპირებია „...შევასრულებ და გავაკეთებ ყოველივეს, რასაც წერილში ითხოვ ჩემგან და დაე, შენი ღვთისნიერი ლოცვა-კურთხევა აღსრულდეს ჩემს მიმართ“. საჰაკ კათალიკოსის თანმხლებმა პირებმა არაბი სარდლის „წერილობითი ფიცი წამოიღეს და დაბრუნდნენ სომეხთა ქვეყანაში“. სომხებმა ირწმუნეს ეს ფიცი და „ამის შემდეგ მონური მორჩილებით ემსახურებოდნენ ისმაიტელებს“, – წერს ისტორიკოსი ღევონდი.[34]

ცნობილია, არაბთა მხარდაჭერით თუ როგორ სასტიკად დასაჯა სომეხთა კათალიკოსმა ელიამ ალბანეთის ავტოკეფალური ეკლესია და მისი კათალიკოსი ბიზანტიური ორიენტაციის გამო.

ელიას შემდგომი კათალიკოსი ჰოვჰანესიც არაბთათვის სასურველი კაცია. თვით არაბთა ხალიფამ მასთან ხელშეკრულება დადო. არაბებმა სომხური ეკლესიის სახით დასაყრდენი შეიძინეს სომხეთსა და დაპყრობილ ამიერკავკასიაში. არაბებს ისეთი კარგი ურთიერთობა ჰქონდათ სომეხ სამღვდელოებასთან, რომ ლეგენდაც კი შექმნილა, თითქოსდა თვით წინასწარმეტყველ მუჰამედს დაუდევს ხელშეკრულება სომხებთან.

„ჰოვჰანესი თურმე იმდენი უქიათ ხალიფა ომარ II-სათვის (717-720), რომ მას საოცრად მონდომებია ეხილა ეს საკვირველი პიროვნება და თავისთან მიეწვია კიდეც... კათალიკოსმა სთხოვა ხალიფას, რომ სომეხთათვის რწმენის თავისუფლება მიენიჭებინა და გადასახადი არ მოეთხოვა სომხური ეკლესიისათვის. ხალიფამ დააკმაყოფილა ჰოვჰანესის თხოვნა, რითაც არაბთა ხელისუფლება დასაყრდენს იძენდა სომხეთში... სომეხთა შორის ბოლო ხანებამდე შემორჩენილია გადმოცემები არაბთა მფარველობით ჰოვჰანეს ოძნეცის ბრძოლის თაობაზე ქალკედონიანობისა და ბიზანტიის წინააღმდეგ... ერთი სომხური თქმულების მიხედვით, ვითომც თვით ისლამის ფუძემდებელს, წინასწარმეტყველ მუჰამედს დაუდვია ხელშეკრულება სომხებთან, რომლითაც რწმენის თავისუფლება მიუნიჭებია მათთვის, ამასთანავე მღვდლები, აზნაურები და მხედრებიც გაუთავისუფლებია გადასახადებისაგან. არაბებთან ზავის დასამყარებლად წასულ სომეხთა ზემოხსენებულ კათალიკოს საჰაკ III-ს, თითქოს ხელთ ჰქონდა აღნიშნული ხელშეკრულება“.[35]

არაბები განსაკუთრებით დევნიდნენ ქართველ მეფეთა სამეფო სახლს. დასცეს იგი, ხოლო ამავე დროს სომხეთში მეფობა აღადგინეს. „მატიანე ქართლისაჲს“ თანახმად, რომელიც ცნობილია, როგორც უმეტეს შემთხვევაში სინამდვილის სიმართლით აღმწერი თხზულება, არაბები დევნიდნენ ხოსროიან-გორგასლიანთა ქართულ სამეფო სახლს. – „ხოლო ამიერითგან იწყო შემცირებად მეფობამან დიდთა მეფეთა ხუასროანთმან. პირველად, უფლება სარკინოზთა განდიდნა და მიერთაგან მიეცა ყოველი ესე ქვეყანა ჟამითი-ჟამად რბევასა და ოხრებასა. მეორედ იქნა სიმრავლე მთავართა ქვეყანასა ქართლისასა და შეერია ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერთს და უკეთუ ვინმე გამოჩნდის შვილთა შორის ვახტანგისთა, რომელიმცა ღირს იყო მეფედ, იქმნის შემცირებულ სარკინოზთაგან. რამეთუ დაიპყრეს ქალაქი

ტფილისი აგარიანთა, შექმნეს სახლად საყოფელად თვისად, მიიღებდეს ხარკსა ქვეყანასა ამისგან, რომელსა ჰქვიან ხარაჯა, რამეთუ განგებითა ღმრთისათა სიმრავლისათვის ცოდვათა ჩვენთასა განდიდნა ნათესავი აგარიანთა".[36]

ქართველი მეფეების განდევნისა და სამეფო სახლის განადგურების შემდეგ არაბებმა სომეხი მეფე აშოტ I ცნეს ქართველთა მეფედაც. აშოტ I და მისი მემკვიდრეები წყაროებში იხსენიება როგორც „სომეხთა და ქართველთა მეფეებად". აშოტ ერკათი სომეხთა და ქართველთა შაჰინშაჰის ტიტულითაც იხსენიება.

სომეხი მეფეები, რომელნიც არაბებმა „ქართველთა მეფეებადაც" გამოაცხადეს, არ ცნეს კახეთის, დასავლეთ საქართველოს და ტაო-კლარჯეთის ქართველებმა. ამ სომეხ მეფეებს ხელი მიუწვდებოდათ მხოლოდ შიდა და ქვემო ქართლზე IX-X საუკუნეებში, XI საუკუნის დასაწყისშიც. ხოლო ქვემო ქართლშიც საერთოდ შეიქმნა სომხური, ე.წ. კვირიკინთა სამეფო.

საქართველოს ცენტრში ქვემო და შიდა ქართლში სომხურმა ეკლესიამ გავლენა მოიპოვა, განსაკუთრებით ქვემო ქართლში. სწორედ საქართველოს გულში ქართული ეკლესიის გავლენის შესუსტების დროს, ქართველებმა იგრძნეს, რომ ქართველი ხალხის გამაერთიანებელი ძალა იყო ქართული ეკლესია. ამიტომაც ქართველები ტაო-კლარჯეთში, დასავლეთ საქართველოსა და ჰერეთში მჭიდროდ ერთიანდებიან ქართული ეკლესიის ირგვლივ. ტაოსა და მიმდებარე პროვინციების ქართველობა VIII საუკუნის შემდეგ, დასავლეთ საქართველოს ქართველობა VIII-X საუკუნეებში და ჰერეთის ქართველობა X საუკუნეში ქართული ეკლესიის ერთგული მრევლი ხდება. ამავე დროს კი სწორედ საქართველოს გულში, შიდა და ქვემო ქართლში, ხელი ნაკლებად მიუწვდება ქართულ ეკლესიას, აქ სომხური ეკლესიის (განსაკუთრებით ქვემო ქართლში) გავლენა ვრცელდება არაბთა ხელშეწყობით.

„ბიზანტიის საზღვარზე, ე.წ. სასაზღვრო ზონაში, სახელმწიფოს ყურადღება უპირველესად სამ ქვეყანაზეა მიპყრობილი. ესენია: ასურეთი, უფრო სწორად, მისი ჩრდილო ნაწილი, ზემო შუამდინარეთი (ჯაზირა) და სომხეთი – ამის გამო სახალიფო ხელისუფლება ყოველი ღონით ცდილობდა სომხეთში თავისი ძალაუფლების განმტკიცებას. სომხეთის ეკლესიისა თუ საერო ზედაფენის ერთი ნაწილის სახით შედარებით საიმედო დასაყრდენი გაიჩინა. ამგვარი ვითარების შედეგია, რომ სომეხი ბაგრატუნები ხშირად სახალიფოს კეთილგანწყობილებით სარგებლობდნენ და მათი ძალაუფლებაც თანდათან მტკიცდებოდა სომხეთში... სწორედ ამგვარ პირობებში მოხდა, რომ სახალიფოს ნებითა თუ თანხმობით სომხეთის მთავარი აშოტ I ჯერ 862 წელს სომხეთის მთავართა-მთავარი გახდა, ხოლო 884/85 წელს აღდგენილ იქნა V ს-ის პირველ მესამედში (428 წ.) გაუქმებული, დაცემული სომხეთის სამეფო. სახალიფოს ნებართვით აღდგენილი სომხეთის სამეფოს ტახტზე იგივე აშოტ I აიყვანეს... ხალიფები სომეხ ხელისუფალთა გამოყენებით, მათი მეშვეობითაც აპირებდნენ სომხეთში არსებულ, ცენტრალური ხელისუფლებისაგან განდგომის მოსურნე არაბული საამიროების დაქვემდებარებას. ვფიქრობთ, სწორედ ასე უნდა გავიგოთ ის ფაქტი, რომ აშოტ I-ის ხელისუფლებას სახალიფოს ნებით

უნდა დამორჩილებოდნენ ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე მდებარე არაბული საამიროებიც... ასეთ ვითარებაში სავსებით მოსალოდნელია, სახალიფო კარს სომეხთა ხელისუფალი აშოტ I ქართლის მთავრადაც ეცნო. მართლაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აშოტ I შედარებით მოგვიანო ხანის სომხურ წყაროებში იხსენიება არა მარტო სომეხთა, არამედ „სომეხთა და ქართველთა მთავართა-მთავრად". ასევე აშოტ I და მისი მემკვიდრეები სომხურ წყაროებშივე „სომეხთა და ქართველთა მეფეებად" იწოდებიან. დღეისათვის არაერთი მკვლევარია იმ აზრისა, რომ „სომეხთა და ქართველთა მთავართა მთავრის" ტიტული აშოტ I-ს სწორედ ხალიფამ უწყალობა. ასევე, 922 წელს ხალიფას უნდა ებოძებინა სომეხთა მეფე აშოტ ერკათისთვის არა მარტო სომეხთა, არამედ „სომეხთა და ქართველთა შაჰინშაჰის" ტიტული... რაც 862 წელს აშოტ I-ს სახალიფომ „მთავართა მთავრის" ტიტული უბოძა, მისთვის ქართლზე მეთვალყურეობაც უნდა მიენდო... რადგან ხალიფებმა სომეხ ხელისუფალთა გამოყენებაც სცადეს სომხეთის ორგული ამირების დასაქვემდებარებლად, ბუნებრივია, თბილისის საამიროსა და საზოგადოდ „მოურჯულებელ" ქართლზე აშოტ I-ისთვის დაეკისრებინათ თვალყურის დევნება... არც აშოტ I-ს და მის მემკვიდრეებს არ შესწევდათ ძალა მთელი ქართლის დასამორჩილებლად, თუმცა, ამ მიმართულებით მათ ერთგვარ წარმატებას მაინც მიაღწიეს. სომეხმა მეფეებმა შესძლეს ესარგებლათ ქართველ ხელისუფალთა შორის არსებული წინააღმდეგობით, კერძოდ, გურამ მამფალის სახლის განადგურებით, აგრეთვე თბილისის ამირების სისუსტით და თანდათან ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი დაისაკუთრეს. გასათვალისწინებელია, რომ არაბთა ბატონობის შესუსტების ჟამს სომხეთი თითქმის ერთიან ქვეყანას, ერთიან სახელმწიფოს წარმოადგენდა".[37]

თუ თბილისის საამირო და ქვემო ქართლი სომეხ მეფეებს დაემორჩილა, მათ ქართლის უმეტეს ნაწილზეც (იგულისხმება შიდა ქართლი) გავლენა ექნებოდათ. ჩანს, ამ მიზეზითაც იყო გამოწვეული ის, რომ კახეთის, ეგრის-აფხაზეთის თუ ტაოკლარჯეთის კონსოლიდაციისა და ამ კუთხეებში ცენტრალიზებული ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულების გაჩენის შემდეგ შიდა ქართლი კვლავ დაშლილ-დაყოფილი იყო რამდენიმე საგვარეულოს შორის, ხოლო ქვემო ქართლში საერთოდ ქართულ-ეროვნული მმართველობითი ინსტიტუტის ნაცვლად სომხურ-ქართული სამეფო წარმოიქმნა (ქართული იმდენად, რამდენადაც ამ კუთხის მოსახლეობა ეთნიკურად ქართველებს წარმოადგენდა, გრიგორიანული სარწმუნოების მქონეს ანუ „სომხებს").

სომხეთის სამეფოს აღდგენის შემდეგ სომეხ მეფეთა მთელ სამფლობელოში ვრცელდება „სომხური სარწმუნოება". აღსანიშნავია, რომ თვით არაბი მმართველებიც კი ხელს უწყობდნენ სომხური სარწმუნოების გავრცელებას. იმ მიზეზის გამო, რომ ქვემო ქართლი სომეხი მეფეების ხელქვეით მოექცა, აქ ინტენსიურად ვრცელდება გრიგორიანობა. სომეხ ისტორიკოს დრასხანაკერტცს დაცული ჰქონდა ცნობა, რომლის თანახმადაც, ერთი არაბი რჯულისმოძღვარი ამხელდა, თურმე არაბ მმართველს სომხური სარწმუნოების გავრცელების ხელშეწყობის საქმეში. ერთი მაჰმადიანი რჯულის მოძღვარი თურმე ასე მიმართავდა არაბ მმართველს: განძის გულისათვის სომეხ ქრისტიანთა „მოძღვრების გავრცელებას რატომ უწყობ ხელს?"[38]

სომეხ მეფეებს, რომელთაც „სომეხთა და ქართველთა შაჰინშაჰის“ ტიტული ჰქონდათ არაბთაგან მიღებული, ალბათ, ხელი უნდა შეეწყოთ მათი გავლენის სფეროში მოქცეული მეზობელი ქვეყნების, მათ შორის, შიდა და ქვემო ქართლში „სომხური სარწმუნოების“ გავრცელებისა და ქალკედონური, ანუ „ქართული სარწმუნოების“ დევნისათვის.

„ნათელია, რომ სომეხი მეფე-მთავრები თუ სომხური ეკლესიის მესვეურები ქრთამით ბევრ რამეს აღწევდნენ არაბთა ხელისუფლებასთან. ამ საშუალებით „სომხური ქრისტიანობის“ (გრიგორიანობის) გავრცელებასაც კი ახერხებდნენ მეზობელ მხარეებში. ვფიქრობთ, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ აშოტ I-მა და მისმა მემკვიდრეებმა – სუმბატ I-მა და აშოტ II ერკათმა არამარტო სომეხთა, არამედ „სომეხთა და ქართველთა მთავართა მთავრისა“ თუ მეფის, ანდა შაჰინშაჰის ტიტულები რომ მიიღეს არაბთაგან, აშოტ I-ს არაბებმა რომ მიანდეს მეთვალყურეობა ქართლზეც, ხსენებულ სომეხ ხელისუფალთ ამ საქმეშიც უნდა დახმარებოდათ ქრთამი, ძვირფასი საჩუქრები, სახალიფოს კარის მოქრთამვა, მოსყიდვა. სხვათა შორის, აშოტ I-ს 862 წელს „მთავართა მთავრის“ ტიტული სომხეთის არაბი მმართველის, წარმოშობით სომეხი ალი იბნ იაჰია ალ-არმანის ხალიფას წინაშე შუამდგომლობით მიენიჭა... იმის გამო, რომ ბაგრატუნები მთელ კავკასიაში გაბატონებაზე ოცნებობდნენ, ისინი ამ მიმართულებით პირველ რიგში ქართლის დაქვემდებარებაზე ფიქრობდნენ, რამეთუ ქართლი არა მარტო საქართველოს გულს, არამედ მთელი კავკასიის ბუნებრივ ცენტრსაც წარმოადგენდა... საკუთრივ ქართლში ძლიერი ქართული პოლიტიკური ერთეული არც IX საუკუნის დასასრულისათვის და არც მომდევნო ხანებში არ არსებობდა, ცალკეული ქართული სამეფო-სამთავროებიც ერთმანეთს ებრძოდნენ პირველობისათვის და თითქმის ერთიანი სომხეთის მეფეებმა, სომეხმა ბაგრატუნებმა, როგორც უკვე ითქვა, მოახერხეს დროებით ესარგებლათ ამით, IX-X საუკუნეთა მიჯნაზე სომეხთა მეფე პრეტენზიას რომ აცხადებდა თითქმის მთელ საქართველოზე, სახელდობრ, ქართლსა და დარიალზეც, ამის შესახებ არაერთი ცნობა მოიპოვება დრასხანაკერტცის „სომხეთის ისტორიაში“... „...ამ დროს ეგრისის მეფემ კონსტანტინემ... შეკრიბა ჯარი და გაემართა... რათა გუგართა ქვეყანა და ალანთა კარის ახლოს მცხოვრები მოსახლეობა ერთხელვე თავის ხელქვეით დაემორჩილებინა, რადგან ეს ხალხი სუმბატ მეფეს ჰყავდა დამორჩილებული და ხელქვეითად ქცეული“...[39]

დრასხანაკერტცი გუგარს უწოდებს მთელ ქართლს.[40] მისი აზრით, სომხეთს ემეზობლებიან შემდეგი ხალხები – ბერძნები, ეგრისელები, გუგარელები და უტიელები.[41] უტიელები ალვანელები იყვნენ, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველებს (შიდა და ქვემო ქართლის მოსახლეობას) კი გუგარელებს უწოდებს.

გუგართა ქვეყანა, მისი აზრით, სომხეთის მეფეს ემორჩილება. გუგარელები, (ანუ მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა, ქართველები) სომეხი მეფის ხელქვეითია, მათზე არავითარი უფლება არა აქვს ეგრის-აფხაზეთის მეფეს – ასე ფიქრობს ეს ისტორიკოსი, რომელიც სომხური ეკლესიის მეთაური – კათალიკოსი იყო.

სომეხთა ამ კათალიკოსს, ცხადია, მიაჩნია, რომ მას, ისევე როგორც სომეხთა მეფეს, სრული უფლება აქვს მთელ აღმოსავლეთ საქართველოზე. ჩანს, ეს ქვეყანა თავის სამწყსოდ მიაჩნდა.

სწორედ ასეთი თვალსაზრისი ედო საფუძვლად სომხურ ეკლესიას, როცა ის ქართული ეკლესიის დაქვემდებარებაზე პრეტენზიას აცხადებდა.

„საზოგადოდ, სომხური ეკლესიის დიდი პრეტენზიები მეცნიერებისათვის კარგადაა ცნობილი. მართალია, სომხური ეკლესიის მესვეურთა მისწრაფებებს, იერარქიულად სომხურისადმი დაექვემდებარებინათ ქართული ეკლესიაც, პრაქტიკულად თითქმის არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ შეხლა-შემოხლა საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა. დროდადრო ქართულ-სომხური ეკლესიების ურთიერთობა მეტისმეტად, უკიდურესობამდე მწვავდებოდა. ქართლის მიმართ სომხური ეკლესიის პრეტენზიების „დასასაბუთებლად“ სომხურ გარემოში არაერთი ლეგენდა წარმოიქმნა.

სომხური ეკლესია ქართული ეკლესიის დაქვემდებარებაზე პრეტენზიას სტეფანე მტბევარის ხანაშიც აცხადებდა, მაშინ, როდესაც ქართული ეკლესია აშკარად აღმავლობის, გაძლიერების გზაზე იდგა.[42] – „სომხური ეკლესიის დიდი პრეტენზიები ადრიდანვე დასტურდება მას შემდეგ, რაც VII საუკუნის დამდეგს ქართულ-სომხურ ეკლესიებს შორის განხეთქილება მოხდა, ქართული ეკლესია თანდათან მჭიდროდ დაუკავშირდა ბიზანტიას, ბერძნულ ეკლესიას, ხოლო სომხური ეკლესია კვლავინდებურად და კიდევ უფრო მკვეთრად დაპირისპირებული აღმოჩნდა ბიზანტიის ეკლესიასთან. სასანიდთა ირანის მსგავსად, არაბთა ხელისუფლებამ განიზრახა ესარგებლა ამით და სომხური ეკლესია თავის თანამდგომად ექცია ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში“.[43]

ა. აბდალაძე წერს: – „სხვათა შორის, IX საუკუნესა და X საუკუნის ნახევარშიც კი შეიმჩნევა სომხური ეკლესიის ერთგვარი პრეტენზია არა მარტო მთელს ამიერკავკასიაზე, არამედ ჩრდილო კავკასიაზეც“.[44]

შიდა და ქვემო ქართლისათვის ბრძოლისას, ქართველ ხელისუფალთა და სომეხ მეფეთა შორის, ცხადია, ქართული ეკლესია ქართველ ხელისუფალთა მხარეს იყო, რადგანაც სომეხი მეფეების გაბატონებას ქართლში შედეგად მოჰყვებოდა ქართული ეკლესიის ან განადგურება, ანდა სომხური ეკლესიისადმი დაქვემდებარება ამ კუთხეში. ნაწილობრივ ეს ასეც მოხდა, ქვემო ქართლში სომეხ მეფეთა გაბატონების შემდეგ ადგილობრივი მკვიდრი ქართველი მოსახლეობა სომხური ეკლესიის მრევლად იქცა.

„სომეხ ბაგრატუნ და ლიხსიქეთის მეფეებს შორის ქართლისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში ქართველთა კათალიკოსები, მცხეთის საკათალიკოსო ტახტი, რა თქმა უნდა, ლიხსიქეთის მეფეებს დაუჭერდა მხარს, ხოლო სომეხთა მეფეებს, რაც კი შეეძლო, ყოველგვარი საშუალებით აღუდგებოდა წინ, რასაც დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ბრძოლის ბედის ლიხსიქეთის მეფეების სასარგებლოდ გადაწყვეტისათვის. სხვა რომ არა იყოს რა, ქართლში სომეხ ბაგრატუნთა შემოჭრას მოჰყვებოდა მთელი კავკასიის მიმართ დიდი პრეტენზიების მქონე სომხური ეკლესიის გაძლიერება, მისი შემოღწევა ქართლის ოლქებში, რაც ქართული ეკლესიის თავკაცებს არამც და არამც არ ენდომებოდათ. ...სომეხთა მეფეებთან ჭიდილში ქართული ეკლესია უყოყმანოდ უნდა დამდგარიყო ლიხსიქეთის მეფეების მხარეზე...[45]

შეიძლება გამოითქვას მოსაზრება იმის შესახებ, რომ შესაძლოა, IX-X საუკუნეთა პერიოდში ქართლის (მცხეთის) კათალიკოსი იჯდა არა მცხეთაში (ქალაქში), არამედ ჯერ გუარამ მამფალის „სამამფლოში“, ხოლო შემდგომ დავით კურაპალატის „ქართველთა სამეფოში“. შეიძლება საკათალიკოსო კარი დროებით, განსაკუთრებული ვითარების გამო ქალაქ მცხეთაში არ იმყოფებოდა, თუმცა კი მაინც კათალიკოსს „მცხეთელი მამამთავრის“ ტიტული ჰქონდა, მცხეთას უშუალოდ ემეზობლებოდა თბილისის საამირო. ამ საამიროზე უფლება, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მინიჭებული ჰქონდათ სომეხთა მეფეებს. საერთოდ, მთელ ქართლზე სომეხი მეფეები (და ეკლესია) პრეტენზიას აცხადებდნენ. ასევე, მცხეთის უშუალო მეზობელი ჰერეთიც, სომხური ეკლესიის გავლენის სფეროში იყო მოქცეული. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ჩანს, რომ მის დროს ქართული ეკლესიის კრება, რომელსაც მრავალი ეპისკოპოსი ესწრებოდა, ჩატარდა არა მცხეთაში, არამედ ჯავახეთში. ამ კრებას ახალი კათალიკოსი უნდა გამოერჩია და ტახტზე დაესვა, ამიტომაც მოსალოდნელი იყო ამ კრების მცხეთაში, ანუ საკათალიკოსო ქალაქში ჩატარება, მაგრამ მცხეთელ კათალიკოსს ჯავახეთში ირჩევენ. საქმე ის უნდა ყოფილიყო, რომ IX საუკუნეში ქართლის სამხრეთ მიწებზე არსებობდა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული სამამფლოს სახელწოდებით. სამამფლო მოიცავდა სამცხეს, ჯავახეთს, თრიალეთს, არტაანს, ტაშირს და აბოცს. სამამფლოს დამაარსებელი იყო აშოტ დიდი კურაპალატის ძე – გუარამ მამფალი. გუარამის სიკვდილის შემდეგ (882 წ.) სამამფლოც დაიშალა და მისი ერთი ნაწილი გასომხდა. სწორედ ამ სამამფლოში უნდა ყოფილიყო გადასული მცხეთის კათალიკოსი არაბ-სომეხთა თბილისისაკენ მოძალების ჟამს გუარამ მამფალის დროს. ამას თითქოსდა მიუთითებს ის, რომ გიორგი მერჩულეს მიერ მოცემული ცნობის თანახმად, მცხეთის კათალიკოსის არჩევა-დადგენაში სწორედ უპირატესად სამცხისა და ჯავახეთის (ანუ სამამფლოში შემავალი პროვინციები) ერისკაცნი და სამღვდელონი მონაწილეობენ. აგრეთვე მონაწილეობდა გუარამ მამფალი, რომელსაც გიორგი მერჩულე დიდ მამფალს და დიდ ხელმწიფეს უწოდებდა. სამცხე და თრიალეთი სამამფლოს ძირითადი ოლქები იყო. გუარამ მამფალი განსაკუთრებულ ყურადღებას რომ აქცევდა სამცხეს, იქიდანაც ჩანს, რომ აქ აუგია ციხეები – ოძრხე, ჯვარის ციხე და ლომსიანთა. მცხეთელი კათალიკოსის კარის დროებით სამამფლოში ყოფნას შეიძლება მიუთითებდეს ის, რომ „სამცხის ერს“ და სამცხელ ხელისუფალ მირიანს ძალა შესწევთ დაადგინონ ახალი კათალიკოსი. გიორგი მერჩულე წერს... „არამედ ქართლისა ეპისკოპოსნი მირვანი არსენის მამისათვის ფრიად გულწყებულ იყვნეს ამის მიზეზისათვის, რამეთუ თვინიერ განზრახვისა მათსა მძლავრ სამცხისა ერითა ძეჲ თვისი დაადგინა კათალიკოსად თანდგომითა და კურთხევითა მცირედთა ეპისკოპოსთაჲთა“.[46]

გუარამ მამფალს კი სურდა, სამცხისვე ეპისკოპოსი ეფრემ მაწყვერელი დაედგინა კათალიკოსად. ორივე საკათალიკოსო კანდიდატი ეფრემიცა და არსენიც, სამცხელები არიან. „დიდი ეფრემ უწინარეს მრავლით წლით არსენისა იქნა ეპისკოპოს აწყურისა საყდარსა „სამცხეს“,[47] მაგრამ „სამცხის ერის მძლავრობით საკათალ-

იკოსო ტახტზე უკვე აუყვანიათ არსენი, არსენის მამის, მირვან სამცხელი ხელისუფლის სურვილის თანახმად. გუარამ მამფალს სურდა გადაეყენებინა საკათალიკოსო ტახტიდან არსენი და მის მაგიერ ეფრემი დაედგინა. ამ მიზეზის გამო, ის უნდა ცდილიყო საეკლესიო კრება (რომელსაც უფლება ჰქონდა ამგვარი მოქმედებისა) ჩაეტარებინა რაც შეიძლება სამცხედან შორს, რათა „სამცხის ერს“ არ ჰქონოდა კრებაზე ზემოქმედების საშუალება. მართლაც, კრებას იწვევენ ჯავახეთში. რატომ არ იწვევენ კრებას მცხეთაში ან სხვაგან? ჩანს, სწორედ იმის გამო, რომ სამამფლო არის ის პოლიტიკური ოლქი, სადაც თავისუფალად მოქმედებს ქართული ეკლესია. ჩანს, მცხეთაში, შიდა ქართლსა და სხვა კუთხეებში არაბ-სომეხთა მძლავრობის გამო ქართული ეკლესია თავისუფლად ვერ მოქმედებს. ცნობილია, რომ VIII საუკუნის შუა წლებში მცხეთა ისე იყო დანგრეული, რომ იქ არჩილ მეფე ვერ დაჯდა ეგრისიდან დაბრუნების შემდეგ. – „ხოლო გარყვნილი იყო საყოფელად მცხეთა. გარდამოვიდა არჩილ ეგრისით და დაჯდა ნაციხარსა ხიდრისასა“.[48] მცხეთაზე უკეთესი სამყოფელი ხიდრის ნაციხარი ყოფილა, სადაც არჩილი დაჯდა, მაგრამ, ჩანს, აქაც ყოფნა შეუძლებელი იყო და ის კახეთში გადავიდა, თუმცა მაინც აწამეს. შეიძლება იმის შემდეგ, რაც ქართლის ერისმთავრებმა (ბაგრატიონებმა) დატოვეს შიდა ქართლი და მიაშურეს სამხრეთ საქართველოს, კათალიკოსის ტახტიც დროებით მათ გაჰყვა. ალბათ ამიტომაცაა, რომ გუარამ მამფალი თავის ქვეყანაში იწვევს საეკლესიო კრებას „და სწრაფად ბრძანა შეკრება ეპისკოპოსთა და უდაბნოდსა მამათა. და ყოველნი შემოკრებს ჯავახეთს...“ (აღსანიშნავია, რომ კლარჯეთში ამ დროს საეკლესიო მშენებლობა მიმდინარეობდა, რომელიც დასრულებული არ იყო. მცხეთაში მოგვიანებით პატრიარქ მელქისედეკს აღუდგენია ტაძარი და ქალაქი (X საუკუნის ბოლოს და XI საუკუნის დასაწყისში).[49] ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართულ ეკლესიას აღმოსავლეთ საქართველოში რეალური ძალაუფლება არ ჰქონდა, მაგრამ რადგანაც ეს მხარე ამ დროს იყო ძალზე ხშირი ომების ასპარეზი არაბ-სომეხთა და ქართველთა (აფხაზ, ტაო-კლარჯელ და კახელ მფლობელთა) შორის. ამიტომაც შეიძლება საკათალიკოსო კარი სამამფლოში იყო, ხოლო სამამფლოს დაშლის შემდეგ კათალიკოსი შეიძლება ტაო-კლარჯეთში დავით კურაპალატის კარზე იმყოფებოდა. იაჰია ანტიოქიელი წერს: დავით კურაპალატმა ელჩად ბერძენთა იმპერატორთან კათალიკოსი გააგზავნაო.

ჩვენ ზემოთ მოყვანილით მხოლოდ იმის თქმა გვსურდა, რომ ქართული ეკლესიის ცენტრი ისე დასუსტებული იყო არაბ-სომეხთა შიდა და ქვემო ქართლზე ბატონობისას, რომ მას არავითარი ძალა არ შესწევდა ქართული ქრისტიანობა გაევრცელებინა ჰერეთში, დასავლეთ საქართველოსა და ტაოში და ეს მხარეები ქართული ეკლესიის იურისდიქციაში მოექცია. მაგრამ რადგანაც ცენტრის ამგვარი კრიზისული ყოფის დროსაც კი ქართული ქრისტიანობა მაინც გაძლიერდა ჰერეთში, დასავლეთ საქართველოსა და ტაოში, გვიჩვენებს, რომ ამ პროვინციებში ქართულმა ეკლესიამ გაიმარჯვა არა გარედან ძალდატანება-იძულების შედეგად, არამედ შინაგანი მოთხოვნილების ძალით. მაგალითად, ქართული ეკლესიის ცენტრს ძალა არ შესწევდა ჰერეთის ვრცელი მხარე მოექცია ქალკედონიტობაზე,

მაგრამ რადგანაც ჰერეთი გაქალკედონიტდა, მიუთითებს, რომ ეს პროცესი აქ იყო შინაგანი მოთხოვნის შედეგი (ე.ი. ქართველ ხალხთან, ქართულ ეკლესიასთან დაბრუნების მოთხოვნა) და არა გარედან ძალდატანებისა. ასევე ითქმის ტაოსა და დასავლეთ საქართველოზეც. ჰერეთში, ტაოსა და დასავლეთ საქართველოში ქართულმა ეკლესიამ გაიმარჯვა ამ კუთხეების ადგილობრივი ქართული მოსახლეობის თვითშეგნებისა და თვითშემეცნების გაზრდის შედეგად. ჰერეთმა და ტაომ უარყვეს სომხეთის ეკლესია და დაუბრუნდნენ დედა ეკლესიას (რომელიც ამ დროს დასუსტებული იყო), ხოლო დასავლეთ საქართველოს ქართველებმა უარყვეს ბერძნული ეკლესია და დაუბრუნდნენ ქართულ ეკლესიას.

ქართული ეკლესია ამით გაძლიერდა და ის გაძლიერდა პერიფერიების დაბრუნების შემდეგ. ცხადია, ჰერეთისა და ტაოს დაკარგვამ VII-X საუკუნეებში გააღიზიანა სომხური ეკლესია, ხოლო ბერძნული ეკლესია გააღიზიანა დასავლეთ საქართველოს დაკარგვამ (VIII-X საუკუნეებში), ამან თითქოსდა შეაკავშირა ბიზანტიელ-სომეხი იერარქები ქართული ეკლესიის საწინააღმდეგოდ. კონსტანტინოპოლის პატრიარქს ნიკოლოზ მისტიკოსს (901-907, 911-925) წერილი მიუწერია სომეხთა კათალიკოს-პატრიარქისათვის:

„...შენი ღვთისმოყვარეობისათვის ვგონებ არ არის გაუგებარი ჩვენი გულის დიდი წუხილი და დაუნელებელი ტკივილი სომეხთა, ქართველთა და ალვანელთა შენდამი რწმუნებული ერთობლივი სამწყსოსათვის მწარე ჭირის გამო, რომელიც თავს დაგატყდათ ისმაიტელ მოძალადეთგან. ...აწ თუ თქვენი უწმიდესობა მართებულად მიიჩნევს, უპირველესად ყოვლისა საჭიროა... ღმერთის მიმართ ვედრება სომეხთა, ქართველთა და ალვანელთა შენი საწყმსოსათვის... წერილი გამოუგზავნეთ მაგ კურაპალატსაც (ქართველთა მეფე „ადარნასეს“) და აფხაზთა მეთაურსაც და ვურჩევდით, რომ მათ ესმინათ თქვენი დარიგება...“[50]

ხაზგასმით აღსანიშნავია ის, რომ ბიზანტიის იმპერია განსახილველ პერიოდში VIII–X საუკუნეებში და საერთოდაც, გაცილებით უფრო რბილად და ლოიალურად ეპყრობოდა სომხურ ეკლესიას, ვიდრე ერთმორწმუნე ქართულ ეკლესიას. ამის დამამტკიცებელ ერთ-ერთ მაგალითად გამოდგება იმპერატორ ბასილ ბულგართმმუსვრელის დამოკიდებულება ქართული და სომხური ეკლესიებისადმი. მართალია, ბასილი ერთ პერიოდში ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, მადლობის ნიშნად ეკონომიურად დაეხმარა ქართველ სამღვდელოებას, მაგრამ სწორედ მის დროს დაიწყო ბიზანტიაში ქართული ეკლესიის საწინააღმდეგო ის ტოტალური დევნა, რომელიც XI საუკუნის შუა წლებამდე გაგრძელდა.

ქართული მატიანის თანახმად, საქართველოს მეფე გიორგი I-ის წინააღმდეგ მებრძოლმა იმპერატორმა ბასილიმ ცხოველმყოფელი ჯვარიც კი დასცა მიწაზე და შეჰღაღადა – აღარ გცემ თაყვანს, თუ ქართველები დამამარცხებენო (იხ. სხვა თავებში). თითქოს ამის შემდეგ ბასილიმ შესძლო ქართველთა დამარცხება. ეს უჩვენებს, თუ როგორ უკიდურესობამდე მივიდა ბასილი ქართულ სახელმწიფოსა და ეკლესიასთან ბრძოლისას. მაშინ, როცა სომხურ ეკლესიასთან ბასილის დამოკიდებულება სრულებით განსხვავებულია. საერთოდ, ბიზანტიელი ხელისუფალნი რბილად და ყურადღებით ეპყრობოდნენ სომეხ სასულიერო ხელისუფალთ – „ბი-

ზანტიის ხელისუფალნი ზოგჯერ, გარკვეული მოსაზრებით, სომეხთა „მამამთავრების“ გულის მოგებასაც ცდილობდნენ. ასე მაგალითად, თავისი სისასტიკით ცნობილი კეისარი ბასილ II ბულგართმმუსვრელი (976-1025)... ისეთი „ყურადღებით“, იმდენად „თბილად“ ეპყრობოდა სომეხ „მამებს“, რომ სომხეთში ლეგენდაც კი შეიქმნა, თითქოს ბიზანტიის ეს მრისხანე კეისარი „სომხური სარწმუნოების“ (გრიგორიანობის) აღმსარებელი გამხდარა. კირაკოს განძაკეცის სიტყვით, ბასილი II „იყო კაცი კეთილმორწმუნე, მეტადრე სომეხი ერის მიმართ, ამიტომაც უარყო მან ქალკედონური მრწამსი და ჩვენს (სომეხთა-ა.ა) ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოიქცია“.[51]

თუ როგორი ღრმა პატივისცემით ეპყრობოდა არა მარტო ბიზანტიის საერო ხელისუფლება, არამედ სასულიეროც კი სომხებსა და მათ ეკლესიას, იქიდანაც ჩანს, რომ „...ბიზანტიაში გავრცელდა პატრიარქ ფოტიოსის (857-867, 877-886) მიერ პოლიტიკური მოსაზრებით შეთხზული ცნობები კეისარ ბასილი I-ის (867-886) სომეხ არშაკუნთაგან წარმომავლობის შესახებ. ამ თვალსაზრისს არ უარყოფდნენ ბასილი I-ის მემკვიდრეები“...[52] უფრო მეტიც, ბიზანტიის პატრიარქმა ფოტიოსმა მისწერა წერილი სომეხთა პატრიარქს, რომელშიც ფოტიოსი ცნობს სომხური ეკლესიის უზენაესობას ჩრდილოეთის ყველა ხალხზე (ალბათ, ქართველებზე) და სცნობს სომხური ეკლესიის სამოციქულო უფლებებს, „ფოტიოსმაც მისწერა წერილი თავის თანამედროვე სომხეთის პატრიარქს ზაქარია I-ს (855-876)... ფოტიოსი ცდილობს სომეხი „მამების“ გულის მოგებას, მათ გადაბირებას. ამის გამო იგი ცნობს სომხური ეკლესიის სამოციქულო უფლებებს, მის უზენაესობას ჩრდილოეთის ყველა ხალხზე“.[53] ფაქტობრივად, ასევე იქცევა ბიზანტიის შემდგომი პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსიც“ „...ნიკოლოზ მისტიკოსსაც, იმპერიის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ცარიელი სიტყვებით და არა საქმით, მოჩვენებით, ანგარიში გაუწევია სომხეთის პატრიარქის, დარასხანარკეტცის პრეტენზიებისათვის ქართული ეკლესიის მიმართ“.[54]

მაშასადამე, X საუკუნეშიც კი, ბერძენთა და სომეხთა ამ პატრიარქების დროს, როცა ქართული ეკლესია უჩვეულოდ განმტკიცდა და ამაღლდა სულიერად, გაიზარდა და გაიფართოვა იურისდიქციის საზღვრები, ასეთი მდგომარეობისასაც კი სომხური ეკლესიის მეთაური პრეტენზიას აცხადებს ქართული ეკლესიის მიმართ და ამ პრეტენზიას, სომხურ წყაროთა თანახმად, ბიზანტიაც კი მხარს უჭერს. როცა ბიზანტიელი პატრიარქები ფოტიოსი (IX ს.) თუ ნიკოლოზი (X ს.) ცნობენ სომხური ეკლესიის „უზენაესობას ჩრდილოეთის ყველა ხალხზე“ და აღიარებენ „სომხებს, ქართველებს და ალბანელებს“ სომხური ეკლესიის „სამწყსოდ“, ამის მიზეზად არ უნდა დავასახელოთ მხოლოდ პოლიტიკური მოტივები, თითქოსდა ასეთ დათმობაზე ბიზანტია მიდიოდა სომხეთის ადვილად დაპყრობის მიზნით.

სინამდვილეში, ამ მიმართვებში, ჩანს, ასახვა ჰპოვა იმ რეალურმა ვითარებამ, რომელშიც იმყოფებოდა როგორც ალბანელთა, ისე ქართველთა ეკლესიების ნაწილი VI-X საუკუნეებში.

ცხადია, ქართული ეკლესია, როგორც მთლიანი ერთეული, ყოველთვის დამოუკიდებელი და ავტოკეფალური იყო სომხური ეკლესიისაგან, მაგრამ მისი სხვადასხვა

ნაწილი სხვადასხვა საუკუნეში ექცეოდა სომხური ეკლესიის გავლენის სფეროში, კერძოდ, VI საუკუნის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის ნაწილი მოექცა სომხური ეკლესიის გავლენის ქვეშ, VII-IX საუკუნეებში ქართული ეკლესიის განუყოფელი ნაწილი ჰერეთი, სომხური ეკლესიის გავლენის სფეროშია. VII საუკუნეში მესხეთი (კლარჯეთიც კი ნაწილობრივ) ასევე სომხური ეკლესიის გავლენის ქვეშაა (აქ ტაო, ბასიანი და სპერიც იგულისხმება VI-IX საუკუნეებში). IX საუკუნიდან სომხური ეკლესია შიდა ქართლზე იწყებს გავლენის გავრცელებას და ამის გამო ქვემო ქართლში IX-X საუკუნეებში საერთოდ ვრცელდება სომხური სარწმუნოება – გრიგორიანობა ქართველთა შორის (ე.წ. კვირიკიანთა სამეფოში), ე.ი. „ქართველდებოდნენ“ არა სომხები, არამედ, პირიქით, ქართველები სომხდებოდნენ.

დიდი მთარგმნელები

გიორგი მთაწმიდელის მეშვეობით ქართულმა სახელმწიფომ და ეკლესიამ შესძლეს ანტიოქიისა და სხვა ბერძნულ საპატრიარქოებში ქართული ეკლესიის ავტორიტეტის ამაღლება. დაამტკიცეს ბერძნულ წყაროთა ჩვენებების საფუძველზე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის არსებობა, აქედან გამომდინარეობდა ქართული ეკლესიის ფაქტობრივად არსებული საპატრიარქო ღირსების იურიდიულად ცნობაც. ამ დიდი გამარჯვების მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა ექვთიმე, გიორგი და სხვა წმიდა მამების მთარგმნელობითი მოღვაწეობის გარეშე. ქართველი წმიდა მამების მიერ ქართულ ენაზე ინტენსიური, უმაგალითო, გასაოცარი მასშტაბის მთარგმნელობითი მოღვაწეობა გამოწვეული იყო არა წმინდა ლიტერატურული ინტერესებით, არამედ მწვავე პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი გარემოებით.[55]

საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შექმნამ X საუკუნის დასასრულს, შემდგომ კი უმალვე საქართველოს საპატრიარქოს დაარსებამ, ძლიერ გააღიზიანა როგორც ბიზანტიის იმპერია, ასევე ბერძნული საპატრიარქოები. ბიზანტიის იმპერიამ ომი გამოუცხადა საქართველოს სახელმწიფოს, რომელიც 33 წელი გაგრძელდა. ბიზანტიის იმპერიასთან მებრძოლი ერი და მისი ეკლესია მწვალებელთა ერად და მწვალებელთა ეკლესიად გამოაცხადეს, მით უმეტეს, რომ ქართულმა ეკლესიამ საპატრიარქო ეკლესიად აღიარა თავისი თავი. ამას თან დაემთხვა ის გარემოებაც, რომ ბერძნული ეკლესია იმ დროს უკომპრომისო ბრძოლას ეწეოდა ყველა არაბერძნული ეკლესიის წინააღმდეგ და მწვალებლებად აცხადებდა ყველა ეკლესიას, რომელიც იოტისოდენა საეკლესიო პრაქტიკითაც კი განსხვავდებოდა ბერძნული ეკლესიისაგან. 1054 წელს სრულებით დაშორდნენ ერთმანეთს ბერძნული მართლმადიდებლური და რომის „კათოლიკე“ ეკლესიები. კიდევ უფრო ადრე, 730-იანი წლებიდან სომხური ეკლესია მონოფიზიტური მრწამსის მიღების გამო სრულებით განშორებული იყო ქართულ-ბერძნულ-რომაული ეკლესიებისაგან. XI საუკუნის დასაწყისში ბიზანტიის „მართლმადიდებლურ“ იმპერიასთან მებრძოლი ქართველი ერი მწვალებელთა ერად გამოცხადდა, დაიწყო ქართველების მასობრივი დევნა იმპერიაში. რომელ მწვალებლობას აბრალებდნენ ბერძნები ქართველებს – სარწმუნოებრივ ერთობას რომის „კათოლიკე“ ეკლესიასთან, თუ სარწმუნოებრივ ერთო-

ბას სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიასთან? ბერძნებმა ქართველებს წაუყენეს ცრუ ბრალდება, რომ ქართული ეკლესია თავისი შინაგანი ბუნებით, სარწმუნოებით სომხურ-მონოფიზიტურის მსგავსია. თვალში საცემი საეკლესიო არქიტექტურის მსგავსების გარდა აღმოჩნდა, რომ თურმე ლიტურგიკაც არ ყოფილა საქართველოში კონსტანტინოპოლური და, რაც მთავარია, აღმოჩნდა, რომ ძველი ქართული საეკლესიო წიგნები – ბიბლია, სახარება, საღვთისმეტყველო წიგნები თურმე სომხური შესაბამისი წმიდა წიგნების მიხედვითაა რედაქტირებული, ან სომხური ენიდანაა თარგმნილი. ეს სრულიად საკმარისი საბაბი აღმოჩნდა ქართველების მწვალებლებად გამოცხადებისა და ქართული ეკლესიის დევნისათვის, რადგანაც მონოფიზიტები, ანუ „სომხები“ ბიზანტიის იმპერიაში მწვალებლებად იწოდებოდნენ და მათთან ყოველგვარი საეკლესიო კავშირი გაწყვეტილი ჰქონდათ.

მართლა ჰქონდათ ქართველებს სომხური ენიდან თარგმნილი „წმიდა წერილი“, თუ ეს ცილისწამება იყო ბერძნების მხრიდან? გიორგი მცირის ცნობით, ქართველებს მართლაც ჰქონიათ „წმიდა წერილი“ (ზოგიერთი ნაწილი) სომხური თარგმანების შესაბამისად რედაქტირებული, რაც თურმე გამოუსწორებიათ ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებს. ამ ცნობას ფაქტებით ასაბუთებს კორნელი დანელია თავის წიგნში „ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები“.

მკვლევარებს ბიბლიის ქართული თარგმანის სხვადასხვა წიგნის სხვადასხვა ტიპის ტექსტები უდარებიათ ბერძნულ, სომხურ და სირიულ წყაროებთან. ბიბლიოლოგიით დაინტერესებულ უცხოელ ქართველოლოგებს ბიბლიური წიგნების ქართულ თარგმანებში ჭარბად გამოუვლენიათ სომხური ელემენტები.[56] ქართველოლოგი მოლითორი ასკვნის – „სომხურმა ვერსიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იაკობის ეპისტოლის ქართული ტექსტის ჩამოყალიბებაში... ძველი ქართული თარგმანი შესრულებულია სომხური დედნის მიხედვით... ყოველ მკვლევარს თავისი მტკიცებისათვის გარკვეული მასალა ჰქონია და ტენდენციურობას ვერვის მივაწერთ“.[57] ზოგიერთი მკვლევარი ასე მსჯელობს: „ქართულ თარგმანში არმენიზმები უძველესი ტექსტობრივი ფენისაა, ვიდრე გრეციზმები. რატომ? იმიტომ, რომ VII საუკუნის დასაწყისის აქეთ, როცა საქართველოსა და სომხეთს შორის საეკლესიო განხეთქილება მოხდა, ქართული თარგმანებისათვის სომხური წყაროს გამოყენება არ არის სავარაუდო“.[58]

„არმენიზმები ძველ ქართულ რედაქციებში ხელშესახები და საგრძნობია. სომხური წყაროს გავლენა ჩანს როგორც ფრაზის კონსტრუქციასა და ლექსიკურ-დერივაციულ თუ გრამატიკულ კალკებში, ასევე ზოგიერთი საკუთარი სახელის ფორმაში“,[59] – „...ტექსტობრივი ხასიათის შენიშვნები, ანუ გლოსები ქართულსა და სომხურ თარგმანებს ერთ და იმავე ადგილებზე მოუდით“.[60] „ძველ ქართულ რედაქციებში არის ისეთი საკითხები, რომლებიც რამდენადმე შორდება ბერძნულ ტექსტს და უახლოვდება სომხურს“.[61]

მიუხედავად იმისა, რომ XI საუკუნეში რამდენჯერმე გადაამუშავეს ბიბლიური წიგნები არმენიზმების აღმოსაფხვრელად, XX საუკუნის მკვლევართათვის მათი არსებობა შეუმჩნეველი არ დარჩა.

რამ გამოიწვია არმენიზმების გაჩენა ძველ ქართულ რედაქციებში? კორნელი დანელიას დასკვნა, რომელიც ემყარება როგორც მის მიერ ჩატარებულ კვლევა-ძიებას, ასევე გიორგი მცირისა და გიორგი მთაწმიდელის ცნობებს, ასეთია – ქრისტიანობის მიღების უმალვე ქართველებს IV-V საუკუნეებში ბიბლიური წიგნები გადაუთარგმნიათ ბერძნული ენიდან, ხოლო შემდგომ რაღაც მიზეზების გამო „ბერძნულიდან მომდინარე თარგმანი V-VI საუკუნეებში შეჯერებულ იქნა სომხურთან“.

ბიბლიური წიგნების თარგმნას ძველ დროს უდიდეს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდნენ: „ცხადია, ასეთი უდიდესი სახელმწიფოებრივი მოვლენის (ქრისტიანიზაციის) საყრდენის – ბიბლიური წიგნების – ნაციონალურ ენაზე გადმოღება მეტად სერიოზულ და საპასუხისმგებლო საქმედ იქნებოდა მიჩნეული...“[62]

„...ამრიგად, IV-V საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური კავშირი ბიზანტიურ სამყაროსთან, ლოგიკური აუცილებლობით გულისხმობს, რომ ქრისტიანული რელიგიის ქვაკუთხედის – ახალი აღთქმის – ქართულ ენაზე გადმოღებისას ბერძნული ორიგინალი უნდა ყოფილიყო გამოყენებული“[63]. მკვლევარის ამ დასკვნას ამაგრებს ლიტერატურულ წყაროთა ჩვენება – „X-XI საუკუნეებში ბიბლიური წიგნების ძველმა ქართულმა რედაქციებმა საფუძვლიანი გადამუშავება განიცადეს ბერძნულ წყაროსთან მაქსიმალური დაახლოების მიზნით. ამ დროისათვის მწიგნობართა შეგნებაში ჯერ კიდევ ცოცხალია წარმოდგენა ბიბლიის ძველი ქართული თარგმანის ღირსებასა და წარმომავლობაზე“.[64] ასეთი ცნობა აქვს გიორგი მცირეს – „პირველითგანვე გუქონდეს წერილნცა და სარწმუნოებაჲ ჭეშმარიტი და მართალი“, მაგრამ ეს ცნობა XX საუკუნის ერთ მკვლევარს ლეგენდად მიუჩნევია. „არა, გიორგი მცირის ცნობა ლეგენდა კი არ არის, არამედ ისტორიული ვითარების ანარეკლი და ადრე არსებული ტრადიციული აზრის წერილობითი ფიქსაცია“.[65]

„გიორგი მცირე თვითონ კი არ თხზავს ამ ფაქტს, არამედ, არსებითად, ტრადიციულ აზრს იმეორებს. მასზე ადრე გიორგი მთწმიდელი არაერთგზის აღნიშნავს ბიბლიური წიგნების პირვანდელ თარგმანთა მაღალ ღირსებას, რაც, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, ბერძნულ წყაროსთან სიახლოვე-შესატყვისობას გულისხმობს (ამ დროისათვის თარგმანის ღირსების საზომად ბერძნულ წყაროსთან სიახლოვე ითვლება!). გიორგი მთაწმიდელი წერს: „ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნია და კეთილად“, ან კიდევ: „ეგევითარი თარგმანი, გარეშე მათ პირველთასა, არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა...“.[66]

„თუ კრიტიკულად შევაფასებთ გიორგი მცირის ცნობას... პოზიტიურ ფაქტად რჩება შემდეგი: 1) ქართველებს ქრისტიანობის მიღებისთანავე ჰქონიათ ძველ მთარგმნელთა მიერ გადმოღებული ბიბლიური წიგნები („პირველითგანვე გუქონდეს წერილნიცა“); 2) შემდგომ, რადგან საბერძნეთი ტერიტორიულად შორს იყო საქართველოსაგან, საქართველოში (თუ საქართველოს მეზობლად) მცხოვრებ სომხებს ქართველებისათვის „მიზეზითა წესიერებისაჲთა“, ე.ი. თარგმნის სისწორის დაცვის მოტივით, შეუთავაზებიათ ბიბლიური წიგნების სომხური თარგმანით სარგებლობა; 3) ამის შედეგად, ქართულ ენაზე სომხურიდან გადმოულიათ ზოგიერთი ბიბლიური

წიგნი... ბიბლიური წიგნის სომხურიდან მომდინარე ქართული თარგმანი ქრონოლოგიურად მეორეულ, მოგვიანო მოვლენად არის მიჩნეული".[67]

რა მიზეზის გამო მოხდა IV-V საუკუნეებში ბერძნულიდან შესრულებული თავდაპირველი თარგმანების შემდგომ საუკუნეებში შეჯერება სომხურ რედაქციებთან, ანუ რამ გამოიწვია ქართულ თარგმანებში სომხურენოვანი ელემენტების, არმენიზმების გაჩენა?

მკვლევარები ამ მოვლენას განიხილავენ არა გლობალური მასშტაბით, იმდროინდელი საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით, არამედ მიაჩნიათ საქართველოსა და საქართველოს შიგნით მომხდარი ეთნიკური ცვლილებების არეკვლად ლიტერატურაში, თითქოსდა ბერძნულიდან მომდინარე ძველქართული თარგმანების სომხურ რედაქციებთან შეჯერება მოხდა „სომხური წარმოშობის" ქართული წრეების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. „ძველი ქართული თარგმანის სომხურ წყაროსთან შეჯერება თუ სომხურიდან ხელახლა თარგმნა V-VI საუკუნეებისათვის უფრო საფიქრებელია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტაოს თემში, სადაც სომხური წარმოშობის მოსახლეობის ხვედრითი წონა დიდი იყო".[68]

როგორი დიდიც არ უნდა ყოფილიყო „სომხური წარმოშობის ქართული წრეების"(!) რაოდენობა და წონა ქართველ ერში, მათი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ერისა და სახელმწიფოსათვის განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ბიბლიურ წიგნებს ხელახლა არავინ თარგმნიდა. მეორეც, თუკი ასეთ წრეებს არ აკმაყოფილებდათ ძველი ქართული თარგმანები და სწუნობდნენ მათ, შეეძლოთ უფრო „სწორი თარგმანებით" დაკმაყოფილებულიყვნენ, რომელიც უკვე არსებობდა სომხურ ენაზე. მაგრამ ქართული ბიბლიური და საღვთისმეტყველო წიგნები სომხურ რედაქციებთან შეჯერდა და ხელახლა ითარგმნა არა ვიწრო ეთნიკური წრეების დაკმაყოფილებისათვის, არამედ სპარსეთის იმპერიის ნებით, მეორეც, ქართულ ეკლესიას სომხურიდან ხელახლა თარგმნა-შეჯერება დასჭირდა თავისი სპარსოფილობისა და ანტიბერძნულობის დასამტკიცებლად – შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო.

დაპყრობილ საქართველოში სპარსეთი ბერძნული ენის და ყოველივე ბერძნულის მიმართ გაატარებდა ისეთივე ღონისძიებებს, როგორიც რამდენიმე ხნის წინ სომხეთში. თუ როგორ იქცეოდნენ სპარსელები სომხეთში IV-V საუკუნეებში, აღწერილი აქვს მოვსეს ხორენაცს.

სპარსელები ისე იქცევიან, თითქოსდა ისინი სომეხთა იმდროინდელ სარწმუნოებას – ქრიატიანობას კი არ დევნიან, არამედ კრძალავენ მათი მტერი სახელმწიფოს ენასა და მწერლობას, ე.ი. ბერძნულ ენასა და ბერძნულ წიგნებს. სპარსელები წვავენ ბერძნულ წიგნებს, სადაც კი წააწყდებიან.

სპარსეთს თავის მიერ დაპყრობილ სომხეთში ბერძნული მწიგნობრობა აუკრძალავს და ნება დაურთავს სომხებისათვის ეხმარათ მღვდელმსახურებისათვის ასურული, ან სხვა არაბერძნული მწიგნობრობა.

„...ბერძნული წიგნების უქონლობის გამო საჰაკ დიდს ხელი მიუყვია ასურულიდან თარგმნისათვის. საქმე ისაა, რომ მეჰრუჟანმა დაწვა ბერძნული წიგნები

მთელს ჩვენს ქვეყანაში; ამასთანავე, სომხეთის დანაწილებისას, სპარსთა წილ სომხეთში სპარსელი მოხელეები არავის რთავდნენ ბერძნული მწიგნობრობის შეთვისების ნებას, მხოლოდ ასურულის შესწავლა შეიძლებოდა".[69] ამის შემდეგ საჰაკ დიდი და მესროპი ბიზანტიაში აგზავნიდნენ გამორჩეულ ახალგაზრდებს, რათა გაწაფულიყვნენ ბერძნულ მწიგნობრობაში და შედგომოდნენ სომხურ ენაზე თარგმნასა და წერას. მალე საჰაკ დიდი დააბეზღეს სპარსეთის იმპერატორთან „...ბერძენთადმი მიმხრობის გამო".[70] საჰაკ დიდს აპატიმრებენ, შემდეგ ათავისუფლებენ და აფიცებენ „დაიფიცე შენი რჯულის მიხედვით, რომ ერთგულად გვემსახურები ჩვენ, არ გაცდუნებს ბერძენთა ერთმორწმუნეობის სიცრუე და ფიქრად არ გაივლებ ამბოხებას".[71] ბიზანტიიდან დაბრუნებულ განსწავლულ ახალგაზრდებს დაპყრობილ სომხეთში დევნიან და ავიწროებენ ბერძნულად განსწავლულობის გამო. „საქმე ისაა, რომ მას შემდეგ, რაც დაეცა სომეხ მეფეთა ტახტი (428 წ.), სომხეთში სპარსთა ხელისუფლებამ თანდათან ფეხი მტკიცედ მოიკიდა. ბიზანტიის იმპერიისადმი დაპირისპირებული ირანის შაჰის კარი იმ ხანებში სომხეთში მხარს უჭერდა სირიული კულტურის გავლენის გავრცელებას ბერძნულის საწინააღმდეგოდ. სირიულ კულტურას სომხეთში ისედაც ღრმად ჰქონდა ფესვები გამდგარი და მთავრობის მფარველობის პირობებში მას კიდევ უფრო გაეშალა ფრთები. ამგვარ ვითარებაში ბერძნულ ცივილიზაციას ნაზიარები, მისი თაყვანისმცემელი მოაზროვნენი არამცთუ არავის უნდოდა, მათ დევნიდნენ, ავიწროებდნენ კიდეც", – წერს მკვლევარი ალ. აბდალაძე[72] მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიის" წინასიტყვაობაში.

როგორც სომეხ მეფეთა ტახტის დაცემის (428 წ.), ისევე ქართველ მეფეთა ტახტის დაცემის შემდგომ (523 წ.), სპარსეთის იმპერია დაპყრობილ ქვეყნებში ატარებს ერთი და იგივე ანტიბიზანტიურ-ანტიბერძნულ პოლიტიკას. როგორც სომხეთში განადგურდა და დაიწვა ბერძნული წიგნები, განიდევნა ბერძნულად განსწავლული მოაზროვნენი, იგივე მოხდებოდა საქართველოშიც. ქართული ბიბლიური და წმიდა წიგნები თარგმნილი იყო ბერძნული ენიდან. VI საუკუნის დასაწყისში სპარსეთის იმპერია და სომხეთის ეკლესია მოითხოვდნენ ყოველივე ბერძნულობის კვალის აღმოფხვრას ქართულ თარგმანებში. ამისათვის ქართულ თარგმანებს შეუდარებდნენ სომხურ თარგმანებს და „შეაწამებდნენ" მასთან, შეასწორებდნენ სომხური რედაქციების მიხედვით, ანდა ხელახლა თარგმნიდნენ სომხურიდან. იმ დროს სომხური ეკლესია სპარსთა დასაყრდენი ეკლესია იყო მთელ აღმოსავლეთში. ე.ი. მოხდებოდა იმის საპირისპირო რამ, რაც მოხდა XI საუკუნეში. XI საუკუნის დასაწყისში ბერძნებმა ქართველებს დასწამეს „მწვალებლობა" იმის გამო, რომ მათი წმიდა წერილი სომხურის მიხედვით იყო რედაქტირებული ანდა სომხურიდან თარგმნილი, ხოლო VI საუკუნის I ნახევარში ქართველებს დასწამეს „მწვალებლობა" იმის გამო, რომ მათი წმიდა წერილი ბერძნულიდან იყო თარგმნილი და არა სომხური და სირიული ენებიდან.

ამიტომაც, თუ გავითვალისწინებთ VI საუკუნის პოლიტიკურ ვითარებას, უნდა დავასკვნათ, რომ ბიბილიური წიგნების ძველქართული თარგმანების სომხურად

რედაქტირება მოხდა არა რომელიმე ეთნიკური ჯგუფის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საქართველოს რომელიმე კუთხეში, არამედ საერთოდ სპარსეთისაგან დაპყრობილ საქართველოში. 574 წლის აჯანყების შემდგომ აღმოსავლეთ საქართველოში ქალკედონიტებმა განიმტკიცეს თავიანთი მდგომარეობა, ხოლო „მე-6 საუკუნის დამლევისათვის კი მონოფიზიტები აქ საბოლოოდ დამარცხდნენ“ (საქ. ისტ., გვ. 71); გამოდის, რომ მონოფიზიტები საქართველოში ბატონობდნენ 506 წელს სომხეთის დედაქალაქ დვინში მოწვეული სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის ეკლესიების საერთო (506 წლის) კრების შემდგომ – 574 წლამდე.

თითქოსდა 70 წლის განმავლობაში ძნელი იქნებოდა მთელი ბიბლიისა და წმიდა წერილის ძველქართული თარგმანების სომხურის მიხედვით რედაქტირება, მაგრამ XI საუკუნის უფრო მცირე პერიოდში მთელი, უკვე არსებული ქართული თარგმანები გადამუშავდა ბერძნული რედაქციების მიხედვით არა ერთხელ, არამედ სამჯერ. XI საუკუნეში ქართულ წმიდა წერილს უახლოვებდნენ ბერძნულს, რათა ბერძნებს, ანუ ბიზანტიის იმპერიას ქართველთათვის „მწვალებლობა“ და „ბიწი“ არ დაეწამებინათ, ასევე VI საუკუნეშიც რამდენჯერმე გაუკეთებდნენ რედაქციას ქართულ თარგმანებს სომხურ თარგმანებთან დაახლოების მიზნით, რათა სპარსეთის დამპყრობელ იმპერიას და მის წიაღში არსებულ ოფიციალურ ქრისტიანულ ეკლესიას „მწვალებლობა“ და „ბიწი“ არ დაეწამებინა ქართული ეკლესიისათვის.

საფიქრებელია, რომ ძველქართული თარგმანების სომხურის მიხედვით რედაქტირება და სომხურიდან ინტენსიურად თარგმნა მიმდინარეობდა არა მარტო VI საუკუნეში, არამედ VII საუკუნეშიც და VIII საუკუნის დასაწყისშიც. საქმე ისაა, რომ, მართალია, 607-609 წლებში ქართული და სომხური ეკლესიები დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ ჰერაკლეს მიერ სპარსეთის სახელმწიფოს თითქმის განადგურების შემდგომ, ურთიერთდამოკიდებულება ამ ორ ეკლესიას შორის შეიცვალა. გამარჯვებულმა იმპერატორმა ჰერაკლემ სომხეთში მოიწვია სომხური ეკლესიის კრება, რომელმაც დაგმო მონოფიზიტობა და აღიარა ქალკედონური მრწამსი. მთელი VII საუკუნის განმავლობაში ვიდრე 723 წლამდე, მანასკერტის კრების მოწვევამდე, სომხური ეკლესია, ძირითადად, ქალკედონური აღმსარებლობისა იყო. ქალკედონიტური აღმსარებლობისა იყო ასევე ქართული ეკლესია. ორ მოძმე ქალკედონიტურ ეკლესიას შორის აუცილებლად იქნებოდა „ერთობა“ და, აქედან გამომდინარე, VII საუკუნეშიც ტრადიციულად გრძელდებოდა VI საუკუნეში დაწყებული ძველქართული თარგმანების სომხურის მიხედვით რედაქტირება და ინტენსიური თარგმნა სომხური ენიდან, მით უმეტეს, რომ ორივე ეს ქვეყანა არაბთა მიერ იყო დაპყრობილი და არაბებისათვის ყოველივე ბიზანტიური ისევე „დასაწუნი“ იქნებოდა, როგორც ადრე სპარსელებისათვის. ქართველები იძულებულნი იქნებოდნენ, ესარგებლათ ქართულთან შედარებით გაცილებით ღრმა და მდიდარი სომხური საღვთისმეტყველო, ისტორიული და ფილოსოფიური ლიტერატურით. ასე გაგრძელდებოდა ვიდრე 723 წლამდე, როცა სომხური და ქართული ეკლესიები საბოლოოდ დაშორდნენ ერთმანეთს, რადგანაც სომხურმა ეკლესიამ აშკარად და გადაჭრით აღიარა მონოფიზიტური მრწამსი. გრძელდებოდა თუ არა სომხურიდან თარგმნა IX-X საუკუნეებში?

გრძელდებოდა, რადგანაც უკვე არსებობდა თარგმნის თითქმის 250-წლიანი ტრადიცია. გარდა ამისა, მართალია, სომხურმა ეკლესიამ მიიღო მონოფიზიტური მრწამსი, მაგრამ სომხეთსა და დანარჩენ ქრისტიანულ მსოფლიოს შორის კედელი არ აღმართულა. ბიზანტიის პატრიარქები საკმაოდ თავაზიან წერილებს წერენ „ერთ-მორწმუნე“ ე.ი. ქრისტიან სომხეთის პატრიარქებს, მაგალითად – პატრიარქი ფოტი. სომხური ენიდან ქართულ ენაზე თარგმნა გაგრძელდებოდა იმ დრომდე, როცა ბიზანტიის ეკლესიამ „მწვალებლობა“ დასწამა ქართულ ეკლესიას სომხურ ეკლე-სიასთან ურთიერთობის გამო. ე.ი. სომხურიდან ქართულად თარგმნა შეწყდებოდა X საუკუნის II ნახევარში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველი თარგმანი მომდინარ-ეობდა სომხური ენიდან, პირიქით, ქართველებს უკვე VI საუკუნის II ნახევრიდან დაუწყიათ ბრძოლა სომხური საეკლესიო მორჩილებისაგან თავის დაღწევის მიზნით და წარმატებისთვისაც მიუღწევიათ იმავე საუკუნეში.

„არმენიზებული“ ქართული რედაქციების თითო ნუსხით მოღწევა ჩვენს დრომდე გასაკვირი არ არის. XI საუკუნის შემდგომ, როცა ეკლესიამ კანონიკურად მიიღო ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების სკოლიდან გამოსული „თარგმანები“, ძველი რედაქციები აღარ გამოიყენებოდა ეკლესიებში, აღარ გადაწერდნენ, აღარ უვლიდ-ნენ – უფრო მეტიც, უარყოფდნენ როგორც თითქმის „მწვალებლურს“, ამიტომაც ბუნებრივია, აღარც უნდა მოეღწია ჩვენს დრომდე.

ტაოს თემი, მართლაც, IV-VI საუკუნეებში სომხური პროვინცია გახდა, მაგრამ ეს არ გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ ადგილობრივმა ქართულმა მოსახლე-ობამ მთლიანად დაივიწყა თავისი ეროვნება და გასომხდა. პირიქით, შემდგომი VII-IX საუკუნეთა ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის გასაოცარი ლტოლვა ქართველო-ბისაკენ, მათ მიერ „ქართველთა სამეფოს“ შექმნა, მათ მიერ ფანატიკური სიყვარუ-ლი „ქართველობისადმი“, ამტკიცებს იმას, რომ IV-VI საუკუნეებში ტაოს მოსახლე-ობის დიდი წილი არათუ გასომხებულა, არამედ პირიქით, ყოველივე სომხური მათთვის არასასურველი გამხდარა და მასში გაღვიძებულა მიძინებული ქართული ეროვნული გრძნობები.

თარგმანთა შესახებ უნდა ითქვას, რომ მოსახლეობისათვის, მრევლისათვის მნიშ-ვნელობა არა აქვს, საიდან იქნება ნათარგმნი საეკლესიო წიგნები, მთავარი ისაა, რომ მათ მშობლიურ ენაზე ესმათ სახარება თუ სამოციქულო და ტექსტი გასაგები იყოს მათთვის. თვით მკვლევარებს, სპეციალისტებსაც უჭირთ გაარკვიონ და დაადგ-ინონ, რომელი ენიდანაა ნათარგმნი ტექსტები ქართულ ენაზე, მით უმეტეს, უბრალო მრევლისათვის. ამიტომაც, ტაოს ქართულენოვანი მრევლის „სომხური წარმოშობის ქართული წრეების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად“ წმიდა წერილის მაინცდ-ამაინც სომხურიდან თარგმნა რაღაც გაუგებარი ჩანს.

თუ მოსახლეობამ თავისი ეროვნება, სომხობა უარყო, მიიღო სულ სხვა – ქართუ-ლი ენა „ქალკედონიტური“ აღმსარებლობის გამო – როგორც ფიქრობს ზოგიერთი სპეციალისტი – რატომ უნდა მოეთხოვა ქალკედონიტ მრევლს მონოფიზიტურ სომხურ ეკლესიაში კანონიკურად მიჩნეული საეკლესიო წიგნების თარგმნა? გამო-დის, რომ ქალკედონიტებს კანონიკურად მიაჩნდათ მონოფიზიტურ ეკლესიაში მიღებუ-

ლი წმიდა წერილი, რაც შეუძლებელია. ამიტომაც, ძველქართული თარგმანების სომხურ წყაროსთან შეჯერება თუ სომხურიდან ხელახლა თარგმნა მოხდა არა ტაოს თემში „გაქართველებული“ სომხების დასაკმაყოფილებლად, არამედ მთლიანად ქართულ ეკლესიაში შექმნილი პოლიტიკური გარემოების გამო.

ქალკედონიტური პარტია ყოველთვის არსებობდა სომხურ ეკლესიაში. VII საუკუნეში და VIII საუკუნის დასაწყისში თვით სომეხი კათალიკოსები იყვნენ ქალკედონიტები. სომეხ-ქართველთა ცნობილი საეკლესიო კამათის დროს და შემდგომ 607-609 წლებში არსებობდა დამოუკიდებელი სომხური ქალკედონიტური ეკლესია, რომელსაც თავისი კათალიკოსი მართავდა – „ბერძენთა მხარეს დასვეს მოსეს საყდრის მოწინააღმდეგე ვინმე იოან-ორბუნებიანი... რომელიც აბრაამის ხელდასხმის შემდეგაც მოწინააღმდეგე დარჩა“.[73] IX საუკუნეშიც სომხური ეკლესიის შიგნით მწვავე ბრძოლა მიმდინარეობდა მონოფიზიტებსა და ქალკედონიტებს შორის.

ასე რომ, თუ რომელიმე სომეხი არ აღიარებდა მონოფიზიტურ ეკლესიას, მას შეეძლო ეროვნული ქალკედონიტური ეკლესიის წევრად გამოეცხადებინა თავისი თავი. ეროვნული სომხური ქალკედონიტური ეკლესიის ცენტრი მდებარეობდა ბიზანტიის იმპერიაში, ისტორიულ სომხეთში, ტაოსთან ახლოს, ხოლო ქართული ქალკედონიტური ეკლესიის ცენტრი ტაოსაგან ძლიერ დაშორებით მცხეთაში მდებარეობდა. ასეთ ვითარებაში არათუ ტაოს სომხები გახდებოდნენ ქართული ქალკედონიტური ეკლესიის წევრები, პირიქით, ტაოს ქართველები იქცეოდნენ სომხურ-ქალკედონიტური ეკლესიის წევრებად.

საერთოდ, არავითარი საჭიროება არ არსებობდა იმისა, რომ ქალკედონიტი სომხები ქართული ეკლესიის წევრები გამხდარიყვნენ, მათ თავიანთი ეროვნული ქალკედონიტური ეკლესია ჰქონდათ, საკმაოდ ძლიერი და ბიზანტიისაგან დაფინანსებული.

ტაოს პროვინციას აღმოსავლეთიდან სომხეთი ესაზღვრებოდა, დასავლეთიდან – ბიზანტიის იმპერია, რომელთა დაპყრობის ობიექტიც თითქმის მუდმივად იყო ის. ასეთ დროს სომხების გაქართველება ტაოში შეუძლებელი იყო. თუ ქალკედონიტობას აღიარებდნენ, იქვე იყო ბერძნულ-ქალკედონიტური ეკლესია, სომხურ ქალკედონიტურს რომ თავი დავანებოთ. მით უმეტეს, რომ ტაო თვით შედიოდა ბიზანტიის იმპერიაში VII-IX საუკუნეებში და სახელმწიფო ენა – ბერძნული ენა იქ, ალბათ, ყველამ იცოდა.

ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ იმის შემდეგ, რაც ტაო-კლარჯეთი მოექცა ბიზანტიის იმპერიაში და ამით გათავისუფლდა არაბთა პოლიტიკური და სომეხთა ეკლესიური ბატონობისაგან – ტაო-კლარჯეთის ქართველებში ხდება ეროვნული გრძნობების აფეთქება – ძველად სომეხ-სპარს-არაბთაგან დათრგუნვილი ქართველობის აღორძინება, ეროვნული გრძნობების გამოაშკარავება, რასაც შედეგად მოჰყვა იქ ქართული ენის, კულტურის აყვავება და ქართული ეროვნული სახელმწიფოს შექმნა, მაშინ, როცა არაბთაგან დაპყრობილი ქართლი და კახეთი ამ მხრივ უკან რჩებიან.

რადგანაც ქართული ბიბლია და საეკლესიო წიგნები ნარედაქტირევი, ან ნათარგმნი აღმოჩნდა სომხური შესაბამისი წიგნების მიხედვით, ცხადია, ქართულ ეკლესიას VIII საუკუნის შემდეგ აღარ დააკმაყოფილებდა ასეთი თარგმანები,

რადგანაც 726 წლის მანასკერტის კრების შემდეგ სომხური ეკლესია აშკარად მონოფიზიტური იყო. ქართულ ეკლესიას კი უკვე მონოფიზიტურად მიჩნეული სომხური წმიდა წერილის მიხედვით ნათარგმნი წიგნები აღარ დააკმაყოფილებდა. ამ მდგომარეობას უნდა გამოეწვია უცხოეთში, ბიზანტიის იმპერიაში მდებარე ქართული მონასტრების, განსაკუთრებით კი, საბაწმიდის მონასტრის ლიტერატურული მუშაობის გაცხოველება. საბაწმიდის მონასტრის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია იქნებოდა ქართული თარგმანების რედაქტირება ახლა უკვე ბერძნული რედაქციების მიხედვით. ამ დროს, როდესაც ძველი V-VI-VII საუკუნეთა ქართული თარგმანები (ე.ი. ბუნებრივია, ხანმეტი ტექსტები) უდარდებოდა იმდროინდელ ბერძნულ რედაქციებს, ახალი ქართული რედაქციის მიღების დროს რედაქტორებს ძველი ტექსტებიდან ახალ ტექსტებში ზედმეტი „ხან“-ები აღარ გადაჰქონდათ. ჩანს, ასე იქნა მიღებული „საბაწმიდური“ რედაქციები ბიბლიური ტექსტებისა. საბაწმიდაში მოღვაწეობენ გრიგოლ ხანძთელის მოწაფეები. საბაწმიდაში დაწერილი „სინური მრავალთავის“ „...შექმნა განუზრახავს და სისრულეში მოუყვანია მაკარი ლეთეთელს“. „რომ მაკარი ლეთეთელი გრიგოლ ხანძთელის მოწაფე უნდა იყოს, ეს აზრი პირველად ნ. მარსა აქვს გამოთქმული“.[74] გრიგოლ ხანძთელს კი ორიენტაცია აღებული ჰქონდა ბერძნულ ეკლესიაზე. ის თვითონ ჩავიდა და გაეცნო კონსტანტინოპოლში საეკლესიო ცხოვრებას, ხოლო იერუსალიმში მოწაფეები ჰყავდა და იქიდან საეკლესიო ბერძნულ ტიპიკონს იღებდა. საბაწმიდის, ისე როგორც სხვა უცხოურ თუ ქართულ მონასტრებში, ალბათ, გაცხოველებით ადარებდნენ ქართულ ტექსტებს ბერძნულს და ახდენდნენ ქართული ტექსტის გამართვას ბერძნულის მიხედვით. მიუხედავად ამისა, სომხურიდან ნათარგმნობის და რედაქტირების კვალის აღმოფხვრა ვერ შეძლეს, თუმცა ეს არც იქნებოდა საბოლოო მიზანი. მიზანი იქნებოდა ის, რომ ქართული თარგმანი დამთხვეოდა ბერძნულ რედაქციას (ჩანს, თუ ქართული და ბერძნული ტექსტები შინაარსობრივ-აზრობრივად იდენტური იქნებოდა, ძველ ქართულ ტექსტს ზედმეტი „ხან“-ების გამოკლებით გადაიტანდნენ ახალ რედაქციაში). რედაქტორების მიზანი იქნებოდა არა ძველი თარგმანების ლინგვისტურ-ფილოლოგიური კვლევა-ძიება, არამედ თარგმანთა ტექსტის გამართვა ბერძნულ რედაქციასთან შედარების გზით. შემდგომ კი, XI საუკუნეში, ქართული თარგმანები დიდი სიზუსტით დაუახლოვეს ბერძნულს, მიუხედავად ამისა, როგორც ქართველთა შორის, ისე ბერძენთა შორისაც ყოფილან საეკლესიო პირები „მაბრალობელნი“ და „მაყვედრებელნი“, რომლებიც სწუნობდნენ ქართულ თარგმანებს იმ მხრივ, რომ თითქოსდა არ იყვნენ იდენტურნი ბერძნულისა. „...მეცნიერნი ბერძნულისანი მაბრალობელ გუექმნებოდეს გამოუძიებლად დაწერისათჳს სიტყუათასა“.[75] იგულისხმება ბერძნულის მცოდნე ქართველები, მაგრამ ყოფილან აგრეთვე ქართულის მცოდნე ბერძნები – „მაყვედრებელნი“. „...ამას „გუაყუედრებდეს ბერძენნიო“. საქმე ისაა, რომ სხვადასხვა სიტყვა გრიგოლ ღვთისმეტყველისა, რომელიც ექვთიმეს თავის დროს, უნდა ვიფიქროთ, ცალ-ცალკე უთარგმნია, ვიღაცას მერე შეუერთებია, მექანიკურად გადაუბამს. ეს ბერძნებსაც კი შეუნიშნავთ და ქართველები გაუკიცხავთ ასეთი აღრევისათვის.

„მაბრალობლებისა“ და „მაყვედრებლების“ გამრავლება XI საუკუნის დასაწყისში გამოიწვია ბიზანტია-საქართველოს შორის ომმა, როცა ქართულ ეკლესიას ბრალად დასდეს არამართლმადიდებლობა – მწვალებლობა, რის საფუძველსაც ბერძნებს აძლევდა ის, რომ ქართული ეკლესია, მიუხედავად იმისა, რომ ქალკედონიტობის მტკიცე დამცველი იყო, მაინც განსხვავდებოდა ბიზანტიურ-ბერძნული ეკლესიისაგან თავისი ნაციონალურ-ქრისტიანული კულტურით. იმის შემდეგ, რაც ქართული ეკლესია ჩამოსცილდა სომხურ ეკლესიას, „...რომელთანაც მას აკავშირებდა ერთი და იგივე საეკლესიო წესები, ზნე-ჩვეულება და ტრადიციები“,[76] ქართველ ერს მიუჩნევია, რომ დენაციონალიზაციის საშინელი კატასტროფისაგან თავის დაღწევის გზა არის – „...საკუთარი ეკლესიის ფრთათა ქვეშე ნაციონალურ-ქრისტიანული კულტურის გაღვივება“,[77] რასაც შედეგად მოჰყოლია VIII-X საუკუნეებში ორიგინალური საეკლესიო წესების მძლავრი ზრდა-განვითარება: შემუშავებულა ნაციონალური აგიოგრაფია, „დაწესებულ იქნა წმიდა ქართული დღესასწაულები ეროვნული წმიდანებისა“.[78] ქართველებს საბერძნეთის პრაქტიკიდან მომდინარე მსოფლიო ეკლესიის დღესასწაულებისათვის „თავისი ეროვნული სული ჩაუბერიათ, რის გამოც შემდეგი დროის, XI საუკუნიდან, მწერლებს, რომელთაც მათი წარმოშობა უკვე ნათლად აღარ გაეგებოდათ, ქართულ დღესასწაულებად მოუნათლავთ. ასეთია, მაგალითად ჯვრის დღესასწაული აღდგომის მეორე დღეს, ... დღესასწაული წმიდა გიორგისა 10 ნოემბერს..., სატფურება იერუსალიმის ტაძრისა 13 სექტემბერს“[79] და სხვა. ამ დღესასწაულებს ამ რიცხვებში ბერძნები არ დღესასწაულობდნენ, რაც იწვევდა გაოცებას. არსებობდა საკუთარი ქართული „წესი და განგება სახარების საკითხავებისა“ ბერძნულისაგან განსხვავებული, არსებობდა ქართული სისტემა წელთაღრიცხვისა, ასევე განსხვავებული ბერძნულისაგან, მაგრამ ყველაზე მეტი თავისებურება და „ქართველობა“ ჩვენს წინაპრებს ამ ხანაში ლიტურგიკულ მწერლობაში გამოუჩენიათ... შეუთხზავთ ზატიკი. ამ არაჩვეულებრივს, ისტორიაში ერთადერთ მაგალითს, განსაკუთრებით თავი უჩენია X საუკუნეში...“[80] სწორედ ქართული ეკლესიის ნაციონალურ-ქრისტიანულმა ხასიათმა მისცა საბაბი ბერძნებს მწვალებლებად მოენათლათ ქართველები, რადგან ქართული ეკლესიის ლიტურგიკაც კი განსხვავებული ყოფილა ბერძნულისაგან. „ქართველები დადგომიან ღვთისმსახურების სრული გაეროვნების გზას, არა მარტო ენის მხრით, არამედ შინაარსითაც, მაგრამ შემდგომმა პერიოდმა ეს მიმართულება შეაყენა“.[81] ქართული ღვთისმსახურების სრულ გაეროვნებას წინ აღუდგა ბიზანტიის ეკლესია იმით, რომ ეროვნული ნიშან-თვისებები მწვალებლობად ჩაუთვალეს ქართულ ეკლესიას და მონოფიზიტ სომხურ ეკლესიასთან ძველი კავშირის დამადასტურებელ ნიშნად მიიჩნიეს. ქართული ეკლესიის მართლმადიდებლობის დამტკიცებას თავისი შრომა შეალიეს XI საუკუნის მოღვაწეებმა პრაქტიკული საქმიანობით – საეკლესიო წიგნების ბერძნულთან შედარება-შეწამება-დაახლოებით. ეს პრაქტიკა ქართულ ეკლესიაში მიღებული ყოფილა XI საუკუნემდე – VIII-X საუკუნეებში „...ბერძნულის მიხედვით ასწორებენ ძველ თარგმანებს, რომელნიც სომხური ენიდან მომდინარეობდნენ. ასეთი შედარება-შესწორების გზით წარმოიშვა „ახალი თარგმანი“. ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს პროფ. აკ. შანიძის მიერ აღწერილი წვირიმის (სვანეთშია) X საუკუნის იადგარი“.[82]

იმისათვის, რათა მოესპოთ ბერძნებისათვის საბაბი ქართველთა მწვალებლებად გამოცხადებისა, ექვთიმე, გიორგი მთაწმიდელები და მათი სკოლა ასრულებს შემდეგი სახის სამუშაოს „...ბიბლიის მანამდე არსებულ ქართულ თარგმანებს მაქსიმალურად უახლოებენ ბერძნულ წყაროს, რომ „ბიწი რამე“ არ დასწამონ მათ. სულ რაღაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ბიბლიური წიგნების ძველმა ქართულმა თარგმანმა სამჯერ განიცადა საფუძვლიანი გადამუშავება და ქართული ტექსტის ბერძნულთან დაახლოება აღმავალი ხაზით წარიმართა (გიორგი მთაწმიდელი, ეფრემ მცირე, პეტრიწი, იყალთოელი)... ასეთ მუშაობას თავიდან მხოლოდ წმინდა ლიტერატურული ინტერესები კი არ განსაზღვრავდა, არამედ უფრო მწვავე პოლიტიკურ-კულტურული გარემოც... ეს იყო იძულებითი ღონისძიება ქართული კულტურის კერების თვითმყოფობის შესანარჩუნებლად დიდმპყრობელური ბერძნების მიმძლავრების ჟამს... V-XI საუკუნეებში ქართულ ენაში არ მომხდარა ისეთი დიდი მასშტაბის ცვილებები, რომ ამის გამო XI საუკუნეში აუცილებელი ყოფილიყო ძველ ქართულ თარგმანთა რედაქციული გადამუშავება და ენობრივი მოდერნიზაცია... მიზანი იყო არა ძველი ტექსტების ენობრივი მოდერნიზაცია, არამედ მაქსიმალური დაახლოება ბერძნულ წყაროსთან“.[83]

აღმოჩნდა, რომ გიორგი მთაწმიდელი არის ბიბლიური წიგნების არა მთარგმნელი, ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით, არამედ რედაქტორი, რომელიც ძველ ქართულ თარგმანებს, ბერძენთაგან დაწუნებულს, – ასწორებს იმდროინდელი ბერძნული რედაქციების მიხედვით. „გიორგი რომ ბიბლიურ წიგნებს ხელახლა არ თარგმნის, ეს ფაქტია, რომელსაც მხოლოდ დანახვა უნდა და არა მტკიცება... გიორგის რედაქციული კალამი არსებითად შეეხო ძველი რედაქციების არა გრამატიკულ, არამედ შინაარსობრივ-სტილისტურ მხარეს“.[84] „გიორგის რედაქტორული მუშაობის მიზანია, რომ ძველი ქართული რედაქციის ტექსტი უფრო დაუახლოვოს ბერძნულ წყაროს“.[85] „...ეფრემ მცირე კი გიორგის ნარედაქციევ ქართულ თარგმანს კიდევ უფრო აახლოებს ბერძნულ წყაროსთან არა მარტო შინაარსის, არამედ სტრუქტურის, სტილის თვალსაზრისითაც“,[86] „...რათა ქართული თარგმანი მაქსიმალურად შეესატყვისებოდეს ბერძნულ წყაროს აზრობრივადაც და ენობრივადაც“,[87] „მაგრამ ეს ხდება ... ქართული ენის ბუნების საწინააღმდეგოდ“.[88]

ასეთ უკიდურესობამდე ქართველი მთარგმნელ-რედაქტორების მიყვანა გამოიწვიეს „მაბრალობლებმა“ და „მაყვედრებლებმა“ თავიანთი ცილისწამებით, თითქოსდა ქართულ თარგმანებს რაღაცა მონოფიზიტური „ბიწი“ გააჩნდა. ქართველმა მთარგმნელ-რედაქტორებმა მოსპეს საბაბი ქართული ეკლესიის მწვალებელთა ეკლესიად გამოცხადებისა და ამით უდიდესი საქმე შეასრულეს ქართული ეკლესის ავტოკეფალია-თავისთავადობის საქმეში.

„ქართლის ცხოვრების“ არმენოფილური რედაქცია

ჩვენში, ძველს დროს, სომხურიდან უთარგმნიათ ან სომხურის მიხედვით ურედაქტირებიათ არა მარტო წმიდა წერილის ერთი ნაწილი, არამედ ზოგიერთი საერო წიგნიც. გიორგი მცირე წერდა: მართალია, ჩვენ ძველთაგანვე გვქონდა წმიდა

წერილის შესანიშნავი ქართული თარგმანი, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო სომხებმა შეძლეს ჩვენს წინაპრებს სომხურის მიხედვით ხელახლა „ეთარგმნათ“, ერედაქტირებინათ იგიო. ასევე ითქმის ზოგიერთ ძველქართულ საერო წიგნზე. ცნობილია, რომ „ქართლის ცხოვრების“ შესავალი („ამბავი რვათა ძმათა“) და საერთოდ, „მეფეთა ცხოვრება“ არმენოფილური ტენდენციების მატარებელია და ძველი სომხური ტრადიციის გავლენით არის დაწერილი.[89] ეს მიუთითებს იმაზე, რომ ძველი ქართული საისტორიო თხზულებანი გარკვეულ დროს, გარკვეული მიზეზის შედეგად რედაქტირებულ იქნა არმენოფილების მიერ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი არმენოფილური თვალსაზრისით რედაქტირებულ იქნა სწორედ იმ დროს, როცა სომხურის მიხედვით არედაქტირებდნენ ქართულ წმიდა წერილს. სომხურის მიხედვით რედაქტირება, ეს იყო საქართველოსთვის გლობალური პროცესი, რომელიც მოიცავდა არა მარტო საეკლესიო წიგნებს, არამედ, ჩანს, საეროსაც.

გიორგი მცირე წერს – „დაღაცათუ პირველთაგანვე გვქონდეს წერილნიცა და სარწმუნოება ჭეშმარიტი და მართალი, გარნა ქვეყანა ჩვენი შორს იყო ქვეყნისაგან საბერძნეთისა. და ვითარცა თესლნი არაწმიდანი შორის ჩვენსა დათესულ იყვნენ ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი, გულარძნილნი და მანქანანი, და ამის მიერ ფრიად გვევნებოდა, რამეთუ ნათესავი ჩვენი წრფელი იყო და უმანკო, ხოლო იგინი რეცა მიზეზითა წესიერებისათა, რეცა ცდუნებად გვაზმნობდეს, და რომელნიმე წიგნიცა გვქონდეს მათგან თარგმნილნი“.[90]

ცნობილია, რომ იმის შემდეგ, რაც VIII საუკუნის 20-იან წლებში სომხურმა ეკლესიამ საბოლოოდ მიიღო მონოფიზიტური მრწამსი, ქართული ეკლესია სრულიად გაემიჯნა ამ ეკლესიას. სომხურმა ეკლესიამაც თავის მხრივ კავშირი გაწყვიტა ბიზანტიასთან და საერთოდ, ქალკედონიტურ სამყაროსთან. წიგნები, რომელთა შესახებაც წერს გიორგი მცირე, შეიძლებოდა ძირითადად თარგმნილ-რედაქტირებულიყო VIII საუკუნემდე. გიორგი მცირე წერს, რომ ამ დრომდე „პირველთაგანვე“ არსებული ქართულად თარგმნილი წიგნები, „ჭეშმარიტი და მართალი“ იყოო. ჩვენში ქრისტიანობა, როგორც საერთო-სახალხო სარწმუნოება, დამკვიდრდა IV საუკუნიდან. ამიტომაც უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ დროიდან უკვე დაიწყებოდა კიდეც ქართულ ენაზე წმიდა წერილის თარგმნა. ამიტომაც „პირველთაგანნი“ წიგნები ქართულ ენაზე IV-V საუკუნეებში ბერძნულიდან უნდა თარგმნილიყო და შექმნილიყო წმიდა წერილის ქართული რედაქცია. სწორედ ამის შემდეგ იწყება ის პროცესი, რომელსაც აღშფოთებით აღწერს გიორგი მცირე. იწყება „პირველთაგანი“ წიგნების რედაქტირება სომხური რედაქციების მიხედვით. თუ ამ მოვლენის ქვედა ზღვრად მივიჩნევთ V საუკუნეს, ხოლო ზედად VIII-ს, მაშინ სომხურის მიხედვით ქართული წიგნების „თარგმნა“-რედაქტირება მიმდინარეობდა VI-VII საუკუნეებში.

მართლაც, VI საუკუნე ტრაგიკული იყო ქართველი ხალხისათვის. ამ დროს დაიშალა და გაუქმდა ფარნავაზის მიერ დაარსებული თითქმის ათასწლოვანი ქართული სახელმწიფო, სპარსელებმა ქვეყანა დაიპყრეს. ქართული ეკლესიაც, როგორც ელინოფილური ეკლესია, დევნილი იყო სპარსთა მიერ. სამაგიეროდ კი, როგორც ცნობილია, სომხურ ეკლესიას ძალიან მოწყალე თვალით უყურებდნენ

სპარსეთის შაჰები და შემდეგ არაბები. მათ ის მიაჩნდათ ბერძნული ეკლესიის საწინააღმდეგო რეალურ ძალად. ამიტომაც, სომხურ ეკლესიას აბატონებდნენ სპარსეთის იმპერიაში მოქცეულ ამიერკავკასიელ ქრისტიანებზე. ქართული და ალბანური ეკლესიები VI საუკუნის დასაწყისში სომხური ეკლესიის გავლენის სფეროში მოექცნენ. ამ დროს იწყება სწორედ ქართული წმიდა წერილის ხელახალი რედაქტირება სომხურის მიხედვით – „მიზეზისათა წესიერებისათა“. ამ პროცესის მიზანი იქნებოდა ელინოფილური თხზულებები ქცეულიყო სომხოფილურ თხზულებებად. საბოლოო მიზანი კი იყო – ქართველებს ბიზანტიის მაგიერ ორიენტაცია აეღოთ სპარსეთზე. ასეთივე მდგომარეობა გაგრძელდებოდა VII საუკუნეშიც. მართალია, VI საუკუნის ბოლოს საქართველო კვლავ გაერთიანდა და სახელმწიფოებრიობა აღსდგა, მაგრამ ერეკლე კეისარმა შეაფერხა მისი გაძლიერება. სპარსთა დამარცხების შემდეგ, ერეკლემ „უნია“ შეკრა სომხურ ეკლესიასთან და ის კვლავ გააბატონა. ერეკლე და საერთოდ ბიზანტია, დიდი მოწიწებითა და რიდით ეპყრობოდნენ სომხურ ეკლესიას VII საუკუნეში. ამიტომაც VII საუკუნეშიც ქართული წიგნების სომხურის მიხედვით რედაქტირებას ვერაფერი დააბრკოლებდა (ჩვენ ამის შესახებ ვწერდით სხვადასხვა თავებში).

სწორედ ამ დროს VI-IX საუკუნეებში სპარსთა და არაბთა ბატონობის დროს უნდა „თარგმნილიყო“, ანუ რაც იგივეა რედაქტირებულიყო (ძველ ქართულად „თარგმნა“ რედაქტირებასაც აღნიშნავდა), უკვე არსებული ქართული საისტორიო თხზულებანი, კერძოდ კი, „ქართლის ცხოვრების“ შესავალი, „ამბავი ქართველთა მეფეთანი“. მართლაც, „მეფეთა ამბავი“ და „ქართლის ცხოვრების“ შესავალი ისეთი არმენოფილური ტენდენციებით არის გაჟღენთილი, რომ შეუძლებელია აღნიშნული საუკუნეების გარდა ჩვენში ოდესმე შექმნილიყო პირობები მსგავსი ქმედებისათვის, გარდა XVII-XVIII საუკუნეებისა.

ისინი, რომელნიც არედაქტირებდნენ ძველ წიგნებს, მართლაც რომ „გულარძნილნი და მანქანანი“ ყოფილან. ეს კარგად ჩანს „ქართლის ცხოვრების“ შესავლიდან. აქ სხვადასხვა ხერხებით („მანქანებით“) დამცრობილია ყოველივე ქართული. საზოგადოდ მიჩნეულია, რომ ამ ნაწილის ავტორი არის ლეონტი მროველი, რაც ასე არ უნდა იყოს. ქართული ეროვნული თავმოყვარეობის შემლახველი თხზულება ქართული სახელმწიფოს დამხობისა და საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში უცხოელთა ბატონობის დროს უნდა შექმნილიყო, ხოლო შემდეგ დროს ის, როგორც ჭეშმარიტება („ძველი ამბავი“), გაიმეორეს სხვა ავტორებმა.

„ქართლის ცხოვრების“ ამ რედაქციების მიხედვით ქართველები არიან ყველა ერზე უბოროტესნი, უწმინდური ზნისანი საძაგელი ცხოვრებით მცხოვრებნი, მკვდრის გვამის მჭამელნი, ამიტომაც უსაფლავონი, ნათესავთა არმცნობნი. მართალია, თითქოსდა ქართველები ასეთნი იყვნენ ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში შემოსვლამდე, მაგრამ ამის შემდეგაც მაინც ჭამდნენ იმ კაცის გვამს, რომელსაც კერპებს მსხვერპლად სწირავდნენ.

ამ თხზულების თანახმად, ზემოთ აღნიშნულის გარდა, ქართველები სამხედრო ძალითაც ისე ძლიერები არ არიან, როგორც მეზობელი სომეხი ხალხი. ამ ხალხის გავლენის ქვეშ არიან და აღიარებენ კიდეც იმ ხალხს უზენაესად.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ „ქართლის ცხოვრების“ შესავალში ქართული ენაც დამცრობილია. ეს ენა თითქოსდა ახალი ენაა, არა ბაბილონის გოდოლის დანგრევის დროს ღვთის მიერ შექმნილი, როდესაც ბიბლიის თანახმად შეიქმნა საზოგადოდ ყველა ენა, არამედ თითქოსდა ქართული ენა შექმნილია ექვსი სხვადასხვა ხალხის ენების სტიქიური აღრევის შედეგად, მათ შორის სომეხი ხალხის ენის მეოხებითაც.

და ეს ყოველივე საუკუნეთა მანძილზე მეორდებოდა ქართველთა მთავარ საისტორიო წიგნში. ეს გასაოცარი მოვლენა, მართლაც, იმით შეიძლება აიხსნას, რომ „ნათესავი ჩვენი წრფელი იყო და უმანკო“ – როგორც გიორგი მცირე წერდა. აღნიშნული კონცეფცია სრულებით განსხვავდებოდა სხვებისაგან, მაგალითად, თვით მაცხოვარი ქართველ ერს „საზეპურო“, ღვთისაგან რჩეულს უწოდებდა „წმიდა ანდრიას ცხოვრების“ თანახმად. ამიტომაც ასეთი ურთიერთგამომრიცხველი კონცეფციები სხვადასხვა წყაროებიდან მომდინარეობს და არ აიხსნება იმით, თითქოსდა აღნიშნული დამამცირებელი სიყალბე შეიქმნა ქრისტიანობის როლის გაზრდის მიზნით. ქართველები, „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ქართლოსის შთამომავლები არიან, რომელთა შესახებაც თავის თხზულებაში წერს ლეონტი მროველი: – „აქამომდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელთა ზრახვიდეს ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხვნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა დაუტევეს ენა სომხური. და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული“.

„...და იპყრეს სჯული უბოროტესი ყოველთა ნათესავთაცა, რამეთუ ცოლ-ქმრობისათვის არა უჩნდათ ნათესაობა და ყოველსა სულიერსა ჭამდეს, საფლავი არა იყო, მკუდარსა შესჭამდეს“.[91] და შემდეგ „...იყვნენ ქართლს ესრეთ აღრეულ ესე ყოველნი ნათესავნი და იზრახებოდა ქართლსა შინა ექვსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა“.[92]

საინტერესოა, რომ სულ რამდენიმე სტრიქონის შემდეგ კვლავ მეორდება ზემოთ მოყვანილი თვალსაზრისი ალექსანდრე მაკედონელთან დაკავშირებით: „ამან ალექსანდრე დაიპყრნა ყოველნი კიდენი ქვეყნისანი... მოვიდა ქართლად და პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა, რამეთუ ცოლ-ქმრობისა და სიძვისათვის არა უნდა ნათესაობა, ყოველსა სულიერსა ჭამდეს, მკვდარსა შესჭამდეს, ვითარცა მხეცნი და პირუტყვნი, რომელთა ქცევისა წარმოთქმა უხმ არს“.[93]

ალექსანდრე მაკედონელის წასვლის შემდეგ ქართველებს ოდნავ შეუცვლიათ თავისი ჩვევა – „და რადგან წარვიდა ალექსანდრე, არღარა ჭამდეს კაცსა თვინიერ რომელ შესწირიან კერპსა მსხვერპლად“.[94]

შეიძლებოდა ზემოთ მოყვანილი ეროვნული თავმოყვარეობის შემლახველი ცნობები ქართველთა თვითკრიტიკადაც მიგვეჩნია და რაიმე გამამართლებელი მიზეზი მოგვეძებნა, აქვე, ამ ცნობების გვერდით რომ არ იყოს გასაოცარი ქება ყოველივე სომხურისა.

„ლეონტი მროველის“ თხზულების აღნიშნული ნაწილი მთლიანად გაჟღენთილია იდეით, რომ სომხები უპირატესნი არიან ქართველებზე, რადგანაც სომეხთა წინა-

პარი უფროსობდა არა მარტო ქართველებს, არამედ საერთოდ კავკასიელთა წინაპრებზედაც. თარგამოსის რვა ვაჟიშვილს (გმირებს) შორის ჰაოსი უფროსი იყო: „შვიდთავე გმირთა ზედა იყო გამგებელ და უფალ ჰაოს და ესენი იყვნენ მორჩილ ჰაოსისა“.[95]

სომეხთა წინაპარი ისეთი ძლიერი „დევგმირია“, რომ ის ამარცხებს „ყოველი ქვეყნის პირველ მეფეს“ – ნებროთს.

ნებროთის დამარცხების შემდეგ ჰაოსი გამეფდა ქართველთა წინაპარზე და სხვა კავკასიელებზე – „მაშინ ჰაოს ჰყო თავი თვისი მეფედ ძმათა თვისთა ზედა და სხვათაცა ნათესავთა ზედა, მახლობელად საზღვართა მისთასა“.[96]

ამ თხზულებაში, როგორც ვთქვით, დაკნინებულია საქართველოს ისტორია, კერძოდ, ქართველები ჯერ სომხებს ემორჩილებიან, შემდეგ ხაზარებსა და სპარსელებს, შემდეგ კვლავ სომხებს, ხოლო ჰაოსი ისეთი გმირია, რომლის მსგავსი არც წარღვნამდე და არც მის შემდეგ არ არსებულა. – „ხოლო ჰაოს უმეტეს გმირი იყო ყოველთასა, რამეთუ ეგევითარი არაოდეს ყოფილ იყო არცა წყლის-რღვნის წინათ და არცა შემდგომად ტანითა, ძალითა და სიმხნითა“.[97]

ფარნავაზ მეფის შემდეგ მირიანის გამეფებამდე, ამ თხზულების თანახმად, საქართველო სომეხი მეფეების ხელთაა – თითქმის 600-700 წლის განმავლობაში, ამის შესახებ ა. ბოგვერაძე წერს – „ამის შემდეგ თარგამოსიანების, კერძოდ, ქართველებისა და სომხების ცხოვრება თავთავისი გზით წარიმართა. ქართლოსიანები ჯერ ხაზარების მორჩილებაში არიან, მერე სპარსელებისა“.

„ფარნავაზის შემდეგ, რომელმაც შექმნა ქართველთა სამეფო და „მსახურებდა ანტიოქოსს, მეფესა ასურისტანისასა“, სამხედრო-პოლიტიკური უპირატესობა, ლეონტის მიხედვით, ამიერკავკასიაში მთლიანად სომეხი მეფეების ხელთაა, რომლებსაც მორჩილებდნენ ქართველთა მეფეები და ქართველები. ასე გაგრძელდა ქართლში მირიანის გამეფებამდე. მაეჟან ქართლის სპასპეტი სპარსთა მიერ სომხეთის მოოხრების შემდეგ ამბობს: „წარღებულ არს სომხეთი, რომელსა ეკიდა სამეფო ჩუენი“.

„ლეონტი აღარ ასახელებს იმის მიზეზს, თუ რამ განაპირობა სომეხთა უპირატესობა ქართლოსიანებზე, მაგრამ საეჭვო არაა, რომ მისი აზრით, ამას ჰქონდა ის ისტორიულ-გენეტიკური საფუძველი, რომლის ძალითაც ჰაოსი თავის ძმებზე ჯერ „იყო გამგებელ და უფალ“ და მერე „მეფე“.[98]

„ლეონტი მროველს“ ქართველ მეფეთა ცხოვრების აღწერის დროს უხვად გამოუყენებია სომხური მასალები, თქმულებები და ლეგენდები, ვრცლად საუბრობს სომხური ენის განსაკუთრებულ როლზე მაშინ, როცა ქართული ენა, როგორც ითქვა, დაკნინებულია.

ა. აბდალაძე წერს – „ცხოვრება ქართველთა მეფეთას“ არმენოფილური ტენდენცია იმითაც უნდა აიხსნას, რომ ლეონტი მროველს, გარკვეული მიზეზების გამო, მის წინაშე დასახული მიზნის განსახორციელებლად უხვად გამოუყენებია სომხური მასალები, სომხური თქმულებები, ლეგენდები“.[99]

„ლეონტი საკმაოდ ვრცლად საუბრობს სომხების ძლიერებაზე, მის დიდ წარსულზე, სომხური ენის განსაკუთრებულ როლზე...“[100]

ცნობილია, რომ I-II საუკუნეებში საქართველო ამიერკავკასიაში უძლიერესი სახელმწიფო იყო და მასთან რომის იმპერიაც კი მეგობრობდა. ქართველთა ჯარს ეჭირა სომხეთი და სომხეთის სამეფო ტახტზეც არც თუ იშვიათად ქართველი მეფეები ისხდნენ. მიუხედავად ამისა, „ლეონტი მროველს“ ამ დროსაც კი საქართველო სომხეთზე დამოკიდებულ ქვეყანად ჰყავს გამოყვანილი. I საუკუნის 30-50-იან წლებთან დაკავშირებით, გ. მელიქიშვილი წერს – „აშკარაა, რომ „ქართლის ცხოვრების“ მონათხრობს ამ ლაშქრობის შესახებ სომხური ტრადიცია უდევს საფუძვლად. ამაზე მიუთითებს აშკარა არმენოფილური ტენდენცია, რომელიც მონათხრობს წითელ ზოლად გასდევს... „ქართლის ცხოვრებაც“ I საუკუნის 70-80-იანი წლების ამბების გადმოცემისას, როგორც ვთქვით, აგრეთვე სომხურ ტრადიციას ეყრდნობა.[101]

გ. მელიქიშვილი წერს, I საუკუნის მიწურულს „ქართამის მეფობის აღწერისას ქართული წყაროები კვლავ ძველი სომხური ტრადიციიდან მოდიან...“[102]

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, „ქართლის ცხოვრების“ I ნაწილს ახასიათებს ორი მთავარი ტენდენცია:

1. ქართველთა ეროვნული თავმოყვარეობის შელახვა;
2. მკვეთრად გამოხატული და გადაჭარბებული არმენოფილობა.

ამ თხზულების არმენოფილური ტენდენცია ამჟამადაც კი უხერხულობას იწვევს. მაგალითად, გ. პეჩს გერმანულად უთარგმნია „ქართლის ცხოვრება“ თავისი არმენოფილური ცნობებითა და ადგილებით, რასაც შეუძლია უცხოელებს მცდარი წარმოდგენა შეუქმნას ჩვენს ისტორიაზეო, – წერს ალ. აბდალაძე: – „რახანია მკვლევარნი მსჯელობენ, კამათობენ „ქართლის ცხოვრების“ შემადგენელი ერთერთი თხზულების, „ცხოვრება ქართველთა მეფეთას“ არმენოფილური ტენდენციის მიზეზების შესახებ, მაგრამ მიღებული შედეგები, როგორც ჩანს, სამეცნიერო წრეებს არ აკმაყოფილებს. ამის დასტურად შეიძლება მოვიხმოთ ახლახან გამოქვეყნებული „ქართლის ცხოვრების“ გ. პეჩისეული გერმანული თარგმანიც, რაც თავისთავად ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს. გ. პეჩისვე მიერ თარგმანისადმი დართულ წინასიტყვაობასა და შენიშვნებში „ცხოვრება ქართველთა მეფეთას“ არმენოფილური ტენდენციების კვალდაკვალ არაფერია ნათქვამი. კომენტარების გარეშეა გადათარგმნილი ქართული ტექსტის სათანადო, არმენოფილური ტენდენციის ამსახველი ცნობები თუ ადგილები. ამ საკითხზე არსებული არც სამეცნიერო ლიტერატურაა მითითებული, ამით კი საქმეში ჩაუხედავ უცხოელ მკითხველს, შესაძლოა, მცდარი წარმოდგენა შეექმნას ჩვენს უძველეს ისტორიაზე“.[103]

აღსანიშნავია, რომ ჩვენი მკვლევარები, მართალია, დიდი ხანია იკვლევენ აღნიშნული თხზულების როგორც არმენოფილურ, ისე ქართველთა ეროვნული თავმოყვარეობის შემლახველ ტენდენციებს, მაგრამ იკვლევენ არა ორივე ტენდენციას ერთად – მთლიანობაში, არამედ ცალ-ცალკე, მაგალითად, როცა არმენოფილურ ტენდენციებს იკვლევენ, საერთოდ გვერდს უქცევენ და არ ეხებიან ქართველთა დამამცირებელ ცნობებს, ხოლო როცა ქართველთა დამამცირებელ ტენდენციებს იკვლევენ, არმენოფილურ ცნობებს არ განიხილავენ. ასეთი მიდგომა ხელს არ უწყობს ჭეშმარიტების დადგენას იმ მიზეზის გამო, რომ რადგანაც „ქართლის

ცხოვრების“ აღნიშნული თხზულება არის ერთი მთლიანი ნაშრომი, ამიტომაც მთლიანობაში და ურთიერთკავშირში უნდა იქნას განხილული მასში არსებული ყველა ტენდენცია. ეს თხზულება ქრონიკების უბრალო კრებული რომ იყოს ერთიანი რედაქციის გარეშე, მაშინ, ცხადია, ცალ-ცალკე შეიძლებოდა ყოველი ტენდენციის განხილვა, მაგრამ რადგანაც აღიარებულია, რომ ეს თხზულება არის ერთი ავტორის, ან ყოველ შეთხვევაში ერთი რედაქტორის მიერ დამუშავებული, მისი კვლევაც ერთიანი უნდა იყოს.

ამ თხზულების (იგულისხმება „ქართლის ცხოვრების“ შესავალი) ავტორი (თუ რედაქტორი) შემთხვევით სრულებით არ ლახავს ქართულ ეროვნულ თავმოყვარეობას და განადიდებს ყოველივე სომხურს. ეს არის ავტორ-რედაქტორის წინასწარ-დასახული გეზი, რომელიც მტკიცედ მიისწრაფის ერთი გარკვეული მიზნისაკენ.

წინა თავებში ვწერდით, რომ ქართველების არმენიზაცია VI-VII საუკუნეებში მიმდინარეობდა არა მარტო მესხეთში, არამედ ქვემო ქართლშიც (გუგარქში); ეს პროცესი მიმდინარეობდა ჰერეთშიც. იქ მცხოვრები ქართული მოსახლეობა იქცა სომხური ეკლესიის მრევლად, რის გამოც, მათ ეკლესიებში შეწყვეტილი იყო ქართულენოვანი მსახურება და დანერგილი იყო სომხურენოვანი. ქართული ენა განდევნილ იქნა საეკლესიო მსახურებიდან. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეკლესია ძველ დროს მოიცავდა კულტურის ყველა სფეროს, ცხადია, ქართული ენის ხმარებიდან განდევნა ქართული მოსახლეობის გულისწყრომას გამოიწვევდა. სწორედ ამ დროს, ქართველთა წინააღმდეგობის დაცხრომის მიზნით, ალბათ, შემუშავდა კიდეც შესაბამის წრეებში ქართული ენის დამამცირებელი თეორია (რომელიც გადმოტანილია „ქართლის ცხოვრების“ შესავალში) და გავრცელდა.

მაგალითად, კერძოდ, აქ ენის შესახებ ნათქვამია, რომ ქართველების ენა თავდაპირველად არა ქართული, არამედ სომხური ენა იყო. ქართველებმა იმის შემდეგ დაანებეს თავი სომხურ ენაზე ლაპარაკს, რაც შემუშავდა ქართული ენა. ქართული ენა, ამ თეორიის თანახმად, ასე შექმნილა – საქართველოში ცხოვრობდნენ ქართველები (სომხური სალაპარაკო ენით), ბერძნები, სომხები, ებრაელები, ხაზარები, ასურელები და სხვები. შემდეგ ამ ხალხების ენათა აღრევის შედეგად შეიქმნა ქართული ენა. ქართული ენის შექმნის შემდეგ ქართველებმა მიატოვეს სომხურ ენაზე ლაპარაკი და დაიწყეს ქართული: „აქამომდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვდეს, ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხვნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა დაუტევეს ენა სომხური და ამით ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული“.[104] ქართული ენის შექმნის შემდეგაც უცხო ხალხები საქართველოში ცხოვრებას განაგრძობდნენ.

ძველად ყოველმა უბრალო, რიგითმა ქრისტიანმაც კი იცოდა, რომ ყოველი ენა შექმნილია ღვთის მიერ, ბაბილონის გოდოლის დანგრევისას. ზემოთ მოყვანილი ქართული ენის ღირსების დამამცირებელი თეორიის გავრცელების შემდეგ, ქართველებს არწმუნებდნენ, რომ ქართული ენა ღვთის მიერ კი არ არის შექმნილი, არამედ ეს ენა არის სხვადასხვა ენათა სტიქიური აღრევის შედეგად ახალშექმნილი ენა, ხოლო ამ ენის შექმნამდე ქართველები ღვთისაგან შექმნილ სომხურ ენაზე მეტყველებდნენ.

სწორედ ეს წერია „ქართლის ცხოვრების“ შესავალში.

ამ თეორიის გავრცელების დროს არ შეიძლებოდა არ გამოჩენილიყო საპირისპირო თეორია და მართლაც, ქართული ეკლესია გავლენის სფეროებისათვის ენათა ჭიდილში აქტიურად მონაწილეობდა. ამას მიუთითებს არსებობა თეორიისა, რომელსაც ეწოდება „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“. ამ თეორიის თანახმად, ქართული ენა არათუ ღვთის მიერ არის შექმნილი, არამედ ქართული ენა საღმრთო ენაა, რომელზედაც ისაუბრებს და რომლითაც განიკითხავს იესო ქრისტე მეორედ მოსვლის დროს მკვდრეთით აღმდგარ ადამიანებს. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას მიუთითებს მრავალი ნიშანი, კერძოდ, ქართული ენა სხვა ენების გაჩენამდე 104 თუ 94 წლით ადრეა შექმნილი.

„სასწაულად ესე აქვს ასოთხი წელი უმეტეს სხვათა ენათა ქრისტეს მოსვლითგან დღესამომდე“.[105] აქვეა მითითებული სხვა ნიშნებიც ქართული ენის ღვთიური წარმოშობის დასადასტურებლად და აგრეთვე ამ ენის არათუ სხვა ენებზე ნაკლებობის, არამედ უპირატესობის დასამტკიცებლად.

ყველა ქართველს, რომელნიც აღნიშნულ პირობებში ცხოვრობდნენ და თავისი თვალით უყურებდნენ ქართული ენის განდევნას ეკლესიიდან და კულტურის ყველა სფეროდან, არ შეეძლოთ დაეჯერებინათ ამ დევნილი ქართული ენის უპირატესობა სხვათა ენაზე. სწორედ მათთვის ნათქვამია იქვე, რომ მართალია, ამჟამად ქართული ენა დამდაბლებულია და დაწუნებულია, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ქართული ენა მდაბალი ენაა, არა, ეს ენა უფლის სახელითაა კურთხეული, მაგრამ ამჟამად იგი უფლის მიერ შენახულია („დამარხულ არს“) და დაძინებულია („მძინარე არს“), რათა მეორედ მოსვლისას ყველა ენა (ე.ი. ყველა ერი) ამ ენით განიკითხოს უფალმაო (ე.ი. გადმოცემულია იმ დროის რეალური სურათი: ენა დამდაბლებულ-დაწუნებულია) – „დამარხულ არს ენა ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებელად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა და ესე ენაჲ მძინარე დღესამომდე... და ესე ენაჲ შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა მდაბალი და დაწუნებული – მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა“.[106]

საერთოდ, ეს თხზულება ანტიგრიგორიანული სულისკვეთებითაა გაჟღენთილი, რაც იქიდან ჩანს, რომ მასში ქართველთა მომაქცევლად დასახელებულია არა წმიდა გრიგორი, როგორადაც სახავდა VI-VII საუკუნეებში სომხური ეკლესია, არამედ ბერძენთა დედოფალი ელენე (რომის იმპერატორ კონსტანტინეს დედა) და წმიდა ნინო. ეს მიუთითებს, რომ თხზულება ელინოფილურია და ამ თავისი მიმართულებითაც სომხური ეკლესიის საწინააღმდეგო. „ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან“.

ქართული ენა არაა ღირსი დამდაბლებისა (როგორადაც ამდაბლებდა მას ფსევდოლეონტი მროველი) და დაწუნებისა, რადგანაც „ყოველი საიდუმლო ამასა ენასა შინა დამარხულ არს“, – წერია იქ.

წმიდა სახარებიდან ცნობილია, რომ ლაზარე გარდაცვალების შემდეგ ოთხი დღე იდო საფლავში და იქვე დარჩებოდა მეორედ მოსვლამდე, უფალ იესო ქრისტეს რომ არ ენებებინა მისი გაცოცხლება.

ქართულ ენასაც სწორედ ისევე ძინავს, როგორც ეძინა ლაზარეს. ქართულ ენას სახარებაში ლაზარე ჰქვია (ე.ი. ლაზარე ქართული ენის სიმბოლოა), რადგანაც ქართული ენა სწორედ ისევე აღსდგება, როგორც აღსდგა ლაზარე „და ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდე და სახარებასა შინა მას ენასა ლაზარე ჰქვიან“. წმიდა სახარებიდან ცნობილია,რომ უფალი იესო ქრისტე იყო მეგობარი ლაზარესი და მისი დებისა – მარიამისა და მართასი. იესო ქრისტეც მეგობარია ქართული ენისა (ე.ი. ლაზარესი) და ეს მეგობრობა იმით მტკიცდება,რომ ყოველი საიდუმლო ქართულ ენაშია შენახული.

„ქებაჲ და დიდებაჲ“ ქებაა არა მარტო ქართული ენისა, არამედ ქართული ანბანისა და ქართული წმიდა წიგნებისა (მათეს სახარებისა). ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც მესხეთში (იგულისხმება ტაო და სხვადასხვა კუთხეები), გუგარქში და ჰერეთში ეკლესიებში სომხურენოვანი მსახურების დანერგვის დროს განიდევნა ქართულენოვანი წიგნები და დაინერგა „მაშტოცის და წმიდა გრიგორის წესი და მსახურება“, ე.ი სომხურენოვანი წიგნებით სომხურენოვანი მსახურება (წირვა-ლოცვა). ასეთ დროს განცხადებას იმისას, რომ ქართულ სახარებას (კერძოდ, მათესას) აქვს იდუმალი, საღვთო წინასწარმეტყველური ნიშნები, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

უნდა აღინიშნოს, რომ VI-VII საუკუნეების ძირითად პერიოდებში ქართული და სომხური ეკლესიები თითქმის ერთი და იგივე სარწმუნოებრივი მიმართულებისა იყვნენ (განხეთქილება, „განყოფა“ ამ ორ ეკლესიას შორის მოხდა 607-609 წლებში, ხოლო ერეკლე კეისრის ლაშქრობის შემდეგ სომხურმა ეკლესიამ „უნია“ შეკრა ბიზანტიურ (ე.ი. ჩვენთანაც) ეკლესიასთან, ამიტომ ზემოთ აღნიშნული მეტოქეობა ამ დროს (VIIს.) იდეოლოგიურად უზრუნველყოფილი არ იყო (არ ჰქონდა ისეთი აშკარად გამოხატული ეროვნულ-სარწმუნოებრივი სახე, როგორიც VIII საუკუნის შემდეგ). სწორედ ამ მდგომარეობის გამო, შეიძლება ითქვას, ტოტალური არმენიზაციის დროს, ქართველთა წმიდა წიგნებზეც კი ხელი მიუწვდებოდათ არმენოფილებს. „ქართლის ცხოვრების“ შესავალი და „ამბავი მეფეთანის“ სომხოფილური რედაქციის არსებობაც ამ მიზეზით არის გამოწვეული.

მიიჩნევა, რომ სწორედ „სომხურ-ქალკედონურმა“ ვერსიამ, რომელიც VII საუკუნით თარიღდება, საფუძველი დაუდო „ლეონტი მროველის“ ერთ-ერთ სქემას – „გავრცელებულია თვალსაზრისი, თითქოს არქაული ნაწილის, ე.წ. ეთნარქების სქემა მთლიანად XI საუკუნისაა. მასში არეკლილია კავკასიის ხალხთა მეგობრობის ამ საუკუნის იდეა. კრიტიკული შესწავლა კი მოწმობს, რომ ეს სქემა მეტად ძველია. თავისი ფაქტურით იგი მისდევს და ემთხვევა იმას, რასაც ვიცნობთ „ხალხთა წარმომავლობის“ წიგნის სომხური ქალკედონური ვერსიით, რომელიც VII საუკუნით თარიღდება.[107]

„ქართლის ცხოვრების“ შედგენილობიდან ჩანს, რომ ქართველებს თავდაპირველად ჰქონიათ თავიანთი ისტორიის ქრონიკები ან ჩანაწერები. ასევე თქმულებები და ეროვნული ისტორიის ფოლკლორული ძეგლები. შესაძლებელია ისინი შეკრებილი და ერთ ქრონოლოგიურ სისტემაშიც იყო მოყვანილი და თხზულების სახე

ჰქონდა, მაგრამ VI-VII საუკუნეებში არმენოფილებს ეს ძველქართული ისტორიული თხზულება ურედაქტირებიათ, მისთვის მიუციათ მკვეთრად გამოხატული არმენოფილური სახე. „ცნობილია, რომ ლეონტი მროველმა თავისი მოთხრობა ქართლის გაქრისტიანების შესახებ ძირითადად „მოქცევაჲდან“ აიღო. რაც შეეხება წარმართობის ხანის ისტორიას, კერძოდ, ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლის ეპიზოდს, კ. კეკელიძის აზრით, იგი უშუალოდ „მოქცევაჲ ქართლისაჲდან“ არ მომდინარეობს, არამედ VII-VIII საუკუნეების რომელიღაც ისტორიული თხზულებიდან, რომელიც უნდა იყოს წყარო თვით „მოქცევაჲ ქართლისაჲსთვისაც“.[108]

სწორედ ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლის ეპიზოდი, რომელსაც კ. კეკელიძე VII-VIII საუკუნეების რომელიღაც ისტორიული თხზულებიდან აღებულად თვლის, შეიცავს ქართველთა ძლიერ უარყოფით შეფასებას. აქ ქართველები სხვადასხვა უწმინდურ ზნეთა მქონედ არიან გამოყვანილნი.

მოსე ხორენელი ქალკედონიტური მიმართულების მოღვაწედ იყო მიჩნეული. ამიტომაც მას სომეხი ქალკედონიტები პატივს სცემდნენ, ხოლო VII საუკუნეში მთელი სომხური ეკლესიის თითქმის ქალკედონიტური მიმართულების გამო ის მთელ სომხეთში იქნებოდა პატივცემული. მიჩნეულია, რომ სწორედ ხორენაცის ისტორიას გავლენა ჰქონდა ლეონტი მროველის ისტორიაზე.

„სომხეთის ისტორიაში“, სადაც დახასიათებულია არტაშეს II-ის (33-20 წწ. ძვ.წ.) მოღვაწეობა, ნათქვამია: „მსგავსად ჩრდილოეთის ქვეყნებისა (ჩვენშიც) მკვდრის ჭამიობით და სხვა ამისთანებით ცხოვრობდნენ. და ესე ყოველი მოწესრიგდა დღეთა შინა არტაშესისა“. როგორც ვხედავთ, ასეთი „ცოდვა“ ლეონტი მროველს არ ჩაუდენია. აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ერთ-ერთი წყარო ფსევდოკალისტენეს „ალექსანდრიანთან“ ერთად, ლეონტი მროველისთვის შეიძლება ყოფილიყო მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიაც“. ალბათ, ეს ადგილი ჰქონდა მხედველობაში ქ. პატკანოვს, როდესაც წერდა, რომ ცნობა „უწმინდურ ზნეთა“ შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ ზოროასტრიზმისა და მოვსეს ხორენაცის გავლენით გაჩნდაო“.[109]

არმენოფილებს ქართველთა საისტორიო თხზულების რედაქტირების დროს ხელთ ჰქონიათ ხორენაცის „ისტორია“, რომლის გავლენა ეტყობა კიდეც „ლეონტი მროველის“ თხზულებას – „ლეონტი, უეჭველია, იცნობდა მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიას“ (მისი ტერმინოლოგიით „ცხოვრებას სომხეთისა“), რომელშიც სომეხთა მამამთავარი ჰაიკი, ანუ ლეონტის ენაზე ჰაოსი, ასევე თარგამოსიანად არის გამოყვანილი. მაგრამ თუ ხორენაცით ჰაოსს ძმები არ ჰყოლია, ლეონტიმ კავკასიის ხალხების მამამთავრები (ეთნარქოსები) ჰაოსის უმცროს ძმებად გამოაცხადა და ამით აღნიშნული ხალხების ნათესაობის ორიგინალური კონცეფცია შექმნა.[110]

როგორც აღინიშნა, არმენოფილური რედაქტირებისას „ქართლის ცხოვრების“ შესავალსა და „მეფეთა ცხოვრებაში“ უხვად ჩაურთავთ სომხური მასალები, სომხური თქმულებები, ლეგენდები, აქ არმენოფილები საუბრობენ სომხების ძლიერებაზე, მის დიდ წარსულზე, სომხური ენის განსაკუთრებულ როლზე,[111] აქ საუბარია იმის შესახებ, რომ სომხები უპირატესნი არიან ქართლოსიანებზე, რასაც თითქოს-

და ისტორიულ-გენეტიკური საფუძველი ჰქონდა. ჰაოსი ქართველებისათვის „იყო განმგებელ და უფალ“ და მერე „მეფე“. ჰაოსიანებს თითქოსდა ისტორიულად „მართებდათ უფლობა“ ქართლოსიანებისა, ამიტომაც იყო, რომ სომეხ-ქართველთა ომებში ქართველთა ცალკეული წარმატების მიუხედავად, საბოლოოდ გამარჯვება სომხებს უნდა დარჩენოდათ და რჩებოდათ კიდეც ლეონტის თანახმად. ეს კონცეფცია ლეონტიმ სომხების სიყვარულით კი არ შეიმუშავა, არამედ ხორენაცის თხზულებიდან გამომდინარე შექმნა.[112]

„ქართლის ცხოვრების“ დაწერილი ნაწილის არმენოფილური რედაქცია შესაძლებელი იყო განსაკუთრებით VI-VIII საუკუნეებში, რადგანაც ეს პერიოდი უმძიმესი იყო ქართველი ხალხის ისტორიაში.

გ. ანჩაბაძე წერს – „VI-VIII საუკუნეები საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ხანა იყო. ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცება-განვითარების პერიოდი ჩვენში დაემთხვა საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარების მკვეთრ გაუარესებას. გაფეოდალებული ერისთავები არ ეპუებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას. ქვეყანას გარს ეკრა ძლიერი და აგრესიული სახელმწიფოები: ბიზანტიის იმპერია, ხაზართა სამეფო და სასანური ირანის ადგილზე აღმოცენებული არაბთა სახალიფო. მძიმე კრიზისში იმყოფებოდა თვით ქართული სახელმწიფოებრიობაც, რომელიც ამ დროისათვის თავისი ისტორიის მეორე ათწლეულს ითვლიდა. VII საუკუნის ბოლოს გაქრა სამეფო ძალაუფლება ლაზიკაში, უფრო ადრე კი – ქართლში. ადგილობრივი მმართველები უცხოელი დამპყრობლების შიშით მეფის ტიტულს ვეღარ ატარებდნენ. დაქსაქსული, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მოკლებული, გაუთავებელი ომებით სისხლისაგან დაცლილი, დახარკული ხალხი, იოანე საბანისძის სიტყვით, „ირყეოდა ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა“. გახშირდა რენეგატობის შემთხვევები...“[113]

ჰქონდათ თუ არა ქართველებს VI-VII საუკუნეებამდე საისტორიო თხზულებანი? შეუძლებელია ქართველებს IV-V საუკუნეებში არ ჰქონოდათ ისტორიული ნაწარმოებები და ჩანაწერები. ამაზე მიუთითებს თვით „მეფეთა ცხოვრება“. თუ ამ თხზულებას ჩვენ ჩამოვაცლით არმენოფილურ ჩანამატებს და საერთოდ, გავწმენდთ არმენოფილური რედაქციისაგან, შეიძლება მივიღოთ V საუკუნემდელი ქართველი ხალხის ისტორიის შესანიშნავი თანადროული წყარო. „საქართველოს ძველი ისტორიის ამსახველი ქართული საისტორიო თხზულების, „მეფეთა ცხოვრების“ ბევრი ცნობა ბერძნულ-რომაული და სომხური წყაროებით, არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული მასალით დადასტურდა, რის შემდეგაც „მეფეთა ცხოვრების“, როგორც საისტორიო წყაროს შესახებ, ძველი შეხედულება შეიცვალა“.[114]

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-დან ჩანს, რომ მასში შესულია VI საუკუნემდე დაწერილი ქრონიკები. მ. ჩხარტიშვილმა გამოარკვია, რომ წმიდა ნინოს ცხოვრება IV საუკუნეშივე დაწერილა საქართველოში.

V საუკუნეში სომხეთში მრავალი ისტორიკოსი მოღვაწეობდა. ჩანს, ამ დროს ჩვენს მეზობელ ალბანელ ხალხსაც ჰყავდა თავისი ისტორიკოსები. „ძველი მსოფლიოს ისტორიის“ III ტომში ამის შესახებ ნათქვამი ყოფილა – „როგორც ჩანს, ალბანელებს მოკლე დროის განმავლობაში ჰყავდათ თავიანთი ძველი ისტორიკოსები“.[115]

ქართველი ხალხის განვითარებული სახელმწიფოებრიობა, რომელიც VI საუკუნისათვის თითქმის ათასწლოვანი იყო, მოითხოვდა თავისი ისტორიკოსების არსებობას, განსაკუთრებით კი გაქრისტიანების შემდეგ.

პ. ინგოროყვამ გამოარკვია, რომ „მეფეთა ცხოვრებაში“ შესულია უძველესი ფოლკლორული მასალები. ხალხური სალექსო ფორმით ყოფილა დაწერილი არქაული ხასიათის ფოლკლორული ძეგლები – „ბრძოლა ქართველთა მეფისა მირვანისა და დურძუკთა“, თქმულებანი ფარნავაზზე, „გლოვა ქართველთა მეფისა ფარსმან ქველისა“, „ბრძოლა გმირთა და სასტიკება ჰაერისა“.[116] უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული ფოლკლორული ძეგლის „ბრძოლა გმირთას“ მთავარ გმირად თხზულების არმენოფილური რედაქციის დროს ჰაოსი იქცა.

„ლეონტი მროველის“ თხზულებაში შეიძლება აღმოვაჩინოთ აზრობრივი სხვადასხვაობანი, მაგალითად, ის გენეალოგია ეთნარქებისა, რომელიც გადმოცემულია „ამბავი რვათა ძმათაში“ სრულებით განსხვავდება „ცხოვრება ფარნავაზისაში“ შეფარვით არსებულ გენეალოგიისაგან. „ფარნავაზის ცხოვრებაში“ შეფარვით არსებობს ასეთი გენეალოგია – ქართლოსი (რომლის ადგილზეც ფარნავაზია იმ დროისათვის) თავი და „უფალი“ არის ყველა ქართველისა, მათ შორის მეგრელებისაც (ეგროსი – ქუჯი). მეგრელთა მეთაური ქუჯი ეუბნება ფარნავაზს – „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლება ჩემი... შენ ხარ უფალი ჩვენი და მე ვარ მონა შენი“.[117]

რატომ მართებს ფარნავაზს მეგრელთა მეთაურის ქუჯის „უფლება“, რატომ არის ქუჯი მონა ფარნავაზისა, ხოლო ფარნავაზი მისი უფალი? ამ კითხვას თვით ქუჯი პასუხობს – იმიტომ, რომ ფარნავაზი შვილია ქართლისა თავთა, ე.ი. „ქართლის თავები“ ეგრისის „უფლები“ არიან ისტორიულად.

ფარნავაზის „ცხოვრებაში“ გადმოცემული გენეალოგია აშკარად მიუთითებს, რომ ეგროსის (მეგრელთა ეთნარქის) „უფალი“ არის ქართლოსი. მაშინ, როცა „ამბავი რვათა ძმათასაში“ გადმოცემული გენეალოგია სრულიად განსხვავებულია. აქ ეგროსის „უფალი“ არის არა ქართლოსი, არამედ ჰაოსი (ისე, როგორც სხვა ძმებისა) – „ამათ შვიდთავე გმირთა ზედა იყო გამგებელ და უფალ ჰაოს და ესე ყოველნი იყვნეს მორჩილ ჰაოსისა“.[118]

მაშასადამე, ამ თხზულებაში გადმოცემულია ორი სრულებით ერთმანეთისაგან განსხვავებული გენეალოგია ეთნარქებისა, ერთის მიხედვით, ეგროსის „უფალი“ არის ქართლოსი, მეორის მიხედვით, ეგროსის „უფალი“ არის ჰაოსი. ამ ორი გენეალოგიიდან უფრო ძველი უნდა იყოს ის, რომელშიც ეგროსის უფლად ქართლოსია გამოცხადებული, ასეთი აზრის გამოთქმის უფლებას იძლევა სხვა უძველესი წყარო – „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, აქაც იგივე გენეალოგიური თვალსაზრისია გადმოცემული.

საერთოდ, ქართული საისტორიო თხზულებანი „ქართლის ცხოვრება“ იქნება ის მთლიანობაში, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, არსენი ბერის თუ სხვათა ნაშრომები, შეიცავს თვალსაზრისს, რომელიც გამუდმებით და დაბეჯითებით მეორდება მათში, რომ ქართველთა სახელმწიფოს საზღვარი ყოველთვის გადიოდა მდინარე ეგრისწყალსა და შავ ზღვაზე (ფარნავაზიდან ვიდრე არჩილის ჩათვლით), სამეგრელო

ყოველთვის ქართველთა სახელმწიფოს შიგნით მდებარეობს, ეს კი ნიშნავს, რომ მეგრელებიც ისეთივე ქართველებად არიან მიჩნეულნი, როგორც საქართველოს სხვა კუთხეთა მცხოვრებნი. ამ თვალსაზრისიდან კი სრულებით განსხვავდება ის თვალსაზრისი, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ არმენიზებულ შესავალში – „ამბავი რვათა ძმათაშია“ მოცემული. აქ განსხვავებით ეროვნულ-ქართული თვალსაზრისისაგან გადმოცემულია, რომ მეგრელები ისეთივე ეთნიკურ სიახლოვეშია ქართველებთან (ქართლელებთან), როგორც სომხებთან და სხვა კავკასიელ ტომებთან. ე.ი მეგრელები, ქართები (ქართლელები), სომხები და სხვა ტომები ერთნაირ ეთნიკურ ნათესაურ კავშირში იმყოფებიან. ისინი ძმები – „თვისნი“ არიან. მაშინ როცა, როგორც ვთქვით, ქართული უძველესი ეროვნული თვალსაზრისით, ქართველები ერთიანი ხალხია, ხოლო მეგრელები ისევე არიან ქართველები, როგორც ქართლელები, ხოლო სომხები კი სრულებით უცხო ხალხია.

შეიძლება „ქართლის ცხოვრების“ არმენოფილური რედაქციის დროს მასში აისახა რამდენადმე გამძაფრებული სახე იმ ეთნიკური სურათისა, რომელიც ქართველ ხალხს გააჩნდა VI-VIII საუკუნეებში, ერთიანი ქართული სახელმწიფოს გაუქმების შემდეგ. ცნობილია, რომ ეროვნული სახელმწიფოს არსებობა აუცილებელი პირობაა ხალხის ერთიან ერად (ნაციად) ჩამოყალიბება-არსებობისათვის. ამიტომაც, უნდა ვიფიქროთ, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობის დროიდან, ფარნავაზიდან – ვახტანგ გორგასალის ჩათვლით, ქართველი ხალხი არსებობდა და ერთიანი იყო. ამ ხალხში შედიოდა მეგრელებიც, ხოლო იმის შემდეგ, რაც VI საუკუნეში ერთიანი სახელმწიფო გაუქმდა, VII საუკუნეში არაბები შემოიჭრნენ, ხოლო VIII საუკუნის დასაწყისში არსებულმა კატასტროფამ ზღვრამდე მიაღწია, დაიწყო ქართველი ხალხის დენაციონალიზაციის პროცესი. ქართველი ხალხი „ირყევა ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა“, ქართველები მაჰმადიანდებიან, რაც „ქართველობის“ უარყოფასაც ნიშნავდა. ქართველები სომხური ეკლესიის მრევლი ხდებიან (მონოფიზიტური სომხური ეკლესიის, თუ დიოფიზიტურ-მონოთელიტური სომხური ეკლესიისა), რაც არმენიზაციას ნიშნავდა. გარდა ამისა, დასავლეთ საქართველოში ადგილობრივი სახელმწიფოებრივი ერთეულები სწორედ მაშინ ძლიერდებოდა, როცა ცენტრალური, ერთიანი ქართული სახელმწიფო სუსტდებოდა, კერძოდ, მაშინ, როცა VI საუკუნის დასაწყისში ერთიანი ქართული სახელმწიფო გაუქმდა, დასავლეთ საქართველოში ასპარეზზე გამოვიდა ეგრისის სამეფო. მისი დიდი ნაწილის ბიზანტიელთა მიერ ანექსიამ ხელი შეუწყო აქაურების ტომობრივ განცალკევებას ერთიანი ქართველი ხალხისაგან – ეს იყო დენაციონალიზაციის ერთიანი პროცესის მხარე. ჩანს, ამ დროს მეგრული დიალექტი კიდევ უფრო შორდება ერთიან ფუძე ქართულ ენას და ის უკვე დამოუკიდებელ ენად ყალიბდება. „მეგრული ენა“, როგორც ცალკე ენა, უკვე მოიხსენება დავით და კონსტანტინეს „წამებაში“. ასევე ითქმის საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრებლებზეც.

არაბთა შემოსევას ისეთი დიდი ხალხის დენაციონალიზაციაც კი გამოუწვევია, როგორიც იყო სპარსელი ხალხი, ამიტომაც არაბთა შემოსევის გამო მოსალოდნელი იყო კიდეც ქართველი ხალხის დენაციონალიზაცია. მაგრამ ეს პროცესი

მხოლოდ დაწყებულა და ვერ დასრულდა სხვადასხვა მიზეზების გამო, კერძოდ, ქართულმა ეკლესიამ შეძლო ქალკედონიტურ მიმართულებაზე დაყრდნობით და ეროვნული თვითშეგნების გაღვივების საშუალებით ქართველობა გაეერთიანებინა. მართალია, შემდეგ VIII-X საუკუნეებში შეიქმნა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ეროვნულ-ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულები, მაგრამ მათ, ტაო-კლარჯეთის, აფხაზეთის და კახეთ-ჰერეთის სამეფოებს, აერთიანებდა ქართული ეკლესია ერთიანი ქალკედონიტური სარწმუნოებით – ამით კი „ქართველობა“ კვლავ ერთიანი იყო. ე.ი. დენაციონალიზაციის პროცესი არ გაღრმავდა, ის მალე შეწყდა. ქართველი ხალხი კვლავ მთლიანად არსებობდა. დენაციონალიზაციის VI-VIII საუკუნეებში არსებულმა სახემ უთუოდ გავლენა იქონია „ამბავი რვათა ძმათაში“ გადმოცემულ სურათზე.

როგორც ითქვა, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ამბავი მეფეთანი“ ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდებიან მათში გადმოცემული თვალსაზრისით ქართველი ხალხის თავდაპირველი ისტორიის შესახებ. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანახმად, ქართველები გადმოსახლდნენ სამხრეთით მდებარე სამშობლოდან, რომელსაც „არიან-ქართლი“ ერქვა, „ამბავი მეფეთაჲს“ მიხედვით კი, ქართველი ხალხი ადგილზე – საქართველოშივე ჩამოყალიბდა ქართლოსის შთამომავლების გამრავლების შედეგად. „მოქცევაჲს“ თანახმად, ქართველი ხალხი გადმოსახლების დროს დასახლდა ვრცელ ტერიტორიაზე მდინარე ეგრისწყლიდან ვიდრე ჰერეთის ჩათვლით. ამ ტერიტორიაზე მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ – ე.ი. მეგრელები ქართველები არიან ისე, როგორც ყველა ადგილობრივი მკვიდრი მცხოვრები აღნიშნულ საზღვრებში. „ამბავი მეფეთანის“ თანახმად კი, ქართლოსის შთამომავლები არიან ქართველები, ხოლო მეგრელებს თავიანთი ეთნარქი ჰყავთ, ანუ მეგრელები ქართლოსის შთამომავლები არ არიან. „მოქცევაჲს“ თანახმად, სამხრეთიდან გადმოსახლებულ ქართველებს საქართველოში დახვდათ უცხო ტომები, რომლებიც იყვნენ ველური და საძაგელი ცხოვრებით მცხოვრებნი. „ამბავი მეფეთანის“ თანახმად კი, ველურები და საძაგელი ცხოვრებით მცხოვრებნი თვითონ ქართველები იყვნენ.

„მოქცევაჲდან“ თავისთავად იგულისხმება, რომ სამხრეთიდან გადმოსახლებული ქართველების ენა იყო ქართული ენა, ამას ადასტურებს არსენი ბერი, როცა წერს: „ჩვენ ქართველნი შვილნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსულთანი და მათი ენა უწყით“.[119] „ამბავი მეფეთანის“ თანახმად კი, თავდაპირველად ქართველი ხალხის მშობლიური ენა იყო არა ქართული, არამედ სომხური ენა, თითქოსდა ქართული ენა მოგვიანებით ჩამოყალიბდა სხვადასხვა ენათა აღრევის შედეგად.

„მოქცევაჲ ქართლისაჲში“ არ ჩანს რაიმე ტენდენცია სხვა ერების, ან თუნდაც ქართველთა მიმართ. აქ ისტორია ბუნებრივი მდინარებით აღიწერება. „ამბავი მეფეთანი“ კი ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ტენდენციურობით, როგორც უცხო ხალხის, ისე ქართველთა მიმართ. კერძოდ, „ამბავი მეფეთანი“ ანტიბერძნული (ანტირომაული) და პროსპარსული მიმართულებისაა, რომ არაფერი ვთქვათ სომხოფილობასა და ქართველთა აუგზე. ანტიბერძნულობა (ანუ, რაც იგივეა იმ დროისათვის, ანტირომაულობა) იმით გამოიხატება, რომ პირველი მეფე აზონი არის

რომაელთა (ანუ „ბერძენთა“) წარმომადგენელი, რომელსაც არ უყვარს ქართველები და ა.შ. მოვიყვანოთ შესაბამისი ადგილები „მოქცევაჲ ქართლისაჲდან“[120] (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964 წ.) და „ამბავი მეფეთანიდან“.[121]

„მოქცევაი ქართლისაი“	„ქართლის ცხოვრება“
ქართველთა გადმოსახლება	**ქართველთა ეთნოგენეზისი**
„თანა-ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზო, ძე არიან-ქართლისა მეფისა, და მას მიუბოძა მცხეთა საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრისწყალი და სომხითი და მთა ცროლისა და წარვიდა, ხოლო ეს აზო წარვიდა არიან ქართლად, მამისა თვისისა და წარმოიყვანა რვა სახლი და ათნი სახლნი – მამა მძუძეთანი და დაჯდა ძველ მცხეთას“ (გვ.81). აქედან ჩანს, რომ ქართველთა დასახლების დასავლეთი საზღვარი გადის მდინარე ეგრისწყალზე.	„პირველად ვახსენოთ ესე რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა – ამით თვისთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს... მისცა ქართლოსს და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით ჰერეთი და მდინარე ბერდუჯისი, დასავლით ზღვა პონტოსი... და ჩრდილოთ საზღვარი ღადო, მთა მცირე... რომელსა აწ ჰქვიან ლიხი... ხოლო ეგრისს მისცა ქვეყანა ზღვის ყურისა და უჩინა საზღვარი... დასავლით ზღვა, ჩრდილოთ მდინარე მცირისა ხაზარეთისა (გვ. 5). აქედან კი ჩანს, რომ „ქართველთა“ (ქართლოსის შთამომავალთა) დასახლების დასავლეთი საზღვარი გადის ლიხის მთაზე, ხოლო მეგრელთა დასავლეთი საზღვარი გადის ლიხის მთაზე, ხოლო მეგრელთა დასავლეთი საზღვარი გადის მცირე ხაზარეთის მდინარეზე. თვით „ქართლის ცხოვრებაში“ სხვაგან კი ნაჩვენებია, რომ საზღვარი ქართველთა სახელმწიფოსი (ქართლისა) მუდამ გადიოდა მდინარე ეგრისწყალზე. აზრობრივი სხვაობა თვალსაჩინოა.
საქართველოში ველურები ცხოვრობდნენ ქართველების მოსვლამდე	**თვით ქართველები ველურები იყვნენ**
„პირველ, ოდეს ალექსანდრე მეფემან ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი წარიქცინა და შეხადნა იგი კედარსა მას ქვეყანასა, იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნთურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკვარსა... დაუკუირდა ალექსან-	„აქამომდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს, ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხვნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა დაუტევეს ენა სომხური. და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შექმნა ენა

დრეს და ცნა, რამეთუ იებოსელთა ნათესავნი იყვნეს, ყოველსა ხორციელსა ჭამდეს და სამარე მათი არა იყო, მკვდარსა შეშჭამდეს“ ... (გვ. 81) შემოსვლის შემდეგ მათ შეებრძოლა ალექსანდრე. ხოლო ისინი, „მეოტ იქმნნეს“, საქართველოდან გაიქცნენ.	ქართული. და იპყრეს სჯული უბოროტესი ყოველთა ნათესავთაცა, რამეთუ ცოლქმრობისათვის არა უჩნდათ ნათესაობა და ყოველსა სულიერსა ჭამდეს, საფლავი არა იყო მკვდარსა შესჭამდეს... (გვ.16).
აზო ქართველთა პირველი მცხეთელი მეფეა ქართველ მეფეთა ძე. ქართველი ხალხი ჩამოყალიბდა არა აზოს დროს, არამედ მანამდეც ქართველებს თავიანთი სახელმწიფო ჰქონდათ, სამხრეთით, იქ თავისი მეფეებიც ჰყავდათ, აზო ქართველი მეფის ძეა – „ძე არიან – ქართლის მეფისაჲ... ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა აზოი, ძე არიან ქართველთა მეფისა...“ (გვ.31-82).	აზო არის მაკედონელი (ბერძენი), მას რომაელი ჯარისკაცები ჰყავს, არ უყვარს ქართველები. ალექსანდრე ქართველებს „...დაუტევა მათ ზედა პატრიკად სახელით აზონ, ძე იარედოსი, ნათესავი მისი – ქვეყანით მაკედონით, და მისცა ასი ათასი კაცი ქვეყანით ჰრომით... დაუტევა ქართლს ერისთავად აზონ და მის თანა სპანი იგი, მპყრობელად ქართლისა... ამან აზონ მოარღვივნა ზღუდენი ქალაქსა მცხეთას საფუძვლითურთ... და ყოველსა ქართლისა ქალაქთა მოარღვივნა ზღუდენი... იყო კაცი ძნელი და მესისხლე და ესე დააწესა და ამცნო სპათა მისთა, ვითარმედ: „ყოველმან ქართველთაგანმან რომელმან პოვოს საჭურველი, მოკალით იგი“ და ჰყოფდეს ჰრომნი ესრეთ ქართველთა ზედა და ვინც ვინ გამოჩნდის ქართველთაგანი ქმნულკეთილი და ასაკოვანი, მოკლიან იგი. და იყო ჭირი დიდი ნათესავსა ზედა ქართველთასა“ (გვ. 19-20). ანტი-ბერძნულია და ამავე დროს სპარსოფილურია თუნდაც იმით, რომ პირველი ქართველი მეფის დედა სპარსია, ხოლო სხვა საუკუნეთა ქართველ მეფეთა დინასტიები სპარსული წარმოშობისა და სხვა მსგავსი.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობა იმის შესახებ, რომ კავკასიაში გადმოსახლებისას ქართველებს საქართველოში დახვდათ სხვა, უცხო ხალხი, დასტურდება ბერძნული ცნობებით, რომელთა მიხედვითაც იბერიელებს სამხრეთიდან გადმოსახლების დროს კავკასიაში დახვდათ სხვა ერი, რომელსაც ქართველები შეებრძოლნენ და დაამარცხეს – „კასპიისა და ვექსინის ზღვას შორის მდებარე ყელზე ცხოვრობს იბერთა აღმოსავლური ტომი, რომელიც ოდესღაც პირინეიდან მოვიდა აღმოსავლეთში და ჰირკანიელებთან სასტიკი ბრძოლა ჰქონდა“.[122]

თ. ყაუხჩიშვილის აზრით, „ეს ლიტერატურული ცნობა იბერთა და ჰირკანიელთა შორის რეალურად არსებული ურთიერთობის გამოძახილი უნდა იყოს“.[123] ამ ცნობას სხვა ბერძენი ავტორებიც იმეორებენ. მაშასადამე, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შესაბამის ცნობას აქვს წყარო, ან რაიმე რეალური საფუძველი, მაშინ, როცა „ქართლის ცხოვრების“ ცნობები ქართველთა ეთნოგენეზისის შესახებ არის ზღაპრული და ტენდენციური. ის, როგორც აღინიშნა, ხორენაცის ისტორიასა და სომხურ-ქალკედონიტურ რაღაც წყაროზე ყოფილა დაყრდნობილი. მაშასადამე, „ამბავი რვათა ძმათა“ დაწერილია ხორენაცის შემდეგ, მისი ერთ-ერთი წყარო VII საუკუნის სომხური თხზულებაც ყოფილა – „ხალხთა წარმომავლობის“ წიგნის სომხურ-ქალკედონიტური ვერსია, რომელიც VII საუკუნით თარიღდება“,[124] ხოლო „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ის ბერძნული წყაროები, რომელშიც ჰირკანიელებისა და იბერების საქართველოში ურთიერთბრძოლაზეა ლაპარაკი, ანტიკურ პერიოდს განეკუთვნება. („ჰირკანიელებში“ ვგულისხმობთ „იებოსელთა ნათესავ“ ბუნ-თურქებს, რომელნიც ქართველებს დახვდნენ მტკვრის ხეობაში შემოსვლისას).

სრულებით აშკარაა, რომ „ქართლის ცხოვრების“ შესავალი არის დაუფარავი, გამოკვეთილი არმენოფილური თხზულება, რომელშიც ქართველები არცთუ კარგად ხასიათდებიან, ამიტომაც უნდა დაისვას კითხვა იმის შესახებ, იყო თუ არა აღიარებული ამ თხზულების შესავალი საზოგადოების მიერ, აღიარებდნენ თუ არა ამ თხზულებას საქართველოში და ქართველი ხალხისათვის რამდენად მოსათმენი იყო ის?

ჩვენ არსენი ბერის (არსენ იყალთოელის) ერთ თხზულებაზე დაყრდნობით უნდა განვაცხადოთ – ქართული ეკლესიისათვის მიუღებელი იყო „ქართლის ცხოვრების“ შესავლის („ამბავი მეფეთანის“) არმენოფილური რედაქცია, უფრო მეტიც, შეიძლება გამოითქვას აზრი, რომ ეს რედაქცია საერთოდ აკრძალული იყო ქალკედონურ საქართველოში და ის არსებობდა მხოლოდ ქართველ მონოფიზიტთა წრეში. ეს თხზულება იყო დაფარული აპოკრიფი (იგულისხმება XI-XIV საუკუნეებში), რომელსაც კრძალავდა ქართული სამოციქულო ეკლესია. ეს ჩანს არსენი ბერის „ცხოვრება წმიდა ნინოსიდან“.

„ცხოვრება და მოქალაქეობა ნინოჲსი“ „...დაწერილია XII საუკუნის 10-20-იან წლებში დავით აღმაშენებლის (თუ იოანე კათალიკოსის) ბრძანებით არსენი მონაზონის (ბერის), ანუ არსენი იყალთოელის მიერ... თხზულება ძირითადად მთავრდება ნინოს გარდაცვალებისა და დაკრძალვის აღწერით. ამის შემდეგ იწყება ახალი თხრობა, რომელსაც უძღვის ზედ წარწერილი – „ესეცა წაურთე ყოველი, რამეთუ შვენიერ არს, საყვარელნო და სატრფიალო მსმენელთათვის“. ეს თხრობა შეიცავს საქართველოსა და ქართული ეკლესიის ისტორიისათვის ფრიად საყურადღებო მასალებს ქართველებისა და მათი მეფეების ჩამომავლობის... და სხვათა შესახებ“.[125]

ცნობილია, თუ რა დიდი ავტორიტეტი იყო არსენ იყალთოელი ქართული ეკლესიისათვის და დავით აღმაშენებლისათვისაც. შეიძლება ითქვას, მის მიერ ორგანიზებულმა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ დავით აღმაშენებლის დროს, ერთგვარად შეაფასა და შეაჯამა წინა საუკუნეებში ქართული ეკლესიის საქმიანობა და განსაზღვრა მომავალში მისი მიმართულება. არსენ ბერი ისტორიული პირი

იყო, ამიტომაც მისი თხზულება ქართველთა ეთნოგენეზისის და მეფეთა ჩამომავლობის შესახებ დათარიღებულია. ამ მხრივ, რა შეიძლება ითქვას „ამბავი მეფეთანის“ ავტორის შესახებ? მართალია, ზოგიერთმა ჩვენმა დიდმა მეცნიერმა მიიჩნია, რომ ის დაწერილია XI საუკუნეში ლეონტი მროველის მიერ, მაგრამ ეს განცხადება ეფუძნებოდა მხოლოდ ლოგიკურ მსჯელობას და არა ისტორიულ ფაქტს. ამიტომაც, შეიძლება ითქვას, რომ არც „ამბავი მეფეთანის“ ავტორია ცნობილი და არც მისი დაწერის (მით უმეტეს რედაქტირების) თარიღი, არსენი ბერის თხზულების ავტორი კი ცნობილია.

ის ფაქტი, რომ არსენ ბერის თხზულებაში გამოთქმული თვალსაზრისი სრულებით ეწინააღმდეგება „ამბავი მეფეთანში“ გამოთქმულ თვალსაზრისს ქართველთა ეთნოგენეზისის, ქართველთა ქვეყნის საზღვრების, მეფეთა წარმომავლობის, ქართული ენის და სხვათა შესახებ, გვაძლევს უფლებას ითქვას, რომ „ქართლის ცხოვრების“ არსებული ნაწილი XI-XIV საუკუნეებში არათუ სამეფო კარის შეკვეთით იწერებოდა (იგულისხმება არმენოფილური რედაქცია), არამედ აკრძალული იყო სამეფო კარის მიერ, რადგანაც სწორედ მეფის კარის მოძღვარი, მეფის მასწავლებელი და სულიერი მამა არსენი არ იზიარებდა და, უფრო მეტიც, უარყოფდა „ამბავი მეფეთანის“ მრავალ თვალსაზრისს.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას ისიც, რომ (XII საუკუნის დასაწყისში) ქართული ეკლესიისათვის სრულებით მოუთმენელი იყო „ამბავი მეფეთანში“ არსებულ არმენოფილურ თვალსაზრისთაგან უმრავლესი. ცნობილია, რომ მსოფლიო საეკლესიო კრება არის კანონმდებელი ორგანო, ასევე ადგილობრივი საეკლესიო კრება კანონმდებელია ადგილობრივი ეკლესიის მიმართ, ამიტომაც რუის-ურბნისის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებანი სავალდებულო იყო ეკლესიისათვის, მას ეფუძნებოდა საეკლესიო სამართალი. ეს კრება საქართველოს სახელმწიფოსა და ქართული ეკლესიის ურთიერთთანამშრომლობის კარგი გამოხატულებაა. ამ კრებას არა მარტო საეკლესიო, არამედ სახელმწიფო-სამოქალაქო კანონმდებლობის ძალაც ჰქონდა. კრებამ მოიხსენია კიდეც საქართველოს სახელმწიფოს მეთაურები და აგრეთვე ქართული ეკლესიის ხელმძღვანელები. კერძოდ, კრების „ძეგლისწერა“ მოიხსენიებს საქართველოს პატრიარქს (მამამთავარს) – კათალიკოს იოანეს, ევსტათი მონაზონს (შეიძლება ეს იყოს აფხაზეთის კათალიკოსი), გიორგი მწიგნობართუხუცესს (ჭყონდიდელს) და არსენი მონაზონს. აქვე „ძეგლისწერაში“ საგანგებოდაა ჩართული არსენ იყალთოელის მიმართვა მეფისადმი – დავით აღმაშენებლისადმი.[126] ზემოთ მოყვანილის გამო, არსენი მონაზონის (ბერის) მიერ მეფის, ანდა კათალიკოსის ბრძანებით დაწერილ „წმიდა ნინოს ცხოვრებას“ და მასზე დართულ ქართული ეკლესიის მოკლე ისტორიას ჰქონდა დოგმის მნიშვნელობა. ის შეუცვლელად უნდა ყოფილიყო აღიარებული ეკლესიის მიერ, ხოლო ყოველივე საწინააღმდეგო თვალსაზრისი იქნებოდა ოფიციალურად უარყოფილი სახელმწიფოსა და ეკლესიის მიერ. ამიტომაც, რადგან არსენი ბერი თავის ეკლესიის ისტორიაში გამოთქვამს „ქართლის ცხოვრების“ არმენოფილური რედაქციისაგან კარდინალურად განსხვავებულ თვალსაზრისს, შეიძლება ითქვას, რომ ეს არმენოფილური რედაქცია და მასში

გამოთქმული მრავალი თვალსაზრისი უარყოფილი და მიუღებელი იყო როგორც ქართული ეკლესიის, ასევე სამეფო კარის მიერ (იგულისხმება არსენის ეპოქა). არსენი საერთოდ იბრძოდა მონოფიზიტობის გავლენის წინააღმდეგ – „ამან შეთხზა ერთბუნებიანთა წვალებისა და პირისდასაყოფელი წერილი, რომელ ვერარაისამე ღონითა ძალედვეს სომეხთა პასუხისგებად“, – წერს ი. ბაგრატიონი.[127]

არსენ ბერი წმიდა ნინოს „ცხოვრებაში“ წერს, საჭიროა ვიცოდეთ „ჩვენ ქართველნი რომელთა ნათესავთა შვილნი ვართ და „მეფენი ქართველთანი“ ვინ იყვნენო. შემდეგ წერს – ჩვენი ქვეყანა, ჩვენს მეფეს „აზოვეს“ ალექსანდრე მაკედონელმა „მისცა ქვეყანა ესე“. ალექსანდრე მაკედონელმა ქართველებს მისცა ქვეყანა შემდეგი საზღვრებით – „ჰერეთი და ეგრისწყალი და სომხეთი და მთა ცროლისა“.[128] ქართველები გადმოსახლდნენ და დაემკვიდრნენ სწორედ ამ საზღვრებში.

ამ გადმოსახლებამდე არსენი ბერის აზრით, ქართველები ცხოვრობდნენ სხვა ქვეყანაში, რომელსაც „არიან-ქართლი“ ერქვა. აქ მათ ჰქონდათ ეროვნული სახელმწიფო და მეფეებიც ჰყავდათ. ამ ქართველ მეფეთა შვილი იყო აზოვე, რომელმაც ქართველთა ერთი ნაწილი გადმოასახლა არიან-ქართლიდან და დაასახლა ახალ ქვეყენაში. ქართველები დასახლებულან მდინარე ეგრისწყლიდან ჰერეთის ჩათვლით (ან ჰერეთამდე), სომხითიდან ცროლის მთამდე.

არსენი ბერის თხზულება უფლებას იძლევა ითქვას, რომ ქართული სამოციქულო ეკლესია არ იზიარებდა „ქართლის ცხოვრების“ არმენოფილურ რედაქციას – 1. საზღვრების შესახებ – არსენის თანახმად, ქართველთა ქვეყნის დასავლეთი საზღვარი თავდაპირველად გადიოდა მდინარე ეგრისწყალზე. ეგრისწყლის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანა დასახლებული იყო ქართველებით, ქართველთა ნათესავით, რომელთა „შვილნი ვართ“ ჩვენ დღევანდელი ქართველებიო, – წერს ის – „ჩვენ ქართველნი შვილნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსულთანი და ენა მათი უწყით და ყოველნი მეფენი ქართლისანი ამათ მეფეთა შვილისშვილნი არიან“.[129] თვალსაზრისი განსხვავდება „ლეონტის“ თვალსაზრისისაგან; 2. მეგრელები თვითვე არიან ქართველები, მათი დედა ენა ქართული ენაა – ეს აზრი გამომდინარეობს იქიდან, რომ ქართველები თავიდანვე დასახლებულნი იყვნენ მდინარე ეგრისწყლის აღმოსავლეთით, მაგრამ ცნობილია ჩვენთვისაც და არსენი იყალთოელისთვისაც, რომ ამ მდინარის აღმოსავლეთით მიმდებარე ტერიტორია ისტორიულად მეგრელებით იყო დასახლებული, როგორც თვით ამ მდინარის სახელწოდებაც ამჟღავნებს. მაშასადამე, სწორედ მეგრელები, ისევე როგორც საქართველოს ნებისმიერი კუთხის მკვიდრი მცხოვრებნი „ეგრისწყლიდან ჰერეთამდე“, არიან ქართველები. ეს თვალსაზრისიც განსხვავდება „ლეონტის“ თვალსაზრისისაგან, რადგანაც „ლეონტის“ აზრით, ქართველები ქართლოსის შთამომავლები არიან და ისინი ცხოვრობდნენ ლიხის მთის აღმოსავლეთით, ხოლო მეგრელები კი მისი ძმის, სხვა ეთნარქის – ეგროსის მემკვიდრენი არიან, ისინი კი მდინარე მცირე ხაზარეთიდან (მდინარე ყუბანიდან) ვიდრე ლიხამდე ცხოვრობდნენ; 3. ენის შესახებ. ქართველთა თავდაპირველი ენა ეკლესიის ამ თეორეტიკოსის თანახმად, ქართული იყო და არა სომხური, როგორც მიაჩნდა „ლეონტი მროველს“, უფრო მეტიც, არსენის თანახმად,

დასავლეთ საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის დედაენა ქართული ენაა, ისე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობისა. იმ ქვეყნის მოსახლეობის დედაენა, რომელსაც აქვს საზღვრები – „ჰერეთი და ეგრისწყალი, სომხეთი და მთა ცროლისა“ – დასაბამიდანვე ქართულენოვანია, რადგანაც – „ჩვენ ქართულნი შვილნი ვართ არიან-ქართლით გამოსულთანი და მათი ენა უწყით“. აქედან ჩანს, რომ არსენ ბერს მეგრული ენა მიაჩნია არა დამოუკიდებელ ენად, არამედ კილოდ და დიალექტად ქართული ენისა. მართლაც, თითქმის 800 წლის წინ, ალბათ მეგრული დიალექტი დიდად არ განსხვავდებოდა ლიტერატურული ქართულისაგან, სამეგრელოში ქართული ენა დედაენად მიიჩნეოდა; 4. საქართველოში ქართველთა დასახლებამდე ცხოვრობდა სხვა ველური ხალხი, რომელიც ქართველთა გადმოსახლების წინ ალექსანდრე მაკედონელმა დაამარცხა, ნაწილი დახოცა, ხოლო დარჩენილები გადაასახლა ჩრდილოეთ ოსეთის იქით, იქ სადაც ყივჩაღნი მკვიდრობენო – წერს არსენი – ალექსანდრე მაკედონელმა „...ქალაქნი და სიმაგრენი ყოველნი უცხოთესლთა მათ გამოუხვნა, რომელნიმე და სხვათა სიმრავლე მათი ურიცხვი წარავლინა კედარსა მას, სადა იგი პირველნი მიიყვანა – გარეგან ოსეთისა, და არს ქვეყანა იგი მაღალ და ვრცელ და სიმრავლე წყალთაჲ, სადა იგი მიერითგან მკვიდრობენ დიდნი იგი ნათესავნი ყივჩაღთანი“.[130]

მაშასადამე, საქართველოში მცხოვრები მოსახლეობა, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა იხილა, იყო არა ქართველები, არამედ „...ნათესავნი იგი სასტიკნი წარმართთანი, რომელთა ჩვენ აწ ბუნთურქად და ყივჩაღად უწოდთ“.[131] ესენი ალექსანდრემ ჩრდილოეთში გადარეკა, ხოლო აქ ქართველები დაასახლა.

ეს თვალსაზრისი სრულებით განსხვავდება „ლეონტი მროველის“ თვალსაზრისისაგან, რომლის თანახმადაც, თვით ქართველები იყვნენ ველურები, რომელნიც იხილა ალექსანდრემ.

უცხოთესლთა გაჟლეტისა და გადარეკვის შემდეგ ალექსანდრემ დაიწყო ქვეყნის შენება – „და თვით იწყო შენებად ქვეყანისა ჩვენსა, ხოლო ჰყვა თანა აზოვე, ძე არიან-ქართლისა მეფისაჲ, და მისცა ქვეყანა ესე ჩვენი სამეუფოდ და სამკვიდრებლად და განუჩინა საზღვარი ჰერეთი და ეგრისწყალი და სომხითი და მთა ცროლისა, და თვით წარვიდა.

ხოლო ესე აზოვე წარვიდა არიან-ქართლად მამისა თვისისა და წარმოიყვანა მუნით ათასი სახლი მდაბიო და მოქალაქე დედებით, ყრმებითურთ მათით და კუალად ათი სახლი მთავართაგან პალატისათა დედებით და ყრმებითურთ მათით. და მათ თანა ჰყვეს კერპნი ღმერთად. და ესე აზოვე არს პირველი მეფე ქართველთაჲ, და ამისა შვილისშვილთაგან ოცდამერვე იყო მირიან, რომელი იგი მხოლოდ იქმნა ქრისტიანე და მიერითგან ყოველნი მეფენი ქართველთანი არიან მორწმუნე კეთილად და ჩვენ ქართველნი შვილნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსულთანი და მათი ენა უწყით. და ყოველნი მეფენი ქართლისანი ამათ მეფეთა შვილისშვილნი არიან“.[132]

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, არსენი მონოზანი, ანუ რაც იგივეა, ქართული ქალკედონური ეკლესია, სრულებით უარყოფდა „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალ „ამბავი მეფეთანის“ არმენოფილურ რედაქციას, ანუ იმ რედაქციას, რომელიც ამჟამად აღიარებულია.

არსენი ასახელებს კიდეც თავის წყაროებს. მას გამოუყენებია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ამბავი მეფეთა“. ის წერს – „წმიდანო მამანო და ძმანო, ესე ნეტარისა ნინოჲს ცხოვრება“ შეუწყობელად და განბნეულად „ქართლის მოქცევასა“ თანა და „ჰამბავსა მეფეთასა“ თანა აღრეულად სწერია... არცა შემიმატებია და არცა დამიკლია... ყოველი ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებით აღწერილი და წამებული მათ მიერ აჰა წინაშე თქვენსა არს... იკითხვიდეთ და ერსა წარმოაუთხრობდით სადიდებელად ღმრთისა და პატივისა მისისა რომლისა არს დიდებაჲ“.[133]

არსენი წმ. ნინოს ცხოვრებაზე დართულ ქართული ეკლესიის მოკლე ისტორიის გადმოცემისას, უშუალოდ თხრობისას, წყაროდ ასახელებს „ქართლის ცხოვრების წიგნს“. ტექსტიდან სრულებით აშკარად ჩანს, რომ „ქართლის ცხოვრების წიგნს“ ის იყენებს ერეკლე კეისრისა და არაბთა შემოსევამდე (VII ს.), ამის შემდეგ ჩანს, ის იყენებს ეფრემ მცირის თხზულებას „უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“, შემდეგ აკრიტიკებს ბერძენ საეკლესიო მოღვაწეებს და იყენებს მთაწმიდელთა გამონათქვამებს ქართველთა უბიწო სარწმუნოების შესახებ.

როგორც აღინიშნა, წმ. ნინოს „ცხოვრების“ ტექსტისათვის არსენს გამოუყენებია „ქართლის მოქცევაჲ“ და „ჰამბავი მეფეთანი“, ხოლო ტექსტზე დართული ქართველთა და ქართული ეკლესიის მოკლე ისტორიის გადმოცემისას – „ქართლის ცხოვრების წიგნი“, კერძოდ, ის აღწერს, აზოვეს შემდეგ, ვიდრე ვახტანგ გორგასალის ჩათვლით ისტორიას და აგრძელებს – „ამისა შემდგომად ფრიადნი ჭირნი მოიწინეს სპარსთაგან ქართველთა ზედა და ფრიადნი სულნი მოსწყვიდნეს და ქვეყანანი დაიპყრნეს და ფრიადნი იწამეს სახელისათვის ქრისტესისა. რომელთაიმე აღწერილ არს ჩვენს შორის და რომელთაიმე აღუწერელ დაშთა, ხოლო ყოველნი აღწერილ არიან წიგნსა მას ცხოველთასა და წინაშე ღმრთისა იხარებენ. ამას ყოველსა „ქართლის ცხოვრების“ წიგნი ვრცლად მოგვითხრობს“ (იქვე, გვ. 48). ე.ი. სპარსელთა შემოსევის შემდეგო, – წერს ის – ქრისტიანთა მოწამეობრივი ღვაწლი მხოლოდ ნაწილობრივ აღიწერა, მაგრამ ამის მიუხედავად, მათი მოწამეობა სრულიად არის აღწერილი ზეცათა „სიცოცხლის წიგნშიო“ – („წიგნსა მას ცხოველთასა“). ამიტომაც, როცა არსენიც წერს – „ამას ყოველსა „ქართლის ცხოვრების“ წიგნი ვრცლად მოგვითხრობსო“, – გულისხმობს არა სპარსელთა შემოსევის პერიოდს, არამედ ქართველი ხალხის ისტორიას სპარსელთა შემოსევამდე – V საუკუნის მიწურულამდე.

მაშასადამე, ის წყარო, რომელსაც არსენი იყენებდა თავის ისტორიაში აზოვედან ვახტანგ გორგასლის ჩათვლით, ყოფილა „ქართლის ცხოვრების წიგნი“.

ჩანს, რედაქცია „ქართლის ცხოვრებისა“, რომელსაც იყენებდა არსენ იყალთოელი, სრულებით განსხვავდება ჩვენთვის ცნობილ „ქართლის ცხოვრების“ არმენოფილური რედაქციისაგან. არსენს აგრეთვე გამოუყენებია წყაროდ „ჰამბავნი მეფეთანი“. ცნობილია, რომ „ჰამბავნი მეფეთანი“ „ქართლის ცხოვრების“ შემადგენელი ნაწილია. ასევე უნდა ითქვას, რომ ის რედაქცია „ჰამბავნი მეფეთანისა“, რომელსაც იყენებდა არსენი თავის წყაროდ, სრულებით განსხვავდება იმ არმენოფილური რედაქციისაგან, რომელსაც ჩვენ დღეს ვიცნობთ.

განსხვავება არმენოფილურ და ჩვეულებრივ რედაქციებს შორის ძალზე დიდი ყოფილა, კერძოდ, როგორც აღინიშნა, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ქართველთა ეთნოგენეზისის, ქართველთა ჩვევების, ქართველთა ქვეყნის საზღვრების, ქართველთა ენისა და სხვათა შესახებ. შეხედულებათა განსხვავება არსებითია. ჩანს, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თვალსაზრისი აღნიშნულ საკითხებზე მსგავსი იყო „ჰამბავნი მეფეთანის“ არაარმენოფილური რედაქციის თვალსაზრისისა.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ XII საუკუნეში, არსენ იყალთოელის დროს არსებობდა „ქართლის ცხოვრების“ („ამბავი მეფეთანის“) ისეთი რედაქცია, რომელიც არაარმენოფილური და საყოველთაოდ მისაღები იყო. ჩანს, ეს არაარმენოფილური „ქართლის ცხოვრების წიგნი“ (ასე უწოდებს მას არსენ იყალთოელი) შეიცავდა ქართველთა ისტორიას უძველესი დროიდან VII საუკუნემდე. ეს წყარო გამოუყენებია არსენ ბერს, რასაც აღნიშნავს კიდეც – „ამას ყოველსა ქართლის ცხოვრების წიგნი ვრცლად მოგვითხრობს“.

თუკი არსებობდა „ქართლის ცხოვრების წიგნის“ არაარმენოფილური რედაქცია, რატომ არ მოაღწია ჩვენამდე? ჩვენამდე არ მოაღწია საერთო-სახალხო-საკითხავი წიგნის – „ვეფხისტყაოსანი“-ს XII-XIV საუკუნეების ხელნაწერებმა. ისინი დაიკარგნენ მონღოლთა შემოსევისას, ჩანს, ასევე დაიკარგა „ქართლის ცხოვრების“ არაარმენოფილური რედაქციაც. ხოლო ამ წიგნის არმენოფილური რედაქცია, რომელიც ალბათ, ადრევე არსებობდა მონოფიზიტი ქართველების საჭიროებისათვის, შემოინახეს მონოფიზიტებმა, სადღაც სომხეთის სომხურ მონასტერში. ცნობილია, რომ საქართველოს მონოფიზიტური ნაწილი (იგულისხმება მხარგრძელებისადმი დაქვემდებარებული ქვეყნები) უბრძოლველად დანებდა მონღოლებს, შემდგომშიც ამ ქვეყნებში შედარებით სიმშვიდე სუფევდა. მხარგრძელების ოჯახი ქართველობდა და ამავე დროს სომხობდა კიდეც. ჩანს, ასევე იყვნენ ქართველი მონოფიზიტები. ისინი არც ქართველობას თმობდნენ და არც სომხობას. „ქართლის ცხოვრების“ არმენოფილური რედაქცია მათ მიდრეკილება-განწყობას სრულებით შეეფერებოდა.

არა მარტო საქართველოს ზოგიერთი კუთხე იყო არმენიზებული, არამედ ჩვენი მეზობელი ალბანეთის ზოგიერთი ნაწილიც.

არმენიზებულ ალბანელებსაც ჰყავდათ თავიანთი ეროვნული ისტორიკოსი, რომელიც ერთდროულად ალბანელი პატრიოტიც იყო და სომეხი პატრიოტიც. ეს იყო მოსე კალანკატუელი. მიუხედავად იმისა, რომ ის ალბანელი იყო, ყოველივე სომხურს ალბანურზე მაღლა აყენებდა. ის წერდა კიდეც არა ალბანურ, არამედ სომხურ ენაზე – „აკად. ს. ერემიანის თანახმად, მოსეს კალანკატუაცის თხზულება იმიტომ დაიწერა სომხურ ენაზე, რომ მოსე წარმოშობით ალბანეთის არმენიზებული ოლქიდან იყო“.[134]

ალბანელთა მსგავსად, საქართველოს არმენიზებული ოლქების (არა ბოლომდე არმენიზებულის, იგულისხმება ტაო – და ქვემო ქართლი, ჰერეთი) ქართველთა უფრო მეტად გასომხების მიზნით, ალბათ, ადრევე მოხდა „ქართლის ცხოვრების წიგნის“ („ამბავი მეფეთანი“) არმენიზაცია. რადგანაც ეს წიგნი მხოლოდ VII ს-ის შუა წლებამდე შეიცავდა ქართველთა ისტორიას (ჰერაკლემდე – „ქართლის ცხ-

ოვრების წიგნი“ ვრცლად მოგვითხრობს „ამისა შემდგომად გამოვიდა მეფე ჰერეკლე“ არსენი ბერი, (იქვე, გვ, 48)), ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ „ქართლის ცხოვრების წიგნის“ არმენოფილური რედაქტირება მოხდა VI საუკუნეში ან VII საუკუნის დასაწყისში, თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ ეს მოხდა შიდა ქართლზე სომეხ მეფეთა ექსპანსიის დროს – VIII-X საუკუნეებში. შიდა ქართლზე თუ რა ძლიერი ზეგავლენა ჰქონდა სომხეთს VIII-X საუკუნეებში, ამის შესახებ მოგვითხრობს ა. აბდალაძე თავის წიგნში – „ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში“.

უნდა ვიფიქროთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ „ამბავი მეფეთანის“ დღეისათვის ცნობილი რედაქცია დაწერილია მოსე კალანკატუელის მსგავსად არმენიზებული ქართველის მიერ სომხური ეკლესიის მრევლად ქცეულ ქართველთათვის (სომხური ეკლესიის მრევლად იქცნენ არმენიზებული ალბანელებიც). ეს რედაქცია მიუღებელი იყო საქართველოს სამოციქულო ეკლესიისათვის და ის არ გამოიყენა ქართული ეკლესიის ერთ-ერთმა მეთაურმა არსენ იყალთოელმა ქართული ეკლესიის ისტორიის მოკლედ აღწერის დროს.

არსებობდნენ თუ არა არმენიზებული ქართველები და ჰყავდა თუ არა სომხურ ეკლესიას ქართული მრევლი?

ჩანს, ეს საკითხი უკვე შესწავლილი აქვთ სომეხ ისტორიკოსებს, მაგალითად, გ. ტერ-მკრტიჩიანი ფიქრობს, რომ კორიუნი (ან აგათანგელოსი) ქართველი იყო. „როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს – გ. ტერ-მკრტიჩიანს აგათანგელოზი და კორიუნი იდენტურ პირებად მიაჩნდა და ფიქრობდა რომ კორიუნი „... ქართველთა, ანუ ქართველ-სომეხთა ეპისკოპოსი იყო ...იქნებ ქართველიც კი...“[135]

თვით ნ. მარი წერდა, რომ ტაო-კლარჯეთის ქართველური მოსახლეობა სომხდებოდა VIII საუკუნემდე. მართლაც, აქაური მოსახლეობა ნამდვილად განიცდიდა არმენიზაციის პროცესს. აქაური იყო ნერსე იშხნელი – შემდგომ კათალიკოსი სომხური ეკლესიისა, შეიძლება არმენიზებული ქართველი და ამიტომაც ის სიმპათიით იხსენიება გიორგი მერჩულეს მიერ. ნეტარს უწოდებს, ასევე ქართულ ეკლესიაში მიღებული საკითხავიც „წმიდისა ყრმათა ორთა ძმათა დავითისა და ტარიჭანისა“ მას „ნეტარ დიდ ნერსეს“ უწოდებს – „მაშინ ვითარცა ეუწყა საქმე ესე წმიდასა მამასა ჩვენსა ნერსეს კათალიკოზსა სომხითისასა, რამეთუ თვით ჰხედვიდა იგი იშხნით საკვირველებასა და ბრწყინვალებასა... სრბით მოიწია დივრის“.[136]

„დავით და ტარიჭანის მარტვილობიდან“ ჩანს, რომ ტაო თავისი საეკლესიო ცენტრ იშხანით და, ცხადია, მის სამხრეთით მდებარე ტერიტორიებით, რომელზედაც შემდეგ აშენდა ბანა, ხახული, ოშკი – 650-იან წლებში ნერსე კათალიკოსის დროს, შედიოდა სომხეთის ეკლესიაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს მხარე სომხებით იყო დასახლებული, პირიქით, აქ ცხოვრობდნენ ქართველები, რომელნიც იყვნენ მრევ-

ლი სომხური ეკლესიისა. აქ საეკლესიო ენა იყო სომხური ენა, ხოლო ოჯახის ენა – ქართული. თავიანთი თავი მიაჩნდათ ქართველებად (VII საუკუნეში), ხოლო ბერძნები ამ მხარეს – „ივერიას“ უწოდებდნენ. თვით სომეხი მემატიანეებიც კი ამ მხარეს „ქართველთა“ მხარეს უწოდებდნენ VII ს-ში იოანე მამიკონიანის მატიანედან ირკვევა, რომ მე-7 ს-ში მესხეთის მხარეები (და კლარჯეთი) ქართულ მხარეს წარმოადგენდა.[137] ამ მატიანედან ირკვევა: 1. „VII საუკუნეში მესხეთი ჭოროხიდან ვანანდამდე, კლარჯეთის ჩათვლით, სამფლობელოა ვაშდენ „ქართველთა (ივერიელთა) მთავრისა“, ვაშდენის ძეა ჯოჯიკი „ქართველთა (ივერიელთა) მთავარი“.[138] ამ ქართველ მთავრებს პროსპარსული (ანუ პროსომხური) ორიენტაცია ჰქონდათ და ეს ანტიბერძნული ტაო და კლარჯეთი ქართველებით დასახლებული ქვეყანა იყო. ტაოში VIII საუკუნემდე ცხოვრობდა სომხური ეკლესიის სამწყსოში შემავალი ქართული მოსახლეობა სომხური საეკლესიო ენით. მართალია, ტაო და კლარჯეთი ქალკედონიტური მიდრეკილებისა იყვნენ, მაგრამ სომხურმა ეკლესიამ ტაოელ ქართველთა თავის გავლენის ქვეშ მოქცევა იმით შეძლო, რომ ერეკლე კეისრის შემდეგ ის „უნიატური“, ანუ თითქმის ქალკედონიტური გახდა. უფრო ადრე კი, VII საუკუნის დასაწყისში კირიონისა და აბრაამ კათალიკოსის ეპოქაში ტაოს ერთი ნაწილი ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, სადაც არსენი საფარელის თანახმად გადასახლებულა აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მიერ დევნილი ქალკედონიტ სომეხ სამღვდელოთა ნაწილი. საფიქრებელია, რომ სომხური ეკლესიის მიერ „უნიის“ აღიარების შემდეგ ისინი უკანვე დაბრუნდნენ.

ჩანს, სომხური ეკლესიის წევრ ქართველს ეკუთვნის სომეხთა განმანათლებლის წმიდა გრიგორის ცხოვრების არაბული ტექსტი (თარგმანი). ამ არაბულ ტექსტში გამოვლენილია უამრავი ქართული სიტყვა და აგრეთვე ქართული წარმომავლობის გეოგრაფიული სახელები. ავტორი იცნობს და წერს ქართული ეკლესიის შესახებაც. ის დაინტერესებულია ქართული ეკლესიით, მხოლოდ ავტორის (მთარგმნელის) ქართული ეროვნებით შეიძლება აიხსნას მის მიერ ქართული სიტყვების ხმარება და არა ისეთი გართულებული სქემით, როგორიც ეს ნ. მარმა წარმოადგინა.[139]

როგორც ითქვა, სომხური ეკლესიის წევრი იყო თვით კირიონიც ქართლის კათალიკოსად გამორჩევამდე.

„ქართველთა ეპისკოპოსი“ ჰქვია მოსე გუგარქის (ცურტაველ) ეპისკოპოსს, რომელიც სომხური ეკლესიის წევრად მიიჩნევს თავის თავს კირიონის დროს.

ქართველთა გადაქცევა სომხური ეკლესიის მრევლად, სავარაუდოა, IV ს-ის ბოლოსა და V ს-ის დასაწყისში ე.წ. „ბერძნულ სომხეთშიც“. აღნიშნულ დროს ბიზანტიამ „ბერძნულ სომხეთში“ სომხურ ეკლესიას ნება დართო გაევრცელებინა სომხური ანბანი და სომხურენოვანი წირვა-ლოცვა;[140] ბერძნულ სომხეთში, სომეხთა გარდა, ცხადია, ბევრი ქართველიც ცხოვრობდა, რადგანაც ეს მხარე ისტორიულ კაპადოკიაში მდებარეობდა და კესარია-კაპადოკიის (პონტოს დიოცეზის) ნაწილი იყო, სადაც (კაპადოკიაში) საერთოდ ქართველები ცხოვრობდნენ (ქართველ მეცნიერთა თანახმად). კაპადოკიაში მცხოვრები ქართველები, ცნობილია, რომ გაბერძნდნენ – ქართველთა ერთი ნაწილი კი შეიძლება „სომეხი“ გახდა, ანუ წევრი

სომხური ეკლესიისა. ეტყობა, აქვს რაღაც საფუძველი გ. ტერ-მკრტიჩიანს, როცა ის აგათანგელოზს და კორიუნს იდენტურ პირებად მიიჩნევს და ქართველად თვლის. ჩანს, სომხურ ეკლესიაში უკვე კორიუნის დროს ქართველი მრევლიც არსებობდა.

ჩანს, გუგარქში მცხოვრები „სომხურენოვანი“ მრევლი, რომელიც ასე ხშირად იხსენიება „ეპისტოლეთა წიგნში“, ეროვნებით ქართველი იყო საეკლესიო სომხურენოვანი წირვა-ლოცვით (ალბანელთა მსგავსად). ისტორიული პროვინციები: გაჩიანი, გარდაბანი, კუხეთი, რომელნიც შედიოდნენ ჰერეთსა და გუგარქში ქართველებით დასახლებული იყო. მათი ეთნარქები იყვნენ ქართლოსის შვილები – გარდაბოს, კუხოს და გაჩიოსი.[141]

ასევე ყოფილა ტაოშიც და მესხეთის ზოგიერთ სხვა კუთხეში VIII საუკუნემდე.

მართალია, ქართველებს აღნიშნულ მხარეებში მიუღიათ სომხურენოვანი წირვა-ლოცვა და ზოგიერთნი კი სომხური ეკლესიის წევრნიც გამხდარან, მაგრამ მათ კარგად სცოდნიათ, რომ ისინი გვარ-ტომობით და ეროვნებით ქართველები იყვნენ და არა სომხები (ასევე იცოდნენ არმენიზებულმა ალბანელებმა, რომ ისინი ეროვნებით ალბანელები იყვნენ და არა სომხები). სწორედ ამიტომ ისინი შემდეგ დედა ეკლესიას დაუბრუნდნენ.

ჩანს, ძველ საქართველოში სომხური ეკლესიის წევრ ქართველს უწოდებდნენ „სარწმუნოებით სომეხს“. ამის თქმის უფლებას იძლევა გრიგოლ ბაკურიანის ერთი ცნობა, რომელიც შეიძლება ასე გავიგოთ, რომ მე ნათესავით ქართველი ვარ, მაგრამ მყავს „სარწმუნოებით სომეხი“ მსახურებიო – „...ვინაჲცა მენებოს, ნათესავთა ჩემთა და მსახურთა ჩემთა დაღაცათუ სომეხნი იყვნენ სარწმუნოებითა“.[142] შეიძლება, გრიგოლ ბაკურიანი „სარწმუნოებით სომეხის“ ქვეშ გულისხმობდეს თავის მსახურს, მაგრამ ეს მსახური (თუ ნათესავი)“ გვარით ე.ი. ეროვნებით კი არ არის „სომეხი“, არამედ „სარწმუნოებით“. გრიგოლ ბაკურიანი კარგად ასხვავებს ერთმანეთისაგან ეროვნებით სომეხსა და სარწმუნოებით სომეხს. ეროვნებასა და სარწმუნოებას კარგად რომ ასხვავებს ერთმანეთისაგან, ეს იქიდან ჩანს, რომ თავისი თავის (და საძმოს) დახასიათებისას ის არასოდეს არ წერს, მე „სარწმუნოებით ქართველი“ ვარო, არამედ ყოველთვის წერს – მე ეროვნებით „ნათესავით“, „გვარით“ ვარ ქართველიო.

„ქართველნი ვართ ნათესავით მხნენი და მედგრობით აღზრდილნი“. „მონაზონნი მონასტრისა ჩემისანი გუარად ქართველნი არიან“.[143]

გრიგოლ ბაკურიანს ნათესავები და მსახურები ქართველებიც ჰყოლია, „ნათესავთა და მსახურთა ჩემთა ქართველთაო“, წერს ის, მაგრამ ამათგან ზოგიერთი შეიძლებოდა, რომ „სარწმუნოებით სომეხი“ ყოფილიყო – „ვინაჲცა მენებოს, ნათესავთა ჩემთა და მსახურთა ჩემთა, დაღათუ სომეხნი იყვნენ სარწმუნოებით“.

სწორედ ეროვნებით ქართველებისათვის, მაგრამ „სარწმუნოებით სომხებისათვის“, ანუ რაც იგივეა, გრიგორიანი ქართველების საჭიროებისათვის უნდა რედაქტირებულიყო „ქართლის ცხოვრების“ შესავალი ტექსტები არმენოფილების მიერ.

როგორც სხვა თავებში აღინიშნა, ჰერეთში, გუგარქსა და მესხეთის ზოგიერთ მხარეში (სხვადასხვა საუკუნეებში სომხური ეკლესიის გავლენის სფეროში მოქ-

ცეულ ქართველ მრევლს ასწავლიდნენ სომხურ ანბანს და მათ ეკლესიებშიც სომხურად იყო წირვა-ლოცვა. ცნობილია, რომ მცხეთის ჯვრის ტაძარში აღმოჩნდა ქვა სომხური წარწერით (გრაფიტი, ამოკაწრული წარწერა), ასევე, მცხეთის ჯვრისა და ატენის სიონის ქვის ფილებზე არსებობს სომხური ასოები, ამოკვეთილი ქვისმთლელების მიერ. ესაა ქვისმთლელთა ნიშნები, ანუ დამღები. „თუ ქვისმთლელთა ნიშნები – სომხური ასოები ნიშნავს, რომ ხელოსანი იყო სომეხი და ეს ნიშანი მისი ინიციალია, მაშინ ამ შემთხვევაში ქვისმთლელთა და ხელოსანთა შორის ჯვარზე და ასევე ატენში იყო სომეხთა გარკვეული რიცხვი“.[144] უფრო მეტიც, ამ ნიშნებსა და გრაფიტზე დაყრდნობით ისეთი მოსაზრებაც კი გამოითქვა, რომ ჯვრის ტაძრის არქიტექტორი სომეხი იყო.[145]

როგორც ვთქვით, ჰერეთის, გუგარქის და მესხეთის ნაწილის ქართველობა „სომხურენოვანი“ იყო, ე.ი. მათ ეკლესიებში წირვა-ლოცვა აღნიშნულ საუკუნეში სომხურად ტარდებოდა. აქედან გამომდინარე, მოსახლეობამ იცოდა სომხური წერა-კითხვა. სომხური ისწავლებოდა, ქართული აკრძალული იყო. ამიტომაც მცხეთის ჯვარსა და ატენის სიონზე არსებული სომხური ასოები (და წარწერებიც) შეიძლება იმასაც უჩვენებდეს, რომ აქ ჰერეთიდან, გუგარქიდან და ტაოდან ჩამოსული ქართველი ხელოსნებიც მუშაობდნენ, რომელნიც მათთვის ცნობილ ანბანს (სომხურს) იყენებდნენ.

ი. აბულაძე თვლის, რომ დაბალი ფენის ქართველ და სომეხ მორწმუნეებს არ გაუწყვეტიათ ურთიერთკავშირი. ეპისტოლეთა წიგნის თანახმად, ქართველები სომხეთის მთავარ ეკლესიასა და სხვა ეკლესიებში ლოცულობდნენ. დაბალი ფენები 607-609 წლების შემდეგაც თავიანთ წესს არ შეცვლიდნენ.[146]

სომხური ეკლესიის წევრ ქართველთა არსებობით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მათ ქართულ წიგნებზე თავიანთი საეკლესიო ენით (სომხურით) მინაწერები გაუკეთებიათ. ამ გარემოებით აიხსნება არსებობა სომხური მინაწერებისა ჯრუჭის ოთხთავზე, შატბერდის კრებულსა, ან მიქაელ მოდრეკილის საგალობლებზე. და არა იმით, თითქოსდა ეს მინაწერები ე.წ. „ქალკედონიკი სომხების“ გაკეთებული იყოს.

ქართველთა კულტურული არმენიზაცია მხოლოდ XI საუკუნისათვის შეიძლებოდა რომ დასრულებულიყო, სომეხთა ძლიერი სახელმწიფოს გაუქმებისა და ქართველთა ერთიანი სახელმწიფოს დაარსების შემდეგ. კულტურულად არმენიზებულ ქართველთა საჭიროებისათვის შექმნილა „ქართლის ცხოვრების“ „ამბავი მეფეთანის“ არმენოფილური რედაქცია. მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ არსებობდა „ამბავი მეფეთანის“ ორგვარი რედაქცია – არმენოფილური და ჩვეულებრივი. „ამბავი მეფეთანის“ „ჩვეულებრივი“ რედაქცია თავდაპირველი იყო, ხოლო შემდგომ ამ რედაქციის არმენოფილების მიერ გადამუშავების შედეგად მიღებულ იქნა ის რედაქცია, რომელმაც მოაღწია ჩვენამდე.

როდის იქნა რედაქტირებული არმენოფილების მიერ „ამბავი მეფეთანი“? ცნობილია, რომ ამ რედაქციაში მოიპოვება ცნობა, რომლის თანახმად ქართული მწიგნობრობა შექმნა მეფე ფარნავაზმა და არა მესროპ მაშტოცმა. ეს ცნობა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მიუხედავად ამ თხზულების სრული არმენიზაციისა,

რედაქტორებს არ შეუცვლიათ ცნობა ფარნავაზის მიერ ქართული მწიგნობრობის შექმნის შესახებ. ქართული ანბანის მესროპ მაშტოცის მიერ შექმნის ლეგენდა ჩამოყალიბდა მოგვიანებით X-XIII საუკუნეებში (იხ. ეპისტოლეთა წიგნი, ზ. ალექსიძის შესავალი, გვ. 46). ამიტომაც უნდა ვივარაუდოთ, რომ „ქართლის ცხოვრება“ არმენოფილების მიერ რედაქტირებულ იქნა მესროპ მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის თეორიის ჩამოყალიბებამდე, რადგანაც იმდენად არმენოფილურია „ქართლის ცხოვრება“, რომ შეუძლებელია აღნიშნული თეორია არსებულიყო და მის რედაქტორს არ ამოეგდო იქიდან ფარნავაზის მიერ ქართული მწიგნობრობის შექმნის ცნობა. მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ „ქართლის ცხოვრება“ („ამბავი მეფეთანი“) არმენოფილების მიერ რედაქტირებულ იქნა X საუკუნემდე.

საქართველოს გაერთიანებისა და ძლიერი ქართული სახელმწიფოს არსებობის დროს XI-XIII საუკუნეში არმენოფილურ წრეებს ქართველთა აუგად ხსენება უკვე აღარ შეეძლოთ. ამ საუკუნეებში, როცა ქართველი ერი თავს იწონებდა ეროვნული კულტურის აღორძინებით, აარსებდა „სხვა ათინასა“ და „ახალ იერუსალიმს“, მეცნიერებისა და სულიერი კულტურის მსოფლიო მნიშვნელობის კერებს, აღარავის შეეძლო ქართველთა წინაპრებისათვის ველურობა და კაციჭამიობა (გვამის მჭამებლობა) დაეწამებინა. ამიტომაც ამ დროს წარმოუდგენელია, შეთხზულიყო „ქართლის ცხოვრების“ არმენოფილური თხზულებები. უფრო მეტიც, ცნობილი, დაწყებული XI საუკუნიდან თითქმის ხელახლა „ითარგმნა“ ყველა ის ქართული საეკლესიო წიგნი, რომელიც ოდესღაც სომხურიდან თარგმნილი ანდა რედაქტირებული იყო. სომხური ეკლესია და სომხეთიც კი უკვე თვითვე გახდა აუგად სახსენებელი ქართველთა მიერ. მაგალითად, გიორგი მთაწმიდელი სომხურ სარწმუნოებას დასცინოდა ბიზანტიის იმპერატორის წინაშე, ხოლო რუის-ურბნისის ძეგლისწერამ სომეხთა და სხვათა სახელმწიფოს დანგრევის მიზეზად სოდომური ცოდვები მიიჩნია.

XI-XIII საუკუნეებში საქართველოში მიღებელი იყო ყოველგვარი არმენოფილური თვალსაზრისი. ამ დროს „ქართლის ცხოვრების“ ჩვენთვის ცნობილი არმენოფილური თხზულების დაწერა, ალბათ, შეუძლებელია და ლეონტი მროველიც, შეუძლებელია, იყოს ავტორი „ამბავი მეფეთანისა“.

„ამბავი მეფეთანი“ უძველეს დროსვე არსებობდა, ხოლო X საუკუნემდე ის რედაქტირებულ იქნა არმენოფილთა მიერ.

„ქართლის ცხოვრების“ შესავლის უკვე არსებულმა არმენოფილურმა რედაქციამ თავი შეაფარა სომხეთს. ის თარგმნეს კიდეც სომხურად ამ დროს (XI-XIII სს) სომხეთში თავშეფარებული ეს რედაქცია საქართველოში არავის სჭირდებოდა.

ამ წიგნის (რედაქციის) ბედი შეიცვალა საქართველოს სახელმწიფოს დაშლა-დასუსტებისა (XV) და საქართველოში გრიგორიანული ეკლესიის გავლენის აღორძინების შემდეგ. როგორც აღნიშნული იყო, სპარსეთი და ოსმალეთი XVI-XVIII საუკუნეებში ებრძოდნენ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას. ქართველთა მრევლი მესხეთში ოსმალებმა დაუმორჩილეს კონსტანტინოპოლის ბერძნულ და სომხურ საპატრიარქოებს. ოსმალების მიერ შიდა ქართლის დაპყრობის დროს აქ სომხური ეკლესიის გავლენა ძლიერ გაიზარდა. სპარსეთიც XVI საუკუნის შემ-

დეგ ასევე დიდი სიყვარულით ეკიდებოდა სომხების გრიგორიანულ ეკლესიას. სომხებს უშენებდნენ ეკლესიებსა და ქალაქებს (მაგ. ჯულფაში), მისცეს ყოველგვარი შეღავათი და დახმარება. სომხები მოქალაქეობრივად სპარსელებს გაუთანაბრეს, ამავე დროს კი, ქართული ეკლესიის მრევლს ატყვევებდნენ, სპარსეთის სიღრმეში ასახლებდნენ, ანადგურებდნენ. სპარსეთის პოლიტიკა საქართველოში ითვალისწინებდა სომეხთა ყოველგვარ შეღავათს. ასეთ სიტუაციაში საქართველოში XVI-XVIII სს-ში კვლავ გაჩნდა სომხური ეკლესიის ქართული მრევლი. განსაკუთრებით ბევრი ქართველი გრიგორიანი ცხოვრობდა შიდა და ქვემო ქართლში, კახეთსა და მესხეთში.

სწორედ ამ დროს, საქართველოში ქართველი გრიგორიანული მრევლის გაჩენის დროს, მათი არმენიზაციის დაჩქარების მიზნით მოძებნილი იქნა და ხელახლა გამოჩნდა „ქართლის ცხოვრების“ არმენოფილური რედაქცია.

როსტომ მეფე, რომელიც სპარსეთის წარმომადგენელი იყო საქართველოში, ყოველ ღონეს ხმარობდა სპარსული პოლიტიკის გატარებისათვის. სპარსული პოლიტიკა კი ყოველმხრივ ხელს უწყობდა სომხურ ეკლესიას, სომეხ ვაჭარ-ხელოსან-ამქართა გაძლიერებას მთელ სპარსეთში და მათ შორის საქართველოშიც. როსტომი პროსომხური ორიენტაციისა იყო, სპარსეთის ინტერესებიდან გამომდინარე. ჩანს, ამიტომაც როსტომის სამეფო კარზე ყურადღება მიაქციეს „ქართლის ცხოვრების“ შესავლის არმენოფილურ რედაქციას და როსტომის მეუღლემ, მარიამ დედოფალმა, მისი გადაწერის შეკვეთა მისცა.

ამ დროისათვის უკვე დაკარგული იყო „ქართლის ცხოვრების“ შესავლის „ჩვეულებრივი“ რედაქცია და მხოლოდ არმენოფილური არსებობდა, მაგრამ ეს არმენოფილური რედაქცია მისაღები იყო ქართველი მართლმადიდებლებისათვის, მათ შორის მარიამ დედოფლისათვისაც, რადგანაც უკეთესი აღარ არსებობდა.

ივანე ჯავახიშვილი ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორიის“ განხილვისას წერს, რომ თვით განათლებულ ქართველებსაც კი ეროვნული ისტორიის შესახებ ძალზე მცირედი წარმოდგენა ჰქონდათ და „ქართლის ცხოვრება“ არც კი ენახათ. ფარსადან გორგიჯანიძე როსტომ მეფის კარზე იყო აღზრდილი, „როსტომ მეფემ ვითაც შვილი გამზარდა და მრავალი წყალობა დამმართა...“ – წერს ის,[147]

„სწორედ განმაცვიფრებელი და დაუჯერებელი რამაა, რომ საისტორიო ცნობები იმდროინდელ საქართველოს განათლებულ წრეებს, რომელთა ჯგუფს, უეჭველია, ეკუთვნოდა როსტომ მეფის მახლობელი კაცი, ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე, საქართველოს ისტორია ასე მახინჯად ჰქონიათ დაზეპირებული!.. ვახტანგ გორგასალი მირიან მეფის შვილი იყოო. ეს შემთხვევითი შეცდომა არ არის, ავტორი სრულებით დარწმუნებული ყოფილა, რომ მირიან მეფე ვახტანგ გორგასლის მამა იყო. თუ ასეთს მაღალხარისხოვანს და მეფის მახლობელ მოხელეს და ისტორიკოსს, როგორიც იყო ფარსადან გორგიჯანიძე, ასე დომხალივით ჰქონდა არეული სამშობლო ქვეყნის წარსული და თავგადასავალი, ასე ზღაპრულად ჰქონდა წარმოდგენილი ქართული საუკეთესო წყაროები არამცთუ წაკითხული, თვალითაც კი ნანახი არა ჰქონია, მაშ დანარჩენს ხალხს, ჩვეულებრივს, შუათანა შეძლებისა და ცოდნის პატრონს, რაღა წარმოდგენა უნდა ჰქონოდა? რასაკვირველია, არაფერი!...[148]

სწორედ ზემოთ აღნიშნულის გამო, „ქართლის ცხოვრების“ არმენოფილური ნუსხის აღმოჩენა ნამდვილი ზეიმი უნდა ყოფილიყო იმ დროის ქართველთათვის – საყოველთაო უცოდინარობას ეროვნული ისტორიისას „ქართლის ცხოვრება“ ავსებდა.

ქართველ გრიგორიანებს კი გაახარებდა „ქართლის ცხოვრების“ „ამბავი მეფეთანი“ თავისი არმენოფილური ტენდენციების გამო. ჩანს, არმენოფილებს კიდევ ერთხელ ურედაქტირებიათ ის და კიდევ უფრო გაუმძაფრებიათ არმენოფილური ტენდენციები.

ქართველ გრიგორიანებს XVI-XVIII საუკუნეებში, თუმცა სამშობლოსა და ერის დიდი სიყვარული ჰქონდათ და თავიანთ თავს „ქართველად“, ანდა „საქართველოს შვილად“ თვლიდნენ, მაგრამ ისინი უყოყმანოდ აღიარებდნენ სომხური კულტურისა და ისტორიის უპირატესობას. მაგალითად, „ფარსადან გორგიჯანიძე ქ. გორითგანა ყოფილა. თავის თავს იგი მუსულმანთა სამართლის წიგნში „ჯამი აბასის“ ქართულს თარგმანში ქართველს უწოდებს. ბროსეს კი ჰგონია, რომ იგი სომეხი უნდა ყოფილიყო. შესაძლებელია, მით უმეტეს, რომ მისი ნაწარმოების პირველ ნაწილში სომხეთის ისტორიის ამბებს საპატიო ადგილი აქვს დათმობილი“.[149]

მართალია, ის გაქართველებულ სომხად მიიჩნევა, მაგრამ პირიქით, ის „გრიგორიანი“ ქართველია, ანუ გასომხებული ქართველი. მას მუსულმანობაც მიუღია,[150] მაგრამ ამ დროს ის მაინც გასომხებული ქართველია. იმ დროს, როგორც ნ. ირბახი და მრავალი თვითმხილველი წერდა, საქართველოში ყოველდღიურად მრავალი ქართველი სომხდებოდა, როგორც მაღალი, ისე დაბალი წოდებისა, განსაკუთრებით კი სომხდებოდნენ ქართველი ყმა-გლეხები (სომეხი მებატონისა) და ტყვეობისაგან გამოხსნილი (სომეხთა მიერ) – ქართველები. ეს ის დროა, როცა შაჰ-აბასი და სხვა (მის წინა და მის შემდეგ) სპარსი თუ ოსმალო მმართველები ქართველებს ატყვევებდნენ, საქართველოს აოხრებდნენ, ქართულ ეკლესიას ებრძოდნენ. ამავე დროს კი შაჰ-აბასი და სხვები ირანის დედაქალაქში (ისპაჰანის უბანში – ჯულფაში) სომხებს ეკლესიებს უშენებდნენ; სომხურ ეკლესიებს ირანელ ოსტატებს ალამაზებინებდნენ და ევროპელ ოსტატებს ახატვინებდნენ, მაგალითად, „რაც შეეხება „ვანქის“ ეკლესიას, იგი თავისი არქიტექტურული გადაწყვეტით, მოოქროული ჭერითა და გუმბათით, დახვეწილი გემოვნებით შესრულებული მხატვრობით, ჯულფის ყველაზე მნიშვნელოვან თვალსაჩინო ძეგლს წარმოადგენს. „ვანქის“ ეკლესიის ხუროთმოძღვრება და კედლის ორნამენტი, მოხატულობა ირანელ ოსტატებს ეკუთვნით, ხოლო სიუჟეტური კომპოზიციები ევროპელ ფერმწერთა მიერაა შესრულებული...[151]

ამავე დროს კი სიონის მეჩეთად გადაქცევას ცდილობდნენ. ასეთ ეპოქაში სომეხთა გაქართველება წარმოუდგენელია, ხოლო ქართველთა გასომხების შესახებ თვითმხილველი ევროპელი მისიონერები და ქართველი მოღვაწეები წერდნენ.

გასომხებული ქართველი ფარსადან გორგიჯანიძე წერს საქართველოს, მისი სამშობლოს ისტორიას, მაგრამ არმენოფილური ტენდენციით. თავის საქართველოს ისტორიის პირველ ნაწილში სომხეთის ისტორიის ამბებს საპატიო ადგილი დაუთმო, აღწერა სომეხთა თრდატ მეფის ამბავი: „...რომლის შემდგომ მე-9 გვერდამდე სომხეთის ისტორიის მოკლე ცნობებია მოყვანილი. მერე მე-10 გვერდზე მოთხრობილია

სულ მოკლედ ბაგრატიონთა მოსვლა საქართველოში, მათი გაქართველება...“[152] („...დავით გაბატონდა სომეხთა ქორონიკონს...“, „...აქამადისან რომ სომხობას უკან ბატონობა უქნიათ ქართველობაშიგან...“ „სომეხთ ქორდასს...“ „სომეხი ქორონიკონით“ „სომეხთცხოვრება“, „სომეხთ ხელმწიფე“, ეს და სხვა მსგავსი წინადადებები ხშირად გვხვდება მის ისტორიაში). მის საქართველოს ისტორიაში წინა პლანზეა სომხეთი და სომეხთა თავგადასავალს ძალზე საპატიო ადგილი უჭირავს. ამ მხრივ მისი თხზულება ძალზე ჰგავს „ამბავი მეფეთანის“ არმენოფილურ რედაქციას.

ჩანს, სწორედ ფარსადან გორგიჯანიძის მსგავს ქართველ მოღვაწეებს ხელახლა ურედაქტირებიათ „ქართლის ცხოვრება“ ვახტანგ VI-ის ეპოქაში.

ერთმანეთს შეადარეს ვახტანგამდე (ვახტანგის წინარე – ე.წ. „ძველი ქართლის ცხოვრებისა“) და ვახტანგის შემდგომი (ე.წ. „ახალი ქართლის ცხოვრება“) ტექსტები, რომელნიც ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში ლაშქრობას შეეხება.

ვახტანგის შემდგომი „ქართლის ცხოვრების“ საანალიზო ტექსტები მიუთითებენ, რომ მათში ძალზე გამძაფრებულია ქართველთა აუგი, კერძოდ, ახალ რედაქტორებს „ლეონტი მროველისად“ მიჩნეულ ტექსტში ჩაურთავთ ზედმეტი ადგილები ქართველთა ბილწ ჩვევათა წარმოჩენისათვის.

მაგალითად, ვახტანგის წინარე რედაქციების თანახმად, ალექსანდრე „მოვიდა ქართლად და პოვა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა. რამეთუ ცოლ-ქმრობისა და სიძვისათვის არა უჩნდა ნათესაობა, ყოველსასა სულიერსა სჭამდეს, მკვდარს შეშჭამდეს“, – ამით ამ რედაქციებში მთავრდება ქართველთა აუგი და იწყება სხვა ამბავი ვახტანგის შემდგომ რედაქციებში (ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1955 წელს დაბეჭდილი „ქართლის ცხოვრება“) ქართველთა აუგი გრძელდება ასე „...ყოველსა სულიერსა ჭამდეს, მკვდრისა შესჭამდეს, ვითარცა მხეცნი და პირუტყვნი, რომელთა ქცევისა წარმოთქმა უხმ არს და იხილნა რა ესე ნათესავნი სასტიკნი წარმართნი, რომელთა იგი ჩვენ ბუნთურგად და ყივჩაღად უწოდთ, მსდგარენი მდინარესა მას მტკვრისასა მიხვევით“.[153]

„მროველის ტექსტში ამის წინ ნათქვამი იყო, რომ ქართლში შემოსულმა ალექსანდრემ ჰპოვნა „ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა“. გამოდის, თითქოს ბუნ-თურქად და ყივჩაღად წოდებულნი სასტიკნი ნათესავნი იყვნენ „ყოველნი ქართველნი“.[154]

ასე ამძაფრებს ახალი რედაქტორი XVI საუკუნის შემდგომ ქართველთა აუგს. მას თავის წყაროდ, ქ. ცხადაძის გამოკვლევის თანახმად, გამოუყენებია არსენ ბერის თხზულება, მაგრამ აღსანიშნავია, რომ არსენ ბერი საძრახის ჩვევებს მიაწერდა არა ქართველებს, არამედ ქართველების მოსვლამდე საქართველოში მცხოვრებ სხვა ხალხს, ხოლო ახალმა რედაქტორმა ეს თვისებები ქართველებზე გადაიტანა. თეიმურაზ ბაგრატიონი კატეგორიულად უარყოფდა იმის შესაძლებლობას, რომ ქართველებს მსგავსი ჩვევა ჰქონდათ.

„თეიმურაზი კატეგორიულად აცხადებს, „არა ჭეშმარიტ არს“ და მრავალი უარსაყოფი არგუმენტის მოყვანის შემდეგ მტკიცედ ასკვნის, რომ ამისი მსგავსი ჩვეულება არამც თუ ქართლოსიანთა შორის, არამედ საერთოდ აზიის ერთა შორისაც არასოდეს ყოფილაო“.[155]

ზოგიერთ მკვლევართა აზრით, ქართველნი ასეთი საძაგელი ჩვევების მქონედ მიიჩნიეს ქართველმა საეკლესიო პირებმა გარკვეული მიზნით „ეკლესიისა ჩვენისა მოძღვარნი უძაგებდეს მათ გარდავლილთა წინაპართა მათთა და მათსა იტყოდეს მრავალთა უწესოთა ქცევათა და არაწმიდათა და მკვდართა ჭამასა ხორცსა კაცისასა... რათა ქრისტეს სარწმუნოებასა ზედა მოქცეულთა ერთა შეიძულონ ჩვეულებანი და ზნენი წინაპართა კერპთმსახურებისანი“ (თეიმურაზ ბაგრატიონის აზრია).[156]

მართალია, ნიკოლოზ გულაბერიძე წერდა, გაქრისტიანებამდე ქართველები „უმძვინვარესნი და უველურესნი“ იყვნენო, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ შეიძლება გაზიარებულ იქნას თეიმურაზის მოსაზრება. არა ქართული ეკლესიის მოძღვრებმა დახატეს ქართველთა წინაპრები ველურებად, არამედ იმ ძალებმა, რომელნიც საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის დასუსტებისას ცდილობდნენ ქართველთა სხვა ხალხში ასიმილაცია გაეადვილებინათ.

ქართველთა ეროვნული სიამაყის შესუსტება სურვილი იყო უცხო ძალებისა რთული პოლიტიკური სიტუაციის დროს.

„ქართლის ცხოვრების“ ხელახლა გამოცემის დროს სასურველია მასში აღარ შევიდეს ის შეურაცხმყოფელი ჩანართები, რომელნიც განეკუთვნება ვახტანგ VI-ის შემდგომ ეპოქას, მით უმეტეს, რომ მარი ბროსეს მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრებასა“ და მის ფრანგულ თარგმანში ამ ჩანართების ერთი ნაწილი შეტანილი არ არის.

ქართველთა ანმენიზაციის შესახებ

ამჟამად, როგორც წესი, მიიჩნევა, რომ შუა საუკუნეებში მიმდინარეობდა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისა და აგრეთვე სომეხთა გაქართველება. თითქოსდა ეს ხდებოდა სარწმუნოებრივი გზით, ქალკედონიტური სარწმუნოების მიღების შემდეგ სომხები ექცეოდნენ ქართულ კულტურულ გარემოში და ისინი ქართველდებოდნენ.

მიიჩნევა, რომ ქალკედონიტობა არის ქართველთა ეროვნული სარწმუნოება, ხოლო მონოფიზიტობა (გრიგორიანობა) სომეხთა ეროვნული სარწმუნოებაა. თუ სომხები ქალკედონიტობის მიღებით ქართველდებოდნენ, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ასევე ქართველები სომხდებოდნენ გრიგორიანობის მიღებით.

ჰქონდა თუ არა ადგილი ასეთ პროცესს, იღებდნენ თუ არა ქართველები სომხურ სარწმუნოებას, ექცეოდნენ თუ არა ისინი სომხური ეკლესიის გავლენის სფეროში და ამით სომხდებოდნენ?

ჩვენს მეცნიერებაში არაა მიღებული მსჯელობა ქართველთა გასომხების შესახებ, მაშინ როცა სომეხთა გაქართველების შესახებ წერს ყველა მეცნიერი, რომელიც ეხება V-XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორიას, ამიტომაც თუ შეიძლება მსჯელობა სომეხთა გაქართველების შესახებ, მაშინ ქართველთა გასომხების შესახებაც მსჯელობა არ უნდა იწვევდეს არავითარ უხერხულობას და ჭეშმარიტების დადგენა უმთავრესი უნდა იყოს.

პირობები ქართველთა გასომხებისათვის შექმნილი იყო არათუ შუა საუკუნეებში, არამედ XIX საუკუნეშიც კი. ამის დამამტკიცებელი მაგალითების მოყვანამდე უნდა ითქვას სომხური სარწმუნოების შესახებ.

მიღებულია, რომ სომხური ეკლესია მონოფიზიტური ეკლესიაა, სინამდვილეში კი სომხურ ეკლესიას, და საერთოდ, სომხებს, მხოლოდ პირობით თუ ეწოდებათ ასეთი სახელი. სომხურ ეკლესიას გააჩნია თავისებური, განსაკუთრებული სარწმუნოება, რომელიც, მართალია, მიმდევარია მონოფიზიტური დოგმატიკისა, მაგრამ ამავე დროს უახლოვდება დიოფიზიტურს (ე.ი. მართლმადიდებლობას).[157]

მართალია, სომხურმა ეკლესიამ უარყო ქალკედონის კრება, რომელიც მისი აზრით ნესტორიანობის აღორძინებას უწყობდა ხელს, მაგრამ ამავე დროს, მონოფიზიტობის მრავალ მიმართულებას შორის იმას გაჰყვა, რომელიც ახლოს იდგა მართლმადიდებლობასთან. ეს არის თავისთავადი სარწმუნოება, რომელსაც ეწოდება კიდეც სომხური ეროვნული სარწმუნოება. სომეხ თეოლოგთა აზრით, ეს არის ის დოგმატიკა, რომელსაც ქადაგებდა წმიდა გრიგორი (ანუ ეს არის ნიკეის I მსოფლიო კრების ქრისტოლოგიაო).

ამიტომაც, სომხურ ეროვნულ სარწმუნოებას წმიდა გრიგორის სარწმუნოება, ხოლო ეკლესიას „სომხურ-გრიგორიანული ეკლესია“ ჰქვია.

იმის გამო, რომ წმიდა გრიგორის ეკლესია არც მტკიცე მონოფიზიტურია, და არც დიოფიზიტური, არამედ რაღაც საშუალო შემთანხმებლური ქრისტიანობის სხვადასხვა დაპირისპირებულ მიმართულებათა შორის, ეკლესია იქცა გაჭირვების ჟამს თავშესაფარებელ სავანედ სრულიად სხვადასხვა სარწმუნოებრივი მიმართულების ქრისტიანი ხალხებისათვის, სადაც მათი სარწმუნოებრივი გრძნობები და რწმენა თითქმის არ იბღალებოდა.

სომხური ეკლესია ალბანელების, ქართველების, სირიელებისა და სპარსელი ქრისტიანებისთვისაც კი მშობლიური ეკლესია იყო. ამას ადასტურებს სომეხ-ქართველ-ალბანელთა გაერთიანებული კრებები, რომლებიც ტარდებოდა სომხეთში V საუკუნის შემდეგ, ცნობილია, რომ სპარსელი ქრისტიანები (VI-VII სს.) სომხური ეკლესიის მეთაურს ეკითხებოდნენ რჩევას და მოითხოვდნენ მისგან მითითებას (შემონახულია ეპისტოლეები სპარსელი ქრისტიანებისა სომეხი კათალიკოსისადმი). სომხურ ეკლესიაში მრავლად მოღვაწეობდნენ სირიელები, აგრეთვე ალბანელები (მაგალითად, მოსე კალანკატუელი) და ქართველები (კირიონ კათალიკოსი საქართველოში ჩამოსვლამდე სომხეთის მთავარი ეკლესიის წინამძღვარი და აირარატის პროვინციის ქორეპისკოპოსი იყო).

როგორც ითქვა, სომხური სარწმუნოება ეროვნულია, რადგანაც მისი დოგმატიკა განსხვავდება და განირჩევა სხვა სარწმუნოებრივი მიმართულებებისაგან და ახასიათებს მხოლოდ მას. ამით სომხური ეკლესია ეროვნული ეკლესიაა.

არის თუ არა ქალკედონიტობა მხოლოდ ქართველთა სარწმუნოება? არ არის. ამ თვალსაზრისით, ქართველებს ეროვნული სარწმუნოება არ გააჩნიათ. ქალკედონიტობა, უპირველეს ყოვლისა, „ბერძნული სარწმუნოებაა“ (ქართველები „ბერძნულს“ უწოდებდნენ მსოფლიო (კათოლიკე) – საყოველთაო ეკლესიას).

ქალკედონიტობა მსოფლიო სარწმუნოებაა. საქართველოს მეზობელი დიდი ქრისტიანული იმპერიების, ბიზანტიისა და რუსეთის სარწმუნოება ქალკედონიტური იყო, ამიტომაც ჯერ ბიზანტიასთან და მერე რუსეთთან მებრძოლი[158] სპარსელები (VII

საუკუნემდე), არაბები (X საუკუნემდე), თურქები (XI საუკუნის შემდეგ) და კვლავ სპარსელები (XVI საუკუნის შემდეგ) ქართველების ქალკედონიტურ სარწმუნოებას განიხილავდნენ როგორც მოწინააღმდეგე იმპერიების – მტრის სარწმუნოებას, დაუნდობლად ებრძოდნენ ქართველებსა და ქართულ ეკლესიას. ამ დროს კი სომხური ეკლესია, როგორც ნეიტრალური სარწმუნოების მქონე, მათთვის მისაღები იყო. უფრო მეტიც, სომხური ეკლესიის მეშვეობით ცდილობდნენ ქალკედონიტობის აღმოფხვრას საქართველოსა და კავკასიაში.

სპარსელები VII საუკუნის 20-იან წლებამდე თუ როგორი პატივისცემით ეპყრობოდნენ და აძლიერებდნენ სომხურ ეკლესიას, და შემდგომ კი არაბები თუ როგორ ებრძოდნენ ამიერკავკასიის ქვეყნებში (ალბანეთსა და საქართველოში) სომხური ეკლესიის საშუალებით ქალკედონიტებს, ამის შესახებ ნათქვამია სხვა თავებში.

მართალია, იმის შემდეგ, რაც საქართველომ გააერთიანა თავისი მიწები და არა მარტო კავკასიაში, არამედ მცირე აზიაშიც ვასალური სახელმწიფოებრივი ერთეულები დააარსა (XI-XIII საუკუნეებში) ქართული ეკლესიის (ქალკედონიტობის) საწინააღმდეგო მოქმედება არავის შეეძლო, მაგრამ ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ (XV ს.) მეზობელი თურქეთი და ირანი იწყებენ ომს ქართული ეკლესიის წინააღმდეგ. სამაგიეროდ, როგორც თურქეთი, ისე ირანი აძლიერებენ სომხურ ეკლესიას და მას უქვემდებარებენ თავიანთ სახელმწიფოებში მცხოვრებ ქართველებსა და სხვა ერებს.

თურქებმა კონსტანტინოპოლის „ახლადშექმნილ სომეხთა საპატრიარქოს დაუმორჩილეს: სომხები, სირიელები, ქალდეველები, კოპტები, ქართველები (იგულისხმება ამ დროს თურქების მიერ სამხრეთ საქართველოს დაპყრობილი პროვინციების ქართველები, ყარს-არზრუმისა და ნაწილობრივ, იმიერ ტაოს მიმდებარე მიდამოების ქართული მოსახლეობა), აბისინიელები“.[159] სომხური საპატრიარქოსადმი დამორჩილებული ქართველები სომხდებოდნენ, არა მარტო იმიტომ, რომ მათ ეკლესიებში ინერგებოდა სომხური ენა და ისინი გრიგორიანდებოდნენ, არამედ იმიტომაც, რომ მათ სამოქალაქო – სასამართლო საქმეებსაც კი წყვეტდა კონსტანტინოპოლის სომეხთა საპატრიარქო.[160]

მესხეთის ქართველი ქრისტიანები თურქებმა დაუქვემდებარეს სომხურ ეკლესიას, რითაც გაგრიგორიანდნენ. „ამ მხრივ, როგორც ჩანს, ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა აგრეთვე კონსტანტინოპოლის გრიგორიანული საპატრიარქო, რომლის უფლებასაც XV საუკუნის მეორე ნახევრიდან დაექვემდებარა აგრეთვე სამცხე-საათაბაგოს ქართული ეკლესია. ქართველთა გრიგორიანულ სარწმუნოებაზე მიქცევის ტენდენციები აშკარად შეიმჩნევა იმიერ ტაოსა და არზრუმის სასაზღვრო პროვინციების ქართულ მოსახლეობაში. როგორც საფიქრებელია, ყარსისა და არზრუმის ქართული მართლმადიდებლური სამწყსო (კარელისა და არზრუმელის საეპისკოპოსოები), რომლებმაც XVII საუკუნემდე მოაღწიეს, საუკუნის ბოლოს მთლიანად გაუქმდა და მრევლი ძალაუნებურად შეერწყა თურქულ-მუსულმანურ თუ სომხურ-გრიგორიანულ რელიგიებს. აქაურ მართლმადიდებელთა (ქართველთა) გაგრიგორიანების (გასომხების) ფაქტი დადასტურებული აქვს მკვლევარ იგნატი ფაფაზიანს

თავის „ეკლესიის ცხოვრებაში“. ასეთივე ვითარება შეიქმნა XVI-XVII საუკუნეებში ტყიანი არტაანისა და პატარა არტაანის თემებში, ჩილდირის ტბის მიდამოებში...“[161]

არა მარტო მესხეთში, არამედ ყველგან საქართველოში, სადაც კი თურქები ბატონობდნენ, სომხურ ეკლესიას უფლება ეძლეოდა ქართველ ქრისტიანებზე, ხოლო ქართული ეკლესია იდევნებოდა.

„თითქოს გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, XV საუკუნის შუა ხანებში თურქეთის დაპყრობილ ტერიტორიაზე არნახულად გაიზარდა როგორც სომეხ ვაჭარ-მრეწველთა, ისე სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის ძლიერება და ავტორიტეტი. საკუთარი სახელმწიფო დაკარგული სომეხი ხალხი თურქეთის სულთანებს თავიანთი პოლიტიკის დასაყრდენ იარაღად მიაჩნდათ“.[162]

კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ თურქებმა გააუქმეს ბერძნული პოლიტიკური ხელისუფლება. „ამიერიდან რჩებოდა მხოლოდ ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო, რომელიც ქვეყანაში ჯერ კიდევ დიდი გავლენით სარგებლობდა. მოსალოდნელი ექსცესების თავიდან ასაცდენად, როგორც ოსმალები ფიქრობდნენ, საჭირო იყო გამონახულიყო მესამე ძალა, რომელიც დაუპირისპირდებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, ბზარს შეიტანდა მართლმადიდებელთა უფლებებში და მის რეალურ კონკურენტად გადაიქცეოდა. სულთნის მთავრობამ ასეთ მესამე ძალად მიიჩნია თურქეთის იმპერიაში მცხოვრები სომხები და მათი სომხურ-გრიგორიანული ეკლესია, რომელიც ეკონომიურად მაშინ საკმაოდ მოღონიერებული ჩანდა... სულთან მეჰმედ II-ს კონსტანტინოპოლელი სომხები მიაჩნდა თავისი ინტერესების ერთგულ დამცველად. საერთოდ, ქრისტიანულ რელიგიურ მიმდინარეობაში სომეხთა თავისებური სექტა, რომელსაც მოგვიანებით (1836 წელს) გრიგორიანობა შეერქვა, სომხებს განსაკუთრებულ და შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებდა როგორც თურქეთში, ისე ირანში. ასე შეიქმნა მეორე სომხური საპატრიარქო კონსტანტინოპოლში. ამრიგად, სომეხი ხალხი სომხური სახელმწიფოს არარსებობის პირობებში უცბად ორი საპატრიარქოს (ეჩმიაძინ-კონსტანტინოპოლის) და ორი საკათალიკოსოს (სისის და ახტამარის) პატრონი გახდა“.[163]

საქართველო გაყოფილი იყო თურქეთსა და ირანს შორის. თუ საქართველოს თურქულ ნაწილში ქართველების გასომხებას თურქები უწყობდნენ ხელს, ირანულ ნაწილში (ქართლსა და კახეთში) ქართველების გასომხება სპარსელების ნებით ხდებოდა.

იმ დროს, როცა საქართველოს კათალიკოსი ევდემოზ დიასამიძე სპარსმა ხელისუფალმა კლდიდან გადააგდებინა, ხოლო კათალიკოსი დომენტი სტამბოლის ციხეში იყო გამოკეტილი, ირანის დედაქალაქში სპარსელი შაჰების ხელშეწყობით აგებდნენ სომხურ ეკლესიებს ბრწყინვალე არქიტექტურული გადაწყვეტით, მოოქროული ჭერითა და გუმბათებით, დახვეწილი გემოვნებით შესრულებული მხატვრობით (1605-1663 წწ),[164] ამავე დროს კი თბილისის სიონი კინაღამ მაჰმადიანურ მეჩეთად გადააკეთეს.

„უფრო მეტიც, სპარსეთში გასახლებულ სომხებს შაჰი ნებას რთავდა და პირადადაც ეხმარებოდა ეკლესიების მშენებლობაში, დადიოდა მათ ქრისტიანულ დღესასწაულებზე, ესწრებოდა ქრისტიანულ ცერემონიალებს, მისი განსაკუთრებუ-

ლი ბრძანებით სჯიდნენ ყველას, ვინც სომეხ ქრისტიანს შეურაცხყოფას მიაყენებდა... აბრაამ ერევანცი სულთან აჰმად III-ს სომეხთა კეთილდღეობაზე მზრუნველსა და „სომეხი ხალხის მეურვეს“ ეძახის, უფრო მეტიც, ნადირ-შაჰის მიერ სომხებისადმი გამოცემული რაყამებიდან IV რაყამში ვკითხულობთ – „თუ რომელიმე სომეხი ქრისტიანი მიიღებს მაჰმადიანურ სარწმუნოებას, მაშინ მას ჩამოერთმევა მთელი მისი მემკვიდრეობა“.[165] ამავე დროს ქართველებს იძულებით ამაჰმადიანებდნენ, მაშასადამე, თუ ქართველს ქრისტიანად დარჩენა უნდოდა, ის უნდა გასომხებულიყო, რადგანაც სომხის გამაჰმადიანებას კანონი კრძალავდა.

ამ ეპოქაში ქართლ-კახეთი ძირითადად სპარსელების ხელში იყო და სპარსეთის სახელმწიფოში შედიოდა, ამიტომაც საქართველოში, ისევე როგორც მთელ სპარსეთში, სომხები პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ, ხოლო ქართული ეკლესიის მრევლი – დევნილი.

იმის შემდეგ, რაც „...ირანის შაჰმა ეჩმიაძინს, როგორც სომეხთა სარწმუნოებრივ ცენტრს, მოწყალე თვალით შეხედა“,[166] სომეხთა სარწმუნოებრივი ცენტრი განუზომლად გამდიდრდა, გაფართოვდა და თავისი გავლენა გაავრცელა მეზობელ ქვეყნებზე.

„ეჩმიაძინს მნიშვნელოვანი მამულები ჰქონდა თავრიზსა და თბილისში. მამულებთან ერთად ისინი ყიდულობდნენ აგრეთვე ყმა-გლეხებს, რომლებიც ამუშავებდნენ ნაყიდ მიწებს. მაგ., 1715 წელს კათალიკოს ასტვაცატურ ამადნელმა თბილისში იყიდა ყმებად ხახუტაიშვილების რამდენიმე ოჯახი, რის შემდეგ ისინი დიდხანს ეჩმიაძინის ნასყიდ ყმებად ითვლებოდნენ“.[167]

ცნობილია, რომ ის ქართველი ყმა-გლეხები, რომელთაც ეჩმიაძინი და საერთოდ, სომხური ეკლესია ყიდულობდა, იღებდნენ გრიგორიანულ სარწმუნოებას და სომხდებოდნენ.

ქართველი გლეხების გასომხების ფაქტი აღწერილი აქვს მისიონერ ამბროზის. მას შეუმჩნევია, რომ სომხდებოდნენ არა მარტო სომხური ეკლესიის მიერ ნაყიდი ქართველი გლეხები, არამედ სომხდებოდა იმ ქართული სოფლების მოსახლეობა, რომელსაც იძენდნენ მდიდარი სომხები. 1640 წელს ის რომში გზავნის წერილს. ქართველებიო, – წერს – „რაკი მათი ხელქვეითი გახდებიან, ბევრი მათგანი გადადის სომხის წესზედ“... მდიდარი სომხები კი, რომელთაც შეეძლოთ საქართველოში სოფლების, მამულებისა და ყმების შეძენა, მრავლად იყვნენ როგორც სპარსეთში, ისე თურქეთში (სპარსეთში შედიოდა ქართლ-კახეთი, თურქეთში – მესხეთი).

სპარსეთის სომხებმა „შექმნეს ჯულფის სავაჭრო კომპანია, კავშირი დაამყარეს იტალიის, საფრანგეთის, პრუსიის სამრეწველოებთან, შექმნეს თავიანთი კანტორები ინდოეთის თითქმის ყველა დიდ ქალაქში, იავასა და ფილიპინის კუნძულებზე და სხვა... თურქეთისა და მეორე მხრივ, სპარსეთის მესვეურთა პოლიტიკის წყალობით XVII-XVIII საუკუნეებში სომხური სავაჭრო კაპიტალი საერთაშორისო არენაზე გავიდა. მათ ვხედავთ შავი ზღვის, ეგეოსის ზღვის, ხმელთაშუა ზღვის, ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეების აუზებში და სხვა“.[168]

სწორედ ამ დროს, როცა სომხებს თავიანთი სიბრძნისა და გონიერების მეოხებით საშუალება ჰქონდათ სიმდიდრე მოეპოვებინათ, ინდოეთისა და წყნარი ოკეანეების

სანაპირო ქვეყნებშიც კი, ქართველობას ატყვევებდნენ და სამშობლოდან ასახლებდნენ, დევნიდნენ და ამაჰმადიანებდნენ.

შაჰ-აბასმა კახეთის ქართველობა (ჩანს, 300 ათასი სული) დაატყვევა, სპარსეთში გადაასახლა და იძულებით გაამაჰმადიანა, ამავე დროს კი, შაჰ-აბასის პირადი მეთვალყურეობით შენდებოდა ისპაჰან-ჯულფას ბრწყინვალე სომხური ეკლესიები.

სპარსელები ქართლის აკლების დროსაც უამრავ ქართველს ატყვევებდნენ და სპარსეთში მიერეკებოდნენ. სწორედ ასეთ დროს სომხური ეკლესია ეხმარებოდა და ტყვეობიდან იხსნიდა გრიგორიანული სარწმუნოების მქონე მოსახლეობას.

დატყვევებისა და გადასახლების დროს ირღვეოდა ქართული ოჯახები. მამა ირანის ერთ კუთხეში იყიდებოდა, შვილები კი – სხვაგან, თავისუფლება და ყოველგვარი ადამიანური ღირსება ისპობოდა. ამ საშინელი გასაჭირიდან თავის დახსნა შეიძლებოდა გრიგორიანული სარწმუნოების მიღებით, რადგანაც ირანში არსებული კანონებით, როგორც აღნიშნული იყო, გრიგორიანული სარწმუნოების მქონე მოსახლეობა დევნას არ განიცდიდა.

„...1741 წელს აგვისტოში, როცა ყიზილბაშებმა ქართლი აიკლეს, მერე გაუსიეს მარბიელი ავღანისა და საცა რამ დარჩენილიყო, დაატყვევეს... გამარჯვებულმა სპარსელებმა, როცა ქართლის ტყვეები დააგროვეს და ირანში გასარეკად გაამზადეს, ამ დროს ნადირ-შაჰის წინაშე გამოცხადდნენ სომხური ეკლესიის წარმომადგენლები, მიართვეს მას 300 თუმანი ფული, 300 ფუთი ხორბალი და იხსნეს შორეულ ირანში გასარეკად გამზადებული 300 სომხური ოჯახი იმის გამო, რომ ქართველთა შორის ასეთი სახსრები ძნელად საშოვარი იყო, ჩვენს ქვეყანას დიდძალი ხალხი ეკარგებოდა. ეს ვითარება სომხურ სარწმუნოებას საქართველოში პოპულარულსა და მიმზიდველს ხდიდა“.[169]

ქართველთა გასომხებას მასობრივი ხასიათი მიეცა და ყოველდღიურად თურმე იმდროინდელი დამკვირვებელი საკუთარი თვალით ხედავდა, თუ როგორ სომხდებოდნენ ქართველები. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამ ფაქტს ადასტურებს ისეთი გამოჩენილი მოღვაწე-მოგზაური, როგორიც იყო ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ნიკიფორე ირბახი).

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სასულიერო პირი იყო. მას ელჩადაც აგზავნიდნენ ევროპაში, მიიღო ესპანეთის მეფემ, რომში ქართული წიგნის გამოცემისთვის იზრუნა, პატივს სცემდა რომის პაპი. ის არა მარტო კახეთსა და ქართლში, არამედ სამეგრელოშიც მოღვაწეობდა. ამიტომაც სიტყვა იმ კაცისა, რომელიც კარგად იცნობდა არა მარტო საქართველოს ყოველი კუთხის, არამედ იმდროინდელი მსოფლიოს ცხოვრებას, ჭეშმარიტი იყო და მხოლოდ სიმართლეს შეიცავდა. მან ერთ კრებაზე, რომელსაც ესწრებოდა როსტომ მეფე, საქართველოს კათალიკოსი და ეპისკოპოსები, განაცხადა: „ყოველდღე ჩვენი თვალით ვხედავთ, რომ მრავალნი ქართველნი სომხდებიან და უფრო მომეტებული მათგანი მაჰმადის სარწმუნოებასაც ღებულობს“.[170] როსტომ მეფე, კათალიკოსი და ეპისკოპოსები მას დაეთანხმნენ.

სპარსთა და თურქეთის მიერ დაპყრობილ საქართველოს კუთხეებში ქართველები სომხდებოდნენ, აგრეთვე მაჰმადიანდებოდნენ, ან კათოლიკობას იღებდნენ.

ქართველები განსაკუთრებით სომხდებოდნენ (ანუ გრიგორიანულ სარწმუნოებას იღებდნენ) ქალაქებში და გზისპირა სავაჭრო ადგილებში, გზისპირა სოფლებში. ადამიანის გასომხება იმით გამოიხატებოდა, რომ ის აღიარებდა თავის თავს სომხური ეკლესიის წევრად.

ამ დროს მას ჩვეულებრივ რჩებოდა თავისი ქართული ენა, ქართული ადათ-წესები და ჩვევები, მის ცხოვრებაში თითქმის არაფერი იცვლებოდა, გარდა იმისა, რომ მაჰმადიანებისაგან ახლა, ის უკვე დაცული იყო სომხური ეკლესიის მიერ.

ევროპელი მისიონერები, როგორც წესი, ყოველთვის აღწერდნენ, რომ იმდროინდელ ქართლში ბატონობდნენ სომხები. ამას აღნიშნავენ არა მარტო ევროპელები, არამედ ქართველებიც. მაგალითად, საქართველოს კათალიკოსი ნიკოლოზ VIII 1742 წელს თავის წერილში რომის პაპს, ბენედიქტე XIV-ს სწორედ ამას შესჩივის – „ჩემი დიდი ხნის წადილის შესრულება სომხებმა არ დამაცალეს, რადგან ისინი ახლა ჩვენ აღარ გვიჯერებენ და ამ ქვეყანაში თავისი ნებისამებრ ბატონობენ. თქვენი პატრი კაპუცინები დაამწყვდიეს და ეგოდენად ჰგვემეს და დააწყლულეს, უარესის ქმნა აღარ შეიძლებოდა. გააუპატიურეს წმიდა ხატები და ჯვრები თქვენი ეკლესიისა... დაიჭირეს კათოლიკები თუ მამაკაცები, თუ დედაკაცები, თუ რანაირად შეურაცხყვეს: ქონება სულ წაართვეს და ძალით კათოლიკე სარწმუნოებასა და თავიანთ მშობლებს განაშორეს... შეგვეწიეთ, ნუ მიუშვებთ, რათა ემოდენი ხალხი წარწყმდეს, ნურც ჩაუგდებთ თქვენს შეძენილს ერთ გაცოფებულ ურწმუნოებს...“[171]

თანამედროვე მკითხველს შეიძლება ეჩვენოს, რომ საქართველოს პატრიარქის ამ წერილში საქმე შეეხება არა ქართველ მართლმადიდებლებს, არამედ მხოლოდ კათოლიკეებს. სინამდვილეში, წერილი საერთოდ ქართველებს შეეხება, რადგანაც საქართველოს კათალიკოსი ამავე წერილში პაპს მოახსენებს, რომ ის და მისი ეკლესიის ქართველი მრევლი პაპის ერთგულია, ამიტომაც ის შესთხოვს პაპს გასომხებისაგან დაიფაროს ქართველები. წერილში ახსენებს კიდეც ქართველებსა და მის ერს. ის პაპს სწერს: „ჩვენი ქვეყანა თქვენ გემორჩილებათ... აწ ყველა ქართველი უმორჩილესად გევედრებით, რათა ამ პროვინციას ხელი არ ააღოთ და უკაპუცინებოდ არ დაგვტოვოთ...“[172]

რატომ აღიარებენ ამ მომენტში ქართველი წარჩინებულები და გამოჩენილი პირები პაპის უზენაესობას? იმ მიზეზის გამო, რომ ოსმალები და სპარსელები მართლმადიდებელ ქართველებს იძულებით ასომხებდნენ, ან ათათრებდნენ. ამიტომაც ერის ერთიანობის გადარჩენისათვის პაპის უზენაესობის აღიარებით მაჰმადიანთა ყურადღების მოდუნებას ცდილობდნენ. ცნობილია, რომ ისინი პაპის ქვეშევრდომებს („ფრანგებს“ – კათოლიკებს) ნაკლებად დევნიდნენ. მართლაც, პაპის უზენაესობის გარეგანი აღიარებით ქართველი ქართველადვე რჩებოდა, ხოლო გაგრიგორიანების, ან გამაჰმადიანებისას ქართველები ეროვნებას კარგავდნენ – სომხდებოდნენ, ან თათრდებოდნენ.

აქ არა სარწმუნოებრივი, არამედ ეროვნული მომენტი იყო არსებითი, თორემ სარწმუნოებრივად ქართველებს თავიანთი თავი მტკიცე მართლმადიდებლად მიაჩნდათ და ერთგულებდნენ კიდეც მას.

სომეხმა იერარქებმა იცოდნენ, რომ ქართველები პაპს ელოლიავებოდნენ არა სარწმუნოების გამო, არამედ გასომხებისგან თავდაცვის მიზნით, ამიტომაც სასტიკად დევნიდნენ ასეთ ქართველებს: ცემდნენ, აშორებდნენ ცოლ-ქმარს ერთმანეთს, ართმევდნენ ბავშვებს, სახლს, ყოველგვარ ქონებას, ასამართლებდნენ და შემდეგ კი აგრიგორიანებდნენ. ამას თითქმის ყოველ წერილში აღწერდნენ როგორც ქართველი, ისე ევროპელი სასულიერო პირები.

ზემოთ მოყვანილი კათალიკოსის წერილის გარდა, ამაზე მიუთითებს ერთი კარგად ცნობილი, 1634 წლის ამბავი: გორში სომხებმა შეიტყვეს, რომ ერთი ქართველი (ეროვნებით ქართველი) ახალგაზრდა ნასყიდა კათოლიკეა და პატრებს ემსახურება. სომხებმა ეს ქართველი ძალით გამოიყვანეს სახლიდან, ცემა-ტყეპით მიიყვანეს გორის ციხის მაჰმადიან უფროსთან, შემდეგ წაიყვანეს თბილისში, დაასმინეს მაჰმადიან როსტომ ხანთან, მოთხოვეს ამ ქართველის სიკვდილით დასჯა. „ვიდრე ნასყიდას საქმე გადაწყდებოდა, მას ბევრი შეურაცხება მიაყენა მომჩივან-გაბრაზებულმა ხალხმა, რადგან ხელში ჰყავდათ“.[173]

ქართველ კათოლიკეებს საზოგადოდ სომხები რომ დევნიდნენ და მათ გაგრიგორიანებას მოითხოვდნენ, ეს ზემოთ მოყვანილის გარდა, შემდეგიდანაც ჩანს: თურქებმა სამხრეთ საქართველოში ერთიმეორის მიყოლებით გააუქმეს ქართული საეპისკოპოსოები. 1763-1764 წლებისათვის ამ მხარეში დარჩენილი იყო ერთადერთი ქართველი ეპისკოპოსი გიორგი. თურქთა იძულებით „1764 წლის დასაწყისში ამ მხარეს ქართველი ეპისკოპოსი ვინმე გიორგი იძულებული გამხდარა დაეტოვებინა მართლმადიდებლობა. მართლმადიდებლურ ქრისტიანობაში ოსმალეთი ხედავდა რუსეთ-საქართველოს კავშირს და არავითარ შემთხვევაში არ მიიჩნევდა დასაშვებად ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე მის რამენაირ შეწყნარებას. ამიტომაც იყო, რომ ქართველმა ეპისკოპოსმა გიორგიმ მართლმადიდებლობის ნაცვლად მიიღო კათოლიკური სარწმუნოება, რაც საკმარისი საბაბი გახდა იმისათვის, რომ თურქ მოხელეებს შეეწყვიტათ საეპისკოპოსოს დევნა“.[174]

მაგრამ ამით არ დამთავრდა. როგორც კი ქართველმა ეპისკოპოსმა გიორგიმ კათოლიკობა მიიღო, მაშინვე მისი დევნა დაიწყეს სომხებმა. ფაშას მოთხოვეს მისი დაპატიმრება იმ მოტივით, რომ ქართველი ეპისკოპოსი კი არ უნდა გაკათოლიკებულიყო, არამედ უნდა გაგრიგორიანებულიყო, რადგანაც ყველა ქრისტიანი, ვინც არ უნდა იყოს ის, ჩვენ უნდა გვემორჩილებოდესო.

მართალია, თურქებმა შეწყვიტეს ქართველი ეპისკოპოსის, გიორგის დევნა, მაგრამ „სამაგიეროდ, გაკათოლიკებულ ეპისკოპოსს დევნა დაუწყოო ეჩმიაძინის პატრიარქმა. საინტერესოა ვიცოდეთ, რა უფლებით ეჭიდებოდა მართლმადიდებელ გიორგი ეპისკოპოსის ყმობას სომეხთ პატრიარქი. ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის რაიმე უფლებრივი ურთიერთობა ხომ არ არსებობდა? ამის სარწმუნო პასუხს ჩვენ გვაძლევს მისიონერი ლეონი. იგი წერს, „ეჩმიაძინის პატრიარქი პორტას მიერაა დამტკიცებული და კარგადაა დაცული თვით სულთანის მიერ, ამიტომ ბრძანებლობს მთელ თავის ერზე... და თურქების ფირმანის ძალით ყველა სხვა ქრისტიანი მორჩილებაში მოჰყავს“.[175]

ქართველები თურქ-სპარსელთა ნებით უნდა გაგრიგორიანდნენ, ანუ უნდა დაემორჩილონ სომხურ ეკლესიას, განსაკუთრებით ის ქართველები იდევნებოდნენ სომეხთა მიერ, რომლებიც ამ წესს დაარღვევდნენ და გაგრიგორიანების ნაცვლად კათოლიკობას მიიღებდნენ. ამას სხვა მაგალითების გარდა, ეპისკოპოს გიორგის მაგალითი აჩვენებს – „სომეხთ პატრიარქს მოპოვებული ჰქონია სულთანისაგან უფლება თურქეთში შემავალი კავკასიის ქრისტიანობის მეურვეობისა. გასაგებია, რომ გაკათოლიკებულ ქართველ ეპისკოპოს გიორგისაც ამ მიზეზით ეჭიდებოდა, ე.ი. მასზე ხელეწიფებოდა სომეხ პატრიარქს, რომელსაც ახალციხის ფაშისათვის გიორგის დაპატიმრება უთხოვია, მაგრამ გაკათოლიკებულ ქართველ ეპისკოპოსს ფაშასთვის ქრთამი 1000 პიასტრი მიუცია და ფაშას ის სომეხი ეპისკოპოსისათვის დაუმალავს. სომეხთა ეპისკოპოსს ფაშასთვის დოკუმენტურად დაუსაბუთებია, რომ „ხვანთქარის ფირმანის ძალით ახალციხელები“ უნდა ემორჩილებოდნენ ჩემს პატრიარქსო, ახლა კი „გაფრანგებულან და მისი მორჩილნი არ არიანო“, ე.ი. სომეხი ეპისკოპოსი თვლიდა, რომ ქართველი გიორგი გაკათოლიკების მაგივრად უნდა გაგრიგორიანებულიყო. ამ საკითხზე ფაშას ქართველს კათოლიკეთა და სომეხთა ეპისკოპოსს შორის პაექრობა გაუმართავს... ეს დავა ჩვენ იმასაც გვაფიქრებინებს, რომ ახალციხის ბევრი მართლმადიდებელი ამ გზით ალბათ გრიგორიანულ სარწმუნოებას იღებდა“.[176]

გაკათოლიკების გამო თვით სულხან-საბა ორბელიანსა და ანტონ I კათალიკოსს დევნიდა სომხური ეკლესია, ხოლო ერეკლე II-ს კათოლიკეთა მფარველობისათვის ემუქრებოდა კიდეც.[177]

ჩვენთვის ცნობილია, თუ როგორ აიძულებდნენ და დევნიდნენ ცნობილ ქართველ პირებს იმის გამო, რომ მათ გრიგორიანობის ნაცვლად კათოლიკობა მიიღეს. მაგრამ უბრალო, რიგითი გლეხების დევნა და მათზე იძულება ნაკლებად არის ცნობილი. შეიძლება არც დევნიდნენ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ქართველი გლეხები არ იღებდნენ კათოლიკობას, არამედ პირდაპირ გრიგორიანდებოდნენ.

არსებობს დამამტკიცებელი საბუთი „...საქართველოში სომხური სარწმუნოების ქართველთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი კოლექტივის არსებობისა“.[178]

რა თქმა უნდა, სომხურ სარწმუნოებას იღებდა არა მთელი საქართველოს მოსახლეობა, არამედ ქართლ-კახეთის დაბა-ქალაქებისა და გზისპირა სოფლების მოსახლეობის ერთი ნაწილი. ეს პროცესი განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოში, ქვემო ქართლსა და მესხეთში მიმდინარეობდა ინტენსიურად, რადგანაც მესხეთი ოსმალთა, ხოლო ქვემო ქართლი სპარსთა უშუალო გამგებლობაში იმყოფებოდა, ასეთ მიწებზე მცხოვრებლებს კი ან მაჰმადიანობა უნდა მიეღოთ, ან გრიგორიანობა და ან კათოლიკობა.

ქვემო ქართლში მხოლოდ დიდი და გავლენიანი თავადების ოჯახებმა გაბედეს, უარეყოთ გრიგორიანობა, მათ კათოლიკობა მიიღეს, თუმცა გრიგორიანობა ქვემო ქართლის სხვა ცნობილმა თავადთა ოჯახებმაც მიიღეს. იქაური ორბელიანები, რომლებმაც კათოლიკობა მიიღეს, მკაცრად იდევნებოდნენ ამის გამო სომხებისაგან. თვით საქართველოს უბრწყინვალესი თავადი სულხან-საბა ორბელიანიც კი სომხებისგან იდევნებოდა. 1715 წელს ევროპიდან დაბრუნებულს, გაკათოლიკებულ

სულხან-საბას, თან ჩამოყვნენ მისიონერები. საბას წინააღმდეგ მაშინვე აღიძრნენ გრიგორიანები „სომხებს ზოგიერთი საბას მტერი ქართველებიც შეუერთდნენ და მათ თანაუგრძნეს“.[179]

ბუნებრივია, საქართველოს ეკლესიის გამოჩენილ მოღვაწეს სარწმუნოების გამოცვლისათვის, ქართველმა სასულიერო პირებმა საყვედური ჰკადრეს, მაგრამ სომხებს მასთან რა ხელი ჰქონდათ? მაგრამ მათი მოქმედება სასტიკია. საბას თანმხლები პირი წერს ამის შესახებ – „1717 წელს სომხებმა ჩვენი სახლი გაძარცვეს და ერთიანად დაანგრიეს. თავიანთი ჩვეულების წინააღმდეგ ქართველებიც შეუერთდნენ, თუმცა ისეთი სიბრაზით არ მოქმედებდნენ, როგორც სომხები“... თამარაშვილი წერს – „ქართველებს ცხადად მონაწილეობა არ მიუღიათ ამ დევნულობაში და თუ რამ ბრალი მიუძღვით, სახელდობრ ის, რომ გაჩუმებულან და სომხების წინააღმდეგ ხმა არ ამოუღიათ“.[180]

მაშინ, როცა საქართველოს უბრწყინვალესი თავადი ასე იდევნებოდა გრიგორიანთაგან, გლეხობა უარეს დღეში იქნებოდა.

ქვემო ქართლის თავადაზნაურთაგან ორბელიანებმაც კათოლიკობა მიიღეს, მაგრამ ამის შემდეგ სომეხ-გრიგორიანთაგან დევნის გამო სრულებით დაკარგეს ქონება და გაპარტახდნენ. თამარაშვილი წერს – „გაკათოლიკებული ორბელიანები ივანე და ვახტანგ ძლიერნი იყვნენ ყოველმხრივ და ბევრი ყმაც ჰყავდათ. იმ ზომამდე, რომ სპარსეთის მთავრობას წელიწადში 5000 ჯარისკაცს აძლევდნენ. აი ასეთი ძლიერნი ყოვლითურთ დაჩაგრეს კათოლიკების მტრებმა სომხებმა თავის მიერ მოსყიდული სპარსელთა დახმარებით...“[181] და აღწერს ქართველ თავადთა სრულ განადგურებას გრიგორიანთა მიერ.

მისიონერები რომში გაგზავნილ წერილებში ხშირად გადმოსცემდნენ გრიგორიანთა მიერ კათოლიკეთა დევნას. ეს კათოლიკები არიან ძირითადად ქართველები და არა ევროპიდან ჩამოსული მისიონერები. მართალია, მათაც, ჩამოსულებსაც დევნიდნენ, მაგრამ მათი რიცხვი მცირე იყო, ხოლო ძირითადად ქართველი კათოლიკეები იდევნებოდნენ. საქართველოში ისინი იდევნებოდნენ სომხური ეკლესიის მიერ, არა მხოლოდ სარწმუნოებრივი მძულვარების გამო, არამედ იმიტომ, რომ სომხური ეკლესიის ცენტრს მთელი საქართველოს მოსახლეობა თავის მრევლად მიაჩნდა. ეს დამტკიცებული ჰქონდა კიდეც სპარს-ოსმალთა მიერ. ამიტომაც ქართველებს არა კათოლიკობა, არამედ გრიგორიანობა უნდა მიეღოთ.

სომხეთის პატრიარქს თავის მრევლად მიაჩნია ქართველები, ხოლო საქართველო თავის სამწყსოდ. ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ ირანის შაჰებისაგან სომხები იღებდნენ ნებას, რომ საქართველოდან (!) კათოლიკეები განედევნათ, საქართველოდან და არა სომხეთიდან.

1741 წელს სომხებმა თბილისსა და გორში კათოლიკეები დაარბიეს ირანის შაჰის ნებართვით.

„ტფილისში დიდი დევნულობა აღსძრეს კათოლიკების წინააღმდეგ, რადგანაც დიდი სასომხეთის პატრიარქმა მოიპოვა ერთი ფირმანი შაჰ-თამაზისაგან, რათა არც ტფილისში და არც გორში აღარ დააყენონ კაფუცინები. ეს ფირმანი რა

მიუტანეს ტფილისში მეფის მოადგილეს, მაშინვე ჩამოართვა კაფუცინებს, რაც გააჩნდათ და მათი ეკლესიაც გააოხრა და ყველა იქ მყოფი პატრები განდევნა".[182]

სომხურ ეკლესიას არა მარტო ირანის შაჰი, არამედ, როგორც ითქვა, ოსმალეთის ხონთქარიც აბატონებდა ქართველთა მიწა-წყალზე: „სომხეთის პატრიარქისავე ჩაგონებით იყო, რომ ხვანთქარმა ახალციხის კათოლიკეები დაუქვემდებარა ეჩმიაძინის პატრიარქს, რის გამო სამ წელიწადში ერთხელ განგებ ერთი ვარდაპეტი მოდიოდა და კათოლიკეებს ხარკს ართმევდა... ეჩმიაძინის გამძაფრებული პატრიარქები არ სჯერდებოდნენ ამ გადასახადს, რამდენადაც და როდესაც კი შესძლებდნენ იქაურ კათოლიკეებს სდევნიდნენ და ხშირად მათ სახლ-კარსაც ოსმალებს აკლებინებდნენ. ესრეთ, იქაური კათოლიკეები მუდამ წამებულნი იყვნენ სომხების პატრიარქების და მათ მიერ წაქეზებული მაჰმადიანებისაგან".[183]

ზემოთ მოყვანილში, რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ იდევნებოდნენ ადგილობრივი კათოლიკე ქრისტიანები. ერთადერთი გზა ამ უბედურებისაგან (სახლ-კარის აკლებისა და მუდმივი წამებისაგან) თავის დასაღწევად იყო მაჰმადიანობის, ანდა გრიგორიანობის მიღება.

იდევნებოდნენ არა მარტო კათოლიკეები, არამედ მართლმადიდებლებიც. XVII საუკუნეში საქართველოში მართლმადიდებლობა ისე იდევნებოდა, რომ ქართველ სამღვდელოებასა და თვით პატრიარქსაც კი კათოლიკობის მიღება სურდათ.[184] როგორც ითქვა, კათოლიკობის მიღება სასურველი იმით იყო, რომ სპარსეთ-ოსმალეთისათვის კათოლიკობა მოსათმენი და მიღებული სარწმუნოება იყო, ხოლო მართლმადიდებლობა ყოვლად მიუღებელი, მაგრამ, როგორც ითქვა, კათოლიკობის მიღების შემდეგ ქართველებს ახლა უკვე სომხური ეკლესია დევნიდა და აიძულებდა მიეღოთ გრიგორიანობა. სომხური ეკლესია საქართველოში ისე იყო გაძლიერებული, რომ სომხები კათოლიკე მისიონერებს, რომლებიც ვახტანგ V შაჰნავაზისა და საქართველოს პატრიარქისათვის დიდად სასურველი სტუმრები იყვნენ, ქუჩაში გავლის დროს ქვებს უშენდნენ, პირში აფურთხებდნენ და ჯოხით სცემდნენ.[185]

ბრბო, რომელიც საზოგადოდ არბევდა, სცემდა და კლავდა კათოლიკეებსა და მათ ოჯახებს, „შეგულიანებული იყვნენ ვარდაპეტებისა მიერ", ემუქრებოდნენ ყველა ვაჭარსა და ხელოსანს, რომლებიც ვარდაპეტის მოწოდებისას არ დაკეტავდა თავისი დუქნის დარაბებს და არ წაყვებოდა ბრბოს „ურწმუნოთა" ასაკლებად. „ურწმუნოებში" მაჰმადიანებს არ გულისხმობდნენ: „...გაბრაზებული გამოვიდა ვარდაპეტი თავის მღვდლებთან ერთად და დაიწყო შეჩვენება და წყევლა ყველა იმათი, ვინც არ დაკეტავდა დუქნებს და ჩვენის ეკლესიის და სახლის დასაქცევად არ მოვიდოდა. ამ შეჩვენებისა და წყევლისაგან შეშინებულმა ვაჭრებმა და მედუქნეებმა ყველამ დაკეტეს დუქნები..."[186] და დააქციეს კათოლიკეთა სახლ-კარი და ეკლესია.

აქედან ჩანს, რომ „სომხები" არიან არა ეთნიკურად სომხები, არამედ სოციალური ფენა – ვაჭრები და მედუქნეები.

„ამ დროს სომხების მიერ მტრობა და დევნულობა იქამდე გაძლიერდა, რომ ამ ამბავმა ევროპის მთავრობამდისაც მიაღწია და მათი გამოსარჩლება და გულშემატკივრობა გამოიწვია".[187]

ევსევი ნიკოლაძე, ქართული ეკლესიის ისტორიკოსი, წერს, რომ გრიგორიანობის საქართველოში გავრცელების წინააღმდეგ მედგრად იბრძოდნენ ჩვენი კათალიკოსები ნიკოლოზ ამილახვარი, დომენტი, ბესარიონი, ასევე ანტონ I. მაგრამ ქართველ სამღვდელოებასა და კათალიკოსებს ზოგჯერ ტახტს და ხანდახან სიცოცხლესაც კი ათმობინებდნენ სპარს-ოსმალოები.

ევ. ნიკოლაძე წერს, რომ საქართველოში ქართველებმა თავიდან გულთბილად და სიყვარულით მიიღეს თანამორწმუნე (ქრისტიანი) სომხები. „მაგრამ სომხებმა ქართველებს ეს ღვაწლი იმით მიუზღეს, რომ დაივიწყეს მათი ამაგი და დაიწყეს ქართველ ხალხში მწვალებლობის (ე.ი. გრიგორიანობის) გავრცელება. ქართველების ამ ერთ ნაწილს, რომელიც აღიარებდა სომეხთა სარწმუნოებას, მათ შეასწავლეს სომხური ენა და ამნაირად ეს ხალხი მთელ ქართველობას ჩამოაშორეს... ასეთი წარმატებით გამხნევებულნი სომეხთა მისიონერები მოეფინენ აღმოსავლეთ საქართველოს და დაიწყეს ქართველებში მწვალებლობის გავრცელება. მათ წინააღმდეგ გამოვიდნენ საქართველოს განათლებული კათალიკოსები: ნიკოლოზ ამილახვარი (1675-1688), დომენტი (1705-1724) და განსაკუთრებით ბესარიონი (1724-1739). საქართველოში ძველი დროიდან მოიპოვებოდნენ თარგმანში ის ნაწერები, რომლებიც იყვნენ მიმართული სომხური ეკლესიის მწვალებლობის წინააღმდეგ... ამ თხზულებათა შემწეობით საქართველოს მღვდელმთავრები ადვილად იმარჯვებდნენ სომხებთან პაექრობაში, მაგრამ XVIII საუკუნის დასაწყისიდან გარემოება ძალზე შეიცვალა. ამ დროიდან მხითარისტების ნაწარმოებნი ძლიერ გავრცელდნენ სომეხთა შორის და მისცეს საშუალება მათ სამღვდელოებას საღვთისმეტყველო განათლებისა. ევროპელი მწერლების სხოლასტიკური ნაწარმოებნი, რომლებიც სომხურ ენაზე გადმოითარგმნენ, გახდნენ ახალ წყაროდ სარწმუნოებრივი დავისა. სხოლასტიკურმა ხერხიანობამ, რომელიც განსაკუთრებით არისტოტელეს ლოდიკას ემყარებოდა, სომეხთა მისიონერებს მისცა მძლავრი იარაღი ქართველების წინააღმდეგ. სომეხთა მისიონერების მონოფიზიტური პროპაგანდა, რომელიც წინათ დაიწყო, განსაკუთრებით გაძლიერდა არეულობის დროს საქართველოში, მეფე იესეს სიკვდილის შემდეგ, თეიმურაზ II-ის ქართლში გამეფებამდე (1724-1744) და უმაღლეს წერტილამდე ავიდა კათოლიკოს ანტონ I-ის მმართველობის პირველ წლებში (1744-1749).[188]

ევ. ნიკოლაძე იმოწმებს თვით ანტონ კათალიკოსს და წერს, რომ სომხეთის ეკლესიის მეთაური კათალიკოსი ლაზარე დაუახლოვდა ანტონ კათალიკოსს და შეეცადა, ანტონს მიეღო გრიგორიანული სარწმუნოება. ანტონმა, ცხადია, არ მიიღო გრიგორიანობა, რომელიც ავალდებულებდა მას, ქართული ეკლესიის მეთაურს, ქცეულიყო სომხური ეკლესიის წევრად – „როგორც კათალიკოსი ანტონი მოწმობს, ერთბუნებიან მწვალებლებს მასთან ჰქონდათ კამათი. სომეხთა მისიონერების მეთაურად ითვლებოდა ანტონ I-ის თანამედროვე სომეხთა კათალიკოსი ლაზარე ჭაუკელი. უკანასკნელი ძალიან დაუახლოვდა კათალიკოს ანტონს და შეეცადა მის გამოყვანას მართლმადიდებელი ეკლესიიდან, მაგრამ ეს ვერ მოახერხა“.[189]

ბუნებრივია, შეიძლება დაისვას კითხვა, ნუთუ გრიგორიანებს იმის უფლებაც კი ჰქონდათ, ქართული ეკლესიის მეთაურ კათოლიკოსისთვის შეებედათ, რომ მას

სომხური სარწმუნოება ელიარებინა? ამის ნებას და ასეთ გაბედულებას გრიგორიანებს აძლევდა ის, რომ სპარსეთი და თურქეთი დიდად აძლიერებდნენ სომხურ ეკლესიას და მას ფაქტობრივად გადასცეს უფლება თავის მრევლად ექცია არასომეხი ქრისტიანები.

„სომეხთა მწვალებლობა წარმატებით ვრცელდებოდა ქართველთა შორის იმიტომ, რომ საქართველოში გამოცხადებული იყო სარწმუნოებრივი თავისუფლება და მთავრობას არ შეეძლო სარწმუნოებრივი დავის აკრძალვა“,[190] სინამდვილეში კი საქართველო დაპყრობილი ან ვასალი ქვეყანა იყო, რომლის მთავრობასაც არ შეეძლო დამოუკიდებელი სარწმუნოებრივი პოლიტიკის წარმოება, ის ვერ შეაფერხებდა გრიგორიანთა მოქმედებას.

ანტონ კათალიკოსმა არათუ აღიარა გრიგორიანობა, არამედ ამ სარწმუნოების საწინააღმდეგოდ დაწერა ვრცელი თხზულება, რომელსაც ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მას XIX საუკუნეშიც კი რუსეთის იმპერატორი მიიჩნევდა საქართველოში გრიგორიანობის გავრცელების შემაფერხებელ საშუალებად.

ანტონმა „...დაწერა უზარმაზარი დოგმატიკურ-პოლემიკური ხასიათის თხზულება „მზამეტყველება“, რომელიც „არაჩვეულებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს არამცთუ ქართულ მწერლობაში, არამედ მთელი აღმოსავლეთის ეკლესიის საღვთისმეტყველო აზროვნების განვითარების ისტორიაში“ (კ. კეკელიძე). ეს ვეებერთელა წიგნი სულ რაღაც წელიწადნახევარზე ნაკლებ დროში დაიწერა (წერა დაიწყო 1750 წლის 1 ოქტომბერს და დაასრულა 1752 წლის 11 მარტს). წიგნი მიმართულია მართლმადიდებლური ეკლესიის დასაცავად მწვალებელთაგან.[191]

ამ თხზულების დიდი მნიშვნელობა იქიდან ჩანს, რომ როცა XIX საუკუნეში ქართული ეკლესიის თავისთავადობის გაუქმების გამო სომხურ ეკლესიას დიდი შესაძლებლობა მიეცა საქართველოში გაევრცელებინა თავისი სარწმუნოება, რუსეთის იმპერატორს განკარგულება გაუცია ამის საწინააღმდეგოდ დაებეჭდათ „მზამეტყველება“.

„დიდი ხანია, ერთ ვისმე პირს მიურთმევია ხელმწიფე იმპერატორისათვის თხოვნა მასზედა, რომ საქართველოში ვრცელდება ფრანგობა, ანუ ფრანგთა სარწმუნოება და სომხობა და ამასთანავე დაურთავს იმ პირსა, რომ მხოლოდ ერთადერთი საშუალება არისო მოსასპობად სხვადასხვა სარწმუნოების გავრცელებისა მართლმადიდებელ საქართველოში, დაიბეჭდოს „მზამეტყველება“ საქართველოს სწავლულ კათალიკოზისა ანტონ I-ისა. ხელმწიფე იმპერატორს ესრეთი თხოვნა გადაუცია სინოდში,[192] ეგზარხოსს გამოურკვევია, მართლა ვრცელდებოდა თუ არა საქართველოში (ეპარქიებში) „ფრანგობა“ და „სომხობა“, რის შემდეგაც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული გამოცემულიყო ეს წიგნი „გასომხებისა“ და „გაფრანგების“ თავიდან ასაცილებლად.

მითუმეტეს XVIII საუკუნეში ამ წიგნს ჰქონდა უაღრესად პრაქტიკული მნიშვნელობა. ეს თხზულება ვრცელდებოდა ხელნაწერის სახით. 3-4 წელიწადში „მზამეტყველება“ უთუოდ ძალზე დააბრკოლებდა გრიგორიანობის წინსვლას საქართველოში. 1752 წელს დასრულებული წიგნი 1754-1755 წლებისათვის უკვე მთელ საქართველოში იქნებოდა გავრცელებული.

ევ. ნიკოლაძე წერს: „როდესაც ანტონ კათალიკოსმა შეხედა, რომ სომეხთა მისიონერების პროპაგანდა საქართველოში მართლმადიდებელ სარწმუნოებისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა, გადაწყვიტა მის წინააღმდეგ გამოსულიყო და მწვალებლების გარყვნილ მოძღვრებას მეცნიერული სიტყვით შებმოდა. ვინაიდან სომეხთა მისიონერები თავის სწავლას ამყარებდნენ სხოლასტიკასა და სომხური ეკლესიის ისტორიაზე, ანტონი გახდა იძულებული გაცნობოდა ამ წყაროებს ლათინურ-სომხურ ენაზე. მან ჯერ კარგად შეისწავლა სხოლასტიკა და სომხური ღვთისმეტყველება... და ამის შემდეგ სომეხთა მწვალებლობის განსაქიქებლად დაწერა დიდი თხზულება, რომელსაც „მზამეტყველება“ უწოდა. ეს ნაწარმოები, რომელიც დასრულდა 1752 წელს, შეიცავს მონოფიზიტური მოძღვრების სრულ განქიქებას და მასში ყოველი კაცი იპოვის მზა პასუხს მწვალებელთა ყველა კითხვაზე“.[193]

როგორც აღინიშნა, 1753-1755 წლებისათვის ეს თხზულება უკვე წინ აღუდგებოდა საქართველოს მდაბიო ხალხშიც კი პოპულარულ მონოფიზიტურ თხზულებებს. ამ დრომდე, თურმე, ერთი ასეთი მონოფიზიტური თხზულება, სომეხთა კათალიკოს ლაზარეს მიერ დაწერილი, მრავალს ქრისტიანს მართლმადიდებლობის გზიდან აცდენდა. სომეხთა კათალიკოსი ლაზარე თავის თხზულებაში „სომეხთა ეკლესიას“ აღიარებდა ყველა ეკლესიის უფროსად და სომეხთა კათალიკოსს ყველა ქრისტიანის მთავარ მბრძანებლად. ლაზარემ თვისი თხზულება... მრავალ ხელნაწერებში გაავრცელა ქართველებში, როგორც არქიეპისკოპოსი ტიმოთე მოწმობს, ეს შრომა საქართველოში მდაბიო ხალხში იკითხებოდა და ბევრი კეთილმორწმუნე მოტყუებაში შეყავდა“.[194]

სწორედ ამგვარ ქმედებას წინ აღუდგა კათალიკოსი ანტონი და მრავალ ქართველს შეუნარჩუნა არა მარტო მართალი რწმენა, არამედ შეუნარჩუნა ეროვნება – ქართველობა.

არ შეიძლებოდა ეს უპასუხოდ დარჩენილიყო, ანტონი ასეთი გაბედულებისათვის უნდა დასჯილიყო და დაისაჯა კიდეც – 1755 წელს მას ჩამოართვეს საკათალიკოსო ტახტი და გააძევეს, მართალია, სხვა მოტივით.

არ არის გამორიცხული, რომ ანტონის მარცხში ერია ეჩმიაძინის ხელი, როგორც წერს გ. მაისურაძე – „ეჩმიაძინს ყველაზე უფრო მეტად ერეკლე II-ის ფრანგმომხრეობა აღიზიანებდა... ამასთან, კათოლიკეთა მომაგრება რუსული გავლენის ნეიტრალიზებასა და სომხური სარწმუნოების თანდათანობით განდევნასაც იწვევდა. ამიტომ, თუ, ერთი მხრივ, ამ ძალაზე დაყრდნობა ერეკლე II-ს დიპლომატიური ლავირების საშუალებას აძლევდა, მეორე მხრივ, მის წინააღმდეგ რუსეთ-ეჩმიაძინის კავშირის შექმნას უწყობდა ხელს. არ არის გამორიცხული, რომ 50-იან წლებში ერეკლე II-ისა და ანტონ I-ის მარცხი ასეთი კავშირის შედეგი ყოფილიყო“.[195]

ანტონ კათალიკოსი მონოფიზიტებისათვის ყველაზე მიუღებელი პირი იყო საქართველოში. გრიგორიანებს დიდი ძალა ჰქონდათ იმის შემდეგ, რაც 1762 წელს ერეკლე II-მ ანტონი დააბრუნა საქართველოში და მისცა კვლავ საკათალიკოსო ტახტი. სომხური ეკლესიის მეთაურმა კათალიკოსმა მკაცრად გააფრთხილა ერეკლე II და თითქმის დაემუქრა კიდეც. მის წერილში, ცხადია, არა უშუალოდ ანტონზეა საუბარი, არამედ კათოლიკეებზე.

„რა მოულოდნელიც არ უნდა იყოს, კათოლიკოსის სიტყვებში არა მარტო პროტესტი ისმის ერეკლეს პოლიტიკისადმი, არამედ ერთგვარი ფარული მუქარაც. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ ცოტა ხანში ეჩმიაძინი ქართველი მეფის საწინააღმდეგო მოქმედებას გამოამჟღავნებს. მოტანილი წერილი 1765 წლის გაზაფხულითაა დათარიღებული. იმავე წლის დეკემბერში კი ერეკლემ ამხილა ქართლის თავადთა შეთქმულება პაატა ბატონიშვილის მეთაურობით, რომელშიც ეჩმიაძინის წარმომადგენელი აღალოც აღმოჩნდა ჩათრეული... რუსეთის კავშირი პაატას შეთქმულებასთან თითქოს აშკარაა. თუ ეს მოსაზრება შესაწყნარებელია, მაშინ ერეკლე II-ის წინააღმდეგ რუსეთისა და ეჩმიაძინის კავშირი ამ შემთხვევაშიც სავსებით დასაშვებია“.[196]

აღსანიშნავია, რომ ავჯანყებულები ერეკლემ სასტიკად დასაჯა, ხოლო ეჩმიაძინის წარმომადგენელი აღალო არ დასაჯა.[197] ეს მიუთითებს, თუ რა ძლიერ ძალას წარმოადგენდა საქართველოში სომხური ეკლესია.

10 წლით ადრე, 1755 წელს, ისევე როგორც წინა XVII საუკუნისა და XVIII საუკუნის სხვადასხვა წლებში, გრიგორიანთა თაოსნობით მოეწყო საქართველოში მყოფი კათოლიკეების სასტიკი დევნა. აღსანიშნავია, რომ მაშინ ამ დევნაში ქართველებს, კერძოდ, მეფე თეიმურაზსაც მონაწილეობა მიუღია. საქართველოდან განიდევნენ არა მარტო ევროპელი მისიონერები, არამედ ანტონ კათალიკოსიც, რომელიც „კათოლიკედ“ იქნა გამოცხადებული.

იყო თუ არა ანტონ I კათოლიკე? როგორც მასალები უჩვენებს, ანტონი იყო არა კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარი, არამედ „ფრანგთმომხრე“, მას კათოლიკეები გრიგორიანების შემაფერხებელ საშუალებად მიაჩნდა.

„თბილისის სომეხ ვაჭრებს ევროპელთა კონკურენციისა ეშინოდათ, სომხურ ეკლესიას კი – კათოლიკეთა გავლენის ზრდისა. ამ მხრივ, ეჩმიაძინს არც ერეკლესა და ანტონ I-ის ფრანგთმომხრეობა მოსწონდა. ნიშანდობლივია, რომ 1755 წელს თბილისში მოწყობილ კათოლიკეთა დარბევაში ეჩმიაძინის ხელი ერია“.[198] სწორედ 1755 წელს განდევნეს ანტონი.

ანტონ I კათოლიკე რომ ყოფილიყო, მას რუსეთის წმიდა სინოდი არ ჩააბარებდა ვლადიმირის ცენტრალურ ეპარქიას, არ მისცემდა მთავარეპისკოპოსის მაღალ ტიტულს (მაშინ სულ რამდენიმე მთავარეპისკოპოსი იყო რუსეთში), და მერე XIX საუკუნეში რუსი იმპერატორის ნებით არ გამოსცემდნენ „მზამეტყველებას“, რომელიც სწორედ „ფრანგობის“, ანუ კათოლიკობისა და გასომხების შემაფერხებელ საშუალებად მიიჩნეოდა.

ანტონ I ქართველებმა განდევნეს მხოლოდ სუბიექტური ინტერესების გამო, კერძოდ, მეფე თეიმურაზ II–ს (კახეთის ტახტის მემკვიდრეს) ეშინოდა ანტონისა, როგორც ქართლის სამეფო ტახტის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრისა, მეფესთან დაახლოებულ ზოგიერთ ქართველ სამღვდელო პირს ანტონ I-ის ნაყოფიერმა მოღვაწეობამ შური აღუძრა და ამიტომაც ცილი დასწამეს, ხოლო გრიგორიანებს ანტონი არ მოსწონდათ „მზამეტყველების“ დაწერისათვის და კათოლიკეების მფარველობისათვის. 1755 წლის კათოლიკეთა დევნაში სწორედ იმ ქართველმა

სახელმწიფო მოხელეებმა მიიღეს აქტიური მონაწილეობა, რომელთაც გრიგორიანული სარწმუნოება ჰქონდათ მიღებული. ცოტა მოგვიანებით ერთი მისიონერი წერდა – „ამ ამბავზე საქართველოს ყველა ადგილებიდან შემოიკრიბნენ მეფის ნაცვლები და მსაჯულები, რომლებიც სქიზმატიკი სომხები არიან. იმათ უფრო შეაგულიანეს მეფე ჩვენ წინააღმდეგ“.[199]

აქ „სქიზმატიკ სომხებში“ სწორედ ქართველი გრიგორიანები იგულისხმება, რადგანაც შეუძლებელია მთელ საქართველოში მეფის ნაცვლები და მსაჯულები არა ქართველები, არამედ ეროვნებით უცხოელები ყოფილიყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ანტონ I-მა გრიგორიანობის საწინააღმდეგო უზარმაზარი თხზულება გამოაქვეყნა, 1753 წელს მასთან მივიდნენ გრიგორიანები და შეეცადნენ მიეცათ დიდძალი ქრთამი, რათა მისიონერები განედევნა საქართველოდან. ანტონმა მისიონერების დარბევა არა მარტო უსამართლობად მიიჩნია, არამედ პირობაც დადო, ასეთ რაიმეს არასოდეს ჩაიდენდა. უთუოდ ეს მომენტიც საფუძვლად დაედო ცილისწამებას, თითქოსდა ანტონი თვითვე იყო კათოლიკე.

ერთი მისიონერი სწერდა რომს – „სომხები წინააღუდგნენ პატრებს, 1753 წელს მათმა მოთავემ, სახელად აღა მელიქმა, ტფილისის ქართველების პატრიარქს მიუტანა ერთი ქისა ფული 500 თუმანი და სთხოვა, ან გააძევეთ აქედან კაფუცინები, ან არადა ეკლესია ჩამოართვითო. პატრიარქმა უპასუხა: მათ წინააღმდეგ არაფერი მაქვს და ასეთს უსამართლობას მათ არასდროს ვუზამო“.[200] 1753 წელს საქართველოს პატრიარქი სწორედ ანტონი იყო.

აღსანიშნავია, რომ ანტონის დამოკიდებულება კათოლიკეებისადმი არაფრით განსხვავდებოდა მისი წინამორბედების და აგრეთვე აფხაზეთის კათალიკოსების დამოკიდებულებისაგან კათოლიკეებისა და მისიონერებისადმი. ანტონამდე საქართველოს კათალიკოსი ნიკოლოზ ხერხეულიძე, როგორც აღვნიშნეთ, 1742 წელს წერდა რომს, რომ ის და მისი წრე განსაკუთრებული სიყვარულით ეპყრობოდა მისიონერებს, ნატრობდნენ მათ სიკეთესა და ბედნიერებას „...მაგრამ ჩემი დიდი ხნის წადილის შესრულება სომხებმა არ დამაცალეს, რადგან ისინი ჩვენ არ გვიჯერებენ და ამ ქვეყანაში თავიანთი ნებისაებრ ბატონობენ...“[201]

ცნობილია, კათალიკოსი ნიკოლოზ ხერხეულიძე 1744 წელს მოკლეს.

საქართველოს კეთილგანწყობა მისიონერებისადმი იმით იყო გამოწვეული, რომ ისინი ასე თუ ისე აფერხებდნენ ქართველთა გაგრიგორიანებას. ამას, ალბათ, ეკონომიური მნიშვნელობაც ჰქონდა, რადგანაც ქართველები გაგრიგორიანების შემდეგ უკვე სომხური ეკლესიის წევრები ხდებოდნენ და მას აძლევდნენ შემოსავალ-შესაწირს, ხოლო ქართველი ე.წ. ვითომდა – „კათოლიკები“ ქართლ-კახეთში კვლავ ქართული ეკლესიის წევრებადვე რჩებოდნენ. შემოსავალ-შესაწირს რომის პაპს არ უგზავნიდნენ. ზემოთ ნახსენები მისიონერი წერს, რომ იმის შემდეგ, როცა 1753 წელს ანტონ კათალიკოსმა გრიგორიანებისაგან ქრთამი არ აიღო, მათ მეფეს მიმართეს „1754 წელს ტფილისისა და გორის სომხები ერთად შეერთდნენ, მეფესთან მივიდნენ და დაიწყეს ჩივილი ჩვენი აქედან გაძევებისთვისო“.[202]

1755 წელს მოხდა დიდი დევნა კათოლიკეებისა, ამ დროს ანტონიც მათთან ერთად დაისაჯა. მ. თამარაშვილი ფიქრობდა, რომ ქართველები ამ დევნაში ნაკლებად მონაწილეობდნენ, თუმცა მეფე მდევნელებს ეხმარებოდა – „1955 წელს მოხდენილი დევნულება კაფუცინების წინააღმდეგ თეიმურაზ მეფისგან მიეწერება უფრო ბერძნებსა და სომხებს, ვიდრე ქართველებს“.[203]

ანტონი უარყოფდა თავის გაკათოლიკებას და მას ცილისწამებას უწოდებდა, „ამ შემთხვევაში ანტონი მტკიცედ უარყოფს მის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებას და მას „ცილისწამებას“ უწოდებს, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკური მიზნებით ინსპირირებული იყო ძირითადად მისი ბიძის, თეიმურაზ II-ის მიერ, რომელმაც უკანონოდ დაისაკუთრა ქართლის ტახტი“.[204]

მართალია, იმის შემდეგ, რაც 1755 წლის კრებაზე ანტონი დაამხეს და დააპატიმრეს, ის იძულებული გახდა თეიმურაზისათვის გამოეთხოვა რუსეთში წასასვლელი სარეკომენდაციო ბარათები, ამიტომაც თავი ძლიერ დაიმდაბლა და ბრალდებაში თავი დამნაშავედაც აღიარა თეიმურაზის წინაშე, მაგრამ ეს იყო ხერხი, ურომლისოდაც მას რუსეთში არც მიიღებდნენ. ანტონი კათოლიკე რომ ყოფილიყო, რომსა და ევროპაში გაემგზავრებოდა და არა რუსეთში.

რამდენიმე საუკუნით ადრე გიორგი მცირე წერდა: „...ვითარცა თესლნი არაწმიდანი შორის ჩუენსა დათესულ იყვნეს ბოროტნი – იგი თესლნი სომეხთანი, გულარძნილნი და მანქანანი და ამის მიერ ფრიად გვევნებოდაო...“[205] აქ „სომეხთა თესლში“ გიორგი მცირე, როგორც კონტექსტიდან ჩანს, გულისხმობდა ქართველ გრიგორიანებს, ანუ სომხური ეკლესიის წევრ ქართველებს. ამის გამოო, წერდა ის და სხვა იმდროინდელი მოღვაწენი, ბერძენთა შორის მრავლად გამოჩნდნენ „მაყვედრებელნი“ და „მაბრალობელნიო“, რომელნიც გვისწორებდნენ და გვასწავლიდნენ, როგორი სახისა უნდა ყოფილიყო ქართული ეკლესიაო.

ასეთი ისტორია განმეორებულა მოგვიანებით, ანტონის ეპოქაში. ოღონდ ახლა უკვე პირიქით. ახლა არა ბერძნები, არამედ თვით გრიგორიანები „ასწავლიდნენ“ და „აყვედრიდნენ“ ქართველებს, თუ როგორი სახის უნდა ყოფილიყო ქართული ეკლესია. ასე წერს ანტონ I თავის „მზამეტყველებაში“. „664.12. აქვს უკვე საკუთრად ეკლესიასა სომეხთასა ხელის დასხმა უეკლესიოდ ეპისკოპოსთა... გვასწავებენ ჩვენ, ხოლო ამხილებსთცა მათ ბეჭედი იგი...“

„666.14. აქვს უკვე ეკლესიასა სომეხთასა საკუთრად, რამეთუ არა წმიდად შეურაცხიეს დედანი... გვაყვედრიან ჩვენ, ვითარცა დედათაგან გამოცხობილისა შემწირველთა“... და სხვა.[206] ე.ი. „სომხები“ ქართველებს საეკლესიო წესებს „ასწავლიან“ და „აყვედრიან“ ამ წესების უცოდინარობას ანტონის დროს.

„ლაზარე კათალიკოსი სომეხთა, ესე აწ, რომელიცა ცხოვრობს ჟამთა ჩვენთა... ამან ლაზარე აღწერა წიგნი, რომელსა უწოდა „საწადელი სამოთხე“, გარნა არა საწადელ არს იგი ჩემდა, არამედ ფრიადცა საძაგელ... განსაკვირველთა გმობათა იტყვის, ვითარმედ ეშმაკიცა შეძრწუნდებიან“[207], – წერს ანტონი.

გრიგორიანებს, ცხადია, არ შეეძლოთ უყურადღებოდ დაეტოვებინათ ანტონის ანტიგრიგორიანული ქმედება, მით უმეტეს, რომ საქართველოში გრიგორიანებს

ქართული ენა, თავიანთი მშობლიური ენა კარგად ესმოდათ და შეეძლოთ წაეკითხათ ანტონის შრომა ირანისა და ოსმალეთის მიერ გაძლიერებულნი ამგვარ კრიტიკას ვერც მოითმენდნენ.

„ირან-ოსმალეთისათვის შედარებით უფრო მოსათმენი იყო რუსულისაგან განსხვავებული ქრისტიანობა, რის გამოც აღმოსავლეთში თვით კავკასიის არაქართულ პროვინციებში ქართველნი „ფარულად ქრისტიანობდნენ, სომეხნი კი ცხადად“. უფრო მეტიც, ოსმალეთთან ლოიალური ურთიერთობა კონფესიური ექსპანსიის საშუალებასაც აძლევდა ეჩმიაძინს. იტალიელი მისიონერი ლეონე წერდა: „ეჩმიაძინის პატრიარქი პორტას მიერაა დამტკიცებული და კარგადაა დაცული თვით სულთანის მიერ, ამიტომ მბრძანებლობს მთელ თავის ერზე... და თურქების ფირმანის ძალით ყველა სხვა ქრისტიანი მორჩილებაში მიჰყავს“. ამ მხრივ ის ქართულ ინტერესებსაც უპირისპირდებოდა. არაერთი შემთხვევაა აღრიცხული, როცა ოსმალეთის მფლობელობაში მოქცეულ სამცხე-ჯავახეთის ქართველ მართლმადიდებლებს ეჩმიაძინი ძალით სომხურ სარწმუნოებაზე აქცევდა“.[208]

„სომხების პატრიარქისავე ჩაგონებით იყო, რომ ხვანთქარმა ახალციხის კათოლიკეები დაუქვემდებარა ეჩმიაძინის პატრიარქს...“[209]

აღსანიშნავია, რომ არა მარტო თურქეთი და სპარსეთი აძლიერებდნენ სომხურ ეკლესიას, არამედ ქართველი მეფე-მთავრებიც განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობოდნენ გრიგორიანებს.

ქართველ მეფეთა კეთილ მოპყრობას გრიგორიანებისადმი უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავდა ეკონომიკური მოტივები, მაგრამ ისიცაა აღსანიშნავი, რომ მათ არც შეეძლოთ ემოქმედათ გრიგორიანთა წინააღმდეგ. ქართლი და კახეთი ირანის პროვინციები იყო და აქ უნდა გატარებულიყო იგივე სარწმუნოებრივი პოლიტიკა, როგორიც ირანში, ქართლ-კახეთის სამეფოების აღდგენის შემდეგ კი ისინი ირანის ვასალი ქვეყნები გახდნენ.

სომეხთა მიმართ კეთილად იყო განწყობილი და მათ პირობებს უქმნიდა როსტომ მეფე, მარიამ დედოფალი (მარიამს წალკაში გრიგორიანებისათვის ეკლესია აუგია), ვახტანგ VI.[210]

მეფე სიმონ I „...სომეხთა დიდი მოსიყვარულე და ვარდაპეტების დიდი პატივისმცემელი იყო“ (სომეხი მემატიანის სიტყვებია).[211]

გრიგორიანებისათვის როსტომ მეფეს და მარიამ დედოფალს აუგიათ ქალაქი (ქართლის ახალქალაქი) გრიგორიანული საყდრებითა და მონასტრებით, როგორც ეს იქ მდგომი ეკლესიის წარწერიდან ჩანს.[212] ამ წარწერაში არ არის ნათქვამი, რომ ეს ქალაქი „სომხებისათვის“ აშენდა, არამედ ნათქვამია, რომ ის აშენდა „სახასოდ ვაჭართა“.[213] იმ დროს გრიგორიანს, სომეხსა და ვაჭარს ერთმანეთთან აიგივებდნენ და საერთოდ, „სომეხი“ და „ვაჭარი“ სინონიმები იყო. ამიტომაც აქ „ვაჭრებში“ ქართველი გრიგორიანებიც იგულისხმებიან.

მალე, როსტომის კარზე, მაღალი სახელმწიფოებრივი პოსტებიც გრიგორიანებმა დაიჭირეს, კერძოდ, თბილისის ქალაქისთავობა, ეს კარგადაა აღწერილი. როსტომი, როგორც სპარსეთის წარმომადგენელი ქართლში, გრიგორიანების მიმართ ატარებ-

და სპარსულ პოლიტიკას, იცავდა და მფარველობდა მათ. ამავე დროს კი მართლმადიდებელთა ეკლესიას დევნიდა. ქართველი კათალიკოსი ევდემონი მან დაახრჩობინა და ციხიდან გადმოაგდებინა.

როსტომი დახვეწილი პოლიტიკოსი იყო და თავისი გამოცდილებით იცოდა, რომ ქართველებთან პირდაპირი და აშკარა მიდგომით ვერაფერს გააწყობდა. ამიტომაც მან ცბიერ ხერხს მიმართა, როცა ნადირობის დროს მოკლეს უფლისწული (როსტომის შვილობილი), ამ მკვლელობას ქართველები (ე.ი. მართლმადიდებლები) აბრალებდნენ სომხებს (ე.ი. გრიგორიანებს), ხოლო გრიგორიანები მართლმადიდებლებს. სიმართლის გამოსაკვლევად როსტომმა დანიშნა დუელი შიოშ ბარათიანისა (მართლმადიდებელსა) და ბაადურ თუმანიანს (გრიგორიანს) შორის. ორთაბრძოლაში ვინც გაიმარჯვებდა, მართალიც ის იქნებოდა. ისინი როსტომმა გააგზავნა ერთ ტრიალ, უკაცრიელ მინდორზე და თან გაატანა სამი თათარი. სწორედ ეს თათრები იქნებოდნენ აღმსრულებელნი როსტომის ნებისა: დუელის დროს შიოშმა ბაადურს მუცელში შუბი ჩაარტყა ისე ძლიერ, რომ შუბის წვერი გადატყდა და ბაადურის მუცელშივე ჩარჩა, მაგრამ მიუხედავად ამისა, დამარცხებულად მაინც შიოში გამოცხადდა, რადგანაც, ის თურმე, ბაადურმა მიწაზე დასცა. თუ ეს მართლა ასე მოხდა, წარმოუდგენელია, „სამი თათრის“ დახმარების გარეშე საღ-სალამათი შიოში მიწაზე როგორ უნდა დაეცა სასტიკად დაჭრილ ბაადურს, მაგრამ მოვლენები ამის შემდეგ ვითარდება. ეს კერძო შემთხვევა განზოგადდება – „გამარჯვებულ“ ბაადურს სიხარულით შეეგებნენ ქალაქის თათრები და სომხები – „და ჰაოსიანნი და თათარნი შეჯარვით გამოვიდნენ და მისრულთა აღამაღლეს ბაადურ და მოიყვანეს მეფისადმი, და პატივს სცემდა და მისცა მკურნალთა განკურნებად და შეიყვარა უმეტეს უფროს ზომისა...“ (1645 წლისათვის მიძღვნილი სომხური სიგელი ქართულად თარგმნილი სომეხთა მიერ XIX საუკუნეში, ჩანს, ქართველი გრიგორიანელების საჭიროებისათვის).[214]

როსტომმა შიოშის მთელი ქონება გადასცა ბაადურს – „ამის შემდგომად ქართველნი მცირედრე დამდაბლდნენ ზვაობათაგან თვისთა ვინაითგან ჰაოსიანთა სიმღერანი საყვედრებულნი შეაწყვეს ენათა მათსა ზედა და ყოველისა ტაეპისა დასასრულისა იტყოდნენ: „შიოშ წადი, ბაადურ მოვიდა“, რომელ არს „შიოშ გაიქეც, ბაადურ მოდის“. სიმღერისა ამას ზედა ჰაოსიანთაგან ქართველთა ერცხვინებოდათ. ესმა ესე მეფესა სანიაბაზს, ე.ი. მცირესა შაჰაბაზს და მიუწოდა ბაადურს და მისცა მთავრობა დიდი ტფილისის ქალაქისა. იქმნა ესე 1650 წელსა...“[215] ასე გადაეცა თბილისის ქალაქისთავობა გრიგორიანებს.

ამ სომხურ სიგელში როსტომი არა ქართველად, არამედ სომხად, ანისელ სომეხ მეფეთა შთამომავლადაა გამოცხადებული.[216]

მართლაც, როსტომი თავისი ანტიქართული და პროსპარსული პოლიტიკის გატარებისას, არ ჰგავდა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს. მიუხედავად იმისა, რომ როსტომის მეუღლე ქრისტიანობისადმი (როგორც მართლმადიდებლობის, ისე მონოფიზიტობის) კარგად იყო განწყობილი, როსტომი მაინც მტრულად იყო განწყობილი ქართული ეკლესიის მიმართ. საქმე ის იყო, რომ ქართული ეკლესია გამოხ-

ატავდა იმ ქართველების მისწრაფებას, რომელთაც სურდათ თეიმურაზ I-ის სამეფო ტახტზე აყვანა, ხოლო როსტომის საქართველოდან გაძევება.

„როგორც აღინიშნა, როსტომ მეფესა და თეიმურაზს შორის დაპირისპირებამ ქართული ფეოდალური საზოგადოების ორ ბანაკად გაყოფა გამოიწვია. დაუღალავი თეიმურაზი როსტომისა და ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლას წლების მანძილზე იმერეთიდან განაგრძობდა. მის მთავარ ამოცანას ქართლიდან როსტომის გაძევება, ირანის ბატონობის დამხობა და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანება შეადგენდა... ქართლში როსტომის მოღვაწეობის პირველმა 15 წელმა სხვადასხვა ბრძოლებით, აჯანყებებით და შეთქმულებებით დამძიმებულ სიტუაციაში განვლო. ქართლში როსტომის მოსვლისთანავე ქართველების ერთი ნაწილი მაჰმადიანი მეფის მმართველობას არ დაემორჩილა, მათ ქრისტიანობის რჯულისათვის „ბატონი თეიმურაზი ერჩივნათ“.[217]

თეიმურაზი იყო განსახიერება მართლმადიდებლობისა, ანუ, როგორც მაშინ მიიჩნეოდა, „ქართველობისა“. ქართველებს სწორედ თეიმურაზი სურდათ. ამის გამო „...როსტომ მეფის ლაშქარში თეიმურაზის სასარგებლო განწყობილება სუფევდა...“[218]

ისე, როგორც წინა წლებში „1642 წელს როსტომ მეფის წინააღმდეგ კვლავ დიდი შეთქმულება მოაწყეს. შაჰ-აბას II-ის ისტორიკოსის მოჰამედ თაჰერის ინფორმაციით, „თეიმურაზი შეუთანხმდა ზაალ ერისთავს – ყარა-ყალხანს, ნოდარ და იოთამ ამილახვრებს... რათა როგორმე მოსპონ მეფობის საფარველი როსტომ მეფე“. როსტომის წინაღმდეგ მოწყობილ ამ ახალ შეთქმულებაში მონაწილეობდნენ: ზაალ ერისთავი, იოთამ ამილახვარი, ნოდარ ციციშვილი, კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე, გიორგი გოჩაშვილი, სომხეთის მელიქი ყორხმაზბეგ ათაბეგისშვილი და სხვა ქართველნი. შეთქმულთა შორის ყველაზე აქტიურად ქართლის კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე მოქმედებდა. დადებული პირობის თანახმად, შეთქმულთა მიზანს „ცოტას კაცით“ ცხირეთს მყოფი როსტომ მეფის მოკვლა და მის ადგილზე თეიმურაზის გაბატონება წარმოადგენდა“.[219]

მაგრამ „ქართველთა“ (მართლმადიდებელთა) ეს შეთქმულება გასცა სომხეთის მელიქმა (ჩანს, ქართველმა გრიგორიანმა), რომელმაც შაჰს შეთქმულება გაუმჟღავნა“.[220]

არ შეიძლება ქართული ეკლესიის მეთაურის მონაწილეობა ამ შეთქმულებაში ავხსნათ პირადი დაინტერესებით, არამედ ეს იყო გამოხატვა ქართული ეკლესიის ბრძოლისა მაჰმადიანობის (და სხვა გავრცელებული რელიგიური მიმართულებების) წინააღმდეგ.

როსტომმა ძალიან კარგად იცოდა, რომ მის წინააღმდეგ იბრძოდა ზოგადად ქართველობა, რომლის მეთაურიც კათალიკოსი იყო. ამიტომაც მან განსაკუთრებული სისასტიკით დასაჯა დატყვევებული კათალიკოსი. საერთოდ, როსტომი აჯანყებულთა მიმართ შემწყნარებელი იყო და ერჩია მათი შემორიგება. 1642 წლის აჯანყებულებიც მცირედ დასაჯა, კერძოდ, მხოლოდ რამდენიმე კაცი გაახეიბრა და თვალები დათხარა, მაგრამ კათალიკოსი კი არა მარტო მოაკვლევინა, არამედ სიკვდილის შემდეგაც შეურაცხყო – ციხიდან გადმოაგდებინა.

„კათალიკოსი ქალაქის ციხეში დაამწყვდიეს, შემდეგ „დაარჩვეს და ციხიდან გადმოაგდეს“.[221]

როსტომის დროს (და საერთოდ, XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან) გაიზარდა და განვითარდა ქართლის საქალაქო ცხოვრობა, ხელოსნური წარმოება, ვაჭრობა, დაწინაურდა თბილისი, დასახლდა ქალაქები. ეს გულისხმობდა გრიგორიანობის რაოდენობის გაზრდას, რადგანაც საერთოდ იმ დროს ვაჭრობას და ხელოსნობას ძირითადად ისინი მისდევდნენ. ამ გრიგორიანებში უთუოდ დიდი იყო ქართველთა რიცხვი.

„აღებული ხანისათვის ქართველ-სომეხთა ეკონომიკური ურთიერთობის ასევე თავისებურ ფორმად გვევლინება ეჩმიაძინის მსხვილი ფეოდალური ორგანიზაციის გარკვეული კავშირი ქართულ ფეოდალურ მფლობელობასთან და ქართული ქალაქების ვაჭრობა-წარმოებასთან.

ქართული და სომხური წყაროების მოწმობით, ეჩმიაძინი ქართლსა და კახეთში ფლობდა სოფლებს, ცალკეულ ზვრებს, ბაღებს, სახნავ-სათეს ფართობებს, ხოლო ქალაქ ადგილებში დუქნებს. აქვე იგულისხმებიან მის ყმობაში მოქცეული შესაბამისი მწარმოებლები და ხელოსან-ვაჭრები“.[222]

ეჩმიაძინის გავლენა ისეთი დიდი იყო, რომ მას თვითონ მართლმადიდებელი ქართველი მეფეებიც კი ყმებსა და სოფლებს ჩუქნიდნენ. ქართველი გლეხები ამ გზით გრიგორიანდებოდნენ.

„კახეთის ბატონს“ თეიმურაზს და მის შვილიშვილს ერეკლეს ეჩმიაძინისათვის შეუწირავთ სოფელი თასმალური თავისი მცხოვრებლებით, ვენახებითა და წყლებით“. (იქვე, გვ. 173); ეს სოფელი კახეთსა და ქიზიყს შორის ყოფილა. „1657 წელს უკვე როსტომ მეფეს შეუწირავს ეჩმიაძინისათვის სოფელი ნახიდური“.[223]

ეს ქართული სოფლები, ცხადია, გაგრიგორიანდნენ, ანუ, „გასომხდნენ“. „ქართველ ხელისუფალთა გარდა ეჩმიაძინს ყმა-მამულსა და სხვა საქონლებს სწირავდნენ საქართველოში მცხოვრები სომხური წარმოშობის შეძლებული პირები, რითაც ისინი ხარკს უხდიდნენ თავის კონფესიურ კუთვნილებას. მაგალითად, 1678 წელს სოფელ შულავერში ჯავანშირის შვილებს ეჩმიაძინისათვის შეუწირავთ კარგად მოწყობილი ზვარი, 1664 წელს თბილისელ მოქალაქეს ასლან ბეჰბუთაშვილს „სულისა და თავის სადღეგრძელოდ“ სომეხთა მთავარი ეკლესიისათვის სამი ქულბაქი შეუწირავს, ახალქალაქელ ამბარდანიანთ მურადაშვილს კი მის მიერ ცხინვალს ნაყიდი ორი ბიჭი შეუწირავს ეჩმიაძინისათვის“.[224]

ცხადია, ეს ორი ნაყიდი ბიჭი გაგრიგორიანდა, ამის თქმის ნებას იძლევა არა მარტო 1634 წელს ნიკოლოზ ირბახის მიერ სასამართლო დარბაზში წარმოთქმული სიტყვები, რომლებსაც ყველა დაეთანხმა „ყოველდღივ, ჩვენის თვალით ვხედავთ, რომ მრავალნი ქართველნი სომხდებიან“-ო, არამედ, „პატრი ამბროზის მოხსენება, რომში 1640 წელს გაგზავნილი, რომელიც ასე ამბობს: „ამ ქრისტიანების ქვეყანაში კვალად შეიძლება ბევრი კეთილის ქმნა რავდენიმე მამულ-სოფლების ყიდვით, როგორთაც შვრებიან სომხები, რომლებისაც თუმცა დიდი სიმძულვარე აქვსთ ქართველებს სარწმუნოების საქმეში, მაგრამ რაკი მათი ხელქვეითი გახდებიან, ბევრი მათგანი გადადის სომხის წესზედ, ამაზედ უარესიც ვნახეთა: ზოგიერთმა საქართველოში მცხოვრებმა მდიდარმა ურიებმა გააურიავეს რამდენიმე თავიანთი ყმა და მოსამსახურე. ამისათვის თვინიერ რაიმე ეჭვისა, ბევრი ქართველები სიამოვნებით მიიღებდნენ ლათინის წესსა, უკეთუ შეიქმნებიან ჩვენნი ხელქვეითნი“.[225]

ამის გამო ეჩმიაძინი დაინტერესებული იყო შეეძინა და მიეღო ქართული სოფლები ყმა-გლეხებით.

„ეჩმიაძინი ყოველი ღონით ცდილობდა ხელი შეეწყო ასეთი განწყობილებისათვის საქართველოს სომხურ მოსახლეობაში და რაც შეიძლება მეტად გაეზარდა საკუთარი ყმათა კონტიგენტი“.[226]

ქართველთა მასიურ გაგრიგორიანებას ხელს ისიც უწყობდა, რომ მაშინ დამკვიდრებული წესის თანახმად ვაჭარი, მედუქნე, ხელოსანი, ამქარი, მოქალაქე გრიგორიანული სარწმუნოებისა უნდა ყოფილიყო. უფრო მეტიც, სხვადასხვა ხელობის მოსაქმენი ქმნიდნენ გაერთიანებებს, რომელშიც შესვლისათვის აუცილებელად საჭირო იყო გაგრიგორიანება.

„აშკარაა, ქართული ქალაქების პროფესიული გაერთიანებები ვაჭრობაში სომეხთა უპირატესობის გამო, უმთავრესად მონოფიზიტურ ეკლესიასთან უნდა ყოფილიყვნენ დაკავშირებული, ამიტომ ამ გაერთიანებებში შესვლა და მის საფუძველზე გარკვეული პრივილეგიების მიღება, გასაგებია, მხოლოდ სომხურ სარწმუნოებაში გადასვლით შეიძლებოდა. ქართული მოსახლეობის ერთი ნაწილის სომხურ სარწმუნოებაზე გადასვლა სხვა გზითაც ხდებოდა, ჯერ კიდევ მ. თამარაშვილმა ვატიკანის არქივის მასალების საფუძველზე გამოთქვა მოსაზრება, რომ სომეხთა მიერ სოფლის, ე.ი. ყმა-მამულის შეძენის შემდეგ იქ მოსახლე ქართველთა ნაწილი სომხურ სარწმუნოებაში გადადიოდა“.[227]

მიუხედავად იმისა, რომ ქართული მოსახლეობა მასობრივად იღებდა გრიგორიანობას, ისინი არ უარყოფდნენ ქართულ ენას, წეს-ჩვეულებებს, ქართულ ხასიათს.

მართალია, გრიგორიანი ქართველები თავიანთ თავს „სომეხს“ უწოდებდნენ, მაგრამ ამ ტერმინში („სომეხში“) ისინი დებდნენ არა ეთნიკურ შინაარსს, არამედ მხოლოდ სარწმუნოებრივს.

ქართველ გრიგორიანებს მხოლოდ სარწმუნოებრივად მიაჩნდათ თავიანთი თავი „სომხებად“, ეთნიკურად კი – „საქართველოს შვილებად“. მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისიდან აღრიცხეს ქართველები გრიგორიანები ეროვნებით სომხებად, ასევე ეროვნებით სომხებად აღრიცხეს სომხური ტიპიკონის მქონე ქართველი კათოლიკეები.

მ. თამარაშვილი წერდა: „ამ ქართველებმა თუ სარწმუნოება უარყვეს, გვარტომობა არ უარუყვიათ და არც თავიანთი სახელები დაუტოვებიათ, რადგან დანარჩენი მართლმადიდებელი ქართველები არ ედავებოდნენ გასომხებულ ქართველებს თავიანთი გვარისა და სახელის შენახვას“.[228]

რატომ იღებდნენ ქართველები გრიგორიანობას და კათოლიკეები რატომ გახდნენ სომხური კათოლიკური ეკლესიის წევრები?

იქნებ გრიგორიანობა მხოლოდ სარწმუნოებრივ აღმსარებლობას არ ნიშნავდა? უნდა ვიფიქროთ, რომ გრიგორიანობის მიღება – ეს იყო სოციალური კატეგორიის შეცვლა. ეს იყო რაღაც მსგავსი სოციალური რევოლუციისა. შინაომებით, ლეკიანობით, მაჰმადიანური აგრესიით გატანჯულ, დაზარალებულ გლეხებსა და ხელოსნებს ომი აღარ სურდათ. ჩანს, გადასახადებით და ომებით გაღატაკებული ხალხის მასები ისე ხვდებოდა გრიგორიანულ სარწმუნოებას, როგორც განმათავისუფლებელს

სიღატაკისა და ომებისაგან, მართლაც, ეს სარწმუნოება ათავისუფლებდა გლეხს და ხელოსანს ომის ბეგარისაგან, და ჩანს, საბატონო გადასახადისაგანაც.

მათი მფარველი ხდებოდა ძლიერი და მდიდარი სომხური ეკლესია, რომელიც უშიშროების და სიღატაკისაგან დახსნის გარანტიას აძლევდა მათ, სამაგიეროდ არაფერს არ ითხოვდა გლეხობისა და ხელოსნებისაგან, გარდა ეჩმიაძინის რელიგიური უპირატესობის აღიარებისა. მართლაც, ეკონომიკურად დაუძლურებულ და ამით ავტორიტეტშელახულ მცხეთასთან (ქართულ ეკლესიასთან) შედარებით მდიდარ ეჩმიაძინს დიდი გარეგნული ბრწყინვალება ჰქონდა.

მაგრამ გლეხისა და ხელოსნისათვის არსებითი იყო ის, რომ გრიგორიანობის მიღებით იგი ძალზე ხშირად თავისუფლდებოდა ბატონყმური ურთიერთობისაგან, ანდა თუ ყმად რჩებოდა, ის იცვლიდა სოციალურ კატეგორიას – გლეხიდან, მიწის დამმუშავებლიდან, ის იქცეოდა ვაჭრად, რომელიც გაცილებით დიდი თავისუფლებით სარგებლობდა და ქონების დაგროვების შემდეგ ყმობიდან გამოხსნაც კი შეეძლო მაშინ, როცა ეს გლეხისათვის გაცილებით უფრო ძნელი იყო.

გრიგორიანობის მიღებით, ის, როგორც „სომეხი“, ანუ ვაჭარი, თავისუფლდებოდა ომის ბეგარისაგან, ეს იმ დროს, როცა ყოველ მებატონეს თავისი მამული პატარა სახელმწიფოდ მიაჩნდა და გამეტებით იბრძოდა ამ „სახელმწიფოს“ საზღვრების გაფართოებისათვის.

იმ დროს, როცა მებატონეები მიწის ყოველი მტკაველისათვის გააფთრებით ებრძოდნენ ერთმანეთს (და ებრძოდნენ ყმა-გლეხების საშუალებით) მუდმივი ლეკიანობისა, ომებისა და აჯანყებების დროს, სამხედრო ბეგარისაგან გათავისუფლება დიდი შეღავათი იყო.

ამის გარდა, გრიგორიანებს შექმნილი ჰქონდათ ერთგვარი კორპორაციები, ურთიერთდახმარების სალაროები თავიანთ ეკლესიებთან. ეკლესია ეხმარებოდა ღატაკს, აძლევდა ბავშვებს განათლებას, ასწავლიდა ვაჭრობას და რაც მთავარია, ტყვედ წაყვანილ ოჯახებსაც კი იხსნიდნენ ფულით და აბრუნებდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილზე. ეს დიდად მიმზიდველს ხდიდა გრიგორიანობას.

საქართველოში იმ დროს „სომხობა“ აღნიშნავდა არა ეროვნებას, არამედ სოციალურ ფენას, სოციალურ კატეგორიას. ქვეყანაში არსებობდა ყმა, ანუ გლეხი, მებატონე და „სომეხი“, ანუ ვაჭარ-ხელოსანი.

„სომეხი“, როგორც წესი, ნიშნავდა გრიგორიან ადამიანს განურჩევლად მისი ეროვნებისა (უმეტესწილად ქართველს), რომელიც ვაჭარი ან პოტენციური ვაჭარი იყო (ხელოსნებიც ვაჭრობდნენ).

„სომხობა“ – ეს იყო ვაჭარ-ხელოსანთა ფენა და არა ეროვნება და ისინი არ იდევნებოდნენ სპარს-ოსმალთა მიერ. ფრედერიკო დიუბუა წერდა: „საოცარი ისაა, რომ მარტო ქართველებს დევნიდნენ და არა სომხებს...“[229] ირანში სომხებს ყოველგვარი უპირატესობა ენიჭებოდათ, სომხები როგორც ირანის, ისე თურქეთის ეკონომიკური წარმატების საყრდენი იყო. სომხებს სწორედ ვაჭრობა-ხელოსნობა ევალებოდათ. სომხობა რელიგიურ-ეკონომიკური ორგანიზაცია იყო. ამან გამოიწვია ის, რომ ერთ პერიოდში შიდა ქართლის ბარში მიუხედავად მოსახლეობის სიჭარ-

ბისა, გაუქმდა ყველა ქართული საეპისკოპოსო (რუისის, ურბნისის, ნიქოზის, სამთავისის და სხვა), რადგანაც მოსახლეობა გაგრიგორიანდა და ეჩმიაძინს შეემატა. ამიტომაც ერეკლე II-ის დროისათვის მცხეთიდან ვიდრე ლიხის ქედამდე აღარცერთი ქართული საეპისკოპოსო აღარ არსებობდა. მხოლოდ მცხეთა-თბილისსა და კახეთში ისხდნენ ქართველი ეპისკოპოსები!

ზ. ჭიჭინაძე წერდა – „ძველთაგანვე თბილისის ნამდვილ სომხის შთამომავალი მოქალაქენი თავისუფლად ყიდულობდნენ ქართველ ყმა-გლეხებს. მათ ჰფლობდნენ როგორც უნდოდათ და თან თავიანთ სჯულზედაც მიაქცევდნენ. დევნილნი ყმანი ეთვისებოდნენ სომეხთა, დევნილნი სომხურ გვარსა და სახელს ირქმევდნენ, სომხურად ინათლებოდნენ და მით გადაირჩენდნენ ხოლმე თავებს“.[230]

„თბილისელი ვაჭრები ყიდულობდნენ მართლმადიდებლებს, ამასთან არა მხოლოდ სახლის საჭიროებისათვის, არამედ სახელოსნოებში სამუშაოდაც. სომხური სარწმუნოების პირთა ყმობაში მოხვედრილი მართლმადიდებლების პატრონის სარწმუნოებაში ნებით თუ უნებლიეთ გადასვლა, ჩანს, ზოგჯერ ფართო ხასიათს იღებდა, რის გამოც ხელისუფლები დროდადრო ამ პროცესის დამუხრუჭებას არაპირდაპირი გზითაც ცდილობდნენ“.[231]

ქართველების გრიგორიანულ სარწმუნოებაში მასობრივად გადასვლის შემდეგ სომხური ეკლესია დაინტერესებული იყო, მათ შეეთვისებინათ სარწმუნოება, მაგრამ ქართველებმა არ იცოდნენ სომხური ენა – გრიგორიანული საეკლესიო ენა, ამიტომაც ქართველებისათვის ქართული ასოებით დაწერილ სომხურენოვან სახარებებს, ლოცვებს, საეკლესიო წიგნებს ავრცელებდნენ საქართველოს სომხურ ეკლესიებში.

ქართველი გრიგორიანი ხელოსნები, ვაჭრები და ამქრები საქმეს აწარმოებდნენ ქართულ ენაზე. მოღწეულია უამრავი ქართულენოვანი ასეთი დავთრები.

ქართველი გრიგორიანი პოეტებიც კი ქართულ ენაზე წერდნენ ლექსებს (ასეთი პოეტი მრავალი იყო).

ქართველი გრიგორიანი ისტორიკოსებიც კი (მაგალითად, ფარსადან გორგიჯანიძე და სხვა წვრილი მთხზველები) ქართულ ენაზე წერდნენ.

ქართველი გრიგორიანი სახელმწიფო მოხელეები და აზნაურები ქართულ ენაზე აწარმოებდნენ საქმეს.

საერთოდ, ქართველ გრიგორიანებს უყვარდათ საქართველო, ქართული კულტურა, ქართული ადათ-წესები და ყოველივე მამაპაპური, საქართველოს ისტორია. ეს აღნიშნულია მცოდნეთა მიერ: „გველის პერანგში“ ასეთი ადგილია: მოქმედება ხდება არა საქართველოში, არამედ სპარსეთში. „სომხების სუფრაზე თარია, ვიღაც გასაოცრად უკრავს. თარი ნელდება და მეორე კაცი დაირას იღებს, შეათამაშებს ხელში და ყურთან მიიტანს და თითქოს ყბაყურა�ო, გაჰკივის ბაიათს: „რუსთაველი აღარ გვყავს, გამკითხავი ვინ არი... აღსდეგ, თამარ დედოფალო! შენთვის ტირის...“ უეცრად პეტრიძე წამოხტება: – ვინ კითხავს მაგ უბედურს ან რუსთაველს ან თამარს? ვაჰმე, ისტორიავ!“[232]

თუმცა, მართლმადიდებლები ქართველ გრიგორიანებს ქართველებად აღარ მიიჩნევდნენ, მაგრამ ისინი ქართულენოვანნი იყვნენ და აღწერილის მსგავსად უყვარ-

დათ საქართველო, ანუ თავისი ისტორია და წინაპრები. ასეთი „სომხები“ განსხვავდებიან ნამდვილი სომხებისაგან და ნამდვილ სომხად არც მიაჩნდათ თავიანთი თავი, ხოლო სომხეთში მათ სომხებად არ მიიჩნევდნენ.

სომხეთის აჯანყების ცნობილ მეთაურს, დავით-ბეგს, სომხები სომხად არ მიიჩნევდნენ და ქართველს უწოდებდნენ. სომხური ეკლესიის მოღვაწე არტემ არარატელი გადმოგვცემს: „1796 წელს ყიზლარში უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დარჩენილი არტემი თანამოძმე სომხებთან ეძებს თავშესაფარს. კიდევაც ახერხებს ერთი სომხის მოძებნას, მაგრამ ეს უკანასკნელი გულცივად ისტუმრებს გარეთ. ა. არარატელის შენიშვნით, „იმიტომ, რომ მე ქართველი სომეხი არა ვარ და ნამდვილი სომხეთის მკვიდრი ვარ; ამასთან დასძინა: წადი შენს თანამემამულე მღვდელთან, იქნება მან შეგიფაროსო“.[233]

აქედან ცხადია, რომ „ქართველი სომხები“ სხვაა, ხოლო „ნამდვილი სომხეთის მკვიდრი“ – სხვა. ქართველი სომეხი ეთნიკურად ქართველია და მხოლოდ სარწმუნოებრივად არის „სომეხი“.

არტემ არარატელი აღნიშნავს საქართველოში ქართული ენის საყოველთაო ხმარების შესახებ გრიგორიანთა მიერ – „აქაური სომხების უმრავლესობამ სრულებით არ იცის სომხური და ქართულად ლაპარაკობს... ამ ადგილების გავლა მით უფრო ძნელი იყო, რომ სომხებმა არ იცოდნენ სომხური ენა და ქართულად ლაპარაკობდნენ“.[234]

ა. არარატელი არ წერს, რომ საქართველოში ყველა სომეხი ლაპარაკობდა ქართულ ენაზე. ის წერს – „უმრავლესობამ არ იცის სომხურიო“, ეს იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ სომხურის მცოდნე გრიგორიანები „ნამდვილი სომხები“ იყვნენ, გადმოსახლებულნი სომხეთიდან, ხოლო ამ ენის უცოდინარი კი ადგილობრივი მკვიდრი ქართველი გრიგორიანები.

ერთი მხითარისტი წერდა, რომ XIX საუკუნის 20-იანი წლებისათვის „საქართველოში მოსახლე სომხები სომხურის უცოდინარნი იყვნენ და ქართულად ლაპარაკობდნენ“.[235]

ივ. გვარამაძე წერდა – „უკეთუ ჩვენი წინაპარნი სომხები იყვნენ, რა ეჭვია, თავიდანვე სომხური ენა ექნებოდათ შინ თუ გარეთ სახმარებლად, როგორც სასულიერო პირნი ეკლესიაში წირვა-ლოცვას სომხურად ასრულებდნენ, ერშიც იმავე ენას გაავრცელებდნენ, მეტადრე ქალაქ ადგილას, სადაც წერა-კითხვის ცოდნა უეჭველად საჭიროა მოქალაქე მოვაჭრე მოზარდის ახალთაობისათვის! რა დასაჯერებელია, რომ სომხის მღვდელმა თავის მოწაფეს ქართული წერა-კითხვა ასწავლოს და სომხური არა? ვთქვათ, ხმარებაში ქართული ენა ყოფილიყო და მის გამო სომხურისათვის თავი დაუნებებიათ და ქართული შეუტანიათ ხმარებაში, შინ, გარეთ და ეკლესიებშიც, მაშინ იმათ ქართულში, ხომ თავიანთი სომხური დედა ენის თითო-ოროლა ნაწყვეტებიც არას დარჩებოდა უეჭველად... ხოლო რადგან არავითარი სომხური ენის ამგვარი ელემენტები არ დაშთენილა ჩვენს ქართულს ენაში, ცხადი ჭეშმარიტება არის, რომ ჩვენი წინაპარნი ქართველთა მოდგმის შთამომავლობისანი არიან, მისთვის წმინდა ქართული ენა ჰქონიათ ხმარებაში“.[236]

იმის გამო, რომ ახლად გაგრიგორიანებულმა ქართველებმა სომხური ენა არ იცოდნენ და ამავე დროს კი მათი რიცხვი ძალზე დიდი იყო (დიდი თუ პატარა

ქალაქების ვაჭარ-ხელოსანი, მოქალაქენი, გზისპირა სოფლების გლეხები, შეწირული სოფლების ყმები), საჭირო გახდა მათთვის ქართული ასოებით დაეწერათ სომხური ლოცვები, წიგნები, სახარებაც კი. „სომხური საეკლესიო ლიტერატურა ქართული ტრანსკრიპციით, ეჭვი არაა, სომხური სარწმუნოების ქართველებისათვის უნდა შედგენილიყო, რომელთა დიდმა უმრავლესობამ, ბუნებრივია, სომხური წერა-კითხვა არ იცოდა. მოსახლეობის ამავე ნაწილის სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ზოგი სომხური ლოცვა ითარგმნებოდა ქართულ ენაზე. ერთ-ერთი ასეთი ნათარგმნი კრებულის დანიშნულების თაობაზე გიორგი გორელი გვაუწყებს: „გადმოთარგმანებული სომხის ენიდგან ქართველთა ენაზედ გორელი გევორგ უღირსი ვართაპეტისაგან სარგოთ ყრმათა სომხეთის ეკლესიისათა, ვისაც სომხეთის ენა არ ესმის“. ამ ცნობაში ისაა საყურადღებო, რომ გიორგი გორელის ეს საეკლესიო დოგმატური კრებული სომეხ „ყრმათა სარგოთ“ კი არ უთარგმნია, არამედ „ყრმათა სომხეთის ეკლესიისათა“, ე.ი. იმათთვის, ვინც სომხურ ეკლესიას ეკუთვნოდა და ამავე დროს სომხური არ იცოდა. ასეთები კი, გასაგებია, სომხური სარწმუნოების ქართველები, ე.ი. ქართველი მონოფიზიტები იყვნენ. სხვათა შორის, XIX საუკუნისათვისაც დასტურდება ქართული ტრანსკრიფციით შესრულებული სომხური ლოცვის წიგნების გავრცელება ქართველ მონოფიზიტთა შორის... ქართული ტრანსკრიფციით შესრულებული და ქართულ ენაზე თარგმნილი სომხური საეკლესიო დოგმატური ლიტერატურა, ვფიქრობთ, კიდევ ერთი დამატებითი საბუთია საქართველოში სომხური სარწმუნოების ქართველთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი კოლექტივის არსებობისა. ამიტომ ყველა იმ ცნობაში, სადაც მოსახლეობის სომხური სარწმუნოებისადმი კუთვნილებაზე მხოლოდ აქცენტირება (მაგალითისათვის საკმარისი იქნებოდა, ალბათ ვახუშტის გეოგრაფიაც) მართებული იქნებოდა ისინი ქართველ მონოფიზიტებად მიგვეჩნია. ასევე ქართულ-სომხური ეპიტაფიები, თბილისის სომხურ სასაფლაოზე ქართულწარწერიანი საფლავის ქვები, ორენოვანი ქართულ-სომხური სამოხელეო და პირადი ბეჭდები, უეჭველია, ქართველი მონოფიზიტების – ეთნიკურად ქართველისა და სარწმუნოებით სომეხის გაორებული ბუნების გამომხატველები უნდა იყვნენ.

ამის გარდა, საბუთების ერთ წყებაში დაცულია პერსონალური მითითებები ქართველ მონოფიზიტებზე“.[237]

ქართველ მონოფიზიტებს ვახუშტი ბაგრატიონი „სარწმუნოებით სომხებს“ უწოდებდა, ხოლო მათი ენა, ქცევა-ზნე და ცხოვრების წესი ქართული იყო.

ის ქვემო ქართლის „სომხობის“ შესახებ წერს: „ამ ადგილთა შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა, არამედ ქცევა-ზნითა ქართულითა“ (ტ. IV, გვ. 312). ვახუშტის ამ ცნობაში, როგორც ვხედავთ, ყურადღება თითქოს ძირითადად გამახვილებულია სარწმუნოებრივ მომენტზე, რომლის გვერდით ეთნიკურობის ცნება სადღაც ქრება.[238]

„ნიშანდობლივია, რომ სარწმუნოებრივი კუთვნილების გარეშე მოხსენებული თბილისის სომხების მიმართ ვახუშტი კულტურული ქართველობის აღმნიშვნელ იმავე გამოთქმას იყენებს“.[239]

ზ. ჭიჭინაძე საქართველოში მცხოვრებ ყველა სომეხს არ უწოდებდა ქართველ გრიგორიანს. ის მხოლოდ სომხური ეკლესიის წევრ ქართველებს უწოდებდა ამ სახელს. აგრეთვე ზ. ჭიჭინაძე არ ფიქრობდა, რომ თბილისში მცხოვრები ყველა სომეხი ეროვნებით ქართველი იყოო. ის წერდა, რომ თბილისის სომხებში შეიძლება ნახევარი სომხური სარწმუნოების მქონე ქართველი აღმოჩნდესო. მას ამის თქმის უფლებას აძლევდა თავისი პირადი დაკვირვება და გამოკითხვა ცოცხალი ადამიანებისა – სწორედ ამგვარი „სომხებისა“. ის წერდა – „...დღეს მთელი ქართლ-კახეთი და მასთან იმერეთიც სავსეა ქართველ გრიგორიანებით. მათ ყველას კარგად ეტყობათ, რომ იგინი შთამომავლობით ნამდვილი ქართველები უნდა იყვნენ და არა სომეხნი, ყველა ეს კარგად ეტყობათ მათ, ვინც დააკვირდება, ყველა ცხადად შენიშნავს, რომ თუ სულ არა, უმეტესი ნაწილი ამ გრიგორიანებისა უნდა იყვნენ ნამდვილად შთამომავლობით ქართველნი. ამას ეჭვი და ყოყმანი არ უნდა. თუკი ვინმე დააკვირდება, სამწუხაროდ, ამის დაკვირვება კი ქართველებს სრულებით არა აქვთ... დღეს მთელმა საქართველოს ერმა რომ გრიგორიანთ სარწმუნოება მიიღოს, მის შემდეგ იგიც თავის გვარ-ტომობას ე.ი. ქართველობას უნდა გამოეთხოვოს?!... თამამად ვიტყვით, რომ რაც ქართველთაგან გაფრანგებულან, ასი იმდენი გასომხებულა, ახალციხე ერთ დროს გასომხებულ ქართველებით იყო სავსე. იქ ქართველთა რიცხვი გაფრანგებულ და გასომხებულ ქართველთაგან შესდგებოდა და ორივე კი მაინც სომხებად იწოდებოდნენ... ქართველს გრიგორიანებთაგან ძველთაგანვე ყოველივე შინაური, თუ გარეული, ბარათების წერა სულ ქართულად სწარმოებდა. მათში სომხურად თვით მღვდლებიც არ სწერდნენ და გინდ რომ ეწერათ, მერე ამითი რას გახდებოდნენ, არაფერს. ქართლის ქართველ გრიგორიანებთაგან ქართული მწერლობის ასპარეზზედ სხვადასხვა შესამჩნევი მწერლებიც გამოსულან ძველ დროს... მადათოვი, ქიჩიკნოვა, ჩამჩი, მელქო, საიათნოვა, წყალობა ბებუთოვი, ოსეფ ამიროვი... ზურაბ ანტონოვი... – კომედიების მწერალი და ცნობილი გვარი მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი, მწერალი და მელექსე, რომელიც „ცისკარში“ სწერდა დაარსებითგანვე და 1869 წელს „ცისკრის“ ერთი ნომრის „სალაყბოში“ ის ჰაზრი გამოთქვა, რომ „ჩვენ ტომით ქართველნი ვართ და მხოლოდ სჯულით სომეხნიო“, ამათ გარდა ნიკოლოზ ხუდადოვი, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა... ტერ ფილიპე ყაითმაზაშვილი, თფილისის გეგმის დამხატი ტერ შმოვანი და მრავალი სხვანი, ენით დაუთვლელნი, ყველას მოთვლა აქ ძნელია, ხოლო იმას კი ვიტყვით, რომ ძველადგანვე თფილისის ქართველ გრიგორიანებს თუ სომხის შთამომავალთათვის სახალხო ენას ქართული ენა შეადგენდა. ამ ენით სულდგმულობდნენ იგინი... სიკვდილის შემდეგაც კი საფლავის ქვებზეც ქართულად აწერდნენ, ასეთის ძველის ქართულის წარწერიანის ქვებით სავსეა ძველი ხოჯივანქის სასაფლავო, ასევე იყო ვანქის გალავანში და სხვა საყდრებთა მახლობლადაც ასე იყო, თვით საყდრის შენებათა ცნობებსაც კი სწერდნენ ქართულად... თბილისის სომხობა ისევე ჰპატრონობდა ქართულ ენას, როგორც ქართველნი, უამისოდ არ შეიძლებოდა, რადგანაც მაშინდელი სომეხიც ტომით ქართველი იყო. იგი ქართველ გრიგორიანად უნდა შერაცხულიყო. ასეთ პირთაგან ქართულს ენაზედ

ძლიერ ბევრი წიგნებია ნაწერ-ნათარგმნი... ჩვენი მოსაზრება იყო, რომ გვესაუბრა და დაგვესაბუთებინა ის გარემოებაც, რომ ქართველებში არიან ისეთნიც, რომელიც გრიგორიანთა სარწმუნოებას აღიარებდნენ და დღეს მის მეოხებით იგინი სომხის გვარადაც ირიცხებიან. ასეთი მოსაზრების დასამტკიცებლად საჭიროა ცოცხალი ცნობები, ნამდვილი ამბები ჭეშმარიტებასთან ახლოს მდგარი. ასეთ ჭეშმარიტებას ემორჩილება ყოველი განათლებული კაცი, ამ ჭეშმარიტებას ვერავინ ეწინააღმდეგება... აი, ესეც ზოგი გვარები ქართველ გრიგორიანებისა... ალავერდაშვილი, ალავერდოვი, მთაწმინდელი, მამაპაპით ქართულის ენით მოლაპარაკე, დღეს ალავერდოვი, გაგვარებული... იგი სწერს შემდეგ საყურადღებო ცნობას, რომელიც უმნიშვნელო იქნება, რომ მოვიყვანოთ აქ: „მე ვსწავლობდი თბილისის სახელოსნო სკოლაში. მე სომეხი ვარ, მაგრამ სომხური არ ვიცოდი, საქართველოს სომხები მარტოდ სჯულით ვართ სომხები, თორემ ეროვნებით ქართველები ვართ, როგორც ფრანგები და თათრებიც, სომხების განყოფილებაში ქართული ენა აკრძალული აქვსთ, იქ არავის ასწავლიან ამ ენას, არც მე მასწავლიდნენ, ქართული წერა მე ჩემის შრომით და მალვით შევისწავლე, ამიტომ ამხანაგები მე „ვრაცას“ მეძახდნენ, ე.ი. ქართველს, როცა ეს ამბავი სომხური ენის მასწავლებელმა და მღვდელმა შეიტყეს, მათ ამის გამო სასტიკად გამკიცხეს, ქართულ ენას ნუ სწავლობო, ასეთი ვაი-ვაგლახით შევისწავლე ჩემი ღვიძლი ენა – ქართული“.[240]

ზ. ჭიჭინაძე ჩამოთვლის ქართველი გრიგორიანების გვარებს: ალხაზაშვილი – გვარის გადაკეთების შემდეგ – ალხაზოვი; აჭრიანი; არეშიძე – არეშოვი; აბულოვი – აბულიანცი – ძველი გვარი აბულაძე; ბარათაშვილი; ბაქრაძე – ბასილაშვილი – ბასილოვი; ბეგთაბეგისშვილი; გიგაური; გიორგაძე – ახალი გვარი გიორგიანცი; გველესიანი – ახალი გვარი გველიანცი; დურგლიშვილი; ბერძენიშვილი; დალაქიშვილი; გულაშვილი – ივანგულაშვილი – ივანგულოვი; მამულაშვილი – მამულოვი; ღარიბაშვილი – კარიბოვი; ლოლაძე; ამბარდანა; კუხტიევი; მამაცაშვილი; მაჩაბელი; სანდაძე; ტურიაშვილი; თარხნიშვილი; მზარეული; სოსიაშვილი; შაბურიშვილი – შაბუროვი; ღარლიაძე; მუჩაიძე; თუშიშვილი – თუშურიანცი, ლაზიშვილი; ობოლგოგიანცი; ღამბარაშვილი; როსტომაშვილი; ჯაშიტაშვილი; ათაბეგოვი – ჯაყელი; ზურაბიშვილი; დიდ-ზურაბიშვილი – დიდ-ზურაბოვი; ქონიაშვილი – გვარის გადაკეთების შემდეგ – სალოვი; მესანთლიშვილი – გვარის გადათარგმნის შემდეგ – სვეჩნიკოვი; მელიაშვილი – გვარის გადათარგმნის შემდეგ – ლისიციანი; ხუციშვილი; გომელაური; სულხანიშვილი; ზოზიაშვილი; ლომიძე; პანჩულიძე – პანჩულიანი; ფრიდონაშვილი; მალხაზიშვილი; ელისბაროვი; ნადირაძე; მენთეშაშვილი – მანთაშოვი; წამალაშვილი; კოხტაშვილი; იასამანოვი; აღნიაშვილი; ბუხრაშვილი; ალავერდიშვილი; ნამურაძე; ქოჩორაშვილი – ქოჩრიანცი; მამაჯანაშვილი; მამინაშვილი; შანშეშვილი; მირაზაშვილი; თავქალაშვილი – თავ-ქალიანცი; პურადშვილი – პურადოვი; თუმანიშვილი; ჯავახიშვილი; მირიანაშვილი; ნარიმანაშვილი; წერეთელი; მარტიაშვილი; ფანიაშვილი; ძიკოვი; ხიდარბეგიშვილი; ხახანაშვილი; ზალიაშვილი; ხიზანოვი; მეღვინოვი; ბაინდურაშვილი; ჩხეიძე; დადიანი; დოღაშვილი; კოშკაშვილი;

გოზალოვი; საფარიშვილი; ხიმშიაშვილი; წმინდოაშვილი; დონდაროვი; გიორგაძე; ქიტიაშვილი; ხარაზიშვილი; მელორიშვილი; ჩარექაშვილი; მეტივიშვილი; ხახუტაშვილი; მანველოვი; აფხაზიშვილი; ხუბლარია; ჭიპაშვილი; ღვთისიევი...[241]

არც ერთი ზემოთ დასახელებულ ავტორს არ მიაჩნია, რომ საქართველოში მცხოვრები ყველა სომეხი წარმოშობით უთუოდ ქართველია, არა, ისინი წერენ, რომ საქართველოში ცხოვრობდა სომხეთიდან გადმოსახლებულ „ნამდვილ სომეხთა“ გარკვეული რაოდენობა, მაგრამ მათ გვერდით ცხოვრობდნენ ის ქართველები, რომელთაც მიიღეს გრიგორიანული სარწმუნოება და აგრეთვე ის ქართველები, რომელთაც მიიღეს კათოლიკური სარწმუნოება სომხური ტიპიკონით. შემდგომ, რადგანაც ხალხი იმ დროს ერთმანეთისაგან ვერ არჩევდა ეროვნებასა და სარწმუნოებრივ მიმართულებას, სომხურ ეკლესიასთან დაკავშირებული ყველა ქართველი „სომხად“ იქნა ჩათვლილი.

ასეთი მდგომარეობა გამონაკლისი არ არის. ცნობილია, რომ ის ქართველები, რომლებმაც მაჰმადიანობა მიიღეს – „თათრებად“ იწოდებოდნენ ქრისტიანთა მიერ. ხოლო ის ქართველები კი, რომელთაც კათოლიკობა მიიღეს, „ფრანგებად“ იწოდებოდნენ მართლმადიდებელთა მიერ. ასევე გრიგორიან ქართველებს „სომხებს“ უწოდებდნენ. ცოტა მოგვიანებით კი სომხურტიპიკონიანი ქართველი კათოლიკეებიც „სომხებად“ იქნა აღრიცხული.

ქართველი კათოლიკეები რომ „სომხდებიან“, ეს დადასტურებულია მეცნიერთა მიერ. მ. თამარაშვილმა ვატიკანში მოძიებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ეს დაამტკიცა თავის წიგნებში.

„რაც შეეხება ქართველ კათოლიკეებს, იმის გამო, რომ ვატიკანში კონგრეგაციის მიერ ქართული ენა არ იყო დამტკიცებული ღვთისმსახურებისათვის მოქმედ ენად, გაბატონდა ლათინური და სომხური ენები. იმის გამო, რომ თურქეთმა XVI-XVII სს. ჩაკეტა ევროპაში მისასვლელი გზები და მისიონერებს აუკრძალეს აქ შემოსვლა, თანდათან ქართული კათოლიკური ეკლესიებიდან გამოიდევნა ლათინური ენაც (მისი უცოდინარობის გამო) და ქართველი კათოლიკეები შერჩნენ სომხურ ენას, ხშირ შემთხვევაში ქართველ კათოლიკეთა მრევლს სომეხ კათოლიკეთა წარმომადგენლები თუ გასომხებული ქართველები წინამძღვრობდნენ. ასეთი ვითარება ქართველ კათოლიკეთა სრულ დაბნევას იწვევდა, რადგან მეტყველებდნენ ქართულად, აიძულებდნენ ელოცათ სომხურად, ადიდებდნენ რომის პაპს და ცხოვრობდნენ თურქული პოლიტიკის ქვეშ.

სომხურ-კათოლიკური ეკლესია ხელმძღვანელობდა მათ ჯვრისწერა-მონათვლას. მონათვლისას არქმევდნენ სომეხი კათოლიკე ეპისკოპოსის მიერ რეკომენდებულ სახელებს და ასე თანდათან იცვლებოდა მათი ნამდვილი ვინაობა. ხშირად ახალ სახელს ახალი გვარის ხელოვნურად შექმნა და გადაკეთებაც მოსდევდა. შოვინისტი კათოლიკე მოძღვარნი ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ქართველ კათოლიკეებს დაევიწყებინათ მშობლიური ენა, გვარი, წარმომავლობა და ბოლოს, რადგანაც კონგრეგაციას მათ საეკლესიო ენად სომხური ჰქონდა დამტკიცებული, სომხებად გამოეცხადებინათ. სამწუხაროდ, როგორც უკვე ზემოთ ვნახეთ, სოფ. ველის მაგალითზე, მესხეთის სინამდვილეში ეს ნაწილობრივ კიდეც გაკეთდა“.[242]

მ. თამარაშვილი წერს, თურქ-ოსმალების ბატონობამ თუ როგორ გაანადგურა მესხეთი, ამას „..დღესაც ღაღადებს გავერანებული ქვეყანა, აურაცხელი ნანგრევები და მეტადრე სამცხის დიდებული 19 საეპისკოპოსოს ერთიანად მოსპობა. ამ უწყალო სვრას ვინც კი გადაურჩა ქართველი მართლმადიდებელთაგანი, ძალაუნებურად მაჰმადიანობა მიიღო, რადგან XVI საუკუნეშივე ოსმალეთმა მოუსპო გზა ევროპელ მისიონერებსა, უმწყემსოდ დატოვებულ სამცხის ქართველ კათოლიკებსაც იგივე შავი დღე დაადგათ, ხოლო მათმა მცირე რიცხვმა შეირჩინა უკვე მიღებული კათოლიკე სარწმუნოება სომხის ტიპიკონის მიღებითა, რადგან ამ დროს სომხობას ოსმალეთი ისე არ აწუხებდა, როგორც სხვა ტომის ქრისტიანებს, რომლებიც დაიხსნა არა მარტო სიკვდილისაგან, არამედ სხვა ბევრნაირი შეწუხებისგანაც. ამ გარემოების წყალობით, ისინი შეუერთდნენ სომხის ტომის კათოლიკებს არა მარტო სარწმუნოებით, არამედ ერობრივადაც, რათა მათსავით უშიშრად ყოფილიყვნენ გამძვინვარებულს ოსმალეთის მთავრობის ხელში. ვერც გაბედეს შემდეგ ქართული ტიბიკონის მიღება, რადგან მათი მტარვალი ბატონისაგან მოელოდათ ან სიკვდილი, ან გამაჰმადიანება“.[243]

მ. თამარაშვილი აღწერს სრულ სურათს, თუ რა მიზეზის გამო იღებდნენ ქართველები სომხურენოვან წირვა-ლოცვას თავიანთ ეკლესიებში და თუ რატომ აღიარებდნენ ისინი თავიანთ თავს სომხებად და არა ქართველებად. აღნიშნავს, რომ ამგვარი „გასომხებით“ ქართველები არა მარტო ქრისტიანობას ინარჩუნებდნენ, არამედ ხშირად სიცოცხლესაც კი. სომხურმა ეკლესიამ შეძლო სიკვდილისაგან დაეხსნა და ქრისტიანობისათვის შეენარჩუნებინა უამრავი ქართველი. იგივე ითქმის ქართველი გრიგორიანების შესახებაც – ისინიც სომხურ ეკლესიას ეფარებოდნენ თავიანთი ცოლ-შვილის, სიცოცხლისა თუ ქონების გადარჩენის მიზნით.

ქართულ ეკლესიას კი, როგორც ცნობილია, ებრძოდნენ ოსმალეთიც და სპარსეთიც, არა მარტო ქართული სახელმწიფოებრიობა იყო მათთვის მიუღებელი, არამედ ქართული ეკლესიაც. შეიძლება ითქვას, ამ უთანასწორო ბრძოლაში ქართული ეკლესია გამარჯვებული გამოვიდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. მესხეთის, საინგილოსა და ლორე-ტაშირის გარდა მან თითქმის მთელ საქართველოზე გავლენა შეინარჩუნა.

XIX საუკუნის ბოლოს აღმოჩნდა, რომ საქართველოს ზოგიერთი დაბა-ქალაქის, სოფლისა თუ კუთხეების მოსახლეობის ერთ ნაწილს სომხები შეადგენდნენ. მ. თამარაშვილმა, რომელიც დაინტერესებული იყო ამ საკითხით, მოიძია სხვადასხვა უცხოენოვანი წყაროები და განაცხადა: „რაოდენიც კი შეგვეძლო, თითქმის ყველა შესანიშნავი აღმოსავლეთის ისტორია და მგზავრთა წერილები გამოვიძიეთ, მაგრამ ვერაფერი ვპოეთ სომხების გადმოსახლების შესახებ საქართველოში უწინარეს XVII საუკუნისა. ამისათვის უნდა ვთქვათ, რომ სომხებს გადმოსახლება და საქართველოში დამკვიდრება დაუწყიათ XVII საუკუნის დამდეგს“...[244]

სომხები შეიძლება გადმოსახლებულიყვნენ 1615-1618 წლებში შაჰ-აბასის მიერ საქართველოს მოოხრების დროს. 1687-1747 წლებში ნადირ-შაჰის დროს, 1780 წელს ერეკლეს მიერ.[245]

მაგრამ მათი რაოდენობა დიდი არ იყო.

სომეხთა ძალზე დიდი გადმოსახლება იწყება XIX საუკუნეში, 1804 წლის დასაწყისში, 1828 წელს სპარსეთიდან გადმოსახლდა 40 ათას სულზე მეტი სომეხი, 1829 წელს თურქეთიდან გადმოსახლდა 70 ათას სულზე მეტი სომეხი.[246] გადმოსახლდნენ აგრეთვე 1895 წელს.

მიუხედავად ამისა, როგორც პაატა გუგუშვილი წერდა, XIX საუკუნის დასაწყისში სომეხთა პროცენტული რაოდენობა ამიერკავკასიაში დიდი არ იყო და 6%-ს შეადგენდა.

გადმოსახლებული სომხები სრულებით განირჩეოდნენ საქართველოს ადგილობრივი „სომხებისაგან“ ენით, ქცევა-ზნით, წეს-ჩვეულებით, ცხოვრების სახით და ყოველმხრივ.

„ვახუშტი ბორჩალოს აღწერაში ასახელებს ესრედ: „ამ ადგილთა შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა, არამედ ქცევა-ზნითა ქართულითა“. ამნაირ სომხების ტომით ქართველობისა ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რადგან საზოგადოდ შენიშნულია, რომ სომხები საცა წავლენ, თავიანთ ზნე-ჩვეულებას არ სტოვდნენ და სხვისას არ სცვლიან, სხვათა შორის, თვით მოგზაური გამბაც მოწმობს, რომ საქართველოში სომხები არაფრით ემსგავსებიან ქართველებს და მათში ირჩევიან თავიანთი ზნე-ჩვეულებით. ამ ფაქტს ყველანი ცხადად დავინახავთ, უკეთუ ჩავუკვირდებით ამ ერთი საუკუნის წინეთ საქართველოში გადმოსახლებულ სომხებს, რომლებსაც თავიანთი არარაი დაუტოვებიათ და სხვა ზნე-ჩვეულება არ შეუთვისებიათ. დღესაც ყველაფერში ისეთი სომხები არიან, ყოველის მხრით, როგორც იყვნენ ამ ერთი საუკუნის წინეთ, აქ გადმოსახლების დროს. ეს ფაქტი საბუთს გვაძლევს ქართველ ტომად შევრაცხოთ ყველა ისინი, რომლებსაც სომხებისა მარტო სარწმუნოება აქვთ და არა ზნე-ჩვეულება. ის საკითხი, რომ ქართველობაშიც მოიპოვებიან სომხის მერჯულენი – ე.ი. ქართველი გრიგორიანები, ჯერ ბ. კლდიამ აღძრა „ივერიაში“ 1902 წელს, ხოლო შემდგომ იმავე წელს მოსკოვის ლაზარეს აღმოსავლეთი ენების ინსტიტუტის პროფესორმა ბ. ხახანაშვილმა „კავკაზ“ – რუსულ გაზეთში. ამავე საგანს შეეხო ბატონი ლასი 1904 წლის იანვრის დღის „ივერიაში“.[247]

ქართველ გრიგორიანებს, როგორც ცნობილია, „სომხებს“ უწოდებდნენ. აგრეთვე, ქართველ კათოლიკეებსაც, განსაკუთრებით კი სომხურენოვანი წირვა-ლოცვის მქონეთ. ამიტომაც ქართველთა გადაგვარების ამ სახეს უნდა ეწოდოს ქართველთა არმენიზაცია.

მ. თამარაშვილი წერს – „ახლახანს გორში და ახალციხეში (1703 და 1705 წ.) დაწერილი საბუთები აღმოაჩინეს, რომლებიც ცხადად გვიმტკიცებენ იქაური კათოლიკების ქართველობას ნათლისღების სახელებით და სხვა გარემოებით... აი, ხსენებულ ახლად ნაპოვნ საბუთებში ზოგიერთი სახელები: მინდორათი, მანანაძე, წალდაძე, ნებიერიძე, მიქელაძე, ხურციძე, ქათამათი, ზაზათი, ბეროთი, ბერომელათი, მალხაზათი, კეჟერათი, გულსპათი, ტეტიათი, ბატონათი... ხიზანათი, ცხელათი, თელიათი, ტყავაძე, ომიაძე, მაისურაძე, ჰოროველათი, მეჩხუათი, ფილიჭამიათი, გოდელათი, გოდერმათი,

თუთელათი, ხუთქალთი... ნახვრეტათი, ქვათი, ფუფულათია, გედიათი, კენჭიანთი, ხრინწიანთი... კბილათი, კოჭიბროლათი, სარდალათი, კანდელაკიანთი, ძამათი, პუწკათი, ხახიანათი, გელაჭამიათი, ჭოტუათი, ეთერათი, პურადათი, ქოჩორათი, ღვინიათი, ჩიტირეკათი, ამზერიანთი, ქონიაათი და სხვა... (კაცების სახელები) ქრისტესა, ღვთისა, აღდგომელა, მახარა, დარჩია, ოჭია, განია, ბერუკა, ჩიტა, შერმაზანა, ერეკლე, რამაზა, სავა, ნიკო, გოგიტა, ფარსადანა, ნადირა, ხოშა, მახარობელი, კიკინა, ზაალი, ელიზბარა, გლახა, საბა, ჟოჟუა, ბეჟანა, ზურაბა, ამირანა, პაპუა, მამუკა, პაატა, გოგია, ბეჟუა, მამულა, შაქრო, ნიკაშა, მალაქია, ნონო, ნონია, იორდანე, საყვარელა, შიო, თამაზა და სხვა. დედაკაცის სახელები: მზექალა, მზისადარა, ვარდიგულა, გულსუნდა, იაგუნდა, ნათელო, დედიქალა, დედიჯანუ, დარეჯანა, თუთა, თვალშვენიერი, ძუძუნა, თამარა, ლელო, ყბაწითელა, გუნდო, ბატონდედა, გულგულა, ყბაჩუა, ბანგიანი, ვარდო, გუნდო, დედება, თეთრუა, ლოყაწითელა, გედო, კაკალო, ყაყაჩო და სხვა".[248]

ყველა ესენი ქართველი კათოლიკენი სომხებად იწოდებოდნენ. სიმართლე გაირკვა მიხეილ თამარაშვილისა და სხვა ქართველ მოღვაწეთა გმირული თავდადებით.

თბილისის მოქალაქეთა გაგრიგორიანების შემდეგ გრიგორიანთა უბნებში არსებული ქართველთა ეკლესიები უმრევლოდ და უმოქმედოდ დარჩენილნი – გრიგორიანებს რჩებოდათ. მათი მართლმადიდებელი წინაპრების მიერ იყო აშენებული კიდეც ეს ეკლესიები. ეკლესიის მრევლი მხოლოდ სარწმუნოებას იცვლიდა, საეკლესიო შენობა კი კვლავ ძველი რჩებოდა. თამარაშვილი წერს – „აი, სხვათა შორის, რავდენი ეკლესიები დაიჩემეს და მათში ქართული წარწერები გააქრეს – ტფილისში მეიდნის თავზე ყოფილა პატარა გუმბათიანი ეკლესია, დღეს სურფ-გეორქად წოდებული წმ. ნიკოლოზის ეკლესია, დღეს ჯიგრაშენის ეკლესიად წოდებული, ავლაბრის ხიდის იქით მყოფი ისნის ეკლესია, ფეთხაინის ეკლესია, ძველად ბეთლემის ღვთისმშობლისად წოდებული, ტფილისის ახლოს თელეთის წმიდა გიორგის ეკლესია, შავნაბადას ეკლესია, თელავის ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც ერეკლე მეფის სახლის ეზოში ყოფილა, ჯავახეთში კუმურდოს ეკლესია და სხვა".[249]

მართლაც, გიულდენშტედტი, რომელმაც იმოგზაურა საქართველოში, ჩამოთვლის თბილისის სომეხთა ეკლესიებს. მას თავის ტექსტში უცვლელად გადააქვს ეკლესიათა სახელები, რომლიდანაც ჩანს, რომ ამ ეკლესიებს იხსენიებენ ქართული სახელით „საყდარი", კერძოდ, ამ სომხურ ეკლესიებს ჰქვიათ –

„Zichis Sagdari" – ე.ი. „ციხის საყდარი",

„Petcherno Sagdari" – ე.ი. „ფეთხაინის საყდარი",

„Wankis Sagdari" – ე.ი. „ვანქის საყდარი",

„Melikis und Subsarnisi Sagdari" – ე.ი. „მელიქის, ანუ სუბსარქისის საყდარი", „საგაშენი", „ნორაშენი", „მოლნინი", „ჯიგრაშენი", „სურბნიშანი", „კოზმანი", „ქამოანი – ქამოანთ ეკლესია", „ზირკიანი – ზირკიანთ ეკლესია", „სუბკარაპეტესა", „კასების", „პეტროს", ანუ „სუბკარაპეტას" საყდარი ან ეკლესია; „კასების" ეკლესია, „პეტროს ეკლესია".[250]

სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ გიულდენშტედტის დაკვირვებით ლეკების გარემოცვაში მცხოვრები ქართველები ლეკდებოდნენ, ხოლო ოსთა შორის მცხოვრები ქართველებიც ასევე კარგავდნენ ენას და რელიგიას.

„კავკასიელ მთიელთა შორის, განსაკუთრებით ლეკებსა და ოსებში არიან ბევრი ქართველები, რომელთაც რელიგიასთან ერთად, ენაც დაივიწყეს.[251]

მოგზაური აღნიშნავს, რომ ქართველობა იმ სოფლებისა, რომლებიც მოექცა მაჰმადიანების ხელქვეით, გამაჰმადიანდნენ და ამით გათათრდნენ“, – იგულისხმება საინგილო.

„...ჭარმა შემდეგი სოფლები მოსტაცა კახეთს – ალიანათი, კახი, ვარხიანი და ინგუხი. ისინი ეკუთვნიან უკვე დასახლებულ ჭარელ პატარა მთავრებს. მათი მოსახლეობა ჯერაც ქართველებია, მაგრამ ცოტა აქვთ ქართული ჩვეები და თითქმის ურელიგიოდ არიან. თუმცა, მეტი წილი მოსახლეობისა ქართველებია, მაინც ისინი სარწმუნოებით მაჰმადიანები არიან... ეს მხარე თებელთან ერთად ადრე ემორჩილებოდა კახეთის მეფეს და იყო ქრისტიანული. ახლა ის დამოუკიდებელია. არა აქვს რელიგია. განსაკუთრებით ჭარი ძალიან ყაჩაღურია. ისინი თვლიან თავს სუნის სექტის მაჰმადიანებად“.[252]

გიულდენშტედტი აღწერს, თუ როგორ იცლებოდა ქართლის მთიანეთი ქართული მოსახლეობისაგან და როგორ უპატრონოდ და უმრევლოდ რჩებოდა ქართველთა ეკლესიები. ცხინვალის ჩრდილოეთით აჩაბეთის ციხიდან 15 წუთის სავალზე არის სოფელი ქურთა, რომელიც დასახლებულია ქართველებითაც და ოსებითაც... სოფელ სხლებში ჯერ კიდევ არის პატარა ძველი ქვითკირის ეკლესია, რომელშიც ჯერეც დგას ვერცხლით მოჭედილი ჯვარი, ის არის 2 ფუტის სიმაღლის და 40 წლის წინათ თავად მაჩაბელმა და მისმა მეუღლემ შემოსწირეს. თავადს არ ჰქონია საზაფხულო სახლი. ეს ეკლესია ახლა მხოლოდ დამნაშავე ოსებს ემსახურება თავშესაფარად“.[253]

ნ. ბერძენიშვილი წერს, რომ ჩრდილოკავკასიელი ტომები საქართველოსაკენ ჯერ კიდევ XIII საუკუნეში დაიძრნენ, მაგრამ ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ (XVI საუკუნიდან) ისინი თანდათანობით შემოვიდნენ საქართველოში და ადგილობრივ მცხოვრებლებს შეერივნენ.

„XIII საუკუნეში ოქროს ურდოს მონღოლებმა იმიერკავკასიის ველები დაიჭირეს და თავის სამომთაბაროდ აქციეს. მთას შემოხიზნული ადგილობრივი მოსახლეობა – აფხაზნი, ჩერქეზნი, ოსნი, ღუნძ-ღლიღვნი თანდათან ამიერკავკასიისაკენ მოიწევდნენ და პირაქეთ კავკასიის ტომებს – დვალებს, ფხოველებს ერეოდნენ“.[254]

თუ XIX საუკუნემდე, ასე თუ ისე, ქართული ეკლესია იცავდა საქართველოს ქართული მოსახლეობის „ქართველობას“, იმის შემდეგ, რაც საქართველოს ავტოკეფალია გაუქმდა, კიდევ უფრო გაღრმავდა ქართველთა როგორც არმენიზაციის, ისე სხვა ტომებსა და ხალხებში ასიმილაციის პროცესი, როგორც ამას იმდროინდელი აღწერის მასალები უჩვენებენ.

ქსნის ხეობაში „სოფ. ზოდეხის ძირითადი მკვიდრნი 1774 წელს იყვნენ ოდიშვილები... საინტერესოა ეთნოგრაფიული მასალა ოდიშვილების შესახებ. „ჩვენი წარმოშობა სულ სხვა გვარი იყო. ძირ-გვარი ყოფილა ცეცხლაძე. თავიდან მეჯუდის ხეობის სოფელ არდისში უცხოვრიათ. მანდ ყოფილან სამი ძმანი ცეცხლაძეები (აღსანიშნავია, რომ ცეცხლაძეები 1744 წლის აღწერის თანახმად ჭურთისხე-

ვის მკვიდრნი არიან – რ.თ. იხილეთ ჯავახ. გვ. 184). ერთს ერქვა ბედო, მეორეს – მელა, მესამეს – ოდი. ესენი ჩამოსულან და დაუკარგავთ ნამდვილი გვარი ცეცლხ-ლაძე და გადაკეთებულან სამ გვარად: ოდიშვილად, ბედოშვილად და მელაძედ. მელაძის წინაპარი დასახლდა ჭერთში, ოდიშვილისა – ზოდეხში, ბედოშვილისა – საფარშეთში. მელაძეები და ბედოშვილები – გაოსდნენ. ხევშიც არიან ოდიშვილე-ბი. პაპაჩემის გადმოცემით ისინი ზოდეხში მოდიოდნენ სალოცავად".[255]

„XIV საუკუნიდან ქართლის მთაში იწყება ოსური ნაკადის შემოღწევა".[256]

ოსები ჯერ დიდი და პატარა ლიახვის სათავეებთან, ხოლო უფრო მოგვიანებით ქსნის ხეობის სათავეებში ესახლებიან. დვალური მოსახლეობა ოსური დაფენების ქვეშ ექცევა. ოსური დაფენების ქვეშ მოექცა ადგილზე მოსახლე ქართველობა, რომელთაც ოსებისაგან შეისწავლეს სალაპარაკო ენა და გადმოიღეს მათი ზნე-ჩვეულებანი, ეს პროცესი დაიწყო XIV საუკუნიდან და დღემდე გრძელდება.[257]

როგორც აღინიშნა, XIX საუკუნეში ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმე-ბის შემდეგ ქართველთა გაგრიგორიანებას ფართო ხასიათი ჰქონია – „ეს შეღა-ვათი და კიდევ ბევრი სხვაც (რომ მაჰმადიანური სამყარო სომხურ ეკლესიას ნაკლებად ავიწროებდა) ქართველთათვის ერთგვარ სატყუარას წარმოადგენდა, რასაც ღარიბი გლეხობა თუ ღარიბი ქართველი მოქალაქე ადვილად ეტანებოდა. ამ ნიადაგზე ბევრმა ქართველმა მიიღო გრიგორიანობა და სომეხად მოგვევლინა. გასომხება მიმდინარეობდა არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლებშიც.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, მრავალი ქართველი მებატონის მამული უვარდებოდა სომეხ დიდვაჭარს. ზოგჯერ ამ მამ-ულზე მსხდომი გლეხები ახალი მებატონის სარწმუნოებასაც ღებულობდნენ".[258] ეთნოგრაფ ნ. ვოლკოვას 1976 წელს დმანისის რაიონს სოფ. ვარდისუბანში ასეთი საინტერესო მასალა აქვს დაფიქსირებული: ვარდისუბანში ცხოვრობენ ქართველე-ბი და სომხები. სომხები ეწერებიან მინასიანცებად, მიქელიანცებად, ავაქიანებად და მარქარიანებად, პასპორტშიც უწერიათ, რომ არიან სომხები. მათ სომხური ენა არ იციან. მათი მშობლიური ენა ქართულია. ყოფითი წეს-ჩვეულებით და კულტურ-ის ყველა ნიშნით ქართველები არიან, სომხურ ყოფასთან არაფერი აკავშირებთ. თითქოს ისეთი სურათი იქმნებოდა, რომ სომხების ქართველებთან ასიმილაციას უნდა ჰქონოდა ადგილი, სინამდვილეში კი ეს ასე არ არისო, წერს ნ. ვოლკოვა. გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ აქაური სომხური გვარების მატარებლები წარმოშობით ქართველები არიან და აქ ასიოდე წლის წინ მოსულან სხვადასხვა რაიონებიდან. ასე, მაგალითად, მინასიანცების და მიქაელიანცების წინაპარი დიღმელი თეთრაძეები ყოფილან, რომლებიც დიღმიდან სამი თაობის წინ გადასულან. მარ-ქაროვების წინაპარი გორელი მენაბდიშვილები ყოფილან. მარქაროვებს ვარდის-უბანში ახლაც მენაბდიანთს ეძახიან (პატრონიმიულ სახელს) და არა მარქაროვებს. აქაურებს კარგად ახსოვთ, თუ როგორ შეუცვალა ადგილობრივმა სომეხმა მემამ-ულემ ქართველებს ქართული გვარები სომხურად.

ჩვენს მიერ 1985 წელს ამავე სოფელში იგივე მასალა იქნა დამოწმებული. მაგ. სიმონიშვილებს სომეხმა მებატონემ სიმონიანცებად გადაუკეთა გვარი.

სომხები იმთავითვე ხელს ჰკიდებდნენ ვაჭრობა-ხელოსნობას. გრიგორიანული ეკლესია ქართული ეკლესიისგან ერთგვარად განზე იდგა. სომხურ მოსახლეობას მღვდელმსახურებისათვის XX საუკუნის დასაწყისში შიდა ქართლის რაიონებში 133 ეკლესია და 137 მღვდელი ტერტერა ემსახურებოდა. მათი მრევლი 100 ათასამდე კაცს შეადგენდა".[259]

„...განსაკუთრებით ღირებულია XIX საუკუნეში რამდენჯერმე ჩატარებული მოსახლეობის კამერალური აღწერის მასალები და 1886 წლის საოჯახო სიები (სს). ქართველი მონოფიზიტები (გრიგორიანები) ხშირ შემთხვევაში სომხური ეროვნებისადმი არიან მითვლილი. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი აზრი აღმწერთა მიერ სარწმუნოებრივ მომენტზეა გადატანილი. თუ ქართველი, მართლმადიდებლური რწმენის გარდა აღიარებდა სხვა სარწმუნოებას, ის მოსახლეობის შეხედულებით ქართველი აღარ იყო. ასე მოინათლნენ სომხებად აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, ფრანგებად (და სომხებად) – კათოლიკე ქართველები სამცხე-ჯავახეთში, ინგილოებად – მაჰმადიანი ქართველები ისტორიულ ჰერეთში, თურქებად – მაჰმადიანი ქართველები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში... ცნობილია, რომ საქართველოში მონოფიზიტური ქრისტიანობა გავრცელდა ქართველთა შორისაც და ჩამოყალიბდა ქართველ გრიგორიანთა თავისებური ჯგუფი... გორის მაზრის თარიანის საზოგადოების სოფელ ახალდაბაში სხვადასხვა გვარის ქართველებთან ერთად მოსახლეობენ პაპუაშვილები, თათრიშვილები, ნაცვლიშვილები, თანდილაშვილები, გიორგაშვილები, კუტიშვილები, ჯავახიშვილები. ჩამოთვლილ გვართა წარმომადგენლები სომხური ეთნიკური ფენისადმი არიან მიკუთვნებული. ჩვენი ღრმა რწმენით, სარწმუნოებრივი მომენტის გამო, აღნიშნული გვარ-სახელების მატარებელნი ამავე სს-ის მიხედვით საქართველოს სხვა რეგიონებშიც არიან განსახლებულნი და ყველანი ქართველებს ეკუთვნიან... საერთოდ, 1886 წლის სს-ით შეიძლება გამოთვლა, თუ რამდენი კომლი, გვარი, სული არის ჩამოცილებული ხელოვნურად ქართულ ეთნოსს და მექანიკურად სხვა ეთნოსზე, ამ შემთხვევაში სომხურზე მიწერილი... ახალქალაქი (ქართლის) სომხური გვარსახელების ჩამოთვლას აქ არ შევუდგებით, მაგრამ უნდა დავასახელოთ ზოგიერთი „სომხური" გვარსახელი: მამასახლიშვილი, ქვრივიშვილი, ხუციშვილი, მეზურნიშვილი, გოგინაშვილი, ოქრომჭედლიშვილი, ჩალაშვილი, ტატანაშვილი, აბუაშვილი, გაბრიელიძე, წვერიანაშვილი, მჭედლიშვილი, ნასყიდაშვილი, ივერიანოვი, ფირალიშვილი, გოდერძიშვილი, მამაცაშვილი... ჩამოთვლილ გვარსახელებს ქართული ძირები აქვთ, ეთნოგრაფიული მასალებითაც ისინი გრიგორიანი ქართველები იყვნენ... გორის მაზრის სოფ. ბერბუკში მოსახლეობდნენ გიგაურები. სს-ით გიგაურები სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების გამო, სომხური ეთნოსისადმი არიან მიკუთვნებულნი... ვერხვიაშვილების ერთი კომლი თუ სომხური გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევარი და ეროვნებით „სომეხია", მეორე – მართლმადიდებელია და ქართველია. გორის მაზრის სოფელ ვაყაში სომხური ეთნოსისადმი არიან მიკუთვნებულნი იმედაშვილები, მამულაშვილები, მეკარიშვილები... გრაკალში – პაპუაშვილები, გოგინაშვილები, დურგლიშვილები, ტატიაშვილები; დიდ გარეჯვარში – თუშიშვილები, მუნჯიშვილები, დირბში – კულუმბეგაშვილები (ამ გვარის წარმომადგენლები, საერთოდ,

ოსები არიან), დოლიაშვილები, მოძმანაშვილები, თეთრუაშვლები, ქოთუაშვილები, ბერიანაშვილები, პაატაშვილები... ზემორეხში – კაკიტაშვილები, მამუკელაშვილები, ქართველიშვილები, კაბულაშვილები (ეს გვარიც ოსურია), ტყვიავში – ქარელები, მერაბიშვილები, გიგუაშვილები, ხაბაზიშვილები და მრავალი სხვა. სოფ. კავთისხევში სომხურ-გრიგორიანული რწმენის გამო სომხური ეროვნებისადმი არიან მიკუთვნებულნი: ნანიკაშვილები, ქსოვრელები, ირემაშვილები, ბასიაშვილები, ბიჭიკაშვილები... ქვახვრელში – ბერიკაშვილები, პაპიაშვილები, გოგოლაშვილები, მეთიაშვილები, ხუციშვილები, გიგოლაშვილები... ახალგორში მოსახლეობენ ისეთი გვარებიც, რომლებიც სომხური ეთნოსისადმი კონფესიური მიკუთვნებულობის გამო არიან მიწერილი. ასეთ გრიგორიან ქართველებს შორის შეიძლება დავასახელოთ: მზარეულოვი, ბურდინოვი, მეარაყოვი, კაკილოვი, კიკოლაშვილი, ხუბაშვილი (ძირითადად ოსი), ხოცუელაშვილი, ბერიაშვილი, ლოსეურაშვილი, გათენაშვილი, გელიაშვილი, დათიაშვილი, გრემელაშვილი, ცაგარელი. ეთნოგრაფიული მასალებითაც, ჩამოთვლილი გვარები ქართველები არიან, რომლებმაც გარკვეული მიზეზების გამო მიიღეს სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოება და შესაბამისად, მიეკუთვნენ სომხურ ეროვნებას... ქართველი გრიგორიანების ჩამოთვლა 1886 წლის სს-ის მიხედვით შეიძლება გაგვეგრძელებინა აგრეთვე თბილისის, თელავის, სიღნაღის მაზრებიდან... ავიღოთ მაგალითად, თბილისის მაზრის სოფელი – ახალსოფელი, სადაც მოსახლე კაზაროვების ერთ ნაწილს მიწერილი აქვთ – „ესენი მათიაშვილები არიან“. მეორე ნაწილს – „ესენი მართიაშვილები არიან“. სოფელ კუმისში მკვიდრობდა“ კეკლოვი (ესენი ალავერდაშვილებია)“. კუმისის მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართველები იყვნენ (გრიგორიანული რწმენის გამო კი სომხებად არიან ჩაწერილი)... ბაბალაშვილი, გურასპაშვილი (შეადარე გურასპაული), საყვარელაშვილი, მათურაძე, თათარაშვილი, გზირიშვილი, გარსევანოვი, ხორიტოვი, გურამოვი, გაბიევი, ჟუჟიაშვილი, ტეტიაშვილი, კახელაშვილი, ქობულაშვილი, ოლქიაშვილი, დედილაშვილი, ნინიაშვილი, სოზიაშვილი, მაისურაძე, საყევაროვი, კახუროვი, როსტიაშვილი... პატარა ერგნეთში – „გრიქურაშვილი (ესენი მესტვირიშვილები არიან)“, სართიჭალაში – „სტეფანოვი (ესენი გარსიაშვილებია)“, სანიორეში – „ოხანაშვილი (ორკოდაშვილებია)“, „სარქისაშვილი (კიკუაშვილებია)“, ყანდაურში – „კუზანაშვილი (გამტკიცულაშვილებია)“; ჩუმლაყში – „დემუროვი (მენაბდიშვილებია)“; ანანაურში – „სტეპანოვი (მუხაშვილებია)“... მთელი შუა საუკუნეების მანძილზე საქართველოში სომხური მოსახლეობა იყო, და შესაბამისად, ქართველი გრიგორიანებიც, მაგრამ ამ უკანასკნელთა რაოდენობის ზრდა განსაკუთრებით იგრძნობა XIX საუკუნის შუა ხანებიდან (არაერთი მაგალითი შეიძლებოდა მოგვეტანა XIX საუკუნის სხვადასხვა პერიოდის კამერალური აღწერებიდან, რომლებშიც ესა თუ ის გვარები ჯერ მართლმადიდებლებად და ქართველებად, შემდეგ კი გრიგორიანებად და სომხებად არიან ჩაწერილი). საქართველოში XIX საუკუნეში ქართველი გრიგორიანების ზრდა, ჩვენი აზრით, დაკავშირებული უნდა იყოს ქვეყანაში კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფ ზრდასა და 1811 წლიდან საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვასთან“.[260]

ზემოთ აღწერილი პროცესი საქართველოში XX საუკუნეშიც უნდა გაგრძელებულიყო, მაგალითად, ავიღოთ მესხეთი. აქ 5 რაიონში ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ასპინ-

ძის, ახალციხისა და ადიგენის რაიონებში, 1923-24 წლებიდან 1980 წლამდე, აღარ მოქმედებდა არც ერთი ქართული ეკლესია (არც მართლმადიდებლური და არც ქართულ-კათოლიკური), 1980 წელს, ახალციხის წმიდა მარინეს ეკლესიის გახსნამდე, ამავე პერიოდში კი აქ უწყვეტად მოქმედებდნენ სომხურ-გრიგორიანული ეკლესიები ახალქალაქსა და ახალციხეში და სომხურ-კათოლიკური ეკლესია – ახალციხის რაიონის სოფ. სხვილისში. ამის გამო, მთელი მოსახლეობა (და 1944 წლიდან აქ ჩამოსახლებული იმერლობა) მონათლული იყო სომხურ ეკლესიებში. ამ ამბის თვითმხილველი მეცა ვარ და ამჟამად მცხოვრებთა უმრავლესობაც ამას ადასტურებს. 1924-1980 წლებში ქართველები სომხებთან ინათლებოდნენ ქართული ეკლესიის უმოქმედობის გამო, იმ მოტივით, რომ „მირონი ხომ მაინც ერთიაო". „მირონი ხომ მაინც მსოფლიოში ყველგან სომხეთიდან მოდის, ჩვენც ხომ სომხური მირონი გვაქვსო". ცხადია, ასეთი თვალსაზრისი არასწორია და შეიძლება განგებ გავრცელებული.

ქართველთა არმენიზაციის სხვადასხვა მეთოდს შორის შეიძლება გამოირჩეს: მოსახლეობის დარწმუნება და ეკონომიური ზემოქმედება. პირველის შესახებ მიუთითებს 1813 წელს ქართულ ენაზე ეჩმიაძინში დაბეჭდილი და საქართველოში გავრცელებული სიგელი. ამ სიგელს ხელს აწერენ (თავიანთი ბეჭდით ადასტურებენ) სომეხთა 6 არქიეპისკოპოსი და 2 ვართაპეტი, მაგრამ სამწუხაროდ, სიგელში სიცრუე სიმართლედაა გამოცხადებული, კერძოდ, თითქოსდა როსტომ მეფე სომხური წარმოშობისა იყო, თითქოსდა მისი შვილი ქართველებმა მოკლეს, სამართალი გამომჟღავნდა, ქართველები დაისაჯნენ და განიდევნენ ხელმწიფის კარიდან, ხოლო თბილის-ქალაქის მმართველობა და უფროსობა სომხებს გადაეცათ.[261]

ეკონომიური ზემოქმედების შესახებ წერს ქ. შარაშიძე, მატენადარანში დაცული ქართული ხელნაწერების ერთ ნაწილზე მუშაობის შემდეგ. „ამ ჯგუფში საყურადღებოდ იყო რამდენიმე საბუთი, რომლებიც ცხადყოფდნენ, რომ სომეხთა ეკლესია, საქართველოს ზოგიერთ რაიონში, თუ შეიძლება ითქვას, ფულადი თანხის გამსესხებელი დაწესებულებების ფუნქციას ასრულებდა არა მარტო სომეხი, არამედ ქართველი მოსახლეობისათვისაც".[262]

„საყურადღებოა სომეხთა კათალიკოს ნერსეს ჰუმანური პიროვნება (1760-1857)... მან დააარსა სომხური სემინარია და დაწყებითი სკოლები თბილისში, უმაღლესი სასწავლებელი... ნერსესი დახმარების ხელს უწვდიდა ქვრივ-ობლებს. თელაველი ქვრივის, სომხის ქალის მიმართვა ხსენებული პიროვნებისადმი მოწმობს, რომ ნერსესის დახმარებით იზრდებიან, შესაბამის ასაკში მზითვდებიან და ქორწინდებიან ქვრივის ობოლი გოგონები და სხვა. აღსანიშნავია, რომ ნერსესის ქველმოქმედება არ არის შემოფარგლული ნაციონალური და რელიგიური ზღუდეებით. ნერსესმა ჩინებულად იცის ქართული... საყურადღებოა, რომ ნერსესი, ეტყობა, პირადად მიდიოდა ქართლის სოფლებში ზოგიერთი საქმის მოსაგვარებლად. XIX საუკუნის I ნახევარში ამ კათალიკოსს ნივთიერი დახმარებისა და მფარველობისათვის ქართველებიც მიმართავენ... ნერსესს მიმართავს ვინმე თამარი. ეტყობა, დიდი თავადის მეუღლე, რომლის ქმარიც ტყვეობაში დაღუპულა. დაღუპული, ჩანს, გარკვეულ პოლიტიკურ როლს თამაშობდა, ვინაიდან მისი ოჯახისთვის ჩამოურთ-

მევიათ ყმა და მამული, ქვრივი სასტიკ სიღარიბეში ჩავარდნილა. თამარი მეტად თავდახრილად სთხოვს ნერსესს ნუგეშს და დახმარებას.[263] აღსანიშნავია, რომ ამ ქართველი თავადის მეუღლე ქართულ ენაზე მიმართავს სომხური ეკლესიის მეთაურს. ამავე დროს კი გაუქმებული ქართული ეკლესიის მეთაური რუსი ეგზარხოსები სასტიკად დევნიდნენ ქართულ ენას. თავადის ქვრივისათვის ქონება სწორედ რუსეთის (მართლმადიდებელთა) ხელისუფლებას ჩამოურთმევია, სომეხი ხელისუფალი კი მას ხელს უმართავს. ცხადია, გასომხებისათვის პირობები შექმნილია.

ქ. შარაშიძე წერს – „ახალი ამბავი არ არის, რომ საქართველოში მცხოვრები სომხებისათვის ქართული ენა საუკუნეების მანძილზე მშობლიური ენა გახდა და ქართული მწიგნობრობა მათი უდიდესი ნაწილისათვის ერთადერთი იყო, რომელსაც ისინი ფლობდნენ. მატენადარანის ჩვენ მიერ ანოტირებული საბუთები ერთხელ კიდევ ადასტურებენ ამ ფაქტს. ქართულად იწერება მოკითხვის ბარათები, ქართულად წარმოებს საქმიანი მიმოწერა ოჯახის წევრებს შორისაც, ქართულად იწერება არა თუ კერძო პირების ანგარიშები, დავთრები, თამასუქები, არამედ სომეხთა ეკლესიების ოფიციალური ანგარიშებიც.

საყურადღებოა, რომ სამი ვაჭარი ძმა, რომელთაგან ერთი თბილისში ვაჭრობს, მეორე – ერევანში, და მესამე კიდევ – ყარსში, ერთმანეთთან ქართული მიმოწერით არიან დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით ჩვენთვის ყველაზე საყურადღებო იყო ნერსეს კათალიკოსის მიმართ 1826 წლის ახლოს დაწერილი ბარათი...“[264]

XIX საუკუნეში, იმ დროს, როცა ქართული ენა ამიერკავკასიის და საქართველოს მოსახლეობის უმთავრესი ენა იყო, თბილისში არ არსებობდა არც ერთი ქართულენოვანი სკოლა თუ სასწავლებელი (XIX ს-ის 60-70-იან წლებამდე) მაშინ, როცა იმავე თბილისში არსებობდა სომხურენოვანი სემინარია, სხვადასხვა სომხური სახელოსნო სასწავლებელი და უმაღლესი სასწავლებელიც კი. მოსახლეობა, და მათ შორის ქართველი მოსახლეობაც (განსაკუთრებით მოქალაქენი), თავიანთ შვილებს ამ სომხურ სასწავლებელში აბარებდნენ, სადაც ისინი სწავლობდნენ კიდეც სომხურ ენას, მათთვის უცხო ენას.

უნდა დავასკვნათ, რომ ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ (XV ს) ერთიანი ქართველი ხალხიც განიცდის დენაციონალიზაციას, სხვადასხვა ქართულ სამეფო-სამთავროებში დანაწილებულ ქართველობას უჩნდება კუთხური პატრიოტიზმი, ყალიბდება იმერლობა, ქართლელობა, კახელობა თუ მეგრელობა, ამავე დროს ქართველთა ერთი ნაწილი „თათრდება“, „ფრანგდება“, „სომხდება“, განსაკუთრებით კი მიმდინარეობდა ქართველთა არმენიზაცია. მთიანი ნაწილის ქართველობაც დენაციონალიზაციას განიცდიდა. ეს პროცესი გაგრძელდა XIX საუკუნეშიც, თუმცა ამავე საუკუნის ბოლოს დაიწყო კონსოლიდაციის პროცესი. ამ დროს ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციისადმი ანტაგონისტურად განეწყო სომხური ბურჟუაზია. გ. მელიქიშვილი წერს – „მეორე მხრივ, ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესისადმი ანტაგონისტურად განწყობილი აღმოჩნდა აგრეთვე ძლიერი სომხური ბურჟუაზია, რომელიც გაბატონებულ მდგომარეობას აღწევს ამ ხანის საქართველოში და კავკასიის ზოგ სხვა რაიონში“.[265] და ეს ცხადია ხელს უწყობდა გრიგორიანელი ქართველების სომხებში ასიმილაციას.

თავი X

ქართული ეკლესია XII საუკუნეში

„უკეთესნი და უდიდესნი მოშქმედნი
ქრისა... დაუვიწყარნი უნდა იყვნენ,
თუ ერს კიდევ ეროვნება ჰსურს ...“

ილია ჭავჭავაძე

დავით აღმაშენებელი

„დაეთ აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან
არა მარტო სახელოვან მეფობითა,
არამედ თავის დიდბუნებოვან კაცობითაც“

ილია მართალი

მეფეთ მეფე დავითის ცხოვრება

თურქების გაძლიერების შემდეგ ბერძნებმა დატოვეს თავიანთი ქვეყნები, ციხეები და ქალაქები, რომლებიც აღმოსავლეთში (მცირე აზიაში) ჰქონდათ. იქ დამკვიდრებული თურქები იქცნენ ჩვენს მეზობლებად. დაიწყეს რბევა, მოოხრება, წვა, სრვა და დატყვევება ქართველი ქრისტიანებისა.

ერთხელ ისინი ყუელის ციხეში მდგომ გიორგი მეფეს თავს დაესხნენ ამირა აჰმადის მეთაურობით, გააქციეს მეფე და ხელთ იგდეს ბაგრატიონების საჭურჭლე, ოქროისა და ვერცხლის სამეფო ტაბლების სამსახურებელნი, სასმურები, სამწდეები, სამეფო და დიდებულთა კარვები. ამ ალაფით ავსებულ თურქებს წინ შემოხვდნენ საბერძნეთს მიმავალი სხვა ამირები ურიცხვი ლაშქრით, იხილეს სიმრავლე ოქროისა და გაიგეს გაქცევა გიორგი მეფისა. ამიტომაც ურჩიეს: „რად მიდიხართ საბერძნეთში? აჰა, ქვეყანა საქართველო, უკაცური და სავსე სიმდიდრით“. თურქებმა სწრაფად შეცვალეს გზა და კალიასავით მოეფინნენ მთელ ჩვენს ქვეყანას.

ივანობა დღეს ასისფორი, კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგვეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აივსო თურქებით. მათ მოსრეს და დაატყვევეს ყოველი მკვიდრი. ამავე დღეს დაწვეს ქუთაისი, არტანუჯი, კლარჯეთის მონასტრები და აქ დარჩნენ თოვლის მოსვლამდე. თურქებმა მოჭამეს ქვეყანა, ამოწყვიტეს თუკი ვინმე იყო დარჩენილი ტყეებში, კლდეებში, გამოქვაბულებში. ეს იყო პირველი დიდი თურქობა, ქორონიკონი იყო სამასი. მთიანეთსა და სიმაგრეებში თუკი ვინმე იყო დარჩენილი, ზამთრის ყინვამ, უსახლობამ და შიმშილმა დახოცა და ეს ჭირი დიდხანს გაგრძელდა, რამეთუ გაზაფხულისას მოდიოდნენ თურქები, აღწერილის მსგავსად იქცეოდნენ და დაზამთრებისას მიდიოდნენ. აღარ იყო თესვა და მკა. მოოხრდა ქვეყანა, ტყედ გადაიქცა, ადამიანთა ნაცვლად მხეცი და ნადირი დამკვიდრდა მასში. მოუთმენელი იყო ეს ჭირი, რამეთუ წმინდა ეკლესიები ცხენის თავლებად აქციეს, ღვთის საკურთხევლები კი არაწმინდების ადგილებად. მწირველი მღვდლები, ღვთისადმი საღვთო მსხვერპლის შეწირვისას იქვე მახვილით თვით იქმნენ შეწირულნი და მათი სისხლი აღრიეს მეუფის სისხლთან. ზოგიერთი დაატყვევეს, მოხუცებულნი არ შეიწყალეს, ქალწულები შეაგინეს, ჭაბუკები დასცეს, შვილები მოიტაცეს, ცეცხლით დაიწვა ყოველი აშენებული. წყლის ნაცვლად სისხლის მდინარეები დიოდა. იერემიამ კეთილად უწყოდა ამ დროის შესაფერისი გოდება.

ამ საქმეებს ხედავდა მეფე გიორგი. არსაიდან იყო ღონე ხსნისა და შეწევნისა, ბერძნების ძლიერება შემცირებული იყო. ზღვის გარეთ მდებარე მათი ქვეყნები თურქებს ჰქონდათ დაპყრობილი, ამის გამო მეფემ დიდებულებთან ითათბირა და დაადგინეს მაღალი სულთნის, მალიქშას წინაშე წასვლა.

მეფემ დადო თავისი სული და სისხლი ქრისტიანთა ხსნისათვის. ღვთის მინდობით, ძელი ცხოვლის წარძღვანებით წავიდა ასპანს, ნახა სულთანი და შეწყნარებულ იქნა მისგან, როგორც საყვარელი შვილი.

ქვეყანაზე მალიქშას თანასწორი მპყრობელი არავინ იყო; სიტკბოებით, სახიერებით, მართლმსაჯულებით, მოწყალებით, ქრისტიანთა სიყვარულითა და უბოროტო გონებით ყოველ კაცს აღემატებოდა; ამიტომაც მან ყოველი სათხოვნელი აუსრულა მეფე გიორგის. მისი სამეფო გაათავისუფლა ზედამარბეველთაგან. მისცა კახეთი და ჰერეთი, მაგრამ ხარაჯა ითხოვა, რომელსაც მრავალ წელს იღებდა. დიდებით გამოგზავნა მეფე თავის სამეფოში, თან წამოაყოლა დიდი სპა კახეთის ასაღებად. რთველის ჟამს მოვიდა კახეთში, მიადგა ვეჟინის ციხეს და ბრძოლისას მოვიდა თოვლი. გიორგის გაახსენდა აჯამეთში ნადირობა და აღარ დაელოდა ვეჟინისა და კახეთის აღებას. ხოლო თურქთა ლაშქარს, რომელიც თან ახლდა, მისცა ჯილდოდ სუჯეთი და კუხეთი - ივრის პირი ქვეყანა, რომელიც მოოხრდა იმ დროიდან დღევანდლამდე, თვით გადავიდა ლიხის მთაზე და ჩავიდა აფხაზეთში.

კახთა მეფე აღსართანი კი წავიდა მალიქშას წინაშე, უარყო ქრისტიანობა და სარკინოზთა რჯულთან ერთად მიიღო სულთნისაგან კახეთი.

აღარ დამშვიდდა ქვეყანა. ადამიანთა უკეთურობის გამო არ იყო შვება. ყოველი ასაკისა თუ პატივის მქონე ცოდავდა ღვთის წინაშე. ქართველებმა სახიერი ღმერთი განარისხეს და თვითვე მიიღეს რისხვის განჩინება, ურჯულოთათვის ნათქვამი ესაიას მიერ: „ვაი ნათესავსა ცოდვილსა, ერი ურჯულოებით არის სავსე ფეხის ტერფიდან თავის თხემამდე. არ არის მასში სიცოცხლე...“ და შემდეგ „ამის გამოა თქვენი ქვეყანა ოხერი, ქალაქები - ცეცხლით დამწვარი, სოფლები გადაჭმულია უცხოელების მიერ, მოოხრებული და დაქცეული უცხო ტომების მიერ“.

უფლის გულისწყრომა არ დაცხრა, რამეთუ არ მოვინანიეთ, არც გულისხმავყავით, არც უფლის გზაზე დავდექით, რის გამოც ღვთის მიერ ჩვენს ქვეყანაზე მოიწია გვემანი: თვით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს აღდგომა დღეს, რომლის დროსაც სიხარული და განცხრომა გვმართებდა, რისხვით მოხედა უფალმა და შეძრა ქვეყანა საფუძვლითურთ ისე სასტიკად, რომ მაღალი მთები და მყარი კლდეები მტვრად იქცნენ, ქალაქები და სოფლები დაირღვნენ, ეკლესიები დაეცნენ, სახლები დაინთქნენ და მათში მყოფთა საფლავებად იქცნენ. თმოგვიც დაიქცა, ქვეშ მოყვა კახაბერ ნიანიას ძე ცოლითურთ. ასეთი საშინელი მიწისძვრა გაგრძელდა თითქმის წელიწადი; მრავალი გაწყდა.

ამ რისხვისას ინება წყალობა მან, რომელიც „წვრთნის ყოველ შვილს, რომელიც უყვარს, მოკლავს და აცოცხლებს“, რომელიც მზად არის წყალობისათვის, მოწყალე მამაზე უფრო მეტად; რამეთუ ამიერიდან დაჰბერა სიცოცხლის ნიავმა და მაცხოვარების ღრუბლები აღმოიწია. ამ ჭირთა შემდეგ, თორმეტი წლის უკუნ ბნელში, დაიწყო აღმოცისკრება ყოველი მეფობის მზემ, დიდმა სახელით და უდიდესმა საქმით, დავით წინასწარმეტყველის სახელმოდგმამ - დავითმა. იმ დროს იგი იყო თექვსმეტი წლის, ხოლო ქორონიკონი 309 (1089წ.), გიორგიმ თავის მხოლოდშობილ ძეს დაადგა მეფობის გვირგვინი, და უფრო მართებულად რომ ვთქვათ, „თვით

ზეცათა მამამ ჰპოვა დავითი, თავისი მონა, თავისი წმინდა საცხებელი სცხო მას, რამეთუ უფლის ხელი შეეწია მას და მისმა მკლავმა გააძლიერა“, „წყალობა და ჭეშმარიტება შეემოსებოდა მას“ (ფს. 88, 21-22) „უზენაეს ჰყო ის ქვეყნიერების ყველა მეფეზე მეტად“.

დავითის გამეფებისას მოოხრებული იყო ქართლი და ციხეთა გარდა სოფლებში არსად იყო ადამიანი, არც რაიმე ნაშენები. ამ დროს თრიალეთი, კლდეკარნი და მიმდგომი ქვეყანა ლიპარიტს ჰქონდა. იგი დავითის წინაშე თითქოს ერთგულობდა, ასევე იქცეოდა ნიანია კახაბერის ძე. სხვა დანარჩენი აზნაურები მცირედ-მცირედ იკრიბებოდნენ მეფესთან. სოფლებშიც იწყეს ჩასვლა და დასახლება.

დავითის სამეფოს საზღვარი იყო მცირე მთა ლიხისა და სამეფო სადგომი წაღვლისთავი. ქართლის ჭალები, ნაჭარმაგევი ირმითა და გარეული ღორით იყო სავსე. იქ და ვაკეში ნადირობდნენ.

გავიდა ოთხი წელი. მოკვდა სულთანი მალიქშა და ლიპარიტ ამირამ დაიწყო მამაპაპურ კვალზე სვლა. მეფის წინაშე მზაკვრობდა; სახით ქრისტიანი იყო, მაგრამ პატრონის მიმართ ორგულობა და სიძულვილი თვისი გვარიდან ჰქონდა გამოყოლილი, არ ინება კეთილის გულისხმისყოფა და დაადგა უკეთურ გზას.

ხედავდა ყოველივეს დავითი, ინება გაწვრთნა ლიპარიტისა, შეიპყრო რამდენიმე ხნით. ეს საკმარისი იყო გონიერის განსასწავლელად, ენდო მის ფიცს, დაუბრუნა პატივი, დიდება და გაათავისუფლა.

იგი კი, როგორც ძაღლი თავის ნათხევს და ღორი მწვირეს, ბოროტებას მიუბრუნდა და განაცხადა მტრობა. იხილა მშვიდმა და ღვთივგანბრძნობილმა დავით მეფემ, რამეთუ ძაღლის კუდი არ გასწორდებოდა და არც კიბორჩხალა ივლიდა გამართულად, მეორე წელს კვლავ შეიპყრო, ორი წელი დატყვევებული ჰყავდა და საბერძნეთს გაგზავნა. ლიპარიტი იქ განშორდა სიცოცხლეს.

ამ დროს გამოვიდნენ ფრანგები, აიღეს იერუსალიმი და ანტიოქია, ღვთის შეწევნით მოშენდა ქართლის ქვეყანა, გაძლიერდა დავითი და გაიმრავლა სპა. აღარ მისცა სულთანს ხარაჯა და თურქნი ვეღარ იზამთრებდნენ ქართლში. აქამდე ისინი ზამთრის მოწევნისას თავიანთი ფალანგებით ავჭალაში, დიღომში, მტკვრის დაყოლებით, ივრის პირებზე ჩამოდგებოდნენ ხოლმე.

კახეთს მეფობდა კვირიკე, ჭეშმარიტი ქრისტიანი. მისცა დრო ღმერთმა მეფე დავითს და კვირიკეს წაართვა ზედაზნის ციხე. ქორონიკონი იყო 323 (1103 წ.) დიდებით და გამარჯვებით წარემატებოდა. მოკვდა რატი ლიპარიტის ძე, ორგუ-

ლი კაცი და ნამდვილად იქედნეს ნაშობი. ასე დასრულდა ბაღვაშების საგვარეულო ოჯახი, გამამწარებლების სახლი და მათ საყოფელზე მკვიდრი აღარ დარჩა, რამეთუ მათი ურჯულოება უფლის წინაშე მიიწია და მათი მამული მეფემ აიღო.

ერთი წლის შემდეგ მეფე კვირიკე გარდაიცვალა. კახთა მეფედ კვირიკეს ძმისწული აღსართანი დასვეს, რომელსაც მეფობის ნიჭი არ ჰქონდა, რამეთუ ცუნდრუკი, ურჯულო და უსამართლო იყო. მეფემ გონების თვალით განსჭვრიტა კეთილი საქმე, რომლითაც ღმერთს მოიმადლებდა და დიდად სასარგებლო იქნებოდა. რამეთუ წმიდა ეკლესიები, საღმრთო სახლები, ავაზაკთა თავშესაფრად იყო გარდაქმნილი. უღირსებსა და უწესოებს უფრო მემკვიდრეობით, ვიდრე ღირსებით ჰქონდათ დაპყრობილი უმთავრესი საეპისკოპოსოები, როგორც ავაზაკებს და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსები ჰყავდათ დადგენილი, რომელნიც საღმრთო სჯულის ნაცვლად ურჯულოებას ასწავლიდნენ მათ ქვეშევრდომებს. თვით უფლის სახლებიდან გამოდიოდა ყოველი ურჯულოება და ცოდვა, რომელთაც უფლის თვალი ხედავდა და განრისხებული იყო. რამეთუ არ არის თანასწორი მღვდლისა და მეომრის ცოდვა, არც ერისკაცისა და მღვდელმთავრისა, არც მწყემსისა და სამწყსოს; როგორც წერია: „მონა, რომელმაც იცის თავისი უფლის ნება და მისი ნებისაებრ არ იქცევა, ფრიად იგვემება“. აი, ასეთ წყლულთა განსაკურნებლად შეიკრიბა მრავალი: კათალიკოსი, მღვდელმთავარნი, მეუდაბნოენი, მოძღვრები და მეცნიერები. მის წინაშე შეიკრიბნენ ჯეროვან ადგილას და მრავალი დღის მანძილზე კეთილად გამოარკვიეს და ყოველი შეცდომა გაასწორეს, კეთილი და სათნო ყოველი ღვთის წესი დაამტკიცეს, უღირსად გამოჩენილები განკვეთეს და შეაჩვენეს, ტახტებიდან გადმოყარეს, თუმცა კი ძნელი იყო ეს, რადგანაც მთავართა და წარჩინებულთა შვილები იყვნენ, რომელთაც წესის ავლით ჰქონდათ ტახტები დაკავებული. მათ ნაცვლად ჭეშმარიტი მწყემსები დაადგინეს და ჭეშმარიტი სარწმუნოების მშვენიერი ძეგლი დაწერეს, წმიდა თორმეტი კრების მემკვიდრე და დამამტკიცებელი. და ასე, ყველანი სამეფო საჩუქრებით გაამგზავრეს სახლებში. და ესეც დიდი კონსტანტინეს მსგავსად აღასრულა მეფე დავითმა, ყველა თავისი კეთილი საქმეების წინ, რომლის სანაცვლოდ, იხილეთ, თუ რა ინება გულთმეცნიერმა ღმერთმა, ისრაელის დაუძინებელმა მცველმა.

კახთა მეფე, ხსენებული აღსართანი, შეიპყრეს ჰერმა დიდებულებმა არიშიანმა და ბარამმა, მათმა დედის ძმამ ქავთარ ბარამის ძემ და გადასცეს მეფეს. და აიღო მეფემ ჰერეთი და კახეთი. ერწუხში ჰქონდათ დიდი შებრძოლება, ხმაგანსმენილი და დიდი გამარჯვება – მცირე ლაშქრით, თავგანწირული ერით დახოცა სულთნის ურიცხვი სპა, განძის ათაბაგი და მტრის მხარეს გადასულნიც. მეფე ზურგში კი არ უდგა თავის სპას, როგორც რომელიმე მეთაური, არამედ თვით მიდიოდა ყველაზე წინ; როგორც ლომი, ამხნევებდა მაღალი ხმით და გრიგალივით დაქროდა; მტკიცე მკლავით სცემდა წინ დამხვდურთ, მისი ხმლიდან უკუმომდინარე სისხლი სარტყელმა წელთან დაიჭირა. ბრძოლის შემდეგ, სარტყლის გახსნისას მიწაზე დაითხია მტკნარი და შეყინებული სისხლი. პირველი შეხედვისას ჩვენ მისი სისხლი გვეგონა.

იმ დღეს სამი ცხენი მოუკლეს და მეოთხეზე მჯდომმა დაასრულა იმ დღის ომი.

ასე თვითმპყრობელობით დაიჭირა ჰერეთი და კახეთი, აიღო მათი ციხეები და სიმაგრეები. მზეებრ მოფინა მკვიდრთა ზედა წყალობა. ღმერთი ასე ამარჯვებინებდა ყველა საქმეში.

დავითმა მოიფიქრა და გადაწყვიტა მონასტრის აშენება. ამოირჩია ყოვლად მშვენიერი ადგილი, ყოვლითურთ უნაკლო, რომელსაც როგორც ცა, გადააფარა ყოვლად წმიდა და უფროსად კურთხეული დედა ღვთისას ტაძარი, რომელიც აღემატება ყოველ მის წინა ქმნილებას. აღავსო წმიდა და პატიოსანი ნაწილებით, სიწმიდეებით, წმიდა ხატებით, სიწმიდის სამსახურებლებით და ძნელად საპოვნელი სხვა ნივთებით, ხოსროიან მეფეთა ტახტებით, სასანთლეებით, ფერად-ფერადი კიდელებით, გვირგვინებით და მანიაკებით, სასმისებით და ფიალებით.

იქვე შემოკრიბა პატიოსანი, სათნო კაცები, არა მარტო თავის სამეფოდან, არამედ სხვა ქვეყნებიდანაც, გამოძებნა სიწმიდით, სიკეთით, სისრულით, სულიერი და ხორციელი სათნოებით აღსავსენი; მოიყვანა და იქ დაამკვიდრა.

ლიპარიტეთი - მამული უმკვიდროდ იყო დარჩენილი. მისცა ის დედა ღვთისას მონასტერს სამსახურებლად და უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა, რომელიც ამჟამად მთელი აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმია, ყოველი კეთილის სასწავლებელი, განსწავლულების სამოძღვრო, სხვა ათინა, ფრიად უმეტესი მასზე საღმრთო წესებით. ამ ყოველი საეკლესიო მშვენიერების მსახურის სახელია - გელათი.

და კვლავ მოიფიქრა მოწყალე საქმე ტკბილი ღვთის კაცთმოყვარეობასთან შემსგავსებული: ააშენა მშვენიერ ადგილას ქსენონი, რომელშიც შეკრიბა ბერები და სამღვდელონი - სნეულები. მოუმზადა მათ ყოველივე სახმარი, უნაკლოდ და სიუხვით, გაუჩინა შემოსავალი. თვითონ მივიდოდა ხოლმე, მოიხილავდა, მოიკითხავდა, თითოეულს ეამბორებოდა, მამასავით აფუფუნებდა, სწყალობდა, ამხნევებდა, რომ მოეთმინათ. თავისი ხელით ამოწმებდა საწოლებს, სამოსლებსა და საგებელს, მათ ჭურჭელსა და სახმარს. თითოეულს აძლევდა სამყოფ ოქროს და ზედამდგომელებს აფრთხილებდა. თითოეულის საქმეს მშვენივრად და ღვთისმსახურებით განაგებდა.

ამ დრომდე ქალაქი თბილისი, რუსთავი, სომხითი, სამშვილდე და აგარანი თურქებს ეპყრათ, ხოლო თრიალეთი და კლდეკარნი ეჭირა თევდორეს, ჭყონდიდელის დისწულს, გონიერ კაცს. აფხაზეთში (დასავლეთ საქართველოში) მეფის გადასვლის დროს ნაკლებად ეშინოდათ ხოლმე თურქებსა და მათ ციხოვანთ. ამიტომ, ერთხელ, მეფე იმერეთში რომ გადავიდა, ამ დროს შეიკრიბნენ გიორგი ჭყონდიდელის, მწიგნობართუხუცესის, წინაშე თევდორე, აბულეთი, ივანე ორბელი და სიმარჯვით დაიჭირეს სამშვილდე.

ხალხმა დიდად გაიხარა, რამეთუ დღითი დღე იზრდებოდა სამეფო საზღვრები. თურქებმა, როცა შეიტყვეს სამშვილდის დაკარგვა, სომხითის ციხეთა უმრავლესობა მიატოვეს და ღამით გაიქცნენ. აქამდე შემოდგომის ჟამს ჩამოდიოდნენ თურქები სომხითში, თავიანთი ფალანგებით ჩამოდგებოდნენ გაჩიანში, მტკვრის პირს, თბილისიდან ბარდავამდე, ივრის პირზე, ამ მშვენიერ ადგილებში გამოსაზამთრებლად. იქ ზამთრობითაც, ისევე, როგორც გაზაფხულზე, ითიბება თივა, არის შეშა და უხვი წყალი,

ნადირთა სიმრავლე და ყოველი საშვებელი. ამ ადგილებში ჩამოდგებოდნენ ხოლმე. მათი ცხენი, ჯორი, ცხვარი და აქლემი ურიცხვი იყო; ჰქონდათ სანატრელი ცხოვრება, ნადირობდნენ, განისვენებდნენ, ხარობდნენ, თავიანთ ქალაქებში ვაჭრობდნენ, ჩვენს სანაპიროებს კი არბევდნენ, ტყვითა და ალაფით სავსეს. გაზაფხულზე გადადიოდნენ სომხითსა და არარატში. ასევე ზაფხულშიც ჰქონდათ შვება და განსვენება, თივით და მშვენიერი ველებით, წყაროებითა და ყვავილოვანი ადგილებით. ისე დიდი იყო მათი ძალა და სიმრავლე, რომ იტყოდით: მთელი ქვეყნიერების ყოველი თურქობა იქ არისო და ვერავინ გაიფიქრებდა მათ გაძევებას ან ვნებას, თვით სულთანიც კი.

როცა სამშვილდე და ძერნა აიღეს, ქორონიკონი იყო 330 (1110 წ.) იმ წელს შეუმჩნევლად მოვიდა სულთნის დიდი ლაშქარი 100 000 კაცამდე. მეფე ტაძრეულით ნაჭარმაგევს იდგა. საღამოს თრიალეთში მათი მისვლა შეიტყო. ღამით 1 500 კაცით გაემგზავრა, ცისკარზე ბრძოლა ფიცხელი გადაიხადა და ღვთის შეწევნით სძლია. დღის მიწურვისას თავზარდაცემული გაიქცა თურქთა ბანაკი; კარვებსა და ჭურჭელსაც არ მიხედეს, ისე განიბნენ თავიანთ ქვეყნებში.

ასეთ საკვირველ გაქცევას მეფე და მისი სპაც არ ერწმუნნენ, ამიტომაც არ მისდიეს უკან, ეგონათ, მეორე დღეს ომი კვლავ განახლდებოდა.

აიღო გიორგი ჭყონდიდელმა რუსთავიც მეფის მუხრანს ყოფნისას: ქორონიკონი იყო 335, ეს ამბავი თურქებს დიდად ეწყინათ და მოერიდნენ საზამთრო ადგილებში დგომას. მათ ადგილსამყოფელს მსტოვრები წინასწარ ატყობინებდნენ მეფეს, ამიტომაც მეფე მტერს მოულოდნელად ესხმოდა თავს.

ტაოს ჩამოდგნენ თურქები, ზამთრის სიფიცხეს მიენდვნენ. მეფემ ქართლის სპას მზადყოფნა უბრძანა და თვითონ ქუთაისს გადავიდა, რომლითაც თურქებს ეჭვი გაუფანტა. თებერვალში აცნობა ქართლელებს და მესხებს, რათა კლარჯეთში შეხვედროდნენ, თვითონ კი ხუფთის გზით ჭოროხის პირი ჩაიარა და ერთად შეიკრიბნენ. შეუმჩნევლად დაესხა უშიშრად ბასიანში მსხდომ თურქებს. ქორონიკონი იყო 336. ურიცხვი ალაფი აიღეს.

იმავე წელს თავისი ასული კატა ბერძენთა მეფის რძლად გაგზავნა. უფრო ადრე პირმშო თამარი შარვანის დედოფლად ჰყავდა გაგზავნილი. როგორც ორი მნათობი - ერთი აღმოსავლეთს და მეორე დასავლეთს აცისკროვნებდა.

მეორე წელს დაიმორჩილა გრიგოლის ძენი ასათ და შოთა, აიღო გიშის ციხე. გააგზავნა თავისი ძე დემეტრე შარვანს სალაშქროდ ძლიერი სპით. მან საკვირველად იომა, აიღო ქალაძორის ციხე და გამარჯვებული დაბრუნდა მამასთან ალაფითა და ტყვით სავსე.

მეორე წელს, ბზობისას, გაემზადა რახსის პირს წასასვლელად. აღდგომა იდღესასწაულა ნახიდურს, იქ აცნობეს თურქების მიერ ბეშქენ ჯაყელის მოკვლა. ამიტომაც უშლიდნენ დიდებულები წასვლას, მაგრამ არ დაიშალა. დაესხა რახსის პირს მდგომ თურქებს და მათი სიმრავლე მოსრა, წამოიყვანა ტყვე და წამოიღო ურიცხვი ალაფი.

ამავე წელს აიღო სომხითის ციხე - ლორე და აგარანი. მოკვდა სულთანი მალიქი, მალიქშას ძე და ალექსი ბერძენთა მეფე. ვერ გაიგო ერთმა მეორის სიკვდილი, ქორონიკონი იყო 338.

ხედავდა მეფე ამდენ ზეგარდამო ღვთის წყალობას, შეწევნას, ძლევასა და გამარჯვებას. ღმერთი აძლევდა სამეფო ქვეყნებს, ქალაქებსა და ციხეებს, მაგრამ არ იყო მის სამეფოში ლაშქართა ისეთი სიმრავლე,რომ ქალაქებსა და ციხეებში დგომით დაეჭირათ ისინი და ამასთან ერთად ელაშქრათ კიდეც, ზამთარ-ზაფხულ დაუცხრომელ მიმოსვლასა და ლაშქრობაში საკმარისი ყოფილიყვნენ. მეფემ მოიკრიბა გონება, მიმოავლო თვალი და დარწმუნდა, რომ მისი სამეფოს მცხოვრებნი არ იყვნენ საკმაონი მისი წადიერების შესასრულებლად. სხვა ღონე არ იყო. იცოდა ყივჩაღთა ტომის სიმრავლე, ბრძოლაში სიმხნევე, სიმსუბუქე, მიმოსვლა, მიმართების სიფიცხე. ცოტა ჰყოფნიდათ და ბრძანების შესასრულებლად მუდამ მზად იყვნენ, ამასთანავე ჩვენთან სიახლოვის გამო მათი შემოსვლა ადვილი იყო; ღარიბებიც იყვნენ. მეფეს მრავალი წლით ადრე მოყვანილი ჰყავდა სანატრელი და ყოვლად განთქმული გურანდუხტი, ყივჩაღთა უმთავრესის, ათრაქა შარაღანის ძის შვილი სჯულიერ მეუღლედ და სრულიად საქართველოს დედოფლად. ამიტომაც წარავ-ლინა სარწმუნო კაცები, მოუხმო ყივჩაღებს.

ყივჩაღებმა სიხარულით მიიღეს მოწვევა, მაგრამ ითხოვეს ოსებისაგან მშვიდ-ობის გზა. ამისათვის წაბრძანდა მეფე ოსეთში, თან წაიყვანა გიორგი ჭყონდიდელი - მწიგნობართუხუცესი, კაცი სრული სულისა და ხორცის ყოველი სიკეთით, თანააღზრდილი, ყოველი საქმის და ღვაწლის თანაგამკაფველი.

შევიდა ოსეთში, შემოეგებნენ ოსეთის მეფეები და მათი მთავრები, როგორც მონები დადგნენ მის წინაშე. აიყვანეს ორივე მხრიდან მძევლები - ოსებიდან და ყივჩაღებიდან და ასე ადვილად შეარიგა ორივე ტომი. ჩამოაგდო მათ შორის სიყვარული და მშვიდობა. აიღო დარიალის, ოსეთის კარის და კავკასიის მთის ციხეები. შექმნა გზა მშვიდობისა. გამოიყვანა ყივჩაღთა დიდი სიმრავლე. მისი სიმამრი და ცოლისძმები საქმიანობდნენ. მათ შემოყვანას უქმად არ ჩაუვლია, არამედ მათი ხელით მოსპო სრულიად სპარსეთის ძალები, დასცა შიში და ზარი ყოველი ქვეყნის მეფეს. მათი თანადგომით დაუჯერებელი საქმეები გაკეთდა.

ოსეთში ყოფნისას გარდაიცვალა გიორგი ჭყონდიდელი. მეფემ ახალ მონასტერ-ში პატივით წარმოგზავნა და იქ დაიმარხა. იგლოვა მთელმა სამეფომ და მეფემ, როგორც მამა და უმეტესი მამისა. შეიმოსა შავით 40 დღე, ვახტანგის შობამდე, რომლის ხარებით დაიხსნა გლოვა.

ყივჩაღები მარჯვე ადგილებში დააყენა დედა-წულებით, რომელთაგან 40 000 რჩეული მებრძოლი გამოდიოდა. აღჭურვა ისინი ცხენებით და საჭურვლით. ასევე ჰყავდა რჩეული მონები, ღვაწლში განსწავლული 5 000 კაცი, ქრისტიანები, მისან-დობნი და სიმხნით გამოცდილნი. თვით ყივჩაღებიც ქრისტიანდებოდნენ დღითი დღე და ურიცხვი სიმრავლე შეეძინებოდა ქრისტეს. ასე რომ შემოიკრიბა, დააწყო გვარებად, დაუდგინა სპასალარები და მმართველები, ასევე თავისი სამეფო სპა - რჩეული და მოკაზმული, ცხენ-კეთილნი, პირშეუქცეველნი და მათ შუაში თვითონ იგი, სწორუპოვარი სპასპეტი და წინამბრძოლი, წინ უძღოდა.

დაიწყო რბევა სპარსეთის, შარვანის და დიდი სომხეთის. არ მოისვენა, არც მოეწყინა, არამედ თავის დროზე წესრიგიანად ალაშქრებდა მათ, მართავდა და განაგებდა თავისი გონიერების მსგავსად. ვინ იყო მისი წინ აღმდგომი.

ნაწერებში ალექსანდრე მაკედონელი ფრთოვან ვეფხვსაა მიმსგავსებული ქვეყნების სწრაფად მიმოვლის გამო, მაგრამ ჩვენი გვირგვინოსანი და ახალი ალექსანდრე, თუმცა შემდგომ დროს ცხოვრობდა, მაგრამ არც საქმით, არც გადაწყვეტილებით, არც სიმხნით მასზე მცირე არ იყო, თავისი დროის ყველა თანასწორზე უმაღლესი და უზესთაესი იყო. საღმრთო და ქრისტეს მცნებების აღსრულებაში ყველას გადააჭარბა, არ მისცა ძილი თვალებს, რული წამწამებს, განსვენება ხორცს, არც გემოვნებისაკენ მიიდრიკა, არც ხორცის ნებისაკენ, არც საჭმელ-სასმლისაკენ, არც სიმღერა-გართობისაკენ, არავითარი ხორციელი არ მიაკარა გონებას, მხოლოდ საღმრთო და სასულიერო. იხილეთ ამ ოთხ წელში ქმნილი საქმეები.

მეფეს ჩვეულებად ჰქონდა, რომ განგებ გადავიდოდა ხოლმე აფხაზეთში (დასავლეთ საქართველოში), ჩამოიტყუებდა თურქმანებს მტკვრისპირა საზამთრო ადგილებში, რამეთუ მათი მსტოვრები მეთვალყურეობდნენ მეფეს და მის გზებს იძიებდნენ. გადავიდა მეფე გეგუთში და იქიდან ხუფათს. ქორონიკონი იყო 340 (1120 წ.) როცა მათ შეიტყვეს მისი სიშორე, ჩამოდგნენ ბოტორას, დაიზამთრეს, მაგრამ არც მეფეს ეძინა. გადმოფრინდა 14 თებერვალს და ჩუმად დაესხა თავს, ძლივს მოასწრო ზოგიერთმა ცხენზე შეჯდომა და გადახვეწა, აიყვანეს ტყვეები და აიღეს ურიცხვი ალაფი.

დიდ მარხვაში აიღო შარვანის ქალაქი ყაბალა; აავსო თავისი სამეფო ოქროვერცხლით, სიმდიდრით; დაბრუნდა ქართლში და მაისის თვეში ჩავიდა შარვანში, არბია ლიუათამდე - ვიდრე ქურდევანამდე და ხიშტალანამდე. სავსე ალაფით მოვიდა ქართლში, იმავე დღეს შეიკრიბნენ შარვანელები და დარუბანდელები და მოკლეს აფრიდონ. ნოემბერში მეფე წავიდა აშორნიაში, დაესხა თურქმანებს, მოსრა და იავარყო, წამოიღო ნადავლი ურიცხვი.

იმავე ზამთარს ჩავიდა აფხაზეთში ბიჭვინთამდე და განაგო იქაური საქმეები; წყალობის ღირსნი შეიწყალა, შემცოდენი შეიპყრო. იდგა ზამთარი დიდთოვლიანი. შეიტყვეს თურქებმა, რომ შორს იყო მეფე, ჩამოდგნენ მტკვრის პირას. წამოვიდა მეფე აფხაზეთიდან, გადაათხრევინა ლიხის მთა, სადაც თოვლს ჰქონდა სამი მხარი სიმაღლე, დახვდა მზადმყოფი სპა, დაესხა ხუნანს და აღავსო ლაშქრით მთიდან მტკვრამდე და გაგიდან ბერდუჯამდე. ისე მოსრეს მახვილით, რომ ამბის მთხრობელიც არ დარჩა, ქორონიკონი იყო 341, თვე მარტი.

გაზაფხულზე ადიდდა მტკვარი, კალაპოტში ვერ დაეტია. ამის მინდობით ჩამოდგნენ თურქმანები ბარდავში გულმშვიდად. მაშინ მონახა ისინიც. ალონში მტკვარი გადაცურა, მოსრნა თურქები, დაარბია ბარდავი, ივნისის თვეში შინ დაბრუნდა სავსე ალაფით. ასეთი ჭირით შევიწროებული თურქმანები და მათთან ერთად განძელ-თბილისელ-დმანელი ვაჭრები წავიდნენ სულთნის წინაშე სპარსეთში, შავად შეიღება ზოგმა პირი, ზოგმა ხელები, ზოგი მთლიანად შეიღება და ასე მოუთხრეს ყოველი ჭირი მათზე მოწეული. და შეიქმნა ფრიადი გლოვა მათ შორის.

მაშინ სულთანმა მოუწოდა არაბეთის მეფე დურბეზს, სადაყას ძეს და მისცა თავისი ძე - მალიქი ჯარით, გაუჩინა მათ სპასალარად ელღაზი, ძე არდუხისა, კაცი მრავალღონე და უბრძანა თურქმანებს, ვინც კი იყო დამასკოსა და ჰალაბის აქეთ, მხედრობით ყველა შემძლეს, მათთან ერთად განძის ათაბაგს თავისი ძალით და სრულიად სომხეთის ამირებს შეერთებოდნენ. ქორონიკონი იყო 341.

შეიკრიბნენ ესენი ყველანი, შეიფიცნენ, სიმრავლით იყვნენ ზღვის ქვიშასავით. აღავსეს ქვეყანა და 18 აგვისტოს მოვიდნენ თრიალეთში, მანგლისსა და დიდგორში. ფეხის დასადგმელი ადგილიც აღარ ჰყოფნიდათ, ხოლო დავით მეფემ, უშიშარმა და გულით სრულიად უძრავმა, წინ განაწყო თავისი სპა, ყოველი საქმე მშვენივრად და ღონივრად გააკეთა; წყნარად, უშფოთველად, გამოცდილებით და სრული სიბრძნით განაგო, და თუ როგორ დაიცვა თავისი ჯარი უვნებლად, ამის მოთხრობას არათუ ჩემი, არამედ მთელი მსოფლიოს ბრძენთა ენაც კი ვერ შეძლებს.

პირველივე შებრძოლებისას უკან დაიხია მათმა ბანაკმა და შემდეგ გაიქცნენ, რამეთუ მაღალი ღვთის ხელი შეეწეოდა და ზეგარდამო ძალა ფარავდა მას და წმიდა მოწამე გიორგი ცხადად და ყველას სახილველად წინ მიუძღოდა, თვით ურჯულოები აღიარებდნენ და მოგვითხრობდნენ მთავარმოწამე გიორგის ამ სასწაულს, თუ როგორ მოსრა სახელოვანი მებრძოლები არაბეთისა და როგორი სიმარჯვით სდევნა და მოსრნა უკუქცეულნი. აღივსო ველები, მთები და ღელეები მძორებით. ხოლო ჩვენი სპა და მთელი სამეფო აღივსო ოქრო-ვერცხლით, არაბული ცხენებით, ასურული ჯორებით, კარვებით, სრა-ფარდაგებით და სხვა უცხო საბრძოლველი მოწყობილობით, ჭურჭლით, ტურფა და სანადიმო სასმურებით, საბანელ-სამზარეულოებით; რა ქაღალდი დაიტევს მის აღწერას. გლეხებს არაბი მეფეები მიჰყავდათ ტყვეებად, ხოლო გოლიათების აღწერა რაღა სათქმელია. დავით მეფის ეს ბრძოლა სულ სამი საათი გაგრძელდა და პირველი კვეთების შემდეგვე ვერ შეძლეს წინააღმდეგობა. ძველი დროის ბრძენთ მათი რიტორობის შესაბამისად რომ აღეწერათ, მხოლოდ ის იქნებოდა შესაფერისი მეფის საქმეებისა.

მეორე წელს აიღო მეფემ ქალაქი თბილისი, ოთხას წელს სპარსთა ხელქვეშ მყოფი, პირველივე ომით და დაუმკვიდრა ის შვილებს საჭურჭლედ და საუკუნო სახლად. ქორონიკონი იყო 342.

მეორე წელს მოვიდა სულთანი შარვანს, შეიპყრო შარვანშა, აიღო შამახია, გამოუგზავნა მოციქული მეფეს და მოსწერა წიგნი: „შენ ტყეთა მეფე ხარ და ველზე ვერასოდეს გამოხვალ, ხოლო მე შარვანშა შევიპყარი და ხარაჯას ვითხოვ. თუ შენ გენებოს, ჯეროვანი ძღვენი გამომიგზავნე, თუ გინდა სამალავიდან გამოდი და მნახე“. ამის მოსმენისთანავე მეფემ მთელი თავისი სამეფო სპა შეკრიბა და წავიდა, ჰყავდა 50 000 კაცი. სპის სიმრავლე და ძალა რომ შეიტყო, სულთანი შეკრთა და ველიდან აიყარა, სასწრაფოდ შევიდა ქალაქ შამახიაში. როცა ეს დავით მეფემ შეიტყო, გაქცეულს აღარ გამოეკიდა; მხოლოდ მადლობა შესწირა ღმერთს, სახიერსა და კაცთმოყვარეს.

სულთანმა აღარც ძღვენი და აღარც ომი მოითხოვა, არამედ გზა - უკან წასასვლელი. შიმშილითა და წყურვილით შევიწროებული არა სულთნურად, არამედ სიმდაბლით ითხოვდა ამას.

იმავე დღეს თავისი ჯარით სულთანთან მიმავალი რანის ათაბაგი დაამარცხეს, მოუკლეს 4 000 კაცი და მარტო ის მივიდა სულთანთან. ეს რომ იხილა სულთანმა, იმავე ღამეს გაიპარა, სასდუნის ხვრელში გაძვრა და სხვა გზით წავიდა თავის ქვეყანაში.

მეორე თვეს, ივნისში, მეფე კვლავ წავიდა შარვანს, აიღო გულისტანი, შარვანის მთავარი სახლი, შემოიერთა შარვანი და სიკეთით აავსო მისი ბრძანების მორჩილნი. მარტში აიღო ქალაქი დმანისი, აპრილში დაესხა დარუბანდელებს, აიღეს შარვანის ზოგიერთი ციხე და მიმდგომი ქვეყანა.

მყისვე გადაფრინდა, როგორც არწივი და აიღო სომხეთის ციხეები: გაგი, ტერონაკალი, ქავაზინი, ნორბედი, მანასგომნი და ტალინჯაქარი. ივნისის თვეში გაემგზავრა ლაშქრით, განვლო ჯავახეთი, კოლა, კარნიფორა, ბასიანი სპერამდე, სადაც იპოვა თურქმანი, მოსრა და დაატყვევა; დაწვა ოლთისი, მოვიდა თრიალეთს დიდი გამარჯვებით.

20 აგვისტოს მოვიდნენ ანისელი თავადების მწიგნობრები და მოახსენეს ქალაქისა და ბოჟანას წყაროსთან მდგომი ციხეების მოცემა. სწრაფად გაგზავნა წვევის წიგნები და მესამე დღეს 60 000 მხედრით წინ დაუდგა წარმართებს. მესამე დღეს იოლად აიღო ქალაქი ანისი და მისი ციხეები, მიმდგომი სოფლები და ქვეყნები.

ანისის დიდი საყდარი მიზგითად იყო ქცეული და ქრისტიანთა სისხლით იყო მორწყული ტაძარი და ქალაქი. ეს საყდარი ბერძენთა ასულის - დედოფალ კატრონიტეს აგებული იყო და იქვე იყო დასაფლავებული. ხელახლა აუგეს წესი და თვით მეფემ ჩასძახა სამჯერ საფლავს: „გიხაროდენ შენ, წმიდაო დედოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმა შენი საყდარი ურჯულოების ხელიდან“. ამის გამო მკვდრის ძვლებმა საფლავიდან ხმა გამოსცეს. ამ საკვირველებისათვის მეფემ ღმერთს მადლობა შესწირა.

ანისის მცველად მესხი აზნაურები დატოვა. შემდეგ გაემგზავრა შარვანში, აიღო ქალაქი შამახია და სრულიად ყოველი შარვანი და დატოვა ციხეებსა და ქალაქებში ჰერთა და კახთა ლაშქარი. იქაური ყოველი საქმის გამგებლად და ზედამხედველად დანიშნა მწიგნობართუხუცესი სვიმონ, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი. მაშინ იგი იყო აგრეთვე ბედიელ-ალავერდელი, მსგავსი გიორგისა, თავისი დედის ძმისა, კაცი ყოვლითურთ სრული და ბრძენი.

განაგო მეფემ შარვანის ყოველი საქმე, აავსო სიკეთით და საბოძვრით ქურთები, ლეკები და თარასნი. მოვიდა ქართლში, ყივჩაღებს გაუჩინა საზამთრო სადგური და საზრდელი, ზედამდგომი კაცები და განაგო ყოველი საქმე სომხეთისა და ანისისა. გაზაფხულისათვის აპირებდა უფრო დიდი საქმეებისა და ლაშქრობების წამოწყებას, რადგანაც წინ ვერავინ აღუდგებოდა, რამეთუ თვით სულთანი თავის სამყოფელშივე ძრწოდა შიშისაგან და არც თავისი ძველთაგანვე საკუთარი ქალაქები მიაჩნდა თავის საკუთრებად, მძინარეს შიში და მღვიძარეს სიკვდილი ელანდებოდა.

ამის გამო ზედიზედ გამოუგზავნა მოციქულები ძღვენით სავსენი, რათა დაემშვიდებინა და მოემადლიერებინა იგი; გამოგზავნა ძვირფასი საჭურჭლენი, ტურფანი და მრავალფერნი, იშვიათი ფრინველები და მხეცები ძნელად საპოვნელი, ეძიებდა

მშვიდობას და სიყვარულს, ყივჩაღებისაგან დაურბევლობას და ვფიქრობ, რომ მეფემ მამა-პაპების დროს მიტაცებული ქვეყნები, ტყვეები და სიმდიდრე მრავალწილად უკანვე დაიბრუნა. დაამშვიდა ქვეყანა, აავსო, აღაშენა ყოველივე უპატრონობით დანგრეული და ყველა დროს გადაამეტა მშვიდობით და სიმდიდრით ჩვენი სამეფო წარსული ოხრების სანაცვლოდ.

ყოველი საქმის მოთხრობა, რაც მან ქმნა და აღასრულა, რომელიც ჩვენ მცირედი სიტყვით წარმოვაჩინეთ, შეუძლებელია.

სიბრძნის დედად გონივრულად ჰპოვა შიში ღვთისა, საღვთო წერილი რამდენიც კი ჰპოვა ქართულ ენაზე გადმოღებული სხვა ენებიდან, ძველი და ახალი, შეიყვარა და შეითვისა. ისინი იყვნენ მისი საზრდელი. ყველაზე უფრო გემოვანი, საწადელი და ტკბილი საზრდელი. ისინი იყვნენ - შვება, განცხრომა, საწვრთნელი და სარგებელი, დღე და ღამე, მგზავრობისას, მოუწყენელ ლაშქრობისას, განუსვენებელი შრომისას - თან ახლდა წიგნებით დატვირთული ჯორები და აქლემები. სადაც კი ცხენიდან ჩამოხდებოდა, პირველ ყოვლისა მიუტანდნენ წიგნებს და არ დაამთავრებდა კითხვას დაღამებამდე.

ნავახშმევს ძილის ან სხვა რაიმე საქმის ნაცვლად კვლავ წიგნს კითხულობდა, და როცა თვალი დაეღლებოდა, ყურს შეუნაცვლებდა, არა ზერელედ, არამედ ფრიადი სიფრთხილით უსმენდა მკითხველს, გამოიძიებდა, გამოიკითხავდა, ხშირად თვითვე განმარტავდა მათ სიღრმესა და ძალას, უფრო საკვირველია ეს საქმე: ყველამ იცით, თუ როგორი გატაცება იცის ნადირობამ. ნადირობის დროსაც კი ხელში წიგნი ეჭირა და ჟამის მოსვლის დროს, მისცემდა ხოლმე წიგნს ვინმე მსახურს და თვით გამოედევნებოდა. ნურვის ეგონება, რომ ხელცარიელი ბრუნდებოდა.

და ვიტყვი სხვა საქმესაც, წიგნთა სიყვარულის საცნაურმყოფელს. ერთხელ წინ დაიდო წასაკითხავად წიგნი სამოციქულო, დასრულებისას ნიშანს სვამდა წიგნის ბოლოს, წლის დასასრულს ამ ნიშნების რიცხვი დავითვალეთ: ოცდაოთხჯერ წაეკითხა.

კიდევ არიან მაგალითები, მაგრამ მე ერთს ვიტყვი: ქალაქი თბილისი ჯერ მთლიანად კიდევ არ იყო დამორჩილებული, რადგანაც ჯერ კიდევ ქრისტიანების სისხლით იყო სავსე: რამეთუ ხანდახან ასტეხდნენ ღავღავს და უმიზეზოდ ხოცავდნენ ქრისტიანებს, რომელთაც ნახავდნენ, ხოლო ზოგჯერ ქარავანს შემოყოლილ თურქებს აძლევდნენ სასიკვდილოდ და დასატყვევებლად. ეს ფრიად აწუხებდა დავითის სულს.

შემოვიდა ერთხელ ქარავანი დიდი განძით, თან შემოჰყვა მრავალრიცხოვანი თურქი. გაიგო მეფემ, გაგზავნა 15 კაცი ლოჭინის ხევში, რათა ქალაქის ნახირი მოეტაცებინათ, იქნებ თურქები გამოსულიყვნენ სადევნელად და ამოეწყვიტათ ამ ღონით. თვითონ მხოლოდ 300 მხედრით დაიმალა ავჭალის ჭალებში, სხვა მხედარს არავის მიენდო, არამედ მარტო წავიდა უსაჭურვლოდ, მხოლოდ ხმლით. თან წაიღო წიგნი – ღვთისმეტყველი, და სპას უბრძანა, მის მოსვლამდე ადგილიდან არ დაძრულიყვნენ.

გაგზავნილებმა გამორეკეს ნახირი, მიეწივნენ თურქები 100 კაცამდე და დიდი შებრძოლების შემდეგ დაუხოცეს ცხენები და ქვეითად იბრძოდნენ ფიცხლად.

ხოლო მეფე ცხენიდან ჩამოვიდა, ჯერ არ ელოდა მათ მოსვლას: გაიტაცა კითხვამ, ისე დაატყვევა მისი გონება, რომ სრულიად დაავიწყდა წინამდებარე საქმე, ვიდრე ხმა კივილისა არ შემოესმა. მყის დატოვა წიგნი იქვე და ამხედრებული მიჰყვა იმ ხმას, ვიდრე ზედ არ წაადგა თავის მონებს, ამ ყოფაში მყოფთ. და რადგანაც შორს იყო თავისი სპისაგან, ამიტომ მარტოდმარტო სასწრაფოდ ბრძოლაში შებრიალდა ვითარცა არწივი და თურქები განაბნია როგორც კაკბები, სწრაფად გაწყვიტა და მათი ცხენები მონებისათვის საკმარისნი გახდნენ. ამხედრებულებმა იმდენი დახოცეს, რომ მცირედმა შეასწრო ქალაქში, გზები სავსე იყო მძორებით და სასტიკი ცემისაგან დაღვლარჭნილმა ხმალმა თავისი ქარქაში უარყო. მერე მოვიდა თავის სპასთან, რომელიც დიდად საყვედურობდა.

აი, ასეთი საქმეებისაგან მოუცლელს წიგნი ჰქონდა უსასწრაფოეს საქმედ.

...ვერავინ, ძველ და ახალ მეფეთაგან, მას ვერ ემსგავსა, როგორც საქმეებიც ემოწმებიან, მზის შარავანდედზე უბრწყინვალესნი და ცხადნი, რომლებიც ქმნა თავისი სიბრძნით.

რამეთუ სულთანი თავის მოხარკედ დასვა, ხოლო ბერძენთა მეფე ჰყო, როგორც თავისი სახლეული, დასცა წარმართები, მოსრა ბარბაროსები, უმცროსებად მოიყვანა მეფეები, ხოლო მონებად ხელმწიფეები, გააქცია არაბები, იავარჰყო ისმაიტელნი, მტვრად აქცია სპარსნი, გლეხებად მათი მთავრები ...

სათნოებით სიწმიდე მოიგო, როგორც ანტონი დიდმა.

ნულარ იტყვით მის რაინდობას, ვიცი ჭეშმარიტად, რომ ათი წლიდან მუდამ წმიდა პირითა და განწმედილი გონებით იღებდა ქრისტეს უხრწნელ საიდუმლოს სვინდისის თანამოწმობით, რომლის მოწმე არის ზეცაში მყოფი სარწმუნო იგი.

ლოცვისა და მარხვისათვის რაღა საჭირო თქმა, რამეთუ მუდამ ამ საქმიანობაში იყო. მონასტრები, საეპისკოპოსოები და ყოველი ეკლესია ლოცვის წესსა და რიგს და ყოველ საეკლესიო განგებას დარბაზის კარიდან იღებდნენ, ვითარცა უცთომელ კანონს, ყოვლად მშვენივრად დაწყობილს, ლოცვისა და მარხვის კეთილწესიერებას.

ხოლო საეშმაკო სიმღერები, სახიობანი, განცხრომა, ღვთის საძულველი გინება და ყოველი უწესოება მოისპო ლაშქარში.

გლახაკთა მოწყალება იმდენი ჰქონდა, რომ აღავსო ზღვა და ხმელეთი მისმა საქმეებმა, რამეთუ ლავრები, მონასტრები და საკრებულოები არა მარტო თავისი სამეფოსი, არამედ საბერძნეთის, მთაწმიდისა და ბულგარეთისა, ასურეთისა, კვიპროსისა, შავი მთის, პალესტინისა აავსო კეთილით. ყველაზე მეტად ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს საფლავი და იერუსალიმში მყოფნი შესაწირავით გაამდიდრა. და უფრო შორს, სინას მთაზე, სადაც მოსემ და ელიამ იხილეს ღმერთი, ააშენა მონასტერი, წარგზავნა ოქრო მრავალათასეული, ოქსინონი მოსაკიდელნი, საეკლესიო წიგნები - სრულად, და სიწმიდეთა ოქროს სამსახურებელნი - რჩეულნი. ყოველდღე თავისი ხელით ფარულად გასცემდა მოწყალებას, ვინ აღრიცხავს, გარდა ზეცათა მამისა, რომელიც მიაგებს ცხადად, რამეთუ ჰქონდა მცირე ქისა, აავსებდა ხოლმე დღისით თავისი ხელით, ხოლო საღამოს ცარიელი მოჰქონდა მხიარულს სულით და პირით.

თუ ნახევარს გასცემდა, ანდა ვერავის იპოვიდა, ამბობდა: „დღეს ვერ მივეცი ქრისტეს ჩემი ცოდვების გამო“. ამას გასცემდა არა მოხელეებისაგან მიღებულს, ანდა არა საჭურჭლიდან აღებულს, არამედ თავისი ხელით მონადირებულს, აქედანვე თავის მოძღვარ იოანეს მისცა ერთხელ დრაჰკანი 24 000, რათა გაეყო გლახაკთათვის. ეს მცირედია მრავალთაგან, რომლის აღრიცხვაც შეუძლებელია.

არა მარტო მონასტრები და ლავრები გაათავისუფლა მოვალეთაგან, არამედ მისი სამეფოს ხუცესებიც ბეგარისაგან, რათა თავისუფლებმა მიუპყრან ღმერთს საღმრთო მსახურება.

ამათთან ერთად რამდენი ეკლესია ააშენა, რამდენი ხიდი სასტიკ მდინარეებზე, რამდენი გზა, ძნელად სავლელი, ქვაფენილით დაფარა, რამდენი წარმართებისაგან შეგინებული ეკლესია ღვთის სახლად აქცია, რამდენი წარმართთა შვილი წმიდა ემბაზთან მიიყვანა და გააქრისტიანა, რომლითაც მიიღო მოციქულობის მადლი, როგორც პავლემ და კონსტანტინემ.

იყო ისიც, რომ თავის სამეფოში, დიდი სპით ხშირი სვლის გამო, მომჩივანნი და გაჭირვებულნი ადვილად ვერ მიდიოდნენ მასთან, ზოგჯერ გზის მახლობელ ბორცვებზე, კლდეებსა და ხეებზეც ადიოდნენ, როგორც ზაქე, რათა იქიდან გაეგონებინათ თავისი გასაჭირი. ამის გამო დაადგინა სამართლის მცნობელნი კაცნი და მომჩივანთა განმკითხველები, რომლებითაც კმაყოფილდებოდნენ. მრავალჯერ გვიხილავს ცრემლი მის ღაწვებზე მათი გასაჭირის ხილვისას.

ვინ აღრიცხავს მისგან გათავისუფლებულ ტყვეებს, ვინ წარმოთქვამს ჯეროვნად, თუ როგორი პატივით ეპყრობოდა ბერ-მონაზვნებს, სიმდაბლით მოიკითხავდა და ეამბორებოდა, სიყვარულით შეიწყნარებდა, აძლევდა შესაფერის ქონებას და სახმარს, რათა საჭიროება უზრუნველად დაეკმაყოფილებინათ.

ესეც იყო, რომ ღვთის მიერ ჰქონდა ნიჭი, ყველასათვის საშიში: არც თავისი სამეფოს შორეულ ადგილებში, არც ლაშქარში მყოფი დიდი თუ პატარა კაცის საქმე თუ სიტყვა, კეთილი თუ ბოროტი განზრახვა არ დაემალებოდა, არც ის, თუკი რაიმე ფარულად ექმნათ ანდა ეთქვათ, ყოველივე ცხადი იყო მისთვის. ზოგიერთის გულში დაფარულ საიდუმლოს და ფიქრებსაც ამოიცნობდა ხოლმე, რითაც მათ ძლიერ აკრთობდა. სენაკებში განშორებული მონაზვნების ღვაწლი და სათნოება ცხადად უწყოდა. გზის სიშორე, ვიდრე ეკლესიამდე, ზომით იცოდა, ამით მრავალი დიდი და ძალზე სასწრაფო საქმე გააკეთა, და ეს მრავალი სიკეთის მიზეზი შეიქნა, რადგანაც ვერც დიდი და ვერც მცირე ორგულობას, ზაკვას და ღალატს ვერც კი გაიფიქრებდა, არათუ ვინმეს ეტყოდა, მეუღლეს ან მესაწოლეს, ნათესავს ან თავის ყრმას, ვინაიდან ეს მტკიცედ იცოდა ყოველმა კაცმა, რომ პირიდან ამოსვლისთანავე უეჭველად ცნობილი გახდებოდა მეფისათვის. მრავალი დასჯილიც და მხილებულიც იყო ამის გამო. ვერავინ განიზრახა მის დროს ღალატი, არამედ ყველასგან საკრძალავი იყო და სარიდი.

და ასევე მღვდელმთავრები, მღვდლები, დიაკვნები, მონაზვნები და ყოველი კაცი საქმეს წესიერად აკეთებდნენ, სათნოების გზით დადიოდნენ, რამეთუ მისი შიშით უწესო სვლას ვერ ბედავდნენ, იცოდნენ, რომ დაფარული მისთვის არაფერი იყო.

ვერც მოქალაქე, ვერც სოფლელი, ვერც მხედარი, ვერც ვერავინ, პატივისა და ასაკის მქონე, გაბედავდა განდრეკილად სვლას, ამიტომაც იყო წესიერება, კანონიერება, პატიოსნება, თვით მეძავებიც კი კრძალვით იქცეოდნენ, საღმრთო და მშვიდობის გზით მიიმართებოდნენ ყველანი შიშით.

ეს დიდი საქმეები, მხოლოდ ღვთის მიერ შესაძლებელი, ადვილად წარმართა ისე, რომ არავის შეეძლო ასე ადვილად წარმართვა. ამისათვისაც დიდი შიში და ზარი განითქვა მთელ ქვეყანაში, შეკრთა ყველა მკვიდრი.

ერთხელ მეფის წინაშე შემოიკრიბნენ გულარძნილნი და ყოვლად ბოროტნი სომხების ეპისკოპოსები, მათი მონასტრების წინამძღოლები, ფრიად მრავალნი, რომელთაც თავიანთი თავი მიაჩნდათ ყოველგვარი სწავლულებისა და მეცნიერების თავებად. ითხოვეს, რათა მეფეს ჩაეტარებინა კრება, სადაც იქნებოდა სიტყვისგება და რჯულის გამოძიება. თუ სომხები დამარცხდებოდნენ, რჯულის ერთობას დათანხმდებოდნენ და თავიანთს შეაჩვენებდნენ, ხოლო თუ სომხები გაიმარჯვებდნენ, მაშინ ბრძანება უნდა გაცემულიყო, რათა აღარ ეწოდებინათ მათთვის მწვალებლები და არც შეეჩვენებინათ.

მაშინ მოიწვია მეფემ ქართლის კათალიკოსი იოანე, მისი ხელქვეითი ეპისკოპოსები, მეუდაბნოენი და არსენი იყალთოელი მთარგმნელი, ქართული და ბერძნული ენების მცოდნე, ეკლესიის განმანათლებელი, სხვა მეცნიერები და ბრძენი კაცები.

დაიწყეს კამათი ერთმანეთთან ცისკრიდან საღამოს ცხრა საათამდე და ვერ დააბოლოეს, ორივე მხრიდან იყო გამარჯვების წადილი და სიტყვათა პაექრობა: რამეთუ შევიდოდნენ შეუვალ საქმეებში და ძნელად გამოვიდოდნენ.

ეს მოეწყინა მეფეს და უთხრა მათ: „თქვენ, მამანო, გაურკვეველ სიღრმეებში შეხვალთ, შეუცნობელს ხედავთ, როგორც ფილოსოფოსები, და ჩვენ არ შეგვიძლია გაგება, როგორც უსწავლელებსა და ერისკაცებს. თქვენ იცით, რომ მე შორსა ვარ სწავლულებისა და მეცნიერებისაგან, როგორც სამხედრო საქმეში აღზრდილი, ამიტომაც უსწავლელი და მარტივი სიტყვებით გეტყვით თქვენ“. ეს რომ თქვა, დაიწყო მათ მიმართ ისეთი სიტყვების თქმა, რომელსაც უეჭველად ღმერთი აძლევდა მის პირს, იგავებითა და სახეებით, უცილობელი, წინდაუდგომელი, საკვირველი ახსნით დანთქა, როგორც ეგვიპტელები, პირი დაუყო მათ, უპასუხოდ და უსიტყვოდ დატოვა, როგორც ოდესღაც ბასილი დიდმა ათენელები.

ზარგახდილმა და უღონოქმნილმა მწვალებლებმა საჯაროდ აღიარეს თავიანთი დამარცხება, მხოლოდ ეს თქვეს: „ჩვენ, მეფეო, მოწაფე გვეგონე ამ თქვენი მოძღვრებისა, მაგრამ როგორც ვხედავთ, მგონი შენ თვითონ ხარ მოძღვარი მოძღვართა, რომლის ფრჩხილსაც ვერ მისწვდებიან ეგ თქვენი ვითომდა მოძღვარნი“ და ასე, თავიანთი თავის მაყვედრებელნი უკან გაბრუნდნენ შერცხვენილნი. შემდეგ ასეთი რამ აღარასოდეს გაუბედავთ.

ზოგიერთები მეფეს საყვედურობდნენ ხშირ ლაშქრობასა და მხედრობის განუსვენებლად მიმოსვლას: ვერც მშვილდი შეძლებს და ვერც ორღანოს ძალი (სიმი) მარად დაჭიმვას, რამეთუ როცა მათი მოხმარების დრო დადგება, მოსახმარებლად უვარგისნი შეიქნებიანო. მაგრამ ამის მთქმელებმა ისმინეთ ეს: მეფეს

ჰქონდა აფხაზეთის მცირე სამეფო, ზემოხსენებული ჭირის გამო ჰყავდა დაჯაბნილი მცირე გუნდი მხედრებისა, ხშირი უკანდახევის გამო უცხენონი და უსაჭურვლონი, თურქთა ბრძოლის წესების უცოდინარნი, ძლიერ შეშინებულნი. მას რომ უწყინარი ლაშქრობებით,მცირე,უმნიშვნელო შებრძოლებებით,სწავლით,წინაგაძღოლით, მრავალი გამარჯვებით არ გაეწვრთნა თავისი სპა, არ გაეთამამებინა მხნე ბრძოლის ცოდნით, ქებით, საბოძვარის მიცემით, ჯაბანთათვის ქალის სამოსის ჩაცმით და გაკიცხვით, როგორ უნდა მოეპოვებინა ამდენი გამარჯვება, ან როგორ უნდა აევსო სამეფო? იქნებ ძილით ან მწვანეზე სმითა და განცხრომით და უკადრისი საქმეების შედგომით! არა, ასე არა, არამედ არც ალექსანდრეს უქნია ასე...

ვიტყვი მეორე მიზეზს ამ ბრალისა: იმის გამო, რომ უძველესი დროიდანვე ქართველები თავიანთ უფროსთა ორგულნი არიან ბუნებით, რამეთუ როდესაც განდიდდებიან, გასუქდებიან, დიდებას და განსვენებას იპოვიან, იწყებენ ფიქრს ბოროტისათვის, ასევე მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და ამჟამად ხილული საქმეც. მეფემ, ყველა ადამიანზე უფრო ბრძენმა, ეს იცოდა. ამიტომაც არ მისცა მოცლა ამის განზრახვისათვის, არც მოასვენა, არ მისცა საშუალება შეკრებისა და ამ საქმის გაკეთებისა, არამედ ყოველი საქმე, რომელიც წამოიწყო, გაასრულა მშვენივრად. ლომსაც შეიძლება ვუსაყვედუროთ, რატომ მაიმუნივით არ იხედება, ანდა კვერნასავით არ კრთება.

სხვასაც აბრალებდნენ: ზოგს შეიყვარებს, განადიდებს, ან მოიძულებს და დაამცირებს, ერთს აამაღლებს და სხვას დაამდაბლებსო, ღმერთიც ხომ ასე მოიქცა: 5 ქანქარის 10-ად მქცეველს - 10-ვე მისცა, ერთის დამკარგველს კი ისიც წაართვა, 10-ზე ხომ არ დაუმატა მეთერთმეტედ? - ან რისთვისაა ნაქადაგები სამოთხის მშვენებანი და სასუფევლის ნეტარებანი? ღვთის ნების მყოფელთათვის, ჭეშმარიტად, ხოლო უღირსთა და ურჩთათვის - საშინელებანი.

თუკი მეფე ერთგულს, ფრთხილს, ახოვანს განადიდებს უღირსთა, ჯაბანთა და ორგულთა ნაცვლად, რა უსამართლოს გააკეთებს?

განა ვინ იყო მისებრ საქმეთა მართლად აღმწერი და კაცის ვითარების მცნობელი, რომლის ჩრდილში შეკრებილნი იყვნენ ერნი, ტომნი და სხვა ენები; მეფეები და ხელმწიფეები ოსეთისა და ყივჩაღეთისა, სომხეთისა და ფრანგეთისა, შარვანისა და სპარსეთისა.

ვინ იყო მისებრ ტკბილი შეხვედრისას, საუბრის დროს სატრფიალო, დუმილისას სასურველი, მშვენიერი სახით, უმშვენიერესი ტანის მორთულობით, აღნაგობით შეწყობილი, ტანით ახოვანი, ძალით ძლიერი, სიმახვილით უძლიერესი, ღიმილით საწადელი, მჭმუნვარებისას კი უსაწადელესი, მადლიერი ხედვით, ლომისებურად საზარელი მკრთომელობისას, ცნობით ბრძენი, გამორჩევით უბრძნესი, მარტივი აზრით, მრავალაზრიანი მიმართებისას, შემრისხველი მყუდროებით, განსწავლულობის მაქებელი და უზომოებით არც ერთს არ აშფოთებდა. მაღალი უმაღლესთათვის და მდაბალი უმდაბლესთათვის, თვით მტრებისთვისაც კი საწადელი და სათნოებით საყვარელი.

ჰქონდა ყოველმხრივ მშვიდობა და დაწყნარება თავის სამეფოში. მაშინ მან, ჩვენი ცხოვრების დიდმა წინაგამგებელმა, ყოველის უმჯობესად შემცვლელმა ღმ-

ერთმა, იმ განგებით, რომელიც მან უწყის და განაწესებს ჩვენს წლებსა და ჟამს, ისე განაგო, როგორც კეთილმა მუშაკმა: რა ჟამს იხილავს თავთავს ნაყოფით სავსეს და თავდადრეკილს, ისწრაფვის მის დაუნჯებას, და როგორც ბრძენი მენავე, როცა იხილავს მის ავსებას მრავალფერი ტვირთით, ისწრაფვის ნავსადგურისაკენ, რათა არ ევნოს ზღვისაგან. ასევე ზამთარში, მთელი სამეფოს სიმშვიდისა და დაწყნარების დროს, არა ქვეყნის კიდეში, არამედ სამეფოს შუაგულში, თვით მის მიერ წინასწარ განჩინებულ ადგილას განსასვენებლად და მისაძინებლად მშვენიერი ძილით დაიძინა თავის მამა-პაპასთან.

ესეც საგულისხმოა, რომ მრავალჯერ ჩავარდნილა სასიკვდილო განსაცდელში, რომელთაგან მცირეს მოგითხრობთ: ერთხელ ნადირობისას მუხნარს ცხენი წაექცა და ისე დაიმტვრა, რომ სამი დღე უსულოდ მდებარე იყო უძრავად, მხოლოდ სამშვინველით იყო ცოცხალი, სამი დღის შემდეგ ნამტკნარი სისხლი ამოანთხია, მოექცა სული და სიტყვა და ძლივს ადგა ცოცხალი. ასეთი მრავალგზის შეემთხვა და ღმერთმა იხსნა სიკვდილისაგან. ასევე, ქართლში ერთ ციხეს ებრძოდა, მეფე თავისი კარვის კართან იდგა მხოლოდ პერანგით მოსილი; ვიდაცამ ციხიდან შემოსტყორცნა ისარი, ჰკრა მთავარანგელოზის ოქროს მცირე ხატს, რომელიც ყელზე ეკიდა და საღმრთო ძალამ მშვიდობით გადაარჩინა, მრავალგზის მისმა ყივჩაღებმა განიზრახეს ღალატი, გაიჩინეს მხნე კაცები, ზოგი ხმლით, ზოგი შუბით, სხვები ისრით; და ეს არა ერთ, ორ, სამ, არამედ მრავალგზის, არაოდეს მიუშვა ღმერთმა კვერთხი ცოდვილისა მართალზე, ყოველთვის ხელი ზეგარდმო ფარავდა მდევართაგან...

მაშინ იყო 24 იანვარი, შაბათი დღე, ქორონიკონი 345 (1125 წ), შობიდან 53 წლის, მეფობდა 36 წელი, და როგორც დავითმა სოლომონი, ამან თავისივე ხელით ტახტზე დასვა ძე თვისი დიმიტრი, მხოლოდ სახელით შეცვლილი, მაგრამ ყოვლითურთ მსგავსი მამისა, და დაადგა თავზე გვირგვინი პატიოსანი ქვისა, შეარტყა წელზე მახვილი, სვიანად ხმარებული, და შემოსა პორფირი, დაულოცა ცხოვრება. ასე გაცვალა ქვეყნიური მოქალაქობა ზეციურ სუფევაში, სადაცაა შვება და სიხარული, სადაც არ არის მწუხარება და სიმდიდრე, არის სიცოცხლე, რომელსაც ვერ შეამღვრევს სიკვდილი.

ძირითადი თარიღები

1057 წ. – მეფე ბაგრატ IV ბიზანტიიდან დაბრუნდა და ლიპარიტი დასაჯა.
1060 წ. – ბაგრატ IV-მ ჰერეთისა და კახეთის უდიდესი ნაწილი შემოიერთა.
1060-იანი წლები - მეფის ხელისუფლება გაძლიერდა.
1064-65 წ. – თურქების სულთანი არფ-ასლანი (1063-1072) შემოესია საქართველოს.
1067/68 წ. – ბაგრატ IV-მ ილაშქრა არანში.
1068 წ. – სულთან არფ-ასლანმა ამის საპასუხოდ ილაშქრა, ქართველები დაამარცხა, თბილისი და რუსთავი განძის ამირა ფადლონს გადასცა.

1069 წ. – ბაგრატ IV-მ დაამარცხა და დაატყვევა ქართლში ფადლონი. შემდეგ გაათავისუფლა სულთნის შუამდგომლობით. ბაგრატმა თბილისი აიღო და ამირათა შთამომავალს გადასცა. უფლისწულმა გიორგიმ განძა აიღო.

1071 წ. – ფანასკერტის ბრძოლაში ბიზანტიის იმპერიის ჯარები თურქებმა დაამარცხეს. დაიდო ზავი. ანატოლიის ძირითადი ნაწილი, სომხეთი, შარვანი სელჯუკებმა დაიჭირეს. ბიზანტია სელჯუკებს ხარკს უხდიდა.

1072 წ. – ბაგრატ IV გარდაიცვალა.

1072 წ. – არფ-ასლანი შეთქმულებმა მოკლეს.

1072 წ. – 1089 წ. მეფობდა გიორგი II.

1073 წ. – მეფეს დიდგვაროვნები აუჯანყდნენ. მალიქ-შაჰმა (1072-1092) ქართლი მოარბია.

1074 წ. – მეფე გიორგიმ და კახთა მეფე აღსართანმა ფარცხისის ბრძოლაში თურქები დაამარცხეს. გიორგი II-მ ანაკოფია წაართვა ბიზანტიელებს. თურქებმა კვლავ დაიკავეს კარის ციხე. გიორგი II-ს ყუელს (ჯავახეთში) დაესხნენ, დაამარცხეს, გაიტაცეს სამეფო საჭურჭლე, დიდი განძი.

1080 წ. – დაიწყო „დიდი თურქობა" - თურქული ტომების შემოსევა.

1083 წ. – გიორგი II ეახლა სულთან მალიქ-შაჰს და თავს იდო ხარკის გადახდა. სულთანმა მისცა კახეთ-ჰერეთის აღების ნება, ამისათვის ლაშქარიც მისცა, მაგრამ მეფემ ეს ქვეყანა ვერ აიღო. კახთა მეფე აღსართანი გამაჰმადიანდა.

1089 წ. – მოხდა საშინელი მიწისძვრა.

1089 წ. – გამეფდა 16 წლის დავით აღმაშენებელი.

1092 წ. – გარდაიცვალა მალიქ-შაჰი.

1093 წ. – დავით მეფემ შეიპყრო ლიპარიტი და პირობით გაათავისუფლა.

1095 წ. – დავითმა იგი კვლავ შეიპყრო და 1097 წელს ბიზანტიაში გააძევა.

1095 წ. – დაიწყო ჯვაროსნული ომები.

1097 წ. – დავით მეფემ სულთანს ხარაჯა შეუწყვიტა.

1097 წ. – ჯვაროსნები მცირე აზიაში გამოჩნდნენ.

1098 წ. – ჯვაროსნებმა აიღეს ანტიოქია.

1099 წ. – ჯვაროსნებმა აიღეს იერუსალიმი.

1103 წ. – ჩატარდა რუის-ურბნისის კრება, კლდეკარის საერისთავო გაუქმდა.

1110 წ. – გიორგი ჭყონდიდელმა სამშვილდე აიღო.

1115 წ. – გიორგი ჭყონდიდელმა რუსთავი აიღო.

1116 წ. – დავით მეფემ თურქებს შეუტია ტაოში.

1116 წ. – დავით მეფემ თავისი ქალიშვილი კატა□ ბიზანტიის დედოფლად გაგზავნა.

1117 წ. – დავითმა შარვან შაჰს შეუტია.

1118 წ. – დავით IV-მ რახსის პირზე მდგომ თურქებს შეუტია, გადმოიყვანა ყივჩაღები.

1120 წ. – შირვანის ქალაქი ყაბალა აიღო.

1121 წ. – 12 აგვისტოს მოხდა დიდგორის ომი.
1122 წ. – დავითმა თბილისი აიღო.
1123 წ. – მეფემ დმანისი აიღო.
1123 წ. – სულთანი შარვანში შეიჭრა, დავითის გამოჩენისას გაიპარა.
1124 წ. – მეფემ სომხეთის ციხეები აიღო.
1124 წ. – აგვისტოში დავით IV-მ ქალაქი ანისი დაიკავა.
1125 წ. 24 იანვარი - გარდაიცვალა 52 წლის დავით მეფე.

მეფე დავითი - მორჩილი ბერისა

არსენ იყალთოელი მოძღვარი და სულიერი მამა იყო დავით აღმაშენებლისა; ფრიად განათლებული, მეცნიერი, შემოქმედი მოღვაწე, ენათა მცოდნე, ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი, მთარგმნელი საეკლესიო წიგნებისა, ბურჯი მართლმადიდებლობისა. მას თავისი დროის ქართველობა დიდად აფასებდა. ეფრემ მცირეს უთქვამს: ადამიანისაგან შეუძლებელი არსენისაგან შესაძლებელია ღვთისა და მისი წმიდანების მეოხებითო. ი. ლოლაშვილის თანახმად, არსენს სახელმწიფო მრჩევლად დადგომამდე უსწავლია კონსტანტინოპოლის მანგანის აკადემიაში, შემდეგ შავ მთაზე (ანტიოქიაში) უმოღვაწნია ეფრემ მცირეს ხელმძღვანელობით[1], შემდეგ კვლავ კონსტანტინოპოლში - მანგანის მონასტერში გადასულა და მოღვაწეობდა[2]. 1103 წლისათვის სამშობლოში დაბრუნებულა - შიომღვიმის მონასტერში.

„ჩვენში მოსვლის დღიდან არსენი გამხდარა დავითის გონიერი მოძღვარი, დავითი კი არსენის მორჩილი შეგირდი. ამან განაპირობა ის, რომ არსენი თითქმის 25 წლის განმავლობაში მეფეს ედგა გვერდით და ამ მეფის ხელშეწყობითა და თანადგომით ეწეოდა საეკლესიო-საზოგადოებრივ და სამწერლო-სამონასტრო საქმიანობას... არსენის შემოქმედებითი საქმიანობა გაიშალა და გაიფურჩქნა დავით მეფის ინიციატივითა და მფარველობით, ხოლო დავითის მიერ პოლიტიკური და კულტურული რეფორმები გატარდა არსენის რჩევითა და შთაგონებით. დავითი არსენს უწოდებდა „სასოსა და განმანათლებელს“[3].

უფრო მეტიც, ი. ლოლაშვილის აზრით, დავით მეფე იყო მორჩილი არსენ იყალთოელისა. „მორჩილი“ საეკლესიო ტერმინია და ეწოდება ერისკაცს, რომელსაც ევალება აღასრულოს თავისი სულიერი მოძღვრის ყოველი ნება. ცხადია, საბოლოო მიზანია ადამიანის სულიერი ამაღლება, მაგრამ ხშირად მორჩილებისას ხდება ერისკაცის გამოცდა, არის თუ არა ის შესაფერისი სამონაზვნო მოღვაწეობისა. დავით მეფესაც თავისი სულიერი მოძღვრის დიდი მორჩილება ჰქონია და თვითონ არსენიც მეფისათვის დიდად სანდო პირი ყოფილა. არსენი მეფისაგან იმდენად ნდობით აღჭურვილი პირი იყო, რომ მისი სიტყვა მბრძანებლისა და მორჩილის მიერ უყოყმანოდ სრულდებოდა. ამ მხრივ, ფრიად საგულისხმოა დავით მეფის გამონათქვამები: „ბერმან არსენი მიბრძანა ამის ანდერძისა დაწერა“ (და მან ეს ანდერძი დაწერა კიდეც), „მიბრძანა სასომან ჩემმან ბერმან არსენი“ მღვიმის წესთა დასხმა (და მან ამისი ნებაც დართო); „კანდლები, რომელი მე მომიხ-

სენებია და რომელი არსენის დაუდგამს, ნუმცა ვის უკადრებია გამოღებად"; „ვითა აწ არსენის გაუწესებია... ნუ ვინ შეცვლის ამას წესსა" და ა.შ. თავის „სასოსა და განმანათლებელს" მეფე ყველაფერში ენდობოდა, მის ყველა სურვილს ასრულებდა და ბევრ რამესაც სწავლობდა მისგან. და ეს ხდება იმ დროს, როდესაც არსენის მიმართ ასე მოკრძალებული მეფე ღვთის რისხვას აწევდა ურჩ ფეოდალებს, ქვეყნის ორგულთ, გარეშე მტრებს. სიმკაცრისა და მორჩილების ასეთი კონტრასტი ახასიათებდა დავით აღმაშენებელს. ერთი მხრივ იგი, როგორც მეფე და სახელმწიფო მოღვაწე, მტკიცე ნებისყოფით, გონიერი მოქმედებითა და სამხედრო და ადმინისტრაციული მართვის ნიჭით ქმნიდა ძლიერ სახელმწიფოს და მის სამსახურში აყენებდა ყველას, ერსაც და ბერსაც, ხოლო მეორე მხრივ ის, როგორც განათლებული ადამიანი, თაყვანსა სცემდა მეცნიერებას, პატიოსნებასა და ერთგულებას, რომლის უნიკალური განსახიერება იყო მისი მოძღვარი - არსენ იყალთოელი"[4].

არა მარტო მეცნიერების, ერთგულებისა და პატიოსნების გამო ემორჩილებოდა დავით აღმაშენებელი ბერებს გიორგი ჭყონდიდელს, არსენ იყალთოელს თუ იოანე კათალიკოს-პატრიარქს, არამედ ის ქართულ ეკლესიას განიხილავდა, როგორც საქართველოს ჭეშმარიტ გამაერთიანებელ და მესაჭე ძალას, რომელსაც შესწევდა უნარი უფალი ღმერთის შემწეობით განეახლებინა და გაეცხოველებინა (გაეცოცხლებინა) ქართველი საზოგადოება, სულიერების ახალ საფეხურზე აეყვანა ის. ეს შემდგომ მართლაც ასე მოხდა, ქართველი ერის ოქროს ხანა – ეპოქა დავითისა და თამარისა – სწორედ სახელმწიფოსა და ქართული ეკლესიის ძალზე ღრმა ურთიერთთანამშრომლობით შეიქმნა.

დავით აღმაშენებელი თავის სახელმწიფოს მართავდა საეკლესიო მოღვაწეების საშუალებით. კერძოდ, მან შექმნა მთავრობა, რომლის უმთავრესი თანამდებობები სამღვდელოთა ხელში იყო. უფრო მეტიც, გიორგი ჭყონდიდელი ეპისკოპოსი მეფის მამად და სახელმწიფოს პირველ ვაზირად ითვლებოდა. „იგი მეფის შემდეგ მეორე კაცი იყო სახელმწიფოში და ერთნაირად მიუწვდებოდა ხელი როგორც საერო, ისე სასულიერო საკითხებზე"[5]. ის იყო მწიგნობართუხუცესიც, მასვე ექვემდებარებოდა უმაღლესი სასამართლო ორგანო - „სააჯო კარი"[6].

გიორგი ჭყონდიდელი იყო „მამა მეფისა" და წარმოადგენდა ქალკედონიზმის, ანუ როგორც იმჟამად მიიჩნეოდა საქართველოში, ქართული ქრისტიანობის სიმბოლოს. ამიტომ არ არის შემთხვევითი, სწორედ გიორგი ჭყონდიდელის უშუალო ხელმძღვანელობით ციხე-ქალაქ სამშვილდის აღება 1110 წელს. სამშვილდის აღებას მოჰყვა ქვემო ქართლის მთავარ ციხეთა განთავისუფლება. მართალია, ეს ციხეები მაშინ თურქების მიერ იყო დაჭერილი, მაგრამ, საერთოდ, იქამდე სულ რამდენიმე ათეული წლით ადრე, სამშვილდე წარმოადგენდა ცენტრს მონოფიზიტური სახელმწიფოსი. ის ლორე-ტაშირის კვირიკიანთა სამეფოს დედაქალაქი იყო. თურქების მიერ ამ სამეფოს, ანუ ქვემო ქართლის ციხეთა დაჭერის შემდეგაც, მონოფიზიტური ეკლესიის გავლენა ამ ქართულ მიწაზე კვლავაც ძლიერი იყო. აღსანიშნავია, რომ აქ ჭეშმარიტად ქართულ ქვეყანაში (ქვემო ქართლში), მონოფიზიტური ეკლესია ხელოვნურად გააბატონეს არაბმა დამპყრობლებმა (იხ. ამის შესახებ შემდეგ

თავებში), არაბებისა და სომხური ეკლესიის კავშირის შეკვრისა და ქალკედონიზმის წინააღმდეგ ერთობლივ ქმედებათა შედეგად. ამ პოლიტიკურმა ძალებმა წარმოქმნეს აქ სომხური სახელმწიფოებრიობა (კვირიკიანების სამეფო), რომლის მოქალაქეთა დიდ უმრავლესობას ქართველობა შეადგენდა, მათი ერთი ნაწილი გრიგორიანულ სარწმუნოებაზე იყო გადაყვანილი. თურქეთის ბატონობისაგან აქ განმათავისუფლებელი მღვდელთმთავრის გამოჩენას უდიდესი მორალური და სულიერი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ადგილობრივი ქრისტიანების კვლავ დედაქართულ ეკლესიაში დასაბრუნებლად. მართლაც, ამის შემდეგ სულ მალე ქვემო ქართლი უწყვეტად, თითქმის XVIII საუკუნემდე იქცა ქართული ეკლესიის ნაყოფიერ სამოღვაწეო ასპარეზად. ქვემო ქართლს, მონოფიზიტთა, ანუ „სომეხთა“ მეფობის გამო სომხითი ეწოდა. გაერთიანების შემდეგ საქართველოს მეფეს „სომეხთა მეფის“ ტიტულიც ჰქონდა (ანისის, ანუ არმენიის, მეფეებს შაჰანშა ეწოდებოდათ), რაც, სწორედ ამ კუთხის მფლობელობას აღნიშნავდა.

„სამშვილდის აღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმიტომ, რომ იგი ძლიერი ციხე იყო და სამხრეთით ტფილისს ამაგრებდა; სამხრეთის სავაჭრო გზაც ამ ქალაქზე გადიოდა... თურქებსაც ამ ამბავმა თავზარი დასცა: „ცნეს რა თურქთა აღება სამშვილდისა, უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევნეს და ღამე მეოტ იქმნნეს“. ქართველები ამ მოულოდნელმა გარემოებამ ძალზე გაახარა და მტრისაგან მიტოვებული ციხეები სიამოვნებით „ჩვენ თანა მოითვალნეს“[7].

თურქების სულთანმა ამ ამბებთან დაკავშირებით გამოგზავნა ასიათასკაციანი ლაშქარი. მაგრამ მათ დავით აღმაშენებელი საბრძოლველად მზად მყოფი მხედრობით დახვდა, თურქები გაიქცნენ.

„რაკი თურქები ასე თავზარდაცემულები იყვნენ, გიორგი ჭყონდიდელმა და მწიგნობართუხუცესმა, ალბათ, დავით აღმაშენებელთან შეთანხმებით, კვლავ განაგრძო თავისი სამხედრო მოქმედება და „მეფისა მუხრანს ყოფასა“ მან მტერს რუსთავიც წაართვა“[8]. ეს მოხდა 1115 წელს.

ამ უდიდესი გამარჯვებისთვის, ალბათ, 1110-1115 წლებში მთელ საქართველოში ლოცავდნენ „მეფესა და მღვდელმთავარს“.

1118 წელს ყივჩაღების გამოყვანის ურთულესი საქმეც გარკვეულწილად გიორგი ჭყონდიდელთან იყო დაკავშირებული. საერთოდ, მეფე მღვდელმთავარს უწინამძღვრებდა ხოლმე თითქმის ყველა დიდ და გასაოცარ სამხედროსა და სასულიერო საქმეს, არა ერთი და ორი წლის, არამედ მთელი სიცოცხლის მანძილზე.

დავით მეფე ქვეყანას თავის კარზე მყოფი ბერების ხელით მართავდა (იგულისხმება მწიგნობართუხუცესი - ჭყონდიდელი გიორგი, კათალიკოს-პატრიარქი იოანე, თავისი მოძღვარი იოანე, არსენ იყალთოელი და სხვები). ყველა ისინი უდიდესი თანამდებობის მქონენი იყვნენ. მათ სამოხელეო სახელოზე უფრო მაღალი სახელო ქვეყანაში არ არსებობდა. უნდა ვიფიქროთ, რომ დარბაზის კარზე მოღვაწე ეს მღვდელმთავრები წარმოადგენდნენ კიდეც სინოდს ქართული ეკლესიისას, რომელიც ეკლესიას აძლევდა კანონსა და რიგს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ ამ მეფის დროს „მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი

ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან, ვითარცა კანონსა უცთომელსა, ყოვლად შვენიერსა და დაწყობილსა, კეთილწესიერებასა ლოცვისა და მარხვისასა“[9].

„ხელმწიფის კარის გარიგება“ მოიხსენიებს 4 ბერს, რომელთაც საქართველოს მთავრობაში უპირველესი ადგილები ეჭირათ. 4 ბერს მოიხსენიებს რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერაც“: 1) იოანე კათალიკოს-პატრიარქს, 2) ევსტათი მონაზონს, 3) გიორგი მონაზონ - მწიგნობართუხუცესს, 4) არსენი მონაზონს.

ჩვენ ზემოთ გამოთქმული გვქონდა მოსაზრება, რომ 4 ბერი მღვდელმთავარი წარმოადგენდა ქართული ეკლესიის სინოდს, არსებულს ხელმწიფის კარზე, ანუ „დარბაზის კარზე“. მათ ეკლესიის გარდა სახელმწიფო საქმეების წარმართვის მოვალეობაც ეკისრებოდათ. ამ ოთხი ბერიდან იოანე იყო სრულიად საქართველოს პატრიარქი და ამავე დროს ქართლის კათალიკოსი, ევსტათი უნდა ყოფილიყო აფხაზეთის კათალიკოსი, გიორგი - ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესია, ხოლო არსენი იყალთოელი, ჩანს, მოძღვართმოძღვარი იყო.

მეფე დავითი მუდამ ბერების წრეში ტრიალებდა, საღმრთო სიბრძნეზე ედგა სამეფო ტახტი. ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ის, რომ დავითი სასულიერო წიგნების უბადლო მცოდნე იყო. მის „გალობანი სინანულისანიში“ გამოყენებული ყოფილა შემდეგი დასახელების სასულიერო წიგნები: ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებანი (ესაია, ეზეკიელი), დაბადება, სიბრძნე სოლომონისა, გამოსვლათა, ფსალმუნი, მეფეთა, იგავნი, II შჯულისა, ეკლესიასტე, მსაჯულთა, 2 ნეშტთა, სამოციქულო, კერძოდ, ეპისტოლეები პეტრესი, პავლესი - ფილიპელთა, რომაელთა, I კორინთელთა, I ტიმოთეს მიმართ, იაკობისა; სახარებანი მათესი და ლუკასი, გამოცხადება[10], ამიტომაც მართებულია ივ. ჯავახიშვილის განცხადება: „დავით აღმაშენებელს თავისი თავი „უსწავლელ“, „მსოფლიო“ და „მხედრობათა შინა აღზრდილ“ კაცად მიაჩნია, მაგრამ რასაკვირველია, ეს თავმდაბლობით მოსდიოდა, იგი ნასწავლი და განათლებული ადამიანი ყოფილა“[11]. დავითს ღრმა საეკლესიო-საღვთისმეტყველო განათლება ჰქონდა მიღებული.

უთუოდ მეფის ღრმა ქრისტიანობას მოწმობს ის, რომ „კაცთმოყვარე და გულშემატკივარი ადამიანი იყო, ავადმყოფთა და დავრდომილთათვის ზრუნავდა...“[12] როგორც ახალი, ისე ძველი აღთქმა დავითს შესისხლხორცებული აქვს, ეს ჩანს არა მარტო მისი ცხოვრების მაგალითებით, არამედ, როგორც ითქვა, მისი თხზულებიდან - „გალობანი სინანულისანი“. ეს გალობა, დიდმარხვის I კვირის საკითხავი ანდრია კრიტელის სინანულის საგალობლის გავლენით არის დაწერილი საეკლესიო საჭიროებისათვის. დავითის ამ გალობას, ჩანს, დიდმარხვის დროს გალობდნენ ეკლესიაში შესაბამის დროს. ამიტომაც ცდებიან ის მკვლევარები, რომლებიც ამ „გალობაში“ ავტობიოგრაფიულ ცნობებს ეძიებენ და აზოგადებენ დავითის ცხოვრების შესწავლის მიზნით. შეიძლება ითქვას, „გალობანი სინანულისანი“ ისეთივე ტრადიციული ტრაფარეტებითაა დაწერილი, როგორც მსგავსი თხზულებანი იმდროინდელი საეკლესიო პოეტებისა, მაგალითად - „კაენის მკლველებრი ცნობაი, სეითის ძეთა ლირწებაი, გმირთა სიღოდით მავლობაი“ და სხვა მსგავსნი არა ავტობიოგრაფიუ-

ლი, არამედ მწიგნობრული (ე.ი. ძველი და ახალი აღთქმიდან გამომდინარე) შედარებებია. იგივე ითქმის დავითის ნათქვამზე: „ცოდვათა სიჭაბუკისა და უმეცრებისა ჩემისასთა ნუ მოიხსენებ“. ეს გამონათქვამი მხოლოდ გამეორებაა ებრაელთა მეფე დავითის 24-ე ფსალმუნის მე-7 მუხლისა „ცოდვათა სიჭაბუკისა და უმეცრებისა ჩემისათა ნუ მოიხსენებ, წყალობათა შენთა მომიხსენე მე სიტკბოებითა შენისათვის, უფალო“. ამას წერდა ებრაელთა მეფე ქრისტიანობამდე დიდი ხნით ადრე, ხოლო ქართველთა მეფემ მხოლოდ გაიმეორა საეკლესიო ჰიმნის დაწერის დროს. დავითი საეკლესიო პოეტი და ალბათ კომპოზიტორიცაა, რადგან გალობა - მუსიკისა და ტექსტის ერთობას მოითხოვდა.

საერთოდ, ქრისტიანი ვალდებული იყო მოენანიებინა „ნებსითი თუ უნებლიე, მეცნიერებით თუ უმეცრებით“, სიჭაბუკისას თუ ასაკში შესვლისას ჩადენილი ცოდვა. ყოველი ადამიანი ვალდებული იყო, სინანულით ემარხულა აღდგომის სიხარულის მიღებისათვის. დავითი სწორედ ასეთი მონანული ქრისტიანი იყო. ის და მისი ოჯახი თაყვანისმცემელი იყო ქრისტიანული სიწმიდეებისა. XII საუკუნის დასაწყისში იერუსალიმიდან, წმიდა საფლავის კანტონიდან, სწერდნენ პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის კრებულს, ცხოველმყოფელი ხისაგან გამოთლილი წმიდა ჯვარის შესახებ: „ამ ჯვარს დავით, მეფე ქართველთა, სანამ ცოცხალი იყო, უაღრეს თაყვანისცემას და სიყვარულს უძღვნიდა“[13], აღსანიშნავია, რომ მსგავსი ჯვარი ჰქონია აგრეთვე „ქართველთა პატრიარქს“[14].

ზ. ავალიშვილი წერს: „ჯვაროსნებს ძალიან უჭირდათ საქმე სირია-პალესტინაში“[15]. ჯვაროსანთა ომის დაწყებისას დავით მეფე ყოველმხრივ ეხმარებოდა მათ. ქართველ მეფეს სირიაში ულაშქრია, ხოლო ქართული წყაროს მიხედვით, იერუსალიმიც დაულაშქრავს.

„აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი აღმოსავლური წყაროს მიხედვით, დიდგორის ომის წინა ხანებში ქართველებს გაულაშქრიათ სირიაშიც, რომელიც მათ ადრეც მოურბევიათ. როგორც ირკვევა, XII ს-ის 20-იან წლებში დავითის ბრძოლა თურქების წინააღმდეგ რამდენიმე ფრონტზე, მიზნად ისახავდა თურქების განდევნას არა მარტო საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნებიდან, არამედ თურქთა ძალების შესუსტებას საერთოდ მახლობელ აღმოსავლეთში, ეს კი თავისი შედეგებით ცხადია, სავსებით ეხმაურებოდა იმ მოლაპარაკებას, რომელიც საქართველოში სწორედ ამ ამბების წინ გაიმართა დავით IV-სა და ბალდუინ II-ს შორის“[16].

„თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით, დავით აღმაშენებელი თავისი ლაშქრით იერუსალიმისათვის ბრძოლაშიც კი იღებდა მონაწილეობას“[17].

უთუოდ ხმა - „მეფე და მღვდელმთავარი“, რომელიც ქრისტიანთა გამარჯვებებს თან ახლდა საქართველოში, ახლა გასცდა მის ფარგლებს და იერუსალიმის კედლების სიახლოვესაც გაისმა.

„...იმ ურთიერთობამ, რომელიც საუკუნეების მანძილზე საქართველოსა და ჯვაროსნებს შორის არსებობდა, როგორც ჩანს, დასაბამი მისცა ფართოდ გავრცელებულ ლეგენდას „მეფე-მღვდელმთავარ იოანეზე“. ეს ლეგენდა წარმოიშვა ჯვაროსანთა ლაშქრობის ხანაში და გავრცელდა ჩინელებში, თურქებში, მონღოლებში, სპარსელებში,

ინდოელებში, არაბებში, სომხებსა და ყველა ევროპელ ხალხშიც, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ ჯვაროსნულ ომებში... მთელ მსოფლიოში ფართოდ მოარულ ლეგენდად არის მიჩნეული... მისი შინაარსი ქრონიკის მიხედვით ასეთია: „...რამდენიმე წლის წინათ ვიღაც მეფე და ბერი იოანე, რომელიც სპარსეთისა და სომხეთის გაღმა, უკიდურეს აღმოსავლეთში ცხოვრობს და თავის ხალხთან ერთად ქრისტიანულ, მაგრამ ნესტორიანულ ეკლესიას ეკუთვნის, სპარსელთა და მიდიელთა მეფე ძმებს თავს დაესხა, მათი რეზიდენცია დაიპყრო მღვდელმთავარმა იოანემ, რომელსაც ასე უწოდებენ ჩვეულებრივ, სპარსელები გააქცია და გაიმარჯვა. მღვდელმთავარ იოანეს სურდა სწრაფად დახმარებოდა იერუსალიმის ტაძარს“[18].

შ. მესხია წერს: „არმენიისა და სპარსეთის მიღმა მცხოვრები“ „მეფე-მღვდელმთავარი“ სხვა ვინ უნდა იყოს, თუ არა დავით აღმაშენებელი. როგორც ეს უკანასკნელ ხანებში გაირკვა, ამ ლეგენდის თავდაპირველ ვარიანტში მთავარ გმირად იოანე მეფე-მღვდელმთავარი კი არ ყოფილა დასახელებული, არამედ მეფე დავითი. ლათინურ ენაზე შედგენილ XIII საუკუნის ინგლისურ ქრონიკაში ნათქვამია: „მთელ საქრისტიანოში გავრცელდა ხმა, რომ მეფე დავითი, იოანე პრესვიტერად სახელდებული, აურაცხელი ჯარით დაიძრა ინდოეთიდან და უკვე დაიპყრო მიდია და სპარსეთი“. იმდროინდელ მსოფლიოში ასე ფართოდ გავრცელებული ეს ლეგენდა დავით აღმაშენებლისა და მის დროს გადახდილ ომებზე იყო“[19].

ისმის კითხვა, რატომ უწოდეს დავით მეფეს ლეგენდებში მღვდელმთავარი?

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში ხშირად გაისმოდა გამარჯვების ყიჟინა - „მეფე და მღვდელმთავარი“, რამეთუ მეფე ყოველ დიდ საქმეს რომელიმე ქართველი მღვდელმთავრის მონაწილეობით აკეთებდა. ეს ხმა უცხოეთშიც გასულა, ოღონდ „მეფე და მღვდელმთავარი“ ერთ პირად მიუჩნევიათ, გაუერთიანებიათ.

მაგრამ რატომ უწოდეს „მღვდელმთავარი იოანე“? ეს კითხვა თურმე წინათაც არსებულა. „სხვათა შორის, ის აზრიც გამოითქვა, რომ „იოანე ხუცესის“ თქმულება იოანე ორბელიანის (დემეტრესა და გიორგი III-ის ამირსპასალარი) სახელით უნდა აიხსნებოდეს.[20]

შეიძლება, აქ ივანე ორბელიანი არაფერ შუაშია, მეფე დავითს გვერდით ედგა მღვდელმთავარი იოანე - საქართველოს პატრიარქი. ალბათ, მისი სახელით უნდა აიხსნას თქმულებაში „მღვდელმთავარი იოანეს“ მოხსენიება.

მართლაც, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი იოანე, დავით აღმაშენებლის თანამებრძოლი, უდიდესი გამარჯვებების სულისჩამდგმელი იყო. მაგალითად, აი როგორ ახასიათებს მას რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა: - „ამ კრების თავი, წინამძღვარი და სახე იყო ღვთის კურთხეული, სულიერი სიმშვიდით მოსეს მსგავსი, დიდი სამოელისებრ ერისათვის მლოცველი და სრულყოფადთა მადლით მცხებელი ღირსი მთავარეპისკოპოს-კათალიკოსი იოვანე, მთელი საქართველოს დიდი მამამთავარი“[21].

„იოანე, ყოვლად ღირსი მთავარეპისკოპოსი-კათალიკოსი და ყოვლისა საქართველოსა დიდი მამამთავარი“[21].

რუის-ურბნისის კრება პირველი დიდი და სერიოზული გამარჯვება იყო დავით მეფისა და მას იოანე მღვდელმთავარი ამზადებდა. თვით მეფის სიკვდილის ჟამსაც იოანე კვლავ ავტორიტეტული პირია. მას ანდერძში იხსენიებს.

„...დავითი ასეთ განკარგულებას იძლევა: ჩემი ეკლესიის დამთავრება-კურთხევას თუ ვერ მოვესწრო, მაშინ არსენისათვის მიცემულ პერპერითა და კოსტანტით შენობას „კალაპოტი გამოუყარონ, მოლესონ, მოხატონ და ძემან ჩემმან დემეტრე, თანადგომითა კურთხეულის მწიგნობართ-უხუცესისა და ბერთა ჩემთაითა (იგულისხმებიან არსენი და იოანე მოძღვარი) აკურთხონ ხელითა იოანე ქართლისა კათალიკოზისათა, თანა-დახუდომითა იმერთა და ამერთა ყოველთა ეპისკოპოზთაითა[22].

ე.ი. იოანეს გელათის კურთხევა დაევალა.

დავით მეფეს იოანე სომხეთშიც ახლდა. პ. იოსელიანი წერს: „საქართველოს ძლევამოსილმა მეფემ, დავითმა, ქალაქ ანისში მოიწვია საეკლესიო კრება იოანე ქართლის კათალიკოსისა და სწავლული ეპისკოპოსების - არსენ იყალთოელის, ეფრემ მცირის, თეოფილესა და იოანე ტარიჭისძის მონაწილეობით“[23].

მართლაც, დავითმა „მოუწოდა იოანეს, კათალიკოსსა ქართლისასა და მის ქვეშეთა ეპისკოპოსთა და მეუდაბნოეთა“[24].

მეფეს მოძღვარიც ჰყოლია - იოანე (ხომ არ იყო ეს მოძღვარი იგივე კათალიკოსი?). მემატიანე წერს: „თვისსა მოძღვარსა იოვანეს მისცა ოდესმე დრაჰკანი, ვითარ 24 000, რათა განუყოს გლახაკთა“[25].

როგორც ზემოთ მოყვანილი მიუთითებს, საქართველოს უპირველეს მღვდელმთავარს დავით აღმაშენებლის დროს იოანე ერქვა. ის მეფეს თან ახლდა სომხეთში, ანისში. უნდა ვიფიქროთ,რომ წმიდა ადგილებისაკენ ლაშქრობისას მეფეს თან ახლდა წმიდა ქალაქ იერუსალიმში ლოცვას მონატრული იოანე მღვდელმთავარი. მეფისა და მღვდელმთავრის სახელები - დავითი და იოანე - გააერთიანა ხალხმა. თუმცა, შეგვეძლო გვეფიქრა იმის შესახებაც, რომ მეფე ბერად აღიკვეცა „იოანეს“ სახელით.

როგორც პარაგრაფის დასაწყისში აღინიშნა, დავით მეფე „მორჩილი“ ყოფილა ბერისა, არსენ იყალთოელისა და ასევე მის კარზე მოღვაწე სხვა რამდენიმე წარჩინებული ბერისა. თითქოსდა, მეფეს თავის კარზე მონასტრის მაგვარი დაწესებულება შეუქმნია. აი, რას წერს ივანე ჯავახიშვილი: „საკორპორაციო დაწესებულებებში ნორმალური და მყუდრო მუშაობა მხოლოდ თანამდებობის პირთა და მოძღვართა განკარგულებებისა და ხელმძღვანელების მორჩილებაზე იყო დამოკიდებული. ვინც ამ განკარგულებას არ ასრულებდა და ხელმძღვანელობას არ მისდევდა, ის „ურჩად“ ითვლებოდა... მორჩილების ასეთი სიმკაცრით დამყარებას იმიტომ ცდილობდნენ, რომ ურჩობა ადამიანის მეშფოთე და მრუდე ბუნების, ამასთანავე ქედმაღლობის, კადნიერებისა და მედიდურობის გამომჟღავნება მიაჩნდათ, ხოლო საკორპორაციო წესწყობილების კანონმდებელთა აზრით, „არა რაი აღძრავს და აღაშფოთებს მყუდროებასა ერთსულთა ძმათასა, ვითარ მეშფოთე კაცი და ღულარჭნილი“[26].

ასეთი მორჩილება „უდრტვინველად“ უნდა აღესრულებინათ და „უდრტვინველად მორჩილნი“ უნდა ყოფილიყვნენ „წამისყოფისა მწყემსისასა“[27].

საფიქრებელია, ქართველი მღვდელმთავრები მორჩილნი იყვნენ მეფისა მათ მიერ ყოველგვარი სახელმწიფო საქმის აღსრულებისას. სამაგიეროდ, მეფე ემორჩილებოდა მათ სასულიერო და სხვა საკითხებში. ასეთი ჰარმონია, დამყარებული „დარბაზის კარზე“, საფუძველი გახდა საქართველოს „ოქროს ხანისა“.

რუის-ურბნისის კრება

ქართული ეკლესია დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საქართველოს ყოველ კუთხეში, იმ დროსაც კი, როდესაც საქართველო გაერთიანებული არ იყო და მისი სახელმწიფოებრივი ერთეულები ერთმანეთს ებრძოდნენ.

ცნობილია, რომ ვახტანგ გორგასალმა ჩაატარა საეკლესიო რეფორმა, რომლის ძალითაც სახელმწიფოს შინაგანი სტაბილურობა განმტკიცდა, მაგრამ შემდეგ ქართველთა ერთიანი სახელმწიფო დაიშალა და X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისში ფაქტობრივად ახალი სახელმწიფო შეიქმნა ქართული ქვეყნების გაერთიანების შედეგად. ამიტომაც, კვლავ დაისვა კითხვა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობისა. კერძოდ, უნდა გარკვეულიყო, რა მიმართება უნდა დაეჭირა ეკლესიას სახელმწიფოს, ანდა სახელმწიფოს ეკლესიის მიმართ.

თუ ერთმანეთს შევადარებთ ქართული ეკლესიის მდგომარეობას გრიგოლ ხანძთელისა და დავით აღმაშენებლის დროს, არსებით სხვაობას დავინახავთ.

გრიგოლ ხანძთელის დროს ეკლესია არ აძლევდა სახელმწიფოს ნებას, ჩარეულიყო ეკლესიის საქმეებში, რადგანაც ეკლესია თვითმწყემსად-თვითმმართველად მიიჩნეოდა.

დავითის დროს რუის-ურბნისის კრებამ, ჩანს, მრავალი საეკლესიო ფუნქცია გადასცა სახელმწიფოს, „დარბაზის კარს“. ეპოქის მემატიანე წერს: „მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან, ვითარცა კანონსა უცთომელსა და ყოვლად შვენიერსა და დაწყობილსა, კეთილწესიერებასა ლოცვისა და მარხვისასა“.

აქ მხოლოდ ეკლესია-მონასტრებზე კი არ არის საუბარი, არამედ საეპისკოპოსოებზეც.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორი დამოუკიდებლობით სარგებლობდა ძველ დროს ეკლესია და სამღვდელოება. ამიტომაც უნდა დავასკვნათ, რომ 1103 წელს მოხდა არა სახელმწიფოს მიერ ეკლესიის უპრეცედენტო დამორჩილება (ეს საეკლესიო კანონებით აკრძალულია და არც შეეძლო იმდროინდელ საქართველოს მეფეს), არამედ შეიკრა მმართველობითი კავშირი სახელმწიფოსა და უმაღლეს საეკლესიო მთავრობას შორის. ჩამოყალიბდა თეოკრატიულის მსგავსი ქართული სახელმწიფო. მისი თეოკრატიულობა იმაში გამოიხატებოდა, რომ ეკლესიამ იკისრა სახელმწიფოს მმართველობის ზოგიერთი ფუნქციის შესრულება, თავის მხრივ ეკლესიამაც დათმო გარკვეული უფლებები. საერთოდ თეოკრატია განისაზღვრება

ასე - „მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც მონარქიული სახელმწიფოს მეთაური წარმოადგენს იმავდროულად მის რელიგიურ მეთაურს“[28].

ქვემოთ განვიხილავთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქართული თეოკრატიულის მსგავსი სახელმწიფო შემდეგი სახით იყო მოწყობილი: უმაღლესი საეკლესიო მთავრობის ოთხი წევრი იმავდროულად იქცა საერო მთავრობის უმაღლეს წევრებადაც. კერძოდ, ოთხი ბერი - საქართველოს პატრიარქი (ანუ კათალიკოსი ქართლისა), აფხაზეთის კათალიკოსი, ჭყონდიდელი და მოძღვართმოძღვარი იმავდროულად ხდებიან ქვეყნის მმართველებიც.

ქართლის კათალიკოსი ამავე დროს იყო სრულიად საქართველოს პატრიარქი ანუ მამამთავარი, ხოლო აფხაზეთის საკათალიკოსო უწყვეტად არსებობდა VIII ს-დან, ამ კრებასაც ორი კათალიკოზი, ანუ „კათალიკოზნი“ ესწრებოდნენ, კერძოდ, აფხაზეთისა და ქართლის კათალიკოსები - „ამ კრებაში მონაწილეობას იღებდა თურმე „ერი მრავალი“ და ზემოჩამოთვლილ პირთა გარდა მონაწილედ ყოფილან „კათალიკოზნი“, „მოძღვარნი და მეცნიერნი“[29]. დავითის ანდერძშიც სიტყვა „კათალიკოზნი“ იხმარება და არა „კათალიკოზი“[30].

ქვემოთ აღვნიშნავთ, რომ დავით აღმაშენებლის დროს „სახელმწიფოს მმართველობის სისტემას“ სათავეში ჩაუდგა 4 მონაზონი, ანუ „ოთხი ბერი“, შემდეგშიც დარბაზის უმაღლესი წევრები არიან: მოძღვართმოძღვარი, ქართლის კათალიკოსი, აფხაზეთის კათალიკოსი და ჭყონდიდელი. ამათთან თითქმის გათანაბრებულია, მაგრამ მათზე ოდნავ დაბლა დგას სამი საერო პირი - ხელისუფალნი (ვეზირები): მოგვიანებით - ათაბაგი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი. კიდევ უფრო დაბლა დგანან სხვა ვეზირები და უხუცესები. ეს ასე იყო მოგვიანებით, მაგრამ სისტემას საფუძველი ჩანს ამ დროს ჩაჰყრია.

ჭყონდიდელის უფლებამოსილებას მიუთითებს ის, რომ „ვეზირობასაც“ კი იგი მართავდა და დარბაზის კარის უმაღლესი პირი იყო: „თუ ვეზირობა იყოს, მათ მოახსენონ ჭყონდიდელსა და ათაბაგსა, ამირსპასალარსა, მეჭურჭლეთუხუცესსა, მსახურთუხუცესსა და ამილახორსა“[31].

დარბაზობის დროს კი ერთად იკრიბებიან: „...დარბაზთ ათქს ოთხთავე: მოძღვართ-მოძღვარსა, კათალიკოზთა, ჭყონდიდელსა და სამთა ვაზირთა - ათაბაგსა, ამირ-სპასალარსა და მანდატურთუხუცესსა“[32].

მართალია, „ხელმწიფის კარის გარიგება“ შემდგომდროინდელი ძეგლია, მაგრამ სამმართველო სისტემის სახე, რომელიც აქ არის აღწერილი, შემუშავებული უნდა ყოფილიყო დავით აღმაშენებლის დროს (ათაბაგი და სხვა მოხელეები შემდეგ დაემატა).

„საქართველოს გაერთიანებისა და ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნასთან ერთად იწყებს ჩამოყალიბებას სახელმწიფო მმართველობის ერთიანი სისტემა... გაერთიანებული სახელმწიფოს მმართველობის აპარატის ჩამოყალიბებას უშუალოდ უკავშირდება ჩვენში ვაზირობის ინსტიტუტის შექმნა... მმართველობის ცენტრალიზაციის მიზნით დავით აღმაშენებელმა ძირითადი უწყებანი (საშინაო, ფინანსთა, სამხედრო) გამოყო სხვა დარგებისაგან და ისინი უშუალოდ მეფის ვაზირს, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს დაუქვემდებარა. მათი მეთაურები კი

(მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი, ამირსპასალარი) წინ წამოსწია სხვა „უხუცესებთან“ შედარებით... პირველი ვაზირი უხუცესთაგან მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი იყო... უმაღლესი სააპელაციო სასამართლო ჩვენში ე.წ. „სააჯო კარი“ იყო... დავითმა კი „სააჯო კარში“ სამი მოსამართლე დასვა: მწიგნობართუხუცესი (უფროსი), საწოლისა და ზარდახნის მწიგნობარი... ამ დაწესებულების დანიშნულება იყო ფეოდალური ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლა და სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა“[33].

არ არის შემთხვევითი ის, რომ რუის-ურბნისის ძეგლისწერა ასახელებს ოთხ ბერს, ისევე როგორც „ხელმწიფის კარის გარიგება“. „ძეგლისწერაში“ მოხსენიებულია: 1) გიორგი მწიგნობართუხუცესი, 2) იოანე კათალიკოზი, - საქართველოს პატრიარქი, 3) ევსტათი, 4) არსენი; „ხელმწიფის კარის გარიგების“ 4 ბერის თანამდებობებია: ჭყონდიდელი, 2 კათალიკოზი, მოძღვართ მოძღვარი. ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ არსენი მოძღვართ-მოძღვარია (ან შემდეგ მიიღო ეს სახელო), ხოლო ევსტათი - აფხაზეთის კათალიკოსი.

ისიცაა აღსანიშნავი, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობილი გამონათქვამი იმის შესახებ, რომ „დარბაზის კარი“ საეკლესიო კანონმდებელს წარმოადგენდა დავითის დროს, მეორდება „ხელმწიფის კარის გარიგებაშიც“. კერძოდ, აქ ნათქვამია, რომ „გელათისაგან კიდე საყდარნი და სხვანი მონასტერნი და ეკლესიანი, ხუცესნი და მონაზონნი, და რაც საეკლესიონი დასნი არიან - ყველა ჭყონდიდელის და საწოლის მწიგნობრის სახელოისია“[34].

გელათი მოძღვართმოძღვარს ეკუთვნოდა. ამის გარდა სხვა სრულიად საქართველოს საეკლესიო დასი ხელმწიფის კარიდან იმართება ჭყონდიდელის და საწოლის მწიგნობრის მიერ. ამით, ვფიქრობთ, დასტურდება დავითის ისტორიკოსის ნათქვამი: „... ყოველნი ეკლესიანი - საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან“.

რუის-ურბნისის კრების შემდეგ „მართალია, დავით აღმაშენებელმა მიაღწია იმას, რომ მეფემ მოიპოვა უფლებები ეკლესიაზე, ეკლესიაც შეურიგდა დავითის ჩარევას მის საქმეებში...“[35] მაგრამ თავის მხრივ ეკლესიამ მოიპოვა სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობის უფლება.

„...რუის-ურბნისის კრების შემდეგ დავით აღმაშენებელმა ეს ორი „ხელი“ გააერთიანა. ამიერიდან კიდევ უფრო გაიზარდა ჭყონდიდელის როლი ეკლესიაში და თუ მწიგნობართუხუცესი, როგორც მეფის სამდივანმწიგნობროს მეთაური, მეფის შემდეგ პირველი პირი იყო სახელმწიფოში, ეკლესიაში კათალიკოსის შემდეგ ყველაზე დიდი გავლენით ჭყონდიდელი სარგებლობდა. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის მეშვეობით მეფე უშუალოდ ერეოდა ეკლესიის საშინაო საქმეებში და კარნახობდა ეკლესიას თავის ნებას“[36]. თავის მხრივ, იმავე გზით, და საერთოდ „დარბაზის კარის“ მეშვეობით ქართული ეკლესია თავის ნებისამებრ წარმართავდა ქართული სახელმწიფოს საქმეს.

მართალია, მეფე უმაღლესი მხედართმთავარი იყო და ამიტომ ჭყონდიდელის (ე.ი. დარბაზის კარის) უზომოდ გაზრდილი ძალაუფლება მისთვის სრულიად მოსათმენი (სასურველიც) იყო, მაგრამ თამარ მეფემ საგანგებო ღონისძიებები

ჩაატარა კათალიკოსის გაზრდილი ხელისუფლების შესაზღუდად მაშინ, როცა კათალიკოსმა თავის ხელში აიღო ჭყონდიდელობაც.

„დარბაზის კარი“ წარმოადგენდა არა მარტო სახელმწიფოს მაცენტრალიზებელ ორგანოს, არამედ ეკლესიისასაც. ცნობილია, რომ საქართველოს მეფეთ მეფე იმავდროულად „შვიდი სამეფოს“ მეფესაც წარმოადგენდა. ამ ერთიან სახელმწიფოში შვიდი სამეფო თუმცა ნომინალურად, მაგრამ მაინც არსებობდა. მეფეს უთუოდ ესაჭიროებოდა „თანადგომა და ერთნებობა“ შვიდივე სამეფოს დიდებულებისა („რომელიც განაჩინა თანადგომითა და ერთნებითა შვიდსავე სამეფოსა დიდებულთა“)[37]. ასევე საქართველოს ეკლესია, ანუ საპატრიარქო, ორი საკათალიკოსოსგან შედგებოდა (ესეც, ფაქტობრივად, ნომინალურად). ბედიელ-ალავერდელობა ჭყონდიდელ სვიმონისა ეკლესიის ერთიანობასაც დიდად უწყობდა ხელს.

ჭყონდიდელს შემდეგ „ვაზირთ-ვაზირი“ უწოდეს და მის ხელში უზარმაზარი ხელისუფლება იყრიდა თავს. ამიტომაც, როგორც აღინიშნა, ზოგჯერ მეფესაც კი აღარ ეკითხებოდა თავის „საურავს“. მაგრამ მეფის გარეშე მას ამის ნება არ ჰქონდა: „მწიგნობართუხუცესის გარეშე არ წყდებოდა არც ერთი სახელმწიფოებრივი საქმე, „ყველა საურავი უმისოდ არ იქნების“[38]. მართალია, მწიგნობართუხუცესი მონაწილეობდა ყოველგვარი სახელმწიფოებრივი საქმის გადაწყვეტაში, მაგრამ მეფის გარეშე რაიმე გადაწყვეტილების მიღება დამოუკიდებლად არ შეეძლო. სწორედ ამიტომ, დავით ულუს დროინდელ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცეს ბასილს ჟამთააღმწერელი დანაშაულად უთვლის თავისი უფლებების გადამეტებას, რაც იმაში გამოიხატა, რომ მან „იწყო საურავთაცა ქმნად თვინიერ მეფისა კითხვისა“[39]. მწიგნობართუხუცესს ექვემდებარებოდა სამეფო სპაც. იგი მეფესთან ერთად წყვეტდა ომის დაწყება-არდაწყების საკითხს და ზოგჯერ ომშიც მიდიოდა“[40].

აღსანიშნავია, რომ ეკლესიას (კათალიკოსს და ეპისკოპოსებს) თავისი ჯარი ჰყავდა, მაგრამ ჭყონდიდელს სამეფო სპა ექვემდებარებოდა.

„მწიგნობართუხუცესის უფლებას შეადგენს სხვა ვეზირთა სამმართველო უწყების შემოწმება...“[41]

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, რუის-ურბნისის კრების შემდეგ ეკლესიამ დიდად გაიფართოვა თავისი უფლებები და ის სახელმწიფო საკითხებსაც წყვეტდა (ჭყონდიდელისა თუ სხვა სამი ბერის (მონაზონის) საშუალებით), ამით საქართველოში შეიქმნა თეოკრატიულის მაგვარი სახელმწიფო.

„საქართველოს ეკლესიას, ისევე როგორც რომის ეკლესიას, სახელმწიფო ცხოვრებასა და წესწყობილებაში განსაკუთრებული უპირატესობანი ჰქონდა მოპოვებული და მინიჭებული, რომელთა წყალობითაც მას მარტო წმინდა საეკლესიო დაწესებულების ხასიათი კი არ ჰქონდა, არამედ სახელმწიფოებრივი სხეულისა და ერთეულის თვისებებიც. ქართული ეკლესიის ამ უფლება-უპირატესობათა შესახებ მკვლევარი ვერც სჯულის კანონში, ვერც ადგილობრივი კრებების ძეგლისწერაში ვერავითარ ცნობებსა და კვალს ვერ აღმოაჩენს. ამ ფრიად საყურადღებო საკითხის შესწავლისათვის მკვლევარმა უნდა სიგელ-გუჯრებს მიჰმართოს“[42].

დიდი ივანე ჯავახიშვილი ქართულ ეკლესიას, სახელმწიფო ცხოვრებასა და წესწყობილებაში განსაკუთრებული უპირატესობის გამო, ადარებს რომის ეკლე-

სიას, რომელსაც VIII საუკუნიდან საერო ხელისუფლებაც ხელთ ეპყრა „პაპის ოლქში“. ეს ორი ეკლესია, რომელთაც საერო და სასულიერო ხელისუფლება ხელთ ეპყრათ, ერთმანეთს ემსგავსებოდნენ, თუმცა ქართულ ეკლესიას საერო ხელისუფლება მთლიანად არ მიუთვისებია. საქართველოში სახელმწიფო და ეკლესია ერთმანეთს უთავსებდნენ ხელისუფლებას (ცხადია, გარკვეულ დრომდე, ძირითადად, დავითის დროს).

„...უძველეს ძეგლად, რომელშიც საქართველოს ეკლესიის უზენაესი საჭეთმპყრობლის განსაკუთრებული უპირატესობა საკუთარი ჯარის ყოლისა და საკუთარი სარდლის მეთაურობით ლაშქარ-ნადირობაში განცალკევებული სამხედრო ერთეულის სახით მონაწილეობის უფლებაა აღბეჭდილი, 1362 წლით დათარიღებული წიგნია“[43]. ეკლესიას თავისი ჯარი შეიძლება უფრო ადრეც ჰყოლოდა. ყოველ შემთხვევაში, კახეთში საქორეპისკოპოსოს ინსტიტუტის არსებობა უნდა მიუთითებდეს, რომ აქ ეკლესია ამავდროულად წარმოადგენდა აქაურ საერო მმართველობასაც. ასევე არ უნდა იყოს შემთხვევითი რუის-ურბნისის კრების შემდეგ ჭყონდიდელის „სამეფო სპის“ მეთაურად დანიშვნაც და მისი მონაწილეობა ქვემო ქართლის საბრძოლო ოპერაციებში.

შეიძლება გამოითქვას ვარაუდი იმის შესახებ, რომ რუის-ურბნისის კრებაზევე ეკლესიამ კახეთ-ჰერეთი გადასცა დავით აღმაშენებელს. ამიტომაც უწოდებს ამ კრების ძეგლისწერა მას „რანთა და კახთა მეფეს“, თუმცა მას იმ დროს იარაღის ძალით ეს ქვეყნები შემოერთებული არ ჰქონია. იარაღის გამოყენება არ დასჭირდა, რადგანაც „დავითის მომხრე ჰერმა დიდებულებმა აღსართან კახთა მეფე შეიპყრეს და მეფეს გადასცეს, რის შემდეგ მეფემ დაიკავა ჰერეთი და კახეთი“[44]. ცხადია, ეს დავითის პირადი დამსახურება იყო, მაგრამ შეიძლება ეკლესიასაც ედო თავისი წილი, ყოველ შემთხვევაში, მეფემ კახეთ-ჰერეთი სწორედ რუის-ურბნისის კრების დამთავრების შემდეგ შემოიერთა. ამან მაჰმადიანი მფლობელების: სულთნის, განძის ათაბაგის და სხვათა უკმაყოფილება გამოიწვია, მეფემ მათი ჯარი დაამარცხა ერწუხში 1104-1105 წლებში, რის შემდეგ მან „თვითმპყრობელობით დაიპყრო ჰერეთი და კახეთი და ნებიერად აღიხვნა ციხენი და სიმაგრენი მათნი“[45].

მაგრამ ჰარმონიის მიღწევა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ადვილი არ ყოფილა[46]. ეკლესიაში დავით აღმაშენებლის დროისათვის ყოფილან ქვეყნის ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგე ძალები, რომელნიც მეფის მოწინააღმდეგეებს, ან პოტენციურ მოღალატე დიდგვაროვნებს უჭერდნენ მხარს. ესენი ძირითადად იყვნენ ეკლესიის მაღალი ფენის წარმომადგენელი ეპისკოპოსები. ისინი ეკლესიაში მოხვედრილან სწორედ თავიანთი არისტოკრატული წარმოშობისა და სიმდიდრის წყალობით. მათ ძეგლისწერა „ულირსებს“ უწოდებს. ისინი „...სამეფო დასის შეხედულებითა და სახელმწიფოს ცენტრალისტური პოლიტიკის აზრით, არიან „ულირსნი“, მოწინააღმდეგე დაჯგუფების თვალსაზრისით კი ისინი ალბათ სრულიად ღირსეულნი არიან. ასეთ „ულირსთა“ ოპოზიცია, ჩანს, ძალიან ძლიერი იყო. მეფის წინააღმდეგ მთელი მონასტრები გამოდიან, რომელნიც დავითმა ამის გამო „გაამწარა“ (ანდერძი დავით აღმაშენებლისა)[47]. ამ „ულირსთა“ გადასაყენებლად საჭირო

გახდა საგანგებო საეკლესიო კრების მოწვევა. ნიშანდობლივია, რომ ამ საეკლესიო კრების ოქმის პირველი მუხლი სწორედ ამ „ულირსთაგან“ ეკლესიის განწმენდის ფიქსირებას ახდენს. „1103 წელს დავით აღმაშენებელმა საგანგებოდ ჩატარებული დიდი სამზადისის შემდეგ განახორციელა რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევა, რომლის მიზანი იყო ეკლესიაში მოკალათებული მეფის მოწინააღმდეგე დასის განდევნა და უმაღლეს საეკლესიო თანამდებობებზე მეფის ცენტრალისტური პოლიტიკის მომხრეთა აღზევება“[48].

„...სამღვდელმთავროთა მომეტებული ნაწილი ულირს მამათმთავრებს ჩაუვარდათ ხელში, „მამულობითა უფროს ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს“. წოდებრიობა გაბატონებული იყო და უმთავრესი მნიშვნელობა პირადს ღირსებას კი არ ჰქონდა, არამედ ჩამომავლობას. რა გასაკვირველია, რომ ამ ეპისკოპოსებს „მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს“... სამღვდელმთავრო საყდარზე, „იყვნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთა უწესოდ დაეპყრნა საყდრები“. რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ გადააყენა ულირსნი მღვდელმთავარნი მთავარ-წარჩინებულთა შთამომავლობისანი და ამით გვარიშვილობის მნიშვნელობა ეკლესიის მსახურთათვის უარყო, ხოლო პირად ღირსებას შესაფერისი პატივი და უფლება მიანიჭა. ამგვარად, რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ განახორციელა და დააკანონა ის, რასაც ორმოცის წლის წინათ ჰქადაგებდა ჩვენი შესანიშნავი მოღვაწე გიორგი მთაწმინდელი“[49].

როგორც ივანე ჯავახიშვილი, ისე ზოგიერთი სხვა მეცნიერი, მიიჩნევს, რომ დავით აღმაშენებლის ინიციატივით მოწვეულმა რუის-ურბნისის კრებამ მიზნად დაისახა ქართული ეკლესიის განახლება (რეფორმა) იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებიც გიორგი მთაწმინდელმა წამოაყენა[50].

შიმშილობის დროს საქართველოში ჩამოსული გიორგი მთაწმინდელი „თავის თვალით ხედავდა, რამდენად გულცივი იყო მაშინდელი უმაღლესი წოდებისაგან გამოსული სამღვდელოება და როგორ გულხელდაკრეფილი შესცქეროდა ქვეყნის ტანჯვას. ზოგნი ეპისკოპოსთაგანნი, რომელნიც იყვნენ „მდიდარნი ფრიად და წარჩინებულნი“, მარტო იმაზე ფიქრობდნენ, რომ „სიმდიდრითა სავსეთა თვისთათა ეკლესიანი შეიმკვნეს და „განაშუენნეს“, „რათა მონასტერთა შინა აღაპი დაიდვას“ მათს სახელობაზე, რომ ამავე დროს ხალხი მშიერი და ღატაკი იყო და საშინელს გაჭირვებაში ჩავარდნილს, არსაით მშველელი არ ჰყავდა. ამგვარს მღვდელ-მოძღვრებს ეს არ აწუხებდათ. ამ ჯურის ეპისკოპოსი „გლახაკთა ყოვლადვე არა მიხედვიდა“... ამ წრეში წოდებრიობა და სიმდიდრე გაბატონებული იყო. საეპისკოპოსო ხარისხი მაშინ დიდებულ აზნაურთა გვარის შვილებს ეპყრათ. ამ თანამდებობას მეფე ბაგრატ IV თურმე ჰყიდდა. რაკი ეკლესიას ასეთი უკანონობა შემოეპარა, რასაკვირველია, ეპისკოპოსობას ღირსეული კი არ მიიღებდა, არამედ ვინც უფრო მდიდარი იქნებოდა. ეს საშინელი გამანადგურებელი უწესობა ძირ-ფესვიანად უნდა აღმოფხვრილიყო“[51].

გიორგი მთაწმინდელმა მოსთხოვა მეფეს, რათა „...არ ჰყიდდეს საეპისკოპოზოთა კაცთა მიმართ უწესოთა და უსწავლელთა და ყოვლითურთ სოფლისა შემსჭვალუ-

ლთა და უწესობით და მიმოსვლათა შინა აღზრდილთა, არამედ გამოირჩევდეს კაცთა ღირსთა და წმიდათა და მონაზონობათა შინა აღზრდილთა და ღვთივ-სულიერთა მოძღვართა მიერ წამებულთა"; ეპისკოპოსებს კი მოსთხოვა, რათა „...თვალღებით ხელთდასხმასა არ ჰყოფდნენ და უღირსთა მღვდელთა არ აკურთხებდნენ", ხოლო თვითონ „არა შეჰკრებდენ ოქროსა და ვეცხლსა, არამედ უმეტეს ყოვლისა სწყალობდენ გლახაკთა და უღონოთა". აი, მაგალითად, რა უთხრა ჩვენმა დიდებულმა მოღვაწემ ერთ ეპისკოპოსს, რომელიც „მდიდარი ფრიად და წარჩინებული" იყო და იმაზე ზრუნავდა მარტო, რომ „სიმდიდრითა საფასეთა თვისთათა ეკლესიანი შეამკვნეს და განაშვენნეს და რათა მონასტერთა შინა აღაპი დაიდვეს და ამით მიზეზითა სცვიდა სიმდიდრესა თვისსა, ხოლო გლახაკთა ყოვლადვე არა მიხედვიდა". მეუფეო, ეს შენი საქციელი ეშმაკის მანქანებიდან შთაგონებით არის ნაკარნახევი. „ეგე ბრძოლა ბოროტისა მტერისა არს", ეშმაკი გაცდუნებს და მას უნდა, „რათამცა ეკლესიათა და აღაპთა მიზეზითა გლახაკთა უწყალობასა შინა მოგკლა", რომ ეს ღვთისნიერი საქმე კი არ არის, არამედ ეშმაკის მიერი, ცხადია, „რამეთუ არა თუ მას გეტყვის ღმერთი, ვითარმედ ეკლესიანი შეამკვენითო, არამედ რამეთუ „მშიოდა და არა მეცით ჭამადი", ვითარცა იტყვის იოანე ოქროპირი"[52].

მაგრამ ღირსმა მამამ „...სიტყვები არ იკმარა, მან საქმითაც განახორციელა თავისი დემოკრატიული და ზნეობრივი მოძღვრება და იმდროინდელი ქართული ეკლესიის წოდებრიობა დაარღვია. წინათ თუ ჩვეულებრივ მღვდლობა და სხვა უფრო მაღალი საეკლესიო პატივი აზნაურთა გვარიშვილების ხელში იყო, გიორგი მთაწმინდელმა შიმშილობის დროს სხვადასხვა ადგილას „შეკრიბა, რომელნიმე ქალაქთაგან, რომელნიმე დაბათაგან, სხვანი უდაბურთა ადგილთა პოვნა, სხვანი მონებისაგან გამოიყვანნა, ხოლო სხვანი უმწირესისა ცხოვრებისაგან იხსნა", გაანათლა, აღზარდა და „ესე ვითართა შეურაცხთა საქმეთგან მღვდლად უბიწოდ, მნედ სარწმუნოდ ქრისტესა შეწირნა". მონებისა და ყმების მღვდლად კურთხევა იმ დროისათვის დიდი გამბედაობა იყო. ამიტომაც იყო, რომ „ყოველსა აღმოსავლეთს (ანუ საქართველოს) განეფინა საქმე ესე საკვირველი... გიორგი მთაწმინდელმა, მაშასადამე, ქართული ეკლესიის წოდებრიობა დაარღვია, წოდებრივი უპირატესობა საეკლესიო საქმეებში უარჰყო და ადამიანის პირადი ღირსება წინ წამოაყენა, თანაც ეცადა ქართული ეკლესიისათვის დემოკრატიული მიმართულება მიეცა. საშუალო საუკუნეებში ყველგან, მეტადრე კი საქართველოში, ასეთი მოღვაწეობისათვის დიდი გაბედულება იყო საჭირო. თვით დასავლეთ ევროპაშიც კი ეკლესიასა და მონასტრებში დემოკრატიული მიმართულება XIII საუკუნიდან დაიწყო მხოლოდ"[53].

რუის-ურბნისის კრების I მუხლის გადაწყვეტილებით განკვეთილი ეპისკოპოსების მაგიერ დაადგინეს ახლები. განუკვეთიათ მეფის მოწინააღმდეგენი, „ნაცვლად მათდა სხვანი დავადგინეთ, რომელთა ჰასაკისაგანცა და საქმეთაგან აქვნდა წამებაი და კეთილად განეწვართნეს ხორცნი დამორჩილებად სულისა"[54]. ე. ი. მათ ნაცვლად ასაკით და საქმით სარწმუნონი დავადგინეთ, რომელთაც ხორცი სულს დაუმორჩილესო. იურიდიული საფუძველი ეპისკოპოსების გადაყენებისა, ჩანს, ის ყოფილა, რომ „ულირსთა და უწესოთა მამულობით უფრო, ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს

უფროსნი საეპისკოპოსონი, ვითარცა ავაზაკთა და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს“. სწორედ აქედან გამომდინარეობდა ის, რომ „სახლით უფლისათ და მღვდელთაგან გამოვიდოდა ყოველი ურჯულოება და ცოდვა“[55].

ასეთი ტიპის სამღვდელოება იყო ძირითადი მოწინააღმდეგე მეფის გაძლიერებისა. აქ ასე იდგა საკითხი: ან ძლიერი ეკლესია და სუსტი საერო ხელისუფალი, ან ძლიერი ხელისუფალი და მისი მორჩილი ეკლესია. „იმუნიტეტმოპოვებულ და გაძლიერებულ ეკლესიას უკვე აღარ აწყობდა ძლიერი საერო ხელისუფალი. სახელმწიფო ცდილობდა ეკლესია თავის მოკავშირედ შეენარჩუნებინა. ისევე, როგორც საერო ფეოდალებში, ეკლესიაშიც სახელმწიფო ხელისუფლებას ჰყავდა თავისი მომხრენიც და მოწინააღმდეგენიც. დავითმა თავისი მომხრეების მხარდაჭერით შეძლო იმ დიდი ღონისძიებების გატარება, რომელიც რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ განახორციელა“[56].

შეიძლება დაისვას კითხვა: მხოლოდ ქართულ ეკლესიაში იყო გავრცელებული იმ დროისათვის გვარიშვილობის, წოდებრივი შთამომავლობისა და სიმდიდრის მქონე პირის სამღვდელო ხარისხში კურთხევა თუ სხვაგანაც ასე იყო? ან როგორ მოხდა სიმდიდრის შეჭრა ეკლესიაში? სხვაგანაც, დასავლეთის ეკლესიაშიც, ასევე ყოფილა და იმ დროისათვის იქაც საჭირო იყო ეკლესიისა და მონაზვნობის დემოკრატიზაცია. ივანე ჯავახიშვილი კარგად აღწერს ამის სოციალურ მიზეზებს.

„ქართველი ხალხის ძირითადი ზნეობრივი შეხედულება სახარების მოძღვრებაზე იყო დამყარებული. ხოლო სახარების ზნეობრივი იდეალი იმაში მდგომარეობდა, რომ ადამიანი ისეთივე სპეტაკი და უნაკლო ყოფილიყო, ვითარცა მამაზეციერი, და დაუშრეტელი სიყვარულით და სათნოებით მოჰპყრობოდა თავის მოყვასს, მეტადრე უძლურსა და გლახაკს: მშიერს, მწყურვალს, შიშველს, სნეულსა და სხვას (მათე 25, 35-40). სახარებიდან ჩანს, რომ ქრისტეს უმთავრეს ზნეობრივ მცნებას ქველმოქმედება შეადგენდა“[57].

მაგრამ მოციქულ პავლეს სიტყვების თანახმად („ვისაც შრომა არ სურს, ნურც ჭამს“), დახმარების ღირსი უსაქმურობის გამო გამათხოვრებული ადამიანი კი არ იყო, არამედ უძლური, სნეული და ბუნებითი ნაკლის პატრონი, ასევე, მშრომელი, მაგრამ მაინც ხელმოკლე ადამიანი. ამათ გარდა, ქრისტიანულ კრებულში მოქადაგენი და მოძღვარნი, რომელთაც ამ თავისი საქმიანობის (ქადაგება და მოძღვრება) გამო დრო აღარ რჩებოდა შრომისათვის. თვით იესომ ამცნო თავის მოწაფეებს, რომ მქადაგებელსა და მახარებელს დახმარების მიღების ზნეობრივი უფლება აქვთ. „ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თვისისაო“. „არა უწყითა, – ჰკითხავს იგი (პავლე მოციქული) კორინთელთ, – რამეთუ რომელნი იგი ბაგინსა მსახურებენ, ბაგინისაგან სჭამიან? და რომელნი საკურთხეველსა წინაშე ჰდგანედ, საკურთხევლისაგან ნაწილი განიღიან? ეგრეცა უფალმან ბრძანა, რომელი იგი სახარებასა მიუთხრობენ, სახარებისაგან ცხოვრებაჲ, ხოლო მე არაჲ რა ვიხმიე ამათგანი“-ო (1 კორინთელთა, 9, 14-16). მართლაც, როცა კი პავლე ქადაგებისაგან მოიცლიდა, მაშინვე თავის ხელობას შეუდგებოდა და კარვებს აკეთებდა ხოლმე ...კვიპრიანე ეპისკოპოზის (მე-III საუკ.) წერილებიდან ჩანს, რომ უძველეს ხანაში, ქრისტიანო-

ბის პირველი საუკუნეების განმავლობაში სწორედ ამ მცნებას მისდევდნენ და ეკლესიის მწყემსნი ცდილობდნენ თავიანთი შრომით გამოეკვებათ თავი. მაგრამ თანდათან საქმის მდგომარეობა იცვლებოდა: მღვდლებსა და დიაკვნებს იმდენი საქმე დააწვათ თავზე, როცა ქრისტიანობა საყოველთაოდ გავრცელდა და ნებადართულ სარწმუნოებად იქნა აღიარებული, რომ ლუკმა პურის საშოვნელად აღარ სცალოდათ და ხელობისათვის თავი უნდა დაენებებინათ; სამღვდელოება იძულებული გახდა სამწყსოსათვის მიემართა და იქიდან მიეღო სასყიდელი და გამოსაკვები[58]... მონაზვნები თვითონ მუშაობდნენ ხოლმე სამონასტრო მამულებში, ვენახსა და ბაღჩებში, ხე-ტყეს თვითონ ჭრიდნენ და მოჰქონდათ. მინდვრად, ცელვისა და მკის დროს, სახელოსნოებსა და ბოსლებში, ყველგან, თვითონ ბერები მუშაობდნენ.

„მონაზვნები ცდილობდნენ, როგორმე შეენარჩუნებინათ უმთავრესი და ძირითადი აღთქმა: სრული სიგლახაკე და თავისი ოფლით ლუკმა პურის ჭამა. მაგრამ სამონასტრო წესწყობილების დროს სრულ სიგლახაკეზე ლაპარაკი აღარ შეიძლებოდა: მონასტერს თავისი საკუთრება ჰქონდა - მოძრავიც და უძრავიც. მართალია, ეს ქონება თითოეული ბერის კერძო კუთვნილება არ იყო, კერძო საკუთრებას კი არ შეადგენდა, არამედ საზოგადოს, მაგრამ მაინც ხომ საკუთრება იყო და თითოეულ მონაზონს წილი ედო ამ ქონებაში. ერთი სიტყვით, ჩვენ ვხედავთ, რომ მამულის საკუთრება, სწორედ ის, რასაც ასე გაშმაგებით გაურბოდნენ და თავიდან იშორებდნენ ხოლმე მონაზვნები, როცა სიგლახაკისა და ქალწულობის აღთქმას სდებდნენ, მათთვის მაინც საჭირო გახდა, უიმისოდ არსებობა აღარ შეეძლოთ“[59].

„მონასტერში სოციალური უთანასწორობის კვალი წარხოცილი იყო. სავანის კარები ყოველი წრის წარმომადგენლისათვის სამოღვაწეოდ ღია იყო და იქ დაწინაურებისათვის მხოლოდ პირად ღირსებასა და ღვაწლს ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა“[60]. ასე ყოფილა საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის აზრით, X-XI საუკუნეებამდე. „თუ წინათაც მონასტრებში მიმავალნი მოწინავე წოდების წარმომადგენელნი ბლომად იყვნენ, ამ ხანაში მათი რიცხვი თანდათან მატულობდა... ეფთვიმე მთაწმიდელის დროსაც „მრავალნი მოვიდიან საფასითა დიდითა მოქალაქენი და სხვათა ადგილთაგან, რაითამცა მოიპარსნეს მონაზონად“. ასევე იქნებოდა სხვა განთქმულ ქართულ სავანეებში საქართველოშიც და გარეთაც. ასეთ პირებს თან მონასტრისათვის დიდი ქონება მოჰქონდათ, „მოვიდიან საფასითა დიდითა“. მათ შორის ბევრი იყვნენ ისეთნი, რომელთაც სათითაოდ „არა მცირედი საფასე მიეცა მონასტრისადა“. ამ გზით თვით მონასტრების მოღვაწეთა შემადგენლობის სოციალური სადაურობა შეიცვალა, მონასტრები მოწინავე წოდების შვილებით აივსო და დაბალ წრეებს სამონასტრო მოღვაწეობისადმი მიმყვანებელი კარი დაეხშოთ. ერთი სიტყვით, მონასტრებიც არისტოკრატულ დაწესებულებებად იქცნენ, ხოლო რადგან ეპისკოპოსად მხოლოდ ბერი შეიძლება არჩეული და კურთხეული ყოფილიყო, ამიტომ უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლებაც მთლად მაღალი წოდების წარმომადგენელთ ჩაუვარდათ ხელში და სხვებს ყველას გზა შეეკრათ. მაღალი სამღვდელოება ხუცესად კურთხევის დროსაც შთამომავლობით თავისსავე მსგავსს უკაფავდა გზას. ეს პროცესი, უეჭველია, უკვე მეათე საუკუნეში უნდა იყოს დაწყებული“[61].

მონაზვნებს დაევალათ მხოლოდ და მხოლოდ ელოცათ და არ ეზრუნათ სამეურნეო საქმიანობაზე. მონასტერში დაქირავებული ერისკაცები იშრომებდნენ.

„მონასტრების დამაარსებელნი და მამასახლისნი ცდილობდნენ, რომ ბერები სამეურნეო საზრუნავსა და მამულის მოვლა-დამუშავებას დაეშორებინათ. სამონასტრო მამულების გამგეობა და მოურავობა ერისკაცებს ჩააბარეს. ბაღებში, ვენახებსა და მინდვრად კი მუშებს ამუშავებდნენ ხოლმე. ყველაფერი წმინდა მამებს მზამზარეული უნდა მოჰრთმეოდათ, „რათა ღვთისათვის ოდენ განკვეთილნი, მას მხოლოსა, თვინიერ საწუთროისა ზრუნვასა, ჰზრახვიდენ (და წინაშე ღვთისა) მეოხებად კადნიერ იყვნენო“[62]. დიდებულ აზნაურებს თავიანთი საკუთარი მონასტრები ჰქონდათ. ისინი და მეფეებიც სწირავდნენ მამულებს მონასტრებს, რათა ბერებს მზა „ტრაპეზისა შემოსავალნი“ ჰქონოდათ. „სარჩოს უჩენდნენ ბერებს და მუშაობას უკრძალავდნენ. მათ ეგონათ, რომ თუ მონაზვნები ამქვეყნიურ ჭირვარამს მოშორდებიან, მაშინ მათ შორის შური და უთანხმოებაც აღარ იქნებოდა და ზნეობრივად წმინდა და სრულნი გახდებოდნენ“[63].

„ამგვარად, მონაზვნები, რომელნიც კერძო საკუთრებასა და ქონებას გაურბოდნენ, ისევ საკუთრებასვე დაუბრუნდნენ... მონაზონთა ძმობა თავისი ოფლით კი აღარ ცხოვრობდა, არამედ ყმების ოფლითა და ნამუშევრით ირჩენდა თავს... რასაკვირველია, ამნაირ გზას ყველა მონასტერი არ დასდგომია“[64].

როგორც აღინიშნა, გიორგი მთაწმინდელი იბრძოდა ეკლესიის დემოკრატიზაციისათვის „გიორგი მთაწმინდელს, ვითარცა მხოლოდ ერთი მონასტრის წინამძღვარს, მთელი ქართული ეკლესიის დემოკრატიზაციის განხორციელება არ შეეძლო: ამის უფლება მარტო საეკლესიო კრებას ჰქონდა. საქართველოს სამეფო ტახტზე რომ მაშინ ბაგრატ IV-ის მაგიერ დავით აღმაშენებლის მსგავსი ძლიერი პიროვნება და ბრძენი მმართველი მჯდარიყო, ეგების გიორგი მთაწმინდელი სრულებით გამარჯვებული ყოფილიყო“[65]. დავით აღმაშენებელმა ეს საქმე რუის-ურბნისის კრებას განახორციელებინა 1103 წელს[66].

II მუხლი რუის-ურბნისის კრებისა შეეხო ასაკს.□აქ ნათქვამია, რომ აჩქარება ხელდასხმის დროს უკანონო საქციელია. დაადგინეს კანონი: ეპისკოპოსი 35 წლისა, მღვდელი 30 წლისა, დიაკვანი 25 წლისა, წიგნისმკითხველი 8 წლისა და არანაკლები ასაკისა უნდა ყოფილიყვნენ[67].

III მუხლით აიკრძალა ერთსა და იმავე დღეს ხელდასხმა ერთი ადამიანისა წიგნისმკითხველად, იპოდიაკვნად, დიაკვნად, მღვდლად და ეპისკოპოსად. ჩანს, ასეთი გასაოცარი წესიც კი ყოფილა: უხარისხო ადამიანი ერთ დღეში ეპისკოპოსადაც კი უკურთხებიათ. თუკი რაიმე მიზეზი არ არსებობს ასაჩქარებლად, მათ წლები უნდა დაჰყონ თითოეულ ხარისხში და უფრო მეტად დიაკვნობაში, რადგანაც დიაკვანთა სიმრავლე ამშვენებს საეკლესიო წესსო. ამიტომაც კრება ამცნობდა ეპისკოპოსებს, რათა ისინი ცდილიყვნენ თავიანთ ეკლესიებში დიაკვანთა გამრავლებას. ივ. ჯავახიშვილი წერს: „მაშინდელი შეხედულებით ხალხი ორ მთავარ ნაწილად იყოფოდა, რომელთაგან ერთს, უმცირეს ნაწილს, „მოწესენი“, სამღვდელოება და ბერმონაზვნები, მეორე უმთავრეს ნაწილს „ერისკაცნი“ შეადგენდნენ. მოწე-

სეებად სამღვდელოება იმიტომ იწოდებოდა, რომ მისი ყოფაცხოვრება საეკლესიო წესებს ემორჩილებოდა. ...ეკლესია ორ უმთავრეს ნაწილად იყოფოდა: საეროდ და სამონასტროდ. საერო ეკლესიას მრავალრიცხოვანი მსახური ჰყავდა: 1) წიგნისმკითხველნი, 2) კერძო დიაკონნი, 3) დიაკონნი, 4) დედათდიაკონნი, 5) ხუცესნი ანუ მღვდელნი, 6) ქორეპისკოპოსნი, 7) ეპისკოპოსნი, 8) მთავარეპისკოპოსნი და კათალიკოზი. იყო აგრეთვე „ქადაგი". საეკლესიო მსახურის თანამდებობას „პატივი" ეწოდებოდა. ეკლესიის მსახურების თითოეულ საფეხურს კი „ხარისხი" ერქვა. საეკლესიო მსახურთა უფროს-უმცროსობა ისე იყო მოწყობილი, რომ იკურთხებოდნენ ხოლმე „ერის-კაცებისაგან წიგნისმკითხველად, წიგნისმკითხველისაგან მთავარ დიაკონად, მთავარდიაკონობისაგან მღვდლად, მღვდლობისაგან ქორეპისკოპოსად, ქორეპისკოპოსობისაგან ეპისკოპოსად. საეკლესიო თანამდებობის მიღებას „დადგინება" ეწოდებოდა. დადგინებისათვის საჭირო იყო განსაკუთრებული საეკლესიო დალოცვა და მღვდელმსახურება, რომელსაც ეწოდებოდა „ხელთდასხმა". „პირველად წიგნის-მკითხველად და კერძო დიაკონად ოდენ ჯერ არს ხელთა დასხმაო", ნათქვამია რუის-ურბნისის ძეგლისწერაში, რადგანაც „პირველი წესი წმიდისა ეკლესიისა წიგნის მკითხველობა არს". მისი მოვალეობა იყო „საღმრთონი იგი ხელთა ქონებად წიგნი შეკრძალულებით" და საღმრთო სჯულის წიგნების შეგნებული წაკითხვა, რომ მსმენელთა გულსა და გონებას მოჰხვედროდა. „წიგნის მკითხველი რვისა წლისა" შეიძლებოდა რომ ყოფილიყო. ამაზე პატარა ამ თანამდებობისათვის არ გამოდგებოდა და არც შეიძლებოდა რომ ეკურთხათ. ეს ცნობა ცხადჰყოფს, რომ მაშინდელ საქართველოში 8 წლის ბავშვს უკვე იმდენი განათლება ჰქონია, რომ მღვდელმსახურებაში ასეთი თანამდებობისა და შეგნებული მონაწილეობის მიღება შესძლებია. ამისდა მიხედვით საფიქრებელია, რომ სწავლას იმ დროს ბავშვს 5-6 წლითგან აწყებინებდნენ ხოლმე.

თავის პირდაპირ საეკლესიო მსახურების გარდა მთავარდიაკონს ებარა საქმე სჯულიერებისა, ქვრივ-ობლებზე მზრუნველობა. ეკლესიის მსახურთა შორის განსაკუთრებული და საპატიო ადგილი ხუცესს, ანუ მღვდელს ეკუთვნოდა იმიტომ, რომ, გრიგოლ ხანძთელის სიტყვით, „მღვდლობა უფროის არს ყოველთა დიდებათა სულიერთა და ხორციელთა, რამეთუ ქრისტეს ნაცვლობაჲ არს". ვითარცა საკურთხევლისა და „სიწმიდის" მსახურს და ქრისტეს ნაცვალს, მას მაშინდელი შეხედულებით იმოდენი სიწმიდე უნდა ჰქონოდა, რომ „დასდვას ხელი სნეულთა ზედა და განიკურნენო"[68].

IV მუხლით სავალდებულო გახდა, რომ ხელთდასხმისას, აგრეთვე ეკლესიის, საკურთხევლისა და მირონის კურთხევისას გამოყენებული ყოფილიყო გიორგი მთაწმინდელის „ახალი კურთხევანი".

V მუხლით აიკრძალა ყოველგვარი ქრთამის გაცემა და მიღება ხელთდასხმის საფასურად.

VI მუხლის თანახმად, ყოველგვარი საეკლესიო ნივთი და შენაწირი ხელუხლებლად უნდა დებულიყო. არავის ჰქონდა მისი მოხმარების უფლება სხვა რაიმე საქმისათვის, საეკლესიოს გარდა.

VII მუხლის თანახმად, აიკრძალა ეკლესიის გარეთ ნათლისცემა, ჯვრისწერა, მონაზვნად კურთხევა, ასევე აეკრძალა მღვდელ-მონაზონს გვირგვინის კურთხევა, ანუ ჯვრისწერა და მღვდელს - მონაზვნის აღკვეცა.

VIII მუხლით ჯვარდაწერილთ იმავე დღეს უნდა მიეღოთ ზიარება, თუ უზიარებლობით არ იყვნენ დასჯილნი ან სხვა რაიმე მიზეზის გამო ეს აკრძალული არ ჰქონდათ.

IX მუხლით მეორეჯერ ჯვრისწერა ისჯებოდა მორალურად, თუმცა კი ნებადართული იყო.

X მუხლით აიკრძალა ჩვილი ქალ-ვაჟის ჯვრისწერა, ნება კი მიეცათ მშობლებს მათი დანიშვნისა, სრულწლოვანებისას კი დაქორწინებისა. ქალს 12 წლისაზე ნაკლებს აეკრძალა ქორწინება.

XI მუხლი შეეხება ქორეპისკოპოსების განსაკუთრებით გამორჩევას. ივ. ჯავახიშვილი წერს: „პატივი უმეტესი მღვდელობისაჲ“ ქორეპისკოპოსობა იყო. იგი „წმიდათა ეკლესიათა განმგებელად“ ითვლებოდა, განსაკუთრებით სოფლის ეკლესიათა. მას, მაშასადამე, სოფლის მღვდელ-დიაკონნი ექვემდებარებოდნენ. ამასთანავე მას ვალად ედვა, რასაკვირველია, „დაცვა ყოველთავე საქრისტიანოთა წესთა“ (რუისურბნისის ძეგლისწერა) და მეთვალყურეობა. ქორეპისკოპოსი უნდა „ექმნეს მამად ობოლთა და მოღვაწე ქვრივთა“[69].

ქორეპისკოპოსად შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც მღვდელი, ასევე დიაკონი. მათი გამორჩევის ნება ჰქონდა არა მარტო კათალიკოსს, არამედ ეპისკოპოსსაც.

ივ. ჯავახიშვილი წერს: „რაკი „კათალიკოზი“ იგივე ეპისკოპოზი იყო, ანუ უფრო სწორად რომ ითქვას, როგორც იგი ჩვეულებრივ იწოდებოდა „ყოვლად ღირსი მთავარ-ეპისკოპოსი, კათალიკოსი და ყოვლისა საქართველოისა დიდი მამამთავარი“ იყო. ამიტომ ყველა ის თვისება, რომელიც ეპისკოპოზისათვის აუცილებელი იყო, კათალიკოზისთვისაც უაღრესად აუცილებელი იყო. კათალიკოზი ეპისკოპოსთა მთავარი იყო და საქართველოს ეკლესიის უზენაესი გამგე“[70].

„ეპისკოპოზნი იყვნენ „პატივსა მღვდელმთავრობისასა“ და ამის გამო მას მღვდლები და ეკლესიის ყველა მსახურნი ექვემდებარებოდნენ. იგი იყო სულიერი „მთავარი ერისა“, ჰქონდა „სული ხელმწიფისა“, და შეეძლო როგორც „გახსნა ყოვლისა კრულებისა“, ისევე დაკრულვა. ეპისკოპოსი თვით „სწავლულებითა და მეცნიერებითა“ განმტკიცებული მწყემსი იყო ერისა და მუდამ ითვლებოდა მზრუნველად და „მლოცველად ერისა“ და „მცველად სარწმუნოებისა“. დიაკვნისა და მღვდლის მსგავსად ეპისკოპოსიც კაცთმოყვარეობით უნდა ყოფილიყო განთქმული. ეპისკოპოსს ჰქონდა საეპისკოპოსო ტახტი – „საყდარი“, რომელსაც იგი „იპყრობდა“ ხოლმე, რა წამს ეპისკოპოსად ეკურთხებოდა. მას ჰყავდა თავისი „სამრევლო“. ამის გამო გარკვეულ ხანამდის „საყდარი“ საეპისკოპოსო ეკლესიასაც ჰნიშნავდა...“[71].

XII მუხლი შეეხებოდა „მოძღვრებს“. მათი რიცხვი მონაზონთა შორის აურაცხელი ყოფილა, ზოგიერთ მონასტერში 5-დან 30-მდეც კი. ეს ყოფილა შფოთისა და განხეთქილების მიზეზი. კანონმა შეამცირა მათი რიცხვი. „მოძღვრად“ ყოფნის ნება მხოლოდ სამღვდელო პირს მიეცა. ამის გამო თითოეულ მონასტერში შეიძლებოდა ყოფილიყო ერთი, ხოლო დიდში – ორი მღვდელი.

„განსაკუთრებული ადგილი ეკავა სამონასტრო ცხოვრებაში მოძღვარს. „მოძღვარი“ მეცნიერი ბერი იყო, რომელსაც მოწაფეები ჰყავდა და რომელთანაც სხვადასხვა მხრიდან მოდიოდნენ ხოლმე სასწავლებლად. მოძღვარი თავის მოწაფეს სულიერ-სარწმუნოებრივ ხელმძღვანელობასაც უწევდა და მწერლობას, მეცნიერებასა და რომელსამე ხელოვნებას ასწავლიდა. მოწაფე თავის მოძღვართან ცხოვრობდა და სწავლობდა. ზოგჯერ მოწაფე უკვე ყმაწვილი და უსწავლელი აღარ იყო, მაგრამ განთქმულ მოძღვართან სწავლას მაშინ მომწიფებულნი და შუახნისანიც არ უკადრისობდნენ... ვითარცა მეცნიერსა და ყველასაგან პატივცემულ პიროვნებას, რომელთანაც მშობლებს თავიანთი შვილები მოჰყავდათ, „რათამცა ისწავლეს სწავლაი და ხელოვნებაჲ“. მათ მონასტერში დიდი გავლენა ჰქონდათ და მათ აზრს, ნებით თუ მათი ავტორიტეტის წყალობით – უნებლიეთაც, ყველანი ანგარიშს უწევდნენ. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მონასტრის საერთო დადგენილების აღმნუსხველ საბუთებში სავანის მამასახლისის შემდეგ მოძღვარი იხსენიებოდა“[72].

როგორც აღინიშნა, რუის-ურბნისის კრებამ მოახდინა მოძღვრების რაოდენობის ნორმირება. ამით ის მონასტერთა შინაურ ცხოვრებაში ჩაერია. მართლაც, მონასტრები უწევდნენ ორგანიზებას ქართულ ეკლესიას და მათ შეეძლოთ ეკლესია დიდად ორგანიზებულ, ანუ უძლეველ ძალად ექციათ ქაოსურ ფეოდალურ საზოგადოებაში, ხოლო მონასტერთა სულიერი წარმმართველები მოძღვრები იყვნენ. ამიტომაც ქართულმა სახელმწიფომ, რომელიც თავის გვერდით ვეღარ იტანდა ეკლესიის უძლეველ სიძლიერეს, შეკვეცა ავტორიტეტი და რაოდენობა მოძღვრებისა აღნიშნული მუხლით.

ისიცაა აღსანიშნავი, რომ მონასტრებში მოძღვრები შეიზღუდნენ, მაგრამ მოძღვართმოძღვარმა მოიპოვა უფლება, ყოფილიყო „დარბაზის კარის“ უწარჩინებულესი წევრი. მისი ღირსება საგანგებო ხაზგასმით აღიარებული უნდა ყოფილიყო ხელმწიფის მიერ დარბაზობისას.

მოძღვართმოძღვარი სწორედ მოძღვრების უფროსს ეწოდებოდა. მოძღვრებს საკუთარი წესწყობილება ჰქონდათ. მოძღვრების ინსტიტუტი წარმოადგენდა ანგარიშგასაწევ ძალას სახელმწიფოსათვის - „მარტო მოძღვრები არ ყოფილან. მათ ერთგვარი წესწყობილება ჰქონიათ და უფროსიც ჰყოლიათ, რომელსაც „მოძღვართ მოძღვარი“ ეწოდებოდა. ამ მოძღვართ მოძღვარს თავისი „მოწაფენი“ ჰყავდა, მას და მის მოწაფეებს საქართველოში უაღრესი პატივისცემა ჰქონდათ მოხვეჭილი. დიდი დარბაზობის დროს მას თვით კათალიკოსზედაც კი მეტი უპირატესობა ჰქონდა მინიჭებული. ... დარბაზშიც პირველად მოძღვართ-მოძღვარი უნდა შეეყვანათ, ხოლო შემდგომ კათალიკოზი. თვით მეფეც მას მეტი პატივისცემით უნდა მისალმებოდა, ვიდრე კათალიკოზსა და ვეზირებს“[73].

„მოძღვრებად, როგორც რუის-ურბნისის ძეგლისწერიდან ჩანს, მონაზვნები ყოფილან, რომელნიც თუმცა „უმღვდელონი“ ყოფილან... მაგრამ მაინც კისრულობდნენ „განმკითხველობასა სულთასა“. მათი სიმრავლე, განსაკუთრებით კი მათი „უმღვდელობა“ და გაბედული ქცევა, ეპისკოპოსებს აწუხებდა: „მრავლისა შფოთისა და განხეთქილებისა მიზეზსა შემოიღებს სიმრავლე მათიო“. რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ მათი მოქმედება შეზღუდა და განსაზღვრა“[74].

მონასტრის ძმობასთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: თანახმად ივანე ჯავახიშვილისა, ძმობა სამ ჯგუფად იყოფოდა, პირველი ჯგუფი „თავადთა ძმათა“ სახელით იყო ცნობილი, მეორე ჯგუფს ერქვა „დასი მღვდელთა“, ბერების მესამე ჯგუფს კი „მწირნი“ ეწოდებოდა.

პირველ ჯგუფში შედიოდნენ თანამდებობის მქონე მღვდელ-მონაზვნები: მეჭურჭლე, მეტრაპეზე, კანდელაკი, იპიტირიტისი და სხვა თანამდებობის პირნი (მკითხველ-კანანარხი, მემხრე). მათ „უხუცესნი ძმანიც“ ეწოდებოდათ.

„მეორე დასს მღვდლობის პატივის მქონებელი ბერები შეადგენდნენ. წესდებაში პირდაპირ არის ნათქვამი: „მეორისა დასისათა, რომელთაცა წირვისა მეტი სხვაჲ სახმარობა არაჲ შეეძლოს“ ან „მეორისა დასისა, რომელთა წირვისა მეტი არაჲ შეეძლოს“[75].

„ბერთა მესამე ჯგუფს „მწირნი“ შეადგენდნენ. „მწირად წოდებულნი იგი, რომელ არიან მონაზონნი“. ქართლის კათალიკოზად და მწიგნობართ-უხუცესად ნამყოფი არსენი თავის თავზე ამბობს, რომ ის შიო-მღვიმის მონასტერში „მწირობად შემოსული“ იყო. მაშასადამე, თვით ისეთი პირიც კი, როგორც კათალიკოზი იყო, როცა მონასტერში ისე დამკვიდრდებოდა, რომ მას არავითარი თანამდებობა იქ არ ჰქონდა და მარტო მონაზონურ მოღვაწეობას მისდევდა, თავის თავს „მწირად სთვლიდა და უეჭველია სხვებსაც მწირად მიაჩნდათ“[76].

მონასტრებს მეურნეობის გასაძღოლად შეეძლოთ დაქირავებული მოსამსახურეებიც ჰყოლოდათ.

სამონასტრო ყოფა-ცხოვრების ხელმძღვანელს „წინამძღვარი“ ან მამასახლისი ერქვა. ასურულად მას „ამბა“ ერქვა „ამბა“, „ცნობილია, რომ ათცამეტ ასურელ მამათა საქართველოში მოსვლა-მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ალავერდის მონასტრის წინამძღვარსაც „ამბა“ ერქვა“[77]. სამეურნეო ნაწილში თანაშემწედ მამასახლისს „იკონომოსი“ ჰყავდა, მღვდელმსახურების საქმეში თანაშემწედ კი - „დეკანოზი“. „წმინდა ადმინისტრაციული საქმეების, წესიერებისა და მოვალეობის ასრულების მეთვალყურეობისათვის მამასახლისს ხელქვეშეთ მოხელეებად - „დამხედვარნი“ და „მეკარენი“ ჰყავდა“[78].

მონასტერში აკრძალული იყო „ხმა-მაღლობა“ და ყოველნაირი ხმაურობა. სადამოს ლოცვის შემდეგ ბერებს თავმოყრა და ლაპარაკი ეკრძალებოდათ. ჭაბუკ ბერებს სიცილის, უბნობისა და „ხელისმიყოფის“ ნება არ ჰქონდათ. ამას აკონტროლებდა „დამხედვარი“.

მონასტრის „მეკარე“ აკონტროლებდა ბერების მონასტერში შესვლასა და გასვლას. დიდ დანაშაულად ითვლებოდა „უწესო გულისწყრომა“, „შფოთი“, „გინება“, „შეურაცხყოფა“, „ღვედითა მიმთხვევა“ ანუ ცემა და მკაცრადაც ისჯებოდა[79]. „ცილისწამება და ცრუ შესმენა იმდენად მძიმე დანაშაულად იყო მიჩნეული, რომ ათონის ქართველთა მონასტრის წესდებით, ცილისმწამებელსა და ცრუ დამსმენელს სავანითგან გაძევებით სჯიდნენ“[80]. ბერებს ნება არ ჰქონდათ „ურჩობისა“, „უკითხავად და გამოუთხოველად წასვლისა“ და არ შეეძლოთ სადმე წასვლისას განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ „დაყოვნება“, არ შეეძლოთ „უწესობა“ (ამაში შედიოდა ღვინით თრობა და სხვა).

XIII მუხლიც მონასტერს შეეხება. აიკრძალა მონასტერში ერისკაცთა შეკრება, ვაჭრობა, სამოქალაქო და ქვეყნიური საქმეების გადაწყვეტა და წესების შესრულება „...რაითა არა სალოცველთა მათ ადგილთა ქვაბ ავაზაკთა შექმნითა...“[81]. თქვენი სულის თავშესაფარი „საფარდულები“ მეკერმეთა ფულის ტაბლებივით არ დაიქცესო, აფრთხილებდნენ სამონასტრო ძმობას. აღსანიშნავია, რომ სამღვდელოთა მიმართ ტერმინ „ავაზაკს“ დავითის მემატიანეც ხმარობს მსგავსად რუის-ურბნისის კრების ამ მუხლისა, ეს არაა შემთხვევითი. ჩანს, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მონასტრების ადმინისტრაციულ ჩარჩოებში ჩაყენებას. არ შეიძლება ითქვას, რომ დავითი თავის ანდერძში „მონასტერთა გამწარების“ შესახებ სახელდობრ ამას გულისხმობდა, მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ იმდროინდელი სახელმწიფო ცდილობს თავისებური წესრიგი დაამყაროს მონასტრებში.

XIV მუხლით აიკრძალა ერთ საკურთხეველზე ერთსა და იმავე დროს რამდენიმე წირვის შესრულება.

დიდ საეპისკოპოსო ან სამონასტრო ეკლესიის საკურთხეველზე აიკრძალა ერთი პირისათვის საგანგებო წირვის შესრულება (ცოცხლისა ან მიცვალებულისთვის). წირვა უნდა ყოფილიყო საერთო ეკლესიის მაშენებლებისა, შემომწირველების, როგორც ცოცხლების, ისე მიცვალებულებისათვის, ხოლო ერთი სულისათვის საგანგებო წირვა პატარა სამლოცველოში (ეგვტერში), ან ეკლესიის შტოში მყოფ „ტრაპეზზე“ (საკურთხეველზე) უნდა შესრულებულიყო.

XV მუხლი შეეხება იმ „სომხებს“, ყოფილ მონოფიზიტებს, რომელთაც დაგმეს მონოფიზიტური სწავლება იესო ქრისტეს შესახებ და შეუერთდნენ „წმინდა კათოლიკე ეკლესიას“, ე. ი. მართლმადიდებლობას. ისინი, ამ მუხლის თანახმად, თავიდან უნდა მოინათლონ სრული წესით, ვითარცა წარმართები, რადგანაც ასევე იქცევა ანტიოქიის საყდარი და სხვა აღმოსავლეთის ეკლესიებიო.

XVI მუხლით აიკრძალა მართლმადიდებლის დაქორწინება მწვალებელთან, ან წარმართთან.

XVII მუხლით აიკრძალა იმჟამად გავრცელებული ჯვრისწერის ასეთი სახე: შესაუღლებელ ქალ-ვაჟს ჯვარს წერდა ორი მღვდელი სხვადასხვა ადგილას, ე. ი. ვაჟს – სხვაგან, ხოლო ქალს სხვაგან, მაგრამ გვირგვინის ქვეშ ვაჟთან რომელიმე სხვა ვაჟი დგებოდა და ქალთან რომელიმე სხვა ვაჟი. ასეთი ჯვრისწერა კრებამ მიიჩნია სასაცილოდ და სასტიკად აკრძალა. ჯვრისწერის დროს დასაქორწინებელი ქალ-ვაჟი ერთად უნდა ყოფილიყო და მღვდელს მხოლოდ ამ შემთხვევაში უნდა დაეწერა ჯვარი.

XVIII მუხლი შეეხებოდა სოდომურ ცოდვას. ამ უსაშინელესმა ცოდვამ, ნათქვამია აქ, დაამხო ასურთა, სპარსთა სამეფოები, რადგანაც იქ გავრცელებული იყოო ეს ცოდვა. ამ ცოდვამ სომეხთა დიდი და სახელგანთქმული მოდგმა და სამეფო დაამხო, მოსპო სომხური სახელმწიფოებრიობა; მსოფლიოში ვერსად ვეღარ იპოვი სომეხ მეფესა და მთავარს, რომელსაც დამოუკიდებელი ხელმწიფობა ჰქონდესო. ამ სიბილწემ სპარსელთა და რომაელთა სახელმწიფოები დაამხო. კრება წუხს, რომ ამ ცოდვას ჩვენშიც შემოუღწევია: „არ ვიცით, თუ საიდან შემოაღწია ამ

უკეთურებამ ქრისტეს მოღვაწედ სახელდებულ ერში“[82], ამიტომაც კრებამ გააფრთხილა ყოველი ფენის და ყოველი მდგომარეობის მქონე ქართველობა, მათში შეღწეული ცოდვა მოეშორებინათ: „ამისათვის ვამცნებთ ყველას – დიდსა და მცირეს, მდიდარსა და ღარიბს, მეფესა და მთავარს, აზნაურსა და მდაბიოს, მღვდელსა და არამღვდელს, მოწესესა და ერისკაცს, მოხუცს, ახალგაზრდასა და შუახნის კაცს, ყველა თანამდებობის დასს, ჯგუფს, ყველა ასაკს – განუდგეს ამ ყველა ვნებაზე უფრო საძაგელ სიბილწეს“[83]. „ხორცის სიყვარული ღვთის მტრობაა და ვინც გახრწნის ღვთის ტაძარს, მას ღმერთი გახრწნის“, – წერს კრება[84].

კრებამ საგანგებო საქებელი ეპისტოლეთი მიმართა თვითმპყრობელ მეფე დავით აღმაშენებლს: „...მოსწონს თუ არა კრების ეს დადგენილება შენს მყუდროებას? მოისვენებს და დაცხრება ამით ბოროტების სულთა მდევნელი დავითიანი სული შენი?“[85]. „რომელნი იგი აწ ძღვნად მოგართვნა შენ მწყობრმან შენთა ამათ ნაზირეველთა სიმრავლისამან“[86].

კრებამ ადღეგრძელა და მოიხსენია მეფეთა-მეფე გიორგი, დედოფალი მართა, „აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა“ თვითმპყრობელი დავით ღვთისმსახური და ღვთივდაცული მეფე, იოანე მთავარეპისკოპოს-კათალიკოსი, ყოვლისა საქართველოსა მამამთავარი, წმინდა ბერი ევსტათი მონაზონი, კრების თვალი მეუფე გიორგი მონაზონი და მწიგნობართუხუცესი, კრებაზე დამსწრე ყველა მღვდელმთავარი, მღვდლები და მონაზვნები, არსენი მონაზონი, მოიხსენია გარდაცვლილთა სულები.

ეკლესია – ქართული ქვეყნების მამაერთიანებელი

ტერმინ „საქართველოს“ განსაზღვრება, მისი ტერიტორიული მოცულობის თვალსაზრისით, თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ზოგჯერ არასწორადაა მოცემული. მაგალითად, X-XI სს-ის მიჯნის საქართველოს ტერიტორიის დაყოფის შესახებ წერენ: „საზღვარი საქართველოსა და კახეთის სამეფოს შორის მდ. ქსანზე გადიოდა“[87].

აღნიშნული ეპოქის აღმწერი ქართული მატიანეები წერდნენ არა „საქართველოს სამეფოსა“ და „კახეთის“, არამედ აფხაზეთ-ტაო-კლარჯეთის გაერთიანებული სამეფოსა და კახეთის სამეფოს შორის საზღვარზე. „საქართველო“ არა მხოლოდ აფხაზეთ-ტაო-კლარჯეთის გაერთიანებულ სამეფოს ეწოდებოდა, არამედ ქართველთა ყოველ სახელმწიფოს, იმ დროს არსებულს, რადგანაც, როგორც თვით სიტყვა უჩვენებს – „სა-ქართველ-ო“ ნიშნავს ქართველების, ქართველთა ქვეყანას.

ქართველთა ქვეყნები იყვნენ არა მარტო კახეთის და ჰერეთის სამეფოები, არამედ თბილისის საამირო და ქვემო ქართლში მდებარე კვირიკიანთა სამეფოც, თუმცა თბილისს მაჰმადიანი, ხოლო ქვემო ქართლს მონოფიზიტი მმართველები მართავდნენ.

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, ერთ სამეფოდ გადაქცევა, გამოიწვია ზემოაღნიშნული ქვეყნების ეთნიკურმა ერთიანობამ – ქართველობამ. მიუხედავად იმისა, რომ თბილისი თითქმის 400 წლის მანძილზე მაჰმადიანური საამიროს ცენტრი იყო, მის მცხოვრებთა უმრავლესობას ქართველი ქრისტიანები შეადგენდნენ. ასევე ითქმის ქვემო ქართლში მდებარე ე. წ. „სომეხთა“, ანუ ტაშირ-

ძორაკერტის სამეფოს შესახებაც. ის იმ მიწებზე მდებარეობდა, სადაც არა მარტო ქართული, არამედ სომხური მატიანეების მიხედვით, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ყოველთვის ქართველები შეადგენდნენ. სამწუხაროდ, მათი ერთი ნაწილი „გასომხდა“, რამეთუ მათ მონოფიზიტი მეფეები მართავდნენ. აქ ქართულ ეკლესიას თავისი მრევლის საკმაო ნაწილი ჰყავდა. ეს ბუნებრივია, რადგან თვით დიდი სომხეთის ტერიტორიაზეც კი ანისს, ვალაშკერტსა, დადაშენსა თუ სხვაგან ქართველი მრევლი არსებობდა და იქაურ ქართულ ეკლესიებში ქართველ ეპისკოპოსებს ტახტები ედგათ. ასევე ითქმის ჰერეთის შესახებაც. უნდა ითქვას, რომ ჰერეთს ყველაზე უფრო მეტად არ გაუმართლა ქართულ ქვეყანათა შორის. მისი ბედი მხოლოდ ლაზეთის ბედს შეიძლება შევადაროთ, თუმცა, XVI საუკუნის შემდეგ მისი ბედი მესხეთის დიდმა ნაწილმაც გაიზიარა. ჰერეთი ვრცლად გაჭიმული ქართული ქვეყანა იყო. დიდი ხნის მანძილზე, თითქმის VI-IX საუკუნეებში, ის სომხური ეკლესიის გავლენის სფეროში მოექცა ჯერ სპარსელების, შემდეგ კი არაბების ნებით. არაბთა ოდნავი შესუსტებისთანავე ამ ქვეყანაში აღდგა ქართული სახელმწიფოებრიობა. ქვეყანას ქართულენოვანი მმართველები მართავდნენ, რადგანაც ქართული ენა მოსახლეობის დედაენა იყო. მაშინაც კი, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დროს, ჰერეთი ოფიციალურად კვლავ გრიგორიანული ეკლესიის სამრევლოს წარმოადგენდა. X საუკუნეში დინარა დედოფლის წყალობით ჰერეთი დაუბრუნდა დედაეკლესიას. აქ ქართველობა სრულყოფილად აღდგა, მაგრამ ჰერეთის ეთნიკური სახე მალე შეიცვალა. XI საუკუნის I ნახევრიდან დაიწყო თურქული ტომების მიერ ჰერეთის საუკეთესო მიწების საძოვრებად გადაქცევა. მალე ისინი აქ დამკვიდრდნენ და დაეფუძნენ. ჰერეთს მეორე სახელიც ერქვა – რანი. ის დიდი ქვეყანა იყო, თითქმის ბარდავამდე გადაჭიმული. მისი დიდი ნაწილი თურქების (თურქმანების) სამკვიდრებლად იქცა. აღსანიშნავია, რომ აქ, თურქულ-მაჰმადიანურ გარემოში მცხოვრები მრავალი ქართველი გათურქდა. მართალია, დავით აღმაშენებელმა მრავალჯერ ილაშქრა აქ დამკვიდრებული თურქების გასაძევებლად, მაგრამ საბოლოოდ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ჰერეთის დიდი ნაწილი საქართველომ დიდი თურქობის შემდეგ საბოლოოდ დაკარგა.

თურქ-სელჯუკების მიერ ბიზანტიისა და საქართველო-სომხეთის მიწების დაჭერის შემდეგ დავით აღმაშენებელმა შეძლო მათი გაძევება საქართველოს ძირითადი ტერიტორიიდან. ისინი განსაკუთრებით ფეხმოკიდებულნი იყვნენ კახეთ-ჰერეთსა და ქვემო ქართლში. კახეთიდან და თბილის-ქვემო ქართლიდან ამ დამპყრობლების განდევნამ საქართველოს შეუნარჩუნა ეს ტერიტორიები.

მართალია, XI საუკუნეში ძირითადად კახეთის საქორეპისკოპოსო, ჰერეთის სამეფო, თბილისის საამირო და ქვემო ქართლი დანარჩენი საქართველოს სამეფოსაგან დამოუკიდებლად არსებობდნენ, მაგრამ ქართული ეკლესია, ფაქტობრივად, აერთიანებდა ყველა ამ ქვეყანას. არა მარტო კახეთსა და ჰერეთში, არამედ ქვემო ქართლსა და თბილისშიც კი ქართულ ეკლესიას უდიდესი გავლენა ჰქონდა.

„კარგად ორგანიზებული და გავლენიანი ქართული ეკლესია მთელ შუა საუკუნეებში დიდი პოლიტიკური და იდეოლოგიური ძალა იყო და უაღრესად აქტიურ როლს

თამაშობდა როგორც საერთოდ საქართველოში, ისე განსაკუთრებით XI საუკუნის თბილისში, რომლის ქრისტიანული (ქართული) მოსახლეობა მთელი ოთხი საუკუნის მანძილზე იყო მოკლებული უმაღლესი საერო ხელისუფლების მფარველობას“[88].

მაჰმადიანთა მმართველობის დროს ვინ მფარველობდა თბილისის ქართულ მოსახლეობას?

„...ისტორიკოსს უფლება არა აქვს დაივიწყოს ის ფაქტი, რომ მუსულმანთა გარდა თბილისის ქართულ ქრისტიანულ მოსახლეობას ჰყავდა საკუთარი, კარგად ორგანიზებული და ძლიერი პატრონი: ეს იყო ქართული ეკლესია! **კაცობრიობის ისტორიამ არაერთი დამაჯერებელი მაგალითი იცის იმისა, რომ ამა თუ იმ ერის ნაწილს, როცა იგი დროთა ბრუნვის წყალობით საერო ხელისუფლებას მოკლებულია, ხელმძღვანელობას და მფარველობას უწევს მისი ეკლესია.** ებრაელთა ერი რელიგიამ გადაარჩინა. შეიძლება მივუთითოთ აგრეთვე ჩვენი მოძმე სომეხი ერის მაგალითზე. ასეთი მაგალითების შემდეგ რა საფიქრებელია, რომ მდიდარი და გავლენიანი ქართული ეკლესია, რომელმაც არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც კი შექმნა ქართული კულტურის ბრწყინვალე ძეგლები, თბილისის ქართულ ქრისტიანულ მოსახლეობას დაივიწყებდა და მისი ინტერესების დასაცავად არაფერს იღონებდა. თბილისი ხომ ყოველთვის გარშემორტყმული იყო ქრისტიანული მოსახლეობით, თვით ქალაქშიც ბევრი იყო ქრისტიანული ეკლესია-მონასტრები, აგრეთვე ეკლესიის კუთვნილი ქარვასლები, სახელოსნოები და სავაჭრო დუქნები“[89].

პ. რატიანის აზრით, თბილისის მოქალაქეთა ძირითადი მასა ქართველებისაგან შედგებოდა და მუსულმანთა ბატონობისაგან გათავისუფლებაზე ოცნებობდა[90].

„აჯანყებულ თბილისელებს სასტიკად დაუმარცხებიათ მუსულმანი დამპყრობლები და მათთვის მთელი ქალაქი, მათ შორის ამირას სასახლეც წაურთმევიათ, მაგრამ მტრის სამხედრო ძალის მთლიანად განადგურება და მისი ციხესიმაგრეების აღება ვეღარ მოუხერხებიათ“[91]. ეს მოხდა 1045 წელს. თბილისის მმართველობა თავის ხელში აუღიათ თბილისელ ბერებს. მათ ხელისუფლება საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე სჭერიათ. მაგრამ დიდი თურქობის დროს თბილისელ ქრისტიანებსაც გაუჭირდათ. აქამდე, 1080 წლამდე, პ. რატიანის თვალსაზრისით, ქართული ეკლესია თბილისის საამიროში დევნას არ განიცდიდა. მართლაც, XIII საუკუნეში ქართველმა სამღვდელოებამ მეფეს განუცხადა, თბილისის საამიროში არავინ იკადრებდა ქართული ეკლესიის ქონების მითვისებასო[92].

ცნობილია, რომ თბილისელმა ბერებმა მეფე ბაგრატ IV-ს ორჯერ, 1045 და 1048 წლებში, გადასცეს ქალაქი თბილისი. „თბილელი ბერები“, ანუ „ქალაქის ბერნი“, რომელთა შესანიშნავ მოქმედებაზე „ქართლის მატიანე“ გვაუწყებს, ალბათ იყვნენ თბილისში მოღვაწე განათლებული სასულიერო პირები, საეკლესიო-სამონასტრო ძმობის გამოჩენილი წარმომადგენლები, სამშობლოს პატრიოტები, რომლებიც გვერდში ედგნენ მეფის ცენტრალურ ხელისუფლებას და თავდადებით იბრძოდნენ პროგრესისათვის. ისინი ღვიძლი ძმები იყვნენ იოანე, ექვთიმე და გიორგი ათონელებისა, რომელთაც განუზომელი ღვაწლი დასდეს ერთიანი ქართული სახელმწიფოს მშენებლობასა და დაცვას...“[93].

პ. რატიანს მოჰყავს ნ. ბერძენიშვილის აზრი ქართული ეკლესიის მსახურთა შესახებ: „...ისინი აქტიური პოლიტიკური მოღვაწენი არიან, ქვეყნის პოლიტიკური მშენებლები“[94]. ცხადია, ეს შეეხება მხოლოდ ერთ ნაწილს ქართველი ბერ-მონაზვნებისა.

„ივ. ჯავახიშვილს დადგენილი აქვს, რომ საქართველოს ეკლესიას, როგორც რომის ეკლესიას, სახელმწიფო ცხოვრებასა და წესწყობილებაში განსაკუთრებული უპირატესობანი ჰქონდა მოპოვებული და მინიჭებული, რომელთა წყალობითაც მას მარტო წმინდა საეკლესიო დაწესებულების ხასიათი კი არ ჰქონდა, არამედ სახელმწიფოებრივი სხეულისა და ერთეულის თვისებებიც მოეპოვებოდა“[95]. ამ დებულებას სავსებით ადასტურებს სპეციალისტებისათვის კარგად ცნობილი ისეთი ფაქტები, როგორიცაა: ომებში სასულიერო პირთა, მათ შორის, თვით ეპისკოპოსთა უშუალო მონაწილეობა, გაერთიანებული საქართველოს მეფის კარზე მწიგნობარ-თუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობის შექმნა, თანამდებობისა, რომელიც სახელმწიფოს პირველ ვეზირად ითვლებოდა და არა მარტო სასულიერო, არამედ საერო საქმეებსაც განაგებდა საქართველოს ზოგიერთ კუთხეში. კერძოდ კი, კახეთის სამეფოში ქორეპისკოპოსთა ინსტიტუტის არსებობა, რის შედეგად სასულიერო პირები საქართველოს ამ მხარის მთელი სამხედრო ლაშქრის სარდლები იყვნენ; საქართველოს მთიან რაიონებში ხევისბერთა ინსტიტუტის არსებობა და მრავალი სხვა. „ქართული ეკლესიის დიდ გავლენას და სახელმწიფო საქმეებში მის აქტიურ მონაწილეობას მოწმობს ის ფაქტიც, რომ თითქმის ყველა დიდ ეკლესიასა და მონასტერს ჰყავდა საკუთარი კარგად გაწვრთნილი ლაშქარი, რომელიც საჭიროების დროს მეფის სადროშოს უერთდებოდა და მასთან ერთად ებრძოდა საქართველოს მტრებს. ქრისტიანული ეკლესია შუა საუკუნეების საქართველოში ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა“[96].

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, ქართული ეკლესია თვით მუსულმანთა ბატონობის დროსაც კი ძალზე მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა, იმდენად მნიშვნელოვანს, რომ მან XI საუკუნის ერთ პერიოდში შეძლო ქალაქის მმართველადაც ყოფილიყო.

ასევე ითქმის კახეთის სამეფოს შესახებაც. მართალია, ეს სამეფო დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, მაგრამ ეკლესიურად დამოუკიდებელი არ ყოფილა. იქ ქართული ეკლესიის ძალა განუზომელი იყო. უფრო მეტიც, ქართულ ეკლესიას კახეთში სახელმწიფოებრივი მართვის სადავეებიც კი გარკვეულწილად ხელთ ეპყრა ქორეპისკოპოსთა ინსტიტუტის მეშვეობით, რომელთა ეკლესიური წარმომავლობა პ. რატიანს არ ეეჭვება და ისინი სამხედრო ლაშქრის სარდლობადაც მიაჩნია.

საერთოდ, ქორეპისკოპოსი ეწოდება ეპისკოპოსის (მთავარეპისკოპოსის ან მიტროპოლიტის) საქმეთა მმართველს, რომელსაც ევალება ეპარქიის საქმეების წარმართვა. ქორეპისკოპოსი ასრულებდა იმავე მოვალეობას, რასაც მოურავი ფეოდალის კარზე. ქორეპისკოპოსი მოურავია, გარკვეული თვალსაზრისით. ცნობილია, რომ სამოურავოთა სისტემა დამახასიათებელი იყო კახეთის სამეფოსათვის XVII საუკუნის შემდეგ. შეიძლება ეს იყო აღდგენა, რესტავრაცია ძველი კახეთის სამეფოს მსგავსი სისტემისა, რომელიც მაშინ „საქორეპისკოპოსოთა“ სახელით იყო ცნობილი (იგულისხმება X-XI საუკუნეები).

ასეა თუ ისე, კახეთის სამეფოში ქართულ ეკლესიას დიდი ძალა ჰქონდა. ასევე ყოფილა საქართველოს მთიანეთშიც. მთის თემების მმართველი ხევისბერებიცა და დეკანოზებიც სასულიერო პირები იყვნენ და ქართულ ეკლესიასთან მათი კავშირი უეჭველია.

ასევე ითქმის საქართველოს სხვა კუთხეთა შესახებაც. მაგალითად, ცნობილია, რომ ბაღვაშების საგვარეულო საუკუნეების მანძილზე ებრძოდა საქართველოს გამაერთიანებელ მეფეებს. მიუხედავად ამისა, ისინი იყვნენ ქართული ეკლესიის ერთგული თაყვანისმცემლები, ერთგული შვილები და უანგარო დამხმარენი (ლიპარიტ ბაღვაში ათონის ივერთა მონასტრის ერთ-ერთ მაშენებლადაც კი ითვლებოდა). ისინი ყოველმხრივ მფარველობდნენ, ეხმარებოდნენ და თვითონაც აქტიურად იღვწოდნენ ქართული ეკლესიისათვის, ზოგჯერ ბერადაც იღკვეცებოდნენ. ცხადია, მათ სამფლობელოში (თრიალეთსა თუ არგვეთში) ქართულ ეკლესიას უდიდესი ძალა გააჩნდა.

ზემოთ მოყვანილიდან გამომდინარე, ალბათ, შეიძლება დავასკვნათ: თვით საქართველოს გაერთიანებამდე **სხვადასხვა ქართულ პოლიტიკურ ერთეულებს ფაქტობრივად აერთიანებდა ქართული ეკლესია**. ის საქართველოს უპირველესი და უზენაესი გამაერთიანებელი იყო. თუმცა, ცხადია, სხვაა პოლიტიკური ერთიანობა ერთი ერისა. ამიტომაც, ქართული ეკლესია ყოველთვის მხარში ედგა საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლ ყველა მეფეს, განსაკუთრებით კი დავით აღმაშენებელს.

ცნობილია, რომ ქვემო ქართლში ძირითადი ციხე-ქალაქები ჭყონდიდელმა ეპისკოპოსმა აიღო დავით აღმაშენებლის დროს (იგულისხმება რუსთავი და სამშვილდე). ეს ეპისკოპოსი დავითმა განგებ უწინამძღვრა თავის ჯარს, რათა ამით ქვემო ქართლში მოსახლე ქართველი ქრისტიანები წაექეზებინა მის დასახმარებლად. ამით ქვემო ქართლის დაჭერას საღვთო ომის სახე მიეცა იქაური ქართველი ქრისტიანების თვალში, რამაც გააადვილა ჭყონდიდელის მოქმედება.

ქვემო ქართლში გრიგორიანი კვირიკიანების მეფობის დროს უამრავი ქართული ეკლესია მოქმედებდა. ამავე რეგიონში მდებარე თბილისში, რომელსაც არაბი მმართველები მართავდნენ, ასევე უამრავი ქართული ეკლესია მოქმედებდა.

„...თბილელ სასულიერო მამებს ყოველთვის გვერდში ედგა და საჭიროების შემთხვევაში ეხმარებოდა კიდევაც თბილისის საამიროს დანარჩენი ქალაქებისა და დაბა-სოფლების (რუსთავის, ბოლნისის, დმანისის, სამშვილდის, ბეთანიის და სხვა) სამღვდელოება. აგრეთვე ის დიდი ქართული სამონასტრო ცენტრები, რომლებსაც თბილისში საკუთარი სავაჭრო ქულბაქები და სახელოსნოები ჰქონდათ. ჩვენთვის ნათელი გახდება, თუ რა დიდ ძალას წარმოადგენდა თბილისის ქრისტიანული ეკლესია. თბილისში თავისი მეტოქი (ფილიალი) ჰქონდა თითქმის ყველა საზღვარგარეთულ ქართულ სავანეს, ხოლო ერთმორწმუნე ბიზანტიის ეკლესია-მონასტრებს აქ 7 თავიანთი მეტოქი ჰქონიათ. თბილისის მთაწმინდის მონასტერი ათონის მთაწმინდის მონასტრის მეტოქი (ფილიალი) იყო... გიორგი მთაწმინდელი, რომელიც ათონის ივერიის მონასტრის წინამძღვარი იყო, ამავე დროს თბილისის

მთაწმინდის მონასტრის წინამძღვრად და სულიერ მამადაც ითვლებოდა. განა შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ გიორგი მთაწმინდელი, რომელმაც საქართველოში 5 წელი დაჰყო, თბილისის იმ მონასტრებში არ მისულიყო, რომლის სულიერი ხელმძღვანელიც თვითონ იყო?!"[97].

როგორც აღინიშნა, აფხაზთა სამეფოს, ტაო-კლარჯეთის (ანუ ქართველთა) სამეფოს, ჰერთა (ანუ რანთა) სამეფოს, კახეთის სამეფოსა და სომეხთა (ანუ ტაშირის) სამეფოს ძირითად მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენდა ქართველი ხალხი. ამ სამეფოების გაერთიანებამდე მათ აერთიანებდა ქართული ეკლესია. ყველა ეს ქვეყანა საქართველოს ნაწილებს შეადგენდა.

კიდევ ერთხელ უნდა ითქვას იმის შესახებ, თუ რატომ ეწოდებოდა ტაო-კლარჯეთის სამეფოს „ქართველთა სამეფო". ამ სამეფოს მართავდა დინასტია, რომლის ოფიციალური ტიტული იყო „ქართველთა მეფე". ეს ტიტული მათ მოპოვებული ჰქონდათ ძველი ქართლის სამეფოს ხოსროიან-გორგასლიანი მეფეებისაგან, რომელთაც მსგავსი ტიტული „ქართველთა მეფე" ჰქონდათ. ამ ტიტულის გადაღებით ტაო-კლარჯელი მეფეები ამტკიცებდნენ, რომ ისინი პოლიტიკური მემკვიდრეები იყვნენ ხოსროიანი მეფეებისა. ამიტომაც სრული პოლიტიკური სუვერენული უფლება ჰქონდათ მთელ ქართველ ხალხსა და სრულიად საქართველოზე, რამეთუ ძველი ტრადიციით მიჩნეული იყო, რომ ხოსროიანების ძველი „ქართლის სამეფო" მოიცავდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს, ანუ შემდეგდროინდელ აფხაზთა, ჰერ-კახთა და სომეხთა სამეფოებს. ამით იყო გამოწვეული ტაო-კლარჯელი მეფეებისათვის „ქართველთა მეფის" ტიტულის მინიჭება. ეს ტიტული თავის თავში შეიცავდა პოლიტიკურ და არა ეთნიკურ შინაარსს, ანუ მათ „ქართველთა მეფეები" ეწოდათ არა იმის გამო, რომ მხოლოდ ტაო-კლარჯელებს ეწოდებოდათ იმ დროს ქართველები, არამედ იმის გამო, რომ ამ კუთხეს მართავდა დინასტია, რომელიც პირდაპირი პოლიტიკური მემკვიდრე იყო ძველი ქართველი მეფეებისა, ფარნავაზიან-ხოსროიანთა.

„როგორც ცნობილია, ერთიანი საქართველო სხვადასხვა „საქართველოსაგან" შედგა, რომელსაც ერთ ქვეყნად გაერთიანების დროისათვის სახელმწიფოებრივი მმართველობის საკუთარი ხანგრძლივი ტრადიცია გააჩნდა. თავის მხრივ, კახთა თუ აფხაზთა სამეფოები, ჰერეთი და ქართველთა სამეფო სხვადასხვა ქართული ქვეყნების გაერთიანების შედეგად შეიქმნენ"[98].

ყივჩალთა ჩასახლება

გარკვევა იმისა, თუ სად ჩაასახლეს ყივჩაღები, მნიშვნელოვანი საქმეა. ჩვენი თანამედროვე ისტორიოგრაფიის თანახმად, ჩამოსახლებული 200 000-ზე მეტი ყივჩაღი და არცთუ მაინცდამაინც მრავალრიცხოვანი ქართველები ურთიერთს შერევიან. ძნელია დამტკიცება, რომ ეს ნამდვილად ასე მოხდა. საერთოდ კი, ეს ჰიპოთეზა უარყოფითად მოქმედებს თანამედროვე ქართველის ფსიქიკასა და თვითშემეცნებაზე. ისმის კითხვა, მართლა თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე ჩაასახლეს ყივჩაღები, თუ მაშინდელი, ფაქტობრივად მთელი ამიერკავკასიის მომცველი საქართველოს საზღვრისპირა მხარეებში?

რატომ ჩამოასახლა დავით აღმაშენებელმა ყივჩაღები? დავითის ისტორიკოსი დიდ მსჯელობას უძღვნის ამ ფაქტის აღწერას. ის ჯერ აღწერს დავით აღმაშენებლის ძლევამოსილ ომებს, გამარჯვებებს, თანამედროვე საქართველოსა და მისი მომიჯნავე სანაპირო ქვეყნების თითქმის მთლიანად გათავისუფლებას თურქებისაგან, ხოლო შემდეგ - დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაღების გადმოყვანის მიზეზებს. საქმე ისაა, რომ დავითი ლაშქრობდა საქართველოს საზღვრებს გარეთ, იღებდა ციხეებს, მაგრამ შემდეგ ტოვებდა მათ, რადგანაც არ ჰყოფნიდა თავისი ხალხი, რათა მათი საშუალებით ციხეები სამუდამოდ დაეკავებინა.

არა მარტო დავითი, არამედ მისი წინაპრებიც ძლიერ განიცდიდნენ ციხეთა დამჭერ მოლაშქრეთა ნაკლებობას. „ბაგრატ III-მ რომ შამქორი მისწურა ასაღებად, აღმოჩნდა, რომ ქალაქის დამჭირავი ძალა აღარა ჰქონდა. ამიტომ იგი იძულებული იყო ფადლონის ყმობით დაკმაყოფილებულიყო, მიუხედავად თავისი ცენტრალისტური მიდრეკილებისა, საქართველო ჯერ კიდევ არ იყო მზად ამიერკავკასიის დასაჭერად“[99].

როგორც ნ. ბერძენიშვილის მსჯელობიდან ჩანს, ამიერკავკასიის დასაჭერად მარტო ლაშქრობა, რომელიმე ქვეყნის თუ ქალაქის აღება საკმარისი არ იყო. აუცილებელი იყო, მეფეს, ანუ „საქართველოს“ ჰყოლოდა „ქალაქის დამჭირავი ძალა“, აქედან – ციხეთა დამჭირავი ძალა, მეომარი ადამიანები, რომელთაც ქალაქის აღების შემდეგ ქალაქში დატოვებდნენ მის „დასაჭერად“.

სხვათა შორის, ქართველები რომ საქართველოს საზღვრებს გარეთ მყოფ ციხეებსა და ქალაქებს იღებდნენ და შემდეგ ისევ ტოვებდნენ ამ აღებულ სიმაგრეებს და თავისთვის არ ინარჩუნებდნენ, ეს იმდროინდელ უცხოეთშიც იყო ცნობილი.

თუ დავით აღმაშენებელს სურდა ამიერკავკასიის დაჭერა, ამიერკავკასიის მომცველი სახელმწიფოს შექმნა, მას აუცილებლად უნდა ჰყოლოდა ამ ქვეყნებში ჩასაყენებელი სამხედრო ძალა. საქართველოში მას ასეთი ძალა არ ესაჭიროებოდა. აქ ყველა მისი მომხრე იყო, ყოველ შემთხვევაში, დიდი სეპარატისტი ფეოდალები საბოლოოდ აღმოფხვრილი ჰყავდა.

აი, როგორ ხსნის ყივჩაღების ჩამოსახლებას ნ. ბერძენიშვილი: „ყივჩაღების მოწვევის ერთ-ერთი მიზეზი უეჭველად იყო ის, რასაც ისტორიკოსი ასახელებს. ქართველების სიმცირე ახალი ადგილების დაჭერისა და მუდმივი მოლაშქრეობისათვის...“[100].

მაშასადამე, ახალი ადგილების დაჭერისათვის მოიწვია მეფემ ყივჩაღები. მაინც რომელი ქვეყნები იგულისხმება „ახალ ადგილებში?“ ცხადია, არა საქართველო, არამედ საქართველოს გარეთ მდებარე ქვეყნები.

მემატიანე ასე აღწერს: „მეფემ შარვანში სალაშქროდ გაგზავნა თავისი ძე დემეტრე „სპითა ძლიერითა“, გაიმარჯვა „საკვირველ ომში“, აიღო ციხე ქალაძორი და უკან დაბრუნდა (ცხადია, ეს აღებული ციხე მიატოვა, ვერ დაიჭირა, ე. ი. ქვეყანა შარვანი თუმცა კი აიღო, მაგრამ მიატოვა – ქვეყნის დამჭერი ძალა არ ჰყავდა). მეორე წელს მეფემ სომხეთში ილაშქრა, არაქსის პირას, აქაც გაიმარჯვა, მაგრამ ქვეყანა მიატოვა და უკან დაბრუნდა. შემდეგ აიღო ლორე და სხვა ციხეები, ის ბაგრატ IV-საც დაჭერილი ჰქონდა. ცხადია, არც მას ჩაუყენებია მეციხოვნეები და

ვერც დავითმა ჩააყენა. მემატიანე წერს: „ხედავდა მეფე ამ მრავალ ღვთის წყალობას (ე. ი. ქვეყნის აღებას), საკვირველ გამარჯვებებს, რომ ღმერთი აძლევდა ქვეყნებს, ქალაქებსა და ციხეებს, მაგრამ არ იყო მის სამეფოში იმდენი სიმრავლე ლაშქრისა, რომ ქალაქებში და ციხეებში ჩაეყენებინა და სალაშქროდაც საკმარისი ყოფილიყვნენ“[101].

როგორ შეიძლება ამის გაგება? მეფეს იმდენი ლაშქარი კი ჰყავდა, რაც მას ესაჭიროებოდა ახალი ქვეყნების შემოსაერთებლად, მაგრამ თუ ამ ლაშქარს ციხეებში ჩააყენებდა, სალაშქროდ საკმარისი ძალა აღარ დარჩებოდა. მეფეს ან მუდამ უნდა ელაშქრა და ერთხელ აღებული ქვეყანა ხელმეორედ აეღო, ან უნდა გამოეძებნა ახალი ლაშქარი, რომელსაც აღებულ ქვეყნებში ჩააყენებდა და ერთხელ და სამუდამოდ დაიჭერდა.

მართლაც, მან ჩამოიყვანა ყივჩაღები, „ეს ლაშქრის დაქირავება კი არ არის, არამედ გადმოსახლებაა. თუ სათვალავად ოჯახზე სულ ცოტა 5 კაცს მივიღებთ და გავიხსენებთ, რომ „წყობად განმავალი რჩეული“ 40 000 და 5 000 მონა-სპა ოჯახობას მოკიდებული მხედარი იყო, გამოვა, რომ დავით აღმაშენებელს საქართველოში გადმოუსახლებია სულ ცოტა 225 000 სული ყივჩაღი ორივე სქესისა“[102]. ეს მომხდარა 1118-1120 წლებში. ცხადია, ისინი დროებით რომელიღაც ადგილზე ჩააყენა საქართველოში. საფიქრებელია, იქ, სადაც კარგი საძოვრები იყო, მაგრამ სულ მალე ისინი „ახალ ქვეყნებში“ – ახალ-აღებულ ციხე-ქალაქებში ჩააყენა.

1118-1120 წლები დავითმა ყივჩაღების ჩამოყვანასა და მის ლაშქრად ორგანიზებას მოახმარა. ისინი მარჯვე ადგილას დაუყენებია თავიანთი დედა-წულით, მიუცია ცხენ-საჭურველი, ისე, რომ 40 000 მხედარი გამოვიდა. ამათ გარდა კიდევ ცალკე ჰყოლია 5 000 გაქრისტიანებული ყივჩაღი, „მისანდონი“, გაუწყვია ისინი „გუარად-გუარად“, დაუდგენია მათთვის სპასალარები, მმართველები.

ლაშქრის ორგანიზაციის დამთავრებისთანავე შეუტია შარვანს, აიღო ქალაქი ყაბალა, ცხადია, აქ ჩააყენა თავის ახალ მოლაშქრეთა ერთი ნაწილი თავისი დედა-წულით, მეორეჯერაც ილაშქრა შარვანში, აქაც აუღია შემახიასთან „ლიჟათათ ვიდრე ქურდევანამდე და ხიშტალანთამდე“, მომდევნო წელს კი – ბარდავი, ცენტრი ქვეყნისა. თუ აქ თავის ახალ ლაშქარს არ ჩააყენებდა, მაშინ ხელახლა ასაღები გახდებოდა ეს ციხეები.

ყივჩაღებით დავით მეფე მეზობელ ქვეყნებს არბევდა ან იერთებდა. „როგორც ერთი არაბი ისტორიკოსის სიტყვებიდან ჩანს, დავით აღმაშენებლის გაწვრთნილი ყივჩაღთა ლაშქრის ნავარდობა მეზობლებს შიშის ზარსა სცემდა თურმე“[103].

„აღმოსავლეთ საზღვრებზე პოზიციების შედარებით განმტკიცების შემდეგ დავით აღმაშენებელმა სამხრეთით გააგრძელა შეტევები. „იწყო რბევად სპარსეთისა და სომხითისა დიდისა“, ისე, რომ მისი თავდასხმები ამ მხრივ უშუალოდ მსხვილ მაჰმადიან მფლობელთა ქვეყნების საზღვრებამდე ვრცელდებოდა. მაგ., 1120 წლის მიწურულს, დავითის ისტორიკოსის სიტყვით, „წარვიდა მეფე აშორნიას, დაესხა თურქმანთა, მოსრნა და იავარ-ყვნა“. აშორნია, სადაც დავითს ამ დროს გაულაშქრია, არც ისე დაშორებული იყო ილღაზის სამფლობელოებს – მარდინისა და

მაიფარიკანს. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი აღმოსავლური წყაროს მიხედვით, დიდგორის ომის წინა ხანებში ქართველებს გაულაშქრიათ სირიაშიც, რომელიც მათ ადრეც მოურბევიათ“[104].

თუ ეს მართლაც ასეა და დავითმა დიდგორის ომამდე თანამედროვე ამიერკავკასია და მისი მომიჯნავე ტერიტორიები დალაშქრა, ცხადია, ამ უზარმაზარ ტერიტორიებში ყველგან ჩააყენებდა ახალ ლაშქარს, რომელიც მას, მემატიანის სიტყვით, სწორედ საგანგებოდ ამ მიზნით ჰყავდა ჩამოყვანილი – ქვეყანათა და ციხე-ქალაქთა დასაჭერად.

საჭირო იყო თუ არა ყივჩაღების საქართველოში ჩაყენება? როგორც შ. მესხია წერს, „ყივჩაღების ჩამოყვანამდე არსებითად დამთავრებული იყო ქვეყნის შიგნით ბრძოლა თურქ-სელჯუკების წინააღმდეგ“[105].

„ყივჩაღების გადმოყვანამდე (1118-1120 წლებამდე), დავით IV-მ ყივჩაღების გარეშე, გამარჯვებით დააგვირგვინა ბრძოლა საერო და საეკლესიო დიდგვაროვან ფეოდალებთან“[106].

მაშ, თუკი საქართველო თურქ-სელჯუკებისაგან გათავისუფლებული იყო და შიგა თუ გარე მტერი დამარცხებული ჰყავდა ყივჩაღების გარეშეც, რა ფუნქცია უნდა შეესრულებინა ყივჩაღების ცხოვრებას საქართველოს ტერიტორიაზე? – არავითარი; ყივჩაღებს საქართველოში არაფერი ესაქმებოდათ, მით უმეტეს, რომ ისინი ვერც კი ასხვავებდნენ ერთმანეთისაგან ქართველებსა და არაქართველებს, ქართველებსაც ატყვევებდნენ, რომელთაც შემდეგ მეფე ათავისუფლებდა და თავიანთ მიწა-წყალზე აბრუნებდა. ყივჩაღებმა არა ერთხელ და ორჯერ მოუწყვეს აჯანყება მეფეს, მრავალჯერ სასიკვდილოდ გაიმეტეს, მით უფრო არ ინდობდნენ ისინი უბრალო ქართველებსაც. მათი უმადურობა და დაუნდობლობა ხალხურ ლექსსაც კი აუსახავს (იგულისხმება ლექსი „შემომეყარა ყივჩაღი“).

როგორც აღინიშნა, დავითს ყივჩაღები ციხეთა და ქვეყანათა დასაჭერად, საქართველოს გარეთ თურქებთან საბრძოლველად ესაჭიროებოდა. როგორც ითქვა, 1021 წელს შარვანის (თანამედროვე აზერბაიჯანის) დაჭერისას აღებულ ციხეებში ყივჩაღთა ნაწილს აუცილებლად დატოვებდა, შემდეგ მათვე ჩაასახლებდა სომხეთის ციხე-ქალაქებში. მეფეს 225 000 კაცის დიდი ნაწილი ამ ქვეყნებში უნდა გაენაწილებინა. სწორედ ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ის, რომ დიდგორის ომში მას მხოლოდ 15 000 ყივჩაღი ახლავს თან. დანარჩენი ნაწილი უკვე განაწილებულია აღნიშნულ გარე ქვეყნებში. მათი აყრა და საქართველოში მოყვანა არ შეიძლებოდა, რადგანაც ასე რომ მოქცეულიყო, ხელახლა დასაპყრობი გაუხდებოდა ეს ქვეყნები, ხოლო თუკი დიდგორის ომში დამარცხდებოდა, მის ირგვლივ მყოფი ასიათასობით (დედა-წულით) ყივჩაღი გამარჯვებულ მტერს ე. ი. თურქებს მიემხრობოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მეფე დავითმა თითოეულ აღებულ ციხესიმაგრეში, აზერბაიჯანსა და სომხეთში ათას-ათასი მებრძოლი ყივჩაღი ჩააყენა. და დავუშვათ, სულ 25 ციხე დაიჭირა ამ ხალხით. 25X1000=25 000. 25 ციხის დაჭერას დასჭირდებოდა 25 000 მებრძოლი. უთუოდ ციხესიმაგრეებში ყივჩაღებს თავიანთ ცოლ-შვილთან ერთად ტოვებდა, იქვე ტოვებდა მათ მაკონტროლებელ ქართველ

მხედრებსაც, შედარებით მცირე რაოდენობით. თუკი ერთი ციხე ყივჩაღებისა აჯანყდებოდა, დავითი ამ აჯანყებას ყივჩაღთა სხვა ძალით ჩაახშობდა. მათ კი გაერთიანება და ერთობლივი გამოსვლა არ შეეძლოთ, რადგანაც მეფეს საგანგებო საჯაშუშო აპარატი ჰქონდა შექმნილი. სულ 40 000 მებრძოლი ყივჩაღი ჰყავდა. თუკი გამოვაკლებთ მათ ციხეებში მყოფ სავარაუდო 25 000 მებრძოლს, დარჩება 15 000, რომელიც თან ახლდა მეფეს დიდგორის ომში. „ყურადღებას იქცევს თვით ლაშქრის შედგენილობა. როგორც ჩანს, მეომართა ძირითადი ნაწილი მეფეს საკუთრივ ქართველებისაგან შეუდგენია: 40 000 ძლიერი და გამოცდილი ქართველი მოლაშქრე „სამეფო სპის“ ნაწილს შეადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ დავით აღმაშენებელს, როგორც ეს აღვნიშნეთ, ყივჩაღთა 40 000-იანი მუდმივი ლაშქარი ჰყავდა, ამ გადამწყვეტ ბრძოლაში მას მხოლოდ 15 000 ყივჩაღი გამოუყვანია და ეს შემთხვევითი არ იყო. როგორც ჩანს, მეფე ძირითად საყრდენ ძალად ისევ „სამეფო სპას“, ქართველთა ლაშქარს თვლიდა, განსაკუთრებით ასეთ გადამწყვეტ ბრძოლაში თურქთა წინააღმდეგ. მართლაც, მხოლოდ რჩეულ, ყოველმხრივ მისანდობ ქართველთა გამოყვანა თუ შეიძლებოდა“[107].

1124 წელს ანისიდან მოვიდნენ წარმომადგენლები დავით მეფესთან და მოახსენეს ქალაქის გადაცემა. მეფემ სამ დღეში 60 000 ჯარისკაცის შემოკრება შეძლო. როგორც ზემოთ ითქვა, მისი ძირითადი საყრდენი ძალა ისევ „სამეფო სპა“ – ქართველთა ლაშქარი იყო – 40 000 მხედარი, დანარჩენი იქნებოდნენ ყივჩაღები და ჩრდილოკავკასიელი სხვა დაქირავებული ტომები, თუკი მათში ჯვაროსნები არ ერია. ამიტომაც, არ მიგვაჩნია სწორად ნ. ბერძენიშვილის აზრი: „ის ფაქტი, რომ დემობილიზებული ჯარი სამ დღეში შეაგროვა (60 000), გვაძლევს საბუთს, ვიფიქროთ, რომ ყივჩაღები სადმე განაპირას და შორს დასახლებული კი არ არიან, არამედ შიგნით. შეიძლება გორის აშენება ამ საქმესთან იყოს დაკავშირებული“[108].

როგორც ითქვა, მეფეს 60 000-იანი ყივჩაღთა ლაშქარი კი არ ჰყავდა, არამედ, 40 000-იანი ქართული სპა. ამ 60 000-ის მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენდნენ ყივჩაღები. ამიტომაც მეფის წინ 60 000 კაცის შემოკრება არ იძლევა უფლებას იმ დასკვნისათვის, თითქოს ყივჩაღები დღევანდელი საქართველოს საზღვრებს შიგნით ცხოვრობდნენ.

ყივჩაღები მომთაბარე ხალხი იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ უთუოდ ესაჭიროებოდათ საზაფხულო და საზამთრო საძოვრები. თურქებიც ასევე მომთაბარენი იყვნენ. ამიტომაც, ისინი საზამთრო საძოვრებად იყენებდნენ ძირითადად ივრის ხეობას და ვრცელ მტკვრის-პირს ვიდრე ბარდავამდე, ხოლო საზაფხულო საძოვრებად – სომხეთისა და არარატის ნაყოფიერ ველებს. ეს აღწერილი აქვს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს. ცხადია, თურქთაგან არჩეული საძოვრები იდეალური და ყველაზე რაციონალური იყო მომთაბარეთათვის. ყველა თურქი მომთაბარე არ იყო. შემდეგ მათი ერთი ნაწილი ქალაქებში, ციხეებსა და სოფლებში ჩადგა. ცხადია, ყივჩაღებიც მსგავს პირობებს ითხოვდნენ: საზამთრო და საზაფხულო საძოვრებს, ე. ი. მათ გარდა, რომელნიც მეფემ ციხესიმაგრეებში ჩააყენა, დანარჩენებისათვის უნდა გამოეძებნა საძოვრები. საზამთრო საძოვრებად თურქე-

ბი სწორედ საქართველოს ერთ ნაწილს იყენებდნენ. აქ მართლაც კარგი საზამთრო საძოვრები იყო: ივრისპირეთი და შირაქი. ჩანს, მეფემ თავის ყივჩაღების ერთ ნაწილს აქ მისცა საზამთრო საძოვრები. ზაფხულობით კი ისინი სომხეთში - არარატის ველებზე გადავიდოდნენ.

მემატიანე წერს – „მოვიდა ქართლად და ყივჩაღთა თვისთა უჩინა საზამთროდ სადგური და საზრდელი და კაცნი ზედამდგომნი მათნი. და განაგო ყოველი საქმე ქართლისა, სომხითისა და ანისისა“[109]. ქართლში მეფე შარვანიდან შემოვიდა და მთელი ამიერკავკასიის საქმეები განაგო. ალბათ, მან „თავის ყივჩაღებს“ ივრისპირა საძოვრები მისცა, ანდა ცნობილი საზამთრო საძოვრები ივრიდან ბარდავამდე. განა ისტორიულად ბარდავამდე მოქცეულ ტერიტორიას ქართლი არ ეწოდებოდა, როგორც „შუშანიკის წამების“ ავტორიც წერს? ამიტომაც, ის, რომ დავითმა ქართლის საზამთრო საძოვრები ყივჩაღების ერთ ნაწილს („თავის ყივჩაღებს“) დაუთმო, არ იძლევა უფლებას, გამოითქვას აზრი, რომ ყივჩაღები თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე დაასახლეს.[110] ყივჩაღები ქართველ მეფეებს საზღვრების დასაცავად და უცხოეთში სალაშქროდ ესაჭიროებოდათ. ამიტომაც დავითის შემდგომ, თამარისა და მისი მემკვიდრეების მეფობის დროს, როცა საქართველოს საზღვრები შორს სცილდებოდა ქართველი ხალხის ეთნიკური განსახლების საზღვრებს, ყივჩაღებს აქედან შორს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სამხრეთით, საქართველოს სასაზღვრო კუთხეებში გადაიყვანდნენ.

ალბათ, ამის გამოა ის, რომ თანამედროვე საქართველოში ჩვენ არ გვხვდება არც ერთი ტოპონიმი თუ სახელი, რომელიც უკავშირდება ყივჩაღებს. მაშინ, როცა საზოგადოდ ქართულ ტოპონიმებს უძვირფასესი ისტორიული ცნობები აქვთ შემონახული და თანაც უძველესი დროიდან. ქართულ ტოპონიმებს თვით ქრისტემდე მცხოვრები ტომების ხსოვნაც კი აქვს შემონახული („ასურეთი“, „ხეთა“ და სხვა).

სულ სხვა მდგომარეობაა ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებში. სომხეთში შემონახულია ყივჩაღებთან დაკავშირებული ტოპონიმები, ხოლო აზერბაიჯანისა და საქართველოს სამხრეთით მდებარე ქვეყნებში გვიან შუა საუკუნეებშიც კი არსებობდნენ ყივჩაღების ტომები; აქაური მაჰმადიანების ერთ მცირე ნაწილს ყივჩაღებს უწოდებდნენ; მაშინ, როცა საქართველოში მსგავსი არაფერია შემორჩენილი. თამარის დროს ერთ მოხელეს „ნაყივჩაღარს“ უწოდებდნენ, მაგრამ „ნაყივჩაღარი“ ჯერ კიდევ არ ნიშნავს „ქართველს“. თამარის კარზე მონოფიზიტებიც იყვნენ. შ. მესხია წერს: „არ შეიძლება გავიზიაროთ ამ უკანასკნელ ხანს სომხურსა და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრება დავითის დროს ყივჩაღებისა მაინცა და მაინც სომხურ ტერიტორიაზე დასახლებისა და მათ მიერ საგანგებოდ „სომხური ქრისტიანობის მიღების“ და, მაშასადამე, მათი „არმენიზაციის“ შესახებ[111].

საფიქრებელია, რომ აღნიშნული მკვლევარები სწორად მიუთითებენ ყივჩაღების სომხეთში დამკვიდრებისა და მათი გასომხების შესახებ. ყივჩაღები მეფეს თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც უნდა დაესახლებინა. თვით შ. მესხია წერს მიზეზს ყივჩაღთა გადმოსახლებისას: „ლაშქრის სიმცირე განსაკუთრებით მის შემდეგ გახდა საგრძნობი, რაც მეფემ ზედიზედ შემოიერთა ქალაქ-ციხეე-

ბი...“[112]. ყივჩაღები საქართველოში არ იყვნენ საჭირონი. ისინი საჭირონი იყვნენ ეთნიკური საქართველოს გარეთ საქართველოს სამეფოს მიერ დაჭერილ ციხე-ქალაქებში ჩასაყენებლად, ქვეყნის გარეთ (ე. ი. შარვანში, სომხეთში, სპარსეთში, სირიაში და სხვაგან) სალაშქროდ. ცნობილ მეცნიერ ს. ერემიანს და აგრეთვე ქ. ჩხატარაიშვილს ჰქონდათ სრულიად დამაჯერებელი, ისტორიულ წყაროებზე (ეპი-გრაფიკა, ტოპონიმიკა) დაფუძნებული მოსაზრებანი ყივჩაღების სომხეთში ჩასახ-ლებისა და მათი გასომხების შესახებ.[113]

შ. მესხია ყივჩაღთა „გაქართველებას“ იმით ასაბუთებს, რომ თითქოსდა ძველ საქართველოში „სწრაფად მიმდინარეობდა თვით სომეხთა რელიგიური „ქართველ-იზაცია“, „გაქართველება“[114]. თეორია, რომელიც დღემდეა გაბატონებული ქართულ ისტორიოგრაფიაში „სომეხთა გაქართველების“ შესახებ, შეთხზულია ნ. მარის მიერ და ატაცებულია მისი მოწაფეებისა და მოწაფეთა მოწაფეების მიერ. ამ ერთი უცნობით მეორე უცნობის მტკიცება არ შეიძლება. ყივჩაღები ქართველებს არ შერწყმიან.

ძიებითადი თარიღები თამარის გამეფებამდე

1124 წელს – აბულეთსა და მის ძეს დავით IV-მ ანისი ჩააბარა.

1125 წელს – ახალგამეფებულმა დემეტრე მეფემ (1125-1156) დმანისი შემოიერთა (დროებით).

1125 წელს – აიღო ხუნანი.

1126 წელს – დემეტრემ ანისი ძველ მფლობელებს დაუბრუნა ყმადნაფიცობის პირობით.

1129/30 წელს – შირვანი ორად გაიყო. დასავლეთი ნაწილი საქართველოში შემოვიდა, აღმოსავლეთი – შირვანშაჰს დარჩა.

1130 წელს – აჯანყებულ უფლისწულ ვახტანგს და ივანე აბულეთის ძეს უნდოდათ დემეტრე მეფის მოკვლა. დემეტრემ ვახტანგს თვალები დასწვა.

1130 წელს – საქართველოში შემოიჭრა შაჰ-არმენ სუქმან II.

1139 წელს – რანში მიწისძვრის შემდეგ, განძა დემეტრემ დაიჭირა (მისი კარებიც ჩამოხსნა).

1143 წელს – განძა სულთანს დაექვემდებარა.

1155 წელს – უფლისწული დავითი აუმხედრდა მამას.

1155-56 წელს – ანისის ქრისტიანობა (სამღვდელოება) აუჯანყდა ამირა შედადს (საქართველოს ყმადნაფიცს), წაართვა მას ქალაქი და გადასცა მის ძმას ფადლონს.

1155 წელს – უფლისწული დავითი გამეფდა 6 თვით და მოკვდა. დემეტრე მეფე ბერად აღიკვეცა დავითის მეფობისას, შემდეგ კვლავ დაიჭირა თავისი ტახტი. ტახტზე თანამეფედ აიყვანა გიორგი III.

1161 წელს – ანისის სამღვდელოება აუჯანყდა ფადლონს, დაამარცხა ის და ქალაქი გიორგი III-ს შესთავაზა.

1161 წელს – გიორგი III-მ დაიკავა ანისი. ანისის მთავრად დანიშნა სადუნი, მაგრამ მალე ჩამოართვა. ანისში დატოვა ივანე ორბელი - მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი, სარგის მხარგრძელის თანაშემწეობით. დაიწყო ომები ანისისათვის შაჰ-არმენის მეთაურობით (შეიკრა კოალიცია). გიორგის მხარს უჭერდა მწიგნობართუხუცესი იოანე და სხვა ქართველი მთავრები.

1163 წელს – გიორგიმ არზრუმში გაილაშქრა.

1163 წელს – დიდი კოალიცია შემოიჭრა საქართველოში (სომხეთში). ქართველთა ლაშქარი დამარცხდა.

1165 წელს – საპასუხოდ გიორგი III აზერბაიჯანში შეიჭრა. გაგრძელდა ბრძოლები ანისისათვის.

1164/65 წელს – გიორგი III-მ ანისი გადასცა ძველ მფლობელებს – შედადიდებს.

1164-1174 წელს – ანისს შაჰანშა მართავდა.

1172 წელს – ბრძოლა დვინისათვის, მეფემ ის აიღო და მმართველად დანიშნა ადგილობრივი ფეოდალი ანანია.

1173 წელს – გიორგი III-ს მისმა ყმადნაფიცმა შარვანშამ სთხოვა ლაშქრობა დარუბანდის დასაცავად. მეფემ ილაშქრა.

1174 წელს – გიორგი III-მ შაჰანშა დაატყვევა. ანისის გამგებლად ივანე ორბელი დანიშნა, ანისი საქართველოს მფლობელობაში შევიდა.

1174/75 წელს – ამის საპასუხოდ დიდი კოალიცია შემოიჭრა ანისში, მაგრამ დამარცხდა. ივანე ორბელი ორჭოფობდა. ანისის სამღვდელოება და ეპისკოპოსი გიორგის მხარესაა, რისთვისაც გიორგი III-მ დიდი თანხა დახარჯა: ეპისკოპოსის ძმა ტყვეობიდან გამოისყიდა და ანისის ამირად დანიშნა.

1175 წელს – შედგა კოალიცია, შემოესია ლორესა და დმანისს. ამის შემდეგ ანისს კვლავ შედადიდები მართავდნენ.

1177 წელს – მოხდა ორბელთა აჯანყება გიორგი III-ის წინააღმდეგ. ითხოვდნენ დემნას გამეფებას და სამეფოს გაყოფას დემნასა და გიორგის შორის. აჯანყება დამარცხდა, დემნა მოკვდა, ამირსპასალარობა მიეცა ყუბასარს.

1178 წელს – გიორგი მეფემ თანამოსაყდრედ აიყვანა თამარი.

1180 წელს – გიორგი III-მ გამოსცა კანონი ავაზაკთა წინააღმდეგ.

1184-1207 წ.წ. – თამარის მეფობა.

1195 წელს – ბრძოლა შამქორში.

1199 წელს – თამარმა ანისი შემოიერთა და მხარგრძელებს გადასცა.

1201 წელს – მოხდა ბიჯნისის შემოერთება.

1202 წელს – ბასიანის ომი.

1203 წელს – მოხდა დვინის შემოერთება.

1204 წელს – ხლათში – შაჰ-არმენთა სამფლობელოში ქართველებმა ილაშქრეს.

თავი მეფე

„თუ წელში გამართულა როდისმე ჩვენი ქვეყანა, ან
იმის მეფობის დროს გაიმართა, მზეს თუ როდისმე
საქართველო გაუნათებია და გაუთბია, იმის დროს ყოფილა.
სიტყვას თუ ძალა გამოუჩენია, გულსა სიმტკიცე,
მკლავსა სიმაგრე, ან დალოცვილის მეფის თამარის
დედობის დროს მომხდარა! ის დედა იყო, ჩვენ შვილები...“

ილია ჭავჭავაძე

თამარ მეფის ცხოვრების ქრონიკა

1177 წელს დაიწყო ბატონიშვილ დემნას აჯანყება, რომლის გამეფებას ამირსპასალარი ივანე ორბელი და სხვა დიდებულები მოითხოვდნენ. აჯანყება დამარცხდა. როგორც თამარის გენეალოგია უჩვენებს, დემნა მეფობის „კანონიერი“ კანდიდატი იყო.

თამარის გენეალოგია ასეთია:



დამარცხებული ბატონიშვილი დემნა მოკვდა. აჯანყების მეორე (1178) წელს გიორგი III-მ თამარი ტახტზე აიყვანა თანამეფედ. 1184 წელს საქართველოს მეფე გიორგი III გარდაიცვალა და საქართველოს „დიდებულთა შვიდთავე სამეფოთასა“[1] თამარი სამეფო ტახტზე დასვეს. „ვინათგან ლიხთ-იმერითგან იყო წესი დადგმად გვირგვინისა თავსა სამეუფოსა, აწვიეს მონაზონი ღირსი და მადლშემოსილი, მთავარეპისკოპოსი ქუთათელი ანტონი...“[2]. ლიხთიმერლებმა (აფხაზეთის დიდებულებმა) ინებეს „მოღება და დადება ხრმლისა“, თამარი სრულ მეფედ იქცა: „თაყვანისცეს, დალოცეს და ადიდეს სპათა შვიდთავე სამეფოსათა“[3]. საფიქრებელია, თამარის ასეთი სახით კურთხევა იყო დემონსტრაცია იმისა, რომ საქართველოს ერთიან სახელმწიფოში აფხაზეთის, ანუ ლიხთ-იმერეთის სამეფოს სხვა დანარჩენ სამეფოებთან შედარებით რაღაც მეტი ღვაწლი მიუძღოდა, ანდა იურიდიული უფლება ჰქონდა. საქართველოს მეფე – უპირველესად ლიხთ-იმერეთის მეფეს წარმოადგენდა ამ თვალსაზრისით (შვიდ სამეფოში შედიოდნენ აფხაზეთის, ქართლ-მესხეთის, რან-ჰერეთის, კახეთის, სომხითის სამეფოები, ასევე შარვანისა და ანისის სახელმწიფოები – შარვანშეთი და შაჰანშეთი).

თამარმა პირველ რიგში მოიწვია საეკლესიო კრება, რომლის ძალითაც სურდა ქართლის კათალიკოსისათვის ჩამოერთმია მწიგნობართუხუცესობა და ჭყონდიდელმაწყვერლობა. ამისათვის მოიწვია იერუსალიმიდან ყოფილი კათალიკოსი ნიკოლოზ გულაბერისძე. შეიკრიბა „ორისავე სამთავროსა ეპისკოპოსნი“[4]. ტერმინი „ორი სამთავროს ეპისკოპოსი“ მიუთითებს იმაზე, რომ იმ დროს ქართული ეკლესია ორი საეკლესიო სამთავროსაგან შედგებოდა: ეს იყო ქართლის საკათალიკოსო და

აფხაზეთის საკათალიკოსო. მოწვეულ კრებაზე აქტიურობდა აფხაზეთის საკათალიკოსოდან ქუთათელი ანტონ საღირისძე. კრებამ ფაქტობრივად უნაყოფოდ ჩაიარა, ვერ შეძლო ქართლის მაშინდელი კათალიკოსისათვის უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის ჩამორთმევა. ეს მოხდა იმ დროს, როცა ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესი ყუბასარი ლოგინად მწოლი ავადმყოფი იყო. ამიტომაც, ფაქტობრივად სამეფოს მართვის მთელი სადავეები კათალიკოს მიქაელის ხელთ იყო. ჩვენ აღწერილი გვქონდა, თუ რაოდენ დიდ ძალაუფლებას ფლობდა ჭყონდიდელი, „მამა მეფისა“, მწიგნობართუხუცესი. მიქაელი განუზომელი ძალაუფლების მქონე იყო. იგი „ვერა განაყენეს, დაღაცათუ ფრიად იღვაწეს“[5].

ამ დროს, თამარის მიერ „დაწყებასა წყალობისასა იმიერთა და ამიერთა, ზემოთა და ქვემოთა შვიდთავე თემთასა...“[6], ზოგიერთი ხელისუფალი გაიფიცა; აღარ ისურვეს „ძველ ხელისუფალთა“ ხელქვეითობა, „ვინათგან მათგან დაძრცვილნი და უნატოდ გაძეულნი ვართ, გვარიანნი და მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახელოდ გასრულ ვართ უგვაროთა და უხმართაგან“.

თამარი იძულებული გახდა, ამირსპასალარობისა და მანდატურთუხუცესობის სახელოები და აგრეთვე მისი საპატრონო ქალაქი ლორე ჩამოერთმია ყუბასარისთვის.

აფრიდონს ჩამოართვა მსახურთუხუცესობა და საპატრონო ქალაქი თმოგვი. ის „მოიშალა და დაიმხო ნებითა და თნევითა ლაშქართათა“.

დიდებულებმა „ხელისუფლებისა და დიდებისათვის ურთიერთს დაუწყეს ზიდვა“. სწორედ ამ დროს მეჭურჭლეთუხუცესმა ყუთლუ-არსლანმა მოიწადინა, ხელთ ეგდო ამირსპასალარობა და ამ ხელისუფლის საჯდომი ქალაქი ლორე. ლორე ადრე „სომეხ მეფეთა“ ქალაქი იყო. გარდა ამისა,მან ერთ ჯგუფთან ერთად „ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისნისასა და თქვა: „დასხდომილნი მუნ შიგა, განმგებელი მიცემისა და მიღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვჰკადრებთ და ვაცნობებთ თამარს, მეფესა და დედოფალსა, მაშინღა სრულ-იქმნებოდეს განგებული ჩვენი“. ეს ძლიერ ეწყინა თამარს, რადგანაც, მემატიანის აზრით, ეს იყო „პატრონის“, ანუ თამარის ხელმწიფობის დასასრულის დასაწყისი – „დასასრულისა ხელმწიფობისა პატრონისასა მიმცემელი“. თამარმა შეიპყრა „ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთუხუცესი და აწ თავისა თვისისა ამირსპასალარად და სომეხთა მეფისა ადგილსა ლორეს დაჯდომად გამზადებული“[7].

მაგრამ გამოჩნდა დიდი, ძლიერი ძალა, რომელმაც თამარს განზრახვა შეაცვლევინა, „ლაშქარი თანაშეფიცულთა“ და ყუთლუს თანაშემწენი. მათ მოითხოვეს ყუთლუს გათავისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში მეფის სასახლეს „შებმით“ დაემუქრნენ. თამარმა მათ გაუგზავნა დესპანი ქალები. შეთქმულები „ფიცით მიენდნენ“, თაყვანი სცეს, მისცეს „პირი ერთგულებისა“ თამარ მეფეს.

ამის შემდეგ თამარმა „თანადგომითა და ერთნებობითა შვიდთავე სამეფოთა დიდებულთა ბრძანა დამტკიცებად ჭყონდიდელად და მწიგნობართუხუცესად და ვაზირად ანტონი“. თამარმა „განაჩინა ამირსპასალარი სარგის მხარგრძელი, უბოძა ლორე სათავადო და სამთავრო სომხითსა შინა და წყალობა ყო ძისა მისისა ზაქარიას დალოცვითა და ითაყვანა დარბაზის ყმად უმცროსი შვილი მისი ივანე“[8].

თუ აქამდე სამეფო კარზე ერთი ვეზირი, ჭყონდიდელი იყო, ახლა მეორე - ამირსპასალარი სარგის მხარგრძელი დაემატა. თამარის მემატიანე ხშირად ახსენებს ხოლმე „ოთხ მხარგრძელს“, ესენია – სარგის და ვარამ მხარგრძელების შვილები:



თამარმა სახელოები ასე დაარიგა:

1. მანდატურთუხუცესი – ჭიაბერი.
2. მეჭურჭლეთუხუცესი – კახაბერ ვარდანის ძე.
3. მსახურთუხუცესი – ვარდან დადიანი.
4. ჩუხჩარეხი – მარუშიანი.
5. ამილახორი – გამრეკელ-თორელი.

ერისთავები იყვნენ:

1. სვანთა ერისთავი – ბარამ ვარდანის ძე (ამათმა გვარმა ხმალი შეარტყა თამარს).
2. რაჭისა და თაკუერის – კახაბერ კახაბერის ძე.
3. ცხუმის – ოთაღო შარვაშის ძე.
4. არგვეთის – ამანელის ძე.
5. ოდიშის – ბედიანი.
6. ქართლის – რატი სურამელი.
7. კახეთის – ბაკურ-ყმა ძაგანის ძე.
8. ჰერეთის – ასათ გრიგოლის ძე (ზოგჯერ ასევე არიშიანები და კოლონკელის ძეები).
9. სამცხის ერისთავი და სპასალარი – ბოცო ჯაყელი.

ყოველივე ზემოთ აღწერილი თამარის ტახტზე აყვანისთანავე დაიწყო და ერთ წელში მოგვარდა.

1185 წელს თამარს შერთეს რუსთა მთავრის ძე გიორგი. ბასილი ეზოსმოძღვრის თანახმად, მომხდარა რუსის გამორჩევა, „ქრისტიანობისა და მართლმადიდებლობისათვის მათ ნათესავთასა“[9]. მართლმადიდებელს, ქრისტიანს და ამავე დროს დიდი

სამეფო ოჯახის სახლისშვილს საქართველოს სამეფო კარზე მალე კვლავ დაუწყეს ძებნა, რადგანაც გიორგი რუსი და თამარი ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს. რუსს გამოაჩნდა „სკვითურნი ვითარ ნაღებთა ბუნებითნი და სიმთვრალეთა შინა საძაგელთა უწესოებად იწყო მრავალთა“[10].

რუსი გააძევეს. გაძევების მიზეზი მხოლოდ რუსის პირადი უარყოფითი თვისებები არ უნდა ყოფილიყო, არამედ კონფრონტაცია დიდებულთა შორის სამეფო კარზე – ბრძოლა ხელისუფლებისათვის. კერძოდ, ჩანს, ერთ მხარეს იდგა „ოთხი მხარგრძელი“ და თამარი, მეორე მხარესაა მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი და გიორგი რუსი. ეს გამოჩნდა შემდგომაც, როცა საქართველოს სამეფოს ძალები ორად გაიყო და ერთმანეთს შეება. მსახურთუხუცეს ვარდან დადიანის მეთაურობით დასავლეთ საქართველოსა და მესხეთის, ანუ „აფხაზთა და ქართველთა“ სამეფოების ლაშქარი შეება ამირსპასალარის ლაშქარს.

გიორგი რუსის გაძევებაში მონაწილეობა მიუღია ორსავე ვაზირს[11], ე. ი. ჭყონდიდელსა და ამირსპასალარს.

თამარი უშვილოდ დარჩა, რასაც მთელი საქართველოს მოსახლეობა წუხდა. „მოეცვა შვიდივე ესე სამეფო შეჭირვებასა ესევითარისა საქმისასა“[12]. მალე თამარისათვის საქმრო გამოძებნეს – დედითაც და მამითაც სამეფო გვარის მქონე. აღსანიშნავია, რომ ის რუსუდანის, თამარის მამიდის, სახლში იზრდებოდა. რუსუდანს დიდი გავლენა ჰქონდა სამეფო კარზე. ამიტომაც მომავალი „მეფის“ რუსუდანის სახლიდან გამოყვანა, მიუთითებს იმაზე, რომ რუსუდანი წარმმართველი იყო თამარის ბედისა, ცხოვრებისა და პოლიტიკისა იმ დროისათვის. გიორგი რუსის გაძევებაში სხვა დიდებულებთან ერთად, რუსუდანის ხელიც ერია[13].

„იყო სახლსა შინა დედოფლისა რუსუდანისასა მოყმე ეფრემის ძეთაგანი, რომელ არიან ოვსნი, კაცნი მძლენი და ძლიერნი ბრძოლასა შინა“. ეს იყო დავით სოსლანი, „ორთავე კერძოთა გვართაგან სახელმწიფო“-ის ქრისტიანული და მართლმადიდებლური სახლის შვილი იყო. თამარის ქმარი უთუოდ მართლმადიდებლური სამეფო სახლის შვილი უნდა ყოფილიყო.

1188 წელს თამარმა და დავითმა იქორწინეს.

1191 წელს გიორგი რუსი საქართველოს საზღვრებთან გამოჩნდა. მას „მიუდგეს იმერნი, რათა რუსი სასახლესა შინა შეყვანილ ყონ“. როგორც აღინიშნა, რუსს მიემხრნენ ყოფილი „აფხაზთა“ და „ქართველთა“ სამეფოების დიდებულები - „პირველად მიერთო გუზან, პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა, რომელი ძველთა მეფეთა ტაოელთა დიდებულთა ადგილსა შეეწყალა პატრონსა“, ე.ი. გუზანი ძველი ტაოელი მეფეების ადგილზე იჯდა (არა თავისი ნებით, არამედ პატრონი თამარის წყალობით). გიორგი რუსს მიუდგნენ ასევე სამცხის სპასალარი ბოცო და სხვა მესხი დიდებულები, ივანე ციხისჯვარელის გარდა. ასევე მიემხრო ვარდან დადიანი, მსახურთუხუცესი. ის აღმოსავლეთ საქართველოში პატრონი იყო ორბეთისა და კაენისა, ხოლო დასავლეთი საქართველო მთლიანად მის ხელში იყო – „ლიხთ-აქით პატრონი ორბეთის და კაენისა, ლიხთ-იქით ნიკოფსიამდის უცილობელად ქონებისა“[14]. ამიტომაც, მან გეგუთში „შეყარა ყოველი სვანეთი და აფხაზეთი, საეგროი,

გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკუერი და არგვეთი“, მან შეკრიბა ამ ქვეყნების ლაშქარი და დააფიცა ისინი „რუსისა გამეფებისა და მისის მეფე-ყოფისათვის“. ეს ლაშქარი გადავიდა ტაოში გუზანთან, წამოიყვანეს რუსი, შეუერთდნენ სამცხის სპასალარი და მისი მომხრეები, მივიდნენ გეგუთში და რუსი მეფედ გამოაცხადეს, „მოსაყდრე საყდარსა დაჯდა დავითიანსა“[15], აქამდე თამარი იყო სრულუფლებიანი მეფე, ხოლო მისი მეუღლე მეფედ სახელიდებოდა, მაგრამ იურიდიულად ის იყო „მოსაყდრე“ (საყდარი – ტახტს ერქვა). ამბოხებულებმა ის „მეფედ“ გამოაცხადეს, მაგრამ გულისხმობდნენ არა საქართველოს ერთიანი სამეფოს ორ სამეფოდ გაყოფას, არამედ სურდათ სასახლეში შეეყვანათ სრულუფლებიანი მეფე, რომელიც თამარის მომხრე დიდებულებს დაამხობდა, ხოლო თამარისა და ახალი „მეფის“ ცოლქმრობა კი გაგრძელდებოდა.

თამარმა შემოიკრიბა ერთგული ერისთავები ჰერეთიდან, კახეთიდან, ქართლიდან, სომხეთიდან, სამცხიდან. მან ამბოხებულებთან გაგზავნა ეპისკოპოსები და მოხელეები მოსარიგებლად, მაგრამ უშედეგოდ. ამასობაში აჯანყებულებმა დაიჭირეს ქართლი გორამდე, სამცხე ჯავახეთამდე. დააპირეს თრიალეთისა და სომხითისაკენ გაჭრა, სადაც არაერთი მომხრე ჰყავდათ, შემდგომ კი – თბილისის კართან მისვლა, სადაც თამარ მეფე იმყოფებოდა. თამარმა „უბრძანა ამირსპასალარსა გამრეკელსა და ოთხთა მხარგრძელთა და სხვათა თორელთა, ზემოთა და ქვემოთა, წასვლა და მიგებება წინა ქვეყანასა ჯავახეთისასა“[16]. ამბოხებულები დამარცხდნენ, ითხოვეს შეწყალება, „რომელნიმე მოვიდეს ყელ-საბელ მობმით, რომელნიმე მკვლელ ექმნეს თავის ბიძასა და ეგრეთ მოვიდეს“[17].

ამის შემდეგ მხარგრძელები კიდევ უფრო ამაღლდნენ. თამარმა ზაქარია ვარამის ძე მხარგრძელს უბოძა ვრცელი ქვეყანა „გაგი“ ქურდვაჭრისხევიდან განძამდის ქალაქებით, ციხეებითა და სოფლებით. ეს ქვეყანა აქამდე ამბოხებულ ივანე ვარდანის ძეს ეკუთვნოდა. ვარდანის ძეები სვანეთის ერისთავები იყვნენ, ივანე ვარდანის ძე მათი სახლისშვილი უნდა ყოფილიყო. ჩანს, სვანეთის ერისთავს ისევე ეჭირა ეს ქვეყანა (ყოფილი სომხითის სამეფოს ტერიტორიაზე), როგორც ვარდან დადიანს ეჭირა იქვე მახლობლად (სომხითში) – ორბეთი და კაენი. კახაბერ ვარდანისძე მეჭურჭლეთუხუცესი იყო, სწორედ მისმა ნაცვალმა შემოიყვანა გაძევებული გიორგი რუსი საქართველოში და სათავე დაუდო აჯანყებას. ამიტომაც, ჩანს, ვარდანისძეები – სვანეთის ერისთავები გაძევებულ იქნენ. სომხეთში ვარდანისძეთა საპატრონო ტერიტორიები, როგორც ითქვა, ზაქარია ვარამის ძე მხარგრძელს გადაეცა.

ვარდან დადიანს თამარმა ჩამოართვა მსახურთუხუცესობა. ის მხარგრძელების ოჯახს, კერძოდ, ივანე სარგისის ძეს ებოძა. ვარდან დადიანის საპატრონო მიწებიც სომხეთში მას გადაეცა: „უბოძეს სარგისის ძესა ივანეს პირველად მსახურთუხუცესობა, ხელი შინაური და საპატიო, და კაენი და კაიწონი გელაქუნით და სხვითა მრავლითა სახარჯოთა ქალაქითა და ციხითა“[18].

რით იყო გამოწვეული დასავლელი ქართველი დიდებულების ამბოხება. მიჩნეულია, რომ ერთიან ქართულ სახელმწიფოს სათავე დაუდო „აფხაზეთის სამეფომ“. ეს სამეფო იყო ცენტრი, რომლის გაფართოების შედეგად შეიქმნა თამარის

დროინდელი საქართველო, ამიტომაც ქართველ მეფეთა ტიტულატურის თანახმად, საქართველოს მეფე პირველად „აფხაზთა“ მეფე იყო. „აფხაზთა და ქართველთა“ მეფე იყო დავით აღმაშენებელი გარკვეულ დრომდე, ასევე მისი წინაპრებიც ბაგრატ III-ის დროიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ „აფხაზთა“ და „ქართველთა“ ყოფილი სამეფოების, ანუ დასავლეთ საქართველოსა და მესხეთის დიდებულებს იურიდიული „კანონიერი“ უპირატესობანი თუ უფლებანი უნდა მინიჭებოდათ სამეფო კარზე. მათი თვალსაზრისით, ერთიანი სამეფოს დვრიტა, საწყისი თუ საფუძველი ლიხთ-იმერეთ-მესხეთი იყო. ამის დამადასტურებელი იყო ისიც, რომ მათი ქვეყნელი ჭყონდიდელი ეპისკოპოსი სამეფო კარზე უპირველესი ხელისუფალი იყო. ასევე ამის დამადასტურებელი დემონსტრაცია იყო თამარის კურთხევისას ლიხთ-იმერთაგან მეფის გვირგვინის დადგმა და სამეფო ხმლის შემორტყმა. გვირგვინი და ხმალი, ჩანს, სიმბოლო იყო სამეფო ხელისუფლებისა და ლაშქრის მეთაურობისა, ე.ი. ლაშქარიც და სამეფოც ლიხთ-იმერელთა იურიდიული დაქვემდებარების ქვეშ მიიჩნეოდა. ამიტომაც, როცა თამარის სამეფო კარზე აღზევდნენ არა ლიხთიმერლები (ე.ი. არა „აფხაზები“), ამან გამოიწვია გულისწყრომა. მათი „კანონიერი“ უფლებები უკიდურესად შებღალული იყო. მათი იმედი გიორგი რუსი გახდა, მაგრამ სასახლის პარტიამ ის დაამარცხა. „იმერელ-სვანებმა“ (როგორც მათ ბასილი ეზოსმოძღვარი უწოდებს)[19] მოაწყვეს ამბოხება სასახლეში რუსის დაბრუნების მიზნით, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ. საქართველოს პოლიტიკური ცენტრი ლიხთ-იმერეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიიწევდა. სამეფო კარზე იმ ქვეყნების დიდებულებმა დაიკავეს საპატიო ადგილი, რომელნიც თანდათანობით საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით უნდა მოქცეულიყვნენ. კერძოდ, დემეტრე I-დან, თამარის პაპიდან, მოყოლებული საქართველოს სახელმწიფო მიისწრაფოდა, ხელში ჩაეგდო ანისის ყოფილი სამეფო, გაეძევებინა აქედან თურქები, მოეგო ადგილობრივი მცხოვრებლებისა და დიდებულების გული. მთელი საუკუნის მანძილზე ანისის და დვინის ქვეყნების დაჭერის პოლიტიკა განსაზღვრავდა სამეფო კარის ცხოვრებას, ამიტომაც მოხვდნენ ამ ქვეყნების დიდებულები, მხარგრძელები, სამეფო კარზე და ამაღლდნენ.

თამარმა სრულიად შეცვალა პოლიტიკა. თუკი აქამდე იმდროინდელი საქართველოს გაფართოება, ჩანს, განიხილებოდა, როგორც „აფხაზთა“ (ე.ი. დასავლელ ქართველთა) სამეფოს გაფართოება და შემოერთებული სომხითის სამეფოს (ე.ი. ლორეტაშირის) მიწებს საპატრონოდ ურიგებდნენ დასავლელ ქართველ დიდებულებს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ახლა უკვე ლორესა და ანისის სამეფოს მიწები (ქალაქები, ციხეები) საპატრონოდ გადაეცა აღმოსავლელ დიდებულებს, პირველ რიგში, მხარგრძელებს.

თამარამდე მეზობელი ხალხებიც ერთიან საქართველოს „აფხაზეთს“ უწოდებდნენ. უხტანესი თვით თბილისის გარშემო ტერიტორიებსაც კი აფხაზეთის მიწებად მიიჩნევდა. ამიტომაც „აფხაზ“, ანუ ლიხთ-იმერელ დიდებულებს, ამ შემთხვევაში დადიანებსა და ვარდანისძეებს და, საერთოდ, მთელ დასავლეთ საქართველოს არათუ არ მოეწონათ თამარის პოლიტიკის ცვლილება ახალშემოერთებულ მიწებთ-

ან (ე.ი. ყოფილ სომხურ პოლიტიკურ ერთეულებთან) დაკავშირებით, არამედ იარაღის ძალითაც მათი პოლიტიკის მომხრე მეფე-სიძის შეყვანაც სცადეს სასახლეში. (სხვათა შორის, ზემოთ მოყვანილი დამოკიდებულებაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ იმ დროს სიტყვა „აფხაზს“ არ გააჩნდა ეთნიკური მნიშვნელობა და ის პოლიტიკურ ტერმინად იყო ქცეული. ეთნიკური აფხაზიც უთუოდ „ქართველთა ნათესავის“ ერთ-ერთ ტომად განიხილებოდა. „აფხაზთა“ სამეფოში დიდი პოლიტიკური წონა ჰქონდა სვანეთის საერისთავოს (ხმლის მიღების უფლება), ქუთათელს (გვირგვინისა), ჭყონდიდელს, საკუთრივ აფხაზეთს ასეთი უფლება არ ჰქონდა.

როგორც აღინიშნა, ივანე მხარგრძელს თამარმა მსახურთუხუცესობა უბოძა, მაგრამ განსაკუთრებით აამაღლა ზაქარია მხარგრძელი. მას ამირსპასალარობა უბოძა. მემატიანის აზრით, ამის მიზეზი იყო ის, რომ მხარგრძელთა საგვარეულო ერთგული იყო ქართველთა მეფეებისა (ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონია, რადგანაც ზოგიერთი საგვარეულო ტრადიციულად, საუკუნეების მანძილზე, მეფის ორგულობით გამოირჩეოდა (მაგალითად, ბაღუაშები), ხოლო მხარგრძელების საგვარეულო თამარის პაპისა და მამის ერთგულები ყოფილან, ამასთანავე „კაცნი ბრძენნი, ბრძოლათა შინა დიდად გამოცდილნი და გვარეულადაცა ერთგულნი მეფეთანი, ამისათვის დიდად შეყვარებულნი თვით თამარის პაპათა და მამათაგანაცა. ამათ მიხედნა თამარ და ესეცა ღმერთსა მიანდო და შეიწყალნა და ზაქარიას უბოძა ამირსპასალარობა“[20]. ის, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის თანახმად, არის „სომეხ მეფეთა ადგილზე მჯდომი“, ანუ პატრონი ლორისა. „და ამას შინა მიიცვალა გამრეკელი ამირსპასალარი და თმოგვისაგან კიდე არა დააკლეს შვილთა მისთა. მაშინ უბოძეს ამირსპასალარობა ზაქარიას მხარგრძელსა, ძესა სარგის ამირსპასალარისასა, მჯდომსა სომეხთა მეფისა ადგილსა, პატრონსა ლორისასა“[21].

„სომეხ მეფეთა“ ადგილზე ჯდომა ძალიან დიდ პოლიტიკურ ძალაუფლებას აძლევდა ზაქარიას. „ტაოელ მეფეთა“ ადგილზე იჯდა გუზანი, რომელსაც მთელი ტაოს მხარეში რეალური ძალაუფლება გააჩნდა, იმდენად დიდი, რომ მან შეძლო ამ მხარეს ციხეების თურქებისათვის გადაცემა.

როგორც გუზანს, ასევე ზაქარიას, ხელისუფლების პატივი პატრონისაგან, საქართველოს მეფისაგან ჰქონდათ მიღებული. ლორეს პატრონს რუსთავიც უბოძეს,ხოლო თმოგვი, რომელიც ადრე გამრეკელს ეჭირა, ახლა სარგის ვარამის ძე მხარგრძელს გადასცეს.

დაახლოებით 1192 წელს დაიბადა ლაშა-გიორგი. სწორედ აღნიშნული ამბების გადმოცემის შემდეგ წერს მემატიანე მისი დაბადების შესახებ. ტახტზე ასვლისას ლაშა-გიორგი ცამეტი წლისა ყოფილა[22], ხოლო თამარის მიცვალებისას კი – 18 წლისა. თამარი 1213 წელს გარდაიცვალა. ამ ანგარიშით ლაშა-გიორგი 1195 წელს დაბადებული გამოდის. ანგარიში ირევა, რადგანაც თამარის გარდაცვალების ზუსტი თარიღის შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობს (ლაშას შემდეგ რუსუდანი დაბადებულა).

თამარი დავით სოსლანზე 1188 წელს დააქორწინეს. მიუხედავად ამისა, თამარს აღნიშნულ დრომდე, ე.ი. 4-5 წლის მანძილზე, შვილი არ გასჩენია. მას შვილი არც გიორგი რუსთან ჰყოლია 2 წლის განმავლობაში. ამიტომაც, მომავალი მეფის, ლაშა-გიორგის, დაბადების აღსანიშნავად ამის ბედსა და სვეზე საგანგებო გალაშ-

ქრება მოუწყვიათ ბარდავისაკენ. 30 000 ტყვე გაუთავისუფლებიათ. „ათავისუფლეს სამ-ბევრობა ტყვეთა დღეგრძელობისათვის თამარისა და ძისა მისისა“[23].

აღსანიშნავია, რომ ქართულმა სახელმწიფომ ვერ შეძლო განძისა და ბარდავის შემოერთება, თუმცა ხშირად ლაშქრავდნენ ამ მხარეებს. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, არაბთა შემოსევებისას ბარდავი ქართლის სამეფოში შედიოდა. აშოტ კურაპალატი სამხრეთ საქართველოსთან ერთად ბარდავსაც ფლობდა. ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ის, რომ რამდენიმე საუკუნის შემდეგ, დავით აღმაშენებლისა და დემეტრეს დროს, შარვანის ვრცელი ქვეყნის დასავლეთი ნაწილი ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ყოფილა. შარვანის ეს მართლმადიდებლური მხარე ბარდავის სიახლოვეს მდებარეობდა. „შარვანშას“ ქვეყნის გაყოფის დროს შარვანის ეს ქრისტიანული ნაწილი საქართველოს საზღვრებში არიშიანების მფლობელობაში შესულა. უნდა გამოითქვას მოსაზრება, რომ შარვანის მართლმადიდებლური ნაწილი ეთნიკურად ქართველებს, ანდა ქართველურ ტომს წარმოადგენდა. სწორედ ეთნიკური წარმომავლობის გამო უნდა შეენარჩუნებინათ მათ სარწმუნოების ის სახე, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნულ სარწმუნოებად იყო მიჩნეული. ვერავითარი სხვა მიზეზით ვერ ავხსნით მათ მართლმადიდებლობას. არაბთა ბატონობამ ამ მხარეებში მაჰმადიანობა გაავრცელა. მაჰმადიან ხელისუფალთა ბატონობისას აქ მართლმადიდებლობა ვერ გავრცელდებოდა. მალე თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს ეს მხარე. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო ქართულმა სახელმწიფომ მიახლოებოდა შარვანის საზღვრებს. ამიტომაც ის, რომ ამ მხარეში (შარვანის დასავლეთ მხარეში, ბარდავთან ახლოს) არც გრიგორიანობა, არც მაჰმადიანობა არ გადაიქცა აქაური მოსახლეობის სარწმუნოებად, მიუთითებს მათ ეთნიკურ სიახლოვეზე ქართველებთან. „მიჰმართეს ბარდავად, დიდად და ძველად ქალაქად... ჰეროსის ძმისა ბარდოსისა მამული და შენებული“[24] ბარდავის ქვეყნის მკვიდრნი ქართველებად, ანდა ქართველთა მონათესავეებად მიიჩნევა თამარის მემატიანის მიერ, მსგავსად ჰერებისა.

ქართველებმა ილაშქრეს არზუმში, კარნუ-ქალაქის სანახებში და სხვაგან, სადაც ადგილობრივი მკვიდრნი ამბობდნენ: „არაოდეს გვიხილავს ტომი ქრისტიანეთა სანახებსა შინა საყოფელთა ჩვენთასა“[25]; შემდგომ ილაშქრეს არეზისპირა ქვეყნებში განძის კარამდე. და კვლავ ლორიდან წავიდნენ ორნი ძმანი სარგისის ძენი, ზაქარია ამირსპასალარი და მსახურთუხუცესი ივანე, რახსის პირის მოსარბევად. ამის შემდგომ კაენის პატრონმა ივანე მსახურთუხუცესმა მიიწვია დავითი სალაშქროდ: დიდი გელაქუნის, სპარსი ბაზრისა და სხვის მოსარბევად... გააქციეს, ამოსწყვიტეს და დახოცეს.[26]

1193 წელს კვლავ შემოვიდა გიორგი რუსი განძისა და არანის ლაშქრით კამბეჩანში, ხორნაბუჯის პატრონმა საღირ მახატლის ძემ იგი დაამარცხა. რუსი გადაიხვეწა.

„უმეტეს გარდაემატა ბედნიერობით ქვეყანა ყოველთა კეთილთა და განმარჯვებითა ლაშქართათა შეიწრდეს ყოვლით – კერძონი სპარსნი“[27]. „სპარსელებმა“ შეკრიბეს ლაშქარი „ესოდენი, ვიდრემდის არცა რიცხვი იცოდეს და ვერცა ერთსა თემსა დაეტეოდეს“[28].

თამარის ბრძანებით ლაშქარი 10 დღეში შეიკრიბა. წარუძღვანა ძელი ცხოვრებისა. ლაშქარს თან გაჰყვა ანტონ ჭყონდიდელი, თვითონ კი ფეხშიშველი მივიდა მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარში და დედა ღვთისას ხატის წინ ცრემლით ილოცა, ვიდრე ღმერთმა მისი სათხოვარი არ აღასრულა. შამქორის ომში 1194 (1195) წელს ქართველებმა გაიმარჯვეს. ქართველებს, ჩანს, მოძრავი ეკლესიები ჰქონდათ, რადგანაც შემდეგ „მადრასთა წილ აღმართნეს ეკლესიანი და მყივანთა წილ ჰკრეს ძელსა და ნაცვლად მუყრთა იხილვებოდა ღაღადება მღდელთა ადონაისადმი: უფალო საბაოთ ძალთასა“[29].

გამარჯვებულებს განძელებმა ქალაქი გადასცეს. მეფე დავითმა იქ დარბაზობა გამართა. თვითონ სულთნის ტახტზე დაჯდა, ხოლო შარვანშა და ამირ-მირმანი, ვაზირები – მანდატურთუხუცესი, ამირსპასალარი და სხვა ხელისუფლები თავთავიანთ ადგილებზე დასხდნენ.

თამარმა შალვა ახალციხელის მიერ მოპოვებული ხალიფას დროშა გაგზავნა ხახულის ღვთისმშობლის ტაძარში, მსგავსად დავით აღმაშენებლისა დიდგორის გამარჯვების შემდეგ. თამარმა ღვთის სამადლობლოდ შეთხზა „იამბიკო ხუთეული ოცდახუთ ლექსად“.

მალე განძა კვლავ აიღო აბუ-ბექრ ათაბაგმა. მან თამარის მიერ განძაში დადგენილი თავისი ძმა ამირ-მირმანი მოაკვლევინა, მეფემ გაილაშქრა ამ ათაბაგის წინააღმდეგ და აიღო ციხეები და ქალაქები.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი დიდი წინააღმდეგობით ხვდებოდა სამეფო კარზე მონოფიზიტების აღზევებას. მიუხედავად იმისა, რომ კათალიკოსმა ზაქარია მხარგრძელი სარწმუნოებრივი თვალსაზრისით გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა, მან არ უარყო მონოფიზიტობა. ის ამბობს „მე არ შევერთვი ქართველთა“[30]. თუმცა, ის პოლიტიკურად ქართველია. სხვა ამბავთან დაკავშირებით იგივე მემატიანე წერს: „განკვირდეს ყოველნი წარჩინებულნი ქართველთანი, ზაქარიაცა და ივანე მხარგრძელნი“[31]. და ზაქარია ეროვნებით ქურთი, სარწმუნოებით სომეხი, პოლიტიკურად კი ქართველთა მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე იყო. მაგრამ ამ ეპოქაში სარწმუნოება ქვეყნის ძლიერების განმსაზღვრელი იყო.

თამარის დროს „სარწმუნოება განმტკიცნებოდა, წმიდანი ეკლესიანი შეიმკოებოდეს მრავალფერთა მიერ სამკაულთა, ლოცვანი და ღამისთევანი განმრავლდებოდეს, უფროსღა თვით პალატსა შინა წმიდათა საიდუმლოთა სრულყოფანი მიმდემნი და რასა მრავალსა ვიტყოდი წყალობა ღმრთისა განმრავლდებოდა და ყოველი სიბოროტე ეშმაკისა მოუძლურდებოდა“[32].

საქართველოს სახელმწიფოში შედიოდა შემდეგი „სანაპირო“ მხარეები:

1. ქვემო სანაპირო – გაგი (ზაქარია მხარგრძელს ჰქონდა);
2. ძორაკერტი და ტაშირი (ესეც ზაქარიასა და ივანე მხარგრძელს ჰქონდათ);
3. ჯავახეთი (სარგის მხარგრძელი და შალვა თორელი მონაპირეობდნენ)
4. ზედათ არტანი (მესხები მონაპირეობდნენ, ყვარყვარე სპასალარი და ჯაყელი);
5. შავშეთით სპერის კერძო ფანასკერტი (ზაქარია ასპაანის-ძე);
6. ქვემო ნაპირის კერძი (განძისა და ბარდავის სიახლოვეს, გრიგოლისძენი, ტბელები, მახატლის-ძენი მონაპირეობდნენ);

7. შემდეგ დაემატა – კარი.

თამარი „...არცა სამეფოდ იმჭირვიდა ესეოდენთა ქალაქთა და ციხეთა, არამედ თვით მათვე მისცემდა, რომელთა აუცალოებდა თვისთა ლაშქართა“[33].

თამარმა „ურჩნი თვისნი დაამდაბლნა და მოყვარენი აღამაღლნა, არა იღუწოდა უმეზობლობასა და არცა შერთვიდა სახლსა სახლსა ზედა, არცა აგარაკსა აგარაკსა ზედა უცხოსა, არამედ თვისი მამული ძველი კმა იყო“[34].

თამარმა კლდეში გამოჰკვეთა ღვთისმშობლის „პატიოსანი ეკლესია და მონაზონთა საყოფი სენაკები“[35]. „ეს ვარძია პირველად დაეწყო სანატრელსა მამასა მისსა გიორგის, გარნა ვერ სრულ ექმნა და დაეტევა, რომელმან ამან აღასრულა და შეამკო ყოვლითურთ“.

თამარმა „არა ოდენ საქართველოსა მონასტერნი ააშენნა, არამედ პალესტინეს იერუსალემს ააშენა პირველად მონასტერი და კუალად კვიპრეს ღალია... აღაშენა მონასტერი... კუალად კონსტანტინეპოლის აღაშენა მეტოქი მათი... საქართველოსა მცირითგან მონასტრით საყდარ-ეკლესიანი არა დაუტევა, რომელ არა წყალობითა აღავსო“[36].

აქამდე ქალაქი კარი (ყარსი) თურქებს ეჭირათ. თამარმა წარავლინა ლაშქარი. თურქებმა დატოვეს ქალაქი და გაიქცნენ. მეფემ აიღო ქალაქი, კარის მცველის თანამდებობაზე დატოვა ახალციხელი ივანე „და აჩინა მონაპირედ და უბოძა ათაბაგობა და ამირათა ამირობა“. მან თურქებს წაართვა გარეშემო ქვეყნები, რომლებიც შემოიერთა.

თურქ-სელჩუკების იმპერია, რომელიც არსებობდა მცირე აზიაში საქართველოს მეზობლად, თამარის მეფობის დასაწყისში დაშლილი იყო სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულად. ამ დროისათვის ის გააერთიანა სულთანმა რუქნადინმა. მან შეკრიბა 400 000 კაცი საქართველოსთან საომრად. გამოუგზავნა თამარს მოციქული წერილით, რომელშიც ეწერა, „შენ გიბრძანებია ქართველთათვის აღებად ხრმალი მუსულმანთა ხოცად“[37], რუქნადინს გადაწყვეტილი ჰქონია თამარის ქვეყანაში ამოეწყვიტა ყველა მამაკაცი იმათ გარდა, რომლებიც უარყოფდნენ ქრისტიანობას. მათ მის თვალწინ უნდა დაელეწათ ჯვრები და ეღიარებინათ მაჰმადიანობა. საპასუხოდ თამარმა რუქნადინს მისწერა, რომ ის არის ოქროს თაყვანისმცემელი. „ხოლო მე არცა სიმდიდრესა და არცა ძალსა სპათა ჩემთასა, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა და ჯვარისა წმიდისა, რომელი შენ ჰგმე“, თაყვანისმცემელი ვარო. „იყავნ ნება ღმრთისა“.



სულთნის მოციქულმა უკადრისი სიტყვა ჰკადრა თამარს, ზაქარია მხარგრძელმა მას სილა გააწნა. თამარმა მოიწვია თავისი სპა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, შეკრიბა ჯავახეთში. „და მივიდა თამარ ვარძიას, ვარძიისა ღმრთისმშობელისა წინაშე და ცრემლით შევედრა სოსლან დავით და სპა მისი და დროშა მისი სვიანი“[38] ბასილი ეზოსმოძღვრის თანახმად, თამარი სპას გაჰყვა ბასიანამდე. თამარმა აღმართა ჯვარი, მის წინაშე მოაყვანინა ყველა დიდებული და ერისთავი. ისინი ემთხვივნენ ჯვარსა და თამარის ხელს, ცრემლით შეავედრეს ოჯახები უფალს.

შემდეგ მხედრები სამჯერ სამივე მხარეს დალოცა თამარმა ჯვრით და უკან დაბრუნდა სამცხეში.

ბასიანის ომში „მოხედა წყალობა აურაცხელმან ღმერთმან მოსავთა ჯვარისათა და განადიდა დიდება დავითისი და თამარისი ვარძიისა ღმრთისმშობელმან“. ქართველებმა გაიმარჯვეს.

ეს მოხდა დაახლოებით 1202 წელს.

თამარმა შესაწირავები გაუგზავნა ეკლესიებს ელადაში, მაკედონიაში, პეტრიწონში, კონსტანტინოპოლში, მთაწმიდაში, ალექსანდრიაში, ლიბანში, სინას-მთასა და იერუსალიმში – „მონაზონთა და გლახაკთათვის ოქროთა აურაცხელთა“[39].

თამარმა საქართველოში ჩამოსულ ანტიოქიის, შავი მთისა და კვიპროსის, მთაწმიდისა და სხვა მხარეთა ბერ-მონაზვნებს მისცა დიდძალი ოქრო მონასტრებისათვის. როცა ისინი ჩავიდნენ კონსტანტინოპოლში, ეს შეიტყო ბერძენთა მეფე ალექსი ანგარმა და ეს სიმდიდრე წაართვა ბერებს. თამარმა უფრო მეტი ოქრო გაუგზავნა ბერებს,ხოლო ბერძენთა მეფეს „წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი“ და სხვა ადგილები „და მისცა ნათესავსა თვისსა ალექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თვით წინაშე თამარ მეფისა შემოხვეწილი“[40]. ეს იყო 1204 წელს.

ამ დროისათვის ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა ილაშქრეს კარში. აღებამდე კარელებმა თვითვე ითხოვეს დავით მეფისაგან, რათა თამარს სამეფოდ დაეჭირა ეს ქალაქი და არ გადაეცა დიდებულებისათვის, როგორც ანისი და დვინი. თამარმა ძე თვისი გიორგი გაგზავნა იქ. მან „მიითვალა ქალაქი“. ეს იყო დაახლოებით 1204-1206 წლებში. 1207 წელს დავით მეფე გარდაიცვალა.

1208 წელს ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა დასაჯეს ანისში აღდგომა დღეს შემოჭრილი არდაბილის სულთანი.

შემდგომ „მოვიდეს მხარგრძელნი, ამირსპასალარი ზაქარია, მსახურთუხუცესი ივანე და ვარამ გაგელი, მეფის წინაშე და კერძოდ მოახსენეს – „უბრძანე სპათა საქართველოსათა მზა იყვნენ ლაშქრობად ხუარასანს. დაღათუ არავინ ქართველთაგანი მოწევნულ არს ხუარასანს და ერაყს, ბრძანე, რათა ნიკოფსით დარუბანდამდე აღიჭურნენ და მზა იყვნენ!“[41].

1210-1211 წლებში ქართველებმა სპარსეთში ილაშქრეს: „მისცა დროშა ზაქარია ამირსპასალარსა და წარემართნეს სპარსეთად“[42]. იბრძოლეს, გაიმარჯვეს და ალაფით აღვსილნი „შემოიქცეს გამარჯვებულნი და ძლევა შემოსილნი ქართველნი. ქართველთა ნათესავი ვერავინ მიწევნილ იყო ლაშქრად, არა მეფე, არა მთავარი, და ვერვინ წინააღუდგა სპარსეთ შესულთა“[43]. ქართველებმა ერაყის სულთანიც დაამარცხეს.

ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ მეფემ ამირსპასალარობა უბოძა მის ძმა ივანე მსახურთუხუცესს, მაგრამ ივანემ, რომელიც „საქმეთა შინა განკვირვებული იყო“, მოითხოვა ათაბაგობა: „ათაბაგობითა პატივ-მეც... ახალსა და უაღრესსა პატივსა ღირს მყო და ათაბაგობა მიბოძო“. თამარი დათანხმდა. „მსახურთუხუცესობა უბოძა ვარამს, ზაქარია გაგელის ძესა“[44].

ამის შემდეგ აჯანყდნენ მთიელები: „ფხოველები და დიდონი“. „მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთეულთა: დვალთა, ცხრაზმელთა, მოხევეთა, ხადელთა,

ცხავატელთა, ჭართალთა, ერწოთიანელთა, მისცა ივანე ათაბაგსა და წარავლინა მათ ზედა“, მთიულები დამარცხდნენ.

„მოიწია მწუხარება დიდი და მოუთხრობელი ყოველთა მკვიდრთა საქართველოსათა და ძნელად გამწარებულნი იტყებდეს და ისხმიდიან თავსა ნაცარსა და მტვერსა ათაბაგი და ყოველნი“. თამარი გარდაიცვალა 1213 წელს.

ჭყონდიდელი და ათაბაგი

ჭყონდიდელი საქართველოს მეფის „მამად“ იყო აღიარებული. ეს თავისთავად მიუთითებს სახელმწიფოს საქმეებში ამ მღვდელმთავრის მონაწილეობის შესახებ.

ასე იყო თამარის მეფობის დასაწყისშიც. ამ დროის მემატიანე – ჭყონდიდელს მეფის მამას უწოდებს, მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა, სამეფო კარზე მოხდა დიდი გადაადგილებანი და თამარის მეფობის დასასრულს მემატიანე „მეფის მამას“ უწოდებს უკვე ათაბაგს. „...მამად და გამზრდელად მეფეთა და სულტანთა იწოდების ათაბაგი“[45].

საქართველოს გაერთიანებისას ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესები იღვწოდნენ ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნისათვის. ფაქტია, რომ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელოს ზეობის დროს საქართველო გაერთიანდა, გაიზარდა და კავკასიის მასშტაბით ზესახელმწიფოდ იქცა. ფაქტია ისიც, რომ ათაბაგობის ინსტიტუტის შემოღების შემდეგ საქართველოს ერთიანი სახელმწიფო დამარცხდა და დაიშალა (იგულისხმება ხვარაზმელების შემოსევა და მონღოლების ბატონობის დასაწყისი).

დავით აღმაშენებელი და ჭყონდიდელი ერთად იდგნენ როგორც ქვეყნის საშინაო, ისე საგარეო საქმეების გადაჭრისას. მათი თანადგომის შედეგიც ცნობილია. ასევე ერთად იდგნენ რუსუდან მეფე და ათაბაგი და მათი თანადგომის შედეგიც ცნობილია. რუსუდანის დროს ათაბაგს, ფაქტობრივად, თავისი თავი მიაჩნდა სახელმწიფოში მეფის შემდეგ პირველ კაცად. მემატიანეც ხშირად ერთად მოიხსენიებს მათ. ამ მდგომარეობას ასახავს ისიც, რომ რუსუდან მეფე და ივანე ათაბაგი 1223 წელს რომის პაპს წერილებს სწერენ და ორივენი პასუხს იღებენ პაპისაგან. აღსანიშნავია, რომ ათაბაგი პაპისადმი წერილში თავის თავს „მთელის საქართველოს და სომხეთის მხედართმთავარს“ უწოდებს[46], ხოლო პაპი მას უწოდებს „სახელოვან ივანეს, საქართველოს მხედართმთავარს“[47]. „სომხეთს“ არ ახსენებს, რადგანაც პაპმა კარგად იცის, თუ სინამდვილეში რომელი სახელმწიფოს მხედართმთავარია ივანე ათაბაგი.

შეიძლება ითქვას, რომ ამ დროისათვის ათაბაგს სამეფო კარზე უჭირავს ის მდგომარეობა, რაც ჭყონდიდელს ეჭირა დავით აღმაშენებლის კარზე. ჭყონდიდელის პოზიციების შესუსტებით საქართველოს სახელმწიფო არ გაძლიერებულა. პირიქით, ჭყონდიდელის დროინდელი კონსოლიდაცია შეცვალა ათაბაგის დროის შურმა და ღალატმა. თვით საქართველოს სახელმწიფოსათვის საბედისწერო ომის დროს (ჯალალედინთან გარნისში) 1225 წელს, ქართველთა ლაშქრის სარდალმა ივანე ათაბაგმა, მემატიანის თანახმად, ფაქტობრივად, უღალატა საქართველოს შალვა

და ივანე ახალციხელების შურის გამო. ეს კი მიზეზი ყოფილა „საქართველოს სრულიად მოსპოლვისა“. ეს ღალატი უფრო მეტი ყოფილა, ვიდრე ურიათაგან ღმერთის მკვლელობა, წერს მემატიანე. ომის დაწყებისას ქართველ წინამბრძოლთა და სულთანის ურთიერთმიახლოებისას ათაბაგმა ფეხი არ მოიცვალა. „...დაიპყრა ფერხი ივანე ათაბაგმან. იტყვიან ვითარმედ: შურითა ყო ახალციხელთა შალვა და ივანესითა. ჰოი შური, ყოველთა ბოროტთა დასაბამი და ძვირად მომწყვედელი ნათესავისა კაცთასა და ყოველთა ნათესავთა მწყლველი! ვითარ ურიათა ღმრთის მკლველობა არწმუნა და კვალად ამათსა უბოროტესი უგბილი და ულმობელი და საქართველოსი სრულიადი მოსპოლვა ვითარ ქვემორე სიტყვამან ცხად ყოს, რომელი ათაბაგსა ივანეს არწმუნა, რომელ ჟამსა წყობისა და ჟამსა ომისასა უკუნ დგა და არღარა ვიდოდა მბრძოლთა კერძ“[48]. ქართველთა ლაშქრის სარდალი ივანე ათაბაგი ხედავდა, როგორ წყდებოდა ომში ქართველთა წინამბრძოლი ჯარი, მაგრამ არ გასცა მიხმარების ბრძანება: „ხოლო ივანე ათაბაგი და სპანი ქართველთანი ხედვიდეს ძლიერსა ომსა და არა შეიწყალებდეს თანამონათესავეთა და ერთსჯულთა, ქრისტეს აღმსარებელთა თორელთა და მათ თან მრავალთა სახელოვანთა, არამედ დგეს შორით და არა ინება შველა ივანე ათაბაგმან, რომელსა შურითა იტყვიან ამას ყოფად და არა თუ შიშითა“[49].

ქართველთა ლაშქარი სასტიკად დამარცხდა. ივანე ათაბაგს ხმალიც არ დაუძრავს.

მტერს თბილისისაკენ გზა გაეხსნა. საქართველოს ლაშქრის დამარცხებამ არაქართველები წაახალისა. თბილისელმა სპარსელებმა ღალატით გამოიჩინეს თავი - „მხოლოდ მეორე დღეს შეძლო მტერმა ქალაქის აღება და ისიც თბილისელ „სპარსთა შინაგაცემის გამო“[50]. ამ დროს ამირსპასალარი იყო ათაბაგის ძე ავაგი. 1226 წლის 9 მარტს მტერს 100 000 თბილისელი დაუხოცავს. ამ ეპოქაში ყივჩაღებსაც უღალატიათ: „...ყივჩაღნი განზე გადგნენ და მონაწილეობა აღარ მიიღეს ბრძოლაში“[51], მათთვის ჯალალედ-დინს „პურ-მარილი“ გაუგზავნია და ძველი სიკეთე მოუგონებია. ეს ყოფილა დაახლოებით 1229 წელს.

უფრო მეტიც, მონღოლების შემოსვლისას ათაბაგის ძე ავაგი, ამირსპასალარი საქართველოსი – დამორჩილდა მონღოლებს, ის მაშინ სომხეთში იმყოფებოდა. საქართველოს სხვა ნაწილები კი მსხვერპლად იქცა მონღოლებისა. მსგავსადვე - შანშე მანდატურთუხუცესმა ლორე უბრძოლველად გადასცა მონღოლებს, ვარამ გაგელმა მტერს თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთი ტერიტორიები გადასცა. „ვარამ გაგელმა ბრძოლას თავი აარიდა, და კირაკოსის სიტყვით, ღამით გაიპარა ... ლორეში შანშე მანდატურთუხუცესი იყო გამაგრებული, მიატოვა იქაურობა და საიმედო ადგილს შეაფარა თავი. მის მიერ ლორეში დატოვებულმა პირებმა უდარდელობა გამოიჩინეს და ვერ დაიცვეს ქალაქი, რომელიც მონღოლებს ჩაუვარდათ ხელში... „ამირსპასალარი ავაგ შევიდა ციხესა კაენისასა“, მაგრამ... ამირსპასალარი დამორჩილდა მონღოლებს“[52].

საქართველო ფაქტობრივად დაიშალა. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მტერი სასტიკად არბევდა. „საქართველოს სახელმწიფოებრიობასაც ხომ საფრთხე დაემუქრა: ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი მოწყდა სამეფო ცენტრს, რომლის ძალაუფლებაც უკვე ამ ნაწილზე აღარ ვრცელდებოდა“[53].

აი, ეს არის ფაქტი ათაბაგობის ინსტიტუტის დასასრულისა. ცნობილმა „ოთხმა მხარგრძელმა“ და მათმა შთამომავლებმა, უხეშად რომ ითქვას, ვერ შეძლეს სახელმწიფოში პირველკაცობისას „ჭყონდიდელობა“.

სწორედ ამ ტრაგიკულ დროს რუსუდანს კვლავ გაახსენდა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი (ან თვით ამ ეპისკოპოსმა გამოიჩინა ინიციატივა). ჭყონდიდელმა კვლავ დაიწყო შეკრება საქართველოსი. „რუსუდან მეფემ ბათო ყაინთან ვოლგისპირეთში არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი გაგზავნა“[54]. ზავი დაიდო, ყაენმა სცნო ერთიანი საქართველო. მეფე ქუთაისიდან კვლავ თბილისში დაბრუნდა. ჭყონდიდელი კვლავ ჭყონდიდელობდა.

როგორც ითქვა, თამარის მეფობის დაწყებისას „მამა მეფისა“ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს ეწოდებოდა, ხოლო მეფობის დასასრულს – ათაბაგს.

რამ გამოიწვია ამირსპასალარის სახელოს ამაღლება სამეფო კარზე და ათაბაგობის ინსტიტუტის წარმოქმნა?

საფიქრელია, რომ ეს იყო თამარის თავდაცვითი უკურეაქცია იმის შემდეგ, რაც კათალიკოსმა მიქაელმა მიიტაცა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა, სხვა სახელოები და სამეფოს ფაქტობრივ მმართველად იქცა. ასეთი მტაცებლობით ამ მღვდელმთავარმა დაარღვია საეკლესიო კანონები. შედეგმა კი თავი იჩინა თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ.

ივანე ჯავახიშვილი წერს: „გამორკვეული გვაქვს, ჭყონდიდელი მწიგნობართუხუცესი და ვაზირთა უპირველესი, ფაქტიურად საქართველოს მეფის მოადგილე და სახელმწიფოს მთელი მართვა-გამგეობის ნამდვილი საჭეთმპყრობელი იყო, რომელსაც „კარის გარიგება“ მეფის „მამას“-აც კი უწოდებს“[55].

ხოლო როცა ასეთი უზარმაზარი თანამდებობა ქართული ეკლესიის მეთაურმა ჩაიგდო ხელში, „ის ფაქტიური გამგე უნდა გამხდარიყო სამეფოსი“[56].

აქ ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას იმის შესახებაც, თუ როგორ შეიძლებოდა ეკლესიას ფაქტობრივად ხელში ჩაეგდო სახელმწიფოს მმართველობა (ასე მოხდა მიქაელის მიერ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელოს მიტაცებისას). ერთ წინა პარაგრაფში ნათქვამი გვქონდა, რომ დავით აღმაშენებლის დროს საქართველოში შეიქმნა თეოკრატიულის მსგავსი სახელმწიფო: მეფე და ეკლესიის მმართველი მღვდელმთავრები აწონასწორებდნენ ხელისუფლებას (მეფის უზენაესობით). მეფე ლაშქრისა და სამხედრო უწყების მეთაური იყო, ხოლო ეკლესია და ლაშქარი - ორი გაწონასწორებული პოლიტიკური ძალა. მიქაელმა ეს წონასწორობა დაარღვია, ისარგებლა იმით, რომ მეფე ქალს იმ დროს ქმარი, ანუ ლაშქრის მეთაური არ ჰყავდა, ხოლო ამირსპასალარი ყუბასარი ლოგინად იყო ჩავარდნილი. ასეთ დროს კათალიკოსის მიერ დიდი სახელოების მიტაცება მეფეზე მეტი ხელისუფლების ქონებას ნიშნავდა. ხელისუფლება აღარ უნაწილდებოდა დანარჩენ მღვდელმთავრებსა და ლაშქრის მეთაურს.

„მიქაელ კათალიკოზის ზრახვისა და გეგმის პოლიტიკური მნიშვნელობა ცხადია. მისი და, უეჭველია, მის მომხრეთა მიზანი სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩაგდებაც იყო. ვითარცა საქართველოს ეკლესიის კათალიკოზ-პატრიარქი,

იგი ქართული ეკლესიის მესაჭე იყო, ვაზირთა-უპირველესობისა და მწიგნობართ-უხუცესობის მიღებით მას საერთო, სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩაგდებაც სურდა. მის დაუკითხავად მეფეს არაფერი არ უნდა გაეკეთებინა. ამიტომ მიქაელს ამიერითგან თვით მეფეზეც კი ძალა და ხელისუფლება ექმნებოდა. მეფეს საეკლესიო საქმეებში უშუალოდ ჩარევის უფლება არ ჰქონდა და ხელი არ მიუწვდებოდა, მიქაელი კი ორისავე საერო-სახელმწიფო და საეკლესიო ხელისუფლების მქონებელი და გამაერთიანებელი იყო.

რამდენადაც მიქაელი უპირველესად კათალიკოზი იყო, ეს გარემოება სახელმწიფოსა და საერო ცხოვრებაში აუცილებლად ეკლესიის გაბატონებას მოასწავებდა. ეს საისტორიო მეცნიერებაში წოდებულს ცეზაროპაპიზმს უდრიდა და რომის ეკლესიის უფლებრივ შემეცნებას მიემსგავსებოდა, საქართველოს მეფეთა მთელ გეზსა და პოლიტიკას კი ძირიანად ეწინააღმდეგებოდა“[57].

აქ უნდა ითქვას, რომ მართალია, ცეზაროპაპიზმი თავისთავად მეფობის არსებობას საფრთხეს უქმნიდა და მიუღებელი იყო, მაგრამ ისიცაა აღსანიშნავი, რომ დავით აღმაშენებელმა ქართული ეკლესიის მეთაურებს - მღვდელმთავრებს უდიდესი სახელმწიფოებრივი მისიაც დააკისრეს, რაც თავისთავად, თავის თავში შეიცავდა საფრთხეს „ცეზაროპაპიზმისას“, განსაკუთრებით, სუსტი მეფის დროს.

„...ეკლესიის მაშინდელ მესვეურთ პოლიტიკური უპირატესობის ხელში ჩაგდებაც უცდიათ და მოუხერხებიათ კიდეც. მიქაელ კათალიკოზის ვაზირთ-უპირველესობა ეკლესიისაგან სახელმწიფო ხელისუფლებაზეც უძლიერესი გავლენის მოპოვების მომასწავებელი იყო“[58].

დაინტერესებული იყო თუ არა ქართული ეკლესია პოლიტიკური უპირატესობა ჩაეგდო ხელში და მიაჩნდა თუ არა მას თავისთვის სასარგებლოდ შექმნილი მდგომარეობა?

ჩანს, არ მიაჩნდა, ამიტომაც მიქაელის ამ ქმედების საპასუხოდ მოწვეული იქნა საეკლესიო კრება, რომელზეც ეკლესიის საუკეთესო მოღვაწენი ცდილობდნენ ეკლესიის მეთაურისათვის ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა ჩამოერთმიათ, რათა აღედგინათ წონასწორობა, ისეთი ჰარმონია, რომელიც დავით აღმაშენებლის დროს არსებობდა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. ალბათ, ამ ჰარმონიის დარღვევით მიქაელ კათალიკოსმა ჩაიდინა „წინაუკმოობა წესთაგან ეკლესიისათა“, „უეჭველია, მიქაელის ნამდვილ დანაშაულად მკაფიოდ დასახელებული ჭყონდიდელობა - ვაზირთა-უპირველესობის „მოვერაგება“ ითვლებოდა“[59]. მიქაელის გადაყენება სურდათ, მაგრამ ვერ შეძლეს. „მიქაელი წინანდებურად ეკლესიისაცა და სახელმწიფოს ხელმძღვანელად დარჩა“[60]. ამ კრების შემდეგ მიქაელს „კიდევ 6 წელიწადი უცოცხლია და წინანდებურად ორივე უზენაესი, საეკლესიო და სახელმწიფო ხელისუფლება სჭერია“[61].

„მიქაელის გადაყენების ამ უნაყოფო მცდელობამ თამარისა და მისი პოლიტიკის მომხრეთა დასის სისუსტე გამოამჟღავნა“[62].

ცხადია, თამარი ვერ შეურიგდებოდა ამ მდგომარეობას. დაელოდა ხელსაყრელ მომენტს მდგომარეობის გამოსწორებისათვის. მიქაელ კათალიკოზი გარდაიცვალა.

თამარმა შეძლო დარბაზის დახმარებით ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა ანტონისთვის მიეცა. ორი ვაზირი ანტონი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი და ამირსპასალარი სარგის მხარგრძელი ერთდროულად გამოჩნდნენ ხელმწიფის კარზე. ისინი თამარმა „შვიდთავე სამეფოთა დიდებულთა თანადგომითა და ერთნებობით“ დაამტკიცა.

ამირსპასალარი ადრე, ნ. ბერძენიშვილის აზრით, ვაზირად არ იწოდებოდა. სარგის მხარგრძელი თამარს გაუვაზირებია. „...საფიქრებელია, რომ ვაზირად თამარის მეფობის დასაწყისშიც კი მხოლოდ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ითვლებოდა. ... თამარის ისტორიკოსის ხანაში ხდება გავაზირება სხვა ხელისუფალთა...“[63] „დავითის დროს ვაზირი იყო მხოლოდ ჭყონდიდელი“[64].

თამარმა გაავაზირა ამირსპასალარი, ამით კი, ჩანს, მოუსპო საშუალება „ოთხი ბერისაგან“ რომელიმეს მიქაელის მსგავსად, მიეტაცებინა უმთავრესი სახელმწიფო და საეკლესიო თანამდებობანი და ერთპიროვნულად ემართა სახელმწიფო. თამარმა ამირსპასალარის გავაზირებით ფაქტობრივად დაამყარა წონასწორობა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. დავითის დროინდელი „თეოკრატიულისმაგვარი სახელმწიფო“ თამარისათვის მიუღებელი აღმოჩნდა, რადგანაც ამ სისტემამ თავისი უარყოფითი სახე გამოაჩინა.

როგორც ჩანს, მაშინაც კარგად იცოდნენ, რომ ამირსპასალარის ამაღლებით (თანაც არა მართლმადიდებლის) თამარმა ქართული ეკლესიის მეთაურების (ისინი სახელმწიფოს ხელმძღვანელებიც იყვნენ) ძლიერება შეამცირა (სწორედ ამირსპასალარის ამაღლების შემდეგ იგრძნო თამარმა ჭეშმარიტ ხელმწიფედ თავი. აღსანიშნავია ისიც, რომ სომხით-ანისელი დიდებულის (ამირსპასალარის) ამაღლებით ლიხთ-იმერელ დიდებულთა ზეგავლენაც შემცირდა სამეფო კარზე).

ზაქარია ამირსპასალარის გავლენა სამეფო კარზე უფრო და უფრო იზრდებოდა. ეს კი, ალბათ, აღიზიანებდა ეკლესია-სახელმწიფოს ყოფილ ერთპიროვნულ მმართველებს. ამითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული კათალიკოსის მიერ ზაქარიას საჯარო შეურაცხყოფა. ავტორიტეტამაღლებული ზაქარიასა და მხარგრძელთა სახლის მიერ ხელმწიფის კარის უმნიშვნელოვანესი სახელოების ხელში ჩაგდება აღიზიანებდა არა მარტო დაჩრდილულ ჭყონდიდელსა და კათალიკოსს, არამედ „ძველი სამეფოს“, „აფხაზეთის“ ანუ ლიხთ-იმერეთის დიდებულებსაც.

ერთხელ კათალიკოსმა თვითვე ჩაატარა წირვა. წირვის შემდეგ „...ყოველნი ღირსნი მოუხდებოდეს ჭამად სეფისკვერისა. ინება ზაქარია ამირსპასალარმან შეხებად და აღებად სეფისკვერისა. ხოლო მღდელთა არა მისცეს, რამეთუ იყო სარწმუნოებით სომეხი, შეჩვენებულთაგანი“[65]. ზაქარიამ იუკადრისა, შერცხვა სხვა დიდებულებისა და მეფისა, რომელნიც იქვე იყვნენ. ამიტომაც „იკადრა ზაქარიამ აღტაცებად სეფისკვერისა და შეჭმად, რომლისათვის კათალიკოსი, ცეცხლებრ აღტყინებული, ძლიერად ამხილებდა“. თავისი ნებით თქვენ, შვიდგზის წყეულ სომხებს, სეფისკვერს მართლმადიდებელი მღვდელმოქმედი არ მოგცემთ, მოტაცება კი მხოლოდ ძაღლისთვისაა საკადრისიო. ამის შემდეგ დარბაზშიც კი თურმე ზაქარია ამირსპასალარი „სიტყვითა ჰგმობდა სარწმუნოებასა ჩვენსა“. ეს კათალიკოზისათვის სრულიად მოუთმენელი იყო და საკადრისად „მიუგებდა და აუხსნიდა“.

ზაქარიას პასუხი იყო: „მე მოლაშქრე ვარ, პასუხს ვერ გაძლევთ, მაგრამ მოვიწვევ ჩვენი სარწმუნოების მოძღვრებს, „...რომელთა ჩემ წილ სირცხვილეულ გყონ“. მართლაც, ზაქარიამ ქართველი მეფის კარზე მოიყვანა „კათალიკოსი ვანისა და ყოველნი ვარდაპეტნი და დაიდგა სამსჯავრო და დაჯდა დედოფალი, დედოფლისა მოსავი, დავით მეფე და წარჩინებულნი საქართველოსნი ერთ-კერძო, მხარგრძელნი ზაქარია და ივანე ერთ-კერძო. მოუწოდეს კათალიკოსსა იოანეს“[66].

ალბათ, იმით შეიძლება სახელმწიფოს კარის გარკვეული ინერტულობის გამართლება, რომ თამარი მარტო „ქართველთა“ მეფე კი არ იყო, არამედ შაჰანშას პოლიტიკური მემკვიდრე, ანუ ანისის ერთ დროს უძლიერესი სამეფოს მეფეც. ამიტომაც ის ამ ვრცელი, ეკონომიურად ძლიერი მხარეების მოსახლეობის (ამ შემთხვევაში მათი წარმომადგენელი მონოფიზიტი სამღვდელოების) დამცველი და მფარველი უნდა ყოფილიყო.

ორმა კათალიკოსმა, ქართველმა და სომეხმა, ერთმანეთი ვერაფრით ვერ დაარწმუნეს თავიანთი სარწმუნოების ჭეშმარიტებაში, თუმცა კი სომხებმა „ძლიერი ღაღადი აღუტევეს“. მაშინ კათალიკოსმა უცნაური რამ ჩაიდინა, რომელიც კარგადა აქვს აღწერილი „ისტორიანი და აზმანი შარვანდედთანის“ ავტორს. საბოლოოდ ქართველთა სარწმუნოება გამარჯვებულად ჩაუთვლიათ „და ქართველთა იწყეს მადლობად ღმრთისა ხმითა სიხარულისათა“.

საფიქრებელია ისიც, რომ არა მარტო მხარგრძელების აღზევება გამოიწვია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მიქაელის მიერ ქვეყნის სამმართველო სახელოების მიტაცებამ, არამედ სხვა ცვლილებები და პოლიტიკური მოძრაობანი. შესაძლებელია, ყუთლუ-არსლანის ცნობილი გამოსვლაც ამით ყოფილიყო გამოწვეული. რას ითხოვდა ყუთლუ-არსლანი? როგორც ჩანს, ის ითხოვდა მეფის კარისაგან სახელმწიფოს სამმართველო აპარატის გამოყოფას. აღმოსავლეთის ქვეყნებშიც (ანუ „სპარსეთში“, იმდროინდელი ტერმინოლოგიით) ასევე ყოფილან სასახლისა (მეფის კარისა) და სახელმწიფოს მმართველობის მოხელეები გამიჯნულნი.

„ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამა, ჩვენი აზრით, ითვალისწინებდა მეფის კარისაგან ცენტრალური მმართველობის აპარატის გამოყოფას, მის თავმოყრას საგანგებო შენობაში, „კარავში“ და არა პარლამენტური თუ პარლამენტურის მსგავსი რაიმე ორგანოს შექმნას“[67].

ამ გამოსვლამდე კი, ქართული წესის თანახმად, სახელმწიფო მმართველობის აპარატი იმყოფებოდა მეფის კარზე. მართალია, ქვეყნის სამმართველო სადავეები მიქაელ კათალიკოსს ჰქონდა ხელში ჩაგდებული (იხ. ზემოთ), მაგრამ ის ხელმწიფის კარზე მოღვაწეობდა. უთუოდ მეფესთან მუდმივი კონტაქტი და ურთიერთობა ჰქონდა. ყოველდღე რომ იმყოფებოდა ჭყონდიდელი ხელმწიფის კარზე, ეს თითქოსდა იქიდანაც ჩანს, რომ „ხელმწიფის კარის გარიგების“ თანახმად, „ხუთი ფურცელი ქაღალდი ყოველთა დღეთა ჭყონდიდელსა...“[68]. უნდა მიეცესო, ე.ი. ყოველდღიურად ჭყონდიდელს ხუთი ფურცელი ქაღალდი მიეცემაო, ცხადია, სახელმწიფოებრივი საქმეების წარმართვისათვის. მიქაელი, როგორც უპირველესი ვეზირ-მწიგნ-

ობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ხელმწიფის კარზე იმყოფებოდა და სწორედ ხელმწიფის სახელით მართავდა ქვეყანას.

როგორც ჩანს, ამ მდგომარეობამ წარმოშვა პარტია, რომლის წევრებმაც სულ სხვაგვარი მიდგომით დაისახეს, ხელში ჩაეგდოთ სამმართველო აპარატი, ანუ ფაქტობრივად სწორედ ის უფლებანი, რომელიც ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს გააჩნდა უპირატესად.

მათ მოითხოვეს კარვის დაარსების ნებართვა: „უეჭველია, რომ ყუთლუ-არსლანის პროგრამის „კარავი“ პრინციპში ჰგავდა აღმოსავლურ „დივანს“[69].

„აღმოსავლეთ-მუსულმანურ ორგანიზაციას წითელ ხაზად გასდევს მმართველობის ყველა ორგანოს ორ დიდ კატეგორიად – დერგაჰად (სასახლე) და დივანად (კანცელარია) გაყოფა“[70].

მაშასადამე, ყუთლუ-არსლანს, როგორც ჩანს, ნდომია სასახლისაგან გამოეყო „დივანი“, ანუ „კარავი“. ამ კარავს კი ის ფუნქციები დაეკისრებოდა, რასაც ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი და სხვა ხელისუფალნი ასრულებდნენ ხელმწიფის კარზე. ამით დაკანონდებოდა ის არსებული ვითარება, რომლის დროსაც მიქაელს სახელმწიფო მართვის სადავეები ხელთ ეპყრა, ოღონდ ახლა მიქაელის ნაცვლად ამ სადავეებს ხელში ჩაიგდებდა „კარავი“.

„დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში ასევე ცალკე იყო ორგანიზებული სულთანის სასახლის კარი და ე.წ. დიდი დივანი. სამოქალაქო მმართველობას ხელმძღვანელობდა ე.წ. დიდი დივანი. იგი დაყოფილი იყო ცალკეულ საუწყებო დივნებად, რომლებიც სათავეში ედგნენ სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა უბანს. სულთანის კარი და დივანი რუმის სასულთნოში მკვეთრად იყო გამიჯნული. დივანს სათავეში ედგა ვეზირი, რომელიც ფაქტიურად მართავდა სახელმწიფოს სულთანის სახელით“[71].

ჩანს, ასევე სურდათ ყუთლუ-არსლანის დასის წევრებს სამმართველო აპარატის მოწყობა. ეს აპარატი კი, როგორც ითქვა, „...მეფის სასახლის კარზეა, მეფის სასახლის კარისაგან არ არის გამოყოფილი“[72].

ყუთლუ-არსლანის „სპარსული“ წესი თამარისათვის მიუღებელი აღმოჩნდა, სამაგიეროდ ამ გამოსვლამ თამარს ერთგვარი პოლიტიკური წარმატება მოუტანა. ამ გამოსვლის შემდეგ ყველასათვის ცხადი უნდა გამხდარიყო ის, რომ მიქაელის მიერ ქვეყნის სამმართველო სადავეების ხელში ჩაგდება საფრთხეს უქმნიდა სახელმწიფოს შიგნით სტაბილურობას. ამიტომაც თამარმა მოიწვია მთელი თავისი სახელმწიფოს, ანუ „შვიდი სამეფოს“ დიდებულები და მათი ხელით თავის კარზე შექმნა ახალი სამმართველო აპარატი ორი ვაზირის მეთაურობით. თამარმა ვაზირად კვლავ დატოვა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი (ის ახლა ანტონს ჩააბარეს), ხოლო ახალი ვაზირია ამირსპასალარი სარგის მხარგრძელი. სასახლის კარზე ერთგვარი პოლიტიკური წონასწორობა დამყარდა.

„ქართლის ცხოვრებაში“, სადაც ისტორიკოსს საუბარი ახალი მწიგნობართუხუცესის დანიშვნაზე აქვს, ნათქვამია: თამარ მეფე დიდ საგონებელს მიეცა და „გონებდა, თუ ვის მიანდოს დავით და სპა თვისი და განსაგებელი სახლისა

თვისისაო“. მაშასადამე, მწიგნობართუხუცესს ებარა სახელმწიფო სახლის „განსაგებელი“, სამეფოს სპა და თვით თამარ მეფის თანამეცხედრეც კი, დავით მეფე, მისი საზრუნავი უნდა ყოფილიყო“[73]; მართლაც, ტექსტიდან თამარი თითქოსდა მწიგნობართუხუცესის დანიშვნაზე ფიქრობს, მაგრამ აქ უნდა იგულისხმებოდეს არა მარტო მისი, არამედ ახალი ამირსპასალარისა და მსახურთუხუცესის კანდიდატების ძიების შესახებაც.

„ერთი სიტყვით, როგორც ეტყობა, მეფის შემდგომ მწიგნობართუხუცესი ქვეყნის უზენაესი მზრუნველი, საზოგადო კეთილდღეობის და წარმატების მოსურნე და პოლიტიკისა და მიმართულების საჭეთმპყრობელი იყო. ...თვით მეფეც კი მის დაუკითხავად არ მოქმედებდა, „საურავი უმისოდ არ იქნების...“ როგორც მეფეს უმწიგნობართუხუცესოდ სახელმწიფო საქმეები არ უნდა განეგო, ისე არც ამ ვაზირთა უპირველესს შეეძლო „თვინიერ მეფისა კითხვისა“ ემოქმედნა სახელმწიფოს მნიშვნელოვანი საქმეების გადაწყვეტის დროს. იგი დიდ მონაზონთა ჯგუფშიც ირიცხებოდა და ვაზირთა ყოველთა უპირველესად ითვლებოდა. ...ოთხთა მონაზონთა ჯგუფში ყოფილა მოქცეული“[74].

ჭყონდიდელს უდიდესი სახელო ებარა. თამარმა მას ვაზირი-ამირსპასალარი ამოუყენა გვერდით. ის იყო „სახელმწიფო მხედრობისა და სპის წინამძღოლი და სარდალი ...“[75]. „იგი სამხედრო მინისტრს უდრიდა. ამირსპასალარს, ვითარცა ლაშქართა თავადს, საქართველოს მთელი ჯარი და ყველა მხედართმთავარი ემორჩილებოდა“[76]. „უმისოდ ქვეყანა არ გაიცემის, არცა ვინ სამამულოდ შეიწყალების“[77]. ასე რომ, ზაქარია მხარგრძელს ძალზე დიდი თანამდებობა ერგო ხელმწიფის კარზე. ივანე მხარგრძელსაც არა ნაკლები სახელო ერგო, მსახურთუხუცესობა. მართალია, ის მაშინ ვაზირი არ იყო, მაგრამ მალე რუსუდან მეფემ მსახურთუხუცესიც შეიყვანა სავაზიროში, გაავაზირა. „მსახურთუხუცესს ექვემდებარებოდა ორი-სამი დაწესებულება თავის ყველა მოხელითურთ“[78]. ივანე მხარგრძელს თამარმა ათაბაგობა უბოძა. „...თუ ათაბაგი ღირსებით მწიგნობართუხუცესზე დაბლა იდგა, დანარჩენ მოხელეებზე მაინც უფრო დაწინაურებულად ითვლებოდა, თვით ამირსპასალარობასაც კი სჭარბობდა და „უაღრეს პატივად“ იყო მიჩნეული... „იყო ვაზირი კარსა მეფისასა“... ათაბაგი დარბაზის კარს მყოფი ხელისუფალი ყოფილა, მაგრამ ამავე დროს ქართველი ჟამთააღმწერელი ამტკიცებს, რომ თამარ მეფისაგან ათაბაგობა იყო „განდიდებული უმეტეს სხვათა ერისთავთა“[79].

ამირსპასალარისა და ათაბაგის გავაზირება, როგორც ითქვა, მწიგნობართუხუცესის გავლენის შესამცირებლად, ხელმწიფის კარზე პოლიტიკური წონასწორობის შესანარჩუნებლად იყო მოფიქრებული.

თამარი არ იყო აბსოლუტური მონარქი, ობიექტური გარემოება არ იძლეოდა ამის საშუალებას. მისი მამა გიორგი III მხოლოდ პირადი უნარის გამო ყოფილა ძლიერი მეფე. ნ. ბერძენიშვილი წერს: „...მართალია, გიორგი ძლიერი მეფე ჩანს, მაგრამ ეს მისი პირადი უნარის ნაყოფი უფროა, ვიდრე ობიექტური მდგომარეობისა. უკანასკნელი ისეთია, რომ ის, ადრე თუ გვიან, მეფეს (აბსოლუტური ტენდენციების მქონეს) დაამარცხებს და ისეთ სამეფოს შექმნის, სადაც მეფესთან ერთად ფეოდალებიც თანაზიარ მეფობისა იქნებიან“[80].

გიორგი III-ის გარდაცვალებისთანავე მეფესთან ერთად „მეფობის თანაზიაროობის“ პრეტენზია გამოუცხადებიათ ლიხთ-იმერელ, ანუ „აფხაზეთის სამეფოს“ დიდებულებს. მათ „რეაქციის ნიშნები“ გამოუვლენიათ და თამარი „ორჭოფულ მდგომარეობაში“ ჩაუყენებიათ. მათ მოუთხოვიათ ერთიან სამეფოში ხაზგასმული ყოფილიყო „აფხაზთა სამეფოს“ მოწინავეობა, ძველი დამსახურება და უპირატესობა. ეს, პირველ რიგში, უნდა გამომჟღავნებულიყო მეფის კურთხევის „ძველი“, ანუ ლიხთ-იმერული წესის აღდგენით, შემდეგ კი სხვა მოთხოვნებსაც წამოაყენებდნენ.

„გიორგი გარდაიცვალა. მეფის მდგომარეობა ორჭოფულია. დარბაზი მეფედ კურთხევას მოახსენებს ერთხელ უკვე მამის მიერ ტახტზე აყვანილს. ეს უკვე რეაქციის ნიშნები იყო. დიდებულებმა აღადგინეს მეფის კურთხევის ძველი წესი, რომელიც, საფიქრებელია, დავითის დროიდან აღარ იყო მიღებული. თამარი იძულებული იყო დამორჩილებულიყო. აკად. ივ. ჯავახიშვილის შენიშვნა სწორია, რომ აქ ძველი წესი, აფხაზთა მეფის დროის წესი, მოქმედებს და არც ერთი ფეოდალური სახლი აღმოსავლეთ საქართველოდან ამ დიდმნიშვნელოვან ცერემონიალში ნაგულისხმევი არ არის. ეს კი ამ დროისათვის შეუფერებელი გარემოებაა. ბრძოლა მეფის კურთხევის წესის გარშემო ნიშანდობლივია. თამარის მეისტორიის კონტექსტი ისეთია, რომ საფიქრებელია, ძირძველები ძველი წესის აღდგენას ცდილობდნენ და ახერხებდნენ კიდევაც. ცოცხალი თავით ლიხთიქითის ძირძველები ამ თავის პრივილეგიას არ დათმობდნენ“[81].

სწორედ ამ დროს, ე.ი. 1184 წელს, თამარის მეორედ მეფედ კურთხევამდე უნდა ჩაეგდო ხელში კათალიკოზ მიქაელს მწიგნობართუხუცესობა. საერთო სურათი ასეთი უნდა ყოფილიყო: ლიხთ-იმერელ დიდებულებს ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა მიაჩნდათ აფხაზ მეფეთა კარზე არსებულ ძველ სახელოდ. ამიტომაც მიქაელ კათალიკოზის მიერ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობის მიღებით, ალბათ, მათი რაღაც უპირატესობები დაკმაყოფილდა. მიქაელი სამეფოს ფაქტობრივ მმართველად იქცა. ამის შემდეგ ლიხთ-იმერელმა დიდებულებმა „შვიდი სამეფოს“ დიდებულებთან თანხმობით ნება დართეს თამარს, ასულიყო სამეფო ტახტზე, მაგრამ მას „ძველი წესით“ უნდა აღესრულებინა მეფედ კურთხევის ცერემონიალი. ამით კი ხაზი გაესვა იმას, რომ ის პოლიტიკურად სცნობდა ლიხთ-იმერეთს, ანუ „ძველი სამეფოს“ დიდებულთა უფლებას ერთიანი საქართველოს მართვა-გამგეობაში. მართლაც, „1183 წელს ანტონი მწიგნობართუხუცესია“[82], ხოლო თამარის გამეფებისას მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი მიქაელია. 1190 წლამდე „ის ფაქტიური გამგე უნდა გამხდარიყო სამეფოსი“[83].

როგორც ზემოთ ითქვა, თამარმა შეძლო ლიხთ-იმერელ დიდებულთა ინტერესების საპირისპიროდ სამეფო კარზე შემოეყვანა ახალი ვაზირი - ამირსპასალარი ზაქარია, რომელიც წარმოადგენდა საქართველოს ახალ აღმოსავლურ ტერიტორიებს. სამეფო კარზე დააწინაურა ამავე წარმოშობის ივანე მსახურთუხუცესი. ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია „ძველი დიდებულებისა“ (ლიხთ-იმერლებს ახლა ტაო-კლარჯელი დიდებულებიც შეუერთდნენ, რადგანაც აფხაზეთი და „ქართველთ სამეფო“ (ტაო-კლარჯეთი) იყო ერთიანი საქართველოს ძველი პოლიტიკური დვრიტა). ეს უკმაყოფილება გამომჟღავნდა გიორგი რუსის ცნობილი

აჯანყებით, რაც, ფაქტობრივად, „ძველი სამეფოს“ დიდებულების აჯანყებას წარმოადგენდა. „უნდა ვიფიქროთ, რომ აჯანყებულნი უკმაყოფილონი იყვნენ იმ გარემოებით, რომ პოლიტიკური ცენტრის აღმოსავლეთში გადატანით ლიხთ-იმერეთი და მესხეთი ნაკლებად იყვნენ ყურადღების ცენტრში, ვიდრე ქართლ-კახეთ-სომხეთი. ახალი ქვეყნების შემოერთებასთან დაკავშირებით, პოლიტიკური ცენტრის აღმოსავლეთში გადატანით, გამარჯვებათა შედეგები აღმოსავლელ არისტოკრატიას უფრო ხვდებოდა. ისინი უფრო მისანდონიც იყვნენ (ახალი არისტოკრატია) და უფრო დაინტერესებულნიც (დამარცხება თუ გამარჯვება მათ სასიცოცხლო ინტერესებს უშუალოდ ეხებოდა). ბუნებრივია, რომ მათ სასახლეში თანდათან დაიკავეს უმაღლესი ადგილები, საყმო და სახარაჯო ქვეყნები. „ძველი სამეფოს“ არისტოკრატია შეურაცხყოფილი რჩებოდა და ახლის მიმართ სამტროდ განეწყობოდა...“[84].

როგორც ითქვა, „ძველი სამეფოს“ დიდებულთა მხარდაჭერით უნდა მიეღო მიქაელს ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა. ამ და სხვა მიზეზების გამოც კათალიკოსი მხარს უჭერდა ძველი სამეფოს დიდებულებს. ცხადია, სამეფო კარზე მონოფიზიტი ამირსპასალარის ამაღლებით მართლმადიდებლური ეკლესია კმაყოფილი არ იქნებოდა. ამიტომაც, „ეკლესიის მესაჭენიც კი კათალიკოსის მოთავეობით განდგომილთ უჭერდნენ მხარს. უეჭველია, ეს მოვლენა ვარდან დადიანის პირადი გავლენით არ აიხსნება და მას ზოგადი და საკმაოდ ღრმა მიზეზი აქვს. საინტერესოა, რომ ახლად აღზევებულებში არავინ იმერელი არაა და ყველანი „ჰომო ნოვუს“-ები („ახალი კაცები“) აღმოსავლეთ საქართველოდან არიან ...“[85].

ნ. ბერძენიშვილის აზრით, მიქაელ კათალიკოსი „მოთავე ჩანს იმ ურეაქციონერესი წრისა, რომელთაც თამარის მეორედ კურთხევისას გაფიცვით, რუსის განდგომილებით გამოამჟღავნეს თავისი ზრახვები“[86].

აქ საფიქრებელია ის, რომ როგორც კათალიკოსი, ისე „ძველი სამეფოს“ დიდებულები, გრძნობდნენ, რომ ახალი პოლიტიკით თამარს და მის სახელმწიფოს შეიძლებოდა მოსვლოდა დიდი პოლიტიკური მარცხი. მართლაც, ნ. ბერძენიშვილის აზრით, ეს ასე მომხდარა და ამიტომაც ლაშა-გიორგი ცდილობდა ამ პოლიტიკური მარცხის გამოსწორებას – „ლაშა-გიორგი ცდილობს თამარის დროის პოლიტიკური მარცხი ცენტრალური ხელისუფლებისა გამოასწოროს“[87].

„ხანგრძლივ ბრძოლაში სამეფო ხელისუფლებასა და მსხვილ საგვარეულო არისტოკრატიას შორის ეს უკანასკნელი ერთგვარად თითქოსდა გამარჯვებული გამოვიდა. თამარმა დათმო. ამიერიდან სამეფო ხელისუფლება იძულებული იყო, მაგალითად, მონაპირეებისათვისვე ებოძებინა ხოლმე „წყალობად თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლებული ქვეყნები...“[88]. განთავისუფლებული ქვეყნების დიდი წილი და ქვეყნის სამმართველო აპარატის სადავეების მეტი ნაწილი მხარგრძელების ხელში მოექცა. ამ პოლიტიკის შედეგს, ალბათ, წინასწარ ჭვრეტდნენ როგორც ლიხთ-იმერელი „ძველი სამეფოს“ დიდებულები, ისე ეკლესიის ზოგიერთი იერარქნი, მაგრამ ყველაფერი ექვემდებარებოდა ობიექტურ მიზეზებს. შესაძლოა, „ძლიერ მეფეს“ დროებით შეეჩერებინა ეს პროცესი, მაგრამ საბოლოოდ, ალბათ, ვერ შეაჩერებდა. „თამარის დროს კი დიდებულები იმარჯვებენ, მეფის საქმიანობას კონტროლს უწევენ და ქვეყნის შიგნით მძლავრ ძალას წარმოად-

გენენ“[89]. ამიტომაც, როცა ლაშა-გიორგიმ თავისი „სიძლიერე“ გამოამჟღავნა, მას გაბატონებულმა დიდებულებმა, განსაკუთრებით კი მხარგრძელებმა, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს – „ლაშა-გიორგი იყო ცენტრალისტური ტენდენციებისაკენ მიდრეკილი ადამიანი, რომელმაც, თუმცა დროებით, მაგრამ მაინც სცადა ერთგვარი რევანში დიდგვაროვანთა პოლიტიკურ წრეებზე, რომელნიც ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმართებაში ძალიან იყვნენ განდიდებულნი. გიორგი-ლაშას თავის დიდებულების წინააღმდეგ ერთგვარი შინაპოლიტიკური ომი აქვს გაჩაღებული. ეს, შეიძლება, განძის კედლებთანვე შევამჩნიოთ, როცა ლაშა-გიორგი ივანე ათაბაგისა და სხვა სამხედრო ხელისუფალთა გვერდის ავლით განძის გარშემოვლას იწყებს. თამარის დროს უმთავრესად ერთი და იგივე სახლების წევრები სჩანან და აი, ახლა სწორედ ეს წრე უტევს ლაშას და ემუქრება კიდეც, რომ ლაშქარსა და სამეფო კარსაც მიატოვებს. ლაშამ განიშორა სანატრელი დედის ვეზირები: „თავადნი საქართველოსნი, ფრიად მწუხარენი იყვნეს და უმეტეს ივანე ათაბაგი და ვარამ გაგელი ზაქარიას-ძე განეყენებოდნენ დარბაზს ყოფისაგან... არა თავს ვიდებთო... შენს მეფედ ყოფასა...“

ოპოზიციონერებს სურთ, მეფემ მათი განზრახვისა და თათბირის გარეშე არაფერი გააკეთოს. თამარის ძეს სურდა, აღედგინა დავით აღმაშენებლისა და მისი უახლოესი მემკვიდრის დროინდელი მძლავრი სამეფო ხელისუფლება...“[90].

ლაშა სასტიკად დაამარცხეს აღზევებულმა დიდებულებმა: ათაბაგმა და სხვა მხარგრძელებმა. მათ ამ დროს ისეთივე მეთოდები უხმარიათ ბრძოლისა, როგორიც - გიორგი რუსის დროს. მეფეს სახელი გაუტეხეს. ის სხვა დიდებულების, ხალხის, მორწმუნეების თვალში უნებისყოფო და ამორალურ ადამიანად წარმოადგინეს. ლაშა ახალგაზრდა გარდაიცვალა. ამავე ძალას არა ძლიერი მეფის, არამედ შედარებით სუსტის დროს შეეძლო მხრების გაშლა და ასპარეზის ხელში ჩაგდება. მათ რუსუდანი გაამეფეს. მათთვის ქალი-მეფე იდეალს წარმოადგენდა, რადგანაც მას არ შეეძლო ლაშქრის მეთაურობა, მხედართმთავრობა, რაც აუცილებლად ესაჭიროებოდა შუა საუკუნეებში აღმოსავლეთის ქვეყნის მეფეს. სწორედ მეფე - მხედართმთავარი იყო ძლიერი მეფე, რომელიც თავის ირგვლივ ძალზე აღზევებულ დიდებულებს ვერ ჰგუობდა. ამიტომ რუსუდანს ივანე ათაბაგი კარგად შეეწყო. მაგრამ საქმემ უჩვენა, რომ საქართველოს მომავლისათვის ივანე ათაბაგი და, საერთოდ, ათაბაგობის ინსტიტუტი უსარგებლო და მავნეც კი იყო (ეს მოგვიანებით მესხეთის გათათრებულმა ქართველმა ათაბაგებმაც კარგად უჩვენეს).

მაშასადამე, საფიქრებელია, რომ ვითარება ასე განვითარდა: თამარის გამეფებისას პოლიტიკური ჰეგემონობა სცადეს ლიხთ-იმერეთის (აფხაზეთის) დიდებულებმა. ისინივე იყვნენ დაინტერესებულნი ძალაუფლების ერთ ხელში, კათალიკოს-მწიგნობართუხუცესის ხელში მოქცევით. მაგრამ ეს მიუღებელი აღმოჩნდა სხვა პარტიისათვის. ყუთლუ-არსლანმა ამ ხელისუფლების ხელმწიფის კარიდან გამოტანისათვის იზრუნა. თამარმა ისარგებლა ამ ორ ძალას შორის წინააღმდეგობით - სამმართველო ხელისუფლება გაუყო ორ ვაზირს. შემოიყვანა აღმოსავლელი ხელისუფალი, ამირსპასალარი მონოფიზიტი. ასეთი მდგომარეობა კვლავ მიუღებელი აღმოჩნდა აფხაზი და მესხი დიდებულებისათვის. მათ შექმნეს გიორგი რუსის

პარტია და სასახლეში ადგილის დაჭერას შეეცადნენ. თამარმა დაამარცხა ისინი, სასახლეში აღმოსავლელი დიდებულები (განსაკუთრებით, მხარგრძელები) გაბატონდნენ. საბოლოო ჯამში ლიხთ-იმერელი დიდებულების ნაცვლად საქართველოს მეფის კარზე სრულიად საქართველოს – მართლმადიდებელ-მონოფიზიტმა წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი.

„საქართველოს სამეფო გვარის მეფეებს, როცა მთელი კავკასია დაპყრობილი ჰქონდათ და შეერთებული, ეროვნული სახელმწიფოს მბრძანებლებად ითვლებოდნენ, სამეფო საყდარიც ტფილისში იყო გადმოტანილი, მაშინაც კი მათ საზოგადოდ „აფხაზთა მეფეებს“ ეძახდნენ. სხვათა შორის, არაბთა და სპარსთა ისტორიკოსებიც“[91], მაგრამ თამარის საქართველო სინამდვილეში უკვე პოლიტიკურად აღარ წარმოადგენდა ლიხთ-იმერეთის სამეფოს, არამედ ეს იყო სრულიად საქართველო, რომლის მართვაში მისი ყველა კუთხის წარმომადგენელი მონაწილეობდა. ეტყობა, მაშინდელ საზოგადოებას კარგად ახსოვდა, რომ სრულიად საქართველოს მეფეები თავდაპირველად მხოლოდ აფხაზთა მეფეები ბრძანდებოდნენ“[92]. თამარს არ შეეძლო, საქართველოს მხოლოდ ერთი კუთხის დიდებულებისათვის მიეცა უზენაესი უფლებები, ის საქართველოს ყოველი კუთხის წარმომადგენელს აწინაურებდა. საქართველო კი მაშინ უკვე სომხეთის პროვინციებსაც ერქვა. მონღოლებმაც საქართველოს, ანუ „გურჯისტანის“ სამეფოში შემავალ ტერიტორიებად სცნეს ყოფილი ანისის სამეფოს მიწები. ამას მიუთითებს სხვა უამრავ წყაროსთან ერთად ანისის სპარსული წარწერაც, საიდანაც ჩანს, „საქართველოში“ რა სახის გადასახადები მოქმედებდა[93]. შეიძლება, ათაბაგობის ინსტიტუტის შემოღებით თამარმა საქართველოს უმტკივნეულოდ შემოუერთა სომხური მიწები, მაგრამ ათაბაგებმა საქართველოსთვის „ჭყონდიდელობა“ ვერ შეძლეს.

თამარი – წმიდა კეთილმსახური მეფე

დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჯუკები ამიერკავკასიიდან განდევნა, სომხეთისა და შირვანის დიდი ნაწილი გაათავისუფლა და შემოუერთა საქართველოს სახელმწიფოს. ამ დროის საქართველო გადაფენილი იყო „ნიკოფსითაგან დარუბანდისა ზღვამდე და ოვსეთიდგან სოერად და არეგაწამდე“[94]. ქვეყანა, დავითის ანდერძის თანახმად, შედგებოდა „მამული“ და „ახლად მოგებული“ მხარეებისაგან. დავითი მიიჩნევს, რომ ქვეყნის გაფართოებაში ღვაწლი მიუძღოდა არა მარტო მას, არამედ საქართველოს სამეფოს დიდებულებსა და წარჩინებულებს: „კათალიკოსთა, ეპისკოპოსთა, ერისთავთა და ყოველთა შეწყალებულთა“, რადგანაც თავის ძეს, ახალ მეფეს, უანდერძა – „მეფობაჲ, მამული და ახლად მოგებული, ღვაწლითა ჩემითა და თქვენითა: ნიკოფსითგან ზღვადმდე და ოვსეთითგან არეგაწამდე“, ხოლო ამ „თქვენში“ დავით მეფე გულისხმობს მათ, რომელთაც „უბრძანებს“ ანდერძის დაცვასა და აღსრულებას არსენი ბერის პირით: „...თქვენ, ყოველთა დიდებულთა და წარჩინებულთა სამეფოჲსა მისისათა: კათალიკოზთა, ეპისკოპოსთა, ერისთავთა და ყოველთა შეწყალებულთა“[95].

საყურადღებოა, რომ აქ, ისევე როგორც სხვა ძველ წყაროებში, „კათალიკოზი“ მრავლობით რიცხვში მოიხსენება – „კათალიკოზთა“, რადგანაც იგულისხმებიან ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსები.

„განთავისუფლებულ ქვეყნებს დავითი უშუალოდ იერთებდა,სამეფოდ იპყრობდა. აკად. ნ. ბერძენიშვილის მართებული შენიშვნით, დავითს უთუოდ თავისი საგარეო პოლიტიკა ჰქონდა მხედველობაში, როცა წერდა: „სხვათა სოფლისა კიდეთა ვეძიებ დაპყრობად... ბოროტად გარდავჰხედ საზღვართა და შევჰრთე სახლი სახლსა და აგარაკი აგარაკსა და უუძლურესთა მიჰვხვეჭე ნაწილი მათი და ვიღუწიდ უმეზობლობასა, ვითარმცა მარტოჲ ვმკვიდრობდ ქვეყანასა ზედა“ („გალობანი სინანულისანი“). როგორც ჩანს, „ყმადნაფიცობას დავითი არ იწყნარებდა და მან, მართლაც, არაერთი „სახლი“ „შერთო“ თავის „სახლს“. დავითმა დაიპყრო ჰერეთ-კახეთის სამეფო, ლორეს სამეფო, ანისის სამეფო, შირვანის სამეფო და ყველგან თავისი მოხელეები „დასხა“, მაგრამ დავითის ამგვარ საგარეო პოლიტიკას XII ს-ის მეორე მეოთხედში უკვე გამგრძელებელი აღარ აღმოაჩნდა. ყმადნაფიცობას, რომელსაც დავითი ასე უარყოფდა, თანდათან ისევ ეხსნებოდა გზა, განსაკუთრებით კი თამარის დროიდან (1178-1213).

თამარის საგარეო პოლიტიკა არსებითად განსხვავდებოდა დავით აღმაშენებლისა და გიორგი III-ის საგარეო-პოლიტიკური გეგმისაგან და ეს, ამ ორ პოლიტიკურ გეზს შორის არსებითი სხვადასხვაობა, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილმა მიუთითა, საგანგებოდ ხაზგასმულია თვით თამარის ისტორიკოსის, ბასილი ეზოსმოძღვრის მიერ. მისი სიტყვით, თამარი, წინააღმდეგ დავით აღმაშენებლისა, „არა იღუწოდა უმეზობლობასა, არცა შერთვიდა სახლსა სახლსა ზედა, არცა აგარაკსა აგარაკსა ზედა უცხოსა, არამედ თვისი მამული ძველი კმა იყო, რათა არა უსამართლოდ ჰგონონ და მიმხვეჭელად... შორს განიოტა წურბლისა მსგავსი ვერ მაძღრისობა. ბჭედ ჯდა შორის თავისა თვისისა და მეზობელთა მეფეთა“. თამარმა, ამავე ისტორიკოსის სიტყვით, არათუ მოშალა მეზობლები და შეუერთა „სახლი სახლსა ზედა“, არამედ პირიქით, „რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა მიმძლავრებულთა უკუნ სცა სამეფო თვისი, რაოდენნი განდევნილნი სამეფოდვე თვისად კვალად აგნა... და ამის მოწამე არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუქალაქელთა და ტრაპიზონელთა“. არა უშუალოდ შემოერთება, მიმხვეჭელობა და „წურბლისა მსგავსი ვერ მაძღრისობა“, არამედ დამორჩილება, მაგრამ თავისუფლადვე ყმადნაფიცობის პირობით დატოვება, მფარველობა. საქართველოს სამეფოს საგარეო პოლიტიკური გეზის ასეთი რადიკალური ცვლილება დავით IV-დან თამარის დრომდე, ცხადია, გამოწვეული იყო იმ მძიმე ბრძოლებით, რასაც სამეფო ხელისუფლება აწარმოებდა დიდგვარიანთა წინააღმდეგ...[96].

დავით მეფე „გალობანი სინანულისანში“ ასე წერს: „სოლომონისაჲსა წურბლისა მსგავსად ვერ მაძღარი სხვათა სოფლის კიდეთა ვეძიებ დაპყრობად... ბოროტად გარდავჰხედ საზღვართა და შევჰრთე სახლი სახლსა და აგარაკი აგარაკსა და უუძლურესთა მივჰხვეჭე ნაწილი მათი და ვიღვწიდ უმეზობლობასა, ვითარმცა

მარტოდ ვმკვიდრობდ ქვეყანასა ზედა“, დავითი ინანიებს თავის მოქმედებას: სხვა ქვეყნების შემოერთებას, თავისი სამეფოს საზღვრებს გარეთ გასვლას, „სახლის სახლზე“ და „აგარაკის აგარაკზე“ შერთვას, რომ უძლურ „სახლებს“ მათი კუთვნილი ნაწილი წაართვა, რომ უმეზობლობისათვის იღვწოდა, თითქოსდა ეს ქვეყანა მხოლოდ მისი სამკვიდრებელი იყო.

აქ „სახლების“ ქვეშ იგულისხმება საქართველოს მეზობელი ქვეყნების სამეფო სახლები, მმართველი ოჯახები. მაგალითად, შირვანის ქვეყანას მართავდა „შარვანშას სახლი“, ანისის სამეფოს – „შაჰანშას სახლი“ და ა.შ.

როგორც ითქვა, დავითმა თავის სამეფოს შემოუერთა ყოფილი ჰერეთ-კახეთის სამეფო, ლორის სამეფო, ანისისა და შირვანის სამეფოები. ცხადია, ამის გამო ამ სამეფოების „კანონიერმა“ სამეფო ოჯახებმა, ანუ სახლებმა სამეფო უფლებანი დაკარგეს, „მაგრამ რადგანაც ამ დროს სამეფო „სახლების“ „კანონიერი უფლებანი“ ისევე ხელშეუხებლად ითვლებოდა, როგორც საკუთრების უფლება, ამიტომაც ამ „სახლებისათვის“ სამეფო უფლების ჩამორთმევა სინანულის საგნად იქცა ქრისტიანი მეფისათვის.

რა თქმა უნდა, ქრისტიანი მეფის ნება ორადაა გაყოფილი: ერთი მხრივ, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, ვალდებულია საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი გააერთიანოს, მაშასადამე, კახეთ-ჰერეთის თუ ლორეს სამეფოები გააუქმოს, მეორე მხრივ, ის როგორც ქრისტიანი, გრძნობს, რომ ამით ის „ბოროტებას“ სჩადის ამ ახლად შემოერთებული სამეფოების მმართველი ოჯახების (სახლების) მიმართ, ამწარებს მათ, ართმევს თავის უფლებას, ქონებას, მეფობას. მეფე განსაკუთრებით მაშინ წუხს, როცა სუსტ, უძლურ „მეფეებს“ წაართმევს „მის ნაწილ“ სამეფოს („უუძლურესთა მივჰხვეჭე ნაწილი მათი“). უნდა ითქვას, რომ საქართველოს გაერთიანების შემდეგ დავით მეფე თუ არ გაათავისუფლებდა მეზობელ ქვეყნებს, მაშინ მათ დაიჭერდნენ თურქები და აქცევდნენ პლაცდარმებად მისი სამეფოს წინააღმდეგ.

თამარ მეფეს კი დავით აღმაშენებლის პოლიტიკა შეუცვლია. მას განთავისუფლებული ქვეყნები უშუალოდ კი არ შემოუერთებია თავისი სამეფოსათვის, არამედ ისინი ყმადნაფიც ქვეყნებად უქცევია. ამით ამ ქვეყნების სამეფო „სახლებისათვის“ სამეფო უფლებანი შეუნარჩუნებია, უფრო მეტიც, „დაგლახაკებულნი“ მეფეები გაუმდიდრებია, ზოგიერთისათვის სამეფო, ხოლო სამეფოდან განდევნილთათვის მეფობა დაუბრუნებია. „ამის მოწამე არს სახლი შარვანშეთი, და დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუქალაქელთა და ტრაპიზონელთა“. ეს „სახლები“ თამარის დროინდელი სახელგანთქმული ომებით იყო შემომტკიცებული. ყველაფერი ამის შედეგი იყო, ბასილი ეზოსმოძღვრის სიტყვით, თამარის დროის საქართველოს სამეფოს საზღვრის ორჯერ გაფართოება შედარებით იმასთან, „რომელნი მას დახვდეს“: „გარნა ლომი ბრჭალთაგან საცნაურ არს და თამარ საქმეთაგან... მერმე ცნას ერაყამდის ქვემოთ მისგან დადებული ხარაჯა“[97].

მაგრამ თამარის მოღვაწეობის დასახასიათებლად მთავარია არა მისი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკური მიღწევები, არამედ მისი სახელმწიფოს გასაოცარი

ჰუმანურობა, კაცთმოყვარეობა. რუსთაველის ეპოქის ჰუმანიზმი თამარის სახელმწიფოსა და საზოგადოების ჰუმანიზმს ეფუძნებოდა, ხოლო ის, თავის მხრივ, საფიქრებელია, დავით აღმაშენებლის სულიერ მემკვიდრეობას წარმოადგენდა (იგულისხმება დავითის მიერ თავისი მოღვაწეობის პოლიტიკურ-ქრისტიანული შეფასება ანდერძებსა და „გალობანი სინანულისანში“).

დავით აღმაშენებლის ანდერძი არ იყო დამალული, ანდა დაფარული მისი შემდგომი თაობებისათვის. ის საყოველთაოდ ცნობილი იყო, უფრო მეტიც, მისი აღსრულება ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნდათ, განსაკუთრებით, თამარ მეფეს. ამას მიუთითებს ის, რომ თამარის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარი სწორედ ამ ანდერძს იღებს საზომად თამარის ღვაწლის შეფასებისათვის.

დავითი თავის ანდერძში გამოთქვამდა წუხილს მისი სახელმწიფო სისტემის ტოტალიტარიზმის გამო, მაგრამ იქვე მიუთითებდა, თუ სახელმწიფოს მეთაურის როგორი მოქმედება იყო მორალური, ქრისტიანული. თამარის ისტორიკოსი დავით მეფის სწორედ ამ თეორიას ეყრდნობა და აცხადებს, რომ თამარის პოლიტიკა იყო აღსრულება დავით აღმაშენებლის ანდერძისა. მაგალითად, თუკი დავითმა „შერთო სახლი სახლსა“, მაგრამ შემდეგ სინანული გამოთქვა ამის გამო, თამარმა აღარ გაიმეორა დავითის ეს პოლიტიკა და „არ შერთო სახლი სახლსა“ (ბასილის სიტყვებია). ცხადია, ეს ყოველივე ქრისტიანობის სფეროს განეკუთვნებოდა. თამარმა იმით, რომ „არ შერთო სახლი სახლს“, აღასრულა ის იდეა, რაც დავითმა გამოთქვა თავის „სინანულში“. მაშასადამე, ამ და სხვა შემთხვევაშიც თამარის კაცთმოყვარეობის ერთ-ერთი საფუძველი დავითის ღრმა ქრისტიანობაა.

როგორც ითქვა, რუსთაველისა და მისი ეპოქის ჰუმანიზმი ეფუძნებოდა ქართული საზოგადოებისა და ქართული სახელმწიფოს ჰუმანიზმს (ჩვენ „ჰუმანიზმის“ ქვეშ განზოგადებულ ქრისტიანულ კაცთმოყვარეობას ვგულისხმობთ). ჩამოვთვალოთ თამარის სახელმწიფოს ჰუმანიზმის დამადასტურებელი რამდენიმე მაგალითი: 1. თამარის დროის საქართველოში არსებობდა არა მარტო „რჯულთშემწყნარებლობა“, არამედ აღმსარებლობის, ე.წ. „სინდისის“ თავისუფლება (იხ. ქვემოთ). 2. ენიჭებოდა პატარა ხალხებსა და დამორჩილებულ ქვეყნებს ეროვნულ-ადმინისტრაციული თავისუფლება. 3. არსებობდა მკაცრი სასჯელებისა და სიკვდილით დასჯის გაუქმებისაკენ სწრაფვა.

დავითმა გააერთიანა თავისი სამშობლო. მის სახელმწიფოს შეეძლო კიდევ უფრო გადაეწია თავისი საზღვრები, გაბატონებულიყო სხვა ხალხებზე, მაგრამ დავით აღმაშენებელმა მკაცრი უარყოფითი შეფასება მისცა ასეთ მოქმედებას. ასეთი ქმედება – „წურბლისა მსგავსი ვერ მაძღრობა“, სხვა ქვეყნების „კიდეთა დაპყრობის ძიება“ საზღვრებზე „გარდახდომა“, სხვათა მიწების (აგარაკის აგარაკსა ზედა) „შერთვა“, უმეზობლობის წადილი და სხვა, იწვევდა მისი ხალხის ცოდვის გზაზე დაყენებას. „ვაცოდვე ერი ჩემი ვითარცა მეფეთა მისთა – ისრაელი“ („გალობანი“).

დავით მეფემ ამ სახით თეორიულად უარი განაცხადა, თანამედროვე სიტყვებით რომ ვთქვათ, დიდმპყრობელობაზე, იმპერიალიზმზე, სხვისი მიწების მიტაცებასა და

სხვათა დაპყრობაზე. თამარმა, როგორც პოლიტიკურმა მოღვაწემ, პრაქტიკულად განახორციელა დავით მეფის ეს თეორია. სხვათა შორის, დავითის აზრით, სხვათა მიწების „მიჰხვეჭა“ თვით ერისათვის იქნებოდა საზიანო. ამით ცოდვაში ჩავარდებოდა ერი („ვაცოდვე ერი ჩემი“). მაინც უნდა ითქვას, რომ დავითისა და თამარის ჰუმანიზმს საფუძვლად ედო კაცთმოყვარე ბუნება ქართველი ადამიანისა (ეს კაცთმოყვარეობა მასში ქართული ეკლესიის მეცადინეობით იყო დანერგილი, რომელმაც შეძლო გაეთავისებინა ქართველი ადამიანისათვის ქრისტიანობა, ექცია ქართველი ადამიანის სულის ნაწილად ქრისტიანული მორალი და ზნეობა).

დავითამდე და თამარამდე, წინა საუკუნეებში, ერი თვითონ იყო სხვა ერების აგრესიის ობიექტი. მისი მთლიანი ძალისხმევა იმ დროს მიმართული იყო თავისუფლების მოპოვებისა და გაერთიანებისაკენ, მაგრამ როგორც კი ერმა შექმნა ერთიანი, მძლავრი, კავკასიის მასშტაბით უძლიერესი სახელმწიფო, მან უარი განაცხადა სხვათა დაპყრობა – ასიმილაციაზე, გამოამჟღავნა უდიდესი შინაგანი სითბო და სიყვარული, კაცთმოყვარეობა. ეს იყო თამარის სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც, როგორც ითქვა, დავითის ჰუმანიზმს ეფუძნებოდა.

შუა საუკუნეებისათვის ამგვარი ქმედება არაჩვეულებრივია.

თუ გადავხედავთ ძველი მსოფლიოს სახელმწიფოთა პოლიტიკას, სხვა სურათს დავინახავთ, უძველესი დროიდან XX საუკუნემდე და თითქმის დღემდე. ძველი ხელმწიფეები იმით ამაყობდნენ, თუ რამდენი ქვეყანა დაიპყრეს, დაანგრიეს, მოსპეს, არც რომისა და ბიზანტიის იმპერატორები იყვნენ გამონაკლისნი, აზიურ თურქულ-სპარსულ სახელმწიფოებზე რომ არაფერი ვთქვათ. თვით XIX საუკუნის „განათლებული“ სახელმწიფო მოღვაწეებიც ასევე იქცეოდნენ.

„...თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყვნეს და მტერთაგან უზრუნველობასა“[98].

თამარი თითქოსდა ახალი დროის ენციკლოპედისტებისა და ფრანგი განმანათლებლების იდეებს ახორციელებს, მაგრამ თამარი მათზე 400 წლით ადრე ცხოვრობდა. სიკეთე და სამართლიანობა, გონიერების ზეობა, მოქალაქეთა თანასწორობა ეროვნებისა და რელიგიური კუთვნილების მიუხედავად (ასე იყო თამარის კარზე, სადაც ქურთი თუ ქართველი, მონოფიზიტი თუ დიოფიზიტი თანაბარი უფლებით სარგებლობდა). ეს დამახასიათებელი იყო თამარის პოლიტიკისათვის, ის ეფუძნებოდა ქრისტიანული სარწმუნოების მიერ ქადაგებულ კაცთმოყვარეობას.

თამარის ამ ჰუმანიზმს გასაოცარი სიყვარულით უპასუხეს არაქართველმა ხალხებმა. თამარი უყვარდა არა მარტო ქართველ ერს, არამედ კავკასიის (განსაკუთრებით, მთიანეთის, ჩრდილო კავკასიის) ხალხებს. ისინი საუკუნეთა მანძილზე აქებდნენ თამარს, უძღვნიდნენ ლექსებს, სიმღერებს, ლეგენდებს. მათში ჩაქსოვილი იყო მხოლოდ და მხოლოდ წრფელი სიყვარული (სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ სიყვარული მეფე ქალის მიმართ გაუგებარი აღმოჩნდა XIX საუკუნეში შემოსული ცარიზმის მოხელეებისათვის. მათ მაშინვე თავიანთი შინაგანი დაცემული ზნეობის შესაბამისად გაიგეს ეს და შემდეგ ლექსებსა და მოთხრობებში თამარის „სიყვარული“ წარმოადგინეს, როგორც არაზნეობრივი).

თამარი ზრუნავდა ადამიანების საყოველთაო კეთილდღეობისათვისაც. მის სამეფოში დიდი სიმდიდრე დაგროვდა, მაგრამ ეს სიმდიდრე არა მხოლოდ საზოგადოების ერთ ნაწილს ეძლეოდა, არამედ ღარიბებსაც: „ხოლო გლახაკთათვის განეჩინნეს სარწმუნონი ზედამდგომელნი და ყოვლისა სამეფოსა მისისა შემოსავალნი, რაცა იყო შინათ და გარეთ, ყოვლისა ნაათალი გლახაკთა მიეცემოდა დაუკლებელად ერთისა ქრთილისა მარცვლამდეცა“[99].

ე.ი. სახელმწიფო შემოსავლის მეათედს აძლევდა ღარიბ ფენას. დოვლათის ამ განაწილებას მკაცრად იცავდა და აკონტროლებდა ნდობით აღჭურვილი ზედამხედველი-მოხელენი – „სარწმუნონი ზედამდგომელნი“. აღსანიშნავია, რომ ქართული სახელმწიფოსათვის შემოსავლის მეათედის გადაცემა ღარიბებისათვის ტრადიციული იყო დავით აღმაშენებლამდეც. მაგრამ თამარი, ისევე როგორც დავით აღმაშენებელი, არა მარტო სახელმწიფო ქონებას გადასცემდა ღარიბებს, არამედ პირად ქონებასაც, თავისი შრომით შეძენილსაც: „...თვისითა ხელითა ამასცა შვრებოდა, რომელ მის დღისა საჭამადი მისი ფას – რაოდენ დღივ შეჭამის, ხელით საქმარი მისი განყიდის და ეგოდენ ფასი გლახაკთა მისცის... არა სამეფოდ შემოსავალთაგან“. საინტერესოა, რომ თამარი პირად ქონებას განარჩევს სახელმწიფო ქონებისაგან. ჩვეულებრივ ფეოდალურ ქვეყანაში ასეთი გარჩევა არაა ჯერ კიდევ“[100].

თამარის დროის სამეფოში „აუარებელი სიმდიდრე მოდის. ყველა აღივსო მით და ამავე დროს მეფის მთავარი საზრუნავი (ყოველ შემთხვევაში, მემატიანე მის ამ მოქმედებას აქცევს მთავარ ყურადღებას) არის წყალობა ობოლთა და გლახაკთა. როგორ ტრაფარეტულად არ უნდა მივიღოთ ეს გამოთქმა მემატიანის მიერ, სულ ერთია, ამ გამოთქმის რეალურ შესატყვისობას ვერ უარვყოფთ, რადგან ამას მოწმობს არა ერთი, არამედ ყველა მემატიანე“[101].

მეფემ „მრავალნი გასცა ობოლთა და გლახაკთა ზედა და ეკლესიანი აღავსნა სიმდიდრითა და ლაშქართა ზედა გაყო საჭურჭლე“[102], ე.ი. მეფე სიმდიდრეს უყოფს ეკლესიებს, ქვრივ-ობლებსა და ლაშქარს.

თამარს მდიდარნი და გლახაკნი ერთნაირად დასტიროდნენო. საინტერესოა: მემატიანემ იცის, რომ მდიდარსა და გლახაკს სხვადასხვანაირი განწყობილება აქვს მეფისადმი და ჩვეულებრივ არა „სწორობით“ შეიწუხებენ თავს მეფის სიკვდილის გამო და თუ თამარის სიკვდილის გამო: „მთავარნი იცემდეს პირთა, გლახაკნი იტყებდეს თავთა“, ეს განსაკუთრებული აღნიშვნის ღირს მოვლენად მიაჩნია.

თამარმა „სახელმწიფო დახმარების სისტემა შემოიღო თავისთავად მეტად საინტერესო სახელმწიფოებრივი აქტი. გლახაკთ ნაათალი ახალი ამბავი არ იყო კულტურულ აღმოსავლეთში, მაგრამ მას ახდევინებდნენ ყველას. აქ კი ეს საქმე თვით სახელმწიფო ორგანიზაციას აუღია თავზე და საკუთარი შემოსავლიდან იხდის მას. ეს უკვე სახელმწიფო დაზღვევაა და მოწმობს, როგორც ქვეყნის ორგანიზაციულ (და კულტურულ) მომწიფებას, ისე გლახაკთ საკითხის მეტისმეტ სერიოზულობას (გლახაკთ ნაათალი ბაგრატ I-მა შემოიღო IX საუკუნეში. იხ. გრ. ხანძთელი)“[103].

ნ. ბერძენიშვილი იძულებულია, თამარის მიერ ხორცშესხმული, რეალიზებული ჰუმანიზმის გადმოცემის დროს გამოიყენოს ის ტერმინები, რომელიც თანამედროვე

ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოებში იხმარება – „სახელმწიფო დახმარება“, „სახელმწიფო დაზღვევა“ და სხვა. ესეც მოწმობს, თუ ქრისტიანული კაცთმოყვარეობა რა სიმაღლეზე აუყვანია ქართველ ერს წარსულში.

თამარის პოლიტიკის შედეგად „გააზნაურდეს ქვეყანისა მოქმედნი და გადიდებულდეს აზნაურნი და გახელმწიფდეს დიდებულნი მეფობასა შინა ამისსა“[104]. სწორედ ამის გამო „...ჟამთა მისთა არა იყო მიმძლავრებული, არცა მტაცებელი, არცა მეკობრე და მპარავი. იტყოდა, ვითარმედ: „მე ვარ მამა ობოლთა და მსაჯული ქვრივთა“.

„ობოლთა მამა“ დიდი თამარი მოწყალე იყო თვით მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა და ავჯანყებების მეთაურთა მიმართაც კი: „მოწყალებისათვის კმა გეყავნ დადიანი ვარდან, გუზან, რომელნი თვალ-მრუმე ოდენ ყვეს, ბოცოს-ძე ბოცო და ამათნი მიმდგომნი დიდებულნი და აზნაურნი, რომელნი ჩანან შეწყალებულნი“[105].

მემატიანის სიტყვით, თამარმა გამოიჩინა გონიერების სიმშვიდე და მის დროს „...არცა თუ ტაჯგანაგი უბრძანა ვის სადმე კვრად“, არც „ასოთა მიღების“ სასჯელი გამოუყენებიათ. ე.ი. არც მათრახის ცემით და არც სხეულის ასოების მოკვეთით დაუსჯიათ ვინმე. ეს წესი იმდროინდელ მსოფლიო პრაქტიკაში ყველგან გამოიყენებოდა. ამიტომაც უცხო ქვეყნიდან მოსულმა გიორგი რუსმაც გამოიყენა: „შეურაცხილნიცა კაცნი უბრალოდ გვემნა და ასოთა აღმოგდებითა ტანჯნა“[106]. ამიტომაც მისი ასეთი ქმედება ქართველი საზოგადოებისთვის მოუთმენელი ყოფილა.

„დღეთა შინა თამარისათა არავინ გამოჩნდა მიმძლავრებული მეცნიერებითა მისითა, არცა ვინ დასჯილი, თვინიერ ძველისა სჯულისა, რომელი ძეს ავაზაკთა ზედა ძელსა ზედა ჩამორჩობა. თვით არცა ვის ღირსსა სიკვდილისა და არცა პატიჟისასა მიეხადა თანანადები, არცა-ვინ ბრძანებითა მისითა ასო მოკვეთილ იქნა, არცა სიბრმითა დაისაჯა, თვინიერ გუზანისა..., რომელსაც დავით მეფემ თვალები დაწვა თამარის ნების გარეშე“[107].

მაშასადამე, თამარის დროს, ფაქტობრივად, მოისპო სიკვდილით დასჯა. სიკვდილით დასჯის ღირსნიც არ დაუსჯიათ სიკვდილით, ავაზაკთა გარდა. ესეც დიდი ჰუმანური წინწადგმული ნაბიჯია იმ დროის ქვეყნებთან შედარებით, მით უმეტეს, რომ სიკვდილით დასჯა თვით თანამედროვე ცივილიზებულ სახელმწიფოებში ახლახან აიკრძალა.

თამარის ჰუმანიზმის განსაკუთრებულ გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს მისი დამოკიდებულება არამართლმადიდებელთა რელიგიისადმი. თამარის დროს, როგორც ითქვა, ქართული სახელმწიფოს მიერ აღიარებული იყო არათუ რჯულშემწყნარებლობა, არამედ აღმსარებლობის თავისუფლება. ეს სრულიად გასაკვირი, საოცარი და ძნელად მისაღებია არათუ შუა საუკუნეებში, არამედ თანამედროვე ეპოქაშიც. თამარის საქართველოში აღმსარებლობის თავისუფლების არსებობის დამამტკიცებელი არა მარტო მაგალითები არსებობს, არამედ თამარის კარის მიერ განხორციელებული პოლიტიკური აქტიცა და სახელმწიფოს ცხოვრებაში მომხდარი მოვლენაც ამას ადასტურებს. უთუოდ აღმსარებლობის თავისუფლებით აიხსნება ის, რომ თამარის მთავრობაში მონოფიზიტებს (და არაქართველებსაც ნაციონალური

შემწყნარებლობის გამო) ეჭირათ ძალზე მნიშვნელოვანი პოსტები. აღნიშნული პრინციპის ერთგულებით აიხსნება ის, რომ ქართველი კათალიკოსისა და მონოფიზიტი ამირსპასალარის დავისას ქართველი მეფე არ ჩაერია მათ კამათში. მან ნება მისცა სომეხთა კათალიკოსს, ჩამოსულიყო ქართველი მეფის კარზე და სრულიად თავისუფლად, ყოველგვარი შებოჭილობის გარეშე, ეკამათა ქართველ კათალიკოსთან სარწმუნოებრივ საკითხებზე. ჩამოეყვანა თავისი რჯულის საუკეთესო მცოდნე ვართაპეტ-ეპისკოპოსები და ჩაერთო ისინი ქართველ სამღვდელოებასთან მძაფრ კამათში. სხვა მსგავსი მაგალითები, რომელნიც უამრავია საქართველოს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულნი საქართველოსა და მის ნაწილში – სომხეთში, დამადასტურებელია მონოფიზიტური სარწმუნოების შეუზღუდველობისა ქართული სახელმწიფოს მიერ. სინდისის თავისუფლებით, დაუსჯელობის სრული გარანტიის გამო, ბედავს მონოფიზიტი სარდალი ქართული ჯარებისა, ზაქარია ამირსპასალარი, განაცხადოს: მე არ შევერთვი ქართველთაო, ე.ი. ქალკედონიტობას, ქართველთა სახელმწიფო სარწმუნოებას არ მივიღებო. მან იცის, რომ ის ამის გამო არაფერს არ დაკარგავს. ალბათ, სინდისის თავისუფლებით აიხსნება ის, რომ თამარმა მაჰმადიან მფლობელებს დაუბრუნა სამფლობელოები და სამეფო ტახტები და ასევე ჩრდილო კავკასიის წარმართულ თემებს უშიშროების გარანტია მისცა.

როგორც ითქვა, თამარმა უშუალოდ კი არ შემოუერთა შარვანი, დარუბანდი და ჩრდილო კავკასიის ტომები საქართველოს, არამედ ისინი ყმადნაფიცობის პირობით დაიჭირა. „ყმადნაფიცი ქვეყნის საშინაო მმართველობას მეფე არ ცვლის. პირიქით, პატრონი (საქართველო) ცდილობს, გააძლიეროს ყმადნაფიცი ქვეყნის მეფეთა ძალაუფლება და თავისუფალი ცხოვრება შეუნარჩუნოს. ამ ქვეყანათა ერთგულების სამაგიეროდ საქართველო უზრუნველყოფს მათ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ყმადნაფიცს შინაურ ცხოვრებაში საქართველოს მეფისაგან მინიჭებული აქვს სრული დამოუკიდებლობა – „თავისუფლებით ცხოვრება“. საგარეო ურთიერთობაში კი საქართველო მისი დამხმარე და დამცველია „მტერთაგან უზრუნველობასა“[108].

ცხადია, თამარი თავისი სარწმუნოებრივი პოლიტიკის განხორციელებისას თუ არ დაეფუძნებოდა უფლის მცნებას „გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი ... გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“, ის ვერ შეძლებდა ერთიან სახელმწიფოში გაეერთიანებინა 20 ქართული საერისთავო, ოთხი მონოფიზიტური საერისთავო, ალვანეთის ერთი ქართული საერისთავო და ერთი თემი, გაუჭირდებოდა ვასალურ მუსულმანური სამეფო – სამთავროების – არანის (განძის), ნახიჭევანის, ეზინკის საამიროს, შაჰ-არმენთა სასულტანოს შემოკავშირება[109].

თამარის მოწყალება და ღვთისმოსაობა საყოველთაოდ იყო ცნობილი. „აღავსნა ეპისკოპოსნი და საყდარნი შესაწირავითა, თავისუფალ ყვნა ეკლესიანი ხარაჯისა და ბეგარისაგან“[110].

„განმათავისუფლებელნი ტყვეთანი, შემწირველნი ეკლესიათანი, მწირველნი მღვდელთანი და მიმცემელნი მონაზონთანი, მოწყალენი გლახაკთანი, ერთბამად მადიდებელნი ღმრთისანი, მწყალობელნი ეპისკოპოსთანი შვიდისავე სამეფოსა სპათა თანა“[111].

„ხოლო სხვანი საქმენი მისნი, აღშენებანი და შეწირვანი მონასტერთანი ისმინენით, არა ოდენ საქართველოსა მონასტერნი ააშენა, არამედ პალესტინეს, კვიპრეს, კონსტანტინეპოლს, საბერძნეთს და ყოველსა ელადას და საქართველოსა მცირითაგან მონასტრით საყდარ-ეკლესიანი არა დაუტევა, რომელ არა წყალობითა აღავსო“[112].

„ხელ-ყო აღშენებად ვარძიისა ღვთისმშობლისა“[113].

„უმეტეს შეუმატებდა ღვთის მსახურებასა, ეკლესიათა და მონასტერთა კაზმასა და შენებასა“[114]. „კვალად კერძოთა ელადისითა და მთაწმიდას ეგრეთვე მაკედონიისათა, პეტრიწონს, კერძოთა თრაკიისათა და კონსტანტინეპოლის მონასტერთა, რომანას, ისავრიას, კურუსეთს სანახებთა შავისა მთისათა და კვიპრისითა, ესე ყოველნი აღავსნა ქველის საქმითა...“[115].

თამარი იყო დიდი მლოცველი.

„ესოდენ შეიყვარა ღმერთი და უცხო ექმნა საცდურთა სოფლისათა, რამეთუ ღამე ყოველ მღვიძარება, ლოცვა, მუხლთ-დრეკა და ცრემლით ვედრება ღმრთისა ზემდგომრობითა განსაკვირველ აქვნდა და ღამე იყო ხელსაქმარი, რომელ გლახაკთა მიეცემოდა“[116].

ერთხელ ლოცვით და ხელსაქმით დაღლილ თამარს ჩაეძინა. ამ დროს იხილა ჩვენებით ტურფა სამყოფელი, სიმწვანეში ჩაფლული ვარდ-ყვავილოვანი ადგილი, რომლის სიმშვენიერის აღწერა შეუძლებელია. აქ იდგა ტახტები ოქროთი და ვერცხლით შემკული. მათ ზემოთ იდგა ტახტი, ყველა დასაჯდომელზე უპატიოსნესი, ოქროსი, თვალ-მარგალიტით შემკული. ამ ბაღში შეიყვანეს თამარი, იხილა დასაჯდომელები და გულში თქვა: „მეფე ვარ, მპყრობელი და ჩემი არს უზენაესი და უპატიოსნესი ესე საჯდომი“ და გაემართა იქ დასაჯდომად, მაგრამ მის წინ წარმოდგა ნათლით მოსილი კაცი, დაუჭირა ხელი, შეხედა და უთხრა: „შენი არა არს საჯდომი ისი, რამეთუ შენ ვერ შემძლებელ ხარ დაპყრობად იმისსა“ და მეფე ეტყოდა: „ვინ უპატიოსნეს არს ჩემსა, რომელმან დაიპყრას უპატიოსნესი საჯდომი?“ მან უთხრა: „ის ტახტი შენი დიასახლისის არის იმისათვის, რომ მან თორმეტ მღვდელს თავისი ხელით სამოსი მოუქსოვა ტრაპეზის წინ უსისხლო და პატიოსანი მსხვერპლის შეწირვისათვის. ამიტომაც ის შენზე მეტია, თუმცა კი შენ მეფე ხარ. საკმარისია შენთვის ეს დიდება“. უჩვენა უმდიდრესი ტახტი. როცა თამარმა გაიღვიძა, მოაყვანინა თავისი დიასახლისი. მან აღიარა, რომ თორმეტ მღვდელს მოუქსოვა სამწირველო შესამოსელი კვართ-ფილონი. ამის შემდეგ თამარმაც დაიწყო ქსოვა სამღვდელო შესამოსელებისა, რისთვისაც ალექსანდრიიდან ვაჭრებს მატყლს მოატანინებდა ხოლმე. მან თორმეტი შესამოსელი მოქსოვა (ეს რთული საქმე ყოფილა, რადგან დიდხანს გაგრძელებულა).

ბასილი ეზოსმოძღვარი წერს, რომ „რამეთუ რაჟამს მოიცლის მარტოებით ყოფად, მყის აღიღოს სართუელი, გინა საკერავი და ნაშრომსა მას თვითა ხელთასა ხუცესთა და გლახაკთა განუყოფნ თვისითა ხელითა“[117].

ისმის კითხვა, რატომ მიიჩნევდა თამარი, რომ მას პირადად უნდა ეშრომა ქველმოქმედების აღსასრულებლად?

ივ. ჯავახიშვილი წერს – „მეტად საყურადღებოა, რომ იმ დროს, როცა მონაზვნები დარწმუნებულნი იყვნენ, თითქოს ზნეობრივი სიფაქიზის დასაცავად მხოლოდ ის იყო საჭირო, რომ ადამიანს არაფერი ამ ქვეყნიური საზრუნავი და სამუშაო არ აწუხებდეს და ყველაფერი მზა-მზარეულად მოსდიოდეს, ამავე დროს ქართველმა განათლებულმა საზოგადოებამ სულ სხვა გზა აირჩია და საკუთარი ხელით მონაპოვრის ზნეობრივ ღირებულებაზე სულ სხვა მოძღვრება შეიმუშავა. ეს მოძღვრება წარმოიშვა იმ საკითხის ძიების დროს, თუ რა თვისებისა უნდა ყოფილიყო ქველის საქმარი, რომ მისი მიცემა ზნეობრივ ღვაწლად მისაჩნევი ყოფილიყო ქართველ საზოგადოებაში. ისეთი აზრი და რწმენა ტრიალებდა, რომ მხოლოდ იმ ფულისა და ქველსაქმარის მიცემა შეიძლებოდა, რომელიც ადამიანს თავისი ოფლით და სინდისიერად ნაშოვნი და შეძენილი ჰქონდა. იმდროინდელი მოძღვრების თანახმად, ასე წარმოიდგინეთ, საქველმოქმედოდ, აზნაურს საპატრონო და საბატონო მამულის შემოსავალი, მეფეს სახელმწიფო სარგო არ უნდა მოეხმარა. მაგ., დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვით, მეფე გლახაკებს რომ ქველსაქმარს აძლევდა ხოლმე, „ამას არა თუ ხელოსანთაგან მორთმეულსა იქმოდეს, ანუ საჭურჭლით, არამედ ხელითა თვისითა ნადირებულთა“. თამარ მეფის პირველი ისტორიკოსიც გვიამბობს, რომ საქართველოს დედოფალმა „ხელსაქმარი მისი განყიდის და ეგოდენი ფასი გლახაკთა მისცის და არა სამეფო შემოსავლიდან“.

„ხელთა თვისთა“ შეძენილსა და „ხელსაქმარს“ იმიტომ აძლევდნენ ხოლმე გლახაკებს, რომ ქველმოქმედება მამულისა, ან სახელმწიფო შემოსავალთაგან არავითარ პირად ზნეობრივ ღვაწლს არ წარმოადგენდა, და მეტადრე იმის გამო, რომ ადამიანს არც როდის არ შეეძლო ეთქვა, თუ რა გზით არის შეძენილი ის ფული, რომელიც სახელმწიფოს ან საპატრონო შემოსავლითგანაა მიღებული. ვის შეეძლო დაემტკიცებინა, რომ იგი რაიმე ძალდატანებით ან უსამართლოდ არ იყო შეკრებილი. მხოლოდ ის, რაც ადამიანს თავისი ოფლით სვინდისიერად შეუძენია, მხოლოდ ის იყო წმიდა და საქველმოქმედოდ, მოყვასისადმი ძმურ, ღრმა სიყვარულისა და სიბრალულის გამოსაცხადებლად გამოსადეგი. ფაქიზმა ზნეობრივმა მოძღვრებამ ქართველი მოწინავე საზოგადოება დაარწმუნა, რომ მხოლოდ საკუთარი მუშაობით შეძენილი ქონება აკეთილშობილებდა ადამიანს“[118].

თამარი მისი სამეფოს გასაოცარმა გაფართოებამ, გაფურჩქვნამ, თვისმა ქველმა საქმეებმა არ გააამაყა, „განა, ამა ყოველთა ზედა აღზვავდა გული თამარისი, განლაღნა ერთისაცა წარბისა აღებითა? არა, ნუ იყოფინ! არამედ უფროსად დამდაბლდებოდა წინაშე ღმრთისა მამადლობელი“[119]. უფრო მეტად, მზრუნველობდა ეკლესიებისათვის, ქვრივთა და დავრდომილთათვის.

თამარს თავისი სამყოფელი მოსასვენებლის მახლობლად დაბინავებული ჰყოლია ხუცესი და მონაზვნები, რომელთაც თვითონ აჭმევდა, აძლევდა მოსახმარს, ხოლო უძლურებთან თვითონვე მიდიოდა მოსახილველად და ნუგეშის საცემად. თვითონვე უგებდა ლოგინს და უმზადებდა საწოლს[120].

სასახლის ეკლესიაში წირვას ვერავინ დააკლდებოდა: „დარბაზის კარს მყოფი წირვად ვერავინ დააკლდებოდა: მწუხრი, დილეულ, სამხრად, ვითარცა თქმულ

არს“[121]. „წესი ლოცვისა დაუკლებლად აღესრულებოდეს, ვითარცა ტიბიკონი მოასწავებდა და განწესება პალესტინისა მონასტრისა მოგვითხრობს, ყოველი სრულიად“[122]. „აღასრულებდა ლიტანიობასა და ღამისთევასა“[123]. ამიტომაც იყო, რომ „ბჭედ ჯდა შორის თვისისა და მეზობელთა მეფეთა. მეორე სოლომონ იქმნა მეფეთა შორის“[124].

როგორც ითქვა, „საქართველოში საქველმოქმედო თანხა გადასახადისაგან კი არ იყო შემდგარი, არამედ მთელი სახელმწიფოს შემოსავლის და დაპყრობილი ქვეყნების ხარაჯის 10%-ს ქველმოქმედებას ახმარდნენ. ერთი სიტყვით, საქართველოში არსებობდა სახელმწიფო და არა საეკლესიო ან კერძო საქველმოქმედო თანხა“[125]. აქ უნდა ითქვას, რომ სამღვდელოება სახელმწიფოს გარეთ კი არ არსებობდა, არამედ ეკლესიის იერარქები მთავრობის უპირველესი მმართველები იყვნენ, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თუ კათალიკოსის სახით. ამიტომაც სახელმწიფოს ქველმოქმედებაში მათაც ღვაწლი მიუძღოდათ.

იყო თუ არა თამარის კაცთმოყვარეობა, ჰუმანური სახელმწიფო იმ დროისათვის ახალი და მოულოდნელი? რა თქმა უნდა, თამარის პოლიტიკა განსხვავდებოდა დავითის სახელმწიფოებრივი მიმართულებისაგან, მაგრამ მოულოდნელი არ ყოფილა, რადგანაც ფაქტობრივად, ის იყო ქრისტიანულ მორალზე დაფუძნებული პოლიტიკა და, სხვათა შორის, მას თეორიული საფუძვლები თვით დავით აღმაშენებელმა მისცა თავისი ცნობილი ანდერძებით (და „გალობანი სინანულისანით“), სადაც დავითი ნანობდა, რომ ვერ შეძლო განეხორციელებინა უფრო ჰუმანური სახელმწიფო პოლიტიკა. თამარმა კი ეს განახორციელა. ზემოთ მოყვანილი შეხედულებანი დავით მეფისა, ქართველ საზოგადოებას განუხილავს, როგორც საპროგრამო თეორია, ანდერძი. ამიტომ თამარს უცდია, როგორც ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებიდან ჩანს, აღესრულებინა ის, მთლიანი სახელმწიფო სისტემა დაექვემდებარებინა მისი განხორციელებისათვის.

თამარი ქართველი ერის უსაყვარლეს მეფედ იქცა საუკუნეთა მანძილზე, ქართული ეკლესია მის სულს, როგორც კეთილმსახური მეფისას, შესთხოვდა, შეევედრებინა ღმერთისათვის საქართველო.

თავი XI

ქართული ეკლესია XIII საუკუნეში

„შვილნო, თქვენნი წინაპაპნი
ეგზე გულქვად ზოდი იყვნენ...
ძმა ძმასა და მამა შვილსა
მამულს ხოლმე შესწიზვიდნენ“.

ილია მართალი

ქვეყნის ზოგადი მდგომარეობა XIII საუკუნეში

თამარის აყვავებული ქვეყანა მისი შვილების დროს მონღოლებმა დაიპყრეს. 1242 წელს დაზავების შემდეგ მტერმა აღიარა ქართული სახელმწიფოებრიობა, მაგრამ ქართველები ხარკს იხდიდნენ. მონღოლებმა ქვეყანა დუმენებად დაჰყვეს. ნარინ დავითისა (რუსუდანის ძისა) და ულუ დავითის (ლაშას ძის) მეფეთა წოდებით საქართველოში დაბრუნების შემდეგ 1248 წლისათვის დუმენებად დაყოფა გაუქმდა. 1259 წელს დავით ნარინი აჯანყდა, 1260 წელს კი – ულუ დავითი. ნარინი დასავლეთ საქართველოში მეფედ დაჯდა და მონღოლებისაგან თავისუფალი ქვეყნის მეთაურად იქცა, ხოლო ულუ მონღოლებს შეურიგდა. 1272 წელს ტახტზე ავიდა მისი ვაჟი დემეტრე II. მონღოლთა ბატონობამ დასცა ქვეყანა, ეკონომიურად გაუჭირდა ყველა ფენას. ქვეყანა ფაქტობრივად სამ ნაწილად გაიყო – დასავლეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოდ. მესხეთს მონღოლებმა ქართველი მეფისაგან დამოუკიდებლობა მიანიჭეს და უშუალოდ დაიმორჩილეს, 1289 წელს დემეტრე II სიკვდილით დასაჯეს.

მონღოლებმა აღმოსავლეთ საქართველოში გაამეფეს დავით ნარინის ძე - ვახტანგი, რომელიც მალე გარდაიცვალა, მეფედ დაჯდა დავით VIII – ძე დემეტრესი, რომელიც მუდამ ჯანყდებოდა მონღოლთა წინააღმდეგ. ამიტომ მის სიცოცხლეშივე მისივე ძმები გაამეფეს, ჯერ, 1299 წელს მცირეწლოვანი გიორგი, ხოლო 1302 წლიდან – ვახტანგი, რომელიც 1308 წელს გარდაიცვალა, ხოლო დავით VIII - 1311 წელს. ამის შემდეგ გაამეფეს დავით VIII-ს ძე – გიორგი მცირე (გიორგი IV). ის გარდაიცვალა 1314 წელს. ამავე წლიდან საქართველოს მეფეა გიორგი V ბრწყინვალე – განმათავისუფლებელი და გამაერთიანებელი საქართველოსი.

სული თავდადებისა

ჩინგიზ ხანის მეთაურობით მონღოლთა გაერთიანებულმა სახელმწიფომ XIII საუკუნის დამდეგიდან დაიმორჩილა მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი აზიასა და ევროპაში: ჩრდილო ჩინეთი, კორეა, ცენტრალური და შუა აზია, ირანი, ავღანეთი და სხვა ქვეყნები. როგორც ჩვენი მემატიანე წერს, მონღოლები ლაშქრობდნენ - „დიდსა საყივჩაყეთსა ზედა, ოვსეთს, ხაზარეთს და რუსეთს ვიდრე ბნელეთამდე“[1]. „ბნელეთს“ – მემატიანე უწოდებს ჩრდილოეთის პოლარულ ზონას, სადაც, როგორც ცნობილია, წლის უმეტესი დროის მანძილზე მზე ჰორიზონტის ხაზს ვერ სცილდება, ამიტომაც მართლაც ბნელა. მონღოლებს დაუპყრიათ საქართველოს ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნები, დასავლეთით კი ისინი ევროპის ცენტრებს მიუახლოვდნენ - „... ვიდრე ბორღართა და სერბთამდე“[2].

ფაქტია, რომ ასეთმა უძლიერესმა სახელმწიფომ ვერ შეძლო საქართველოს სრულად დაპყრობა, უფრო მეტიც, მან ვერ შეძლო ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებაც კი.

ქართულმა სახელმწიფომ მონღოლთა ძლევამოსილი მსვლელობა შეაჩერა ლიხის მთასთან. დასავლეთ საქართველოს დაპყრობა მონღოლებმა ვერ შეძლეს, იქ საქართველოს სამეფო ცენტრი იქნა გადატანილი.

მონღოლების ძირითადი ძალების შემოსევის დროს საქართველოს სახელმწიფოს სათავეში იდგა რუსუდან მეფე, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი გამოუცდელსა და ქვეყნის მესაჭეობისათვის გამოუსადეგარ პიროვნებას უწოდებს[3], ამიტომაც ის სრულიად ანდობდა ლაშქარსა და სამხედრო საქმეს მთავარსარდალსა და სხვა ხელისუფალთ. სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობა ამ დროს ხელში ეჭირათ ძირითადად იმ თემების მფლობელთ, რომელთა მიწებსაც უშუალოდ მიადგნენ მონღოლები. ეს იყო საქართველოს სომხური, ან სომხურ-ქართული თემები სამხრეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთში. ამ მთავრებმა დაივიწყეს სრულიად საქართველოს ინტერესები და შეეცადნენ თავიანთი პირადი საკუთარი ქონების (მამულ-მიწა-წყლის) გადარჩენას. აი, როგორ აფასებს ივ. ჯავახიშვილი საქართველოს მთავრობის მოქმედებას ამ დროს – ვიხილოთ მხოლოდ სათაურები პარაგრაფებისა - „მონღოლთა მეორე შემოსევა საქართველოს დასაპყრობად და მთავარსარდლობისა და საქვეყნოთ გამრიგე ხელისუფალთა სრული დაბნეულობა და უილაჯობა“[4], „მტერთან ბრძოლის მცდარი გეგმის საბედისწერო შედეგი“[5], „ამირსპასალარისაგან მტრისათვის თვითნებურად დამორჩილების სამარცხვინო მაგალითის მიცემა და მონღოლებთან ბრძოლის ჩაშლა“[6] და სხვა.

იმის მაგიერ, რომ საქართველოს მთავარსარდალს, ავაგ მხარგრძელს, მტრის წინააღმდეგ სრულიად საქართველოს ძალებით ებრძოლა, მან საიდუმლო მოლაპარაკება გამართა მტერთან, რითაც გადაარჩინა თავისი პირადი ქონება, საქართველო კი დაღუპა. „...მტრისათვის თვითნებურად და ნებაყოფლობით დამორჩილების სამარცხვინო პირველი მაგალითი, სწორედ თავისი საქციელით ასე უგუნურად მახეში გაბმულმა ამ ავაგ ამირსპასალარმავე მისცა. მონღოლებისათვის დანებების შესახებ მოსალაპარაკებლადაც მან მიუგზავნა ჩორმაღან ნოინს მოციქული. ვითარცა მეფისა და მთავრობის შეუკითხავად და ნებადაურთველად გადადგმული ნაბიჯი, მისი საქციელი ქვეყნის ღალატს უდრიდა. მაგრამ მის საზრუნავს ხომ უკვე ქვეყნის კეთილდღეობა აღარ შეადგენდა: პირადად მას ისიც აკმაყოფილებდა, თუ მისი ნებაყოფლობითი დამორჩილების შემდგომ, მონღოლები მთელ საგამგეო ქონებას შეუნარჩუნებდნენ და მის საგამგეო და საპატრონო ქვეყნის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებას შესწყვეტდნენ“[7].

შეეძლოთ თუ არა საქართველოს მთავრობასა და მთავარსარდალს არ შეეწყვიტათ ბრძოლა და გამკლავებოდნენ მონღოლებს? უთუოდ შეეძლოთ. ამას მიუთითებს ის, რომ მონღოლებმა დიდი მონდომების მიუხედავად ვერ შეძლეს დასავლეთ საქართველოში შესვლა და არსებული ქართული სახელმწიფო ხელისუფლების გაუქმება. გარდა ამისა, საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილის, მესხეთის ხელისუფლებმა არ უღალატეს მეფე რუსუდანს და მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მონღოლებს: „ხოლო მესხნი სათნოებისათვის მეფისა რუსუდანისა არა მიენდვნეს“[8].

როგორც აღინიშნა, სრულიად საქართველოს დაპყრობა ვერ შეძლეს მონღოლებმა. სამეფო ხელისუფლება თავისუფალ დასავლეთ საქართველოში გადავიდა თბილისიდან - „ამით დაამთავრეს XIII საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს მონღოლებმა აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა და ხანგრძლივად გაბატონდნენ აქ, დასავლეთ საქართველოში შეჭრა მათ ვერ შეძლეს“[9].

მონღოლებმა, ფაქტობრივად, უბრძოლველად დაიმორჩილეს აღმოსავლეთ საქართველო არამართლმადიდებელ მანდატურთუხუცეს შანშეს, ივანე ათაბაგის ძის, ავაგ ამირსპასალარის, ვარამ გაგელისა და სხვათა წყალობით. ასეთ დროს ქართულმა ეკლესიამ საჭიროდ მიიჩნია, შეწევნოდა საქართველოს დამშვიდების საქმეს. ჭყონდიდელმა ეპისკოპოსმა კიდევ ერთხელ ინება საქართველოს შეკრება ერთ მთლიან ქვეყანად. დაახლოებით 1242 წელს „რუსუდან მეფემ ბათო ყაენთან ვოლგისპირეთში არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი გაგზავნა“[10]. მან მიაღწია ზავს მონღოლებთან, რომლის თანახმად მონღოლთა უმაღლესი ხელისუფლება სცნობდა ერთიან და განუყოფელ საქართველოს სახელმწიფოს ქართველი მეფის მეთაურობით, აღმოსავლეთ საქართველოს გარკვეული ვალდებულება უნდა ეკისრა, ხოლო დასავლეთ საქართველო, როგორც დაუპყრობელი მხარე, მონღოლთა ვალდებულებისაგან თავისუფალი იყო.

„ზავის თანახმად, საქართველოს მეფე მონღოლთა უზენაეს უფლებას ცნობდა. დაწესებულ იქნა უფლებრივი განსხვავება საქართველოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ნაწილებისათვის: ლიხთამერ საქართველოში, როგორც მონღოლთაგან დაპყრობილ ქვეყანაში, ქართულ ხელისუფლებასთან ერთად უნდა მდგარიყვნენ მონღოლთა მოხელეები და სარდლები (ნოინები) ჯარითურთ. ლიხთიმერეთი კი ამ მხრივ თავისუფალი იქნებოდა. საქართველოს დაეკისრა ყოველწლიურად 50 000 პერპერას გადახდა და მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილეობა. დაზავების შედეგად საქართველოს მთავრობა ქუთაისიდან თბილისს გადმოვიდა“[11].

ეს მოხდა დაახლოებით 1242-43 წლებში. 1259 წელს მონღოლებს აუჯანყდა რუსუდანის ძე – დავით ნარინი და გადავიდა დასავლეთ საქართველოში. „აჯანყების შედეგად დასავლეთ საქართველო ფაქტობრივად გამოეთიშა მონღოლთა მფლობელობას. ის აღარც ხარკს იხდიდა და მონღოლთა ჯარიც ვეღარ ბედავდა ლიხის ვიწრობების გადალახვას. ნარინ დავითის კარი ამიერიდან მონღოლთა წინააღმდეგ მებრძოლთა უშიშარი თავშესაფარიც გახდა“[12].

მართალია, „მას შემდეგ, რაც აჯანყებული დავით ნარინი ლიხთიმერეთში გადავიდა, საქართველოს ეს ნაწილი მონღოლთა ბატონობას, და ამასთან ერთად, ერთიან საქართველოს გამოეთიშა“[13], მაგრამ ამ ქვეყნის მმართველები აგრძელებდნენ და ავითარებდნენ ძველ ქართულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას. ის საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური ერთეული იყო, რომელსაც ანგარიშს უწევდნენ. „მონღოლებს ნარინ დავითი საშიშ ძალად მიუჩნევიათ. ამიტომ იყო, რომ ისინი თხოვნა-საჩუქრებით ცდილობდნენ მასთან მოკავშირეობას“[14]. უფრო მეტიც, მეფე ქართული გავლენის გავრცელებასაც ცდილობდა ტრაპიზუნის სამეფოში, ლაზებით დასახლებულ ძველქართულ მხარეში.

„ამ შემთხვევაში დასავლეთ საქართველო სამართლიანად გვევლინება სრულიად საქართველოს წარმომადგენლის როლში, რომლის საგარეო კურსი შემუშავებული იყო არა უცხო ძალის კარნახით და მის სასარგებლოდ, არამედ საქართველოს საკუთარი პოლიტიკური ინტერესებით“[15].

ეს ჩვენმა ერმა შეძლო მსოფლიოს დიდი ნაწილის მფლობელ მონღოლთა სახელმწიფოს უდიდესი ძლიერების პერიოდში. უფრო მეტიც, მეფე ულუ დავითისა

და მეფე დავით ნარინის მიერ საქართველოს სამეფოს გაყოფის დროს დავით ნარინს (ე.ი. თავისუფალ საქართველოს) ერგო თბილისის, სხვა დიდი ქალაქებისა და შემოსავლიანი ადგილების ნახევარი. „განიყვეს ორად ტფილისი, ქუთაისი ორად და თავადნი და ერისთავნი ურთიერთ შეასწორეს, ნიკოფსიით დარუბანდამდე, და განიყვეს სამეფო და საჭურჭლენი“[16], ე.ი. თავისუფალი დასავლეთ საქართველო აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილსაც ფლობს.

სამწუხაროდ, როგორც აღინიშნა, მონღოლთა ბატონობის დროს პოლიტიკური მმართველობის თვალსაზრისით საქართველო სამ ნაწილად გაიყო: აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ „საქართველოებად“. მიუხედავად ამისა, საქართველო ერთიანი, მთლიანი ორგანიზმი იყო, რომლის ყოველი კუთხე ერთიანი ქართველი ხალხით იყო დასახლებული, ამ დროსაც, ისევე როგორც წინა საუკუნეთა დაშლილობის დროს, საქართველოს ამ კუთხეებს აერთიანებდა ქართული ეკლესია. სამცხეში, ქართლში, კახეთ-ჰერეთსა, თუ დასავლეთ საქართველოში, სულიერი მწყემსი ერისა – ქართული ეკლესია იყო. სწორედ ამიტომ ამ დაშლილობის დროსაც ქართველობას თავის ქვეყნის საზღვრებად ძველებურადვე წარმოდგენილი ჰქონდა ნიკოფსია და დარუბანდი. სინამდვილეში აღმოსავლეთ საქართველოს საზღვარი „თეთრწყალზე“ (ანუ ახსუზე) გადიოდა („ახსუ - მტკვრის მარჯვენა შენაკადია და ერთვის მტკვარს დაახლოებით იქ, სადაც მარჯვენა მხრიდან არაქსი უერთდება ქ. საბირაბადის მიდამოებში“)[17].

მდინარე თეთრიწყლიდან დარუბანდამდე, ანუ კასპიის ზღვამდე, 60-70-იოდე კილომეტრია.

რატომ აირჩიეს ეს მდინარე საზღვრად? საქმე ისაა, რომ ეს მდინარე წარმოადგენდა ქართველთა ეთნიკური განსახლების აღმოსავლეთის საზღვარს არა მარტო მონღოლების დროს, არამედ საუკუნეებით ადრეც. მაგალითად, როცა X საუკუნის II ნახევარში კახეთი და ჰერეთი გაერთიანდნენ, ეს გაერთიანება ვრცელდებოდა მდინარე ახსუმდე. ამ კუთხეში ქართველები (ჰერები) მჭიდროდ იყვნენ დასახლებულნი, მაგრამ იმის გამო, რომ ამ კუთხის მახლობლად მონღოლებმა სასაზღვრო ზოლი გააკეთეს, ეს ქვეყანა მოსახლეობისაგან დაიცალა, ანდა გადაგვარდა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს პოლიტიკური საზღვარი სცილდებოდა ახსუსაც და აღწევდა შემახიის მთებამდე, რომელიც ამ მდინარის აღმოსავლეთით მდებარეობს.

იმის შემდეგ, რაც საქართველო დუმნებად დაიყო, პირველ დუმნაში შედიოდა ჰერეთი, კახეთი და კამბეჩანი, თეთრწყლამდე და შემახიის მთებამდე[18]. ამ ოლქის დუმნისთავს, ეგარსლან ბაკურციხელს, მონღოლებმა „ხელთ უდვეს სპა ჰერეთისა და კახეთისა და კამბეჩიანისა, ტფილისითგან და აღმართ ვითარ მთამდე შამახიისა“[19].

სამხრეთ საქართველოს საზღვარი გადიოდა მდინარე არაქსზე (რახსზე), ანისი და დვინი კვლავ საქართველოს ქალაქები იყვნენ.

სამხრეთით ტაო – ძველებურადვე საქართველოს ეკუთვნოდა. კოხტასთავის შეკრებილთა შორის ტაოელი მეამბოხენიც არიან: „შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი კოხტას თავსა, იმერნი და ამერნი... ჰერ-კახნი, ქართველნი... მესხ-

ნი და ტაოელნი. და ყოველნი იტყოდეს: „რა ვყოთ? არღარა არს ნათესავი ქართველთა მეფეთა, რათა წინამძღვარ გვექმნას და ვბრძოდით თათართა... შევკრბეთ ყოველნი და ვბრძოდეთ თათართა“[20].

მესხეთში ბექას მთავრობის დროს საქართველოს საზღვრებში შემოდიოდა ჭანეთიც კი, რომელიც ბიზანტიამ დათმო: „ხოლო ჭანეთი სრულიად მოსცა ბერძენთა მეფემან კომნინოსმან კირ მიხაილ“[21].

„საზღვარი მიდიოდა შავ ზღვამდე სპერის ჩათვლით. მას შეუერთდა ჭანეთიც, რომელიც ბექას ტრაპიზონის მეფემ გადასცა“[22].

დასავლეთ საქართველოს საზღვარს ნიკოფსიამდე შავი ზღვა წარმოადგენდა.

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, მონღოლთა მძლავრობის უსასტიკეს საუკუნეში ქართველმა ხალხმა შეინარჩუნა თავისი ეროვნული ტერიტორიები, ეროვნული საზღვრები, ეროვნული სახელმწიფოებრიობა, ეთნიკური ერთობის გრძნობა, მაშინ, როცა საქართველოს მეზობელ ქვეყნებს მონღოლებმა ეთნიკური სახეც კი შეუცვალეს. საქმე ის იყო, რომ მონღოლებმა ვერ შეძლეს საქართველოში ჩასახლება, მაშინ, როცა მათ საქართველოს მეზობლად მდებარე რანი, მუღანი, შარვანი და ასევე სომხეთის ტერიტორიები საზამთრო და საზაფხულო ბანაკებად აქციეს.

„საზამთრო ბანაკად მათ დასაკუთრებული ჰქონდათ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მოსაზღვრე ქვეყანა რანი, სადაც ეკავათ ბარდავი მისი მიმდგომი ყარაბაღის ველით (მდ. არაქსის მარცხენა ნაპირზე), ხოლო აზერბაიჯანში (ადარბადაგანში) მუღანი (მდ. არაქსის მარჯვენა ნაპირი). ზაფხულში მონღოლები დაბანაკებულნი იყვნენ სომხეთის ტერიტორიაზე და ეჭირათ გელაქუნის (ახლანდელი სევანის ტბასთან) მთები, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით არარატის მთებიც. დასახლებულ სადგომებს შორის გადანაცვლებისას მონღოლებს მოძრაობა უხდებოდათ საქართველოს სომხურ პროვინციებზე, ასევე რან-ადარბადაგანის ტერიტორიაზე. დიდი რაოდენობის საქონლის ჯოგები უმოწყალოდ ანადგურებდნენ ნათესებს, ყოველგვარ მცენარეულობას. საქმე ის იყო, რომ მონღოლთა მოძრაობის მძიმე შედეგებს მათი ლაშქრის თავისებურება განაპირობებდა. მონღოლთა ლაშქარს, რომელიც მთლიანად ცხენოსანი იყო, თან ახლდა მათივე დედაწული (ოჯახები) და მთელი ქონება, მსხვილფეხა საქონლის ჯოგები. ასეთი ლაშქრის უბრალო გადაადგილებაც კი ხალხთა გადასახლებას უფრო ჰგავდა და თუ ომობდნენ, ეს იყო არა მხოლოდ ომი, არამედ გადმოსახლება ომით, სადაც ისინი გაივლიდნენ ან დაბანაკდებოდნენ, ის ადგილები უკაცრიელდებოდა, ყანები და ბაღ-ვენახები მათი ცხენებისა და აქლემების ფლოქვებით ითელებოდა“[23].

ასეთ საშინელ მონღოლურ მომთაბარეობას ძირითადად გადაურჩა საქართველო. ქართველი ხალხის განსახლების ადგილები გადარჩა. ამით ერმა შეძლო ეთნიკური თავისთავადობის შენარჩუნება, არ აითქვიფა, არ განადგურდა.

მონღოლებმა ქართულ მიწაზე არ დაიდეს მუდმივი სადგომები, მაგრამ საქართველოს ზოგიერთი სანაპირო მხარე მაინც ვერ გადაურჩა მონღოლთაგან განადგურებას.

ცნობილია, რომ მონღოლებმა „საზღვართა საქართველოსათა, ადგილსა, რომელსა უწოდიან ჩაღანუსუნი, ესე იგი არს თეთრი წყალი“ ოქროს ურდოს ლაშქრის შესაკავებლად „შეკრეს ღობითა, რომელსა სიბად უწოდეს“[24].

ქართველებით აქამდე მჭიდროდ დასახლებული მხარის – საარიშიანოს ერთი ნაწილი (შაქი) საქართველოს ჩამოსცილდა[25].

თუ რა დიდი უბედურება იყო მონღოლური ლაშქრობები, იქიდანაც ჩანს, რომ 1265 წელს ჩრდილოეთიდან ბერქა ყაენის შემოჭრის შემდეგ ივრისა და ალაზნისპირა აყვავებული სოფლები მოისპო.

მონღოლთა „სადგომები“ ანადგურებდა ქვეყნებს – „საზამთრო ადგილის უშუალო მეზობლობა საქართველოსთან (კერძოდ, კახეთ-ჰერეთთან) დიდ ზიანს აყენებდა ამ სასაზღვრო მხარეებს“. მონღოლთა სადგომის, განძა-ბარდავი-მუღანის სიახლოვე („მეზობლობა“) გახდა იმის მიზეზი, რომ საქართველოს აქეთური საზღვრები უფრო მოოხრდა, ვიდრე ქვეყნის სხვა ადგილები[26].

„განსაკუთრებით დაზიანდა და მთლიანად გამოეთიშა ქართულ აგროკულტურას მტკვრის სანაპიროების ვრცელი ტერიტორია: რუსთავი და მისი მიმდგომი მხარეები; კახეთ-ჰერეთში ივრისა და ალაზნის სანაპიროები, ხრამისა და დებედას ხეობები, დიდად შევიწროვდა ჯავახეთი და თრიალეთი“[27]. ჯავახეთში გარკვეული ხნით მონღოლებს „სადგომიც“ ჰქონდათ გაჩენილი.

ყოველივეს მიუხედავად, ქართველი ხალხის უდიდესი გამარჯვება იყო ის, რომ მონღოლებმა ვერ შეძლეს საქართველოს სრულიად დაპყრობა, მათ საქართველოში მუდმივი „სადგომების“ დადებაც ვერ მოახერხეს. ამან ქართველი ხალხი ეთნიკურ გადაგვარებას გადაარჩინა (ჩვენი მეზობელი ალბანელები, რომელთაც თურქ-სელჯუკების შემოსევის შედეგად ეთნიკური სახე დაკარგეს, მონღოლების დროს სრულებით გაქრნენ, ხოლო სომხეთის უმთავრესი ქალაქებიდან ლტოლვილი სომხები საქართველოსა და სხვა ქვეყნებს აფარებდნენ თავს).

აღსანიშნავია, რომ მონღოლთა მძლავრობას ქართველმა ხალხმა უპასუხა მაღალი ქრისტიანული მორალით, ურთიერთსიყვარულით, ურთიერთგატანით. მრავალმა ქართველმა დადო თავი მოყვასისა და სამშობლოს გადასარჩენად. თავდადება ხშირი მოვლენაც კი იყო ამ საშინელ ეპოქაში.

თავს დებდა არა მარტო რიგითი ქართველი მეფისა და მამულისათვის, არამედ მეფეც – ერის გადასარჩენად.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ თავს დებდნენ მხოლოდ სარწმუნოებრივი მოსაზრებით და ამ თავდადების სანაცვლოდ ქრისტესაგან მოელოდნენ სულის ცხონებას. ცხადია, ესეც იყო მონღოლთა ბატონობის დასასრულს. საქართველოში შემოსვლისას კი მონღოლები ქრისტიანებს არ ავიწროებდნენ (ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ მაჰმადიანები). ამიტომ თავდადება სარწმუნოებისათვის შემდგომ გახდა საჭირო.

მხოლოდ ყაზან ყაენის (1295-1304) დროს გამოცხადდა ისლამი სახელმწიფო რელიგიად. მონღოლებს სპარსელ მაჰმადიანთა წაქეზებით დაუწყიათ ქრისტიანთა დევნა. მათი „ისმინა ყაენმა და იწყო რღვევად ეკლესიათა და წარმოავლინა ლაშქარი, რათა მოვიდეს საქართველოსა და მეფესა და ყოველთა ქართველთა დაატოვებინოს სჯული და სარკინოზად შექმნას“[28].

ქართველთა მეფე ვახტანგი მივიდა ყაენის წინაშე ურდოში და განაცხადა: „... მე ვარ მეფე ქართველთა, და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი შენს წინაშე

არიან და მე მზად ვარ სიკვდილად სჯულისათვის ქრისტეანობისა და მერე ესე ყოველნი შენს წინაშე მყოფნი ქრისტეანენი, აჰა, თავნი ჩვენნი წარგვკვეთენ“[29].

მაგრამ ქართველები თავს სწირავდნენ არა მარტო რჯულისათვის, არამედ მამულისა და მოყვასისათვისაც. ჟამთააღმწერელის მიერ მოყვანილი უთვალავი მაგალითი თავდადებისა მიუთითებს, თუ რა სულიერ სიმაღლეზე აუყვანია ქართულ ეკლესიას ქართველი ერი, რომელმაც დიდი გასაჭირის დროს შეძლო უდიდესი ქრისტიანული სიყვარულის გამომჟღავნება. ურდოში განსასჯელად დაბარებულმა დემეტრე II თავდადებულმა შეკრიბა თავისი სამეფოს სამღვდელოება, დიდებულები და განუცხადა – „განრისხებულია ყაენი, თავისი ყველა მთავარი გაწყვიტა. ახლა მე მიხმობს. თუ მთიულეთში წავალ, თავს გადავირჩენ, მაგრამ ვაი, რომ მთელი ჩემი სამეფო მათ ხელში ჩავარდება. რამდენი სული ქრისტიანი გაწყდება და დატყვევდება, ეკლესიები წაიბილწება და მოოხრდება, ხატები და ჯვრები შეიმუსრებიან, ხოლო თუ მივალ ყაენის წინა, ნამდვილად ვიცი, მომკლავს. ახლა სიბრძნით განიხილეთ ეს საქმე, ხოლო მე ასე ვფიქრობ: მრავალმღელვარე არის ეს წუთისოფელი, დაუდგომელი და წარმავალი, ჩვენი დღეები სიზმარივით და აჩრდილებივით წარვლენ. ჩვენც უნებლიეთ და სწრაფად გავალთ ამ წუთისოფლიდან. რა სარგებლის მომტანი იქნება ჩემი ცხოვრება, თუ ჩემთვის მრავალი სული მოკვდება და მე მძიმე ცოდვებისაგან გავალ ამ სოფლიდან. ახლა მნებავს, რათა მივიდე ყაენის წინაშე, და იყოს ღვთის ნება, თუ მომკლავენ, ვფიქრობ, რომ ქვეყანა დარჩება, „ხოლო ვითარ ესმათ კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა, და მოძღვართა და მთავართა, განკვირდეს, თუ ვითარ დადვა მეფემან სული თვისი ერისა მისისათვის“ და უპასუხეს – მეფეო, ქვეყანაც რომ გადარჩეს, ვინაა შენი შემცვლელი? ახლა გირჩევთ, რომ წახვიდე მთიანეთის სიმაგრეებში, ანდა აფხაზეთში, როგორც მამაშენი მოიქცა და არაა საჭირო თავის განწირვა შენგან, ჩვენ ყველანი მტკიცე ერთგულები ვართ“.

მეფემ თქვა: „თქვენ ჩემი სიყვარულისა და ერთგულების გამო ამბობთ ამას, მაგრამ მებრალება უბრალო ხალხი, ისინი ცხვრებივით უღონონი არიან სიკვდილის წინაშე. არსაიდან ელიან ნუგეშისცემას. მე დავდებ ჩემს სულს ჩემი ერისათვის. არ დავიშლი ურდოში წასვლას“. მაშინ ყველანი წამოდგნენ გაკვირვებულნი და უთხრა აბრამ კათალიკოსმა: „მრავალი მეფე მორიდებია და თავისი თავი ასე დაუცავს. ახლა, თუ შენ დადებ შენ სულს ერისათვის, ჩვენ, ყველა, ეპისკოპოსები ვიტვირთავთ შენ ცოდვებს, მაგრამ ღვთის წინ ვამბობთ, რომ მოწამეთა შორის იქნები შერაცხილი, როგორც უფალი სახარებაში ბრძანებს: „ამაზე უფრო მეტი სიყვარული არ არსებობს, რათა კაცმა დადოს სული თვისი მოყვასისათვის“. თუ ერთი მოყვასისათვის სულის დადება სიკეთეა, რაოდენ უფრო სასარგებლოა ურიცხვი სულის სიცოცხლე“.

როცა ეს მოისმინა მეფემ კათალიკოსისაგან, გაიხარა და დაასკვნა ურდოში წასვლა“[30]. ურდოში დემეტრე მეფე დააპატიმრეს. სასიკვდილო სასჯელის მოლოდინში მას საშუალება მიეცა ურდოდან გაპარვისა, ამიტომაც ერთგულებმა ურჩიეს: „აჰა, შენი თავი შენს ხელშია. ღამით აიყვანე მორბედი ცხენები და წადი, განშორდი ამათ

ხელთაგან“. მაშინ უთხრა მეფემ: „ისმინეთ ჩემი, რამეთუ თავიდანვე ვიცოდი ჩემი სიკვდილი, მაგრამ დავდე თავი ჩემი და სული ჩემი ერისათვის. ახლა თუ გავიპარები, უბრალო ერი მოისრება და რა სიკეთეა მთელი ქვეყანა შევიძინო და სული წარვიწყმიდო“. „მან არ შეისმინა განზრახვა თავისი მოყვარული მთავრებისა“[31].

დემეტრე მეფის სიკვდილს ასე აღწერს მემატიანე – „ილოცა და ეზიარა ჩვენი მეუფე ქრისტე ღმერთის სისხლსა და ხორცს. ილოცა ცრემლით და მერე მიუპყრა ქედი და აჰა, დღე საშინელი და შესაზარი: იკადრეს ბილწებმა ღვთის ცხებულ მეფეზე და წარკვეთეს მეფე დიმიტრის თავი.

ხოლო პატივი ღმრთისა მაშინვე გამოჩნდა თავის ცხებულზე, რამეთუ მზემ თავისი შარავანდედი სრულიად გააუჩინარა. ჩამოდგა დიდი სიბნელე, რითაც ყოველი წარმართი გაკვირვებული დარჩა. დილის ათი საათიდან საღამომდე სიბნელე ჩამოწვა (როგორც მთელი მსოფლიოს სიცოცხლის მიმნიჭებელი უფლის ვნების დროს), რათა ცნობილი გამხდარიყო, რომ პატიოსანნი არიან ცხებულნი ღმრთისანი“[32].

საერთოდ, დემეტრე მეფე სათნო და კეთილი ადამიანი იყო, „მოწყალე და მდაბალი, გლახაკთა, ქვრივთა და დავრდომილთა მოწყალე, რომელ არა სმენილ არს ნათესავი მეფეთა, გინა სხვათა კაცთა, რამეთუ აქვნდა ჩვეულება, აღიღოს საფასე და აღდგის ღამე, და მოვლის ქალაქი, და მოიხილნის გლახაკნი და დავრდომილნი და ობოლნი და თვისითა ხელითა მისცემდის. და ყოველთა უწყოდიან მოწყალება მეფისა და ამისათვის გლახაკნი ღამით ფოლოცთა შინა ვიდოდიან, რათა შეემთხვივნენ მეფესა. ამას თანა მოეგო მარხულობა, ღამით ლოცვა და მუხლთყრა ფრიადი, რამეთუ ათას ხუთასი მუხლი მოადგის მიწასა ზედა. ესრეთ ყოვლითურთ გამშვენებული და განათლებული იყო“[33].

ათას ხუთასი დიდი მეტანიის გაკეთება დღეში უდიდესი სარწმუნოების ნიშანია. ამიტომაც ასეთი მეფისაგან სულისა და თავის განწირვა ერისათვის მოულოდნელი არ არის, მონღოლთა მძიმე ეპოქაში კი თავდადების უნარი აღმოაჩნდა მრავალ ადამიანს.

ქართველი მემატიანე მონღოლებს ხშირად კარგად ახასიათებს. მართლაც, მონღოლებს აღმოაჩნდათ ის უნარი, რაც არ გააჩნდათ საქართველოს სხვა მტრებს. კერძოდ, მონღოლებს არ უყვარდათ ცრუ და ორგული ადამიანები, ამიტომაც მათ გარკვეული სიმპათიები გასჩენიათ ქართველთა მიმართ, რომელნიც თურმე, განსხვავებით სხვათაგან, უღალატონი და ერთგულნი ყოფილან.

მონღოლთა ერთ დიდ ყაენს თავისი საგანგებო მოციქულები გაუგზავნია დაპყრობილი ქვეყნების გასაცნობად, რომელთაც უცნობებიათ ყაენისათვის, რომ ქართველებს აქვთ „სჯული კეთილი და ტყუილსა ელტვიან და მწამვლელი არცა-თუ სახელ-იდების მათ შორის“[34], მაშინ, როცა სპარსელთა შესახებ ამცნეს: „არიან სპარსნი ცრუ, მოღალატე, ფიცის-არ შემნახველ და მრავალნი იპოვებიან მწამვლელნი“, ე.ი. ვინც სხვას საწამლავით წამლავს.

ქართველთა თავგანწირვა და თავდადება მართლაც საარაკო იყო ამ დროს.

საქართველოს ამირსპასალარი ავაგი მეფე რუსუდანს მონღოლთა ყაენთან გაუგზავნია მოსალაპარაკებლად. ავაგს თან ახლდა ივანე ახალციხელის ძე დავითი,

როგორც ეჯიბი. პატრონი და ყმა არ იცნობდნენ მონღოლებს, მათ წესებს. ამიტომაც ეჯიბმა საქართველოს მთავარსარდლის სიცოცხლის უზრუნველყოფის მიზნით გადაწყვიტა თავისი თავი გაემეტებინა სასიკვდილოდ, მან ავაგს მოახსენა: „რადგანაც უცხო ხალხში მოვედით და არ ვიცით, რას გვიპირებენ, ასეთი აზრი მაქვს, რათა მე გამოვცხადდე, როგორც პატრონი და შენი მთავარი და შენ, როგორც ჩემი ყმა. თუ შენი მოკვლა სურთ, მე მომკლავენ და შენ არა, რადგან ეჭვი არაა, რომ ყმებს არ დახოცავენ ბატონის მოკვლისას“. დიდი ვედრებითა და იძულებით დაარწმუნა ავაგი, ასე მოქცეულიყო. ბათო ყაენთან შესვლისას ავაგმა წინ წაიმძღვანა დავითი, როგორც უმთავრესი. ასეთი სათნოების გაკეთება ინება დავითმა „გამწირველმან თავისამან პატრონისათვის სიკვდილად“. ბათო ყაენმა არ ინება ქართველი წარგზავნილების დასჯა, მაგრამ უნებურად მაინც შეიტყო, თუ ვინ იყო ნამდვილი პატრონი. დაკითხვისას დავითმა განაცხადა: „არ ვიცოდით, თუ რას შეგვამთხვევდით, ამიტომაც ამირსპასალარის მოკვლას თუ ინებებდით, მე მოვკვდებოდი პირველად და არა ჩემი პატრონი“. ამის გამო ძლიერ გაკვირდა, შეაქო დავითი და თქვა ყაენმა: „უკეთუ ნათესავი ქართველთა ეგევითარი არს, ვბრძანებ, რათა ყოველთა ნათესავთა, რომელნი არიან მორჩილებასა ქვეშე მაღალთა, უმჯობეს და უწარჩინებულეს იყვნეს და მაღალთა თანა მხედართა აღრაცხონ, და მამული და საქონელი მათთა ხელთა შინა იყოს, და ყოველსა შინა მისანდოდ იყვნენ, რომლისათვის ბრძანება დაწერა და წარმოსცა“[35].

ჩვენი მემატიანის აზრით, ქართველებმა მონღოლთა ბატონობის დროს თავისი სახელმწიფოებრიობა, მეფობა, ქართული სამეფოს საზღვრების ფაქტობრივად ხელშეუხებლობა შეინარჩუნეს თავიანთი მაღალი ადამიანური თვისებებით, რომელთა დაფასების უნარიც მონღოლებს აღმოაჩნდათ.

ალამუთის სახელგანთქმული ბრძოლების მსგავსად, ქართველებმა ერთმანეთის სიცოცხლის გადასარჩენად თავიანთი თავი სასიკვდილოდ გაიმეტეს. ალამუთის ბრძოლაში შვიდ წელიწადს იმყოფებოდა საქართველოს ლაშქარი, ეს იყო მონღოლთა მიერ აუღებელი ციხე-სიმაგრე (აიღეს 1256 წ.).

მონღოლთა ჯარს ჩაღატა ნოინი მთავრობდა, რომელიც ღამით მიპარვით მოკლა კარავში ალამუთელმა მულიდმა. დილით მონღოლები საშინლად აღშფოთდნენ მოკლული ნოინის ხილვისას, მაგრამ არ იცოდნენ, ვინ იყო მკვლელი. მაშინ თქვეს: „ვინათგან ქართველნი დიდსა ჭირსა შინა არიან ჩვენ მოალთაგან (მონღოლთაგან), შურით ქართველთა მიერ მოიკლა, ამას ყოველნი უცილოდ დაამტკიცებდეს თვინიერ ჩარმაღან ნოინისა გარეშე, რამეთუ იგი იტყოდა: „დასწყნარდით, კაცნო, რამეთუ არა არს ნათესავი ქართველთა კაცის მკლველი და არცა სჯული უცთ ესევითარისა საქმისა ქმნად“[36]. მონღოლთა აღშფოთებული ჯარი მიეჭრა ქართველთა ლაშქარს, უთუოდ ყველას დახოცავდნენ, თუ არა ღვთის შემწეობა. ქართველებმა დიდი სიყვარული, ერთგულება და თავდადება გამოამჟღავნეს ერთმანეთის მიმართ. საბრძოლველად გაემზადნენ, მაგრამ ძალიან მცირენი იყვნენ მონღოლებთან შედარებით. მაშინ სურამელმა, ქართლის ერისთავმა მათ უთხრა: „ახლა არ არის ომის დრო, რადგანაც ცოტანი ვართ. თუ შევებრძოლებით, ყველას გაგვწყვეტენ – დიდსა

და მცირეს და თუ არ შევებრძოლებით, ვფიქრობთ, მხოლოდ ჩვენ მოგვკვლავენ – წარჩინებულებს, უმჯობესია, არ ვებრძოლოთ და ღმერთს შემწეობა ვთხოვოთ“.

ქართველი წარჩინებულის მზადყოფნა, თავგანწირვა, სულის დადება მოყვასის, ჯარისკაცების გადასარჩენად დიდად დაფასდა ღვთისმშობლის მიერ.

სხვა დროს ასევე დადო თავი სარგის ციხისჯვრელმა, მესხეთის მთავარმა, საქართველოს მეფის გადასარჩენად. 1260 წელს მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებულმა მეფე ულუ დავითმა თავისი ლაშქრის მხედართმთავრად სარგისი დანიშნა, რომელიც მხნედ შეებრძოლა მონღოლებს.

1264 წელს მეფე იძულებული გახდა ურდოში წასულიყო და პასუხი ეგო აჯანყებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მონღოლებმა უარი განაცხადეს ურდოში სარგისის მიღებაზე, მან არ მიატოვა მეფე ხიფათში, თავისი თავიც სასიკვდილო ხიფათში ჩააგდო და გაჰყვა. მეფემ დააპირა მისი უკან დაბრუნება, მაშინ სარგისმა უთხრა: ღმერთმა ნუ ინებოს უკან გავბრუნდე, „უკეთუ ცოდვათა ჩემთაგან გევნოს რამე თათართაგან, ყოველნი კაცნი იტყვიან: განზრახვითა სარგისისათა განუდგა მეფე თათართა. აწ იგი წარვიდა შინა და მეფე წარავლინა მოკლვად ყაენს წინაშე. ნუ ჰყოს ესე ღმერთმან, რამეთუ ამით წარჰხდების გვარი ჩემი, არამედ მო-თუ-მკლან, ნაცვლად თქვენდა ვიყო, და თუ დავრჩე, თქვენთანა დავრჩე“[37].

ურდოში ყაენის წინაშე მისვლისას სასიკვდილოდ განწირული მეფის დასაცავად სარგისმა უშიშრად გასწირა თავისი თავი. მეფემაც მას მიანდო თავისი დაცვა: „და იხილა სარგის ბრდღვინვისა ლომისა მსგავსად, მეფემან მას ზედა მიუტევა საქმე. არა შეშინდა, არამედ უშიშრად აღდგა და წარსდგა ყაენის წინაშე განმწირველი თავისა თვისისა მეფისათვის, რათა იგი მოიკლას მეფისა წილ და მუხლმოყრილი ეტყოდა: „მე ვარ, დიდო ყაენო, რომელი შემოვები არღუნ ალას... აწ, ყაენო მეფე უბრალო არს. მე ვარ, რომელმან განვიყენე მეფე კარისაგან თქვენისა“[38].

მსგავს თავდადებათა რიცხვს მიეკუთვნებოდა ცოტნე დადიანის გმირობაც. ეს მოხდა უფრო ადრე, დაახლოებით 1246 წელს. ქართველებმა გადაწყვიტეს აჯანყებულიყვნენ. საქართველოს მთავრები ერთად შეიკრიბნენ: „ამათ შფოთთა, შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი, კოხტას თავსა, იმერნი და ამერნი: ეგარსლან, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყვარყვარე, კუპარი შოთა, თორღაი, ჰერ-კახნი, თორელ-გამრეკელი, სარგის თმოგველი, მესხნი და ტაოელნი. და ყოველნი იტყოდეს: „რა ვყოთ? არღარა არს ნათესავი ქართველთა მეფეთა, რათა წინამძღვარ გვექმნას და ვბრძოდით თათართა, და ჩვენ ურთიერთისაგან განდგომილ ვართ, ვერ წინააღუდგებით თათართა და იგინი ბოროტად გვაჭირვებენ ესეოდენ რომელ ყოველთა წელთა ალმუთს წარვალთ ჭირთა და ყოველთა ღვაწლთა შემთხვევად. არა არს ღონე, დაღათუ უმეფო ვართ, არამედ შევკრებთ ყოველნი და ვბრძოდეთ თათართა და დაამტკიცეს ომი, და დადვეს პაემანი ქართლს შეკრებისა, და განიყარნეს. უშორეს მყოფნი აფხაზნი - დადიანი ცოტნე და ბედიანი, კაცი კეთილი და სრული საღმრთოთა და საკაცობოთა, და რაჭის ერისთავი – ესენი ყოველნი წარვიდეს კაზმად. ვითარ ესმა თათართა ერთგან შეკრება ქართველთა, წარმოვიდეს ბიჩუ და ანგურგ და მივიდეს კოხტას თავსა და დახვდეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი, ლაშქარი გაყრილ იყო, და ვერღარა წინააღუდგეს და წარასხეს ქვეყანასა ანისისასა...“[39].

აქ საინტერესოა აღინიშნოს, თუ ვის უწოდებს ჩვენი მემატიანე „აფხაზს“. თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ კოხტასთავს შეკრებილი წარჩინებულები მისთვის ეთნიკურად „ქართველები“ არიან. „ესმა თათართა ერთგან შეკრება ქართველთა“-ო, წერს ის. ანისშიც ჩაყვანილ და კვლავ ერთად შეკრებილ საქართველოს წარჩინებულებსაც მონღოლები „ქართველებს“ უწოდებენ (იხ. ქვემოთ). ამ შეკრებილ „ქართველთა“ შორის იყვნენ „აფხაზნი“, „ტაოელნი“, „ჰერ-კახნი“, „მესხნი“, „ქართველნი“ (აქ ნიშნავს „ქართლელნი“) და სხვა კუთხეთა წარჩინებულნი. მოლაპარაკების შემდეგ დაშორებული მხარის – აფხაზეთის წარჩინებულები ადრიანად წავიდნენ ლაშქრის მოსამზადებლად: „უშორეს მყოფნი აფხაზნი – დადიანი ცოტნე და ბედიანი... და რაჭის ერისთავი – ესენი ყოველნი წარვიდეს კაზმად“[39].

მემატიანისათვის აფხაზია – დადიანიც, ბედიანიც და რაჭის ერისთავიც. მაგრამ ეს მათი მხოლოდ კუთხური სახელია (ისე როგორც „მესხი“, „ჰერ-კახნი“, „ტაოელნი“ და სხვა), ხოლო ზოგადად აფხაზები – ქართველები არიან. ასევე მიიჩნევენ მონღოლებიც. ცოტნე დადიანის ანისში ჩასვლის შემდეგ მონღოლები ასე ბჭობენ: „ვინაითგან ნათესავნი ქართველთანი ესოდენ კეთილ არიან, და არა განცრუვდებიან, რომელ აფხაზეთით მოვიდა კაცი, რათა სული თვისი დადოს მოყვარეთათვის...“[40]. მაშასადამე, როგორც აქედან ჩანს, მონღოლებისათვის ცოტნე დადიანი, მართალია, „აფხაზეთიდან“ არის მოსული, მაგრამ ის „ნათესავით ქართველია“ („ნათესავი“ ძველქართულად ნიშნავდა „ერს“, „ნაციას“). ისინი ამბობენ, რომ ქართველები მართლის მოყვარული ხალხია, ცოტნეც ნათესავით ქართველია, ამიტომაც ტყუილს არ იტყვის, თავი გაწირა „მოყვარეთათვისო“ (ე.ი. თავის „თანამემამულეებისთვისო“). ჩვენი მემატიანის „აფხაზი“ – ეთნიკურად ქართველია, ეს ცნობილი იყო არა მარტო იმდროინდელი ქართველი საზოგადოებისათვის, არამედ მონღოლებისთვისაც.

ცოტნე დადიანი თავისი ლაშქრით მივიდა დათქმულ ადგილას: „და ვითარ მოეახლა პაემანი, მივიდა დადიანიცა ცოტნე, ლაშქრითა მათდა ადგილსა, რომელ არს რკინის – ჯვარი, შორის სამცხისა და ღადოსა, და ვითარ აუწყეს წარსხმა ყოველთა მთავართა საქართველოსათა ანისად, და შეკრებულთა ყოფა სატანჯველთა შინა ბოროტთა, ვითარ ესმა, მწუხარე იქმნა უზომოდ, და თვისად სიკვდილად და სირცხვილად შერაცხა საქმე იგი, და წარავლინა ლაშქარი თვისი, და ორითა კაცითა წარვიდა ანისად, დამდები სულისა თვისისა და აღმსარებელი მცნებათა უფლისასა, რომელსა იტყვის - „უფროს ამისსა სიყვარული არა არს, რათა დადვას კაცმან სული თვისი მოყვასისა თვისისათვის“, რომელ ყო პატიოსანმაცა ამან კაცმან ცოტნე სათნოება მაღალი და განსათქმელი, საქმე საკვირველი და ყოვლისა ქებისა ღირსი... განვლო სამცხე და ჯავახეთი და მივიდა ანისსა“[41].

საქართველოს წარჩინებულები გაშიშვლებულნი და მხარშეკრულნი ისხდნენ ქალაქის მოედანზე. როცა იხილა ცოტნემ უღირსად პატივაყრილნი და სასიკვდილოდ განწირულნი, თვითონაც გაიხადა ტანსაცმელი, გაშიშვლდა, შეიკრა მხრები და დაჯდა წარჩინებულებთან. მონღოლთა ნოინებს აუწყეს: „ცოტნე დადიანი მოვიდა ორითა კაცითა, და განიძარცვა სამოსელი თვისი და შეკრული დაჯდა ქართველთა თანა“[42]. დაკითხვისას ცოტნემ დამალა ქართველთა კოხტასთავს შეკრების ნამდ-

ვილი მიზეზი. „ხოლო იგი ეტყოდა ვითარმედ: „ჩვენ ყოველნი ამად შევიკრიბენით, რათა განვაგოთ ხარაჯა თქვენი და ბრძანება თქვენი აღვასრულოთ. ესე იყო შეკრება ჩვენი. აწ თქვენ ძვირის-მოქმედთა თანა შეგვრაცხენით, და მე ამის ძლით მოვედ წინაშე თქვენსა, რათა გამოიკითხოთ, და უკეთუ ღირსი რამე სიკვდილისა უქმნიეს, მეცა მათ თანა მოვკვდე; რამეთუ თუ თვინიერ ჩემსა არარა უქმნიეს: უკეთუ ცხოვნდენ მათ თანა ვიყო და ვითარ ესმა ცოტნესაგან ნოინთა, განკვირდეს სათნოებისათვის მისისა და თქვეს: „ვინათგან ნათესავნი ქართველთანი ესოდენ კეთილ არიან, და არა განცრუვდებიან, რომელ აფხაზეთით მოვიდა კაცი, რათა დადვას სული თვისი მოყვარეთათვის და არა განცრუვნეს, ესრეთ განწირა თავი თვისი სიკვდიდ, არა არს სიცრუე მათ შინა, და ამის ძლით უბრალოდ ვპოებთ. ამისათვის განუტეოთ ყოველნი“. რქვეს ცოტნეს: „განდგომილება ვგონეთ თქვენ ქართველთა, და აწ ვინათაგან ჰყავ სათნოება კეთილი ყოველთა ქართველთა, შენ მოგანიჭებთ და შენდა მონდობილ ვართ“ და განუშვნეს ყოველნი ესე წარჩინებულნი“[43].

აქ კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ მონღოლები მიმართვისას ცოტნეს ასე ეუბნებიან: „განდგომილება ვგონეთ თქვენ ქართველთა“, ე.ი. თქვენი, ქართველების განდგომა გვეგონაო. ცხადია, მათში ცოტნე აუცილებლად იგულისხმება, ჩვენი მემატიანე კი ამ „ქართველებს“ კუთხეების მიხედვით ვიწრო ეთნოგრაფიულ სახელებსაც უწოდებს. მაგალითად, ცოტნეს – „აფხაზს“, „უშორეს მყოფნი აფხაზნი - ცოტნე დადიანი...“[44].

ჩვენი მემატიანე წერს, რომ მონღოლებს არ უყვარდათ სიცრუე. მათ სჯეროდათ, რომ ქართველები მართალნი, კეთილნი და სიცრუის მგმობი ხალხი იყო. მართლაც, ეს „ვეფხისტყაოსნიდანაც“ ჩანს: „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“. რადგან „თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა...“ და სხვა. ამიტომაცაა, რომ ცოტნეს თავგანწირვასა და სიტყვას აფასებენ მონღოლები და ამბობენ: „ნათესავნი ქართველთანი ესოდენ კეთილ არიან, და არა განცრუვდებიან“[45], ე.ი. ტყუილს არ იტყვიანო.

როგორც ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, მონღოლთა შემოსევისას, მართალია, საქართველოს მთავრობამ, უსუსურობის გამო, და წარჩინებულებმა ერთიანი ძალით ვერ შეძლეს მტერთან შებრძოლება, მაგრამ ერმა თავისი შინაგანი მაღალსულიერებით, ურთიერთსიყვარულით, ერთმანეთისათვის თავის განწირვის სურვილით, ქვეყნისა და მოყვასისათვის თავდადებით შეძლო საქართველოს გადარჩენა და მონღოლთა ბატონობის უღლის შედარებით მალე გადაგდება.

ქართველებს აღმოაჩნდათ უნარი, არ გაეწირათ გასაჭირში ჩავარდნილი მამული. „კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა“, ამიტომაც მოყვრისათვის ქართველები სიცოცხლეს არ იშურებდნენ. „არ-დავიწყება მოყვრისა არ-ოდეს გვიზამს ზიანსა, ვგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა, ვერ ვეცრუ-ვები, ვერ ვუზამ მას ხელმწიფესა მზიანსა“, ანდა „ვერ ვეცრუვები, ვერ ვუზამ საქმესა საძაბუნოსა“.

სიყვარული ყოველივე სიკეთის საფუძველია. „ღმერთი სიყვარულია“. ქართველები მორწმუნე ქრისტიანები იყვნენ, ღმერთის შეწევნით მათ სიყვარული შეეძლოთ: „წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ? ვით იტყვიან, ვით აქებენ?

ცან! ცნობანი მიაფერენ. სიყვარული აღგვამაღლებს, ვით ეჟვანნი, ამას ჟღერენ“. ჟამთააღმწერლისა და რუსთაველის მიერ ამ თვისებების აღწერიდან ჩანს, რომ ისინი თანამედროვენი იყვნენ. მონღოლთა ჯარშიც კი ქართველებს უყვარდათ წინამბრძოლობა. ისინი თავიანთი ასეთი ერთგულებით, თავგანწირვით მონღოლებს აოცებდნენ კიდეც.

ცნობილია, რომ მონღოლთა ურდოები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდაც ებრძოდნენ. ერთხელ, ერთ-ერთ ურდოში იყო გაწვეული ქართველთა მეფე - ულუ დავითი თავისი ლაშქრით. ის სხვა მცირერიცხოვან მონღოლურ ლაშქართან ერთად დასაზვერად გაუშვეს. ამ დროს მათ იხილეს მტვრის ბუღი, ღრუბელივით ამაღლებული, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვანი არმია უახლოვდებოდათ. მონღოლთა ლაშქრის მეთაურმა დააპირა უკან დახევა, მაგრამ ქართველთა ლაშქარი მათ არ გაჰყვა. ქართველთა ძალზე მცირერიცხოვანმა ლაშქარმა გადაწყვიტა, პირველი შებრძოლებოდა მტრის არმიას. ქართველთა მეფე გაოცებულ მონღოლებს ეუბნება: „არა არს წესი ჩვენ ქართველთა, უკეთუ ვიხილოთ მტერი ჩვენი კერძო მომავალი, შეუბმელად ზურგი შემოვაქციოთ, დაღათუ იყოს სიკვდილი“. ეს რომ თათრებს მოესმათ, წერს მემატიანე, გაკვირდნენ და გაწყრნენ. ქართველთა მეფეს უთხრეს: არ იცით, რას აკეთებთ, ჩვენ არა გვაქვს აბაღა ყაენის ბრძანება, უმისოდ რომ შევებათ დიდ ყაენსო, თქვენ ქართველები უცნობნი ხართ და ეს საქმე არ იცითო, მაგრამ მიუხედავად მუქარისა, ქართველებმა სიკვდილის ველიდან ფეხი არ მოიცვალეს, აბაღა ყაენი თვით მივიდა ქართველებთან და უთხრა: „ვიცი სიმხნე თქვენი ბრძოლათა შინა. თქვენ ქართველნი ურჩნი ხართ და შმაგნი“, ხოლო მეფე გარდახდა ცხენიდან, თაყვანი სცა ყაენსა და რქვა: „დიდო ყაენო, არა არს ჩვეულება ქართველისა, რათა მტერი იხილოს და ზურგი შეაქციოს. აწე ბედნიერმან თვალმან ყაენისამან გვიხილოს, თუ ვითარ დავდვათ თავი ჩვენი სიკვდილად“[46].

ჟამთააღმწერლის გმირები, ამბები, მოვლენები თითქოსდა „ვეფხისტყაოსნის“ სამყაროს განეკუთვნებიან, ქართველთა ცნობილი „წინამბრძოლობა“, მტერთან ვაჟკაცურად პირველად შებმის სურვილი თითქოს ამას ადასტურებს: „წესი არის მამაცისა მოჭირვება, ჭირთა თმენა, არვის ძალ-უც ხორციელსა განგებისა გარდავლენა“, „რაცა ღმერთსა გაუგია თავსა ჩემსა გარდასავლად, გარდამხდეს და შემოვიქცე, აღარ დამრჩეს გული ავლად“, ანდა „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვჰკრებ კიტრად ბერად“ და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ქართველებს მეფის, მამულის, მოყვრისადმი თავდადებისა და თავის განწირვის უნარი არ დაუკარგავთ, თავისი ხასიათის ეს თვისება დიდხანს შეუნარჩუნებიათ. ნ. ბარათაშვილი წერს, ქართველთა ლაშქარი თუ როგორი შეძახილით ხვდებოდა ერეკლე მეფეს: „ჩვენ თუნდ სულ ერთ დღეს დავიხოცებით, ოღონდ შენ იყავ მეფევ დღეგრძელი“. ერთგულება და სიყვარული ძველქართული თვისებაა.

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ჩანს, სწორედ ზემოთ აღნიშნული თვისებების ქონების სურვილიდან გამომდინარე, ქართველებს ერთმანეთის მიმართ შური და მტრობა ჰქონდათ. შურდათ განსაკუთრებით გამორჩეული ადამიანებისა.

შური მტრობას ბადებდა, ეს კი ერთმანეთს აშორებდა გამოჩენილ ქართველებს. ქართველთა ეს თვისება მონღოლებსაც შეუმჩნევიათ: „თქვენ ქართველები არას კეთილს უყოფთ მხნედ მბრძოლთა წყობათა შინა“[47].

ამას ქართველებიც გრძნობდნენ: „ჩვენ ურთიერთის დაუმორჩილებელ ვართ“, - ამბობენ ქართველი წარჩინებულები[48].

ჩანს, ამ თვისებამ გამოიწვია მონღოლების წინააღმდეგ ერთიანი ქართული ფრონტის შეუკვრელობა. ქართველი წარჩინებულები ვერ გაერთიანდნენ მონღოლების წინააღმდეგ, თუმცა, ცალ-ცალკე ძალზე მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ.

„საქართველომ მონღოლების შემოსევის ჟამს ვერ მოახერხა მტერზე გაერთიანებული ძალებით იერიში, მონღოლებმა თითოეული მხარე ცალ-ცალკე დაიპყრეს და ამდენად, მმართველებთან (მთავრებთან) მორიგება და მათი უფლებების აღიარება სეპარატულად მოახერხეს. ეს იყო პირველი, უპრეცედენტო მაგალითი საქართველოს ერთიანი მონარქიის არსებობისას, როცა მეფის გარეშე ხდებოდა ხელქვეითი მოხელე-მთავრების პოლიტიკური უფლებების ცნობა“[49].

მონღოლების საქართველოში შემოჭრისას არ აღმოჩნდა ძალა ან პიროვნება, რომელიც შეძლებდა მტრის წინააღმდეგ ქართველთა გაერთიანებას.

მემატიანის მიერ აღწერილი ამბები დეღა ღვთისმშობლის მიერ ქართველთა მფარველობის შესახებ

I. დავით მეფის ხატის სასწაული

მემატიანის შეფასებით, ძე თამარისა, მეფე საქართველოსი, გიორგი-ლაშა „იყო ყოველთა მეფეთა უმეტეს უხვი და არავისთვის მოშურნე, მლოცველ, მმარხველ და განმკითხველ და მოწყალე“[50], მაგრამ ასეთი ყოფილა ის მხოლოდ გარკვეულ დრომდე, შემდეგ კი მხნე, ახოვანი და ძლიერი მეფე გახდა: „ლაღი, ამპარტავანი, თავხედი, თვითბუნება“[51].

მეფე ლაშა-გიორგის ხასიათის შეცვლის მიზეზი ყოფილა მიდრეკა ცოდვებისაკენ: „ნაყროვანება“, „მსმურთა თანა მიდრეკა“, „დედათა უწესოთა თანა აღრევა“, რაც, საზოგადოდ, ქართველ მეფეთა სახლისათვის არ იყო დამახასიათებელი, ამიტომაც მეფის მიდრეკილებებს დიდად აუღელვებია ეკლესია და დიდებულები.

რატომ აქცევს მემატიანე განსაკუთრებულ ყურადღებას ლაშა-გიორგის ცოდვების აღწერას? იმიტომ, რომ ისინი საუკუნეთა მანძილზე საქართველოს უბედურების საბაბად ქცეულა. ლაშას უკანონო ძე - დავითი მონღოლებმა გაამეფეს. რუსუდან მეფემაც უკანონოდ გაამეფა ვაჟი. ამან საქართველოში ორმეფობა დაბადა, რასაც შემდგომ ქვეყნის გაყოფა და ენით აუწერელი მრავალი უბედურება მოჰყვა შედეგად. ლაშა-გიორგის ცოდვა მთელმა ერმა ზღო საუკუნეთა მანძილზე. სწორედ ამას სჭვრეტდა წინასწარ ეკლესია და ამიტომაც მოუწოდებდა მეფეს – მოეშალა სიავენი. უკანონობამ უკანონობა დაბადა, უწესობამ – უწესობა.

„განისვენებდა ნადირობითა და მსმურთა თანა მიდრკა სიბოროტედმი, ვითარცა წერილ არს ისრაილთათვის „დასხდა ერი იგი ჭამად და სმად, და აღდგეს სიმღერად“[52].

„შექცეულ იყო სმასა და ჭამასა, რომლისათვის დასწერენ მამანი, ვითარმედ: „სამნი არიან მიზეზნი ვნებათანი, რომელთაგან იშვებიან ყოველნი ბოროტნი: გემოთ-მოყვარებანი, ვერცხლის მოყვარება და დიდების მოყვარება; ამათი პირმშონი არიან: სიძვანი, მრუშობანი, რისხვა, მწყნარობა („წყენა“), ამპარტავნება, ამათ ბოროტთაგან გამოვლენ ხორცისმოყვარებანი, უწესოდ ნებისა მიდევნებანი, რომლისა თითოეულად არა არს ჟამი აღწერად, ვითარცა წინასწარმეტყველიცა იტყვის: „ჭამა იაკობ, განძღა, განსხვა („გამსხვილდა“), განსუქნა, და დაუტევა ღმერთი შემოქმედი თვისი, და განუდგა ღმერთსა მაცხოვარსა თვისსა.

ეგრეთვე იქმნა ნათესავსაცა ამას შინა ქართველთასა, რამეთუ განძღეს და იშვებდეს და მიდრკეს სიძვათა შინა და მთვრალობითა...“[53].

ერთხელ, კახეთის სოფელ ველისციხეში, მეფემ იხილა მშვენიერი ქალი, ცოლად მიიყვანა სასახლეში. ამ უკანონო ცოლმა შვა ძე – დავითი. „ესერა უსჯულოებათა შინა მიუდგა და ცოდვითა შინა მშვა მე დედამან ჩემმან“, მას მემატიანე „დიდთა განსაცდელთა მეფეს“ უწოდებს.

მეფემ არ ინება კანონიერი ცოლის მოყვანა, რაც ძალზე აღონებდა დიდებულებსა და ეკლესიას. „ამისათვის შეკრიბეს კათალიკოსნი, ეპისკოპოსნი და ვაზირნი და მოახსენებდეს: „არა ჯერ არს, რათა მხევალი გესვას და არა ცოლი, ვითარცა დასწერს მოციქული პირი ქრისტესი, პავლე: „ქორწილი წმიდა არს და საწოლი შეუგინებელი, ხოლო მსიძვანი და მემრუშენი საჯნეს ღმერთმან“[54].

ლაშა-გიორგიმ არ შეისმინა არც კათალიკოსთა, არც ეპისკოპოსთა და არც ვაზირთა გაფრთხილება. ამიტომაც წაართვეს ეს ქალი და თავისსავე ქმარს დაუბრუნეს. ამის შემდეგაც არ იქორწინა მეფემ. ბოროტი ჩვეებიც არ მოიშალა: „კათალიკოსთა ორთავე და თავადთა ამის სამეფოსათა და უმეტეს ივანე ათაბაგსა, უმძიმდათ საქმე ესე, არღარა ინებეს მას თანა სამარადისო ყოფა, არამედ განეშორნეს და თავის თვისად იყოფოდეს“[55].

(აქ საინტერესოა ერთი რამ. როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, აფხაზეთის კათალიკოსი და ქართლის კათალიკოსი (პატრიარქი), საზოგადოდ, სამეფო კარზე იმყოფებოდნენ (როგორც მთავრობის წევრები) – „კათალიკოსთა ორთავეში“ – აღნიშნული კათალიკოსები იგულისხმებიან).

მწარე ბედი ერგო დავით ლაშას ძეს. იგი მამამისმა გარდაცვალებისას თავის დას, რუსუდანს, ჩააბარა. „აწ შეგვედრებ წინაშე ღმრთისა, რათა მეფე ჰყოთ იგი შემდგომად ჩემსა. ხოლო დასა ჩემსა რუსუდანს ვამცნებ წინაშე ღმრთისა, რათა აღზარდოს შვილი ჩემი დავით, ხოლო რაჟამს ეძლოს მეფობა და მხედრობა, რომელ დავით მეფე ყოს და იგი დაადგინეთ მეფედ“[56].

ლაშას შემდეგ დიდებულებმა რუსუდანი გაამეფეს. რუსუდანი კანონიერი მეფე გახდა.

რუსუდანმაც ინება, რომ თავისი ძე დავითი გაემეფებინა, ხოლო ლაშა-გიორგის ძე დავითი მოეშორებინა. ის გააგზავნა თავის ქალიშვილთან, რომელიც მეუღლე იყო მცირე აზიის ერთ-ერთი მთავრისა - „საბერძნეთის სულთანისა“.

შემდგომი მოქმედება რუსუდანისა ძალზე აღაშფოთებს მემატიანესა და, ჩანს, იმ დროის საზოგადოებასაც. „რამეთუ ამათ ჟამთა დაივიწყა შიში ღმრთისა და

ანდერძი ძმისა და ფიცი იგი“[57], რუსუდანმა შეუთვალა თავის ქალიშვილს და სიძეს, რომ მოეკლათ ჭაბუკი დავითი. მათ ეს არ ინებეს. კვლავ შეუთვალა, მაინც არ ისმინეს, მესამედაც შეუთვალა, მაგრამ უშედეგოდ. ამით განცვიფრებულმა და გულისწყრომით აღვსებულმა შვილის დედობრივი სიყვარულიც დაივიწყა და მისწერა თავის სიძეს ცილისწამებით სავსე წერილი, თითქოსდა მისი ქალი, ცოლი სულთნისა ჰყვარობდა ლაშას ძეს. სულთანმა დაიჯერა, რუსუდანის ასული სასტიკად აწამა, სიკვდილითაც დაემუქრა, თუკი ქრისტიანობას არ უარყოფდა. ქალმაც უარყო ჭეშმარიტი სჯული.

ყრმა დავითი შეიპყრეს, აწამეს, შემდეგ მენავეებს ჩააბარეს, რათა მათ ზღვაში გადაეგდოთ. შუა ზღვაში გადაგდების წინ დავითი შეევედრა მენავეებს, რათა ლოცვის ნება მიეცათ, უბიდან ამოიღო ხატი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა, რომელიც მუდამ თან ჰქონდა და მას სასოებდა. ის დაიდო პირზე, მწარე ცრემლები გადმოუშვა და თავისი სული შეჰვედრა ღვთისმშობელს: „შეივედრე სული ჩემი, რამეთუ შენ ხარ ნუგეშისმცემელი ჩემი სიობლისა, სამარის და მიწაში დაფლობის ღირსიც კი არავინ გამხადა, არამედ თევზთა შესაჭმელად, ჩემი საფლავიც კი არავის ეცოდინება, მაგრამ შენს მოწყალებაზე მინდობილი ვითხოვ ამ ბოლო ვედრებისას, მიხსენი ამ საშინელი სატანჯველისაგან“. მენავეებმა გახადეს მას სამოსელი, ხატიც გამოართვეს, ლმობიერად შეევედრა მათ, რათა მიეცათ მისთვის ყოვლადწმიდის ხატი, რომ თან ჰქონოდა. შეისმინეს მისი, მისცეს ხატი და ჩამოჰკიდეს ყელზე. წყალში ჩაგდების წინ ერთმა მენავემ ღვთის განგებით და ღვთისმშობლის ვედრებით მცირე ფიცარი მისცა ხელში და ასევე ჩააგდეს ზღვაში. დავითი მოეხვია ფიცარს, დაუბერა ქარმა ძლიერმა, წაიღო ყრმა ზღვაში და მალე ხმელეთისაკენ გამოაგდო. ხმელეთთან ახლოს მყოფი დაინახა ერთმა ვაჭარმა და გამოაყვანინა, შემოსა და ნუგეში სცა. დავითს მოართვეს საჭმელი და ცოტა მოღონიერდა, შიმშილით და წყურვილით შეწუხებული. ვაჭარმა შეიტყო მისი ამბავი, წაიყვანა სახლში და საყვარელი შვილივით პატივს სცემდა, დავითი იყო ვაჭართან 6 თვე. გამჟღავნდა ეს საქმე. სულთანმა კვლავ შეიპყრო დავითი, ჩააგდო ერთ მშრალ ჭაში. აქვე იყვნენ ჩაყრილი შხამიანი გველებიც. ჭაზე იდო ლოდი, რის გამოც ბნელოდა. დავითს თან ჰქონდა აღნიშნული ხატი, რითაც დაცულ იქნა, როგორც დანიელი ლომის პირისაგან. საქართველოდან დავითს თან ახლდა ვინმე სოსანი. მან გათხარა მცირე ხვრელი ჭაზე დაფარებული ლოდის ქვეშ და აქედან აწვდიდა პურს, როცა ითხოვდა, წყალსაც მცირე გუდით აწვდიდა ხოლმე, ასევე აწვდიდა საზრდელს 5 წლის განმავლობაში. დავითს დაწოლისას გველები ზედ ეხვეოდნენ, მაგრამ არას ერჩოდნენ. ერთხელ ძილში გადაბრუნებისას გველს დააწვა, გველმა მხარზე სასტიკად უკბინა. დაიჭირეს ეს გველი სხვა გველებმა და შეჭამეს, ხოლო ნაკბენი ადგილი დავითს ენით აულოკეს და განკურნეს.

მალე საქართველო უმეფოდ დარჩა, რადგანაც დავით რუსუდანის ძე მონღოლეთში იყო გაგზავნილი დასამტკიცებლად და მისი ამბავი წლების მანძილზე აღარავის სმენოდა. ამიტომაც შეიკრიბნენ ქართველი დიდებულნი, რათა დავით ლაშას ძე მოეძებნათ. მათ სმენოდათ, რომ ის ცოცხალი იყო, პატიმრად მყოფი ჭაში იმყოფებოდა გველებთან.

მონღოლებმა ნება დართეს, რათა მოეძებნათ უფლისწული. სულთანს აღარ ეგონა ის ცოცხალი, რადგანაც უკვე შვიდი წელი გასულიყო. გამოიყვანეს დავითი, ოდნავღა ედგა სული, გაყინული და უძრავი უფრო მკვდარს ჰგავდა. სახის ფერი გაყვითლებოდა, თმები ბარძაყამდე გაზრდოდა.

სულთანს შეებრალა, გააბანინა, პატივი სცა და გამოუშვა. საქართველოში ადგილობრივმა მონღოლებმა მეფობა ვერ დაუმტკიცეს და მონღოლეთში გაგზავნეს დასამტკიცებლად.

II. ალავერდის წმიდა გიორგის ხატის სასწაული

ბათო ყაენმა დიდი პატივით გამოგზავნა მეფედ დამტკიცებული ულუ-დავითი საქართველოში, სადაც მას შეეგებნენ ქართველი დიდებულები თორღვა ერისთავის გარდა, რომელსაც ორგულობის გამოჩენის გამო ეშინოდა სიკვდილით დასჯისა. მეფემ თორღვასთან გააგზავნა ხორნაბუჯელი, რათა მას მინდობოდა მტკიცე ფიცით. თორღვამ თქვა: „წავიდეთ ალავერდს, წმიდა გიორგის წინაშე შემომფიცე და იქ მიმინდე“. წავიდნენ ორივენი. თორღვა გამოება ალავერდის მთავარმოწამის მოჭედილი ხატის ტანსაცმლის ბოლოს. მოვიდა ხორნაბუჯელიც. იქ შეჰფიცა და გამოხსნა ნასკვისაგან. ამ დროს თორღვამ თქვა: „რასაც მე გამიკეთებ, ამ წმიდა გიორგიმ გიყოს შენ, რამეთუ მარტოკაცი ვარ, ჩემი სიკვდილით ჩემი მამული უმკვიდროდ დარჩება და ასევე უმკვიდროდ აქციოს წმიდა მთავარმოწამემ შენი სახლი, თუ ფიცი გატეხო“. წამოიყვანა ხორნაბუჯელმა, მაგრამ თბილისთან გატეხა ფიცი, მეფის უცნობელად დედოფალმა მოაკვლევინა თორღვა.

ხოლო თუ როგორ გაეცა პასუხი ხორნაბუჯელს ალავერდის მთავარმოწამის მიერ აღთქმის და ფიცის გატეხვისათვის, იხილეთ: ჰყავდა შვილი ხორნაბუჯელს, სახელად შალვა, სიკეთე-აღმატებული. ამ შალვასაც ჰყავდა შვილები. მაშინვე დაიხოცნენ, დარჩა შალვა, რომელიც შემდეგ თათრებმა მოკლეს და უმემკვიდრო გახდა მათი სახლი. ასეთი პასუხი მიაგო ალავერდის მთავარმოწამემ[58].

III. მეტეხის ღვთისმშობლის ხატის სასწაული

დავით ლაშას ძეს აჯანყების შემდეგ ურდოში მისვლისას სიკვდილს ელოდა. მხურვალედ ევედრებოდა ღმერთს და ყოვლად-წმიდა მეტეხის ღვთისმშობელს, რომელზედაც მინდობილი იყო[59]. და იგი მშვიდობით დაბრუნდა საქართველოში.

IV. დმანისის ღვთისმშობლის ხატის სასწაული

მეფე დავითის სიბაზე წასვლის წინ მუცლის ტკივილით (ტიფით) დაავადდა პირმშო მეფისა გიორგი, რომელიც სავსე იყო სიკეთე-აღმატებულებით. ისე გაძლიერდა ავადმყოფობა, რომ ის თითქმის მკვდარს დაემსგავსა, იდო უძრავად და სულს ღაფავდა. ამ მწუხარებისა და უღონობისას გაახსენდა მეფეს დმანისის ღვთისმშობე-

ლი და წავიდა მის წინაშე. ყველანი ფეხშიშველი მიდიოდნენ, მხურვალე ცრემლით ევედრებოდნენ მას, შეისმინა მათი ვედრება უწმიდესმა ღვთისმშობელმა, პირზე შეხებისას გაახილა თვალები და, როგორც ჯანმრთელი, წამოჯდა. იხილა ეს მეფემ და საქართველოს ყველა მკვიდრმა და ყველანი ადიდებდნენ ღმერთს.

V. მარტყოფის ხელთუქმნელი ხატის სასწაული

კვლავ გაემგზავრა მეფე სიბაზე და იქ ყოფნისას დასნეულდა მუცლის ტკივილით (ტიფით). ვერ განკურნეს მკურნალებმა და საწოლით წამოიღეს. როცა მიუახლოვდა მარტყოფს, მივიდა ხელთუქმნელ ხატთან, რომელიც თავად გამოისახა ტილოზე თიხის (კეცის) ხატისაგან, ბრძანა შემოსვენება ხატის, ევედრა ცრემლით და განიკურნა, როგორც საწოლზე მდებარე ავადმყოფი უფლის მიერ. გამოჯანმრთელებული მივიდა სამეფო პალატებში. ასე ცხოვრობდა, მაგრამ სიბერის ჟამს ინება მოშლა საეპისკოპოსო საყდრებისა (კათედრებისა), რომელნიც არსებობდნენ სანატრელ მეფეთა მიერ მინიჭებული სოფლებით. ამათ განსცემდა, ასევე ეპყრობოდა მონასტრებსაც[60]. ამიტომაც სიბაზე კვლავ დასნეულებულ მეფეს მარტყოფის ხელთუქმნელი ხატის მიერ აღარ მიენიჭა შველა[61].

VI. წმიდა შალვა ახალციხელი

მემატიანე წერს, რომ ჯალალედინთან ომისას ტყვედ ჩავარდნილი შალვა ახალციხელი იცნეს ნახჭევნელებმა და ადარბადაგანელებმა. იგი ჯალალედინმა არ მოკლა, არამედ თავისთან დაიტოვა დიდი პატივით, უბოძა ადარბადაგანის ქალაქები და თავის თავადთა მსგავსად ეპყრობოდა. ერთი წლის შემდეგ მოსთხოვეს სჯულის დატოვება, ქრისტიანობის უარყოფა. შეეპირდნენ დიდ პატივსა და სიმდიდრეს. შალვამ არ ირჩია ამ წუთისოფლის პატივი და არ უარყო სახელი ქრისტესი. სულთანი კვლავ პირფერობით ეპყრობოდა, ქრისტეს უარყოფის შესახებ ესაუბრებოდა, მრავალფერი სატანჯველით აშინებდა, მაგრამ ის მტკიცედ იყო სარწმუნოებაზე[62].

„განარისხა უკუე მძლავრი კადნიერებისაგან ქრისტეს მხედარისამან და განაკვირვა უშიშრად მიგებებამან მისგან და სირცხვილად ჰრაცხდა თვისის მეფობისად ესე გვარს კადნიერებას, ვინაიცა ბრძანა განშიშვლებად პატივისაგან შალვა სამოსელთაგანცა და გვემად უწყალად“.

მრავალი ტანჯვის შემდეგ სასტიკი სიკვდილით მოკლეს შალვა. იგი მოწამეობის გვირგვინით შემკული აღვიდა ქრისტეს წინაშე[63].

VII. სითნის წმიდა ხატების სასწაული

არანაკლები თავდადება ქრისტესათვის აჩვენეს ქართველებმა თბილისის აღებისას. აქ წმიდა მოწამის გვირგვინით შეიმკო 100 000 თბილისელი. ჯალალედინის



ლაშქარი გარს შემოადგა თბილისს. ქართველთა სპა გავიდა ქალაქიდან, შეებრძოლა მტერს, ბრწყინვალე გამარჯვება აჩვენეს ქართველებმა. იმ ღამეს თბილისელმა სპარსელებმა ღალატით კარი გაუღეს მტერს. „იყვნეს უკუე ქალაქსა შინა ტფილისს კაცნი მკვიდრნი ნათესავით სპარსნი, თუ უკუე ჩემებით ქრისტე ქმნილნი“, – წერს ანტონ კათალიკოსი[64]. ამ, ვითომდა ქრისტიანებს, „განძის“ კარი გაუღიათ მტრისათვის. შეიქმნა ქალაქში ომი. ღალატით მოკლა ერთმა სპარსელმა მემნა ბოცოს ძე. ქალაქის მცველნი ისნის ციხეში შევიდნენ. მტერმა მძვინვარედ დაიწყო ქალაქელთა მოსპობა, დედებს ძუძუდან გლეჯდნენ ჩვილებს, აიტაცებდნენ და დედის წინ ქვაზე ანარცხებდნენ ისე, რომ ბავშვებს თვალები სცვიოდათ, ზოგი ტვინს ანთხევდა, შემდეგ დედებსაც ხოცავდნენ. მოხუცებს ფოლორცებში (ქუჩაში) ცხენებით თელავდნენ, ჭაბუკებს ხოცავდნენ, სისხლის მდინარენი დიოდა. ყვირილით, ძახილით, საზარელი ვაების ხმით იბრძოდა ქალაქი, ხალხის უმრავლესობა, როგორც ცხვრები, ერთად შეიკრიბა. უყურებდნენ საყვარელ შვილებს, ძმებს, მამებს და ქმრებს, უპატრონოდ ქუჩაში დაყრილთ. ეკლესიები შეურაცხყოფილ იქნა, პატიოსანი მღვდლები ეკლესიებში, ხატებსა და ჯვრებთან ერთად შეიმუსრნენ, დაიხოცნენ. ესეც არ იკმარა სულთანმა, თუმცა კი ქრისტიანი მკვდრებით იყო სავსე ქუჩები, ხრამები და ბორცვები. მოიფიქრა სხვა სიბოროტეც, რომლის ხსენებაც კი სამარცხვინოდ მიაჩნია მემატიანეს[65]. იკადრა და სიონის გუმბათი მოახსნევინა, ზედ ააშენებინა ბილწი დასაჯდომელი და გრძელი ასასვლელი ხიდიც გაადებინა. ესეც ინება, რომ სიონის ხატი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ღვთისმშობლისა მოაყვანინა და ხიდის შესასვლელთან დაადებინა პირაღმა. ამის შემდეგ ბრძანა შეპყრობილი ქრისტიანების, ქალებისა და კაცების მოყვანა, აძალებდნენ დაეთრგუნათ პატიოსანი ხატები და დაეტოვებინათ რჯული, ხოლო თუ ასე არ მოიქცეოდნენ, თავებს აჭრიდნენ. მრავალმა მათგანმა ბრწყინვალე თავდადება გამოიჩინა, არ შეურაცხყვეს წმიდა ხატები და არ დაუტევეს რჯული. უამრავმა ქალმა და კაცმა აჩვენა ახოვანება (სიძლიერე) სულისა და მიიღეს გვირგვინი წამებისა.

საფიქრებელია, ასიათასს მიაღწია დახოცილთა რიცხვმა[66]. ქრისტესათვის, სარწმუნოებისათვის ეს თავდადება ასე შეაფასეს მემატიანეებმა: „აქა ბრწყინვალე ძლევა აჩვენეს ქართველთა და წამების დიდებითა იდიდნეს“, ე.ი. მართალია, ლაშქარი მტერმა დაამარცხა, ქალაქი აიღო, მოსახლეობა სასტიკი ტანჯვით გაანადგურა, მაგრამ მიუხედავად ამისა, კი არ დამარცხდნენ, არამედ „ბრწყინვალე ძლევა“, ე.ი. ბრწყინვალე გამარჯვება „აჩვენეს ქართველთაო“, წერს მემატიანე. ომში დამარცხებულ ქართველებს მტრებზე გაუმარჯვიათ იმით, რომ „მრავალი წამების დიდებით იდიდეს“. თავის მხრივ, არც უფალმა მიატოვა თავისი სამწყსო, ქართველი ერი და ეხმარებოდა გასაჭირში.

VIII. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ლიდი გამოცხადება

აი, როგორ აღწერს მემატიანე ღვთისმშობლის მფარველობას. ცნობილია, რომ ალამუთის ციხის აღება მონღოლებს გაუჭირდათ და შვიდ წელს აბრძოლებდნენ იქ ქართველთა ლაშქარს. ალმუთის მეპატრონე მულიდები ცნობილნი იყვნენ, როგორც კაცის მიპარვით მკვლელნი. ერთხელაც, ერთმა მულიდმა მონღოლთა ნოინი ჩაღატა მოკლა. მონღოლებმა მისი მოკვლა ქართველებს დააბრალეს და მათკენ დაიძრნენ. ქართველმა წარჩინებულებმა შეიბრალეს ქართველი მოლაშქრენი. ამიტომაც არ შეებრძოლნენ მონღოლებს, „თუ არ შევებრძოლებით, მარტო ჩვენ, წარჩინებულებს დაგვხოცავენ და ქართველების უმრავლესობა ამით გადარჩება, ხოლო თუ შევებრძოლებით, ყველას ამოგვხოცავენო, „გარნა შევრდომა ღმრთისა ჯერ არს, რამეთუ არავინ არს მხსნელი ჩვენი, თვინიერ იესო ქრისტე ძე ღმრთისა და ყოვლადწმიდა მშობელი მისი, მარადის ქალწული მარიამ, რომელი მარადის მცველი არს მოსავთა ძისა მისისათა და უმეტეს ჩვენ ქრისტიანეთა“[67]. ქართველებმა უკლებლივ სამ-სამჯერ მოიდრიკეს მუხლი და ღვთისმშობელს შეევედრნენ ლოცვით: „მოწყალებისა კარი განგვიღე კურთხეულო ღმრთისმშობელო, რათა რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთასა“.

ამ ლოცვის დასრულებისას, როცა მოახლოებული იყვნენ ბარბაროსები ქართველთა უწყალოდ მოსასპობად, მაშინ გამოვიდა კაცი ლერწმოვანებიდან, ეჭირა ამოწვდილი ლახვარი,სისხლით შეღებილი. ლახვარი ზევით აღმართა და ხმამაღლა დაიყვირა: „მან ქუშტემ ჩაღატა“ – მე მოვკალ ჩაღატაო. თათრები გაეკიდნენ დასაჭერად. მან ლერწმოვანში შეასწრო და დაიმალა. მალე ცეცხლმოკიდებული ლერწმოვანიდან მულიდი გამოიყვანეს. ჰკითხეს, თუ როგორ მოკლა ჩაღატა, რაზეც უპასუხა: „მე ვარ მულიდთა შორის საჩინო, მულიდთა თავადების დავალებით მოვკალ და დავიმალე“. ისინი შეეკითხნენ: „რა იყო მიზეზი სამალავიდან შენი გამოსვლისა და ხმამაღლა ყვირილისა, რომ შენ მოკალ ნოინი?“ მან უპასუხა: „ხშირ ლერწმოვანში დავიმალე, მყის მოვიდა ვიღაც სიტურფით აღმატებული დედაკაცი და მითხრა: „ეს რა ჰქმენ, კაცო? მოკალ კაცი და დაიმალე, ახლა მრავალ სულს მოკლავენ შენი მიზეზით და ისინი უდანაშაულოდ ამოწყდებიან“ და მე ვუთხარ: „რა ვქნა, დედოფალო?“ მან მითხრა: „ადექ და გამომყევი, მიდი და თქვი, რომ შენ მოკალი ის კაცი და გადაარჩინე ურიცხვი სული სიკვდილს“, ხოლო მე სწრაფად ავდექი და გავყევი, მომიყვანა თქვენ წინ, როგორც კი დავიძახე და დამინახეთ, მაშინვე გაუჩინარდა და არ ვიცი, საიდან იყო მოსული“.

„ესრეთ იხსნა ერი თვისი ყოვლადწმიდამან ღმრთისმშობელმან... იქმნა მსწრაფელი და ანასდათი ხსნა ქრისტიანეთა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა მიერ. გარნა ვინ-მე შეუძლოს დიდებისმეტყველებისა მიერ სამადლობელი შესხმა საკვირველებისა ამისათვის“. უფალი მუდამ იცავდა ქართველებს ქრისტეს მტერთან ბრძოლისას, მაგრამ თვით ქართველებში გამრავლდა ცოდვები, საეკლესიო ქონების – საეპისკოპოსოებისა და მონასტერთა ხელყოფაც იკადრეს, ამიტომაც სასჯელი მიიღეს.

IX. აწყურის ხელთუქმნელი ხატის ძალა

„მთავართა იწყეს ხელის შეხებად საყდართა და მონასტერთა და იწყეს მიტაცებად სოფელთა და აგარაკთა, უმეტეს მესხთა საყდარსა ზედა დიდებულსა აწყვერისასა. და ღა თუ ამათ უწესობათა დიდად ამხილებდა ნიკოლოზ კათალიკოსი და ნიკოლოზ მაწყვერელი ჯუანშერის ძე, გარნა არავინ ყურად იღებდა სიტყვათა მათსა“[68].

ვნების კვირის ოთხშაბათს მძაფრად შეიძრა ქვეყანა, იძროდა თითქმის ყოველ-დღე. კვირას, აღდგომის დღეს, როცა ყველანი ელოდნენ სიხარულს, საფუძვლითურთ შეიძრა ქვეყანა, საყდრები და მონასტრები, ეკლესიები, ციხეები, სახლები, ნაგებობანი მოოხრდნენ, მაღალი მთები და ბორცვები ჩამოინგრნენ, კლდეები მტვრის სახედ დაიშალნენ, მიწა გაიპო და კუპრივით შავმა წყალმა ამოხეთქა. აწყურის საყდარი დაიქცა, გუმბათი ჩამოვარდა და, როგორც ქუდი, ისე ზედ დაეხურა აწყურის ყოვლადწმიდა ხატს, რომელიც, ლიტანიობის დროს შესვენებული, შუა საყდარში ესვენა. ხატი უვნებლად გადარჩა თავისივე ძალის გამო. მიწისძვრამ მთელ საქართველოში უამრავი სული გაწყვიტა, დაუქცეველი აღარაფერი გადარჩა[69].

X. ღვთისმშობლის გაფრთხილება

მეფე დიმიტრიმ სამი ცოლი მოიყვანა მსგავსად მონღოლი წარმართებისა: „ურიცხვთა კეთილთა მიერ აღვსებული მცირედ სიბოროტედ მიდრკა, რომლისათვისცა ნიკოლოზ კათალიკოსი განრისხებული უთქმიდავე და ამხილებდა მრავლად და ვერ არწმუნა. ამისთვის დაუტევა კათალიკოსობა“[70]. ამის შემდეგ ღვთისმშობლის გამოცხადებით მივიდა ბასილ მონაზონი, ამხელდა მეფის უწესო ქორწინებას, მაგრამ უშედეგოდ. მაშინ მან უთხრა, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიერ ვარ წარმოვლინებული, თუ არ განეყენები უწესო ქორწინებისაგან და არ შეისმენ ჩემს სიტყვებს, მოკვდები მძლავრთა მიერ, ჩამოგერთმევა მეფობა და სიმდიდრე, შენი შვილები განიბნევიან, სხვას მიეცემა მეფობა შენი. მართლაც, მეფე დიმიტრიმ თავი დადო თავისი ერისათვის და ის მოკლეს. წინასწარმეტყველება სრულად აღსრულდა. დიმიტრი მეფის დამსჯელი არღუნი რამდენიმე წლის შემდეგ ავადმყოფობით დაუძლურებული დაახრჩვეს იმავე დღესა (12 მარტს) და საათზე, როდესაც მოკლეს მეფე დიმიტრი.

XI. წმიდა სახარების გავრცელება

ასეთ სასტიკ დროს ქართველი სამღვდელოება არათუ საქართველოში იცავდა ქრისტიანობას, არამედ მის ფარგლებს გარეთაც კი ავრცელებდა. ქართველი მისიონერები კავკასიის მთიანეთში – დაღესტანში ქადაგებდნენ წმიდა სახარებას. ასეთი იყო პიმენ სალოსი, რომელიც „გარესჯით წარმოვიდა და დაემკვიდრა ბელაქანს, ქვაბსა რასმე, რომელმან ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცივნა, რომელნი ჰგიან სარწმუნოებასა ქრისტესა. ამას თანა ბრწყინვიდა დიდიცა იგი მოღვაწე ანტონი ნაოხრებელის ძე, ნათესავით მესხი“[71].

XII. ვარძიის ღვთისმშობლის სასწაული

დედა ღვთისა იცავდა თავის მონასტრებს. როცა მტერი ვარძიის ღვთისმშობლის მონასტრის ასაოხრებლად და მისი სიმდიდრის მისატაცებლად გამოემართა, „მეხდატეხილ იქმნა და განგალა მეხმან სრულიად და დაიწვა ძვალითურთ, ესრეთ საკვირველებითა დაიცვა სამყოფი თვისი ვარძიისა ღმრთისმშობელმან“[72].

XIII. ღვთის წყალობა

სამცხის მთავრის, ბექას ოჯახი დიდად ღვთისმოშიში იყო, დიდ პატივს სცემდა სამღვდელოებას, ეპისკოპოსებს, მონაზვნებს, მისი სახლი ავსებული იყო ხუცებითა და მონაზვნებით: „ამას თანა აქვნდა შეწყნარებულობა ობოლ-ქვრივთა და დავრდომილთა. ხოლო სახლსა მისსა არ დააკლდებოდა სამ-სამი ლოცვა. ამისთვისცა წარუმართა ღმერთმან დღენი ცხოვრებისა მისისანი, მტერთა ძლევასა, მშვიდობასა და დაწყნარებასა მიიცვალა“[73].

ერთხელ, მესხეთში თურქების შემოჭრისას, ბექამ შეკრიბა სამცხისა და შავშეთ-კლარჯეთის წარჩინებულები და მიმართა მათ სიტყვით: „ისმინეთ, მთავარნო საქართველოსანო, ძმანო და თანამონათესავენო ჩემნო, სიტყვა ჩემი! დიდმან და სახელოვანმან მეფემან დავით დასცა და დაამხო ძლიერება თურქთა ნათესავისა და აოტნა სამეფოსაგან მისისა, მიერ ჟამითგან აქამომდე არღარა ჩენილ არიან თურქნი. აწ ცოდვათა ჩვენთათვის კვალად აღიძრნეს მძვინვარედ და მოაოხრეს ტაო და ურიცხვი სული ტყვე ყვეს და მოსწყვიდეს პირითა მახვილისათა, ეკლესიანი დასცეს და სიწმიდენი შეაგინეს და კვალად გამზადებულ არიან ბოროტის ყოფად ქრისტიანეთა და მოოხრებად, ვინათგან მეფე შემცირებულ არს მძლავრებისაგან თათართასა და კვალად პირნი და თავნი საქართველოსანი განდგომილან და არავინ არს წინააღმდგომ თურქთა. აწ ისმინეთ ჩემი, ტომნო და ერთ-ნებანო! შევკრბეთ ყოვლითა ძალითა ჩვენითა და მივმართოთ თურქთა და არა მივსცნეთ თავნი და შვილნი ჩვენნი“[74] (ვაი, რომ სულ რამდენიმე საუკუნის შემდეგ მესხეთის ქართველობა თავად გათათრდა და XX საუკუნეში მათმა შთამომავლობამ „თურქებადაც“ კი გამოაცხადეს თავიანთი თავი).

ბექას მოწოდება – „დავდვათ თავი ჩვენი სჯულისა შეუგინებლობისათვის და ძმათა ჩვენთათვის, უეჭველად ღმერთი მოგვანიჭებს ცხოვრებასა“, – აიტაცა შემოჭრილ თურქთა სისასტიკით აღშფოთებულმა ქართველობამ. ღმერთმა მათ გაამარჯვებინა მრავალგზის. ერთ-ერთი შებრძოლებისას სარგისმა 500 მესხი მეომრით 30 000 თურქი სასტიკად დაამარცხა, 513 მოლაშქრე დაუხოცა: „მოხედნა ღმერთმან წყალობით მოსავთა ჯვარისათა, რამეთუ განსაკვირვებელ არს სმენად, რომელ ეგოდენსა წყობასა შინა არა მოიკლა ბექას ლაშქარში ხუთთა კაცთა კიდე“[75].

ბექა იყო მონასტერთა და ეკლესიათა მშენებელი, მონაზონთა და მოწესეთა პატივისმცემელი, არ დააკლდებოდა ხოლმე ცისკრის,სამხრისა და მწუხრის ლოცვას,არც ლაშქარი დააკლდებოდა ამ ლოცვებს. „ამისათვის უმარჯვებდა ღმერთი“[76].

XIV. თავდადება ქრისტესათვის

ქართველები ერთსულოვან მზადყოფნას იჩენდნენ ქრისტიანობის მტერთა წინააღმდეგ. მზად იყვნენ თავის შესაწირავად სარწმუნოებისათვის. ამის მაგალითია მეფე ვახტანგის სიტყვა, რომლითაც მან მიმართა ქართველობას ქრისტიანობის მოძულე მტრის შესახებ: „კაცნო, ძმანო და ერთ-რჯულნო და ქრისტეს ღმრთისა ჭეშმარიტად აღმსარებელნო! უწყით სჯული მამათა მიერ, და გასმიეს ქადაგება წმიდათა მოციქულთა, და უწყით ღვაწლნი და ახოვნებანი მოწამეთანი და გიხილვან თვალითა თქვენითა ტაძარსა შინა მათსა ურიცხვნი სასწაულნი და გასმიეს სახარებასა შინა უტყუელისა პირისა, ვითარმედ: „რომელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემის ზეცათასა“ და კვალად: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი და მე განგისვენო თქვენ“, და აწ ნუ შესძრწუნდებით და წარვიდეთ ყაენის წინაშე, და დავდვათ სული ჩვენი მისთვის, რომელმან დადვა სული თვისი ჩვენთვის. პირველად ჩვენ მივსცნეთ თავნი ჩვენნი სიკვდილად, მერე იყავნ ნება ღმრთისა და მან დაიცვას სამწყსო თვისი“[77].

თავი XII

ქართული ეკლესია XIV საუკუნეში

„ეჰა, მამულო!
შენის ტრფობის ძალსა ღვთიურსა
რა დაუდგების?
კლდის სიმაგრეს აძლევ უძლურსა...“

ილია მართალი

ქვეყნის ზოგადი მდგომარეობა XIV საუკუნეში

უფალმა მოწყალების თვალით მოხედა საქართველოს, მოუვლინა მეფე გიორგი V ბრწყინვალე, რომელმაც უცხო თესლისაგან იხსნა თავისი ქვეყანა. საქართველო გათავისუფლდა, გაერთიანდა. თათრებისა და ოსების გაძევების შემდეგ აღდგა წესრიგი და შინაგანი მშვიდობიანობა. საქართველოს საკანონმდებლო კრებამ მთიანეთს სამართლის წიგნი „ძეგლის დადება“ შეუდგინა. სახელმწიფო წესწყობილება განმტკიცდა, ეკონომიკა მოღონიერდა. მოიჭრა ახალი ქართული ფული „გიორგაული თეთრი“. სწორედ ყოველივე ამის შემდეგ შეძლო ქართველმა ერმა გამკლავებოდა სასტიკ და ბოროტ მტერს, თემურ ლენგს. გიორგი V-ის შემდეგ ერთიანი და მტკიცე საქართველო შედარებით მშვიდობით ცხოვრობდა 40-ოდე წელი. საუკუნის ბოლოს შემოსეულ მტერს ქართველმა ხალხმა სამამულო ომი გამოუცხადა, რომელიც მცირე შესვენებებით 17 წელი გაგრძელდა. ეს იყო სარწმუნოებრივი ომიც. მტერს ქრისტიანობის აღმოფხვრა ეწადა, მაგრამ საბოლოოდ მან სცნო ქრისტიანული ქართული სახელმწიფო, იძულებული გახდა, შერიგებოდა მის არსებობას. ეს იყო ქართველი ხალხის დიდი გამარჯვება, თუმცა კი საქართველო დიდად დაზარალდა.

მეფე გიორგი ბრწყინვალე

ბატონიშვილი ვახუშტი წერს: „დაჯდა მეფედ გიორგი, ძე დიმიტრი მეფისა თავდადებულისა, და დაიწყო მთიებმან აღმობრწყინვებად. ხოლო მე ენასა ვერ ძალ - მიცს საკვირველებათა და საშინელებათა თქმად, თუ რაოდენ შუენიერად და გონიერად განაგებდა...“[1].

გიორგი ბრწყინვალემ (1314-1346), სრულიად საქართველოს მეფემ, დასავლეთი, სამხრეთი (მესხეთი) და აღმოსავლეთი საქართველო შეკრიბა თავისი სკიპტრის ქვეშ. „ამან ბრწყინვალემან გიორგი დაიპყრა საქართველონი: სომხითი, ჰერ-კახნი, ქართლი, მესხნი, ტაო, შავშ-კლარჯნი და ვიდრე სპერადმდე და ზღვამდე“[2].

ჟამთააღმწერლის თქმით, გიორგი ბრწყინვალე „განდიდნა უმეტეს შემდგომთა მეფეთა, რამეთუ მარტო იყო ძე დედისა, მარტო შვა დედამან, ვითარცა მარგალიტისთვის თქმულ არს მარტოება უმჯობესისათვის, ეგრეთვე გიორგი იპოვა უმჯობესი ყოველთა კაცთა მის ჟამისათა, არა ოდენ ხელმწიფეთა, არამედ ყოველთა კაცთა“.

პირველ რიგში, მეფემ მესხეთი (სამცხე-კლარჯეთი) შემოიმტკიცა (მონღოლთა თანხმობით), თუმცა კი თავის სახელმწიფოში არ შეეძლო დიდებულებისა და ერისთავების შეცვლა („...დიდებულნი და ერისთავნი ვერ სცვალნა ჟამამდინ რიდითა ყეინისათა“)[3]. შემდეგ ქვეყნის საზღვრებიდან ოსები გააძევა, რომელთაც ადგილ-ადგილ დაბები და ციხეები ეჭირათ. „ამან მეფემან განსახნა ძლიერებითა თვისითა და წარუხვნა ციხენი და დაბნები. მერმე შევიდა და შემუსრნა კავკასსა შინა მყოფნი, ურჩნი მოსრნა და დაიმორჩილნა და მოხარკე ჰყვნა ყოველნი იგინი და დაამშვიდა ქართლი ოვსთაგან, ვინათგან გზანი ყოველნი თვით დაიპყრნა“[4].

ჩანს, ოსები მონღოლებისაგან ვეღარ ძლიერდებიან, როგორც წინა მეფეების დროს. მონღოლები გიორგი მეფისადმი კარგად იყვნენ განწყობილნი. მეფემ კავკასიის უღელტეხილებიც თვითონ დაიჭირა და კავკასიაში ყოველი მოწინააღმდეგენი შემუსრა. ამით მტერს ქართლში შემოსასვლელი გზები მოეჭრა და ქვეყანამ მოისვენა. ოსების ქართლიდან გაძევება იყო ნიშანი მონღოლთა ბატონობის შესუსტებისა. მალე თვით მონღოლ ხელისუფალთა შორის სასტიკი ომები დაიწყო, მათი სახელმწიფოს ერთობა მოისპო და ქვეყანა დაიშალა. ამით ისარგებლა მეფე გიორგიმ: „მაშინ იცა ჟამი ბრწყინვალე გიორგი მეფემანცა და განასხნა თათარნი საქართველოსაგან, რომელნიმე გონიერებითა, რომელნიმე ბრძოლითა და ძლიერებითა და მოსპნა ყოველნი საზღვართაგან თვისთა“[5].

საქართველო მონღოლთა ბატონობისაგან განთავისუფლდა. ეს საქართველოს სახელმწიფოს სიძლიერეზეც მიუთითებს, რადგანაც სხვა ქვეყნები და ერები მონღოლებს ამის შემდეგაც დამონებული ჰყავდათ. ერისთავები, რომლებიც განდიდებულნი იყვნენ მონღოლთა მიერ (მეფის ხელისუფლების დამცრობის მიზნით და რომელთა შეცვლის ნებასაც მონღოლები არ იძლეოდნენ), გიორგი მეფემ შეკრიბა ვითომდა „სადარბაზოდ“ და დაახოცინა. ეს მოხდა „ცივსა ზედა ჰერეთისასა“, ამის შემდეგ „დაადგინნა ყოველთა ადგილთა წარვლინებულნი ერისთავნი თვისნი მორჩილებისანი და დაიპყრნა ამით უმეტეს ყოველნი“[6].

ამ გზით მეფემ შეძლო დაუბრკოლებლად ემართა სახელმწიფო თავის „ნებისაებრ“.

გაძლიერებულმა მეფემ ინება აღედგინა საქართველო თავის ძველ საზღვრებში. როგორც ცნობილია, სასაზღვრო პუნქტებად ნიკოფსია და დარუბანდი ითვლებოდა. მეფემ ჯერ დარუბანდის მიმართულებით შემოიმტკიცა რანი. „ვერავინ წინააღუდგა და მუნიდამ შევიდა შირვანს და დაიმორჩილნა იგინიცა და მოხარკე ჰყვნა დარუბანდამდე ქურდის ლეკითურთ. შემდგომად მოიქცა ტფილისს განძლიერებული“.

შემდეგ მეფემ ინება დასავლეთ საქართველოს შემომტკიცება. ის ამის შესახებ მოეთათბირა იქაურ მოსახლეობას. „ეზრახა იმერთაო“, წერს მემატიანე. „...გარდავლო მთა ლიხისა სპითა და ამისი მხილველნი იმერნი ყოველნი მოერთოდნენ სიხარულითა. აღიხვნა ყოველნი ციხენი და ქალაქნი და სიმაგრენი იმერეთისანი ბრწყინვალემან მეფემან გიორგი“[7]. ეს, ვახუშტის მიხედვით, მომხდარა 1330 წელს.

„ამისი მხილველნი დადიანი მამია და გურიელი და სვანთა ერისთავი და აფხაზეთისა შერვაშიძე მოერთნენ ნიჭითა დიდითა, და დაულოცეს მეფობა იმერეთისა და ყოვლისა გიორგიისა, მერმე შთავიდა ოდიშს, მუნიდამ აფხაზეთს, განაგნა მუნებურნი და დაიპყრა ციხენი თვისად... უკუმოიქცა, შემოვლო გურია, განაგნა მუნებურნი და მოვიდა სამცხეს... დასხნა ერისთავნი თვისნი კლარჯეთს, სპერს, კალმახს, არტანუჯს და სამცხეს. არტანისა და წუნდისა... განაგნა მუნებურნი, ვითარცა კეთილმან ხუროთმოძღვარმან ყოველნივე და წარმოვიდა და მოვიდა ტფილისს“[8]. ეს მომხდარა 1334 წელს.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის საზღვრების შემომტკიცების შემდეგ მეფემ იზრუნა ჩრდილოეთის საზღვრების განმტკიცებისათვის: „რომლისათვისცა შემოკრიბნა სპანი, შემოვიდა და დაიმორჩილნა ყოველნი უმეტეს პირველისა კავკასსა შინა

მყოფნი. ხოლო მუნიდან ჩამოვლო ცხრაზმასა ზედა, მოვიდა მუხრანს და ჩამოიყვანნა მუნ, რომელნი კავკასიასა შინა ქრისტიანენი იყვნენ თავნი მათნი და ხევისბერნი. შემოვიდა ტფილისს და შემოიტანნა იგინიცა და განუჩინა მათ სამართალი და წესნი დაუსხნა წიგნით, რათა ჰყოფდნენ წადმართ ეგრეთ“[9].

ამის შემდეგ მან კიდევ უფრო მეტად დაიმორჩილა რანი, მოვაკანი, სომხეთი: „...და მარადის მოსცემდიან ხარკსა და არცადა იყვნენ თათარნი საბრძანებლისა მისსა. ხოლო ვინაითგან დაიმორჩილნა და დაიმონნა ყოველი გიორგია ნებასა შინა თვისსა და კავკასნიცა მორჩილებასა მისსა იყვნენ ნიკოფსიიდამ დარუბანდამდე“[10].

გიორგი ბრწყინვალეს უყურადღებოდ არც საეკლესიო საქმეები დაუტოვებია. ამ მიზნით მან შემოიკრიბა ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსები, ეპისკოპოსები სრულიად საქართველოსი. მათ მიაღებინა შესაბამისი დადგენილებანი: „შემოკრიბნა კათალიკოზნი და ეპისკოპოზნი ივერიისანი და განაახლნეს წესნი და რიგნი საეკლესიონი და სამღვდელონი განმართნეს და დაადგინნეს მოწესენი წესსა ზედა თვისსა და უწესურნი განჰკვეთნეს“[11].

მეფე გიორგის „ბრწყინვალე“ იმიტომ ეწოდა, – წერს ვახუშტი, რომ იყო ჰაეროვნებით, მშვენიერებით და ახოვანებით უებრო, მოწყალე, უხვი, ობოლთა, ქვრივთა და დავრდომილთა შემწყნარებელი. გარდა ამისა, ივერია – საქართველო დაფანტული, სამთავროებად დაყოფილი, მეფემ თავისი სიბრძნე – გონიერებით, ძლიერებით კვლავ შეკრიბა, და მსგავსად აღმაშენებლისა, აღავსო და აღაშენა ქვეყანა, რჯული და სამოქალაქო წესები გააბრწყინა, დარბეული და მოოხრებული ეკლესიები აღაშენა, განაახლა და განანათლა. ხოლო რანი, შარვანი, მოვაკანი თავის მოხარკეებად აქცია, სძლია ყველას, სადაც უმჯობესი იყო ბრძოლითა და ძლიერებით, ხოლო სადაც სჯობდა სიბრძნე-გონიერებით, მეცნიერებით დაამშვიდა.

გიორგი ბრწყინვალე კეთილი მეფობით მეფობდა 28 წელი, გარდაიცვალა თბილისში 1346 წელს[12].

გიორგი მეფეს დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი ჰქონდა და მან თავისი ავტორიტეტი გამოიყენა ქართული ეკლესიის უფლებების აღდგენისათვის. კერძოდ, ეს შეეხო იერუსალიმში ქართული ეკლესიის უფლებების დაცვას. „მე-14 ს-ის პირველი ნახევრის არაბი მწერლის ელ-ომარის მოწმობით, გიორგი ბრწყინვალე ქრისტიან მეფეთა შორის უსახელოვანესად ითვლებოდა. ეგვიპტის სულთნები გიორგი ბრწყინვალისადმი წარმოგზავნილ თავიანთ ეპისტოლეებში მას მუსულმანთა მეგობარსაც კი უწოდებენ. ეს ფრიად საგულისხმო გარემოებაა“[13].

ეგვიპტის სულთნები კი იმ დროს იერუსალიმსა და მახლობელი აღმოსავლეთის წმიდა ადგილებს ფლობდნენ. „წარსულში ქრისტიანეთა მთავარ სალოცავ ადგილებში ქართველებს ყოველგან საპატიო ადგილი ეკავათ და თავიანთი ეკლესია-მონასტრები ჰქონდათ. უკვე მე-12 ს-ში ქართველებმა, პროხორეს თაოსნობით ჯვრის მონასტერი ააგეს. დავით აღმაშენებელმა სინას მთის ის ადგილიც დაიკავა, სადაც ებრაელთა გადმოცემით, ღმერთი მოსე წინასწარმეტყველს ესაუბრებოდა და ათი მცნება მისცა. სინას ნახევარკუნძულის ამ ყველაზე უმაღლეს მთაზე მან საუცხოო ეკლესია ააგებინა ქართული წირვა-ლოცვით. ეს მთელ მახლობელ აღმოსავლეთში და დასავლეთის ქრისტიან ხალხთა შორის საქართველოს პოლიტიკურ სახელგანთქმულობასაც უწყობდა ხელს.

საქართველოს პოლიტიკური ძლიერების შერყევისთანავე ქართველების მდგომარეობა პალესტინაშიც ძალზე გაუარესდა, ქრისტიანეთათვის ისეთი მნიშვნელოვანი სალოცავი, როგორადაც მაშინ ჯვრის მონასტერი იყო მიჩნეული, ჩამოართვეს. ქართველების გულის მოსაკლავად და თავმოყვარეობის შესალახავად, ჩამორთმეული მიზგითადაც კი აქციეს“[14]. გიორგი მეფემ იზრუნა იერუსალიმში ქართველთა და, საერთოდ, ქრისტიანობის შევიწროებული მდგომარეობიდან დახსნისათვის.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის შესახებ უნდა ითქვას, რომ იქიდან ქართველი ბერები მე-13 საუკუნის 60-70-იან წლებში გამოაძევეს მაჰმადიანებმა და მიზგითად აქციეს. ეს უნდა მომხდარიყო 1273 წელს[15]. „მამლუქთა ამ ძალმომრეობის მსხვერპლი გახდა ჯვრის მონასტრის წინამძღვარი (1270-1273) ლუკა იერუსალიმელი (მუხას ძე – აბაშიძე), რომელიც ჯვრის დაცვას შეეწირა. როგორც მკვლევარნი ვარაუდობენ, 1305 წლისათვის ქართველებმა მეფე დავით VIII-ის (1293-1311) მეშვეობით შეძლეს ჯვრის მონასტრის გათავისუფლება „სარკინოზთაგან“ (მამლუქთაგან). იერუსალიმის ბერძნული პატრიარქატის ოფიციალური ცნობითაც, ქართველებს 1308 წლისათვის უკვე დაბრუნებული აქვთ ჯვრის მონასტერი, და გარდა ამისა, მათ უფლებები მოპოვებული აქვთ გოლგოთაზეც“[16]. დავით VIII-მ და იმერეთის მეფემ, კონსტანტინე I-მა დიდად იზრუნეს ჯვრის მონასტრის შეკეთებაგანახლების, „მეორედ აშენებისა“ და „ახლად შეკაზმისათვის“.

მიჩნეულია, რომ ჯვრის მონასტერი გიორგი ბრწყინვალის დროს ქართველებს დაბრუნებული ჰქონდათ (დავით VIII-ის მიერ), მაგრამ საზრუნავი ბევრი რჩებოდა. მაგალითად, ქრისტეს „აღდგომის“ ეკლესია, „გოლგოთა“ და ქრისტეს „საფლავი“ (ერთი სამონასტრო კომპლექსი) კვლავ ეგვიპტელებს ეპყრათ“[17].

გიორგი მეფეს ორჯერ გაუგზავნია ელჩები ეგვიპტის სულთანთან 1316 და 1320 წლებში. „ძეგლი ერისთავთას“ ავტორი მოგვითხრობს: „ამას ჟამსა მოვიდა ამბავი: კლიტენი იერუსალიმისანი სპარსთა დაიპყრესო, და დიდად შეწუხდა მეფე გიორგი. მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისაჲ, რომელსა ერქვა პიპაჲ, გზასა ხმელთასა მრავლითა ძღვენითა წინაშე ნისრელისა ... ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა ძღვენი იგი და მისცნა კლიტენი იერუსალიმისანი. მივიდა პიპაჲ ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხვა, ჟამი აწირვინა, ეზიარა ... მოილოცნა წმიდანი ადგილნი, და შეკრიბნა ნაწილნი წმინდათანი და ხატნი შვენიერნი და წარმოვიდა მასვე გზასა ხმელით და მოვიდა წინაშე მეფისა და მოიღო იერლაყი შეწყალებისაჲ და აღსრულებაჲ ყოვლისა სათხოვლისა მისისა. ფრიად განიხარა გიორგი მეფემან, რამეთუ მოეცნეს კლიტენი ქართველთა[18]...

აქ უნდა იგულისხმებოდეს არა მარტო ქრისტეს საფლავის სალოცავის კლიტე, არამედ აღდგომის ეკლესიის მთელი კომპლექსისა, რომელშიც შედის ქრისტეს საფლავიც (აღდგომის ეკლესია, გოლგოთა და ქრისტეს საფლავი ერთი შეკრული კომპლექსია)“[19]. 1331-1341 წლებში იერუსალიმში მყოფი უცხოელი მოგზაური აღნიშნავს, რომ ქრისტეს საფლავის სალოცავის კლიტე ხელთ აქვთ ქართველებს და კენჭსაც კი არავის აძლევენ საფლავიდანო[20].

ქრისტეს საფლავის კლიტე ქართველთა ხელში ყოფილა XV საუკუნის შუა წლებამდე, სანამ ფრანცისკანელებმა არ ჩამოართვეს.

XIV საუკუნეში მონასტერში კვლავ გაჩაღებულა შემოქმედებითი მუშაობა. შეიქმნა ორიგინალური ქართული თხზულებანი: ლუკა იერუსალიმელისა და ნიკოლოზ დვალის მარტვილობანი, ადგენდნენ კრებულებს, აგროვებდნენ ხელნაწერებს[21].

გიორგი ბრწყინვალეს ეგვიპტის სულთანმა სხვა თხოვნაც შეუსრულა – გააუქმა ქრისტიანთა დასამცირებლად შემოღებული წესი ცხენზე ქალურად ჯდომისა (ერთ მხარეს ფეხებდაშვებულად). ყველა ქრისტიანს ნება მიეცა ჩვეულებრივ მჯდარიყვნენ ცხენ-სახედრებზე.

XV საუკუნეშიც „იერუსალიმში სალოცავად შესვლის დროს ქართველები საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ ცხენებსა და აქლემებზე ისხდნენ და გაშლილ-აფრიალებული ეროვნული დროშებით თავისუფლად შედიოდნენ ქალაქში ... ქართველ მლოცველთა დასაცავად და მათი უშიშროების უზრუნველყოფისთვის ქართველთა ჯვრის მონასტერთან საგანგებო არაბი მოხელე იმყოფებოდა ხოლმე“[22]. ცხადია, ყოველივე ეს პატივი გიორგი ბრწყინვალის ღვაწლის შედეგიც იყო.

XIV საუკუნეში ქართველებს პეტრიწონის მონასტერიც (ბულგარეთში) მტკიცედ ეპყრათ. ამ დროს იქ ჯერ კიდევ არსებობდა ქართულენოვანი სემინარია, რომელიც მონასტრისათვის მონაზვნებს ამზადებდა[23].

გიორგი ბრწყინვალე იღვწოდა, რათა კვლავ აღედგინა საქართველოს სახელმწიფოს გავლენა ტრაპიზონის საკეისროში.

„ამრიგად, გიორგი ბრწყინვალის ბრძნული პოლიტიკის წყალობით საქართველო მარტო პოლიტიკურად კი არ გაჯანსაღდა და სახელმწიფოებრივადაც გამაგრდა, არამედ ეკონომიურადაც მოღონიერება დაიწყო და ქონებრივადაც დოვლათიანობა დაეტყო. ეს გარემოება საქართველოს დედაქალაქსაც დამჩნევია. რომის პაპი იოანე XXII-ის 1328 წ. და 1329 წ. დაწერილი ეპისტოლეებიდან ჩანს, რომ ტფილისი იმ დროსაც საუკეთესო ერმრავალი და მდიდარი, თანაც შესანიშნავი იყო“[24].

გიორგი ბრწყინვალის მიერ აღორძინებული საქართველოსათვის მტრის შემოსევებზე მეტად დამანგრეველი იყო ქართველთა ეროვნული თვითშემეცნების გასაოცარი დაკნინება, რაც მე-13 საუკუნეში, მონღოლობისას დაწყებულა.

ეროვნული თვითშემეცნების დაკნინება იყო მიზეზი საქართველოს დაშლისა. ამიტომაც იბრძოდა გიორგი ბრწყინვალე ქართულ ტომთა შორის მშვიდობის ჩამოსაგდებად, აძლევდა მათ სამოქალაქო ცხოვრების კანონებს. კერძოდ, მან დიდად იღვაწა მთიელი ტომების, დვალებისა და ჟამურელების დაწყნარებისათვის. „თუ ამ შემთხვევაშიც – კი, როცა საქართველოს სამეფოს საჭეთმპყრობელად ისეთი ენერგიული და ძლიერი მმართველი იყო, გიორგი ბრწყინვალე, შესაძლებელი ყოფილა ისეთი სამწუხარო შემთხვევა მომხდარიყო, რომ ორ მოძმე ქართულ ტომს შორის, როგორც შემდგომში დავრწმუნდებით, შურით გამოწვეული მტრობა დაიწყო და ერთმანეთის დაუნდობელი ხოცვა-ულეტით დამთავრდა, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა საშინელება უნდა ყოფილიყო იმაზე უწინარეს ხანაში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლება უძლური იყო და ქვეყნის აშლილობას ბოლო არ უჩანდა“[25].

(აქ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ივანე ჯავახიშვილს დვალები არა გაქართველებულ ტომად მიაჩნია, არამედ ქართველებად. უფრო მეტიც, დვალები ჟამურელების (ანუ ქართველი მთიელების) სისხლით მონათესავე ტომად მიაჩნია და წერს მათ შესახებ, როგორც „ორ მოძმე ქართულ ტომის“ შესახებ).

ქართველთა კულტურული დაქვეითების (და იმის შედეგად ეროვნული თვითშემეცნების დაკნინების) მიზეზად ივ. ჯავახიშვილს მიაჩნია „მონღოლთაგან შემოღებული ველური პირობების გავლენა“[26].

სწორედ ეროვნული თვითშემეცნების დაკნინება იყო მიზეზი საქართველოს ერთიანობის მოსპობისა შემდეგ საუკუნეებში და ქართველთა ასიმილაციისა სხვადასხვა მეზობელ ხალხებში (გათათრება, გაფრანგება, გასომხება, გააფხაზება, გალეკება და გაოსება).

ჩვიდმეტწლიანი სამამულო ომი

თემურ-ლენგის შემოსევამდე საქართველო შედარებით მშვიდად და დაწყნარებულად ცხოვრობდა. ქვეყანა ერთიანი იყო, თავისუფალი. ქართული სახელმწიფო ფაქტობრივად მთელ ამიერკავკასიას მოიცავდა. საკუთრივ საქართველოს საზღვარი აღმოსავლეთით თეთრწყალზე გადიოდა. საქართველოს საზღვრებში ძველებურადვე შედიოდა სომხეთი (არარატის სომხეთი: ანისი, დვინი და სხვა). დასავლეთით, როგორც ითქვა, საზღვარი მიუყვებოდა შავ ზღვას ნიკოფსიიდან სპერამდე. აღმოსავლეთით რანი, ყარაბაღი და შარვანი ლეკებითურთ „კვალად მოხარკედ აქვნდა და არღარა იყო წინააღმდეგ და ურჩი მისი“. ასეთივე დამოკიდებულებაში იყვნენ ქართული სახელმწიფოს მიმართ კავკასიური ტომებიც (ოსები, დურძუკ-ღუნძნი და სხვა), საქართველოს გავლენის სფეროებად ასევე რჩებოდნენ ტრაპიზონის სამეფო და შაჰარმენის სასულთნო[27].

ასე იყო არა მარტო გიორგი ბრწყინვალის დროს, არამედ მისი მემკვიდრეების, საქართველოს მეფეების – დავით VII-ის (1346-1360) და ბაგრატ V-ის (1360-1393) დროსაც. სწორედ ბაგრატის მეფობის დროს შემოესია თემურ-ლენგი საქართველოს.

მართალია, საქართველოს სახელმწიფოს თითქმის მთელი კავკასია ეჭირა თავისი კონტროლის ქვეშ, მაგრამ ის თემურის სახელმწიფოსთან შედარებით უმნიშვნელო იყო.

თემურ-ლენგმა ხანგრძლივი დაპყრობითი ომების შედეგად შექმნა უზარმაზარი სახელმწიფო, რომელიც აღმოსავლეთით ჩინეთის დიდ კედლამდე იყო გადაჭიმული, ჩრდილოეთით – ცენტრალურ რუსეთამდე, დასავლეთით – ხმელთაშუა ზღვამდე და ეგვიპტემდე[28].

მიუხედავად ამისა, თემურ-ლენგს გაუჭირდა საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა და ფაქტობრივად ვერც შეძლო მისი დაპყრობა, თუმცა კი სასტიკად გაანადგურა. საბოლოოდ მრავალწლიანი ომი ამ ორ დიდ სახელმწიფოს შორის ზავით დამთავრდა.

„1386-1403 წლებს შორის თემურ-ლენგი 8-ჯერ შემოესია საქართველოს – 1386, 1387, 1394 (ორჯერ), 1399, 1400, 1402 და 1403 წლებში. ამ შემოსევების დროს დამპყრობელთა რისხვას ვერ გადაურჩა საქართველოს ვერც ერთი კუთხე, ზოგი დარბეული, აკლებული და აოხრებული იქნა რამდენიმეჯერ. მიუხედავად ყოველივე ამისა, თემურ-ლენგმა ვერა და ვერ გასტეხა მამულისა და სჯულისათვის მებრძოლი ხალხის ნებისყოფა და ბოლოს და ბოლოს იძულებული შეიქმნა შერიგებოდა თავისი პოლიტიკის მარცხს. ამაზე მეტყველებს 1403 წელს გიორგი მეფესთან დადებული საზავო ხელშეკრულება, რომელიც ოფიციალურად აღიარებდა საქართვე-

ლოს, როგორც ქრისტიანული სამეფოს არსებობას. ეს იყო ქართველი ხალხის უდიდესი გამარჯვება თემურ-ლენგის ურდოებზე, მოპოვებული უზარმაზარი მატერიალური ზარალისა და ადამიანთა აურაცხელი მსხვერპლის ფასად"[29].

იმ რაოდენობით მებრძოლი ძალის გამოყვანა, რამდენიც თემურ-ლენგს ჰყავდა, საქართველოს არ შეეძლო. „საქართველო თემურ-ლენგს ყველგან მედგარ წინააღმდეგობას უწევდა და თავგანწირულადაც იბრძოდა, სამხედრო ნაგებობათა სიკეთითაც იმ დროისათვის საუცხოოდ ყოფილა უზრუნველყოფილი. ასეთ პირობებში, მაღალი და ძნელად გადასავალი მთებითაც ბუნებით კარგად მოზღუდვილობასთან დაკავშირებით, მაშინდელ საქართველოს მტრის იერიშების მოგერიებაც და თავის დაცვაც, უეჭველია, გაცილებით უფრო ხანგრძლივად და უკეთესადაც შეეძლო, ერთი დიდი ნაკლი – გაუფრთხილებლობა და უდარდელობის მსგავსად გადაჭარბებული მოიმედეობა რომ არ ჰქონოდა"[30].

თემურთან ომში ქართველები არა მარტო თავდაცვით ომს აწარმოებდნენ, არამედ ხანდახან მის უშუალო მფლობელობაში მყოფ ქვეყნებში იჭრებოდნენ და თემურის უპირველეს მტერს დახმარებას უწევდნენ (ალინჯის ციხის ხელში ჩაგდება, ნახიჭევანის სანახების დარბევა, იქიდან გამოქცეული თემურის მოსისხლე უფლისწულის თაჰერის დაფარვა). უფრო მეტიც, თემურ-ლენგს თავისი სახელმწიფოსათვის უდიდეს საფრთხედ ოქროს ურდოელები მიაჩნდა, ქართველები კი ამ ურდოელებთან ცდილობდნენ კავშირის დაჭერას, უხსნიდნენ მათ კავკასიის კარებს, აძლევდნენ გზას, გამოჰყავდათ კავკასიური ტომები და აბრძოლებდნენ თემურის წინააღმდეგ. თემურს დაზავებაც კი მოუწადინებია საქართველოსთან, მაგრამ ქართველთა მეფეს თანხმობა დაუგვიანებია. საბოლოოდ ამით მხოლოდ საქართველო დაზარალებულა.

„ზემოაღნიშნულ პირობებში აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოება შეუძლებელია მიზანშეწონილი ყოფილიყო. მით უმეტეს, ქართველთაგან ალინჯის ციხის ხელში ჩაგდება და ნახიჭევანის სანახების დარბევა, იმ ქვეყნის, რომელშიც თემურ-ლენგს თავისი ხელისუფლები ჰყავდა ჩაყენებული, მხოლოდ მრისხანე მტარვალის განზრახ გაღიზიანებას უდრიდა და მისი თავმოყვარეობის ამგვარს შელახვას, მართლაც, ასეთი შედეგიც მოჰყვა. 1399 წლის შემოსევა საქართველოში სწორედ ქართველებისაგან ალინჯის აღების შურის საძიებლად იყო მოწყობილი. თემურ-ლენგმა დაუნდობლად და ყოველგვარი საშუალებით გამანადგურებელი ბრძოლაც ხომ ამის შემდეგ გააჩაღა. თვით ქართველებიც კარგად გრძნობდნენ მაშინ, რომ საქართველოზე თავს დამტყდარი უბედურების გამწვავება ალინჯის ციხის აღებისა და იქითგან გამოქცეული თაჰერის დაფარვის შედეგი იყო. მდგომარეობის ესოდენი გაუარესების ბრალიც ხომ გიორგი მეფესა და მის პოლიტიკურ მრჩევლებს ედებოდათ. ესეც ყველამ კარგად იცოდა. აკი გიორგი მეფის პოლიტიკას შინაური განხეთქილებაც კი გამოუწვევია, ხოლო იმდროინდელ ერთს ძეგლში დაცული ანდერძი გიორგი მეფეს ამის გამო წყევლა-კრულვითაც იხსენიებს"[31].

თემურის ლაშქრობის შემდეგ საქართველომ შეძლო ძველებურადვე დაეცვა თავისი სახელმწიფოებრივი ერთიანობა, ქრისტიანობა და ეროვნული კულტურა, მაგრამ ჩრდილო კავკასიური ტომები საქართველოსაგან უკვე მოწყვეტილნი იყვნენ,

უფრო მეტიც, დაპირისპირებულნი. ამან შემდგომ საუკუნეებში დიდად შეუწყო ხელი საქართველოს ძლიერების დამხობას.

„საქართველოსთვის მარტო ის კი არ იყო საბედისწერო, რომ თემურ-ლენგის შემოსევამ ამდენი ხალხის სიცოცხლე და კეთილდღეობა შეიწირა მსხვერპლად, რომ ერი სისხლით დაიწრიტა და აყვავებული ქვეყანა უდაბნოს დაემსგავსა, არამედ ამაზე უფრო მეტ საშიშროებას მისთვის ის გარემოება წარმოადგენდა, რომ საქართველოს ჩრდილოეთითაც, ქედს იქით, დიდი ცვლილება მოხდა. წინათ ქართველთა მონათესავე ჩრდილო-კავკასიელი ტომები სახელმწიფოებრივად ქართველობასთან იყვნენ დაკავშირებულნი და კულტურულად და სარწმუნოებრივადაც მათი ქვეყანა უცილობლად ქართული გავლენის სფეროსვე ეკუთვნოდა. ამის წყალობით საქართველოს ზურგი ჩრდილოეთიდან მაინც მაგარი ჰქონდა და სამხრეთიდან მომავალი მტრის წინააღმდეგ მოსაშველებლადაც აქ სამხედრო ძალის საკმაო მარაგსაც ყოველთვის დაუბრკოლებლად შოულობდა. თემურ-ლენგმა იმდენი ქნა, რომ მანამდე ჩრდილო კავკასიაში გავრცელებული საქართველოსთან დამაკავშირებელი ქრისტიანობის მაგიერ მაჰმადიანობა ჩათესლა. ამის შემდეგ იქაურობასა და საქართველოს შორის წინანდელი კავშირი შეწყდა. მათ შორის განკერძოება დაიწყო. მაჰმადიანობის იქ გაძლიერებისდაგვარად საქართველოს ზურგთ უკან უკვე სარწმუნოებრივად მოწინააღმდეგე და მტრულად განწყობილი სამყარო აღმოჩნდა. საქართველოს ამ გარემოებამ საბედისწერო პოლიტიკური პირობები შეუქმნა“[32].

ჩრდილო-კავკასიური ტომების გამაჰმადიანებით თემურ-ლენგმა გაიერთგულა მთიელები. თემურ-ლენგის ინტერესებს საქართველოსა და კავკასიაში წარმოადგენდა ქართველთა და მთიელთა ხელში არსებული ჩრდილოეთიდან გადმოსასვლელი გზების უღელტეხილების დაჭერა. დარიალსა და დარუბანდზე გადიოდა უმთავრესი გზები, რომელთა საშუალებითაც იმიერკავკასიისა და ოქროს ურდოს მოლაშქრენი გადმოდიოდნენ ამიერკავკასიისა და ირანისაკენ, არბევდნენ ამ ქვეყნებს. ჯერ კიდევ თემურის ლაშქრობათა დაწყებამდე ოქროს ურდოს ხანი ჩრდილოეთიდან აღნიშნული გზებით შეიჭრა ირანში. თომა მეწოფეცი წერს: „ამის გარდა, ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ, სანამ თემური ჩვენს ქვეყანაში მოვიდოდა, 835 (1386) წელს ჩრდილოეთის ხელმწიფე სახელად თოხთამიში, რუსებისა და აზახის მბრძანებელი, რომელიც ყირიმის მახლობლად ქალაქ სარაიში იჯდა ... ალანთა კარის და დარუბანდის გავლით მის (თემურის) წინააღმდეგ წამოვიდა. ჩრდილოეთის ლაშქარი თავრიზს გარს შემოადგა, რვა დღე იომა და თავრიზი აიღო, ბევრი მოკლა, ბევრი დაატყვევა და მთელი მისი გვარი მოაოხრა“[33].

„თოხთამიშმა თავრიზი 1385-1386 წლების ზამთარში დალაშქრა, ხელთ იგდო უზარმაზარი დავლა, გაწყვიტა მოსახლეობის დიდი ნაწილი, ხოლო ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი დაატყვევა და ოქროს ურდოში წაასხა“[34].

როგორც აღინიშნა, ამ დროისათვის საქართველო დიდი სახელმწიფო იყო და ამიტომაც, ფაქტობრივად, მთელ კავკასიას აკონტროლებდა, მათ შორის ჩრდილოეთიდან გადმოსასვლელ გზებსაც, ამიტომაც თემურ-ლენგს არ შეიძლებოდა, არ ეფიქრა,

რომ თოხთამიში მის სამფლობელოებს სწორედ ქართველთა ფარული თუ აშკარა მხარდაჭერით შემოესია. საპასუხოდ 1386 წელსვე დაულაშქრავს თემურს საქართველო, თბილისი აუღია, ხოლო ბაგრატ მეფე დაუტყვევებია.

თემურ-ლენგამდე, ირანელი ილხანების მონღოლური სახელმწიფოც მუდამ ცდილობდა თავისი კონტროლის ქვეშ მოექცია კავკასიის გადმოსასვლელები და ამით თავისი უპირველესი მტრის – ოქროს ურდოსათვის ირანში (და ამიერკავკასიაში) შემოჭრის შესაძლებლობა მოესპო. ზოგიერთი ქართველი ხელმწიფე ოქროს ურდოსთან კავშირით ცდილობდა ილხანთა მოგერიებას.

ილხანებს ძლიერ აკრთობდათ და აშფოთებდათ საქართველოსა და ოქროს ურდოს შორის პოლიტიკური კავშირი. „ერანის ილხანისათვის ეს ამბავი მეტად სახიფათო შესაძლებლობის მომასწავებელი იყო, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მეფესა და ოქროს ურდოს ყაანებს შორის პოლიტიკური კავშირის ჩასაშლელად მას ყოველი ღონისძიება არ ეხმარა, რადგან საკმარისი იყო დავით VI-ს ჩრდილოეთის ულუსისათვის დარიალანის კარი გაეხსნა, რომ ერანის ილხანის საბრძანებელი დიდ განსაცდელში ჩავარდნილიყო“[35]. სამხრეთელი მონღოლები სასტიკად სჯიდნენ საქართველოს ჩრდილოეთთან კავშირისათვის. ეს კავშირი განუახლებია დავით VI-ს. „მეფემ ისევ ჩრდილოეთისაკენ იბრუნა თავისი პოლიტიკური გეზი და კვლავ „წარავლინა ძმა მისი ბაადური დიდსა ყაანისა თოხთას წინაშე“[36]. ეს ხდება XIV საუკუნის დასაწყისში, ანუ თემურ-ლენგის შემოსევებამდე რამდენიმე ათეული წლით ადრე. იმის გამო, რომ ირანის მონღოლებმა ვერ შეძლეს ჩრდილოეთის გზების ხელში ჩაგდება, ანუ საქართველო მათ მოკავშირედ არ იქცა და გზას უთმობდა სამხრეთისაკენ მოლაშქრე ოქროს ურდოს, XIV საუკუნის დასაწყისში ირანის პოლიტიკურ წრეებში წარმოშობილა იდეა, რომ ირანს უშუალო პოლიტიკური კავშირი ჰქონოდა არა საქართველოსთან, არამედ კავკასიელ მთიელებთან, რომელთა საცხოვრისის მახლობლადაც აღნიშნული გზები გადიოდა. უთუოდ ამის გამო,1301 წელს ყაზან ყაენმა შირვანისა და ლეკეთის მთიანეთში გასწია. „აქ მას მორჩილების გამოსაცხადებლად დიდი ხნის წინათ აჯანყებული ლეკების ტომთა მეთაურები წარუდგნენ“[37].

საქართველოს ოქროს ურდოსთან დაკავშირებით თავისი პოლიტიკა არც თემურ-ლენგის დროს შეუცვლია, ამიტომაც თემურიც, მსგავსად ძველი ირანელი პოლიტიკოსებისა, შეეცადა უშუალოდ დაემორჩილებინა კავკასიელი ტომები, გაეერთგულებინა ისინი მათში მაჰმადიანობის გავრცელებით.

როგორც თემურს, ისე ილხანებს, არ შეეძლოთ თავიანთი ლაშქრით დიდი ხნით დაეჭირათ აღნიშნული გადმოსასვლელები. ამიტომაც მოიმხრეს ამ გადმოსასვლელების მახლობლად მცხოვრები არაქართული ტომები, ჩაასახლეს ისინი ამ გადმოსასვლელების მიმდებარე ტერიტორიებზე და, უფრო მეტიც, შეეცადნენ აემხედრებინათ ისინი ქართველ მეფეთა წინააღმდეგ. ამ საშუალებით ფიქრობდნენ გადმოსასვლელებზე ქართველთა კონტროლის გაუქმებას.

1391 წელს თემური თოხთამიშის გასანადგურებლად დაიძრა და დიდ წარმატებას მიაღწია, მაგრამ ოქროს ურდომ მალე შეძლო გაძლიერება, 1393 წლისათვის

დარუბანდის გზით შირვანშიც კი შეიჭრა. „ცხადია, რომ თოხთამიშ-ხანს საქართველოსა და დაღესტანის მეთაურებთან წინასწარ შეუთანხმებლივ, ასეთი საქმის დაწყება არ შეეძლო, ... გადაწყვიტა, დაესწრო და დარიალანის გადმოსასვლელის ყველაზე უმოკლესი და საშიში გზის ხელში ჩაგდებით თოხთამიშის ლაშქრისათვის გზა შეეკრა“[38]. თემური შემოიჭრა საქართველოში, კერძოდ კი, არაგვის ხეობაში. ეს იყო მესამე შემოსევა.

1395 წელს თერგის პირას თემურმა თოხთამიში სასტიკად დაამარცხა, ოქროს ურდოს დედაქალაქშიც შეაღწია და გადაწვა.

„უკან დაბრუნების დროს თემურ-ლენგმა საგანგებოდ დალაშქრა ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთი, განსაკუთრებით ის ქვეყნები და ხალხები, რომლებიც კავკასიონის მთის ჩრდილოეთის კალთებზე ცხოვრობდნენ და კავშირი ჰქონდათ საქართველოსთან. თემურლენგმა მათ ქრისტიანული რელიგიის საკულტო ძეგლები დაუნგრია და ძალით მიაღებინა ისლამის სარწმუნოება“[39].

ჩრდილოეთ კავკასიაში „ქრისტიანული სარწმუნოების ნაცვლად მაჰმადიანობამ მოიკიდა ფეხი და ამით, ფაქტიურად უკვე XV საუკუნის დასაწყისშივე შეიქმნა საქართველოს გარშემო მუსლიმანური გარემოცვის რკალი, რამაც დასრულებული სახე მიიღო ოსმალთა მიერ კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ“[40].

თემურს გაუნადგურებია ჩრდილო კავკასიაში ოსების სამთავრო. აყრილი ოსების ნაწილი დვალეთში, ანუ დარიალ-მამისონის სიახლოვეს დასახლებულა. შესაძლებელია, თავდაპირველად დამარცხებული ოსების დვალეთში დასახლებას თვით საქართველოს სახელმწიფო უწყობდა ხელს, მაგრამ იმის გამო, რომ ეს ოსები მაჰმადიანები იყვნენ, ცხადია, თანდათანობით ქართული სახელმწიფოს მოწინააღმდეგეებად გადაიქცნენ. მართალია, კავკასიის მთებში ოსები ჩინგის ყაენის შემდეგ შემოვიდნენ, მაგრამ შემდგომ ეს პროცესი გაძლიერებულა.

„კვლავ შემდგომად მოსვლისა ლანქ-თემურისა და აღებისა კონსტანტინეპოლისა ემძლავრნენ ოვსთა იქით თათარხანნი და აქეთ ლანქ-თემურის ელნი მაჰმადიანნი და შემოილტოდნენ კავკასიასა შინა და დაიპყრეს კავკასთა ნათესავნი, რომელ არიან დვალნი“[41].

მიუხედავად 1395 წელს ჩრდილო კავკასიის დალაშქვრისა, 1398 წელს საქართველოს მეფემ გიორგიმ დარიალიდან გამოიყვანა „სრულიად კავკასნი“, ე.ი. ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ტომები და დასძრა ნახიჩევანისაკენ[42].

ეს იმას მიუთითებდა, რომ ამის შემდეგ კიდევ უფრო მეტად შეეცდებოდა თემურ-ლენგი გაევრცელებინა მთიელთა შორის მაჰმადიანობა და ჩამოეშორებინა ისინი საქართველოსაგან. თემურმა კვლავ ილაშქრა არაგვისა და ქსნის ხეობებში.

1400 წლისათვის დვალების ქართული ტომის აჯანყება უთუოდ თემურის პოლიტიკის შედეგი იყო.

„დვალები თემურლენგის 1400 წლის შემოსევის დროს აჯანყებიან ერისთავ ვირშელს. მტრის შემოსევის დროს მათი ასეთი მოქმედება ღალატად ჩაუთვლიათ“[43]. საქართველოს მეფეს დვალეთი დაულაშქრავს. საერთოდ, დვალების დასჯის მიზნით შესაძლებელია (თემურის მიერ დამარცხებულ) დვალეთში შელტოლვილ ოსებს ქართველი მეფე იმ დროს მხარს უჭერდა და აძლიერებდა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქართველების ეროვნული თვითშემეცნების დაბალი დონე მრავალი უბედურების მიზეზი იყო. არა მარტო მთიელი ქართველი ტომები ჯანყდებოდნენ, არამედ მთელი მხარეებიც კი თემურის შემოსევამდე. ბაგრატ V-ს ჯერ სვანები განუდგნენ, შემდეგ ბექა ათაბაგმა „უარყო მეფე თვისი და მივიდა თემურის წინაშე“[44].

დვალების აჯანყებაც ამ რკალში შედის. შესაძლებელია, დვალების დასასჯელად ქართველთა მეფემ ოსები გამოიყენა, მით უმეტეს, რომ დვალების დასჯამდე ორიოდე წლით ადრე მეფემ „ოვსნი, კავკასნი და ძურძუკნი“ ალინჯის (ალიჯანის) ასაღებად გამოიყვანა, როგორც მოკავშირენი.

ალინჯის ციხე მდებარეობდა ნახიჩევანის მიდამოებში და ერთადერთი იყო, რომლის წინააღმდეგაც თემურმა ვერაფერი გააწყო მრავალი წლის განმავლობაში, შემდეგ კი გაჭირვებით აიღო.

ქართველთა და მათი მოკავშირეების მარშის შემდეგ თემური „მრისხანებდა ალინჯის ციხის შემუსვრისათვის. შემდგომად წარმოემართა მთიულეთს, რამეთუ გამოჰყავს გიორგი მეფესა მუნიდან შემწენი. თვით თემურ მივიდა ბარდავს. მუნიდან წარავლინნა სპანი ოვსეთად. განვლეს სპათა მათ დარუბანდი, ლეკეთი და შევიდნენ ოვსეთს. მოსწყვიდეს, ტყვეყვნეს ... ესე ჰყო თემურ, რამეთუ უწყოდა, მეფე ძალს იცემს მუნიდამ. ხოლო კვალად იტყვიან, მიერითგან იწოდა ჩერქეზი და იქნა მაჰმადიანობა მათ შორის“[45].

თემურმა შეძლო საქართველოს მაჰმადიანურ რკალში მოქცევა. ჩრდილოკავკასიელი ტომები ამიერიდან ირანში აღარ ლაშქრობდნენ საქართველოს ინტერესების დასაცავად, არამედ საქართველო იქცა მათი ლაშქრობის ასპარეზად.

თემურის სიკვდილისთანავე საქართველოს მეფემ გიორგიმ უმალვე შეძლო ძალების მოკრება და ძველი სახელმწიფოებრივი საზღვრების აღდგენისათვისაც კი იზრუნა - „იყო ჭირი დიდი გიორგი მეფისაგან ყოველთა გარემოთა მაჰმადიანთა ზედა, ვიდრე რახსისა კიდემდე მოსვრითა და ალაფობითა“[46].

თემურ-ლენგმა კარგად იცოდა, რომ ქართველთა ძალა, რომელიც აერთიანებდა, იცავდა და მტრის წინააღმდეგ მედგრად აბრძოლებდა, ქრისტიანობა იყო, ამიტომაც ყოველი ღონით ცდილობდა ქრისტიანობის აღმოფხვრასა და მაჰმადიანობის გავრცელებას, მაგრამ ვერაფერს მიაღწია. თუმცა კი, „კვალად არა დაცხრა გულისწყრომად, ვინაითგან ენება მოოხრება და მაჰმადიანობა საქართველოსი“[47]. „იქმენ მაჰმადიან, მაშინ მოგცე ქვეყანანი და განგათავისუფლო“, უთვლის ის ქართველ მეფეს. ქრისტიანობის აღმოფხვრის მიზნით ის ანგრევს და წვავს ქართულ ეკლესიებს, ცდილობს ტყვეების გამაჰმადიანებას, „შემუსრეს მცხეთა და ყოველნი ეკლესიანიო“, – წერს მემატიანე[48]. მაგრამ ქართველობა მედგრად იცავს სარწმუნოებას, პირიქით, შემოხიზნულ მუსულმანებს არ აძლევს თავისი რჯულის გავრცელების საშუალებას, ამიტომაც „ევედრნენ მაჰმადიანი მესაზღვრენი ქართლისანი თემურს, რომელსა აოხრებდნენ ქართველნი, რამეთუ რა ჟამი იციან, მოსწყვედიან და ალაფობდიან“[49]. ხოლო თემურის საქართველოდან გასვლისთანავე იწყებდნენ - „მოოხრებულთა შენებად ეკლესიათა“[50].

თემურმა მრავალი საეკლესიო განძი გაზიდა საქართველოდან, მათ შორის უმთავრესნი – წიგნები. „ეკლესიათა და სხვათა ადგილთაგან განახვნა მრავალი საღმრთო და საერო წიგნები და გაგზავნა სამარყანდს და დაკრძალა მუნ“, – წერს იოანე ბაგრატიონი[51].

თემურმა იცოდა, რომ საქართველოში მისი ბატონობის განმტკიცებისათვის საჭირო იყო ადგილობრივი სამამულო სისტემის შეცვლა, ეს კი ქრისტიანობასთან იყო დაკავშირებული. თემურს და სხვა დამპყრობლებს მიაჩნდათ, რომ „...საქართველოში ადგილობრივი რელიგიის შეცვლით ადვილად დაამკვიდრებდნენ მათთვის დამახასიათებელ სამხედრო-ლენურ სისტემას. დამპყრობელთა ასეთი ცდა ყოველთვის აწყდებოდა ქართველი ხალხის მედგარ წინააღმდეგობას, რადგანაც საქართველოს პოლიტიკის მესვეურებს შესანიშნავად ესმოდათ, რომ ქრისტიანობისათვის ბრძოლა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართული სამამულო სისტემის და თვით ქართველობის შენარჩუნებასთან“[52].

ქართველებს ასეთი უდიდესი გასაჭირის დროსაც ქრისტიანული ზნეობის მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებანი არ დაუკარგავთ. კერძოდ, მოყვრისა და მეგობრისათვის კვლავაც შეეძლოთ თავის დადება, თუმცა კი ძვირად უჯდებოდათ ეს. როცა თემურ-ლენგმა ქართველებთან შეხიზნული მისი მოწინააღმდეგე თათარი უფლისწულის მისთვის გადაცემა მოითხოვა, ქართველებმა არ გასცეს. კერძოდ, თემურ-ლენგმა გიორგი VII-ს მოციქული გაუგზავნა და მოითხოვა ალინჯის ციხიდან წამოყვანილ უფლისწულ თაჰერის გადაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა ქვეყნის საშინელი აოხრებით. ამ მოთხოვნის საპასუხოდ გიორგიმ თემურ-ლენგს შეუთვალა, რომ „არ არის ჩვენთა ნათესავთ წესიო, რომ შემოხვეწილი კაცი ვისმე მისცესო“[53], ე.ი. ქართველთა ეროვნული წეს-ჩვეულება, სასიკვდილოდ განწირული ადამიანის დაფარვა, ამ დროსაც უცვლელია. თემურმა თავისი მუქარა მთელი სისასტიკით აასრულა. მიუხედავად ამისა, ქართველებმა თაჰერი მას არ გადასცეს. თემური ქართველთა ამაყი ქედის მოხრას ყოველი საშუალებით შეეცადა. „სპარსელი ისტორიკოსის ნაამბობიდან ჩანს, რომ თემურ-ლენგს ქართველთა ჭამა-სმის წესთათვისაც კი მიუქცევია ყურადღება: „ამ ქვეყნის კაცი თუ ქალი, თვით ბავშვიც კი უღვინოდ და უხილ-მწვანილოდ პურს არ სჭამენ და ცხოვრების სიამოვნებას ვერ გრძნობენო“. ამიტომ მან თავის ლაშქარს უბრძანა „რომ, ყოველგან ბაღ-ბოსტნები გაეკაფვათ და გაენადგურებინათ“[54].

თემური, სადაც კი შეეძლო, ყველგან ეკლესია-მონასტრებს ანგრევდა, ქრისტიან მოსახლეობას კი არ ინდობდა. ამას აღნიშნავენ თვით არაქართველი ისტორიკოსებიც. ეკლესიებს ზოგჯერ მეჩეთებადაც გადააკეთებდნენ ხოლმე. ასე მოქცევიან ბირთვისის ციხის ეკლესიას. დასავლეთ საქართველოში ლაშქრობის დროსაც გაბოროტებით დაურღვევიათ ეკლესია-მონასტრები, მოსახლეობა დაუხოცავთ. სამხრეთ საქართველოში 1400 წელს, ლაშქრობისას „ცოცხლად გადარჩენილი მოსახლეობის ერთი ნაწილი მტერს ძალით გაუმაჰმადიანებია და ისე წაუყვანია ტყვედ. „ახალი ქართლის ცხოვრების“ მოწმობით, თემურ-ლენგმა „რაოდენიცა შეიპყრა კაცნი ქრისტიანენი, დაჰპატიჟნა სჯული მაჰმადიანისა და რომელიცა მორჩილ ექმნა, თანა წარიყვანა, და რომელიცა არა მორჩილ ექმნეს, მოსრნა პირითა მახვილისათა“. თომა მეწოფელის მოწმობით, ტყვეთა რიცხვი, რომელიც დავლასთან ერთად სა-

მარყანდისაკენ გაუსტუმრებიათ, ყოფილა 60 ათასზე მეტი“[55]. ყოველ ხუთ მეომარს თურმე 20 ტყვე მიჰყავდა. მომაკვდავებს თემურის მეომრები ქვით უჭეჭყავდნენ თავს, რათა ცოცხალი არ დარჩენილიყვნენ. „ყოველივე ეს საკუთარი თვალით უნახავს თომა მეწოფელს, რომელიც გულისტკივილით დაასკვნიდა: „ვაი-ვაგლახი გაისმოდა ქრისტიანთა ტომთა ზედა, ვხედავდით ტყვევნას და შველა კი ვერ შეგვეძლო“[55].

„ათაბაგის ქვეყნის აოხრების შემდეგ თემურ-ლენგმა მიმართა არაგვის ხეობას. გზად მას თრიალეთით კლდეკარზე გადაუვლია და ჩასულა თეძმის ხეობაში. აქ აუოხრებია ეკლესია-მონასტრები და მათ შორის რკონიც დაუქცევია. მის მიერვე დარბეულ იქნა ქვაბთახევის დიდებული ტაძარიც, რომელშიც დამპყრობლებმა შეამწყვდიეს „მუნ მყოფნი კაცნი, მამანი და დედანი, მღვდელნი და დიაკონნი და მონაზონნი“, ცეცხლი შეუკეთეს და გამოსწვეს შიგ. გადამთიელი ხეიბარი შემდეგ მცხეთაში დაერია ეკლესია-მონასტრებს, საიდანაც „წარიღო სრულიად პატიოსანი სამკაული და შემკობილი ჭურჭელნი წმიდისა კათოლიკე ეკლესიისანი“. განსაკუთრებით დიდი ზიანი განიცადა სვეტიცხოვლის ეკლესიამ“[56].

მიუხედავად ამისა, ქართველი ქრისტიანები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ თემურს. ისინი არც მუსულმანებს აძლევდნენ საქართველოში მოსვენებით ცხოვრების საშუალებას. მაგალითად, თემურ-ლენგს მოახსენეს, თორთუმის ციხეში 200 ქართველია გამაგრებული, ისინი მუსულმანებსაც ესხმიან თავსო. გიორგი VII-თან დადებული ზავის მიუხედავად, მან „...რამდენიმე სარდალი გაგზავნა თორთუმის ციხეში გამაგრებული 200 ქართველის წინააღმდეგ 25 000-იანი ჯარით“[57]. 5 დღის თავდადებული ბრძოლის შემდეგ, მხოლოდ მეექვსე დღეს, შეძლო 25000-მა ლაშქარმა 200-კაციანი ციხის აღება. სწორედ აღნიშნული წინააღმდეგობის გამო გახდა იძულებული თემურ-ლენგი 1401 წელს ზავი დაედო საქართველოსთან, რომლის ერთ-ერთი მუხლი მოითხოვდა, ქართველებს თავის ქვეყანაში არ შეევიწროებინათ მუსულმანები. ხოლო სხვა მუხლით კი ქართველებს ევალებოდათ მუსულმანთა ქვეყნებში ქრისტიანული ადათ-წესები აშკარად არ შეესრულებინათ[58].

საერთოდ, თემურ-ლენგს უჭირდა ქართველთა წინააღმდეგ ომი. ეს მის ისტორიკოსსაც კი აღუნიშნავს: საქართველოში ომი ადვილი არ იყო. ამ ქვეყანაში ალექსანდრე მაკედონელმაც კი სირცხვილი ჭამა. თემურმა კი გამარჯვება მოიპოვაო, დაუკვეხნია მას[59]. ზავის დადების წინ თემურ-ლენგის სარდლები და კარისკაცები, ფ. გორგიჯანიძის ცნობით, თემურ-ლენგს დაბეჯითებით ურჩევდნენ გიორგისთან ზავის შეკვრას: „ამდენს სრულ ქვეყანაზედ არ გავრჯილვართო და არც ამდენი ლაშქარი ვისმე დაუხოციაო, რომ აქ ამოგვიწყდაო“[60].

„ეს, რასაკვირველია, თემურ-ლენგსაც კარგად ესმოდა და მზად იყო ზავი შეეკრა საქართველოს მეფესთან. გიორგის ელჩები კი არსად ჩანდნენ. დრო კი აღარ ითმენდა და ბოლოს და ბოლოს ისევ თემურ-ლენგი გახდა იძულებული ეძებნა საქართველოს მეფესთან დაზავების გზა. თემურ-ლენგი ცნობდა საქართველოს, როგორც ქრისტიანული სახელმწიფოს არსებობის ფაქტს. ეს იყო ქართველი ხალხის უდიდესი გამარჯვება ამ ჭეშმარიტად დიდი სამამულო ომის დროს მოპოვებული უზარმაზარი მატერიალური ზარალისა და აურაცხელი მსხვერპლის ფასად“[61].

როგორც ითქვა, ქვაბთახევის მონასტერში თემურ-ლენგის ჯარისკაცებმა ცოცხლად დაწვეს ქართველი ქრისტიანები, სამღვდელოება, ბერ-მონაზვნები. მათთვის წინასწარ მოუთხოვიათ ქრისტიანობის უარყოფა. უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ სასტიკი ხერხებით უტანჯიათ. შემდეგ ხელშეკრულნი დაუწვიათ წმიდა დიდ-მოწამენი. ამ დროს ისინი გალობდნენ. ქვაბთახევის მონასტრის კედლებსა და იატაკს დიდხანს აჩნდა დამწვარ წმინდანთა ანაბეჭდი. ანტონ კათალიკოსი ამ ეკლესიის საკურთხეველს „მსხვერპლთა ზეცად ამყვანს“ უწოდებს. ის წერს: „საკურთხეველი მსხვერპლთა ზეცად ამყვანი, დაწულთ ნაბეჭდნი, კედელ-იატაკ-ქვანი, ჩვენდა საქადულ, მუნ მსხვერპლი საღმრთო დაწვანი“. ხოლო ამ წმინდანთა „შესხმაში“, კერძოდ, წერს: „მოსრულთა თქმულსა მას მონასტერსა ზედა, ყოვლად უღმრთოთა და უმკაცროთა ბარბაროსთა დაეკვეთა მონასტერი სავსე შელტოლთაგან ფრიად მრავალთა, რომელთაგანნი იყვნეს გარშემო მახლობელთა მონასტერთაგანი მონაზონნი მრავალნი, მამანი და დედანი აზნაურთა-განი და მღვდელნი და დიაკონნი და თვით მონასტრისა მის ძმანი. ხოლო ერის კაცთა მათ სიმრავლე სოფელთაგან მახლობელთა იყო არა მცირე, ვითარმედ იტყვიან გლახაკთაცა სიმრავლისა ყოფასა შელტოლვილთასა მონასტერსა მას შინა“.

მტარვალმა ბარბაროსებმა მონასტერში შეკრებილთა ნაწილი, განსაკუთრებით კი მოხუცები და ბავშვები დახოცეს, რადგანაც მათი ტყვედ წაყვანა არ შეეძლოთ (გზაში დაიხოცებოდნენ), ხოლო დანარჩენი მოამზადეს ტყვედ წასაყვანად, მანამდე კი მოსთხოვეს ქრისტეს უარყოფა და მაჰმადიანობის მიღება: „აღამაღლნეს ყოვლად ბილწნი ხელნი მათნი და დასთხიეს სისხლი წმიდათა, ვითარცა წყალი შინაგან და გარემო სიწმიდისა ღვთისა და არავინ იყო მცველ მათდა. ოდეს მოიცალნეს ბარბაროსთა და უფროსდა დაშვრნენ კვლისაგან და იავარქმნისა და შეკვრასა ტყვეთასა, უქმნეს კიცხვაჲ წმიდათა ღირსთა კაცთა სამღვდელოთა, ქალწულთა და მოწესეთა. „ყოველთა, ანუ უარჰყავთ ქრისტე, ანუ შეკრულნი შეგვანნეთ შიგან ეკლესიისა თქვენისა და ვქმნათ მოხვნად შეშისა კმაჲ და დაგწვნეთ“. „ვერა რაიმე მანგან მაშორნეს სიყვარულსა მას ქრისტესსა, ჭირმან, ანუ იწროებამან, დევნამან, ანუ სიყმილმა, შიშლოებამან, ანუ ურვამან ანუ მახვილმან. ხოლო იწყეს მოზვინვად შეშათა მიყრად ბჭეთა და გარემო და შინაგან ეკლესიისა. „შეიყვარეს სრულებით ქრისტე და შიში იგი ვერ მიეახლა მათ, რამეთუ შიში არა არს სიყვარულსა თანა, რამეთუ სრულმან სიყვარულმან გარე განჰსდევნის შიში ... ხოლო იხილეს რა შინაგან წმიდისა ეკლესიისა თავნი თვისნი, ჰგალობდეს ნეტარნი იგი სულნი მათნი „შევიდე სახლსა შენსა, თაყვანის ვცე ტაძარსა წმიდასა შენსა, შიშითა შენითა უფალო, მიძღე მე სიმართლითა შენითა და მტერთა ჩემთათვის წარმართე შენ წინაშე გზაჲ ჩემი“[62].

თავი XIII

ქართული ეკლესია XV საუკუნეში

„ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელს საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას. ჩვენმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ მამული და ეროვნება, რკულთან ერთად შეერთებული, რკულთან შეხორცა-შეთვისებული, უძლეველი ხმალია და შეუღწელი ფარია მტრისა წინაშე“.

ილია ჭავჭავაძე

ქვეყნის ზოგადი მდგომარეობა XV საუკუნეში

1403 წელს თემურ-ლენგმა ზავი დადო საქართველოს მეფესთან. მტერი იძულებული გახდა, ქართული ქრისტიანული სახელმწიფოს არსებობა ეცნო. 1405 წელს თემურ-ლენგი გარდაიცვალა. მტრის ურდოების წასვლისთანავე მეფე გიორგი VII-მ ქვეყანა არათუ გაწმინდა მომხდურთა ნაშთებისაგან, არამედ სამხედრო მოქმედება ქვეყნის გარეთ გადაიტანა, ილაშქრა ნახიჩევანსა და განჯაში. ქართველთა ჯარმა თემურის მემკვიდრეთა ძალები აქ სასტიკად დაამარცხა. საქართველოს მეფეს დაურბევია მტერი ანისსა და არზრუმში, აგრეთვე სხვა ბევრ ქალაქსა და სოფელში, „მისულა თავრიზამდე, რითაც დიდად შეუძრწუნებია მუსულმანები“[1]. მტრის შეერთებული ლაშქარიც დაამარცხა. 1407 წელს გიორგი მეფე ბრძოლის ველზე დაიღუპა შავბატკნიან თურქმენებთან ომში. გამეფდა მისი ძმა კონსტანტინე, ისიც ბრძოლის ველზე დაიღუპა შირვანში. გამეფდა კონსტანტინეს ძე ალექსანდრე დიდი. მის სიცოცხლეშივე გამეფდა მისი ძე ვახტანგ III (1442-1446), შემდეგ გამეფდა მისი ძმა გიორგი VIII (1446-1466). ქვეყანაში დაიწყო გაუთავებელი შიდაფეოდალური ბრძოლები, საქართველოს პოლიტიკური დაშლა. გიორგი VIII-ს ფაქტობრივად აღარ ემორჩილებოდა მესხეთის, საბედიანოს (სამეგრელოაფხაზეთის), გურიის მთავრები. 1451 წელს მესხეთში გაათაბაგდა ყვარყვარე, რომელიც გეგმაზომიერად შეუდგა საქართველოსაგან მესხეთის ჩამოშორებას, რაშიც აიყოლია მესხეთის სამღვდელოებაც.

1453 წელს ოსმალებმა კონსტანტინეპოლი აიღეს, 1461 წელს - ტრაპიზონის საკეისრო. საქართველო მოექცა მუსულმანურ-თურქულ რკალში, მოწყდა ევროპას. 1459 წელს ქართველმა მეფე-მთავრებმა დააპირეს შეეკრათ სამხედრო კავშირი ოსმალთა წინააღმდეგ. იმ შემთხვევაში, თუ ევროპელი სახელმწიფოები ოსმალეთს ომს დაუწყებდნენ, საქართველოს მეფე მხარს დაუჭერდა, მისი მოკავშირეები და მთავრები 120 000 ჯარისკაცს გაიყვანდნენ ოსმალთა წინააღმდეგ. ევროპამ ოსმალთა წინააღმდეგ ომი არ ინება.

1459 წელს დადებული ზავი მეფე-მთავრებს შორის დაირღვა, დაიწყო სასტიკი შიდა ომი. 1462 წელს ყვარყვარემ უცხო მაჰმადიანი მტერიც კი მოიწვია (ირანის მბრძანებელი) მეფე გიორგის წინააღმდეგ და დაამარცხებინა. მალე გიორგი VIII-ს აუჯანყდა იმერეთის ერისთავი ბაგრატი, რომელმაც მეფე დაამარცხა ქ. ჩიხორთან, 1465 წელს ყვარყვარემ მოახერხა გიორგი VIII-ს დაპატიმრება. ამასობაში იმერეთის ერისთავი ქართლში გადავიდა და 1466 წელს თავისი თავი საქართველოს მეფედ გამოაცხადა. გიორგი VIII ყვარყვარესაგან განთავისუფლების შემდეგ კახეთში გადავიდა. წარმოიქმნა კახეთის სამეფო. ქვეყანა კიდევ უფრო იშლებოდა პოლიტიკურად, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველო. 1478 წელს ქართლ-იმერეთის ტახტზე ავიდა ალექსანდრე I-ის შვილიშვილი კონსტანტინე II, ხოლო ადრინდელი მეფის, ბაგრატის, შვილმა ალექსანდრე ბაგრატის ძემ კონსტანტინე II გამოაძევა იმერეთიდან და იმერეთის სამეფოს დაუდო საფუძველი 1489 წლიდან. მანამდე კი 1483 წელს მეფე დაამარცხა ყვარყვარემ ს. არადეთთან. ყოველივე ამ

შინაარეულობას – ახალი ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულების წარმოქმნას, განუწყვეტლივ თან სდევდა მაჰმადიანთა თავდასხმები.

ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტზე მჯდომ მეფე კონსტანტინეს, ცხადია, არაკანონიერად მიაჩნდა კახეთისა და იმერეთის სამეფოების, მესხეთისა და სხვა სამთავროების წარმოქმნა თავისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. მაგრამ ამ სახელმწიფოებრივი ერთეულების წარმოქმნა იყო ფაქტი. საქართველოს კანონიერ მთავრობას ორი გზა რჩებოდა: ან უნდა დაემარცხებინა აღნიშნულ სახელმწიფო ერთეულთა მეთაურები და ეს ახალი ადმინისტრაციული წარმონაქმნები მოესპო, ანდა იურიდიულად ეცნო უკვე არსებული ფაქტი ერთიანი სამეფოს დაშლისა. მართლაც, 1490 წელს მეფეს მოუწვევია დარბაზი კათალიკოზ-ეპისკოპოსთა და წარჩინებულთა მონაწილეობით. დარბაზს უმსჯელია და მიზანშეწონილად მიუჩნევია იურიდიულად ცნობა ფაქტობრივად უკვე არსებული კახეთისა და იმერეთის სამეფოებისა, სამცხე-საათაბაგოსი. მხარეები დაზავებულან და საზღვრებზეც შეთანხმებულან[2]. დაუძლურებულმა ქართველმა მეფეებმა ძლიერი მფარველი სახელმწიფოების ძებნა დაიწყეს თურქთა იერიშების მოსაგერიებლად. ქვეყანა ძალზე დაკნინდა.

მეფეთ მეფე მონაზონი ალექსანდრე დიდი

სწორედ ასე უწოდებს მეფე ალექსანდრეს მისი შვილი გიორგი მეფე: „ალექსანდრე მეფე თავის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ბერად შემდგარა და მონაზვნად აღკვეცილა. ეს მისი შვილის, გიორგი მეფის, 1499 წლის სიგელიდან ჩანს, სადაც იგი თავისთავს „დიდისა და მეფეთა შორის წარჩინებულისა და სანატრელისა ღვთივ გვირგვინოსანისა და ღვთივ-დიდებულისა, სულკურთხეულისა მეფეთა-მეფისა მონაზონისა ალექსანდრეს“-ძედ ასახელებს“[3].

ალექსანდრე მეფეს (1412-1442 წ.) ემორჩილებოდა სრულიად საქართველო, თუმცა კი თემურ-ლენგის შემდგომ საქართველოს მიწა-წყალი შემცირებული იყო. შეცვლილი იყო ეთნიკური გარემოც. საქართველოს მეზობლად ახლა უკვე თურქული ანდა გათურქებული მოსახლეობა ცხოვრობდა უმეტესად. გათურქდა საქართველოს აღმოსავლეთით მდებარე ალბანეთი. თვით საქართველოში შემავალი თემის გაჩიანხაჩენის (ყარაბაღის) შერეული – ალბანურ-ქართულ-სომხური მოსახლეობაც ცვლილებას განიცდიდა. ეს ძირითადად მოხდა თემურ-ლენგის დროსა და მის შემდეგ. მოსახლეობის გათურქებას ხელს ის უწყობდა, რომ ამ დროისათვის მონღოლთა გათურქების პროცესი მიმდინარეობდა, მონღოლები კი ქვეყნის მპყრობელები იყვნენ.

„თემურ-ლენგის ურდოების საქართველოში ხანგრძლივმა თარეშმა თვით მონღოლთა საბრძანებლის პოლიტიკური ასპარეზითგან სრულიადი დაშლის შემდგომაც ჩვენ ქვეყანას მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვა. ყოფილი ალბანეთის გათურქების პროცესი, მართალია, უკვე დიდი ხნის დაწყებული იყო, ჯერ დარუბანდის გზით ხაზართა შემოსევა – ჩათესლების გამო, შემდეგ კიდევ სამხრეთითგან სელჩუკიან თურქულ ტალღა-ტალღაზე მოწოლილი წამლეკავი ელების იქაურ საძოვრებზე დამკვიდრების წყალობით“[4].

ალბანეთში ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო თურქული ენა დამკვიდრებულ-განმტკიცებული, არამედ სპარსული. ალბანეთის დედაენა აქ X საუკუნიდან აღარ ისმოდა. სპარსული იყო სახელმწიფო, სამწერლობო და კულტურის ენა XIV საუკუნემდე. დამპყრობელ მონღოლთა შორისაც ეს ენა იკვლევდა გზას. „მაგრამ რაკი სამშობლოს გარეშე მყოფ მონღოლთა გათურქების უკვე XIII საუკუნის დამლევს დაწყებული პროცესი მეტად სწრაფად მიმდინარეობდა, მაჰმადიან მონღოლ თემურ-ლენგის ბატონობას მონღოლური ენის გავრცელება-გავლენისათვის არა შეუძენია რა, თურქული ელემენტები კი სტიქიურად გაძლიერდა. იგი საქართველოს მეზობლად აღმოსავლეთით მდებარე შაქის და შირვანშაჰების სამფლობელოში ძალზე საგრძნობი გახდა. ეროვნული განვითარების ასეთივე პროცესი, მძლავრი ნიაღვრის მსგავსად საქართველოს სამხრეთით მდებარე წინანდელი სომხეთის სამეფოებშიც მიმდინარეობდა, მაგრამ ქართულმა სახელმწიფოებრიობამ სომხეთის ასეთი ძალდატანებითი ეროვნულ-სარწმუნოებრივი შეცვლის პროცესი შეაჩერა და სომხობას თავის სამშობლოში მშვიდობიანად თავის მოყრისა და გაძლიერების საშუალება მისცა. თემურ-ლენგის ხანამ მდგომარეობა აქაც მეტად გააუარესა... ალბანეთის შემდეგ კი საქართველოს აღმოსავლეთის ერთი თემთაგანი, გაჩიან-ხაჩენი, რომლის გამგებლად საქართველოს მეფისაგან დანიშნული ხაჩინელები იყვნენ, მოსახლეობა კი შერეული ალბანურ-ქართულ-სომხური იყო, საქართველოს ხელიდან სწორედ თემურ-ლენგის ხანაში გამოეცალა“[5].

საქართველოს სამეფოს ფართობი ამის გამო აღმოსავლეთის მიმართულებით შემცირებული იყო. ასეთივე მდგომარეობა იყო სამხრეთ აღმოსავლეთის მიმართულებითაც. კერძოდ, ახლა არათუ ანისი აღარ შემოდიოდა საქართველოს სახელმწიფოში, არამედ ლორეც კი მიტაცებული ყოფილა მაჰმადიანთა მიერ.

საქართველოს ამ მხარეს მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა გამალებით თურქდებოდა: „...ადგილობრივი მოსახლეობის თურქულ-სპარსულ-მაჰმადიანური წამლეკავი გავლენა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ თანდათან ვრცელდებოდა და თავის სფეროდ სულ ახალ-ახალ ადგილებს ხდიდა“[6].

საქართველოს სახელმწიფო და, ცხადია, ქართული ეკლესია ვერ შეურიგდებოდა მკვიდრი მოსახლეობის გამაჰმადიანება-გათურქების პროცესს, განსაკუთრებით კი ლორეს სანახებისას, რომელიც ახლოს მდებარეობდა თბილისთან – საქართველოს ცენტრთან.

ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელს კათალიკოს-პატრიარქ თეოდორეს „აგარიანთაგან“, ანუ მაჰმადიანთა მიერ დაპყრობილი ლორეს ციხის წინააღმდეგ გალაშქრებაში ძალზე მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიუღია. ბრძოლის წინ კათალიკოსი ჩააგონებდა და სულიერად განამტკიცებდა ლაშქარს: „...პირველად ვედრებითა ღვთისათა და კვალად ლაშქართა მიმცნებითა ესრედ, ვითარმედ ამათ უსჯულოთა აგარის ნათესავთა ანდრონიკაშვილი ალასტანელი გიორგი მოუკლავს და მრავალი ქრისტიანენი წამებით აღუსრულებიან და დაუტყვევებიან და ტახტი მეფეთა განურყვნია და საპატიონი და ცამდის მაღალნი საყდარნი შეურაცხ უქმნიან, სახლ-სალოცავნი ქვაბ ავაზაკთა უქმნია და ჰუნეთა მათთათვის საყოფად განუჩენია.

აწ ბრძოლეთ ძლიერად, დაღათუ ვინმე ომსა შიგან აღსასრული მიიღოთ, ქრისტესათვის წამებულთა გვერდით მიითვალვით, და დაღათუ ვინმე დაკოდითა, ანუ დაშავებითა და რათაცა ტკივილითა იტანჯნეთ, ყოველსავე ქრისტე მისად ნებისყოფელად მიუთვალავს“[7].

„კათალიკოზ თეოდორეს მოქადაგეობას უმოქმედნია და მისი ჩაგონებითა და გამხნევებით აღფრთოვანებულს საქართველოს ჯარს ლორე მტრისათვის წაურთმევია და თვითონ დაუჭერია“[8].

ეს მოხდა 1431 წელს.

1434-35 წელს, ლორეს აღების შემდგომ, ალექსანდრე მეფეს სივნიეთის მხარე შემოუერთებია საქართველოსათვის, 60 000 ქრისტიანი სულით.

ალექსანდრე მეფემ სამხრეთის საზღვრების საკითხი მოაგვარა, ჩრდილოეთით კი დარიალის კარი საქართველოს ხელში იყო[9].

სამეფოს ძველებური ძლიერების აღდგენას ხელს დიდად უშლიდა ის, რომ მოსახლეობა საქართველოში, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთში, ძალზე შემცირებული იყო. ეს დიდ ეროვნულ უბედურებას წარმოადგენდა. ამიტომაც მეფეს დიდი შრომა სჭირდებოდა ამ დანაკლისის შესავსებად.

ქართველთა ეროვნულ კონსოლიდაციას უთუოდ უწყობდა ხელს ის, რომ მეფე დასავლეთ საქართველოდან მოსახლეობის ნაწილს აღმოსავლეთ საქართველოს შეთხელებულ მხარეებში ასახლებდა. ლორეს აღების შემდეგ ლორეს სანახებში „მამულები მიუღიათ საზოგადოების ყველა შეძლების წარმომადგენლებს: „ქართველთა დარბაზის ერთა ზემოთასა და, ანუ ქვემოთასა“[10].

„ზემოთა ქვეყანა“ სამეფოს ერთობის დროს ეწოდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო „ქვემო ქვეყანა“ – დასავლეთ საქართველოს. ამიტომაც, ლორეში მამულები როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს წარჩინებულებს მიუღიათ. აღსანიშნავია, რომ ამ მხარეში, ქვემო ქართლში, ჯერ კიდევ თამარ მეფის დროს და თამარამდეც, აქ მხარგრძელთა გაბატონებამდე, დასავლელი ქართველი დიდებულები ფლობდნენ მამულებს (ვარდან დადიანი, მისი სახლის შვილები და სხვანი). მხარგრძელების დროს აქ დასავლელ ქართველ მემამულეთა მფლობელობა, ალბათ, შეიკვეცა, მაგრამ „ქვემო“ დარბაისლებს მამულები აქ დარჩენიათ, ჩანს, ამას იხსენებდა ალექსანდრე მეფე ლორეს განთავისუფლების შემდეგ. „მოღწეული მასალების მიხედვით, საფიქრებელია, ქვემო ქართლის დასავლური კოლონიზაციაც, რაკი საქართველო იმ დროს გაერთიანებულია, დასაშვებია ვიფიქროთ, რომ მოსახლეობის დასავლეთიდან გადმოსვლას არა მხოლოდ სტიქიური, არამედ სახელმწიფოებრივ-ორგანიზაციული ხასიათიც ჰქონოდა“[11].

აღსანიშნავია, რომ, როგორც თამარის დროს ლორეს ქვემო ქართლის მხარგრძელთა მფლობელობაში გადასვლამ შეაფერხა აქ დასავლურ-ქართული კოლონიზაცია, ასევე მომხდარა ალექსანდრე დიდის დროსაც. ტრადიციულად ქვემო ქართლი ქართველი ორბელიანების სამფლობელო მამულს წარმოადგენდა საქართველოდან მათ გაძევებამდე. ჩანს, ასეთი ტრადიციის აღდგენა ისურვა ალექსანდრე დიდმა სივნიეთის შემოერთების შემდეგ. კერძოდ, მან სივნიეთის მფლობელ ბეშქენ ორბე-

ლიანს (უკვე გასომხებულს) ლორე უწყალობა. „ბეშქენ ორბელიანთან 1435-38 წლების განმავლობაში თურმე მრავალმა სომეხმა ლტოლვილმა მოიყარა თავი, რომელთაც ის პურით, ბინით და სამოსლითაც ძალიან ეხმარებოდა. ამის გამო ამ კუთხეს მაჰმადიანთა მიერ დაპყრობილი სომხეთიდან იმდენი სომეხი მოაწყდა, რომ მეფე ალექსანდრეს და მთავრობას ამდენი სომხობის აქ შეკრება და დამკვიდრება საქართველოსათვის საზიანოდ და სახიფათოდ მიუჩნევიათ, და როგორც ეტყობა, ამ მოვლენისათვის წინააღმდეგობა გაუწევიათ კიდეც“[12]. ჩანს, ამის გამო სომეხთა შორის ალექსანდრე მეფის მიმართ ცილისწამება გავრცელებულა და მისთვის ბეშქენ ორბელიანის მოწამვლაც კი დაუბრალებიათ. ეს მაშინ, როცა საუკუნეთა მანძილზე ქართულმა სახელმწიფოებრიობამ დიდად იღვაწა სომხეთში სომეხი ხალხის გადასარჩენად და ამიტომაც „სომეხნი ურჯულოებთან ყოველთვის ქართველებით იწონებდნენ თავს“[13].

დასავლურ-ქართული მოსახლეობა არა მარტო ქვემო ქართლში, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიც ჩაუსახლებიათ. „კახეთის კოლონიზაცია ამ დროს დასავლეთ საქართველოდანაც უნდა მომხდარიყო. ამას ტოპონომიკური მასალა გვიმოწმებს“[14]. მაგ. ისტორიკოს ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზე ერწოს სანახებში (მდ. არაგვის მარცხენა ნაპირას) აღნიშნულია სოფელი „ოდიშელისძენი“. ამ სოფლის დასავლური წარმოშობა (ოდიშ-ელი-ძე) უეჭველია. მცხეთის მამულების 1569 და 1579 წლების სიებში ეს გვარი აქ მოსახლედ ჩანს. შეიძლება სხვა მაგალითების მოტანაც. გვიანდელი კახეთის წარმოქმნაში ვარაუდობენ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მონაწილეობასაც[15].

ბარის მოსახლეობის შევსებას ცდილობდნენ მთებიდან გლეხების ჩამოსახლებით. მაჰმადიანური ქვეყნებიდან აბრუნებდნენ ტყვეებს. ასევე საქართველოში შემოდიოდნენ მაჰმადიანური ქვეყნებიდან ლტოლვილი სომხები, რომელნიც აქ სიმშვიდეს, მიწა-წყალს პოულობდნენ[16].

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის (საქართველოსათვის ძველი ტერიტორიების დაბრუნება, საზღვრების აღდგენა, თურქების ქვეყნიდან გაძევება, მოსახლეობის გამრავლებისათვის ზრუნვა, ქართული ეთნოსის თანაბრად განსახლება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე) მიუხედავად, მეფე ალექსანდრეს „დიდი“ უთუოდ ეწოდა იმ გასაოცარი სააღმშენებლო სამუშაოების გამო, რომელიც მან გაწია მტერთაგან დანგრეული ტაძარ-ეკლესია-მონასტრების აღსადგენად.

მეფე ალექსანდრე დიდს უზრუნია საქართველოს განახლებისა და აღორძინებისათვის, შეუდგენია ფართო გეგმა და მიზანშეწონილი საშუალებებით დიდი მუშაობა უწარმოებია. ჯერ გამეფებისთანავე 1412 წლიდან გაუგრძელებია თავისი სულკურთხეული ბებია რუსას დაწყებული სამუშაო სვეტიცხოვლის დიდებული ტაძრის აღსადგენად და დაახლოებით 1431 წელს დაუმთავრებია. „მცხეთის საკათალიკოზო ტაძრის განახლებისათვის ცხრამეტი წელი მუშაობა მოუნდომებია“[17].

სვეტიცხოვლის აღდგენასთან ერთად „ალექსანდრე მეფე მთელ საქართველოს განადგურებული ციხეებისა და ეკლესია-მონასტრების აღდგენას შეუდგა. თემურლენგის შემოსევამ ისე გააოხრა ქვეყანა, იმდენად დიდი იყო საქართველოსათვის

მოყენებული ზიანი, რომ კერძო, ნაწილობრივ და თანდათანობით შეკეთებითა და განახლებით ჩვენი სამშობლოს მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელი იყო. მხოლოდ მთელი სახელმწიფოს და ერის შეერთებული, თანხმობრივი, მიზანშეწონილი და ხანგრძლივი მოქმედებითა და დიდი ქონებრივი სახსრის გამოღებით შეიძლებოდა მონღოლთა ბარბაროსული შემოსევებისაგან განადგურებული ქვეყნის აღდგენა"[18].

სწორედ ამ მიზნით მან „შემოიკრიბნა კათალიკოზ-ეპისკოპოზნი და ყოველნი დიდებულნი და წარჩინებულნი, ერისთავთ-ერისთავნი, ერისთავნი და განიზრახა მათ თანა აღშენებისათვის კათოლიკე ეკლესიისა მცხეთისა და რომელთამე მოოხრებულთა ეკლესიებთა ... ხოლო მთავართა ესმათ რა ბრძანება ესე მეფისა, განიხარეს ყოველთა და შეჰკვეთეს ყოველთა საბრძანებელთა თვისთა, თვინიერ სამეფოსა გამოსაღებისა ყოველსა გლეხსა ერთსა კვამლსა ზედა სამი კირმანაული, რომელი არს ექვსი შაური აწინდელი, და მოჰკრებდიან ამას წლითიწლად და ამით იწყო შენებანი მცხეთისა, რუისს ღვთაებისა ეკლესიისა და სხვათა ეკლესიათა. გარნა მოცაცა მას მშვიდობა ღვთისაგან ათხუთმეტსა წელსა და შეასრულნა განზრახვანი თვისნი", – წერს ვახუშტი[19].

თანახმად ივანე ჯავახიშვილისა, მეფეს საქართველოს ეკლესიათა ერთობლივი განახლების სამუშაოები 1425 წელს დაუწყია და 1440 წლისათვის დაუსრულებია[20].

„ქართველი ხალხი აღტაცებული იყო იმითაც, რომ მან ასეთი დიდი საქმე, განადგურებული ქვეყნის აღდგენა განიზრახა და მოახერხა კიდეც, და იმითაც, რომ ყოველივე თავისი დაპირება ალექსანდრე მეფემ პირნათლად აასრულა"[21].

თავის სიგელებს, რომელნიც შეიძლება ერთგვარ ანგარიშის წარდგინებადაც მივიჩნიოთ ღვთისა და ქართული ეკლესიის მეთაურისადმი (მაგ. 1438 წლის სიგელი), ასე იწყებს: „ქ.სახელითა ღვთისათა ჩვენ პატრონმან მეფემან ალექსანდრე ესე უკუნისადმი გასათავებელი წიგნი და ნიშანი გკადრეთ და მოგახსენეთ თქვენ ... დედა-ქალაქს მცხეთისა საყდარსა და ქართლისა პატრიარქსა-კათალიკოზსა შიოს..."[22], საქართველოს მეფე ხშირად მოიხსენებს მთელი ამ აღმშენებლობითი მუშაობის პროცესებს: 1440 წლის სიგელში მოახსენებს მცხეთას: „...რა მეფედ დავჯედ, იყო მაშინ ყოველი საქართველო უსჯულოსა თემურისაგან აოხრებულ და ქართლი უნუგეშინისცემოდ განსრული დაგვიხვდა ...და მრავალი სული მოესრა და თავად დედაქალაქი მცხეთა და რაოდენნი საქართველოსა საყდარნი და ეკლესიანი და ციხენი იყვნეს ყოველნი დაექცივნეს, საფუძვლითურთ დაექცინეს... და შენ მიერითა შეწევნითა და წინამძღვარებითა ჯვარისა პატიოსანისათა ვიწყე ბრძოლად უსჯულოთა და განვასხენ მზღვართაგან ჩვენთა და ქრისტიანენთ ფრიადს მშვიდობასა და მყუდროებასა მიეცნეს და ვითარ ჩვენთაგან სათანადო იყო, ეგრეთ ვინმე და ვიგულისმოდგინე ყოველთავე საქართველოსა ციხეთა და საყდართა აღშენებად ... რაოდენი საქართველოსა ციხენი, საყდარნი და მონასტერნი არიან, ყოველნივე სრულიად ახლად აღვაშენენ და შევამკენ ..."[23].

მეფე ალექსანდრემ განამტკიცა მცხეთის, ანუ საქართველოს საპატრიარქოს ეკონომიკური საფუძვლები, შესწირა მას მამულები და სხვა ქონება.

„ალექსანდრე მეფის აღმშენებლობითი მოღვაწეობა მარტო სამშობლო ქვეყნის მიწა-წყალს არ შეეხებია, არამედ მისი მადლიანი ხელი და კეთილდღეობისათვის

მზრუნველი გული უცხოეთში გაფანტულ ქართულ დაწესებულებებსაც მისწვდომია. საბერძნეთსა და პალესტინაში მყოფ ქართველთა მონასტრებსა და დაწესებულებებსაც კვლავ მზრუნველი და გულშემატკივარი მფარველი გაუჩნდა“[24].

„ალექსანდრე მეფეს საბერძნეთში ათონის ქართულ მონასტერში განუახლებია „სასნეულო და ამის გოდოლნი და სენაკნი“. ჩანს, საქართველოში შეკრებილი თანხა საზღვარგარეთის შევიწროებულ ქართულ მონასტრებსაც მოახმარეს“[25].

„სათანადოდ აღუდგენიათ და შემდეგ მცხეთისათვის გადაუციათ (1424 წ.) „ჟამთა ვითარებითა აგარიანთა ხელისაგან მოშლილი“ გარეჯის უდაბნოები“[25].

მცხეთის საპატრიარქო მრავალ მამულსა და ქონებას ფლობდა სრულიად საქართველოში. აღვნიშნოთ ზოგიერთი მათგანი: „ტფილისის ეკლესია, სასახლე, ვაჭარნი, მამულნი, ბაზარნი, ქულბაქნი, ბაჟნი თვისთა შემოსავლითა, ავლაბრის მონასტერი – მეტეხის ყოვლად წმიდისა – მისის მამულითა, ავლაბრითა, ავლაბრის ჭალითა, მტკვრის პირას სოფელი და კონი და ახალ-უბანი, ქალაქს ვაჭრებითა, კრწანისი, სოფელი შინდისი, სოფელი წავკისის ... სომხითის ფარვანის-თავი, ფარვანი, სოფელი ფოკა. ტაშირს სოფელი საბა-წმინდა, კეთილ დაბა, მარმაშენის თავს სოფელი წყარო-მრავალი; და წინაუბნის სოფელი. ფუძე-მარგი, სოფელი ველთა, სოფელი მთავარ-ანგელოზისა, ლორეს სოფელი ამუჭი ეკლესიითა და მამულითა, სოფელი დასარღი, ახტალას კუამლი სომეხი ათი მათითა მამულითა, კუალად ახტალის ხევზედ სოფელი ვარდის უბანი ...“[26] და სხვა მრავალი სრულიად (ძირითადად აღმოსავლეთ) საქართველოში, მათ შორის ტაოშიც.

მაშინდელ მსოფლიოში საქართველოს იცნობდნენ, როგორც დიდ ქრისტიანულ ქვეყანას.

„...ირკვევა, რომ XV საუკუნეში ქართველებს კიდევ იმდენი გავლენა ჰქონიათ იერუსალიმსა და ეგვიპტეში, რომ როდესაც სომეხთა ეპისკოპოსს მარტიროსს უნდოდა ქართველ მონაზონთაგან გოლგოთა დაებრუნებინა, იმისდა მიუხედავად, რომ მისივე სიტყვით, ამ საქმისათვის ეგვიპტეშიც კი გამგზავრებულა რამდენჯერმე, ეგვიპტელ მოხელეებისათვის მირთმეულ საჩუქრებშიც დიდძალი ფული დაუხარჯავს, მაინც ვერა გაურიგებია რა. ეგვიპტის სულთანის კარზე მას ბოლოს თურმე გულახდილად ურჩიეს გოლგოთას საბოლოოდ გამოთხოვებოდა და ქართველებთან შეცილებისათვის თავი დაენებებინა, იმიტომ, რომ ქართველ ბერებს ზურგს მათი მეფე უმაგრებს, რომელიც ძღვენის გარდა ჩვენ შეგვპირდა, რომ თავის სამეფოში მუსულმანებს არ შეავიწროებსო“.

იმდროინდელი მოგზაური ბართლომე დე სალინიაგო მოგვითხრობს: იერუსალიმში სალოცავად შესვლის დროს ქართველები საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ ცხენებსა და აქლემებზე სხედან და გაშლილ-აფრიალებული ეროვნული დროშებით თავისუფლად შემოდიან ქალაქში და სხვებივით სულთანს ამისათვის დაწესებულ გადასახადს არ აძლევენო. სალინიაგო ამასთანავე უმატებს, რომ „ეგვიპტისა და ოსმალეთის სულთანებს ქართველებისა ეშინიათო“[27].

ცნობილია, რომ სწორედ ამ საუკუნეში შედგა მსოფლიო საეკლესიო კრება ფერარა-ფლორენციისა. ეს კრება მსოფლიო საეკლესიო გაერთიანებას (ერთიანო-

ბის აღდგენას) ისახავდა მიზნად. ამ კრებაზე, როგორც წესი, დაცული იქნა დიპტიხი. სხდომის დარბაზში ერთ მხარეს თანმიმდევრობით დასხეს ჯერ საპატრიარქო ღირსების მქონე მართლმადიდებელ ეკლესიათა წარმომადგენლები, მათ შემდეგ კი მათზე დაბალი რანგით მდგომი სხვა მართლმადიდებლური ეკლესიები[28]. საპატრიარქო ეკლესიების რიგში კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის პატრიარქების წარმომადგენლების შემდეგ დასვეს საქართველოს საპატრიარქო ეკლესიის (საბუთებშია „საქართველოს მეფის“) წარმომადგენლებიც. ეს ყოფილა მიტროპოლიტი სოფრონი, როგორც ეს ვახუშტის შრომის შესაბამისი ადგილის შენიშვნიდან ჩანს: „სწერენ ხრონოლოგებისა შინა, რამეთუ ფლორენციის კრებასა ზედა იყო ერთი მიტროპოლიტი სოფრონ და ეპისკოპოზი ერთი, წელსა ქრისტესა 1433, ქართველნი, რომელნი იქნების ალექსანდრეს მეფობის წელი 19“[29].

სწორედ საპატრიარქო ღირსების მქონედ რომ მიაჩნდათ ქართული ეკლესია, ეს ჩანს იმ წლების სიგელებიდანაც. მაგალითად, მეფე ალექსანდრე ხაზგასმით უწოდებს თავის დროის კათალიკოსებს „პატრიარქებს“, ხოლო მცხეთას – „საპატრიარქო“ საყდარს. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმის შესახებ, რომ დიპტიხში საქართველოს ეკლესიის ადგილის განსაზღვრასა და მსოფლიოს სხვა ეკლესიათა შორის საქართველოს ეკლესიის „საპატრიარქო“ ღირსების აღიარებას იმ დროს ჩვენში მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

მაგალითად: 1420 წლის მცხეთის სიგელში ნათქვამია: „ამავე ჟამსა დადგინდა პატრიარქად კათალიკოზი მიქაელ“[30].

1424 წლის სიგელშია: „ღვთისა საყდრისა დედაქალაქისა მცხეთისა პატრიარქად განმზადებულმან მონაზონმან დავით...“[31]. 1428 წლის სიგელში მცხეთას - „საპატრიარქო საყდარი“ ეწოდება („საყდარი“ უდრის ევროპულ „კათედრას“, რუსულ „პრესტოლს“). „...გვემსახურა ჩვენსა საპატრიარქოსა საყდარსა დედა-ქალაქის მცხეთისათვის...“[32].

ეს საბუთები სწორედ ფერერა-ფლორენციის კრების სამზადისის პერიოდშია გამოცემული. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ ქართული ეკლესიის საერთაშორისო ღირსების გრძნობა ამ დროისათვის ისევე მაღალია, როგორც XI-XII საუკუნეებში.

ალექსანდრე დიდი ძალზე ზრუნავდა საეკლესიო ერთობის დაცვისათვის. საეკლესიო სეპარატიზმს უკვე მის დროს უჩენია თავი, კერძოდ, სამხრეთ საქართველოში (მესხეთში), რაც უთუოდ მესხეთის მთავრების გავლენით, ანდა იძულებით ხდებოდა. საბედნიეროდ, თავისი მეფობის დაწყებისთანავე ალექსანდრე მეფემ შეძლო „გაეწვრთნა“ და გაეერთგულებინა ორგული მთავარი მესხეთისა, რასაც, ჩანს, საეკლესიო სეპარატიზმის აღმოფხვრაც მოჰყოლია. ამის გამო მაწყვერელი მთავარეპისკოპოსი წერს კათალიკოს გერასიმეს: „...როგორც ამას წინათ მეფეთა მლოცავნი და თქვენნი მომხსენებელნი და ერთგულნი ყოფილან, ამავე წესითა მეფეთა მლოცავნი ვიყვნეთ და თქვენნი მომხსენებელნი ვიყვნეთ: არც პატრიარქი მოვიხსენოთ ანტიოქიისა, არც მისგან გამოგზავნილი კაცი შევიწყნაროთ“[33].

ალექსანდრეს დროს ქვეყანაში ერთიანობა და მშვიდობა იყო, ხოლო საქართველოს გავლენა მის მეზობლებზე ძველებურადვე აღდგა. თანახმად ვახუშტისა,

1437 წელს ყარაბაღში ჩასულ მეფეს მორჩილებით მიეახლნენ განძელნი, შირვანელნი და დარუბანდელნი, „...განუჩინა მათ ხარკი და დაიმორჩილნა ყოვლითვე“[34].

1440 წელს, აღდგომა დღეს, მოულოდნელად, საქართველოს შავბატკნიან თურქმენთა მეთაური, თავრიზის მფლობელი ჯეჰან-შაჰი დასხმია თავს. ასეთ დროს თავდასხმას არავინ ელოდა, ამიტომაც ბევრი ქართველი დაუტყვევებიათ. თავისი გამარჯვების სახსოვრად 1664 მოჭრილი თავისაგან მინარეთი აუგია ქ. სამშვილდეში. თბილისი აუღია და ეკლესიები დაუნგრევია. „ქრისტიანებს დიდი ხარაჯა დაადეს, რათა აეძულებინათ გამაჰმადიანებულიყვნენო“[35].

ალექსანდრე მეფეს თავისი სიყვარული ქრისტეს მიმართ იმითაც გამოუმჟღავნებია, რომ თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მეფობაზე უარი უთქვამს, ბერად შემდგარა და მონაზვნად აღკვეცილა. „...მეფემან ალექსანდრემ სახე მონაზონებისა შეიმოსა და უწოდეს სახელად ათანასე და აღაშენა თვისად სენაკი და სახლნი დიდნი ქვიტკირისანი მცხეთას, მისგან აღშენებულს მთავარ ანგელოზის ეკვდერთან და მუნ დადგა ვიდრემდის ცხოვრობდა სასოებითა და მოღვაწეებით“[36].

საუკუნო იყავნ ხსენება მისი!

ქართული ეკლესიის თავდადებული ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობისათვის

ქართველი ერის ისტორიას ვერ გავიაზრებთ ქართული ეკლესიის მონაწილეობის გარეშე და, პირიქით, ისტორია ქართული ეკლესიისა არის ისტორია ქართველი ქრისტიანი ერისა.

მართალია, ქართველ ხალხს ეროვნული ერთიანობის შეგნება უკვე გააჩნია ქრისტეშობამდე დიდი ხნით ადრე და ფარნავაზ მეფის მიერ საფუძველჩაყრილ დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მომცველ ერთიან სახელმწიფოში უხდებოდათ მოღვაწეობა ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მოციქულებს, მაგრამ, იმის შემდეგ, რაც ქრისტიანული სარწმუნოება მიიღო და გაითავისა ყოველმა ქართველმა, ერის ისტორია ქართული ეკლესიის ისტორიის გარეშე წარმოუდგენელია.

საზოგადოდ ქრისტიანული ეკლესია და ქართველი ხალხი ურთიერთშეთვისებულ, ურთიერთშერწყმულ მთლიანობად იქცა.

ვითარცა სული და სხეული შეადგენენ ერთ მთელს და სხეულის ნაწილთა შორის გაფენილი სული იღვწის მისთვის, ასევე ქართული ეკლესია იღვწის ერისათვის. სწორედ ამიტომ ქართულ ეკლესიას არ შეეძლო დაეშვა დაყოფა, დაშლა საქართველოს სახელმწიფოსი, როგორც ერთიანი სხეულისა.

რა მოჰყვებოდა ქართველი ერისათვის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის, მისი სულის დაყოფას? საეკლესიო დაყოფას არა მარტო სარწმუნოების დაცემა, არამედ გამოყოფილ ნაწილში ეროვნული გადაგვარებაც უნდა მოჰყოლოდა თან. „სცადე და მოსწყვიტე მზის სხივი თავის საწყისს. ცალკე ის ვერ იარსებებს, მოტეხილი ტოტი მოკვდება, სათავეს მოშორებული ნაკადული მყისვე დაშრება“, – წერს წმიდა ეპისკოპოსი კვიპრიანე კართაგენელი და თითქოს წინასწარ ჭვრეტს ბედს

საქართველოს დედაეკლესიისაგან მოწყვეტილი მესხეთის ეკლესიისა და მესხეთის ქართველობისა. სამშობლოსაგან გამოყოფილ მესხეთში ქრისტიანობა ჩაკვდა.

სარწმუნოების დაცვის სახელით ჯერ ყვარყვარე ათაბაგი და შემდეგ კი მზეჭაბუკ ათაბაგი ყოფდნენ დედაეკლესიისაგან მესხეთის ეკლესიას, მაგრამ „განა შეუძლია მას, ვინც არ იცავს ეკლესიის ერთიანობას, ჩათვალოს, რომ სარწმუნოებას იცავს?... ეს მაშინ, როცა პავლე მოციქული ეკლესიის შესახებ ამბობს: „ერთ ხორც და ერთ სულ... ერთ არს უფალი, ერთ სარწმუნოება, ერთ ნათლისღება, ერთ არს ღმერთი“ (ეფეს, 4,4-6). მტკიცედ უნდა დავიცვათ და შევინახოთ ეს ერთიანობა. ნურავის ტყუილს ნუ აჰყვება ჩვენი ძმობა, ნურავინ დაემუქრება სარწმუნოების ჭეშმარიტებას მუხანათური მზაკვრობით! ერთია ეკლესია... ერთია საწყისი, ერთია დედა, ნაყოფიერებით განმდიდრებული, ჩვენ მისგან ვიშვებით, მისი რძით ვიკვებებით, მისივე სულით განვსულიერდებით... ყოველი, ვინც განეშორება ეკლესიას, მემრუშე ცოლს ემგვანება და უცხო ექნება ეკლესიის აღთქმას, ვინც განუდგება ეკლესიას, ის აკლდება ქრისტეს მიერ დაპირებულ ჯილდოს, იგია უცხო, უხმარი, მტერი ეკლესიისა“, – წერს წმიდა მღვდელმოწამე კვიპრიანე კართაგენელი ეპისკოპოსი.

ცნობილია, რომ ერთიანი ქართული ეკლესია ორგანიზებულ იქნა ქართული სახელმწიფოს ხელშეწყობითა და წმიდა ნინოს ლოცვით IV საუკუნის დასაწყისში. თუმცა კი, ქრისტიანობა I საუკუნიდანვე იქადაგებოდა საქართველოში. ჩვენი ქართული და არაქართული წყაროებიც დაბეჯითებით მიუთითებენ, რომ ქრისტიანობა ჩვენში I-III საუკუნეებში განუწყვეტლივ იქადაგებოდა. ამ ცნობებს ამ ბოლო დროს ადასტურებს ახალი არქეოლოგიური მონაცემებიც. ქრისტიანული წესით უკვე II-III საუკუნეებში იმარხებოდა მოსახლეობის ნაწილი, აღმოჩნდა IV საუკუნემდელი საეკლესიო შენობაც (ნასტაკისში). ქრისტიანობა დიდ გავლენას ახდენდა ქართველთა ზნეობაზე ჯერ კიდევ წმიდა ნინომდე. ამის შესახებ წერს „ქართლის ცხოვრება“ მეფე რევ მართლის ცხოვრების აღწერისას. უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების მხრივ ისეთივე მდგომარეობა იყო, როგორც რომის იმპერიაში, კესარიაში, კაბადოკიაში, სომხეთსა თუ ასირიაში, სადაც ქრისტიანობის მარცვალი დათესეს თვით მოციქულებმა. ათასწლეულთა მანძილზე საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის ტახტს სამოციქულოს უწოდებდნენ, ჩანს, ეკლესიაში დაცული წმიდა გადმოცემის თანახმად, თვით ანდრია პირველწოდებულმა და სხვა მოციქულებმა დააფუძნეს ეს ტახტი თავიანთი მოღვაწეობით. წმიდა მოციქულმა ანდრიამ საქართველოს ორივე მნიშვნელოვან მხარეში იქადაგა, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. თანახმად „ქართლის ცხოვრებისა“, წმიდა ანდრიამ თავისი მოგზაურობისას ქრისტიანობა იქადაგა აგრეთვე აჭარაში, სამცხეში, ტაოში. აწყურიდან ის უთუოდ შიდა ქართლის გზით გადავიდა დასავლეთ საქართველოში (გაჰყვა არსებულ სავაჭრო გზას) და იღვაწა იქ. მანვე დააარსა საქართველოში პირველი საეპისკოპოსო აწყურში[37]. მოციქულებრივი მადლი განამტკიცა წმიდა ნინომ, რომელმაც სამეფო კარის გაქრისტიანების შემდეგ შეძლო ერთიანი, მთელი საქართველოს მომცველი ეკლესიის ორგანიზება. წმიდა ნინომ თავიდანვე მიაპყრო თავისი ღვთაებრივი ყურადღება უფლის კვართს, რომელიც I საუკუნიდანვე მცხეთაში იყო დაცული. სწორედ აქ, უფლის კვართზე დაეფუძნა

სამოციქულო საყდარი ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობლისა. უფლის კვართი ნიშანი იყო საქართველოს ეკლესიის ერთიანობისა, მუდმივი სიქადული, შემაერთებელ-შემაკავშირებელი ძალა ქართველი ქრისტიანობისა – იტყვის უფალი: „მე და მამაჲ ჩემი ერთ ვართ“ (იოანე, 10, 30). სხვა ადგილას მამისა, ძისა და სული წმიდის შესახებ წერია: „ესე სამნი ერთ არიან“ (I იოანე, 5,7) ...ეს საიდუმლო ერთიანობისა, ეს განუყოფელი თანხმობა ასახულია სახარებისეულ ამბავში ქრისტეს კვართის შესახებ. კვართი არ გაუყვიათ და არ დაუნაწილებიათ, არამედ წილად ხვდა ერთ კაცს და განუყოფელი, დაუნაწევრებელი დარჩა. ამასთან დაკავშირებით საღმრთო წერილი ამბობს: „ხოლო კვართი იგი, რომელ იყო უკერველ, ზეით გამოქსოვილ ყოვლად, თქვეს უკვე ურთიერთს: არა განვხიოთ ესე, არამედ წილ-ვიგდოთ ამას ზედა, ვისიცა იყოს“ (იოანე, 19,23-24). ამ კვართს მამისაგან ჰქონდა მაღლით მიცემული ერთიანობა და ამიტომ არ შეიძლებოდა დაენაწევრებინათ იმათ, ვისაც ის ერგო, არამედ ერთხელ და სამუდამოდ დარჩა მთლიანი და განუყოფელი. ამიტომ შეუძლებელია ქრისტეს სამოსი ჰქონდეს იმას, ვინც ქრისტეს ეკლესიას არღვევს. თავისი კვართის საიდუმლოთი უფალმა ეკლესიის ერთიანობაზე მიგვანიშნა. ვინაა უსჯულო და ორგული, ვინ შეუპყრია ისე ძალუმად განხეთქილების ჩამოგდების ვნებას, რომ შესაძლებლად მიაჩნია, ანდა აქვს კადნიერება, დაარღვიოს ღვთაებრივი ერთიანობა, უფლის კვართის ეკლესია ქრისტესი? თვით უფალი შეგვახსენებს და გვმოძღვრავს თავისი სახარებით: „და იყვნენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“[38] (იოანე 10, 10).

საქართველოს ეკლესიის სამოციქულო საყდრის სულიერად და ფიზიკურად დაფუძნება უფლის კვართზე მიანიშნებდა იმას, რომ ქართული ეკლესია მთლიანი, ერთიანი და დაუყოფელი უნდა ყოფილიყო, ვითარცა კვართი უფლისა, მისგანვე ძალამიცემულიცა და გაძლიერებულიც.

სწორედ ამიტომ შეძლო ქართულმა ეკლესიამ თავისი ერთიანობის დაცვა მაშინაც კი, როცა VI საუკუნეში გაუქმდა ქართული სახელმწიფოებრიობა. ერეკლე კეისარმა დასავლეთ საქართველოს მიწა-წყლის მიტაცების შემდეგ (VII ს.) ქართულ ეკლესიას ჩამოაცილა თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ტერიტორია, ხელსაყრელი მომენტის დადგომისთანავე დასავლეთ საქართველოს ამ ტერიტორიაზე ქართულმა ეკლესიამ აღადგინა თავისი იურისდიქცია. აქ VIII საუკუნეში დაარსებული აფხაზეთის საკათალიკოსო ერთიანი უფლის კვართის სამოციქულო საყდრის ნაწილს წარმოადგენდა. ამის შემდეგ ქართულმა ეკლესიამ დიდად იღვაწა საქართველოს გაერთიანებისათვის და ერთიანი საქართველოს მეფეებსაც XI-XV საუკუნეებში უმსუბუქებდა ქვეყნის მმართველობის სიმძიმეს.

სწორედ ამიტომ ეკლესიას არ შეეძლო, დაეშვა XV საუკუნის მიწურულს სახელმწიფოს დაშლა. ამის გამო ქართული დედა-ეკლესიისადმი მწყრალად განეწყვნენ სეპარატისტი-გამთიშველები. მათ ეკლესიის გათიშვაც ინებეს, რითაც დაღუპეს თავისი ხალხი.

ცნობილია, რომ XV საუკუნის ბოლოს ქართველ მეფე-მთავრებს შორის ატყდა შინაური ბრძოლა და ომი. მესხეთის მთავარი განსაკუთრებულ სეპარატიზმს

იჩენდა. „ირკვევა მხოლოდ, რომ ყვარყვარე ათაბაგი იმდენად დაბრმავებული ყოფილა ამ მტრობით და განკერძოებისათვის ბრძოლით, რომ უთანხმოება საეკლესიო სფეროშიც გადაუტანია, როგორც მესხეთის შინაურ მართვა-გამგეობაში დაუკითხავად მოქმედებდა, იმგვარადვე სურდა საეკლესიო წესწყობილებასა და ცხოვრებაშიც. მესხეთის საკათალიკოსო საყდრისაგან ჩამოშორება და სრული დამოუკიდებლობის მოპოვება სურდა. საქართველოს კათალიკოზები სამართლიანად შიშის თვალით შეჰყურებდნენ მესხეთის მთავრისა და ეპისკოპოსების განკერძოების პოლიტიკას და ამაში ქართული დედაეკლესიისა და საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის ორგულობას ხედავდნენ. საეკლესიო იერარქიის მხრივაც მესხეთის ათაბაგებს თავიანთი საბრძანებლის მცხეთის საკათალიკოზო საყდრისაგან ჩამოშორება სურდათ. ამის მიღწევა მათ, რასაკვირველია, მხოლოდ საქართველოს საეკლესიო ერთობის მოსპობითა და თავისთვის დამოუკიდებლობის მოპოვებით შეეძლოთ. ამ მიზნის განმახორციელებელ საუკეთესო საშუალებად ყვარყვარე ათაბაგს, როგორც ჩანს, მაწყვერელი ეპისკოპოსის ამაღლება და მისი მესხეთის საეპისკოპოსო საყდრების უფროსად ქცევა მიუჩნევია, ის, რაც მისმა მემკვიდრე ათაბაგებმა და განსაკუთრებით მზეჭაბუკ ათაბაგმა ცოტა ხნის შემდგომ განახორციელეს კიდეც... მათ სურდათ, რომ კათალიკოზის მაგივრობა თვით მაწყვერელს გაეწია და მაწყვერელს ეკურთხებინა. ყვარყვარე ათაბაგს საეპისკოპოსო პირების არჩევის უფლება უკანონოდ მიუტაცნია და თვით ჩაუგდია ხელში. ამას, რასაკვირველია, იმ მოსაზრებით სჩადიოდა, რომ საშუალება ჰქონოდა თავისი პოლიტიკის მომხრე და მის ბრძანებათა ყურმოჭრილი ყმები აერჩია ეპისკოპოსებად. ასეთ უკანონო და დამღუპველ პოლიტიკას საქართველოს ეკლესიის მთლიანობის და ერთობის გაპიროვნებული გამოხატულების მატარებელი, „ქართლის კათალიკოზი და ყოვლისა საქართველოსა პატრიარქი“, სასტიკად ებრძოდა და ყოველს მესხეთით მცხეთაში საკურთხებლად მოსულს სამღვდელო პირს შემდეგს პირობის წიგნსა და ფიცს ადებინებდა: „თუ ყვარყვარემ, მაწყვერელმა ან სხვა რაიმე ხელი გვაძლიოს და დაგვპატიჯოს კურთხევისა მიზეზითა, სადამდის თქვენსა საყდარსა არ დაემორჩილნენ... ხელი არა გამოვართვა“-ო, თუ „მაწყვერელობა, ანუ სხვა ხელი რაიმე გვაძლიოს, არა გამოვართვათ ყვარყვარეს თქვენდა დაუმოწმებლადო“. ამ უკანასკნელი სიტყვებიდან ცხადად ჩანს, რომ მესხეთში საეკლესიო არჩევნების მაგიერ ყვარყვარეს პირადი არჩევანი სწყვეტდა მაღალ საეკლესიო თანამდებობისთვის საჭირო პირთა ვინაობას და მაწყვერლობას თუ სხვა საეპისკოპოსო „ხელს“ ის შეაძლევდა ხოლმე და ის ჰნიშნავდა“[39].

„რასაკვირველია, ყვარყვარეს მთელი მოქმედება საქართველოს პოლიტიკური დანაწილებისათვის საუკეთესო პირობების შექმნას უდრიდა და მთელი ქართველი ერის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოღალატური ნაბიჯი იყო. საეკლესიო კანონების თანახმად, ეპისკოპოსად არჩეული პირი, უეჭველად, მცხეთაში უნდა წასულიყო და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მიერ სვეტიცხოველში ყოფილიყო ხელდასხმული. მესხეთის მთავარმა სწორედ ამის მოსპობა მოისურვა“[40].

ისიცაა საფიქრებელი, რომ ყვარყვარე არა ახალ საეპისკოპოსო კანდიდატს აკურთხებინებდა მაწყვერელ ეპისკოპოსად, არამედ რომელიმე უკვე ნაკურთხ ეპისკო-

პოსს, თავის სამთავროში მოღვაწეს, ადგენდა ახალ კათედრაზე აწყურში. მაგრამ ეს მოქმედება უმცხეთოდ, ცენტრისადმი დაუმორჩილებლობად აღიქმებოდა. ამიტომაც ეპისკოპოსს, რომელსაც მცხეთა აკურთხებდა ხოლმე და მესხეთში სამოღვაწეოდ გზავნიდა „...კურთხევამდის კატეგორიულად ფიცს და აღთქმას ადებინებდნენ, რომ ის საქართველოს მწყემსმთავრის ერთგული და საქართველოს მეფის მომხსენებელი და მლოცველი იქნებოდა“.

„წირვა-ლოცვის დროს საქართველოს მეფის მოხსენება საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის გამოხატულებას წარმოადგენდა და ყვარყვარე ათაბაგსაც სწორედ ამის მოსპობა ჰსურდა“[41].

„ამ ორი-სამი აღთქმისა და ფიცის წიგნითგან სრულის სიცხადით და მიმზიდველობით აშკარავდება საქართველოს ეკლესიის საჭეთ-მპყრობელის ბრძნული, ნამდვილად სახელმწიფოებრივ-ეროვნული მიზანშეწონილი პოლიტიკა და მოღვაწეობა.

უეჭველია, ყოველი შეგნებული ქართველი მოღვაწის თანაგრძნობა მაშინაც, როდესაც ეს ბრძოლა წარმოებდა, ქართული ეკლესიის მწყემსმთავრის მხარეზე იქნებოდა და ახლაც, საუკუნეთა შემდგომაც, საქართველოს კათალიკოსთა ეს მედგარი ცდა საქართველოს განხეთქილებისა და განკერძოების პროცესის შესაჩერებლად მშვენიერ ბრძოლად გვეხატება.

განა ქართველი ერისათვის მართლაც დამღუპველი არ უნდა ყოფილიყო მესხეთის ეკლესიის წადილი და მცდელობა სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საყდრისაგან ჩამოსაშორებლად? როდესაც საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელნი მესხეთის სამღვდელოებისაგან საკათალიკოსო საყდრის მორჩილებას მოითხოვდნენ, როდესაც იქაურ ეპისკოპოსებსა და ხუცესთ უეჭველად მტკიცე ფიცს ადებინებდნენ, რომ თითოეული მათგანი საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქთა და „მეფეთა მლოცველი და ყოველთა წირვათა და ლოცვათა შინა“ მომხსენებელი ყოფილიყო, განა ამით ესენი საქართველოს მთლიანობისა და ერთობის განმტკიცებისათვის არ იღვწოდნენ? მესხეთის ეკლესიებში საქართველოს მეფისა და კათალიკოსის სახელების მოხსენება წირვის დროს სრულიად საქართველოს მთლიანობისა და განუყოფლობის თუმც გარეგანი, მაგრამ მაინც დიდმნიშვნელოვანი სიმბოლური გამოხატულება იყო და ამის საწინააღმდეგოდ ბრძოლა მხოლოდ საქართველოს ან დაუძინებელ მტერს, ან მის შეუგნებელსა და პირადი პატივმოყვარეობით გონებადახშულს შვილს შეეძლო“[42].

მაგრამ „მცხეთისაგან მესხეთის საეკლესიო ჩამოშორება საეკლესიო კანონების თვალსაზრისით არც ისეთი ადვილი და მარტივი საქმე იყო, როგორც ეს ჯაყელთა გვარის ათაბაგებს ეგონათ. უზენაეს მწყემს-მთავრის ურჩობა დიდ და მიუტევებელ ცოდვად ითვლებოდა და ასეთს დანაშაულს შესაფერისი სასჯელიც მოჰყვებოდა ხოლმე“[43].

აი, რას წერს ამის შესახებ თ. ჟორდანია, რომელსაც თავის ქრონიკებში მოჰყავს შესაბამისი სიგელებიც: „1453 წ-ს მცხეთის სიგელი ...შინაარსი სიგელისა დიდად საყურადღებოდ ჰხატავს მაშინდელს პოლიტიკურს განცალკევებას საათაბაგოსას: ყვარყვარე II, მოქიშპე მეფის გიორგისა (1451-1466) სცდილობს ეკლესიური განხეთქილებაც მოახდინოს და საათაბაგო ეპისკოპოსებს თვითონ ჰნიშნავს, ამასთან ის

ცდილობს საათაბაგოს ეკლესიები მცხეთას მოსწყვიტოს და ანტიოქიის საპატრიარქოს შეუერთოს. ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი კათალიკოზის „დავითის (ჰმართავდა 1447-1459) „გაწყრომისა“ ყვარყვარეზედ“.

„ქ... სვეტისა ცხოველისა და ყოვლად საშინელისა ანჩისა ხატისა თავსმდებობითა, ამა ყოველთა ღვთისა წმიდითა ზეცისა და ქვეყნისათა თავსმდებობითა და შუამდგომლობითა ესე წიგნი და პირი გკადრეთ თქვენ ქრისტეს ღვთისა მიერ ქართლისა კათალიკოზსა დავითს მე აბელისძემან ანჩელ არქიმანდრიტმან ქერობინ მის ჟამსა შედეგად, ოდეს მაწყვერელი და სამცხის ეპისკოპოსნი თქვენგან უჯვარო და შეუნდობელნი იყვნეს საფარისა თავზედა და თქვენ დიდითა ხვაიშნითა მაკურთხეთ. აწ დღეისთაგან წაღმა ჩემად დღედ სიკვდილამდე ვიყო თქვენი და თქვენის საყდრისა ერთგული და მეფეთა მლოცველი და ყოველთა წირვათა და ლოცვათა შინა თქვენ მოგიხსენებდეთ. ვინ თქვენგან უჯვარო და შეუნდობელნი იყვნენ, ჩვენგანაცა უჯვარო და შეუნდობელი იყოს. თქვენგან შეუნდობელთა ეპისკოპოსთა გვერდით ჟამი არა ვწიროთ, სადამდის თქვენგან ახსნილობისა და შენდობისა ნიშანი არა მოგვივიდეს. ვის სწყალობდეთ, ჩვენცა მისი მლოცველნი ვიქმნეთ და თუ ყვარყვარემ მაწყვერელობა, ანუ სხვა რამე ხელი გვაძლიოს და დაგვპატიჟოს კურთხევისა მიზეზითა, სადამდის თქვენსა საყდარსა არა დაემორჩილნენ და რაზედაც უწყრებით თქვენისა საყდრისა წესითა, იგი ესრეთვე არა დაგვეურვოს, როგორაცა თქვენ და თქვენსა საყდარსა გმართებს მით წესითა სხვა ხელი არა გამოვართვა და არცა რა ვინდომო თქვენად დაუმოწმებლად და შეუნდობელად თქვენისი საყდრისა მტრისა მტერნი ვიყვნეთ და ერთგულთა მოყვარენი და მლოცველნი ვიყვნეთ...“[44].

ასეთივე სიგელს იძლევიან კუმურდოელი ეპისკოპოსი და, ალბათ, სხვა მღვდელმთავრებიც. განსაკუთრებით საინტერესოა 1453 წელს საფარისა და ვარძიის მონასტერთა ბერების მიერ მცხეთის პატრიარქისადმი მიცემული სიგელის გადარჩენილი ნაწილი: „...ესე წიგნი და პირი გკადრეთ თქვენ... ქართლისა კათალიკოსსა დავითს მეუფესა პატრონსა დაგიდევით აღთქმა... ჩვენ საფარისა და ვარძიისა ძმათა მას ჟამსა, ოდეს მცბიერი ბერძენი მოვიდა, ცრუ წინასწარმეტყველი და მცირითა რათმე სიტყვითა მიგვიზიდნა. აწ თქვენ გაგვიწყერით და კიდევ უმართლე იყვენით ამად რომე ... ვითარცა წესითა ყოფილ ვართ, მათვე წესითა ვიყვნეთ, არც მიტროპოლიტი (ბერძნისა) შემოვუშვათ, არც მისი წიგნი ვნახოთ, არცა მისი მცნება გავიგონოთ და არასთანა მისი არა ვირწმუნოთ, არც უმცხეთოდ ჩვენი მღვდელი და დიაკონი იკურთხეოდეს...“[45].

საოცარი ისაა, რომ ჩვენი მოძმე მართლმადიდებლური საპატრიარქოები ანტიოქიისა და იერუსალიმისა (ისინი მაშინ ზოგჯერ ერთიანდებოდნენ კიდეც), ხელისშეწყობის ნაცვლად, ძმური თანაგრძნობისა და სულიერი დახმარების მაგიერ, ყოველგვარად ცდილობდნენ, დაეშალათ ერთიანი ქართული ეკლესია, დაენაკუწებინათ ის, რათა შემდეგ რაიმე ნაჭერი შეხვედროდათ და თავიანთი მატერიალური არსებობა დაეკმაყოფილებინათ.

ყოველგვარი საეკლესიო კანონის დარღვევით, წმიდა მსოფლიო კანონების აკრძალვათა არად ჩაგდებით, ისინი იჭრებოდნენ საქართველოს საეპისკოპოსოებში, თავ-

იანთი ნებისაებრ, არა საღმრთო კანონებით, ყოვლად უკადრისი ცბიერებით, არ-ღვევდნენ წმიდა ნინოს ღვაწლითა და ლოცვით საუფლო კვართზე დაფუძნებულ წმიდა ანდრიას სამოციქულო საყდარს.

რა აიძულებდათ წმიდა იერუსალიმისა და წმიდა ანტიოქიის მღვდელმთავრებს ქრისტიანთა დამაბრკოლებელი საქმეების კეთებას? ეს ყოფილა მათი ფინანსური გაჭირვება.

„მაჰმადიანთა მიერ აღმოსავლეთის დაპყრობისა და განსაკუთრებით ბიზანტიის სახელმწიფოს დაუძლურებისა და თურქთაგან დაპყრობის შემდგომ, ანტიოქიის და იერუსალიმის მღვდელთ-მთავარნი, თვით პატრიარქიც კი ხშირად თავიანთ სამწყ-სოს ჰშორდებოდნენ და უცხოეთის სახელმწიფოებს ეწვეოდნენ ხოლმე ფულის და სხვა ყოველგვარი დახმარების სათხოვნელად და შესაგროვებლად. მათხოვრობის გზაზე მდგომთ უცხოეთის გულუბრყვილო ქრისტიანების წინაშე თავიანთი სახე-ლის გატეხა არ სურდათ და თავიანთი თავი „უსჯულოების“ აღმომფხვრელად და ძველი საეკლესიო კანონებისა და უფლებრივი მდგომარეობის აღმადგენელად მოჰქონდათ. ჩვეულებრივ ამგვარ პირებს, რასაკვირველია, ცბიერება და ცრუმორწ-მუნე ხალხის მიზიდვა საშუალებას აძლევდა თავიანთი პირადი საქმე, ფულის შეგროვება, ვითომც „უსჯულოთა“ ხელითგან წმიდა ადგილებისა და ტანჯულ ქრისტიანთა განსათავისუფლებლად მოწყობილი, ფართოდ და ბრწყინვალედ მოეხ-ერხებინათ ...ვარძიის მონასტრის ძმობას თავისი ერთგულების წიგნში აღნიშნული აქვს, რომ „მას ჟამსა“-ც თურმე მესხეთში ერთი ამნაირი „მცბიერი ბერძენი მოვიდა, ცრუ-წინასწარმეტყველი“, რომელმაც „მცირითა რათამე სიტყვითა მიგვიზიდნა“ და მოგვხიბლაო. ეს ცბიერი ბერძენი ბერი „მიტროპოლიტი“ ყოფილა ... საეკლესიო კანონები ეპისკოპოსს სხვის სამწყსოში ადგილობრივ მღვდელთ-მთავრის ნებადაუ-რთველად ყოფნას უკრძალავენ. მით უმეტეს, „არა ხელეწიფების ეპისკოპოსსა სხვისა ეპისკოპოსისა სამრევლოსა ქალაქსა ანუ სოფელსა საერო მოძღვრებად, ანუ კურთხევად ხუცისა, გინა დიაკონისა უნებლიეთ ეპისკოპოსისა მის ადგილისა“[46] ... „მცბიერი ბერძენი“ მღვდელ-მთავრის ქადაგება თურმე ღაღადებდა იმასვე, რაც ათაბაგს სწადდა: რომ „უმცხეთოდ ჩვენი მღრდელი და დიაკონი იკურთხეოდესო“ და ეპისკოპოსნიცა და სამღვდლო დასიც ქართლისა კათალიკოზისა „ბრძანებისა მორჩილნი“ არა ყოფილიყვნენ. ამგვარს ქადაგებას გავლენა მოუხდენია და თავისი ნაყოფიც გამოუღია. თვით ვარძიის ძმობას გულახდილად აღიარებული აქვს „სი-ტყვითა მიგვიზიდნაო“[47].

აღსანიშნავია, რომ სწორედ აღნიშნულ წლებში, კერძოდ, 1456 წლისათვის სა-ქართველოში ჩამოსული რომის პაპის წარმომადგენელი (ეპისკოპოსი) ანტიოქიელ-იერუსალიმელ ეპისკოპოსებზე მომეტებულ მადას იჩენს და ქართული ეკლესიის რომის ტახტისადმი მიერთებისათვის იღწვის. მას თავისი აზრით, ეს ოცნება ვითო-მდა განუხორციელებია კიდეც.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული, შედეგი იყო იმ საოცრად ურთულესი საგარეო და საშინაო ვითარებისა, რომელშიც მაშინ ქვეყანა იმყოფებოდა. სწორედ აღნიშნულ წლებში ოსმალეთმა კონსტანტინეპოლი აიღო, საქართველო თურქულ-მაჰმადიანურ

რკალში მოექცა, რასაც დაერთო შინაგანი განხეთქილება. მთავრები მეფეს ებრძოდნენ, ზოგჯერ ამარცხებდნენ და ატყვევებდნენ კიდეც. მესხეთისა თუ იმერეთის მთავრები, ერისთავები თავიანთი კუთხეების ეკლესიების დამოუკიდებლობაზე ოცნებობდნენ. სწორედ ასეთ დროს ჩამოვიდა საქართველოში რომის პაპის წარმომადგენელი. მან ჩააგონა საქართველოს მეფესა და მთავრებს, რომ თუ ისინი აღიარებდნენ რომის პაპის საეკლესიო უზენაესობას, რომ „პაპი მსოფლიო ეკლესიის მეთაური და უფლის ნაცვალია ამ ქვეყნად“ (რაც კათოლიკური სარწმუნოების აღიარებად ითვლებოდა მათი აზრით), მაშინ პაპი ევროპელ მეფეებს აღძრავდა ოსმალთა წინააღმდეგ და ისინი ევროპის მხრიდან შეებრძოლებოდნენ თურქებს.

მართლაც, როგორც მოღწეული წერილებიდან ჩანს, ქართველმა მეფე-მთავრებმა თითქოსდა აღიარეს პაპის უზენაესობა. რა შედეგი მოჰყვა ქართველ ხელისუფალთა ამ დაჯერებას? რომის პაპმა ევროპელი მეფეები ვერ აღძრა თურქთა წინააღმდეგ. საქართველოში დაიწყო კიდევ უფრო მძაფრი შიდა ომი. საეკლესიო განხეთქილება კიდევ უფრო გამძაფრდა მესხეთსა და დასავლეთ საქართველოში. ამ დროსვე იერუსალიმელ-ანტიოქიელი იერარქები ყოველ ღონეს ხმარობდნენ მცხეთის სამოციქულო ტახტიდან დასავლეთ საქართველოსა და მესხეთის ეკლესიების ჩამოსაშორებლად. შექმნეს კიდეც შესაბამისი დოკუმენტები. გამძაფრდა ცილისწამებანი მცხეთელი კათალიკოს-პატრიარქის მიმართ. ამან დასცა ქრისტიანობის ავტორიტეტი მესხეთში (და, ალბათ, დასავლეთ საქართველოშიც), რამაც, საბოლოო ჯამში, გზა გაუხსნა მაჰმადიანურ სარწმუნოებას და მესხების სწრაფ გამაჰმადიანებას.

ამიტომაც, რომის პაპის წარმომადგენლის ქმედება ქართული ეკლესიის მიმართ ისევე შემაძრწუნებელი შედეგის მომტანი იყო, როგორც ანტიოქიელ-იერუსალიმელი იერარქებისა. ჩანს, ალბათ, ამიტომ უწოდებდა მარი ბროსე პაპის წარმომადგენელს ლუდოვიკო ბოლონიელს „ქვებუდანა მოშულლე ფანატიკოსს“[48].

ყვარყვარე რამდენჯერმე ევროპელი მოკავშირეებისადმი გაგზავნილ თავის წერილებში რომაელ ლუდოვიკოს „ჩემს პატრიარქს“ უწოდებს. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ყვარყვარე მზადაა „თავის პატრიარქად“ და პირველიერარქად გამოაცხადოს ნებისმიერი სამღვდელო, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის გარდა. ჯერ ბერძენ მიტროპოლიტ-პატრიარქებს აწყვერელი ეპისკოპოსი „დაადგენინა“ პირველიერარქად მესხეთისა, ეს, თავის მხრივ, იმას ნიშნავდა, რომ სწორედ ეს ბერძნები უცვნია ყვარყვარეს „თავის პატრიარქად“. ასევე მოიქცა რომაელი ეპისკოპოსის მიმართაც და ეს ლუდოვიკო ბოლონიელი „თავის პატრიარქად“ აღიარა.

თუმცა, მეფე გიორგიც მსგავსადვე მოქცეულა ამ რომაელის მიმართ, რაც უთუოდ დაედო საფუძვლად სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისადმი გაუგონარ ურჩობას, რასაც იმ დროს იჩენდნენ მესხეთში, დასავლეთ საქართველოსა და, როგორც ჩანს, სხვა კუთხეებშიც. მალე გამოჩნდა ყველა უცხოელის „მზრუნველობის“ შედეგი.

1459 წელს ყვარყვარე ათაბაგი, ანუ როგორც მას ასახელებენ „საქართველოს მთავარი“, წერს ბურგუნდიის დუკას წერილს, რომელშიც, როგორც ითქვა, არა სრულიად საქართველოს კათალიკოსს უწოდებს თავის პატრიარქს, არამედ რომის ეკლესიის წარმომადგენელ ლუდოვიკოს: „...აწ ბატონი ჩვენი პატრიარქის ლუდო-

ვიკოს ბრძანებით შევურიგდი ყველა ჩემს მეზობელ ქრისტიანე მთავრებსა და გადავწყვიტე მთელი ჩემი ღონე და შეძლება მოვიხმარო ოსმალების წინააღმდეგ, როგორც დავპირდი ჩვენს პატრიარქს"[49]. – „აგერ 50 წელიწადია, ესეთი მშვიდობა და ერთობა, რომელიც აწ ვყავით, არ გაგონილა ჩვენს ქვეყანაში. ეს ვყავით ჩვენის ბატონის პატრიარქის ბრძანებით და ჩაგონებით და ეგრეთვე თანახმად წერილისა ბატონის პაპისა, რომელმაც მოგვწერა და გვაუწყა, რომ მან თავის ქალაქში ყველა ლათინის მთავრები უნდა შეკრიბოს და რჩევა ჰქმნას, რათა მოემზადონ ურწმუნოებთან სასაუბროდ".

როგორც აგრეთვე გიორგი მეფის წერილიდან ჩანს, მასაც „თავის პატრიარქად" ეს ლათინი სამღვდელო აურჩევია. თუმცა კი,ანტიოსმალურ კოალიციაში შემავალ არც ტრაპეზუნტის იმპერატორსა და არც მცირე სომხეთის მთავარს რომის ეკლესიის წარმომადგენელი „თავის პატრიარქად" არ უცვნიათ, რითაც სიმშვიდე დაიცვეს თავიანთ ქრისტიანულ სამწყსოში.

„...მიწერილია ბურგუნდიის დუკასთან დავით ტრაპეზუნტის იმპერატორის წერილიც ... იმპერატორი ბოლონიელ ლუდოვიკოს პატრიარქს სრულებითაც არ უწოდებს, არამედ იხსენიებს მარტო ელჩად („ორატორ"). ...არც ისა სჩანს, რომ მცირე სომხეთის მთავარს ეწოდებინოს, ანუ ესურვებინოს ლუდოვიკოს პატრიარქობა. ეგრეთვე ცხადია, რომ სპარსეთის მეფეს ჰასანბეგს სრულიადაც არ დასჭირდებოდა იმის პატრიარქობა. მაშ, გიორგიმ და ყვარყვარემ აირჩიეს იგი თავიანთ პატრიარქად..."[50].

მალე გამოჩნდა ყოველივე ამის შედეგი. რომის პაპმა და ამ ეგრეთ წოდებულმა „პატრიარქმა" ვერ შეძლეს ევროპელი მეფე-მთავრების ყურადღების მიპყრობა აღმოსავლეთის პრობლემებისადმი. საქმე ჩაიშალა. ამის შეტყობისთანავე საქართველოში ატყდა უსასტიკესი შიდა ომი მეფე-მთავარ-ერისთავებს შორის, ქვეყანა მოიშალა, ქრისტიანობის ავტორიტეტი დაეცა. ისმის კითხვა, თუ რომის ეკლესიას საქმის გაკეთება არ შეეძლო, რატომღა სცემდა ძირს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტორიტეტს, ითვისებდა მის უფლებებს და ამით კი ქვეყნის ერთიანობას არღვევდა? იგივე ითქმის ანტიოქია-იერუსალიმის საპატრიარქოების შესახებაც.

ასეთი აშლილობის დროს გამოიჩინა თავისი ძალა საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ და, როგორც აღინიშნა, მესხეთის ეპისკოპოსებს ფიცს ადებინებდა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ზემოთ აღნიშულ უცხოელ იერარქთა მსგავსნი არც „შემოუშვათ, არც მისი წიგნი ვნახოთ, არც მისი მცნება გავიგოთ და არასთანა მისი არა ვირწმუნოთ, არც უმცხეთოდ ჩვენი მღრდელი და დიაკონი იკურთხეოდეს და ვიყვნეთ თქვენსა ბრძანებისა მორჩილნი".

მაგრამ ასეთი ფიცის დადება აშფოთებდა სეპარატისტ ათაბაგებს და მათმა უგუნურმა მრისხანებამ იმ ზომას მიაღწია, რომ ქართველი კათალიკოს-პატრიარქის მიმართ ცილისწამებაც იკადრეს და ამ ცილისწამების გავრცელებისთვისაც იზრუნეს. მცხეთის ავტორიტეტის დაცემით მათ უთუოდ დასცეს საერთოდ ქრისტიანობის ავტორიტეტი მესხეთში, რამაც მაჰმადიანობისადმი წინააღმდეგობა შეამცირა.

ათაბაგები „აღშფოთებული და განრისხებული ჩიოდნენ: „ვინც ჩვენი ეპისკოპოზი მათგან (ე.ი. კათალიკოსის) წინა საკურთხეველად მივა, მაგათი და მეფის

ერთგულობაზედ აფიცებდენო“, ის ფარისევლურად საეკლესიო კანონების დარღვევაზე და „სჯულის გარდამავალ საქმეზე“ სწუხდა, რომელსაც ვითომაც კათალიკოსები ამგვარს შემთხვევებში სჩადიოდნენ, „მაგათ უკეთ იციან, ნაფიცარი არც ეპისკოპოსი შეიწყნარების და არც ხუცესი და ნურც ჩვენ გვიზმენ უწესო რამე საქმე შემოიღონ“-ო, ვერაგული ცბიერებით გაიძახოდნენ ისინი, თითქოს თავისი დედაეკლესიის და მისი საჭეთ-მპყრობელის ურჩი და ერისა და სამშობლოს მთლიანობის უარისმყოფელი და დამრღვევი ეპისკოპოსი ან მღვდელი კი შესაწყნარებელი ყოფილიყოს!“[51].

შემდეგ კი ცილისწამებაც გაავრცელეს, თითქოსდა ჩვენი ეკლესიის მეთაურს ქრთამს აძლევდნენ კურთხევისას. ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, რომ ეს იყო სიცრუე, თუნდაც იმიტომ, რომ „...საამისო ობიექტური პირობები არ მოიპოვებოდა“[51].

„თუ ამისდა მიუხედავად ათაბაგის და მის მომხრეთა ბანაკში მაინც საჯაროდ ლაპარაკობდნენ კათალიკოსის მექრთამეობაზე, ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად ულმობელი და დაუზოგავი ბრძოლა ყოფილა მეფე-კათალიკოს-ათაბაგს შორის და საქართველოს ერთობისა და განკერძოების მომხრეთა შუა, რაოდენი გესლითა და შხამით უნდა ყოფილიყო აღსავსე ამის გამო მესხეთის მაშინდელი ცხოვრება!...“[51].

საბოლოოდ, მესხეთის ათაბაგებმა ძლიერი წადილის მიუხედავად, ვერ შეძლეს მესხეთის ეკლესიის ჩამოშორება საქართველოს დედა-ეკლესიისაგან. ამის შემდეგ მესხეთის სამღვდელო პირთ კათალიკოზისა და მეფის ერთგულებაზე აფიცებდნენ „...ეს ფიცი იმავე დროს საქართველოს სახელმწიფოსი და ეკლესიის მთლიანობისა და ერთობის ფიცი იყო, ამიტომაც შთამომავლობასა და ისტორიას კი არ შეუძლია მათი ღვაწლი ერისა და ქვეყნის წინაშე მთელი თავისი სიღრმე-სივრცით არ დააფასოს“[52].

ასე გაგრძელდა საუკუნის ბოლომდე. XVI საუკუნის დასაწყისში ათაბაგმა მზეჭაბუკმა კვლავ წამოიწყო საეკლესიო განკერძოებისათვის მოქმედება.

თედო ჟორდანია წერს: „1500-1516 წ.წ. მესხეთის სიგელი გვიმტკიცებს, რომ მზეჭაბუკ ათაბაგს, პოლიტიკური განცალკევების მოსურნეს, მოუნდომებია საათაბაგოს ეკლესიის მოწყვეტა მცხეთისაგან და ანტიოქიის პატრიარქის დოროთეოსისათვის დაუმორჩილებია, რაისათვის დოროთეოსი დიდად აქებს მზეჭაბუკს, რომელსაც უწოდებს: „ღვთის მოშიშად“, „მართალ-მადიდებლად“ და „დიდ მეფედ ჩვენად და ყოვლისა აღმოსავლეთისა ხელმწიფედ“, ხოლო ქართლის მეფესა და მის ერს - „უსჯულოდ“.

„...წყალობითა ღვთისათა დოროთეოს პატრიარქი დიდისა ღვთისა ქალაქისა ანტიოქისა ვიიძულენით თქმად ამას დიდისა პატრონის მზეჭაბუკის მიერ: რამეთუ მაგან ოდენ მხოლომან იყურჭუმ ჭეშმარიტად ემბაზსა შინა ნათლისღებისასა. ყოველივე განგვაცადა და გულისხმა გვიყო და ეგრეთვე მაწყვერელისა სიკეთე. მას მივათვალეთ ყოველი საბრძანებელი პატრონისა მზეჭაბუკისი, რათა ეპისკოპოსნი მისგან იკურთხოდნენ ყოველნივე და მისსა წესსა და ბრძანებისა მორჩილებდნენ და სჯულთა მისთა ერჩდნენ და მისგან იმწყსებოდნენ“[53].

ჰქონდა თუ არა რაიმე უფლება ანტიოქიის პატრიარქს, შემოჭრილიყო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საზღვრებში და მისგან მოეწყვიტა ერთი ნაწილი? ანტიოქიის პატრიარქის მოქმედება არღვევდა საეკლესიო კანონებს, მსოფლიო კრებების მამათა დადგენილებებს, კერძოდ, III მსოფლიო კრების მე-8 კანონს. სხვათა შორის, ამ კრებაზე ანტიოქიის ეპისკოპოსთა თვითნებობა განიხილეს, როცა

ისინი შეიჭრნენ კვიპროსის ავტოკეფალურ ეკლესიაში და იქაური საქმეები თავის ნებისამებრ განაგეს.

„მზეჭაბუკის საბედნიეროდ ანტიოქიის პატრიარქი კვლავ სწვევია საქართველოს. ანტიოქიის პატრიარქებს საქართველოში სტუმრობა, როგორც ეტყობა, გაუტკბათ. ალბათ, უხვად დატვირთულები ბრუნდებოდნენ აქეთგან შინ ... 50-60 წლის განმავლობაში საქართველოს სულ ცოტა სამი ამგვარად მოკალმასე პატრიარქ-მიტროპოლიტისათვის გაუვსია ჯიბეები“[54].

მზეჭაბუკმა ეს უცხო პატრიარქი გამოიყენა თავისი მიზნისათვის. მან „...თავისი საბრძანებლის სარწმუნოებრივადაც საქართველოს დედაეკლესიისაგან მოწყვეტა გადაწყვიტა, რომ ამ საშუალებით, ეკლესიებში საქართველოს კათალიკოსისა და მეფის ხსენების ამოკვეთით, საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის ეს გარეგნული, სიმბოლური გამოხატულებაც გამქრალიყო და მცხეთის საყდართან დამოკიდებულება მოსპობილიყო“[55].

მზეჭაბუკმა და უცხო პატრიარქმა შესაბამისი საბუთი მართლაც შეადგინეს. „პირადი პატივმოყვარეობითა და მტრული გრძნობით დაბრმავებულს მზეჭაბუკს ავიწყდებოდა, რომ ამით ქართველი ერის ისედაც მცირე ძალას უფრო ასუსტებდა და მტრის გაბატონებას საუკეთესო ნიადაგს უმზადებდა. იმ ზნეობრივ-სარწმუნოებრივი ძალის განმტკიცების მაგიერ, რომელსაც საქართველოს ეკლესიის მთლიანობა ჰქმნიდა და გარეშე უცხოთესლი და უცხოსჯული მტერთან ბრძოლას აადვილებდა, ქართულ ეკლესიას სახელი გაუტეხა და დაქუცმაცებით მოზღვავებულ ოსმალებთანა და მაჰმადიანობასთან ბრძოლის უნარი მოაკლო“[56].

მაგრამ, ღვთის მადლით, არც ისე ადვილი იყო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მთლიანობის დარღვევა. მზეჭაბუკის სიკვდილის შემდეგ ახალმა ათაბაგმა მცხეთას 1518 წელს აახლა სიგელი, რომლითაც მოწიწებით გააუქმა წინა ათაბაგის უკანონო ზემოქმედება ეკლესიაზე.

„სახელითა ღვთისითა ჩვენ დიდთა ათაბაგთა ნათესავმან ... ათაბაგ ამირსპასალარმან ყვარყვარე (IV-მ) ესე წიგნი გკადრე და მოგახსენეთ... თქვენ ყოველთა ჩრდილოეთისა კედართა შორის უაღრესს და უაღმატებულეს-უდიდებულესს, უდიდესს წმიდა კათოლიკე საყდარსა მცხეთასა და მას შინა სვეტსა ღვთივ აღმართებულსა, კვართსა სამეუფოსა და მირონსა წმიდასა და თქვენსა საჭეთ-მპყრობელსა, ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოსსა პატრიარქსა კათალიკოზსა ბასილის მას ჟამსა, ოდეს პატრონი ბიძაჩემი შემდურდეს და მან სამცხეს საეპისკოპოსანი უკუიჭირნა, აწ იპრინნა ღმერთმან და ჩვენ კიდევ მივანდეთ კათოლიკე საყდარსა, კათალიკოზსა და მოგიხსენებია ასრე და ამა წესითა, რომე რაგვარაცა ამას წინა ყოფილა, იმავე წესითა რაცა ჩვენსა საბატონოშიგან ეპისკოპოსნი იყვნენ პატრონსა კათალიკოზისა მორჩილნი იყვნენ და კათალიკოზისა ხელითა იკურთხოდენ...“[57].

მაშასადამე, დედაეკლესიისაგან მზეჭაბუკის დროს მოწყვეტილი მესხეთის ეკლესია ყვარყვარე IV-ის დროს კვლავ შემოუერთდა მცხეთას. ამიტომაც მაწყვერელი ეპისკოპოსი ქართლის კათალიკოზის „მონას და მოწაფეს“ უწოდებს თავის თავს. მცხეთიდანვე მიუღია მას კათედრა აწყურისა და მასვე მოახსენებს: „...სიცოცხლესა ჩემსა, თვინიერ მცხეთისა სახლი და ქალაქი არა ვაღიარო და თქვენ

მაკურთხევლის ჩემის იოვანეს კათალიკოზისაგან კიდე სხვასა კათალიკოზსა არა დავემორჩილო, მოძღვრად და მაკურთხეველად ჩემდა წმიდა დედა-ქალაქი მცხეთა და თქვენ იყვნეთ“[58].

მცხეთის დედაეკლესიამ კვლავ დაიმორჩილა მესხეთის ეკლესია და მისი ცენტრი – აწყური. მართალია, ქართულმა დედაეკლესიამ ამ ცხარე ომში გაიმარჯვა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, დაკნინდა ქრისტიანობა და ნიშნად ამისა აწყურის ოდესღაც ცნობილი კათედრალის ნანგრევები დგას მესხეთში, ხოლო მისი შვილები ძირითადად ასიმილირებულია და განბნეული თურქულ-თათრულ მასაში.

1519-1529 წლებში მცხეთის დედაეკლესიის უფლება მესხეთში კვლავ ხელშეუხებელია. ამას მიუთითებს კუმურდოელი ეპისკოპოსის ზოსიმეს ერთგულების სიგელი[59] და პატრონი მანუჩარისა და პატრონი ათაბაგის პირობის სიგელი[60] მცხეთისადმი.

ამგვარად შეძლო დედაეკლესიამ საქართველოს სულიერი ერთიანობის დაცვა, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ უცხო პატრიარქებმა დასავლეთ საქართველოს ეკლესიაში შეძლეს ზოგადქართული ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიის შებღალვა.

XV საუკუნის 70-იან წლებში „საქართველოში ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი ჩამოვიდა ... რასაკვირველია, უმთავრესად შეწირულებისა და ფულის შესაგროვებლად იყო გარჯილი“[61]. მას დაუწერია „მცნება სასჯულო“, სადაც „აღნიშნული აქვს, რომ წინათ ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსნი ანტიოქიის პატრიარქისაგან იყვნენ დამოკიდებული და მათგან ჰქონდათ მიღებული ხელდასხმა. ქართული ეკლესიის მერმინდელი თვითმწყსობა და საეკლესიო თვითმმართველობა ანტიოქიელ-იერუსალიმელ პატრიარქს უკანონო მოვლენად ჰქონდა გამოცხადებული“[62].

ეს ყოველივე მას სჭირდებოდა, რათა თვითონ ეკურთხებინა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ახალი მეთაური, ამით კი დასავლეთ საქართველოს ეკლესია ჩამოეშორებინა ერთიანი დედა-ეკლესიისაგან. თავის მხრივ, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო დამოუკიდებლობა სურდა იმ დროს იმერეთის მეფეს, ბაგრატს. ამიტომაც, ანტიოქიელის საეკლესიო თეორია გამოთქმული იყო ქართველი სეპარატისტების გულის მოგების მიზნით. „მან, რასაკვირველია, ბაგრატ მეფესთან შეთანხმებით და სათანადო ჯილდოს მიღების შემდეგ აფხაზეთის კათალიკოსად აკურთხა იოვაკიმე, რომელიც საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქისაგან სრულებით დამოუკიდებლად გამოაცხადა. აღსანიშნავია, რომ ანტიოქიელ-იერუსალიმელმა პატრიარქმა აფხაზეთის „კათალიკოსი საყდარსა ზედა ანდრია მოციქულისა“ დასმულად აღიარა. ამავე დროს „სასჯულო მცნებაში ნათქვამია, რომ ნინო ქართველთა განმანათლებელმა მხოლოდ ქართლი მოაქცია, ანდრია მოციქულმა კი დასავლეთ საქართველო გააქრისტიანა. ამით ანტიოქიელ-იერუსალიმელ პატრიარქს მიხეილს საქართველოს საეკლესიო მთლიანობის მოშლა (რაც ბაგრატ მეფეს იმ დროს პოლიტიკური მიზნით სწადდა) უნდოდა, რომ ეს ისტორიული საბუთებით დაემტკიცებინა.

რაკი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქრისტიანობის სხვადასხვა მქადაგებლები ჰყავდა, ამით მას უნდოდა დაესაბუთებინა, რომ, მაშასადამე, აფხაზეთის კათალიკოსს დამოუკიდებლად არსებობისა და თვითმწყსობის უფლება ჰქონდა. ის მცხეთის კათალიკოსისაგან არ უნდა ყოფილიყო ხელდასხმული“[63].

რა ხერხებით უნდა დაემტკიცებინა უცხოელ პატრიარქს ქართული ეკლესიის ანტიოქიისადმი დამოკიდებულება უძველეს დროს?

ჩვენ თავის დროზე[64] დავამტკიცეთ, რომ არავითარი ძველი საბუთი ქართული ეკლესიის ანტიოქიისადმი დაქვემდებარებისა VIII საუკუნემდე არ არსებობდა არც უცხოეთსა და არც საქართველოში. ცნობილია, რომ VII საუკუნეში ერეკლე კეისარმა საქართველოს სახელმწიფოს ჩამოაშორა შავიზღვისპირა ტერიტორია, სადაც შემდგომ კონსტანტინეპოლის ეკლესიამ განახორციელა თავისი იურისდიქცია. VIII საუკუნეში კონსტანტინეპოლში წარმოიშვა ერესი – ხატმებრძოლობა. ამის გამო კონსტანტინეპოლს განუდგა გოთეთსა და შავიზღვისპირას მდებარე ქართული ეკლესია. ამასობაში დასავლეთ საქართველო გაერთიანდა, მასში შევიდა „აბაზგიაც“. ამ გაერთიანებულმა ქვეყანამ მოითხოვა მის შიგნით არსებული ეკლესიების გაერთიანებაც. ამ ახალ ეკლესიას ესაჭიროებოდა მისი არსებობის კანონიკური დადასტურება. რადგანაც მას ხატმებრძოლობის გამო კავშირი გაწყვეტილი ჰქონდა კონსტანტინეპოლთან, ამიტომაც იერუსალიმ-ანტიოქიის საპატრიარქოსთან დაამყარა კავშირი. კერძოდ, „ქვემო ივერიიდან“, ანუ მომავალი აფხაზეთის სამეფოდან (ე.ი. დასავლეთ საქართველოდან), – ანტიოქია-იერუსალიმში ჩასულა საეკლესიო დელეგაცია, რომელსაც მიუღწევია იმისათვის, რომ „ქვემო ივერიის“ ეკლესიას მიუღია ავტოკეფალია მათგან. ეს ცნობა დამახინჯებული სახით შესულა ბერძნულ ქრონიკებში. X-XI საუკუნეებში ქართულ და ბერძნულ ეკლესიათა შორის დაძაბულობის წარმოქმნის დროს საჭირო გახდა, რათა ქართველ მოღვაწეებს მოეძიათ ბერძნულ წყაროებში შემორჩენილი ცნობები ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. ეფრემ მცირეს მოუძებნია ასეთი ცნობა, რომელიც შეეხებოდა „ქვემო ივერიის“ ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭებას ანტიოქია-იერუსალიმში. მაგრამ სამწუხაროდ ეფრემი შემცდარა და მას ეს ცნობა მიუჩნევია ერთიანი საქართველოს (ანუ ივერიის) ეკლესიის შესახებ ცნობად.

ყოველ შემთხვევაში, ამ ბერძნულ ცნობაში აშკარად ჩანდა, რომ ქართულ ეკლესიას თვითმწყსობა სრულიად კანონიერად ჰქონდა მიღებული, ამიტომაც ეს ცნობა შემოკლებული თუ შევსებული სახით გადადიოდა ქართულ სიგელ-გუჯრებსა და წერილობით ძეგლებში.

აღნიშნულ დროს (XV საუკუნის მიწურულს) დასავლეთ საქართველოში ჩამოსული ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქი “მაშინვე თავის საქმეს შესდგომია: „იქმნა გამოძიებაჲ და მოკითხვაჲ გუჯართა, დავთართა და იადგართა“. უეჭველია, ტყუილ-უბრალოდ არ შეიწუხებდნენ თავს პატრიარქი და მისი მიმდევარნი. ანტიოქიელ მღვდელმთავარს უნდოდა ქართულ წყაროებში ეპოვა ცნობა, თუ „ვითარ იგი პირველად ქართლისა და აფხაზეთისა კათალიკოზნი ანტიოქიისა პატრიარქთაგან იკურთხეოდიან“. ცხადია, თუ რისთვის დასჭირდებოდა ეს ცნობა მიხეილ პატრიარქს. მას უნდოდა ამ ძველი დამოკიდებულებით ესარგებლა. იგი ანტიოქიის მღვდელმთავართა საქართველოს ეკლესიაზე ბატონობის განახლება-აღდგენაზე ოცნებობდა უკვე. როდესაც მას ამგვარი ცნობა ხელთ ექმნებოდა, მაშინ გულუბრყვილო ხალხს უფრო ადვილად დაარწმუნებდა, რომ საქართველოს ეკლესიის

შინაურს საქმეებში ჩარევის უფლება ჰქონდა. როგორც „ჟამთა სიძველისაგან და სოფლისა სივერაგეთაგან იყვნეს მრავალნი წესნი შეშლით და გარდაქცევით“, ვითომც ამგვარადვე ქართული ეკლესიის თვითმწყსობა და დამოუკიდებლობა უკანონო და „შეშლილ“ წესად უნდოდა გამოეცხადებინა“[65].

რა ცნობა უნდა ეპოვა მას ქართული ეკლესიის ანტიოქია-იერუსალიმზე ძველი დამოკიდებულების შესახებ? ასეთი ცნობა არ არსებობდა. არსებობდა მხოლოდ ეფრემ მცირეს მიერ მოძიებული ცნობა, რომელიც, როგორც აღნიშნული იყო, დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ნაწილს ეხებოდა, მაგრამ შეცდომით მთელი ივერიის ეკლესიისადმი ცნობად იყო მიჩნეული. ჩანს, ამით ისარგებლა უცხოელმა იერარქმა და ცაიშელ-ბედიელი მთავარეპისკოპოსი იოვაკიმე აფხაზეთის კათალიკოსად დასვა. „ამით აფხაზეთის ქართული ეკლესიის თვითმწყსობის უფლება შეილახა, დამოუკიდებლობა მოისპო და იერუსალიმ-ანტიოქიის პატრიარქის ხელთქვეშეთი შეიქმნა... ამგვარად და ამ საქციელით პატრიარქმა მიხეილმა, ბაგრატ მეფემ და დადიან-გურიელმა შამადავლამ ქართული ერის საუკეთესო შვილთა და მთელი ხალხის მიერ საუკუნეთა ბრძოლით მონაპოვარი, ქართული ეკლესიის თავისუფლება მოსპეს და გაანადგურეს. მარტო ეს გარემოება კმარა მაშინდელ საქართველოს და ბაგრატ მეფის ეროვნულ-პოლიტიკური თვითშემეცნების დაქვეითების და დაცემის საბუთად!..“[66].

ისიც უნდა ითქვას, რომ ანტიოქიის პატრიარქის მიერ იოვაკიმეს კათალიკოზად დადგენას არავითარი ზეგავლენა შემდგომ დასავლეთ საქართველოს ავტოკეფალურ უფლებაზე (თავისი მამამთავრის დადგენისას) არ მოუხდენია. ამის შემდეგაც, ისევე როგორც აქამდე, უანტიოქიო-უიერუსალიმოდ ადგენდნენ პირველ იერარქებსა და ეპისკოპოსებსაც.

ამ უცხო პატრიარქის მავნე ანტიეროვნულ-სარწმუნოებრივ თეორიას არ შეიძლებოდა უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა დასავლელ ქართველთა ეროვნულ თვითშემეცნებაზე.

„...მიხეილ პატრიარქს უნდოდა ქართველთათვის ჩაენერგა, რომ წმიდა ნინო მხოლოდ ქართლის განმანათლებელი იყო, ხოლო ანდრია მოციქული მხოლოდ ქართლის „აქათი“ ქვეყნის, ანუ დასავლეთ საქართველოს მქადაგებელი და მომაქცეველი იყო, რომ ლიხთამერელი და ლიხთიმერელი წარსულშიც განმანათლებელთა მხრივაც ერთიმეორისაგან განსხვავებულნი იყვნენ... ცდილობდა საქართველოს მკვიდრთათვის გულ-გონებაში ის აზრი ჩაენერგა, რომ საეკლესიო ჩამომავლობითა და წარსულით ისინი აღმოსავლეთ საქართველოსთან დაკავშირებულნი არ არიან და რომ ამიტომ ეხლაც სრული ჩამოშორება კანონიერი და სამართლიანი იყო“[67].

აქამდე კი მთელი ქართველი ერისათვის, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, „ანდრია მოციქულიცა და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ქართველი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი. საქართველოს სხვადასხვა ნაწილებისათვის ცალკე და განსაკუთრებული მქადაგებლის არსებობის აზრი და გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ“. ანტიოქიელი პატრიარქი კი „მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებულს შემეცნებას სპობდა“[68].

„მცნება სასჯულოში“ გადმოცემულია დასავლეთ საქართველოს ეკლესიის, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს საზღვრები. „ჭოროხს აქათ, ოვსეთსა აქათ, ზღვაჲ პონტოსა აქათ, სადა დიდისა ბიჭვინტისა საზღვარი მიაწევს“.

იმ დროს კათალიკოსი ბიჭვინტაში იჯდა. ამიტომაც „დიდი ბიჭვინტის“ ჩრდილოეთის საზღვარი შორს იყო გადაწეული. ერთ შემდეგდროინდელ საბუთში ჩანს, რომ ჩრდილოეთის საზღვარს თურმე „კაფა“ წარმოადგენდა.

მართლაც ქალაქ-ნავსადგურ კაფასთან სამეგრელოსა და დასავლეთ საქართველოს ძალზე მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა. ის მდებარეობდა აზოვისა და შავი ზღვის ჩრდილო აღმოსავლეთში, 1475 წლამდე გენუელების სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი იყო, ამის შემდეგ თურქები დაეპატრონნენ. კაფადან შემოჰქონდათ თურქებს საქართველოში მარილი, თევზი, ხიზილალა, მატყლი, რკინეული, ჭურჭელი, იარაღი, მაუდი, ტილო, ტანსაცმელი, ხალიჩები, ტყავეული და სხვა ყოველგვარი საქონელი[69]. კაფა დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურ რაიონში შედიოდა, თუმცა, საქართველოს პოლიტიკურ საზღვრებში არ შემოდიოდა. მიუხედავად ამისა, აფხაზეთის ეკლესიის იურისდიქცია აქამდე ვრცელდებოდა ჩრდილოეთის მიმართულებით.

დასავლეთ საქართველოს სრულმა საეკლესიო დამოუკიდებლობამ მცხეთის დედაეკლესიისაგან სიკეთე არ მოუტანა დასავლეთ საქართველოს ქრისტიანებს, ისევე როგორც არ მოუტანა სიკეთე მესხეთის ქრისტიანებს საეკლესიო სეპარატიზმმა. მალე თვით აფხაზეთის საკათალიკოსოს ცენტრი – ბიჭვინთა მოექცა ჩრდილო კავკასიის მთებიდან შემოჭრილი წარმართი მთიელი ჩერქეზულ-აბაზური ტომების გარემოცვაში, რომელთაც უძველეს ქრისტიანულ მხარეში არა მარტო ქრისტიანობა დასცეს, არამედ ათასწლოვანი სარწმუნოებრივ-კულტურულ-სამეცნიერო კერები, ქართულენოვანი საეპისკოპოსოები, სრულებით ამოაგდეს. ქართული ქრისტიანობისა და კულტურის დიდი კერა – ბიჭვინთა და, საერთოდ, საკუთრივ აფხაზეთი, მალე წარმართი, პირველყოფილ დონეზე მყოფი მთიელი ტომების ხელში მოექცა. აფხაზეთი ეროვნულად გადაგვარდა, ასევე გადაგვარდა „ქართული ქრისტიანობის აკვანი“ – მესხეთი.

ეროვნება და სარწმუნოება

XV საუკუნის მიწურულსა და XVI საუკუნის დასაწყისში ქართული ეკლესიის წიაღში წარმოიშვა სეპარატიზმი. საბედნიეროდ, ეს არ იყო სარწმუნოებრივი განხეთქილება. ერესი და სექტანტობა უცხო იყო ქართველი ქრისტიანებისათვის. სეპარატიზმი იმით გამოიხატებოდა, რომ ადმინისტრაციულად საქართველოს ეკლესიის სამოციქულო ტახტისაგან (საყდრისაგან) დააპირა განდგომა მესხეთის ეკლესიამ, ხოლო დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ზოგიერთმა იერარქმა სამოციქულო ღირსების მცხეთიდან მათკენ გადატანის სურვილი გამოამჟღავნა. წმიდა მოციქულის, ანდრია პირველწოდებულის დამყარებული საქართველოს ეკლესიის ერთიანობა ფაქტობრივად დაიშალა.

ჩვენი ეკლესიის წიაღში არ ჩასახულა საეკლესიო სეპარატიზმის იდეა. ეს იყო შედეგი ეკლესიაზე უხეში ზემოქმედებისა საერო ხელისუფალთა მიერ. მესხეთის მთავრების სეპარატიზმმა დაბადა მესხეთის ზოგიერთ იერარქთა სეპარატიზმი, რასაც მცხეთიდან, სამოციქულო საყდრიდან, დროებით მესხეთის საეკლესიო განყოფა

მოჰყვა. თანახმად ივანე ჯავახიშვილისა, მესხეთის სწრაფი გამაჰმადიანება შედეგი იყო ათაბაგებისა და მათი იერარქების საეკლესიო სეპარატიზმისა. ასევე საერო ხელისუფალთა მიერ იყო განხორციელებული დასავლეთ საქართველოს იერარქთა ურჩობა დედაეკლესიის მიმართ. არც ამ დაუმორჩილებლობას მოჰყოლია კარგი შედეგი. საბოლოოდ, მთელი ქართველი ერი დაზარალდა. ერს დაეკარგა სამხრეთ საქართველოში მცხოვრები ქართველების (მესხების) უდიდესი ნაწილი. მესხეთში დედაეკლესიის ავტორიტეტის დაცემამ საერთოდ ქართული ეკლესიის (და ქრისტიანობის) ავტორიტეტის დაცემა გამოიწვია. აქ გზა გაეხსნა უცხო რელიგიებსა და ეკლესიებს, რასაც შედეგად მოჰყვა სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის გამაჰმადიანება (გათათრება), გაფრანგება (გაკათოლიკება), გამონოფიზიტება (გასომხება), ხოლო დარჩენილი მართლმადიდებლები მოექცნენ კონსტანტინეპოლის ბერძნული საპატრიარქოს ხელში, რამაც მათში „ბერძნული“ ეროვნული თვითშემეცნება დაბადა. ისინი გაბერძნდნენ, ვერც დასავლეთ საქართველოს ეკლესიამ შეძლო თავისი მრევლის პატრონობა, ვითარცა საჭიროება მოითხოვდა. ამის გამო, აქაც ქრისტიანთა ერთი ნაწილი გამაჰმადიანდა (ქვემო გურია – ბათუმი – ქობულეთ-აჭარის მხარე), ხოლო მეორე ნაწილი (აფხაზეთი) კი მთიელ (ჩერქეზ-აფსუა-ადიღე) შემოხიზნულ წარმართებში აირია.

ჩვენი სამოციქულო ეკლესია XV საუკუნემდე ერთიანი, მონოლითური და შეკრული იყო. საეკლესიო დაშლის შემდეგაც ბუნებით აბსოლუტურად ქართულადვე დარჩა დასავლეთ საქართველოსა და მესხეთის ეკლესიები, აქ კვლავინდებურად წირვა-ლოცვა, ლიტურგია, ყოველგვარი საეკლესიო წესი, საეკლესიო წიგნები, ყოველგვარი საეკლესიო ადათი თუ ჩვევა ძველებურადვე ქართული იყო, მხოლოდ ეს იყო, რომ წირვისა და ლოცვის დროს აღარ მოიხსენიებდნენ სრულიად საქართველოს მეფისა და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის სახელს. მხოლოდ ამაში გამოიხატებოდა საეკლესიო სეპარატიზმი, მაგრამ სწორედ ეს იყო უდიდესი დაბრკოლება, საცდური, რომელმაც ერთი კუთხის (მესხეთის) მრევლი სრულებით დაღუპა, ხოლო მეორე კუთხის მრევლს დიდად ავნო.

უნდა ითქვას ისიც, რომ უთუოდ ქართველი ხალხის ეროვნული თვითშემეცნების დაცემამ მონღოლთა შემოსევების შემდეგ განაპირობა როგორც სახელმწიფოებრივი, ისე საეკლესიო სეპარატიზმი. თუმცა, დაბალ ეროვნულ თვითშემეცნებას თან ერთვოდა საქართველოს უაღრესად სავალალო საგარეო მდგომარეობა და აგრეთვე შიდა სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები.

ჩანს, ეროვნული თვითშემეცნების დაბალი დონე იყო მიზეზი იმისა, რომ ამ დროს ქართველი ერი ძირითადად უსახურ ეთნომასალად იქცა, რამაც სხვა ერების სიჭარბე გამოიწვია. რამდენიმე საუკუნის მანძილზე ქართველები ზემოთ დასახელებულ ეთნორელიგიურ თემებს შეერწყნენ.

შეიძლება დაისვას კითხვა: როგორ შეინარჩუნა ეროვნული თვითშემეცნება სომეხმა (ან რომელიმე სხვა) ერმა უაღრესად არახელსაყრელ პირობებში? ამ კითხვის პასუხის ძიება უაღრესად რთულია, ამავე დროს მნიშვნელოვანი.

იმის შემდეგ, რაც მოისპო სომხეთის სახელმწიფოებრიობა, სომეხი ხალხი ცხოვრობდა სხვადასხვა უცხო სახელმწიფოში. აქ მათ შეძლეს ჩამოეყალიბებინათ

ეროვნულ-სარწმუნოებრივი თემები. თემი აერთიანებდა მონოფიზიტური სარწმუ-ნოების მქონე მოსახლეობას (მიუხედავად ეთნიკური წარმოშობისა). ეს სარწმუ-ნოებრივი თემი სომხურ სახეს იმით იღებდა, რომ სარწმუნოებრივ ენად მიაჩნდა სომხური ენა, ხოლო თავისი თემი მიაჩნდა დიდი სომხური კულტურის მემკვიდრედ და მატარებლად.

ასეთი მონოფიზიტური ეროვნულ-სარწმუნოებრივი თემები არსებობდნენ თათრულ (და სხვა რომელიმე არასომხურ) სოფლებშიც და ქალაქებშიც, ისე, რომ ფაქტო-ბრივად არავითარი კონფლიქტი მეზობელ ეთნოსთან არ ჰქონდათ. ზოგჯერ ასეთ სარწმუნოებრივ-ეროვნულ თემებს გააჩნდათ თავიანთი სოფლები, ანდა მხარეებიც კი. ასეთი თემები არავითარ საფრთხეს არ უქმნიდა ოსმალეთს, სპარსეთს (თუ სხვა სახელმწიფოებს), უფრო მეტიც, იმის შემდეგ, რაც ასეთმა თემებმა თავიანთ საქმედ აღებ-მიცემობა გაიხადეს, მათ დიდი მოგებაც მისცეს სპარსეთსა და ოსმალეთს, ამიტომაც ეთნო-სარწმუნოებრივი თემები დაცული იყო მათ მიერ.

ასევე ითქმის „ფრანგებისა“ და „ბერძნების“ შესახებაც. ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ სახელმწიფოდაკარგული მართლმადიდებელი მოსახლეობა მცირე აზიაში დაჯგუფდა მართლმადიდებლურ ეთნორელიგიურ თემებად. ამ თემის მა-მამთავრად, „ეთნარქადაც“ კი (როგორც ზოგიერთი მკვლევარი უწოდებს) მიიჩნეო-და კონსტანტინეპოლის (სტამბულის) ბერძენი პატრიარქი, ხოლო მასზე დაქვემდე-ბარებულ ბერძენ მღვდელს უდიდესი უფლებები ჰქონდა მინიჭებული ოსმალო ხელისუფალთა მიერ თავის მართლმადიდებლურ თემში. მაჰმადიანურ იმპერიებში მონოფიზიტების ეთნორელიგიური თემების მამამთავრებად სომეხი კათალიკოსები და პატრიარქები იყვნენ დადგენილნი, ხოლო მათ მღვდლებს ასევე უდიდესი უფლებები გააჩნდათ თავიანთ თემებში. საზოგადოდ, ასე იყო მოწყობილი მაჰმადი-ანური სახელმწიფოებრივი სისტემა. ოსმალეთში ოფიციალურად ცნობდნენ ოთხ ერს, ოთხ რჯულს: მუსულმანებს, ფრანგებს, სომხებსა და ბერძნებს. იმპერიაში მცხოვრები ყველა მართლმადიდებელი – ბულგარელი იქნებოდა ის თუ სერბი, ოფიციალური ხელისუფლებისა და მასებისათვის ბერძენი იყო.

სულ სხვა მდგომარეობა იყო საქართველოში. აქ ქართველმა ხალხმა შეძლო თავისი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება. მართალია, დაიშალა ერთიანი საქართვე-ლოს სახელმწიფო, მაგრამ საქართველოს ყოველ კუთხეში ჩამოყალიბდა ადგილო-ბრივი ქართული სახელმწიფოები (ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოები, სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთის, მესხეთის, სვანთა სამთავროები). ეს იმას ნიშნავდა, რომ ქართველი ერი დაიშალა არა ეთნორელიგიურ თემებად, არამედ კუთხურ სახელმწიფოებად, სადაც (ქართლში, კახეთში, იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში და სხვა კუთხ-ეებში) ჩამოყალიბდა ზოგიერთი კუთხური ეთნოგრაფიული თვისება.

ეს სახელმწიფოები ქრისტიანი ქართველი ხალხისა იყო, მათ ქრისტიანობას კი ქართული ეკლესია აპირობებდა. ქართულმა ეკლესიამ არ ინება არათუ თანამშ-რომლობა, არამედ არავითარი კომპრომისიც კი მაჰმადიანებთან (ეს მაშინ, როცა ბერძნული საპატრიარქო კონსტანტინეპოლში და ასევე სომხური საპატრიარქო ამავე ქალაქისა, ასევე სომხური თემები სპარსეთში მაჰმადიანურ სახელმწიფოთა მიერ იყო დაცული).

ზემოთ აღნიშნულის გამო, მაჰმადიანთა მიერ საქართველოს დაპყრობილ მხარეებში სახელმწიფოს გარეშე დარჩენილი ქრისტიანი ქართველები სრულებით დაუცველნი რჩებოდნენ, მათ აღარ იცავდა თავისი ეროვნული სახელმწიფო, ხოლო ეთნორელიგიური თემები მათ არ გააჩნდათ, ამიტომ ამ დაპყრობილ მხარეებში ქართველ ქრისტიანებს ან მაჰმადიანობა უნდა მიეღოთ, ანდა შეკედლებოდნენ რომელიმე ეთნორელიგიურ არაქართულ თემს („სომხებს“, „ფრანგებს“, „ბერძნებს“).

აქ უნდა ითქვას, იმდროინდელ ქართველობას მაღალი ეროვნული თვითშემეცნება რომ ჰქონოდა, ის, ალბათ, შეძლებდა აღნიშნულ არაქართულ ეთნორელიგიურ თემებში თავისი ეროვნული ნიშან-თვისებების გარკვეული ნაწილის შენარჩუნებას.

ჭეშმარიტად აღსრულდა მათზე წინასწარმეტყველ მეფსალმუნე დავით მეფის სიტყვები: „რამეთუ აჰა ესერა, რომელთა განიშორნეს თავნი თვისნი შენგან, იგინი წარწყმდენ, და მოსრენ ყოველნი, რომელნი განგიდგეს შენ“ (ფს. 72, 27).

მართლაც, ყოველი ქართველი, რომელიც განუდგა ქართულ დედაეკლესიას, განშორდა თავის ერსაც და გადაგვარდა, უცხო ერში ასიმილირდა (საბედნიეროდ, არის მცირე გამონაკლისიც). მაშასადამე, საქართველოს იმ მხარეებში, რომელნიც მოწყდნენ სამშობლოს, ან საუკუნეთა მანძილზე მტრის მიერ იყვნენ დაპყრობილნი (მესხეთი, ქვემო ქართლის ნაწილი, ჭარ-ბელაქანი, ქვემო გურია, აფხაზეთი, ასევე ქართლი და კახეთი ზოგჯერ), ქართული მოსახლეობა განიცდიდა დენაციონალიზაციას.

ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს მეზობლად მდებარე სახელმწიფოებშიც მიმდინარეობდა მკვიდრი მოსახლეობის გამალებული დენაციონალიზაცია.

მონღოლები თურქდებოდნენ. გათურქდნენ ალბანელები და აგრეთვე მომთაბარე ტომები. თურქთა მიერ დაპყრობილი ბიზანტიის მოსახლეობა ძირითადად გათურქდა. მაგრამ ოსმალეთში მიიღეს ავტონომიები მართლმადიდებელთა, ე.წ. ბერძენთა ეთნორელიგიურმა თემებმა. ასევე, სომხურ-მონოფიზიტურმა, ებრაელთა და „ფრანგთა“ თემებმა.

ოსმალეთსა და თურქთა მიერ დაპყრობილ სხვა ქვეყნებში (თითქმის XX საუკუნემდე) ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებდნენ ეროვნებასა და სარწმუნოებას. ყველა მაჰმადიანი ერთგვაროვან ეთნორელიგიურ მასას წარმოადგენდა – „მუსულმანებს“. კონსტანტინეპოლის მართლმადიდებელი პატრიარქის ხელქვეშ მყოფ მოსახლეობას „ბერძნებს“ უწოდებდნენ, სომეხი კათალიკოსის დაქვემდებარებაში მყოფ ეთნო-ჯგუფებს – „სომხებს“, კათოლიკურ მოსახლეობას კი – „ფრანგებს“.

საქართველოში ქართველი მოსახლეობა, როგორც აღინიშნა, არ დაიშალა რელიგიურ თემებად, რადგანაც ქართველმა ხალხმა სხვადასხვა მხარეში კუთხური სახელმწიფოები, ანდა დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეულები წარმოქმნა. ამ კუთხეთა ქართველობას ეთნოსახელწოდება ეწოდა ამ სახელმწიფოებრივი ერთეულების სახელის მიხედვით. მაგალითად, იმერეთის სამეფოს ქართველობის ეთნოთვითსახელწოდება გახდა „იმერელი“. აქამდე საქართველოს ისტორია არ იცნობდა ასეთ ეთნოთემს. ამ კუთხის სახელმწიფომ თავის ქვეყნის მოქალაქეებში ეთნიკური განსაკუთრებულობის (განსხვავებულობის) შეგნება დაბადა. გურიის სამთავროში – ქართველთა ახალი ეთნოთემი „გურულობა“ წარმოიშვა, სამეგრელოში – „მეგრელობა“ და ა.შ. მაშასადამე, საქართველოში წარმოიქმნა არა ეთ-

ნორელიგიური თემები, არამედ ქართველი ხალხის ეთნოსახელმწიფოებრივი ჯგუფები (კახელები, ქართლელები, იმერლები, გურულები, მეგრელები, სვანები, მესხები შესაბამის სახელმწიფოებრივ ერთეულებში - კახეთში, ქართლში, იმერეთში და ა.შ.).

ნაციონალური მოწყობის ასეთი სახე მკვეთრად განსხვავდება თურქულ-სპარსულ-მაჰმადიანურისაგან და მსგავსი იყო ევროპულისა. ევროპაშიც მოსახლეობა ყალიბდებოდა არა ეთნორელიგიურ თემებად, არამედ იქ სახელმწიფოს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ეთნიკური თვითშემეცნების ფორმირების საქმეში.

იმის შემდეგ, რაც თათართა შემოსევების შემდეგ დაეცა ქართველთა ეროვნული თვითშემეცნება, დაიშალა ერთიანი სახელმწიფო და კუთხურ სახელმწიფოებში ჩამოყალიბდა ქართველთა ეთნოსახელმწიფოებრივი ჯგუფები, ქართველი ერის ერთიანობაც თითქმის მოიშალა.

ამ საუკუნეებში უკვე გვხვდება ტერმინი „ნათესავით მესხი“, „ნათესავით დვალი“ (ე.ი. ეროვნებით, გვარ-ტომობით „მესხი“, გვარ-ტომობით „დვალი“). აქამდე კი საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებს მხოლოდ და მხოლოდ „ნათესავით ქართველი“ ეწოდებოდა (იხ. ამის შესახებ წინა პარაგრაფებში).

არა მარტო X-XI საუკუნეებში, როცა ქართველთა ეროვნული თვითშემეცნების გრძნობა განსაკუთრებით იყო გაზრდილი, არამედ უფრო ადრეც, ქართველობა ძალზე კარგად ასხვავებდა ერთმანეთისაგან ეროვნებასა და სარწმუნოებას. ასევე კარგად იყო ცნობილი ისიც, რომ ნებისმიერი კუთხის მოსახლეობა საქართველოში ეროვნებით „ქართველს“ წარმოადგენდა (მაგალითად, დავით და კონსტანტინე მხეიძეებს, რომელნიც არაბთა მიერ ეწამნენ, მემატიანენი „იმერლებს“ კი არ უწოდებდნენ, არამედ „ქართველებს“. წარმოშობით კახეთის მკვიდრს, X საუკუნის მოღვაწეს, ილარიონს „კახელს“ კი არ უწოდებდნენ, არამედ „ქართველს“. იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებს „ნათესავით მესხს“ კი არ უწოდებდნენ, არამედ „ნათესავით ქართველს“ და ა.შ. (როგორც ეს განხილული გვაქვს სხვა პარაგრაფში).

რა აერთიანებდა სხვადასხვა სახელმწიფოებრივ ერთეულებში დაფანტულ ქართველობას? ძირითადად ეს იყო ქართული ენა და ქართული კულტურა, და რაც მთავარია ეროვნული ეკლესია, ქრისტიანობა.

ქრისტიანობა ამ დროს ქართველთა ერთ-ერთ ეროვნულ ნიშან-თვისებად იქცა. არაქრისტიანი არაქართველად მიიჩნეოდა. ქრისტიანობა ქართული ეთნოსის დამცველი ფარი გახდა განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს სპარსთაგან დაპყრობის შემდეგ. სწორედ ასეთ დროს ქართული ეკლესიის ერთიანობის დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. საეკლესიო ერთიანობა ეროვნულ ერთიანობასაც ედებოდა საფუძვლად. სამწუხაროდ, საეკლესიო ერთიანობის დაცვა ადმინისტრაციული თვალსაზრისით შეუძლებელი გახდა. თუმცა კი, როგორც ითქვა, მცხეთის სამოციქულო საყდრისაგან განშორებული მესხეთისა და დასავლეთ საქართველოს ეკლესიები აბსოლუტურად ქართული ეკლესიები იყვნენ, სულიერი ნაწილნი ერთიანი ეკლესიისა.

იმ დროს, როცა ევროპასა და რუსეთში მიმდინარეობდა სახელმწიფოებრივ ერთეულთა გაერთიანების გზით დიდი ერების ჩამოყალიბება, ერთიანი ქართველი

ერი, პირიქით, დაიშალა. ერთიანი ქართული სახელმწიფოს სხვადასხვა სახელმწიფოებრივ ერთეულებად დაშლასთან ერთად, ერის კიდევ უფრო დაშლას ხელი შეუშალა საეკლესიო ერთიანობამ. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში ქართლისა და კახეთის სამეფოები არსებობდნენ, ეკლესია კი ერთიანი იყო. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართლ-კახელების ქართველობის შენარჩუნებისათვის. ასევე დასავლეთ საქართველოში მრავალი სახელმწიფოებრივი ერთეული წარმოიქმნა (ერთი სამეფო და ოთხი სამთავრო), მაგრამ აქ ეკლესია ერთიანი იყო, რაც ხელს უწყობდა დასავლელ ქართველთა ეროვნული ერთიანობის დაცვის საქმეს.

ასე რომ, მიუხედავად გარშემო გამეფებული ყოვლისმომცველი დამშლელი სულის არსებობისა, ქართულმა ეკლესიამ შეძლო სულიერი ერთიანობის შენარჩუნება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში.

სასწაულთმოქმედი ხატი აწყურისა

ცნობილია, რომ წმიდა ანდრია პირველწოდებულმა, ჩვენი უფლისა და მაცხოვრის მოციქულმა, საქართველოში შემოსვლისას თან შემოიყვანა ხელთუქმნელი ხატი ღვთისმშობლისა. ჩვენ წინა თავებში გარკვეული გვქონდა, რომ ანდრია მოციქულს საქართველოში პირველად უმოგზაურია 30-35 წლებში, მეფე ადერკის დროს. აწყურის ხატის შესახებ შემდეგი ცნობაა დაცული: „შემდგომად ამაღლებისა უფლისა, რაჟამს წილ-იგდეს მოციქულთა, მაშინ ყოვლადწმიდასა წილად ხვდა მოქცევად ქვეყანა საქართველოჲსა. და ჩვენებით ეჩვენა მას ძე მისი, უფალი ჩვენი, და რქვა: „ჰოჲ, დედაო ჩემო, არა უგულებელ ვყო ერი იგი საზეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის. ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხვედრებულსა და თანა-წარატანე ხატი შენი, ვითარცა პირსა შენსა დადებითა გამოიხატოს. და შენ წილ ხატი იგი მკვიდრობდეს მცველად მათდა უკუნისამდე ჟამთა“ ... მაშინ ყოვლად-წმიდამან მოითხოვა ფიცარი, დაიბანა პირი და დაიდვა პირსა ზედა თვისსა და გამოიხატა ხატი ესევითარი, რომელ წიაღთა თვისთა ეტვირთა განხორციელებული ჩვილი, ყოვლად სახიერი სიტყვა ღვთისა, რომელ აწ ყოველთა მიერ სახილველ არს ხატი ყოვლად-წმიდისა აწყვერისა ღვთისმშობლისა. და მისცა იგი მოციქულსა ანდრიას და რქვა: „მადლი და შეწევნა ჩემგან შობილისა უფლისა თანაშემწე გეყავნ შენ, სადაცა ხვიდოდე და მეცა თანაშემწე ვარ ქადაგებისა მაგას და დიდად შევეწიო მონაწილესა მას ჩემდა ხვედრებულსა“[70].

ანდრია შემოდის საქართველოში, თავდაპირველად ტრაპიზონში, შემდეგ დიდ აჭარაში. აქ ღვთისა და ხატის შეწევნით „ყოველნივე მოაქცივნა და მოიყვანა სარწმუნოებად“[71]. „რამეთუ ადგილსა, რომელსა დაასვენა ხატი ყოვლად-წმიდისა ღვთისმშობლისა, აღმოცენდა წყარო ფრიად მშვენიერი, და დიდი, რომელი-იგი ვიდრე დღესაცა დაუწყვეტელად აღმოდის“. აქ მოინათლა ხალხი, დაუდგინა მღვდელნი და დიაკონნი, ააშენა ეკლესია ღვთისმშობლის სახელზე. ახალმოქცეულმა მორწმუნეებმა სთხოვეს ხატი ეკლესიაში დაესვენებინა მათ სასოდ და მცველად. ანდრიამ

„შექმნა ფიცარი მსგავსი ზომისა და დასდვა ხატი მას ზედა. და მეყვსეულად გამოისახა სახე უცვალებელი ხატისა და მისცა იგი მათ. ხოლო მათ სიხარულით შეიწყნარეს და დაასვენეს ეკლესიასა შინა თვისსა პატივით, რომელი იგი ვიდრე დღეს-აქამომდე ჰგიეს“.

ამის შემდეგ წმიდა მოციქული აწყურში ჩავიდა. ღამით მცხოვრებლებმა ციხიდან, სადაც ხატი ესვენა, იხილეს დიდი ნათელი. შემდგომ წმიდა მოციქულის ლოცვამ და წმიდა ხატმა მკვდრეთით აღადგინეს მიცვალებული. კერპთაყვანისმცემელმა მოსახლეობამ გამოცდის მიზნით წმიდა ხატი ღამით დაასვენა წარმართულ ტაძარში, სადაც არტემიდესა და აპოლონის ქანდაკებები იდგა, დილით ეს კერპები დამხობილი იხილეს, „ხოლო ხატი ყოვლად-წმიდისა ღვთისმშობლისა ბრწყინავდა, ვითარცა მზე, დიდებითა და პატივითა“[72].

„და ჰრწმენა ყოველთა უფალი ჩვენი იესო ქრისტე და სიხარულით ნათელ-იღეს ყოველთა სახელითა მამისითა და ძისითა და სულისა წმიდისითა“. აქაურ მრევლს მოციქულმა „დაუდგინა ეპისკოპოსი, მღვდელნი და დიაკონნი“[73].

მოციქულმა წმიდა ხატი მრევლს დაუსვენა აწყურში. „დაასვენეს ყოვლად დიდებული ხატი ყოვლად წმიდისა აწყვერის ღვთისმშობლისა მცირესა მას ეკვდერსა, რომელსა აწ ძველ-ეკლესიად სახელ-სდებენ“[74].

აწყურში ეს წმიდა ხატი XV საუკუნემდე ესვენა. თვით „ქართლის ცხოვრების“ ზემოთ მოყვანილი ჩანართის დაწერის დროსაც ღვთისმშობლის დიდებული ხატი აწყურში ესვენა.

ბიზანტიური ხატმბრძოლობის დროს საქართველოში არათუ შემცირდა ხატთა თაყვანისცემა, პირიქით, გაძლიერდა. ამას, ალბათ, ბიზანტიიდან დევნის გამო გამოძევებული ხატთაყვანისმცემელი ბერების საქართველოში ჩამოსვლაც უწყობდა ხელს.

უფრო ადრე, ხატმბრძოლობის ერესის წარმოშობამდე, აწყურის ხატი დიდად სახელგანთქმული ყოფილა. VII ს-ის დასაწყისში საქართველოში შემოსული ბიზანტიის იმპერატორი ჰერაკლე კეისარი საგანგებოდ მისულა ამ ხატის თაყვანისსაცემად.

„...ესმა სასწაულთმოქმედება ხატისა მის, რომელი ღვთისმშობელსა გამოესახა. მოვიდა კეისარი ერაკლე ხილვად და თაყვანისცემად ხატისა მის. მაშინ იწყო ერაკლე აწყუერის დიდისა საყდრისა საძირკველისა ჩაგდებად და შენებად. ვიდრემდის მიერითგან განსრულდა მორწმუნეთა კაცთა მიერ და მიერ შექმნეს საეპისკოპოსოდ“[75]. ღვთისმშობლის ხატისათვის აშენებული ტაძარი საეპისკოპოსო ეკლესიად უქცევიათ.

აწყურის სასწაულთმოქმედი ხატი უდიდესი სიწმიდე იყო საქართველოში. მას, ისევე როგორც ღვთისმშობლის სხვა ხატებს საქართველოში, უხვად ამკობდნენ ძვირფასი ქვებით, მინანქრით, თვალ-მარგალიტით, ხოლო ოქროს ხანაში, მასაც, ისევე როგორც სხვა ხატებს, მდიდარ შესაწირავს უძღვნიდნენ საქართველოს მეფენი.

1477 წელს ირანის მბრძანებელი უზუნ-ჰასანი საქართველოს შემოესია. ვენეციის რესპუბლიკის ელჩი ჯ. ბარაბო, რომელიც თან ახლდა მას, წერს: „საქართველოში შევიჭერით, რადგანაც მისი გაძარცვის სურვილი ჰქონდა მბრძანებელს. ... მივედით თბილისში ... დავეუფლეთ, შემდეგ წავედით უფრო ზევით – გორისაკენ ... ბატონი უზუნ-ჰასანი შეუთანხმდა საქართველოს მეფეს ბაგრატს და ყვარყვარეს, რომელიც ამ მეფეს ესაზღვრებოდა, რომ მისთვის მიეცათ 16 000 დუკატი და თბილისის გარდა მთელ ქვეყანას დაუტოვებდა მათ. მეფე ბაგრატმა და ყვარყვარემ, უნდოდათ რა ამ ფულის გადახდა, გამოაგზავნეს ოთხი ბალახში ... ისევე ხარისხიანი როგორც ისინი, რომლებსაც ვენეციაში, სან მარკოს საკურთხეველზე უჩვენებენ“[76].

საქართველოს მეფეს ირანის მბრძანებლისათვის 4 ბალახშის ანუ ლალის ქვა გაუგზავნია, რომელიც 4 000 დუკატად შეაფასეს, მაგრამ დამპყრობელმა ფულის გადახდა მოითხოვა.

ძველ დროს საქართველოსა და ქრისტიანულ მსოფლიოშიც ძვირფასი ქვებით ამკობდნენ ხატებსა და საეკლესიო სიწმიდეებს. ასეთივე თვლებით ყოფილა შემკობილი, ბარაბოს თქმით, იტალიაში წმიდა მარკოზის (სან მარკოს) ტაძრის საკურთხეველიც. ამ ძვირფასი თვლების მიღების შემდეგ, ჩანს, უზუნ-ჰასანი დაინტერესდა საქართველოში ძვირფასი თვლების ადგილსამყოფლით. სავარაუდოა, მას აუხსნეს, რომ აწყურის დიდებული სასწაულთმოქმედი ხატიც ასევე იყო შემკობილი. ამით უნდა აიხსნას აწყურის ხატის ბედიც. სამცხეში შეჭრილმა უზუნ-ჰასანმა აწყურის ხატი გაიტაცა და გაძარცვა, „აიყარა ყაენი და წარვიდა საყაენოსა და ტყვე ჰყვეს ხატი აწყვერისა ღვთისმშობელი და წარიყვანეს ქვეყანასა მათსა და იქმნა დიდი გლოვა და მწუხარება მოუთხრობელი სრულიად მესხეთსა ზედა“[77].

იმ ქვეყანაში, სადაც ხატი მიასვენეს „...ქვეყანასა მას უცხოთესლთასა, ესევითარი რისხვა ღმრთისა მიავლინა: არც შობა დედაკაცმან, არცა პირუტყვმან, არცა ჰყო ხემან ნაყოფი, არცა მიწამან აღმოაცენა“.

და იქმნა დიდი გამოძიება მათ შორის უცხოსა ამისათვის საქმისა და იტყოდეს: „რაი-მე არს ესე?“ ... უბრძენესთა კაცთა მის ქვეყანისათა ესრეთ თქვეს: „ოდეს-იგი საქართველოსა ვილაშქრეთ, მაშინ ერთსა დიდსა საყდრიდამან ფიცარი ერთი, შემკობილი მრავლითა პატივითა, ვიხილეთ და წარმოვიღეთ. და მგზავრობასა მას ჩვენსა უცხო სასწაული ვიხილეთ მისგან, რამეთუ მწუხრსა ჩავასვენეთ ულრმესსა ადგილსა ბარგისასა და ვითარცა გათენდის, აღმოვიდეს სიღრმისაგან და მაღლად მჯდომარე იხილვებოდის და ვითარცა მზე ბრწყინავდის. და საქმე ესე უეჭველად მისგან იქმნა ქვეყანასა ჩვენსა და თუ გნებავს განრინება ჭირისაგან მისგან, იგი მოვიძიოთ და ქვეყანასა მათსა განუტეოდ“[78]. წმიდა ხატი „...განგებითა საღმრთოთა მცირედთა ჟამთა სამცხეს მოიწია ადგილსა, რომელსა აწ ელავსი ეწოდების, და იქმნა დიდებული სასწაული, რამეთუ მყის განათლდა სრულიად სამცხე და განმბრწყინდა წესისამებრ პირველსა“[79].

მალე ეს წმიდა ხატი სამცხის მოსახლეობისათვის, ჩანს, სათემო ხატად ქცეულა, იმ თვალსაზრისით, რომ სამცხელებს ეს წმიდა ხატი ჩაუთვლიათ მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებულ მფარველად მესხებისა (არა საქართველოსი - ერთიანი

ქართველი ერისა, ეს გამოწვეული იყო იმ ეპოქაში ეროვნული გრძნობის დაკნინებით). მაგალითად, თვით მემატიანე, აღმწერელი აღნიშნული ამბის, შემდგომ წერს: „და ესმა მეფესა, ვითარმედ მესხნი წარვიდეს, აღიმხედრა ლაშქრითა თვისითა და დევნა უყო, ვითარცა იგი ფარაო ისრაილთა და მოეწივნეს ადგილსა, რომელსაც არადეთი ეწოდების. ხოლო მესხნი მოუბრუნდეს სახელსა ზედა ყოვლად-წმიდისა აწყვერისა ღვთისმშობლისასა და განეწყვნეს ურთიერთას ... მესხთა გაემარჯვა და ესევითარი ძლევა აღადგინეს მესხთა ქართველთა ზედა, რომლის მსგავსი არა სად სმენილ არს“[80].

ზემოთ აღნიშნული ამონაწერი კარგად ახასიათებს ერთიანი ქართველი ერის თემებად და ტომებად დაშლა-დანაკუწების სურათს.

აწყურის ტაძრის აშენებისას (VII საუკუნეში) სწორედ მესხეთის ტერიტორიაზე, ტაო-კლარჯეთში, აღორძინდა სახელმწიფო „ქართველთა სამეფოს“ სახელწოდებით. მაშინ ყოველ აქაურ მკვიდრს, როგორც წესი, ყოველი მატიანე თუ ქრონიკა „ქართველს“ უწოდებდა. აქაური სულიერი მამები (არა მარტო გიორგი და ექვთიმე მთაწმიდელები), არამედ ყოველნი – „ნათესავით ქართველად“ იწოდებოდნენ. ტერმინი „ნათესავით მესხი“ იმ დროს არც იხმარებოდა. მონღოლთა შემოსევის შემდგომ, მუსულმანურ-თათრულ ალყაში მოყოლილი საქართველოს ეკონომიკურ-სოციალური დაქვეითებისას, მხარე-კუთხეთა ერთიანი საქართველოსაგან განკერძოების შემდეგ, სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ქართველობას უჩნდება კუთხური, თემურ-ტომური პატრიოტიზმი. ამას აღნიშნული ამონაწერიც უჩვენებს. აქ სრულიად საქართველოს სამეფო ტახტზე მჯდომი ხელმწიფე ეგვიპტის ფარაონთანაა შედარებული, ხოლო მესხეთის მკვიდრნი კი ფარაონის მიერ დევნილ, უცხო, დაჩაგრულ ისრაელის ერთან. ასეთი შედარება კი უდიდესი ეროვნული დაცემის, სულიერი დაკნინებისა და ეროვნული გადაგვარების საბუთია, წინა დღე საქართველოს დამხობისა.

1486 წელს სამცხეს შეესია იაყუბ ყაენი „აღძრა ეშმაკმან მოძულემან კეთილისამან თათარნი ქრისტიანთა ზედა, შეკრიბა სიმრავლე ურიცხვი თურქმანთა და მომართეს სამცხეს“[81].

აწყურის წმიდა და დიდებული ხატი ეკლესიიდან გადაასვენეს ციხესიმაგრის „საჭურჭლეში“. ციხე მტერს უბრძოლველად ჩააბარეს მაწყვერელმა ეპისკოპოსმა და ციხიონმა იმ პირობით, რომ მტერი არ დაარღვევდა აწყურის ტაძარს, მაგრამ პირობა გატეხეს: „ხოლო ხატი ყოვლად-წმიდისა სასოსა ჩვენისა, შემკობილი თვალთა მიერ პატიოსანთა, ცოდვათა ჩვენთათვის ტყვე-ჰყვეს და მიჰგვარეს უსჯულოსა მას მთავარსა... ბილწითა ხელითა თვისითა განძარცვა შემკობილობა ხატისა და შემდგომად ამისა აღაგზნეს ცეცხლი ფრიად დიდძალი და შიდა შთააგდეს. ხოლო ცეცხლი იგი დაშრტა და ხატსა ყოვლადვე არა შეეხო, არცა თუ ნაბრძვილი აჩინა, რომელი-ესე მრავალთაგან და თვით თვალთაცა სახილველ იქმნა. ესრე-რა სასწაული იხილა ერთმან ვინმე ლაშქართა მათ შინა მყოფთაგანმან ქრისტიანემან და სჯულითა არამართლმადიდებელმან, აღიპყრა ხატი იგი, ყოვლად-წმიდისა...“[82].

ამ კაცმა ხატი თავის ქვეყანაში წაასვენა. „...ეპყრა კაცსა მას ხატი იგი ყოვლად-წმიდისა სასოსა ჩვენისა აწყურისა ღვთისმშობლისა დიდითა პატივითა, გამოეცხადა კაცსა მას და რქვა: „უკეთუ არა წარმიყვანო ქვეყანასა ჩემსა, დიდი ბოროტი მოვაწიო შენ ზედა“ და წარმოვიდა მსწრაფლ კაცი იგი და აუწყა ყოველივე პატრონსა ყვარყვარეს და მანუჩარს“[83].

ხატი დააბრუნეს აწყურში, „დაასვენეს საყდარსა თვისსა“. ტყვეობიდან მოსვლის შემდეგ, მემატიანის აზრით, წმიდა ხატმა იაკუბ ყაენს, რომელიც ხატს მახვილით შეეხო, და მის ოჯახს, საშინელი რისხვა მოაწია: მთელი მისი ნათესაობა და სახლობა ამოწყდა.

1546 წელს აწყურის წმიდა ხატი აწყურიდან ციხისჯვარში გადაუსვენებია იმერეთის მეფე ბაგრატ III–ს, ხოლო შემდეგ „ციხისჯვარიდან აწყურისა ღვთისმშობელი ტყვედ წაასვენეს იმერეთს“[84]. ეს მოხდა 1553 წელს.

ის მოხვედრილა ბაგრატ III-ის ძის, გიორგი II-ის (იმერეთის მეფის), ხელში. ხატი მრავალგზის „განძარცვული“, მეფე გიორგიმ ახლად მოაჭედინა“[85]. ახლად მოჭედილ ხატს გაუკეთეს წარწერა: „ქ. ჩვენ მეფეთა მეფემან პატრონმან გიორგი და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთა დედოფალმა თამარ და მეფეთა ჩვენთა პირმშოთა ალექსანდრე და მამიამა მოვაჭედინეთ ხატი ესე ყოვლად წმიდისა წარსამართებულად მეფობისა ჩვენისათვის და ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად, ამინ“[85], აქ მოხსენებული ყოფილა იმერეთის მეფე გიორგი II (1565-1583).

სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობა ძირითადად გამაჰმადიანდა – გათათრდა და დაეკარგა ქართველ ერს. წმიდა ხატი იქ იცავდა ქრისტიანობასა და ქართველობას. „1645 წელს მტრის შემოსევებისაგან შევიწროებული აწყურის ღვთისმშობლის ეკლესიის გლეხები მასიურად აყრილან და ქართლისათვის შეუფარებიათ თავი. როსტომ მეფეს საგანგებო პირობები შეუქმნია და „ბრძანებით“ დაუცავს მათი ხელშეუხებლობა. როსტომ მეფე ამბობს: „...ვინ იცის და სოფლის საქმე ასრე მოხდეს, რომ საათაბაგოსშვილოს ქრისტიანი მეპატრონე გაუჩნდეს და აწყურის ღვთისმშობლის ჯვარი და ხატი თავის სამკვიდროზედ მოასვენონ და მათი ყმა ასაყრელად მოინდომონ, ვერავინ დაუჭიროს, თუ არა და სხვას ხელი არ ჰქონდეს“[86]. სამწუხაროდ, საათაბაგოს ქრისტიანი მეპატრონე აღარ გამოუჩნდა.

ცნობილია, რომ იტალიაში, ტურინის სუდარაზე გამოსახულია მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, რაც დადასტურებულია ეკლესიის მიერ. ხელთუქმნელია აწყურის ხატიც – გამოხატული ფიცარზე ღვთისმშობლის სახეზე შეხების შედეგად. ის ამჟამად ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

იმ საუკუნეებში წმიდა ხატებმაც გაიზიარეს უბედურება ქართველი ხალხისა. მტერმა „შემუსრა ხელითა თვისითა სიონთა ღვთისმშობელი და განძარცვა მრავალფასის სამკაული, ქართველთა მეფეთაგან სასოებით შემკული ... უფასონი იგი თვალნი და მარგალიტნი თვით წარიღო და წმიდა იგი ფიცარი განაშიშვლა მძლავრმან უსჯულომან შაჰ-ისმაილ, და დასდვა თავსა ზედა განსავალსა მას ხიდისასა, რომელ არს ციხესა შინა ტფილისისასა და შეიპყრეს მრავალნი ქრისტიანენი და მიჰკრიბეს ხიდსა მას ზედა და მძღვრებით აიძულებდეს ფერხითა

დათრგუნვად ხატსა მას წმიდისა დედოფლისა ჩვენისა და მრავალთა აღირჩიეს სიკვდილი და არა დათრგუნეს ხატი იგი და წარეკვეთნეს წმიდანი და ყოვლად ქებულნი თავნი მათნი“. ეს მოხდა დაახლოებით 1533 წელს. შაჰ-ისმაილმა თავისი სიბოროტის აღსრულების შემდეგ წმიდა ხატი მდინარეში გადააგდებინა. ის იპოვა ერთმა მწყემსმა მდინარის პირას, ტირიფის ხეზე წაღმა მისვენებული, შეატყობინა კახეთის მპყრობელს, ლევანს, რომელმაც მეორედ შეამკო სიონის წმიდა ხატი.

ასე აფრთხობდა მტერს მეტეხისა თუ ვარძიის ღვთისმშობლის ხატებიც, ყოველგვარი საეკლესიო სიწმიდენი, რამეთუ ისინი იცავდნენ ქართველ ერს ქრისტიანული სარწმუნოების ძალით.

თავი XIV

ქართული ეკლესია XVI საუკუნეში

„მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი,
რომელსაც ვეძებ, რომლისთვისაც ვსტირი?
იგი ადარ გყავთ... მის მოედანი
ბაგით ადვსილა, ვერანად ქმნილა,
გმირის დამბადი დიდი საგანი
თქვენში სპობილა და წარწყმედილა.
გადასდგომიხართ თქვენ ქართველობას,
დაგინგრევიათ დიდი მამული...“

ილია ჭავჭავაძე

საქართველო XVI საუკუნეში

ქართველ მეფე-მთავართა შორის 1459 წელს დადებული ზავი მალე დაირღვა. მიუხედავად ამისა, საქართველოს სამეფო კვლავ ერთიანი იყო და მას გიორგი VIII მართავდა. 1463 წელს იმერეთის ერისთავი ბაგრატი აუჯანყდა მეფეს, სამცხის მთავარი ყვარყვარე კი მას მუდამ ეწინააღმდეგებოდა. ჯავახეთში გადასული მეფე ყვარყვარემ ღალატით დააპატიმრა. ამით ისარგებლა ბაგრატმა, იმერეთიდან ქართლში გადმოვიდა და თავი მეფედ გამოაცხადა. ბაგრატ VI (1466-1478) მხოლოდ ქართლ-იმერეთს მართავდა. ამ დროს კახეთში ყვარყვარესაგან გათავისუფლებული მეფე გიორგი VIII გადავიდა და თავისი თავი კახეთის მეფედ გამოაცხადა. 1478 წელს საქართველოს (ქართლ-იმერეთის) ტახტზე ავიდა ალექსანდრე I-ის შვილიშვილი, კონსტანტინე II, მასსა და ყვარყვარეს შორის ომით ისარგებლა ბაგრატ VI-ის ძემ, ალექსანდრემ. გადავიდა იმერეთში და იმერეთის სამეფო დააფუძნა 1489 წლიდან.[1]

ე.ი. 1476 წლიდან კახეთის მეფეა ალექსანდრე გიორგი VIII-ს ძე.

1489 წლიდან იმერეთის მეფეა ალექსანდრე ბაგრატის ძე.

1478 წლიდან ქართლის მეფეა კონსტანტინე II. მას სრულიად საქართველოს მეფობაზე გააჩნდა პრეტენზიები.

„იქმნა მიერ ჟამითაგან სამეფოსა განხეთქილება სამად. რამეთუ ერთი მეფე დაჯდა იმერეთს, ერთი კახეთს და ნეშტი დარჩა მეფესა ქართლისასა. და არცაღათუ ამას აკმარეს, არამედ განდგა თავადად ათაბაგი და მან დაიპყრა საათაბაგო, რომელ არს სამცხე-კლარჯეთი. კვალად განდგა იმერეთგან თავადად დადიანი, გურიელი, შარვაშიძე და სვანნი და ამათ დაიპყრეს საზღვარნი თავისნი. და ვიდრე აწამდე არღარა იქმნა შეკრება მისი“.[2]

მუდმივი შინაშფოთი იყო საქართველოში, სამეფო-სამთავროები ერთიმეორეს ეომებოდნენ, „განათუ მეფენი არა იბრძოდნენ, არამედ სპანი მარადის“.[3]

„...ყველა მეფეები ცალ-ცალკე გაერთიანებისათვის იბრძოდნენ და დანარჩენთა მიმართ დამპყრობელობითს პოლიტიკას აწარმოებდნენ. ამით აიხსნება ის უცნაური გარემოება, რომ საქართველოში მაშინ ერთსა და იმავე დროს სამი „მეფეთა-მეფე“ ბრძანდებოდა, რომელთაგან თითოეული ცალ-ცალკე სრულიად საქართველოს ხელმწიფის მეფურს წოდებულობას ხმარობდა“.[4] არა მარტო ქართლის მეფეები, არამედ კახეთისა და იმერეთის მეფეებიც ასე იქცეოდნენ. ისინი სრულიად საქართველოს მეფეებს უწოდებდნენ თავიანთ თავს. მაგ. კახეთის მეფეთა ტიტულატურა რამდენიმე თაობის მანძილზე ასეთი იყო: „ნებითა ღვთისაჲთა აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა და სომეხთა მეფე, შაჰანშა და შარვანშა და ყოვლისა საქართველოსა, და ჩრდილოეთისა აღმოსავლეთით ვიდრე დასავლეთამდე თვით ხელმწიფედ, მპყრობელ-მქონებელი“.[5]

ქართლში ლაშქრობების მოყვარული ყოფილა კახეთის უფლისწული კახთა მეფე ალექსანდრეს ძე – გიორგი.

„ამან გიორგი დაიწყო ბრძოლა ქართლსა ზედა, რამეთუ დაპყრობა უნდოდა ქართლისა. ხოლო მამა მისი ალექსანდრე და ძმა მისი დიმიტრი ევედრებოდნენ:

„რამეთუ ძმანი არიან და არა ჯერ არს შენგან ცილობა და დაპყრობა ქართლისა, კმა არს შენთვის კახეთიცა“... ამას ზედა აღივსო შურითა გიორგი და ღალატით მოკლა მამა თვისი ალექსანდრე საფურცლეს ჩალასა შინა“.[6]

მამის მკვლელმა შემდეგ ძმას თვალები დათხარა და გააძევა. ეს მოხდა 1511 წელს. მას ამის გამო ავ-გიორგი უწოდეს. როგორც ჩანს, მას შეუგრძნია თავისი ცოდვა, შენდობა უთხოვია ქართლის კათალიკოსისა, ქართლის მთავარეპისკოპოსისა და ალავერდელი მღვდელმთავრისათვის.

„ქართლის კათალიკოსს, მთავარეპისკოპოსს და ალავერდელს გიორგი მეფისაგან ცოდვის მონანიება და დაურვება მოუთხოვიათ, მასაც ყველაფერი აუსრულებია ... გიორგი მეფეს საგანგებოდ ხაზგასმულობით ნათქვამი აქვს: რაც თქვენ მოგვთხოვეთ, „გავიგონეთ და მცხეთისა საყდარს შემოვეხვეწენით და დავიურვეთო“.[7]

მაგრამ ავ-გიორგის ქართლის დარბევა არ დაუშლია, იქ გამეფება სურდა. იმდროინდელი მეფე ქართლისა, დავითი, იყო: „კაცი მშვიდობის მყოფელი და სათნო ღმრთისა... ეკრძალებოდა სისხლსა ავ-გიორგისასა მეფე დავით და სპანი მისნი ყოველნივე“.[8]

აქედანაც ჩანს, რომ, მართალია, საქართველო დაიშალა, მაგრამ მის მოსახლეობას ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს პასუხისმგებლობა ეთნიკური ერთობის წინაშე. კერძოდ, კახეთის მეფე ალექსანდრე თავის შვილს ქართლში ლაშქრობას უშლიდა, რადგანაც ძმათა (ე.ი. ქართველებს) შორის სისხლის დაღვრას ერიდებოდა. ასევე იქცევა ქართლის მეფე დავითიც. ის და მისი სპაც შემოჭრილ კახეთის მეფე გიორგის არ ებრძვიან, რადგანაც ქართველთა შორის სისხლის დაღვრას ერიდებიან. საუბედუროდ, ასეთი მიდგომა ხშირი არ იყო.

ასეთივე ეთნიკური ერთობის გრძნობით შეიძლება ავხსნათ ის, რომ ქართლში, მტვერის ციხეში ალყაშემორტყმულ ქართლის მეფის ძეს ავ-გიორგი ძღვენს (ღვინოს) უგზავნის და სამაგიეროდ მისგან იღებს ძღვენს (ახალ თევზს). სხვა მსგავს შემთხვევაში სამკვდრო-სასიცოცხლოდ შემოჭრილ მტრებს ქართველები ძღვენს არ უგზავნიდნენ ხოლმე. ავ-გიორგი მალე შეიპყრეს ქართლში და ციხეში დაპატიმრებული, ჩანს, მოკლეს. დაკრძალეს მცხეთაში.

ქართლის მეფე ამის შემდეგ შევიდა კახეთში და ქართლ-კახეთი გააერთიანა ერთ სამეფოდ (1513-1518 წლებში).

1514 წელს ოსმალეთსა და ირანს (სეფიანების სახელმწიფოს) შორის ომი დაიწყო, რომელიც დროგამოშვებით 1555 წლამდე გრძელდებოდა. ყვარყვარე III-ს მისი ბიძა მანუჩარი შეედავა. ყვარყვარე დამარცხდა, ის ირანული ორიენტაციისა იყო, მანუჩარი – თურქულისა. ყვარყვარე ირანში გაიქცა, მას შაჰი დაეხმარა თავისი ლაშქრით. ათაბაგობა კვლავ ყვარყვარეს დაუმტკიცეს, 1518 წელს ყვარყვარე III ირანელებს ქართლში შემოუძღვა. ამით ისარგებლეს კახელებმა და კახეთში ავ-გიორგის ძე ლევანი გაამეფეს. ქართლის, კახეთისა და სამცხის მმართველები 1518 წლიდან ირანის ვასალები გახდნენ.

ქართლის მეფემ კვლავ დააპირა კახეთის შემოერთება, მაგრამ ლევან მეფის დასახმარებლად გურიის მთავარი შემოვიდა ქართლში, რომელმაც სიტყვით მიმართა ქართლის მეფეს: „მოვედ ვედრებად თქვენ წინაშე, რათა ვყოთ ზავი თქვენსა

და ლევანს შორის... აწ გევედრებით, რათა ჰყოთ ზავი და სიყვარული თქვენს შორის, რამეთუ არიან მტერნი ძლიერნი გარემოს, ვითარცა ყეენი, რომელ იპყრობს ქვეყანათა".[9] აქედან ჩანს, რომ ამ დროისათვის ჯერ კიდევ მაღალია ეთნიკური ერთიანობის შეგნება და ერთმანეთს შორის სისხლისღვრა დანაშაულად ითვლებოდა, ხოლო მტერს საერთო მტრად მიიჩნევდნენ.

მართალია, ქვეყნის ერთიანობისათვის ეკლესია თავდადებით იღვწოდა, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში, როცა ქართველები ერთიანობის მომიზეზებით ერთმანეთის სისხლს თავდაუზოგავად ღვრიდნენ, საეკლესიო პირებს გადაუწყვეტიათ, ეცნოთ ქართული სამეფოების ცალ-ცალკე არსებობა (ისე, როგორც 1490 წლის დარბაზობისას).

„მაშინ გარნა თუ მეფესა არა ენება ესე და წადიერ იყო ბრძოლისა, არამედ განაზრახებდნენ კათალიკოს-ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი ყოფად ზავისად. ამისთვის სათნო იყო მეფემან და ჰყვეს ზავი და განაჩინეს საზღვარი და სიყვარული ურთიერთთა".[10] კახეთისა და ქართლის მეფეებმა ზავიც დადეს და ერთმანეთის მოკავშირეობა იკისრეს.

1521 წელს ლევან კახთა მეფემ შაქის მხარეს გაილაშქრა. შაქი ერთ დროს საქართველოს სახელმწიფოში შედიოდა და ქართველური ხალხით იყო დასახლებული. მართალია, მონღოლთა ბატონობის შემდგომად შაქი ჩამოსცილდა ქართველთა ქვეყანას, მოსახლეობის გათათრების გამო, მაგრამ ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები მუდამ იბრძოდნენ შაქის შემოსაერთებლად, რადგანაც ამ ქვეყანაზე თავიანთი ეთნიკური პრეტენზია გააჩნდათ, ქართველთა ეთნიკური განსახლების, ანუ ეროვნულ ქართულ ტერიტორიად მიაჩნდათ იგი (ეს დაახლოებით ისევე იყო იმ დროისათვის, როგორც მოგვიანებით კაკ-ენისელისა და ლორეს სანახები მიაჩნდათ ქართველთა ეროვნულ ტერიტორიად და მუდამ იბრძოდნენ მათი დაბრუნებისათვის).

კახეთის სამეფოსაც გადაუწყვეტია აღედგინა თავისი პოლიტიკური უფლებამოსილება ქართველთა ეროვნულ ტერიტორიაზე – შაქზე, მაგრამ ამ დროისათვის ის უკვე მუსულმანებით იყო დასახლებული და ირანის ვასალს წარმოადგენდა. როგორც აღნიშნული იყო, საქართველოს საზღვარი მდინარე თეთრწყალზე გადიოდა, შაქი კი ამ საზღვარს შიგნით მდებარეობდა.

XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსი ქათიბ-ჩელები საქართველოსა და შირვანს შორის შაქს, ჩანს, არ ასახელებს იმის გამო, რომ მას შაქი ქართველთა ეროვნულ მიწა-წყლად მიაჩნია, ჩანს, ირანშიც ასეთი თვალსაზრისი არსებობდა (თუმცა შაქი ამ დროს მუსულმანებით იყო დასახლებული), ამიტომაც XVI ს-ის ბოლოს შაქის მმართველად ქართველი (კახეთის მეფის ძე) დანიშნეს.

„საქართველო ვილაიეთია, რომელსაც უკავია დაახლოებით 20 დღის სავალი მანძილი მთებში, შირვანის ზღვასა და შავ ზღვას შორის. მისი საზღვრებია: აღმოსავლეთით – დერებენდი და შირვანი, სამხრეთით – ჩილდირის, ყარსისა და არზრუმის ვილაიეთები, დასავლეთით – შავი ზღვა, ჩრდილოეთით კი აბაზასა და დაღესტნის ვილაიეთებით არის შემოსაზღვრული. დამოუკიდებელი გამგებელი ჰყავს, მთელი მოსახლეობა ქრისტიანი ქართველები არიან".[11]

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ალბანელები და ქართველები, როგორც ჩანს, ძველ სპარსელებს ერთი წარმომავლობის ხალხებად მიაჩნდათ ეთნიკური თვალსაზრისით. ჰირკანიელებისა და ძველქართული ტომის ჰერების ერთმანეთთან გაიგივება, ალბათ, შეიძლება. ამ სატომო სახელების აღმნიშვნელი ფუძეებიც („ჰირ“, „ჰერ“) თითქმის იდენტურია. ამ მხარეებში ეგულებოდათ ანტიკური დროის სპარსელებს ჰირკანების, გორგანების, გურზების მეომარი ტომი. საერთოდ, კასპიის ზღვას „ჯურ-ჯანის“ ზღვას უწოდებდნენ (ჯურჯ, გურჯ – ქართველებსაც ერქვათ). თუმცა გვიან, შუა საუკუნეებში ჯურჯანი კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით (გორგანი) მდებარე პროვინციასაც ჰრქმევია. ჯურჯანი-გურგანი საქართველოსაც ერქვა.

ჰირკანიას შემდგომ ალბანეთი ეწოდა. ეს ქვეყანა ქართველებს თავისი ეთნი-კური განსახლების (ჰერების) ტერიტორიად მიაჩნდათ, ამიტომაც ზრუნავდნენ მისი დაცვისათვის. ლეონტი მროველის თანახმად, დარუბანდი ქართველ მეფეს აუშენებია თავდაცვის მიზნით. ალბანია, ანუ ჰერეთი, ქართველთათვის „ზღვისკარი“ ქვეყანაა. „ამან არდამ ერისთავმან აღაშენა ქალაქი ზღვისკარს და უწოდა სახელი დარუბანდი“.

ძველი დროის ისტორიკოსებსაც იბერები და ალბანელები ერთ ხალხად, ქართველე-ბად მიაჩნდათ. ისტორიკოსი პაოლო ჯოვიო ერთგან ამბობს: „...იბერები და ალ-ბანელები დღეს იბერებად წოდებულნი“.[12]

ჩანს, ეს გაითვალისწინა ამიერკავკასიაში შემოჭრილმა ოსმალთა სარდალმა და შაქის გამგებლად 1578 წელს დანიშნა კახთა მეფის ალექსანდრეს შვილი ერეკლე,[13] ხოლო უფრო ადრე, როგორც აღინიშნა, 1521 წელს კახთა მეფე ლევანმა შაქის შემოერთება გადაწყვიტა. ამის საპასუხოდ ირანელები კახეთში შემოიჭრნენ, ზეგამი და გრემი დაანგრიეს. „ამ დროიდან 1578 წლამდე კახეთი ირანის ვასალი გახდა, ქართლი კი თავიდანვე ენერგიულად იბრძოდა სრული დამოუკიდებლობისათვის“.[14]

1522 წელს „ურჩი ვასალის დამორჩილების მიზნით“ ქართლის სამეფოში შემოჭ-რილა შაჰ-ისმაილი. „პირველსავე ბრძოლაში ქართველებმა დაამარცხეს ირანელ-თა მოწინავე რაზმები და გააქციეს ისინი... „უძლიერეს-უსასტიკეს და ფიცხელ“ ბრძოლაში თავი ისახელა დავით მეფის შვილმა, ლუარსაბმა. მაგრამ მტრის სიმრავლემ სძლია. დამარცხებული დავითი შიდა ქართლში დაბრუნდა“.[15] ... მტერ-მა თბილისი ააოხრა, „ეკლესიები გაძარცვა და შემდეგ გადაწვა“. 1524 წელს, შაჰ-ისმაილის გარდაცვალებისთანავე მეფემ თბილისი დაიბრუნა. იმავე წელს ის თბილისის მონასტერში ბერად აღიკვეცა. გამეფდა მისი ძმა, გიორგი, რომელიც მოგვიანებით ბერად აღიკვეცა, მანამდე კი, 1527 წლიდან სამეფო ტახტზე ავიდა დავით მეფის ძე ლუარსაბ I (1527-1556).

1535-1545 წლებში სამცხე-საათაბაგომ არსებული დამოუკიდებლობა დაკარგა. ის იმერეთისა და ქართლის მეფეებმა ერთმანეთს შორის გადაინაწილეს. ქართლს ერგო ჯავახეთი. ამის საპასუხოდ სულთნის ლაშქარი 1536 წელს საქართველოს შემოესია, მაგრამ ათაბაგებს დამოუკიდებლობა ვერ დაუბრუნა.

1541 წელს თბილისს მოულოდნელად ყიზილბაშები შემოესივნენ. შაჰმა თბილი-სის ციხეში თავისი გარნიზონი ჩააყენა, მტრის რაზმები ქართლში შეიჭრნენ. ქვემო ქართლში მოსახლეობა მაჰმადიანობის მიღებაზე უარის გამო დახოცეს,

ქალები და ბავშვები დაატყვევეს. ლუარსაბ მეფე „აწყობდა მოხერხებულ ჩასაფრებას და ღამის თავდასხმებს. შაჰ-თამაზი იძულებული გახდა შეეწყვიტა საომარი მოქმედება“... ის უკან დაბრუნდა.[16]

1543 წელს ქართველებმა მესხეთში შეჭრილი ოსმალები სასტიკად დაამარცხეს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ევროპული ზარბაზნები ჰქონდათ. მათ იმერეთ-საათაბაგოს მეფე ბაგრატი და გურიელი ებრძოდნენ.

1545 წელს ოსმალები კვლავ შემოესივნენ საათაბაგოს. სულთანის მრავალრიცხოვან ჯარს სახოისტასთან ქართლისა და იმერეთის სამეფოების, გურიელისა და მესხების გაერთიანებული ლაშქარი უნდა შებმოდა, მაგრამ „ბრძოლის დაწყების წინ ქართლისა და სამცხე-საათაბაგოს ჯარში უთანხმოებამ იჩინა თავი: მესხები მოითხოვდნენ, რომ მეწინავეობა მათ ჰქონოდათ და, როცა ამაზე უარი მიიღეს, ბრძოლის ველი დატოვეს“.[17] თავგანწირულ ომში ქართველები დამარცხდნენ. ქართველთა ამ ისტორიულ მარცხში დიდი წვლილი ედო მოღალატე ოთარ შალიკაშვილს.

ოსმალებმა საათაბაგოს ციხე-სიმაგრეები დაიჭირეს, ათაბაგად ქაიხოსრო III (1545-1573) დასვეს.

სხვადასხვა კუთხის მთავრები და თავადები ერთმანეთს ხელს უწყობდნენ მეფეთაგან დამოუკიდებლობის მიღწევაში.

1547 წელს მესხეთი თურქთა წინააღმდეგ ავჯანყდა, მაგრამ 1549 წელს თურქებმა კვლავ შეძლეს ციხეთა დაჭერა. შეესივნენ გურიას, მოსწყვიტეს ჭანეთი, ბათუმში ციხე ააგეს. 1550 წლისათვის მათ ტაოს დაპყრობა დაასრულეს. ამიტომაც, არზრუმის ფაშა გურჯისტანის ფაშას უწოდებდა თავის თავს. სწორედ ამ დროს გამოიჩინა თავი ლუარსაბ მეფემ. „იცოდა რა, რომ საქართველოს მთავარი საფრთხე სამცხე-საათაბაგოდან მოდიოდა, ლუარსაბი სათავეში ჩაუდგა ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ძალებს და დაიპყრო სამცხე-ჯავახეთი, კოლა, არტაანი და ამით ოსმალთა აგრესიას წინ აღუდგა“.[18]

საათაბაგოს დაბრუნება ქართლის სამეფოს შემადგენლობაში ირანისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. შაჰ-თამაზი მესხეთს შემოესია. ბრძოლაში მრავალი ქრისტიანი დაუხოცავთ.

ლუარსაბის მომხრე მესხები ვარძიის მონასტერში გამაგრდნენ. მტერმა მათ ალყა შემოარტყა, მრავალი ყიზილბაში დაიხოცა, მაგრამ საბოლოოდ მონასტერი აიღეს. „გამძვინვარებულმა შაჰმა მონასტრის ბერებიც არ დაინდო. 20 ბერი სამალავიდან გამოიყვანეს და იქვე დახოცეს. ვარძიის მონასტრის სიმშვენიერემ და სიმდიდრემ მტერი განცვიფრებაში მოიყვანა. შაჰი თვითონ მივიდა მის სანახავად. მონასტრის ოქრო-ვერცხლის ნივთები, ხატები, წიგნები მტერმა დაიტაცა. მონასტრის რკინისა და ოქროს კარები მოგლიჯეს და შაჰის ხაზინაში გააგზავნეს“.[19]

1554 წელს შაჰ-თამაზი მეოთხედ შემოესია საქართველოს და შეძლო ლუარსაბის დედის დატყვევება.

1555 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. ზავით მათ ერთმანეთში გაინაწილეს ჯერ კიდევ დაუპყრობელ-დაუმორჩილებელი საქართველო. ქართლის მეფე ლუარსაბი ბრძოლას განაგრძობდა. მან თანდათან შეძლო ქართლის ციხე-

სიმაგრეების დაბრუნება თბილისის ციხის გარდა. ამის გამო 1555 წელს ლუარსაბის წინააღმდეგ ილაშქრა ყარაბაღელმა სულთანმა. ბრძოლა გარისთან მოხდა. ამ ომში ლუარსაბი მოკლეს. მემატიანე მას ასე ახასიათებს: „მწუხარე იყო ფრიად ესრეთ განძლიერებისათვის უსჯულოთასა მეფე ლუარსაბ. სრულ საქართველოს მეფეთა და მებატონეთა ზედა, ძველთა და ახალზედ ნამეტნავად ნაქები იყო. თავად სარდლად, მერე მამაცად და უხვობით პურად გამცემად, სიმართლის-მოქმედად და ყმა-მორჩილი, ცხენოსან-ცეროსანი, უშიშარი ომში, ამაყი, ქრისტიანობის სჯულზედ მაგარი, და ურუმთა და ყიზილბაშთა ნამეტნავად მისი ეშინოდათ, და მეზობელნი ვითარც ყრმანი, ეგრეთ ემსახურებოდეს, სხვათა ყმობის თქმა არ იკადრა. ამისათვის შაჰ-თამაზ ყაენმან ხუთჯერ ამაზედ ილაშქრა და არას საქმითა ვერც მოამშვიდა, ვერც მოკლა, ვერც დაიჭირა და ვერც შეიხვეწა“.[20]

მეფე ლუარსაბმა „შემოიკრიბნა სპანი თავისნი და დაუწყო ხდომა და რბევა და ამოსწყვიტნა მრავალნი და რაოდენიცა ეპყრა მათ კერძონი და ადგილნი საბარათიანო, იგი ყოველნივე წარმოართვა და განდევნა და რაოდენიცა ეპყრა არენი და თემნი საქართველოსანი, თვინიერ ტფილისისა ციხისა“.[21]

მტერთან შებრძოლების წინ ლუარსაბ მეფემ წინასწარმეტყველური სიზმარი ნახა. მეფემ წინასწარ იცოდა, რომ მოკლავდნენ. მეფემ დაიბარა: ჩემი სიკვდილის შემდეგ – „ჩემს გლოვა-ტირილს დაეხსენითო, ქვეყნის შენახვას გაუფრთხილდითო“. ამის გამო მეფეს ომში წასვლა დიდებულებმა დაუშალეს. „ეს სიტყვა მეფემან შორს დაიჭირა და ასე უპასუხა: „დღეს – აქამომდე ხვანთქარსა და ყაენს ზურგი არ შევაქციეთ, რით იქმნების ახლა ერთ ყაჯარს პირი ავარიდოო“.

ამ ძლიერ ბრძოლაში ქართველებმა გაიმარჯვეს მეფის ძის, სვიმონის მეთაურობით. მოხუცებული მეფე ლუარსაბი, კათალიკოზი, ეპისკოპოსები და მოხუცი ერისკაცები ერთ გორაზე იდგნენ. ამ დროს ისინი შეამჩნია ტყეში მიმალულმა მტერმა, მიუხტნენ მეფეს. მის ცხენს შემთხვევით ფეხი ნაპრალში ჩაუვარდა და მეფე გადმოაგდო. მეფე დაჭრეს, და „იცოცხლა მცირესა ხანსა... და მასვე წყლულებსა შინა მიიცვალა იგი, ვითარცა წმიდა მოწამე ვახტანგ და დავით მეფე...“[22]

1556 წელს ქართლის სამეფო ტახტზე ლუარსაბ I-ის ძე სვიმონი ავიდა (1556-1569; 1578-1600). მეფე თავის მოკავშირეებთან ერთად საგულდაგულოდ მოემზადა თბილისის ასაღებად, მაგრამ 1561 წელს აღდგომა დღეს თბილისის თათრულ გარნიზონს მოეშველა ყარაბაღის მმართველი. ომში კახეთის მეფის ძე მოკლეს.

1569 წელს მეფე ღალატით შეიპყრეს ყიზილბაშებმა ერთ-ერთი ბრძოლის დროს. „შაჰი დიდხანს ცდილობდა სვიმონის გამაჰმადიანებას, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია და იგი ალამუთის ციხეში დაამწყვდია“.[23]

1569-1578 წლებში ირანელებმა ქართლის მმართველად დანიშნეს სვიმონ მეფის ძმა – დავითი, რომელიც გამცემი იყო ქრისტიანული სარწმუნოებისა, ამიტომაც ხალხი მას მხარს არ უჭერდა. ის დაუდ-ხანის სახელწოდებით ფაქტობრივად მხოლოდ თბილისისა და ქვემო ქართლის მმართველი იყო. მის დროს უნდა დაწყებულიყო ქვემო ქართლის ქართველობის გაგრიგორიანების პროცესი. ცნობილია, რომ მტერი გააფთრებით ებრძოდა ქართულ ეკლესიას და ქართულ ქრისტიანობას,

ხოლო გრიგორიანებს არ ებრძოდა. გამაჰმადიანდა კახეთის მეფე ლევანის ვაჟიც – იესე. მას ისა-ხანს უწოდებდნენ. მტერმა გადაწყვიტა, ის აეყვანა მამის ნაცვლად სამეფო ტახტზე, მაგრამ იესემ მალე უარყო მაჰმადიანობა. ის დააპატიმრეს და ალამუთის ციხეში გამოკეტეს. კახეთი თითქმის მთელი XVI საუკუნის მანძილზე მოსვენებული ქვეყანა იყო. მის ტერიტორიაზე არც ერთხელ არ მომხდარა ომი.[24] კახეთის მეფეების, ლევანისა და ალექსანდრეს მოქნილი პოლიტიკის წყალობით, კახეთი მდიდარი და დაწინაურებული ქვეყანა იყო, მაგრამ საუკუნის მიწურულს კახელმა პოლიტიკოსებმა მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს იმით, რომ შეეცადნენ რუსეთის სამხედრო ძალების კახეთში შემოყვანას. ჯერ კიდევ თათარ-მონღოლობისას, ჩრდილო და სამხრეთის ულუსების ომების დროს, ვერ ითმენდნენ ქართველი მეფეების ჩრდილოეთთან კავშირს. ასევე იყო თემურ-ლენგისა და სხვა მმართველების დროს. ახლაც დიდ დანაშაულად ჩაითვალა ასეთი კავშირი ჩრდილოეთთან.

ამ დროისათვის ძალთა წონასწორობა შეიცვალა. ოსმალეთი უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. ირანი მასთან შედარებით სუსტი იყო. ამასთანავე, ირანი ქართველ მეფე-მთავართა ვასალობით, მორჩილებით და ხარკის გადახდით კმაყოფილდებოდა, ხოლო თურქეთი აუქმებდა სახელმწიფოებრიობას. ამგვარ სიტუაციაში, ცხადია, ქართველთა უმთავრეს მტრად ოსმალეთი იქცა.

1578 წელს ოსმალეთსა და ყიზილბაშებს შორის მესხეთში სასტიკი შებრძოლება მოხდა. ყიზილბაშები და მასთან შეკავშირებული ქართველები დამარცხდნენ. ომის შემდეგ ყიზილბაშ ტყვეებს თავები დაჭრეს, ხოლო ქართველი ტყვეები ცოცხლად დაწვეს კოცონზე. მესხეთის შემდეგ ოსმალებმა ქართლის ციხეებიც დაიჭირეს თბილისის ჩათვლით და ქართლში გაბატონდნენ. თბილისი საფაშოდ გამოაცხადეს, გორი – სანჯაყად. კახეთის მეფემ, ალექსანდრემ, ოსმალებს მორჩილება გამოუცხადა. ის კახეთის მმართველად დანიშნეს ბეგლარბეგის სახელწოდებით. ამის შემდეგ ოსმალებმა მთელი აღმოსავლეთი ამიერკავკასია დაიმორჩილეს.

ამ მიზეზის გამო ირანელებმა ალამუთის ციხეში დაპატიმრებული ქართლის მეფე სვიმონი გაათავისუფლეს. 1578 წელს ის დამხმარე ლაშქრით ქართლში გაუშვეს. მართლაც, მან შეძლო ოსმალთაგან ლორეს, გორისა და სხვა ციხესიმაგრეების განთავისუფლება. თბილისის ოსმალური გარნიზონი ციხეში მოაქცია. იქ შიმშილობა დაიწყო.

ალყაშემორტყმულ თბილისისათვის ოსმალთა სულთანი ხშირად აგზავნიდა ლაშქარს და საუკეთესო მხედართმთავრებს, მაგრამ სვიმონ მეფე მათ დიდად აზარალებდა. 1582 წლისათვის შეიკრა დიდი ანტიოსმალური აღმოსავლეთკავკასიური კავშირი შამხლის, დაღესტნის, შირვანის, ირანის ლაშქრისა და ქართლ-კახეთის მეფეების მონაწილეობით. სვიმონ მეფემ სასტიკად დაამარცხა თბილისში მიმავალი 20-ათასიანი ლაშქარი, ხელში ჩაიგდო ხაზინა და ნადავლი.

ოსმალებმა თავისი მარცხი დააბრალეს მანუჩარს (მუსტაფას). ის იყო ძმა ყვარყვარე IV ათაბაგისა. 1579 წლის 25 ივნისის სულთანის ბრძანების შემდეგ, სამცხე-საათაბაგოს დაპყრობილ ტერიტორიაზე ოსმალებმა ჩილდირის (ახალციხის) საფაშო დააარსეს. მანუჩარი გამაჰმადიანდა. ის ახალციხის ფაშად დანიშნეს. 1582 წლის დამარცხების შემდეგ ოსმალებმა მისი მოკვლა გადაწყვიტეს, მაგრამ

მანუჩარი აჯანყდა და მცირერიცხოვანი რაზმით ოსმალთა ბანაკიდან გაიქცა. 1582 წელს ის კვლავ დაუბრუნდა ქრისტიანობას. სამცხე აჯანყდა. მანუჩარმა კვლავ აღადგინა ათაბაგობა. ამასობაში სვიმონ მეფემ ლორე და სამშვილდე გაათავისუფლა.

1584 წელს ოსმალთა 30-ათასიანი ჯარი შემოიჭრა, რომელსაც სვიმონ მეფე სოფელ ხატისოფელთან 4 ათასი მეომრით შეება. ზამთარში ბრძოლებში შეწუხებული ოსმალთა ლაშქარი ქართლს გაეცალა. 1587 წელს მტერს მიემხრნენ მოღალატე შალიკაშვილის ნაშიერი კიკოლა და სხვა მოღალატეებიც. ამის გამო მანუჩარი იძულებული გახდა სამცხეს გასცლოდა.

1588 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. სვიმონიც დაეზავა ოსმალებს. „ოსმალეთი ცნობდა სიმონ I-ს ქართლის მეფედ ქრისტიანობით, აღიარებდა მის მემკვიდრეობით უფლებას და არ ჩაერეოდა მის შინაურ საქმეებში. ამრიგად, ქართლის თავდადებულმა ბრძოლამ სიმონ I-ის მეთაურობით, ოსმალეთი აიძულა ხელი აეღო ქვეყნის სრული დაპყრობის პოლიტიკაზე“.[25]

1598 წელს შაჰ-აბასის წაქეზებით სვიმონმა განაახლა ომი ოსმალებთან, გორს ალყა შემოარტყა. მალე ქართველებმა გორის ციხე აიღეს. ეს ოსმალთა დიდი მარცხი იყო. ამავე წელს აჯანყდა სამცხე-საათაბაგოც მანუჩარის მეთაურობით.

„სულთანმა დიდი ჯარი გამოგზავნა. ქართველთა მთავარი ჯარი გორთან დაბანაკდა გიორგი ბატონიშვილის მეთაურობით,ხოლო სვიმონ მეფე მცირე ლაშქრით საბარათიანოში ჩავიდა. აქვე შემოვიდა მტრის ჯარი. ბრძოლის წინ ქართველებმა ზიარება მიიღეს, ერთმანეთს გამოემშვიდობნენ. მათ მედგრად შეუტიეს ოსმალებს, გააპეს მტრის რაზმები. თითო ქართველს, წერს ფარსადან გორგიჯანიძე, 4-5 ოსმალო გადმოეგდო ცხენიდან და ახლა სხვებზე მიიწევდნენ. ხელშუბიანი მეფე მტრის რომელ რაზმსაც შეუტევდა, მოშლიდა. უთანასწორო ბრძოლა 5 საათს გაგრძელდა“.[26] უკან დახევისას მეფის ცხენი დიდ საფლობში ჩავარდა. მეფე ტყვედ ჩაიგდეს. ის სტამბოლში გაგზავნეს 1600 წელს. „ცნობამ მეფის დატყვევების შესახებ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ოსმალებში. სულთანმა ბრძანება გასცა, მისი სახელმწიფოს ყველა ქალაქში ქუჩები მოერთოთ და სამი დღის განმავლობაში ქეიფი და ზეიმი მოეწყოთ“.[27]

გიორგი მეფემ დიდძალი განძი, მათ შორის ეკლესია-მონასტრებში შეგროვილი, გაგზავნა მამის დასახსნელად, მაგრამ ამაოდ. სვიმონ მეფის გვამი სტამბოლიდან მცხეთას მოასვენეს და მისი სახელოვანი მამის, ლუარსაბის გვერდით დაკრძალეს.

„იყო საქართველო უვნო მტერთაგან“

თუ ჩვენ ვიტყვით, რომ საქართველო XV საუკუნესა და XVI საუკუნის ერთ პერიოდში ძირითადად წარმოადგენდა მტერთაგან დამშვიდებულ-დაწყნარებულ, ფართოდ გადაშლილ და უცხოთაგან მოსვენებულ ქვეყანას, ვფიქრობთ, დიდ შეცდომას არ დავუშვებთ. „სულტანნი სტამბოლისანი... ბრძოდნენ უმეტეს ფრანგთა და ამის გამო იყო საქართველო უვნოდ მტერთაგან, არამედ თვისთაგან ესრეთ ვნებულნი“, – წერს ვახუშტი.[28]

თემურ-ლენგის შემოსევების შემდეგ გარეშე მტრებმა შემოტევები შეანელეს, ქვეყანამ ამოისუნთქა, დაწყნარდა, დამდორდა, მხოლოდ მმართველი ფენები ვერ პოულობდნენ მოსვენებას. ისინი საქართველოს თათრულ-მაჰმადიანურ რკალში მოქცევის გამო რაღაც საშინელსა და ავს წინათგრძნობდნენ, მუდამ ეომებოდნენ ერთმანეთს.

მშვიდი და წყნარი, მაგრამ ალყაში მოქცეული საქართველო მოწყდა მოფუსფუსე მსოფლიოს (არა მარტო რენესანსს, არამედ მუდამ ახლის მაძიებელ, გონიერ, მზარდ, ძლიერ, ეკონომიკურ-სულიერი გაფურჩქვნის პირას მისულ ევროპას).

საქართველო მსოფლიო პროვინციად იქცა. ევროპის გონებრივი დუღილი XVI-XVIII საუკუნეების აღმოჩენები, ახალი მიმართულებები მეცნიერებისა და ცხოვრებისა, მსოფლიოს სასიცოცხლო სიახლეები უცნობი იყო ჩვენი ქვეყნისათვის.

ხმალი, გუთანი და სარწმუნოება ძველებურადვე აბრუნებდა ჩვენებურ კაცს, მაგრამ დიდი იდეალები უკვე აღარ იყო.

ქვეყანაში აღარ ტრიალებდა იდეა, ამიტომაც აღარ იყვნენ დიდი ინტელექტუალები, მამოძრავებელნი აზრისა, ფიქრისა. აღარც მოთხოვნა იყო მათზე. ქვეყანა სულიერად დაიფუყა, მოეშვა, მოითენთა.

აღარც ეროვნული იდეა, აღარც სარწმუნოებრივი, ყველაფერი უკვე მიღწეულია, განვლილია, წარსულია. ყველაფერი უკვე იყო.

მაგრამ იქნებ ეს მოშვება იმით იყო გამოწვეული, რომ ეძიეს და გამოსავალი ვერ იპოვეს, თათრულ-მაჰმადიანურ ალყას თავი ვერ დააღწიეს.

მოგვიანებით, როცა სამეფო-სამთავროებად დაშლილ საქართველოს ახლადშექმნილი მტრული სახელმწიფოები შემოესივნენ, ჩვენი მემატიანე იტყვის: „იქით ურუმნი არბევდეს და აქეთ ყიზილბაშები და ამისთანა ორს დიდს ხელმწიფის შუაში ბევრს ეცადეს, აქეთ იქნიეს ხმალი, იქით იქნიეს და მრავალი ნავნებიც ქნეს, მაგრამ არ იქნა და ვერცარა თავს გაუვიდეს“.[29] ამ მემატიანის, ფ. გორგიჯანიძის შეხედულებით, მტრებმა საქართველოს დაძაბუნება ამით შეძლეს, რომ „საქართველო თავად ცოტა იყო, და მერე მრავლად გაყოფილი და ერთმანეთის ურჩი, ქიშპნი, მტერნი, ერთმანეთის მარბევნი და მაწყინარი“.[29]

საქართველო ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად, დადიანის, გურიელის, ათაბაგის სამთავროებადაა დაშლილი. ახალ-ახალი, ნახევრად დამოუკიდებელი სამთავროებიც იქმნება, სწორედ ეს დაშლილი, დანაკუწებული საქართველოს ნაწილები ეურჩებიან, ექიშპებიან, მტრობენ, არბევენ და „აწყენენ“ ერთმანეთს. ზოგადად, საქართველო – ვრცლადაა გადაჭიმული ძველებურადვე. აღმოსავლეთი (ე.ი. კახეთის სამეფოს აღმოსავლეთი) საზღვარი კასპიის ზღვიდან სულ 200-მდე კილომეტრითაა დაშორებული და შაქს ესაზღვრება. სამხრეთით ქართლის საზღვარი სევანის ტბასთან გადის, ათაბაგების სამთავროსი კი ვალაშკერტსა და არზრუმთან, გურიაც ჭანეთს მოიცავს, ხოლო დასავლეთით იმერეთსა და სადადიანოს შავი ზღვა და ჯიქების ქვეყანა ესაზღვრება.

XV-XVI საუკუნეებში საქართველო განსაკუთრებით კახეთი, ზოგადად მშიერი ქვეყანა კი არ იყო, არამედ სავსე და მაძღარი, ლაღი, თავმომწონე შვილებით.

„უჩემოდ ვინ იმღერეთაო“, – კითხულობდნენ ქვეყნიერებას ახლად მოვლენილი თავადები (აქამდე საქართველოში არც ბატონყმობა ყოფილა და არც თავადობა).

აი, როგორ აღწერს ჩვენი მემატიანე იმდროინდელი საქართველოს ცხოვრებას.

სრულიად საქართველოს მეფე ალექსანდრე XV საუკუნის I ნახევარში მშვიდობითა და მყუდროებით აცხოვრებდა თავის ხალხს: „ყოველნი ქრისტიანენი ფრიადსა მშვიდობასა და მყუდროებასა შინა ამყოფინა“,[30] ხოლო მეორე მემატიანე მასზე წერს: „იმეფა კეთილად და მშვიდობით“.[31]

მესამე მემატიანე დაახლოებით 1454 წლის აღწერისას წერს საქართველოს შესახებ: „არაოდეს დარბეული იყო ქართლი დიდისა თემურის უკანის, იყო შენება და განსვენება. ამას ჟამსა შინა არა იყო ხარაჯა და არცა მალი ქართლსა შინა, არამედ განთავისუფლდეს ყოველნი სამეფონი და არენი ქართლისანი მონებისაგან თურქთასა“.[32]

ამ დროს საქართველო კვლავ ერთიანია. მის მეფეს „ჰქონდა ქართლი, სომხითი და მონებდეს ლორის პიტიახშნი, კახეთისა, შარვანისა და სამცხისა. და ჰყვეს იმერელნი, ოდიშარნი, გურიულნი, აფხაზნი, სვანნი, ჯიქნი და მთიულნი კავკასიანნი“.[33]

1463 წელს უზუნ-ჰასანის შემოსევის საპასუხოდ ქართველთა მეფე სპარსეთში შეჭრილა და თავრიზიც კი დაულაშქრავს. „ქრონიკონისა რნა: ქართველთა მეფემან თავრიზს, გილაქმა და თემურა ააოხრა“.[34]

1478 წლისათვის თურმე ქვეყანა მოსვენებით და დაწყნარებით ცხოვრობდა. „არღარა იყო წყენა თათართაგან, მოიმორჩილნა იმერელნი, ოდიშარნი და აფხაზნი, მსახურებდა ათაბაგი და მორჩილებდეს კახნიცა, არა სადათ იყო წყენა ქრისტიანეთა, იყო მოსვენება და დაწყნარება“.[35]

მტრის შემოსევებისას ქართველებს თუკი ერთმანეთში მშვიდობა ჰქონდათ, ყოველთვის იმარჯვებდნენ: „ესე გაემარჯვათ, რომე ერთისა ქართველისაგან ასი და ორასი მოიკლა. დახოცეს, ამოწყვიტეს და ცოტა რამე გარდმოეხვეწა ცხენ-კეთილი“.[36]

„დაესხნეს ჭანდართა მდგომთა მონაპირეთა თათართა, გააქცივნეს ასრე რომე თუ არ მაცნე წავიდა სამე, ვერცა ერთი წაუვიდა“.[37]

„დავარდა ხმა და მოჰმართეს ასრე, ვითა ვეფხვთა... ასე ხოცა დაუწყეს, ვითა ქათამთა მართვეთა. ხოლო მოსცა ღმერთმან ძლევა ქრისტიანეთა და დახოცეს ურიცხვი... ერთისა ტყვისა დედაკაცისაგან სამი და ოთხი მუსულმანი მოიყვანებოდა, ყელ-დოლბანდიანი... მას უკანის თათართა ძალი ვერღარა უკადრებია და არცაღა რბევა, გატყდეს და შეშინდეს შეწევნითა ღმრთისათა“.[38]

„მხნედ იბრძოდეს სპანი ქართველთანი, ვითარცა ლომნი და მოსწყვიდნეს ურიცხვი თათარნი, მიდრკეს იგინი და ოტებულნი ივლტოდეს, ვითარცა ჯოგი კანჯრისა ლომთაგან დანქრეული“.[39]

1546 წლისათვის „შეითქვნეს მეფე ქართლისა ლუარსაბ, მპყრობელი კახეთისა ლეონ და ათაბაგი ქაიხოსრო. ამათ შეჰკრეს პირობა და დაუწყეს რბევა და ოხრება ქვეყანასა ყიზილბაშისასა არდაბაგანისა“.[40]

თათარმა „ვერა-რა ავნო მეფესა ლუარსაბს, რამეთუ ჟამსა მეფობისა მისისასა არა მორჩილ ექმნა ყიზილბაშობა, არცა ოსმალთა და მრავალი ჭირი შეაჩვენა ორთავე და არა დაამონა საქართველო უსჯულოთა სახარკოდ“.[41]

„რა მოვიდეს ყიზილბაშნი, მაშინ მიეტევა მათ სვიმონი და სპანი საქართველოსნი, ვითარცა ლომი განძვინებული და იქმნა ბრძოლა ძლიერი. მაშინ მოეცა ღმერთისა მიერ ძლევა ქართველთა, და მოსწყვიდნეს ურიცხვნი სპანი თათართანი და წარიქცივნეს იგინი და ივლტოდეს“.[42]

„სდევნიდა სულთანსა განძისასა შავერდის და სვრიდეს სპათა ვითარცა მხალთა მდელოსათა“.[43]

როგორც ზემოთ მოყვანილი ამონაწერებიდან ჩანს, ქართველებთან ომი და, მით უმეტეს, მათი დამორჩილება არც ისე ადვილი იყო, პირიქით, ქართველებს ერთი პირი რომ ჰქონოდათ და ერთიანი სახელმწიფო, ვერც თურქეთი და ვერც სპარსეთი საქართველოს ვერაფერს დააკლებდნენ, თუმცა არც დაშლილ საქართველოსთან უადვილდებოდათ ომი.

თურქეთმა, რომელმაც ევროპის, აზიის და აფრიკის ქვეყნების დამორჩილება შეძლო, არათუ სრული საქართველო, არამედ დასავლეთი საქართველოც კი ვერ დაიპყრო. „ოსმალეთმა თავისი ძლიერების ზენიტს XV საუკუნეში მიაღწია. მისი უზარმაზარი იმპერია ევროპის, აზიის და აფრიკის კონტინენტებზე იყო გადაჭიმული. მის შემადგენლობაში შედიოდა გარდა მცირე აზიისა – საბერძნეთი, ბულგარეთი. სერბია, ალბანეთი, ბოსნია, ჰერცოგოვინა, მესოპოტამია, სირია, ჰიჯაზი, ეგვიპტე,ალჟირი და სხვა. მოლდავეთი, ვალახეთი და ყირიმის სახანო ოსმალეთის ვასალები იყვნენ“.[44]

უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ამ მეზობელმა იმპერიამ ვერ გააუქმა ქართული სახელმწიფოებრიობა. იმერეთის სამეფო, გურიისა და სამეგრელოს სამთავროები მუდამ არსებობდნენ ოსმალეთის ყველაზე დიდი სიძლიერის დროსაც.

„სწორედ XVI საუკუნის განმავლობაში სულთანმა სულეიმან II-მ და მისმა მერმინდელმა სულთანებმა, თუ ზღვით და თუ ხმელეთით ხშირად იწყეს გალაშქრება ევროპაზე, მთელი დასავლეთის მთავრობანი შეაძრწუნეს, ევროპას ერთიანად გავერანება, ანუ გამაჰმადიანება დაუპირეს და გადაწყვიტეს, რომის წმინდა პეტრეს ეკლესია ბოსლად გადაექციათ“.[45]

თვით თურქული ნაციონალური სულის გამომხატველ „დედე ქორქუთის წიგნში“, რომელშიც აღწერილია საქართველოს საზღვრებთან როგორ უსწორდებოდნენ მუსლიმი გმირები „გიაურებს“, როგორ იპყრობდნენ ქალაქებსა და ციხეებს, როგორ არბევდნენ ეკლესიებს და მათ ნაცვლად აგებდნენ მეჩეთებს, ისიცაა აღწერილი, თუ როგორი შიში აქვთ ქართველებისა. ყარა დერბენდის ხეობაში (ერზრუმის მხარეში) მდებარე „ევნუქის ციხე“ – ქრისტიანებისაა. ერთხელ მეციხოვნენი ოსმალო სოვდაგრებს თავს დაესხმიან და ქონებას წაართმევენ. მათ ერთი ბეგის ძე დაეხმარება. „შენი ვაჟი რომ არ ყოფილიყო, მთელს ჩვენს ქონებას წაიღებდნენ საქართველოში, ჩვენც ყველას ტყვედ წაგვიყვანდნენ“, – შესჩივიან ისინი ბეგს.[46]

XV საუკუნის შუა წლებში სამცხის ათაბაგი ამბობდა ოსმალთა შესახებ: „მამის ჩემის სიკვდილის შემდგომ ხშირად მომიხდა მათთან ომი და, ღვთის მადლით, ბევრჯერ გავიმარჯვე მათზე და ბევრი მათი ქალაქიც დავიპყარი“.[47]

თუ რა სულისკვეთებითა და თავგანწირული ენერგიით იბრძოდნენ ქართველები თურქთა წინააღმდეგ, კარგად ჩანს მეფე სვიმონის წერილში პაპისადმი: „ვაუწყებ

თქვენს სიწმიდესა, რომ ნეტარმა მამა ჩემმა, წმიდა მეფე ლუარსაბმა, როგორც შეიტყობდა თქვენი სიწმიდეცა, სარწმუნოებისათვის გვირგვინი მიიღო ღვთისაგან, ვინაიდან იესო ქრისტეს სიყვარულის გამო მოიკლა ბრძოლაში უსჯულოთა აგარიანთაგან. მან ირჩია თავისი სისხლის დაღვრა და წამება, ვიდრე მათი ბოროტი ნების ასრულება. ამის შემდგომ ღვთის შეწევნით, ჩვენ მივიღეთ ტახტი ჩვენის მამისა და მას შემდეგ დღე და ღამე არ მოგვისვენია არაოდეს ომისაგან თვით ავდრებშიაც კი. რა ბრძოლა, შეწუხება და გაჭირვება არ გამოვიარეთ ქრისტეს სიყვარულისათვის, დავწყლულდით ომში, ტყვედ დაგვიჭირეს სპარსელებმა და ჩაგვაგდეს საპყრობილეში. გარნა ღვთის ნებით და შემწეობით, ეგრეთვე თქვენის ლოცვითა, გავთავისუფლდით ტყვეობისაგან და კვალად აღვედით ჩვენს ტახტზე და ხელახლავ დავიწყეთ ომი. მრავალგზის შევებით ოთომანებს, ვგონებთ თქვენც შეიტყობდით, რაოდენი შეწუხება და ტანჯვა გამოვიარეთ, მაგრამ მაინც გული არ გავიტეხეთ. ჩემ თავს გავწირავ ერთიანად და ეგრეთვე ჩემს ქორფა შვილსაც, დავღვრი ჩემს სისხლსა ვიდრე უკანასკნელ წვეთამდე ჯვარცმულის იესო ქრისტეს და ღვთის სიყვარულისათვის, ვიდრე პირში სული მიდგმია, ხელს არ ავიღებ ოსმალების წინააღმდეგ ომზე, არაოდეს უქმად ვყოფ იმ დაუფასებელ სისხლისა, რომელიც იესო ქრისტემ დაღვარა ჩემთვის...".[48]

აქედან, ამ წერილში გამომჟღავნებული სულისკვეთებიდან, კარგად ჩანს, რატომ ვერ გააუქმა ევროპაში გაჭრილმა თურქეთმა არათუ სრულიად საქართველოს სახელმწიფოებრიობა, დასავლეთ საქართველოსიც კი, თუმცა კი ერთი მესამედი ნაწილი საათაბაგო მოგლიჯა ქართულ მიწა-წყალს და გაათათრა.

მართალია, საქართველოს სამეფო-სამთავროები ერთმანეთთან ბრძოლით ძლიერ სუსტდებოდნენ, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ერთ პირს შეკრავდნენ, ზოგადქართული სამხედრო ძალა საკმაოდ ძლიერი იყო, ამით სარგებლობაც კი უნებებია თურქეთის სულთანს. ქართულ წყაროთა თანახმად, მას საქართველოს მეფეები გაუგზავნია იერუსალიმის ასაღებად.

„...წარმოევლინა სულტანის სულეიმანის სამთა ამათ მეფეთა თანა დესპანი: გიორგის ქართველთა, ბაგრატ იმერთა და ლევან კახთა, „რამეთუ ადგილი სჯულისა თქვენისა იერუსალიმი დაიპყრეს უსჯულოთა, აწ მინებებიეს თქვენდა, მოვედით და განასხენით იგინი და დაიპყრენით თქვენდა".[49]

„ამისნი მსმენნი მეფენი სიხარულით შეკრბნენ სპითა თვისითა, ვინაითგან იყვნეს სიყვარულსა მტკიცესა ზედა და ათაბაგი ყვარყვარე მოერთო მეფესა გიორგისა და წარვიდნენ მსასოებელნი ღმრთისანი".[50]

ქართველებმა იერუსალიმი აიღეს: „სცნა ესე ყოველნი ხონთქარმან, მიანიჭა ნიჭნი დიდძალნი და წმიდანი ადგილნი, საფლავი ქრისტესი, გოლგოთა, ბეთლემი და ჯვრის მონასტერი, ხოლო განათავისუფლნეს იგინი და წარმოვიდნენ გამარჯვებულნი".[51]

თ. ჟორდანიას მიერ მოძიებულ წყაროთა თანახმად, ეს მომხდარა 1527 წელს. ოღონდ ქართველებს იერუსალიმიდან გაუძევებიათ არა სპარსელნი, არამედ ეგვიპტის სულთანი.[52]

„ესენი და სხვანი მრავალნი მწვრილნი საბუთნი მოწმობენ, რომ XVI საუკუნეში ქართველთ იერუსალიმში მაგრა ფეხი მოუკიდებიათ და გაბატონებულან, რაიცა

ადვილი გამოსაცნობი შეიქმნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეში ვიქონიეთ იერუსალიმის ქართველ-ოსმალთაგან ხმლით აღება და უფლებანი, რომელნიც ამის გამო მიენიჭა ქართველთ ოსმალთაგან. უამისოდ როგორ შეეძლო ბეენა ჩოლოყაშვილს (რომელიც იერუსალიმში იყო 1512 წლიდან) ისე გაკადნიერებულიყო, რომ სომხებს და ლათინებს ეკლესიებს ართმევს, ნივთებს კარში უყრის და ქართველებს აყენებს, ახალ ეკლესიებს აშენებს ანუ აახლებს, როგორც ამაზე თვითონვე მოგვითხრობს ჯვრის მონასტრის ხელნაწერთა არშიებზე.[53]

მართალია, XVI ს-ში ქართველების იერუსალიმში ლაშქრობა ლ. მენაბდეს[54] დაფიქსირებულ ზეპირ გადმოცემად მიაჩნია, ქართველთა მიმართ ჯერ კიდევ შეიძლება გამეორება ეპისკოპოს ჟაკ დე ვიტრიუსის სიტყვებისა: „ცხოვრობს აღმოსავლეთში ქრისტიანი ხალხი ომის მოყვარული და ბრძოლაში გამოცდილი. მას ჰყავს უამრავი მებრძოლი. მეტად დაშინებული ჰყავს სარკინოზნი და თავდასხმების დროს დიდ ზარალს აყენებს სპარსელებს, მიდიელებს და ასურელებს, რომელთა მოსაზღვრედაც ცხოვრობს, ვინაიდან გარშემორტყმულია ურჯულოებით. მათ ეწოდებათ ქართველები... როდესაც ისინი მიდიან ქრისტეს საფლავის თაყვანისსაცემად, წმიდა ქალაქში შედიან გაშლილი დროშებით, ბაჟის გადახდის გარეშე, რაც შეეხება სარკინოზებს, ისინი ვერ ბედავენ მათ შეწუხებას, რათა უკან დაბრუნებისას ქართველებმა ჯავრი არ იყარონ მათ მეზობლად მცხოვრებ სარკინოზებზე“.[55]

მსგავსად თურქთა ქვეყნისა, ირანიც უზარმაზარი იმპერია იყო, სწორედ ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლისას წარმოიქმნა ის. მას „სეფიანების“ სახელმწიფო ეწოდებოდა. მის ჩამოყალიბებაში ქართველთა სამხედრო ძალებსაც მიუღია მონაწილეობა.

„სეფიანების სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში საქართველოს პოლიტიკურმა მესვეურებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს. მაგრამ ისმაილ შაჰმა დაპირება არ შეასრულა და თანმიმდევრობით ატარებდა ქართული სამეფოების დამორჩილების პოლიტიკას“.[56]

„1510 წლისათვის შაჰ ისმაილის ხელში იყო უზარმაზარი ტერიტორია ამუდარიიდან ვიდრე ევფრატამდე“.[57]

თუ რა როლს თამაშობდნენ ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში ქართველები და, საერთოდ, საქართველო, ეს საყოველთაოდ არის ცნობილი. იმდროინდელი ავტორებისათვის, დამკვირვებლებისა თუ ისტორიკოსებისათვის ნათელი იყო, რომ ქართველები დიდ წინააღმდეგობას გაუწევდნენ ირანელებს, შინაგანი ერთობა რომ ჰქონოდათ, მაგრამ სწორედ ეს აკლდათ მამაც ქართველებს.

„ქართველები არიან მამაცნი, მაგრამ მოქმედებაში ნაკლებად ერთიანნი, ცდილობენ შიგნით შუღლის ჩამოგდებით ერთმანეთი დაღუპონ... საერთოდ წყნარი, გამგონი, კეთილი გულის და უბრალონი არიან; მოლაპარაკების დროს არ არიან ჯიუტნი, მატყუარანი, ორპირნი. მათთან ყოველი საქმის მოგვარება შეიძლება“, – წერდა პიეტრო დელა ვალე.

საბოლოოდ რა უნდა ითქვას? მართალია, ქართველები მამაცი მებრძოლები იყვნენ და ხმალი უჭრიდათ, მაგრამ გონიერებაზე წინ ემოციებს აყენებდნენ, პატივმოყვარეობას და პირად მეობას არასოდეს ივიწყებდნენ, თუნდაც საერთო საქმის საზიანოდ.

ერთიც უნდა ითქვას, რომ ასე იყო თუ ისე, ქართველმა ერმა ხმლით შეინარჩუნა სახელმწიფოებრიობა, ეროვნული ეკლესია, ქრისტიანობა, მამული.

ჩვენმა მეზობელმა სომეხმა ერმა ეროვნული გადარჩენის სხვა გზას მიმართა. მან ეროვნება არათუ შეინარჩუნა, ეროვნული კულტურა ააყვავა კიდეც, თუმცა კი სახელმწიფოებრიობა დაკარგა. სომხეთში ეროვნული სახელმწიფო განსახილველი დროისათვის აღარ არსებობდა. სომხები განიბნენ მთელ მსოფლიოში.

ალბათ ამიტომაც მღეროდა სომეხი ხალხი ქართველთა შესახებ:

„ტკბილი იყო ხალხი,
ბრძენი ჰყავდა მმართველი,
ამიტომაც შერჩა
ამ ქვეყანას ქართველი“.[58]

მართალია, „...[illegible]“[59], მაგრამ მაინც მუსულმანთაგან დაცული, მუსულმანურ გარემოში მცხოვრები სომეხი ქრისტიანები – ქართველი ერით ამაყობდნენ. სომეხნი „უსჯულოებთან ყოველთვის ქართველებით იწონებდნენ თავს“[60]

თემობრიობის აღორძინება ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შედეგად

1490 წელს საქართველოს მეფის კარზე მოწვეულმა სახელმწიფო დარბაზის კრებამ იურიდიულად აღიარა უკვე არსებული ფაქტი ერთიანი სახელმწიფოს რამდენიმე სამეფოდ დაშლისა.

წარმოიქმნა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულები – ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოები, გურიის, სამეგრელოს, სამცხის, სვანთა სამთავროები. ამ პროცესს თან სდევდა ერთიან ქართველ ხალხში კუთხურობის აღორძინების პროცესი.

ისმის კითხვა, შეუწყობდა თუ არა ხელს ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლა ქართველი ერის ეროვნული თვითშემეცნების დაკნინებასა და ახალ სახელმწიფოებრივ ერთეულებში შესაბამისი ვიწრო კუთხური ეთნიკური თვითშემეცნების აღორძინებას?

ჩვენი აზრით, ქართველი ერის ეთნოჯგუფები – იმერლობა, ქართლელობა, კახელობა, მეგრელობა, გურულობა, მესხობა და სხვა, განსაკუთრებით აღორძინდა და საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ. მათ მალე დაემატა სხვა წვრილი ეთნოჯგუფები, სამეფო-სამთავროთა კიდევ უფრო დაშლა-დანაწევრების შედეგად.

„ქართლის ცხოვრებიდან“ შეიძლება დავინახოთ, თუ როგორ შეუწყო ხელი ვიწრო კუთხური ეთნიკური განსხვავებულობის ჩამოყალიბებას მუდმივმა ბრძოლებმა ახლად ჩამოყალიბებულ ქართულ სახელმწიფოებრივ ერთეულთა შორის.

ქართული ეთნოსი ერთიანი წარმოშობისა იყო, იმით, რომ ქართველთა ეთნოჯგუფებს ერთი მამამთავარი ჰყავდათ, ანუ მთელი ქართველი ხალხი ერთი კაცის შვილების გამრავლების შედეგად წარმოქმნილად მიიჩნეოდა. ერთიანი ქართული ეროვნული თვითშემეცნების ჩამოყალიბებას უთუოდ შეუწყო ხელი ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობამ საუკუნეთა მანძილზე. სწორედ ამიტომ, ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს „მთლიანობის მოსპობისა და დაყოფის შემდგომაც სრულიადი საქართველოს დედააზრი არ გამქრალა, არამედ მაინც არსებობდა: მას მხურვალე მომხრე-მებრძოლნიც ჰყავდა. წინანდელი სახელმწიფოებრივი მდგომარეობის აღსადგენადაც მცდელობა არა ერთხელ და სხვადასხვა გზით ყოფილა მოწყობილი“.[61]

ივანე ჯავახიშვილის აზრით, დაშლის შემდეგ სამეფო-სამთავროთა საზღვრები თან ემთხვეოდა სათემო საზღვრებს.[62] შეიძლება თემები – ეთნოჯგუფები – დაშლამდეც არსებობდნენ, მაგრამ საფიქრებელია, რომ ეთნოჯგუფებს ჩამოყალიბებული, დასრულებული სახე მიეცა სწორედ დაშლის შემდეგ. საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლა მიმდინარეობდა საუკუნეთა მანძილზე, მონღოლთა შემოსევების შემდგომ XV ს-ის ბოლომდე. უკვე XIII ს-ში ჩაეყარა საფუძველი იმერეთის სამეფოს, ამან უთუოდ შეუწყო ხელი, უკვე XIII ს-დანვე „იმერელთა“ ეთნოჯგუფის ჩამოყალიბებას, ხოლო იმის შემდეგ, რაც XV ს-ის ბოლოს შექმნილ „იმერეთის სამეფოს“ ჩამოსცილდნენ დადიანისა და გურიელის სამთავროები, „იმერლების“ ჯგუფის ეთნიკური ვინაობა „დაზუსტდებოდა“.

ცნობილია, რომ ძველი ქართული მატიანეები აქამდე არ იცნობდნენ ეთნოჯგუფს „იმერლების“ სახელწოდებით. „იმერელი“ – არა ეთნიკურ ვინაობას, არამედ სადაურობას აღნიშნავდა. აქამდე დასავლეთ საქართველოს შესაბამის რაიონში ცხოვრობდნენ არა „იმერლები“, არამედ ქართველები ყოველგვარი ვიწრო ეთნოსახელწოდების გარეშე. „იმერელის“, როგორც ეთნოსახელწოდების შექმნა, განაპირობა „იმერეთის სამეფოს“ – სახელმწიფოებრივი ერთეულის არსებობამ.

ეს მაგალითი მიუთითებს, რომ საქართველოს სახელმწიფოს დაშლამ სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულებად, ხელი შეუწყო ამ ერთეულებში მცხოვრები ქართველების ადგილობრივი ეთნოფსიქოლოგიის ჩამოყალიბებას, ქართველი ერის თემებად დაშლას.

XIII ს-შივე დაიწყო მესხეთის, როგორც პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული, განკერძოებისათვის ბრძოლა. ამას ხელი მონღოლებმაც შეუწყეს, ამის შედეგი უნდა იყოს ის, რომ მალე გაჩნდა ტერმინი „ნათესავით მესხი“, ე.ი. გვარტომობით, ჩამომავლობით მესხი. აქამდე კი, როგორც სხვა თავებში ვწერდით, ქართველთა მაღალი ეროვნული თვითშემეცნების გამო, არასოდეს არ იხმარებოდა ტერმინები „ნათესავით მესხი“, „ნათესავით დვალი“ (მით უმეტეს „ნათესავით იმერელი“, „ნათესავით კახელი“, „ნათესავით გურული“ და ა.შ.). XI ს-ში და უფრო ადრე, საქართველოს ყველა კუთხის შვილს, საიდანაც არ უნდა ყოფილიყო ის, ერთი ტერმინი – „ნათესავით ქართველი“ მიემართებოდა (წმიდა ილარიონს, წარმოშობით კახელს, დავით და კონსტანტინეს – არგვეთელებს (დას. საქართველოდან), წმიდა მამებს მესხეთიდან – ყველას მხოლოდ და მხოლოდ „ნათესავით ქართველები“ ეწოდებოდათ).

XIII საუკუნის შემდეგ უკვე იწყება და XV საუკუნეში ერთიანი სახელმწიფოს საბოლოოდ დაშლის შემდგომ ღრმავდება უდიდესი კრიზისი, წარმოქმნილი ქართველი ადამიანის ეთნოთვითშემეცნებაში. ქართველი ადამიანის არსებაში ეროვნული მეობა და ეროვნული სახელმწიფო – ერთმანეთის მომცველი ცნებები იყო. მას ათასწლოვანი ტრადიცია ჰქონდა. ეროვნული სახელმწიფოს გარეშე ქართველი ადამიანი ხშირად ეროვნებას კარგავდა, ხოლო ვიწრო ადგილობრივ სახელმწიფოებრივ ერთეულში – ვიწრო, თემური, კუთხური თვითშემეცნება უჩნდებოდა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამიერკავკასიის იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ამჟამად მოიცავს საქართველო, მუდამ, უძველესი დროიდანვე არსებობდა ადგილობრივი სახელმწიფოები. კოლხეთის ძველი სამეფოებისა თუ დიაოხის, ძველ ლურსმულ წარწერებში მოხსენებული ადგილობრივი მრავალრიცხოვანი „მეფეებისა“ თუ შემდეგდროინდელი ქართლის (ანუ ივერიის) სამეფოების საუკუნეთა მანძილზე არსებობის ფაქტი უთუოდ მოახდენდა ზეგავლენას საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის ეთნოშემეცნებაზე. უთუოდ ამ ხალხის ეროვნული რაობა და სახელმწიფოებრიობის გრძნობა ურთიერთკავშირში იქნებოდნენ. ალბათ ასეთი სახელმწიფოებრივი ტრადიციის მქონე ხალხს უსახელმწიფოდ ეროვნული მეობის შენარჩუნება გაუჭირდებოდა. ისიც ცნობილია, რომ ქართველი ხალხი ძველთაგანვე ცხოვრობდა სწორედ აღნიშნული სახელმწიფოების მომცველ მიწა-წყალზე და მათ ეკუთვნოდათ კიდეც ისინი. ზემოთ აღნიშნულის გამო, ქართველი კაცის ეროვნული თვითშემეცნება ქართული სახელმწიფოს გარეშე ნიადაგს კარგავდა. საკმარისი იყო ქართველებით დასახლებული რომელიმე კუთხე რაიმე მიზეზის გამო ჩამოშორებულიყო ეროვნულ სახელმწიფოს, შესულიყო სხვა ერის სახელმწიფოს (ანდა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის) შემადგენლობაში, რომ ქართველი ადამიანის ეროვნულ შეგნებას ნიადაგი ეცლებოდა და მისი ეროვნული გადაგვარება ხდებოდა.

თანამედროვე ევროპული ერების მოწყობის სახე ისეთია, რომ ყველა ერს – თავისი სახელმწიფო გააჩნია, ამიტომაც ერი – უსახელმწიფოდ წარმოუდგენელია. როცა იტყვიან ერს, გულისხმობენ მის სახელმწიფოს მთელი თავისი სტრუქტურებით. ამიტომაც, რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქეობა თავის თავში გულისხმობს ამ ქვეყნის ერისშვილობას, ხოლო თუ ერთი სახელმწიფოდან მეორეში გადავა ადამიანი, მიიღებს მის მოქალაქეობას და გახდება მეორე ქვეყნის მკვიდრი, ის თანდათან ახალი ქვეყნის ერის შვილი ხდება.

დაახლოებით ასეთი, ევროპულის მსგავსი სახით იყო მოწყობილი ეთნიკური თვითშემეცნება ქართველი ადამიანისა. მას თავისი ეროვნული სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ არ შეეძლო თავისი ეროვნების (ქართველობის) შენარჩუნება რამდენიმე თაობის მანძილზე (ცხადია, არსებობდა გამონაკლისებიც). ჩვენს ახლო მეზობელ ერებს ძირითადად არცკი გააჩნდათ ეროვნული თვითშემეცნების გრძნობა. ყველა მაჰმადიანი – „მუსულმანი“ იყო (მონღოლთა გათურქების შემდეგ, ჩვენს თითქმის ყველა მუსულმან მეზობელს „თათრად“ მიიჩნევდნენ). თუმცა კი, ამ მუსულმან-თათრებში ტომობრიობა არსებობდა.

აღნიშნულის გამო, ეროვნული სახელმწიფოს გარეშე მყოფი ქართველი, რომელიც ისედაც დენაციონალიზაციას განიცდიდა უსახელმწიფოდ, მუსულმანობის მიღებისას „თათრად“ მიიჩნეოდა და თათრობდა კიდეც, თუ სხვა კავკასიურ ტომს შეერეოდა – ამ ტომის შვილი ხდებოდა, თუ გრიგორიანულ-მონოფიზიტურ თემს მიეკედლებოდა, ამ თემის შვილად იქცეოდა და ა.შ.

მაგრამ, ამის გარდა ხდებოდა სხვაც. ერთიანი ეროვნული სახელმწიფოს დაშლის შემდგომ კუთხურ-ქართულ სახელმწიფოებში მცხოვრებ ქართველობას კუთხურ-თემური თვითშემეცნება უჩნდებოდა. კუთხურ-თემური სიამაყისა და სხვა გრძნობა, ის ამ კუთხის შვილად იქცეოდა: გურიის სამთავროში – გურულად, იმერეთის სამეფოში – იმერლად, მესხეთის სამთავროში – მესხად და ა.შ. ახლა უკვე ამ გურულობას, იმერლობას თუ მესხობას კუთხური სახელმწიფოებრიობა აძლიერებდა.

ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლამ არა მარტო ქართველების სხვა ხალხებში ასიმილაციას შეუწყო ხელი, არამედ ააღორძინა კუთხურ-თემური ტომობრიობა.

იშლება სახელმწიფო – იშლება ერი. ერთის დაყოფა-დანაწილება, მეორის დაყოფა-დანაწილებას იწვევდა. ერთიანი სახელმწიფოს დაშლამ საფუძველი გამოაცალა ერის მთლიანობას, ერთის დაყოფა-დანაწილებამ ხელი შეუწყო გამოყოფილ კუთხეებში ეთნოგრაფიული თავისთავადობის წარმოქმნას, დიალექტების განვითარებასა და ჩამოყალიბებას. ფაქტობრივად ერთი სახელმწიფოს დაშლამ ეროვნული მთლიანობის შესუსტება, ერის დანაწილება გამოიწვია.

ეკლესია თემობრიობის აღორძინების დროს

ფარნავაზ მეფის მიერ ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება უთუოდ ეროვნულ თვითშემეცნებაზე ზეგავლენას იქონიებდა. ამ სახელმწიფოს ყოველ კუთხეში მცხოვრებ მოსახლეობას – ქართველებს უწოდებდნენ ჩვენი მემატიანენი, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. ისინი იმასაც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ფარნავაზის მიერ დაარსებულმა დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მომცველმა სახელმწიფომ თითქმის უწყვეტად იარსება VIII საუკუნის I ნახევრამდე. მათი აზრით, ამ სახელმწიფოს, რომელსაც ისინი „ქართლის სამეფოს“ უწოდებენ, 1000-ზე მეტი წელი უარსებია ქრისტემდე IV-III საუკუნეებიდან VIII საუკუნემდე. ამას დაბეჯითებით ამტკიცებენ ჩვენი მემატიანენი და დაბეჯითებითვე ერთიანი ქართველი ხალხით დასახლებულად მიიჩნევენ ამ ათასწლოვან „ქართლის სამეფოს“. ჩვენი აწინდელი ისტორიოგრაფია თვლის, რომ ქართლის სამეფო VI საუკუნისათვის გაუქმდა. მემატიანენი კი ამ სამეფოს გაუქმებას წმიდა მეფე არჩილის (VIII ს.) ეპოქაში დებდნენ. მაშასადამე, ქართველ ხალხს (დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოში) ჰქონდა ერთ ეროვნულ სახელმწიფოში ცხოვრების უხანგრძლივესი ისტორიული ეპოქა, რაც სრულიად საკმარისი იყო მათში ეროვნული თვითშემეცნების გაღვივება-დაფიქსირებისათვის. ქართველი ხალხი წარმოადგენდა ერთიან ეთნო-კულტურულ მთლიანობას, ერთიანი ტერიტორიისა და სახელმწიფოს მქონე ერს. ამიტომაც, ამ ხალხმა უწყვეტი მეცადინეობით შეძლო კვლავ გაერთიანება და X-XI საუკუნეებში ერთიანი ეროვნული სახელმწიფოს აღდგენა.

XV საუკუნის შემდეგ ერთიანი საქართველოს დაშლილ ერთეულებს „საქართველოები“ ეწოდებოდათ, ე.ი. მთლიანი ეთნოპოლიტიკური ერთეული საქართველო, პატარა „საქართველოებად“ დაიშალა. ეს იმის შესახებ მიუთითებს, რომ ქართველმა ხალხმა ამ ტრაგიკულ ეპოქაშიც, XVI-XVIII საუკუნეებშიც შეინარჩუნა ეროვნული ერთიანობის გრძნობა.

როგორც ითქვა, საქართველოს გარშემო არსებულ მუსულმანურ ოკეანეში სარწმუნოებრივი თემები არსებობდნენ, თემობრიობა და ტომობრიობა მისთვის დამახასიათებელი იყო. ქართული ეთნიკური ჯგუფების თემობრიობა სარწმუნოებრივი არ იყო. ეს ეთნოჯგუფები არა სარწმუნოებრივ თემს წარმოადგენდნენ, არამედ სახელმწიფოებრივ ერთეულში ყალიბდებოდნენ.

საქართველო დაიშალა თავისი სოციალურ-პოლიტიკური მიზეზების გამო. დაშლის შემდეგ საოცრად დაკნინდა საერთო ქართული ინტერესების შეგნება, დაკნინდა ეროვნული თვითშემეცნება, დაკნინდა ნათესაობის შეგნება. მთაში ეს პროცესი უფრო ადრე დაიწყო.

„XIII საუკუნის განმავლობაში საქართველოში ხალხის კულტურულად დაქვეითების გამო, ეროვნული თვითშემეცნებისა და ნათესაობის გრძნობა ისე დაკნინდა, რომ თემთა და ტომთა შორის შუღლისა და მტრობის ჩამოსაგდებად ზოგჯერ მათი თავმოყვარეობის მცირეოდენი შელახვაც კი საკმარისი იყო ხოლმე“.[63]

როგორც აღინიშნა, ეროვნული თვითშემეცნება ისე დაკნინდა, რომ აწყურის ცნობილი სასწაულთმოქმედი ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც მოციქულთა დროიდან მთელი ქართველი ერი სცემდა თაყვანს, XIV საუკუნისათვის მესხეთის მკვიდრ ქართველობას ტომობრივ „მესხთა“ მფარველ ხატადაც კი წარმოედგინა. ამ დროის ქართლელებს „ქართველებს“ უწოდებდნენ, ხოლო მესხეთის მკვიდრთ – „მესხებს“. მემატიანე 1483 წლის შებრძოლების აღწერისას უნებლიეთ გადმოსცემს, თუ რა რიგად დაცემულა მისი დროისათვის საერთო ქართული ეროვნული შეგრძნება: „თვესა აგვისტოსა 13-ს, ათაბაგს და მესხთ გაემარჯვა. და ესევითარი ძლევა აღადგინეს მესხთა ქართველთა ზედა, რომლისა მსგავსი არა სადათ სმენილ არს. მოსრნეს მრავალნი წარჩინებულნი მეფისანი – მესხნი უკუმოიქცეს ძლევაშემოსილი მშვიდობით და მადიდებელნი ყოვლად-წმიდისა ღვთისმშობლისანი და მოვიდეს სამცხეს“.[64]

მემატიანესაც კი, რომელსაც საზოგადოდ, გაცილებით მაღალი ინტელექტი ჰქონდა, ვიდრე გარემომცველ მასას, ისე აქვს დაკნინებული ეროვნული ერთიანობის გრძნობა, რომ გახარებულია „მესხების“ „ქართველებზე“ გამარჯვებით, მადლობს ღმერთს. ის „მესხებს“ უწოდებს ათაბაგის საპატრონო მოსახლეობას, ხოლო „ქართველებს“ – ქართლის მეფის საპატრონოს.

ეროვნული ნათესაობის შეგნების დაკნინებას ჰქონდა თავისი სოციალურ-ეკონომიკური (ობიექტური) საფუძვლები. „საქართველოს ერთიან ცენტრალურ ხელისუფლებას გამოეცალა ეკონომიკურ-სოციალური საფუძვლები. ქვეყნის გამაერთიანებელი ძალების – ქალაქების, ვაჭრობა-აღებ-მიცემობის დაცემამ გააძლიერა პროვინციულ-თემობრივი განკერძოებულობა“.[65] წარმოიქმნა ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი სამთავროები, სამთავროებში – სათავადოები.

თუ ადრე აზნაურები მეფის ხელისუფლების დასაყრდენნი იყვნენ ადგილებზე, გაღარიბების შემდეგ ეკონომიურად მიეჯაჭვნენ ძლიერ სენიორს, აზნაური შეეგუა პირადი თავისუფლების შელახვას, ძლიერი პატრონის გარეშე არსებობაც არ შეუძლია, ანუ სხვა სიტყვით რომ ითქვას, მთავარი – თავისუფალ ფენას თავის გარშემო იკრებს. ზოგადქართული იდეის მატარებელი აღარავინ რჩება. პოლიტიკური თემი ყალიბდება.

ასეთ სიტუაციაში ზოგადქართული იდეის მატარებელს საქართველოს სხვადასხვა სამეფო-სამთავროები, ეკლესიის წევრები წარმოადგენდნენ.

„რამდენადმე თავისებური იყო საეკლესიო აზნაური („მცხეთის შვილი“, „ეკლესიის შვილი“), რომლის მიმართ, ისე როგორც ეკლესიის სხვა საქონელზეც, სამეფო ხელისუფლებამ მოახერხა რეალურად შეენარჩუნებინა უმაღლესი სენიორალური უფლება. ...ამრიგად, განსახილველ პერიოდში რამდენადაც ეკლესია წარმოადგენდა მეფის ხელდებულ დაწესებულებას, „საყდრის შვილნი“ („ეკლესიის შვილნი“) მეფის უშუალო დასაყრდენ სამხედრო და სოციალურ ძალას ქმნიდნენ“.[66]

საერთო, ქართული იდეის მატარებელი – ეკლესიაა.

„ეკლესიასთან პრაქტიკულ დამოკიდებულებაში ცენტრალური ხელისუფლება ინარჩუნებს უზენაესი პატრონი-სენიორის რეალურ უფლებებს. ეს უდიდესი ძალა იყო მეფის სასარგებლოდ“.[67]

საეკლესიო თვალსაზრისით საქართველო მთლიან ორგანიზმს წარმოადგენდა. ქართულ ეკლესიას ჰქონდა ორი ცენტრი: მცხეთა და ბიჭვინთა. აღმოსავლეთ საქართველოს განაგებდა ქართლის კათალიკოსი. მართალია, პოლიტიკურად აღმოსავლეთ საქართველო სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ერთეულად იყო დაყოფილი, მაგრამ ეკლესიურად მთელი აღმოსავლეთ საქართველო მთლიან ორგანიზმს – ქართლის საკათალიკოსოს წარმოადგენდა. მას მთელ ამ ქვეყანაში ჰყავდა თავისი წარმომადგენლები, საეკლესიო აზნაურები, საეპისკოპოსოები, მოურავები – მატარებელნი ზოგადქართული ერთიანობის იდეისა. მაგალითად, კახეთის სამეფოში საეკლესიო აზნაური, რომელიც არ ემორჩილებოდა კახეთის მეფეს, ფაქტობრივად ზოგადქართული იდეის მატარებელი იყო. ასევე იყო დასავლეთ საქართველოშიც. აქ უფრო მეტი პოლიტიკური სახელმწიფოებრივი ერთეულები იყვნენ, მაგრამ ეკლესია ერთი იყო – „აფხაზეთის“, ანუ იმერეთის საკათალიკოსო. აქაც „ეკლესიის შვილები“, ზოგადქართული იდეის რეალურ მატარებლებს წარმოადგენდნენ.

ეკლესიას თავისი ლაშქარი გააჩნდა. ფაქტობრივად, ისიც ზოგადქართული იდეის მატარებელი იყო.

„მცხეთის ეკლესია“ ცალკე სამხედრო ერთეული იყო, რომლის დროშის ქვეშ თავს იყრიდა ყველა საეპისკოპოსოს ლაშქარი ეპისკოპოსებით სათავეში. დასავლეთ საქართველოში ეპისკოპოსებს ლაშქარი გამოჰყავდათ მეფისა და მთავრების მოთხოვნილებისამებრ“.[68]

„კახეთის სადროშოების სათავეში თავადები კი არ ჩააყენეს, როგორც ეს ქართლსა და იმერეთში მოხდა, არამედ ეპისკოპოსები. ეპისკოპოსობა კი მემკვიდრეობითი

თანამდებობა არ იყო. ამიტომ ვერც სარდლობა გადავიდოდა მემკვიდრეობით. ამ ღონისძიების მიზანს ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება წარმოადგენდა“.[69]

ქართლ-კახეთის სამეფოები ხშირად ერთიანდებოდნენ. ასევე დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთეულები. ამ ფაქტში თავის როლს ალბათ აღმოსავლეთ საქართველოსა (ქართლის ერთიანი საკათალიკოსოსა) და დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის ერთიანი საკათალიკოსოს) არსებობა განაპირობებდა.

ეკლესია ხელს უშლიდა ქართველი ერის ტომობრივ დანაწილებას. ის ეროვნული მაკონსოლიდირებელი იყო.

არსებულ საგარეო ვითარებისას საქართველომ საერთოდ შეძლო ეროვნული სახის შენარჩუნება, რაც უდიდესი გმირობა იყო.

„თათარ-ნომადებთან“ ბრძოლაში საქართველომ დიდი ზარალი განიცადა, მაგრამ მან გამოამჟღავნა უზომო სიცოცხლისუნარიანობაც, გადარჩა, როგორც ერი და სახელმწიფო“,[70] მაშინ, როცა იმავე პირობების დროს სომხეთსა და აზერბაიჯანში თათარ-ნომადებმა შეცვალეს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა. ქართველი ერის გასაოცარი სიცოცხლისუნარიანობა ქართული ეკლესიის არსებობამაც განაპირობა.

თავი XV

ქართული ეკლესია XVII საუკუნეში

„მხოლოდ დიდბუნებიანთა კაცთა თვისებაა ერთხელ რწმენილი და აღიარებული გაიხადონ თავის სიცოცხლის საგნად და მას ქვეშ დაუდონ თავის ცხოვრება და, თუ საჭიროება მოითხოვს, შესწიროთ თავი თვისიცა“.

ილია მართალი

წმიდა დიდმოწამე ქეთევანი – მნათობი საქართველოსი

XVII საუკუნე, შეიძლება ითქვას, უმძიმესი საუკუნე იყო ქართველი ერის ისტორიაში. თუ წინა საუკუნეებში მტრები საქართველოს დაპყრობით, ანდა დახარკვით კმაყოფილდებოდნენ, ამ დროს სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიებმა ყველაფერი იღონეს ქართველი ერის გასანადგურებლად და მიწის პირისაგან აღსაგველად: ასეულ ათასობით ქართველი საქართველოშივე დახოცეს, უფრო მეტი სპარსეთში გადაასახლეს. კახეთი გააუკაცრიელეს და მომთაბარე თურქმანული ტომები ჩამოასახლეს. მესხეთში მკვიდრი ქართველობა იძულებით გაამაჰმადიანეს (გაათათრეს), მოწინააღმდეგენი მოსპეს, ანდა აიძულეს გადასახლებულიყვნენ. დასავლეთ საქართველო კი უჩვეულო და ენით უთქმელმა ანარქიამ მოიცვა, დაიწყო ტყვეთა სყიდვა, ქართველები, თუ არაქართველები, მასობრივად ატყვევებდნენ ქართველებს და მონებად ჰყიდდნენ. იმ დროს, როცა ევროპაში მეცნიერება აყვავდა და საზოგადოებრივი ცხოვრება პიროვნების თავისუფლებას დაეფუძნა, ქართველები აფრიკელთა მსგავსად, მონათა ბაზრებში იყიდებოდნენ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალეთ-სპარსეთის სახელმწიფოებს მონათა ბაზარზე ქართველებთან ერთად ბოსნიელები, ალბანელები და ევროპაში დაპყრობილი სხვა ხალხებიც გაჰყავდა, კავკასიელებზე რომ არაფერი ვთქვათ.

ყოველივე ამას თან დაერთო ჩრდილოკავკასიელი ტომების ჩამოსახლება დასუსტებულ და გაუკაცრიელებულ საქართველოში. აღმოსავლეთ კახეთში (ე.წ. საინგილოში) დაღესტნელები არა მარტო ჩასახლდნენ, არამედ ისინი იმონებდნენ, არბევდნენ, ძარცვავდნენ და ტყვეებად ჰყიდდნენ მკვიდრ ქართველობას, შიდა ქართლის მთიანეთში – გაოსებული დვალები ჩამოვიდნენ ჩრდილო კავკასიიდან, ადგილობრივ ქართველობასა და შემოსულთა შორის წინააღმდეგობა ქართველთა დამარცხებით და შემოსულ წარმართულ ტომთან მათი ასიმილაციით დამთავრდა, შიდა ქართლის მთიანეთი გაუცხოვდა, ანალოგიური ვითარება შეიქმნა ეგრისაფხაზეთში, აქაც ჩრდილო კავკასიელები – ადიღეელები (აბაზები, აფსარები, ჩერქეზები) დამკვიდრდნენ.

როგორც საქართველოს ბარში, ისე მთაში, ქართველად ყოფნა გაუსაძლისი გახდა. ეროვნებით ქართველობა უშიშროების არავითარ გარანტიას არ იძლეოდა. სპარს-ოსმალოს მისი ხოცვა, აყრა და გადასახლება, ხოლო შემოსულ მთიელებს ძარცვა, მოკვლა, ოჯახის ამოწყვეტა ხელეწიფებოდა. ცხადია, ასეთ დროს გადარჩენის ინსტინქტი ამოქმედდა – ქართველობის ერთი ნაწილი ეროვნების უარყოფის გზას დაადგა. გათათრება გადარჩენის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად იქცა (განსაკუთრებით მესხეთში), ქართველები სომხდებოდნენ (გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევარ ქრისტიანებს სპარსეთ-ოსმალეთი არ სდევნიდა), ქართველები „ფრანგდებოდნენ“ (კათოლიკეებიც ნაკლებად იდევნებოდნენ), ამასთანავე, ქართველები ლეკდებოდნენ, ოსდებოდნენ, აფხაზდებოდნენ[1]. XVII ს-ის მიწურულსა და XVIII ს-ის დასაწყისში ისეთი მომენტიც კი დადგა, რომ მთელი კახეთის მოსახლეობა გალეკებისაკენ მიისწრაფოდა, რაც კარგად ჩანს დავით II იმამყული-ხანის მრავალრიცხოვანი წერილებიდან ვახტანგ VI-სადმი[2].

საბედნიეროდ, დენაციონალიზაციისა და ეროვნული გადაგვარების საფრთხეს ქართველების დიდი ნაწილი მტკიცედ აღუდგა წინ. ქართული სახელმწიფო და ქართული ეკლესია რწმენისა და ეროვნების შენარჩუნებისათვის თავდადებითა და თავდაუზოგავად იღვწოდნენ. საქმე ის იყო, რომ ამ დროისათვის ეროვნება და სარწმუნოება გაერთმნიშვნელოვნდა. როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობს – „ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ნიშნავდა მთელს საქართველოს მიწა-წყალს, ნიშნავდა ქართველობას“. აქედან გამომდინარე, ქრისტიანობის დაცვა და შენარჩუნება – უკვე თავისთავად ქართველობის დაცვა-შენარჩუნებასაც ნიშნავდა.

ამიტომაც ერთაშორისი ომი ფაქტობრივად რელიგიათა შორის ომად გადაიქცა. მაჰმადიანური სპარსეთ-ოსმალეთი და კავკასიის მთიანეთი საქართველოში ქრისტიანობის მოსპობა-აღმოფხვრას ესწრაფოდნენ. თავის მხრივ, საქართველოს საუკეთესო შვილები ქრისტიანობის დაცვა-შენარჩუნებას ცდილობდნენ და ამისათვის სიცოცხლეს არ ზოგავდნენ.

ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს საუკეთესო შვილები ქრისტიანობას არა მარტო ეროვნული მოსაზრების, არამედ პირველ რიგში გულმხურვალე რწმენისა და ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს, სიყვარულის გამო იცავდნენ. ისინი სიცოცხლის ფასად ამბობდნენ უარს მაცხოვრის უარყოფაზე, მისთვის ეწამებოდნენ და საშინელი ტანჯვით კვდებოდნენ. სამაგიეროდ, დიდი იყო საზღაურიც ღვთისაგან. რწმენისათვის თავდადებულთა ლოცვით იესომ დაიფარა და გადაარჩინა მისი მოყვარული ქართველი ერი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ერის გადარჩენაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს სამოციქულო ეკლესიას. საქმე ისაა, რომ ეროვნებას მხოლოდ ის ინარჩუნებდა, ვინც თავს მშობლიური მართლმადიდებელი ეკლესიის შვილად თვლიდა. მაგალითად, გრიგორიანი ქართველები თითქოს ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებელნი იყვნენ, მაგრამ დედაეკლესიისაგან მოწყვეტის გამო თანდათან გასომხდნენ. იგივე ითქმის კათოლიკე ქართველებზეც. როგორც თამარაშვილმა და სხვა მოღვაწეებმა გამოარკვიეს, დენაციონალიზაციას ვერც კათოლიკე ქართველები ასცდნენ, თუმცა კი, მათი ერთი, საქართველოში მცხოვრები ნაწილი, ამ საფრთხეს გადაურჩა. რადგან ქართველობა ფაქტობრივად მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წევრებმა შეინარჩუნეს, ამიტომაც „მართლმადიდებელი“ და „ქართველი“ სინონიმებად იქცნენ.

ქართველი ერის ამ საშინელი განსაცდელის ჟამს სარწმუნოების დაცვისათვის გააფთრებულ ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა მაგალითის ძალას. იმდროინდელ საზოგადოებაში მაღალი ფენები, მეფე-დედოფლები, მთავრები, თავადაზნაურობა და მათი ოჯახის წევრები სამაგალითონი იყვნენ მოსახლეობის დაბალი, მრავალრიცხოვანი ფენებისათვის, თუ მაღალი ფენები ქრისტიანობას იცავდნენ, დაბალი ფენებიც ასე იქცეოდნენ. მაღალი ფენების გამაჰმადიანებას ჩვეულებრივ დაბალი ფენების გამაჰმადიანებაც მოჰყვებოდა ხოლმე შედეგად. ვახუშტი ბაგრატიონი თავის „ისტორიაში“ წერს: „თუმცა წარჩინებულნი (იგულისხმება მესხეთის მაღალი ფენა XVII ს. 50-იან წლებში) მაჰმადიანნი იყვნენ, არამედ ცოლნი მათნი და მხევალნი იყვნენ ყოველნი ქრისტიანენი. ხოლო ჟამსა როსტომ ფაშისასა

მიუვლინა ხონთქარმან ბრძანება, რათა იყვნენ ცოლნიცა მათნი, რომელნი მაჰმადიან არიან, მაჰმადიანად. ესე უთხრეს ცოლსა როსტომ ფაშისასა... აიძულებდნენ ყოფად მაჰმადიანად... ამის მიზეზისათვის იტყოდა: „უკეთუ დაატევებინოთ ყოველთა წარჩინებულთა ცოლთა უწინა ჩემსა ქრისტე, მერმე დაუტეო მეცა, უკეთუ არა, არცა მე“. მაშინ შეუთქვეს რა წარჩინებულთა ცოლთა მას ყოველთა შიშისათვის ტანჯვისა დაუტევეს ქრისტე და გამაჰმადიანდნენ ყოველნი სრულიად და უღონო ქმნილი გამაჰმადიანდა იგიცა. არამედ იქმნა რისხვა ღვთისა ცოდვათა ჩვენთათვის, რამეთუ აწ უმეტეს მოოხრდებოდნენ ეკლესიანი დიდშვენიერნი და იქმნებოდნენ პირუტყვთა სადგურნი... მოისპობოდნენ ეპისკოპოზნი, თუ სადმე იყო, და მონაზონნი და მწყემსნი... და შეიქმნა სრულიად მაჰმადიანობა წესითა და რჯულითა მათითა“[3].

აი ასე, მაგალითის ძალით, წარჩინებულთა გამაჰმადიანების შემდეგ მესხეთი თითქმის სრულიად გამაჰმადიანდა. მალე სარწმუნოებადაკარგულმა მოსახლეობამ ეროვნება – ქართველობაც დაკარგა.

ასეთი ვითარების დროს განსაკუთრებითაა დასაფასებელი კახეთის დედოფლის, ქეთევანის თავდადება სარწმუნოებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ წმიდა ქეთევანის, წმიდა მეფის ლუარსაბ II-ისა და სხვა წარჩინებულთა, საეკლესიო მოღვაწეთა თუ ერისკაცთა ქრისტესადმი თავდადებამ გადაარჩინა მამული და ქართველი ერი სულიან-ხორციანად მოსპობას და სხვა ხალხებთან ასიმილაციას.

XVII საუკუნის მაგალითი უჩვენებს, რომ რაც უფრო მეტად უტევდნენ საქართველოს მტრები ქრისტიანობასა და ქართველობას, მით უფრო წინააღმდეგობას უწევდა მათ ჩვენი ხალხი. XVII საუკუნე სწორედ ქრისტეს მოწამეთა სიმრავლითაა გამორჩეული. მრავალრიცხოვან წამებულთაგან ქართულმა ეკლესიამ წმინდანთა რიცხვში მხოლოდ ზოგიერთი მათგანის შეყვანა შეძლო, იმდენად დიდი იყო მათი რიცხვი. კანონიზებულია 1616 წელს დავით გარეჯის უდაბნოში ამოწყვეტილი 6 000 წმიდა მოწამე, საქართველოს დიდებული მეფე ლუარსაბი, ქრისტესათვის წამებული 1622 წელს, დიდმოწამე, საქართველოს მნათობი, კახეთის დედოფალი ქეთევანი, ნაწამები 1624 წელს, ცხრა ძმა ხერხეულიძე, დედითა და დით და მათთან ერთად მარაბდის ბრძოლის ველზე 1625 წელს ამოწყვეტილი 9 000 ქართველი; საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მეთაური, წმიდა მამა ევდემოზ კათალიკოსი, წამებული 1624 წელს, ბიძინა, ელიზბარი და შალვა, წამებით აღსრულებულნი 1661 წელს, 1696-1700 წლებში გარეჯის მონასტერში ლეკთაგან ამოწყვეტილი ღირსი მამები: შიო ახალი, დავითი და გაბრიელი, ამათ გარდა კიდევ რამდენმა დასდო თავი ქრისტესათვის და სამშობლოსათვის, მათ შორისაა ჩვენი წმიდა მამა – მღვდელი თევდორე, წამებული 1609 წელს, წმიდა ქეთევანის თანმხლები მღვდელი, რომელიც „ღირს იქმნა მოწამისა ღვაწლთასა, რამეთუ მანცა ქრისტესთვის მიიღო აღსასრული ცეცხლისა მიერ. ხოლო სახელი წმიდისა მის მღვდლისა და ქრისტეს მოწამისა იყო ვასილი“, - წერს ანტონ კათალიკოსი წმიდა ქეთევანის სვინაქსარში[4]. და კიდევ სხვა მრავალი წმიდა მოწამე, რომელთა ღვაწლმაც ქართული ეკლესია განაბრწყინა. ნათქვამია, ხალხი უბედურებისას გამოიცნობაო, ქართველმა ერმა და ქართულმა ეკლესიამ უბედურებისას დიდი სიმტკიცე გამოამჟღავნეს.

წმიდა დიდმოწამე ქეთევანს „საქართველოს მნათობი“ ეწოდა, რადგან ქვეყნისათვის უმძიმეს XVII-XVIII სს-ში მისი ღვაწლი და მოწამეობა მთელი ქართველი ხალხისათვის სულის ცხონებისა და მამულის გადარჩენის გზის მაჩვენებლად იქცა.

ძნელია სიტყვებით გადმოიცეს ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც დედოფლის მიერ გამოჩენილ სიმტკიცეს ჰქონდა მისი მშობელი ხალხისათვის. მაჰმადიანობის მიღებას მან ქრისტეს მოწამის გვირგვინი ამჯობინა.

წმიდა ქეთევანი ქართული ეკლესიისა და ქრისტიანობის მოყვარულ მორწმუნეთა ოჯახში დაიბადა. ქართლელი ბაგრატიონი, აშოთან მუხრან-ბატონი, მამა ქეთევანისა, საბერძნეთში (იმ დროისათვის ოსმალთა იმპერიაში მოქცეული) ივირონის მონასტრისათვის ზრუნავდა (ივირონის ბერებმა დაადასტურეს, რომ ივირონის პორტაიტისას (კარის ღვთისმშობლის) სასწაულთმოქმედი ხატის მცირე ტაძარი აშოთან მუხრან-ბატონის მიერაა აგებული). ათონის მონასტრებისათვის ქეთევანის მეუღლის - კახეთის მეფის ოჯახიც დიდად ზრუნავდა. ივირონთან ახლოს, ფილოთეოს მონასტრის სატრაპეზოში, გამოხატულნი არიან კახთა მეფე ლევანი და ძე მისი ალექსანდრე (კახთა მეფე ალექსანდრე - მამამთილი იყო წმიდა ქეთევანისა). ქეთევანი იყო მეუღლე კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრისა - დავითისა.

ალექსანდრეს დროს კახეთის სამეფო საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებთან შედარებით მდიდარი ქვეყანა იყო. XVI საუკუნეში კახეთის მეფეებმა თავიანთი მოქნილი პოლიტიკით შეძლეს სამეფოსათვის უცხოელთა შემოსევები აერიდებინათ. ამიტომაც, „კახეთი მე-16 საუკუნეში საკმაოდ მოშენებული ფეოდალური სამეფო იყო... ხელსაყრელ პირობებში კახეთი მე-16 საუკუნეში დაწინაურდა, მოშენდა და ამ საუკუნის დასასრულისათვის სხვა ქართულ სამეფო-სამთავროთა შორის ის ყველაზე მდიდარ და კეთილმოწყობილ ფეოდალურ სამეფოდ იქცა. განსაკუთრებით ფართოდ მისდევდნენ კახეთში ამ დროს მეაბრეშუმეობას, რომლითაც უცხოელებთან დიდ ვაჭრობას აწარმოებდნენ. მევენახეობა არ ჩამოუვარდებოდა მეაბრეშუმეობას, ღვინო უხვად გაჰქონდათ ახლობელ თუ შორეულ ქვეყნებში. კახეთი ხელოსნობა-ხელსაქმობითაც დაწინაურებული იყო... კახეთი დაყოფილ იქნა ოთხ სამხედრო ტერიტორიულ ერთეულად – სადროშოდ. მაგრამ სადროშოების სარდლობა კახეთის მეფემ თავადთა გვარებს კი არ ჩააბარა, როგორც ეს ქართლში მოხდა, არამედ ეპისკოპოსებს. ეპისკოპოსობა კი სამემკვიდრო თანამდებობა არ ყოფილა. ეპისკოპოსები მეფის მიერ ინიშნებოდნენ და საეკლესიო ყმებისა და მიწების გამოყენების საქმეში მეფის მფარველობას დიდად საჭიროებდნენ, ამის გამო ეპისკოპოსები მეფის უფრო ერთგულნი იყვნენ, ვიდრე საერო დიდბატონები. თავისი მამის პოლიტიკას წარმატებით განაგრძობდა ალექსანდრე ლევანის ძე,

კახთა მეფე (1574-1605). ალექსანდრე მდიდარი და ძლიერი მეფე იყო, მისი ვაჭრები კახური საქონლით აზიასა და ევროპაში დადიოდნენ. მეფეს შეძლება ჰქონდა დიდი თანხებით შესწეოდა ქრისტიანულ სალოცავებს იერუსალიმსა და სხვა ადგილებში. ალექსანდრეს განზრახვა ჰქონდა, მთლიანად აღედგინა კახეთში საქართველოს აყვავება-ძლიერებისდროინდელი მატერიალური ნაშთები: ციხე-ქალაქები, ეკლესია-მონასტრები, მეფე ცდილობდა მოეყვანა უცხოეთიდან ოსტატ-ხელოსნები, ხუროთმოძღვრები, მხატვრები, სწავლული მწიგნობრები"[5].

კახეთი საკმაოდ მტკიცე და გამაგრებული სამეფო იყო, რაც მოუთმენელი იყო მტრებისათვის, ამიტომაც შაჰ-აბასმა მას კაკ-ენისელი (საინგილო) ჩამოაცილა და უშუალოდ დაიმორჩილა. ამით კახეთს აღმოსავლეთის კედელი მოერღვა. დაახლოებით ამ დროისათვის საშამხლოს (ჩრდილო კავკასიაში მდებარე სამთავროს) უკვე მიერთებული ჰქონდა პირაქეთა დაღესტანი, რომელიც ამ დრომდე თითქმის ყოველთვის ან ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით, ან კიდევ კახეთის სამეფოს საზღვრებში იყო მოქცეული. პირაქეთა დაღესტნისა და კაკ-ენისელის დაკარგვის შემდგომ კახეთის სამეფო დაუცველი, აღმოსავლეთის საზღვრებ-მოშლილი აღმოჩნდა. ჩრდილოელ (დაღესტნელ) და აღმოსავლელ თურქმანულ ტომებს მდიდარი ქვეყნისაკენ გზა გაეხსნათ.

XVII საუკუნეში შაჰ-აბასის მმართველობის შედეგად სპარსეთი დიდად გაძლიერდა. „XVII საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოში, ისევე როგორც მთელ ამიერკავკასიაში, ოსმალეთი ბატონობდა, მიუხედავად ამისა, ოსმალეთის დამოკიდებულება საქართველოს სამეფო-სამთავროებისადმი არ იყო ერთგვარი"[6]. დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები საშინაო პოლიტიკაში დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ, ქართლის მთავარ ციხეებში ოსმალთა გარნიზონები იდგნენ, მაგრამ ქართლი ქედს არ იდრეკდა, მედგრად იბრძოდა ოსმალო დამპყრობთა წინააღმდეგ[6]. კახეთის სამეფო მტერთაგან თავისუფალი იყო, თუმცა კი ერთდროულად სამი დიდი სახელმწიფოს – ირანის, სპარსეთისა და რუსეთის ვასალი გახდა. „ამასობაში ამიერკავკასიაში ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. 1603 წელს შაჰ-აბასმა (1578-1629) ომი გამოუცხადა ოსმალეთს... ირანის სახელმწიფოს ცენტრალიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შაჰ-აბასის მიერ ჩატარებულ სამხედრო რეფორმას... შექმნა თოფებითა და ზარბაზნებით შეიარაღებული და კარგად გაწვრთნილი მუდმივი ჯარი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ღულამთა ათიათასიანი ცხენოსანი კორპუსი. ეს კორპუსი შაჰის გვარდია იყო. იგი ირანში აღზრდილი და ძალით გამაჰმადიანებული ქართველი და სომეხი ახალგაზრდებისაგან დააკომპლექტეს"[7].

1604 წელს, ერევნის ალყის დროს შაჰმა საშველად ალექსანდრე კახთა და გიორგი ქართლის მეფეები იხმო. მართალია, ერევნის აღების შემდეგ მათ შაჰმა ყოველწლიური ჯამაგირი დაუნიშნა, სამაგიეროდ, გიორგი მეფეს ლორეს პროვინცია და დებედას ხეობა გამოსთხოვა. დებედას ხეობაში მან თურქმანული ტომი „ბორჩალუ" ჩამოასახლა: „ამით შაჰმა ქართლს სამხრეთი კედელი მოურღვია და მის თავდაცვისუნარიანობას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა"[7].

შაჰ-აბასს ძალზე აფრთხობდა და აღიზიანებდა კახეთის სამეფოს კავშირი რუსეთსა და ოსმალეთთან, ამიტომაც გადაწყვიტა ეს ურჩი ქვეყანა იარაღის გამოუყენებლად, სამეფო ოჯახში გადატრიალების მეოხებით, საბოლოოდ დაემორჩილებინა. ამ მიზნის განსახორციელებლად მან თავისი აღზრდილი გამაჰმადიანებულ-გასპარსებული ალექსანდრე მეფის ძე, კონსტანტინე გამოიყენა. ბერი ეგნატაშვილი წერს: „ხოლო ამას შაჰ-აბაზს სწადოდა დაპყრობა საქართველოისა და მრავალი ღონე და ხერხი იხმარა და ცდილობდა, რათამცა დაეპყრა საქართველო და ვერ შეუძლო. მოიპოვა ღონე ესევითარი: რომელი მიეცა კახ-ბატონსა ალექსანდრეს ძე თავისი კონსტანტინე. ესე გაეზარდა შაჰ-აბაზს და გაეწუართა სჯულსა ზედა მაჰმადისასა. და ამა კონსტანტინეს ხელით გაუგზავნა ხალათი მამასა მისსა ალექსანდრეს, და გაატანა თანა ჯარი და შირვანელი. და ესრეთ დააბარა კონსტანტინეს: დავით ხომ მომკვდარა და სხვა აღარავინ დარჩომილა მამის შენის მეტი, წადი და მოჰკალ მამა-შენი და ძმა-შენი, და კახეთიც შენ დაიჭირე... დღესა ერთსა აწვია თვისსა კარავსა მამაცა და ძმაცა თვისი და უთხრა ესრეთ, ვითარმე: ყაენის საქმე მაქვს და დაითხოვა კახნი და წარვიდნენ კარავად თვისად, და დარჩა მას შინა რუსთველი და ძმა მისი. და რაჟამს ესრეთ დაახელა, მაშინ დაპირებული ჰყვანდა ყიზილბაშის ჯარი, და შემოცვივდნენ კარავშია და უღალატა და დახოცეს. მაშინ მოკლა მამა და ძმაც თვისი და რუსთველი, ყორჩიბაშიცა ძმა მისი“[8].

შაჰის გეგმა აღსრულდა – კახეთის მირონცხებული მეფე და მისი ძე მოკლეს, რუსთველი ეპისკოპოსი, მისი ძმა აბელ ანდრონიკაშვილი და სხვა ხუთი თავადი, რომელთაც ალექსანდრეს დასაცავად ხელი გამოიღეს, იქვე დახოცეს.

კახეთი მაჰმადიან კონსტანტინეს დარჩა, რომელმაც მამისა და ძმის მოჭრილი თავები შაჰს გაუგზავნა. შაჰმა ლაშქრობისა და ომის გარეშე შეძლო კახეთის ირანის სახელმწიფოს ნაწილად ქცევა, რადგანაც კონსტანტინეს გამეფება სწორედ იმაზე მეტყველებდა, რომ კახეთი უკვე ირანის სახანო იყო. შაჰი ზეიმობდა, მაგრამ მას სიხარული კახეთის დედოფალმა ქეთევანმა ჩაუშხამა. ის აჯანყდა და სრულიად კახეთი მიიმხრო. აჯანყებულებმა კონსტანტინე დაამარცხეს და მოკლეს.

ჩანს, სწორედ ამ დროს გადაემტერა შაჰი წმიდა ქეთევანს, რადგანაც მისი მზაკვრული გეგმები საქართველოს მიმართ სწორედ ქეთევანმა ჩაშალა. შაჰი იძულებული გახდა კახეთის უფლისწული თეიმურაზი სამშობლოში დაებრუნებინა.

რამდენიმე წლით ადრე, 1602 წელს, ქეთევანი იძულებული იყო თავისი ძე თეიმურაზი ირანში გაეგზავნა. საქმე ის იყო, რომ 1601 წელს ალექსანდრე მეფის ავადმყოფობისას ტახტზე ქეთევანის მეუღლე დავითი ავიდა, რომელიც მეფობის კანონიერი პრეტენდენტი იყო, მაგრამ მას სამეფო ტახტისათვის ძმა, გიორგი, შეებრძოლა. გიორგი ბატონიშვილმა შემდეგაც მოაწყო დავით მეფის წინააღმდეგ შეთქმულება, რისთვისაც მისი მომხრენი სასტიკად დასაჯეს, ხოლო თვითონ გიორგი მცხეთაში გაიქცა და კათალიკოსს შეაფარა თავი. ალექსანდრე მეფეს, რომელიც ამ დროს მონაზვნად იყო აღკვეცილი, სასტიკად დაუწყევლია დავით მეფე. 1602 წელს დავით მეფე გარდაიცვალა, ტახტზე კვლავ ალექსანდრე ავიდა. თავისი საყვარელი ძე, გიორგი ბატონიშვილი, გვერდით ამოიყენა. რადგანაც გიორგი ტახტ-

ის მემკვიდრედ ითვლებოდა, ამიტომაც მასთან რუსეთის ელჩობა მოლაპარაკებებსაც აწარმოებდა ხოლმე, რაც შაჰისათვის ცნობილი იყო. როგორც ვარაუდობენ, სწორედ მას გაუგზავნია თეიმურაზი და მისი და ელენე ირანში[9]. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად კი, თეიმურაზი შაჰთან ქეთევანს გაუგზავნია, ქმრის სიკვდილისა და გიორგი ბატონიშვილის აღზევების შემდეგ – „ქეთევანს ჰყავდა ძე ერთი დავითთან, თეიმურაზ, და შეეშინა ქეთევანს: ახსოვდა, ოდეს დაიჭირა დავით ძმა მისი გიორგი და დაატყვევა ციხესა შიგან, ეშინოდა ქეთევანს ძმისა მისა მისთვის და წარგზავნა ყრმა თვისი ყაენთან შიშისათვის გიორგისა...“[10].

მეფე ალექსანდრეს მოკვლის შემდეგ კონსტანტინეს გაბატონებამ კახეთი გაყიზილბაშების ანუ გათათრების საფრთხის წინაშე დააყენა. დედოფალი ქეთევანი სათავეში ჩაუდგა კახელ დიდებულებს, რომელნიც აჯანყებისათვის ფარულად ემზადებოდნენ. მალე კონსტანტინემ კახეთის ათიათასიანი ლაშქრით (ყიზილბაშებთან ერთად) შირვანში ილაშქრა და შაქის პროვინცია ოსმალთაგან გაათავისუფლა. სწორედ აქ დააპირეს აჯანყებულმა ქართველებმა კონსტანტინეს მოკვლა, მაგრამ მან გაასწრო, ჯარი შეაგროვა და კახეთში შეიჭრა. ამ გასაჭირის ჟამს, კახეთის ქართველობას ქართლელები მიეშველნენ პაპუნა ამილახვრის სარდლობით. ბელაქნის წყალთან ბრძოლაში ქართველებმა გაიმარჯვეს და მოღალატე კონსტანტინე მოკლეს.

ანტონ კათალიკოსის თანახმად, ქართველების, და განსაკუთრებით დედოფლის, აღშფოთება იმას გამოუწვევია, რომ კონსტანტინეს სპარსული წესის მომიზეზებით ქეთევანის, ძმის ქვრივის ცოლად შერთვა მოუსურვებია: „უქვემოეს ეშმაკთა თანა მდგომარემან კონსტანტინე მოიგონა სხვაჲცა უსჯულოებაჲ... ვითარმედ აწვია წმიდასა ქეთევანსა, ძმის ცოლსა თვისსა, ცოლად თვისად მოყვანებაჲ... ქალმან ბრძენმან და წმიდათა განჰსჯათა მექონემან მოისიბრძნა მოწოდებაჲ მთავართა კახეთისათა და ევედრა, რათა შეწევნაჲ ჰყონცა არა მიშვებად მისდა ნებისამებრ თვისისა უკეთური იგი და მოაგონებდა მკვლელობასა მამისა და ძმისისა ბოროტისა მისგან და აწყვედასა მათ შორის მეფობითისა მემკვიდრეობისასა. კახთა უკუე მსმენელთა არწმუნეს წმიდა იგი, ვითარმედ: „გარდა მეფობისა შენისა არა ვისსამე დავემორჩილნეთ ბრძანებასა“ და ესე ფიცითარე დიდითა დაამტკიცეს...“[11].

კონსტანტინეს მოკვლის შემდეგ კახეთის სამეფოს დედოფალი ქეთევანი ჩაუდგა სათავეში. „ამას შინა დიდსულმან და ყოვლისა სიბრძნით განგებისა... ქეთევან მოისიბრძნა განზრახვა და წარუგზავნა ძღვენი მეფესა შაჰ-აბას და მიუწერიაო, ვითარმედ: „მეფეო, მომეც ძეი ჩემი თეიმურაზ, რამეთუ სახმარ არს მეფობისა შენისა მკვიდრი განგებად მეფობისა, რომელიცა დამორჩილებულ არს შენდა, თუ არა სამეფო ესე განუდგეს ნებასა მეფობისა შენისასა და ერჩდეს სულთანსა საბერძნეთისა და აღმოსავლეთისასა“. მსმენელმან დედოფლისა წმიდისა შეთვლილთა მეფემან სპარსთაგან მყის ნიჭთა დიდითა და საბოძვრითა წარმოგზავნა თეიმურაზ ძეი მისი“[12]. 1606 წელს „შაჰ-აბასს ქეთევან დედოფლის ელჩები მოუვიდნენ, ერთგულება გამოუცხადეს და კახეთის მეფედ თეიმურაზი სთხოვეს. შაჰი მიხვდა, რომ კახეთი უბრძოლველად თავისუფლებას არ დათმობდა. მისი ძალით გატეხა კი

ოსმალეთთან ომის პირობებში ადვილი საქმე როდი იყო და მან დროებით უკან დაიხია, კახეთის მეფედ ქრისტიანი თეიმურაზი დაამტკიცა. თეიმურაზი მეფედ შაჰის კარზე დალოცეს: „გულუხვად“ დაასაჩუქრეს და კახეთში გამოისტუმრეს“[13].

შაჰს თეიმურაზი უკან იმ მიზეზის გამოც გამოუშვია, რომ ეშინოდა ქართლის სამეფოს უმკვიდროდ დარჩენილი კახეთის სამეფო არ შეეერთებინა, ქართლ-კახეთის გაერთიანება ხომ შაჰს განსაკუთრებით აფრთხობდა. მისი სურვილი იყო ეს ორი ქართული სამეფო ერთმანეთის მტრებად დარჩენილიყო.

ამ დროისათვის კახეთის სამეფო მდიდარი ქვეყანა იყო, შაჰ-თამაზის შემდეგ იქ მტერს ფეხი არ დაედგა – „ფრიადი უკუე დაწყნარებულობა იყო მაშინ საქართველოისა, ვითარმედ სიკვდილისაგან შაჰ-თამაზ პირველისა, რომელი იყო პაპა შაჰ-აბას პირველისა, არღარასადმე იყო სპარსთაგან ოხრება ქართველთა“, – წერს ანტონ კათალიკოსი.

როგორც ირანული წარმოშობის ისტორიკოსი გვამცნობს, თეიმურაზის ქრისტიანული წესით მეფედ კურთხევას თვით შაჰი დასწრებია. „იმ დროს კონსტანტინეს წინააღმდეგ აღმოსავლეთ საქართველოში დაწყებულმა აჯანყებამ და კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის ახალი კავშირის დამყარებამ აიძულა შაჰი დროებით დათმობაზე წასულიყო და 1606 წელს აღმოსავლეთ საქართველოში დაენიშნა ქრისტიანი მეფეები: თეიმურაზ პირველი კახეთში, ხოლო ლუარსაბ მეორე - ქართლში. შაჰ-აბასის მითითებით კახეთში თეიმურაზის მეფედ კურთხევა მოხდა ქრისტიანული წესით, რომელსაც თვით შაჰი ესწრებოდა.“ შაჰ-აბას ქაბირის (შაჰ-აბას დიდი) ისტორიაში ეს ამბავი ასეა გადმოცემული: „აბასაბადიდან მოსვლის შემდეგ შაჰ-აბასი პირდაპირ წავიდა საქართველოში, სადაც თეიმურაზ ხანი მეფედ დაინიშნა. შაჰი დათანხმდა, რომ მეფედ კურთხევის ცერემონია ქრისტიანული წესით ჩატარებულიყო და იგი თვითონ დაესწრო მას“[14]...

ვახუშტი წერს – „დაჯდა მეფედ ბატონი თეიმურაზ, მაშინ იყო წლისა 16 და განაგებდა კახეთსა. მერე მოიყვანა ცოლი ასული მამია გურიელისა ანნა...“[15], რომელთანაც ეყოლა ძეები, ლევანი და ალექსანდრე. 1610 წელს ანნა გარდაიცვალა.

შაჰის დაჟინებული რჩევით, რაც ძალდატანებასაც ნიშნავდა, თეიმურაზმა ცოლად ქართლის მეფის, ლუარსაბის და, ხორეშანი შეირთო, რომელიც შორეულ ნათესავადაც კი მოხვდებოდა მას. ქართველ ავტორთა აზრით, ნათესავის მოყვანა შაჰმა თეიმურაზს განგებ აიძულა, რათა ამით ქრისტიანული წეს-ჩვეულება შეებღალა, რომელიც შემდგომ მის გამაჰმადიანებას გააადვილებდა.

„უწყოდა მზაკვარმა მან, ვითარმედ უხვედრ იყო ცოლად ეკლესიებრითა ჰსჯულითა... მიუგო თეიმურაზ: „შეუძლებელ არსო, მეფეო ესე, რამეთუ არა შემინდობს მე ეკლესიაი ქმნად ამისა“, – წერს ანტონი[16].

შაჰისაგან შერჩეული მეუღლის შერთვის შემდეგ შაჰმა თავისი დაფარული გულისწყრომის გამომჟღავნების მიზეზი იპოვა – თითქოსდა ამ ქალის ცოლად შერთვა თვით მას სურდა – „რომელიცა დაი ვჰთხოვე ლუარსაბს, იგი წამართვა მე თეიმურაზ და მძვინვარედ მბორგალი შემკრებელი სპათა იქმნა და წარმოვიდა საქართველოსა ზედა და თანა წარმოიყვანა ნუგზარიცა და სააკაძის ძე გიორგი, ორგულნი მემკვიდრისა მეფისა თვისისა და მამულისანი, მოსრულმან შაჰ-აბას

ალვანიად ქალაქსა, ზედწოდებულსა განძად, ჰკითხა გიორგის სააკასძეს (რომელსა უყოფდა წყალობასა და პატივსა ეტიკობისათვის საქართველოსა და კახეთის აოხრებისა), ვითარმედ თქვენ შორის კაცსა ცოლ-წაგვრილსა რაიმე თანა აძს?

მიუგო გიორგი სააკაძესმან შაჰ აბასს: „ეგევითარი კაცი წამგვრელსა ცოლისასა აღუოხრებს მამულსა, თუ სადამდე ძალუძს მორევნა და წარმოჰსტყვენავს ყოველსავე მისსა და მოჰკლავსცა“. ხოლო რქვა ესენი გიორგი ამისათვის, იცოდა, ვითარმედ თეიმურაზისათვის ჰკითხავს იგი, კახთა მეფესა.

მიუგო შაჰ-აბას: „მე ვარო, რომელსა წამგვარა ცოლ თეიმურაზ“[16].

ცხადია, თეიმურაზის მეუღლე მხოლოდ საბაბი იყო შაჰისათვის, სინამდვილეში მან 1612 წლის შემდეგ, რაც ოსმალეთთან ომი გამარჯვებით დაამთავრა და ზავი დადო, საქართველოსათვის მოიცალა: „მას არ აკმაყოფილებდა ქართლ-კახეთის სამეფოების ვასალური დამოკიდებულება, მით უმეტეს, რომ ასეთი „ერთგულება“ მეტად საეჭვო ჩანდა, განსაკუთრებით კი თეიმურაზის მხრივ. შაჰი ხედავდა, რომ ოსმალეთმა მხოლოდ დროებით აიღო ხელი აღმოსავლეთ საქართველოზე. ამიერკავკასიის საქმეებში რუსეთის ხელახალი ჩარევაც გამორიცხული არ ყოფილა. ამიტომ შაჰი თავის გადაუდებელ ამოცანად სახავდა ქართლ-კახეთის სამეფოების მოსპობას. იქ მუსულმანური მოსახლეობის ჩასახლებას და სახანოების შექმნას. 1612 წელს ზაფხულში შაჰმა თეიმურაზი და ლუარსაბი ნადირობის საბაბით მაზანდარანს დაიბარა. მეფეები არ ენდვნენ მას, არც წავიდნენ. ლუარსაბისა და თეიმურაზის საქციელი აჯანყებას უდრიდა – ამით ისინი ირანის შაჰის ვასალობაზე უარს ამბობდნენ. 1613 წლის 16 ოქტომბერს შაჰ-აბასი დიდი ლაშქრით ირანიდან საქართველოსაკენ დაიძრა... შაჰმა ზამთარი განჯაში გაატარა და კახეთში მხოლოდ 1614 წლის გაზაფხულზე შეიჭრა. განჯიდან შაჰ-აბასმა თეიმურაზს კაცი გაუგზავნა და მძევლად შვილები მოსთხოვა. თეიმურაზს არ უნდოდა მძევლის მიცემა, კახეთის მესვეურებმა მხარი არ დაუჭირეს და იგი იძულებული გახდა ჯერ უმცროსი ალექსანდრე და ქეთევან დედოფალი გაეგზავნა შაჰთან, მერე კი უფროსი შვილი – ლევანიც. ამის შემდეგ შაჰმა თეიმურაზიც დაიბარა თავისთან, მაგრამ თეიმურაზი არ წავიდა. კახი მოღვაწეებიც მიხვდნენ, რომ შაჰ-აბასს ბაგრატიონების ამოწყვეტა და კახეთში შეჭრა ჰქონდა გადაწყვეტილი. ახლა დატრიალდნენ კახელები და სასწრაფოდ შეუდგნენ ჯებირების მშენებლობას, მაგრამ უკვე გვიან იყო“[17].

შაჰთან შებრძოლების შემდეგ თეიმურაზმა უკან დაიხია, ალყას თავი დააღწია და ქართლში გადავიდა. „მუხრანში თეიმურაზს ამალითა და მცირე ჯარით ელოდებოდა ქართლის მეფე ლუარსაბი, გამოირკვა, რომ არც ქართლს შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა. მეფეები აქაურობას გაეცალნენ და თავი იმერეთს შეაფარეს“[18].

შაჰმა ხელთ იგდო თეიმურაზის მთელი ქონება – თორღვას ციხეში შენახული კახეთის სამეფო განძეულობა. შეესივნენ მთელ კახეთს, მხოლოდ ერწო-თიანეთიდან 30 000 ტყვე გაიყვანეს, ქვეყანას 50 დღის განმავლობაში აოხრებდნენ. ამის შემდეგ შაჰი ქართლში გადავიდა და გორს დადგა, აქედან იმერთა მეფეს დაუკავშირდა და მასთან მყოფი თეიმურაზისა და ლუარსაბის გადაცემა მოსთხოვა.

იმერთა მეფემ თავის ძვირფას სტუმრებს არ უღალატა. ლუარსაბ მეფემ თავისი ნებით ინება შაჰთან მისვლა, ხოლო თეიმურაზი შაჰს არ ენდო და არ მივიდა.

1615 წლის 15 სექტემბერს ალავერდობის სადღესასწაულო წირვის შემდეგ კახელები აჯანყდნენ. ალავერდის წმიდა ეკლესია და მისი გალავანი ირანელებს ციხესიმაგრედ ჰქონდათ გადაკეთებული და იქ ყიზილბაშები იდგნენ. 15 სექტემბერს, ამ ეკლესიის დღესასწაულის დღეს, ყიზილბაშებმა დავით ჯანდიერის (იმ დროს კახეთის მმართველის მოადგილის) ხათრით ქართველები ეკლესიაში სალოცავად შეუშვეს. წირვის დამთავრების შემდეგ დათქმულ ნიშანზე ქართველებმა დამალული იარაღი გამოაჩინეს და ყიზილბაშებს მუსრი გაავლეს. მალე იმერეთიდან მეფე თეიმურაზი ჩამოვიდა, აჯანყებას სათავეში ჩაუდგა და კახეთის სპარსთაგან გაწმენდას შეუდგა. აჯანყდა შირვანიც, რომლის მეთაურმაც თეიმურაზს ერთგულება განუცხადა. აჯანყებულებმა კახეთი და შირვანი ყიზილბაშთაგან გაათავისუფლეს. საპასუხოდ შაჰმა რჩეული მეომრებისაგან 15 000-იანი არმია შეადგინა და კახეთში გაისტუმრა. თეიმურაზმა თვითონ უსარდლა ქართველთა ჯარს, წიწამურთან შეება მტერს და რამდენიმე საათში მუსრი გაავლო. ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმეს.

„არამედ ლტოლვილი ყიზილბაშები მივიდნენ წინაშე შაჰ-აბაზისა... ხოლო იგი განძვინდა, ვითარცა ვეშაპი და წარმოვიდა მსწრაფლად“. შაჰმა თბილისიდან შეუთვალა დაღესტნელებს: „მნებავს მოწყვედა კახეთისა და რომელნი შემოვიდნენ თქვენ კერძთა მთათა შინა, თქვენ მოსრენით და ტყვე ყვენით იგინი და აღგავსნე მეცა ნიჭითა“. მსმენელთა მათ სიხარულით აღუთქვეს. მაშინ შაჰ-აბაზ წარმოავლინა ტფილისიდამ სპანი დიდნი ხერკსა და ერწო-თიანეთსა ზედა. ხოლო თვით ჩამოვიდა კახეთს, მოსრნა, მოსტყვევნა, აჰყარნა, და მოაოხრნა ეკლესიანი, ხატნი და ჯვარნი შემუსრნა და სამკაულნი მათნი და ჰყო ხარჭათა თვისთა აღსამკობლად“[19].

„კახელები უბრძოლველად არ ტოვებდნენ არც ერთ ქალაქს, ციხე-სიმაგრეს, სოფელს, სასახლეს, ეკლესიას და ქოხსაც კი“[20].

შაჰის საქართველოდან გასვლისთანავე ისინი კვლავ აჯანყდნენ, შაჰმა აჯანყება დიდძალი ლაშქრით კვლავ სასტიკად ჩაახშო და კახეთი ააოხრა,რასაც ქართველებმა ისევ აჯანყებით უპასუხეს. 1617 წელს შაჰი კვლავ შემოიჭრა საქართველოში, რასაც ქართველთა დაუნდობელი ჟლეტა და ტყვეებად წასხმა მოჰყვა.

„აღნიშნული ოთხი შემოსევის დროს (1614-1617) კახეთმა უდიდესი და გამოუსწორებელი ზარალი ნახა. თითქმის მთლიანად დანგრეული და გადამწვარი იყო მთელი კახეთი... კახეთმა თავისი მოსახლეობის ორი მესამედი დაკარგა, ასი ათასამდე მტერს შეაკვდა, ორასი ათასამდე კი ტყვედ იქნა წაყვანილი, რომელნიც ირანის შიდა პროვინციებში დაასახლეს“[21].

„ვინმე უკუე აღრაცხნეს განსაცდელნი მაშინდელნი კახეთისანი, ანუ სისხლისა მეფეთასანი ანუ მოოხრებანი და განრყვნანი წმიდათა ეკლესიათასანი და მონასტერთანი, ანუ გარდასახლებანი კნინღა ყოველთა სოფელთა კახეთისათა, და სიკვდილი და კლდეთა და ხვრელთა შინა ქვეყანისათა დაფარულთა სიყმილი, ანუ მახვილი, ანუ ტყვეობა, რომელიცა წინაძღომითა და ეტიკობითა გიორგი სააკაისძისათა მოიწია კახეთსა ზედა...“[22].

თეიმურაზი არათუ შედრკა, არამედ ყიზილბაშთა წინააღმდეგ დიდ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა და შეეცადა ოსმალთა ჯარის დახმარებით მიეღწია თავისი მიზნისათვის. ოსმალთა ჯარი ირანში შეიჭრა, რათა საქართველოდან ყიზილბაშები განედევნა და ტახტზე თეიმურაზი აეყვანა. ოსმალთა არმიის მეწინავე რაზმში მეფე თეიმურაზიც იბრძოდა თავისი ქართველებით, მაგრამ ოსმალებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს. თეიმურაზმა 1618 წელს დახმარება რუსეთსაც სთხოვა. რუსეთი დიპლომატიური გზებით შეეცადა ზეგავლენა მოეხდინა შაჰ-აბასზე, რათა მას თეიმურაზი და ლუარსაბი თავიანთ სამეფოებში დაებრუნებინა.

თეიმურაზის კავშირმა რუსეთსა და ოსმალეთთან შაჰ-აბასი სასტიკად გაანაწყენა... „...ოსმალეთთან და რუსეთთან კავშირით გაცოფებულმა შაჰ-აბასმა შური მისი ოჯახის წევრებზე იძია. 1620 წელს თეიმურაზის ვაჟები – ლევანი და ალექსანდრე დაასაჭურისებინა, რის შედეგადაც უმცროსი ვაჟი გარდაიცვალა, უფროსი კი ჭკუიდან შეიშალა“[23].

საერთოდ, როგორც ოსმალეთი, ისე ირანი ვერაფრით ურიგდებოდა ქართველ მეფეთა კავშირს რუსეთთან. რუსეთს ისინი თავიანთი სახელმწიფოებისათვის დიდ საფრთხედ მიიჩნევდნენ და მისი ამიერკავკასიაში შემოსვლა საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღსასრულის დასაწყისად ესახებოდათ.

ასევე მოუთმენელი იყო კახეთის მეფეთა კავშირი რუსეთთან მაჰმადიანი მთის კავკასიური სამთავროებისათვისაც. ისინი სასტიკად სჯიდნენ ქართველებს რუსეთთან დაახლოების მცდელობისათვის.

ივანე ჯავახიშვილი წერს: „რუსეთთან კავშირის დაჭერამ კახთა მეფე ალექსანდრე უკიდურეს განსაცდელში ჩააგდო იმიტომ, რომ ყველა არაქრისტიანი მეზობელი ამის გამო საქართველოს წინააღმდეგ აამხედრა და მოსკოვის სიძულვილმა ჩრდილოეთ კავკასიის მთიულნი გააერთიანა“[24].

შამხალმა კახეთის რუსეთთან კავშირის შესახებ რომ შეიტყო, ოსმალეთის სულთანს მისწერა – „...რუსთა ჯარის გამოლაშქრების მომლოდინე ვარ. თავის მხრივ ალექსანდრეც ომს მიპირებს... ხოლო ჩემს მიწა-წყალს ხელში ჩაიგდებენ თუ არა, მაშინ შენს ხელში მყოფი დარუბანდი, შამახია, შირვანი, განჯა და სხვა ქალაქები... მოსკოვის ხელმწიფეს ჩაუვარდება ხელში და მაჰმადიანებს იქ ამოწყვეტენ. ამ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ რუსთა მეფის ჯარი... ყიზილბაშთა ლაშქარს და ქართლ-კახეთის სამხედრო ძალას შეუერთდება და მაშინ ამ შეერთებულ მხედრობას შენ სტამბოლამდის ვერ შეაჩერებ. ამას რომ შეიტყობენ, ახლა ფრანგები და ესპანეთის მეფე თავის მხრით მოგვადგებიან“[25].

ეს სწორი პოლიტიკური შეფასება იყო. რუსეთ-კახეთის კავშირმა სტამბოლსა და ისპაჰანში ხელისუფლებას მძიმე საფიქრალი გაუჩინა. მათ ყველაზე მეტად სწორედ ეს კავშირი აშინებდათ, რადგან საქართველო ერთმორწმუნეობის გამო მზარდი და ძლიერი რუსეთის იმპერიის ბუნებრივ მოკავშირედ მიაჩნდათ. სპარსეთ-ოსმალეთი მზად იყო ამოეგდო საქართველო, ამოეწყვიტა, მოესპო ქართველი მართლმადიდებლები, გადაესახლებინა, გაემაჰმადიანებინა ისინი, რასაც კიდევაც ასრულებდნენ. ასეთ დროს ერთმორწმუნე რუსი სამღვდელოება, რომელსაც რუსეთის მთავრობა

საქართველოში უაღრესად საჭირო დამხმარე ჯარისა და ზარბაზნის ჩამომსხმელი ოსტატების ნაცვლად აგზავნიდა, საქართველოში ამრეზით იქცეოდა.

„შესდგეს თუ არა ფეხი რუსმა სამღვდელო პირებმა კახეთში, მაშინვე ქართველებსა და რუსებს შორის სრული გაუგებრობა და უსიამოვნებაც კი ჩამოვარდა. თავიანთ სამშობლოში მწვალებლობას მიჩვეულნი, ისინი ქართული საეკლესიო მღვდელმსახურების ყოველ თავისებურებასა და წვრილმან განსხვავებასაც კი ეჭვის თვალით უყურებდნენ და ცოდვად და მწვალებლობად მიაჩნდათ... კახთ ბატონი მოსკოვის პატრიარქს მის მიერ გამოგზავნილ რუს სამღვდელოებაზე უჩიოდა. ჩვენ ესენი ანგელოზებივით მივიღეთ და ყოველნაირად პატივი ვეცით. მაგრამ მათ ჩვენს ეკლესიებში წირვა არ მოისურვეს. 1262 წელი სრულდება, რაც ჩვენ ბერძნებისაგან ქრისტიანობა მივიღეთ. აქ ჩვენთან პატრიარქებიცა და მიტროპოლიტებიც ყოფილან, მთაწმიდელნიც, სინელნიც და იერუსალიმელნიც. ყველას ჩვენთან წირვაც უწირიათ, და როგორც ერთმორწმუნეთ შეეფერება, ჩვენთან ისე ეჭირათ თავი“[26].

ეს სტრიქონები შაჰ-აბასის შემოსევამდე სულ რამდენიმე წლით ადრე დაიწერა. ამ წერილების დაწერიდან 20-ოდე წლის შემდეგ, რუსეთთან და ოსმალეთთან თეიმურაზის კავშირით გაჯავრებულმა შაჰმა თეიმურაზის შვილები დაასაჭურისა, რაც ანტონ კათალიკოსის თანახმად, 1618 წელს მომხდარა. ეს ბავშვები 1613 წლიდან ბებიასთან, ქეთევანთან ერთად ჰყავდა შაჰს დატყვევებული – „ხოლო შემდგომად ხუთისა წლისა მისტაცა წმიდასა მას ყმანიცა იგი და მოიყვანა ისპაანად და მუნ დაკვეთითა საჭურის ჰყვნა წელს 1618“[27].

1623 წელს თეიმურაზმა კვლავ ითხოვა დახმარება რუსეთისაგან, შეიძლება ამის საპასუხოდაც – დედა თეიმურაზისა, წმიდა ქეთევანი, 1624 წელს სასტიკად აწამეს და მოკლეს.

„ქეთევან დედოფალმა სპარსეთის ტყვეობაში დაახლოებით 12 წელი გაატარა, მაგრამ ეს 12 წელი მან, როგორც ზოგიერთ ავტორს ჰგონია, მარტო შირაზში კი არ გაატარა. აქ იგი 1617 წლის სექტემბერში ჩამოუყვანიათ“[28].

„გამაჰმადიანებულმა ქართველმა, შირაზის ხანმა პატივით მიიღო დედოფალი, მოუმზადა მას სახლი, რომელშიც მოათავსა იგი თავისი ამალით. აქვე შეარჩიეს ერთი ოთახი ეკლესიისათვის. ქეთევან დედოფალი არა მარტო დღისით, არამედ ღამითაც დგებოდა და თანმხლებ ქალებთან ერთად ლოცულობდა. მას თან ახლდა ქართველი მღვდელი, რომელიც ამ ოთახ-ეკლესიაში ხშირად წირვას აყენებდა. ამასთანავე, იგი დედოფალს უკითხავდა სახარებას, მოციქულთა ეპისტოლეებს, სხვადასხვა ლოცვებს, ქადაგებებს და წმიდანთა ცხოვრების ამბებს... დედოფალი იშვიათად გამოდიოდა სახლიდან“[28]. თუ მიიწვევდნენ ხანის სასახლეში ანდა „თვითონ წავიდოდა ხანის ჰარამხანაში, სადაც მიდიოდა იმისათვის, რათა „ენახა ქართველი ქალები, რომლებიც ასევე ტყვეობაში იყვნენ და, რათა დიდის გულმოწყალებით დაემშვიდებინა ისინი, მოუწოდებდა რა მათ შეენარჩუნებინათ ქრისტიანული სარწმუნოება, რომელშიც ისინი აღიზარდნენ“. სხვა შემთხვევაში, დედოფალი ჩვეულებრივად თავის ბინაში იმყოფებოდაო, წერს ამბროსიო დუშ ანჟუში. ქეთევან დედოფალი „იყო წყნარი და კეთილგონიერი პიროვნება, მამაკაცებს არ ხვდებოდა.

ლოცულობდა ღმერთზე და სწამდა, რომ მხოლოდ იგი დაეხმარებოდა მას თავისი საქმეების ბრწყინვალედ დასრულებაში. სწორედ ამით დაიმსახურა მან კეთილი ადამიანის სახელი მთელს ქალაქში, სადაც ყველა ლაპარაკობდა მხოლოდ მის ჩაფიქრებულობასა და სათნოებაზე.

ქეთევან დედოფლის 50-მდე (სხვა ცნობით, 40-მდე) თანმხლები პირი, ისევე როგორც თვითონ დედოფალი, მეტად ხელმოკლედ ცხოვრობდნენ"[29].

„წმიდამან ტყვემან პატიმარმან ათ წელ ყოველნი რაიცა აქვნდა ხელთა მტერთა მისად მიმცემელმან განჩინებითა ღმრთისათა, რათა უსრულეს იქმნეს მჰსგავსად იობისა..."[30], – წერს ანტონ კათალიკოსი.

„ქეთევანის ამალაში იყო მღვდელი, – წერს პიეტრო დელა ვალე – სოლიდური პიროვნება, რომელიც სულიერად ამხნევებდა მას და მის თანმხლებ პირებს, იქვე იყო მეორე მღვდელიც"[31]. მღვდლების სახელები ყოფილა გიორგი და მოსე. ქეთევანის წამებამდე სპარსელებს მღვდელი მოსე მოუკლავთ, დასჯის წინ ქრისტიანული სარწმუნოების უარყოფა და მაჰმადიანობის მიღება შესთავაზეს. მან ამაზე უარი თქვა და იგი საშინელი წამებით მოკლეს. „ქეთევან დედოფლის მღვდლის - მოსეს მოკვლის მიზეზი იყო ის, რომ სპარსელების აზრით, იგი დედოფალს განუმტკიცებდა ქრისტიანულ სარწმუნოებას და თუ მას დედოფალს მოაშორებდნენ, ეგონათ, რომ დედოფალი დათმობდა და გამაჰმადიანდებოდა"[32].

პორტუგალიელი ელჩის სიტყვებით, ქეთევან დედოფლის მსახურთა შორის „იყო ერთი მღვდელი, მოღვაწე წმ. ბასილის წესისა, სახელად მოსე, რომელიც თავშეკავებულობითა და სიტყვიერი ზომიერებით ჰქმნიდა ნამდვილი მღვდელ-მსახურის სასოებას, რაღაც იმის მსგავსს, რასაც ძველად ეკლესიის ბერებს მიაწერდნენ. ვინაიდან გარდა იმისა, რაც გარეგნულად ჩანდა, მასში ამოიკითხავდით ცხოვრების წმიდა წესს და წეს-ჩვეულებათა სიმარტივეს, ხოლო ეს ხდიდა მას იმის ღირსად, რომ ჩვენს ევროპელ მღვდლებს მისთვის მიებაძათ"[33].

ეს მღვდელი სპარსელებმა აწამეს, მაგრამ ის „მტკიცე ქრისტიანად დარჩა იმ წუთამდე, ვიდრე ქვებისა და დაშნების დარტყმით განგმირული ნაკუწ-ნაკუწად არ აქციეს"[34].

მოკვლის მიზეზი ისიც ყოფილა, რომ ის წარმართავდა ორი ახალგაზრდა უფლისწულის,თეიმურაზ მეფის შვილების, ლევანისა და ალექსანდრეს ცხოვრებას. „ზრდიდა მათ, ასწავლიდა ქრისტიანული სარწმუნოების წესებს", მღვდლის სიკვდილის შემდეგ, მკვლელთა აზრით, ადვილად აიძულებდნენ უფლისწულებს ქრისტიანობის დაგმობას.

„მოსეს სიკვდილით დასჯის შემდეგ ქეთევან დედოფალთან დარჩა მეორე მღვდელი - გიორგი, რომელიც ასევე თავდადებულად ემსახურებოდა დედოფალს. იგი სულიერად ამხნევებდა ქეთევანსა და მის ამალას"[35].

მისიონერები წერენ – „...დედოფალი თავის ნატიფ სულს მარხვითა და ლოცვით იმტკიცებდა და სხეულს მომავალი წამებისათვის ამზადებდა. ტყვე ქრისტიანებს, რომლებიც სპარსეთში მრავლად იყვნენ, დედოფალი იესო ქრისტეს რწმენისა და ერთგულებისაკენ მოუწოდებდა. თუ გაიგებდა, რომ ვინმემ რწმენას უღალატა, ამ ამბავს დიდად განიცდიდა. დედოფალს რაც კი გააჩნდა და რასაც უწყალობებდნენ თავის სარჩენად, ქრისტიანებს შორის ანაწილებდა და თვითონ დიდის თანაგრძნობით იზიარებდა მათ ჭირსა და განცდას"[36].

„ქეთევან დედოფალს თავისთან მთელი რიგი საეკლესიო წიგნი ქართულად თარგმნილი ჰქონია“. ერთი ევროპელი წერს, რომ „მას ქეთევან დედოფლის მღვდელმა მოსემ მოუტანა ორი ქართული ხელნაწერი მშვენიერი, მოოქროულ ყდაში ჩასმული წიგნი, რომელთაგან ერთში იყო ძველი აღთქმა თავისი ფსალმუნით, ხოლო მეორეში - სახარება, სამოციქულო აქტები და წმიდა პავლეს სამოციქულო წერილები, ორივე ქართულ ენაზე. ეს წიგნი პიეტრო დელა ვალესაც უნახავს ქეთევან დედოფალთან ყოფნის დროს“[37].

აღსანიშნავია, რომ ირანში არ არსებობდა არც ერთი ქართული ეკლესია (მაშინ, როცა მრავლად იყო სომხური და კათოლიკური ეკლესიები). ამის გამო, ეკლესიაში ლოცვას მონატრებული ქეთევანი, მართალია მონოფიზიტურ-სომხურ ეკლესიაში არ შედიოდა, მაგრამ „განუწყვეტლივ ლოცულობდა, აყენებდა რა ამით ტანჯვას თავის ნაზ სხეულს. განსაკუთრებით მოწიწებით იგი ლოცულობდა ღვთისმშობელზე...“[38].

დედოფალი თავისი მწირი შესაძლებლობიდან ეკლესიას ხალიჩებს, შანდლებს, ხატებს და სხვა შესაწირს სწირავდა. ამით ის ქრისტიანულ სიყვარულს გამოხატავდა, განსაკუთრებით თანმხლები მღვდლის სიკვდილის შემდეგ (მეორესაც ასეთივე საფრთხე ელოდა).

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ქეთევან დედოფალი შირაზში ჩაიყვანეს, მასთან მივიდა თვით იმამ ყული ხანი, ჯერ ესაუბრა მას, ხოლო შემდეგ გადასცა შაჰ-აბასის სურვილი, რაც მდგომარეობდა შემდეგში: „ქეთევან დედოფალს ქრისტიანული სარწმუნოება უნდა უარეყო და მაჰმადიანობა მიეღო“... ვერაგი შაჰ-აბასის სურვილი ცხადი იყო: კახეთის სამეფოს კანონიერ დედოფალს მაჰმადიანობა უნდა მიეღო და შაჰის ერთ-ერთი ცოლი გამხდარიყო. შაჰ-აბასის ამ მოულოდნელი წინადადებით, – წერს ამბროსიო დუშ ანჟუში – ქეთევან დედოფალი ერთ ხანს გაოგნებული დარჩა, თითქოს ღვთის ღირსებას შეეხენო, რომელსაც იგი გულში ატარებდა. მაგრამ მან გონება მოიკრიბა და იმამ ყული ხანს მოკლედ და გაბედულად უპასუხა: „რადგან დაბადებული ვარ ქრისტიან დედ-მამისაგან და ქრისტეს სარწმუნოებაში ვარ აღზრდილი, ამიტომ მზად ვარ მოვკვდე ამ რწმენით...“[39].

ბერი ეგნატაშვილი ამის შესახებ წერს: შაჰ-აბასმა „ქეთევანისათვის გაგზავნა კაცი და შეუთვალა იმამყულიხანს, ვითარმედ: „ქეთევან დედოფალი თუ გათათრდეს, ნურას აწყენო და, თუ არ გათათრდეს, აწამე და სასჯელით მოჰკალიო“. ხოლო იმამყულიხანს რა ესმა ესე, გამოუბრუნა მოციქული და მოახსენა ესრეთ ვითარმედ: „ბერი დედაკაცი არისო და ახლა ეს არ გათათრდებისო, და რას აქნევთო, ამის გათათრებასო, დაეხსენით, თქვენთვის სირცხვილი არისო ამის სიკვდილი“, ხოლო შაჰაბაზ იწყინა და გაუგზავნა კაცი, ვითარმედ არ იქნებისო. მაშინ იმამყულიხან დაუწყო ლაპარაკი ქეთევან დედოფალს და აუწყა ყაენის შემოთვლილი და უთხრა გათათრდიო, ხოლო ქეთევან არა უსმინა, მაშინ შეიპყრეს და დაუჭირეს მხლებლები და წინა გაუთათრეს, და ახლდა თან მღვდელი ვინმე იმერელი და იგიცა გაუთათრეს“[40].

ევროპელი მისიონერების დაკვირვებით, შაჰ-აბასის მიერ ქეთევანისათვის გამაჰმადიანების ან სიკვდილის სასჯელის დადება საგარეო გარემოებითაც ყოფილა

გამოწვეული: „მოსკოვის მეფემ შაჰს გაუგზავნა ელჩობა, რათა ეთხოვა მისთვის გაეთავისუფლებინა ქეთევან დედოფალი და იგი მოსკოვში გაეგზავნა ამ ელჩებთან ერთად“[41].

შაჰი მოსკოვის ელჩის საპასუხოდ ასე მოიქცა: ირანში არსებობდა კანონი, რომლის თანახმადაც გამაჰმადიანებულ ქრისტიანს ნება არ ჰქონდა სამშობლოში დაბრუნებისა; ეს კანონი მკაცრად იცვებოდა. ქეთევანი თუ გამაჰმადიანდებოდა, მას ირანის კანონების თანახმად ირანიდან წასვლის ნება არ მიეცემოდა, მაშასადამე, რუსეთის მეფის მომლოდინე ელჩები უარყოფით „დამარწმუნებელ“ პასუხს მიიღებდნენ, ყველაფერი ეს ეშმაკურად იყო ჩაფიქრებული შაჰის მიერ, რათა მოსკოვის ელჩებისათვის, თავისთვის სასურველი პასუხი გაეცა: „თუ დედოფალი მიიღებდა მაჰმადიანობას, მას არ შეეძლო იგი გაეშვა სპარსეთიდან, ვინაიდან ამას შაჰს უკრძალავდა თავისი რელიგიური კანონი, როგორც ზემოთ ითქვა, ხოლო, თუ ქეთევან დედოფალს სიკვდილით დასჯიდნენ, შაჰი ელჩებს ეტყოდა, რომ იგი გარდაიცვალა“. „ასე თუ ისე შაჰი თავის მიზანს მიაღწევდა: მოატყუებდა მოსკოვის მეფის ელჩებს და ამავე დროს ჩაშლიდა თეიმურაზის გეგმებსაც“[42].

„პიეტრო დელა ვალეს აზრით, შაჰ აბასმა საბოლოო გადაწყვეტილება მოსკოვის ელჩების მასთან ჩამოსვლის შემდეგ მიიღო: ქეთევან დედოფალი ან უნდა გაემაჰმადიანებინა, ან უნდა მოეკლა“[43].

შაჰ აბასის მიერ ქეთევანთან საგანგებოდ გაგზავნილი სამი ემისარი და მათთან ერთად იმამ ყული ხანი დედოფლისაგან დაჟინებით მოითხოვდნენ გამაჰმადიანების შესახებ შაჰის ბრძანების შესრულებას. პასუხისათვის რამდენიმე დღე მისცეს.

„...დაიდვა გულსა თვისსა, ვითარმედ „ვერავინ განმაშორეს ჩვენ სიყვარულსა მას ქრისტესსა: ჭირმან ანუ იწროებამან, დევნამ ანუ სიყმილმან, შიშლოებამან, ანუ ურვამან ანუ მახვილმან“ (რომ. 8-35), რამეთუ იტყოდა წმიდა იგი სული მისი: „მრწამს მე, ვითარმედ არცა სიკვდილმან, არცა ცხოვრებამან, არცა ანგელოსთა, არცა მთავრობათა, არცა ძალთა, არცა ამან სოფელმან, არცა მან სოფელმან, არცა სიმაღლეთა, არცა სიღრმეთა, არცა სხვამან დაბადებულმან შემიძლოს ჩვენ განშორებად სიყვარულსა ღმრთისასა, რომელ არს ქრისტე იესუს მიერ, უფლის ჩვენისასა“, – წერს ქეთევანის შესახებ ანტონი და განაგრძობს – „შევუქმნათ გვირგვინი ყვავილედი სიტყვათა და თუ სადმე ვიხილოთ ყოვლად შვენიერი იგი თავი მისი ბართა მიერ განცეცხლებულთა და საჯთა დაფარული, აღვიღოთ იგინი და დავჰსდვათ მის ზედა გვირგვინი ყვავილთა და ვჰგალობდეთ მის თანა ჩვენცა გალობასა ახალსა“[44].

„და აი, უკანასკნელი დღეც დადგა, 1624 წლის 22 სექტემბერს ქეთევან დედოფალს მოახსენეს შაჰის უკანასკნელი ბრძანება: „ან იგი მიიღებს მაჰმადიანობას, თუ არადა მოემზადოს სასტიკი წამებისათვის, რაზედაც ბრძანება უკვე გაცემულია“. „გრძნობდა რა მთელ საშიშროებას – წერს არქანჯელო ლამბერტი, – რაც მას ემუქრებოდა, ქეთევან დედოფალმა გადაწყვიტა შეიარაღებულიყო ყველა იმ სულიერი იარაღით, რომლის საშუალებითაც მას შეეძლო დაეცვა თავი ამ საშინელ ბრძოლაში არა სიცოცხლისათვის, არამედ სიკვდილისათვის. ამიტომ ამიერიდან ჩვეულებრივზე მეტად თავი მისცა ლოცვას და ზიარებას ხშირად ღებულობდა“.

რამდენადაც უფრო ძალას ატანდნენ, იმდენად უფრო მტკიცე ხდებოდა დედოფლის გადაწყვეტილება. ამიტომ შაჰის ბრძანებით იგი ჩაამწყვდიეს ერთ ბნელ საკანში, შეუწყვიტეს მომსახურება, აუკრძალეს მის თანმხლებ პირებთან შეხვედრები და საუბარი... როდესაც შირაზის ხანმა – იმამ ყული ხანმა გაიგო, რომ ქეთევან დედოფალი წინანდელზე უფრო მტკიცედ დგას თავის გადაწყვეტილებაზე, უბრძანა: მიეკრათ იგი ერთ ბოძზე და წელამდე გაშიშვლებული სასტიკად ეცემათ. ეს ბრძანება მაშინვე შეასრულეს და ბოძზე მიკრულს იმდენი სცემეს, რომ ნიაღვარივით სისხლი სდიოდა. მაგრამ ამ დროს დედოფლისაგან კვნესაც კი არ ისმოდა. იგი ამ დროს გამათრახებულ ქრისტეზე ფიქრობდა. არქანჯელო ლამბერტი წერს: „მას თვალწინ ედგა გამათრახებული ქრისტე და უფრო მეტი სურვილი აღეძრა, რომ მონაწილე გამხდარიყო მისი ტანჯვისა... ასეთი წამების მიუხედავად დედოფალი მზად იყო არა მარტო ერთი, არამედ ათასი სიცოცხლე რომ ჰქონოდა, ქრისტესათვის დაეთმო“. ქეთევან დედოფლის მტკიცე გადაწყვეტილება შაჰ აბასის მუქარამ და მხეცურმა ქმედებამ ვერ შეარყია“[45].

დედოფლის წამების შესახებ ბერი ეგნატაშვილი წერს – „გაუბეს ხელ-ფეხი და გააშიშვლეს წმიდა ქეთევან დედოფალი და განხურვებულის გაზებით დაგლიჯეს ძუძუები და გახურებული საჯები ნაგლეჯს ხორცზედ შემოაწყვეს და დაგლიჯეს. გაახურეს ლურსმნები და დაუყარეს ქვეშე და ზედ გაატარეს, დააწვინეს და შიშველზედ ზედ შემოაყარეს ლურსმანი გახურებული. კუალად განხურვებული შამფურები გაავლეს მუცელსა და ძუძუ-მკერდშიგან, განხურვებული ქვაბი დაარქვეს თავსა ზედან. კუალად განხურვებულს ქვაბსა შიგან შიგ ჩასვეს და თავსაც დახურეს და შემოაწყვეს გახურვებული ბარები შუბლსა ზედა და ახეთქა თავის კეფა, და ყვეს მრავალი სატანჯველი და ესრეთ შევედრა წმიდა სული თვისი უფალსა და შეირაცხა წმიდათა ქალწულთა მოწამეთა კრებულთა თანა და მოვიდა სამხილებლად ყოველთა და დაადგა ნათელი. ხოლო მუნ დაესწრნენ ფრანგნი და აღიღეს წმიდანი ნაწილნი წმიდისა ქეთევანისანი ფრანგთა და წარიღეს თვისთა თანა ნაწილად, ხოლო ხელი და მკლავი ბატონს თეიმურაზს გამოუგზავნეს“[46].

წამების წინო, წერს ანტონ კათალიკოსი, დედოფალმა მხურვალედ ილოცა და მიიღო წმიდა ზიარება – „დაცხრომილმან ლოცვისაგან წმიდამან მიიღო უხრწნელი და პატიოსანი ხორცი და სისხლი უკვდავისა სიტყვისა და იტყოდა: „მეუფეო ქრისტე, სიტყვაო ღმრთისაო, არა ჰშვენოდა მხევლისა შენისად უარყოფა შენი. ნუ მიმცემ ეშმაკსა მხევალსა შენსა“ და ესერა თქვა, გამოიწერა თვის ზედა ჯვარი წმიდა და გამოვიდა და დაჯდა უშიშრად, ვითა ლომი და ბრძანა მოწოდებად მტარვალნი“[47].

„მან წარმოთქვა წმიდა მათეს შემდეგი სიტყვები ამის შესახებ: „და ნუ გეშინიან მათგან, რომელთა მოწყვიდნენ ხორცნი, ხოლო სულისა ვერ ხელეწიფების მოკვლად, არამედ გეშინოდეს მისა უფროის, რომელი შემძლებელი არს სულისა და ხორცთა წარწყმედად გეჰენიასა შინა“... დაამთავრა ლოცვა, იგი წამოდგა, შეხედა თავის სამლოცველოს კედლებზე განლაგებული ყველა წმიდანის გამომეტყველებას, იმედი შესთხოვა მათ, ყოფილიყვნენ მისი დამცველნი უფლის წინაშე, რათა მათ გამოუგზავნონ მას ძალა და სულისკვეთება, რათა დაასრულოს ამდენად

მნიშვნელოვანი განსაცდელი, რომლის წინაშე იგი იდგა. ამის შემდეგ პირში ჩაიდო ნაკურთხი პურის ნატეხი, სწრაფად გამოვიდა სამლოცველოდან და წავიდა შაჰის ემისრებისაკენ, რომლებიც უკვე ელოდებოდნენ", – წერს ევროპელი მისიონერი[48]. აქ კვლავ შეეცადნენ სპარსელები დედოფლის დაყოლიებას მაჰმადიანობის მისაღებად, რაზედაც მას უპასუხნია, რომ „ვერც დაპირება, ვერც მუქარა, ვერც სიმდიდრე, ვერც წამება ვერ შეაცვლევინებდნენ მას რწმენას ღმერთისადმი, რომელსაც იგი აყენებდა ყველაზე უფრო მაღლა"[49].

ჯალათებმა უსასტიკესი წამებით მოკლეს დედოფალი. „მოკვდა დიდებული დედოფალი და წამებული ქეთევანი, რომელიც მიწიერი დედოფლიდან ციური დედოფალი გახდა", – წერს ამბროსიო დუშ ანჟუში.

წმიდა ქეთევანი ქართულმა ეკლესიამ იმთავითვე წმიდანად შერაცხა. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად კათოლიკე მისიონერების სურვილისა „ქეთევან დედოფლის წმიდად აღიარებაზე რომის ეკლესიამ თავი შეიკავა"[50].

ისმის კითხვა, რა მიზეზის გამო არ აღიარა რომის ეკლესიამ ქეთევანი წმიდანად, მაშინ როდესაც არა ერთი და ორი მისიონერი ოფიციალურ რომის ხელისუფლებას უმტკიცებდა, ქეთევანმა „კათოლიკური" აღმსარებლობა მიიღო, ამიტომ შეიძლება მისი წმიდანად შერაცხვაო. ქეთევანის მოწამეობის ამბავი, სარწმუნოებისათვის თავის დადება, იმდროინდელ საქრისტიანო სამყაროში სწრაფად გავრცელდა. ამიტომაც რომს დიდი სურვილიც ჰქონდა მისი წმიდანად აღიარებისა, მაგრამ როგორც თანამედროვეთა ნაამბობიდან ჩანს, ქეთევანი მტკიცე მართლმადიდებელი იყო და ასევე გარდაიცვალა. ეს თვით შაჰისთვისაც ცნობილი იყო. როცა შაჰ-აბაზს ქეთევანის წამებით სიკვდილის ამბავი მოახსენეს, მასთან იმ დროს ყოფილა გამაჰმადიანებული გიორგი სააკაძე. „როდესაც შაჰმა მოისმინა ქეთევან დედოფლის სულიერი სიმტკიცისა, სარწმუნოების შენარჩუნებისათვის მისი ტანჯვის შესახებ და იმაზე, რომ მან გამაჰმადიანებას წამებით სიკვდილი ამჯობინა, შაჰი აღშფოთდა, მიუბრუნდა მის ახლო მდგომ მოურავ-ბეგს და შეჰყვირა: დიაღ, ის ქალბატონი დაიღუპა თავისი სარწმუნოებისათვის და არა ისე როგორც შენ, და სილა გაარტყა მოურავს"[51].

ქეთევანს რწმენა რომ შეეცვალა და კათოლიკობა მიეღო, მაშინ შაჰს მოურავთან სათქმელი აღარაფერი ექნებოდა, აღარც რუსი ელჩები იქნებოდნენ ქეთევანის ბედით დაინტერესებულნი, რომელთაც სურდათ კახეთის დედოფალი მოსკოვში წაეყვანათ. შაჰი მათ ქეთევანის მიერ მართლმადიდებლური სარწმუნოების უარყოფის შესახებ აცნობებდა და რაც მთავარია, ევროპელთა გავლენით კათოლიკე ქეთევანს აღარც აწამებდა (ევროპა მისი პოლიტიკური მოკავშირე იყო ოსმალეთთან ომში).

ქეთევან დედოფლის წმიდა ნაწილები თეიმურაზს მისიონერებმა ქართლში მიართვეს - „რომელიცა მეფემან, კეთილმსახურებისაებრ, ვითარცა მოწამესა, დღესასწაულოითა დიდითა პატივ-ჰსცა საკმეველით მიერ და სუნნელთა კმევითა მიმგებებელმან ყოვლითურთ სამღვდელოით კრებულით ქართლისა და კახეთისათ და ძეობისაებრ სიყვარულითა ვითა ჰშვენოდა დედასა, დედოფალსა და მეფესა და დაჰსხნა წმიდანი იგი ნაწილნი ეკლესიას-მთავარმოწამისა გიორგისსა ალავერდს, იტყვიან ქვეშე საღმრთოისა ტრაპეზისასა"[52].

წმიდა დედოფალმა ქეთევანმა თავისი მაგალითით იხსნა სრულიად საქართველო გამაჰმადიანება-გათათრებისაგან. როგორც თავის „წყობილსიტყვაობაში“ ანტონ კათალიკოსი წერს, მან წამებისას იგემა:

„...ძუძუთა-საკნი ნაბეჭრწკალ-მკრთოლვარენი,
გულსა-ბარი, წელსა ვაძვი განცვცხლებული
მუსკულთ-მარწუხნი, შამფურნი მხურვალენი...“[53]

სამაგიეროდ დაადგა ნათელი, სასუფეველი დაიმკვიდრა და უფლება მიიღო მეოხებისა წინაშე ღვთისა.

წმიდა მეფე ლუარსაბ II

ქართლის ბაგრატიონთა სამეფო ოჯახმა განსაკუთრებული, ენით აუწერელი გმირული თავდადება გამოიჩინა მამულისა და სარწმუნოებისათვის ბრძოლისას ოსმალ-ყიზილბაშთა წინააღმდეგ.

ლუარსაბ I (1530-1556) – საარაკო სიმამაცით ებრძოდა შაჰ-თამაზის ურდოებს და წარმატებითაც. ჩვენი მემატიანის აზრით, შაჰ-აბასს გადმოცემით სცოდნია, თუ როგორი სიმტკიცით, ვაჟკაცობით და ქედუხრელობით ეომებოდა პაპამისს, შაჰ-თამაზს, ლუარსაბ I. ლუარსაბ I იყო „კაცი ღვთისმოყვარე, მტერთა ურჯულოებათა მომსვრელი და წყობათა შინა უშიში“, – წერს ბერი ეგნატაშვილი[54]. შაჰ-სეფიმ, შაჰ-თამაზმა და ოსმალეთის ხონთქარმა ლუარსაბ I ვერ მოდრიკეს – „ხოლო ლუარსაბს ვერარა უყო, და ენება მტრობა ქართლისა ამისათვის, რამეთუ მეფემან ლუარსაბ ჟამსა თვისსა არცა ჰმონა ყაენსა და არცა ხონთქარსა ამისთვის, რომე თუმცა დამორჩილებოდა, სხვანი ყოველნი მონობდნენ და, თუმცა ესეცა დამორჩილებოდა, ქვეყანა გათათრდებოდა და სახარკოდ შეიქმნებოდა; ამისთვის მრავალჯერ ამოსწყვიტა ხვანთქარისა და ყაენის ჯარი მეფემან ლუარსაბ“[55].

ამ ეპოქაში საქართველოს მოღალატე შალიკაშვილების ოჯახმა ოთარ შალიკაშვილის ქალი „ნებაყოფლობით“ მისცეს ცოლად შაჰ-თამაზს, ამის გამო მესხეთის ათაბაგი შაჰს დამორჩილდა,რაც ქართლის მეფისათვის მოუთმენელი იყო, ლუარსაბმა მესხეთში ილაშქრა. საპასუხოდ შაჰ-თამაზი საქართველოს შემოესია. მართალია, ლუარსაბის „ჩვეულება ესრეთ იყვის: უკეთუ ჰყვანდის ჯარი, პირდაპირ არ დარიდის, რაგინდ დიდი ჯარი იყვის, და უკეთუ ჯარი არა ჰყვანდის, დააცალის და უყურებდის და, სადაც დაახელის თარეში, ანუ მცირე რამე ჯარი, შემართის და ეწყვის ძლიერად და ამოსწყვეტდა მცირითა კაცითა ფრიადსა ჯარსა თათართასა“, მაგრამ შაჰ-თამაზმა შეძლო ატენის ციხეში ლუარსაბის დედის და მრავალი თავადის დატყვევება“. ხოლო რა სცნა მეფემან ლუარსაბ ტყვეობა დედისა მისისა და თავადთა მისთა, განუდგა კვალსა მისსა, დაეწია უკანა ჯარსა და მოსრნა მრავალნი ყიზილბაშნი და წარუღო მრავალნი ბარგნი, ხოლო დედა თვისი ვეღარ იხელთა“[56]. ლუარსაბის დედამ თათრებთან ტყვეობას სიკვდილი არჩია – ამით მან „არა შეიმთხვია უპატიობა თავსა თვისსა“. ამის შემდეგ კიდევ უფრო მედგრად

შეუტია მეფემ მომხვდურ მტერს და მრავალჯერ დაამარცხა. ჩვენს მემატიანეთა თანახმად (ვახუშტი, ბერი ეგნატაშვილი) ლუარსაბ მეფე სიკვდილის შემდგომ მოწამეთა თანა შეირაცხა. თუ არა ის, საქართველო გამუსულმანდებოდა და საქართველოს სახელი მისი ხმლის ძლიერებამ გადაარჩინაო. ბერი ეგნატაშვილი, მას ვახტანგ გორგასალის მსგავს მოწამედ მიიჩნევს: „მიიცვალა მეფე ლუარსაბ მოწამე, მსგავსი ვახტანგ გორგასალისა. უკეთუმცა მეფე ლუარსაბს ესოდენი ბრძოლა არა ექმნა, ახლამცა საქართველო ქმნილიყო სრულ სარკინოზ და რაოდენიცა დღეს სახელნი არიან საქართველოსანი, ყოველნივე ხრმლისა მისისაგან არიან, რამეთუ ესე ლუარსაბ იყო კაცი ბრძენი და გონიერი, მოშიში ღმრთისა და მორწმუნე სჯულიერად, ღვაწლ-მრავალი და ბრძოლასა შინა მხნე და ახოვანი და მბრძოლი, ლომებრ ძლიერი და სარდალი კეთილი“[57]. ამავე აზრისაა ლუარსაბ პირველზე ვახუშტი ბაგრატიონიც – „ესე მეფე ბრძოდა დღეთა თვისთა მაჰმადიანთა, რათა არ დაუტეონ ქრისტე ქართველთა“, ამისთვის – იქნა „შერაცხილი მოწამეთა თანა ვითარცა გორგასალ“.

ლუარსაბის ძემ, მხნე და ძლიერმა მებრძოლმა სვიმონ მეფემ სპარსთაგან დატყვევების ჟამს მტკიცედ დაიცვა ქრისტეს სარწმუნოება და კატეგორიულად უარყო მაჰმადიანობის მიღება, რისთვისაც შაჰმა ალამუთის ციხეში ჩაამწყვდია. 1576 წელს იგი ციხიდან გამოუშვეს და მალე ქართლში დააბრუნეს ოსმალთა შემოსევების გამო. თუ როგორ აფასებდნენ ყიზილბაშები სვიმონსა და მის ძეს გიორგის, კარგად ჩანს შაჰ-აბასის სიტყვებიდან და მოქმედებიდან. შაჰ-აბასი ცრემლით ტიროდა და ცბიერობდა ლუარსაბ II-ის ხელში ჩასაგდებად: „მე მეფეს ლუარსაბს როგორ წავახდენო, მეფის სვიმონის შვილიშვილსა და მეფის გიორგის შვილსა მე ავსა და ურიგოს როდის ვკადრებო... და იტირა ბევრი“[58].

1614 წელს შაჰ-აბასის შემოსევისას ქართლის მეფე ლუარსაბ II-მ და კახეთის მეფე თეიმურაზმა იმერეთის მეფეს შეაფარეს თავი, რადგანაც შაჰის უზარმაზარ არმიასთან ომს მოერიდნენ.

„მეფე ლუარსაბ იყო კაცი შვენიერი და კეკლუცი და სანახავად საკრფიალო, და არსად გამოსულა ამისთანა შვენიერი და შემკობილი კაცი, ყოვლისა საღმრთო-საკაცობოთ ზნეობით გათავებული და უკლები“[59], – წერს ბერი ეგნატაშვილი.

1603 წელს მამის – მეფე გიორგის გარდაცვალების შემდეგ – „დაჰშთა უკუე მამისაგან ობლად ლუარსაბ ყრმათა ორთა თანა დათა თვისთა, რომელთა სახელები ხუარაშან და ელენე. მაშინ ლუარსაბ დაღათუ ყრმაი დროითა წელიწადისათა, მაგრამ გონიერებითა და სიბრძნითა სხვა ჭაბუკი, მეფე სოლომონ, სხვა დავით სიმხნითა და უცხო თესლთა მიმართ, ანუ სხვა გედეონ... – წერს ანტონ კათალიკოსი, – ...შემდგომად რაოდენთამე წელთა მე-16 წელიწადს

მეფე ცხირეთს მყოფი არა ლაშქრითა და განმზადებითა ბრძოლად, არამედ პალატისა თვისისა შინა თანხლებითა მყოფოდა...“[60], ამ დროს „მოუვიდათ ამბავი, რომ თათარხანი თრიალეთზედ მოვიდაო“[61]. თათართა მოთარეშე ბრბოებმა ქართველთა რაზმი ამოხოცეს და მანგლის-ცხირეთისაკენ გაიჭრნენ. „მოიწივნეს ხევსა მანგლისასა მსმენელნი, ვითარმედ არს მეფე ქართლისა ყრმაი და ვერ შემძლებელი არს ბრძოლისა და ჰგონებდეს ვითარმედ ყოველსავე იქმნენ ნებისაებრ მათისა, იტყვის ბესარიონ მამამთავარი ჩვენი: „განგებითაო ზეგარდამოითა ვერ იხილეს დიდებული იგი ეკლესიაი მანგლისისა ღვთისმშობელისა, რამეთუ ესევითარმან ღრუბელმან ზრქელმან და ნისლმან დაჰფარა იგი, ვიდრეღა პირისპირ მისა შთავლო ესეოდენმან სიმრავლემან მხედრობათამან და ეკლესიაი იგი სოფლითურთ ვერ იხილეს“[62].

თათრებმა „კველთას შეიპყრეს მღვდელი ერთი, სახელით თევდორე, პატიოსანი და მოშიში ღმრთისა და ერთგული მეფისა თვისისა და რა მოვიდნენ გოსტიბის თავსა, დაუწყეს მღვდელს თევდორეს ლახტითა ცემა და ეტყოდნენ, ვითარმედ: „მიგვიძეღ მეფეზედა“ და სწადდათ სიკვდილი მეფისა. და მღვდელმან გულში ასე თქვა: „ჩემის ორის დღის სიცოცხლისათვის ამას რატომ ვიქ, აწ მოვუძღვე და მეფე მოვაკვლევინო და ქართლიც ააოხრონ, მე რაღა მეშველებაო და ან ჩემს სულსაო. მაშინ მღვდელი წარმოუძღვა და ქვენადირის გზაზედ ჩამოუძღვა, ერთაწმიდისა და ცხირეთზედ დიაღ შორს დარჩნენ: მაშინ სცნეს ყირიმთა რომ მეფეზედ შორს იყვნენ და გააგდებინეს თავი მღვდელს თევდორეს. და შეირაცხა წმიდათა მოწამეთა თანა“[63].

„სანატრელი იგი მღვდელი, მხმეველი კეთილგონიერთა და წმიდათა განსჯათა, უფროსღა აღირჩევდა სიკვდილსა, ვიდრეღა შინაგაცემასა მეფისა და მამულისა“, - წერს ანტონი.

ამასობაში მეფეს თავისი ლაშქარი მოუვიდა, მტერი აიძულეს ომი მიეღო ქართველთათვის სასურველ ადგილას – „ამ ომსა შინა ფრიად გამოჩნდნენ მეფე ლუარსაბ და უმეტეს მოურავი. მოსცათ ღმერთმან ძლევა, მოსწყვიდნეს ურიცხვნი და ივლტოდნენ თათარხანნი“[64]...

„და მისცა ღმერთმან ძლევა მეფესა ლუარსაბს, ვითარცა პირველ აბრამსა და გედეონს და აღსრულდა წინასწარმეტყველისა მოსეს მიერ თქმული ლევიტელთათვის ბრძანება უფლისა, ვითარმედ: „ხუთმან თქვენგანმანო წარაქციოსო ასი და ასმან თქვენთაგანმან ბევრეული“ და მოციქულისა პავლეს მიერ თქმული: „ძმანო, ღვთისმოყვარეთა ყოველივე განემარჯვების კეთილად“[65].

მტრის 60-ათასიანი ლაშქრიდან მხოლოდ 14 ათასი გადარჩენილა. მალე მეფე ლუარსაბს და მოურავ გიორგი სააკაძეს შორის მტრობა ჩამოვარდა. გიორგი სააკაძე შაჰ-აბასს შეეკედლა. ანტონ კათალიკოსის, ვახუშტისა და ბერი ეგნატაშვილის მტკიცებით, შაჰმა „ბრეებითა უღმრთოისა მის მონისა მზაკვრისათა“ საქართველოს დალაშქვრა გადაწყვიტა[66]. საქართველოსთან მოახლოებისას „ეახლა მოურავი და ეუწყა ყეენისათვის: შესვლა ქართლს უმჯობეს არს ზამთარს, ვინაითგან ვერ წავლენ ხიზანნი მთათა შინა და ხელთ იგდებ ყოველთა“[67].

ქართველი მეფეები ლუარსაბი და თეიმურაზი იმერეთს შეეხიზნენ. „წარვიდნენ მეფენი იმერეთს 1615, მოეგება მეფე იმერთა გიორგი და ისტუმრნა კეთილად“. ქართლში მდგარ შაჰს „წარმოუვლინა გიორგი მეფემან კათალიკოზი მალაქია და აბაშიძე ლევან ძღვენითა, მეტყველმან: „გევედრებით, რათა პატივს-გვცე და მისცე მეფეთა სამეფონი თვისნი და იმსახურონ მათ, ვითარცა პირველ მამათა შენთა და თქვენ წარხვიდეთ“. იხილა ესე შაჰ-აბაზ, რამეთუ ძალითა არღარა ეგების შოვნა მათი, აწ იხმივა ხვანჯი და მცბიერობა“[68].

შაჰმა მათ განუცხადა – „მე მეფე ლუარსაბთანა არცა რა საქმე მაქვსო და არცა რას ვემდურვიო და არცა მაგის წარსახდენად მოვსულვარო. ბატონი თეიმურაზი ჩემი მტერი არისო, მაგას არც შევირიგებ და არც მინდა. მეფე ლუარსაბს კიდეც შევირიგებ და თუ მოვა და შემირიგდება, წყალობასაც უზამ“[69]. მეფე ლუარსაბი სიტყვას ენდო და შაჰს ეახლა, რომელმაც ის პატივითა და დიდებით ჯერ თბილისში ჩაიყვანა (თითქოსდა დედაქალაქში უნდა დაეტოვებინა თავის სამეფო ტახტზე), შემდეგ გაიტყუა საქართველოს ფარგლებს გარეთ (თითქოსდა სანადიროდ) – „შაჰ-აბაზ ინება წარსვლა ტფილისად, უთხრა მეფესა ლუარსაბს: „წარვიდეთ ტფილისსაო და ვილხინოთ მუნცაო და შევექცეთო. შენ მუნ დაგაგდებ და მე წავალო“ და რა ჩავიდნენ ტფილისს, მუნ რქუა: „წარვიდეთ ყარაიაზედ, და ვინადიროთ და შევექცეთ ნადირობითა და ლხინითაო, შენ დაგაბრუნებ და მე წავალ“... მოინადირეს ყარაია... კვალად უთხრა: „გილან-მაზანდარა და მისი გარემონი ქვეყნებიცა კარგი სანადირო არისო, წარვიდეთ მუნცაო და შევექცეთო“. და რა მიიყვანა აშრაფს, მაშინ დაჰპატიჟა სჯული, ხოლო მან არა უსმინა და არცა უარყო სჯული თვისი. მაშინ განრისხნა შაჰ-აბაზ და იგონებდა ბოროტსა მეფისა ლუარსაბისათვის: და აღუთქმიდა მრავალსა ნიჭსა და სიტყვითა ლიქნისათა ზაკვით ჰგონებდა ცდუნებათ და მიქცევად სჯულისა მისსა ზედა, რაცათუ დაარწმუნოს ვერაგობითა თვისითა და ვერ მძლე ექმნა, არამედ ამაო იქმნა სიცბილი მისი და ვერ ეწიფა ნებასა გულისა თვისისა.

უმეტესად აღივსო შურითა, ვითარცა იტყვის დავით: „უმზირნ ცოდვილი მართალსა და იღრჭინის მასზედა კბილნი მისნი, ხოლო უფალი ეცინინ მას, რამეთუ წინასწარ ხედავს მას“ და შემდგომნი ამისნი. მაშინ ესმნეს სიტყვანი ესე მოძღვრისა მიერ მეფესა ლუარსაბს, არა შერაცხა მძლავრისა, არამედ ეგო ვითარცა ანდამატი. და შეუძვრელ ვითარცა კლდე, და უშიშ იყო ვითარცა ლომი საყოფელსა თვისსა. და არა იგონებდა წარმავალსა ქვეყნიერისა ზრუნვასა, არამედ ზეცად მიმართ აღიფრენდა გულსა და გონებასა თვისსა, ვითარცა ორბი ზეაღმფრინვალე ეთერისა მიმართ ეგრეთ განახლებად ისწრაფვოდა და შემოსად სულიერისა სამოსელისა და განგდებად მისა ამის მოკვდავისა და შემოსად უკვდავისა მის, რომელნი მოსიეს წმიდათა მხნეთა მოწამეთა და წარმოთქმული სიტყვისა მოციქულისა, ვითარმედ „გული მითქვამსო, განსვლად და ყოფად ქრისტეს თანა“, განიცდიდა სიმხნესა და ღვაწლსა მოწამეთა და გვირგვინსა და მოსაგებელსა მათსა და უფროსად მობაძავ და სამღრთოდ მოშურნე ქმნილიყო მეფეთა შორის წარჩინებულისა და მოწამისა მეფისა არჩილისა და ვახტანგისა და იტყოდა მოციქულისა მიერ თქმულსა მას: „უკეთუ მოვკვდე ქრისტესთვის, მრწამს რამეთუ

მას თანა ვსცხონდეო“ და, უკეთუ მან სახიერმან სიკვდილითა თვისითა გვიხსნა ჯოჯოხეთისაგან ქვესკნელისა, ჩვენცა თანა-გვაც რათამცა დავსთხინეთ სისხლი მისთვის და არა ვრიდოთ თავთა ჩვენთა მისთვის. ნეტარ თუმცა ღირს მყოს სახიერმან მან, რათამცა არა ერთგზის და ორგზის მივსცე თავი ჩემი სიკვდილსა, არამედ მრავალგზის, რომელმან მიბრძანა ხმითა მით საუფლოთა: „ნუ გეშინინ, რომელთა მოწყვიდენ ხორცნი, ხოლო სულსა ვერ ხელ-ეწიფების მოწყვედად“, და კვალად: „რომელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა“, ვინაიდან იგი ესრეთ აღმითქვამს გვირგვინსა მას დაუჭკნობელსა და მოსაგებებელსა, რომელი თვალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა, ხოლო გულსა კაცისასა არა მოუხდა, და ესეცა უწყი ვითარმედ სიკვდილისა თანამდებ ვართ და უნებლიეთ თანამაც განსვლა სულისა და განშორება ხორცთა-გან, მეგულების გარდაცვალება თიხოანთა ამით თბეთა და დახსნად ნასხამთა ამათ და ანაქუსთა ჩემთა; ნამდვილად კეთილ არს ჩემდა, რათა მოსწრაფედ ვრბიოდი ასპარეზსა მას ზედა ძლევისასა და მოვაკვდინო ასონი ქვეყნისანი და შევიმოსო უკვდავი, ვინაიდგან უეჭველად ესე ყოფად არს. რაღა ყენება არს ჩემდა და არა ვისწრაფი შესვლად ქორწილსა სიძისა მის შვენიერისა და უკვდავისა? მზა არს ჩემდა მოცემად ხელითა თვისითა გვირგვინისა მას უხრწნელებისაცა, აჰა, ჟამი შეწყნარებული და დღე სათნო უფლისა“[70].

ვახუშტი წერს – „შემდგომად მრავალთა ლიქნითა და ნიჭითა და შინებითაცა უთქმიდა, არამედ მეფე დაადგრა სიმტკიცესა ზედა. ამისათვის პატიმარ-ჰყო მეფე. მაშინ ეზიარა პატიოსანსა სისხლსა და ხორცსა უფლისას და ატირნა მთავარნი თვისნი წესითა ქართულითა, ვითარცა მკვდარსა ზედა, და მეფე შესხმისა წილ იტყოდა: „აგრე ჩემმან სულმან“.

შემდგომად წარავლინა შაჰ-აბაზ მეფე გულამყალას შირაზს და პატიმარ-ჰყო მუნ, მერმე კვალად არა დასცხრა მძვინვარედ, წარავლინეს შაჰ-აბაზ და მოაშთვეს მუნ ციხესა შინა მეფე ლუარსაბ მშვილდის საბლით 1622 და შეირაცხა წმიდათა მოწამეთა თანა“[71].

ილია ჭავჭავაძე წერს – „...მეფემ ითხოვა, მაცალეთ სიკვდილის წინ ვილოცოო. ნება მისცეს. დაისვენა წინ ხატი ღვთისმშობლისა, რომელიცა თანა ჰქონდა. და ესე შეევედრა: „ჰოი, დედოფალო ღვთისმშობელო, შენდამი დამიძს სასოება ჩემი, შენ ხარ ნუგეშისმცემელი ჩემი. შენ მომეც შეწევნა წამებისა ჩემისა ამის და შემრთე წმიდა-თა მოწამეთა შენთა თანა, რათა მეცა ვადიდებდე მამასა, ძესა და წმიდასა სულსა...“

მხოლოდ დიდ-ბუნებათა კაცთა თვისებაა ერთხელ რწმენილი და აღიარებული გაიხადონ თავის სიცოცხლის საგნად და ქვეშ დაუგონ თვისი ცხოვრება და თუ საჭიროება მოითხოვს, შესწირონ თავი თვისიცა ნიშნად იმისა, რომ ჭეშმარიტება მეტად უღირს, ვიდრე საკუთარი თავი და საკუთარი სიცოცხლე... დღეს ერთი საქართველოს გმირთაგანი გავიხსენოთ, იგი გმირი, რომელმაც თქვა: რა მადლია თავი გადავირჩინო და ჩემი ქვეყანა მტერს ავაოხრებინო – წავიდა და წამებულის გვირგვინით შეიმოსა სახელოვანი თავი ქვეყნისა და ქრისტეს სახელითა. და დღეს ჩვენ სხვა არა დაგვრჩენია რა გარდა იმისა, რომ ბესარიონ კათალიკოზთან

ერთად ქება-დიდებით წარმოვთქვათ: „ყოფადთა მცნობი, ბრძენი ახოვანი მეფე ლუარსაბ დღეს იდიდებოდნენ“[72].

მეფე მშვილდის საბლით მოაშთვეს, წმინდანის სხეულს ნათელი დაადგა - „...სხეული მისი, რომელიც ჰსჩანდა ყოვლად ბრწყინვალედ ვითარცა თოვლი და მრავალნი მოვიდოდეს ხილვად წმიდისა მის, რომელსა ზედა ნათლისა ბრწყინვალისა მხილველნი განკვირდეს და დღესა მეორესა დაჰფლეს მისავე ციხესა შინა ყოვლად პატიოსანი იგი სხეული მისი, და რომელნიცა შეპყრობილ არიან სნეულებითა და საფლავსა მისსა მიეახლებიან, კურნებასა მიიღებენ“[73], – წერს ანტონი.

წმიდა ლუარსაბის სული ქრისტეს წინაშე დგას მთელი მსოფლიოს, ქართველი ერისა და საქართველოს მეოხად – „წამებისაცა გვირგვინოსან ქმნილი ქრისტესა ძესა ღმრთისასა ეზიარა და ყოვლისა სოფლისა მეოხად დადგა წინაშე მისსა საქადულობლად ნათესავთა თვისთა და ყოვლისა სოფლისა და სამეფოისა მისისა“[74].

თეიმურაზ მეფის ბრძოლა „ქართველობისათვის“

მეფე თეიმურაზი ქართველი ერისათვის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე საუკუნეში, მსგავსად თავისი წმიდა დედის ქეთევანისა, ფარად და დარაჯად ედგა ეროვნულ სარწმუნოებასა და ქართველობას. თეიმურაზი ღირსებითა და, შეიძლება ითქვას, წარმატებითაც ებრძოდა ქრისტიანობის უსასტიკეს მტრებს, უზარმაზარი იმპერიის მმართველებს – შაჰ-აბაზ I-ს, შაჰ-სეფისა და შაჰ-აბას II-ს. 1606 წლიდან 1663 წლამდე, თითქმის 60 წელი მისგან მოსვენება არ ჰქონდათ საქართველოს მტრებს. თეიმურაზი განსაკუთრებული, ღრმად მორწმუნე ქრისტიანი იყო, ერთგული მოყვარული საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა. კარგად ესმოდა მისი მნიშვნელობა და ღირსება. 1661 წელს თეიმურაზი ბერად აღიკვეცა[75]. ამ დროს ის მოხუცი იყო, „ფრიად უპოვარი“ და სპარსეთში გამგზავრებამდე სკანდის ციხესთან მწირობდა, მაგრამ მას ბერული თავმდაბლობა და თავისი თავის ქრისტიანობრივი განსჯა ახალგაზრდობის წლებშიც ახასიათებდა.

„მეფე თეიმურაზი თავის თავის შესახებ თავმდაბლობითა და დაკნინებით აღსავსე სიტყვებსა ხმარობს. ასეთნაირად თავის პიროვნების დამცირება მეფეთა სიგელებში არ გვხვდება და მხოლოდ თეიმურაზს აქვს ნახმარი: „მე ყოველთა მეფეთა უნარჩევესმან არა საქმეთა მიერ კეთილთა, არამედ მოწყალებითა ღვთისათა გვირგვინოსანმან“-ო, ამბობს ის 1631 წლის მცხეთის სიგელში; ან კიდევ: „მე ყოველთა უსრულმან ცნობითა, ქცევითა ყოვლად ნაკლულევანმან... სასოებით და ძრწოლით ბრალთაგან ყოვლად განკრთომილმან, მეფედ დადგინებულმან ძისა შენისაგან არათუ გამორჩევით, არამედ უნარჩევესმან მსასოებელმან შენმან და მონამან მდაბალმან, უნდომან თეიმურაზ“ (1637 წლის საბუთი). ეს ბერ-მონაზონის კილო და ენაა და არა ქვეყნის მმართველის მეფისა და მეომრის“[76], – წერს ივანე ჯავახიშვილი.

მეფე თეიმურაზი ქრისტეს ერთგული მეომარი იყო, იგი არა მარტო სპარსეთ-ოსმალეთის მმართველებს ებრძოდა, არამედ მათი პოლიტიკის გამტარებელ გადარჯულებულ ქართველებსაც, რომელნიც არანაკლები უბედურების მომტანნი იყვნენ

საქართველოსათვის. ერთ-ერთი ასეთი იყო მეფედ წოდებული როსტომ-ხანი (1632-1658), რომელსაც შაჰმა თეიმურაზის გაძევების შემდეგ ქართლ-კახეთის მმართველობა ჩააბარა. სიკვდილის შემდგომ მიგებული პატივითაც კი კარგად ჩანს, თუ ვინ იყო ქართველთათვის მეფე თეიმურაზი და რას წარმოადგენდა სპარსელებისათვის როსტომ-ხანი. თეიმურაზ მეფე 74 წლის ასაკში გარდაიცვალა სპარსთა მიერ ქრისტეს ერთგულებისა და მაჰმადის უარყოფისათვის ასტარაბადის ციხეში გამომწყვდეული. იგი საქართველოში ჩამოასვენეს და ალავერდის ტაძარში ქრისტიან მეფეთა გვერდით დაკრძალეს, ხოლო როსტომ-ხანი დიდ პატივსა და დიდებაში მყოფი თბილისში გარდაიცვალა, თათრებმა გლოვა-ტირილით სპარსეთში წაასვენეს და ქალაქ ყუმში დამარხეს. ყუმი სპარსელთათვის ისეთივე წმიდა ადგილი იყო, როგორც ქართველებისათვის მცხეთა, ალავერდი თუ გელათი.

თუ რატომ ებრძოდა თეიმურაზ მეფე როსტომს და რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველობის შენარჩუნებისათვის თეიმურაზის დაუმორჩილებლობას, ეს კარგად ჩანს როსტომის დახასიათებიდან. ივ. ჯავახიშვილი წერს - „დიაღ, როსტომი ქართლში გაბატონდა და მეფედ იქცა, მაგრამ როგორ? უცხო ძალის საშუალებით, მხოლოდ სპარსთა სამხედრო ძალით, და თუმცა არჩილ მეფე ამბობს, „ქართლი როსტომ დაიჭირა და კახეთსა დასვეს სალიმ“, ნამდვილად კი ქვეყანა მთლიანად სპარსეთს ჩაუვარდა ხელში... ამგვარად ბრმისათვისაც ცხადი უნდა გამხდარიყო, რომ თეიმურაზ მეფის ბატონობა აღმოსავლეთ საქართველოს დამოუკიდებლობასა და მაინცდამაინც დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულს ბრძოლას მოასწავებდა, როსტომის მეფობა კი ჩვენი ქვეყნის მონობასა და სპარსთა ბატონობის მომავლინებელი იყო“[77].

„როსტომ მეფე თავისი აღზრდით და ზნეჩვეულებით უფრო სპარსელი იყო, ვიდრე ქართველი, პოლიტიკურადაც სპარსეთის სახელმწიფოს ყურმოჭრილი ყმა და მისი პოლიტიკის ერთგული განმხორციელებელი იყო...“[78].

ბერი ეგნატაშვილი წერს – „....მაშინ იყვნენ ქართველნი გულწრფელნი და გამოუცდელნი ყიზილბაშის ხერხისა და ტყუილისაგან, და ესე როსტომ მეფე იყო კაცი ხერხიანი და ილათიანი და მცდელი საქმისა და მას ჟამსა ვინცა ვინ ქართველნი იყვნენ ყიზილბაშში დატყვევებულნი და გათათრებულნი, ყოველნივე წარმოიყვანა ქართლში და სწადოდათ გათათრება ქართლისა. და იყო წესსა ზედა ყიზილბაშისასა და გაარიგა რიგი სახლისა თვისისა ყიზილბაშურად და განაწესა მოხელენი გამრიგენი თათარნი და არცა მოშალა ქართველი მოხელე და იქცეოდა დიდებულად... და მას ჟამსა იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება და ყოველთავე შეიყვარეს ანგარება და სიმდიდრის-მოყვარება, ჯამაგირი და სოფლის მიცემა ყაენისაგან, და განმრავლდა ტანთ-ცმა ყიზილბაშურად... და თვით როსტომ მეფის წადილი და ნება ესე იყო, რომ უყოყმანოდ არავის რა მისცემოდა... იყო მეფე როსტომ მორჩილი ყაენისა და მოყვარე სჯულისა მაჰმადისა. ამან აღაშენა სახლი ყიზილბაშური... შემოიღო მოფენილობა, სმა-ჭამა, გამოჩვენება და კეკელაობა და მიიქცენ სრულიად წესსა ზედა ყიზილბაშისასა, და განმრავლდა სახლსა შინა მისსა სიძვა და არა-წმინდება, ცოდვა იგი სოდომ-გომორული და მეძაობა და

დედათა თანა აღრევა... განძლიერდნენ თათარნი და კადნიერებდნენ ქართველთა ზედა და რომელნიცა იყვნენ ქართველნი მოყვარენი წესისა მათისა, მეძავნი და ბილწებისა მოქმედნი, დიდად პატივს ცემდა მეფე როსტომ და ჰკითხვიდა და უსმენდა მათსა, და რომელნიცა იყვნენ სიმართლისმოქმედნი და წრფელნი გულითა და ცოდვის მორიდალნი, მათ არას პატივსცემდა და ცუდს კაცს ეძახდნენ და შეუძლებელსა. და იყვნენ დღითი და დღე სმასა და განცხრომასა შინა, ხოლო სულისათვის არა ზრუნავდნენ... და ქართველთაცა ისწავეს სმა და ჭამა ყიზილბაშური... განყიდეს მამა-პაპათგან დაგდებული მამული და აგარაკები და იცვამდნენ ტანთა და სჭამდნენ და სმიდნენ და არარას ზრუნავდნენ შვილთათვის"[79]. ეს ხდებოდა XVII საუკუნეში. ასეთივე ისტორია განმეორდა მოგვიანებით, XIX საუკუნეშიც, როცა ქართველებმა რუსის ხელისუფალთა გავლენით იწყეს გაყიდვა მამა-პაპათაგან დატოვებული მამულებისა გამოსაჩენი ჩაცმა-დახურვისა და ცხოვრებისათვის. საინტერესოა ვინ ყიდულობდა XVII ს-ში ქართველთა მამულებს? ჩანს ისინივე, რომელნიც XIX საუკუნეში.

ბერი ეგნატაშვილი განაგრძობს როსტომის ეპოქის დახასიათებას – „ამიერიდან შემოვიდა ზოგ-ზოგთაგან ტყვის სყიდვა თავადებისაგან და რომელნიცა იყვნენ ობოლნი და ქვრივნი, გამოიყვანებდნენ და გაჰყიდნენ და განმრავლდა ცოდვა... და იყო სმისა და ჭამის მოყვარე და გასცემდა არამცირედსა სმასა ზედა. და ამის ჟამსა არა იყო ზრუნვა სულიერი ერისკაცთა შორის, არამედ იყვნეს ფუფუნეულ და ხორცთ-მოყვარე, რამეთუ თვით სამღვდელონიცა და მღვდელ-მთავარნიცა მიდრკეს კეთილისაგან და აღერივნეს ერთა თანა, გოდებისაებრ იერემიასა, რამეთუ იყვნეს მოყვარე ღვინისა და ზმისა და შვებისა და განცხრომისა, უმღერდნენ ურთიერთას სიძვა-მრუშებასა და მეძაობას. ამას შინა მოუძლურდა სჯული და განირყვნა წესი საეკლესიო, რამეთუ არღარა ეძიებდნენ სულიერს საქმესა, არამედ ხორცთათვის ზრუნვიდეს ყოველნივე"[80].

ქართულ ეკლესიას, ცხადია, არ შეეძლო მშვიდად ეყურებინა ქართველთა სულიერი გადაგვარებისათვის. უთუოდ ამიტომაც მოუწყო აჯანყება როსტომს ქართლის კათალიკოზმა ევდემოზ დიასამიძემ, რომელსაც სურდა ქართლის სამეფო ტახტზე ქართველებისათვის თავდადებული მებრძოლი თეიმურაზი ეხილა. როსტომმა ქართლის კათალიკოზი სასტიკი სიკვდილით მოაკვლევინა, ხოლო გვამი შეურაცხყო, სამაგიეროდ „სამღვდელონი ეპისკოპოსნი ამით დაიერთგულნა, რომე ყოველთათვის ჯამაგირი განუწესა, თავდაბლად და ტკბილად ექცეოდა, ამისათვის ზრუნვიდენ სამღვდელონი კრებულნი, ხოლო აღაშენა კათოლიკე ეკლესია მცხეთის გუმბათი და სხვანიცა რომელიმე მოოხრებულნი ეკლესიანი აღაშენა და კვალად გატეხილი ხიდი"[81].

განსაკუთრებით სასტიკი იყო როსტომ მეფის დროს დამკვიდრებული წესი სპარსეთში ტყვეების გაგზავნისა. თუკი როსტომის წინა მაჰმადიანი მმართველები არაქრისტიანებს აგროვებდნენ სპარსეთში გასაგზავნად, როსტომმა სწორედ ქართველთა ტყვედ გაგზავნის წესი შემოიღო „საჩუქრად" სპარსელ-თათარი მმართველებისათვის.

„ამან როსტომ მატა ყოველსა ფეშქაშსა და მეტადრე ტყვისასა რაჟამს დაიდვა სვიმონ მეფემან, ამ წესით იმოქმედა: ანუ ძისა ურიისასა, ანუ ნასყიდსა, და ანუ

ოსთასა გაგზავნიდა, ხოლო მან გამოიყვანა ქართველთა გლეხთა, აზნაურთა, დიდებულთა ასულნი და ძენი, და მას გაუგზავნიდა, ამიერიდან დაიდვა ესე და ყოველნი მეფენი საქართველოსანი ესრეთ ჰყოფდნენ, ვიდრე მოდღეინდელად დღემდე“[82].

სწორედ ამ პიროვნებას, საქართველოს წეს-ჩვეულებათა შემშლელსა და ქართველობისათვის ძირის გამომთხრელს, ებრძოდა ქრისტიანი მეფე თეიმურაზი. როსტომ მეფეს ზოგიერთი კარგი საქმეც გაუკეთებია ქვეყნისათვის, რათა ქართული მოსახლეობა ქრისტიან მეფეს არ მიმხრობოდა. საბოლოოდ თეიმურაზი დამარცხდა, რაც „ქართველობის“ დამარცხებასაც ნიშნავდა.

როგორც აღინიშნა, ამ ეპოქისათვის „ქართველი“ ეწოდებოდა არა ყველას, ვინც თავს ქრისტიანად სთვლიდა, არამედ ეთნიკური წარმოშობით ქართველს, რომელიც იმავდროულად საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წევრიც იყო. ეთნიკური წარმომავლობით ქართველი შეიძლება სარწმუნოების გამო თათარი ყოფილიყო, ან „ფრანგი“ და „სომეხი“, „ქართველი“ მხოლოდ ქართული ეკლესიის ქრისტიან მრევლს ეწოდებოდა. იმდროისათვის ქართველმა ერმა მრავალი „გათათრებულ“-„გაფრანგებულ“-„გასომხებული“ შვილი დაკარგა. სარწმუნოების გამოცვლით მათი ეროვნული თვითშემეცნება იცვლებოდა და სწორედ იმ ერებს ემატებოდნენ, რომელი ერის სარწმუნოებრივი აღმსარებლობის მიმდევრადაც თვლიდნენ საკუთარ თავს.

სარწმუნოება და ეროვნება ერთმანეთში აითქვიფა. მაჰმადიანური სახელმწიფოები ყველგან სდევნიდნენ ქართულ ეკლესიას, როგორც იმდროისათვის ერთადერთ ბურჯს ქართული ეროვნებისას, „ქართველობისას“. ქართულ ეკლესიას არსებობა მხოლოდ და მხოლოდ ქართულ-ეროვნულ სახელმწიფოში შეეძლო, სხვაგან ყველგან ის აკრძალული იყო. ამიტომაც „ქართველობის“ შენარჩუნებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ-ეროვნულ სახელმწიფოს. ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება თავისთავად ქართული ეკლესიის დაკნინებას, და მაშასადამე, „ქართველობის“ დეგრადაციასაც მოასწავებდა. ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება სპარსეთ-ოსმალეთმა ვერ შეძლო, ეს თვით შაჰ-აბას I-მაც კი ვერ მოახერხა. საერთოდ, მეფე თეიმურაზი მცველად ედგა ქართულ სახელმწიფოებრიობას, ის თითქოსდა პიროვნულად იყო მისი მატარებელ-განმახორციელებელი. ქრისტიანობის მტკიცედ დაცვა, მუდმივი აჯანყებანი, განსაკუთრებით 1623 წლის ქართლის აჯანყება, რომლის დროსაც სპარსეთის საუკეთესო არმია დამარცხდა, 1659 წლის კახეთის და სხვა აჯანყებანი ხელს უწყობდა ქართული სახელმწიფოებრიობის ასე თუ ისე შენარჩუნებას. მაშასადამე, ქართულ ეკლესიასაც (ანუ „ქართველობას“) არსებობის საშუალება ჰქონდა, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთ საქართველოში 1632 წლიდან 1744 წლამდე არსებულ ქართულ სახელმწიფოებს ეროვნული ხასიათი არ გააჩნდათ.

ქართლ-კახეთში ახალი ტიპის სახელმწიფოს როსტომ მეფემ დაუდო საფუძველი. ერთის მხრივ, შინაურთა და ადგილობრივთათვის, როსტომი ქართველი მეფე იყო, რომელმაც ძველქართული სახელმწიფოებრივი სტრუქტურები და სახელმწიფო მმართველობაში ძველთაგანვე არსებული ქართული სახელო-თანამდებობები არ მოშალა. თავის თავსაც „მეფეს“ უწოდებდა, მაგრამ, მეორეს მხრივ, მან გზა

გაუხსნა „ყიზილბაშურ რიგს“, ხელისუფალთა დასახელება სპარსულის მიბაძვით შეცვალა, შემოიღო ყიზილბაშური თანამდებობები. როსტომმა თავის მმართველობას ორსახა ხასიათი მისცა, სპარსელებისათვის ის „ვალია“ (ანუ შაჰის მოხელე) იყო, ქართველებისათვის – „მეფე“. სპარსელების თვალსაზრისით, მმართველობის სტრუქტურებით ქართლი სპარსეთისაგან (სპარსული პროვინციისაგან) არ განირჩეოდა. ქართველების თვალსაზრისით კი, იგი კვლავ ქართული რიგით იმართებოდა. მიუხედავად ამისა, ამ შემთხვევაში წაგებული მაინც ქართული მხარე რჩებოდა, რადგანაც ქვეყანა ირყვნებოდა და მოსახლეობა მაჰმადიანურ წესსა და რიგს ეჩვეოდა, მაჰმადიანურ ჩვეულებებს ითვისებდა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, სულიერი დანაკარგის ფასად, მაგრამ ქვეყანამ ერთგვარად მაინც ამოისუნთქა, თუ ადრე სპარსეთთან უშუალო ბრძოლისას ქართველები მაღალ სულიერებას, ქართველობასა და ეროვნული კულტურის სიწმინდეს ინარჩუნებდნენ, მაგრამ ძლიერ ზარალდებოდნენ მატერიალურად, ახლა მატერიალურად აღარ ზარალდებოდნენ, რის ფასადაც ქართული კულტურა და სულიერება კნინდებოდა, ქვეყანა ეროვნულ-სარწმუნოებრივი გადაგვარების გზას დაადგა. „...მაღალ თანამდებობებზე ქართლ-კახეთის ფეოდალთა დამტკიცება, ირანის შაჰის მიერ მაჰმადიანობის მიღების აუცილებელი პირობით სრულდებოდა“[83]. როსტომმა ყაენისადმი უსაზღვრო მორჩილებითა და ეშმაკური მიდგომით ქართლში სპარსოფილური განწყობილების გაღვივება შეძლო, მით უმეტეს, რომ „...როსტომ მეფის მიერ ჩატარებული ყოველი ღონისძიება, ირანის შაჰის მუდმივი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა“[84]. როსტომის საყრდენს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ჩაყენებული ყიზილბაში მეციხოვნეები წარმოადგენდნენ, მათი ერიდებოდა და ეშინოდა ქართლის მმართველს.

ძველქართული სახელმწიფოებრიობის ადგილას წარმოშობილი არაეროვნული ქართულ-ყიზილბაშური სახე ქართლ-კახეთის მმართველობისა, როგორც ითქვა, მთელი 112 წლის მანძილზე – 1632-1744 წლებში არსებობდა.

რამდენადაც, ასე თუ ისე, ამ დროს ქართული სახელმწიფოებრიობა მაინც არსებობდა, მაშასადამე, არსებობდა ქართული ეკლესიაც თავისი სტრუქტურებით. როგორც ითქვა, მაჰმადიანთა მიერ შექმნილი პირობების გამო იმ ეპოქაში ქართულ ეკლესიას არსებობა მხოლოდ ქართულ სახელმწიფოში შეეძლო, სხვაგან, ყველგან ქართულ საეკლესიო ორგანოებს მაჰმადიანები აუქმებდნენ და სპობდნენ (მაგალითად, დაპყრობილ მესხეთში, ლორე-ტაშირში, კაკ-ენისელში, შაქ-ყარაბაღში, დიდ სომხეთში (ანისის, ყარსის, ვალაშკერტის საეპისკოპოსოები), თორთომსა და არზრუმში. არც ერთი ქართული ეკლესია არ არსებობდა უვრცელეს სპარსეთსა და ოსმალეთში, მაშინ როცა ორივე ამ ქვეყანაში უთვალავი სომხური, ფრანგული, ბერძნული, და საერთოდ, ქრისტიანული ეკლესიები იყო; მათვე მოსპეს ქართული ეკლესიები ჩრდილო კავკასიაში).

ქართულ ეკლესიებს ყველა მაჰმადიანურ ქვეყანაში საფუძველი ეცლებოდა. მიზეზი ის იყო, რომ მაჰმადიანი მმართველები იქ მცხოვრებ თუ ჩასულ ქართველებს აიძულებდნენ უარეყოთ ქართული ქრისტიანობა (მართლმადიდებლობა) და სარწმუნოების ან საეკლესიო მიმართულების შეცვლას აიძულებდნენ. თუ ქართველი

გათათრებას არ ისურვებდა, მაშინ იგი ბერძნულ-მართლმადიდებლურ, კათოლიკურ ან გრიგორიანულ ეკლესიათა მრევლად უნდა ქცეულიყო. ასე რომ (პირდაპირი ბრძანებითა თუ სოციალურ-ეკონომიკურად გაუსაძლისი პირობების შექმნით), ქართული ეკლესიის წევრობა აკრძალული იყო.

რატომ? პირველი მიზეზი ის იყო, რომ საქართველოს სახელმწიფოები მაჰმადიანებთან მებრძოლი ქვეყნები იყვნენ. მაჰმადიანებმა შეძლეს მოესპოთ ბერძნული სახელმწიფო (ამის გამო ბერძნული ეკლესია მათთვის საშიში აღარ იყო), მაჰმადიანებმა შეძლეს მოესპოთ სომხური სახელმწიფო (ამის გამო სომხური ეკლესია მათთვის საშიში აღარ იყო), მაგრამ ვერ შეძლეს ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობა, რომლის სულსა და გულს, მამოძრავებელ ძალას ქართული ეროვნული ეკლესია წარმოადგენდა, ამიტომაც ებრძოდნენ ისინი ქართულ ეკლესიას. გარდა ამისა, მათ შეძლეს როგორც ბერძნული, ისე სომხური ეკლესიები თავიანთი ზედამხედველობის სფეროში მოექციათ. ორივე ამ ეკლესიას მაჰმადიანურ ქვეყნებში დიდძალი მრევლი ექვემდებარებოდა, მაჰმადიანი მმართველები ორივე ეკლესიას მართვა-გამგეობის საქმეშიც იყენებდნენ (ასევე ითქმის კათოლიკურ ეკლესიაზეც), სხვათა შორის, სომხურ ეკლესიას მაჰმადიანთა მხრივ უპირატესობანი ენიჭებოდა ლათინურ-კათოლიკურ ეკლესიასთან შედარებით და მხარს უჭერდნენ სომხურ-კათოლიკურ რიტს[85].

ქართული ეკლესია ერთადერთი ეროვნული ბურჯი იყო ქართველობისა - მაჰმადიანურ იმპერიებთან მებრძოლი ხალხისა, ამიტომაც მიუღებელი, მეორე მხრივ, „ამ დროს თურქებს, ისევე როგორც სპარსელებს, მოსვენებას უკარგავდა მართლმადიდებლური რუსეთის წარმატებანი, რომელიც სულ უფრო სამხრეთისაკენ მოიწევდა და კავკასიის უღელტეხილს ებჯინებოდა“... მართლმადიდებლური რუსეთის წარმატებები თურქეთს ყველაზე მეტად აფიქრებდა და ყოველი ღონით ცდილობდა არ დაეშვა მართლმადიდებელ ხალხთა ურთიერთკონტაქტი და რაც მთავარია, მათი კავშირი ერთმორწმუნე რუსეთის სახელმწიფოსთან[86]. ასევე ფიქრობდა სპარსეთიც. თეიმურაზის კავშირი რუსეთთან სპარსეთს მოსვენებას უკარგავდა.

როგორი დამოკიდებულება ჰქონდა როსტომ-ხანს ქართული ეკლესიის მიმართ? რადგანაც მის პოლიტიკას კომპრომისული ხასიათი ჰქონდა (ერთი მხრივ, ქართველთა მეფე იყო, მეორე მხრივ, სპარსეთის მოხელე), ამიტომაც ის ჩვენი ეკლესიის მიმართ გარკვეულ ლოიალობას იჩენდა, მაგრამ აქ აღსანიშნავია სხვა მომენტი. თუ აქამდე, ძველქართული სახელმწიფოებრივი სისტემის არსებობისას, ქართული ეკლესია სახელმწიფოში უპირველესი და უპირატესი სარწმუნოებრივი ორგანიზაცია იყო, როსტომის დროს მან უპირატესობა სხვა ქრისტიანულ მიმდინარეობებთან შედარებით დაკარგა და იგი სხვებს გაუთანაბრეს. ეს იმას ნიშნავს, რომ როსტომი და მისი შემდგომი მაჰმადიანი მმართველები ქართულ ეკლესიას საქართველოშივე აყენებდნენ კათოლიკურ, ანდა სომხურ ეკლესიებთან თანაბარ პირობებში, არ უქმნიდნენ სხვა რელიგიებთან შედარებით რაიმე განსაკუთრებულ პირობებს და სხვებთან ათანაბრებდნენ.

მეორე მხრივ, როსტომი სპარსი მოხელე, ვალდებული იყო განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა გამოეჩინა სომხური ეკლესიისადმი, რადგანაც სპარსეთ-

ში სომხურ ეკლესიას ყოველგვარი პრივილეგია ენიჭებოდა[87], ხოლო სპარსთა თვალსაზრისით, ქართლ-კახეთი სპარსეთის ვასალურ ქვეყანას, პროვინციას წარმოადგენდა. შაჰის მკაცრი კონტროლითა და სამეთვალყურეო აპარატით დათრგუნულ როსტომს უფლებაც არ ექნებოდა არ გამოეჩინა ყურადღება სომხური ეკლესიისადმი. სხვათა შორის, ასევე იყო მესხეთშიც. ახალციხის ფაშებს, რომლებიც სასტიკად ებრძოდნენ ქართულ ეკლესიას[88], ეშინოდათ სომეხ-კათოლიკე მღვდლებისა (უნითორებისა). როგორც შ. ლომსაძე წერს, ევროპელი მისიონერები ფაშამ „დაბეზღების შიშით“ ახალციხეში ვერ შეიყვანა და ორი თვის განმავლობაში აწყვერში ჰყავდა დამწყვდეული, მერე კი ისევ უკან გამოუშვა. როგორც ჩანს, ფაშას ეშინოდა იანიჩარებისა და უნითორებისა. იანიჩარებს ფაშას მაკონტროლებელი უფლებები ჰქონდათ მინიჭებული, უნითორები კი, ამ შემთხვევაში, მზვერავის როლში გამოდიოდნენ, რომელთა ვალი იყო არ დაეშვათ „რელიგიური მანტიით შემოსილი ევროპელი შპიონები“ თურქეთის ტერიტორიაზე. სულთანის კარის შეხედულება უნითორების მიზნებს ემთხვეოდა. ამ გზით მათ ჩამოცილებული ჰყავდათ კონკურენტები[89].

როგორც ეს მისი „ქრისტიანული წესით“ დაქორწინებისას გამოჩნდა, როსტომსაც ასევე ეშინოდა ყიზილბაში მეციხოვნეებისა. როსტომი ისეთ მოქნილ სარწმუნოებრივ პოლიტიკას აწარმოებდა, რომ კათოლიკებს ის კათოლიკედ მიაჩნდათ, სომხებს - სომხად, ხოლო თათრებისთვის ის მორწმუნე მაჰმადიანი იყო. ყოველივე ეს თვით როსტომის თანამედროვე კათოლიკეთა და სომეხთა ჩანაწერებიდან ჩანს: „როსტომმა კათოლიკე მისიონერებს ყოველგვარი უპირატესობა მიანიჭა, ამავე ავტორის მოწმობით, ქართლის მაჰმადიანი მეფე კათოლიკეების ღვთისმსახურებასა და საეკლესიო სხვა ცერემონიალს ხშირად თვით ესწრებოდა... კათოლიკე მისიონერებისადმი როსტომის კეთილგანწყობამ ავიტაბილეს სურვილიც კი აღუძრა კათოლიკობაში მეფის მოქცევისა. იტალიელი მისიონერის სიტყვებით რომ ვთქვათ: „საამისო ნიშნები“ მან (როსტომ მეფემ) არაერთხელ გამოამჟღავნა“[90].

„ქრისტიანული ჯვრისწერის” წინ როსტომ მეფემ „მონათვლა“ არა ქართულ, არამედ თეატინელთა (კათოლიკეთა) ეკლესიაში ინება. როგორც ითქვა, როსტომს თავისი მაკონტროლებელი ყიზილბაშებისა ეშინოდა, ამიტომაც „...ქრისტიან მარიამზე დაქორწინების ქრისტიანული რიტუალი (მიუხედავად იმისა, რომ იგი შაჰთან წინასწარ „გასინჯული“ იყო) ისე ჩაატარა, რომ იგი „თვალში საცემი არ ყოფილიყო“ გორში მყოფი ყიზილბაშთა გარნიზონისათვის. ავიტაბილეს ცნობით, აღნიშნული ჯვრისწერა, ისევე როგორც მეფის მონათვლაც („თავის დაბანვა“) გორში თეატინელთა ეკლესიაში საღამო ჟამს (5 საათზე) ჩატარდა, მას შემდეგ, რაც მეფესთან გორში მოსული ყიზილბაშთა გარნიზონი გორის ციხეში დაბანაკდა“[91].

„აღსანიშნავია, რომ გორის ქართული ეკლესია, რომელიც ციხეში იდგა, ყიზილბაშებს მეჩეთად ჰქონდათ გადაკეთებული, ხოლო კათოლიკურ ეკლესიას მეფე პატივს დებს თავისი სტუმრობით - იტალიელი ავიტაბილე აღნიშნავს გორის ციხესიმაგრეში ყიზილბაშების მიერ ქართული ეკლესიის მეჩეთად გადაკეთების ფაქტს“[92].

რაც შეეხება მონოფიზიტებს, მათდამი როსტომის გულმოწყალება იმდენად უსაზღვრო იყო, რომ იგი თვით სომხებსავე მიუჩნევიათ – ძველი სომეხი დინასტიების,

ანისელი ბაგრატიდების შთამომავლად. ვახუშტის ისტორიის 1808 წლის ნუსხაში ვრცელი შენიშვნა ჩაურთავთ, რომლის თანახმადაც როსტომი არა ქართველი ბაგრატიონი, არამედ ანისელი სომეხი მეფეების შთამომავალი (წყაროდ იყენებენ „სომეხ მეისტორიე ზაქარიას“) იყო. ამის თქმის უფლებას, ჩანს, სომხებს ის დამოკიდებულება აძლევდა, რომელსაც იგი სომეხთა მიმართ იჩენდა. როგორც ითქვა, აქამდე თბილისი საუკუნეთა მანძილზე საქართველოს დედაქალაქი იყო, ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით – ქართული მოსახლეობით, ქართული ენით, ტრადიციებითა და წეს-ჩვეულებებით. ხოლო იმის შემდეგ, რაც თბილისს, ქვემო ქართლს, მაჰმადიანი ბაგრატიონი მმართველები დაეპატრონნენ (დაუდ-ხანი, ბაგრატ-ხანი, სიმონ-ხანი), თბილისი და ქვემო ქართლი სპარსული სახელმწიფოს ვასალურ ქვეყნად იქცა. ცხადია, აქ სომეხთა მიმართ ის შეღავათები და ხელშეწყობანი გავრცელდა, რაც საერთოდ სპარსეთში არსებობდა. როსტომ ხანის დროს თბილისის ეკონომიკურმა აღმავლობამ გრიგორიანთა რაოდენობა თბილისში კიდევ უფრო გაზარდა. გრიგორიანების (ანუ „სომხების“) სიჭარბემ სამმართველო და სხვა სფეროებში ქართველთა შევიწროება გამოიწვია. სწორედ ამ სოციალურ ნიადაგზე წარმოშობილ კონფლიქტზეა საუბარი აღნიშნულ შენიშვნაში: როსტომის „შვილის“ მკვლელობას „სომხები“ ქართველებს აბრალებდნენ, ქართველები – სომხებს; ინიშნება „ქართველი შიოშ ბარათაშვილისა“ და „სომეხი ბაადურ თუმანიანთის“ დუელი, რომელშიც რატომღაც სასიკვდილოდ დაჭრილმა ბაადურმა გაიმარჯვა. ქართველთა სიამაყე დაცხრა, ხოლო გახარებულმა ირანის შაჰმა თბილის-ქალაქის მმართველობა გამარჯვებულ „სომეხს“ მისცა. როსტომმა „რაიცა აქვნდა შიოშს მსახურნი, მხევალნი, სოფელი, ვენახი, პირუტყვნი და სხვანი, ბრძანა რათა ყოველივე მისცენ წერილით ბაადურს... ამჟამად ქართველნი მცირედ რადმე დამდაბლდნენ ამაყობისაგან რა, სომეხთა ლექსი გაელექსათ ენითა მათითა და მუხლთა დასასრული იყო ესე (შიოშ გაიქე, ბაადურ მოდის), ოდეს იმღერებდნენ ამას ყმანი მიმდგომთა მისთა ჰრსცხვენოდათ. ესმა ესე ხელმწიფესა ერანისასა სანიბას (რომელ არს მცირე შაჰ-აბაზ), უხმო ბაადურს. მისცა მას მთავრობა დიდი ტფილის ქალაქისა, იქმნა რიცხვსა სომხურსა 1099 (1650 წ.)“[93].

თბილის-ქალაქი სამართავად სომხებს გადაეცათ, ხოლო „ქართლის მეფე“, მათი აზრით, ეთნიკურად სომეხი იყო. თუ ვინ იყვნენ ეთნიკურად ეს „სომხები“, იქიდან ჩანს, რომ ყმაწვილებმა ზემოთ მოყვანილი ლექსი სომხურ ენაზე კი არ გამოთქვეს, არამედ ქართულ ენაზე. რატომ? სომხური არ იცოდნენ და არც ხმარობდნენ, ისინი ეთნიკურად სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო სომხური ეკლესიის მრევლად ქცეული და გასომხებული ქართველები იყვნენ. მათ ეროვნული თვითშეგნება უკვე შერყეული ჰქონდათ. ქვეყანასა და დედაქალაქში გრიგორიანთა პოზიციები დღითი დღე მტკიცდებოდა.

აღსანიშნავია, რომ იმდროინდელი ქართველი საზოგადოების მაღალი ნაწილიც სომხოფილური ტენდენციების მატარებლად იქცა. ჩანს, მსგავსი ტენდენციების დადგენა სომხური სავაჭრო კაპიტალის საერთაშორისო არენაზე გასვლამ, სომხური სასულიერო და სამეცნიერო კულტურის გაფურჩქვნამ, ხოლო ძველი ქართუ-

ლი კულტურულ-სულიერი მონაპოვრის დავიწყებამ დაბადა. როსტომის ისტორიკოსი, მის კარზე აღზრდილი და სპარსეთში მოღვაწე ფარსადან გორგიჯანიძე, რომელიც ისკანდერ მუნშის თანახმად „ქართველი ბეგია“[94], საერთოდ არ იცნობდა ძველ ქართულ ისტორიოგრაფიას, სამაგიეროდ იცნობდა სომხურს და საქართველოს ისტორია დაწერა სომხოფილური ტენდენციებით. ასეთი იყო ეპოქის სული. ქართველთა დენაციონალიზაცია დაწყებულია, ქართველებს ქართული არ აკმაყოფილებთ, ანდა აღარ სურთ მისით დაკმაყოფილება, მათი გასომხება თუ გათათრება უკვე არის არა ფიზიკური (განათვლა თუ წინდაცვეთა), არამედ სულიერ გადაფასებათა ფსიქოლოგიური პროცესი. შეიძლება ამითაც იყო გამოწვეული ის, რომ როსტომის წინააღმდეგ ქართლის კათალიკოსის აჯანყების ჟამს ფიცი გატეხა და შეთქმულება გასცა „სომხეთის მელიქმა, რომელიც „სახალიფო სასახლის ერთგულთა რიცხვს ეკუთვნოდა“, „შაჰის შიშით ფიცი გატეხა, მათი (შეთქმულთა – გ. ჟ.) საწადელი და მინაწერი წიგნები მეფეს მიართვა“[95].

როსტომის მმართველობის ხანაში სომეხთა რაოდენობა ქართლში მცირე იყო. მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ, მაგრამ სომეხთა რიცხვის გაზრდით არა მარტო როსტომი და მისი სპარსულ-ქართული სახელმწიფო იყო დაინტერესებული, არამედ საზოგადოებაც. საქმე ის იყო, რომ დამშვიდებული ქვეყანა ეკონომიკური მომძლავრებისათვის ემზადებოდა, იმ დროისათვის კი ყველა ჩვენს მეზობელ მაჰმადიანურ ქვეყანაში ეკონომიკური აღმავლობა სომხური მოსახლეობის რაოდენობის ზრდასთან იყო დაკავშირებული, ვაჭრობა, ხელოსნობა, აღებ-მიცემობა სომხური ეკლესიისა და მისი მრევლის ხელთ მოექცა. ასეთი იყო ობიექტური მდგომარეობა სპარსეთსა (მის ვასალურ ქვეყნებსა) და ოსმალეთში.

საქართველოში სომეხთა სიმცირეზე XVII ს-ის შუა წლებში ფარსადან გორგიჯანიძეც წერს: „ქართლში ქართველები მრავალნი და ძლიერნი არიან და სომეხნი ცოტანი და უღონონი...“[96].

ქვეყნის განვითარების ობიექტური პირობები სომხური მოსახლეობის გაზრდის აუცილებლობას ითხოვდა. თუ რა გზით გაიზრდებოდა ეს მოსახლეობა, საქართველოში სომეხთა გადმოსახლებით, თუ ადგილობრივი ქართული მოსახლეობის გაგრიგორიანებით, ეს მმართველი ფენებისათვის სულ ერთი იყო. თუ სპარსეთსა და ოსმალეთში სომხური მოსახლეობა შესანიშნავად ცხოვრობდა, მუდმივი აჯანყებებისა და ომების ქარცეცხლში გახვეულ ქართლში, ცხადია, სომხური მოსახლეობა თავისი ნებით არ ჩამოვიდოდა. ამიტომაც სომეხთა რაოდენობის გაზრდის ყველაზე იოლი გზა საქართველოში არსებული სომხური ეკლესიისათვის ხელის შეწყობა, შეღავათებისა და უპირატესობის მინიჭება და ამ გზით მისი მრევლის გაზრდა იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში (ამ მოსახლეობის გარეშე) ეკონომიკისა, ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარება არა მარტო დიდად შეფერხდებოდა, არამედ შეუძლებელიც კი გახდებოდა.

„1639 წელს ირანსა და თურქეთს შორის დადებული ზავი, რომელიც 90 წლის მანძილზე არ დარღვეულა, ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენდა აღმოსავლეთის (თურქეთი, ირანი) და საქართველოს ქალაქების ეკონომიკური წინსვლი-

სათვის, საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის. ქვეყნის შიგნით მშვიდობიანი მდგომარეობა საშუალებას აძლევდა ქართლის ქალაქებს საგარეო ვაჭრობა ეწარმოებინათ თურქეთის, ირანის, რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან. ასეთი იყო ობიექტური მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს საქართველოს სამეფოს საქალაქო ცხოვრების, ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის მნიშვნელოვანი ზრდა-განვითარება XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან. ცენტრალური ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ხელოსნური წარმოების ზრდა-განვითარებას, საშინაო და საგარეო ვაჭრობის გაფართოებას, ყოველივე ამის შედეგად ქართლის ქალაქებში ვითარება მკვეთრად შეიცვალა და თბილისმაც დაიბრუნა აღმოსავლეთ საქართველოს არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური ცენტრის მნიშვნელობა... თბილისი დაწინაურდა... როსტომმა პირველ რიგში ქალაქის განაშენიანებას მიაქცია ყურადღება, რამაც შემდეგში თბილისის მოსახლეობის მომრავლება და საერთოდ საქალაქო ცხოვრების წინსვლა განსაზღვრა"[97]. „...ქართლში არსებობდა ოთხი ქალაქი: თბილისი, გორი, ალი და სურამი... ვაჭრობა-ხელოსნობისა და ქალაქების გამოცოცხლებამ როსტომის მიერ მდ. თეძამზე ახალი ქალაქის, „მეფის ქალაქის", დაარსება განაპირობა. როსტომმა ეს ქალაქი ვაჭრებით დაასახლა"[98]. რამდენადაც საქალაქო ცხოვრება სომხური მოსახლეობის გარეშე საერთოდ წარმოუდგენელი იყო, ამიტომ სურდა თუ არა ხელისუფლებას, სომხური მოსახლეობის გაზრდისათვის მაინც უნდა ეზრუნა. ქართულ ქალაქებში ძირითადად ხელოსნები, ვაჭრები და ეკონომიკურ დარგებში მოსაქმენი ცხოვრობდნენ. ისინი, როგორც წესი, გრიგორიანული სარწმუნოების აღმსარებელნი იყვნენ; ამასთან, რადგანაც ამ სფეროში მონოპოლია სომხური ეკლესიის ხელში იყო, ამ წრეში სხვა სარწმუნოების მიმდევარ კაცს არ იღებდნენ.

შექმნილი ობიექტური ვითარების გამო თვით ქართული ეკლესიის იერარქებიც კი სომხური სარწმუნოების გავრცელებას ხელს არ უშლიდნენ. მაგალითად, ქართული ეკლესიის იერარქები – ალავერდელი თუ თბილელი რუსეთში გზავნიდნენ საქონელს გასაყიდად, შემოსული თანხა მათ ქართულ ეკლესიათა მშენებლობა-გამშვენებისათვის ესაჭიროებოდათ, მაგრამ ვაჭარი, ალბათ, როგორც წესი, გრიგორიანი იყო (შეიძლება კათოლიკეც, მაგრამ ამ შემთხვევაში ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, საერთოდ, ვაჭრები ქართულ ეკლესიას სჭირდებოდა, რადგანაც მათ, მიუხედავად მათი სარწმუნოებისა, იყენებდნენ).

ჩვენი ეკლესიის იერარქებს თბილისელი ვაჭრის, იოსებ ზურაბოვისათვის (ზურაბაშვილისათვის) რუსეთში გასაყიდად საქონელი გაუტანებიათ. მის სარეკომენდაციო ბარათში ვკითხულობთ – „...ალავერდელმა შენთან გამომატანა სხვადასხვა საქონელი და მიბრძანა გავყიდო ეკლესიების ასაშენებლად... მცხეთის პატრიარქისაგან გამოტანებული მაქვს საქონელი... მონასტრის საჭიროებისათვის, სიონის ეკლესიიდან გამოტანებული მაქვს სხვადასხვა საქონელი და ნაბრძანები მაქვს გავყიდო ეკლესიის ასაშენებლად. საქართველოს ეპისკოპოსისაგან გამოტანებული მაქვს..."[99]. სხვა მღვდელმთავრებსაც და ბერებსაც მიუციათ საქონელი გასაყიდად „ეკლესიების ასაშენებლად"[100]. აქედან ჩანს, რომ ვაჭრების სიმრავლე (და აღებ-მიცემობა საერთოდ) ქართული ეკლესიის იერარქებსაც ესაჭიროებოდათ, მაგრამ,

რადგანაც ამ დროს ვაჭრობის მონოპოლია სომეხთა ხელში იყო, ისინიც ეგუებოდნენ მათთან ურთიერთობას და ამ გზით შემოსავლის წყაროს იჩენდნენ. ქართლის კათალიკოსსა და ეპისკოპოსებს ყმა ვაჭრები – გრიგორიანები ჰყავდათ, რომელთაც ხელისუფლებაც მფარველობდა – „...როსტომი „ბაჟის ამოკვეთის“ წიგნს აძლევს ქართლის კათალიკოსის ყმა ვაჭრებს, გრიგორიანებს, ფარსადანს, ხიზანას და შავერდას“[101], არა მგონია, ისინი საქართველოში სპარსეთიდან (ან სომხეთიდან) ჩამოსული სომხები ყოფილიყვნენ, ალბათ – გაგრიგორიანებული ქართველები იყვნენ. ასეთები უნდა ყოფილიყვნენ ყორღანაშვილები (როსტომის კარის მდივანმწიგნობარს, მერაბ ყორღანაშვილს, რამდენიმე სოფელი აღუდგენია), სოლოღაშვილები (ბიძინა სოლოღაშვილს ქვემო ქართლის ნასოფლარი აღუდგენია) და სხვა მრავალნი.

როგორც ვნახეთ, როსტომმა პოლიტიკური მოსაზრებების გამო ქართულ ეკლესიას (ანუ ქართულ მართლმადიდებლობას) სახელმწიფოებრივი სარწმუნოებისა და სახელმწიფოებრივი ეკლესიის სტატუსი არ მისცა. მან ქართულ მართლმადიდებლობას უფლებრივად გრიგორიანობა და კათოლიკობა გაუთანაბრა.

როგორც სპარსეთის მოხელეს, მას ევალებოდა მზრუნველობა გაეწია სომხური ეკლესიისათვის პოლიტიკური მიზეზების გამო და თავაზიანად მოპყრობოდა კათოლიკეებს. ამავე დროს ის, როგორც ქართველი მეფე, ვალდებული იყო გამოემჟღავნებინა მზრუნველობა ქართული ეკლესიის მიმართაც (მცხეთის ტაძრის გუმბათის აგება, სიონის რესტავრაცია და სხვა).

როსტომის დროს ქართულმა ეკლესიამ სახელმწიფოში დაკარგა ის ადგილი, რომელიც მას IV საუკუნიდან მოყოლებული ეჭირა, მისი მმართველობის შემდეგ ქართული ეკლესია ქვეყანაში აღარ იყო უმთავრესი და უპირველესი ეკლესია. მისი უფლებები შეილახა და სხვა არაქართულ ეკლესიებს გაუთანაბრდა. გარდა ამისა, მისი მრევლი (სახელმწიფოს მიერ შექმნილი თუ ობიექტური პირობების გამო) სხვადასხვა არაქართულ ეკლესიას, კერძოდ, სომხურსა და კათოლიკურს გადაუნაწილდა, რომ აღარაფერი ვთქვათ, გამაჰმადიანებულ ქართველთა შესახებ. სწორედ ამიტომ ამბობდა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი: – „ყოველდღე ჩვენის თვალით ვხედავთ, რომ მრავალნი სომხდებიან, და უფრო მომეტებული მათგანი მაჰმადის სარწმუნოებასაც ღებულობენ“[102]. კათოლიკურ და სომხურ ეკლესიებს ერთმანეთთან ომიც კი ჰქონდათ ქართველი მრევლის გადანაწილებისას[103].

ასეთ მდგომარეობაში ჩააყენა ქართული ეკლესია როსტომის „კომპრომისულმა“ ქართულ-სპარსულმა სახელმწიფომ. სრულიად სხვაგვარი იქნებოდა მისი მდგომარეობა თეიმურაზის სახელმწიფოში, მას რომ ქვეყნის მართვა დასცლოდა, რადგანაც თეიმურაზი ძველქართულ-ეროვნული სახელმწიფოებრიობის დამკვიდრებისა და მისი ბუნებრივი მდინარების განგრძობისათვის იბრძოდა.

თეიმურაზს ქართლ-კახეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ემხრობოდა. მისი მეფობა ქართველთა სურვილი იყო, როსტომი თეიმურაზს მეტოქეობას ვერ გაუწევდა უცხოელთა სამხედრო ძალის გარეშე. „ქართლში მოსვლისთანავე ქართველების ერთი ნაწილი მაჰმადიანი მეფის მმართველობას არ დაემორჩილა, მათ ქრისტიანობის რჯულისათვის „ბატონი თეიმურაზ ერჩივნათ“[104]. „არათუ ქვეყნის მკვიდ-

რი მოსახლეობა, თვით როსტომ მეფის ლაშქარში თეიმურაზის სასარგებლო განწყობილება სუფევდა“[105]... (ფაქტობრივად ეს ჯარიც ეთნიკურად ქართველებისაგან, ოღონდ გამაჰმადიანებულთაგან შედგებოდა). თეიმურაზმა ქართველობას შესწირა დედა, შვილები, შვილიშვილები, პირადი ცხოვრება და ბედნიერება.

სპარსეთის შეუდრეკელი მოწინააღმდეგე (ივ. ჯავახიშვილი) და სპარსელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ორმოცდაათწლიანი ბრძოლის მესაჭე (ნ. ბერძენიშვილი) ყველა მის ქვეშევრდომს უყვარდა, რევაზ სახლთუხუცესი ჩოლოყაშვილი, „რომელი იყო კაცი კეთილი და რჩეული სარდალი“, ყიზილბაშებთან ერთი მნიშვნელოვანი ბრძოლისას სასიკვდილოდ დაიჭრა – „არა აშალა ჯარი და მუნ დაუტევა ძენი თვისნი... მივიდა ბატონს თეიმურაზთანა. მაშინ დალოცა ბატონი თეიმურაზი ესრეთ, ვითარმედ „მე მომკვდარვარ შენის სამსახურისა და ერთგულებისათვის, ჩემი თავი თქვენის ჭირის სანაცვლო იყოს“, გამოესალმა და აკოცა ხელსა და იტირეს ორთავე მრავალი...“[106].

ასევე წერდნენ მისიონერებიც – „დონ ჯუსტი პრატო მიუთითებს: „თეიმურაზმა ხომ სხვა დროს სამჯერ დაჰკარგა ტახტი და ისევ აღიდგინა იგი. საქმე ის იყო, რომ თეიმურაზი თავისი მამაცობისა და ქცევის გამო უყვარს თავის ყველა ქვეშევრდომს. ახლაც სამეფო ტახტი მან დაჰკარგა მხოლოდ თავისი გულკეთილობით, ვინაიდან არ ისურვა მაშინვე დაესაჯა ისინი, ვინც პირველად უარი თქვა მხარი დაეჭირა მისთვის სპარსელების წინააღმდეგ. თეიმურაზს რომ შეძლებოდა შეეგროვებინა არმია, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, სპარსელები ვერ გაბედავდნენ ჩაბმულიყვნენ გაშლილ ომში, ვინაიდან ყველა მათგანს ეშინოდა მხოლოდ თვით თეიმურაზის ხმლისა“. დონ ჯუსტი პრატო მიუთითებს იმ დიდ შიშზე, რომელიც როსტომ მეფეს ჰქონდა თეიმურაზის მიმართ. იგი ყოველთვის ელოდებოდა თეიმურაზის მოსვლას თავისი ძალებით. როსტომის ეს შიში უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც მან გაუშვა თავისი ლაშქრის დიდი ნაწილი და დაიტოვა მხოლოდ მცირე... მან უბრძანა თავის ხალხს, რომ დღე-ღამე ფხიზლად ყოფილიყვნენ...“[107].

შაჰ-აბასის მიერ კახეთის მოოხრების შემდეგ 1616 წლიდან ვიდრე 1623 წლამდე თეიმურაზი დასავლეთ საქართველოსა და ოსმალეთში იმყოფებოდა და დიდად იღვწოდა სპარსთა შევიწროებისათვის. მის ოჯახს სპარსელები ოსმალეთშიც არ ასვენებდნენ, სპარსეთში მძევლად გაგზავნილი დედა-შვილები კი უწამეს. შაჰმა კახეთში ფეიქარ-ხანი გააბატონა, რომელიც ელის თათართა ტომის კახეთში ჩასახლებისათვის ზრუნავდა. ქართლის ბატონად შაჰმა ჯერ ბაგრატ-ხანი დანიშნა, რომელსაც ქართველობა არ ემორჩილებოდა, ხოლო შემდეგ სვიმონ-ხანი, მცირეწლოვანი მაჰმადიანი ბაგრატიონი, რომელიც სპარსეთში იზრდებოდა. შაჰის კარზე იმყოფებოდა იმ დროისათვის მოურავი გიორგი სააკაძე. ბერი ეგნატაშვილი მოგვითხრობს – შაჰმა „უბრძანა მოურავს: „მნებავს წარსვლა შენი საქართველოში და თანა წარგატან ყორჩიხა-ხანს სპითა მრავლითა და ძესა ბაგრატისასა პატარა სვიმონ-ხანს, წარვედ და მივედ პირველად და მოაოხრე სრულიად კახეთი და იავარ-ჰყავ და მოსარ პირითა მახვილისათა ქართლი, აჰყარე და ჩამოასხი აქა“. აღუთქვა ნიჭი დიდი და საბოძვარი მრავალი“[108]. შაჰის უზარმაზარი არმია მოურავისა

და ყორჩიხა-ხანის მეთაურობით საქართველოში შემოვიდა. მათ დავალებული ჰქონდათ, რომ ქართლის მოსახლეობა სრულიად აეყარათ საცხოვრებელი ადგილიდან და სპარსეთში ჩაეყვანათ, სადაც დაასახლებდნენ, ანდა ტყვეებად გაყიდდნენ. სწორედ ასე მოექცა რამდენიმე წლით ადრე შაჰ-აბასი კახეთის მოსახლეობას – ასიათასობით ადამიანი კახეთიდან სპარსეთში გადაასახლა. ახლა სპარსული არმიის მეთაურებს არა მარტო ქართლის მოსახლეობის სპარსეთში გადასახლება დაევალათ, არამედ კახეთის იმ მოსახლეობის ამოწყვეტაც, რომელიც კიდევ გადარჩენილიყო.

სპარსული არმია ქართლში შემოვიდა „...იყვნენ მზადებაში, რამეთუ სწადდათ აყრა ქართლისა. ჰქონდა მოურავს ჩვეულება, წარვიდოდა და მოუტევდა ქორსა. დღეს ერთსა კვალად განვიდა ქორის მოსატევად ხევსა ლოჭინისასა და ნახა, რომე ერთი შათირი მოდიოდა და იცნა ყაენის შათირობაზედ... მიეწია და შეიპყრა, იძულებით გაჩხრიკა და უნახა წიგნი. წაიკითხა და ესრეთ ეწერა ყარჩიხა-ხანთანა ყაენისაგან, ვითარმედ „რაჟამს მოსრათ კახნი, აჰყარეთ ქართლი და წამოასხით. ხოლო მოურავს უღალატე, მოსჭერ თავი და გამომიგზავნე“[109]. ეს წერილი მოურავმა ქართლის ერთ-ერთ მძლავრ ფეოდალს, ზურაბ ერისთავს გააცნო და შეითანხმა აჯანყებულიყვნენ სპარსთა წინააღმდეგ – „მაშინ მოურავმან უთხრა რჩევით ზურაბს, რომე „მოდი ქართლს ნუ ამოვწყვეტთო, თორემ სულიც დაგვეკარგოსო და არც ჩვენ დაგვინდობენო...“[110], „მაშინ გაგზავნეს კაცნი და იხმეს სრულიად ქართველნი და ვითარცა მოვიდნენ ქართველნი, მაშინ ზურაბ ერისთავმან იდუმალ მოიხმო ქართველნი და უთხრა რა ესრეთ, ვითარმედ ... ქვეყნის გაოხრება სწადიათ ყიზილბაშთა, და მოდი შევიფიცნეთ, მივიდეთ და ამოვწყვიტოთ ყიზილბაშნი და ნუ წავახდენთ საქართველოსა...“[111].

„და მაშინ შეიყარნენ ქართველნი და ზურაბ ერისთავი, აცნობეს დიდსა და მოვიდნენ გათენების ხანსა, დაესხნენ ყიზილბაშთა, ხოლო მოურავი დიდად სახელოვან იყო მას ღამესა. მოვიდა მოურავი და მოკლა თვით შუბითა ყორჩიხა-ხან და შვილმან მისმან ავთანდილ მოკლა ყორჩიბაშის შვილი. და დაუშინეს, ამოწყვიტეს ქართველთა სრულიად ყიზილბაშნი. ესრეთ მისცა ძლევა ღმერთმან ქართველთა და გაემარჯვათ: ამოსწყვიტეს, გააქციეს და იქმნა გამარჯვება დიდი. და რა გაიქცნენ ისინი, მაშინ გამარჯვებულნი ქართველნი წარვიდნენ ფეიქარ-ხანზედ, რომელი იჯდა კახეთს და... რა წარვიდნენ, მაშინ იგრძნა ფეიქარ-ხან და წარვიდა გაქცეული, გამოუდგნენ, სდევეს ბარდამდი, ვერღარა მიეწივნენ, მაშინ მოარბიეს ქართველთა ბარდა და განძა და იავარ-ყვეს და იშოვეს მრავალი და წარმოვიდნენ და წარმოიღეს.

და გაუგზავნეს ბატონს თეიმურაზს კაცი გონიას და იხმეს თეიმურაზ. მოიყვანეს და კახეთს გააბატონეს“.

ქართველი ერის ისტორიაში ამ ერთ-ერთ უდიდეს გამარჯვებას, რომელიც 1623 წელს მოხდა, ღვთისაგან ბოძებულ დიდ წყალობად მიიჩნევდნენ ჩვენი წინაპრები: „იხსნა ღმერთმან ერი თვისი ესრეთო“[112], – წერს ვახუშტი.

„დღესა მასვე სიტყვითა მოურავისათა წარვიდნენ სპანი ქართლისანი ახალციხეს, მეორე ზურაბით კახეთს და მოურავი მოუხდა ტფილისს, აღიღო ქალაქი, ხოლო

ციხესა ვერ ავნო, ეგრევე ყვეს ახალციხესაცა“[113]. როგორც ითქვა, ფეიქარ-ხანი კახეთიდან გაიქცა, რომელსაც ქართული ლაშქარი ბარდამდე მიყვა.

„ყორჩიხა-ხანის უზარმაზარი არმიის ერთიანმა გაწყვეტამ თავზარი დასცა შაჰ-აბასს. ირანის სამხედრო ძლიერება კი, რომელიც ამ დროს თავის ზენიტში იყო, საფუძველამდე შეარყია“[114]. ისქანდერ მუნშს დაუწერია „... უდიდესი შედეგი მოჰყვა მას და დიდი ზარალი და ვნება შეხვდა და ხვდება ახლაც ხალხს“. იმდროინდელი თურქი ისტორიკოსის, იბრაჰიმ ფეჩევის აზრით, „ორმოცი წლის განმავლობაში ასეთი დიდი ზარალი შაჰს არ მოსვლია“. სააკაძის აჯანყებამ შაჰ-აბასის იმპერიის სხვა დაპყრობილი ხალხებიც აამოძრავა და „ყველგან შფოთი გაჩნდა“[115].

შაჰ-აბასმა ისა-ხან ყორჩიბაშის სარდლობით საქართველოში ახალი არმია გამოგზავნა. სამშობლოსათვის სასიკვდილოდ თავდადებული ქართული ჯარის ზიარების შემდეგ „ქართველთა მთელი სარდლობა, ერი თუ ბერი, თვით ეპისკოპოსებიც - პირადად მონაწილეობდა ბრძოლაში“[116]. ქართველებს მხარში ამოუდგა თავისი ჯარით მესხეთიდან მოსული მანუჩარ ათაბაგი „...იქმნა ბრძოლა ძლიერი. და მოისრა ყიზილბაშნი თოთხმეტი ათასი, ქართველნი და კახნი 9 ათასი... თავთაგან მოკვდა აღათანგ ხერხეულიძე, მისი სახლისკაცნი შვიდნი და ბაადურ ციციშვილი და კახი დავით. ჩოლოყაშვილი შვიდი მოკვდა და ცხრა მაჩაბელი და სხვა აზნაურიშვილი და მსახური და გლეხი მრავალი ამოწყდა და გაემარჯვა ქართველთა და გაიქცნენ ყიზილბაშნი და სდიეს გატეხილ-ხიდამდე, დახოცეს ურიცხვ“[117]. ბრძოლის ველზე დაეცნენ ეპისკოპოსები: რუსთველი და ხარჭაშნელი[118]. „ბრძოლის ველზე სპარსელებმა 60 000-მდე მეომარი დაკარგეს (რაც ირანის არმიის ნახევარს შეადგენდა). შაჰ-აბასი ფაქტობრივად დამარცხდა და იძულებული გახდა ხელი აეღო საქართველოს მიმართ თავისი აგრესიული გეგმების განხორციელებაზე. მარტყოფთან და მარაბდასთან თეიმურაზ I-ისა და გიორგი სააკაძის ხელმძღვანელობით ყიზილბაშთა ჯარის განადგურებამ შაჰ-აბასის გავლენა და ავტორიტეტი მახლობელ აღმოსავლეთში შეარყია. შექმნილი გარემოებით ოსმალეთმა ისარგებლა და ერაყი დაიბრუნა. 1625 წლის ნოემბერში ირანს ქურთისტანი აუჯანყდა. იმავე წელს ოსმალეთმა სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილი (ახალციხითურთ) დაიკავა და იგი ახალციხის საფაშოდ გადააქცია.

შექმნილ სიტუაციაში „უძლეველმა“ შაჰმა თეიმურაზთან შერიგება გადაწყვიტა. ოსმალეთის სულთანთან საომარ მდგომარეობაში მყოფი ირანის მბრძანებელი თეიმურაზის თანადგომას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

1626 წელს შაჰ-აბას I-მა განჯის ბეგლარბეგისა და თბილისის ციხისთავის დავით უნდილაძის შუამდგომლობით თეიმურაზს წყალობა და შერიგება შესთავაზა. ამ შეთანხმების ძალით შაჰი ქრისტიან თეიმურაზის ქართლ-კახეთის მეფედ სცნობდა, ხოლო თბილისისა და სომხეთ-საბარათიანოს მეფედ მაჰმადიან სიმონ II-ს (სიმონ-ხანს) ტოვებდა. ფაქტობრივად, ქართლის ტახტზე ორი მეფის ცნობით შაჰი თეიმურაზსა და სიმონ II-ის მკვეთრ დაპირისპირებას ცდილობდა. შაჰისა და თეიმურაზის ეს შეთანხმება გიორგი სააკაძის წინააღმდეგაც იყო მიმართული... ოსმალეთის სულთანი მას „ქართლის მპყრობელ მოურავ-ხანს“ უწოდებდა და ელჩებსაც მას უგზავნიდა. ამგვარად, ერთი მხრივ, თეიმურაზ I და ირანის შაჰი, ხოლო მეორე მხრივ, გიორგი სააკაძე და ოსმალეთის სულთანი...“[119]. საქართველოს ორ სასტიკ მტერს შორის სპარსული ორიენტაცია ოსმალურს სჯობდა, რადგანაც ოსმალეთი საქართველოს ინკორპორაციას ეწეოდა, ხოლო ირანს საქართველო ესაჭიროებოდა როგორც ვასალური ქვეყანა, ოსმალეთთან ომში დამხმარედ.

1626 წელს ბაზალეთის ტბასთან თეიმურაზმა სააკაძე დაამარცხა. „ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ოსმალეთი და სპარსეთი ერთმანეთს ებრძოდნენ სააკაძისა და თეიმურაზის სახით“[120]. მალე „თბილისის მეფე“ სიმონ-ხანი ზურაბ ერისთავმა ღალატით მოკლა. შაჰმა „თეიმურაზი გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფედ აღიარა“ 1631 წელს[121].

თეიმურაზ მეფე, როგორც ითქვა, შიშის ზარს სცემდა მაჰმადიან მმართველებს, სპარსეთისა და ოსმალეთის სამეფო კარს სერიოზულად აშფოთებდა თეიმურაზის საქმიანობა და მისი ფართო გეგმები, ურთიერთობა ევროპისა და რუსეთის მეფეებთან. თეიმურაზის მიერ გაგზავნილ ელჩობასთან დაკავშირებით ესპანეთის სახელმწიფო საბჭოს შეუგროვებია ცნობები ქართველთა მეფის სამხედრო ძალების შესახებ – „ცნობების ავტორი წერს: „ამჟამად იბერთა ქართველთა მეფეს აქვს შემდეგი სამხედრო ძალა: მძიმე კავალერია თავიდან ფეხებამდე აბჯარში და ჯავშანში ჩაცმული და შეიარაღებული თოფებით, შუბებით, ხმლებითა და ისრებით. ასევე ასეა შეიარაღებული 60 ათასი მხედარი, ფეხოსანი და მსუბუქი კავალერია ითვლის 40 ათას კაცს... საჭიროების შემთხვევაში მეფეს შეუძლია გამოიყვანოს ასიათასიანი ჯარი“... რადგანაც თურქები ქრისტიანობის საერთო მტრები იყვნენ და „ცნობების“ ავტორის აზრით, ისინი იმდენად დასუსტებულნი იყვნენ, რომ არც ძალა და არც შესაძლებლობა აღარ ჰქონდათ თუნდაც მცირე ძალასთან დასაპირისპირებლად, სწორედ ამიტომ „იბერთა მეფემ უნდა განახორციელოს ლაშქრობა კონსტანტინეპოლზე და პირადად ჩაუდგეს მას სათავეში საერთო მტრის წინააღმდეგ, გამოიყენოს ამისათვის ყველა ძალა“... იბერიის მეფე დარწმუნებულია, რომ ესპანეთის მეფე მიიღებს მონაწილეობას ამ ლაშქარში... ლაშქრობის დაწყება შეიძლება მომავალი 1628 წლის გაზაფხულზე“[122].

მართალია, ესპანეთიდან არავითარი ძალა არ მოსულა და თეიმურაზი ვერ ჩაუდგა სათავეში კონსტანტინეპოლისაკენ დაძრულ ლაშქარს, მაგრამ სამაგიეროდ სრულიად საქართველოს ლაშქრით 1631 წელს მან სპარსეთის მხარეებს შეუტია და სპარსთა დედაქალაქიდან არცთუ დაშორებული (არეზამდე მდებარე) ვრცელი ქვეყნები დალაშქრა.

თეიმურაზთან ერთად ლაშქრობდა დაუდხან უნდილაძე, სპარსეთის გამოჩენილი ქართველი მოხელე, რომელიც შაჰს აჯანყებოდა. აღსანიშნავია, რომ ოსმალეთის დედაქალაქისაკენ გალაშქრებას თეიმურაზი ოსმალეთის სულთანის წინააღმდეგ აჯანყებული არზრუმის ქართველი მმართველის აბას ფაშას დახმარებით აპირებდა[123].

ახლა, სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობისას თეიმურაზს „...წინასწარი სამზადისი ჰქონია და რაკი ალბათ მარტო საკუთარი სამხედრო ძალის იმედით ძნელი და სახიფათო იყო ამ საქმის ასრულება, თითქმის ყველა ქართველი, სამეფო სამთავროებიც მონაწილედ გაუხდია და თავიანთი ჯარითურთ სალაშქროდ მიუწვევია. ფ. გორგიჯანიძეს თუ დავუჯერებთ, ყარაბაღის დასაპყრობად „ლევან დადიანი ოდიშის ლაშქრით, მეფე ალექსანდრე იმერეთის ლაშქრით, მესხთ თავადნი და აზნაურნი და, თავისთავად ცხადია, ქართლ-კახეთის ჯარიც სრულ შეიყარნეს და განჯა-ყარაბაღი არეზამდისინ დაარბიეს და ააოხრეს“[124].

ამ დროს, ბარდაში, თეიმურაზთან „განძასარის სომეხთა კათალიკოსი“ მისულა „დიდის ჯარითა და ფეშქაშით“. სომეხი იერარქი თურმე თეიმურაზს დაბეჯითებით ურჩევდა ელაშქრა სპარსეთის დედაქალაქ თავრიზზე[125].

„თეიმურაზ მეფის მხრივ ყარაბაღის დარბევაც თავისთავად მეტისმეტად გაბედული და წინდაუხედავი ნაბიჯი იყო, ხოლო ის რასაც აღმოსავლეთ საქართველოს ბატონ-პატრონს სომეხთა კათალიკოსი ურჩევდა, სრულებით უგუნური, თავზეხელაღებული საქციელი იქნებოდა... სომეხთა კათალიკოზს ავიწყდებოდა, რომ სპარსეთის შაჰი მით უმეტეს შურს იძიებდა და ქართველებზე ჯავრს ამოიყრიდა, თუკი თეიმურაზი თავრიზამდის მისი ქვეყნის დარბევას გაბედავდა“[126]. საბედნიეროდ თეიმურაზმა შეწყვიტა ლაშქრობა და უკან დაბრუნდა. „ირანის შაჰი თეიმურაზის ლაშქრობამ დიდად გააცოფა“[127]. მან უნდილაძეების სპარსეთისათვის დიდად ნამსახური და სახელოვანი ოჯახი სრულიად ამოხოცა, საქართველოსაკენ კი უზარმაზარი 130 000-იანი არმია გამოგზავნა, რომელსაც თეიმურაზის გაძევება და „გურჯისტანის ვალად“ როსტომ-ხანის დასმა ევალებოდა. სპარსულ არმიას მეორე კონდოტიერი - როსტომ-ხან სააკაძე სარდლობდა.

1632 წლიდან გაძევებული თეიმურაზის ნაცვლად ქართლში 67 წლის როსტომი, ბაგრატიონთა სახლისშვილი „გამეფდა“.

დიდი წინააღმდეგობის გაწევისა და ქართველთა მრავალი აჯანყების მიუხედავად თეიმურაზმა ვერ შეძლო როსტომის დამარცხება, რადგანაც ის უმთავრესად უცხო, ყიზილბაშთა ძალას ეყრდნობოდა. თეიმურაზმა დატოვა ქართლი და კახეთში გადავიდა: „სელიმ-ხანი, რომელსაც მოსაბრუნში (ყარაღაჯის ახლოს, ჭარის პირდაპირ, ლაგოდეხის რაიონში) სასახლე აეგო და იქ დამდგარიყო, გააძევა და 1634 წ-ს კახეთი დაიკავა“[128]. ამის შემდეგ როსტომმა დიპლომატიური ხერხი იხმარა და თეიმურაზის შაჰთან შერიგება არჩია. გახარებულმა შაჰმა კვლავ ოფიციალურად ცნო ქრისტიანი თეიმურაზი კახეთის მეფედ. თეიმურაზმა გადაწყვიტა ქრისტიანობა აღედგინა დაღესტნის იმ მხარეში, რომელსაც დიდოეთს უწოდებდნენ და რომელიც ადრე კახეთში შედიოდა: „შეიყარა ჯარი, წარვიდა დიდოეთზედ, ენება მოქცევა დიდოეთისა და მიუხდა დიდოეთს და აიღო რომელიმე კოშკები... მოეშველნენ

ლეკნი დიდოთა და შემწე ეყვნენ... გამოაქცივეს ბატონი თეიმურაზ და რომელნიცა ჰყვანდა გამოჩენილი ეპისკოპოსნი, დარბაისელნი, ყოველნივე მუნ ამოწყვიტეს და ჩამოვიდა კახეთს და იტირა: – ვაი ეპისკოპოზ - დარბაისელ-ამოწყვეტილსა“[129].

სპარსთა ბატონობა (როსტომ-ხანის მმართველობა) ქართველი ხალხისათვის დამღუპველი გამოდგა. ეროვნული გადაგვარების საფრთხე ძლიერდებოდა, ამიტომაც სანამ თეიმურაზი კახეთში იყო, დასასრული არ უჩანდა მისი ინიციატივით მოწყობილ შეთქმულება-აჯანყებებს. ქართლის კათალიკოსი ევდემონ დიასამიძეც კარგად ხედავდა ეროვნულ-სარწმუნოებრივი გადაგვარების საშინელებას, ამიტომაც მისი მეთაურობით მომზადდა აჯანყება როსტომის წინააღმდეგ და ქართლის ტახტზე თეიმურაზის აღსადგენად.

1642 წელს როსტომის წინააღმდეგ დიდი შეთქმულება მოეწყო. შეთქმულებაში ზაალ ერისთავი, იოთამ ამილახვარი, ნოდარ ციციშვილი, კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე და სხვანი მონაწილეობდნენ. შეთქმულება სომხეთის მელიქმა გასცა. ამის შემდეგ კათალიკოსი არ გატყდა და შეთქმულებს როსტომის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდა, მაგრამ როსტომმა ისინი დაამარცხა. „ხოლო შეიპყრა კათალიკოზი ევდემონ როსტომ მეფემან და წარავლინა ქალაქის ციხეშია და ტყვე-ყო და ხანსა რაოდენსადმე უკანა, მუნვე ციხეში მოაშთობინა...“[130]. „შემდგომად გარდმოაგდო განჯის კარის კოშკიდამ“[131]. ასე აწამეს საქართველოს წმიდა კათალიკოსი.

როსტომი ქართული ეკლესიის სულს, აზრსა და იდეას ებრძოდა, მან ორი კათალიკოსი წაჰგვარა საპატრიარქო ტახტს, კერძოდ, კათალიკოსი ზაქარია ქართლში შემოსვლისთანავე გააძევა, ხოლო კათალიკოსი ევდემონი – მოკლა.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, ზაქარიას, საქართველოს ფარგლებს გარეთაც იცნობდნენ, როგორც ქრისტიანობისა და ქართული ეკლესიისათვის თავდადებულ მოღვაწეს, მას მრავალ წერილს წერდნენ რომის უმაღლესი სასულიერო ხელისუფალნი. მოღწეულია ზაქარიას მიერ გაგზავნილი საპასუხო წერილებიც. ზაქარია თავის წერილებში მუდამ აღნიშნავდა, რომ ქართული ეკლესია მუდამ სწორი, მართალი სარწმუნოებისა იყო და მასში ერესსა და სარწმუნოებრივ გადახრებს ადგილი არ ჰქონდა. კერძოდ, ქართველი პატრიარქი რომის პაპს ურბან VIII-ს სწერდა: „მადლობელი ვართ უფალი ღმერთის, რომ იმპერატორი კონსტანტინე დიდის დროიდან დღემდე ღმერთისა და მისი დიდებული ციური სამფლობელოს წყალობით გვაქვს მადლი და სიყვარული ნამდვილი სარწმუნოებისადმი, ქრისტეს რწმენა მტკიცედ, უცვლელად, და შეურყევლად, ღრმად და გულითადად ზის ჩვენს ორგანიზმში და განმტკიცებულია ჩვენს გულში“[132].

ამ წერილში მოყვანილი სიტყვებით, შეფარვით ნათქვამია, რომ ქართველებს არ ესაჭიროებათ სარწმუნოების არავითარი შეცვლა (ე. ი. კათოლიკობის მიღება). არ ესაჭიროებათ, რადგან მათი რწმენა – წმიდა ნინოს მიერ ქადაგებული – შეურყვნელი დარჩა.

კათალიკოსი ზაქარია სხვაგანაც წერს ურბან VIII-ს: „ჩვენს სამეფოში უფლის სიყვარული ყოველთვის გვეპყრა ხელთ და ეს რჯული ჩვენს გულებში მტკიცედ

არის გამჯდარი. თუმცაღა დრო იყო, როცა ჩვენს ქვეყანაში ძარცვასა და თარეშს ჰქონდა ადგილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ ჩვენს რჯულზე მტკიცედ ვიდექით და არავითარი შეცდომა არ დაგვიშვია"[133]. აქაც მსგავსი აზრია გატარებული: ქართველობა კათოლიკობის მიღებას არ საჭიროებს, რადგანაც სწორ რჯულს იცავს.

სხვა წერილში ზაქარია ურბან VIII-ს ექიმსა და ეკლესიების აღსადგენად კარგი ხელოსნის გაგზავნას სთხოვს და წერს: „ბევრმა უბედურებამ გაანადგურა ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ძალითა და შემწეობით ისევ გაკეთილშობილდება და გასწორდება იგი"[134].

როსტომ-ხანმა ქართლში შემოსვლისას კათალიკოს ზაქარიას ტახტი წაართვა (კათალიკოსი იმერეთში გადავიდა) და მის მაგიერ ტახტზე ახალი კათალიკოსი აიყვანა, რომელიც, როგორც ამბობდნენ, ნაკლებად სულიერი ყოფილა და თურმე უფრო მეომარს ჰგავდა, ვიდრე ბერს. ჩანს, როსტომს ამ გზით სასულიერო საქმიანობის ჩაშლა სურდა, მაგრამ ახალ კათალიკოსს ქვეყნისა და სარწმუნოებისადმი დიდი სიყვარული გამოუმჟღავნებია და მათთვის დაუდვია კიდეც თავი.

„როსტომ მეფეს დაუნიშნია ახალი კათალიკოსი (ალბათ, ევდემონ დიასამიძე), „რომელიც უფრო ჯარისკაცს ჰგავს, – წერს დონ ჯუსტი – ვიდრე მღვდელმსახურს"[135]. შეიძლება ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ქართული ეკლესიის მესაჭისათვის როსტომის დამღუპველი პოლიტიკა მიუღებელი ყოფილა და მის წინააღმდეგ გაულაშქრია.

როსტომმა ჯარები კახეთს შეუსია, თეიმურაზი დაამარცხა და ქართლ-კახეთიდან იმერეთში გახიზვნის საშუალება მისცა. „იმერეთს გახიზნული დამარცხებული თეიმურაზი ფარხმალს მაინც არ ყრიდა, ქართლის ვალის, როსტომის წინააღმდეგ და ირანის ბატონობის დასამხობად კვლავ ენერგიულად განაგრძობდა ზომების მიღებას. ამ მიზნით თეიმურაზმა, უპირველეს ყოვლისა, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა შერიგება და გაერთიანება სცადა.

ოდიშის მთავართან იმერეთის მეფის შერიგებაზე თეიმურაზი დიდ იმედებს ამყარებდა. ქართლ-კახეთის ყიზილბაშთაგან გამოხსნას იგი ოდიშისა და იმერეთის ლაშქარზე დაყრდნობით ფიქრობდა"[136].

არც ეს გამოვიდა. როსტომი – ქართლ-კახეთის მეფედ იქცა, ქვეყანა ეკონომიკურად მოღონიერდა, მაგრამ „...არღარა იყო ზრუნვა სულიერი და არა ზრუნვიდა მეფე სუფევისა და ქვეყნისათვის"[137], – წერს ვახუშტი.

ბერად აღკვეცილი თეიმურაზი 1663 წელს 74 წლისა გარდაიცვალა, უფრო ადრე 1658 წელს გარდაიცვალა როსტომი, მის ადგილზე ბაგრატიონ-მუხრან ბატონი, გამაჰმადიანებული ვახტანგი (შაჰ-ნავაზი) დასვეს.

თეიმურაზის ბერად აღკვეცამდე მაჰმადიან მპყრობელთა წინააღმდეგ კახეთი აჯანყდა, სადაც მრავლად იყვნენ თეიმურაზის ერთგულნი, განსაკუთრებით თუშ-ფშავ-ხევსურნი ერთგულობდნენ ქრისტიან მეფეს. ამ დროს „თათართა ეპყრა მონასტერი ალავერდი ციხედ და იყვნენ შიგა და სხვაცა მრავალი ადგილი კახეთისა, ბახტრიონი ციხედ ჰქონდათ და მრავალი ელი ცოლშვილით ჩამოსახლდნენ კახეთშია და მრავალსა ბოროტსა უყოფდნენ მკვიდრთა კახეთისათა, რამეთუ ენებათ სრულიად კახეთი გასათათრებლად და ელის დასახლება"[138].

„...მოაოხრეს და განრყვნეს წმიდანი ეკლესიანი. მაშინ მგზავრი ვინმე ერთი კახი ხუცესი მარტო მივიდოდა გზასა თვისსა კახეთში, ხოლო დამთხვევით შეემთხვივნეს გზაზედა მღვდელსა მას თათარნი რაოდენიმე და შეიპყრეს უსჯულოთა მათ ხუცესი იგი მტერთა მათ და მოშურნეთა ქრისტეს სჯულისათა. შეკრეს ხუცესი იგი მძლავრობით და შეამთხვივეს საქმე სიბილწისა, რომელ არს ცოდვა სოდომური და განუტევეს. ხოლო წარვიდა ხუცესი იგი და მივიდა დუშეთს. ზოგად ისხდნენ ზაალ ერისთავი და ცოლი მისი. მას ჟამსა ეპყრა კახეთი მურთუზალ ყულიხანს და ზაალ ერისთავსა... რამეთუ როსტომ მეფეს დაედგინა იგი კახეთის გამგებლად და ეპყრა ზაალ ერისთავსა ერწო-თიანეთი“. დაუჩოქა ხუცესმან და შესჩივლა: „შენ ზაალ ერისთავი ხარო, და კახეთის გამგებელი, გააოხრეს სრულიად კახეთი უსჯულოთა აგარიანთა და მე გზაზედ შემიპყრეს და შემამთხვიეს საქმე უშუვერი და ხელშეკრული გამხრწნეს... და აწ ამისი მაგიერი პასუხი ღმერთს შენ მიეც და შენ უნდა გასცე, ვინაიდგან შენდა რწმუნებულ არს კახეთი“. ხოლო რა ესმა საქმე ესე ზაალ ერისთავსა, დიდად მწუხარე იქმნა და იყო მას ჟამად ზაალ ერისთავი ყაენის მომდურავი. მაშინ შემოიფიცა ქსნის ერისთავი შალვა და ელიზბარ და კახი სუფრაჯი ბიძინა ჩოლოყაშვილი და შემოიფიცნეს მთის კაცნი-თუშნი... წარვიდნენ ღამესა ერთსა, დაესხნენ თავსა სულტანსა ბახტრიონსა და ამოწყვიტეს, და მოსრნეს ბახტრიონის ციხეში მდგომნი ელნი და რაც იყვენ, მოჰყვნენ იქიდანმე ხოცითა, ჩავიდნენ ალავერდს, და რომელნიცა მუნ იყვენენ თათარნი და ელი, რაც ესახლა, ყოველი მოსრეს პირითა მახვილისათა და ამოსწყვიტეს დედა-წულითურთ... სადაც კახეთს თათარი და ელი ესახლა, ყოველივე ამოსწყვიტეს და არა სადა დაშთა, რომე ყოველივე არ მოკლეს და რომელნიმე ივლტოდეს. წარვიდეს და განაძეს, კახეთში თათარნი აღარსად იპოებოდნენ, თვინიერ ყარაღაჯის... და განათავისუფლეს კახეთი თათართაგან და არა სადა იპოვებოდა თათარი“[139].

სპარსელებმა ამის შემდეგ კახეთის თათრებით დასახლების გეგმა უარყვეს, მაგრამ აჯანყების მეთაურები აწამეს. ზაალ არაგვის ერისთავი, აჯანყების მეთაური, ქართლის მეფემ (მისმა მტერმა ვახტანგმა) მოაკვლევინა, ხოლო სხვები სპარსეთში გააგზავნეს. „მაშინ ჩოლოყაშვილი ბიძინა სუფრაჯი, შალვა და ელიზბარ, ესენი მისცეს მკვდრის პატრონთა, ვითარც წესი და ჩვეულება არს თათართა, რამეთუ მკვლელს ხელში მისცემენ მოსისხარსა, და ყვეს სამართალი ჩვეულებისამებრ მათისა, ხოლო დაჰპატიჟეს სჯული მაჰმადისა ბიძინასა სუფრაჯს ჩოლოყაშვილს, შალვას და ელიზბარს, მაშინ დიდად მხნედ გამოჩნდეს სამნივე ესე მოწამენი და უმეტეს ბიძინა ჩოლოყაშვილი სუფრაჯი წადიერად იღუწოდა წამებისათვის: განბასრეს მათ და გინებულ ჰყვეს სჯული მაჰმადისა. მაშინ ბიძინა ჩოლოყაშვილი განამხნობდა შალვას და ელიზბარს და ეტყოდა: „ნუ მოვმედგრდებით და ნუ შეუშინდებით, არამედ მივსცეთ თავი ჩვენი ქრისტესათვის სიკვდილსა, რამეთუ სიკვდილი უნებლიედ თანაგვაც და ვერავინ წინააღუდგების სიკვდილსა, აჰა, ჟამი ესე არს შესვლად სასუფეველსა შინა“, ერთხმობით სამთავე აღიარეს ქრისტეს სარწმუნოება და უარყვეს სჯული მაჰმადისა. ხოლო მათ მახვილებით

დაჭრეს იგინი ასოეულად და დახვრიტეს რომელიმე თოფითა და რომელთამე მახვილითა დაჭრნეს. და აღსასრული სარბიელი წამებისა მიიღეს და იქმნეს ვითარცა სხვანი პირველნი მოწამენი, გვირგვინოსან და აწ იხარებენ ზეცისა სასუფეველსა შინა“[140].

თეიმურაზისა და საქართველოს სხვა ერთგულ შვილთა თავდადებამ ქრისტეს სარწმუნოებისადმი იმ დროს ქვეყანა სრული გადაგვარებისაგან იხსნა. ქართველთა მთავარი ორიენტირი კვლავ სარწმუნოება და მამული იყო.

საუბედუროდ, მაჰმადიანურ სახელმწიფოებთან ომში თეიმურაზი დამარცხდა. ქართულმა სახელმწიფოებრიობამ თვისობრივად სხვა სახე მიიღო. აღმოსავლეთ საქართველოში სპარსთა ვასალურმა ქართულმა სახელმწიფომ (ქართულმა სამეფომ სპარსული სახელმწიფოს საზღვრებში) 1744 წლამდე იარსება, მას აღარ შეეძლო აშკარად გამოხატული ეროვნული სახე ჰქონოდა, რაც იმითაც გამოიხატა, რომ „ქართველობას“ ანუ „ქართულ ქრისტიანობას“ თავისსავე სამშობლოში არათუ არავითარი უპირატესობა არ ჰქონდა, არამედ ქრისტიანობის სხვა სექტებთან გათანაბრებული და დამცირებულიც კი იყო.

თეიმურაზის ცხოვრების ბოლო დღეების ქრონიკა, თანახმად ვახუშტისა, ასეთი ყოფილა: მას თავისი ამქვეყნიური ცხოვრება დაუტოვებია როგორც სქემოსან ბერს, შაჰის მიერ დაპატიმრებულს ქრისტიანობის დაცვისათვის, ამიტომაც მისი ცხოვრების დასასრული წმიდამოწამებრივია.

იმერეთის სკანდის ციხიდან თეიმურაზი ვახტანგ V შაჰნავაზმა ირანში გაგზავნა, სადაც შაჰი გარკვეულ დრომდე კარგად ეპყრობოდა: „მისრული თეიმურაზ პატივით შეიწყნარა ყეენმან შაჰ-აბაზ, ანადიმებდა და ანადირებდა თვისთა თანა და ნიჭვიდა მრავალსა. დღესა ერთსა ეტყოდა თეიმურაზს შაჰ-აბაზ, რათა დაუტეოს ქრისტე. ხოლო თეიმურაზ არცადათუ ისმინა. კვლავად ნადიმობასა შინა ეტყოდა ჭამასა ხორცისასა, რამეთუ იყო მარხვა, არც ესე ინება თეიმურაზ, განრისხნა შაჰ-აბაზ და შეაქცია თასითა ღვინო პირსა ზედა ხელითა თვისითა თეიმურაზს. იწყინა კადნიერება ესე თეიმურაზ... მეორე დღეს წარვიდა შაჰ-აბაზ და თეიმურაზ წარავლინა ასტარაბადს პატიმრად... ხოლო მისრული ასტარაბადს ბატონი თეიმურაზ მასვე ზამთარსა გარდაიცვალა, შემონაზონებული და სქემოსანი 1663. შემდგომად ევედრნენ კახნი მუნ მყოფნი, რათა წარმოიღონ გვამი თეიმურაზისა კახეთს... წარმოიღეს და მოიღეს ალავერდსა. მაშინ შეკრიბნენ კათალიკოს-ეპისკოპოსნი ქართლ-კახეთისათა ბრძანებითა მეფისა ვახტანგისათა და დაფლეს ალავერდს 1664“[141].

ტყვეთა სყიდვა

XVII საუკუნისათვის საქართველოში ტყვეთა სყიდვა გავრცელდა. ეს საშინელი და საზოგადო ცოდვა მანამდე ჩვენი ხალხისათვის უცხო იყო. „ფორმები, რომლებიც ამ მოვლენამ მიიღო ჩვენში, გაცილებით უფრო მძიმე და ამორალურია, ვიდრე ტყვეებით-მონებით ვაჭრობის ის ფორმები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა

როგორც შუა საუკუნეებამდე, ისე შემდეგ – ახალ საუკუნეებში, მსოფლიოს რომელი კუთხეც არ უნდა ავიღოთ“[142].

ტყვეთა სყიდვის გავრცელება უჩვენებს, რომ ამ დროისათვის ჩვენი ხალხი მორალურად დაცემულა, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ტყვეთა სყიდვა უფრო გარეშე ძალთაგან იძულების შედეგად ხდებოდა და არა თავისუფალი ნებით.

სპარსეთმა და ოსმალეთმა აღნიშნული პერიოდისათვის ყველა თავისი მეზობელი ქვეყანა დაიპყრეს და უზარმაზარი იმპერიები შექმნეს, მხოლოდ ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულების ურჩობას ვერ მოუხერხეს ვერაფერი. ამასობაში მოსკოვის რუსეთის სახელმწიფოც გაფართოვდა და ჩრდილო კავკასიის გამაჰმადიანებულ სპარსეთ-ოსმალთაგან ხელდებულ ქვეყნებს მოადგა. რუსეთის ერთმორწმუნე დაუმარცხებელ-დაუმორჩილებელი ქართული სახელმწიფოებრიობა მაჰმადიანური იმპერიების სერიოზულ შეშფოთებას იწვევდა.

საქართველო, ქართველი ხალხი სპარსეთ-ოსმალეთთან მუდმივ საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა, სწორედ ამიტომ განგებ თუ ქვეცნობიერად გადაწყვიტეს დაუმორჩილებელ, ფაქტობრივად ეკონომიკურ ბლოკადაში მოქცეულ საქართველოში (დასავლეთ საქართველოს მარილს, რკინასა და სხვა ნაწარმს გარკვეულ პერიოდში არ აწვდიდნენ) ქართული მოსახლეობის ჯანმრთელი ნაწილი ფულით შეესყიდათ და ქვეყანა მოსახლეობისაგან დაეცალათ. ამასვე გვიდასტურებს მისიონერთა აღწერილობაც. სპარსელ-ოსმალები საქართველოში მხოლოდ ქრისტიანს, ე. ი. ქართველს ყიდულობდნენ. სხვა სარწმუნოების მქონენი (ე. ი. არაქართველნი) მათთვის საინტერესო არ იყო, რაც იმაზე მეტყველებს, რომ თათრები წინასწარ შემუშავებული გეგმით მოქმედებდნენ.

„იმის დასადასტურებლად, რომ სპარსელებს და თურქებს სწორედ ქრისტიანი ყმაწვილები აინტერესებდათ და არა სხვა, დონ ჯუსტი პრატოს მოაქვს ერთი მაგალითი: „გასულ წელს მეფე თეიმურაზს მადლობა უნდა გადაეხადა ერთ-ერთი სპარსელი ბატონისათვის, მისგან მიღებული ერთ-ერთი სამსახურისათვის. ამ მიზნით თეიმურაზმა იყიდა საქართველოს მეზობელ მხარეში მცხოვრებ კერპთაყვანისმცემელთაგან ოთხი ყმაწვილი და საჩუქრად გაუგზავნა იმ სპარსელს, მიიღო რა ისინი სპარსელმა, თუმცა ბიჭები იყვნენ თავისთავად ლამაზნი, მან მაშინვე შენიშნა, რომ ისინი კერპთაყვანისმცემლები იყვნენ და წამოიძახა: „არა, აბა მხოლოდ ერთი შეხედეთ, ვინ გამომიგზავნეს, მე მინდოდა მიმეღო ვინმე ქრისტიანი და არა კერპთაყვანისმცემელი, რომელიც მე თვითონ ბევრი მყავს“[143].

როსტომ მეფე-ხანმა, რომელიც სპარსელთა ნების უერთგულესი აღმსრულებელი იყო, სასწრაფოდ მოშალა მანამდე არსებული წესი თათრებისათვის საქართველოდან არაქრისტიანი მონების გაგზავნისა და შემოიღო ახალი – სპარსელებთან მონებად ქართველების გაგზავნისა.

როსტომ-ხანამდე სპარსელებმა ქართლის მეფე სვიმონს დაადეს ხარკად ტყვეების მონებად გაგზავნა. მართალია, სვიმონი იძულებული იყო რომ ხარკი ეძლია, მაგრამ სპარსეთში იგი ქართველების ნაცვლად ბრძოლების დროს ხელში ჩაგდებულ ტყვეებს და სხვა ქვეყნებში ნაყიდ მონებს აგზავნიდა. სვიმონი „...ამ წესით იქმოდა: ანუ ძეს ურიისასა, ანუ ნასყიდსა ანუ ოსთასა გაგზავნიდა, ხოლო ამან (ე. ი. როსტომმა) გამოიყვანა ქართველ გლეხთა, აზნაურთა, დიდებულთა ასულნი და

ვაჟნი და მას გაუგზავნა, ამიერითგან დაიდვა ესე და ყოველნი მეფენი საქართველოსანი ესრეთ ჰყოფდნენ, ვიდრე მოდღეინდელ დღემდე“[144], – წერს ბერი ეგნატაშვილი.

„და ამიერითგან შემოვიდა ზოგ-ზოგან ტყვის სყიდვა თავადებისაგან და რომელნიცა იყვნენ ობოლნი და ქვრივნი, გამოიყვანებდნენ და გაჰყიდნენ და გამრავლდა ცოდვა“[145]. ამასვე იმეორებს ვახუშტიც: „არამედ კვალად შესძინა როსტომ, რამეთუ სვიმონ მოყიდულთა ტყვეთა წარუვლენდა ყეენსა, ხოლო ესე გამოიყვანდა მთავართა და აზნაურთა შვილთა, ვაჟთა და ქალთა, და წარუგზავნიდა. ამისთა მხილველთა ქართველთა იწყეს იდუმალ ტყვის სყიდვა, ქვრივთა და ობოლთა, რამეთუ გამრავლდა სიბოროტე, ვინაიდგან არღარა იყო ზრუნვა სულიერი და არა ზრუნავდა მეფე სუფევისა და ქვეყანისათვის, გარნა განცხრომისათვის, ვითარცა წესი არს მაჰმადიანთა, ამისათვის მიიტაცეს მთავართა თვისთ თვისნი მხარენი, ქვეყანა-ციხე-სიმაგრენი, სამეფონი და დაბნები“[146].

„როგორც დონ ჯუსტი პრატო და ასევე სხვა კათოლიკე მისიონერები აღნიშნავდნენ, სპარსელები და თურქები ყველა საშუალებას მიმართავდნენ, რათა საქართველოდან წაეყვანათ ახალგაზრდები. ისინი მათ იყენებდნენ პირველ რიგში თავიანთი ლაშქრის გასაძლიერებლად და ასევე ამით დიდ ზიანს აყენებდნენ საქართველოს. აქ ხომ ათეულ და ასეულ ყმაწვილზე არაა ლაპარაკი, არამედ ათასობით ახალგაზრდაზე, რომლისაგან საქართველო განუწყვეტლივ იცლებოდა და ქვეყანა ნადგურდებოდა.

წარმოდგენაც კი ძნელია, – წერს დონ ჯუსტი პრატო – თუ რამდენად დიდია სპარსეთისა და კონსტანტინოპოლელი თურქების სიხარბე ყმაწვილი ქრისტიანებისადმი. ამ მხარეებში ვერავინ ბედავს გადაიყვანოს ბიჭები ერთი ადგილიდან მეორეში, მაშინაც კი, როდესაც მას მიჰყვება საკუთარი მამა. მცირე მოწყალების ფასად (სპარსელები და თურქები) ართმევენ მათ ბავშვებს, არა მარტო იმიტომ, რომ იყოლიონ ბავშვები, არამედ იმ მიზნით, რომ აიძულონ ისინი უარი თქვან ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, რომელიც მეტად სძულთ“[147].

მისიონერების დაკვირვებითაც ჩანს, რომ სპარსელებსა და თურქებს საქართველოდან ტყვეთა სყიდვა ქრისტიანობისა და ქართველობის აღმოფხვრისათვის ნებავდათ.

ქართველები მასობრივად გაჰყავდათ ტყვე-მონების სახით. არა მარტო სპარსეთისა და თურქეთის ცენტრალური ოლქები, არამედ პროვინციებიც (ეგვიპტე, ერაყი და სხვა) სავსე იყო ქართველი მონებით.

ევლია ჩელებს ქართველი ტყვეები შეუძენია თავრიზში, ახალციხეში, ყარსში, არზრუმში, ბაქოში, ერევანში და სხვაგან.

„თავრიზის ხანს ევლიას სიმღერა მოეწონა და „ერთი ქართველი ბიჭი“ უბოძა. ევლია ჩელები აღნიშნავს, რომ მას აჩუქეს: ახალციხის განმგებელმა საფარ-ფაშამ „ორი ქართველი ბიჭი“, ყარსის ფაშამ – „ორი ქართველი ბიჭი“, არზრუმის ფაშამ – ორი „ქართველი მონა“, სეილი ფაშამ – „ორი ქართველი ბიჭი“, ვარდარ ალი-ფაშამ – ერთი „ქართველი ბიჭი“, მურთაზ ფაშამ – „ქართველი მონა“, ბაქოში – „ქართველი ბიჭი“... ერევნის ხანმა არზრუმის ფაშას მისი ხელით საჩუქრებთან ერთად ექვსი „ქართველი ბიჭი“ გაუგზავნა, თავრიზის ხანმა არზრუმის ფაშას ორი „ქართველი ბიჭი“ გაუგზავნა...“[148]. ქართველი მონები არა მარტო მაჰმადიანთა,

არამედ იუდეველთა და გრიგორიანთა ოჯახებშიც ჰყავდათ. გიუდენშდეტი აღნიშნავს, რომ ქართველები, რომლებსაც „ენასთან ერთად სარწმუნოებაც დაუკარგავთ“, მრავლად ყოფილან კავკასიელ არაქართველ მთიელთა შორისაც. ისმის ძალზე მნიშვნელოვანი კითხვა, რომელსაც რატომღაც ყურადღება არ ექცევა, ტყვეებად გაყიდულნი, ანუ არამართლმადიდებლურ გარემოში მცხოვრები ქართველები ეროვნებას ჰკარგავდნენ თუ ინარჩუნებდნენ?

ქართველები ჰკარგავდნენ ეროვნებას და სხვა ხალხებთან სრულ ასიმილაციას განიცდიდნენ. სპარსეთში სპარსელები ხდებოდნენ, ოსმალეთში – თურქები, ეგვიპტესა და ერაყში – არაბები, გრიგორიანულ ოჯახებში – სომხები, იუდეველთა შორის – ებრაელები, ხოლო კათოლიკეთა შორის – „ფრანგები“.

1628 წელს გორში მოსულმა ავგუსტინელმა ბერმა პატრი ამბროზიმ, 1640 წელს რომში გაგზავნა მოხსენება, რომელშიც კერძოდ წერს: „ამ ქრისტიანების ქვეყანაში კვალად შეიძლება ბევრი კეთილის ქმნა რამდენიმე მამულ-სოფლების ყიდვით, როგორადაც შვრებიან სომხები, რომლებისაც თუმცა დიდი სიმძულვარე აქვთ ქართველებს სარწმუნოების საქმეში, მაგრამ რაკი მათი ხელქვეითი გახდებიან, ბევრი მათგანი გადადის სომხების წესზედ. ამაზედ უარესიც ვნახეთ – ზოგიერთმა საქართველოში მცხოვრებმა მდიდარმა ურიებმა გააურიავეს რამდენიმე თავიანთი ყმა და მოსამსახურე“[149].

როგორც ევროპელი მისიონერების დაკვირვება უჩვენებს, ქართველები (ამ შემთხვევაში ყმა (მონა) - მოსამსახურენი) თვით საქართველოშივე ჰკარგავდნენ ეროვნებას, მით უმეტეს უცხოეთში, მათთვის მართლმადიდებლობის დაკარგვა ეროვნების დაკარგვას უდრიდა, რის ფასადაც ხშირად დიდ თანამდებობებსაც იღებდნენ.

„განსაკუთრებით სპარსეთში ბევრი იყო ქართველი: „დღეს მთელი სპარსეთი სავსეა ქართველებით – რჯულგანდგომილებით, წერს დონ ჯუსტი პრატო, – მათ ხელშია ყველა დიდი თანამდებობაც კი სახელმწიფოში“[150].

„სპარსელთა სისხლი გაკეთილშობილებულია ორი ეროვნების – ქართველების და ჩერქეზების სისხლით, რომლებიც ყველა სხვა ხალხზე ლამაზები არიან. სპარსეთში თითქმის არ არის არც ერთი წარჩინებული, რომლის დედა ქართველების ან ჩერქეზების შთამომავალნი არ იყოს“[151]. ტყვეთა სყიდვა, რომელშიც ადგილობრივი თავად-აზნაურები აქტიურად მონაწილეობდნენ, ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის ცნობით, XVII ს-ში ყოველწლიურად მარტო სამეგრელოდან 3 000 ტყვე გაჰყავდათ ოსმალეთში, სადაც ახალგაზრდა ვაჟებს იანიჩართა რაზმში რიცხავდნენ, ახალგაზრდა ქალებს სულთნისა და მისი ფაშების ჰარამხანებში აგზავნიდნენ. ხოლო ხანში შესულებს მონებად ჰყიდდნენ. ოსმალების წარჩინებულთა სასახლეებში იმ დროისათვის მრავლად იყვნენ გაყიდული ქართველები, ტყვეებით ვაჭრობამ დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით მძიმე ხასიათი XVII ს-დან მიიღო. „იმერეთის მეფეებს, თუ გურიისა და ოდიშის მთავრებს დამპყრობელი ქვეყნებისათვის (თურქეთი, ირანი) პერიოდული თუ ერთდროული ხარკი ხშირად ადამიანთა (ქალ-ვაჟთა) განსაზღვრული რაოდენობით უნდა გადაეხადათ. ამავე დროს მთავრებსა და დიდებულებს თავიანთი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, საჭირო უცხო საქონელიც ტყვეებზე გადაცვლით უნდა შეეძინათ“[152].

როგორც ითქვა, სპარსეთმა და ოსმალეთმა საგანგებო პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პირობები შექმნეს, რომელიც ქართველებს აიძულებდა საგარეო ვაჭრობის ძირითად ფორმად ქართველების მონათა ბაზარზე გაყიდვა ექციათ.

„...რიზე, გონია და ტრაპიზონიდან მოდის მრავალი თურქი ვაჭარი. მათ მოაქვთ ბლომად ფული და ტანისამოსი, რაც ფრიად ეჭირვება აქაურ ხალხს. თურქები კი სამაგიეროდ მხოლოდ ტყვეებს თხოულობენ. ამიტომაც აქ მოჰყავთ თურქებზე ტყვედ გასაყიდად ქართველებიც და აფხაზებიც. ყველანი ისე არიან დახელოვნებული ამ ხელობაში,რომ ადვილად იპარავენ,როგორც მამაკაცებს,ისე დედაკაცებს, დიდებსაც და პატარებსაც. ზოგჯერ ასეთი ავაზაკები ღამე თავს დაესხმიან მეზობლის სახლს, შეტეხენ ძალით სახლის კარს, შებოჭავენ, ვისაც კი შიგ იპოვიან და პირდაპირ ქობულეთში გააქანებენ თურქებზე გასაყიდად“[153], „ტყვის ასეთ ვაჭრობას დაბალი ფენის წარმომადგენელნი აწარმოებდნენ“[154].

ჟან შარდენის ცნობით, „ტყვეთა სყიდვამ“ სამეგრელოს 40 000-იანი მოსახლეობა 1640-იანი წლებიდან მოყოლებული სულ რაღაც 30 წლის განმავლობაში 20 000-მდე შეამცირა[155].

ქართველობა ძალზე მწარედ განიცდიდა ტყვედ გაყიდვას, რასაც, როგორც წესი, თან ერთვოდა ქრისტიანობის დათმობა, ეს კი ოჯახსა და სახლ-კარის დაკარგვაზე მეტად ამწარებდა და სასოწარკვეთაში აგდებდა ადამიანებს. „პატრი იოსებ რომაელი 1675 წელს რომში გაგზავნილ წერილში წერს: „...უმანკო ბავშვებს, თუ ვაჟებს და ქალებს, სავაჭრო მოედანზე ჰყიდიან ოხერ ფასად, რათა მით დააკმაყოფილონ ოსმალების უწმინდური მადა, გვესმის და ვხედავთ მათ ჟღავილს და ტირილს. ამ დროს ზოგი მდინარეში თავს იგდებს, ზოგი თვალებს ითხრის და ზოგიც ცხვირს იჭრის, რათა ურწმუნოებმა აღარ იყიდონ და წმიდა სარწმუნოება არ დაატოვებინონ“[156].

კიდევ უფრო მეტიც, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ხალხის ერთი ნაწილი, დარწმუნებული შვილების ტყვეებად წაყვანასა და გათათრებაში, მზად იყო მათ დასახოცად, ოღონდ მათი გათათრება თავიდან აეცილებინა. „ყველა თათრის ხელთ არის და თათრდება. ასე შეიქმნა ოდიში. კაცები ასრე შეჭირვებაში არიან, რომ შვილი რომ ეყოლებათ, მოარჩობენ თავის ხელითა – თათარს მისცემენო, იმის გულისათვის ჩვენ მოვკლავთო ჩვენი ხელითაო“, – წერდა XVII ს-ში ერთი რუსეთში გადახვეწილი ქართველი[157].

ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „არც ერთ ომს, არც ერთ უცხოელ დამპყრობელს ხმლით იმდენი ზარალი არ მიუყენებია საქართველოსათვის, რამდენიც ამ „მშვიდობიან“ ტყვეთა სყიდვამ მიაყენა მას“[158].

მაგრამ საქართველოს აზარალებდა არა მარტო „მშვიდობიანი” ტყვეთა სყიდვა, არამედ ომის დროსაც დატყვევებული ქართველების გადასახლებაც სპარსეთ-ოსმალეთსა და სხვა ქვეყნებში. შაჰ-აბას I-მა აღმოსავლეთ საქართველოში ზედიზედ სამი ლაშქრობის დროს (1613-1617 წ.წ.),დონ ჯუსტო პრატოს ცნობით, 60 ათასი ოჯახი წაიყვანა საქართველოდან, თითო ოჯახი არანაკლებ ოთხ სულს გულისხმობს. აქედან, მისივე ცნობით, 1633 წლისათვის ამ რიცხვიდან დარჩენილი იყო მხოლოდ 20 ათასი ოჯახი, დანარჩენი დაიხოცა. ამრიგად, განაგრძობს დონ ჯუსტი პრატო, „ქართველების შემწეობით სპარსეთი გამდიდრდა...“[159].

კახეთიდან „...1614 წელს სპარსელებმა ტყვედ წაიყვანეს 30 ათასი კაცი... ხოლო 1616 წელს დახოცეს 70 ათასი და ტყვედ ჩაიგდეს 130 ათასი კაცი (ისქანდერ-ბეგ მუნში, აბასის ისტორია, თეირანი, 1971, გვ. 875, 900)... 1625 წლის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ კახეთიდან 100 ათასამდე კაცი იქნა გადასახლებული ირანში“[160].

მრავალი მკვიდრი ქართველი საქართველოს სხვადასხვა მხარეში – საინგილოში (აღმოსავლეთ კახეთში), დვალეთში, აფხაზეთში - ჩრდილო კავკასიიდან შემოსული ტომების ტყვეებად, მონა-შინაყმებად გადაიქცა. თვით საქართველოს შუაგულშიც ქართველები არამართლმადიდებელი ბატონების (მაჰმადიანების, გრიგორიანების) მონები და შინაყმები ხდებოდნენ, ყველა შემთხვევაში ქართველები ეროვნებას კარგავდნენ.

„ამ მხრივ საინტერესო ჩანს მაკარი ანტიოქიელის ცნობა, რომელიც XVII ს-ის 60-იანი წლების დასავლეთ საქართველოში არსებულ მდგომარეობას აგვისახავს: „მთელი ვაჭრობა ქართველთა ხელქვეითი სომხების, ებრაელების და ზოგიერთი ბერძნის ხელთაა. ეს ვაჭრები, მიუხედავად იმისა, რომ ამა თუ იმ ნივთს ქართველებთან ყიდიან ორჯერ და სამჯერ უფრო ძვირად, სარგებლობენ მათი პატივისცემით, ეს სომხები და ებრაელები წარმოადგენენ მდიდართა კლასს საქართველოში, და მათ წინაშე ყველა ქართველი დავალებულია განურჩევლად წარჩინებულობისა და მმართველობისა. ყოველ ამ ვაჭართაგანს ოჯახში ყავს ქართველი გოგო-ბიჭი მსახურად, რომელსაც როგორც უნდა ისე ექცევიან“[161].

ასევე იყო აღმოსავლეთ საქართველოშიც. ცნობილია, რომ როსტომ-ხანის მეფობისას თბილისის მმართველობა სომხური (გრიგორიანული) სარწმუნოების მქონე მოქალაქეებმა ჩაიგდეს ხელში (თუმცა, როგორც ჩანს, წარმოშობით ქართველები იყვნენ). სომეხ მოქალაქეთა ოჯახებში, ჩვეულებრივ, მრავალი ქართველი ყმა – შინამოსამსახურე და ყმა ხელოსანი (ფეიქრები, მესანთლე, მექუდეები, ხელითმოვაჭრენი, მხერხავნი, მებაღენი და სხვა) ჰყავდათ.

„მართლაც, მოქალაქეები თუ მსხვილი ვაჭრები საქართველოს ქალაქებში მნიშვნელოვან ქონებას იძენდნენ... ყალოიანთ გიორგის თბილისის მარტო ერთ უბანში 6 დუქანი ჰქონდა, დუქნების გარდა იგი ქალაქში ყმებსაც იძენდა, მაგ., 1742 წელს მან დავით თარხნიშვილისაგან იყიდა ყმა ერთაწმინდელი ხუციშვილი პაპუნა... თბილისის ვაჭარი ქალაქში იძენდა დუქნებს, ბაღებსა და ყმებსაც... ხელოსნებსაც და ამასთან მართლმადიდებლური სარწმუნოებისას“[162].

როგორც ცნობილია, გრიგორიანი მებატონის ყმა-შინამოსამსახურენი, თუ ყმა-ხელოსნები გრიგორიანობას იღებდნენ, რის შედეგადაც ქართველობას კარგავდნენ და სომხდებოდნენ. ჩანს, ასეთივე იყო სხვა ეროვნების მებატონეთა ხელქვეითი ქართველების ბედი. როგორც ზემოთ, მისიონერის წერილში იყო აღნიშნული, იუდეური სარწმუნოების მებატონის ხელქვეითი ქართველები – ებრაელდებოდნენ. მისიონერებსაც ჰყავდათ ქართველი ტყვე – შინამოსამსახურენი, რომლებსაც კათოლიკურ სარწმუნოებას აღებინებდნენ. ასე „გაფრანგებული“ ქართველები „თავისუფლდებოდნენ“ და წარმატებითაც კი მოღვაწეობდნენ კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებისათვის სხვადასხვა ქვეყანაში.

ჩანს, ასევე ყოფილა აფხაზეთში. ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსული მთიელი ტომები, რომლებსაც უცხოელები ხშირად „აბაზებს“, ხოლო ქართველები ინერციით „აფხაზებს“ უწოდებდნენ, თავს ესხმოდნენ ოდიშს. მრავალი დატყვევებული ქართველი აფხაზეთში მიჰყავდათ.

„არქანჯელო ლამბერტის ცნობით: „იმ დროს, როცა დადიანი (ლევან II) გართული იყო თავისი ძმისაგან დაწყებული ამბოხის დაცხრომით, აფხაზები სულ თავს ესხმოდნენ სამეგრელოს საზღვრებს, რომელიც თითქმის სრულიად გააოხრეს, მაცხოვრებლები დაატყვევეს და აფხაზეთში გადაასახლეს“[163].

„აფხაზთა თავდასხმები ოდიშზე განსაკუთრებით გაძლიერდა XVII ს-ის ბოლოს. XVII ს-ის 60-იანი წლებიდან თანდათან გაძლიერებას იწყებენ აფხაზეთის მთავრები – შერვაშიძეები, რომლებიც ოსმალეთის მოხარკეებად ითვლებოდნენ. აფხაზეთის მთავრებმა თანდათან დაიკავეს ტერიტორია მდინარე კოდორიდან ენგურამდე. ამ ტერიტორიაზე მთლად მოსპეს ადგილობრივი მოსახლეობა. ვინც შიმშილს, მახვილს და ავადმყოფობას გადაურჩა, ოსმალეთში გაჰყიდეს ტყვეებად, ხოლო ამ ტერიტორიაზე აფხაზები დასახლდნენ“[164].

როგორც აღინიშნა, აფხაზეთში ჩამოსახლებული ადიღეური ტომები, რომელთაც ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინცია აფხაზეთში დამკვიდრების გამო ქართველები – „აფხაზებს“ უწოდებდნენ, მრავლად იტაცებდნენ საქართველოს სხვა პროვინციებიდან ტყვეებს. გარდა ამისა, ძველქართულ პროვინცია აფხაზეთში შეუძლებელია სრულიად ამოწყვეტილიყო მკვიდრი ქართველი მოსახლეობა. მეცნიერის განცხადება „ამ ტერიტორიაზე მთლად მოსპეს ადგილობრივი მოსახლეობა“ (იგულისხმება ოდიში, ენგურის მარჯვენა სანაპირო კოდორამდე), შეიძლება არ იყო სრული ჭეშმარიტება. უფრო საგულისხმოა, რომ მომხვდურმა გაბატონებულმა მთიელებმა მკვიდრი ქართული მოსახლეობის გადარჩენილი ნაწილი დაიმონეს და შინაყმებად და შინამოსამსახურეებად აქციეს, ამას უნდა მიუთითებდეს ის, რომ აფხაზეთის მოსახლეობის საკმაოდ დიდ დამონებულ ნაწილს „ახოიუ“ – ქართველები, „აგირუა“ – მეგრელი და „აგური“ – გურული შეადგენდა.

ქართული მოსახლეობის დაბალი ფენა (გლეხობა) აფხაზეთში გადაიქცა ჩამოსახლებული და გაბატონებული მთიელების მონებად, შინაყმებად. ამიტომაც უწოდებდნენ მათ „აგირუა“ „აგურს“ (ეს სიტყვები როგორც აღინიშნა, „მეგრელს“ და „გურულს“ აფხაზურად ნიშნავდა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ სიტყვების ფუძე „გრ“ („გირ“, „გურ“) „ქართველის“ აღმნიშვნელად ამავე დროს მრავალი ერის მეტყველებაში გამოიყენებოდა („გურ-ჯი“, „გეო-რგიენ“). ამასთანავე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის თვით სახელწოდებაში - „მარგველი“, გურული, მეგრელი, აღნიშნული ფუძე „რგ“ – ფიგურირებს, რაც ფუძე „გრ“-ს ვარიანტია. აღნიშნულ პერიოდში იმერეთის მეფე თავისი ქვეყნის მოსახლეობას უწოდებდა არა „იმერლებს“, არამედ „მარგველებს“. მაგალითად, იმერეთის მეფე გიორგი ერთ მომენტთან დაკავშირებით ამბობს – „...წალდნი აქვთ მრავალთ ჩვენთა მარგველთაცა“[165]. ე. ი. ნაჯახები (წალდები) ჩემი სამეფოს მოსახლეობას ანუ მარგველებსაც აქვთო. „გრ“-„რგ“ ქართველთა თვითსახელწოდების ეთნოფუძეა[166].

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით აფხაზური „აგირიუა“ და „აგური“ არა მარტო მეგრელს და გურულს, არამედ საერთოდ ქართველს – გურჯს უნდა

აღნიშნავდეს. ასე უწოდებდნენ ქართველებს თურქები, ამიტომაც აფხაზების შინაყმები „მუშები“, „მზარეულები“, „საჭმლის მომმზადებლები“ (მოსამსახურენი) და სხვა, ეროვნებით ქართველებს (მკვიდრ-დამონებულ ანდა მოყვანილ დატყვევებულთ) წარმოადგენენ. მათ ასევე „ახოიუ“ ეწოდებოდათ.

საერთოდ „ახოიუ“ აფხაზეთის გლეხობის ერთ-ერთ კატეგორიას წარმოადგენდა, აფხაზეთის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა. „ტერმინი ახოიუ ნიშნავს „საჭმლის მომმზადებელს“ (მოსამსახურეს). ამ ტერმინს თარგმნიან აგრეთვე „მუშის“ ან „მზარეულის“ მნიშვნელობით. სამურზაყანოში „ახოიუ“ „დოლმახორედაც“ იწოდებოდა (დოლმახორე „ახლოს, მახლობლად მცხოვრებს“ ნიშნავს). ტერმინ ახოიუში ასახულია მისი თავდაპირველი და მთავარი მოვალეობა, რომელიც შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა. ახოიუს ზოგჯერ უწოდებენ „აგირუას“ (მეგრელი) ან კიდევ „აგურს“ (გურული)“[167].

ახოიუ ბეგარის გადამხდელი გლეხია, მებეგარეა. „ახოიუ მებეგარეს პირადი თავისუფლება დაკარგული აქვს და უფრო მძიმე უღელი ადევს, ვიდრე ამაცურაზკუს, მათი რიგების შევსება ხდებოდა ტყვე ან ნაყიდი გლეხების მიწაზე მიმაგრებით“[168]. ასე თუ ისე, ქართველები მთიელი ტომების „მონები“ ხდებოდნენ. ასე იყო არა მარტო აფხაზეთში, არამედ საინგილოშიც, სადაც დაღესტნელებმა აღმოსავლეთ კახეთის ქართველი გლეხობა დაიმორჩილეს. ასევე იყო შიდა ქართლის მთიანეთშიც, რომელსაც შემდგომში დვალეთ – „ოსეთი“ ეწოდა.

როგორც ითქვა, ტყვეთა სყიდვის ცოდვამ საქართველოში ჩამოყალიბებული სახე XVII საუკუნეში მიიღო. ქართველი მემატიანეები მიიჩნევდნენ, რომ ამ უბედურების ფუძემდებელნი აღმოსავლეთში როსტომ მეფე-ხანი[169], ხოლო დასავლეთ საქართველოში ლევან დადიანი იყვნენ. „ამას ჟამსა შემოიღო ლევან დადიანმა ტყვის სყიდვა და თავის დახსნა, რამეთუ არა იყო მანამდე სყიდვა ტყვისა“[170]. ქართველი მემატიანეები დაბეჯითებით მიუთითებდნენ, რომ ლევან დადიანამდე და როსტომ-ხანამდე ქართველები ტყვეებად არ იყიდებოდნენ. ლევან დადიანის შესახებ ბერი ეგნატაშვილი ამბობს – „აჰა, რისხვა ღმრთისა ულხინელი მოქმედთა ამის ბოროტისათა, რამეთუ მან განაწესა ბოროტისა მის მტერისა მიერ წარმოთხეული გესლი იგი იუდაებრივი, რომელმაც განყიდა ვერცხლად შემოქმედი და მოძღვარი თვისი. მიერითგან განეთესა განსყიდვა უსჯულოთა ზედა ტყვეთა ქრისტეს – ნათლისღებისათა და წინააღმდეგობათა ღმრთისათა კაცთა მყოფთა სანახებთა იმერთა, ოდიშართა და გურიელთასა, რომელი ნუ ყოს ღმერთმან საქმე ქართლსა ზედა ბოროტი იგი. ხოლო მუნ უფროსად და უმეტესად განმრავლდა და გარდაემეტა ცოდვა იგი ვიდრე დღეისადმი, ჰოი ჩემდა, რამეთუ თვით მუნ – მყოფნი, მღვდელმთავარნიცა და სამღვდელოთაგანნი შეირინნეს ბოროტითა მით სენითა, რამეთუ არა იყო პირველ ლევან დადიანისა და ალექსანდრესა, ამათთა ჟამთა შინა შემოვიდა წარსაწყმედელად სულთა მათთა რამეთუ ესრეთ იქმნა...“[171].

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, მემატიანე ტყვეთა სყიდვის დაწყებას ალექსანდრე იმერთა მეფის და ლევან დადიანის დროისათვის მიუთითებს. ეს მემატიანე იმასაც აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ნათელღებული (მონათლული) ქრისტიანების (ე. ი. ქართველების) მონებად გაყიდვა თუ გაცემა

როსტომმა შემოიღო. ყველა შემთხვევაში XVII საუკუნის I ნახევარი იგულისხმება. ამიტომაც ცნობილი საეკლესიო კრება, რომელზედაც ტყვეთა სყიდვა იქნა აკრძალული, საფიქრებელია, რომ სწორედ XVII საუკუნის დასაწყისში შედგა, როგორც ეს მიაჩნია ვახუშტი ბატონიშვილს, ხოლო თუ ეს კრება, რომელმაც „კათალიკოზთა სამართლის“ სახელწოდებით ცნობილი კანონები გამოსცა, XVI საუკუნის შუა წლებში შედგა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩვენს წმიდა დედაეკლესიას ამ უსაშინლესი ცოდვის ნიშნების აღმოჩენისთანავე განგაში აუტეხავს და ცდილა ძირშივე აღმოეფხვრა იგი. დასავლეთ საქართველოში მოწვეულ საეკლესიო კრებაში ქართლის კათალიკოსი, აფხაზეთის კათალიკოსი და იმერ-ოდიშის ყველა ეპისკოპოსი მონაწილეობდა. საქართველოს კათალიკოსი კრებას, როგორც ქართული ეკლესიის მამამთავარი, ესწრებოდა. „კრების მოწვევა და კანონთა დასხმა, ე.ი. სჯულის დადება, მისი თანხმობითა და სანქციით მოხდა“[172].

„კათალიკოზთა სამართალი მთელ საქართველოში მოქმედი საეკლესიო სჯული იყო... აღნიშნული არაა კრების მოწვევის ადგილი, მხოლოდ ნათქვამია, რომ „შემოვიკრიბენით ყოველნი ეპისკოპოსნი აფხაზეთისანიო“. იმ დროს საკათალიკოსო ტახტი ბიჭვინთაში იყო. უფრო გვიან (1657 წ.) ოსმალთა მძლავრობის გამო ტახტი ბიჭვინთიდან გადატანილი იქნა გელათში. გაურკვეველი რჩება, სად შედგა კრება - ბიჭვინთაში თუ გელათში“[173].

თუ საეკლესიო კრება 1543-1549 წლებში შედგა, როგორც კ. კეკელიძე ფიქრობდა[174], მაშინ, ცხადია, ბიჭვინთაში იქნებოდა მოწვეული, კერძოდ, „სამართალი კათალიკოზთაში“ ნათქვამია: „ქ. სახელითა ღვთისათა მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოისა კათალიკოზმან პატრიარქმან მალაქია; მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზმან მამამთავარმან ევდემონ, დავსხედით და შევკრიბენით ყოველნი ეპისკოპოსნი აფხაზეთისანი.

და დიდი სიყმილი მოვიდა ცოდვათა ჩვენთაგან, მრავალი უწესობა და უჯერო საქმე შემოვიდა: კაცის კვლა, კაცის სყიდვა, ეკლესიის კრეხვა და უხვედრობა...

და სჯულის კანონიცა ბრძანებს:

კაცის სყიდვისა ესე გავაჩინეთ:

1. ქ. რამან კაცმან გაყიდოს, ანუ დიდმან, ანუ მცირემან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან და ან გლეხმან, წმიდათა კრებულთაგან შეჩვენებული იყოს და განხდილი.

რასაც კაცს მართლით განკითხვითა და გამოძიებითა კაცის სყიდვა გამოაჩნდეს, თუ ის კაცი დაიხსნას და მოიყვანოს მისსა საყდარსა და ეპისკოპოსს დაუურვოს, რა ერთიც ძალ-ედვას, დამკლების უფალსაცა დაუურვოს.

და თუ ვერ მოიყვანოს, ვინ გინდა ვინ იყოს, თავადისშვილი უნდა აზნაურიშვილი, უნდა გლეხი, მაშინაც ვერამ საქმემ ვერ იხსნას, უკანონოდცა არს, ძელსა მიეცეს.

და ვინც ქრთამი აიღოს და არ ჩამოარჩოს, შეჩვენებულ იყოს წმიდათა კრებულთაგან და კანონსამცა ქვეშე არის წმიდათა მოციქულთასა“[175].

კრების განჩინებას, აღნიშნულის გარდა, აქვს შემდეგი ქვეთავები – „ეკლესიის მკრეხველთათვის ესე განგვიწესებია“, „ეპისკოპოსის საქმე ესე გაგვიჩენია“, „მეფის ღალატსა ასრე იქმნას“, „კათალიკოზისა და ეპისკოპოსის გინებისათვის“, „ულირსი მღვდლის კურთხევისათვის“, „მრუდად გამოკვლევისა და გამართლებისათვის“, „საყ-

დრის მამულის გამოხუმისათვის“, „სჯულის გამთავებელთა და გარდამავალთათვის“, „რძლის შერთვისათვის“.

კანონებს ხელს აწერენ – აფხაზეთის კათალიკოსი, ქუთათელი მიტროპოლიტი, გაენათელი მთავარეპისკოპოსი, მამა – ჭყონდიდელი, ბედიელი მიტროპოლიტი, მოქველი მთავარეპისკოპოსი, დრანდელი მიტროპოლიტი, ცაგერელი მამათ-მთავარი, ხონელი მთავარეპისკოპოსი, ნიკორწმიდელი ეპისკოპოსი, ჩიშელი (ცაიშვილი) მამამთავარი[176].

სამწუხაროდ და სავალალოდ, ტყვეთა სყიდვას საეკლესიო კრების აკრძალვამ ვერაფერი უშველა. ობიექტური პირობების წინააღმდეგ შეუძლებელი იყო რაიმეს მოქმედება. ქართველი ტყვეებით, როგორც აღინიშნა, სავსე იყო სპარსეთ-ოსმალეთი.

„...პიეტრო დელა ვალეს გადმოცემით, იმდენად ბევრნი ყოფილან ტყვედ წაყვანილი ქართველები, რომ „არა იპოვება არც ერთი სახლი მთელ სპარსეთში, რომელიც სავსე არ იყოს ქართველი დედაკაცებით და მამაკაცებით“. „რა მდგომარეობა მოჰყვა ამ საზარელ გადასახლებას, გაწყვეტა-ულეტა, რამდენი სიკვდილი ნამდვილი გაჭირვებისაგან, რა გახრწნა, რა ძალდატანება, რამდენი ჩვილი ყმაწვილი თავიანთ მამებმა დაახრჩვეს ან წყალში გადააგდეს სასოწარკვეთილებისაგან, რამდენი სხვა მოჰკლეს სპარსელ ჯარისკაცებმა, იმიტომ, რომ სასიცოცხლო არ იყვნენ, რამდენი ძალად მოგლიჯეს დედის ძუძუს და დააგდეს შარაზე მხეცების საჭმელად ან მხედრობის ცხენებისა და აქლემების სასრესად“[177].

„შაჰ-აბასის მიერ წინასწარ შერჩეულ ადგილზე საქართველოდან აყრილი მოსახლეობის ჩასახლების შემდეგ, ბუნებრივია, დადგა საკითხი მათი გამაჰმადიანებისა. სპარსელი ისტორიკოსის – ისქანდერ მუნშის ცნობებით დასტურდება, რომ 1621 წლამდე ფერეიდნის ქართველებს ქრისტიანული სარწმუნოება ჰქონდათ... ხელმწიფის მიზანი იყო ქრისტიანთა მიერ აქ აგებული ტაძრები მიზგითებად ექცია და იქიდან მუეძინის ხმა გამოსულიყო, რაც დიდად შეუწყობდა ხელს მათ გაბედნიერებასო.

ფერეიდანში განსაკუთრებით დიდი წინააღმდეგობა გაუწევიათ შაჰის წარმომადგენლებისათვის ქართველ სასულიერო პირებს, ეპისკოპოსებს, ბერ-მონაზვნებს და მღვდლებს, ბოლოს ისინი იძულებულნი გამხდარან ეღიარებინათ მაჰმადიანური სარწმუნოება. ქრისტიანებმა, – შენიშნავს ისქანდერ მუნში, – „ზიზღით შედგეს ფეხი მუსულმანობაში“. ეპისკოპოსებსა და მღვდლებს ართმევდნენ სახარებას და სხვა საღმრთო წიგნებს და აიძულებდნენ მათ გამაჰმადიანებული ფერეიდნელებისათვის ესწავლებინათ ყურანი და შარიათის კანონებიო“[178]. (საფიქრებელია, რომ ფერეიდნელმა ქართველებმა სხვა გამაჰმადიანებული ქართველებისაგან განსხვავებით ქართული ენის შენარჩუნება იმის გამო შეძლეს, რომ მათ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართველი სამღვდელო პირები, ყოფილი ქრისტიანები ყურანსა და შარიათს ზიზღით ასწავლიდნენ. მაშინ, როცა სხვა ქვეყნებში ქართველებს ფანატიკოსი მოლები უნერგავდნენ მაჰმადიანობას). საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ, როგორც აღინიშნა, ქართველთა მასობრივად ტყვეებად გადაქცევას შედეგად მათი დენაციონალიზაცია, განსაკუთრებით კი გათათრება და გაგრიგორიანება-გასომხება მოსდევდა.

თავი XVI

ქართული ეკლესია XVIII საუკუნეში

„დედაე ღვთისათ! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...
რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ყოფა,
მოეცი ძალი დაეზდომილსა კვლაე აღდგომისა.“

ილია ჭავჭავაძე

ბრძოლა „მამოხსნისა“ და „აღდგომისათვის“

XVIII საუკუნის დასაწყისში ქართველთა შორის, რომელთაც ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, ეროვნული განსაცდელის თავიდან ასაცილებლად მთელი თავიანთი სულიერი ძალების მოკრება შეძლეს, პოპულარული გახდა დევიზი: „აღდგომა და გამოხსნა“.

„ქართველები ვახტანგ VI-ის მეთაურობით „გამოხსნაში“ გულისხმობდნენ მაჰმადიანი ქვეყნებისაგან თავის დაღწევას, ხოლო „აღდგომაში“ საქართველოს ტერიტორიულ გაერთიანებას ქრისტიანული ქვეყნების თანადგომით“[1].

რა მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველო XVIII საუკუნის დასაწყისში? მართალია, არსებობდა ქართული სახელმწიფოებრიობა, მაგრამ აღმოსავლეთი საქართველო ირანის ვასალურ ქვეყანას წარმოადგენდა. ქალაქებში ძირითადად ირანული გარნიზონები იდგა (ციხესიმაგრეებში), ქვეყნის მეთაურებს არ შეეძლოთ დამოუკიდებელი პოლიტიკა ეწარმოებინათ, სპარსელები ხშირად ცვლიდნენ ქართლისა და კახეთის „მეფეებს“ და ახლებს თავიანთი შეხედულების მიხედვით ნიშნავდნენ, თანაც უთუოდ გამაჰმადიანებულებს. ეკონომიკურად ქვეყანა თითქოს გამოცოცხლდა, მაგრამ ამავე დროს ქართველ ერში სასტიკი დენაციონალიზაციის პროცესი დაიწყო, ქვეყანას გამაჰმადიანების ანუ ეროვნული გადაგვარების რეალური საფრთხე ემუქრებოდა, ქართველთა ერთი ნაწილი უმრავლეს შემთხვევაში იძულებით „თათრდებოდა“ ანუ მაჰმადიანდებოდა. მაგრამ ამასთან ქართველთა ნებაყოფლობით გამაჰმადიანების საშიშროებაც წარმოიქმნა. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკურ აღმავლობას, ანუ ვაჭრობისა და ხელოსნობის აღორძინებას, თან სდევდა გაგრიგორიანებაც, რაც შესაბამისი ეკონომიკურ-სოციალური და პოლიტიკური მიზეზებით იყო განპირობებული სპარსთა ვასალურ ქართლ-კახეთში.

ის საშინელი მდგომარეობა, რომელშიც მთელი საქართველო იმყოფებოდა XVII საუკუნეში, XVIII საუკუნის დასაწყისშიც გაგრძელდა: „ძლიერ სამწუხარო სურათს წარმოგვიდგენს საქართველოს ამ დროის ისტორია, არც ერთს საუკუნეში არა ყოფილა საქართველოს მდგომარეობა ეგრეთ აწეწილი, გაჭირვებული და არეულ-დარეული, როგორც XVIII საუკუნის პირველ ხანებში იყო. ვინ ჩამოთვლის ეგოდენ აღურაცხელ ომს, რომელიც გაუმართეს თუ სპარსეთის უღმრთო და მეტად გალაღებულმა ყეინებმა, თუ ოსმალეთის განძვინებულმა ფაშებმა, თუ საქართველოს ათასნაირ თავგასულმა მტრებმა; ვინ წარმოიდგენს ეგოდენ შუღლს, მტრობას, ორგულობას, ძმის სისხლის ღვრას, რომლის ასპარეზად გახადეს მრავალგზის ეს ქვეყანა ზოგიერთმა მისმა უღირსმა შვილებმა? ასეთმა სამწუხარო მოვლენამ საშინლად დასცა საქართველო და მოუსპო ღონე თავის შველისა და პატრონობისა...

მეორე მიზეზად ვსახავთ, რომ სპარსელების გაბატონებამ საქართველოში მეტად სამწუხარო კვალი დააჩნია ქართველთა ერსა უფრო სარწმუნოებისა და ქრისტიანობრივი ზნეობის მხრით. თავიანთი გახრწნილებით და ურწმუნოებით ქართველს შეურყიეს ძველი დროიდან გულში ღრმად ჩანერგილი ქრისტეს სარწმუნოება, საქმე იმ ზომამდე მივიდა, კაცს რომ ქართველისათვის სარწმუნოება დაეტოვებინა,

საჭირო აღარ იყო არც მისი დატყვევება, არც მისი ოჯახის აკლება და არც სიკვდილით დამუქრება, პირიქით, ბევრი ქართველი თავისი ნებით ჰსტოვებდა ქრისტიანობას და გადადიოდა მაჰმადიანობაზე, ამას ჰყოფდნენ არც ფარულად და არც სპარსეთში, არამედ ცხადად, აქვე ტფილისში, ყველას წინაშე"[2].

ასეთ სამწუხარო ეპოქაში რა გადაარჩენდა ქართველ ხალხს დენაციონალიზაციისა და ეროვნული გადაგვარების საშინელი საშიშროებისაგან? ეროვნული თვითმყოფადობა, მიუხედავად ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობისა, საფრთხის წინაშე დადგა, თუმცა ქვეყანა ეკონომიკურ აღმავლობას განიცდიდა და მაღალი წოდება საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდა.

„ქართველი ერი ამ დროს მართლაც უაღრეს განსაცდელში იყო ჩავარდნილი, მისი მომავალი სახეიროს არას მოასწავებდა, თუ რომ ის მთელს თავის სულიერს ძალას არ მოიკრებდა და ეროვნული განსაცდელის თავიდან აცილებას არ ეცდებოდა.

ამ საშინელ გასაჭირში მან მართლაც მთელი თავისი ენერგია და შემოქმედებითი ნიჭი მოიკრიფა და გამანადგურებელ მიმართულებას წინ აღუდგა"[3].

უპირველეს ყოვლისა, ეროვნული გადარჩენისათვის ქრისტიანული სარწმუნოების დაცვა, განმტკიცება და აღდგენა იყო საჭირო, რამეთუ იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქრისტიანობა და ქართველობა სინონიმური ცნებები, ტოლფასი კატეგორიები იყვნენ და „ქართველობა" ქრისტიანობის გარეშე წარმოუდგენელი იყო. ქრისტიანობაზე ზრუნვა ქართველობის შენარჩუნებაზე ზრუნვას უდრიდა. ამავე დროს კი „ქართველს" მხოლოდ და მხოლოდ მართლმადიდებლური სარწმუნოების მქონე ეთნიკური წარმოშობით ქართველს – საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წევრს უწოდებდნენ. ამიტომაც ქართველობის დაცვისათვის საჭირო იყო დაცვა და გაძლიერება ქართული ეკლესიისა. ალბათ ამ მიზეზით ვახტანგ VI-მ თავისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის დაწყებისთანავე 1705 წელს საეკლესიო კრება მოიწვია, „რომელმაც ქართლის კათალიკოსად რუსეთიდან ახლადდაბრუნებული ვახტანგ მეფის ძმა დომენტი აირჩია. დომენტი განათლებული პიროვნება იყო, თავისი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე დომენტი ვახტანგს ენერგიულად შველოდა სახელმწიფო საქმეთა მოგვარებაში"[4].

ამ დროისათვის ეროვნული თვითშემეცნება საოცრად იყო დაკნინებული, საჭირო იყო მისი გამოღვიძება და განმტკიცება. კერძოდ, შერყვნილი იყო ქართული ენა ისე, რომ ქართველები ქართულ და სპარსულ სიტყვებს ერთმანეთში ურევდნენ, გარდა ამისა, იბღალებოდა ქართული ენის ბუნება და კანონები (არ იყო გრამატიკა). ეროვნული თვითშემეცნების გაღვივებას ხელს უშლიდა ის, რომ დაწერილი არ იყო XIV-XVII საუკუნეთა ისტორია (ე. ი. საქართველოს ცხოვრების ეს ეპოქა ქართველებს გააზრებული არ ჰქონდათ), ხოლო რაც კი ძველი ისტორიები, მატიანეები და ქრონიკები არსებობდა, ყველა დავიწყებას იყო მიცემული. ხელოვნებაშიც მწერლები არა ადგილობრივი, ქართულ-ეროვნული, არამედ სპარსული მოტივებით იყვნენ დაინტერესებულნი (განსაკუთრებით პოეზიაში), მწერლობას ეროვნულ სიმთა ჟღერა არ ეტყობოდა (გამონაკლისი იყო მხოლოდ თეიმურაზ I-ის „ქეთევან დედოფლის წამება"). როსტომ ხანის და ერეკლე I ნაზარალიხანის მეფობის შედეგად

ქართული სახელმწიფო სამართლის კანონები და ტრადიციები უარყოფილი ან შებღალული იყო. სამწუხაროდ, ქრისტიანულთან შედარებით უპირატესობა სპარსულ-მაჰმადიანურ სამართალს ჰქონდა, რაც ქრისტიან ხალხს აბნევდა.

ეროვნული თვითშემეცნების გამოღვიძებისა და გაღვივებისათვის დიდი წარმატებით იღვწოდა ბაგრატიონების უმცროსი შტო - მუხრან-ბატონები და მათთან დაახლოებული, მათ გარშემო შემოკრებილი თავდადებული ქართველი მოღვაწეების პლეადა, ვახტანგ VI-ის, მუხრან ბატონების დინასტიის წარმომადგენლის, ღვაწლი ამ დიდ საქმეში განუზომელია.

პირველმა წარმატებებმა ქართველ პატრიოტებს აფიქრებინა, დაესახათ უფრო დიდი და ვრცელი პროგრამა: „საქართველოს „გამოხსნა და აღდგომა". როგორც ითქვა, „გამოხსნაში" მაჰმადიანური ქვეყნებისაგან თავის დაღწევა იგულისხმებოდა, რაც უპირველესად ქართულ-ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას ნიშნავდა. მართალია, ამ ეპოქაში ასე თუ ისე ქართული სახელმწიფოებრიობა არსებობდა, მაგრამ ეს სახელმწიფო არ იყო ეროვნული, როგორც ითქვა „ქართველობა" და „ქრისტიანობა" ტოლფასი კატეგორიები იყვნენ"[5], ხოლო ქართლისა და კახეთის სამეფოებს სპარსთა ნებით არა ქრისტიანი, არამედ მაჰმადიანი „მეფეები" მართავდნენ; მაშასადამე, თვით ამ ფაქტიდანაც ჩანს, ქართული სახელმწიფო არ იმართებოდა „ქართველის" (ქრისტიანის) მიერ და ის „არაქართული" ე.ი. არა ეროვნული იყო (ამას სხვა ფაქტებიც ადასტურებს).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, „გამოხსნაში" უპირველესად ქართლისა და კახეთის სამეფო ტახტებზე ქრისტიანი მეფის დასმა, ხოლო შემდგომ ეტაპზე კი ქართულ-ეროვნული სახელმწიფოს მაჰმადიანთაგან განთავისუფლება იგულისხმებოდა.

„აღდგომა" – საქართველოს გაერთიანებას, ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას გულისხმობდა. იმდროინდელი ქართველი მოღვაწეები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მხოლოდ თავიანთი ძალებით სამშობლოს „აღდგომასა და გამოხსნას" ვერ შეძლებდნენ და უდიდეს იმედებს ძლიერი უცხო ქრისტიანული სახელმწიფოს დახმარებაზე ამყარებდნენ.

მაშასადამე, „აღდგომისა და გამოხსნისათვის" ქრისტიანული სახელმწიფოების თანადგომა იყო საჭირო. ამ პროგრამას ეფუძნებოდა ვახტანგ VI-ისა და ქართველი მოღვაწეების საგარეო პოლიტიკა.

მაინც რომელი ქრისტიანული ქვეყნის დახმარების იმედზე აგებდნენ ქართველები „გამოხსნისა და აღდგომის" ეროვნულ პოლიტიკას?

აქ, უპირველესად ყოვლისა, ევროპული კათოლიკური ქვეყნები და რუსეთი, საქართველოს უახლოესი ძლიერი ქრისტიანი მეზობლები იგულისხმებოდნენ.

სწორედ კათოლიკური ქვეყნები, ჯერ ესპანეთი, ხოლო შემდეგ საფრანგეთი, მათი სულიერი მეუფის, რომის პაპის, მეთაურობით იყვნენ დაინტერესებულნი სპარსეთოსმალეთითა და ასევე საქართველოთი. როგორც ცნობილია, ანგლიკანურ ინგლისს, პროტესტანტულ ჰოლანდიასა და გერმანიას ეს რეგიონი ნაკლებად აინტერესებდა. ამიტომაც, ქართველთა ორიენტაცია მიპყრობილი იყო სწორედ კათოლიკური ქვეყნებისაკენ (ოღონდ არა სარწმუნოებრივი, არამედ პოლიტიკური მიზეზების

გამო. ქართველებისათვის მთავარი იყო ქვეყანა ქრისტიანული ყოფილიყო). ამავე მიზეზის გამო ქართველთა ყურადღებას, XVI საუკუნიდან მოყოლებული, მარად იპყრობდა ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რუსეთი.

რუსეთის მზარდი იმპერია განსაკუთრებით აფრთხობდა სპარსეთსა და თურქეთს. ამიტომ მასთან დაკავშირება ძლიერ სახიფათო იყო საქართველოსათვის. მიუხედავად ამისა, ქართველთა სურვილი „აღდგომისა და გამოხსნის“ პროგრამის შესრულებისა იმდენად დიდი იყო, რომ ევროპული ორიენტაციის კრახის შემდეგ, ვახტანგ VI-მ რუსეთი აირჩია. „განუტევნა ყოველნი და აღირჩა რუსთ მეფე, რამეთუ ჰგონებდა განთავისუფლებასა ეკლესიათასა და ძალსა ქრისტეანობისასა“, – წერს ვახუშტი[6].

საგარეო პოლიტიკის გატარებისას ქართველებისათვის უმთავრესი სარწმუნოების, ქრისტიანობის შენარჩუნება და აღორძინება იყო, რამეთუ მის დაცვას ეროვნების, ანუ „ქართველობის“ და საერთოდ ქართველი ერის გადარჩენის საკითხი უკავშირდებოდა.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ როგორც ევროპულმა, ისე რუსულმა ორიენტაციამ კრახი განიცადა და ძალა „აღდგომისა და გამოხსნისათვის“ საბედნიეროდ თვით ქართველთა შორისვე აღმოჩნდა. ქართველმა ერმა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღორძინება ქრისტიანი ქართველი მეფის კურთხევის წესის აღდგენით და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანებით თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის დროს შეძლო. რაც შეეხება ვახტანგ VI-ს, მას ამ დიადი მიზნის განხორციელებისათვის პოლიტიკურმა პირობებმა არ შეუწყო ხელი:

„ვახტანგს, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს, შესანიშნავად ესმოდა, რომ საქართველოს კეთილდღეობა, გარდა შინაფეოდალური რეაქციული ძალების დაძლევისა, აუცილებრივ მოითხოვდა ყიზილბაში და ოსმალო დამპყრობლების ბატონობის მოცილებას. ამ მხრივ დამახასიათებელია თვით ვახტანგის სიტყვები იმის შესახებ, რომ საქართველოს მდგომარეობა ირანის ბატონობის ქვეშ „ფოცხვერის ჭანგში“ ყოფნას უდრიდა, ხოლო ოსმალეთის ბატონობის დამყარება „ბაბრის ჭანგში“ მოქცევას ნიშნავდა“[7].

ერთი შეხედვით სპარსთა ვასალურ ქვეყნად ქცევის შემდეგ საქართველოს ცენტრალურ ქვეყანაში – ქართლში პოლიტიკური ვითარება სტაბილური გახდა და მშვიდობიანი ცხოვრების პირობები შეიქმნა, მაგრამ ეს იყო „უღლით გაქნილი მშვიდობა, რომელსაც ომში სიკვდილი სჯობდა“, რამეთუ ქრისტიანული რწმენის შესუსტებასთან ერთად ქართველთა ეროვნული წეს-ჩვეულებებიც მოიშალა.

„XVII ს-ის 30-იანი წლებიდან, ვიდრე XVIII ს-ის I მეოთხედამდე ქართლის ირგვლივ სტაბილური პოლიტიკური ვითარება დამყარდა, საქართველოში მშვიდობიანი ცხოვრების პირობები შეიქმნა; ქართლი ითვლებოდა სპარსეთის „ვალის“ - (მოადგილის) ქვეყნად და ქართველი „ვალი“ შაჰის ნებით უნდა დანიშნულიყო. ქართლის მბრძანებელნი ირანის შაჰს უნდა ხლებოდნენ, მიეღოთ მაჰმადის რჯული და ამის საზღაურად სამმართველოდ მოიპოვებდნენ თავის ქვეყანას. ქართველ „ვალის“ ჯამაგირი შაჰისაგან ჰქონდა დანიშნული, ხოლო თვითონ თავისი ქვეყნიდან სპარსეთის სახელმწიფოს უგზავნიდა გარკვეულ გადასახადს... ქართველი

„ვალი“ ვალდებული იყო შაჰის ბრძანებითვე გაეყვანა ჯარი, ხოლო თბილისის ციხეში ჰყავდა მუდმივი სპარსული გარნიზონი... ქართლის მეფეები სიუზერენ-ვასალური ურთიერთობის საფუძველზე სპარსეთის შაჰისაგან იღებდნენ საბოძვარს... ეს სტატუსი თითქმის საუკუნის მანძილზე, XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან XVIII ს-ის II მეოთხედამდე მკაცრად ხორციელდებოდა“[8].

ჩვენი ძველი ისტორიკოსები თვლიდნენ, რომ ქვეყნის გაუკუღმართებას საფუძველი როსტომ-ხანის მეფობისას დაედო და ქრისტიანული წესით ქართველ მეფეთა კურთხევის წესის აღდგენამდე ე. ი. თეიმურაზ II-ის ტახტზე ასვლამდე გრძელდებოდა.

„...სწავლულნი კაცნი ქვეყნის ზნეობრივ დაცემას, ქართული წეს-ჩვეულებების მოშლას ქრისტიანული რწმენის შესუსტებით ხსნიდნენ... ამის მიზეზად ისინი როსტომის პროირანულ პოლიტიკას მიიჩნევდნენ“[9].

ქართველები და განსაკუთრებით კი მუხრანელი ბაგრატიონი ვახტანგ V, რომელიც როსტომმა თავის მემკვიდრედ აირჩია, ცდილობდნენ როსტომის მიერ ქართული ეკლესიის საწინააღმდეგოდ ჩადენილი ქმედებანი თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში გამოესწორებინათ. 1654 წელს ვახტანგი ირანში გაგზავნეს, სადაც გაამაჰმადიანეს და როსტომის მემკვიდრედ დაამტკიცეს, ქართლის გამგებლად დანიშნეს და საქართველოში დააბრუნეს. „ვახტანგ V-ის ანუ შაჰ ნავაზ-ხანის (1658-1675) მეფობა აღმოსავლეთ საქართველოში ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებითა და საქართველოს გაერთიანებისაკენ მიმართული ღონისძიებებით აღინიშნა[10]. მაჰმადიანობის მიუხედავად, მან „მატა რჯულსა ქრისტიანობისასა და ეკლესიათა, რამეთუ მცდელობდა, რათა როსტომის გარყვნილნი მოეგო კვალად კვალსავე თვისსა, ვინაიდგან ჟამსა მისსა ზიარება სისხლისა და ხორცისა უფლისა ჩვენისა სირცხვილად უჩნდათ, ამან კათალიკოზით დომენტით კუალად შემოიყვანა აღსაარებად და ზიარებად“[11]. ქრისტიანობის უფრო დაცემის წარმოდგენა ძნელია, ქართველობას წმიდა ზიარების მიღებაც კი ესირცხვილებოდა და ეს მაშინ, როცა ქრისტიანობა და „ქართველობა“ ტოლფასი ცნებები იყვნენ. მაშასადამე, როსტომის დროს შესაბამისად ეროვნულობასაც ფუძე გამოცლია.

მართალია, 1639 წლიდან ირან-ოსმალეთის ზავის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველო ირანის, ხოლო დასავლეთ საქართველო ოსმალეთის ვასალად იყო აღიარებული, მაგრამ დასავლეთ საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ ვახტანგ V-ს საშუალება მისცა ელაშქრა იქ და ნაწილობრივ თავისი გავლენის სფეროში მოექცია. 1661 წელს ვახტანგმა ქუთაისში იმერეთის მეფედ თავისი პირმშო, 14 წლის არჩილი გამოაცხადა, მაგრამ ზემოაღნიშნული ზავის გამო ირანის მოთხოვნით 1663 წელს არჩილი უკანვე წაიყვანა - ქართლში. შაჰის მოთხოვნით არჩილი სპარსეთში ჩაიყვანეს, იქ გაამაჰმადიანეს, შაჰ-ნაზარ-ხანი უწოდეს, კახეთის მეფობაც უბოძეს და საქართველოში გამოისტუმრეს. არჩილი ქართულ საზოგადოებაში თავდადებით უწყობდა ხელს პატრიოტული გრძნობების გაღვივებას. ეროვნული მიმართულების ერთგულება, ქართული ენის სიწმიდის დაცვა, ლიტერატურის გაეროვნულება და სპარსოფილობის აღმოფხვრა ნიადაგ მისი ზრუნვის საგანი იყო. მიუხედავად ამისა, ის იძულებული გამხდარა სახელმ-

წიფოებრივი თვალსაზრისით როსტომის პოლიტიკის გამგრძელებელი ყოფილიყო, სწორედ ასეთი იძულება იყო ტრაგედია იმდროინდელი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეებისა: „ვახტანგი და არჩილი არსებითად როსტომ მეფის პოლიტიკას აგრძელებდნენ, მხოლოდ საშინაო პოლიტიკაში უფრო მეტ დამოუკიდებლობას იჩენდნენ. ეს აღნიშნული აქვს შარდენსაც...“[12].

აღსანიშნავია, რომ ქართველ მეფეებს აშკარად არათუ ქართულ-ეროვნული პოლიტიკის გატარება არ შეეძლოთ, არამედ მისი გამომჟღავნებისაც კი ეშინოდათ; მაგალითად, ევროპელი მისიონერები ვახტანგ V-ის, გიორგი XI-ის, ვახტანგ VI-ისა და სხვა ეროვნული მოღვაწეების მისამართით მრავალგზის აღნიშნავენ, რომ ისინი კავშირის დაჭერას ევროპის მონარქებთან თუ სასულიერო და საერო მეთაურებთან ფარულად ცდილობდნენ: „მე სპარსეთის მორჩილი ვარ და ვაითუ მისმა დიდებულებამ იწყინოს, რომ მის დაუკითხავად უცხოელებთან მიწერ-მოწერა გავმართო და საქმე დავიწყო“, – ამბობს ვახტანგ VI. უფრო მეტიც, საქართველოში და საერთოდ ქართველთა მიმართ სპარსეთში, იმდენად მძიმე და აუტანელი მდგომარეობა სუფევდა, რომ ქართველთა წარჩინებული ნაწილიც კი მზად იყო საქართველო (თუ სპარსეთი) მიეტოვებინა და ევროპაში (თუ რუსეთში) გადასულიყო საცხოვრებლად. ეს პაპისადმი გაგზავნილ წერილებშიც ჩანს, მაგალითად, 1711 წელს რომის პაპი საპასუხო წერილებს უგზავნის საქართველოს პატრიარქს დომენტის, და ქართლის მეფეს. 1709 წელს მოკლული გიორგი XI-ის ადგილზე მჯდომ ქაიხოსრო ლევანის ძის პასუხიდან ჩანს, რომ როგორც პატრიარქს, ისე მეფეს პაპისათვის თავშესაფარი უთხოვიათ. რომი უხალისოდ დათანხმდა მათ სურვილს. „ესეც უწყოდეთ, რომ დიდი ცოდვა იქნება თუ დაუტოვებთ დევნულობის შიშით თქვენზე მონდობილ ქრისტეს სამწყსოს...“ – წერს პაპი პატრიარქს[13], ხოლო მეფეს წერს – „...პაპი დიდის გულშემატკივრობით და მამობრივის სიბრალულით უმზერს ყველა თქვენს განსაცდელს – ...მასთანავე მზად არის დიდის სიყვარულით ამ ქალაქში მიგიღოს...“[14].

ასეთი საშინელი, ეროვნულად აუტანელი მდგომარეობის გამო ქართველები საქართველოდან უცხო ქვეყნებში ილტვოდნენ. ამ მიზეზით მიაშურეს არჩილმა, ვახტანგ VI-მ და მისმა მრავალრიცხოვანმა ამალამ, თუ სხვა გამოჩენილმა ქართველებმა და მათ შორის მღვდელმთავრებმაც, რუსეთს.

მიუხედავად არჩილის პატრიოტიზმისა, სახელმწიფოებრივი მექანიზმი ისე იყო მოწყობილი, რომ ისიც ქართულ-სპარსულ სახელმწიფოებრივ საბუთებს სცემდა, ასევე რეალობად რჩებოდა ორენოვნება. მალე არჩილმა სპარსეთისადმი პროტესტის ნიშნად კახეთი დატოვა და სპარსეთის მოწინააღმდეგე ქვეყანაში გადავიდა, რაც ფაქტობრივად ვახტანგ V-ის პოლიტიკური კრახით დამთავრდა. ვახტანგი ირანში გაიწვიეს, სადაც 1675 წელს გარდაიცვალა. ასევე ირანში გაიწვიეს ვახტანგის ძე გიორგი, რომელიც იქ გაამაჰმადიანეს, შაჰ-ნავაზხანი უწოდეს და 1677 წელს ქართლში გამოისტუმრეს. რაც შეეხება კახეთს, მას 1677 წლიდან 1703 წლამდე ყიზილბაში ხანები მართავდნენ. შაჰმა გიორგის არჩილის შეპყრობა დაავალა, რაც მან არ ისურვა, ამის გამო 1688 წელს ის გადააყენეს და მის

მაგივრად თეიმურაზ I-ის რუსეთიდან დაბრუნებული შვილიშვილი, სპარსეთში ახალ გამაჰმადიანებული ერეკლე I, ნაზარალი ხანი (1688-1703) დანიშნეს. გიორგი და არჩილი ქართლისა და კახეთის ტახტების დაჭერისათვის იბრძოდნენ, მაგრამ უშედეგოდ. 1695 წელს გიორგიმ შაჰს მორჩილება გამოუცხადა და ირანში წავიდა, ხოლო არჩილი 1699 წელს იმერეთიდან რუსეთში გადასახლდა.

რუსეთში აღზრდილ ქართლის მეფეს, გამაჰმადიანებულ ერეკლე I – ნაზარალი ხანს მემატიანე ასე ახასიათებს – „იყო ქართლისა და წესთა საქართველოსათა უცნობელი და მეფობისა გამოუცდელი, ლირწთა და უშვერთა მოუბარი, სმისა და შვება-ლხინთა მოყვარე...“

ერეკლეს დახასიათებისას უნებლიეთ გვაგონდება გიორგი რუსის დახასიათება. ისიც „ლირწთა და უშვერთა მოუბარი, სმისა და შვება-ლხინის მოყვარე“ იყო, რაც ასერიგად აოცებდათ ქართველ დიდებულებსა და სასახლის მსახურებს.

„ამის ჟამამდე არა იცვლებოდნენ კათალიკოზი და ეპისკოპოსნი საყდართა თვისთაგან. ამან შესცვალნა და დასხნა თვისნი, კათალიკოზად დიასამიძე იოანე, მთავარეპისკოპოსად ნაცვლიშვილი, ტფილელად ყაფლანისშვილი დომენტი, მანგლელად ჯავახიშვილი იოსება...“[15].

მანვე „აღაზვავნა ტფილისის ციხისანი ყიზილბაშნი, რამეთუ ჰკლვიდნენ და წარუსხმიდენ კაცთა ცოლშვილთა, სხვათა ჰყიდნენ და სხვათა მაჰმადიან ჰყოფდნენ და ჭირისა ამისათვის გარდაშენდებოდნენ ქართლისა გლეხნი და აზნაურნიცა კახეთს...“[16].

ერეკლე I ქართლში ავტორიტეტით არ სარგებლობდა. იგი არ იცნობდა არც ქართლს, არც ქართულ ზნე-ჩვეულებას, – წერდა მ. ბროსე, – მეფეს მმართველობის არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა. ის ბინძური და უხეში სიტყვებით საუბრობდა, უყვარდა სმა, კარგი სუფრა და სიამოვნება. „გამაჰმადიანებულმა ერეკლემ ქართლში სპარსული ზნე-ჩვეულებები გაავრცელა. მისი პოლიტიკით არც ქართლის თავადები იყვნენ კმაყოფილი და არც შაჰის კარი. ამასთანავე, შაჰის კარზე გიორგის პიროვნების მიმართ სულ უფრო მეტ დაინტერესებას იჩენდნენ“[17]. ერეკლე I ირანში გაიწვიეს და კახეთის მეფობა და ირანის ყულარიღასობა უბოძეს. ის ირანში დატოვეს, ხოლო კახეთში მის მოადგილედ მისი ვაჟი დავითი (იმამ-ყულიხანი) გამოაგზავნეს (1703 წ.).

ქართლის მეფობა კი კვლავ გიორგი XI-ს უბოძეს, მაგრამ ვითარცა სპასალარი ირანში დატოვეს და ავღანთა წინააღმდეგ ომში გაგზავნეს, ხოლო ქართლში მისივე თხოვნით 1703 წელს ლევანის ძე ვახტანგ VI გამოგზავნეს.

„სპარსეთის იმპერიაში როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო დარგში ქართველებს მაღალი და საპატიო თანამდებობანი ეკავათ. სხვადასხვა დროს სპარსეთის ჯარების მთავარსარდლები (ევროპული წყაროების მიხედვით: გენერალისიმუსები) იყვნენ: გიორგი XI, ქაიხოსრო და ვახტანგ VI... იტალიელი პიეტრო დელა ვალე წერდა: „დღეს სპარსეთის არმიის ძალა – ეს ქართველი მეომრებია, რომლებიც მის საუკეთესო ნაწილს შეადგენენ“. დიუ სერო მიუთითებდა ქართველ მებრძოლთა მაღალ რეპუტაციაზე არა მარტო სპარსეთში, არამედ მთელ აზიაში. ინგლისელი თომას ჰერბერტი წერს: „გარეგნული შეხედულებით, ნებისყოფითა და ერთგულებით

ქართველი ჯარისკაცები სპარსელებში ისეთი კარგი რეპუტაციით სარგებლობენ, რომ ბევრ მათგანს მეთაურის თანამდებობა უკავია...“

XVII ს-ის განმავლობაში სხვადასხვა დროს ქართველთა კავალერიის რიცხვი სპარსეთის არმიაში 8 ათასიდან 40 ათასამდე აღწევდა. „ქართველები ინიშნებოდნენ, – წერს დ. ლენგი – სპარსეთის სომხეთში ერევნის ციხე-სიმაგრის უფროსებად“[18].

რუსი დესპანი ა. ვოლინსკი XVIII ს-ის დასაწყისში წერდა: „მთელ ირანში საუკეთესო სამხედრო ძალად ქართველთა ჯარი მიმაჩნია. ქართველები ნამდვილი მეომრებია. მე გამიგია, რომ საქართველოში ლაშქრის შეკრება 15-20 ათას კაცამდე შეიძლება. ირანში, როგორც წესი, სპასალარებად ქართველი პრინცები ინიშნებიან... ირანელებს თურქებთან, ინდოელებთან და სხვა ხალხებთან ომში ყველა გამარჯვება ძირითადად ქართველთა მეშვეობით აქვთ მოპოვებული. მე შემიძლია ნიძლავი დავდო, რომ თუ ქართველი პრინცები და მათი დიდებულები და აზნაურები ერთმანეთში შეთანხმებას მიაღწევენ, ჭეშმარიტად შეძლებენ არა მარტო სპარსეთის უღლისაგან განთავისუფლებას, არამედ თვით სპარსეთის ტერიტორიების დაკავებასაც“[19].

სპარსელებს ეშინოდათ ქართველებისა, მათ კარგად იცოდნენ ის, რასაც უცხოელებიც კი ამჩნევდნენ – ქართველთა გაერთიანებისა, ერთმანეთთან შეთანხმებისა „...შაჰის სამეფო კარზე არსებობდა ძლიერი ანტიქართული კოალიცია, რომელშიც ქართველების წარმატება ეჭვსა და სიძულვილს იწვევდა“,– წერს დ. ლანგი[20].

ქართველთა მიმართ სპარსელთა შიშით კარგად ისარგებლეს ქართლის მეფის, გიორგი XI-ის, მტრებმა, კერძოდ, ავღანთა ტომის ბელადი ავღანთა დასამორჩილებლად მებრძოლ ქართველ მეფეს შაჰის წინაშე ასე ახასიათებდა: „ის, ვინც ერთდროულად საქართველოს მეფეა და ქირმან-ყანდაჰარის გუბერნატორი, არ შეიძლება შაჰის კარისათვის საშიში მოწინააღმდეგე არ იყოს“. იგი ხშირად მოაგონებდა შაჰს და მის მინისტრებს სპარსეთის წინააღმდეგ ქართველების განუწყვეტელ ბრძოლაზე“[21].

„განა დაგავიწყდა ქართველების არაერთგზისი ცდა, გადაეგდოთ სპარსეთის იმპერიის უღელი ამავე გურგენ-ხანის მეთაურობით, რომელიც ახლა სპარსეთის სამი პროვინციის გუბერნატორია? – ამბობდა მირ-ვეისი. იგი მიუთითებდა: გურგენ ხანის ძმა რუსეთშია და იქ დახმარებას ეძებს. რუსეთის არმიას შეუძლია კავკასიის მთები გადმოლახოს და ქართველებს დაეხმაროს, ბოლო მოუღოს სპარსეთის იმპერიას. გურგენ-ხანი ხომ ქრისტიანია“[22], „გურგენ-ხანი“ – გიორგი XI-ეა, „რუსეთში მყოფი მისი ძმა“ – არჩილი.

გიორგი XI, რომელიც სპარსეთში მნიშვნელოვანი პროვინციების გუბერნატორი და ავღანთა წინააღმდეგ მებრძოლი ჯარის მთავარსარდალი იყო, ღალატით მოკლეს. „მოკლულ მეფეს მირ-ვეისმა ახსნა მკერდზე ჩამოკიდებული ჯვარი, რომელსაც მუსლიმანობას ნაზიარები გიორგი მუდამ თან ატარებდა და შაჰს გაუგზავნა როგორც „საბუთი“ გულით ქრისტიანი მეფის „ორგულობისა“[23].

შაჰმა გიორგი მეფის ადგილზე მისი ძმის, ლევანის ძე ქაიხოსრო დანიშნა. ახალი მეფე შაჰმა იხმო და ირანის მხედართმთავრობა ჩააბარა, ქართლში კი

კვლავ ვახტანგ ბატონიშვილი დარჩა გამგებლად. 1709 წელს ქაიხოსრომ დამატებით თავრიზი და ბარდა მიიღო საგამგეოდ. 1711 წელს ავღანებთან ბრძოლას „ქაიხოსრო ხანიც შეეწირა, რომელიც ისევე, როგორც მისი წინამორბედი გიორგი XI გულით ქრისტიანობდა“[24].

ქართლის მეფის (გურჯისტანის ვალის) ტახტი კვლავ გათავისუფლდა, ამ დროისათვის გურჯისტანის ვალი, როგორც წესი, ირანის მთავარსარდლადაც ინიშნებოდა და სხვა მაღალი სახელებიც ეძლეოდა, ამიტომაც სპარსელები სავალდებულოდ თვლიდნენ ამ მაღალ თანამდებობაზე ასული პირი მაჰმადიანი ყოფილიყო.

სწორედ ამიტომ ქართლის „ჯანიშინი ვახტანგ VI, რომლის ქართლში გამეფებაც გადაწყვიტეს, უნდა გამაჰმადიანებულიყო. ვახტანგი სპარსეთში გაიწვიეს, რათა ტახტი მიეცათ და, როგორც წესი, გაემაჰმადიანებინათ, მაგრამ ვახტანგი ქრისტიანობის დათმობას არ აპირებდა. სპარსეთში გამგზავრების წინ მან ნათესაური კავშირები შეჰკრა კახეთისა და იმერეთის წარჩინებულებთან.

„XVIII ს-ის ირანის იმპერიაში რელიგიური მომენტი თითქოს აღარ განსაზღვრავდა სახელმწიფოებრივი ურთიერთობების შინაარსს, მაგრამ ქართლის ვალის ოფიციალურ მაჰმადიანობას შაჰის სახელმწიფო მაინც სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ქართლის მმართველის მაჰმადიანობა იმას ნიშნავდა, რომ ირანი „გურჯისტანს“ თავის პროვინციად განიხილავდა, თუმცა ქართლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამას არსებითი ცვლილებები არ მოუტანია. აღმოსავლეთ საქართველოში ასეთი პოლიტიკით ირანი აშკარად უპირისპირდებოდა რუსეთისა და ოსმალეთის მიზნებს ამ ქვეყანაში. გარდა ამისა, „გურჯისტანის“ „ქრისტიანიზმი“, რასაც ირანი საქართველოში რუსული ორიენტაციის გამარჯვებად მიიჩნევდა, ირანში სხვა ქრისტიანთა გამათავისუფლებელ მოძრაობას გამოიწვევდა. ამიტომაც შაჰი „გურჯისტანის ვალის“ წინაშე ბევრ დათმობაზე წავიდა, მიუმატა ტიტულები, გაუდიდა „ჯამაგირი“, მისცა სოფლები ირანში, ოღონდაც ირანის შაჰისა და მისი ოფიციალური სარწმუნოების ერთგული ყოფილიყო“[25].

ვახტანგმა მაჰმადიანობა არ მიიღო და ქრისტიანობა დაიცვა. შაჰმა მაჰმადიანობის უარმყოფელი ვახტანგი დაატყვევა და ერთ-ერთ პროვინციაში გააგზავნა საცხოვრებლად, თუმცა კი საკმაო თანხა დაუნიშნა, რათა პატივით ეცხოვრა. ვახტანგის ამ ძალზე მნიშვნელოვან ნაბიჯს რატომღაც ვერც მისი, ვერც ჩვენი თანამემამულეების ნაწილი სათანადოდ ვერ აფასებდა, უფრო მეტიც, მას საყვედურობდნენ კიდეც.

რას ნიშნავდა საქართველოს მეფის მაჰმადიანობა და რას ნიშნავდა ქრისტიანობა?

მაჰმადიანობა ნიშნავდა იმას, რომ უნდა გაგრძელებულიყო საქართველოს სულიერ-ზნეობრივი დეგრადაცია, რომელიც ქართლის პირველი მაჰმადიანი მეფის, როსტომის შემდეგ დაიწყო, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ქართლის სამეფოს იურიდიულ არსებობას არ ცნობდა სპარსეთის იმპერია და აღმოსავლეთ საქართველო თავის პროვინციად მიაჩნდა და აქ ეროვნულ სარწმუნოებას (მართლმადიდებლობას) ანუ „ქართველობას“ ხელგახსნილი ებრძოდა.

ხოლო სპარსეთის შაჰის მიერ ქრისტიანი ბაგრატიონის ქართლის მეფედ დამტკიცება სპარსეთის იმპერიის მიერ ქართლის სახელმწიფოს იურიდიულად ცნობას ნიშნავდა.

თუმცა, ფაქტობრივად, ქართული სახელმწიფოებრიობა არსებობდა, მაგრამ მას იურიდიულად სპარსეთი არ ცნობდა. „ირანის პოლიტიკური ბატონობის მიუხედავად არსებობას განაგრძობდა ქართული ფეოდალური საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, აგრარული სისტემა და სახელმწიფოებრივი წყობილება“[26].

ვახტანგის ეს განსაკუთრებული ნაბიჯი, ანუ სახელმწიფოს მეთაურის მიერ ქრისტიანობის დაცვა და მაჰმადიანობის უარყოფა „ქართველობისათვის“ მისი თავდადებული ბრძოლის ერთ მონაკვეთს წარმოადგენდა.

ქრისტიანობა და „ქართველობა“, როგორც აღინიშნა, იმ დროს სინონიმები იყვნენ. „ქრისტიანობასთან და მისადმი ერთგულებასთან მჭიდროდაა გადახლართული ქართველობისათვის ბრძოლა, პატრიოტიზმის ცნება. ქრისტიანობა მიჩნეულია ქართული ზნე-ჩვეულებების ფუძედ, კეთილი ცხოვრების საწინდრად და ბედნიერი მომავლის იმედად“[27].

ასე ესახებოდათ ქრისტიანობა და ამიტომ იცავდნენ მას ქართველი მოწინავე მამულიშვილნი და ვახტანგ VI-ც, გარდა ამისა, „გამოხსნისა და აღდგომისათვის“ მებრძოლმა ვახტანგმა კარგად იცოდა, რომ თუ მეფე მაჰმადიანი იქნებოდა, მაშინ საქართველოს უცხო ქრისტიანული ქვეყნები აღარ მიეშველებოდნენ, რისი დიდი იმედიც ჰქონდა მას.

გამოხსნა და აღდგომა – ეს იყო ოცნება ვახტანგისა, რომელიც სამწუხაროდ, გაუგებარი დარჩენილა ქართული მაღალი წოდების ერთი ნაწილისათვის.

„ვახტანგის ირანში ყოფნის დროს ქართლში მძლავრი ბრძოლა გაჩაღდა ორ დაჯგუფებას შორის, ქართული არისტოკრატიის მოწინავე ნაწილს, რომელიც პოლიტიკურ-კულტურულ ასპარეზზე ვახტანგის ეროვნულ პოლიტიკას მისდევდა, სათავეში ედგა ვახტანგის უმცროსი ძმა სიმონ ლევანის ძე. იგი, როგორც ჩანს, იზიარებდა ვახტანგის პოლიტიკურ პროგრამას. ამით აიხსნებოდა, რომ ვახტანგმა სწორედ სიმონი დატოვა ქართლის გამგებლად (1712-1714). აღნიშნულ პროგრესულ დასს დაუპირისპირდა საკმაოდ ძლიერი და გავლენიანი დაჯგუფება, რომელიც ტახტისათვის მებრძოლი და გამაჰმადიანებული ბატონიშვილებისაგან შედგებოდა. მათ მხარში ედგნენ „ჯანიშინის“ პოლიტიკით უკმაყოფილო მსხვილი ფეოდალები“[28].

მალე ვახტანგს სიმონიც განუდგა. „კათალიკოსი დომენტიც კი სამეფო ტახტის დაუფლების დაუცხრომელმა წყურვილმა შეიპყრო. მზად იყო ანაფორა გაეხადა, დაოჯახებულიყო და მაჰმადიანობა მიეღო...“[29].

დაუჯერებელია, მაგრამ თუ ეს მართლაც ასე მოხდა, მით უმეტეს დასაფასებელია ვახტანგის თავდადება ქრისტიანობისათვის, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სიმონ განმგებელს კათალიკოს დომენტის მიმართ ცუდი დამოკიდებულება ჰქონდა, „შეიპყრა სვიმონმა კათალიკოსი დომენტი ზაკვით და წარმოუვლინა ზაქარს, რათა აღმოხადონ თვალნი“[30]. აქ ვახუშტი „ზაკვაზე“ ლაპარაკობს.

ვახტანგმა ქრისტიანობა არ დაჰგმო, ამით ქართლის ტახტი დაჰკარგა. მის ნაცვლად საქართველოში გამოაგზავნეს მისი ძმა - იესე, მაჰმადიანი, როსტომის პოლიტიკის გამგრძელებელი, უკან დამწევი ქვეყნისა და წინააღმდეგი „ქართველობისა“.

ვახტანგს ასე აფასებდნენ – „ვახტანგმა ვერ გაითვალისწინა, რომ დასუსტებულ და დაცემულ ირანთან კავშირი მას ამ შემთხვევაში მეტ სიკეთეს მოუტანდა, ვიდრე სამშობლოს მიტოვება და შორეულ ქირმანში გადასახლება“[31]. „ვახტანგის ეს გადაწყვეტილება მისი ქვეყნისათვის საზიანო აღმოჩნდა“[32]. ე.ი. სჯობდა მაჰმადიანობა მიეღო და ქრისტიანობა დროზე დაეგმოო.

ვფიქრობ, არასწორი შეფასებაა ვახტანგის ბრძნული გადაწყვეტილებისა. ჯერ ერთი, ვახტანგმა საქართველოს უჩვენა თავისი საგარეო პოლიტიკის ახალი გზა, ასევე ქვეყნის შინაგანი ცხოვრების ძველქართულად, ქრისტიანულად გაგრძელების საჭიროება.

უნდა ვიფიქროთ, რომ ვახტანგის პოლიტიკა ირანის სახელმწიფოს უკიდურესი სისუსტიდან გამომდინარეობდა.

ირანის სახელმწიფო დაცემის პირას იდგა და მართლაც ამ მოვლენიდან რამდენიმე წლის შემდეგ მმართველი დინასტია მირ-ვეისის ძის მეთაურობით ავღანელებმა დაამხეს.

ჩანს, პოლიტიკა, რომელსაც მირ-ვეისი სპარსეთის შაჰის კარზე აწარმოებდა, აგულისხმებინებდა ვახტანგს, რომ სპარსი მექრთამე დიდებულები მის მიმართაც მსგავს დამოკიდებულებას იქონიებდნენ. კერძოდ, მირ-ვეისი, სპარსეთის შაჰის უბოროტესი და უდიდესი მტერი, თავის დროზე გიორგი XI-მ შეიპყრო და ისპაჰანში გაგზავნა, მირ-ვეისმა ჭკუა იხმარა და დაახლოებით 30 ათასი თუმნის (75 ათასი გირვანქა სტერლინგის) საჩუქარი დაურიგა ისპაჰანში შაჰის დიდებულებს. მეტად დასუსტებული სპარსეთის შაჰი, ჰუსეინი, რომელიც ქვეყნის მმართველობისათვის საკმაოდ გამოუსადეგარი პიროვნება იყო, მოქრთამულმა დიდებულებმა მირ-ვეისის მიმართ დადებითად განაწყვეს. „შაჰმა მირ-ვეისს ყველაფერი აპატია და მფარველობაც კი აღუთქვა“[33], შემდეგ კი დიდებითა და პატივისცემით უკან, სამშობლოში, დააბრუნა (შემდგომში მან შაჰი ტახტიდან ჩამოაგდო).

თუკი ირანისა და მისი დინასტიის უბოროტესმა მტერმა ქრთამის მეშვეობით არათუ სიკვდილისაგან თავის დაღწევა, არამედ დიდებით სამშობლოში დაბრუნება და ძველი თანამდებობის აღდგენა შეძლო, ვახტანგი რატომ ვერ შეძლებდა მოესყიდა მექრთამე დიდებულები და რჯულის შეუცვლელად დაბრუნებულიყო ქართლის სამეფო ტახტზე, მით უმეტეს, რომ რამდენიმე ხნით ადრე შაჰი აპირებდა რჯულის შეუცვლელად დაებრუნებინა იგი საქართველოში, მაგრამ მას წინააღმდეგობა დიდებულებმა გაუწიეს?

ვახტანგს გადაუწყვეტია ეშოვა შესაბამისი თანხა, მაგრამ სად? საქართველოში ეს შეუძლებელი იყო. მხოლოდ საქართველოს ბედით დაინტერესებულ ევროპას შეეძლო დახმარებოდა ქრისტიანულ ქვეყანას და ქრისტიან მეფედ დაებრუნებინა იგი სამშობლოში; თავის მხრივ, ეს ფაქტი საფუძველი გახდებოდა იმისა, რომ შაჰს საქართველოს არსებობა იურიდიულად ეცნო, რაც მტკიცე საძირკველს ჩაუყრიდა საქართველოს „გამოხსნასა და აღდგომას“.

ევროპული (კათოლიკური) ორიენტაცია და მისი კრახი

ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ ქართველი ერი დაეცა და დაკნინდა. როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში რამდენიმე ქართული სახელმწიფოებრივი ერთეული წარმოიქმნა, რომელიც ერთმანეთს ებრძოდა. თავის მხრივ, ყოველ სახელმწიფოებრივ ერთეულში (ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებსა და სამთავროებში) წარჩინებულები სეპარატიზმს ამჟღავნებდნენ და ერთმანეთსა თუ მეფე-მთავრებს ებრძოდნენ. ამას თან დაერთო ისიც, რომ ოსმალეთმა მთელი სამხრეთი საქართველო – მესხეთი დაიპყრო,სადაც ქართველთა გამალებული დენაციონალიზაცია მიმდინარეობდა. ეროვნული სარწმუნოება – ქართული მართლმადიდებლობა ოსმალთა და სპარსთა მიერ მთელ საქართველოში იდევნებოდა. მაგრამ ყველაზე უარესი ის იყო, რომ საქართველოსაკენ ჩრდილო კავკასიელი ტომები დაიძრნენ. აფხაზები (აფსუები), ოსები, თუ დაღესტნელები (ლეკები) ქართველთა უძველეს სამკვიდრებელ მიწა-წყალს იპყრობდნენ და ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას ან იმონებდნენ ან სპობდნენ. ამ პროცესის ყველაზე მძიმე შედეგი ქართველების მთიელ ტომებთან ასიმილაცია იყო. საქართველო მტრების უსასტიკეს რკალში მომწყვდეული აღმოჩნდა. მაგრამ ის მაინც არსებობდა ვასალური ქართული სახელმწიფოების სახით, თუმცა მოსპობა და მესხეთის ბედის გაზიარება ირანისა და თურქეთის იმპერიებისაგან ყოველდღე ემუქრებოდათ. აქედან გამომდინარე, ქართლ-კახეთის ირანის ვასალურ ქვეყნად დარჩენა ქართველობისათვის სახიფათო იყო.

საბედნიეროდ, XVIII ს-ის დასაწყისისათვის ირანის იმპერიის ძლიერება უკიდურესად დაეცა. დასუსტდა ოსმალეთიც. მოხდა ისე, რომ ირანის ვასალური ქართლისა და კახეთის სამეფოებიდან სპარსეთში ჩასული ქართველი დიდებულები არათუ აქტიურად მონაწილეობდნენ, არამედ გარკვეულწილად წარმართავდნენ კიდეც ამ ქვეყნის ცხოვრებას. ამასთან, ქართველთა ჯარი სპარსეთში უძლიერესი იყო. ასეთ ვითარებაში, თუკი ქართველები გაერთიანებას შეძლებდნენ, მათ წინ ვეღარავინ აღუდგებოდა (ისევე, როგორც აჯანყებულ ავღანელებს ვერავინ აღუდგა წინ სპარსეთში, იმის შემდეგ, რაც ვახტანგ VI-მ არ ისურვა მიშველებოდა გასაჭირში მყოფ შაჰს).

მაგრამ სამწუხაროდ, ქართველებმა შექმნილი პოლიტიკური ვითარება ვერ გამოიყენეს და ვერ გაერთიანდნენ. ფრანგი მისიონერი წერს: „შაჰის პოლიტიკა ქართველების მიმართ მეტად მოხერხებულია. ქართველებს შეეძლოთ ბევრი უსიამოვნება მიეყენებინათ, თუ გაერთიანდებოდნენ. შაჰმა იცის, თუ როგორ უნდა ჩაშალოს მათი ერთიანობა ისე, რომ ეს მის ინტერესებს მოემსახუროს. ის იმნაირად აწინაურებს ქართველ თავადებს, რომ მათ ავიწყდებათ თავიანთი სამშობლო, სარწმუნოება და შაჰის ერთგულნი ხდებიან. ყველაზე დიდი თანამდებობები იმპერიაში ეკუთვნით ქართველებს... რაც შეეხება სარწმუნოებას, ქართველები როგორც კი სპარსეთის სამსახურში დგებოდნენ, ნომინალურად უნდა გამაჰმადიანებულიყვნენ, მაგრამ „ისინი ისლამის ერთგული მიმდევარნი არასოდეს არ იყვნენ“[34].

საჭირო იყო გაერთიანება.

როგორც ცნობილია, იმ ეპოქაში, როცა ეროვნება და სარწმუნოება გაიგივებული იყო და ხშირად ეროვნებას სარწმუნოებრივი აღმსარებლობის მიხედვით საზღვრავდნენ, ეროვნული ერთიანობისათვის სარწმუნოებრივი ერთიანობა იყო საჭირო. ქართული მამაპაპეული სარწმუნოება, მართლმადიდებლობა, უკვე აღარ წარმოადგენდა ქართველთათვის საყოველთაო და ერთადერთ სარწმუნოებას, მოჭარბდნენ ქართველი მაჰმადიანები, ქართველი გრიგორიანები, კათოლიკეები. ოსმალთა და სპარსთა მიერ ქართველთა მართლმადიდებლობა განიხილებოდა არა როგორც უბრალო სარწმუნოებრივი აღმსარებლობა, არამედ როგორც მათ საწინააღმდეგოდ მიმართული პოლიტიკური ორიენტაცია.

ქართველთა მართლმადიდებლობა მაშინ, როცა მართლმადიდებლური რუსეთის იმპერია კავკასიის მთაგრეხილს მოადგა, კიდევ უფრო საშიში გახდა მაჰმადიანებისათვის. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც XVI საუკუნის ბოლოს და XVII საუკუნის დასაწყისში ქართლ-კახეთის მეფეები მართლმადიდებლურ რუსეთს შეჰპირდნენ, რომ კავკასიის კარს გაუხსნიდნენ, რითაც რუსეთის მარშს სტამბოლ-ისპაჰანისაკენ ხელს შეუწყობდნენ. ირანი და ოსმალეთი ქართველთა მართლმადიდებლურ სარწმუნოებას სიძულვილით უყურებდა და კრძალავდა.

რუსეთისა და ევროპის გარკვეულ წრეებში საქართველოს განიხილავდნენ როგორც პლაცდარმს კონსტანტინეპოლსა და ისპაჰანზე ლაშქრობისათვის.

რუსეთის ელჩი ვოლინსკი, რომელმაც სპარსეთში არსებული ვითარება საგანგებოდ შეისწავლა, საქართველოს სწორედ ისპაჰანზე ლაშქრობასთან კავშირში განიხილავდა – „მან რუსეთის სამეფო კარს აცნობა – „ვახტანგს შეუძლია გამოიყვანოს ბრძოლის ველზე 30-დან 40000-იანი ჯარი და ამდენად ირწმუნება, რომ თუ თქვენი ჯარი საქართველოში შემოვა, მაშინ იგი თავისი ჯარით და თქვენი ჯარის დახმარებით ისპაჰანამდე ჩავა“[35].

ხოლო ევროპაში საქართველოს კონსტანტინეპოლზე რუსეთის ლაშქრობასთან კავშირში იხსენიებდნენ – „ევროპელი დიპლომატები ამტკიცებდნენ, რომ რუსეთი აპირებს ირანის, სომხეთისა და საქართველოს დაპყრობას, ხოლო ამის შემდეგ კონსტანტინეპოლზე გალაშქრებას“[36].

ის, რაც ცნობილი იყო ევროპაში, ცხადია, ცნობილი იყო ირანსა და ოსმალეთშიც. ამ ქვეყნებში ქართველთა მართლმადიდებლობას და საქართველოს, როგორც მართლმადიდებლურ ქვეყანას, რუსეთის მიერ ირანისა და ოსმალეთის იმპერიების დაპყრობასთან აიგივებდნენ.

ქართველთა მართლმადიდებლობა მაჰმადიანებისათვის მოუთმენელი იყო. ამ მიზეზის გამო მაჰმადიანები არც ერთ ქრისტიანულ სარწმუნოებრივ მიმართულებას ისე არ სდევნიდნენ კავკასიაში, როგორც ქართველთა მართლმადიდებლობას.

დაპყრობილ მესხეთში ქართველები იძულებულნი გახდნენ მართლმადიდებლობა უარეყოთ და მის ნაცვლად მაჰმადიანობა მიეღოთ. უკეთეს შემთხვევაში ისინი ქრისტიანებად დარჩენისათვის ან კათოლიკური, ან გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევარნი ხდებოდნენ, რაც ქართველთა დენაციონალიზაციას იწვევდა. ფაქტო-

ბრივად, ამავე მიზეზის გამო მაჰმადიანობა ქართლსა და კახეთშიც ვრცელდებოდა, მრავალი ქართველი „თათრდებოდა“ და „სომხდებოდა“. არ იყო შემთხვევითი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ცნობილი გამონათქვამი XVII ს-ის შუა წლებში – „ჩვენის თვალით ვხედავთ, რომ მრავალნი ქართველნი სომხდებიან, უმეტესი ნაწილი კი თათრდება, მაშ გაფრანგება რაღად უნდა დაეშალოთო“. შექმნილი ვითარების გამო ქართველებს ერთიანი სარწმუნოება თითქმის აღარ ჰქონდათ. უკვე დაწყებული იყო პროცესი ქართველთა დენაციონალიზაციისა, თუმცა ის ჯერ კიდევ არ იყო გაღრმავებული და დასრულებული და თუ ყველა ქართველი ერთ სარწმუნოებას მიიღებდა, ეროვნული ერთიანობის მიღწევა ჯერ კიდევ შეიძლებოდა. მაგრამ რომლის? ეს უსათუოდ მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოება უნდა ყოფილიყო, მაგრამ ისეთი ფორმით, რომელიც სპარსეთსა და ოსმალეთს არ გააღიზიანებდა, რომელსაც აღიარებდნენ გამაჰმადიანებული თუ გამაჰმადიანების პირას მისული მესხები და ქართლელ-კახელები (აღმოსავლეთ კახეთი ჭარ-ბელაქანი), გაგრიგორიანებული თუ გრიგორიანობის პირას მისული ქართველები, და რაც მთავარია, ამ სარწმუნოებას მიიღებდნენ მთიელები (აფხაზ-ჩერქეზები თუ სხვა ტომები),რაც მათ ლაშქრობებს საქართველოზე შეაფერხებდა. ეს იყო ოცნება ქართველი მოწინავე წრეების საკმაოდ დიდი ნაწილისა. მათი ოცნების თანახმად, ყოველთა ქართველთა გამაერთიანებელი სარწმუნოება შეიძლება კათოლიკობა ყოფილიყო. თუმცა, ამ ოცნების პრაქტიკული განხორციელება არა ქართველთა გაერთიანებას, არამედ კიდევ უფრო დაყოფასა და დაშლას გამოიწვევდა, რამეთუ ხალხის ცნობიერებაში მართლმადიდებლური სარწმუნოება „ქართველობასთან“ უკვე გაიგივებული იყო, მაშინ როცა კათოლიკურ სარწმუნოებას უბრალო ხალხი არა ქართველობას, არამედ „ფრანგობას“ უკავშირებდა.

„XVIII ს-ის დასაწყისში ქართლის სახელმწიფოს მმართველი ზედაფენა თანდათან ცვლიდა თავის დამოკიდებულებას რომისადმი და კათოლიციზმისაკენ იხრებოდა. საქართველოში ევროპული ორიენტაცია წარმოიშვა. ეს უკანასკნელი ღრმად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. XVII ს-ის პირველ მეოთხედში კახეთის ტრაგედია, როგორც ცნობილია, რუსთა მეფის მფარველობის ძიებას მოჰყვა. როდესაც რუსეთი უშუალოდ მოადგა კავკასიონს, ქართველთა „მართლმადიდებლობა“ ირანისათვის კიდევ უფრო საშიში გახდა. მართლმადიდებლური „გურჯისტანი“, როგორც ხანგრძლივმა ისტორიულმა პრაქტიკამ ცხადყო, მიუღებელი აღმოჩნდა და ახლა ირანი ქართლის გაკათოლიკებას ნაკლებსაშიშად მიიჩნევდა. რასაკვირველია, ირანელ და თურქ ასიმილატორებს არც ევროპული სახელმწიფოების გავლენა აწყობდათ საქართველოში, მაგრამ, მათი აზრით, ორიენტაცია ევროპაზე შეაჩერებდა უფრო სახიფათო და რეალურ საშიშროებას – რუსეთის დამკვიდრებას კავკასიაში.

„მუსლიმანი მეფეების“ ეპოქაში გამრავლდნენ კათოლიკეთა მისიონერები... განსაკუთრებით მფარველობდნენ კათოლიკე-მისიონერებს ვახტანგ V-ის (შაჰ-ნავაზის) მემკვიდრეები... საფიქრებელია, რომ ქართველებს კათოლიკური ევროპა ირანთან საკუთარი ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის უნდოდათ. იმ მიზნით, რომ ირანს (და, ალბათ, თურქეთსაც) აშკარად დაენახა ქართველების გამიჯვნა რუსეთისაგან -

მზად იყვნენ უარი ეთქვათ მართლმადიდებლობაზე კათოლიკური ტიპიკონის სასარგებლოდ. ქართველი პოლიტიკოსები, როგორც ჩანს, ფიქრობდნენ, რომ ევროპაზე ორიენტაცია არ „გააღიზიანებდა“ ირანს, რადგან XVIII ს-ის დასაწყისში ევროპა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ჯერ კიდევ შორეული მეზობელი იყო“[37].

აქედან ჩანს, რომ ქართველები კათოლიკობას განიხილავდნენ არა როგორც მართლმადიდებლობაზე უკეთეს სარწმუნოებას, არამედ როგორც პოლიტიკურ ნიღაბს, ქართველები კათოლიკობდნენ „მხოლოდ სიტყვით და არა საქმით“. ამაზე მიუთითებს ის, რომ თითქოსდა კათოლიკური აღმსარებლობის მოტრფიალე ვახტანგ VI რუსეთში გადასვლის შემდეგ თავის თავს მართლმადიდებლად თვლიდა და მართლმადიდებლურ ეკლესიაში დაიკრძალა.

ასევე სულხან-საბა ორბელიანიც, თითქოსდა კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარი საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში მოღვაწეობდა, ხოლო რუსეთში გადასვლის შემდეგ მოსკოვის მართლმადიდებლურ ვსეხსვიატსკოეს ეკლესიაში დაკრძალეს. რუსეთში, სადაც მართლმადიდებლობის ფორმალურ-გარეგნულად დაცვასაც კი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, კათოლიკეს მართლმადიდებლურ ეკლესიაში ვერ დაკრძალავდნენ.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ როგორც ჩანს, იმ ეპოქის ქართველები მართლმადიდებლობასა და კათოლიკობას ერთნაირ, ანდა უაღრესად მსგავს ქრისტიანულ სარწმუნოებად თვლიდნენ და კათოლიკეს ჩვეულებრივი მართლმადიდებლური აღმსარებლობის მიმდევარსაც უწოდებდნენ, თუკი იგი რომის პაპს მსოფლიო ეკლესიის მეთაურად თვლიდა. ასევე ესმის ეს საკითხი პატრ მიქაელ თამარაშვილსაც. მისი აზრით, ქართულ მართლმადიდებლობას და რომის კათოლიკობას ძველ დროს „დოგმატობრივი ერთგვარობა“ ახასიათებდა, ამიტომაც ქართველი მართლმადიდებელი კათოლიკედ რომ ქცეულიყო, მხოლოდ და მხოლოდ მის მიერ პაპის უპირატესობის აღიარება იყო საჭირო და ეს სრულიად საკმარისი იყო: „საქართველოს რომთან შესაერთებლად სხვა არაფერი მოეთხოვებოდა იმის გარდა, რომ პაპი ეცნო მსოფლიო ეკლესიის თავად და მისთვის მორჩილება გამოეცხადებინა, შემდეგ კი ყველა ქართველს შეეძლო კათოლიკე ყოფილიყო და თავის წესსა და ეკლესიაშივე დარჩენილიყო. ესრეთი შეერთება შეიძლება ბევრისაგან შეუნიშვნელად და უცნობელიც დარჩენილიყო“[38].

მაშასადამე, იმჟამინდელი შეხედულებით „კათოლიკე“ ქართველი არ თმობდა არც ერთ მართლმადიდებლურ წესს, მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლად, ძველებურადვე მართლმადიდებელი მღვდლისა და ეპისკოპოსის სულიერ შვილად რჩებოდა და მათ მიერ ეზიარებოდა მართლმადიდებლური წირვის შემდეგ. ერთადერთი, რითაც იგი თავის „კათოლიკობას“ ადასტურებდა, ის იყო, რომ პაპის უპირატესობას „აღიარებდა“. ცხადია, ასეთი „კათოლიკობა“, არაა ნამდვილი კათოლიკობა. თამარაშვილი ამ მოვლენის მიზეზს ასე ხსნის: „შევნიშნოთ აქ ესეც, რომ საქართველოს ეკლესია ისე დაშორებული არ არის რომის ეკლესიას, როგორც სხვა ტომების ეკლესიებია, რადგან მტკიცედ აქვს დაცული მსოფლიო კრებათა დადგენილი ყველა დოგმები, ამიტომ რომის ეკლესია მას არ უწოდებს ერეტიკ-

მწვალებლად, როგორც სხვა ტომთა ეკლესიებს უწოდებს, არამედ უხმობს მარტო გაყრილად... სწორედ ამ დოგმატობრივი ერთგვარობის მიზეზია, რომ დღესაც კონსტანტინოპოლში ქართველთ კათოლიკის ტიპიკონის ბერები ხმარობენ შეუცვლელად ყველა იმ ლიტურგიის ქართულ წიგნებს, რაც დაბეჭდილია რუსეთსა და საქართველოში და რასაც დღეს საქართველოს მთელი სამღვდელოება ხმარობს"[39].

რა თქმა უნდა, თვალსაზრისი ქართული მართლმადიდებლობისა და რომის კათოლიკობის დოგმატობრივად ერთგვაროვნების თაობაზე მცდარია, მით უმეტეს, რომ საუკუნეთა მანძილზე ქართულ ეკლესიაში დამკვიდრებულ დოგმატიკას ჩვენი წინაპრები ბერძნულის მიხედვით ასწორებდნენ და აზუსტებდნენ.

ზემოაღნიშნულის გამო, ქართველობისათვის, როგორც ჩანს, კათოლიკობის აღიარება ფორმალობა იყო და არავითარ დამატებით სარწმუნოებრივ სირთულეს არ ქმნიდა. მათ რჩებოდათ ძველებური ლიტურგია, წირვა-ლოცვა, ძველი მართლმადიდებლური წიგნები, უცვლელი რჩებოდა ქართული ეკლესიის სტრუქტურა, იერარქია და მთლიანობა. თუმცა, ძნელია სრულად აღადგინო და ივარაუდო, თუ როგორი იყო რეალური ვითარება იმ დროს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჭეშმარიტად მართლმადიდებელი მრავალი თავადი, მეფე და გამოჩენილი პირი მისიონერთა წინაშე, ზოგჯერ თავის თავს კათოლიკედ აღიარებდა. აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ ქართველთა მიერ ასეთი კათოლიკობის მიღებით ქართული ეკლესია როგორც ორგანიზაციული სისტემა არ ზიანდებოდა, სულ სხვა მდგომარეობაში ვარდებოდა ქართული ეკლესია ქართველთა მიერ გრიგორიანობის მიღებით, გაგრიგორიანებული ქართველი ყოველგვარ კავშირს წყვეტდა ქართულ ეკლესიასთან. გაგრიგორიანებული უკვე ეჩმიაძინის მრევლად ითვლებოდა. ქართული რეგიონების გაგრიგორიანებით ქართულ ეკლესიას საფუძველი ეცლებოდა. ქართველთა ვითომდა გაკათოლიკებით კი ქართული ეკლესია არ ზიანდებოდა, რადგანაც გაკათოლიკება - ძირითადად მხოლოდ ფორმალური მხარე იყო აღნიშნულ პერიოდში. მესხეთში, სადაც ქართული ეკლესია ფაქტობრივად მოსპო ოსმალეთმა, გაკათოლიკებამაც განსხვავებული სახე მიიღო. მესხეთში კათოლიკურ ეკლესიაში თავიდან ქართულენოვანი ტიპიკონი იხმარებოდა (ე.ი. ძველქართული, მართლმადიდებლური ტრადიციები, ჩვეულებები იყო დაცული), რაც პრაქტიკიდან სომხურენოვანი და ლათინური ტიპიკონით გამოაძევეს. სომხურენოვანი ტიპიკონის მქონე ქართველობა დენაციონალიზაციას განიცდიდა და ქართველ ერს ეკარგებოდა – ისინი სომხდებოდნენ[40]. ამ მიზეზის გამო ქართველები დაინტერესებულნი იყვნენ არა უბრალოდ კათოლიკობის მიღებით (ისინი, ვინც ამ პროცესს ემხრობოდა), არამედ მისი ქართულენოვანი ტიპიკონითაც.

მ. თამარაშვილმა, შ. ლომსაძემ და სხვა მეცნიერებმა სრულიად დამაჯერებლად გამოიკვლიეს, რომ ოსმალთა მიერ დაპყრობილ მესხეთში ქართველებისათვის მართლმადიდებლური აღმსარებლობის შენარჩუნება შექმნილი პირობების გამო შეუძლებელი გახდა. ქართველს ან მაჰმადიანობა უნდა მიეღო, ან კიდევ გრიგორიანობა და კათოლიკობა, ყიზილბაშთა ბატონობისას მართლმადიდებლურ მოსახლეობას ქართლსა და კახეთშიც ძლიერ გაუჭირდა. ყიზილბაშთა ბატონობისას ქვეყ-

ანას გამაჰმადიანების საფრთხე დაემუქრა, რაც ქართველობის დამხობის ტოლფასი იყო. სწორედ ამ მდგომარეობას შესჩიოდა სულხან-საბა ორბელიანი საფრანგეთის მეფეს – „საქართველოს მეფე ვახტანგი ისპაჰანშია და საქართველოს ერთიანად გამაჰმადიანება მოელის და დიდ განსაცდელშია, თუ დაბრუნდა თავის სამთავროში, ქართველები არა მარტო ქრისტიანედ დარჩებიან, არამედ კიდეც შეუერთდებიან კათოლიკე ეკლესიას თავიანთი მეფის მაგალითისამებრ, რომელიც საამისოდ მზად არის და რომელმაც აღმითქვა, რომ მობრუნდება თავის სამშობლოში თუ არა, კათოლიკობა მიიღოს...“[41].

როგორც ცნობილია, ირანის შაჰის კარს ვახტანგ VI-ის ქართლის მეფედ (გურჯისტანის ვალად) დამტკიცება სურდა, მაგრამ ამისათვის როსტომის შემდეგ დადგენილი წესით გამაჰმადიანება მოეთხოვებოდა, ვითარცა მეფობის კანდიდატს. ვახტანგმა ქრისტიანობა არ დათმო, არ მიიღო მაჰმადიანობა და მეფედაც აღარ დაამტკიცეს. იგი ირანში დარჩა. ამ დროს წარმოშობილა ფრიად საინტერესო იდეა საქართველოს აღდგომისა და გამოხსნისა. თუკი ვახტანგს, როგორც ქრისტიან მეფეს, ირანის სახელმწიფოს მესვეურები ქართლში დააბრუნებდნენ, ამით ისინი ქრისტიანული საქართველოს სახელმწიფოს არსებობას ცნობდნენ. ეს კი ქართველობის გამარჯვება, მისი აღორძინება იქნებოდა. ქართლის ქრისტიანული სახელმწიფოს არსებობის აღიარების შემდეგ ირანი კეთილმეზობლურ ურთიერთობას დაამყარებდა მასთან, ხოლო, თავის მხრივ, ეს სახელმწიფო ჩრდილოკავკასიელი ტომების თავდასხმებს თვითონვე მოიგერიებდა. საქართველოს ამით გამაჰმადიანებისა და დენაციონალიზაციის საფრთხე აშორდებოდა, რაც ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა საბოლოო მიზანს შეადგენდა.

1713 წელს ქართლში მომზადდა კათოლიკურ ქვეყნებში გასაგზავნი ელჩობა სულხან-საბა ორბელიანის მეთაურობით, რომლის მიზანი იყო:

1. ქართული ქრისტიანული სახელმწიფოს არსებობა იურიდიულად ეცნო ირანის სახელმწიფოს, რაც იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ ირანიდან ვახტანგ VI-ს ქართლში გამოისტუმრებდნენ როგორც ქრისტიან მეფეს.

2. საქართველოს გაერთიანება. მემორანდუმში, რომელიც დელეგაციამ საფრანგეთში სამეფო ტახტს წარუდგინა, კერძოდ, „აღნიშნული იყო, რომ პოლიტიკურად გაერთიანებულ საქართველოს შეეძლო „ასი ათასზე მეტი ცხენოსანი თუ ქვეითი“ შეეყარა მაჰმადიანურ სამყაროს დასაპირისპირებლად“[42]. ეს ნათქვამი იყო ევროპული ქვეყნების დასაინტერესებლად, რაც ჩაფიქრებული გეგმის განხორციელებისათვის იყო საჭირო.

3. ჩრდილოკავკასიელი ტომების შემოსევების შეწყვეტა საქართველოზე, რისთვისაც ჩრდილოკავკასიელი ტომების, კერძოდ, აფხაზთა და ჩერქეზთა გაქრისტიანება იყო საჭირო. ჩრდილო-კავკასიელთა გაქრისტიანება საფუძველი გახდებოდა მათთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებისა და ჩრდილოკავკასიელთა შემოტევების შეწყვეტისა. სულხან-საბას მემორანდუმის პირველივე პუნქტი სწორედ კავკასიელ ტომთა შორის ქრისტიანობის გავრცელებას მოითხოვდა.

4. უნდა შეწყვეტილიყო ქართველთა დენაციონალიზაცია. ყველაზე დიდი საფრთხე ქართველთა გათათრება, ანუ გამაჰმადიანება იყო. გამაჰმადიანების საფრთხე

განსაკუთრებით მესხეთის თურქთაგან დაპყრობის შემდეგ დასავლეთ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კუთხეებს, კერძოდ, ქვემო გურიას (ქობულეთ-ბათომის მხარე) და ოდიშ-აფხაზეთის მხარეს დაემუქრა (ოდიშში - კლისურიდან – ენგურამდე უკვე ჩრდილოელები (აფსუები) აპირებდნენ ჩასახლებას). ამ კუთხეებში ქრისტიანობის იმ ფორმით გავრცელება, რომელიც მისაღები იყო ოსმალეთისათვის, მათი გამაჰმადიანების პროცესს, ანუ დენაციონალიზაციას - გათათრებას და გააფხაზებას შეაფერხებდა.

თავისი გეგმის მისაღწევად ქართულ ელჩობას მიაჩნდა, რომ ვახტანგ VI-ის ირანიდან ქრისტიან მეფედ დაბრუნებისათვის 300 000 ეკიუ იყო საკმარისი. ამ დიდი თანხის მიღების პირობად ქართველები ქართლში ქრისტიან მეფედ დაბრუნების შემთხვევაში ვახტანგის მიერ კათოლიკური სარწმუნოების აღიარებას ასახელებდნენ. ამასთანავე, ქართული დელეგაცია იმასაც ითვალისწინებდა, რომ კათოლიკური ევროპა და ვატიკანი ყოველთვის წინა პლანზე აყენებდნენ და აღმოსავლეთში ყოველი დიდი საქმის გაკეთების პირობად კათოლიკური სარწმუნოების აღიარებას მოითხოვდნენ (ისევე, როგორც მაჰმადიანური ქვეყნები მოითხოვდნენ მაჰმადიანობის აღიარებას).

ქართველებმა იცოდნენ ეს. ჩანს, ამიტომაც დელეგაციამ მემორანდუმის პირველივე პუნქტში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელების საჭიროებას მიაპყრო თავისი ყურადღება, თუმცა, რა თქმა უნდა, მთავარ საქმედ ვახტანგის გათავისუფლება ანუ 300 000 ეკიუს მიღება და შაჰის კარზე ფრანგი მეფის დახმარება მიაჩნდათ. ევროპელთა დაინტერესება კათოლიკობის გავრცელებით ქართველებმა ეროვნულ ინტერესებს დაუკავშირეს და იფიქრეს, რომ ამ სარწმუნოების (ანუ ქრისტიანობის ამ მიმდინარეობის) გავრცელება ჩრდილო კავკასიასა და საქართველოს მაჰმადიანობის გზაზე შემდგარ მხარეებში, ქვეყანას გადაარჩენდა, გააერთიანებდა და აღადგენდა. ამიტომაც პირველი პუნქტი, როგორც აღინიშნა, „მოითხოვდა ქართლის მეზობელ სამთავროთა: გურია-იმერეთის, აფხაზეთ-სამეგრელოს გაკათოლიკებაში ხელის შეწყობას. ასევე ჩრდილო კავკასიის სხვა ქვეყნებში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებას“[43].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართველებს კათოლიკობა მართლმადიდებლობაზე უკეთეს სარწმუნოებად კი არ მიაჩნდათ და მათი ერთი ნაწილი სარწმუნოებრივი მიზეზების გამო კი არ იღებდა კათოლიკობას, არამედ პოლიტიკური მიზეზების გამო. ამას ადასტურებს ის, რომ არსად საქართველოს არც ერთ დაუპყრობელ მხარეში (აქ არ იგულისხმება თურქთაგან დაპყრობილი მესხეთი) მოსახლეობის ფართო მასები ნებაყოფლობით ანდა თავისი სარწმუნოებრივი მისწრაფებების გამო კათოლიკობაზე არ გადასულა. საქართველოში კათოლიკობას, როგორც წესი, სახელმწიფო მოღვაწენი (და ის საეკლესიო იერარქები, რომელთაც პოლიტიკასთან ჰქონდათ საქმე) იღებდნენ. სახელმწიფო მოღვაწეებად კი ამ დროს ითვლებოდნენ თავადები, ერისთავები და სამეფო კარზე მოღვაწე პირები. კათოლიკური სარწმუნოება პოლიტიკის, საგარეო ორიენტაციის, ქვეყნის განთავისუფლების, საქართველოს გაერთიანების, კავკასიის შეკავშირების და სხვა პოლიტიკურ-სახელმწიფოე-

ბრივი მიზნების განსახორციელებლად ესაჭიროებოდათ ქართველ მოღვაწეებს. უბრალო ხალხი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წევრი იყო. თუმცა, არც „კათოლიკე“ ქართველებს მიაჩნდათ კათოლიკობა განსხვავებულ სარწმუნოებად, მას მართლმადიდებლობის ნაწილად, მის ევროპულ სახედ მიიჩნევდნენ. როგორც ჩანს, ასევე ესმოდა ეს საკითხი სულხან-საბა ორბელიანსაც. 1709 წლით დათარიღებულ პაპისადმი მიწერილ წერილში, რომელიც მ. თამარაშვილს სულხან-საბას გაგზავნილად მიაჩნია, ვკითხულობთ: „ოღონდ ეს ვინცავინ აქ მართლმადიდებელნი არიან, ამათზედ თქვენი ლოცვა და საქმითაც მოხმარება იყოს. ხილული მტრებისაგან დიდს ჭირში არიან. ყოველთ ცოდვილთ უცოდვილესი ორბელისშვილი სულხან ყოფილი მონაზონი საბა. მიწა ფერხთა თქვენთა“[44]. ამ წერილში საბა თავისიანებს „მართლმადიდებლებს“ უწოდებს. ის ისეთი მართლმადიდებელია, რომელიც პაპს პატივს ცემს, პეტრეს მოსაყდრესა და მწყემსს უწოდებს. პაპის პრიმატობის მაღიარებელ მართლმადიდებელს კი, თანახმად მ. თამარაშვილისა, იმ დროს კათოლიკეს უწოდებდნენ. ამიტომაც სულხან-საბა, როგორც ჩანს, არა რწმენით ან დოგმატური საკითხების მიღებით იყო კათოლიკე, არამედ პოლიტიკური ორიენტაციით, რამეთუ ამ ეპოქის მოღვაწეთა აზრით (როგორც ითქვა, ამას იმდროინდელი შეხედულებების ანალიზი უჩვენებს) მიიჩნეოდა, რომ მართლმადიდებლობისა და კათოლიკობის დოგმატიკა და ქრისტოლოგია ერთი და იგივე იყო, მით უმეტეს, რომ ქართველი კათოლიკეები ყველა მართლმადიდებლურ წიგნს ძველებურადვე იყენებდნენ და წირვა-ლოცვისა და ლიტურგიის წესსა და ყოველგვარს მართლმადიდებლურ საეკლესიო ჩვეულებას იცავდნენ. კათოლიკობის აღიარებით მათ ქართულ ეკლესიაში დამატებით არაფერი შეჰქონდათ, არც არაფერს აკლებდნენ და მის არც ერთ სტრუქტურას არ ცვლიდნენ.

სულხან-საბას ევროპულ წყაროებში „წმიდა ბასილის წესის მონაზონი ეწოდება“. მიიჩნევა, რომ წმიდა ბასილის სამონაზნო ორდენი კათოლიკური იყო. სინამდვილეში კი, ევროპელები ყველა მართლმადიდებელ ბერს „წმიდა ბასილის წესის მონაზონს“ უწოდებენ, რადგანაც ცნობილი იყო, რომ თუ კათოლიკურ სამყაროში ბერობის (მონაზნობის) სხვადასხვა ორდენი არსებობდა (კარმელიტები, ფრანცისკანელები და სხვა), მართლმადიდებლებს მხოლოდ ერთი სახის, „წმიდა ბასილის წესის“ მქონე ბერობის ინსტიტუტი ჰქონდათ, რომელსაც ეკუთვნოდა კიდეც სულხან-საბა, მას სწორედ ამ ორდენში აღუდგენია თავისი თავი 1714 წლისათვის ევროპაში.

ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ სულხან-საბა საერთოდ არ ფიქრობდა ქართული ეკლესიისაგან განდგომას, პირიქით, ის მისი უერთგულესი წევრი, მისი გაძლიერებისა და ამაღლებისათვის თავდადებული მებრძოლი, მისი ერთ-ერთი წარმმართველი, მრჩეველი და საეკლესიო თავადთაგანი იყო. ევროპაში გამგზავრების წინ სულხან-საბა 40 დღე იმყოფებოდა დასავლეთ საქართველოს კათალიკოსთან, ისინი ერთად სახავდნენ გზებს აფხაზ-ჩერქეზებსა და სხვა ტომებში ქრისტიანობის აღორძინებისათვის (ფიქრობდნენ, რომ აქ ქრისტიანობა ძლევამოსილ ევროპელ მისიონერებს უნდა გაევრცელებინათ). საფრანგეთის იმპერატორს სულხანი დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის შესახებ ატყობინებდა – „ამ პარტიარქის

აზრი ეს არის, რომ შეუერთდეს წმიდა საყდარსა და მისიონერებთან ერთად ეცადოს აფხაზების მოქცევას“[45]. „წმიდა საყდართან შეერთების“ ფორმულის გარეშე ევროპული კათოლიკური ქვეყნები საბას წერილს არც განიხილავდნენ, ქართველობისათვის კი უმთავრესი აფხაზების (აფსუა-ჩერქეზების) გამანადგურებელი შემოსევების თავიდან აცილება იყო, რაც მათი გაქრისტიანებით გახდებოდა შესაძლებელი.

მ. თამარაშვილი წერს – „საბას კათოლიკობა უნდა მიეღო 1692 წ-ს, ხოლო ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ იგი გაკათოლიკებულა 1687 წ-ს გიორგი მეფესთან ერთად... საბა მონაზვნად აღკვეცეს. შემდგომ იგი წმიდა იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარი გამხდარა. ეს საბუთი საკმაოდ გვიმტკიცებს, იმ დროს ხსენებული მონასტრის მონაზვნებიც კათოლიკენი უნდა ყოფილიყვნენ, რადგან წარმოუდგენელია ერთი და იმავე ალაგს უფროსი კათოლიკე იყოს და მისნი ქვეშევრდომნი კი არა“[46].

ეს საკმაოდ ძლიერი საბუთი ჩვენ გვარწმუნებს, რომ ამ დროს საქართველოში ქართული რიტის ვითომდა კათოლიკენი და მართლმადიდებლები განსხვავებულ სარწმუნოებრივი მიმართულების მორწმუნეებად როდი ითვლებოდნენ. დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერი, როგორც წესი, ტრადიციულად მართლმადიდებლური იყო და შეუძლებელია მის წინამძღვრად არამართლმადიდებელი, ანდა განსხვავებული სარწმუნოებრივი აღმსარებლობის პირი ყოფილიყო. „კათოლიკე“ სულხან-საბა კი მას წინამძღვრობდა, რაც არა იმაზე მიგვითითებს, რომ მონასტერიც კათოლიკური იყო, არამედ იმის შესახებ, რომ იმ დროისათვის ქართველები საბას სარწმუნოებრივად მართლმადიდებლად მიიჩნევდნენ. როგორც აღინიშნა, მართლმადიდებლის „კათოლიკედ“ ქცევისათვის მისი არც ხელახლა მონათვლა, არც გადანათვლა, არც მირონცხება, სარწმუნოებრივი შეხედულებების არავითარი ცვლილება არ იყო საჭირო, გარდა პაპის პრიმატობის აღიარებისა, რაც პოლიტიკასთან უფრო იყო დაკავშირებული, ვიდრე სარწმუნოებასთან.

სულხან-საბას ელჩობის შედეგი ასეთი იყო: საფრანგეთის იმპერატორი არ დაინტერესდა კავკასიელთა გაკათოლიკებით, ეს მან პაპის გადასაჭრელ საქმედ მიიჩნია, ამან ქართველთა გეგმები ჩაშალა. მათ იცოდნენ, რომ პაპს ძალები კავკასიელი ტომების გასაქრისტიანებლად არ შესწევდა, ხოლო საფრანგეთის ძლიერი სახელმწიფო ამ საქმეში არ ჩაერია. გარდა ამისა, ვახტანგის გასათავისუფლებლად 300 000 ეკიუ, რასაც ქართველები სთხოვდნენ, არ გამოჰყო. ე.ი. საფრანგეთი ირანის მიერ ქართული ქრისტიანული სახელმწიფოს არსებობის იურიდიული ცნობით არ დაინტერესდა. აღდგომისა და გამოხსნის ევროპული ორიენტაცია ჩაიშალა. ევროპა ქართული სახელმწიფოს აღორძინების გეგმის მიმართ გულგრილი დარჩა.

უფრო მეტიც, როცა რამდენიმე წლის შემდეგ თურქები აღმოსავლეთ საქართველოში შემოიჭრნენ, ევროპის ზოგიერთ კუთხეში კმაყოფილნიც კი დარჩენილან - „თურქეთის მიერ თბილისის დაპყრობამ და ქართლის დამორჩილებამ დიდი სიხარული მოჰგვარა ინგლისს, რომელიც რუსეთის მარცხის მოსურნე იყო და ყოველმხრივ ცდილობდა, თურქეთს ესარგებლა ირანის საბოლოო დაცემით“[47].

1715 წელს სულხან-საბას ხელცარიელი დაბრუნება საქართველოში ქართველი მეფის ევროპული ორიენტაციის კრახს ნიშნავდა. ევროპამ არ ისურვა ხელი შეეწყო მისი გეგმებისათვის, რომელიც კავკასიის ნაწილების შეკავშირებას, საქართველოს საშინაო პოლიტიკის მოწესრიგებას, მეფე-მთავართა შორის შეთანხმების მიღწევის გზით ქვეყნის გაერთიანებას და ქრისტიანული რწმენის დაცვით მაჰმადიანობის გავრცელების შეფერხებას ითვალისწინებდა.

მაგრამ დრო აღარ იცდიდა, საჭირო იყო აქტიური მოქმედება, ვახტანგმა საგარეო ორიენტაცია შეიცვალა, ამიტომ 1716 წელს შექმნილი ვითარების გამო მაჰმადიანობა მიიღო. „მეფის ეს ნაბიჯი მოჩვენებითი იყო, ვახტანგი გადავიდა მაჰმადის რჯულზე „მხოლოდ სიტყვით და არა საქმითაც“[48].

აღსანიშნავია, რომ მ. თამარაშვილის თანახმად, საქართველოში დაბრუნებულ სულხან-საბას საჯაროდ დევნიდნენ არა ქართველები, როგორც ეს აზრი მიღებულია ამჟამად, არამედ სომხები, თუ რა იყო იმის მიზეზი, რომ თვით საქართველოშიც კი (არა მარტო სომხეთში, არამედ საქართველოშიც) სომხებს უფლება ჰქონდათ მინიჭებული (ირანელთა მიერ) ედევნათ ქართველი სასულიერო პირები, ამის შესახებ დაბეჯითებითა და დამაჯერებლად წერს მ. თამარაშვილი თავის წიგნებში. სომეხთა აზრით, „ქართველებს კათოლიკობა კი არ უნდა ეღიარებინათ, არამედ გრიგორიანობა (იგულისხმება ის ქართველები, რომლებიც მიუხედავად იძულებისა კი არ მაჰმადიანდებოდნენ, არამედ რომელიმე არამართლმადიდებლურ სარწმუნოებას აღიარებდნენ ხოლმე). სომეხთა აზრით კი, როგორც თამარაშვილი და სხვა მეცნიერები არკვევენ, თუ ქართველს გამაჰმადიანება არ სურდა, მას კათოლიკობა კი არ უნდა ეღიარებინა თავის სარწმუნოებად, არამედ გრიგორიანობა. ამიტომაც სასტიკად დევნიდნენ არა მარტო ევროპელ კათოლიკე მისიონერებს, არამედ ქართველებსაც კი და მათ შორის სულხან-საბას, რომელიც მთელ საქართველოს თავის მამად მიაჩნდა[49].

ვახტანგ VI-ის რუსული ორიენტაცია და მისი კრახი

ირანის სახელმწიფოს უკიდურესმა დასუსტებამ, ავღანთა მიერ მისი მმართველი დინასტიის ჩამოგდებამ, ქვეყნის უკიდურესმა შინაგანმა კრიზისმა, როგორც ჩანს, ქართველ პოლიტიკოსებს, კერძოდ კი, ვახტანგ VI-ს აფიქრებინა, რომ აღარ იყო საჭირო დამალვა ქართველთა სწრაფვისა მართლმადიდებლური სარწმუნოების აღორძინებისა და მართლმადიდებლური რუსეთისაკენ. 1722 წ. პ. ბუტკოვის ცნობითაც, ვახტანგ VI-მ საჯაროდ მიიღო ქრისტიანობა – „[illegible]“.

მანამდე ვახტანგი უმკაცრესად იცავდა ქრისტიანული ქვეყნებისაკენ თავისი სწრაფვის საიდუმლოს. მაგალითად, 1714 წელს საფრანგეთის მინისტრს „სიფრთხილისათვის ვახტანგი არც ქართულად სწერს და არც თავის ხელს აწერს პასუხზე, რათა პასუხი მის მტრებს, სპარსელებს არ ჩავარდნოდათ ხელში და უარესად არ გადამტერებოდნენ“[50]. თვით თავის გამზრდელს, სულხან-საბა ორბელიანსაც კი, ვახტანგმა იტალიურ ენაზე დაწერილი წერილი გაუგზავნა, რათა ქართული ხელში არ ჩაეგ-

დით და არ წაეკითხათ. კერძოდ, იგი წერდა: „ვერ ვბედავ და ჩემის ხელით ვერაფერსა ვწერ, რადგან მეშინია ჩემი ძმის არტილერიის გენერლის იესესი, რომელიც, როგორც მუდამ განდგომილი მტერი და ეშმაკი, ისე დამტრიალებს გარს, რათა ჩამთქას“[51].

სპარსეთის სახელმწიფოს დასუსტებისა და იმ დიდი იმედების გამო, რომელსაც რუსეთის სახელმწიფო და სახელდობრ პეტრე I იძლეოდა, ვახტანგმა საჭიროდ აღარ ჩათვალა დაფარვა თავისი ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ანუ ოსმალ-სპარსთა აზრით, რუსული ორიენტაციისა; მან საქვეყნოდ გაამჟღავნა თავისი გადაწყვეტილება რუსეთთან სამხედრო კავშირის შეკვრისაკენ, კერძოდ, იგი მზად იყო ხელი შეეწყო რუსთა ჯარის შემოსვლისათვის ამიერკავკასიისა და ირანის ტერიტორიებზე. ამან ძალზე შეაშფოთა მაჰმადიანური ქვეყნები და ჩრდილოკავკასიელი ტომები. სამწუხაროდ, ჩაფიქრებული გეგმა ვერ განხორციელდა. სამაგიეროდ, თურქეთმა მიზეზი იშოვა და საქართველოში შემოვიდა, თარეშს უმატეს ლეკებმაც, ხოლო ბოლოს ოსმალობას ქვეყანაში ყიზილბაშობა შეენაცვლა. „ვფიქრობთ, ვახტანგ VI-ის გამოაშკარავებულმა დიპლომატიურმა რუსულმა ორიენტაციამ და ლეკთა თარეშის გაძლიერებამ, შინაფეოდალურმა შეუნელებელმა ბრძოლებმა შექმნა წინაპირობა იმისათვის, რომ აღმოსავლეთ საქართველოში იმდროინდელი სახელმწიფოებრივი (ეკონომიკური, კულტურული და სოციალური) წყობა ორი ათეული წლით მოშლილიყო. საქართველოში ჯერ „ოსმალობა“ და მერე „ყიზილბაშობა“ დამკვიდრდა“[52].

რუსეთს სპარსეთში განსაკუთრებული ეკონომიკური ინტერესები ჰქონდა. „პეტრე დიდს უნდოდა, რომ სპარსეთის ვაჭრობა რუს ვაჭრებს ჩაეგდოთ ხელში... სპარსეთის ეკონომიკურად ხელში ჩაჭერა რომ უფრო გაადვილებულიყო, პეტრე I-მა გადაწყვიტა კასპიის ზღვის მიდამოები ამიერკავკასიაში ჯერ თავისი მფარველობის ქვეშ მოექცია, შემდეგ ქვეყანა დაეპყრო და შიგ რუსი ჯარისკაცები ჩაესახლებინა... ამ იდუმალი გეგმის ასასრულებლად რუსეთისათვის საქართველოს სამეფოს სამხედრო დახმარება იყო საჭირო. ამიტომ პეტრე დიდმა გადაწყვიტა საქართველო და მეფე ვახტანგი ჩაერია ამ საქმეში და რუსეთის სასარგებლოდ გამოეყენებინა“[53]. ამ მისიით პეტრე I-ს ვახტანგთან საგანგებო ელჩი გაუგზავნია:

„რუსეთის ელჩმა ისე ოსტატურად მოაწყო და მოაჩვენა საქმე ქართველებს, თითქოს პეტრე I-ს შეეტყოს ვახტანგ VI-ის გაჭირვებული მდგომარეობა, მისი შველა და დახსნა სდომოდეს სპარს-ოსმალთა კლანჭებისაგან და სწორედ ამიტომ აპირებდეს იგი სპარსეთის წინააღმდეგ ამხედრებას. მეფე ვახტანგმა და ქართლის სამეფოს გავლენიანმა წრეებმა ეს დიპლომატიური ხრიკები სინამდვილედ მიიჩნიეს, მათ ვერ წარმოედგინათ, რომ ძლიერ ქრისტიან ხელმწიფეს გულში სხვა რამე იდუმალი ზრახვა ექნებოდა“[54].

ვახტანგს, როგორც ცნობილია, ჰქონდა თავისი გეგმა საქართველოს „გამოხსნისა და აღდგომისა“. პეტრე I-მა მას ამ გეგმის განხორციელების იმედი დაუსახა, ამიტომაც მიენდო მას. „ქართლის მეფეს ვახტანგ VI-ს, თავის მხრივ, ფართო ზოგადი გეგმები ამოძრავებდა, როდესაც რუსეთის მოკავშირეობას უპირატესობას ანიჭებდა: საქართველო უნდა განთავისუფლებულიყო ირანის ჩაგვრისაგან, თურქთა მხრიდან თავდასხმები აეცდინა, მოეხერხებინა ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება,

შეენელებინა დინასტიური შუღლი, მოესპო ქრისტიანული რელიგიის დევნა და შედარებით უკეთესი პირობა შეექმნა ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის“[55].

ამიტომაც, ვახტანგი რუსთა მეფის წინადადებამ გაიტაცა, თუმცა კი სახელმწიფოს დარბაისელთა ერთი ჯგუფი მეფეს სიფრთხილეს ურჩევდა. სპარსთა და ოსმალთა იძულებითი მორჩილებისას რუსთა მეფესთან აშკარა კავშირის დაჭერის გამო ქართლის სამეფო კარზე მოღვაწეთაგან ზოგიერთნი: „მეფეს სძრახავდნენ, იტყოდნენ ეგე ვითარსა გმობასა, სამს დიდს ხელმწიფეს პირს აძლევს, სამგან იკეთებს ყმობასა, ყეენის სპასალარია, თავს ირქვამს რაყამობასა, რუსთ ხელმწიფესთან მამაობს, ხვანთქართან ჩემობს ძმობასა“, – წერდა დავით გურამიშვილი. რუს ხელმწიფეს ვახტანგისათვის მიუწერია – „მოდი მიგიჩნევ მამადო... გიჯობს მე ზურგი მომყუდო, გულზედა გული მამადო“... რაც ვახტანგს სიხარულით დაუჯერებია. ამიტომაც უთქვამთ: „მესამე კიდევ მოიბა, ორი საბელი თავს ება, სამი ვეშაპი ერთ ლომსა აწ ვითარ მოეთვისება“.

ვახტანგისა და რუსეთის კავშირმა შეაშფოთა, ააღელვა და აამოძრავა მთელი ახლო აღმოსავლეთი, შეშფოთების ხმამ თვით ევროპაშიც მიაღწია. ევროპელი დიპლომატები ამტკიცებდნენ, რომ რუსეთი ვახტანგთან კავშირის შემწეობით აპირებდა ჯერ ირანის დაპყრობას, ხოლო შემდეგ კონსტანტინეპოლზე გალაშქრებას[56]. ამის გამო „კონსტანტინეპოლში რამდენჯერმე შეიკრიბა სახელმწიფო დივანი, სადაც საკითხი დაისვა პეტრე I-სა და ვახტანგ VI-ის საომარ მოქმედებათა წინააღმდეგ აქტიური ზომების მიღების შესახებ“[57].

ირანი, ოსმალეთი და დაღესტანი უდიდესმა შეშფოთებამ მოიცვა, ყოველი მხრიდან რუსთა მოგერიებისათვის და ქართლის სამაგალითოდ დასჯისათვის მოემზადნენ.

მ. ქიქოძე წერს: „ჩვენი ვარაუდით, ვახტანგის დიპლომატიური სისუსტე სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მან თავისი პოლიტიკური პოზიცია არ დამალა და რუსეთის საიმპერატორო კარისადმი ნდობა ირანისა და თურქეთისათვის სააშკარაო გახდა“[58].

პეტრეს მიერ დაიმედებული ვახტანგი თავისი 30-40-ათასიანი ჯარით სპარსეთის სახელმწიფოს საზღვრებში შევიდა, სადაც მისი აზრით, რუსთა ჯარი მეორე მხრიდან უნდა შემოსულიყო. ცნობილია, რომ რუსეთის ჯარი სპარსეთში არ შევიდა, ვახტანგი მარტო აღმოჩნდა გაშმაგებული მტრების წინაშე.

ს. ჯანაშია წერს: „არა ვახტანგმა მიმართა დახმარებისათვის პეტრე I-ს, არამედ პეტრემ ჩაითრია ვახტანგი სპარსეთის ლაშქრობაში. არ არის სწორი მტკიცება, რომ თითქოს საქართველოს რუსული ჯარის დახმარების მიღება ვერ მოუხერხდა. პეტრე I-მა უმოწყალოდ დასტოვა თავისი კავკასიელი მოკავშირეები ბედის ანაბარა“[59].

პეტრეს დარუბანდში მიუვიდა ამბავი, რომ ვახტანგი 40 000-იანი ჯარით შესულიყო სპარსეთის იმპერიის საზღვრებში და პეტრეს ელოდა. ამბის მიღების მეორე დღესვე 1723 წლის „7 ენკენისთვეს, ის დაიძრა და წავიდა, მაგრამ საქართველოს ჯართან შესაერთებლად კი არა, არამედ შინ, ასტრახანისაკენ“[60].

„მეფე ვახტანგი 40 000-იანი ქართული ჯარითურთ იდგა და უცდიდა „ქრისტეს მოყვარე“ ხელმწიფეს და ვერ გაეგო, თუ რატომ „შეიქმნა დაყოვნება ხელმწიფისა“[61]. როცა შეიტყო, რაც მოხდა, „მაშინ კი დარწმუნდა ვახტანგ მეფე, რომ

ლაშქრობის მოწინააღმდეგე დარბაისელნი მართალნი იყვნენ. „შეექმნა მეფეს ჭმუნვა დიდი“, მაგრამ რაღა დროს. საქმე გაცილებით უფრო ცუდად დატრიალდა, ვიდრე ომის მოწინააღმდეგე დარბაისლებს გათვალისწინებული ჰქონდათ, მათ ფიქრადაც კი არ მოსვლიათ, რომ რუსთა ხელმწიფე თავის სიტყვას არ აასრულებდა და საქართველოს განრისხებულს მტერს უმწეოდ მიუტოვებდა. სანამ პეტრე I ვახტანგ მეფეს შეაცდენდა და საბედისწერო ნაბიჯს გადაადგმევინებდა, ოსმალეთი არზრუმის ფაშის პირით ვახტანგ VI-ს მფარველობას ჰპირდებოდა, მას რომ სპარსეთის წინააღმდეგ რუსეთის ომში მონაწილეობა არ მიეღო და რუსეთს ცხადად არ მომხრობოდა. მაგრამ რაკი ოსმალეთმა დაინახა, რომ რუსეთი სპარსეთის დაპყრობას ლამობდა და ქართველებიც მათი მოკავშირენი იყვნენ, რუსეთის შიშით დაიძრა და ჯერ ერევნიდან თავრიზამდის მთელი ქვეყანა დაიჭირა, ხოლო შემდეგ თვით საქართველოს წინააღმდეგაც გაილაშქრა... მეორე მხრით, განა სპარსეთს კი შეეძლო საქართველოსათვის მისი მოქმედება ეპატიებინა? სპარსეთის შაჰს ვახტანგ მეფეზე მოახსენეს: ის იმდენად „არის მტერი შენი“, რომ „ეყმო ხელმწიფესა რუსეთისასა“ და „ამოწყვიტა რჯულისა შენისა მოსავნიო“, საქართველო განმტკიცებისა და გაძლიერების მაგიერ მტრის სათარეშოდ იქცა: ქართლი აოხრდა და ოსმალებს ჩაუვარდა ხელში, ლეკებმა ხალხს ძარცვა-გლეჯა დაუწყეს, ვახტანგ მეფეს, რომელსაც საქართველოს სახელმწიფოებრივი, კულტურული და ეკონომიკური აღორძინებისათვის დაუღალავი შრომა ჰქონდა გაწეული და ქვეყნის აღმშენებლობითი მუშაობით იყო გატაცებული, პეტრე I-საგან ასე მოტყუებულსა და ყოვლად უმწეოდ მიტოვებულს, საქართველოდან გახიზვნის მეტი აღარაფერი დარჩენოდა. ქართლში ოსმალები გაბატონდნენ, მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. როდესაც პეტრე პირველმა დაინახა, რუსთა სამხედრო მოქმედებით სპარსეთში ოსმალეთი იმდენად განრისხდა, რომ რუსეთისათვის ომის გამოცხადებას აპირებდა, 1724 წ-ის 12 ივნისს მასთან სწრაფად შეკრა ზავი, რომლის პირველ მუხლში რუსთა ხელმწიფემ მთელი აღმოსავლეთი საქართველო ოსმალეთს დაუთმო, თუმცა იგი მას სრულებითაც არ ეკუთვნოდა[62]. ქართლი ახალი დამპყრობლის – ოსმალეთის ხელში აღმოჩნდა. ვახტანგ VI უზარმაზარი ამალით რუსეთში გადავიდა, მას საქართველოდან 1200 კაცი გაჰყოლია, ხოლო რუსეთში შეჰმატებიან იქ ადრე ჩასული ქართველები, საბოლოოდ ამალაში 1885 კაცი აღმოჩნდა[63].

1724 წლის ივლისში მეფემ ქართლის საზღვრები დატოვა, ერთი თვით ადრე დომენტი კათალიკოსმა ოფიციალური წერილი გაუგზავნა პეტრე I-ს, რომელშიც თურქთა გამო ქვეყანაში შექმნილ სავალალო მდგომარეობას ატყობინებდა, კერძოდ, იგი წერდა: „ვინ იცის, გზა ვიშოვოთ და მანდ გიახლოთ, რათა ხელმწიფემ შეგვიწყალოს...“ ამ წერილიდან კარგად ჩანს, რომ ქართლის კათალიკოსის თხოვნა ქვეყანაში დარჩენილი თავკაცების საერთო გადაწყვეტილება იყო; ვერ გაართვეს რა თავი შექმნილ სიტუაციას, ერთი მხრივ, ლეკების შემოსევებს და მეორე მხრივ, ოსმალთა დამკვიდრებას, ქართლის თავკაცებმა გადაწყვიტეს რუსეთს შეკედლებოდნენ“[64]. ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ქართველს საქართველოში აღარ ედგომებოდა, ვისაც შეძლება ჰქონდა და მართლმადიდებლობის შენარჩუნება სურდა,

მზად იყო საქართველო მიეტოვებინა და რუსეთში გახიზნულიყო. სხვა დიდებულებთან ერთად თავიანთი, გასაჭირში მყოფი, სამწყსო მიატოვეს და გაიხიზნენ „არქიეპისკოპოსი ქრისტეფორე, მიტროპოლიტი პავლე თბილელი, ეპისკოპოსები: ნიკოლოზ მროველი, მანგლელი არსენი...“[65]. ამის გამო, ალბათ, შესაბამისი საეპისკოპოსოებიც გაუქმდა, მაგალითად თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მეფობის დასაწყისის ერთი საბუთიდან ჩანს, რომ მროველის კათედრა გაუქმებული იყო და მათ აღდგენა სურდათ. მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, ქართულ ეკლესიას უდიდესი ძალა და გავლენა ჰქონდა საქართველოში, რასაც ანგარიშს რუსეთის საიმპერატორო კარიც უწევდა. მაგალითად, რუსეთის მთავრობა ცდილობდა ვახტანგ VI-ს რაიმე კავშირი არ დაემყარებინა კათალიკოს დომენტისთან, მიუხედავად იმისა, რომ თურქთაგან შევიწროებული კათალიკოზი იმალებოდა კიდეც.

„1725 წ-ის ზაფხულში დომენტი კათალიკოსი, რომელიც ჯერ კიდევ ქსნის ხეობაში იმალებოდა, შემდეგ იძულებული შეიქმნა კონსტანტინეპოლისათვის შეეფარებინა თავი. რუსეთის მთავრობას მაინც შიში ჰქონდა, რომ ვახტანგს და დომენტის რაიმე საიდუმლო კავშირი არ გაებათ ერთმანეთთან და ამით თურქეთი არ გაეღიზიანებინათ რუსეთის წინააღმდეგ“[66].

აქედან ჩანს, რომ როგორც რუსეთში, ისე თურქეთში ქართველთა კათალიკოსი მთელი საქართველოს განპიროვნებულ სახედ ჰყავდათ მიჩნეული, კათალიკოსი საქართველოს პიროვნული გამოხატულებაა. ამიტომაც იმის შემდეგ, რაც თურქებმა კათალიკოსი კონსტანტინეპოლიდან, ვითარცა პატიმარი, ერთ კუნძულზე გაგზავნეს, „ვახტანგი რუსეთს სთხოვდა 1731 წ-ს ეხსნა დომენტი კათალიკოსი თურქთა ტყვეობისაგან“[67].

მალე ყველასათვის ცხადი გახდა, რომ რუსეთის მთავრობა თავს არ იწუხებდა საქართველოსათვის, ხოლო საქართველოში ოსმალობამ და ყიზილბაშობამ საშინელი სახე მიიღო.

„...მისი (ვახტანგის) დაუფარავი დამოკიდებულება და ერთგულება რუსეთისადმი, ყოველთვის არა მარტო ყურადღებას აძაბვინებდა ოსმალეთს და ირანს, არამედ აქტიური ბრძოლისაკენ უბიძგებდა აღმოსავლელ დამპყრობელთ“[68].

ვახტანგის იმედი, რომ რუსეთის დახმარებით ირანის ვასალური დამოკიდებულებისაგან გათავისუფლდებოდა, კრახით დამთავრდა. პირიქით, ოსმალების, მერე ყიზილბაშების დროს ოსებმა ჯერ ქართლის მთიანეთი დაიჭირეს, შემდეგ ოსების ტომები ქართლის ბარისაკენ დაიძრნენ. თუკი აქამდე ვახტანგი (1711 წელს) იმორჩილებდა დვალეთს, რომელიც ტერიტორიულად ჩრდილო კავკასიაში მდებარეობდა, ყიზილბაშობის შემდეგ თეიმურაზ II და ერეკლე II 1740-იან წლებში უკვე საქართველოს მთიანეთში ჩამოწოლილ ოსებს ებრძვიან. რაც შეეხება ლეკებს, მათ ამ პერიოდში საბოლოოდ დაიჭირეს აღმოსავლეთ კახეთი. ოსებისა და ლეკების მიერ ქართლისა და კახეთის მიწების მიტაცება სხვა მარცხთან ერთად დიდი მარცხი იყო.

ვახტანგ VI-ისა და მუხრანელ ბაგრატიონთა დიდი ოჯახის მამულიშვილობა

ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლისა და განსაკუთრებით ქართლში როსტომ-ხანის გამეფების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში ქართველი ერის მოღვაწეობის ყოველი სფერო სპარსეთის წამლეკავი გავლენის ქვეშ მოექცა, გაუკუღმართდა, ეროვნულ სახეს უცხოელთა დაღი დაესვა, ჩვენი ქვეყანა სულიერ-კულტურული დაღუპვის გზას დაადგა. „ქართველი ერი ამ დროს მართლაც უაღრეს განსაცდელში იყო ჩავარდნილი. მისი მომავალი სახეიროს არას მოასწავებდა, თუ რომ ის მთელს თავის სულიერ ძალას არ მოიკრებდა და ეროვნული განსაცდელის თავიდან აცილებას არ ეცდებოდა. საბედნიეროდ, ეს შეძლო ამ საშინელ გასაჭირში; მან მართლაც მთელი თავისი ენერგია და შემოქმედებითი ნიჭი მოიკრიბა და გამანადგურებელ მიმართულებას წინ აღუდგა“[69].

ქართული კულტურის უაღრესი დაკნინების დროს ეროვნული თვითშემეცნების გაღვიძებისა და გაღვივებისათვის განსაკუთრებით იღვაწა მუხრანელი ბაგრატიონების იმ შტომ, რომელსაც სათავეში ედგა ვახტანგ V შაჰნავაზი. ამ ოჯახის წევრები და მასთან დაახლოებული პირები იყვნენ ის უდიდესი მოღვაწენი, რომელთაც ინტენსიური ეროვნულ-პატრიოტული და კულტურულ-მეცნიერული შემოქმედებით შეძლეს ღვთისმეტყველების, ისტორიული მეცნიერების, მედიცინის, ქიმიის, მათემატიკა-ასტრონომიის, ფილოსოფიის, პედაგოგიკის, ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიის, გენეალოგიის, სამხედრო საქმის არათუ აღორძინება, არამედ ეროვნულ ნიადაგზე გადაყვანაც. აღორძინდა რუსთველოლოგია, დიდაქტიკა, დაიბეჭდა წმიდა წერილი-ბიბლია, წიგნები საეკლესიო საჭიროებისათვის. არ იყო არც ერთი დარგი, არც ერთი სახე ეროვნულ-კულტურული მიმართულებისა, რომელსაც სათავეში არ ჰყოლოდა მუხრან-ბატონთა აღნიშნული ოჯახის რომელიმე წევრი ანდა მათთან დაახლოებული პირები, არჩილ მეფე, გიორგი XI, ვახტანგ VI თუ ვახუშტი, მათივე ოჯახის უახლოესი პირი სულხან-საბა ორბელიანი თუ სხვები.

საფიქრებელია, რომ მუხრანელ ბაგრატიონთა ოჯახისა და მათ ირგვლივ შემოკრებილი მოღვაწეების ეროვნულ-პატრიოტულ სულისკვეთებას საფუძველი დაუდო ამ ოჯახის პირმშომ (ვახტანგ V-ის უფროსმა ვაჟმა) არჩილ II-მ, მაგრამ მრავალმხრივობითა და ნაყოფიერებით ვახტანგ VI-ს ვერავინ შეედრებოდა.

არჩილი იმ დროს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, როცა ქართველ ერს განსაკუთრებით უჭირდა. საქართველოში მაჰმადიანთა გავლენა არა მარტო სახელმწიფოებრივ, არამედ კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სულიერ სფეროშიც იგრძნობოდა, ქვეყანა სისხლისაგან იცლებოდა, ქართლში ქართველად ყოფნა გაუსაძლისი გახდა; შეძლებული და გავლენიანი დიდებულებიც კი, ვისაც ქრისტიანად დარჩენა სურდა, საქართველოდან რუსეთში მიდიოდა საცხოვრებლად. დაბალი ფენების ნაწილი, შეჭირვებული მაჰმადიანთა და ლეკთაგან, თავდაცვის მიზნით გრიგორიანდებოდა (სომხებს შაჰ-აბასის შემდეგ ირანში არათუ დევნიდნენ, სახელმწიფოებრივ დონეზე შეღავათებსა და უპირატესობებს ანიჭებდნენ, ქართულ ქალაქებში

კი ირანის გარნიზონები იდგა და მაჰმადიანი მმართველები ბატონობდნენ, რომელნიც გრიგორიანებს („სომხებს“) პატრონობდნენ.



დასავლეთ საქართველოში ტყვეთა სყიდვა მძვინვარებდა, ხშირად ტყვედ გასაყიდად გამზადებული ქალები და კაცები თავებს იმახინჯებდნენ და თავს იკლავდნენ. იყო შემთხვევები, როცა დედები ტყვეებად გამზადებულ ბავშვებს თავიანთი ხელით კლავდნენ (იცოდნენ, რომ გათათრება არ ასცდებოდათ). ამ დროს კი რით იყვნენ დაკავებულნი ჩვენი ერის ინტელექტუალები, ვთქვათ, პოეზიასა და მწერლობაში?

ქართულ მწერლობასა და ლიტერატურაში ისეთი თემები ჭარბობდა, რომ თუ არა ევროპელი მისიონერების ჩანაწერები და შემდეგდროინდელ ქართველ ისტო-

რიკოსთა შრომები, ადამიანი იფიქრებდა, თითქოსდა საქართველო უმშვენიერეს საუკუნეში ცხოვრობდა. ქართული ისტორიოგრაფია საერთოდ დუმდა და არ აღწერდა არსებულ ვითარებას, ქვეყანაში გაბატონებული იყო სიყვარული პოეზიისა, ძველი პროზაული ნაწარმოებებიც კი პოემებად გადააკეთეს. რაც შეეხება თემებს, მიღებული იყო არა ეროვნულ-პატრიოტული, ანდა ისტორიული ხასიათის ლექსები და პოემები (პროზა საერთოდ არ უყვარდათ ამ დროს, როგორც ითქვა), არამედ მსუბუქი, გასართობი, რომანტიკულ-არარეალური, სადევგმირო და მსგავსი თემები; ყვავილების, ხილთა, ანბანის და მსგავსთა ქება იმის გამო, რომ სპარსულ ლიტერატურაში სწორედ ეს თემები იყო გავრცელებული, ან კიდევ იმის გამო, რომ ქართველ დიდებულთა დიდმა ნაწილმა სპარსული ენა იცოდა (ურევდნენ კიდეც სპარსულ და ქართულ სიტყვებს ერთმანეთში), სწორედ სპარსული პოეზია იყო სულიერი საზრდო ქართველობისა, იმდენად, რომ არა მარტო დიდებულები, არამედ დაბალი ფენებიც კი იზეპირებდნენ „როსტომიანის“ (შაჰ-ნამეს) პასაჟებს და მისი გმირების სახელებს თავიანთ ბავშვებს არქმევდნენ. ერი უცხოურ (და თანაც დამპყრობლის) სულიერ კულტურას დაეწაფა, თუმცა კი მშვენივრად თარგმნილსა და გალექსილს.

„როსტომიანი“ გაულექსავს 16-მარცვლოვანი შაირით XVI საუკუნის პირველი ნახევრის პოეტს, იმავე საუკუნეში მისი შრომა მეორე პოეტს გაუგრძელებია. „ირანულ ლიტერატურაში ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ბევრი მიმბაძველი ჰყავდა... ამ სახის ნაშრომები ქართულადაც გადმოუკეთებიათ, ასეთებია „უთრუთიან-საამიანი“, „ზააქიანი“ და სხვები[70].

მარტო სპარსული ზღაპრებით არ კმაყოფილდებოდნენ, ქართული „ამირან-დარეჯანიანიც“ გაულექსავთ, მოსე ხონელისა (თავისთავად მშვენიერი რომანი, მაგრამ ამ ეპოქის სულიერი საჭიროებისათვის გამოუსადეგარი). „ზღაპრული პროზის შესანიშნავი ნაწარმოებია „რუსუდანიანი“, ერთმანეთთან შინაარსობრივად და იდეურად დაკავშირებული 12 ზღაპრის კრებული“[71]. თუმცა, როგორც ჩანს, ესენიც საჭირონი იყვნენ: „ნაწარმოებში გამოხატულია ოპტიმისტური შეხედულება ცხოვრებაზე: დაბრკოლებები, გასაჭირი, განსაცდელი, ბოლოს და ბოლოს დაძლეული იქნება და ჭირი ლხინით შეიცვლება“[72]. ჩანს, გაჭირვებული ხალხი რაღაცა იმედს ჰპოვებდა ამგვარი თხზულებებით.

თვით თეიმურაზ I კი, რომელმაც სათავე დაუდო ქართულ მწერლობაში ეროვნული მოტივების აღორძინებას თავისი პოემით „წამება ქეთევან დედოფლისა“, სპარსული თემატიკის წამლეკავ გავლენასაა აყოლილი, თარგმნის „ლეილმეჯნუნიანს“, „იოსებზილიხანიანს“, „ვარდბულბულიანს“, „შამიფარვანიანს“, მაგრამ ის მაინც განსხვავდება სხვა მოლექსეებისაგან იმით, რომ „უცხოურ ფაბულაში ქართულ ეროვნულ სულისკვეთებას აქსოვს“[73], თუმცა კი ამით საერთო სურათი არ იცვლება - სპარსული გავლენა წამლეკავია.

თვით ისტორიებიც კი არ იწერებოდა, არავინ იყო იერემიასაებრ მგლოვიარე ქართლის მდინარეთა ნაპირებზე მაშინ, როცა საუკუნე მართლაც უსაშინელესი იყო.

„არავის უნდა სახარება, არცა წიგნი „მოციქულთაო“, – წერდა თეიმურაზი.

„საღმრთო წიგნი ბევრი წახდა უყდოთა და უბუდობითო“, – წუხს არჩილი.

ამ ეპოქის დაბალსულიერებასა და ზნედაცემულობას სწორედ ის აპირობებდა, რომ დავიწყებული იყო ქართველთა ეროვნული სარწმუნოების უმთავრესი საღმრ-

თო წიგნები, სახარება თუ სამოციქულო. თვით „ვეფხისტყაოსნის“ მაღალსულიერების გაგებაც გაძნელებულიყო. ის, როგორც ჩანს, სპარსული პოეზიის რანგის ნაწარმოებად მიაჩნდათ და როსტომიანისა თუ ზააქიანის დარად პატივს სცემდნენ (შემდგომ ვახტანგ VI-ს საგანგებო მსჯელობა დასჭირდა იმის დასამტკიცებლად, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სპარსული პოეზიის რკალში მოქცეული პოემა კი არა, არამედ ეროვნულ-ქრისტიანულია).

საბედნიეროდ, პირველად არჩილმა აუღო ალღო ამ უბედურებას (სულიერ დაკნინებას, უიდეობასა და სპარსოფილობას მწერლობაში) და საფუძველი დაუდო მუხრან-ბატონების დიდ ოჯახთან ერთად (სამეფო ოჯახი მაგალითის მომცემი და ორიენტირი იყო ყოველთა ქართველთათვის) – ეროვნულობას, იდეურობასა და პატრიოტულ სულისკვეთებას სიტყვაკაზმულ მწერლობასა და მეცნიერებაში.

„ფიზიკურ საშუალებათა გვერდით – წერს ნ. ბერძენიშვილი, – თანდათან შემუშავდა აგრესიის წინააღმდეგ იდეური ბრძოლის საშუალებანი. თანდათან ჩამოყალიბდა იდეურ-პოლიტიკურ მოღვაწეთა ძლიერი დასი: პოეტ-ლიტერატორები, მეცნიერ-ისტორიკოსები, სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწენი. სათანადო მებრძოლი მოტივები გაჩნდა პოეზიაში (არჩილი, იოსებ თბილელი), საამისოდ „გაიმართა“ ისტორიაც („ახალი ქართლის ცხოვრება“), გაჩაღდა მაჰმადიანობის წინააღმდეგ პროპაგანდა (გიორგი XI, იაკობ შემოქმედელი), დაიწყო ქრისტიანობის აღდგენისაკენ მიმართული ენერგიული მოქმედება (არჩილი, ვახტანგ VI)“[74].

„მიჩნეულია, რომ არჩილმა ქართულ მწერლობაში ახალი ეტაპი დაიწყო, მთელი „სკოლაც“ შექმნა იმხანად საქართველოში მოძალებულ სპარსოფილურ ტენდენციათა აღსაკვეთად. ამ „სკოლის“ უმთავრესი პრინციპები შემდეგნაირად წარმოისახება: მწერლობამ უნდა ასახოს დროსა და სივრცეში რეალურად მომხდარი ფაქტი, კონკრეტული ისტორიული სინამდვილე. რაც ისტორიულად არ ყოფილა, ის მონაჭორია, ზღაპარია. ასახვა უნდა მოხდეს „მართლის თქმის“ პრინციპით, ავისა და კარგის წარმოჩენით და არა „სპარსთა ნაჭორით“, ე. ი. მწერალი უნდა ასახავდეს საქართველოს წარსულსა თუ აწმყოს. უცხოური წარმოშობის ფაბულით გატაცებას არჩილი უპირისპირებს „ეროვნულ“ თემატიკას. მწერალი უნდა წერდეს გამართული ქართული ენით“[75].

არჩილი ერთმანეთთან აკავშირებდა ეროვნულსა და ქრიტიანულს: „თავისი მსოფლმხედველობით იგი უშუალოდ დაკავშირებულია ქრისტიანულ რელიგიასთან: „ვინცა მოკვდეს სჯულისათვის, დაიჯერე ესე ცხონდეს“[76]. ამიტომაც „მან დასაბეჭდად მოამზადა ბიბლია, რისთვისაც ერთმანეთს შეუდარა სხვადასხვა ნუსხა და სლავური ტექსტი“[77]. 1705 წელს მანვე მოსკოვში დააარსა ქართული სტამბა, სადაც საეკლესიო წიგნი – დავითნი დაბეჭდა. აქვე სურდა ბიბლიის დაბეჭდვა, რაც შემდეგ ბაქარ ბატონიშვილმა შეძლო.

არჩილი იმდენად იყო მოწადინებული ქართულ ლიტერატურაში ეროვნულ-პატრიოტული მიმართულების დამკვიდრებითა და პატრიოტული გრძნობების გაღვივებით, რომ თვით რუსთაველსა და თეიმურაზს „უსაყვედურებს, რომ ისინი თავიანთ ნაწარმოებებს საფუძვლად უდებენ სპარსულ ნაჭორ და ზღაპრულ ამბებს. უცხოური ფაბულის უარმყოფელი პოეტი მოითხოვდა ქართული ეროვნული შინაარსის ფაბულის დამუშავებას. არჩილმა პირველმა აიმაღლა ხმა ენის სიწმინდის დასაცავად“[78].

არჩილს, ვითარცა უფროს ვაჟს, ეკუთვნოდა ტახტი ქართლისა, მაგრამ ანტი-

ირანული ორიენტაციის გამო, ის არათუ „გურჯისტანის ვალად“ დაამტკიცა ირანმა, არამედ ეძებდა, რათა შეეპყრო და დაესაჯა, თუმცა კი მამის სიცოცხლეში, ვახტანგ V-ის დროს, ჯერ იმერეთში გამეფდა და შემდეგ კახეთში. იმერეთის ტახტზე ის კიდევ ოთხჯერ ავიდა, შემდეგ კი გაძევებული რუსეთში გადასახლდა.

არჩილის შემდგომ ქართლის ტახტის მემკვიდრე იყო მისი მომდევნო ძმა გიორგი XI, რომელიც გამეფდა კიდეც. სულხან-საბა ორბელიანი ბაგრატიონთა კარზე იზრდებოდა, აქვე მიუღია მას არა მარტო სასულიერო და საერო განათლება, არამედ ის იდეურ-პოლიტიკური გზნება, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე აღვივებდა. ამაში უდიდესი წვლილი შეუტანია გიორგი XI-ს, რომელიც ყოფილა აღმზრდელი და „სულიერი მოძღვარი“ სულხან-საბასი. თავის მხრივ სულხანი იყო აღმზრდელი გიორგის ძმისწულისა ვახტანგ VI-ისა.

„ცნობილია მარიამ დედოფლის ღვაწლი „ქართლის ცხოვრების“ კრებულის გავრცელების საქმეში, აგრეთვე გიორგი XI-ის ზრუნვა ხელნაწერთა დაცვა-გამრავლებაზე. უკანასკნელის დავალებით დაამზადა 1680 წელს მდივანმა ბეგთაბეგ თანიაშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ ძვირფასი ხელნაწერი, მისივე დავალებით გალექსა იაკობ დუმბაძემ ბაგრატ ბატონიშვილის პოლემიკური ნაშრომი მაჰმადიანთა წინააღმდეგ. გიორგი XI-მ შეუკვეთა სულხან-საბა ორბელიანს ქართული განმარტებითი ლექსიკონის შედგენა“[79]. ასეთივე ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების მქონე იყო გიორგი XI-ის მომდევნო ძმა – ლევანი, რომელიც „იყო ბრძენი და მეცნიერი, შორს დამნახავი საქმისა და განსწავლული სამეცნიერო წიგნითა“... ლევანმა გაზარდა ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე, რომელიც შემდეგ გიორგის კარზე მოღვაწეობდა და დაწერა „ცხოვრება მეფეთა“. ცნობილი პოეტი იოსებ თბილელი (სააკაძე) გიორგი XI-ის ერთგული მოკავშირე იყო. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის თბილისის წიგნსაცავის დაარსების საქმეში“[80].

ერთი შეხედვით შეიძლება სრულიად ბუნებრივად მოგვეჩვენოს საქართველოს სახელმწიფოს მმართველთა მამულიშვილობა და განსაკუთრებული რამ არ დავინახოთ მათ ეროვნულ-ქრისტიანულ ღვაწლში, მაგრამ ერეკლე I-ის (კახელ ბაგრატიონთა შტოდან) და იესე-ალიყული ხანის (მუხრანელ ბაგრატიონთა ოჯახის წევრი, ვახტანგ VI-ის და დომენტი კათალიკოსის ძმა) მეფობა მიუთითებს, რომ არა ირანის ყმობაში მყოფი ქართული სახელმწიფოებრიობა აპირობებდა მმართველთა ეროვნულ-პატრიოტულ მიდრეკილებებს, არამედ მათი პირადი მეობა, ზნეობა და ხასიათი.

„ეროვნული თვითშემეცნების გამოღვიძებისა და გაღვივებისათვის, განსაკუთრებით კი განმტკიცებისათვის წარსულის ცოდნას აქვს დიდი მნიშვნელობა: ისტორია ადამიანის მსოფლმხედველობას და იმავე დროს საჭირო სიღრმესა და საფუძვლიანობას ანიჭებს. ეს კარგად ესმოდა საქართველოს დიდებულ მეფეს ვახტანგ VI-ს (1703, 1714, 1719-1724), რომლის მრავალმხრივი, დაუღალავი მოღვაწეობა საქართველოს საკეთილდღეოდ ქართული ისტორიის ერთ-ერთ საუკეთესო ფურცელს შეადგენს[81]. ამ დროისათვის „ქართლის ცხოვრება“ მხოლოდ მე-14 საუკუნემდე ყოფილა მოყვანილი. ვახტანგმა საგანგებოდ შედგენილი სწავლულ ისტორიკოსთა კომისია მოიწვია, რომელმაც გააგრძელა და დაწერა „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება მე-14 საუკუნიდან მე-18 საუკუნის დამდეგამდის. „ამ გარემოებამ ქართული საისტორიო მწერლობა კვლავ გამოაღვიძა და გააცხოველა“[82]. „ქართული

მოწინავე წრეები ისტორიული თავგადასავლებითა და თემებით იყვნენ გატაცებულნი... პოეტებმა განსაკუთრებით საისტორიო პოემების წერას მიჰყვეს ხელი. ქართული მხატვრული მწერლობის სხვა დარგებსაც ეროვნულ სიმთა ჟღერა დაეტყო"[83]. ვახტანგმა განსაკუთრებული ყურადღება ქრისტიანობის განმტკიცებას დაუთმო.

„ქრისტიანობა ქართველობის ტოლფასი კატეგორია იყო და ქრისტიანობაზე ზრუნვა ქართველობის შენარჩუნებაზე ზრუნვას უდრიდა. ირანის ურთიერთობის ხასიათი აიძულებდა ქვეყნის მეთაურს მაჰმადიანობა მიეღო; საქართველოში მცხოვრები მაჰმადიანები ირანის მფარველობით სარგებლობდნენ. ეს ზრდიდა გამაჰმადიანების საფრთხეს. კულტურის ყველა დარგი იქნა ჩაყენებული ქრისტიანობის შენარჩუნებისა და გაძლიერების სამსახურში. ქართული სტამბის დაარსებაც ამ ინტერესით იყო ნაკარნახევი. სტამბაში უმთავრესად სასულიერო წიგნები იბეჭდებოდა (1709 წლიდან 1722 წლამდე დაიბეჭდა 17 დასახელების სასულიერო წიგნი). „ვეფხისტყაოსნის დაბეჭდვის დროსაც კი ვახტანგი სარწმუნოების ინტერესებს იშველიებდა და შოთას ამ უკვდავ ქმნილებას ქრისტიანულ წიგნად აღიარებდა. ამ ხანებში ახლდება ქრისტიანობისათვის წამებულთა ცხოვრების აღწერა. მაგალითად, დაიწერა შიო ახლისა და გარეჯელთა მარტვილობა. ლუარსაბ მეფის მარტვილობა (ბესარიონ კათალიკოსისა) და სხვა"[84].

„საქართველოს ისტორიის წყაროთა წრეში შემოტანილ იქნა „ცხოვრებანი", რითაც ეს წრე თვალსაჩინოდ იქნა გაფართოებული. „ამ საქმის ინიციატორი და პირველი აღმსრულებელი ვახტანგ VI და მისი სწავლულ კაცთა კომისია იყო. ეს ისტორიოგრაფიული ფაქტი აიხსნება საეკლესიო საქმის მძიმე მდგომარეობით ვახტანგ VI-ის ხანაში. მაჰმადიანური ირანის მესვეურთა შემოტევა, ქრისტიანობის შეზღუდვა-შევიწროება ამ ხანაში აიძულებდა მეფეს, ეზრუნა ქართველთა ეროვნული სარწმუნოების განმტკიცებაზე, ქრისტიანობის დაცვაზე, საეკლესიო საქმეების მოწესრიგებაზე. ამ საერთო პოლიტიკის ერთ-ერთი რგოლი იყო ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა დამსახურების ხაზგასმა, მათ შესახებ ცნობების შეტანა ქართლის ცხოვრების წიგნში... მათში ყურადღებაა გამახვილებული ქრისტიანობის, ქართული ქრისტიანული ეკლესიისათვის თავდადების ფაქტებზე"[85].

ვახტანგმა დიდი სამუშაოები ჩაატარა სამართლისა და სახელმწიფო წეს-წყობილების მოსაწესრიგებლად, შექმნა სახელმწიფო კანონების სახელმძღვანელო წიგნი დასტურლამალი, შეადგინა სამართლის წიგნი, რისთვისაც ჯერ ქართული სამართლის ყველა ძეგლი შეაგროვა, რომელსაც თან დაერთო სხვა ერების კანონმდებლობიდან გამორჩეული სამართლის წიგნები. ვახტანგის სამართალი ლმობიერებითა და ჰუმანურობით გამოირჩევა.

„ვახტანგ VI-ის ინტენსიურმა კულტურულ-მეცნიერულმა მოღვაწეობამ, ისტორიული მეცნიერების აღორძინებაში მისმა წვლილმა, სასტამბო საქმიანობამ, რუსთველოლოგიური ხასიათის კვლევამ, მათემატიკურ-ასტრონომიული ტრაქტატების თარგმანებმა, მედიცინისა და ქიმიის სახელმძღვანელოების გავრცელება-შემუშავებამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს ქართული კულტურის საგანძურში"[86].

მუხრანელ ბაგრატიონთა შტოს ეკუთვნოდა ვახუშტი ბატონიშვილი, რომლის ღვაწლი საყოველთაოდაა ცნობილი. ვახუშტის კარგად შეუმჩნევია, რომ ტრადი-

ციულად წმიდა ნინოს დროიდან ყოველგვარ ეროვნულ-მამულიშვილურ სულიერ საქმეს სათავეში ერთიანი ქართული ეკლესია ედგა, ასე იყო საუკუნეთა მანძილზე. საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, როცა მაჰმადიანთა შემოსევებს ხალხმა ვეღარ გაუძლო და საქართველო მოეშვა, კვლავ ქართულმა ეკლესიამ იკისრა გამხნევება ერისა. ის წერს: „არამედ ეპისკოპოსთა სვლა ლაშქართა, ნადირობათა და ბრძოლათა შინა ამის მიერ ჩვეულება იქმნა, რაჟამს იწყეს მაჰმადიანთა შემდგომად დავით მეფისა (დავით მეათე, 1505-1525 წ.წ.) დაუცხრომელი ბრძოლა და კირთება, და იხილეს ღაფლობა-უღონობა ქვეყნისა ერთა ეპისკოპოსთა, მაშინ ეტყოდიან ეპისკოპოსნი: „ნუ მოღაფლდებით და ნუ მოუღონოვდებით ბრძოლად მათდა, და ნუ დაუტევებთ სარწმუნოებასა, რჯულსა და ჩვეულებას თქვენსა, და ჩვენ ვიქნებით წინამბრძოლნი თქვენნი“[87].

ქართული ეკლესიისა და მისი ეპისკოპოსების ზემოაღნიშნულ მოწოდებას ერთგულად ასრულებდნენ მუხრანელ ბაგრატიონთა დიდი ოჯახის წევრებიცა და მათთან გათანაბრებული მოღვაწენიც. ისინი სარწმუნოებას, რჯულსა და ქართულ ეროვნულ ჩვეულებებს იცავდნენ.

თავის მხრივ, ძველებური მოღვაწეობა გრძელდებოდა ქართულ საეპისკოპოსოებსა და სამრევლოებში. „კულტურის მნიშვნელოვან ცენტრებს წარმოადგენდნენ საეპისკოპოსო კათედრები – სვეტიცხოველი, წილკანი, სამთავისი, ალავერდი, გელათი, ცაიში, ბედია, შემოქმედი და სხვა. XVI საუკუნეში ბიჭვინთიდან დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენციის გადმოტანის შემდეგ გელათი კულტურის ერთ-ერთი ძლიერი ცენტრი გახდა. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო კათოლიკოს-პატრიარქების – ევდემონ ჩხეტიძისა (1543-1578) და ექვთიმე საყვარელიძის (1578-1616) მოღვაწეობა. სწავლა-აღზრდისა და კულტურული შემოქმედების მნიშვნელოვან ცენტრებს წარმოადგენდნენ აგრეთვე ეკლესია-მონასტრები – ლარგვისი,იკორთა, კაბენი, ქვათახევი, გარეჯა, ჯრუჭი, მარტვილი, ხობი და სხვები... განსაკუთრებული როლი ამ მხრივ დავით გარეჯელის მონასტრებს მიუძღვის. მიუხედავად მრავალჯერ დარბევა-აოხრებისა, ეს კულტურული ცენტრი საბოლოოდ არ მოშლილა და მან განსაკუთრებულ აყვავებას XVII საუკუნეში მიაღწია“[88].

ეკლესიის შინაური ყოფა ანტონ პირველამდე

XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს პოლიტიკურმა დაშლილობამ უკიდურესი სახე მიიღო, რასაც თან სდევდა შინაური ომები. „სულ 40 წლის მანძილზე (1660-1701) იმერეთში ჩვიდმეტჯერ გადააგდეს ტახტიდან მეფე. ამათგან ოთხი მოკლეს, ხოლო ცამეტი გააძევეს, კერძოდ, ჩვენი სახელოვანი პოეტი არჩილ მეფე ხუთჯერ დასვეს და ხუთჯერვე გადმოაგდეს იმერეთის ტახტიდან“[89].

იმერეთის მეფისაგან დამოუკიდებელ პოლიტიკას, არა მარტო გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრები ადგნენ, არამედ თავადებიც კი ნაკლებად ემორჩილებოდნენ მას. ძირითადად ასეთივე ვითარება იყო შექმნილი აღმოსავლეთ საქართველოშიც, კერძოდ, ქართლში, სადაც არსებობდნენ ძლიერი სათავადოები,

რომელნიც ზოგჯერ მეფეს მეტისმეტად ავიწროებდნენ; „თავადებმა მიიტაცეს და გაისაკუთრეს სამეფო ყმა-მამული. ერისთავ-მოურავებმა ხელმწიფობა დაიჩემეს. მთავრები აუქმებდნენ საეპისკოპოსოებს, საწინამძღვროებს და იტაცებდნენ საეკლესიო მამულებს. საერო ფეოდალებმა მიითვისეს საკათალიკოსო სამფლობელოები“[90].

დასავლეთ საქართველოში XVII ს-ის 60-იან წლებში დაწყებული ანარქია XVIII საუკუნის პირველ ნახევარშიც გრძელდებოდა. მეფის ხელისუფლება ძლიერ დასუსტდა. „ძლიერდებოდა ოსმალთა გავლენა იმერეთში... ციხეები ტყვის მსყიდველთა ბუნაგებად გადაქცეულიყო. ციხისა და მის გარეშემო სოფლების მოსახლეობა თანდათან მაჰმადიანდებოდა“[91].

ვახუშტი წერს, რომ საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ ერისთავები აღარ იცვლებოდნენ, „მთავარნიცა არღარა იწოდებოდნენ მთავრად არამედ თავადად“[92], ვახუშტი ჩამოთვლის თავადების ცნობილ სახელებს ქართლში: „პირველი მუხრანის ბატონი, არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახორი და ყაფლანისშვილი, ზემოციცისშვილი... და სომხეთის მელიქი. ხოლო აზნაურნი მრავალნი არიან...“, კახეთში – „ჩოლოყაშვილი და მაყასშვილი იტყვიან ირუფაქიძეობას, ენდრონიკასშვილი... ჯორჯაძე, ჭავჭავაძე, ვაჩნაძე, ვახვახისშვილი, რუსისშვილი, ჯანდიერისშვილი, ავალისშვილი და ჩერქეზი... გურამისშვილი და ტუსისშვილი“, იმერეთში - „აბაშიძე, მხეიძე, წერეთელი და ჩხეიძე (ამავე ჩხეიძეს გვარი არს აწინდელი რაჭის ერისთავი და სპასპეტი რაჭისა), ლორთქიფანიძე,ნიჟარაძე და ღოღობერიძე... ხოლო რაჭის – წულუკიძე,იაშვილი,ჯაფარიძე,ინასარიძე და ლასხიშვილი,ხოლო სვანეთს – გელოვანი... კვალად ვაკესა შინა ჭილაძე, და მიქელაძე და ჩიჯავაძე...“ სამეგრელოში ანუ ოდიშში – „...არს ჩიქოვანი, რომელმან მოწყვიდნა დადიანნი და მთავარნი ოდიშისანი... და იქმნა დადიანად... კვალადცა არიან მთავარნი ესენი: გოშაძე, ფაღავა, ჯაიანი, ჩიჩუა...“, აფხაზეთში – შარვაშიძე და ანჩაბაძე, გურიაში – გურიელი, თადგირიძე, ამილახორი, შარვაშიძე, ბერიძე, კვერღელისძე, ბერეჟიანი, ნაკაშიძე[93].

თავადები თავიანთ მამულში სრულ ხელმწიფობას იჩემებდნენ. სახელმწიფო ხელისუფლების დასუსტებამ მოქმედების თავისუფლება მიანიჭა უამრავ დიდებულს, თავადს, აზნაურს. ყველას გააჩნდა საკუთარი მამული, მიწა-წყალი, რომელზედაც სრულ ბატონ-პატრონებად გრძნობდნენ თავს: ერთი შეხედვით, საქართველოში ამ დროს დამყარდა ისეთი საზოგადოებრივი წყობა, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა მეზობელი ქვეყნების ტოტალიტარიზმისაგან. კერძოდ, ამ დროს რუსეთში (გარკვეულწილად სპარსეთ-ოსმალეთში) სახელმწიფო მკაცრად ცენტრალიზებული იყო და მეფე თვითმპყრობელ ხელმწიფედ იქცა, შემდეგ კი იმპერატორად, ამის გამო ყოველი საზოგადოებრივი ფენა უმკაცრეს ტოტალიტარულ სახელმწიფოებრივ დაწოლას განიცდიდა. საქართველოში ასე არ იყო, მაღალი წოდება თავისუფლად გრძნობდა თავს. ცნობილია, თუ როგორი სერიოზული საფრთხის წინაშე იდგა ქართველი ერი აღნიშნულ დროს, მაგრამ როგორც ჩანს, დიდებულების დიდ ნაწილს არავითარი კომპლექსი უიმედობისა და უსასოობისა არ გასჩენიათ, მათ სწორედ არსებული ვითარება მოსწონდათ (თავისუფალი ბატონ-პატრონობა პირადი მამულისა, რომელსაც იცავდნენ კიდეც. ისინი დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ მეფის ყოველ ქმედებას ქვეყანაში ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის).

საქართველოს ერთიანობის აღდგენისათვის მარად იბრძოდნენ გამოჩენილი მოღვაწენი, მაგრამ სპარსეთ-ოსმალეთი თითქმის ყოველ საუკუნეში ანახლებდა 1555 წლის ამასიის ზავს, რომლის ძალითაც აღმოსავლეთ საქართველო ირანის, ხოლო დასავლეთ საქართველო ოსმალეთის ვასალურ მხარეებად ითვლებოდა. მართალია, საქართველო ორად იყო გაგლეჯილი სპარს-ოსმალთა მიერ, ხოლო შინაგანი ძალები მისი გაერთიანებისათვის ბრძოლაში უძლურნი იყვნენ, მაგრამ გაცილებით უფრო დიდი უბედურება იყო ქართველი ერის დაშლა ტომებად და თემებად. ერთიანი სახელმწიფოს დარღვევამ ტომობრიობა და თემობრიობა ააღორძინა. როგორც აღნიშნული იყო, XV საუკუნის II ნახევრიდან ჩამოყალიბებულ – ახლად შექმნილ იმერეთის, ქართლისა და კახეთის სამეფოებში, რომელთაც თავიანთი მკაცრად დადგენილი საზღვრები, თავიანთი ჯარი და სხვა სახელმწიფოებრივი დაწესებულებები ჰქონდათ, თანდათან ყალიბდება ახალი ეთნიკური (ცხადია, ქართულ ჩარჩოებში მყოფი) ჯგუფები – ქართლელობა („ქართველობა“), კახელობა, იმერლობა. საუკუნეთა მანძილზე (XVI–XVIII საუკუნეებში) თანდათან, ერთმანეთთან ბრძოლის შედეგად, მათ უყალიბდებათ „ტომობრივი თავმოყვარეობა“. კარგად წერს ამის თაობაზე ივანე ჯავახიშვილი: როცა „კახეთის მეფე“ თეიმურაზ I-მა შეძლო ქართლის სამეფოს ტახტის დაჭერა, ქვეყნის გაერთიანებისათვის გადადგმულ ამ ნაბიჯს საპირისპირო შედეგი გამოუღია, ქართლელ დიდებულებს არ მოსწონებიათ ქართლის „დაჭერა“ კახელების მიერ, „რაკი ორისავე ტახტის გამაერთიანებლად კახთ ბატონი თეიმურაზი იყო და ქვეყნის მართვა-გამგეობის სათავეში, ალბათ, მისი კახელი თანამშრომლები სჭარბობდნენ“. ფ. გორგიჯანიძის სიტყვით, „კახნი ქართველთ (ე.ი. ქართლელთ) ზედ ამაყობდეს და ხმლით დაჭირულს ეძახდნენ, უპატიოთაც ეპყრობოდეს“. ამ უგუნური და ბეცი ყოფა-ქცევისა და მედიდური პოლიტიკის წყალობით „ქართველთ (ე.ი. ქართლელთ) გული გაავებოდა“[94].

„...კახელ ხელისუფალთა მედიდურმა და წინდაუხედავმა ქცევამ ქართლში ტომობრივი თავმოყვარეობისა და განკერძოების დამღუპველი გრძნობა გამოაღვიძა...“[95].

თუკი თვით საქართველოს გულში, ქართლშიც კი, სადაც ქართველი ერის საუკეთესო სულიერ-კულტურული ძალები იყო თავმოყრილი და სადაც ქართული ეკლესიის ცენტრი მდებარეობდა, ტომობრიობა აღორძინებულა, როგორი მდგომარეობა უნდა შექმნილიყო პერიფერიებსა და განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოში, სადაც იმერეთის სამეფოს ოდიშის, გურიის, აფხაზეთისა და სვანთა სამთავროები გამოეყვნენ. ქვეყნის პოლიტიკურმა დაშლამ, კუთხური სახელმწიფოებრივი ერთგულების ჩამოყალიბებამ, მათში საუკუნეთა მანძილზე (XVII-XVIII საუკუნეები, XIX ს-ის დასაწყისი) ხელი შეუწყო ტომობრივ-თემობრიობის აღორძინებას. სვანი, გურული, იმერელი, მეგრელი – ვითარცა ქართველი ერის ტომები, ჩამოყალიბებულ სახეს იღებს. ლევან II – დადიანის გამანადგურებელმა მრავალათეულწლოვანმა თავდასხმებმა იმერეთზე, შემდეგ კი იმერეთის მეფის საპასუხო ლაშქრობებმა ოდიშში იმერული და მეგრული ტომობრიობა ააღორძინა. საერთოდ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დანაწევრება და ამის შედეგად წარმოქმნილ სახელმწიფოებრივ ერთეულებს შორის მუდმივი ბრძოლები ერის დაშლასაც იწვევდა.

საბედნიეროდ, თვით ასეთი პოლიტიკური დაქუცმაცებულობის დროსაც კი, ჩვენ, ხალხს როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთ საქართველოში ძლიერი ეროვნული თვითშეგნება აღმოაჩნდა. ქართველთა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისათვის ამ სასტიკ დროს განსაკუთრებით ქართული ეკლესია იღვწოდა. ამას ამოწმებს მრავალი საეკლესიო სიგელ-გუჯარი, შედგენილნი საუკუნეთა მანძილზე. მაგალითად, 1733 წელს შედგენილ საბუთში „შეწირულობის სიგელი ბიჭვინტისადმი“ აფხაზეთის კათალიკოსი თავის სამწყსოს, რომელშიც გურიის, იმერეთის, ოდიშის, სვანეთისა და აფხაზეთის მოსახლეობა (ანუ ბიჭვინტის ღვთისმშობლის სამწყსო) შედიოდა, „ქართველებს“ უწოდებს. ეს თვალსაზრისი გამოთქმულია დასავლეთ საქართველოს უსაშველო დაქუცმაცებულობის ჟამს, უფრო მეტიც, იქვე ნათქვამია, რომ ათასრვაასი წლის წინ, I საუკუნეში, ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს მოციქულის, ანდრია პირველწოდებულის დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობის ჟამს, მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას ქართველები შეადგენდნენო (ე.ი. XVIII საუკუნის დასაწყისში ეკლესია არ ცნობს ქართველი ერის ტომობრივ დაყოფას).

დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი წერს: – „დიდად უღვაწიათ მეფეთა, მთავართა და დარბაზის ერთა განდიდება ცათა მობაძავისა კათოლიკე ეკლესიისა ბიჭვინტისა ღვთისმშობელისა და სამოციქულოსა საყდრისა და მას ზედა მჯდარისა კათალიკოზისა ამაღლება და აღმატება, რათა შეკვრითა და გახსნითა მისითა ეგენ სამეფონი ესე ლიხთ-იმერის, აფხაზეთისა და ყოვლისა ჩრდილოეთისა ეკლესიისანი... პირველწოდებულისა ანდრიას მოეცა ჩრდილოეთისა ქვეყანა მოქცევად ჩვენებითა წმიდისა ღვთისმშობელისათა, რამეთუ ჩვენ ქართველნი მისნი წილ-ხდომილნი ვართ და ვიქადით სახელითა მისითა და ნეტარ ვართ, რამეთუ დედა მეუფისა მეოხად გვივის წინაშე ძისა თვისისა. ამათ კათოლიკოზთა და საჭეთმპყრობელთა ბიჭვინტისა ღვთისმშობლისათა მსახურება საყდრისა დიდად ეღვაწათ, რომელთამე სოფელნი და აგარაკნი შეეწირნეს... რაჭას... ოკრიბას... არგვეთს... საჩინოს... სამიქელაოს... ოდიშს... ეკის... შხეფს... სახარბედიოს... თეკლათს... წყალიგზას... ხობს... გურიას“[96].

აქედან ჩანს, რომ აფხაზეთის კათალიკოსი „ქართველებს“ სრულიად დასავლეთ საქართველოს იმერეთ-ოდიშ-გურიისა და სხვა კუთხეების მოსახლეობას უწოდებს.

ქართველთა ეროვნულ თვითშემეცნებას ეკლესია მყარ საფუძველს უქმნის, აღვივებს და ამტკიცებს მას. უფრო მეტიც, აფხაზეთის კათალიკოსი თავის თავს სრულიად საქართველოს, როგორც ერთიანი ქვეყნისა და ერთიანი სამწყსოს კანონიერ საჭეთმპყრობელად მიიჩნევს. მაგალითად, 1712 წლის შეწირულების წიგნს ბიჭვინთის კათალიკოსი ადასტურებს ბეჭდით, რომელსაც აქვს ასეთი წარწერა – „გრიგოლ მწყემსი ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოისა კათალიკოსი“[97].

ასევე მიაჩნია მცხეთის ეკლესიის საჭეთმპყრობელსაც. მაგალითად, XVII საუკუნის წყალობის წიგნს ასეთი წარწერით ადასტურებს – „ქ. ჩვენ სრულიად საქართველოს პატრიარქი მიტროპოლიტ-ალავერდელი მეფის ირაკლის ძე ანტონი“[98].

აქედან ჩანს, რომ როგორც ბიჭვინთელ (გელათელ), ისე მცხეთელ საჭეთმპყრობლებს, საქართველო – ერთიან ქვეყნად და ერთიან სამწყსოდ ჰყავთ წარმოდგენილი, ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ ამ თვალსაზრისის გავრცელებისა და განმტკიცებისათვის.

აღნიშნულ დროს აფხაზეთის საკათალიკოსო სრულ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა, ამიტომაც ეს ქვეყანა საეკლესიო – სულიერი თვალსაზრისით რეალურად წარმოადგენდა ერთიან, მთლიან ქვეყანას და არა დანაწევრებულს.

აფხაზეთის საკათალიკოსო მერვე საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა. VIII-X საუკუნეებში ამ ქართულენოვანმა ეკლესიამ შეძლო თავის შემადგენლობაში სრულად შეეყვანა დასავლეთ საქართველოს ბერძნული იურისდიქციის ქვეშ მყოფი ეპარქიები. ამის გამო ბერძნულენოვანი წირვა-ლოცვა და ღვთისმსახურება ქართულენოვანით შეიცვალა. საქართველოს საპატრიარქოს შექმნის შემდეგ, XI ს-ში, აფხაზეთისა და ქართლის საკათალიკოსოები საქართველოს საპატრიარქოს უმთავრეს „საეკლესიო სამთავროებს“ წარმოადგენდნენ (საპატრიარქო მათ გარდა მოიცავდა ასევე ჩრდილოკავკასიელ ქრისტიანებს, „ხუნძეთის საკათალიკოსოს“ და სომხეთის სამიტროპოლიტოს).

საპატრიარქოს შემადგენლობაში აფხაზეთის საკათალიკოსოს თავისთავადობა არ დაუკარგავს და იგი როგორც დამოუკიდებელი საეკლესიო ერთეული, ისე არსებობდა, კერძოდ, აფხაზეთის საკათალიკოსოში შემავალი ეპისკოპოსები უშუალოდ ექვემდებარებოდნენ აფხაზთა კათალიკოსს, რომელიც თავის მხრივ, „უმრწემეს“ მამამთავრად ითვლებოდა საქართველოს პატრიარქთან, ანუ ქართლის კათალიკოსთან შედარებით (ისევე როგორც ერთიანი საქართველოს სახელმწიფოში ნომინალურად არსებობდა „შვიდი სამეფო“, ასევე საქართველოს საპატრიარქოში არსებობდა ორი საკათალიკოსო – მცხეთისა და ბიჭვინთისა, ანუ ქართლისა და აფხაზეთისა). ქართულ საპატრიარქოში საკათალიკოსოებს ისეთივე უფლებები ჰქონდათ, როგორც უცხოეთის საპატრიარქოებში – სამიტროპოლიტოებს.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის საკათალიკოსომ ავტოკეფალია VIII საუკუნეში მოიპოვა, ამიტომაც უცხოელი ავტორები ხშირად წერენ საქართველოში (ივერიაში) არსებული ორი ავტოკეფალური ეკლესიის შესახებ, კერძოდ, ბალსამონი „ივერიაში არსებული ეკლესიების“ ავტოკეფალიაზე ლაპარაკობს („ეკლესიებს“ იგი მრავლობით რიცხვში ახსენებს, რაც კარგად ჩანს რუსულ თარგმანში). ცხადია, აქ ქართლისა (ზემო ივერიის) და აფხაზეთის (ქვემო ივერიის) ეკლესიები იგულისხმება. აღსანიშნავია, რომ თვით გვიან ხანაშიც კი ქართლის კათალიკოსი თავის თავს „ზემო ივერიის პატრიარქს“, ხოლო აფხაზეთის კათალიკოსი „ქვემო ივერიის პატრიარქს“ უწოდებდა. 1790 წელს შედგენილ ე.წ. ერთობის ტრაქტატშიც „ქვემო ივერია“ დასავლეთს, „ზემო ივერია“ კი აღმოსავლეთს ეწოდება[99].

XIII საუკუნეში საქართველოში შექმნილმა სახელმწიფოებრივმა კრიზისმა საზოგადოებრივ ასპარეზზე კვლავ წარმოაჩინა ერთიან ქართულ საპატრიარქოში აქამდე ჩრდილში მყოფი აფხაზეთის საკათალიკოსო; ხოლო ერთიანი სახელმწიფოს დაშლის დროისათვის ერთიანი საპატრიარქოც დამოუკიდებელ აფხაზეთისა და ქართლის საკათალიკოსოებად დაიშალა.

XVI საუკუნის პირველ ნახევარში შედგენილი „ბიჭვინთის იადგარიდან ჩანს, რომ აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციის საზღვრებში შედის ტერიტორია - „ლიხსა და კაფას შუა და რუსეთის საზღვარსა და ჭანეთს შუა“[100]. ლიხი სასაზღვრო ქედია ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოს შორის, კაფა მდებარეობდა ხერსონესის ნახევარკუნძულზე, ყირიმთან, იქ, სადაც წყდებოდა კავკასიის ქედი ზღვასთან, ჭანეთი – ამ დროისათვის ბერძნული საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდა, თუმცა სახელმწიფოებრივად ოსმალეთს ეკუთვნოდა, რუსეთი კავკასიის ქედს ჯერ მხოლოდ უახლოვდებოდა. ე.ი. ამ დროისათვის აფხაზეთის საკათალიკოსოში ის ტერიტორიებიც შედიოდა, რომლებიც მალე გამაჰმადიანდნენ, კერძოდ, სამხრეთით ჭოროხის მიმდებარე ქვეყნები და ბათუმ-ქობულეთის მხარე, რომელიც აქამდე გურიის სამთავროში შედიოდა.

აღნიშნულის გამო, აფხაზეთის საკათალიკოსოს სამხრეთი საზღვარი არათუ ჭანეთთან გადიოდა, არამედ მან ქვემო გურიაც (ბათუმ-ქობულეთიც) დაკარგა. ასევე დაიკარგა ვრცელი ტერიტორიები ჩრდილოეთით მოსახლეობის გამაჰმადიანებისა და გაწარმართების გამო.

ჩრდილოეთით, როგორც აღინიშნა, ამ საკათალიკოსოში ის ზღვისპირა ზოლი შედიოდა, რომელიც კავკასიის ქედს მიჰყვებოდა. როგორც ცნობილია, ამ ტერიტორიას ჯიქეთი ეწოდებოდა, რომლის მთავარ პუნქტს – ნიკოფსია ერქვა – კაფა ნიკოფსიის ჩრდილოეთით მდებარეობდა, არცთუ დიდად იყო დაშორებული მისგან. ისიც აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო კავკასიის ქედის გადაღმაც (ჩრდილო კავკასიის დასავლეთ ნაწილშიც) ცდილობდა თავისი იურისდიქციის გავრცელებას. როგორც წესი, ეს ტერიტორიები ერთიანი საქართველოს პატრიარქს ექვემდებარებოდა და უშუალოდ მის სამწყსოს წარმოადგენდა.

XVII ს-ის დასაწყისში აფხაზეთის საკათალიკოსოს ჩრდილოეთში ოსმალეთის აგრესია გაძლიერდა, რამაც აფხაზეთის სამთავროს ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. აქამდე აფხაზეთი, რომელიც რამდენიმე წვრილი ფეოდალური ერთეულისაგან შედგებოდა – ოდიშში შედიოდა. შარვაშიძეთა მთავრობით ახლად შექმნილი სამთავრო ოდიშს გამოეყო. XVII ს-ის 90-იან წლებამდე საზღვარი ოდიშსა და აფხაზეთს შორის მდინარე კოდორზე გადიოდა. ამ სამთავროთა შორის შეურიგებელი ურთიერთობის დროს, აფხაზმა ფეოდალებმა დამხმარე ძალად ჩრდილოკავკასიური ტომები, კერძოდ, ჯიქები, ადიღეველები და საერთოდ იმ დროისათვის საერთო სახელით „ჩერქეზებად“ ცნობილი ხალხები მოიწვიეს. მალე ისინი ძირითად საომარ ძალად იქცნენ აფხაზეთში, ჩამოსახლდნენ და დამკვიდრდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომლის საზღვარი, როგორც ითქვა, კოდორზე გადიოდა. ჩრდილოეთიდან ჩამოსახლებულებს ძველ საქართველოში „აფსარები“ ეწოდებოდათ – (აფსართა ენით, ლაშა განმანათლებელს ჰქვიაო – წერდა ჩვენი მემატიანე). აფსარები - ეთნიკურად დიდად განსხვავდებოდნენ მკვიდრი აფხაზებისაგან, მაგრამ ოსმალთა მუდმივი დახმარებით მათ აფხაზეთის დაბალი ფენების ასიმილაცია მოახერხეს. აფხაზთა მაღალ ფენებს არ დაუკარგავთ ეთნიკური თვითშემეცნება და თავიანთ თავს ძველებურადვე ქართულ კულტურულ წრეს მიაკუთვნებდნენ.

აფსარების მიერ აფხაზეთის დაჭერა, ჩრდილოკავკასიელი ლეკების მიერ აღმოსავლეთ კახეთის დაჭერას და მათ მიერ მკვიდრი ქართველების ასიმილაციას მოგვაგონებს. XVIII ს-სათვის იმავე ფაქტს ჰქონდა ადგილი შიდა ქართლშიც. აქ ჩრდილოკავკასიელი ოსები ჩამოსახლდნენ. აფხაზ-აფსართა შორის ერთი ნაწილი კვლავ ქრისტიანი იყო, ხოლო მთიდან ჩამოსახლებულთა შორის წარმართნი ჭარბობდნენ. აფხაზთა სამთავროების თავადებმა დაკარგეს ძველი გავლენა ხალხზე, თუმცა წარჩინებული მდგომარეობა არ დაუკარგავთ. მათ აღარ შეეძლოთ ეთნიკურად სახეცვლილი და რჯულშეცვლილი თანამემამულეების შეკავება, რომელნიც აფხაზეთის ეკლესია-მონასტრების, საეპისკოპოსოებისა და თვით საკათალიკოსო ცენტრის – ბიჭვინთის ქონებას იტაცებდნენ. ზედიზედ გაუქმდა ბიჭვინთის საკათალიკოსო ცენტრი, მოქვისა და ბედიის საეპისკოპოსოები. სწორედ ამიტომ იხსენებდა აფხაზების შემოსევების ჟამს აფხაზეთის საკათალიკოსო ქონების დაცვისათვის მოღვაწე ლევან II დადიანი ძველი იადგარის სიტყვებს – „...მას ჟამსა უღმრთოდ და უსჯულოებად მიიქცეს აფხაზნიო... აფხაზთა გარყვნეს სჯული და კათალიკოზობა...“[101]. თუმცა კი აღსანიშნავია, რომ ეს სიტყვები სწორედ XVII საუკუნეში შექმნილ ვითარებას შეეფერება და არა 200 წლით ადრე „მცნებაჲ სასჯულოში“ გამოთქმულ შეხედულებას. საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს რღვევის ჟამს, როცა საქართველოს ერთიანი საპატრიარქოს არსებობას პოლიტიკური საფუძველი ეცლებოდა და აფხაზეთის საკათალიკოსო დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობდა, საქართველოში საკალმასოდ ჩამოსულმა ანტიოქიელ-იერუსალიმელმა პატრიარქმა მიქაელმა ამ სიტუაციით ისარგებლა და ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოების არსებული ავტოკეფალია უსაფუძვლოდ გამოაცხადა. მან აფხაზეთის საკათალიკოსოს „ახლად მიანიჭა“ დამოუკიდებლობა და ქართლის საკათალიკოსოს საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან „გაათავისუფლა“. ანტიოქია – იერუსალიმისაგან დამოუკიდებელი არსებობა თითქოსდა „წესების შეშლისა“ და სჯულის გარყვნის „ურჩობის“ მიზეზით მოხდაო – „ურჩქმნილ იყვნენ ყოველნი და ვითა სათნოებანი უგულებელსყოფენ ეპისკოპოსთა... აფხაზეთის ქრისტიანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყვეს, ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყვნეს“[102].

1470-1474 წლებში დაწერილ ამ დოკუმენტში „აფხაზეთში“ არა XVII საუკუნეში წარმოქმნილი აფხაზეთის სამთავრო, არამედ მთელი დასავლეთი საქართველო იგულისხმებოდა, ხოლო ლევან II დადიანის მიერ ნახსენებ „აფხაზებში“ აფსარჩერქეზნი, ანუ XVII ს-ში შექმნილი სამთავროს მეკობრული ძალებია ნაგულისხმები. მალე ისინი შეტევაზე გადმოვიდნენ და არა თუ გადმოლახეს ოდიშის საზღვრები მდ. კოდორზე, არამედ მასობრივი ჩასახლებაც კი დაიწყეს ოდიშის მიწა-წყალზე კოდორიდან ენგურამდე. ამის შემდეგ მკვიდრი ქართული მოსახლეობა – სამწყსო აფხაზეთის საკათალიკოსოსი, ნადგურდებოდა. კერძოდ, მათ ან იტაცებდნენ და ტყვეებად ყიდდნენ, ანდა შინაყმებად და მოსამსახურეებად აქცევდნენ, რასაც თან სდევდა მათი გაწარმართება და ეროვნული გადაგვარებაც. ქართულმა ეკლესიამ იზრუნა მათთვის და კოდორსა და ენგურს შუა მცხოვრები ქართველობა დასავლეთ საქართველოს შედარებით დაცულ კუთხეებში გადმოასახლა, თუმცა კი, ქართული

მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ადგილზე დარჩა. საბედნიეროდ, მიუხედავად იმისა, რომ მათზე აფსარ-აფხაზები გაბატონდნენ, მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ეროვნული თვითშემეცნების შენარჩუნება შეძლო, ნაწილი კი გადაგვარდა.

„XVIII ს-ის პირველ ნახევარში კოდორსა და ენგურს შორის XVII ს-ის 80-იანი წლებიდან ჩამოსახლებულ აფხაზებს შორის მაჰმადიანობის გავრცელება დაიწყო. თურქების ძალადობამ ადგილობრივი (მეგრელი) ფეოდალები აიძულა მიეტოვებინათ ყმა-მამული, რომელსაც გამაჰმადიანებული აფხაზი ფეოდალები იკავებდნენ. შემონახულია ამ მხარის ფეოდალის, ბეჟან ჯაიანის პირობის წიგნი გრიგოლ კათალიკოსისადმი. ჯაიანი აღნიშნავს, რომ „ჩვენი ქვეყანა თათრის ხელად შეიქმნა და... იქ აღარ გვედგომებოდა“[103]. „როგორც მრავალ სხვას, ისე ჯაიანსაც ეკონომიკური დახმარება კათალიკოსმა აღმოუჩინა... გრიგოლ კათალიკოსმა ენგურსა და კოდორს შორის მდებარე ტერიტორიიდან იმერეთსა და ოდიშში გადმოასახლა ის საეკლესიო ყმები, რომლებიც ტყვეთა მტაცებლებს გადაურჩნენ (ნაჟანეულის, ხოირის და სხვა სოფლების მკვიდრნი) და ამით ეკლესიას მათგან შემოსავალი შეუნარჩუნა“[104].

ასევე ზრუნავდა ქართლის კათალიკოსი თავისი სამწყსოსათვის ქრისტიანობის შესანარჩუნებლად, კერძოდ, აქაც, ისევე როგორც აფხაზეთსა და ქვემო გურიაში, მაჰმადიანობა ვრცელდებოდა, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ კახეთსა (ჭარ-ბელაქანსა) და ქვემო ქართლში, ლორე, ახტალა, ბოლნის-დმანისის მხარეში, ისევე, როგორც ბიჭვინთის კათალიკოსი, მცხეთის კათალიკოსიც ცდილობდა, არ ეცნო საქართველოს დაშლა. ამ მიზეზის გამო ის ზოგჯერ თავის თავს „ყოვლისა საქართველოისა დიდ მამამთავარს“ უწოდებდა. ასე იხსენიება იგი უკიდურესი დაშლილობის ჟამს, 1649 წელს შედგენილი საბუთის მიხედვითაც[105].

ჩვენამდე მოაღწია როგორც აფხაზეთის, ასევე ქართლის საკათალიკოსოების მიერ გამოცემულმა მრავალრიცხოვანმა საბუთმა, რომლებიც სხვადასხვა საუკუნის ამბებს შეიცავენ. შეწირულობებისა თუ წყალობების „წიგნებში“ ქართული ეკლესიის მღვდელმთავრებს, ძირითადად ყურადღება ძველქართული (ე. ი. ქრისტიანული) ადათ-წესების შენარჩუნებაზე აქვთ გამახვილებული: „რომელმან კაცმან ან ხელმწიფემან, დიდმან, ან მცირემან, აზნაურმან ან გლეხმან, ეს ჩემგან შემოწირული და გარიგებული საქმე ჩაშალოსო – წერს, მაგალითად, ჭყონდიდელ-ცაგერელ-ბედიელი მღვდელმთავარი გაბრიელი, – მასაც გაურისხდება თავად ღმერთი და ყოველნი წმინდანი მისნიო“[106].

ეკლესია განსაკუთრებით ზრუნავდა იმისათვის, რომ ქვეყნის ასეთი სასტიკი არეულობის ჟამს (სამხრეთიდან მაჰმადიანებისა და ჩრდილოეთიდან წარმართი კავკასიური ტომების შემოსევებისას) ხალხს სიკეთე და ქველმოქმედება არ დავიწყებოდა[107]. თვით ასეთ სასტიკ დროსაც კი ქართული ეკლესია ცდილობდა საეკლესიო მიწა-წყალი და ქონება არათუ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც კი არ დაეკარგა. 1675 წლის საბუთებიდან ჩანს, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მამულები კვლავ ქართული ეკლესიის ხელთაა, ამ მონასტერზე ქართველი მეფეები და კათალიკოსები ზრუნავდნენ და მის წინამძღვარსაც ისინი ნიშნავდნენ[108].

ერთი შეხედვით ქვეყანა სასტიკადაა არეული, მაგრამ სადავო საკითხებს სასამართლო წყვეტს. სასამართლოს მიერ ირჩევა დავა თვით უმაღლეს ხელისუფალსა

და მასზე დამოკიდებულ პირს შორისაც კი. მაგალითად, ქვეყნის ერთ-ერთ ხელისუფალსა და გავლენიან თავადებს შორის მცირე საყოფაცხოვრებო დავა 1671 წელს სასამართლომ გადაწყვიტა მოწმეების დაკითხვის შედეგად[109].

აღსანიშნავია, რომ ყმა არც უუფლებოა და არც უქონელი. გლეხს აქვს თავისი მიწა, რომლის დაცვითაც მებატონეცაა დაინტერესებული, მაგალითად, მებატონეებს ზაზა და ზაალ ციციშვილებს საყდრის აგებისას ციცი ციციშვილი შეედავა, რომ „ჩემი ყმის მიწაში აშენებსო“, მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ აღნიშნული მიწა არა ციცის, არამედ ზაზას ყმისა იყო. ეს ხაზგასმითაა აღნიშნული დოკუმენტში, ე.ი. ყმა ზაზასია, მაგრამ აღნიშნული მიწა, სადაც საყდარი აიგო, არა ზაზასი, არამედ ზაზას ყმისაა, ამიტომაც წერს მას კათალიკოსი – „ის მიწა ციცის ყმის არ იყო, ის საყდარი სადაც დაიდგა, შენის ყმისა იყო“[110].

ყმის მამული, ანუ მეურნეობა ისეა მოწყობილი, რომ თვით მისი მეპატრონე ყმის ამოწყვეტის დროსაც კი მამული მთელი და ხელშეუხებელი რჩება თავისი სახლით, საწნახლით, ქვევრ-მარნით, სახნავით, უხნავით, სათიბით და თავის – „შესავლით, გასავლით, ყოვლის მისის გასადევრითა“[111]. ამიტომაც ამ მამულში შესულ ახალ მეპატრონეს მეურნეობის მოწყობა არ უჭირს. მამულს ეკლესია და კანონი იცავს[112].

მამულის მოწყობის ასეთი წესი ნაწილობრივ სცემს პასუხს ილია ჭავჭავაძის ცნობილ კითხვას: „რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა, რა ჰკვებავდა ხალხსა, რა სახსრებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა?“.

გლეხს თავისი ადგილ-მამული აქვს, რომელთანაც ერთად იგი იყიდება, ე. ი. ეცვლება მებატონე; აქედან ჩანს, რომ გლეხის „თავისის ადგილ-მამულითა და მიწა-წყლით“ გაყიდვისა თუ გასაჩუქრების დროს იყიდება არა გლეხი, არამედ მას ეცვლება მებატონე, რომელსაც იგი მკაცრად განსაზღვრულსა და მკაცრად დადგენილ გადასახადს უხდის, რომლის შეცვლის უფლება მებატონეს ძლიერ ნაკლებად აქვს. მაგალითად, ქუთაისის ტაძარს ეპისკოპოსმა ორი გლეხი შესწირა „თავისი ადგილ-მამულით“[113].

ასევე კათალიკოსის მიერ 1582 წელს დავით გარეჯისადმი გაღებული შეწირულობიდან ჩანს, რომ მას გლეხები შეწირა თავისი „სახლეულით და მომავალით მისით, მისითა მამულითა, ველითა, ვენახითა, სახნავითა და უხნავითა, ნასყიდითა და უსყიდითა, ნახმარითა და უხმარითა“[114]. გლეხს აქვს თავისი სახლი, მამული, ველი, ვენახი, სახნავი და უხნავი. 1588 წელს კათალიკოსმა მცხეთისშვილს (ე.ი. ეკლესიის წევრს) ელიოზიშვილს უბოძა ოთხი კაცი, რომელთაგან ერთს, არსახელაშვილს, ჰქონდა თავისი მამული, სასახლე, ჭურ-მარანი, ველი, ვენახი, სახნავი, წყალ-წისქვილი, ჭალა და სათიბი“[115].

როგორც მცხეთის, ასევე ბიჭვინთის საკათალიკოსოებს საკუთარი უძრავ-მოძრავი ქონება აქვთ, თავ-თავიანთი სამწყსო ქვეყნების სხვადასხვა კუთხეში გაფანტული. აღსანიშნავია, რომ მათ მრავალი ე.წ. „სასახლე“ ჰქონიათ. სასახლე ვრცელ მეურნეობას გულისხმობს, კერძოდ, სასახლეს აქვს თავისი „საყდარი“, „დარბაზი“ ან „დიდი დარბაზი“, „ტახტი“, „ჯიხური“, ან „დიდი ჯიხური“, „დიდი სეფა სახლი“, „საწოლი სახლი“, „სახლ-კარი“, ბეღლები, მარანი და სხვა სახლები, ასევე „ჭიშქარი“,

„საჯვარე“, „საჯალაბო“, „ზვარი“, „ყანა“, „სათიბი“, „საყანე“, „საკრეფი მამული“, „სათევზაო“, სასახლეს ჰყავს ღორის კოლტი (მაგალითად ღალიძგას სასახლეს), ხარის, ძროხისა და ცხენის ჯოგები (მაგალითად, სუბიეშის სასახლეს), „კამბეჩის“ და თხის ჯოგები (მაგალითად, ხიბულას სასახლეს)[116]. სასახლეს აქვს თავისი მეურნეობა, ზოგჯერ ჰყავს თავისი მეთევზეები და სხვა. სასახლეს ჰყავს თავისი მოსახლეები, ყმა-გლეხები, რომელთაც, თავის მხრივ, საკუთარი მიწა-წყალი და ადგილ-მამული აქვთ. როგორც აღინიშნა, გლეხის მიწა-წყლის მთლიანობა იმის შემდეგაც კი დაცულია, რაც ამ მამულის მეპატრონის ოჯახი ამოწყდება.

გლეხის უპატრონო მამულს „პარტახი“ ერქვა. პარტახი ყიდვა-გაყიდვის ობიექტი იყო – „ერთი პარტახი გაიყიდა... ერთი კვამლი კაცი დამისახლებია“[117].

ეკლესია ცდილობდა დაესახლებინა გლეხები გაუკაცრიელებულ მხარეებში, მათ ასახლებდნენ ან „პარტახებში“, ანდა საეკლესიო მამულებში, სამაგიეროდ გლეხები ვალდებულნი იყვნენ მცირე გადასახადი ეძლიათ ეკლესიისთვის.

ეკლესია უმაღლესი მფლობელი ორგანიზაცია იყო და მას არათუ გლეხების, არამედ თვით დიდად გავლენიანი და მაღალი წოდების მქონე პირების „შეწყალება“, ანუ მათთვის რაიმე ქონების ბოძება შეეძლო. მაგალითად, კათალიკოსი ქრისტეფორე ქარსიძეებს აძლევს სიგელს, რომელშიც წერს – „შეგიწყალეთ და გიბოძეთ“. კერძოდ, კათალიკოსს მათთვის ოთხი კომლი კაცი „მათის მამულით, მთით, ბარით, წყლით, წისქვილით, ველით, ვენახით, საწყლისპირით“ უბოძებია[118].

ეკლესია განსაკუთრებით სწყალობს თავის „ერთგულთა და თავდადებით ნამსახურთა ყმათა“[119]. უბოძებს მათ მამულებსა და გლეხებს.

ეკლესიის გლეხს ეპისკოპოსის სამსახური მოეთხოვება[120]. მას ევალება ეპისკოპოსის „ნადირობა, ლაშქრობა და სამსახური“, ბეგარა. რა შედის ბეგარაში? ცაგერელმა ეპისკოპოსმა ის ბეგარა, რომელიც მისთვის ეკლესიის ყმას უნდა გადაეხადა, უბოძა თემს (ხალხს), ამიტომაც ამ გლეხს დაევალა კუთვნილი ბეგარა თემისათვის მოერთმია: ერთი გასუქებული ტახი, ერთი კარგი ცხვარი, ხუთი გორო ღვინო, ერთი გორო პური, ერთი გორო ღომი, ერთი თეთრი სანთელი, ერთი ბიშტი საკმელი. იგივე იყო საზოგადოდ საეკლესიო გლეხის წლიური ბეგარა (ამ შემთხვევაში ეპისკოპოსისაგან პატივნაცემი თემი ვალდებული იყო აღნიშნული პურ-მარილით ლხინის დროს მოეხსენებინა და დაელოცა ეს ეპისკოპოსი, ხოლო ხუცესს უნდა ეწირა მისთვის)[121].

ხუცესი შეიძლებოდა ყოფილიყო გლეხი და ჰქონოდა თავისი ვიწრო სპეციალობაც - მაგალითად, მეთევზეობა. ამავე დროს, იგი ეკლესიისადმი შეწირული „ყმაც“ იყო[121]. მას, ისევე როგორც სხვა ყმა გლეხებს, თავისი „სახლკარი, ჭურ-მარანი, ტყეველი, ვენახი, მთა, ბარი, წყალი, წისქვილი საყდარი და საფლავი“ ჰქონდა[122].

საზოგადოდ საეკლესიო ბეგარაში დაახლოებით რამდენიმე გორო ღვინო (10-14-მდე), რამდენიმე ცალი პური (3, 5), ერთი ღორი, ერთი ცხვარი, ერთი ცალი თევზი, რამდენიმე ქათამი (3-მდე) და ორმოცი ცალი კვერცხი შედიოდა. გარდა ამისა, „მუშაობა, ლაშქრობა და სამსახური“[123]. როგორც აღინიშნა, ეკლესია დაინტერესებული იყო მამული (დამოუკიდებელი მეურნეობა) მთლიანი ყოფილიყო და ოჯახის უფროს ვაჟს დაუქუცმაცებელი გადასცემოდა, მაგალითად: „მამული ესე და სახე-

ლო არ გაიყოს, არცა გაისყიდოს, რომელიც უფროსის კაცის შვილი და თვითონ ხნით უფროსი არის იმისია“[124] ...

როგორც აღინიშნა, ეკლესია მრავლად იძლეოდა წყალობის სიგელებს. ისმის კითხვა: რა იყო იმ არეულ დროს ამ სიგელების დაცვის გარანტი? – რწმენა! მაგალითად, „წყალობის წიგნს“, რომელსაც ცოცხალი, იმჟამინდელი კათალიკოსი სცემს, ბოლოში მიწერილი აქვს ამ კათალიკოსის თხოვნა მომავალი კათალიკოსისადმი, რომ უკეთუ იგი აღნიშნული წყალობის სიგელს დაიცავს, მაშინ გარდაცვალების ჟამს მის სულს იმ ქვეყანას მიეგებება და წარუდგენს უფალს – „რაჟამს გამოხვიდე წუთისოფლიდან ამიერ სოფლად ნებით ქრისტესით, მოგეგებო და ამბორს გცემდე და მიგხადოთ წინაშე უფლისა“[125]...

კათალიკოსს ან ეკლესიის მეთაურს, ეკლესიას ან საეკლესიო ცენტრს, თავისი „დარბაზის კარი“ აქვს, სადაც მას წყალობის საქმეს ეაჯებიან (შესთხოვენ). კათალიკოსი საქმეს არჩევს, „ასე რომე მოგვიდექით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და წყალობით საქმესა გვეაჯენითო“, – წერს ის[126].

საკათალიკოსო ცენტრებს, როგორც აფხაზეთისას ისე ქართლისას, მთელი სამწყსოდან შეეძლოთ გადასახადის აკრება. ასე რომ, მათ საკუთარი შემოსავალი ჰქონდათ. ასევე საკუთარი შემოსავლები ჰქონდათ საეპისკოპოსოებსაც. შესაძლებელი იყო, რომელიმე დიდებულის ოჯახს როგორც საკათალიკოსო, ასევე საეპისკოპოსო გადასახადი გაეღო – მაგალითად, მუხრან-ბატონების ოჯახი ვალდებული იყო ქართლის კათალიკოსისათვის, ასევე წილკნელი ეპისკოპოსისათვისაც სათანადო გამოსაღები ეძლია. საზოგადოდ საეპისკოპოსო შემოსავლები ძალზე დიდი იყო. მაგალითად, წილკნელ ეპისკოპოსს, ანუ წილკნის ღვთისმშობლის სამწყსოს, სამუხრანბატონოში ჩვიდმეტი დაბა სოფელი ეკუთვნოდა, არაგვის საერისთავოში - 29 და მთელი მხარე „ანანურს ზევითი“, ქსნის საერისთავოში – 8 დაბა-სოფელი, ყოველი სოფლიდან სახუცო დრამა შესაწირავ ძღვენს, თუ საკანონოს იღებდა, იგი ყოველ ოჯახს უნდა გადაეხადა – „მღვდელს“, „მსახურს“, „სოფლის კაცს“, „სოფელს“. აღსანიშნავია, რომ გადასახადები არათუ დიდი, არამედ ზოგჯერ სიმბოლურიც კი იყო, მაგრამ ერთად შეკრებილი მნიშვნელოვან რაოდენობას ქმნიდა. მაგალითად, სოფელ დამპალოში შემდეგი სახის წლიური გადასახადები მართებდათ: „მღვდელს - ერთ დღეს ჩაყენება, ნახევარი ხარი და მარჩილი. სოფელს – ერთ დღეს მასპინძლობა, კომლზედ დრამა – კოდი ერთი, მსახურს – საწირავი, ცხენი შეკაზმული, აგრეთვე მსახურის ცოლი თუ მოკვდეს – ერთი საწირავი. საკანონო, როგორც ზემოთ დაგვეწეროს, ისე გამოართვან“[127].

საკანონო გადასახადს ოჯახი რომელიმე საეკლესიო, ანდა ზნეობრივ-მორალური წესის დარღვევისათვის იხდიდა, მაგალითად, თუ ოჯახის რომელიმე წევრი უზიარებლად მოკვდებოდა – ხარს, ჯვარდაუწერლად ცოლის შერთვისათვის ორ ცხვარს და ორ ხარს, კაცის მოკვლის შემთხვევაში – 5 ხარს. ყოველ შემთხვევაში წესის დამრღვევი თუკი თავის ცოდვას მოინანიებდა, ეკლესია აღსარების შემდეგ შეიწყალებდა და ავალდებულებდა წირვასა და ლოცვას აღარ დაკლებოდა[128].

შეძლებულ მოსახლეობას საკანონოდ ევალებოდა „დაედოთ“ და შეეწირათ ეკლესიისათვის მნიშვნელოვანი ქონება, მაგალითად, საყდრები თავიანთი სახლებით,

ტყით, მამულით, მთელი სოფელი, ან სოფლის საყდარი თავისი სასახლეებით და მამულებით[129]. ამას უჩვენებს შემდეგი მაგალითი: გურიის სამთავრო სახლის ერთ-ერთი წევრი ბერად აღიკვეცა, შემდეგ კი ბერობა უარყო, „ბერობა დააგდო“ და გურიის მთავრად – გურიელად დაჯდა. „ბერობის დაგდების“ საკანონოდ მან სოფელ აკეთის ეკლესია მიუბოძა ბიჭვინთის ღვთისმშობელს, ანუ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს. აქედან ისიც ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოს კუთხეებს ერთმანეთთან ცხოველი კავშირი ჰქონიათ ეკლესიის საშუალებით (გურიის სოფელი აკეთი ბიჭვინთას ეკუთვნის). ნაბერალი გურიელი წერს კათალიკოსს: „მეფემან შეგვიწყალა და გურიელობა გვიბოძა და ბერად აღთქმული ვიყავით და შენდობა გთხოვეთ და გვიბოძეთ, მისდა საკანონოდ მოგართვით აკეთის საწი-ნამძღვრო მისითა მამულითა“[130]... ასევე 1616 წლის საბუთიდან ჩანს, რომ ქართლელ ერისთავებს, რომლებსაც რაღაც მიზეზის გამო ბიძაშვილები დაეხოცათ, ეკლესიამ საკანონოდ 6 კომლი კაცი დაადო თავისი მამულებით[131].

საეკლესიო გადასახადებში შედიოდა: „გამოსაღები“, „ბაჟი“, „კულუხი“, „ღალა“, „ნიშანი“, „ბეგარა“ და სხვა. მაგალითად, მარტვილის ტაძრის ყმას ემართა: „ხატის ათი ლაღარიკონი, სანთელი, ერთი ნაგირი ზეთი, ერთი ნალბაქი საკმელი. სხვა ამის მეტი ამას არაფერი არ მართებს არც ლაშქრობა, არც ნადირობა, არც შინა – ყმობა, არც მოახლეობა, არც სხვა საქმიანობა, არაფერი სხვა უდიერობა ხატის სამსახურის მეტი არა მართებს რა. სხვა კაცისაგან ხელი არ ჰქონდეს“, – ნათქვამია 1680 წლის საბუთში. სამაგიეროდ, ზემოთ აღნიშნული გადამხდელი ყმის ოჯახი ეკლესიამ დაასახლა თავის მამულში და მისცა მას სახლ-კარი, ჭურ-მამული, ალაგი, ტყე-ველი, საყანე, სასაფლაო და ეკლესიის კარი[132]. როგორც მრავალ გზის აღინიშნა, გლეხს ჰქონდა თავისი მიწა-წყალი, სახნავ-სათესი, სახლ-კარი, რის სანაცვლოდ ის ვალდებული იყო წლიური გადასახადი ეხადა.

ეკლესიის ქონება იზრდებოდა აგრეთვე შესაწირებით, უძრავ-მოძრავი ქონებით, რომელსაც მას სწირავდნენ მეფე და თავადები.

მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგჯერ გლეხებიც კი სწირავდნენ ეკლესიას მნიშვნელოვან ქონებას. მაგალითად, სოფელ ოკამში მცხოვრები გლეხები, გვარად მეშველიანები, დიდი ადგილ-მამულის მფლობელნი ყოფილან და მათ არა უბრალ-ოდ გლეხებს, არამედ დიდ გლეხებსაც უწოდებდნენ. ისინი თურმე დიდად ეწეოდ-ნენ შიო მღვიმის მონასტერს. მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს გამოცემულ ერთ-ერთ სიგელში ნათქვამია ამ გლეხების შესახებ – „მეფე გიორგი, რომელმან მიართვა ძღვნად წმიდასა მამასა შიოს სასოსა თვისსა დიდითა გუჯრითა სახასო სოფელი ოკანი, მეშველაანი დიდნი გლეხნი დიდის მქონებელნი მამულისანი, მოხელენი და მოღვაწენი და შემწენი დიდისა მონასტრისა მღვიმისანი.

გევედრებით წმიდანო მღვდელმთავარნო და წინამძღვარნო მეფეთა ამათ კურთხ-ევით მოიხსენიებდეთ და გლეხნიცა ამათ პატივით შეიტკბობდეთ ერთგულებისა-თვის და მოხელეობისათა“[133]. ეკლესიისთვის იღვწოდა ყველა, როგორც გლეხი, ისე მეფე. ამ საბუთშიც ისინი გვერდი-გვერდ მოიხსენებიან. გლეხი ეკონომიურად დამოუკიდებელი იყო, რადგან მას თავისი მიწა-წყალი და ადგილ-მამული ჰქონდა, რაც კარგად ჩანს სხვადასხვა საუკუნეთა საბუთებში[134].

საეპისკოპოსოებში, როგორც ითქვა, დიდძალი თანხა და საქონელი შედიოდა, მას როგორც უძრავი, ასევე მოძრავი ქონება ჰქონდა, მაგრამ მას შემოსავალი ძირითადად იმ ქრისტიანული მოსახლეობისაგან შედიოდა, რომელიც გადასახადს იხდიდა. ეკლესია ამის გამოც იყო დაინტერესებული ქრისტიანთა რაოდენობის გაზრდით. მაგალითად, ქრისტიანობა შესუსტებულა საქართველოს მთიანეთში „ანანურს ზევით", რომელიც ისე წილკნელის მოქცეულად ითვლებოდა და წილკნის საეპისკოპოსოში შედიოდა. როგორც საბუთებიდან ჩანს, XVII საუკუნის ბოლოსათვის, ამ მხარეში მღვდლების რიცხვიც შემცირებულა, რასაც შედეგად „საეპისკოპოსო გამოსაღების" შემცირებაც მოჰყოლია. ეპისკოპოსი წერს: „იქაურს მღვდელს სახუცო თითო ფური დავადევით. ორი მღვდელია, ორს ფურს მოქვცემდნენ, ერთი-ერთს. ჩემობას ორი ხუცესი იყო, იქაურ ხუცესს მამამთავრისა არა ედვათ, არც ერისკაცზე დრამა ედვათ, არც ეპისკოპოსის წირვა. ახალი მოქცეულები იყვნენ, ამიტომ ვერა საეპისკოპოსო გამოსაღები ვერა დავადევით რა"[135].

აქედან ჩანს, რომ იმ თემებსა და სოფლებში, სადაც ნორმალური ვითარება იყო, საეპისკოპოსო გამოსაღებში სულ მცირე – ერისკაცზე ერთი დრამა შედიოდა.

ეკლესიას, როგორც ძალზე გავლენიანსა და მდიდარ ორგანიზაციას, თავის მოხელენი ჰყავდა: მოურავი, ოცისთავი[136], ქადაგი[137], სახლთუხუცესი, ამილბარი, მესტუმრე, მეღვინეთუხუცესი[138], ნაცვალი[139], ომოფორის მოლარე[140], როგორც ჩანს, „სახელოს" მფლობელად ითვლებოდნენ აგრეთვე კანდელაკი, დეკანოზი, მგალობელი და სხვა.

შეიძლება დაისვას კითხვა, რისთვის იყენებდა ეკლესია თავის დიდ ქონებას? ამ დროისათვის ეკლესიისათვის უპირველესი მნიშვნელობის საქმე ყოფილა ბრძოლა ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ, თათრების ტყვეობისაგან ქრისტიანების დახსნა და მათი დასახლება თავის მამულებში. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს აგრეთვე გლეხების დასახლებას გაუკაცრიელებულ, ანდა მცირედ დასახლებულ ტერიტორიებზე (მაგალითად, თრიალეთში). მას თავის მოვალეობად მიაჩნია დახმარებოდა ღარიბს, ობოლს, საცოდავს, აღესრულებინა ქველი საქმე და შეეწყალებინა უქონელი; ყურადღებას აქცევდა ასევე ხელოსნების, წიგნის გადამწერებისა და მხატვრების ქონებრივ უზრუნველყოფას.

გრიგოლ კათალიკოსი თავის ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე (1696-1742) ენერგიულად იბრძოდა ტყვის ყიდვისა და მაჰმადიანობის გავრცელების წინააღმდეგ. XVIII ს-ის დასაწყისში, რადგანაც იმერეთში თათრებისაგან ქრისტიანობა შევიწროებული იყო, მან პირობა დაადებინა იმერეთისა და ოდიშის თავადებს: „იმერეთის წასახდენად და ასაოხრებლად ჩვენ თათარს არც პირი მივცეთ და თუ ვინ იცის და თათარი ლაშქრით აქ ჩამოვიდეს იმერეთის წასახდენად, ჩვენ არც მივიდეთ მასთან და უწინამძღვროთ და არც მათი ვიწამოთ რა". ფიცის დამდებმა ფეოდალებმა კათალიკოსს აღუთქვეს, რომ ყოველ ღონეს იხმარდნენ თურქებისაგან ქუთაისის ციხისა და იმერეთის გასათავისუფლებლად. 1701 წ-ს ოდიშის გამგებელმა ლიპარტიანმა ფიცით აღუთქვა კათალიკოსს ტყვის სყიდვის „გადაგდება". 1707-1710 წლებში იმერეთის საკათალიკოსო ყმებს კათალიკოსმა ფიცი დაადებინა, რომ ისინი ტყვის სყიდვის საქმეში არ გაერეოდნენ. 1709 წ-ს თავადმა ჩიჩუებმა

კათალიკოსს აღუთქვეს, რომ მათ მამულში ტყვის მყიდველი არ გაეჩერებინათ. 1717 წ-ს კათალიკოსი ბეჟან დადიანს ოდიშში მღვდელმსახურების შეწყვეტით დაემუქრა და ფიცი დაადებინა, რომ მის სამფლობელოში ტყვის სყიდვას აკრძალავდა[141].

მაგრამ ეკლესია არა მარტო მოლაპარაკებებით იღვწოდა ტყვეთა სყიდვისა და გათათრების წინააღმდეგ, არამედ ეკონომიკური საშუალებებითაც. მაგალითად, 1713 წლის საბუთიდან ჩანს, რომ ერთ-ერთ დიდებულ, იასე მაღალაშვილს ტყვეები გაუყიდია, რისთვისაც ის შესაფერისად დასაჯა ეკლესიამ. აიღო მისგან ერთ-ერთი მამული, რომელიც ეკლესიისათვის სასურველ პირს უწყალობა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ზნეობრივი გადაგვარების საკომპენსაციოდ ეკლესია მნიშვნელოვან საკანონოს ადებდა დიდებულის ოჯახს. აღნიშნული მამულიც საკანონო სასჯელად ჩამოურთმევია მას. ამ დოკუმენტში ნათქვამია: „მაღალაშვილმან იასემ დიახ ავი საქმე ქმნა და ტყვეები დაყიდა... ეგეთსა ძვირის მოქმედსა ზედა უნამეტნავესად წეს იყო რასაცა ოდენ გავსწყრომოდეთ ანუ თვალთაგანი, ანუ ხელთაგანი, ანუ ფეხთაგანი, ანუ ერთი ასოთა მისთაგანი მოგუეკვეთა, კნინღა და ვიდრე სიკვდილ მოწევნული გვექმნა. არამედ ამის ესევითარისაგან განვათავისუფლეთ... და საკანონოდ დაგვიდვა და დავადებინეთ მიწა თავის განაყოფის ერასტის იქით ხევამდე ზევით გზამდე ქვემო ერასტის მიწის საზღვრამდე. რაც არის ეს სულ დავადებინეთ“[142]...

ასევე ეკლესიამ 1696 წლისათვის დიდი საკანონო დაადო და მამულები ჩამოართვა ფირამ მხეიძეს, რომელმაც ოთხი ყმა გაყიდა. ამ მამულში შედიოდა სახლკარი, ჭურ-მარანი, მამული, ტყე, ველი, საყანე თავის გასავლით, შემოსავალი, საძებრითა და უძებრით. მთელი ეს მამული საეკლესიო გლეხებს გადაეცა[143].

თათრის ტყვეობისაგან დახსნას შეეხება 1712 წლის დოკუმენტი, რომელშიც კერძოდ, წერია: „ბიბია ბოლქვაძე აფხაზს ცოლშვილიანა წაეყვანა და ნემსაძე კათალიკოს დაეხსნა და ნოჯიხევს დაესახლებინა.

ახლა ჩვენ ერთი მისი უფროსი თათრისაგან ას მარჩილად დავიხსენით“[144]. 1713 წლის დოკუმენტში ნათქვამია: „...ნადირა ახალციხელს გაეყიდნა და ჩვენ ბატონიშვილმა კათალიკოსმა დომენტიმ დავიხსენით და გარდამოვიყვანეთ“[145]; 1731 წლის დოკუმენტში: „გელათის წმინდა გიორგის ზედამხედველმა გაბრიელ თათრისაგან დავიხსენი მოსახლე კაცი გიორგი ხანთაძე და შენთვის შემომიწირავს პატიოსანო ცათა უმაღლესო ბიჭვინთისა ღვთისმშობელო“[146]; 1740 წლის დოკუმენტით პატრიარქი დომენტი თავის ხელქვეითს ავალებს: „...რაც აყრილი კაცი იყოს მოიყვანე – დაასახლე“[147]; ხოლო დაახლოებით 1742 წლის დოკუმენტით აფხაზეთის კათალიკოსი წერს – „ზოგი რომელიმე ოცისა და ათის წლითგან დაკარგული ყოფილიყო და ჩვენ ამოვიყვანეთ და ხელახლა ჩვენ დავასახლეთ“[148]. 1687 წლის დოკუმენტში საუბარია მრავალი გლეხის დასახლებაზე, როგორც შიდა ქართლში, ისე მის გარეთ, მაგალითად, „თრიალეთზე სოფელი ბარალეთი ჟამთა ვითარებისაგან აოხრებულიყო და ახლად ჩვენ ავაშენეთ და კაცნი დავასახლეთ“[149]. როგორც აღინიშნა, ეკლესია განსაკუთრებით ზრუნავდა ქველი საქმეებისათვის, მაგალითად, გაღარიბებულს გლეხს ყოველგვარი გადასახადისაგან ათავისუფლებდა. ის ერთ გლეხს წერს: „...წყალობა გიყავით და გათარხნეთ და

გაგათავისუფლეთ ვინც ობოლი და ოხერი იყავ... არა ჩვენი გამოსაღები არ გეთხოვებოდეს რა: არც პური, არც ღვინო, არც ხვნა, არც თესვა, არა საბალახე, არა კოდის პური, არას ჩვენს მოხელეს თქვენთან ხელი არ ჰქონდეს"[150]. ამ გათავისუფლებულ ღარიბ გლეხს მხოლოდ მცირეოდენი ფორმალური გადასახადი დააკისრეს.

ეკლესია ღარიბებს სხვათა ვალისაგანაც ათავისუფლებდა: მაგალითად, საყდრის ყმა ბარარაშვილს ემართა დოლმაზა შანშიაშვილის ვალი: „ყმა ვალისაგან დიაღ გატეხილი იყო, რომ ღონე არა დაედებოდა რა"[151]. ამ ყმას ვალი ეკლესიამ გადაუხადა. ეკლესია არა მარტო გაჭირვებულ ყმა გლეხს, არამედ მთელ სოფელსაც ათავისუფლებდა გადასახადებისაგან. ასე გაუთავისუფლებიათ მანგლისელები ერთერთი გადასახადისაგან: „აწე გავსინჯეთ და სარგებლისაგან და შემატებისაგან საცოდავი საქმე უფრო ხდებოდა და ამოგიკვეთეთ"[152]. 1712 წლის დოკუმენტშია: „...ნაყმევი ყოფილან და ბევრი ბეგარა მართებდათ, ყველას ჩვენ არ გამოვეკიდეთ"[153]. 1713 წლის დოკუმენტშია: „ღალის სითარხნეს გვეაჯეთ, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და ღალა ამოგიკვეთეთ"[154]. როგორც აღინიშნა, ეკლესია მიწა-წყალსა და ქონებას აძლევდა მხატვარს[155], ხელოსანს[156], წიგნების გადამწერს[157]. ეკლესია დაინტერესებული იყო და ქონებრივად აძლიერებდა ეკლესიისათვის მომსახურე ადამიანებს, რომელთაც „ერთგულები", „მემკვიდრენი" და „მცხეთისშვილები" ეწოდებოდათ. მათთვის ქონების, მიწა-წყლისა და მამულის ბოძებას შეეხება მრავალი საეკლესიო საბუთი, უბოძებდენ ასევე ყმებსაც. თუ რომელიმე მათგანი ეკლესიის „ორგულობას" გამოიჩენდა, იგი შესაბამისად ისჯებოდა. მას საეკლესიო მამულებიდან აძევებდნენ, მაგალითად, ევდემონ ქუთათელი წერს აგიაშვილს: „ჩემი ორგული კაცი მეძმარიაშვილი ესახლა პატრიკეტს და ის მეძმარიაშვილი შენ აგაყრევინე... მერე იმ ჩემის კაცის მეძმარიაშვილისეული პარტახი გვთხოვე... აწე მოგვიცემია სახლკარითა, ჭურმარანითა, ტყითა, ველითა, ვენახითა, საყანითა, სასაფლაოთა, სათიბითა..."[158]. ეკლესიის ქონების ერთი ნაწილი ტაძრებსა და მონასტრებს ხმარდებოდა[159]. ეკლესიას უდიდესი მნიშვნელობის საქმედ მიაჩნდა "მამულისა და საყდრის მოვლა"[160]. აღსანიშნავია, რომ ეკლესიის მღვდელმთავრები და მამამთავრები საეკლესიო ქონებით შესყიდულ ყმებს არა მარტო ეკლესიის უძრავ ქონებას სწირავდნენ, არამედ თავიანთი საფასით, ანუ პირადი შემოსავლით შეძენილსაც. პირად ქონებას „კონდაკით" მოგებული ეწოდებოდა და ის პირადი შრომით, ანუ მღვდელმოქმედებით იყო მიღებული[161].

აღნიშნულ პერიოდში მაჰმადიანური აგრესიის გამო მრავალი საეპისკოპოსო გაუქმდა, მაგრამ ისინი, რომლებიც არსებობდნენ, თავს მტკიცედ გრძნობდნენ. 1701 წლის საბუთში შემდეგი საეპისკოპოსო კათედრები იხსენიება: ალავერდისა, ხარჭაშნისა[162]; 1702 წლის საბუთში მოხსენებულია ბოდბელი, თბილელი, მანგლელი, სამებელი, მროველი, ჭერემელი, წილკნელი, ხარჭაშნელი, დმანელი, ბოვნელი, წალკელი, ალავერდელი და ნინოწმინდელი ეპისკოპოსები[163].

1720 წლის საბუთში ალავერდელი, რუსთაველი, ხარჭაშნელი, ჭერემელი[164]; 1741 წლის საბუთში – ურბნელი და მროველი[165]; ხოლო 1746 წლის საბუთში – წილკნელი, სამებელი, ჭერემელი და ხარჭაშნელი ეპისკოპოსები იხსენიებიან[166].

ეპისკოპოსთა შორის საქმიანი ურთიერთობა არსებობდა. იმის გამო, რომ მათი ეპარქიები მნიშვნელოვანი ქონების პატრონები იყვნენ, ზოგჯერ მათ დავა ქონებრივ საკითხებზეც უხდებოდათ. კერძოდ, ისინი საეპარქიო საზღვრებისა და საეკლესიო დაბა-სოფლებისა და ყმებისათვის დაობდნენ.

კახეთში არსებული საეპისკოპოსოები ქართლის კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ. თუმცა კი, იმის გამო, რომ კახეთის დამოუკიდებელი სამეფო არსებობდა, ქართლის სამეფოში ტერიტორიულად მყოფი ქართლის კათალიკოსი ზოგჯერ ზოგიერთ კახელ ეპისკოპოსს, განსაკუთრებით კი ალავერდელს, ფიცის წიგნს აწერინებდა: „ვინცა ვინ ალავერდელი ყოფილან ან იქნების, მეცა და სხვანი ყველანი სვეტიცხოვლის კარსა და ვინ საჭეთმპყრობელი კახი ყოფილა კურთხევა მისგან მიუღია“, ნათქვამია XVII საუკუნის ერთ დოკუმენტში[167].

ძალზე ხშირად ეპისკოპოსთა შორის დავას კათალიკოსი არჩევდა. მაგალითად, ის მანგლელს წერს: „თქვენ და დმანელს სამწყსოზედ სარჩელი შეგქონდათ და ბატონიშვილს კათალიკოსს განესაზღვრა და გაერიგებინა“[168]; ასევე საზღვრავს ქართლის საკათალიკოსოსა და თბილელს შორის სამწყსოს[169].

ეპისკოპოსს ძალზე დიდი წონა ჰქონია ქვეყანაში. XVIII საუკუნის დასაწყისის ერთ დოკუმენტში ნათქვამია: – „რა რომ საათაბაგო სჯულზე მიდრკა და ეპისკოპოსნი მოიშალნენ, მას აქეთ თქვენს ქვეყანაში ეპისკოპოსი აღარ შემოსულა და რაღაც ადგილში ეპისკოპოსი არ შევა და იმისი მადლი და კურთხევა არ მივა, ან იმისი მამამთავარი და მოძღვარი არ ასწავლის და არ ჰმწყსის, ის ქვეყანა და იქ მსახლობელნი ქრისტიანენი არ იქნებიან და არც მართლმადიდებელში აღირაცხვიან“[170].

ეპისკოპოსი დამოუკიდებელი და გავლენიანი ხელისუფალი იყო, ამიტომაც საეპისკოპოში მცხოვრებნი მებატონენი ვალდებულნი იყვნენ, მას შესაბამისი ღირსებით მოპყრობოდნენ, რაც გარკვეულ „გამოსაღებად“ ითვლებოდა. მაგალითად, „რაჟამს წილკნელი მუხრანის ბატონის სახლში მობრძანდეს, მუხრანის ბატონი და მეუღლე მათ წინ წამოეგებნენ და სუზანსა და დორზედ ცოლ-ქმართ შუაზეთ დაიწვიონ და დიდის პატივით დახვდნენ“[171].

ეს იმას ნიშნავს, რომ ეპისკოპოსის ვიზიტისას მუხრან-ბატონების ოჯახში მას წინ უნდა დახვედროდა მუხრან-ბატონთა სახელგანთქმული სახლის მეთაური (ისინი მალე ქართლის მეფეებიც ხდებიან) თავის მეუღლესთან ერთად. არც ერთ მეუღლეს არ შეეძლო ეპისკოპოსის ოფიციალური სტუმრობა თავისი მეორე ნახევრის გარეშე. მიგებების შემდეგ (ანუ რამდენიმე ნაბიჯის წინ გადადგმის შემდეგ) მათ ეპისკოპოსი დარბაზში შუა საპატიო ადგილას („შუაზედ“) წინასწარ გამზადებულ სკამზე (რომელზეც „სუზანი და დორი“ (ხალიჩის მაგვარი რბილი გადასაფარებელი) იყო დაგებული) უნდა დაებრძანებინათ, ამის შემდეგ კი, „დიდის პატივით“ უნდა „დახვედროდნენ“ – ე.ი. თხოვნას თუ სხვა რაიმე საქმეს ღირსებით მოპყრობოდნენ.

საზოგადოდ მიიჩნეოდა, რომ „ეპისკოპოსის სამსახური“ საეკლესიო გლეხებისა და „კაცების“ მოვალეობას შეადგენდა. ახალ დადგენილ ეპისკოპოსს ევალებოდა საეკლესიო „კაცებისათვის“ „ეპისკოპოსის“ სამსახური ესწავლებინა – „ეკლესიისა და ეპისკოპოსის სამსახური ასწავედ, თორემ ღმერთი ეპისკოპოსის ხელიდან გამოიძიებს თავისის სამწყსოს საქმეს“[172].

აღსანიშნავია, რომ ეკლესიას თავისი „მოლაშქრე კაცები“ ჰყავდა, ხოლო ამ „მოლაშქრე კაცებს“ თავიანთი „მსახურები“ ჰყავდათ[173]. მაგალითად, სოფელ ხიბულაში მოლაშქრე აზნაურს ოცდაათი მსახური (მოლაშქრე) ჰყავდა, ჯგალში – 38, საცაიშლოში – 63, დარჩელში – 85[174].

ეკლესია (ე.ი. საკათალიკოსოები) აშენებდა ციხეებს და ხალხს მის შემოგარენში ასახლებდა: „არგვეთი ძველი ციხე იყო და აღშენება დაუწყეთ და გლეხებს დასახლება“, – წერდა გაენათელ-ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი 1664 წელს[175].

როგორც ცნობილია, კახეთის ლაშქარს ეპისკოპოსები მეთაურობდნენ, კერძოდ კი, სადროშოებს. 1722 წელს შედგენილი „სარუსთველო დროშის განწესების“ თანახმად, რუსთველ ეპისკოპოსს ძალზე დიდი, ძლიერი და ორგანიზებული ჯარი ემორჩილებოდა.

რუსთველის დროშას ვალდებული იყვნენ დამორჩილებოდნენ მიწერილი თავადები, აზნაურები, ეპისკოპოსები, წინამძღვრები და გლეხები. თუკი მოხდებოდა ისე, რომ რუსთველის დროშაზე მიწერილი თავადი, მოურავი ან ერისთავი თავისი ლაშქრით სხვა სადროშოს დაექვემდებარებოდა (მეფეს ანუ ბატონის დროშას, ანდა ქიზიყის სადროშოს), ამ შემთხვევაში რუსთველ ეპისკოპოსს ნება ჰქონდა ურჩისათვის ეჩივლა მეფესთან ანუ ბატონთან, ხოლო მეფე ურჩს მამულს წაართმევდა. ხოლო რუსთველს შეეძლო რაიმე სხვა ზიანის მიყენება მისთვის[176].

რუსთველი ეპისკოპოსი ვალდებული იყო კვირაში ერთხელ ჯარი რიცხობრივად შეემოწმებინა, ვინც დააკლდებოდა, იმით სჯიდნენ, რომ რუსთველი ეპისკოპოსის სასარგებლოდ ხარს წაართმევდნენ მოხელენი, რომელთაც „რუსთვლის მეჯოხენი“ ეწოდებოდათ. ასევე უნდა გადაეხადა ჯარიმა „მარჩილი“, რომელსაც „იასაულები“ გამოართმევდნენ, ხოლო იმათ, რომელთაც შეძლება არ ჰქონდათ, ე.წ. „ნაკლებ თავადებს“ მეფის ბრძანებით, ან მამულის ნაწილს წაართმევდნენ, ანდა კვერთხით გვემდნენ[177].

რუსთველის დროშა შესანახად და საპატრონოდ ჩაბარებული ჰქონდათ „დროშის მტვირთველებს“, ნორიოელ ჭიჭინაძეებს, რომელთა მოვალეობასაც წარმოადგენდა: დროშის „წასვენების“ დროს (ე.ი. სალაშქროდ გასვლისა და დროშის ადგილიდან დაძვრის ბრძანების შემთხვევაში) დროშის გადაცემა „ძლიერი და უმჯობესი კეთილ-ცხენოსანი კაცისათვის, რომელსაც ის ხელში უნდა დაეჭირა, ხოლო სხვა ჭიჭინაძეები მას გარს უნდა შემოხვეოდნენ, როგორც ომის, ასევე მშვიდობის დროს დროშის ადგილზე დასვენებამდე. ისინი იყვნენ დროშის „ქეშიკები და მცველები“[178].

სარუსთველო დროშაზე მიწერილნი იყვნენ შემდეგი თავადები, ერისთავები, ეპისკოპოსები და გლეხები: პირველად თვითონ რუსთველი ეპისკოპოსი თავისი ყმით და სამოურაოებით, სამებელი, ავალისძენი, იორ-სამგორიდან არაგვისპირელნი, გურამიშვილები, გაღმაკახელნი, თიანეთელნი, ფშავ-ხევსურნი, ერწო-ჟალელნი, „მათ შინა მოსახლენი აზნაურნი და თავადნი“, ჩოლოყაშვილები, გიღიდაშვილები, მაყაშვილები, ჯანდიერიშვილები, ზემოთელაველნი, რუსიშვილები, ჯიმითის მოურავნი, საღინაშვილები, ქუმსიშვილები, პანკისის ხეობელნი, „ენისელთ მოურავის სახლნი, ჯორჯაძენი, ენისელით და ყმით“, ნეკრესელი, ნეკრესის ყმით, „გავაზი და ყვარელი“ და ა.შ.[179].

რუსთველს ემორჩილებოდა ასევე „ღმრთაების დროშა“, რომელზეც მიწერილნი იყვნენ ასევე მრავალრიცხოვანი თავად-აზნაურნი, ყმები, „სახასოები“ და სხვა ადგილ-მამულები. როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, რუსთველის ჯარი ორგანიზებული სამხედრო შენაერთია, რომელსაც თავისი მტკიცე, მკაცრად განსაზღვრული ეკონომიკური საფუძველი აქვს, უთუოდ მსგავს მიზეზთა გამო სპარსეთის იმპერიაში ქართული ჯარი ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესოდ მიიჩნეოდა, რასაც უცხოელი დამკვირვებლებიც აღნიშნავდნენ. ქართველი მეომრები ცნობილნი იყვნენ როგორც ყველაზე დისციპლინირებულნი სპარსეთის იმპერიის მრავალტომოვან ლაშქარში, თვითონ ამ რუსთველის სადროშოს ზემოთ მოყვანილ დოკუმენტსაც იმამყულიხანი ამტკიცებდა – სპარსეთის ვასალი და ამავე დროს მეფე კახეთისა.

ეკლესია, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში, მთელი თავისი ძალებით იბრძოდა ქართველების გალეკების, გააფხაზებისა და გათათრების წინააღმდეგ. სამწუხაროდ, აღმოსავლეთ კახეთში სხვადასხვა პოლიტიკურ-სოციალური მიზეზების გამო ქართველების ნაწილი გალეკდა. 1787 წლის დოკუმენტში ალავერდელი ეპისკოპოსი წერს თავის ერთ-ერთ დეკანოზს – „კახეთი რომ ლეკისაგან აიყარა და გალეკდნენ კახეთის კაცნი, იმ გაჭირვებაში საწყალი მამაშენი... მოგვკვდომოდა“[180].

დავით გარეჯის მონასტრები და ასევე ბიჭვინთის საეკლესიო ცენტრი მაჰმადიანთა და ჩრდილოკავკასიელთა შემოსევის დროს ქრისტიანული საქართველოს საზღვრებზე მოექცნენ და სარწმუნოების დამცველ ბურჯებს წარმოადგენდნენ. ამიტომაც, პირველ რიგში ლეკებისა და აფხაზ-აფსარების თავდასხმებს ისინი განიცდიდნენ, მრავალი ბერი ამოწყვიტეს დავით-გარეჯში ლეკებმა. 1696 წლის საბუთში ნათქვამია – „ძველი გუჯარნი და სიგელნი მტერთა ქრისტიანეთას ლეკთა წარეხვნა მას ჟამსა ოდეს წმიდა მონასტერი დავითისა წარტყვევნეს ლეკთა და წმიდანი მონაზონნი მოსრეს“[181].

1712 წლის საბუთში დავით გარეჯის ბერები წერენ,რომ ლეკებს თავდასხმის დროს ძველი ბერების ნაღვაწი მოუსპიათ, ხოლო ბერები ამოუხოცავთ. „იმათ მიცვალებას უკან ჩვენც ზედ მოვესწრენით მონასტერსა: იმათი ნაღვაწიცა და ამ გუჯარის უწინდელი ჩვენი ნაღვაწიცა,ურჯულონი ლეკნი დაგვესხნენ თავსა. და მონასტრის კრებულნიც დახოცეს და მონასტრის სახმარნი ჭურჭელნი და საეკლესიო იარაღი ყველა წარტყვენეს, იავარყვეს და მოაოხრეს“[182].

განსაკუთრებით გამანადგურებელი ქრისტიანებისათვის აფხაზ-აფსართა თავდასხმები იყო, რომელმაც თავისი ასახვა საეკლესიო დოკუმენტებში ჰპოვა. მაგალითად, 1706 წლის დოკუმენტიდან ჩანს, რომ აფხაზეთში მდებარე საკათალიკოსო სოფელ ნაჟანევიდან აფხაზ-აფსართა შემოსევების გამო გლეხები აყრილან, დარჩე-

ნილი მოსახლეობის დიდი ნაწილი აფხაზეთის მთავარს, ყვაპ შარვაშიძეს გაუყიდია (ჩანს, ტყვეებად) და მთელი სოფლიდან მხოლოდ ექვსი კაციღა დარჩენილა. ისინიც, აფხაზთა შემოსევების შიშით კათალიკოსს წაუყვანია და საქართველოს სხვა დაცულ კუთხეებში დაუსახლებია, კერძოდ ხობში, ხიბულაში და სხვაგან. მაგალითად, ელიშახუ ნანაისშვილი „ენგურის გაღმიდან“ წამოუყვანიათ და ხიბულაში დაუსახლებიათ. როგორც აღნიშნული იყო, აფხაზეთის თავადაზნაურობამ ოდიშთან ომების დროს დამხმარე ძალად ჩრდილო კავკასიიდან მოწვეული ადიღეურ-ჩერქეზული ტომები (აფსარები) გამოიყენა, რომლებიც შემდეგ დასახლდნენ კიდეც აფხაზეთის მიწა-წყალზე. ისინი წარმართები იყვნენ, მაგრამ აფხაზეთის ძველმა თავადაზნაურობამ ძველებურად შეინარჩუნა თავისი მამაპაპეული სჯული, ქრისტიანობა და თავს ქართულ ეკლესიას აკუთვნებდა (გამაჰმადიანებულების გარდა). როგორც ზემოთ მოყვანილი დოკუმენტიდან ჩანს, ამ მიზეზის გამო საეკლესიო გლეხების გამყიდველი ყვაპ შარვაშიძის გარდაცვალების შემდეგ მისი ოჯახიდან ეკლესიამ ოჯახის მეთაურის შეცოდების ასანაზღაურებელი „ნიშანის“ აღება შეძლო: „კიდევ ნაჟანევს სოფელი საკათალიკოზო ნემსაძე კათალიკოზის ხელშიდ აფხაზისაგან აყრილიყო. ყვაპ შარვაშიძეს სხვა დაეყიდა და ექვსი მოსახლე კაცი ყავდა. ის კათალიკოზიც ბევრს ედავებოდა და ჩვენც, მაგრამ არც მას და არც ჩვენ პასუხი მოგვცა, რომ შარვაშიძე მოკვდა. მივედით ჩვენ და ნიშანიც მართებული ავიღეთ“[183], 1712 წლის საბუთიდან კი ჩანს, რომ სოფელ ნაჟანევიდან აფხაზ-აფსარებისაგან აყრილი მოსახლე სამოცი საეკლესიო გლეხი აფხაზეთის კათალიკოს ნემსაძეს „დაეკარგა“ და მან მხოლოდ რამდენიმე ოჯახის გადასახლება შეძლო. საეკლესიო გლეხები თვით შუაგულ საქართველოშიც თათრდებოდნენ, 1694 წლის საბუთიდან ჩანს, რომ ერთი საეკლესიო ყმა გათათრებულა, შემდეგ კი თავისი საკუთარი მამული მიუტოვებია და გადაკარგულა. ამ გათათრებული ყმის მამული ეკლესიას „ერთგულისა და თავდადებით „ნამსახურისთვის“ უბოძებია: „ბადასშვილის მამული ამ წესით გიბოძეთ, რომ საყდრის ყმა იყო და ბევრის კაცის კვლასა და ტყვის გასყიდვაში გაერივა და გათათრდა; და ჩვენგანაც საწყენი იყო და საყდრის შემცოდეც იყო, აწ წავიდა ისი და დაიკარგა და მისი მამული, რასაც მქონებელი ყოფილიყო, სულა უკაფითა, საკაფითა, სასახლითა და სასაფლაოთა, ქვევრითა და მარნითა მისის სამართლიანის ღვრითა“[184] გვიბოძებია.

საქართველოს სამეფო სახლები, წარჩინებულები და თვით გლეხებიც კი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დიდად ზრუნავდნენ მონასტრებისა და ბერებისათვის. აძლევდნენ მას მიწა-წყალს, ადგილ-მამულებს, „სარჩოს და ულუფას“, ათავისუფლებდნენ გადასახადებისაგან, უდგენდნენ ტიპიკონს. მაგალითად, 1696 წლის საბუთიდან ჩანს, რომ დავით გარეჯის მონასტერს არავითარი გადასახადი არ ედო: „არც საური და არცა რამე საბეგარო საქმე“[185]. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, ბერები თავს ნებას აძლევდნენ, ერთი რომელიმე მონასტერი დაეტოვებინათ და სხვა მონასტერში გადასულიყვნენ, რისი აკრძალვაც 1702 წელს საეკლესიო კრებამ სცადა, რომლის განჩინების პირველ მუხლში ნათქვამია: „რომელიც ბერი დავით გარეჯას თუ ნათლისმცემელს, თუ დოდოს, თუ ბერთუბანს მივიდეს მეტა-

ნიად და დასადგომად და აღთქმა ჰყოს მუნ მონასტერსა შინა სამყოფად, მერე კვალად უკან იქცეს და დაუტევოს თავისი მონასტერი და სხვად მონასტრად მივიდეს, წყეული იყოს“[186]. ამავე წელს კათალიკოსი ევდემოზ დიასამიძე დავით გარეჯას მონასტერს ყოველწლიურ ჯამაგირს უახლებს, პურს, ღვინოს, სანთელს, ზეთს, შულოს, კერძოდ, პური კოდი 20, ღვინო საპალნე 3, სანთელი ლიტრა 2, ზეთი ლიტრა 5, შულო ჩარექი 1[187]. ეკლესია დიდ ყურადღებას იჩენდა ბერებისადმი. იგი იმაზეც ზრუნავდა, რომ რაიმე საქმეზე ჩამოსული ბერები უბინაოდ და უყურადღებოდ არ დარჩენილიყვნენ. როგორც 1704 წლის საბუთიდან ჩანს, ამ მიზნით ტფილელმა ეპისკოპოზმა გარეჯის მრავალმთის ნათლისმცემლის ბერებსა და მათ შორის „სულხან ყოფილს საბა მონაზონს“ გამოუყო ადგილი ქალაქ თბილისში: „საბატონისშვილოს სასახლიდან ადგილი მოგიჭრეს და თქვენთვის სამყოფად გიბოძე, რომელიც თქვენი მონაზონი ან მღვდელი ამ ქალაქს ჩამოვიდეს მათთვის სადგომად განუჩინეს“[188]. ამავე წლის ერთი საბუთიდან ჩანს, რომ საგარეჯოს მამულების მთელი შემოსავალი დავით გარეჯას სამ მონასტერს ხმარდებოდა[189]. ხოლო ალავერდელმა ეპისკოპოსმა დოდოს მონასტერს ულუფა: 15 კოდი პური, 2 მარილის ქვა და უღელი ხარი, ზეთი განუჩინა. „ყოველთვის მოგეცემოდეს ჩვენთა შესანდობლადა და სულის ჩვენის მოსახსენებლადო“, – წერს ეპისკოპოზი[190].

მონასტრებს, კერძოდ დავით გარეჯს ჰქონდა თავისი „განწესებული რიგი“, ანუ ტიპიკონის მაგვარი წესი[191]. ეკლესია დაინტერესებული იყო, რომ ბერებს თავიანთი მონასტრის ისტორია სცოდნოდათ. მაგალითად, 1709 წელს ნინოწმინდის ეპისკოპოსს დოდოს მონასტრისათვის ისტორია დაუწერია[192], სადაც დავით გარეჯელისა და წმიდა დოდოს ღვაწლია მოთხრობილი.

მონასტერში დაყუდებული ბერის ქონება საბოლოოდ მონასტერს უნდა დარჩენოდა. მაგალითად: ერთი ბერი კახეთიდან მისულა თბილისში და მთაწმინდაზე, წმ. დავით გარეჯელის სამყოფელში დაყუდებულა, და იქვე გარდაცვლილა. მას დარჩენია გარკვეული ქონება, ამ ქონებაზე პრეტენზია განაცხადეს როგორც ჭერემელმა ეპისკოპოსმა, ასევე თბილელმა ეპისკოპოსმა. ამის გამო კათალიკოსს გამოუცია განწესება, რომლის ძალითაც ამ ბერის ქონება თბილელ ეპისკოპოზს დარჩენია, „რადგან მონასტერი ესე თბილელისა იყო“, საბოლოოდ კი, რა თქმა უნდა, მთაწმიდის მონასტერს. მასში კერძოდ ნათქვამია: „და არა ხოლო ამას მონასტერსა განვაწესეთ, არამედ ყოველსა საქართველოსა ეკლესიათა ზედა: რომელნიცა მონაზონნი, რომელსაცა მონასტერსა დაემკვიდრნენ, რაცა საქონელი დაშთეს, მის მონასტერსა არის, სხვა ნუ ვინმე მონაწილე ექმნების“[193].

1712 წლისათვის, როგორც ეს ამ წლის ერთი საბუთიდან ჩანს, დავით გარეჯაში თერთმეტამდე ბერი ყოფილა. კერძოდ: 1. წინამძღვარი, 2. ბარნაბე, 3. შიო, 4. იმერელი გრიგორი, 5. მეორე გრიგორი, 6. გურიელი ნიკოლოზი, 7. დემეტრე, 8-9. პავლე და სილოვანი (ერთ სენაკში ცხოვრობდნენ), 10. გერმანე და 11. ბართლომე. ისინი ამ დოკუმენტში იმიტომაცაა ჩამოთვლილი, რომ მათ სენაკებში მონასტრის გარკვეული ქონება – კერძოდ კი ხატები იყო დაბინავებული. შესაძლებელია, ამ მონასტრებში სხვა ბერებიც იყვნენ, რომლებიც მონასტრის საინვენტარო აღრიცხ-

ვის სიაში არ მოხვდნენ[194]. ამ სიიდან ჩანს, რომ მონასტერში ძალიან მნიშვნელოვანი ქონება ინახებოდა, კერძოდ, ფარჩის სირმით საგანგებოდ ნაკერი დიბის მოარშიებული, შავი ან წითელი ფარჩის, სარბაბის, შალ ზარბაბის, ყვითლის საიის, წითელი ატლასის, იისფერი იეზდის, წითლის ყაბავარის, ყვითელი ატლაბაფთის, თეთრი დიბის, ყირმიზის და სხვა ქსოვილით შეკერილი სამღვდელო შესამოსლები, ბისონები, ფილონები და სხვა. ასევე მსგავსი ქსოვილებისაგან შეკერილი მრავალრიცხოვანი სტიხარი, ასევე ოქროს ღილებით, მინანქრით დაფერილი ღილებით, არშიანი ჯვრებით და ოქრომკედით ნაქსოვი მრავალრიცხოვანი ოლარი, ოქრომკედის საკერებით, რომლებზეც მთავარანგელოზები იყვნენ გამოყვანილნი. წვრილი მარგალიტებითა და თვლებით შემკული ოქროს და ვერცხლის ღილებიანი, სირმითა და ოქრომკედით ნაკერი უამრავი ენქერი, ვერცხლისჯაჭვებიანი და ვერცხლისღილებიანი საბუხარები (სამაჯურები), რომლებზეც ზოგჯერ რომელიმე ხატი იყო გამოსახული. მაგალითად, ერთზე ხარება იყო ამოქარგული. აქ იყო ვერცხლის ბარძიმი დიდი ზომისა, ოქროთი დაფერილი, მსგავსი მასალის სამი ცალი ფეშხუმი, კამარა, კოვზი, მინანქრისტარიანი ლახვარი, აქ იყო აგრეთვე ვერცხლის მრავალრიცხოვანი „სიწმინდის იარაღი“, ასევე ძვირფასი ქსოვილებითა და მსგავსი მასალით ნაკერი და ნაქარგი დაფარნები და პერექელები. ასევე იყო მრავალრიცხოვანი საეკლესიო წიგნი, მაგალითად, ვერცხლით მოჭედილი, ოქროთი დაფერილი სახარებები, მარგალიტისსანიშნიანი და ფარჩის „ბოხჩიანი“ კონდაკები. აქ იყო ასევე მრავალრიცხოვანი სამოციქულო, გულანი, მათეს თავის თარგმანი, მეტაფრასები, კლემაქსი, მამათა ცხოვრებანი, პარაკლიტონი, კურთხევანი, დიდი სჯულის კანონი, დავითნი, ტიპიკონი, ჟამნი, ლოცვანი, სტოდიერი, ბალავარიანი, წმიდა ნინოს ცხოვრება, ასურელ მამათა ცხოვრებანი „ყველა თავიანთ საგალობელ-სახარებასამოციქულოთი“, სწავლანი, ძველი სვინაქსარი, ზატიკი, სადღესასწაულო, მარხვანი და სხვა წიგნები. მონასტერს ჰქონდა ასევე უამრავი სპილენძის ქვაბი, თუშფალანგები, ლანგრები, საფლავეები, ლამბაქები, მათლაფები, ტაშტები, ჯამები, ჩამჩები, ქაფქირები, სურები, თუნგები, სამარილეები, ბროლის სირჩები და სხვა ჭურჭლეულობა. ჰქონდათ ასევე ვერცხლის ჭურჭელიც. სხვა იყო ის ქონება, რომელიც მონასტერს სხვადასხვა ადგილას – პატარძეულში და სხვაგან ჰქონდა. საერთოდ, ამ მონასტრის უძრავ-მოძრავი ქონება გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი იყო.

როგორც XIII საუკუნის დასაწყისში შედგენილ „ვაჰანის ქვაბის განგებიდან“ ჩანს, ამ მონასტერში ბერების რიცხვი განსაზღვრული ყოფილა – ოცი. გარდა ამ ოცი ბერისა, მონასტერში ყოფილა 24 მღვდელ-მონაზონი და შვიდი იერო-დიაკონი, ამათ გარდა, მონასტერს ჰყოლია აგრეთვე „ათი მსახური“, რომლებიც „ტრაპეზისა, სამზარეულოისა და სახაბაზოისა სამსახურსა აღასრულებდნენ“[195]. ბერებს არ ევალებოდათ ამ მონასტერში რაიმე სამუშაოს შესრულება, მათ მოვალეობას შეადგენდა „მარხვა, ლოცვა, მოღვაწეობა და საღმრთო წერილისა კითხვა“, ისინი ყოველმხრივ უზრუნველყოფილნი იყვნენ. ტრაპეზობის, ანუ პურის ჭამის დროს მორიგე კანანარხს ხმამაღლა უნდა ეკითხა წიგნი ძმათა გასაგონად. ტრაპეზობის დროს სასტიკად აკრძალული იყო საუბარი, წესის დამრღვევს გარეთ გააგდებდნენ.

კერძი ყველას თანაბარი რაოდენობისა ეძლეოდა, როგორც „უხუცეს" ძმას, ასევე „უდარესს". სტუმრის მოსვლის დროს საჭმლის მომატება შეიძლებოდა, ვინმე დიდი და საპატიო პირის, ეპისკოპოზის, საპატიო ვინმე მონაზონის სტუმრობისას მონასტერი ვალდებული იყო მას „ტრაპეზით" გამასპინძლებოდა. თუ რომელიმე ბერი ავად გახდებოდა, ერთ, რომელიმე ღვთისმოშიშ ბერს „მეყსეულად" განაწესებდნენ და ის ვალდებული იყო, როგორც ავადმყოფს, ასევე უძლურებაში მყოფ ძმას დღეში სამჯერ მომსახურებოდა, უნდა მოევლო, მოეხილა და მიერთმია დაწესებული კერძი. სავალდებულო იყო, რომ რაც კი რამ იპოვებოდა მონასტერში, უძლურებს არაფერი დაკლებოდათ. ყოველ მონაზონს თანხის გარკვეული რაოდენობა ეძლეოდა: წინამძღვარს – ექვსი დუკატი, დეკანოზსა და იკონომოსს – ოთხ-ოთხი დუკატი, მწირველ, მკითხველ, კანანარხ ბერებს – სამ-სამი დუკატი, მეჭურჭლეს, მეტრაპეზეს, კანდელაკს – სამ-სამი დუკატი. ამათ გარდა, იყო აგრეთვე მონაზვნების ეგრეთ წოდებული „მეორე დასი", რომელთაც არავითარი სხვა სამონასტრო საქმიანობა არ ევალებოდათ, გარდა წირვისა. მათ ორ-ორ დუკატს აძლევდნენ. არსებობდა ბერების ეგრეთ წოდებული „მესამე დასი", ანუ „მწირნი", მათ მიეცემოდათ ერთი ბოტინატი და ერთი დუკატი. ასეთივე თანხა ეძლეოდათ აგრეთვე მსახურებსაც „სატანისსამოსლედ", ბერებს ეძლეოდათ აგრეთვე პური და ღვინო მონასტერში მათი საქმიანობის შესაბამისად, კერძოდ, „უთავადეს ძმებს" ექვს-ექვსი გრივი. მეორე დასს უფრო მცირე რაოდენობისა, ხოლო მწირებს: უფრო მცირე რაოდენობისა. სასტიკად აკრძალული იყო მონასტერში ვაჭრობა, შფოთის ჩამოგდება, შეურაცხყოფის მიყენება, მემთვრალეობა. ვინც მსგავს საქციელს ჩაიდენდა, მას პირდაპირ, ნებართვის გარეშე აძევებდნენ, მონასტრიდან გასვლა აკრძალული იყო. ქალსა და უწვერულო ყმას მონასტერში შესვლა ეკრძალებოდათ, დიდ ცოდვად ითვლებოდა ვერცხლისმოყვარეობა: „ძირი ყოველთა ბოროტთაჲ არს ვერცხლის მოყვარებაჲ". განსაკუთრებით ფასდებოდა მორჩილება და სიმდაბლე. ვახშმობის ან სერობის შემდეგ სენაკიდან სენაკში ბერებს გადასვლა ეკრძალებოდათ. განსაკუთრებული წესით ნაწილდებოდა შემოსული ქონება. შემომწირველს, როგორც წესი, ჟამს უწირავდნენ. ასევე ნაწილდებოდა გარდაცვლილი ძმის, ანუ ბერის ქონება[196].

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო, ეკლესიას დიდი გავლენა და დიდი ძალა ჰქონდა. დომენტი კათალიკოზის ერთი გამოცემული საბუთიდან ჩანს, რომ იგი სასტიკი სასჯელით ემუქრებოდა წესის დამრღვევ ქართლის გამოჩენილ თავადს, გიორგი ამირეჯიბს, თუკი ის თავის საეკლესიო მოვალეობას არ შეასრულებდა. როგორც ჩანს, მას სისხლის სამართლის დანაშაული ჩაუდენია, ამიტომაც „სისხლი" დადებია. ამ სისხლის გამო ის ვალდებული იყო გარკვეული თანხა ან საქონელი მიეცა ჭირისუფალთათვის, ხოლო „სისხლის" ერთი მესამედი, როგორც წესი, ეკლესიისათვის, ანუ კათალიკოზისათვის უნდა მიეცა, მაგრამ ამ ამირეჯიბს გადაუწყვეტია, რომ შესაბამისი თანხა სისხლისა არ მიეცა ეკლესიისათვის. იმის გამო, რომ სისხლის სამართლის დანაშაულისათვის ფულადი ან ქონებრივი საზღაურის ერთი მესამედი კათალიკოზმა არ მიიღო, ის წერს ურჩ ამირეჯიბს: – „წიგნი მოგეწერა სისხლის მესამედს არ მოგცემო... რაც სისხლი გაგიჩნდა იმისი მესამე-

დი გამოგვიგზავნე, თორემ გავუსევთ შენს ყმებს იასაულსა და სულს აქეთ არა შეგარჩენთ, პური გეთხოვნა და სანამდე ამ სისხლის მესამედს არ მოგვცემ პურს არა სულსაც ამოგხუთავთ, ტყვეები რაც გყავს, ესენი არ გაყიდო თორემ შენს ამბავს მაშინ შეიტყობ“[197], აქედან ჩანს, ჯერ ერთი, რა ძლიერი ორგანიზაციაა ეკლესია, თუ როგორ იბრძვის ის ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ და ისიც, რომ მას აქვს პური მაშინაც კი, როცა შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო ზემოთ აღნიშნულ თავადსაც კი არ აქვს XVIII საუკუნის დასაწყისში.

XIII საუკუნეშიც, 1263 წლის საეკლესიო კრების დადგენილებით, როცა მეფე ულუ-დავითმა იკადრა და საეკლესიო მამულები, „ღვთისათვის შეწირული“ ადგილები, თავისი საჭიროებისათვის გასცა, კრებამ მას ასეთი მუქარა შეუთვალა: - „არცა მირონსა გავხსნით, საქართველოისა ეკლესიათა დავბეჭდავთ, ხუცესთა დავაყენებთ, წირვისა, ნათვლისა და სამკვდროთა ზიარებისაგან“[198]. ეს კრება მეფეს სწერდა, რომ, როგორც სამეფოს საჭურჭლეში შესვლა, თვალმარგალიტისა და ოქრო-ვერცხლის ჭურჭლის აღება არის დანაშაული, ასევე არ შეიძლება საეკლესიო ქონების ხელყოფაც; საქართველოს ეკლესიას ასე არ მოქცევია არც თბილისში მჯდომი არაბთა ამირები და არც ულუ-დავითამდე საქართველოს სამეფო ტახტზე მჯდომი სამოცდათორმეტი მეფე... „წესი სახლისა და პალატისა თქვენისა ასე ყოფილა ვინცა ვინ დაკრულვილა რაითაც მიზეზითა და საქმითა, თქვენ მიერცა შერისხულა. მამული დაჭირვია და ლაშქართა შინა არ შეშვებულა“[199].

მეფეებს დიდი რიდი ჰქონდათ ეკლესიისა. მაგალითად, მეფე ალექსანდრე თურმე „წარმოემართის რა ქართლად ანუ აღმოსავლით გინა დასავლით ფეხშიშველი ჩავლის, აღმოვლის თაყვანისმცემელი ეკლესიისა, ხატისა, ღმრთაებისა...“. ე. ი. მეფე ეკლესიის წინ გავლისას (ამ შემთხვევაში იგულისხმება სამთავისი) ფეხზე იხდიდა. მასვე „აქვნდა სასოება დიდსა მღვდელმთავრისა სამთავნელისა ზოსიმესი, ჰყვარობდა კეთილსა ქცევულებასა და პატივისცემასა ეკლესიათასა[200]. მეფეს სამთავნელი ეპისკოპოზისათვის დაუმზადებია საწინამძღვრო ჯვარ-დროშა, რომელიც წინსაძღოლ სამღვდელმთავრო დროშად ითვლებოდა.

თვით გამაჰმადიანებული ქართველი მეფეებიც კი დიდი პატივით ეპყრობოდნენ ქართულ ეკლესიებსა და მის სიწმიდეებს. მეფე ერეკლე პირველს თავისი წინაპრების საფლავებზე ძვირფასი ხატები დაუყენებია და საპატრონოდ და სამეთვალყურეოდ ალავერდელი ეპისკოპოსისათვის ჩაუბარებია: „ჩვენმან ხელმწიფემან მეფე ერეკლემ თავის მამა-პაპათა ნაშრომი მურასა ოქროთი მოჭედილი, თვალით და მარგალიტით შემკობილი ხატები წმ. გიორგის ალავერდის ხელმწიფეთ საფლავებზე დაასვენა და ჩვენ მოგვაბარა“, – წერს ალავერდელი ეპისკოპოსი[201]. როგორც ჩანს, ხატების წმინდანთა საფლავებზე დასვენება იმ დროისათვის მიღებული ჩვეულება ყოფილა. დავით გარეჯის მონასტერშიც წმ. მამა დავითის საფლავზე ხატები იყო დასვენებული: „ასვენია წმიდის დავითის საფლავზე ხატი მოჭედილი მაცხოვრისა ერთი, არსების ხატი მოჭედილი ერთი, ხატი ყოვლადისა მოჭედილი ორი, ხატი ყოვლადწმიდისა კარიანი ერთი, ხატი ყოვლადწმიდისა, გარდამოხსნისა ერთი, ხატი მოჭედილი სამებისა ერთი, ხატი წმიდის ნიკოლოზისა ერთი“[202]. ამ შემთხვევაში

„საფლავში“ საფლავზე აგებული ტაძარი ითვლებოდა. როგორც აღნიშნული იყო, სულით ერთიანი ქართული ეკლესია ბიჭვინთისა და მცხეთის საკათალიკოსოებად იყო გაყოფილი. ორივე საკათალიკოსოში ერთადერთ საღვთისმეტყველო ენას ქართული ენა წარმოადგენდა. არასოდეს, არც ერთ საუკუნეში, წმიდა ნინოდან ვიდრე მეცხრამეტე საუკუნემდე, ეკლესიაში სხვა ენა გამოყენებული არ ყოფილა. ჩვენ ხელთ არა გვაქვს არავითარი ცნობა იმის თაობაზე, რომ ქართულ ეკლესიაში როდესმე გამოყენებული ყოფილიყო ლათინური, ბერძნული ან სხვა რომელიმე იმ დროისათვის ცნობილი ენა. მით უმეტეს, არც აფხაზეთისა და არც ქართლის საკათალიკოსოების არც ერთ ეპარქიაში არასოდეს არ ყოფილა გამოყენებული აფხაზური და ოსური ენები. როგორც ჩანს, ეს ენები იმ დროისათვის (თუკი ისინი საერთოდ არსებობდნენ დღევანდელი სახით) ჩრდილო კავკასიაში იყო გავრცელებული და არა საქართველოში. ქართული ენა და მწერლობა თავიდანვე წარმოადგენდა ქართველურ ტომთა ერთ-ერთ მთავარ გამაერთიანებელ ნიშანს...

ამასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ძველი სამწერლობო ქართული ენა და საერთოდ ქართული ლიტერატურა არც ენობრივ-სტილისტურად და არც იდეურ-პოლიტიკურად ტომობრივ-გეოგრაფიულ განკერძოებასა და მიდრეკილებას არ ამჟღავნებს, არ არსებობს აღმოსავლურ-ქართული, სამხრეთულ-ქართული და დასავლურ-ქართული ლიტერატურული მიმართულებანი, არამედ არსებითად მთელი ჩვენი მწერლობა ერთიანი ქართულია, მიუხედავად იმისა, ესა თუ ის ნაწარმოები ჩვენი სამშობლოს რომელ მხარეშია შექმნილი და რომელი ქართული ტომის წარმომადგენელია მისი ავტორი.

„ეს მოვლენა, ლიტერატურის ისტორიაში საყოველთაო ხასიათისა არ არის, ვინაიდან მსოფლიოს ბევრი მოწინავე ლიტერატურის ისტორია ტომობრივ-კუთხური მიმართულებით ვითარდებოდა და ეს მიმართულებანი ღრმა კვალს ტოვებდნენ საერთო-ეროვნული ლიტერატურის განვითარებაზე“[203]. ქართული ენა ქართულ ეკლესიაში არა მარტო თავს იფარავდა, არამედ ვითარდებოდა, ღრმავდებოდა და ყვაოდა. ის ფაქტიც, რომ ქართული სამწერლო ენა მრავალ სახელმწიფოებრივ ერთეულად დაყოფილ საქართველოშიც საერთო-სახალხო, გამაერთიანებელ ფუნქციას ინარჩუნებდა, და აგრეთვე ისიც, რომ მასში ტომობრივ-გეოგრაფიულ-დიალექტური ნიშან-თვისებები არ განვითარდა, შეიძლება ქართული ეკლესიის დამსახურებად და რაც მთავარია, ქართველი ერის შინაგანი ერთობის ნიშნად მივიჩნიოთ.

ქართული ეკლესია უღრმესი მოწიწებითა და პატივისცემის გრძნობით იყო გამსჭვალული საეკლესიო ცენტრებისადმი (იმ წმინდანების მიმართ, რომელთა სახელზეც იყო აგებული საკათალიკოსო-საპატრიარქო ტაძრები). აფხაზეთის საკათალიკოსოს ცენტრს და ყოვლად წმიდა ბიჭვინთის ღვთისმშობელს, რომლის სახელზეც საპატრიარქო საყდარი იყო აგებული, ასე მიმართავდნენ: „ეჰა ასულო შვენიერო, იოვაკიმის ნაყოფო, სიტკბოებით აღსავსეო, ანას მორჩო, რტო გარდაფენილო, სოლომონის ვენახო, რქა მეწამულო, დავითის ყვავილო, დაბადებულთა სულნელმყოფელო, იესეს კვერთხო, დიდებით აღყვავებულო, იუდას შროშანო, დაბადებულთა სამკაულო, იაკობის კიბეო, ზეცად მიმართ აღმართებაო, ისაკის ვარდო,

უბიწოებით აღყვავებულო, აბრამის კვირტო, დიდებით აღმოფურჩვნილო, სემის დასაბამო, ნათესავთა მშვიდობაო, ნოეს სულისა სამოსელო დაულპოლველო, ევას ნათელო და მწუხარებისა უჩინო მყოფელო, ადამის დიდებაო, სამოთხეო პირმეტყველო, ღმრთისა მამისა მხოლოსა წინათვე გამორჩეულო და ძისა მხოლოსა პირველ საუკუნეთა მამისაგან შობილსა დედად ქალწულებით უთესლოდ მშობელად განწესებულო და სულისა წმიდისა ტაძარო, რომელმან ერთი სამებისაგანი შეიწყნარე და უაღრეს ყოველთა ბუნებითა შევ ძე მხოლოდ შობილი“[204].

მსგავსადვე მიმართავდნენ მცხეთის საკათალიკოსო-საპატრიარქო ცენტრსაც. მაგალითად, „ესე დაწერილი მოვახსენე და შევსწირე ყოველთავე ჩრდილოეთისა კედართა შორის უაღრესსა და უაღმატებულეს, უდიდებულესსა წმიდისა კათოლიკე სამოციქულოსა საყდარსა მცხეთისასა სალოცველსა და ღმრთისა დიდებისა და მას შინა ღმრთივ-აღმართულსა სუეტსა ცხოველსა, კუართსა სამეუფოსა და მირონსა ღმერთ-მყოფელსა და წმიდა მყოფელსა, ჩვენ, ქრისტეს მიერ ქართლისა პატრიარქმან მალაქია მას ჟამსა, ოდეს უღირსი ესე ღირს ვიქმენ საჭეთ-პყრობად წმიდისა ამის ტაძრისა“[205].

XI საუკუნის დასაწყისში სვეტიცხოვლის საპატრიარქო ცენტრს ასე მიმართავდნენ: – „ესე დაწერილი მოვახსენე და შევსწირე ყოველთავე ჩრდილოეთისა კედართა შორის უაღრესსა და უაღმატებულეს უდიდებულესსა წმიდასა და კათოლიკე და სამოციქულოსა საყდარსა მცხეთისასა, სალოცველსა და სახლსა ღმრთისა დიდებისასა, და მას შინა ღმრთივაღმართებულსა სვეტსა ცხოველსა, კუართსა სამეუფოსა და მირონსა ღმერთმყოფელსა და წმიდა-მყოფელსა, ჩვენ, ქრისტეს მიერ კურთხეულმან ქართლისა კათალიკოზ-პატრიარქმან მელქიზედეკ“[206].

ჭყონდიდის საეპისკოპოსო ცენტრს (მარტვილის ტაძარს) ასე მიმართავდნენ: - „ჰოი ცათა უმაღლესო, ქერუბინთა უწმიდესო, ადამის ბრალთა დამხსნელო და ევას კრულებათა განმახეთქელო, სასოებაო და ტაძარო სიწმიდისაო და ყოვლისა სოფლისა განმანათლებელო; შენ, დიდო და საშინელთ მარტვილისა ღვთისმშობელო და მისო დიდო და პატიოსანო ახოვანო და მხნეო და მხედარო, დიდო მთავარმოწამეო წმიდაო გიორგი სუჯუნისაო!“[207].

ხობის საეპისკოპოსო ცენტრს ასე მიმართავდნენ: (საკათედრო ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისა იყო) – „ჰოი, შენ მშობელო უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ღვთისმშობელო საყდარო ხობისაო განსვენებულო, ჩვენ ძისა შენისა მიერ კათალიკოს პატრიარქმა შემოგწირეთ...“[208].

ქუთაისის ტაძარს ქუთათელი ეპისკოპოსი ასე მიმართავდა: „ეჰა შენ ყოველთა სიტყვიერთა ნათესავთა შორის უბრწყინვალესად აღმოცენებულო სიტყვისა ღვთისა მშობელო მარიამ, ჩვენ შენსა ცათა მობაძავისა წმინდისა ეკლესიისა მეურნემან ყოვლად სამღვდელომ ქუთათელმან მიტროპოლიტმან წერეთელმა დოსითეოს... დავსდევ წმიდასა ეკლესიასა შენსა...“[209].

მსგავსადვე პატივისცემითა და ღირსებით მიმართავენ საქართველოს სხვა საპატრიარქო ტაძრებსაც.

საქართველოს დაშლისა და მაჰმადიან-წარმართების მიერ ქვეყნის უმოწყალო რბევის შემდგომაც ქართულმა ეკლესიამ თავისი ძველთაგანვე არსებული შინაგ-

ანი სისპეტაკე, სიწმინდე, ეროვნული ანუ მართლმადიდებლური სარწმუნოების მიმართ ერთგულება, მისთვის თავდადება, შინაგანი ორგანიზებულება, სიმტკიცე და გაუტეხლობა შეინარჩუნა, მაგრამ, ცხადია, რომ აქტიური ზემოქმედების მოხდენა არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე არ შეეძლო, თუმცა ყოველი პატრიოტი თუ არა პატრიოტი ქართველი კარგად გრძნობდა, რომ ეროვნების შენარჩუნებისათვის პირველ რიგში ქართული ეკლესიის დაცვა იყო საჭირო. ამის შესახებ კარგადაა ნათქვამი თბილელი მიტროპოლიტის გამოცემულ ერთ საბუთში: „მას ჟამსა, ოდეს აღაოხრეს ლეკთა ტფილის ქალაქს სიონთა ღმრთისმშობელი, შემდგომად მათსა დაიპყრეს ქალაქი და ქვეყანა ქართლისა ურუმთა, მაშინ პატრონობდა ვეზირი ისაყ-ფაშა ახალციხისა. ბრძანება და ფარმანი მოსვლოდა ხონთქრისაგან, სიონთა ღმრთისმშობლის ტაძრის მეჩეთად შექმნა ინებეს, ჩვენცა წმიდამ ღმრთისმშობელ-მან თქვენი თავი გამოგვიჩინა დამხსნელად და ნუგეშინისმცემელად და მოვედით ჩვენის კრებულით და დიდის მწუხარებით თავი გაწყინეთ, თქვენც ვინცა ვინ ქართველნი დარბაისელნი იყუენით, თან შემოიყარენით და ამის შეწევნასა და დახსნას გულმოდგინეთ ეცადენით. მიხვედით ფაშასთან, არზა მიართვით და დიდად თავი გარდასდევით, თითქმის დატყვევება და ამოწყვეტა არჩიეთ და ამ საყდრის დაუნებლებობა. იმანაც ყური მოუგდო თქვენს მოხსენებასა, ხელი აიღეს, დიდად დაგმადლეს და ფეშქაშიც მრავალი გაიღევით და საყდარსაც შესწირევდით.

რადგან ამდენი სასყიდელი და ჭირნახული დასდევით ჩვენს მონასტერზე, ჩვენ სხვაფრივ ვერას გმსახურებდით და ეს პირობა მოგვიხსენებია, რომე: რადგან ახალკვირის შაბათს იყო ჩვენი განსაცდელი და საყდრის გამორთმევის ამბავი, ისევ ახალკვირის წინა დღე შაბათი განვაწესეთ თქვენისათვის მოსახსენებლად. ამ დროს იქით ყოვლის წლისათვის იმ შაბათს ჩვენ და ჩვენნი კრებულნი ერთობილნი ჟამს გიწირევდეთ. თქვენ და თქვენთა შვილიშვილთა დაუვიწყებლად მოვიხსენებდეთ[210].

ზემომოყვანილი ამონაწერებიდან ჩანს, რომ თვით იმ სასტიკ დროსაც კი, როცა საქართველო თურქებმა დაიპყრეს და ოსმალეთის ხონთქარმა თვით თბილისის სიონის ტაძრის მეჩეთად გადაკეთების ბრძანებაც კი გამოსცა, ქართველმა დიდებულებმა თავი დასდეს, ოჯახის ამოწყვეტასაც კი არ შეუშინდნენ, და წმინდა ტაძარი მტერს არ დაანებეს. ხოლო შემდგომ, სტამბულში დატყვევებულ დომენტი კათალიკოსს კვლავ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელად თვლიდნენ. ცხრა წელს ექსორიაში მყოფ კათალიკოსს ზოგიერთი ქართველი თან ახლდა და ერთგულად ემსახურებოდა, ერთ-ერთ მათგანს კათალიკოსი სწერდა კიდეც - „ყველგან ჩვენს სამსახურში იყავი, არ გაგვშორებიხარ ერთის წუთის ხანსა, მრავალი შიში და განსაცდელი გარდაიხადე ჩვენს სამსახურზედა“[211].

ცხადია, მტერთა შემოსევებმა ქართული ეკლესიაც დიდად დააზარალა. მრავალი საეპისკოპოსო და ეპარქია საერთოდ გაუქმდა, ხოლო საეკლესიო მამულებისა და ყმების მნიშვნელოვანი ნაწილი შინაომების პერიოდში საერო ფეოდალებმა მიიტაცეს[212], მაგრამ ქართულმა ეკლესიამ შეინარჩუნა ის სულიერი დვრიტა, რომელიც შემდეგ 1744-45 წლებისათვის ქართული ქრისტიანული სახელმწიფოებრიობის აღორძინებას დაედო საფუძვლად.

მირონცხებული მეფეთა ტახტის აღდგენა – „ქართველობის“ გამარჯვება

1744 წელი უბედნიერესი თარიღია ქართველი ერის, ქართული ეკლესიისა და საქართველოს ათასწლოვან ისტორიაში – აღდგა ქრისტიან მეფეთა ტახტი. „აღდგომისა და გამოხსნის“ დიდი პროგრამის ერთი ნაწილი შესრულდა – საქართველოს სამეფო ტახტზე ქრისტიანი მეფე დაჯდა. მოყოლებული როსტომ ხანის „გამეფებიდან“, ე.ი. 1632 წლიდან 1744 წლამდე (უფრო კი 1614 წლიდან, ლუარსაბ II-ის შემდეგ), ამ დღისათვის იღვწოდნენ, სიცოცხლეს სწირავდნენ და ლოცულობდნენ ქართველ მოღვაწეთა თაობები. თეიმურაზ I ნატრობდა ქრისტიანობით დაებრუნებინა ტახტი, მაგრამ ვერ მოესწრო, არჩილ მეფესა და ვახტანგ VI-ს ამ საქმეში უცხო ქვეყნების დახმარების იმედი ჰქონდათ და ამ დახმარების ძებნაში უცხოეთშივე დალიეს სული, ისევე როგორც ამავე მიზნისთვის დამაშვრალმა სულხან-საბა ორბელიანმა. ვინ მოთვლის იმ გასაჭირსა და ზარალს, რაც ქართულმა ეკლესიამ მაჰმადიან „მეფე-ხანთა“ მმართველობისას გადაიტანა, მაგრამ უარესი ის იყო, რომ სპარსეთ-ოსმალეთის წამლეკავი გავლენის ორბიტაში მყოფი ქართველი ხალხი არა მარტო ზნეობრივ, არამედ ეროვნულ დეგრადაციასაც განიცდიდა, მას სპარსულ-მაჰმადიანური ზნე-ჩვეულებების შეთვისება არ აკმარეს და ისეთი პოლიტიკურ-სოციალური პირობები შექმნეს, რომ ქართველები იძულებით თათრდებოდნენ (მესხეთსა და მთელ საქართველოში), ლეკდებოდნენ (აღმოსავლეთ კახეთში), სომხდებოდნენ (აღმოსავლეთ საქართველოს სავაჭრო ცენტრებსა და ქალაქებში), ჩრდილოკავკასიიდან საქართველოში დასასახლებლად დაძრულ ჩრდილოკავკასიელებთანაც ასიმილირდებოდნენ. ესეც არ აკმარეს და მათ მასობრივად ტყვეებად ჰყიდდნენ.

ქართველებმა კარგად იცოდნენ, რომ მირონცხებული მეფის ტახტზე ასვლა ყველა ამ უბედურებას ბოლოს მოუღებდა, ქართული სახელმწიფოებრიობა ქართველ ერსა და ქართულ ეკლესიას დარაჯად დაუდგებოდა.

ქართლის სამეფო ტახტზე ქრისტიან მეფედ დასმის ბედნიერება კახელ ბაგრატიონთა სახლის შვილს – თეიმურაზ II-ს ერგო. საქმე ის არის, რომ ვახტანგ VI-ის პრორუსული პოლიტიკით გაღიზიანებულმა სპარსეთის შაჰებმა ქართლელ ბაგრატიონებს ტახტზე ასვლის ნება არათუ ქრისტიანული წესით, გამაჰმადიანების შემდეგაც აღარ მისცეს. ქართლის სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრე ანტონ I კათალიკოსი იყო, ქართლის „მეფის“ იესეს ძე. გამაჰმადიანებულმა იესემ „ოსმალობის“ დროს თურქული ორიენტაცია გამოამჟღავნა. ამიტომაც, ოსმალთა განდევნის შემდეგ მოღალატედ შერაცხულ მუხრანელ ბაგრატიონებს ყიზილბაშებმა ტახტი აღარ მისცეს. „ყიზილბაშობის“ დროს კახელი ბაგრატიონები გონიერების, მოქნილი პოლიტიკისა და აქტიურობის წყალობით დაწინაურდნენ. მემატიანე თეიმურაზ II-ს ასე ახასიათებს: – „მეფე და მპყრობელი კახეთისა, ტომობით დავითიანი, მობაძავი სოლომონისა, ზნესრული და მოყვარე ქრისტიანობისა, მსვრელი უცხო თესლთა, სადგური კეთილისა და საუნჯე რჯულისა, ძე მაღალი ხელმწიფისა ერეკლესი, პატრონი თეიმურაზ“[213]. და იქვე უმატებს, რომ თეიმურაზ II „არასოდეს

არას ომში არ დამარცხდებოდა, სარწმუნოება ჰქონდა მტკიცე და გოლიათობა შეურყეველი“[214]. ღმერთმა ინება, რომ საქართველოს სამეფო ტახტი ქრისტიანული წესით დაეკავებინა.

როგორც ცნობილია, ამ დროისათვის ქართლი და კახეთი ირანის ვასალურ ქვეყნებს წარმოადგენდა. ირანი, როგორც წესი, სამეფო ტახტს გამაჰმადიანების პირობით თავის ერთგულ ქართველ ბაგრატიონებს აძლევდა, მათ „ვალებს“ და „ხანებს“ უწოდებდნენ.

შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო ქართლის ტახტი ირანმა თეიმურაზ II-ს მისცა, ხოლო შემდგომ ნება დართო ამ ტახტზე ქრისტიანული წესით ასულიყო - „ებრძანა მეფის თეიმურაზისთვის ხელმწიფეს (ე.ი. ირანის შაჰს): „ვითაც თქვენი მეფობის რიგი იყოსო, ეგრე კურთხევა მიიღეო“. – ესეც რომ შეეტყო, ქართველნი მეფენი გვირგვინით ეკურთხებიანო, ეს მეფე თეიმურაზს წყალობად მისცა. ვითაც იტყვის წინასწარმეტყველი: „მეფეთა გული ხელთა შინა ღმრთისა არიანო. ეს ღმერთმან მეფეს თეიმურაზი წყალობად მოუვლინა და სცხო საცხებელი მეფობისა, თორემ რამდენი წელიწადი გარდასულიყო ჟამთა ვითარებისაგან და ცხებული მეფე ქართლში არა მჯდარიყო. მადლობდეთ ღმერთსა, რამეთუ, ვითა მოსე ეგვიპტეს წყვდეულთა ისრაელთა მოუვლინა ხსნად, ეგრე ქართველთა აგარიანთაგან ტყვედ ქმნილთა, მოუვლინა მეფე თეიმურაზ“[215].

მემატიანე მეფე თეიმურაზს მოსეს ადარებს, რომელმაც ეგვიპტელთა მიერ დამონებული ებრაელები იხსნა. მსგავსადვე ღმერთმა „სცხო საცხებელი მეფობისა“ თეიმურაზს.

ქართველთა სიხარული უსაზღვრო იყო. პატრიარქმა ანტონ კათალიკოსმა ჩვეული სიბეჯითით მოიძია მეფეთ კურთხევის უძველესი ქართული წესები, და სამღვდელოთა დასი საგანგებო სადღესასწაულო ცერემონიისათვის მოამზადა. გახარებულმა ხალხმა ქუჩები, მოედნები, ბაზრები მორთო, ჩირაღდნებითა და გალობით შეეგება მეფისა, დედოფლისა და ბატონიშვილების გამოჩენას.

ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ქრისტიანული წესით ეკურთხებოდა და თეიმურაზს არა „ქრისტიანი მეფე“, არამედ „ქრისტესმოყვარე მეფე“ ეწოდებოდა, ხალხი უზომო აღტაცებით ხვდებოდა მას, ხოლო მეფედ მირონცხების სადღესასწაულო სიხარული ხომ უზომო იყო.

„მეფე თეიმურაზ ლილოდამ შემობრძანდა ქალაქსა თბილისსა თვესა ივლისსა 9-ს. მიეგებნენ მოქალაქენი ანუ დასნი სამღვდელონი, შეასხეს ქება და შესწირეს მადლობა ღმერთსა, გაუშალეს მოქალაქეთა ფიანდაზი მძიმე ლარითა, შეიქმნა სროლა ზარბაზანთა, რამეთუ ყურთა ხმა აღარ იყო. ავლაბრით ალაყაფის კარამდის მორთეს ბაზარი და განაბრწყინვეს ჩირაღდნით. იყო სამი დღე და ღამე განუწყვეტელად მეჯლისი და ლხინი უზომო, სიხარული ფრიადი“[216]. ხოლო თეიმურაზის ძეს, კახეთის მეფე ერეკლეს, დედამისსა და ანტონს, მომავალ პატრიარქს „გაეგებნენ დასნი სამღვდელონი ანუ ერთა გუნდნი და დედათა ბანაკი, შეასხეს ქება და მადლობდნენ ღმერთსა, „ვინა გამოგვიჩნდა ხსნად ჩვენდა ჭირვეულთაო და გვიხსნა მტერთაგან ჩვენთაო“[217]. ქრისტიანი მეფის კურთხევის ცერემონიალი

ასე წარიმართა: მეფემ ოთხი საგანგებო დროშა დაამზადებინა, რომელიც ოთხი სადროშოს მეთაურებს გადაეცა. სადროშოების მხედრები და ხალხი თბილისიდან მცხეთაში გაემართა, სადაც სვეტიცხოვლის წმიდა ტაძარში უნდა ცხებულიყო მეფე. მცხეთაში ეს დიდი ამალა ორი დღის მანძილზე იცდიდა და ემზადებოდა ზეიმისათვის, რომელშიც ყველას უშუალო მონაწილეობა უნდა მიეღო; მესამე დღეს სვეტიცხოვლის სიახლოვეს მდგარ ანტიოქიის ტაძართან საგანგებოდ მოწყობილ ადგილზე დიდი დარბაზობის მაგვარი შეკრებულება – განწესება გაიმართა. აქედან სამღვდელოებამ სამეფო ინსიგნიები (გვირგვინი, სკიპტრა და სხვა) სვეტიცხოველში შეიტანა, ეკლესიაში დაიწყო მწუხრის ლოცვა, რომელსაც მეფეც დაესწრო. მეორე დღეს მეფე კვლავ ანტიოქიის ტაძრის ეზოში მოწყობილ საგანგებო სეფაში დაბრძანდა, აქედანვე მიიწვიეს ის ეკლესიაში წირვაზე დასასწრებად და საკურთხებლად. პატრიარქის წინაშე თეიმურაზმა მართლმადიდებლური მრწამსი წარმოთქვა. შემდეგ მეფე აკურთხეს: მირონი სცხეს შუბლზე, გულსა და ბეჭებზე (ჯვრის სახით), შემოსეს სამეფო შესამოსლით, დაადგეს გვირგვინი, აზიარეს და წირვის შემდეგ ეკლესიაშივე საგანგებო ტახტზე დააბრძანეს. ეს ყოფილა სვეტიცხოვლობას, ანუ 1744 წლის 1-ელ ოქტომბერს.

პაპუნა ორბელიანი თვითმხილველი, ასე აღწერს ამ ზეიმს: „...გამობრძანდა გარეთ საყდრის წინ ანტიოქიისა, ზემორე სეფე იდგეს დიდი და სეფასა გვერდით სევანი დაედგინეს, დაბრძანდა სევანსა შინა და ეგრეთ იახლეს დარბაისელნი, ვინა ჯდომისა ღირსნი იყვნეს, ვინა დგომისა, ეგრე ყოველნი განაწესნეს[218]. საზოგადოდ, დარბაზობის დროს მეფის წინაშე ყველას არ ჰქონდა ჯდომის ნება, ზოგი იდგა, უფრო საპატიონი, შესაბამისი პატივისდა მიხედვით გაწყობილ სელებსა და სკამებზე ისხდნენ, ასე მომხდარა თეიმურაზის კურთხევის დროსაც. ყოველი ძველქართული წესი, რომელიც მაჰმადიანთა ბატონობისას მივიწყებული იყო, საგანგებოდ მოუძებნია, გამოუკვლევია და აღუდგენია სულიერ მეუფეს, კათოლიკოს-პატრიარქს, ანტონ I-ს[219]. მასვე შესაბამისად განუწესებია სამღვდელო და საერო დასნი. საღამოს ლოცვისას სვეტიცხოველში შესულ მეფეს მანტიით შემოსილი ყველა ეპისკოპოსი კარებთან შეხვედრია, ხოლო მეორე დღეს წირვაზე ეკლესიაში მისაცილებლად „მოვიდნენ დასნი სამღვდელონი შემოსილნი, კარისა დეკანოზსა ხატი პატიოსანი თავსა ედგა, ჯვარის მტვირთველსა ჯვარი ეპყრა, მთავარდიაკონნი აკმევდეს საკმეველთა, მღვდელნი უკან უვიდოდეს, ყოველთა დიდრონი ლამპარნი ეტვირთეს და მგალობელნი გალობდნენ. მოვიდნენ ეგრე და ბატონს თაყვანი სცეს... წარდგა პატრიარქის არქიდიაკონი და ბატონს დიპტვილა მოახსენა და ქება შეასხა... კარის ბჭეში მოეგებნეს ბატონს პატრიარქი შემოსილი და ეპისკოპოსნი, ანუ სამღვდელონი ყოველნი, თაყვანისცეს, ცალკერძ პატრიარქი მიუდგა, ცალკერძ მთავარ-დიაკონი, სამღვდელო დასნი წინ შეუძღვნეს ხატითა, ჯვრის წინაძღოლითა და ლამპრებით მნათებარითა და ეგრე გალობით შეიყვანეს ეკლესიასა შინა... პირველად მოიყვანეს, აღსავლის კარის ქვემორე დააყენეს, ეპისკოპოსნი ყოველნი ამიერ და იმიერ მოუდგნეს... პატრიარქმა ჰკითხა მეფეს სარწმუნოება და მერე აღთქმისა ეპისტოლე წაუკითხა. მერე წამოუძღვანეს წინ და საყდრის შუაგულობას ტახტი

იდგა დიდი, ოთხი ხარისხი შეივლიდა, აღიყვანეს, ორი სელი იდგა, ერთზე მეფე დაბრძანდა და მეორეზე პატრიარქი, ცალკერძ მთავარეპისკოპოსი და ცალკერძ ალავერდელი, სხვანი ეპისკოპოსნი ექვსი ამიერ და ექვსი იმიერ განეწყვნეს"[220].

მეფისა და კათალიკოსის გვერდით ეპისკოპოსები დამსხდარან; ე.წ. „შინაგანი დიპტიხის" თანახმად, არსებობდა ეპისკოპოსთა „დგომისა და ჯდომის" საგანგებო წესი. მოღწეულია ერეკლე II-ის ერთი საბუთი, რომლიდანაც ჩანს, თუ ამ ზეიმის დროს როგორ განაწილებულან ეპისკოპოსები; „ოდეს იგი ღირსად სანატრელ-ხსენებული მამა ჩვენი ცხებულ იქნა და გვირგვინოსან მეფობისა საყდარსა ზედა საქართველოსასა, წელიწადსა 1745, თვესა ოქტომბრის 1, მაშინ პალატსა შინა სამეფოსა დასხდეს, შემდგომად მილოცვის სამეფოისა, ეპისკოპოსნი ესრეთ: დაჯდა ყოვლისა ზემოისა საქართველოისა მამამთავარი ანტონი, მარჯვნივ მეფისა დიდებითა შესაბამისითა, დაჯდა მარცხენით მეფისა ამბა ალავერდელი, ყოვლად სამღვდელო ნიკოლოზ ენდრონიკაშვილი... შემოვიდა ქისიყელი, ყოვლად სამღვდელო მიტროპოლიტი ონოფრე ენდრონიკაშვილი და დაჯდა ამბა ალავერდელის ქვემოთ. შემოვიდა და დაჯდა თვით ყოვლად სამღვდელო ესე ნინოწმინდელი საბა, ქისიყელს ქვემოთ... მივეცით ნინოწმინდელსა მღვდელმთავარსა ადგილი კრებასა შინა დგომისა ანუ ჯდომისა, უზემოეს მანგლელისა, რუსთველისა და წალკელისა..."[221].

1749 წლისათვის „შემდგომ ქისიყელისადა ტფილელსა მიტროპოლიტთა აქენდეს ადგილი..."[222]. 1749 წელს გამოცემული დოკუმენტის თანახმად კაწარელის, ურბნელის, მროველის, ნეკრესელის, სამთავნელის, ნიქოზელის, ბოლნელის, ხარჭაშნელის, დმანელისა, გიშელისა და სხვა საეპისკოპოსოები – თითქოსდა გაუქმებულია[223], მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგიერთი არსებობას განაგრძობდა.

ერთი სიტყვით, სიხარული განუზომელი იყო, ხალხის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა – „შეიქმნა ლხინი, ვითარ ქართლის რიგი ყოფილიყო, ცდილობდნენ გამოჩენას, ვითაც მართებდათ ქართველთა, ეგრე გულსრულობით სიხარულსა არა დააცადებდენ, ამით რომე დიდი ხანი გარდაცვლილიყო, ქრისტიანი მეფე არა სჯდომოდათ, მერე კურთხევით გვირგვინოსანი მეფე არ ეხილათ, ახლა ეს ღმერთის წყალობა მოევლინათ, ქრისტე-მორწმუნე და სარწმუნოება-შეურყვნელი მეფე დაუჯდათ, ვითარც მართებდათ, დიდნი ანუ მცირედნი, მადლობდნენ ღმერთსა"[224].

კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ წირვისას მეფის მირონცხების აღწერას: „მიიწვიეს მეფე საკურთხეველად, ცალი მკლავი სარდალს ქაიხოსროს ეპყრა და მეორე მკლავი – მუხრან ბატონს, აღსავლის კარზე მთავარეპისკოპოსი და ალავერდელი მოეგებნეს და შეიყვანეს საკურთხევლად, სცხეს საცხებელი შუბლთა, ბეჭთა და გულთა ჯვარის სახედ, თქვა პატრიარქმა საღმრთო მადლი და შემდგომი ამისი, ბისონსა ზედა ჩააცვეს დიადემა, წამოასხეს პორფირი, დაადგეს გვირგვინი სამეფო, მისცეს მარჯვენასა ხელსა სკიპტრა და მარცხენა ხელსა – ქვეყნისა სფერო... განსრულდა ამით წირვა, გამობრძანდა მეფე ცხებული საკურთხეველით, ცალკერძ პატრიარქს ეპყრა მკლავი, ცალკერძ მთავარ-ეპისკოპოსს, მოიყვანეს, მარჯვენით კერძო სამეფო ტახტი იყო, იქ დაბრძანდა, მოიტანა სარდალმა ქაიხოსრო ორბელიანმა, რომელი იყო ამირსპასალარი, ხმალი მეფისა, დაულოცეს და შემოარტყეს..."[225].

მეფეს გვირგვინი დაადგეს საკურთხეველში, მაგრამ ხმალი შემოარტყეს საკურთხევლიდან გამოსვლის, ტაძარში საგანგებო სამეფო ტახტზე დაბრძანების შემდეგ. სვეტიცხოველში სამეფო ტახტი მდგარა „მარჯვენით“[226]. ხმლის შემორტყმა ქართველი მეფის კურთხევის დამამთავრებელი ცერემონიალი იყო. თეიმურაზ II-ს „ხმლის შემორტყმის“ შემდეგ უკვე, ვითარცა მეფეს, მილოცვები მიუღია.

ამჟამად სვეტიცხოველში სამეფო ტახტი აღარ დგას, მაგრამ არც თუ დიდი ხნის წინ, კერძოდ 70-იან წლებამდე, აქ იდგა „სამეფო ტახტი“, სამეფო ჩარდახი. ის მართლაც იდგა საკურთხევლის „მარჯვნივ“, მიდგმული იყო სამხრეთის კედელზე, სადაც ფრესკებია შემორჩენილი (მისგან უახლოეს სვეტს მიყრდნობია ამჟამად არსებული საკათალიკოსო ტახტი), ეს „სამეფო ტახტი“, რომელზეც უეჭველია XVIII საუკუნის შუა წლებში „ხმალი შემოარტყეს“ და გამეფება მიულოცეს თეიმურაზ მეორეს, XX ს-ში ე.წ. „რესტავრატორებმა“, იმ მიზეზით, რომ თითქოსდა ეს ტახტი არა „ტაძრის თანადროული“ (ე.ი., მათი აზრით, არა XI საუკუნისა), არამედ შემდგომი დანამატი იყო, დაშალეს. როცა ქართლს მაჰმადიანი მეფეები მართავდნენ (თითქმის საუკუნეზე მეტ ხანს), რადგან ისინი წირვა-ლოცვას აღარ ესწრებოდნენ, ტაძარში არსებული სამეფო ტახტი გაუქმდა. ხოლო თეიმურაზ მეორის ქრისტიანული წესით მეფედ კურთხევის დროს, ჩანს, სამეფო ტახტი კვლავ აღუდგენიათ. ყოველ შემთხვევაში „რესტავრატორების“ მიერ გაუქმებული სამეფო ტახტი თეთრი მარმარილოს თხელ სვეტებზე დაყრდნობილ მსუბუქ, მოჩუქურთმებულ ჩარდახს წარმოადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ მისი ჩუქურთმები ღრმად კი არ იყო ამოჭრილი სპეტაკ მარმარილოში, როგორც ეს საერთოდ სჩვევია ქართული ჩუქურთმის ჭრის ტექნიკას, არამედ ზედაპირული და ჰაეროვანი იყო და გეომეტრიული ფიგურების, ყვავილებისა და მისთაგან შედგებოდა. ოსტატურად გამოყვანილი წნულები უფრო ნაქარგს წააგავდა, ვიდრე ჩუქურთმას; სპეტაკი სამეფო ტახტი მრუმე ტაძარში ფრიად საამო საცქერი იყო. აღსანიშნავია, რომ ამ სამეფო ჩარდახის დანგრევის შემდეგ მისი მშვენიერი სვეტები და ნაწილები დიდხანს სამოსამსახურეო სახლის შიგა ეზოში (სვეტიცხოვლის ტაძრის ტერიტორიაზე) იყო მიმოფანტული.

საქართველო „ქართველობის“ მამარჯვების შემდეგ

ქრისტიანობა საუკუნეთა მანძილზე ქართველთა ეროვნულ სარწმუნოებად იქცა, ამიტომაც ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ მაჰმადიანური ქვეყნების მიერ საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების დევნა ეროვნულ დევნად იქნა მიჩნეული. წმ. ილია მართალი წერდა: „ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელს საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას“.

ქართველი მამულიშვილები, მთელი ხალხი თავდადებით იბრძოდა ქრისტიანობის, ანუ ქართველობის აღდგენა-გამარჯვებისათვის, ეს ასე ესახებოდათ: თუკი ქართული ეროვნულ-ქრისტიანული სახელმწიფოებრიობა აღორძინდებოდა, ანუ სამეფო ტახტზე ქრისტიანი მეფე დაჯდებოდა – „ქართველობაც“ გაიმარჯვებდა. მართლაც, ეს ასე მოხდა და ქართლის სამეფო ტახტზე თითქმის ასზე მეტი წლის შემდეგ

კვლავ ქრისტიანი მეფე თეიმურაზ II დაჯდა. ქართველთა ეროვნული გადარჩენისათვის ეროვნული სახელმწიფოს აღდგენა იყო საჭირო. „ქართველობის“ აღდგენის შემდეგ საქართველო თვალდათვალ აღორძინდა. უპირველეს ყოვლისა, ქართლისა და კახეთის მეფეებმა – თეიმურაზმა და მისმა ძემ ერეკლემ, ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს ქართლის მთიანეთში გაბატონებულ ოსებს შეუტიეს. საქმე ის იყო, რომ უკვე ვახტანგ VI-ის შემდგომ ოსები შიდა ქართლს უტევდნენ და აოხრებდნენ. ასე იყო თეიმურაზის მირონცხებამდეც: „დაუწყეს ცემა ოსთ ზემო ქართლს, აგრეთვე ჩამოდგა ჯარი ლეკისა სომხით-საბარათაშვილოში... იყო ცემა და ომი ყველგან...“[227]. თეიმურაზის მირონცხების შემდეგ „აიყარა კახთ ბატონი ანანურით, წაბრძანდა ოსეთზე... მოეგებნენ ოსნი და შეიქმნა ომი... გააქციეს ოსნი და მიჰყვნენ, შეჰყარეს კოშკებში და შემოადგნენ კარს... ორმოცი კოშკი აიღეს, დაწვეს, თრუსი დაატყვევეს და ყოვლისა გზით ყალთანი უყვეს, რომ რისხვა ღმრთისა დასცეს. ვითა ვახტანგ გორგასალ თხუთმეტის წლისა მებრძოლი ოსეთში და დამჯაბნი ბუმბერაზთა, ეგრე მეფე ერეკლე უმხნეს იქცეოდა“[228].

„– რა ეს ამბავი და არაგვის ოსის წახდენის ამბავი შეიტყვეს ქსნის ერისთავის ოსთა, მოვიდნენ მაშინვე ვანათს და შემოეხვეწნენ მეფეს თეიმურაზს...“[229].

ისმის კითხვა, თუკი აქამდე და ვახტანგ VI-ის დროსაც ჩვენი ისტორიკოსები არა ოსებზე, არამედ „დვალებზე“ წერდნენ, ხოლო დვალეთად კავკასიის იქეთ, ნარის ქვაბულში მდებარე ტერიტორია მიაჩნდათ, რამ გამოიწვია ახლა ოსების ხსენება ქართლთან კონტექსტში? საფიქრებელია, რომ ძირითადად სწორედ ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს, XVIII ს-ის 20-იან, 30-იან წლებში, ოსი მოახალშენენი მტკვრის შემდინარე ხეობებს შიდა ქართლისაკენ ჩრდილოეთიდან ჩამოყვნენ; თუკი აქამდე ჩვენი ისტორიკოსები ჯერ დვალებზე, ხოლო შემდეგ ოს-დვალებზე წერდნენ, ახლა უკვე მხოლოდ ოსებზე წერენ. დვალების, კავკასიის ქართველური ტომის გაოსების პროცესი ვახუშტის დროს უკვე დაწყებული იყო, ეს გაოსებული დვალები,ანუ „დვალნი-ოსნი“ XVIII ს-ის 10-იანი წლებისათვის უკვე დიდი ლიახვის სათავეებში იყვნენ გადმოსული და მცირე ლიახვისა და ქსნის სათავეებსაც ითვისებდნენ. დვალების ერთ-ერთი ამბოხების დროს ვახტანგ VI-ის ეპოქაში ქართველი მეფის მხედრობა დვალეთში შევიდა და დვალები ქართველ ხელმწიფეს დაუმორჩილა. როგორც ცნობილია, მეფის ეს ქმედება არაგვისა და ქსნის ერისთავებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა, რადგანაც ამ სეპარატულად განწყობილი და მეფის მოწინააღმდეგე ერისთავების სამფლობელოები ქართველი მეფის ტერიტორიათა შორის მოქცეული აღმოჩნდა. ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს, როცა არაგვისა და ქსნის ერისთავები ცენტრალურ ქართულ ხელისუფლებას ყოველი საშუალებით ებრძოდნენ, როგორც ჩანს, ძირითად საომარ საყრდენ ძალად გაოსებულ დვალებს იყენებდნენ. ისინი ერისთავებს სჭირდებოდათ არა როგორც ქრისტიანები (ე. ი. ქართულ სამყაროსთან დაახლოებულნი), არამედ როგორც წარმართნი (ე. ი. ანტიქართულად განწყობილნი), რადგანაც ქრისტიანები, როგორც წესი, ქართულ ცენტრალურ ხელისუფლებას, ქართულ ეკლესიასა და სახელმწიფოს ექვემდებარებოდნენ. დვალები თავიანთი ქრისტიანობის (ე.ი. დვალობის) შემთხ-

ვევაში ერისთავებისათვის ნაკლებად გამოსაყენებელნი იქნებოდნენ. ჩანს, ერისთავების ასეთმა მიდგომამ დააჩქარა როგორც დვალების გაოსების პროცესი, ასევე მათი ჩამოსახლება საერისთავო ცენტრებისაკენ, შიდა ქართლისაკენ. ამ პროცესს ხელს ოსმალებიც უწყობდნენ, რომელნიც ზემო ქართლზე პრეტენზიას აცხადებდნენ. „ზემო ქართლი ხომ ჩვენი არისო", – წერდნენ ისინი[230]. ხოლო ყიზილბაშები ამ მხარეებში ქართულ მოსახლეობას განსაკუთრებით აზარალებდნენ: „გაუშვა მარბიელი ავღანისა და საცა რამ დარჩომილიყო, დაატყვევეს, ოსეთს აქეთ სულ აჰყარა და მოაბარა გივს ამილახვარს"[231].

ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს გაოსებულ დვალებს ყველა პირობა ჰქონდათ ქართლში დასასახლებლად და მის ასაოხრებლადაც, რაც აღდგენილი ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობისათვის მოუთმენელი იყო. ერეკლემ არაგვის ხეობიდან ჩრდილოკავკასიელების განდევნა შეძლო, ხოლო ქსნის ხეობის ოსები თეიმურაზმა შეიწყალა და მათგან გადასახადის აღებით დაკმაყოფილდა. XVIII ს-ის 30-40-იანი წლებიდან სიტყვა „დვალები" უკვე აღარ იხსენიებოდა, მის ნაცვლად ყველგან გვხვდება „ოსები", რაც დვალთა გაოსების პროცესის დასრულებაზე მიუთითებს.

გაცილებით უფრო რთული აღმოჩნდა ლეკიანობის წინააღმდეგ ბრძოლა. ლეკებიც ძირითადად სწორედ ქართული სახელმწიფოებრიობის უკიდურესი დასუსტების ჟამს, XVIII ს-ის 20-30-იან წლებში დამკვიდრდნენ აღმოსავლეთ კახეთში, რომელსაც ჭარ-ბელაქანი ეწოდა. აქ, როგორც ცნობილია, ქართველი გლეხების გალეკების პროცესი დაიწყო. ქართველთა ის ნაწილი კი, რომელიც გალეკებას გადაურჩა, გაამაჰმადიანეს, მათ „ახლადმოქცეულები", ანუ ინგილოები ეწოდათ (მათი ნაწილი შემდგომ დაუბრუნდა დედასარწმუნოებას – ქრისტიანობას).

მართალია, ნადირ-შაჰმა „ბობოქარი ქართლი" (რომელსაც ყიზილბაშმა ვექილებმა (მმართველებმა) თავი ვერ გაართვეს), თეიმურაზის მეშვეობით „დაამშვიდა"[232] და მას 1744 წლის ივლისიდან ქრისტიანული სამეფო ტახტის აღდგენის ნება მისცა, მაგრამ იგი ირანთან ჯერ კიდევ ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. ამ დროისათვის თეიმურაზისა და ერეკლეს სამეფოებში მყოფი ირანული ლაშქარი ქართველ მეფეებს ემორჩილებოდა და ისინიც მას იშველიებდნენ ლეკთა გამუდმებული შემოსევების მოსაგერიებლად. მალე თავისი სახელმწიფოს კრიზისით შეშფოთებულმა შაჰმა ქართლ-კახეთს უზარმაზარი გადასახადი – 2 მილიონი მანეთი შეაწერა, ქართველმა მოსახლეობამ გახიზვნა და აჯანყებისათვის მზადება დაიწყო, ამიტომაც ეს გადასახადი შემცირებულ იქნა, მაგრამ ირანი უკმაყოფილო დარჩა.

ასეთ ვითარებაში თეიმურაზმა, შეიძლება ითქვას, ქვეყნის გადასარჩენად თავი დადო და ირანში შაჰს ეახლა. „მეფემ თეიმურაზ ქართლის გულისათვის თავი გამოიმეტა და წავიდა", – ამბობდა პაპუნა ორბელიანი. თეიმურაზის წასვლა ირანში პირადად მისთვის მართლაც სახიფათო იყო"[233]. საბედნიეროდ, ირანში ჩასულ თეიმურაზს ნადირ-შაჰი მოკლული დახვდა. თეიმურაზი რამდენიმე წლის მანძილზე იღვწოდა ირანში ქართული სახელმწიფოებრიობის სრული აღდგენისათვის. „1748-1749 წლებიდან ქართლ-კახეთი უკვე სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც შაჰისაგან დამოუკიდებლად წარმართავს თავის მომავალს"[234].

ქართული სახელმწიფოს სუვერენობის აღდგენა უდიდესი მოვლენა – „გამოხსნა“ იყო.

ირანში ყოფნისას თეიმურაზმა ქართლის მოვლა ერეკლესთან ერთად ვახტანგ VI-ის ძმას, ქართლელი ბაგრატიონების სახლის შვილს, მეფე იესეს ძეს – აბდულა-ბეგს დაავალა, რომელიც ანტონ კათალიკოსის ძმა იყო.

ერეკლემ და თეიმურაზმა ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ შეძლეს აბდულა-ბეგის დამარცხება. ამის შემდეგ თბილისის ციხეებიდან გააძევეს ირანელთა გარნიზონი.

საქართველოს სრული განთავისუფლების, ანუ „გამოხსნის“ შემდგომ ხორცი შეისხა „აღდგომის“ იდეამაც. საქართველოს „აღდგომაში“ იგულისხმებოდა იმ ქართული მიწა-წყლის დაბრუნება, რომელიც ქვეყნისათვის დაკარგული იყო ამ მიწა-წყალზე მაჰმადიანური ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის გამო. საქართველომ დაიბრუნა ყაზახ-ბორჩალუ, ხოლო ერევნისა და განჯის სახანოებმა ქართული სახელმწიფოს ვასალობა და ხარკის ძლევა იკისრეს.

ქართლ-კახეთის მფარველობა ნახიჩევანის სახანომაც აღიარა. ერეკლე მეფეს დაუმორჩილებია „ბორჩალოს, ყაზახის, ერევნის, განძაკის, არცახისა და სივნიეთის მფლობელნი“[235]. „ერევან-ნახიჩევანის შემოერთება ქართლ-კახეთის გაძლიერების მორიგი აქტი იყო“[236].

1750 წ-ს ქართლ-კახეთისა და მოკავშირეთა ჯარებმა ყარაბახის ხანზე გაიმარჯვეს. „მდ. არაქსის ნაპირებზე ქართლ-კახეთის სამეფოს ადმინისტრაციულმა ფარგლებმა აღმოსავლეთით მდ. ძეგამზე გადაინაცვლა“[237].

დადგა შედარებით მშვიდობიანი ცხოვრების პერიოდი: „ომი და რბევა არსებითად საქართველოს ფარგლებს გარეთ ხდებოდა“[238]. მაგრამ დაღესტნის აუღებელი ბასტიონი და ლეკების ბუდე – ჭარ-ბელაქანი ქართველთა მშვიდობიან ყოფას უდიდეს საფრთხეს უქმნიდა. მათ დაემატა ერთ დროს ქართველებით დასახლებული ისტორიულ ჰერეთ-საარიშიანოში იმ დროისათვის არსებული შაქის სახანო.

შაქის ხანი ჭარელებს მიემხრო. მასთან ბრძოლისას მდინარე აგრიჩაიზე ქართველი მეფეები დამარცხდნენ. ჭარ-დაღესტნელებმა თარეშს მოუხშირეს. ლეკებს ეშინოდათ ქართლ-კახეთის გაძლიერებისა, ამიტომაც ცდილან მისთვის საზღვრის დადებას: „თუ ჩვენ არ გადავალთ – ქართველთ ჯარი აქ დაღისტანში გადმოვლენ“[239]. 50-იან წლებში დაღესტნელთა შემოსევები გახშირდა.

1751 წელს ერეკლემ სასტიკად დაამარცხა აზატ-ხანი – ირანის მრავალ კუთხეთა მპყრობელი. „აზატ-ხანსა და ერეკლეს შორის დადებული ზავის მიხედვით ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ბატონობის სფერო მდ. არაქსამდე გავრცელდა“[240]. გავრცელდა ხმები თითქოსდა ერეკლე ირანის ტახტის დასაკავებლად იბრძოდა.

ამ დროისათვის შაქის ხანიც გაძლიერდა. მისმა კოალიციამ შეძლო 1752 წელს განჯასთან ქართველთა დამარცხება, მაგრამ იმავე წელს, პირველ სექტემბერს „ქართველებმა სამაგიერო მიუზღეს შაქის ხანსა და მისი ჯარი ერთიანად გაჟლიტეს... ამის შემდეგ ქართლ-კახეთმა კვლავ აღადგინა თავისი ბატონობა ერევნისა და განჯის სახანოებზე“[241].

დაიწყო ქვეყნის აღდგენა, გლეხების დასახლება. 1754 წელს მეფეებმა მჭადიჯვართან ავარიელთა დიდი ნაწილის გამაერთიანებელი ხუნძახის მფლობელი ნურ-

სალ-ბეგი დაამარცხეს, 1755 წელს კი დაღესტნელთა 20 000-იანი ლაშქარი გაანადგურეს; 1757 წელს 4000-იან ლაშქარს ლეკებისა, 1757 წელს – კოხტა ბელადსა და ჩონჩოლ-მუსას სძლიეს. ლეკების თარეში და მძარცველობა სასტიკი იყო. 50-იანი წლებისათვის მათ თითქმის დაასრულეს სომხით-საბარათიანოს საბოლოო განადგურება: „ორბელიანთ მამულში ქართველი მოსახლეობა გაქრობაზე იყო. საბარათიანოს ტრაგედია საინგილოს დაკარგვის შემდეგ კიდევ ერთი სისხლიანი ეპიზოდია ქართველი ხალხის არსებობისათვის ბრძოლის ისტორიაში“[242].

ქართველთა გამარჯვებებმა აიძულეს ჭარი, რომ კახეთთან მშვიდობიანობა ჩამოეგდო. „ქართლ-კახეთის სახელმწიფო XVIII ს-ის 50-იანი წლების მიწურულს კიდევ უფრო გაძლიერდა და განმტკიცდა... გარედან დახმარების გარეშე იცავდა თავის ქვეყანას და თავისთავადი დამოუკიდებელი განვითარების გზით მიდიოდა“[243].

„თეიმურაზ II-ისა და ერეკლე მეფის ღვაწლი მარტო საქართველოს სამხედრო გაძლიერებითა და გარეშე მტრებისაგან უზრუნველყოფით კი არ ამოწურულა, თვით იმდროინდელი ქართველების ცხოვრებისა და კულტურის ვითარებაც მხოლოდ გარეგანი წესიერებისა და მშვიდობიანობის დამყარებით კი არ განისაზღვრება, არამედ თვალსაჩინო შინაგანი აღმშენებლობაც სწარმოებდა, სახელმწიფოებრივს წესწყობილებაშიც, ეკონომიკურს სფეროშიც, მეცნიერებასა და ხელოვნებაშიც საგულისხმო და ცხოველმყოფელი შემოქმედება იყო.

სპარსთა და ოსმალთა განმანადგურებელი ბატონობის წყალობით გახრწნილი სახელმწიფო წესწყობილება მეფე თეიმურაზისა და ერეკლეს წყალობით განახლებულ იქმნა“[244].

თეიმურაზს ქვეყნის პოლიტიკურ გამარჯვებათა შედეგების სამუდამო უზრუნველყოფა რუსეთის საშუალებით სურდა. ჩანს, ამიტომაც გაემგზავრა იგი რუსეთში, სადაც 1762 წელს გარდაიცვალა, ერეკლე ქართლ-კახეთის ერთპიროვნული ხელმწიფე გახდა. ქართლ-კახეთის უზენაესობა შამახიის, ყარაბაღისა და ნახიჩევანის მფლობელებმა საჯაროდ აღიარეს. განმტკიცდა ერეკლეს მბრძანებლობა სომხეთში[245]. ქერიმ-ხანის მიერ გაერთიანებულმა ირანმა ერეკლე ქართლ-კახეთის მეფედ აღიარა. „ირანსა და საქართველოს შორის პოლიტიკური საზღვარი კვლავ მდ. არაქსზე გადიოდა“.

საქართველოში ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ აღორძინებული ტომობრიობა-თემობრიობის გავლენის ქვეშ მოქცეული სეპარატისტები „უკვე გაერთიანებული ქართლ-კახეთის დაშლისათვის იღვწოდნენ და კვლავ უარყოფდნენ „კახი“ ბაგრატიონების უფლებებს ქართლის ტახტზე. ისინი ქართლში „მუხრანელ“ ბაგრატიონთა აღდგენისათვის იბრძოდნენ. მოღალატე თავადები ვახტანგის უკანონო შვილის - პაატას გარშემო დაჯგუფდნენ და სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებდნენ“[246].

პაატას აჯანყებაში მრავალი პირი მონაწილეობდა, მეფემ ყველანი დააპატიმრა, შემდეგ კი სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად ისინი დაისაჯნენ.

„აღდგომის“ პროგრამა სხვა ქართულ მიწებთან ერთად სამცხე-საათაბაგოს დაბრუნებისათვის ზრუნვასაც ავალდებულებდა ქართველ პოლიტიკოსებს. ერეკლეც დაკარგული ქართული ტერიტორიების დაბრუნებისათვის იღვწოდა.

XVIII ს-ის 70-იან წლებში აღდგა დასავლური ქართული სამეფოს დამოუკიდებლობა, ხრესილის სახელოვანი ომის შემდეგ იმერეთის მეფემ სოლომონ I-მა ქვეყნიდან თურქთა გარნიზონები გააძევა.

„თურქებზე თავდასხმის წინ სოლომონმა ჩაკეტა ფოთიდან, გურიიდან და ახალციხიდან მომავალი გზები, საიდანაც თურქთა დამხმარე ჯარის შემოსვლა იყო მოსალოდნელი... მეფის ლაშქარში მის ერთგულ თავადაზნაურებთან ერთად მასობრივად გამოვიდნენ გლეხები – კომლზე თითო მოლაშქრე. მეფეს მოუვიდა სამეგრელოსა და გურიის სამთავროთა რაზმებიც. სამეგრელოს ლაშქარს ახლდა სამურზაყანოელთა რაზმიც... 1757 წ-ის 14 დეკემბერს, გათენებისას, მეფის ლაშქარი თავს დაესხა ხრესილის მინდორზე მდგარ თურქებს“[247], ქართველებმა გაიმარჯვეს. ეს იყო ძალზე დიდი მარცხი თურქებისათვის. 1758 წელს სოლომონ, ერეკლე და თეიმურაზ მეფეებმა მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დადეს. მოწვეული იქნა საგანგებო საეკლესიო კრება. 1759 წლის 4 და 5 დეკემბერს ჩატარებულმა კრების სხდომებმა ტყვეთა სყიდვა აკრძალა. იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის საერო და სასულიერო გამგებლებმა მეფეს პირობა მისცეს, რომ დაემორჩილებოდნენ, აღადგინეს ქუთათელის კათედრა თავისი ყმა-მამულით, ეკლესია განთავისუფლდა გადასახადებისაგან.

1760 წელს სოლომონ მეფემ თურქთა 20 000-იანი, ხოლო 1763 წელს 13 000-იანი ლაშქარი დაამარცხა.

1764 წელს თურქეთის სულთანმა 100 000-იან ლაშქარს მოუყარა თავი. 1765-66 წლებში ისინი არბევდნენ იმერეთს, თურქთა ლაშქრის გასვლის შემდეგ სოლომონმა მალე გაათავისუფლა ქვეყანა და დაიკავა იგი. ოსმალებს ციხეებში ცუდი დღე ედგათ.

„1767 წლის ხელშეკრულებით თურქეთმა იმერეთი ცნო არა ვასალურ, არამედ მფარველობაში მყოფ სახელმწიფოდ“[248]. 1768 წელს სოლომონ მეფემ დაამარცხა ტახტისათვის მებრძოლი თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელსაც თურქები უჭერდნენ მხარს. 1769 წელს სოლომონმა მოდალატე რაჭის ერისთავი დაამარცხა და ორგული ბესარიონის ნაცვლად კათალიკოსის ტახტზე თავისი ძმა იოსებ გენათელი აიყვანა.

ასეთი ბედნიერი დრო, ბედნიერი ხანა, რომელიც საქართველოს სოლომონ-თეიმურაზ-ერეკლეს დროს დაუდგა, მრავალი საუკუნის მანძილზე არ ჰქონია. საქართველომ თავი „გამოიხსნა“, ხოლო „აღდგომისათვის“ მისი გაერთიანება იყო საჭირო. საქართველო უთუოდ გაერთიანდებოდა, ამისი გზები დაისახა კიდეც მე-18 საუკუნის 90-იან წლებში, ძმათა შორის რომ ერთსულოვნება და თანხმობა ყოფილიყო.

მაგრამ, რაც უმთავრესია, „ქართველობა“ აღდგა, „ქართველობამ“ გაიმარჯვა და ქართული ქრისტიანული სახელმწიფო აღადგინა.

დიდი კათალიკოსის ეპოქა

საქართველოს მაჰმადიანური სახელმწიფოთაგან „გამოხსნისა“ და ეროვნულ-ქრისტიანული სახელმწიფოებრიობის (ანუ „ქართველობის“) აღორძინებისათვის დიდად იღვაწა ქართულმა ეკლესიამ. თავის მხრივ, ქართულმა ეროვნულმა სახელმწიფომაც აღორძინებისთანავე (XVIII საუკუნის შუა წლები), ხელი შეუწყო მაჰმადიან

მეფე-ხანთა ეპოქაში (1614-1744) დაუძლურებული ქართული ეკლესიის აღდგენასა და დაცემული ზნეობის, მოშლილი მამაპაპური ქრისტიანული ზნე-ჩვეულებების აღორძინება-განმტკიცებას. ასეთმა ვითარებამ ანტონ კათალიკოსის დიდებულება უკეთ წარმოაჩინა, თუმცა ის თავისთავად იყო ბრწყინვალე ნიჭისა და გონების მქონე მგზნებარე მამულიშვილი.

პატრიარქი ანტონ I ნაყოფიერი მოღვაწე იყო, ქრისტეს ეკლესიასა და თავის სამწყსოზე მზრუნველი მამამთავარი, სახელგანთქმული მეცნიერი და ფილოსოფოსი. ამ თვისებების გამო იგი 20 წლის ასაკში მიტროპოლიტი გახდა, მანამდე კი გელათის მონასტერს ხელმძღვანელობდა. მცხეთის კათალიკოსობა მას ამ პერიოდშივე შესთავაზეს, რაზეც უარი განაცხადა, მაგრამ 24 წლის ასაკში იგი უკვე ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი, კათალიკოს-პატრიარქია. ყოველივე ამასთან ერთად ანტონი ქართლის სამეფო ტახტის კანონიერ პრეტენდენტს წარმოადგენდა. თეიმურაზ II კახელ ბაგრატიონთა შტოს ეკუთვნოდა, ხოლო ანტონი - მუხრანელი ბაგრატიონების, ანუ ქართლის მეფეებისას. თავისი დიდი საეკლესიო თანამდებობის, ასევე სახელგანთქმული მოღვაწეობის წყალობით სახელმწიფოში ანტონი პირველი პირი იყო - თეიმურაზ II-ისა და ერეკლეს შემდეგ (აბდულა-ბეგი, რომელიც თეიმურაზმა გაჭირვებით დაამარცხა, ძმა იყო ანტონისა). „თეიმურაზი ანტონში ყოველთვის ტახტის მოცილეს ხედავდა. მით უმეტეს, რომ თეიმურაზის უფლებებს ქართლის ტახტზე სუსტი საფუძველი ჰქონდა. მისი მეუღლე თამარი, მართალია, ვახტანგ VI-ის ასული იყო, მაგრამ ვახტანგს, ისევე როგორც მის ძმას, იესეს, ვაჟიშვილი მემკვიდრეები ჰყავდათ“, ეს იყო ფარული, მაგრამ ერთი მთავარი მიზეზი ანტონის დაწინაურებისა საეკლესიო იერარქიის კიბეზე. კათალიკოსობა ხომ უმაღლესი საეკლესიო თანამდებობა და ტიტული იყო მართლმადიდებლურ ეკლესიაში. იმ დროისათვის იგი მეფის შემდეგ ყველაზე გავლენიან პირს წარმოადგენდა. თეიმურაზი უთუოდ ფიქრობდა, რომ ამით დააკმაყოფილებდა ანტონის ფარულ პრეტენზიებს ქართლის ტახტზე და ამრიგად ჩამოიცილებდა ერთ-ერთ ძლიერ პრეტენდენტს. შეიძლება უფრო მეტიც ვივარაუდოთ: სახელდობრ, ის, რომ ანტონის საქართველოდან გაძევებაც კი ნაწილობრივ ამავე მიზეზით აიხსნება“[249].

ვახუშტი, რომელიც უთუოდ გამოხატავს იმდროინდელი ემიგრაციისა და ქართული საზოგადოების აზრს, მიიჩნევს, რომ ანტონის საქართველოდან გაძევების მიზეზი ორი სამეფო სახლის დინასტიური შეუთავსებლობა იყო და არა ანტონის „გაკათოლიკება“.

ვახუშტის შრომაში ნათქვამია – „შეუთქვეს კახთ ანტონი კათალიკოზს ფრანგობა მტრობით და განაძეს, კვლავად რომის ბერნი კაპუჩინნი ქართლიდამ“[250].

თვით ანტონიც განდევნის მიზეზად იმ დევნას ასახელებს, რომელიც მას „კახელმა“ ბაგრატიონმა თეიმურაზმა მოუწყო, როგორც ქართლის ტახტის მემკვიდრეს - მუხრანელ ბაგრატიონს, მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო საინტერესოა ნეიტრალური აზრი, რომელიც რუსულ ჩინოვნიკურ მიმოწერას შემოუნახავს. კერძოდ, ანტონის საქართველოდან განდევნიდან მრავალი წლის შემდეგ, როცა 1772-1774 წლებში საკათალიკოსო ტახტზე კვლავ აღზევებული ანტონი საგანგებო ელჩობის მეთაურად იქნა გაგზავნილი, რუსეთში კიდევ ახსოვდათ, რომ ის თავის დროზე საქართველო-

დან გააძევა თეიმურაზმა, ასტრახანში ჩასულ ელჩთა ამალის ხარჯების ნუსხაში (ხარჯებს რუსეთის მთავრობა იღებდა), რუს ჩინოვნიკს ანტონ კათალიკოსის სახელის გასწვრივ მიუწერია – „განდევნილი იყო საქართველოდან ერეკლეს მამის მიერ და რამდენიმე წელი ვლადიმირის ეპარქიაში გაატარა“[251]. აქედან ჩანს, რომ, მართალია, ოფიციალურად ანტონი საქართველოდან 1755 წელს საეკლესიო კრებამ გააძევა გაკათოლიკების მოტივით, მაგრამ როგორც რუსეთში, ისე საქართველოში ყველას სცოდნია, რომ ნამდვილი მიზეზი დინასტიური მეტოქეობა იყო.

„ანტონის ესოდენ ნაყოფიერი მოღვაწეობა, როგორც სამეცნიერო, ასევე საზოგადოებრივ ასპარეზზე შურსა და მტრობას იწვევდა მისადმი არაკეთილგანწყობილ ადამიანებში. თავის თხზულებებში ანტონი არაერთხელ გამოთქვამს გულისტკივილს ამის გამო, კერძოდ, „ქართულ ღრამატიკაში“ იგი წერს: „ჩვენნი რომელიმე არა თუ შემეწეოდნენ, არამედ მბასრობდენცა ზედა დამსხმელნი სიცილისანი“. ანტონის ესოდენ პროდუქტიული მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მისი მაღალი სასულიერო კარიერა მის მტრებს აცოფებდა და ისინიც საბაბს ეძებდნენ მის დასამხობად. ასეთ საბაბად გამოდგა ანტონის დაახლოება კათოლიკე მისიონერებთან, რომლის საფუძველზე აგებული იქნა ბრალდება ანტონის მიერ მართლმადიდებლური ეკლესიიდან განდგომისა და მისი „გალათინების“, ე.ი. კათოლიკური სარწმუნოების, მიღების შესახებ“[252].

საზოგადოდ, საუკუნეთა მანძილზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, არა მხოლოდ ეკლესიის მეთაურები, არამედ უპირველესი სახელმწიფო მოღვაწეებიც იყვნენ, რომელნიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის მართვა-გამგეობაში და როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას წარმართავდნენ. ამის გამო, ცხადია, ისინი ვალდებულნი იყვნენ კიდეც აქტიური ურთიერთობა ჰქონოდათ რომის პაპებთან, როგორც მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთ წარმმართველებთან.

მაჰმადიანურ რკალში მომწყვდეულ საქართველოს გადარჩენის ერთ-ერთ იმედად ევროპა და აქედან გამომდინარე, ევროპის კონტინენტზე სულიერ-პოლიტიკური ცხოვრების წარმმართველი რომის ეკლესია ესახებოდა და ამიტომაც ქართულ-ლათინური ურთიერთობა უფრო პოლიტიკის სფეროს უნდა განეკუთვნოს, ვიდრე სარწმუნოებრივს. ამგვარ პოლიტიკურ ურთიერთობას საუკუნეთა მანძილზე არავითარი სარწმუნოებრივი შედეგი არ მოჰყოლია. საქართველო მარად მართლმადიდებლურ ქვეყნად რჩებოდა, XIX საუკუნის დასაწყისისათვის ქართველ კათოლიკეთა რაოდენობა ქართლ-კახეთსა და დასავლეთ საქართველოში ძალზე მცირე იყო. მხოლოდ მესხეთში (ოსმალთა ქვეყანაში) შეძლო რომმა ქართველთა შორის კათოლიკობის გავრცელება. ანტონ კათალიკოსამდე მრავალ ქართველ კათალიკოს-პატრიარქს ჰქონდა წერილობითი დიპლომატიური ურთიერთობა რომთან, მაგრამ საქართველოში სერიოზულად არავინ ფიქრობდა მათი „გაკათოლიკების“ შესახებ, ამიტომაც თითქოსდა რომის ეკლესიის წარმომადგენლებთან არც ანტონის ურთიერთობა უნდა გაჰკვირვებოდა ვინმეს, მით უმეტეს, რომ ანტონს უშუალოდ პაპთან არც წერილობითი და არც დიპლომატიური ურთიერთობა არ დაუმყარებია, მაშინ, როცა მოღწეულია პაპის წერილები ერეკლე მეფისადმი.

როგორც რომისა და საქართველოს ურთიერთობის დამადასტურებელი დოკუმენტებიდან ჩანს, ქართულ მხარეს რომის ეკლესია იმ ძალად მიაჩნდა, რომელსაც შეეძლო რამდენადმე გაენეიტრალებინა სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის წარმატებები საქართველოში. XVII-XVIII საუკუნეებში სომხური ეკლესია განსაკუთრებით გაძლიერდა, მას ყოველმხრივ მხარს უჭერდა და აძლიერებდა როგორც ოსმალეთი, ისე სპარსეთი. გრიგორიანულმა ეკლესიამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი საქართველოში იმის გამო, რომ ქართლი და კახეთი სპარსეთის ვასალური ქვეყნები იყვნენ, ხოლო მესხეთი კი ოსმალთაგან დაპყრობილი ქვეყანა. ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს სომხური ეკლესიის გავლენა უკიდურესად გაძლიერდა. მრავალი ქართველი გაგრიგორიანდა, და საერთოდ, ქართველთა შორის ფეხს იკიდებდა იდეოლოგია სომხური ეკლესიის უზენაესობისა მსოფლიოში არსებულ ყოველგვარ სარწმუნოებათა შორის. ანტონს საკათალიკოსო საყდარზე ასვლისთანავე დაუწყია ფიქრი ამ საკითხზე, რის შედეგადაც მალე გამოაქვეყნა კიდეც ანტიმონოფიზიტური თხზულება „მზამეტყველება“. ეს წიგნი სწრაფად გავრცელებულა ქართველთა შორის და გრიგორიანობის წარმატებას წინ აღდგომია. ამ ფაქტმა დიდად განარისხა სომეხი მოძღვრები - ვართაპეტები, თუმცა უშუალოდ კათალიკოსს ვერაფერი გაუბედეს, მაგრამ თეიმურაზის მიერ ატეხილი დევნისას, როგორც მისიონერთა წერილებიდან ჩანს, ანტონისა და განსაკუთრებით კათოლიკე ბერების გაძევებაში დიდი მონაწილეობა მიიღეს.

ანტონს, როგორც სინოდის წინაშე წარმოთქმული მისი განცხადებიდან ჩანს, კათოლიკობა არ მიუღია. საქართველოდან გაძევების შემდეგ იგი რუსეთში გადავიდა და 1757 წლის 11 მარტს პეტერბურგში, სინოდში გამოცხადდა: „სინოდმა ანტონისაგან ახსნა-განმარტება მოითხოვა იმის თაობაზე, თუ რატომ დატოვა საქართველო და რას ეძებს რუსეთში, ან როგორია მისი რელიგიური რწმენა (სინოდისათვის წინასწარ ცნობილი იყო, რომ ანტონს ბრალად კათოლიკური სარწმუნოების მიღება ედებოდა). 16 მარტს ანტონმა სინოდს წარმოუდგინა 12 მუხლისაგან შემდგარი განმარტება (ე.ი. „სიმვოლო სარწმუნოებისა“) და დაამტკიცა მისი ერთგულება მართლმადიდებელი ეკლესიისადმი. ეს წერილი, როგორც რელიგიური კრედო, სინოდმა დამაკმაყოფილებლად სცნო“[253]. საქართველოდან გაძევების მიზეზად ანტონმა დაასახელა ცილისწამება, რომლითაც იყო თეიმურაზ II დაინტერესებული. ანტონი სწორედ თეიმურაზს მიიჩნევდა მის საქართველოდან გამძევებლად. მან იმპერატრიცა ელიზავეტა პეტროვნას მიმართა წერილით, რომელშიც ის ქართლის ტახტის კანონიერ მემკვიდრედ მიიჩნევს თავის თავს, ხოლო თეიმურაზ II-ს – ამ ტახტის მიმტაცებლად, უკანონო და სასტიკ უზურპატორად თვლის. ამ მიმართვამ ცუდი შთაბეჭდილება დატოვა საიმპერატორო კარზე, სადაც თეიმურაზს უჭერდნენ მხარს. სამაგიეროდ ანტონმა სინოდი დაარწმუნა მის მართლმადიდებლობაში, კათოლიკობა კი დაგმო და განაცხადა, კათოლიკე რომ ვყოფილიყავი, საქართველოდან გაძევების შემდეგ რომში წავიდოდი და არა რუსეთშიო. სინოდი სრულიად დარწმუნდა ანტონის მართლმადიდებლობაში და ამიტომაც „...1757 წლის დეკემბერში იგი დაინიშნა ვლადიმირისა და იეროპოლის ეპარქიის არქიეპისკოპოსად. თუ რაოდენ დიდი იყო ეს თანამდებობა, იქიდანაც ჩანს, რომ 1759 წლის ცნობით მთელს რუსეთში მხოლოდ 4 არქიეპისკოპოსი იყო“[254].

მაინც რატომ ეშინოდა თეიმურაზ II-ს ანტონის, ნუთუ შეეძლო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, ბერს, საეკლესიო მოღვაწეს, ქართლის სამეფო ტახტის დაჭერა, მიუხედავად იმისა, რომ ის ამ ტახტის კანონიერი მემკვიდრე იყო?

როგორც XVII-XVIII საუკუნეებში მომხდარი მოვლენები გვიჩვენებს, შეეძლო. მაგალითად, ამ საუკუნის საბუთებიდან ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი კათალიკოსი იმავე დროს გურიის ვრცელი და ძლიერი სამთავროს მთავარი იყო. მეორე მაგალითიც არსებობს, როცა გურიის მთავართა სახლის შვილმა, რომელიც ბერად იყო აღკვეცილი, ბერის მანტია გაიხადა, გამოვიდა მონასტრიდან და გურიის სამთავრო ტახტზე ავიდა, როგორც მთავარი. ბერობის დატოვებისათვის საკანონო დაადეს – ერთ-ერთი სოფელი შეაწირვინეს საკათალიკოსოს სასარგებლოდ „...მეფემან შეგვიწყალა და გურულობა გვიბოძა და ბერად აღთქმული ვიყავით და შენდობა გთხოვეთ და გვიბოძეთ, და მისდა საკანონოდ მოგართვით აკეთის საწინამძღვრო...“[255].

ეს ნაწყვეტი მოყვანილია „საკანონოს მირთმევის წიგნიდან“. კათალიკოს ზაქარიასთან მისულა გურიელთა სახლის შვილი-ბერი, რომელსაც უთხოვია კათალიკოსისათვის „შენდობა“, რათა დაეტოვებინა ბერობა იმ მიზეზის გამო, რომ მისთვის იმერეთის მეფე ალექსანდრეს „გურულობა“, ე.ი. გურიის სამთავრო ტახტი უბოძებია. კათალიკოსს შენდობა, ე.ი. ბერობის დატოვების ნება მიუცია, რის სანაცვლოდაც მისთვის „საკანონო“ დაუდვია. ეს მოხდა 1657-1660 წლებში. გარდა ამისა, როგორც აღინიშნა, მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ მესამედში დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი მალაქია, იმავდროულად გურიის მთავარიც იყო და ასეც ეწოდებოდა – „გურიელ-კათალიკოსი პატრონი მალაქია“[256]. ჩანს, რუსეთში გადასულ ანტონსაც მსგავსი ცნობები მოუწოდებია სენატისათვის, კერძოდ, რომ ის ბერობის მიუხედავად რეალური პრეტენდენტი იყო ქართლის სამეფო ტახტისა. „რუსეთში მყოფი ანტონის მიერ მიწოდებული ცნობების საფუძველზე, რუსეთის სენატი დაასკვნიდა, რომ, მართალია, ანტონი ამჟამად არის ბერი, მაგრამ არა ისეთი, რომელიც მუდამ მონასტერში იცხოვრებდა. ამრიგად, ანტონს თუნდაც XVIII ს-ის შუა წლებში შესაძლებლად მიაჩნდა, რომ გაეძრო ბერის სამოსელი და კვლავ საერო ცხოვრებას დაბრუნებოდა. ეტყობა ეს კარგად იცოდა ბიძამისმაც თეიმურაზ II-მ და შესაძლოა, მისმა ძემაც ერეკლე II-მ (სწორედ ამიტომ თეიმურაზი ანტონში ყოველთვის ტახტის მოცილეს ხედავდა)“[257].

მისიონერები აღწერენ, როგორ დასდეს ბრალი ანტონს და როგორ გააძევეს ის. როგორც აღინიშნა, ანტონ კათალიკოსს, როგორც მის წინა მოსაყდრეებს, ურთიერთობა ჰქონდა რომის ეკლესიის წარმომადგენლებთან, რაც უფრო სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მიზეზებით იყო გამოწვეული, ვიდრე სარწმუნოებრივით. როგორც წინა საუკუნეებში, ისე ანტონის ეპოქაშიც, ქართველ საეკლესიო და პოლიტიკურ მოღვაწეებს საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ პაპის წარმომადგენლებთან, კათოლიკე მისიონერებთან. გულთბილ დამოკიდებულებას მიუჩვეველი კათოლიკე მისიონერები ქართველ მოღვაწეებსაც კათოლიკეებად ანდა კათოლიკური რწმენისადმი მიდრეკილებად მიიჩნევდნენ, მით უმეტეს, რომ მათთან მუდმივი ომი და

ბრძოლა ჰქონდათ სომხური ეკლესიის წარმომადგენლებს და მათ მიერ მოსყიდულ სპარს-ოსმალო ხელისუფლებას. საქართველოში ისინი სითბოს გრძნობდნენ, რაც თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენეს კათალიკოს-პატრიარქის მოწინააღმდეგეებმა, კერძოდ, ანტონის ერთ-ერთი სულიერი შვილი, თავადის ქალი დასნეულებულა. მის სანახავად თეიმურაზ მეფის ასული მისულა. ავადმყოფს სნეულების გართულების ჟამს წამოუძახნია „ჰოი, რომის წმინდა პაპავ ილოცეთ ჩემთვის, რომ ეგოდენ ხანს ცრუმორწმუნების სიბნელეში ვიყავი“[258]. თავისთავად ეს წამოძახილი არაფერზე არ მეტყველებს. გასაჭირში ჩავარდნილი სასოწარკვეთილი ადამიანი ვის არ მოუხმობს საშველად. მაგრამ ეს სიტყვები საკმარისი აღმოჩნდა ანტონის დასაღუპად - „მეტიც არ უნდოდა მეფის ასულს, შეეტყო, რომ ეს ქალწული კათოლიკე იყო. მაშინვე მიუბრუნდა და უთხრა იქ დამსწრეთ: ოჰ, ნახეთ ესეც ფრანგი ყოფილა. კარგი, მობრუნდება მამაჩემი ომიდან ლეკების წინააღმდეგ და მაშინ ვნახავთ. მართლაც მობრუნდა თუ არა ტფილისს მეფე მამამისი, შეატყობინა, რაც მომხდარიყო, იფიქრა, თუ ვისი წყალობით უნდა წარმომდგარიყო ესა და ეჭვი შეიტანა პატრიარქზე, რადგანაც იცოდა, რომ ის ქალი მისი სულიერი შვილი იყო“[259]. ერთი ვიღაც მონაზონიც მიუგზავნიათ კათალიკოსთან, რომელმაც ამბავი გამოიტანა, რომ ანტონი კათოლიკე იყო. ეს ეჭვი და ცრუბეზღობა საკმარისი აღმოჩენილა, რათა განრისხებულ მეფეს სასწრაფოდ მოეწვია საეკლესიო კრება არქიეპისკოპოსებისა, ეპისკოპოსებისა და სამღვდელოების მონაწილეობით. ანტონისათვის კრებაზე დასწრების ნება არ მიუციათ. მასთან მიუგზავნიათ თავიანთი წარმომადგენლები, რათა მათთვის გამოეცხადებინა თავისი მრწამსი. ანტონმა კატეგორიულად მოითხოვა, რათა მისთვის კრებაზე დასწრების ნება მიეცათ „გარნა მეფემ და კრებამ ნება არ მისცეს შიშის გამო, რომ თავის თანდასწრებით არ შეერცხვინა მოწინააღმდეგენი და ესრე გამარჯვებული არ გამოსულიყო შესაკრებლიდან, სადაც მისი დასჯა უნდოდათ“[260].

მიუხედავად იმისა, რომ კრებაზე დასწრების ნება არ მისცეს და უშუალოდ მისგან არც ერთი სიტყვა არ მოუსმენიათ, ანტონი კათალიკოსობიდან გადააყენეს, უფრო მეტიც, საერთოდ მღვდელმსახურების ნება ჩამოართვეს და როგორც ჩანს, შინაპატიმრობა მიუსაჯეს. ამასთან სასტიკად დასაჯეს ანტონის თანამშრომლები, რომელთაც კათოლიკობის მიღება არც უფიქრიათ – „საეკლესიო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე ანტონის თანამშრომლები და თანამოკალმეები – ფილიპე ყაითმაზაშვილი, ალექსი მესხიშვილი და სხვები მკაცრად შერისხეს (მიუხედავად იმისა, რომ მათ კათოლიკობა არ მიუღიათ) და ერთხანს დილეგში ჩაყარეს“[261].

ცნობილია, რომ ამ სასტიკი ანგარიშსწორების სულისჩამდგმელი თეიმურაზ II-ის მოძღვარი, ზაქარია გაბაშვილი იყო, პირადი მტერი ანტონისა. როგორც ითქვა - „ზაქარია გაბაშვილის ბანაკმა ბრძოლის პირველ ეტაპზე გაიმარჯვა, 1755 წლის 16 დეკემბერს მოწვეული იქნა საეკლესიო კრება, რომელმაც ანტონს ზემოთხსენებული ბრალდება წამოუყენა და მკაცრად დასაჯა. იგი გადააყენა კათალიკოსობიდან, აუკრძალა მღვდელმსახურება და ფიცი დასდო ორივე მეფის (თეიმურაზის და ერეკლეს) წინაშე, რომ არ დაარღვევდნენ ამ კრების გადაწყვეტილებას და

ანტონს არასოდეს არ აღადგენდნენ ძველ უფლებებში. კერძოდ, საეკლესიო კრების „განჩინებაში“ ნათქვამია შემდეგი: „ჩვენ ცხებულმან მეფემან საქართველოსამან თეიმურაზ და ძემან ჩვენმან მეფემან კახეთისამან ირაკლიმ ესე აღუთქმა და პირი დავამტკიცეთ და უცვალებელად დავდევით კრებასა შინა, ვპოეთ ანტონი კათალიკოზი რომაელთა სარწმუნოებათა აღმსარებელი და ჩვენთა სარწმუნოებათა შეურაცხ-მქნელად... ესე აწ შეკრებილმან წმიდამან კრებამან უგულებელ-ჰყო და ანტონი კათალიკოზი სამოციქულოსა საყდარსა და კათოლიკე ეკლესიისაგან ჯეროვნად აღვფხვერით და კათალიკოზობისაგან განვაყენეთ... საეკლესიო კრების განაჩენი მთავრდება ორივე მეფის ფიცით, რომ კრების გადაწყვეტილება უცვლელი დარჩება და არასოდეს აღარ აღადგენენ გადაყენებულ კათალიკოსს ძველ უფლებებში... ერეკლემ ეს ფიცი სრულიად თავისუფლად დაარღვია, როგორც კი თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ „ხელები გაიხსნა“ და სრულუფლებიანი მონარქი გახდა“[262].

როგორც მისიონერები, ისე კრების „განჩინება“ გვატყობინებს, რომ მოგზავნილი „მოციქულების“ წინაშე ანტონმა კათოლიკური სარწმუნოება აღიარა. ისმის კითხვა: თუკი რუსეთის სინოდის წინაშე ანტონი კატეგორიულად უარყოფდა კათოლიკური სარწმუნოების მიღებას, რატომ უნდა „ეღიარებინა“ ის ქართული საეკლესიო კრების წინაშე, ამისათვის ხომ მას სასტიკი სასჯელი მოელოდა? თუკი საერთოდ ეს სიმართლეა, და „მოციქულების“ წინაშე ანტონმა კათოლიკური სარწმუნოება აღიარა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იყო იძულება პატიმრისა. თ. კუკავა წერს: „ანტონი არა მარტო გადააყენეს კათალიკოსობიდან, არამედ კიდეც დააპატიმრეს[263]. ანტონი კრების დროსაც დაპატიმრებული იყო თეიმურაზ II-ის მიერ და ამიტომაც არ მიიყვანეს კრებაზე. წერილების კილო, რომელსაც ამ დროს ანტონი სწერდა თეიმურაზს, იმაზე მიუთითებს, რომ იგი ამ დროს საპატიმროშია და სასტიკ სასჯელსაც მოელის. როგორც ჩანს, ანტონი ამ დროისათვის დაურწმუნებიათ, რომ თუკი ის არ უარყოფდა სარწმუნოების შეცვლის ბრალდებას, მოინანიებდა და თავს შეაბრალებდა მეფეს, მას პატიმრობიდან გაათავისუფლებდნენ და ქვეყნიდან გაძევებას აკმარებდნენ (თეიმურაზის ასეთი მოქმედება ანტონის წინააღმდეგ სრულიად არაა გასაკვირი, რადგანაც მსგავსადვე ექცეოდნენ ტახტის მოცილეს ყველგან და ყოველთვის). ანტონი წერს მეფეს – „დასტური მიბოძეთ იმერეთს მაინც წავალ და თუ არც იმერეთს გამიშვებთ – მომკალით...“[264].

არსებობდა ორი გზა, პირველი: თუ ანტონი ცილისმწამებლად გამოაცხადებდა მეფესა და საეკლესიო კრებას,მას სამუდამოდ ჩამოაშორებდნენ ეკლესიას, ლიტერატურულ-მეცნიერულ მოღვაწეობას და შეიძლება ფიზიკურადაც დაესაჯათ. მეორე: თუ ანტონი მეფისა და კრების „განჩინების“ სამართლიანობას, ანუ თავის ვითომდა კათოლიკობას აღიარებდა, ამასთანავე „მოინანიებდა“ კიდეც, მაშინ შესაძლებელია აღედგინათ რაიმე ხარისხში, ამით კი შესაძლებლობა მიეცემოდა მოღვაწეობის გაგრძელებისა. ანტონმა აირჩია მეორე გზა – მან მეფის წინაშე იწყო იმ „დანაშაულის“ მონანიება, რომელშიც ბრალი ედებოდა. „ანტონი ოფიციალურად წერს მონანიების ბარათს მეფე თეიმურაზ II-ს, ერეკლე II-ს და სხვა გავლენიან საეკლესიო და საერო პირებს, რომელშიც იგი თავს დამნაშავედ სცნობს და

შეწყალებას ითხოვს, ამის საფუძველზე თეიმურაზის მითითებით 1756 წლის 4 აპრილს მოიწვიეს საეკლესიო კრება, რომელმაც კვლავ დაადასტურა ანტონისათვის წაყენებული ბრალდება, მაგრამ მხედველობაში მიიღო რა მისი სინანული, „შეამოკლა კანონი“, ე.ი. კრების გადაწყვეტილება შეარბილა და ნება დართო ანტონს მისი თხოვნის საფუძველზე რუსეთში წასვლისა, აღუდგინა მღვდელთმსახურების უფლება და შეუნარჩუნა მღვდელმთავრის ტიტული. ეს დიდი მიღწევა იყო, რომლის გარეშეც ანტონი ვერც რუსეთში წასვლას შეძლებდა და ვერც თავის სალიტერატურო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას განაგრძობდა“[265].

ეს დიდი მიღწევა იყო ანტონისათვის, მაგრამ არასაკმარისი. მას ესაჭიროებოდა მეფის სარეკომენდაციო წერილი, რომლის გარეშე რუსეთში ყურადღებით არ მოეპყრობოდნენ. თეიმურაზი – ანტონის დედის ძმა იყო, ამიტომაც მიმართა როგორც ყველაზე უახლოეს ნათესავს: „...ასე რომ გამგზავნოთ, იქაც ასე საქმე გამიჭირდეს, მწუხარებისაგან მოვკვდე და კიდეც წარვწყდე, აქავ რომ მომკლათ ბევრით უმჯობესია ჩემთვის. თქვენის დისა და ჩემს მეტი აღარ არის რა. იმისი სიყვარულისათვის ასეთს წიგნს ნუ გამატანთ, რომ იქ მივიდე, სიკვდილი და წარწყმედა მოიწიოს ჩემზედა, იქაც რომ არ შემიწყნარონ, სადღა წავიდე. ამ ქვეყნიდან ხომ დავიკარგე და იქ რომ ცოცხალი ვიყო, და იქიდანაც არ დავიკარგო... ამას გეხვეწებით, მამა არა მყავს, დედა, ძმა და დაი და თქვენს მეტი ნათესავი არავინა მყავს. ნუგეშინისმცემელი და მოწყალე ჩემის ცოდვისაგან ახოცილა საქართველოში. ჩემი ობლობა და უდედმამობა შეიწყალეთ. მე უძღები შვილი ვარ და თქვენ სახიერი მამა ბრძანდებით. შემიწყალეთ, წარწყმედას და სიკვდილს ნუ მიმცემთ...“ როგორც ამ წერილიდან ჩანს, ანტონმა თვითონ შეადგინა რუსეთში წასაღები წერილის ტექსტი და ხელმოსაწერად თეიმურაზ მეფეს გაუგზავნა. თუ ამ წერილში ანტონს არ ექნებოდა კარგი დახასიათება, მაშინ მას რუსეთში არ შეიწყნარებდნენ“[266].

თეიმურაზმა კაცთმოყვარეობა გამოიჩინა და ანტონს სარეკომენდაციო წერილი მისცა. რუსეთში ჩასვლის შემდეგ ანტონმა თავისი მართლმადიდებლობა დაამტკიცა და, როგორც არქიეპისკოპოსმა, ერთ-ერთი ცენტრალური ეპარქია მიიღო მოსკოვთან ახლოს, რამეთუ მას საქართველოშივე შემდგარმა ბოლო საეკლესიო კრებამ შეუნარჩუნა მღვდელმთავრის ტიტული, რითაც ფაქტობრივად მოუხსნა ბრალდება კათოლიკური რწმენის მიღების თაობაზე.

როგორც კი ანტონი რუსეთში დაბინავდა, მაშინვე განაგრძო ლიტერატურულ-მეცნიერული მოღვაწეობა. ანტონის მოღვაწეობა რუსეთში საკმაოდ მრავალფეროვანი და ნაყოფიერი გამოდგა. ხშირად განცვიფრებასაც კი იწვევს ის გარემოება, თუ როგორ შეძლო ერთმა კაცმა (თუნდაც თანამშრომელთა დახმარებით) უცხო ენის (თვით რუსული ენის) არასაკმაო ცოდნის პირობებში ამდენი საქმის გაკეთება. კერძოდ, რუსეთში ახალჩასულმა დაწერა ორიგინალური თხზულება „კატეხიზმო“, რომელშიც ახსნილია მართლმადიდებელთა აღსარების მთავარი დოგმატიკურ-მორალური პრინციპები. მანვე გალექსა „პროლოღის“ სამი თვის მასალა (ივნისი, ივლისი, აგვისტო)... „განმარტება მოწყალესი“, რომელსაც საქართველოში „ხიშტით“ შეხვდნენ. გარდა ამისა, ანტონმა შეასწორა საეკლესიო წესების კრებული „ტიბიკო-

ნი“, „კონდაკი“, საგალობელთა წიგნი „პარაკლიტონი“, „თთუენი“, დაწერა „ქართველ მეფეთა შთამომავლობა“, თარგმნა „ისტორია ალექსანდრე მაკედონელისა“[267].

1762 წელს რუსეთში გარდაიცვალა თეიმურაზ II. მეფის გარდაცვალების გამო ანტონმა გულწრფელი სამძიმარი გაუგზავნა დედოფალს – თეიმურაზის ქვრივს – „მეფე თეიმურაზ, ჩემი სატრფიალო ბიძია, ჩემი ბიძა, ჩემი მამა, ასეთი მამა, რომ ღმერთო ნუ მიწყენ, და ძმადაც მოვესწარ, მეგობრადაცა, ღმერთო ნუ განმირისხდები, ამხანაგადაც“[268]. მართალია, ანტონი გარკვეულწილად გულძვირად იყო თეიმურაზის მიმართ, რაც განუცხადა კიდეც რუსეთის სენატს, მაგრამ მას არ შეეძლო თეიმურაზის, როგორც ქართული ქრისტიანული სამეფო ტახტის აღმდგენლის, დაღუპვა არ განეცადა. კათალიკოს ნიკოლოზ ხერხეულიძის მოკვლის შემდეგ სწორედ თეიმურაზმა დაასახელა კათალიკოსად ანტონი, ხოლო საეკლესიო კრებამ მეფის ეს მითითება სიხარულით შეასრულა.

პაპუნა ორბელიანი წერს – „უკეთურმა და ღმერთის შემცოდემ, იუდას მსგავსად აღშფოთებულმან თამაზის შვილმან ტარიელ, ერთის უბრალო მიზეზის გამო სცა კათალიკოზს სატევარი ზაკვით და მოკლა... შეწუხდა მეფე, ვითარც მართებდა. თვითონ ეშმაკის უბოროტესი ტარიელ დაიჭირეს, მოკლეს, ძმით, ცოლ-შვილით სულ აიკლეს. წაასვენეს წმიდა გვამი პატრიარქისა დიდსა ეკლესიასა საპატრიარქოსა მცხეთას... წაბრძანდა ბატონი ჯარით და მობრძანდა დმანისის ციხესა... ებოძა კაცი და ებრძანა: „ანტონი ბატონიშვილი რომელი იყო ქუთათელ ეპისკოპოსად, კათალიკოზად დასვითო“. ყოველივე ეპისკოპოსნი ქალაქს შემოკრებილ იყვნეს უწინაც სულბრწყინვალისა დომენტის კათალიკოზის მიცვალებაზე მოინდომეს სამღვდელო დასთა ანუ ერისაგანთა. არა ინება, აწცა ინება უარისყოფა, აიძულებდა დედოფალი ანუ დასნი სამღვდელონი, ვერღარა უარყო და დართვა ნება. მიუტანეს იქავ ბატონის სამყოფსა შინა ბარტყულა ჯვრითურთ, კვერთხი და მდინარი (ანუ სამღვდელმთავრო - საპატრიარქო მანტია) ეგრე ბატონისა სრით მდინარით წამობრძანდა.

სამღვდელო დასნი, რომელნიც წინა უძღოდნენ გალობით და აკმევდნენ საკმეველითა, დიაკონნი შემოსილნი, რომელიმე უკანა მოსდევდეს, აგრეთვე მეფე კახეთისა ერეკლე, ღმრთის მოყვარე და სარწმუნოება – მტკიცე. თან მოყვა სამყოფამდის დარბაისლითურთ და დასვეს ტახტსა ზედა პატრიარქად ანტონი კეთილი და ღირსი კეთილისა, ნათლის მრჩობლი მასხივნებელი, აბრამის კურთხევისა დამამტკიცებელი, მთავრობა მინიჭებული, ხოლო ლევიტელობისა განმაძლიერებელი, აღმსრულებელ სჯულისა, განმაშვენებელ ეკლესიათა, დამმარხველ მცნებათა. შემდგომად რაოდენთამე დღეთა წაბრძანდა მცხეთას და მიიღო კურთხევა ეპისკოპოსთა კრებათაგან და განშვენდა ყოვლით კერძო“[269].

იგივე ისტორიკოსი ასე ახასიათებს საქართველოს პატრიარქს – „ანტონი კათალიკოზი, კეთილ სათნოებითა აღჭურვილი, ტრფიალებითა საზენაოთა ზედმიწევნით აღზევებული, და ყოვლად სარწმუნოებითა მტკიცედ დამტკიცებული, მადლითა მიერ გაბრწყინებული, არ დააცადებდა ჟამითი ჟამად სიბრძნე მრავლობით წესთა... ასაკით იყო მცირე, მაგრამ სოლომონისა სიბრძნესა არარად კლებულ ექმნებოდა. მეფეთა შვილი იყო და სულიერსა მეფობისაც ღირს იქმნა“[270]. რუსეთში ანტონი რამდენიმე წელს მოღვაწეობდა. თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ ერეკლემ

ანტონი საქართველოში მოიწვია და საკათალიკოსო ტახტზე აღადგინა. „საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ თფილისში და თელავში ანტონმა გახსნა სემინარიები, რომ მიეცა შკოლებისათვის სახელმძღვანელო წიგნები, ანტონმა ბევრი იშრომა. გადმოთარგმნა და დასწერა მრავალი ნაწარმოები. ანტონის მიერ დაწერილი და თარგმნილი თხზულებანი ამხილებდნენ ამ მუშაკში დიდ ცოდნასა და ენერგიას. ანტონმა შეადგინა სია საეკლესიო მამულებისა და იხსნა იგინი მტაცებელთაგან, მან დააარსა აგრეთვე სასამართლო-დიკასტერია, ანტონი იყო არა მარტო თეორეტიკული მოაზროვნე, არამედ პრაქტიკული საქმის კაცი“[271]. დიკასტერიის შესახებ უფრო ვრცლად მოგვითხრობს ა. კელენჯერიძე – ანტონის დროს და მის შემდგომ ეკლესიაშიო, – წერს ის – „საზოგადო საქმეებს არჩევს კათალიკოსის სინოდი, ან საბჭო, შემდეგ დიკასტერიად წოდებული... დიკასტერიამ 1771 წ-ს ახალი ორგანიზაცია მიიღო, იგი იკრიბებოდა პატრიარქის პალატაში. დიკასტერიის წევრებად სასულიერო პირებთან ერთად საერონიც – მსაჯულებიც ითვლებოდნენ. სხდომებზე პატრიარქის დასწრება სავალდებულო არ იყო. საბჭოს წევრნი იყვნენ მუდმივნიც და არამუდმივნიც. 1795 წლიდან, როცა მაქსიმე (აფხაზეთის კათალიკოზი) მიიცვალა აფხაზეთის საკათალიკოსო საქმეებსაც მცხეთის კათალიკოსის საბჭო – დიკასტერია არჩევდა. მან გაარჩია მახობა ქუთათელაძის საქმე, რომელიც აღძრა ხონელმა მთავარეპისკოპოსმა ანტონმა. აგრეთვე, 1784 წ-ს დიკასტერიამ გაარჩია საქმე იმერეთიდან გაქცეული მღვდლებისა ალბათ იმის გამო, რომ მაქსიმე ამ წელს უკვე წასული იყო რუსეთში“[272].

(აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის დიკასტერიის მიერ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საქმეების გარჩევა საეკლესიო ერთობის შესახებაც მიუთითებს - ქართული ეკლესია ფაქტობრივად ერთიანი ეკლესია იყო).

ანტონის ეპოქაში – „საქართველოში ევროპული სამეცნიერო ცოდნის გასავრცელებლად უცხო ენებიდან საუკეთესო თხზულებები ითარგმნებოდა, თანაც მეცნიერების ყოველი დარგისათვის პატარ-პატარა სახელმძღვანელოები მზადდებოდა. ამ სფეროში განსაკუთრებული ღვაწლი ანტონ კათალიკოზს მიუძღვის, რომლის ღრმა და მრავალმხრივი სამეცნიერო ცოდნა იმდენადვე გასაოცარია, როგორადაც მისი დაუღალავი ენერგია და ნაყოფიერება“[273].

გაიოზ რექტორის დახასიათებით, ანტონ კათალიკოსის ღვაწლის შედეგად მეცნიერება – სწავლა-განათლების – „ოქროს საუკუნე“ დამდგარა საქართველოში. ამასთანავე „განმრავლებულა“ სიბრძნისმოყვარეობაც[274].

ანტონმა რუსეთიდან ჩამოსვლის შემდეგ სკოლების რეორგანიზაცია მოახდინა, თბილისის და თელავის სემინარიები განამტკიცა. თელავში რექტორად 1782 წელს გაიოზი გადაიყვანა. მოამზადა სახელმძღვანელოები, გეოგრაფიისა, არითმეტიკისა, რიტორიკისა, კატეხიზმოსი, ფილოსოფიისა, გრამატიკისა, მეტაფიზიკისა, ლოგიკისა და ფიზიკისა.

აღსანიშნავია, რომ თბილისისა და თელავის სკოლები ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა: „XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ეკლესია-მონასტრებთან მოქმედებდა დაწყებითი ტიპის სასწავლებლები, გარდა იმ ადგილებისა, რომლებიც მაჰმადიან დამპყრობთა მიერ იყო დაკავებული

(თუმცა აქაც კი, თუ ეკლესია-მონასტრები არ იყო დანგრეული, სწავლა არ შეწყვეტილა). სასწავლებლების დაარსებისათვის განსაკუთრებით იზრუნა მეფე-რეფორმატორმა ვახტანგ VI-მ. მან „დააარსა სასწავლებელნი, საცა ასწავლიდნენ ყველას განურჩევლად წოდებისა და ხარისხისა: საღმრთოსა წერილსა, ფილოსოფიასა და სხვა. ამგვარის მისის მოღვაწეობით საქართველოს მონასტრებიდან მოკლე დროში სწავლა-მეცნიერება დატრიალდა მთელს საქართველოში“[275]. ამ ციტატაში საგულისხმოა, რომ სკოლებში „ასწავლიდნენ ყველას განურჩევლად წოდებისა და ხარისხისა“. ამავე წიგნის სხვა ადგილზე მ. ჯანაშვილი წერს: „მონასტერთა სკოლებში სწავლობდნენ ყოველი წოდებიდან“[276].

XVIII საუკუნის ბოლოსაც, იოანე ბაგრატიონის მიერ ერეკლე მეფისათვის წარდგენილი პროექტის თანახმად, საერო სკოლებში სწავლის ნება არა მარტო „თავადაზნაურთა და პირველი მოქალაქის შვილებს“, არამედ „მსახური კაცის შვილებს“, „მდაბალ ვაჭართა შვილებს“ და „აგრეთვე გლეხსაც“ ჰქონდა[277]. საერთოდ საქართველოში წოდებათა შორის გადაულახავი ზღუდეები არასოდეს მდგარა, როგორც ეს რუსეთში იყო, ჩვენი ქვეყანა უფრო დემოკრატიულობით გამოირჩეოდა.

„აღნიშნულ პერიოდში იმერეთში თერთმეტი, ხოლო გურიაში ორი ეკლესია-მონასტერი მოქმედებდა, რომლებიც ამავე დროს სწავლა-განათლების კერებიც იყვნენ... სკოლები გახსნილი იყო აგრეთვე იმ სახლებშიც, სადაც ეპისკოპოსები და სასულიერო იერარქიის სხვა წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. უპირატესობა, ბუნებრივია, ეპისკოპოსების სახლებს ეძლეოდა, სადაც უკეთესი პირობები იყო შექმნილი ცოდნის მისაღებად... ჯერ კიდევ XVIII ს-ის დასაწყისში კათალიკოს დომენტი III-ს (1704-1724; 1738-1742 წ.წ.) გადაუდგამს პრაქტიკული ნაბიჯები, რათა ეკლესია-მონასტრებთან გაეხსნათ სასწავლებლები. „...თავი მოუყარა მწერალ მწიგნობართა, შეჰკრიბნა მრავალნი წიგნნი, გახსნა ყმათა სასწავლო სკოლა“[278]. ამაზე მიუთითებს ისტორიკოსი პლატონ იოსელიანიც[279]. საყოველთაოდ ცნობილი იყო დავით გარეჯის მონასტერი, სადაც ყველაზე მაღალი წოდების წარმომადგენლები იღებდნენ სწავლა-განათლებას. სწორედ აქ ეზიარა თავდაპირველად სიბრძნეს XVIII საუკუნის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი პიროვნება ანტონ I კათალიკოსი. აღნიშნული დროისათვის დავით გარეჯის მონასტერში არსებობდა უმაღლესი „შკოლა“, უმდიდრესი ბიბლიოთეკით და მასწავლებელთა საუკეთესო კადრებით... სწავლა-განათლების აღიარებული ცენტრები იყო გელათი იმერეთში და შემოქმედის მონასტერი გურიაში, ასევე ვაკე იმერეთის განათლების ცენტრად გვევლინება ხონი, რომელიც ეპარქიის ცენტრადაც ითვლებოდა“[280].

მარტო თბილისის სასწავლებლებში, რომელნიც სიონის, კალოუბნის, მეტეხის, ანჩისხატსა და სხვა ეკლესიებთან არსებობდნენ, კირიონისა და პ. იოსელიანის აზრით, 400-მდე მოსწავლე სწავლობდა. სასწავლებლები და სკოლები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებშიც ყოფილა.

აღნიშნულის გარდა, თურმე ნახევრად კერძო ტიპის სასულიერო დაბალი სასწავლებლებიც არსებობდნენ. მათ ხელმძღვანელობას ეპარქიის მწყემსი – ეპისკოპოსი აკონტროლებდა.

„თუ რა უფლებებით სარგებლობდნენ ამ სკოლების კურსდამთავრებულები, ამაზე წარმოდგენას გვაძლევს ის ფაქტიც, რომ 1748 წლის 13 ნოემბერს საეკლესიო კრების დადგენილებით, მღვდლად არ შეიძლებოდა ეკურთხებინათ ისეთი პირი, რომელსაც დაბალი ტიპის სასულიერო სკოლა არ ექნებოდა დამთავრებული. იმისათვის, რომ უფრო აემაღლებინათ მოთხოვნილება სკოლებისადმი, საეკლესიო კრებამ 1762 წელს დაადგინა: ყოველმა ეპისკოპოსმა დააწესოს მკაცრი კონტროლი და ასწავლოს თავის სამწყსოს“[281].

ზემოაღნიშნულის გარდა, არსებობდა ასევე კერძო სკოლებიც, რომელთა დანერგვასაც ანტონ I უწყობდა ხელს.

სწავლა-განათლების სტაბილიზებას ყოველმხრივ ეხმარებოდა ერეკლე II. „თავისი ხანგრძლივი და მეტად ნაყოფიერი სამეცნიერო-ლიტერატურული მოღვაწეობის შედეგად ანტონ პირველმა შექმნა მთელი ეპოქა, რომელიც თითქმის მთელი საუკუნე გაგრძელდა. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საეკლესიო მწერლობას უნდა ეწოდოს ანტონ კათალიკოზის ეპოქა, ისე დიდია მისი ღვაწლი და დამსახურება ამ მწერლობის ისტორიაში“, – წერს კ. კეკელიძე, მაგრამ ასე ითქმის არა მხოლოდ საეკლესიო, არამედ ქართულ საერო და კერძოდ, ფილოსოფიურ მიმართულებაზე, რომელიც ანტონის უშუალო გავლენით ჩამოყალიბდა და ამ გავლენის ბეჭედი აზის... ანტონის მოწაფეთაგან ერთ-ერთი თვალსაჩინო პიროვნება გაიოზ რექტორი იყო“[282]. 1765 წ-ს ის ანტონს ბერად აღუკვეცია, შემდეგ არქიდიაკონად უკურთხებია. 1772 წელს გაიოზი ანტონს გაჰყვა რუსეთში და სწავლა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში გააგრძელა. 1782 წელს იგი თელავის სემინარიის რექტორად დაუნიშნავთ. 1783 წელს კვლავ რუსეთში გაემგზავრა, სადაც დარჩა კიდეც. 1784 წელს არქიმანდრიტად უკურთხებიათ. ის იყო ეპისკოპოსი ჯერ მოზდოკისა, შემდეგ სარატოვისა და პენზისა, მთავარეპისკოპოსი ასტრახანისა და სტავროპოლისა. გარდაიცვალა 1821 წელს.

ანტონს აღუზრდია აგრეთვე თელავის სემინარიის მეორე რექტორი დავით ალექსი-მესხიშვილიც, რომლის დროსაც რუსულმა ხელისუფლებამ თელავის სემინარია დახურა.

ანტონის მოწაფე და თანამშრომელი იყო სახელგანთქმული ფილიპე ყაითმაზაშვილი. ფილიპე იყო მღვდელი, ოღონდ არა ქართული, არამედ გრიგორიანული (სომხური) ეკლესიისა. სომხური ეკლესია, როგორც აღინიშნა, დიდად გაძლიერდა XVII-XVIII საუკუნეებში, როგორც ოსმალეთის, ისე სპარსეთის სახელმწიფოების მხრიდან გამოჩენილი მზრუნველობის შედეგად[283]. ამ ქვეყნებში სომხურ ეკლესიას ყოველგვარი შეღავათები, ხოლო მის მრევლს მართლმადიდებლებთან შედარებით დიდი უპირატესობა ეძლეოდა. ამის გამო აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც სპარსეთის იმპერიის ვასალურ ქვეყანას წარმოადგენდა და ოსმალთაგან დაპყრობილ მესხეთში, მრავალი მართლმადიდებელი (ანუ ქართველი) სომხდებოდა, სწორედ ასეთი გაგრიგორიანებული ქართველი უნდა ყოფილიყო ფილიპე ყაითმაზაშვილი. საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარი ე. ნიკოლაძე წერს: „ქართველების იმ ერთ ნაწილს, რომელიც აღიარებდა სომეხთა სარწმუნოებას, შეასწავლეს სომხ-

ური ენა და ამნაირად ეს ხალხი მთელ ქართველობას ჩამოაშორეს. ეს ზარალი ქართველობას სომხებმა მიაყენეს უმთავრესად საქართველოს იმ გარეშე ადგილებში, რომლებიც სომხეთს საზღვრავენ (ასეთი იყო ქვემო ქართლი და მისი ქალაქი თბილისი). ასეთივე საზიზღარი საქმე მათ ჩაიდინეს სამაჰმადიანო საქართველოში, რომელიც მე-XVII საუკუნიდან თურქთა სამეფოს მიეკრა, რადგანაც ამ მხარეში ძალით დაუწყეს გავრცელება ისლამს, იქაური მართლმადიდებლები დიდ გასაჭირში ჩავარდნენ. ამ გარემოებით ისარგებლეს სომეხთა მისიონერებმა, გამოესარჩლნენ მართლმადიდებლებს უსჯულოთა წინააღმდეგ. იხსნეს ისინი მაჰმადის სჯულის მიღებისაგან, მაგრამ ამით დაავალეს სომეხთა რწმენის აღიარება. ვინაიდან ქართველები სომხის ხალხს და მის სარწმუნოებას მაშინ ნდობით ეპყრობოდნენ, დაეთანხმნენ სომეხთა მწვალებლებს ისლამის თავიდან ასაცილებლად მათი რწმენის მიღებაზე. ამ გარემოებას მოყვა შედეგად სომეხთა ეკლესიების გამრავლება სამაჰმადიანო საქართველოში, სადაც ძველ მართლმადიდებელთა ტაძრებს სომხები დაეპატრონნენ“[284].

იმ დროისათვის სომხური ეკლესია დიდად ბრწყინავდა. მისი მრევლი მსოფლიოს ყველა კუთხეში ღირსეულად იყო განფენილი. ისინი ატლანტიკის, ინდოეთის თუ წყნარი ოკეანის სანაპიროების ქალაქებსა და რეგიონებში, ევროპისა და აზიის დედაქალაქებში წარმატებით გალაღებული მრეწველ-კომერსანტები თუ საქმიანი ადამიანები იყვნენ. განსაკუთრებით პატივს სცემდნენ სომხებს, როგორც ვაჭარ-მრეწველებსა და ხელოსნებს, ოსმალეთსა, სპარსეთსა და საქართველოშიც. მაგალითად, ლევან II დადიანმა მის მიერ დამარცხებული იმერეთის სამეფოდან, როგორც ყველაზე ძვირფასი ნადავლი – „სომხური“ მოსახლეობა წაიყვანა (ჩხარიდან და სხვა დასახლებებიდან) სამეგრელოში. როსტომის შემდეგ სწორედ გრიგორიანი მოსახლეობით ივსებოდა ახლადაღორძინებული ქალაქები (ალი, სურამი, გორი, თბილისი). „სომხები“ ანუ გრიგორიანელი მოსახლეობა – განძი იყო მეფისა და სახელმწიფოსათვის. ფულადი შემოსავალი, აღებ-მიცემობა, ვაჭრობა-მრეწველობა მათზე იყო დამოკიდებული. ე. ნიკოლაძე განაგრძობს: „ასეთი წარმატებით გამხნევებულნი, სომეხთა მისიონერები მოეფინენ აღმოსავლეთ საქართველოს და დაიწყეს ქართველებში მწვალებლობის გავრცელება“.

ქართველები მრავლად ხდებოდნენ წევრნი სომხური ეკლესიისა, ამის შედეგად იცვლებოდა მათი ფსიქოლოგია, ისინი სომხური ცივილიზაციის, კულტურის, ეროვნული იდეოლოგიის სფეროში ექცეოდნენ, თუმცა კი ხშირად ინარჩუნებდნენ ცოდნას ქართული ენისას, ქართულ ზნე-ჩვეულებებს და თვისებებს.

გარდა ამისა, თვით საქართველოსა და საერთოდ სპარსეთ-ოსმალეთში მიღებული აზრის თანახმად, ყველა გრიგორიანს – „სომეხი“ ეწოდებოდა, ყველა კათოლიკეს – „ფრანგი“, ყველა მართლმადიდებელს – „ბერძენი“ (გამონაკლისი იყო საქართველო, სადაც მართლმადიდებელს „ქართველი“ ეწოდებოდა, მაჰმადიანებს კი ეროვნული წარმოშობის მიუხედავად – „თათარი“). ამის გამო ფილიპე ყაითმაზაშვილს, რომელიც არა მარტო გრიგორიანი იყო, არამედ სომხური ეკლესიის ხუცესიც – ცხადია, „სომეხი“ ეწოდებოდა. კითხვისას, თუ „რა გვარი ხუცესი“ იყო

ის – პასუხობდნენ – „ჰარმანთა გვარის ხუცესიო“, ანუ სომხური ეკლესიის ხუცესიო. ხუცესები ქართველებსაც ჰყავდათ. იმისათვის, რათა განესაზღვრათ, თუ როგორი ანუ „რა გვარი“ ხუცესი იყო ფილიპე ყაითმაზაშვილი – პასუხობდნენ „მღვდელი ჰარმანთა, ჰარმანთავე გვარისა თემისაგან ქართველთასა, ტომთაგან აზნაურთასა“[285].

ფილიპე ყაითმაზაშვილის თანამედროვე ქართველებმა კარგად იცოდნენ, რომ ის „სომეხი“ იყო, ვითარცა მღვდელი სომხური (არმენიელთა, ჰარმანთა) ეკლესიისა, მაგრამ ეთნიკური წარმოშობით, ან „ნათესაობით“, „ნათესაური სქესით“ – ქართველი, სოციალური მდგომარეობით – აზნაური ყოფილა ქვემო ქართლიდან; დოსიეთეოს ნეკრესელის ცნობით, ფილიპე იყო „ჰარმანთა მღვდელი, ადგილობითისა ნათესაობისა სქესითა ქართველი და ტომობითისა სქესითა ძე აზნაურთა“[286].

მიუხედავად იმისა, რომ ფილიპე სარწმუნოებით „სომეხი“ იყო, მას ვითარცა ეთნიკური წარმოშობით ქართველს, „საქართველოს შვილს“ ჰყვარებია თავისი სამშობლო საქართველო და დიდად უღვაწია ქართული კულტურისა და ქართველი ერისათვის. მისი მოღვაწეობა მიუთითებს, რომ ის თავდადებით შრომობდა ქართველი ხალხისათვის და ცოდნა, რომელიც საუკეთესო სომეხი მასწავლებლებისაგან მიუღია, სრულიად გამოუყენებია მშობელი ერის საჭიროებისათვის.

აღნიშნულ საუკუნეში მიღწეული წარმატებების გამო სომხურ ეკლესიას საშუალება ჰქონდა არა მარტო სპარსეთ-ოსმალეთისა და ევროპის მთავარ ქალაქებში ჰქონოდა სასწავლებლები, არამედ თბილისშიც. მაგალითად, სომეხ ეპისკოპოსს ავეტიქს თბილისში გაუხსნია სასწავლებელი, რომელშიც ქართველი მოწაფეებიც სწავლობდნენ (ისინი, ცხადია, ძირითადად „სომხებად“ იქცეოდნენ ხოლმე, ანუ რაც იგივეა, გრიგორიანულ რწმენას იღებდნენ).

ავეტიქ ეპისკოპოსის მოწაფენი ფილიპე ყაითმაზაშვილთან ერთად ყოფილან მდივანბეგი იოანე ორბელიანი, „ნიკოლოზ მღვდელი კახთა მეფის კარისა“. ფილიპემ „დიდი ამაგი დასდო, როგორც სასკოლო საქმეს, ასევე საფილოსოფოსო და საღვთისმეტყველო ლიტერატურის განვითარებას საქართველოში. XVIII საუკუნის თითქმის ყველა ქართველი მწიგნობარ-მოღვაწე პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით გარკვეულ კონტაქტში იყო მასთან, უმრავლესობა მის მიერ აღზრდილი იყო (გაიოზ რექტორი, დოსითეოზ ნეკრესელი, ოსეს ძე, იოანე ორბელიანი, ნიკოლოზ ქიზიყელი, ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი და სხვა). ხოლო ისეთი დიდი მოაზროვნე და მეცნიერი, როგორც ანტონ კათალიკოსი იყო, უშუალოდ მისი დახმარებით გაეცნო ფილოსოფიურ ნაშრომებს“[287].

თუ რა გზით მიიღო ფილიპე ყაითმაზაშვილმა თავისი ცოდნა ეს უკვე ითქვა - სომხური ეკლესიის სწავლულთა მეშვეობით. იმის შემდეგ, რაც მაჰმადიანურმა ქვეყნებმა საქართველო ევროპას, ანუ მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრს მოწყვიტეს, ქართული მეცნიერება ვერ ეცნობოდა ევროპის წარმატებებს, სამაგიეროდ სომხებს ჰქონდათ დიდი საშუალება, გაცნობოდნენ და თავიანთი თვალსაზრისის შესაბამისად აეთვისებინათ ის. მსოფლიო იზოლაციაში მყოფი ქართველი მოაზროვნენი სომეხი სწავლულების შრომათა გაცნობას შეუდგნენ. სომხურიდან უთარგმნიათ

დიალექტიკა (სიმონ ჯულფელისა), „კატეგორიანი არისტოტელებრნი“, მხითარ სევასტიელის გრამატიკა (რომლის მიხედვითაც ანტონმა ქართული გრამატიკა შეადგინა), მისივე რიტორიკა, პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“, სვიმონ ჯუღაეცის რედაქციით (ის ადრე იოანე პეტრიწს ჰქონია თარგმნილი, რომელიც კომენტარებითურთ სომხურად უთარგმნიათ). დავით უძლეველის (ანჰაღთის) „წიგნი საზღვართა“, „პორფირი“, არისტოტელის „პერი ჰერმენეიას“ დავით უძლეველის კომენტარებით და სხვა. მარტო ფილიპეს სომხურიდან 21-მდე ფილოსოფიურ-თეოლოგიური თხზულება უთარგმნია. საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყოველმხრივ იყვნენ გაბატონებული (ცხადია, გარკვეული ზომით) გრიგორიანები. ამ მდგომარეობას კარგად აღწერენ თვითმხილველი ევროპელი მისიონერები. ასეთ ვითარებაში სომხების გაქართველება შეუძლებელი იყო. სომეხთა გაქართველების თეორია ნიკო მარს ეკუთვნის. ის სომეხთა გაქართველებას VII-IX საუკუნეებში ვარაუდობდა. ნიკო მარის შემდგომმა ისტორიკოსებმა რატომღაც ეს თეორია საქართველოს მთელი ორიათასწლოვანი ისტორიის მიმართ განავრცეს. ამიტომაც, ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონდა თეორია, რომლის თანახმადაც სომხები მუდამ ყოველ ეპოქასა და საუკუნეში ქართველობდნენ, რაც საერთოდ არ შეესაბამებოდა სიმართლეს. ამავე თვალსაზრისს ადგა კ. კეკელიძეც, ამიტომაც წერდა ფილიპე ყაითმაზაშვილის შესახებ,თითქოსდა იგი გაქართველებული სომეხი იყო,სინამდვილეში კი, პირიქით, ფილიპე ეროვნებით ქართველი,სარწმუნოებით კი გრიგორიანი ანუ „სომეხი“ იყო.

ასევე გრიგორიანი ქართველი იყო ანტონის ბეჯითი თანამშრომელი ზაქარია მადინაშვილი. მან, ისევე როგორც ფილიპემ, კარგად იცოდა მშობლიური ქართული ენა, თუმცა კი სომხური განათლება ჰქონდა მიღებული. თუ ვინმე იკითხავს, თუ წარმოშობით ქართველი იყო, რატომ „ქართველს“ არ უწოდებდნენო, კიდევ ერთხელ ვუპასუხებთ, რომ იმ საუკუნეებში „ქართველი“ მხოლოდ და მხოლოდ მართლმადიდებელს ეწოდებოდა და თანაც არა ყველა მართლმადიდებელს, არამედ მხოლოდ მას, რომელიც ქართული ეკლესიის წევრი (მრევლი) იყო. ასეთ შემთხვევაში როგორ შეიძლებოდა ზაქარია მადინაშვილისათვის „ქართველი“ ეწოდებინათ მაშინ, როცა იგი არათუ რიგითი წევრი იყო სომხური ეკლესიისა, არამედ „ვართაპეტი“? ვართაპეტი სომხურ ეკლესიაში „მოძღვარს“ ეწოდებოდა და ეპისკოპოსის მსგავსად უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა.

„ზაქარია მადინაშვილი – ვართაპეტი იყო ზედმიწევნილი ფილოსოფოს-ღვთისმეტყველი და მკურნალობისა ხელოვნებისა მეცნავი. ამან ასწავლა მრავალთა ქართველთა და სომეხთა საფილოსოფოსნო წერილნი...“, – წერდა იოანე ბატონიშვილი. „ანტონ პირველი „სპეკალის“ ერთ-ერთ თავში ერეკლეს მიმართავს, რომ მას ზაქარიამ – ვინმე „სომეხთა მოძღვარმა“ აუხსნა „დაფარულობა არისტოტელისა“[288].

გაგრიგორიანების პროცესი ქართველთა შორის ძალზე გაღრმავდა და შეიძლება ითქვას, ახალი სიცოცხლე შეიძინა შაჰ-აბასის შემოსევების შემდეგ. მის გაღრმავებას ხელი განსაკუთრებით ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის გაუქმებამ საქართველოში და ქართველ მეფეთა ტახტზე მაჰმადიანი ხანების ასვლამ შეუწ-

ყო. როსტომ-ხანი პროსპარსული ორიენტაციისა და კანონების ერთგული დამნერგავი იყო, ამიტომაც მან საქართველოში, როგორც სპარსეთის იმპერიის ერთ-ერთ ნაწილში, სომხური ეკლესიის მიმართ ისეთივე დათმობითი ღონისძიებები გაატარა, როგორც საერთოდ იყო მიღებული სპარსეთში. შაჰ-აბასის შემდეგ სპარსეთში სომხურ ეკლესიას დიდი მოწიწებითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ. ასე რომ, სპარსული კანონის თანახმად, სასტიკად ისჯებოდა ის სომეხი, რომელიც გრიგორიანულ სარწმუნოებას უარყოფდა და მაჰმადიანობას მიიღებდა.

სომხური ეკლესიისათვის დათმობის შედეგებმა როსტომ-ხანის მეფობის პერიოდშივე იჩინა თავი. თბილისის მმართველობა გრიგორიან ქართველებს გადაეცათ. განსაკუთრებით გაღრმავდა ქართველთა გაგრიგორიანების პროცესი ქვემო ქართლში.

ქვეყნის ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ვახტანგ V შაჰ-ნავაზიც ხელს უწყობდა გრიგორიანულ ეკლესიას, რასაც მისგან სპარსეთის სახელმწიფო ინტერესებიც მოითხოვდა. მხოლოდ ქართულ ეკლესიას არ შეეძლო ხელი არ შეეშალა ქართველთა გაგრიგორიანების პროცესისათვის, რაც არა მარტო ქართველთა მასობრივ დენაციონალიზაციას, არამედ ქართული ეკლესიის დაკნინებასაც იწვევდა. ქართლის კათალიკოსი შაჰნავაზის დროსვე აღდგომია წინ გაგრიგორიანებას – „მათ წინააღმდეგ გამოვიდნენ საქართველოს განათლებული კათალიკოსები: ნიკოლოზ ამილახვარი (1675-1688), დომენტი (1705-1724) და განსაკუთრებით ბესარიონი (1724-1739). საქართველოში ძველი დროიდან მოიპოვებოდნენ თარგმანში ის ნაწერები, რომლებიც იყვნენ მიმართული სომხური ეკლესიის მწვალებლობის წინააღმდეგ... ამ თხზულებათა შემწეობით საქართველოს მღვდელ-მთავრები ადვილად იმარჯვებდნენ სომხებთან პაექრობაში, მაგრამ XVIII საუკუნის დასაწყისიდან გარემოება ძალზე იცვალა. ამ დროიდან მხითარისტების ნაწარმოებნი ძლიერ გავრცელდნენ სომეხთა შორის და მისცეს საშუალება მათ სამღვდელოებას საღვთისმეტყველო განათლებისა. ევროპელი მწერლების სხოლასტიკური ნაწარმოებნი, რომლებიც სომხურ ენაზე გადმოითარგმნენ, გახდნენ ახალ წყაროდ სარწმუნოებრივი დავისა, სხოლასტიკურმა ხერხიანობამ, რომელიც განსაკუთრებით არისტოტელის ლოგიკას ემყარებოდა, სომეხთა მისიონერების მონოფიზიტური პროპაგანდა, რომელიც წინათ დაიწყო, განსაკუთრებით გააძლიერა არეულობის დროს საქართველოში, მეფე იესეს სიკვდილის შემდეგ, თეიმურაზ მეორის ქართლში გამეფებამდე (1724-1744), და უმაღლეს წერტილზე ავიდა კათალიკოს ანტონ პირველის მმართველობის პირველ წლებში (1744-49). ამ პროპაგანდამ, როგორც ზემოთ ვთქვით, დიდი ზარალი მოუტანა მართლმადიდებლობას, საქართველოს განაპირა ადგილებში... მთელი ხრამის უღელტეხილი, ბორჩალოს მაზრა და ალაზანის გაღმა მხარე სავსე იყო სომეხთა მისიონერებით, რომლებიც სხოლასტიკურად განათლებულნი დიდად ცდილობდნენ, რომ საქართველოს პოლიტიკურ უბედურებას თან მიმატებოდა სარწმუნოებრივი განხეთქილება, სომეხთა მწვალებლობა წარმატებით ვრცელდებოდა ქართველთა შორის, იმიტომ რომ საქართველოში იყო გამოცხადებული სარწმუნოებრივი თავისუფლება და მთავრობას არ შეეძლო სარწმუნოებრივი დავის აკრძალვა“[289].

თეიმურაზის დროს, „ქართველობის“, ანუ ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ თითქოს საქართველოში გრიგორიანობის გავრცელების პირობები არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ გრიგორიანები თავიანთ სარწმუნოებას თვით ანტონ I-ის ზეობის დროსაც კი აქტიურად ავრცელებდნენ, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ეს დიდი ხნის წინ დაწყებული პროცესი ამ დროსაც განაგრძობდა არსებობას, თუმცა შედარებით შეზღუდულად, რამაც, როგორც ჩანს, სომეხ იერარქთა გაღიზიანება და მათ მიერ სარწმუნოებრივი პროპაგანდის გაძლიერება გამოიწვია. ანტონ კათალიკოსმა აღსაყდრებისთანავე დიდი ყურადღება მიაპყრო ამ საშურო საქმეს და გარკვეული თვალსაზრისით გმირობაც კი გამოიჩინა, როცა ვრცელი ანტიმონოფიზიტური თხზულება შექმნა, რომელიც სწრაფად გავრცელდა და წინ აღუდგა ქართველთა დენაციონალიზაციას. კ. კეკელიძე წერს – „ეკლესია, შეიძლება ითქვას, კრიზისს განიცდიდა ამ დროს... ბევრი მღვდელ-მთავარი ჯერეოვან მორჩილებას არ იჩენდა კათალიკოსისადმი. ეკლესია-მონასტრები დანგრეული იყო, სკოლები დახურული. ყველა ამას თან დაერთო სომეხთა ეკლესიის სარწმუნოებრივი პროპაგანდა, ასე რომ საჭირო იყო ენერგიული მტკიცე ნებისყოფის განათლებული კაცი, რათა საეკლესიო ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩამდგარიყო. ასეთი იყო სწორედ ანტონი“[290].

„მის დროს, განსაკუთრებით, 1744-1749 წლებში, ჩვენში გაძლიერებულა სომეხთა სარწმუნოებრივი პროპაგანდა... პროპაგანდა წარმოებდა როგორც სიტყვიერი, ისე ლიტერატურული“[291]. „როგორც კათალიკოსი ანტონი მოწმობს, ერთბუნებიან მწვალებლებს მასთანაც ჰქონიათ კამათი. სომეხთა მისიონერების მეთაურად ითვლებოდა ანტონ პირველის თანამედროვე სომეხთა კათალიკოსი ლაზარე ჭაუკელი. უკანასკნელი ძალიან დაუახლოვდა კათალიკოს ანტონს და შეეცადა მის გამოყვანას მართლმადიდებელი ეკლესიიდან, მაგრამ ეს ვერ მოახერხა... ლაზარემ გამოსცა დიდი თხზულება, რომელსაც „დრახტ-ცანკალ“, ე.ი. „სასურველი სამოთხე“ უწოდა. ამ ნაწარმოებში ავტორი ცდილობდა გაემართლებინა ერთბუნებიანი მწვალებლობა, გაემტყუნებინა მსოფლიო ეკლესიის სწავლება იესო ქრისტეს პიროვნებაზე... აგინებდა ქალკედონის კრებას და აუგებდა ლევანს, სომეხთა ეკლესიას აღიარებდა ყველა ეკლესიების უფროსად და სომეხთა კათალიკოსს ყველა ქრისტიანების მთავარ მბრძანებლად. ლაზარემ თავისი თხზულება მიართვა ანტონ კათალიკოსს და აგრეთვე მრავალ ხელნაწერებში გაავრცელა ის ქართველებში. როგორც არქიეპისკოპოზი ტიმოთე მოწმობს, ეს შრომა საქართველოში მდაბიო ხალხში იკითხებოდა და ბევრი კეთილმორწმუნე მოტყუებაში შეყავდა“[292].

ანტონი, როგორც აღნიშნული იყო, წინ აღუდგა მონოფიზიტობის გავრცელებას, ოღონდ არა ადმინისტრაციული, ანდა პოლიტიკურ-ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით, არამედ მეცნიერული სიტყვით. „ვინაიდან სომეხთა მისიონერები თავის სწავლას სხოლასტიკასა და სომხური ეკლესიის ისტორიაზე ამყარებდნენ, ანტონი იძულებული გახდა გაცნობოდა ამ წყაროებს ლათინურ-სომხურ ენაზე... და შემდეგ სომეხი მწვალებლების განსაქიქებლად დასწერა დიდი თხზულება, რომელსაც „მზა-მეტყველება“ უწოდა. ეს ნაწარმოები, რომელიც დასრულდა 1752 წელს, შეი-

ცავს მონოფიზიტური მოძღვრების სრულ განქიქებას და მასში ყოველი კაცი იპოვის მზა პასუხს მწვალებელთა ყოველ კითხვაზე“[293].

როგორ უნდა შეხვედროდნენ ანტონის თხზულებას მონოფიზიტური ეკლესიის მოძღვრები, სომეხთა კათალიკოსი, რომელსაც ანტონის მართლმადიდებლური ეკლესიიდან გამოყვანა სურდა, ანდა დაბალი ფენები საქართველოს მოსახლეობისა, რომელშიც წარმატებით ვრცელდებოდა „დრახტ-ცანკალის“ იდეები სომხური ეკლესიის მსოფლიო ეკლესიაზე ბატონობის შესახებ?

შედეგმაც არ დააყოვნა. „მზამეტყველების“ გამოქვეყნებიდან სულ სამიოდე წლის შემდეგ ანტონი საკათალიკოსო ტახტიდან ჩამოაგდეს და საქართველოდან გააძევეს, ამ საქმეში უნდა ვიფიქროთ, მონოფიზიტთა ხელიც ერია, რომელნიც მ. თამარაშვილის თანახმად მართლმადიდებელ ქრისტიანებზე ნადირობდნენ.

სპარსეთ-ოსმალეთს შორის განაწილებულ საქართველოში მაჰმადიანურ სახელმწიფოთა მიერ აკრძალულ მართლმადიდებლური ეკლესიის დაბნეულ და გზააბნეულ მრევლზე რომის პაპის კათოლიკურ და სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიებს დიდი დავა ჰქონდათ გაჩაღებული. თვლიდნენ რა თავს მსოფლიო ეკლესიაზე ბატონობის უფლებამოსილად, ქართველ მრევლზე ორივე პრეტენზიას აცხადებდა, კერძოდ, რომის ეკლესია მიიჩნევდა, რომ მსოფლიოში „ერთი სამწყსო და ერთი მწყემსი უნდა ყოფილიყო“, – რომის ეკლესია და რომის პაპი. მსგავსი აზრი ბატონობდა გრიგორიანთა შორის. „ერთი სამწყსო და ერთი მწყემსი“ – მათი აზრით, ეს იყო სომხური ეკლესია და ამ ეკლესიის პატრიარქი-კათალიკოსი - მსოფლიო ეკლესიის „მეთაური“ (ზემოთ ნათქვამი იყო, რომ ასეთი შეხედულება ჰქონდა ანტონის თანამედროვე სომხური ეკლესიის მეთაურს ლაზარე ჭაუკელს).

ცნობილია, რომ ერეკლეს დიდად ესაჭიროებოდა სახსრები ქვეყნის ასაღორძინებლად. რუსეთი, რომლის იმედიც მეფეს ჰქონდა, როგორც წესი, მას არ ეხმარებოდა, ევროპიდანაც ვერაფერი მიიღო; მეფეს თანხები თავის ქვეყანაშივე უნდა გამოეძებნა, მეფის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს, ჩანს ვაჭარ-ხელოსნების (როგორც წესი, ისინი გრიგორიანები ანუ „სომხები“ იყვნენ), მდიდარი სომხური ეკლესიის „დახმარებაც“ შეადგენდა. თუმცა, თუ ვინ ვის „ეხმარებოდა“, სომხური ეკლესია ერეკლეს, თუ ერეკლე სომხურ ეკლესიას, ეს ჩანს მისიონერთა აღწერიდან: 1775 წელს ერეკლე მეფეს უფლისწულ ლევანის ქორწილში სომეხთა პატრიარქიც დაუპატიჟნია. ის ქორწილში თვითონ არ მისულა, მაგრამ სამაგიეროდ თავისი წარმომადგენლები გაუგზავნია. მისიონერი წერს: – „გამოუგზავნა ორი ვართაპეტ-ეპისკოპოსი და სამასი თუმნის, ანუ ჩვენებურად 3000 სკუდის საღირალი საჩუქრები გამოატანა. ქორწილის შემდგომ ამ ორმა სომხის ვართაპეტმა აქაურ მღვდლებთან და ერის მოწინავე პირებთან მოილაპარაკეს, ვისარგებლოთ ამ მდგომარეობით, რომელიც ერეკლემ ჩვენის საჩუქრების წყალობით გვიჩვენა. კარგად უწყოდნენ, რომ მეფე ფულისათვის ყველაფერს დათანხმდებოდა, თვით უსამართლობასაც კი, ამიტომ ამ საჩუქრების გარდა კვალად მეფეს ნაღდი ფული მიართვეს 700 თუმანი ანუ 7000 სკუდო და სთხოვეს, ნება მოგვეცი, ძალა დავატანოთ და სომხის სარწმუნოებაზე გადმოვიყვანოთ არა მარტო ამ 20 წლამდე გაკათოლიკებულნი, არამედ

მათი შვილებიც, სომხებისაგან მონათლული. მაშინ, როდესაც კაპუცინები განდევნილნი იყვნენ ამ ქალაქიდან, ან მონათლულნი სომხის მღვდლებისაგან უფრო უწინ, ვიდრე მათი მშობლები გაკათოლიკდებოდნენო"[294]. ერეკლემ სომხებს ამის ნება დართო. მთელი ქალაქი აღძრეს ვართაპეტებმა და ძალით „გაასომხეს", ანუ გააგრიგორიანეს ქალაქელი კათოლიკენი, ეთნიკური წარმოშობით, ცხადია, ქართველები. ამ დროს გაუსომხებიათ ის ქართველებიც, რომელთაც კათოლიკობა „20 წლით ადრე" ე.ი. 1755 წლამდე მიუღიათ. რადგანაც ამ წელს (1755) განდევნეს კათოლიკე მღვდლები, კათოლიკეთა შვილები სომეხ მღვდლებს დაუნათლავთ, ყოფილან ისეთნიც, რომელთაც სომხური ნათლობა უფრო ადრე მიუღიათ, ვიდრე მათ მშობლებს - მშობლების „გასომხებაც" მოითხოვეს. აქედან ჩანს, რომ თვით ქართულ-ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღორძინების დროსაც კი ქართველთა გასომხების პროცესი აქტიურად მიმდინარეობდა. მკითხველისათვის უფრო გასაგები რომ იყოს, თუ რას ითხოვდნენ სომხის ვართაპეტები, ერთ ისტორიულ ფაქტს მოვიყვანთ: 1944 წლის შემდეგ სამცხე-ჯავახეთში იმერეთიდან ქართული მოსახლეობა გადმოასახლეს, მაგრამ ამ დროისათვის მთელ სამცხე-ჯავახეთში ყველა ქართული ეკლესია-მონასტერი გაუქმებული იყო და არც ერთი მართლმადიდებელი მღვდელი ამ კუთხეს არ ემსახურებოდა, მაშინ როცა აქ მოქმედებდა რამდენიმე სომხური ეკლესია (ახალციხეში, ახალქალაქსა და სხვილისში). იმერლები იმის შიშით, რომ ბავშვები მოუნათლავნი არ დარჩენოდათ, მათ 1980 წლამდე წმ. მარინეს ეკლესიის გახსნამდე, სომეხ მღვდლებს ანათვლინებდნენ. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ამ „სომხურად" მონათლულ იმერლებზე სომხურმა ეკლესიამ განაცხადოს პრეტენზია და მეფის ან ქვეყნის მმართველის ბრძანებით იძულებით თავის მრევლად აქციოს. სწორედ ასე მოხდა 1775 წელს მეფე ერეკლეს თანხმობით, რაც ზემოთ არის აღწერილი მისიონერის წერილში. სომხურ ეკლესიას ისეთი ძალა და გავლენა ჰქონდა, რომ კათოლიკეებს სპარსეთსა და ოსმალეთშიც სასტიკად დევნიდნენ. მაგალითად, სპარსეთში ლათინი ბერებიდან მხოლოდ კაპუცინები ახერხებდნენ სპარსეთის მთავრობისაგან მიეღოთ მფარველობა „სომეხთა მიერ დევნულობის წინააღმდეგ"[295], ამავე სურათს ვხედავთ ოსმალეთშიც[296].

როგორც აღინიშნა, 1755 წელს საეკლესიო კრებამ, რომელმაც ანტონი გადააყენა, მისი კვლავ აღდგენა საეკლესიო ტახტზე მეფეებს ფიცით აუკრძალა. მაგრამ ერეკლე მეფემ 1763 წელს ანტონი საქართველოში დააბრუნა და ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელობა ჩააბარა. ისმება კითხვა, დაარღვია თუ არა ერეკლემ „ფიცი". ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ სწორედ 1763 წელს 16 აპრილის წერილში რომის პაპი სწერდა ერეკლე მეფეს – „თქვენ ფიცს ყურს ნუ უგდებთ, რადგან ფიცი კეთილის აღსასრულებლად იქნება და არა რაიმე ბოროტისათვის, არც ვალდებული ხართ დაიცვათ, თუ დაგიფიციათ, როდესაც მისი საგანი საწინააღმდეგოა ჭეშმარიტებისა, რადგან თქვენი ფიცის საგნის სიბოროტე ყოველ ძალას უსპობს ფიცსა, რომელიც დაგიდვიათ"[297]. ცხადია, პაპის წერილი არ შეეხებოდა ანტონ კათალიკოსის დაბრუნებას, არამედ სხვა საქმესთან იყო დაკავშირებული

„ერეკლემ ქართლ-კახეთის ერთადერთმა მმართველმა დაარღვია ეს ფიცი და ანტონი ძველ უფლებებში აღადგინა. ერეკლეს გაბედული ქცევა, რომელიც ის-

ტორიულადაც და ლოგიკურადაც სრულიად გამართლებულია, მისი მტკიცე ძალაუფლების უშუალო გამოვლენას წარმოადგენს, მაგრამ ერეკლესა და ანტონის მოწინააღმდეგე ბანაკსაც ზ. გაბაშვილის თაოსნობით დათმობა არ სჩვეოდა. ამიტომ ანტონს – ბუნებით მშვიდსა და ღვთისმოსავს – საქართველოში ჩამოსვლისთანავე შეჯახება მოუხდა ოპოზიციონერებთან"[298].

ანტონმა შეძლო მოწინააღმდეგეების დამარცხება. გამოაფხიზლა და თავისი შრომებით ააღორძინა ქართული ღვთისმეტყველება, ფილოსოფია, პედაგოგიკა და საერთოდ მწერლობა. „როგორც პროფესორი ლ. მელიქსეთბეგი აღნიშნავდა, მან XVIII ს-ის მეორე ნახევრის პერიოდისათვის „შეძლო დაეცვა ქართული ფილოსოფიურ-ღვთისმეტყველური აზრი დაცემისაგან, და იგი, ეს აზრი, წარემართა ახალი ცხოვრებისეული გზით"... მას ღრმად სწამდა, რომ ყოველი მისი საქმიანობა სამშობლოს საკეთილდღეოდ იყო მიმართული. ამიტომაც თავისი ცხოვრების დასასრულს განაცხადა: – „მოვიცალე სხვათა ყოველთა კეთილთაგან და ვერა მოვიცალე საქართველოს მსახურებისაგან". თანამედროვენიც და მომდევნო თაობის წარმომადგენლებიც გაოცებული იყვნენ მისი ენციკლოპედიური ცოდნით... საქართველოში მეცნიერებისა და განათლების აღორძინება ერეკლესა და ანტონის მეცნიერებისადმი უდიდესი სიყვარულის შედეგი იყო: „პირველი იყო ავგუსტი, ხოლო უკანასკნელი მეცენატი და პოლიონი თავისი საუკუნისა" (ნათქვამი ყოფილა 1802 წელს გამოსულ რუსულ წიგნში)[299].

კ. კეკელიძე წერს – „როდესაც ჩვენ ვითვალისწინებთ ანტონის ლიტერატურულ მოღვაწეობას, განცვიფრებაში მოვდივართ, როგორ შეძლო ერთმა კაცმა, რომელიც ამასთანავე პრაქტიკული საქმიანობით იყო დატვირთული, ამდენ თხზულებათა თარგმნა და შეთხზვა... ანტონის სამწერლო მოღვაწეობას, როგორც ჩანს, ბევრი მოწინააღმდეგე ჰყოლია ლიტერატურულსა და მოწინავე წრეებშიც, ბევრი შურით შეპყრობილი მის ასეთ მოღვაწეობას ანგარებას უკავშირებდა, რაც სხვათა შორის, ჩანს „თვენის" წინასიტყვაობიდან, სადაც ანტონი ამბობს, რომ ეს შრომა მე „მიზდისა", ესე იგი სასყიდლისათვის არ მიკისრიაო. „მიზდსა არას მოველი თანამოჟამეთაგან ჩემთა ქართველთა". მე ვიცი, მწარედ შენიშნავს ის, რაც „მიზდი" მომეცა ღრამატიკის, სადღესასწაულოსა და საღმრთო ლიტურგიის შექმნა-განმართვისათვის, იმასვე მივიღებ ახლაცო. სახელდობრ რას? „ესე საზღვარდება დებულება არს კაცთა ვიეთმე სამღვდელოთა, თავხედთა და ყოვლად უმეცართა ჩვენ შორის", – ამბობს ის: „რამეთუ ვისაცა იგი მეცნიერებისა მიმართად გამოაჩენენ თუ რასმე, ქარსა ბორბალსა აღადგენენ მას ზედა და საჭესა ცხოვრებისასა განუტეხენ და მისცემენ ღელვათა წარმტაცებად უფსკრულთადმიო"[300].

სწორედ ასეთი მტრების მიერ იყო მოფიქრებული ცილისწამება თითქოსდა ანტონმა „ვეფხისტყაოსანი" დაწვა.

„ამჟამად მეცნიერებაში საკმაოდ დასაბუთებულია ამ ბრალდების უსაფუძვლობა. ანტონი არ ეკუთვნოდა იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც სხვის თხზულებებს (მით უმეტეს ისეთს, როგორიც „ვეფხისტყაოსანია") წვავდა. პირიქით, წვავდნენ და კრძალავდნენ მის თხზულებებს. სწორედ ამიტომ, სრული საფუძველი გვაქვს ვი-

ფიქროთ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დაწვა (თუ ეს ვერსია საერთოდ სწორია) სწორედ მან, ვინც ამ საქმეში დახელოვნებული იყო, სახელდობრ, ვინც თვითონ ანტონის თხზულებების აკრძალვისა და დაწვისაკენ ისწრაფვოდა“[301].

1788 წელს 68 წლისა გარდაიცვალა ანტონი – საქართველოს დიდი კათალიკოსი, ერეკლეს კარზე დიდად პატივცემული, ქვეყნის სულიერი მამა-მოძღვარი.

როგორც ცნობილია, მღვდელმთავარი თავისი ხელით ეზიარება (მღვდელმთავრის წირვისას მღვდელი თავისი ხელით ვერ ეზიარება, მას მღვდელმთავარი აზიარებს). სიკვდილის პირზე მისულ კათალიკოსსაც მოუკრებია ძალა და თავისი ხელით მიუღია ზიარება (დამსწრე გერმანე თბილელ ეპისკოპოსს ვერ გაუბედნია მამამთავრის ზიარება, თუმცა ანტონს უთხოვია მისთვის) – „მიწევნილი მოხუცებისა შეიქმნა ავად ხველითა, თბილელმან გერმანე ჰსწირა ანჩისხატის ეკლესიაში და მიუსვენა ბარძიმი. დასუსტებული ანტონი წამოსვეს. დაივარცხნა თმანი, შეიკრა კაბის ღილები, შეიმოსა საბუხრები, მოისხა ომოფორი და ეზიარა თვით ხორცსა და სისხლსა ქრისტესსა“[302].

ანტონის ღვაწლს ქართველი ერის წინაშე წარმოაჩენს ის, რომ XIX საუკუნის დიდი სამოციანელები, წმინდა ილია მართალი და მისი თანამოაზრენი – ანტონ კათალიკოსის მემკვიდრენი ყოფილან. „საკმარისია ითქვას, რომ XVIII ს-ში ფილოსოფიური კვლევა-ძიების აღორძინება დაკავშირებულია ანტონის სახელთან. სწორედ ეს დადებითი ტრადიცია გადაეცა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მოღვაწეებს, ე.ი. „სამოციანელებს“. ამდენად ეს უკანასკნელნი ანტონის მემკვიდრეები არიან“[303].

დიდი ოცნება

ქართველი პოლიტიკოსები და შეიძლება ითქვას, მთელი ქართველი ერი XVIII საუკუნეში სულდგმულობდა იდეით, რომელიც ორი სიტყვით გადმოიცემოდა: „გამოხსნა და აღდგომა“. ეს იდეა ამავე დროს მიზანსაც წარმოადგენდა. „გამოხსნის“ ქვეშ მაჰმადიანური ქვეყნების ვასალობისაგან საქართველოს დახსნა იგულისხმებოდა. „აღდგომა“ კი საქართველოს არა მარტო გაერთიანებას, არამედ მის ძველ ტრადიციულ საზღვრებში აღდგენასაც გულისხმობდა (ე.ი. ჭარ-ბელაქანის, მესხეთისა და სხვა მიტაცებული მხარეების შემოერთება). თავისუფლებისათვის თავდადებული და თავდაუზოგავი ბრძოლის წყალობით, ქართველობამ შეძლო ქვეყნის „გამოხსნა“, ანუ თავის დახსნა სპარსეთისა და ოსმალეთის ვასალობისაგან. ეს უდიდესი მიღწევა იყო. ქვეყნის „გამოხსნის“ შემდეგ „აღდგომის“ იდეა რჩებოდა განსახორციელებელი. „გამოხსნის“ უმალვე ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის სახელმწიფოები ისე გაძლიერდნენ, რომ ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები „აღდგომის“ სანეტარო იდეის განსახორციელებელ ქმედებას შეუდგნენ, რასაც ხელს ისიც უწყობდა, რომ ამ დროისათვის სპარსეთიცა და ოსმალეთის ერთ დროს უძლეველი იმპერიაც დასუსტებული იყო.

„ოსმალეთის სახელმწიფო XVIII ს-ის მეორე ნახევარში დაშლის გზით მიექანებოდა. იზმირის,ანკარის, ლაზისტანის,ახალციხისა და სხვა საფაშოები ცენტრალური

ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. კერძოდ, ახალციხის ფაშები თვლიდნენ, რომ ეს მხარე ოსმალეთის უბრალო პროვინცია კი არა, ჯაყელთა სამემკვიდრეო მამული იყო და საქართველოსთან ურთიერთობის შემჭიდროებაზე ფიქრობდნენ“[304].

სამაგიეროდ, ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები გაძლიერდნენ. იმ დროისათვის ერთი გამოჩენილი მოღვაწე კითხვაზე „რამდენად ძლიერია ქართლ-კახეთის მეფე, აღნიშნავდა, რომ ერეკლე ირანის ყველა ხანსა და მფლობელებზე ძლიერია და შაჰის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნებაა. მისი ძალაუფლება საქართველოს გარდა განჯაზე, ერევანსა და ნახიჩევანზე ვრცელდება, ირანის ხანები დაწყებული თავრიზიდან ყოველწლიურად ერეკლეს მდიდარ ძღვენს უგზავნიან მოწიწების ნიშნად, ერეკლეს 50 ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარის გამოყვანა შეუძლიაო...“[305]. და იქვე „განუმარტავდა რუსეთის მთავრობას - ერეკლე მეფის გადმობირებით რუსეთს აღარ ეყოლება მოწინააღმდეგე მთელს აზერბაიჯანში თავრიზამდე, რადგან ერეკლეს პატივისცემით ეპყრობა ყველა იქაური მფლობელიო“, ასე უყურებდნენ მეფე ერეკლეს 1783 წლის ხელშეკრულების დადების წინა პერიოდში.

საკმაოდ გაძლიერებული მეფის უპირველესი ზრუნვის საგანს, როგორც აღინიშნა, საქართველოს „აღდგომა“ წარმოადგენდა, მაგრამ აღმოსავლეთ კახეთის (ჭარ-ბელაქანისა) და მესხეთის (სამცხე-საათაბაგოს) გამოხსნა ლეკებისა და ოსმალებისაგან ერეკლეს არ შეეძლო, მას უთუოდ სხვა რომელიმე სახელმწიფოს დახმარება ესაჭიროებოდა, მით უმეტეს, რომ მის მიზანს დაკარგული ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებაც შეადგენდა. კერძოდ, შაქი, რომელიც ერეკლეს დროს სახანო იყო, ისტორიულად ჰერეთის ნაწილს – საარიშიანოს წარმოადგენდა, მონღოლთა შემოსევების შემდგომაც კი, ქართველთა ეთნიკური განსახლების საზღვარი მდინარე თეთრწყლამდე, ანუ არაქს-მტკვრის შესართავამდე აღწევდა. ამიტომაც შაქის სახანოზე, როგორც საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე, ერეკლე პრეტენზიას აცხადებდა. „აღდგომაში“ ქართველი მეფის ძველი ტიტულატურის აღდგენაც იგულისხმებოდა – „აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა მეფე, შაჰანშა და შირვანშა“. რანში იმ დროისათვის, შესაძლოა, განჯის სახანო იგულისხმებოდა, ზემოთ მოყვანილის გამო ერევნის სახანოს ტერიტორიაც – ერთიანი საქართველოს სახელმწიფოში შემავალ მიწა-წყლად მიაჩნდათ (შაჰანშას ქვეყნის ნაწილი).

„საქართველოს „აღდგომაში“ რომ ამიერკავკასიაში მისი ოდინდელი ჰეგემონობა იგულისხმებოდა, კარგად მჟღავნდება როგორც ვახტანგ VI-ის „ქრისტიანულ პოლიტიკაში“, ისე ერეკლე II-ის პრეტენზიებში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაზე. უნდა ითქვას, რომ ამ პრეტენზიებმა, სათანადო ასახვა ტრაქტატის მუხლებშიც ჰპოვა (იგულისხმება 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთთან), რომელთა მიხედვით რუსეთის იმპერატორი კისრულობდა „დაცვასა ზედა აწინდელისა სამფლობელოთა მისისა უგანათლებულესობისა მეფისა ირაკლისა“ (ამასთან დაკარგული ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებასაც). ტრაქტატში ქართველი მეფე იწოდებოდა, აგრეთვე, შაქისა და შირვანის მთავრად და განჯისა და ერევნის მფლობელად და მბრძანებლად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, „აღდგომაში“ იგულისხმებოდა როგორც „ოქროს ხანის“ საგარეო წარმატებები, ისე ქვეყნის შინაგანი „წყობა და გარიგება“[306].

„აღდგომა“, როგორც აღინიშნა, მთელი საქართველოს გაერთიანებასაც გულისხმობდა: ეროვნული ერთიანობის იდეა საქართველოში მარად არსებობდა, და იგი უთუოდ შეძლებდა გაერთიანებას, როგორც ამას „ივერიელ მეფეთა და მთავართა“ შორის 1790 წელს დადებული „ერთობის ტრაქტატი“ უჩვენებს, თუ არა იმედგაცრუება იმ სახელმწიფოს მხრიდან, რომლის შემწეობითაც ქართველ პოლიტიკოსებს საქართველოსთვის „ოქროს ხანის“ აღდგენა სურდათ. ამ სახელმწიფომ – რუსეთმა არ აღადგინა ამიერკავკასიაში გადაშლილი ქართული სახელმწიფო. ქართული სახელმწიფოები რუსეთთან ურთიერთობას განსაკუთრებით მაშინ აღრმავებდნენ, როცა მათი პოლიტიკური მდგომარეობა გარკვეულად გაუმჯობესებული იყო. მათ სწორედ მიღწეული მდგომარეობის განმტკიცება ესაჭიროებოდათ რუსეთის დახმარებით. ასე ყოფილა ვახტანგ VI-ისა და პეტრე პირველის ურთიერთობისა და თეიმურაზ-ერეკლეს დროსაც, რომელთაც 1752 წელს აღუნიშნავთ კიდეც დედოფალ ელისაბედისადმი გაგზავნილ წერილში: „ხოლო ვინათგან აწ მყოფსა ამას ჟამსა აღარავინ არს უსჯულოთა მეფეთაგანი უფალი ჩვენზედა... აწ არს ჟამი გამოხსნისა ჩვენისა და დღე აღდგომისა ჩვენისა“. მართლაც, ამ დროისათვის ქართლ-კახეთის სამეფოს გავლენა, არათუ მთელს საქართველოზე, არამედ ამიერკავკასიაშიც ეჭვს არ იწვევდა. შეინიშნება ერთობ საგულისხმო მოვლენა: 60-იანი წლების ელჩობაც რუსეთში ისეთ დროს გაიგზავნა, როცა ერეკლე II-ის პოლიტიკური ზეგავლენა ფაქტობრივად მთელ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ვრცელდებოდა. აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური მდებარეობა გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების ხანაშიც მეტად მტკიცედ გამოიყურებოდა, უფრო ადრე კი ვახტანგ VI-ისა და პეტრე I-ს შორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი მაშინ დამყარდა, როცა ქართველი მეფის გავლენა არათუ მთელ საქართველოზე, არამედ ქრისტიანულ ამიერკავკასიაზეც უდავო იყო. ერთი სიტყვით, ვახტანგ VI და ერეკლე II რუსეთთან ურთიერთობას საკუთარი სამეფოს ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის პერიოდებში ააქტიურებდნენ, რაც თავისთავად ააშკარავებს მათი პოლიტიკური გეგმის შორს გამიზნულ ხასიათსა და ფართო მასშტაბებს; ასეთი გეგმების განხორციელება თუნდაც ძალზე დიდი და ძლიერი სახელმწიფოს დახმარებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ პოლიტიკური ერთეული თვით იქნებოდა ანგარიშგასაწევი ძალა. ფიზიკური განადგურების პირას მდგომ დასუსტებულ ქვეყანას რაიმე მნიშვნელოვანი წარმატების იმედი არ შეიძლება ჰქონოდა და არც მის მოკავშირეობას ისურვებდა ვინმე[307].

მართლაც, XVII ს-ის 20-იან წლებში ვახტანგ VI-ისა და პეტრე I-ის ურთიერთობის დამყარების დროს ქართველ მეფეს არათუ ამიერკავკასიაში, თვით ირანის იმპერიაშიც კი დიდი გავლენა ჰქონდა.

ამავე საუკუნის 60-იან წლებშიც, რუსეთთან კავშირის დამყარებისას ქართული სახელმწიფო საკმაოდ გაძლიერებული იყო. სულ მალე ქვეყანას უბედურება ეწია. იგივე ვითარება იყო გეორგიევსკის ხელშეკრულების წინა ხანებშიც – ჩვენი ქვეყანა დიდად იყო გაძლიერებული, „ტრაქტატის“ წყალობით კი მალე დაუძლურდა, ასევე მოხდა აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლის დროსაც. ისმის კითხვა, რატომ

მიისწრაფოდა საქართველო მარად რუსეთისაკენ, რამდენჯერმე ხომ ის მწარედ დაისაჯა ამის გამო? ივ. ჯავახიშვილის აზრით, საგარეო ორიენტაციის საკითხებში ქართველები პოლიტიკურ მომგებიანობაზე წინ სარწმუნოებრივ გრძნობებს აყენებდნენ. გულმხურვალე სარწმუნოება, მტკიცე ქრისტიანობა და სიყვარული მართლმადიდებლობისა ქართველებს მარად აფიქრებინებდა კავშირი შეეკრათ ერთმორწმუნეებთან, მით უმეტეს, რომ რუს მორწმუნე ხალხს ძლიერი სახელმწიფო ჰქონდა, ამიტომ, მას ქრისტიანული ზნეობა ავალდებულებდა, მაჰმადიანურ ოკეანეში მოქცეული თანამორწმუნეების თვითმყოფადობა განემტკიცებინა. სამწუხაროდ, ქართველთა სარწმუნოებრივი გრძნობები შეურაცხყო რუსეთის იმპერიამ ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობით, ამან საბოლოო ჯამში ქართველთა მხურვალე სარწმუნოებაც გაანელა XIX-XX სს-ში. XVIII ს-ში ქართველთა ქრისტიანულ სითბოს რუსი პოლიტიკოსები თავიანთი მიზნის მისაღწევად იყენებდნენ.

ივ. ჯავახიშვილი წერს: „ქართველებს შორითგან გაგონილი ჰქონდათ რუსთა მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობა და ეჭვი არ ებადებოდათ, რომ რუსეთი ქართველთა სულისკვეთებას ადვილად გაიგებდა და მათს თავგანწირულს ბრძოლაში სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ წრფელის გულით ძლიერს დახმარებას გაუწევდა.

რუსეთის მთავრობას და პოლიტიკოსებს არ გამოჰპარვიათ ქართველთა ამგვარი პოლიტიკური გულუბრყვილობა. მთელი მათი პოლიტიკა საქართველოს მიმართ, როდესაც კი რუსეთის სამხედრო თვალსაზრისით ქართველთა ძალის გამოყენება ოსმალეთის, ან სპარსეთის წინააღმდეგ საჭიროდ მიაჩნდათ, სწორედ ქართველთა ამ სუსტ გრძნობებსა და გულუბრყვილობაზე იყო ხოლმე დამყარებული. „ქართველებს მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობა აქვთ და ამაზეა დამყარებული მათი გულმოდგინება სრულიად რუსეთის კარისადმი და კეთილმოსურნეობა რუსი ხალხისადმიო“, – ასე ამბობდნენ რუსეთის მთავრობის წარმომადგენლები, და ამ ქართველთა მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობის საშუალებით ცდილობდნენ და ახერხებდნენ კიდეც ქართველების იმდენად მოჯადოებას, რომ რუსეთის პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინათ. როცა რუსეთისათვის საჭირო იყო, მაშინ მას აგონდებოდა, რომ ქართველები მხურვალე ქრისტიანები იყვნენ... ასე იყო ხოლმე, სანამ საქართველოს არ შეაცდენდა და თავის სამხედრო გეგმის მიხედვით ოსმალეთთან ან სპარსეთთან ომში, რომელსაც იგი განიზრახავდა, არ ჩარევდა, მაგრამ რა წამს რუსეთს თავისი პირადი მიზანი მიუღწევლად მიაჩნდა, ან ომის გაგრძელებას თავისათვის ხელსაყრელად აღარ სთვლიდა, ის საქართველოს უყოყმანოდ მიატოვებდა ხოლმე და მაშინ მას ყველაფერი ავიწყდებოდა, ქართველთა ქრისტიანობაც და გაჭირვებაც. ასეთ შემთხვევაში ის იმაზეც კი აღარ ფიქრობდა, რომ საქართველო სწორედ მისი წყალობით და მისი მოქმედებით წინანდელზე უფრო უარესსა და უმწეო მდგომარეობაში ვარდებოდა ხოლმე“[308].

რუსეთ-ოსმალეთის ომის წინ ქართული სახელმწიფოს უზენაესობას აღიარებდნენ ვრცლად გაშლილ ტერიტორიაზე (ვიდრე არაქსამდე) არსებული სახელმწიფოებრივი ერთეულები. 1760 წ-ის დეკემბერში ერეკლემ ყარაბაღის ხანს ძლიერი

დამარცხება აგემა, განჯაზე ბატონობა განამტკიცა, ხოლო თვით ყარაბაღელი ხანი ფანა თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია. ქართლ-კახეთის უზენაესობა საჯაროდ აღიარეს აგრეთვე შაქის, შამახიის, ყარაბაღისა და ნახიჩევანის მფლობელებმაც. კიდევ უფრო განმტკიცდა ერეკლეს მბრძანებლობა სომხეთში[309].

აღსანიშნავია, რომ თითქმის მთელი XVIII ს-ის განმავლობაში ჩრდილო აზერბაიჯანი და სომხეთი, ანუ ის ტერიტორია, რომელსაც სამხრეთიდან მდინარე არაქსი საზღვრავდა, ქართული სახელმწიფოს გავლენის სფეროს და ზოგჯერ ვასალურ მხარეებსაც კი წარმოადგენდნენ. ამ რეგიონს შემდგომ რუსულმა ხელისუფლებამ „აღმოსავლეთი ამიერკავკასია“ უწოდა, სპარსეთი კი მას აღნიშნულ ეპოქაში „გურჯისტანს“ უწოდებდა. სპარსი ხელისუფალი – „გურჯისტანის ვალი“ ძალზე ხშირად სწორედ აღნიშნული მხარის გამგებელი იყო („გურჯისტანის ვალებად“, როგორც წესი, ქართველი მეფეები – „ხანები“ – ინიშნებოდნენ. სპარსეთში სულ ოთხი „ვალი“ იყო, რომელთა მონაწილეობა შაჰის კორონაციაში აუცილებლობას წარმოადგენდა).

არა მარტო „ვალები“: როსტომ-ხანი, შაჰ-ნავაზ V, ვახტანგ VI, არამედ უფრო ადრეც ქართველი მეფეები (თეიმურაზ I და სხვები) თავიანთ გავლენას ძალზე ხშირად მდინარე არაქსამდე ავრცელებდნენ.

რუსეთის ხელისუფლებამ XIX ს-ის დასაწყისში აღნიშნული მიწა-წყალი სპარსეთის იმპერიას ჩამოაცილა (ანუ ტერიტორია მდინარე არაქსამდე). რუსეთს ამის უფლებას თითქოსდა ის ანიჭებდა, რომ მასთან „შეერთებულ“ ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გავლენის სფერო არაქსამდე აღწევდა (ყოველ შემთხვევაში განჯისა და ერევნის სახანოები ერეკლეს მოხარკენი იყვნენ, ხოლო შაქსა, შირვანსა და ყარაბაღზე მეფე პრეტენზიას აცხადებდა და ზოგიერთ უფლებასაც ახორციელებდა).

როგორც აღინიშნა, აღნიშნულ მხარეს, ანუ აღმოსავლეთ ამიერკავკასიას სპარსეთში ზოგადად „გურჯისტანს“ უწოდებდნენ და ეს მხარე რუსეთმა (ქართლ-კახეთის შემდგომ) თავის იმპერიას შეუერთა (საზოგადოდ იმ ეპოქისათვის აზერბაიჯანი – ძირითადად არაქსის სამხრეთით მიმდებარე ქვეყანას ერქვა).

1763 წლისათვის „ირანის ახალმა მბრძანებელმა ერეკლე ქართლ-კახეთის მეფედ აღიარა, იგი შეურიგდა აგრეთვე ქართველი მეფის გავლენას ამიერკავკასიის სახანოებზე (ქერიმ-ხანს ამიერკავკასიის ხანებისათვის ბრძანებები გაუგზავნია, რომ ერეკლეს მორჩილებაში ყოფილიყვნენ[310]). ირანსა და საქართველოს შორის პოლიტიკური საზღვარი კვლავაც მდ. არაქსზე გადიოდა“[310]. გარკვეული ცვლილებებით ძირითადად ასევე იყო XIX ს-მდე. როგორც ითქვა, სწორედ ქართული სახელმწიფოს გავლენის სფეროში მყოფი ეს მხარეები შეუერთა რუსეთმა თავის იმპერიას და საქართველოსა და სპარსეთს შორის მდინარე არაქსზე გამავალი საზღვარი რუსეთსა და სპარსეთს შორის საზღვრად იქცა.

რუსეთი, რომელსაც ამიერკავკასიის მიერთება ჰქონდა დაგეგმილი, ყველა ხერხს ხმარობდა ერეკლეს სახელმწიფოს დასუსტებისათვის. როცა ერეკლემ ჯერ 1778 წლისათვის განჯაში თავისი „გუბერნატორი“ დასვა, ხოლო შემდეგ ერევნის სახანოს უშუალოდ საქართველოსთან შემოერთებისათვის დაიწყო მოქმედება, რუსეთმა ეს პროცესი შეაფერხა.

„1779 წ-ს ქართლ-კახეთის ჯარებმა ერევნის სახანო დალაშქრეს. როგორც ჩანს, ერეკლე ერევნის სახანოს უშუალო შემოერთებისათვის იბრძოდა. ამ განზრახვას საკმაოდ ღრმა მიზეზები ჰქონდა. სომხეთის ეს მხარე მაშინ საერთაშორისო ინტრიგების ხლართში მოქცეულიყო. ერეკლეს, რა თქმა უნდა, არ სურდა, რომ ერევანში ირანის უშუალო ბატონობა აღმდგარიყო. მისთვის არც ის იყო მისაღები, რომ ამ დროს სომეხი პოლიტიკური მოღვაწეები ერეკლესაგან დამოუკიდებლად აბამდნენ კავშირს რუსეთთან და რომანოვთა სახელმწიფოს თაოსნობით ცდილობდნენ ამიერკავკასიაში სომხეთ-ალბანეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღდგენას. ერეკლეს არ შეეძლო, გულგრილი ყოფილიყო ერევნის სახანოს პოლიტიკური მდგომარეობისადმი... ერევნის სახანოს უშუალო შემოერთებისათვის ბრძოლა გამოწვეული იყო აგრეთვე ერევნის ხანის საქციელით. იგი უარს ამბობდა ერეკლეს მორჩილებასა და ხარკზე, კავშირს აბამდა მის პოლიტიკურ მტრებთან. 1779 წ-ის აგვისტოში ერეკლეს ჯარებმა ერევანს ალყა შემოარტყეს... ერეკლემ ერევანში ხანის გვერდით თავისი გუბერნატორი დააყენა. 1780 წ-ს ერეკლეს კვლავაც მოუხდა ერევანს ლაშქრობა და იქ თავისი ბატონობის აღდგენა, ერევნის საკითხის გართულების ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი, როგორც ჩანს, რუსეთთან ურთიერთობის გაუარესება იყო“[311]. სწორედ იმ მომენტში, როცა ერეკლე მეფე ერევანში იბრძოდა, რუსეთმა „აუშვა“ ალექსანდრე ბაქარის ძე – „კანონიერი“ მემკვიდრე ქართლის სამეფო ტახტისა. მან მრავალი მოწინააღმდეგე მიიმხრო ერეკლე მეფისა და შეძლო „საქართველოს არევა“. ალექსანდრე ბაქარის ძის ზურგში რუსეთის დიპლომატები იდგნენ. „ეს გასაგებიც იყო,რადგან თვითმპყრობელური იმპერია, იმ შემთხვევაში, თუ ქართლ-კახეთისა და ოსმალეთის კავშირი განხორციელდებოდა და ერეკლე გაძლიერდებოდა, ამიერკავკასიაში გავლენას უნდა გამოთხოვებოდა“[312].

ამიერკავკასიაში ერეკლეს გავლენის შემცირებისა და საკუთარი უფლებების გაზრდისათვის რუსეთის დიპლომატია სხვადასხვა ხერხს იყენებდა, რუსეთს აშფოთებდა ქართული სახელმწიფოს გაძლიერება: „ჩანს, რუსეთის კარი შეშფოთებულია ერეკლეს პოლიტიკური ნაბიჯებით. უეჭველია, რუსეთი შეეცდება სათანადო ღონისძიებანი მიიღოს, რომ ერეკლეს გეზი შეაცვლევინოს (ჩერქეზ გადმოსახლებულთა დაკავება, ჩერქეზ-ყაბარდოელთა გადმოსახლებისათვის ქართლ-კახეთში დიდი მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობდა. ეს საქმე ჩაშალა რუსეთის იმპერიამ...), ალექსანდრე ამილახვარის აშვება, ალექსანდრე ბაქარის ძის ფათალი-ხანთან გაჩენა და თვით ფათალი-ხანის აქტიურობა ერეკლეს წინააღმდეგ – ყველა ეს რუსეთის მეფის მიერ მიღებული კონტრზომები ჩანს“[313]. „...უცილობელია, რომ მეფის რუსეთმა ჩაშალა ერეკლეს დიდი ღონისძიება – ყაბარდოელთა ერთი ნაწილის გადმოსახლება საქართველოში. ქართლ-კახეთის სახელმწიფომ ამით მნიშვნელოვანი სამხედრო რეზერვები დაკარგა. ეს იყო 1778 წლის კრიტიკულ მომენტში, როცა „ერეკლეს მოაკლდა ის ძალა, რომლითაც იგი ხშირად წარმატებით იგერიებდა მტრის საშიშ შემოსევებს“[314].

ერეკლემ ერევნის სახანო უშუალოდ თავის სახელმწიფოს ვერ შემოუერთა ზემოაღნიშნული მიზეზების გამო – „აღდგომის“ პროგრამის ერთი ნაწილი ჩაიფუშა.

„...რუსეთის იმპერია უკვე საზღვარს უდებდა ერეკლეს გაძლიერებას, რომლის დამოუკიდებელი პოლიტიკაც მას აღარ აწყობდა. ერეკლეს სახელმწიფოს უყურებდნენ მხოლოდ როგორც საშუალებას იმპერიის ბატონობის გავრცელებისათვის ამიერკავკასიაში“[315].

რუსეთი ერეკლეს ევროპასთან ურთიერთობასაც ზღუდავდა: „კანცლერი ბეზბოროტკო ერთ თავის ინსტრუქციაში ერეკლეს აღნიშნული ურთიერთობების გამო უკმაყოფილებას ვერ მალავდა, ქართლ-კახეთის დიპლომატები უკვე გრძნობდნენ, რომ რუსეთის იმპერია დღეს თუ არა ხვალ მაინც ერეკლეს სახელმწიფოს მოაკითხავდა“[316].

რადგან რუსეთის იმპერიას თავისი საზღვრების გაფართოების მიზანსწრაფული გეგმა ჰქონდა, საქართველოსაც თავის მომავალ მიწა-წყლად განიხილავდა (ისევე როგორც ნებისმიერ ქვეყანას, რომლის დაპყრობასაც შეძლებდა). ამით იყო გამოწვეული ჯერ კიდევ 60-იან წლებში ტოტლებენის მოქმედება: „...რუსეთს არავითარი სურვილი არ ჰქონდა, რომ საქართველოს გულისათვის ოსმალეთს და სპარსეთს წასჩხუბებოდა, მშვიდობიანობა იყო და საქართველო მაშინ რუსეთს არ ესაჭიროებოდა, მაგრამ 16 წლის შემდეგ, 1768 წ-ს, როცა ოსმალეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა და რუსეთი უნებლიეთ უნდა ბრძოლაში ჩაბმულიყო, მაშინ მისთვის საქართველო, რასაკვირველია, ძალიან გამოსადეგი იქნებოდა და ამიტომ საქართველოს არსებობაც გაახსენდა, რუსეთის სამხედრო გეგმა ისე იყო შედგენილი, რომ ოსმალეთთან ომში ბერძნები, სლავები და საქართველოს სამეფოებიც უნდა ყოფილიყვნენ ჩართულნი, მაგრამ ქართველების გარდა სხვებმა ყველამ სიფრთხილე და წინდახედულება გამოიჩინეს და რუსეთის მთავრობის დაგებულ ქსელში არ გაებნენ“[317].

რუსეთის მთავრობამ შეძლო საქართველოს ჩაბმა ოსმალეთთან ომში. „სოლომონ I ომში ჩაება. ის ფიქრობდა რუსეთის ჯარის დახმარებით დაემორჩილებინა იმერეთის ურჩი მთავრები და თავადები. დაებრუნებინა თურქების მიერ მიტაცებული ქართული მიწები და საბოლოოდ განედევნა საქართველოდან ოსმალო დამპყრობლები. ერეკლე მეორე იმედოვნებდა, რუსეთის დახმარებით დაებრუნებინა ოსმალთა მიერ მიტაცებული სამცხე-ჯავახეთი. დაემორჩილებინა ჭარ-ბელექანი და აღეკვეთა ლეკთა თარეში“[318].

მაგრამ „საქართველოში რუსთა ჯარის ყოფნამ ერეკლეს სამეფოს სარგებლობა ვერ მოუტანა. ამ ჯარის გენერლები ქვეყნის მოღალატეებთან უფრო ახლოს იყვნენ, ვიდრე მეფეებთან“[319].

„აღდგომის“ საკუთარი გეგმის თანახმად, ერეკლეს მთავარ მიზანს მესხეთის დედასამშობლოსთან დაბრუნება წარმოადგენდა, რუსების მიზანიც თითქოსდა ოსმალთა დამარცხება იყო, მაგრამ როგორც საქმემ წარმოაჩინა, მთლად ასე როდი იყო. 1770 წლის 17 აპრილს ქართველებისა და რუსეთის ლაშქარი აწყურს მიადგა: „ერეკლე მეორის გეგმით ლაშქარი ახალციხის მიმართულებით უნდა წასულიყო და მესხეთის განთავისუფლება დაეწყო. ერეკლეს უნდა დაესწრო ახალციხის ფაშისათვის, ვიდრე ის დამხმარე ლაშქარს მიიღებდა. ამავე დროს საქართველოში უნდა ჩამოსულიყო რუსთა დამხმარე ჯარის დანარჩენი ნაწილები. ტოტლებენი კი აწყურის ციხის აღებას კატეგორიულად მოითხოვდა... 19 აპრილს ტოტლებენმა მოულოდნელად შეწყვიტა ბრძოლა და აწყურს გაეცალა. ერეკლესა და მოურა-

ვოვის თხოვნამ ტოტლებენზე არ გასჭრა... გენერალმა ტოტლებენმა მალე გამოამჟღავნა ფარული გეგმები. მან იცოდა, რომ ზოგიერთი ქართველი თავადი მეფეს ოპოზიციაში ედგა და მათი დახმარებით გადატრიალების მოწყობა გადაწყვიტა. ტოტლებენს ეგონა, რომ ქართლის ხელში ჩაგდებასა და ერეკლეს დამხობას ადვილად მოახერხებდა. მან დაიწყო ქართლის ციხე-ქალაქების დაკავება და მოსახლეობას რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე ძალით აფიცებდა"[320].

ერეკლე ორმხრივი მტრით გარშემორტყმული აღმოჩნდა, რუსეთის გენერლობა ოსმალეთის ნაცვლად ფაქტობრივად მასთან ომობდა და ამავე დროს „რუსეთისავე წყალობით და რუსთა გულისათვის ოსმალეთთან ომში ჩათრეული აღმოჩნდა. საქართველო რუსთა ჯარის სარდლის მიერვე მრავალრიცხოვანი მტრის წინაშე მუხანათურად მარტოდმარტო იყო დატოვებული. საშინელი მდგომარეობა შეიქმნა, მაგრამ ამ უაღრეს განსაცდელის დროსაც ერეკლე მეფის დიდებულმა სამხედრო ნიჭმა იხსნა ჩვენი ერი და სამშობლო სხვაფრივ აუცილებელი განადგურებისაგან: მცირე ლაშქრითურთ მან სამხედრო გეგმისა და ხერხის წყალობით რუსთა მოქმედებით გათამამებული ოსმალოთა მრავალრიცხოვანი ჯარი ჯერ ადგილობრივ, შემდეგ ს. ასპინძასთან საშინლად დაამარცხა და მთლად მოსპო"[321].

ერეკლეს მიერ ოსმალთა დამარცხებით ისარგებლა სოლომონ მეფემ და თურქეთისაგან გაათავისუფლა ცუცხვათისა და შორაპნის ციხეები, დაიკავა ქალაქი ქუთაისი და მის ციხეს ალყა შემოარტყა. ივლისში სოლომონი და ტოტლებენი ბაღდადის ციხეს შემოეწყვნენ და ქუთაისის ციხეს შეუტიეს; თურქი მეციხოვნეები გაიპარნენ. „მალე ტოტლებენსა და სოლომონს შორისაც გამწვავდა ურთიერთობა. ჯიუტი გენერალი მეფის გონიერ წინადადებებს არ იღებდა"[322]. ამას ისიც დაერთო, რომ რუსეთის წარმომადგენელნი ერეკლეს ოსმალეთის საწინააღმდეგოდ ალაშქრებდნენ, მაგრამ გამარჯვებით მოპოვებულის გამოყენებას უკრძალავდნენ. მაგალითად, 1771 წელს ერეკლე ახალციხის საფაშოს შეესია და ხერთვისის ციხე და ქალაქი აიღო, მაგრამ როდესაც ციხეში თავისი მეციხოვნენი ჩააყენა, რუსეთის წარმომადგენლებმა ამას წინააღმდეგობა გაუწიეს, ერეკლეს ჯარები გააყვანინეს, ხოლო შემდგომ, კერძოდ 1772 წელს, კიდევ იმდენი მოახერხეს, რომ ერეკლე მეფეს ჩააგონეს, „ერთხელ კიდევ დაჰკარ ხვანთქარის მამულსაო" და მანაც სოლომონ მეფეც მოიმხრო და შეერთებულის ლაშქრით... მოარბიეს ახალციხის, არტაანისა და ჯავახეთის ოლქები"[323]. 1772 წელსვე რუსეთმა თავისი ჯარები გაიყვანა საქართველოდან: „ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში უნდა ჩავარდნილიყო რუსეთის წყალობით ოსმალეთთან ომში ჩაბმული საქართველო, როდესაც ეკატერინე II-ის ბრძანებით რუსეთის მცირერიცხოვანმა ჯარმაც კი საქართველო მიატოვა. თვით ხონთქარი ხომ, რასაკვირველია, საქართველოზე განრისხებული იყო და რაკი „გამძვინდა მეფის ირაკლის ზედა", არც ფული, არც ჯარები დაუზოგავს, რომ ჩვენი ქვეყნისათვის ომში ჩარევისათვის სამაგიერო გადაეხადა. ოსმალებმა ფულით ლეკებიც საქართველოზე აამხედრეს და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან დაღესტნელები, სამხრეთ-დასავლეთითგან ოსმალები ქვეყანას მოსვენებას არ აძლევდნენ და აოხრებდნენ... როდესაც სპარსეთის შაჰის მოადგილემ ქერიმხანმა „სცნა

მეფის ირაკლისაგან რუსეთის იმპერიასა საფარველსა ქვეშე შესვლა, განძვინდა ამისათვის“ და საქართველოს წინააღმდეგ ჯარითურთ წამოვიდა. აი, რა მდგომარეობაში ჩააგდო რუსეთის მთავრობამ საქართველო თავისი სამხედრო გამარჯვების გულისათვის“[324].

საქართველოსათვის ამ მავნე კამპანიას კიდევ უფრო სერიოზული შედეგი მოჰყვა – თურქეთმა მიიტაცა და ოსმალეთის იმპერიას უშუალოდ მიუერთა ქართული მიწა-წყალი – „ქვემო გურია“ – ქობულეთის მხარე. 1772 წლისათვის „საქართველოდან რუსეთის ჯარის გასვლას თურქთაგან გურიის სამთავროს ერთი ნაწილის - ქობულეთის მხარის მიტაცება მოჰყვა“[325]. ეს იყო რუსეთის ფოთზე წარუმატებელი შეტევისა და გურიის საშინაო საქმეებში რუსი გენერლების უხეში ჩარევის შედეგი. ზღვისპირეთში თავიანთი პოზიციების კიდევ უფრო განმტკიცების მიზნით თურქები გურიის დაპყრობას შეუდგნენ: „თურქები ქობულეთის მხარეში ციხისძირიდან შემოიჭრნენ. იმავე დროს გამაჰმადიანებულმა აჭარელმა ფეოდალებმა აჭარა-გურიის ქედი გადმოლახეს და ხინოს მხარე დაიკავეს. ხინოწმინდელი ეპისკოპოსი იოანე წუწუნავა იძულებული გახდა სამწყსო მიეტოვებინა და საჯავახოში გადასულიყო. მალე თურქებმა ქობულეთის მხარე დაიკავეს, დაარბიეს, ეკლესიების მეტი ნაწილი ააოხრეს და ამ მხარეში გაბატონდნენ... მაქსიმე თავდგირიძე გაამაჰმადიანეს, სულეიმანი უწოდეს და მოგვიანებით ქობულეთის მხარის გამგებლად (ბეგად) დანიშნეს... დამპყრობლებმა მაშინვე დაიწყეს ისლამის გავრცელება, ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ, „გათათრება“, მაგრამ მოსახლეობის ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდნენ... ქვემო გურია თურქებმა საბოლოოდ მხოლოდ XIX ს-ის პირველ ნახევარში დაიმორჩილეს. მანამდე ეს მხარე, სადაც ძალაუფლება გამაჰმადიანებულ ადგილობრივ ფეოდალთა ხელში დარჩა, არსებითად „უბატონო თემს“ წარმოადგენდა... ქობულეთის მხარის რამდენიმე სოფელი დიდხანს, XIX ს-ის 30-იან წლებამდე, ქრისტიანობას იცავდა და გურიის მთავრის ხელისუფლებას ექვემდებარებოდა. მიწისმფლობელობის ქართული წესების მოშლა ქვემო გურიაში დამპყრობლებმა ვერ შეძლეს. მრავალი მოსახლე ფარულად ქრისტიანდებოდა“[326].

ერეკლეს მიზანს ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმისას მესხეთის შემოერთება და საქართველოს ისტორიულ საზღვრებში აღდგენა წარმოადგენდა, ამიტომაც რუსეთის გამო სასტიკად დაზარალებული ერეკლე ოსმალეთთან ხელშეკრულების დადებისას რუსეთის მთავრობას სთხოვდა, ხელშეკრულებაში ამ ტერიტორიის შესახებაც ყოფილიყო ნათქვამი, ამისათვის ელჩობაც გაგზავნა რუსეთში, მაგრამ 1774 წელს იმედგაცრუებული ელჩები უკან დაბრუნდნენ.

ქართველ მეფეს ისღა დარჩენოდა, შემოჯარულ მტრებს თვითონ გამკლავებოდა თავისი ძალებით. ამიტომაც მან 1773 წლისათვის „მორიგე ჯარი“ შექმნა, რომლის მეოხებითა და „დიდი დიპლომატიური ნიჭის წყალობით“ მტრები დაამშვიდა. მისი სამეფო გაძლიერდა, ისევე როგორც იმერეთის სამეფო, რომელსაც „ქრისტესათვის მრავალგზის სისხლდათხეული“ მეფე სოლომონ I მართავდა.

სოლომონი არ შეურიგდა თურქთა მიერ ქვემო გურიის მიტაცებას და მის გასათავისუფლებლად გაილაშქრა: „იმერეთ-გურიის ლაშქარმა ადვილად დაიკავა

ქობულეთის მხარე, აიღო სიმაგრე და დაანგრია იგი. მეფის ბრძანებით, ქობულეთში ჩასახლებული უცხოელები გაჟლიტეს, ნაქალაქარი გადახნეს და იქ მარილი დათესეს, რომ ოსმალთა ეს საყრდენი ბუდე აღარ გაცოცხლებულიყო. ამის შემდეგ სოლომონ I-ის ლაშქარმა აღმოსავლეთიდან გვერდი აუარა ციხისძირის ძლიერ სიმაგრეს, ჩაქვის მხარეში შეიჭრა, იქიდან თურქები გარეკა და შემდეგ ბათომამდე მიაღწია"[327]. სამწუხაროდ, მტერმა უკან მობრუნებულ სოლომონს ციხისძირთან მწარე დამარცხება აგემა. ქვემო გურია კვლავ თურქებმა დაიკავეს და „გურიის ქრისტიანულ ნაწილსაც შეუტიეს. ამის შემდეგ, 1878 წლამდე, ქვემო გურია ოსმალთა ბატონობის ქვეშ გმინავდა"[328]. თუ რაოდენ დამღუპველი იყო ქართველთათვის ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოშლა, ეს ქვემო გურიის მაგალითიდანაც ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ ის სულ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში იმყოფებოდა თურქთა ბატონობის ქვეშ, ამ მხარეში მაჰმადიანობა დამკვიდრდა და ძველი, მამაპაპეული სარწმუნოების, ქრისტიანობის აღდგენა დღემდე ვერ მოხერხდა. გამაჰმადიანების შემდეგ ქვემო გურულებს მეზობელი მაჰმადიანური მხარის სახელწოდების მიხედვით და იმის გამოც, რომ მას აჭარელი წარმოშობის ბეგები მართავდნენ, აჭარლები უწოდეს.

სოლომონის გაძლიერებას ხელს უშლიდნენ დასავლეთ საქართველოს სეპარატისტი მთავრები, – განსაკუთრებით კი დადიანი. „იმერეთ-სამეგრელოს მორიგებას დიდად შეუშალა ხელი ტოტლებენმა, რომელმაც ერთმანეთს წაჰკიდა მეფე-მთავრები[329]. მაგრამ 1776 წლისათვის დადიანსა და მეფეს შორის მორიგება მოხდა. „სოლომონის მოთხოვნით დადიანმა აკრძალა ტყვის ყიდვა და ხელი აიღო იმერეთის კათალიკოსისადმი ურჩობაზე"[330]. ასევე მოიქცა გურიელიც. „1776 წელს კვლავ გამთავრებულმა გიორგი V-მ საეკლესიო საქმეები მოაწესრიგა და ტყვის ყიდვა აკრძალა"[331].

დასავლეთ საქართველოში ქრისტიანულ ეკლესიას დიდი გავლენა ჰქონდა. თუკი აღმოსავლეთ საქართველოს მეფეები და გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწეები იძულების გამო ზოგჯერ ტოვებდნენ ქრისტიანობას და მუსულმანდებოდნენ, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართაგან თითქმის არავინ გამაჰმადიანებულა (აფხაზეთის მთავრის გამოკლებით) – ისინი მტკიცე ქრისტიანები იყვნენ. „მიუხედავად იმისა, რომ მთავრები XVIII ს-ის 70-იან წლებამდე (და ზოგ შემთხვევაში შემდეგაც) თავს სულთანის ვასალებად აღიარებდნენ, არც ერთი მთავარი, გარდა აფხაზეთის მთავრისა, არ გამაჰმადიანებულა. სულთანი იძულებული ხდებოდა ქართველთაგან აღებული ხარკით დაკმაყოფილებულიყო..."[332].

საერთოდ კი, მეფის ხელისუფლების გაძლიერებისათვის ეკლესია დიდად ზრუნავდა: „დასავლეთ საქართველოს ეკლესიის უზენაესი საჭეთმპყრობელი – იმერეთის კათალიკოსი მეფის გვერდით იმყოფებოდა და რელიგიური თუ წმინდა ეკონომიკური მოსაზრებით მეფის მხარეზე იყო"[333]. ეს ასე იყო საზოგადოდ, რამდენადმე გამონაკლისია მაგალითი ბესარიონ კათალიკოსისა, რომელიც თავის ძმას, რაჭის ერისთავს, როსტომს, მიემხრო და ხელს უწყობდა მას მეფესთან ომისას. სოლომონმა ორივეს დამარცხება შეძლო. კათალიკოსი ბესარიონი ბიძა იყო დადიანისა, რომელმაც იგი

შეიფარა და „სამეგრელოს კათალიკოსად“ გამოაცხადა. მაგრამ საბედნიეროდ მდგომარეობა ბესარიონის გარდაცვალებისთანავე გამოსწორდა.

სოლომონის უმთავრეს დამსახურებად ქრისტესათვის სამსახური ითვლებოდა. მას „ქვეყანასა ჩვენთა უსჯულოთა მაჰმადიანთა ძირითურთ აღმომფხვრელი და ქრისტესათვის მრავალგზის სისხლდათხეული, იმერთა მეორე აღმაშენებელი“ ეწოდა სოლომონ II-ის მიერ. სოლომონ I-მა თავის სამეფოდან განდევნა „ბილწი მაჰმადიანნი და იწვადა ხმალი მისი ძლიერი ზურგთა მათ ზედა და შეღება მიწა საძაგითა სისხლითა მათითა და გარდააგდო ტყვეთა სყიდვა... განაშვენა სამღვდელონი, აღაყვავა ეკლესიანი ყოველნი“[334].

რადგანაც „აღდგომის“ პროგრამის განხორციელება (ისტორიული საზღვრის აღდგენა – სამცხე-საათაბაგოს დაბრუნება) ერეკლემ რუსეთის დახმარებით ვერ შეძლო, შეეცადა ოსმალეთის მფარველობის აღიარებით განეხორციელებინა ის. 1776 წელს ერეკლეს წარმომადგენელი სტამბოლში ჩასულა: „ერეკლე ახლა ოსმალეთის მფარველობის აღიარების გზით ფიქრობდა სამცხე-საათაბაგოს დაბრუნებას... ახალციხელი ფაშა მაშინ ერეკლესადმი მორჩილების გზით ფიქრობდა სულთანის ყმობისაგან განთავისუფლებას. რაც შეეხება თურქეთს, იგი სიამოვნებით შეხვედრია ერეკლეს ინიციატივას...“[335]. მართალია, ეს გეგმა არ განხორციელდა, მაგრამ, როგორც აქედან ჩანს, ქართველი პოლიტიკოსებისათვის ამ პერიოდში უმთავრესი ზრუნვის საგანს საქართველოს ისტორიულ საზღვრებში აღდგენა წარმოადგენდა... ეს მიზანი იყო განმსაზღვრელი საგარეო პოლიტიკის ორიენტაციისა.

1776-79 წლებში ერეკლეს სახელმწიფომ დიდ წარმატებას მიაღწია, მისი გავლენის საზღვარი, როგორც აღინიშნა, არაქსზე გადიოდა. „XIX ს-ის თურქეთის ოფიციალური ისტორიოგრაფია თვლიდა, რომ ქართველმა მეფემ 1783 წ-ს რუსეთის მფარველობის მიღებით „დაანგრია საკუთარი ხელისუფლების საფუძველი“. რუსეთმა ერეკლე მოატყუა და ქართლ-კახეთის სრული დაპყრობისათვის ემზადებოდა“... ძლიერმა რუსეთმა კავკასიონის მთაგრეხილი უომრად გადმოლახა, უშუალოდ დაუმეზობლდა სულთანის სამფლობელოებს და მას საქართველოდან „მეორე ფრონტი“ გაუხსნა...“[336].

„ტრაქტატის“ დადებისას ქართველ პოლიტიკოსთა მიზანი უპირველესად საქართველოს „აღდგომა“ და მიღწეული წარმატებების განმტკიცება იყო. ხოლო რუსეთის საბოლოო მიზანს საქართველოს გავლით კონსტანტინეპოლისა და სრუტეების აღება და სპარსეთის დამორჩილება წარმოადგენდა. „...იმპერიის დიპლომატები აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან ირანელთა განდევნაზე ფიქრობდნენ და ემზადებოდნენ იმისათვის, რომ თურქეთის წინააღმდეგაც გადამწყვეტი შეტევა დაეწყოთ - დაეპყროთ კონსტანტინეპოლი და სრუტეები“[337]. მეორე მხრივ, „რუსეთს უკვე 1778 წლითგან მოყოლებული საიდუმლო გეგმა ჰქონდა სპარსეთის შესახებ და ამის სამზადისში იყო“[338].

ქართული სახელმწიფოს მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა. რუსთა ორი ბატალიონის დახმარება ვერაფრით ამსუბუქებდა მის მდგომარეობას... ქართლ-კახეთს უკვე ლეკ-ოსმალთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯარი უტევდა. მათ წინააღმდეგ ახლა ქართველები და რუსები ერთად გამოდიოდნენ, ერთობლივი ბრძოლა

1784-1785 წლებში მეტ-ნაკლებად წარმატებით მიმდინარეობდა. ქართლ-კახეთის მსხვერპლი კი ამ ბრძოლაში განუზომელი იყო[339].

„XVIII ს-ის 40-იანი წლებიდან ვიდრე დღემდე (1785 წ. ნოემბერი) ამისთანა განსაცდელში საქართველო არ ყოფილა“, – სწერდა გარსევან ჭავჭავაძე გ. პოტიომკინს...“ „საქართველო უკიდურესად ნადგურდება – წერდა ბურნაშოვი – იმის გამო, რომ გზებზე გამოსვლა საშიშია, ვაჭრობა მთლად შეწყდა, პურის მოყვანა შეფერხებულია, რადგან მოსახლეობას სახელმწიფო თუ სამხედრო სამსახურში იწვევენ და სოფლები დაცარიელებულია...“[340].

ქვეყნის უბედურების წყაროდ მიიჩნეოდა ტრაქტატი და რუსთა ჯარის ყოფნა საქართველოში. ერეკლესაც ასევე მიაჩნდა. ის ელჩს წერდა: „ნუ ათქმევინებ ვისმე ამასა... რუსეთის შეერთების მიზეზით მოუშველებლობით დაიქცა საქართველო“[341].

რუსეთმა გაიყვანა თავისი ჯარი საქართველოდან, მოხდა გასაოცარი რამ, ქართული სახელმწიფო უფრო გაძლიერდა, ერეკლემ განჯის სახანოზე ბატონობა აღიდგინა და სამხრეთ აზერბაიჯანის დასამორჩილებლად იწყო ქმედება. ქართულმა სახელმწიფომ ძველი მდგომარეობა აღიდგინა და 1790 წლისათვის საქართველოს მეფე-მთავართა შორის კავშირიც დაიდო. ქვეყნის გაერთიანება „აღდგომის“ პროგრამის უმთავრესი ნაწილი იყო. ამ დროისათვის ირანში აღა-მაჰმად-ხანი გაძლიერდა. მან 1791 წელს აზერბაიჯანი დაიმორჩილა. „ჯერი შემდეგ ყარაბაღისა და ერევნის ხანებზე მიდგა. ორთავემ აღა-მაჰმად-ხანის მოთხოვნილება უარყო. ერევნის ხანმა იბრაჰიმმა თანაც შეუთვალა, რომ ის საქართველოს მეფის, ერეკლე II-ის, სრულს მორჩილებაშია და სწორედ ამიტომ, არ შეუძლია აღა-მაჰმად-ხანის მოთხოვნილება შეასრულოს. ამ უკანასკნელს გადაწყვეტილი ჰქონდა, ორივე ხანი ძალით დაემორჩილებინა. ასეთ მდგომარეობაში სრულებით ბუნებრივი იყო, რომ ერეკლე მეფეს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის მოლოდინი ჰქონოდა. რუსეთის მთავრობამ ყველა ეს ამბავი მშვენივრად იცოდა, მაგრამ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა იმ საფრთხეს, რომელიც მის ერთგულს მოკავშირეს, პატარა საქართველოს სპარსეთისაგან მოელოდა“[342].

ერეკლემ მრავალგზის შეახსენა 1783 წლის ტრაქტატი, მაგრამ რუსეთისაგან არათუ დახმარება მიიღო, არამედ ჩრდილო კავკასიაში განლაგებული რუსთა ჯარის სარდალმა ნებსით თუ უნებლიეთ შაჰს შეატყობინა, რომ რუსეთი საქართველოს დასაცავად ჯარის გაგზავნას არ აპირებდა. ამით ხელგახსნილი და დაიმედებული შაჰი 1795 წელს საქართველოს შემოესია. „ერეკლე მეორის შვილისშვილების ცნობით, აღა-მაჰმად-ხანი წინა კავკასიაში განლაგებულ რუსთა ჯარის სარდალს გენერალ გუდოვიჩს დიდძალ საჩუქრებს უგზავნიდა და ამიტომ მას რუსთა მაშველი ჯარი არ გამოუგზავნაო... გუდოვიჩის უტაქტობა და ფულხარბობა საქართველოსათვის იმ საბედისწერო მომენტში ხელს უწყობდა აღა-მაჰმად ხანს ადვილად დარწმუნებულიყო იმაში, რომ რუსთა მაშველ ჯარს არ აგზავნიდნენ“[343].

1795 წლის სექტემბერში რუსთა უმოქმედობით დაიმედებული შაჰი თბილისისკენ დაიძრა. „აღა-მაჰმად-ხანის მხარეზე გადავიდნენ ერეკლეთი უკმაყოფილო ყარაბაღელი სომეხი მელიქები – მეჯლუმი და ჰაბოვი, მალე ერევნის ხანმაც ქედი

მოუხარა დამპყრობელს, ხოლო სომეხთა კათალიკოსმა დიდძალი თანხის გაღებით (100 000 მან.) „იყიდა“ მშვიდობა.

მტერმა თბილისის მისადგომებთან ერეკლე დაამარცხა, ორი დღის შემდეგ დედაქალაქი აიღო, გაძარცვა და გადაწვა. „აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ ისე გაანადგურა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო, რომ 61 000 კომლიდან, რომელიც შემოსევამდე, მაგალითად, თუნდაც 1783 წელს იყო, 1795 წლის შემოსევის შემდეგ 35 000 კომლი ძლივსღა იქნებოდა დარჩენილი. სიბერის დროს ძლიერი „მფარველ“ მოკავშირის მიერ მოტყუებული, ამ პირველ თავზე დამტყდარ საშინელი უბედურებით გულგატეხილი, ოთხმოცი წლის მოხუცი მეფე იძულებული იყო მწუხარებით და სასოწარკვეთილებით აღსავსე ანანურის მონასტერში შეხიზნულიყო“[344].

ამის შემდეგ სპარსეთის შაჰმა ერეკლეს შეატყობინა, რომ თუ რუსეთის მოკავშირეობაზე ხელს აიღებდა და მოკავშირეობის ხელშეკრულებას სპარსეთთან დადებდა, მის ყველა უფლებას სცნობდა, ტყვეებს გაათავისუფლებდა და თბილისსაც აღადგენდა, მაგრამ ერეკლემ ეს არ ინება. თავის მხრივ ოსმალეთმაც ერთი მილიონი მანეთი შესთავაზა სესხის სახით მეფე ერეკლეს, მაგრამ კავშირის დამყარება მან არც ოსმალეთთან მოისურვა.

1796 წელს რუსეთმა სპარსეთს ომი გამოუცხადა და საქართველოს დასაცავად ჯარი შემოიყვანა, რომელიც იმავე წელს უკან დააბრუნა. საქართველო კი სპარსეთთან ომის მდგომარეობაში მიატოვა. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რანაირად თავზარდაცემული უნდა ყოფილიყო საქართველო და ერეკლე მეფე, სხვა ხანებიც,რომელნიც სპარსეთის ამ ლაშქრობაში რუსეთთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ, როდესაც რუსეთის მთავრობის უპირობამ ამ შემთხვევაშიც თავი იჩინა. აღა-მაჰმად-ხანი კი სიხარულით ცას ეწეოდა...[345]. მალე მან საქართველოსაკენაც დაძრა თავისი ჯარი, მაგრამ საბედნიეროდ შუშაში მოკლეს. ამ განსაცდელშიც კი, 1797 წლისათვის, რუსეთმა საქართველოდან თავისი ისედაც მცირერიცხოვანი ჯარის უკანასკნელი ნაწილიც კი გაიყვანა, საქართველოს სახელმწიფოს მდგომარეობა სასტიკად გაუარესდა. 1798 წელს გარდაცვლილი ერეკლეს ნაცვლად ტახტზე ასულ ავადმყოფ გიორგი XIII-ს რუსეთის წარმომადგენლებმა აუხსნეს, რომ რუსეთი თავის ჯარს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაშველებდა, თუკი ის „შეერთების“ თხოვნას ხელს მოაწერდა.

1799 წელს საქართველოში რუსეთის ჯარი შემოვიდა, რომელიც საქართველოდან 1918 წლამდე აღარ გასულა. ქართველთა წადილი „უფრო ძლიერი და მტკიცე საქართველოს“ შესაქმნელად ორიათასწლოვანი ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობით დასრულდა.

სული ერთობისა

1490 წელს ქართლის მეფის კარზე მოწვეულმა დიდებულთა დარბაზობამ უკვე არსებული ფაქტი ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს სამ სამეფოდ და სამთავროებად დაშლისა იურიდიულად აღიარა. სწორედ 300 წლის თავზე 1790 წელს, მეფის კარზე კვლავ შედგა დიდებულთა დარბაზობა, რომელმაც ქართველთა ერთიანობის საკითხი სრულიად სხვაგვარად გადაწყვიტა.

ის ყოვლისმომცველი დამშლელი სული, რომელიც საქართველოში XVI-XVII საუკუნეებში ბატონობდა, XVIII საუკუნეში თანდათან დაიშრიტა და ადგილს ეროვნული ერთობის სულს უთმობდა. სხვა საბუთებთან ერთად ამაზე მეტყველებს 1790 წლის „ერთობის ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართა“. სრული სახელით - „ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული საზოგადოებისათვის შეერთებისა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეუფეოსა ქალაქსა თფილისს 1790 წელსა“.

თუ აქამდე, თითქმის მთელი 300 წლის მანძილზე ქართული სამეფო-სამთავროები, რბილად რომ ვთქვათ, არა „ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიის შეერთებისათვის“, არამედ ქვეყნის დაქუცმაცებისა და კუთხურ-ადმინისტრაციული სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის იღვწოდნენ, 1790 წლისათვის ვითარება კარდინალურად შეიცვალა და უპირველეს პრობლემად „შეერთების“ საკითხი იქცა.

მაინც რატომ უნდა შეერთებულიყვნენ იმჟამად სუვერენული სამეფოები და სამთავროები, რა ჰქონდათ საერთო? ტრაქტატის პრეამბულა სწორედ ამ კითხვას სცემს პასუხს: ყველა სახელმწიფოებრივ ერთეულში – ქართლში, კახეთში, იმერეთში, ოდიშსა თუ გურიაში ცხოვრობს ერთი ერი – ქართველი ანუ ივერიელი ხალხი. ამ ივერიელებს, მცხოვრებთ, ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებში, ეთნიკურ-ეროვნული ერთობის გარდა აქვთ აგრეთვე სარწმუნოებრივი ერთობა, რაც იმით გამოიხატება, რომ ერთი (ე.ი. ქართული) ეკლესიის წევრნი არიან. გარდა ამისა, სხვადასხვა სახელმწიფოებრივ ერთეულში მცხოვრებ ივერიელებს აქვთ ენობრივი ერთობა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – სისხლით ნათესაობა, ერთმანეთთან კავშირის ისტორიული გამოცდილება: „ვინაითგან ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა, აქვთ ერთმორწმუნება, არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვთ მავასხელობითიცა სიყვარული, ვითარცა სისხლით ნათესავთა მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა შორის. ამისათვის ჩვენ, ზემოხსენებულთა ქვეყანათა ივერიისათა მეფენი და მთავარნი, დამამტკიცებელნი საუკუნოსა ამის პირობისა, სახელითა ყოვლად ძლიერისა ღმერთისათა, აღუვსთქვამთ მტკიცესა ამას ერთობასა“[346].

მაშასადამე, საქართველოს სხვადასხვა ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივ ერთეულის ერთობას საფუძვლად ეროვნული ერთობა უნდა დასდებოდა. ეს დოკუმენტი საქართველოს ორ გეოგრაფიულ ნაწილად ჰყოფს – ზემო და ქვემო ივერიებად. „ზემო ივერიაში“ შედის ქართლ-კახეთის სამეფო, ხოლო „ქვემო ივერიაში“ – იმერთა სამეფო, ოდიშისა და გურიის სამთავროები.

სახელი „ივერიის“ გაცოცხლება გამოიწვია აღნიშნული დროისათვის ტერმინ „საქართველოს“ ერთგვარმა დაკნინებამ. ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, როგორც ცნობილია, „ქართველი“ ზოგჯერ მხოლოდ პროვინციული სადაურობის შინაარსით, „ქართლელის“ გაგებით იხმარებოდა, ხოლო „კახელი“, „იმერელი“, „მეგრელი“, „სვანი“ თუ სხვა, ქართული პროვინციებისა და თემების მკვიდრ ქართველთა სადაურობის აღმნიშვნელი სახელები იყო. ამ დროს გაჩნდა

ტენდენცია ასეთი კუთხურ-თემობრივი სახელების გვერდით ისეთი სახელი დამკვიდრებულიყო, რომელიც მათი საერთო სამშობლოს გამომხატველი იქნებოდა. ასეთ სახელად „საქართველოს“ და „ქართველის“ გვერდით „ივერია“ და „ივერიელნი“ გაჩნდა[347].

ქართველთა ეროვნული ერთობის აღმნიშვნელმა ტერმინმა „ივერიელმა“ ხელახალი სიცოცხლე XVIII საუკუნის დასაწყისში შეიძინა. ამ დროს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას – ქვემო ივერიელებს, აღმოსავლეთისას კი – ზემო ივერიელებს უწოდებდნენ. ზოგიერთ საბუთში მცხეთელი მამამთავარი თავს „ზემო-ივერიის კათალიკოს-პატრიარქად“ მოიხსენიებდა. ასევე ერთ საბუთში აფხაზეთის კათალიკოსი თავის თავს „ქვემო ივერიის პატრიარქს“ უწოდებს.

როგორც აღინიშნა, ამ დროისათვის საქართველო ფაქტობრივად დანაწევრებულ ქვეყანას წარმოადგენდა და სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ ქართველებს ეროვნული თვითშემეცნება უაღრესად დაკნინებული ჰქონდათ. ისინი ხშირად თავიანთ ეროვნულ წარმომავლობას იმის მიხედვით საზღვრავდნენ, თუ რომელ კუთხეში ცხოვრობდნენ. იმერეთში იმერლობა ყალიბდებოდა, კახეთში - კახელობა, გურიაში – გურულობა და ა.შ. ეროვნული თვითშემეცნება იქამდე იყო დაკნინებული, რომ სრულიად საქართველოს მომცველი სახელმწიფოს არსებობა საეჭვოდ იყო ქცეული, ხალხის ყურადღება სრულიად სხვა საგანზე იყო გადატანილი. ჩვენს დიდ ისტორიკოსს, ვახუშტი ბაგრატიონს საგანგებო მსჯელობა დასჭირდა იმისათვის, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობის ისტორიული რეალობა დაემტკიცებინა, „გარნა ერთმეფობასა წარმოაჩინებს აწცა სამნი ხილულნი ესენი, ვინაითგან იყო ყოველი ივერია ქართლის მეფისა ქვეშე პყრობასა: პირველი უკეთუ ჰკითხო ვინმე ქართველსა ან იმერსა, მესხსა და ჰერ-კახსა – რა რჯული ხარ? წამს მოგიგებს: „ქართველი“. მეორედ არს ამათ ყოველთა წიგნი და ენა ერთი-იგივე ფარნაოზ პირველსა მეფისაგან ქმნული. და ჰკითხო რა წინთქმულთა მათ კაცთა: „რა ენა და წიგნი უწყი“, მოგიგებს მყის – „ქართული“. რამეთუ არა იტყვის, არცა რჯულსა, ენასა და წიგნსა იმერთასა, ანუ მესხთა და ჰერ-კახთასა, არამედ ქართულსა“[348].

აქედან ჩანს, რომ ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლასთან ერთად, ქართველი ხალხიც თემებად და ტომებად იშლებოდა. მაგრამ ეს პროცესი ტოტალური არ ყოფილა. კუთხურ სახელმწიფოებრივ ერთეულებში მცხოვრებმა მოსახლეობამ ძველი, ეროვნული თვითშემეცნების დამახასიათებელი ნიშნები შეინარჩუნა. ვახუშტის თანახმად, ეს ნიშნები ყოფილა „ქართული რჯული“, „ქართული ენა“, „ქართული წიგნი“ და სხვა. ტერმინი „რჯულის“ ქვეშ ვახუშტი არა მარტო სარწმუნოებრივ აღმსარებლობას, არამედ ეთნიკურ კუთვნილებასაც გულისხმობდა. საერთოდ, ქართულ ხალხურ მეტყველებაში „რჯული“ უფრო ეთნიკური კუთვნილების აღსანიშნავად გამოიყენებოდა, ვიდრე სარწმუნოებისა. ეს ალბათ შუა საუკუნეებში შექმნილი მდგომარეობის ანარეკლია, როცა ადამიანის ეროვნებას მისი სარწმუნოებრივი მრწამსი განსაზღვრავდა. მაგალითად, პასუხი კითხვაზე: „რა რჯული ხარ?“ – „ქართველი“ ეთნიკურ წარმოშობას გულისხმობდა. ეთნიკური და ნაციონალური თვითშემეცნების დაქვეითების დროს სახელმწიფოებრივ და

ეკლესიურ ერთიანობას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეს კარგად ესმოდათ ჩვენს საეკლესიო მოღვაწეებს და მარადჟამს ეთნიკური თვითშეგნების აღორძინებისათვის იღვწოდნენ. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პერიოდში ქართული ეკლესია ორად იყო გაყოფილი, ძალზე ხშირად ეკლესიის მესაჭენი ტიტულატურაში თავიანთ თავს მოიხსენიებდნენ სრულიად საქართველოს მამამთავრებად.

ქართული ეკლესიის მეთაურის სახელი იმ დროს, როგორც წესი, ქვეყნის ყოველ მხარეში მოიხსენიებოდა, რადგან წირვა-ლოცვის დროს კათალიკოს-პატრიარქის ხსენება ყველა ეკლესიაში სავალდებულო იყო. ხოლო მისი სრული ტიტულატურით მოხსენიება ყოველი კუთხის მცხოვრებ ქართველს საერთო სამშობლოს, საქართველოს, არსებობას შეახსენებდა.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი“ არა მარტო მცხეთელ მამამთავარს, არამედ ბიჭვინთელ (გელათელ) მამამთავარსაც ეწოდებოდა. მაგალითად, 1712 წლის საბუთში ბიჭვინთისადმი შეწირულების წიგნს კათალიკოსი ასე აწერს ხელს – „გრიგოლ მწყემსი ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოისა კათალიკოზი“[349].

სიტყვა „საქართველო“ დასავლეთ საქართველოში ქვეყნის უკიდურესი დაშლის დროსაც კი ცოცხლობდა. საქართველოს ამ ნაწილის მოსახლეობას „ქართველებს“ უწოდებდნენ, მაგალითად, 1733 წლის ბიჭვინთისადმი შეწირულების წიგნში გრიგოლ აფხაზეთის კათალიკოსი წერს: „ანდრიას მოეცა ჩრდილოეთისა ქვეყანა... რამეთუ ჩვენ ქართველნი მისნი წილ-ხთომილნი ვართ“[350]. ჩვენი ეკლესიის მესაჭეთა ასეთი განცხადებები დიდად უწყობდა ხელს დასავლელ ქართველთა ეროვნულ თვითშეგნებაში გარკვევას და ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებას, მით უმეტეს, რომ დასავლეთ საქართველოში მრავალი ქართული თემი და ტომი ცხოვრობდა.

საბედნიეროდ, XVIII საუკუნეში გაღვივებული „ერთობის სული“ იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ თემობრივი პარტიკულარიზმი სძლია. საზოგადოდ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრებთა ეროვნული ერთიანობის შესახებ იმდროინდელი მოღვაწენი ყოველთვის, განსაკუთრებით აშლილობის დროსაც კი წერდნენ. მაგალითად, XVII საუკუნის შუა წლებში, განსაკუთრებით გაძლიერებული ოდიშის მთავარი უსასტიკესად არბევდა იმერეთს, ამის გამო ვახუშტი წერს – „არამედ იმერთა უყოფდა ესრეთ თანამონათესავეთა, ერთსჯულთა და მეფესა თვისსა...“[351]. როგორც მოყვანილი წინადადებიდან ჩანს, ოდიშარნი და იმერელნი – „თანამონათესავენი“, ანუ ერთი ერის შვილები არიან და ეს თვით უსასტიკესი ურთიერთჟლეტის დროსაც კი იციან.

უძველესი ქართული საისტორიო წყაროდან „მოქცევაჲ ქართლისაჲდან“ ჩანს, რომ ქართველი ხალხი, რომელსაც საკუთარი სახელმწიფო ჰქონდა, ერად ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე დიდი ხნით ადრე ჩამოყალიბდა. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, IV–III საუკუნეებში უკვე ერთიანი სახელმწიფო გვქონდა, რომლის პირველმა მეფე ფარნავაზმა ქართულ ენას სახელმწიფო სტატუსი მიანიჭა. პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფოს საზღვრები დასავლეთით შავ ზღვასა და მდინარე ეგრისწყალზე გადიოდა. V საუკუნისათვის ეს საზღვრები ჩრდილოეთით იქნა

გადაწეული. „მოქცევაის“ თანახმადაც „არიან – ქართლიდან“ გადმოსახლებული ქართველების განსახლების უკიდურესი დასავლეთის საზღვარი მდინარე ეგრისწყალსა და შავ ზღვაზე გადიოდა.

VIII-X საუკუნეებში საქართველოს სახელმწიფოს კვლავ გაერთიანებამ და ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს კვლავ აღდგენამ XI საუკუნის შემდგომ კიდევ უფრო განამტკიცა ქართველი ერის ერთობა, მაგრამ XV-XVI საუკუნეებში ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლამ ერის თემებად დაშლა გამოიწვია. წარმოიშვა მცირე ქართული სახელმწიფოები. ამ სახელმწიფოებში მცხოვრებ ქართველობას უვითარდებოდა კუთხურობა, ყალიბდებოდა თემობრიობა, საზოგადოდ ზოგჯერ ერსა და სახელმწიფოს სინონიმური მნიშვნელობითაც კი იყენებდნენ[352]. ცხადია, ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულების, სამეფოებისა და სამთავროების არსებობა ხელს უწყობდა ქართველი ერის დაშლასა და კუთხურობა-თემობრიობის აღორძინებას.

საბედნიეროდ, კუთხურობამ ვერ დასძლია ეროვნული თვითშემეცნება, მიზეზი უთუოდ ის იყო, რომ ქართველ ერს ორიათასწლოვანი და კიდევ მეტი ისტორია ჰქონდა. საერთო „რჯული“ და „წიგნი“ (მწიგნობრობა, სარწმუნოება, კულტურა), თანახმად ვახუშტისა, კვლავ აერთიანებდა ქართველობას. ხოლო XVIII საუკუნეში მოღვაწე მამულიშვილთა საყოველთაო მიზანმა, რომელიც გადმოიცემოდა სიტყვით „აღდგომა“ და საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას გულისხმობდა, ეროვნული ერთიანობისაკენ სწრაფვა უფრო გააძლიერა. საქართველოში მუდამ იბრძოდნენ და იღვწოდნენ გაერთიანებისათვის, „ოდინდელი საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მისი დაშლის პირველი დღიდანვე დაიწყო და ის არც სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ შეწყვეტილა. გაერთიანების იდეა ცოცხლობდა ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში. ეროვნული შეგნების ასეთი დიდი სიცოცხლისუნარიანობა ეჭვი არაა, უკვე მიღწეული (XII-XIII სს-ში) ეთნიკური და კულტურული კონსოლიდაციის უაღრესად მაღალი დონის შედეგი იყო, რის გამოც ეროვნული ერთიანობის იდეის ბოლომდე აღმოფხვრა ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა“[353].

ქართულ სამეფო-სამთავროთა მესვეურები ზოგჯერ თვით უდიდესი დაშლის დროსაც კი ერთიანდებოდნენ. თეიმურაზმა XVII ს-ის 30-იან წლებში „სამივე სამეფოს ლაშქარი“ გააერთიანა და „მთელი საქართველოს ლაშქრით“ განჯა-ყარაბაღზე გაილაშქრა.

მეფე როსტომ ხანს პატივისცემის ნიშნად ამ საუკუნის მიწურულს სპარსელებმა დატყვევებული „საქართველოს კაცნი-იმერელნი, ქართველნი და კახნი“ გამოუგზავნეს. XVII ს-ის ბოლოსათვის, ახალი საუკუნის მიჯნაზე, ვახტანგ V-ის (შაჰნავაზის) მეფობის დროს ტენდენცია საქართველოს გაერთიანებისა განსაკუთრებით გამოიკვეთა, ასე იყო არჩილის კახეთში და იმერეთში მეფობისას. თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის დროს ქართლ-კახეთის სამეფოები გაერთიანდა. XVIII საუკუნის შუა წლებში სრულიად საქართველოს სახელმწიფოთა შორის შეთანხმებაც მოხდა. „50-60-იან წლებში ერეკლეს პოლიტიკური გავლენა დასავლეთ საქართველოზე უცილობელი იყო, რამდენადმე კიდეც ხორციელდებოდა სამხედრო

კავშირი ამიერ და იმიერ პოლიტიკურ ერთეულებს შორის. 1753 წლიდან ერეკლესა და სოლომონს შორის სამხედრო კავშირიც გაფორმდა. 1770 წელს იგი მხოლოდ დროებით შეწყდა და 1773 წლიდან ისევ განახლდა“[354]. გაერთიანებისაკენ მიილტვოდნენ 80-იან წლებშიც. „ზემო“ და „ქვემო“ ივერიის შერწყმისათვის პირობები მწიფდებოდა[355].

ქართული ენა და ქართული მწიგნობრობა-კულტურა ქართველებს მუდამ აერთიანებდა. „ენისა და მწერლობის ეს დიდი მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდებოდა ქართველი ერის ისტორიის შავბნელ პერიოდში, კერძოდ, ერთიანი საქართველოს დაქუცმაცებისა და სამეფო-სამთავროების ურთიერთბრძოლის ვითარებაში, რაც გვიანი ფეოდალიზმის პერიოდისათვის იყო დამახასიათებელი. ქართული ენა და ლიტერატურა წარმოადგენდა იმ დუღაბს, რასაც ჯერ კიდევ შესწევდა ძალა ერთიანობის გრძნობა და მისდამი მისწრაფება შეენარჩუნებინა ქართულ სამეფო-სამთავროების მესვეურთა და ტომთა შორის, ამასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ ძველი სამწერლო ქართული ენა და ქართული ლიტერატურა არც ენობრივ-სტილისტურად, არც იდეურ-პოლიტიკურად და საერთოდ, შინაარსობრივად, ძირითადად არ ამჟღავნებს ტომობრივ-გეოგრაფიულ განკერძოებულებას, არ არსებობს აღმოსავლეთ-ქართული, სამხრეთ-ქართული და დასავლეთ-ქართული ლიტერატურული მიმართულებანი, არამედ მთელი ჩვენი მწერლობა არსებითად ერთიანი ქართულია, ჩვენი სამშობლოს რომელ კუთხეშიც არ უნდა იყოს შექმნილი ესა თუ ის ნაწარმოები და რომელი ქართული ტომის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს მისი ავტორი. ეს მოვლენა ლიტერატურის ისტორიაში საყოველთაო ხასიათისა არ არის, ვინაიდან, მსოფლიოს ბევრი მოწინავე ლიტერატურის ისტორია ტომობრივ-კუთხური მიმართულებებით ვითარდებოდა და ეს მიმართულებანი ღრმა კვალს ტოვებდნენ საერთო-ეროვნული ლიტერატურის განვითარებაზე. ამგვარად, XVI-XVIII საუკუნეების ქართული მწერლობის ძეგლები, რომლებიც დასავლეთ საქართველოში შეიქმნა, საერთო – ქართული მწერლობის ძეგლებია, როგორც თავისი ფორმით, ისე შინაარსით...“[356].

საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი კერები, როგორც წესი – ეკლესია-მონასტრები იყვნენ, რომელნიც საერთოდ არ სცნობდნენ კუთხობრიობასა და თემობრიობას და ქართველ ერს ერთიან სხეულად განიხილავდნენ.

„ქართულ-სამეფო-სამთავროებში მიმდინარე კულტურულ-შემოქმედებითი პროცესი საერთო-ეროვნული, ქართული კულტურის განვითარების პროცესი იყო. ეს არ იყო ქართლური, კახური, იმერული თუ მეგრულ-გურულ-სვანური კულტურა. პოლიტიკური გათიშულობის პირობებშიც ქართული ენის საფუძველზე შექმნილი კულტურული ერთობა, რომელიც შინაგანი იდეოლოგიური ანტაგონიზმით ხასიათდებოდა, არასოდეს დანაწევრებულა ცალკეული ქართული ეთნიკური ერთეულების კულტურად“[357].

ქართული ეკლესია არა მხოლოდ იდეოლოგიურად ქმნიდა ქართულ ეთნიკურ ერთეულთა შორის ერთობის სულიერ საფუძვლებს, არამედ პრაქტიკული საქმიანობითაც. ჩვენი ეკლესიის სტრუქტურა ისე იყო მოწყობილი, რომ ის ყოველთვის,

თავისდაუნებლიეთაც კი, ერთიანობას უწყობდა ხელს. ეს კარგად შეუმჩნევიათ ჩვენს მეფეებს სამთავროთა, სათავადოთა და საერო ფეოდალთა მიერ ქვეყნის დაქუცმაცებისას. ამიტომაც, მაგალითად, იმერეთის მეფე „ბაგრატ მესამემ სცადა ეკლესიის წინა პლანზე წამოწევა. ეკლესია დიდი ყმა-მამულის მფლობელი იყო. საერო ფეოდალებს მისი მამულის დატაცებაზე ეჭირათ თვალი. მეფე ეკლესიის მიწებს იცავდა, ეპისკოპოსი მეფის მიერ ინიშნებოდა, ამიტომ მეფის ერთგული იყო. საეპისკოპოსოების დაარსებით მეფე თავის ერთგულ ფეოდალთა დასს ქმნიდა, რომელიც მისი დასაყრდენი იქნებოდა“[358].

ერთიანობის სული, რომელსაც ეკლესია ამკვიდრებდა, განსაკუთრებით დასაფასებელი იმ დიდი შინაგანი აშლილობის დროს იყო, რომელმაც საქართველო XVI–XVIII საუკუნეებში მოიცვა. თუმცა, საქართველო სამეფოებად და სამთავროებად იყო დაშლილი, მაგრამ მათ შორის გაუვალი, ყრუ კედელი, ანდა დღევანდელი გაგებით საზღვარი არ არსებობდა. ხალხი ერთიანი იყო. ხშირად საქართველოს ერთ კუთხეში ნათქვამი ჭორიც კი მეორე უკიდურესად დაშორებულ კუთხესაც სასწრაფოდ გადაეცემოდა, რაც საქართველოში ინფორმაციული კავშირის ცხოველმყოფლობაზე მეტყველებს. ქვეყნის ერთიანობას ესეც უწყობდა ხელს. მრავალ მაგალითთა შორის საინტერესოა ერთ-ერთი, რომელიც გვიჩვენებს, თვით წვრილმანი ინფორმაციაც კი რა სისწრაფით ვრცელდებოდა. 1539 წელს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ქრონიკებში აღნიშნავდნენ – „1539 – აქა სომეხნი შეიშალნეს (იკორთის ძლისპირი), 1539 – აქ სომეხნი შეიშალნეს და თევდორობის კვირა ჭამეს (ქვათახევის გულანი), 1539 – აქა სომეხნი შეიშალნეს და თევდორობის კვირა ჭამეს (ყანჩაეთის გულანი), 1539 – აქა შვიდ გზის... სომეხნი შეიშალნენ (შემოქმედის გულანი), 1539 – სომეხნი შეიშალნენ აღვსებისაგან (კახ. ქრ.), 1539 – აქა სომეხნი შეიშალნენ და თევდორობის კვირა ჭამეს (წმ. ნიკოლოზ ქრ.)“[359]. ე.ი. ამ წელს მიუჩნევიათ, რომ სომხურ ეკლესიაში ვერ გამოუთვლიათ, როდის მოუწევდა აღდგომის დღესასწაული (შეშლიათ), და ამიტომაც დიდი მარხვაც გაუტეხიათ. ეს ამბავი მაშინვე საქართველოს სხვადასხვა კუთხეს მოედო. აქედანაც ჩანს, თუ როგორი მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობდა სხვადასხვა კუთხეს შორის.

შემთხვევითი არ იყო, რომ საქართველოს ერთმანეთისაგან პოლიტიკურად დაშორებულ კუთხეებს ჩვენი წინაპრები „საქართველოებს“ უწოდებდნენ. „ამ თვალსაზრისით უდავოდ საყურადღებო იყო XVIII საუკუნის დამდეგის ისტორიკოსის ბერი ეგნატაშვილის მიერ ნახმარი სახელი „საქართველონი“, რითაც მას ალბათ იმის თქმა სურდა, რომ საქართველო რაღაც უცხო ნაწილებად კი არა „საქართველოებად“ დაიშალა და მისი მთლიანობის აღდგენა აუცილებელი შეიქმნა“[360].

XVIII ს-ის II ნახევარში დადგა დრო საქართველოს „აღდგომისა“ ანუ ერთხელმწიფების ქვეშ გაერთიანებისა. „ქართლ-კახეთის პროგრესული მოღვაწეები XVIII საუკუნის 60-80-იან წლებში ხედავდნენ, რომ ამ დროს საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას უკეთესი პერსპექტივები ჰქონდა. მათი აზრით, სწორედ ერეკლე იყო ერთადერთი კანდიდატი, რომელიც „სრულიად საქართველოს“ ხელმწიფე უნდა გამხდარიყო“[361]. ქართული ეკლესია და მისი მესაჭე ანტონ კათალიკოსი დიდად იღწვოდნენ ამისათვის.

საერთოდ, აქამდე, საქართველოს გაერთიანებას ოსმალეთსა და სპარსეთს შორის დადებული საზავო ხელშეკრულებანი უშლიდა ხელს, რომელთა ძალითაც საქართველოს ისინი ერთმანეთს შორის იყოფდნენ. ახლა პოლიტიკური ვითარება ძალზე შეცვლილი იყო. ოსმალეთი ისე დასუსტდა, რომ ქართლ-კახეთის მეფესთან შეთანხმების გზებს ეძებდა, ხოლო სპარსეთს ხელსაც კი აძლევდა ქართლ-კახეთის სამეფოს გაძლიერება.

„ოსმალეთის მთავრობა ამ დროს, როგორც ზემოთ ითქვა, ქართლ-კახეთის სამეფოსთან კავშირით დაინტერესებული იყო. ერეკლეს სახელმწიფოს ნეიტრალური პოზიცია აწყობდა სუსტ ოსმალეთს, რომელსაც ამ დროს რუსეთი მარტო ევროპის კონტინენტიდან როდი ემუქრებოდა... ირანის მხრიდან მაშინ იმერეთ-ამერეთის გაერთიანებას საფრთხე არ მოელოდა, პირიქით ირანის მომავალი შაჰი კმაყოფილიც კი იქნებოდა, თუ ერეკლე მის ფორმალურ ვასალობაზე ხელს არ აიღებდა და იმერეთს შემოიერთებდა“[362].

მიუხედავად ხელსაყრელი ვითარებისა, ერეკლე „...თავს იკავებდა, რათა რუსეთისაგან დამოუკიდებლად რაიმე გადამწყვეტი ღონისძიება მიეღო“[363].

მაგრამ რუსეთს უკვე აღარ აწყობდა ამიერკავკასიაში ძლიერი სახელმწიფოს, მით უმეტეს ერთიანი საქართველოს არსებობა – „70-80-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით, ჩვენ შევნიშნავდით, რომ მეფის რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის, მიუხედავად მათი მჭიდრო კავშირისა, შენიღბული წინააღმდეგობა იყო... აკად. ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი შენიშვნით, იმ ვითარებაში, როცა რუსეთის მეტოქეები ამიერკავკასიაში სუსტდებოდნენ, ხოლო რუსეთის ინტერესები ამ მხარისადმი იზრდებოდა, „ძლიერი და ერთიანი საქართველო მფარველისათვის (რუსეთისათვის) საჭირო აღარ იყო“[364].

ქვეყნის საშინაო მდგომარეობა კი ისეთი იყო, რომ ქართლ-კახეთთან გაერთიანებისათვის არა მარტო იმერეთის სამეფოს დიდებულები იღვწოდნენ, არამედ ერეკლეს მფარველობაში შესვლის წინააღმდეგი არც სამხრეთ საქართველო იყო. რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში წარმოშობილი აზრი იმის გამო ჩამოყალიბებულა, რომ „...სუსტი ოსმალეთი ომს აგებდა და ქართლ-კახეთ-იმერეთის გაერთიანებას ვერაფერს დააკლებდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ჯაყელი – ახალციხის ფაშა – ხსენებული ომის პერიოდში საბოლოოდ გადაიხარა ქართულ-რუსული ორიენტაციისაკენ და მისდა უნებლიეთ ერეკლეს საფარველში უნდა შესულიყო“[365].

სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ „იმერეთში ქართლ-კახეთთან შეერთებისათვის საკმაოდ ძლიერი მოძრაობა დაიწყო. იმერეთის უგამოჩინებულესი დიდებულები და აგრეთვე პირველი მღვდელმთავრები, დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გენათელი, ერეკლე მეფესთან გამოცხადდნენ და სთხოვეს: „...ინებოს და შეიერთოს თვისდა სამეფოდ იმერეთი, ვითარცა იყო ერთ მთავრობისა დროთა. დესპანნი იმერთა არწმუნებდნენ მეფესა, რომელ ყოვლადი სამეფო იმერეთისა მოელის სიხარულით და მხიარულებით საქმესა ამის დასრულებასა. თვით მთავართა გურიისას და ოდიშისას სურთ და სწყურიათ ესე. მცხოვრებთა გლეხთაც იციან

ესე და უხარისთ ბატონობა თქვენი იმერეთსა, მტერთაგან ჯარისა გაოხრებულსა“. როგორც ვხედავთ, გაერთიანებას მოითხოვდნენ არა მარტო ზედაფენები, არამედ ფართო მასებიც, რომელნიც ძლიერი ცენტრალური ხელისუფლებით დაინტერესებულნი იყვნენ“[366].

ამ საკითხის განხილვისას სამეფო დარბაზობაზე ყველა დიდებული ევედრებოდა და უმტკიცებდა ერეკლეს ენებებინა საქართველოს გაერთიანება, მათ შორის ანტონ კათალიკოსიც, მაგრამ სამწუხაროდ ერეკლემ უარი განაცხადა. „ბევრს ეცადა სოლომონ (ლიონიძე) „რათა მოეყვანა ერთობასა მტკიცესა ერთნათესაობა ქართველთა, მეცადინეობდა შინაკავშირითა გაეუქმებინა გარეკავშირი“. ამაოდ უხსნიდა იგი მეფე-მთავრებს, რომ „ერი, დაცული გარეთითა უცხოთა ნათესავთაგან მფარველობითა, არის მარადის დამდაბლებული“, მაგრამ ვერაფერი გააწყო... იმერეთის შემოერთების საქმე ჩაიშალა, თუმცა ერეკლეს შვილიშვილის – დავით არჩილის ძის (რომელიც შემდგომ სოლომონ II-ის სახელითაა ცნობილი) გამეფება იმერეთში, რაც 1790 წელს ერეკლე II-ის მხედრობამ განახორციელა, გაერთიანებისათვის ბრძოლაში მოპოვებული ერთგვარი წარმატების მაჩვენებელი იყო. სოლომონ მეორე ბოლომდე დარჩა ერეკლეს ერთგული მოკავშირე და მის უპირატესობას ბოლომდე აღიარებდა, 1790 წ-ის ივნისში სოლომონ ლიონიძის ინიციატივით გაფორმდა „ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქსა თფილისს“. ამ ტრაქტატით დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ქართლ-კახეთის სამეფოსთან სამხედრო კავშირს ამყარებდნენ და 1783 წლის ტრაქტატს უერთდებოდნენ“[367].

სამწუხაროდ, საერთაშორისო ვითარება, როგორც ჩანს, 1790 წლის ერთობის ტრაქტატის დამტკიცებას რუსეთისა და ოსმალეთის სახელმწიფოების მხრიდანაც მოითხოვდა. სწორედ ეს იყო სათხოვარი რუსეთის კარზე მყოფი ერეკლეს ელჩებისა, რომელნიც ასევე მოითხოვდნენ, რომ ოსმალეთს მიტაცებული სამცხე-საათაბაგო დაებრუნებინა. გარდა ამისა, ისინი მოითხოვდნენ, რომ ოსმალეთს ხელი აეღო აზერბაიჯანზე[368]. აქედან ჩანს, რომ ქართველობის მიზანი ამ დროისათვის საქართველოს, ანუ ერთმეფობის დროინდელი სამეფოს „აღდგომა“ იყო, რომლის საზღვრები ზღვიდან-ზღვამდე იქნებოდა გადაჭიმული. მათ ამ საქმეში რუსეთის დახმარების იმედი ჰქონდათ. მართლაც, „რუსეთმა XIX საუკუნის განმავლობაში თავის შემადგენლობაში მყოფი საქართველო მის ისტორიულ საზღვრებში აღადგინა“[369], თუმცა ამას შედეგად ქართული სახელმწიფოს გაუქმება მოჰყვა.

თავი XVII

ქართული ეკლესია XIX – XX საუკუნეში

„წმიდაა იგი, ვისაც ქადაწერა
მამულისათვის თავის დადება.“

ილია მართალი

შესავალი

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ათასწლოვანი ისტორიის ორი, შეიძლება ითქვას, ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მომენტი განეკუთვნება XIX-XX საუკუნეებს, ესაა ჩვენი ეკლესიის თავისთავადობა – ავტოკეფალიის გაუქმება რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ და მისი აღდგენა ქართველი ერისა და სამღვდელოების ძალისხმევის წყალობით. XIX საუკუნეში, ქართული ეკლესიის სავალალო მდგომარეობის შესახებ, ავტოკეფალიის მომხრეთა მიერ გამოქვეყნებულ იქნა უამრავი მასალა. მათში დასურათებულია რუსეთის წმიდა სინოდის ქმედებანი საქართველოში, საზოგადოდ, რუსეთის მთავრობის და ეკლესიის დამოკიდებულება ქართული ეკლესიის მიმართ. არსებობს ორგვარი შეფასება: ერთი, უაღრესად უარყოფითი, მეორე, უაღრესად დადებითი (უმეტესად რუსული ოფიციალური ისტორიოგრაფიისა). ჩვენ შევეცდებით ორივეს წარმოჩენას.

მართლმადიდებლობა, ქართველთა ეროვნული სარწმუნოება, ცხადია, იყო რუსების კავკასიაში გამოჩენამდე. საქართველოში მოციქულთა მიერ დანერგილმა ამ სარწმუნოებამ, რომელსაც საქართველოს სამოციქულო ეკლესია წმიდად იცავდა, უაღრესი გაჭირვების ჟამს განსაკუთრებით, XVII–XVIII საუკუნეებში, გადაარჩინა ქართველი ერი და ქართველობა. ეს არ გახლავთ ლიტონი სიტყვები. რა სარწმუნოებრივი მიმართულებისაც არ უნდა იყოს ისტორიკოსი, შეუძლებელია არ აღიაროს, რომ მართლმადიდებლობა და ქართველობა აღნიშნულ საუკუნეებში გაერთმნიშვნელიანებული იყო და ერთის უარყოფა, ძირითადად, მეორის დაკარგვასაც იწვევდა. როგორც ცნობილია, პოლიტიკურ თუ სულიერ მიზეზთა გამო, გაგრიგორიანებული ქართველები გასომხდნენ, გაკათოლიკებული ქართველები ოსმალეთის იმპერიაში ჯერ „გაფრანგდნენ“ და შემდეგ გასომხდნენ, იქვე, გამაჰმადიანებულ ქართველებს ძლიერ შეერყათ ეროვნული ცნობიერება, ასევე, მთიანეთში გაწარმართებულთაც. ამ სავალალო მდგომარეობას ხედავდა XVII-XVIII საუკუნეთა ქართველობა და მტკიცედ მიისწრაფოდა ერთმორწმუნე, მართლმადიდებლური რუსეთისაკენ. ქართველმა პოლიტიკოსებმა თავიანთი მწარე გამოცდილებით იცოდნენ, რომ აბობოქრებულ მაჰმადიანურ ოკეანეში მყოფი საქართველოსადმი ინტერესს მხოლოდ მართლმადიდებლური რუსეთი იჩენდა. ევროპამ, თუმცა კი ქრისტიანულმა, ზურგი შეაქცია მას, ანდა ეროვნული სარწმუნოების (ე.ი. მართლმადიდებლობის) შეცვლას ითხოვდა დახმარების სანაცვლოდ. ქართველობამ კი, როგორც აღვნიშნეთ, იცოდა, რომ სწორი სარწმუნოების დაკარგვა ქართველთა ეროვნულ გადაგვარებასაც გამოიწვევდა, რადგან ქართველობა და მართლმადიდებლობა სინონიმებად იყო ქცეული ქართულ ცნობიერებაში.

ივანე ჯავახიშვილი წერს: „ქართველებს შორითგან გაგონილი ჰქონდა რუსთა მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობა და ეჭვი არ ებადებოდათ, რომ რუსეთი ქართველთა სულისკვეთებას ადვილად გაიგებდა და მათს თავგანწირულ ბრძოლაში სპარსელთა და ოსმალთა წინააღმდეგ წრფელის გულით ძლიერს დახმარებას გაუწევდა. რუსეთის მთავრობას და პოლიტიკოსებს არ გამოჰპარვიათ ქართველთა

ამგვარი პოლიტიკური გულუბრყვილობა. მთელი მათი პოლიტიკა საქართველოს მიმართ, როდესაც კი რუსეთის სამხედრო თვალსაზრისით ქართველთა ძალის გამოყენება ოსმალეთის ან სპარსეთის წინააღმდეგ საჭიროდ მიაჩნდათ, სწორედ ქართველთა ამ სუსტ გრძნობასა და გულუბრყვილობაზე იყო ხოლმე დამყარებული. „ქართველებს მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობა აქვთ და ამაზეა დამოკიდებული მათი გულმოდგინება სრულიად რუსეთის კარისადმი და კეთილად მოსურნეობა რუსი ხალხისადმი", – ასე ამბობდნენ რუსეთის მთავრობის წარმომადგენლები და ქართველთა ამ მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობის საშუალებით ცდილობდნენ და ახერხებდნენ კიდეც ქართველების იმდენად მოჯადოებას, რომ რუსეთის პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინათ. როცა რუსეთისათვის საჭირო იყო, მაშინ მას აგონდებოდა, რომ ქართველები მხურვალე ქრისტიანები იყვნენ... ასე იყო ხოლმე, სანამ საქართველოს არ შეაცდენდა და თავის სამხედრო გეგმის მიხედვით ოსმალეთთან ან სპარსეთთან ომში, რომელსაც იგი განიზრახავდა, არ ჩარევდა, მაგრამ რა წამს რუსეთს თავისი პირადი მიზანი მიუღწევლად მიაჩნდა, ან ომის გაგრძელებას თავისთვის ხელსაყრელად აღარ სთვლიდა, ის საქართველოს უყოყმანოდ მიატოვებდა ხოლმე და მაშინ მას ყველაფერი ავიწყდებოდა, ქართველთა ქრისტიანობაც და გაჭირვებაც. ასეთ შემთხვევაში ის იმაზე აღარ ფიქრობდა, რომ საქართველო სწორედ მისი წყალობითა და მისი მოქმედებით წინანდელზე უფრო უარესსა და უმწეო მდგომარეობაში ვარდებოდა ხოლმე"[1].

მართალია, საქართველოში ხედავდნენ, რომ რუსეთთან კავშირის დამყარების მცდელობა საუკუნეთა მანძილზე დადებით პოლიტიკურ შედეგს არ იძლეოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, პოლიტიკური მოღვაწეების ლტოლვა ერთმორწმუნე მართლმადიდებლური ქვეყნისაკენ დიდი იყო.

რუსეთის სახელმწიფოს წიაღში არსებობისას, საქართველომ შეძლო როგორც ეროვნული, ისე პოლიტიკური გაერთიანება და იმპერიის რღვევის შემდგომ თითქმის ერთიანი სახით წარდგომა მსოფლიოს წინაშე. ეს მომენტი განსაკუთრებით ხაზგასმითაა აღსანიშნავი, რამეთუ, როგორც წინა თავებშიც აღინიშნა, XV-XVI საუკუნეებში დაშლილი საქართველო, მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, ვერ გაერთიანდა და XIX ს-ის კარიბჭესაც დაშლილ-დანაწევრებული მიადგა.

მართალია, იმპერიის მიზანს საქართველოს გაერთიანება არ წარმოადგენდა, მაგრამ ჩვენი ქვეყანა რუსეთის წიაღში არსებულმა იმ თვისებრიობამ გააერთიანა, რაც უტყუარი ალღოთი გაისიგრძეგანეს ჩვენმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, როცა ისინი საუკუნეთა მანძილზე იმედგაცრუებათა მიუხედავად, ჩრდილოურ, ანუ მართლმადიდებლურ ორიენტაციას ერთგულებდნენ.

რუსეთის სახელმწიფოსთან მიერთებამ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ქართველების მოშლილ-მორყეული ეროვნული ცნობიერება აღადგინა, ხოლო კუთხური ცნობიერება შეამცირა. სწორედ გამძაფრებულმა კუთხურმა შემეცნებამ დასცა ეროვნული ცნობიერება, რაც საქართველოს დაშლის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენდა. საქართველო ვერ ერთიანდებოდა არა მხოლოდ არახელსაყრელი საგარეო ვითარების, არამედ შინაგანი დანაწევრების გამოც.

ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, ფაქტობრივად სუვერენული სახელმწიფოებრივი ერთეულების არსებობამ (ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოები, სამეგრელოს, გურიის და სხვა სამთავროები) დაანაწევრა ქართველობა. ხელი შეუწყო ერთმანეთისაგან განსხვავებული ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფების წარმოქმნას ბარში, ხოლო მთაში თითქმის ტომობრიობა აღორძინა. XVI-XVIII საუკუნეებში, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდგომ, იმერლობამ, ქართლელობამ, კახელობამ, მეგრელობამ, გურულობამ და ა. შ., გამოკვეთილად ჩამოყალიბებული სახე მიიღო. საქართველოს კუთხეებში გაჩნდა კუთხური წეს-ჩვეულებები, განმტკიცდა დიალექტები, ჩამოყალიბდა ერთმანეთისაგან განსხვავებული ეთნოგრაფიული თვისებები. ეროვნული ცნობიერება იქამდე დაეცა, რომ როგორც წმინდა ილია მართალი წერდა: „ქართველს გორის მაზრაში მცხოვრებს-ღა უწოდებენ“; კახელი – კახელობდა, იმერელი – იმერლობდა, მეგრელი – მეგრელობდა და ა. შ.

როგორც აღინიშნა, ქართველი ერის ეთნოგრაფიულ ჯგუფებად დაშლას კუთხური სახელმწიფოების არსებობა იწვევდა (იმ თვისების გამო, რომელიც სახელმწიფოს წიაღში მცხოვრებ მოსახლეობას ხანგრძლივი ისტორიული თანაცხოვრების შემდგომ საკუთარ ეთნიკურ სახეს უყალიბებს), ამიტომაც საქართველოს გაერთიანება, ანუ კუთხური სახელმწიფოებისა თუ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების მოსპობა ქართველი ერის მთლიანობისათვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა.

მართლაც, იმპერიამ მოსპო ქართული კუთხური სახელმწიფოებრივი ერთეულები, რითაც კუთხურ-ტომობრივ შეგნებას საფუძველი გამოეცალა. რუსეთის იმპერიის წიაღში, მე-19 საუკუნეში, განმტკიცდა წინა საუკუნეში შერყეული ეროვნული ცნობიერება, რაც შემდგომში, იმპერიის დანგრევისას, საფუძველი შეიქნა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნისა, თუმცა კი „სული ერთობისა“ საქართველოს კუთხეთა შორის სრულიად არასოდეს ჩამკვდარა. მართლმადიდებლური ქვეყნისაკენ ქართველთა ლტოლვას საფუძვლად ისტორიული გამოცდილება ედო – XV-XVIII საუკუნეებში მართლმადიდებლობა „ქართველობის“ საყრდენს წარმოადგენდა. ამ ეპოქაში ცხადი შეიქნა, რომ მართლმადიდებლობისაგან განშორებული ქართველები ეროვნებასაც კარგავდნენ, გრიგორიანი ქართველების არმენოფილური ცნობიერება, კათოლიკე ქართველების „ფრანგობა“ და მაჰმადიანი ქართველების „თათრობა“ ჩვენს მოსახლეობასა და პოლიტიკურ წრეებს არწმუნებდა, რომ ქართველობის ერთადერთ საყრდენს მართლმადიდებლობა წარმოადგენდა. ამიტომაც, ზოგადი მასშტაბით ქართველობის შენარჩუნებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, მაჰმადიანური თურქეთისა და სპარსეთისაგან განსხვავებით, რუსეთი, სურდა თუ არ სურდა, თავისი მართლმადიდებლობის გამო „ქართველობას“ საფუძველს არათუ ვერ გამოაცლიდა, არამედ განამტკიცებდა კიდეც. ეს მით უმეტეს დასაფასებელია, თუ გავიხსენებთ, რომ თურქეთმა ისტორიული საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილში (მესხეთსა და ლაზეთში) გამაჰმადიანებითა და ეროვნული ცნობიერების წართმევით სწრაფად შთანთქა ქართველობა. ასევე დაკარგეს ეროვნება გამაჰმადიანების შემდგომ სპარსეთის გავლენის სფეროში მცხოვრებმა ქართველებმა ჭარ-ბელაქანსა, შაქსა თუ ლორე-ტაშირში.

საქართველოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რუსეთის მიერ ძლიერი და მრავალრიცხოვანი ჩრდილოკავკასიური მებრძოლი ტომების დამარცხება. ჩრდილოკავკასიელი ტომები – იმჟამად, XVI-XIX სს-ში „ლეკებად“ სახელდებული დაღესტნელები და „აფხაზებად“ სახელდებული ადიღე-ჩერქეზები ასწლეულთა მანძილზე ანადგურებდნენ საქართველოს, იპყრობდნენ მის კუთხეებსა და მკვიდრდებოდნენ იქ, რუსეთის წყალობით საქართველო ჩრდილოკავკასიელთაგანაც, ისევე როგორც სამხრეთელი მეზობლების შემოსევისაგან დაცული აღმოჩნდა.

რუსეთის წიაღში ფარულად განხორციელდა „აღდგომის“ იდეა. ამას ხელს ქართველი ერის საუკეთესო შვილებიც უწყობდნენ, რომელნიც მხარში ედგნენ რუსებს მუსლიმანთაგან საქართველოს კუთხეთა (აჭარის, მესხეთის, აფხაზეთის, შავი ზღვისპირეთის) გათავისუფლების დროს. საქართველოს შეუერთდა თავისი ისტორიული ტერიტორიები, ერი გაერთიანდა. მართალია, ყოველივე ეს მე-19 საუკუნეში მოხდა, მაგრამ მე-18 საუკუნეში, აღმოსავლეთის ქვეყნების ცბიერ სახელმწიფოებთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის გამოცდილებით დაბრძენებული ქართველი პოლიტიკოსები მართლმადიდებელ რუსეთთან ურთიერთობის შედეგს, მიუხედავად მისი მმართველი პოლიტიკური წრეების მხრიდან არაერთგზის ღალატისა, წინასწარ ჭვრეტდნენ და ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას ამ ქვეყნის შემწეობით ესწრაფოდნენ. რომ არა რუსთა მიერ დედასამშობლოსათვის აჭარის დაბრუნება, აჭარლებიც დაკარგავდნენ ეროვნულ ცნობიერებას და შეერწყმებოდნენ გათურქებულ ქართველთა მასას ოსმალეთში. ამ დაბრუნების წყალობით შეინარჩუნეს აჭარელმა მუსლიმანებმა თავიანთი ქართველობა, თავის მხრივ, აჭარელთა წყალობით ოსმალოს გამაჰმადიანებულმა ქართველობამ დედასამშობლოსაკენ მოიხედა, იგივე ითქმის მესხეთში მცხოვრებ ქართველ კათოლიკეებზეც. რომ არ შეეერთებინა რუსეთს სამცხე-ჯავახეთი დედასამშობლოსთან, მესხეთში მცხოვრები ქართველი კათოლიკეები, ისევე როგორც ოსმალეთში მცხოვრები მათი ქართველი თანამორწმუნენი, გასომხდებოდნენ, რადგან რომმა ისინი მიაკუთვნა სომხურ-კათოლიკური ეკლესიის სამწყსოს. ასე რომ, მხოლოდ რუსეთთან შეერთებამ შეუნარჩუნა ეროვნული ცნობიერება აჭარელ მუსლიმანებს და მესხეთის კათოლიკეებს. სამწუხაროდ, იმავე რუსეთის წყალობით უამრავი ქართველი მთიელი მიაწერა „ოსეთის სასულიერო კომისიამ“ ოსურ ეროვნებას, ასევე, ხელი შეუწყო ქართველთა ასიმილაციას აფხაზეთში, რაც განხილულია შესაბამის ადგილას, მეორე მხრივ კი, ხელი არ შეუწყო საინგილოში გამაჰმადიანებულ ქართველთა სრულ გაქრისტიანებას.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება

1811 წლიდან, ქართული ეკლესია, მართალი სარწმუნოების დამცველი მთელ კავკასიაში, რუსული ბიუროკრატიული სისტემის დანამატად გადააქციეს. კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონმა ასე შეაფასა მე-19 საუკუნეში ჩვენი ეკლესიის ყოფა – „ასი წლის მონობის გამო შეირყა საქართველოს ეკლესიის მწყობრი სისტემა ერის გულთან შეთანხმებული. დაირღვა კავშირი, გაქრა სული ცხოველი“.

სამართლიანადაა მიჩნეული, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა იმპერატორისა და რუსეთის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით, რისი უფლებაც მათ არ ჰქონდათ. მათი ქმედებით დაირღვა წმიდა მსოფლიო კრებათა და მოციქულთა კანონები, მაგრამ ისიცაა აღსანიშნავი, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის, ისევე, როგორც ქართული სახელმწიფოს გაუქმება, ერთჯერადი აქტი არ ყოფილა. ჯერ კიდევ მიქაელ თამარაშვილმა აღნიშნა, რომ ქართული ეკლესიის თავისთავადობის შერყევა დაიწყო ერეკლე II-ის მეფობისას, კათალიკოს ანტონ I-ის დროს. „ანტონ კათალიკოსი პირველი შეეცადა რუსულ ეკლესიასთან დაახლოებასა და მისი ზოგიერთი წესის შემოღებას საქართველოში. ანტონ კათალიკოსი სინოდის წევრადაც კი იყო არჩეული“. არ შეიძლება რომელიმე ავტოკეფალური ეკლესიის მეთაური იყოს სხვა, უცხო ეკლესიის სინოდის წევრი, ამით, სხვა რომ არა ვთქვათ, ავტოკეფალური ეკლესიის ღირსება კნინდება. ანტონ I კი, 1783 წლიდან დანიშნული იყო რუსეთის წმიდა სინოდის წევრად. ამავე წელს, რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული ტრაქტატის ძალითაც, ქართული ეკლესიის თავისთავადობას სერიოზული საფრთხე დაემუქრა. გეორგიევსკის ტრაქტატის მერვე არტიკულში, კერძოდ, ჩაწერილი იყო: „კათალიკოსსა, ანუ უმთავრესსა არქიეპისკოპოსსა მათსა აქუნდეს ადგილი რიცხვთა შორის რუსეთისა მღვდელმთავართასა მერვესა შინა ხარისხსა, ესე იგი არს შემდგომად ტობოლსკისა და ყოვლად უმოწყალესობით მიუბოძებს მას ნიადაგ ტიტლოსა უწმინდესისა სინოდის ჩლენობისასა, ხოლო თუ ვითარ სათანადო არს რუსეთისა სინოდისადმი, ამისათვის უკუე დაიწერების სხვა არტიკული“. ჩვენ, ნაშრომში „საქართველოს ადგილობრივი საეკლესიო კრებები“ გამოკვლეული გვაქვს, რომ ქართული ეკლესიის შიგნით არსებულმა ქაოსმა და მტრულმა ურთიერთდამოკიდებულებამ სამღვდელოთა შორის ანტონ I აიძულა კათალიკოსობიდან გადაყენების შემდეგ სამართალი ეძია რუსეთში, სადაც იგი სრულებით გაამართლეს, ვითარცა ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, დანიშნეს ერთ-ერთი ცენტრალური ეპარქიის მმართველად არქიეპისკოპოსის ტიტულით. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ანტონი კვლავ ავიდა საკათალიკოსო ტახტზე და შეეცადა ქართული ეკლე-

სია მოეწესრიგებინა რუსულ ეკლესიაში არსებული წესების შესაბამისად, ყოველმხრივ დაეახლოებინა ქართული ეკლესია რუსულთან. ქართული ეკლესიის ავტოკეფალურობისათვის შეუსაბამო მუხლიც ტრაქტატში მისი განზრახვით უნდა შესულიყო. ქართული ეკლესიის თავისთავადობას ამცრობს, აგრეთვე, 1799-1800 წლებში შედგენილი „ტრაქტატი", დაცული პლატონ იოსელიანის თხზულებაში „გიორგი XIII-ის ცხოვრება"[1]. ამ ტრაქტატის ერთ-ერთი მუხლით, საქართველოს ეკლესიაში უნდა დარჩენილიყვნენ კათალიკოსი, ეპისკოპოსები და სამღვდელოება. სანაცვლოდ, თითქოსდა ქართველები ითხოვდნენ, ქართული ეკლესიის ზედამხედველობის მიზნით, რუსეთის წმ. სინოდს გამოეგზავნა „არხიმანდრიტი, ან იღუმენი, კაცი მდაბალი და მყუდრო". ქართველები, აგრეთვე, ითხოვდნენ: „ვითხოვეთ რომელ ყოველივე იგი სამღვდელოთა წესნი იყვნენ შეწყნარებულ და პატივისცემულ ღირსებისამებრ რუსეთისა, ვინაითგან ქვეშემდომილ ქმნილი იგი სამეფო თვისითა ნებითა შეერთდა საიმპერატორისა". როგორც ცნობილია, ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება იმპერატორის მანიფესტით ამცნეს ქართველ ხალხს სიონის ტაძარში. რუსების სურვილი იყო ეს მძიმე საქმე ხალხში ავტორიტეტული ქართული ეკლესიის მეშვეობით აღესრულებინა. დიმიტრი ყიფიანი თავის „მემუარებში"[2] წერს: „მანიფესტი დაწერილი იყო ისეთი სიტყვებით, რომელნიც ცხადად გამოხატავდნენ კურთხეული ალექსანდრე იმპერატორის სრულს დიდსულოვანებასა და კეთილ განზრახვებს და, რასაკვირველია, დამამშვიდებელ შთაბეჭდილებას იქონიებდა იმ დროის ქართველებზე", მაგრამ „დამშვიდების" ნაცვლად, სიონში მისული ქართველები მანიფესტის მოსმენისას სასტიკად აღელვებულან, თუმცა კი, „სიონისაკენ მიმავალ ქუჩებში გამწკრივებული იყო ორ-წყება ჯარი". მანიფესტი ქართულადაც კი არ უთარგმნიათ – „არ შეიძლებოდა ქართველების წინ ისეთი სიტყვების წარმოთქმა, რომელიც იმათთვის უდიდეს ცინიზმს გამოხატავს", – წერს დ. ყიფიანი. ცნობილია, რომ რუსულმა ხელისუფლებამ კარგად გამოიყენა ის წინააღმდეგობანი და ურთიერთბრძოლა, რომელიც გაჩაღებული იყო ქართველ ბატონიშვილთა შორის ტახტის ხელში ჩასაგდებად. მსგავსი მდგომარეობა იყო ეკლესიაშიც. დ. ფურცელაძე წერს: „მანიფესტის ეკლესიაში წაკითხვის შემდეგ ანტონ II კათალიკოსმა პარაკლისი გადაიხადა და დააფიცა რუსეთის ერთგულებაზე ყველა მცხოვრები მის ხელქვეით ეპარქიებისა, მცხეთისა, სამთავროისა და ალავერდისა და როდესაც მეფის სახლობაში გაჩნდა უსიამოვნობა და ზოგიერთმა ბატონიშვილებმა მოინდომეს საქართველოს ტახტის დაჭერა, კათალიკოსი მიუბრუნდა მათ დარიგების სიტყვით და ურჩევდა, მშვიდობიანათ ეცხოვრათ და მადლობა მოეხსენებინათ რუსის ხელმწიფისათვის, რადგანაც ინება მან იმ სიკეთის ჩადენა, საქართველო მიიღო თავის მფარველობის ქვეშ, თუმცა არეულ-დარეულობა იყო ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ანტონ კათალიკოსი მაინც არ იშლიდა ზრუნვას იმაზე, რომ ეკლესია ხელშეუხებელი ყოფილიყო, და აგრეთვე იმაზე, რომ ეკლესიისაგან დაწესებული რიგი არავის მოეშალა"[3]. მან, მოთხოვნის შესაბამისად, რუსულ მთავრობას წარუდგინა აღწერა მონასტრებისა, ეკლესიებისა და სამღვდელოებისა, გადმოსცა მათი „სამწუხარო მდგომარეობა", უაქტიურესი მონაწილეობა მიიღო წმიდა ნინოს ცხოველმყოფელი

ჯვრის გადმოსვენებაში, რომელიც რუსეთმა დაუბრუნა საქართველოს, მაგრამ მაინც „რუსის მთავრობა ეჭვით უყურებდა ანტონ კათალიკოსის მოქმედებას“, ცილად სწამებდნენ ანტირუსულ თათბირებში მონაწილეობას, თითქოსდა „დარეჯან დედოფლის განზრახვებს“ ემხრობოდა, ეკლესიებში თითქოსდა იმპერატორის ნაცვლად, იხსენიებდნენ მეფედ მის ძმას, იულონს. ანტონმა თავი იმართლა. ხელისუფლება კათალიკოსს უყურადღებოდ ეკიდებოდა. 1810 წელს „მიტროპოლიტის ვარლამის ჩაგონებით, ანტონ კათალიკოსის და თფილელ მიტროპოლიტის არსენის შორის უსიამოვნება ჩამოვარდა, იმით გათავდა იგი, რომ 1811 წელს ანტონი გამოეთხოვა თავის სამწყსოს და გაემგზავრა პეტერბურგს“. იმპერატორმა პატივისცემით მიიღო და დანიშნა წმიდა სინოდის წევრად. იგი გარდაიცვალა ნიჟნი-ნოვგოროდში, 1827 წელს. ანტონ II-ის საქართველოში ყოფნისას, როგორც აღინიშნა, ეკლესიის უმთავრეს იერარქთა შორის გაჩაღებული კინკლაობის გამო ქაოსი სუფევდა, თითქოსდა ისევ ქართული ეკლესიის დასამშვიდებლად – „იმპერატორმა ალექსანდრე I-მა 1811 წლის 10 ივნისს წერილი მისწერა ანტონ კათალიკოსს, დაჰპირდა მისი ღირსების შეულახაობას წმ. სინოდის ავტორიტეტის მეშვეობით და მიიპატიჟა რუსეთში, სადაც მისი საკადრისი პატივით იცხოვრებდა, მიიღებდა პენსიას და ამასთანავე დაიკავებდა მეხუთე ადგილს წმ. სინოდში“[4].

საქართველოს ეკლესია ამ დროისათვის ფლობდა დიდძალ ქონებას, სახნავსათეს მიწებს, ტყეებს, სხვადასხვა ქარხანას, სათევზაო ადგილებს, წისქვილებს, შენობებსა და სხვა ქონებას. იგი იყო ეკონომიკურად დამოუკიდებელი ერთეული, ამით იგი მკვეთრად განსხვავდებოდა რუსული ეკლესიისაგან, რომელიც იმ დროისათვის რუსეთის ხელისუფლების მიერ სახელმწიფოს ნაწილად იყო გადაქცეული და საერო ხელისუფლებისადმი დამორჩილებული. საქართველოში კი პირიქით – სახელმწიფო ხელისუფლება არ იყოფოდა საეროდ და სასულიეროდ. ქვეყნის ხელისუფლების სათავესთან იდგნენ ეკლესიის უმაღლესი იერარქები, მაგალითად, სწორედ განსახილველი დროისათვის, იმერეთის სამეფოში მართალია, მეფე უზენაესი ხელისუფალი იყო, მაგრამ „იმერეთის სამეფოს საქმეებს იგი წარმართავდა „საბჭოს“ დახმარებით, რომლის წევრებიც არა მარტო რჩევებში იღებდნენ მონაწილეობას, არამედ დიდმნიშვნელოვან თანამდებობებსაც ფლობდნენ... საბჭოში მონაწილეობდა ოთხი ეპისკოპოსი: 1. ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი, 2. გელათელი მიტროპოლიტი ექვთიმე, 3. ნიკორწმინდელი მიტროპოლიტი სოფრონიოსი და 4. მთავარეპისკოპოსი ანტონი. ჩამოთვლილი მღვდელმთავრები საბჭოში დიდი უფლებებით სარგებლობდნენ, მათ შეხედულებებსა და მოსაზრებებს მეფე ყოველთვის გულმოდგინედ ისმენდა და დიდ ანგარიშს უწევდა“[5], მღვდელმთავართა გარდა, „საბჭოში“ კიდევ 30-მდე თავადი მონაწილეობდა. ქვეყნის მართვის აღნიშნული წესი მოგვაგონებს დავით აღმაშენებლისა და გაერთიანებული საქართველოს მეფეთა მიერ დადგენილ წესს, როცა ქვეყნის მმართველობის საქმეს მეთაურობდა „ოთხი ბერისა“ და ვეზირებისაგან შექმნილი დარბაზის კარი. „ოთხი ბერის“ ჯგუფში შედიოდნენ ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსები, ჭყონდიდელი და მოძღვართ-მოძღვარი. რუსეთში კი ქვეყნის სამმართველო საქმეთაგან არათუ ჩამოშორებული

იყო ეკლესია, არამედ თვით ეკლესიასაც კი 1722 წლიდან ობერპროკურორი ხელმძღვანელობდა, რომელიც წმ. სინოდს ედგა სათავეში. იგი საერო პირი იყო და დიდი უფლებები ჰქონდა. რუსეთში საერო ხელისუფლებისადმი ეკლესიის დამორჩილების საქმე, რომელიც 1721 წელს პატრიარქის თანამდებობის გაუქმებით წამოიწყო პეტრე დიდმა, 1784 წელს დაასრულა ეკატერინე მეორემ. ასეთი მდგომარეობის გამო რუსეთი, ცხადია, ვერ მოითმენდა საქართველოში ეკლესიის როგორც ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, ისე მის უდიდეს გავლენას საერო ხელისუფლებაზე. რუსეთმა მიზნად დაისახა საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაცია. თავდაპირველად, ანტონ II-ის გამოყენებაც სცადეს. საქართველოში საეკლესიო რეფორმის დროულად გატარებას მთავრობა სახელმწიფო მნიშვნელობას ანიჭებდა. რეფორმა ითვალისწინებდა საეკლესიო დიკასტერიის შექმნას, რომლის მეშვეობით უნდა დაწყებულიყო ქართლ-კახეთის ეკლესიის მოწესრიგება. დიკასტერიას უნდა აღეწერა ეკლესია-მონასტრების ქონება და დაეზუსტებინა შემოსავალი, დაედგინა სასულიერო პირთა რაოდენობა, მოეწესრიგებინა სამრევლოები, საბოლოოდ კი უნდა მოსპობილიყო ეკლესიის ეკონომიკური დამოუკიდებლობა და იგი სრულიად დამორჩილებოდა რუსეთის სახელმწიფოს. ანტონ II-ის მოსაყდრედ დანიშნეს ვარლამ ერისთავი, მტრულად განწყობილი საქართველოს სამეფო კარის მიმართ, რუსეთში აღზრდილი და რუსული საეკლესიო ცხოვრების კარგი მცოდნე. ამ პერიოდში (ე.ი. 1811 წლამდე) ქართულ ეკლესიას ქართლსა და კახეთში ეკუთვნოდა 1850 კომლი გლეხი, მისი წლიური შემოსავალი შეადგენდა დაახლოებით 40 000 მანეთს. ეკლესიას ამ პროვინციებში ჰქონდა 13 ეპარქია[6]. მართალია, ანტონ II, ვითარცა რუსეთის წმიდა სინოდის წევრი, ჯერ კიდევ ეკატერინეს დროიდან (1793 წლიდან), ცდილობდა რუსების მითითებათა თანახმად ემართა ქართული ეკლესია, მაგრამ მითითება დიკასტერიის შექმნის შესახებ დროულად ვერ აღასრულა, ამასთანავე, იგი განაწყენებული იყო იმ ღონისძიებებით, რომლებიც მთავრობამ გაატარა საქართველოში. რუსეთის ხელისუფლება რუსული ეკლესიის დანამატად განიხილავდა ქართულ ეკლესიას ჯერ კიდევ ანტონ II-ის საქართველოში ყოფნისას. მაგალითად, 1809 წელს სინოდის ობერპროკურორს მიეთითა, შეექმნა საქართველოში დიკასტერია ანტონის მეთაურობით და წმიდა სინოდის წევრის, ვარლამის მონაწილეობით. ამასთან, სამღვდელოებას დიკასტერიაში შესაყვანად უნდა აერჩია სამი წევრი, მდივანი, თარჯიმანი, გადამწერები, მრჩეველი და თბილისის კეთილშობილ თავად-აზნაურთა სასწავლებლის დირექტორი. ანტონ II-ს იმავე წელს დაევალა ამ საქმის აღსრულება, მაგრამ საკითხის გადაწყვეტა ძალზე გაჭიანურდა. 1810 წლის 3 მარტს კათალიკოსი ანტონ II თითქმის ძალით გაიწვიეს პეტერბურგს. ერთი წლის შემდეგ მოვიდა გოლიცინის ცნობა, რომელშიც კათალიკოსის დაგვიანება ახსნილი იყო მისი ავადმყოფობით. ანტონ II-ის გაწვევის შემდეგ, დიკასტერიის მეთაურად დანიშნულ იქნა ვარლამ ერისთავი და მას საქართველოს ეგზარქოსის ტიტული ებოძა. მასვე დაავალეს, შეემუშავებინა სასულიერო დიკასტერიის მოწყობის პროექტი. ტორმასოვმა მისწერა ვარლამს: „სინოდის ობერპროკურორი მაცნობებს, რომ ხელმწიფე იმპერატორის სურვილით საქართველოს ეკლესიის მარ-

თვა-გამგეობა ისე უნდა მოაწყოთ, რომ იგი დამოკიდებული იქნეს წმიდა სინოდზე“. საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი, ვარლამ ერისთავის მიერ შედგენილი 1809-1811 წლებში, წარედგინა მთავარმართებელ ტორმასოვს. რომელიც დაამტკიცა წმიდა სინოდმა 1811 წლის 30 ივნისს. ამ პროექტის თანახმად, შეიქმნა დიკასტერია და საქართველოს ეკლესიამ დაკარგა ავტოკეფალია.

ავტოკეფალიის გაუქმების დროისათვის ქართლ-კახეთში იყო 13 ეპარქია (თბილისის, მცხეთის, სამთავროს, რუისის, ურბნისის, წილკნის, სამთავისის, ნიქოზის, ალავერდის, ნინოწმიდის, რუსთავის, ნეკრესის, ბოდბის). მთავარმართებელ ტორმასოვის ცნობით, იყო 799 ეკლესია, 746 მღვდელი, 146 დიაკვანი და სხვა დანარჩენი 661 სასულიერო პირი. არქიეპისკოპოს ვარლამ ერისთავის პროექტით, კახეთის 5 საეპისკოპოსო უნდა გაერთიანებულიყო ერთ – ალავერდის ეპარქიად, ხოლო ქართლის 8 საეპისკოპოსო ერთ – მცხეთის ეპარქიად. მისი შემოსავალი დაახლოებით ტოლი იყო 16960 მანეთისა, კახეთის ეპარქიისა კი – 9500 მანეთის. არსებული 9 საარქიმანდრიტოს ნაცვლად, ვარლამის პროექტით უნდა დარჩენილიყო 5 (ბოდბის, ქვათახევ-მღვიმის, კახეთის, დავით-გარეჯის და იოანე ნათლისმცემლის). „ეს პროექტი წმ. სინოდმა დაამტკიცა და დაადგინა: 1. გაუქმდეს 13 ეპარქია და დარჩეს 2, ხოლო 9 არქიმანდრიტის ნაცვლად 5; 2. საქართველოს ეკლესიას სათავეში ჩაუდგეს მცხეთა-ქართლის მიტროპოლიტი ვარლამ ერისთავი და მიენიჭოს მას მუდმივი ეგზარქოსის წოდება, ამავე დროს იგი იყოს წმიდა სინოდის წევრი; 3. საქართველოში გაუქმდეს ეკლესიის დამოუკიდებლობა და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას სათავეში ჩაუდგეს წმიდა სინოდის განყოფილება – დიკასტერია, რომელიც ყველაფერში დაემორჩილება წმიდა სინოდის გადაწყვეტილებებს. ეს დადგენილება წმიდა სინოდმა განიხილა 1811 წლის 24 ივნისს, ხოლო ძალაში შევიდა 30 ივნისს. ესაა დღე, როდესაც ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ დაჰკარგა ავტოკეფალობა და დაიწყო უმძიმესი პერიოდი მის შემდგომ მოღვაწეობაში“[7]. ეპარქიების შემცირებას რუსული ხელისუფლება ადრეც მიმართავდა. ციციანოვმა (1802-1806) ქართლში 6 ეპარქიიდან დატოვა 3. ეს ხდებოდა მთავრობისათვის არასასურველი პირების კათედრიდან ჩამოსაშორებლად.

იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, მთავრობამ გადაწყვიტა დასავლეთ საქართველოს ეკლესია ემართა საქართველოს დიკასტერიის მეშვეობით. 1815 წლის 30 აგვისტოს დიკასტერია გადაკეთდა „საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორად“. რუსულმა მთავრობამ მას დაუმორჩილა ჯერ კიდევ ავტონომიური სამთავროების, გურია-სამეგრელოს ეკლესიებიც. ამან სულიერი თვალსაზრისით ერთიანი ქართული ეკლესია ადმინისტრაციულადაც გააერთიანა, მაგრამ უცხო ეკლესიის ფრთათა ქვეშ. ასე რომ, არქიეპისკოპოსი ეგზარქოსი ვარლამ ერისთავი დასავლეთ საქართველოს ეკლესიასაც მართავდა. „ენერგიულად იღვწოდა ეკლესია-მონასტრების აღსარიცხავად, რასაც მთავრობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, მაგრამ მაინც ზემდგომებმა არ ინებეს ამ თანამდებობაზე ქართველი კაცის დატოვება და 1817 წელს იგი პეტერბურგში გაიწვიეს. ამავე წლიდან ეგზარქოსად დაინიშნა რიაზანელი არქიეპისკოპოსი თეოფილაქტე რუსანოვი (1817-1821). მის შემდეგ

მხოლოდ რუსი ეროვნების ეპისკოპოსები მართავდნენ საქართველოს საეგზარქოსოს. თეოფილაქტეს პროექტის თანახმად, რომელიც დაამტკიცა მინისტრთა კომიტეტმა, უნდა გარკვეულიყო საეგზარქოსოში ეკლესია-მონასტრების, სასულიერო პირებისა და მრევლის რაოდენობა, შეემცირებინათ სამღვდელოთა რიცხვი და აღარ ეკურთხებინათ არავინ მღვდლად სათანადო განკარგულებამდე. მან 1819 წელს შეამცირა იმერეთის საეპისკოპოსოები მათი ერთ ეპარქიად გაერთიანების გზით, თითო-თითო ეპარქია დატოვა გურიასა და სამეგრელოში. ამრიგად, დასავლეთ საქართველოს 12 ეპარქიიდან დარჩა 3 ეპარქია. ამის გარდა, ეგზარქოსი ამცირებდა მოქმედი ეკლესიების რაოდენობას, მღვდლები რჩებოდნენ შტატგარეშე[8].

სახალხო აჯანყება ავტოკეფალიის დასაცავად

რუსეთის მთავრობის მიერ საქართველოს ეკლესია განიხილებოდა, როგორც სახელმწიფო შემოსავლის გაზრდის ერთ-ერთი წყარო. მთავრობა ფიქრობდა, რომ სასულიერო პირთა რაოდენობისა და სხვადასხვა საეკლესიო ხარჯის მკვეთრი შემცირებით, ხელს შეუწყობდა ხაზინაში ეკლესიიდან შესული შემოსავლების გაზრდას. „საეკლესიო რეფორმა მიზნად ისახავდა სახაზინო შემოსავლის გაზრდას არა მარტო საეკლესიო ქონება-შემოსავლის ხაზინაში გადარიცხვით, არამედ ყმა-გლეხების საეკლესიო გადასახადის გაზრდითაც“[9]. 1819 წელს ეგზარქოსი თეოფილაქტე გადავიდა დასავლეთ საქართველოში და შეუდგა მთავრობის დავალების შესრულებას, ე.ი. ეკლესიათა დახურვას, საეკლესიო ქონების აღწერას და მომზადებას მისი ხაზინისათვის გადასაცემად, ამასთანავე, საეკლესიო გლეხებისაგან საეკლესიო გადასახადის გაზრდას. მთავრობა იმედოვნებდა, რომ ამ გზით სახაზინო შემოსავალს გაზრდიდა 700 000 მანეთამდე, ნაცვლად იქამდე შემავალი 18-20 ათასი მანეთისა.

ამ დროისათვის რუსეთის მიერ დაპყრობილი იმერეთის მოსახლეობა სანახევროდ განადგურებული იყო და დიდ გაჭირვებაში იმყოფებოდა. იმერეთიდან მეფე სოლომონ II-ის გაძევების შემდეგ, „1811-1812 წლებში სამეფოში მძვინვარებდა შავი ჭირი და შიმშილი, რამაც მოსახლეობის ნახევარი გაანადგურა“[10]. 1817 წლისათვის, ე.ი. დაახლოებით თეოფილაქტეს ჩამოსვლის დროს, იმერეთში 12730 კომლი (85000) სული იქნებოდა[10], აქედან 2124 იყო საეკლესიო კომლი, 1994 კომლი საეკლესიო გლეხი და 130 ოჯახი საეკლესიო აზნაური[10], ე.ი. თითქმის ყოველი მეექვსე კომლი იყო საეკლესიო, ანუ მოსახლეობის 20%-მდე საეკლესიო კუთვნილებას შეადგენდა და ეკლესიას უხდიდა გადასახადს. „შემოსავალი მათგან ფულზე გადაყვანით შეადგენდა 11 482 მანეთ ვერცხლის ფულს, მაშინ, როცა 1817 წელს ხაზინის შემოსავალი მთელი იმერეთიდან შეადგენდა მხოლოდ 16 745 მანეთს“[11].

თეოფილაქტე იმერეთში მოურიდებლად იქცეოდა, რითაც კიდევ უფრო გაანაწყენა მოსახლეობა. ხალხი აღშფოთდა, რაც თავდაპირველად იმით გამოიხატა, რომ ხელისუფალთ „არ დაანებეს საეკლესიო ქონების აღწერა, რადგანაც აღწერას ქონების ჩამორთმევა მოჰყვებოდა“. ხალხს განსაკუთრებით აშფოთებდა და აოცებ-

და რუსების მიერ ასეულობით ეკლესიის დახურვა. ხალხმა დახმარებისათვის ხელისუფლებას მიმართა წერილით: „ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ბილწი აგარიანელების ხელში ვიყავით, ბევრი ტანჯვა-წამება გადავიტანეთ, მაგრამ ისინი ჩვენს სასულიერო საქმეებს არ შეხებიან. ჩვენ ის ხალხი ვართ, სარწმუნოება თითქმის ქრისტეს ჯვარცმის დროიდან რომ შევინარჩუნეთ... ჩვენს მწუხარებას საზღვარი არა აქვს, როდესაც ვხედავთ, როგორ ხურავენ ჩვენს წმიდა ეკლესიებს, როგორ გვაშორებენ ჩვენი სულის გადარჩენაზე მზრუნველ ღვთისმოშიშ მღვდლებს, როგორ გვართმევენ სახალხო ქონებით შემკულ ჯვრებს და ხატებს და ასხვისებენ საეკლესიო ქონებას, რომელიც საუკუნეების მანძილზე სისხლითაა შეძენილი ან ჩვენი უწინდელი მეფეების მიერაა საჩუქრად გადმოცემული“[12]. ამგვარმა მიმართვებმა ხელისუფლებაზე არ იმოქმედა. საეკლესიო აღწერა გაგრძელდა, ამას მოჰყვა ჯერ „ვაკე“ იმერეთის, შემდგომ კი მთელი ქვეყნის აჯანყება. 1818 წლის ივლისში, საეკლესიო აღწერის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ, მთელი რაჭა, გურია, სამეგრელო და იმერეთი ფეხზე დადგა. აჯანყებულებს ებრძოდა რუსეთის რეგულარული არმია. მშობლიური ეკლესიის დასაცავად აღმდგარმა მოჯანყეებმა წამოაყენეს ლოზუნგი „სამშობლოს გათავისუფლება“, მოსახლეობის ყველა ფენა მონაწილეობდა ბრძოლაში არტილერიით შეიარაღებული პოლკებისა და ბატალიონების წინააღმდეგ. იმის გამო, რომ იმერეთში აღარ იმყოფებოდა ტახტის მემკვიდრე, ბაგრატიონთა ლეგიტიმური შთამომავალი, აჯანყებულებმა მეფედ გამოაცხადეს სოლომონ II-ის შვილიშვილი ქალის მხრიდან ივანე აბაშიძე. გენერალ-ლეიტენანტმა ველიამინოვმა გამოაცხადა, რომ წყვეტდა საეკლესიო რეფორმას. შეშინებული ეგზარქოსი თეოფილაქტე 300 ჯარისკაცისა და არტილერიის დაცვით ქუთაისიდან თბილისში გაგზავნეს[13]. რუსეთის ხელისუფლება, ცხადია, ვერ შეურიგდებოდა იმერეთში თავის დამარცხებას, ამიტომაც აგრძელებდა ზომების მიღებას, რამაც 1819 წელს კიდევ უფრო გააფართოვა აჯანყება. მთავრობამ მოჯანყეთა წინააღმდეგ მოაგროვა დიდძალი ჯარი, შეუდგა მოქმედებას. 1820 წელს დააპატიმრეს მიტროპოლიტები დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გელათელი, სხვა გავლენიანი პირები, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა აჯანყება, განსაკუთრებით, გურიასა და რაჭაში. მას თანაუგრძნობდა გურია-სამეგრელოს მოსახლეობა. დოსითეოს ქუთათელი (წერეთელი) დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს ფაქტობრივ გამგებელს წარმოადგენდა 1792-1815 წლებში. 1814 წლის 30 აგვისტოს ბრძანებულებით იმერეთის (აფხაზეთის, ე.ი. დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსო შედიოდა საქართველოს საეგზარქოსოს განკარგულებაში, მაგრამ 1820 წლამდე, დაპატიმრებამდე, იგი ეკლესიის ფაქტობრივ პირველ იერარქს წარმოადგენდა (დოსითეოსამდე იმერეთის კათალიკოსმა 1783 წელს დატოვა საქართველო და უცხოეთში გარდაიცვალა, ახალი კათალიკოსი არ აურჩევიათ). დოსითეოსი დიდად იღვწოდა საკათალიკოსოს ეკონომიკური აღორძინებისათვის, მხარს უჭერდა ქვეყნის ხელისუფლებას. როგორც ცნობილია, დაპატიმრებული მოხუცი მიტროპოლიტი დოსითეოსი ტომარაში ჩაუსვამთ და რუსეთისაკენ წაუყვანიათ. იგი ტომარაშივე ცემით მოუკლავთ გორთან ახლოს. მეორე მიტროპოლიტი ექვთიმე გელათელი

(შერვაშიძე, 1776-1820) ხელისუფლებამ დაიჭირა, როგორც აჯანყების ერთ-ერთი მოთავე. ექვთიმე ადრე ჯუმათელი ეპისკოპოსი იყო. მან აღადგინა მრავალი გაპარტახებული ადგილი, დაასახლა გლეხებით, ააშენა სოფელი, რომელსაც ეკლესიაც აუგო, იღვწოდა ქვეყნის გაერთიანებისათვის, მეფის ხელისუფლების გაძლიერებისათვის. ხალხის აზრით, მიტროპოლიტები და, საერთოდ, ეპისკოპოსები ხელშეუხებელნი იყვნენ და მათ მაჰმადიანებიც კი პატივს სცემდნენ. რუსთა ქმედებამ გურიას, იმერეთთან და რაჭასთან ერთად ააჯანყა სამეგრელოს მოსახლეობაც. რუსთა ჯარმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის შემდეგ გაჭირვებით გაიმარჯვა უდიდესი დანაკარგებით, მოარბიეს და გადაწვეს რაჭა, არტილერიით მიწასთან გაასწორეს შემოქმედის ციხე გურიაში. სოფლები გადაწვეს, ზოგი მოჯანყე ჩამოახრჩვეს, მრავალი რუსეთში გადაასახლეს, მათი ქონება ხაზინას გადასცეს. ერმოლოვი წერდა: „სოფლები გავანადგურეთ და გადავბუგეთ, ბაღ-ვენახები ძირებამდე ავჩეხეთ, ვეღარასოდეს აღიდგენენ მოღალატენი პირვანდელ მდგომარეობას“[14].

რაჭაში სოფელი ფუტიეთი ეკუთვნოდა გელათის მონასტერს. ექვთიმე გელათელის დაპატიმრებამ, ცხადია, აღაშფოთა სოფელი. რუსთა ჯარს სოფელმა გაუმართა უსასტიკესი ბრძოლა 1820 წლის 21 მაისს. სარწმუნოებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლმა ორი ათასმა ქართველმა დადო თავი. მათ შორის იყვნენ მებრძოლი მღვდლები, ბერები და სასულიერო პირები. საბოლოოდ, აჯანყების დამთავრების შემდეგ, საეკლესიო აღწერის ტემპები შენელდა და ათწლეულობით გაგრძელდა. ქართული ეკლესიის თავისუფლებისათვის თავგანწირულმა ბრძოლამ დასავლეთ საქართველოში ბევრი თანამოაზრე და მხარდამჭერი გაიჩინა.

ეპარქიათა მაუქმებით მამოწვეული მძიმე სარწმუნოებრივი შეღებები

ქართულ ეკლესიას ისტორიულად ათეულობით საეპისკოპოსო, ანუ ეპარქია ჰქონდა აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში. მესხეთის 14 საეპისკოპოსო ოსმალო დამპყრობლებმა მოსპეს. სამწუხაროდ, როგორც აღინიშნა, მუსლიმანთაგან გადარჩენილი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოების უმეტესი ნაწილი რუსულმა ხელისუფლებამ გააუქმა. მათ ქართული ეკლესიის გავლენის შესუსტება სურდათ ქართველ ქრისტიანთა შორის, ამასთანავე, ეკონომიკური ინტერესებიც ამოძრავებდათ, მაგრამ შედეგი რუსეთის ხელისუფლებისათვის ალბათ მოულოდნელი აღმოჩნდა. როგორც შემდგომ ავტოკეფალისტები აღნიშნავდნენ, საეპისკოპოსოთა მოსპობით დაეცა ქრისტიანული სარწმუნოება ქართველთა შორის. საეპისკოპოსოთა გაუქმებით ქრისტიანობა რომ ზარალდება, კარგად იცოდნენ ქართველმა სულიერმა მამებმა, რაც კარგად ჩანს ერთი XVIII ს-ის სიგელიდან, რომელიც მცხეთიდან საათაბაგოში გაუგზავნიათ: „რა რომ საათაბაგო სჯულზე მიდრკა და ეპისკოპოსნი მოიშალნენ, მას აქეთ თქვენს ქვეყანაში ეპისკოპოსი აღარ შემოსულა და რომელ ადგილშიც ეპისკოპოსი არ შევა და იმისი მადლი და კურთხევა არ მივა, ან მისი მამამთავარი და მოძღვარი არ ასწავლის და არ

ჰმწყსის, ის ქვეყანა და იქ მახლობელნი ქრისტიანენი არ იქნებიან და არც მართლმადიდებლობაში აღირიცხვიან“[15]. აქედან ჩანს, რომ ქართლ-კახეთ-იმერეთ-გურია-სამეგრელოში საეპისკოპოსოების გაუქმებით ქრისტიანები მოაკლდნენ ეპისკოპოსის მიერ გაცემულ საღმრთო მადლსა და კურთხევას, გარდა ამისა, „25 სამღვდელმთავრო კათედრის დახურვამ ეპისკოპოსებს წაართვა სამღვდელოებაზე ზედამხედველობისა და ხელმძღვანელობის საშუალება“, მეორე მხრივ, იმ ეპარქიებშიც კი, რომლებიც არსებობდნენ, ეპისკოპოსის ხელმძღვანელობა ეგზარქოსს იმდენად შეუზღუდავს, რომ ეპისკოპოსს არ ჰქონდა საშუალება სამღვდელოების რეალური ხელმძღვანელობისა. მღვდლები ამ წაქეზების გამო ეპისკოპოსს აღარ ემორჩილებოდნენ და ამიტომაც მრევლზე ნაკლებ ზრუნავდნენ, რუსეთის საეკლესიო ხელისუფლებას სურდა თბილისიდან, ეპარქიების მონაწილეობის გარეშე, ემართა მთელი ეკლესია, რამაც სავალალო შედეგი გამოიღო.

ქართველობა სარწმუნოების გადარჩენისათვის გამუდმებით ითხოვდა გაუქმებული ეპარქიების აღდგენას, კერძოდ, ითხოვდნენ ურბნისის, ალავერდის, ბოდბისა და სხვა გაუქმებული კათედრების აღდგენას. 1841 წელს ეგზარქოს ევგენის მიმართეს თხოვნით: „გურიაში მღვდელმთავართა კათედრის დახურვის შემდეგ რელიგიურობამ დაქვეითება იწყო, გურულები, მცხოვრებნი მაჰმადიანური თურქეთის საზღვარზე, საჭიროებდნენ მღვდელმთავრის მიერ დამოძღვრას“. კათედრა აღადგინეს, მაგრამ 1885 წელს ეგზარქოსმა პავლემ გურიაში დახურა ჯუმათის, ხოლო სამეგრელოში ჭყონდიდის კათედრები. 1821 წელს იმერეთის ოთხი ეპარქიის გაერთიანებით შეიქმნა მხოლოდ ერთი, სამეგრელოს სამი (ჭყონდიდის, ცაგერის და ცაიშის) გაერთიანებით შეიქმნა ერთი, სამეგრელოს ეპარქია 1829 წლიდან. 1833 წელს გურიის ერთადერთი ჯუმათის ეპარქია შეუერთეს იმერეთის ეპარქიას, აღადგინეს 1844 წელს (ცენტრი ჯუმათში), მაგრამ 1885 წელს შეუერთეს სამეგრელოს ეპარქიას. 1851 წელს აღადგინეს აფხაზეთის ეპარქია, 1869 წელს შეუერთეს იმერეთისას, 1885 წელს კვლავ აღადგინეს (ცენტრი სოხუმში). ჩრდილო ოსეთი 1811 წლამდე შედიოდა წილკნის საეპისკოპოსოში, 1870 წლიდან შეუერთეს მოზდოკის ეპარქიას. 1875 წელს შეიქმნა ვლადიკავკაზის საეპისკოპოსო, რომელიც შედიოდა საქართველოს საეგზარქოსოში 1885 წლამდე.

საეგზარქოსოს პოლიტიკა, საბოლოო ჯამში, იწვევდა მრევლის სარწმუნოებრივ ინდიფერენტიზმს, უკარგავდა ქართულ ეკლესიას ეროვნულ სახეს. ხალხს განსაკუთრებით აღაშფოთებდა ქართული ენის ნაწილობრივი აკრძალვა ეკლესიებსა და სასწავლებლებში. სასულიერო სემინარიები ჩვენში არსებობდნენ XIX საუკუნემდეც. ისინი ხელისუფლებამ გააუქმა. თელავის სემინარიის უკანასკნელი რექტორი დავითი წერდა: „მას ჟამსა რუსნი მოვიდეს და სკოლა შეურაცხყვეს და სადაც სახელი ღვთისა იქადაგებოდა, ჰყვეს ქვაბ ავაზაკთა, ხოლო მე პირადპირადნი განსაცდელნი შემამთხვივნეს და მრავალი ბოროტი მოაწიეს ჩემ ზედა“[16]. XIX საუკუნის მანძილზე დაარსებულ იქნა მრავალი, მათ შორის, სასულიერო (1817 წლიდან) სასწავლებელი, მაგრამ ისინი უკვე არა ქართულენოვანნი, არამედ რუსულენოვანნი იყვნენ. კათალიკოს-პატრიარქ ლეონიდეს თქმით, ეს მომენტი

იწვევდა მომავალ სამღვდელოთა გაუნათლებლობას (ენის უცოდინარობის გამო საგნებს ვერ სწავლობდნენ): „გაუნათლებელ, თუმცა კი სემინარია დამთავრებულ ქართველ მღვდლებს არ შეეძლოთ გაენათლებინათ თავიანთი მრევლი.“ თანდათანობით სემინარია დამთავრებული ქართველი ახალგაზრდების ნაწილი გაუუცხოვდა ქართულს, დაეწაფნენ რუსულ და ევროპულ იდეებს სოციალიზმისას, ათეიზმისა და ანარქიზმისა. XIX ს-ში „დაიხურა 15 მონასტერი და 800-ზე მეტი ეკლესია. რუსეთის ხაზინამ ქართული ეკლესიის 150 მილიონი მანეთის ღირებულების ქონება მითვისა, საიდანაც ჯამაგირის სახით ეკლესიას ყოველწლიურად შვიდასი ათასი მანეთი გამოუყო, აქედან 150 ათასი მანეთი რუსულ და ბერძნულ ეკლესიებს ხმარდებოდა“.[17] ნ. დურნოვოს აზრით, რუსეთის ხაზინას ქართული ეკლესიისათვის ჩამოურთმევია 323 000 დესეტინა მიწა[18]. ეს გადაანგარიშებით შეადგენს 460 000 ჰა-მდე მიწას. ეკლესიებიდან და მონასტრებიდან დაიკარგა საუკუნეთა მანძილზე ნაგროვები უძვირფასესი ქონება, ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი ქვებით შემკული სასულიერო ნივთები. ასეთი ვითარების დროს არაა გასაკვირი ქართველი სასულიერო პირების აქტიური მონაწილეობა საქართველოს გასათავისუფლებლად მოწყობილ აჯანყებებში 1804, 1812 და სხვა წლებში. 1832 წლის აჯანყების ერთერთი იდეური წარმმართველი იყო არქიმანდრიტი ფილადელფოს კიკნაძე, „კახეთის შეთქმულთა საზოგადოების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, რომელმაც რელიგიურ კონცეფციამდე აიყვანა შეთქმულების საქმე“[19]. მის მიერ საიდუმლო ანბანის გამოყენებით შედგენილი „აქტი გონიური“ აჯანყების წესდებას წარმოადგენდა, მას რუსული გამოძიება საგანგებო მნიშვნელობის, მეტად მავნე დანიშნულების დოკუმენტს უწოდებდა. ამ „აქტი გონიურის“ შედგენაში, თავის დროზე, მონაწილეობა მიუღია სასულიერო მოღვაწეს იოანე ხელაშვილს[20].

ყოველივეს მიუხედავად, შეუძლებელია არ აღინიშნოს ეგზარქოსების მოღვაწეობის შედეგები, მაგალითად, თეოფილაქტე რუსანოვს (1817-1821) გაუხსნია სასულიერო სასწავლებელი თბილისში, გორში, თელავსა და სიღნაღში, მოსწავლეებს მშობლიურ ენასაც ასწავლიდნენ. საქართველოს მეორე რუს ეგზარქოსს, იოანე ვასილევსკის (1821-1832) გაუხსნია ვლადიკავკაზსა და ალაგირში სასწავლებლები, ეგზარქოსი მოსე ბოგდანოვ-პლატონოვი (1832-1834) ყოფილა განათლებული პიროვნება, ეგზარქოს ევგენი ბაჟანოვს (1834-1844) შეუძენია ახალი შენობა თბილისის სასულიერო სემინარიისათვის, შეუკეთებია სვეტიცხოველი გარემხრიდან, რაზეც 30 ათასი მანეთი დაუხარჯავს. სამწუხაროდ, ამ დროს ტაძარს აღდგენის ნაცვლად, აფეთქების საშუალებით, მოაცილეს ნახევრად დანგრეული სტოები, ეგზარქოსი ისიდორე ნიკოლსკი (1844-1858) ჭკვიანი და დინჯი პიროვნება ყოფილა. მას სურდა, წესრიგში მოეყვანა ქართული ეკლესიები. ფრესკები ჩამოცვენილი ანდა გახუნებული იყო. ამიტომაც უბრძანებია კირით შეეღებათ ეკლესიები, რამაც მოსპო ქართული ფერწერა. ეგზარქოსი ევსევი ილინსკი (1858-1877) ხელს უწყობდა სასულიერო სასწავლებლების კეთილმოწყობას, მაგრამ მის დროს ეკლესიებიდან დაკარგულა 2 მილიონი მანეთის საეკლესიო განძი[21]. ეგზარქოს იოანიკე რუდნევის (1877-1882) დროს დაარსებულა სანთლის ქარხანა, ქალთა ეპარქიული სასწავლებელი, სასწავლებლებში დაარსდა კათედრა ქართული საეკლესიო ენისა.

ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) დროს 1886 წელს სემინარიიდან გარიცხულმა იოსებ ლადიაშვილმა მოკლა სემინარიის რექტორი დეკანოზი ჩუდეცკი. მის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში, როგორც მიიჩნეოდა, ეგზარქოსს დაუწყევლია მკვლელის „წარმომშობი ხალხი“. აღშფოთებული ქართველების აზრი გამოხატა დიმიტრი ყიფიანმა, მან მოუწოდა ეგზარქოსს, თუ მართალი იყო ხალხში გავრცელებული ხმა, მაშინ „შემჩვენებელი განიდევნოს შეჩვენებული ქვეყნიდან“. დიმიტრი ყიფიანი ამისათვის დასაჯეს გადასახლებით, სადაც 1887 წელს მოკლეს.

ეგზარქოსი პალადი რაევი (1887-1892) დიპლომატი, ლოიალური ადამიანი ყოფილა. ცდილობდა ქართულ ოჯახებთან დაახლოებას. ეგზარქოსი ვლადიმირ ბოგოიავლენსკი (1892-1898) შეცვალა ფლავიანე გოროდეცკიმ (1898-1901), მის შემდეგ ყოველ ერთ-ორ წელიწადში, ვიდრე 1915 წლამდე, შეიცვალნენ ეგზარქოსები – ალექსი ოპოცკი 1901-1905, ნიკოლოზ ნალიმოვი, ნიკონ სოფიისკი 1906-1908, ინოკენტი ბელიაევი 1909-1913, ალექსი მოლჩანოვი, პიტირიმე ოკნოვი. საქართველოს უკანასკნელი ეგზარქოსი იყო პლატონ როჟდესტვენსკი (1915-1917).

ავტოკეფალური მოძრაობის დაწყება

ქართული ეკლესიის დასაცავად ხმა აღიმაღლეს თვით რუსი ერის საუკეთესო შვილებმა. მათ აზრს ანგარიშს უწევდნენ პეტერბურგსა და მოსკოვში და დიდი გავლენაც იქონიეს საერთოდ ქართული ეკლესიის აფტოკეფალიის აღდგენის პროცესზე. ერთ-ერთი ასეთი იყო ცნობილი სწავლული, სლავოფილი ნიკოლოზ დურნოვო, რომლის აქტიურ ღვაწლს ქვემოთ შევეხებით, მანამდე კი უნდა აღინიშნოს ეროვნებით ქართველი მიქაელ-გობრონ საბინინის როლი. მართალია, მას ავტოკეფალური მოძრაობის პროცესში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ პირველმა გამოაქვეყნა პეტერბურგსა და თბილისში ქართული ეკლესიის ავტორიტეტის ამაღლებისათვის დიდმნიშვნელოვანი თხზულებები, რომელთაც წარმოაჩინეს იმ დროისათვის უკვე თითქმის დავიწყებას მიცემული ქართული ეკლესიის წარსული ბრწყინვალება და სიდიადე (70-იან–80-იან წლებში), უფრო ადრე ქართული კულტურის მოამაგემ და მოსიყვარულემ გრ. გაგარინმა აღადგინა ქართული ფრესკები სიონში, მოხატა ცარიელი კედლები ეკლესიისა, შეადგინა ალბომები ქართული ყოფა-ცხოვრებისა და სიძველისა.

სამწუხაროდ, XIX საუკუნეში საქართველოში არათუ გაძლიერდა მართლმადიდებლობა, არამედ პირიქით, განელდა ქართველთა მხურვალე სარწმუნოება. კერძო პირების მიერ მოწოდებული ცნობებიდან და ოფიციალური ანგარიშებიდანაც კი ჩანს, რომ ქართველები აღარ დადიოდნენ ეკლესიებში ისე, როგორც ძველად, ნაკლებად ამბობდნენ აღსარებას, არ ეზიარებოდნენ, ქვეყანა დაადგა ზნეობრივი გადაგვარების გზას, XIX ს-ის 80-იანი წლებიდან დაიწყო ეკლესიების ძარცვა ყაჩაღთა ჯგუფების მიერ. ამის მიზეზად მიიჩნიეს ის, რომ რუსეთის წმიდა სინოდმა ვერ შეძლო ქართველი ერის სარწმუნოებრივი პატრონობა, წარმოიშვა იდეა, რომ მხოლოდ ეროვნული ეკლესიის აღდგენით იქნებოდა შესაძლებელი მდგომარ-

ეობის გამოსწორება. ეკლესია დაიყო ორ მებრძოლ ფრთად, ერთნი, ავტოკეფალიის მომხრენი – მიიჩნევდნენ, რომ რუსეთის იმპერია საქართველოში ეგზარქოსებად ისეთ პირებს ნიშნავდა, რომელთაც განსაკუთრებული სიძულვილი ჰქონდათ ყოველივე ქართულის მიმართ, რომ მათ მოშალეს კათედრები და დახურეს ეკლესია-მონასტრები, ქართული სასულიერო და საერო სასწავლებლები, მათ დროს გაიძარცვა ასობით ეკლესია, გაიბნა ძვირფასი არქეოლოგიური მასალა, რომ ისინი შეურაცხყოფდნენ და აბუჩად იგდებდნენ ქართულ ღვთისმსახურებას, გალობას, ხალხის ზნე-ჩვეულებებს, დევნიდნენ მოწინააღმდეგეებს, ისინი და მათი სამღვდელოება არ ფლობდნენ ხალხის ენას (ე. ი. ქართულს), შემოიღეს რუსულენოვანი წირვა-ლოცვა და სხვ.

მეორე ჯგუფი მხარს უჭერდა არსებულ მდგომარეობას. მათი აზრით, XIX ს-ში მოწესრიგდა იქამდე ეკლესიაში არსებული ქაოსური მდგომარეობა, დამყარდა წესრიგი, სამღვდელოებას მიეცა სარჩო, ხელფასი, პენსიები. გათავისუფლდა მაჰმადიანთა ბატონობის ქვეშ მყოფი მხარეები, სადაც აღდგა ან განმტკიცდა ქრისტიანობა, გაიხსნა უამრავი სასულიერო და საერო სასწავლებელი, აღდგენილ-გამშვენიერებულ იქნა ეკლესიები და მონასტრები. მთის რეგიონებში – ოსეთსა და სხვაგან, კომისიების დახმარებით აღორძინდა და განმტკიცდა შერყეული მართლმადიდებლობა, მოინათლა გამაჰმადიანება-გაწარმართების პირას მისული მთიელი ტომები და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე ქართული ეკლესია რუსეთის იმპერიაში არსებული უმძიმესი ვითარების მსხვერპლს წარმოადგენდა, კერძოდ, თუ XIX ს-ის დასაწყისში იგი ზეწოლას განიცდიდა იმპერიის კავკასიის მხრისაკენ გაფართოების გამო, XX საუკუნეში ეკლესია რყევას განიცდიდა იმპერიის დაშლისაკენ მიდრეკილების გამო.

XX ს-ის დასაწყისშივე აშკარად გამოიკვეთა ნიშნები იმპერიის რღვევისა. კავკასია, რომლის დაპყრობასაც რუსეთმა თითქმის ასი წელი მოანდომა, გათავისუფლებისაკენ მიილტვოდა, ასეთ დროს ეკლესიას დააკისრეს მძიმე მოვალეობა. იმპერიის სასულიერო უწყება აღნიშნავდა: „კავკასია უნდა დავიპყროთ ხელმეორედ და ამ შემთხვევაში სრულიად სხვა იარაღით. ამ სულიერი გამარჯვების გარეშე არ იქნება მყარი ფიზიკური დაპყრობა. ასეთი გამარჯვება არის სარწმუნოებრივი გამარჯვება. დადგა დრო, როდესაც ჩვენ ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ შემოვირიგოთ ადგილობრივი ტომები, შევირწყათ ისინი, მოვიკედლოთ, დავიპყროთ მათი სული და გული“[22].

იმპერიის განსამტკიცებლად საჭირო იყო იმპერიაში ეცხოვრა ერთ ენაზე მოლაპარაკე, ერთი სარწმუნოების მქონე, ქვეყნისადმი ერთგულ მოსახლეობას. დღის წესრიგში დადგა ქართველების, ისე, როგორც სხვა ხალხების, რუსებში ასიმილაცია-შერწყმის საკითხი. გაძლიერდა ქართული ენის წინააღმდეგ ბრძოლა საეგზარქოსოს მხრიდან „რუსეთთან ერთ ეროვნებად შერწყმის მიზნით“, რომელიც ჯერ კიდევ XIX ს-ის ბოლოდან დაიწყო სამეგრელოსა და სვანეთში ქართული ენის აკრძალვით სასწავლებლებსა და ღვთისმსახურებაში. ზოგიერთი რუსი რეაქციულად განწყობილი სასულიერო პირი, მაგ. ვოსტორგოვი, პირდაპირ აცხადებდა, რომ იმპერიის ინტერესებისათვის საჭირო იყო ქართველების გარუსება ეკლესიის დახმარებით. უფრო ადრე მსგავს პირებს ებრძოდა წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე.

ეკლესიის ერთმა ფრთამ, რომელიც ქართული ეკლესიის თავისუფლების აღდგენაზე ოცნებობდა, შესაბამისად უპასუხა მთავრობასთან დაახლოებულთა მეორე ფრთის ამ ქმედებას. ეს კარგად ჩანს კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს მემუარებიდან. ეგზარქოს პავლეს დროს რექტორ ჩუდეცკის მკვლელობამ დაძაბა ურთიერთობა, „ქართველები იყურებიან ბოროტად, ყველა ქართველი უნდა დავითხოვოთ, თუ არ გვინდა სემინარიის სრული დემორალიზაცია“, – წერდა პეტერბურგიდან ჩამოსული სემინარიის რევიზორი[23]. კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე წერს, რომ სემინარიაში სწავლისას სტუდენტებმა უკვე იცოდნენ, რომ ეგზარქოსების მიზანი იყო „მრევლის გარუსება“[24]. ახალ ეგზარქოსებს ეშინოდათ საქართველოში ჩამოსვლა, რადგანაც ფიქრობდნენ, რომ მათ დახოცავდნენ[25]. მართლაც, XX ს-ის დასაწყისში 1908 წელს მოკლეს ეგზარქოსი ნიკონი. რუსულ იერარქიაში საქართველოს უკვე უწოდებდნენ „ველურ და სასტიკ მხარეს“, რომლის ქართველი იერარქების „იდუმალი და ფარული გულისნადები“ იყო ქართული ეკლესიის გამოხსნა[26].

წმიდა ილია მართლისა და ქართველი მღვდელმთავრების ბრძოლა ავტოკეფალიის აღსადგენად

ახალ, XX საუკუნეს საქართველოს საეგზარქოსო, იმპერიული თვალსაზრისით, წელგამართული შეხვდა: „1901 წლისათვის საქართველოს საეგზარქოსოს ფარგლებში მოქმედებდა 485 საეკლესიო სამრევლო სკოლა, სასულიერო სემინარია, 200 ცოდნის სკოლა, რომლებშიც 26 763 ბავშვი სწავლობდა... თუ რა ყურადღებას უთმობდა მეფის მთავრობა განათლების საქმეს და, კერძოდ, სასულიერო განათლების საქმეს, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1898 წელს მთავრობამ საქართველოს ეკლესიების შესაკეთებლად გაიღო 11 645 მანეთი, ხოლო სასულიერო სასწავლებლების შეკეთებაზე დაიხარჯა 750 მან. ამავე დროს მოსახლეობის რელიგიურ აღზრდას საქართველოს საეგზარქოსოში, რომელიც აერთიანებდა 1 167 751 მართლმადიდებელს (აქ ნაჩვენები მოსახლეობის უმეტესობა საქართველოში ცხოვრობდა), ემსახურებოდა 34 მონასტერი (აქედან, 5 ქალთა), 24 საკრებულო ტაძარი, 1 629 სამრევლოშტატიანი და 720 მიწერილი ეკლესია. გარდა აღნიშნულისა, სკოლებთან არსებობდა 18 ეკლესია, ხოლო სასაფლაოებზე – 58, სულ საქართველოს საეგზარქოსოში იყო 2 486 ეკლესია და მონასტერი, რომელშიც საქმიანობდა 3 954 უმაღლესი და დაბალი წოდების სასულიერო პირი“[27].

როგორც ვხედავთ, ციფრები შთამბეჭდავია, მაგრამ მიუხედავად ამ გარეგნული წესრიგისა, ეკლესიის ქართველი მამები და იერარქები უაღრეს უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. მართალია, რუსეთმა შეძლო მოეწესრიგებინა საუკუნის დასაწყისში ქაოსურ მდგომარეობაში მყოფი ეკლესია, მაგრამ დაიკარგა მთავარი, რისთვისაც საერთოდ არსებობს იგი, – ხალხში განელდა სარწმუნოება, უფრო მეტიც, ხალხმა თითქმის ზურგი შეაქცია ეკლესიას. ის, რაც აქამდე ხალხის სულიერი ყოფის აუცილებელ ნაწილს შეადგენდა – ეკლესიურობა, ახლა უფრო ფორმალურ მხარედ იქცა. ეკლესია არა სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელ, არამედ საყ-

ოფაცხოვრებო დანიშნულების ელემენტად იქცა. მართალია, XIX ს-ის დასაწყისში, ავტოკეფალიის გაუქმების დროს, საქართველოში შეიძლება არ იცოდნენ ეკლესია-მონასტრების თუ სამღვდელო პირების ზუსტი რაოდენობა, მათი შემოსავალ-გასავალი, მაგრამ სასულიერო წოდება შესაბამის სიმაღლეზე იდგა, მოვალეობის აღსრულება ღირსებისა და თავდადების საგანს შეადგენდა, ქართველი კაცი მზად იყო სიცოცხლე დაეთმო სარწმუნოებისათვის, მისი დაცვა-შენახვისათვის. ერთი საუკუნის შემდეგ კი სარწმუნოებას მხოლოდ ფორმალური, გარეგნული დანიშნულება მიენიჭა. ფორმამ შეიწირა შინაარსი.

კიდევ უფრო უარესი და სარწმუნოებისათვის დამღუპველი იყო ის, რომ რუსეთის იმპერია ცდილობდა მართლმადიდებლობა გამოეყენებინა იარაღად ქართველების რუს ერში ასიმილაცია-გათქვეფისათვის. ეს მიუტევებელი შეცდომა იყო. თუ ქართველი ერისთვის ათასწლეულთა მანძილზე მართლმადიდებლობასა და ქართველობას ერთი მნიშვნელობა ჰქონდა, ეროვნების შენარჩუნება-დაცვას სწორედ მართლმადიდებლობით ახერხებდა, ახლა უკვე რუსეთის იმპერიაში ცხოვრებისას მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ქართული ეკლესიის მამები და ერის საუკეთესო შვილები მიხვდნენ, რომ სარწმუნოების გადასარჩენად საჭირო იყო ეკლესიის განშორება რუსული იმპერიული მანქანისაგან, საჭირო იყო აღდგენა ძველი საეკლესიო წყობისა – ავტოკეფალიისა.

ცნობილია, საქართველოს ეკლესია იმის გამო, რომ იგი XIX ს-ში რუსეთის ეკლესიის ნაწილად იქცა, უკვე აღარ იწოდებოდა ქართულად. ამის გამო, ავტოკეფალიის მოთხოვნის ოფიციალურად წარმოჩენამდე ქართველმა მღვდელმთავრებმა დაისახეს ორი მიზნის შესრულება: 1. როგორმე წმ. სინოდის საიმპერატორო კარისა და პირადად იმპერატორისათვის მიეწოდებინათ ცნობები ქართული ეკლესიის ძველი დიდებისა და ავტორიტეტის შესახებ; 2. როგორმე საქართველოს ეკლესიის ისტორიის ცოდნა გადაეცათ მომავალი თაობებისათვის. ჩვენმა იერარქიამ ისარგებლა 1901 წელს მოწყობილი დიდი ზეიმით, რომელიც აღინიშნა საქართველოს რუსეთთან „შეერთების“ 100 წლისთავის აღსანიშნავად და წმ. სინოდს გაუგზავნა სწორედ აღნიშნული შინაარსის შემცველი თხოვნა. ამ ვრცელ დოკუმენტს, რომელშიც გამოწვლილვითაა გადმოცემული ისტორიული სიმართლე ქართული ეკლესიის ათასწლოვანი ისტორიიდან, მისი უდიდესი გავლენა ქართველთა სულიერ და საერო ყოფაზე, ერთვის თხოვნა წმიდა სინოდისადმი, რათა მან „პეტერბურგის თეოლოგიის აკადემიაში დააარსოს ქართული საეკლესიო ისტორიის დამოუკიდებელი კათედრა, სადაც შეისწავლიან ხელნაწერებს, საეკლესიო არქიტექტურულ ძეგლებსა და ყველაფერს, რაც კი ქართულ ეკლესიას ეხება. ეს ნაშრომები ახალი ცნობებით გაამდიდრებენ თეოლოგიურ და საეკლესიო ლიტერატურას და ნათელს მოჰფენენ მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილ ფურცლებს“[28]. რუსეთის იმპერიაში რევოლუციური პროცესების დაწყებამაც დააჩქარა უკვე ოფიციალურ დონეზე ავტოკეფალიის მოთხოვნის წამოწყება. ამ მოთხოვნებით მრავალჯერ მიმართეს იმპერატორსა და წმიდა სინოდს.

1905 წლის 11 ოქტომბერს ქართველმა დიდებულებმა მიმართეს კავკასიის მეფისნაცვალს და გადასცეს წერილობითი დოკუმენტი, რათა იმპერატორისათვის მიერთმია. წმიდა ილია მართლის არქივში დაცული ხელნაწერის ტექსტი (ხელნაწერთა ინსტ. ი. ჭავჭ. ფონდი, საქმე №202) წარმოადგენს ილიას მიერ წარმოთქმული მოხსენების ნაწილს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აუცილებლობის შესახებ. როგორც ჩანს, ეს სიტყვა ილიამ წაიკითხა ვორონცოვ-დაშკოვთან აუდიენციისას. გაზეთ „ცნობის ფურცელს“ გამოუქვეყნებია იმპერატორისათვის გადასაცემი დოკუმენტის ნაწილი: „თქვენო ბრწყინვალებავ, 16 საუკუნეა ივერიის ხალხი თაყვანსა სცემს წმიდა ჯვარს უფლისას. ბევრი, ბევრი მძიმე განსაცდელი და უბედურება გამოიარა ამ ხალხმა სარწმუნოების გულისათვის, მთელი საუკუნეების განმავლობაში ქართველობა აღმოსავლეთ ქვეყნების მპყრობელთა ულმობელი უღლის ქვეშ კვნესოდა. ითმენდა სისასტიკეს, მაგრამ ივერიის ეკლესია მაინც შეურყეველი და ცხოველი იყო. ძლიერი იყო სული და უძლეველი ძალა მისი, დამყარებული მწყემსთა და სამწყსოთა შორის მტკიცე ერთობაზე, დიდებულია და ქებული წამებულთა სისხლით მორწყული ის გზა, რომელზედაც შეუდრეკლად მიჰყავდა, ამხნევებდა, ანუგეშებდა და უთითებდა ქრისტიანობის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მიზნისა და იდეალებისაკენ. მაგრამ გავიდა უკანასკნელი 100 წელი, როდესაც ქართული ეკლესიის ბედ-იღბალს განაგებდნენ რუსი ეგზარქოსები და რასა ვხედავთ ახლა? სარწმუნოება მოკლულია ქართველ ხალხში, ინდიფერენტიზმმა მოიცვა ყველა ნაწილი მცხოვრებთა, რომელმაც დაიბუდა თვით მორწმუნეთა გულშიაც. ეკლესიები ცარიელია დიდ საუფლო დღესასწაულებშიაც კი; ეკლესიები თითქმის ყოველდღე იძარცვებიან, რაც წარსულ საუკუნეებში არ ნახულა და არ გაგონილა. მრევლი უარს უცხადებს მღვდელს და აღარ უხდის არაფერს საეკლესიო საღმრთო წესის შესრულებისათვის და ზოგიერთს ადგილებში სრულიადაც უარყოფს მას. საქართველოს სამღვდელოება უკიდურეს მდგომარეობაშია ჩაყენებული, წერილობით თუ დეპუტატების პირით, საქართველოს ეგზარქოსს უცხადებს, რომ შიმშილით სიკვდილი მოელის და თუ მთავრობამ არ უზრუნველყო იგი, იძულებული იქნება უარყოს მწყემსთმსახურება და დაუბრუნდეს ერის კაცობას და საერისკაცო საქმით გამონახონ თვით არსებობისათვის საჭირო საზრდო. ერთი სიტყვით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ამჟამად საშინელ სულთმობძრავის მდგომარეობაშია. ესა ხდება მაშინ, როდესაც ეკლესიის სხვა ხალხს სარწმუნოება მტკიცედ აქვს დაცული და სამღვდელოებაც უზრუნველყოფილი. რა არის მიზეზი საქართველოს ეკლესიის ასე დაცემისა? რა არის მიზეზი სარწმუნოების განქრობისა საქართველოში, იმ ქართველებში, რომელზედაც ბიზანტიის შესანიშნავი ისტორიკოსი პროკოფი კესარიისა ამბობს: „ივერიელნი ყველა

ხალხებზე უკეთ ინახავენ წესს ქრისტიანობრივ სარწმუნოებისას“. მიზეზი ის არის, რომ ივერიის ეკლესიას წაერთვა ყოველივე ის, რითაც ცოცხლობდა, ძლიერი იყო იგი და რითაც სცოცხლობდნენ კავკასიის სხვა ერების ეკლესიები. შესწყდა სიცოცხლის ძარღვი. განჰქრა ეკლესიასა და მის მეთაურებს შორის კავშირი, რომელიც მტკიცედ დამყარებული იყო შთამომავლობისა, ენისა, გადმოცემათა და სულიერ მშობლიურ ერთობაზე, წაერთვა თვითმმართველობა, გაუქმდა საეროვნო წესი, რომელიც ქვაკუთხედი იყო ორგანიზაციისა, ამჟამად საქართველოს ეკლესიას აღარ ჰყავს მეთაური, აღარ აქვს კანონიერი ავტოკეფალია. ეხლანდელი მეთაურნი უცხონი არიან ივერიის ეკლესიისათვის; უცხონი არიან ეხლანდელი მწყემსნიც, აღზრდილები ხალხის წინააღმდეგ მიმართულებაში. ესენი მოკლებულნი არიან ნიჭს სიტყვიერებისას მშობლიურ ენაზე და ხალხის თვალში წარმოადგენენ მხოლოდ სასულიერო უწყებების მოხელეთ. ამგვარ პირობებში ეკლესია უნდა დაცემულიყო და აკი მართლაც დაეცა. საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიის სახსნელად საჭიროა მიეცეს თავისუფალი სიცოცხლე, დაუბრუნდეს ძველი კანონიერი მართვა-გამგეობა, სრულად დაუბრუნდეს ხალხის მიერ არჩეული კათალიკოსი სრულის უფლებებითა და ვალდებულებებით, ივერიის ეკლესიის გამოსაბრუნებლად სხვა გზა არ არის. ესეთი რეფორმა შესძლებს მხოლოდ, შეასწოროს 100 წლის უსამართლობა და ამასთანავე ხელს შეუწყობს საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკური ერთობის განმტკიცებას, რადგან ეს ერთობა ისე ძლიერად არაფრით არ სუსტდება, როგორც იმით, რომ ქართველი ხალხი მოკლებულია იმ დიდ უფლებას, რომლითაც სავსებით სარგებლობენ მეზობელი ხალხები.

თქვენო ბრწყინვალებავ! განზრახული ავტონომია კავკასიის ეკლესიისა მიტროპოლიტის მეთაურობით ვერ დააკმაყოფილებს ქართველ ერს, რომელიც გულმოკლულად მიეგება ამ ამბავს და სცნო, რომ ამ ცვლილებებით მოესპობა საქართველოს ეკლესიას მრავალსაუკუნოვანი არსებობის უკანასკნელი კვალი; არა, საჭიროა აღდგენილ იქნეს საქართველოში საკათალიკოსო უფლებანი და აი, ამიტომ ჩვენ, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილნი, წევრნი საქართველოს ეკლესიისანი ვთხოვთ თქვენს ბრწყინვალებას, აღმოუჩინოთ ძლიერი დახმარება ამ შუამდგომლობას, რომელიც აღძრა ამერ-იმერეთის სამღვდელოებამ მის იმპერატორობით უდიდებულესობისა და უწმინდესი სინოდის წინაშე, რომ აღდგენილ იქნას ივერიის ეკლესიის ავტოკეფალური უფლებანი, ამორჩეული კათალიკოსის მეთაურობით. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ თქვენი ავტორიტეტული და სამართლიანი გამოქომაგება შეწყნარებული იქნება ხელმწიფე იმპერატორის მიერ და დაუბრუნდება საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია, ისე, როგორც მხოლოდ თქვენი შუამდგომლობითვე დაუბრუნდა სომეხთა ავტოკეფალურ ეკლესიას მამულები და ნაციონალური საეკლესიო სამრევლო სკოლები. განახლება საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიისა სხვა რეფორმებთან ერთად, რომელთაც მოულოდნელად მოელის ხალხი, ჩვენ ქვეყანას წაიყვანს მშვიდობიანობისაკენ“[29].

ამ დოკუმენტის გადაცემის წინ, ჩანს, ილიას წარმოუთქვამს სიტყვა, რომლის ტექსტიც ილიას პირად საარქივო ფონდშია დაცული: „თქვენო ბრწყინვალებავ,

რუსეთის ფარგლებში ყველა არარუსს (ინოროდეცს) სარწმუნოებრივი მართვის საქმეში დამოუკიდებლობა აქვს. სომხები, მუსულმანები, ებრაელები და ა.შ. თავიანთი აღმსარებლობის მმართველობაში თავისთავადნი არიან. მათ აქვთ საკუთარი სასულიერო სასწავლებლები, სადაც სწავლა მშობლიურ ენაზეა და ყოველდღე მშობლიურის სწავლებას დათმობილი აქვს ფართო ადგილი. მათ დამოუკიდებლად მართავს საკუთარი სამღვდელოება. უცნაურია, რომ ამ სიკეთეს მოკლებულნი არიან მხოლოდ მართლმადიდებელნი ქართველები, თითქოსდა სასჯელად მათი მართლმადიდებლობის გამო.

მარტოოდენ მართლმადიდებელი ქართველების უუფლებობამ შეიძლება წარმოშვას აზრი, რომ არარუსებისათვის ეროვნული გაგებით მართლმადიდებლურ რუსეთში მომგებიანი არაა მართლმადიდებლური სარწმუნოების აღმსარებლობა. საქმის ასეთი ვითარება შეიძლება აიხსნას მხოლოდ რაღაც გაუგებრობით, რომელსაც ამდენი ხანია მხოლოდ ზიანი მოაქვს მართლმადიდებლობისათვის.

ამგვარი არაგონივრული ვითარების შემდგომი შენარჩუნება, ჩვენი აზრით, მიჩნეული უნდა იქნეს უდიდეს სახელმწიფოებრივ და რელიგიურ შეცდომად.

ამიტომაც განსახილველად წარმოგიდგენთ შუამდგომლობას ქართული ეკლესიისათვის მის წიაღში უძველესი დროიდან არსებული ავტოკეფალიის დაბრუნების შესახებ: ვიმედოვნებთ, რომ ამით ვასრულებთ ჩვენს მოქალაქეობრივ ვალს და ვსასოებთ, რომ ამ თხოვნით თქვენი ბრწყინვალების მხარდაჭერა დაიმსახუროს“[30].

1905 წელს მეფისნაცვლისადმი მხოლოდ მოთხოვნის წარდგენით არ დაკმაყოფილებულა ილია. პეტერბურგში საქმის განხილვამდე თავად საგანგებოდ ეახლა წმიდა სინოდის ობერპროკურორს ა. დ. ობოლენსკის, რომელსაც დაწვრილებით განუმარტა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის არსი, რომ ამ საკითხის მოუგვარებლობა მომტანი იყო მრავალი უბედურებისა[31]. როგორც ჩანს, პეტერბურგში გამგზავრებამდე ილია საგანგებოდ ემზადებოდა სინოდის ობერპროკურორთან შესახვედრად, იღრმავებდა ცოდნას ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. ამას მიუთითებს ილიას მონაწილეობა 1905 წლის თბილისის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სასწავლებლის შენობაში გამართულ ყრილობაში, რომელიც მიეძღვნა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს. ყრილობაზე გამოსული ორატორები მოითხოვდნენ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ დაბრუნებოდა ჩამორთმეული მიწები[32].

ზემოაღნიშნულ შეხვედრაზე, მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს არ გამოუთქვამს სურვილი ავტოკეფალიის აღდგენისა, მას განუცხადებია: დამარწმუნეთ, რომ ეგ ავტოკეფალია სასარგებლო იქნება საქართველოსათვისაც და რუსეთისათვისაც და მაშინ დაგიჭერთ მხარსო, თანაც ყურადღება მიუპყრია იმ საკითხისათვის, რომ კანონიკური თვალსაზრისით, ერთ სახელმწიფოში ერთი ეკლესიის არსებობაა ნებადართული. მაშასადამე, ერთ რუსეთის იმპერიაში ორი ავტოკეფალური (საქართველოსა და რუსეთის) ეკლესიის არსებობა უხერხულობას შექმნიდა. ილიას შემდგომ კონსულტაციები მიუღია ამ საკითხზე ქართველ სასულიერო პირთაგან. ექვთიმე თაყაიშვილი აღწერს იმ დროის ვითარებას: „ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტეთ დიდი დემონსტრაცია მოგვეწყო და ავტოკეფალია მოგვეთხოვა, თან უნდა წაგვეღო

ბაირაღები და პლაკატები წარწერებით: „აღგვიდგინეთ ავტოკეფალია“ და სხვა. წამოიჭრა საკითხი: ვინ უნდა გაძღოლოდა წინ ამ არაჩვეულებრივ დემონსტრაციას? ილიამ გვითხრა: „თუ საჭიროა, მე წაგიძღვებითო!“[33].

ავტოკეფალიის მოთხოვნა, წამოყენებული ქართველი მღვდელმთავრების მიერ, ნამდვილ სახალხო მოძრაობად იქცა. ყველას ამხნევებდა ილიას თანადგომა. წმიდა ილია მართლის ბინაზე იკრიბებოდა საზოგადოება ამ საკითხზე მსჯელობისათვის, შეკრებებს ესწრებოდა აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვ. ილიას უფრო გამოწვლილვით გააცნეს მისთვის საინტერესო საკითხები და იგი, უკვე მომზადებული, გაემგზავრა პეტერბურგში. ალ. ცაგარელთან ერთად ეახლა პეტერბურგის მიტროპოლიტ ანტონის. „ორივე ქართველი ხანგრძლივად ებაასა სინოდის თავმჯდომარეს ქართველთა ეკლესიის თავისუფლებაზე. ამ ვიზიტის შემდეგ ილია უფრო არკვევდა საჭირო მასალებს, რასაკვირველია, მოხსენებისათვის“[34].

რუსეთის მთავრობამ მართლაც განიხილა ქართველთა მიერ დაყენებული საკითხი და იგი გადასაწყვეტად მიანდო რუსეთის მომავალ საეკლესიო კრებას. ამ კრების მოსამზადებელ თათბირებზე, 1906-1907 წლებში, იყო მსჯელობა ამ საკითხზეც. მასში მონაწილეობდნენ ეპისკოპოსები კირიონ საძაგლიშვილი, ლეონიდე ოქროპირიძე და ექვთიმე ელიაშვილი. ეს უკანასკნელი თითქოსდა მხარს არ უჭერდა ავტოკეფალიას. კირიონი და ლეონიდე კი არათუ მხარდამჭერნი, არამედ წამომწყებნი იყვნენ ავტოკეფალურობის იდეისა. თათბირში მონაწილეობდნენ პროფესორები: ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ნიკო მარი. ყველა მათგანმა სხდომებზე წაიკითხა მოხსენება. ეპ. კირიონმა ოთხი მოხსენება წაიკითხა. პირველში ნაჩვენები იყო, თუ რომელ საუკუნეში მიიღო ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია და მისი გაუქმებით რომელი კანონები დაირღვა (მოციქულთა 30-ე და 35-ე, ანტიოქიის კრების 22-ე კანონი). მეორე მოხსენება ეხებოდა მძიმე სარწმუნოებრივ ყოფას საქართველოში და მის გამოსასწორებლად ავტოკეფალიის აღდგენის საჭიროებას. მესამე მოხსენებაში ნაჩვენები იყო, რომ სხვადასხვა წყაროს ცნობები XI ს-ში იბერიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ, სინამდვილეში გულისხმობდა ტაო-კლარჯეთის ივერიას. მცხეთის ეკლესია მაშინ უკვე ავტოკეფალური იყო. მეოთხე შეეხებოდა ეკლესიათა მოწყობის ეროვნულ პრინციპს. დიდმნიშვნელოვანი იყო პროფ. ცაგარელის, პროფ. ალ. ხახანაშვილის ვრცელი მოხსენებანი. მათთან ერთად ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას იცავდა ორი რუსი მეცნიერი: პეტერბურგის სასულიერო აკადემიის პროფესორი ივანე სოკოლოვი, მოსკოვის აკადემიის პროფესორი ზაოზერსკი, მაგრამ თათბირის მონაწილეთა უმეტესობამ საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ აღიარა უსაფუძვლოდ. მათ შორის აქტიურობდნენ მტრები ქართული ეკლესიის თავისთავადობისა: პროფ. გლუბოკოვსკი, ოსტროუმოვი, ეპისკ. სტეფანე, დეკანოზი ვოსტორგოვი, ბუტკევიჩი და სხვები[35]. 20 კაცისაგან შემდგარმა სინოდის კომისიამ უგულებელყო საკითხი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა. წმ. სინოდმა დაუსჯელად არ დატოვა არც ერთი სასულიერო პირი, რომელნიც აღნიშნულ საკითხს აყენებდნენ. საქართველოდან გააძევა ეპისკოპოსი კირიონი. კირიონს

დააბრალეს 1908 წლის 28 მაისს საქართველოს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში მონაწილეობა. ამ ცილისწამებამ უკიდურესად აღაშფოთა მორწმუნენი.

ილიას მოკვლისა და იმპერიაში რეაქციის გამარჯვების შემდეგ, ქართველმა ავტოკეფალისტებმა გადაწყვიტეს თავიანთი იდეის ხალხის გულამდე მიტანა წიგნების გამოცემით. ამ პერიოდში დაიბეჭდა მრავალი შრომა, მიძღვნილი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისადმი. პირველი მსოფლიო ომის ბოლო პერიოდში, რუსეთის იმპერიის პოლიტიკური რყევის დაწყებისას მოძრაობა კვლავ აღორძინდა. სამღვდელოებამ მთელი სიმძაფრით წამოაყენა ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. 1916 წლიდან საქართველოს სხვადასხვა ეპარქიაში მოწვეული კრებები იღებდნენ გადაწყვეტილებებს თვითმწყსობის აღდგენის შესახებ. ეკლესიის თავისუფლება მიაჩნდათ საწინდრად საქართველოს მომავალი გათავისუფლებისა, რის იმედსაც ომში რუსეთის იმპერიის დამარცხება აღძრავდა. წმ. სინოდი იძულებული შეიქნა, მიეღო ისეთი ღონისძიებანი, რაც ჩაახშობდა ავტოკეფალისტთა მოძრაობას, ამასთან დაკავშირებით წმ. სინოდმა განიხილა სამი ღონისძიება:

1. დაეარსებინათ კავკასიის სამიტროპოლიტო (მას უნდა ჩაეხშო საქართველოს ავტოკეფალიის მოთხოვნა);

2. სოხუმის ეპარქიის პროექტი (მას საქართველოს საეგზარქოსოდან უნდა მოეწყვიტა აფხაზეთის რეგიონი);

3. დახურულიყო საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა (საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია სწორედ მის ბაზაზე უნდა წარმოქმნილიყო, მისი გაუქმებით ავტოკეფალიის მოთხოვნას საფუძველი გამოეცლებოდა).

1916 წელს მართლაც დაარსებულა „კავკასიის სამიტროპოლიტო“. მისი შექმნის საკითხს სინოდი ათი წლით ადრეც იხილავდა. საქართველოს საეგზარქოსოდან გამოიყო სოხუმის ეპარქია და საქართველოს საეგზარქოსოს ეწოდა კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქი.

რუსეთის იმპერიაში 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქართველმა სამღვდელოებამ გადაწყვიტა უსწრაფესად ესარგებლა შექმნილი მომენტით და გამოეცხადებინა ავტოკეფალიის აღდგენა. 1917 წლის 12 მარტს მცხეთაში შეიკრიბა ათიათასობით მორწმუნე. სწირეს მღვდელმთავრებმა ლეონიდემ, გიორგიმ, ანტონმა და პიროსიმ. აქ იყვნენ საქართველოს ეპარქიათა წარმომადგენლები, საგუბერნიო და სამაზრო მარშლები. სვეტიცხოველში წირვისას „განიცადეზე“ სიტყვით გამოვიდა ეპისკოპოსი ლეონიდე და გამოაცხადა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური მართვა-გამგეობის აღდგენა. მიულოცა ისტორიული დღე მთელ ქართველ ხალხს. წირვის დამთავრების შემდეგ „მრავალჟამიერი“ უგალობეს სინო-

დის მიერ დასჯილ ეპისკოპოსებს კირიონს და დავითს, არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიას, გადასახლებულთ.

ამბიონიდან გამოცხადდა, რომ 1. 1917 წლის 12 მარტიდან გრძელდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია; 2. დროებით, კათალიკოსის არჩევამდე, ეკლესიის გამგედ ინიშნება გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე; 3. ხოლო ეკლესიის მმართველობა ევალება აღმასრულებელ კომიტეტს, რომელშიც შედიან სასულიერო და საერო პირები. იმავე დღეს იქვე შედგა ოქმი, იმავე, ოღონდ უფრო განმარტებითი შინაარსისა, რომელსაც დაემატა ერთი მუხლი, რომ ეს დადგენილება უნდა მოხსენებოდა რუსეთის ახალი მთავრობის თავმჯდომარეს, მინისტრთა საბჭოს, სინოდის ობერპროკურორს ბ. ლვოვს და თბილისის კავკასიის კომისარიატს. მას მღვდელმთავართა და სასულიერო პირებთან ერთად ხელი მოაწერეს თავადაზნაურებმა და ხალხმა[36]. გადაწყდა, ქართველ სამღვდელოებას შეეწყვიტა კავშირი ყოფილ ეგზარქოსსა და საეგზარქოსოსთან. თხოვნები და მოხსენებები უნდა გაეგზავნათ ლეონიდესა და ეკლესიის დროებით მმართველობასთან, ქართულ ენაზე უნდა შედგენილიყო დოკუმენტები; წირვისას სინოდის ნაცვლად კათალიკოსის მოსაყდრე უნდა მოეხსენებინათ.

მეორე დღეს, 13 მარტს, ეპისკოპოსმა ლეონიდემ ოფიციალურად განუცხადა ეგზარქოს პლატონს, რომ იგი მცხეთის კრების დადგენილებით გადაყენებულია თანამდებობიდან და მოვალეა ეკლესიის ყოველი საქმე და ქონება გადასცეს კათალიკოსის მოსაყდრეს[37].

14 მარტს თბილისში მოწვეულმა კრებამ დაადგინა სიონში რუსულის ნაცვლად ღვთისმსახურების ქართულ ენაზე ჩატარება. ამასობაში რუსეთის დროებითმა მთავრობამ განიხილა 1917 წლის 12 მარტის აქტი და დაადგინა: „მიეცეს საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია არა ტერიტორიული, არამედ ეროვნული ნიშნის მიხედვით. მართლმადიდებელი რუსებისა და არაქართველების ეკლესიები დარჩნენ რუსეთის სინოდის გამგეობის ქვეშ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება საბოლოოდ ეკუთვნის რუსეთის დამფუძნებელ კრებას“[38].

ეს დადგენილება მიიღეს 27 მარტს, 29 მარტს კი შედგა ქართველთა საეკლესიო კრება, რომელმაც დაადგინა, რომ საქართველოს ეკლესიის ეროვნული ნიშნით ავტოკეფალია ეწინააღმდეგება საეკლესიო კანონებს. ამით ერთმანეთს დაუპირისპირდება რუს-ქართველ მორწმუნეთა ინტერესები. ამიტომაც საქართველოს უნდა მიეცეს ტერიტორიული ავტოკეფალია.

1917 წლის აპრილში რუსეთის მთავრობამ საეკლესიო საკითხის შესასწავლად გამოაგზავნა პროფ. ბენეშევიჩი რუსთა ინტერესების დასაცავად.

1917 წლის 15 აგვისტოს საქართველოს ეკლესიის მმართველობამ აღადგინა თბილისის ქართული სამიტროპოლიტო კათედრა. ეს მომენტი უდიდეს მოვლენად მიიჩნეოდა, რადგანაც რუსი ეპისკოპოსი თბილისის მიტროპოლიტად აცხადებდა თავს და ცდილობდა რუსი მრევლის დამწყსვას. კათედრა თავის ხელში აიღო ეპისკოპოსმა ლეონიდემ.

23 აგვისტოს ქართველმა სამღვდელოებამ დაიკავა ეგზარქოსის სახლი.

ამასობაში დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა დებულება „რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ“. რუსეთი ცნობდა საქართველოს ეკლესიის ტერიტორიულ ავტოკეფალიას, ანიჭებდა მას რუსეთის ეკლესიის თანაბარ იურიდიულ მდგომარეობას, ეძლეოდა ხაზინიდან შესანახი თანხები. ასე რომ, საქართველოს საეგზარქოსოს იურიდიულ მემკვიდრედ გამოცხადდა საქართველოს ეკლესია[39].

ყოფილმა ეგზარქოსმა იჩივლა მოსკოვის საეკლესიო კრებაზე და განაცხადა, რომ საქართველო ჩამოშორდა მართლმადიდებლობას ავტოკეფალიის აღდგენით.

ასე რომ, მხოლოდ დროებითი მთავრობის დადგენილება არ იყო საკმარისი ეკლესიის მდგომარეობის განსამტკიცებლად. 1917 წლის 3-12 აგვისტოს სხდომებზე გადაწყდა, მოწვეულიყო საქართველოს საეკლესიო კრება და მთელი საქართველოდან შეკრებილიყვნენ დელეგატები.

1917 წლის 8 სექტემბერს სიონის ტაძარში საეკლესიო კრებაზე შეიკრიბა 600 დელეგატი. აქ იყვნენ თბილისის მიტროპოლიტი ლეონიდე ოქროპირიძე, ეპისკოპოსები: პიროს ოქროპირიძე, ანტონ გიორგაძე, გიორგი ალადაშვილი, არქიმანდრიტები, ბერ-მონაზვნები, საერონი. ეპისკოპოსი კირიონი კრების პირველ სხდომებს არ დასწრებია. კრებას თავმჯდომარეობდა ლეონიდე. პრეზიდიუმის წევრები იყვნენ გიორგი ჟურული, ტრიფონ ჯაფარიძე და სპირიდონ კედია. კრებამ განიხილა ეკლესიის სხვადასხვა საშინაო საკითხი, მათ შორის უმთავრესი იყო ეპარქიებისა და საკათალიკოსო საბჭოს შექმნის საკითხი. 17 სექტემბერს დაინიშნა კათალიკოს-პატრიარქის არჩევნები. კენჭი ეყარა ორ კანდიდატს – ეპისკოპოს კირიონსა და მიტროპოლიტ ლეონიდეს. არჩევნებში მონაწილეობდა 440 კაცი. ფარული კენჭისყრით ლეონიდემ მიიღო 230 ხმა, კირიონმა – 241. 11 ხმის უპირატესობით კათალიკოსად გამოცხადდა კირიონი. მას უგალობეს „აქსიოს“. იმავე დღეს, საღამოს, ამოირჩიეს ეპისკოპოსები: ქუთათელ მიტროპოლიტად ანტონ გიორგაძე, ჭყონდიდელ მიტროპოლიტად ამბროსი ხელაია, ურბნელ ეპისკოპოსად დავით კაჭახიძე, ალავერდის ეპისკოპოსად პიროს ოქროპირიძე[40].

კათალიკოს-პატრიარქმა კირიონმა „გუჯარით“ მიმართა „დიდებულსა და ღვთივდაცულ ივერიას“, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამი იყო: „განმტკიცება ახლად აღდგენილ ეკლესიისა მის ისტორიულ უფლებებში – აი, პირველი საზრუნავი. დღეს ვალად აძევს ჩვენს ეკლესიას ემსახუროს იმავე იდეას და მედგრად გაახსენოს კაცობრიობას სახელი ქართველი ერისა. მან ხელი უნდა შეუწყოს ჩვენს განმტკიცება-გაერთიანებას, რათა კაცობრიობის ფერხულში ჩვენც ვპოვოთ შესაფერი და დამსახურებული ადგილი. აი, მეორე საზრუნავი ჩვენი!“[41].

კირიონმა ეპისტოლეებით მიმართა „აღმოსავლეთის პატრიარქებს“, რომის პაპს, სომეხთა კათალიკოს-პატრიარქს, ამცნო მათ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა.

კათალიკოს-პატრიარქის ტახტზე ასვლა კირიონს პირველმა მიულოცა თბილელმა მიტროპოლიტმა ლეონიდემ: „მე მიორკეცდება ძალ-ღონე, რომ მარტო არა ვარ და მეგულებით ჩვენი ეკლესიის უმაღლეს ხელმძღვანელად. ფიცს ვდებ, მთელი ჩემი არსებით დაგეხმაროთ ტვირთის ზიდვაში, ჩვენი ეკლესიის საქმის გაძღოლაში“[42].

მიტროპოლიტი ლეონიდე იყო ერთ-ერთი უდიდესი შემოქმედი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისა კირიონთან ერთად, რომლის ღვაწლი დიდად დააფასა საეკლესიო კრებამ.

კირიონის მოღვაწეობის სურათი კარგადაა გადმოცემული მისსავე სიტყვაში, რომელიც წარმოთქვა 1917 წლის 21 სექტემბერს თედო ჟორდანიას საფლავზე: „ექვსი წელი ვსწავლობდით სემინარიაში ერთად და შემდეგ აკადემიის დამთავრებისა სხვადასხვა ასპარეზზე მოგვიხდა სამსახური. შენ საყვარელ სამშობლოში, მე კი უცხოეთში. აქედან იწყება ჩვენი მოღვაწეობა სამშობლო ეკლესიის აღსადგენად. ისეთი ძნელი დრო იყო მაშინ, რომ ავტოკეფალიაზე მხოლოდ ჩურჩულით ლაპარაკი შეგვეძლო. გამოჩნდა რუსეთში ღვთისნიერი და პატიოსანი ადამიანი ნ. ნ. დურნოვო, რომელიც ქადაგებდა უშიშრად ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიაზედ. ჩვენც ამოვუდეგით მას მხარში და შევუდეგით საქმეს. არავის ეგონა, რომ დურნოვო რუსი იყო. ფიქრობდნენ, რომ ჩემი გვარი (საძაგლიშვილი) რუსულად გადავთარგმნე და მე მაწერდნენ ამის ცხელ-ცხელ სტატიებს. 32-33 წელიწადი ვიღვაწეთ ერთად და აი, ვეღირსენით იმას, რასაც მოუთმენლად მოელოდნენ ჩვენი წინაპარნი. ჩამოგძახებ საფლავში: გიხაროდეს ერთგულო მუშაკო... ჩვენი დიდი ხნის ნატვრა ასრულდა, აღსდგა კვლავ საქართველო, აუწყე ჩვენს წინაპართ, რომ ვსუნთქავთ თავისუფალ ეკლესიაში...“ (ეპისკოპოს კირიონის ფონდი 11245). კირიონი თავდადებით შეუდგა ეკლესიის აღორძინების საქმეს, 1918 წლის 26 იანვარს, წმიდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, აკურთხა თბილისის ახალდაარსებული უნივერსიტეტი. 1918 წლის 27 მაისს თავისუფლების მოედანზე პარაკლისისას სიტყვით მიმართა საზოგადოებას, 1918 წლის 27 ივნისს მარტყოფის მონასტერში, რეზიდენციაში, კათალიკოს-პატრიარქი კირიონი ტყვიით განგმირული იხილეს. მაშინ იგი ყოფილა 68 წლისა, დამბლისაგან ხელი ჰქონდა დაკავებული. კირონ II დაკრძალეს 7 ივლისს სიონის ტაძარში.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა მიმდევარი იყო სოციალისტური მიმართულებისა და ამიტომაც ეკლესიის მიმართ გულგრილად იყო განწყობილი. „მენშევიკებად“ სახელდებულმა ათეისტური მრწამსის მქონე ხელისუფლებამ, რომელსაც მსოფლიო დემოკრატიის ბურჯად წარმოედგინა თავისი თავი, ვერ შეძლო აღექვა ქართული ეკლესიის ისტორიული დამსახურება და მისი მომავალი მნიშვნელობა ქართველი ერისათვის და ამიტომაც ქართული ეკლესიის მიმართ გულგრილად იყო განწყობილი. საერთოდ, აღსანიშნავია, რომ ისინი (მენშევიკები) ათეული წლების მანძილზე პოლიტიკური ცხოვრების პირველ პლანზე აყენებდნენ არა ქართველი ერის თავისუფლებასა და სახელმწიფოებრიობას, არამედ ჩაგრული სოციალური ფენის – მუშათა კლასის ინტერესებს. მხოლოდ ხელსაყრელმა ისტორიულმა ვითარებამ – I მსოფლიო ომში რუსეთის დამარცხებამ, რუსული არმიის გასვლამ ამიერკავკასიის ფრონტებიდან და უცხო სახელმწიფოთა კატეგორიულმა მოთხოვნებმა, ფაქტობრივად, აიძულა ქართველი სოციალისტები, გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა. ცხადია, მათთვის ეკლესიის პრობლემები მეორეხარისხოვანი იყო[43]. ყოველივე ეს იწვევდა კათალიკოს-პატრიარქ ლეონიდეს (1918-1921)

აღშფოთებას. მენშევიკებმა პოლიტიკური უსუსურობის გამო ვერ გაითვალისწინეს ის საფრთხე, რომელიც მოელოდა თავისუფალ საქართველოს „სოციალისტური“ რუსეთისაგან, ყური არ დაუგდეს კათალიკოს-პატრიარქ კირიონის წინასწარმეტყველებას „მდუღარე რუსეთიდან“ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ.

1920 წლის 27 ივნისს თბილისში შედგა მეორე საეკლესიო კრება, გაარჩიეს ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის, სასულიერო სასწავლებლების სამინისტროსადმი გადაცემის, ეკლესიის ბიუჯეტის, სამღვდელოების საყოფაცხოვრებო და მცხეთა-თბილისის ეპარქიების გაერთიანების საკითხები. კრებამ კათალიკოს-პატრიარქად დაამტკიცა მიტროპოლიტი ლეონიდე (ოქროპირიძე).

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, სახელმწიფომ გაატარა საგანგებო მეთოდური ღონისძიებანი, რათა საერთოდ მოესპო ეკლესია, მაგრამ ვერ გაითვალისწინა ერთი რამ, რომ სალ კლდეზე ქრისტეს მიერ დაფუძნებულ ეკლესიას „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერევიან“. ბოლშევიკებმა, ცხადია, ეკლესია საბოლოოდ გამოყვეს სახელმწიფოსაგან, ე.ი. სამღვდელოება ულუკმაპუროდ დატოვეს.

1921 წლის 1-5 სექტემბერს, ლეონიდეს გარდაცვალების შემდეგ, გელათში შემდგარმა მესამე საეკლესიო კრებამ კათალიკოს-პატრიარქად აირჩია ამბროსი ხელაია. ბოლშევიკებმა მალევე დახურეს გელათის ეკლესია. იგი შემთხვევით გადაურჩა მათგან დანგრევას.

„კომუნისტებად“ სახელდებული ბოლშევიკები ეწეოდნენ ხალხის უმაგალითო ექსპლუატაციას. მოსახლეობა საბოლოოდ დაუმორჩილეს სახელმწიფო ძალაუფლებას. ადამიანთა ინტერესებზე მაღლა აყენებდნენ სახელმწიფოს, რომლის გაძლიერება კვლავ ადამიანთა დასამორჩილებლად ესაჭიროებოდათ. მათ მიერ ფაქტობრივად აღდგენილ რუსეთის იმპერიაში, ე.წ. სსრკ-ში, ბოლშევიკების საბოლოო მიზნის თანახმად, უნდა ჩამოყალიბებულიყო ერთი რუსული ენის მქონე ხალხი, ერთი ბოლშევიკურ-კომუნისტური ფსიქიკის მატარებელი.

ქართველი ერის ასეთი მძიმე გასაჭირის ჟამს, ცხადია, ეკლესია, რომელიც წმიდა ილია მართლის თანახმად, „ყოველთვის თავდადებით პატრონობდა ჩვენს ერს[44]“, განზე ვერ დადგებოდა, პოლიტიკაში ჩარევისაგან თავს ვერ შეიკავებდა. ამიტომაც, საკათალიკოსო საბჭოს დასტურით პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ მემორანდუმით მიმართა მთელი მსოფლიოს მთავრობებს, კერძოდ კი გენუის კონფერენციას.

ეკლესია ათეისტების ბატონობის დროს

ქრისტიანებმა მრავალი დევნა განიცადეს საუკუნეთა მანძილზე. პირველი დევნა, როგორც ცნობილია, იმპერატორ ნერონის დროს მოეწყო. დაპატიმრება, გადასახლება, ტანჯვა-წამება, საჯაროდ აბუჩად აგდება და გაუსამართლებლად დახოცვა ღვთისმორწმუნე ადამიანებისა და განსაკუთრებით კი ღვთისმსახურებისა. ამ მხრივ, ალბათ, ვერაფერი შეედრება კომუნისტ-ბოლშევიკების მიერ მოწყობილ დევნა-შევიწროებას. ეკლესიის ეზოში შეყრილ მორწმუნეებს, მოხუცებს, ქალებს და ბავშვებს უგინებდნენ სიწმინდეებს, რომელთაც ისინი ცხოვრების მანძილზე სასოობდნენ, ამსხვრევდნენ წმიდა ხატებსა და ჯვრებს, ბილწავდნენ წმიდათაწმიდა საკურთხევლებს. წვერებით ათრევდნენ მოხუც მღვდლებს, გუმბათებსა და სამრეკლოებიდან ყრიდნენ ჯვრებს და ზარებს, ძარცვავდნენ და აჩანაგებდნენ საუკუნეთა მანძილზე ნაგროვებ სასულიერო განძს. დიოდა უდანაშაულო ადამიანთა სისხლი, საგანგებოდ და მიზანმიმართულად ფეხქვეშ ითელებოდა სარწმუნოებრივი გრძნობა ღვთის მოსიყვარულე ადამიანებისა, მაგრამ იმის გამო, რომ ქრისტიანობა საქართველოში წარმოადგენდა არა მხოლოდ რელიგიურ მიმართულებას, არამედ ეროვნულ სარწმუნოებას, ბოლშევიკ-კომუნისტები მასთან ერთად ქართველი ხალხის ეროვნულ გრძნობებსაც ბილწავდნენ. მაგალითად, ჭეშმარიტად ხალხის მოძულე კომუნისტებმა იკადრეს და გახსნეს არგვეთის წმიდა მთავრების, საქართველოსათვის თავდადებული წმიდა დავითისა და წმიდა კონსტანტინეს უხრწნელი ნეშტები, რომელთა სასწაულებრივ ძალას ხალხი თაყვანს სცემდა არაბთა შემდგომ VIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. დაშალეს წმიდა ნეშტები, ცალკეულ ძვლებს თოკებით ათრევდნენ ხალხის წინ, იმ ხალხისა, რომელიც ამ დროს ტიროდა და გოდებდა. ეს აქტი მიუთითებს, რომ საქართველოს არც ერთი მტერი, არაბების შემდგომ, არ იყო ქართველი ხალხისათვის უფრო საშიში და ვერაგი, ვიდრე რუსულ-ბოლშევიკური ხელისუფლება. ვერც თურქ-სელჯუკებმა, ვერც მონღოლებმა, ვერც ოსმალ-სპარსელებმა ვერ შეძლეს ქართველი ხალხისათვის შეეგინებინათ წმიდა დავითის, წმიდა კონსტანტინეს, წმიდა შიოს, სხვა წმიდანების ნაწილები. ბოლშევიკები ანგრევდნენ ეკლესიებს, ღვთისმსახურებს აწამებდნენ, როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად, ხალხის წინ აიძულებდნენ უარეყოთ წმიდა სარწმუნოება. ყველა ვერ უძლებდა ზეწოლას. მოძღვართა ბედს მორწმუნეებიც იზიარებდნენ იმით, რომ კომკავშირელები ზნეობრივად აბუჩად იგდებდნენ მათ გრძნობებს, ე.წ. „კომკავშირული შობით“, „კომკავშირული აღდგომით“, „სამოქალაქო ქორწინებით და ნათლობით“.

საქართველოს ეკლესიებში იმ დროისათვის, XX ს-ის 20-იანი წლების დასაწყისში, დიდძალი ქონება, საეკლესიო განძი იყო დაცული. XIX ს-ის ბოლოს გაბრიელ ეპისკოპოსის ერთი უცხოელი სტუმარი გააოცა იმერეთის ეკლესიებში დაცულმა მასიური ოქროსაგან გაკეთებულმა საეკლესიო ნივთებმა, ასევე იყო საქართველოს სხვა რაიონებშიც. ეს განძი ახლა უკვე კომუნისტ-ბოლშევიკების გულს ახარებდა. ეკლესია-მონასტრები დანგრევა-დახურვის წინ, საგულდაგულოდ იძარცვებოდა. სა-

განძურის მცირედი ნაწილი მუზეუმებს გადაეცა, ხოლო უდიდესი – „არაისტორიული მნიშვნელობის“ განძი – ადგილობრივ ხელისუფლებას, „კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის“, სინამდვილეში კი, ცხადია, ეკლესიის მიერ საუკუნეთა მანძილზე ნაგროვები ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი ქვები დაიტაცეს.

XX ს-ის 20-იან წლებში დახურეს ათასზე მეტი ეკლესია, გააუქმეს ღვთისმსახურება. ზოგიერთი ცნობით, ამ დრომდე საქართველოში ყოფილა 1350 ეკლესია, 1700 მღვდელი, 1527 ბერი, 280 მონაზონი (1924 წლამდე), მათი რიცხვი რამდენიმე ათეულამდე შემცირდა.

სწორედ ამ ნგრევა-განადგურების დროს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა წმიდა ამბროსი ხელაიამ ჭეშმარიტად თავი და სული დადო ქართველი ერისათვის, გაუგზავნა გენუის კონფერენციას მიმართვა, რომლითაც მსოფლიოს ამცნო ქართველი ერის უბედურების შესახებ.

1922 წლის აპრილ-მაისში გენუაში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა 29 სახელმწიფო. რუსეთს სურდა გასვლა საერთაშორისო იზოლაციიდან, ამიტომაც ცდილობდა როგორმე კარგი სახით წარმდგარიყო ფორუმზე. ამ დროს მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიოს სახელმწიფოთა მხრიდან კეთილგანწყობას, რუსეთი ცდილობდა მიეჩქმალა ის უბედურებანი, რაც მისმა მტაცებლობამ მოუტანა პატარა ერებს 1917-1921 წლებში. წმიდა ამბროსიმ გენუის კონფერენციის ყურადღება მიაპყრო არა ეკლესიის, არამედ ქართველი ერის უმძიმეს ხვედრს, რომელშიც იგი ჩავარდა 1921 წლის შემდეგ: „...ჩემი სამშობლო 117 წელი რუსეთის ბიუროკრატიისაგან განიცდიდა მხოლოდ მწვავე დესპოტიზმს და აუტანელ შევიწროებას, ამიტომ 1917 წელს დაირღვა თუ არა რუსეთის იმპერიის ხელოვნური მთლიანობა, ქართველმა ერმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა... რასაკვირველია, ამას ვერ შეურიგდებოდა მისი ყოფილი ბატონი, მცირე ერთა მჩაგვრელი რუსეთი, მან დასძრა საქართველოს საზღვრებისაკენ საოკუპაციო არმია და 1921 წლის 25 თებერვალს პატარა უსწორო ბრძოლაში სისხლისაგან დაცლილ საქართველოს ხელმეორედ დაადგა კისერზე ისეთი მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი, რომლის მსგავსი მას არ განუცდია მრავალ საუკუნეთა ისტორიაში.

ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაათავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად გრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე, მისმა სულიერმა მამამ და დღეს დღეობით ერის ნამდვილმა მოძღვარმა, რომლის ხელშია ამ ერის გულიდან გამომავალი იდუმალი ძაფები და რომელსაც უშუალოდ ესმის მისი კვნესა და ვაება. თამამად და გაუზვიადებლად ვამბობ, რომ ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელსაც ამ უკანასკნელ წლებში ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკურად გადაშენებისა და სულიერად გაველურების და გახრწნის კარამდე.

ერს ართმევენ მამა-პაპათაგან სისხლით და ძვლებით გაპოხიერებულ მიწა-წყალს, რომელსაც უცხოეთიდან შემოხიზნულთ ურიგებენ, მათი წყალობით ისედაც

გაღატაკებულ ერს პირიდან ჰგლეჯენ მისის სისხლითა და ოფლით მორწყულ სარჩოს და გაუგებარის სიჩქარით იმავე უცხოეთში მიეზიდებიან. ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას, მას უბილწავენ მამა-პაპურ ეროვნულ კულტურას. დასასრულ, მას უბღალავენ წმიდათა-წმიდას – სარწმუნოებრივ გრძნობას და სინდისის თავისუფლების დროშის ქვეშ არ აძლევენ საშუალებას თავისუფლად დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილება.

მისი სამღვდელოება უკიდურესად დევნილია. მისი ეკლესია, ეს ძველისძველადვე ფაქტორი საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოებრივი ამაღლებისა და ძლიერებისა, დღეს უფლება აყრილია იმდენად, რომ ნებაც კი არა აქვს თავისი შრომით, გარჯილობით და უნარით მოიპოვოს მუდმივი სახსარი არსებობისა.

ერთი სიტყვით, ერი კვნესის, ერი გმინავს, მაგრამ საშუალება კი არა აქვს ხმის ამოღებისა.

ამ პირობებში ჩემს მწყემსმთავრულ მოვალეობად ვრაცხ, კულტურული კაცობრიობის გასაგონად ვსთქვა:

1. დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს საქართველოდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან.

2. საშუალება მიეცეს ქართველ ერს სხვათა ძალდაუტანებლად და უკარნახოდ მოაწყოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორიც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებებს და ეროვნულ კულტურას შეესაბამება.

სრული იმედი მაქვს, რომ მაღალ პატივცემული კონფერენცია არ უგულებელყოფს პატარა საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნებს, დღეს ჩემი პირით წარმოთქმულს და დაიხსნის მას ძალმომრეობისა და სამარცხვინო მონობის კლანჭებიდან...“

რუსეთის მთავრობა დიდად გაანაწყენა კონფერენციისადმი საქართველოს პატრიარქის მიმართვამ. ამიტომაც წმიდა ამბროსი ხელაია და მისი ახლო თანამშრომლები, ქუთაისის მიტროპოლიტი წმიდა ნაზარი ლეჟავა, არქიმანდრიტი პავლე ჯაფარიძე, ქაშუეთის ეკლესიის დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, დიაკონი დიმიტრი (ლაზარიშვილი) და სხვები, საკათალიკოსო საბჭოს წევრი ი. კიკნაძე, მოქალაქენი ნ. არჯევანიძე და ნ. თავდგირიძე დააპატიმრეს. შემდგომ მოუწყეს გასამართლება. გამოძიების პროცესში ცდილობდნენ წმიდა პატრიარქის სულიერ გატეხას. ცდილობდნენ პატრიარქს უარეყო მის მიერ გენუის კონფერენციისადმი წაყენებული მოთხოვნები, მიანიშნებდნენ, ისე წარმოედგინა საქმე, თითქოსდა იგი მსხვერპლი იყო რაღაც შეთქმულებისა და სხვა პირებმა აიძულეს ხელი მოეწერა მიმართვაზე. მოღწეული დოკუმენტური მასალიდან ჩანს, რომ წმ. ამბროსიმ მტკიცედ და ერთმნიშვნელოვნად აღიარა, რომ მიმართვის ყოველი სიტყვა მის მიერ იყო დაწერილი და მხოლოდ იგი იყო პასუხისმგებელი, რომ არავითარ გავლენას და ძალდატანებას მიმართვის შედგენის დროს იგი არ განიცდიდა.

ყოველივე ეს წმიდა ამბროსიმ დაადასტურა სასამართლოზეც თავისი ვრცელი საბოლოო სიტყვით. ამ სასამართლოზე წმიდა ამბროსი, ფაქტობრივად, ბრალმდებლად გამოვიდა არსებული წყობილებისა. სიტყვის უმთავრესი ნაწილი დაუთმო

ქართველი ერის დაცვას, კერძოდ, განაცხადა, რომ თითოეულ ერს თავისი საქმეების მოწყობის უფლება უნდა ჰქონდეს. კერძოდ, „მართვა-გამგეობა დამყარებული უნდა იყოს ხალხის ნება-სურვილზე და თვითგამორკვევაზე“, რომ ქართველი კომუნისტები თუ არ არიან საქართველოს თავისუფლების მოწინააღმდეგენი, მათ უნდა მიეცეთ საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული მართვის საშუალება (ე.ი. საქართველო არ იმართებოდეს მოსკოვიდან), საქართველოს ჯარი უნდა იყოს „უსათუოდ ეროვნული“. წმიდა ამბროსიმ სასამართლოს მოაგონა, რომ საუკეთესო მღვდელმთავრები ერეოდნენ საქვეყნო პოლიტიკის საქმეში, „მაშინ, როდესაც ვხედავთ უსამართლობას, გარეშე ძალების მოძალეობას, ხალხის შევიწროებას, ერისათვის საზიანო შეცდომებს, საზოგადოდ უნდა ვიტვირთოთ ხალხის სამსახური, მისი ინტერესების დაცვა და მისი მწუხარების საგანი ვამცნოთ ქვეყანას. ყველა ამას ქრისტიანული მოძღვრება არ გვიკრძალავს. ქრისტეს ებრალებოდა ერი, მას ემსახურებოდა და მასზე ზრუნავდა, ამბობდა ხშირად „მეწყალის ერი ესეო“ (მარ. 8, 2). „ნუ დაიდუმებთ ერისთვისაო“, – გვეუბნება ჩვენი მოძღვრება და ამის აღსრულებას პირადად მისდევდა სამღვდელოება. გადაათვალიერეთ ისტორია და თქვენ იქ დაინახავთ ამის აუარებელ მაგალითს. მოიგონეთ ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, იოანე ოქროპირი და მათი გამოსარჩლება ხალხის კეთილდღეობისათვის... მოიგონეთ ამბროსი მედიოლანელი, რომელმაც მრისხანე იმპერატორი თეოდოსი არ შეუშვა ეკლესიაში... განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსების დასავლეთ საქართველოში დამკვიდრების ხანა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. ამ დროს ეკლესიის და ერის თავისუფლების დამცველად გამოდიან ქუთათელი და გელათელი და ხალხის აჯანყებას სათავეში უდგებიან. ორივე გააგზავნეს რუსეთისაკენ, მაგრამ მხოლოდ გელათელმა ექვთიმემ ჩააღწია ნოვღოროდში, სადაც ის უნდა დაებინავებინათ. იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა მოისურვა მისი ნახვა. პეტერბურგში იმპერატორმა დიდი ზეიმით და პატივით მიიღო, მაგრამ ექვთიმე არ მოერიდა ემხილებინა რუსეთის იმპერატორი საქართველოს ეკლესიის და ერის თავისუფლების წართმევისათვის და სამშობლოს დამცველების წამებისათვის. იმპერატორ ალექსანდრეს უწოდა ახალი ნერონი. ეს იყო მიზეზი, რომ ის გააგზავნეს სვირის მონასტერში ოლნეცკის გუბერნიაში, სადაც განისვენა და დასაფლავებულია“.

წმიდა ამბროსიმ განაცხადა, რომ ეკლესიას უფლება აქვს განაცხადოს ეროვნული თავისუფლების შესახებაც, რადგანაც „ღვთის მსგავსება აღბეჭდილია მის სულიერ თვისებებში, რომელთა შორის უმთავრესი თვისებაა თავისუფლება. პავლე მოციქული გვეუბნება, რომ ჩვენ წოდებული ვართ თავისუფლებისათვის, ქრისტემ მოგვანიჭა ეს თავისუფლება და მტკიცედ უნდა შევინახოთ იგი.“

წმიდა ამბროსის სიტყვის დიდი ნაწილი მიეძღვნა ქართული ენის დაცვას, რადგანაც იმ დროს უსასტიკესად იდევნებოდა ქართული ენა და ყოფა-ცხოვრებაში მტკიცედ ინერგებოდა რუსული ენა. ისაუბრა იმის შესახებაც, რომ საქართველო დაყვეს ავტონომიებად, განაცხადა: „რა საჭირო იყო ოსეთის და აჭარის რესპუბლიკების დაარსება!“ უფრო ადრე გენუის კონფერენციას მისწერა, რომ საქართველოს ჩამოართვეს ქართველი ხალხის სისხლით და ოფლით მორწყული პროვინციები, გულისხმობდა საინგილოს, ლორე-ახტალასა და სხვა კუთხეებს.

რუსეთის მთავრობა და ადგილობრივი ხელისუფლება საჯაროდ ამტკიცებდა, თითქოსდა იმჟამად საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. წმიდა ამბროსიმ კრებაზე განაცხადა, რომ საქართველოს სინამდვილეში აქვს მხოლოდ კულტურული ავტონომია, ისიც უაღრესად შეზღუდული. პოლიტიკურად კი იგი ოკუპირებული ქვეყანაა, რამდენჯერმე თავის სიტყვაში მოითხოვა რუსეთის ჯარის გაყვანა საქართველოდან. განაცხადა, რომ „საქართველოში არ არსებობს ეროვნული თავისუფლება“ და არსებობს „საშიშროება ქართველი ერის ეროვნულად განადგურებისა“.

წმიდა ამბროსი ხელაია თავის სიტყვაში, ცხადია, შეეხო ქართული ეკლესიის საკითხსაც. განაცხადა, რომ წითელი რუსეთის იმპერიის არც ერთ კუთხეში ეკლესია ისე სასტიკად არ იდევნებოდა, როგორც საქართველოში. „რუსეთის ეკლესია გაცილებით უფრო კარგ პირობებშია, ვიდრე საქართველოსი“, „არც სომხების რესპუბლიკაში დაკეტილა არამც თუ ამდენი ეკლესიები, რამდენიც საქართველოში, არამედ მისი მესამედიც“, აზერბაიჯანში დევნა არ ყოფილა, „ამიტომაც განაცხადა: „ბედნიერი მუსულმანი მორწმუნენი, მათში არ ყოფილა დევნა სარწმუნოებისა“.

წმიდა ამბროსიმ განაცხადა, რომ რუსეთის ცენტრალურ მთავრობას სურს ეკლესიის თავის მმართველობაში მოქცევა, ამიტომაც ასუსტებს არსებულ ოფიციალურ ეკლესიას და მის ნაცვლად მხარს უჭერს ოპოზიციურად განწყობილ, ე.წ. „ცხოველ ეკლესიას“. მოსკოვს სურს საქართველოში შექმნას „ცხოველი ეკლესია“, რომელსაც შემდეგ უშუალოდ დაუმორჩილებს რუსეთის „ცხოველ ეკლესიას“, ე.ი. ცდილობს მოსპოს ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. არ დევნის და არ აპატიმრებს საქართველოს „ცხოველი ეკლესიის“ წევრებს. ეს უკანასკნელნი თითქოსდა აპირებდნენ ცოცხალი, სახალხო, ხალხთან ახლოს მდგომი ეკლესიის შექმნას და ოპოზიციაში ედგნენ საკათალიკოსო საბჭოსა და საქართველოს ეკლესიას.

„მე შევასრულე ჩემი მოვალეობა... ჩემთვის ტკბილი იქნება ის სასჯელი, რომელსაც მომისჯის უზენაესი სასამართლო მშობლიურ ეკლესიის და ერის თავისუფლების დაცვის მიზნით ხმის ამოღებისათვის“, – ასე დაასრულა წმიდა ამბროსიმ თავისი სიტყვა[45].

როგორც თავის სიტყვაში თქვა, წმიდა ამბროსიმ „37 წლის სამსახური მოანდომა გარუსების პოლიტიკასთან ბრძოლას“, რისთვისაც ორჯერ გადაასახლეს რუსეთში (1905-07 წწ.). ჩამორთმეული ჰქონდა ღვთისმსახურების უფლება, არ ჰქონდა ნება სამშობლოში დაბრუნებისა, ვიდრე 1917 წლამდე. ეკლესიის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია ის, რომ იგი ბერად აღკვეცისა და ყაზანის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ დაინიშნა ჭელიშის მონასტრის არქიმანდრიტად, სადაც აღმოაჩინა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. წმიდა ამბროსის მიუსაჯეს 7 წლის პატიმრობა, სასჯელის ვადა დაავადებულ პატრიარქს შეუმცირეს, გარდაიცვალა 66 წლის ასაკში 1927 წლის 28 მარტს.

დევნილ საქართველოს ეკლესიას არათუ მხარს უჭერდნენ მსოფლიო ეკლესიის ცენტრები, არამედ არც კი მიიწვიეს მისი წარმომადგენლები 1926 წლისათვის დანიშნულ მერვე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, რომელიც ვერ შედგა. მიზეზი ის იყო, რომ მართლმადიდებლური საპატრიარქოები, და მათ შორის რუსეთისაც, იმ

დროისათვის არ ცნობდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას და კვლავ მიიჩნევდნენ მას რუსული ეკლესიის ნაწილად. ამის გამო საკათალიკოსო საბჭომ 1926 წელს მიმართა კონსტანტინოპოლის ყოვლად უწმიდეს პატრიარქს ეპისტოლეთი. მისი ტექსტი შეუდგენია მიტროპოლიტ კალისტრატე ცინცაძეს.

ასეთ დროს, როცა ეკლესია დევნას განიცდიდა, მის დამოუკიდებლობას არ ცნობდნენ უცხოეთში და თვით ეკლესიის შიგნით სამღვდელოებასა და მღვდელმთავართა შორის წინააღმდეგობანი არსებობდა, საჭირო იყო გარკვეულ დათმობებზე წასვლა, ისეთი პირის გამოძებნა ეკლესიის მეთაურად, რომელსაც გარკვეული მხარდაჭერა ექნებოდა.

1927 წლის 21-27 ივნისს IV საეკლესიო კრებამ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად აირჩია მიტროპოლიტი ქრისტეფორე ციცქიშვილი. მიიჩნევა, რომ აქედან იწყება ხელისუფლებასთან ქართული ეკლესიის ურთიერთობის მოგვარება. თავის მხრივ, ეკლესიაც გარკვეულ დათმობაზე წასულა, კერძოდ, 1927 წლის საეკლესიო კრებამ აღიარა სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის პრინციპი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისი მუხლების თანახმად[46].

წმიდა ამბროსი თავის მემკვიდრედ საკათალიკოსო ტახტზე აღიარებდა მიტროპოლიტ კალისტრატე ცინცაძეს, რომელიც მოსაყდრედაც დანიშნა, მაგრამ ეკლესიაში მის წინააღმდეგ წარმოქმნილი განწყობილების გამო, კალისტრატეს მიზანშეწონილად მიუჩნევია მოსაყდრის ტახტიდან გადადგომა და ხელი არ შეუშლია ახალი პატრიარქის აღზევებისათვის, რომლის გარდაცვალების შემდგომაც VI საეკლესიო კრებამ, 1932 წელს, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად აირჩია მიტროპოლიტი კალისტრატე. 20 ხანგრძლივი წელიწადი ედგა წმიდა პატრიარქი სათავეში ქართულ ეკლესიას (1952 წლამდე).

საბჭოთა ხელისუფლების დროს ქართული ეკლესიის ხვედრს და ყოფას განსაზღვრავდა საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულება საზოგადოდ ეკლესიის მიმართ. ეს პერიოდი შეიძლება სამ ეტაპად დავყოთ: 1943 წლამდე ეკლესიის დევნა-შევიწროება ძველებურად გრძელდებოდა. გერმანიასთან ომის დროს საბჭოთა მთავრობამ მოწყალების თვალით გადმოხედა ეკლესიას, აღიარა რუსეთის ეკლესიის თავისთავადობა, მისცა პატრიარქის არჩევის ნება (იქამდე არ იძლეოდა უფლებას საეკლესიო კრების მოწვევისა, რომელსაც პატრიარქი უნდა აერჩია). ამის შემდგომ სტალინის სიცოცხლის დროს რუსული ეკლესიის მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა, გაიხსნა ეკლესია-მონასტრები, დაარსდა სასულიერო სემინარიები და აკადემიები, რუსული ეკლესია მსოფლიო მართლმადიდებლურ ეკლესიათა ოჯახში კვლავ გადაიქცა უძლიერეს და უმდიდრეს ეკლესიად, რომელმაც თავისი ეპარქიები აღიდგინა დედამიწის უდიდეს ნაწილზე. მის იურისდიქციაში იმ დროს შედიოდა ჩრდილო ამერიკის მართლმადიდებელთა დიდი ნაწილი, ასევე ევროპაში ფინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა საეკლესიო ერთეულები, რომელთაც მოსკოვის საპატრიარქომ, ვითარცა დედა ეკლესიამ, ავტოკეფალია მიანიჭა. მან 1943 წელს ცნო ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, საპატრიარქო ღირსება და VI ადგილი დიპტიქში. ქართულმა ეკლესიამაც შედარებით გაიუმჯობესა ამ დროს თავისი მდგომარეობა. კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე აქტიურად მონაწილეობდა როგორც ქვეყნის თავდაცვის, ისე ომის შემდგომ მშვიდობის შენარჩუნებისათვის წარმოებულ საქმიანობაში. მას პირადი წერილობითი ურთიერთობა ჰქონდა სტალინთან, რომელიც საქართველოს პატრიარქს პატივს სცემდა. ამ დროს კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს მიეცა საშუალება აეშენებინა საპატრიარქო რეზიდენცია, რაც უდიდესი მოვლენა იყო ეკლესიის გაუგონარი დევნის შემდეგ. კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე იყო დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ერი და საზოგადოება მას დიდ პატივს სცემდა. კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის სიტყვით, კალისტრატე იყო დღიდან საკათალიკოსო საბჭოს გახსნისა მისი მუდმივი, სამივე კრების მიერ არჩეული წევრი და უმთავრესი პასუხისმგებელი მუშაკი,[47] გარდაიცვალა 1952 წლის 3 თებერვალს.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ ეკლესიის მდგომარეობა კვლავ გაუარესდა, განსაკუთრებით ნ. ხრუშჩოვის დროს. რუსულ ეკლესიას დაუხურეს ზოგიერთი სემინარია-აკადემია, მით უმეტეს, გაჩაღდა დევნა ქართული ეკლესიისა. კათალიკოს-პატრიარქ მელქისედეკის შემდეგ (გარდაიცვალა 1960 წ. 10. I), რომელიც მკაცრ და ძლიერ პიროვნებად მიიჩნევა, არჩეული ახალი კათალიკოს-პატრიარქი ეფრემ II დევნის ობიექტს წარმოადგენდა. ეფრემ II-მ დაამთავრა უნივერსიტეტი, მინიჭებული ჰქონდა ღვთისმეტყველების დოქტორის წოდება. 1944 წლიდან იყო ქუთაისის მიტროპოლიტი, 1960 წლიდან კი – ბათუმის მიტრო-

პოლიტი. სწორედ მისი დრო უნდა მივიჩნიოთ სტალინის შემდგომი ეკლესიისადმი „აცივების“ ხანად. როგორც ცნობილია, ნ. ხრუშჩოვის დროს გატარებული ე. წ. „დემოკრატიული დათბობა“ არ იქნა განვრცობილი ეკლესიის მიმართ. ამ დროს, ისევე როგორც შემდგომ, მართალია, ხელისუფლება საეკლესიო შენობებს თითქოსდა აღარ ანგრევდა, მაგრამ სამაგიეროდ საგანგებო სახელმწიფოებრივი ორგანოები სახელს უტეხდნენ საუკეთესო სასულიერო მოღვაწეებს, მათ წინააღმდეგ აქეზებდნენ ზოგიერთ სამღვდელო პირს. ასეთი ზნეობრივი დევნის ობიექტი იყო ეფრემ II. მიუხედავად ამისა, მან პირველად ათეულობით წლის შემდეგ, გამოსცა „ახალი აღთქმა“ და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, საფუძველი ჩაუყარა მცხეთის სასულიერო სემინარიას (კურსებს). როგორც ითქვა, ეს იყო დრო, როცა რუსეთში ზოგიერთი სემინარია დახურეს. ეკლესიის ზნეობრივი დევნა გრძელდებოდა კათალიკოს-პატრიარქ დავით V-ის და აგრეთვე კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის ზეობის პირველ ხანებში, ვიდრე 1985 წლამდე, როცა მოსკოვის მთავრობამ („პოლიტბიურომ“) კვლავ შემწყნარებელი თვალით გადმოხედა ეკლესიას. აქამდე, როგორც ითქვა, სახელმწიფო საგანგებო გასაიდუმლოებული ორგანოები ეკლესიის ყველაზე საუკეთესო მოღვაწეების ავტორიტეტს ბღალავდნენ საზოგადოებაზე ზემოქმედების სხვადასხვა საშუალებით, ძირითადად, ცილისწამებით; არ აძლევდნენ ეკლესიას იმის ნებას, რომ მას თავისი ეკონომიკური მდგომარეობა გაეუმჯობესებინა, ყველანაირად ხელს უშლიდნენ მორწმუნეებს, რომ მათ ეკლესიების გახსნა-ამოქმედება მოეთხოვათ. კანონის მიხედვით, რომელსაც, ცხადია, ხელისუფლება არ იცავდა, ეკლესიის გახსნის უფლება ჰქონდა 20-კაციან მორწმუნეთა ჯგუფს. სინამდვილეში კი ასეთი განცხადების დაწერის შემდეგ აღმასკომებში იბარებდნენ ხელის მომწერლებს, აშინებდნენ მათ სამსახურებიდან მოხსნით. მაგალითად, საფარაში, სადაც ამ დროს, ცხადია, საეკლესიო მსახურება გაუქმებული იყო, ეკლესიის გახსნა მოითხოვეს იქვე, ახლოს მდებარე სოფლის, ანდრიაწმიდის მოსახლეებმა. მოწმე ვარ იმისა, რომ განცხადების მიღების შემდეგ ახალციხის აღმასკომის იმჟამინდელი თავმჯდომარე და მილიციის უფროსი ავიდნენ ახალგაზრდებისაგან დაცლილ ამ სოფელში, დაიბარეს ხელის მომწერლები (მოხუცები) და ციმბირში გადასახლებით დაემუქრნენ. შემდეგ ახალციხეში მომუშავე ზოგიერთი პირი დაიბარეს, რომელთა მშობლებმაც ხელი მოაწერეს ეკლესიის გახსნის თხოვნას და სამუშაოდან მოხსნით დაემუქრნენ. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, თანდათანობით, 1985 წლის შემდეგ, შესაძლებელი გახდა ეკლესიათა გახსნა. ყოველი ეკლესიის გახსნის ნებართვას, ადგილობრივი აღმასკომის თანხმობის შემდეგ, გასცემდა მოსკოვში მინისტრთა კაბინეტთან არსებული რელიგიურ საქმეთა სამმართველო. ასე რომ, განცხადებები და ხელის მოწერები ეკლესიათა გახსნის შესახებ მოსკოვში იგზავნებოდა. შემდეგ თბილისში ბრუნდებოდა იმავე სამმართველოს რესპუბლიკური რწმუნებულის აპარატში. მიუხედავად ამისა, მორწმუნეები ათეული წლის მანძილზე ითხოვდნენ ეკლესიათა გახსნას. ამ დროს ისინი აღმასკომებისა და რაიკომების მუშაკთა მხრიდან ნამდვილ ტანჯვას განიცდიდნენ, ხალხი წამებული და თავდადებული იყო. რაც შეეხება სამღვდელოებას, მას მკაცრად ეკრძალებოდა

ეკლესიის გახსნის მოთხოვნა. არ ჰქონდა უფლება ქადაგებისა და გადაადგილებისა. მაგალითად, იტუქსებოდნენ ის მღვდლები, რომლებიც ეკლესიის ოცეულის (მრევლის) ფარგლებს გარეთ სხვა უბნის, ანდა სხვა რაიონის მორწმუნეებს მოემსახურებოდნენ, არადა მთელ რაიონებსა და რეგიონებში ერთადერთი მღვდელი მსახურებდა. მაშასადამე, მისი მოქმედება დაფარული უნდა ყოფილიყო. პრესა, რადიო, თეატრი, დრამატურგია, განსაკუთრებით კი კინომრეწველობა ემსახურებოდა სამთავრობო დაკვეთას, რათა სასაცილოდ და აბუჩად ასაგდებად წარმოედგინათ ღვთისმსახური, ხალხის თვალში სასულიერო პირად ყოფნა მიმზიდველი აღარ იყო.

როგორც ითქვა, 1985-86 წლიდან მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა, მაგრამ 70-წლიანი ბატონობის დროს კომუნისტებმა მთელი თაობები გაზარდეს ეკლესიისა და სასულიერო პირთა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებით. ამ ბარიერის დაძლევა ხალხისათვის ადვილი აღარ იყო. მმართველობის ბოლო წლებში საბჭოთა ხელისუფლება აღარ კრძალავდა წმიდა წერილის (ბიბლიის) ბეჭდვა-გავრცელებას, მის საგაზეთო პუბლიკაციებს. ამ ფონზე, როცა ბიბლიის ავტორიტეტი კვლავ გაიზარდა, ხოლო ეკლესიისა და სასულიერო პირთა ავტორიტეტი კი ხალხის თვალში დაცემული იყო, მყარი საფუძველი მიეცა სექტანტობის გავრცელებას. ბაპტიზმს, იეღოველობას და სხვა სექტებს მოქმედების ასპარეზი გაეხსნათ, რადგან ისინიც წმიდა ბიბლიის ავტორიტეტს აღიარებდნენ, ხოლო სამღვდელოებას კი არ ცნობდნენ.

საზოგადოება აღმოჩნდა რეალური ფაქტის წინაშე – ბევრი რაიონი, ათასობით სოფელი უეკლესიოდ და უმღვდლოდ იყო დარჩენილი, ხოლო ხალხის მოთხოვნილების დონე წმიდა წერილის მიმართ პრესით და ინფორმაციის სხვა საშუალებებით თითქოსდა დაკმაყოფილებული იყო. ასეთი სულიერი კრიზისის დროს ქართულ ეკლესიას ესაჭიროებოდა მოქმედების გააქტიურება. მართლაც, კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ უდიდესი ავტორიტეტით, დიდი ძალისხმევით, შეძლო აღედგინა და აემოქმედებინა ასეულობით ეკლესია, აკურთხა და აკურთხებინა ასეულობით ახალი სასულიერო პირი – დიაკვნები, მღვდლები და ეპისკოპოსები, გააფართოვა მცხეთის სასულიერო სემინარია და თბილისში გადმოტანის შემდგომ აკურთხა საქართველოს ეკლესიის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი თბილისის სასულიერო აკადემია. ჯერ კიდევ ადრევე, 1985 წლამდე ეკლესიის დევნის დროს, შეძლო უმღვდელმთავროდ დარჩენილი ეპარქიების შევსება ახალი ეპისკოპოსებით, ხოლო შემდგომ ეპარქიათა რიცხვის მკვეთრი გაზრდით საქართველოს უამრავ რეგიონს მიეცა სამღვდელმთავრო მადლის მიღების საშუალება. მის დროს გამოიცა იქამდე არნახული რაოდენობის სასულიერო წიგნი, რაც უმთავრესია, ითარგმნა და გამოიცა ბიბლია, წმიდანთა ცხოვრებანი, დაარსებულ იქნა საეკლესიო ჟურნალ-გაზეთები.

უწმიდესი და უნეტარესი კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის დროს ეკლესიამ მიიღო ჭეშმარიტი ახალი სასიცოცხლო ძალა, ახალი სუნთქვა, ქართული ეკლესია თითქმის გაქრობამდე მისული, მნიშვნელოვნად გაიზარდა და მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა რიგში დაიჭირა ღირსეული ადგილი. ეკლესიის შინაგანი მოწყობის სახე დაადგინა XIII გაფართოებულმა საეკლესიო კრებამ, რომელიც მცხეთაში იქნა მოწვეული 1995 წელს.

იქამდე, მიუხედავად დევნილობისა, ქართველმა საზოგადოებამ შეძლო მოეწვია თორმეტი საეკლესიო კრება, 1917-1978 წლებში. 1917 წლის 12 (25) მარტს სვეტიცხოველში, ავტოკეფალიის აღდგენის გამოცხადების შემდეგ, როგორც აღინიშნა, პირველი საეკლესიო კრება შედგა 1917 წლის 9-17 სექტემბერს, დაადგინეს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, პირველ კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს კირიონ II (საძაგლიშვილი); მეორე საეკლესიო კრება შედგა 1920 წლის 27 ივნისს თბილისში, აირჩიეს კათალიკოს-პატრიარქად ლეონიდე (ოქროპირიძე); მესამე საეკლესიო კრება შედგა გელათში, 1921 წლის 1-5 სექტემბერს, კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს ამბროსი (ხელაია); 1926 წლის 26-27 სექტემბერს შედგა, ე.წ. ქუთაისის საეკლესიო კრება. იმ დროისათვის ეკლესიაში ძალზე რთული პერიოდი იყო. გარე დაწოლის შემდგომ ეკლესიის შიგნით ურთიერთდაპირისპირებული ბანაკები შეიქმნა (ქართული ეკლესიის ისტორია 1927 წლამდე გადმოცემულია კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს ხელნაწერში)[48]. ამ მოძრაობის შედეგად საკათალიკოსო ტახტზე ქრისტეფორე ციცქიშვილი 1927 წელს 21-27 ივნისს შემდგარმა IV საეკლესიო კრებამ აიყვანა; მეხუთე საეკლესიო კრება შედგა 1929 წლის 8 ივლისს, კრებამ განიხილა სამღვდელობის იურიდიული ყოფის საკითხები; მეექვსე საეკლესიო კრება შედგა 1932 წლის 21-22 ივნისს, თბილისში, აირჩიეს კათალიკოს-პატრიარქად კალისტრატე (ცინცაძე); მეშვიდე საეკლესიო კრება შედგა 1934 წლის 31 მაისს. 1937 წელს, თბილისში, წმიდა სინოდის რეორგანიზაციის შემდეგ შემოღებულ იქნა კათალიკოს-პატრიარქის სახით ერთპიროვნული მართვა-გამგეობა, სინოდს ეწოდა კათალიკოსის თანა სინოდი. ომის შემდეგ, 1948 წლისათვის, საქართველოში მოქმედებდა 52 ეკლესია, 166 მღვდელმსახურით, 4 მღვდელმთავრით. ეს რიცხვები, როგორც ჩანს, მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია და იგი არ იცვლებოდა ათეულობით წლის მანძილზე; მეცხრე საეკლესიო კრება შედგა 1952 წლის 5 აპრილს, თბილისში, კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს ურბნელი მიტროპოლიტი მელქისედეკ III (ფხალაძე); მეათე საეკლესიო კრება შედგა 1960 წლის 20 თებერვალს, თბილისში, აირჩიეს კათალიკოს-პატრიარქად ჭყონდიდელ-ბათუმშემოქმედელი მიტროპოლიტი ეფრემი II (სიდამონიძე); მეთერთმეტე საეკლესიო კრება შედგა 1972 წლის 1-ელ ივლისს, თბილისში, კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს ურბნელი მიტროპოლიტი დავით V (დევდარიანი); მეთორმეტე საეკლესიო კრება შედგა 1977 წლის 23 დეკემბერს, თბილისში, კათალიკოს-პატრიარქად არჩეულ იქნა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II (შიოლაშვილი-ღუდუშაური).

1995 წლის 18-19 სექტემბერს სვეტიცხოველში შედგა საქართველოს გაფართოებული საეკლესიო კრება, რომელმაც მიიღო ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება. მასში ქართული ეკლესია გამოცხადებულია ადგილობრივ ავტოკეფალურ (დამოუკიდებელ) მართლმადიდებელ ეკლესიად, რომელსაც აქვს 27 ეპარქია. საეკლესიო მმართველობის და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა საეკლესიო კრება – საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდი. კრებებს შორის პერიოდში კი კათალიკოს-პატრიარქი (თავი I, §7), საეკლესიო სასამართლოს უფლება აქვს სინოდს, კათალიკოს-პატრიარქს და ეპარქიის მმართველ მღვდელმთავარს. იურიდიული პირის უფლება აქვთ საპატრიარქოს განყოფილება-დაწესებულებებს, ეპარქიებს, სამრევლოებს, მონასტრებს, სასწავლებლებს. წმიდა სინოდის წევრია ყველა მმართველი მღვდელმთავარი, თავმჯდომარეობს კათალიკოს-პატრიარქი. წმიდა სინოდის დადგენილება სავალდებულოა ეკლესიის ყოველი წევრისათვის. ძველის შემდეგ ახალ პატრიარქს ირჩევს გაფართოებული საეკლესიო კრება მონაწილე მღვდელმთავრების ხმების ნახევარზე მეტით. ეპარქიები შედგება ოლქებში გაერთიანებული სამრევლოებისაგან და ეპარქიაში მყოფი მონასტრებისაგან (გარდა სტავროპიგიალურებისა), მართავს მღვდელმთავარი, რომელსაც ირჩევს წმიდა სინოდი. ის პატრიარქთან შეთანხმებით ასრულებს სასულიერო პირების ხელდასხმას. შეუძლია თავის ეპარქიიდან სხვა ეპარქიაში გაუშვას სასულიერო პირი, თუ მიეცემა მას „განტევების სიგელი“. ეპარქიის ყველა ტაძარში ღვთისმსახურების დროს აღევლინება მმართველი მღვდელმთავრის სახელი, წარუდგენს პატრიარქს ყოველწლიურ ანგარიშს ეპარქიის ცხოვრებისა და მისი მოღვაწეობის შესახებ; აკონტროლებს ეპარქიის სამრევლოებს პირადად ან თავისი წარმომადგენლის მეშვეობით; ვალდებულია ჰქონდეს ეპარქიის სასულიერო პირთა სრული სია და მონაცემები; იღებს მათგან ანგარიშებს. მღვდელმთავარი თავის ეპარქიაში სასამართლო ხელისუფალია; უფლებამოსილია მისცეს შენიშვნა, საყვედური, გადააყენოს თანამდებობიდან ანდა დაადოს ეპიტიმია, აუკრძალოს მღვდელმოქმედება სასულიერო პირებს; ჰყავს საეპარქიო საბჭო, იგია საეპარქიო ქონების უმაღლესი ზედამხედველი. საეპარქიო საბჭო შედგება მღვდელმთავრის, ოთხი სასულიერო და ორი საერო პირისაგან, მათ ნიშნავს და ათავისუფლებს მღვდელმთავარი. იხილავს სასულიერო პირთა და ერისკაცთა მიერ სარწმუნოებრივ, საეკლესიო და ზნეობრივი კანონების დარღვევას. ეპარქიის ოლქის ზედამხედველი – მთავარხუცესი ინიშნება მღვდელმთავრის მიერ, მის მოვალეობაში შედის საეკლესიო მართლწესრიგის დაცვა. ეპარქიის სამღვდელოება თავის მიერვე არჩეულ და მღვდელმთავრის მიერ დამტკიცებულ მოძღვართმოძღვარს აბარებს აღსარებას. სამრევლო ეპარქიის ნაწილია, მას ხელმძღვანელობს მღვდელმთავრის მიერ დანიშნული მოძღვარი. ამ საქმეში მას ეხმარება სამრევლო საბჭო. სამრევლოში სამღვდელო პირს ნიშნავს და ათავისუფლებს ეპარქიის მმართველი. წინამძღვარმა ზუსტად უნდა შეასრულოს მღვდელმთავრის განკარგულებანი და მითითებანი, აღასრულოს ღვთისმსახურება. ყველა საკითხის გადაწყვეტისას მღვდელმთავარს უნდა წარუდგინოს ყოველწლიური ანგარიში. სამრევლო საბჭო საერო პირთაგან ირჩევს მნეს, რომელ-

იც აღრიცხავს ეკლესიის შემოსავალ-გასავალს სპეციალურ წიგნში. დარღვევათა შემთხვევაში მას სასჯელს მღვდელმთავარი ადებს.

სტავროპიგიალური და საეპარქიო მონასტრები იმართებიან საგანგებო „დებულების“ შესაბამისად. ეკლესია თავის მოთხოვნილებებს უზრუნველყოფს თვითდაფინანსებით. საპატრიარქო ბიუჯეტი იქმნება ეპარქიების, მონასტრებისა და საეკლესიო დაწესებულებების მიერ გადარიცხული სახსრებით. ეპარქიის ბიუჯეტიც იქმნება სამრევლოების, მონასტრებისა და დაწესებულებების შემოსავლებიდან პროცენტული გადარიცხვით. თავის მხრივ, სამრევლოების ფულადი სახსრები იქმნება სანთლისა და ლიტერატურის რეალიზაციით მიღებული შემოსავლებისაგან, რომელსაც შემოწირულობები ემატება[49].

ავტოკეფალური მოძრაობის დაგვირგვინება

მართალია, 1917 წლის 12 (25) მარტს გამოცხადებულ იქნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარების გამოყენებით ჩვენი ეკლესია შეუდგა დამოუკიდებელ, თავისთავად ცხოვრებას, მაგრამ მისი ავტოკეფალიის უფლება იმ დროისათვის არ ცნო არც რუსულმა ეკლესიამ, რომლის წიაღსაც დააღწია თავი ჩვენმა ეკლესიამ, არც მსოფლიოს სხვა საპატრიარქოებმა და ადგილობრივმა ეკლესიებმა. ათწლეულების მანძილზე მუდმივად არსებობდა შიში იმისა, რომ რუსეთის წითელ იმპერიას შეეძლო ქართული ეკლესია კვლავ რუსულისათვის დაექვემდებარებინა.

იმის გამო, რომ მსოფლიო (კონსტანტინოპოლის) საპატრიარქო არ ცნობდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას, მათმა მეთაურებმა არ უპასუხეს კირიონის, ლეონიდეს და ამბროსის მოკითხვის ბარათებს,როგორც ეს კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს 1926 წლისათვის დანიშნული მერვე მსოფლიო კრებისადმი (რომელიც ვერ შედგა) მიმართვიდან ჩანს. ყოველივე ეს ახალისებდა, „კადნიერყოფდა მძულვარებასა და ძმათა ურთიერთზე ამხედრების მოყვარულებს“ ქართული ეკლესიის შიგნით. მეორე მხრივ, ზოგიერთი რუსი სასულიერო პირი არ უშვებდა ხელსაყრელ მომენტს ქართული ეკლესიის უკვე არსებული ავტოკეფალია „სეპარატიზმად“ და „ნაციონალიზმად“ გამოეცხადებინა. ქართველი მღვდელმთავრები იღვწოდნენ, რათა ეკლესია გამოსულიყო შექმნილი მდგომარეობიდან.

რუსულ ეკლესიასთან ურთიერთობის მოგვარებას უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდა. უცხოეთის სხვა ადგილობრივი ეკლესიები ქართულ ეკლესიას განიხილავდნენ არა როგორც უძველეს ეკლესიას, არამედ ვითარცა რუსეთის ეკლესიის ნაწილს, რომელმაც ისარგებლა რევოლუციური მდგომარეობით და დამოუკიდებლობა გამოაცხადა[50].

ასეთ დროს რუსული ეკლესიის მმართველობაში აღმოჩნდნენ პირები, რომელთაც ქართული ეკლესიის უკვე არსებული ავტოკეფალია კანონიერ აქტად მიიჩნიეს, პატივისცემით მოეკიდნენ ძველი ივერიის ეკლესიის ადგილს მართლმადიდებელთა ოჯახში.

გერმანიასთან II მსოფლიო ომის დროს ქართველი ხალხის მტკიცედ დგომამ რუსეთის გვერდით, ჩანს, საფუძველი მისცა რუსული ეკლესიის ხელმძღვანელობას

ეცნო ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, მათ გადაწყვიტეს აღედგინათ ძმური ურთიერთობა ქართულ და რუსულ ეკლესიათა შორის. რუსეთის წმიდა სინოდმა თავისი ამ გადაწყვეტილების აღსრულება მიანდო სტავროპოლისა და პიატიგორსკის მთავარეპისკოპოსს ანტონს. იგი 1943 წლის 28 ოქტომბერს ჩამოვიდა თბილისში, ვითარცა ოფიციალური წარმომადგენელი სრულიად რუსეთის პატრიარქ სერგისა, 1943 წლის 28 ოქტომბერს ერთობლივი წირვის შემდეგ ამცნეს მრევლს სიონის ამბიონიდან, რომ რუსეთის ეკლესიამ ოფიციალურად და კანონიერად ცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და ამის შესახებ აცნობა მსოფლიოს მართლმადიდებელ მღვდელმთავრებს. ეს იყო უდიდესი მოვლენა ქართული ეკლესიის ისტორიაში.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ეკლესიამ 1943 წელს ცნო არა მხოლოდ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, მან აგრეთვე ცნო სხვა მნიშვნელოვანი უფლებანი ქართული ეკლესიისა, კერძოდ, აღიარა მისი საპატრიარქო ღირსება და VI ადგილი მსოფლიო ეკლესიის მართლმადიდებლურ დიპტიქში. მაშასადამე, მართლმადიდებელთა ოჯახში რუსეთის ეკლესიამ ქართული ეკლესია და მისი მეთაური დააყენა ისეთი უდიდესი ეკლესიების წინ, როგორებიც არიან სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ელადის და სხვა ეკლესიები. აღსანიშნავია, რომ ქართული ეკლესიის VI ადგილი მართლმადიდებლურ დიპტიქში ჯერაც არ უცვნია მსოფლიოს მრავალ ეკლესიას და ისინი უფრო უკანა ადგილზე აყენებენ მას.

1943 წელს რუსეთის ეკლესიის მიერ ქართული ეკლესიის სამი უფლების (ავტოკეფალია, საპატრიარქო ღირსება, ადგილი დიპტიქში) აღიარება გვაფიქრებინებს, რომ ეს მოხდა საბჭოთა სახელმწიფოს ქართველი მეთაურის (იგულისხმება ი. ბ. სტალინი) ნებართვით, რომელმაც სწორედ იმ დროს ცნო რუსეთის ეკლესიის უფლებები, მისცა პატრიარქის არჩევის ნება. რუსეთის ეკლესიამ ცნო ქართული ეკლესიის იურისდიქცია საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე, გარდა ამისა, დროებით იურისდიქციაში გადასცა სომხეთის სსრ-ის მართლმადიდებელი მოსახლეობა.

ამის შემდეგ თითქმის კიდევ 50 წელი დასჭირდა იმას, რომ მსოფლიო მართლმადიდებლურ ცენტრებს, კონსტანტინოპოლსა და სხვებს ეცნოთ ქართული ეკლესიის უფლებანი. კერძოდ, 1990 წლის 25 იანვარს კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქმა გამოსცა სიგელი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის შესახებ, იმავე წლის 3 მარტს კი მანვე გამოსცა განჩინება საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ღირსების ცნობის შესახებ, აქედან გამომდინარეობდა ეკლესიის მეთაურის (პატრიარქის) ტიტულის ცნობა.

ქართული ეკლესიის ისტორიის მცოდნეთათვის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის და საპატრიარქოს ღირსების ცნობა უცნაურად გამოიყურება, რადგანაც ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია ისტორიულად საუკუნეთა სიღრმეში ჰქონდა მოპოვებული. საქმე ისაა, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ XX ს-დან წამოაყენა თეორია, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი ადგილობრივი ეკლესია ავტოკეფალიას იღებს მხოლოდ და მხოლოდ კონსტანტინოპოლისაგან, მაშასადამე, ნებისმიერი ეკლესიის დედა ეკლესია უნდა

იყოს კონსტანტინოპოლი (ამ შემთხვევაში „დედა ეკლესია“ ეწოდება ისეთ ეკლესიას, რომლის წიაღიდანაც გამოდის ახალი ავტოკეფალური ეკლესია და რომელსაც დედა ეკლესია ანიჭებს ავტოკეფალიას). ამიტომაც, კონსტანტინოპოლი დიდხანს არ ცნობდა ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის, პოლონეთის, ამერიკის მართლმადიდებლური ეკლესიების ავტოკეფალიას. ეს ეკლესიები გამოვიდნენ რუსული ეკლესიის წიაღიდან და მათ ავტოკეფალია XX ს-ის 50-იან წლებში მიანიჭა რუსულმა ეკლესიამ. კონსტანტინოპოლს მიაჩნდა, რომ რუსულ ეკლესიას არ ჰქონდა უფლება, ავტოკეფალია მიენიჭებინა რომელიმე ეკლესიისათვის, არამედ ეს უფლება მხოლოდ და მხოლოდ კონსტანტინოპოლის ფუნქციაა. ამიტომაც, დაახლოებით 20-30 წლის შემდეგ კონსტანტინოპოლმა კვლავ მიანიჭა ავტოკეფალია ზემოჩამოთვლილ ეკლესიებს (ამერიკის ეკლესიის გამოკლებით). მსოფლიო მართლმადიდებელთა შორის ავტორიტეტის ამაღლებისათვის გამიზნულ კონსტანტინოპოლის ქმედებებს, რუსული და სხვა ეკლესიათა მხრიდან მოჰყვა შესაბამისი რეაქცია 50-60-იან წლებში. ცნობილი კანონისტი, პროფესორი ს. ტროიცკი და სხვები დოკუმენტების მეშვეობით ამტკიცებდნენ, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ისტორიულად არასოდეს გააჩნდა ადმინისტრაციული ზედამხედველობის უფლება მთელი მსოფლიოს ეკლესიათა მიმართ[51]. მაგრამ, ფაქტობრივად იმის გამო, რომ XX ს-ის ზემოაღნიშნულ წლებში კონსტანტინოპოლის საპატრიარქო არ ცნობდა ახლად ავტოკეფალიამიღებული ეკლესიების არსებობას და მათ თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფებად მიიჩნევდა, ცხადია, ამ ახალ ეკლესიებს დიდი დაბრკოლებანი ექმნებოდათ საერთაშორისო ასპარეზზე. ეს უკანასკნელნი იღვწოდნენ, რათა ისინი მიეღოთ მსოფლიო მართლმადიდებლურ ოჯახში ღირსეულ წევრებად. როგორც ითქვა, ეს პრობლემები გადაიჭრა, გარდა ქართული და კიდევ სხვა რამდენიმე ეკლესიის გამოკლებით. ქართული ეკლესიის მიმართ კონსტანტინოპოლს ისეთივე პრეტენზიები ჰქონდა, როგორიც სხვა ეკლესიათა მიმართ, კერძოდ, თუ, ვთქვათ, რომელიმე ეკლესიამ თავის წიაღში შემავალი საეკლესიო ერთეული გაათავისუფლა, იგი უნდა შევიდეს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში, ანდა მისი ავტოკეფალია უნდა ცნოს კონსტანტინოპოლმა. თავის თეორიას კონსტანტინოპოლი საფუძვლად უდებდა იმ აზრს, თითქოსდა ყველა ეკლესიას, თავის დროზე, კონსტანტინოპოლმა მიანიჭა ავტოკეფალია (იგულისხმება ე.წ. ახალი ეკლესიები, რომელნიც მოციქულთა მიერ არ იყვნენ დაარსებულნი, ასეთები იყვნენ: რუსეთის, სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ელადის და სხვა ეკლესიები). მათ მართლაც, თავის დროზე, კონსტანტინოპოლმა უბოძა თავისუფლება. რუს კანონისტებს კონსტანტინოპოლთან თავიანთი კამათის დროს მაგალითად მოჰყავდათ ქართული ეკლესია, რომელიც ოდითგანვე ავტოკეფალური იყო, მაგრამ მას ავტოკეფალია მიანიჭა არა კონსტანტინოპოლის, არამედ ანტიოქიის საპატრიარქომ. აღიარება იმისა, რომ საქართველოს ეკლესიას ანტიოქიამ მიანიჭა ავტოკეფალია, არ ეთანადებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში XIX-XX სს-ში ჩამოყალიბებულ ზემოაღნიშნულ თეორიას, ამიტომაც მათთვის მიუღებელი იყო. ეს წარმოადგენდა ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს იმისა, რომ კონსტანტინოპოლს დიდხანს არ სურდა

ცნობა ქართული ეკლესიის ძველი ავტოკეფალიისა. თავისი უარის საბაბად კი იყენებდა აზრს იმის შესახებ, რომ საეკლესიო კანონების თანახმად არ შეიძლება ერთ სახელმწიფოში ერთდროულად ორი მართლმადიდებელი ეკლესიის არსებობა, ე.ი. საბჭოთა კავშირში ერთდროულად ორი (რუსეთის და საქართველოს) მართლმადიდებლური ეკლესიის აღიარებით თითქოსდა დაირღვეოდა საეკლესიო კანონები. უარის საბაბად, აგრეთვე გამოიყენებოდა ის, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსათვის უცნობი იყო ისტორიული დოკუმენტები, რომლითაც დასტურდებოდა ქართული ეკლესიის ძველი ავტოკეფალია.



ასეთი ურთულესი საერთაშორისო საეკლესიო ვითარების მოგვარება შეძლო საქართველოს უწმინდესმა კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ძალზე დახვეწილი დიპლომატიური ხელოვნებით, უაღრესად დაძაბული შრომის შედეგად. მან გამარჯვებით დააგვირგვინა ჯერ კიდევ XIX ს-ის ბოლოს ქართულ ეკლესიაში დაწყებული ავტოკეფალური მოძრაობა. მიაღწია იმას, რომ კონსტანტინოპოლმა ცნო ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა (ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის დროს), რითაც საბოლოოდ ამოიწურა სადავო საკითხი.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ ილია II-მ სასულიერო განათლება მიიღო მოსკოვის სასულიერო სემინარიასა (დაასრულა 1956 წ.) და აკადემიაში (დაასრულა 1960 წელს), 1957 წლის 16 აპრილს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ მელქისედეკის ლოცვა-კურთხევით თბილისის ალექსანდრე ნეველის ტაძარში აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად ილია, ორი დღის შემდეგ იგი სიონის საპატრიარქო ტაძარში იეროდიაკვნად აკურთხა კათალიკოს-პატრიარქმა მელქისედეკმა, ორი წლის შემდეგ 1959 წლის 10 მაისს, მოსკოვის სასულიერო აკადემიის სტუდენტობისას მღვდელ-მონაზვნად აკურთხა რუსეთის პატრიარქმა სერგიმ, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მელქისედეკის წერილობითი თხოვნის საფუძველზე. აკადემიაში მიენიჭა ღვთისმეტყველის კანდიდატის ხარისხი შრომისათვის „ათონის ივერთა მონასტრის ისტორია“. საქართველოში დაბრუნების შემდეგ უწმინდესმა პატრიარქმა ეფრემ II-მ განამწესა ღვთისმსახურად ბათუმის საკათედრო ტაძარში, 1960 წლის 19 დეკემბერს მიენიჭა იღუმენის, 1961 წლის 16 სექტემბერს არქიმანდრიტის ხარისხი, 1963 წელს კათალიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ისა და მღვდელმთავართა ხელდასხმით აყვანილ იქნა ეპისკოპოსის პატივში, სამმართველოდ გადაეცა

ბათუმ-შემოქმედის ეპარქია, დაინიშნა პატრიარქის ქორეპისკოპოსად, 1967 წელს გადაყვანილ იქნა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველად, 1969 წელს მიენიჭა მიტროპოლიტის ხარისხი, ამავე დროს, 1963-1972 წლებში გახლდათ პირველი რექტორი მცხეთის სასულიერო სემინარიისა, 1977 წლის 23 დეკემბერს საქართველოს მეთორმეტე საეკლესიო კრებამ ქართული ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის აირჩია სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად (25.XII – ინტრონიზაცია). მისი საპატრიარქო მოღვაწეობის სრულ აღწერას მომავალში მიეძღვნება ვრცელი მონოგრაფიები და გამოკვლევები, მაგრამ, როგორც ითქვა, ერთ-ერთ უმთავრეს მიღწევას მისი უწმინდესობის მოღვაწეობისა წარმოადგენს თითქმის ერთსაუკუნოვანი ქართული ავტოკეფალური მოძრაობის წარმატებით დაგვირგვინება. აქვე, ალბათ, შესაძლებელია იმის თქმაც, რომ სწორედ მისი უწმინდესობის ღვაწლით ქართველ და წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით სხვადასხვა წელს კანონიზებულ იქნენ წმიდანებად – წმიდა ილია მართალი (ხსენება 2 აგვისტოს), ღირსი მღვდელ-მონაზონი ალექსი (შუშანია, ხსენება 18 (31) იანვარს), წმიდა ამბროსი აღმსარებელი (ხსენება 16 (29) მარტს), ღირსნი ზაბულონი და სოსანა (ხს. 2 ივნისს), წმიდა მღვდელმოწამე ნაზარი კრებულით (მღვდელი გერმანე ჯაჯანიძე, მღვდელი იეროთეოს ნიკოლაძე, მღვდელი სიმონ მჭედლიძე, დიაკონი ბესარიონ კუხიანიძე), დახვრეტილნი 1924 წელს ათეისტთა მიერ (ხსენება 14 (27) აგვისტო), წმიდა მღვდელმთავრები ალექსანდრე ოქროპირიძე (ხს. 9 ნოემბერს) და გაბრიელი (ქიქოძე, ხს. 13 (26) დეკემბერს), წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლი (ფერაძე, ხს. 6 დეკემბერი), აჭარაში თურქთაგან XVIII ს-ში წამებული მამანი და დედანი (ხს. სულთმოფენობას). ლაზარეს შაბათს დადგინდა დღესასწაული „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“.

ქართული ეკლესიის ზემოაღნიშნული მდგომარეობა, როცა უძველესს და ღირსეულ საქართველოს სამოციქულო ეკლესიას საერთაშორისო ასპარეზზე არ აყენებდნენ ავტოკეფალურ ეკლესიათა რიგში, უფრო მეტიც, ზოგჯერ ავტონომიურ ეკლესიათა შორისაც კი მოიხსენიებდნენ, იწვევდა მრავალ უხერხულობასა და დაძაბულობას. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანდა საერთაშორისო შეხვედრებისას, მართლმადიდებელ ეკლესიათა თათბირების დროს. ამ დროს ეკლესიათა მეთაურები, მღვდელმთავრები და სამღვდელოება, როგორც წირვა-ლოცვების, ისე შეხვედრების დროს დგებოდნენ, ან ისხდნენ დიპტიქის წესის შესაბამისად. ქართული ეკლესიის წარმომადგენელს ეკუთვნოდა მისთვის კანონიერი მეექვსე ადგილი, მაგრამ მისი ადგილის განსაზღვრა სადავო ხდებოდა, ზოგჯერ უხერხულიც კი. მის უწმინდესობას ილია II-ს 1963 წელს კუნძულ როდოსზე (საბერძნეთი) კამათი ჰქონდა მსოფლიო პატრიარქსა და სხვა მართლმადიდებელ ეკლესიათა წარმომადგენლებთან საქართველოს ეკლესიის სტატუსისა და ქართული ეკლესიის მამამთავრის ტიტულის შესახებ, საკითხი მწვავედ იდგა, ამიტომაც აღსაყდრების შემდეგ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში ოფიციალური ვიზიტისას 1979 წლის მაისში წმიდა სინოდის წინაშე ილია II-მ დააყენა სამი საკითხი: აღიარებული ყოფილიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, აღიარებული ყოფილიყო მისი მეთაურის პატრიარქის ტიტული, მიკუთვნებოდა ქართულ ეკლესიას კუთვნილი VI ადგილი მარ-

თლმადიდებლურ დიპტიქში. „ჩემი აზრით, – განაცხადა ილია II-მ, – კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქომ არ უნდა დაუშვას, რომ უძველესი ქართული მართლმადიდებელი ეკლესია დააყენოს ახალი ეკლესიების გვერდით, ჩვენ გვინდა აღვადგინოთ წინანდელი მდგომარეობა, რომელიც სამწუხაროდ დავკარგეთ 1811 წელს.“

კონსტანტინოპოლის ეკლესიამ ისტორიული დოკუმენტები მოითხოვა საამისოდ. ქალკედონის მიტროპოლიტმა მელიტონმა განაცხადა: „ჩვენი ეკლესიის სინოდი ამ საკითხს დადებითად გადაჭრის, მხოლოდ ჩვენ გვჭირდება დასაბუთებული ისტორიული მასალები საქართველოს ეკლესიის შესახებ, რომ ეს საკითხები გადაიჭრას უმოკლეს ხანში“[52]. უწმიდესი საქართველოში ჩამოსვლის შემდგომ წლების მანძილზე მუშაობდა ქართული ეკლესიის ისტორიული საბუთების მოსაპოვებლად, დაგვავალა ჩვენ, წმიდა სინოდის წევრებს, ქართველ მეცნიერებს, მოღვაწეებს, მუშაკებს, ყველას, ვისაც კი შეხება ჰქონდა აღნიშნულ საკითხთან, წვლილი შეეტანა ამ საკითხში. შეიკრიბა დოკუმენტები, ითარგმნა უცხო ენაზე. 1982 წლის 3 ივლისს მისმა უწმინდესობამ ოფიციალური წერილებით მიმართა ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს წმიდა სინოდის სახელით, მათში გადმოცემული იყო ქართული ეკლესიის მოკლე ისტორია დოკუმენტების დართვით, რომლიდანაც აშკარა იყო ქართული ეკლესიის უძველესი ავტოკეფალია, მისი მეთაურის საპატრიარქო ტიტული და VI ადგილი დიპტიქში. 1987 წელს საქართველოს ეკლესიას ეწვია კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოს I. მას და კონსტანტინოპოლის ეკლესიის დელეგაციას აღნიშნულ საკითხებზე რამდენჯერმე შევხვდით წმიდა სინოდის წევრები. გადაწყდა, რომ უმოკლეს დროში გადაწყვეტილიყო ქართული ეკლესიის საკითხი. მართლაც, მალე, 1988 წლის თებერვალში, ჩვენს ეკლესიას ეწვია კონსტანტინოპოლის წარმომადგენლობითი დელეგაცია მიტროპოლიტ ქრიზოსტომოსის მეთაურობით. მიტროპოლიტმა ქრიზოსტომოსმა განაცხადა, რომ დოკუმენტებზე მუშაობა კვლავაც გაგრძელდებოდა და ისინი უფრო დაიხვეწებოდა სამომავლოდ. იგი მიტროპოლიტ დამასკინოსთან ერთად კვლავ ეწვია საქართველოს, ტექსტის სრულყოფა გაგრძელდა. 1990 წლის 7 იანვარს, შობის დღესასწაულზე, კვლავ ჩამობრძანებულმა მიტროპოლიტმა ქრიზოსტომოსმა წირვის შემდეგ სიონის მრევლს ამცნო, რომ მსოფლიო საპატრიარქომ აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და მისი მეთაურის საპატრიარქო ტიტული. შეხვედრისას საბოლოო ვარიანტი კვლავ შესწორდა და დაიხვეწა. ტექსტის მისაღებად სტამბოლში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში ჩაბრძანდა უწმინდესი პატრიარქი ილია II წმიდა სინოდის წევრებთან ერთად. 1990 წლის 4 მარტს, მართლმადიდებლობის დღესასწაულზე, ქართულმა ეკლესიამ მიიღო მისთვის სასურველი ორი სიგელი. ერთი ადასტურებდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას, მეორე – მისი მეთაურის პატრიარქის ტიტულს. ავტორს ბედნიერება ჰქონდა მისი უწმიდესობის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს წმიდა სინოდის საგანგებო კრებაზე წაეკითხა „საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელი“ უწმიდესის თბილისში ჩამობრძანების შემდეგ. სიგელში, კერძოდ, ნათქვამია: „დიმიტრიოსი, წყალობითა ღვთისაითა მთავარეპისკოპოსი კონსტანტინოპოლისა, ახლისა რომისა და მსოფლიო პატრიარქი...

კავკასიის კურთხეულ მიწაზე, ამჟამად საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში შემავალი წმიდა და მართლმადიდებელი ეკლესია, რომელმაც უძველესი დროიდან მიიღო თვითმმართველი და თავისუფალი განმგებლობა და შესაბამისად საეკლესიო მმართველობითი ორგანიზაციაც... მიმართავს ყოველი ხელსაყრელი შემთხვევისას ჩვენს ეკუმენურ საპატრიარქო ტახტს და ითხოვს კურთხევასა და მტკიცებას თავისი თვითმმართველობითი სტრუქტურისა... ჩვენი უმდაბლესობა და ჩვენი კურთხეული მიტროპოლიტები... განიმსჭვალა აზრით... ცნოს და დაამტკიცოს საქართველოს წმიდა ეკლესიის ავტოკეფალია და დამოუკიდებელი სტრუქტურა... სინოდის გადაწყვეტილებითა და სულიწმიდით განათლებულნი ვაცხადებთ საქართველოს უწმიდეს ეკლესიას იმავე თვითმმართველი სტრუქტურითა და ორგანიზაციით, რაც უძველესი დროიდან გააჩნდა და რაც დამოწმებულია აგრეთვე ბალსამონის მიერ, რომელიც წერს „...ამბობენ რომ დღესა მათ შინა უწმიდესისა პატრიარქისა ღვთაებრივი ქალაქისა დიდისა ანტიოქიისა უფალი პეტრესი, გამოტანილ იქნა სინოდური დადგენილება, რომ იქმნეს თავისუფალი და ავტოკეფალური ეკლესია ივერიისა“, მივიჩნევთ, რომ იგი არის ძმურ მართლმადიდებელ ეკლესიათა პლეადაში და ვადასტურებთ აგრეთვე იმას, რომ იგი სახელდებულია, როგორც „წმიდა ავტოკეფალური ეკლესია სრულიად საქართველოისა“... შეუბღალავად დაიცავს მართლმადიდებლურ სარწმუნოებასა და ღვთისმოსაობას და ამასთანავე მართლმადიდებელი ეკლესიის საღმრთო და წმიდა კანონებსა და წესებს. რიგის მიხედვით მოიხსენიებს წმიდა დიპტიქში სახელს ყოველი მსოფლიო პატრიარქისა და სხვა უწმიდეს პატრიარქთა და წმიდა მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიების უნეტარეს გამგებელთა, რაც შეეხება წმიდა მირონის საკითხს, დაცული იქნება ამასთან დაკავშირებით დადგენილი საეკლესიო წესი... წელსა 1990, თვესა იანვარსა (25)“.

მეორე სიგელი ქართული ეკლესიის საპატრიარქო ღირსების აღიარებას შეეხება: „საქართველოს უწმიდესი ეკლესიის მეთაურისათვის საპატრიარქო ტიტულის ცნობის და ბოძების საპატრიარქო სინოდური განჩინება“. დიმიტრიოსი, წყალობითა ღმრთისაითა მთავარეპისკოპოსი კონსტანტინოპოლისა ახლისა რომისა და მსოფლიო პატრიარქი... საქართველოს უწმიდესი ეკლესია პატივდებული იქნება საპატრიარქო ღირსებითა და ადგილით, როგორც ადრიდანვე იხსენიებოდა უძველეს ქრონიკებსა და სხვა საეკლესიო წყაროებში მისი ტიტული – „მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და კათალიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოისა“, ასევე იხსენიებოდეს ამიერიდანაც მართლმადიდებლურ საღმრთო და წმიდა განგებებში...“

სამწუხაროდ, ამ დროისათვის არ იქნა განხილული ქართული ეკლესიის ადგილის საკითხი მართლმადიდებლურ დიპტიქში. დიპტიქის საკითხი არის ურთულესი და ეხება ეკლესიათა ღირსებას. მაგალითად, სერბეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის ეკლესიებს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ ადრე მიენიჭა ავტოკეფალია და საპატრიარქო ღირსება, ამიტომაც კონსტანტინოპოლის დიპტიქში ისინი იხსენიებიან საპატრიარქო ეკლესიათა რიგში რუსეთის ეკლესიის შემდეგ, შესაბამისად, VI, VII და VIII ადგილებზე. რადგანაც ქართული ეკლესიის უფლება შემდგომში იქნა ცნობილი, იგი უნდა ჩადგეს მათ უკან, ე.ი. IX ადგილზე, რაც, ცხადია, მიუღებელია ჩვენთვის. ასე რომ, საკითხი სადავოა. ამ საკითხის გადაჭრას

საეკლესიო საბუთების მეშვეობით ცდილობენ მსოფლიოს ეკლესიები. მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიები ემზადებიან ახალი მსოფლიო საეკლესიო კრების ჩასატარებლად. ცნობილია, რომ ბოლო მსოფლიო კრება ჩატარდა ათასზე მეტი წლის წინ. ამის შემდეგ მსოფლიო მართლმადიდებლობას დაუგროვდა მრავალი საკითხი, რომლის გადაჭრაცაა საჭირო. გადაწყდა – მსოფლიო კრების წინ ჩატარდეს წინა მოსამზადებელი თათბირები. უკვე ჩატარდა რამდენიმე თათბირი, მათზე გადაწყდა, რომ მომავალი მსოფლიო კრების დღის წესრიგში შეიტანონ სულ 10 საკითხი, მათ შორის ისეთებისა, როგორიცაა დიპტიქის, ავტოკეფალიის, დიასპორის და სხვა საკითხები. მსოფლიო მართლმადიდებლურ ეკლესიებს სურთ, კრებამდე განიხილონ და შეისწავლონ ყველა საკითხი, მიაღწიონ სრულ თანხმობას, რადგან თუკი შეუთანხმებელ საკითხებს გაიტანენ მსოფლიო კრებაზე განსახილველად, შეიძლება ამან გამოიწვიოს კამათი და უთანხმოება, მაშინ მსოფლიო კრება იქცევა არა ერთობის, არამედ განყოფის კრებად, რაც დაუშვებელია. აქედან გამომდინარე, დიპტიქის საკითხი, რომელიც დაუდგენელია ქართული ეკლესიის მიმართ, წარმოადგენს მსოფლიო ეკლესიათა შესწავლის ობიექტს. ამ საკითხზე თავიანთი აზრი გამოთქვეს რუსეთის, ელადის, კონსტანტინოპოლის და სხვა ეკლესიებმა თავიანთ „თემებში დიპტიქის შესახებ". მათზე დაყრდნობითა და სხვა წყაროების მონაცემების გამოყენებით, ჩემ მიერ მომზადებული თემა „მართლმადიდებლურ დიპტიქში ქართული ეკლესიის ადგილის შესახებ" გამოქვეყნებულია – ქვემდებარე ნაშრომის II ტომში.

ეროვნული სახელმწიფოსა და ეროვნული ეკლესიის ურთიერთობა

უფალი ღმერთის უმოწყალესი მადლით კვლავ აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრიობა, ქართველმა ერმა და საქართველოს მოსახლეობამ შექმნა თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რისთვისაც მარად ლოცულობდნენ ჩვენი წმიდა მამები და პატრიარქები. როგორი უნდა იყოს ეროვნული ეკლესიისა და ეროვნული სახელმწიფოს ურთიერთობა?

კირიონ კათალიკოსმა ადრევე განაცხადა, ბოლშევიკ-ათეისტების ბატონობის დასაწყისისას – „გაუზვიადებლად ვამბობ, რომ ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელსაც ამ უკანასკნელ წლებში ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკურად გადაშენების და სულიერი გაველურების და გახრწნის კარამდე". გავიდა ბოლშევიკ-ათეისტების ხელისუფლების ბატონობის უმძიმესი 70 წელი. ღვთის შეწევნით ერი გადაურჩა ფიზიკურად გადაშენებას, მაგრამ „სულიერ გაველურებას და სულიერ გახრწნას", ჩანს, თავი ვერ აარიდა. ეს გამოჩნდა სამოქალაქო ომისას, 1992-1993 წლებში, როცა საქართველომ დროებით დაკარგა ძირძველი მიწა-წყალი აფხაზეთსა და სხვაგან. ეს ჩანს, აგრეთვე, მისი მაცოცხლებელი სულის – ეკლესიისადმი დამოკიდებულებაშიც. ის გარემოებაც, რომელშიც ჩააყენეს ჩვენი წმიდა ეკლესია კომუნისტებმა, ფაქტობრივად, არ შეცვლილა. ეკლესია მათი ბატონობიდან გამოვიდა ეკონომიკურად გაჩანაგებული, უსახ-

სრო,ყოველგვარი მუდმივი საარსებო წყაროს გარეშე. ლაპარაკიც ზედმეტია იმის შესახებ, რომ ღვთისმსახურს არა აქვს ხელფასი, პენსია, არ ეძლევა საცხოვრებელი ფართობი და არა აქვს საზოგადოებაში ის ღირსეული ადგილი, რომელიც ტრადიციულია მისთვის. ღვთისმსახურთა მსგავსი მდგომარეობის გამო სულიერად შეძრული წმიდა ილია მართალი ადრევე ღაღადებდა:

„ჩვენს ერს მღვდელი არა ჰყავს, ის მღვდლები, რომელნიც არიან, იმისთანა ყოფაში არიან, რომ მარტო ლუკმა პურის ძებნაში აღამებენ თავიანთ დღესა და ერის სასულიერო საქმისათვის ვეღარ იცლიან“[53].

შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ილიას დროს საქართველოში სამღვდელოება საკმაოდ იყო. ცხადია, იყვნენ და გაცილებით უფრო მეტი რაოდენობისა, ვიდრე დღეს არის. მათი მატერიალური მდგომარეობაც ახლანდელზე უმჯობესი იყო, მაგრამ როცა წმიდა ილია ბრძანებს: „ჩვენ ერს მღვდელი არა ჰყავს“, იქვე განმარტავს, რომ მღვდელი თუ თავისი უშუალო მოვალეობისათვის, „ერის სასულიერო საქმისათვის“ ვერ იცლის იმის გამო, რომ „ლუკმა-პურის ძიებაში აღამებს თავის დღეს“, მღვდლად არ ითვლება.

ოსმალთა ხანგრძლივი 500-წლოვანი ბატონობის შემდეგ, როდესაც ბერძენმა ხალხმა თავისი ეროვნული სახელმწიფო აღადგინა, XIX საუკუნეში უპირველეს მიზნად დაისახა, აღედგინა თითოეული მოქალაქის ეროვნული ცნობიერება, ანუ „ბერძნობა“, რომელიც შეირყა მტრის ბატონობისას. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, აღადგინეს ნაციონალურ თვისებათა დვრიტა – ბერძნული ეკლესია, სახელმწიფომ ბერძნული ეკლესია გამოაცხადა ეროვნულ ეკლესიად, მაშასადამე, სახელმწიფომ თავის თავზე აიღო ბერძნული ეკლესიის ყოველგვარი სოციალურ-ეკონომიკური საკითხის გადაჭრა, სამღვდელოებას დაენიშნა ხელფასი I კატეგორიის სახელმწიფო მოხელეთა თანაბრად. ბიუჯეტმა გაითვალისწინა სახსრები სამღვდელობის უზრუნველყოფის, ბინების, პენსიებისათვის, სხვა საჭიროებისათვის. მხოლოდ ერთი საქმე დაეკისრა სამღვდელოებას – თავისი სულიერი მოვალეობის შესრულება – ახალი თაობის აღზრდა, ერის ზნეობრივი გაჯანსაღება.

ჩვენი ეკლესიის წმიდანებს ჰქონდათ შეხედულება იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ. წმიდანის ყოველი სიტყვა ჩვენთვის წმიდაა და მათი აღსრულება მხოლოდ სიკეთის მომტანი. წმიდა ალექსი (შუშანია) საქართველოს სიღრმეში, პროვინციაში მოღვაწეობდა, ხალხის შუაგულში ტრიალებდა, მისი მაშინდელი წუხილი კარგად ეთანხმებოდა ჩვენს დღევანდელს. იგი წერდა: „დღეს დაგვიდგა საჭირბოროტო საქმე სახელმწიფოსაგან გამოყოფისა და სამღვდელოებას მოუსპეს საერთო ჯამიდან ლუკმა და ამბობენ: მორწმუნეთა ოჯახმა არჩინოსო. საკვირველია სწორედ, რომ სამღვდელოება, რომელიც ერის რწმენას ემსახურება, უნაწილოდ ყვეს ერის საზიარო ხაზინიდან, რომელიც შეადგენს არა ვისიმე კუთვნილებას, არამედ ქონებას იმ ერისას, რომელთა რიცხვში ცხრა-მეათედს მორწმუნეთა ოჯახი შეადგენს და ამათგან გადასახადის ნაოფლარით დაუნჯებული ხაზინა, განა მწარე უსამართლობა არ არის, რომ იმავე ოჯახთა რწმენას არ მოხმარდეს... რა დააშავა მღვდელმა, რომ გამოდევნეთ ერის ქონებისაგან?“[54].

წმიდა ალექსი ბერის მოსაზრება, ფაქტობრივად, გახლავთ გაგრძელება ილია მართლის წუხილისა.

ეკლესიისადმი ჩვენი სახელმწიფოს დამოკიდებულების ისტორია მეორდება. ცნობილია, რომ I მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ რუსეთის იმპერია დაიშალა, საქართველომ ამის გამო მისთვის მოულოდნელად მოიპოვა დამოუკიდებლობა, ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდნენ სოციალისტ-მენშევიკები, ესე იგი ის პარტია, რომელიც წლების მანძილზე იღვწოდა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. „დამოუკიდებელი საქართველოს მესვეურნი ათეისტური მსოფლმხედველობისანი აღმოჩნდნენ. მათ ეკლესია – ქართველი ხალხის სულიერი ძლიერების სიმბოლო – სახელმწიფოსაგან გამოჰყვეს, სკოლა ეკლესიისაგან და რა სავალალო შედეგებიც აქედან მივიღეთ, ეს დღეს ყველასათვის ცნობილია“, – წერს ს. ვარდოსანიძე[55].

ჩვენი ეკლესიის უდიდესი მოღვაწის, შემდგომში კათალიკოს-პატრიარქ ლეონიდეს აზრით, ეს გადაწყვეტილება არასწორი იყო. ამის დასასაბუთებლად ლეონიდეს მოჰყავდა შემდეგი არგუმენტები: 1. რელიგიური გრძნობა ადამიანისათვის ისევე აუცილებელია, როგორც სხვა გრძნობები. სახელმწიფო ვალდებულია, იზრუნოს ამ გრძნობის დაკმაყოფილებისათვის; 2. წარმოუდგენელია ერის განვითარება რელიგიური რწმენის გარეშე, ქართველი ერის განვითარება ქრისტიანობის გარეშე, რადგან სწორედ ქრისტიანობამ გადაარჩინა იგი, მისი კულტურა, ქრისტიანობამ შეუნარჩუნა მას ეროვნული სახე; 3. ადამიანები ვერ იქნებიან მორალურად წმიდანნი, თუ მათი სამოქმედო რიტუალები: ქორწინება, დაბადება და სხვა საეკლესიო წესებით არ იქნება ნაკურთხი. კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე წერდა:

„ეკლესიის განადგურებით, ვერც კულტურულად მოიგებს ჩვენი სახელმწიფო, ის სოციალიზმი, რომლითაც ქვეყნის გაბედნიერებას ლამობენ, მმართველ პარტიას ჯერ ვერ დაუმყარებია ჩვენში, სხვა ღირებულება კი, რომელსაც ქრისტიანობის მაგივრობა შეეძლოს ჩვენი ხალხისათვის, ვერც მორალური და ვერც გონებრივი მას ვერ შეუქმნია“ (ლეონიდეს პირადი არქივი, ცენტრარქივი).

1918-21 წლებში დემოკრატიული საქართველოს მესვეურებს მსოფლიოში ყველაზე უფრო დიდ სოციალისტებად წარმოედგინათ თავიანთი თავი. როგორც ჩანს, ამჟამად ჩვენშიც ცდილობენ მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული საზოგადოების შექმნას. წარმოდგენა ისეთია, თითქოსდა დემოკრატიულ ქვეყნებში სახელმწიფო აღარ ზრუნავს ეროვნული ეკლესიისათვის და მას არ უწყობს ხელს, სინამდვილეში კი მსოფლიოს ყველაზე უფრო დემოკრატიულ ქვეყნებში არსებობენ სახელმწიფო ეკლესიები. სამღვდელოება და საეკლესიო დაწესებულებანი, რომლებიც სახელმწიფოსაგან იღებენ ხელფასს, თანხებს. ეკლესია არ არის გამოყოფილი ახალგაზრდობისა და მოსახლეობის სულიერი აღზრდის საქმისგან, ე. ი. სასკოლო სისტემიდან, არ არის აკრძალული სკოლებში სასულიერო ხასიათის საგნების შესწავლა და სხვა. ესე იგი ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნებში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა სწორედ ისეა დაყენებული, როგორსაც ითხოვდნენ წმიდა ილია მართალი, ალექსი შუშანია, კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე და სხვა მამები. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში არის ორი სახელმწიფო ეკლესია: ინგლისში ანგლიკანური ეკლესია, ხოლო შოტლანდიაში – პრესვიტერიანული.

ანგლიკანური ეკლესიის სამღვდელოების დიდი ნაწილი ლორდთა პალატის წევრია. სამღვდელოება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ, სახელმწიფოსაგან იღებს ხელფასებს, პენსიებს, სოცდახმარებას, საეკლესიო გასავალ თანხებს ანაზღაურებს სახელმწიფო. ასევეა შვეციაში, სადაც სახელმწიფო ეკლესიის სტატუსი აქვს ევანგელიკურ-ლუთერანულს, იტალიაში სახელმწიფო ეკლესია კათოლიკურია, თუმცა კი ქვეყანაში სინდისის თავისუფლებაა გამოცხადებული. ასევეა ირლანდიაში, აქ ეკლესია აკონტროლებს განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სექტორებს, ასევეა ბელგიაში, საბერძნეთში, ავსტრიაში, პორტუგალიაში, გერმანიაში, დანიაში, ისლანდიაში, ნორვეგიაში, ფინეთში, ესპანეთში, ყველგან არსებობს სახელმწიფო ეკლესია – მისგან გამომდინარე ყველა შედეგით. მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობის კონსტიტუციაში შეტანილია მუხლი სახელმწიფო ეკლესიის შესახებ. მათ „ეროვნულ“, ან „სახალხო“ ეკლესიებს უწოდებენ.

დღესდღეობით, როგორც აღინიშნა, ჩვენი სამღვდელობა ყოველდღიურ ზრუნვასა და ჯაფაშია, რომ როგორმე მოიპოვოს საარსებო სახსარი ოჯახის გამოსაკვებად, ქველი საქმის აღსასრულებლად, სხვათა დასახმარებლად, საქვეყნო ვალის მოსახდელად. ამ სახსრებს კი თავისი პირადი შრომით მოიპოვებს – ნათლობითა და სხვა წესების შესრულებით. საბედნიეროდ, მიუხედავად ასეთი ჯაფისა, ჩვენს სამღვდელოებას კიდევ ყოფნის ენერგია, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს მრევლის სულიერი აღზრდისა და უცხო სექტების საწინააღმდეგო ღვაწლში. ქართული ეკლესია საქართველოში სხვა რელიგიებსა და სექტებთან შედარებით არათანაბარ პირობებშია ჩაყენებული. ყველა უცხო რელიგიას, რომელიც არ უნდა იყოს იგი, დიდი მხარდაჭერა და დაფინანსება აქვს უცხოეთის სასულიერო ცენტრებიდან, უცხო სახელმწიფოებიდან ისინი იღებენ სახსრებს, საუკეთესოდ ნაბეჭდ იაფ ლიტერატურას, დახმარებას. მაშინ, როცა ჩვენი სამღვდელოება და ეკლესიები მხოლოდ საქართველოს გაღატაკებული მრევლის მომსახურებით არსებობენ. ჩვენს მრევლსა და ქართულ ეკლესიას XIX ს-ში 150 მილიონი ოქროს მანეთი ქონება და ნახევარ მილიონამდე ჰექტარი მიწა ჩამოართვეს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აღდგენილი ქართული სახელმწიფო აღადგენს თავის სულიერ საფუძველს – საქართველოს ეკლესიას. ვლოცულობთ, რათა აღდგეს ჩვენი ერისა და საქართველოს წმიდა ეკლესიის სულიერი კავშირი ისეთივე სახით, როგორითაც იყო წინა საუკუნეებში საქართველოს თავისუფლების დროს. ამინ.

თბილისი

22.10.1997 წ.

P.S. საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა და პარლამენტმა 2002 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლის წმიდა ტაძარში დაამტკიცეს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი „კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“, რაც დიდ იმედებს აღძრავს. უფალმა ღმერთმა ინებოს აღორძინება ჩვენი ქვეყნისა და ეკლესიისა, ამინ.

თავი XVIII

საქართველოს ეკლესიის ისტორიის პერიოდიზაცია

საქართველოს ეკლესიის ისტორიის პერიოდიზაცია

ქრისტიანული ეკლესიის ისტორია, როგორც დისციპლინა, შეისწავლის საეკლესიო ცხოვრებას წარსულში და გადმოგვცემს მას ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. საქართველოს ეკლესია წარმოადგენს მსოფლიო (საყოველთაო) ეკლესიის განუყოფელ ნაწილს, ამიტომაც მისი ისტორია მსოფლიო ეკლესიის ისტორიისაგან მოუწყვეტლად განიხილება. IV საუკუნეში ეპისკოპოსმა ევსევი კესარიელმა იმ დროისათვის ახალი მეცნიერების საგანი განსაზღვრა და მას „ეკლესიის ისტორია“ უწოდა. ეკლესია წარმოადგენს მთელ დედამიწაზე მცხოვრებ ქრისტიანთა ერთობას, რომელიც განიხილება როგორც სულიერი სხეული, რომლის თავიც ქრისტეა და ერთი სულით სულდგმულობს: „ერთი სხეული და ერთი სული, ერთი უფალი, ერთი – რწმენა, ერთი ნათლობა, ერთი – ღმერთი და მამა ყოველთა“ (ეფეს. 4, 4-6), ამიტომაც ეკლესიის განყოფა და ნაწილებად დაშლა არ შეიძლება (მისგან გამოყოფა მხოლოდ მწვალებლებს შეუძლიათ).

სხვადასხვა ადგილობრივი ეკლესიის არსებობა, როგორიცაა კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, იერუსალიმის, საქართველოსა და სხვებისა, არ არღვევს ეკლესიის ერთობას, რადგანაც ისინი ერთი სხეულის – ქრისტეს საყოველთაო ეკლესიის წევრები არიან.

ეკლესიის ისტორიკოსთა განმარტებით, ქრისტიანული ეკლესიის ისტორია საღვთისმეტყველო მეცნიერებათა ჯგუფში შედის, თუმცა მეორე მხრივ, იგი საერო მეცნიერებაცაა, რადგანაც კაცობრიობის ისტორიის შესწავლას ემსახურება. საქართველოს ეკლესიის ისტორიაც ასევე ქართველი ერის ისტორიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ქართული ეკლესია წარსულში მუდამ წარმმართველი ძალა იყო ქართველი ერის სულიერი ცხოვრებისა, წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) თვალსაზრისით: „საქართველოს ეკლესია ყოველთვის თავდადებით ჰპატრონობდა ჩვენს ერს და არასდროს დიდებას ერისას დავიწყებას არ აძლევდა“.[1] წმ. ილია განსაკუთრებით აფასებდა ქართველ ღვთისმსახურთა ღვაწლს: „ჩვენმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ მამული და ეროვნება რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულთან შეხორცთვისებული უძლეველი ხმალი და შეულეწელი ფარია მტრის წინაშე“;[2] „მამული და ეროვნება მიაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული – მამულსა და ეროვნებას და ეგრეთ მომძლავრებულმა ერმა ეს სამება წაიმძღვარა წინ, ათას ხუთასი წელიწადი ომითა და სისხლის ღვრით გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაცა“.

საერო ისტორიისაგან განსხვავებით, რომელიც ხალხის მიწიერ, პოლიტიკურ, კულტურულ განვითარებას ასახავს, ეკლესიის ისტორია ხალხის სულიერი გადარჩენისათვის გაწეულ ღვაწლს წარმოაჩენს. ეკლესიის ისტორიკოსს ევალება შეკრიბოს საჭირო ფაქტები და ისტორიული მონაცემები, კრიტიკულად შეისწავლოს ისინი, დაადგინოს მათი ნამდვილობა, უკუაგდოს ნაყალბევი, აჩვენოს საეჭვო, ამის შემდეგ კი ყველა მოპოვებული მასალა მკაცრი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოსცეს.

ღვთისმეტყველება ოთხ დარგად იყოფა: 1. ეგზეგეტიკური, 2. ისტორიული, 3. სისტემატური, 4. პრაქტიკული. ბიბლიური და ეკლესიის ისტორია ღვთისმეტყველების ისტორიულ ნაწილს განეკუთვნება. ისტორიული ღვთისმეტყველების კერძო დისციპლინებია: დოგმატების ისტორია, პატროლოგია, სიმბოლიკა, ქრისტიანული ლიტერატურის ისტორია, საეკლესიო არქეოლოგია, ღვთისმსახურების ისტორია და ქრისტიანული ხელოვნების ისტორია. **მათი მაკავშირებელი ძირითადი სამეცნიერო ღერძია ეკლესიის ისტორია, როგორც ამას მსოფლიო ისტორიის ცნობილი მკვლევარები განმარტავენ.**

მსოფლიო ეკლესიის ისტორიას სამ ნაწილად ყოფენ: ძველი, შუა და ახალი. მსოფლიო ეკლესიის ისტორიის ძველ და შუა პერიოდთა შორის საზღვრის ჩვენება სადავოდაა მიჩნეული, ერთნი მიჯნად VI ს-ის დასასრულს, ხოლო მეორენი VII ს-ის დასასრულს მიიჩნევენ, როცა VI მსოფლიო კრებაზე მონოფიზიტებთან კამათი დასრულდა და მსოფლიო ეკლესიას განშორდა მონოფიზიტური თემები (ასეთ დაყოფას ემხრობა პროფ. ბოლოტოვი). პროფ. პოსნოვის აზრით, მიჯნას ძველსა და შუა პერიოდებს შორის წარმოადგენს XI ს. კერძოდ 1054 წელი, როცა გაიყო მსოფლიო ეკლესია, თუმცა მიიჩნევს, რომ იმდროინდელი ქრისტიანებისათვის ამ მომენტს არ ჰქონია ისეთი მნიშვნელობა, როგორიც მან შემდეგში მიიღო (იგულისხმება მსოფლიო მართლმადიდებლობისაგან ე.წ. „კათოლიკეთა“ გასვლა).

შუა და ახალ პერიოდებს შორის საზღვრად მიღებულია 1453 წელს კონსტანტინოპოლის დაცემა, დასავლეთის ეკლესიისათვის ამ პერიოდთა შორის საზღვრად XVI საუკუნეში რეფორმაციათა დაწყებას მიიჩნევენ.

რამდენადაც ცნობილია, საქართველოს ეკლესიის ისტორია პერიოდებად დაყოფილი არ ყოფილა, მიზეზი ამისა უნდა იყოს ის, რომ იგი თითქმის ოცსაუკუნოვან დიდძალ საეკლესიო-ისტორიულ მასალას მოიცავს, ამასთან ქართული ეკლესიის ისტორიის განმაზოგადებელი თხრობა მხოლოდ რამდენიმე ისტორიკოსს აქვს გადმოცემული,[3] მაგრამ ისიც პერიოდიზაციის გარეშე.

მსოფლიო ეკლესიის მსგავსად, ქართული ეკლესიის ისტორიაც შეიძლება სამ პერიოდად დაიყოს. ესენია – ძველი, შუა და ახალი. ძველი პერიოდი მოიცავს ხანას პირველი საუკუნიდან ვიდრე XII ს-ის დასაწყისამდე (რუის-ურბნისის კრებამდე, 1103-1105 წწ.), შუა პერიოდი მოიცავს ხანას XII საუკუნიდან მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე, ავტოკეფალიის გაუქმებამდე (1811 წ.). ახალი პერიოდი მოიცავს ხანას მეცხრამეტე საუკუნის 10-იანი წლებიდან ვიდრე დღემდე.

პირველი საუკუნიდან ჩვენი ეკლესიის ისტორიის პერიოდიზაციის დაწყებას თავისი საფუძველი აქვს. ჩვენი ძველი ისტორიკოსები (ეპისკოპოსი ლეონტი მროველი, არსენ ბერი, იოანე საბანის ძე, გიორგი მთაწმინდელი, ქართლის ცხოვრების ჩანართების ავტორები და სხვები) მიიჩნევენ, რომ ქრისტიანობა საქართველოში უკვე I–III საუკუნეებიდანაა ცნობილი. წმიდა გიორგი მთაწმიდელი, ანტიოქიის საპატრიარქო კარზე აცხადებდა, რომ ქრისტიანობის პირველი მქადაგებლები საქართველოში თვით ქრისტეს მოციქულები: ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი

იყვნენ, რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ თავის ძეგლისწერაში ეს მომენტი ხაზგასმით წარმოაჩინა. ახალი არქეოლოგიური მონაცემები ფაქტობრივად ამტკიცებენ მე-8 საუკუნის ავტორის, იოანე საბანის ძის ცნობას ქართველთა შორის ქრისტიანობის ხუთასწლოვანი არსებობის შესახებ. კერძოდ, არქეოლოგთა მიერ გამოვლენილი სამარხების შესწავლით ირკვევა, რომ ჩვენში ქრისტიანობა მის სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარებამდეც ცნობილი იყო, ამიტომაც II-III სს-ში მიცვალებულების ერთ ნაწილს ქრისტიანული წესით მარხავდენ.[4]

ქართლის ცხოვრების ჩანართის თანახმად, ანდრია პირველწოდებულმა საქართველოში პირველი საეპისკოპოსო კათედრა ქალაქ აწყურში დააარსა და მას ეპისკოპოსი და სამღვდელოება დაუდგინა. მ. თამარაშვილის მიერ მოძიებული ცნობის თანახმად, პირველ საუკუნეებში იმპერატორ მაქსიმილიანეს ჯარში ქრისტიანი ქართველი მეომრებიც მსახურობდნენ, რომლებიც კოლხეთში გადაასახლეს; ხოლო ლათინი ავტორის ირინეოსის ცნობით, ეპისკოპოსმა პალმოსმა და მისმა მეგობრებმა კოლხიდაში სამოცდაათი ეკლესია ააშენეს. ანტონ კათალიკოსმა პირველ-მეორე საუკუნეებში მცხოვრები ქართველი წმიდანების, ეგრეთ წოდებული წმინდა მესუკაველთა ცხოვრება აღწერა. ისინი წარმოშობით აღმოსავლეთ საქართველოდან (ჰერეთ-ალბანეთიდან) ყოფილან, ხოლო მოწამეობის გვირგვინი სამხრეთ საქართველოში მიუღიათ. III ს-ში, ქართლის ცხოვრების თანახმად, მეფე რევ მართალს ქრისტიანული სულისკვეთების რეფორმა გაუტარებია, სახელდობრ, კერპებისათვის ყრმათა შეწირვა აუკრძალავს. ბერძნული წყაროების ცნობით, IV საუკუნის დასაწყისში, კერძოდ 325 წელს ბიჭვინთელი და ტრაპეზუნტელი ეპისკოპოსები პირველ მსოფლიო კრებაში მონაწილეობდნენ. აღნიშნული და სხვა მონაცემები იმის საფუძველს გვაძლევს, რომ ჩვენი ეკლესიის პერიოდიზაცია პირველი საუკუნიდან დავიწყოთ, ხოლო I–III საუკუნეები ჩვენი ეკლესიის ისტორიის ძველი პერიოდის ერთ ნაწილად მივიჩნიოთ (შეიძლება მას უძველესი ხანა ვუწოდოთ).

საქართველოს ეკლესიის ისტორიის ძველი პერიოდის შემდგომი ხანა IV საუკუნის 20-30-იანი წლებიდან იწყება, როდესაც წმიდა ნინოს ქადაგებათა შედეგად მოციქულთასწორმა მეფე-დედოფალმა მირიანმა და ნანამ ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო სარწმუნოებად გამოაცხადეს. ამ ხანებში უნდა ჩამოყალიბებულიყო საქართველოს ეკლესია ორგანიზაციულადაც.

IV–V სს-ში ქართული ეკლესია გაძლიერდა, განმტკიცდა. ქართულ ენაზე ითარგმნა წმიდა წერილი, ხოლო V ს-ში, ვახტანგ გორგასლის დროს, ჩამოყალიბდა საქართველოს საკათალიკოსო. იგი მოიცავდა თანამედროვე საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიას, რადგანაც ამ მეფის წყალობით საქართველოს საკათალიკოსოს იურისდიქციის საზღვრები ქართლის სამეფოს სახელმწიფოებრივ საზღვრებს დაემთხვევა, ქართლის სამეფოში კი იმ დროს როგორც აღმოსავლეთი, ასევე დასავლეთ საქართველოც შედიოდა.

შემდგომი ხანა ქართული ეკლესიის ძველი პერიოდისა იწყება VI საუკუნიდან და რუის-ურბნისის კრებამდე ე.ი. XII ს-ის დასაწყისამდე გაგრძელდა. ამ დროს ეკლესიის ბედს ჩვენი სახელმწიფოს მდგომარეობა განსაზღვრავდა. როგორც

ცნობილია, VI საუკუნეში გაუქმდა მეფობა, რამაც საბოლოო ჯამში „ყოველი ქართლის“ ცალკეულ ქვეყნებად დაშლა გამოიწვია. ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის („ქართველთა“), აფხაზთა, ჰერთა და კახთა სამეფოები (სამთავროები).

უნდა ითქვას, რომ VI ს-დან ძველი პერიოდის მესამე ხანის დაწყებას საფუძვლად დაედო ჩვენს ქვეყანასა და ეკლესიაში ამ ეპოქაში მომხდარი მოვლენები. ს. ჯანაშიას აზრით, „VI საუკუნე ნამდვილი ისტორიული მოსაბრუნია ჩვენი ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით ძველ ხანაში“,[5] ნ. ბერძენიშვილი VI-X სს-ს ადრეფეოდალურ ხანად მიიჩნევდა, VI ს-ში გაიმარჯვა ახალმა პოლიტიკურმა წყობამ. „მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისათა, მით ჟამითგან ეპყრა უფლება ქართლის აზნაურთა“.[6] ერისთავებმა მიისაკუთრეს სამართავად მიღებული მხარეები. საქართველოში ვიდრე, ე.წ. სკანდა-შორაპნამდე სპარსელები გაბატონდნენ. ისინი ლაშქრობდნენ ეგრისსა და ზღვისპირეთშიც, სპარსელები დევნიდნენ ქართულ ქალკედონურ ეკლესიას და ყოველი ღონისძიებით ცდილობდნენ, რომ ამიერკავკასიის (ალბანურ და ქართულ) ეკლესიებზე სომხური ეკლესია გაებატონებინათ. მართალია VI ს-ის სომხურ და სხვა წყაროთა თანახმად, ქართლის კათოლიკოსის იურისდიქციაში კვლავინდებურად შედიოდა დასავლეთ საქართველო, მაგრამ VII ს-ის 20-იანი წლებიდან საქართველოში ჰერაკლე კეისრის ლაშქრობის შემდეგ ბიზანტიამ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი უშუალოდ თავის შემადგენლობაში შეიყვანა. მაშასადამე დას. საქართველოს ეკლესია გამოიყვანა ქართული ეკლესიის იურისდიქციიდან და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შეიყვანა. ამიტომაც, აქ დაარსდა ბერძნულენოვანი საეპისკოპოსოები. VIII ს-ში ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულის, აფხაზეთის სამეფოს, წარმოქმნის შედეგად დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა ახალი ქართული საეკლესიო ერთეული, აფხაზეთის საკათალიკისო. X ს-ის ბოლოსა XI ს-ის დასაწყისში საქართველოს გაერთიანებამ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს საპატრიარქოს წარმოქმნას, რომელშიც აფხაზეთისა და ქართლის საკათალიკოსოები გაერთიანდნენ. VI-XI სს-ში ქართულ ეკლესიაში მიმდინარე პროცესი მთლიან ხანას წარმოადგენს თავისი დასაწყისითა და დასასრულით.

მაშასადამე, ქართული ეკლესიის ისტორიის ძველი პერიოდი I–XI საუკუნეებს მოიცავს და იგი სამ ხანად იყოფა. პირველი ხანა მოიცავს I–III საუკუნეებს, მეორე IV–V საუკუნეებს, ხოლო მესამე VI–XI საუკუნეებს.

შუა პერიოდი ქართული ეკლესიის ისტორიისა მოიცავს XII–XVIII საუკუნეებს, იგი XII საუკუნიდან XIV ს-მდე საქართველოს სახელმწიფოს ე.წ. ოქროს ხანას ემთხვევა. ამ დროს საქართველოს საპატრიარქოს სიძლიერე ზენიტს აღწევს.

შუა პერიოდის შემდეგი ხანა XIV–XVIII საუკუნეებს მოიცავს. საქართველოს სახელმწიფოებრივმა უიმედობამ, ქვეყანაში ცენტრიდანულმა მიდრეკილებებმა, ქვეყნის სამეფოს სამთავროებად დაშლამ ზეგავლენა საეკლესიო ცხოვრებაზეც იქონია.

აფხაზეთისა და მცხეთის საკათალიკოსოებმა ერთმანეთის მიმართ მეტი ადმინისტრაციული დამოუკიდებლობა მიიღეს. მიუხედავად ამისა, ეს ქართული საეკლესიო ერთეულები სულიერ ერთიანობას, ერთ საეკლესიო ენას, საეკლესიო ჩვევებსა და ტრადიციებს ინარჩუნებდნენ (ერთიან ქართულ ეკლესიაში საკათალიკოსოები

ისევე არსებობდნენ, როგორც ბერძნულ ეკლესიაში სამიტროპოლიტოები).

ქართული ეკლესიის ისტორიის ახალ პერიოდში შეიძლება ცალკე გამოვყოთ XIX საუკუნე, ესაა ავტოკეფალიის გაუქმების ხანა, უახლესი ხანა კი ავტოკეფალიის აღდგენიდან (25(12) III.1917) იწყება. ამრიგად:

1. ძველი პერიოდი გრძელდება I ს-დან XII ს-ის დასაწყისამდე (რუისურბნისის კრებამდე), იყოფა სამ ხანად;
2. შუა პერიოდი, XII ს-ის დასაწყისიდან ავტოკეფალიის გაუქმებამდე (1811);
3. ახალი პერიოდი მოიცავს XIX-XX სს.

საეკლესიო ისტორიოგრაფია
I პერიოდი (I-XI სს)

(წმიდა მოციქულებიდან რუის-ურბნისის კრებამდე)

ისტორიოგრაფიის ქვეშ იგულისხმება საისტორიო წყაროებსა და თვითმხილველთა ცნობებზე დაყრდნობით საეკლესიო ცხოვრების გადმოცემა.

ქართული ეკლესიის ისტორიის შესახებ ცნობებს მსოფლიო ეკლესიის ისტორიის პირველი მამები გვაწვდიან. როგორც ცნობილია, ევსევი კესარიელმა (გარდ. 338) ოთხი საისტორიო თხზულება შეადგინა 1. ქრონიკა, ორ წიგნად, მსოფლიო ისტორია დაბადებიდან მის დრომდე; 2. საეკლესიო ისტორია ათ წიგნად, ქრისტიანობის დასაწყისიდან 324 წლამდე; 3. კონსტანტინე დიდის ცხოვრება 4 წიგნად და 4. „ძველ მარტვილიათა კრებული". ევსევი კესარიელის მემკვიდრენი და მისი შრომის გამგრძელებელნი იყვნენ – სოკრატი, კონსტანტინოპოლელი ადვოკატი (სქოლასტიკოსი), დაწერა საეკლესიო ისტორია შვიდ წიგნად (305-439); ერმია სოზომენი, აგრეთვე ადვოკატი, გადმოსცა ეკლესიის ისტორია ცხრა წიგნად (324-423); ეპისკოპოსი თეოდორიტე კვირელი, დაწერა ეკლესიის ისტორია 5 წიგნად (320-428). თავიანთ თხზულებებში ისინი ქართული ეკლესიის სახელმწიფოებრივი დაფუძნების ისტორიასაც ეხებიან.[7] ქართული ეკლესიის შესახებ ცნობას მსოფლიო ეკლესიის პირველ ისტორიოგრაფთაგან აგრეთვე ლათინი პრესვიტერი რუფინუსიც იძლევა, რომელმაც ევსევი კესარიელის ისტორია თარგმნა და იგი 395 წლამდე გააგრძელა (რუფინუსი, X, 10).

ქართული ეკლესიის ისტორიის უძველეს უცხოურ წყაროებთან დაკავშირებით ნ. ჯანაშია წერს: „უძველესი წყარო, რომელშიც მოხსენებული ყოფილა ქართველთა მოქცევის ამბავი, არის IV ს-ის ბერძენი ისტორიკოსის (გარდ. 395) გელასი კესარიელის „საეკლესიო ისტორია", სამწუხაროდ, ეს თხზულება დღესდღეობით დაკარგულად ითვლება და ჩვენთვის ცნობილი არ არის. მაგრამ მერმინდელ ავტორებს შემოუნახავთ თავიანთ შრომებში მისი ცნობები. მათ შორის უძველესია რომაელი საეკლესიო ისტორიკოსი რუფინუსი, რუფინუსი გელასი კესარიელის უმცროსი თანამედროვე იყო (გარდ. 410). მას უთარგმნია და თავის თხზულებაში შეუტანია გელასი კესარიელის ცნობა ქართველთა მოქცევის შესახებ... რუფინუსზე დაყრდნობით მოთხრობილი აქვს იბერთა გაქრისტიანების ამბავი V ს-ის ბერძენ ისტორიკოსს სოკრატეს (დაბ. 380) „...იბერთა გაქრისტიანების ამბავი გადმოცემული აქვს V ს-ის მეორე ბერძენ ისტორიკოსს თეოდორიტე კვირელს (დაბ. 390)... სოზომენს, რომელსაც თავისი წიგნი დაუწერია 444 წლის მახლობლად და უშუალოდ რუფინუსით უსარგებლია. V ს-ის ბერძენი ისტორიკოსი გელასი კვიზიკელიც გელასი კესარიელით სარგებლობდა".[8]

მეორე მხრივ, ქართული ეკლესიის ისტორია თითქმის I საუკუნიდან (მცხეთელების ჩასვლა მაცხოვრის ჯვარცმაზე დასასწრებლად, კვართის ჩამოსვენება

საქართველოში და სხვა), აღწერილია უძველეს ქართულ საისტორიო წყაროში, რომელსაც „მოქცევა ქართლისა“ ეწოდება.[9] მასში მოთავსებული „წმიდა ნინოს ცხოვრების“ ე.წ. ვრცელი რედაქციის ავტორად დასახელებულია სალომე უჯარმელი (IV ს.). მისი თხრობა წმიდა ნინოს მოღვაწეობისა და პირველი ქართული ეკლესიის დაფუძნების შესახებ ეთანადება გელასი კესარიელისა და სხვა ზემოაღნიშნულ ბერძენ-ლათინი ისტორიკოსების ცნობებს. უცხოელი ავტორები წმიდა ნინოს აღნიშნული ცხოვრების რამდენადმე შემოკლებულ შინაარს გადმოგვცემენ. ისტორიკოსი მ. ჩხარტიშვილი, რომელმაც საგანგებოდ, მონოგრაფიულად გამოიკვლია „მოქცევა ქართლისა“, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სალომე უჯარმელის შვილიშვილმა ბაკურმა გელასი კესარიელს თავისი ბებიის მიერ დაწერილი წმიდა ნინოს ცხოვრების შემოკლებული შინაარსი გადასცა.[10]

სალომე უჯარმელი პირველი ქართველი ქრისტიანი მეფის, მირიანის ძის ცოლი იყო, იგი მასპინძლობდა ბოდბეში მომაკვდავ ნინოს. მისგან ჩაუწერია ქართლის მოქცევის ისტორია, მას შეუკრებია აგრეთვე ებრაელი ქალის სიდონიას, მამამისის აბიათარის, საბერძნეთიდან ჩამოსული მღვდლის იაკობის, მეფე მირიანის მოგონებები, თავისი თხზულებისათვის „წმიდა ნინოს ცხოვრება“ უწოდებია და მისთვის დაურთავს შესავალი. სალომე უჯარმელის თხზულებაში, როგორც წესი, ყველა ფაქტს თავისი მხილველი და მთხრობელი ჰყავს. სალომე უჯარმელის ეს თხზულება შესულია ქართულ წყაროთა კრებულში, რომელსაც „მოქცევა ქართლისა“ ეწოდება. მ. ჩხარტიშვილი სალომე უჯარმელს IV საუკუნის ავტორად მიიჩნევს და აკრიტიკებს ნ. მარს, ივ. ჯავახიშვილსა და კ. კეკელიძეს, რომელნიც წმიდა ნინოს ცხოვრების აღნიშნულ რედაქციას გვიანი ხანით ათარიღებდნენ. მ. ჩხარტიშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით წერს, რომ 1897 წელს ნ. მარმა გამოთქვა ვარაუდი, რომლის მიხედვითაც აღნიშნული რედაქცია IX ს-ზე ადრინდელი არ უნდა იყოს. ეს მოსაზრება ივ. ჯავახიშვილმაც გაიზიარა, კ. კეკელიძე ამ ძეგლს IX საუკუნით იმის საფუძველზე ათარიღებდა, რომ მასში ნახმარია მარტის წელიწადი, რომელიც მისი მითითებით ჩვენში სწორედ ამ დროისათვის შემოსულა. კ. კეკელიძის სხვა ნაშრომიდან კი ვიგებთ, რომ თურმე მას ჩვენში მარტის წელიწადის დამკვიდრების თარიღი „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციით დაუდგენია, რომელსაც IX საუკუნეში შექნილ ძეგლად მიიჩნევდა. ზემოთ თქმულიც აშკარად ხდის, რომ ქართული წყაროების მიმართ ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულების პირობებშიც კი „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის გვიანი საუკუნეებით დათარიღება ფაქტებზე ძალდატანებით ხდებოდა. მსგავსად ამისა, არც ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის მტკიცებანი არ შეიძლება მიღებულ იქნას არგუმენტებად განსახილველი ძეგლის თარიღის გარკვევისას. ამგვარად, არა გვაქვს არავითარი საფუძველი, არ დავუჯეროთ თხზულებისავე მითითებას იმის შესახებ, რომ იგი IV ს-ის ძეგლია. აქედან გამომდინარე, სალომე უჯარმელის ავტორობასაც არაფერი არ ეღობება წინ. წყაროთმცოდნეობაში მიღებული წყაროს „უდანაშაულობის პრეზუმფციის“ პრინციპის თანახმად, ჩვენი ძიება აქ უნდა შეწყდეს. წყაროს „არ ევალება“ გვიმტკიცოს, რომ სწორია. თუ ვერ ვამჩნევთ, რომ მისი

მონაცემები ყალბია, მაშასადამე, იგი მიღებულ უნდა იქნას, როგორც ჭეშმარიტი“, – წერს მ. ჩხარტიშვილი.[11] მან დაადგინა, რომ პირველი ქართველი საეკლესიო ისტორიკოსი IV ს-ის ავტორი სალომე უჯარმელია.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ძველად საქართველოში სამოქალაქოს გვერდით საეკლესიო ისტორიოგრაფიაც არსებობდა. უფრო მეტიც, წამყვანი სწორედ ეს უკანასკნელი იყო. დიდი ივანე ჯავახიშვილი საეკლესიო ისტორიკოსებს უფრო ენდობოდა, ვიდრე სამოქალაქოს. ამიტომაც იგი „ქართლის ცხოვრების“ კრებულზე უფრო მეტად (ვითარცა საისტორიო წყაროებს) საეკლესიო ისტორიკოსების – იაკობ ხუცესის (ცურტაველის, V ს.), ევსტათი მცხეთელის (VI ს.), იოანე საბანის ძის (VIII), გიორგი მერჩულისა და სხვათა თხზულებებს ეყრდნობოდა.[12]

ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ შუა საუკუნეების მსოფლიოში საეკლესიო ისტორიოგრაფიამ დაქვეითება განიცადა, ეკლესიის ისტორიისადმი მიძღვნილი სპეციალური შრომები აღარ შექმნილა და იგი საყოველთაო ისტორიას შეუერთდა. ასეთებია ბიზანტიასა და ყოფილი რომის იმპერიაში შედგენილი ქრონიკები (თეოფანეს ქრონიკა 285 წლიდან 813 წლამდე, გიორგი ამარტოლის, გიორგი სვინკელოსის, პატრიარქ ნიკიფორეს, ლეონ დიაკონის (X ს.), ანა კომნენის, ზონარას, კედრენეს და XI–XII სს-ის ავტორთა სხვა ქრონიკები. შემდეგი დროის ნიკიფორე ხონიატის (XIII ს.), ნიკიფორე გრიგორის (XIV ს.), იოანე კანტაკუზენის და ნიკიფორე კალისტას ქრონიკები). საქართველოშიც მსგავს სურათს ვხედავთ. ეკლესიის ისტორიისადმი საგანგებოდ მიძღვნილი შრომა სალომე უჯარმელის „წმიდა ნინოს ცხოვრების“ შემდეგ აღარ დაწერილა.

ეს ისტორია შემდეგში ქართულ ქრონიკათა კრებულს „მოქცევა□ ქართლისა□“ მიუერთეს, როგორც ეს აღვნიშნეთ.

ქართულ საისტორიო თხზულებათაგან უძველესად მიჩნეულია ქრონიკა „მოქცევა□ ქართლისა□“, რომელიც მოკლედ გადმოსცემს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან და შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს.[13]

„მოქცევა□ ქართლისა□“ ფაქტობრივად ორი ნაწილისაგან შედგენილ კრებულს წარმოადგენს. I ნაწილი ჩანს, წარმოადგენს ძველ-ქართულ საისტორიო ქრონიკას, მასში საქართველოს ისტორია მოკლედაა მიმოხილული უძველესი დროიდან (ალექსანდრე მაკედონელის ქართლში მოსვლა) VII ს-ის 40-იან წლებამდე, რასაც თან ერთვის ისტორია ამ ეპოქიდან IX ს-ის ბოლომდე, აშოტ კურაპალატის შვილის გურამის დრომდე (გარდ. 882 წ.) და ქართლის მეფეთა, ერისთავთა და კათალიკოსთა სია. კრებულის II ნაწილი წარმოადგენს ქართული ეკლესიის უძველეს ისტორიას. მასში შესულია სხვადასხვა პირის მიერ ვრცლად მოთხრობილი ამბავი წმ. ნინოს საქართველოში მოსვლისა და მის მიერ ქვეყნის გაქრისტიანების შესახებ.

ეს ქრონიკა პ. ინგოროყვას VII ს-ში შედგენილად მიაჩნდა, მისი საბოლოო რედაქცია IX ს-სა უნდა იყოს, რადგანაც VII ს-ის მეორე ნახევრიდან თითქმის IX ს-ის დასასრულამდე ქრონიკაში საისტორიო მოვლენების მოკლე გადმოცემა შეწყვეტილია და მხოლოდ მეფე-ერისთავების სიაა დართული.[14]

გ. მელიქიშვილის აზრით, ამ ქრონიკის შემდგენელი უძველესი მასალით სარგებლობს. ქრონიკა შეიცავს ქართლის მეფეთა (ხოლო შემდგომ ერისთავთა და

კათოლიკოსთა) სიას აზო – ფარნავაზის ხანიდან (ძვ.წ.აღ-ის IV-III სს.) IX ს-მდე. „მიუხედავად ცალკეული ხარვეზებისა, ჩვენს წინაშეა ქართლის მმართველთა ძირითადად უწყვეტი და სანდო სია საუკუნეთა მანძილზე, რაც, უეჭველად, გულისხმობს ადგილობრივი (ამასთანავე წერილობითი) საისტორიო ტრადიციის არსებობას, რომელმაც თავისი ასახვა „მოქცევა□ს“ ისტორიულ ქრონიკაში პოვა.[15]

აღსანიშნავია, რომ „მოქცევა□ს“ ტექსტში დაცულია წყაროებზე მითითება. მცხეთის ჯვრის აღმართვასთან დაკავშირებით (კრებულის I ნაწილში) დამოწმებულია გრიგოლ დიაკონის თხზულება: „ვითარცა სწერია, მცირესა მას მოკლედ აღწერილსა მას წიგნსა ქართლის მოქცევისასა გრიგოლ დიაკონის მიერ აღწერილსა“. VI ს-ის ამბების მოტანისას კი ქრონიკაში ნათქვამია, რომ „ესე აღწერილი გამოკრებილად არს“, ე.ი. იგი უფრო ვრცელ მატიანეზე მიუთითებს.

ქართული ეკლესიის ისტორიის უმთავრესი წყაროა „ქართლის ცხოვრების“ კრებული, რომელიც საერთოდ, წარმოადგენს საქართველოს ძველი ისტორიის წყაროს. მასში გადმოცემულია ჩვენი ქვეყნის ისტორია თანმიმდევრული თხრობით უძველესი დროიდან. „ქართლის ცხოვრება“ სხვადასხვა საისტორიო თხზულებისაგან შედგება. ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, მისი დასაწყისი ნაწილი ვახტანგ გორგასლამდე დაწერილია ლეონტი მროველის მიერ,[16] ხოლო კ. კეკელიძის აზრით,– ვახტანგ გორგასლის ისტორიის ჩათვლით.[17] საზოგადოდ, ლეონტი მროველის თხზულებაში შესული ნაკვეთი „წმიდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“, ჩვენი ეკლესიის ისტორიის ძველი პერიოდის უმთავრესი წყაროა.[18]

ისტორიკოსი ჯუანშერ ჯუანშერიანი, თავის ნაშრომში ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებას“ V ს-ის შუა წლებიდან VIII ს-ის 40-50-იან წლებამდე აგრძელებს. ჯუანშერის თხზულებაში თხრობა არჩილ მეფემდე აღწევს, იქვე ჩართული „არჩილის წამება“ ლეონტი მროველის თხზულებად არის მიჩნეული.

VIII ს-ის შუა წლებიდან XI ს-ის 80-იან წლებამდე „ქართლის ცხოვრებაში“ თხრობას აგრძელებს უცნობი ისტორიკოსი, რომლის ნაშრომს „მატიანე ქართლისას“ უწოდებენ. „მატიანე ქართლისა“ უმთავრეს წყაროს წარმოადგენს ჩვენს მიერ განსახილველი ეკლესიის ისტორიის ხანისას. მასში გაბნეულია ცნობები, რომლებიც ეკლესიის ისტორიასაც გადმოგვცემენ. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „მატიანე ქართლისა“ აღსავსეა აუარებელი ისტორიული ცნობით. იგი სანდო ისტორიული თხზულება და პირველხარისხოვანი წყაროა. ჯუანშერის თხზულების შესახებ ამ წყაროში ნათქვამია: „წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი ჟამად, ხოლო ვახტანგ მეფისთაგან ვიდრე აქამომდე (ე.ი. არჩილ მეფემდე, VIII ს.) აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან, ძმისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისმან, ნათესავმან რევისმან, მირიანის ძისამან. მიერითგან შემდგომთა მომავალთა ნათესავთა აღწერონ, ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ჟამმან უწყებად მისცეს გონებასა მათსა ღვთივ განბრძობილსა“;[19] ეს მინაწერი უძველეს (XIII ს.) ხელნაწერში (ძველი სომხური თარგმანი) მოიპოვება. „ქართლის ცხოვრებაში“ ავტორთა შესახებ სხვა მინაწერიცაა, რომლიდანაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „მეფეთა ცხოვრება“, „წმიდა ნინოს მიერ ქართლის

მოქცევა“ და „არჩილის წამება“ „ლეონტი მროველმან აღწერა“.[20] აღსანიშნავია, რომ ამ ბოლო მინაწერს უძველესი სომხური თარგმანი ქართლის ცხოვრებისა არ იცნობს, მაშინ როცა მასში არის ზემოაღნიშნული ცნობა ჯუანშერის შესახებ. „ერთადერთი გამოსავალი ამ წინააღმდეგობიდან ის არის, როგორც ფიქრობდა თედო ჟორდანია, რომ ლეონტი მროველი მივიჩნიოთ არა ავტორად, არამედ გადამწერად ანდა რედაქტორ-გადამწერად“.[21]

გ. მელიქიშვილის აზრით, ჯუანშერს (VIII ს.) ხელთ ჰქონია ქართლის ცხოვრების საისტორიო კრებული, შედგენილი „ჟამითი-ჟამად“ დაწერილი თხზულებებისაგან, უძველესი დროიდან ვიდრე ვახტანგ გორგასლამდე. გ. მელიქიშვილი წერს: „აშკარაა, რომ ვახტანგ გორგასლის თხზულება ცალკე ნაწარმოებს უნდა წარმოადგენდეს“. ჩვენი აზრით, ჯუანშერს კრებულისათვის მიუმატებია ვახტანგ გორგასლის შემდგომი ამბები არჩილ მეფემდე, ხოლო რედაქტორს მასში „არჩილის წამების“ მოკლე მოთხრობაც შეუტანია.

გ. მელიქიშვილი თავის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისში შესული თხზულებები (ისევე, როგორც მათი კრებულის სახით შეკვრა) VIII-IX საუკუნეებით უნდა დათარიღდეს, ასაბუთებს ამ კრებულის დასაწყისში გამოხატულ არმენოფილურ ტენდენციებს, რაც მისი აზრით, „კარგად ეგუება VIII–IX სს. ვითარებას“.[22]

აღნიშნული თხზულების VIII ს-ის შუა წლებამდე არსებობას ისიც გვავარაუდებინებს, რომ, როგორც ეს პავლე ინგოროყვამ აღნიშნა, მასში არ გვხვდება სიტყვა „აფხაზეთი“, რაც წარმოუდგენელია VIII ს-ის შემდგომ, მით უმეტეს XI საუკუნეში შექმნილ ვითარებაში. ივ. ჯავახიშვილი და კ. კეკელიძე ფიქრობდნენ, რომ ეს თხზულება XI საუკუნეშია დაწერილი.[23]

გ. მელიქიშვილი „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისში არსებულ არმენოფილურ ტენდენციებს ქართლში VIII–IX საუკუნეებში არსებული პოლიტიკური ვითარების ანარეკლად მიიჩნევდა. VI ს-სა და VII საუკუნის დასაწყისში სპარსეთის იმპერიის მხარდაჭერით გაძლიერებული სომხური ეკლესია ამიერკავკასიის ეკლესიებზე ჰეგემონობის მოპოვებას ცდილობდა, რამაც თავისი კვალი დაამჩნია იმ დროს ჩვენს საეკლესიო ცხოვრებას. მ. თარხნიშვილი „ქართლის ცხოვრებაში“ არსებულ არმენოფილურ ტენდენციებს ქართლში VI–VII საუკუნეებში არსებული ვითარების გამოვლინებად თვლიდა და ამიტომაც ქართლის ცხოვრების კრებულს VI–VII საუკუნეებში ჩამოყალიბებულ ძეგლად აღიარებდა.[24]

განსახილველი წყაროს არმენოფილურ ტენდენციებთან და ზოგიერთ კონცეფციასთან დაკავშირებით გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ „ქართლის ცხოვრების“ შესავალ და სხვა ნაწილებში ძლიერად იგრძნობა სომხური საისტორიო ტრადიციის გავლენა, რაც შთაგონებულია მოსე ხორენელის თხზულებით, ანდა დამოკიდებულია იმ სომხურ წერილობით თუ ზედაპირ ტრადიციებზე, რამაც მოსესთან იჩინა თავი. „მთელ ამ ამბებს აშკარა არმენოფილური დაღი აზის... ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ ამ ამბების თხრობისას „ქართლის ცხოვრების ინფორმაციის წყაროს სომხური ტრადიცია წარმოადგენს“.[25]

ქვემოთ განხილულია სხვადასხვა მოსაზრება, თუ რა იყო მიზეზი ქართული წმინდა წერილისა თუ უკვე არსებული საისტორიო წყაროების სომხური დედნების მიხედვით, ანდა არმენოფილური ტენდენციებით რედაქტირებისა VI–VII საუკუნეებში, რომელიც შემდგომში შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ქართველ და ბერძენ საეკლესიო მოღვაწეებს. VIII საუკუნიდან დაიწყო და XI საუკუნის შუა წლებამდე გაგრძელდა, გიორგი მცირის სიტყვით რომ ვთქვათ, „მათგან თარგმნილი“ წმიდა წერილის რედაქტირება ახლა უკვე ბერძნული დედნების მიხედვით (გამოყენებით).

შემდგომ წყაროს საქართველოს ეკლესიის ისტორიისა (VI ს-დან XI ს-მდე) წარმოადგენს ისტორიკოს სუმბატ დავითის ძის თხზულება „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, რომელიც მოიცავს აღნიშნულ ხანას, კერძოდ, VI ს-დან XI ს-ის 40-იან წლებამდე. XI ს-ის ავტორის ეს თხზულება ბაგრატიონების სამეფო სახლის მატიანეა და საქართველოს ისტორიის ცალკეულ პერიოდებს წარმოადგენს. სუმბატ დავითის ძის მიერ გადმოცემული ცნობების სიმართლე პარალელური ქართული თუ უცხოური წყაროებითაც დასტურდება.[26]

საქართველოს ეკლესიის ისტორიის პირველი პერიოდის შესწავლისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ამავე ხანის ქართული საეკლესიო მწერლობის ძეგლები.

საქართველოს ეკლესიის ისტორიის ძველი პერიოდის ერთ-ერთი უმიშვნელოვანესი წყაროა V საუკუნის მეორე ნახევრის საეკლესიო მოღვაწის იაკობ ხუცესის (ცურტაველის) თხზულება „წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისა“. ესაა ძეგლი, რომელშიც მკაფიოდ ჩანს, თუ როგორი თავდადებით იცავდნენ საქართველოში ქრისტიანულ სარწმუნოებას ქვეყნის საუკეთესო შვილები. ისინი მზად იყვნენ ამქვეყნიური სიცოცხლე დაეთმოთ საუკუნის დამკვიდრებისათვის. იაკობ ხუცესი ვარსქენ პიტიახშის კარის მღვდელი და წმიდა შუშანიკის მოძღვარი, მისი მოწამეობრივი ღვაწლის თვითმხილველი და პირუთვნელი აღმწერი იყო. ეს თხზულება მას 476-483 წლებში დაუწერია, წმიდა შუშანიკის აღსასრულის შემდეგ და წმიდა მეფის, ვახტანგ გორგასლის მიერ ვარსქენის სიკვდილით დასჯამდე, ამ თხზულებაში აღწერილია მეხუთე საუკუნის ქართლის ყოფა-ცხოვრება, ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა, საეკლესიო ორგანიზაცია, ხალხის ზნე-ჩვეულებები, ამიტომაც იგი შესანიშნავ ისტორიულ წყაროდ ითვლება.

VI ს-ის ქართლში გაბატონებული ირანელების მიერ ქართული ეკლესიის სამწყსოს (კერძოდ, გაქრისტიანებული სპარსელების) დევნა აღწერილია „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“, რომელიც VI ს-ში დაიწერა უცნობი ავტორის, მარტვილობის თვითმხილველის მიერ.[27]

VIII ს-ის მეორე ნახევარში იოანე საბანის ძე აღწერს ქართული ეკლესიის წევრის, გაქრისტიანებული არაბის (ჰაბოს) წამებას არაბთა ბატონობისას ქართლში, არაბთა სარწმუნოებრივ პოლიტიკას, მიმართულს ქართული ეკლესიის წინააღმდეგ, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ქრისტიანთა და საერთოდ, ქართველთა ყოფას. მისი თხზულებიდან ჩანს, რომ ამ დროისათვის ქრისტიანული სარწმუნოება ქართველთა ერონული თავისთავადობისა და თვითშენახვა-გადარჩენის საშუალებას წარმოადგენდა.

IX ს-ის უცნობი ავტორი თხზულებაში „ცხოვრება და წამება კონსტანტისი ქართველისა“ მოკლედ აღწერს არაბთა სარდლის ბუღა თურქის ლაშქრობას საქართველოში (853) და ქართველთა ბრძოლას თავისი ეროვნული სარწმუნოების დასაცავად. ქრისტიანული სარწმუნოების დაცვისათვის ყუელის ციხისთავის გობრონის (მიქაელის) წამებას აღწერს X ს-ის ავტორი სტეფანე მტბევარი თხზულებაში „წამება გობრონისი“. აქ მოთხრობილია აბულ კასიმის 914 წლის ლაშქრობის შესახებ სამხრეთ საქართველოში.

სასულიერო პირთა მოღვაწეობა, ანუ „მოქალაქეობა“ აღწერილია ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“, რომელსაც ზოგი VII ს-ში, ზოგი კი IX ს-ში დაწერილად მიიჩნევს.

განსაკუთრებული მნიშვნელობის ძეგლია 951 წელს დაწერილი თხზულება გიორგი მერჩულისა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. მასში აღწერილია VIII-IX საუკუნეებში ტაო-კლარჯეთში ქართველ საეკლესიო პირთა თავდადებული ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოღვაწეობა, საეკლესიო აღმშენებლობა.

ქართული ეკლესიის ყოფა, სასულიერო პირთა ღვაწლი გადმოცემულია „ილარიონ ქართველის ცხოვრებაში“, ასურელ მამათა ცხოვრებაში („ცხოვრება იოანე ზედაზნელისა“, „ცხოვრება შიოსა და ევაგრესი“, „ცხოვრება დავით გარეჯელისა“, „მოქალაქეობა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისა“ და სხვა). ქრისტიანობის განმტკიცებას მთიან მხარეში ასახავს თხზულება „წამება ყრმათა რიცხვით ცხრათა“.[28]

საქართველოს ეკლესიის ყოფას VI–VII საუკუნეებში გადმოსცემს არსენ კათალიკოსის თხზულება „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“, რომელიც ფურცლებაშლილი და დაულაგებელი სახით ხელთ ჩავარდნია გვიანი დროის რედაქტორს. ჩვენ იმდენად მნიშვნელოვან წყაროდ მივიჩნიეთ ეს თხზულება, რომ გადავწყვიტეთ, დაგველაგებინა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და აღგვედგინა თავდაპირველი სახე თხრობისა. ჩვენი ეს ცდა მოთავსებულია ნაშრომში „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, I, 1996.

ეკლესიის ისტორიისათვის, როგორც აღვნიშნეთ, დიდი მნიშვნელობა აქვთ და საისტორიო თხზულებათა მონაცემებს ავსებენ ჰაგიოგრაფიული ლიტერატურისა და სხვა წყაროთა მონაცემები.

ივანე ჯავახიშვილს გამორკვეული აქვს, რომ ქართული სამოქალაქო საისტორიო დარგი ქართულ საეკლესიო მწერლობისაგან განვითარდა და წარმოიშვა. „ამის გამო ვისაც ქართული საისტორიო მწერლობის განვითარების შესწავლა სურს, არც შეუძლია და არც უფლება აქვს ქართულ საეკლესიო საისტორიო ძეგლებს, ქართველ მარტვილთა და წმიდანთა ცხოვრებებს, გვერდი აუხვიოს და განუხილველი დატოვოს“.[29]

ქართული საისტორიო მწერლობის ერთ-ერთ ნაკლად მკვლევარს ის გარემოება მიაჩნდა, რომ „...შეუსწავლელი იყო ისეთი საყურადღებო შინაარსიანი და დიდმნიშვნელოვანი დარგი, როგორიც არის ქართველ მარტვილთა და წმიდანთა ცხოვრებანი. ამის გამოვე სრულებით უყურადღებოდ იყო მიტოვებული ქართული საეკლესიო ისტორია“...[29]

ქართული ეკლესიის ისტორიის ჩვენს მიერ განსახილველი პერიოდის შესწავლისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვიმესი და უწყება□ ღირსისა მის მოქალაქობისა მათისა□ აღწერილი გლახაკისა გიორგის მიერ ხუცეს მონაზონისა“.[30]

ივანე ჯავახიშვილი გიორგი მთაწმინდელს უწოდებს „გამოჩენილ ისტორიკოსს“ და დასძენს: „გიორგი მთაწმინდელი ქართულ საისტორიო მწერლობაში შესანიშნავ მეცნიერ ისტორიკოსად უნდა ჩაითვალოს... თითოეული მისი ცნობა დამყარებულია უტყუარ საბუთებზე და ახლაც მათი ჭეშმარიტების დამტკიცება შეიძლება“. ამიტომაც, მეცნიერს მისი თხზულება უაღრესი ნდობის ღირს, შინაარსიან, ღრმა, მაღალ საზოგადოებრივ და ეროვნული აზრებით გამსჭვალულ ნაწარმოებად მიაჩნდა.[31]

ჩვენი ეკლესიის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია ქართულ-ბერძნული საეკლესიო ურთიერთობანი X-XI სს-ში და მათი მოგვარების შემდეგ საქართველოს საპატრიარქოს უფლებათა აღიარება. ბერძნულ-ქართულ საეკლესიო ურთიერთობათა შესახებ უპირველეს წყაროდ, როგორც აღინიშნა, გიორგი მთაწმიდელის დასახლებული შრომა უნდა ჩაითვალოს. განსახილველ ხანაში ბერძენმა ბერებმა ყოველი ღონე იხმარეს, რათა ქართველები დაემცირებინათ, ათონიდან განედევნათ და მათი დიდებული ლავრა-მამულები ჩაეგდოთ ხელში. ათონზე ანუ „წმინდა მთაზე“ ოცზე მეტი მონასტერი არსებობდა. ყველა ისინი, გიორგი მთაწმიდელის სიტყვით, ბერძენმა საეკლესიო მოღვაწეებმა თავიანთი ბოროტი განზრახვის განხორციელებაში დაიხმარეს. „მთა ყოველი თანაშეიწიეს და საბერძნეთისა დიდებულნი და პალატისა წარჩინებულნი ყოველნი მიდრიკნეს და მრავალი შრომა და ჭირი და რუდუნება ჩუენზედა მოაწიეს“. აქედან ჩანს, რომ ქართველ საეკლესიო მოღვაწეებს არა მხოლოდ „ყოველი მთა“, ანუ ათონის მონასტრები, არამედ ბიზანტიის საიმპერატორო კარი და მთავრობა, „საბერძნეთისა დიდებულნი და პალატისა წარჩინებულნი“ დევნიდნენ.

გიორგი მთაწმინდელის მიზანი ყოფილა აღეწერა ყოველივე „რათა ესევითარი ბოროტი, რომელი მოაწიეს ჩვენზედა ბერძენთა არა დავიწყებული იქნას და კუალად შემდგომად ჩუენსა მომავალნი ესევითარსავე ჭირსა არა შთაცვივდნენ“.

ეს თხზულება მარტო იოვანესა და ეფთვიმეს მოღვაწეობას კი არ შეიცავს, არამედ აგრეთვე ათონის ივერთა მონასტრის თავგადასავალსაც მოგვითხრობს მისი დაარსების დღიდან.

მაინც რა იყო ზოგადი მიზეზი ბერძენ და ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა შორის წინააღმდეგობისა, რატომ დევნიდნენ ქართველებს არა მარტო ბერძენი ბერები, არამედ მათთან ერთად ბიზანტიის საიმპერატორო კარი და მთავრობა?

ამ კითხვას უთუოდ უნდა გაეცეს პასუხი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია XI საუკუნის მეორე საეკლესიო ისტორიკოსის, გიორგი მცირეს ანუ ხუცესმონაზონის შრომა, რომელშიც მან თავისი მოძღვრის, გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება აღწერა.[32]

თ. პაპუაშვილი აღნიშნული დროის ბერძენ საეკლესიო მოღვაწეთა შესახებ წერს: „მათ ეჭვი შეჰქონდათ ქართველების მართლმადიდებლობაში და აბრალებდნენ მწვალებლობას. სურდათ დაემტკიცებინათ ქართველთა ეკლესიის დამოუკიდე-

ბლობის უკანონობა, ავიწროებდნენ უცხოეთში მოღვაწე ქართველებს, აწიოკებდნენ ქართულ მონასტრებს და სხვა. ამის შესახებ კარგად მოგვითხრობს გიორგი მცირე (ხუცესმონაზონი) თავის თხზულებაში „ცხოვრება□ და მოქალაქეობა□ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა“.[33]

გიორგი მცირეს გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება და მოღვაწეობა გიორგი შავმთელის დავალებით 1066-1067 წლებში აღუწერია. იგი იყო გიორგი მთაწმინდელის „თუალით მხილველი და ხელით მსახურ და ყურით მომსმენელი...“

გიორგი მცირეს შრომიდან ჩანს, რომ ქართველი ბერები იდევნებოდნენ არა მხოლოდ ათონზე, არამედ ანტიოქიასა და საერთოდ, მთელ ბიზანტიის იმპერიაში. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ დევნის მიზეზს წარმოადგენდა არა სუბიექტური წინააღმდეგობანი თუ კონფლიქტები ბერძენ და ქართველ ბერებს შორის, არამედ იმდროინდელი საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ძლიერება, რაც „რა თქმა უნდა, სასურველი არ იქნებოდა დაპყრობითი პოლიტიკის მატარებელი ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც ბიზანტია იყო“.[34]

აღნიშნულის გამო, საჭირო იყო ურთიერთობათა მოგვარება არა რომელიმე კონკრეტულ მონასტრებს შორის, არამედ სახელმწიფოებრივ დონეზე. კერძოდ კი, ორ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის ურთიერთობათა მოგვარებისათვის საჭირო იყო მოლაპარაკებების გამართვა არა მხოლოდ კონსტანტინოპოლში საიმპერატორო კარზე, არამედ იმპერიის სხვა საპატრიარქოებშიც. როგორც გიორგი მცირეს შრომიდან ჩანს, ანტიოქიის საპატრიარქო კარზე სწორედ ასეთ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ გიორგი მთაწმინდელი და ცნობილი დიპლომატი ქალი, ბაგრატ IV–ის დედა მარიამი. აღსანიშნავია, რომ მარიამიც საეკლესიო მოღვაწე იყო, რადგანაც იგი მონაზვნად აკურთხა თვით გიორგი მთაწმინდელმა: „ეკურთხა მის მიერ სქემითა“.

ანტიოქიაში თვით გიორგი მთაწმინდელის, მარიამ დედოფლის, ხოლო კონსტანტინოპოლში იმავე დროს (1054-1057 წლებში) ბაგრატ IV-ის ყოფნის (ე.ი. საიმპერატორო კარზე მოლაპარაკებების) შემდეგ შეწყდა მსოფლიო მართლმადიდებლობის ბურჯებს – ქართულსა და ბერძნულ ეკლესიათა შორის წინააღმდეგობა. ამის შემდეგ (XI ს-ის 60-70-იანი წლებიდან) შეწყდა ქართველი საეკლესიო მოღვაწეების, ბერების, მოქალაქეების არამართლმადიდებლებად გამოცხადება.

აღსანიშნავია, რომ გიორგი მცირე ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქო კარზე გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობას მთელი სისრულით არ აღწერს. ამის მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ მას პირდაპირი დავალება ჰქონია მიცემული გიორგი შეყენებულის მიერ, აღეწერა გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფია მისი ანტიოქიიდან გამგზავრების შემდეგ, უფრო კი მისი გარდაცვალება. გიორგი მთაწმინდელის მოძღვარი, ცნობილი საეკლესიო ავტორიტეტი გიორგი დაყუდებული (შეყენებული) ანტიოქიაში მოღვაწეობდა და ამიტომაც კარგად იცოდა ანტიოქიაში თავისი მოწაფის ღვაწლის შესახებ. მას ორგზის წერილობით უთხოვია გიორგი მცირისათვის აღეწერა მხოლოდ ზემოაღნიშნული პერიოდი გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებისა, კერძოდ, მისი მოღვაწეობა ანტიოქიიდან წასვლის შემდეგ.

ივანე ჯავახიშვილი წერს, „რასაკვირველია გიორგი მთაწმინდელის შესახებ ავტორს ყველაფერი არ მოუთხრია. მან გაცილებით მეტი იცის და მხოლოდ ზოგიერთს გვიამბობს“.

„დავიდუმო სიმრავლისაგან... მარტივად და სულ მცირედ აღვწერო... წარმოვთქუ ფრიად მოკლედ და სულ მცირედ...“, მიუხედავად ასეთი მიდგომისა, გიორგი მცირემ მაინც აღნიშნა ანტიოქიის საპატრიარქოში გიორგი მთაწმინდელის ცნობილი პაექრობა. გიორგი მთაწმინდელმა ყურადღება დაიმსახურა თვით ანტიოქიის პატრიარქებისაც კი, მაგალითად პეტრესი (1052-1057) და თეოდოსისა (1057-1060), უკანასკნელთან მას ქართველთა საეკლესიო დამოუკიდებლობის შესახებ ცხარე კამათიც კი ჰქონია 1057 წელს და დიდი შთაბეჭდილებაც მოუხდენია.

აღნიშნული ხანის ეკლესიის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საეკლესიო დოკუმენტურ წყაროებს, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ქართული ეკლესიის ისტორიის სრულფასოვანი ასახვა. განსაკუთრებით კათალიკოს-პატრიარქთა ტიტულატურის დაზუსტებისას, ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსთა შორის უხუცესობა-უმრწემესობის განსაზღვრისას, მსოფლიო მართლმადიდებლურ დიპტიქში ქართული ეკლესიის ადგილის განსაზღვრისას და სხვა.

საქართველოს ეკლესიის ისტორიის ჩვენს მიერ განსახილველ I პერიოდს, შეიძლება ითქვას, ამთავრებს ეფრემ მცირე თავისი თხზულებით, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორიას წარმოადგენს. ესაა - „უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების“ (თბ. 1959). აქ ავტორი ეხება ქართველთა მოქცევისა და მირონის კურთხევის საკითხს ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით. ბერძნები უარყოფდნენ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას, იმიტომ რომ მათი აზრით, საქართველოში არ უქადაგია არც ერთ მოციქულს. ეფრემი ბერძნული წყაროების მოშველიებით აბათილებს ამ აზრს. ასევე არკვევს, რომ ქართველებს თვითნებურად არც კათალიკოსობის ინსტიტუტი შემოუღიათ და არც მირონის კურთხევის უფლება მიუთვისებიათ. ეს უფლება ყველა ეკლესიისათვის მიუცია ქალკედონის კრების გადაწყვეტილებას. კ. კეკელიძის აზრით, ეფრემის ცნობები ლეგენდარულია, „ვინაიდან ლეგენდარული იყო ის წყაროები, საიდანაც ეს ცნობები ამოუღია მას“.[35]

II პერიოდი (XII-XVIII სს.)

(რუის-ურბნისის კრებიდან ავტოკეფალიის გაუქმებამდე)

„ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესულია თხზულება „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“,[36] თხზულების ავტორი აღწერილი ამბების თანამედროვე და მეფესთან დაახლოებული პირია.[37] ზოგიერთი მკვლევარის თვალსაზრისით, ნაშრომის ავტორია არსენ ბერი. იგი ს. კაკაბაძისა და კ. კეკელიძის აზრით, დავით აღმაშენებლის მემატიანე უნდა იყოს. არსენ ბერი XI ს-ის II ნახევრისა და XII ს-ის ნახევრის მოღვაწეა, დავით აღმაშენებლის სულიერი მოძღვარი. თ ჟორდანია, გ.

ჭიჭინაძე, ა. ხახანაშვილი, ი. ლოლაშვილი არსენ ბერს არსენ იყალთოელად მიიჩნევენ. ჩვენთვის არსენ ბერი საინტერესოა იმით, რომ იგი საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორიის ავტორია, უნდა ითქვას, რომ ჩვენი ეკლესიის II პერიოდის დასაწყისში ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევას არსენის ამ შრომით ჩაეყარა საფუძველი. არსენმა ჩვენი ეკლესიის მოკლე ისტორია წმიდა ნინოს ცხოვრებას დაურთო. როგორც ცნობილია, წმიდა ნინოს ცხოვრების უძველესი შატბერდულ-ჭელიშური რედაქციის თავისებური გადაკეთების შედეგად ლეონტი მროველმა მისი ახალი რედაქცია მოგვცა. არსენ ბერს მიაჩნდა, რომ ძველი რედაქციების ნაკლს ქრონოლოგიური თანმიმდევრობის უქონლობა წარმოადგენდა. მან გაითვალისწინა ეს და წმიდა ნინოს ცხოვრების ახალი, უკვე მეტაფრასული რედაქცია მოგვცა.[38] თუმცა შესაძლებელია ისიც, რომ არსენ ბერი არ იცნობდა ლეონტი მროველის რედაქციას და იგი მხოლოდ სხვა უძველეს რედაქციებს ეყრდნობოდა. არსენ ბერი წმიდა ნინოს ცხოვრებისათვის დართული ქართული ეკლესიის ისტორიის გადმოცემისას წყაროდ „ქართლის ცხოვრების“ წიგნს ასახელებს, ასევე წმ. ნინოს ცხოვრებისათვის მას გამოუყენებია „მოქცევა□ ქართლისა□“ და „ჰამბავი მეფეთა“. არსენს, ჩანს, ასევე უსარგებლია ეფრემ მცირის თხზულებით „უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“. მას გამოყენებული აქვს მთაწმინდელთა გამონათქვამები ქართველთა უბიწო სარწმუნოების შესახებ, ამასთანავე იგი აკრიტიკებს იმ ბერძენ საეკლესიო მოღვაწეებს, რომელთაც თავის დროზე პოლიტიკური ვითარების გამწვავების გამო ამაში ეჭვი შეჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ „ქართლის ცხოვრების“ შესავლისაგან განსხვავებით, რომელსაც როგორც ცნობილია, გარკვეული არმენოფილური ტენდენცია ახასიათებს, არსენ ბერის თხზულება ამ ნაკლისაგან სრულიად თავისუფალია. არსენი ყოფილა ეფრემ მცირეს მოწაფე, როგორც აღინიშნა, ზოგიერთი ისტორიკოსი მას არსენ იყალთოელთან აიგივებს. არსენ იყალთოელმა (გარდაიცვალა XII ს-ის I მეოთხედში) თარგმნა გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფი“, პატრიარქი ფოტიოსის „დიდი სჯულის კანონი“ და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, კრებული „დოგმატიკონი“, საღვთისმეტყველო-პოლემიკური თხზულება ანტიმონოფიზიტური ხასიათისა. უნდა ვიფიქროთ, რომ მისი მოღვაწეობის დროს იყალთოს აკადემიაში ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლას სათანადო ყურადღება ექცეოდა ისევე, როგორც გელათის აკადემიაში.

XII–XIII სს. ისტორიკოსთა შრომებში საეკლესიო ისტორია ქვეყნისა და ერის ისტორიასთან ერთად გადმოიცემა. ამ დროსაც, როგორც წინა საუკუნეებში, ისტორიკოსთა და მწერალთა უმრავლესობა სასულიერო პირები იყვნენ. იმდროინდელ მწერალთათვის დამახასიათებელი იყო უაღრესად განვითარებული ეროვნული თვითშეგნება და ღვთისმოშიშება, მათი თვალსაზრისით, ომში დამარცხება, მტრის შემოსევა, ქვეყნის აოხრება და სხვა უბედურებანი ცოდვათა შედეგი იყო და უფლის მიერ ხალხის მოსაქცევად მოვლენილ სასჯელებს წარმოადგენდა.

თამარის ისტორიკოსთა ნაწარმოებები – „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და ბასილი ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, მსგავსი სულისკვეთებითაა დაწერილი, ისინი შედიან „ქართლის ცხოვრების“ კრებულში,[39]

მათში საეკლესიო პირთა, იერარქთა და კათალიკოსთა მოღვაწეობა ცოცხალი თხრობითაა გადმოცემული. „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შედის ასევე ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანის თხზულება მდიდარი ქრონოლოგიური მონაცემებით.

XII საუკუნეში შეუდგენიათ „ქართლის ცხოვრების“ კრებული. XVI ს-ში კრებულში შეუტანიათ XII-XIV საუკუნეთა ისტორიის ამსახველი თხზულებები: თამარის ანონიმი ისტორიკოსის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და ჟამთააღმწერლის „მონღოლთა დროინდელი ისტორია“. ასეთი სახით ყოფილა შედგენილი ეს კრებული ვახტანგ VI-ის დრომდე.[40] ზოგიერთ თხზულებას ამ კრებულიდან „წმიდა“ და „პატიოსან“ წიგნს უწოდებდნენ.

XIV ს-ის ისტორიკოსი, პირობითად „ჟამთააღმწერლად“ წოდებული, უაღრესად ღვთის მოშიში მოღვაწეა, რომლის მიზანსაც მოვლენების მიუდგომლად და ობიექტურად აღწერა წარმოადგენს. მისი აზრით, „ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტების მეტყველება არს და არა თვალაბმა ვისთვისმე“. იგი იცნობდა მსოფლიო ისტორიას, ქართულ, ბერძნულ, სპარსულ და მონღოლურ წყაროებს, კრიტიკულად უდგებოდა მათ. მისი შეხედულებით, საქართველოს მოოხრების მიზეზი იყო „რისხვა ზეგარდამო უსჯულოებათა და ცოდვათა ჩვენთათვის“.

XII საუკუნის ისტორიკოსი კათალიკოსი ნიკოლოზ გულაბერის ძე თხზულებაში „საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კვართისა საუფლო□სა და კათოლიკე ეკლესი□ისა“ ქართული ეკლესიის ისტორიის უმთავრეს საკითხებს შეეხო. მან აღწერა სვეტიცხოვლის მრავალი სასწაული, ძველ მატიანეებზე დაყრდნობით გადმოსცა წმიდა ნინოს ცხოვრება და ქართლის მოქცევა. მისი თხზულება შეიცავს ისტორიულ ცნობებს ქართველთა გაქრისტიანების ისტორიიდან. ნიკოლოზ გულაბერისძის თვალსაზრისით, რადგან საქართველო „ნაწილი იყო დედისა ღვთისა“, ამიტომაც მაცხოვარმა სახარების საქადაგებლად მის ნაცვლად დედაკაცივე წარმოავლინა ჩვენში. მისი შეფასებით, ქართველები „ბუნებით სადაგნი და მარტივნი და გონებით წრფელნი, სიმართლისა ცხოვრებისასა და უღლისა უმანკოებისასა მზიდველნი, მხოლოდ ღმერთისა ოდენ და მკლავისა თვისისა მოსავნი“ ვართ. ნიკოლოზ გულაბერისძე გვამცნობს, რომ სარწმუნოებრივი და საეკლესიო მემკვიდრეობა ქართველ ეპისკოპოსთა კურთხევას სვეტიცხოვლის ტაძარში მოითხოვს: „ესრე ყოფილ არს დასაბამითგან, რათა კურთხევადნი ეპისკოპოზნი წინაშე სუეტისა ცხოველისა მოვიდოდიან და აღთქმასა ჰყოფდიან მრავალსა სარწმუნოებისათვის და ერთგულებისათვის კათოლიკე ეკლესიისა და თავისა სულისა დადებისათვის ვიდრე სისხლთა დათხევადმდე პატრიარქისათვის და საღმრთოთა წესთა დაცვისათვის“.[41]

საეკლესიო წყაროს წარმოადგენს ტბეთის ეპისკოპოსის აბუსერიძე ტბელის თხზულება „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისანი“. საერთოდ ქართველი მღვდელმთავრები განსახილველ ხანაში ხშირად ეკლესიისათვის საჭირო თხზულებათა ავტორებიც იყვნენ. ასეთია იოანე ანჩელი-მთავარეპისკოპოსი, თამარის მეფობისას, კათალიკოსი არსენ ბულმაისიმისძე (XIII ს.), კარის (ყარსის) ეპისკოპოსი საბა სვინგელოზი (XII ს.), ნიკოლოზ, ქართველთა მნათობი (XIV ს.), სამთავისის ეპისკოპოსი კვიპრიანე (სამთავნელი, XVIII ს.), ნიკოლოზ რუსთველი (XVIII ს.),

მიტროპოლიტი რომანოზი (XVIII ს.), კათალიკოსი ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილი (XVIII ს.), ავტორი მრავალი საეკლესიო-საისტორიო თხზულებისა, მიტროპოლიტი ტიმოთე გაბაშვილი (XVIII ს.), ავტორი ცნობილი თხზულებისა „მიმოხილვა წმიდათა და სხვათა აღმოსავლეთისა ადგილთა"; ნეკრესელი ეპისკოპოსი-დოსითეოზ ნეკრესელი (XVIII ს.) - ფილოსოფოსი; კათალიკოსი ანტონ პირველი, მნათობი საქართველოს ეკლესიისა - ავტორი მრავალი, მათ შორის საისტორიო-დოგმატიკური თხზულებისა, მიტროპოლიტი იონა გედევანიშვილი (XVIII ს.), ნეკრესელი ეპისკოპოსი - ამბროსი მიქაძე (XVIII ს.) - მქადაგებელი; ცაგარელი ეპისკოპოსი, შემდეგ ჭყონდიდელი ანტონი-მჭერმეტყველებით განთქმული და სხვანი, სამეფო ოჯახიდან (ბაგრატიონთა სახლიდან) გამოსული მრავალი სასულიერო პირი, ისევე როგორც ბერები, მღვდლები თუ მონაზვნები ეკლესიისათვის უაღრესად საჭირო თხზულებებს ქმნიდნენ.

ეკლესიის ისტორიისათვის მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენენ კანონიკური სამართლის ძეგლები. ექვთიმე მთაწმინდელის „მცირე სჯულისკანონის" შემდეგ, რომელიც საეკლესიო, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ერთგვარ ენციკლოპედიას წარმოადგენს, არსენ იყალთოელის მიერ მსოფლიო საეკლესიო სამართლის ძირითადი კოდექსის „დიდი სჯულისკანონის" თარგმნას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეკლესიის პრაქტიკული და კანონიკური საქმიანობისათვის.[42] მსგავსი მნიშვნელობა აქვს პროცესუალური სამართლის ძეგლებს (მაგ.: ბაგრატ IV-ის ცნობილი „ოპიზის სიგელი" და სხვა), მონასტერთა ტიპიკონებს, გიორგი ბრწყინვალის დროს შეუდგენიათ „ხელმწიფის კარის გარიგება", რომელიც აჩვენებს, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეს მეფესთან ერთად უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლებაც ედგა სათავეში. ესენია ოთხი დიდხარისხოვანი ბერი, ანუ მონაზონი-მოძღვართმოძღვარი, ჭყონდიდელი, კათოლიკოსი ქართლისა და კათალიკოსი აფხაზეთისა.[43] საეკლესიო სამართლის გასათვალისწინებლად დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართულ საეკლესიო კრებათა დადგენილებებს, ისინი სავალდებულო იურიდიული ნორმების ხასიათს იღებდნენ. ასეთია რუის-ურბნისის საეკლესიო კრების (1103 წ.) ძეგლისწერა, XVI ს-ის „საკათალიკოზო კანონები", რომელნიც ქართლის კათალიკოსის მალაქიასა (1531-1549) და აფხაზეთის კათალიკოსის ევდემონ I ჩხეტიძის (1543-1578) დროს შეუდგენია იმერეთში მოწვეულ საეკლესიო კრებას. მსგავსი მნიშვნელობა ჰქონდა 1748, 1755, 1756, 1762 წლის საეკლესიო კრებათა დადგენილებებს და სხვადასხვა ხასიათის ძეგლებს. XVIII ს-ის I მეოთხედში ქართლის სამეფოს კარზე შედგა ე. წ. „სწავლულ კაცთა კომისია" ბერი ეგნატაშვილის მეთაურობით, რომელსაც დაევალა „ქართლის ცხოვრების" რედაქტირება – გამართვა და გაგრძელება. კომისიამ ნაყოფიერად იღვაწა და „ქართლის ცხოვრება" შეავსო ქართულ წყაროებში დაცული იმ ცნობებით, რომელნიც შეეხებოდნენ საქართველოს ეკლესიის ისტორიის იმ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომელნიც მანამდე ან საერთოდ არ იყვნენ შეტანილნი, ან კიდევ სათანადო ყურადღება არ ჰქონდათ დათმობილი. სეხნია ჩხეიძის საისტორიო თხზულება, ისევე როგორც მისი წინამორბედი ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძისა, უმთავრესად ქართველების

სპარსეთში მოღვაწეობის ისტორიას აღწერს. პაპუნა ორბელიანი და ომან ხერხეულიძე აგრძელებენ მის შრომას.

უდიდესი მნიშვნელობის მეცნიერული მემკვიდრეობა დატოვა ვახუშტი ბაგრატიონმა. მისი „საქართველოს ცხოვრება“ ჩვენი ქვეყნის ისტორიას მთლიანი, განზოგადოებული სახით გადმოგვცემს და ეკლესიის ისტორიისათვის საჭირო ცნობების სიუხვით გამოირჩევა.

III პერიოდი (XIX–XX)

(ავტოკეფალიის გაუქმებიდან დღემდე)

საქართველოს ეკლესიის ისტორიის III პერიოდში კრიტიკულად იქნა შესწავლილი პირველ ორ პერიოდში დაგროვილი მასალა და სისტემატური სახით იქნა წარმოდგენილი საქართველოს ეკლესიის წარსული ცხოვრება. XIX საუკუნემდე საქართველოს ეკლესიის ისტორია, როგორც დამოუკიდებელი ნაშრომი ფაქტობრივად არ დაწერილა. ზემოთ განხილული სალომე უჯარმელის, არსენ ბერის, ნიკოლოზ გულაბერისძის შრომები უმეტესად ქართლის მოქცევისა და ქართული ეკლესიის დაარსების საკითხებს ეხებიან, ხოლო სხვა წყაროებში არსებული ცნობები შეიძლება ეკლესიის ისტორიასთან დაკავშირებული ფაქტების შეგროვებად ჩავთვალოთ. საეკლესიო-ისტორიული მასალის მოგროვება და მათი დამუშავების პირველი ცდები დაედო საფუძვლად განსახილველ III პერიოდში საქართველოს ეკლესიის წარსული ცხოვრების სისტემატური სახით გადმოცემას.

ქართული ეკლესიის ისტორიის შესახებ პირველი მონოგრაფია ცნობილმა ისტორიკოსმა პლატონ იოსელიანმა (1809-1875) გამოაქვეყნა 1843 წელს რუსულ ენაზე – „[illegible]“, სპბ. 1843. როგორც წიგნის სათაურშივეა აღნიშნული, ეს ნაშრომი ჩვენი ეკლესიის ისტორიას მართლაც მოკლედ მოგვითხრობს. ამასთანავე, ძველქართულ საისტორიო მეცნიერებაზე დაყრდნობით გრძელდება საქართველოს ეკლესიის ისტორიის არა დამოუკიდებლად, არამედ ერისა და ქვეყნის ისტორიასთან მთლიანობაში გადმოცემის მცდელობა. ასეთია იოანე ბატონიშვილის (1772-1836) – „კალმასობა“, თავისი დროის ენციკლოპედია, დავით ბატონიშვილის (1769-1819) თხზულებანი, ე.წ. თეიმურაზისეული „ქართლის ცხოვრება“, რომელშიც უხვადაა ჩართული ცნობები ქართული ეკლესიის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ამ რედაქციას „ქართლის ცხოვრებისა“ არმენოფილური შესავალი აღარ აქვს, პირიქით, აქ თარგამოსის შთამომავალთა შორის უპირველესად არა ჰაოსი, არამედ ქართლოსია წარმოდგენილი. თეიმურაზ ბატონიშვილი (1782-1846) თავისი დროის ცნობილი მეცნიერი, პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი იყო. 1848 წელს სანკტ-პეტერბურგში დასტამბული მისი წიგნი „ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე არს საქართველოისა“ ზემოაღნიშნული სულისკვეთებითაა დაწერილი. ე.ი. ხაზგასმით არაარმენოფილურია. აღსანიშნავია მარი ბროსეს (1802-1880), დავით ჩუბინაშვილის (1814-1891) თხზულებანი.

შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარი სამეცნიერო აღმავლობის ნიშნით წარიმართა საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლის საქმე XIX ს-ში. ამის მიზეზი იყო ის, რომ მოისპო საქართველოს ეკლესიის თავისთავადობა – ავტოკეფალია, რამაც ქართველთა შორის დაბადა სურვილი მისი ისტორიის შესწავლის გზით ქართული ეკლესიის ავტორიტეტის ამაღლებისა, რათა როგორც ქართველთათვის, ასევე არაქართველთათვისაც წარმოჩენილიყო ჩვენი ეკლესიის წარსული დიდება და ათასწლოვანი ისტორია. ამ მხრივ, განსაკუთრებით ღვაწლმოსილია ისტორიკოსი მიქაელ (გობრონ) საბინინი (საბინაშვილი). იგი შეუდგა ქართული ეკლესიის ისტორიის გულმოდგინე შესწავლის რთულ საქმეს და 1877 წელს გამოსცა საქართველოს ეკლესიის ისტორია, რომელშიც თხრობა VI ს-ის ბოლომდე მიიყვანა,[44] ხოლო მისი ქართველ წმიდანთა ცხოვრება „საქართველოს სამოთხე“ 1882 წელს დაიბეჭდა. 1886 წელს თბილისში დაისტამბა მოსე ჯანაშვილის „საქართველოს საეკლესიო ისტორია“, რომელიც ასევე ჩვენი ეკლესიის წარსულ ცხოვრებას მოკლედ გადმოგვცემს.

დიდმნიშვნელოვანია თ. ჟორდანიას მიერ დასტამბული ქრონიკები I, 1892, II, 1897; დიმიტრი ბაქრაძის (1827-1890) გამოკვლევები.

როგორც აღინიშნა, XIX საუკუნემდე ქართული ეკლესიისადმი მიძღვნილი ცალკე მონოგრაფია არ დაწერილა, ამიტომაც ზემოაღნიშნულ ავტორთა შრომები პირველნი იყვნენ და ამ მხრივ განსაკუთრებით არიან დასაფასებელნი.

XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლა განსაკუთრებით აქტუალური გახდა. რადგანაც რუსეთის 1905-1907 წლის რევოლუციის დროს საქართველოს საზოგადოებრიობამ რუსეთის წმიდა სინოდის წინაშე კატეგორიულად დასვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. ამ დროს შეიქმნა თ. ჟორდანიას, კ. ცინცაძის, ნ. დურნოვოს, მ. კელენჯერიძის და ნ. მარის მონოგრაფიები, რომლებშიც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიერება იყო დასაბუთებული. ამ მხრივ, განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ავტოკეფალიის საკითხებისადმი მიძღვნილი ს. გიორგაძისა და სხვა ავტორთა წერილები, რომლებიც იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში დაისტამბა.

1901 წელს ეპისკოპოსმა კირიონმა რუსულ ენაზე გამოსცა ნაშრომი „ქართული ეკლესიისა და საეგზარქოსოს ისტორიის მოკლე ნარკვევი XIX ს-ში“. განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ქართული ეკლესიის განმაზოგადებელი მონოგრაფია მ. თამარაშვილისა, გამოცემული რომში 1902 წელს ფრანგულ ენაზე (თბილისი, 1990), უფრო ადრე პატრმა თამარაშვილმა გამოსცა „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, ხოლო 1904 წელს „პასუხი სომხის მწერლებს“. ნ. მარმა 1907 წელს „ცერკოვნიე ვედემოსტში“ გამოაქვეყნა ნაშრომი „ქართული ეკლესიის ისტორიული ნარკვევი“ (რუს. ენაზე). ალ. ცაგარელმა (1844-1929), ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის თავდადებულმა პროფესორმა, კრებული „სტატიები და შენიშვნები ქართული საეკლესიო საკითხისათვის“ (რუს. ენაზე, პეტერბ. 1812) და სხვა წერილები გამოაქვეყნა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთანავე გამოიცა ევსევი ნიკოლაძის გამოკვლევა „საქართველოს ეკლესიის ისტორია“ (1918, ქუთაისი) და მელი-

ტონ კელენჯერიძის „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია“ (ქუთაისი, 1918 წელი). საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეკლესიის ისტორიის შესწავლის საქმე შეფერხდა, მიუხედავად ამისა, ქართველ მეცნიერთა შრომებში ცალკეული საკითხები ამომწურავად იქნა შესწავლილი.

კვლევის მაღალ, თანამედროვე საფეხურზე აყვანა ივანე ჯავახიშვილის სახელთანაა დაკავშირებული, მან გააანალიზა ჩვენში ქრისტიანობის გავრცელების, მისი სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარების, ქართველ-სომეხთა საეკლესიო ურთიერთობათა და სხვა საკითხები. ფასდაუდებელია კ. კეკელიძის ღვაწლი ეკლესიის ისტორიის, საეკლესიო მწერლობის, ბიბლიოგრაფიის, ჰომილეტიკის, კანონიკის, ლიტურგიკის, სასულიერო პოეზიისა და სხვათა შესწავლის საქმეში. ეკლესიის ისტორიის კვლევისათვის მასალები დაამუშავეს ს. ჯანაშიამ, ნ. ბერძენიშვილმა, ს. კაკაბაძემ, მ. ლორთქიფანიძემ, შ. მესხიამ, ა. ბოგვერაძემ, ზ. ალექსიძემ სხვა მეცნიერებმა და მკვლევარებმა. განსაკუთრებითაა აღსანიშნავი პ. ინგოროყვას მონოგრაფიები და შრომები. ეკლესიის ისტორიას იკვლევდნენ ქართველი იერარქიები და სასულიერო პირები: პატრიარქები კალისტრატე ცინცაძე, წმ. ამბროსი ხელაია, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე და სხვები.

ბ. ლომინაძე თავის ნაშრომში „საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია“[45] მიიჩნევს, რომ ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია სამჯერ, V, VIII და XI საუკუნეებში მიიღო. მისი აზრით, ბალსამონის ცნობილი ცნობა XI საუკუნეში ავტოკეფალიის მიღებას ეხება. ვ. გოილაძემ საგანგებოდ შეისწავლა წყაროებში ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ დაცული ცნობები. მისი აზრით, VIII საუკუნეში ავტოკეფალია დაუდასტურეს არა ქართლის, არამედ ახლადწარმოქმნილ ქართულ საეკლესიო ერთეულს – აფხაზეთის საკათალიკოსოს, ხოლო XI საუკუნეში კი საქართველოს საპატრიარქო ჩამოყალიბდა. ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქები დოსითეოსი და ხრისანფი, XVII საუკუნის მოღვაწენი, აფხაზეთის საკათალიკოსოს „ქვემო იბერიის საარქიეპისკოპოსოს“ უწოდებდნენ, ხოლო ქართლის საკათალიკოსოს კი – „ზემო იბერიისას“. ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქთა ეს ცნობები მოყვანილი აქვს საქართველოს ეკლესიისადმი მიძღვნილ ნაშრომში ბერძენ მიტროპოლიტს მაქსიმეს.[46] იგი განიხილავს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს და მიაჩნია, რომ სომხურ ეკლესიას VI-VIII საუკუნეებში არა მთლიან ქართულ ეკლესიაზე, არამედ მის ნაწილზე მოუხდენია ზეგავლენა, მისი აზრით, საქართველო ამ დროს არა ერთიანი, არამედ სხვადასხვა სამთავროებად დაშლილი ქვეყანა იყო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის ქართული საერო ისტორიოგრაფია შეეცადა ისტორიულ მეცნიერებაში ჩანაცვლებოდა საეკლესიო ისტორიოგრაფიას და მისი ადგილი დაეკავებინა ეკლესიის ისტორიის კვლევის სფეროში. საერო და საეკლესიო ისტორიოგრაფიის მონაცემები უმეტესწილად ურთიერთსაწინააღმდეგო აღმოჩნდნენ. საქმე ისაა, რომ ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფია XIX საუკუნეში ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ უფუნქციოდ დარჩა და ჩაკვდა (მხოლოდ ერთეული თავდადებული მოღვაწეები აგრძელებდნენ მის

ათასწლოვან ტრადიციებს). მეორე მხრივ, ქართულმა საერო ისტორიოგრაფიამ, რომელიც XX საუკუნეში ვერ აცდა ათეისტურ და რუსულ იმპერიალისტურ დაკვეთებს, ასევე მთლიანად უგულებელყო ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფია, გამოუცხადა მის მონაცემებს უნდობლობა, ვითარცა „არამეცნიერულს“, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მთლიანად მიისაკუთრა მისი მონაცემები. კერძოდ, რა წინააღმდეგობაა საერო და საეკლესიო ისტორიოგრაფიას შორის? ესაა გრძელი სია, რომელთაგან შეიძლება გამოვყოთ ზოგიერთი: 1. საეკლესიო ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, რომ საქართველოში მოციქულებმა იქადაგეს (საერო XX ს-ის დასაწყისიდან საპირისპიროს ამტკიცებდა); 2. საეკლესიო ისტორიოგრაფიის თანახმად, საქართველო (ქართლის სამეფო), როგორც ფარნავაზის, ისე მოციქულთა დროს მოიცავდა აღმოსავლეთთან ერთად დასავლეთ საქართველოს, რომ მეფე მირიანის დროს ქართლის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთის საზღვარი გადიოდა მდინარე ეგრისწყალზე, ხოლო ვახტანგ გორგასალის დროს კი მდინარე კლისურაზე, შესაბამისად ქართული ეკლესიის იურისდიქციაში მოქცეული იყო დასავლეთ საქართველოც IV-V სს-ში. (საერო ისტორიოგრაფიის თანახმად კი აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო სხვადასხვა ქვეყნები იყვნენ, იხ. ქვემოთ მტკიცება); 3. საეკლესიო ისტორიოგრაფიის თანახმად, წმიდა ნინო არის არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს განმანათლებელი, არამედ დასავლეთ საქართველოსიც (საერო ამ თვალსაზრისს უარყოფს); 4. საეკლესიო ისტორიოგრაფიის თანახმად, მირონი საქართველოში IV-V საუკუნეებიდანვე ეკურთხებოდა (საეროს აზრით, IX ს-დან); 5. საეკლესიო ისტორიოგრაფიის თანახმად ქართველი ერი უკვე ჩამოყალიბებული იყო მეფე ფარნავაზის დროს (საეროს თანახმად იგი ჩამოყალიბდა XI-XIX სს., ერთიანი მოსაზრება არ არსებობს); 6. საეკლესიო ისტორიოგრაფიის თანახმად (წმ. გიორგი მთაწმიდელი) ქართული ეკლესია თავისუფალი (ავტოკეფალური) იყო მოციქულთა მიერ ჩამოყალიბების შემდეგვე (საეროს თანახმად მან ავტოკეფალია მიიღო V, VIII, ანდა XI საუკუნეებში); 7. საეკლესიო ისტორიოგრაფიის თანახმად წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალი მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო (საერო მეცნიერთა ერთი ნაწილი მას მონოფიზიტად მიიჩნევს); 8. საეკლესიო ისტორიოგრაფიის თანახმად, ასურელი მამები დიოფიზიტები იყვნენ (საერო მეცნიერთა გავლენიანი ნაწილის აზრით ისინი მონოფიზიტები იყვნენ); 9. საეკლესიო ისტორიოგრაფიის თანახმად, VI-IX საუკუნეებში ჯერ ირანელებმა, შემდეგ კი არაბებმა, რომელნიც გამძაფრებით ებრძოდნენ ბიზანტიურ (ე.ი. დიოფიზიტურ) ქრისტიანობას და, შესაბამისად, ქართულ ეკლესიას, საქართველოს პერიფერიულ კუთხეებში გააბატონეს სომხური მონოფიზიტური ეკლესია (VI ს-ში ქვემო ქართლში (გუგარქში), VI-VII საუკუნეებში ტაოში, VI-IX სს-ში – ჰერეთში), ამ კუთხეების ეკლესიებში ქართულის ნაცვლად შემოღებული იქნა სომხურენოვანი მსახურება. ხელსაყრელი პოლიტიკური მომენტის დადგომისთანავე ჯერ კირიონ I კათალიკოსის დროს გუგარქ-ქვემო ქართლის ეკლესიებში აღდგენილი იქნა მოსახლეობისათვის მშობლიური ქართულენოვანი ღვთისმსახურება, შემდეგ კი გრიგოლ ხანძთელის ეპოქაში ტაო-კლარჯეთსა და დინარა დედოფლის დროს კი თითქოსდა ჰერეთშიც

(საერო ისტორიოგრაფიის თანახმად კი, კირიონ კათალიკოსმა ქვემო ქართლის სომეხთა შორის დანერგა ქართულენოვანი ღვთისმსახურება და „გააქართველა“ ისინი, ასევე მესხეთში თითქოსდა გრიგოლ ხანძთელის ეპოქაში ქართულმა ეკლესიამ ძალადობის გზით „გააქართველა“ სომხები, ასევე ჰერეთშიც, რაც ეკლესიური თვალსაზრისით სრული გაუგებრობაა. ე.წ. სომეხთა „გაქართველების“ არასწორი თეორია ამჟამად მთლიანად აღიარებულია ქართული საერო ისტორიოგრაფიის მიერ; 10. მსგავსადვე, როგორც აღინიშნა, საეკლესიო ისტორიოგრაფია მიიჩნევს, რომ IV-V საუკუნეებში დასავლეთ საქართველო შედიოდა მცხეთის იურისდიქციაში, მხოლოდ შემდგომ, კერძოდ, VII ს-ის 20-იანი წლებიდან პოლიტიკურ მიზეზთა გამო აქ გავრცელდა კონსტანტინოპოლის იურისდიქცია და ქართულის ნაცვლად შემოღებულ იქნა ბერძნულენოვანი წირვა-ლოცვა. VIII ს-დან აფხაზეთის საკათალიკოსოს წარმოქმნის შემდეგ კი კვლავ აღსდგა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა და ბერძნული საეპისკოპოსოებიც გაუქმდა (საეროს თანახმად თავიდანვე ე.ი. IV ს-დანვე, დასავლეთ საქართველო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში შედიოდა და აქ ქართული ენა მხოლოდ IX ს-დან გავრცელდა) და სხვა უამრავი.

ზემოაღნიშნულის ერთი თვალნათელი მაგალითია ახლახან (2001 წლის დასაწყისში) ნ. ლომოურის მიერ გამოქვეყნებული შრომები, ესენია „ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება“ და „საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია“. ავტორი წერს: „როდესაც მოხდა ქრისტიანობის დამკვიდრება საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიაში, საქართველო წარმოდგენილი იყო ორი პოლიტიკური ერთეულით: აღმოსავლეთ საქართველო, ე.ი. ქართლის ანუ იბერიის სამეფო და დასავლეთ საქართველო, ე.ი. ეგრისის ანუ ლაზიკის სამეფო. ამ ორ სახელმწიფოებრივ ერთეულში პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ვითარება საკმაოდ განსხვავებული იყო და, შესაბამისად, ქრისტიანობის გავრცელება და საბოლოო დამკვიდრება სხვადასხვა გზით და სხვადასხვა სიტუაციაში ხდებოდა“.[47] ე.ი. წმიდა ნინო მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს განმანათლებელი იყო, რადგან დასავლეთ საქართველოში სხვა გზით შემოვიდა ქრისტიანობაო.

ეს დასკვნა ეწინააღმდეგება ქართულ საეკლესიო ისტრიოგრაფიაში მიღებულ საეკლესიო კრებათა, კერძოდ კი რუის-ურბნისის კრების მიერ დადგენილ დებულებას აღნიშნულ საკითხზე და აგრეთვე, საერთოდ ქართველ წმიდა მამათა, ისტორიოგრაფთა და მემატიანეთა მიერ ტრადიციულად განსაზღვრულ თვალსაზრისს.

რუის-ურბნისის კრების ღვთივგანბრძნობილ და წმიდა მამათა თქმით, საქართველო ერთიანი, მთლიანი ქვეყანა იყო, როგორც ანდრია პირველწოდებული მოციქულის, ისე წმიდა ნინოს ქადაგებათა დროს, ამიტომაც, როგორც წმ. ანდრია, ისე წმ. ნინო არიან სრულიად საქართველოს და მთელი ქართველი ერის განმანათლებელნი, აი, აქვე მოვიყვანთ შესაბამის ამონარიდს რუის-ურბნისის ძეგლისწერიდან ჯერ ძველ ქართულ, შემდეგ კი ახალ ქართულ ენაზე, რათა მკითხველი თვითონ დარწმუნდეს: „პირველწოდებული ანდრია, ძმა□ თავისა მოციქულთა□სა პეტრესი, ვიდრე ჩუენდამდეცა მოიწია და ქადაგა საცხორებელი ქადაგება□ სახარებისა□ ყოველსა ქუეყანასა საქართველო□სასა და ურიცხუნი სიმრავლენი ერთანი განა-

შორა საცთურისაგან....“.[48] აქედან ნათლად ჩანს, რომ რუის-ურბნისის კრების დადგენილების შესაბამისად ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, არამედ „ყოველსა ქვეყანასა საქართველოჲსასა“, ე.ი. სრულიად საქართველოში, მსგავსადვე წმიდა ნინომ რუის-ურბნისის კრების თანახმად „სარწმუნოებასა მიმართ თვისისა მიიზიდა ყოველი სავსებაჲ ყოვლისა ქართველთა ნათესავისა“.[49] ე.ი. ამ კრებას მიაჩნია, რომ წმიდა ნინომ მთელი ქართველი ერი („ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა“) გააქრისტიანა. შეიძლება ვინმემ თქვას, ამ „ყოველთა ქართველთაში“ დასავლეთ საქართველო არ იგულისხმება, და ამ კრების მამები სწორედ ვერ საზღვრავდნენ ქართველთა ვინაობასო, რასაც ვერ დავეთანხმებით, რადგანაც ამ კრების ძეგლისწერის ერთ-ერთი მთავარი ხელისმომწერია გიორგი ჭყონდიდელი ეპისკოპოსი და კრება, ცხადია, „ყოველთა ქართველთაში“ სამეგრელოს და სრულიად საქართველოს მოსახლეობას გულისხმობდა, სადაც იქადაგა კიდეც ბერძნული წყაროების მიხედვითაც წმიდა ნინომ, რომელსაც ქვემოთ შევეხებით. იგივე რუის-ურბნისის კრება მეფე მირიანთან დაკავშირებით წერს: „ნათელ იღონ მან და ყოველმან ერმან ქართლისამან“.[50] „ქართლის ცხოვრების“, კერძოდ კი, ჩვენი უდიდესი საეკლესიო ისტორიკოსის ლეონტი მროველი ეპისკოპოსის თანახმად, მეფე მირიანის სამეფოში აღმოსავლეთთან ერთად დასავლეთ საქართველოც „ეგრისიც“ შედიოდა: „მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთით გაღმართ ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს და ეგრს“.[51]

რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერის ახალი ქართული შესაბამისი ტექსტი ასეთია: „მოციქულთაგან ერთი - პირველწოდებული ანდრია, მოციქულთა თავის, პეტრეს ძმა ჩვენამდე მოვიდა, სახარების საცხონებელი ქადაგება მთელ საქართველოში იქადაგა“.[52] ამ კრების განსაზღვრებით, წმიდა ნინომ „თავისი სარწმუნოების მიმართ მიიზიდა ქართველთა სრული მოდგმა“,[52] წმიდა მეფე მირიანის დროს „ნათელი იღო მან და მთელმა ქართველმა ერმა“.[52]

აი, ესაა საეკლესიო ისტორიოგრაფიის მტკიცება, რომ როგორც ანდრია პირველწოდებულის, ისე წმიდა ნინოს დროს ნათელიღო მთელმა ერმა. ეს თვალსაზრისი სავსებით განსხვავდება ბატონ ნოდარ ლომოურის თვალსაზრისისაგან, რომ თითქოსდა აღნიშნულ ეპოქაში დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა სულ სხვა გზითა და სხვა ვითარებაში დაინერგა. სხვათა შორის, ბატონი ნოდარ ლომოურის თეორია, რომელიც მეცნიერებაში ახალ სიტყვად მიიჩნევა, არა თუ ძალზე ჰგავს, არამედ იმეორებს კიდეც XV საუკუნეში ანტიოქიის პატრიარქ მიხეილის თეორიას.

დიდი ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, საქართველოში ჩამოსულმა ანტიოქიის პატრიარქმა მიხეილმა „შეთხზა თეორია საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დასარღვევად, ქართველი ერის საუკეთესო შვილთა საუკუნოვანი ბრძოლით მიღწეული მონაპოვრის, საქართველოს ეკლესიის თავისუფლების მოსასპობად, მისი ერთიანობის დასარღვევად“.[53] რათა ადვილად დაემორჩილებინა. ეს თეორია შემდეგში მდგომარეობს – თითქოსდა ანდრია მოციქული განმანათლებელია არა სრულიად საქართველოსი, არამედ მხოლოდ მისი დასავლეთ ნაწილისა, ასევე წმიდა ნინო განმანათლებელია არა სრულიად საქართველოს, არამედ მხოლოდ

მისი აღმოსავლეთ ნაწილისა. ივანე ჯავახიშვილი წერს: „გიორგი მთაწმიდელი და განსაკუთრებით ეფრემ მცირე, რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების ყველა სულისჩამდგმელი და ნიკოლოზ კათალიკოსი ამტკიცებენ, რომ ანდრია მოციქულმა იქადაგა „ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“, ხოლო შემდგომ ქრისტიანობა კვლავ აღადგინა წმიდა ნინომ, რომლის სასწაულმოქმედებამ და ქადაგებამ „მიიზიდა ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა“, ნიკოლოზ კათალიკოსიც წმიდა ნინოს საერთო მოციქულად და განმანათლებლად სთვლიდა, „ჩვენ ქართველთაისა“.[54] ერთი სიტყვით, ანდრია მოციქულიცა და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ. ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი, სწორედ ამ ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ შექმნილსა და მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებულ შემეცნებას სპობდა“.[55]

სამწუხაროა, რომ ძველ ქართველ „სახელოვან მეცნიერთა“ (ივ. ჯავახიშვილის სიტყვებია) მიერ ჩვენდამი ბოძებულ შემეცნებას სპობს ზოგიერთი ახალი ქართველი მეცნიერი. მათგან განსხვავებით, ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში გაარკვია ივანე ჯავახიშვილმა, რომ „ქრონოლოგიურადაც ქრისტიანობის გავრცელების დასაწყისი აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოში როგორც ეტყობა, ერთსა და იმავე ხანად უნდა ვიგულისხმოთ, ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადღების ღირსია გელასი კვიზიკელის მოთხრობა. მას იბერთა მოქცევის ამბავში ნათქვამი აქვს: „ამავე დროს პონტოს გასწვრივ მდებარე ქვეყნის მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა ღმრთის სიტყვა, რომელიც მანამდე არ სწამდათ შეიწყნარეს“. გამოდის, რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოს ქრისტიანობა ერთსა და იმავე დროს მიუღია... გელასი კვიზიკელის დანართი ცნობა, რომ იბერებმა და ლაზებმა ერთსა და იმავე დროს მიიღეს ქრისტიანობა, არსებითად სწორი გამოდის იმ მხრივ, რომ დასავლეთ საქართველოშიც IV ს-ის დამდეგიდან ქრისტიანობას გზა გაკვლეული უნდა ჰქონოდა“.[56] იბერთა მოქცევის შესახებ IV ს-ში წერდნენ სოკრატე, სოზომენი, თეოდორიტე კვირიკელი, ნიკიფორე კალლისტო და სხვანი. მართალია, ისინი არ ახსენებენ ლაზების გაქრისტიანებას, მაგრამ ამის მიზეზი იყო ის, რომ ლაზებს იბერიელი ხალხის ერთ-ერთ ტომად მიიჩნევდნენ, გელასი კვიზიკელს კი ეს ამბავი უფრო დაუკონკრეტებია.

ვფიქრობთ, განსაკუთრებით შემაწუხებელია წმიდა ქართველ მამათა სულთათვის ამჟამინდელი საერო მეცნიერების მცდელობა, დაუკავშირონ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვება პეტრე ფულონის სახელს. პეტროზ მკაწვრელად მოიხსენიებენ მას ძველ ეკლესიაში და მიიჩნევენ ერთ-ერთ ყველაზე დიდ მწვალებლად – მონოფიზიტობისა და თვით ხატმებრძოლობის ფუძემდებლადაც კი.

ბატონი ნ.ლომოური წერს: „ჯერ კიდევ 1910 წელს მ. თამარაშვილმა საკმაოდ დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ბალსამონის „უფალი პეტრე“ (რომლის პატრიარქობის დროსაც ანტიოქიის კრების მიერ გამოტანილი იქნა დადგენილება იბერიის

ეკლესიის ავტოკეფალიისა) არ შეიძლება იყოს პეტრე III და უფრო სავარაუდოა მისი გაიგივება პატრიარქ პეტრე ფულონთან, რომელიც V ს-ის 70-80-იანი წლების მოღვაწე იყო".[57]

ძველი ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიისათვის კი წარმოუდგენელია ასეთი დასკვნა, საქმე ისაა, რომ პეტროზ მკაწვრელი - განსაკუთრებულად სძულდათ ძველ საქართველოში, ვითარცა მწვალებლობის ერესიაქი, ექვთიმე მთაწმიდელის მიერ გამოცემული „მცირე სჯულისკანონის" მიხედვით მან შემოიღო ე.წ. „ხაჩეცარი", ყოვლადწმიდა სამების ჯვარცმის გალობა. „წმიდა მამებმა მაშინ შეაჩვენეს მისი ავტორი პეტროზ მკაწვრელი – მწვალებელი, რომელმაც შემოიღო მეოთხე პირი... და ვნებულად ჩათვალა წმიდა სამება. შეჩვენებული იყოს სამების ამგვარი გმობა და მისი მგმობელიც".[58] ექვთიმე ათონელის თანახმად, VI მსოფლიო კრება 68-ე თავშიც შეეხო პეტროზ მკაწვრელს, სადაც იგი ხატმებრძლობის ერესის მესაძირკვლედაც დასახა – „პეტროზ მკაწვრელმა, როგორც „ხაჩეცარი" შემოიღო, აგრეთვე ეს წვალებაც დათესა მათ შორის და ძლიერ გვეწყინა ამ უჯერო ამბის სმენა".[59]

თანამედროვე საერო ისტორიოგრაფია მიიჩნევს, რომ მონოფიზიტობის ერესიარქმა პეტრე ფულონმა პირველ ქართველ კათალიკოს პეტრეს დაასხა ხელი და ამით ავტოკეფალია მიანიჭა საქართველოს ეკლესიას, მაგრამ საეკლესიო ისტორიოგრაფიის თანახმად, ანტიოქიის ეს პატრიარქი იქამდე მოკლა (ქვით ჩაქოლა) ქართველთა მთავარეპისკოპოსმა მიქაელმა, მაშინ როცა იგი შეეცადა ქართლში შემოსვლასა და მონოფიზიტობის გავრცელებას.[60] ასე, რომ ქართველი საეკლესიო ისტორიოგრაფიისათვის წარმოუდგენელიც კია ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაკავშირება პეტრე ფულონთან, როგორც წარსულის მაგალითები აჩვენებს, საერო ისტორიოგრაფიაც ოდესმე ალბათ მივა იმავე დასკვნამდე.

ნეტარხსენებული ბაბილინა ლომინაძე, რომელთანაც მე საკმაოდ ხშირი შეხვედრა მქონდა საპატრიარქოში ავტოკეფალიის საბუთების მოძიების დროს, აცხადებდა, რომ პირდაპირი ცნობა V ს-ში ავტოკეფალიის მოპოვების შესახებ არ არსებობს, ამიტომაც იგი დაეყრდნო ქართლის ცხოვრების ცნობილ ცნობას, ვახტანგ გორგასალის მიერ ბიზანტიიდან 12 ეპისკოპოსის ჩამოყვანისა და საქართველოში დადგინების შესახებ. ბატონი ნ.ლომოური იმეორებს ამ დასკვნას და წერს - „კანონიკურად დამოუკიდებლად ითვლებოდა და მოქმედებდა ეკლესია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სულ ცოტა 12 ეპისკოპოსისაგან შემდგარი კრების მოწვევა შეეძლო",[61] და ის გარემოება, რომ საქართველოშიც V ს-ში გაჩნდა 12 ეპისკოპოსისაგან შემდგარი კრება, ადასტურებს ქართლის ეკლესიის მიერ დამოუკიდებლობის, ავტოკეფალიის მიღებას".[61] ნ.ლომოური თავისი დასკვნის გამოტანის დროს ეყრდნობა კართაგენის კრების კანონს. მართლაც ამ კრების მე-12 კანონი ბრძანებს – „უკეთუ ვინმე ეპისკოპოსი თვინიერ კრებისათვის განჩინებულისა ჟამისა განკითხვისა თანამდებად იპოოს, ეგევითარი იგი განიკითხნენ ათორმეტთა მიერ ეპისკოპოსთა".[62] როგორც ცნობილია, მსოფლიო კრებების კანონები განიმარტება არა ნებისმიერად, არამედ მისი ცნობილი კომენტატორების არისტინეს, ზონარას და ბალსამონის მიერ. ამ წმიდა მამათა კომენტარები გამოცემულია ქართულად,[63]

აი, როგორ კომენტარებს უკეთებენ ამ კანონს (ე.ი. „თუ რომელიმე ეპისკოპოსი მოწვევის დროს დადგენილ დრომდე ბრალდებული იყოს, ასეთი განიკითხოს თორმეტმა ეპისკოპოსმა“): – „12. კართაგენის ეკლესიაში განსაკუთრებით ბევრი ეპისკოპოსი იყო (466 კათედრა) და ამის გამო, მათ შეეძლოთ ეპისკოპოსის გასამართლებისათვის დაედგინათ ქვორუმის დიდი ნორმა... ამგვარად ამ კანონს, ისევე, როგორც ამავე კრების მე-14 კანონს სასამართლო ქვორუმის მხრივ ჰქონდა ადგილობრივი მნიშვნელობა კართაგენის ეკლესიისათვის მისი მრავალრიცხოვანი ეპისკოპოსებით“.[64] იმავეს ამბობენ მე-14 კანონის კომენტარებისას – „კანონი უთითებს გამონაკლისზე კართაგენის კრების მე-12 კანონის გამოყენების დროს. მას აქვს ადგილობრივი და არა საერთო საეკლესიო მნიშვნელობა“.[65] (ე.ი. ეს კანონი 12 ეპისკოპოსის შესახებ არაა საერთო ეკლესიური მნიშვნელობისა, არამედ მხოლოდ კართაგენის ეკლესიისთვისაა განკუთვნილი).

უკეთესად თქმა შეუძლებელია, ვახტანგ მეფის მიერ 12 ეპისკოპოსის დადგინება არ შეიძლება ავტოკეფალიას დავუკავშიროთ და მივუთითოთ ამის შესახებ კართაგენის კრების შესაბამის კანონებზე, რადგანაც მათ ადგილობრივი და არა საერთო საეკლესიო მნიშვნელობა გააჩნდათ.

მაშასადამე, ზემოხსენებულ ავტორთა მტკიცება არგუმენტირებული არ არის, ხოლო გიორგი მთაწმიდელის მტკიცება ქართული ეკლესიის მოციქულთა დროიდანვე ავტოკეფალურობის შესახებ არგუმენტირებული იყო, რადგანაც I-IV საუკუნეებში დაარსებული ეკლესიები დაარსებისთანავე ნამდვილად იყვნენ ავტოკეფალურები, იმჟამინდელი ნორმის შესაბამისად. ვიტოვებთ იმედს, რომ საერო ისტორიოგრაფია ამ საკითხშიც ძველ საეკლესიოს დაეთანხმება და საბოლოდ კი გააერთიანებენ საერთო ძალებს ქართველი ერისა და ეკლესიის საკეთილდღეოდ. აღსანიშნავია, რომ კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე ეკლესიის ავტოკეფალიის საყრდენად მიიჩნევდა სინოდში 12 ეპისკოპოსის ყოფნას და ამის გასამართლებლად მიუთითებდა აღნიშნულ კანონს. საქმე ის იყო, რომ იმჟამინდელი კომუნისტური რეჟიმი ცდილობდა ეპისკოპოსთა შემცირებას, ხოლო კალისტრატე ეკლესიის გასაძლიერებლად ცდილობდა ეპისკოპოსთა გამრავლებას, ამიტომაც მიუთითებდა აღნიშნული კანონის შესახებ. მაშასადამე, მისი ქმედება უფრო საეკლესიო პოლიტიკის სფეროს შეეხებოდა ათეისტთა ბატონობისას და არა კანონიკას. უწმიდესმა კალისტრატემ, ცხადია, კარგად იცოდა საეკლესიო სამართლის მცოდნეთა განმარტებანი, რომ კართაგენის აღნიშნული კანონი ადგილობრივი მნიშვნელობისა იყო და არა საერთო ეკლესიური.

ჩვენი მსჯელობა შეეხება სურვილს, რათა საეკლესიო ისტორიოგრაფიამ ჩვენს საზოგადოებაში დაიბრუნოს ის ღირსეული ადგილი და ავტორიტეტი, რომელიც მას დაუკარგეს რუსთა და ათეისტთა ბატონობისას XIX-XX საუკუნეებში. ეს სურვილი ეხმიანება და ფაქტობრივად იმეორებს ზუსტად ასი წლის წინ ქართველ მღვდელმთავართა რუსეთის იმპერატორისა და ეკლესიისათვის გაგზავნილ თხოვნას, რათა დაარსებულიყო მთელ რუსეთის იმპერიაში (რომელშიც მაშინ საქართველოც შედიოდა) თუნდაც ერთადერთი ქართული ეკლესიის ისტორიის შემსწავლელი

სამეცნიერო ცენტრი. იმჟამად რუსეთის მმართველ წრეებს სურდათ დიდი ზეიმით აღენიშნათ ე.წ. საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავი, ამიტომაც მთავრობამ გადაწყვიტა ქართული საზოგადოების ზოგიერთი თხოვნის შესრულება. ამ მომენტით ისარგებლეს ქართველმა ეპისკოპოსებმა და გაგზავნეს შესაბამისი თხოვნა, რომელშიც კერძოდ წერდნენ: „ვითვალისწინებთ საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავს, 1901 წლის 18 იანვარს და მიგვაჩნია, რომ ჩვენი პირველი და უწმიდესი ვალია შევევედროთ წმ. სინოდს პეტერბურგის თეოლოგიის აკადემიაში დააარსოს ქართული საეკლესიო ისტორიის დამოუკიდებელი კათედრა, სადაც შეისწავლიან ხელნაწერებსა და ყველაფერს, რაც კი ქართულ ეკლესიას ეხება. ეს ნაშრომები გაამდიდრებენ თეოლოგიურ და საეკლესიო ლიტერატურას და ნათელს მოჰფენენ მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის ნაკლებად შესწავლილ ფურცლებს“.[66]

რუსეთში, კერძოდ, კი პეტერბურგში, 1911 წელს მართლაც შეიქმნა საქართველოს ეკლესიის ისტორიის შემსწავლელი ცენტრი, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე წელი იარსება ბოლშევიკების გაბატონებამდე. საქართველოში არც მენშევიკების და მითუმეტეს არც ბოლშევიკების დროს, ცხადია ასეთი ცენტრები არ არსებობდა. 2003 წლის მონაცემებით, არც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და არც სხვა უნივერსიტეტსა და ინსტიტუტში საქართველოს ეკლესიის ისტორიის არა თუ ფაკულტეტი, კათედრაც კი არ არსებობს, თუმცა კი ამას, როგორც აღვნიშნეთ, 100 წლის წინაც ითხოვდნენ ქართველი ეპისკოპოსები. შესაბამისად, როგორც საზოგადოებას, ისე სტუდენტ ახალგაზრდებსა და სკოლის მოწაფეებს საშუალება არ ეძლევათ ჭეშმარიტებით შეისწავლონ დედა ეკლესიის ისტორია, რომლის შესწავლითაც მათ ჩაენერგებოდათ სიყვარული ღვთისა და სიყვარული მოყვასისა, მამულისა და მშობელი ერისა, რაც ყოველთვის საჭიროა ყოველი საზოგადოებისათვის.

შენიშვნები

თავი II

1. დიდი სჯულის კანონი, გვ. 549; **2.** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 179; **3.** იქვე, გვ. 179; **4.** ძეგლები, II, გვ. 180; **5.** იქვე, გვ. 178; **6.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 232; **7.** სამართლის ძეგლები, III, გვ. 181; **8.** იქვე, III, გვ. 242; **9.** იქვე, გვ. 253; **10.** იქვე, გვ. 262; **11.** იქვე, გვ. 343; **12.** იქვე, გვ. 622; **13.** სამართლის ძეგლები, III, გვ. 633; **14.** გ. მელიქიშვილი, საქართველო ახ.წ. I-III საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1. 1970, გვ. 510; **15.** ნარკვევები, I, გვ. 537; **16.** იქვე, გვ. 536-537; **17.** იქვე, გვ. 526; **18.** ნარკვევები, I, გვ. 526; **19.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 24; **20.** ნარკვევები, I, გვ. 526 **21.** იქვე, გვ. 527; **22.** ნარკვევები, I, გვ. 528; **23.** იქვე, გვ. 511; **24.** იქვე, გვ. 513; **25.** სტრაბონი, გეოგრაფია, გვ. 126-127; **26.** ახალი აღთქმა, რუსულ ენაზე გვ. 547... რუსულენოვან ისე, როგორც სხვა ოფიციალურ შრომებში, არ არის აღნიშნული, რომ სიმონ კანანელი საქართველოში ქადაგებდა და აქვე დაიკრძალა. ასევე, ანდრია მოციქულის ქადაგების ადგილად დასახელებულია არა საქართველო, არამედ სკვითეთი. **27.** ნარკვევები, I, გვ. 509; **28.** ნარკვევები, I, გვ. 511; **29.** იქვე, გვ. 512; **30.** იქვე, გვ. 512; **31.** იქვე, გვ. 513; **32.** იქვე, გვ. 514; **33.** იქვე, გვ. 515; **34.** იქვე, გვ. 516; **35.** ნარკვევები, I, გვ. 516; **36.** იქვე, გვ. 516; **37.** იქვე, გვ. 520; **38.** იქვე, გვ. 525; **39.** იქვე, გვ. 525; **40.** ნარკვევები, I, გვ. 529; **41.** იქვე, გვ. 530; **42.** იქვე, გვ. 531; **43.** ნარკვევები, გვ. 536; **44.** იქვე, გვ. 535; **45.** ძეგლები, II, გვ. 123; **46.** ნარკვევები, I, გვ. 518; **47.** 2 ნარკვევები, I, გვ. 519; **48.** ნარკვევები, I, გვ. 521; **49.** იქვე, გვ. 522; **50.** ქსე, 9, გვ. 503, სტატია ხოსრო; **51.** დიდი სჯულის კანონი, გვ. 545; **52.** ძეგლები, II, გვ. 154; **53.** ძეგლები, II, გვ. 154; **54.** იქვე, გვ. 174; **55.** ქრონიკები, I, გვ. 34; **56.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 35-36; **57.** მ. კელენჯერიძე, მოკლე ისტორია, გვ. 5-8; **58.** ე. ნიკოლაძე, ეკლესიის ისტორია, გვ. 13; **59.** დ. აბაშიძე, ქართლის პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი, მნათობი, 1987, 9, გვ. 154-161; **60.** ახალი აღთქმა, ბრიუსელი, გვ. 527; **61.** პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 224; **62.** ნარკვევები, I, გვ. 549-550; **63.** იქვე, გვ. 544; **64.** იქვე, გვ. 526; **65.** ნარკვევები, I, გვ. 549; **66.** პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 224; **67.** იქვე, გვ. 225; **68.** იქვე, გვ. 211; **69.** ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, გვ. 56; **70.** იქვე, გვ. 56; **71.** ნარკვევები, I, გვ. 511; **72.** კ. კეკელიძე, ლიტ. ისტორია, I, გვ. 40, შენიშვნა 3; **73.** მ. კელენჯერიძე, მოკლე ისტორია, გვ. 5; **74.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 41; **75.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 38-43, გადმოღებულია გამოკრებით ძველი ქართული ენიდან ჩვენს მიერ (მიტრ. ა. ჯ.); **76.** ქართლის ცხოვრება, I გვ. 37-43; **77.** ბერძენი მწერლები, I, გვ. 178; **78.** ბერძენი მწერლები, IV, გვ. 37; **79.** ბერძენი მწერლები, IV, გვ. 37; **80.** იქვე, გვ. 116; **81.** იქვე, გვ. 119; **82.** გეორგიკა, I, გვ. 68; **83.** ბერძენი მწერლები, IV, გვ. 121; **84.** გეორგიკა, I, გვ. 29; **85.** გეორგიკა, VIII, გვ. 112; **86.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 41; **87.** გეორგიკა, VII, გვ. 115-117; **88.** პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 225; **89.** იქვე, გვ. 226; **90.** ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, გვ. 171; **91.** ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, გვ. 171-172; **92.** გ. გოზალიშვილი, ქართლის მოქცევის პრობლემა და ბაკური, გვ. 38; **93.** ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 221; **94.** [illegible], [illegible] [illegible], [illegible], 1950, [illegible] [illegible]. 34; **95.** [illegible], [illegible]

[illegible], [illegible], 1950, [illegible] 37; **96.** ა. ბოხოჩაძე, ძალისი და ნასტაკ-ისი. – გაზ. კომუნისტი, 1988, 28. VIII; **97.** ქსე, 9, გვ. 434, სტატია სლავური ენები; **98.** [illegible], [illegible], [illegible] 34; **99.** ქსე, 8, გვ. 432; **100.** ი. ჭავჭავაძე, თხუზულებანი, 1984 გვ. 716; **101.** ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VI, გვ. 37; **102.** ნარკვევები, I, გვ. 339; **103.** იქვე, გვ. 338; **104.** იქვე, გვ. 422; **105.** იქვე, გვ. 422; **106.** ნარკვევები, I, გვ. 444; **107.** იქვე, გვ. 438; **108.** იქვე, გვ. 439; **109.** იქვე, გვ. 438; **110.** იქვე, გვ. 207; **111.** იქვე, გვ. 662; **112.** ნარკვევები, I, გვ. 622; **113.** იქვე, გვ. 662; **114.** იქვე, გვ. 662; **115.** ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VI, გვ. 26; **116.** იქვე, გვ. 26; **117.** ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VI, გვ. 26; **118.** იქვე, გვ. 10; **119.** გეორგიკა, I, 1961, გვ. 30; **120.** ო. ლორთქიფანიძე, რა საიდუმლოს ინახავს ვანი, გვ. 113; **121.** ნარკვევები, I, გვ. 473; **122.** შ. ძიძიგური, ბასკები და ქართველები, გვ. 72-73; **123.** ნარკვევები, I, გვ. 570; **124.** იქვე, გვ. 555; **125.** გეორგიკა, I, გვ. 230; **126.** იქვე, გვ. 186; **127.** იქვე, გვ. 201; **128.** შ. ძიძიგური, ბასკები და ქართველები, გვ. 20; **129.** შ. ძიძიგური, ბასკები და ქართველები, გვ. 19; **130.** იქვე, გვ. 18; **131.** ნარკვევები, I, გვ. 424; **132.** ნარკვევები, I, გვ. 680; **133.** იქვე, გვ. 661; **134.** იქვე, გვ. 662; **135.** იქვე, გვ. 662; **136.** გეორგიკა, I, გვ. 186; **137.** იქვე, გვ. 201; **138.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 94; **139.** ნარკვევები, I, გვ. 356; **140.** იქვე, გვ. 662; **141.** შ. ძიძიგური, ბასკები და ქართველები, გვ. 38; **142.** ქართული სამართლის ძეგლები, II, 1966, გვ. 501; **143.** საბჭოთა ენციკლოპედია, სტატია „არმიანე"; **144.** ქსე, 9, გვ. 463; **145.** ბ. ლომინაძე, საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია, საღვთისმეტყველო კრ., 1981, 12, გვ. 82; **146.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 18; **147.** იქვე, გვ. 19; **148.** ქართლის ცხოვრება, გვ. 22; **149.** იქვე, გვ. 23; **150.** იქვე, გვ. 24; **151.** იქვე, გვ. 5; **152.** ქართლის ცხოვრება, გვ. 20; **153.** იქვე, გვ. 23; **154.** იქვე, გვ. 22; **155.** იქვე, გვ. 23; **156.** იქვე, გვ. 24; **157.** ქართლის ცხოვრება, გვ. 24; **158.** იქვე, გვ. 25; **159.** იქვე, გვ. 26; **160.** იქვე, გვ. 26; **161.** იქვე, გვ. 16; **162.** ქართლის ცხოვრება, გვ. 18; **163.** იქვე, გვ. 27; **164.** იქვე, გვ. 32; **165.** იქვე, გვ. 35; **166.** იქვე, გვ. 42; **167.** ქართლის ცხოვრება, გვ. 44; **168.** იქვე, გვ. 45; **169.** იქვე, გვ. 49; **170.** იქვე, გვ. 50; **171.** იქვე, გვ. 54; **172.** იქვე, გვ. 55; **173.** ქართლის ცხოვრება, გვ. 57; **174.** იქვე, გვ. 65; **175.** იქვე, გვ. 70; **176.** იქვე, გვ. 137; **177.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 141; **178.** იქვე, გვ. 145-146; **179.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 146; **180.** იქვე, გვ. 157; **181.** იქვე, გვ. 168; **182.** იქვე, გვ. 170; **183.** იქვე, გვ. 171; **184.** იქვე, გვ. 177; **185.** იქვე, გვ. 177; **186.** ქართლის ცხოვრება, გვ. 240; **187.** იქვე, გვ. 178; **188.** იქვე, გვ. 203; **189.** იქვე, გვ. 204-205; **190.** ქართლის ცხოვრება, გვ. 205; **191.** იქვე, გვ. 205; **192.** იქვე, გვ. 206; **193.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, VIII, გვ. 193; **194.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 101; **195.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 57; **196.** იქვე, გვ. 94; **197.** იქვე, გვ. 95; **198.** ბ. ლომინაძე, საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია, საღვთისმეტყველო კრებული, 1981, №2, 5, გვ. 13; **199.** ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, V, გვ. 124-125; **200.** იქვე, გვ. 124; **201.** ჰეროდოტე, ისტორია, IV, 37; ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, V, გვ. 45; **202.** ბერძენი მწერლე-ბი საქართველოს შესახებ, V, 1983, გვ. 158-159; **203.** ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, V, გვ. 56; **204.** იქვე, გვ. 48; **205.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, გვ. 244-245, 249; **206.** ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, გვ. 64-65; **207.** ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, გვ. 67; **208.** იქვე, გვ. 68; **209.** იქვე, გვ. 173; **210.** იქვე, გვ. 174; **211.** ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, გვ. 174; **212.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 269; **213.** მატიანე, გვ. 5-

6; **214.** ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 403-404; **215.** ი. ჭავჭავაძე, თხუზულებანი, გვ. 734, 737; **216.** იქვე, გვ. 724; **217.** იქვე, გვ. 725; **218.** იქვე, გვ. 725; **219.** იქვე, გვ. 734; **220.** მოსე ხორენელი, სომხეთის ისტორია, შესავალი, გვ. 4; **221.** მოსე ხორენელი, სომხეთის ისტორია, შესავალი, გვ. 8; **222.** იქვე, გვ. 29; **223.** იქვე, გვ. 22; **224.** მოსე ხორენელი, სომხეთის ისტორია, გვ. 264, შენიშვნა; **225.** მოსე ხორენელი, სომხეთის ისტორია, გვ. 106-107; **226.** მოსე ხორენელი, სომხეთის ისტორია, გვ. 111; **227.** მოსე ხორენელი, სომხეთის ისტორია, გვ. 264, შენიშვნა; **228.** უხტანესი, განყოფისათვის..., გვ. 67; **229.** უხტანესი, განყოფისათვის..., გვ. 157; **230.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 231; **231.** იქვე, გვ. 231; **232.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 234; **233.** იქვე, გვ. 235; **234.** იქვე, გვ. 236-237; **235.** იქვე, გვ. 243; **236.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 152; **237.** იქვე, გვ. 152; **238.** იქვე, გვ. 154; **239.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 156; **240.** იქვე, გვ. 271; **241.** ნ. ლომოური, ნოქალაქევის გათხრების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის. – კრ. ნოქალაქევი არქეოპოლისი, გვ. 26; **242.** ვ. გოილაძე, საქართველოს, სომხეთისა და ალბანეთის ისტორიის საკითხები... კრ. „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“, V, გვ. 18; **243.** ო. ლორთქიფანიძე, რა საიდუმლოს ინახავს ვანი, გვ. 113; **244.** ჯ. ჯჯჯჯჯჯჯჯჯჯ, ჯჯჯჯჯჯ ჯჯჯ ჯჯჯ ჯჯჯჯჯჯჯჯჯჯჯ. – მაცნე, ისტორიის სერია, 1986, №3, გვ. 64; **245.** ოსმალეთის, ყოფ. საქართველოს და ქართველ მაჰმადიანთა ნაწილი ლაზისტანი,გვ. 8-9; **246.** იქვე,გვ. 11; **247.** ოსმალეთის,ყოფ. საქართველოს და ქართველ მაჰმადიანთა ნაწილი ლაზისტანი, გვ. 11; **248.** დავით გოგოჭური, ქართული ლექსის სათავეებთან. – ცისკარი, 1987, №1, გვ. 144-150; **249.** ა. არაბული, ლიტერატურული საქართველო, 1986, 31. X; **250.** კ. ჭითანავა, მეგრული საწესო სიმღერა „მზე შინაო“, – შტუდიები, II, გვ. 219; **251.** იქვე, გვ. 217; **252.** იქვე, გვ. 219; **253.** იქვე, გვ. 216;

თავი III

1. ს. ჯანაშია, შრომები, V, გვ. 67; **2.** ნ. ჯანაშია, ისტორიულ წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები, გვ. 3-4; **3.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 57. **4.** ნარკვევები, I, გვ. 568; **5.** ნ. ჯანაშია, ნარკვევები, გვ. 4; **6.** იქვე, გვ. 23; **7.** საქართველოს ისტორია, გვ. 45; **8.** ნ. ჯანაშია, ნარკვევები, გვ. 18, შენიშვნა; **9.** ნარკვევები, I, გვ. 568; **10.** ნ. ჯანაშია, ნარკვევები, გვ. 23; **11.** გეორგიკა, I, გვ. 101-102; **12.** გეორგიკა, I, გვ. 24-25; **13.** ს. ჯანაშია, შრომები, V, გვ. 85; **14.** ნ. ჯანაშია, ნარკვევები, გვ. 27; **15.** ნ. ჯანაშია, ნარკვევები, გვ. 27-28; **16.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 136-137; **17.** იქვე, გვ. 136; **18.** ნ. ჯანაშია, ნარკვევები, გვ. 28; **19.** იქვე, გვ. 29; **20.** იქვე, გვ. 298; **21.** იქვე, გვ. 88; **22.** ვ. გოილაძე, საქართველოს, სომხეთისა და ალბანეთის ისტორიის საკითხები... კრ. „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“, V, გვ. 18; **23.** იხ. დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, სტატია – „არმიანე“; **24.** ქსე, 9, გვ. 463, სტატია, სომხეთი; **25.** დიდი სჯულის კანონი, გვ. 545; **26.** ეფრემ მცირე, უწყება..., გვ. 4; **27.** ნ. ჯანაშია, ნარკვევები, გვ. 13; **28.** იქვე, გვ. 20; **29.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 68-69; **30.** თ. ბიბილური, ქრისტიანული რელიგიის საწყისები საქართველოში, „მნათობი“, 1987, №6, გვ. 142; **31.** საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 624, 625; **32.** ევ. ნიკოლაძე, ეკლესიის ისტორია, გვ. 23-24; **33.** ძეგლები, I, გვ. 50; **34.** ს. ჯანაშია, I, გვ. 213; **35.** გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა, გვ. 60, შენ. 206; **36.** პ. ინგოროყვა, ტ. II, გვ. 277; **37.** თ. სურგულაძე, თ. ბიბილური, მ.

ძნელაძე, ადრეული ქრისტიანობის სიმბოლო მცხეთიდან, საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 101 3, 1981. გვ. 741-742; **38.** თ. ბიბილური, საინტერესო სამარხეული კომპლექსი მცხეთიდან (ძეგლის მეგობარი), 62, 1983, გვ. 39-43; **39.** თ. ბიბილური, თიხის ფილასამარხი ანტიკური ხანის საქართველოში (დისერტაცია, ხელნაწერი); **40.** თ. ბიბილური, ქრისტიანული რელიგიის საწყისები საქართველოში, „მნათობი“, 1987, №6, გვ. 144; **41.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 41; **42.** დიდი სჯულის კანონი, გვ. 219; **43.** [illegible], [illegible], [illegible] **44; 44.** გ. გოზალიშვილი, ქართლის მოქცევის პრობლემა და ბაკური, 1974, გვ. 15; **45.** გ. გოზალიშვილი, ქართლის მოქცევის პრობლემა და ბაკური, 1974, გვ. 21; **46.** თ. ბიბილური, ქრისტიანული რელიგიის საწყისები საქართველოში, გვ. 144-145; **47.** ვ. გოილაძე, წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლისა და ქართლის მოქცევის დათარიღებისათვის, მნათობი, 1986, №2, გვ. 153-154; **48.** იქვე, გვ. 155-162; **49.** ვ. გოილაძე, წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლისა და ქართლის მოქცევის დათარიღებისათვის, მნათობი, 1986, №2, გვ. 150; **50.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 115; **51.** ვ. გოილაძე, წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლისა და ქართლის მოქცევის დათარიღებისათვის, მნათობი, 1986, № 8, გვ. 152, 160-162; **52.** მ. ჩხარტიშ-ვილი, ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები; „ცხოვრება წმიდისა ნინოსი“, 1987, გვ. 25-26; **53.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 70; **54.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 70; **55.** პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 262, შენიშვნა I; **56.** ნარკვევები, ტ.II, გვ. 181, 186; **57.** თ. კაპანაძე, ნოქალაქევის ბაზილიკები, კრ. ნოქალაქევი – არქეოპოლისი, გვ. 120-121; **58.** ე. ნიკოლაძე, ეკლესიის ისტორია, გვ. 35; **59.** ნ. ჯანაშია, ნარკვევები, გვ. 17; **60.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 197; **61.** იქვე, გვ. 159; **62.** „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩვენისა ნინო მოციქულისა მიერ“, ქართ-ლის ცხოვრება“, გვ. 72-130; **63.** ლიტრა – წონის ერთეული ძველად; **64.** მვექვსე ჟამი — ნაშუადღევის სათქმელი ლოცვა; **65.** ძეგლები, I, გვ. 81-163; **66.** ძეგლები, II, გვ. 97-98; **67.** მ. ჩხარტიშვილი, „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის ატრიბუცია, „მნათობი“, 1987, № 5, გვ. 149-154; **68.** ნ. ჯანაშია, ნარკვევები, გვ. 114; **69.** გეორგიკა, I, გვ. 194; **70.** ნ. ჯანაშია, ნარკვევები, გვ. 10-11; **71.** ვარიანტი ა) იგულისხმება „მოქცევაიჲ ქართლისაჲს“ შატბერდული რედაქცია, ვარიანტი ბ) ჭელიშური რედაქცია (ძეგლ. I. 1964, გვ. 81); **72.** ქსე, „საქ სსრ“, გვ. 346; **73.** გ. ნარსიძე, დავითის ქვაჯვარი. – მნათობი, 1987, № 4, გვ. 164; **74.** [illegible], [illegible] **75.** ნ. ჯანაშია, ნარკვევები, გვ. 4, შენიშვნა; **76.** [illegible], [illegible], **1950,** [illegible] **39; 77.** [illegible] **393.** [illegible]; **78.** ქსე, 8, გვ. 436, სტატია რომი; **79.** ბ. ლომინაძე, საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია, საღვთისმეტყველო კრებული, 1981, 12, გვ. 71; **80.** დიდი სჯულის კანონი, გვ. 219, 232, 249, 266; **81.** [illegible] **1877,** [illegible] **85-87; 82.** დიდი სჯულის კანონი, გვ. 219, 232, 249, 266; **83.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 137; **84.** იქვე, გვ. 137; **85.** იქვე, გვ. 145; **86.** ქართლის ცხოვრება, გვ. 129; **87.** იქვე, გვ. 137; **88.** იქვე, გვ. 140; **89.** იქვე, გვ. 196; **90.** ქართლის ცხოვრება, გვ. 147; **91.** ნ. ჯანაშია, ნარკვევები, გვ. 45; **92.** ქსე, 6, გვ. 411; **93.** ძეგლები, I, გვ. 86-91; **94.** დიდი სჯულის კანონი, გვ. 261; **95.** [illegible], [illegible] **35; 96.** იქვე, გვ. 36; **97.** იქვე, გვ. 39; **98.** ათენის სინტაგმა, VI, გვ. 258; **99.** [illegible], [illegible] **1950,** [illegible] **51;**

თავი IV

1. ს. ჯანაშია, შრომები, V, გვ. 91; **2.** იქვე, გვ. 93; **3.** ბიზანტიელებს ქართველები „ბერძნებს“ ანდა „რომიონებს“ უწოდებდნენ. „იონი“ და „იონია“ ძველ საქართველოში ბერძნებსა და საბერძნეთს ერქვათ; **4.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 146; **5.** ს. ჯანაშია, შრომები, V, გვ. 91; **6.** მოსე ხორენელი, სომხეთის ისტორია, გვ. 5; **7.** კ. წერეთელი, ერთი სირიული წერილის შესახებ. – „მაცნე“, ენისა და ლიტ. სერია, 1987, №1, გვ. 136; **8.** [illegible], [illegible], **1963, [illegible]. 575; 9.** [illegible], [illegible], **1963, [illegible]. 178; 10.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 146; **11.** ნ. ჯანაშია, ნარკვევები, გვ. 29; **12.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 138; **13.** ნ. ჯანაშია, ნარკვევები, გვ. 30-32; **14.** იქვე, გვ. 32; **15.** ...ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 274; **16.** ნ. ჯანაშია, ნარკვევები, გვ. 274; **17.** ს. ჯანაშია, შრომები, V, გვ. 88; **18.** იქვე, გვ. 90; **19.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 197; **20.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 373; **21.** იქვე, გვ. 217; **21.** იქვე, გვ. 217; **23.** ძეგლები, I, 94, ა; **24.** ზ. ალექსიძე, ვახტანგ გორგასალისა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტის გამო, ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, გვ. 102-106; ვ. გოილაძე, მიქაელი იყო მღვდელი ჭეშმარიტი..., მნათობი, 1987, №4, გვ. 174; **25.** ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები, გვ. 218; **26.** ნ. ჯანაშია, ნარკვევები, გვ. 35-36; **27.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 145; **28.** ნ. ჯანაშია, ნარკვევები, გვ. 39; **29.** იქვე, გვ. 41; **30.** ს. ჯანაშია, შრომები, V, გვ. 89-90; **31.** ნ. ჯანაშია, ნარკვევები, გვ. 42; **32.** ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 336; **33.** ნ. ჯანაშია, ნარკვევები, გვ. 44-45; **34.** იქვე, გვ. 45-46; **35.** ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 20; ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 161; **36.** ნ. ჯანაშია, ნარკვევები, გვ. 46; **37.** ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 280; **38.** ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები, გვ. 246; **39.** იქვე, გვ. 50; **40.** იქვე, გვ. 51; **41.** იქვე, გვ. 51; **42.** იქვე, გვ. 52; **43.** დ. მუსხელიშვილი, წყაროთმცოდნეობითი კრიტიკის ზოგიერთი პრობლემები, მაცნე, ისტორიის სერია, 1986, №3, გვ. 69; **44.** ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 287; **45.** იქვე, გვ. 241; **46.** ნ. ჯანაშია, ნარკვევები, გვ. 53; **47.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 139-207 გადმოღებული ძველი ქართულიდან; **48.** იგულისხმება ჰუნები, ალანები და სხვადასხვა ჩრდილოეთის ტომები, რომლებიც იმ დროს აწყობდნენ ლაშქრობებს დასავლეთ ევროპაშიც კი; **49.** „ქართლის სამეფოს“ დასავლეთი საზღვარი გადიოდა მდინარე ეგრისწყალზე. „ეგრისწყლის ქვემოთ“, ანუ ამ მდინარის იქით მდებარე მარჯვენა სანაპირო ქვეყანა „აფხაზეთი“ შედიოდა ბიზანტიის იმპერიაში ანუ „ბერძნების“ ქვეყანა იყო. ვახტანგის დროს ბიზანტიელებმა გადმოლახეს ქართლის სამეფოს საზღვარი მდ. ეგრისწყალზე და დაიპყრეს ქართლის მიწა-წყალი ეგრისწყლიდან ვიდრე ციხე-გოჯამდე; **50.** „დაიმორჩილა... მეფის ბრძანების გარეშე“ – ეს ადგილი გვიანდელი ჩანართია, გვ. 156; **51.** ვახტანგმა გაათავისუფლა ბერძნებისგან ქართლის ტერიტორია ციხე-გოჯიდან ეგრისწყლამდე და აგრეთვე აფხაზეთიც, რომელიც ბერძნებს ჰქონდათ დაპყრობილი. ვახტანგი აფხაზეთში შევიდა ჩრდილოკავკასიის გზით, ოსების დამარცხების შემდეგ; **52.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 171; ვახტანგი გულისხმობდა, რომ ამ დროის ქრისტიანობა პრობერძნული მიმართულებისა არ ყოფილა, არამედ აღმოსავლური ორიენტაციისა. თვით სპარსელთა შორისაც კი ყოფილან ქრისტიანები. „დაღათუ აწ შენ მიგცნე სპარსნი, არა უკუე განცრუვდესა სახელი ჩემი? და უმეტეს ჩუენსა აქუს მრავალთა მათგანთა სიყუარული ქრისტესი, არამედ შიშისაგან ვერ გამოაცხადებენ“; **53.** იგულისხმება ქართლის სამეფოს ის მიწები, რომლებიც ქართლს ჩამოაჭრა

საბერძნეთმა ჯერ კიდევ ვახტანგამდე, მეფე ვარაზ-ბაკურის დროს – კლარჯეთი ზღვიდან არსიანამდე; **54.** მდინარე ყუბანი; **55.** ოსების ლაშქრობის შემდეგ ვახტანგმა „ბერძენთა ქვეყანა“ ანუ აფხაზეთი აიღო და თვითონ დაიჭირა. შემდეგ კი ვახტანგმა და კეისარმა ერთმანეთს გაუცვალეს ტერიტორიები, კერძოდ, კლარჯეთი და მისი მიმდებარე მიწები ჯერ კიდევ ვარაზ-ბაქარის დროს მიიტაცა საბერძნეთმა, ამ ტერიტორიის დაბრუნებას ვახტანგი ძლიერ ცდილობდა. პონტოში საზავო მოლაპარაკებისას საქართველოს დაუბრუნდა კლარ-ჯეთი, ხოლო საბერძნეთს დაუბრუნდა აფხაზეთი. აფხაზეთის ერთი ნაწილი კი ეგრისწყლიდან კლისურამდე მზითვის სახით შეუერთდა ვახტანგის სამეფოს; **56.** იგულისხმება იმ ეპისკო-პოსების მთავარი, რომელნიც ვახტანგს შეეგებნენ – მთავარეპისკოპოსი მიქაელი; **57.** ფულის ქისის შემნახველი, მოლარე; **58.** „და დღეს იცოდეთ ახალნერგად ჭეშმარიტად ქართლი“; **59.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 146; სამთავროს უკვე არსებულ საეპისკოპოსო ტახტზე. აღსანიშ-ნავია, რომ გეოგრაფიულად ქართლის სამეფო დაყოფილი იყო ოთხ ხევად: 1. ხევი ქართლისა (მტკვრის სათავიდან ხუნანამდე); 2. ხევი კახეთისა; 3. ხევი კლარჯეთისა და 4. ხევი ეგრისისა (ქ. ც. I, გვ. 146); ახალი ეპისკოპოსები დაუსვამთ სამ ხევში: ქართლში, კახეთში და კლარჯეთში. **60.** ვახტანგის მეორე ცოლს მზითვად მოყვა ტერიტორია ეგრისწყლისა და კლისურის შუა, ამ ქალის შვილებს დარჩათ კიდეც სამემკვიდრეოდ ეს მიწები, ხოლო პირვე-ლი ცოლისგან დარჩენილებს სამხრეთ საქართველო; **61.** ნაპატელნი ცხოვრობდნენ დღევან-დელ აზერბაიჯანში ქ. შექის სანახებში. ქ. შექი მდებარეობს ქ. ზაქათალის აღმოსავლეთით 64 კმ-ის მანძილზე, ხოლო ქ. კახიდან დაშორებულია 34 კმ-ით. იმდროინდელი შეხედ-ულებით, ნაპატელნი კახეთის პროვინციაში („ხევში“) შედიოდნენ და არა ჰერეთისაში; **62.** იმპერატორი იუსტინიანე (527-565); **63.** ძეგლები, I, გვ. 93, ბ; **64.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 159; **65.** ვ. გოილაძე, წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლისა და ქართლის მოქცევის დათარ-იღებისათვის, მნათობი, 1986, № 2, გვ. 161-162; **66.** საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1972, გვ. 140; **67.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 146; **68.** იქვე, გვ. 197; **69.** იქვე, გვ. 197; **70.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 135-136; **71.** ნ. ჯანაშია, ნარკვევები, გვ. 28-29; **72.** მოსე ხორენელი, სომხეთის ისტორია, გვ. 206; **73.** იქვე, გვ. 284; **74.** იქვე, გვ. 210; **75.** მოსე ხორენელი, სომხეთის ისტორია, გვ. 228; **76.** იქვე, გვ. 228; **77.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 146; **78.** ქრესტომათია, გვ. 242; **79.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 138; **80.** იქვე, გვ. 138; **81.** ძეგლები, I, გვ. 92; **82.** ნ. ჯანაშია, ნარკვევები, გვ. 30-31; **83.** ქსე, 9, გვ. 464; **84.** ბ. მჭედლიშვილი, გორგასალის რეფორმების შესახებ. – მნათობი, 1986, №11, გვ. 167; **85.** ძეგლები, I, გვ. 92; **86.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 142; **87.** იქვე, გვ. 142; **88.** იქვე, გვ. 145; **89.** ძეგლები, I, გვ. 93; **90.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 145; **91.** ქართლის ცხოვრება, გვ. 197; **92.** ჟ. ჟჟჟჟჟჟ, ჟ ჟჟჟჟჟჟ ჟჟჟჟჟჟჟჟ, ჟჟ, **1950, ჟ7, ჟჟ. 34; 93.** იქვე გვ. 38; **94.** იგულისხმება ქ. კონსტან-ტინეპოლი; **95.** ვ. გოილაძე, მიქაელი იყო მღვდელი ჭეშმარიტი..., მნათობი, 1987, №4, გვ. 21; **96.** „აქუნდინ უკუე თავისუფლებით და უიძულებელად ზედამდგომელთა კუპრისა წმიდათა ეკლესიათასა კანონთაებრ ღირსთა მამათაჲსა და ზემოითგანისა ჩუეულებისა თავთა თჳსთა მიერ ქმნაჲ ჴელთ-დასხმასა ღმრთისმოშიშთა ეპისკოპოსთასა“, – დიდი სჯულის კანონი, გვ. 219, 266; **97.** დიდი სჯულის კანონი, გვ. 266-267; **98.** დიდი სჯულის კანონი, გვ. 267; **99.** ვ. გოილაძე, მიქაელი იყო მღვდელი ჭეშმარიტი..., მნათობი, 1987, №4, გვ. 21; **100.** ჟ.ჟჟჟჟჟჟ, ჟჟჟჟჟჟჟ ჟჟჟჟ, ჟჟ, **1963, ჟ. 296; 101.** ვ. გოილაძე, მიქაელი იყო მღვდელი ჭეშმარიტი..., მნათობი, 1987, №4, გვ. 22; **102.** ჟ.ჟჟჟჟჟ, ჟჟჟჟჟ ჟჟ, ჟ,

1963, ტომ. 296; 103. ვ. გოილაძე, მიქაელი იყო მღვდელი ჭეშმარიტი..., მნათობი, 1987, №4, გვ. 22; **104.** ე.ი. იმპერატორთან მიდიოდნენ სამართლის საძიებლად, ის კი თავისივე ქალაქის (კონსტანტინოპოლის) ეპისკოპოსს არჩევინებდა მათ საქმეს; **105.** ა. კარტაშევის თანახმად, პონტოსა და ასიის დიოცეზები შედიოდნენ არა ანტიოქიის იურისდიქციაში, არამედ დამოუკიდებელი, ავტოკეფალური ეკლესიები იყვნენ; **106. ს.ტაბაღუა, ტაბაღუა ტაბაღა, ტბილისი, 1963, ტომ. 412-420; 107.** იქვე, გვ. 422; **108.** იქვე, შემდეგ ა. კარტაშევი წერს: „ითვლებოდა, რომ პაპი ადრევე სცნობდა კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის აღზევებას. 1. თუ 381 წლის კრებას რომი არ ცნობდა, რატომ დუმდა ამის შესახებ 70 წელი? მოგვიანებით მაინც ყოველივე ეს პაპებმა ცნეს. 2. 449 წელს პაპის ლეგატები მოითხოვდნენ (ეფესოს კრებაზე), კონსტანტინოპოლელი ეპისკოპოსი მე-2 ადგილზე დაესვათ და არ თანხმდებოდნენ მე-5 ადგილს, რომელზედაც ფლავიანემ დასვა დიოსკორე. 3. რატომ იჯდა ქალკედონში 451 წელს ანატოლი კონსტანტინოპოლელი მე-2 ადგილზე? შესაბამისად, ეს პატივი ღირსებისა ლეგატების მიერ იყო აღიარებული, როცა ლათინებმა აიღეს კონსტანტინოპოლი 1205 წ. და დაადგინეს იქ თავისი ლათინი პატრიარქი კონსტანტინოპოლისა, ლატერანის XII მსოფლიო კრებაზე დაადგინეს: რომის ეკლესიის შემდეგ პირველი ადგილი კონსტანტინოპოლისა, მეორე – ალექსანდრიისა, მესამე – ანტიოქიისა, მეოთხე – იერუსალიმისა, თითოეულ ამათგანს თავიანთი ღირსების შენარჩუნებით“. და ფლორენციის კრებამ 1438 წ. უნიის შესახებ დეკრეტში დაადგინა – „კონსტანტინოპოლის პატრიარქი იქნება მეორე რომის პაპის შემდეგ, ალექსანდრიის მესამე, მეოთხე – ანტიოქიელი, მეხუთე – იერუსალიმელი. თითოეულს შეუნარჩუნდებოდა პრივილეგიები და უფლებები“. (იქვე); **109.** ვ. გოილაძე, მიქაელი იყო მღვდელი ჭეშმარიტი..., მნათობი, 1987, №4, გვ. 23; **110. ტ. ტაბაღუა, "ტ ტაბაღა 17-ა ტ 28-ა ტაბაღა ტაბაღაბაღაბაღა ტაბაღა". ტაბ, ტომ. 63; 111.** იქვე, გვ. 63; **112.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 197; **113.** საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987, გვ. 223; **114.** მ. მამულია, ეპისკოპოსი გ. სარქისიანი (საღვთისმეტყველო კრებული, 1986, №4), გვ. 176; **115.** არსენი საფარელი, განყოფისათვის, მუხლი IV, გვ. 78; **116.** არსენი საფარელი, განყოფისათვის, მუხლი IV, გვ. 79, არსენ საფარელის ამ ცნობას ადასტურებენ ბერძნული წყაროებიც; **117.** მ. მამულია, ეპისკოპოსი გ. სარქისიანი (საღვთისმეტყველო კრებული, 1986, №4), გვ. 188; **118.** იქვე, გვ. 189; **119.** იქვე, გვ. 190; **120.** იქვე, გვ. 198; **121.** იქვე, გვ. 199; **122.** მ. მამულია, ეპისკოპოსი გ. სარქისიანი (საღვთისმეტყველო კრებული, 1986, №4), გვ. 199-200; **123.** იქვე, გვ. 199-200; **124.** იქვე, გვ. 199-200; **125.** იქვე, გვ. 204; **126.** გეორგიკა, IV, ნაწ. I, გვ. 138; **127.** მ. მამულია, ეპისკოპოსი გ. სარქისიანი (საღვთისმეტყველო კრებული, 1986, №4), გვ. 218; **128.** იქვე, გვ. 188; **129.** იქვე, გვ. 205; **130.** მ. მამულია, ეპისკოპოსი გ. სარქისიანი (საღვთისმეტყველო კრებული, 1986, №4), გვ. 187; **131.** იქვე, გვ. 187; **132.** იქვე, გვ. 194; **133.** იქვე, გვ. 195; **134. ს.ტაბაღუა, ტაბაღაბაღა ტაბაღა, ტბილისი, 1963, ტომ. 458; 135.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 197; **136. ს. ტაბაღუა, ტ ტაბაღაბაღა ტაბაღაბაღაბაღა, ტბილისი, 1950, ტ7, ტომ. 63; 137.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 197; **138.** იქვე, გვ. 197; **139.** ქსე, 7, სტატ. მონოფიზიტობა; **140.** ვ. გოილაძე, მიქაელი იყო მღვდელი ჭეშმარიტი..., მნათობი, 1987, №4, გვ. 222; **141. ს.ტაბაღუა, ტაბაღაბაღა ტაბაღა, ტბილისი, 1963, ტომ. 459; 142.** ამ გალობის თანახმად, ყოვლადწმიდა სამება ეცვა ჯვარზე, რაც მკრეხელობაა; **143. ს.ტაბაღუა, ტაბაღაბაღა ტაბაღა, ტბილისი, 1963, ტომ. 459; 144.** ზ. ალექსიძე, მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის. – მაცნე, ისტორიის სერია, 1973, № 3, გვ. 146-152; **145.** იქვე, გვ. 154; **146.** ზ.

ალექსიძე, რელიგიური სიტუაციის შესახებ VI ს-ის კავკასიაში. – მაცნე, ისტორიის სერია, 1974, № 1, გვ. 104; **147.** ზ. ალექსიძე, მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის. – მაცნე, ისტორიის სერია, 1973, № 3, გვ. 154; **148.** ზ. ალექსიძე, რელიგიური სიტუაციის შესახებ VI ს-ის კავკასიაში. – მაცნე, ისტორიის სერია, 1974, № 1, გვ. 149; **149.** ზ. ალექსიძე, რელიგიური სიტუაციის შესახებ VI საუკუნის კაეკასიაში. – მაცნე, ისტორიის სერია, 1974, № 1, გვ. 149; **150.** იქვე, გვ. 158; **151.** მ. მამულია, ეპისკოპოსი გ. სარქისიანი, გვ. 202-203; **152.** ზ. ალექსიძე, მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის. – მაცნე, ისტორიის სერია, 1973, № 3, გვ. 162; **153.** ზ. ალექსიძე, ვახტანგ გორგასალისა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტის გამო, ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, გვ. 107; **154.** ზ. ალექსიძე, მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის. – მაცნე, ისტორიის სერია, 1973, № 3, გვ. 166; **155.** იქვე, გვ. 166; **156.** არსენი საფარელი, განყოფისათ ს, მუხლი XI; **157.** არსენი საფარელი, განყოფისათვის, მუხლი VII; **158.** ქსე, 7, სტატ. მონოფიზიტობა, გვ. 101; **159.** იქვე, გვ. 101; **160.** ზ. ალექსიძე, ვახტანგ გორგასალისა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტის გამო, ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, გვ. 102; **161.** იქვე, გვ. 105; **162.** იქვე, გვ. 105; **163.** იაკობ ცურტაველი, წამება შუშანიკისი, ზ. ალექსიძის შესავალი (რუს. ენ.), 1978, გვ.10; **164.** ზ. ალექსიძე, ვახტანგ გორგასალისა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტის გამო, ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, გვ. 106; **165.** იქვე, გვ. 106; **166.** ზ. ალექსიძე, შუშანიკი – ინტერნაციონალური წმინდანი. – საენათმეცნიერო კრებული, 1979, გვ. 301; **167.** ზ. ალექსიძე, რელიგიური სიტუაციის შესახებ VI საუკუნის კაეკასიაში. – მაცნე, ისტორიის სერია, 1974, № 1, გვ. 107-108; **168.** ჯ.ჯჯჯჯჯჯ, ჯჯჯჯჯჯჯ ჯჯჯ, ჯჯ, **1963,** ჯჯ. **412; 169.** ჯ.ჯჯჯჯ, ჯჯჯჯჯ ჯჯ, ჯ, **1963,** ჯ. **422; 170.** ს. ჯანაშია, შრომები, V, გვ. 74; **171.** მ. ლორთქიფანიძე, ქართლი V ს-ის II ნახევარში, 1979, გვ. 72-74; **172.** ჯჯჯ ჯ.ჯ., ჯ ჯ ჯ ჯ ჯ ჯ, **1979** ჯ., ჯ.**197; 173.** ჯ.ჯჯ, ჯ ჯ ჯ, ჯ. **72; 174.** ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, 1962, გვ. 214; **175.** „იბერები ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველა იმაზე უკეთ იცავენ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ“, გეორგიკა, II, გვ. 21; **176.** ბ. მჭედლიშვილი, გორგასალის რეფორმების შესახებ. – მნათობი, 1986, №11, გვ. 166-169; **177.** ნ. ჯანაშია, ნარკვევები, გვ. 45-46; **178.** დიდი სჯულის კანონი, გვ. 219; **179.** დიდი სჯულის კანონი, გვ. 249; **180.** ჯ ჯ ჯ (ჯ), ჯ ჯ ჯ, _ ჯ ჯ, **25, 1984,** ჯ. **151,** ჯ. **140; 181.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 197; **182.** ნ. ჯანაშია, ნარკვევები, გვ. 32; **183.** იქვე, გვ. 32; **184.** ბ. მჭედლიშვილი, გორგასალის რეფორმების შესახებ. – მნათობი, 1986, №2, გვ. 167; **185.** ძეგლები, I, გვ. 93; **186.** დიდი სჯულის კანონი, გვ. 271-273; **187.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 197-198; **188.** იქვე, გვ. 198-199; **189.** ძეგლები, I, გვ. 93; **190.** ბ. ლომინაძე, საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია, საღვთისმეტყველო კრებული, 1981, 12, გვ. 73; **191.** ჯ. ჯ ჯ ჯ ჯ ჯ ჯ ჯ ჯ. – მაცნე, ისტორიის სერია, 1986, №3, გვ. 69; **192.** ჯ. ჯ ჯ ჯ ჯ ჯ ჯ ჯ. _ მაცნე, ისტორიის სერია, 1986, №3, გვ. 67-70; **193.** იქვე, გვ. 62; **194.** თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, გვ. 141; **195.** იქვე, გვ. 153; **196.** იქვე, გვ. 151; **197.** ჯ. ჯ ჯ ჯ ჯ ჯ ჯ ჯ. _ მაცნე,

ისტორიის სერია, 1986, №3, გვ. 64; **198.** ჯ. ჯჯჯჯჯჯჯჯჯჯ, ჯჯჯჯჯჯ ჯჯჯ ჯჯჯ ჯჯჯჯჯჯჯჯჯჯჯ ჯჯჯ. _ მაცნე, ისტორიის სერია, 1986, №3, გვ. 64-65; **199.** იქვე, გვ. 69; **200.** ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, გვ. 18; **201.** ნ. ჯანაშია, ნარკვევები, გვ. 88; **202.** ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, 1962, გვ. 218; **203.** ნ. ჯანაშია, ისტორიული წყაროთმცოდნეობის ნარკვევები, I, გვ. 298; **204.** ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, გვ. 17; **205.** ნ. ჯანაშია, ისტორიული წყაროთმცოდნეობის ნარკვევები, I, გვ. 89, 213; **206.** ძეგლები, I, გვ. 89; **207.** ძეგლები, I, გვ. 89; **208.** იქვე, გვ. 89; **209.** ბ. ლომინაძე, საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია, საღვთისმეტყველო კრებული, 1981, 12, გვ. 63; **210.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 363; **211.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 363-366; **212.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 366-367; **213.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 356-357; **213.** ვ. გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, გვ. 204; **214.** მაქსიმე სარდელი მიტრ. საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია, ათენი, 1966, გვ. 47; **215.** მაქსიმე სარდელი მიტრ. საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია, 1966, რუსული თარგმანი, შენიშვნა 1, გვ. 52; **216.** ქრონიკები, I, გვ. 36-37; **217.** ბ. ლომინაძე, საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია, საღვთისმეტყველო კრებული, 1981, 12, გვ. 90; **218.** ჯ. ჯჯჯჯჯჯჯჯჯჯ, ჯჯჯჯჯჯ ჯჯ ჯჯ ჯჯჯჯჯჯჯჯჯჯჯჯ ჯჯ. – მაცნე, ისტორიის სერია, 1886, №3, გვ. 57-70; **219.** ბ. ლომინაძე, საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია, საღვთისმეტყველო კრებული, 1981, 12, გვ. 82; **220.** ტერიტორია ქუთაისსა და ფოთს (ცხენისწყალს) შორის; **221.** იმერეთი; **222.** რაჭა-ლეჩხუმი; **223.** ბ. ლომინაძე, საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია, საღვთისმეტყველო კრებული, 1981, 12, გვ. 80; **224.** ბ. ლომინაძე, საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია, საღვთისმეტყველო კრებული, 1981, 12, გვ. 73-73 ჩვენი მატიანე წერს, რომ კათალიკოს საბამდე კათალიკოსები საბერძნეთიდან მოდიოდნენო. თუ ასეთი წესი სინამდვილეში არსებობდა, ჩანს, ის ვახტანგ გორგასლის დროს დაწესებულა, რადგანაც მანამდე ქართული ეკლესია იერარქიულად არც ერთ სხვა ეკლესიაზე არ იყო დაქვემდებარებული. კათალიკოს პეტრედან კათალიკოს საბამდე მხოლოდ სამი კათალიკოსი შეიცვალა. ალბათ, მათ უწოდებდნენ „საბერძნეთიდან მოსულთ“;

თავი V

1. მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძეგლები, I, გვ. 94; **2.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 284; **3.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 288; **4.** ს. ჯანაშია, შრომები, V, გვ. 113-479; **5.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 294; **6.** იქვე, გვ. 300; **7.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 294; **8.** იქვე, გვ. 300; **9.** ს. ჯანაშია, შრომები, V, გვ. 89; **10.** ს. ჯანაშია, შრომები, V, გვ. 112; **11.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, 1, გვ. 340; **12.** იქვე, გვ. 341-342; **13.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 339; **14.** იქვე, გვ. 339-340; **15.** ქსე, 8, სტატ. საეკლესიო განხეთქილება კავკასიაში, გვ. 625; **16.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 341; **17.** იქვე, გვ. 342; **18.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 401; **19.** იქვე, გვ. 398-399; **20.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 401; **21.** იქვე, გვ. 401; **22.** იქვე, გვ. 399; **23.** ქრესტომათია, I, გვ. 169; **24.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 400; **25.** ქრესტომათია, I, გვ. 242; **26.** მოსე ხორენელი, სომხეთის ისტორია, გვ. 206; **27.** ქრესტომათია, I, გვ. 416; **28.** კ. კეკელიძე, ლიტ. ისტორია, I,

გვ. 48; **29.** ქრესტომათია, I, გვ. 416; **30.** მოსე ხორენელი, სომხეთის ისტორია, გვ. 24; **31.** იქვე, გვ. 206; **32.** მოსე ხორენელი, სომხეთის ისტორია, გვ. 284; **33.** იქვე, გვ. 5-6; **34.** კ. კეკელიძე, ლიტ. ისტორია, I, გვ. 40; **35.** ვ. გოილაძე, საქართველოს, სომხეთისა და ალბანეთის ისტორიის საკითხები... კრ. „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“, V, გვ. 19; **36.** იქვე, გვ. 19; **37.** იქვე, გვ. 19; **38.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 266; **39.** ქრესტომათია, I, გვ. 35; **40.** იქვე, გვ. 40; **41.** მოსე ხორენელი, სომხეთის ისტორია, გვ. 172; **42.** ზ. სხირტლაძე, ფრესკული წარწერები, გვ. 107; **43.** ц. цццццццццццц, ццццццццц цццццццц цццццццццццццццццц цццццццц. – მაცნე, ისტორიის სერია, 1886, №3, გვ. 67; **44.** მოვსეს კალანკატუაცი, ალბანთა ქვეყნის ისტორია, გვ. 51-52; **45.** ქრესტომათია, I, გვ. 166; **46.** ზ. სხირტლაძე, ფრესკული წარწერები, გვ. 107; **47.** იქვე, გვ. 108; **48.** იქვე, გვ. 108; **49.** უხტანესი, ისტორია გამოყოფისა, გვ. 63; **50.** ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 15; **51.** უხტანესი, ისტორია გამოყოფისა, გვ. 67; **52.** იქვე, გვ. 67; **53.** მაქსიმე სარდელი მიტრ. საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია, 1966, რუსული თარგმანი, გვ. 26-28; **54.** ქსე, 9, გვ. 669; **55.** იქვე, გვ. 669; **56.** ე. ნიკოლაძე, ეკლესიის ისტორია, გვ. 142-148; **57.** იგულისხმება „ეგრისწყლის“ აქეთ მდებარე ქვეყანა; **58.** ц. цццццццццццц, ццццццццц цццццццц цццццццццццццццццц цццццц. _ მაცნე, ისტორიის სერია, 1986, №3, გვ. 63; **59.** იქვე, გვ. 62-64; **60.** ქსე, 9, გვ. 463; **61.** СцС, сц. Арц. ССР, ццц. 77; **62.** ц. цццццццццццц, ццццццццц цццццццц цццццццццццццццццц цццццц. – მაცნე, ისტორიის სერია, 1886, №3, გვ. 66; **63.** იქვე, გვ. 66; **64.** ц. цццццццццццц, ццццццццц цццццццц цццццццццццццццццц цццццц. – მაცნე, ისტორიის სერია, 1986, №3, გვ. 67; **65.** იქვე, გვ. 62; **66.** იქვე, გვ. 64; **67.** ц. цццццццццццц, ццццццццц цццццццц цццццццццццццццццц цццццц. – მაცნე, ისტორიის სერია, 1886, №3, გვ. 69; **68.** დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 151-152; **69.** პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 52; **70.** არსენი საფარელი, განყოფისათჳს, გვ. 78; **71.** ნარკვევები, ტ.II, გვ. 276; **72.** საქართველოს ისტორია, გვ. 70; **73.** ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 140; **74.** ქსე, 9, სტატ. ზ. ალექსიძე, სომხური სამოციქულო ეკლესია, გვ. 472; **75.** არსენი საფარელი, განყოფისათვის, გვ. 156; **76.** იქვე, გვ. 51; **77.** იქვე, გვ. 51; **78.** იქვე, გვ. 51; **79.** იქვე, გვ. 131; **80.** არსენი საფარელი, განყოფისათ ს, გვ. 87-88; **81.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 283-284; **82.** იქვე, გვ. 284; **83.** იქვე, გვ. 285; **84.** არსენი საფარელი, განყოფისათვის, გვ. 79; **85.** იქვე, გვ. 80; **86.** იქვე, გვ. 80; **87.** იქვე, გვ. 154; **88.** თვენი II, 1983 (თარგმანი რუსულიდან), გვ. 52-55; **89.** იქვე, გვ. 59; **90.** თვენი II, 1983 (თარგმანი რუსულიდან), გვ. 70; **91.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 410; **92.** იქვე, გვ. 391; **93.** იქვე, გვ. 392; **94.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 208; **95.** კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 161; **96.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 207-2084; **97.** იქვე, გვ. 208; **98.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 412; **99.** იქვე, გვ. 412; **100.** იქვე, გვ. 413; **101.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 415; **102.** იქვე, გვ. 386; **103.** იქვე, გვ. 415; **104.** ქსე, 8, სტატ. საეკლესიო განხეთქილება კავკასიაში, გვ. 625; **105.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 391; **106.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 418; **107.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 223; **108.** კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 88; **109.** იქვე, გვ. 269; **110.** იქვე, გვ. 345; **111.** რ. თვარაძე, თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა, გვ. 154; **112.** იქვე, გვ. 154; **113.** ძეგლები, II, გვ. 123; **114.** „ეპისტოლეთა წიგნი“ სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ 1968 წელს; **115.** ქსე, 8; ქსე, 9,

სტატ. სომხური სამოციქულო ეკლესია, გვ. 625; **116.** ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 157; **117.** უნდა იყოს იოანე მახარებელისა; **118.** უხტანესი, ისტორია გამოყოფისა, გვ. 23; **119.** უხტანესი, ისტორია გამოყოფისა, გვ. 31; **120.** იქვე, გვ. 31; **121.** უხტანესი, ისტორია გამოყოფისა, გვ. 31-33; **122.** იქვე, გვ. 35; **123.** იქვე, გვ. 43; **124.** იქვე, გვ. 63; **125.** უხტანესი, ისტორია გამოყოფისა, გვ. 123; **126.** იქვე, გვ. 131; **127.** იქვე, გვ. 139-141; **128.** ს. ჯანაშია, შრომები, გვ. 112; **129.** კ. დანელია, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, №23, 1980, გვ. 89; **130.** იქვე, გვ. 122; **131.** კ. დანელია, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, №23, 1980, გვ. 90; **132.** არსენი საფარელი, განყოფისათვის, გვ. 87; **133.** უხტანესი, ისტორია გამოყოფისა, გვ. 31; **134.** არსენი საფარელი, განყოფისათვის, გვ. 84; **135.** იქვე, გვ. 156; **136.** ვ. ნალბანდიანი, სომხურ სიძველეთა გაკვეთილები, გვ. 11; **137.** უხტანესი, ისტორია გამოყოფისა, გვ. 156-157; **138.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 300; **139.** უხტანესი, ისტორია გამოყოფისა, გვ. 157; **140.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 424; **141.** იქვე, გვ. 422; **142.** იქვე, გვ. 423; **143.** იქვე, გვ. 423; **144.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 428; **145.** იქვე, გვ. 424; **146.** კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 51; **147.** იქვე, გვ. 51; **148.** კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 52; **149.** ქსე, 7, სტატ. მონოფიზიტობა, გვ. 100; ქსე, 8, სტატ. საეკლესიო განხეთქილება კავკასიაში, გვ. 625; **150.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 350; **151.** კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 487; **152.** იქვე, გვ. 474; **153.** უხტანესი, ისტორია გამოყოფისა, გვ. 286; **154.** იქვე, გვ. 255; **155.** იქვე, გვ. 255; **156.** უხტანესი, ისტორია გამოყოფისა, გვ. 255; **157.** იქვე, გვ. 81; **158.** უხტანესი, ისტორია გამოყოფისა, გვ. 369; **159.** იქვე, გვ. 371;

თავი VI

1.ქართლის ცხოვრება, I, 1955 წ., გვ.217; **2.**იქვე, გვ.217; **3.**იქვე, გვ.218; **4.** ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. I. 1979 წ., გვ. 300; **5.** ქართლის ცხოვრება, I, 1955წ., გვ. 221; **6.** იქვე, გვ. 221; **7.** ეპისტოლეთა წიგნი, 1968 წ., გვ. 193-194; **8.** ქართლის ცხოვრება, I, 1955 წ., გვ. 222; **9.** ქსე, IX, გვ. 567; **10.**ქართლის ცხოვრება, I, გვ.223; **11.**ეპისტოლეთა წიგნი, გვ.150; **12.**იქვე, გვ.195; **13.**იქვე, გვ.195; **14.**იქვე, გვ.173; **15.**იქვე. გვ.197; **16.**ეპისტოლეთა წიგნი, გვ.196; **17.** იქვე, გვ. 196, შენიშვნა; **18.** იქვე, გვ. 197; **19.** იქვე, გვ. 251, შენიშვნა; **20.** იქვე, გვ. 201; **21.** იქვე, გვ. 251; **22.** ქართლის ცხოვრება, I, 1955 წ., გვ. 222; **23.** იქვე, გვ. 223; **24.** იქვე, გვ. 224. **25.** იქვე, გვ. 224; **26.** ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. I, 1979 წ., გვ. 301-302; **27.** ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 200-204; **28.** ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. I, 1979 წ., გვ. 302; **29.** ქართლის ცხოვრება, I, 1955წ., გვ. 225. **30.** იქვე გვ. 226; **31.** ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ.I, 1979 წ., გვ. 306; **32.** ქართლის ცხოვრება, I, 1955 წ., გვ. 228; **33.** იქვე, გვ. 226. **34.** ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 216; **35.** ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 270; **36.** იქვე, გვ. 217; **37.** იქვე, გვ. 217; **38.** იქვე, გვ. 270; **39.** ქართლის ცხოვრება, I, 1955 წ., გვ. 226-227. **40.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, 1984 წ., გვ. 74; **41.** იქვე, გვ. 76; **42.** იქვე, გვ. 77; **43.** „თავისუფალ არს და მოციქულთა მაგიერი და მოციქულთა ტახტსა ზედა მჯდომი და პატრიარქი“, ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 231; **44.** იქვე, გვ. 231, ჩანართი; **45.** იქვე, გვ. 232, ჩანართი. **47.** ქართლის ცხოვრება, I, 1955 წ., გვ.

232; **48.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 77; **49.** იქვე, გვ. 78. **50.** კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1980 წ., გვ. 527; **51.** იქვე, გვ. 128; **52.** ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IX, 1979 წ., გვ. 15-16. **53.** ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, 1949 წ., გვ. 124; **54.** დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, 1980 წ., გვ. 5. **55.** დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, 1980 წ., გვ. 152; **56.** საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 563. **57.** ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 200, 266-268; **58.** საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 207; **59.** იქვე, გვ. 563; **60.** იქვე, გვ. 563. **61.** ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973 წ., გვ. 70; **62.** დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II. გვ. 151. **63.** დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, გვ. 13; **64.** ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 167; **65.** იქვე, გვ. 168. **66.** დ. მუსხელიშვილი, ქართული ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, გვ. 21; **67.** ს.ჯანაშია, შრომები, ტ.I, გვ. 122-123; **68.** ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 170; **69.** იქვე, გვ. 171. **70.** იქვე, გვ. 173; **71.** იქვე, გვ. 176; **72.** იქვე, გვ. 178-180; **73.** იქვე, გვ. 180. **74.** ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 180. **75.** ქართლის ცხორება, I, 1995, გვ. 226. **76.** კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1980, წ., გვ. 51; **77.** პ. ინგოროყვა – გიორგი მერჩულე, 1954 წ., გვ. 30. **78.** პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954 წ., გვ. 424. **79.** ლიტერატურული ძიებანი, 1983 წ., გვ. 280; **80.** საღვთისმეტყველო კრებული, 1984, №2. ვ. გურგენიძის გამოკლვლევა, გვ. 120; **81.** ანტიოქიის პატრიარქები ანასტასი I (596-601) და ანასტასი II (602-610) კირიონის თანამედროვენი იყვნენ. ანტიოქიური ქრონოგრაფის თანახმად, ანასტასის ქართული ეკლესიის მეთაურთან კავშირი ჰქონდა; **82.** ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 68. **83.** ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 71; **84.** არსენი საფარელი, განყოფისათუს..., გვ.85; **85.** იქვე, გვ. 78-79; **86.** იქვე, გვ. 84. **87.** იქვე, გვ. 81; **88.** იქვე, გვ. 81-82; **89.** ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 53, შენიშვნა 93. **90.** არსენი საფარელი. განყოფისათუს სომეხთა და ქართველთა, გვ. 85; **91.** არსენი საფარელი, განყოფისთვის სომეხთა და ქართველთა, გვ. 81; **92.** იქვე, გვ. 86. **93.** იქვე, გვ. 15; **94.** იქვე, გვ. 16; **95.** არსენი საფარელი, განყოფისათვის სომეხთა და ქართველთა, გვ. 89; **96.** იქვე, გვ.59. **97.** იქვე, გვ. 64; **98.** იქვე, გვ. 90; **99.** არსენი საფარელი, განყოფისათვის სომეხთა და ქართველთა, გვ. 90; **100.** იქვე, გვ. 82. **101.** არსენი საფარელი, განყოფისათვის სომეხთა და ქართველთა, გვ. 83; **102.** იქვე, გვ. 83; **103.** იქვე, გვ. 146-147; **104.** იქვე, გვ. 83; **105.** იქვე, გვ. 90-91; **106.** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 159. **107.** ვ. გურგენიძე, – ხერსონის ქართველთა მონასტერი, საღვთისმეტყველო კრ... 1984, №12, გვ. 183. **108.** მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, მთარგმნელ ლ. დავლიანიძე-ტატიშვილის შესავალი, გვ. 19. **109.** იქვე, გვ. 125; **110.** მოვსეს კალანკატუაცი, „ალვანთა ქვეყნის ისტორია, გვ. 122; **111.** იქვე, გვ. 125; **112.** იქვე, გვ. 168; **113.** იქვე, გვ. 168. **114.** იქვე, გვ. 170; **115.** იქვე, გვ. 127; **116.** მოვსეს კალანკატუაცი, „ალვანთა ქვეყნის ისტორია“, გვ.122. **117.** ქართლის ცხოვრება, I, 1955 წ., გვ. 231; **118.** იქვე, გვ. 232. **119.** მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, გვ. 139; **120.** იქვე, გვ. 139. **121.** იქვე, გვ. 143; **122.** მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, გვ. 129. **123.** მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, გვ. 130; **124.** იქვე, გვ. 130; **125.** იქვე, გვ. 130. **126.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 232.

თავი VII

1. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 26; **2.** იქვე, გვ. 39; **3.** ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 177; **4.** ქართლის ცხოვრება, ტ. IV. გვ. 116; **5.** ქართლის ცხოვრება, ტ I. გვ. 235. **6.** დავით მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. 1980, გვ. 5; **7.** ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 694; **8.** იქვე, გვ. 121; **9.** დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, გვ. 11. **10.** იქვე, გვ. 11; **11.** დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, გვ. 13; **12.** იქვე, გვ. 62; **13.** იქვე, გვ. 76. **14.** იქვე, გვ. 77; **15.** ქართლის ცხოვრება, ტ I. გვ. 242; **16.** დ მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, გვ. 242. **17.** ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 127; **18.** იქვე, გვ. 127; **19.** ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 125; **20.** დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, გვ. 13; **21.** ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 251. **22.** დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, გვ. 13; **23.** იქვე, გვ. 151. **24.** დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, გვ. 151; **25.** იქვე, გვ. 151; **26.** იქვე, გვ. 152. **27.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 234. **28.** იქვე, გვ. 235; **29.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 240; **30.** იქვე, გვ. 241. **31.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 242. **32.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 241; **33.** იქვე, გვ. 242; **34.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. VIII, 1977 წ., გვ. 194; **35.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 248. **36.** [illegible], **1982** [illegible]., [illegible]. **36; 37**. იქვე, გვ. 35. **38.** [illegible], **1982** [illegible]., [illegible]. **34; 39.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, თბილისი, 1983 წ., გვ. 93. **40.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II. თბილისი, 1983 წ., გვ. 95; **41.** იქვე, გვ. 95; **43.** იქვე, გვ. 100. **44.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, თბილისი, 1983 წ., გვ. 104. **45.** [illegible], **1982** [illegible]., [illegible]. **35,** [illegible]. **11. 46.** დას. საქართველოს საეკლესიო გაერთიანება რამოდენიმე ათეული წლით წინ უსწრებდა აფხაზეთის „სამეფოს“ დაარსებას. დას. საქართველოს ეკლესიას უცხოელები უწოდებდნენ „ქვემო იბერიის ეკლესიას“. იხ. სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია „თეოლოგია“, ათენი, 1966 წ. **47.** დოსითეოსი, იერუსალიმელი პატრიარქები, თავი V, გვ. 510, წიგნიდან: „სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, ქართული ეკლესია და მისი ავტოკეფალია. თეოლოგია, ათენი, 1966 წ.; **48.** იქვე, გვ. 48; **49.** კირიონი, „ეგრისის, გუგარქისა და ქართლის არქიეპისკოპოსად ანუ კათალიკოსად იყო ნაკურთხი „წინანდელ წესთა თანახმად“ (იოანე დრასხანაკერტელი, „სომხეთის ისტორია“, გვ. 10). **50.** დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, წიგნი II, თბილისი, 1980წ., გვ. 5; **51.** ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 746; **52.** ა. კარტაშევი, მსოფლიო კრებები, პარიზი, 1963 წ., გვ. 688, რუს. ენაზე. **53.** ეფრემ მცირე, უწყებაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, 1959, გვ. 9; **54.** საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 416; **55.** ვ. გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, გვ. 202. **56.** ვ. გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, გვ. 204; **57.** ვ. გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, გვ. 204; **58.** იქვე, გვ. 204; **59.** გეორგიკა, IV, ნაწ. II, გვ. 185 „ნარკვევები“, II, გვ. 424. **60.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 255; **61.** ქართლის ცხოვრება, ტ. I. გვ. 232. **62.** უხტანესი, ისტორია გამოყოფისა..., გვ. 365; **63.** მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, გვ. 361; **64.** უხტანესი, ისტორია გამოყოფისა..., გვ. 187. **65.** არსენი საფარელი, განყოფისათვის..., გვ. 171; **66.** უხტანესი, ისტორია გამოყოფისა..., გვ. 113.

67. ეფრემ მცირე, უწყებაჲ..., 1959 წ., გვ. 10. **68.** ამ „ხრონოგრაფის“ ცნობები შეეხებოდა არა „ზემო იბერიის“ (მცხეთის) ეკლესიას, არამედ „ქვემო იბერიისას“ (აფხაზეთისას). ეფრემმა კი „ივერიისა“, საზოგადოდ, „ქართლის“ ეკლესიად მიიჩნია; **69.** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 393; **70.** ეფრემ მცირე, უწყებაჲ..., გვ. 10. **71.** ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 47; **72.** შდრ. ეკლესიის კალენდარი, 1951 წ.; **73.** ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965 წ., გვ. 47. **74.** ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965 წ., გვ. 401; **75.** იქვე. გვ. 596; **76.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 231-232. **77.** ბ. ლომინაძე, საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია, საღვთისმეტყველო კრ., 1981 წ., 12, გვ. 88; **78.** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლები, 1978 წ., გვ. 182. **79.** ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ, Წ., 1981 Წ. ᲒᲕ. 232; **80.** ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ, 1982 Წ., გ.წულაიას შესავალი, გვ. 16. **81.** იქვე, გვ. 7; **82.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 4; **83.** იქვე, გვ. 9; **84.** იქვე, გვ. 10; **85.** იქვე, გვ. 23; **86.** იქვე, გვ. 25; **87.** იქვე, გვ. 38; **88.** იქვე, გვ. 48; **89.** იქვე, გვ. 117; **90.** იქვე, გვ. 146; **91.** იქვე, გვ. 185; **92.** იქვე, გვ. 198; **93.** ქართლის ცხოვრება, გვ. 226; **94.** იქვე, გვ. 241; **95.** იქვე, გვ. 42; **96.** იქვე, გვ. 48; **97.** იქვენ, გვ. 48. **98.** ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ, ᲒᲕ. 14, ᲒᲕ. 23; **99.** იქვე, გვ. 13. **100.** ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ, ᲒᲕ. 22; **101.** იქვე, გვ. 22. **102.** ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ, ᲒᲕ. 13; **103.** ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ, ᲒᲕ. 13; **104.** იქვე, გვ. 14; **105.** იქვე, გვ. 18; **106.** მ. თამარაშვილი, წმიდა ანდრია მოციქული საქართველოში, საღვთისმეტყველო კრ:, 1981, №12, გვ. 133; **107.** ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955 წ., გვ. 251; **108.** ქართლის ცხოვრება, I, 1955 წ., გვ. 229. **109.** ა. ბოგვერაძე, არაბების შემოსვლა საქართველოში, ნარკვ. II, 1973, გვ. 286; **110.** ქართლის ცხოვრება, წ. I, 1955წ., გვ. 230; **111.** პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954 წ., გვ. 080. **112.** იქვე, გვ. 092; **113.** იქვე, გვ. 093; **114.** იქვე, გვ. 094; **115.** იოანე საბანისძე, „წამებაჲ წმინდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესისა ჰაბოჲსი“, ქრესტომათია, 1946 წ., გვ. 57. **116.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, 1983 წ., გვ. 91; **117.** პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954 წ., გვ. 0102; **118.** „წამებაჲ და ღვაწლი წმინდათა და დიდებულთა დავით და კონსტანტინესი“, ქრესტომათია, 1946 წ., გვ. 240; **119.** იქვე, გვ. 235; **120.** იქვე, გვ. 235; **121.** „წამებაჲ და ღვაწლი დავით და კონსტანტინესი“, ქრესტომათია, 1946 წ., გვ. 235. **122.** იქვე, გვ. 237; **123.** ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955 წ., გვ. 235; **124.** იქვე, გვ. 237. **125.** ქართლის ცხოვრება, I, 1955 წ., გვ. 250; **126.** იქვე. გვ. 245. **127.** „მარტვილობა გობრონისი“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964 წ., გვ. 179; **128.** იქვე, გვ. 179; **129.** მარტვილობა გობრონისი, ძეგლი I, გვ. 181; **130.** იქვე, გვ. 181; **131.** იქვე, გვ. 182; **132.** იქვე, გვ. 183; **133.** ქართული აგოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964, გვ. 165; **134.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. VIII, 1977, გვ. 86; **135.** იქვე, გვ. 86; **136.** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964წ., გვ. 165. **137.** ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 1984 წ., გვ. 33. **138.** ქართლის ცხოვრება, I, 1955 წ., გვ. 281; **139.** იქვე, გვ. 303; **140.** ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 1984 წ., გვ. 72; **141.** ქართლის ცხოვრება, II, 1959 წ., გვ. 118. **142.** გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ქრესტომათია, 1946 წ., გვ. 103; **143.** იქვე, გვ. 103. **144.** არსენი საფარელი, განყოფისათვის სომეხთა და ქართველთა, გვ. 90-91; **145.** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, 1978 წ., გვ. 159; **146.** ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ. **147.** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964 წ., გვ. 186; **148.** იქვე, გვ. 187; **149.** იქვე, გვ. 191. **150.** პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954 წ., გვ. 478; **151.** იქვე, გვ. 490; **152.** იქვე, გვ. 490; **153.** იქვე, გვ. 491; **154.** იქვე, გვ. 499. **155.** სტეფანე მტბევარი,

მარტვილობა გობრონისი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I. 1964 წ., გვ. 177; **156.** არსენი საფარელი, განყოფისათვის სომეხთა და ქართველთა, გვ. 88. **157.** იქვე, გვ. 88. **158.** რ. თ. შმერლინგი, ქართული ხელნაწერი წიგნების მხატვრული გაფორმება IX-XI საუკუნეებში, ტ. II, გვ. 56; **159.** ი. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X საუკუნეებში, თბილისი, 1994 წ., შესავალი. **160.** ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 56; **161.** ი. აბულაძე, შრომები, ტ. IV, გვ. 10. **162.** საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, 1973, გვ. 402-410. **163.** ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ/ I,. 1946წ., გვ. 166. **164.** შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები, ნაწ. I, გვ. 100; **165.** არსენ საფარელი, განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა, გვ. 92; **166.** ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I,. 1946წ., გვ. 119; **167.** ზ. სხირტლაძე, საბერეების ფრესკული წარწერები, გვ. 106; **168.** ი. აბულაძე, შრომები, ტ. IV, გვ. 11; **169.** საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, 1973 წ., გვ. 305; **170.** იქვე, გვ. 390; **171.** იქვე, გვ. 391; **172.** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. I, 1964 წ., გვ. 167; **173.** ქრესტომათია, 1946 წ., გვ. 145; **174.** იქვე, გვ. 145; **175.** საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 600; **176.** ს. ტროიცკი, საეკლესიო ავტოკეფალიის შესახებ, გვ. 45-46. **177.** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, 1978 წ., გვ. 176; **178.** იქვე, გვ. 176; **179.** იქვე, გვ. 178; **180.** იქვე, გვ. 179; **181.** იქვე, გვ. 179; **182.** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964 წ., გვ. 288; **183.** იქვე, გვ. 289; **184.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 231; **185.** ძეგლები, I, გვ. 290. **186.** ს. ტროიცკი, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საზღვრების გავრცელების უფლება „დიასპორაზე“, გვ. 42; **187.** ვ. გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, გვ. 209. **188.** ჯ. აფციაური – გიორგი მცირის „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“, გვ. 222; **189.** იქვე, გვ. 230; **190.** იქვე, გვ. 222. **191.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 154; **192.** იქვე, გვ. 156; **193.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი I, გვ. 152. შენ. I; **194.** იქვე, გვ. 154; **195.** ჯ. აფციაური, გიორგი მცირის „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“, 1980 წ., გვ. 230; **196.** იქვე, გვ. 222; **197.** ჯ. აფციაური, იდეური ბრძოლის საკითხებისათვის, გვ. 38, 1984. იხ. „ქართლის ცხოვრება“. I, გვ. 145; **198.** ჯ. აფციაური, გიორგი მცირის „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“, 1980 წ., გვ. 222. **199.** კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატუირის ისტორია, ტ. I, გვ. 43-57. **200.** ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, გვ. 60. **201.** ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I. გვ. 271. **202.** დავით აღმაშენებლის დროს „რაღაც სახლების“ ვითომდა „გაქართველების“ შესახებ: ეს „სახლები!“ ის სამეფო სახლები იყო, რომელნიც აღმაშენებელმა თავის სკიპტრის ქვეშ შეიერთა. კერძოდ, შაჰანშას სახლი (ე.ი. ანისელი ბაგრატიონების სამეფო სახლი), შირვანშას სახლი (შირვანის მეფეების სახლი), სომეხთა სახლი (ლორე-ტაშირის კვირიკინების სამეფო სახლი) და სხვა. ბატონ ჯ. აფციაურს კი ჰგონია, თითქოსდა რაღაც ეთნიკურ ჯგუფებზეა (ამ ჯგუფების სახელად მიიჩნევს „სახლს“) საუბარი, რომელნიც თითქოსდა დავით აღმაშენებელმა გააქართველა და ამ თითქოს „ცოდვას“ ინანიებს თავის „გალობანი სინანულისანში“; **203.** მოვსეს კალანკატუაცი – ალვანთა ქვეყნის ისტორია, 1985 წ., გვ. 121-123. **204.** ვ. გურგენიძე, კირიონ I, „საღვთისმეტყველო კრებული“, 1984, №2, გვ. 114; **205.** ს. ჯანაშია – ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, 1935 წ., გვ. 107-112; **206.** იქვე, გვ. 114-115. **207.** სინური მრავალთავი 864 წლისა, თბ., 1959 წ., გვ. 283. **208.** პ. ინგოროყვა, თხზულებანი, ტ. III, გვ. 145; **209.** იქვე, გვ. 102; **210.** იქვე, გვ. 144; **211.** იქვე, გვ. 414; **212.** პ. ინგოროყვა, თხზულებანი, ტ. III, გვ. 418;

213. იქვე, გვ. 416. **214.** ს.ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 170; **215.** საქართველოს სამოთხე, გვ. 324; **216.** კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 544. **217.** ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, 1980 წ., გვ. 347; მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის, 1982, გვ. 164; **218.** მ. თამარაშვილი., ისტორია კათოლიკობისა, 1902 წ., გვ. 133. **219.** შ. ძიძიგური, ბასკები და ქართველები, გვ. 78; **220.** იქვე, გვ. 79; **221.** იქვე, გვ. 79; **222.** იქვე, გვ. 80; **223.** საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 426.

თავი VIII

1. მ.ლორთქიფანიძე, საქართველო IV-X სს-ში. ქსე, ტომი „საქართველო“, 1981 წ., გვ. 60; **2.** ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, 1955 წ., გვ. 185, გვ. 275; **3.** მ. ლორთქიფანიძე, ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის, ნარკვ. III, 1979 წ., გვ. 159; **4.** საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 63-64. **5.** საქართველოს ისტორია, 1980 წ., გვ. 84; **6.** ბ. სილაგაძე, იაჰია ანტიოქიელის ცნობები, ქართული წყაროთმცოდნეობა, VI, 1985 წ., გვ. 108-120; **7.** ბ. სილაგაძე, იაჰია ანტიოქიელის ცნობები, ქართული წყაროთმცოდნეობა, VI, 1985 წ., გვ. 115; **8.** საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 65-66. **9.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 382; **10.** იქვე, გვ. 282; **11.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 281; **12.** [illegible], გვ. 92, შენ. 90. **13.** გ. ღამბაშიძე, „საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის...“, ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, V, 1987, გვ. 11-13; **14.** ბ. ლომინაძე, საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია, საღვთისმეტყველო კრ., 1981 წ., №2, გვ. 96; **15.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 282; **16.** იქვე, გვ. 231. **17.** გავრცელებული აზრის თანახმად კონსტანტინოპოლში ჩავიდა არა ბაგრატ III, არამედ მელქისედეკი; **18.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 232; **19.** არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას კონსტანტინოპოლში საქართველოს მეფე ჩავიდა თუ პატრიარქი, მათ ერთი – საეკლესიო საკითხი უნდა მოეგვარებინათ. **20.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 265; **21.** იქვე, გვ. 270; **22.** იქვე, გვ. 281. **23.** დაწერილი მელქისედეკ კათალიკოზისა სვეტიცხოვლისადმი. ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970 წ., გვ. 22. **24.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 278. **25.** იქვე, გვ. 284; **26.** იქვე, გვ. 285; **27.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 384; **28.** იქვე, გვ. 384; **29.** იქვე, გვ. 386; **30.** იქვე, გვ. 386; **31.** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმისი, 1978 წ., გვ. 226; **32.** იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების ბერძნული „ცხოვრება“, 1942, გვ. 126. **33.** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 180; **34.** სამართლის ძეგლები, III, 1970 წ., გვ. 86. **35.** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, 1978, გვ. 329; **36.** ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, I, გვ. 440. **37.** ს. ჯანაშია, შრომები„ ტ. V, გვ. 112; **38.** მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, 1985 წ., გვ. 140-141; **39.** ა. შანიძე, თხზლებანი, IX, 1986 წ., გვ. 117; **40.** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, 1978 წ., გვ. 254; **41.** აგიოგრაფიული ძეგლები, II, 1967 წ., გვ. 123. **42.** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, 1967 წ., გვ. 123; **43.** იქვე, გვ. 129; **44.** იქვე, გვ. 123. **45.** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, 1967 წ., გვ. 123-124; **46.** კ. დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიული საკითხები, 1983 წ., გვ. 297. **47.** კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 47; **48.** იქვე, გვ. 52; **49.** იქვე, გვ. 53; **50.** იქვე, გვ. 53-54; **51.** იქვე, გვ. 55; **52.** კ. კეკელიძე, ძველი ქართული

ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 55. **53.** იქვე, გვ. 57; **54.** კ. დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიული საკითხები, 1983 წ., გვ. 356-357; **55.** იქვე, გვ. 211; **56.** კ. დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიული საკითხები, 1983 წ., გვ. 250, 299, 301, 303. **57.** შდრ. სიტყვისგება ბერისა ეფთუმე გრძელისა სოსთენის მიმართ, სომეხთა მოძღვარისა, ლიტერატურული ძიებანი, 1983 წ., გვ. 280; **58.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 386. **59.** იქვე, გვ. 385; **60.** იქვე, გვ. 386; **61.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 292; **62.** იქვე, გვ. 293, შენიშვნა. **63.** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 246; **64.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 291; **65.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 290; **66.** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 263; **67.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 294; **68.** იქვე, გვ. 294; **69.** იქვე, გვ. 294; **70.** იქვე, გვ. 386. **71.** ქართლის ცხოვრება, გვ. 294; **72.** იქვე, გვ. 295; **73.** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II გვ. 93; **74.** იქვე, გვ. 93; **75.** იქვე, გვ. 95; **76.** ათონელების ბერძნული „ცხოვრება“, 1982 წ., გვ. 55; **77.** საქართველოს ისტორია, 1980, გვ. 90. **78.** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, 1967წ., გვ. 95-96; **79.** იქვე, გვ. 96; **80.** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, 1978 წ., გვ. 311; **81.** იქვე, გვ. 267; **82.** იქვე, გვ. 265; **83.** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, 1978 წ., გვ. 267. **84.** იხ. მთაწმინდელთა ბერძნული ცხოვრება, 1982 წ; **85.** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, 1978 წ., გვ. 264; **86.** ქსე. II, გვ. 364. იხ. ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, 1969. **87.** ქართლის ცხიოვრება, I, 1955, გვ. 303; **88.** იქვე, გვ. 303. **89.** იქვე, გვ. 300; **90.** იქვე, გვ. 303; **91.** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 296; **92.** იქვე, გვ. 296. **93.** გიორგი მცირე, ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, 1978, გვ. 296; **94.** სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმე, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, „თეოლოგია“, ათენი, 1966, გვ. 50. **95.** �iscopus Georgius, „Vita Georgii et de Ecclesiae Georgianae“ Venetiis, 1966 ann. 51; **96.** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, 1978, გვ. 302; **97.** იქვე, გვ. 303. **98.** იქვე, გვ. 302-303, 306; **99.** იქვე, გვ. 306. **100.** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 306; **101.** იქვე, გვ. 306; **102.** გეორგიკა, №8, 1980 წ., გვ. 18. **103.** Georgica, Georgicae Ecclesiae Georgianae Ecclesiae, ann, 7, p. 34; **104.** იქვე, გვ. 34; **105.** დიდი სჯულის კანონი, 1975 წ., გვ. 261. **106.** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 307; **107.** იქვე, გვ. 307; **108.** იქვე, გვ. 307; **109.** „ქუეყანასა მას სომხეთისასა თვინიერ შესამოსლისა ხუცესნი აღასრულებდნენ წირვასა თჳსითავე შესამოსლითა და ესე დიდი წვალებაი არს...“ – წერდა რამდენიმე ათეული წლით ადრე ექვთიმე მთაწმიდელი. იხ. მცირე სჯულის კანონი, თბ., 1973. **110.** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 309; **111.** იქვე, გვ. 308; **112.** იქვე, გვ. 308; **113.** იქვე, გვ. 308; **114.** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 308. **115.** იქვე, გვ. 309; **116.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 231. შენიშვნა 1. **117.** ძეგლები, 1978 წ., გვ. 309; **118.** იქვე, გვ. 309; **119.** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, 1978, გვ. 309; **120.** იქვე, გვ. 309. **121.** იხ. ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, I, 1996, გვ. 447; **122.** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, 1978, გვ. 310. **123.** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, 1978, გვ. 310; **124.** იქვე, გვ. 311. **125.** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 312; **126.** იქვე, გვ. 302; **127.** მარიამ დედოფალი ქართლის ეკლესიის მსახურად სქემ-მონაზვნად აღკვეცა წმიდა გიორგი მთაწმიდელმა. **128.** ბ. ლომინაძე, საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია. საღვთისმეტყველო

კრებული, 1981, №12, გვ. 97. **129.** ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, გვ. 51. **130.** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, 1978, გვ. 326; **131.** დიდი სჯულის კანონი, 1975წ., გვ. 553; **132.** ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 1970 წ., გვ. 161; **133.** იქვე, გვ. 388; **134.** იქვე, გვ. 390; **135.** იქვე, გვ. 342; **136.** ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 489; **137.** იქვე, გვ.. 492; **138.** იქვე, გვ. 493. **139.** იქვე, გვ. 495; **140.** იქვე, გვ. 527; **141.** იქვე, გვ. 565; **142.** იქვე, გვ. 570; **143.** იქვე, გვ. 577; **144.** იქვე, გვ. 596; **145.** იქვე, გვ. 603; **146.** ბ. ლომინაძე – საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია. საღვთისმეტყველო კრებული, 1981 წ., №12, გვ. 97; **147.** კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ისტორიისათვის მონღოლთა ბატონობის ხანაში, ეტიუდები, ტ. II, 1945 წ., გვ. 318-319. თ. ბოცვაძე, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან, 1968 წ., გვ. 116-205. თ. პაპუაშვილი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, 1970 წ., გვ. 332-335. **148.** [illegible], [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible], [illegible], [illegible], [illegible], [illegible]. **1966** [illegible]. **49; 149.** საქართველოს ისტორია (ლექსიკონი), 1979 წ., გვ. 88. **150.** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, 1978, გვ. 311; **151.** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, 1978, გვ. 315-316; **152.** იქვე, გვ. 325. **153.** საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, 1979 წ., გვ. 255-256; **154.** ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, 1967, გვ. 113. **155.** ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 1970, გვ. 675; **156.** იქვე, გვ. 923; **157.** იქვე, გვ. 901; **158.** ქართლის ცხოვრება, II, 1959 წ., გვ. 118; **159.** ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 1970 წ., გვ.180. **160.** ი.ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, წ. I, 1984 წ., გვ. 56; **161.** [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible]. **13, 1883,** [illegible]. **47; 162.** ეპისკოპოსი კირიონი, ხერსონის ქართველთა მონასტერი, საღვთისმეტყველო კრებული, 1981 წ., №12, გვ. 17; **163.** ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1959 წ., გვ. 370; **164.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 232. **165.** იქვე, გვ. 231, შენიშვნა I; **166.** ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. 1970 წ., გვ. 923; **167.** [illegible]. [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]-[illegible] [illegible] [illegible] X-XIII [illegible]., მაცნე, ისტორიის სერია, 1988 წ., №2, გვ. 165-168; **168.** გ. ღამბაშიძე, „მეტყველი ძეგლები“, გაზ. „კომუნისტი“, 1986 წ., № 120. გ. ღამბაშიძე, საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კულტურულ-ისტორიული ურთიერთობა, ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, V, 1987 წ., გვ. 11-13. **169.** ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 232; **170.** კ. კეკელიძე, ეტიუდები, II, 1945 წ., გვ. 314. **171.** მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, 1985 წ., გვ. 140; **172.** გეორგიკა, ტ. IV, ნაკვეთი II, გვ. 271; **173.** პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 297; **174.** მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984 წ.„ გვ. 77; **175.** იქვე, გვ. 73. **176.** იქვე, გვ. 70; **177.** მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984 წ., გვ. 108; **178.** იქვე, გვ. 249; **179.** [illegible], **1982** [illegible]., გ. წულაიას შესავალი, გვ. 15; **180.** შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, გვ. 256. **181.** ლივუ სტან, „ბალკანეთის ეკლესიათა ყოფა ოსმალეთის იმპერიაში“, „ბისერიკა ორთოდოსა რომანა“, 1949, №11-12. ჟმპ, 1951, III, გვ. 23-24; **182.** იხ. შ. ლომსაძე, „ახალციხური ქრონიკები“. **183.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 231-232; **184.** იქვე, გვ. 231, შენიშვნა I. **185.** ვ.გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, 1994 წ., გვ. 230; **186.** იქვე, გვ. 230. **187.** ვ. გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, გვ. 233. **188.** ვ. გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, გვ. 233. **189.** დიდი სჯულის კანონი, 1975, გვ. 267. **190.** დიდი სჯულის კანონი, 1975 წ., გვ. 386; **191.** იქვე, გვ. 386; **192.** ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 86; **193.** დიდი სჯულისკანონი, გვ. 407; **194.** იქვე, გვ. 418. **195.** მიტროპოლიტი მაქსიმე, ქართული ეკლესია..., გვ. 47-48; **196.**

[illegible] „[illegible]“, 1981; **197.** [illegible] „[illegible] [illegible]“, 1982. **198.** 1693 წლის აპრილში მსოფლიო პატრიარქი კალინიკოს II წერდა: „[illegible] [illegible]. [illegible] [illegible], [illegible], [illegible], [illegible] (ეკლესიის [illegible]: [illegible] [illegible]) [illegible], [illegible] [illegible]... [illegible] [illegible], [illegible] [illegible], [illegible] [illegible]“ ([illegible] [illegible] „[illegible]“, 1981, [illegible].7). როგორც აღნიშნული იყო, უცხოელები „ზემო იბერიის საარქიეპისკოპოსოს“ უწოდებდნენ ქართლის საკათალიკოსოს, ხოლო „ქვემო იბერიის საარქიეპისკოპოსოს“ - აფხაზეთის საკათალიკოსოს. **199.** ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 66. **200.** დიდი სჯულის კანონი, გვ. 275; **201.** საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, 1984 წ., გვ. 280; **202.** დიდი სჯულის ჯანონი, 1975 წ., გვ. 386. **203.** სამართლის ძეგლები, II, გვ. 28; **204.** იქვე, გვ. 40-41; **205.** იქვე, გვ. 66; **206.** სამართლის ძეგლები, II, გვ. 66. **207.** ა. კარტაშევი, მსოფლიო კრებები, 1963 წ., გვ. 425; **208.** ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის წიგნსაცავებსა და არქივებში, ტ. I, გვ. 101; **209.** ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის წიგნსაცავებსა და არქივებში, წ. I, გვ. 101-102. **210.** იქვე, გვ. 214; **211.** ი. ტაბაღუა – საქართველო ევროპის წიგნსაცავებსა და არქივებში, წ. I, გვ. 214-215. **212.** იქვე, გვ. 215; **213.** [illegible], 1985; **214.** [illegible] „[illegible]“ [illegible]. **11. 215.** ევ. ნიკოლაძე, საქართველოს ეკლესიის ისტორია, 1918 წ., გვ. 188; **216.** ო. ჟუჟუნაძე, XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის, კრებული – „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“, წ. I, 1970 წ., გვ. 10. **217.** ო. ჟუჟუნაძე, XV საუკუნის I ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის, დასახელებული კრებული, 1970 წ., გვ. 12-15; **218.** ლ. ტარდი, – უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, 1980 წ., გვ. 17. **219.** ო. ჟუჟუნაძე, XV საუკუნის I ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის, დასახელებული კრებული, 1970 წ., გვ. 16; **220.** ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, გვ. 241; **221.** იქვე, გვ. 72. **222.** ო. ჟუჟუნაძე, XV საუკუნის I ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის, დასახელებული კრებული, 1970 წ., გვ. 16; „აქტა ლატინა“, გვ. 333; **223.** იქვე, გვ. 51; იქვე, გვ. 89; **224.** ო. ჟუჟუნაძე, XV საკუნის I ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის, დასახელებული კრებული, 1970 წ., გვ. 20. **225.** იქვე, გვ. 72; **226.** იქვე, გვ. 54; **227.** იქვე, გვ. 32; **228.** იქვე. გვ. 57; **229.** [illegible], 1963 [illegible]., [illegible]. 425; **230.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 147. **231.** სამართლის ძეგლები, ტ. II. გვ. 537; **232.** იქვე, გვ. 537; **233.** იქვე, გვ. 537; **234.** იქვე, გვ. 536-537. **235.** სამართლის ძეგლები, ტ.II, გვ. 47-49. **236.** სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 401; **237.** იქვე, გვ. 48; **238.** იქვე, გვ. 49; **239.** იქვე, გვ. 53; **240.** სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 536. **241.** იქვე, გვ. 400; **242.** იქვე, გვ. 90; **243.** სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 93. **244.** იქვე, გვ. 90; **245.** იქვე, გვ. 91; **246.** იქვე, გვ. 91; **247.** იქვე, გვ. 91. **248.** იქვე, გვ. 95; **249.** იქვე, გვ. 91; **250.** იქვე, გვ. 91; **251.** იქვე, გვ. 48. შენიშვნა I; **252.** იქვე, გვ. 415. **253.** სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 401; **254.** იქვე, გვ. 401.

თავი IX

1. ა. აბდალაძე, „ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში, 1988 წ., გვ. 182; **2.** „[illegible] **6-10** [illegible] **1980,** [illegible]. **349. 3.** ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1984 წ., გვ. 734; **4.** იქვე, გვ. 734-737; **5.** პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954 წ., გვ. 404. **6.** ე. ჯიოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, 1984 წ., გვ. 111; **7.** ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, 1984 წ., გვ. 98; **8.** იქვე, გვ. 211. **9.** „[illegible] (?). [illegible] „[illegible]“ [illegible] **1930** [illegible] XVI [illegible] (ი) [illegible]: [illegible]. [illegible] (**[illegible]**), ი [illegible] - [illegible]. ი **1931** [illegible]... [illegible] „[illegible]“, „[illegible]“, „[illegible]“, „[illegible]“... [illegible] (**[illegible]**) [illegible] „[illegible]“ [illegible] ი [illegible]...“ ი. [illegible], „[illegible]“, „[illegible]“ **25** [illegible], **1988** ი., ი**21,** [illegible]. **12;** **10.** ი. აბულაძე, შრომები, ტ. IV, 1985 წ., გვ. 10; **11.** პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954 წ., გვ. 404-405. **12.** პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954 წ., გვ. 400; **13.** იქვე, გვ. 410; **14.** იქვე, გვ. 414; **15.** პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954 წ., გვ. 415; **16.** იქვე, გვ. 415; **17.** ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, 1984 წ., გვ. 48. **18.** „ეკუმენი“ – ბერძნულ-რომაულ ანუ ცივილურ სამყაროს (რომის იმპერიის ტერიტორიას) ეწოდებოდა; **19.** ი. [illegible], [illegible], [illegible], **1963** ი., [illegible]. **568-572. 20.** იქვე, გვ. 574; **21.** ი. [illegible], [illegible], [illegible], **1963** ი., [illegible]. **573-574; 22.** ერეკლე (ირაკლი) – იგულისხმება ბიზანტიის იმპერატორი – ჰერაკლე. **23.** ი. [illegible], [illegible], [illegible], **1963** ი., [illegible]. **588; 24.** ი. [illegible], [illegible], [illegible], **1963** ი., [illegible]. **585-690. 25.** ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VII, 1984 წ., გვ. 98. **26.** ი. [illegible], [illegible], [illegible], **1963** ი., [illegible]. **639-658; 27.** იქვე, გვ. 670. **28.** ი. [illegible], [illegible], [illegible], **1963** ი., [illegible]. **670-674. 29.** ი. [illegible], [illegible], [illegible], **1963** ი., [illegible]. **696; 30.** იქვე, გვ. 556. **31.** ი. [illegible], [illegible], [illegible], **1963** ი., [illegible]. **696-751. 32.** ი. [illegible], [illegible], [illegible], **1963** ი., [illegible]. **751; 33.** ა. აბდალაძე, „ლეგენდა და სინამდვილე“, ლიტ. საქართველო, 1988, 19. II., გვ. 11-12. **34.** ა. აბდალაძე, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში, 1988, გვ. 99; **35.** იქვე, გვ. 99-100. **36.** ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955 წ., გვ. 250. **37.** ალ. აბდალაძე, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში, 1988, გვ. 173. **38.** იქვე, გვ. 176; **39.** ალ. აბდალაძე, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა, 1988 წ., გვ. 178. **40.** იქვე, გვ. 178. შენიშვნა 28; **41.** იქვე, გვ. 144; **42.** იქვე, გვ. 11; **43.** იქვე, გვ. 75; **44.** იქვე, გვ. 177. შენიშვნა. **45.** ალ. აბდალაძე, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა, 1988 წ., გვ. 181. **46.** ძველი ქართული ლიტერატურის

ქრესტომათია, წ. I, 1946 წ., გვ. 129; **47.** იქვე, გვ. 129; **48.** ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955 წ., გვ. 243. **49.** ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, წ. I, 1946 წ., გვ. 130. **50.** ალ. აბდალაძე, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა, 1988 წ., გვ. 77-78; **51.** იქვე, გვ. 81; **52.** იქვე, გვ. 78. **53.** ალ. აბდალაძე, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერ-თობა, 1988 წ., გვ. 82; **54.** იქვე, გვ. 84. **55.** კ. დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, 1983 წ., გვ. 356. **56.** კ. დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, 1983 წ., გვ. 130; **57.** იქვე, გვ. 129; **58.** იქვე, გვ. 131; **59.** იქვე, გვ. 162; **60.** იქვე, გვ. 162; **61.** იქვე, გვ. 165; **62.** იქვე, გვ. 127; **63.** იქვე, გვ. 133; **64.** იქვე, გვ. 133; **65.** იქვე, გვ. 134; **66.** იქვე, გვ. 135; **67.** იქვე, გვ. 135; **68.** იქვე, გვ. 136. **69.** მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984 წ., გვ. 224; **70.** იქვე, გვ. 235; **71.** იქვე, გვ. 236; **72.** იქვე, გვ. 6. **73.** უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, 1975 წ., გვ. 107. **74.** სინური მრავალთავი, ა. შანიძის ბოლოსიტყვაობა, 1959 წ., გვ. 295; **75.** კ. დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, 1983 წ., გვ. 297. **76.** კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1980, გვ. 47; **77.** იქვე, გვ. 52; **78.** იქვე, გვ. 53; **79.** იქვე, გვ. 53-54; **80.** იქვე, გვ. 55; **81.** იქვე, გვ. 55; **82.** კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. 1980 წ, გვ. 57; **83.** კ. დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, 1983 წ., გვ. 356-357; **84.** იქვე, გვ. 211; **85.** იქვე, გვ. 250. **86.** იქვე, გვ. 299; **87.** იქვე, გვ. 301; **88.** იქვე, გვ. 303; **89.** გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს გაძლიერება ახ. წ. I-II საუკუნეებში. ნარკვ. I, 1970, გვ. 518-521. იხ. მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, №4, 1987, გვ. 170-191; **90.** გიორგი მცირე, ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, 1967, გვ. 123. **91.** ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955 წ., გვ. 16; **92.** იქვე, გვ. 16; **93.** იქვე, გვ. 17; **94.** იქვე, გვ. 26; **95.** იქვე, გვ. 6; **96.** იქვე, გვ. 7; **97.** იქვე. გვ. 4; **98.** ა. ბოგვერაძე, ლეონტი მროველის ერთი ისტორიული კონცეფციის შესახებ, „მაცნე", ისტორიის სერია, №4, 1987 წ., გვ. 174; **99.** ა. აბდალაძე, „ცხოვრება ქართველთა მეფეთას" არმენოფილური ტენდენციისათვის, „მაცნე", ისტ. სერია, №4, 1987 წ., გვ. 191; **100.** იქვე, გვ. 191. **101.** საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 1970 წ., გვ. 518-519; **102.** იქვე, გვ. 521; **103.** ა. აბდალაძე, „ცხოვრება ქართველთა მეფეთას" არმენოფილური ტენდენციისათვის. „მაცნე", ისტორიის სერია, №4, 1987 წ., გვ. 191. **104.** ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955 წ., გვ. 16. **105.** პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. III, 1965 წ., გვ. 212; **106.** იქვე, გვ. 211-212. **107.** შ. ბადრიძე, „ქართლის ცხოვრების" არქაული ნაწილის ინტერპრეტაციისათვის, „მაცნე", ისტორიის სერია, 1987 წ., №4, გვ. 179. **108.** ქ. ცხადაძე, „ახალი ქართლის ცხოვრების" ერთი ჩანართის წყარო, „მაცნე", ენისა და ლიტერა-ტურის სერია, №1, 1986 წ., გვ. 90; **109.** იქვე, გვ. 94. **110.** ა. ბოგვერაძე, ლეონტი მროველის ერთი ისტორიული კონცეფციის შესახებ, „მაცნე", ისტორიის სერია, №4, 1987 წ., გვ. 174; **111.** იქვე, გვ. 191; **112.** იქვე, გვ. 174; **113.** გიორგი ანჩაბაძე, ჯუანშერ და მისი „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა", „მაცნე", ისტორიის სერია, №4, 1987 წ., გვ. 186. **114.** ე. გოილაძე, საქართვე-ლოს, სომხეთისა და ალბანეთის ისტორიის საკითხები, კრებული – საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, V, 1986 წ., გვ. 21; **115.** იქვე, გვ. 20; **116.** პ. ინგოროყვა, თხზულებანი, ტ. III. 1965 წ., გვ. 188-192; **117.** ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955 წ., გვ. 22; **118.** იქვე, გვ. 6. **119.** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. III, 1971 წ., გვ. 47; **120.** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. I, 1964 წ; **121.**

ქართლის ცხოვრება, 1955 წ. **122.** ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, 1967 წ., გვ. 151; **123.** იქვე, გვ. 120; **124.** შ. ბადრიძე, „ქართლის ცხოვრების“ არქაული ნაწილის ინტერპრეტაციისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1987 წ., №4, გვ. 179. **125.** ივ. ლოლაშვილი, „არსენ იყალთოელი“, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, 1978 წ., გვ. 632. **126.** დიდი სჯულის კანონი, 1976 წ., გვ. 557; **127.** მცირე უწყებანი, 1982 წ., გვ. 170; **128.** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. III, 1971 წ., გვ. 47. **129.** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. III, 1971 წ., გვ. 47. **130.** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. III, 1971 წ., გვ. 46; **131.** იქვე, გვ. 42; **132.** იქვე, გვ. 46-47; **133.** იქვე, გვ. 51. **134.** ვ. გოილაძე, საქართველოს, სომხეთისა და ალბანეთის ისტორიის საკითხები, კრებული – საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, 1986 წ., გვ. 20, შენიშვნა – 8. **135.** ვ. გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, 1984 წ., გვ.59 შენიშვნა 3; **136.** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. I, 1964 წ., გვ.191; **137.** პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954 წ., გვ 423; **138.** იქვე, გვ. 423; **139.** პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954 წ., გვ. 367-371; **140.** მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984 წ., გვ. 228; **141.** ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955 წ., გვ. 8; **142.** პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი, ა. შანიძე, ტ. IX, 1986 წ., გვ. 117; **143.** იქვე, გვ. 231. **144.** ი. აბულაძე, შრომები, ტ. IV, 1985 წ., გვ. 139; **145.** იქვე, გვ. 137; **146.** იქვე, გვ. 151-152. **147.** ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. VIII, 1977 წ., გვ. 284. **148.** იქვე, გვ. 289-290; **149.** ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. VIII, 1977 წ., გვ. 283; **150.** იქვე, გვ. 284; **151.** ო. გვილავა, ისპაჰანი, შირაზი, ქაშანი, 1980 წ., გვ. 102. **152.** ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. VIII, გვ. 287; **153.** ქ. ცხადაძე, „ახალი ქართლის ცხოვრება – ერთი ჩანართის წყარო, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1986 წ., №1, გვ. 85. **154.** ქ. ცხადაძე, „ახალი ქართლის ცხოვრება – ერთი ჩანართის წყარო, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1986 წ., №1, გვ. 92; **155.** იქვე, გვ. 88; **156.** იქვე, გვ. 88. **157.** [illegible], 1980, [illegible]. 77-78. **158.** მართლმადიდებლური სამყაროს ბურჯს, ბიზანტიას, ებრძოდნენ სპარსელები, არაბები და თურქები VI-XV სს-ში, ხოლო ბიზანტიის დაცემის შემდეგ ახალ ბურჯს მართლმადიდებლური მსოფლიოსი, რუსეთს, ებრძოდნენ თურქები და სპარსელები XVI-XIX სს-ში. **159.** გ. ორმანიანი, სომხური ეკლესია, 1913 წ., გვ. 74; შ. ლომსაძე, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, 1979 წ., გვ. 27; **160.** იქვე, გვ. 24; **161.** შ. ლომსაძე, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, 1979 წ., გვ. 42-43; **162.** იქვე, გვ. 22; **163.** შ. ლომსაძე, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, 1979 წ., გვ. 22-24; **164.** ო. გვილავა, ისპაჰანი, შირაზი, ქაშანი, 1980 წ., გვ. 103; **165.** შ. ლომსაძე, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, 1979 წ., გვ. 39; **166.** იქვე, გვ. 38; **167.** იქვე, გვ. 40; **168.** იქვე, გვ. 38; **169.** იქვე, გვ. 40; **170.** მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902 წ., გვ. 127; **171.** იქვე, გვ. 53; **172.** იქვე, გვ. 53. **173.** იქვე, გვ. 126; **174.** შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, 1975 წ., გვ. 302; **175.** იქვე, გვ. 302; **176.** იქვე, გვ. 302-303; **177.** გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა, 1982 წ., გვ. 268; **178.** იქვე, გვ. 315. **179.** მ. თამარაშვილი, პასუხად სომხის მწერლებს, 1904 წ., გვ. 67; **180.** იქვე, გვ. 67; **181.** იქვე, გვ. 73. **182.** მ. თამარაშვილი, პასუხად სომხის მწერლებს, 1904 წ., გვ. 67; **183.** იქვე, გვ. 78; **184.** იქვე, გვ. 58; **185.** მ. თამარაშვილი, პასუხად სომხის მწერლებს, 1904 წ., გვ. 58; **186.** იქვე, გვ. 52; **187.** იქვე, გვ. 60-67; **188.** ევ. ნიკოლაძე, საქართველოს ეკლესიის ისტორია, 1918 წ., გვ. 145; **189.** იქვე,

გვ. 146; **190.** ევ. ნიკოლაძე, საქართველოს ეკლესიის ისტორია, 1918, გვ. 148; **191.** ს. ავალიანი, ანტონ I, 1987 წ., გვ. 21; **192.** „მზამეტყველება“ ქმნილი ანტონი I საქართველოს კათალიკოსისაგან, 1882 წ., გვ. 5; **193.** ევ. ნიკოლაძე, საქართველოს ეკლესიის ისტორია, 1913, გვ. 147-148; **194.** იქვე, გვ. 147. **195.** გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხის ურთიერთობა, 1982 წ., გვ. 264-267; **196.** იქვე, გვ. 267-268; **197.** იქვე, გვ. 269; **198.** გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხის ურთიერთობა, 1982 წ., გვ. 264; **199.** მ. თამარაშვილი, პასუხად სომხის მწერლებს, 1904 წ., გვ. 75-78; **200.** იქვე, გვ. 75; **201.** იქვე, გვ. 72; **202.** იქვე, გვ. 75; **203.** მ. თამარაშვილი, პასუხად სომხის მწერლებს, 1904 წ., გვ. 75; **204.** ს. ავალიანი, ანტონ I, 1987 წ., გვ. 33; **205.** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, 1978 წ., გვ. 287; **206.** „მზამეტყველება“, ქმნილი ანტონი I საქართველოს კათალიკოზისაგან, 1882 წ., გვ. 596-597; **207.** იქვე, გვ. 112; **208.** გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხის ურთიერთობა, 1982 წ., გვ. 265; **209.** მ. თამარაშვილი, პასუხად სომხის მწერლებს, 1904 წ., გვ. 78; **210.** გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხის ურთიერთობა, 1982, გვ. 166; **211.** იქვე, გვ. 149; **212.** იქვე, გვ. 166; **213.** იქვე, გვ. 167; **214.** თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, 1897 წ., გვ. 459; **215.** იქვე, გვ. 460; **216.** იქვე, გვ. 460; **217.** გ. ჟორჟოლიანი, საქართველო XVII საუკუნის 30-50-იან წლებში, 1987 წ., გვ. 62; **218.** იქვე, გვ. 63; **219.** იქვე, გვ. 71; **220.** იქვე, გვ. 71-72; **221.** გ. ჟორჟოლიანი, საქართველო XVII საუკუნის 30-50-იან წლებში, 1987 წ., გვ. 72; **222.** გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხის ურთიერთობა, 1982 წ., გვ. 172; **223.** იქვე, გვ. 173; **224.** იქვე, გვ. 175; **225.** მ თამარაშვილი, პასუხად სომხის მწერლებს, 1904 წ., გვ. 238; **226.** გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხის ურთიერთობა, 1982 წ., გვ. 176; **227.** იქვე, გვ. 304; **228.** მ თამარაშვილი, პასუხად სომხის მწერლებს, 1904 წ., გვ. 238; **229.** მ. თამარაშვილი, პასუხად სომხის მწერლებს, 1904, 205. **230.** ზ. ჭიჭინაძე, ქართველი გრიგორიანები, 1906 წ., გვ. 68; **231.** გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხის ურთიერთობა, 1982 წ., გვ. 305; **232.** გრ. რობაქიძე, გველის პერანგი, 1988 წ., გვ. 70; **233.** გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხის ურთიერთობა, 1982 წ., გვ. 319; **234.** იქვე, გვ. 312; **235.** იქვე, გვ. 312; **236.** მ. თამარაშვილი, პასუხად სომხის მწერლებს, 1904, გვ. 234; **237.** იქვე, გვ. 315-316; **238.** იქვე, გვ. 310; **239.** იქვე, გვ. 311; **240.** ზ. ჭიჭინაძე, ქართველი გრიგორიანები, 1906 წ., გვ. 21-105. **241.** იქვე, გვ. 94-112. **242.** შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, 1975 წ., გვ. 501-502; **243.** მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 411-412; **244.** მ. თამარაშვილი, პასუხად სომხის მწერლებს, 1904, გვ. 123; **245.** იქვე, გვ. 124-125; **246.** იქვე, გვ. 126; **247.** მ. თამარაშვილი, პასუხად სომხის მწერლებს, 1904, გვ. 110; **248.** იქვე, გვ. 232; **249.** იქვე, გვ. 156; **250.** გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, 1962 წ., გვ. 89-91; **251.** იქვე, გვ. 185; **252.** იქვე, ტ, II, გვ. 91; **253.** იქვე, გვ. 101; **254.** ნ. ბერძენიშვილი, ტ. VIII, ნაწილი I, 1958 წ., გვ. 245; **255.** რ. თოფჩიშვილი, ქსნის ხეობის ზოგიერთი ეთნოისტორიული საკითხი, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1987 წ., №4, გვ. 35; **256.** რ. თოფჩიშვილი, ქსნის ხეობის ზოგიერთი ეთნოისტორიული საკითხი, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1987 წ., №4, გვ. 39; **257.** გ. ჯალაბაძე, ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში, კრებული – „შიდა ქართლი“, 1987 წ., გვ. 17-18; **258.** რ. თოფჩიშვილი, XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის მასალები, მნათობი, 1987 წ., №12, გვ. 158-160; **259.** [illegible], [illegible] [illegible], [illegible] [illegible]-[illegible] [illegible]. [illegible], 1978, [illegible]. 16-17; **260.** რ. თოფჩიშვილი, XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის მასალები საქართველოს ეთნოისტორიის და სოციალ-

ური ყოფის შესახებ,. მნათობი, 1987 წ., №12, გვ. 158-160; **261.** თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, 1987 წ., გვ. 475. **262.** ქ. შარაშიძე, ერევანში მივლინების ანგარიში, „მრავალთავი“, XIII, 1986 წ., გვ. 114; **263.** იქვე, XIII, 1986 წ., გვ. 115; **264.** ქ. შარაშიძე, ერევანში მივლინების ანგარიში, „მრავალთავი“, XIII, 1986 წ., გვ. 117; **265.** საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 1970- წ., გვ. 330.

თავი X

1. ი. ლოლაშვილი, არსენ იყალთოელი, 1978, გვ. 158; **2.** იქვე, გვ 48; **3.** იქვე, გვ. 49; **4.** ი. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 64; **5.** პ. რატიანი, თბილელი ბერები, 1989, გვ. 81.; **6.** იქვე, გვ. 81; **7.** ივ. ჯავახიშვილი, II, 1983, გვ. 197; **8.** იქვე, გვ. 197; **9.** ივ. ჯავახიშვილი, VII, 1984, გვ. 168; **10.** ლ. გრიგოლაშვილი, „გალობანი სინანულისანის“ ტექსტი, „ჯვარი ვაზისა“, №25, 1989, გვ. 26; **11.** ივ. ჯავახიშვილი, II, გვ. 210; **12.** იქვე, გვ. 218; **13.** ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, 1989, გვ. 17; **14.** იქვე, გვ. 19; **15.** იქვე, გვ. 96; **16.** შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, III, 1986, გვ. 75; **17.** იქვე, გვ. 70; **18.** შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 134; **19.** იქვე, გვ. 135; **20.** ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 108, (იხ. მიმოხილვა მარკო პოლოს მოგზაურობის ცნობილ ინგლისურ გამოცემაში...); **21.** საქ. ეკლ. კალენდარი, 1987 წ., გვ. 468; **22.** დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 549; **23.** ი. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 60; **24.** იქვე, გვ. 14. 4 იქვე, გვ. 86; **25.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 353; **26.** ივ. ჯავახიშვილი, VII, გვ. 248-249; **27.** იქვე, გვ. 248; **28.** საბჭოთა ენციკლოპედიური ლექსიკონის სიტყვანი, 1980, რუსულ ენაზე, გვ. 1329; **29.** ივ. ჯავახიშვილი, II, გვ. 213; **30.** ქართული სამართლის ძეგლები, 1965, II, გვ. 18; **31.** „ხელმწიფის კარის გარიგება“, ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 95; **32.** იქვე, გვ. 90; **33.** საქ. ისტ. ნარკვ., III, გვ. 220-223; **34.** ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 82; **35.** საქ. ისტ. ნარკვ., III, 1979, გვ. 216; **36.** იქვე, გვ. 218; **37.** ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 92; **38.** ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. 34; **39.** ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 253; **40.** საქ. ისტ. ნარკვ., III, 1979, გვ. 353; **41.** იქვე, გვ. 638; **42.** ივ. ჯავახიშვილი, VI, 1982, გვ. 67; **43.** იქვე, გვ. 67; **44.** საქ. ისტ. ნარკვ., III, გვ. 234; **45.** იქვე, გვ. 235; **46.** სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ასეთ ურთიერთობას, ზოგჯერ ეწოდება „სიმ-ფონია“; **47.** ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 20; **48.** საქ. ისტ. ნარკვ., III, გვ. 215-216; **49.** ივ. ჯავახიშვილი, II, გვ. 212-213; **50.** პ. რატიანი, თბილელი ბერები, გვ. 79; **51.** ივ. ჯავახიშვილი, II, გვ. 188; **52.** ივ. ჯავახიშვილი, II, გვ. 190; **53.** იქვე, გვ. 191; **54.** დიდი სჯულის კანონი, 1975, გვ. 550; **55.** საქ. ისტ. ნარკვ., III, გვ. 215; **56.** იქვე, გვ. 214; **57.** ივ. ჯავახიშვილი, VII, გვ. 28; **58.** იქვე, გვ. 29; **59.** იქვე, გვ. 314; **60.** იქვე, გვ. 57; **61.** ივ. ჯავახიშვილი, VII, 1984, გვ. 63; **62.** იქვე, გვ. 82; **63.** იქვე, გვ. 83; **64.** იქვე, გვ. 84; **65.** იქვე, გვ. 68; **66.** იქვე, გვ. 68; **67.** ე. გაბიძაშვილის მიხედვით, არა 8, არამედ 18 წლისა. **68.** ივ. ჯავახიშვილი, VII, 1984, გვ. 15; **69.** იქვე, გვ. 16; **70.** იქვე, გვ. 17; **71.** იქვე, გვ. 16; **72.** იქვე, გვ. 51; **73.** იქვე, გვ. 52; **74.** იქვე, გვ. 51; **75.** იქვე, გვ. 42; **76.** იქვე, 41; **77.** იქვე, გვ. 43; **78.** იქვე, გვ. 45; **79.** იქვე, გვ. 247; **80.** იქვე, გვ. 247; **81.** დიდი სჯულის კანონი, გვ. 553; **82.** საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987, გვ. 473; **83.** იქვე, გვ. 473; **84.** იქვე, გვ. 474; **85.** იქვე, გვ. 475; **86.** იქვე, გვ. 557; **87.** საქ. ისტ. ნარკვ., III, გვ. 153; **88.** პ. რატიანი, თბილელი

ბერები, 1989, გვ. 29. **89.** იქვე, გვ. 35; **90.** იქვე, გვ. 26; **91.** იქვე, გვ. 6; **92.** იქვე, გვ. 48; **93.** იქვე, გვ. 37; **94.** ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 34-35; **95.** ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 58; **96.** იქვე, გვ. 38-39; **97.** პ. რატიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 41-45, 55; **98.** საქ. ისტ. ნარკვ., III, გვ. 230; **99.** ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IX, 1979, გვ. 73-74; **100.** იქვე, გვ. 94; **101.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 335; **102.** ივ. ჯავახიშვილი, II, 1983, გვ. 215; **103.** ივ. ჯავახიშვილი, II, 1983, გვ. 200; **104.** შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, III, გვ. 74; **105.** იქვე, გვ. 42; **106.** იქვე, გვ. 42; **107.** შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 92; **108.** ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 97; **109.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 346; **110.** ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 209; **111.** შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 37; **112.** იქვე, გვ. 35; **113.** იქვე, გვ. 37-40; **114.** იქვე, გვ. 39;

თამარ მეფე

1. ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 26; **2.** იქვე, გვ. 27; **3.** იქვე, გვ. 27; **4.** იქვე, გვ. 118; **5.** იქვე, გვ. 119; **6.** იქვე, გვ. 30; **7.** იქვე, გვ. 31; **8.** იქვე, გვ. 33. **9.** იქვე, გვ. 119; **10.** იქვე, გვ. 120; **11.** იქვე, გვ. 41; **12.** იქვე, გვ. 45; **13.** იქვე, გვ. 121; **14.** იქვე, გვ. 49; **15.** იქვე, გვ. 50; **16.** იქვე, გვ. 51; **17.** იქვე, გვ. 54; **18.** იქვე, გვ. 54; **19.** იქვე, გვ. 122. **20.** იქვე, გვ. 123; **21.** იქვე, გვ. 55; **22.** იქვე, გვ. 151; **23.** იქვე, გვ. 58; **24.** იქვე, გვ. 58; **25.** იქვე, გვ. 58; **26.** იქვე, გვ. 60; **27.** იქვე, გვ. 125; **28.** იქვე, გვ. 72; **29.** იქვე, გვ. 72; **30.** იქვე, გვ. 90; **31.** იქვე, გვ. 106; **32.** იქვე, გვ. 129. **33.** იქვე, გვ. 130; **34.** იქვე, გვ. 148; **35.** იქვე, გვ. 91; **36.** იქვე, გვ. 91; **37.** იქვე, გვ. 93; **38.** იქვე, გვ. 95; **39.** იქვე, გვ. 141; **40.** იქვე, გვ. 142; **41.** იქვე, გვ. 103; **42.** იქვე, გვ. 104; **43.** იქვე, გვ. 107; **44.** იქვე, გვ. 110; **45.** იქვე, გვ. 110; **46.** მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., 1902, გვ. 8; **47.** იქვე, გვ. 11; **48.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 170; **49.** იქვე, გვ. 170; **50.** საქ. ისტ. ნარკვ., III, გვ. 542; **51.** იქვე, გვ. 545; **52.** იქვე, გვ. 547-548; **53.** იქვე, გვ. 550; **54.** იქვე, გვ. 550; **55.** ივ. ჯავახიშვილი, VII, 1984, გვ. 113; **56.** ნ. ბერძენიშვილი, IX, 1979, გვ. 136; **57.** ივ. ჯავახიშვილი, VII, 1984, გვ. 115; **58.** ივ. ჯავახიშვილი, VII, 1984, გვ. 115; **59.** იქვე, გვ. 117; **60.** იქვე, გვ. 119; **61.** იქვე, გვ. 118; **62.** იქვე, გვ. 119; **63.** ნ. ბერძენიშვილი, IX, გვ. 136; **64.** იქვე, გვ. 150; **65.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 82; **66.** იქვე, გვ. 83; **67.** ი. ანთელავა, XI-XV საუკუნის საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, 1980, გვ. 192; **68.** ქართ. სამართ. ძეგლები, II, გვ. 82; **69.** ი. ანთელავა, დასახ. ნაშრ., გვ. 192; **70.** იქვე, გვ. 190; **71.** იქვე, გვ. 191; **72.** იქვე, გვ. 190; **73.** ივ. ჯავახიშვილი, VI, 1982, გვ. 273; **74.** იქვე, გვ. 274-276; **75.** იქვე, გვ. 282; **76.** იქვე, გვ. 285; **77.** იქვე, გვ. 289; **78.** იქვე, გვ. 314; **79.** იქვე, გვ. 313; **80.** ნ. ბერძენიშვილი, IX, გვ. 129; **81.** იქვე, გვ. 137-140; **82.** იქვე, გვ. 197; **83.** იქვე, გვ. 198; **84.** ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 157; **85.** იქვე, გვ. 167; **86.** იქვე, გვ. 199; **87.** იქვე, გვ. 200; **88.** საქ. ისტ. ნარკვ., III, გვ. 314; **89.** იქვე, გვ. 318; **90.** იქვე, გვ. 346-347; **91.** ივ. ჯავახიშვილი, VII, გვ. 91; **92.** იქვე, გვ. 91; **93.** საქ. ისტ. ნარკვ., III, გვ. 563; **94.** ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 19; **95.** იქვე, გვ. 18; **96.** შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, III, გვ. 153-154; **97.** ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი, გვ. 155. **98.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 147; **99.** იქვე, გვ. 147; **100.** ნ. ბერძენიშვილი, IX, გვ. 180; **101.** იქვე, გვ. 189; **102.** იქვე, გვ. 190; **103.** იქვე, გვ. 192; **104.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 34; **105.** იქვე, გვ. 81; **106.** იქვე, გვ. 121; **107.** იქვე, გვ. 141; **108.** საქ. ისტ. ნარკვ., III, გვ. 365; **109.**

ბ. ინგოროყვა, IV, 1978, გვ. 22-23; **110.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 34; **111.** იქვე, გვ. 57; **112.** იქვე, გვ. 91; **113.** იქვე, გვ. 90; **114.** იქვე, გვ. 99; **115.** იქვე, გვ. 142; **116.** იქვე, გვ. 79; **117.** იქვე, გვ. 147; **118.** ივ. ჯავახიშვილი, VII, გვ. 86; **119.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 129; **120.** იქვე, გვ. 147; **121.** იქვე, გვ. 81; **122.** იქვე, გვ. 81; **123.** იქვე, გვ. 109; **124.** იქვე, გვ 148; **125.** ივ. ჯავახიშვილი, VII, გვ. 87;

თავი XI

1. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 163; **2.** იქვე, გვ. 181; **3.** ივ. ჯავახიშვილი, ტ. III, 1982 წ., გვ. 17; **4.** იქვე, გვ. 17; **5.** იქვე, გვ. 19; **6.** იქვე, გვ. 20; **7.** იქვე, გვ. 21; **8.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 191; **9.** საქ. ისტ. ნარკვ., III, გვ. 549; **10.** იქვე, გვ. 550; **11.** იქვე, გვ. 550; **12.** იქვე, გვ. 573; **13.** იქვე, გვ. 600; **14.** იქვე, გვ. 601; **15.** იქვე, გვ. 602; **16.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 243; **17.** იქვე, გვ. 62; **18.** საქ. ისტ. ნარკვ., III, გვ. 553; **19.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 208; **20.** იქვე, გვ. 215; **21.** იქვე, გვ. 304; **22.** საქ. ისტ. ნარკვ., III, გვ. 599; **23.** იქვე, გვ. 583; **24.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 251; **25.** საქ. ისტ. ნარკვ., III, გვ. 577; **26.** იქვე, გვ. 584; **27.** იქვე, გვ. 585; **28.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 320; **29.** იქვე, გვ. 321; **30.** იქვე, გვ. 288; **31.** იქვე, გვ. 290; **32.** იქვე, გვ. 291; **33.** იქვე, გვ. 272; **34.** იქვე, გვ. 196; **35.** იქვე, გვ. 198; **36.** იქვე, გვ. 209; **37.** იქვე, გვ. 247; **38.** იქვე, გვ. 248; **39.** იქვე, გვ. 215; **40.** იქვე, 217; **41.** იქვე, გვ. 217; **42.** იქვე, გვ. 217; **43.** იქვე, გვ. 217; **44.** იქვე, 215; **45.** იქვე, გვ. 217; **46.** იქვე, გვ. 263; **47.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 250; **48.** იქვე, გვ. 218; **49.** საქ. ისტ. ნარკვ., III, გვ. 595; **50.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 154; **51.** იქვე, 156; **52.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 154; **53.** იქვე, 157; **54.** იქვე, გვ. 156; **55.** იქვე, გვ. 157; **56.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 167; **57.** იქვე, გვ. 199; **58.** იქვე, გვ. 231; **59.** იქვე, 247; **60.** იქვე, გვ. 256; **61.** იქვე, 267; **62.** იქვე, გვ. 171; **63.** იქვე, გვ. 171; **64.** საქართველოს სამოთხე, გვ. 549; **65.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 177; **66.** იქვე, 178; **67.** იქვე, გვ. 209; **68.** იქვე, გვ. 277. **69.** იქვე, 278; **70.** იქვე, გვ. 282; **71.** იქვე, გვ. 283; **72.** იქვე, 301. **73.** იქვე, გვ. 323; **74.** იქვე, გვ. 312; **75.** იქვე, გვ. 314; **76.** იქვე, გვ. 315; **77.** იქვე, გვ. 321.

თავი XII

1. ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ. 255; **2.** იქვე, გვ. 255; **3.** იქვე, გვ. 256; **4.** იქვე, გვ. 256; **5.** იქვე, გვ. 256; **6.** იქვე, გვ. 256; **7.** იქვე, გვ. 257; **8.** იქვე, გვ. 258; **9.** იქვე, გვ. 258; **10.** იქვე, გვ. 259; **11.** იქვე, გვ. 259; **12.** იქვე, გვ. 260; **13.** ივ. ჯავახიშვილი, ტ. III, 1982, გვ. 175; **14.** იქვე, გვ. 175; **15.** საქ. ისტ. ნარკვ., III, გვ. 826; **16.** იქვე, გვ. 827; **17.** იქვე, გვ. 665; **18.** ძეგლი ერისთავთა, შ. მესხიას გამოცემა, გვ. 350; **19.** საქ. ისტ. ნარკვ., III, გვ. 828; **20.** იქვე, გვ. 829; **21.** იქვე, გვ. 829; **22.** იქვე, გვ. 832; **23.** იქვე, გვ. 834; **24.** ივ. ჯავახიშვილი, ტ. III, გვ. 173; **25.** იქვე, გვ. 164-165; **26.** იქვე, გვ. 165; **27.** საქ. ისტ. ნარკვ., III, გვ. 663; **28.** იქვე, გვ. 712; **29.** იქვე, გვ. 716-717; **30.** ივ. ჯავახიშვილი, ტ. III, გვ. 226; **31.** იქვე, გვ. 227; **32.** იქვე, გვ. 228; **33.** თ. მეწოფეცი, ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლობისა, 1987, გვ. 21; **34.** იქვე, გვ. 84, შენიშნვა; **35.** ივ. ჯავახიშვილი, ტ. III, გვ. 132; **36.** იქვე, გვ. 133; **37.** იქვე, გვ. 133; **38.** ივ. ჯავახიშვილი, ტ. III, გვ. 195; **39.** საქ. ისტ. ნარკვ., III, გვ. 688; **40.** იქვე, გვ. 719; **41.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 654; **42.** იქვე, გვ. 690; **43.** საქ. ისტ. ნარკვ., III, გვ. 701; **44.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 263; **45.** იქვე, გვ. 272; **46.** იქვე, გვ 276; **47.** იქვე, გვ. 273; **48.**

იქვე, გვ. 267; **49.** იქვე, გვ. 271; **50.** იქვე, გვ. 275; **51.** საქ. ისტ. ნარკვ., III, გვ. 679, შენიშვნა; **52.** იქვე გვ. 681; **53.** იქვე, გვ. 693; **54.** ივ. ჯავახიშვილი, ტ. III, გვ. 199; **55.** საქ. ისტ. ნარკვ., III, გვ. 700; **56.** იქვე, გვ. 692; **57.** იქვე, გვ. 703; **58.** იქვე, გვ. 702; **59.** ივ. ჯავახიშვილი, ტ. III, გვ. 200; **60.** „საისტორიო მოამბე“, 1925, ნაწ. II, გვ. 311; **61.** საქ. ისტ. ნარკვ., III, გვ. 711; **62.** გობრონ (მიხაილ) საბინინი, „საქართველოს სამოთხე“, 1972, გვ. 562-564.

თავი XIII

1. საქ. ისტ. ნარკვ., III, გვ. 713. **2.** იქვე, გვ. 750; **3.** ივ. ჯავახიშვილი, ტ. III, 1982, გვ. 265; **4.** იქვე, გვ. 229; **5.** იქვე, გვ. 230; **6.** იქვე, გვ. 230; **7.** თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, 1897, გვ. 243; **8.** ივ. ჯავახიშვილი, ტ. III, გვ. 258; **9.** იქვე გვ. 257; **10.** საქ. ისტ. ნარკვ., III, გვ. 724; **11.** იქვე, გვ. 728; **12.** ივ. ჯავახიშვილი, III, გვ. 259; **13.** თ. მეწოფეცი, დასახ. ნაშრ. გვ. 16; **14.** საქ. ისტ. ნარკვ., III, გვ. 728; **15.** ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტ. საკითხები, I, 1964, გვ. 175, იქვე, 728, შენიშვნა; **16.** იქვე, გვ. 729; **17.** ივ. ჯავახიშვილი, III, გვ. 260; **18.** იქვე, გვ. 261; **19.** ქართლის ცხოვრება ტ. IV, გვ. 280; **20.** ივ. ჯავახიშვილი, III, გვ. 262; **21.** იქვე, გვ. 263; **22.** თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 244; **23.** იქვე, გვ. 248; **24.** ივ. ჯავახიშვილი, III, გვ. 263; **25.** საქ. ისტ. ნარკვ. III, გვ. 726; **26.** თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 196; **27.** საქ. ისტ. ნარკვ., III, გვ. 282; **28.** ა. ჯაფარიძე, საქ. სამოციქ. ეკლ. ისტ. II, 1998, გვ. 247; **29.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 281, შენიშვნები; **30.** თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, 1897, გვ. 226; **31.** იქვე, გვ. 228; **32.** იქვე, გვ. 321; **33.** იქვე, გვ. 227; **34.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 281; **35.** თომა მეწოფელი, ისტორია, გვ. 119-122; **36.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 475; **37.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 41; **38.** იქვე, გვ. 68-69; **39.** ივ. ჯავახიშვილი, III, გვ. 278; **40.** იქვე, გვ. 433; **41.** იქვე, გვ. 433; **42.** იქვე, გვ. 283; **43.** იქვე, გვ. 278; **44.** თ. ჟორდანია, ქრონიკები, 1879, II, გვ. 268; **45.** იქვე, გვ. 269; **46.** VI მსოფ. კრების კანონების §22; **47.** ივ. ჯავახიშვილი, III, გვ. 280; **48.** მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 65; **49.** იქვე, გვ. 57; **50.** იქვე, გვ. 62; **51.** ივ. ჯავახიშვილი, III, გვ. 284; **52.** იქვე, გვ. 285; **53.** ქრონიკები, II, გვ. 318; **54.** ივ. ჯავახიშვილი, III, გვ. 388; **55.** იქვე, გვ. 390; **56.** იქვე, გვ. 392; **57.** ქრონიკები, II, გვ. 335; **58.** იქვე, გვ. 330; **59.** იქვე, გვ. 345; **60.** იქვე, გვ. 346; **61.** ივ. ჯავახიშვილი, III, გვ. 447; **62.** იქვე, გვ 447; **63.** იქვე, გვ. 447; **64.** ეპისკოპოსი ანანია, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, I, 1996, გვ. 315-324; **65.** ივ. ჯავახიშვილი, III, გვ. 377. **66.** იქვე, გვ. 238; **67.** იქვე, გვ. 340; **68.** იქვე, გვ. 340; **69.** საქ. ისტ. ნარკვევები, IV, გვ. 182. **70.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 38. **71.** იქვე, გვ. 39; **72.** იქვე, გვ. 41; **73.** იქვე, გვ. 42; **74.** იქვე, გვ. 42; **75.** იქვე, გვ. 224; **76.** XV ს. იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, 1981, გვ. 61; **77.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 479; **78.** იქვე, გვ. 480; **79.** იქვე, გვ. 481; **80.** იქვე, გვ. 481; **81.** იქვე, გვ. 482; **82.** იქვე, გვ. 483; **83.** იქვე, გვ. 483; **84.** იქვე, გვ. 501; **85.** თ. საყვარელიძე, XIV-XIX საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა, 1987, გვ. 180; **86.** გ. ჟორჟოლიანი, საქართველო XVII საუკუნეში, 1987, გვ. 57.

თავი XIV

1. საქ. ისტ. ნარკვ., III, გვ. 748; **2.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 383; **3.** იქვე, გვ. 384; **4.** ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, 1967, გვ. 207; **5.** იქვე, გვ. 207; **6.** ქართლის

ცხოვრება, II, გვ. 487; **7.** ივ. ჯავახიშვილი, IV, გვ. 217; **8.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 488; **9.** იქვე, გვ. 397; **10.** იქვე, გვ. 397; **11.** ქათიბ-ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, 1978, გვ. 136; **12.** XV ს. იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, ელდარ მამისთვალიშვილის შენიშვნა, გვ. 70; **13.** საქ.ისტ. ნარკვ., IV, გვ. 129; **14.** იქვე, გვ. 100; **15.** იქვე, გვ. 101; **16.** იქვე, გვ. 105; **17.** იქვე, გვ. 106; **18.** იქვე, გვ. 110; **19.** იქვე, გვ. 112; **20.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 508; **21.** იქვე, გვ. 508; **22.** იქვე, გვ. 510; **23.** საქ. ისტ. ნარკვ. IV, გვ. 119; **24.** იქვე, გვ. 118; **25.** საქ. ისტ. ნარკვ. IV, გვ. 140. **26.** იქვე, გვ. 148; **27.** იქვე, გვ. 149; **28.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 384; **29.** ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, 1925, წ. II, გვ. 215; **30.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 474; **31.** იქვე, გვ. 340; **32.** იქვე, გვ. 477; **33.** იქვე, გვ. 477; **34.** იქვე, გვ. 478; **35.** იქვე, გვ. 480; **36.** იქვე, გვ. 483; **37.** იქვე, გვ. 484; **38.** იქვე, გვ. 485; **39.** იქვე, გვ. 494; **40.** იქვე, გვ. 504; **41.** იქვე, გვ. 505; **42.** იქვე, გვ. 509; **43.** იქვე, გვ. 510; **44.** საქ. ისტ. ნარკვ. IV, 1973 წ., გვ. 87; **45.** მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა... გვ. 69; **46.** „დედე ქორქუთის წიგნი", 1987, გვ. 64; **47.** მ. თამარაშვილი, დას. ნაშრ. გვ. 57; **48.** იქვე, გვ. 77; **49.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 400; **50.** თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 259; **51.** იქვე, გვ. 259; **52.** იქვე, გვ. 401; **53.** იქვე, გვ. 361; **54.** ლ. მენაბდე, ქართ. მწერლობის კერები, II, 1980, გვ. 117; **55.** თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 102; **56.** საქ. ისტ. ნარკვ. გვ. 91; **57.** იქვე, გვ. 92; **58.** ა. გელოვანი, სიბრძნის სიმფონია, გვ. 800; **59.** ცნობილი სომეხი პოლიტიკური მოღვაწის იგორ მურადიანის 1988 წლის 15 მაისის პროკლამაცია; **60.** თომა მეწოფელი, დასახ. ნაშრ., 1987, გვ. 16, შესავალი; **61.** ივ. ჯავახიშვილი, III, გვ. 412; **62.** იქვე, გვ. 372; **63.** ივ. ჯავახიშვილი, III, გვ. 164. **64.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 481; **65.** საქ. ისტ. ნარკვ. III, გვ. 744; **66.** იქვე, გვ. 779; **67.** იქვე, გვ. 791; **68.** საქ. ისტ. ნარკვ. IV, გვ. 216; **69.** იქვე, გვ. 238; **70.** საქ. ისტ. ნარკვ. III, გვ. 818;

თავი XV

1. აფხაზეთის ეთნიკური სახე შეიცვალა XVII-XVIII საუკუნეებში ადიღე-ჩერქეზული ტომების ჩამოსახლების შედეგად. ამ ახალ ხალხსაც - „აფხაზები" უწოდეს მხარის სახელის შესაბამ-ისად. **2.** ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი 1, 1989, გვ. 43-61. **3.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 728. **4.** ძველი ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლ., VI, 1980, გვ. 449. **5.** საქართვე-ლოს ისტორია, 1980, გვ. 153; **6.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 243; **7.** იქვე, გვ. 245; **7.** იქვე, გვ. 248; **8.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 3; **9.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 249; **10.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 382; **11.** ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, VI, გვ. 20; **12.** ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, VI, გვ. 20; **13.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 252; **14.** მორთეზა მეჰდი ფათემი, სპარსული მასალები XVI-XVII საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა შესახებ, 1982, გვ. 26; **15.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 584; **16.** ძეგლ., VI, გვ. 24. **17.** საქ. ისტ. ნარკვევ., IV, გვ. 264; **18.** იქვე, გვ. 265; **19.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 588; **20.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 271; **21.** იქვე, გვ. 272; **22.** ანტონ კათალიკოსი, დასახ. ნაშრ., გვ. 26; **23.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 276; **24.** ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1967, IV, გვ. 315; **25.** იქვე, გვ. 317; **26.** იქვე, გვ. 319, 325; **27.** ძეგლ., VI, გვ. 27; **28.** ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებ-ში, II, 1986, გვ. 112; **29.** ძეგლ. VI, გვ. 28; **30.** ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 113; **31.** იქვე, გვ. 113; **32.** ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, 1986, გვ. 113;

33. იქვე, გვ. 114; **34.** იქვე, გვ. 115; **35.** იქვე, გვ. 115; **36.** იქვე, გვ. 116; **37.** იქვე, გვ. 116; **38.** იქვე, გვ. 118; **39.** იქვე, 119; **40.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 401; **41.** ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 120; **42.** იქვე, გვ. 121; **43.** იქვე, შენიშვნა 59; **44.** ანტონ კათალიკოსი, სიტყვა პირველი ქეთევანისათვის, დასახ. ნაშრ., გვ. 29; **45.** ანტონ კათალიკოსი, დასახ. ნაშრ., გვ. 124; **46.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 402; **47.** ანტონ კათალიკოსი, დასახ. ნაშრ., გვ. 31; **48.** ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 125; **49.** იქვე, გვ. 127; **50.** იქვე, გვ. 129; **51.** ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 130; **52.** ძეგლ., VI, გვ. 34; **53.** ანტონ ბაგრატიონი; წყობილსიტყვაობა, 180, გვ. 204; **54.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 355; **55.** იქვე, გვ. 363; **56.** იქვე, გვ. 365; **57.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 366; **58.** იქვე, გვ. 394; **59.** იქვე, გვ. 396; **60.** ძველი ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, VI, 1980, გვ. 47; **61.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 385; **62.** ძეგლ. VI, გვ. 48; **63.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 386; 64. ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 423; **65.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 388; **66.** ანტონი, დასახ. ნაშრ., გვ. 55; **67.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 425; **68.** იქვე, გვ. 425; **69.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 393. **70.** იქვე, გვ. 397; **71.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 427; **72.** ილ. ჭავჭავაძე, IV, გვ. 184; **73.** ანტონ კათალიკოსი, დასახ. ნაშრ., გვ. 66; **74.** იქვე, გვ. 66; **75.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 328; **76.** ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1967, გვ. 349; **77.** ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 369; **78.** იქვე, გვ. 371; **79.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 424; **80.** იქვე, გვ. 425; **81.** იქვე, გვ. 425; **82.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 425. **83.** გ. ჟორჟოლიანი, საქართველო XVII ს., გვ. 50; **84.** იქვე, გვ. 49; **85.** შ. ლომსაძე, გვიანი შუა საუკუნეები..., გვ. 47, 48, 63; **86.** შ. ლომსაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 35; **87.** იქვე, გვ. 35; **88.** იქვე, გვ. 36-41; **89.** იქვე, გვ. 52; **90.** გ. ჟორჟოლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 58; **91.** იქვე, გვ. 59; **92.** იქვე, გვ. 60; **93.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 445; **94.** ივ. ჯავახიშვილი, VIII, 1977, გვ. 285; **95.** მოჰამედ თაჰერის ცნობები, გვ. 381; გ. ჟორჟოლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 72; **96.** ივ. ჯავახიშვილი, VIII, გვ. 283; **97.** გ. ჟორჟოლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 106; **98.** იქვე, გვ. 112; **99.** გ. ჟორჟოლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 118; **100.** იქვე, გვ. 116; **101.** იქვე, გვ. 100-101; **102.** მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 127; **103.** გორელი ნასყიდას საქმე, იქვე, გვ. 127; **104.** გ. ჟორჟოლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 62; **105.** იქვე, გვ. 63; **106.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 426; **107.** ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 192; **108.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 404; **109.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 405; **110.** იქვე, გვ. 406; **111.** იქვე, გვ. 406; **112.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 430; **113.** იქვე, გვ. 431; **114.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 280; **115.** იქვე, გვ. 281; **116.** იქვე, გვ. 284; **117.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 408; **118.** ნარკვ., IV, გვ. 285; **119.** გ. ჟორჟოლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 11; **120.** იქვე, გვ. 11; **121.** იქვე, გვ. 15; **122.** ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა.., II, გვ. 576; **123.** იქვე, გვ. 175; **124.** ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., IV, გვ. 1967, გვ. 361; **125.** იქვე, გვ. 362; **126.** იქვე, გვ. 363; **127.** ნარკვ., IV, გვ. 295; **128.** იქვე, გვ. 319; **129.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 422; **130.** იქვე, გვ. 423; **131.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 442; **132.** ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა.., III, გვ. 210; **133.** იქვე, გვ. 212; **134.** იქვე, გვ. 235; **135.** იქვე, გვ. 194; **136.** გ. ჟორჟოლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 78; **137.** ქართლის ცხოვრება, IV, 443; **138.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 434; **139.** იქვე, გვ. 438; **140.** იქვე, გვ. 439. **141.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 601; **142.** მ. რეხვიაშვილი, დასავლეთ საქართველო XVII საუკუნეში, 1978, გვ. 109; **143.** ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, 1987, გვ. 191; **144.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 425; **145.** იქვე, გვ. 424; **146.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ.

443; **147.** ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 191; **148.** მ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 119; **149.** მ. თამარაშვილი, პასუხი სომხის მწერლებს, გვ. 237; **150.** ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 191; **151.** ჩარლზ დარვინი, რუს. ენაზე, ტ. II, წიგნი I, 1927, გვ. 579; **152.** მ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 110; **153.** არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 76; **154.** მ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 115; **155.** იქვე, გვ. 111; **156.** იქვე, გვ. 114; **157.** იქვე, გვ. 117; **158.** საქართველოს ისტორია XVI-XVIII სს., 1950, გვ. 300; იქვე, 113; **159.** ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 191; **160.** მორთეზა მუჰამედი ფათემი, სპარსული მასალები, 1982, გვ. 18; **161.** შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, II, გვ. 316; **162.** იქვე, გვ. 314; **163.** მ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 93; **164.** იქვე, გვ. 94; **165.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 825; **166.** საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, I, გვ. 445-446; **167.** საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 200; **168.** მ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 178; **169.** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 424-425; **170.** იქვე, გვ. 421; **171.** იქვე, გვ. 428; **172.** ქართული სამართლის ძეგლები, I, 1963, გვ. 606; **173.** იქვე, გვ. 608; **174.** იქვე, გვ. 605; **175.** ქართული სამართლის ძეგლები, I, 1963, გვ. 393; **176.** იქვე, გვ. 397; **177.** მ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 14; **178.** ზ. შარაშენიძე, ფერეიდნელი „გურჯები“, 1979, გვ. 59.

თავი XVI

1. მ. ქიქოძე, ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, 1988, გვ. 35. **2.** მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1904, გვ. 301; **3.** ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, 1919, გვ. 3; **4.** მ. ქიქოძე, ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, გვ. 15; **5.** შ. ხანთაძე, ქართული ისტორიოგრაფია XVIII საუკუნეში, გვ. 17. **6.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 500; **7.** გ. პაიჭაძე, ვახტანგ VI, 1981, გვ. 105; **8.** მ. ქიქოძე, დასახ. ნაშრ., გვ. 8; **9.** შ. ხანთაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 52; **10.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 342; **11.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 454; **12.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 348; **13.** მ. თათარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 307; **14.** იქვე, გვ. 308; **15.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 404; **16.** იქვე, გვ. 466; **17.** ი. ტაბაღუა, მასალები XVIII ს..., 1982, გვ. 16; **18.** იქვე, გვ. 19; **19.** გ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 16; **20.** ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 24; **21.** იქვე, გვ. 24; **22.** იქვე, გვ. 26; **23.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 402; **24.** იქვე, გვ. 204; **25.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 404; **26.** ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII სს., 1959, გვ. 141; მ. ქიქოძე, დასახ. ნაშრ., გვ. 8; **27.** შ. ხანთაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 48; **28.** საქ ისტ. ნარკვ., IV, გვ. 404; **29.** იქვე, გვ. 105; **30.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 493; **31.** მ. ქიქოძე, დასახ. ნაშრ., გვ. 20; **32.** იქვე, გვ. 21; **33.** ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 24. **34.** ი. ტაბაღუა, მასალები XVIII ს. პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, 1982, გვ. 20. **35.** მ. ქიქოძე, ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, 1988, გვ. 38; **36.** იქვე, გვ. 41; **37.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, 1973, გვ. 406. **38.** მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 55. **39.** მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 55. **40.** მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 57. **41.** იქვე, გვ. 321; **42.** მ. ქიქოძე, ვახტანგ VI, გვ. 27; **43.** მ. ქიქოძე, დასახ. ნაშრ., გვ. 26. **44.** მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., 312. **45.** იქვე, გვ. 322; **46.** იქვე, გვ. 324; **47.** მ. ქიქოძე, დასახ. ნაშრ., გვ. 51; **48.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 407; **49.** მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, გვ. 33; **50.** მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 316; **51.** იქვე, გვ.

317; **52.** მ.ქიქოძე, დასახ. ნაშრ., გვ. 78; **53.** ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, 1919, გვ. 6; **54.** იქვე, გვ. 7; **55.** მ. ქიქოძე, დასახ. ნაშრ., გვ. 40; **56.** იქვე, გვ. 41; **57.** იქვე, გვ. 42; **58.** იქვე, გვ. 43; **59.** იქვე, გვ. 46; **60.** ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 9; **61.** იქვე, გვ. 10; **62.** იქვე, გვ. 11; **63.** გ. პაიჭაძე, ვახტანგ VI, 1981, გვ. 124; **64.** მ. ქიქოძე, დასახ. ნაშრ., გვ. 59; **65.** იქვე, გვ. 60; **66.** იქვე, გვ. 65; **67.** იქვე, გვ. 68; **68.** იქვე, გვ. 68; **69.** ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის, 1919, გვ. 3; **70.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 365; **71.** იქვე, გვ. 365; **72.** იქვე, გვ. 365; **73.** იქვე, გვ. 366; **74.** ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, 1967, გვ. 296; **75.** ქართული მწერლობა, I, 1984, გვ. 27; **76.** იქვე, გვ. 26; **77.** ნარკვ., IV, გვ. 368; **78.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 368; **79.** იქვე, გვ. 300; **80.** იქვე, გვ. 360; **81.** ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის, 1919, გვ. 3; **82.** იქვე, გვ. 4; **83.** იქვე, გვ. 5; **84.** შ. ხანთაძე, ქართული ისტორიოგრაფია, 1985, გვ. 18; **85.** იქვე, გვ. 31; **86.** მ. ქიქოძე, დასხ. ნაშრ., გვ. 4; **87.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 37; **88.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 361; **89.** მ. რეხვიაშვილი, იმერეთი XVII საუკუნეში, 1982, გვ. 3; **90.** საქართველოს ისტორია, 1980, გვ. 182; **91.** ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1946, გვ. 389; **92.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 31; **93.** იქვე, გვ. 35-37; **94.** ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., IV, გვ. 359. **95.** იქვე, გვ. 365. **96.** ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 727-733; **97.** იქვე, გვ. 675; **98.** იქვე, გვ. 775; **99.** ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 502-503; **100.** იქვე, გვ. 180; **101.** იქვე, გვ. 209. **102.** იქვე, გვ. 222; **103.** ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 149; **104.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 485; **105.** სამართლის ძეგლები, III, გვ. 514, 527; **106.** იქვე, გვ. 581; **107.** შეწირულობების წიგნი კათალიკოს დავით ნემსაძისა ბიჭვინთისადმი 1682 წლისა, გვ. 583; **108.** იქვე, გვ. 577; **109.** იქვე, გვ. 514, 527; **110.** იქვე, გვ. 569; **111.** ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 567; **112.** წყალობის წიგნი გრიგორ ალავერდელისა 1670 წლისა, გვ. 567; **113.** იქვე, გვ. 342; **114.** იქვე, გვ. 345; **115.** იქვე, გვ. 347; **116.** ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 501, 502; **117.** იქვე, გვ. 501; **118.** იქვე, გვ. 504; **119.** იქვე, გვ. 505; **120.** იქვე, გვ. 520; **121.** იქვე, გვ. 519; **122.** იქვე, გვ. 519; **123.** იქვე, გვ. 523; **124.** იქვე, გვ. 529; **125.** იქვე, გვ. 530; **126.** იქვე, გვ. 514; **127.** იქვე, გვ. 547; **128.** იქვე, გვ. 543; **129.** იქვე, გვ. 533; **130.** იქვე, გვ. 536; **131.** იქვე, გვ. 482; **132.** იქვე, გვ. 581; **133.** იქვე, გვ. 517; **134.** იქვე, გვ. 599, 600, 612, 641, 648, 669; **135.** იქვე, გვ. 559; **136.** იქვე, გვ. 623; **137.** იქვე, გვ. 619; **138.** იქვე, გვ. 627; **139.** იქვე, გვ. 706; **140.** იქვე, გვ. 596; **141.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 484; **142.** ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 695; **143.** იქვე, გვ. 613; **144.** იქვე, გვ. 677; **145.** იქვე, გვ. 695; **146.** იქვე, გვ. 714; **147.** იქვე, გვ. 753; **148.** იქვე, გვ. 772; **149.** იქვე, გვ. 591; **150.** იქვე, გვ. 625; **151.** იქვე, გვ. 585; **152.** იქვე, გვ. 664; **153.** იქვე, გვ. 672; **154.** იქვე, გვ. 694; **155.** იქვე, გვ. 637; **156.** იქვე, გვ. 643; **157.** იქვე, გვ. 695; **158.** იქვე, გვ. 710; **159.** იქვე, გვ. 589; **160.** იქვე, გვ. 713; **161.** იქვე, გვ. 592; **162.** იქვე, გვ. 632; **163.** იქვე, გვ. 634; **164.** იქვე, გვ. 699; **165.** იქვე, გვ. 762; **166.** იქვე, გვ. 791; **167.** იქვე, გვ. 595; **168.** იქვე, გვ. 620; **169.** იქვე, გვ. 627; **170.** იქვე, გვ. 747; **171.** იქვე, გვ. 542; **172.** იქვე, გვ. 560; **173.** იქვე, გვ. 480; **174.** იქვე, გვ. 481; **175.** იქვე, გვ. 638; **176.** ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 384; **177.** იქვე, გვ. 384; **178.** იქვე, გვ. 385; **179.** ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 386; **180.** ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 737; **181.** იქვე, გვ. 607; **182.** იქვე, გვ. 693; **183.** იქვე, გვ. 647; **184.** იქვე, გვ. 604; **185.** იქვე, გვ. 606; **186.** იქვე, გვ. 694; **187.** იქვე, გვ. 636; **188.** იქვე,

გვ. 638; **189.** იქვე, გვ. 639; **190.** იქვე, გვ. 694; **191.** იქვე, გვ. 597; **192.** იქვე, გვ. 659; 193. იქვე, გვ. 789; 194. იქვე, გვ. 681; **195.** იქვე, გვ. 137. **196.** იქვე, გვ. 135-150; **197.** იქვე, გვ. 757; **198.** იქვე, გვ. 164; **199.** იქვე, გვ. 164; **200.** იქვე, გვ. 617; **201.** იქვე, გვ. 632; **202.** იქვე, გვ. 681; **203.** მ. რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო, 1989, გვ. 472; **204.** ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 640; **205.** იქვე, გვ. 253; **206.** იქვე, გვ. 138; **207.** იქვე, გვ. 580; **208.** იქვე, გვ. 882; **209.** იქვე, გვ. 134; **210.** იქვე, გვ. 712; **211.** იქვე, გვ. 749; **212.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 485; **213.** პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი..., 1981, გვ. 84; **214.** იქვე, გვ. 87; **215.** იქვე, გვ. 101; **216.** იქვე, გვ. 82; **217.** იქვე, გვ. 85; **218.** იქვე, გვ. 103; **219.** იქვე, გვ. 103; **220.** იქვე, გვ. 105; **221.** ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 400; **222.** იქვე, გვ. 401; **223.** იქვე, გვ. 400; **224.** პ. ორბელიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 106; **225.** იქვე, გვ. 105; **226.** იქვე, გვ. 105; **227.** პ. ორბელიანი, ამბავი ქართლისანი.., გვ. 100; **228.** იქვე, გვ. 113; **229.** იქვე, გვ. 114; **230.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 453; **231.** პ. ორბელიანი, ამბავი ქართლისანი.., გვ. 48; **232.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 602; **233.** იქვე, გვ. 607; **234.** იქვე, გვ. 611; **235.** იქვე, გვ. 614; **236.** იქვე, გვ. 615; **237.** იქვე, გვ. 616; **238.** იქვე, გვ. 617; **239.** იქვე, გვ. 619; **240.** იქვე, გვ. 621; **241.** იქვე, გვ. 625; **242.** იქვე, გვ. 628; **243.** იქვე, გვ. 629; **244.** ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, 1919, გვ. 13; **245.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, 630; **246.** იქვე, გვ. 632; **247.** იქვე, გვ. 638; **248.** იქვე, გვ. 645. **249.** ს. ავალიანი, ანტონ პირველი, 1987, გვ. 17; **250.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 914, ქრონოლოგიური ცხრილი; **251.** რელიგიის ისტორია და პროპაგანდა, XI, 1987, გვ. 52; **252.** ს. ავალიანი, ანტონ პირველი, გვ. 30; **253.** ს. ავალიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 39; **254.** იქვე, გვ. 40; **255.** ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 536; **256.** იქვე, გვ. 498; **257.** ს. ავალიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 16; **258.** მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 374; **259.** იქვე, გვ. 374; **260.** იქვე, გვ. 374; **261.** ს. ავალიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 37; **262.** იქვე, გვ. 34; **263.** იქვე, გვ. 34; **264.** ს. ავალიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 35; **265.** იქვე, გვ. 35; **266.** იქვე, გვ. 36; **267.** იქვე, გვ. 43; **268.** იქვე, გვ. 60; **269.** პ. ორბელიანი, ამბავი ქართლისანი..., გვ. 86; **270.** იქვე, გვ. 103; **271.** ევ. ნიკოლაძე, საქართველოს ეკლესიის ისტორია, ქუთაისი, 1918, გვ. 191; **272.** მ. კელენჯერიძე, საქართველოს საკათალიკოზო ეკლესიის მოკლე ისტორია, ქუთაისი, 1918, გვ. 130; **273.** ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის, 1919, გვ. 14; **274.** მ. დარჩია, გაიოზ რექტორი, 1977, გვ. 45; **275.** მ. ჯანაშვილი, საქართველოს საეკლესიო ისტორია, 1886, გვ. 127; **276.** იქვე, გვ. 21; **277.** იქვე, გვ. 35; **278.** პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათოლიკოსნი და მღვდელმთავარნი, 1900, გვ. 132; **279.** პ. იოსელიანი, საქართველოს მოკლე ისტორია, სანკტ-პეტერბურგი, 1848, რუსულ ენაზე, გვ. 118; **280.** მ. დარჩია, გაიოზ რექტორი, გვ. 24; **281.** იქვე, გვ. 26; **282.** ს. ავალიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 90; **283.** შ. ლომიძე, მ. თამარაშვილი, გ. მაისურაძე და სხვათა შრომები; **284.** ე. ნიკოლაძე, საქართველოს ეკლესიის ისტორია, გვ. 144; **285.** კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 364; **286.** იქვე, გვ. 364; **287.** მ. დარჩია, დასახ. ნაშრ., გვ. 46. **288.** ს. ავალიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 95. **289.** ს. ავალიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 95; **290.** კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 373; **291.** იქვე, გვ. 379; **292.** ე. ნიკოლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 147; **293.** იქვე, გვ. 147; **294.** მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 389. **295.** იქვე, გვ. 378; **296.** იქვე, გვ. 392; **297.** იქვე, გვ. 383; **298.** ს. ავალიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 75; **299.** მ. დარჩია, დასახ. ნაშრ., გვ. 41; **300.** კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 375; **301.** ს. ავალიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 86; **302.** იქვე, გვ. 98; **303.** იქვე, გვ. 97;

304. საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 679; **305.** იქვე, გვ. 687; **306.** გ. მაისურაძე, საინტერესო წიგნი XVIII ს. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე, „მნათობი“, №5, 1990, გვ. 172; **307.** გ. მაისურაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 171; **308.** ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, 1919, გვ. 52; **309.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 630; **310.** იქვე, გვ. 632; **311.** იქვე, გვ. 682; **312.** იქვე, გვ. 683; **313.** ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, გვ. 169; **314.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 684; **315.** იქვე, გვ. 684; **316.** იქვე, გვ. 684; **317.** იქვე, გვ. 686; **318.** ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 16; **319.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 660; **320.** იქვე, გვ. 654; **321.** ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 18; **322.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 655; **323.** ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 19; **324.** იქვე, გვ. 20; **325.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 658; **326.** იქვე, გვ. 660; **327.** იქვე, გვ. 669; **328.** იქვე, გვ. 669; **329.** იქვე, გვ. 675; **330.** იქვე, გვ. 675; **331.** იქვე, გვ. 676; **332.** იქვე, გვ. 673; **333.** იქვე, გვ. 673; **334.** იქვე, გვ. 670; **335.** იქვე, გვ. 680; **336.** იქვე, გვ. 626; **337.** იქვე, გვ. 694; **338.** ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 23; **339.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 700; **340.** იქვე, გვ. 705; **341.** იქვე, გვ. 707; **342.** ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 39; **343.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 759; **344.** ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 42; **345.** იქვე, გვ. 48; **346.** ქართული სამართლის ძეგლები, II, 1966, გვ. 501; **347.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 721; **348.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 291; **349.** ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 675; **350.** იქვე, გვ. 727; **351.** ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 830; **352.** მ. წერეთელი, ერი და სახელმწიფო, 1990, გვ. 89; **353.** გ. მაისურაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 172; **354.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 721; **355.** იქვე, გვ. 721; **356.** მ. რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო, 1989, გვ. 472; **357.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 357; **358.** მ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 44; **359.** თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 1897, გვ. 383; **360.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 720; **361.** იქვე, გვ. 721; **362.** იქვე, გვ. 722, 725; **363.** იქვე, გვ. 724; **364.** ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტ. საკითხები, IV, გვ. 124, 125, 725; **365.** იქვე, გვ. 726; **366.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 727; **367.** იქვე, გვ. 729; **368.** იქვე, გვ. 729; **369.** გ. მაისურაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 175;

თავი XVII

1. ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, 1919, გვ. 52. **1.** პ. იოსელიანი, „გიორგი XIII-ის ცხოვრება“, გვ. 17; **2.** დ. ყიფიანი „მემუარები“, 1990, გვ. 136; **3.** ჯვარი ვაზისა, 1990, №2, გვ. 58; **4.** მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 438; **5.** მ. გონიკაშვილი, იმერეთი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, 1979, გვ. 53; **6.** მ. ხუციშვილი, საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია, 1987, გვ. 18; **7.** მ. ხუციშვილი, საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია, 1987, გვ. 38; **8.** იქვე, გვ. 20; **9.** დ. გოგოლაძე, ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ, საქ. ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 931; **10.** მ. გონიკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 16; **11.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 931; **12.** ერისტოვ-შერვაშიძე, ქართველი ხალხის გაჭირვების შესახებ სამახსოვრო წერილი, გვ. 48; **13.** საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 933; **14.** საქ. ისტ. ნარკვ. IV, გვ. 936; **15.** ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 747; **16.** მ. დარჩია, გაიოზ რექტორი, გვ. 19; **17.** ქ. პავლიაშვილი, საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში, 1995, გვ. 23; **18.** ნ. დურნოვო, ქართული

ეკლესიის ბედი, ჟ. „განთიადი“, 1990, №10; **19.** გ. თოდუა, XIX ს. ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, 1983, გვ. 69; **20.** იქვე, გვ. 71; **21.** გ. თოდუა, დასახ. ნაშრ., 1983, გვ. 47; **22.** ქ. პავლიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 33; **23.** კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს მოგონებანი, საღვთისმეტყველო კრებული, 1987, №3, გვ. 38; **24.** იქვე, 42; **25.** იქვე, 42; **26.** იქვე, 37; **27.** მ. ხუციშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 186; **28.** მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 449. **29.** „ცნობის ფურცელი“, 1905, №2932; **30.** „ჯვარი ვაზისა“, 1987, №1, გვ. 46; **31.**კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე, მოგონება ილიაზე, მნათობი, 1985, №2; **32.** „ჯვარი ვაზისა“, 1987, №1, გვ. 46; **33.** „ჯვარი ვაზისა“, 1987, №1, გვ. 46; **34.** „ჯვარი ვაზისა“, 1987, №1, გვ. 47; **35.** ე. ნიკოლაძე, საქართველოს ეკლესიის ისტორია, ქუთაისი, 1918, გვ. 217-219; **36.** გაზ. „საქართველო“, 1917, №59; **37.** ევ. ნიკოლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 97; **38.** გაზ. „საქართველო“, 1917, №63; **39.** გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1917, №851; **40.** გაზ. „საქართველო“, 1917, №205; **41.** ჯვარი ვაზისა, 1987, №1, გვ. 10; **42.** გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1917, №130; **43.** ს. კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია, 1997, გვ. 249; **44.** ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, გვ. 213; **45.** ჟურნალი „მნათობი“, 1988, №10; **46.** სინოდის უწყებათა კრებული, 1927; **47.** საღვთისმეტყვ. კრებ. 1984, №3, გვ. 213; **48.** საქმე №103, საღვთისმეტყვ. კრებ. 1984, №3, გვ. 215; **49.** ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, 1997; **50.** საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1982, გვ. 154; **51.** ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, I, 1996, გვ. 185-203; **52.** „ჯვარი ვაზისა“, 1979, №2, გვ. 11; **53.** 1881 წლის დეკემბრის „შინაური მიმოხილვა“, ი. ჭავჭავაძე, ტ. V, გვ. 136; **54.** ალექსი ბერი (შუშანია), მთავრობა და სარწმუნოება, გვ. 2; **55.** ს. ვარდოსანიძე, კირიონ II, 1984, გვ. 23;

თავი XVIII

1. ი. ჭავჭავაძე, II, გვ. 180; **2.** გაზ. „ივერია“, 1888, №4; **3.** ვ. გოილაძე, ჯვარი ვაზისა, 1981, №3; **4.** მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიებათა შედეგები, თბ., ტ. II, 1978, III, 1980; **5.** ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, გვ. 127; **6.** სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა, 1949, გვ. 58; **7.** სოკრატი, ეკლესიის ისტორია 1, 20; სოზომენი, ეკლესიის ისტორია II, 7; თეოდორიტე, I, 25; **8.** ნ. ჯანაშია, ნარკვევები, გვ. 114; **9.** „მოქცევა ქართლისა“, ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, III; **10.** მ. ჩხარტიშვილი, „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის ატრიბუცია, „მნათობი“, 1987, №5. გვ. 147-154; **11.** იქვე, გვ. 149-154; **12.** ივანე ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები, თხზულებანი, VIII, 1977. გვ. 326; **13.** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. I. 1964; **14.** პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი“, 1939, №4, გვ. 105-107; **15.** გ. მელიქიშვილი, საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 40; **16.** ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 171; **17.** კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, გვ. 192; **18.** „ქართლის ცხოვრება“, I, 1955, ტ. II, 1959, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა; **19.** ქ. ცხ., I, 248. 20. იქვე, გვ. 244; **21.** გ. მელიქიშვილი „საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები“, საქართველოს ისტორიის ნარკვ. I, გვ. 52; **22.** გ. მელიქიშვილი, ფარნავაზი და ფარნავაზიანები ძველ სომხურ საისტორიო წყაროებში, „მაცნე“, 1967, №3; **23.** ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული

საისტორიო მწერლობა, 1945; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1954, ტ. II, 1958; **24.** მ. თარხნიშვილი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის წარმოშობა, „მნათობი“, 1989, №11; **25.** გ. მელიქიშვილი, დასახ., ნაშრ. გვ. 64; **26.** ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 194; **27.** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, 1964; **28.** იქვე, გვ. 17-64; **29.** ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I., 1979 გვ. 27; **30.** ძველი ქართ. აგ. ლიტ. ძეგლ. II, 1967; **31.** ივ. ჯავახიშვილი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 142; **32.** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლ. II. 1967; **33.** ისტორიოგრაფია, საქ. ისტ. ნარკ. III, 1979. გვ. 410; **34.** თ. პაპუაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 409; **35.** კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. ლიტ. ისტორია I, გვ. 263; **36.** ქართლის ცხოვრება, I, გვ. 318-364; **37.** მ. ლორთქიფანიძე, XI–XII ს.ს. ისტორიის წყაროები, ნარკვ. III, 1979, 70; **38.** არსენ ბერი, „ცხოვრება და მოქალაქობა და ღვაწლი წმიდისა და ღირსისა დედისა ჩუენისა ნინოსი“ - ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, 1971 გვ. 45; **39.** ნარკვ., ტ. II, თბ. 1959; **40.** ნარკვ. III, გვ. 433; **41.** საქართველოს სამოთხე“, გამოც. მ. საბინინის მიერ, გვ. 111; **42.** ნარკვ. III, გვ. 471; **43.** კ. კეკელიძე, I, გვ. 569; **44.** მ. საბინინი, ქართული ეკლესიის ისტორია, რუს. ენაზე, სპბ. 1877; **45.** საღვთისმეტყველო კრებული, №12, 1981; **46.** **[illegible]**, ათენი, „თეოლოგია“, 1966, თარგმნილი ხელნაწერი რუს. ენაზე; **47.** საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2001, გვ. 113; **48.** დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 545; **49.** იქვე, გვ. 546; **50.** იქვე, გვ. 546; **51.** ქ.ც., I, გვ. 65; **52.** საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987, გვ. 464; **53.** ივ.ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. III, 1982, გვ. 340; **54.** სასწაულნი სვეტიცხოვლისა, ქრონიკები, გვ. 40-69; **55.** ივ. ჯავახიშვილი, ტ. III, გვ. 340; **56.** ივ. ჯავახიშვილი, ტ.1, 1979, გვ. 269-271; **57.** იქვე, გვ. 143; **58.** ექვთიმე ათონელი, საეკლესიო კანონთა კრებული, VI მსოფლიო კრების 33-ე კანონის განმარტება, საღვთისმეტყველო კრებული, №11, 1983, გვ. 37; **59.** საღვთისმეტყველო კრებული, №11, 1983, გვ. 59; **60.** საქართველოს სამოთხე, 1882, გვ. 632; **61.** საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2001, გვ. 140; **62.** დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 295; **63.** საღვთისმეტყველო კრებული, 1987, №1; **64.** იქვე, გვ. 134-135; **65.** იქვე, გვ. 135; **66.** მ. თამარაშვილი, საქართველოს ეკლესიის ისტორია, 1990 წ.

ს ა ძ ი ებ ლ ე ბ ი

ა) პირთა

ა

აბაზ (აბას) კათალიკოსი – 376; 462; 474; 480;
აბაკურაის მლექსავი – 554;
აბას ფაშა – 964;
აბასი – 497;
აბაღა ყაენი – 845;
აბაშიძე ივანე – 1097;
აბაშიძე ლევანი – 947;
აბდალ მელიქ ამირ მუმნი – 479;
აბდალაძე ალექსანდრე – 58; 164; 280; 351; 608; 636; 661; 670; 680; 681; 698;
აბდიშო ასური – 376; 374;
აბდულა ბეგი – 1046;
აბდუშელიშვილი მ. – 49;
აბელი – 17; 18;
აბიათარ მღვდელმთავარი – 89; 190; 205; 206; 208; 209; 215; 222; 1143;
აბიბოს ნეკრესელი – 219; 345; 346; 347; 351; 387; 1148;
აბიდენი – 140;
აბიდენოსი – 167;
აბო თბილელი – 519; 522; 523; 529; 547; 549; 550; 554; 640; 1147;
აბრაამ ალბათანელი – 472; 458; 509;
აბრაამ ერევანცი – 710;
აბრაამ კათალიკოსი – 332; 343; 376; 377; 399-404; 406-415; 417; 421; 423; 451; 453; 462; 467; 472; 473; 458; 507-509; 673; 699; 839;
აბრაამ მამამთავარი – 21; 31-34; 79; 522; 946; 1053;
აბუ-ბექრ ათაბაგი – 807;
აბულ კასიმი – 1148;
აბულაძე ილია – 535; 635; 638; 639; 701;
აბულეთი – 750; 796;
აბუსერისძე ტბელი – 1153;
აგათანგელოზი – 188; 192; 194; 331; 332; 354; 698; 700;
აგათონ რომის პაპი – 611;
აგარი – 33;
ადამ არეგაწოთელი – 531;
ადამი – 17; 18;
ადარნასე – 436;
ადარნასე ადარნასიანი – 493;
ადარნასე ბაკურის ძე – 437;
ადარნასე ერისთავი – 230; 231; 269; 273; 448;
ადარნასე კურაპალატი – 497;
ადარნასე მეფე – 664;
ადარნასე მთავარი – 471; 485;
ადერკი – 99; 100; 119-121; 127; 150; 207; 899;
ადონცი ნ. – 455;
ადრიანე – 109; 115;
ავ-გიორგი – 906; 907;
ავაგ ამირსპასალარი – 811; 840; 841;
ავაგ მხარგრძელი – 834; 835;
ავალიშვილი ზ. – 767;
ავგუსტოსი – 108; 325;
ავეტიქი სომეხი ეპისკოპოსი – 1058;
ავიტაბილე – 955;
აზატ-ხანი – 1043;
აზო (აზოვე) (აზონი) მეფე – 37; 50-52; 62-64; 86; 136; 147; 148; 367; 442; 689-691; 694-696; 1145;
აზორკი – 151;
ათაბეგისშვილი ყურხმაზბეგ – 725;
ათანასე ანტიოქიელი – 582;
ათანასე კვიპრელი – 374;
ათრაქა შარაღანის ძე – 752;
„აიაშმა“ – 90;
აიეტი – 128; 156; 157;
აინინა – 65;
აკაკი პატრიარქი – 301; 302;

აკაკიესი – 311;
აკვილია – 83;
ალადაშვილი გიორგი ეპისკოპოსი – 1111;
ალექსანდრე – 60; 86; 147; 167; 760;
ალექსანდრე I დიდი (ათანასე მონაზონი) – 872; 873; 875-880;
ალექსანდრე I იმპერატორი – 1117;
ალექსანდრე (ავ-გიორგის მამა) – 907;
ალექსანდრე ბაგრატის ძე – 872; 906;
ალექსანდრე ბაქარის ძე – 1070;
ალექსანდრე გიორგი II-ს ძე – 903;
ალექსანდრე გიორგი VIII-ს ძე – 906;
ალექსანდრე ვახტანგ V-ის ძე – 1005;
ალექსანდრე თეიმურაზ I-ის ძე – 934; 935; 937; 939;
ალექსანდრე იანაი – 95;
ალექსანდრე იმერეთის მეფე – 975; 1049;
ალექსანდრე იმპერატორი – 1092;
ალექსანდრე კახთა მეფე – 907; 912; 930; 931; 937;
ალექსანდრე მაკედონელი – 37; 51; 61; 62; 65; 66; 87; 93; 94; 96; 150; 153; 165; 267; 361; 367; 678; 679; 685; 694; 695; 705; 753; 869; 1144;
ალექსანდრე მეფე – 52; 442; 690; 691; 915; 933; 964; 1032;
ალექსი კომნენოსი – 809;
ალექსი მეფე – 752;
ალექსიძე ზაზა – 257; 304-306; 309; 310; 343; 371; 421; 427; 428; 434; 435; 438; 443; 446; 447; 459; 472; 508; 702; 1157;
ალი იბნ იაჰია ალ-არმანის ხალიფა – 660;
ამაზასპანი – 214;
ამაზასპი – 114; 151; 152; 178; 180; 190;
ამანელის ძე – 801;
ამასია – 55;
ამბა გიორგი – 529;
ამბროზი (პატრი) – 710; 726; 971;
ამბროსი მედიოლანელი – 1117;
ამბროსიო დუშ ანჟუში – 938; 940; 943;
ამიანე მარცელინე – 180; 181;
ამილახვარი ალექსანდრე – 1070;
ამილახვარი გივი – 1042;
ამილახვარი იოთამ – 725; 965;
ამილახვარი ნიკოლოზ კათალიკოსი – 717; 1060;
ამილახვარი ნოდარ – 725;
ამილახვარი პაპუნა – 933;
ამირ-მირმანი – 807;
ამირა ალი – 570;
ამირა აჰმადი – 746;
ამირა შედადი – 796;
ამირანი – 100; 101;
ამირეჯიბი გიორგი – 1031;
ამიროვი ოსეფ – 732;
ანა (თეიმურაზ I-ის ცოლი) – 934;
ანა კომნენი – 1144;
ანა მღვდელი – 206;
ანანია დვინის მმართველი – 797;
ანასტასი II – 651;
ანასტასი იმპერატორი – 303; 307; 382; 398; 401; 472; 575;
ანასტასი კათალიკოსი (სომეხთა) – 378; 459; 534;
ანასტასი მღვდელ-მოწამე – 453; 454; 504;
ანასტასი პატრიარქი – 333;
ანასტოსი – 204;
ანატოლი პატრიარქი – 291;
ანგრა-მანიუ – 90;
ანგურგ – 842;
ანდრეა დი სანტა კროჩე – 625;
ანდრეა ოპიზის წინამძღვარი – 529;
ანდრია პირველწოდებული – 16; 44; 82; 108; 112; 114; 116; 118-130; 134; 142; 150; 162; 172; 183-185; 188; 330; 335; 516; 517; 524; 567; 596; 597; 602; 603; 605; 886; 891; 893; 894; 899; 1013; 1080; 1138; 1139; 1159-1161;
ანდრონიკაშვილი აბელი – 932;
ანდრონიკაშვილი გიორგი – 874;
ანდრონიკაშვილი მ. – 87;
ანდრონიკე იაგრინი – 624;
ანიანე ალექსანდრიელი – 73;

ანინსკი ა. – 193;
ანტონ I – 146; 623; 629; 633; 714; 717-723; 1005; 1036-1039; 1046-1056; 1058-1065; 1083; 1085; 1091; 1093; 1154;
ანტონ II – 1092-1094;
ანტონ დიდი – 757;
ანტონ კათალიკოსი – 512; 851; 870; 929; 933; 934; 938; 939; 941; 942; 944-946; 949; 1139;
ანტონ მარტყოფელი – 386; 387;
ანტონ მთავარეპისკოპოსი – 1093; 1126;
ანტონ მთავარეპისკოპოსი (ხონელი) – 1054;
ანტონ მიტროპოლიტი ალავერდელი – 1013;
ანტონ მიტროპოლიტი პეტერბურგისა – 1108;
ანტონ მღვდელმთავარი – 1109;
ანტონ ნაოხრებელის ძე – 853;
ანტონ საღირისძე (ქუთათელი მთავარეპისკოპოსი) – 799; 800;
ანტონ ცაგერელ-ჭინდიდელი – 1058;
ანტონ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი – 801; 807; 814; 816; 818;
ანტონიუს პიუსი – 115;
ანტონოვი ზურაბ – 732;
ანუკა (შაჰის ცოლი) – 1005;
ანტიოქე III – 94;
ანტიოქე IV – 94;
ანტიოქოზი – 64;
ანქიალე (მეფე) – 158;
ანჩაბაძე გ. – 686;
აპოლინარი – 105;
აპოლოდორი – 65;
აპოლონი – 127; 900;
არა მშვენიერი – 55;
არაბული ავთანდილი – 175;
არავესი – 480;
არამენეაკი – 58;
არამი – 55; 59; 608;
არდავაზი – 653;
არდამ ერისთავი – 909;
არდაშირი – 178;
არზოკი – 517;
არზუკ მეფე – 517;
არიანე ფლავიუს – 109; 114; 121; 122; 156-159;
არიოზი – 466; 473;
არიშიანი – 749;
არისტაკეს არქიეპისკოპოსი – 645;
არისტინე ალექსი – 293; 1162;
არისტობულ II – 95;
არისტობულ მეფე – 96;
არისტოტელე – 52; 1060;
არკადი კეისარი – 371;
არმაზელი – 151;
არმაზაელი – 207;
არმაზი – 61; 65; 86; 87; 90-92; 202; 203; 210;
არსენ ბერი – 37; 51; 52; 687; 689; 692-996; 705; 763; 764; 769; 772; 821; 1138; 1151; 1152; 1155;
არსენ ბულმაისიმისძე – 1153;
არსენ ეპისკოპოსი (მანგლელი) – 1003;
არსენ იყალთოელი – 511; 692; 697; 698; 759; 763-765; 1152; 1154;
არსენ კათალიკოსი – 231; 232; 259; 345; 346; 371; 386; 474; 541-543; 600; 1148;
არსენ მიტროპოლიტი (თბილელი) - 1093;
არსენ მონაზონი – 785;
არსენ საფარელი – 296; 298; 300; 305; 307-309; 321; 347; 356; 379-381; 383; 384; 388; 389; 414; 415; 418; 420; 421; 423; 454-459; 478; 530; 531; 533; 534; 538; 555; 576; 699;
არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი – 812; 835;
არსენი – 662; 663; 783;
არსენი (ივერონის წინამძღოლი) – 584;
არსოკ მეფე – 65;
არტაგ (არტოკ) მეფე – 65; 92; 93; 94;
არტავაზ ერისთავი – 267; 269; 274; 517;
არტაშამა – 167;
არტაშეს I – 165; 167;
არტაშეს II – 685;
არტაშესი – 297;

არტემ არარატელი – 730;
არტემიდა – 127; 900;
არფ-ასლანი – 761; 762;
არქანჯელო ლამბერტი – 123; 161; 605; 609; 941; 942; 974;
არღუნ აღა – 842;
არღუნი – 853;
არშაკ II – 180;
არშაკი – 100; 165; 180; 181;
არშუშა – 255;
არჩილ I – 240; 511; 512;
არჩილ II – 499; 511; 1004;
არჩილ ვახტანგის ძე – 984;
არჩილ მეფე – 153; 228; 241; 251; 259-261; 283; 285; 286; 413; 485-487; 490-496; 503; 511; 512; 517; 519; 524; 525; 663; 687; 922; 947; 950; 1004-1008; 1010; 1036; 1081; 1145; 1146;
არჩილ მეფე (იმერეთის) – 983;
არჩილ მეფის მემატიანე – 485;
არჩილი – 985; 986;
არჯევანიძე ნ. – 1116;
ასათ გრიგოლის ძე – 751; 801;
ასოღიკი – 381;
ასტვაცატურ ამადნელი – 710;
ასურელი მამები – 103; 385; 383; 385-393; 410; 421; 453; 531; 555; 556; 1158;
ატატე ეპისკოპოსი – 342;
ატრნერსე იშხანი – 471;
ატრნერსე ქართლის მთავარი – 396;
ატროშანი – 91; 92;
აფაქიძე ა. – 186;
აფრიდონ მსახურთუხუცესი – 800;
აფრიდონი – 753;
აფროდიტე – 100;
აღა მელიქი – 721;
აღა-მაჰმად-ხანი – 1067; 1076; 1077;
აღათონ რომის პაპი – 610; 612;
აღალო – 720;
აღსართან კახთა მეფე – 774;
აღსართანი – 747; 749; 762;
აშოთან მუხრან-ბატონი – 930;
აშოტ I – 371; 658-660;
აშოტ II ერკათი – 658-660;
აშოტ იშხანი – 480;
აშოტ კურაპალატი – 497; 540; 541; 806;
აშური – 99;
აშქენაზი – 20;
აჰმად III – 710;
აჰმადი – 377; 457;
აჰრიმანი – 90;
აჰურამაზდა – 87; 88; 91;

ბ

ბაადურ თუმანიანი – 724; 956;
ბაადური – 865;
ბაალი – 43;
ბაბგენ კათალიკოსი – 305-307; 342; 407; 410; 412; 417;
ბაბილა კათალიკოსი – 230;
ბაბოვაი კათალიკოსი – 299;
ბაგრატ I – 826;
ბაგრატ III – 528; 563-568; 571; 572; 574; 580; 791; 804; 903; 1083;
ბაგრატ III-ს მემატიანე – 571;
ბაგრატ IV – 363; 528; 568; 571; 581-584; 586; 587; 589; 592; 598; 619; 761; 762; 775; 779; 787; 791; 1150; 1154;
ბაგრატ V – 862; 867;
ბაგრატ VI – 906;
ბაგრატ ბატონიშვილი – 1008;
ბაგრატ ერისთავი (იმერეთის) – 872; 906;
ბაგრატ კურაპალატი – 497; 500; 506; 507;
ბაგრატ მეფე – 453; 581; 602; 865; 893; 901; 910;
ბაგრატ მეფე (აფხაზთა) – 581;
ბაგრატ მეფე (იმერეთის) – 891; 917;
ბაგრატ-ხანი – 956; 960;
ბაგრატიონი თეიმურაზ – 72; 705; 706;
ბაგრატიონი იოანე – 694; 868; 1055;
ბადრი – 100;
ბათო ყაენი – 812; 835; 841; 849;
ბაკურ დაჩის ძე – 229;
ბაკურ ერისთავი – 269;

ბაკურ თრდატის ძე – 228;
ბაკურ მეფე – 224-226; 230; 241; 339; 433; 484;
ბაკურ პიტიახში – 273;
ბაკურ რევის ძე – 227; 228; 241;
ბაკურ-ყმა ძაგანის ძე – 801;
ბაკური – 275; 279; 280; 478; 1143;
ბაკურიანები (ძმები) – 408;
ბალაზორი – 446;
ბალდუინ II – 767;
ბალენდუხტი – 264; 268;
ბალსამონი თეოდორე – 234; 236; 238; 243; 300; 313; 330; 334; 336; 541; 591; 592; 612; 1014; 1131; 1157; 1161; 1162;
ბაჟანოვი ევგენი – 1099; 1100;
ბარაბა (არაბთა სარდალი) – 613;
ბარაბო ჯ. – 901;
ბარათაშვილ-ორბელიშვილი ბესარიონ კათალიკოსი – 1154;
ბარათაშვილი ნ. – 845;
ბარამ ვარდანის ძე – 801;
ბარამი – 749;
ბარდა – 654;
ბარდა სკლიაროსი – 573; 664;
ბარდა ფოკა –574;
ბარდოს – 56; 99; 806;
ბარზაბოდ პიტიახში – 228; 252;
ბარზაბოდი – 260; 261; 285; 286;
ბართლომე (ბერი) – 1029;
ბართლომე დე სალინიაგო – 878;
ბართლომე კათალიკოსი – 230; 436;
ბართლომე მოციქული – 111; 119; 123; 130; 134; 555; 605;
ბარნაბა მოციქული – 111;
ბარნაბე (ბერი) – 1029;
ბარონიუსი – 161; 185; 605;
ბარსუმი – 299;
ბარტამ მეფე – 204;
ბარტამი – 274;
ბარტომი – 150;
ბასალი I კეისარი – 665;
ბასილი I მაკედონელი – 654;
ბასილი II ბულგართმმუსვრელი – 564-566; 569-574; 581; 582; 664; 665;
ბასილი დიდი – 97; 193; 245; 759; 1117;
ბასილი ეზოსმოძღვარი – 528; 801; 804; 808; 822-824; 829; 831; 1152;
ბასილი ეპისკოპოსი – 261; 285;
ბასილი ვაჩესძე – 391;
ბასილი ზარზმელი – 1148;
ბასილი კათალიკოსი – 231; 232;
ბასილი კათალიკოსი (ქართლის) – 890;
ბასილი კეისარი – 632;
ბასილი კესარიელი – 98; 559;
ბასილი მეფე – 510;
ბასილი მონაზონი – 853;
ბასილი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი – 773;
ბასილი სოფონელი – 298; 299;
ბასილი (ხანძთელი) – 554;
ბასილისკ უზურპატორი – 310; 311;
ბასკაკოვი ნ. – 67;
ბაქარ ბატონიშვილი – 83; 1007;
ბაქარ მეფე (შაჰ-ნავაზ ხანი) – 1005;
ბაქარი – 220; 221;
ბაქრაძე დიმიტრი – 192; 389; 637; 1156;
ბაყათარ ოსი – 263;
ბაყათარი – 102;
ბაჰრამ ჩუბინი – 433;
ბდეშხი არშუშა – 254; 328;
ბებუთოვი – 732;
ბედიანი – 801; 842; 843;
ბეზბოროტკო – 1071;
ბელიაევი ინოკენტი (ეგზარქოსი) – 1101;
ბენედიქტე XIV – 712;
ბენეშევიჩი – 1110;
ბერი ეგნატაშვილი – 932; 940; 942; 944; 945; 946; 950; 951; 960; 970; 975; 1083; 1154;
ბერქა ყაენი – 838;
ბერძენიშვილი ნ. – 315; 441; 738; 788; 791; 794; 814; 817; 819; 822; 826; 960; 963; 972; 1007; 1066; 1084; 1140; 1157;
ბესარიონ კათალიკოსი – 717; 948; 1009; 1045; 1060; 1074; 1075;
ბესარიონ მამამთავარი – 946;

ბექა – 837;
ბექა ათაბაგი – 867;
ბექა სამცხის მთავარი – 854;
ბეშქენ ორბელიანი – 875; 876;
ბეშქენ ჯაყელი – 751;
ბეჰბუთაშვილი ასლან – 726;
ბივრიტიანი – 269; 273; 274;
ბინქარანი ეპისკოპოსი – 261; 264; 268; 285; 286;
ბიჩუ – 842;
ბლაიხშტაინერი რობერტ – 141;
ბლასტარი (ბლასტარესი) მათეოს – 244; 541; 612;
ბოგდანოვ-პლატონოვი მოსე – 1100;
ბოგვერაძე ა. – 680; 1157;
ბოგოიავლენსკი ვლადიმირ ეგზ. – 1101;
ბოგოლიუბოვ ა. – 96;
ბოლოტოვი ვ. – 119; 1138;
ბოლქვაძე ბიბია – 1023;
ბორენა დედოფალი – 583;
ბოცო ბოცოს ძე – 827;
ბოცო სამცხის სპასალარი – 802;
ბოცო ჯაყელი – 801;
ბოხოჩაძე ა. – 133;
ბროსე მარი – 386; 704; 706; 887; 985; 1155;
ბუბაქარი – 391;
ბუზმიჰრი – 109; 396;
ბურნ ფ. – 67;
ბურნაშოვი – 1076;
ბუტკევიჩი – 1108;
ბუტკოვი პ. – 999;
ბუღა თურქი – 497; 527; 1148;

გ

გა – 52; 92;
გაბაშვილი ზაქარია მღვდელი – 1050; 1064;
გაბაშვილი ტიმოთე – 1154;
გაბრიელ ეპისკოპოსი – 412; 417;
გაბრიელ კათალიკოსი – 231; 232; 407; 410; 412; 413; 417;
გაბრიელ მღვდელმთავარი – 1017;
გაბრიელი – 929; 1023;
გაგარინი გრ. – 1101;
გაგიკ კათალიკოსი – 462;
გაიანე – 199; 200;
გაიმ – 62; 86; 90; 203; 210;
გაიოზ რექტორი – 1054; 1056; 1058;
გალერიუს მაქსიმიანე – 179;
გალერიუსი – 189; 190; 236;
გალიენი – 131; 185; 188;
გამბა – 736;
გამერი – 55; 56;
გამრეკელ-თორელი ამილახორი – 801;
გამრეკელი ამირსპასალარი – 803; 805;
გამყრელიძე გ. – 326; 369;
გამყრელიძე თამაზი – 24; 70; 75;
გარდაბოს – 61; 63; 700;
გაჩიოს – 61; 63; 700;
გაც – 52; 62; 86; 90; 92; 203; 210;
გებალი – 92;
გედევანიშვილი იონა – 1154;
გედეონი – 945; 946;
გევორგ კათალიკოსი (სომხეთის) – 479; 480;
გელამი – 55;
გელასი კესარიელი – 23; 140; 143; 160; 224; 225; 1142; 1143;
გელასი კვიზიკელი – 160; 162; 172; 225; 226; 1142; 1161;
გენადი – 622;
გეორგი კათალიკოსი – 231; 232; 481;
გერასიმე კათალიკოსი – 879;
გერმანე (ბერი) – 1029;
გერმანე ეპისკოპოსი (თბილელი) – 1065;
გერონტი ეპისკოპოსი (კესარიის) – 192;
გვარამაძე ივ. – 192; 637; 730;
გვახარია გ. – 337;
გვირპელი – 539; 576;
გიგინეიშვილი ივ. – 138;
გიდულიანოვი პ. – 192;
გიორგაძე ანტონ ეპისკოპოსი – 1111;
გიორგაძე ს. – 1156;
გიორგი – 985; 986;
გიორგი I – 564; 565; 568; 571; 572; 664;
გიორგი I (ივერონის წინამძღვარი) –

574; 582-584;
გიორგი II – 762; 785; 903;
გიორგი II (ივერონის წინამძღვარი) – 583; 584;
გიორგი III – 528; 796; 797; 799; 808; 817; 818; 822;
გიორგი IV ლაშა – 805; 809; 819; 820; 833; 846; 847;
გიორგი V ბრწყინვალე – 606; 833; 857; 859; 861; 862; 1154;
გიორგი V მთავარი – 1074;
გიორგი VII – 866; 868; 869; 872;
გიორგი VIII – 872; 906;
გიორგი XI (გურგენ-ხანი) – 984-987; 989; 1004; 1005; 1007; 1008;
გიორგი XIII – 1077; 1092;
გიორგი ამარტოლი – 1144; 1152;
გიორგი ბატონიშვილი – 913; 932; 933;
გიორგი ბედიელი – 632;
გიორგი ბერი – 650;
გიორგი გორელი – 731;
გიორგი დაყუდებული (შეყენებული) – 1150;
გიორგი დემეტრეს ძე – 833;
გიორგი ეპისკოპოსი – 713; 714;
გიორგი ვახტანგის ძე – 984;
გიორგი კათალიკოსი – 232;
გიორგი მერჩულე – 447; 459; 489; 492; 500; 501; 513; 514; 529; 531; 540; 541; 544-546; 550; 551; 554; 662; 698; 1144; 1148;
გიორგი მეფე – 746; 747; 858; 860; 863; 867; 873; 884; 887; 888; 909; 913; 917; 998; 1021;
გიორგი მეფე (აფხაზთა) – 497; 567;
გიორგი მეფე (იმერეთის) – 947; 974;
გიორგი მეფე (ქართლის) – 931;
გიორგი მთაწმიდელი (ათონელი) – 82; 83; 103; 105; 118; 330; 392; 558; 559; 577; 579; 580; 583; 586-598; 602; 604; 666-668; 672; 676; 702; 775; 776; 779; 780; 787; 789; 898; 902; 1138; 1149-1151; 1158; 1161; 1163;
გიორგი მთაწმიდელის მემატიანე – 584;
გიორგი მღვდელი – 939;
გიორგი მღვდელმთავარი – 1109;
გიორგი მცირე – 117; 350; 392; 419; 563; 598; 602; 667; 668; 676; 677; 679; 722; 1147; 1149-1151;
გიორგი მწიგნობართუხუცესი – 693; 766; 772; 785;
გიორგი მხედართმთავარი – 480;
გიორგი პატრიარქი (კონსტანტინოპოლელი) – 610-612;
გიორგი რუსი – 801-804; 806; 818; 819; 820; 827; 985;
გიორგი საბაწმიდელ-მლექსავი – 554;
გიორგი სვიმონის ძე – 945;
გიორგი სვინკელოსი – 1144;
გიორგი უფლისწული – 762; 849;
გიორგი შავმთელი – 1150;
გიორგი ჭყონდიდელი – 750-752; 762; 764; 765; 1160;
გიორგი ხუცესი (მონაზონი) – 610; 611; 1149;
გიულდენშტედტი – 737; 738; 971;
გიუტი – 298;
გლონოქორ მთავარეპისკოპოსი – 228; 241; 252; 255; 284; 285; 295-297; 319; 645;
გლუბოკოვსკი – 1108;
გნეიუს დომიციუს კორბულონი – 113;
გობრონი (მიქაელი) – 525; 526; 1148;
გოგ – 44;
გოგებაშვილი იაკობ – 1108;
გოგოჭური დავითი – 174;
გოზალიშვილი გ. – 97; 98; 193;
გოილაძე ვახტანგ – 190; 192; 193; 302; 303; 333; 352; 504-506; 543; 611; 612; 1157;
გოლიცინი – 1094;
გომერი – 20; 39;
გონორი – 650;
გორგაძე გ. – 27;
გორგაძე ს. – 120; 259;
გორგიჯანიძე ფარსადან – 703-705; 729; 869; 913; 914; 957; 964; 1012; 1154;

გორდეზიანი რ. – 29; 30;
გოროდეცკი ფლავიანე (ეგზარქოსი) – 1101;
გოჩაშვილი გიორგი – 725;
გრიგოლ ბაკურიანი – 498; 576; 700;
გრიგოლ ბაკურიანის ძე – 103; 574; 580;
გრიგოლ ბერი – 583;
გრიგოლ დიაკონი – 441; 1145;
გრიგოლ ეპისკოპოსი – 261; 285;
გრიგოლ ეპისკოპოსი (თბილელი) – 626;
გრიგორ ეპისკოპოსი (სივნიეთის) – 376;
გრიგოლ ერისთავი – 269; 379;
გრიგოლ კათალიკოსი – 231; 604; 1013; 1017; 1022; 1080;
გრიგოლ მთავარეპისკოპოსი (სომხეთის) – 466;
გრიგოლ მთავარი – 487; 497;
გრიგოლ ნაზიანზელი – 97;
გრიგოლ ნოსელი – 97; 98;
გრიგოლ ღვთისმეტყველი – 265; 578; 674; 1117;
გრიგოლ ხანძთელი – 103; 489; 498; 500; 506; 507; 522; 523; 528-533; 541-543; 549; 554; 662; 674; 770; 780; 1148; 1158; 1159;
გრიგოლი – 264; 266;
გრიგოლი (ივერონის წინამძღოლი) – 584;
გრიგორ სომეხთა განმანათლებელი – 192-194; 309; 331; 332; 373; 374; 376; 377; 393; 395; 403; 404; 406; 408-412; 423; 455; 456; 473; 476; 477; 480; 508; 552; 553; 557; 645; 683; 699; 707;
გრიგორი (ბერი) – 1029;
გრიგორი დიდი – 133; 453;
გუარამ კურაპალატი – 433-435; 441; 447; 484; 493; 517;
გუარამ მამფალი – 541; 542; 659; 662; 663;
გუგუშვილი პაატა – 736;
გუდოვიჩი – 1076;
გუზანი – 802; 805; 827;
გულაბერიძე ნიკოლოზი – 706;
გურამ აშოტი ძე – 1144;
გურამ ერისმთავარი – 230;
გურამიშვილი დავითი – 1001;
გურანდუხტი – 493-495; 752;
გურგენ მეფე – 339; 383; 572; 574;
გურგენიძე ვ. – 552;
გურიელი – 858;

დ

დადიან-გურიელ შამადავლა – 893;
დადიანი ბეჟან – 1023;
დადიანი მამია – 858;
დავით II (იმამყული ხანი) – 927; 985;
დავით IV აღმაშენებელი – 105; 106; 550; 603; 692; 693; 747-750; 754; 756; 762-772; 774; 775; 777; 779; 784-786; 789; 791-794; 796; 799; 804; 806; 807; 810; 812-814; 818; 820-826; 831; 859; 1093; 1151;
დავით V – 799;
დავით VI ნარინი – 833; 835; 836; 847; 848; 865;
დავით VII ულუ – 773; 833; 835; 842; 845-849; 862; 1032;
დავით VIII – 833; 860;
დავით X – 1010;
დავით ანჰალთა ჰერეთელი – 538;
დავით არჩილის ძე – 1085;
დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (მემატიანე) – 765; 772; 784; 791; 792; 794; 830; 1151;
დავით ბატონიშვილ – 1155;
დავით ბეგი – 730;
დავით გარეჯელი – 358; 386; 387; 391; 538; 555; 1029; 1032; 1148;
დავით გარეჯელის ჰიმნოგრაფი – 554;
დავით ეპისკოპოსი – 412; 417; 1110;
დავით ეჯიბი – 840; 841;
დავით იმერატორი (ტრაპეზუნტის) – 888;
დავით კათალიკოსი – 231; 232; 885;
დავით კახი – 962;
დავით კურაპალატი – 564; 572; 617; 662; 663;
დავით მეფე – 849; 854; 909; 911;

დავით მეფე (აფხაზთა) – 506;
დავით მეფე (კახთა) – 930; 932;
დავით მეფე (ქართლის) – 907;
დავით მეფსალმუნე – 80; 205; 206; 216; 747; 767; 897; 945; 947;
დავით მონაზონი – 879;
დავით სოსლანი – 802; 805-809; 815-817; 827;
დავით უფლისწული – 796;
დავით უძლეველი – 356; 537; 538; 1059;
დავითი – 705; 929; 932;
დავითი (ტარიჭანის ძმა) – 531;
დავლიანიძე-ტატიშვილი ლ. – 468;
დანელია კორნელი – 419; 667; 668;
დანიელ წინასწარმეტყველი – 20; 81; 93; 848;
დანინა – 65;
დარეჯან დედოფალი – 1093;
დარიოს III – 165;
დასაბია კათალიკოსი – 230; 254;
დატიანოსი – 186;
დაუდ-ხანი – 911; 956;
დაჩი – 154; 229; 240; 269; 271; 273-275; 315; 483;
დედე ქორქუთი – 916;
დევდარიანი დავით V – 1121; 1123;
დემეტრე I – 751; 761; 769; 791; 796; 799; 804; 806;
დემეტრე II – 833; 839; 840; 853;
დემეტრე (ბაგრატის ნახევარ ძმა) – 584;
დემეტრე (ბერი) – 1029;
დემეტრე ერისთავი – 269; 273;
დემეტრე მეფე (აფხაზთა) – 506;
დემნა ბატონიშვილი – 797;799;
დიასამიძე ევდემოზი კათალიკოსი – 709; 725; 951; 965; 966; 1029;
დიასამიძე იოანე კათალიკოსი – 107; 600; 985;
დიმიტრი ალექსანდრეს ძე – 906;
დიმიტრიოს I პატრიარქი – 1130; 1131;
დინარა დედოფალი – 353; 356-358; 537; 538; 580; 607; 640; 786; 1158;
დიოკლეტიანე – 132; 179; 189-191; 235-237;
დიონ კასიუსი – 108; 114; 115; 120;
დიონისოს პერიეგეტი – 128; 325;
დიუ სერო – 985;
დიუბუა დე მონპერე – 179;
დიუბუა ფედერიკო – 728;
დოდანიმი – 20;
დოდო გარეჯელი – 1029;
დომენტი III კათალიკოსი – 1055;
დომენტი კათალიკოსი – 600; 709; 717; 980; 983; 984; 988; 1002; 1003; 1005; 1023; 1031; 1035; 1053; 1060;
დომენტი ბატონიშვილი (ქართლის კათალიკოსი) – 600;
დომიციანე – 114; 120;
დონ ჯუსტი პრატო – 960; 966; 969; 970-972;
დონდუა ვ. – 315; 565;
დოროთე ეპისკოპოსი (ტვირელი) – 120;
დოროთეოს პატრიარქი (ანტიოქიის) – 889;
დოსითეოზ ნეკრესელი – 1154;
დოსითეოს პატრიარქი (იერუსალიმის) – 333; 502; 505; 506; 615; 1157;
დოსითეოს ქუთათელი – 1058; 1084; 1093; 1097;
დოსითეოსი (ისტორიკოსი) – 334; 335; 588;
დრასხანაკერტცი – 659; 660; 665;
დრომე ე. – 38;
დუმბაძე იაკობი – 1008;
დუმბაძე მ. – 315;
დურბეზ მეფე – 754;
დურნოვო ნიკოლოზ – 1100; 1101; 1112; 1156;

ე

ეგარსლან ბაკურციხელი – 836; 842;
ეგროსი – 37; 56; 63; 64; 99; 148; 687; 694;
ევა – 17; 18;
ევაგრე პონტოელი – 141; 161; 162; 173; 195; 557; 558;
ევაგრე სიცილიელი – 129;
ევაგრე სქოლასტიკოსი – 506;

ევაგრე – 540; 1148;
ევგენეს ეპისკოპოსი – 412; 417;
ევგენი პაპი – 625;
ევდემოზ (ევდემონ) კათალიკოსი – 107; 600; 724; 929; 976;
ევდემონ ქუთათელი – 1024;
ევლავი კათალიკოსი – 385; 387;
ევლათიუსი ეპისკოპოსი – 188;
ევლალე კათალიკოსი – 230; 231;
ევლია ჩელები – 970;
ევნონ კათალიკოსი – 231;
ევსევი კესარიელი – 23; 42; 73; 119; 128; 139; 140; 167; 1137; 1142;
ევსტათე ანტიოქიელი – 144; 335; 336; 509;
ევსტათი დიდი – 277;
ევსტათი მონაზონი – 693; 766; 772; 785;
ევსტათი მცხეთელი – 1144; 1147;
ევსტატე არქიეპისკოპოსი – 97;
ევსუქ კათალიკოსი – 231; 232;
ევტიქი (ევტიხი) – 306; 646;
ეზეკიელ წინასწარმეტყველი – 20; 39-42; 44; 80;
ეზრა – 554;
ეზრა ანჩელი – 581; 582;
ეზრა კათალიკოსი – 377; 378; 438; 459; 534; 649; 651; 656;
ეზრა ფარაზნაკერტელი – 458;
ეზრას ეპისკოპოსი – 412;
ეკატერინე II – 1072; 1094;
ელაგეს ეპისკოპოსი – 412; 417;
ელენე დედოფალი – 199; 212; 214; 215; 348; 350; 514; 557; 683;
ელენე დედოფალი (ბაგრატ IV-ის ცოლი) – 583;
ელენე დედოფალი (ვახტანგის ცოლი) – 272; 274;
ელენე (თეიმურაზ I-ის და) – 933;
ელენე (ლუარსაბ მეფის და) – 945;
ელია დიაკონი – 387;
ელია კათალიკოსი – 474; 476; 477; 480; 656; 657;
ელია მთავარეპისკოპოსი – 228; 238; 241;
ელია წინასწარმეტყველი – 207; 210; 757;
ელიაზარი პატრიარქი (ალვანეთის) – 462; 471; 472;
ელიაშვილი ექვთიმე – 1108;
ელიზავეტა პეტროვნა – 1048;
ელიზაბედ დედოფალი – 1067;
ელიზბარ ქსნის ერისთავი – 929; 967;
ელიოზ მცხეთელი – 119; 185; 186; 206; 207; 214;
ელისაბედ იმპერატრიცა – 623;
ელიუს სპარტიანე – 115;
ელიფას ეპისკოპოსი – 412; 417;
ელიშა მოციქული – 20; 462; 463; 471; 474; 478; 480; 551;
ელ-ომარი – 859;
ელღაზი – 754;
ემილია – 98;
ემოინი – 163;
ენდრონიკაშვილი ნიკოლოზ – 1039;
ენდრონიკაშვილი ონოფრე – 1039;
ენეს ეპისკოპოსი – 412; 417;
ენოვქ ეპისკოპოსი – 412;
ენოში – 18;
ეპიფანე კვიპრელი – 121; 122; 129; 130;
ეპიფანე კონსტანტინოპოლელი – 121; 129;
ეპიფანე მოძღვარი (ხანძთელი) – 554;
ერეკლე – 502; 651; 726;
ერეკლე I (ნაზარალი ხანი) – 633; 980; 985; 1008; 1032;
ერეკლე II – 512; 629; 632; 633; 714; 719; 720; 729; 735; 845; 982; 1003; 1037; 1039; 1041; 1044; 1045; 1047; 1049; 1050; 1051; 1053; 1055; 1056; 1059; 1062-1073; 1075-1077; 1081-1085; 1091;
ერეკლე ალექსანდრეს ძე – 909;
ერეკლე კეისარი – 117; 154; 156; 327; 334; 344; 347; 349; 363-366; 370; 377; 391; 424; 430; 436-439; 441; 445-451; 459; 469; 470; 489; 502; 517; 522; 553; 556; 567; 577; 615; 648-650; 656; 671; 678; 684; 696;

699; 882; 892; 900; 1140;
ერეკლე მეფე – 737; 1042; 1043;
ერემიანი ს. – 146; 352; 697; 796;
ერისთავი რ. – 86;
ერიცოვი – 163;
ერმოლოვი – 1098;
ესავი – 33;
ესაია წინასწარმეტყველი – 79; 80; 97;
ესტგენ ეპისკოპოსი – 412;
ეფრემ დიდი – 500;
ეფრემ ეპისკოპოსი (აწყურის) – 513;
ეფრემ მაწყვერელი – 507; 662; 663;
ეფრემ მცირე – 82; 83; 119; 184; 330; 333-336; 454; 504; 506; 509-511; 513; 514; 580; 676; 696; 763; 769; 892; 893; 1151; 1152; 1161;
ექვთიმე გაენათელი – 1084; 1093; 1097; 1117;
ექვთიმე გრძელი – 453;
ექვთიმე მთაწმიდელი (ათონელი) – 82; 83; 103; 122; 558; 559; 561; 577-579; 582; 666; 667; 672; 674; 676; 778; 787; 898; 902; 1149; 1154; 1162;
ექვთიმე მწიგნობართუხუცესი – 580;
ექვთიმე პატრიარქი – 607;

ვ

ვაგან კათალიკოსი – 655;
ვალ არშაკი – 165;
ვალენტი – 181;
ვარაზ თრდატი – 474;
ვარაზ-ბაკური – 180-182; 228; 261; 263; 264; 279; 282;
ვარაზ-ბაქარი – 152; 181; 182; 241; 249; 251; 262; 278; 279; 281; 286;
ვარაზმანი – 493;
ვარამ გაგელი – 809; 811; 820; 835; 842;
ვარამ მხარგრძელი – 801;
ვარან-ხუასრო-თანგ – 261;
ვარდან II – 648;
ვარდან დადიანი – 801-803; 819; 827; 875;
ვარდან დიდი – 381;
ვარდან ერისთავი – 531;
ვარდან ფილიპიკი – 650;
ვარდანი – 375;
ვარდარ ალი ფაშა – 970;
ვარდოსანიძე სერგო – 1134;
ვართან I – 646;
ვარლამ ერისთავი – 1094; 1095;
ვარლამ მიტროპოლიტი – 1093;
ვარსქენ პიტიახში – 81; 255; 258; 354; 1147;
ვასაკ სიუნი – 181; 255;
ვასილევსკი იოანე – 1100;
ვასილი მღვდელმოწამე – 929;
ვასილისკო (იმპერატორი) – 300; 303; 647;
ვაშდენ ქართველთა მთავარი – 452;
ვახტანგ III – 872;
ვახტანგ V შაჰნავაზი – 716; 966; 968; 983; 984; 992; 1004; 1005; 1008; 1060; 1069; 1081;
ვახტანგ VI – 705; 706; 723; 927; 979-982; 984; 985; 987-991; 993; 995; 996; 999-1005; 1007-1009; 1036; 1041; 1055; 1066; 1067; 1069; 1153;
ვახტანგ ბატონიშვილი – 987;
ვახტანგ გორგასალი – 52; 68; 82; 91; 97; 102; 152-155; 228; 229; 240; 241; 249; 251; 253-259; 261-276; 278; 283-286; 293; 294; 302; 309; 310; 314-316; 318-324; 326-330; 332; 336; 337; 343; 344; 350; 365; 366; 368-370; 381; 418; 437; 440-442; 445-447; 483-485; 494; 511; 517; 523; 539; 540; 563; 565; 566; 568; 605; 688; 696; 703; 770; 945; 1041; 1139; 1145-1147; 1158; 1162; 1163;
ვახტანგ მეფე – 838; 855; 911; 947;
ვახტანგ მეფის მემატიანე – 154;
ვახტანგ უფლისწული - 796;
ვახტანგი – 486; 496; 657;
ვახტანგი (დავით IV-ის ძე) – 752; 799;

ვახტანგი (დავით VI-ის ძე) – 833;
ვახტანგი (დემეტრეს ძე) – 833;
ვახუშტი – 73; 155; 192; 193; 365; 413; 443-445; 488; 503; 731; 736; 857-859; 876; 877; 879; 913; 928; 934; 945; 946; 948; 956; 961; 966; 968; 970; 976; 982; 988; 1004; 1005; 1009; 1011; 1041; 1046; 1079-1081; 1155;
ვაშდენი – 699;
ვაჰან მამიკონიანი – 258; 298; 381;
ვაჰან (ვარდან) მამკუენი – 308; 372; 374;
ვაჰანი – 396;
ველიამინოვი – 1097;
ვესპასიანე – 114; 120;
ვინკლერი ჰ. – 38;
ვირო კათალიკოსი (ალვანთა) – 470; 471; 480;
ვირშელ ერისთავი – 866;
ვოლინსკი ა. – 986; 991;
ვოლკოვა ნ. – 739;
ვოოგი – 119;
ვორონცოვ-დაშკოვი – 1105; 1107;
ვოსტორგოვი – 1102; 1108;
ვრთანეს ეპისკოპოსი (სიუნქის) – 480;
ვრთანეს ქერდოლი – 393-398; 404; 415; 417; 428; 430;

ზ

ზაალ ერისთავი – 725; 965; 967;
ზაბილონი (ზაბულონი) – 197; 198; 1129;
ზადენი – 65; 84; 90; 92; 210;
ზაოზერსკი – 1108;
ზარასტუტრა (ზოროასტრი) – 87-90;
ზაქარია – 480;
ზაქარია I პატრიარქი – 665;
ზაქარია ამირსპასალარი (სარგისის ძე) – 801; 806; 809; 814; 815; 818; 828;
ზაქარია ასპაანს ძე – 807;
ზაქარია ვარამის ძე – 801; 803;
ზაქარია ეპისკოპოსი – 412; 417;
ზაქარია კათალიკოსი – 965; 966; 1049;
ზაქარია მეისტორიე – 956;
ზაქარია მხარგრძელი – 805; 807-809; 815; 817;
ზაქარია კათალიკოსი (ქართლის) – 600;
ზებედე კათალიკოსი (ქართლის) – 600;
ზენონ იმპერატორი – 300-302; 304; 306; 307; 310; 311; 380; 382; 398; 401; 429; 575; 646;
ზენონ იყალთოელი – 387;
ზენონი – 407; 472;
ზოია – 571;
ზონარა იოანე – 293; 294; 1144; 1162;
ზოსიმე – 191;
ზოსიმე ეპისკოპოსი (კუმურდოელი) – 891;
ზოსიმე სამთავნელი – 1032;
ზურაბ ერისთავი – 961; 963;
ზურაბაშვილი (ზურაბოვი) იოსებ – 958;

თ

თაბორ კათალიკოსი – 230;
თაგინე – 531;
თადეოზ მოციქული – 112; 130; 463; 474; 480; 551; 552;
თავდგირიძე მაქსიმე (სულეიმანი) – 1073;
თავდგირიძე ნ. – 1116;
თავფაჩაგ კათალიკოსი – 229; 231; 232;
თათარ-ხანი – 946;
თათე სტეფანწმიდელი – 387;
თალალე – 231; 481;
თამარ მეფე – 528; 764; 772; 795; 797; 799-810; 812-831; 833; 875; 1152;
თამარაშვილი მიხეილ – 196; 558; 637; 715; 722; 727; 734-737; 928; 993; 994; 997-999; 1062; 1091; 1139; 1156; 1161;
თამარი – 742; 743;
თამარი (გიორგი II-ის ცოლი) – 903;
თამარი (დავით IV-ის შვილი) – 751;
თამარი (ვახტანგ V-ის ასული) – 1005;
თამარი (ვახტანგ VI-ის ასული) – 1046;
თამარის პირველი ისტორიკოსი – 767; 830;

თამარის მემატიანე – 806; 814; 818; 1152; 1153;
თანდილავა ზ. – 174; 175;
თანიაშვილი ბეგთაბეგი – 1008;
თარასი – 56;
თარგამოსი – 37; 38; 55; 56; 57; 61; 98; 99; 680; 690; 1155;
თარში – 55; 56; 98;
თარშიში – 20;
თარხანი – 263;
თარხნიშვილი დავითი – 973;
თარხნიშვილი მ. – 60; 441; 1146;
თარხუჯი (კონსტანტი კახის ძე) – 527;
თაყაიშვილი ექვთიმე – 612; 1107;
თაჰერი – 863; 868;
თევდორე – 750;
თევდორე მღვდელი – 929; 946;
თევდოსი – 531;
თეიმურაზ I – 725; 932-938; 941-943; 945; 947; 949; 962; 980; 985; 1006; 1007; 1012; 1036; 1069;
თეიმურაზ II – 633; 717; 720; 982; 983; 1003; 1036; 1037; 1040; 1041; 1044-1053; 1060; 1061; 1067; 1081;
თეიმურაზ ბატონიშვილი – 71; 1045; 1155;
თეიმურაზ ლევანის ძე – 1005;
თეიმურაზ მეფე – 630; 720; 722; 726; 915; 950-952; 954; 959-961; 963-966; 968; 969; 1042; 1043;
თეირესი – 159;
თემურ-ლენგი – 857; 862-870; 872-874; 876; 877; 912; 914;
თეობელოსი – 159;
თეოდორა – 303; 571; 654;
თეოდორა დედოფალი – 598;
თეოდორე – 529;
თეოდორე ეპისკოპოსი (ფასიდს) – 615;
თეოდორე ერისთავი (სომხეთის) – 378;
თეოდორე (თეოდოსი) პატრიარქი (ანტიოქიის) – 592-598;
თეოდორე (თეოფანე) პატრიარქი (ანტიოქიის) – 611;
თეოდორე კათალიკოსი – 231; 232;
თეოდორე კათალიკოს-პატრიარქი – 874; 875;
თეოდორე კვირელი – 144; 1142;
თეოდორე მოფსუეტელი – 299; 300;
თეოდორე ფარანელი – 650;
თეოდორე ხუცესი – 610; 611;
თეოდორიტე – 160; 277;
თეოდორიტე კვირელი – 162; 225; 226; 1161;
თეოდოროს ეპისკოპოსი – 412; 417;
თეოდოსი ეპისკოპოსი (კარინის) – 472;
თეოდოსი II (იმპერატორი) – 645; 646;
თეოდოსი იმპერატორი – 281; 1117;
თეოდოსი მეფე (აფხაზთა) – 497;
თეოდოსი მცირე – 287;
თეოდოსი პატრიარქი (ანტიოქიის) – 1151;
თეოდოტე ეპისკოპოსი (კვირელი) – 97;
თეოდოტიანე – 83;
თეოზევია – 98;
თეოკრიტე – 128; 654;
თეოკტისტ პროტოსი – 583;
თეოფანი (თეოფანე) – 339; 650; 1144;
თეოფანე ანტიოქიელი – 610; 612;
თეოფილაქტე პატრიარქი (ანტიოქიის) – 333; 504-506; 510;
თეოფილე – 769;
თეოფილე იმპერატორი – 654;
თერახი (თარრა) – 31; 32;
თირასი – 20; 39; 55;
თობალი – 144; 145;
თოგარმა (თოგორმა) – 20; 21; 39-41; 44;
თომა ეპისკოპოსი – 412;
თომა მეწოფეცი (მეწოფელი) – 67; 864; 868; 869;
თომა მოციქული – 112; 119; 123; 128; 130;
თომა სლავი – 654;
თორგამი (თორგომი) – 22; 55; 56; 59;
თორელ-გამრეკელი – 842;
თორღაი – 842;
თორღვა ერისთავი – 849;
თოხთამიშ-ხანი – 866;
თოხთამიში – 864; 865;

თრდატი – 179; 190; 192; 194; 197; 200; 203; 204; 228; 239; 241; 266; 329; 704;
თუბალ-კაენი – 22; 30; 48; 49;
თუბალი (თობელი) – 19; 20; 22; 23; 30; 37-41; 44; 48; 49; 53; 54;
თუმანიშვილი მიხეილ – 732;
თუმანიშვილი-წერეთელისა ანასტასია – 732;

ი

იაბელი (იაბალი) (იუბალი) – 22; 30; 48;
იავანესი – 159;
იავანი – 20; 40;
იაკობ ეპისკოპოსი – 412; 417;
იაკობ მამამთავარი – 599;
იაკობ მთავარეპისკოპოსი – 227;
იაკობ მოციქული – 667;
იაკობ მღვდელი – 220; 222; 227; 238; 241; 1143;
იაკობ შემოქმედელი – 1007;
იაკობ (ხუცესი) ცურტაველი – 81; 356; 483; 1144; 1147;
იაკობი – 32-35; 42; 79; 80; 847;
იაკობი (უფლის ძმა) – 410; 423; 463; 472; 474; 478; 480; 551;
იაკობსონი ა. – 642;
იაკუბ ყაენი – 902; 903;
იამასასპოის ძე – 120;
იარედოსი – 62;
იაფეტი – 18; 19; 20; 21; 22; 30; 37; 39; 48; 53; 54; 55; 56; 98; 144; 159;
იაფეტის ძე – 56;
იაჰია ანტიოქიელი – 564; 663;
იბერი – 44; 114;
იბრაჰამ ფეჩევი – 962;
იბრაჰიმ-ხანი – 1076;
იბრ-ზ-ხუა – 188;
იებოსელი – 691;
იეზდიგერდ II – 254;
იერემია წინასწარმეტყველი – 39; 42; 43; 78; 79; 81; 746; 951; 1006;
იესე – 80;
იესე მეფე – 717; 988; 1000; 1005; 1008; 1036; 1043; 1046; 1060;
იესე ლევანის ძე (ისა-ხანი) – 912;
ივანე აბულეთის ძე – 796;
ივანე ათაბაგი – 810; 811; 820; 847;
ივანე ათაბაგის ძე – 835;
ივანე ახალციხელი – 808; 811;
ივანე ვარდანის ძე – 803;
ივანე მეფე (აფხაზეთის) – 68;
ივანე მსახურთუხუცესი (სარგისის ძე) – 801; 803; 806; 809; 818;
ივანე მხარგრძელი – 805; 807; 809; 815; 817;
ივანე ორბელი – 750; 797; 799;
ივანე ციხისჯვარელი – 802;
ივლიანე – 581;
ივლიანე ჰალიკარნასელი ეპისკოპოსი – 373;
იზიბოდ კათალიკოსი – 232;
იზიდ-ბოზიდ კათალიკოსი – 231;
ითრუჯან – 91; 92; 203; 210;
ილარიონ კათალიკოსი – 231; 232;
ილარიონ ქართველი – 103; 557; 558; 898; 920; 1148;
ილია (ელია) I – 656;
ილია მართალი – 54; 55; 57; 135; 163; 636; 637; 642; 928; 948; 1018; 1040; 1065; 1089; 1105-1109; 1113; 1129; 1133; 1134; 1137;
ილინსკი ევსევი – 1100;
იმამყული ხანი – 940-942; 1027;
ინგოროყვა პავლე – 51; 60; 66; 70; 87; 102; 120; 122; 164; 186; 222; 240; 370; 451; 529; 530; 532; 540; 639; 643; 687; 1144; 1146; 1157;
ინოკენტი მარონიე – 300;
იოაკიმ კათალიკოსი (აფხაზთა) – 893;
იოაკიმ მეფე – 42;
იოან ჰირკანი – 95;
იოან-ორბუნებიანი – 673;
იოანე I ეპისკოპოსი – 192; 193; 214-216; 219; 220; 241; 277;
იოანე II გაბელენელი – 456;
იოანე III კათალიკოსი – 648;
იოანე VIII იმპერატორი – 624;

იოანე XXII პაპი – 861;
იოანე ათონელი – 787;
იოანე არჩილის ძე – 496;
იოანე არქიეპისკოპოსი – 342;
იოანე ბატონიშვილი – 1059; 1155;
იოანე ეპისკოპოსი – 228; 261; 285; 287; 417; 517;
იოანე ეპისკოპოსი (ბანელი) – 582;
იოანე ეპისკოპოსი (გოთეთის) – 460; 502;
იოანე ეპისკოპოსი (თბილელი) – 626;
იოანე ეპისკოპოსი (პეტრონის) – 615;
იოანე ბოლნელი – 554;
იოანე გაბელენელი – 374; 375;
იოანე გუთელი – 506; 515; 543; 588; 597;
ოიანე (დავით IV-ს მოძღვარი) – 758; 765; 769;
იოანე დამასკელი – 505;
იოანე დიაკონი – 610; 611;
იოანე დრასხანაკერტელი – 448;
იოანე ზედაზნელი – 385-387; 555; 1148;
იოანე ზოსიმე – 554;
იოანე იბერი – 505;
იოანე (ივერონის აღმშენებელი) – 574;
იოანე კათალიკოსი – 331; 332; 342; 344; 375; 377; 456; 457; 506; 600; 692; 693; 759; 815; 891;
იოანე კათალიკოს-პატრიარქი – 764-766; 768; 769; 772; 785;
იოანე კანტაკუზენი – 1144;
იოანე კოგოვიტელი – 375; 457; 472; 508;
იოანე ლაზი – 444;
იოანე მაირაგომელი – 376-378; 458; 459; 531; 533; 534;
იოანე მალალა – 504;
იოანე მამიკონიანი – 452; 699;
იოანე მანდაკუნი – 306;
იოანე მარუშის ძე – 564;
იოანე მეფე-მღვდელმთავარი – 767; 768;
იოანე მთავარეპისკოპოსი (ანჩელი) – 1153;
იოანე მთაწმიდელი – 23; 103; 558; 898; 1149;
იოანე მოციქული – 111; 112; 119; 124; 128; 422; 423; 473;
იოანე მღვდელი – 571;
იოანე მწიგნობართუხუცესი – 797;
იოანე ნათლისმცემელი – 410;
იოანე ორბელიანი – 768;
იოანე ოქროპირი – 105; 645; 776; 1117;
იოანე ოძუნელი – 381; 456; 655;
იოანე პეტრიწი – 1059;
იოანე საბანისძე – 82; 122; 186; 519; 523; 554; 686; 1138; 1139; 1144; 1147;
იოანე სივნიელი – 472;
იოანე ტარიჭისძე – 769;
იოანე ცეცე – 67;
იობ სომეხი დიაკონი (შემდგომ მთავარეპისკოპოსი) – 182; 228; 241; 242; 282;
იობი – 939;
იობენალი (პატრიარქი) – 198;
იოდასაფი – 101; 102;
იოვანე I ეპისკოპოსი (მთავარეპისკოპოსი) – 227;
იოვანე ეპისკოპოსი – 227; 412;
იოვანე ერისთავი (ეგრისის მთავარი) – 485-487;
იოვანე კათალიკოსი – 230; 231;
იოვანე მინჩხი – 554;
იოვანე მტბევარი – 554;
იოვანე ქონქოზის ძე – 554;
იოველ კათალიკოსი – 231; 232;
იოველ მთავარეპისკოპოსი – 228; 241; 321;
იონა მთავარეპისკოპოსი – 228; 241;
იონათან მაკაბელი – 95;
იოსებ II პატრიარქი – 625;
იოსებ ალავერდელი – 387;
იოსებ ეპისკოპოსი – 412; 417;
იოსებ კათალიკოსი – 1045;
იოსებ (ჰოსებ) კათალიკოსი (სომხეთის) – 297; 298;
იოსებ მამამთავარი – 599;

იოსებ ნინოწმიდელი – 107;
იოსებ რომაელი – 972;
იოსებ სამთაველი – 412;
იოსებ ფლავიუსი (ფლაბიოსი) – 37; 38; 53; 97; 144; 159;
იოსები – 33; 34;
იოსელიანი პლატონ – 192; 769; 1055; 1092; 1155;
იოსიპიოს ებრაელი – 128;
იპოლიტე – 120;
ირბახი ნ. – 704;
ირინე მეფე – 654;
ირინეოსი – 130; 131; 160; 1139;
ისა-ხან ყორჩიბაში – 962;
ისააკ ეპისკოპოსი – 412; 417;
ისააკ (საჰაკ) III ეგია (ილია) – 652;
ისააკ დიდი – 645;
ისააკი – 33; 34; 522; 523;
ისაყ-ფაშა – 1035;
ისე წილკნელი – 387; 1022;
ისიდორე სამთავნელი – 387;
ისმაილი (აბრაამის ძე) – 33; 522; 549;
ისრაელი – 78; 81;
ისრაელი ეპისკოპოსი (ალბანელი) – 472;
ისრაელი კათალიკოსი (სომეხთა) – 459; 474; 534;
ისქანდერ-ბეგ (ისკანდერ) მუნში – 957; 962; 973; 977;
იუბენალი (ეპისკოპოსი) – 291;
იუდა – 78;
იუდა ისკარიოტელი – 112; 121; 272;
იუდა ლებეოსი (თადეოზი, ალფესი) – 111;
იუდა მაკაბი (ურო) – 95;
იულიანე (მეფე) – 158;
იულიუს კაპიტოლინი – 115;
იულიუს კეისარი – 76;
იულონი – 1093;
იუნანი – 481;
იუნესი – 479;
იურიევსკი ლოლიი – 319;
იუსიკი – 645;
იუსტინე – 131;
იუსტინე I – 303; 647;
იუსტინე იმპერატორი – 382; 383; 398; 401; 407;
იუსტინიანე – 235; 276; 339; 374; 398; 456; 462; 466; 473; 610; 618; 619; 647; 648;
იუსტინიანე იმპერატორი – 387; 506; 556;
იუსტინიანე დიდი – 303;
იუსტინიანე II (რინოტმიტი) – 440; 611; 612; 651;
იყალთოელი – 676;
იშხანიკი – 353; 538;

კ

კაენი – 17; 18; 22; 30; 48;
კავად I მეფე – 308; 372; 382; 401; 415-417; 420; 421; 435;
კავატი ხოსროვის ძე – 470;
კავკას – 56; 99;
კაკაბაძე კ. – 441;
კაკაბაძე ს. – 120; 170; 257; 346; 407; 456; 1151; 1157;
კარბელაშვილი დ. – 24; 25;
კარი (იმპერატორი) – 179;
კარსტი ი. – 58;
კარტაშევი ა. – 250; 291; 312; 313; 363; 556; 641; 643-645; 647; 650-653; 656;
კაოსი – 151;
კატა (დავით IV-ის შვილი) – 751;
კატრონიტე დედოფალი – 755;
კაჭახაძე დავით ეპისკოპოსი – 1111;
კახაბერ ვარდანის ძე (მეჭურჭლეთუხუცესი) – 801; 803;
კახაბერ კახაბერის ძე – 801;
კახაბერ ნიანიას ძე – 747;
კახოს – 61; 63;
კედია სპირიდონ – 1111;
კედრენე – 1144;
კეკელიძე კორნელი – 60; 82; 83; 91; 170; 191; 223; 224; 257; 349; 351; 391; 419; 425; 427; 450; 453; 535; 540; 606; 641; 685; 718; 976; 1056;

1059; 1061; 1064; 1143; 1145; 1146; 1151; 1157;
კელენჯერიძე ა. – 1054;
კელენჯერიძე მელიტონ – 119; 1156; 1157;
კვიპრიანე ეპისკოპოსი – 777;
კვიპრიანე ეპისკოპოსი (სამთავნელი) – 1153;
კვიპრიანე კართაგენელი – 880; 881;
კვირიკე მეფე – 748; 749;
კვირიონ კათალიკოსი – 232;
კიკნაძე ი. – 1116;
კიკნაძე ფილადელფოს – 1100;
კიპერტი – 24;
კირ მიტროპოლიტი – 649;
კირ მიხაილ კომნენოსი – 837;
კირაკოს განძაკეცი – 665;
კირაკოსი – 811;
კირილე – 134; 306;
კირილე ალექსანდრიელი – 287;
კირილე დონაური – 607;
კირილე (კჷრილე) კათალიკოსი – 231;
კირიონ I – 1158;
კირიონ II – 543; 1090; 1108; 1110-1113; 1123; 1125; 1132;
კირიონ ეპისკოპოსი – 98; 1156;
კირიონ კათალიკოსი – 183; 329; 331; 332; 343; 347; 363; 365; 376; 379; 395-398; 400-411; 413-417; 419; 420; 422-424; 427-431; 435; 443; 444; 446-448; 451; 453; 455; 456; 458; 464; 473; 476; 485; 487; 508; 509; 534; 640; 648; 707; 1159;
კირიონ კათალიკოს-პატრიარქი – 605;
კირიონ მიტროპოლიტი – 344; 464;
კირიონ სკუტრელი – 361;
კირიონი – 169; 231; 362; 382; 384; 391; 434; 436; 438; 441; 467; 472; 474; 478; 537; 576; 699; 1055;
კიროს ფაზისელი – 438; 443; 650;
კლავდიუსი – 113;
კლდია ბ. – 736;
კლიმენტი ეპისკოპოსი (რომის) – 186;
კლიმენტი (წმიდა პაპი) – 130; 160; 605;
კლემენტიოს კათალიკოსი – 231;
კლიმენტო რომაელი – 129;
კომიტას კათალიკოსი – 376; 377; 458; 459;
კონსტა II – 652;
კონსტანტი ქართველი (კახი) – 526; 527; 540; 554; 1148;
კონსტანტი კახაის ჰიმნოგრაფი – 554;
კონსტანტინე I – 237;
კონსტანტინე I (სომხეთის მეფე) – 860;
კონსტანტინე II – 872; 906;
კონსტანტინე III – 439;
კონსტანტინე IV პოღონატი – 439; 463; 464; 609-612;
კონსტანტინე V (კოპრონიმე, სკორე) – 333; 504; 505; 510; 543; 653;
კონსტანტინე VI – 654;
კონსტანტინე VIII – 565; 569; 571; 574; 581;
კონსტანტინე ალექსანდრეს ძე – 932;
კონსტანტინე დიდი – 184; 185; 188; 191-194; 205; 208; 212; 214; 215; 220; 225; 241; 242; 292; 312; 319; 749; 965; 1142;
კონსტანტინე (იმპერატორი) – 160; 161; 312; 514; 517; 582;
კონსტანტინე მეფე – 227; 611; 872; 873;
კონსტანტინე მეფე (აფხაზთა) – 497; 498;
კონსტანტინე მეფე (ეგრისის) – 660;
კონსტანტინე მეფე (კახეთის) – 933; 934;
კონსტანტინე მონომახი (მონომაქოსი) – 571; 586-588; 598;
კონსტანტინე მცირე – 378;
კონსტანტინე პორფიროგენეტი – 164; 563; 607; 608;
კონსტანციუს ხლორი – 236;
კორიუნი – 698; 700;
კოროლევსკი – 589;
კორნილიოსი (რომის ასისთავი) – 120;
კოხტა ბელადი – 1044;
კუკავა თ. – 1051;

კუპარი შოთა – 842;
კურდანაი-კვირიკე – 554;
კუფტინი ბ. – 47;
კუხიანიძე ბესარიონ – 1129;
კუხოს – 61; 63; 700;

ლ

ლაგამარი – 100;
ლაზარ ეპისკოპოსი – 412;
ლაზარ ფარპეცი – 254; 306; 316;
ლაზარე – 350; 683; 684;
ლაზარე ეპისკოპოსი – 417;
ლაზარე კათალიკოსი – 717; 719; 722;
ლაზარე ჭაუკელი – 1061; 1062;
ლაზარიშვილი დიმიტრი – 1116;
ლალაიანი – 356; 538;
ლამექი – 18; 30;
ლანგი დ. – 986;
ლასი – 736;
ლაშა-გიორგის მემატიანე – 1153;
ლაღიაშვილი იოსებ – 1101;
ლებედევი პავლე – 1101;
ლევ III – 505; 543;
ლევ V (სომეხი) – 654;
ლევ ისავროსი – 489; 502; 503; 507; 523; 652; 653;
ლევან (ავ-გიორგის ძე) – 907;
ლევან II დადიანი – 974; 1012; 1016; 1057;
ლევან დადიანი – 964; 975;
ლევან თეიმურაზ I-ის ძე – 934; 935; 937; 939;
ლევან მეფე – 1005; 1008;
ლევან მეფე (კახთა) – 904; 908; 909; 912; 915; 917; 930;
ლევან უფლისწული – 1062;
ლევანი – 1061;
ლეკ – 56; 99;
ლემან-ჰაუპტი – 24;
ლენორმანი – 21; 22; 24; 55;
ლეონ I – 487; 495-497; 503; 630;
ლეონ I (ერისთავი) – 505;
ლეონ I (იმპერატორი) – 300; 302;
ლეონ II – 487; 496; 505;
ლეონ გრამატიკოსი – 144;
ლეონ დიაკონი – 1144;
ლეონ დიდი (პაპი) – 133;
ლეონ ერისთავი (აფხაზთა) – 486; 490-494;
ლეონ მეფე (აფხაზთა) – 503; 563; 567;
ლეონი – 154; 274; 275; 713; 723;
ლეონი („ლეონის ტომარი“) – 396; 398; 417; 472; 476;
ლეონი მხედართმთავარი – 268;
ლეონტი – 651; 680; 686; 694;
ლეონტი ეპისკოპოსი – 192; 193;
ლეონტი მროველი – 37; 55; 56; 57; 59; 60; 66; 67; 71; 155; 259; 315; 323; 324; 366; 368; 435; 447; 448; 483; 494; 554; 678; 679; 683; 685; 687; 693; 695; 702; 705; 909; 1138; 1145; 1146; 1152; 1160;
ლეჟავა ლ. – 138;
ლეჟავა ნუგზარი – 1116;
ლვოვი ბ. – 1110;
ლია – 33;
ლიბანიოსი – 128;
ლიონიძე სოლომონ – 1085;
ლიპარიტ ბაღვაში - 789;
ლიპარიტი – 528; 586; 587; 748; 761; 762;
ლიპარიტი (ანტონი) – 584;
ლიცინიუსი – 190; 191;
ლოთი (ლოტი) – 31; 32; 690;
ლოლაშვილი ივ. – 81; 82; 763; 1152;
ლომინაძე ბაბილინა – 147; 237; 323; 330; 337; 1157; 1162;
ლომოური ნოდარ – 368; 1159-1162;
ლომსაძე შ. – 955; 994;
ლონგინოზ კარსნელი – 119; 185; 206;
ლორთქიფანიძე მ. – 315; 316; 1157;
ლორთქიფანიძე ო. – 173;
ლუარსაბ I – 909; 911; 944;
ლუარსაბ II – 929; 934; 945; 1036;
ლუარსაბი ვახტანგ V-ის ძე – 1005;
ლუარსაბ მეფე – 910; 915; 917; 935-937; 945-947; 949; 1009;
ლუდოვიკო ბოლონიელი – 887; 888;

ლუკა იერუსალიმელი (მუხას ძე – აბაშიძე) – 860; 861;
ლუკა მოციქული – 111; 423; 473;

მ

მაგოგი – 20; 39;
მადაი – 20; 39;
მადათოვი – 732;
მადესი – 159;
მადიანი – 33;
მადინაშვილი ზაქარია – 1059;
მაეჟანი (ქართლის სპასპეტი) – 680;
მავრიკ მეფე – 375;
მავრიკე – 457;
მავრიკე იმპერატორი – 341; 377; 399; 402; 422; 433; 434; 648; 653;
მაზდა – 89; 90;
მათათია – 94; 95;
მათე მოციქული – 88; 111; 112; 473;
მაიერი – 24;
მაისურაძე გ. – 719;
მაკარი ანტიოქიელი – 609; 650; 651; 973;
მაკარი ლეთეთელი – 554; 674;
მაკარი კათალიკოსი – 230; 385;
მაკარი პატრიარქი – 650;
მაკარიოსი – 334; 335;
მაკარიოსი პატრიარქი (ანტიოქიის) – 505; 506; 611;
მაკრინა – 98;
მაკრინე მონაზონი – 391;
მალალა – 339;
მალასა (მეფე) – 158;
მალაქია კათალიკოსი – 947; 976; 1034; 1049; 1154;
მალიქ შაჰი – 762;
მალიქი – 754;
მალიქი მალიქშას ძე – 752;
მალიქშა სულთანი – 746-748;
მალხასიანცი – 300;
მამაꙋ – 231;
მამია გიორგი II-ის ძე – 903;
მანდაკუნი – 298;
მანუილ II იმპერატორი – 624;
მანუილი – 654;
მანუჩარ ათაბაგი – 962;
მანუჩარი – 891; 903; 907; 912; 913;
მაუაქი – 165;
მარ-აბას-კატინა – 42; 140;
მართა (ლაზარეს და) – 348; 350; 684;
მართა დედოფალი – 785;
მარი ნიკო – 24; 25; 44; 49; 58; 59; 121; 160; 163; 164; 169; 170; 171; 223; 224; 330; 331; 409; 516; 534; 545; 546; 550; 608; 635-643; 674; 698; 699; 796; 1059; 1108; 1143; 1156;
მარია – 654;
მარიამ დედოფალი – 583; 586-590; 598; 602; 703; 723; 1008; 1150;
მარიამ მაგდალინელი – 202;
მარიამი (ლაზარეს და) – 348; 350; 684;
მარიამი (როსტომ-ხანის ცოლი) – 955;
მარკიანე (იმპერატორი) – 293; 429; 646;
მარკიონი – 186;
მარკოზი მოციქული – 111; 410; 423;
მარტიროსი ეპისკოპოსი (სომეხთა) – 878;
მარუშიანი (ჩუხჩარი) – 801;
მატათა მოციქული – 112; 116; 119; 121-124; 127; 130; 134;
მაქსენციუსი – 237;
მაქსიმე კათალიკოსი (აფხაზეთის) – 1054;
მაქსიმე მიტროპოლიტი – 362; 1157;
მაქსიმე მიტროპოლიტი (სარდელი) – 589; 602;
მაქსიმე პატრიარქი – 291;
მაქსიმიან დაზა – 190;
მაქსიმიანე – 236;
მაქსიმილიანე იმპ. – 1139;
მაქსცენსიუსი – 191;
მაღალაშვილი იასე – 1023;
მაჩაბელი – 738;
მახარე (მითრიდატეს ძე) – 98;
მაჰმედ II – 709;
მაჰრუჯანი – 350;
მეგასთენე – 42; 139; 167; 325; 366;
მედეა – 128;

მეთოდე – 134;
მელიტე მანაზკერტელი – 298;
მელიტონ მიტროპოლიტი – 1130;
მელიქიშვილი გ. – 26; 27; 46; 48; 117; 120; 315; 369; 681; 743; 1144; 1146;
მელიქსეთბეგი ლ. – 1064;
მელქისედეკ I კათალიკოსი – 565-570; 573; 574; 582; 587; 606; 663; 1032;
მელქისედეკი – 374;
მელქო – 732;
მემნა ბოცოს ძე – 851;
მენაბდე – 918;
მერიბანი – 180;
მესროპ მაშტოცი – 72; 300; 408; 411; 412; 480; 656; 670-702;
მესხია შ. – 315; 768; 793; 795; 796; 1157;
მესხიშვილი ალექსი – 1050; 1056;
მესხოსი – 159;
მეშექი – 20; 39-41; 44;
მეჯლუმი – 1076;
მეჰრუჟანი – 669;
მზეჭაბუკ ათაბაგი – 881; 883; 889; 890;
მითა მეფე („მითა მესხი“) – 70;
მითრიდატე – 113; 114; 120; 166;
მითრიდატე III – 114; 190;
მითრიდატე პონტოელი – 93; 96; 97; 98;
მიმინოშვილი რ. – 636;
მირ მეფე – 153; 413; 485-487; 490; 491; 493-495; 524; 525;
მირ-ვეისი – 986; 989;
მირანდუხტი – 255; 261-263; 269;
მირდატი – 151; 152; 154; 155; 228; 241; 251; 252; 255; 259-261; 274; 275; 282-286; 296;
მირვანი – 65; 99;
მირიან აზნაური – 542;
მირიან მეფე – 52; 89; 90; 143; 152; 172; 180; 183; 193-197; 203; 208; 209; 211; 212; 214; 215; 217; 220-222; 238-241; 264; 266; 315; 335; 440; 486; 680; 687; 695; 703; 1139; 1143; 1158; 1160;
მირიან (მირვან) სამცხელი – 662; 663;
მიქა წინასწარმეტყველი – 80;
მიქაელ I – 511;
მიქაელ II – 511;
მიქაელ IV იმპერატორი – 571; 584;
მიქაელ V იმპერატორი – 571; 584;
მიქაელ კათალიკოსი – 231; 232; 511; 512; 800; 812-816; 818; 819; 879;
მიქაელ მთავარანგელოზი – 209;
მიქაელ მთავარეპისკოპოსი – 229; 239; 241; 242; 253-255; 257; 261; 262; 268; 272; 283-286; 293; 294; 296; 298; 309; 310; 315; 318-322; 1162;
მიქაელ მოდრეკილი – 337; 547; 549; 550; 554; 701;
მიქაელ პატრიარქი (ანტიოქია-იერუსალიმის) – 1016;
მიქაელ ულუმბოელი – 387;
მიქაელი (შიოს მოწაფე) – 540;
მიქაელი – 481;
მიქაძე ამბროსი (ნეკრესელი ეპისკოპოსი) – 1154;
მიხაილ I რანგავე – 654;
მიხაილ II ტრავლი – 654;
მიხაილ III – 654;
მიხანოვკა – 642;
მიხეილ პატრიარქი (ანტიოქიის) – 891-893; 1160; 1161;
მიჯინი – 309; 373;
მიჰრდატ I – 165;
მიჰრდატ II – 165;
მიჰრდატ III – 165-167;
მიჰრდატ IV – 165; 166;
მიჰრდატი – 166; 167;
მკრტუმიანი გ. – 355;
მნაცაკანიანი ა. – 355;
მობიდანი (მთავარეპისკოპოსი) – 255; 261; 262; 284-286; 295-297;
მოვაკან – 56; 99;
მოვსეს მანაზკერტელი – 298;
მოვსეს ხორენაცი (მოსე ხორენელი) – 21; 42; 55; 56; 58; 59; 114; 163-169; 180; 182; 192; 194; 196; 280-282; 329; 348; 350; 351; 354; 361;

364; 389; 390; 606; 608; 669; 670; 685; 692; 1146;
მოლითორი – 667;
მოლჩანოვი ალექსი (ეგზარქოსი) – 1101;
მოსე – 413; 473; 673;
მოსე ელივარდელი – 472;
მოსე ეპისკოპოსი – 328; 361; 376; 393-397; 399; 400; 402; 404; 405; 408; 410; 414-416; 430; 699;
მოსე ეპისკოპოსი (ტარსის) – 417;
მოსე ეპისკოპოსი (ცურტავის) – 458;
მოსე კათალიკოსი – 375; 377; 398; 402; 409; 415-417; 420; 421; 462; 508; 509;
მოსე კალანკატუელი (კალანკატუაცი) – 353; 429; 431; 437; 461; 462; 464-468; 478; 507; 508; 551; 576; 607; 644; 655; 697; 698; 707;
მოსე მღვდელი – 939; 940;
მოსე წინასწარმეტყველი – 34; 35; 78; 92; 757; 859; 946; 1037;
მოსე ხონელი – 1006;
მოსეს ელივარდელი – 375; 457;
მოსოქი (მოსოხი) – 20; 22; 23; 37; 38; 144;
მოჰამედ თაჰერი – 725;
მსხემი ზედაზნელი – 554; 555;
მურად II – 623;
მურადაშვილი – 726;
მურვან ყრუ – 485; 487; 490; 524; 529; 532;
მურთაზ ფაშა – 970;
მურთუზალ ყული-ხანი – 967;
მუსხელიშვილი დავით – 259; 323; 327; 336; 366-370; 442;
მუშელ მამკუენი – 375;
მუჰამედ წინასწარმეტყველი – 90; 522; 524; 657;
მცხეთოსი – 61; 63;
მჭედლიშვილი ბ. – 284; 314; 316;
მჭედლიძე სიმონ – 1129;
მხარგრძელები – 363;
მხეიძე დავით (არგვეთის მთავარი) – 524; 554; 557; 898; 920; 1114;
მხეიძე კონსტანტინე (არგვეთის მთავარი) – 524; 554; 557; 898; 920; 1114;
მხეიძე ფირამ – 1023;
მხითარ სევასტიელი – 1059;

ნ

ნაბუქოდონოსორი – 39; 41-44; 93; 139; 140; 165-167; 361; 367;
ნადირ-შაჰი – 710; 711; 735; 1042;
ნადირა ახალციხელი – 1023;
ნაზარი მღვდელმოწამე – 1129;
ნალიმოვი ნიკოლოზ (ეგზარქოსი) – 1101;
ნანა დედოფალი – 202; 208; 209; 211; 220; 221; 1139;
ნანაისშვილი ელიშახუ – 1028;
ნარსიძე გ. – 232; 233;
ნასარ ერისთავი – 269;
ნასყიდა – 713;
ნებროთი – 99; 209; 680;
ნერონი – 113; 120; 325; 1114;
ნერსანარი – 269;
ნერსე – 273; 381;
ნერსე I კათალიკოსი – 645;
ნერსე II – 373; 374; 376; 456; 457; 529;
ნერსე III კათალიკოსი – 651;
ნერსე ერისთავი – 68; 440; 497; 528; 613;
ნერსე იშხნელი – 378; 459; 531; 534; 538; 698;
ნერსე კათალიკოსი – 182; 228; 241; 308; 309; 373; 456; 474; 476;
ნერსე კათალიკოსი (სომეხთა) – 384; 530; 742; 743;
ნერსე მიჯინი – 380; 389; 421; 455;
ნერსეს ნერსესიანი – 493;
ნერსეს-ბაკური – 652;
ნერსესი –308; 372; 475; 478; 480; 652;
ნერსეჰი – 179;
ნერშაპუს ეპისკოპოსი (ტარონის) – 374;
ნესტორი – 287; 299; 300; 417; 646;
ნიანია კახაბერის ძე – 748;
ნიკოფორე გრიგორი – 1144;

ნიკიფორე იმპერატორი – 654;
ნიკიფორე კალისტო (კალისტა) – 162; 1144; 1161;
ნიკიფორე პატრიარქი – 1144;
ნიკიფორე ქსანტოპულოსი – 23;
ნიკიფორე ხონაიტი – 1144;
ნიკოლაძე ევსევი – 196; 717; 719; 1056; 1057; 1156;
ნიკოლაძე იეროთეოს – 1129;
ნიკოლაძე ნიკო – 1108;
ნიკოლოზ I (პაპი) – 133;
ნიკოლოზ VIII კათალიკოსი – 712;
ნიკოლოზ გულაბერისძე – 799; 1153; 1155;
ნიკოლოზ გურიელი (ბერი) – 1029;
ნიკოლოზ დვალი – 861;
ნიკოლოზ ეპისკოპოსი (მროველი) – 1003;
ნიკოლოზ ირბახი – 726;
ნიკოლოზ კათალიკოსი – 107; 853; 1161;
ნიკოლოზ (ამილახორის ძე) კათალიკოსი (ქართლის) – 600;
ნიკოლოზ მაწყვერელი – 853;
ნიკოლოზ მისტიკოსი – 664; 665;
ნიკოლოზ მღვდელი – 1058;
ნიკოლოზ პატრიარქი (საქართველოს) – 618;
ნიკოლოზ რუსთველი – 1153;
ნიკოლოზ ქართველთა მნათობი – 1153;
ნიკოლოზ ქიზიყელი – 1058;
ნიკოლსკი ისიდორე – 1100;
ნიკონ შავმთელი – 334; 504;
ნინოს I ჰიმნოგრაფი – 554;
ნინოს II ჰიმნოგრაფი – 554;
ნინოს III ჰიმნოგრაფი – 554; 555;
ნირსელი – 860;
ნოე – 18; 19; 21; 32; 37; 55; 98; 144; 159;
ნუგზარი – 934;
ნურსალ ბეგი – 1043;
ნუცუბიძე შ. – 141;

ო

ობელი – 97;
ობოლენსკი ა. დ. – 1107;
ოთაღო შარვაშის ძე – 801;
ოკნოვი პიტირიმე ეგზ. – 1101;
ომარ II ხალიფა – 649; 657;
ოპოცკი ალექსი (ეგზარქოსი) – 1101;
ორბელიანი ვახტანგ – 715;
ორბელიანი ივანე – 715;
ორბელიანი იოანე – 1058;
ორბელიანი პაპუნა – 1038; 1042; 1053; 1155;
ორბელიანი სულხან-საბა – 714; 715; 993; 995; 997-999; 1004; 1008; 1029; 1036;
ორესტი პატრიარქი (იერუსალიმის) – 510;
ორიგენი – 119; 120;
ოსეს ძე – 1058;
ოსოხი – 97;
ოსტროუმოვი – 1108;
ოქროპირი – 234;
ოქროპირი კათალიკოსი (ხუნძელი) – 601; 606;
ოქროპირიძე ალექსანდრე – 1129;
ოქროპირიძე ლეონიდე – 1099; 1108-1113; 1123; 1125; 1134;
ოქროპირიძე პიროს – 1111;
ოძრხოსი – 61; 516;

პ

პაატა ბატონიშვილი – 720;
პაატა ვახტანგის ძე – 1044;
პავლე – 650;
პავლე (ბერი) – 1029;
პავლე ეგზარქოსი – 1097; 1103;
პავლე ეპისკოპოსი (თბილელი) – 1003;
პავლე მოციქული – 83; 111; 119; 124; 419; 777; 847; 881; 946; 1117;
პალადი – 558;
პალადი ჰელენოპოლელი – 162;
პალგენ ეპისკოპოსი – 412; 413; 417;
პალმოსი – 1139;
პანდორე ალექსანდრიელი – 73;
პაპაი შალვას ძე – 860;
პაპი (მეფე) – 181; 182; 245; 281; 645;
პაპუაშვილი თ. – 540; 1149;

პატარიძე რამაზ – 72; 73; 75-78; 86; 519;
პატკანოვი – 163; 164; 637; 641; 642; 685;
პეროზ მეფე – 255; 258; 297; 299; 372;
პეროჟავრი სივნიელი – 219; 220; 222;
პეტრე I – 1000-1002; 1067;
პეტრე I კათალიკოსი – 228; 1162;
პეტრე III პატრიარქი – 588; 591; 592; 594; 597; 598; 1162;
პეტრე დიდი – 1094;
პეტრე ეპისკოპოსი – 192; 257; 396; 414; 427-430; 508;
პეტრე იბერი – 82; 182; 444;
პეტრე კათალიკოსი – 153; 231; 232; 271-273; 375; 302; 322; 323; 337;
პეტრე კონსტანტინეპოლელი – 650;
პეტრე მოციქული – 111; 112; 118-120; 123; 124; 128; 133; 199; 272; 410; 423; 596; 597; 997; 1161;
პეტრე მკაწვრელი (ფულონი) – 300-302; 309-311; 336; 1161; 1162;
პეტრე მღვდელი – 265; 266;
პეტრე პატრიარქი (ანტიოქიის) – 300; 336; 429; 430; 587; 590; 1131; 1150;
პეტრე პრესვიტერი – 611;
პეტრე ქერდოლი – 374;
პეტრიწი – 676;
პეჩი გ. – 681;
პიეტრო დელა ვალე – 918; 939-941; 977; 985;
პითაგორე – 78;
პილატე პონტოელი – 79; 199;
პილატე პონტოელის მამა – 165;
პიმენ სალოსი – 853;
პიროს ბრეთელი – 387;
პიროს მღვდელმთავარი – 1109;
პიროსი – 650;
პლატონი – 52;
პლინიუსი – 49; 109; 122;
პლუტარქე – 93-97;
პლუტარქოსი – 128;
პომპეუსი – 92-98; 165;
პორტა პატრიარქი – 713; 723;
პოსნოვი – 1138;
პოტიომკინი გ. – 1076;
პროკლე დიადოხოსი – 1059;
პროკოფი ბიზანტიელი – 121;
პროკოფი კესარიელი – 119; 284; 315; 339; 383; 1105;
პროხორე – 859;
პუბლიუს ლინიციუს ვალერიანე – 178;
პტოლემე ლაგე (სოტერი) – 94;

ჟ

ჟაკ დე ვიტრიუსი – 918;
ჟან შარდენი – 971; 972; 984;
ჟორდანია თედო – 154; 386; 512; 637; 884; 889; 917; 1112; 1146; 1151; 1156;
ჟურული გიორგი – 1111;

რ

რადამისტი – 113;
რაევი პალადი – 1101;
რატი ლიპარიტის ძე – 748;
რატი სურამელი – 801;
რატიანი პ. – 315; 787; 788;
რაჟდენი (წმიდა) – 273; 274; 385; 390;
რახილი – 33;
რებეკა – 33;
რევ მართალი – 92; 131; 185; 881; 1139;
რევი (მირიანის ძე) – 209; 216; 218; 219; 221;
რესმაგა (მეფე) – 158;
რიგინოსი – 287;
რიფსიმე – 199; 200;
რომანოზ III – 565; 569; 571; 574; 582; 583;
რომანოზ მიტროპოლიტი – 1154;
როჟდესტვენსკი პლატონ (ეგზარქოსი) – 1101; 1110;
როსტომ ერისთავი (რაჭის) – 1074;
როსტომ მეფე-ხანი – 703; 711; 713; 723-726; 742; 903; 928; 929; 950-955; 958-960; 965-967; 969; 970; 973; 976; 980; 983; 984; 987; 995; 1004;

1036; 1057; 1060; 1069; 1081;
როსტომის ისტორიკოსი – 957;
რომი – 41; 44;
რუდნევი იოანიკე – 1100;
რუსა (ალექსანდრე მეფის ბებია) – 876;
რუსანოვი თეოფილაქტე არქიეპისკოპოსი – 1095; 1096; 1100;
რუსუდან მეფე – 805; 810; 812; 817; 820; 834; 835; 840; 846-848;
რუსუდანი (თამარის მამიდა) – 802;
რუფინუსი – 23; 97; 140; 143; 160; 162; 173; 224-226; 1142;
რუქნადინი – 808;

ს

სააკაძე გიორგი – 934-936; 943; 946; 960; 962; 963;
სააკაძე იოსებ თბილელი – 1007; 1008;
სააკაძე როსტომ-ხან – 964;
საბა განწმედილი – 82;
საბა ეპისკოპოსი (იშხნის) – 459; 529; 531; 539;
საბა კათალიკოსი – 276; 387;
საბა მტბევარი – 107; 581; 582;
საბა ნინოწმიდელი – 1039;
საბა სვინგელოზი – 1153;
საბინინი (საბინაშვილი) გობრონ-მიქაელი – 186; 192; 1101; 1156;
საგდუხტ დედოფალი – 255;
საგდუხტი – 260; 261; 286;
სადუნი – 797;
საიათნოვა – 732;
სალიმი – 950;
სალომე დედოფალი – 95;
სალომე უჯარმელი – 197; 217; 219; 220; 222-224; 226; 1143; 1144; 1155;
სამოელ ეპისკოპოსი – 257; 271; 272; 302; 322; 412; 417;
სამოელ (სამოველ) (სამუელ) კათალიკოსი – 229-232; 275; 479-481;
სამოელ მონაზონი – 265; 266;
სამოელი (ოპიზის წინამძღვარი) – 529;
სამნაღირი – 269;
სამუელ ანჟელი – 384;
სამუელ მგალობელი – 554;
სამუელი – 229;
სამძივარი – 125;
სანიაბაზ მეფე – 724;
სანიბა – 956;
სარა – 31; 33;
სარა ბეთლემელი (ნიაფორი) – 198; 199;
სარგის ვარამის ძე მხარგრძელი – 797; 801; 805; 807; 814; 816;
სარგის თმოგველი – 842;
სარგის ციხისჯვრელი – 842;
სარგისი – 854;
სარგონ II – 38;
სარგონ მეფე – 32;
სარმაკ კათალიკოსი – 297;
სარმეან კათალიკოსი – 231;
სარქისიანი გ. – 296; 300; 306;
საურმაგი – 65; 150; 180; 181; 261; 269; 270;
საფარ ფაშა – 970;
საღირ მახატლის ძე – 806;
საყვარელიძე ექვთიმე – 1010;
საძაგლიშვილი კირიონი – იხ. კირიონ II
საჰაკ III ძორაფორეცი – 656; 657;
საჰაკ ამირა – 540;
საჰაკ ეპისკოპოსი – 412; 417;
საჰაკ დიდი – 669; 670;
საჰაკ კათალიკოსი (სომხეთის) – 296; 297; 320;
საჰაკი – 281; 308; 372; 377; 645;
საჰლ სმბატიანი – 479;
სებეოსი – 341; 433; 435; 457; 655;
სევერიუსი – 303;
სეილ ფაშა – 970;
სელევკ IV ფილიპატორი – 94;
სელიმ-ხანი – 964;
სემი – 18; 19; 21; 144;
სენ-მარტენი – 163;
სერაპიონ ზარზმელი – 539; 1148;
სერგი არქიეპისკოპოსი – 119;
სერგი პატრიარქი (კონსტანტინეპოლელი) – 649; 650;

სერგი პატრიარქი (რუსეთის) – 1128;
სვეტლოვი ე. – 88;
სვეტლოვი პ. – 79;
სვიდა – 560;
სვიმახოსი – 83;
სვიმეონ კათალიკოსი – 566;
სვიმეონ მთავარეპისკოპოსი – 228;
სვიმონ ლევანის ძე – 1005;
სვიმონ მესვეტე – 386;
სვიმონ მთავარეპისკოპოსი – 239; 241;
სვიმონ მეფე – 913; 916; 945; 951; 969; 970;
სვიმონ მეფე (ქართლის) – 912;
სვიმონ უფლისწული – 911;
სვიმონ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი
სვიმონ ჯუღაეცი – 1059;
სვიმონი (ივერონის წინამძღოლი) – 585;
სიდამონიძე ეფრემ II – 1120; 1121; 1123; 1128;
სიდონია – 186;
სიდონია (აბიათარის შვილი) – 92; 205; 207-209; 213; 222; 1143;
სილოვანი (ბერი) – 1029;
სიმეონ ბეთ-არშამელი – 343;
სიმონ I (მეფე) – 723; 913;
სიმონ II სიმონ-ხანი – 963;
სიმონ კანანელი – 112; 116; 118; 119; 121-124; 127; 130; 134; 524; 563; 567; 596; 602-604; 1138;
სიმონ ლევანის ძე – 988;
სიმონ ნასი – 95;
სიმონ-პეტრე კათალიკოსი – 230;
სიმონ-ხანი – 956; 960;
სიმონ ჯულფელი – 1059;
სიროპულოსი სილვესტეროს – 624; 625;
სმბატ ბაგრატუნი – 406;
სმბატ ვრკანი – 399; 400; 403-406; 408; 415; 422;
სმბატ მარზპანი – 451;
სმბატი – 363; 411; 412;
სოზომენე ერმია – 160; 162; 193; 225; 226; 1142; 1161;
სოკოლოვი ივანე – 1108;
სოკრატე – 160; 162; 173; 1142; 1161;
სოკრატე სქოლასტიკოსი – 23; 140; 225; 226;
სოლომონ I – 1045; 1065; 1071; 1073-1075; 1084;
სოლომონ II – 1075; 1085; 1096; 1097;
სოლომონ ბრძენი – 945; 1053;
სოლომონ მეფე – 1072; 1082;
სოლომონი ვახტანგ V-ის ძე – 1005;
სოლოღაშვილი ბიძინა – 959;
სოსანა – 198; 1129;
სოსანი – 848;
სოსთენი – 453; 580;
სოფიისკი ნიკონ (ეგზარქოსი) – 1101; 1103; 1109;
სოფრონ პალესტინელი – 650;
სოფრონი – 120; 650;
სოფრონი მიტროპოლიტი – 879;
სოფრონიოსი მიტროპოლიტი (ნიკორწმიდელი) – 1093;
სოფრონიუსი – 188;
სპარამი ალბანეთის დედოფალი – 474; 476;
სტალინი ი. ბ. – 1120; 1121; 1126;
სტატოფილე – 188;
სტეფანე – 378; 651;
სტეფანე ბიზანტიელი – 128;
სტეფანე ეპისკოპოსი – 533; 1108;
სტეფანე მტბევარი – 525; 526; 661; 1148;
სტეფანე პატრიარქი (ანტიოქიის) – 300;
სტეფანე სანანოის ძე – 523;
სტეფანე ჭყონდიდელი – 547; 549; 554;
სტეფანე ხირსელი – 387;
სტეფანოზ გურგენის ძე – 497;
სტეფანოზ ეპისკოპოსი – 342; 377; 412; 417;
სტეფანოზ ერისმთავარი – 230; 231; 436;
სტეფანოზ I ერისმთავარი – 448;
სტეფანოზი – 342; 434; 437; 490; 491; 517; 540;
სტეფანოზი (მთავარი) – 391; 485;
სტრაბონი – 38; 54; 65; 66; 85; 92; 111; 140; 144; 170; 173; 182; 325; 326; 328; 340; 366; 367;

სტნგენე ეპისკოპოსი – 417;
სულეიმან II – 916;
სულეიმან სულთანი – 917;
სუმბატ I – 660;
სუმბატ დავითის ძე – 564; 583; 1147;
სუმბატ მეფე – 660;
სუმბატ ტიეზერაკალი – 498;
სუმბატი – 434; 449; 450;
სურენი – 374;
სხირტლაძე ზაზა – 355; 359; 537;

ტ

ტაბაღუა ი. – 160;
ტაბალი (თაბალი) – 53;
ტარიჭანი – 531;
ტაციტუსი (ტაციტი) – 108; 113; 114; 328;
ტერ შმოვანი – 732;
ტერ-მკრტიჩიანი გ. – 698; 700;
ტიბერი – 651;
ტიბერიუსი – 123;
ტიგრანი – 165-167;
ტიმოთე არქიეპისკოპოსი – 1061;
ტიმოთე ელური – 306;
ტირიბაძე (სატრაპი) – 156; 157;
ტირიდატი – 123;
ტიტე მოციქული – 111;
ტიტე ფლავიოსი – 120;
ტოკარსკი ნ. – 641;
ტორმასოვი – 1094; 1095;
ტოტლებენი – 1071; 1072; 1074;
ტრაიანე – 160; 161; 186; 605;
ტროიცკი ს. – 131; 133; 233; 243; 244; 246; 288; 313; 1127;
ტურაევი – 24;

უ

უზუნ-ჰასანი – 901; 915;
ულფილა ეპისკოპოსი – 98;
უნდილაძე დავითი (დაუდ-ხანი) – 963; 964;
უობოსი – 67;
უსლარ ჰ. – 38;
უსუპი – 100;
უფლოს – 61;
ურბან VIII – 965; 966;
უხტანესი – 167; 169; 331; 332; 356; 361; 362; 415; 417; 418; 422; 427-429; 434; 460; 507-509; 804;

ფ

ფადლონი – 761; 762; 791; 796;
ფათალი-ხანი – 1070;
ფანა-ხანი – 1069;
ფარნავაზი – 46; 47; 50; 52; 60; 61-69; 71-73; 78; 84; 86; 87; 91; 136-138; 147-150; 153; 155; 158; 172; 259; 323-326; 349; 354; 366-369; 435; 440; 447; 448; 483; 486; 499; 516-519; 563; 636; 677; 680; 687; 688; 701; 702; 880; 922; 1080; 1145; 1158;
ფარნაოზ I – 1079;
ფარნაჯომი – 65; 84;
ფარსმან I – 114; 174;
ფარსმან II (ქველი) – 109; 115; 122; 151; 180; 687;
ფარსმან VI – 484;
ფასრსმან მეფე – 228; 229; 385; 514; 517;
ფარსმანი – 109; 110; 112-115; 120; 129; 151; 158; 230; 241; 251; 254; 275; 276; 282; 295; 386; 387; 484;
ფაუსტოს ბუზანდი – 455;
ფაუსტოსი – 331; 332;
ფაფაზიანი იგნატი – 708;
ფეიქარ-ხანი – 960-962;
ფერაძე გრიგოლ – 1129; 1157;
ფეროზი – 215; 219; 493;
ფილიპე ბეთლემელი – 554;
ფილიპე დიაკონი – 120;
ფილიპე მოციქული – 111;
ფილიპიკე (ვარდანე) – 503; 651; 652;
ფირდოუსი – 1006;
ფოკა – 434;
ფოკა ეპისკოპოსი – 412; 417;
ფოკა კეისარი – 377; 422;
ფოტი პატრიარქი – 653; 572;

ფოტიოს პატრიარქი – 665; 1152;
ფსევდოკალისტანე – 685;
ფსევდოპლუტარქოსი – 128;
ფურცელაძე დ. – 1092;
ფხალაძე მელქისედეკი III – 1120; 1123; 1128;

ქ

ქავთარ ბარამის ძე – 749;
ქათიბ-ჩელები – 908;
ქაიხოსრო III – 910;
ქაიხოსრო ათაბგი – 915;
ქაიხოსრო ლევანის ძე – 984-987;
ქაიხოსრო მეფე – 1005;
ქაიხოსრო სარდალი – 1039;
ქამი – 18; 19; 21; 144;
ქართამი – 117; 150; 681;
ქართლოსი – 37; 38; 48; 56; 61; 63; 68; 84; 99; 146; 150; 367; 516; 679; 687; 689; 690; 694; 1155;
ქასრე ამბარვეზი – 253; 433;
ქეთევან დედოფალი – 929; 930; 932; 933; 935; 938-944; 949;
ქერდოლ მათუსალა – 377; 378;
ქერიმ-ხანი – 1044; 1069; 1072;
ქერობინ აბულისძე – 885;
ქითიმი – 20;
ქიქოძე გაბრიელ ეპისკოპოსი – 1102; 1114; 1129;
ქიქოძე მ. – 1001;
ქიჩიკნოვა – 732;
ქრამ ხუარ ბორზარდ – 228; 241;
ქრისტეფორე – 529;
ქრისტეფორე აპაჰუნელი – 458;
ქრისტეფორე არქიეპისკოპოსი – 1003;
ქრისტეფორე კათალიკოსი – 376; 649; 656; 1019;
ქრისტეფორე მთავარეპისკოპოსი – 107;
ქრიზოსტომოს მიტროპოლიტი – 1130;
ქსენეფონტე – 50; 156-159; 297;
ქუში – 99;
ქუჯი – 63; 64; 136; 147-149; 155; 483; 687;

ღ

ღევონდი – 657;
„ღომაროდ“ – 38;

ყ

ყაზან ყაენი – 838; 865;
ყაზახ ბორჩალუ – 1043;
ყაითმაზაშვილი ფილიპე – 732; 1050; 1056-1059;
ყამარი – 100;
ყარა-ყალხანი – 725;
ყაუხჩიშვილი თ. – 159; 692;
ყაუხჩიშვილი ს. – 705;
ყაფლანისშვილი დომენტი – 985;
ყვარყვარე – 842; 887; 888; 901; 903;
ყვარყვარე II ათაბაგი – 884; 885;
ყვარყვარე III – 907;
ყვარყვარე IV ათაბაგი – 890; 912;
ყვარყვარე ათაბაგი – 872; 881; 883; 917;
ყვარყვარე მთავარი (სამცხის) – 906;
ყვარყვარე სპასალარი – 807;
ყიფიანი დიმიტრი – 1092; 1101;
ყიფშიძე იოსები – 49; 169;
ყორღანაშვილი მერაბი – 959;
ყორჩიბაში – 932;
ყორჩიხა-ხანი – 960-962;
ყუბანეიშვილი ს. – 346;
ყუბასარ ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესი – 797; 800; 812;
ყუთლუ-არსლანი – 800; 815; 816; 820;

შ

შაბურ I – 178;
შაბურ II – 179;
შაბური – 180; 181;
შათი – 470; 480;
შალვა ახალციხელი – 807; 810; 811; 850;
შალვა თორელი – 807;
შალვა ქსნის ერისთავი – 929; 967;
შალვა (ხორნაბუჯელის ძე) – 849;
შალიკაშვილი კიკოლა – 913;
შალიკაშვილი ოთარი – 910;

შამხალი – 937;
შანიძე აკაკი – 103; 675;
შანშე მანდატურთუხუცესი – 811; 835;
შარაშიძე ქ. – 742; 743;
შარვან შაჰი – 762;
შარვანშა – 797; 807;
შაჰ-აბას I – 949; 952; 972;
შაჰ-აბას II – 949;
შაჰ-აბასი – 704; 711; 724; 735; 913; 931-938; 940-948; 960-963; 968; 977; 1004; 1059; 1060;
შაჰ-არმენ სუქმან II – 796;
შაჰ-არმენი – 797;
შაჰ-ისმაილი – 903; 904; 909; 918;
შაჰ-თამაზი – 715; 910; 911; 934; 944;
შაჰ-ნავაზ-ხანი – 983; 984;
შაჰ-სეფი – 944; 949;
შეთი – 18;
შერვაშიძე – 858;
შერვაშიძე ექვთიმე – 1098;
შერვაშიძე ყვაპ – 1028;
შერო ალვანთა მთავარი – 474;
შვარცი ედუარდ – 234;
შილაკაძე ი. – 58;
შილტბერგერი ი. – 67;
შიო ახალი – 929; 1009;
შიო (ბერი) – 1029;
შიო კათალიკოს-პატრიარქი – 877;
შიო მღვიმელი – 387; 391; 540; 1114; 1148;
შიოლაშვილ-ღუდუშაური ილია II – 1121-1123; 1128-1130; 1135;
შიოშ ბარათიანი (ბარათაშვილი) – 724; 956;
შმერლინგი რ. – 535;
შოთა გრიგოლის ძე – 751;
შოთა რუსთაველი – 824; 845; 1007; 1009;
შროშანა – 204;
შტრიტერი – 67;
შუშანია ალექსი – 1129; 1133; 1134;
შუშანიკი – 81; 83; 224; 226; 354; 356; 376; 400; 409; 412; 414; 483; 1147;
შუხარდტი ჰუგო – 25;

ჩ

ჩამჩი – 732;
ჩამჩიანი – 447;
ჩარმაღან ნოინი – 841;
ჩაღატა ნოინი – 841; 852;
ჩერმაგ კათალიკოსი – 275; 276; 386;
ჩიმაგა კათალიკოსი – 229;
ჩინგიზ ხანი – 833;
ჩინგის ყაენი – 866;
ჩისტიაკოვი ი. – 78;
ჩიქობავა არნოლდ – 29; 135;
ჩიხა ერისთავი (დიმიტრის ძე) – 497;
ჩოლოყაშვილი ბეენა – 918;
ჩოლოყაშვილი ბიძინა – 929; 967;
ჩოლოყაშვილი ნიკოლოზ – 959; 992;
ჩოლოყაშვილი ნიკოლოზ ამბა ალავერდელი – 107;
ჩოლოყაშვილი ნიკოლოზ (ნიკიფორე ირბახი) – 711;
ჩოლოყაშვილი რევაზ სახლთუხუცესი – 960;
ჩონჩოლ-მუსა – 1044;
ჩორმაღან ნოინი – 834;
ჩუბინაშვილი გ. – 445; 448;
ჩუბინაშვილი დავით – 98; 1155;
ჩუდეცკი – 1101; 1103;
ჩხარტიშვილი მ. – 194; 222; 226; 324; 686; 1143; 1144;
ჩხატარაიშვილი ქ. – 796;
ჩხეიძე სეხნია – 1008; 1154;
ჩხეტიძე ევდემონ I – 1010; 1154;

ც

ცაგარელი ალ. – 1108; 1156;
ცამციევი რ. – 192;
ცეცე – 128;
ციდკია მეფე – 43;
ცინცაძე კალისტრატე – 511; 1103; 1116; 1119; 1120; 1123; 1125; 1156; 1157; 1163;
ციციანოვი – 1094; 1095;
ციციშვილი ბაადურ – 962;
ციციშვილი ზაალი – 1018;

ციციშვილი ზაზა – 1018;
ციციშვილი ნოდარ – 725; 965;
ციციშვილი ციცი – 1018;
ციცქიშვილი ქრისტეფორე – 1119; 1123;
ცოტნე დადიანი – 842-844;
ცქირი – 540;
ცხადაძე ქ. – 705;

ძ

ძიძიგური შ. – 21; 25; 29; 59; 67; 70;

წ

წერეთელი აკაკი – 1108;
წერეთელი დოსითეოსი – 1034;
წმიდა ბასილი – 374; 939; 997;
წმიდა გიორგი – 97; 197; 675; 754; 1153;
წმიდა ნინო – 52; 87; 89; 97; 98; 133; 143; 155; 160-162; 172; 183-185; 188-195; 197-223; 226; 227; 235; 238; 239; 241; 265; 266; 272; 278; 315; 329; 348; 350; 354; 364; 391; 392; 509; 524; 537; 551; 552; 554; 555; 557; 606; 683; 686; 692; 881; 886; 891; 893; 965; 1010; 1092; 1139; 1143-1145; 1152; 1153; 1158-1161;
წულაია გ. – 496; 516; 518; 520; 565;
წუწუნავა იოანე ეპისკოპოსი – 1073;

ჭ

ჭავჭავაძე გარსევანი – 1076;
ჭავჭავაძე ილია – იხ. ილია მართალი
ჭიაბერ მანდატურთუხუცესი – 801;
ჭიჭინაძე გ. – 1152;
ჭიჭინაძე ზ. – 729; 732; 733;

ხ

ხამურაბ მეფე – 32;
ხანთაძე გიორგი – 1023;
ხახანაშვილი ალექსანდრე – 1108; 1152;
ხახანაშვილი ბ. – 736;
ხეთთურა – 33;
ხელაია ამბროსი – 1110; 1111; 1113; 1115-1120; 1123; 1125; 1129; 1157;
ხელაშვილი იოანე – 538; 1100;
ხერხეულიძე ადათანგ – 962;
ხერხეულიძე ნიკოლოზ – 721; 1053;
ხერხეულიძე ომან – 1155;
ხინთიბიძე ე. – 98; 193;
ხონელია რ. – 636;
ხორეშანი – 934; 945;
ხოსრო – 269; 273; 274; 308; 340; 363; 372; 375; 385; 434; 456; 457; 468; 576; 648;
ხოსრო I ანუშირვანი – 117; 308; 373; 435; 446; 455;
ხოსრო II ფარვიზი – 117; 341; 373; 399; 402; 406; 420-422; 434; 436; 437; 452;
ხოსროვი – 179; 470; 472;
ხრისანფი პატრიარქი – 333; 502; 505; 506; 588; 615; 1157;
ხრისო – 186;
ხრუშჩოვი ნ. – 1120; 1121;
ხუარა მოგვი – 209;
ხუარან-ხუარა – 213;
ხუარანძე – 261; 269; 273;
ხუდაბაშოვი – 163;
ხუდადოვი ნიკოლზ – 732;
ხუედიოსი – 530;
ხუციშვილი პაპუნა – 973;

ჯ

ჯავანშირი – 726;
ჯავახიშვილი ალექსანდრე – 642;
ჯავახიშვილი იოსებ – 985;
ჯავახიშვილი ივანე – 24; 29; 31; 40; 41; 49; 67; 70-72; 75; 77; 85-87; 92; 97; 100; 108; 131; 137; 154; 161; 163; 170-176; 186; 196; 223; 224; 254; 256; 257; 259; 315; 323; 327; 328; 330; 331; 333; 339-346; 386; 387; 390; 392; 422; 423; 427; 447; 496; 505; 519; 526; 527; 545; 546; 550; 603; 637; 638; 642; 643; 703; 766; 769; 773; 775; 777-779; 781; 783; 788; 812; 818; 830; 834; 861; 862; 877; 889; 895; 920; 937; 949; 950;

960; 979; 1012; 1068; 1087; 1143-1146; 1148; 1149; 1151; 1157; 1160; 1161;
ჯავახოს – 61; 516;
ჯაიანი ბეჟან – 1017;
ჯალ-ალ-ედ-დინი – 810; 811; 850;
ჯანაშვილი მოსე – 83; 637; 1055; 1156;
ჯანაშია ნ. – 251-253; 257; 316; 320; 1142;
ჯანაშია სიმონ – 26-28; 31; 38; 39; 44; 45; 47-49; 51; 52; 53; 54; 67; 68; 69; 71; 77; 249; 253; 256; 257; 314; 324; 441; 446; 447; 552; 553; 1001; 1140; 1157;
ჯანდიერი დავითი – 936;
ჯაფარი ხალიფა – 527;
ჯაფარიძე პავლე – 1116;
ჯაფარიძე ტრიფონ – 1111;
ჯაყელი – 807;
ჯაყელი ახალციხის ფაშა – 1084;
ჯაჯანიძე გერმანე – 1129;
ჯეჰან-შაჰი – 880;
ჯიბღუ ხაკანი (ჯებუ ხაქანი) – 437; 468; 469; 470;
ჯილა დ. – 626;
ჯოვიო პაოლო – 909;
ჯოჯიკი ვაშდენის ძე – 452; 699;
ჯუანშერ სპასპეტი – 240; 261-263; 269; 286;
ჯუანშერი – 68; 152; 154; 155; 251; 255; 256; 259; 273; 283; 284; 309; 310; 314; 315; 321; 343; 366; 368; 387; 435; 447; 483; 487; 490; 493; 494; 496; 553; 554; 1145; 1146;
ჯუანშერი ალვანთა მთავარი – 471;

ჰ

ჰაბოვი – 1076;
ჰაიკი – 56; 58; 59; 608; 685;
ჰამამი – 452;
ჰაოსი – 38; 56; 59; 146; 367; 680; 685-687; 1155;
ჰარანი – 31;
ჰარმა – 55;
ჰარნაკი ა. – 192;
ჰასანბეგი – 888;
ჰეკატოს მილეტელი – 46;
ჰერაკლე – 41; 42;
ჰერაკლე კეისარი (იმპერატორი) – იხ. ერეკლე კეისარი
ჰერბერტი თომასი – 985;
ჰეროდე – 88; 111; 206;
ჰეროდოტე – 20; 38; 39; 45; 46; 53; 55; 90; 157;
ჰეროსი – 37; 56; 99;
ჰირკან II – 95;
ჰოვსეფი კათალიკოსი – 462;
ჰოვჰანეს ოძნეცი – 656; 657;
ჰომელი ფრ. – 24;
ჰორაციო ჯუსტინიანო – 625;
ჰორმიზდი – 433;
ჰოჰანეს კათალიკოსი – 342;
ჰუსეინი – 989;

ბ) გეოგრაფიულ სახელთა

ა

აბაზგია (აბასგია) – 299; 501; 503; 515; 602; 892;
აბასაბადი – 934;
აბაშა (მდინარე) – 524;
აბოცი – 662;
აგარაკი – 273; 318; 322; 343;
აგარანი – 750; 752;
აგრიჩაი – 1043;
ადარბადაგანი – 564; 837; 850;
ადიგენი – 742;
ავარეთი – 605; 606;
ავლაბარი – 878; 1037;
ავლაბრის ჭალა – 878;
ავსტრია – 1135;
ავღანეთი – 833;

ავღანი – 1042;
ავჭალა – 748; 756;
აზატი (მდინარე) – 375; 457;
აზერბაიჯანი – 793; 795; 797; 837; 925; 1066; 1069; 1076; 1085; 1118;
აზოვი – 894;
აზოვის ზღვა – 20;
ათენი – 244; 654;
ათონი – 1149; 1150;
ათონის მთა – 573; 587;
ათონის მონასტერი – 83; 558; 583; 783; 789; 878;
აია სოფია – 303; 647;
აირარატის პროვინცია – 457; 458; 707;
აკეთი – 1021; 1049;
აკროპოლისი – 65; 93;
ალაგირი – 1100;
ალავერდი – 630; 632; 783; 849; 936; 943; 950; 966-968; 1010; 1023; 1032; 1092; 1095; 1099;
ალაზანი – 607; 1060;
ალაზნისპირეთი – 838;
ალამუთი – 841;
ალამუთის ციხე – 852; 911; 912; 945;
ალანია – 129; 543;
ალბანეთი (ალვანეთი) – 45; 51; 52; 65; 92; 94; 96; 109; 110; 113-115; 169; 170; 172; 174; 248; 255; 256; 311; 328; 329; 336; 343; 352-357; 361; 363; 380; 382; 386; 388; 396; 400; 407; 410; 414; 418; 429; 431; 442; 452; 460-462; 465-468; 471; 472; 474-481; 484; 502; 507-509; 513; 537; 543; 549; 551; 576; 601; 607; 616; 617; 640; 647; 652; 655; 657; 671; 697; 708; 828; 873; 874; 909; 916; 1070; 1139;
ალბანია – 341; 440; 909;
ალექსანდრე ნეველის ტაძარი – 1128;
ალექსანდრია – 83; 133; 233; 234; 244; 288; 290-293; 298; 301; 303; 306; 312; 314; 317; 410; 423; 438; 463; 466; 611; 615; 616; 618-623; 625; 627; 647; 649; 653; 809; 829; 879; 1137;
ალვანია – 935;
ალი – 958; 1057;
ალიანათი (სოფელი) – 738;
ალინჯის ციხე – 863; 867; 868;
ალონი – 753;
ალჟირი – 916;
ამასია – 621; 1012;
ამიერკავკასია – 27; 28; 45; 54; 71; 108; 112; 117; 181; 251; 252; 254; 258; 278; 279; 284; 321; 336; 341; 352; 353; 358; 385; 387-389; 396; 400; 403; 418; 420; 426; 434; 438; 440; 451; 452; 460-462; 465; 467; 468; 470; 496; 497; 513; 535; 544; 577; 657; 661; 680; 681; 736; 743; 790; 791; 793; 795; 821; 862; 864; 865; 909; 912; 921; 931; 935; 937; 1000; 1066; 1067; 1069-1071; 1075; 1084; 1112; 1140; 1146; 1159;
ამუჭი (სოფელი) – 878;
ანაკოფია – 524; 762;
ანაკოფიის ციხე – 584;
ანანური – 741; 1020; 1022; 1041; 1077;
ანატოლია – 27; 762;
ანდრიაწმიდა (სოფელი) – 1121;
ანისი –363; 498; 586; 603; 604; 609; 617; 755; 763; 765; 769; 786; 794-797; 799; 804; 809; 815; 821-823; 836; 842; 843; 862; 872; 874; 953;
ანკარა – 1065;
ანკვირია – 313;
ანტიოქია – 111; 112; 118; 132; 133; 178; 192; 193; 205; 232-236; 238; 239; 242-246; 250; 269; 272; 277; 278; 287; 288; 290-293; 295; 298-303; 311; 312; 314; 317; 333-336; 389; 423; 439; 454; 459; 460; 464; 466; 473; 499; 501; 503-506; 509; 511; 514; 515; 543; 548; 563; 574; 587-595; 597; 598; 602; 610-612; 615; 616; 618-623; 625; 627; 653; 666; 680; 748; 762; 763; 784; 809; 879; 885; 886; 888-893; 1016; 1127; 1131;

1138; 1150; 1151; 1161; 1162;
ანჩის საყდარი – 540;
ანჩისხატის ეკლესია – 1055; 1065;
ანძიაძორი (ანძიოძორი) – 64; 264;
ანძორეთი – 264;
ანწუხი – 606; 607;
აპენინის ნახევარკუნძული – 24; 26;
აპულია – 653;
არაბეთი – 94; 96; 109; 291; 524; 555; 754;
არაგაწის მთა – 393;
არაგვი – 212; 1041;
არაგვი (მდინარე) – 61; 263; 876;
არაგვის საერისთავო – 1020;
არაგვის ხეობა – 47; 866; 869; 1042;
არადეთი (სოფელი) – 872;
არამუნთა – 377;
არანი – 761; 828;
არარადის ქვეყანა – 58;
არარატი – 376-378; 751; 794; 795;
არარატის მთა (მასისი) – 55; 98;
არარატის მთები – 18; 837;
არარატის სომხეთი – 862;
არაქსი (მდინარე) – 53; 66; 156; 157; 163; 194; 564; 607-609; 791; 836; 837; 1043; 1044; 1066; 1068; 1069; 1075;
არგვეთი – 109; 141; 326; 327; 369-371; 450; 488; 491; 493; 501; 503; 504; 524; 557; 746; 789; 803; 1013; 1026;
არდაბაგანი – 915;
არდისი (სოფელი) –738;
არეზი (მდინარე) – 607-609; 963; 964;
არზრუმი – 164; 609; 708; 797; 806; 872; 908; 910; 914; 916; 953; 964; 970; 1002;
ართვინი – 49;
არიან-ქართლი – 37; 50; 51; 52; 61; 689; 690; 691; 694; 695;
არმაზი (ქალაქი) – 65; 66; 92; 93; 108; 268; 274;
არმაზის მთა – 52; 61; 212;
არმაზის ციხე – 93; 114; 202; 314;
არმაზის ხევი – 109; 114;
არმენია (არმინია) – 55; 65; 66; 114; 452; 479; 765; 768;
არტაანი – 151; 183; 272; 318; 322; 343; 516; 517; 662; 709; 807; 858; 910; 1072;
არტაანის ნაქალაქევი – 64;
არტანუჯი (არტანისი) – 116; 267; 746; 858;
არტანუჯის ციხე – 267; 528; 540;
არტანუჯის ხევი – 267;
არტაშატი – 113; 115; 116;
არტაჰანი – 328;
არქიდია (არხიდია) – 616; 622;
არცახი – 311; 352; 1043;
არხაბე (არახვე-სუ) (მდინარე) – 122;
ასია – 119; 128; 129; 234; 242; 243; 287-289; 291; 292; 294; 299; 301; 313; 322;
ასირია – 881;
ასისფორი – 746;
ასპინძა – 741; 747; 1072;
ასტარაბადი – 950; 968;
ასტრახანი – 1001; 1047; 1056;
ასურეთი – 40; 41; 111; 112; 374; 427; 658; 757;
ასურისტანი – 64;
ატენი – 108; 448;
ატენის სიონი – 342; 347; 485; 527; 701;
ატენის ციხე – 944;
ატლანტის ოკეანე – 21; 94; 710; 1057;
ატროპატენა – 178;
აფრიკა – 112
აფსარი – 109; 121-123;
აფსარი (ჭოროხი) (მდინარე) – 122;
აფსარის ციხე-სიმაგრე – 121, 122, 130;
აფშილეთი – 524;
აფხაზეთი – 118; 119; 127; 128; 152-154; 158; 161; 167-169; 263; 267; 274; 278; 299; 323; 334; 335; 344; 347; 351; 366; 368; 371; 442; 447; 468; 483; 485-490; 492-496; 498-507; 514-518; 520; 521; 528; 544; 545; 548; 551; 554; 558; 559; 563-565; 567; 573; 584; 596; 599; 601-606; 613;

617; 629-632; 659; 660; 689; 747; 750; 753; 760; 771; 785; 799; 800; 802-805; 814; 818; 820; 822; 839; 843; 844; 847; 858; 859; 872; 882; 891; 892; 894-897; 924; 925; 927; 973-977; 996; 1010-1017; 1020; 1027; 1028; 1033; 1054; 1074; 1079; 1090; 1093; 1097; 1099; 1109; 1129; 1132; 1140; 1146; 1151; 1154; 1157; 1159;
აქადი – 32; 99;
აქაია-ათენი – 654;
აქილი – 622;
აშორნია – 753; 792;
აშოცი – 182;
აშრაფი – 947;
აშქეზანი – 20;
აჩაბეთის ციხე – 738;
აწყური (აწყვერი) – 124; 125; 129; 188; 257; 409; 662; 853; 881; 884; 890; 891; 900; 902; 903; 923; 955; 1071; 1139;
აწყურის ტაძარი – 125; 127;
აჭარა – 109; 325; 326; 366; 367; 369; 746; 881; 895; 1073; 1090; 1117; 1129;
ახაია (ახაიე) – 653;
ახალგორი – 741;
ახალდაბა – 740;
ახალი ათონი – 122;
ახალსოფელი – 741;
ახალ-უბანი – 878;
ახალქალაქი – 723; 740-742; 1063;
ახალციხე – 714; 716; 723; 732; 736; 742; 912; 955; 961; 962; 970; 1045; 1063; 1065; 1066; 1071; 1072; 1121;
ახალციხის საფაშო – 713;
ახალციხის წმ. მარინეს ეკლესია – 742;
ახიზა – 257; 267; 272; 318; 322; 343; 517;
ახიზას ციხე – 267; 540;
ახსუ (მდინარე) – 564; 836;
ახტალა – 47; 878; 1017; 1117;
ახტამარის საკათალიკოსო – 709;
აჯამეთი – 747;

ბ

ბაბილონი – 23; 25; 30; 31; 32; 39; 40; 42-44; 58; 88; 98; 99; 549;
ბათუმი – 122; 895; 910; 996; 1015; 1074; 1120; 1128; 1129;
ბაზალეთის ტბა – 963;
ბაზელი – 624;
ბალკანეთის ნახევარკუნძული – 24; 26; 585; 653;
ბამბაკის მთა – 47;
ბანა – 409;
ბარალეთი – 1023;
ბარდა – 961; 962; 964; 987;
ბარდავი – 261; 433; 652; 753; 792; 795; 806; 838; 867;
ბარდაშენი – 607;
ბარეთელთა – 530;
ბარიკას კარი – 446;
ბასიანი – 377; 457; 531; 609; 666; 751; 755; 797; 808; 809;
ბაქო – 970;
ბაღდადი – 269; 450; 529; 549; 1072;
ბახრეინი – 316;
ბახტრიონი – 966; 967;
ბედია – 148; 567; 632; 1010; 1016;
ბეთანია – 789;
ბეთ-ლაპატი – 299;
ბეთლემი – 89; 99; 119; 917;
ბელაქანი – 607; 853; 897; 933; 992; 1017; 1042; 1065; 1066; 1071; 1089;
ბელგია – 1135;
ბერბუკი (სოფელი) –740;
ბერდუჯი (დებედა) – 51;
ბერდრუჯი (ბერდუჯისი) (მდინარე) – 260; 690;
ბერთუბანი (დავით-გარეჯა) – 1028;
ბიზანტია – 106; 117; 153; 155; 156; 182; 183; 193; 233; 237; 238; 248-251; 278-282; 284; 286; 288; 290; 295; 296; 298; 299; 302; 306; 309; 314; 316; 317; 319-323; 327; 329; 337; 339; 340; 344; 351; 362-364; 366; 369; 370; 382; 383; 387; 388; 391;

398-402; 422; 424; 427; 429; 430; 433-435; 438; 439; 445-447; 449-452; 461; 464; 465; 479; 487; 490-492; 496; 503; 505; 522; 526; 527; 532; 536; 555; 556; 564; 565; 567; 568; 571-573; 575-577; 579; 581-587; 589; 590; 592; 594; 595; 597; 598; 606; 613-615; 619; 623; 624; 627; 644; 646; 648; 650; 651; 653; 655-657; 658; 661; 664-667; 670-675; 677; 678; 686; 699; 707; 762; 786; 789; 825; 837; 886; 896; 900; 1105; 1140; 1144; 1149; 1150; 1162;
ბიზანტიონი – 290;
ბითინია (ბითვინია) – 119; 291; 292; 313; 652;
ბირთვისის ციხე – 528;
ბირთვისის ციხის ეკლესია – 868;
ბიჭვინთა – 188; 366; 489; 599; 602; 604; 605; 632; 893; 894; 924; 976; 1010; 1013-1018; 1021; 1023; 1027; 1033; 1080;
ბიჯნი – 379;
ბიჯნისი – 797;
ბოგდანოვკა – 741;
ბოდბე (დაბა ბოდი) – 217; 219; 220; 222; 223; 257; 315; 1095; 1099; 1143;
ბოლნისი – 257; 273; 318; 322; 327; 343; 789; 1017;
ბოჟანას წყარო – 755;
ბორი (სოფელი) – 109;
ბოროტა – 753;
ბორჩალო – 736; 1043; 1060;
ბოსნია – 916;
ბრიტანეთის კუნძული – 559;
ბულგარეთი – 244; 541; 566; 585; 616; 623; 757; 861; 916; 1126; 1127; 1131;
ბურგუნდია – 887; 888;

გ

გაგი – 755; 803; 807;
გალატია – 119;
განუხი – 607;
განძაკი – 1043;
განძასარი – 964;
განჯა (განძა) – 363; 754; 762; 796; 806; 807; 820; 828; 838; 851; 872; 916; 935; 937; 961; 963; 964; 1043; 1066; 1069; 1076; 1081;
განჯის კარი – 965;
გარდაბანი – 378; 446; 700;
გარდმანი – 311;
გარეჯის უდაბნოები – 537; 538; 878; 853;
გარიზინი – 92;
გარინი – 622;
გარისი – 911;
გარნისი – 377; 810;
გაჩიანი – 136; 315; 361; 700; 750; 873; 874;
გეგუთი – 802; 803;
გელათი – 750; 769; 772; 950; 976; 1010; 1046; 1055; 1098; 1113; 1123; 1152;
გელაქუნის მთები – 837;
გენუა – 1113; 1115-1117;
„გეორგია“ – 559;
გეორგიევსკი – 1067; 1091;
გერიზიმის მთა – 95;
გერმანია – 20; 981; 1120; 1125; 1135;
გილან-მაზანდარა – 947;
გილაქმა – 915;
გისის ეკლესია – 474; 478;
გიშის ციხე – 751;
გლოლა-ღების სანახები – 605;
გოგარენე – 66; 182;
გოთეთი – 515; 543; 605; 892;
გოლგოთა – 860; 878; 917;
გოლოვინო – 47;
გონია – 961; 972;
გონიო – 109; 121; 122;
გონიოს ციხე-სიმაგრე – 122;
გორი – 108; 490; 713; 715; 721; 736; 740; 794; 912; 913; 935; 955; 958; 971; 1057; 1089; 1097; 1100;
გორის ციხე – 913; 955;
გოსტიბი – 946;
გრაკალი – 740;

გრემი – 909;
გუასპურაგანი – 228;
გუგარქი (გუგარეთი) – 165-167; 182; 183; 193-195; 317; 318; 327-329; 342; 356; 358; 360-363; 370; 409; 412; 436; 444; 446; 449; 452; 474; 485; 487; 553; 640; 660; 682; 684; 700; 701; 1158;
გუდაყვა – 443; 449; 567;
გუთეთი – 460; 544;
გულამყალა – 948;
გულგულა – 315;
გულისტანი – 755;
გუმბადი – 440;
გუნათლე – 530;
გურია – 145; 161; 491; 493; 501; 502; 803; 858; 872; 895-897; 907; 910; 914; 916; 919; 922; 971; 996; 1010; 1011-1013; 1015; 1017; 1021; 1045; 1049; 1055; 1073; 1074; 1078; 1079; 1084; 1085; 1089; 1095-1099;
გურჯისტანი – 910;

დ

დაბისა – 540;
დადაშენი – 786;
დავით გარეჯა – 357-359; 929; 1010; 1018; 1027-1029; 1032; 1055; 1095;
დავით გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერი – 998; 1028; 1029; 1095;
დავით გარეჯის დოდოს მონასტერი – 1028; 1029;
დაკია – 653;
დამასკო – 111; 649;
დამპალო – 1020;
დანია – 1135;
დარდანია – 653;
დარიალანი – 865; 866;
დარიალი – 446; 660; 752; 864; 866;
დარიალის კარი – 263; 875;
დარუბალ – 99;
დარუბანდი – 797; 828; 836; 858; 864; 867; 873; 909; 937; 1001;
დარჩელი – 1026;
დასავლეთ იბერია – 559;
დასარდი (სოფელი) – 878;
დაღესტანი – 605; 606; 853; 866; 908; 912; 931; 964; 1001; 1043;
დებედა – 838;
დებედას ხეობა – 931;
დელფოსის სამისნო – 70;
დემოთის ციხე – 151;
დერბენდი – 357; 606; 908;
დვალეთი – 606; 866; 973; 975; 1003; 1041;
დვინი – 200; 304-309; 311; 331; 362; 373-377; 379-382; 387; 388; 398; 399; 401; 407; 418; 421; 455; 480; 481; 456; 459; 533; 552; 555; 575; 647; 648; 652; 656; 671; 797; 804; 809; 836; 862;
დიაოხი – 47; 608; 921;
დიაუხი – 28;
დიდაჭარა – 125; 899;
დიდგორი – 754; 763; 767; 793; 807;
დიდი ბრიტანეთი – 1134;
დიდი გარეჯვარი – 740;
დიდი გელაქუნი – 806;
დიდი ლიახვი – 739; 1041;
დიდოეთი – 964;
დივრი – 531;
დიოსკურია – 122;
დირბი – 740;
დიღმის ველი – 62;
დიღომი – 739; 748;
დმანისი – 755; 763; 789; 796; 797; 849; 1017;
დმანისის ციხე – 1053;
დუშეთი – 967;

ე

ეგეიდა – 29;
ეგეოსის ზღვა – 710;
ეგვიპტე – 32-35; 40; 76; 79; 88; 94; 109; 111; 112; 292; 298; 301; 302; 312; 314; 416; 427; 438; 444; 522; 651; 859; 861; 878; 916; 970; 971; 1037;
ეგრი – 1160;

ეგრისი – 51; 63; 64; 68; 110; 119; 136; 145; 147-155; 172; 173; 181; 192; 193; 195; 251; 258; 259; 262; 275; 323-327; 329; 342; 365-370; 385; 441; 442; 444-448; 450; 483-485; 487; 488; 490; 491; 493; 496; 501; 503-505; 516; 517; 520; 524; 557; 659; 660; 563; 687; 688; 927; 1140; 1159; 1160;
ეგრისის ზღვა – 483;
ეგრისწყალი (მდინარე) – 37; 45; 50; 52; 64; 65; 148; 153; 154; 158; 170; 172; 174; 195; 196; 330; 366; 367; 442; 449; 450; 514; 687; 689; 690; 694; 695; 1080; 1081; 1158;
ედესა – 299; 300;
„ევნუქის ციხე“ – 916;
ევფრატი – 20; 27; 28; 31; 32; 39; 163; 608; 609;
ევქსინის პონტო – 140; 161; 162;
ეზინკი – 828;
ეთიოპია – 112; 119; 121; 130;
ეკელეცი – 64; 264;
ეკი – 1013;
ელადა – 96; 616; 809; 829; 1126; 1127; 1132;
ელავსი – 901;
ელარბინი (დაბა) – 201;
ელივარდი – 377; 379;
ელისენი – 607;
ენგური (მდინარე) – 50; 974; 996; 1016; 1017; 1028;
ენისელი – 908; 931; 953;
ეპირი – 653;
ერასტი – 1023;
ერაყი – 809; 962; 970; 971;
ერევანი – 743; 931; 970; 986; 1002; 1043; 1066; 1069; 1070; 1076;
ერექი – 99;
ერზინკანი – 564;
ერზინჯანი – 564;
ერზრუმი – იხ. არზრუმი
ერთაწმიდა – 946;
ერიდუ – 32;
ერუშეთი – 215; 257; 272; 318; 322; 343; 517;
ერწო – 329; 441; 876; 935; 936; 967;
ერწუხი – 749; 774;
ესპანეთი – 23; 94;167; 559; 561; 937; 963; 981; 1135;
ეფესია – 621;
ეფესო – 111; 199; 287; 289; 300; 305; 466; 473; 625; 646;
ეჩმიაძინი – 709; 710; 716; 719; 720; 723; 726-729; 742; 994;

ვ

ვაკე – 337; 365;
ვალაშკერტი – 609; 786; 914; 953;
ვალახეთი – 916;
ვანი – 326;
ვანის ნაქალაქარი – 369;
ვანის ტბა – 28; 564; 617;
ვანქი – 732;
ვანქის საყდარი – 737;
ვარდიანი – 607;
ვარდისუბანი (სოფელი) – 739; 878;
ვარდციხე – იხ. როდოპოლისი
ვარციხე – 442; 450;
ვარძია – 808; 809; 829; 885; 886; 854; 904; 910;
ვარხიანი (სოფელი) – 738;
ვასპურაგანი – 375;
ვატიკანი – 625; 727; 996;
ვაღარშაპატი – 191; 646-648;
ვაყა (სოფელი) –740;
ვაშნარი – 443-445;
ველთა (სოფელი) – 878;
ველი (სოფელი) – 608; 734;
ველისციხე – 273; 847;
ვენეცია – 624; 901;
ვეჟინის ციხე – 747;
ვერხვიანთ ზეგანი – 607;
ვექსინის ზღვა – 691;
ვლადიკავკაზი – 1099; 1100;
ვლადიმირის ეპარქია – 720; 1047;
ვლადიმირის და იეროპოლისის ეპარქია – 1048;
ვოლგისპირეთი – 812; 835;

ზ

ზადენ-გორა (სოფ.) – 125;
ზადენ-ციხე – 65; 84;
ზადენის მთა – 212;
ზარი – 607;
ზეგამი – 909;
ზედაზნის ციხე – 748;
ზემორეხი – 741;
ზესტაფონი – 109;
ზიგანევი – 443; 449;
ზირკიანი (ზირკიანთ ეკლესია) – 737;
ზოდეხი (სოფელი) – 738; 739;
ზღუდერი – 108;

თ

თაბორის მთა – 204;
თავრიზი – 710; 864; 872; 880; 915; 964; 970; 987; 1002; 1066;
თაკვერი – 155; 337; 365; 413; 491; 493; 501; 803;
თასმალური (სოფელი) – 726;
თბილისი – 62; 83; 168; 170; 181; 228-230; 241; 257; 274; 275; 314; 341; 356; 363; 364; 416; 422; 433; 436; 437; 449; 468-471; 485; 486; 491; 497; 512; 518; 527; 528; 540; 563; 570; 586; 629; 633; 638; 658; 659; 662; 710; 713; 715; 716; 720; 721; 723; 724; 726; 729; 731-733; 737; 741-743; 750; 754; 756; 761-763; 765; 785-787; 789; 803; 804; 811; 812; 821; 834-836; 849-851; 858; 859; 861; 865; 874; 880; 901; 909; 911; 912; 936; 947; 950; 956; 958; 961; 963; 973; 980; 998; 1008; 1029; 1032; 1035; 1037; 1038; 1050; 1054; 1055; 1057; 1058; 1060; 1076-1078; 1085; 1094; 1095; 1097; 1099; 1100; 1110; 1112; 1113; 1121-1123; 1126; 1130; 1131; 1156; 1164;
თბილისის ეკლესია – 878;
თბილისის ციხე – 279; 468; 903; 909; 911; 983; 985; 1043;
თბილისის წმ. ნიკოლოზის ეკლესია – 1107;
თებე – 444;
თებელი – 738;
თეთრიწყალი (მდინარე) – 836; 837; 908; 1066;
თეკლათი – 1013;
თელავი – 741; 1054; 1056; 1099; 1100;
თელავის ღვთისმშობლის ეკლესია – 737;
თელეთის წმ. გიორგის ეკლესია – 737;
თემურა – 915;
თეოდორე-წმიდა – 379;
თეოდოსია – 605;
თეოდოსიოპოლისი – 459; 607;
თერგი (მდინარე) – 263; 866;
თესალია – 653;
თესალონიკე – 623;
თეძამი (მდინარე) – 958;
თეძმის ხეობა – 869;
თიანეთი – 441; 935; 936; 897;
თმოგვი – 747; 800; 805;
თორთომი – 953;
თორთუმის ციხე – 869;
თორღვას ციხე – 935;
თოშეთი – 607;
თრაკია – 233; 234; 242; 243; 287-289; 291; 292; 294; 298; 301; 313; 314; 322; 543; 829;
თრიალეთი – 27; 168; 183; 328; 662; 748; 750; 751; 754; 755; 789; 803; 838; 869; 946; 1022; 1023;
თურქეთი – 609; 623; 708-711; 714; 718; 723; 728; 734; 736; 765; 912; 916-918; 954; 955; 957; 958; 971; 982; 990; 992; 998; 1000; 1001; 1003; 1045; 1072; 1073; 1075; 1084; 1089; 1099;
თუშეთი – 219;
თუხარისი – 152; 153; 182; 267; 483; 516;
თხოთის მთა – 211; 217;

ი

იავა – 710;
იბერია (ივერია) – 20; 39; 42; 45; 50; 51; 53; 65; 66; 84; 92-97; 108-117; 120-

123; 127-131; 133; 139-141; 143; 145; 153; 157-162; 167-172; 174; 178; 179; 181; 182; 189; 194; 244; 279; 299; 323; 325-328; 334; 336; 339-341; 345; 346; 349; 354; 357; 361; 364-366; 368; 369; 383; 422; 433; 439-442; 446; 449-451; 479; 483; 484; 501-503; 505; 506; 515; 521; 541; 543; 550; 558-561; 563; 591; 605; 607; 608; 612; 614-617; 620-622; 624-626; 699; 892; 893; 921; 963; 1014; 1078; 1079; 1105; 1106; 1108; 1125; 1131; 1159; 1161;
იბერია ზემო – 67; 501; 502; 504; 506; 527; 563-565; 604; 616; 1014; 1078; 1082; 1157;
იბერია ქვემო – 501; 502; 505; 506; 527; 544; 563; 565; 567; 604; 615; 616; 892; 1014; 1078; 1082; 1157;
იბერიის ნახევარკუნძული – 26;
იერუსალიმი – 40; 42; 43; 79-81; 88; 96; 111; 112; 119; 120; 122; 124; 126; 129; 198; 199; 205; 206; 215; 219; 234; 244; 269; 271; 273; 291; 292; 313; 314; 319; 322; 331; 335; 363; 373; 391; 397; 402; 404; 406; 410; 411; 413; 421; 423; 434; 435; 454; 463; 472; 473; 478; 480; 489; 500; 509; 513-515; 527; 543; 551; 552; 569; 576; 585; 587-589; 598; 611; 615; 616; 618-623; 625; 627; 647; 649; 674; 748; 757; 762; 767; 769; 808; 809; 859; 860; 878; 879; 885; 886; 888; 892; 893; 917; 918; 931; 1016; 1137; 1150;
ივერონი – 569; 573; 574; 582-587; 598; 930; 1149;
ივრის ხეობა – 794;
ივრისპირეთი – 795; 838;
იზმირი – 1065;
იკორთა – 1010;
ილირია – 301; 653;
ილირიკია – 291; 292;
ილღაზი – 792;
იმერეთი – 145; 161; 327; 445; 488; 502; 559; 603; 628; 630; 725; 732; 750; 873; 887; 896-898; 903; 906; 909; 910; 914; 916; 919; 920; 922; 924; 935; 945; 947; 964; 966; 968; 971; 974; 976; 983; 985; 987; 990; 996; 1008; 1010-1013; 1017; 1022; 1045; 1051; 1054; 1055; 1057; 1063; 1066; 1071; 1073; 1074; 1078-1081; 1084; 1085; 1089; 1093; 1095-1099; 1109; 1114; 1154;
იმერეთი (ზემო) – 340;
იმიერკავკასია – 437; 606; 738;
იმიერ ტაო – 708;
ინგლისი – 981; 998; 1134;
ინგუშეთი – 605; 606;
ინდოეთი – 109; 112; 114; 123; 256; 269; 315; 710; 768;
ინდოეთის ოკეანე – 21; 710; 1057;
იორი (მდინარე) – 273; 607;
ირანი – 27; 87-89; 117; 178-183; 197; 250; 251; 254; 255; 280; 283; 284; 287; 295; 296; 298; 299; 302; 304; 316; 320; 321; 351; 388; 439; 445; 446; 451; 452; 522; 532; 546; 547; 585; 661; 670; 686; 704; 708; 709; 711; 715; 716; 723; 725; 728; 833; 864; 865; 867; 901; 907-910; 912; 913; 918; 931-933; 936; 937; 940; 941; 953; 957; 958; 962-964; 966; 968; 971; 973; 979; 982-990; 992; 993; 995; 996; 998-1001; 1003-1005; 1008; 1009; 1012; 1037; 1042-1044; 1066; 1067; 1069; 1070; 1076; 1084;
ირლანდია – 1135;
ისავრია – 652; 829;
ისლანდია – 1135;
ისნის ეკლესია – 737;
ისნის ველი – 800;
ისნის ციხე – 851;
ისორი (ნავსადგური) – 129;
ისპაჰანი – 704; 711; 937; 938; 989; 991; 995;
ისრაელი – 39-41; 88; 205; 749;

ისტროსი (მდინარე) – 325;
იტალია – 26; 29; 54; 111; 624; 625; 653; 710; 901; 903; 1135;
იუდეა – 42; 43; 94-96; 111; 190;
იუდეის ბეთლემი – 88;
იყალთო – 1152;
იშხანი – 529; 530; 532; 533; 539; 641; 698;

კ

კაბადოკია – 96-98; 113; 114; 119; 123; 166; 167; 192; 193; 198; 292; 294; 295; 302; 313; 318; 421; 608; 645; 646; 652; 699; 881;
კაბენი – 1010;
კაენი – 802; 803; 806;
კაენის ციხე – 811;
კავთისხევი (სოფელი) –741;
კავკასია – 24-26; 29; 30; 41; 44-46; 49; 56-58; 64; 68; 99; 112; 128; 136; 138; 139; 158; 160; 164; 165; 167; 273; 331; 339; 361; 395; 407; 431; 449; 452; 490; 493; 525; 564; 571; 605; 617; 650; 660; 661; 691; 708; 743; 810; 825; 858; 859; 862-865; 991; 992; 999; 1076; 1087; 1090; 1102; 1106; 1109; 1110; 1131;
კავკასია (სამხრეთი) – 58;
კავკასიის მთა – 62; 98; 161; 165-167; 169; 439; 490; 752; 894; 986;
კავკასიის მთიანეთი – 378; 853; 866; 928;
კავკასიის უღელტეხილი – 954;
კავკასიონის მთები – 26; 65; 101; 128; 130; 866;
კავკასიონის მთაგრეხილი – 1075;
კავკასიონის ქედი – 255; 1015;
კაიწონი – 803;
კაკი – 570; 607; 908; 931; 953;
კალაბრია – 653;
კალმახი – 858;
კალოუბანი – 1055;
კამბეჩოვანი – 273;
კამბეჩანი – 359; 378; 442; 471; 484; 806; 836;
კანგარქი – 182; 183; 328;
კაპიტოლიუმი – 115;
კაპიჭანის გავარი – 471;
კარაგოზი – 605;
კართაგენი – 234; 319; 1162; 1163;
კარი – 343; 470; 808; 809; 1153;
კარის ციხე – 762;
კარინი – 422; 472; 652;
კარნიფორა – 755;
კარნუ ქალაქი – 264; 274; 377; 457; 459; 609; 806;
კასების საყდარი – 737;
კასპი – 211; 261; 262; 314;
„კასპიის ბჭე“ – 114;
კასპიის ზღვა – 94; 98; 160; 161; 194; 352; 365; 606; 691; 836; 909; 914; 1000;
კასპიის ზღვისპირეთი – 565;
კასპიის კარი – 357;
კასრი – 607;
კაფა – 544; 604; 605; 894; 1015;
კაფას ნახევარკუნძული – 605;
კაფის ყურე – 605;
კაწარეთი – 315; 329;
კახეთი – 64; 145; 152; 154; 161; 219; 220; 257; 262; 273; 275; 279; 318; 329; 343; 344; 347; 351; 356; 413; 439; 441; 442; 446; 448; 464; 483; 484; 486; 487; 495; 499; 502; 517; 525; 527; 539; 548; 554; 557-559; 563; 564; 570; 603; 604; 606; 607; 628; 630; 636; 658; 659; 663; 673; 689; 703; 709-711; 714; 721; 723; 726; 729; 732; 738; 747-750; 761; 762; 774; 785; 786; 788-790; 799; 803; 819; 822; 836; 838; 857; 872; 873; 876; 896-899; 906-909; 912; 914; 915; 919; 924; 925; 927; 930-938; 940; 943; 950; 952; 953; 955; 959; 960-968; 973; 975; 979; 981; 983-985; 987; 990-992; 994; 1003; 1008; 1011; 1012; 1016; 1017; 1025-1027; 1029; 1036; 1037; 1041-

1044; 1047; 1048; 1051; 1063; 1066; 1067; 1069-1071; 1075; 1076; 1078; 1079; 1081; 1083-1085; 1089; 1094; 1095; 1099; 1100; 1140;
კახი (სოფელი) – 738;
კეთილდაბა – 878;
კელასური (მდინარე) – 563;
კესარია – 98; 166; 167; 178; 192; 193; 281; 291; 292; 294; 295; 313; 318; 374; 376; 421; 455; 456; 473; 514; 645; 646; 699; 881;
კესტორია (მონასტერი) – 568; 570;
კველთა – 946;
კვიპრეს ღალია – 808;
კვიპროსი – 132-234; 243; 244; 287; 288; 290; 314; 541; 582; 585; 615; 616; 619; 622; 757; 809; 829; 890;
კვირიკეთი – 529;
კილიკია – 39; 96; 111;
კლარჯეთი – 47; 64; 109; 116; 121; 136; 148; 151-154; 181; 182; 193-195; 249; 251; 262; 267; 272; 275; 278; 281; 282; 317; 318; 322; 327; 329; 342-344; 347; 351; 354; 364; 426; 433; 437; 448; 449; 452; 483; 486; 487; 493; 495; 497-499; 514; 516-518; 520; 521; 529; 530; 532; 533; 535; 538; 540; 548; 554; 559; 563; 564; 570; 635; 637; 639; 641; 642; 658; 659; 663; 666; 672; 673; 689; 698; 699; 746; 751; 785; 790; 802; 818; 854; 857; 858; 902; 906; 1108; 1140; 1148; 1158;
კლარჯქი – 183; 328; 639;
კლდეეთი – 108-110; 528;
კლდეკარი – 748; 750; 762; 869;
კლიმენტიოსი – 574;
კლისურა (მდინარე) – 153; 154; 329; 330; 366; 369; 483; 485-487; 490-494; 501; 524; 563; 996; 1158;
კოდორი (მდინარე) – 974; 1015-1017;
კოზმანი – 737;
კოლა – 570; 608; 755; 910;
კოლბიფორი (კოლბოფორი) – 183; 328;
კოლხა – 608;
კოლხეთი – 20; 39; 42; 44; 46; 48; 49; 50; 54; 94; 96; 114; 115; 119-121; 123; 129; 130; 139; 140; 154; 156; 157; 159-161; 166; 167; 326; 340; 369; 502; 605; 921; 1139;
კონი – 878;
კონსტანტინოპოლი – 82; 133; 219; 232-234; 236; 238; 243-246; 252; 266; 272; 278; 287; 289-294; 297-301; 303; 307; 312-314; 319; 320; 322; 339; 344; 347; 364; 365; 374; 375; 410; 422; 423; 438-440; 442; 448-450; 457; 463; 473; 489; 501-503; 505-507; 515; 543; 551; 556; 566-568; 573; 574; 582; 583; 586; 587; 589; 590; 592; 598; 602; 609; 611; 612; 615; 616; 618-625; 627; 644; 645; 647; 651-654; 674; 702; 708; 709; 763; 808; 809; 829; 866; 872; 879; 886; 892; 895-897; 963; 991; 994; 1001; 1003; 1075; 1119; 1125-1132; 1137; 1138; 1140; 1150; 1159;
კორეა – 833;
კორინთო – 111;
კოსოვოს ველი – 623;
კოხტასთავი – 836; 842; 843;
კრეტა – 585;
კრწანისი – 878;
კრჯითი ჰაშტენისა – 377;
კულხა – 28;
კუმისი – 741; 747;
კუმურდოს ეკლესია – 737;
კურუსეთი – 829;

ლ

ლაგაში – 32;
ლაგუთი – 607;
ლაზეთი – 110; 195; 452; 786; 1089;
ლაზია – 809;
ლაზიის სამიტროპოლიტო – 195;
ლაზიკა – 42; 54; 109; 110; 122; 129; 156; 339-341; 344; 363; 364; 383; 430; 436; 437; 442; 446; 449; 464;

501; 502; 602; 615; 649; 686; 1159;
ლაზიკის კარი – 446;
ლაზისტანი – 1065;
ლაკედემონია – 621;
ლალვარი – 47;
ლარგვისი – 1010;
ლეკეთი – 865; 867;
ლელინაკარი – 47;
ლექართი – 607;
ლეჩხუმი – 69; 444; 488;
ლიბანი – 207; 250; 291; 809;
ლიბია – 42; 94; 302;
ლიგანის მურღულის ხეობა – 174;
ლილო – 1037;
ლიმონი – 809;
ლიხი – 1015;
ლიხის მთა – 64; 690; 694; 747; 748; 753; 833; 858;
ლიხის ქედი – 729; 367;
ლიხთ-იმერთი – 799; 804; 814; 819-821; 835;
ლომსიანთა – 662; 799;
ლორე – 603; 735; 752; 764; 791; 797; 800; 801; 804-806; 811; 822; 823; 874-876; 878; 908; 912; 913; 915; 931; 953; 1017; 1089; 1117;
ლორეს ციხე – 874;
ლოპოტის ხევი – 273;
ლოჭინის ხევი – 756; 961;

მ

მაზანდარი – 935;
მაირევანი – 379;
მაიუმი – 303;
მაიფარიკანი – 793;
მაკედონია – 653; 691; 809; 829;
მამისონი – 866;
მამრეთი – 607;
მანა – 26;
მანასგომნი – 755;
მანასკერტი – 59; 374; 424; 429; 438; 456; 457; 531; 553; 564; 655; 671; 674;
მანგანის მონასტერი – 763;
მანგლისი – 215; 257; 272; 318; 322; 343; 414; 423; 754; 946;
მანციკერტი – 585;
მაჟაქი (ქალაქი) – 166; 167;
მარაბდა – 962;
მარგვეთი – 64; 149; 151; 155; 337;
მარდინი – 792;
მარმაშენი – 878;
მარტვილი – 448; 612; 1010; 1021; 1034;
მარტვილის ჯვრის ტაძარი – 447; 448;
მარტყოფი – 850; 962; 1112;
მასქუთეთი – 194;
მატენადარანი – 742; 743;
მაჯ-ფიფინეთი – 607;
მეზია – 653;
მეიდანი – 737;
მელენტენი – 622;
მელიქის საყდარი – 737;
მენზია – 620; 621;
მერე – 530;
მერისა (დაბა) – 267;
მერისა (ეკლესია) – 540;
მესენა – 316;
მესოპოტამია – 22; 23; 26; 28; 31-33; 37; 96; 178; 179; 585; 916;
მესხეთი – 47; 50; 83; 128; 129; 163; 363; 370; 408; 409; 452; 458; 479; 498; 502; 530; 534; 536; 538; 549; 553; 558; 576; 603; 608; 609; 635; 640-642; 656; 666; 682; 684; 699-703; 708-710; 714; 734; 735; 741; 786; 799; 802; 804; 819; 820; 833; 834; 837; 854; 857; 872; 873; 879; 881-884; 886-891; 894-898; 901; 902; 910; 912; 920; 922; 923; 927-929; 944; 953; 955; 962; 990; 991; 994; 996; 1036; 1047; 1048; 1056; 1065; 1066; 1071; 1073; 1089; 1090; 1098; 1159;
მეტეხის ტაძარი – 807; 849; 878; 904; 1055;
მეწამული ზღვა – 94;
მეჯუდის ხეობა – 738;
მთავარ-ანგელოზისა (სოფელი) – 878;

მთაწმიდა – 757; 809; 829;
მთაწმიდა (თბილისის) – 789; 1029;
მთიანეთი – 540; 553; 857; 1087;
მთიულეთი – 69; 607; 839; 867;
მიდია – 20; 39; 96; 114; 178; 768;
მითანი – 32;
მილანი – 189; 191;
მიტილენი – 622;
მიჯნაძორი – 528;
მოგვთა ხიდი – 202; 207; 214;
მოვაკანი – 181; 195; 260; 262; 357; 607; 859; 1160;
მოზდოკი – 1056;
მოლდავეთი – 916;
მოლდო-ვლახეთი – 625;
მონღოლეთი – 848; 849;
მოსაბრუნი – 964;
მოსკოვი – 83; 463; 616; 622; 937; 938; 941; 943; 969; 993; 1007; 1101; 1111; 1117; 1118; 1120; 1121; 1128;
მოქვი – 567; 1016;
მოღნინი – 737;
მტვერის ციხე – 61; 907;
მტკვარი – 47; 61; 65; 94; 163; 181; 194; 204; 212; 214; 352; 355; 378; 469; 470; 516; 527; 564; 576; 690; 705; 748; 753; 794; 836; 838; 1066;
მტკვრის ხეობა – 144; 692;
მულდული – 622;
მუღანი – 837; 838;
მუხახი – 607;
მუხრანი – 201; 211; 751; 761; 859; 935; 1025;
მუხურისის ხეობა – 340;
მცირე აზია – 20; 22; 26; 28; 45; 49; 50; 53; 70; 71; 98; 111; 112; 116; 123; 124; 127; 163; 292; 301; 313; 314; 487; 585; 645; 648; 708; 746; 762; 808; 916;
მცირე ლიახვი – 1041;
მცირე ხაზარეთი (მდინარე) – 690; 694;
მცხეთა – 47; 48; 52; 61; 62; 64; 65; 66; 84; 93; 97; 99; 106; 108; 110; 114-116; 120; 136; 144; 148; 155; 178; 185-187; 189-191; 199; 201; 202; 205-207; 212; 214; 217; 219; 220; 230; 239; 242; 245; 246; 254; 257; 259-261; 264; 268; 272; 274; 275; 285; 286; 314; 316-318; 322; 327; 329; 333-335; 342; 343; 356; 357; 364; 369; 371; 401; 413; 414; 423; 438; 440; 442; 444; 463; 485; 488-491; 499-501; 503; 504; 506; 507; 511-515; 518; 541; 545; 555; 565; 566; 588; 597; 601; 607; 610; 617; 619; 627; 630; 661-663; 673; 690; 691; 728; 729; 867; 869; 876-881; 883-885; 887-891; 894; 898; 907; 913; 924; 932; 949-951; 958; 959; 1013; 1014; 1017; 1018; 1033; 1034; 1038; 1046; 1053; 1054; 1092; 1095; 1098; 1108-1110; 1113; 1121; 1122; 1129; 1131; 1140; 1159; 1160;
მცხეთის ტაძარი – 568;
მჭადიჯვარი – 1043;

ნ

ნაჟანევი – 1027; 1028;
ნაჟანეული – 1017;
ნარის ქვაბული – 1041;
ნასტაკისი – 881;
ნასტაკისის ველი – 133;
ნაფსაის ნავსადგური – 122; 123;
ნაჭარმაგევი – 748; 751;
ნახიდური (სოფელი) – 726; 751;
ნახიჭევანი (ნახიჩევანი) – 828; 863; 867; 872; 1043; 1044; 1066; 1069;
ნახჩი – 607;
ნეკრესი – 243; 315; 607; 1095;
ნეძვი – 529; 530;
ნიზიბინი – 178; 179; 299;
ნიკეა – 73; 188; 192; 193; 232; 233; 277; 287; 288; 293; 305; 307; 317; 621; 654; 707;
ნიკომიდია – 190; 621;
ნიკოფსი – 118; 127; 596; 602;
ნიკოფსია – 121; 122; 130; 563; 604; 836; 858; 1015;

ნიკოფსია (მდინარე) – 563;
ნინევე – 99;
ნინევია – 533;
ნინოწმიდა – 257; 273; 315; 322; 343; 1095;
ნიპური – 32;
ნიჟნი-ნოვგოროდი – 1093;
ნისანი – 512; 629; 633;
ნიქოზი – 257; 273; 314; 315; 322; 343; 413; 444; 605; 729; 1095;
ნიჩბისი – 108;
ნიჩეპსუხი (მდინარე) – 563;
ნოვგოროდი – 1117;
ნორაშენი – 737;
ნორბედი – 755;
ნორვეგია – 1135;
ნოჯიხევი – 1023;

ო

ოდიშელისძენი (სოფელი) – 876;
ოდიში – 145; 858; 964; 966; 971; 972; 974; 976; 996; 1011-1013; 1015-1017; 1022; 1023; 1028; 1078; 1080; 1084; 1085;
ოკამი – 1021;
ოკრიბა – 1013;
ოლთისი – 755;
ოლნეცკი – 1117;
ონკომ – 531;
ოპიზა – 267; 528-530; 540; 641;
ორბანთა – 201;
ორბეთი – 802; 803;
ორბისი – 61;
ორდუ – 47; 49;
ორი ფინიკია – 291;
ოსეთი – 47; 119; 127-129; 262; 263; 339; 440; 464; 566; 605; 752; 893; 833; 975; 1041; 1042; 1099; 1117;
ოსმალეთი – 609; 702; 713; 716; 723; 735; 867; 878; 886; 896; 897; 907; 910; 912; 913; 916; 927; 928; 931; 932; 934; 935; 937; 938; 943; 944; 949; 952; 953; 957; 960; 962-964; 969; 971; 972; 974; 977; 979; 981-983; 987; 990; 992; 994; 996; 1001-1003; 1011; 1012; 1015; 1035; 1036; 1048; 1056-1058; 1062; 1063; 1065; 1066; 1068; 1070-1073; 1075; 1077; 1084; 1085; 1087; 1088; 1090;
ოფის სამიტროპოლიტო – 195;
ოქროს ურდო – 864-866;
ოშაკანი – 377;
ოშკი – 83; 409; 641; 698;
ოძრხე – 64; 65; 68; 116; 275; 516; 662;
ოძრახის ხევი – 125;

პ

პალესტინა – 20; 96; 111; 190; 291; 301; 303; 313; 314; 427; 439; 444; 514; 522; 554; 647; 649; 757; 767; 808; 829; 831; 860; 878;
პართია – 108; 110; 113; 114; 119; 123; 128; 178;
პარიადრის მთა – 66;
პარიზი – 616;
პარკარი – 47;
პარტავი – 462; 465; 468; 475; 476; 478; 480;
პარტავის ციხე – 468;
პარხალი – 517;
პატარა ერგნეთი – 741;
პატარა ლიახვი – 739;
პატარძეული – 1030;
პატმოსი – 111;
პაფლაგონია – 96;
პაჭანიკეთი – 263;
პეკია – 616; 622;
პელორი (მდინარე) – 94;
პენზი – 1056;
პეტერბურგი – 1048; 1093-1095; 1101; 1103; 1104; 1107; 1108; 1117; 1155; 1164;
პეტრა – 291; 340; 341; 443-445; 449;
პეტრას ციხე – 346;
პეტრიწონის მონასტერი – 103; 408; 539; 809; 829; 861;
პეტრონი – 449; 450; 615;
პეტროს საყდარი – 737;

პიმირა – 44;
პირველი იუსტინიანის ეკლესია – 234; 619;
პირინეა – 44; 326; 691;
პირინეის ნახევარკუნძული – 24; 26;
პოლონეთი – 616; 1120; 1127;
პონტო – 31; 85; 93; 96; 97; 98; 119; 128; 129; 140; 141; 143; 153; 160; 165; 166; 168; 199; 234; 235; 242; 243; 245; 246; 264; 287-289; 291; 292; 294; 295; 298; 299; 301; 313; 314; 322; 361; 366; 543; 558; 605; 608; 699; 893; 1161;
პონტოს ზღვა – 42; 139; 140; 160; 162; 164-167; 173; 690;
„პონტოს მხარეები “ – 167;
პორტუგალია – 1135;
პრუსია – 710;

ჟ

ჟალეთი – 219; 329;

რ

რავენა – 292;
რანი – 181; 195; 215; 260; 262; 275; 318; 356; 357; 566; 604; 755; 786; 796; 799; 837; 858; 859; 862; 1160;
რაჭა – 69; 340; 365; 413; 444; 488; 803; 842; 843; 1011; 1013; 1045; 1097; 1098;
რახსი (მდინარე) – 608; 751; 762; 806; 836;
რევ-არტაშირი – 316;
რეხობოთ-ქალაქი – 99;
რიზე (მდინარე) – 159; 621; 972;
რიონი (მდინარე) – 50; 64; 116; 120; 128; 144; 157; 159; 524;
რიონის დაბლობი – 140; 173;
რიონის ხეობა – 50;
რკინის ჯვარი (მთა) – 125; 843;
რკონი – 620; 869;
როდოპოლისი – 116; 442; 450;
როდოსის კუნძული – 1129;
რომი – 76; 95; 96; 97; 108; 110-115; 117; 131-133; 158; 165; 178-182; 184; 185; 188-191; 194; 196-199; 233; 235; 236; 238; 242-245; 249; 256; 277; 279; 288; 290-293; 298; 303; 312; 316; 317; 328; 341; 348; 364; 366; 376; 382; 410; 416; 423; 425; 449; 463; 466; 473; 557; 589; 591; 595; 614-616; 618-622; 624; 626; 627; 653; 666; 681; 691; 710; 711; 715; 721; 726; 773; 788; 813; 825; 881; 886; 888; 916; 943; 965; 971; 972; 984; 992-994; 1046-1049; 1062; 1090; 1130; 1131; 1144;
რუისი – 105; 118; 183; 257; 343; 692; 693; 702; 729; 762; 766; 768; 770; 772-777; 779; 780; 782; 784; 1095; 1138; 1139; 1141; 1154; 1159; 1160; 1161;
რუისის ღვთაების ეკლესია – 877;
რუმინეთი – 616; 1126; 1127; 1131;
რუსეთი – 301; 566; 605; 616; 622-625; 637; 707; 713; 719; 720; 722; 743; 833; 898; 912; 931-933; 935; 937; 938; 941; 954; 958; 963; 969; 972; 980-982; 984-987; 991-994; 998-1004; 1008; 1015; 1044; 1046-1049; 1051-1056; 1062; 1066-1073; 1075; 1076; 1084; 1085; 1087-1094; 1096-1104; 1106-1113; 1115-1118; 1120; 1125-1128; 1132; 1134; 1156; 1163; 1164;
რუსთავი – 257; 264; 273; 274; 316; 322; 327; 343; 358; 360; 538; 750; 751; 761; 762; 765; 789; 805; 838; 1095;

ს

საარიშიანო – 838; 1043; 1066;
საბა განწმედილის მონასტერი – 82;
საბა-წმიდა (სოფელი) – 878;
საბარათიანო – 1044;
საბასტანი – 213;
საბაწმიდის ლავრა – 578;
საბაწმიდის მონასტერი – 530; 674;
საბედიანო – 872;

საბერეების მონასტერი – 358; 359;
საბერძნეთი – 29; 54; 64; 78; 88; 103; 111; 127; 153; 154; 184; 190; 205; 208; 212; 229; 239; 241; 251; 255; 259; 264; 267; 268; 273; 276; 278; 280; 283; 286; 297; 305; 306; 318; 348; 349; 372; 376-378; 382; 384; 387; 392; 401; 416; 419; 421; 425; 434; 439; 456; 483-485; 487; 492; 517; 524; 526; 527; 557; 572; 576; 577; 583; 597; 624; 651; 668; 675; 677; 746; 748; 757; 829; 878; 916; 930; 933; 1129; 1135; 1149;
საბირბადი – 836;
საგარეჯო – 1029;
საგაშენი – 737;
საეგრო – 802;
საინგილო – 735; 738; 927; 931; 973; 975; 1044; 1090; 1117;
საისი – 443;
საისინი – 443; 450;
საკასტანი – 178;
სამარა – 527;
სამარყანდი – 868; 869;
სამეგრელო – 68; 85; 119; 137; 147; 148; 155; 161; 170; 172; 175; 176; 196; 347; 502; 545; 559; 630; 643; 687; 695; 711; 872; 894; 896; 897; 916; 919; 972; 974; 996; 1010; 1011; 1045; 1057; 1074; 1075; 1089; 1095-1099; 1102; 1160;
სამთავისი – 257; 343; 729; 1010; 1032; 1095;
სამთავრო – 187; 286; 413; 488; 1092; 1095;
სამისონი – 809;
სამიქელაო – 1013;
სამონ-გოგი – 20;
სამოქალაქო – 445; 488; 746; 803;
სამშვილდე – 61; 64; 260; 315; 446; 750; 751; 762; 764; 765; 789; 880; 913;
სამცხე – 109; 116; 161; 524; 539; 540; 662; 663; 708; 723; 735; 740; 746; 803; 809; 836; 843; 854; 857; 858; 881; 890; 901; 902; 906; 907; 909; 910; 912; 913; 915; 916; 919; 923; 1063; 1071; 1090;
სამცხე-საათაბაგო – 464; 873; 903; 962; 1044; 1066; 1075; 1085;
სამცხის კარი – 446;
სამხრეთ იტალია – 654;
სან მარკოს ტაძარი – 901;
სანიორე – 741;
სანკტ-პეტერბურგი – 1155;
სარაი – 864;
სარატოვი – 1056;
სარგვეში – 110;
სარდიკია – 245;
სართიჭალა – 741;
საფარა – 885; 1121;
საფარშეთი – 739;
საფრანგეთი – 710; 981; 995; 997-999;
საფურცლე – 907;
საფურცლის დაბა – 201;
საქართველო – 16; 23; 27; 31; 37; 44; 45; 47-50; 57; 59; 60; 61; 65; 68; 69; 70; 72; 77; 78; 82; 83; 85-87; 90-93; 99; 105-107; 110; 112; 115-124; 127; 128; 130; 131; 133; 143-145; 149; 155; 156; 160-162; 164; 168; 170; 172; 173; 178-189; 196; 233; 235; 236; 238; 239; 241; 242; 244-246; 248; 249; 251; 259; 260; 263; 272; 273; 278; 279; 282; 284; 286; 294; 295; 298; 299; 303-305; 310; 313; 314; 317-320; 322-325; 327-330; 334-337; 339; 342-347; 349; 351; 357; 362; 363; 368; 369; 380-383; 385-392; 394; 395; 398; 413; 419; 421-424; 426-430; 433; 434; 436; 437; 439-442; 445-447; 451; 452; 460; 461; 463-465; 467; 468; 483; 484; 486; 488-490; 492; 494-496; 500; 502; 506; 511-513; 516; 521; 524-526; 528; 529; 532; 534-538; 540; 541; 548; 549; 552-558; 560; 561; 563; 564; 566-568;

570-573; 575; 576; 580-587; 589; 590; 592-595; 597-610; 612; 613; 615; 617-620; 623-632; 635-637; 639; 641; 643; 647; 648; 656; 658; 660; 666-671; 675; 677; 678; 680-682; 686; 688; 689; 691-695; 697; 698; 700; 702-706; 708-711; 713-722; 725-738; 740-743; 746; 761; 764-768; 770-776; 778-783; 785-797; 799; 802-804; 806-813; 817; 818; 820-823; 827-829; 831; 833-838; 842-844; 846; 849; 850; 853; 854; 857-869; 872-897; 899-902; 906-911; 913-921; 923-925; 927-932; 934-938; 944-950; 952-954; 956-965; 968-973; 975-977; 979-995; 997-1004; 1006-1017; 1022; 1027-1029; 1032-1037; 1039-1041; 1043-1052; 1054; 1055; 1057-1069; 1071-1085; 1087-1097; 1099-1120; 1122-1126; 1128-1135; 1137-1140; 1143-1145; 1147-1164;

საქართველო აღმოსავლეთი – 37; 45-47; 50-52; 54; 64; 69; 86; 110; 116; 130; 131; 135; 139; 142-145; 147-150; 153; 155; 159-162; 164; 165; 168-173; 188; 195; 259; 310; 323; 324; 326-328; 336; 340-344; 346; 347; 364; 365; 368-370; 379; 387; 429; 435; 439; 441-444; 446; 447; 450; 483; 486; 489; 492; 494; 495; 496; 499; 500; 501; 503; 520; 527; 528; 534; 546; 550; 558-561; 563; 565; 576; 580; 588; 599; 602-604; 628; 629; 631; 632; 636; 660; 663; 666; 671; 695; 717; 725; 735; 740; 790; 811; 818; 819; 833-836; 857; 865; 875; 876; 880; 881; 891; 893; 898; 899; 922; 924; 925; 934; 935; 950; 952; 958; 964; 968; 972; 973; 975; 979; 982; 983; 987; 990; 998; 1000; 1004; 1010; 1012; 1013; 1027; 1036; 1054; 1056; 1057; 1067; 1074; 1077; 1098; 1139; 1147; 1158-1161;

საქართველო დასავლეთი – 37; 38; 45-48; 50-52; 54; 64; 65; 69; 86; 109; 110; 116; 119; 121; 122; 128; 129; 135; 136; 139-145; 147-153; 155-164; 167-173; 188; 195; 248; 249; 259; 278; 310; 323; 324; 326; 327; 329; 330; 333; 334; 336; 340-342; 344; 346; 347; 364-371; 413; 429; 435; 436; 438; 440-450; 479; 483; 485-489; 491-493; 495; 496; 498; 500; 501; 503-506; 513-515; 517; 518; 520; 521; 524; 527-530; 544-546; 550; 551; 558-561; 563; 565; 567; 588; 599; 602-605; 613; 615; 629; 631; 632; 635-637; 639; 643; 658; 663; 664; 688; 695; 735; 750; 753; 802; 804; 811; 833-836; 857; 858; 868; 872; 875; 876; 880-882; 887; 891-895; 898; 899; 916; 917; 920; 922; 924; 925; 927; 931; 960; 966; 969; 971; 973-976; 983; 990; 996; 1005; 1010-1014; 1021; 1027; 1047; 1049; 1054; 1079; 1080-1082; 1085; 1095-1098; 1117; 1139; 1140; 1147; 1158-1161;

საქართველო სამხრეთი – 45; 46; 66; 86; 121; 278; 318; 322; 323; 327; 330; 336; 409; 458; 499; 516-518; 520; 529; 533; 535; 563; 572; 576; 586; 609; 640; 643; 655; 663; 708; 713; 714; 806; 833; 836; 857; 868; 879; 990; 1084; 1098; 1139; 1148;

საქართველო სამხრეთ-აღმოსავლეთი – 395;

საქართველო სამხრეთ-დასავლეთი – 47; 50; 94; 131; 317; 370; 420; 534; 669;

საქრისი – 125; 126;

საყივჩაღეთი – 833;

საშამხლო – 931;

საჩინო – 1013;

საცაიშლო – 1026;

სახარბედიო – 1013;

სახოისტარი – 910;

საჯავახო – 1073;

სებასტია (ქალაქი) – 192;
სებასტოპოლისი – 116; 122; 127; 129; 158;
სევანის ტბა – 352; 914;
სერბეთი – 566; 616; 623; 1126; 1127; 1131;
სერბია – 916;
სვანეთი – 68; 69; 127; 128; 137; 149; 172; 176; 196; 326; 327; 340; 368; 439; 446; 491; 493; 501; 502; 545; 643; 802; 803; 805; 896; 919; 1011-1013; 1102;
სვეტიცხოველი – 107; 186; 187; 272; 322; 463; 511; 565; 566; 568-570; 610; 617-619; 869; 876; 883; 1010; 1025; 1034; 1038; 1040; 1100; 1109; 1123; 1124; 1135; 1153;
სვიმონწმიდის მონასტერი – 592;
სვირი – 116;
სვირის მონასტერი – 1117;
სიბა – 849; 850;
სივნიეთი – 228; 311; 508; 875; 1043;
სინას მთა – 32; 35; 79; 601; 757; 809; 859;
სინას ნახევარკუნძული – 34;
სინას ქართული მონასტერი – 606;
სინდეთი – 269;
სინოპი – 809;
სიონი – 79; 80; 704; 904; 958; 959;
სიონი (თბილისის) – 709; 851; 1035; 1055; 1092; 1101; 1110; 1111; 1126; 1128; 1130;
სიონი (სამშვილდის) – 261;
სირია – 94-96; 111-113; 123; 250; 291; 292; 297-303; 316; 439; 444; 522; 585; 647; 649; 652; 767; 793; 796; 916;
სისის საკათალიკოსო – 709;
სიღნაღი – 741; 1100;
სიცილია – 653; 654;
სკანდა – 340; 341; 346; 364; 371; 443; 450; 501; 503; 949; 1140;
სკანდის ციხე – 968;
სკვითეთი – 111; 112; 114; 120; 127-129;
სკვითია – 20; 39; 119; 128;
სკვითოპოლისი – 291;
სომხეთი – 21; 37; 47; 52; 55; 58; 60; 65; 93; 96; 109; 110; 112-116; 129; 146; 165; 166; 178-183; 190-194; 196; 208; 228; 246; 248; 250; 251; 253-256; 258; 264; 278-281; 283; 284; 295-298; 300; 304-306; 308; 309; 311; 316; 319; 320; 321; 328; 336; 341-343; 350-353; 356; 359; 360; 361; 363; 367; 371-382; 384; 386; 390; 397-403; 406-414; 417; 420-422; 424; 426-429; 439; 440; 442; 451; 452; 454-462; 465-467; 472-480; 497; 507-509; 511; 513; 517; 530-537; 543; 544; 551-553; 556; 658; 564; 565; 568; 576; 585; 698; 599; 601; 604; 608; 613; 617; 624; 628; 630; 633; 635; 638-642; 644-646; 648; 649; 651; 652; 654-660; 665; 667; 669-673; 680; 681; 685; 686; 690; 694; 695; 697-699; 701; 702; 704; 705; 707; 715; 730; 731; 734; 750-755; 762; 763; 765; 768; 769; 786; 791-797; 799; 801; 803; 804; 811; 819; 821; 828; 837; 838; 857; 859; 862; 874; 876; 881; 888; 895; 915; 919; 925; 953; 959; 986; 991; 999; 1005; 1014; 1044; 1057; 1069; 1070; 1126; 1148; 1160;
სოსანია (სოსანგეთი) – 125; 129;
სოფიის ტაძარი – 375;
სოხუმი – 366; 369; 1109;
სპარსეთი – 31; 50; 55; 60; 84; 90; 111; 112; 114; 116; 123; 156; 179; 182; 196; 197; 240; 249-251; 255; 258; 266; 268; 269; 278-283; 287; 293; 295; 296; 299; 304; 307; 310; 318-321; 329; 336; 339; 340; 341; 348; 351; 353; 358; 362-364; 370-373; 381-386; 389-391; 398-400; 403; 404; 406-408; 412; 418; 420; 422-424; 426; 427; 429; 433-438; 448-453; 457; 459; 469; 470; 522; 524;

539; 552; 553; 555; 575; 576; 644; 655; 669-671; 678; 702; 703; 709-711; 715; 716; 718; 723; 729; 735; 736; 752; 753; 768; 792; 796; 809; 815; 896; 915; 916; 927; 928; 931; 937-939; 941; 949-957; 959-961; 963; 969; 971; 972; 977; 979-990; 992; 1000; 1002; 1004; 1011; 1012; 1027; 1036; 1048; 1056-1058; 1060; 1062; 1063; 1065; 1068; 1069; 1071; 1072; 1075-1077; 1084; 1088; 1089; 1146; 1155;
სპარსეთის ყურე – 53;
სპარსი ბაზრი – 806;
სპერი – 154; 274; 437; 449; 516; 517; 532; 666; 807; 837; 858;
სპერის ზღვა – 51;
სტავროპოლი – 622; 1056;
სტამბოლი – 605; 896; 913; 937; 991; 1035; 1075; 1130;
სტამბოლის ციხე – 709;
სტერი – 264;
სტეფანწმიდა – 260;
სუბკარაპეტას საყდარი – 737;
სუბსარქისის საყდარი – 737;
სუზა – 316;
სურამი – 958; 1057;
სურფ-გეორქი – 737;
სუფსა (მდინარე) – 110;
სუჯეთი – 536; 537; 747;
სხვილისი (სოფელი) – 742; 1063;
სხლები (სოფელი) – 738;

ტ

ტაიქი – 639;
ტალინჯაქარი – 755;
ტაო – 47; 116; 121; 127; 342-344; 347; 351; 363; 377; 420; 426; 458; 459; 486; 487; 495; 498; 499; 514; 516-518; 520; 521; 529-535; 538; 540; 548; 554; 559; 563; 564; 570; 574; 608; 635; 637; 639; 641; 642; 655; 656; 658; 659; 663; 664; 666; 669; 672; 673; 684; 689; 697-700; 751; 762; 785; 790; 803; 805; 818; 836; 854; 857; 878; 881; 902; 910; 1108; 1140; 1148; 1158;
ტაოსკარი – 164; 516; 637; 642;
ტარო – 375;
ტარონი – 456;
ტარსი – 178;
ტაშირი – 182; 183; 311; 328; 363; 640; 662; 735; 764; 785; 790; 804; 807; 878; 953; 1089;
ტაშისკარი – 609;
ტბეთი – 581; 641;
ტბეთის ციხე – 581;
ტერონაკალი – 755;
ტვიროსი – 40;
ტიბარანია – 54;
ტიბზანი – 470;
ტიგროსი – 20; 27; 31; 39;
ტიპოსი – 651;
ტობოლსკი – 1091;
ტოლოზინო – 622;
ტრაპეზუნტი – 50; 116; 122; 123; 129; 156; 158; 159; 436; 621; 622; 835; 888; 899;
ტრაპიზონი – 125; 129; 157; 572; 624; 625; 809; 861; 862; 972;
ტრაპიზონის საკეისრო – 872;
ტრივონია – 621;
ტრტუტი (მდინარე) – 476;
ტრული – 290; 440; 450; 612; 615; 618; 619; 622; 651; 652;
ტუაფსე – 563; 604;
ტურინი – 903;
ტუსტრიცი – 622;
ტყეტბა – 315;
ტყვიავი – 741;
ტყობა-იერდი – 565; 601; 606; 625;

უ

უბეის ეკლესია – 530;
ურარტუ – 26; 31; 53; 54; 55; 57; 58; 59; 146; 367;
ურბნისი – 105; 108; 118; 183; 202; 343; 692; 693; 702; 729; 762; 766; 768;

770; 772-777; 779; 780; 782; 784; 1095; 1099; 1138; 1139; 1141; 1154; 1159; 1160; 1161;
ურდო – 838; 839; 842; 849;
ურეკი-ზღვის სანაპირო – 110;
ური – 31; 32;
ურმიის ტბა – 47;
ურუკი – 32;
ურჰა – 269; 271;
უტი – 183; 328;
უტიქი (უტიკი) – 352; 355; 356; 358;
უფლისციხე – 65; 108; 211; 314; 498; 528;
უჯარმა – 217; 219; 220; 273; 274; 322; 343; 437; 443; 444;
უჯარმის ხევი – 273;

ფ

ფაზისი (ფასისი) – 122; 128; 130; 325; 344; 398; 437; 449; 464; 503; 515; 615; 649;
ფაზისი (მდინარე) – 53; 116; 119; 122; 128; 129; 144; 156; 157;
ფაზისის ხეობა – 122; 156;
ფანასკერტი – 762; 807;
ფარავანი – 570;
ფარავნის ტბა – 201;
ფარვანი – 878;
ფარვანის-თავი – 878;
ფარცხისი – 762;
ფასიდი (ფოთი) – 443;
ფასიდის სამიტროპოლიტო – 442; 502;
ფეთხაინის ეკლესია – 737;
ფერარა – 616; 620; 621; 624; 625; 627; 878; 879;
ფერეიდანი – 977;
ფერიჯანი – 607;
ფილისტიმი – 269;
ფილიპინის კუნძულები – 710;
ფილოთეოს მონასტერი – 930;
ფინეთი – 1120; 1127; 1135;
ფინიკია – 88; 96;
ფირუზკობადი – 446;
ფლორენცია – 616; 620; 621; 624; 625; 627; 878; 879;
ფოთი – 128; 344; 443-445; 449; 450; 501; 515; 615; 649; 1045; 1073;
ფოკა (სოფელი) – 878;
ფორთა – 641;
ფოსტაფორი – 127;
ფრიგია – 85; 111; 112; 652;
ფუტიეთი – 1098;
ფშავი – 68; 86;

ქ

ქავაზინი – 755;
ქალაძორის ციხე – 751; 791;
ქალახი – 99;
ქალდეა – 31; 32; 42; 45; 78; 163;
ქალკედონია – 233; 246; 279; 287; 289-295; 298; 299; 302; 303; 305-307; 309; 310; 314; 337; 374-378; 381; 389; 393; 396; 398; 399; 401; 412; 414; 417; 421; 438; 440; 456; 472; 476; 499; 501; 507; 510; 514; 543; 556; 615; 618; 644; 646-648; 651; 1061; 1151;
ქალნე – 99;
ქამოანი (ქამოანთ ეკლესია) – 737;
ქანაანი – 19; 33;
ქართლი – 47; 51; 61-63; 65; 86; 90; 94; 99; 108; 109; 114-116; 119; 123; 136; 141; 145; 148; 150-152; 155; 161; 166; 167; 170; 172-174; 179-186; 191-197; 202; 204; 213; 215; 216; 220; 221; 224; 225; 228-230; 241; 251-258; 260-262; 267; 268; 271; 272; 274; 275; 278-280; 282-284; 286; 287; 296; 299; 302; 304; 309-311; 314; 315; 321-327; 329; 334; 335; 337; 339; 341-343; 346; 351; 354; 356; 357; 365; 368-371; 376; 379; 380; 382-388; 391; 392; 394; 396-398; 400; 401; 403; 404; 407; 408; 410-412; 414; 416-418; 421; 426; 429; 430; 433-437; 440-442; 444-455; 458; 460-462; 464; 466; 468; 476; 479; 483-494; 496;

497; 501; 502; 504-507; 510; 511; 513-515; 523; 528; 529; 537; 541-548; 550-555; 557-561; 564; 566; 567; 573; 576; 594; 595; 599; 600-604; 606; 607; 612; 613; 617; 619; 627-631; 636; 639; 647; 657; 660-662; 671; 673; 679; 680; 682; 685-687; 690; 691; 694; 705; 709-712; 721-723; 725; 726; 731; 732; 736; 738; 739; 742; 746; 748; 751; 753; 755; 761; 762; 766; 771; 795; 799; 800; 803; 819; 822; 836; 842; 847; 857-859; 867; 872; 877; 891-893; 896-899; 903; 906-915; 919; 924; 925; 931; 934; 935; 937; 943-947; 950-953; 955; 957-961; 963-966; 968; 975; 976; 979-992; 994-996; 998; 1000-1004; 1006-1012; 1014; 1015; 1017; 1020; 1025; 1032-1037; 1039-1044; 1046-1049; 1060; 1063; 1066; 1067; 1069; 1070-1072; 1075-1079; 1081; 1083-1085; 1089; 1093-1095; 1099; 1140; 1143-1148; 1151; 1153-1155; 1157; 1159; 1160; 1162;

ქართლი ზემო – 150; 163; 464; 1042;

ქართლი ქვემო – 181; 183; 356; 358; 360; 361; 363; 364; 384; 400; 409; 426; 436; 452; 474; 477; 497; 498; 536; 538; 570; 576; 635; 640; 641; 643; 655; 658-661; 663; 666; 682; 697; 703; 714; 715; 731; 764; 765; 774; 785; 786; 789; 875; 876; 897; 909; 911; 956; 959; 1017; 1057; 1058; 1060; 1158; 1159;

ქართლი შიდა – 47; 50; 64; 152; 448; 487; 495; 497; 498; 518; 559; 570; 643; 658-661; 663; 666; 698; 702; 703; 728; 740; 881; 909; 927; 975; 1016; 1023; 1041; 1042;

ქართლის სამეფო – 45; 48; 50; 51; 64; 84; 87; 92; 114; 115; 135-140; 143; 147-151; 153-158; 165; 181; 189; 194; 214; 217; 219; 279; 309; 310; 314; 315; 324; 325; 330; 357; 364; 366-370; 373; 406; 435; 441; 485-487; 491; 492; 495; 496; 499; 500; 516; 517; 520; 526-528; 560; 563; 806; 909; 910; 921; 922; 1139; 1158;

„ქაჯთა ქალაქი“ – 64;

ქვათახევის მონასტერი – 869; 870; 1010; 1095;

ქვახვრელი (სოფელი) –741;

ქვენადირი – 946;

ქინძარა – 211;

ქირმან-ყანდაჰარი – 986;

ქირმანი – 989;

ქიშ-ნუხი – 607;

ქობულეთი – 895; 972; 996; 1015; 1073; 1074;

ქსანი – 1041;

ქსანი (მდინარე) – 785;

ქსნის საერისთავო – 1020;

ქსნის ხეობა – 497; 738; 739; 866; 1003; 1042;

ქუთაისი – 485; 486; 491; 512; 528; 565; 583; 629; 632; 633; 746; 751; 812; 835; 836; 983; 1018; 1034; 1072; 1097; 1120; 1123;

ქუთაისის ციხე – 1022;

ქულფარგი – 502;

ქურთა (სოფელი) – 738;

ქურთისტანი – 962;

ქურმუხი – 607;

ქუჩუკი – 605;

ღ

ღადო – 690; 843;

ღალისი (მდინარე) – 54; 163;

ღართა – 211;

ღრტილა – 580;

ყ

ყაბალა – 753; 762; 792;

ყაბარდო-ბალყარეთი – 47;

ყაზანი – 1118;

ყაზახი – 1043;

ყანდაური – 741;

ყარა დერბენდი – 916;
ყარაბაღი – 862; 873; 880; 911; 953; 964; 1044; 1068; 1069; 1076; 1081;
ყარაბაღის ველი – 837;
ყარაია – 947;
ყარასუ – 28;
ყარადაჯი – 964; 897;
ყარსი – 609; 708; 743; 808; 908; 953; 970; 1153;
ყველისციხე – 525; 528; 746; 762;
ყვირილა (მდინარე) – 116;
ყიზილბაში – 950; 955;
ყიზლარი – 730;
ყირიმი – 605; 653; 916; 1015;
ყოველი ქართლი – იხ. ქართლის სამეფო
ყუბანი (მდინარე) – 64; 492; 494; 694;
ყულევი – 443;
ყუმი – 607; 950;

შ

შავი ზღვა – 28; 42; 44; 45; 47; 51-53; 98; 109; 114; 139; 140; 144; 157; 158; 161; 163; 168; 170; 172; 325; 361; 366; 367; 369; 439; 442; 446; 450; 470; 489; 563; 605; 687; 710; 894; 908; 914; 1080; 1081;
შავი მთა – 504; 585; 598; 757; 763; 809; 829;
შავიზღვისპირეთი – 50; 109; 114; 115; 140; 154; 156; 158-160; 162; 164-169; 195; 323; 344; 347; 366; 437; 445; 449; 567; 568; 615; 892; 1090;
შავნაბადას ეკლესია – 737;
შავშეთი – 497; 530; 570; 581; 641; 642; 746; 802; 807; 854; 857;
შამახია – 754; 755; 937; 1044; 1069;
შამქორი – 791; 807;
შამხალი – 912;
შარვანი – 751; 753-755; 762; 763; 791-793; 795; 796; 799; 806; 915; 937;
შარვანშა – 806;
შარვანშეთი – 799; 822; 823;
შატბერდი – 530; 541;
შაქი – 356; 357; 439; 464; 606; 838; 874; 908; 909; 914; 933; 953; 1066; 1069; 1089;
შაჰ-არმენის სასულთნო – 828; 862;
შაჰანშა – 812;
შაჰანშეთი – 799;
შემახის მთა – 836;
შემოქმედი – 1010; 1055; 1129;
შემოქმედის ციხე – 1098;
შინდისი (სოფელი) – 878;
შინდობისა – 267; 540;
შინყარი – 19; 99;
შიომღვიმე – 619; 763; 783; 1021;
შირაზი – 938; 940; 942; 948;
შირაქი – 795;
შირვანი – 439; 464; 564; 603; 604; 606; 796; 821-823; 828; 837; 858; 859; 862; 865; 866; 872; 874; 908; 912; 933; 936; 1069;
შორაპანი – 109; 116; 340; 341; 346; 364; 443; 450; 501; 503; 1072; 1140;
შოტლანდია – 1134;
შუა აზია – 109; 254-256; 833;
შუამდინარეთი – 29-31; 98; 179; 387; 527; 533; 658;
შუამთა – 448;
შუამთიულეთი – 493;
შულავერი (სოფელი) – 726;
შუშა – 1077;
შხეფი – 1013;

ჩ

ჩაქვი – 1074;
ჩაღანუსუნი – 837;
ჩელეთი – 257; 273; 318; 322; 343;
ჩერქეზეთი – 440; 464;
ჩეჩნეთი – 605; 606;
ჩეხოსლოვაკია – 1120; 1127;
ჩილდირი – 908; 912;
ჩილდირის ტბა – 709;
ჩინეთი – 833;
ჩიხორი ქალაქი – 872;
ჩორი – 357; 462; 470; 480;
ჩრდილო სირია – 20;

ჩრდილოეთ კავკასია – 47; 67; 150; 470; 565; 599; 601; 604; 606; 617; 661; 864; 866; 927; 953; 969; 996; 1003; 1033; 1036; 1076;
ჩრდილოეთ მესოპოტამია – 250;
ჩრდილოეთ ოსეთი – 695;
ჩუმლაყი – 741;
ჩხარა – 1057;

ცა

ცაგერი – 1099;
ცაიში – 443; 450; 1010; 1099;
ციხე-გოჯი – 64; 65; 172; 486; 491; 524;
ციხედიდი (დაბა) – 215;
ციხის საყდარი – 737;
ციხისჯვარი – 903;
ციხისძირი – 443; 444; 449; 450; 615; 1073; 1074;
ცროლის მთა – 37; 52; 442; 690; 694; 695;
ცურტავი – 81; 257; 315; 327; 343; 356; 360-362; 391; 393-395; 397; 399-404; 409; 412; 414; 430; 458; 538;
ცუცხვათი – 1072;
ცხენისწყალი (მდინარე) – 525;
ცხინვალი – 738;
ცხირეთი – 725; 946;
ცხუმი – 127; 524; 1129;

ძ

ძამანარძე – 339;
ძერნა – 751;
„ძველქალაქი“ (არქაიოპოლისი) – 340;
ძორაგეტი – 363; 786; 807;
ძოროფორი (ძორაფორი) – 183; 311; 328; 378;

წ

წავკისი (სოფელი) – 878;
წალკა – 723;
წანარეთი – 168; 339; 340;
წაღვლისთავი – 748;
წახური – 606; 607;
წვირიმი – 675;
წითელი ზღვა – 53;
წილკანი – 257; 343; 1010; 1020; 1022; 1095; 1099;
წინა აზია – 23-30; 37; 44; 45; 50;
წინაუბანი (სოფელი) – 878;
წიწამური – 936;
წობენი – 219;
წობოფორი – 183; 328;
წუნდა – 64; 65; 116; 136; 151; 215; 257; 272; 275; 322; 343; 858;
წყალიგზა – 1013;
წყარო-მრავალი (სოფელი) – 878;
წყაროსთავის ეკლესია – 275; 530;
წყნარი ოკეანე – 21; 710; 1057;

ჭ

ჭანეთი – 45; 605; 837; 910; 914; 1015;
ჭანიკი – 54;
ჭარი – 738; 897; 992; 1017; 1042; 1065; 1066; 1071; 1089;
ჭელიშის მონასტერი – 1118;
ჭერეთი – 739;
ჭერემი – 257; 273; 315; 318; 322; 343;
ჭერემის ციხე – 273;
ჭოროხი – 109; 122; 156; 157; 163; 325; 893; 1015;
ჭოროხი (მდინარე) – 28; 47; 751;
ჭოროხის ხეობა – 163; 164; 637; 642;
ჭურთისხევი – 738;
ჭყონდიდი – 445; 447; 489; 567; 746; 1034; 1099;

ხ

ხაზარეთი – 268; 529; 833;
ხაზარეთი (მდინარე) – 64; 492-494;
ხალდია – 54;
ხანდაკი (ზემო) – 108;
ხანძთა – 523; 530; 541; 641;
ხარანი – 31-33;
ხატისოფელი – 913;
ხაჩენი – 873; 874;
ხახული – 409; 641; 698; 807;
ხევსურეთი – 68; 86;
ხეთა – 70;

ხერთვისის ციხე – 1072;
ხერკი – 936;
ხერსონესი – 544; 605; 651; 653;
ხერსონესის ნახევარკუნძული – 1015;
ხერსონი – 460;
ხიბულა – 1026; 1028;
ხიდრის ნაციხარი – 663;
ხინო – 1073;
ხლათი – 564; 797;
ხმელთაშუა ზღვა – 24; 26; 29; 30; 710;
ხმელთაშუა ზღვისპირეთი – 54;
ხობი – 1010; 1013; 1028; 1034;
ხოირი – 1017;
ხონი – 413; 444; 445; 487; 488; 1055;
ხორასანი – 178;
ხორების მთა – 34;
ხორზენე – 66;
ხორნაბუჯი – 257; 273; 318; 322; 343; 806;
ხოჯივანქი – 732;
ხრამი – 838;
ხრესილი – 1045;
ხუარასანი – 809;
ხუნანი – 64; 343; 753; 796;
ხუნანის ციხე – 61;
ხუნძახი – 606; 1043;
ხუნძეთი – 601; 606; 607; 617; 1014;
„ხურლას უდნე“ – 99;
ხუფა – 751;
ხუფათი – 753;

ჯ

ჯავახეთი – 116; 151; 154; 168; 269; 272; 275; 322; 343; 433; 448; 517; 541-543; 570; 662; 663; 723; 737; 740; 755; 762; 803; 807; 808; 838; 843; 906; 909; 910; 1063; 1071; 1072; 1090;
ჯავახეთის მთები – 201;
ჯავახქი – 183; 328;
ჯაზირა (ზემო შუამდინარეთი) – 658;
ჯაზირი – 269;
ჯგალი – 1026;
ჯვრის მონასტერი (იერუსალიმის) – 589; 859-861; 917; 918; 1017;
ჯვრის ტაძარი (მცხეთის) – 436; 437; 448; 484; 485; 489; 701; 1145;
ჯვარის ციხე – 662;
ჯიგრაშენის ეკლესია – 737;
ჯიქეთი – 127; 130; 263; 604; 1015;
ჯორჯანეთი – 269;
ჯრუჭი – 1010;
ჯულფა – 703; 704; 710; 711;
ჯუმათი – 1099;
„ჯურჯანის ზღვა“ – 909;

ჰ

ჰარქის ზეგანი – 59;
ჰერაკლია – 312; 543; 621; 625;
ჰერეთი – 37; 51; 52; 136; 168; 170; 181; 193-195; 220; 228; 241; 252; 257; 284; 286; 318; 327; 329; 343; 344; 347; 351; 353-360; 370; 384; 426; 442; 446; 483; 484; 486; 497; 500; 536-538; 553; 554; 559; 563; 564; 570; 580; 603; 607; 635; 636; 640; 658; 662-664; 666; 682; 684; 689; 690; 694; 695; 697; 700; 701; 747; 749; 750; 761; 762; 774; 785; 786; 799; 803; 822; 836; 838; 857; 858; 909; 1043; 1066; 1139; 1140; 1158-1160;
ჰერცოგოვინა – 916;
ჰვისის ნავსადგური – 121; 130;
ჰირკანია – 93; 909;
ჰირკანიის ზღვა – 94;
ჰიჯაზი – 916;
ჰოლანდია – 981;
ჰური – 64; 516;

ბ) ეთნიკურ სახელთა

ა

აბაზა – 908;
აბაზგები – 67;
აბაზები – 927; 974;
აბასკები – 158;
აბაშები – 260; 271;
აბისინიელები – 708;
ადარბადაგანელები – 850;
ადიღები – 895;
ადიღეელები – 927; 1015;
ადიღეურ-ჩერქეზული ტომები – 1028; 1090;
ადიღეური ტომები – 974;
ავარიელები – 38;
ავსონები – 325;
ავღანები (ავღანელები) – 985-987; 989; 990; 999;
აზერბაიჯანელები – 636;
ალალები – 57;
ალანები – 109; 114; 122; 128; 129;
ალანთა ტომები – 111;
ალაროდიელები (ალარდიელები) (ალალოდები) – 45; 46; 55; 57;
ალბანელები – 67; 93; 94; 108; 112; 113; 255; 258; 304; 305; 307; 332; 352; 353; 355; 379; 388; 414; 417; 420; 423; 431; 465; 467; 471; 473-480; 508; 521; 535; 549; 553; 575; 636; 641; 646; 660; 664; 665; 686; 697; 698; 700; 707; 838; 897; 909; 927;
ამაზონთა ტომები – 156;
ამონიტები – 40;
ამორეველები – 34;
ამორეველთა ტომები – 32;
ამპრევეტები – 109;
არაბები – 55; 156; 324; 347; 349; 363; 384; 425; 438-440; 448; 449; 452; 465; 475-479; 486; 487; 490; 491; 496-498; 512; 515; 516; 518; 520; 522; 523; 525; 526; 529; 532; 533; 539; 540; 548; 549; 551; 563; 575; 576; 585; 613; 644; 649; 652; 655-658; 660; 671; 678; 688; 708; 757; 764; 765; 768; 786; 806; 898; 971; 1114; 1147; 1148; 1158;
არიელები – 20;
არმენიელები – 38; 53; 57; 59; 66; 608;
არშაკიდების დინასტია – 178;
ასები (იასები) (ოსები) – 67;
ასირიელები – 643;
ასურელები – 26; 42; 281; 349; 373; 682; 918;
აფსარები – 927; 1015-1017; 1027;
აფსუები – 895; 990; 996; 998;
აფშილები – 128; 158; 340; 341;
აფხაზები – 67; 171; 332; 341; 436; 738; 805; 843; 915; 972; 974; 975; 990; 992; 995; 997; 998; 1015-1017; 1027; 1028; 1090;
აქეელები – 325;
აჭარლები – 159; 1074; 1090;

ბ

ბაბილონელები – 43;
ბაგრატიდები – 639;
ბაგრატიონთა დინასტია – 499;
ბაგრატუნები – 660; 661;
ბასკები – 26;
ბელორუსები – 134;
ბერძნები – 20; 26; 55; 64; 66; 70; 93; 105; 124; 139; 144; 152; 153; 159; 169; 178; 182; 249; 253; 262; 264-269; 272; 273; 275; 278; 281; 282; 286; 296; 297; 300; 304; 305; 309; 318; 330; 332; 334; 336; 340; 341; 345-348; 350; 371-373; 375; 377; 390; 391; 415; 421-423; 433; 434; 437-439; 443; 448; 449; 457; 466; 469; 472-474; 483; 486; 487; 503; 507; 508; 553; 558; 559; 574; 577-584; 586; 587; 590; 592; 593; 595;

609; 626; 639; 645-649; 651-653; 656; 660; 666; 667; 670; 671; 674-676; 682; 699; 722; 746; 896; 897; 938; 1071; 1149; 1151;
ბექირები – 128;
ბიზანტიელები – 73; 249; 251; 280; 340; 341; 363; 383; 400; 422; 434; 440; 484; 527; 532; 533; 540; 575; 582; 584; 651; 762;
ბითვინები – 128;
ბიძერები – 127; 128;
„ბორჩალუ“ (თურქმენული ტომი) – 931;
ბოსნიელები – 927;
ბრანჯნი – 197;
ბრიგები – 38; 39;
ბულგარელები – 896;
ბუნ-თურქები – 62; 690; 692; 695; 705;

გ

განძელები – 807;
გენუელები – 894;
გერმანელები – 20; 394;
გოგ – 41;
გორგანები – 909;
გორგასლიანთა დინასტია – 339; 340; 499;
გუგარელები (გუგარქელები) – 168; 342; 361; 409; 475; 660;
გუდამაყრელები – 219;
გურზები – 909;
გურიელები – 975;
გურულები – 140; 145; 146; 159; 171; 173; 546; 638; 898; 915; 974; 1074; 1099;

დ

დარუბანდელები – 753; 755;
დაღესტნელები – 38; 927; 936; 975; 990; 1043; 1044; 1072;
დვალები – 67; 605; 738; 809; 861; 867; 927; 1041; 1042;
დიდოელები (დიდოები) – 809; 965;
დრილები – 158;
დურძუკები – 66; 99; 332; 687; 862;
დურძუკთა ტომები – 67;

ე

ებრაელები – 20; 34; 35; 39-42; 44; 89; 91; 94; 95; 120; 199; 202; 203; 205; 207; 208; 213; 215; 416; 682; 971; 973; 1037; 1107;
ეგვიპტელები – 34; 35; 76; 95; 759; 860;
ეგრები – 141; 368;
ეგრისელები – 64; 137; 141; 145; 150; 159; 195; 325; 367; 444; 557; 636; 660;
ედომელები – 33;
ელამელები – 54;
ელები – 873; 966; 967;
ელინები – 38; 156; 159;
ერწო-თიანეთელები – 219; 329; 810; 1026;
ესპანელები – 135;
ესპანეთის დასავლეთის იბერები – 559;
ეტრუსკები – 26; 54;

ვ

ვალახები – 626;
ვესტგუთები – 98; 181; 279;

ზ

ზანები – 52; 146; 159;
ზემო იბერები – 160; 161;
ზიგები – 325;

თ

თათრები – 605; 724; 733; 837; 842; 845; 849; 857-859; 898; 912; 915; 916; 921; 925; 944; 946; 950; 951; 955; 966; 967; 969; 1022;
თარასები – 755;
თეირები – 159;
თეობელები – 159;
თოველები – 37;
თორღამელები – 38;
თრაკიელები – 159;
თუბალები (თობელები) – 26; 29; 39; 45; 48; 49; 54; 70; 78; 97; 144;
თუბალ-კაინური ტომები – 49; 640;
თურქ-სელჩუკები – 1114;

თურქები – 67; 433; 585; 586; 623; 708; 709; 713; 723; 735; 740; 746; 748; 750; 751; 753; 756; 757; 762; 764; 765; 767; 786; 791; 793; 794; 804-806; 808; 821; 823; 838; 854; 873; 876; 886; 887; 894; 897; 910; 915; 916; 953; 963; 969-972; 975; 986; 996; 998; 1000; 1002; 1003; 1017; 1035; 1045; 1057; 1071; 1073; 1074; 1129;
თურქმანები – 753-755; 786; 792; 872;
თურქული ტომები – 28;
თუშები – 966; 967;

ი

იაოშე ტომი – 67;
იაფეტელები – 24;
იბერები – 20; 23; 26; 29; 38; 41; 48; 52-54; 67; 93; 97; 111; 129; 130; 139-141; 143-145; 157; 159; 160; 162; 167; 172; 173; 195; 225; 284; 325; 326; 357; 366-368; 436; 479; 558; 560; 607; 692; 909; 963; 1142; 1161;
იბერთა ტომები – 111; 157; 326;
იბერიელები (ივერიელები) – 37; 38; 53; 66; 67; 82; 93; 108; 113; 114; 122; 160-162; 165; 167; 169-171; 326; 340; 691; 1078; 1079;
იბერიულ-კავკასიური ტომები – 66;
იდუმელები – 95;
იებუსეველები – 34;
ივირი (ტომი) – 37;
ილხანები – 865;
იმერლები – 67; 140; 145; 146; 171; 173; 546; 638; 804; 898; 915; 920; 974; 975; 1063; 1079; 1080; 1081;
ინგილოები – 636; 740; 1042;
ინდოევროპელები – 24; 27; 28;
ინდოელები – 260; 768; 986;
ინდოირანელები – 22; 24;
ინდუსები – 20;
იონია – 159;
იონიელი ბერძნები – 46;
იონები – 458;
იონიელები – 20;
ირანელები – 90; 178-181; 251; 252; 254-256; 258; 279; 280; 296; 298; 320; 336; 451; 518; 907; 909; 911; 912; 918; 936; 986; 999; 1043; 1075; 1147; 1158;
ისავრისთა დინასტია – 651;
ისრაელიანები – 43;
იტალიელები – 135; 473;
იუდეველები – 94-96; 112;

კ

კაბადოკიელები – 97; 98; 144; 159;
კაენები – 49;
კავკასიანელები – 55;
კავკასიელები – 54; 56-58; 478; 690; 867; 915; 927;
კავკასიური ტომები – 29; 67; 99; 688; 863; 865; 998; 1017;
კამარტები – 325;
კარდუხები – 45; 50;
კასკები – 29;
კახელები – 145; 146; 171; 546; 642; 836; 842; 843; 898; 899; 907; 915; 936; 967; 992; 1012; 1079; 1081;
კაჰპადუკი (ტომი) – 38;
კელტ-იბერები – 559;
კიმერიელები – 48;
კლარჯები – 121; 131; 182; 325; 516; 517;
კოიტები – 50;
კოლხები – 29; 45; 46; 48; 49; 50; 53; 54; 128; 130; 131; 156; 157; 159; 161; 168;
კოპტები – 643; 708;
კხოელნი – 329;

ლ

ლაზები – 53; 109; 110; 128; 138-140; 143; 158; 160-162; 172-174; 326; 340; 366-368; 436; 437; 444; 558; 615; 835; 1161;
ლაზური ტომები – 608;

ლათინები – 918;
ლევკოსირები – 128;
ლეკები – 51; 55; 64; 66; 690; 738; 755; 853; 862; 865; 965; 990; 1000; 1002-1004; 1016; 1027; 1042-1044; 1050; 1066; 1071; 1072; 1075; 1090;
ლიბიელები – 41; 167;
ლიხთ-იმერლები – 799;

მ

მადეების ტომი – 159;
მადიამელები – 34;
მაკედონიელები – 38; 93;
მაკრონები – 45; 46; 50; 128; 129; 158;
მანგლისელები – 1024;
მარგველები – 974;
მარიანდინები – 128;
მასუკაველები – 1139;
მასქუთები – 194; 196; 329; 332; 354; 606;
მატიენები – 55;
მეგრელები – 46; 55; 67; 85; 121; 127; 129; 131; 136-139; 141; 142; 145-147; 150; 160; 167-174; 325; 342; 368; 444; 516; 545; 546; 550; 558; 637; 638; 642; 687-689; 690; 694; 898; 974;
მეგრულ-ლაზური ტომები – 121; 141;
მეგრული ტომები – 97; 608;
მედები – 159;
მელქიტები – 373;
მესქინები – 38;
მესხები – 26; 29; 38; 39; 45; 49; 50; 67; 70; 97; 126; 127; 140; 172; 609; 630; 751; 807; 834; 836; 842; 843; 853; 887; 895; 898; 901; 902; 910; 923; 964; 992; 1079;
მესხენები – 159;
მესხოი (ტომი) – 38;
მესხური ტომები – 38; 50;
მეშეხ-მოსოხები – 144;
მთიელები – 636; 809; 864; 927; 974; 992;
მთიულები – 215; 219; 810; 915;
მიდიელები – 20; 53; 54; 93; 108; 157; 768; 918;
მისიმიელები – 341;
მიტანელები – 24; 28;
მოვაკანელები – 55; 690;
მონღოლები – 603; 609; 697; 738; 767; 810; 811; 821; 833-835; 837; 838; 840-846; 849; 852; 857; 858; 862; 865; 873; 874; 895; 897; 908; 912; 920; 921; 1066; 1114; 1153;
მონღოლური ტომები – 28;
მორსინები – 129;
მოსინიკები – 45; 46; 50; 128;
მოსოხები – 20;
მოსხები (მოსქები) – 29; 38; 39; 45; 46; 48; 325; 366;
მოხევეები – 809;
მულიდები – 852;
მუსკები (მუშქები) – 26; 29; 38; 45; 50; 78;
მცხეთელები – 207; 1142;

ნ

ნახჭევნელები – 850;
ნესიტები – 27;
ნომადები – 925;

ო

ოდიშარნი – 1080;
ოდიშები – 915; 975;
ოთომანები- – 917;
ოკაენიტები – 49;
ოსები – 51; 64; 66; 67; 255; 262; 263; 269; 517; 583; 605; 738; 739; 741; 752; 857; 858; 862; 866; 867; 969; 972; 990; 1003; 1016; 1041; 1042;
ოსმალები – 702; 709; 712; 714; 717; 735; 866; 872; 887; 888; 909; 910; 912; 913; 915-918; 931; 933; 937; 944; 945; 969; 971; 976; 990; 991; 994; 1000-1002; 1011; 1012; 1015; 1036; 1042; 1044; 1045; 1047; 1048; 1056; 1066; 1071; 1072; 1074; 1075; 1087; 1098; 1114; 1133;

ოსტგუთები – 98;
ოქროს ურდოელები – 863;

პ

პანელინები – 325;
პართელელები – 190;
პარსები – 87;
პაფლატონები – 128;
პაჭანიკები – 263; 585;
პელაზგები – 26; 54;
პირინეის ნახევარკუნძულის იბერები – 559; 561;
პონტოსპირეთის ტომები – 127;
პროტოქართველები – 23; 31;
პროტოხეთები – 25; 27; 28; 32;
პტოლემეელთა დინასტია – 94;
პტოლემელები – 95;

ჟ

ჟალელნი – 1026;
ჟამურელები – 861;

რ

რაბატელნი – 201;
რანები – 55; 690;
რომაელები – 92-96; 108-110; 113; 114; 179-181; 190; 197; 205; 279; 339; 401; 402; 413; 415-417; 423; 449; 450; 553;
რუსები – 129; 134; 626; 864; 937; 938; 1001; 1068; 1071; 1072; 1075; 1076; 1087; 1090; 1092; 1094; 1097-1099; 1102; 1110; 1117; 1163;
რუსული ტომები – 357;

ს

სავრომატული ტომები – 357;
სამარიელები – 95;
სამურზაყანოელები – 638; 1045;
სამცხეელები – 542; 901;
სანები – 158;
სანიგები – 128; 158;
სარმატები – 109; 113; 128; 651;
სასანიდები – 178; 455;
სასპეირები – 45; 46; 53; 55; 157;
სელევკიდები – 95;
სელჯუკები – 585; 586; 762; 786; 793; 806; 821; 838;
სემიტები – 28; 31;
სემიტური ტომები – 19; 32;
სერბები – 896;
სვანები – 31; 52; 67; 85; 136-139; 141; 142; 145; 146; 163; 171-173; 326; 340; 366-368; 545; 546; 550; 637; 804; 867; 898; 915;
სივნიელები – 309; 373; 417; 421; 508;
სინდები – 260;
სირიელები – 95; 249; 300; 640; 707; 708;
სკვითები – 41; 53; 119; 127-129; 651;
სლავები – 24; 134; 135; 301; 1071;
სლავური ტომები – 357;
სოგდიანები – 129;
სომხები – 38; 55; 56; 57; 58; 59; 60; 72; 146; 164; 182; 249; 254; 255; 258; 267; 279; 280; 296; 297; 304-309; 328; 329; 332; 349; 350; 351; 359; 362; 367; 371-374; 376; 377; 380-382; 384; 389; 390; 392-394; 409; 416; 419; 421-423; 425; 434; 438; 451; 454; 455; 466; 472-476; 478-480; 497; 498; 508; 530; 532; 535; 549; 553; 575; 576; 581; 608; 609; 635; 637; 639; 640; 643-649; 651; 652; 654-657; 664; 665; 667-669; 673; 677; 679; 680; 682; 685; 686; 688; 690; 703; 706-711; 713-717; 721-724; 726-728; 730-733; 735-737; 739-743; 759; 768; 814; 815; 838; 876; 895-897; 918; 919; 955; 956; 959; 971; 973; 999; 1004; 1005; 1057-1063; 1083; 1106; 1107; 1118; 1157; 1159;
სოჯნი – 329;
სპარსელები – 20; 50; 53; 84; 90; 92; 93; 157; 169; 181; 196; 206; 214; 228; 241; 248; 249; 251-253; 256; 258; 259; 264-270; 272-275; 279-

281; 283; 294; 296; 302; 308; 320; 321; 326; 328; 336; 339; 340; 341; 345-351; 354; 363; 371; 372; 374; 375; 377; 379; 381-383; 385; 387; 390; 391; 397; 398; 401; 403; 408; 411; 418; 420; 422; 425; 427; 433; 434; 436; 441; 445; 446; 449; 452; 454; 455; 457; 458; 468-471; 478; 484; 508; 533; 553; 571; 576; 607; 641; 644-648; 655; 669; 671; 677; 680; 696; 703; 707-712; 714; 715; 717; 757; 767; 768; 786; 806; 811; 840; 851; 860; 898; 909; 917; 918; 936; 939; 943; 950; 953-955; 960; 962; 965; 967-971; 973; 979; 981; 986; 987; 990; 991; 999; 1000; 1001; 1012; 1044; 1087; 1114; 1140; 1147;
სუბარები – 26;
სუგდელები – 98;
სუმერები – 28;
სუსანელები – 122;
სუჯები – 537;

ტ

ტაბალები – 29; 49; 97;
ტაოელები – 837; 842; 843;
ტაოხები – 156; 157; 159;
ტიბარანული ტომები – 54;
ტიბარეკები – 20;
ტიბარენები – 29; 45; 46; 50; 54; 128;

უ

უკრაინელები – 134;
ურარტუელები (ურარტელები) – 27; 28; 31; 53-55; 57; 99;
ურიები – 726; 971;
ურუმები – 914;
უტიელები – 660;

ფ

ფარნავაზიანთა დინასტია – 66; 339; 499; 790;
ფასიანები – 156; 157;
ფერიზეველები – 34;
ფილირები – 128;
ფინიკიელები – 40; 70;
ფრანგები – 135; 609; 733; 740; 748; 896; 897; 913; 937; 942; 971;
ფრანცისკანელები – 860;
ფრიგიელები (ფრიგვები) – 38; 39; 70;
ფუსტები – 122; 129;
ფშავები – 38; 966; 1026;
ფხოველები – 219; 738; 809;

ქ

ქალდები – 28;
ქალდეველები – 31; 39; 42; 45; 78; 91; 92; 203; 708;
ქანაანელები – 34;
ქართები – 46; 49; 52; 67; 136-139; 141; 145; 146; 157; 159; 170; 173; 326; 368; 518; 636; 688;
ქართველები – 16; 20; 22; 23; 26-28; 30-32; 37; 38; 40-42; 44; 45; 50-55; 57; 59-64; 66-68; 70; 72; 78; 82-87; 90-92; 97-101; 103; 105; 106; 113; 122-125; 130; 131; 135; 137; 141; 142; 144-146; 155; 163-171; 173; 182; 185; 195; 196; 226; 236; 248; 249; 251; 255; 258-261; 264; 267; 276; 279; 282; 304; 305; 307; 309; 316; 322; 325; 326; 328; 332; 339; 340; 342; 343; 347-349; 354; 357; 359; 361-363; 367; 368; 371; 376; 379; 383; 384; 387-391; 393-397; 406; 409; 410; 414; 416; 419; 422; 423; 425; 427; 430; 431; 434; 436; 443; 444; 450; 451; 453; 455; 456; 464; 472; 473; 480; 492; 501; 502; 508-511; 513; 516-518; 520; 521; 523; 527; 532-538; 544-547; 549; 553-555; 558-561; 572-581; 583-585; 590; 592; 593; 608; 611-613; 626; 636; 637; 639-641; 643; 646-648; 655; 658-660; 664-668; 670-675; 678-680; 682; 684-692; 694-717; 719-743; 747; 751; 760; 761;

765; 767; 785-787; 790; 791; 793; 794; 796; 797; 806-809; 811; 833; 836; 838-847; 850-852; 854; 855; 859-863; 865; 867-869; 872; 876; 878; 895; 897-899; 902; 907-913; 915-923; 927; 928; 933; 936-938; 945; 946; 949-951; 953; 956; 957; 959; 960; 961; 963-965; 969-975; 977; 979-986; 990-997; 999; 1000; 1002; 1013; 1016; 1027; 1036; 1039; 1043-1045; 1047; 1048; 1056-1061; 1063; 1066; 1068; 1071; 1074; 1075; 1079-1082; 1085; 1087-1090; 1092; 1098; 1101-1105; 1107; 1108; 1115; 1139; 1142; 1148-1153; 1156; 1157;

ქართველური (ქართული) ტომები – 27-30; 71; 97;

ქართლელები – 145; 146; 171; 433; 546; 638; 642; 688; 836; 843; 898; 923; 933; 992; 1081;

ქართულ-მესხური ტომები – 141;

ქვემო იბერები – 160; 161;

ქინძარელნი – 201;

ქურთები – 271; 755;

ქუშანები – 254;

ღ

ღუნძ-ღლიღვნი – 738;

ღუნძები – 862;

ყ

ყაბარდოელები – 1070;

ყამონიანები (ამონიტები) – 40;

ყივჩაღები – 62;263; 695; 705; 752; 755; 756; 761; 762; 765; 790-796; 811;

ყიზილბაშები – 711; 725; 909-912; 914-916; 932; 933; 936; 937; 944; 945; 950; 953; 960-962; 964; 966; 984; 985; 994; 1003; 1036; 1042;

ყირიმები – 946;

ყუარელები – 329;

შ

შირვანელები – 753;

შუმერები – 24-28; 31; 32; 42; 54;

ჩ

ჩელები – 609;

ჩერქეზები – 738; 867; 895; 927; 971; 992; 995; 997; 998; 1015; 1016; 1070;

ჩერქეზულ-აბაზგური ტომები – 894;

ჩინელები – 767;

ჩრდილოკავკასიური ტომები – 38; 279; 433; 468; 605; 828; 863; 864; 927; 937; 973; 974; 990; 995; 1000; 1015; 1027; 1036; 1042; 1090;

ცხ

ცურტაველები – 393;

ცხავატელები – 810;

ცხრაზმელები – 809;

ძ

ძიდრიტები – 109; 114; 122; 129; 158; 159;

ძიდრიტების ტომი – 122;

ძურძუკები – 867;

წ

წილკნელები – 219;

წინარებალტიელები – 22; 24;

წინარეგერმანელები – 22; 24;

წინარეიტალიკები – 22; 24;

ჭ

ჭანები – 46; 49; 136; 171; 174; 545; 637;

ჭანური ტომები – 97;

ჭარელები – 1043;

ჭართალელები – 219; 810;

ხ

ხადელები – 809;

ხაზარები – 51; 60; 67; 468-470; 496; 680; 682; 357; 474; 873;

ხალდები – 24; 28; 54;
ხალიბები – 28; 45; 50; 128; 156; 157; 159;
ხამურაბიანთა დინასტია – 32;
ხასმონელები – 95;
ხაჩინელები – 874;
ხევსურები – 38; 638; 966; 1026;
ხეთები (ხეტები) (ხატები) – 22; 24; 26-28; 54;
ხეთელები – 34;
ხეთური ტომები – 32;
ხვარაზმელები – 810;
ხივიელები – 34;
ხოსროიანთა დინასტია – 499; 506; 790;
ხურიტები – 25-27; 31; 32; 78; 99;

ჯ

ჯიქები – 263; 325; 914; 915; 1015;

ჰ

ჰენიოხები – 109; 158; 325;
ჰერები – 55; 170; 309; 354-356; 373; 421; 537; 635; 639; 640; 643; 690; 806; 836; 842; 843; 909; 1079;
ჰესპერიტები – 156; 157;
ჰიბერები – 70;
ჰირკანიელები – 326; 691; 692; 909;
ჰონები – 461; 470-472;
ჰუნიები – 255; 258;



სარჩევი

ვახტანგ გოილაძის წინასიტყვაობა 5

საქართველოს საეკლესიო ისტორია

თავი I
ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიდან იესომდე

სამყაროს შექმნა 16
ბაბილონის გოდოლის დაცემა, ენათა და ტომთა წარმოქმნა 19
მსოფლიო ენათა ოჯახები 21
პროტოქართველური ენის მატარებელი ეთნოსის განსახლება 23
აღთქმა ღმერთისა ერთან 30
თუბალი და მოსოქი 37
იბერი 44
ალალი და არამი (ურარტუ და არმენია) 54
ფარნავაზი 60
ქართული საღვთისმსახურო ანბანის ფუძისდება 69
ახალი აღთქმა უფლისა 78
არმაზი, აჰურამაზდა, მოლოდინი მესიისა 84
პომპეუსის ლაშქრობა ისრაელსა და იბერიაში 92
დასრულება გმირულისა და დაწყება სულიერი ეპოქისა 98

თავი II
ქართული ეკლესია I-III საუკუნეში

სახელწოდება და მიმართულება ქართული ეკლესიისა 105
საქართველო მოციქულთა დროს 108
წმიდა ანდრიასა და სხვა მოციქულების ქადაგება საქართველოში 118
წმიდა ანდრიას მიმოსვლა საქართველოში 124
იბერიასა და კავკასიას სკვითეთის ნაწილადაც მიიჩნევდნენ 127
მოციქულთა მიერ დაარსებული პირველი ავტოკეფალური ეკლესიები 130
ქართული ეკლესიის სამწყსო 134
ა) საერთო ენა 136
ბ) საერთო ტერიტორია და საერთო სახელმწიფო 138
გ) ფსიქიური წყობის ერთობა 141
დ) ეკონომიკური კავშირი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის 144
ე) ქართველების საერთო წარმოშობა, სისხლით ნათესაობა 144
ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები 146
„ქართლის“ საზღვრები და ქართველთა ვინაობა ლეონტი მროველის მიხედვით 147
ჯუანშერის თანახმად ეგრისი „ქართლში“ შემავალი ქვეყანაა 152

ქართული ეკლესიის იურისდიქციის დასავლეთის საზღვრები
ვახუშტის მიხედვით 155
ზოგიერთი ბერძენი და რომაელი ისტორიკოსის თანახმად, კოლხეთი
იბერიაში შემავალი ქვეყანაა 156
ქართლი და ქართველი ერი სომეხი ისტორიკოსების მიხედვით 164
„ქართლის ცხოვრების“ სიმართლე 169
საერთო ქართული კოინე ენა 173

თავი III
ქართული ეკლესია IV საუკუნეში

საქართველო IV საუკუნეში 178
გზა ქრისტიანობისა I საუკუნიდან წმიდა ნინომდე 183
წმინდა ნინოს ცხოვრება 197
თქმული აბიათარ მღვდელისა, რომელიც დაემოწაფა წმიდასა და ნეტარ ნინოს 205
თქმული მისივე, აბიათარ მღვდელისა, კვართისათვის უფლისა
ჩვენისა იესო ქრისტესი 206
თქმული სიდონია დედაკაცისა, რომელმაც იხილა და აღწერა... 210
თქმული მისივე ეკლესიის აღშენებისათვის 212
აღმართებისათვის პატიოსნისა ჯვრისა 216
წიგნი, რომელიც მისწერა რომის პატრიარქმა და ბრანჯთა
მეფემ ნინოს, მეფე მირიანს და ქართლის ერს 218
ქართლის მოქცევის წყაროები 221
ქართული ეკლესიის მეთაურები 227
ქართული ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ 232

თავი IV
ქართული ეკლესია V საუკუნეში

ქვეყნის ზოგადი მდგომარეობა V საუკუნეში 248
ვახტანგ გორგასლის ცხოვრება 259
„ვერ მოაწიეს საქმე ესე ჯერისაებრ სჯულისა...“
(პროირანული საეკლესიო დაჯგუფებანი ვახტანგ გორგასლის რეფორმამდე) 276
საეკლესიო-სარწმუნოებრივი ვითარება საქართველოს
საკათალიკოსოს დაარსებისას 287
საქართველოს საკათალიკოსოს დაარსება 312
თეორიები ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ 330

თავი V
ქართული ეკლესია VI საუკუნეში

ქვეყნის ზოგადი მდგომარეობა VI საუკუნეში 339
ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები VI საუკუნეში 342
საეკლესიო წინასწარმეტყველებანი ქართული სახელმწიფოს გაუქმების შემდეგ 344
საეკლესიო ენა ალბანეთში, ჰერეთში, გუგარქსა და დასავლეთ
საქართველოში VI-VII საუკუნეებში 352

ა) საეკლესიო ენა ალბანეთში ... 352
ბ) საეკლესიო ენა ჰერეთში ... 353
გ) საეკლესიო ენა გუგარქში, ანუ ქვემო ქართლში ... 360
დ) საეკლესიო ენა დასავლეთ საქართველოში ... 364
არსენ საფარელის თხზულება „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“ ... 371
მონოფიზიტობის ხანგრძლივობის შესახებ საქართველოში ... 379
ასურელი მამები მონოფიზიტობის წინააღმდეგ ... 385
„ეპისტოლეთა წიგნის“ მოკლე შინაარსი ... 393
„ერთობა“ ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის
უსტანესის მიხედვით ... 414
სომხურ ეკლესიასთან ურთიერთობის მიზეზი და მისი შედეგი ... 418
ქართველი მონოფიზიტები და სომხური ეკლესიის წევრი
ქართველი ქალკედონიტები ... 425

თავი VI
ქართული ეკლესია VII საუკუნეში

ქვეყნის ზოგადი მდგომარეობა VII საუკუნეში ... 433
იურისდიქციის საზღვრების ცვლილება VII საუკუნეში ... 440
„განყოფა“ ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის ... 450
არსენი საფარელი „ერთობისდროინდელი“ სომეხი კათალიკოსების შესახებ ... 454
ქართული ეკლესიის საპატრიარქო ეკლესიად გამოცხადება VII საუკუნეში ... 459
მოვსეს კალანკატუაცის მიერ აღწერილი VII საუკუნის ამბები ... 468

თავი VII
ქართული ეკლესია VIII-X საუკუნეებში

„ქართლის“ ისტორიული გეოგრაფია VIII საუკუნისათვის ... 483
ქვეყნის ზოგადი მდგომარეობა VIII-X საუკუნეებში ... 490
აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსება ... 501
მირონის კურთხევის შესახებ ... 507
აფხაზეთი და ტაო-კლარჯეთი ქართველთა ეროვნული
კონსოლიდაციის კერები ... 516
ქართული ეკლესიის თავდადებული ღვაწლი პირველი მაჰმადიანური
შემოტევის წინააღმდეგ (წმიდა აბო თბილელი, წმიდა დავითი და
კონსტანტინე, წმიდა არჩილ მეფე, წმიდა მიქაელ გობრონი,
წმიდა კონსტანტინე ქართველი) ... 521
წმიდა გრიგოლ ხანძთელის სამოღვაწეო არე ... 528
ავტოკეფალიის არსი — „ეპისკოპოსთა კურთხევა თავისივე ეპისკოპოსების მიერ“ ... 541
აბო თბილელის „ქართველობისა“ და „ქართველთა სისხლით მონათესაობის
ეთნიკური მომენტის“ შესახებ ... 544
წმიდა ნინო და მოციქული ელიშა ... 551
ტერმინ „ნათესავით ქართველის“ შესახებ ... 557
„იბერია“ — ეთნიკური შინაარსის მატარებელი ტერმინი ... 558

თავი VIII
ქართული ეკლესია XI საუკუნეში

საქართველოს საპატრიარქოს დაარსების პოლიტიკური
საფუძველი XI საუკუნეში 563
ქართული ეკლესიის დევნა 1021-1054 წლებში
ბიზანტია-საქართველოს ომის დროს 571
ქართული ეკლესიის საპატრიარქო ღირსების აღიარება 1054-1057 წლებში 585
საქართველოს საპატრიარქოს სტრუქტურა და იურისდიქციის საზღვრები 599
ა. საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი 604
ბ. საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციის ჩრდილოეთის საზღვარი 605
გ. საქართველოს საპატრიარქოს აღმოსავლეთის საზღვარი 606
დ. საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციის საზღვარი სამხრეთით 607
ქართულ ეკლესიაში მიღებული თვალსაზრისი საქართველოს
საპატრიარქოს დაარსების კანონიკური უფლების შესახებ 609
დიპტიხის შესახებ 613
საქართველოს საპატრიარქოს ადგილი მართლმადიდებლურ დიპტიხში 617
ქართული ეკლესიის VI ადგილი ფერარა-ფლორენციის
„მსოფლიო“ საეკლესიო კრებაზე 623
ქართული ეკლესიის შინაგანი დიპტიხი (ჯდომისა და დგომის წესი) 627

თავი IX
«გაქართველების» მოძველებული თეორია

თეორია ქართული ეკლესიის მიერ საქართველოს კუთხეთა
„გაქართველების“ შესახებ 635
სომხური ეკლესიის ისტორია, მონოთელიტობა და
ხატმებრძოლობა მასთან კავშირში ა. კარტაშევის მიხედვით 643
სომხური ეკლესიის პრეტენზიები ქართული ეკლესიის დაუფლებისათვის 655
დიდი მთარგმნელები 666
„ქართლის ცხოვრების“ არმენოფილური რედაქცია 676
ქართველთა არმენიზაციის შესახებ 706

თავი X
ქართული ეკლესია XII საუკუნეში

დავით აღმაშენებელი

მეფეთ მეფე დავითის ცხოვრება 746
მეფე დავითი - მორჩილი ბერისა 763
რუის-ურბნისის კრება 770
ეკლესია - ქართული ქვეყნების გამაერთიანებელი 785
ყივჩაღთა ჩასახლება 790

თამარ მეფე

თამარ მეფის ცხოვრების ქრონიკა 799
ჭყონდიდელი და ათაბაგი 810
თამარი — წმიდა კეთილმსახური მეფე 821

თავი XI
ქართული ეკლესია XIII საუკუნეში

ქვეყნის ზოგადი მდგომარეობა XIII საუკუნეში 833
სული თავდადებისა 833
მემატიანის მიერ აღწერილი ამბები დედა ღვთისმშობლის
მიერ ქართველთა მფარველობის შესახებ 846

თავი XII
ქართული ეკლესია XIV საუკუნეში

ქვეყნის ზოგადი მდგომარეობა XIV საუკუნეში 857
მეფე გიორგი ბრწყინვალე 857
ჩვიდმეტწლიანი სამამულო ომი 862

თავი XIII
ქართული ეკლესია XV საუკუნეში

ქვეყნის ზოგადი მდგომარეობა XV საუკუნეში 872
მეფეთ მეფე მონაზონი ალექსანდრე დიდი 873
ქართული ეკლესიის თავდადებული ბრძოლა საქართველოს
სახელმწიფოებრივი ერთიანობისათვის 880
ეროვნება და სარწმუნოება 894
სასწაულთმოქმედი ხატი აწყურისა 899

თავი XIV
ქართული ეკლესია XVI საუკუნეში

საქართველო XVI საუკუნეში 906
„იყო საქართველო უვნო მტერთაგან“ 913
თემობრიობის აღორძინება ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შედეგად 919
ეკლესია თემობრიობის აღორძინების დროს 922

თავი XV
ქართული ეკლესია XVII საუკუნეში

წმიდა დიდმოწამე ქეთევანი - მნათობი საქართველოსი 927
წმიდა მეფე ლუარსაბ II 944
თეიმურაზ მეფის ბრძოლა „ქართველობისათვის“ 949
ტყვეთა სყიდვა 968

თავი XVI
ქართული ეკლესია XVIII საუკუნეში

ბრძოლა „გამოხსნისა“ და „აღდგომისათვის“ 979
ევროპული (კათოლიკური) ორიენტაცია და მისი კრახი 990

ვახტანგ VI-ის რუსული ორიენტაცია და მისი კრახი 999
ვახტანგ VI-ისა და მუხრანელ ბაგრატიონთა დიდი ოჯახის მამულიშვილობა 1004
ეკლესიის შინაური ყოფა ანტონ პირველამდე 1010
მირონცხებულ მეფეთა ტახტის აღდგენა — ,,ქართველობის'' გამარჯვება 1036
საქართველო ,,ქართველობის'' გამარჯვების შემდეგ 1040
დიდი კათალიკოსის ეპოქა 1045
დიდი ღალატი 1065
სული ერთობისა 1077

თავი XVII
ქართული ეკლესია XIX - XX საუკუნეში

შესავალი 1087
საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება 1090
სახალხო აჯანყება ავტოკეფალიის დასაცავად 1096
ეპარქიათა გაუქმებით გამოწვეული მძიმე სარწმუნოებრივი შედეგები 1098
ავტოკეფალური მოძრაობის დაწყება 1101
წმიდა ილია მართლისა და ქართველი მღვდელმთავრების ბრძოლა
ავტოკეფალიის აღსადგენად 1103
ეკლესია ათეისტების ბატონობის დროს 1114
ავტოკეფალური მოძრაობის დაგვირგვინება 1125
ეროვნული სახელმწიფოსა და ეროვნული ეკლესიის ურთიერთობა 1132

თავი XVIII
საქართველოს ეკლესიის ისტორიის პერიოდიზაცია

საქართველოს ეკლესიის ისტორიის პერიოდიზაცია 1137
საეკლესიო ისტორიოგრაფია I პერიოდი (I-XI სს;)(წმიდა მოციქულებიდან
რუის-ურბნისის კრებამდე) 1142
II პერიოდი (XII-XVIII სს.) (რუის-ურბნისის კრებიდან
ავტოკეფალიის გაუქმებამდე) 1151
III პერიოდი (XIX—XX) (ავტოკეფალიის გაუქმებიდან დღემდე) 1155
შენიშვნები (წყაროები და ლიტერატურა) 1165
საძიებლები
ა) პირთა 1200
ბ) გეოგრაფიულ სახელთა 1229
გ) ეთნიკურ სახელთა 1253